მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა

«საბჭოთა საქართველო»
თბილისი
1982

ჟან-ჟაკ რუსო

ჟიული
ანუ
ახალი ელოიზა

”საბჭოთა საქართველო”
თბილისი
1982

მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკის სარედაქციო საბჭო

გრიგოლ აბაშიძე
მზია ბაქრაძე
ბაჩანა ბრეგვაზე
თენგიზ ბუაჩიძე
ალექსი გომიაშვილი
დავით დონდუა
თამარ ერისთავი
მაგალი თოდუა
ციალა თოფურიძე
მიხეილ კვესელავა
დავით ლაშქარაძე
კონსტანტინე ლორთქიფანიძე
ელგუჯა მაღრაძე
გივი მელაძე
გიორგი ნატროშვილი
შოთა სულაბერიძე
გურამ ფანჯიკიძე
იორამ ქემერტელიძე
ნიკო ყიასაშვილი
ოთარ ჩხეიძე
გიორგი ციციშვილი
გივი ციცქიშვილი
ვახტანგ ჭელიძე
ვახტანგ ჯავახაძე

თარგმანი
ნიკა აგიაშვილისა

მხატვარი
ი. დევნოგორცევა-გრიგოლია

ჟან-ჟაკ რუსო

ყველაფერი იგი გაქრა,
ვით სიზმარი გვიანი,
დრომ ახალი ძალით დაჰკრა:
სხვაა ადამიანი.
რუსოს ხანა, ოხვრა რონის,
ტრიანონის ცდომანი...
გალაკტიონი

«საფრანგეთის დიდებული ერი ჰქმნის დიდებულ ადამიანებს არა მხოლოდ საფრანგეთისათვის, არამედ ყველა ერისათვის. სალამი საფრანგეთს!»

ეს სიტყვები ილია ჭავჭავაძის ნათქვამია.

მართლაც, სალამი, სახელი და დიდება საფრანგეთს! რამდენი გამოჩენილი და სახელოვანი ადამიანი აღუზარდა და მისცა მან კაცობრიობას. ყველას ვინ ჩამოთვლის... მათ შორის ჟან-ჟაკ რუსოს ერთ-ერთი უპირველესი ადგილი უჭირავს.

ქვეყნისქვეყნად სახელგანთქმულ მწერალზე, საზოგადო მოღვაწესა თუ რომელიმე დიდოსტატსა და შემოქმედზე იტყვიან: მის გამო იმდენი წიგნი, ლექსი, რომანი, გამოკვლევა, შრომა ან სტატია დაიწერა, მარტოოდენ მათი სათაურების ჩამოთვლას ერთი კარგი მოზრდილი ტომიც არ ეყოფაო.

ასეთ ბუმბერაზთა რიცხვს ეკუთვნის გენიალური ფრანგი მწერალი, ფილოსოფოსი, კომპოზიტორი, პედაგოგიკის თვალსაჩინო კლასიკოსი და დიდი ჰუმანისტი, დემოკრატ-განმანათლებელი ჟან-ჟაკ რუსო (Rousseau). იგი დაიბადა ქალაქ ჟენევაში, პროტესტანტულ ოჯახში, 1712 წლის 28 ივნისს. გარდაიცვალა ერმენონვილში, პარიზის ახლოს, 1778 წლის 2 ივლისს.

ბავშვობა და ყრმობა გაატარა ჟენევაში.

რუსოს მამა, ისააკი, ღარიბი მესაათე და ცეკვის მასწავლებელი, ეგოისტი, მოუსვენარი და ფრიად დაუდეგარი კაცი იყო, თავგადასავლების მაძიებელი, სულ რომანების კითხვასა და ნადირობაში ატარებდა დროს, თავის ბავშვებს ანებივრებდა და ძალზე ფიცხი გახლდათ. რუსო ადრე დაობლდა. მისი ძმა, რაღაც ოინების გამო, ჟენევიდან გაქრა, ხოლო მამა იძულებული გახდა მეზობელ კანტონს შეხიზნებოდა, რადგან ერთი აზნაურის მოკვლა განიზრახა. აქ მეორეჯერ იქორწინა. ჟენევაში მარტოდმარტო დარჩენილი ჟან-ჟაკი სასწავლებლად ჯერ ნოტარიუსს მიაბარეს, შემდეგ – გრავიორს, სადაც საბრალო ქარგალმა პირველად იწვნია და განიცადა აუტანელი სიდუხჭირე. სუსტი, ზარმაცი და უზნეო, მუშაობის დროს სულ წიგნებს კითხულობდა. მიეჩვია ტყუილს, ფარისევლობას, ქურდობას, სიტყვაძვირობას და მეტისმეტად უხიაკი და უცნაური ბავშვი იყო.

კვირაობით ხშირად გადიოდა ქალაქგარეთ და ბევრჯერ დაბრუნებულა იმ დროს, როცა ქალაქის კარიბჭე იკეტებოდა. ამის გამო გარეთ უხდებოდა ღამის გათევა. 1728 წელს დატოვა ქალაქი და წავიდა კათოლიკურ სავოიაში, სადაც ერთ-ერთი სოფლის მღვდელმა წინადადება მისცა მიეღო კათოლიკობა, რის გამოც წერილი გაატანა ანესში მცხოვრებ

მემამულე ქალთან – ქალბატონ ვარანთან. ეს იყო ახალგაზრდა ბანოვანი, რომელსაც კათოლიციზმის აღიარებისათვის მეფემ თვალსაჩინო დახმარება აღმოუჩინა. ვარანმა გაგზავნა რუსო ქალაქ ტურინში, სადაც ზრდიდნენ და ასწავლიდნენ პროზელიტებს, ე. ი. რომელიმე ახლადმიღებული სარწმუნოების მიმდევართ. გამოუცდელი ყრმა აღმოჩნდა მაწანწალათა ბრბოში, უმეცარ-უბირთა შორის, რომლებიც სარჩოს გულისათვის წამდაუწუმ იცვლიდნენ სარწმუნოებას.

კათოლიკობის მიღების შემდეგ იგი აღარ აინტერესებდათ მღვდლებს, გამოაგდეს მონასტრიდან, მისცეს ოციოდე ფრანკი და გზა დაულოცეს... უგროშკაპიკოდ დარჩენილი რუსო ჩავიდა ლოზანაში და თავი მუსიკის მასწავლებლად გამოაცხადა. სცადა კიდეც დაეწერა მუსიკალური პიესა საკონცერტოდ, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. «ძალიან ცუდად იყო მაშინ ჩემი საქმე, ყველა მიხვდება, თუ რა მდგომარეობაში ჩავვარდი. მაგრამ, ცხადია, ყველაფერი ეს დავიმსახურე», – წერდა რუსო შემდეგ. მერე იგი მდივნად და მთარგმნელად დაუდგა ვიღაც აფერისტს, იერუსალიმელ არქიმანდრიტს, რომელიც შემოწირულებას აგროვებდა ვითომცდა «უფლის საფლავის აღსადგენად». რუსომ მიატოვა ბერი და იწყო ხეტიალი ქალაქებსა და სოფლებში, 1732 წელს ბრუნდება ანესში, კვლავ ხვდება ქალბატონ ვარანს და ცხოვრობს მასთან რამდენიმე წელიწადს.

ქალმა ასწავლა მას სწორად წერა, განათლებულ ადამიანთა ენით მეტყველება და მაღალი წრის საზოგადოებაში თავდაჭერა. შეიყვანა სემინარიაში, ხოლო შემდეგ მიაბარა ორღანისტს, რომელიც მოწაფემ მალე მიატოვა, დაბრუნდა ანესში, მაგრამ ამ დროს ვარანი უკვე პარიზს იყო წასული, და რუსოს ორ წელიწადს მოუხდა შვეიცარიაში უსახლკაროდ ცხოვრება. სულ ფეხით შემოიარა ეს მხარე, ღამეებს კვლავ ღია ცის ქვეშ ათევდა, მაგრამ ეს როდი აწუხებდა. ამავე დროს დაეწაფა თვითგანვითარებას. საფუძვლიანად სწავლობს მუსიკას, ბევრსაც კითხულობს.

1740 წელს იყო მაბლოს (პოეტის ძმის) ოჯახის შინამასწავლებელი, მაგრამ ამ საქმისათვის ვერ გამოდგა; არ შეეძლო მოწაფეებთან და უფროსებთანაც თავის დაჭერა, ჩუმად მიჰქონდა ღვინო თავის ოთახში და ცდილობდა დიასახლისთან გაარშიყებას, რის გამოც იძულებული გახდა წასულიყო ამ სახლიდან. დაბოლოს, 29 წლის რუსო, 1741 წელს, მიდის პარიზში. ჯერ კიდევ ვერ მიაგნო თავის ნამდვილ მოწოდებას. უყვარს მუსიკა და ფიქრობს, ჩემი ნიჭი მთელი ელვარებით სწორედ ამ ასპარეზზე გაბრწყინდებაო. პარიზში ჩაიტანა საკუთრივ გამოგონილი მუსიკალური სისტემის პროექტი (აქ ნოტების მაგივრად გამოიყენებოდა ციფრები). აკადემიამ მოიწონა იგი, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მის დასაცავად რუსომ დაწერა «მსჯელობა თანამედროვე მუსიკის გამო», ამ სისტემის გამოყენება ვერ მოხერხდა.

პარიზში რამდენიმე წელს ყოფნისას მოექცა განმანათლებელ მოღვაწეთა წრეში: განმანათლებელთა შორის იყვნენ მთელ ევროპაში უკვე ცნობილი ვოლტერი, მონტესკიე, ჰოლბახი და აგრეთვე – დიდრო და დ'ალამბერი. ორი უკანასკნელი – გამომცემელნი გახლდნენ შესანიშნავი «ენციკლოპედიისა», სადაც რუსომ მალე დაიწყო თანამშრომლობა; იქ ათავსებდა წერილებს მუსიკაზე, მაგრამ განმანათლებლებს მალე გაეთიშა სხვადასხვა საზოგადოებრივ საკითხთა გამო უთანხმოებისათვის.

ერთ წელიწადს (1743-1744) საფრანგეთის ვენეციელი ელჩის – გრაფ მონტეგიუს შინა მდივანია. ელჩი მას უბრალო მოსამსახურედ თვლიდა, ხოლო გაამპარტავნებულ რუსოს თავი დიპლომატად წარმოედგინა; შემდგომში წერდა: იმ დროს ნეაპოლის სამეფო მე გადავარჩინეო. ელჩმა გამოაგდო და ხელფასიც არ მისცა. რუსო დაბრუნდა პარიზს და უჩივლა მონტეგიუს, მოუგო კიდეც, მაგრამ ისევ სადღაც, ქოხმახის სხვენზე ცხოვრობდა, კვლავ ულუკმაპუროდ. იმ ხანებში თეატრისათვის დაწერა ოპერა «გალანტური მუზები» და კომედია «ნარცისი», მაგრამ არც ერთ მათგანს წარმატება არ რგებია.

ცხოვრების სახსარს მოკლებულმა შეიუღლა იმ სასტუმროს მოსამსახურე, სადაც თვითონ ცხოვრობდა. ეს იყო ახალგაზრდა გლეხის ქალი, ართვალი, უვიცი, ძალზე გონებაშეზღუდული და ფრიად უხეში არსება, ტერეზა ლევასერი. რუსო აღიარებდა, მისდამი მცირეოდენი სიყვარულიც არ განმიცდიაო, მაგრამ ოცი წლის შემდეგ ჯვარი კი დაიწერა მასზე. ცოლთან ერთად არჩენდა ქალის მშობლებს და მთელ ჯალაბს. ტერეზასაგან ხუთი შვილი ჰყავდა. ყველანი ბავშვთა საამღზრდელო სახლში იყვნენ მიბარებული და სამუდამოდ დაეკარგა უყურადღებობის გამო. გვიან, მოხუცებულობაში, რუსო და მისი კეთილისმყოფლები ამაოდ დაეძებდნენ მათ გზასა და კვალს. თავს კი იმით იმართლებდა, მათ სარჩენად სახსარი არ გამაჩნდაო, მშვიდად მეცადინეობის საშუალებას არ მაძლევდნენო, და მირჩევნია მათგან გლეხები გამოვიდნენ, ვიდრე ჩემებრ თავგადასავლების მაძიებლებიო. ხშირად ამბობდა: ტერეზას მიმართ ასეთი ჩემი განწყობილება დაიწყო იმ სიბრალულით, რაც შთამაგონეს მისმა კუროებმა, საბრალო ქალს რომ დასცინოდნენ, ელაზღანდარებოდნენ და აბუჩად იგდებდნენო.

«ტერეზა ერთგულად ემსახურებოდა საოცარს, ზოგჯერ პირდაპირ აუტანელს თავისი სიანჩხლითა და ნერვიულობით... ბავშვობიდანვე ავადმყოფ რუსოს და ისეთ ახირებასაც კი უსრულებდა, როგორიც იყო ამ შვილების ბავშვთა სახლებში მიბარება და სამუდამოდ დაკარგვა...» მხოლოდ ტერეზამ გაუძლო ოცდათოთხმეტი წელიწადი ამ დიდ ადამიანს და მანვე დაუხუჭა თვალი სიკვდილის სარეცელზე.

რუსოს გარდაცვალებიდან თერთმეტი წლის შემდეგ, საფრანგეთის რევოლუციის დროს, კონვენტმა სამუდამო პენსია დაუნიშნა მოხუცებულ ტერეზას...

იმ ხანებში რუსო გახდა ფრანკელის მოიჯარე და მისი სიდედრის მდივანი, ჩაება იმ წრის მუშაობაში, რომელსაც ეკუთვნოდნენ ცნობილი ქალბატონი დ'ეპინე, მისი მეგობარი გრიმი და დიდრო. რუსო ხშირად ეწვეოდა მათ, დგამდა კომედიებს, ხიბლავდა ყველას თავისი ცხოვრებიდან ამოკრებილი გულუბრყვილო, თუმცა ფანტაზიით შეფერადებული ამბებით. მისთვის მრავალგზის უპატიებიათ უტაქტობაც (მაგალითად, მან საარშიყო ბარათი გაუგზავნა ფრანკელის სიდედრს და გაუმიჯნურდა კიდეც).

გადიოდა წლები. რუსო უკვე არც ისე ახალგაზრდა იყო (33 წლისა). განვლო სიდუხჭირითა და მრავალი ტანჯვა-წვალებით აღსავსე სიცოცხლე, ზნეობრივი დაცემისა და აზრთა და გრძნობათა აღმაფრენის არცთუ ისე სასიხარულო წლები. ჯერ კიდევ არავინ იცნობდა ამ სანდომიანი სახის, თვალანთებულ ღარიბ კაცს, პარიზში, ლათინური კვარტალის ერთ-ერთ სხვენზე მცხოვრებ ჟან-ჟაკ რუსოს. მალე იგი გახდება მთელი თაობის ფიქრთამპყრობელი. მისი ბიუსტები დაამშვენებს მრავალი პარკის დაბურულ ხეივნებს, მის სახელს აღტაცებით წარმოთქვამენ მეოცნებე ქალ-ვაჟები, რისხვითა და მრისხანებით აღსავსე მისი სტრიქონები, ადამიანთა გულის დამატყვევებელი და გასაგმირე მჭევრმეტყველება ძილის ბურანისაგან გამოიყვანს და გამოაფხიზლებს ათასობით ადამიანთა გონებას.

ხოლო ჯერეთ იგი უსახელო მუსიკოსია და უცნობი პოეტი, ახლახან პარიზს ჩამოსული გარმიანელი ვინმე, რომელსაც არ გააჩნია განათლება, სათანადო დიპლომი და ცოდნა, არ ესმის მაშინ ასე ყველასათვის სავალდებულო ლათინური ენა, ღარიბ-ღატაკი ბოგანო, ჟენეველი მესაათის შვილი, და ერთხანს თავადაც ხელზე მოსამსახურე, აგერ ახლა ქუჩის მაწანწალა რომ გახლდათ, და ამჟამად ბუნდოვნად და შფოთიერად, რაღაც გამოურკვეველი ალღოთი რომ გრძნობს და განიცდის იმ დაუდეგარსა და სულისაღმშფოთველ სალმობას თუ სატკივარს, ნიჭიერებას რომ უწოდებენ...

სახელ-დიდება მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ მოადგა რუსოს კარს – მოულოდნელად და დამაბრმავებლად, თვალისმომჭრელად.

ეს მოხდა 1749 წლის ზაფხულზე. რუსოს უნდოდა მეგობრის – დიდროს ნახვა, რომელიც იმ დროს ვენსენის ციხის პატიმარი იყო თავისი ერთ-ერთი ფილოსოფიური თხზულების («წერილი ბრმებზე – თვალხილულთა ჭკუის სასწავლებლად») დაწერისა და გამოქვეყნების გამო. გზაზე შეისვენა, გაშალა გაზეთი «ფრანგული მოამბე» და წაიკითხა დიჟონის აკადემიის განცხადება საკონკურსო თემაზე: «შეუწყო თუ არა ხელი ლიტერატურისა და კულტურის განვითარებამ ადამიანის მორალისა და ჩვევების განვითარებას?» საუკეთესო თხზულებისათვის დაწესებული იყო სათანადო პრემია. რუსო განცვიფრდა: დიდი ხანია აწვალებდა ფიქრი ადამიანთა ერთი ნაწილის მონობასა და მეორეთა ბატონობაზე დამყარებული ცივილიზაციის დამღუპველი გავლენის გამო. ახლა დიჟონის აკადემიის ამ თემამ უეცრად მთელი სამყარო გადაშალა მის თვალთა წინაშე; შთაბეჭდილება იმდენად ძლიერი იყო, რომ, როგორც შემდეგ წერდა, გაბრუებული ნახევარ საათზე მეტ ხანს იწვა ხის ქვეშ. როცა გამოერკვა, ჟილეტი სველი ჰქონდა ცრემლებისაგან. აზრი, რაიც ასე უცაბედად დაებადა, შეიცავდა მთელი მისი მსოფლმხედველობის დედაარსს: «განათლება მავნებელია და თავად კულტურა სიცრუეა და დანაშაული», რუსომ, დიდროს რჩევით, დაწერა და ერთი წლის შემდეგ გამოაქვეყნა სპეციალური შრომა, თავისი პირველი ფილოსოფიური ტრაქტატი: «მსჯელობა მეცნიერებასა და ხელოვნებათა გამო», სადაც «დაჰგმო კაცობრიობის მიერ საუკუნოობით შემენილი კულტურა, როგორც ადამიანის გამრყვნელი და ყველა ცოდვა-უბედურების მიზეზი. რასაკვირველია, მთავარი დებულება რუსოს თხზულებისა სადავო იყო ჯერ კიდევ მისსავე სამშობლოში, მაგრამ იგი მაინც უდიდესი პროტესტი გახლდათ იმ სოციალური ურთიერთობის წინააღმდეგ, რომელიც მეფობდა რევოლუციის წინა დროის საფრანგეთში. ამდენად მისმა თხზულებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თანამედროვეებზე», – წერს ჩვენი ცნობილი კრიტიკოსი და ლიტერატურის ისტორიკოს-მკვლევარი ლევან ასათიანი (იხ. მისი «რჩეული ნაწერები», ტ. I, «ვოლტერიანობა საქართველოში», გვ. 97, თბილისი, «საბჭოთა მწერალი», 1958).

რუსოს ამ პირველ ნაშრომს მიენიჭა დაპირებული პრემია. მთელი განათლებული და რჩეული საზოგადოება ტაშს უკრავს თავის განმქიქებელსა და მამხილებელს; მისი სახელი განითქვა მთელ საფრანგეთში, და მასთან ერთად – ევროპაშიც; ერთნი აძაგებდნენ და ცილს სწამებდნენ, სხვები აღტაცებითა და აღფრთოვანებით ხვდებოდნენ წიგნის ავტორს.

რუსო ძლიერ ნანობდა ამ «საბედისწერო ნაბიჯს», რამაც გადაწყვიტა მთელი მისი შემდგომი ბედი, და კიცხავდა კიდეც დიდროს, ტრაქტატის დაწერა არ დამიშალაო. მთელი ჩემი ცხოვრების ყველა უბედურება ამ წუთიერი შეცდომის ბრალი იყოო, წერდა შემდეგ იგი.

ამ მცირე მოცულობის ტრაქტატში რუსომ გამოხატა თავის შეხედულებათა მთელი სისტემა, რაიც შემდგომ საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში რ უ ს ო ი ზ მ ი ს სახელით შევიდა.

ტრაქტატის მიხედვით, ცივილიზაციამ არათუ ბედნიერება მოუტანა ადამიანებს, არამედ, პირიქით, გააარჯლა ერთთა ღატაკური მდგომარეობა და გააღრმავა სხვათა პარაზიტიზმი, გაამრავლა მანკიერებანი («მეცნიერება და ხელოვნება უფრო და უფრო სრულყოფილი ხდება, ხოლო ადამიანთა ცხოვრება თანდათან კნინდება და უარესდება... ხე ცნობადისა, კეთილისა და ბოროტისა იზრდება, ხე ცხოვრებისა ხმება და ჭკნება»). ტრაქტატი გადაიქცა მეცნიერების, პროგრესისა და ცივილიზაციის მჭევრმეტყველურ უარყოფად («სამარადჟამო ცრუმორწმუნეობა, მჭევრმეტყველებას – პატივმოყვარეობა, პირმოთნეობა, მლიქვნელობა; გეომეტრიას – სიძუნწე, ფიზიკას – უსაქმური ცნობისმოყვარეობა, ხოლო ზნეობრივ ფილოსოფიას, ისე როგორც ყველა დანარჩენს –

ადამიანური გულზვაობა»). რუსო მიმართავს შორეულ ისტორულ წარსულს, იხსენებს სპარტელთა, სკვითთა, გერმანელთა პირვანდელ ისტორიას, ხოტბას ასხამს მათს მარტივსა და სადა, უბრალო ცხოვრებას, რაიც ემყარებოდა თავისუფლების, სამართლიანობის, სიმართლისა და დამოუკიდებლობის პატივისცემას. რუსო პათეტიკურადაც კი აქებს და ადიდებს ძველთაძველ სპარტას: «სპარტა, სპარტა! შენ სამიდღეშიოდ თავზარდაცემა იქნები სწავლულ მოლაყბეთათვის, შენ საძულველი ხარ დოქტრინერებისა და ასოკირკიტა მწიგნობართათვის».

სოციალურ მანკიერებათა მთელი დანაშაული რუსომ დააკისრა მეცნიერებას, ხელოვნებას, ცივილიზაციას, ამასთან – გაკრიტიკების საშუალება მისცა მოწინააღმდეგეთაც, რეაქციონერებსაც, რომლებმაც კარგად ამოიკითხეს და გაიგეს მის მგზნებარე პროტესტში რევოლუციური აზრები, და თავის მომმე განმანათლებლებსაც, მეცნიერებისა და ხელოვნების პროგრესს ადამიანის მომავალი განახლების საწინდრად რომ მიიჩნევდნენ. ვოლტერი ირონიულად გამოეხმაურა რუსოს ამ ტრაქტატს.

პოლონეთის მეფემ, სტანისლავ ლეშჩინსიმ, პრესის საშუალებით ბრალი დასდო რუსოს, კაცობრიობის მთელი კულტურული მიღწევების მოსპობა გწადიაო. თავის პასუხში რუსო უარყოფდა ტრაქტატის ასეთ გაგებას და აცხადებდა, მეცნიერებისა და ხელოვნების მოსპობა სულაც არ მიფიქრიაო. შემდგომში, როცა ამ პირველ ტრაქტატს ახსენებდა, ამბობდა: ჩემი ხელიდან გამოსულ ნაწარმოებთა შორის, მსჯელობის თვალსაზრისით, ეს ყველაზე სუსტიაო.

დიდრო აღტაცებით შეხვდა რუსოს თხზულებას, იმიტომ კი არა, რომ იქ ენამჭევრულად იყო უარყოფილი მეცნიერება, ხელოვნება, ცივილიზაცია. განათლების დიდმა ქომაგმა, სახელოვანმა მოაზროვნემ და რევოლუციონერმა, დიდრომ ამ წიგნში დაინახა რაციონალური მარცვალი, სახელდობრ – ფეოდალური საფრანგეთის სოციალური წყობის წინააღმდეგ მიმართული რევოლუციური პროტესტი, გაბატონებული კლასის მძაფრი სიძულვილი, უბრალო ხალხის მიმართ მხურვალე სიმპათია. «მიწის მუშის სოფლურ სამოსში, და არა კარისკაცის ზიზილ-პიპილებით მორთულ-მოოქრულ ტანისამოსში იფარება ადამიანთა სულის ძალ-ღონე და სათნოება», – თამამად აცხადებდა რუსო ამ პირველ ტრაქტატში.

1754 წელს რუსომ გამოსცა ახალი თხზულება (კვლავ დიჟონის აკადემიის მიერ გამოცხადებულ თემაზე): «მსჯელობანი ადამიანთა შორის უთანასწორობის წარმოშობასა და საფუძველზე», სადაც პირველადაა წარმოთქმული უთანასწორობის დაგმობის ისტორიული ფაზა, რაც შემდგომში აფორიზმად იქცა:

«ადამიანი, რომელმაც პირველად შემოღობა მიწის ნაკვეთი და თქვა: ეს ჩემიაო, საკმაოდ გულუბრყვილო ადამიანები ამაში რომ დაერწმუნებია, იყო სამოქალაქო საზოგადოების ჭეშმარიტი ფუძემდებელი. რაოდენ დანაშაულს, ომს, მკვლელობას, რაოდენ უბედურებასა და საშინელებას ააცდენდა ადამიანთა მოდგმას ის კაცი, ვინც პირველ მესაკუთრეს ამოუყრიდა მიჯნებს, ამოუვსებდა თხრილს და ეტყოდა ადამიანებს: ყურს ნუ დაუგდებთ ამ მატყუარას, თქვენ დაიღუპებით, თუ დაივიწყებთ, რომ ბუნების ნაყოფი ყველას ეკუთვნის, ხოლო მიწა – არავის».

რუსომ ვოლტერს გაუგზავნა ამ თხზულების ერთი ეგზემპლარი.

ვოლტერმა, ეს რომ წაიკითხა, ზედ წიგნზევე მიაწერა:

«როგორ? იმას, ვინც დაამუშავა, დათესა და შემოღობა მიწის ნაკვეთი, არ ეკუთვნის თავისი შრომის ნაყოფი? როგორ? ამ კაცს (ლაპარაკია რუსოზე), რომელსაც არ გაეგება, თუ რა არის სამართლიანობა, ამ მართლაც ქურდს, უნდა, რომ ადამიანთა მოდგმის კეთილისმყოფლად მოგვაჩვენოს თავი? ესაა ფილოსოფია მათხოვრისა, რომელსაც სურს, რომ ღატაკებმა გაძარცვონ მდიდრები».

უფრო გვიან, თავის ერთ დიალოგში ვოლტერი ასე ალაპარაკებს თანამოსაუბრეებს: «ეს უაზრობა, – ამბობს ერთი მათგანი, – ალბათ, დაწერა რომელიმე შარაგზის ქურდმა, ეტყობა, ეს ენამახვილობა ჰგონია». მეორე პასუხობს: «ეჭვი მეპარება, რომ მაგისი დამწერი არის ზარმაცი და უქმად მოყიალე კაცი. იმის ნაცვლად, რომ წაახდინოს ჭკვიანი და შრომისმოყვარე მეზობლის ბოსტანი, განა არ სჯობია მას მიჰბაძოს? მაგ სტრიქონების ავტორი, მე მგონია, არასაზოგადოებრივი ცხოველია».

რუსოს ამ ნაწარმოებს უკვე აღარ რგებია დიჟონის აკადემიის პრემია (ის მიენიჭა აბატ ტალბერს, ოფიციალური იდეოლოგიისა და რელიგიოზურობის მკაცრ ფარგლებში შეთხზული ნაწარმოებისათვის), მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი იყო შიგ ჩაქსოვილი იდეებით და პირველ წიგნზე უფრო მომწიფებულ აზრთა სისავსით. აქ კვლავ ისმება ბუნებისა და კულტურის საკითხი. რუსომ აღძრა «ბუნებრივი ადამიანის» იდეა. ბუნებისმიერ ადამიანს ავტორი უპირისპირებს «საზოგადოების მიერ შექმნილ ადამიანს». «ყველაფერი მშვენიერია, რაც შემოქმედის ხელიდანაა გამოსული, ადამიანის ხელში ყოველივეს ბოლო ეღება და ფუჭდება», – წერს იგი. «ადამიანთა უთანასწორობა თავად ბუნების მიერ არის წინასწარ განსაზღვრული», აცხადებდნენ ფეოდალიზმის ოფიციალური იდეოლოგები. «არა, ეს უთანასწორობა თავად ადამიანის მიერ არის შექმნილი და ეწინააღმდეგება ბუნებას», – პროტესტს აცხადებდა რუსო. მდიდრებად და ღარიბებად საზოგადოების დაყოფა, მქონებელთა და ჩაგრულთა ხელისუფლება ადამიანთა გამოგონილია. ადამიანი თავისი ბუნებით კეთილია; მხოლოდ გახრწნილ საზოგადოებაში ცხოვრებისას ხდება ბოროტი და მანკიერი. რუსო ხოტბას ასხამს ველურ ადამიანთა ცხოვრებას; ისინი იცვამენ ნადირთა ტყავს და ქვის ნაჯახებით შეიარაღებულთ არც კი გაეგებათ, თუ რა არის საზოგადოება და სახელმწიფო. ამის გამო ვოლტერმა ირონიულად, მაგრამ მკაცრად შენიშნა რუსოს: «ჯერ არავინ გარჯილა ესოდენ ამაოდ იმისათვის, რათა ჩვენგან მხეცები და ნადირები გამოეყვანა. როცა კითხულობს თქვენს წიგნს, კაცს მოუნდება ოთხზე დადგეს და ბობღვა იწყოს. მაგრამ, სამწუხაროდ, უკვე სამოცი წელიწადია გადავეჩვიე ასე სიარულს, და ამიტომაც გამიძნელდება ხელახლა ვისწავლო ეს საქმე. ამ სიამოვნებას სხვებს დავუთმობ, უფრო ღირსეულთ, ვიდრე მე და თქვენა ვართ».

ამ ტრაქტატში რუსო უფრო ფართოდ და მოფიქრებულად აშუქებს კაცობრიობის ევოლუციას ბუნებრივი მდგომარეობიდან განვითარებულ ცივილიზაციამდე, რომლის აუცილებელი თანამგზავრია ხალხის პოლიტიკური უთანასწორობა და ექსპლოატაცია. ეს თხზულება, როგორც «ანტი-დიურინგში» აღნიშნავდა ფრ. ენგელსი, არის «დიალექტიკის ერთ-ერთი უმაღლესი ნიმუშთაგანი». იგივე ენგელსი წერდა: «რუსოს ნაწერებში გვხვდება არა მარტო აზრთა განვითარება, რომელიც გაჭრილი ვაშლივით ჰგავს მარქსის მიერ «კაპიტალში» გამოთქმულ აზრებს, არამედ დეტალებშიც ვხედავთ მთელ რიგ ისეთ დიალექტიკურ გამოთქმებს, რომლებსაც მარქსი ხმარობს».

«პოლიტიკური ტრაქტატი საზოგადოებრივი ხელშეკრულების შესახებ ანუ პოლიტიკური სამართლის პრინციპები» (1762) გვიხატავს ხალხის სუვერენიტეტის ძირითად იდეებს, ხალხის ძველისძველ უფლებას დაამხოს ტირანული რეჟიმები; აქ შემუშავებულია საყოველთაო თანასწორობაზე დაფუძნებული დემოკრატული რესპუბლიკის სტურქტურა. რუსო უარყოფდა უფლებამოსილთა მიმართ კომპრომისს და არ იზიარებდა მრავალ განმანათლებელთა ილუზიას ე. წ. განათლებული მონარქიის შესაძლებლობის გამო. ამასთან თავის პოლიტიკურ თხზულებაში პროგრესის იდეას რუსო მის პოზიტიურ მნიშვნელობას უბრუნებს.

რუსოს ეს თხზულება მწრლის პოლიტიკური პროგრამაა. უკეთუ პირველ ორ ნაწარმოებში კიცხავდა და ამათრახებდა თანამედროვე საზოგადოების მანკიერებას, აქ

ცდილობს დასახოს შესაძლებელი გზები სოციალურ მანკიერებათა აღმოფხვრისათვის და ადამიანური თანაცხოვრების უკეთეს ფორმათა დასამყარებლად.

«ადამიანი იბადება თავისუფალი, მაგრამ იგი ყველგან ხელფეხშებორკილია», – ასე აღნიშნავს რუსო სოციალური სამყაროს ძირითად წინააღმდეგობას.

ამ წიგნმა დიდი როლი შეასრულა საფრანგეთის რევოლუციის ისტორიაში (რობესპიერი რუსოს მგზნებარე თაყვანისმცემელი იყო და ცდილობდა მისი პოლიტიკური პროგრამის გატარებას ცხოვრებაში).

როცა 1789 წლის 14 ივლისს შეიარაღებულმა მასებმა ძირს დასცეს და შემუსრეს საძულველი ბასტილიის ციხის კედლები და აბსოლუტიზმის პატიმრებს საკანთა კარები გაუღეს, ძველი ციხე-სიმაგრის ნანგრევებზე აჯანყებულთა ხელით ამოტვიფრეს და წააწერეს ვოლტერისა და რუსოს სახელები, რადგან:

«საფრანგეთის რევოლუცია შექმნილი იყო არა ბარიკადებით, არა ვერსალის დატყვევებით, არამედ უფრო ადრე, როდესაც მონტესკიემ, ენციკლოპედისტებმა – ვოლტერმა, რუსომ და სხვებმა თავიანთ ნაწარმოებებში მთელი იმ წყობილების უკიდურესი წვრილმანებიც კი შექმნეს, რომელსაც უნდა შეეცვალა ძველი უწესივრობანი, და რაც განხორციელდა კონვენტის «კოდექსებით» (ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი, ტ. 4, გვ. 258, თბილისი, «საბჭოთა საქართველო», 1964).

«რუსოს ეს თხზულებანი მიმართული იყო ფეოდალიზმის, მისი იდეოლოგიის, დოგმატიზმის, მეტაფიზიკის, სქოლასტიკის, ფეოდალურ პრივილეგიათა და დაწესებულებათა წინააღმდეგ, ეკლესიის მიერ ხალხის ჩაგვრის წინააღმდეგ».

«ტრაქტატი «საზოგადოებრივი ხელშეკრულების შესახებ» რუსოს სოციალური შეხედულებების გვირგვინს წარმოადგენს და საერთოდ პოლიტიკური აზროვნების განვითარების ისტორიაში განსაკუთრებულ ადგილს იჭერს, როგორც თავის დროისათვის უაღრესად რადიკალური ნაშრომი. აქ მკაფიო გამოხატულებას პოულობს იმ დროისათვის ყველაზე მოწინავე იდეები ადამიანთა თანასწორობის შესახებ ნივთიერ, მოქალაქეობრივსა და პოლიტიკურ სფეროში», წერს უშანგი ობოლაძე (იხ. მისი «ჟან-ჟაკ რუსო», გვ. 177, თბილისი, 1976, გამომც. «განათლება»).

რუსო წაეჩხუბა ვოლტერსა და დ'ალამბერს და თავის მეგობარსა და მასწავლებელ დიდროსაც კი «ენციკლოპედიაში» დაბეჭდილი დ'ალამბერის წერილისათვის («ჟენევა»). დ'ალამბერი თავს ესხმოდა ჟენეველთა ფარისევლობას, რომლებიც წინააღმდეგნი იყვნენ ქალაქში თეატრის გახსნისა. რუსომ დაიცვა ისინი და 1758 წელს მწვავე წერილით უპასუხა დ'ალამბერის სტატიას. რუსომ უარყო თეატრი, რადგან იგი მიაჩნდა ხალხის ერთ-ერთ გამხრწნელ საშუალებად. განმანათლებლებს არ შეეძლოთ დათანხმებოდნენ ამ ამბავს, ისე როგორც საერთოდ არ იზიარებდნენ რუსოს თეორიას ადამიანთა საზოგადოებისათვის ცივილიზაციის დამღუპველობაზე.

მანამდე ცოტათი ადრე რუსომ წერილი გაუგზავნა ვოლტერს მისი პოემა «ლისაბონის მიწისძვრის» გამო. ამ პოემაში ლისაბონის საშინელი კატასტროფით თავზარდაცემული ვოლტერი თავს ესხმოდა ეკლესიის მსახურთ, რადგან ისინი გუნდრუკს უკმევდნენ ადამიანთათვის მზრუნველ ყოვლადმოწყალე უფალს.

პოემის ავტორი სკეპტიკურად აფასებს რელიგიას. რუსო კი თითქოს გამოვიდა სარწმუნოებისა და ღვთის დამცველად, ოღონდ თავი შეიკავა ბუნებაში მომხდარ მოვლენათა შეფასებისაგან და მთელი თავისი ყურადღება მიმართა საზოგადოებას, მის წიაღში გამეფებულ საშინელ წინააღმდეგობათ. «ღმერთს როდი შეუქმნია მდიდრები და ღარიბები. ადამიანებმა თვითონვე შეიქმნეს ხელოვნური, არანორმალური ცხოვრება, და შემდეგ უჩივიან ღმერთს», წერდა იგი.

ვოლტერი ძირს უთხრიდა ეკლესიისა და რელიგიის საფუძვლებს, რუსო ხელჰყოფდა უფრო მეტს – ადამიანის მიერ ადამიანის დამონებისა და ჩაგვრის მთელ სისტემას. ამიტომაც გასაკვირველი როდია, თუ «უღმერთო» და «ღვთისმგმობელი» ვოლტერი უფრო მოსათმენი იყო არისტოკრატებისათვის, ვიდრე ღვთისმორწმუნე რუსო. ვოლტერი მას «არქიგიჟს» ეძახდა, ხოლო ფრანგ განმანათლებელთაგან არავინ გრძნობდა ისე მწვავე სიძულვილს გაბატონებული ექსპლოატატორული კლასის მიმართ, როგორც რუსო. «მე მძაგს ძლიერნი ამა ქვეყნისანი, მეზიზღება მათი მდგომარეობა, სისასტიკე, ცრურწმენანი, წვრილმანობა, ყველა მათი მანკიერება და კიდევ უფრო შევიზიზღებდი მათ, გაცილებით ნაკლებ რომ მძულდნენ ისინი». რუსოს მგზნებარე ბუნება, მისი შეურიგებლობა და მძვინვარება ცნობილი იყო იმ დროის მთელი კულტურული სამყაროსათვის. მისი თანამედროვე ინგლისელი მწერალი ჰოლდსმითი წერდა: «ჟენეველი რუსო საშინელი კაცთმოძულეა, ანდა, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ფილოსოფოსია, რომელიც გააფთრებულია კაცობრიობის ერთი ნახევრის მიმართ იმის გამო, რომ იგი მართლაც აუბედურებს მეორე ნახევარს. ასეთი გრძნობა ჩვეულებრივ ძალზე კეთილი გულისა და ნაკლები გამოცდილების შედეგია».

მიუხედავად იმისა, რომ დ'ალამბერისადმი მიწერილ წერილში (1758) თეატრი გამოცხადებულია უაღრესად მავნე და ძალზე უზნეო დაწესებულებად, თავად რუსო თხზავდა მხიარულ პიესებს, ოპერათა ლიბრეტოებსა და მუსიკას.

როგორც ლექსებისა და პოემების ავტორს («შარმეტის ბაღი», 1739; «წერილი ბატონ ბორდს», 1743; «წერილი პარიზოს», 1742; «სილვიას ხეივანი», 1750; «წერილი ბ-ნ ლ'ეტანს», 1752) რუსოს არ შეუქმნია ცოცხალი და მკაფიო სახეები; მან ვერ შეძლო საკუთარი განცდების პოეტურად გამოთქმა. მაგრამ ამ ნაწარმოებებში უკვე ჩანს მისი მსოფლმხედველობის გარკვეული ტენდენციები – მისწრაფება ცხოვრების მარტივად ასახვისა და ვნებათა ბრძნული შეზღუდულობის ქება-დიდება, არისტოკრატიული საზოგადოების, მისი მცონარეობისა და ჰედონიზმის სიძულვილი; ხოლო რუსოს კომედიები უფრო ნაკლებ გონივრულია. მათი იუმორი არაფრით არ ეხამება რუსოს მსოფლმხედველობის ძირითად იდეას.

ასე, მაგალითად, კომედია «ნარცისში» გაბიაბრუებულია მაღალი წრის კოხტა-პრუწა. ერთმოქმედებიან კომედია «სამხედრო ტყვეებში» ნაჩვენებია ეროვნული შუღლის ცრურწმენათა სასაცილო მხარე. საერთოდ ეს პიესები არ ბრწყინავენ ორიგინალობით. კომედია «გაბედული განზრახვა» პ. მარივოს სუსტი მიბაძვაა.

ოპერათა შორის, რომელთათვისაც რუსო თხზავდა ლიბრეტოსა და მუსიკასაც, მისი ნიჭისა და ესთეტიკის მთავარ ტენდენციას უფრო შეჰფერის ერთმოქმედებიანი ინტერმედია «სოფლელი ჯადოქარი». რუსოს მიერ შედგენილი ეს მუსიკალური პასტორალი თითქოს რევოლუციაა მაშინდელ საოპერო ხელოვნებაში, რომელთა გართულებული მუსიკალური ქსოვილი და მაღალფარდოვანი სიტყვიერი მასალა არ მოსწონდა მსმენელს და არ იწვევდა მის ინტერესს. რუსოს მეორე შედევრი – პაწაწინა პიესა «პიგმალიონი», რომელმაც გოეთეს თქმით, «ეპოქა შექმნა», არის ლირიკული სცენა მუსიკალური კომენტარებით, შედგება მითიური მოქანდაკის მხოლოდ ერთი მონოლოგისაგან. ეს მოქანდაკე თავისი გამხელებელი სიყვარულით აცოცხლებს გალათეას ქანდაკს. ნაწარმოები მიღებული იქნა როგორც ახალი ჟანრის მელოდრამის აღმოჩენა (შემდგომში ტერმინმა «მელოდრამამ» სულ სხვა მნიშვნელობა მიიღო). რუსო ცდილობდა აგრეთვე ძველრომაულ სიუჟეტზე დაეწერა სამოქალაქო პათოსის ტრაგედია, მაგრამ «ლუკრეციას» ჩანაფიქრი მხოლოდ მრავლისაღმთქმელი ესკიზის სტადიაში დარჩა: ტირანთა წინააღმდეგ მებრძოლ პატრიოტთა მძლავრი ხასიათები თავიანთი ზვიადი

გრძნობებით იზიდავდნენ რუსოს როგორც მოაზროვნეს, მაგრამ არ აღუძრავდნენ მხატვრულ ფანტაზიას.

ჟან-ჟაკ რუსოს მთავარი ნაწარმოებია საქვეყნოდ განთქმული რომანი «ჟიული ანუ ახალი ელოიზა» («Julie ou la Nouvelle Héloïse», 1761), რომლის სახელწოდებად გამოყენებულია შუა საუკუნეების ცნობილი ღვთისმეტყველისა და ფილოსოფოსის პიერ აბელარის (Abailard, 1079-1142) სატრფოს – ელიოზას სახელი. სქოლასტიკაში რაციონალისტური და კრიტიკული მიმდინარეობის ფუძემდებლის აბელარის მოძღვრება მის სიცოცხლეშივე ორჯერ სასტიკად დაგმო და გაკიცხა ეკლესიამ, ხოლო თხზულება «თეოლოგიის შესავალი» კოცონზე დაწვეს. აბელარის ბრწყინვალე ლექციებმა პარიზში მიიზიდა მთელი ევროპის სხვადასხვა ქვეყნის მრავალი მსმენელი. აბელარს შეუყვარდა თავისი მოწაფე, კანონიკ ფულბერის დისწული, 18 წლის ელოიზა, და იქორწინა მასთან, რასაც დიდხანს საიდუმლოდ იმარხავდნენ, რადგან სწავლულ-ღვთისმეტყველის კარიერისათვის უქორწინობა აუცილებელი და სავალდებულო პირობა გახლდათ. ამით განაწყენებული ფულბერის მიერ მიგზავნილმა კაცებმა იგი დაასაჭურისეს. ელოიზამ მონასტერს შეაფარა თავი. აბელარმაც თავი ანება მოღვაწეობას და ბერად აღიკვეცა. იგი ცნობილია როგორც პოეტი, მაგრამ მას სახელი გაუთქვა ელოიზასთან გამართულმა მიწერ-მოწერამ, სადაც ინტიმური ლირიკული განცდები შესანიშნავი ბუნებრივი ფორმით ექსოვება უაღრესად ბრძნულ ფილოსოფიურ აზრებს სამყაროს გამო, გონებისა და მეცნიერების ძლიერების შესახებ, და ა. შ.

«ელოიზასა და აბელარის წერილები» შუა საუკუნეთა ლათინური ლიტერატურის საქვეყნოდ განთქმული თხზულებაა და ჯერ კიდევ XIII საუკუნეში გადაითარგმნა ფრანგულ ენაზე. ამ ერთიერთმანეთის მოყვარული ცოლ-ქმრის სამწუხარო თავგადასავალი კვლავ გახმაურდა XVII საუკუნეში, როცა ცნობილმა მოაზროვნემ ბუსი-რაბუტენმა გამოსცა თავისი «ელოიზასა და აბელარის ამბავი». რუსომდე ამ სიუჟეტზე ფრანგულ ლიტერატურაში დაიწერა სამოცამდე რომანი, პოემა და დრამა.

ჩვენი გალაკტიონი ერთ-ერთი პოემის პროზაულ ვარაინტში («ლირიკა») წერდა: «განა რუსოს ქარიშხლიანმა გენიამ, მისმა მხურვალე მჭევრმეტყველებამ, მისმა სიძულვილმა ცივილიზაციისადმი, რომელიც ბადებდა ჩაგვრასა და ძალადობას, მისმა ძახილმა ბუნებისაკენ, ზნეთა პირველი სისპეტაკისაკენ არ იფეთქა დამაბრმავებელ ნათელ ცეცხლად ახალგაზრდა გოეთეს, შილერის პოეზიაში და არ შეუწყო ხელი იმ ქარიშხალს, რომელმაც ქვეყნის განმაახლებელ ურაგანად, მარსელიოზის ხმებით გადაიგრიალა საფრანგეთზე?» (იხ. გ. ტაბიძე, ტ. 12, 1975, გვ. 574).

და სწორედ «ამ ქვეყნად სამოთხის მოწყობის საკითხს», ჩაგვრისა და ძალადობის კერის – ცივილიზაციის სიძულვილის ქადაგებას, ბუნებისაკენ, ზნეთა პირველი სისპეტაკისაკენ მოწოდებას, «ქვეყნის განმაახლებელ ურაგანს» მიუძღვნა რუსომ თავისი ყველაზე საუკეთესო, ყველაზე წარმტაცი და მთავარი თხზულება – ალპის მთის ძირის დაბაში მოსახლე ორი მიჯნურის ეს სევდიანი რომანი.

რუსო მხატვრული პროზის საუცხოო ოსტატია. თუ ვოლტერი და დიდრო იყენებდნენ დახვეწილ ირონიას, რუსო მიმართავს უმაღლეს პათეტიკას; მისი მღელვარე და მუსიკაური პროზა გვაგონებს ტრიბუნის მიერ წარმოთქმულ სიტყვას. საფრანგეთის რევოლუციის დროს მარატი კითხულობდა რუსოს თხზულებებს პარიზის ქუჩებში და აჯანყებული ხალხი მქუხარე ტაშით ხვდებოდა მგზნებარე ორატორს.

ეპისტოლარული ჟანრი საშუალებას აძლევდა ავტორს პერსონაჟთა აზრებისა და გრძნობათა ინტიმურად გამოთქმისათვის. რომანის მთავარი დრამატული კვანძია აზნაურის ქალიშვილის – ჟიული დ’ეტანჟის ამბოხება დესპოტი მამისა და, მისი სახით, კონსერვატიული წოდებრივი მორალის საფუძველთა წინააღმდეგ. ჟიული გაუმიჯნურდა

თავის მასწავლებელს, მდაბიო წრიდან გამოსულ სენ-პრეს; სენ-პრე ჭკვიანია, ლამაზი, მაგრამ ღარიბია და წარმოშობითაც არ ეკუთვნის აზნაურთა წოდებას. მას მგზნებარედ შეუყვარდება თავისი ნორჩი მოწაფე. ის ძალზე მგრძნობიარე ჭაბუკია, მაგრამ არ ძალუძს მოქმედება, ბრძოლა თავისი ადგილისათვის, თავისი ბედნიერებისათვის ამ დედამიწაზე. ჟიული, პირიქით, ძლიერი ნებისყოფის აქტიური ქალიშვილია. მან მშვენივრად შეაფასა სენ-პრეს გონებრივი და მორალური უპირატესობა მისი წრის ადამიანებზე, არ შეუშინდა უკანასკნელთა გაკიცხვას და მიჰყვა თავის გრძნობათა ძახილს.

თავიანთი ურთიერთობა ახალგაზრდა შეყვარებულთ საეუგოდ არ მიაჩნიათ: მათ დაარღვიეს კანონი საზოგადოებისა, რომელიც კრძალავს ქორწინებას მდაბიოსა და არისტოკრატ ქალს შორის, მაგრამ დაემორჩილნენ ბუნების კანონს, რომლის მიხედვითაც ორი მოსიყვარულე არსების კავშირი, რომელ კლასსაც უნდა ეკუთვნოდნენ ისინი, ბუნებრივია და აუცილებელი. «ჭეშმარიტი სიყვარული უმწიკვლოესია ყველა კავშირთა ზედან», წერს ჟიული თავის მიჯნურს, მაგრამ ასე როდი სჯიდნენ ჟიულის მშობლები, განსაკუთრებით – მამამისი, ვინც ფიქრადაც რა გაივლებდა გულში სენ-პრესთან ქალიშვილის დაქორწინების ამ შეურაცხმყოფელ ამბავს. სენ-პრეს ხელი ჰკრეს, რადგან იგი აზნაური არ იყო, მაგრამ... «თავის წინაპართა ძარცვა-გლეჯისა და უსირცხვილობის გარდა, აბა რა დამსახურების წარმოჩენა შეუძლია ამ აზნაურობას? რა გააკეთა მან სამშობლოსათვის და ადამიანთა ბედნიერებისათვის? კანონთა და თავისუფლების დაუძინებელმა მტერმა, რა შესძინა ქვეყანას ტირანიისა და ხალხთა ჩაგვრის გარდა».

რუსომ ჟიულის ათქმევინა თამამი სენტენცია: «...სჯობს შევცოდოთ დიდგვაროვნების წინააღმდეგ, ვიდრე შევბღალოთ სათნოება; მენახშირის ცოლი უფრორე პატივისცემის ღირსია, ვიდრე უფლისწულის ხარჭა; ძალაუფლებასა და ფულს არ ძალუძს ადამიანის გაბედნიერება».

ჟიული იძულებული ხდება დაემორჩილოს «ცარიელი ტიტულის თავდადებულ დამცველ» მამის ნება-სურვილს. ის მისთხოვდა აზნაურ ვოლმარს. «ცივილიზებული» საზოგადოების კანონი დაცულია, მაგრამ დაირღვა ბუნების კურთხეული კანონი, რაიც უკრძალავს ადამიანს უსიყვარულოდ ქორწინებას. «ჩაუფიქრდით, გულქვა მამავ, რა ცოტათი ხართ ამ სასურველი სახელის ღირსი. გულისხმა ჰყავით, რა საშინელ შვილისმკვლელობას სჩადიხართ, როცა აიძულებთ თქვენს ნაზ და მორჩილ ასულს თავისი ბედნიერება უმსხვერპლოს თქვენს ცრურწმენას», – სწერს სენ-პრე ჟიულის მამას.

ჟიულიმ ყოველივე გაუმხილა და უამბო თავის მეუღლეს. კეთილშობილი და გულისხმიერი ვოლმარი მიუხვდა ყველაფერს, როგორც დინჯი, ჭკვიანი და შორსმჭვრეტელი ადამიანი. გავიდა ექვსი წელი. ჟიული უკვე ბავშვების დედაა, ოჯახისა და ქმარ-შვილის ერთგული. კვლავინდებურად უყვარს სენ-პრე და ამიტომ უბედურია. ჟიულის ყოფილი მასწავლებელი ვოლმარმა შინ მიიწვია და დიდი ნდობით ეპყრობა. შეყვარებულები ისევ ხვდებიან ერთმანეთს. მხოლოდ ცხოვრება გამუდმებულ მტანჯველ ბრძოლად გადაექცათ მათ შემაკავშირებელ გრძნობასა და მოვალეობას შორის, და ორივენი უბედურნი არიან; ჟიული შემთხვევით იღუპება: დახრჩობას გადაარჩენს თავის შვილს. გაცივდება და სიცოცხლეს გამოესალმება. სენ-პრე რჩება ვოლმარის ოჯახში მისი შვილების აღმზრდელად.

რუსოს ამ რომანის გამოჩენა მოულოდნელი იყო თანამედროვეთათვის; ამ თხზულების მსგავსი ჯერ არაფერი სმენოდათ თავიანთ ლიტერატურაში. მოგვიანებით რომანტიკოსები რომანს «პროზით დაწერილ პოემას» უწოდებდნენ და მას მოცარტის მუსიკას ადარებდნენ.

«ახალი ელოიზა» უდავოდ დაწერილია გამოჩენილი ინგლისელი სანტიმენტალისტი მწერლის – რიჩარდსონის (1689-1761) რომანის («კლარისა პარლოუს

ანუ ახალგაზრდა ლედის თავგადასავალი») გავლენით. რუსომ არათუ აიღო ანალოგიური სიუჟეტი, – ეგ არის სიყვარულთან თუ ცდუნებასთან უმანკოების ბრძოლაში დამარცხებული ისეთივე ქალის ტრაგიკული ბედი, – არამედ აითვისა ამ გულისამაჩუყებელი რომანის სტილიც.

რომანის ფორმა ეპისტოლარულია. იგი შედგება 163 წერილისა და ეპილოგისაგან. ეს ფორმა ახლა მნიშვნელოვნად ამცირებს კითხვის ინტერესს, მაგრამ XVIII საუკუნის მკითხველებს ძალზე მოსწონდათ იგი, ვინაიდან ეს წერილები, იმ დროის მიხედვით, იძლეოდნენ საუკეთესო საბაბს დაუსრულებელი მსჯელობისა და გულახდილი საუბრებისათვის. ყველაფერი ეს ჰქონდა რიჩარდსონსაც, მაგრამ რუსომ რომანში შეიტანა ბევრი რამ საკუთარი, პირადად განცდილი, მისთვის ძვირფასი და საგულისგულო.

მიუხედავად იმისა, რომ რუსო თითქოს არ ერევა რომანში აღწერილ ამბავთა მსვლელობაში და თავს «ნაპოვნი წერილების» გამომცემლად ასახელებს, თხზულების მთავარი გმირები – სენ-პრე და ჟიული – ავტორის ცხოვრებისეული ფილოსოფიის, ესთეტიკის, მორალის, მისი აზროვნების წინააღმდეგობათა გამომთქმელნი და გამომხატველნი არიან. «ახალი ელოიზა» ამ მიმართებით ლირიკული რომანია, რომლის ბოლომდე გაგება ძალზე ძნელია და შეუძლებელიც, თუ მკითხველმა არ იცის რუსოს ბიოგრაფია.

«ახალი ელოიზა» აგრეთვე სოციალურ-პოლიტიკური და იდეურ-ფილოსოფიური ნაწარმოებიცაა, რომელიც გვაძლევს წარმოდგენას ისეთ ადამიანზე, როგორიც სურდა ენახა და ვერ კი ნახა რუსომ თავის დროსა და თავის საზოგადოებაში. იდეალისა და ცხოვრების ურთიერთშორის გათიშვის მიუხედავად («მშვენიერია მარტოოდენ ის, რაც არ არსებობს») რომანის პესიმიზმს განუყრელად თანსდევს მომავალ ცვლილებათა ბუნდოვანი მოლოდინი და მტკიცე რწმენა, ეს ცვლილებები მალე მოხდებაო.

რუსოს წიგნმა სათავე დაუდო ლიტერატურულ მიმდინარეობას – სანტიმენტალიზმს.

«როცა გამოჩნდა გეტე თავისი «ვერტერით», ბერნანდენ სენ-პიერი თავისი «პოლი და ვირგინიით», ჟან-ჟაკ რუსო თავისი «ელოიზით», მაშინ ევროპას პირველად ეცა დამატკბობელი სხივი პოეზიისა; მაშინ ცრუ-კლასიკური მიმართულებით დათრგუნვილნი მწერალნი მივარდნენ მშიერსავით ახალშობილს პოეზიის მიმართულებასა; მაგრამ პირველად ვერ იცნეს ვერც გეტეს «ვერტერი», ვერც «ელოიზა» ჟან-ჟაკ რუსოსი და ვერც «პოლი და ვირგინია» ბერნანდენ სენ-პიერისა; ამაში სენტიმენტალური სული მოესმათ; ეგ სული მიმდევართა განავითარეს და დაჰბადეს სენტიმენტალური სკოლა» (ილია ჭავჭავაძე, ტ. 4, 1927, გვ. 60-61).

წმინდა ელენეს კუნძულზე გადასახლებული ნაპოლეონი კითხულობდა «ახალ ელოიზას», როგორც წერდა თავის მემორიალში ლას კაზასი: «ხშირ-ხშირად შეწყვეტდა კითხვას, აღნიშნავდა მწერლის ოსტატობას, მსჯელობათა სიძლიერეს, სტილისა და ცალკეულ გამოთქმათა სილამაზეს». მაგრამ ნაპოლეონი ზოგჯერ არ ეთანხმებოდა ავტორს. «ჟან-ჟაკი აზვიადებს. იგი გვიხატავს ვნებათაღელვის სიშმაგეს. სიყვარულმა უნდა მოგვიტანოს სიხარული და არა ტანჯვა-წამება. მაგრამ რომანი ცეცხლით არის აღსავსე და გვაღელვებს, გულს გვიგმირავს».

კაცობრიობის ესთეტიკური განვითარების ისტორიაში რუსოს მხატვრულმა ნაწარმოებებმა დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულეს. ფრანგი მწერალი გახდა ადამიანურ გრძნობათა თავისუფლების მახარობელი და თანამედროვეთა თვალწინ გადაშალა ადამიანთა მღელვარე გულის სურათები, მათი მშვენიერი შინაგანი სამყარო.

ფრანგ მწერალთაგან რუსომ ერთ-ერთმა პირველმა მიაქცია ყურადღება ბუნების სილამაზეს და შეძლო ხოტბა შეესხა მისთვის. თანამედროვენი აღაფრთოვანა და

აღტაცებაში მოიყვანა სიტყვის ჯადოსნური ოსტატის ფუნჯით დახატულმა ალპის პეიზაჟთა ნაირფეროვანმა სურათებმა. «ჩვენმა ხალხმა სულ ახლახან აღმოაჩინა ბუნების სიმშვენიერე. ვოლტერი ჯერ კიდევ არ იცნობდა მას; ის მოდად შემოიღო რუსომ», – წერდა სტენდალი. მასთან ერთად მთელი მეთვრამეტე საუკუნე იწყებს ბუნების პეიზაჟთა მრავალფეროვნების შეგრძნებას. მანამდე ამ ამბავს არც ერთი მწერალი და მკითხველი არ იცნობდა.

მსოფლიო ლიტერატურის ამ შედევრს თავიდანვე არნახული წარმატება ხვდა წილად. მას კითხულობდნენ ყველგან, აღმერთებდნენ მის ავტორს და ცრემლებს ღვრიდნენ ორი უიღბლო შეყვარებულის ბარათთა კითხვისას.

ენციკლოპედისტ-განმანათლებლები არცთუ ისეთი აღტაცებით შეხვდნენ «ახალი ელოიზის» გამოჩენას. განმანათლებელთა პრესამ, საერთოდ, დადებითად შეაფასა რომანი. ავტორს მხოლოდ ის უსაყვედურეს, აქ დარღვეულია სიმართლე და ადამიანის გულის უცნაური სურათია დახატულიო. უფრო მკაცრი აზრი გამოთქვა ვოლტერმა: «ესაა ნახევრად გალანტური, ნახევრად მორალური რომანი, მაგრამ შიგ არ მოიპოვება არავითარი გალანტურობა, არც ჭეშმარიტი მორალი, არც გემოვნება. მას არ გააჩნია არავითარი ღირსება, გარდა ცილისწამებისა ჩვენი ერის მიმართ», და ამ თხზულებას «უხამს, ურცხვ და მოსაწყენ ნაწარმოებად» თვლის. მაგრამ ახალგაზრდა სტენდალი საათობით იდგა იმ სახლთან, სადაც რუსო დაიბადა და ცრემლებს აფრქვევდა.

«საზოგადოების რეაქციულ ფრთას... მწიგნობარ კათოლიკეებსა და პროტესტანტებს აღშფოთებას გვრიდა ვნებათა ღელვას აყოლილი თავისუფალი ქალის – ჟიულის იდეალიზება და სენ-პრეს, ვოლმარისა და რომანის სხვა გმირების ღრმა ადამიანური სახეები, რაც ასე მომხიბვლელი ფერებით იყო დახატული რუსოს მიერ. ბუალოს პოეტიკაზე აღზრდილი მწერლების ბანაკში კი შეშფოთებას იწვევდა რომანის გმირთა უბრალოება და სისადავე, მისი ლაღი და თავისუფალი სტილი; სამაგიეროდ საზოგადოების მოწინავე ნაწილს «ახალი ელოიზას» გამო თავისი თბილი აზრი ჰქონდა, რადგან უებრო გულითადობით მოთხრობილი რომანის კეთილი გმირების თავგადასავალი მას აჯადოებდა. გადმოგვცემენ, რომ ბევრი მკითხველი არათუ ტიროდა რომანის ბოლო ნაწილების კითხვისას, არამედ კონვულსირებული კიოდა, მხეცივით ღმუოდა... პირველი ოთხმოცი წლის მანძილზე, 1840 წლამდე, იგი გამოიცა სამოცდაათჯერ. ასეთი წარმატება იმდროინდელ ლიტერატურაში არ ხვდომია არც ერთ ნაწარმოებს; მაგალითად, ამავე წლებში ვოლტერის ცნობილი «კანდიდი» გამოიცა ორმოცდაათჯერ».

რუსოს მეორე ფილოსოფიური რომანი – «ემილი, ანუ აღზრდის შესახებ» (1762) უფრო ბელეტრისტული პედაგოგიკური ტრაქტატია, რაც ფრიად ტიპიურია განათლების ეპოქისათვის. თხზულება ეძღვნება ბავშვთა აღზრდის პრობლემას. აღზრდის საკითხებს უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ ფრანგი განმანათლებლები. ისინი იმედოვნებდნენ, რომ აღზრდის გზით გამოსწორდებოდა საზოგადოებრივი მანკიერებანი, აღმოიფხვრებოდა სოციალური ბოროტებანი.

რუსომ თავის თანამედროვეთ წაუყენა არისტოკრატის (ემილი შეძლებული აზნაურის შვილია) აღზრდის პროექტი, ვინაიდან ღარიბი კაცის შვილი «თვითონ ისწავლის ცხოვრებას».

რუსოს თხზულებაში გამოთქმულია ბევრი სწორი აზრი, მახვილი დაკვირვება ბავშვთა ფსიქოლოგიისა და ადამიანთა ურთიერთობის სფეროდან; მასთან ერთად მრავლადაა გულუბრყვილო მსჯელობანი, ფუჭი იმედები და ოცნებები.

რუსო თავის პედაგოგიურ თეორიას ანვითარებს ემილის აღზრდის მაგალითზე. ბავშვს თავიდანვე დაჰყვება აღმზრდელი, რომელიც დღითიდღე და ოცი წლის

განმავლობაში აყალიბებს და წვრთნის მის ხასიათს, წამითაც არ სცილდება გვერდიდან, არის მისი დამრიგებელი, უფროსი ამხანაგი, მესაიდუმლე და მზრუნველი. ბავშვს არ აკარებენ წიგნებს, – ეს ხომ გარყვნის მას. მარტოოდენ უკაცრიელ კუნძულზე რობინზონ კრუზოს ცხოვრების ამბავი დაუტოვეს, რადგან შიგ ცოცხლად და მკაფიოდ არის დახატული ბუნებასთან ადამიანის ურთიერთობის სურათები. ბავშვი მოაცილეს ქალაქსაც, ვინაიდან «ქალაქი ადამიანთა მოდგმის დამღუპველი უფსკრულია».

რუსოს ტრაქტატის მნიშვნელობა განისაზღვრება იმ ზოგადი განმანათლებელი პრინციპებით, მის პედაგოგიურ სისტემაში რომ შევიდნენ.

ფილოსოფოსის აზრით, აღზრდის მიზანია მისცე საზოგადოებას სასარგებლო ადამიანი. «ცხოვრება – აი ხელობა, რაც მინდა ვასწავლო მას. მე მჯერა, ჩემი ხელიდან გამოსული იგი არ გახდება არც მოსამართლე, არც ჯარისკაცი, არც მღვდელი, უწინარეს ყოვლისა, ის იქნება ადამიანი».

რუსო ქადაგებს: აღზრდამ ადამიანს უნდა შთაუნერგოს კაცთმოყვარეობის მაღალი გრძნობები. მოუწოდებს ყველას: «ადამიანებო, იყავით ადამიანურნი, ესაა თქვენი პირველი ვალი; იყავით ადამიანურნი ყოველ ვითარებაში, ყველა ასაკისათვის, ყველა ერში, რაიც უცხო არაა ადამიანისათვის. განა ადამიანურობის გარდა კიდევ შეიძლება იყოს თქვენთვის რაიმე ამქვეყნად!»

როგორ შთავუნერგოთ ბავშვს მოქალაქეობრიობის, თავისუფლების მოყვარულობის, ჰუმანურობის მაღალი გრძნობანი? სად არის ის წიგნი, რომელიც გადაუშლის მას დიად ცხოვრებისეულ ჭეშმარიტებათ და ასწავლის ადამიანად ყოფნას? ეს წიგნი ბუნებაა. «შეისწავლეთ ბუნება და მიჰყევით იმ გზას, თქვენ რომ დაგისახათ მან», – ღაღადებს რუსო.

«რუსოს უკვდავმა ქმნილებამ – «ემილი, ანუ აღზრდის შესახებ» – ფეხზე დააყენა მთელი საფრანგეთი და არა მარტო საფრანგეთი». ევროპული საზოგადოების მოწინავე ფენებისათვის «ემილის» მორალური იდეები ახალ სახარებად იქცა; რეაქციული წრეები და შავი სამღვდელოება კი მას გაანჩხლებული აღშფოთებით შეხვდნენ. ორას წელზე მეტი დრო გავიდა «ემილის» გამოქვეყნებიდან. ამ წიგნს დიდი ინტერესით კითხულობდნენ და ახლაც კი მას სხვადასხვაგვარი თვალსაზრისით ხსნიან. ზოგი მორალისტი «ემილის» იდეებს მთლიანად გმობდა და გმობს, ზოგი კი მის ფურცლებზე თავისი თვალსაზრისის დასაბუთებას ეძიებდა და ახლაც ეძიებს. აღზრდის სფეროში «ემილის» გავლენის ძალა იმდენად დიდია, რომ ამ ორასი წლის მანძილზე რუსოს გვერდს ვერ აუვლის ვერც ერთი ასე თუ ისე სერიოზული მოაზროვნე პედაგოგი და ბავშვთა ფსიქოლოგიის მკვლევარი. რუსოს «ემილმა» პედაგოგიკაში დასაბამი მისცა მთელ მიმდინარეობას, რაც თავისუფალი აღზრდის თეორიის სახელით არის ცნობილი...

«ემილი» არა მარტო პედაგოგიური ნაშრომი, მისი დიაპაზონი ბევრად უფრო ფართოა. იგი ვრცელი მორალური ტრაქტატია, რომლის მიზანია მკითხველი გაარკვიოს ამქვეყნად ადამიანის დანიშნულებაში, საერთოდ და კერძოდ, გვიჩვენოს ის საშუალებანი, რომელთა მეშვეობითაც ადამიანი ბავშვობის წლებიდანვე მტკიცე ძაფებით იქნება დაკავშირებული დედა ბუნებასთან... ბავშვის საფუძვლიანი შესწავლის მიზნით ამ ნაწარმოების გამოქვეყნებიდან ახალი ერა დაიწყო. სწორედ «ემილის» შემდეგ დაიმკვიდრა პედაგოგიკაში ბავშვმა თავისი კუთვნილი ადგილი, იქცა რა იგი აღზრდის უსულო, უპიროვნო, მკვდარი ობიექტებიდან განსხვავებულ ცოცხალ სუბიექტად... რუსომ «ემილით» დიდებული ძეგლი დაუდგა დედებსაც, რადგან დედის კალთა, დედის მკერდი მიიჩნია უპირველეს და უმნიშვნელოვანეს წიაღად ბავშვის ბუნებრივი განვითარების საქმეში. «დედის როლი ისე ღრმა გულწრფელობითა და მომაჯადოებელი სიძლიერით იყო დასურათებული, რომ მანდილოსნები, წარჩინებული წრეებიდანაც კი, სასახელო მოვალეობად თვლიდნენ ქვეყნის დასანახად საკინძე გაეხსნათ, მკერდი გამოეჩინათ და

ძუძუ ეწოვებინათ პატარებისათვის თუნდაც საოპერო თეატრების ლოჟებში» (იხ. ზემოთ დასახელებული უ. ობოლაძის წიგნი, გვ. 9, 118, 119).

«ემილის» გამოქვეყნების შემდეგ დაიწყო ყველაზე მძიმე დრო მწერლის ცხოვრებაში. პარიზის სასამართლომ 1762 წელს დაადგინა წიგნის დაწვა და მისი ავტორის დაპატიმრება. «ემილი» და «საზოგადოებრივი ხელშეკრულება» ჯალათის ხელით ცეცხლს მისცეს რუსოს მშობლიურ ჟენევაში. დევნილი მწერალი იძულებული გახდა გაქცეულიყო საფრანგეთიდან და ჟენევიდან. არ მიიღეს ბერნშიც და დროებით შეეხიზნა ერთ პატარა სოფელს იურის მკაცრ მთებში. ნევშატელის ოლქი, სადაც დროებით თავი შეაფარა რუსომ, მაშინ პრუსიის მეფის სამფლობელოში შედიოდა. რუსო იძულებული გახდა წერილით მიემართა ფრიდრიხ II-ისთვის. უაღრესი სიძულვილის გრძნობით აღვსილმა ასეთი სიტყვები მისწერა მეფეს: «თქვენს თაობაზე ძალზე ბევრი ცუდი ვილაპარაკე. შესაძლოა, ამიერიდან კიდევ უფრო მეტიც ვთქვა. მაგრამ საფრანგეთიდან, ჟენევიდან და ბერნის კანტონიდან გამოდევნილი, იძულებული ვარ, თავშესაფარი თქვენს სამფლობელოში ვეძიო». მაგრამ ამ შორეულმა და მიყრუებულმა კუთხემაც ვერ იხსნა რუსო. 1762 წლის აგვისტოში, პარიზის არქიეპისკოპოსმა კრისტოფ დე ბომონმა ყველა ეკლესიას დაუგზავნა მღვდელმთავრული წერილი, სადაც რუსოს ღვთისა და ადამიანთა მტრად აცხადებდა, უწოდებდა მას: ურცხვს, ათეისტს, ჭკუადამთხვეულს, ცრუპენტელას, მტაცებელ ნადირს, სინდისგარეცხილს, და სასტიკად უკრძალავდა თავის მრევლს ამ «ძაღლთაპირის», «ღვთის რისხვის», «ურჩხულისა» და «ანტიქრისტეს» ეშმაკეული «ემილის» კითხვას.

მღვდლები ამბიონიდან კითხულობდნენ ამ წერილის ტექსტს და ცრუმორწმუნეთა ბრბოს უღვივებდნენ მწერლის სიძულვილს. რუსომ რისხვითა და აღშფოთებით აღსავსე წერილით გასცა პასუხი. საწინააღმდეგოდ უამრავი პამფლეტი დაუწერეს. მტრებისა და მაგინებელთა ამ ნაყარნუყარა ხროვა ხალხს მან თავს დაატეხა წიგნი – «წერილები მთიდან» (1764 წლის ივნისი-ოქტომბერი), სადაც «ჩვეული შინაგანი ცეცხლითა და მაღალი პუბლიცისტური ოსტატობით აცამტვერებს ეკლესიის ღვთისმოსავ მსახურთა მანკიერებას და ჟენევის რესპუბლიკის მესვეურთა ბნელ მაქინაციებს, მათს მევახშურ-ვაჭრულ სულსა და მლიქვნელობას». რუსო დასცინოდა და აბუჩად იგდებდა კალვინის ავტორიტეტს, ბრალსა დებდა კალვინისტურ სამღვდელოებას რეფორმაციის პრინციპთა ღალატში. ამის შემდეგ ეკლესიის მსახურთ კიდევ უფრო გააჩაღეს ბრძოლა რუსოს წინააღმდეგ. ახლა იგი სატანად გამოაცხადეს, «წერილები მთიდან» კოცონზე დაწვეს ჟენევაში, ჰაგასა და პარიზში – ვოლტერის «ფილოსოფიურ სიტყვის კონასთან» ერთად.

ეკლესიის მსახურთაგან წაქეზებით ვალეს მცხოვრებლები, სადაც იმალებოდა რუსო, მას უნდობლობითა და მტრულად ეპყრობოდნენ. გაუვრცელეს ხმა (და აქ მღვდლების ხელიც ერია), რუსო ჯადოქარიაო. დაუწყეს დევნა ქუჩებში. ერთხელ ფანატიკოსთა ბრბო თავს დაესხა მის სახლს და ქვებით ჩაუმტვრიეს ფანჯრის მინები. რუსო გაიქცა და თავი შეაფარა ბიენის ტბაზე მდებარე პატარა კუნძულ დე სენ-პიერს, მაგრამ ბერნის მთავრობამ კუნძულის დატოვება უბრძანა. გატანჯული და ავადმყოფი რუსო 1766 წელს ინგლისს გაემართა, მაგრამ აქაც ვერ იპოვა მოსვენება. ფილოსოფოსი დავით იუმი, რომელმაც მიიწვია რუსო, მალე წაეჩხუბა და სასტიკად გაილაშქრა მის წინააღმდეგ პრესაში. შეურაცხყოფილი რუსო დუმდა. შემდგომში, სენ-ჟერმენთან მიწერილ ბარათში, მწარედ ჩიოდა «ყველგან თვალთმაქცობაა, ღალატი, და არც ერთი ადამიანური სახე» (1770 წლის 17 თებერვალი).

გენიალურმა პლებეიმ, რომელმაც თამამად და ენამჭევრულად საქვეყნოდ ცხადყო ჩაგრული მასების მოთხოვნილებები, ევროპის ყველა სახელმწიფოს პრივილეგიურ წოდებათა გულისწყრომა და სიძულვილი დაიმსახურა. ამ მგზნებარე, გულწრფელი და კეთილშობილი ადამიანის ხმით მეტყველებდა თავად ხალხი, და ამიტომაც ასეთი

მრისხანე ბრალმდებლად წარუდგა გაბატონებულ კლასს ჟენეველი მესაათის თავხედი შვილი. ყოველთვის ამაყად და დამოუკიდებლად ეჭირა თავი რუსოს მეფის მიმართაც.

ჯერ კიდევ 1753 წელს თეატრში დაიდგა მისი კომიკური ოპერა «სოფლელი ჯადოქარი», რომელმაც აღტაცებაში მოიყვანა პარიზელები, და მათ შორის ლუი XV-ც, ვინაც, როგორც მაშინ ამბობდნენ, მთელ სამეფოში ყველაზე ცუდი ხმით დილიდან საღამომდე გაიმღეროდა ამ ოპერის არიებს. რუსომ იცოდა, თეატრში მეფე იქნებაო, და განგებ მოვიდა გაუპარსავი, ცუდი პარიკით და ძალზე ღარიბულად ჩაცმული. როცა უთხრეს, სპექტაკლის შემდეგ მეფესა სურს ლოჟაში მიგიწვიოს და სამუდამო პენსიის დანიშვნას გპირდებაო, რუსო თეატრიდან გაიპარა და მეფესთან წარდგენას აღარ დაელოდა, არ უნდოდა არავითარი მოწყალება საძულველი მთავრობისაგან.

ერთ დღეს განაცხადა, ჩემი პრინციპების მიხედვით უნდა ვიცხოვროო, უარი თქვა ფრანკელთან ხელსაყრელ ადგილზე, წარჩინებულ თაყვანისმცემელთა საჩუქრებსა და ლიტერატურულ ჰონორარზე. საარსებო წყაროსთვის ნოტების გადაწერას მიჰყო ხელი – თითო გვერდში 10 სუს იღებდა; გადააგდო მაშინდელ სალონთათვის განკუთვნილი კოხტა სამოსი, ჩაიცვა ხამი შალის ტანსაცმელი და ლოცავდა იმ ქურდს, რომელმაც ახალი აბრეშუმის პერანგები მოპარა; უარყო ზრდილობიანი ლაპარაკი, კადნიერად უპასუხებდა არისტოკრატ მეგობართა თავაზიანობას: ყოველივე ეს ძალზე თეატრალური იყო. «ველური ადამიანი» პოპულარული კაცი გახდა. მოსვენებას აღარ აძლევდნენ, ყოველი მხრიდან მიჰქონდათ ნოტები გადასაწერად, რათა ჰქონოდათ მისი ნახვის საბაბი; ხშირად ეწვეოდნენ მაღალი წრის ქალები და პატიჟებდნენ მდიდრულ სადილებსა და წვეულებებზე. ტერეზა და მისი გულხარბი დედა სარგებლობდნენ შემთხვევით და მნახველთაგან ღებულობდნენ ყოველნაირ საჩუქარს.

ქალბატონმა დ’ეპინემ თავის ქალაქგარეთ მდებარე მამულის ბაღში, სენ-დენის ახლოს – მონმორანსის საუცხოო ტყის პირას რუსოს აუშენა აგარაკი. 1756 წლის ზაფხულზე რუსო გადავიდა «ერმიტაჟში». ფანჯრებთან გაისმოდა ბულბულთა გალობა; ტყე გახდა მისი «სამუშაო კაბინეტი», ამავე დროს დილიდან საღამომდე დასეირნობდა იქ მარტოდმარტო, ფიქრმორეული. ეს იყო სამოთხისებური ცხოვრება, მაგრამ მაინც მიატოვა ეს აგარაკი და ახალი თავშეაფარი გამონახა მონმორანსის ციხე-დარბაზის მფლობელ ლუქსენბურგის ჰერცოგთან, რომელმაც დაუთმო პავილიონი თავის პარკში. რუსომ აქ გაატარა ოთხი წელი, აქ დაწერა «ახალი ელიოზა», «ემილი» და სხვა ნაწარმოებები.

უკანასკნელი ათი წელი პარიზში იცხოვრა, საშინელ სიღარიბეში.

1777 წლის ზაფხულზე რუსოს ჯანმრთელობამ ერთობ დააფიქრა მისი მეგობრები და 1778 წლის გაზაფხულზე ერთ-ერთმა მათგანმა, მარკიზ დე ჟირარდენმა წაიყვანა იგი პარიზიდან რამდენიმე მილზე მდებარე თავის მამულ ერმენონვილში. ივნისის ბოლოს მას გაუმართეს დიდი კონცერტი პარკში, ტირიფნარის კუნძულზე. რუსომ მოითხოვა, სიკვდილის შემდეგ აქ დამკრძალეთო. 1778 წლის 2 ივლისს, 66 წლის ასაკში ტვინში სისხლის ჩაქცევის შედეგად ის მოულოდნელად გარდაიცვალა ტერეზას ხელში. იმავე წლის 30 მაისს გარდაიცვალა ვოლტერიც (ათი დღით ადრე, 20 მაისს, რუსო დაესწრო მის საზეიმო ჩამოსვლას დედაქალაქში). რუსოს სურვილი შეასრულეს; მაღალი ტირიფნარის კუნძულზე მდებარე მისი საფლავი უამრავ თაყვანისმცემელს იზიდავდა. ხალხის თვალში რუსო იყო საზოგადოებრივი ტირანიის მსხვერპლი და ჰუმანიზმისათვის ტანჯული მოწამე, ადამიანი, რომელიც სიკვდილამდე იბრძოდა სამართლიანობისა და თავისუფლებისათვის. ეს აზრი მშვენივრად გამოხატა დიდმა გერმანელმა პოეტმა ფრიდრიხ შილერმა (1759-1805) რუსოს გარდაცვალებიდან სამი წლისთავზე დაწერილ ოდაში («რუსოს»), სადაც რუსო შედარებულია სოფისტების მიერ მოკლულ სოკრატესთან,

თავად მას კი ბოლო მოუღეს ქრისტიანებმა («დაეცა რუსო – იგი მოკლეს ქრისტიანებმა, რომ არ ექცია ქრისტიანი ადამიანად», – ვახტანგ ბეწუკელის თარგმანიდან).

1794 წლის 11 ოქტომბერს, რევოლუციის კალენდრის მიხედვით იმავე წელს 20 ვანდემერს, იაკობინური კონვენტის საგანგებო დადგენილებით, რუსოს ნეშტი პარიზს გადაასვენეს და დიდი პატივით დაკრძალეს პანთეონში, ვოლტერის გვერდით, რომელიც ერთი კვირით ადრე იქნა გადმოსვენებული აქ. მაგრამ 1814 წელს, საფრანგეთიდან ნაპოლეონის გაძევებისთანავე, რესტავრაციის დროს, როიალისტ ფანატიკოსებმა ღამით, ჩუმად, მოიტაცეს ორივეს ძვლები და კირის წყლით სავსე ორმოში ჩაჰყარეს. ამჟამად მათი ნეშთი კვლავ პანთეონშია დაცული...

რუსოს კალამს ეკუთვნის აგრეთვე ერთ-ერთი ყველაზე უფრო გულწრფელად დაწერილი, ფრიად საყურადღებო წიგნი თავის თავზე – ეს არის «აღსარება» (1770), რომელიც ავტორის გარდაცვალების შემდეგ დაიბეჭდა (1782-1789). «მინდა ადამიანებს ვუჩვენო კაცი მთელი მისი შეულამაზებელი სიმართლით, და ეს კაცი თავად მე ვარ», – აცხადებს იგი «აღსარების» შესავალში, დაუფარავად წარმოგვიდგენს «ამ შეულამაზებელ სიმართლეს» და უფლებას არ აძლევს თავს გამოტოვოს თუნდაც იოტის ოდენა რამ თავისი პირადი ცხოვრებიდან.

ოღონდ არა მარტო საკუთარი თავის გამო თქმული ეს სულისშემძვრელი სიმართლე შეადგენს წიგნის შინაარსს. აქ გადაშლილია იმდროინდელი ცხოვრების ფართო, ელვარე, ამაღელვებელი სიმართლე, იმ ეპოქის სოციალური სინამდვილის, ყოფა-ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულებათა მკაფიო სურათი, არსებობისათვის ღარიბ-ღატაკი ადამიანის ბრძოლის ამბავი, სოციალურ უსამართლობათა სამყაროში დამკვიდრებისათვის გენიალური პიროვნების ბრძოლის ისტორია.

«აღსარება» არის დინამიკური ავტოპორტრეტი ადამიანისა, რომელიც გამოწვლილვით განიხილავს თავის განვლილ გზას დუხჭირი ცხოვრების პროცესში; თვითანალიზის გარდა, რაიც იმ დროისათვის სრულიად ახალი რამ იყო ფსიქოლოგიურ ნიუანსთა სიუხვის მიხედვით, რუსოს «აღსარება» ამაღლებს სულიერი ცხოვრების ღირებულებას, ცხადყოფს ადამიანური ღირსების მნიშვნელობას, მკაფიოდ აშუქებს საზოგადოებრივ სინამდვილეს მთელი მისი კოლიზიებით: ამბავთა მსვლელობა, ადამიანები, ლანდშაფტები შეფერადებულია პირადი, ზოგჯერ მეტისმეტად სუბიექტური განწყობილებებით. კოლორიტის მთლიანობას, შინაგან ცეცხლსა და მგზნებარებას, ოცნებებს, უაღრესად დაძაბულ ფიქრთაგვრიობას წიგნში შეაქვს პოეზიის სუნთქვა.

რუსოს «აღსარებას» მაღალ შეფასებას აძლევდა 1789-1794 წლების საფრანგეთის რევოლუციის მრავალი მოღვაწე: რობესპიერი, სენ-ჟიუსტი, მარატი და სხვები.

ო. მირაბოს აზრით, «აღსარება» მუდამ დარჩება იმ კაცის პატიოსნების დადასტურებად, რომელიც ლაპარაკობდა, რასაც ფიქრობდა; წერდა, როგორც ლაპარაკობდა; ცხოვრობდა, როგორც წერდა და მოკვდა, როგორც ცხოვრობდა».

რუსოსთვის საკმაო არ აღმოჩნდა მარტოოდენ «აღსარება» და, მის დამატებად თუ გაგრძელებად, კიდევ დაწერა ორი წიგნი: «დიალოგები. რუსო ასამართლებს ჟან-ჟაკს» (1775-1776) და «მარტოხელა მეოცნების გასეირნებანი» (1777-1778), რომელიც დაუმთავრებელი დარჩა. პესიმისტური აზრებისა და ბუნების წიაღში განმარტოებისადმი მიდრეკილების მიუხედავად ამ უკანასკნელ ნაწარმოებებში რუსო უღრმესი სიმპათიით ლაპარაკობს ხალხზე და მიელტვის ადამიანთა საზოგადოებასთან ურთიერთობას.

ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში «ახალმა ელოიზამ» დაიპყრო ევროპის ყველა ქვეყნის მკითხველთა გული. რუსომ მიიღო ათასობით ბარათი. რომანისადმი ინტერესი გამოიჩინა არისტოკრატიულმა საზოგადოებამაც, რომელიც მაშინდელი ბურჟუაზიული წრეების წარმომადგენლებზე უფრო თანაუგრძნობდა ავტორს, განსაკუთრებით შვეიცარიაში.

რუსოს მრავალმხრივმა საინტერესო შემოქმედებამ უდიდესი გავლენა მოახდინა მსოფლიოს ფილოსოფიურ, ესთეტიკურ, პედაგოგიკურ აზროვნებასა და ლიტერატურაზე. «ახალმა ელოიზამ» და «აღსარებამ» გააოცა სხვადასხვა ქვეყნისა და მიმართულების მწერლები. ბალზაკის სიტყვით, რუსო ერთ-ერთი პირველთაგანია, ვინაც მოახდინა კეთილისმყოფელი და სასარგებლო რევოლუცია და ამით აღმოფხვრა და აღკვეთა ჩვენი ენის უვარგისობა, მეთვრამეტე საუკუნის მწერალთა მიერ შიგ ჩაჭდეულ-ჩაწმახნილი გულცივობა და უსიცოცხლობა.

რუსოს ნაწარმოებებმა გაამდიდრეს მხატვრული ლიტერატურის ფსიქოლოგიური არსენალი. «ახალ ელოიზასა» და «აღსარებაში» მწერლებმა იპოვეს თავიანთი ახალი გმირი – ნიჭიერი, მაგრამ ღარიბ-ღატაკი ვინმე, გარემოებათა გამო სასტიკი განსაცდელისა და დამცირების დარჯაკში იძულებით გამოვლილი უქონელი ადამიანი.

რუსომ დიდი გავლენა მოახდინა საფრანგეთის ლიტერატურაზე. აქ უნდა გავიხსენოთ: ლ. ს. მერსიე, ნ. რეტიფ დე ლა ბრეტონი, ე. დე სენანკური, ა. მიუსე, ჟ. ა. ბერნანდენ დე სენ-პიერი, დე სტალი, ვ. ჰიუგო, ჟორჟ სანდი, ო. ბალზაკი, რ. როლანი და სხვები, რომელთა შემოქმედება მჭიდროდ უკავშირდება რუსოს ფილოსოფიას, მის იდეებს.

ბალზაკის (1799-1850) სიცოცხლეში გამოუცემელი მისი რომანი წერილებით – «სტენიო, ანუ ფილოსოფიური ცდომილებანი» (1818-1819) იმეორებს «ახალი ელოიზას» მრავალ თემას. «ადამიანური კომედიის» შემქმნელმა რუსოს ამ რომანის ფურცლებიდან აითვისა და ისწავლა ტიტულოვანთა ბრწყინვალებისადმი კრიტიკული დამოკიდებულება, სიძულვილი და ზიზღი სიმდიდრის მომხიბვლელი ძლიერების მიმართ – მთელი მისი ცივილიზაციითა და კლასობრივი ანტაგონიზმებით.

რევოლუციის ეპოქის ფრანგი პოეტი და დრამატურგი, სახელოვანი პოეტის ანდრე შენიეს (1762-1794) ძმა, მარი-ჟოზეფ შენიე (1764-1811) რუსოს იდეების განსადიდებლად კომპოზიტორებთან – გოსეკთან და მიუგელთან ერთად ქმნიდა რევოლუციურ აღმაფრთოვანებულ ჰიმნებს: «ჰიმნი ბუნებას», «ჰიმნი თანასწორობას», «ჰიმნი თავისუფლებას».

«ძვირფასო თავისუფლებავ! ძვირფასო თავისუფლებავ, ბუნებავ, მამულო!» ასეთი შეძახილებითაა აღსავსე «ჰიმნი თანასწორობას». ამ ჰიმნებს ასრულებდნენ სხვადასხვა გუნდები საზეიმო დღეებში ანდა მღეროდა მოედნებზე თავშეყრილი ხალხი. რევოლუციის წლებში თეატრებში იდგმებოდა პიესა ლექსად – «ჟან-ჟაკ რუსოს აპოთეოზი», სადაც გაისმოდა სიტყვები: რუსო «ნამდვილი სანკიულოტთა მეთაურია», და იგი მხიარულია «მას შემდეგ, რაც ჩვენში მოისპნენ დესპოტები».

ასევე პატივისცემით ეპყრობოდნენ რუსოს ინგლისში: ო. ჰოლსმითი, იუნგი, რ. ბერნსი, უ. კოუპერი, ჯ. ბაირონი და პ. შელი. XIX საუკუნეში რუსო ბაირონისა და შელის წინამორბედად მიაჩნდათ: პირველი – მისი «მსოფლიო სევდისა» და მეორე – პანთეიზმისა და კაცობრიობის სიყვარულის გამო.

შვეიცარიაში მყოფი ბაირონი, 1816 წლის 27 ივნისს, ლოზანის ახლო მდებარე უშიდან სწერს ჯონ მერეის:

«დავიარე რუსოსთან დაკავშირებული ყველა ადგილი, თან მქონდა «ახალი ელოიზა», და ფრიად განმაცვიფრა ბუნებისა და ორიგინალთა სილამაზის აღწერის ძლიერებამ და სიზუსტემ. მეიერის, ვევესა და შილიონის ციხე-დარბაზის გამო ბევრს არაფერს ვიტყვი, რადგან სულ ერთია, ვერ შევიძლებდი მათგან მიღებული შთაბეჭდილების გადმოცემას». და კიდევ, 1816 წლის 18 სექტემბრის დღიურში ჩაუწერია: «ჩვენი გიდი წამდაუწუმ რუსოზე მელაპარაკებოდა და აერია იგი სენ-პრესთან, წიგნისაგან

ვეღარ არჩევდა ავტორს. სოფელში, ერთ-ერთი სახლის ზღურბლზე, დავინახე ყმაწვილი გლეხის გოგო, თავად ჟიულივით ტურფა და თვალმწყაზარი».

«ბაირონი და შელი (თან ახლდნენ: შელის – მისი მეუღლე მერი, ბაირონს – ნანდაური, შელის ცოლისდა – კლერი) «ახალ ელოიზას» დაიჭერდნენ ხელში და შემოივლიდნენ ჟან-ჟაკ რუსოს აღწერილ ადგილებსა, აღწერილით აღტაცებულიყვნენ და ხელახლა სტკბებოდნენ უკვე ორიგინალის ხილვითა, ხელოვანის ოსტატობითაც გაოცებულიყვნენ, ბუნების ოსტატობითაცა, იმასაც დაობდნენ, თუ რომელი სჯობნიდა რომელსაო, შემოქმედი სჯობნიდა თუ ხელოვანი სჯობნიდაო... ამდენი სიხარული დიდი ხანია აღარ განეცადა აღარცა ბაირონსა, აღარცა შელისა» (ო. ჩხეიძე, «იტალიური დღიურები ბაირონისა», 1970, გვ. 27-28).

ბაირონისა და ევროპის სხვა გამოჩენილ ადამიანთა გარდა რუსოს ამ ნაწარმოების გმირთა მოქმედების ეს ადგილები ინახულეს და თავიანთ მოგონებებსა თუ წერილებში ახსენეს და აღწერეს ქართული მწერლობისა და ხელოვნების ცნობილმა წარმომადგენლებმაც. ასე, მაგალითად, სახელოვანი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი იხსენებს 1908 წლის ზაფხულს და წერს:

«ევროპის სხვადასხვა კუთხეში ორი თვის ხეტიალის შემდეგ ჩავედი შვეიცარიაში – კლარანსში, ჟენევის ტბის ნაპირას, სადაც ამ დროს ჩემიანები ცხოვრობდნენ... აქვე, კლარანსში, დავიწყე ჩემი «მკვდართა კუნძული...», რომელიც ისევე, როგორც სხვა ჩემი ნაწერები, არასდროს დასაბეჭდად განზრახული არა მქონია და არცა მაქვს. ამ დრამატულ პოემას დიდი გატაცებით ვწერდი, მით უფრო, რომ ვწერდი იმავე მერხზე მჯდომი და იმავე ჭადრის ქვეშ, ტყისპირად, სადაც ჟან-ჟაკ რუსო წერდა თავის «ახალ ელოიზას» (იხ. კოტე მარჯანიშვილი, «მემუარები და წერილები», 1947, თბილისი, «ხელოვნება», გვ. 35).

1957 წლის ივლისში რუსოს გმირთა ეს ადგილები ჟენევის ტბის ნაპირებზე ინახულა და საგანგებო მემორიალში ქართველ მწერალთაგან პირველად დაწვრილებით აღწერა ცნობილმა კრიტიკოს-მკვლევარმა, აკადემიკოსმა გიორგი ჯიბლაძემ. იგი იყო საბჭოთა კავშირის დელეგაციის წევრი განათლებს საკითხთა გამო ჩატარებულ XX საერთაშორისო კონფერენციაზე შვეიცარიაში.

...«მარჯვენა მხარეს დავინახე რუსოს კუნძული, – წერს იგი, – მაღალი ხეებითა და რუსოს ძეგლით... ეს ერთ-ერთი ულამაზესი ადგილია ჟენევაში და ადამიანის ესთეტიკური გრძნობის დამატკბობელი... სწორედ აქ, ამ მიდამოებში, იშლება ჟან-ჟაკ რუსოს ცნობილი რომანის «ახალი ელოიზას» შინაარსი. აქ, ამ მიდამოებში დადიოდა რომანის მთავარი გმირი ჟიული, რუსოს მძლავრი პოეტური ფანტაზიის პირმშო, მასზე უნუგეშოდ შეყვარებულ ახალგაზრდა სენ-პრესთან ერთად, რომლის სახითაც დიდმა მოაზროვნემ და ხელოვანმა თავისი იდეალები გამოხატა...

აქაურობა მართლაც ისე ლამაზი ჩანს, რომ რუსოს ამბოხებული, პლებეური სული, მაგრამ შეუბორკავი ფანტაზია, უკეთეს ადგილს ვერ იპოვიდა ჟიულისა და სენ-პრეს ესთეტიკური სამყაროს სინაზის, სიყვარულისა და ჰუმანიზმის წიაღთან შესაერთებლად... გეგონებათ, თითქოს რუსო კვლავ მოსულიყოს თავის მშობლიურ ქალაქში, კვლავ ჟიულისა და სენ-პრესთან ერთად ტკბებოდეს ჟენევის ტბის ნაპირებით» (იხ. გიორგი ჯიბლაძე, «პედაგოგიკა და მეთოდიკა», 1974, გვ. 220-348, თბილისი, «განათლება»).

გერმანიისათვის რუსო გახდა «შეუპოვარი ბრძენკაცი», როგორც მას უწოდა ლესინგმა. აყვავების გზაზე დამდგარი მაშინდელი გერმანიის ლიტერატურისა და ფილოსოფიის ყველა კორიფე (გოეთე და შილერი, კანტი და ფიხტე) რუსოს უშუალო გავლენას განიცდიდა. მრავალი ათეული წლის მანძილზე შენარჩუნებულ იქნა წარმოქმნილი ტრადიცია და «კაცობრიობის მიმართ რუსოს განუსაზღვრელი სიყვარულის» გამო თქმული ფრაზა ენციკლოპედიურ ლექსიკონებშიც კი შევიდა.

ყველა დროისა და ყველა ხალხის ერთ-ერთი უდიდესი მოაზროვნე, კლასიკური გერმანული ფილოსოფიის შემქმნელი – ემანუილ კანტი (1724-1804) აღიარებდა, ხალხის სიყვარული «ჟენეველმა ფილოსოფოსმა» მასწავლაო. რუსოს თხზულებებმა და საფრანგეთის რევოლუციის ამბებმა დიდი როლი შეასრულეს მის ცხოვრებაში. რუსომ «აიძულა» ჩაფიქრებოდა ადამიანთა თავისუფლების პრობლემებს, რევოლუციამ ძალზე დააინტერესა იგი საზოგადოებრივი საკითხებით და აღუძრა სურვილი, უფრო გულისხმიერად და ღრმად ჩასწვდომოდა ისტორიის ფილოსოფიას.

ჟან-ჟაკ რუსოს დიდი გავლენა განიცადა XVIII საუკუნის მეორე ნახევრის «ქარიშხლისა და შეტევის» სახელით ცნობილმა ახალგაზრდა გერმანელ მწერალთა ჯგუფმა, რომლის სახელოვანი წარმომადგენლები იყვნენ: გოეთე, შილერი, ჰერდერი, კლინგერი და სხვ. თავის ერთ-ერთ ლექსში შილერი (1759-1805) ხოტბას ასხამს რუსოს და მისი პირველი დრამა «ყაჩაღებიც» დიდი განმანათლებლების იდეებითაა განმსჭვალული.

იმ დროს გერმანიაში ყველას პირზე ეკერა რუსოს სახელი. მისი ბიუსტი ამშვენებდა იქაურ პარკებსა და ხეივნებს, ახალგაზრდათა სასეირნო ადგილებს. საფრანგეთის დიდი რევოლუციის წინა დღეებში მთელი ევროპის ახალ თაობას რუსოს ძმობის, ერთობისა და თანასწორობის იდეები აბოდებდა.

«მოვედ და მიხელმძღვანელე, რუსო!» გაიძახის ერთგან ამ ჯგუფის თეორეტიკოსი, ცნობილი მწერალი და ფილოსოფოსი ჰერდერი (1744-1803), რომელიც, სხვაფრივ, ფრანგების მიმართ ფრიად კრიტიკულად იყო განწყობილი, მაგრამ ძლიერ გაიტაცა რუსოს თავისუფალი ადამიანის უფლებათა დეკლარაციამ.

რუსოს ერთგული მიმდევარი, ახალგაზრდა გოეთე (1749-1832) დიდად დავალებული იყო მისგან, როცა დაწერა «სიყვარულის უჭკნობი ხოტბა», მარად ჭაბუკური შთაგონებით გამთბარი «ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი». «ეს რომანი, – წერს გამოჩენილი ქართველი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია, – თავისი იდეური კომპლექსით რუსოს ზეგავლენითაა წარმოშობილი... რუსოს ზეგავლენა ცხადდება გოეტეს რომანში არა მარტო იდეური შინაარსის, არამედ ფორმის მხრითაც... «ახალ ელოიზაში», როგორც გოეტეს რომანშიაც, წოდებათა უთანასწორობაზე ჩივილი გვესმის... რუსოს «ახალ ელოიზას» «ბუნების ევანგელია» უწოდა თავად გოეტემ...» (იხ. გოეტე, «ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი», თარგმანი კონსტანტინე გამსახურდიასი. წინასიტყვაობა, გვ. 5, ტფილისი, 1928, «ქართული წიგნი»).

მკვლევარები წერენ, კანტმა ეთიკურ სფეროში რუსოს მართლაც დიდი გავლენა განიცადაო, მაგრამ ეს მას სრულებითაც არ უშლიდა ხელს რუსოს სოციალური იდეებიდან რადიკალური ელემენტები უკუეგდო. ამასთან, მიუთითებენ, რომ «გოეთეს «ვერთერში» მეორდება რუსოსათვის საყვარელი ყველა თემა, გარდა პოლიტიკური თემისა».

«გერმანელი «შტურმელები» რუსოს, როგორც ბუნების დიდ მოსიყვარულეს, თავის მასწავლებლად თვლიდნენ და მის მზეს ფიცულობდნენ, მაგრამ ამავე დროს არავითარ ანგარიშს არ უწევდნენ მის რადიკალურ პოლიტიკურ იდეებს. ეს იდეები მათთვის თითქოს არც კი არსებობდა».

რუსეთში ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში იყო ცნობილი რუსო, როგორც პოლიტიკური მოაზროვნე, ფილოსოფოსი და როგორც მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატი. აქ პოპულარული გახდა მისი ტრაქტატები, «ემილის» ნაწყვეტები, «აღსარება» (ორი ნაწილი), «ახალი ელოიზა». რუსოს თხზულებებსა და სახელს დიდ პატივსა სცემდნენ დ. ი. ფონვიზინი, ნ. მ. კარამზინი, ა. ნ. რადიშჩევი. რუსოს იდეალებისადმი თანაგრძნობას არ ფარავდნენ შემდეგ დეკაბრისტები, ხოლო მოგვიანებით – ნ. პ. ოგარიოვი და ა. ი. გერცენი, რომლებიც წერდნენ: «რუსო ოცნებობდა – თუმცა მცდარად – ახალ სამყაროზე. იგი ძირს უთხრიდა მარტოოდენ დაწესებულებებს კი არა, არამედ ძველი საზოგადოებრივი

სამყაროს მთელ ნაგებობას. მისი აზრები მხოლოდ რევოლუციის დროს გაიგეს». 17 წლის ლიცეისტი პუშკინი რუსოს იდეებით იყო გატაცებული. ერთ-ერთ მის ლექსში («სოფელი») რუსული სინამდვილის ამსახველ სურათებს რუსოს იდეათა კვალი ატყვია, და «ევგენი ონეგინის» ტატიანას ხიბლავდა რიჩარდსონისა და რუსოს ცდომანი და თავი ხან კლარისა (რიჩარდსონის რომანის მთავარი გმირი) ეგონა, ხანაც – ჟიული.

პეტრე-პავლეს ციხეში მჯდარი ნ. გ. ჩერნიშევსკი, ვინაც რუსოს პირველმა უწოდა «რევოლუციური დემოკრატი», რუსულად თარგმნიდა «აღსარებას». «ახალ ელოიზას» «საზოგადოებრივი ცხოვრების გარდასულ ფაზისთა ერთ-ერთი ძეგლი» უწოდა და მართებულად შეაფასა ის ფაქტი, რომ რუსომ «...სამარცხვინო ბოძზე გასაკრავად გამოიტანა საკუთარი მანკიერებანი და შეცდომები; დიახ, მართალი იყო ეს კაცი, როცა ამაყად და თამამად ღაღადყო: როგორიც უნდა ვიყო, მაინც ვიყავი ერთ-ერთი უკეთესი ადამიანთაგანი ამ ქვეყანაზე».

რომანტიკოსი ვ. ფ. ოდოევსკი იხსენებს რუსოს «რჩეულ» ადამიანებს თავის მოთხრობა «უცნაურ კაცში».

ლევ ტოლსტოი ამტკიცებდა: «რუსო არასოდეს ბერდებაო. მან ორი თვე გაატარა იმ დაბაში, სადაც რუსოს ჟიული ცხოვრობდა. «წავიკითხე მთელი რუსო, მისი ოცივე ტომი, «მუსიკის ლექსიკონიანად». აღტაცებაში მოვყავდი მას, – ვაღმერთებდი და ვეთაყვანებოდი. თხუთმეტი წლისას ჯვრის ნაცვლად ყელზე რუსოს სურათიანი მედალიონი მეკიდა. მისი მრავალი ფურცელი ესოდენ ახლობელია ჩემთვის, თითქოს თავად დამეწეროს...» ეს წიგნი რაოდენ ფიქრთა აღმძვრელიაო, – ამბობდა იგი, როცა «ახალ ელოიზას» ახსენებდა. ეს მშვენიერი წიგნი კაცს ჩააფიქრებსო. «აღსარებამ» დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე.

«რუსოსა და მისი ნაწერების გამო ჩვენში წერდნენ და მსჯელობდნენ ალექსანდრე ჭავჭავაძე, გიორგი ერისთავი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა, ივანე მაჩაბელი, კიტა აბაშიძე, ბოსლეველი (ესტატე მჭედლიძე), ხომლელი (რომანოზ ფანცხავა), ზაქარია ჭიჭინაძე, ურბნელი (ნიკო ხიზანაშვილი), თედო სახოკია და სხვები. ისინი ძლიერ იყვნენ დაინტერესებულნი ფრანგული ლიტერატურით, იკვლევდნენ ფრანგულ ლიტერატურას, წერდნენ ფრანგული ლიტერატურის საკითხებზე, თარგმნიდნენ ფრანგ მწერალთა ნაწარმოებებს... XIX საუკუნის გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები: ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი, მეველე (დავით მიქელაძე), იონა მეუნარგია და სხვები დიდხანს ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ საფრანგეთში. მათ საქმიანი ურთიერთობა ჰქონდათ დიდ ფრანგ მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან. ყველაფერი ეს ნათლად არის ასახული მათ ნაწერებში...» (დ. ფანჩულიძე, «ქართულ-ფრანგული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისათვის», 1969, გვ. 9).

რუსოს განთქმული «აღსარება» ილიას სამაგიდო წიგნი იყო. მას ძლიერ უყვარდა ეს ნაწარმოები. ჩვენს დროში უაღრესი სიყვარულით იგონებდნენ თავისუფლებისა და ადამიანთა უფლებებისათვის ამ დაუცხრომელ მებრძოლს, წერდნენ და წერენ მის შესახებ წერილებსა და ნარკვევებს: გერონტი ქიქოძე, კონსტანტინე გამსახურდია, შალვა ნუცუბიძე, სერგი დანელია, მოსე გოგიბერიძე, ლევან ასათიანი, გიორგი ჯიბლაძე, ვლადიმერ ზამბახიძე, გიორგი ნატროშვილი, ჯუმბერ ჭუმბურიძე, აპოლონ როგავა, ნიკო ურუშაძე, გივი მიქაძე, ვარლამ ქაჯაია, აკაკი კენჭოშვილი, ტრიფონ რუხაძე, ემელიანე გოგინავა, გულნარა დედაბრიშვილი და სხვები.

ნიკო ნიკოლაძისა და სერგეი მესხის თაობის ახალგაზრდობაში ძლიერი იყო საფრანგეთის პრესტიჟი. ჩვენი წინა თაობის ქართველ ინტელიგენტებს განსაკუთრებით სოციალური საკითხები აინტერესებდათ, «ამქვეყნად სამოთხის მოწყობის საკითხი», –

ნიკო ნიკოლაძის სიტყვებით რომ ვთქვათ. «გასაკვირველი არ იყო, რომ ისინი ევროპული დემოკრატიის მექისაკენ – პარიზისაკენ მიისწრაფოდნენ. ისინი მუშათა გარეუბნებში ივლისისა და თებერვლის ბარიკადების რელიკვიებს ეძებდნენ, პერ ლაშეზის სასაფლაოს კედლებზე კომუნარების სისხლის ლაქებს ხედავდნენ, ხოლო პანთეონში – ვოლტერისა და რუსოს სარკოფაგების წინ იჩოქებდნენ». ეს სიტყვები გერონტი ქიქოძის კალამს ეკუთვნის («მოგონებები», 1956, გვ. 75).

საქართველოს პედაგოგიკის სამეცნიერო კვლევითმა ინსტიტუტმა გამოსაცემად მოამზადა და 1974 წელს საბჭოთა კავშირში ქართულ ენაზე პირველად ცალკე წიგნად დაბეჭდა რუსოს «ემილი, ანუ აღზრდის შესახებ» («ემილის» ნაწყვეტები ქვეყნდებოდა რევოლუციამდელ ქართულ პრესაში). ამ დიდებული წიგნის თარგმანი შესრულებულია სერგი დანელიასა და ივანე კვაჭაძის მიერ, რედაქტორია შალვა ნუცუბიძე. შესავალი წერილი ეკუთვნის დოცენტ ემელიანე გოგინავას.

გამომცემლობა «განათლებამ» საქართველოს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოების გრიფით, დოცენტ გივი მელაძის რედაქტორობით, გამოსცა პროფესორ უშანგი ობოლაძის კაპიტალური შრომა «ჟან-ჟაკ რუსო» (1976, 558 გვ.). «ეს საფუძვლიანი გამოკვლევა ეყრდნობა მდიდარ წყაროებს, დახასიათებულია რუსოს მრავალმხრივი, საინტერესო ცხოვრება და შემოქმედება, რაც ამდიდრებს რუსოს ცხოვრება-მოღვაწეობის ახლებურად გაგების დიდმნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტის საქმეს... გამოკვლევა მეტად სასარგებლო წიგნია რუსოს დიდი, მრავლისმომცველი საქმიანობის შესწავლით დაინტერესებული მკითხველისათვის» (დ. ლორთქიფანიძე, «გამოკვლევა ჟან-ჟაკ რუსოზე», გაზ. «კომუნისტი», 1977, 30 სექტემბერი).[1]

თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში ინახება რუსოს თხზულებათა პრიველი გამოცემები.

რუსოს სწორუპოვარ თხზულებებს მის სიცოცხლეშივე და შემდგომ წლებსა და საუკუნებში თარგმნიდნენ და სცემდნენ მსოფლიოს ხალხთა მრავალ ენაზე. არ დარჩენილა არც ერთი ბევრად თუ ნაკლებად დიდი მწერალი, მოაზროვნე, ლიტერატორ-პუბლიცისტი და გამოჩენილი კალმოსანი, რომელიც არ შეხებოდეს რუსოს პიროვნებას და არ აღენიშნოს მისი უდიდესი როლი და დამსახურება საზოგადოებრივი აზროვნების ისტორაში. «რუსოს ნაწარმოებთა მეშვეობით (რუსულიდან გადმოქართულებით) შემოვიდა საქართველოში ფრანგული განმანათლებლობის დემოკრატიული ფრთის იდეები» (გულნარა დედაბრიშვილი, «რუსეთის გზით შემოსული უცხოური ფილოსოფიური თარგმნილი ლიტერატურა საქართველოში». იხ. კრებული «ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის ნარკვევები», თბილისი, «განათლება», 1973, გვ. 38).

ფრანგი მწერლის ნაწარმოებებს, განსაკუთრებით მის განთქმულ ფილოსოფიურ ტრაქტატებს თარგმნიდნენ ქართულად XVIII საუკუნის ბოლო წლებისა და XIX საუკუნის დამდეგის, ე. წ. გარდამავალი ხანის ცნობილი მწერლები, განათლებული ბატონიშვილები და ამაგდარი მოღვაწენი.

იმ დროის საკმაოდ ნიჭიერი და ძალზე პოპულარული პოეტი დიმიტრი თუმანიშვილი თავის ერთ-ერთ ლექსში («ფას მუხალიფის ხმაზედ», – მიძღვნილია პეტერბურგის დიდებულთა თვალსაჩინო წარმომადგენლის, თავად ნესვიცკის ასულისადმი), სხვა მნათობებთან ერთად (ჰომეროსი, ვერგილიუსი, ვოლტერი), ქებით იხსენიებს და ქართველ ავტორთაგან პირველი მოუხმობს რუსოს სახელს:

---

[1] ამ წინასიტყვაობის დაწერისას ძლიერ დამეხმარა უშანგი ობოლაძის აღნიშნული შრომა, სადაც თავმოყრილია ბევრი საინტერესო, საჭირო და საგულისხმო ამბავი რუსოს ცხოვრებიდან.

მე ვით გამკე ქვეყანამან, ნეტარ ღომერ მოგსწრებოდა,
ბოდინებთან ადგილ ეცა, სვე-მაღალი შეგსწრებოდა,
ან ვირგილოსსა ენახე, მესტიხობით გმონებოდა,
ანუ ვოლტერს და რუსოსა, მათგან ქება გფერებოდა,
ცხოველ წიგნში დაეწერე, უკვდავება გქონებოდა...

1800 წელს მეფე ერეკლე მეორის უმცროსმა შვილმა ფარნაოზ ბაგრატიონმა (1772-1852) გადმოიღო «ჰაზრნი ჟან-ჟაკ რუსოსი სხვადასხვა საგანთათვის», «სადაც მოცემულია რუსოს შეხედულებები ღმერთის, სინდისის, სათნოების, კეთილმოქმედებისა და სხვა საკითხებზე».

ფრანსუა-მარი არუე ვოლტერის (1694-1778) პირველმა მთარგმნელმა საქართველოში, დავით ბაგრატიონმა (1767-1819) ფრანგულიდან თარგმნა ფრანგი ფილოსოფოსების: ჟან პიერ ანსილიონის (1767-1837) «ესთეტიკური განსჯანი» და შარლ ლუი მონტესკიეს (1689-1775) მთავარი ნაშრომი «გულისხმისყოფისათვის სჯულისა». რუსოს გავლენა ეტყობოდა 1959 წელს პროფ. აპოლონ როგავას რედაქციით გამოცემულ დავით ბაგრატიონის წიგნს – «საქართველოს სამართლისა და კანონმდებლობის მიმოხილვას» და მის თხზულებას – «ახალ შიხს».

ამ «ახალი შიხის» ლიტერატურულ წყაროდ ან მის ანალოგიურად მკვლევარები – ალექსანდრე ხახანაშვილი, არტურ ლაისტი, ტრიფონ რუხაძე და სხვები ხან რუსი მწერლის – კარამზინის «საბრალო ლიზას», ხანაც ინგლისელი რიჩარდსონის რომანებს მიიჩნევდნენ, მაგრამ დღესდღეობით დამტკიცებულია, რომ არც ერთი მათგანის მოსაზრება არ არის სწორი. ხოლო 1955 წელს დიდი ფრანგი განმანათლებლის – მონტესკიეს გარდაცვალების მე-200 წლისთავის გამო ქართულ პრესაში გამოქვეყნდა წერილები, სადაც, სხვათა შორის, აღინიშნა, რომ დავით ბატონიშვილის ორიგინალური თხზულება «ახალი შიხი» თითქოს მონტესკიეს «სპარსული წერილების» გავლენით დაიწერაო.

იმავე წელს «ახალგაზრდა კომუნისტის» 4 ივლისის ნომერში ამ საკითხს ეხება პროფესორი ჯუმბერ ჭუმბურიძე და სამართლიანად წერს: «დავით ბატონიშვილის თხზულებას სრულებით არაფერი აქვს საერთო მონსტესკიეს «სპარსულ წერილებთან» არც იდეურად, არც შინაარსობლივად. ეს მხოლოდ გაუგებრობის შედეგია... «ახალი შიხის» ლიტერატურულ წყაროს ჟან-ჟაკ რუსოს «ახალი ელოიზა» წარმოადგენს. ამის დასტურს სათაურშივე ვპოულობთ. რუსოს რომანს ეწოდება «ჟიული, ანუ ახალი ელოიზა», წერილები ორი შეყვარებულისა, რომლებიც ცხოვრობდნენ პატარა ქალაქში, ალპების ძირში, შეკრებილი და გამოცემული ჟან-ჟაკ რუსოს მიერ». დავით ბატონიშვილის თხზულების სათაური კი გვამცნობს – «ახალი შიხი», მიმოწერა საყვარლისა ანუ საყვარლისადმი, რომელნიც ცხოვრობდნენ მთასა ქვეშე კავკასიონისა; ქმნილნი ქართულსა ენასა ზედა, საქართველოს მეფის გიორგის ძის დავითის მიერ, ათორმეტ წერილებად». «ახალი ელოიზას» პერსონაჟებს – ჟიულისა და სენ-პრეს – დავით ბატონიშვილის ნაწარმოებში ენაცვლებიან ფერია და შიხი. მიმოწერაც ამ უკანასკნელთა შორის არის გამართული, მსგავსად რუსოს გმირებისა. დავით ბატონიშვილს «ახალ ელოიზადან» ზოგიერთი წერილი გადმოუკეთებია. ჟიულისა და სენ-პრეს წერილებიდან მას მხოლოდ თორმეტი ბარათი შეურჩევია... დავით ბატონიშვილმა ეს რომანი ჩვენი მწერლობის ტრადიციულ ხასიათს შეუფარდა და მას, ასე თუ ისე, ქართული ელფერი მისცა».

დიდი ფრანგი მწერლების: კორნელის (1606-1684), ლაფონტენის (1621-1695), რასინისა (1639-1699) და ვოლტერის (1694-1778) რამდენიმე ნაწარმოებთა მთარგმნელს პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძეს (1786-1846) რუსოს თხზულებათაგან არაფერი უთარგმნია,

მაგრამ ამ დიდი მოაზროვნის გავლენა და სიყვარული ეტყობა მის ზოგიერთ ლექსს. სწორედ ამის გამო თარგმნა მან ტრაქტატი – «ახლოით განჩხრეკილი კაცი», რომელსაც თავიდან ბოლომდე გასდევს ჟან-ჟაკ რუსოს იდეები.

ეს თარგმნილი ნაწარმოები აღმოჩნდა ყოფილ საეკლესიო ფონდის ხელნაწერში (№701–A) და პირველად გამოაქვეყნა ი. გრიშაშვილმა თავის რედაქტორობით 1940 წელს «ფედერაციის» მიერ გამოცემულ ალ. ჭავჭავაძის «თხზულებანში». «რედაქტორის შენიშვნებში» ი. გრიშაშვილი წერდა: «ავტორი ვერ გამოვარკვიეთ. მთარგმნელის წინათქმიდან ჩანს, რომ დამწერი ამ პროკლამაციისებური ნაწარმოებისა ფრანგი ყოფილა, დაპატიმრებული და გადასახლებული. ა. ჭავჭავაძეს უთარგმნია 1804 წელს, 8 დეკემბერს, როცა თითონაც მთიულეთის აჯანყებაში მონაწილეობისათვის დაპატიმრებული იყო» (იხ. ალ. ჭავჭავაძის «თხზულებანი», გვ. 337).

1940 წლიდან მოყოლებული დიდხანს ამასვე წერდნენ და იმეორებდნენ ჩვენი მკვლევარები. «ავტორი დაუდგენელია», ამბობდნენ ისინი და ზოგი რუსოსაც კი მიაწერდა ამ ტრაქტატის ავქსონობას. და ეს საკითხი დიდხანს, თითქოს, საიდუმლოებით იყო მოცული.

რამდენიმე წლის წინათ ცნობილმა მწერალმა და კრიტიკოსმა გიორგი ნატროშვილმა ძალზე საინტერესოდ დაწერილ ნარკვევში საფუძვლიანად შეისწავლა და გულდასმით გაარჩია ამ ნაწარმოების შინაარსი, მკითხველს ამცნო, თუ «როდის და რა პირობებში ითარგმნა» იგი, და რაც უმთავრესია, უზუსტესი საბუთების მოშველიებით დაამტკიცა და დაადასტურა, რომ მისი ავტორი არის ფრანგი მწერალი გრაფი ვოლნეი. მისი ნამდვილი სახელი და გვარია კონსტანტინ ფრანსუა ბუაჟირე (შახბიოფი), საფრანგეთის დიდი რევოლუციისა და შემდეგ ნაპოლეონის დროის თვალსაჩინო მოაზროვნე და პოლიტიკური მოღვაწე, მრავალი წიგნისა და გამოკვლევის დამწერი, რევოლუციის ბელადთა ახლო მეგობარი და თანამებრძოლი, იმ დროის მშფოთვარე პოლიტიკური ცხოვრების აქტიური მონაწილე, რუსოს მოწაფეთა და მიმდევართა თანამოაზრე («უდაბნოში დაწერილი წიგნი», იხ. «მნათობი», 1969, №12, გვ. 143-149).

მან რამდენიმე წელიწადი იმოგზაურა ეგვიპტესა და სირიაში, ლიბანის მთებში, არაბეთის უდაბნოში და სხვა მრავალ ადგილას. პარიზში დაბრუნებისას, სხვა წიგნების გარდა, 1791 წელს დაწერა «ნანგრევები ანუ ფიქრები იმპერიის აყვავებასა და დაცემაზე», საიდანაც ალ. ჭავჭავაძემ თარგმნა, გადმოაკეთა და ქართულად დაწერა ერთი თავი და უწოდა მას «ახლოით განჩხრეკილი კაცი».

ცნობილმა ლიტერატორმა და მთარგმნელმა – ნიკ. ბარათაშვილის, სოლომონ დოდაშვილის, გიორგი ერისთავის, ორბელიანების, ალექსანდრე ჭავჭავაძის უფროსმა თანამედროვემ, 1822-24 წლებს შორის ქრისტიან ბაუმეისტერის (1709-1785) «მეტაფიზიკის» მთარგმნელმა, – დავით ციციშვილმა 1849 წელს ქართულად თარგმნა რუსოს ერთ-ერთი ტრაქტატი. წიგნის წარწერაში ვკითხულობთ: «ჰსჯა, დაჯილდოვებული დიჟონის აკადემიისაგან 1750 წელსა, კითხვასა ზედა ამის აკადემიისასა წინადადებული, რომელ აღიდგინება, ჰსწავლათა და ხელოვნებათა შეეწეოდაა წარმართვასა ზნეთა ანუ ყოფა ქცევათასა? – შეთხზული უფლის ჟან-ჟაკ რუსოს მიერ, მეორედ გამოცემული მოსკოვს 1727 წელსა, რუსულ თარგმანიდან ითარგმნა დავით ესტატეს ძე ფანასკერტელის ციციანოვის მიერ 1849 წ. ს. ქარელში».

ამ წიგნის თარგმნის გამო ლევან ასათიანი წერს: «ვოლტერიანელმა და ენციკლოპედისტების იდეებით გატაცებულმა ციციშვილმა მოიხადა ვალი. უნდა ითქვას სიმართლე, რომ ეს წიგნი, ცოტა არ იყოს, შეუფერებელი იყო XIX საუკუნის პირველ ნახევარში ქართული სინამდვილისათვის. მაშინ, როდესაც თითქმის დავიწყებული გვქონდა ნაციონალური კულტურის ყველა მიღწევა, როდესაც ანბანიდან ვიწყებდით

სწავლას, კერძოდ, არ გვქონდა დროის შესაფერი სალიტერატურო ენა, რომელიც მოითხოვდა რეფორმაციას, და ნიკოლოზ ბარათაშვილის გენიალური სულის ბობოქრობა გაჭედილი იყო ტყვიასავით მძიმე არქაული სინტაქსის სალტეებში, – მაშინ ეს ტრაქტატი და კულტურისა და სწავლა-განათლების უარყოფით გავლენაზე ლაპარაკი ცოტა უცნაური გაუგებრობა იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენი აზრით, რუსოს ქართულად თარგმნა მაინც სიმპტომატური იყო იმ დროს» (იხ. ლ. ასათიანის ზემოთ დასახელებული «ნაწერები», გვ. 97).

რუსოს ეს განთქმული რომანი რუსულ ენაზე პირველად ჯერ კიდევ ავტორის სიცოცხლეში (1769) გამოვიდა პავლე პოტიომკინის თარგმანით. 1792 წელს გამოვიდა მეორე თარგმანი (ანონიმური). XIX საუკუნეში «ახალი ელოიზა» აგრეთვე ორჯერ დაიბეჭდა: ალექსანდრე პალიცინის თარგმანი – 1803-1809 წლებში (მეორე გამოცემა 1820-21) და პეტრე კონჩალოვსკისა – 1892 წელს.

1968 წელს გამომცემლობა «ხუდოჟესტვენნაია ლიტერატურამ» (მოსკოვი, მსოფლიო ბიბლიოთეკის ორასტომეული) ვ. დინიკისა და ლ. პინსკის რედაქციით გამოსცა ჟან-ჟაკ რუსოს «ჟიული ანუ ახალი ელოიზა». თარგმანი ფრანგულიდან ეკუთვნის ნ. ნემჩინოვასა და ა. ხუდადოვას, შესავალი წერილი – ი. ვერცმანს, ილუსტრაციები – უბერ გრაველს. რუსული თარგმანი შესრულებულია 1925 წელს პარიზში, დანიელ მორიეს მიერ გამოქვეყნებული კრიტიკული ტექსტის მიხედვით.

ამ რუსული გამოცემიდან არის თარგმნილი «ახალი ელოიზას» ეს ქართული ტექსტი და თანდართული შენიშვნები. რომანის თარგმანი თითქმის სიტყვასიტყვით შეაჯერა ფრანგულ ტექსტთან და საფუძვლიანად გაასწორა გამომცემლობა «საბჭოთა საქართველოს» რედაქტორმა – მანანა იორდანიშვილმა. მის მიერ უფრო ჯეროვნად გასწორდა მთარგმნელისათვის ზოგი გაუგებარი წინადადება და შეუსაბამოდ თარგმნილი ბევრი ადგილი, ფრაზა, წინადადება და ესა თუ ის არაზუსტად გადმოღებული სიტყვა, რაიც უაღრესი მადლიერების გრძნობით უნდა აღინიშნოს.

«არსებობს ცნობა, რომ ქართულად თარგმნილია რომანი «ახალი ელოიზა», რომელიც უდიდესი პოპულარობით სარგებლოდა ევროპასა და რუსეთში 1761-1800 წლებში, მაგრამ... ქართული თარგმანი არა ჩანს», – წერს გულნარა დედაბრიშვილი.

როგორც რიგით მკითხველსა და არამკვლევარს, ამჟამად ხელი არ მიმიწვდება იმ ცნობის დასადასტურებლად, მართლა იყო თუ არა ოდესმე ქართულად თარგმნილი ამ რომანის თუნდაც მცირე ნაწილი.

ეს საქმე «ახლოით განსაჩხრეკად» უფროისად ნაცად მკვლევარებს მივანებოთ. ისე კი, დიდი რუსოს გარდაცვალების მე-200 წლისთავისათვის მისი «ახალი ელოიზა» მთლიანად ითარგმნა პირველად ქართულ ენაზე და ახლა იგი გამოსცა «საბჭოთა საქართველომ». პირველი ნაწილის რამდენიმე თავი დაიბეჭდა ალმანახ «საუნჯეში».

როცა 1939 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა ქეთევან ირემაძის მიერ თარგმნილი აბატ პრევოს რომანი «მანონ ლესკო», წიგნის ფრონტისპისის ნაცვლად წამძღვარებულ გალაკტიონის ცნობილ ლექსში საგულისხმოა ქართული «ახალი ელოიზას» ამ წინასიტყვაობის ეპიგრაფად ზემორე თანდართული სტრიქონები, რაიც მარტოოდენ ლამაზ სიტყვათა განსაცდელად ან გემოგაუხსნელი მკითხველის განსაცვიფრებლად როდია თქმული!

ნიკა აგიაშვილი.

ჟიული, ანუ ახალი ელოიზა

ალპის მთისძირა პატარა ქალაქში მოსახლე
ორი მიჯნურის წერილები

შეკრიბა და გამოსცა ჟ. ჟ. რუსომ

Non la conobbe il mondo, mentre l'ebbe:
Conobill'io ch'a pianger qui rimasi.

Petrarca

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

დიდ-დიდ ქალაქთათვის უპრიანია გართობა-სანახაობანი, ხოლო უზნეო ხალხთათვის – რომანები. მე ვუკვირდებოდი ჩემი დროის ზნე-ჩვეულებათ, და ეს წერილები გამოვაქვეყნე. ნეტამც ვცხოვრობდე იმ საუკუნეში, როცა მათი ცეცხლში დაწვა შემეძლებოდა.

მე გამომცემლის როლსა ვკისრულობ, ოღონდ როდი ვფარავ, ამ წიგნში ჩემი გარჯა-შრომის წილიცა დევს. ანდა, ეგებ, ყველაფერი თავად მე შევთხზე კიდევაც, და ეს მიმოწერაც მარტოოდენ წარმოსახვის ნაყოფი იყოს? რა გესაქმებათ ამ ამბავთან, დარბაისელო ადამიანებო! თქვენთვის ხომ ყოველივე ეს მართლაცდამართლაც მხოლოდ წარმოსახვის ნაყოფია.

ყოველმა წესიერმა ადამიანიშვილმა პასუხი უნდა აგოს თავის მიერ გამოცემულ წიგნთათვის. აი, მეც ვაწერ ჩემს სახელსა და გვარს წერილთა ამ კრებულის თავფურცელს, მაგრამ როგორც შემდგენელი კი არა, არამედ ნიშნად იმისა, რომ მზადა ვარ პასუხი ვაგო მათ გამო. უკეთუ აქ აღმოჩნდება რაიმე ცუდი და უხამსური – დაე დამგმონ და გამკიცხონ; და თუკი ყველაფერი რიგზეა, მაშინ ამ პატივსა და ღირსებას როდი დავიჩემებ. თუ წიგნი უხეიროა, მით უმეტეს, ვალდებული ვარ ჩემად ვაღიარო იგი: არა მსურს უფრო კარგი რამა თქვან ჩემზე, ვიდრე დამიმსახურებია.

რაც შეეხება იმას, ნამდვილია თუ არა ეს ამბები, ვადასტურებ, რომ მრავალგზის ვყოფილვარ იმ ორი მიჯნურის სამშობლოში და სრულიად არაფერი გამიგია, ვინ იყვნენ თუნდ ბარონი დ’ეტანჟი, თუნდ მისი ქალიშვილი, თუნდ ბატონი დ’ორბი, თუნდ მილორდი ედუარდ ბომსტონი, თუნდ ბატონი დე ვოლმარი. თანაც აღვნიშნავ, იმ კუთხის აღწერისას დაშვებულია მრავალი უხეში შეცდომა: ავტორს ან მკითხველის დაბნევა სურდა, ანდა თვითონაც ხეირიანად არ იცნობდა იმ მიდამოებს. აი ყოველივე, რისი თქმაც შემიძლია. დაე ყველამ ისე იფიქროს, როგორც მოეპრიანება.

ეს იმგვარი წიგნი როდია, ფართოდ რომ განივრცოს და ქვეყნისქვეყნად მიმოეფინოს, იგი ბევრს არ დაუჯდება ჭკუაში. მისი ენა არ მოეწონებათ გემოგახსნილ ადამიანებს, თემა და საგანი დააფრთხობს ზნეობის დამცველთ, ხოლო გრძნობებს არაბუნებრივად მიიჩნევენ ისინი, ვისაც არა სწამთ სათნოება. იგი, უდავოდ, ვერ მოინადირებს და ვერ მოხიბლავს ვერც ღვთისმოსავ ადამიანებს, ვერც თავისუფლად მოაზროვნეებს, ვერც ფილოსოფოსთ; იგი, ცხადია, არაფრად ეპიტნავებათ ქარაფშუტა ქალებს, ხოლო წესიერ ბანოვანთ აღაშფოთებს და გულისწყრომით აღავსებს კიდეც. მაშ, ვისღა მოეწონება ეს წიგნი? კაცმა რომ თქვას, მარტოოდენ თავად მე; სამაგიეროდ, არვის დატოვებს გულგრილს.

ის კი, ვინც განიზრახავს ამ წერილთა წაკითხვას, დაე მოთმინებით აღიჭურვოს და აიტანოს ენობრივი ცდომილებანი, მაღალფარდოვანი და უღიმღამო სტილი, მიმოქარგულ ფრაზებში ჩამოსხმული უფერული აზრები; დაე წინასწარ უწყოდეს, ისინი არ დაუწერიათ არც ფრანგებს, არც სალონის მახვილაკებს, არც აკადემიკოსებს, არც ფილოსოფოსებს, არამედ – მიყრუებული კუთხის მკვიდრ პროვინციელთ, გადამთიელებს, ნორჩ არსებათ,

თითქმის ბავშვებს, მგზნებარე მეოცნებეთ, თავიანთი კეთილშობილური ჭკუადამთხვეულობა ფილოსოფია რომ ჰგონიათ.

რატომ არ უნდა ვთქვა ის, რასაც ვფიქრობ? ეს ძველთაძველი ყაიდის ბარათთა კრებული ქალებს ფილოსოფიურ თხზულებებზე მეტად გამოადგებათ. იქნებ, რაიმე სარფაც კი მოუტანოს ზოგიერთ მათგანს, უზნეო ცხოვრებისა წილ წესიერებისაკენ ლტოლვა მაინც რომ შეუნარჩუნებია. სულ სხვაგვარადაა ქალიშვილების საქმე. უმანკო ქალიშვილი რომანებს არ კითხულობს, რომანს ხომ წინასწარ შევურჩიე საკმაოდ მეტყველი სათაური, წიგნის გადაშლისას ყველამ რომ იცოდეს, თუ რა ძევს მის წინ. და უკეთუ, სათაურის გარდა, ქალიშვილი მაინც გაბედავს თუნდაც ერთი გვერდის წაკითხვას – მაშინ მთლად ხელიდან წასული ყოფილა; მხოლოდ თავის დაღუპვას ამ წიგნს ნუ დააბრალებს, აკი ცუდი საქმე მანამდე დამართნია. ოღონდ, რადგან კითხვა დაიწყო, არა უშავს, ბოლომდის წაიკითხოს – არაფერს დაკარგავს.

უკეთუ ამ კრებულს ზნეობის რომელიმე ქომაგი გადაშლის, ზიზღს მოჰგვრის მისი პირველივე ნაწილები და, გამომცემლის მიმართ გულისწყრომით აღვსებული, წიგნს გაბრაზებით ძირს დაახეთქებს; ასეთი უსამართლობა სრულიადაც არ აღმაშფოთებს. შესაძლოა, მის ადგილას მეც ამას ჩავიდენდი. მაგრამ თუკი ვინმე ბოლომდის ჩაიკითხავს ამ წიგნს და მსჯავრს დამდებს, ეს რა მოუჩმახავსო, მაშინ, თუ მოინებებს, მთელ დუნიას მოსდოს ეს ამბავი, ოღონდ მე არაფერი მითხრას: კარგადა ვგრძნობ, არ ძალმიძს პატივი მივაგო ასეთ ადამიანს.

პირველი ნაწილი

I წერილი

ჟიულისადმი

ეს უდავოა, უნდა გავიქცე თქვენგან, ქალბატონო! ამაოდ ვითრევდი ფეხს, უკეთ რომ გაუწყოთ, ამაოდ გადაგეყარეთ თქვენ! აბა რა ვიღონო? რა წყალში ჩავვარდე? თქვენ ხომ მეგობრობა შემომთავაზეთ; დამიჯერეთ, რა საშინელ დღეში ვიმყოფები და რჩევა-დარიგებით წამომეშველეთ.

მოგეხსენებათ, მხოლოდ და მხოლოდ დედათქვენის ნება-სურვილით აღმოვჩნდი თქვენსას. იცოდა, რაღაც სახარბიელო ფხა და უნარი რომ აღმომაჩნდა და იფიქრა, ეგებ, ჩემს სათაყვანო ასულსაც რამეში წაადგესო, – ამ მხარეში მასწავლებლებს ხომ ვერსად იპოვით. მე კი სიამაყით გავივლე გულში, ხელს შევუწყობ თქვენი დიდსულოვანი ზნე-ხასიათის გაფურჩქნას-მეთქი, და თამამად მოვკიდე ხელი სახიფათო დავალებას ისე, რომ არავითარი საფრთხე არ გამითვალისწინებია, ანდა, ალბათ, ამას არც ვუფრთხოდი. იმას კი აღარ ვიტყვი, უკვე რა ძვირად მიჯდება ჩემი ყოყლოჩინობა. მერწმუნეთ, არასოდეს გავკადნიერდები და არ წარმოვთქვამ ისეთ სიტყვებს, რომელთა მოსმენაც არ შეგფერით, მემახსოვრება, რომ პატივი უნდა მივაგო თქვენს მაღალზნეობას კიდევ უფრო უაღრესი თავაზით, ვიდრე თქვენს წოდებასა და თქვენს თვალტანადობას. ტანჯვის დროს თავს იმ ფიქრით ვინუგეშებ, მარტოდმარტო ვიტანჯები-მეთქი, და არ ვინდომებდი თქვენი ტანჯვის ფასად ჩემი ბედნიერების მოპოვებას.

მაინც ყოველდღე ვხვდებით ერთმანეთს და თქვენდა უნებურად მეტისმეტად აარჯლებთ ჩემს ტანჯვა-გვემას; თუმცაღა არ ძალგიძთ თანაგრძნობით მოეპყრათ მას, ის კი

არა და, არც კი შეგფერით იცოდეთ ეს ამბავი. მართალია, ვიცი, რასაც გვიკვეთს კეთილგონიერება იმ შემთხვევებში, როცა ყოველგვარი იმედი დაწურული გვაქვს. მონა-მორჩილადაც გავუხდებოდი, რომ მცოდნოდა, თუ როგორ შევუხმატკბილო ერთმანეთს კეთილგონიერება და ზრდილობა. ოღონდ რა მარჯვე საბაბით მოვახერხო გავშორიშორდე სახლს, სადაც მიმიპატიჟა თვითონ დიასახლისმა, რომელიც ძალზე მწყალობს და სჯერა, რომ შევეწევი მის ყველაზე ძვირფას არსებას ამქვეყნად? განა ნება მაქვს მოვაკლო სიხარულს უნაზესი დედა, რომელიც ოცნებობს გააოცოს მეუღლე სწავლაში თქვენი წარმატებებით, რასაც ჯერჯერობით არ უმხელს? განა ასე უზრდელად, სავსებით განუმარტებლად უნდა გამოვეთხოვო მას? უნდა გავუმხილო თუ არა ყოველივე და ნუთუ არ შეურაცხყოფს ჩემი გულისნადების მოსმენა, უკეთუ ჩემი სახელისა და ქონების პატრონს თქვენზე ოცნების ნებაც კი არ გააჩნია. ამ საშინელი მდგომარეობიდან თავის დაღწევის მხოლოდ ერთადერთ გამოსავალსა ვხედავ: დაე გამანთავისუფლოს იმ ხელმა, რომელმაც ამ დღეში შთამაგდო, დაე სასჯელიც, როგორც ჩემივ დანაშაულიც, თქვენ მომაგეთ. გეთაყვანე, სხვად თუ ვერაფრით შემეწევით, შემიბრალეთ მაინც და თავადვე გამაგდეთ სახლიდან. გადაეცით ეს წერილი თქვენს მშობლებს; უბრძანეთ, ცხვირწინ მიმიკეტონ კარი, გამაძევეთ, როგორი მიზეზითაც გსურდეთ. თქვენგან ყველაფერს ავიტან, ოღონდ თავად არ ძალმიძს თქვენი მიტოვება.

ეს რა ამბავია? თქვენ უნდა გამდევნოთ, მე კი გავიქცე თქვენგან? განა რისთვის? განა დანაშაული იქნება უნაზესი გრძნობა აღგეძრას მისდამი, ვინც ამის ღირსია და გიყვარდეს იგი, ვინც პატივისცემას იმსახურებს? არა, ეს როდია დანაშაული, მშვენიერო ჟიული, – თქვენმა სინარნარემ თვალი მომტაცა და დამაბრმავა, მაგრამ იგი ვერასოდეს დაატყვევებდა ჩემს გულს, უკეთუ არ ყოფილიყო უფრო ძლიერი მომხიბვლელობა; მგზნებარე მგრძნობელობისა და უცვალებელი თვინიერების გულში ჩამწვდომი თანხმოვანება; სხვისი მწუხარების სათუთი გაზიარების უნარი; შნოიანობის გრძნობასთან შერწყმული თქვენი გულივით სპეტაკი და ნათელი გონება, – ერთი სიტყვით, თქვენი სულიერი სილამაზე უფრორე აღმიტაცებს და მაფრთოვანებს, ვინემ თქვენი სიმშვენიერე. იქნებ, უფრო ლამაზი და მშვენიერიც მოეჩვენოთ კაცს, მაგრამ უფრო სანატრელისა და წესიერი ადამიანისათვის უღირსეულესის წარმოდგენა, ო, არა, ჟიული, ეს ჩემს ძალ-ღონეს აღემატება.

ზოგჯერ უტიფრად აღმიტაცებს ხოლმე ფიქრი, ზენაარსის ნება-სურვილით არსებობს იდუმალი რამ შეუსაბამობა ჩვენს გრძნობათა შორის, ისე როგორც ჩვენს გემოვნებასა და ასაკს შორის-მეთქი. ორივენი ეგზომ ახალგაზრდები ვართ და ჩვენი თანდაყოლილი მიდრეკილებანი ჯერ კიდევ როდია შებღალული, ჩვენი მისწრაფებანი ყოველნაირად ერთმანეთსა ჰგვანან ჯერ როდი დავმორჩილებივართ წუთისოფლის ერთფეროვან პირობითობას, ხოლო ჩვენ ერთნაირი გრძნობა და შეხედულებები მოგვეპოვება. ჰოდა, განა არა მაქვს უფლება წარმოვიდგინო, რომ ჩვენს გულებშიც ისეთივე თანხმოვანება მეფობს, როგორიც ჩვენს შეხედულებებშია? ზოგჯერ ჩვენი თვალები ერთმანეთს ხვდებიან; ზოგჯერ ერთსა და იმავე დროს ვოხრავთ ანდა მალულად ვიწმენდთ ცრემლებს... ოი, ჟიული! იქნებ, ასეთი სულთვისობა ზენაარსის მომადლებულია... იქნებ, თვით ზეცისაგან არის განკუთვნილი ყოველივე ეს... ვერავითარი ადამიანური ძალა... ო, მომიტევეთ! გონება ამემღვრა: ოცნებას იმედად ვსახავ, მგზნებარე გატაცებას ფრთები ეკვეცება.

შიშითა და ძრწოლით ვხედავ, თუ რა ვაი-ვაგლახი დამატყდება თავს. სრულიადაც არ მინდა განვადიდო ჩემი ტანჯვა-წამება; პირიქით, მათი შეძულება მწადია... აბა ერთი განსაჯეთ, რაოდენ სპეტაკია ჩემი გრძნობები, ხომ იცით, რაგვარ მოწყალებას მოვითხოვ თქვენგან. დაშრიტეთ, თუ შეგიძლიათ, შხამით აღსავსე წყარო, რომელიც მარწყულებს მე,

მარწყულებს, მაგრამ ბოლოს მიღებს კიდეც. მხოლოდ ერთი რამ მწადია – განკურნება ანუ სიკვდილი და გემუდარებით, იყავით სასტიკი, – ამას ისე გენუკვით, როგორც თანაზიარ სიყვარულს.

დიახაც, აღგითქვამთ, ვფიცავ, ისე მოვიქცე, რომ დავიბრუნო გონება ანდა გულის სიღრმეში შთავიმარხო აფორიაქებული გრძნობანი ჩემნი, ოღონდ იყავით გულმოწყალე, ნუღარ მომაპყრობთ თქვენს თვალთა მზერას, ალერსიან და ნარნარ მზერას, სიკვდილს რომ მიქადის. ნუ, ნუ დამანახვებთ თქვენს საუცხოო ნაკვთებს, პირისახეს, ხელებს, მხრებს, ქერა თმას, მთელ თქვენს სარო ტანს, ამიბით ჩემი უტიფარი და ხარბი თვალები; მოაშთვეთ გულში ჩამწვდომი ბგერანი თქვენი ხმისა, მათი მოსმენა აუღელვებლად ხომ შეუძლებელია; გახდით სხვაგვარი, და ჩემი გულიც კვლავ მოიპოვებს სიმშვიდესა და მოსვენებას.

გნებავთ, გამოგიტყდებით? როცა საღამოობით, მოცლილობის ჟამს, თამაშით ვერთობით, ყველას თანდასწრებით ისე მოურიდებლად და თამამად იქცევით, სასტიკად მტანჯავთ და მაწვალებთ, ისე მეპყრობით, როგორც ყველა სხვას. მაგალითად, გუშინ, როცა ფანტი დამინიშნეს, კინაღამ დაგეკონეთ: თქვენ ხომ თითქმის წინააღმდეგობა არ გაგიწევიათ. საბედნიეროდ, მეც ძალა არ დამიტანებია. ვგრძნობდი, მღელვარებამ რომ შემიპყრო, თავგზა მებნეოდა და უკან დავიხიე. აჰ! ნეტავ რატომ არ ვიამე თქვენი დამათრობელი ამბორით; ეს კოცნა შეერთვოდა ჩემს უკანასკნელ ამოსუნთქვას და მეც მოკვდავთა შორის უბედნიერეს კაცად დავლევდი სულს!

გემუდარებით, ნუღარ გამართავთ ასეთ თამაშს – მათი შედეგი დამღუპველია და ყოველი მათგანი, თვით ყველაზე ბალღურიც კი თავისთავად სახიფათოა. მუდამ მაშინებს თქვენი ხელის შეხება; არ ვიცი, რატომ, მაგრამ ჩვენი ხელები ყოველთვის ხვდებიან ერთმანეთს. როგორც კი ჩემს ხელს შეეხებით, უმალ კანკალი ამიტანს; ამ თამაშობიდან ელეთ-მელეთი მომდის, უკეთ რომ ვთქვა – გონება მეფანტება; ვეღარაფერსაც ვეღარ ვხედავ, ვერაფერსა ვგრძნობ და, ხელქმნილმა, აღარ ვიცი, რა ვიღონო, რა ვთქვა, საით განვილტვო, ვით დავიოკო თავი ჩემი.

როცა მე და თქვენ წიგნსა ვკითხულობთ, გაჩნდება ხოლმე საბაბი რამ მღელვარებისთვის. როგორც კი წუთით მარტონი დავრჩებით, დედათქვენის ან მამიდაშვილის უმისოდ, უმალ ისე შეიცვლებით, ისე გამედიდურდებით და ყინულივით ცივი ხდებით, ვშიშობ, ვაითუ ვერაფრით მოვიგო მისი გული-მეთქი, ვკარგავ მხნეობასა და კეთილგონიერებას, თრთოლვითა და კანკალით ვლუღლუღებ გაკვეთილის სიტყვებს, თავად თქვენაც, ესოდენ ნიჭიერს, ასე ადვილად რომ ითვისებთ ყველაფერს, ძნელად თუ გესმით მათი მნიშვნელობა. თქვენს ნაძალადევ ქედმაღლობას არავითარი სარფა არ მოაქვს არც თქვენთვის, არც ჩემთვის: სასოს მიკვეთთ, თავად კი ვერ ითვისებთ გაკვეთილს. ვერაფრით მივხვდი, ესოდენ წინდახედულ ქალიშვილს ასე რატომ ეცვლება გუნება-განწყობილება. გავკადნიერდები და გკითხავთ, რას უნდა მივაწეროთ, რომ საზოგადოებაში ესოდენ ცქრიალა და ანცი, უეცრად გამკაცრდებით, როცა მარტონი ვრჩებით ხოლმე? პირიქით, ასე მგონია, ხალხში უფრო თავდაჭერილი უნდა იყოს ადამიანი, ჩემთან მარტო ყოფნისას თქვენ უფრო დარბაისელი ბრძანდებით, ხოლო ყველასთან – მხიარული, მე კი ერთიც მაცბუნებს და მეორეც. გეთაყვანეთ, იყავით უფრო თანაბარზომიერი და, ალბათ, მეც ასე აღარ დავიტანჯები.

კეთილშობილი ადამიანის ჩვეული გულშემატკივრობით შეიბრალეთ უბედოქმნილი, რომელსაც, ვბედავ, ვიფიქრო, ოდნავ მაინც პატივსა სცემთ. მოიქეცით სხვაგვარად და შეუმსუბუქებთ მწარე ხვედრს, დაეხმარებით აიტანოს დუმილის სატანჯველი და გაუძლოს ტრფიალების სახმილს. უკეთუ მისი თავდაჭერილობა და გრძნობათა ცეცხლი გაღელვებთ, კვლავ ინებებთ უფლებების გამოყენებას და მაინც

დაღუპავთ მას, ეს თქვენი ნებაა, ამისთვის როდი დაგემდურებათ: ურჩევნია დაიღუპოს თქვენი ბრძანებით, ვინემ დამცირდეს თქვენს თვალში ვნებისა ქარით საწუთროდაბნელებული. ერთი სიტყვით, როგორადაც უნდა განაგოთ ჩემი ბედი, მაინცდამაინც არ ვუსაყვედურებ ჩემს თავს უსაზმნო იმედთა გამო; ამ წერილის წაკითხვით აღასრულეთ ყოველიფერი, რის თხოვნასაც გავბედავდი, – რაც უნდა მოხდეს, ამ საქმეში უარს ვეღარ მეტყვით.

II წერილი
ჟიულისადმი

როგორ ვცდებოდი, ქალბატონო, როცა ჩემს პირველ წერილსა გწერდით. რა დააშოშმინებს ჩემს სევდა-კაეშანს, პირიქით, ჭირი გამიათასდა, თქვენი გულისწყრომა რომ დავიმსახურე. დიახ, ვგრძნობ, რომ მოხდა ყველაზე საშინელი რამ – ერთობ განგარისხეთ. თქვენი დუმილი, გულგრილობა, გულჩათხრობა ჩემი უბედურების ფრიად მკაფიო ნიშნებია. როცა მხოლოდ სანახევროდ შეასრულეთ ჩემი სათხოვნელი, სწორედ ამით კიდევ უფრო დამსაჯეთ მე.

E poi ch’amor di me vi fece accorta,
Fur i biondi capelli allor velati,
E l’amoroso sguardo in se raccolto.[1]

თქვენ სხვებთან ყოფნის დროსაც აღარ იჩენთ მიამიტურ სითამამეს, – მე კი, უგუნური, მის გამო ვწუწუნებდი; მაგრამ უფრო სასტიკი ხართ ჩემთან მარტო ყოფნისას; თქვენ გაწაფულად გულქვა ბრძანდებით ლმობიერებისა და სიმკაცრის ჟამსაც.

რომ იცოდეთ, როგორ მტანჯავს თქვენი უგულობა, მაშინ გაიგებდით, რა უსაზომოდ გახლავართ დასჯილი. საშინლად მინდოდა წარსული დამებრუნებინა და როგორმე ისე მომხდარიყო, აღარ დაგენახათ ეს საბედისწერო უსტარი. დიახ, იმის შიშით, რომ კვლავ შეურაცხგყოფდით, აღარ მოგწერდით, ის პირველი წერილი რომ არ დამეწერა. არ მინდა ჩემი შეცდომის გაასკეცება, მხოლოდ მისი გამოსწორება მწადია. იქნებ, თქვენს დასამშვიდებლად უნდა ვთქვა, ვცდებოდი-მეთქი და დაგარწმუნოთ, თითქოს აღარ მიყვარხართ? აბა, ეს როგორ? ნუთუ წარმოვთქვამ ასეთ უკეთურ სიტყვებს? ნუთუ იმ გულისთვის, სადაც თქვენ სუფევთ, მართებული იქნება ასეთი სამაგელი სიცრუე? აჰ, დაე ვიყო უბედური, თუკი ასე სწადს ბედს, მაგრამ უგუნურებით არა მსურს ლაჩრულად ვიცრუო, და უკეთუ გულმა ჩემმა ჩაიდინა დანაშაული, ჩემი კალამი მას როდი გადაფიცავს.

წინასწარ ვგრძნობ თქვენი მრისხანების ძალას და ველოდები მის შედეგებს, როგორც იმ ერთადერთ მოწყალებას, რაც ჩემთვის ხელმისაწვდომია, – რადგანაც ის ვნების ქარი, ასე რომ მღრღნის და მოსვენებას არ მაძლევს, სასჯელის ღირსია და არა უგულებელყოფისა. ძალიან გთხოვთ, ნუ დამტოვებთ ჩემი თავის ანაბარა. მაინცდამაინც კეთილინებეთ და გადაწყვიტეთ ჩემი ბედი. მამცნეთ თქვენი ნება-სურვილი. დავემორჩილები თქვენს ყოველგვარ ბრძანებას. სამარადჟამო დუმილს მომისჯით, ხომ? რა ვუყოთ, ვაიძულებ თავს ენა დავიდუმო. გსურთ გადავიხვეწო აქედან? რა გაეწყობა, თავმან თქვენმან, მეტად ვეღარ მიხილავთ. ბრძანებთ, მოკვდესო? აჰ, ეს ხომ არც ისე ძნელი საქმეა! დავემორჩილები ყველა თქვენს ბრძანებას, გარდა ერთისა, – გულიდან ვერ ამოვიღებ თქვენს სიყვარულს; თუმცა, ამასაც მოვიმოქმედებდი, თუკი შევძლებდი.

[1] სულგანაბული განიცდიდით სიყვარულს ჩემსას,

და მიმოშალეთ ოქროსფერი დალალნი თქვენნი,
შემომყურებდით განრიდებით, გულჩათხრობილი (იტალ.).

მზადა ვარ დღეში ასგზის მაინც ჩაგივარდეთ მუხლებში, დავალტო ისინი ჩემი ცრემლებით, ხვეწნა-მუდარით გამოგთხოვოთ სიკვდილის განაჩენი ანდა პატიება. მაგრამ საშინელი ძრწოლა და შიში დღენიადაგ სისხლს მიყინავს ძარღვებში, მუხლები მითრთის და ვეღარ მომიხრია, სიტყვები ენაზე შემაშრნენ, ხოლო სული კარგავს მხნეობას, თქვენი რისხვისაგან შეძრწუნებული.

განა შეიძლება წარმოვიდგინოთ ამაზე უფრო მძიმე სულიერი განწყობილება? ჩემი გული გრძნობს და განიცდის მთელ თავის დანაშაულს, ოღონდ ვერაფერსაც ვერ უხერხებს თავის თავს, და ეს უკეთური აზრებიცა და სინდისის ქენჯნაც შემომეჯარნენ. ჯერ არც კი ვიცი, რა მომელის, როგორი იქნება ჩემი ხვედრი, აუტანელი ეჭვებით ვარ გათანგული, და ხან მოწყალების იმედი მაქვს, ხან თავზარსა მცემს სასჯელის გახსენება.

მაგრამ არა, არაფრის იმედიც აღარა მაქვს, ჩემთვის დაიხშო ნუგეშის კარი. მაშ დააჩქარეთ სასჯელი _ აი, ერთადერთი მოწყალება, რომელსაც ველოდები. მომაგეთ სამართლიანი შურისძიება. თავადვე გეაჯებით ამას, ესოდენ დიდია ჩემი ტანჯვა! დამსაჯეთ! ესაა თქვენი მოვალეობა; ოღონდ, თუ ოდნავ მაინც გაგაჩნიათ სიბრალულის ნატამალი, ნურმც იქნებით ეგრეთი გულქვა და ასეთი მწყრალი, ნუ წარმიკვეთთ სასოებას, როცა დამნაშავე დასასჯელად მიჰყავთ, მას როდი ურისხდებიან.

III წერილი

ჟიულისადმი

აღიჭურვეთ მოთმინებით, ქალბატონო! უკანასკნელად გაბეზრებთ თავს.

როცა ის იყო, აღმეძრა თქვენი ტრფიალი, აზრადაც არ მომსვლია. რაგვარ ტანჯვა-წამებას ვუმზადებდი თავს. ჯერ მარტოოდენ უიმედო სიყვარული მიღებდა ბოლოს, მაგრამ გონებას ძალედვა მისი თანდათან დაძლევა; მერე განვიცადე უფრო ძლიერი ვაი-ვაგლახი თქვენი გულქვაობის გამო; ახლა შემიპყრო უსაშველო სატანჯველმა, რადგან ვიცი, თქვენც იტანჯებით. ჰოი, ჟიული! სიცოცხლეგამწარებული ვხედავ, რომ მოთქმანი ჩემი გულისა არღვევენ თქვენს მყუდროებას. ჯიუტად დუმხართ, მაგრამ გულის ფანცქალით ვატყობ და ვხვდები თქვენს იდუმალ მღელვარებას. მზერა მოგეღრუბლათ, ფიქრებმა დაგრიეს ხელი, თვალები მუდამჟამს ძირსა გაქვთ დახრილი – გონებადაბნეული მხოლოდ ხამუშ-ხამუშ შემავლებთ თვალს; ღაწვთა ღაჟღაჟა ფერი მიგხდიათ და უჩვეულოდ გაგფითრებიათ; შვებამ და ლხენამ ზურგი გაქციათ; საშინელი კაეშანი შემსჭვალავს თქვენს გულს; და მარტოოდენ უცვალებელი თვინიერება დააცხრობს თქვენი სულის მომშთობ აბობოქრებას.

ვიცი და ვხედავ, რაღაც რომ გაშფოთებთ: იქნებ, გრძნობათა ფორიაქი, ანდა ტანჯვათა ჩემთა სიძულვილი თუ სიბრალული. ვშიშობ, ვაითუ მე ვარ-მეთქი თქვენი ჭმუნვის მიზეზი, და ეს შიში უფრო მეტად მაძრწუნებს და თავზარსა მცემს, ვიდრე მახარებდეს იმედი, რასაც საკუთრად მივიჩნევდი, – ვინაიდან ან მე ვცდები, ანდა თქვენს ბედნიერებას უფრო ვაფასებ, ვიდრე ჩემს საკუთარს.

ნამდვილად კი, როცა ჩემს თავზე ვფიქრობ, ვხვდები, რა ცუდად განმისჯია გული-მეთქი, და ვხედავ, თუმცა მეტისმეტად გვიან, ვნებათა წუთიერი აღტყინება რომ მეგონა, ის გრძნობა ჩემი ხვედრი იქნება მთელ სიცოცხლეში. და რაც უფრო მწუხარე და სევდიანი ბრძანდებით, იმდენად სუსტი ვარ ჩემს თავთან ბრძოლაში. არასოდეს, ო, არასოდეს

თვალთა თქვენთა ელვარებას, ღაწვთა თქვენთა ვარდშლილობას, გონების თქვენის სხივმფინარობას, თქვენი წინანდელი მომლხინარობის მთელ სიმშვენიერეს არ მოუხდენია ჩემზე ისეთი ზეგავლენა, რა დღეშიც მაგდებს ახლა თქვენი მჭმუნვარება. დამიჯერეთ ეს, ოი, ღვთაებრივო ჟიული. ნეტამც გაცოდინათ, ვითარი სახმილი შემომეგზნო გულს ამ გამტანჯველ კვირაში, მაშინ თავად შეძრწუნდებოდით კიდეც, ეს რაოდენი ტანჯვა მიმიყენებიაო. ამიერიდან აღარ მიწერია განკურნება და, დაბნედას მიწურვილი, ვგრძნობ, მხოლოდ სამარეში ჩაქრება ჩემი დამწველ-დამდაგველი ცეცხლი.

რაიღა ბედენაა, თუკი ბედნიერება არც კი მიწერია. მაშინ, მაინცდამაინც, დავიმსახურებ კიდეც და მივაღწევ იმას, რომ პატივი სცეთ ადამიანს, რომელიც პასუხის ღირსიც არ გახადეთ. მე ახალგაზრდა გახლავართ და მოვესწრები მოვიპოვო პატივისცემა, რომლის ღირსიც ახლა ჯერჯერობით არა ვარ. მანამდე კი უნდა დაგიბრუნოთ სულის სიმშვიდე, რაც ჩემთვის სამუდამოდ გაქრა, თქვენ კი ჩემი წყალობით დაგეკარგათ. სამართლიანობა მოითხოვს, მარტოდმარტომ ვზიდო დანაშაულის ტვირთი, უკეთუ მხოლოდ მე ვარ დამნაშავე. მაშ მშვიდობით, ოი, სახიერო ჟიული! იცოცხლეთ არხეინად და გულდამშვიდებით, დაე დაგიბრუნდეთ თქვენ წინანდელი შვება და ლხენა; ხვალიდან ვეღარ ვიხილავთ ერთმანეთს. ოღონდ იცოდეთ, ჩემი მგზნებარე და სპეტაკი სიყვარული, ჩემი დამდაგველი ცეცხლი არ ჩაქრება სამიდღეშიოდ, ესოდენ ღირსეული ქმნილების ტრფიალებით აღსავსე გული არასოდეს დაამცირებს თავს სხვა სიყვარულისთვის; დღეის ამას იქით მხოლოდ და მხოლოდ თქვენი და სათნოების ერთგული იქნება იგი და არასოდეს შებღალავს სხვაგვარი ცეცხლით საკურთხეველს, რომელიც ჟიულის თაყვანსაცემად იყო აღმართული.

ბარათი
ჟიულისაგან

ნუ შთააგონებთ თქვენ თავს იმ აზრს, ვითომც ჩემი წასვლა აუცილებელიაო. სათნოებით აღსავსე გული მოიკრებს ძალ-ღონეს თავს მოერიოს ან დადუმდეს, ანდა, იქნებ, გახდეს კიდეც გულქვა და პირქუში. თქვენ კი... თქვენ შეგიძლიათ დარჩეთ.

პასუხი

დიდხანს ვდუმდი; თქვენმა გულქვაობამ ბოლოს და ბოლოს ენა ამომიდგა. იქნებ კაცი მოერიოს თავს სათნოების გულისთვის, მაგრამ ვინც გიყვარს, იმისი სიძულვილი აუტანელია. უნდა წავიდე.

მეორე ბარათი
ჟიულისაგან

არა, ბატონო ჩემო, თუ თვალთმაქცობა არ იყო ის გრძნობები, მე რომ გამიმხილეთ, ანდა სიტყვები, რომლის გამოთქმაც გაბედეთ, მაშინ თქვენებრ ადამიანს უფრო მეტს აკისრებენ ისინი; წასვლა ძალიან ცოტასა ნიშნავს.

პასუხი

თვალთმაქცობა მხოლოდ ის გახლავთ, რომ ვნებათა ცეცხლი თითქოს დაიოკა ჩემმა სასომიხდილმა გულმა. ხვალ კმაყოფილი იქნებით, და, რაც უნდა ბრძანოთ, ასეთი საქციელი უფრო მიადვილდება, ვიდრე წასვლა.

მესამე ბარათი
ჟიულისაგან

უგუნურო! თუკი შენთვის ძვირფასია ჩემი სიცოცხლე, გეშინოდეს შენი სიცოცხლის ხელყოფისა. თვალმოუშორებლად მიყურადებენ, ხვალამდის თქვენთან არც ლაპარაკი ძალმიძს და არც წერილის მოწერა. ელოდეთ კი.

IV წერილი
ჟიულისაგან

აჰა, ბოლოს და ბოლოს მეც მომიწია საბედისწერო საიდუმლოს აღიარებამ, რასაც ასე უგერგილოდ ვფარავდი. განა რამდენჯერ დავიფიცე, ეს საიდუმლო სიცოცხლესთან ერთად დატოვებს ჩემს გულს-მეთქი! მაგრამ შენი სიცოცხლე საფრთხეშია და ეს მაიძულებს გამოვტყდე; გიმჟღავნებ გულის ნადებსა და ვკარგავ პატიოსნებას. ვაი ჩემს თავს! მეტისმეტად მტკიცე და ურყევი ვიყავი, – პატიოსნების დაკარგვა ხომ სიკვდილზე უარესია!

აბა რაღა უნდა ვთქვა? ვითღა დავარღვიო ესოდენ მძიმე დუმილი? ნუთუ ყველაფერი არ მითქვამს შენთვის და შენც ყოველივე ვეღარ იგულისხმე? ოჰ, ძალიან კარგად ხედავდი ყოველივეს და, რა თქმა უნდა, ყველაფერსაც ხვდებოდი! სულ უფრო და უფრო ვიხლართები საძაგელი მაცდუნებლის ბადეში, თავს ვეღარ ვიკავებ და ვხედავ, საშინელ უფსკრულში რომ ვიხაფრები. შე ვერაგო! შენი კი არა, ჩემი ტრფობა განიჭებს ამ გამბედაობას! ხედავ, გული საგულეს რომ აღარა მაქვს და შენც ჩემდა საბედისწეროდ დაჯაბნე იგი; შენს გამო სიძულვილის ღირსი ვარ, მაგრამ ჩემს ჯიბრზე იძულებული გახლავარ შეგიძულო, და ეს ამბავი ჩემთვის ყველაზე საშინელი მწუხარებაა. ოი, შე უკეთურო, შენდამი პატივისცემით ვიყავ განმსჭვალული, შენ კი სახელს მიტეხ და უნამუსობის გზისკენ მიბიძგებ! მაგრამ მერწმუნე, შენს გულს რომ შეძლებოდა უშფოთველად განეცადა გამარჯვების სიხარული, ვერასოდეს მიაღწევდა ამ გამარჯვებას.

შენ უწყი, ჩემს გულს არ მიელტვოდნენ სიამენი სოფლისა, – და ყოველივე ამან ყვედრებით უნდა აღავსოს შენი სინდისი. მუდამ ვეტრფოდი თავმდაბლობასა და პატიოსნებას, ველოლიავებოდი მათ, ლიტონი ადამიანის შრომისმოყვარულ ცხოვრებას ვეწეოდი. მაგრამ რა ბედენაა ყოველი მცდელობა და მონდომება, უკეთუ ზენამ უარყო ისინი? იმ დღიდანვე, როცა, ჩემდა საუბედუროდ, პირველად გიხილე, საშინელმა სამსალამ მომიშხამა გული და შემსჭვალა გონება ჩემი; იმთავითვე მივხვდი ამას; და შენი თვალები, ტრფიალი, შენი სიტყვები, შენი ავაზაკური კალამი ცისმარე დღე უფრო და უფრო სასტიკ ძალას ჰმატებენ იმ სამსალას.

რა არ ვიღონე, რომ დამეცხრო ეს დამღუპველი, თანისთან მგზნებარე ვნება! ძალი და ღონე აღარ შემწევდა საწინააღმდეგოდ, და ვცდილობდი თავდასხმის მოგერიებას, მაგრამ შენმა იერიშებმა ყინულზე გააცურეს ჩემი უსაგნო სიფრთხილე. ასი გზობა მაინც ვლამობდი გავრთხმულიყავ იმათ ფერხთით, ვისაც უნდა ვუმადლოდე ჩემ გაჩენას, ასგზის მაინც ვცდილობდი გადამეშალა მათთვის ჩემი გული, მაგრამ ვერ სცნობენ, თუ რა ვაი-ვარამი მიტრიალებს შიგ; ისინი მიმართავენ ჩვეულებრივ მკურნალობას, ხოლო ეს

სალმობა უკურნებელია; დედაჩემი დაუძლურებულია და უენო, ვიცი, რა უმოწყალოდ სასტიკია მამა, და მე მხოლოდ ერთ რამეს მივაღწევ, დავიღუპები, სახელს გავიტეხ, თავს მოვჭრი ოჯახსაც და შენაც. ჩემი დობილი ამჟამად აქ არ იმყოფება, ძმა კი დავკარგე; და მთელ დუნიაზე არსად მივის ვინმე მოსარჩლე, მდევნელი მტრისაგან რომ დამიფაროს; ამაოდ ვემუდარები მამაზეციერს, მაგრამ ვაი, რომ ბეჩავთა ჩივილი არ ეყურება. ყველაფერს აღაგზნებს ჩემი მომშთობი ვნებათა ცეცხლი; ჩემი თავის ანაბარად ვარ შთენილი, ანდა, უკეთ, შენს ნება-სურვილზეღა ვარ მიგდებული; თითქოს თავად ბუნებასა სურს გახდეს შენი თანამზრახველი; ამაოა ყოველგვარი ხერხი და სახსარი; მიყვარხარ ჩემი თავის ჯიბრზე. გულმა ვერ დაიოკა ცდუნება, როცა ძალ-ღონით იყო სავსე; ნუთუ ახლა მხოლოდ ნახევრად გაიტაცებს სიყვარულის გრძნობა? ნუთუ გული, არაფერს რომ არ მალავდა, ბოლომდე არ გაგიმჟღავნებს თავის უსუსურობას! ვაიმე, არ უნდა გადამედგა პირველი ყველაზე სახიფათო ნაბიჯი... ვით დავიოკო ახლა თავი სხვა ნაბიჯთა გადადგმისაგან? დიახ, პირველი ნაბიჯიდანვე ვიგრძენი, უფსკრულისაკენ რომ მივექანებოდი, და თუ ინებებ ჩემს გაუბედურებას, წინ ვერაფერი გადაგიდგება.

ჩემი ყოფა უსაშველოა, ისღა მშთენია, მასვე მივმართო, ვინც ამ დღეში ჩამაგდო; ჩემ გადასარჩენად ისევ შენ უნდა დამიდგე ქომაგად და შენივ თავისგან დამიცვა. ვიცი, შემეძლო ჯერჯერობით არ გამემხილა ჩემი ბედშაობა. ერთხანს შემეძლო კიდევაც მიმეჩქმალა ჩემი შერცხვენა და თანისთანი დათმობით მომეტყუებინა თავი. სულ ამაო იშკილბაზობაა ეს, რაც მარტოოდენ აამებდა ჩემს თავმოყვარეობას, ოღონდ პატიოსან სახელს კი ვერ გადამირჩენდა. კმარა! კარგად ვხედავ და ძალიან კარგადაც მესმის, საით მივყავარ პირველ შეცდომას, თუმცა დაღუპვის შესაგებებლად კი არ მივისწრაფი, განვილტვი მისგან.

ოღონდ, თუკი უსაძაგლესი ადამიანი არა ხარ, თუკი შენს სულში ჯერ კიდევ ღიმღამობს ნაპერწკალი სათნოებისა, რითაც, როგორც მეგონა, აღსავე იყავი, – განა ძალმიძს ვიფიქრო, რომ სულმდაბლობას გამოიჩენ და ბოროტად გამოიყენებ ჩემი გულიდან უგუნურად აღმოხეთქილ საბედისწერო აღიარებას? არა, კარგად გიცნობ: შენ გაასალკლდევებ ჩემს ძალ-ღონეს, გახდები ჩემი მოსარჩლე, დამიფარავ ჩემივე გულისაგან. შენი სათნო გული ჩემი უმანკოების უკანასკნელი ნავსაყუდელია. გავკადნიერდები და ჩემს პატიოსნებას შენს ნამუსზე შევაგდებ, – ერთის უმისოდ მეორეს ვერ შეინარჩუნებ. ოი, ჩემო კეთილშობილო მეგობარო, დაიფარე ორივენი და შემიბრალე მე, თუნდაც შენივე თავის სიყვარულის გამო.

ოი, უფალო! ნუთუ არ კმარა ყველა ეს დამცირება? ამას გწერ შენ, მოყვარეო ჩემო, მუხლის თავებზე დაჩოქილი, ცრემლებით ვალტობ უსტარს, მოგმართავ მოკრძალებითა და ვედრებით. და მაინც იმას ნუ გაივლებ გულში, ვითომც არ ვიცოდე, რომ ეს ხვეწნა-ვედრება, შესაძლოა, ჩემდამი ყოფილიყო კიდეც აღვლენილი და მეც, ჩემი ნება-სურვილისამებრ, დაგიმორჩილებდი, სიძულვილის ღირსი თვალთმაქცობით რომ დავყოლოდი შენს ნებას. აღიჭურვე ამაო ძალაუფლებით, მე კი დამიტოვე პატიოსნება. მზადა ვარ გავხდე შენი მონა, მაგრამ ვიცოცხლო უმანკომ, არა მსურს ჩემი უნამუსობის ფასად ვიყიდო შენი მორჩილება. უკეთუ ინებებ ყურადიღო ჩემი აჯა, მაშინ როგორი სიყვარულით, როგორი პატივისცემით მოგაგებს სამაგიეროს ის, ვისაც სიცოცხლეს დაუბრუნებ! რაოდენი მომხიბვლელობაა ორი სპეტაკი გულის უნაზეს კავშირში! დაოკებული გულის წადილი შენი ბედნიერების უშრეტი წყარო გახდება, და ეს ნანინანატრი სიამენი ცასაც კი შეშურდება.

მჯერა და ვიმედოვნებ, რომ ის გული, რომელიც, ვგონებ, ღირსია ჩემი გულის განუყოფელი სიყვარულისა, არ გამიმტყუნებს მოლოდინს და იქნება სულგრძელი; და კვლავ იმედი მაქვს, თუკი, პირიქით, იგი შეძლებს სულმდაბლურად ისარგებლოს ჩემი

აფორიაქებითა და იმ აღსარებით, რაც გამომტყუა, მაშინ სიძულვილი და გულისწყრომა დამიბრუნებდა გონებას; ჯერ კიდევ მთლად ისე როდი დავმდაბლებულვარ, ჩემთვის საშიში რომ იყოს შეყვარებული, რომლის გამოც, შეიძლება, სირცხვილი ვიწვნიო. შენ შეინარჩუნებ სათნოებას ანდა განვიკურნები. აი ის, ერთადერთი იმედი, რომელიც შემომრჩა, გარდა უკანასკნელი იმედისა – მოვწყდე საწუთროს.

V წერილი
ჟიულისადმი

ყოვლადძლიერო ღმერთო! შენ მომმადლე სული ტანჯვისათვის. მაშ, მომანიჭე სული ნეტარებისათვისაც. სიყვარული, ეს სიცოცხლე ჩვენი სულისა, მომევლინა მის მოდუნებულ ძალთა შეწევნად. სათნოების ენით უთქმელო სიმშვენიერევ, სატრფოს ხმათა აღუწერელო მომხიბვლელობავ, ნეტარებავ, სიხარულო, აღტაცებავ, – ოი, რაგვარ ხვდებიან ნიშანში თქვენი ისრები! ვინ აღუდგება მათ წინარე! ოი, ვითარ გავუძლო ჩემს გულში მოზღვავებული დამათრობელი სიხარულის ღვართქაფს! ოი, რით გამოვისყიდო ჩემი კდემამოსილი ნანდაურის ძრწოლა და მღელვარება! ჟიული... ო, არა... ჩემი ჟიული დაჩოქილია! ჩემი ჟიული ცრემლებს აფრქვევს!.. ის, ვისაც მოკრძალებითა და რიდით უნდა ეპყრობოდეს მთელი ცა და ქვეყანა, ევედრება თავის მაღმერთებელ ადამიანს, სახელს ნუ გამიტეხო, თავს ნუ შეირცხვენო. ნეტავი შემეძლოს გაგიჯავრდე, გაგიჯავრდები კიდეც, ვინაიდან შენი შიში და სიფრთხილე შეურაცხგვყოფს ჩვენ ორივეს. ჰე, უბიწო ცისიერო სილამაზევ! შენ უკეთ უნდა უწყოდე, რა ძალაუფლების პატრონიცა ხარ! გონებას მირევს სიტურფე შენი, სწორედ იმიტომ, რომ მას შიგან ჰგიებს სიცოცხლის შთამბერავი და გამახალისებელი შენი სპეტაკი სული, და შენს ყოველ ნაკვთს მისი ღვთაებრივი ბეჭედი აზის. შენ გეშინია, ვაითუ მის ნება-სურვილს დავყვეო, მაგრამ აბა რა ნება-სურვილს უნდა უფრთხოდეს იგი, ვისაც შეუძლია მხოლოდ კეთილშობილური და სათუთი გრძნობის შთაგონება? ნუთუ მოიპოვება ამქვეყნად ისეთი არამზადა, ვინც შენს შეურაცხყოფას გაბედავდა?

მაშ, ნება მიბოძე, დიახ, ნება მიბოძე, დავტკბე მოულოდნელი ბედნიერებით – ვუყვარდე, ვუყვარდე იმას... ეჰ, განა რა არის ამასთან შედარებით მთელი მსოფლიოს ძალაუფლება! მზადა ვარ მრავალგზის გადავიკითხო შენი გასაოცარი წერილი, სიყვარული და ყველა გრძნობა თითქოსდა ამოტვიფრულია შიგ ცეცხლოვანი ასოებით და, მიუხედავად სატრფიალო მღელვარებისა, აღტაცებით ვხედავ, თუ როგორ იქცევა სათნოების ცისიერ სახედ ყველაზე მგზნებარე ვნება კეთილშობილი ადამიანის გულში... შენი გულის ამაჩუყებელი წერილის წაკითხვისას მარტოოდენ უკეთური ადამიანი თუ გამოიყენებდა ბოროტად შენს მდგომარეობას და უტიფარი საქციელით ფრიად უპატიურად მოეპყრობოდა თავის თავსაც. არა, ძვირფასო, არა, ჩემო საყვარელო, ენდე შენს მეგობარს – იგი არ მოგატყუებს. დაე სამუდამოდ მიმეხადოს ცნობა და გონი, დაე უფრორე ამიფორიაქდეს სული და გული, დღეის ამას იქით შენ ჩემთვის არათუ ყველაზე სანატრელი არსება ხარ, არამედ, მართლაც, აკრძალული ღვთაება, ოდესმე რომ ანდვეს ძეხორციელს. ჩემი ტრფიალების სახმილი და ჩემი სატრფო მითაჟამში შეინარჩუნებენ შეუბილწავ უმწიკვლოებას. შენი უმანკო სიმშვენიერის შებღალვა უფრო ძლიერ შემაძრწუნებდა, ვინემ უსაზიზღრესი სისხლის აღრევა. შენს მიჯნურთან მარტომყოფს არავითარი ხიფათი არ მოგელის, ვითომც მამაშენი გედგას გვერდით. ეჰ, თუკი შენთან მარტოდმარტომყოფი ბედნიერი მიჯნური თუნდაც წუთით გადავა წრეს, ეს იმას ნიშნავს, რომ ჟიულის მიჯნური სულმდაბალი ყოფილა!.. არა, თუ სათნოების სიყვარულზე ხელს

ავიღებ, მაშინ აღარ მეყვარები; თვითონვე მსურს, როგორც კი უკადრის რასმე ჩავიდენ, სამუდამოდ ამომიგდო გულიდან.

მაშ, დაშოშმინდი, გემუდარები ჩვენი სპეტაკი და ნაზი სიყვარულის გულისთვის; იგია ჩემი თავშეკავებისა და შენდამი პატივისცემის საწინდარი. სწორედ ის უნდა დაგიდგეს თავდებად. მაშ, რად განამრავლებ შიშსა და ძრწოლას უფრო მეტად, ვიდრე მე ჩემს გულისთქმათ? განა რომელი სხვა ბედნიერება უნდა ვინატრო, უკეთუ გული ჩემი ძლივსღა იტევს ყველაფერს, რითაც ახლა მოილხინარებს? ორივენი ახალგაზრდები ვართ, ეს მართალია. ჩვენს სიცოცხლეში პირველად, მხოლოდ ერთხელ განგვეწონა გულს ტრფობის ისარი და მიჯნურობის საქმეში სავსებით ხამები ვართ; ასეა, ოღონდ ჩვენი მწვრთნელი პატიოსნება განა მცდარი გზისაკენ გვიბიძგებს? განა მას სჭირია ის საეჭვო გამოცდილება, რაიც ბიწიერებას მოჰყვება? იქნებ, ვცდებოდე კიდეც, მაგრამ ასე მგონია, ჩემი გულის სიღრმეში ყველაზე ფაქიზი გრძნობები დამკვიდრებულან-მეთქი. სრულიადაც არა ვარ საძაგელი მაცდუნებელი, როგორც შენ მიწოდებ სასოწარკვეთის ჟამს, – ალალმართალი და მგრძნობიარე კაცი გახლავარ, გულწრფელად ვამჟღავნებ ჩემს სიყვარულს და ისეთი გრძნობა არ მიძევს, რაც სირცხვილს მაჭმევდა. ერთი სიტყვით, დანაშაულის სიძულვილით უფრო ძლიერ ვარ განმსჭვალული, ვიდრე ჟიულის ტრფიალებით. არ ვიცი, მართლაც, არ ვიცი, შენგან შთაგონებული სიყვარული როგორ უნდა შეეწყოს სათნოების დავიწყებას, როგორ შეუძლია უღირს ადამიანს იგრძნოს მთელი შენი მომხიბვლელობა. წინათ შემეძლო ყოველგვარი კარგი საქმის ჩადენა სიკეთისათვის, ახლა კი ჩავიდენდი ამას, ოღონდ შენი ღირსი გავხდე. ო, გეაჯები, გწამდეს და გჯეროდეს ის ვნებათა ცეცხლი, გულს რომ შემომიგზენ და ამით გამაკეთილშობილე! იცოდე, გაღმერთებ, და ეს საკმაოა იმისათვის, რათა მუდამჟამს ვეთაყვანებოდე შენგან მონდობილ საუნჯეს. ოჰ, რაგვარ გულს უნდა დავეუფლო! ჭეშმარიტო ბედნიერებავ, – ღირსებავ იმისა, ვისაც შეეტრფი, თავისი უმწიკვლოებით გაამაყებული ტრფობისა შვებად და ლხენავ, – რა უძვირფასესი ხარ ყველა სამიჯნურო სიამეთა ზედან!

VI წერილი
კლარასადმი ჟიულისაგან

ნუთუ ისა გსურს, საყვარეულო მამიდაშვილო, მთელ სიცოცხლეში სულ შენს საბრალო შაიოს დასტიროდე, ნუთუ მიცვალებულთა გამო ფიქრმა ცოცხლები უნდა გადაგავიწყოს? შენი მწუხარება გასაგებია, და მეც ვიზიარებ მას; მაგრამ მუდამჟამს წუხილიც არ იქნება! მართალია, იმ დღიდან, რაც დედაშენი დაკარგე, შაიო გულმოდგინე მზრუნველობით დაგფოფინებდა თავს; იგი უმალ შენი მეგობარი იყო, ვიდრე გუვერნანტი. სათუთად უყვარდი შენ, და მეც ვუყვარდი, რადგან მე გიყვარვარ; დღენიადაგ შთაგვაგონებდა მხოლოდ და მხოლოდ მაღალგონივრულ წესებს; ყოველივე ეს მე ვიცი, სულიკო, ყველაფერ ამას სიამოვნებით ვაღიარებ. ოღონდ შენც გამოტყდი, რომ ჩვენი კეთილი დამრიგებელი არც ისე წინდახედული გახლდათ. იყო თუ არა ეს საჭირო, გადმოალაგებდა საჩოთირო ამბებს, დაუსრულებლად გვართობდა საუბრებით, რაც ეხებოდა ქალ-ვაჟთა გულის მოჯადოებას, თავის სიყმაწვილისდროინდელ სატრფიალო ფათერაკებს, შეყვარებულთა ოინებს – და თუმცა ცდილობდა კიდეც ჩვენს გაფრთხილებას, არ გავბმულიყავით მამაკაცთაგან დაგებული მახეში, და თავად ჩვენც არ გვასწავლიდა ამ ბადეთა დაგებას, მაგრამ სამაგიეროდ იმდენი რამ გვიქადაგა, რის მოსმენაც ქალწულის ყურს არ შეჰფერის. მაშ, გაიქარვე შენი დანაკლისის დარდი – ამ უბედურებას კარგი

მხარეცა აქვს: ჩვენს ასაკში შაიოს გაკვეთილები სახიფათონი ხდებოდნენ, და ეგებ, ზენამ წარგვტაცა იგი სწორედ იმ წუთას, როცა მისი ყოფნა ზიანს მოგვიტანდა. მოიგონე, რას ამბობდი, როცა დავკარგე ჩემი უძვირფასესი ძმა. ნუთუ შაიო შენთვის უფრო ძვირფასია? ნუთუ უფრო მეტი მიზეზი გაქვს მის დასატირად?

დაბრუნდი, ჩემო საყვარელო, მას უკვე აღარ სჭირდები. ვაიმე! ვით დაასკვნი უსარგებლო ცრემლთა დენით დაკარგო დრო და არ იფიქრო, შესაძლოა კიდევ ერთი უბედურება მოხდესო. რატომ არ გეშინია, მარტოდმარტო მიმატოვო ხიფათში მყოფი, როცა იცი ჩემი მდგომარეობა. შენ რომ გვერდში მყავდე, ვინძლო ფათერაკიც ამცილდებოდა. ოი, რამდენი ამბავი მოხდა შენი წასვლის დღიდან! თავზარი დაგეცემა, როცა გაიგებ, რა ხიფათს გადავეყარე ჩემი უგუნურების წყალობით. იმედი მაქვს, ამ ჭირს ახლა მაინც თავი დავაღწიე, მაგრამ მე სხვისი ნება-სურვილის ტყვე ვარ და შენ ჩემი თავი უნდა მაპოვნინო. მაშ, მალე ჩამოდი! არაფერს გთხოვდი, სანამ ბედშავი შაიო შენი მოსავლელი იყო, – მე პირველი დაგარწმუნებდი, არ მიატოვო-მეთქი. მაგრამ იმ დღიდან, რაც იგი აღესრულა, შენი ვალია იზრუნო მის ოჯახზე; ამას კი უფრო იოლად განახორციელებ აქ, ჩემთან ერთად, ვიდრე სოფელში, – აღასრულებ მადლიერებით ნაკარნახევ შენს ვალს, და მეგობრობის ვალდებულებასაც პირს მოსწმენდ.

იმ დღიდან, რაც მამაჩემი წავიდა, ჩვენ წინანდელ ცხოვრებას დავუბრუნდით, და ახლა დედაჩემი უფრო იშვიათად მტოვებს მარტოკას. მაგრამ ეს ხდება უმალ ჩვეულების მიხედვით, ვიდრე უნდობლობით. საზოგადოებრივი ვალდებულებანი მაინც დიდ დროს აკარგვინებენ, მაგრამ არა სურს გაკვეთილები გამოვტოვო, და მეთვალყურედ ზოგჯერ ფრიად დაუდევარ ბაბის მომიჩენს ხოლმე. მერწმუნე, მგონია, ჩემი კეთილი დედიკო მეტისმეტად მენდობა, მაგრამ მაინც ვერ გავბედავ მის გაფრთხილებს; როგორ მინდოდა ისე დამეღწია თავი ხიფათისათვის, რომ არ დამკარგვოდა დედის პატივისცემა; მხოლოდ შენ ერთს ძალგიძს ყოველივეს მოგვარება. ჩამოდი, ჩემო საყვარელო კლარა, მალე ჩამოდი. ვწუხვარ, რომ ტოვებ გაკვეთილებს, რასაც უშენოდ ვსწავლობ, და ვშიშობ, ძალზე ბევრი არ ვისწავლო. ჩვენი მასწავლებელი მარტო ღირსეული ადამიანი კი არაა, არამედ სათნოც, და ეს კიდევ უფრო სახიფათოა. მისი მეტისმეტად კმაყოფილი ვარ და ამიტომ ჩემი თავის უკმაყოფილოც ვხდები. ისიც და ჩვენაც იმ ასაკისანი ვართ, რომ რაც უნდა სათნო იყოს მამაკაცი, თუ სილამაზე არ აკლია, მაშინ სჯობს, მასთან ორი ქალიშვილი იყოს, ვიდრე ერთი.

VII წერილი
პასუხი

ყური მოვაპყარ შენს სიტყვებს და თავზარი მეცემა. თუმცა არა მჯერა, ხიფათი ასე ახლოს იყოს, როგორც შენ წარმომიჩენ. მერწმუნე, შენი შიში ანელებს ჩემს სიფრთხილეს; მაგრამ მომავალი მაინც მაშინებს და თუკი ვერ შეძლებ თავის მორევას, მხოლოდ უბედურება იქნება შენი ხვედრი. ვაგლახ! საბრალო შაიომ რამდენჯერ იწინასწარმეტყველა, შენი გულის პირველივე მგზნებარება მთელი სიცოცხლის მანძილზე განსაზღვრავსო შენს ბედსა! ეჰ, დაიკო, ნუთუ შენი ბედი უკვე გადაწყვეტილია, – შენ ხომ ჯერ კიდევ ასე ნორჩი ხარ! როგორ დაგვაკლდება გამოცდილებით განმბრძმობილი ჩვენი დამრიგებელი ქალი, თუმცა კი ამბობ, ეს დანაკლისი ჩვენდა სასიკეთოდააო. იქნებ იმთავითვე უფრო საიმედო ხელთ აღვეზარდეთ. შაიოს ხელში მეტისმეტად გამოვიწვართეთ ისე, რომ ახლა სხვებს ნებას არ მივცემთ დაგვიმორჩილონ, თუმცა არც იმდენად მცოდნენი ვართ, ჩვენვე რომ განვაგოთ ჩვენი თავი; მარტო მას შეეძლო ჩვენი

დაცვა იმ ხიფათისაგან, თვითონვე რომ ჩაგვაგდო. ბევრი რამ გვასწავლა; და ვგონებ, ჩვენი ხნის კვალობაზე ძალიან ბევრ საქმეს ვფიქრობდით. გულმხურვალე და სათუთმა მეგობრობამ, თითქმის აკვნიდანვე რომ გვაერთებდა, თითქოსდა გაანათლა ჩვენი გულები ბავშვობის წლებიდან იმ მხრით, რაც ადამიანურ ვნებებს შეეხება. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით მათი ნიშან-თვისებები და შედეგები; ოღონდ არ გაგვაჩნია ოსტატობა მათ დასაძლევად. ღმერთმაც ქნას, შენი ახალგაზრდა ფილოსოფოსი ჩვენზე უკეთ იცნობდეს ამ ოსტატობას.

ხომ იცი, როცა ვამბობ ჩვენ-მეთქი, უმთავრესად შენა გგულისხმობ. ჩვენი საყვარელი შაიო დღენიადაგ ჩამჩიჩინებდა, უფრო თავქარიანი ხარ, ვინემ კეთილგონიერიო, ნამდვილი სიყვარულის შესაცნობად სერიოზულობა გაკლიაო, ნამეტნავად უგუნური ხარო გიჟური გატაცებისთვისო. ჟიული, ჩემო კარგო, თავს გაუფრთხილდი: რაც უფრო დიდად აფასებდა შაიო შენს ჭკუას, მით უფრო მეტად აშინებდა შენი გული. მაგრამ სულით ნუ დაეცემი: ვიცი, შენი გული აღასრულებს ყოველივეს, რისი უნარიც შესწევს უმანკოებასა და პატიოსნებას, ხოლო ჩემი ჩაიდენს ყველაფერს, რაც კი ძალუძს ჭეშმარიტ მეგობრობას. თუმცა მე და შენ ძალზე ბევრი რამ ვიცით ჩვენი ასაკის კვალობაზე, მაგრამ ასეთ ცოდნას სრულიადაც არაფერი დაუშავებია ჩვენი ზნეობისათვის. გჯეროდეს, ძვირფასო, ამქვეყნად საკმაოდ ბლომად მოიპოვებიან უფრო მიამიტი ქალიშვილები, მაინცდამაინც არა ჩვენსავით პატიოსანი. მე და შენ პატიოსნები მხოლოდ იმიტომა ვართ, რომ სახელს ვუფრთხილდებით და მერწმუნე, ეს უფრო სწორი გზაა ზნეობრივი სრულყოფისაკენ. მაგრამ შენი უნებლიე აღსარების შემდეგ ერთ წუთსაც ვერ მოვისვენებ, სანამ შენს გვერდით არ გავჩნდები, ვინაიდან, რახან საფრთხე გაშინებს, ეტყობა, არც ისე მოჩვენებითია. ისიც სწორია, რომ მისგან თავის დაღწევა ადვილია: საკმაოა ორიოდე სიტყვა ჩაულაპარაკო დედაშენს და ყველაფერს ბოლო მოეღება; მაგრამ მე ვხვდები შენს გასაჭირს, – არა გსურს ასეთ უკიდურეს ზომებს მიმართო; გინდა თავი დააღწიო შერცხვენის საფრთხეს და არა გამარჯვების სახელ-დიდებას. ჰე, ჩემო საბრალო დაიკო!.. ნეტავ იმედის ერთი ბეწვა სხივი მაინც გაიციალებდეს საიდანმე... ოღონდ ეს როგორღა უნდა მოხდეს, ბარონი დ’ეტანჟი ვით დათანხმდება, თავისი ქალი, თავისი ერთადერთი შვილი გაატანოს უგვარტომო კაცს!.. ნუთუ ამის იმედი გაქვს? მერედა რაზე ამყარებ ამ იმედს?.. რა მიზანი დაგისახავს? საბრალო, საბრალო ჩემო დაიკო! ჩემი მაინც ნუ გეშინია. გულითადი მეგობარი დაიმარხავს შენს საიდუმლოს. ბევრი ასე იფიქრებდა, უფრო რიგიანი იყო ქალიშვილის მხილებაო, და სწორიც იქნებოდნენ. მაგრამ მე, თუმცა დიდი ჭკუის კოლოფი არ გახლავარ, ვერ ვიტან ისეთ წესიერებას, რომელიც ღალატობს მეგობრობას და რწმენას; ასე მგონია, ყოველგვარ ადამიანურ ურთიერთობას, ყოველ ასაკს თავისი წესი და რიგი, თავისი ვალდებულება და თავისი სათნოება აქვს. ის, რაც სხვებისთვის კეთილგონიერებაა, ჩემთვის გამცემლობა იქნება; ვინც ამას არ არჩევს, მათი სიტყვების მოსმენით ვერ გავხდებით გონიერები, არამედ გავუკეთურდებით. თუ შენი ტრფიალება ძლიერი არაა, ჩვენ მას მოვერევით; თუ უკიდურეს წერტილს მიაღწია, მაშინ გადამჭრელი ზომების მიღება ტრაგედიამდე მიგვიყვანს, ხოლო მეგობრობამ მხოლოდ ის საშუალებები უნდა სინჯოს, რომელთა იმედი აქვს. სამაგიეროდ თითის წვერებზე სიარული მოგიხდება, როცა ჩემს მფარველობაში მოექცევი. დაიცა, დაინახავ, რა არის თვრამეტი წლის დუენია!

თავადვე უწყი, შენგან მოშორებით გართობის გულისათვის როდი ვცხოვრობ. მასთან, გაზაფხული სოფლად არც ეგზომ საამურია, როგორც შენა გგონია: კაცს სიცივეც გაწუხებს და სიცხეც; სეირნობისას ვერსად იპოვი ჩეროს, შინ კი ღუმელი უნდა გენთოს. მამაჩემიც კი, თუმცა თავისი მშენებლობითაა გართული, სულ ჩივის, აქ გაზეთები დაგვიანებით მოაქვთ, ისე კი არა, როგორც ქალაქშიაო. ერთი სიტყვით, ჩვენი ოცნებაც

ისღაა, დავბრუნდეთ, და იმედი მაქვს, ოთხი-ხუთი დღის შემდეგ გულში ჩამიკრავ. ოღონდ ის მაწუხებს, ოთხ-ხუთ დღეში ასე მრავალი საათი რომაა და ბევრი მათგანი შენს ფილოსოფოსს ეკუთვნის. იცი რა, ჩემო დაიკო? აბა ერთი იფიქრე, ყოველი საათი ხომ მარჯვე შემთხვევა იქნება მისთვის.

გეთაყვანე, ნუ გრცხვენია და თვალებს ძირს ნუ დახრი. ნურც გამედიდურდები, – ეს არ შეშვენის შენს ნაკვთებს. ხომ იცი, რომ მე ვიცინი მაშინაც კი, როცა ცრემლი მინამავს თვალებს, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, მგრძნობიარე არ ვიყო, არ მადარდებდეს შენი განშორება; იმას არ ნიშნავს, არ ვნაღვლობდე საბრალო შაიოს გარდაცვალებას. უსაზომოდ გმადლობ იმისათვის, რომ გსურს შემეწიო მისი ახლობლებისთვის ზრუნვაში, – ვერ მივატოვებ მათ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე; მაგრამ შენ უღალატებდი საკუთარ თავს, თუკი ხელიდან გაუშვებდი შემთხვევას კეთილი საქმის ჩასადენად. გეთანხმები, ჩვენი სახელოვანი შაიო ენატარტარა ქალი იყო, თამამი საუბარი იცოდა, არც ისე თავშეკავებული გახლდათ ქალიშვილებთან და უყვარდა თავის წარსულზე ლაპარაკი. ამიტომ ვწუხვარ არა იმდენად მისი ჭკუის თვისებათა გამო, თუმცა მათ შორის ცუდთან ერთად ჩინებულიც ბევრია, – დავტირი მის კეთილ გულს, ჩემდამი მის უანგარო სიყვარულს, დედობრივ სინაზესა და დურ მიმნდობლობას. იგი ოჯახის მაგივრობას მიწევდა; დედაჩემი ძლივსღა მახსოვს, მამას ვუყვარვარ, რამდენადაც შეუძლია სიყვარული; ჩვენ დავკარგეთ შენი საყვარელი ძმა, ჩემს ძმებს თითქმის ვერასოდეს ვხედავ. თითქოს ყველასაგან მიტოვებული ობოლი ვარ. ჰე, მოყვარეო ჩემო, ახლა შენ ერთადერთი მყავხარ მთელ ადამეთში, რადგან შენი კეთილი დედა და თავად შენ ერთ მთლიან სხეულს წარმოადგენთ. მაგრამ შენ მართალი ხარ – მეც ხომ ერთადერთი დამრჩი, მე კი ვტიროდი! ვგონებ, ჭკუიდან შევიშალე, აბა რად უნდა ვიტირო!

P. S. ვშიშობ, ვაითუ ხიფათს რასმე გადავეყაროთ, და წერილს ჩვენი მასწავლებლის მისამართით ვაგზავნი – ასე უცილოდ მოგივა.

VIII წერილი[2]
ჟიულისადმი

რა ჭირვეული რამ არის სიყვარული, ოი, მშვენიერო ჟიული! ჩემს გულს უფროისად მეტი მიებოძა, ვიდრე ელოდა, ის კი მაინც უკმაყოფილოა! თქვენ გიყვარვართ, ამას თქვენ მეუბნებით, მე კი ვჭმუნვარებ! უმადური გული ბედავს ინატროს უფრო მეტი, როცა სანატრელი უკვე აღარაფერია; მისი უხიაკობით ლხინი გამიმწარდა და ბედნიერება ვეღარ ვიამე. ის არ იფიქროთ, თითქოს დავივიწყე ჩემთვის დადგენილი კანონები, ანდა არ მსურდეს მათი დაცვა; არა, მაგრამ იდუმალი ბოღმა მახრჩობს და მაღელვებს, როცა ვხედავ, რომ ეს კანონები მძიმეა მხოლოდ ჩემთვის, თქვენ კი, – ის, ვინც მარწმუნებდით თავის სისუსტეში, ამჟამად ეგზომ ძლიერი ხართ; მე ხომ თითქმის ძალიან ცოტა ბრძოლა მიხდება ჩემს თავთან, ვინაიდან წინასწარ აღმიკვეთთ ხოლმე ამის საბაბს.

როგორ შეიცვალეთ ამ ორ თვეში, თუმცაღა თქვენს გარდა არაფერიც არ შეცვლილა! გაქრა მიბნედილობა, ცუდი გონების ან დაღვრემილობის ხსენებაც აღარსადა ჩანს: წინანდელი სიმშვენიერითაა შემკული მთელი თქვენი არსება; კვლავ აღდგინდა ყველა თქვენი მომხიბვლელობა – გაშლილ ვარდზე უფრორე ნორჩი ბრძანდებით; კვალად ბრწყინავთ გონებამახვილობით; ყველას ეხუმრებით, ჩემთანაც ძველებურად ცელქობთ და

[2] აქ იგრძნობა ხარვეზი, და ამგვარი რამ ხშირად შეგვხვდება მთელი მიწერ-მოწერის მანძილზე. მრავალი წერილი დაკარგულია, ზოგიც მოსპობილი; ზოგიერთ მათგანში არის წაშლილი ადგილები, მაგრამ ადვილად შეიძლება ყველაზე მთავარის შევსება იმის მეშვეობით, რაც გადარჩენილა.

გიჟმაჟობთ; და უფრო საწყენია, ისე მხიარულად რომ მეფიცებით სამარადჟამო სიყვარულს, თითქოს ამქვეყნად ყველაზე სასეირო ამბავზე ლაპარაკობდეთ.

მითხარით, ჩემო ცეტო, აბა ერთი მითხარით, განა ეს ადასტურებს ყოვლისდამმონებელი ტრფიალების სახმილს, ილაჯს რომ იწყვეტს თავის თავთან ბრძოლაში, ანდა თქვენს მხიარულ გუნება-განწყობილებას განა არ შეაურვებს ის ამბავი, რომ საჭირო და აუცილებელია თუნდაც ოდნავი ჟინიანობის ალაგმვა? ჰე, წინათ უფრორე ტურფა იყავით, თუმცა არც ასე საოცრად მოსხივცისკარე. მენანება წინანდელი მომჯადოები მიბნედილობა, ბედნიერების ეს ფასდაუდებელი საწინდარი იმ კაცისათვის, ვინც შეყვარებულია, და მძაგს ჯანსაღი სიწითლე, თქვენს ლოყებს რომ დასთამაშებს ჩემი სიმშვიდის საზარალოდ. განაღამც მიჯობდა მენახეთ მძიმე სალმობით განაწამები, ვინემ განმეცადა თქვენი კმაყოფილი სახე, ელვარე თვალები, ღაჟღაჟა ფეროვნება და მეგრძნო საშინელი გულისტკივილი. მაშასადამე, თქვენ უკვე აღარ გახსოვთ, როგორი იყავით, მოწყალებას რომ მეაჯებოდით! ოი, ჟიული, ჟიული! რა ხელად დაცხრა თქვენი გიჟმაჟი ტრფიალების ცეცხლი!

მაგრამ კიდევ უფრო მეტად მწყინს ის, რომ ჩემს ნება-სურვილს აყოლილი, თითქოსდა იშიშვით, მერიდებით და გაურბიხართ საფრთხეს, ვითომცდა კვალად გემუქრებოდეს რამე. განაღა ასეთი პატივით ეპყრობით ჩემს სიდარბაისლეს? ნუთუ ასეთი შეურაცხყოფის ღირსი ვარ ჩემი მოკრძალების სანუქფოდ? მამათქვენის გამგზავრების შემდეგ არამც თუ ვსარგებლობთ დიდი თავისუფლებით, პირიქით, ახლა თითქმის ერთმანეთსაც ვეღარ ვხვდებით პირისპირ. თქვენ და თქვენი მამიდაშვილი განუყრელნი ხართ, გვერდიდან სულ აღარ გშორდებათ. ასე, მართლაც, დავუბრუნდებით წინანდელ ცხოვრებას და ძველებურად მოვერიდებით ყველაფერს, მხოლოდღა იმ განსხვავებით, რომ წინათ ეს ამბავი გაღონებდათ, ახლა კი გასულდგმარებთ.

აბა რა ჯილდო უნდა მივიღო ჩემი უმწიკვლო მოკრძალებისთვის, უკეთუ ჩემდამი პატივისცემა არ გაგაჩნიათ? სამარადჟამოდ და ნებაყოფლობით, აბა, რისი გულისთვის უნდა დავთმო სიამენი ამა სოფლისა, უკეთუ იგი, ვინც ამას მთხოვს, ეგზომ უმადურია? ჰე, მოვიქანცე ამაო ტანჯვათაგან იმის გამო, რომ უსაშველო ვაი-ვაგლახს მივეც თავი და ამისთვის ჯილდოს არ მოვითხოვდი. ეს როგორ ხდება? თქვენ ასე თამამად ისხივცისკარებთ და მე შემიძულებთ? ნუთუ ჩემმა შავბედმა ისღა მომისაჯა, მხოლოდ შემოვყურებდე თქვენს სიტურფეს და ბაგენი ჩემნი მას ვერ შევახო? ნუთუ, ბოლოს და ბოლოს, უნდა გადავიწყვიტო ყოველგვარი იმედი და არც კი გავხდე პატივისცემის ღირსი ასეთი საშინელი მსხვერპლის გაღების შემდეგ? არა, რახან ჩემი სიტყვა არაფრად გიღირთ, აღარც მსურს მისი აღსრულება; უსამართლობა იქნებოდა, თქვენი უშფოთველი ცხოვრების საწინდარი გამხდარიყო ჩემი პატიოსანი სიტყვაც და თქვენი სიფრთხილეც. ალბათ, ან თქვენ ხართ მეტისმეტად უმადური, ანდა მე გახლავართ ძალზე წესიერი კაცი. ამიერიდან აღარ მსურს ხელი ავიღო ბედისგან მონიჭებულ წყალობაზე, ხოლო თქვენ ძალა არ შეგწევთ წინ აღუდგეთ ბედის განაჩენს. და, დაბოლოს, მოხდეს მოსახდენი, ვგრძნობ, მძიმე უღელი რომ ვიტვირთე. მაშ ასე, ჟიული, თავადვე გაუფრთხილდით თქვენს თავს, მე არ ვაგებ პასუხს საუნჯის გამო, ძალზე დიდი საცდუნებელი რომ გახდა მისი ერთგული ქომაგისათვის, ხოლო თქვენს გულს არცთუ ისე გაუძნელდება მისი დაცვა, როგორც გაიძახოდით ვითომცდა შიშით შეპყრობილი.

ასეა, მე როდი ვხუმრობ: ამიერიდან თქვენი თავის იმედი გქონდეთ, ანდა გამაძევეთ მე, სხვანაირად რომ ვთქვათ, მომისპეთ სიცოცხლე. ძალიან სულელური ვალდებულება კი ვიკისრე. და დასტურ გაოცებული ვარ, როგორ ვასრულებდი ამდენ ხანს. ვიცი, ვალდებული ვარ, შემდეგაც ასე მოვიქცე, მაგრამ მერწმუნეთ, ეს ჩემს ძალ-ღონეს აღემატება. ვინც ასეთი საშინელი უღელი იტვირთა, განწირულია დასაღუპავად.

მერწმუნეთ, ძვირფასო და საყვარელო ჟიული, ენდეთ ჩემს მგრძნობიარე გულს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ თქვენთვისა ძგერს; იგი მარადჟამს იქნება თქვენი მაღმერთებელი. ოღონდ მეშინია თავგზა არ ამებნეს და ვნებათაგან ბოროტღელვილმა არ ჩავიდინო ავკაცობა, რომელიც თავადვე შემაძრწუნებდა და გულქვას გამხდიდა. ბედნიერი ვარ იმით, რომ არ გამიცრუებია თქვენი მოლოდინი, და ორ თვეს ვებრძოდი საკუთარ თავს, ხოლო თქვენგან მერგება მთელი ორი საუკუნის ტანჯვა-წამების გასამრჯელო ჯილდო.

IX წერილი
ჟიულისაგან

კარგად მესმის: თქვენ გნებავთ განიცადოთ ბიწიერი სიამტკბილობა, ხოლო თავი პატიოსან კაცად მოგვაჩვენოთ. აი, მაშინ კი იქნებოდით კმაყოფილი! განა ესაა თქვენი ზნეკეთილობა? ძალიან მალე მოგბეზრდათ დიდსულოვნება, ჩემო მეგობარო! ეს ხომ თვალთმაქცობა იყო და სხვა არაფერი! თქვენ გაწუხებთ ჩემი კარგადმყოფობა – ეს ხომ სიყვარულის უცნაური გამოვლენაა! ანდა იმედი გქონდათ, სულელური ვნებათა ღელვა ბოლოს და ბოლოს დამაუძლურებდა, ელოდით კიდეც, რომ ვედრებას დაგიწყებდით, სიცოცხლეს ნუ მომისპობთ-მეთქი. იქნებ, ყოველივე აწონ-დაწონეთ და იგულისმოდგინეთ პატივი მომაგოთ ჟამიდან ჟამამდის, ვიდრე ნამუსიანი ვიქნები, ხოლო უპატიურად მომეპყრათ, როგორც კი უფრო ხათრიანი გავხდები. ასეთი მსხვერპლის გაღება დიდ დამსახურებად როდი მიმაჩნია.

უმართებულოდ მისაყვედურებთ, ჩემს თავთან სასტიკი ბრძოლის დროს ჩემს შეწევნას რატომ ცდილობთო, პირიქით, უნდა მიმადლოდეთ კიდეც. ამასთანავე ოდეს ხელს იღებთ ნაკისრ ვალდებულებებზე, ასე აცხადებთ, ჩემს ძალ-ღონეს აღემატებიანო. ამრიგად, ერთსა და იმავე წერილში თქვენ უჩივით იმას, ჩემი ტვირთი ძალზე მძიმეაო, და იმასაც, ამ ტვირთს მიმსუბუქებენო. კარგად დაუფიქრდით ყოველივე ამას და ეცადეთ დასძლიოთ თავისთავთან წინააღმდეგობა და თქვენს მოჭორილ ვაი-ვარამს თუნდაც უფრო ნაკლებ სულელური ელფერი მიანიჭეთ. ხოლო ყველაფერს სჯობია, თავი დაანებოთ ასეთ თვალთმაქცობას, ეგ როდი შეჰფერის თქვენს ნიშატსა და ხასიათს. რაც უნდა ილაპარაკოთ, თქვენი გული მაინც ჩემი გულის კმაყოფილია, თუმც არც კი ამჟღავნებს ამას. უმადურო, თქვენ კარგად უწყით, რომ ჩემი გული არასოდეს იქნება შემცოდე თქვენს წინაშე! თვით თქვენი სალაღობო წერილიც გამტყუნებთ თქვენ, როდი იქნებოდით ესოდენ გონებამახვილი, ამდენს რომ ღელავდეთ საკუთარ თავზე; მაგრამ, ვგონებ, სჯობს გაკმაროთ ამაო საყვედურები. ახლა იმისაცა ვთქვათ, რასაც მე მიკიჟინებთ, რაკი კაცს შეიძლება მართალიც კი ეგონოს ერთის შეხედვით.

უშფოთველი და მშვიდი ცხოვრება, აგერ ორი თვეა, რომ ვეწევით, არ ეთანხმება ჩემს აღსარებას და გულახდილად რომ ვთქვა, ამაოდ როდი განცვიფრებთ ეს წინაუკმობა. თავდაპირველად დაინახეთ, თუ როგორ ვიყავ სასოწარკვეთილი; ახლა გგონიათ, ძალზე დაშოშმინებულიაო. ამიტომაც ბრალსა მდებთ, შენი გრძნობები ფუქსავატურიაო, შენი გული ცვალებადიაო. ოი, ჩემო მოყვარეო, მეტისმეტად მკაცრად ხომ არ თათბირობთ? ერთი და ორი დღე კი არა საჭირო ამის გასაგებად. დაიცადეთ – ეგების, იგრძნოთ, ეს თქვენი მოყვარული გული თქვენი გულის ღირსი რომ არის.

რომ იცოდეთ, როგორ შემაძრწუნა თქვენდამი გრძნობათა ჩემთა პირველმა გამომჟღავნებამ. მაშინ შეძლებდით განგესაჯათ, რა საშინელი ვაი-ვაგლახი დამატყდა თავს. მე ისეთი სასტიკი წეს-ჩვეულებებით აღმზარდეს, რომ უმწიკვლო სიყვარულიც კი

უდიდეს უნამუსობად მიმაჩნდა. ყველა ასე მასწავლიდა და ჩამჩიჩინებდა, მგრძნობიარე ქალიშვილი უმალვე დაიღუპება, თუ ბაგეთაგან მიჯნურობაზე სიტყვა დაცდებაო. ჩემს აფორიაქებულ გულში ცოდვის ჩადენა და სიყვარულის გამჟღავნება ერთმანეთს ერწყმოდნენ ხოლმე. ეს პირველი ნაბიჯი ისეთ თავზარსა მცემდა, რომ, ჩემი ფიქრით, ხელად წირვას გამომიყვანდა. აღარაფერი მწამდა და მჯეროდა საკუთარი თავისა, რის გამოც ჭირი და დარდი გამიათასდა, კრძალულობის ხმამ მასმინა უმწიკვლობის შეგონება. როგორ მტანჯავდა და მაწვალებდა სურვილი ყველაფრის გამოთქმისა, მე კი ეს ტანჯვა-წვალება ვნებათაგან აღტყინებული ტრფობის გზნება მეგონა. ასე ვფიქრობდი, როგორც კი წარმოვთქვამ აღსარების სიტყვებს, უმალ დავიღუპები-მეთქი, ხოლო ეს აღსარება საჭირო და აუცილებელი გახლდათ, თორემ ისე სამუდამოდ გაგწირავდით თქვენ. ახლა აღარ ძალმიძს ჩემი გრძნობების დაოკება, ვევედრები თქვენს დარბაისლურ გრძნობებს, უფრო მეტად თქვენი იმედი მაქვს, ვიდრე ჩემი თავისა და გადავწყვიტე მხსნელად და მშველელად მოვუხმო თქვენს პატიოსნებას და აღვიჭურვო ძალ-ღონით, რაც, ვგონებ, ძალზე მაკლია.

დავრწმუნდი, რომ ეს თავის მოტყუება იყო. აღსარების შემდეგ შვება ვიგრძენი, ხოლო, როგორც კი მიპასუხეთ, სავსებით დავშოშმინდი. ორი თვის განსაცდელმა დამანახა, რომ თუ ჩემს ნაზ გულს სჭირია სიყვარული, ჩემს გრძნობებს არაფრით არ ესაჭიროება საყვარელი. თავადვე განსაჯეთ – თქვენ ხომ ასე პატივსა სცემთ სათნოებას! – როგორ გამახარა ამ სასიამოვნო აღმოჩენამ. თავი დავაღწიე შერცხვენის უფსკრულს, სადაც გადამხაფრა შიშმა და ძრწოლამ, და ახლა განვცხრები და ვიშვებ უმწიკვლო ტრფიალების წარმტაცი სიამტკბილობით. ასეთი ყოფა ჩემი სიცოცხლის სიხარულია: ამ ამბავმა თავი იჩინა და დაეტყო ჩემს გუნება-განწყობილებასაც და ჩემს ჯანმრთელობასაც. შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ამაზე უფრო საამური რამ, სიყვარულისა და უმანკოებას შორის სრული თანხმოვანება ამქვეყნიური სამოთხის ნეტარებად მიმაჩნია.

მას შემდეგ თქვენი აღარ მეშინია, ოღონდ ვცდილობ, მარტოდმარტო არ დავრჩე თქვენთან, – არა მარტო თქვენი, არამედ ჩემი გულისთვისაც, ვინაიდან ჩვენი მზერა, ოხვრა და გმინვა მოწმობენ, რომ ჩვენს გულში გიზგიზებს ვნებათა ცეცხლი და კეთილგონიერებისათვის ადგილი აღარა რჩება. და თუკი თქვენ დავიწყებას მიეცით ნებაყოფლობითი აღთქმა, მე იგი არასოდეს დამავიწყდება.

ეჰ, ჩემო მეგობარო, ნეტავი რად არ ძალმიძს თქვენს სულს შთავბერო ნეტარება და სიმშვიდე, ჩემს სულში რომ დაუდევთ ბინა! ნეტავი რად არ შემიძლია გასწავლოთ არხეინად ისიამტკბილოთ ამ სულის მოსალხინარი მდგომარეობით! გულთა კავშირის მთელ სიმშვენიერეს ჩვენთვის მაშინა აქვს ფასი, როცა ურთიერთთან შეხმატკბილებულია უმანკოება და მომხიბლაობა. ვერავითარ რამ – ვერც შიში, ვერც სირცხვილი – ვერ შებღალავს ჩვენს ნეტარებას; მიჯნურობის ალალ სიამეთა განცდით ძალგვიძს მოწიწებით ვახსენებდეთ სათნოებას:

E v'è il piacer con l'onestade accanto.[3]

მაგრამ რაღაც სამწუხარო წინათგრძნობა შემსჭვალავს ჩემს გულს და ჩამჩიჩინებს, ზენამ მოგმადლათ მხოლოდ ამ რამდენიმე დღეს იგემოთ ბედნიერებაო. მომავლისათვის ვჭვრეტ მარტოოდენ ვაი-ვაგლახს, განშორებას, მღელვარებასა და დაბრკოლებებს. ჩვენს ახლანდელ ვითარებაში ყოველგვარი ცვლილება, როგორიც უნდა იყოს იგი, ვგონებ, სასიკეთოს არას მოგვიტანს. და თუ უფრო უნაზესი კავშირი სამიდღეშიოდ შეგვაერთებდა ჩვენ, ვშიშობ, ასეთი უსაზომო ბედნიერება თვით ბედნიერებასაც მყისვე გააცამტვერებდა!

[3] და აქ სიამე ეხამება პატიოსნებას (იტალ.).

ნების აღსრულების წამი გადამწყვეტი წამია, და ჩვენი სიყვარულისთვის ყოველნაირი ცვალებადობა ერთობ სახიფათოა: ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ დავკარგოთ ეს სიყვარული.

თავმან შენმან, ჩემო საყვარელო, და ერთადერთო მეგობარო, დაიოკე შენი ამაო გიჟმაჟი გულისთქმანი – მათ ხომ მარადის მოჰყვება სინანული და მწუხარება. მაშ, არხეინადა დავტკბეთ ჩვენი ამჟამინდელი მდგომარეობით. შენ გსიამოვნებს ჩემთან მეცადინეობა და მშვენივრადაც იცი, როგორ მახარებს შენი გაკვეთილები. დაე, უფრო გავახშიროთ ისინი, დავშორიშორდეთ მხოლოდ და მხოლოდ წესიერების გამო. ის წუთები, ოდეს ჩვენი შეხვედრა შეუძლებელია, ჩვენს მიწერ-მოწერას მოვანდომოთ. ნუ დავკარგავთ ძვირფას დროს – ეგების, ოდესმე ვინანოთ კიდეც, ასე რომ გაგვეპარა თვალსა და ხელს შუა. ეჰ, დაე ყველაფერი ასევე დარჩეს ჩვენი დღეების აღსასრულამდე! გონება ხდება უფრორე ნატიფი, მსჯელობანი – უფრო მკაფიო, სული გვისალკლდევდება, გული მოილხინარებს! მაშ, რაღა გვაკლია ბედნიერების მოსაპოვებლად?

X წერილი
ჟიულისადმი

მართალი ბრძანდებით, ჟიული, სრულიადაც ვერ გიცნობთ თქვენ! მეგონა, ჩავწვდი-მეთქი თქვენი სულის ყოველ საგანძურს, მაგრამ ახლა თანდისთან სულ უფრო და უფრო ახალ-ახალ საუნჯეს ვაგნებ. განა თუ მოიპოვება სადმე ამ წუთისოფელში ქალი, მსგავსად თქვენდა ერთიერთმანეთთან ასე რომ შეეხამებინა სინაზე და სათნოება, და მათივე ურთიერთდაჟინებით მიენიჭებინა მათთვის ესოდენი მომხიბლაობა? ამ კეთილგონიერებას, მე რომ შემაურვებს, მოეპოვება რაღაც იგავმიუწვდომელი, რაღაც წარმტაცი, და თქვენ ესოდენ საამურად ანელებთ ხოლმე იმ შეჭირვებათ, რომლებიც ისეთნაირად მომისართეთ, რომ თითქმის ძვირფასნი ხდებიან ჩემთვის.

დღითი დღე უფრო მეტად ვგრძნობ, რომ თქვენი სიყვარული უდიდესი სიკეთეა; არავითარი მისი მსგავსი არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს; და უკეთუ მომიხდებოდა არჩევანი თქვენს გულსა და თქვენი დაპატრონების უფლებას შორის, მშვენიერო ჟიული, ერთი წუთითაც კი, დიახ, ერთი წუთითაც კი არ დავიხევდი უკან. მაგრამ აბა რითაა გამოწვეული ამ სავალალო არჩევანის საჭიროება? აბა რად უნდა მივიჩნიოთ შეუთავსებლად ის, რაც თვით ბუნებამ შეაჯგუფთა? დრო ძვირად გვიღირსო, მაშ, გავიხაროთ იმით, რაც ხელთა გვაქვსო, ბრძანებთ თქვენ, რა საჭიროა სულსწრაფად დავარღვიოთო მისი წყნარი და მშვიდი მდინარება. რა გაეწყობა, დაე უდარდელად ვიდოდნენ დღენი! ოღონდ, როცა ჩვენი საამური ხვედრითა ვხარობთ, განა მაშინ უნდა დავივიწყოთ უკეთესი ეტლთა ბრუნვა და სიმშვიდე ვამჯობინოთ უაღრეს განცხრომასა და ნეტარებას? განაღა არ ვკარგავთ დრო-ჟამს, როცა აღარ ძალგვიძს უფრო უკეთ მოვინაგროთ იგი? ეჰ, თუ გინებს ათასი წელი მეოთხედ საათს განვლიო, მაშინ რაიღა ბედენაა უხალისოდ ითვალო დარჩენილი დღეები?

უეჭველია, თქვენ მართალი ბრძანდებით, როცა ამბობთ, ახლა ბედნიერები ვართო. ვაღიარებ, ჩვენ ბედნიერნი უნდა ვიყოთ, ოღონდ მე არ განვიცდი ბედნიერებას! თქვენი პირით კეთილგონიერება ღაღადებს, მაგრამ ამაოდ! ხმა ბუნებისა უფრო ძლიერია. აბა რარიგ წინააღვუდგეთ მას, როცა იგი და გულის ხმა თანამჟღერია? არაფერს, დიახ, არაფერს არ ძალუძს დაეუფლოს ჩემს სულსა და გრძნობებს თქვენ გარდა ამ სამზეოში. არა და არა, უთქვენოდ ჩემთვის ბუნებაც არაფერია, მაგრამ მისი ძალაუფლება თქვენს მზერაშია, და აქ იგი უძლეველია.

თქვენ სულ სხვა თვალით შეჰყურებთ საწუთროს, ღვთაებრივო ჟიული! თქვენ იმონებთ სხვათა გრძნობებს, მაგრამ არ გჭირდებათ ებრძოლოთ თქვენსას. ცხადია, ადამიანურ ვნებათათვის ხელმიუწვდომელია ესდენ დიადი სული; თქვენ ანგელოზივით მშვენიერი ბრძანდებით და ანგელოზისებრ უმანკო. ჰოი, უმანკოებავ, რომელსაც დრტვინვა-ჩივილით ვეთაყვანები! ჟიული, აბა რატომ არ შემიძლია აგიძულოთ ძირს დაეშვათ თქვენი სიმაღლიდან და თავად კი არ ძალმიძს ავმაღლდე თქვენამდე! მაგრამ არა, ჩემი სამარადჟამო ხვედრია მიწაზე ცოცვა, თქვენი კი – ზეცის თაღებში კაშკაში. ჰოი, იყავით ბედნიერი ჩემი სიმშვიდის სანაცვლოდ; ისიამტკბილეთ თქვენი სათნოებით, და დაიღუპოს საძულველი ძეხორციელი, თუკი მის ხელყოფას გაბედავს. იყავით ბედნიერი; ვეცდები არ ვიფიქრო იმაზე, თუ რა საბრალო ვარ, და თქვენი ბედნიერება შემიმსუბუქებს ტანჯვა-წამებას. დიახ, ჩემო სასურველო სატრფოვ, ასე მგონია, ჩემი სიყვარული ისევე სრულქმნილია, როგორც მისგანვე პატივცემული არსება; გამიცუდდა თქვენი უებრო სიტურფის აღმაფრენით აღგზნებული ყველა ჩემი გულისთქმა, მათი ხვედრია ემონონ სინატიფეს თქვენი სულისას; იგი ხომ ესოდენ არხეინად გრძნობს თავს და ვერ გავბედავ სიმშვიდე და მყუდროება დავურღვიო. ყოველთვის, როცა ცდუნებას აყოლილი მზადა ვარ მალულად მოგტაცოთ წუთიერი ალერსი, მარტო იმის შიში როდი მაოკებს, ვაითუ შეურაცხვყო-მეთქი, ჩემს გულს უფრორე აძრწუნებს ის ამბავი, ესოდენ უმწიკვლო ნეტარება რომ დაგირღვიოს. მხოლოდ იმასა ვფიქრობ, რა გიჯდებათ ის სიხარული, რაც ასე მწყურია; და რადგან ვერ ვახერხებ მე და თქვენი ბედნიერების შეთავსებას ერთმანეთთან, ამიტომ ხელს ვიღებ ჩემს ბედნიერებაზე, აბა თქვენვე განსაჯეთ, რარიგად გეტრფით!

რამდენი უცნაური წინააღმდეგობაა იმ გრძნობებში, მე რომ შთამაგონებთ! მორჩილი ვარ და თავხედი, შმაგი და თავდაჭერილი, როგორც კი დაგინახავთ, მყისვე სულიერი ღელვა შემიპყრობს. თვალთა ისარი თქვენი და კილო ხმისა სიყვარულით ალაღებენ ჩემს გულს, და ესოდენ წარმტაცია უმანკოების ეშხი, რომ აფსუსი იქნება ბოლო მოვუღოთ ამ ღვთაებრივ მომხიბვლელობას. როცა ჩემს სიახლოვეს არა ხართ, მასულდგმულებს თავხედური იმედი; ვერ ვბედავ განგიცხადოთ ჩემი გულის წადილი, მას მივაპყრობ თქვენს ხატებას, რომელიც სამაგიეროს ზღავს თავშეკავებისათვის, თქვენს ახლოს იძულებით რომ უნდა წარმოვაჩინო.

ამასობაში დამიმონა კაეშანმა, ვიწვი და ვიდაგები. ჩემს ძარღვებში მდინარებს უშრეტი ცეცხლი, მას ვერავითარი ძალა ვერ დაავსებს და ვერც გააყუჩებს; ვლამობ მის დაოკებას; მაგრამ ამით უფრორე მძვინვარდება. ბედნიერად უნდა ჩავთვალო თავი, ბედნიერი გახლავართ, ეს უდავოა. არ ვუჩივი ჩემს ხვედრს, და რაც უნდა წამეკიდოს, არ გავცვლი ყოველი ქვეყნის მეფეთა დიდებაზე. და მაინც ნამდვილად შემიპყრო სალმობამ, და ამაოდ ვუმკლავდები მას. არ მსურს მზეს მოვწყდე – და მაინც ვკვდები. მინდა ვიცოცხლო თქვენი გულისთვის, თქვენ კი სიკვდილს მიახლოებთ.

XI წერილი
ჟიულისაგან

მოყვარეო ჩემო, დღითი დღე სულ უფრო და უფრო ძლიერ მედება თქვენი ტრფიალების ალი. უკვე აღარ ძალმიძს თქვენი მიტოვება; ხანმოკლე განშორებაც კი აუტანელია ჩემთვის, მინდა გიმზერდეთ ანდა წერილსა გწერდეთ, მინდა სულ თქვენთან ვიყო.

ამრიგად, ჩემი სიყვარული მზრდელობს თქვენს ტრფობასთან ერთად; რამეთუ ახლა კი ვიცი, როგორ გიყვარვართ, თქვენ ხომ გულწრფელად იშიშვით, ვაითუ მისი გული ვერ მოვიგოო, წინათ კი მხოლოდ და მხოლოდ თვალთმაქცობდით თქვენივ მიზნის მისაღწევად. მშვენივრად ვხედავ, თუ რა ძალა მოიპოვა თქვენმა გულმა ვნებათაგან აღტყინებულ წარმოსახვაზე; ჩემი ფიქრით, თქვენს ამჟამინდელ თავშეკავებაში ასკეცად მეტი ვნებაა, ვიდრე თავდაპირველ მგზნებარებაში. მე იმასაც ვხედავ, რომ თუმცა თქვენი ყოფა სავალალოა, მაინც უსიხარულო როდია. ჭეშმარიტი მიჯნურისათვის მსხვერპლის გაღებაც კი სიამის მომგვრელია, – ეს მსხვერპლი გამოებრება მას და უპასუხოდ არ დარჩება მისი ტრფიალებით ღონემიხდილ გულს. თუმცა, ვინ იცის, რადგან თქვენთვის კარგადაა ცნობილი ჩემი მგრძნობიარე გული, ხომ არ მიმართეთ უფრო მარჯვე ფანდებს ჩემს საცთუნებლად? მაგრამ არა, მე უსამართლო ვარ, თქვენ არ ძალგიძთ ჩემდამი გულმზაკვრობის გამოჩენა. ოღონდ, მე რომ კეთილგონიერი ვიყო, კიდევ უფრო მოვერიდებოდი სიბრალულს, ვიდრე სიყვარულს. მე უფროისად ძლიერ მაღელვებს თქვენი პატივისცემა, ვიდრე აღტაცება, და მეშინია, ვაითუ თქვენი ყველაზე უფრო პატიოსნური შემართება მეტისმეტად სახიფათო აღმოჩნდეს.

უნდა გამოგიტყდეთ და გამოვთქვა აზრი, რომლის სამართლიანობას მთელი ჩემი სულითა და გულით ვგრძნობ, და თქვენი გულიც ამასვე გიკარნახებთ: თქვენი მდგომარეობის მიუხედავად, მშობელთა და თავად ჩვენდა მიუხედავად, ჩვენი ბედ-იღბალი სამარადჟამოდ დაკავშირებულია ერთმანეთთან და ახლა დღენიადაგ ერთად უნდა ვიყოთ ბედნიერებაშიც და მწუხარების დროსაც. ჩვენი სულები თითქოს ყველა წერტილში ემთხვევიან ურთიერთს, და ჩვენ ყველგან ვგრძნობთ შეჭიდულობის ძალას (გამისწორეთ, ჩემო მეგობარო, თუ უადგილოდ მივმართავ თქვენს გაკვეთილებს ფიზიკიდან). ბედმა, ეგებ, დაგვაშორიშოროს კიდეც, მაგრამ კი ვერასოდეს გაგვთიშავს. ამიერიდან ვიხარებთ ერთი და იმავე სიხარულით, ვიმწუხარებთ ერთი და იმავე მწუხარებით, და როგორც ლეგენდაშია, თქვენ რომ გვიამბეთ, შეყვარებული ქალ-ვაჟი განიცდიდაო ერთსა და იმავე სულიერ მღელვარებას, თუმცა ძალზე შორიშორ იყვნენო ერთმანეთისაგან, – ასევე ჩვენც აღგვაღელვებს იგივე განცდები, თუნდაც ორივენი ქვეყნიერების სხვადასხვა განაკიდეში ვიმყოფებოდეთ.

ხელი აიღეთ ყოველგვარ იმედზე, თუკი გულში გქონდათ ამოჭრილი, რომ ჩემი ბედნიერების ფასად შეძლებთ თქვენი კეთილდღეობის შეძენას. ნუ იმედოვნებთ: უკეთუ დავკარგავ პატიოსნებას, ვერც თქვენ გაიხარებთ. თქვენ აღარ შეგეძლებათ მშვიდად უცქიროთ ჩემს გაწბილებასა და ცრემლებს. მერწმუნეთ, ჩემო მეგობარო, მე უფრო უკეთ ვიცნობ თქვენს გულს, ვიდრე თავად თქვენ. სათუთმა და გულწრფელმა სიყვარულმა უნდა ისწავლოს სურვილთა ალაგმვა. ოღონდ თუკი მაინცდამაინც დაიჟინებთ, თქვენ თავსაც დაღუპავთ და, ჩემი გაუბედურებით თქვენც უბედური იქნებით.

ჩვენი საერთო ხვედრის მოვლა-პატრონობა მე მომანებეთ – მინდოდა ჩამეგონებინა თქვენთვის, რა მნიშვნელოვანია ეს საქმე ორივესათვის. ნუთუ ეჭვი გეპარებათ, რომ სიცოცხლეზე უფრო მიყვარხართ, ნუთუ წარმოგიდგენიათ, ჩემთვის არსებობენ სიამენი, რომელთაც თქვენ არ გაიზიარებდით? არა, მოყვარეო ჩემო, მეც იგივე ნდომა-სურვილი მამოძრავებს, როგორიც თქვენ, მაგრამ ოდნავ მეტი გონება მომეპოვება და შემიძლია მათი დაოკება. გეთანხმებით, თქვენზე ახალგაზრდა ვარ, მაგრამ განა არ შეგინიშნავთ, რომ თუმც დედაკაცის გონება ჩვეულებრივ ჩამოუვარდება მამაკაცისას ძალ-ღონეში და სწრაფად კარგავს სიმახვილეს, სამაგიეროდ იგი უფრო ადრე ყალიბდება, ისევე როგორც მუხაზე უმალ აღმოცენდება და იღუპება სუსტი და ნაზი მზესუმზირა. ჩვენ სიყრმიდანვე გვიხდება დაცვა იმისა, რისი დაკარგვაც ასე იოლია, ეს საზრუნავი ადრე გვიღვივებს კეთილგონიერებას: სულ მუდამ ხიფათის მომლოდინე რომა ვართ, ესა გვშველის თვალწინ

კარგად გავისიგრძეგანოთ ყველა შედეგი. რაც უფრო მეტად მაფიქრებს ჩვენი ამბავი, მით უფრო მკაფიოდ ვხედავ, თავად კეთილგონიერება რომ მოითხოვს თქვენგან მსხვერპლს, რასაც მე ვენუკვი სიყვარულის გამო. მაშ, ქედი მოუდრიკეთ მის ფაქიზ შეგონებებს და ნება დართეთ გაგიძღვეთ მეორისაკენ; ვაგლახ, რომ ბრმაა ისიც, მაგრამ ჯერ არ დაუკარგავს საიმედო დასაყრდენი.

არ ვიცი, ჩემო მეგობარო, მოიპოვებენ თუ არა ჩვენი გულები ბედნიერებას, გაუგებენ თუ არა ერთიმეორეს და იზიარებთ თუ არა, ამ პწკართა წაკითხვისას, უნაზეს მღელვარებას, რომელმაც კალამი ამაღებინა ხელში. არ ვიცი, რამდენად შეუხმატკბილდებიან ერთიერთმანეთს ჩვენ-ჩვენი მოსაზრებანი და გრძნობანი, ოღონდ ერთი კი ძალიან კარგად ვიცი: უმჯობესად უნდა მივიჩნიოთ ჩვენ ორთა შორის იმის მოსაზრება, ვინაც თავის ბედნიერებას როდი გამოსთიშავს მეორის ბედნიერებისაგან.

XII წერილი
ჟიულისადმი

რარიგად მხიბლავს თქვენი მიამიტი წერილი, ძვირფასო ჟიული! როგორ იგრძნობა შიგ უმანკო არსების ნათელხედვა და სიყვარულის სათუთი მოამაგეობა! თქვენი აზრები ბუნებრივად და ლაღად ჩქეფენ: ისინი ისეთ გასაოცარ ზეგავლენას ახდენენ გულის მიმართ, როგორსაც ვერასოდეს მოიმოქმედებენ მაღალფარდოვანი სიტყვები. თქვენ ისეთი უბრალოებით წარმოაჩენთ უცილობელ საბუთებს, რომ კაცი კარგად უნდა ჩაუფიქრდეს, რათა გაიგოს მთელი მათი ძალოვანება, მაღალი გრძნობები თქვენთვის ესოდენ ბუნებრივნი არიან, რომ თქვენი მოსაზრებები ადვილად გასაღდება საყოველთაოდ მიღებულ ჭეშმარიტებად. ცხადია, მხოლოდ და მხოლოდ ჩვენ გვმართებს განვაგოთ ჩვენივე ბედ-იღბალი, და ეს არა მარტო უფლებაა, რასაც გთავაზობთ, არამედ თქვენივე ვალდებულებაც არის, რომლისკენაც გიხმობთ ეს სამართლიანობა, რასაც გენუკვით, და თქვენმა გონებამ უნდა მომაგოს სანუქფო იმ ზიანის ნაცვლად, ჩემს გონებას რომ მიაყენა. დღეის ამას იქით, სიცოცხლის დასასრულამდე. თქვენ განდობთ ჩემი ნება-სურვილის მოვლა-პატრონობას: მიმსახურეთ როგორც ადამიანი, ვისაც უკვე აღარა გააჩნია რა საკუთარი, და, ვისი მთელი არსებაც მხოლოდ თქვენ გეკუთვნით. ნუ გეეჭვებათ, სიტყვას არ გავტეხ, დავემონები თქვენს ყოველნაირ განკარგულებას. მაშინ ან მე გავხდები უკეთესი, ან თქვენ გახდებით უფრო ბედნიერი, და ასე მოხდება თუ ისე, მივიღებ საბოძვარს ჩემი მორჩილებისათვის. მაშ ასე, თამამად გაკისრებთ ჩვენი საერთო ბედნიერებისათვის ზრუნვას, შექმენით თქვენთვის ეგ ბედნიერება – ესაა ყველაფერი, რაც საჭიროა, ხოლო მე, ვისაც წუთითაც კი არ ძალმიძს თქვენი დავიწყება ანდა თქვენზე ფიქრი აღუტაცებლად, რაც გულში უნდა ჩავიკლა, ისღა მშთენია, მარტოოდენ თქვენს უდრეკ ნება-სურვილს დავემორჩილო.

მთელი წლის მანძილზე მეცადინეობისას მხოლოდ იმას ვშვრებოდით, რომ სრულიად უსისტემოდ და თითქმის განურჩევლად ვკითხულობდით წიგნებს; ეს ხდებოდა უფრო თქვენი გემოვნების საამებლად, ვიდრე მის გასაწვრთნელად. თუმცა ისეთ აფორიაქებულ გუნებაზე ვიყავით, რომ ჩვენთვის ძნელი იყო აზრის სიცხადის შენარჩუნება. თვალებს აღარ ძალუძდა გულისყურით ჩაჰკირკიტებოდნენ წიგნს, ბაგენი წარმოთქვამდნენ სიტყვებს, მაგრამ ყურადღება გვეფანტებოდა. არც ისე უგულისყურო თქვენი დაიკო ხშირ-ხშირად გვისაყვედურებდა, არ შეგწევთ უნარი საგანს ღრმად ჩაუფიქრდეთო, გვაჯობა და გაგვისწრო კიდეც, თან ამაყობდა ამ იოლი გამარჯვებით. იგი

შეუმჩნევლად გახდა მასწავლებლის მასწავლებელი, და თუმცა ზოგჯერ დავცინოდით კიდეც მის თვითკმაყოფილებას, – არსებითად ჩვენ სამთა შორის მარტო მან მიიღო ცოტაოდენი ცოდნა.

ამრიგად, დაკარგული დროის ასანაზღაურებლად (ეჰ, ჟიული, განა უფრო უკეთ დახარჯულა ის დრო ოდესმე!), მოვიფიქრე გეგმა და მეთოდიც ისეთი მარჯვე გამოვნახე, რომ მთლად ამოავსებს ჩვენი ცოდნის ხარვეზს, რაც უგულისყურობამ გვარგუნა. გიგზავნით ამ გეგმას; ძალიან მალე ერთად წავიკითხავთ მას, ჯერჯერობით მხოლოდ მცირეოდენ შენიშვნებს დავჯერდები.

ჩემო საყვარელო მეგობარო, ჩვენ რომ დაგვესახა მიზნად ჩვენ-ჩვენი ცოდნის საქვეყნოდ გამომზეურება და შეგვეძინა ცოდნა სხვებისა და არა საკუთარი თავისთვის, ჩემი მეთოდი არაფრად ეღირებოდა, ვინაიდან იგი ცდილობს მცირეოდენი რამ მიიღოს ბევრისაგან და მრავალ თხზულებათაგან ძირითადი ამოკრიფოს. მეცნიერება, უმრავლეს შემთხვევაში, ფულსა ჰგავს, რომელიც მთელი თავისი ღირებულებით ხელს უწყობს კეთილდღეობას მხოლოდ მაშინ, თუკი მას მოვიხმართ და გამოვიყენებთ, და მარტოოდენ ადამიანთა ურთიერთობისას თუ გამოდგება. საჯაროდ გამოსვლის სიხარული რომ არა, ჩვენი სწავლულები უმალვე ზურგს შეაქცევდნენ მეცნიერებას. ისინი იძენენ დოვლათს თავიანთ კაბინეტებში ერთადერთი მიზნით – მოახმარონ იგი მსმენელებს; მათ მხოლოდ ერთი რამ სწადიათ – გაითქვან ბრძენკაცთა სახელი, და, რასაკვირველია, ცოდნას აინუნშიაც არ ჩააგდებდნენ, უკეთუ თაყვანისმცემლები აღარ ეყოლებოდათ.[4] ჩვენ კი, როცა ვცდილობთ ვისარგებლოთ ცოდნით, ვიძენთ მას იმიტომ კი არა, რომ გადავყიდოთ იგი, არამედ ჩვენდა სასარგებლოდ მოვიხმაროთ; იმიტომ კი არა, რომ შეგვაწუხოს, არამედ მოგვცეს ჩვენ საზრდელი. ვიკითხოთ ცოტა, მაგრამ ბევრი ვიფიქროთ წაკითხულზე, ანდა, კიდევ უკეთესია, ხანგრძლივ ვესაუბროთ ერთმანეთს, – აი ის საშუალება, ცოდნის უკეთ ათვისებას რომ ემსახურება. როცა კაცს ხშირი მსჯელობის მადლით საკმაოდ განვითარებია ალღო, მაშინ, ვფიქრობ, უმჯობესი იქნება თავისი ჭკუით ჩასწვდეს ყველაფერს, რისი პოვნაც წიგნებში შეიძლება – ეს საუკეთესო ხერხი იქნება, თავის აზრთა წყობას შეუფარდოს ცოდნა და დაიუფლოს იგი! ხოლო ამის ნაცვლად მას, ამ ცოდნას, ვიძენთ მზამზარეულად და თითქმის ყოველთვის ჩვენთვის უცხო ფორმით. ჩვენ უფრო მდიდრები ვართ, ვიდრე გვგონია, მაგრამ, როგორც მონტენი ამბობს, ჩვენ გვაცმევენ ვალად აღებულ, სხვის ტანზე შეკერილ სამოსს, გვაჩვევენ სამოწყალოდ ვიცხოვროთ ნასუფრალით და არა ჩვენ-ჩვენი ავლა-დიდებით. ანდა, უფრო სწორად, გამუდმებით ვიძენთ და ვერ ვბედავთ ხელი ვახლოთ რაიმეს, – ვემსგავსებით კრიჟანგებს, მხოლოდ თავიანთი ბეღლების ავსებასღა რომ ფიქრობენ, ქერის ორმოში ყელამდე არიან ჩაფლულნი და შიმშილით კი სული სძვრებათ.

გეთანხმებით, ქვეყნის-ქვეყნად მოიპოვება მრავალი ადამიანი, რომელთათვის ფრიად საზიანო იქნებოდა ამ მეთოდით სარგებლობა და, პირიქით, ბევრი უნდა იკითხონ და ცოტა იფიქრონ, რადგან ჭკუაზე ცოტა მწყრალად არიან, და რასაც თავად მოიფიქრებენ, იმაზე უხეირო აღარა იქნება რა. თქვენ კი სულ სხვა რამეს გირჩევთ – ხომ შეგიძლიათ წაკითხულს მიუმატოთ კიდევ თქვენი, უფრო უმჯობესი აზრი, და თქვენი გახსნილი გონება შექმნის თითქოსდა მეორე, ზოგჯერ საუკეთესო წიგნს. მაშ, გავუზიაროთ ერთმანეთს აზრები: მე მოგითხრობთ, თუ რას ფიქრობდნენ სხვები, თქვენ კი გვიამბობთ, თავად რას ფიქრობთ ამ საგანზე, და, ხანდახან, როცა გაკვეთილს დავამთავრებთ, მე წავალ თქვენგან უფრო განათლებული, ვიდრე თქვენ ჩემგან.

რაც უფრო ცოტას იკითხავთ, მით უფრო გულდასმით უნდა შეარჩიოთ წიგნები. და აი, რას ემყარება ჩემი არჩევანი. მოსწავლეთა მთავარი შეცდომა, როგორც ახლა ვთქვი, ისაა, რომ ისინი მეტისმეტად ენდობიან წიგნებს, ნაკლებად იყენებენ თავიანთ ჭკუას და

ფიქრადაც არ მოუვათ, რომ ჩვენი საკუთარი ჭკუა თითქმის ყოველთვის უფრო ნაკლებ გვატყუებს, ვიდრე ყველა სხვა სოფისტი. როგორც კი ჩაუფიქრდები თავის თავს, უმალვე შეიცნობ სიკეთეს და ჩასწვდები მშვენიერებას; ჩვენ როდი გვჭირია გვასწავლონ ამა თუ იმ ამბის გაგება, ვინაიდან ყოველი ჩვენგანი მხოლოდღა მაშინ ტყუვდება, როცა სურს მოტყუვდეს. მაგრამ სიკეთისა და მშვენიერების დიადი მაგალითები უფრო იშვიათად გვხვდება და უფრო ნაკლებადაა ცნობილი; ისინი ჩვენგან მოშორებით უნდა ვეძიოთ. პატივმოყვარეობის გამო მტკიცე ხასიათის ადამიანებს ჩვენი სისუსტის საზომით ვუდგებით და ფუჭი გამონაგონი გვგონია ის ღირსებები, თავად მოკლებულნი რომა ვართ. სიზარმაცისა და ბიწიერების გამო ვამტკიცებთ, ეს ღირსებები მოჩმახულიაო, ხოლო უმაქნისი ადამიანის აზრი ასეთია, რასაც ყოველდღიურად ვერ შეხვდები, მას ვერასოდეს ვეღარ გადაეყრებიო. აი, სწორედ ეს ცდომილება უნდა აღიკვეთოს, მივაჩვით ჩვენი თავი დიადის შეგრძნობასა და დანახვას, რათა აღვიკვეთოთ ხოლმე გამართლება იმისა, რომ არ ვბაძავთ ამ დიადს. სული მაღლდება, გული მგზნებარებს ღვთაებრივ ხატებათა ჭვრეტისას; რამდენადაც უფრო მეტს ფიქრობ მათზე, მით უფრო ესწრაფი ემსგავსო მათ, და ყოველივე მდარე და უფერული უკვე შენს უსაშველო ზიზღსა და სიძულვილს იწვევს.

მაშ, ნუღარ დავიწყებთ წიგნებში დასაბამთა და განაწესთა ძიებას, რომელთაც უმალ ჩვენს საკუთარ თავში ვპოვებთ. ნურაფრად მივიჩნევთ ფილოსოფოსთა ამ უსარგებლო ლაყაფს ბედნიერებასა და სათნოებაზე, ხოლო ის დრო, რასაც ისინი კარგავენ მათი გზების ამაო ძიებისათვის, მოვახმაროთ იმას, რათა გავხდეთ გულკეთილნი და ბედნიერნი. მაშ, ნუღარ გამოვეკიდებით უსარგებლო სისტემებს და ვეცადოთ დიად მაგალითებს მივბაძოთ ხოლმე.

მუდამ ვფიქრობდი, სიკეთე – ეს არის მოქმედებაში ხორცშესხმული მშვენიერება-მეთქი, ისინი მჭიდროდ არიან შეკავშირებულნი და სრულქმნილ ადამიანურ ბუნებაში მათ ერთი და იგივე წყარო ასაზრდოებს-მეთქი. ასეთი აზრის შესაბამისად გემოვნება უნდა გავიუმჯობესოთ იმავე საშუალებებით, როგორიცაა წესიერება, და უკეთუ სათნოების მომხიბლაობა ძალზე ღრმად ხვდება და აღელვებს ადამიანთა გულებს, მაშინ ისინი თანაბრად მგრძნობიარენი უნდა იყვნენ სილამაზის ყველა სხვა სახეობის მიმართ. ჩვენ ვწვრთნით როგორც მხედველობას, ისე გრძნობასაც; ანდა, უკეთ რომ ვთქვათ, ზუსტი მხედველობა იგივეა, რაც ფაქიზი და მახვილი გრძნობა. ასე მაგალითად, როცა მხატვარი დაინახავს საუცხოო ლანდშაფტს ანდა მშვენიერ სურათს, მას აღტაცებასა ჰგვრის ისეთი საგნები, რასაც ჩვეულებრივი მაყურებელი ყურადღებას არ მიაქცევს. რა ბევრი რამ აღიქვება მარტოოდენ გრძნობით, ამის წარმოდგენა შეუძლებელია! რაოდენ ბუნდოვან ელფერს ვამჩნევთ წამდაუწუმ, მხოლოდ და მხოლოდ გემოვნების მითითებათა მორჩილებისას! გემოვნება თავისებური მიკროსკოპია მსჯელობისათვის; მისი მეოხებით შეიძლება შევიცნოთ უკნინესიც კი, და მისი ზეგავლენა იწყება იქ, სადაც წყდება მსჯელობის მოქმედება. რა არის საჭირო გემოვნების დასახვეწად? იმგვარადვე უნდა ვისწავლოთ დანახვა, როგორადაც შეგრძნობა; მშვენიერებაზე მსჯელობა მივანდოთ მახვილ მზერას, ხოლო უკეთუ გვსურს სიკეთედ მივიჩნიოთ იგი – მაშინ ეს გრძნობას მივანებოთ. დიახ, ვადასტურებ კიდეც, ყველა გულს როდი შეუძლია იგრძნოს მღელვარება ჟიულის პირველივე დანახვისას.

აი ამიტომაც, ჩემო მშვენიერო მოწაფევ, ყველა ჩვენი მეცადინეობის დროს დავკმაყოფილდები კარგი გემოვნებით შერჩეულ და საზეო წიგნთა კითხვით. აი ამიტომაც ჩემი მეთოდი იქნება თვალსაჩინოების მაგალითებით აღჭურვილი, და დღეის ამას იქით კი არ გასწავლით, რა არის სათნოება, არამედ მხოლოდ სათნო ადამიანთა ზნე-ხასიათს დაგიხატავთ. არც სიტყვაკაზმულად წერის წესებით შეგაწყენთ თავსა და გირჩევთ იკითხოთ მხოლოდ და მხოლოდ კარგი ენით დაწერილი წიგნები.

ნუ გაიოცებთ, ზოგი რამ რომ ამოვიღე იმათგან, რასაც წინათ ვკითხულობდით; უნდა შევამციროთ წიგნთა რაოდენობა, რათა უფრო სარფიანად ვიკითხოთ, – ასეთია ჩემი შეხედულება; დღითი დღე აშკარად ვხედავ – მხოლოდ ის არის თქვენი შესწავლის შესაფერისი, რაც სულსა და გულს ესალბუნება. ჩვენ ვაუქმებთ ენათა სწავლას, დავინარჩუნებთ მარტო იტალიურს, რადგან მას ფლობთ და გიყვართ. ხელი ავიღოთ დაწყებით ალგებრასა და გეომეტრიაზეც. გამოვეთხოვებით ფიზიკასაც, მაგრამ ძალა არ მეყოფა მოგაკლოთ ტერმინები, იმ ფიზიკიდან რომ იძენთ. ჩვენ სამუდამოდ ხელი ვკრათ ახალ ისტორიას, ჩვენი სამშობლოს ისტორიის გარდა, და ისიც იმიტომ, რომ ახლა ჩვენს ქვეყანაში სუფევს თავისუფლება და უბრალოება, რომ აქ, ჩვენს ხანაში, ჯერ კიდევ მოიპოვებიან ადამიანები, რომლებიც ძველი დროების მკვიდრთა მსგავსად გამსჭვალულნი არიან სათნოებით. მხოლოდ ნუ დაუჯერებთ მათ, ვინც ამტკიცებს, თითქოს ყოველი ადამიანისათვის ყველაზე წარმტაცი მისი სამშობლოს ისტორია არისო. ეს სიცრუეა. არსებობენ ისეთი ქვეყნები, რომელთა ისტორიის წაკითხვა საერთოდ არ შეიძლება, თუკი, რასაკვირველია, ყეყეჩი და დიპლომატი არა ხარ. ყველაზე წარმტაცი და მიმზიდველი ის ისტორიაა, სადაც იპოვი კეთილ ზნე-ჩვეულებათა, ნაირფეროვან ზნე-ხასიათთა უფრო და უფრო მეტ თვალსაჩინო მაგალითს, – ერთი სიტყვით, ყოველივე იმას, რაც ჭკუის სასწავლებელიცაა. მავანი და მავანი ასე გეტყვით, თითქოს ჩვენ არაფრით ჩამოვუვარდებით ძველებს. ეს ტყუილია. მაშ, გადაშალეთ ახალი ისტორია, და ისინი, ვინაც ასე ლაპარაკობენ, ხმას ჩაიწყვეტენ. ჩვენ დროში ხალხები უპიროვნონი და უსახონი არიან, მათ არ სჭირდებათ ფერმწერები, ჩვენ დროში მმართველები უნებისყოფონი არიან, მათ არ სჭირდებათ ისტორიკოსები: საკმაოა იცოდეთ, თუ რა ადგილი და თანამდებობა უჭირავს ადამიანს, და წინასწარ განჭვრეტთ, რასაც ჩაიდენს იგი. გეტყვიან, თითქოს ჩვენ არ გვყავდეს კარგი ისტორიკოსები, მაგრამ ჰკითხეთ – ეს რატომაო? ყოველივე ეს სიცრუეა. მოგვეცით საგანი კარგი ისტორიისათვის და საუცხოო ისტორიკოსები გამოინახებიან. თქვენ, დაბოლოს, გეტყვიან, თითქოს ადამიანები ყოველ დროში ერთნაირები იყვნენ, ყველას ერთი და იგივე პატიოსნება და ერთი და იგივე ბედნიერება ჰქონდათო, ხოლო გარდასულ დროთა ადამიანებით იმიტომ ვიხიბლებით, რომ ისინი ძველები არიანო. ესეც მტკნარი სიცრუეა, ვინაიდან ძველად მცირე რამ სახსრებით დიად საქმეებს სჩადიოდნენ, ახლა კი პირიქით იქცევიან. ძველ დროთა ადამიანები თავ-თავიანთ მეისტორიეთა თანამედროვენი იყვნენ და, მიუხედავად ამისა, მიგვაჩვიეს აღტაცებულნი ვიყოთ მათი საგმირო საქმეებით. უდავოა, თუ ჩვენი შთამომავლობა აღტაცებული იქნება ჩვენი ისტორიკოსებით, ეს ჩვენგან როდი ექნება ნასწავლი.

თქვენი განუყრელი დობილის გულის მოსაგებად დავტოვე ზოგი რამ თავშესაქცევარი წიგნაკი, – თქვენთვის მათ ვერ დავტოვებდი. პეტრარკას, ტასოს, მეტასტაზიოსა და დიდი ფრანგი დრამატურგების ქმნილებათა გარდა ჩემს გეგმაში არ მოიპოვება ლექსები, არ არის სამიჯნურო წიგნიც, როგორსაც ჩვეულებრივად აძლევენ წასაკითხად თქვენი სქესის წარმომადგენლებს. მერედა რას ვგებულობთ სიყვარულზე ამ წიგნაკებიდან? ეჰ, ჟიული, ჩვენი გული უფრო მეტს გვამცნობს, – მაღალფარდოვანი მწიგნობრული ენა ცივია მიჯნურთათვის. ეგეც არ იყოს, ასეთი საკითხავი ამაოდ აღაგზნებს სულს, ააზიზებს მას და უკარგავს სიმტკიცეს. ხოლო ჭეშმარიტი სიყვარული, პირიქით, – ყოვლისდამბუგველი ცეცხლია, რომელიც ააგიზგიზებს გრძნობებს და ახალ ძალ-ღონეს შთაბერავს მათ. აი, ამიტომაც ამბობენ, სიყვარული გმირებს ქმნიდაო. ბედნიერია ის, ვისაც ბედმა არგუნა გახდეს გმირი და ვისი სატრფოც ჟიული იქნება!

XIII წერილი
ჟიულისაგან

ხომ გეუბნებოდით, ბედნიერები ვიყავით-მეთქი; და ამის უკეთესი საბუთია სევდა, რომელმაც შემიპყრო მცირე ხნის განშორებისას. უფრო მძიმე უბედურება რომ შეგვხვედროდა, ნუთუ აგრე დავიტანჯებოდით ორი დღის განშორებით? დავიტანჯებოდით-მეთქი, ვამბობ, რამეთუ ვიცი, ჩემი მეგობარი ჩემთან ერთად რომ იზიარებს მოუთმენელ მოლოდინს; დიახ, იზიარებს, ამას ვგრძნობ, და ისიცა გრძნობს: მისთვის რა ბედენაა ამის ლაპარაკი.

ჩვენ სოფელში ვიმყოფებით გუშინ საღამოს აქეთ და ჯერხნობით არ დამდგარა ჩვენი ჩვეულებრივი შეხვედრის ჟამი, თუმცა თვით ადგილის შეცვლის გამო ჩვენი განშორება კიდევ უფრო აუტანლად მეჩვენება. თქვენ რომ ჩემთვის გეომეტრია არ აგეკრძალათ, ვიტყოდი, ჩემი სევდა-ნაღველი პირდაპირ პროპორციულია ჩვენი გამთიშავი დროისა და ჩვენ შორის მდებარე მანძილისა-მეთქი; ვინაიდან, ვფიქრობ, რამდენადაც შორსა ვართ ერთიერთმანეთისაგან, მით უფრო მწარეა განშორება.

აქ ჩამოვიტანე თქვენი წერილი მეცადინეობის გეგმიანად, და გადავწყვიტე ჩავუკვირდე ერთსაც და მეორესაც, უკვე ორჯერ გადავიკითხე წერილი. უკანასკნელი ფრაზა უსაზომოდ ელხინება გულს. ვხედავ, ჩემო მეგობარო, რომ ჩვენი სიყვარული – ჭეშმარიტი სიყვარულია, რადგან მან ვერ ჩამოგაცილა კეთილშობილურ საქმიანობას და თქვენს მგრძნობიარე გულს ჯერ ისევ შესწევს უნარი გაიღოს მსხვეპრლი სათნოების გამო. მართლაც, განანათლო ქალი და ამავე დროს გსურდეს მისი გარყვნა, უსაძაგლესი ცდუნებაა, ხოლო ვისაც რომანებით უნდა ამ ქალის გულის მონადირება, მას, ჩანს, არ შეუძლია საკუთარი ძალ-ღონით ეწიოს საწადელს. უკეთუ თვისდა სასარგებლოდ შეგეგნოთ ფილოსოფიის არსი, ან გესინჯათ თქვენთვის ხელსაყრელ პრინციპთა შთაგონება და გესურვათ ჩემი მოყივნება, წამსვე მიგიხვდებოდით ყოველივეს: მაგრამ ამას არ სჩადიხართ – ეს კი ყველაზე მეტად სახიფათოა და მაცდუნებელი. მას შემდეგ, რაც ჩემმა გულმა მოიწადინა მიჯნურობის ნექტარის შესმა და ვიგრძენი ლტოლვა სამარადჟამო სიყვარულისადმი, ვემუდარებოდი ზენას, შემაერთე არა უბრალოდ საყვარელ ადამიანთან, არამედ მშვენიერი სულის მქონე ადამიანთან-მეთქი, რადგან კარგად ვუწყი, ადამიანისათვის მომადლებულ ყველა სიკეთეთაგან მხოლოდ სულის სიქველე არ გვიცრუებს იმედსა და პირდაპირობა და კეთილშობილებაც ამკობენ თანშეწყობილ ყველა გრძნობას. კეთილ სურვილთა ჯილდოდ, სოლომონ მეფის დარად, მომებოძა არა მარტო ის, რასაც ვითხოვდი, არამედ ისიც, რაც არ მითხოვია. ეს კარგ ნიშნად მიმაჩნია ყველა ჩემი სანუკვარი გულის წადილისათვის და არ ვკარგავ იმედს, ჩემო მეგობარო, რომ ერთ დღეს გაგაბედნიერებთ კიდეც, როგორც ეს შეგეფერებათ. ეს გზა გრძელია, ძალზე ძნელიც, უსწორმასწორო, დაბრკოლებაც უამრავია. ვერ გავბედავ მარჩიელობას, მაგრამ გჯეროდეთ: ყველაფერს მოვიპოვებ, რის მოპოვებაც ძალუძს სიყვარულსა და მოთმინებას. თქვენ კი, უწინდებურად, ეცადეთ მოიგოთ დედაჩემის გული; ხოლო როცა მამაჩემი დაბრუნდება, – ოცდაათწლიანი სამსახურის შემდეგ, დაბოლოს, როგორც იქნა, გადაწყვიტა გადადგომა, – თქვენ უნდა აიტანოთ ძველი აზნაურის, ცოტა არ იყოს, უკმეხი, მაგრამ კეთილშობილი კაცის ქედმაღლობა; ისიც გულით შეგიყვარებთ, მაგრამ ფერებას კი არ დაგიწყებთ. პატივსა გცემთ, მაგრამ ამაზე ლაპარაკით ყურებს არ გამოგიჭედავთ.

შევწყვიტე წერილის წერა – მომესურვა ხეტიალი ჩვენი სახლის ახლოს მდებარე წარაფში. ოი, სასურველო მეგობარო! შენც თან წაგიტანე – უკეთ, გულით მიმქონდა შენი ხატება; შევარჩიე ადგილი, ორივენი რომ ვესტუმრებით, დავიგულე ჩვენ შემფარველ

კუთხედ; ჩვენი გულები წინასწარ აღივსებოდა აღტაცებით ამ საუცხოო და მყუდრო თავშესაფარში, სადაც გაცილებით მალაღობელი ხდებოდა ჩვენი შეხვედრის სიხარული; ხოლო ისიც, თავის მხრივ, თანისთან წარმტაცი ხდებოდა, რადგან თავშესაფარს აძლევდა ჭეშმარიტად მოყვარულ გულებს, და მე გაოცებული ვშთებოდი იმის გამო, თუ ამდენ ხანს რად ვერ ვამჩნევდი იმ სილამაზეს, შენთან ერთად იქ შეფარებულმა რომ განვიცადე!

ამ საუცხოო მიდამოთა შორის მიმოფანტულ ბუნებრივ წარაფთაგან არის ერთი ყველაზე უცხო, სადაც უფროისად ელხინების სულს, და აი რა მოვიფიქრე: იქ ჩემს მეგობარს სიურპრიზი მოელის. და ნუ დაიჟინებს, მუდამჟამს მოკრძალებული ვარო, ჩემი სატრფო კი არასოდეს გახლავთო სულგრძელი. დაე მან იგრძნოს, უხამს ცრურწმენათა მიუხედავად, რამდენად უფრო ძვირფასია გულით ნაბოძები საჩუქარი, ვიდრე ძალისძალათი მოპოვებული ნადავლი. თუმცა, ვშიშობ, არ გავანებივრო თქვენი ნამეტნავად მგზნებარე წარმოსახვა და გაფრთხილებთ, წარაფში «ჩემს განუყრელთან» ერთად წავალთ.

დასტურ, აი რა გადავწყვიტეთ მე და იმან: თუ ძლიერ არ გეძნელებათ, გვინახულეთ ორშაბათს. დედაჩემი ეტლს გაუგზავნის დაიკოს; იყავით მასთან ათ საათზე; დაიკო თან წამოგიყვანთ, მთელ დღეს ჩვენთან დაჰყოფთ და ყველანი ერთად დავბრუნდებით სამშაბათს, ნასადილევს.

დავწერე ეს სტრიქონები და ფიქრებმა წამიღო: როგორ გადმოგცეთ წერილი? აქ ეს ასე ადვილი როდია, როგორც ქალაქში. ჯერ ვიფიქრე, მებაღის შვილის – გუსტენის ხელით ერთ-ერთ წიგნს გავუგზავნი-მეთქი, წიგნში ბარათს ჩავდებდი და ყველაფერს ქაღალდში შევფუთნიდი. ოღონდ ძნელად თუ მიხვდებით და ძებნას არ დაიწყებთ, თანაც მიუტევებელი გაუფრთხილებლობა იქნებოდა საეგებიოდ გაგვეწირა მთელი ჩვენი ცხოვრების სვე-ბედი. ამიტომ ორშაბათს შეხვედრისათვის მარტოოდენ ბარათის გამოგზავნას დავჯერდები, ხოლო წერილს დავიტოვებ და პირადად გადმოგცემთ. მასთან საზრუნავიც შემიმცირდება: აღარ ვიდარდებ, წარაფში საიდუმლო სიურპრიზის გამო ნეტავ რა გაიფიქრა-მეთქი?

XIV წერილი
ჟიულისადმი

ეს რა ქენ, ოი, აბა ეს რა ჩაიდინე, ჩემო ჟიული! ჩემი წყალობით ავსება გინდოდა და ამის ნაცვლად დამღუპე, ხომ! თავს რეტი მესხმის, უფრო სწორად, გონი დავკარგე. სული ამიფორიაქდა, ჭკუა დამებნა, და ყველაფერი შენი დამღუპველი ამბორის ბრალია. და ამით გინებდა ჩემი ბოღმა-ნაღველის გაქარვება? ოი, შენ უწყალო! ჩემი ტანჯვა-წამება კვლავ უფროისად გააარჯლე. ბაგეთა შენთაგან შევსვი სამსალა; იგი ბორგვნილსა მხდის, სისხლს მიჩქროლებს, ბოლოს მიღებს და სიბრალული შენი სიკვდილს მიახლოებს.

ოი, წარუშლელო მოგონებავ იმ იგავმიუწვდომელი თავდავიწყებისა და აღტაცების ერთი წამისა! დიახ, აროდეს გაქრები სულისაგან ჩემისა, და ვიდრე იქ აღბეჭდილია ჟიულის მომაჯადოებელი ხატება, სანამ ბორგვნილი გული ძრწის და იტანჯვის, შენ იქნები ჭმუნვა და სიხარული ჩემი ცხოვრებისა.

ვაგლახმე! როგორ ვხარობდი ბედითი უშფოთველობით; ვემონებოდი შენს უზეშთაეს ნება-სურვილს, არ დამცდენია ბედის სამდურავი, რაის მართვაც სულგრძელად იკისრე. მე დავიოკე თავხედური წარმოსახვის მგზნებარე კვეთებანი; აღვიხვენ თვალთა ჩემთა ნათელი და გულსაც ხუნდები დავადე; მივეჩვიე ჩემი მღელვარე ენამჭევრობის

დაოკებას, რაზომც ძალმედვა, გულშეჯერებით ვიყავ შთენილი. და აი ვღებულობ შენს უსტარს, მივექანები შენს მამიდაშვილთან; ჩვენ ჩამოვდივართ კლარანში, გხედავ შენ და გული ჩემი სიხარულით თრთის და ტოკავს; მესმის ხმათა შენთა უნაზესი ჟღერა, და გული უფრო ძალუმად მიცემს; მოჯადოებულივით გიახლოვდები; და შენი მამიდაშვილი რომ არ მომშველებოდა, დედაშენი შეამჩნევდა ჩემს მღელვარებას. სამივენი დავსეირნობთ ბაღში, მშვიდად შევექცევით სადილს; შენ მალულად მაწვდი წერილს, მაგრამ ვერ ვბედავ საშიში მოწმის თვალწინ მის წაკითხვას; მზე დასალიერს ეშვება უკვე, მივეშურებით წარაფში, გვსურს იქ დავემალოთ მზის უკანასკნელ სხივებს, – და ჩემი გულმიამიტი უშფოთველობით არ ძალმიძს წარმოვიდგინო ესოდენ სანეტარო, უტკბესი ყოფა.

ჯერ ისევ ტყის პირას ვიდექით, როცა აშკარა მღელვარებით დავინახე, რომ შენ და შენი მამიდაშვილი ერთმანეთს რაღაცას ანიშნებდით, იღიმებოდით, და ანაზდად ღაწვნი ვარდისებრ მიმოგეფურცლა. შევედით წარაფში და, ჩემდა გასაოცრად, შენი დაიკო მომიახლოვდა და ხუმრობის კილოთი მთხოვა, მაკოცეო; სავსებით გაოგნებულმა ვაკოცე შენს უკეკლუცეს მამიდაშვილს და თუმცა კი ძალზე ლამაზი და მომხიბლავია, მაინც გულისხმავყავ მაშინ, სიყვარულს გული განკარგავს-მეთქი. მაგრამ რა დამემართა წამის უმალ, როცა ვიგრძენი... კალამი მითრთის ხელში... ო, სანეტარო კრთოლვავ გულისა! ვარდის ფურცელთა დარი შენი ბაგენი... ჟიულის ბაგენი შეეხნენ და დაეკონნენ ბაგეთა ჩემთა, შენ მომეკარ და მაგრად ჩამეხუტე! არა, ელვა არ გაკრთების ისე ანაზდეულად და იმგვარი სიკაშკაშით, როგორც ის ცეცხლი, მეყსეულად რომ შემომეგზო! მთელი არსებით ვიგრძენი შენი მომჯადოები სიახლოვე. ალმოდებულ ბაგეთაგან აღმოგვხვდებოდა გულის გასაგმირალი ოხვრანი და ჩემი გული ითანგებოდა უსაზომო ნეტარებისაგან, როცა უეცრად დავინახე, ფერი მიგეხადა, დაგეშრიტა მწყაზარ თვალთა ნათელი და, შენი დაიკოს მხარს მიყრდნობილი, დაბნედას მიეწურე. შენს გამო შიშით შეპყრობილს მომეშთო განცხრომით აღვსილი სული და იმედი გაქრა, ვით ელვათა კრთომა.

ვერ გამიგია, რა მემართება იმ საბედისწერო დღის შემდეგ. შთაბეჭდილება ღრმად დაეუფლა ჩემ ხსოვნას და აროდეს წარიხოცება. განა ესაა მოწყალება?! არა, ეს არის უსაშველო ტანჯვა-წამება! მაშ, აღარ მეამბორო ამიერიდან... ვერ ავიტან ამას... შენი ამბორი გულს მიკოდავს, შემსჭვალავს მას, ძვალ-რბილში იჭრება, იქ ყველაფერს ჰბუგავს და მაგიჟებს. შენმა ერთადერთმა კოცნამ გონება ამიმღვრია და განკურნებას ვერ ვეღირსები. ამჟამად უკვე ის აღარა ვარ, რაც წინათ ვიყავ, და შენ სულ სხვა შეიქენ. დიახ, ჩემთვის უკვე წინანდელი ჟიული როდი ხარ, ზვიადი და მკაცრი – ახლა მიწყივ ჩემს მკერდთან ვგრძნობ შენს თავსა და ვიგონებ შენს ხვევნას, მხოლოდ ერთ წამს რომ გაგრძელდა. ჟიული, რა სვე-ბედსაც უნდა მიქადდეს ვნება, რომელსაც ვეღარ ვიოკებ, რაოდენ მკაცრად უნდა მომექცე, – უკვე აღარ შემიძლია ასე ცხოვრება და ვიცი, დადგება ჟამი, და სულს დავლევ შენს ფერხთით... ანდა შენთან ჩაკონებული.

XV წერილი
ჟიულისაგან

ჩემო მოყვარეო, დროებით უნდა გავშორდეთ ერთმანეთს, – ესეც თქვენი პირველი განსაცდელი; აბა ერთი ვნახოთ, იქნებით თუ არა ისე მორჩილი, როგორც აღმითქვით. დამიჯერეთ, რაკი მოვითხოვ ამას სწორედ ახლავე, მაშასადამე, მაქვს საფუძვლიანი საბუთი; ღმერთმანი, ასეა საჭირო, და თქვენ მშვენივრად იცით, საგანგებო მიზეზთა

უმისოდ ამას არ გადავწყვეტდი, თქვენთვის კი საკმაო მიზეზი უნდა იყოს, რომ ასეთია ჩემი ნება.

თქვენ უკვე დიდი ხანია აპირებდით მოგზაურობას ვალეს მთებში. ჰოდა, მეცა მსურს, დაუყოვნებლივ გაუდგეთ გზას აცივებამდე. აქ ჯერ ისევ შემოდგომის დარიანი დღეები დგას, მაგრამ ერთი ნახეთ, დან-დე-ჟამანის[4] მწვერვალი უკვე თეთრად შეიმოსა, ხოლო თვენახევრის შემდეგ ნებას არ მოგცემთ იმოგზაუროთ ასეთ მკაცრ მხარეში. ეცადეთ ხვალვე გაემგზავროთ; წერილებს ნუ დამიძვირებთ. ჩემს მისამართს თან ვურთავ, თქვენსას კი მაშინ მომაწვდით, როცა სიონს ჩახვალთ.

ერთხელაც არ ინებეთ გემცნოთ ჩემთვის თქვენი ამბავი. მაგრამ ახლა შორსა ხართ მშობლიური მხრიდან; თუმცა ისიც კარგად ვიცი, იქაც არ მოგეპოვებათ დიდი ავლა-დიდება; დიდი ხარჯი მოგდით აქ ყოფნითაც, აქ კი ჩემი გულისთვის იმყოფებით. ამიტომ ვფიქრობ, რაც ჩემს ქისაში ფული ძევს, თქვენ უნდა გეკუთვნოდეთ მისი ნაწილი, და ამის ანგარიშში გიგზავნით ცოტაოდენ ფულს; ოღონდ ნუ გააღებთ იმ ქისის კოლოფს შიკრიკის თვალწინ. არა მგონია, უარი თქვათ; ესოდენ პატივსა გცემთ, რომ არა მჯერა, შეგეძლოთ ასეთი საქციელის ჩადენა.

თუ ჩემი ბრძანება არ იქნა, ნუ დაბრუნდებით, ნურც გამოსამშვიდობებლად ინებებთ მოსვლას, მოგვწერეთ წერილი დედაჩემს ანდა მე: გვამცნეთ, მოულოდნელი საქმის გამო უეცრად გამგზავრება რომ მოგიხდათ, თანაც, გეთაყვა, მიმითითეთ, რა და რა წიგნები წავიკითხო თქვენს ჩამოსვლამდე. ეს უნდა თქვათ უბრალოდ და დაუფარავად. მშვიდობით, ჩემო მეგობარო; ნუ დაივიწყებთ, რომ თანვე მოგყვებათ ჟიულის გული და მოსვენება.

XVI წერილი
პასუხი

მეორედ ვკითხულობ თქვენს საშინელ უსტარს და ყოველი პწკარი თავზარსა მცემს. და მაინც ფარ-ხმალს ვყრი; დანაპირი უნდა აღსრულდეს, გემორჩილები. ოღონდ თქვენ არ იცით, უწყალო, ვერასოდეს ვერ გაიგებთ, რად უღირს ჩემს გულს ასეთი მსხვერპლი. ეჰ, აბა რად გინდოდათ წარაფში გამოცდის მოწყობა – უიმისოდაც მსხვერპლი შემზარავი იქნებოდა; თქვენი ულმობელი სულის მიერ დავიწყებულმა უსაშველო გულქვაობამ ვერ შეძლო ჩემი უბედობის გაარჯლება.

ხელუხლებლად გიბრუნებთ კოლოფს. გულქვაობას რომ კიდევ დამცირებასაც დაუმატებენ – ეს უკვე მეტისმეტია! მე შემოგთავაზეთ განაგოთ ჩემი სვე-ბედი, მაგრამ არამც და არამც ჩემი სახელი და ნამუსი! ესაა უწმინდესი საუნჯე (ვაი, რომ ერთადერთი, რომელიც მშთენია), და ჩემი სიცოცხლის აღსასრულამდე ვერავის დავანებებ.

XVII წერილი
შეპასუხება

გულმჩივანმა წავიკითხე თქვენი ბარათი: თქვენს სიცოცხლეში მარტოოდენ ერთხელ დაწერეთ სისულელე.

---

[4] მაღალი მთა ვოს კანტონში.

მაშ, თქვენ ამბობთ, მე ვბღალავ თქვენს ღირსებას, – მისი გულისთვის ხომ ათასჯერ შემიძლია თავი გავწირო! მაშასადამე, შევურაცხვყოფ შენს ღირსებას, – შე უმადურო, ხომ დაინახე, რომ შენი გულისთვის კინაღამ ჩემი პატივი და სახელი დავკარგე! მაშ, რაღაა შენი ღირსება, რომელიც მე შევბღალე? მიპასუხე, შე უღირსო ადამიანო! მიპასუხე, შე უსულგულო! ჰოი, რა საბრალო ხარ, უკეთუ მხოლოდ ის ღირსება მოგეპოვება, რაიც ჟიულიმ არა უწყის? აბა, ეს როგორი ამბავია? ნუთუ ისინი, ვინც მუდამ მზად არიან ერთმანეთს გაუყონ სიხარულიცა და მწუხარებაც, ვერ გაბედავენ ქონების გაზიარებასაც. და ნუთუ მას, ვინც დღენიადაგ ჩამჩიჩინებდა, ჩემს სვე-ბედს შენ გაბარებო, შეურაცხყოფს ჩემი საჩუქარი? როდის და რა დროიდან გახდა სამარცხვინო საყვარელი არსებისაგან საჩუქრის მიღება? როდის იყო, რომ სატრფოს საბოძვარი ბღალავდა მიჯნურის ღირსებას? ეგ როგორ იქნება? განა ვინც მოყვრისაგან საბოძვარს იღებს, სიძულვილის ღირსია? განა უნდა შევიძულოთ უპოვარი ადამიანი? მერე ვინ უნდა შეიძულოს? მარტოოდენ სულმდაბლებმა, ვისთვისაც ღირსება სიმდიდრეა და სათნოებას ოქროთი რწყავენ. განა ასეთ მდაბალ წესებს ემყარება ნამუსიანი კაცის ღირსება? ჩვენი გონებაც არ გვკარნახობს, უკვე წინასწარ ის ამჯობინოს, ვინც უფრო ღარიბია?

ცხადია, არის დამამცირებელი საბოძვარიც, და წესიერი ადამიანი მას ვერ მიიღებს. მაგრამ მერწმუნეთ, ასეთი საბოძვარი ბღალავს გამცემის ხელებსაც, ხოლო სპეტაკი სულითა და გულით მოძღვნილს სპეტაკივე გული შეიწირავს. ამრიგად, ვერაფრით გავიმტყუნებ თავს, პირიქით, ვამაყობ კიდეც ჩემი საქციელით.[5] არავინაა ქვეყნად იმ მამაკაცზე უფრო საძულველი, ვინც ყიდის და ახურდავებს თავის გულსა და სათუთ გრძნობას – განაღამც თუ მარტოოდენ მათი მყიდველი დედაკაცი, ხოლო მიჯნურობით შეკავშირებულ ორ არსებას შორის შენ-ჩემობა არ იქნება. მე უფრო მეტი ფული მაქვს, ვიდრე თქვენ, და სინდისის უქენჯნელად ვიტოვებ ზედმეტ თანხას, ოღონდ ვფიქრობ, თქვენი მოვალე რომ ვარ. ეჰ, უკეთუ ტრფიალების საბოძვარი ტვირთია, მაშინ ადამიანის გულისთვის უცხო ყოფილა მადლიერების გრძნობა.

ხომ არ გგონიათ, ძალიან მესაჭიროებოდა ის ფული, თქვენს ხელშესაწყობად რომ გადავდევი? ახლავ დაგიმტკიცებთ საწინააღმდეგოს. საქმე ისაა, რომ ჩემგნით უკანვე დაბრუნებულ იმ ქისაში იმაზე ორჯერ უფრო მეტი თანხა დევს, რაც წინათ გამოგიგზავნეთ, და შემეძლო კიდეც თანხის გაორკეცება. მამაჩემი სახარჯოდ მაძლევს გარკვეულ თანხას, მართალი რომ ვთქვა, ძალიან მცირეს, მაგრამ ესეც თავსა მდის: რადგან დედაჩემი ძალზე ზრუნავს ჩემთვის და არაფერს მაკლებს. ესეც არ იყოს, ბლომადა მაქვს ჩემი ნახელავი მაქმანი და ნაქარგი. მართალია, ყოველთვის როდი ვიყავი ასეთი მდიდარი; ამ შავბედითმა ტრფიალებამ იმდენი მწუხარება მარგუნა, რომ თავი ვანებე მორთვა-მოკაზმვას და ახლა ჩაცმა-დახურვაზე იმდენს აღარა ვხარჯავ. სწორედ ეს არის კიდევ ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რამაც წამაქეზა ასე ხელგაშლილად მოვპყრობოდი ფულს; უნდა დაისაჯოთ ყველა იმ უკეთურების გამო, რაც მომაგეთ და მარტოოდენ სიყვარული გამოისყიდის თქვენს შეცოდებებს.

ახლა, რაც მთავარია. თქვენ ხომ ბრძანეთ, ჩემი ღირსება მძალავს შენგან საჩუქრები მივიღოო. უკეთუ ასეა, მაშინ ლაპარაკიც არა ღირს: გეთანხმებით, არა გაქვთ ნება თქვენი ღირსებისათვის ზრუნვა სხვა ვინმეს დააკისროთ. თუ გნებავთ ამის დამტკიცება, დაამტკიცეთ ნათლად და მკაფიოდ, უცილობლად და სავსებით მიუკიბ-მოუკიბავად,

[5] ჟიული მართალია. ამ იძულებითი მოგზაურობის გამომწვევი ფარული მიზეზი იმას მეტყველებს, რომ ჯერ კიდევ არასოდეს ყოფილა დახარჯული ფული უფრო მეტად ღირსეული მიზნისათვის. მხოლოდ სამწუხარო ისაა, რომ ამას არავითარი სარფა არ მოჰყოლია.

რამეთუ კარგად უწყით, ვერ ვიტან სოფიზმებს. ქისა შეგიძლიათ დამიბრუნოთ; უდრტვინველად მივიღებ მას და კრინტსაც არ დავძრავ მის გამო ოდესმე.

ოღონდ არ მიყვარან წვრილმანი, ყალბი თავმოყვარეობით განმსჭვალული ადამიანები, ამიტომ უკეთუ მეორეჯერაც უკან დამიბრუნებთ ქისას, ისე რომ არ წარმომიჩენთ გამამართლებელ მიზეზთ, ანდა არადამაჯერებლად დაიწყებთ თავის მართლებას, ჩვენ მეტად აღარ შევხვდებით ერთმანეთს. მშვიდობით. კარგად დაუფიქრდით ყველაფერ ამას.

XVIII წერილი
ჟიულისადმი

მივიღე თქვენი საჩუქარი; თქვენს უნახავად გავემგზავრე, და აი უკვე შორსა ვარ თქვენგან. კმაყოფილი ბრძანდებით თუ არა თქვენი ტირანული ძალაუფლებით? გახლავართ თუ არა საკმაოდ მორჩილი?

მოგზაურობის ამბავს ვერ მოგითხრობთ; მგონი, მეც არ ვიცი კარგად, როგორი იყო იგი. ამ სამი დღის მანძილზე ოცი ლიე განვვლე; ყოველი ნაბიჯის შემდეგ, თქვენ თავს რომ მაშორებდა, ვგრძნობდი, რომ სული ჩემი მზად იყო ხორცს გაჰყროდა, და სიკვდილის პირას მისულს საშინელი ნაღველი შემომაწვა. მე ხომ მინდოდა მომეწერა ყველაფერი, რაც ვნახე და განვიცადე. ეს ფუჭი განზრახვა გამოვიდა და მეტი არაფერი! ყველგან თქვენ მელანდებით, და მხოლოდ ჟიულიზე შემიძლია მოგწეროთ. ერთიერთმანეთზე შემოჯარულმა დარდმა და ვარამმა გონება დამიბნია; სულ ასე მეგონა, ისევ იქა ვარ, ჩემი ჟიულის გვერდით-მეთქი; გონიერება იქამდე მეყო, გზა არ ამბნეოდა და არ დამეწყო მისი კითხვა-კითხვით ძებნა; ასე მივაღწიე სიონამდე, ხოლო ჯერ ვევეს არ გავცილებოდი.

აი რანაირად გადავუველ თქვენს მკაცრ ბრძანებასა და თქვენი ხილვაც შევძელ ისე, რომ ურჩობა არ გამეწია! დიახ, ულმობელო, თუმც კი ყოველი ღონე იღონეთ, სავსებით მაინც ვერ მოახერხეთ ჩემი განრინება. მთლად მე როდი ვარ გაძევებული, არამედ ჩემი ხრწნადი გარსი; ყველაფერი, რითაც ვარ შთაგონებული, თქვენთანა ჰგიებს განურინებლად. ჩემი სული თამამად ამბორს უყოფს თქვენს თვალებს, ბაგეთ, მკერდს, თქვენს ყველა მშვენებას: ეს სული რაღაც ორთქლივით გეხვევათ გარს, და თქვენს ჯიბრზე ისე ბედნიერად ვგრძნობ თავს, როგორც არასოდეს ვყოფილვარ თქვენი ნება-სურვილით.

იძულებული ვარ, აქ ზოგიერთ ვინმეს შევხვდე, მოვაგვარო სხვადასხვა საქმე, და ეს ამბავი ძალზე მანაღვლიანებს. არამც და არამც არ ვუჩივი მარტოობას: ეს ხომ საშუალებას მაძლევს ვიფიქრო თქვენზე და ოცნებით გადავიქროლო იქითკენ, სადაც თქვენ იმყოფებით. მხოლოდ ჩემთვის აუტანელია აუცილებელი მოქმედება, რაც ზოგჯერ მთელ ჩემს ძალ-ღონეს აღემატება. მაშინ ვცდილობ ხელად დავამთავრო ყველაფერი, ოღონდ უფრო სწრაფად განვთავისუფლდე და გული ვიჯერო აქაური კუთხის უდაბურ, მაგრამ ჩემი აზრით, მეტად წარმტაც ადგილებში ხეტიალით. უნდა დავუტევო ყველაფერი და დავრჩე მარტოდმარტო, როგორც ეული, უკეთუ თქვენთან ახლოს ყოფნა არ მიწერია.

XIX წერილი
ჟიულისადმი

აქ არაფერი მაკავებს, თქვენი ბრძანების გარდა. აქ გატარებული ხუთი დღე გადაჭარბებით გასწვდებოდა ჩემს საქმეს, თუკი საქმეს ვუწოდებთ იმას, რაც არ ესალბუნება ადამიანის გულს. ერთი სიტყვით, ჩემი გაწვალება რომ არ გდომოდათ, არავითარი საბაბი აღარ გშთენოდათ ჩემდა გასაწირად.

ძალიან მაწუხებს ჩემი პირველი წერილის ბედი. აქ ჩამოსვლისთანავე დავწერე და ფოსტას გამოვაყოლე. მისამართი თქვენი გამოგზავნილიდან სწორადაა გადმოწერილი. ასეთივე სიზუსტით გაუწყეთ ჩემი მისამართიც, და უკეთუ დაუყოვნებლივ გამოგეგზავნათ ჩემთვის პასუხი, აქამდე უკვე მოვიდოდა; ხოლო პასუხი არა და არ ჩანს; ჩემი აღრეული გონება კი მიხატავს ათასგვარ საშინელებას, რაც ასეთი დაგვიანების მიზეზად მიმაჩნია. ო, ჩემო ჟიული! ნუთუ ამ ერთ კვირაში მოხდა რაღაც ანაზდეული უბედურება, რომელმაც სამუდამოდ გასწყვიტა და დაარღვია სათუთობით ნალოლიავები კავშირი ამ ქვეყანაზე! შიშით თავზარდაცემულს ერთადერთი გზაღა მშთენია ბედნიერებისა და მრავალი უბედურებისათვის.[6] ნუთუ დამივიწყეთ, ჟიული? ოი, რა იქნება ამაზე უფრო საშინელი? მზადა ვარ ავიტანო ყოველგვარი განსაცდელი, ოღონდ როგორც კი გავივლებ გულში, ვაითუ ბედმა ეს სასჯელიც მომისართა-მეთქი, სულიერი ძალ-ღონე მყისვე მეცლება.

თავად ვიცი, რა ცოტა საბაბი მომეპოვება ასეთი შიშისათვის, მაგრამ ჩემს თავს ვერაფერი მოვუხერხე. თქვენგან მოშორვებული სულ უფრო და უფრო მწვავედა ვგრძნობ ფიქრსა და ნაღველს. უამისოდაც საკმარისია ტანჯვა და ვაება, მე კი დამატებით ვიგონებ კვლავ ახალ-ახალს და ვაღიზიანებ წყლულს. თავდაპირველად არცთუ ისე ძლიერ ვღელავდი, უეცარი გამგზავრების გამო მღელვარებამ და მგზავრობის შთაბეჭდილებებმა დააყუჩა ჩემი დარდი. იგი კვლავ იჩენს თავს მარტოსულობის ჟამს. ვაგლახმე! ვიბრძოდი, მაგრამ გულს განმეწონა პირბასრი ლახვარი, ხოლო სატკივარს როდი შეიცნობ ჭრილობათა მიღების უმალ.

რომანთა კითხვისას ასგზის მაინც გამცინებია დაშორიშორებულ მიჯნურთა მაღალფარდოვანი ვიშვიშის გამო. ეჰ, მაშინ რა ვიცოდი, რაოდენ აუტანელი გახდებოდა ჩემთვის ერთხელ თქვენგან გაკიდეგანება. ახლა კარგად ვიცი, თუ სული დაშოშმინებულია, მას არ ძალუძს გულის ვნებათა განსჯა და მიქარვაა იმ გრძნობათა აბუჩად აგდება, რაც თავად არ განგიცდია. და მაინც, – გამოგიტყდეთ განა? – არ ვიცი, რატომ, მაგრამ როგორც კი გავიფიქრებ, ჟიულის ნება-სურვილით გავიყარენით-მეთქი, მაშინვე ეს ერთადერთი აზრი შვებასა მგვრის და მანუგეშებს, მიქარვებს განშორების დარდსა და სევდას. თქვენ რომ ტანჯვა-წამება მომაგეთ, არც ესოდენ საშინელია ჩემთვის, როგორც ბედისაგან მოვლენილი შეჭირვება. და უკეთუ ეს გართობთ და გსიამოვნებთ, დაე იყოს ასე: ის ხომ მომავალ საბოძვართა საწინდარია, რადგან ძალიან კარგად ვიცნობ თქვენს გულს და არა მჯერა, უმიზეზოდ იყოთ ესოდენ სასტიკი.

უკეთუ ჩემი გამოცდა გნებავდათ, მეტს აღარ ვიწუწუნებ. ხომ გსურდათ გაგეგოთ, ვარ თუ არა ერთგული, მომთმენი ან მორჩილი, ერთი სიტყვით, ვარ თუ არა ჩემთვის განკუთვნილ საბოძვართა ღირსი. ოი ღმერთებო! უკეთუ თქვენს განზრახვას ჩავწვდი, ჟიული, მაშინ როდი უნდა ვამბობდე სამდურავს – ჯერ ხომ ცოტა ტანჯვას განვიცდი! დიახაც, ჩემს გულს სასიამო ოცნებები რომ დაეუფლოს, თუ შესაძლოა, გამოიგონეთ ჩემთვის საბოძვრის თანაბარი სატანჯველიც.

---

[6] მეტყვიან, ენის ცდომილებათა გასწორება გამომცემელს ევალებაო. დიახ, თუ გამომცემელი ამას რაიმე მნიშვნელობას აძლევს, ანდა უკეთუ წიგნში შეიძლება ენის გასწორება ისე, რომ არ დაირღვეს და გაფუჭდეს იგი. მასთან, ეს კარგია, როცა დარწმუნებული ხარ, შენს სტილში და შენი შეცდომებით არ შეცვლი ავტორის შეცდომებს. და ყველაფერ ამასთან, განა რაიმეს მოიგებს წიგნი, შვეიცარიელი ფრანგი აკადემიკოსივით თუ ილაპარაკებს?

XX წერილი
ჟიულისაგან

ერთბაშად მივიღე თქვენი ორივე წერილი და მეორე მათგანის წაკითხვისას, სადაც გაწუხებთ პირველის ბედი, ვრწმუნდები: როცა წარმოსახვა მეტისმეტად მალიად შეაჭირვებს კაცის გულს, გონება ვეღარ მისწვდება და სავსებით განერიდება მას! სიონში ჩასვლისას თქვენ, ალბათ, იფიქრეთ, ფოსტალიონი უკვე მზად იყო გამოსამგზავრებლად, და მხოლოდ თქვენს წერილს ელოდებოდა. როგორც კი ადგილზე მიიღებდნენ, წერილს მაშინვე ჩამაბარებდნენ და ასევე მარჯვედ მოგვარდებოდა ყოველივე ჩემი პასუხის გამოსაგზავნადაც. არა, საყვარელო მეგობარო, ყველაფერი ასე მარტივად როდი ხდება! ორივე თქვენი წერილი ერთსა და იმავე დროს მოვიდა, რადგან ფოსტალიონი კვირაში მხოლოდ ერთხელ დადის და მხოლოდ მაშინ გამოემგზავრა, როცა მოუსწრო თქვენმა მეორე წერილმაც;[7] ხოლო წერილების განაწილებისათვის ხომ დროა საჭირო; საჭიროა დრო იმისთვისაც, რომ დამტარებელმა ფარულად ჩამაბაროს პაკეტი, ფოსტალიონიც როდი მიდის აქედან ჩამოსვლის მეორე დღეს. ამგვარად, თუ კარგად გამოვარკვევთ ყველაფერს, მაშინ ჩანს, პასუხის მისაღებად საჭიროა ერთი კვირის ვადა (და მასთან, როცა დააზუსტებ ფოსტის გაგზავნის დღეს). ყოველივე ამას იმიტომ გიხსნით, რომ მსურს სამუდამოდ დავაშუშმინო თქვენი სულსწრაფი მოუთმენლობა. და აი, სანამ თქვენ ენამზეობთ და ამტყუნებთ უწყალო სვე-ბედსა და ჩემს უყურადღებობას, მე, როგორც ხედავთ, ფრთხილად გულისხმავყოფ ყველაფრს, რათა გავაიოლო ჩვენი მიწერ-მოწერა და აგაცილოთ მღელვარება. თავადვე გადაწყვიტეთ, ვინ უფრო მეტ სათუთ ზრუნვას იჩენს ჩვენ ორში!

მაგრამ შევეხოთ უფრო სასიამო საგანს, ჩემო საყვარელო მეგობარო! აჰ, წარმოიდგინეთ და ჩემთან ერთად გაიზიარეთ ჩემი სიხარული: რვა თვის განშორების შემდეგ ვნახე მამაჩემი, ყველა მამის მჯობი მამა ამქვეყნად. იგი ჩამოვიდა ხუთშაბათს საღამოს, და ამ უბედნიერესი წუთიდან მხოლოდ მას დასტრიალებს ჩემი ფიქრი.[8] ეჰა, ჩემო უსაყვარლესო ყოველთა შორის, – იმათ გარდა, ვინაც დამბადეს, – შენი წერილებითა და შენი საყვედურებით აბა რისთვის მიფორიაქებ სულის მშვიდობას, რად მიშრეტ მშობლის ნახვით გამოწვეულ პირველ სიხარულს? ალბათ, ისა გწადია, მარტოოდენ შენ იყო მარად და მარად ჩემი გულის უფალი; აბა ერთი ეს მითხარი, განა გაუმიჯნურდებოდი მამის ურჩსა და უმადურ ქალიშვილს, რომელიც ვნებათა ცეცხლით აღტყინებული, დაივიწყებდა ასულის მოვალეობას და მიჯნურის სიბრალულით გულგასენილი, გულქვად მოექცეოდა უნაზეს მამას? არა, სახიერო მეგობარო, უსამართლო საყვედურებით ნუ მომიწამლავ ალალ ბედნიერებას, ესოდენ სასიამო გრძნობათაგან რომ მომევლინა. შენი სული ასე სათუთობით ნაზარდია და კეთილმოწყალე. ხომ იცი, რაოდენ ძვირფასია ქალიშვილისთვის მამის ფაქიზი, წრფელი ჩახუტება, როცა იგი სიხარულით აჩქროლებულ გულში ჩაიკრავს თავის ასულს. აბა ერთი ეს იფიქრე, განა შეიძლებს გული თუნდ წამიერადაც განმრჩობლდეს და წარსტაცოს ბუნებას მისი უფლებები!

Sol che son figlia io mi rammento adesso.[9]

---

[9] წინათ თქმულიდან ჩანს, რომ ჟიული აქ მართალს არ ამბობს.

[8] მხოლოდ ეს მახსოვს, რომ გახლავართ ასული მისი (იტალ.).

[9] მხოლოდ ეს მახსოვს, რომ გახლავართ ასული მისი (იტალ.).

მაგრამ არა, ნუ იფიქრებთ, რომ მავიწყდებით. განა შეიძლება მისი დავიწყება, ვინც გიყვარს? თუკი ზოგჯერ მომეძალებიან კიდეც უფრო ახალი შთაბეჭდილებები, ისინი მაინც ვერ აღმოფხვრიან მათ, დანარჩენთ. დამწუხრებული მიგაცილებდით გამგზავრების ჟამს, სიხარულით შემოგეგებებით დაბრუნებისას... ოღონდ... ოღონდ ჩემებრ აღიჭურვეთ მოთმინებით, რამეთუ ასეა საჭირო. და ნუღარაფერს გამომკითხავთ. მერწმუნეთ, მოგიხმობთ, რა ჟამსაც ეს შესაძლებელი იქნება. და ესეც იცოდეთ, სხვაზე მეტად ყოველთვის ის კი არ იტანჯება, ვინც უფრო ხმამაღლა ჩივის განშორების გამო.

XXI წერილი
ჟიულისადმი

ოიმე, როგორ გავიტანჯე, ვიდრე სასურველ უსტარს მივიღებდი! ფოსტაში ველოდი მას. აი ფოსტა გახსნეს კიდეც. წამსვე წარმოვთქვი ჩემი გვარი, სწორედ აბეზარი ვხდები. მეუბნებიან, შენს სახელზე წერილიაო. ვთრთი და ვცახცახებ. საშინელი მოუთმენლობით შეპყრობილი მოვითხოვ ჩქარა მომცენ წერილი. როგორც იქნა, მომცეს, ჟიული! ვცნობ შენი მშვენიერი ხელით მოხაზულ პწკარებს! აკანკალებულ ხელს ვიწვდი სანუკვარი საუნჯისაკენ, მზადა ვარ კოცნით დავფარო წმიდათაწმიდა ასოები! მაგრამ რაოდენ წინდახედულია მფრთხალი სიყვარული! ვერ ვბედავ ბაგე დავაკონო წერილს, ვერ ვბედავ მოწმეთა თვალწინ მის გახსნას. გავეშურე დასამალავად. მუხლები მიკანკალებს, მღელვარება სულ უფრო და უფრო შემომენთო, და გზას ძლივსღა ვიგნებ. პირველსავე მოსახვევში ვხსნი უსტარს, ვკითხულობ, თვალებითა ვნთქავ ნაწერს და როგორც კი მივედი იმ პწკარამდე, სადაც ასე კარგადაა აღწერილი გულითადი სიხარული, რომელსაც განიცდი შენი დარბაისელი მამის ჩახუტებით, მყისვე ცრემლთა ნაკადი წამსკდა. გამვლელები ჩერდებიან; ცნობისმოყვარეთა თვალს რომ დავმალვოდი, ხეივანში გადავუხვიე. შენი სიყვარული მეც გადმომედო. აღტაცებული, გუნებაში ვეამბორები შენს ბედნიერ მამას, რომელსაც ოდნავ თუ ვიცნობ. ბუნების ხმა შემახსენებს მამაჩემს და კვალად მოკრძალებით ვღვრი ცრემლებს მის მოსაგონარად.

აბა, რა ბედენაა თქვენთვის, ყველა ასულთა შორის უნარჩევესო, ბედითი ყოფა და მოსაწყენი ცოდნანი ჩემნი? თქვენგან უნდა შევიმეცნოთ ყოველივე, რაიც ადამიანთა გულს შეამკობს და გააკეთილშობილებს, უმეტნავესად სათნოების, სიყვარულისა და ბუნებრიობის ღვთაებრივი შეხამება, რაც მარტოოდენ თქვენ შეგფერით! ქვეყნისქვეყნად არ მოიპოვება ისეთი ფაქიზი გრძნობა, რომელიც არ განეცადოს თქვენს გულს, თავისი სათუთი მოპყრობით კვალად და კვალად რომ გაუკეთილშობილებია იგი. და მეც რომ დავეუფლო ჩემი გულის უკეთ მართვას, მთელ ჩემს მოქმედებათ უკვე ვუმორჩილებ თქვენს ნება-სურვილს, და კიდევ უფრო დაგემონებით ყველა გრძნობით.

ოღონდ როგორ განსხვავდება თქვენი და ჩემი ყოფა, გევედრები, იფიქრეთ ამაზე. სულაც არ მაფიქრებს გვარიშვილობა ანდა სიმდიდრე – პატივისცემა და სიყვარული ყველაფერს შეავსებენ. მაგრამ გარს გახვევიათ თქვენი მოყვარული ადამიანები, ისინი გეთაყვანებიან. მზრუნველობა ძვირფასი დედ-მამისა, რომელთათვის თქვენ ერთადერთი სიხარული ხართ; მეგობრობა მამიდაშვილისა, რომლისთვისაც, როგორც ჩანს, ყველაფერი ხართ ამქვეყნად; ოჯახი, ვისი მშვენებაც თქვენა ბრძანდებით, მთელი ქალაქი, რომელიც ამაყობს, იქ რომ დაიბადეთ, – ყოველივე ამას თქვენ გულში აქვს მოპოვებული სათანადო ადგილი და ყველაფერს უნდა გაუზიაროთ მცირედი მაინც თქვენი გრძნობებიდან. სიყვარულს შთენია მხოლოდ უმცირესი ნაწილი, დანარჩენს სისხლიერი ნათესაობა და

მეგობრობა მიითვისებს. მე კი, ჟიული – ვაგლახ ჩემდა! ვინმე ყარიბს, უსახლკაროსა და თითქმის უსამშობლოს, – თქვენს იქით არავინ მივის ამქვეყნად, და სიყვარული ყველაფრის მაგივრობას მიწევს. ამიტომაც ნუ გაიკვირვებთ, ჩემს სულ რომ ძალუძს უფრო ძლიერი სიყვარული, თუმც თქვენი უფრორე გრძნობიერია, და უკეთუ მე დაგივარდებით ბევრ რამეში, სამაგიეროდ სიყვარულში გჯობნით კიდეც.

ოღონდ ნუ იშიშვით, ამიერიდან არ მოგაბეზრებთ თავს კადნიერი ჩივილით. არა, არ გაგიწბილებთ სიხარულს, რადგან ესოდენ ფაქიზია და რადგანაც ის თქვენ გეკუთვნით. ჩემი გონება წარმოსახავს გულისშემძრავ სცენებს, და შორიდან ვიშვებ და ვიხარებ თქვენთან ერთად: ვინათგან ბედმა არ მარგუნა გავიხარო საკუთარი ბედნიერებით, თქვენი ბედკეთილობით მაინც ვისიამებ. პატივსა ვცემ იმ მიზეზთ, რომელთა გამოც თავიდან მომიშორებთ; აბა რად მინდა ვიცოდე ის მიზეზები, ხომ სულ ერთია, უნდა დავემორჩილო თქვენს ნება-სურვილს მაშინაც კი, უკეთუ არ ვეთანხმები გულის სიღრმეში. ნეტავი უფრო ძნელი თუ იქნება ჩემთვის დუმილის დაცვა, ვიდრე თქვენგან გაკიდეგანება? გახსოვდეთ, ოი, ჟიული, თქვენი სული ორ არსებას რომ განაგებს და ის, ვინც მან აღირჩია და ვისაც შთაბერა სიცოცხლე, სამარადჟამოდ დაიმარხავს უცვლელ ერთგულებას.

... nodo piu forte:
Febricato da noi, non dalla sorte.[10]

მაშ ასე, ვდუმვარ, ხოლო მანამდე, სანამდისაც არ ინებებთ ბოლო მოუღოთ ჩემს განდევნას, ვეცდები სევდის გაქარვებას და მიმოვიარ ვალეს მთებს; კარგია, რომ ეს მთები ადვილი მისადგომია. მერწმუნეთ, ეს მიყრუებული კუთხე ყურადღების ღირსია და ბრალი ისაა, რომ მნახველი არა ჰყავს და არავინ ტკბება მისი სიტურფით. შევეცდები თავი მოვუყარო თქვენი ყურადღების შესაფერ ზოგ-ზოგ დაკვირვებას. რომელიმე პირმწყაზარ ქალს იმით ართობენ, რომ უამბობენ ზნეკეთილი და ზრდილი ხალხის ცხოვრებას, ხოლო შენ, ჩემო ჟიული, შენს გულს უბრალო და ბედნიერი ხალხის ცხოვრების აღწერა უფრო აამებს.

XXII წერილი
ჟიულისაგან

როგორც იქნა, პირველი ნაბიჯი გადადგმულია: სიტყვა თქვენზე ჩამოვარდა, თუმცაღა დიდი აზრისა არა ხართ ჩემს ცოდნაზე, მაგრამ მამაჩემი დიდად გაოცებული დარჩა. არანაკლებ გაუკვირდა ჩემი წარმატებები მუსიკასა და ხატვაში,[11] და თქვენი ცრუობით[12] წინასწარ შეგონებული დედაჩემის განსაცვიფრებლად, მამა დიდად კმაყოფილი დარჩა ჩემი ზრდა-განვითარებით, ოღონდ უჩიოდა ჰერალდიკას, რაზედაც, მისი აზრით, ხელი მქონდა აღებული. მაგრამ ზრდა-განვითარება უმასწავლებლოდ ხომ არ მოიპოვება. მომიხდა მისი სახელის გამხელაც. გავუმხილე კიდეც, და დიდი ფართიფურთით ჩამოვთვალე ყველა მეცნიერება, – გარდა ერთისა! – რის დასწავლასაც არ დამამადლის ჩემი მწვრთნელი. მამაჩემმა მოიგონა, ჩემი წინანდელი ჩამოსვლის დროს ბევრჯერ შემხვედრიაო, და ისე მომეჩვენა, არცთუ გულარძნილად გახსენებდათ.

---

[10] ...კავშირი იგი მტკიცეა უფრო,
ოღონდ როდია ბედითქმნილი, არამედ – ჩვენგან (იტალ.).

[11] აი, მართლაც, ოცი წლის ბრძენკაცი, უამრავი ამბავი რომ იცის. უნდა ითქვას, რომ როცა ის ოცდაათისა შესრულდა, ჟიულიმ მიულოცა, სწავლულობისთვის თავი დაგინებებიაო.

[12] ეს ეხება განადგურებულ, დედის მისამართით გაგზავნილ და ცოტაოდენ ორაზროვნად შეთხზულ წერილს.

შემდეგ კი გამოიკითხა, რა შეძლების პატრონიაო. უპასუხეს: არა უშავს რაო; მერე თქვენი გვარტომობა გამოიძია, მოახსენეს: რიგიანი ოჯახიდან არისო; ხოლო სიტყვა «რიგიანი» ძალზე გაურკვევლად ჟღერს აზნაურის ყურისათვის და ამან აღუძრა ეჭვი, რაც შემდგომი პასუხებით დადასტურდა კიდეც. რაწამს გაიგო, აზნაური არ ყოფილაო, მამაჩემმა მაშინვე იკითხა, თვეში რამდენს უხდითო. მაშინ დედაჩემმა შენიშნა, გასამრჯელოზე ლაპარკიც კი არ შეიძლებოდაო და, კიდევ მეტიც, ის მუდამ უარსა ჰყოფდა ჩემს საჩუქრებს – ისეთებსაც კი, რასაც ჩვეულებრივ არ უარყოფენო. მაგრამ მსგავსი სიამაყის გამოჩენამ მხოლოდ შეაგულიანა მამაჩემის გულზვიადობა. აბა, განა შეიძლება იმ ფიქრის ატანა, რომ შენ რაღაცით დავალებული ხარ უგვარტომო კაცის წინაშე! ამრიგად, გადაწყდა შემოგთავაზონ გასამრჯელო, და თუკი ამას უარსა ჰყოფ, მაშინ არ მიხედავენ თქვენს უდავო ღირსებებს და შეგელევიან. აი, ჩემო მეგობარო, ასეთია დედაარსი იმ საუბრებისა, ჩემს დარბაისელ მასწავლებელს რომ შეეხება, და რომელთა მოსმენისას თქვენი თვინიერი მოწაფე თავის ჭკუაზე აღარ არის. საჭიროდ ჩავთვალე საჩქაროდ გაცნობოთ ეს ამბავი, რათა მოგცეთ დაფიქრების დრო. როგორც კი მიიღებთ გადაწყვეტილებას, მყისვე მაცნობეთ; საქმის გადაწყვეტა მხოლოდ თავად შეგიძლიათ – ჩემი უფლებები ესოდენ ვრცელი და ფართო როდია.

თქვენი მთებში ლაშქრობის ამბავი რომ გავიგე, ელდა მეცა; იმიტომ კი არა, რომ ვეჭვობდე, გექნებათ თუ არა იქ საამო საშუალება გართობა-შექცევისათვის, და არც იმიტომ, რომ თქვენმა დაწვრილებითმა აღწერილობამ სიხარული არ მომანიჭოს, – არა, მეშინია, რომ გადაიქანცებით: თქვენ ხომ ვერა ხართ ამტანი და გამძლე; მასთან კიდევ უკვე გვიანი დროა: სადაცაა თოვლი ყველაფერს დაფარავს, და დარწმუნებული ვარ, სუსხი და ყინვა დაღლილობაზე უფრო გამტანჯველი იქნება თქვენთვის. უკეთუ მანდ ავად გახდებით, ვერასოდეს ვეღარ გავიხარებ. მაშ, წამოდით მაქედან, საყვარელო მეგობარო, დაევანეთ სადმე ჩემს მახლობლად. ჯერ კიდევ არ დამდგარა ვევეში დაბრუნების დრო, მაგრამ ის მწადია, თქვენთვის მაინც აგერჩიათ ნაკლებ მკაცრი მხარე, – წერილებსაც უფრო მალე მივიღებდით; ხოლო სად უნდა დაემკვიდროთ, ეს თქვენი არჩევანისთვის მომინდვია. ოღონდ იცოდეთ, ყველაფერი ისე მოაგვარეთ, რომ აქ არ გაიგონ თქვენი სამყოფელი; ფარულად იმოქმედეთ, მაგრამ მთლად ნუ მოიხვევთ იდუმალების ბურუსს. უფრო დაწვრილებით აღარ დაგიწყებთ დარიგებას. მაგრამ ერთის იმედი კი მაქვს – ხომ კარგად გაგეგებათ, თუ რა სიფრთხილე გმართებთ თავად თქვენთვისაც და კიდევ უფრო მეტწილად – ჩემთვისაც.

მშვიდობით, მეგობარო ჩემო! მეტი აღარ შემიძლია თქვენთან მუსაიფი. ხომ კარგად იცით, რა სიფრთხილეს ვიჩენ ჩვენი მიმოწერისას. მაგრამ ეს ჯერ კიდევ ყველაფერი როდია: მამაჩემმა თან ჩამოიყვანა თავისი ძველი მეგობარი, დარბაისელი უცხოქვეყნელი, რომელმაც დიდი ხნის წინათ, ომის დროს, სიკვდილს გადაარჩინა იგი. აბა თვითონვე განსაჯეთ, როგორ ვცდილობთ მის სიამოვნებას. ხვალ ის გაემგზავრება და ვისწრაფით, სანამ წასულა, გავართოთ ჩვენი მწყალობელი და ვაგრძნობინოთ გულმხურვალე სიყვარული. მეძახიან, დროა დავამთავრო წერა. კვალად მშვიდობით!

XXIII წერილი
ჟიულისადმი

რაღაც ერთ კვირაში შემოვიარე მხარე, რომლის შესასწავლადაც წლებიც არ მეყოფოდა. მაგრამ თოვლმა შემაშინა და თან მინდოდა დამესწრო მოწიგნარისათვის:

იმედი მაქვს, მომიტანს თქვენგან გამოგზავნილ წერილს. ლოდინში ხელი მივყავ შენთან გამოსაგზავნი უსტარის წერას – თუ საჭირო იქნება, კიდევ ერთსაც დავწერ თქვენდა საპასუხოდ.

ამჟამად სრულიადაც არ ვფიქრობ ჩემი მოგზაურობისა და დაკვირვებათა ვრცლად აღწერას; ანგარიში უკვე შედგენილია და ვვარაუდობ, უშუალოდ თქვენ გადმოგცეთ იგი. მიმოწერა უნდა ეძღვნას იმას, რაც უფრო ახლოსაა ჩემსა და თქვენს გულთან. მე გამცნობთ მხოლოდ და მხოლოდ ჩემს სულიერ განწყობილებას: ანგარიში უნდა ჩაგაბაროთ იმის გამო, რაც თქვენ გეკუთვნით.

მოგზაურობას შევუდექი ჩემი ბედშაობით შენაღონები, ოღონდ თქვენი სიხარულით ნუგეშცემული; ყოველივე ამან მომგვარა რაღაც შფოთიერი სევდა – ხოლო იგი მგრძნობიარე გულთათვის მომხიბვლელობითაა აღსავსე. ნელინელ მივუყვებოდი ფეხით საკმაოდ დამრეც ბილიკებს, თან მახლდა ჩემს მიერ გამყოლად დაქირავებული ადგილობრივი მცხოვრები; მაგრამ ჩვენი ყარიბობის დროს უფრო მეტი მეგობრობა გამიწია, ვიდრე უბრალო მოქირავნემ. მინდოდა მეოცნება, მაგრამ მიტაცებდნენ ფრიად მოულოდნელი სურათები. ხან თავს ზემოთ ჩამომზვლეული უზარმაზარი ტინი კლდეები, ხანაც მაღლიდან დაქანებული მქუხარე ჩანჩქერები იფრქვეოდნენ უამრავ შხეფებად. ზოგჯერ ჩემი გზა მიუყვებოდა გიჟმაჟი ღვართქაფის ნაპირს და ვერ ვბედავდი მის უძირო ფსკერში ჩახედვას. ჟამიდანჟამად დავალაჯებდი უღრან ტევრში. დროდადრო პირქუშ ხეობიდან თავს ამოვყოფდი თვალის მალხინებელ უტურფეს ველზე. უდაბური ბუნებისა და დამუშავებული მიწა-წყლის გასაოცარი აღრევა ადასტურებდა ადამიანის გარჯას იქ, სადაც, თითქოსდა, ვერასოდეს შეაღწევდა იგი. მღვიმეებს მიკროდნენ მომცრო სახლები. დაიწყებ მაყვლის კრეფას – და ვენახის ლერწებს გადაეყრები: ნამეწყრალებზე გაშლილა ზვარი; კლდეთა შორის – საუცხოო ნაყოფით დახუნძლული ხეხილი, უფსკრულთა ზედან – დაკიდებული დამუშავებული ყანები.

მაგრამ მარტოოდენ შრომას როდი შეუტანია ამ საუცხოო მხარეში ესოდენ გასაოცარი კონტრასტები. ასეთ ფერთამრავლობას ზოგჯერ ხედავ ერთსა და იმავე ადგილასაც. ასე გეგონებათ, თითქოსდა თვით ბუნებისთვის იყოს საიასაღო ეს წინააღმდეგობანი. აღმოსავლეთ ფერდობთა ზედან – საგაზაფხულო ვარდ-ყვავილები, ხოლო სამხრეთით – საშემოდგომო დოვლათი, ჩრდილოეთით კი – თოვლი და ყინვა. თვალის დახამხამებაში უერთდება ერთმანეთს წლის სხვადასხვა დრო და ქვეყნის ერთსა და იმავე კუთხეში ერთურთს შეზავებია ნაირფეროვანი ჰავა. მიწის ერთსა და იმავე ნაკვეთზე – სხვადასხვაგვარი ნიადაგი. ამრიგად, აქ ბუნების ნება-სურვილით მთისა და ბარის ნაერთი გვაოცებს არნახული თანხმოვანებით, ხოლო ყოველივე ამას დაუმატეთ თვალთა მცდარობით გამოწვეული სურათები. წარმოიდგინეთ ნაირ-ნაირად აელვარებული მთათა მწვერვალები, სინათლისა და ჩრდილთა თამაში, საგანთიადო ცისკრისა და დაისის შუქით ათასფრად ანთებული ცის ტატნობი – და ნაწილობრივ წარმოგესახებათ იმ ლანდშაფტთა მუდმივი ცვალებადობა, რომლებიც უხმობდნენ და იზიდავდნენ ჩემს აღტაცებულ მზერას. მათ შემყურე კაცს თეატრში გეგონება თავი, ვინაიდან თვალი ერთბაშად სწვდება ციცაბ მთაგრეხილთა მწკრივს და თვალთა წინარე თანდათანობით იშლება შორს განფენილი ბარის ხედი, სადაც ერთი საგანი აშთობს მეორეს.

პირველსავე დღეს ნაირფეროვნების ამ სიმშვენიერეს მივაწერე ის სიმშვიდე, კვლავ რომ დაეუფლა ჩემს სულს. აღტაცებას მგვრიდა ბუნების ძლევამოსილება, რომელიც აოკებს და აშოშმინებს ყველაზე აზავთებულ ვნებებს და მძაგდა ფილოსოფია იმის გამო, რომ მას არ ძალუძს ის გავლენა მოახდინოს ადამიანის სულზე, როგორსაც უწევს უსულო საგანთა წყება. სულიერ სიმშვიდეს განვიცდიდი მთელ ღამეს, ხოლო მეორე დღეს კვალად

უფრო გაძლიერდა იგი – და მაშინ მივხვდი, ამის მიზეზი კიდევ რაღაც სხვა რომ იყო, რაც ჯერჯერობით ჩემთვის უცნობია. იმ დღეს ვხეტიალობდი ფრიალო კლდეთა შორის, ხოლო მას უკან გადავიარე დაკლაკნილი ბილიკები და გადავადექ იმ მიდამოში ყველაზე მაღალ ქედს. ღრუბელთა შორის მოხეტიალემ ფეხი დავადგი ბრწყინვალე მწვერვალს, საიდანაც გაზაფხულის ჟამს კარგად მოჩანს, თუ როგორ იბადებიან ჭექა-ქუხილი და ქარიშხალი, – ასეთ მწვერვალებს ამაოდ ადარებენ ბრძენკაცის სულს, ვინაიდან სულის ესოდენ მაღალ სიდიადეს სხვაგან ვერსად იპოვით, განაღამც იმ მხარეში, საიდანაც მოუხმეს ამ სიმბოლოს.

სწორედ მაშინ ვიგრძენი აშკარად, რომ მთის სუფთა ჰაერი გახლდათ ჩემი გუნება-განწყობილების ცვალებადობის მიზეზი, კაი ხანია დაკარგული ჩემი სიმშვიდის დაბრუნების მიზეზი. მართლაცდა, მაღალ მთებში, სადაც ჰაერი სპეტაკია და გამჭვირვალე, ყველას ეუფლება ერთი და იგივე გრძნობა, თუმცა ყოველთვის როდი შეუძლიათ ამის ახსნა, – აქ უფრო ლაღად სუნთქავს ადამიანი, სხეული თითქოსდა ძალუმ მსუბუქი ხდება, აზრიც – უფრო ნათელი, ვნებათაღელვა ნაკლებ მწველია, გულისთქმა – დაშოშმინებული. ფიქრებს მნიშვნელოვანი და ამაღლებული, დიდებული პეიზაჟის შესაფერი ხასიათი ენიჭებათ და წარმოქმნიან სანეტარო, მყუდრო სიმშვიდეს, რასაც ეცლება ყოველივე უკეთური, ყოველგვარი ავხორცული. თითქოსდა, ადამიანთა საცხოვრისის დაგდებით ხელს იღებ ყოველგვარ ბილწ და ქვენა გულისწადილზე; ცისიერ სიმაღლეებამდე მიწვდენილი სული მათთან პოულობს უმწიკვლო სისპეტაკის წილს, ხდები უფრო სერიოზული, ოღონდ სევდიანი კი არა; მშვიდი, მაგრამ გულქვა კი არა; გიხარია, ცოცხალი რომ ხარ და აზროვნებ კიდეც; ყოველი აზღვავებული ვნებათაღელვა და გულისთქმა ჩლუნგდება, ეკარგება მწვავე სიმკვეთრე და გულსა გვშთენია მარტოოდენ მსუბუქი და საამური ბორგვა, – აი, მადლიანი ჰავა როგორ წარმართავს ადამიანთა საკეთილდღეოდ იმ ვნებათაღელვას, რაც ჩვეულებრივ ტანჯავს და განაწამებს მათ. მერწმუნეთ, ყოველგვარი ძლიერი მღელვარება, ყოველგვარი სევდა-ნაღველი განქარდება, უკეთუ აქაურ ველ-მიდამოში იცხოვრებ; და მე მიკვირს კიდეც, მთის ჰაერით ესოდენ სამკურნალო და მარგებელ მსგავს განბანვას რად არ გვინიშნავენ, როგორც ყოვლისგანმკურნველ წამალს ხორციელ და სულიერ სალმობათა წინააღმდეგ.

Qui non palazzi, non teatro o loggia,
Ma’n lor vece, un’abete, un faggio, un pino
Trà l’erba verde e’l bel monte vicino
Levan di terra al Ciel nostr’intelletto.[13]

წარმოიდგინეთ ეს-ეს არის აღწერილ შთაბეჭდილებათა მთელი ერთობლიობა და ნაწილობრივ გულისხმაჰყოფთ, რაოდენ მშვენიერია ეს სანახები. ეცადეთ წარმოიდგინოთ, რა სანუკველად ნაირფეროვანია განუწყვეტლივ ცვალებად სურათთა სიდიადე და სიტურფე, რა საამურია, როცა ირგვლივ ყველაფერი ახალია შენთვის – გასაოცარი ფრინველები და საკვირველი, ჯერ არნახული მცენარეები, როცა ჭვრეტ სულ სხვანაირ ბუნებას და სავსებით სხვა სამყაროში გადაეშვები. ლანდშაფტთა ამ ენით გამოუთქმელ სიუხვეს უფრო დიდ მომხიბვლელობას ანიჭებს ჰაერის კრისტალისებრი გამჭვირვალობა: აქ უფრო ნათლად ელვარებენ ფერები, უფრო მკვეთრად ჩანან ნაკვთები, ყოველიფერი

[13] სრა-სასახლეთა, თეატრთა თუ ლოჯიის ნაცვლად –
გადამწვანებულ ველ-მინდორთა და მთათა შორის
მხოლოდ ნაძვს, ან ფიჭვს, ანდა წიფელს მოკრავ თვალს ზოგჯერ
და აღტაცებით ზეცისაკენ აღევლინები (იტალ.).

თითქოს თანისთან გიახლოვდება, მანძილი უფრო მოკლე გეჩვენება, ვიდრე ვაკეზე, სადაც მკვრივი ჰაერი ბურავს მიდამოს; ანაზდად ჰორიზონტზე თვალთა მზერას მოავლებ ეგზომ უამრავ წვრილმან რასმე და გაგიკვირდება კიდეც, ვით ახერხებსო იგი ამდენის დატევნას. ერთი სიტყვით, მთის ლანდშაფტი შეიცავს რაღაც მომაჯადოებელს, ზესთაბუნებრივს, გონებისა და გრძნობათა აღმაფრთოვანებელს; ყველაფერს ივიწყებ, თავი აღარ გახსოვს და აღარ უწყი, სად იმყოფები.

მოგზაურობის დღეებში მუდამჟამს მოხიბლულივით ვისიამტკბილებდი ბუნების ხილვით, გული ჩემი რომ არ აღენთო უფრორე დიად სიხარულს – ადგილობრივ მცხოვრებლებთან ურთიერთობას. ჩემს აღწერილობაში თქვენ იპოვით ნარკვევს მათი ზნე-ჩვეულებების, ცხოვრების უბრალო ნირისა და ყაიდის, ზომიერი და დინჯი ხასიათისა და მათი გამაბედნიერებელი სანეტარო სიმყუდროვის შესახებ, – იმიტომ კი არა, რომ მათ ახარებთ სიამენი ამა სოფლისა, არამედ იმიტომაც, რომ მათთვის უცხოა ურვა და მწუხარება. ოღონდ შეუძლებელია აღწეროს კაცმა მათი უანგარო კაცთმოყვარეობა და სტუმარმასპინძლობა შემთხვევით და ცნობისმოყვარეობის გამო აქ მოხვედრილ უცხოქვეყნელთა მიმართ. ეს ამბავი, ჩემდა განსაცვიფრებლად, დავადასტურე მე, უცხო კაცმა, მარტოოდენ გამყოლთან ერთად რომ აღმოვჩნდი აქ. ერთხელ, საღამოთი, რომელიღაც პატარა სოფელში შევედი და იქაურმა მცხოვრებლებმა ისეთი დაჟინებით დამიწყეს მიპატიჟება თავ-თავიანთ სახლებში, რომ გასაჭირში ჩავვარდი. ამ შეჯიბრებაში გამარჯვებულმა ისე გაიხარა, რომ თავდაპირველად ასე მეგონა, ამას ანგარების მიზნით სჩადის-მეთქი. და მერე როგორ განვცვიფრდი, როცა მის სახლში მთელი დღე გავატარე და მისი მდგმური გავხდი, ხოლო ფული არაფრის დიდებით არ აიღო. რომ ჩავაცივდი, ითაკილა კიდეც. ასე ხდებოდა ყველგან. ამრიგად, საყოველთაო გულთბილი მოპყრობა სარფის გამო ზრუნვა მეგონა. ისინი იმდენად უანგარონი არიან, რომ მთელი მოგზაურობის დროს ერთი პატაგონიც[14] კი არ დამიხარჯავს. მართლაც, რაში უნდა გაიღოს კაცმა ფული იმ ქვეყანაში, სადაც ბატონები არ იღებენ გასამრჯელოს თავიანთი დანახარჯების გამო, ხოლო შინაყმანი – სამსახურისათვის, და სადაც მათხოვრებიც კი არსად გამოიძებნებიან! თუმცაღა ზემო ვალეში ფული ძალზე იშვიათია, მაგრამ სწორედ ამის გამო იქ ადამიანები დოვლათიანად ცხოვრობენ: მთელ მხარეში უხვადაა ყოველნაირი სანოვაგე, ხოლო საქონელი არსად არ გააქვთ; ქვეყნის შიგნითაც როდია დიდი სიუხვე და შრომისმოყვარე მიწის მუშებს – მთიელებს – როდი აქვთ დაკარგული მუშაობის ხალისი. როგორც კი ჯიბეში ფული გაუჩნდებათ, მყისვე გაღატაკდებიან – ეს გარდაუვალია. მაგრამ იმდენად ბრძენები არიან, რომ კარგად ესმით ყოველივე ეს და კრძალავენ კანტონის მთებში აღმოჩენილი ოქროს მადნის დამუშავებას.

თავდაპირველად ძალიან გამიკვირდა, თუ როგორ განსხვავდება აქაური ზნე-ჩვეულებები ქვემო ვალეს ზნე-ჩვეულებებისაგან, სადაც იტალიაში მიმავალ მოგზაურებს უნამუსოდ ყვლეფენ ხოლმე, და გამიძნელდა კიდეც გამეგო, თუ როგორ ეხამებიან ერთმანეთს ესოდენ გასაოცრად ერთი და იმავე ხალხის მოპირისპირე ნიშან-თვისებები. ეს ამბავი ადგილობრივმა მკვიდრმა განმიმარტა.

– ჩვენს ვაკე ადგილებში ჩამვლელი უცხოქვეყნელნი, – მითხრა მან, – ან ვაჭრები არიან, ანდა ის ადამიანები, ყოველგვარ მომგებიან საქმიანობას რომ ეწევიან. და ისინიც თავიანთი შემოსავლის ნაწილს სამართლიანად უტოვებენ ჩვენს ქვეყანას; ჩვენც ისე ვეპყრობით მათ, როგორც ისინი ყველა სხვებს. ხოლო ჩვენს მხარეში არაფერი იზიდავთ საქმოსან-უცხოქვეყნელთ, და ჩვენც გვჯერა, რომ აქ ანგარების მიზნით როდი მოგზაურობენ. ამიტომაც ვუწევთ უანგაროდ მასპინძლობას. უცხოქვეყნელები ჩვენი

[14] პატაგონი – წვრილი ფული.

სტუმრები არიან. ისინი კეთილი გულით მოდიან და ჩვენც მეგობრულად ვღებულობთ მათ. ბოლოს და ბოლოს, – ჩაცინებით დასძინა მან, – ძვირი როდი გვიჯდება სტუმართმოყვარეობა, და ძნელად თუ ვინმე მოინდომებს ამით ხელის მოთბობას.

– ო, რასაკვირველია-მეთქი, – მივუგე მე, – რა უნდა მოიმოქმედო იმ ადამიანთა შორის, არსებობისათვის რომ ცხოვრობენ და სარფასა და პატივისცემას არ დაეძებენ? რა ბედნიერი ადამიანები არიან, თავიანთი ხვედრის ღირსნი და სანაქებონი! ვფიქრობ, ოდნავ მაინც დაგემსგავსოთ თქვენ, რათა ჩინებულად ვიგრძნო თავი თქვენს წრეში.

სტუმართმოყვარეობა როდი გვეჩოთირებოდა არც თავად იმათ, არც მე, და ეს იყო ყველაზე სასიამოვნო ამბავი. ცხოვრების ნირი არ შეუცვლიათ, თითქოს არც კი ვიყავი იქ. შემეძლო ისე მოვქცეულიყავი, თითქოს მარტოკა ვცხოვრობ-მეთქი. მათ არ სჩვევიათ ცუდი ფაციფუცი, სტუმარი უპატივცემულო არ დაგვირჩესო; არც ცდილობენ პატივი მიაგონ უცხოქვეყნელს და სწორედ ამით მოაგონონ მას, მასპინძლები ვართო, ესე იგი, განსაკუთრებით აღნიშნონ, ჩვენზე ხართ დამოკიდებულიო. მე არ გამომითქვამს არავითარი სურვილი და ისინი ფიქრობდნენ, მოსწონს ჩვენს მიერ დადგენილი წესრიგიო. მაგრამ როგორც კი სიტყვას დავძრავდი, შემეძლო ჩემს ნებაზე მეცხოვრა, და არ გამოვიწვევდი არც უკმაყოფილებას, არც გაოცებას. მთელი ამ ხნის განმავლობაში მათ მხოლოდ ერთადერთი თავაზიანობა გამიწიეს: როცა გაიგეს, შვეიცარიელიაო, დამიჩემეს, ძმები ვართო და მთხოვეს, ისე მოიქეცი, ვითომც შინა ხარო; ხოლო შემდეგ არც კი უფიქრიათ ჩემს საქმეში ჩარევა, ვერც კი წარმოედგინათ, ჩვენი სტუმართმოყვარეობის გულწრფელობაში დაეჭვდებაო, ანდა ამ სტუმართმოყვარეობით სარგებლობისას სინდისის ქენჯნას იგრძნობსო. ასე ეპყრობიან ისინი ერთმანეთსაც: უკვე წამოჩიტულ ბავშვებს მამების თანატოლებად მიაჩნიათ თავიანთი თავი, მოჯამაგირენი მაგიდაზე ბატონთა გვერდიგვერდ სხდებიან – თავისუფლება სუფევს სახლებსა და რესპუბლიკაში, და ოჯახი სახელმწიფოს პირველსახეს წარმოადგენს.

მარტოოდენ ერთი რამ აკვეცდა ფრთებს ჩემს თავისუფლებას – უსაზომოდ გრძელჟამიერი ტაბლობა. რასაკვირველია, არხეინად შემეძლო არ მივჯდომოდი სუფრას, მაგრამ უკეთუ ამას ჩაიდენ, კეთილინებე და შეღამებამდე მათთან ერთად კარგი ქეიფიც გასწიე, თანაც ბლომად ჩაღლიე. განა შეიძლება წარმოვიდგინოთ მამაკაცი და მასთან შვეიცარიელი, დალევა რომ არ უყვარდეს! გამოგიტყდებით, კარგი ღვინო საუცხოო რამ არის, და მე ქეიფის წინააღმდეგი როდი ვარ, უკეთუ ამ ამბავს არ დაგაძალებენ. მუდამჟამს შემიმჩნევია, არამსმელები თვალთმაქცებიც რომ არიან; სუფრასთან თავშეკავებას ხშირად თან ახლავს თვალთმაქცობა და ორპირობა. ალალ-მართალ ადამიანს არ ეშინია მსუბუქი სიმთვრალის – თანამგზავრთა გრძნობების გამჟღავნებისა და გულახდილი საუბრებისა; ოღონდ ჟამიერად უნდა შევიკავოთ თავი და მეტისმეტი არ მოგვივიდეს. მე კი ამას ვერ ვახერხებდი ისეთ თავგამოდებულ მოქეიფეთა ასაბიაში, როგორებიც არიან ვალეს მცხოვრებნი; ადგილობრივი ღვინო ძალზე მაგარია, ხოლო მაგიდებზე წყალს თვალსაც ვერ მოჰკრავ. სისულელე იქნებოდა არამსმელობა დაგეჩემებინა და გაგენაწყენებინა კეთილი ადამიანები. და მეც მათდამი მადლიერების გამო მაგრად გამოვიბრუჟებოდი ხოლმე, და რადგან არ შეიძლებოდა მათი სტუმართმოყვარეობისათვის ფული გამეღო, ამისთვის ჩემი გონებით ვიხდიდი ნახარჯს.

არანაკლებ მზღუდავდა მეორე ჩვეულება: ძალზე მეჩოთირებოდა, როცა მასპინძლის ცოლი და ქალიშვილი მემსახურებოდნენ და ჩემს მაგიდასთან იდგნენ, – ასეა მიღებული თვით თანამდებობის პირთა ოჯახებშიც; ზრდილობიანი ფრანგი სასწრაფოდ გამოასწორებდა ამ უთავბოლობას; მით უმეტეს, რომ ვალეს მკვიდრ ქალებს, თვით მოჯამაგირე ქალებსაც კი ისეთი იერი აქვთ, რომ უხერხულობას განიცდი, როცა ისინი გემსახურებიან. შეგიძლიათ მერწმუნოთ, მეტისმეტად კარგები არიან, რაკი ისინი

კეკლუცებად მიმაჩნია: ჩემი თვალები ხომ შეეჩვივნენ თქვენი მზერით დატკბობასა და ძვირად აფასებენ მშვენიერებას.

მაგრამ მე უფრო მეტად ვაფასებ იმ ქვეყნის ადათ-წესებს, სადაც ვცხოვრობ, ვინემ თავაზიანობით ნაკარნახევ ზნე-ჩვეულებებს, და მათ სამსახურს ვიფერებდი ისეთი დუმილითა და თავმომწონეობით, ვით დონ-კიხოტი ჰერცოგის ცოლის სასახლეში; ზოგჯერ მეღიმებოდა კიდეც, როცა ჩემს თანამესუფრეთა ფაშფაშა წვერსა და ტლანქ სიფათს ვადარებდი თეთრსპეტაკსა და ლოყაწითელ პირისახეს ნორჩ-ნორჩი ლამაზმანებისას, ესოდენ მორცხვი და მოკრძალებული რომ იყვნენ, ყოველი სიტყვის გაგონებისას აილეწებოდნენ ხოლმე და კიდევ უფრო მომჯადოები და ეშხიანი ხდებოდნენ, ოღონდ ერთობ მეჩოთირებოდა მეცქირა მათი ვეება, სავსე გულმკერდისათვის, თავისი ქათქათა სითეთრით ჩემს საოცნებო სრულქმნილ ნიმუშს რომ ჩამოჰგავდა, თვალთაგან დაფარულ მომხიბვლელ ნიმუშს, რომელიც თავისი ნაკვთებით, როგორც ეს იდუმალ შევნიშნე, იმეორებს იმ შესანიშნავი თასის ნაკვთებს, რომლის მოდელსაც წარმოადგენს ყველაზე უმშვენიერესი გულმკერდი ამქვეყნად.

ნუ გაგიკვირდებათ, რომ მე ეგზომ ბევრი რამ ვიცი იმაზე, რასაც ასე გულმოდგინედ უმალავთ ყველას; ზოგჯერ ერთი გრძნობა მეორის მაგივრობასა სწევს; თუმცა ძალიანა ცდილობთ, ყველაზე მკაცრ ტანისამოსსაც კი არ ძალუძს თქვენი მშვენებათა მიჩქმალვა: თვალს მოჰკრავთ თუ არა მას სადა გულისპირს შიგნით, გეგონებათ, ხელი მივანანეო. უტიფარი, ხარბი მზერა თავხედურად იჭრება სამოსს მიბნეულ ყვავილებს მიღმა, შეიჭვრეტს ხავერდისა და დოლბანდის წიაღ, და თითქოს ხელშესახებად გრძნობ მკვრივ და მაგარ ძუძუებს, რომელთაც ვერასოდეს გაუბედავდი შეხებას.

Parte appar delle mamme acerbe e crude,
Parte altrui ne ricopre invida vesta;
Invida, ma s'agli occhi il varco chiude,
L'amoroso pensier già non arresta.[15]

ყურადღება მივაქციე აგრეთვე ვალეს მკვიდრ ქალთა სამოსლის საკმაოდ შესამჩნევ ნაკლს; მათი კორსაჟი უკანიდან იმდენად მოკლეა, რომ გეგონება, კუზიანები არიანო; ეს კორსაჟები, მომცრო შავ-შავი თავსაფრები და ტანსაცმლის სხვა ნაწილები, რომელთაც არ აკლიათ მოხდენილობა და სისადავე, რაღაც თავისებურ იერს აძლევს მათ. მე ჩამოგიტანთ ასეთ კოსტიუმს – მერწმუნეთ, ძალიან დაგშვენდებათ. იგი ამ კუთხის ყველაზე ტანკენარი გოგონასთვისაა ზომით შეკერილი.

ხოლო რა ამბავია თქვენთან, ჩემო ჟიული, სანამ აღტაცებული ვმოგზაურობდი ამ მიდამოებში, ესოდენ ნაკლებად ცნობილი რომაა, ოღონდ ყურადღების ღირსია უდავოდ. ნუთუ თქვენს მეგობარს შეეძლო თქვენი დავიწყება? განა ჟიულის დავივიწყებ? უფრო მალე დავივწყებდი საკუთარ თავს! განა შემიძლია თუნდ ერთი წამითაც კი ხელი ავიღო თქვენზე. მე ხომ მარტოოდენ თქვენით ვსულდგმულობ! უფრო ნათლად აროდეს შემიმჩნევია, რომ უნებლიეთ წარმოვიდგენდი ჩვენს ერთობლივ არსებობას ხან ერთ, ხან მეორე ადგილას იმისდა მიხედვით, თუ რაგვარ გუნება-განწყობილებაზე გახლდით. როგორც კი სევდა-ნაღველი შემომიხდება, სული უმალ თქვენს ახლოს ეძიებს თავშესაფარს

[15] მკვრივი და ოდნავ მოღეღილი ბროლის გულ-მკერდი...
მერე ყოველი უსაშველოდ შებურვილია;
ოღონდ, რაც უნდა მკაცრ საფარველს მიენდო გულით,
მგზნებარ ოცნებას საბურავი ვერ დააოკებს (იტალ.).

და ნუგეშსა ჰპოვებს იმ არემარეში, სადაც ჰგიებთ თქვენ; ასე მოხდა, ოდეს დაგშორდით. როგორც კი აღმიტაცებს ლხენა და სიხარული, და უკვე აღარა მწადს მარტოულად ვისიამტკბილო, მაშინ ჩემდა მოგიხმობთ. ასე იყო ჩემი მოგზაურობის დღეებში, რაჟამს ვტკბებოდი ნაირფეროვანი შთაბეჭდილებებით და თანვე დაგატარებდით ყოველგან. უთქვენოდ არც ერთი ნაბიჯი არ გადამიდგამს, როცა ლანდშაფტთა ცქერით ნასიამები, ვისწრაფოდი თქვენთვის მეჩვენებინა ეს სანახები. ხეთა კორომები გფარავდნენ თავიანთი საბურვლით, ამწვანებულ მდელოზე სულს იბრუნებდით. ზოგჯერ გვერდი-გვერდ მსხდომნი, ერთად ვხარობდით და ვიშვებდით თვალწარმტაცი მიდამოს ცქერით; დროდადრო, იქვე – თქვენს ფერხთით განვცხრებოდი საარაკო სილამაზით, გრძნობიარე და გულთბილი ადამიანის უფრორე დიდი აღტაცება რომ უნდა მიეგოს. ხანდახან გზაზე წავაწყდებოდი რაიმე დაბრკოლებას და ვხედავდი, რა მარდად და მსუბუქად გადახტებოდით ხოლმე, ვით ნორჩი ნუკრი დედა შველთან ერთად; როცა ნაკადულს გაღმა გადასვლა მიწევდა, ვხედავდი გულში ჩამეკრა სანუკვარი ტვირთი; და აღტაცებული აუჩქარებლად გადავდიოდი ნაკადულს, თან ვნანობდი, უკვე რომ გამოჩნდებოდა გაღმა გამსვლელი ბილიკი. თქვენ თავს მაგონებდა ამ მყუდრო მხარეში ყველაფერი – სულის აღმძვრელი ბუნების სურათებიც, ჰაერის პირველქმნილი სისპეტაკეც, აქაურ მცხოვრებთა მარტივი ადათ-წესებიც და მათი მშვიდი, იმედნეული კეთილგონიერებაც, ქალიშვილთა ფაქიზი კდემამოსილებაც, მათი უმწიკვლო სიმშვენიერეც, – უკლებლივ, რაიც სასიამოდ ანცვიფრებდა ჩემს თვალებსა და გულს, ყოველივე ეს უხატავდა ჩემს წარმოსახვას იმ ადამიანს, რომელსაც ყოველი ფეხის გადადგმაზე ეძიებდნენ ისინი.

«ო, ჩემო ჟიული! – ალერსით ვუხმობდი მე, – ნეტავ, რად არ ძალმიძს შენთან ერთად გავატარო დღეები ამ ყველასათვის უცნობ მხარეში, გავიხარო ჩემი ბედნიერებით და არ კი მეშინოდეს ადამიანთა მითქმა-მოთქმისა? ეჰ, რად არ ძალმიძს შენ ერთადერთს შემოგწირო სული ჩემი და დაგენაცვლო სამარადისოდ ამ ქვეყანაზე! ძვირფასო ჩემო და სანატრელო, მაშინღა მოგეგების ყოვლი პატივი, რისი ღირსიც შენა ხარ კიდეც. ო, სიამენო სიყვარულისა! სწორედ მაშინ ინეტარებდნენ ჩვენი გულები თქვენით უკუნისამდე. ხანგრძლივი და სანეტარო განცხრომით გაბრუებულნი ვერც კი შევამჩნევდით ჟამთასვლას, ოღონდ, ბოლოს და ბოლოს, როს ხანდაზმულობა დაგვიურვებდა ახალგაზრდულსა გიჟურსა ლტოლვას, ერთობლივი ფიქრისა და განცდის ზნე და წესი ამის სანუქფოდ მოგვანიჭებდა ასეთსავე უნაზეს მეგობრობას; ჩანავლდებოდა ცეცხლი ვნებისა, მაგრამ პირაღშკმულ სიცალიერეს ამოავსებდა ჯეელობის ჟამს სიყვარულის მზრდელი ყველა კეთილშობილური გრძნობა; აქაურ ბედნიერ ხალხს შორის მისი მაგალითით წაქეზებულნი ჩვენც აღვასრულებდით კაცთმოყვარეობის მოვალეობას, ჩვენი გულებიც შეერთდებოდნენ ქველი საქმისთვის და სიცოცხლით ამებულნი საუკუნოდ განვისვენებდით».

ფოსტა მოვიდა. ვამთავრებ უსტარს და მივეშურები შენი წერილის წამოსაღებად. მხოლოდ ის მინდა, როგორმე გაძლოს გულმა ჩემმა ამ წუთამდე. ვაგლახ ჩემდა! ეს-ეს არის სვებედნიერი ვიყავი, ოცნებით გატაცებული. ბედნიერება მასთან ერთად ქრება. ნეტავი რას მიქადის სინამდვილე?

XXIV წერილი
ჟიულისადმი

დაუყოვნებლივ ვუპასუხებ თქვენი წერილის იმ ნაწილს, სადაც გასამრჯელოს ახსენებთ, – მადლობა ღმერთს, აღარ დამჭირვებია ბევრი ჭოჭმანი. აი, რას ვფიქრობ, ჟიული, ამის გამო.

იმ ნიშან-თვისებას შორის, რასაც ღირსება ეწოდება, მე გამოვარჩევ საზოგადოებრივი აზრის მიერ ნაკარნახევ და საკუთარი თავის პატივისცემით წარმოქმნილ ღირსებებს. პირველი წარმოდგენა ზღვის ტალღაზე უფრო მერყევ ცრურწმენათაგან, მეორე მათგანი კი ემყარება ზნეობის უკვდავ საწყისებს. მაღალი წრის ღირსება, იქნებ, ხელსაყრელი იყოს კიდეც ადამიანის საზოგადოებრივი მდგომარეობისათვის, მაგრამ იგი სრულიადაც არ განმსჭვალავს მის სულსა და გულს და არავითარ გავლენას არ ახდენს ჭეშმარიტ ბედნიერებაზე. ნამდვილი ღირსება, პირიქით, შეადგენს ბედნიერების დედაარსს, ვინაიდან მხოლოდ და მხოლოდ მისგან გვენიჭება თვითკმაყოფილების დაუშრეტელი გრძნობა და მარტოოდენ მას შეუძლია ბედნიერი გახადოს მოაზროვნე არსება. მაშ, ჟიული, მივუსადაგოთ ეს პრინციპები თქვენს მიერ აღძრულ საკითხს, და ჩვენც ადვილად გადავწყვეტთ მას.

ვთქვათ, ფილოსოფოსად მომაქვს თავი და იგავ-არაკის რეგვენი გმირივით ფულისათვის ჭკუას ვასწავლი ადამიანებს. მაღალი საზოგადოების აზრით – ეს ძალზე მდარე ხელობაა და უნდა ვაღიარო, სასაცილოდაც კი მოჩანს. მაგრამ ადამიანმა როგორღაც ხომ უნდა ირჩინოს თავი, და რადგანაც ყველაზე ადვილია ლუკმა-პურის საკუთარი შრომით მოპოვება, მაშ, შრომის სიძულვილი მივაკუთვნოთ უსაშიშროეს ცრურწმენათა წყებას. ნუ ვიქნებით ესოდენ რეგვენი და ნუ გავიღებთ მსხვერპლად ბედნიერებას სულელური მითქმა-მოთქმისთვის. თქვენ უფრო ნაკლებ აღარ მცემთ პატივს, ხოლო მე უფრორე ღირსი არ ვიქნები შებრალებისა, უკეთუ თავს ვირჩენ იმ ნიჭისა და უნარის მეოხებით, რასაც ვინვითარებდი.

ოღონდ, საყვარელო ჟიული, ამასთან ერთად უნდა ავწონ-დავწონოთ სხვა ვითარებანიც. თავი ვანებოთ გარეგნულზე ზრუნვას და ჩავიხედოთ ჩვენს გულში. მართლაცდა, რა ვიქნები მამიშენის თვალში, ოდეს გასამრჯელოს ავიღებ გაკვეთილებისათვის და საფასურით დავუთმობ მას ჩემი დროის ნაწილს, ესე იგი, ჩემი საკუთარი თავის ნაწილაკს? მოქირავნე, მოჯამაგირე, რაღაც ფარეშის მინაგვარი, ხოლო მისი ნდობისა და ავლა-დიდების უვნებლობის საწინდარი იქნება ჩემი თაღლითური ერთგულება – სწორედ ისეთივე, მის უკანასკნელ ფარეშს რომ მოეპოვება.

მაგრამ აბა რა უფრო ძვირფასია ერთადერთი ასულის მამისთვის, თუნდაც იგი სულ სხვაგვარი იყოს, ვიდრე ჟიული? როგორ მოიქცევა ადამიანი, რომელიც სამსახურისთვის ფულს გამოართმევს მამას? განა თუ მოთოკავს თავის გრძნობებს? აჰ, თავადვე უწყი, ნუთუ ეს შესაძლებელია! ანდა, ფიცხლავ აჰყვება გულისთქმას და საშინელ მწუხარებას მიაყენებს იმას, ვისი ერთგული სამსახურიც იკისრა. ამ შემთხვევაში მასწავლებელი მხოლოდ და მხოლოდ ვერაგი არამზადაა, ფეხით რომ ქელავს წმიდათაწმიდა უფლებებს,[16] გამცემია და შინ შემოპარული მაცდუნებელი; მათ მსგავსებს კანონი სამართლიანად სიკვდილით სჯის. ვიმედოვნებ, რომ ის გამიგებს, ვისაც ამ უსტარს ვუგზავნი. სიკვდლისა არ მეშინია, არამედ იმას ვუფრთხი, ვაითუ სირცხვილი ვიწვნიო და ჩემი თავიც შემძაგდეს.

---

[16] უბედური ყმაწვილი! მას არ ესმის, რომ როცა გასამრჯელოს ნაცვლად იღებს მადლობას და უარს ამბობს ფულზე, ის თელავს უფრორე წმიდათაწმიდა უფლებებს. ის კი არ ასწავლის, არამედ რყვნის; ის საზრდოს კი არ აძლევს, არამედ – საწამლავს. მისგან მოტყუებული დედა ემადლიერება იმის გამო, შვილი რომ დაიღუპა. მაგრამ იგრძნობა, რომ გულწრფელად პატივსა სცემს სათნოებას, თუმცა ვნებათღელვა კი აცდუნებს. და გიჟმაჟი სიყმაწვილე რომ არ ამართლებდეს, ენაწყლიანი მოქადაგე საერთოდ არამზადა აღმოჩნდებოდა. ჩვენი მიჯნურები შესაბრალისნი არიან; სამაგიეროდ, დედა არაა შეწყნარების ღირსი.

გახსოვთ, როცა ელოიზასა და აბელარის წერილებს შეავლეთ თვალი, მაშინ გამოვთქვი ჩემი აზრი ამ წიგნისა და ღვთისმეტყველის საქციელის გამო? ელოიზა მუდამ მებრალებოდა, მისი გული სიყვარულისათვის იყო შექმნილი; აბელარი კი უღირს ადამიანად მიმაჩნდა მარადჟამს: იმდენადვე უცხო იყო მისთვის სიყვარული, რამდენადაც სათნოება. მე დავგმე და გავკიცხე იგი, – ნუუკვე-თუ ხელს მივყოფ მის წამბაძველობას? ვაი მას, ვინც მორალს ქადაგებს და ვერ კი ახორციელებს თავის ქადაგებას. ვინაც ესოდენ დაბრმავებულია ვნებათღელვით, მისგან დაისჯება მალე და ადრე, აინუნშიც აღარ ჩააგდებს სიყვარულის გრძნობას, რასაც ანაცვალა პატიოსნება. როგორც კი სიყვარულს მოაკლდება ღირსება, იგი დაკარგავს კიდეც თავის ყველაზე უდიდეს სიმშვენიერეს. სიყვარულის მთელი სიდიადე რომ შევიცნოთ, გული დღენიადაგ უნდა გრძნობდეს მისდამი აღტაცებას და აღგვამაღლებდეს თავად ჩვენაც, შარავანდედით მოსავდეს ჩვენს სატრფიალო საგანს. წარსტაცეთ მას სრულქმნილების იდეა, და მით აღტაცების უნარსაც წაართმევთ; მოუსპეთ პატივისცემა, და სიყვარულისაგან ხელთ აღარაფერი შეგრჩებათ. და განაღა-თუ შეუძლია ქალს პატივი სცეს თავისი თავის გამბახებელ ადამიანს? და ნუთუ ძალუძს მამაკაცს ეთაყვანოს ქალს, რომელიც დანებდება საზიზღარ მაცდუნებელს? მაშასადამე, ძალიან მალე ისინი შეიძულებენ ერთმანეთს; მათთვის სიყვარული სამარცხვინო კავშირად გადაიქცევა. ისინი დაკარგავენ პატიოსნებას, ნეტარებასაც ვეღარ ეწევიან.

სულ სხვა ამბავი ემართებათ, ჩემო ჟიული, ტოლ-სწორებს, როცა ისინი აღგზნებულნი არიან ერთი და იმავე ვნებით, უკავშირდებიან ერთმანეთს მარტოოდენ გულის კარნახით და არა ზღუდავთ სხვა რაიმე სახის დამოკიდებულება, როცა ისინი თავისუფალნი არიან თავიანთ არჩევანში, და არავისა აქვს უფლება, აუკრძალოს მათ ტრფობის აღთქმათა გაზიარება. უსასტიკესი კანონები მიუსჯიან მათ მხოლოდ ერთ სასჯელს – სიყვარულს. მათ რომ ერთმანეთი შეუყვარდათ, ამის ერთადერთი სასჯელი გახლავთ ვალდებულება სამარადჟამო სიყვარულისა. თუკი მაინც არსებობს ქვეყნად ისეთი უგვანი მხარე, სადაც უმწიკვლო სიყვარული დაირღვევა რომელიმე ურჯუკის ნება-სურვილით, იგი, რასაკვირველია, სამაგიეროს მიიზღავს ამის გამო, ვინაიდან თავისუფლების შეზღუდვა წარმოქმნის დანაშაულს.

აი, ჩემი მოსაზრებანი, ბრძენო და სათნო ჟიული. ეს მხოლოდ და მხოლოდ იმ მოსაზრებათა საღი ახსნა-განმარტებაა, ასეთი გზნებითა და მჭევრმეტყველებით რომ ახსენებდით ერთ-ერთ თქვენს წერილში. მაგრამ კმარა ამაზე ლაპარაკი, უამისოდაც კარგად ხედავთ, თუ რაოდენად აღვიქვენ ისინი. მოიგონეთ, მე როდი გავჯიქებულვარ, როცა უარსა ვყოფდი თქვენს ნაბოძვართ, და თუმცაღა ზიზღსა მგვრიდა, – ეს ცრურწმენათა გამოძახილია, – მაინც ხმისამოუღებლად მივიღე თქვენი საჩუქარი. და ისიც მართალია, ნამდვილმა ღირსებამ არ მიკარნახა არავითარი მიზეზი, ხელი ამეღო მათზე. ოღონდ ამჟამად აღარ ძალმიძს ყურად არ ვიღო მოვალეობისა და გონების, თავად სიყვარულის ხმა. და თუკი თქვენსა და პატიოსნებას შორის მომიწევს არჩევანის გაკეთება, უმალ თქვენს დაკარგვას ირჩევს ჩემი გული. ო, ჟიული, ჩემი სიყვარული მეტისმეტად დიადია, ესრეთი ძვირი საფასურით რომ შეგინარჩუნოთ.

XXV წერილი
ჟიულისაგან

საყვარელო მეგობარო, თქვენი ყარიბობის ამბავი ძალზე მომხიბვლელია; შევიყვარებდი მის ავტორს, თუნდაც ნაცნობები არ ვიყოთ! ოღონდ ცოტათი უნდა დაგტუქსოთ ერთი ადგილის გამო, და მიხვდებით, რომელია ის ადგილი, თუმცა უნებლიეთ მაცინებდა თქვენი ეშმაკობა: ტასოს ზურგს ისე ამოეფარეთ, როგორც ქვის კედელს. ნუთუ ვერ ხვდებით, ხალხისა და სატრფოსათვის ბარათების წერა სხვადასხვაგვარი საქმე რომ არის? სიყვარული ისეთი მხდალი ვინმეა, ისე მგრძნობიარეა, – იგი მოითხოვს უფრო მეტ პატივისცემას, ვიდრე წესიერება გვიკარნახებს. და განა არ იცოდით, ეს სტილი ჩემს სულისკვეთებას რომ არ შეჰფერის? ეგების, ჩემს განაწყენებას ცდილობდით? მაგრამ, ვგონებ, ძალზე გავაჭიანურე ამ სავსებით უმნიშვნელო საგანზე ლაპარაკი; თანაც ისე გაოგნებული ვარ თქვენი მეორე წერილით, რომ არ ძალმიძს გამოწვლილვით გიპასუხოთ პირველ მათგანზე. მაშ ასე, მეგობარო ჩემო, ვალე სხვა დრო და ჟამისთვის გადავდოთ. ახლა კი ვიკმაროთ ჩვენ-ჩვენი საქმეები, – ისინი მცირე საზრუნავს როდი გაგვიჩენენ.

წინასწარ ვგრძნობდი, თუ რაგვარ გადაწყვეტილებას მიიღებდით. ჩვენ ხომ ასე კარგად ვიცნობთ ერთმანეთს. მაშ, ნუთუ საჭიროა ახსნა-განმარტება ყველაზე მარტივ ჭეშმარიტებათა გამო! თუკი ოდესმე ხელს აგვაღებს სათნოება, მერწმუნეთ, ეს იმიტომ კი არ მოხდება, რომ მხნეობა გვიღალატებს, ანდა მსხვერპლის გაღება ვერ შევძელით.[17] უეცარი თავდასხმის დროს ერთბაშადვე იწყებთ წინააღმდეგობის გაწევას; და ვიმედოვნებ, ჩვენ გავიმარჯვებთ, როგორც კი მოწინააღმდეგე გვაიძულებს იარაღს ვკიდოთ ხელი. უფრო საშინელია ის საფრთხე, ძილის დროს ანდა საამური მყუდროების წიაღში რომ ჩაგვისაფრდება ხოლმე, მაგრამ ყველაზე საშიშარია ხანგრძლივ ტანჯვა-წამებათა აუტანელი უღელი; სული უფრო ადვილად უძლებს მწვავე ნაღველს, ვიდრე გაჭიანურებულ სევდას. აი, მეგობარო ჩემო, რაოდენ მძიმე ბრძოლის გადატანა მოგვიხდება ამიერიდან. მოვალეობა ჩვენგან გმირულ შემართებებს კი არ მოითხოვს, არამედ გმირულ სიმტკიცეს განუწყვეტელ ტანჯვათა წინაშე...

ძალზე კარგად ვგრძნობდი წინასწარ ყოველივე ამას. ელვასავით გაიციალა უდარდელი ბედნიერების ჟამმა. დადგა ჟამი სიდუხჭირისა და ვინ იცის, როდისღა განქარდება იგი! ყველაფერი მაღელვებს და მადარდიანებს; სულს დაეუფლა საშინელი ურვა-წუხილი. ასე მგონია, სატირალი არაფერი მაქვს-მეთქი, უსიამოვნო ცრემლები კი უნებლიეთ ღაპაღუპით მომცვივა თვალთაგან. მომავალი არ მაშინებს გარდაუვალი ვაი-ვაგლახით; მაგრამ მასულდგმულებდა იმედი, ის კი დღითი დღე ქრება. ვაგლახმე! აბა რად ვაპკუროთ წყალი ფოთლებს, როცა თავად ხე ძირშია მოკვეთილი?

ვგრძნობ, საყვარელო მეგობარო, რომ ვეღარ გავუძლებ ძნელზე ძნელ კიდეგანობას! მე აღარ ძალმიძს უშენოდ სიცოხცლე, – ყველაზე უფრო აი რა მაძრწუნებს. დღეში ასგზის მაინც დავხეტიალობ იმ სანახებში, სადაც ერთად გვივლია ბევრხელ, ოღონდ იქ ვეღარ გხედავ. გელოდები დათქმულ საათზე, მაგრამ დრო-ჟამი მიქრის, შენ კი არ ჩანხარ. ირგვლივ ყოველი შენს თავს მაგონებს, თითქოს ჩამძახის, რომ დამეკარგე. შენ ვერ მიხვდები ამ საშინელ წამებას. მხოლოდ გული გეტყვის, შორს რომ ვარ შენგან. აჰ, ნეტავი გაცოდინა, რომ განშორება უფრო აუტანელია იმისთვის, ვინც რჩება; მაშინ მიხვდებოდი, ჩემს მდგომარეობას შენი ყოფა რომ სჯობია.

რომ შემძლებოდა ჩივილი, ჩემთა ტანჯვათა გამომჟღავნება, გულის გადაშლა, შვებას ვიგრძნობდი. მაგრამ უნდა ჩავახშო ყოველი ჩემი კვნესა – და მხოლოდ ზოგჯერ ფარულად

[17] როგორც მალე გახდება ნათელი, საეჭვოა, ოდესმე წინასწარმეტყველება ასე არ დამთხვეოდეს მოსახდენ ამბებს.

აღმოვუტევებ ოხვრას – დაიკოს მკერდზე მიხუტებული. უნდა შევიკავო ცრემლი, უნდა გავიღიმო, თუმცა ვგრძნობ სიკვდილის მოახლოებას.

Sentirsi, oh Dei, morir;
E non poter mai dir:
Morir mi sento![18]

და რაც ყველაზე უარესია, ეს გულისტკივილი აარჯლებს ჩემს დარდს, რაც უფრო მეტად მანაღვლიანებს შენი მოგონება, მით უმეტეს ესალბუნება ჩემს სულს და გულს მისი მოხმობა. მარქვი, მეგობარო ჩემო, საყვარელო მეგობარო, განაღა იცი, თუ რაოდენ სათუთ გრძნობას აღმიძრავს გულში კაეშანი და რა ძალ-ღონეს ჰმატებს სიყვარულს ურვა-წუხილი?

ბევრი რამ მსურდა მემცნო თქვენთვის, მაგრამ რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, სჯობს დავიცადოთ-მეთქი, სანამ ზუსტად არ მეცოდინება, სად იმყოფებით ამჟამად, საერთოდ არ შემიძლია განვაგრძო წერა – ისე შეძრწუნებულია ჩემი სული. ნახვამდის, მეგობარო ჩემო! ვამთავრებ წერილს, მაგრამ უწყოდეთ – თქვენზე ფიქრს კი ვერ მოვათავებ.

ბარათი

უცნობი მენავის ხელით გიგზავნით ამ ბარათს ჩვეულებრივი მისამართით, რათა გამცნოთ, რომ გადავწყვიტე დავევანო გამოღმა ნაპირას, მეიერიში: თავს შევიქცევ თუნდაც იმ მიდამოთა შორიდან ცქერით, მიახლოებას რომ ვერ ვუბედავ.

XXVI წერილი
ჟიულისადმი

ო, როგორ შეიცვალა ჩემი ყოფა ამ რამდენიმე დღეში! ახლოსა ვარ თქვენგან, მაგრამ რაოდენი სიმწარე ურევია ამ სიხარულში! შემომეჯარა მწარე ფიქრები! წინასწრ ვჭვრეტ უამრავ სახიფათო დაბრკოლებას! ო, ჟიული! ზენაარსის რა საბედისწერო საბოძვარი ყოფილა მგრძნობიარე სული! ვინც ამ საბოძვარს ფლობს, ამ სამზეოში მარტოოდენ შეჭირვება და ვაი-ვარამი აქვს გამზადებული. იგი ტაროსისა და წლის დროთა უბადრუკი სათამაშოა; მის ბედ-იღბალს განაგებენ მზე თუ ნისლი, პირქუში თუ ელვარე ზეცა, და ქართა ნება-სურვილით ის ან კმაყოფილია ანდა სულით მჭმუნვარე. იგი ცრურწმენათა მსხვერპლია, და სულელური ცრურწმენანი გადაულახავ ზღუდეს აღმართავენ მისი გულის სამართლიან მისწრაფებათათვის. ადამიანები დასჯიან მას თამამ შეხედულებათა გამო, იმის გამო, რომ ყოველივეს სინდისიერად განიკითხავს, თანაც უგულებელყოფს პირობითობას. ამრიგად, თვითონვე იგდებს თავს ხიფათში, აინუნშიც არ მოუვა კეთილგონიერება და ეთაყვანება ყოველივე იმის ღვთაებრივ მშვენიერებას, რაც კეთილშობილურია და თვალწარმტაცი, მაშინ როდესაც აუცილებლობის მძიმე ბორკილით მიჯაჭვულია ყოველგვარ უკეთურობასთან. იგი მოისურვებს კიდეც უზეშთაეს ნეტარებასა და განცხრომას, მაგრამ დაივიწყებს, ადამიანი რომ არის; მისი გული და გონება წამდაუწუმ

[18] ოი, ღმერთებო, სიკვდილისა ჟამს,
თუნდ ერთხელაც კი ნუ იტყვი ამას:
,,მე ვკვდები...“ (იტალ.).

ემორჩილებიან ერთმანეთს, ხოლო უკიდეგანო საწადელი მარტოოდენ დაუსაბამო გულნაკლულობას განუმზადებს.

აჰა, ვითარ შთამაგდო ესრეთს იწროებაში ჩემმა დამთრგუნველმა ყისმათმა და ჩემმა დიდებით მმოსავმა ტრფიალებამ, ჩემმა მოძულე მამაშენმა, შენაც თავად – სიცოცხლის ჩემის სიხარულმა და გულის დარდმა. შენ რომ არ იყო ამქვეყნად, ოი, ჩემო შავბედითო სიყვარულო, ვერასოდეს შევიგრძნობდი, თუ რაოდენ გაუსაძლისი ყოფილა წინააღმდეგობა მაღალი სულის მექონ ადამიანსა და დაბალ საზოგადოებრივ მდგომარეობას შორის. მე ხომ არხეინად ვიცხოვრებდი, და გულსავსეც მოვწყდებოდი საწუთროს, არც კი გავიფიქრებდი, რა წონა და ფასი მაქვს-მეთქი ამ ქვეყანაზე. მაგრამ რაიღა ბედენაა, შენ შემოგყურებდე და ხსნა არსაით ჩანდეს შენს დასაუფლებლად, შენს სათაყვანოდ, ღვთაებად გსახავდე, თავად კი მხოლოდ უბრალო მოკვდავი ვიყო! მეტრფოდეს ვინმე და არ კი გამაჩნდეს ბედნიერების უფლება! შენთან ვცხოვრობდე ერთ ქვეყანაში და არ შემეძლოს შენთან ერთად სიცოცხლე! ოი, ჟიული, არ ძალმიძს შენზე ხელი ავიღო! ო, ჩემო სვე-ბედო, ძალი არ შემწევს შენ გგანაგებდე. აბა, რა საშინელ შინაბრძოლაში გამხვიე; მე ხომ ვერასოდეს დავიოკებ ვერც ჩემს სურვილებს, ვერც ჩემს უმწეობას!

ეს რა უცნაური და წარმოუდგენელი ამბავია – მას მოღმა, რაც თქვენს ახლოს დავესახლე, ჩემი გონება მარტოოდენ შავბნელი აზრებითაა აღსავსე. იქნებ, თვით ეს მიდამო მგვრის კაეშანს. რა პირქუში, დაღვრემილი ადგილია; მაგრამ იგი ყველაზე უფრო შეჰფერის ჩემს გუნება-განწყობილებას, და მართლაც, ვერც კი ავიტანდი უფრო ნაკლებად შავბნელ მიდამოებში სიცოცხლეს. პიტალო კლდენი ჩამწკრივებულან ნაპირ-ნაპირ და გარს ერტყმიან ჩემს სავანეს, ასე მიუსაფარი რომაა ზამთრობის ჟამს. ჰეა, ჩემო ჟიული! აბა, რას ვაქნევ სხვა არემარეს, რად ვინატრო წლის სულ სხვა დრო-ჟამი, თუკი ბედმა მარგუნა შენზე ხელის აღება!

რაღაცნაირი უსაშველო მღელვარება არ მაყენებს ერთ ადგილას. სულ სადღაც მივისწრაფი, სულმოუთქმელად დავძვრები მთებში, ვცოცავ კლდეებზე, სწრაფად დავაბიჯებ ამ სანახებში. მაგრამ პირქუში ლანდშაფტი ყველგან მხოლოდ ეხმაურება ჩემს უწყალო სევდას. უკვე არსაით ჩანს ამწვანებული კორდი: ბალახი ჩაყვითლდა და დაჭკნა, ხეებს ფოთლები ჩამოსცვივდათ, ზენა ქარმა და გამთოშავმა ბორიომ მორეკეს თოვლის ნამქერი და დაზვინეს ყინულთა მთები. ირგვლივ მკვდარია მთელი ბუნება, ისე როგორც იმედი ჩემს გულსა შიგან.

აქვე, სანაპიროზე, კლდეთა შორის, გამოვნახე განმარტოებული კუთხე – მომცრო მოედნისებრი რამ ადგილი, საიდანაც მოჩანს ღვთივკურთხეული პატარა ქალაქი – თქვენი საცხოვრისი. თავადვე განსაჯეთ, რაგვარის მოშურნეობით მივაპყრობ ხოლმე მზერას ჩემი გულისთვის ესოდენ საიასაღო მიდამოებს. პირველ დღეს დიდხანს ვცდილობდი თქვენი სახლის პოვნას, მაგრამ შორს მიკარგულიყო და ყოველივე ცდა ამაო აღმოჩნდა – ჩემი დამაშვრალი თვალები წარმოსახვამ მოიფადილა. ანაზდად მღვდლისკენ გავეშურე, დურბინდი ვთხოვე და მისი წყალობით თვალი ვკიდე, უკეთ, დავიჯერე, თითქოს თქვენ სახლს ვხედავდი უკვე. და მას შემდეგ მთელი დღეები იმ ბიამან ადგილას ვარ შეფარებული და ვჭვრეტ ღვთივკურთხეულ კედლებს, რომელთა შიგნით დავანებულა ჩემი სიცოცხლის დასაბამი და სიხარული. ავდრის ჟამსაც კი, დილდილაობით მივდივარ იქ და მხოლოდ შეღამებისას ვბრუნდები უკან. ხმელი ფოთლებისა და ფიჩხის კოცონი, თანაც სწრაფი სიარული მიფარავენ სასტიკი სიცივისაგან. ისე შემიყვარდა ეს უდაბური სავანე, რომ აქ მომაქვს ხოლმე საწერელი და ქაღალდი, და აჰა, ხელვყავ შენდა წერად ქვაზე, ახლომდებარე ტინი კლდიდან ყინულის ლოდს რომ ჩამოუხეთქია.

ჩემო ჟიული, სწორედ აქ განიცდის შენი ბედშავი მეგობარი იქნებ უკანასკნელ სიხარულსაც კი, ამ საწუთროში მას რომ არგუნეს. ცდილობს შენს სანთიობოში ფარულად

შემოჭრას – ჰაერისა და სქელ-სქელ კედელთა შიგნით. შენი წარმტაცი ნაკვთები კვლავ განაცვიფრებენ მას, უნაზესი მზერა შთაბერავს სიცოცხლეს მის მოქანცულ გულს; მის ყურთ შთაესმის შენი საყვარელი ხმის ბგერანი; სურს გაკადნიერდეს და კვალად ჩაგიკრას გულში, დატკბეს იმ მომხიბვლელი ნეტარებით, მას ჟამსა შინა რომ იგემა წარაფში. მხოლოდ ეგ არის მარტოოდენ ვნებათა ღელვით ჟინატეხილი, მშფოთვარე სულის ბედითი ბოდვა! აქ ვაიძულებ თავს გონს მოეგოს და ვცდილობ საერთოდ წარმოვიდგინო შენი უმწიკვლო არსებობა. შორიდან ვადევნებ თვალ-ყურს, თუ როგორ ატარებ მთელ დღეს ნაირფეროვანი საქმიანობით, – ოდესღაც ხომ ბედმა გამიღიმა და გავხდი ამ ამბის მოწამე, – გხედავ საზრუნავით დატვირთულს, და მიასკეცდება შენდამი პატივისცემა, ხოლო შენი დაუშრეტელი სიქველე გულს მიყუჩებს და აღტაცებას მგვრის. აი ამ წუთს, განთიადისას, ვეუბნები ჩემს თავს, იგი იღვიძებს-მეთქი მშვიდი ძილისაგან, პირისახე ვარდივით აღყვავებია, სულს დაუფლებია ჩუმი სიხარული, შემოქმედს სწირავს მთელ დღეს, რაიცა არ იქნება დაკარგული სათნოებისთვის. აჰა, ისა დგას დედამისის საწოლ ოთახში, მშობლებს უზიარებს თავისი გულის მთელ სინაზეს, ეხმარება მათ მეოჯახეობაში; იქნებ, ანუგეშებს კიდეც დაუდევარ მსახურს, ფარულად არიგებს და ჭკუას ასწავლის, ხოლო შესაძლოა, ესარჩლება კიდეც შემცოდეს. აგერ, გულდასმით შედგომია ხელსაქნარს; გონებას იმდიდრებს და იფართოებს სასარგებლო ცოდნით, იფაქიზებს დახვეწილ გემოვნებას, ტკბება ხელოვნების ნატიფი ქმნილებებით და ცეკვა-თამაშით ინვითარებს ბუნებრივ სინარნარეს. ანდა ვხედავ სადა და ლამაზ ხილაბანდს მის კოხტა თავზე, თუმც სულაც არ სჭირდება იგი. ხანდახან აქედან თვალსა ვკიდებ, თუ როგორ ეთათბირება ჩემი ჟიული პატივსაცემ მოძღვარს, ოდეს სურს გაიკითხოს უპოვარი ოჯახი, სირცხვილეული რომ ითმენს სიღატაკეს; ხან ხელს უწვდის ანდა ნუგეშსა სცემს ბეჩავ ქვრივს და ყველასგან მივიწყებულ ობოლს. ზოგჯერ გონივრული და მოკრძალებული სიტყვით ხიბლავს დარბაისლურ საზოგადოებას; დროდადრო, დობილთა შორის მომლხინარე განმსჯელობისა და ზნეკეთილობის გზასა ზედან აყენებს დაუდგრომელ სიყმაწვილეს. ჟამითიჟამად... აჰ, მხოლოდ ნუ გამიჯავრდები! ჟამითიჟამად ვბედავ წარმოვიდგინო, თუ რას ფიქრობ ჩემზე. ვხედავ, შენი გულთბილი მზერით როგორ ჩასცქერი ერთ-ერთ ჩემს ბარათს; ალერსიან და მიბნედილ თვალებზე გატყობ, შენი სვებედნიერი მეგობრისათვის გასაგზავნი ბარათის სტრიქონებს რომ თხზავ და გულითადი მღელვარებით მოუთხრობ მის ამბავს შენს დაიკოს. ო, ჟიული, ჟიული! ნუთუ ჩვენი შეუღლება შეუძლებელია! ნუთუ გზანი ჩვენი ცხოვრებისა გაიყრებიან და სამუდამჟამოდ განვშორდებით ერთმანეთს? არა, ამ საშინელ აზრს აღარასოდეს გავივლებ გულში! უცებ, მოსიყვარულე გულის პატრონი მძვინვარე ვხდები. ხელქმნილი დავძრწი მღვიმიდან მღვიმეში; ჩემს უნებლიეთ გულიდან აღმოვუტევებ კვნესას და გოდებას. ვბრდღვინავ, როგორც გაშმაგებული ძუ ლომი. ყველაფერსა ვიქმ – გარდა ერთისა: არ ძალმიძს შენზე ხელი ავიღო. და მერე რას არ ჩავიდენ, რას არ ვიზამ, ოღონდ კი შენ დაგეუფლო, ანდა უმალ სული დავლიო.

ამ სიტყვებით დავამთავრე წერილი და მხოლოდ ბედნიერ შემთხვევას ველოდი, როცა ანაზდად სიონიდან მომივიდა შენი ახალი უსტარი. იგი აღსავსეა საშინელი სევდით, ჩემს ვაი-ვარამს რომ აოკებს! ხშირად გითქვამთ და აი, გასაოცარი მაგალითი იმისა, რომ მართლაც არსებობს სულთაკავშირი შორ მანძილზე. გამოგიტყდებით, თქვენი დარდი უფრო მომთმენარეა, ხოლო ჩემი ბევრად მძვინვარე, მაგრამ ერთმა და იმავე გრძნობამ ხომ ადამიანის ზნე-ხასიათის დარად უნდა მიიღოს ელფერი, და ვინც უფრორე მეტსა კარგავს, სწორედ ყველაზე უფროისად ის იტანჯება. მაგრამ რას ვამბობ – კარგავს-მეთქი! განაღა თუ შესაძლოა ასეთი დანაკლისი! დასასრულ, უწყოდე, ჟიული ჩემო, ჩვენ ერთმანეთისთვისა ვართ გაჩენილნი – ესაა ზენაარსის გარდაუვალი ნება-სურვილი, უმაღლესი კანონი, რომელსაც უნდა დავემორჩილოთ. ცხოვრების მთელი მიზანი ხომ ისაა – შევუკავშირდეთ

იმ ადამიანს, ვინც ამ ცხოვრებას საამურად გადააქცევს ჩვენთვის. ვხედავ, გულსევდიანი ვხედავ, თუ როგორ ცდები, როცა განუხორციელებელ გეგმებს ეპოტინები, იმედოვნებ დასძლიო გადაულახავი დაბრკოლებანი, უგულებელყოფ ერთადერთ საშუალებას მიზნის მისაღწევად; კეთილშობილური აღფრთოვანებით აღტყინებული – უგუნური ხდები; შენი სათნოება მარტოდენ სიგიჟეა და სხვა არაფერი.

აჰ, უკეთუ მუდამჟამს შეგეძლო ასეთი ახალგაზრდა და თვალწარმტაცი დარჩე, როგორც ახლა ხარ, ზენაარსს მხოლოდ იმას შევევედრებოდი, სამარადისოდ ბედნიერი იყო, – წელიწადში მარტო ერთხელ გინახულებდი, მთელ სიცოცხლეს ამ კლდეთა შორის გავატარებდი, გაგაღმერთებდი და შორიდან ვუმზერდი შენს სახლს. მაგრამ, ვაგლახმე, შეხედე, როგორ მალიად, სულ მუდამ შეუჩერებლივ რბოლავს ეს მნათობი. ის მიქრის, წლები გარბიან, დრო-ჟამიც იწურება. შენს სილამაზეს – თვით შენს სილამაზესაც კი – ბოლო მოეღება. დადგება ჟამი, და იგი დაჭკნება და გაქრება – ასე დასცვივა ფურცელი მოუწყვეტელ ყვავილს. მე კი ამასობაში დავიტანჯები, ჭმუნვით აღვსილი, სინორჩეს ჩემსას გულმდუღარე ცრემლთა ნაკადი დაალტობს, ზაფრა გასტანჯავს. აბა იფიქრე, ჩემო ჟიული, განცხრომის რამდენი წელი დაგვეკარგა ამაოდ. კარგად იფიქრე: მათ ხომ ვეღარ დავაბრუნებთ; ხოლო ახლა თუ ვერ მოვიცალეთ ამისთვის, ასე იქნება შემდგომ წლებშიც, რაცღა გვშთენია საარსებოდ. ო, შენ ბრმობილი ხარ, მოყვარეო ჩემო! მიელტვი ამაო ბედნიერებას და იმედი გაქვს იმ დრო და ჟამის, როცა უკვე აღარ ვიქნებით ამ ქვეყანაზე. ზრუნავ შორეულ წარსულზე და ვეღარ ამჩნევ, რომ ვიდაგებით და ტრფიალებისა და ტანჯვათაგან დადაგული ჩვენი სულები კნინდება და იშრიტება წყაროს წყალივით. გონს მოეგე, ვიდრე გვიან არ არის, გონს მოეგე, ჩემო ჟიული, ცდომილება დამღუპველია. ხელი აღაღე ყოველნაირ შენს გულისთქმას და იგემე ბედნიერება. მოვედ, ო სულო ჩემო, გულს ჩაეკარ შენს მეგობარს; დაე, შეერთდეს არსების ჩვენის ორივე ნახევარი! მოვედ, და ჩვენი კიდეგანობის მფარველის, ჩვენთა ფიცთა მოწამის – ზენაარსის წინაშე აღვუთქვათ ურთიერთს – ვიცოცხლოთ და მოვკვდეთ ერთმანეთისათვის. ვიცი, სიღარიბე რომ ვერ შეგაძრწუნებს. ამას ჩემი რჩევა-დარიგება როდი სჭირია. მაშ, ვიყოთ ბედნიერნი და თუნდაც ლუკმა-პური გვენატრებოდეს! აჰ, რა საუნჯეს მოვიპოვებდით! ნუ შეურაცხვყოფთ კაცობრიობას, ნუ ვიფიქრებთ, თითქოს დედამიწის ზურგზე არ მოიძებნებოდეს კუნჭული ორი უბედური მიჯნურისათვის. მკლავი მერჩის და ღონეც, ჩემი შრომით მოპოვებული პური სანადიმო ხორაგეულზე გემრიელი მოგეჩვენება, და განათუ უგემური იქნება სიყვარულით შენელებული საზრდელი! ეჰა, ჩემო სათუთო, სასურველო სიყვარულო, ნუთუ ბედმა გვარგუნა მხოლოდ წამიერი ბედნიერება, ნუთუ ისღა გინებს, გაეყარო საწუთროს ისე, არ განიცადო ნეტარება?

ო, ჟიული, მხოლოდ ერთს დავუმატებ. თქვენ კარგად უწყით, ძველად ლევკადეს კლდე უბედურ შეყვარებულთა უკანასკნელი დასაყუდარი რომ იყო. აქ ბევრია მისი მსგავსი: კლდე ციცაბოა და ღრმაა წყლები – მე კი სასოწარკვეთილი ვარ.

XXVII წერილი
კლარასაგან

ისე ვარ დადარდიანებული, ძალა აღარ შემწევს წერილის მოსაწერად. მე და თქვენ უსაშველო მწუხარება გვეწვია. ძვირფასი ჟიული სიკვდილის პირასაა, ორ დღესაც ვეღარ გაატანს. თქვენი განშორება ესოდენ სამძიმო იყო მისთვის, რომ ჯანი გაუტყდა. მამასთან საუბარმა კიდევ უფრო ძლიერ იმოქმედა. ამასწინანდელმა სხვა შეჭირვებებმა კიდევ უფრო

მეტად აუფორიაქეს გული, და ყოველივეს თქვენმა უკანასკნელმა წერილმა მოუღო ბოლო. ისე აღელვებული იყო, რომ ღამე საშინელ სულიერ ბრძოლაში გაატარა და გუშინ ციებ-ცხელებამ დარია ხელი; სულ უარესად ხდებოდა და, დასასრულ, ბოდვაც წამოიწყო. გონმიხდილი და ბურანში მყოფი ხამუშ-ხამუშ წარმოთქვამს თქვენს სახელს. ისეთი გზნებით ლაპარაკობს თქვენზე, ძნელი როდია მიხვდეს კაცი, როგორ დაეუფლეთ მის გულისთქმათ. ცდილობენ, არ გააკარონ მამამისი. როგორც ჩანს, ბიცოლას რაღაც გუმანი აქვს. მღელვარებით აღსავსემ მკითხა კიდეც თქვენზე: ხომ არ დაბრუნებულაო. მისი ქალის სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია და ვფიქრობ, ბიცოლამ დროებით დაივიწყა ყოველივე და თქვენი აქ ჩამოსვლის საწინააღმდეგო არაფერი ექნებოდა.

დაუყოვნებლივ ჩამოდით. ამ წერილის გამოსაგზავნად ნავი დავიქირავე – იგი თქვენს განკარგულებაშია. დაბრუნდით მაგ ნავით და, რაც მთავარია, ერთ წუთსაც ნუ დაკარგავთ, უკეთუ გსურთ, ერთხელ კიდევ ჰკიდოთ თვალი ყველაზე უნაზეს ნანდაურს ამქვეყნად.

XXVIII წერილი
კლარასადმი ჟიულისაგან

შენგან მოშორებულს გამიარმდა შენგანვე დაბრუნებული სიცოცხლე! რა საშინელია ეს მომჯობინება! დაღუპვისაკენ მიმაქანებს ციებ-ცხელებასა და ბოდვაზე უფრორე საბედისწერო ვნებათაღელვა. შე უგულო! აბა რად მანებებ თავს, როცა ასე საჭირო აროდეს ყოფილხარ ჩემთვის. შენ ერთი კვირით მტოვებ, ხოლო იქნებ ვეღარ მიხილო კიდეც უკუნითი უკუნისამდე. ვაჰმე, რომ იცოდე, იმ უგუნურმა რა გამიბედა და შემომთავაზა!.. და მერე როგორი დაჟინებით... მასთან ერთად გავქცეულიყავ!.. თან გავყოლოდი!.. ჩემი მოტაცება სურდა!.. ის უკეთური, ისა! მაგრამ ვისღა ვუჩივი და ვემდურები? ეს ჩემი გული, უღირსი გული, ხომ სულ ჩამძახის, რაც ასკეცად უარესია... ღმერთო, ძლიერო! მაშინ რაიღა ვქნა, ყველაფერი რომ გაიგოს! სულ გაგიჟდებოდა, თავგზას ამიბნევდა... თანვე გავეკიდებოდი. ვძრწი და ვიშიშვი...

მაშ ასე, მამაჩემმა მიღალატა! ქალიშვილი მისთვის საქონელია, მხევალია. მას უნდა ჩემი სიცოცხლის ფასად მიაგოს სამაგიერო თავისი სიცოცხლისათვის. ამ ამბავს ვერ გადავიტან... მამა კი არა, მტარვალია, ურჯუკი! ნეტავი თუ ღირსია... ეს რა ვთქვი, ღირსია-მეთქი? არა, უკეთეს მამას ვერსად იპოვით! სურს თავის მეგობარს მიათხოვოს ასული – ესაა მთელი მისი დანაშაული! ოღონდ დედიკომ, ჩემმა სათნო დედიკომ რა სიავე მომაყენა! ეჰ, ძალიან დიდი სიავე! დამღუპა თავისი უსაზომო სიყვარულით.

აბა, რა ვიღონო, კლარა! როგორღა მოვიქცე? ჰანსი სულ აღარ მოდის. აღარ ვიცი, როგორ გადმოგიგზავნო წერილი – ვერ მოასწრებ მის მიღებას, მოსვლაც დაგვიგვიანდება... ვინ იცის... იქნებ ლტოლვილიც გავხდე, მაწანწალა, განკიცხული... არ არის საშველი... საშველი აღარაა. დგება გადამწყვეტი წუთი. ერთი დღის, ერთი საათის, იქნებ ერთი წუთის შემდეგაც კი... ბედისწერას ვერსად გაექცევი! სადაც უნდა ვიცხოვრო და მოვკვდე, რომელ ბეჩავ ბინაშიც უნდა მომიხდეს სირცხვილითა და სასოწარკვეთით აღსავსე არსებობის უბადრუკად გატარება, ჩემო კლარა, მუდამჟამს გახსოვდეს შენი მეგობარი!.. ვაგლახმე! ადამიანის გულს ცვლის სიღატაკე და შერცხვენა... ოი, როგორ შეიცვლება გული ჩემი, უკეთუ ოდესმე დაგივიწყებს!

XXIX წერილი
კლარასადმი ჟიულისაგან

დარჩი, აჰ, შინ დარჩი და ნურაოდეს ჩამოხვალ – შენ დაიგვიანე. უკვე აღარ ძალმიძს შენი ხილვა, ვეღარ განვუძლებ შენს თვალთა მზერას.

აბა სადღა იყავი, ჩემო საყვარელო მეგობარო და მოსარჩლევ, ჩემო მფარველო ანგელოზო! მიმატოვე და მეც დავიღუპე! ნუთუ შენი საბედისწერო წასვლა ასე საჭირო და ასე აუცილებელი იყო? ან კი ვით ძალგიძდა ჩემი მიტოვება სიცოცხლის ყველაზე სახიფათო წუთს? ო, როგორ ინანებ შენს მიუტევებელ დაუდევრობას! დიახ, მუდამჟამს სანანებლად გექნება ეს ამბავი, მე კი ცრემლი არ შემაშრება თვალზე როგორც ჩემი, ისე შენი. დანაკლისის სანაცვლო არსად ეგების, – უკვე ვეღარსად იპოვი შესაფერ მეგობარს, ისე როგორც მე ვეღარ დავიბრუნებ დაკარგულ უმანკოებას.

ეს რა წამომცდა მე უბედურს? აღარ ძალმიძს არც ლაპარაკი, აღარც დუმილი. და განა რაღას ვაქნევ დუმილს, როცა ღაღადებს სინდისი? ცა და ქვეყანა მკიცხავს ჩემი დანაშაულის გამო! ჩემი შერცხვენა აწერია ირგლივ მდებარე ყველა საგანსა და ნივთს. იცოდე, სულს დავღაფავ, თუ არ გადმოგიშალე გულისნადები. მაგრამ ნუთუ შენ, ესოდენ გულმოწყალე და კეთილსაიმედო მეგობარმა, არაფერი უნდა მისაყვედურო? აჰ, შენ ხომ მიღალატე! შენმა ერთგულებამ, ბრმობილმა მეგობრობამ და სავალალო ხათრიანობამ ბოლო მომიღეს მე.

განა ეშმაკის წაქეზებითა და შეგულიანებით არ მოუხმე მას, უსულგულო მაცდუნებელს, ჩემს თავის მომჭრელსა და გამბახებელს? განა თავისი ვერაგული მზრუნველობით იმიტომ დამიბრუნა სიცოცხლე, რათა იგი მერე საძულველი გამხდომოდა? დაე, სამუდამოდ გაქრეს თვალთა ჩემთაგან ის არამზადა, და უკეთუ მას მაინც შთენია ჩემდამი იოტისოდენი სიბრალული, დაე ნუღარ გამოჩნდება, თავისი ყოფნით ნუღარ გამიორკეცებს ტანჯვა-წამებას. დაე, ნუღარ მზერს უსულგულო სიამოვნებით ჩემს ცრემლებს. ვაჰმე, ამას რას ვამბობ? მას არ მიუძღვის იოტისოდენა ბრალიც. ყველაფერში მე ვარ დამნაშავე. მე ვარ დამნაშავე ყველა ჩემი ვაი-ვარამის გამო და მხოლოდ მე ძალმიძს ჩემივე თავის გამტყუნება. მაგრამ ბიწიერებამ უკვე შებღალა სული ჩემი; პირველი, რასაც ის გვასწავებს, ესაა – სხვას გადავაბრალოთ ჩვენივ დანაშაული.

არა, არა, იგი აროდეს გატეხდა თავის ფიცს. მისი სათნო გული არ იცნობს მდარე ხელოვნებს – შებღალო ის, რასაც ეტრფიალები. აჰ, უცილოდ მას ჩემს უმეტესად ძალუძს სიყვარული, რამეთუ ძალი შესწევს თავისი თავის დასაოკებლად. ასგზის ვიყავი მისი ბრძოლისა და მოპოვებული გამარჯვების მოწმე. თვალნი მისნი ენთებოდნენ გულისთქმის ცეცხლით აღძრულნი, ბრმა გატაცებით აღგზნებული მოისწრაფოდა ჩემკენ. მაგრამ ანაზდად თავს იოკებდა, თითქოსდა გარს მეკრა დაუძლეველი ზღუდე, და მის მგზნებარე, მაგრამ უმწიკვლო სიყვარულს თავის დღეში არ გადაულახავს ეს ზღუდე. ოღონდ მე ვიყავ წინდაუხედავი და ძალზე კაი ხანს ვჭვრეტდი სახიფათო სანახაობას. ვნებათა მისთა მგზნებარება აფორიაქებდა სიმშვიდეს ჩემსას, ოხვრანი მისნი შემსჭვალავდნენ ჩემს გულს; ვიზიარებდი მის მჭმუნვარებას, ხოლო ვფიქრობდი, მარტოოდენ თანავუგრძნობ-მეთქი. მე ვიყავ მისი გაშმაგების მოწამე, როცა გულგასენილი ის-ის იყო, თითქოსდა, გრძნობამიხდილი უნდა დაცემულიყო ჩემს ფერხთითი. და იქნებ, სიყვარულს შევბრალებოდი კიდეც. ოი დაიკო, სიბრალულმა დამღუპა მე.

ჩემდა საცდუნებლად საბედისწერო ვნებათაღელვა თითქოსდა შეინიღბა ყველა სათნოებით. იმ დღეს კიდევ უფრო გაცხარებით ცდილობდა ჩემს დაყოლიებას, დროს ნუ ვკარგავთ და გამომყევიო. ეს კი იმას ნიშნავდა – გამემწარებინა ყველაზე უკეთესი მამა

ამქვეყნად; ეს ნიშნავდა ხანჯლით განმეგმირა გული დედიჩემისა. მე არ ვთანხმდებოდი, თავზარდაცემულმა უარვყავ მისი განზრახვა. იმის გაფიქრება, რომ ჩვენს სიცოცხლეში ვერასოდეს განვახორციელებდით ჩვენ-ჩვენ სანუკვარ ოცნებას, მისგან ამის დაფარვის აუცილებლობა, სინანული, რომ ვერ გავამართლებდი ესოდენ მორჩილი და სათნო მიჯნურის ნდობას, – აქამდის ხომ მე ვუღვივებდი ამის იმედს, – ყოველივე ეს ფრთას აკვეცდა ჩემს გაბედულებას, ილაჯს მიწყვეტდა და მაგიჟებდა. ბედად მეწერა სიკვდილი მომესწრაფა იმათთვის, ვინაც სიცოცხლე მაჩუქა, ან მიჯნურისათვის და ან ჩემივ თავისათვის. აღარ ვიცოდი, რას ჩავდიოდი და აღვირჩიე საკუთარი თავის დაღუპვა. მივივიწყე ყოველიფერი, მხოლოდ ჩემს სიყვარულზე ვფიქრობდი და წუთიერმა თავდავიწყებამ დამანელა სამარადჟამოდ. გადავიხაფრე შერცხვენის უფსკრულში, საიდანაც ქალიშვილი თავს ვეღარ დააღწევს; და მხოლოდ იმისთვისღა ვცოცხლობ, უფრო მწვედ რომ ვიგრძნო, თუ რაოდენ უბედური ვარ.

მწარმჩივანი ვეძიებ ნუგეშისცემის ნატამალს მაინც ამ უხანო საწუთროში და მხოლოდ შენ, ჩემო საყვარელო დობილო, ძალგიძს მომაგო იგი. მაშ, ნუღარ წარმტაცებ ამ საიშვიათო რამ მეოხებას. შენს გაზრდას, ნუ მომაკლებ მეგობრულ სიხარულს. უკვე დავკარგე ამის უფლება, მაგრამ აროდეს ყოფილა იგი ესოდენ საჭირო ჩემთვის! დაე, სიბრალული შეენაცვლოს პატივისცემას. მაშ, მოვედ ჩემდა, ჩემო სასურველო, სულითა და გულით ყურადიღე ჩემი ჩივილი; რა არის, გული მოვიოხო შენს მკერდზე ცრემლთა ფრქვევით; დამიფარე მე, უკეთუ ეს შესაძლებელია, ჩემივ თავის სიძულვილისგან, და საცნაურსა ვყოფ, ჯერ კიდევ ყოველივე არ მომსპარა და განქარებულა-მეთქი, უკეთუ შენ ისევ ჩემი ერთგული და მოჭირნახულე ხარ.

XXX წერილი
პასუხი

ეჰა, შე ბედკრულო! ეს რა ჩაიდინე! ჰოი, უფალო! ხომ ძალგიძდა გეამაყნა შენი კეთილგონიერებით! აღარ ვიცი, რა უნდა გითხრა ესრეთ საშინელ ვითარებაში მყოფს, ესოდენ შეჭირვებულს. როგორ მოვიქცე? საყვედურებით აღგავსო და კიდევ უფრო ძლიერ დაგიდაღო საბრალო გული, თუ ვცადო მისი მოხვაიშნება, თუმც ჩემი გულისთვის დახშულია ნუგეშისკარი. ყოველივე მოგითხრო წრეგადაუსვლელად, თუ ყოველმხრივ გული მოგილბო? უმწიკვლო და ფაქიზო მეგობრობავ, მოეც გონებას ჩემსას სასიამტკბილო და ხორცუსხმელი იმედი, იძულებულ ჰყავ შენს მიერ შთაგონებული სათუთი სიბრალული თავად ამარიდოს განსაცდელი და ხიფათი, რომელთა წინააღმდეგ უმწეო ხარ!

შენ ხომ იცი, ჟიული, კაი ხანია მაძრწუნებდა უბედურება, ახლა რომ გადარდიანებს. არაერთგზის გაგაფრთხლე, მაგრამ როდი მისმინე! შენ დაიტანჯე შენი სულელური ალალმართლობით... აჰ, გვიანღაა ამაზე ლაპარაკი. ცხადია, დიდი ხნის წინათ გავთქვამდი შენს ხვაშიადს, შენი ხსნა რომ შემძლებოდა, ოღონდ თავად შენზე უკეთ ვიცნობდი შენს ნამეტნავად მგრძნობიარე გულს. ვხედავდი, თუ როგორ ნთქავდა მას მიჯნურობის დაუშრეტელი სახმილი და ვერავითარი ძალა ვერ ჩააქრობდა იმ სახმილს. მიჯნურობისგან ჟინმორეულ შენს გულში ჩახედვისას ვგრძნობდი, ბედმა რომ გარგუნა ბედნიერება ანდა სიკვდილი, ხოლო როცა შენ, უნამუსობის შიშით, განაძევე შენი მოყვარე-მიჯნური, და იმოდენა ცრემლი დაღვარე, მივხვდი, მალე დაუტევებდი ამ საწუთროს ანდა საჩქაროდ დააბრუნებდი მეტრფესა შენსას. როგორი თავზარი დამეცა, ოდეს სიცოცხლე გაგიარმდა,

ოდეს აღმოჩნდი სამარის კარად. ნუ გაამტყუნებ ნურც შენ საყვარელს, ნურც თავსა შენსას დანაშაულის გამო, რაშიგან ყველაზე მეტად მე მიმიძღვის ბრალი. ხომ ვხვდებოდი, რა განსაცდელი გელოდა, მაგრამ ვერ აგაშორე იგი.

მართლაც, ჩემი ნება-სურვილით როდი წავედი, – ხომ ხედავდი, უნდა დავმორჩილებოდი. წინასწარ რომ მცოდნოდა, ასე მალე გაიტეხდი სახელს, უმალ თავს დავდებდი მოსაკვეთად, ვიდრე მე და შენს დაშორებას დავთანხმდებოდი. როდი მოველოდი, თუ ასე ახლოს იყო საფრთხე. შენ ხომ ჯერ ასე უსუსური იყავი, ქანცმილეული; თითქოსდა სხვაგან ჩემი ხანმოკლე ყოფნა საფრთხეს არ გიქადდა. ვერ გავითვალისწინე, შენს წინაშე რომ აღიმართებოდა არჩევანის სასტიკი აუცილებლობა; ის როდისღა ვიფიქრე, დასუსტდა და მის გატანჯულ გულს თავის თავთან ბრძოლა აღარ ძალუძს-მეთქი. ვემუდარები პატიებას ჩემს გულს – ან კი სინანულს ვით მივცე თავი, როს ამ შეცდომამ სიცოცხლე გადაგირჩინა. მე არ მაბადია ის მკაცრი გაბედულება, შენ ჩემს მიტევებას რომ გაფიქრებინებდა, მწუხარებისაგან სული ამომხდებოდა, შენ რომ დამკარგოდი. არა, მე მინდა, იცოცხლო, – იტანჯო, მაგრამ იცოცხლო!

ოღონდ აბა რადა ღვრი ამდენ ცრემლს, ძვირფასო და საყვარელო დობილო? რას მოასწავებს ასეთი მონანიება, რა ბრალი მიგიძღვის საამისოდ. ანდა ეგ თავი ტყუილუბრალოდ რად მოგიძულებია. ეგების, წუთიერი დაძაბუნება ჩრდილავს ყველა შენს მსხვერპლს, ხოლო საშინელი საფრთხე, რომელშიც ჩაიგდე თავი, იქნებ აღარ არის შენი სათნოების დადასტურება? მხოლოდღა შენს დამარცხებაზე ფიქრობ, ის კი გავიწყდება, თუ რაოდენი ძნელზე-ძნელი გამარჯვება უძღოდა წინ მას. შენ უფრო მეტს იბრძოდი, ვიდრე ისინი, ვინაც გაუძლო ცდუნებას, – მაშასადამე, უფრო მეტი პატივისცემის ღირსიცა ხარ! უკეთუ არავითარი გამართლება არ გიწერია, ის მაინც იფიქრე, პატიებად რა ჩაგეთვალოს! ოდნავადღა ვიცნობ იმ გრძნობას, სიყვარული რომ ეწოდება. მე აგრერიგად ვერ მომდრეკდა ვნების ქარი. ოღონდ შენებრ ვერ გავუმკლავდებოდი ასეთ სიყვარულს, და თუნც მარცხი არ განმიცდია, უმანკოებაში კი ჩამოგრჩები.

ჩემი სიტყვები არ მოგეწონება: მაგრამ შენი ყველაზე დიდი უბედურება ისაა, რომ უცილოდ ყურად უნდა იღო ჩემი ნაუბარი. სიცოცხლეს შევწირავდი, ოღონდ ეს ამბავი არ მეთქვა. მძაგს და მეზიზღება ცუდი პრინციპები უფრო მეტად, ვიდრე ცუდი საქციელი.[19] უკეთუ შეცდომა ჯერ არ მომხდარა, უზნეობა იქნებოდა ასეთი აზრების გამოთქმა, შენთვის კი – მისი მოსმენა; მაშინ ორთავე შემცოდენი ვიქნებოდით. ახლა კი ჩემო სანატრელო, უნდა გაგიცხადო ყველაფერი, შენ კი ყურადიღო ჩემი რჩევა, თორემ დაიღუპები. შენ ხომ ჯერ ისევ გშთენია მრავალი საუცხოო თვისება, და მათი შენარჩუნება ძალუძს მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი თავის პატივისცემას; სირცხვილის უსაზომო გრძნობა და თავის დამცირება უსაცილოდ წარგტაცებენ ზნეკეთილობას, – მხოლოდ ღირსებათა შენთა რწმენა შეგაძლებინებს დაიმარხო ეს ღირსებანი.

გაუფრთხილდი თავს, ნუ მიეცემი სახიფათო ურვა-წუხილს, – ეს ხომ უფრორე დაგამცირებს, ვიდრე სიძაბუნე შენი. ნუუკვე-თუ ჭეშმარიტი სიყვარული რყვნის და აწბილებს ადამიანის სულს? დაე ტრფობისაგან წარმოქმნილმა შეცდომილებამ არ წარგტაცოს ყოველივე სპეტაკისა და მშვენიერის კეთილშობილური და მგზნებარე ერთგულება, რაიცა მუდამჟამს გაფრთოვანებდა შენ.

აჩნია თუ არა ლაქები მზეს? ნეტავ კიდევ რაოდენი სათნოებაღა შემოგრჩა დაკარგულის სანაცვლოდ! განა უფრო ნაკლებ მშვიდი, გულწრფელი, თავმდაბალი და ხათრიანი გახდი, – ერთი სიტყვით, უფრო ნაკლებად ხარ საყოველთაო პატივისცემის

[19] სამართლიანი და კარგი გრძნობაა. აღვირახსნილ ვნებათაღელვას თან მოჰყვება ცუდი საქციელი, მაგრამ ცუდი პრინციპები ამახინჯებენ გონებას და აღარ იძლევიან სიკეთისაკენ დაბრუნების საშუალებას.

ღირსი? განა შენი გულისთვის უფრო მცირეოდნად ძვირფასი გახდა პატიოსნება, კაცთმოყვარეობა, მეგობრობა, უმწიკვლო სიყვარული? განაღა თუ უფრო ნაკლებად სცემ პატივს სათნოებას, დაე თუნდაც შენმიერ დაკარგულს? არა, ძვირფასო, საყვარელო ჟიული, შენს კლარას ეცოდები და კიდეც გაღმერთებს. მან იცის და გრძნობს კიდეც, ყოველივე სიკეთისათვის რომ გერჩის გული. აჰ, მერწმუნე, ჯერ ისევ ბევრი რამ უნდა დაგკარგვოდა, რომ სხვა ასული, თუნდაც უფრორე კეთილგონიერი, გამხდარიყო შენი ღირსი.

მე მშთენია ჟიული, და ესაა მთავარი! ყოველგვარ სიბეჩავეს გავუმკლავდები, ოღონდ შენ არ დაგკარგო. თავზარი დამეცა, როცა შენი პირველი წერილი წავიკითხე, – როგორ ველოდი მეორე ბარათს. რა იქნებოდა, ერთდროულად მოსულიყო ყველა! მაშ ასე, შენ გსურდა მეგობრის მიტოვება, ჩემგან გაქცევა გქონდა განზრახული! არაფერსაც არ ამბობ ყველაზე მიუტევებელ შენს დანაშაულზე, – ხოლო ამის გამო ასკეცად უნდა გწვავდეს სირცხვილი. თუმცა, უმადური ყოველთვის მარტოოდენ თავის სიყვარულზე ფიქრობს... გამიგონე, სიცოცხლეს მოგისპობდი – ცხრა მთის გადაღმაც კი მოგწვდებოდი.

უსაშველო მოუთმენლობით ვითვლი წუთებს, შენგან მოშორებულმა რომ უნდა გავატარო. საშინელი ზოზინით მიჩანჩალებენ ისინი. დაახლოებით ერთ კვირამდე კიდევ დავყოფთ ლოზანში, შემდეგ კი მოვკურცხლავ ჩემი შეუდარებელი დობილისაკენ. ნუგეშსა ვცემ მას ანდა ვიდარდებ მასთან ერთად, შევუშრობ ცრემლებს ანდა მასთან ერთად ვიტირებ და ვივაგლახებ: დაე ჩვენმა გულთბილმა მეგობრობამ, და არა გულქვა გონებამ, განაქარვოს შენი მწუხარება. მაშ, ვიტანჯოთ, ჩემო საყვარელო დაიკო, მდუმარებასა შინა მყოფთ გვიყვარდეს ერთმანეთი და უკეთუ მოხერხდება, სათნოებითა ჩვენითა გამოვისყიდოთ დანაშაული, რასაც ცრემლებით ვერ გამოასწორებ. ეჰ, ჩემო საბრალო შაიო!

XXXI წერილი
ჟიულისადმი

სწორუპოვარო ჟიული! შენა ხარ ცით მოვლენილი საკვირველება! მხოლოდ შენთვის ცნობილი რომელი ხელოვანებით მოუყარე თავი შენს გულში ესოდენ შეუხმატკბილებელ გრძნობებს? სიყვარულითა და ნეტარებით გათანგულ ჩემს გულს შემსჭვალავს კაეშანი, – ვიტანჯები, დარდისაგან ილაჯი გამიწყდა ენითუთქმელი ნეტარების წიაღში, ვკიცხავ ჩემს თავს ნამეტნავი ბედნიერების გამო – როგორც დანაშაულისათვის. ღმერთო, რა საშინელი ჯოჯოხეთია – ვერ გაბედო სავსებით დაემორჩილო გრძნობას, განუწყვეტლივ დაიოკო ერთი გრძნობა მეორის მეოხებით და მარადჟამს ბოღმა-ვარამით მოგეშხამოს სიხარული! ასგზისად სჯობია იყო ოდენ უბედური!

ვაგლახმე! აწ რაღას ვაქნევ ბედნიერებას? ამწუთას შეჭირვებული ვარ ჩემს ტანჯვათა გამო კი არა, არამედ ცეცხლს მიდებს შენი წუხილი და ეს უფრორე საშინელია. ამაოდ ცდილობ დამიმალო შენი საწუხარო, შენს უნებურად ვკითხულობ შენს კაეშანს მაგ მიბნედილ და სევდიან თვალთა შინა. სულის შემძრავ ამ თვალებს როდი ძალუძთ თავიანთი ხვაშიადი დაუმალონ ტრფიალებით გათანგულ მზერას! არა მჯერა შენი მოჩვენებითი უშფოთველობა, ვხედავ, კარგად ვხედავ, ვითარ გიმძიმებს გულს იდუმალი წუხილი და სათნო ღიმილით დაფარული შენი სევდა-ვარამი უფროისად მადარდიანებს.

შენ უკვე აღარ ძალგიძს დამიმალო შენი ზრახვანი. გუშინ ვიყავი დედაშენის ოთახში. იგი გავიდა, და უეცრად მომესმა გულში ჩამწვდომი კვნესა-ვიშვიში. მაშინვე მივხვდი, თუ ვინ კვნესოდა. გავეშურე, საიდანაც ისმოდა ეს აღმოკვნესა. შევედი შენს სანთიობოში და შენს სამუშაო ოთახში ამოვყავ თავი. რა დამემართა, როცა კარი ნახევრად

გამოვაღე და თვალი ვკიდე, რომ ის, ვინაც მთელი სამყაროს ტახტზე ჯდომის ღირსია, იატაკზე ზის, სახით სავარძელს მიყრდნობია და ცრემლთა ნაკადით ალტობს. ო, უმჯობესი იქნებოდა ჩემი სისხლით დამელტო ის სავარძელი! უმალ ვიგრძენი აუტანელი სინდისის ქენჯნა. ბედნიერება ჯოჯოხეთად გადამექცა. ვიტანჯებოდი შენი მწუხარებით და მზად ვიყავი სიცოცხლის ფასად გამომესყიდა ტანჯვანი შენნი და ყოველი ჩემი სიხარული. მინდოდა დავვარდნილიყავ შენს ფერხთა წინარე, ბაგეებით ამეკრიფა შენი ძვირფასი ცრემლები, შთამემარხა გულში, მზე ჩამქრობოდა ანდა სამუდამოდ ამომეშრო ისინი შენთვის. მაგრამ ამ დროს გაისმა დედაშენის ფეხის ხმა და დაუყოვნებლივ უკანვე გავბრუნდი. თანვე წარვიტანე ჩემს სულში დავანებული შენი ვაება, წარვიღე თანაც ჩემი მწარე სინანული, რაიცა მხოლოდ მასთან ერთად გაქრება.

რაოდენ დამამცირებელია ჩემთვის და რაგვარ საუგოა შენი მონანიება! მაშასადამე, მხოლოდ სიძულვილის ღირსი ვყოფილვარ, უკეთუ შენ გძაგს თავი იმის გამო, ჩემთან კავშირი რომ დაიჭირე, უკეთუ ჩემი სიცოცხლის სიხარული ტანჯვა-წამებაა შენთვის! იყავ სამართლიანი შენი თავის მიმართ, ჩემო ძვირფასო ჟიული! ასეთი წინასწარი შეგონებით ნუ შეხედავ კურთხეულ კავშირს – გულისა შენის შემონაქმედს. განა შენ არ აღიარებდი ბუნების ყველაზე უბიწო კანონს? ნუთუ ეს ყველაზე კურთხეული კავშირი შენს უნებურად დაიჭირე? ნუთუ ყოველივე ის, რაც ჩაიდინე, არ უნდა მოეწონოთ ღვთიურ და ადამიანურ კანონებს? რაღა აკლია ჩვენს კავშირს? მხოლოდ და მხოლოდ ერთი რამ: საქვეყნოდ უნდა განვაცხადოთ იგი. გემუდარები, იყავი ჩემი, და არაფერში არ იქნები ბრალეული. მეუღლევ ჩემო, ცხოვრების ჩემის ღირსეულო და უმწიკვლო თანამგზავრო! სიხარულო ჩემო და ჩემო მაცოცხლებელო! დანაშაული როდია ის, რაც მოიქმედა შენმა სიყვარულმა, – დანაშაული და შეცოდება ის იქნება, უკეთუ ისურვებ სიყვარულის უფლებათა ხელყოფას – მხოლოდ მაშინ შებღალავ პატიოსნების გრძნობას, უკეთუ დათანხმდები სხვაზე გათხოვებას. სამარადისოდ იყავ მიჯნურის ერთგული, და შენ უმანკო იქნები. ჩვენი კავშირი კანონიერია, გაკიცხვის ღირსია მხოლოდ ორგულობა და ღალატი, რაიცა ბედავს მის გაცამტვერებას. დღეის ამას იქით მარტოოდენ ჩვენი სიყვარული უნდა იყოს საწინდარი სათნოებისა.

უკეთუ გივის საფუძვლიანი მიზეზი მწუხარებისათვის და რაიმე მნიშვნელოვანი საბაბი სინანულისა, მაშინ რად იმარხავ მას, რაც მე უნდა ვიცოდე? რატომ ერთად არა ვღვრით ცრემლებს? შენ არ უნდა გქონდეს რაიმე დარდი, რაიცა მე არ უნდა განვიცადო, ისეთი გრძნობა, რომელიც არ გავიზიარო, და ჩემი გულიც სამართლიანი სიბეჯითით გამუნათებს ჩემს მკერდზე დაღვრილი ყოველი წვეთი ცრემლის გამო. მაშ, მიპასუხე, ჩემო ხათრიანო, გულდახურულო მოყვარეე, ნუთუ არაა ეს ჩვენი სიყვარულის გაქურდვა, უკეთუ შენს გულს არა სურს ხვაშიადი გამიზიაროს? ნუთუ არ უნდა გვქონდეს ჩვენ ყველაფერი საერთო? ანდა იქნებ დაივიწყე კიდეც, თავად რომ მეუბნებოდი ამას? აჰ, რომ შეგეძლოს ისე გიყვარდე, როგორც მე მიყვარხარ, მაშინ ჩემი ბედნიერება და სიხარული ესოდენ გისალბუნებდნენ, ვითარ შემაჭირვებენ ტანჯვანი შენნი, და შენც იშვებდი და მოილხენდი ჩემი სიხარულით, როგორც მე ვგიებ შენი ჭირით დაყმუვნებული.

მაგრამ კარგად ვხედავ, გეზიზღები, როგორც ხელქმნილი ვინმე, რამეთუ გონება ჩემი შეირყა განცხრომის წიაღსა შიგან. შენ გაშინებს ვნებათა ღელვით ჟინატეხილი ჩემი შმაგობა, ჩემი აღტაცება იწვევს შენს სინანულს, ვერც კი მიხვდები, უსაზომო ბედნიერება ადამიანურ ძალ-ღონეს რომ აღემატება. ანდა, შენი აზრით, მგრძნობიარე სულმა დაუოკებლად არ უნდა განიცადოს ენით უთქმელი ნეტარება? მაშ, როგორ გნებავს, არ უნდა დაკარგოს წონასწორობა ესოდენ საამურ აღტაცებათა განცდისას! ნუთუ არ გესმის, რომ ზოგჯერ ზღვარი ედება ადამიანურ ძალ-ღონეს, და გონებას უკვე აღარ ძალუძს გამკლავება – მაშინ ამქვეყნად ვერვინ შეინარჩუნებს კეთილგონიერებას. შეიბრალე ჩემი

სიგიჟე, რომლითაც შენგანვე ვარ შეპყრობილი, აბუჩად ნუ აიგდებ შენს გამო ჩადენილ შეცდომებს ჩემსას. დიახ, ამიერიდან ჩემს თავს აღარ ვეკუთვნი – ჩემი სულიც უკვე ჩემი კუთვნილება როდიღაა, – მან შენს გულში დაივანა. ჩემთვის უფრო გასაგები გახდა შენი ვაი-ვარამი, და მეც უფროისად გავხდი ღირსი იმისა, ეს შენი ჭმუნვა გავიზიარო. ო ჟიული, მაშ, ნურმც დაემალვი შენს თავს!

XXXII წერილი
პასუხი

საყვარელო მეგობარო, იყო დრო-ჟამი, როცა ჩვენი წერილები ესოდენ მარტივი და მიმზიდველნი გახლდნენ, აზრი და გრძნობა ლაღად მოჩქეფდა, სიტყვებიც მკაფიოდ და სასიამოვნოდ ჟღერდნენ. მისი საუკეთესო სამკაული იყო სისპეტაკე; არ საჭიროებდა დახვანჯულობასა და მაღალფარდოვან გამოთქმებს. ვაი ჩემდა! ჟამი ბედნიერებისა გაქრა, და კვლავ აღარ დაბრუნდება. ჩვენ აღარ გვესმის ერთმანეთისა – აი ესაა საშინელი ცვლილების პირველი შედეგი.

ხედავ, ყოვლი ღონე რომ მიმეღო! ასე იფიქრე, მის მიზეზს ჩავწვდიო, და ახლა ცდილობს მოჩმახული ლათაიებით მცე ნუგეშინი. ოღონდ, მეგობარო ჩემო, გინებს ჩემი მოღორება, მაგრამ შენვე რჩები მოყივნებული. მერწმუნე და დაუჯერე შენი ჟიულის სათუთ გულს! იმდენად იმას კი არ ვნანობ, ნამეტურ უხვად რომ გავიღე სიყვარული, იმასა ვჩივი, რომ დავაკელ მას უზესრულესი მომხიბვლელობა. სიზმარებ გაქრა სათნოების სასიამო სიმშვენიერე; ჩაქრა ის ღვთიური ალიც, ჩვენს ვნებას რომ აღაფრთოვანებდა და აღიტაცებდა. ჩვენ გამოვედევნეთ განცხრომას, და ამასობაში ბედნიერება ხელიდან გაგვისხლტა. გაიხსენე ის საუცხოო წუთები, როცა ჩვენი გულები მით უფრორე მტკიცედ უკავშირდებოდნენ ერთურთს, რაც უფრო პატივსა ვცემდით ერთმანეთს; როცა ვნების ცეცხლით აღძრული სიყვარული ძალას იკრებდა თავის დასათრგუნავად; როს გრძნობათა ჩვენთა სიფაქიზე და უმწიკვლოება გვაჯილდოებდა ჩვენივ თავდაჭერილობის გამო; როცა პატიოსნებისა და ღირსების შეუბღალავად ვაკეთილშობილებდით ჩვენს სიყვარულს. აბა ერთი შეადარე ის საუცხოო ვითარება ამჟამინდელს. ახლა კი რამდენი მღელვარება, შიში და ელდა გვიფორიაქებს სულს, რაოდენი საშინელი თავზარდაცემა! ჩვენს აფუტკნულ გრძნობებს მოაკლდათ მანამდელი მშვენება! ნახე, რად გადაიქცა ჩვენი მგზნებარე ერთგულება ყოველივე გონივრულისა და წესიერის მიმართ, რაც ასე გვაფრთოვანებდა ყველა ჩვენი მოქმედების ჟამს და რაც, თავის მხრივ, უფრო მეტ მომხიბლაობას ანიჭებდა ჩვენს სიყვარულს! არხეინად და ხანგრძლივ განვცხრებოდით, ახლა კი რაღაც სიშმაგემ დაგვრია ხელი. ჩვენი უგუნური ბედნიერება უფრო გახელებასა ჰგავს, ვიდრე ალერსიან დაყვავებას! ტრფიალების სპეტაკი, კურთხეული ცეცხლი ეგზნებოდა ჩვენს გულს და რაჟამს ვნებათაგან აღტყინებით ცეცხლმდებარენი ვემონეთ განცხრომასა და სიამეს, მყისვე ძალზე უბრალო მოაშიკეებად გადავიქეცით, და უდიდეს ბედნიერებად უნდა მიგვაჩნდეს, თუკი მომთხოვნელი სიყვარული კვლავ ინებებს და გაასხივოსნებს ლხენა-სიამეს, რითაც ძალუძს უმისოდაც განცხრებოდეს მოკვდავთა შორის ყველაზე საძულველი ადამიანი.

აი, ჩემო მეგობარო, რა დანაკლისი განვიცადეთ, და ჩემთვისა და შენთვისაც რა სავალალო ამბებს გადავეყარეთ. ჩემს განსაკუთრებულ შეჭირვებას ვერაფერს დავუმატებ: შენმა გულმა ყოველივე უნდა შეიგრძნოს. აბა ერთი თვალი მოაპყარ ჩემს სიყვარულს და იტანჯე, თუკი იცი სიყვარული. შეცდომა გამოუსწორებელია, და თვალზე ცრემლი აღარასოდეს შემაშრება. ოი, შენ, ვის გამოც არ მიწყდება ცრემლთა წვიმილი, ნუ იავარჰყოფ

სამართლიან სინანულს! ერთს კი ვიმედოვნებ: ეს სინანული ჩემთვის სამიდღეშიოდ გაგრძელდება. ფრიად საშინელი უბედურება იქნებოდა მისი დავიწყება. უმანკოებასთან ერთად მისი პატივისცემის გრძნობაც რომ დამეკარგა, სამუდამოდ შევირცხვენდი თავს.

მე ვხედავ ჩემს ხვედრს, ვიცი, რაოდენ საშინელია იგი, და მაინც მომეპოვება ნუგეში – ერთადერთი, ოღონდ კი სანეტარო. ამას შენგნით მოველი, საყვარელო მეგობარო. მას მოღმა, რაც ვეღარ ვბედავ ჩემს გულში ჩახედვას, წინანდელზე უფროისი სიხარულით მას მივაპყრობ თვალთა ჩემთან მზერას, ვინც მიყვარს. მოგაგებ პატივს, რაიცა შენი წყალობით აღარ მომეპოვება ჩემი თავის მიმართ. და ჩემი თავი რომ შემაძულე, მით უფრო ძვირფასი გახდი ჩემთვის. სიყვარული, ბედნავსი სიყვარული მღუპავს მე, ხოლო შენ ახალ ფასსა და ღირსებას განიჭებს; შენ აღგამაღლებს ჩემი დამდაბლება, შენმა სულმა თითქოს სარგებელი იპოვა ჩემი დამცირებით. მაშ, ამიერიდან იყავი ჩემი ერთადერთი იმედი. მარტოოდენ შენ ხელგეწიფების ჩემი დანაშაულის გამართლება, უკეთუ ეს შესაძლებელია. გამოისყიდე იგი გრძნობათა შენთა უმწიკვლოებით. დაე, შენმა სულიერმა ღირსებებმა განაქარვონ ჩემი შერცხვენა; დაე, სათნოებათა შენთა გამო მეპატიოს შენი გულისათვის იავარქმნილი ჩემი სიქველე. დაე, ყოველივე ის, რაც ვიყავ, ცოცხლობდეს შენს გულში, მე კი თავად უკვე არარად ვიქეც. რაც კი კეთილშობილური მომეპოვებოდა, ყველაფერი შენთვის გადმომიცია, და ვიდრე პატივსცემის ღირსი იქნები, მეც მარტოოდენ სიძულვილს როდი დავიმსახურებ.

როგორა ვნაღვლობ, რომ გამოვმჯობინდი, ამის დაფარვა ხომ მეტხანს შეუძლებელია, თვით ჩემი იერიც უარყოფდა ჩემს სიტყვებს, და თითქოს ავადმყოფობის შემდეგ შემორჩენილი ჩემი მოჩვენებითი მოქანცულობაც უკვე ვერავის აუბამს თვალს. მაშ, ისწრაფე, მეგობარო ჩემო, და ვიდრე ჩემს ჩვეულებრივ მეცადინეობას არ შევდგომივარ, როგორც დავთქვით, გაბედულად ვიმოქმედოთ. კარგად ვხედავ, დედაჩემს ეჭვი რომ აღეძრა და გვიყურადებს კიდეც. ცხადია, მამაჩემს აზრადაც არ მოუვა ეს. გაზულუქებული აზნაური ფიქრადაც კი არ გაივლებს გულში, მდაბიორი ჩემს ქალიშვილს გამიჯნურებიაო. მაგრამ ხომ იცი მისი გადაწყვეტილება, და თუკი მამაჩემს არ დაასწარ, თავადვე მოგასწრებს, და შენაც, ვისაც გსურს შენდამი კეთილი განწყობილება შეინარჩუნონ ჩვენს ოჯახში, იმას მიაღწევ, რომ სახლიდან გაგაძევებენ. დამიჯერე, მოდი დედაჩემთან და მოელაპარკე, ვიდრე დრო არის მოიმიზეზე რაიმე საქმე, თითქოს მეცადინეობის გაგრძელების საშუალებას რომ არ გაძლევს მაშინ ისე ხშირად აღარ შევხვდებით ერთმანეთს, მაგრამ ხანდახან მაინც მოვინახულებთ ურთიერთს. უკეთუ ჩვენი სახლიდან მართლაც დაგითხოვენ, სულაც ვეღარ ივლი ჩვენსას, და თუკი შენივ ნებით წახვალ ჩვენგან, ჩვენსას მოსვლა რამდენიმედ შენი საქმე იქნება. ცოტაოდენი სიყოჩაღე, დაუზარებლობა – და თანდათანობით მოახერხებ უფრო ხშირად გვეწვიო ისე, რომ ეჭვსაც ვერავინ აიღებს. მაშინ კი ამას საძრახის საქციელად ვერავინ ჩაგითვლის. ამ საღამოს გეტყვი, რაც მოვიფიქრე, თუ როგორ შევხვდეთ ერთმანეთს, და შენც დამეთანხმები, ის განუყრელი დაიკო, ერთი ვინმე ასე რომ უჩიოდა, ხელს შეუწყობს გამიჯნურებულთ, რომელთა მიტოვებაც მას არ შეჰფერის.

XXXIII წერილი
ჟიულისაგან

აჰ, ჩემო მოყვარეო, საღამო-წვეულებებზე სახიფათოა მიჯნურთა შეხვედრა. რა საშინელებაა შევხედოთ და დავიოკოთ ჩვენი გრძნობები! ასკეცად უმჯობესია, სულაც არ

ვნახოთ ერთმანეთი. როგორ უნდა შეინარჩუნო სიმშვიდე ასეთი მღელვარების დროს! ვით უნდა გახდე სხვანაირი! ვითარ უნდა იფიქრო ყველაფერზე, როცა აზრი ერთ ვინმეს დასტრიალებს! ხელიც ვერ გასძრა, შეაჩერო თვალთა მზერა, როცა გული მკერდიდან ამოვარდნას ლამობს? ჩემს დღეში არასოდეს ავფორიაქებულვარ ასე, როგორც გუშინ, როცა ქალბატონ დ'ერვარის სადარბაზოში გამოაცხადეს შენი მოსვლა. წარმოთქვეს შენი სახელი, და ასე მომეჩვენა, მე მკიცხავენ-მეთქი. წარმოვიდგინე, თითქოს ყველანი მე მითვალთვალებდნენ. თვითონ აღარ ვიცი, რა მემართებოდა, ბოლოს, როცა შემოხველ, სახე სულ ერთიანად ამელანძა, და დაიკომ, ჩემზე თვალ-ყური რომ ეჭირა, თავი ისე მოაჩვენა ყველას, თითქოს რაღაცას მიჩურჩულებდა ყურში, ჩემკენ დაიხარა და მარაო ჩამომაფარა. ვშიშობდი, ვაითუ ამ ამბავმა ცუდი შთაბეჭდილება მოახდინოს-მეთქი, – დაიწყებდნენ მითქმა-მოთქმას, აბა რას ჩურჩულებენო. ერთი სიტყვით, ყველაფერში ვპოულობდი მღელვარების ახალ-ახალ საბაბს და დღემდის ასე ნათლად არ ვიცოდი, რომ უპირისწყლო სინდისი თავად აჩეჩებდა ხელთ იარაღს მოწმეებს, რომელთაც არაფრის ეჭვიც კი არა ჰქონდათ.

კლარა მარწმუნებს, თითქოს შენაც ვერ გეჭირა თავი უკეთ. მას მოეჩვენა, რომ გაოგნებულმა არ იცოდი, როგორ მოქცეულიყავ, მთლად დაიბენი, ნაბიჯის გადმოდგმასაც კი ვეღარ ახერხებდი, ვერც ჩემთან მოდიოდი და ვერც მთლად წასვლას ბედავდი და თურმე სულ აქეთ-იქით იხედებოდი, შეუმჩნევლად ჩვენთვისაც რომ მოგეკრა თვალი. ოდნავ გონს რომ მოვეგე, თავადვე დავინახე, როგორ ღელავდი, ვიდრე ქალბატონი ბელონი არ გამოგელაპარაკა, სანამ გვერდს არ მიუჯექი იმ ყმაწვილ ქალს და არ დამშვიდდი მასთან საუბრისას.

მეგობარო ჩემო, ჩვენ ერთობ შებოჭილად ვგრძნობთ თავსა. და ესოდენ მცირე სიხარულს განვიცდით; მერწმუნე, ცხოვრების ასეთი წესი და ნირი არ გამოგვადგება: ნამეტნავად გვიყვარს ერთიმეორე და აღარ ძალგვიძს თავის შეკავება, საჯარო პაემანი მხოლოდ იმათთვისაა კარგი, ვისაც სიამოვნებთ ერთად ყოფნა, ოღონდ კი არ იციან, რა არის სიყვარული და არა ფარავენ საიდუმლოს! ხოლო ჩემი მღელვარება ბევრად უფრო დიდია, შენი თავშეკავებულობა კი – მეტისმეტად სახიფათოა და ქალბატონი ბელონიც ყოველთვის როდი აღმოჩნდება შენს გვერდით, რათა საჭირო წუთს მიიპყროს შენი ყურადღება.

მაშ, დავუბრუნდეთ, დავუბრუნდეთ განმარტოებულ უშფოთველ ცხოვრებას. მართლაცდა, რა განუსჯელად განმარიდეთ მისგან. განა მან არ წარმოქმნა და არ მოსცა საზრდელი ჩვენს გიჟურსა ლტოლვას, რაიც იქნებ უკვე დიდი ხანია მოიშთობოდა უფრო ფუქსავატი და უშინაარსო ცხოვრების ჟამს. ყველა დიდი და მაღალი გრძნობა ძლიერდება მხოლოდ მყუდრო ადგილას, განმარტოებისას. მათ მსგავსს ვერ იპოვით მთელ ქვეყნიერებაზე, სადაც ამაოების გამო გონებაშიც ხანგრძლივად არაფერი აღიბეჭდება, სადაც მუდამჟამს იფანტება კაცის ყურადღება – ეს კი აჩლუნგებს გრძნობათა ხელმწიფებას, თანაც განმარტოება უფრორე ესადაგება სულიერ კაეშანს ჩემსას! იგი იმითვე საზრდოობს, რითაც ჩემი სიყვარული, – ერთსაც და მეორესაც შეეწევის შენი ძვირფასი ხატება, და მირჩევნის დაგინახო შენ – სათუთი და მგრძნობიარე – ჩემს გულსა შიგან, ვიდრე შებოჭილი და გაოგნებულ-გაცბუნებული სადარბაზოში.

თუმცაღა, შესაძლოა, დადგეს კიდეც ისეთი დრო, როცა დავიწყებდი კიდევ უფრო მეტი განმარტოების ძებნას. ოი, ნეტამც უკვე დადგებოდეს ეს სასურველი ჟამი! კეთილგონიერების ხმაც და გულისთქმანი ჩემნი მიბრძანებენ წინასწარ შევეჩვიო იმ ამბავს, რასაც, იქნებ, მოითხოვს აუცილებლობა. აჰ, ნეტამც ჩემს დანაშაულს მოეცა თავისი გამოსყიდვის საშუალებაც! რა სასიხარულო იმედი და ნუგეშია, რომ ერთ მშვენიერ დღეს მე გავხდები... მაგრამ კინაღამ წამომცდა გეგმათა ამბავი, ჩემი ფიქრი გამუდმებით თავს

რომ დასტრიალებს. მაპატიე იდუმალება, ჩემო ერთადერთო მეგობარო. ჩემი გული არაოდეს დაიმარხავს შენთვის უსიამო ხვაშიადს. მაგრამ ეს საიდუმლო კი არ უნდა იცოდე, მხოლოდ ერთს გეტყვი – განკურნებას მოგვიტანს სიყვარული, მიზეზი ჩვენი ყველა ტანჯვა-წამებისა. იფიქრე ჩემს სიტყვებზე, როგორც გენებოს, ისე გაიგე ჩემი ნაუბარი, ოღონდ გამოწვლილვით ნურაფერს გამომკითხავ – გიკრძალავ ამას.

XXXIV წერილი
პასუხი

No, non vedrete mai
Cambiar gl'affetti miei,
Bei lumi onde imparai
A sospirar d'amor.[20]

მზადა ვარ გავუმიჯნურდე თვალწარმტაც ქალბატონ ბელონს – მისი მეოხებით რაოდენი სიამოვნება მომენიჭა! მაპატიე, ღვთისნიერო ჟიული, იმის გამო, რომ გავბედე და ვიამე შენი სათნო მღელვარებით, – ეს იყო ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი უბედნიერესი წამი. რაოდენი მშვენიერება კრთოდა შენს გამოხედვაში, როცა შეშფოთებითა და ცნობისმოყვარეობით მალულად შემოგვყურებდი ჩვენ, ხოლო როცა მზერას მომაპყრობდი, მყისვე ძირს დაიღებდი თვალებს. რას აკეთებდა მაშინ შენი სვებედნიერი მიჯნური? განაღა-თუ ქალბატონ ბელონთან ლაყბობდა? აჰ, საყვარელო ჟიული, ნუთუ შენც გჯერა ეს ამბავი? ო, არა და არა, სწორუპოვარო, მეტრფე შენი უფრორე დიდმნიშვნელოვანი საქმით გახლდათ გართული. მერედა როგორი აღტაცებით ადევნებდა თვალყურს მისი გული შენს ყოველ მშფოთვარებას! როგორი ხარბი მოუთმენლობით აკვირდებოდა საყვარელ სახეს! შენი სიყვარული, შენი სიკეკლუცე აღავსებდა და აღიტაცებდა მის სულს და ქანცი ელეოდა მოჭარბებულ საამურ გრძნობათაგან. მე კი მაწუხებდა მხოლოდ ერთი რამ – შენ, ყველა ჩემი სიხარულის მიზეზს, ჩემთან ერთად რომ არ შეგეძლო მათი გაზიარება. აღარ ვიცი, რას მეუბნებოდა იმწუთს ქალბატონი ბელონი, არც ის მახსოვს, რაგვარ ვუპასუხებდი; არც კი ვიცი, რა გვქონდა სასაუბრო. ალბათ, მასაც ვერაფრით გაეგო, თანამოსაუბრე რას მეუბნებაო, ვინაიდან დაუფიქრებლად ვლაპარაკობდი და თანაც ალალბედზე მივუგებდი ყოველ სიტყვას.

Com'huom, che par ch'ascolti, e nulla intende.[21]

---

[20] არ ძალმიძს ჩემი უპირობით
რომ შევურაცხყო
თვალები, რომელთ შემასწავლეს
დარდი ტრფობისა (იტალ.).

[21] ზოგჯერ ამგვარად უსმენენ, ოღონდ არაფერიც კი არ ეყურებათ (იტალ.).

ამიტომაც ფრიად აგდებულად მომეპყრა, ხოლო შემდეგ ყველას ასე ეუბნებოდა, – იქნებ შენც გითხრა, – გამჭრიახი კაცი სულაც არ არისო, – და უფრო უარესიც, – მისი წიგნების დარად იოტისოდენა მახვილგონიერებაც კი არ გააჩნიაო. მაგრამ აბა რა მესაქმება, თუ რას იტყვის და ფიქრობს იგი ჩემზე, რამეთუ მარტოოდენ ჩემი ჟიული დამიდებს წესად, როგორ ვიცხოვრო და რაგვარი საზოგადოებრივი ვითარება მჭირია მე. დაე, ადამიანთა მთელმა მოდგმამ იფიქროს ჩემზე, რაცა სურს და როგორც ნებავს, – ჩემთვის მხოლოდ და მხოლოდ შენს პატივისცემას აქვს ფასი.

აჰ, მერწმუნე, ვერც ქალბატონი ბელონი და ვერც მასზე უფრო ლამაზი ქალები ერთი წუთითაც კი ვერ შეძლებენ, როგორც მითხარი, გადამავიწყონ შენი თავი, ანდა წარმტაცონ გული ჩემი და თვალთა მზერა. უკეთუ გაეჭვებს ჩემი გულწრფელობა და ასე საშინლად შეურაცხყოფ ჩემს სიყვარულსა და შენს სილამაზეს, მაშინ ამიხსენ, ვითარ მოგითხრო ყოველივე, რაც ხდებოდა შენს გარეშემო? განა არა ვნახე, როგორ ბრწყინავ ნორჩ კეკლუცთა შუა, ისე როგორც მზე – თვისი სხივებისგან ჩამქრალ ვარსკვლავთა შორის? განა არ შემინიშნავს შენი სავარძლის ირგვლივ თავშეყრილი თითლიბაზები?[22] არ დავინახე, როგორი აღტაცებულნი არიან შენგან შენივ მეგობარ ქალთა გულის გასახეთქად? განა არა ვნახე, როგორ გელაქუცებიან, თავს გევლებიან, გიმჟღავნებენ უნაზეს გრძნობებს და გეარშიყებიან? და განა არ შემინიშნავს, როგორის მოკრძალებითა და უგულოდ უგდებ მათ ყურს და ეს უფრო დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს, ვიდრე გულზვავი ამპარტავნობა. ნუთუ არ შემიმჩნევია, რა აღტაცებით უცქერდნენ მამაკაცები შენს შიშველ ხელებს, როცა ვახშმად დაჯდომისას ხელთათმანები წაიძრე? განა ვერ შევასწარ თვალი, – როცა ერთმა უცხოქვეყნელმა ვაჟმა აიღო ხელთათმანი, შენთვის უნდოდა გადმოეცა იგი და მოიწადინა ულამაზეს ხელზე გმთხვეოდა? ისიცა ვნახე, როგორ შეიბნიე და დაიფარე გულმკერდი, როცა იგრძენი, რა აღტყინებული მზერით მოგჩერებოდა მეორე – არამზადა თავხედი, ვისი წყალობითაც ცნობა მიმეხადა. ჟიული, ისე დაბნეული და უგულისყურო როდი ვიყავ, როგორც გგონია. ყველაფერი დავინახე, მაგრამ როდი ვეჭვიანობდი, ვინაიდან ვიცნობ შენს გულს. იგი ისეთი როდია, ორგზის სიყვარული რომ შეიძლოს. ნუთუ ფიქრობ, ჩემი გული შეძლებს ამას?

მაშ, დავუბრუნდეთ განმარტოებული ცხოვრების წესს და ნირს, რასაც ასე უხალისოდ აღვაღე ხელი. არა, მაღალი წრის ამაოებით აღსავსე ცხოვრება გულს ვერ ასაზრდოებს. ფუჭ სიამეთა შორის იგი კიდევ უფრო მწვავედა გრძნობს ჭეშმარიტი სიხარულის დაკარგვას და თავისი ტანჯვა-წამება ურჩევნის ცარიელ განცხრომას. მაგრამ, ჟიული ჩემო, ამ ტყვეობის მსგავს შეჭირვების ჟამსაც ჩვენთვის ხელმისაწვდომია, და ასეც უნდა იყოს, სიამოვნებანი, რაც შვებას განგვაცდევინებს, შენ კი თითქოს მიივიწყე ისინი! ეს როგორ მოხდა, მთელი ორი კვირა ასე ახლოს ვიყოთ ერთიერთმანეთისაგან და არ ვინახულოთ, ერთი სიტყვითაც კი არ გამოველაპარაკოთ ურთიერთს! აჰ, ამასობაში როგორ მოიქცეს ტრფიალების სახმილით დამწვარი გული, – იმისთვის ეს ამბავი ხომ მთელი მარადისობაა! კაცმა რომ თქვას, სრული განშორებაც კი ასეთი სასტიკი ვერ იქნებოდა. რა საჭიროა ესოდენი ზედმეტი სიფრთხილე – ის ხომ უბედურების მომასწავებელია და არა მისი ამცილებელი. მაშინ რაიღა ბედენაა სიცოცხლე? მაშ, რატომ უნდა განვაგრძოთ ტანჯვა-წამება? განა ასგზის არ ემჯობინება წუთით შეხვედრა და მყისვე სიკვდილი?

ვერ დავფარავ, ჩემო ტკბილო მეგობარო, ძალიან მინდოდა ძვირფასი საიდუმლოს გამოცნობა, რაზედაც არაფერს ამბობ. აკი ჯერ არასოდეს არაფერი ასე ახლოს არ ჰკარებია

[22] ,,თითლიბაზები“ – ძველებური სიტყვაა, რომელსაც უკვე აღარ ხმარობენ, – ახლა ,,მამაკაცებს“ უწოდებენ. მე მივმართე პროვინციელებს ამის განსამარტებლად, რადგან მსურდა, თუნდაც რაიმე სარგებელი მომეტანა ხალხისათვის.

ჩემს გულს. ამაოა ყოველი ჩემი ღონე და მცდელობა. მაგრამ აღარაფერს ვიტყვი შენი ნება-სურვილის მორჩილი და დავიოკებ კადნიერ ცნობისწადილს. ესოდენ საამური საიდუმლოს პატივისცემით ძალმიძს თუ არა მაინცდამაინც ხელი შეგიწყო, თავად ჩაწვდე მას? ვინ იცის, ეგებ ეს შენი აზრი და ზრახვა ფუჭმა ოცნებამ გიკარნახა? აჰ, ჩემო სასურველო და მაცოცხლებელო, მაინცა ვსინჯოთ მათი განხორციელება!

P. S. დამავიწყდა მეთქვა: ბ-ნმა როგენმა შემომთავაზა ასეულის მეთაურობა იმ პოლკში, სარდინიის მეფისთვის რომ ადგენს. ამ სახელოვანი ადამიანის ესოდენმა ნდობამ ძალზე მასიამოვნა, მადლობა მოვახსნე და ვუპასუხე: ბეცი გახლავარ და არ შემიძლია სამხედრო სამსახურში შევიდე-მეთქი, თანაც – მეცნიერებისადმი მიდრეკილება შეუთავსებელია მსხემური ცხოვრების წესებთან-მეთქი, და სრულიადაც არ შემიწირავს თავი სიყვარულისთვის. დარწმუნებული ვარ, ყოველი ადამიანის ვალია თავი გაწიროს სამშობლოსათვის; ოღონდ არ შეიძლება ემსახურო ისეთ ხელმწიფეს, რომლის არაფერიც არ გმართებს, ხოლო მით უმეტეს – გაყიდო თავი შენი და საზიზღარ ვაჭრუკანობად გადააქციო ყველაზე უკეთილშობილესი საქმე ამქვეყნად. ასეთი წეს-ჩვეულების მიმდევარი გახლდათ მამაჩემი. ბედნიერი ვიქნებოდი, მეც მის გზას გავყოლოდი და მასავით მყვარებოდა სამშობლოცა და ჩემი ვალიც. მან არ ინდომა უცხოელ მეფეთა სამსახური; ხოლო 1712 წლის ომში მამაცურად აისხა იარაღი და ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში. მრავალ ბრძოლაში მონაწილეობდა და დაიჭრა კიდეც. ვილმერჰენთან ბრძოლაში ბედმა გაუღიმა და გენერალ საკონეს თვალწინ ხელთ იგდო მტრის ალამი.

XXXV წერილი
ჟიულისაგან

მეგობარო ჩემო, ქალბატონ ბელონის გამო ხუმრობით ნათქვამი ორიოდე სიტყვა, მართლაც, არა ღირს ასეთი სერიოზული ლაპარაკისათვის. ზოგჯერ ადამიანი ცდილობ თავის გამართლებას და თავს უფრო მეტად იდანაშაულებ. წვრილმანებისათვის ყურადღების მიქცევით მათ რაღაც დიდმნიშვნელოვნებას ვანიჭებთ ხოლმე. მაგრამ მჯერა, ეს ჩვენ არ მოგვივა – შეყვარებულთა გულს რა ესაქმება წვრილმან ამბებთან, ხოლო გამიჯნურებულთა სულ უბრალო წაკინკლავებას მუდამ გაცილებით მეტი საფუძველი მოეპოვება, ვიდრე გვგონია.

სამაგიეროდ, ამ უმნიშვნელო ამბის მეოხებით შემთხვევა გვეძლევა, ვილაპარაკოთ ეჭვიანობისთვის. სამწუხაროდ, ეს საგანი ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანია.

ვხედავ, ჩემო მეგობარო, რომ ჩვენი სულიერი ნიშან-თვისებებისა და ჩვენი მიდრეკილებების თვისობისას სიყვარული მთელი ჩვენი ცხოვრების ქვაკუთხედი იქნება. უკეთუ იგი ასე ღრმად აღიბეჭდა ჩვენს სულში, მაშინ მან უნდა დააცხროს ანდა შთანთქას კიდეც ყველა სხვა ვნება. გრძნობათა სულ ოდნავი განელებაც კი უმალ საშინელ სევდას მოგვგვრიდა. ჩამქრალი ტრფიალების წილ აღჩნდებოდა საზარო სიძულვილი, სამუდამო ბოღმა-ნაღველი და უკეთუ ერთმანეთზე გულს ავიყრიდით, დიდხანს როდიღა დავრჩებოდით ცოცხალნი. მე კი, შენ ხომ მშვენივრად იცი, რომ მარტოოდენ გიჟურ ვნებათა ლტოლვა მშველის გადავიტანო ჩემი ამჟამინდელი მდგომარეობის მთელი საშინელება: მე წილად მხვდა თავდავიწყებით სიყვარული ანდა სიკვდილი მწუხარებისგან. თავადვე ხედავ, მართალი ვარ, რაკი დავასკვენი სერიოზულად

ვილაპარაკო იმ ამბავზე, ურომლისოდაც შეუძლებელია მთელი ჩემი ცხოვრების ბედნიერება.

რამდენადაც ძალმიძს ჩემივე თავის განსჯა, ასე მგონია, თუმც ზოგჯერ ძალზე აღტაცებული ვარ, მაგრამ თავს როდი ვუდებ ანაზდეულ აღტყინებებს. ხამს ტანჯვანი ჩემნი ჯერ ჩემს გულში დადუღდეს მდოვრედ, – და მხოლოდ მაშინ გავბედავ ამის გამო ხმა ამოვიღო მათ მიზეზთან, და რადგანაც მჯერა, რომ არ შეიძლება უნებლიეთ შეურაცხყოფა, ამიტომაც უმალ მოვითმენ ასობით კიცხვას, ვიდრე ერთ ახსნა-განმარტებას. ასეთი გუნება-ხასიათით შეიძლება ზედმეტი რამ ჩაიდინოს ადამიანმა, განსაკუთრებით, თუ გულს უღრღნის იჭვნეულობის ჭია. მე კი ძალზე ვშიშობ, ვაითუ უეცრად მეც დამიმონოს ამ სახიფათო ვნებამ. ვიცი, შენი გული მხოლოდ ჩემი გულისთვისაა გაჩენილი – ოღონდ ხომ შეიძლება, თავადაც მოტყუვდე კაცი – წუთიერი გატაცება სიყვარული გეგონოს და გულისთქმით აღძრულმა ის მოიმოქმედო, რასაც ტრფიალებისთვის ჩაიდენდი. ამრიგად, თუკი განიკიცხავ თავს უპირობის გამო, თუმცა იგი მოჩვენებითია, – მით უფრო მოსალოდნელია, რომ მეც, დაე უმართლედ, მაგრამ მაინც ბრალი დავდო შენს გაუტანლობას. საშინელი ეჭვიანობა მომიშხამავდა სიცოცხლეს, უდრტვინველად ავიტანდი ტანჯვა-წამებას და მოვკვდებოდი უნუგეშოდ შთენილი, თუმცა კვლავინდებურად შეყვარებული.

გემუდარები, თავი დავაღწიოთ უბედურებას, – მარტო ერთი მისი გახსენებაც კი თავზარსა მცემს. შემომფიცე, სახიერო მეგობარო, ოღონდ სიყვარულით კი არა (სიყვარულის ფიცს მხოლოდ მაშინ ასრულებენ, როცა დაუფიცებლადაც არიან სიყვარულის ერთგულნი), არამედ ღირსების სპეტაკი სახელით, ესოდენ პატივს რომ მიაგებ, რომ მარადჟამს ვიქნები შენი მესაიდუმლე და რაოდენი ცვლილებაც უნდა განიცადოს შენმა გულმა, პირველად მე უნდა გავიგო იგი. ნუ მარწმუნებ, არასოდეს მომიხდება რაიმე შეგატყობინოო: მჯერა და იმედი მაქვს, ასეც იქნება; ოღონდ დამიფარე საშინელი ვაი-ვაგლახისაგან, და უკეთუ მაინც ვერ აღასრულებ დანაპირს, მინდა ვიყო ისეთივე გულარხეინი მომავლისათვის, როგორც ახლა ვარ ამჟამინდელი დღის გამო. ჩემთვის უფრო ადვილი იქნება, შენგან გავიგო უბედურების ამბავი, ვიდრე მარად ვიტანჯო წარმოსახულ შეჭირვებათაგან. მაინცდამაინც ჩემდა ნუგეშად დამშთება შენი სინდისის ტანჯვა-წამება. თუკი აღარ მოისურვებ ჩემი გრძნობის გაზიარებას, მაინც კვლავ განაგრძობ ჩემი საწუხარის განაწილებას – და შენს გულ-მკერდზე დაღვრილი ცრემლები ესოდენ მწარე აღარ მომეჩვენება.

აი ამიტომაც, ჩემო მეგობარო, ორმაგად გილოცავ იმ ამბავს, რომ მე ასეთი რჩეული მყავს, – თანაც ვიგონებ ჩვენს შემაერთებელ საამურ კავშირსაც და შენს პატიოსნებასაც, რაც კიდევ უფრო ანმტკიცებს მას. აი, რაგვარ შეიძლება კეთილგონიერების წესთა გამოყენება შეუბღალავ გრძნობათა სფეროში. აი, ვით ძალუძს მკაცრ სათნოებას აღკვეთოს უნაზესი სიყვარულის ვაი-ვარამი. ჩემი მიჯნური ზნედაცემული და უკეთური ადამიანი რომ იყოს, ვერ შეიძლებდა სამარადისოდ ჩემს შეყვარებას, – სადღა ვპოებდი მისი ერთგულების საწინდარს? რა საშუალებით დავაღწევდი თავს სამარადჟამო უნდობლობას? და რანაირად დავრწმუნდებოდი, არა ვარ-მეთქი მოყივნებული მისი თვალთმაქცობით ანდა ჩემი მიამიტობით? შენ კი – ღირსეულო და პატივსაცემო მეგობარო, არ ძალგიძს არც ეშმაკობა, არც თვალთმაქცობა. უკეთუ შემომპირდები – შენთან მარადჟამს გულახდილი ვიქნებიო, აღასრულებ კიდეც. სამარცხვინო იქნება შენთვის, პირუმტკიცობა რომ აღიარო, მაგრამ მოვალეობის გრძნობა ყველაფერს გადაამეტებს შენი ალალ-მართალი სულის სიღრმეში და სიტყვას არ გატეხ. და თუკი გულს აიყრი შენს ჟიულიზე, ეტყვი მას... დიახ, შეგიძლია უთხრა: «ო, ჟიული! მე აღარ...» მეგობარო ჩემო, ამ სიტყვების დაბოლოება აღარ ძალმიძს.

თანახმა ხარ თუ არა, რაც განვიზრახე? დარწმუნებული ვარ, მხოლოდ და მხოლოდ ამგვარად შეიძლება ეჭვნეულობის აღმოფხვრა ჩემი სულიდან. რასაც ალღო მიკარნახებს, მეც იმას ვემორჩილები: შენს სიყვარულს შენს სინდისზე ვაგდებ და აზრადაც არ გავივლებ გულში, რომ თავად არ მამცნებ შენს ღალატს. აი როგორია, საყვარელო მეგობარო, ვალდებულების საიმედო მოქმედება, რაც შენ დაგაკისრე. შეგიძლია იყო ქარაფშუტა არშიყი, ოღონდ ვერაგი მეგობარი კი – არა. შემიძლია, ეჭვი შემეპაროს შენს გულში, სამაგიეროდ არასოდეს დამაეჭვებს შენი გულწრფელობა. რა სიამითა და ხალისით მივმართავ ხოლმე ყველა ამ უსარგებლო სიფრთხილეს და ვცდილობ, წინასწარ გამოვიცნო ცვლილება, თანაც ვიცი, რომ ეს შეუძლებელია. ასეთ ერთგულ მიჯნურთან ეჭვიანობაზე ლაპარაკი საუცხოო რამ ამბავია. აჰ, ნუთუ შევიძლებდი ასე ლაპარაკს, შენ რომ სხვანაირი გახდე! ჩემი საბრალო გული როდი იქნებოდა ასეთი კეთილგონიერი შეჭირვების ჟამს: ოდნავი უნდობლობა – და მეც უკვე ვეღარ დავაღწევდი თავს ეჭვიანობას.

აი, სასიქადულო მოძღვარო, რა გვექნება სადავო ამ საღამოს, – ვინაიდან, როგორც შევიტყვე, ორივ თქვენს მორჩილ მოწაფე ქალს პატივი ექნება თქვენთან ერთად ივახშმოს «განუყრელის» მამასთან. საგაზეთო წერილების გამო თქვენი მეცნიერული მსჯელობითა და სჯა-ბაასით მოიპოვეთ მისი კეთილგანწყობილება, – არავითარი ხრიკი და ფანდი არ დაგვჭირდა თქვენს მოსაპატიჟებლად. ქალიშვილმა უკვე გასცა განკარგულება კლავესინის მოსამართავად. მამამისმა ლამბერტი გადაშალა, ხოლო მე გავიხსენებ, რა რჩევა-დარიგება მომეცით კლარანის წარაფში. ო, ყოველგვარ მეცნიერებათა დოქტორო, როგორც გნებავთ, ისე გამოიყენეთ თქვენი ცოდნა! ბატონი დ'ორბი – როგორც ხვდებით, ისიც არ დაგვვიწყებია, – სწავლულის იერით გააბამს ბაასს ნეაპოლის მეფისადმი ერთგულების მომავალი ფიცის გამო, ჩვენ კი ამასობაში გავალთ ჩემი დაიკოს ოთახში. იქ კი ჩემი ერთგული ქვეშევრდომი მუხლს მოიყრის თავისი გულისვარდისა და დედოფლის ფერხთა წინაშე, მისი კანცლერის თანადასწრებით ხელში ხელს ჩაჰკიდებთ და შეჰფიცავთ ერთგულებასა და უმწიკვლო თავდადებას. ეს როდი იქნება დაუსაბამო სიყვარულის ფიცი, – არვის ხელეწიფება ასეთი ვალდებულების არც შესრულება და არც დარღვევა, – არამედ ეს იქნება ურღვევი ალალმართლობის, გულწრფელობისა და პირუთვნელობის ფიცი. თქვენ არ შეჰფიცავთ მას სამუდამო ქვეშევრდომობას, არამედ იკისრებთ, არ ჩაიდინოთ ვერაგული ქმედებანი და მაინცდამაინც უღლის გადაგდებამდე ომი არ გამოაცხადოთ... ამ საქმის შესრულების შემდეგ მოგანიჭებენ რაინდობას და აღიარებული იქნებით გულისვარდის ერთადერთ ვასალად და მის ერთგულ რაინდად.

მაშ, მშვიდობით იყავ, საყვარელო მეგობარო. ამსაღამოინდელ ვახშამს რომ გავიხსენებ, მხიარულ გუნებაზე ვდგები! აჰ, რა საამო იქნება ჩემთვის ეს მხიარულება, როცა ჩემთან ერთად შენც გაიზიარებ მას!

XXXVI წერილი
ჟიულისაგან

ეამბორე ამ ბარათს და სიხარულისაგან მოჰყევ ხტუნვას – ამ წუთს გაიგებ ახალ ამბავს! და თუ მე არ ვხტუნავ და საამბოროც არაფერი მაქვს, შენ გეთაყვანე, არ იფიქრო, თავად არ უხარიაო. ასე რომ, მამაჩემი ბერნში უნდა წავიდეს სადავო საქმეთა გამო, იქიდან კი სოლერში გაემგზავრება პენსიისათვის. დედას წაყოლა შესთავაზა, ისიც დათანხმდა. იმედოვნებს, ჰაერის გამოცვლა ჩემს ჯანმრთელობას დიდად არგებსო. მათ სურდათ ჩემი სიამოვნება და დაასკვნეს – თან წავეტანე, მე კი მეუხერხულა ჩემი აზრი გამომეთქვა ამის

გამო. მაგრამ ეტლი ისეთი ვიწრო აღმოჩნდა, რომ თავი ვანებეთ ამ განზრახვას და ახლა ყველანი ერთობილად ჩამაგონებენ, ნუ იჯავრებო. ვითომც ძალიან შევწუხდი, ოღონდ გულწრფელად მაწუხებს ის ამბავი, რომ იძულებული ვარ ურვილად მომქონდეს თავი, და სინდისის ქენჯნამ თითქმის მიხსნა აუცილებელი თვალთმაქცობისაგან.

სანამ მშობლები აქ არ იქნებიან, როდი დავრჩები შინ – თავის თავის დიასახლისად. მე ბიძაჩემთან გამისტუმრებენ, და მთელი ამ ხნის მანძილზე მართლაც აღარ მოვშორდები ჩემს «განუყრელს». ესეც არ იყოს, დედაჩემმა ამჯობინა იოლად წავიდეს უმოახლოდ და ბაბის მეურვედ მიტოვებს. არგუსი ესე არც ისე საშიში ვინმეა. ძნელი როდია მისი სანდო გულის მონადირება ანდა ამ ქალის მესაიდუმლედ გახდომა: თუ საჭირო იქნა, ძალზე იოლადაც მოვიშორებ თავიდან, ოღონდ კი შესთავაზე რაიმე სახეირო გამოსარჩენი ანდა გასართობი.

ხომ ხედავ, რა ადვილად შევხვდებით ერთმანეთს მთელ ორ კვირას. ოღონდ მოკრძალება და რიდი სწორედ ახლა უნდა შეენაცვლოს იძულებით თავდაჭერილობას: ჩვენი ვალია ისევე შევიკავოთ თავი ჩვენ-ჩვენი ნება-სურვილით, როგორც წინათ – ნაძალადევად. სანამ მათთან სტუმრად ვიქნები, ჩვეულებრივზე უფრო ხშირ-ხშირად არ გაბედო მოსვლა ჩემს მამიდაშვილთან და უხერხულ მდგომარეობაში არ ჩააყენო იგი. იმედი მაქვს, არაა საჭირო იმის თქმა, რომ უნდა გაუფრთხილდე მის პატიოსნებას, როგორც შეჰფერის მის სქესს და პატივი მიაგო სტუმართმოყვარეობის წმინდა კანონებს, – წესიერ ადამიანს როდი სჭირია დარიგება და დამოძღვრა – მას კარგად ესმის, სიყვარული მოწიწებით რომ ეპყრობა მეგობრობას, სადაც ჰპოებს სავანეს იგი. ვიცი, რაოდენ ხარ ჟინატეხილი, მაგრამ ისიც ვიცი, რომ არსებობს მიჯნა, რომელსაც ვერავითარი გულისთქმა ვერ გადალახავს. ღირსების გრძნობისადმი მორჩილება აროდეს მიგიჩნევია მსხვერპლად და ახლაც არ მიიჩნევ.

რად იღრუბლები წარბშერჭმით ესდენ უკმაყოფილოდ? აბა რად გამოკრთის ასეთი ჭმუნვა შენთა თვალთაგან? რად ამუნათებ მოვალეობით დაწესებულ გარდუვალ კანონთ? შენს ჟიულის მიანდე მათი შემსუბუქება. განა ოდესმე სანანებლად გაგხდომია, მის გულისხმას ყურს რომ უგდებდი? აღყვავებულ ნაპირთა მახლობლად, იქ, ვევეზის სათავეებთან, არის განმარტოებული სოფელი. ზოგჯერ იგი მონადირეთა თავშესაფარია, ხოლო გამიჯნურებულთა სავანე კი უნდა ყოფილიყო. ბატონ დ'ორბის კუთვნილი მთავარი შენობიდან მოშორებით, ირგვლივ გაშლილია რამდენიმე შალე,[23] მათი ჩალის სახურავებქვეშ მყუდრო სავანეს იპოვნიან სიყვარული და სიხარული – სოფლური მიამიტობის მეინახენი. ლოყაწითელ მერძევე ქალებს ენის ჭარტალი არ უყვართ და იციან სხვისი საიდუმლოს შენახვა, რადგან თავადვე საჭიროებენ ამას. მდელობები დასერილია ნაკადულებით. მათ გარს არტყია თვალწარმტაცი წარაფები და გაბარდული ბუჩქნარები, ხოლო უფრო შორს, უღრან ტყეთა ჩრდილქვეშ, ჰპოებ უფრორე განმარტოებულსა და გაცილებით მყუდრო სავანეს.

Al bel seggio riposto ombroso, e ifosco,
Ne mai pastori appressan, ne bifolci.[24]

---

[23] შალე – მთებში განლაგებული მომცრო, ფიცრული სახლები, სადაც ამზადებენ ყველსა და ყოველნაირ რძის ნაწარმს.

[24] ბინა საიშვიათო, შამბნარით შებურვილი,
არ გააჩნდათ მეცხვარეთ და არც მენახირეებს (იტალ.).

იქ ვერსად შეხვდები ვერავითარ ხელოვნურს, ადამიანის ხელით, მისი დაუცხრომელი გარჯითა და ჯაფით შექმნილს. ყოველგან ხედავ მარტოოდენ ჩვენი საერთო დედა-ბუნების სათუთ ნაჭირნახულევს. იქ მხოლოდ და მხოლოდ იგი გმფარველობს და მარტო მის კანონებს ემორჩილები. კლარა ისე გულმხურვალედ არწმუნებდა თავის მამას, დაეთანხმე ბ-ნ დ'ორბის მიპატიჟებასო, რომ გადაწყვიტა მეგობრების მიწვევა, ამ კანტონში სანადიროდ წასვლა, იქ ორი-სამი დღის გატარება და თან «განუყრელთა» წაყვანაც. და შენ ხომ კარგად უწყი, «განუყრელთ» თავთ-თავიანთი განუყრელები რომა ჰყავთ. ერთ-ერთი მათგანი, სახლის პატრონი, ცხადია, მასპინძლობას გაუწევს სტუმრებს, ხოლო მეორე უბრალო შალეში პატივს მიაგებს – თუმცა არა ეგზომ დიდებულს – თავის ჟიულის; და სიყვარულით ნაკურთხი შალე მათთვის გახდება კნიდის ტაძარი. საუცხოო განზრახვის წარმატება და დაუბრკოლებლად შესრულება მოითხოვს შეთანხმებას ზოგ რამეში. ჩვენ ადვილად შევკრავთ პირობას და ყველა ეს სამზადისი თავისთავად უკვე შეადგენს იმ სიამეთა ნაწილს, რომელთა გამო განვიზრახეთ იგი. მშვიდობით, მეგობარო, ვწყვეტ საუბარს, რადგან მაშინებს ყოველგვარი ფათერაკი. თანაც ვგრძნობ, შენი ჟიულის გული დრო-ჟამზე ადრე გაიჭრება შალესკენ.

P. S. ყველაფერი მშვენივრად მოვიფიქრე და გადავწყვიტე, თითქმის ყოველდღე შევხვდებით ერთმანეთს, ესე იგი, დღეგამოშვებით ჩემს დაიასთან, ხოლო სხვა დღეებში – გასეირნების ჟამს.

XXXVII წერილი
ჟიულისაგან

აი გაემგზავრნენ კიდეც ამ დილით ჩემი კეთილი მამა და შეუდარებელი დედიკო. ისინი უნაზესი ალერსით გამოემშვიდობნენ თავიანთ საყვარელ ასულს, ესოდენ ღირსი რომ არაა მათი გულქველობისა. მე კი, მათ რომ ვეხვეოდი, ვგრძნობდი, ოდნავ რომ მეკუმშებოდა გული, მაგრამ იმავ დროს სადღაც ამ უმადური, ულმობელი გულის სიღრმეში ფრთხიალებდა ცოდვა-ბრალით აღსავსე სიხარული. ჰოი მე! ნეტავ სად გაქრა ის ბედნიერი დრო და ჟამი, როცა დღენიადაგ მათ თვალწინ ვგიებდი, ვიყავ უმანკო და ზნეკეთილი, როცა მხოლოდ მათ სიახლოვეს მყოფი თავსა უფლად ვგრძნობდი, და როგორც კი დავშორდებოდი, მყისვე განვიცდიდი სიმძიმილს! ხოლო ახლა მე, ცოდვილი და შეძრწუნებული, ვთრთი და ვკანკალებ, როს მათ ვიგონებ; ჩემს თავზე ფიქრის ჟამს სირცხვილით ვიწვი, ბიწიერებამ შებღალა ყოველი ჩემი ქველი გრძნობანი, და გულს მიღონებს უნაყოფო და ფუჭი სიბრალული, რაც თითქმის არა მგვრის ნამდვილ სინანულს. მწარე ფიქრებმა შემომისია საშინელი ურვა-წუხილი, რომლის მსგავსი განშორების დროსაც კი არ განმიცდია. ჩემი საყვარელი მშობლების გამგზავრების შემდეგ იდუმალმა მღელვარებამ გამსჭვალა მთელი ჩემი არსება. ვიდრე ბაბი ნივთებს ჩაალაგებდა, უცაბედად შეველ დედაჩემის ოთახში, შევამჩნიე მისგან დატოვებული რაღაც სამკაულები და ცრემლთა ფრქვევით ვეამბორე მათ. გული ამიჩვილდა – და ამ ამბავმა ცოტათი დამამშვიდა. მაშასადამე, ბუნების სათუთი ხმა ჯერ ისევა ჟღერს ჩემი გულის სიღრმეში. ეჰა, ჩემო მკვლელო, ამაოდ ესწრაფი ესოდენ სათნო და სუსტი გულის დამონებას; თუმც ყოველი გზით ცდილობ აცდუნო იგი, მაგრამ შენს საწინააღმდეგოდ და მიუხედავად ყოვლისა, მის სიღრმეში ჯერ ისევ სულდგმულობენ ალალ-მართალი გრძნობები; იგი კვალად პატივსა სცემს და ელოლიავება უფრო საიშვიათო უფლებებს, ვიდრე შენ მოგეპოვება.

ო, მომიტევე, საყვარელო მეგობარო, უნებური ყვედრებანი და ნურმც იშიშვი, სჯა-ბაასს რომ გავაჭიანურებ, თუმცა ეს საჭირო იქნებოდა კიდეც. ვიცი, ახლა ჩივილის დრო როდია – იქნებ უკვე აროდეს აღარ იყოს ესოდენ თავისუფალი ჩვენი სიყვარული; არა მსურს დაგიმალო ჩემი ვაი-ვარამი, მაგრამ არც შენი შეწუხება მწადია. შენ უნდა იცოდე ჩემი სატკივარი, ოღონდ ნურმც შეიჭირვებ სულსა და გულს ამ საწუხარით, ხოლო ჩემს სულს შვება მოანიჭე. ძალმიძს მარტოოდენ შენ გაგიზიარო ჩემი წუხილი – შენ ხომ ჩემი სათნო ნუგეშისმცემელი ხარ. შენ მინარჩუნებ და აღმიდგენ შერყეულ მხნეობას ჩემსას; შენ ასაზრდოებ ჩემს სულს სათნოებისადმი მიდრეკილებით მას შემდეგაც კი, ოდეს იგი აღარ გამაჩნია. უშენოდ და ჩემი საყვარელი დობილის უმისოდ, რომლის ხელიც ასე ხშირად ნაზი თანაგრძნობით მიმშრალებდა ცრემლებს, დიდი ხანია მთლად ჩამოვჭკნებოდი საშინელი სევდისაგან! მაგრამ თქვენმა სათუთმა ზრუნვამ და ამაგმა წელში გამმართა. ვიდრე პატივსა მცემთ, არ ძალმიძს თავი დავიმცირო, და სიამოვნებით ვფიქრობ, რომ არც მას და არც შენ არ გეყვარებოდით, მარტოოდენ სიძულვილის ღირსი რომ ვიყო. მივეშურები საყვარელი მამიდაშვილის – უფრო სწორად – სათნო დაიის ჩასახუტებლად, რათა ვამცნო გაუსაძლისი პატიჟნი ჩემნი. მაშ, მოვედ ჩემდა ამ საღამოს, დაუბრუნე ჩემს გულს იავარქმნილი სიხარული და მოსვენება.

XXXVIII წერილი
ჟიულისადმი

არა, ჟიული, ყოველდღე უნდა გინახულო, – ისეთი კარგი იყავი გუშინ. სულ უფრო და უფრო ვემონები შენს ჯადო-თილისმას. ჩემს სიყვარულს ბედმა არგუნა მარად და მარად ძალმორჭმულობდეს და იზრდებოდეს. შენ ჩემთვისა ხარ ახალ-ახალ გრძნობათა უშრეტი წყარო, რომელთა გამო გაფიქრებაც კი აღარ შემეძლო. ო, რა საარაკო საღამო იყო! როგორი წარმოუდგენელი სიამე არგუნე ჩემს გულს! რა გასაოცარი სევდა-ნაღველი! ოი, მწყალობელი გულის მჭმუნვარებავ, შენ უფრო დამატკბობელი და სასიამო ხარ, ვიდრე ყოველნაირი შვება და სიხარული, წრეგადასული მხიარულება, სანეტარო შექცევა და აღფრთოვანება, რომელთაც განიცდიან და იგემებენ ბობოქარი გულისთქმით ცეცხლმოდებული შეყვარებულნი. გრძნობამორეულ განცხრომას მოკლებულო მშვიდო და უმწიკვლო სიამოვნებავ, არასოდეს, ო, არასოდეს არ აღმოიფხვრება ჩემი გულიდან შენი ცხოველი ხსოვნა! ოი, ღმერთებო! რა აღტაცებით, რა გულმხურვალედ ვადევნებდი თვალყურს ორ სათნო მზეთუნახავს, როცა ისინი ისხდნენ სასიამოდ ჩახუტებულნი, როცა ერთ მათგანს მეორის მკერდზე დაეყრდნო თავი და როდესაც მათი შვებისმომგვრელი ცრემლები ერთობილად ალტობდნენ შენს ნატიფ გულ-მკერდს, – ასე მხოლოდ ცვარნი ციურნი მონამავენ ბუტკოგაშლილ შროშანს! ვეჭვიანობდი მათი ნაზი მეგობრობის გამო! თვით სიყვარულზე უფრო მიმზიდველად მეჩვენებოდა ეს მეგობრობა და ჯავრი მომდიოდა ჩემს თავზე – ნეტავი შემეძლოს მეც ვიყო ასე ბედნიერი და არ შევბღალო იგი ვნებათა ცეცხლით ღელვილმა-მეთქი. ამქვეყნად არავითარ ძალას არ შეუძლია გამოიწვიოს ესოდენ საამური გულის აჩუყება, როგორც თქვენს ტკბილ მეგობრობას და მერწმუნე, უსაყვარლესი მიჯნურებიც კი ვერ მოახდენდნენ ჩემზე უფრორე მომხიბვლელ ზემოქმედებას.

რა გატაცებით შევიყვარებდი იმ წუთს შენს ძვირფას მამიდაშვილს, ჟიული რომ არ ყოფილიყო ამ ქვეყანაზე. ო არა, ეს თავად ჟიული ჰფენდა მომხიბვლელობას ყოველივეს, რაც მის გარშემო სუფევდა. შენი სამოსი, სამკაული, ხელთათმანები, მარაო, ხელსაქმე –

ერთი სიტყვით, ყოველივე ის, რაც გამსჭვალულია შენი არსებით, აღიტაცებდა ჩემს თვალთა მზერას და მაფრთოვანებდა; ეს მარტოოდენ შენგნით იფრქვეოდა ყველაფრის მომჯადოები თილისმა. კმარა, ჩემო სათნო მეგობარო! შენ იმგვარ თავდავიწყებამდე მიმიყვან, როცა ადამიანი უკვე შეწყვეტს ამით სიხარულის შეგრძნებას. ის, რასაც განმაცდევინებ, სიშმაგეს მიახლოვებს და მეშინია, ბოლოს და ბოლოს, არ გავგიჟდე. ნება მომეცი, მაინცდამაინც, ვიგემო თავდავიწყება, ვეღირსო ნეტარებას. ნება დამრთე, ვისიამტკბილო უფრორე საზეო და ძალზე საამური განუცდელი აღტაცებით, ვინემ არის ყოველივე ის, რაც ვიცოდი სიყვარულზე. მერედა, ვით ბედავ საძულველად ჩათვალო ეგ შენი თავი? ნუთუ სიყვარულმა შენც წარგსტაცა გონება? ასე მგონია, მოკვდავის კვალობაზე ნამეტნავად იგავმიუწვდომელი ქმნილება ხარ. შენზე არ დავიჯერებდი, ამქვეყნიური არსებაა-მეთქი, მაგრამ როცა ყოვლისდამბუგავმა ცეცხლმა, ასე რომ დაეუფლა მთელ ჩემს არსებას, ერთმანეთს დაგვაკავშირა, მივხვდი, რომ ჩვენ ერთი და იგივე სახმილი გვწვავს და გვედება. არა, არავინ გიცნობს ამ სამზეოში. თითქმის შენაც კი არ იცნობ შენს თავს. მარტოოდენ ჩემი გული გიცნობს, ესმის შენი და ჯეროვნადაც მოგაგებს პატივს. ჩემო ჟიული! ასე როდი გცემდი პატივს, მხოლოდ რომ გაღმერთებდე. აჰ, მარტოოდენ ანგელოზი რომ ყოფილიყავი, რამდენ შვენებას დაკარგავდი მაშინ!

მარქვი, ნუთუ შესაძლებელია კიდევ უფრო გაიზარდოს ჩემებრი სიყვარული? არ ვიცი, მაგრამ ვგრძნობ კი, რომ შესაძლებელია. სულ თანა მდევს შენი ხატება, მაგრამ ბოლო ხანებში იგი უფრორე წარმტაცი, ვიდრე ჩვეულებრივაა, განსაკუთრებით მდევნის და მტანჯავს და არსაც არც ერთი წუთით არა მაქვს ხსნა და საშველი. ასე მგონია, როცა შენი უკანასკნელი ბარათის წერა დაამთავრე და წახველ შალეში, სადაც მას წერდი, იქ დატოვე შენი ხატება და მეც – მასთან ერთად. მას მოღმა, როგორც კი ბუნების წიაღში პაემანს შეეხო სიტყვა, სამჯერ გავემართე ქალაქგარეთ სახეტიალოდ, და ფეხებს ყოველთვის თავად მივყავდი ერთი და იგივე მხარისკენ და საამური პაემანის იმედი უფრო და უფრო მეტის ნეტარებით მივსებდა გულს.

Non vide il mondo si leggiadri rami,
Ne mosse'l vento mai si verdi frondi.[25]

მართლაცდა, სოფლის სანახები უფრო ხალისიანი გახდა, ხასხასა მცენარეული – უფრო ნორჩი და ელვარე, ჰაერი სუფთა, ზეცა კამკამა. სირთა გალობა უფრო ნაზად და ხმიერად ჟღერს, ნაკადულთა რაკრაკი აღძრავს კიდევ უფრო ვნებიან მოთენთილობას, აყვავებული ვაზნარიდან შორით მოჰქრის ენით უთქმელი დამატკბობელი კეთილსურნელება. რაღაც ჯადოსნური ძალა-თილისმა გარდაქმნის და ფერს უცვლის ყოველივეს გვრილიაშემო, ანდა თავადვე ვარ მოჯადოებული. ასე მგონია, თითქოს დედამიწა ირთვება, იკაზმება და საქორწინო სარეცელს უმზადებს შენს სვებედნიერ მიჯნურს, მის სანაქებო და კეკლუც, სათაყვანებელ მეგობარს, მის დამდაგველ ვნებას. ო, ჩემო ჟიული! ო, სულისა ჩემის უძვირფასესო თანაზიარო! დაე ერთგულ მიჯნურთა ჯუფთად ყოფნამ მალიად განასულიეროს საგაზაფხულოდ მორთულ-მოკაზმული ბუნება! მაშ, მოვიტანოთ ჩვენი სიხარული ამ მიდამოში, რაც მხოლოდ მის ბედითს სახეს წარმოადგენს, შთავბეროთ სული ბუნებას, რამეთუ იგი მკვდარია სიყვარულის უცეცხლოდ! კიდევღა დარჩა მოლოდინის სამი დღე! მთელი სამი დღე! სიყვარულით გათანგული, ვნებათაღელვით ხელქმნილი საშინელი მოუთმენლობით ველოდები იმ წუთს, მოსვლას ასე რომ აყოვნებს. აჰ, რა ბედნიერად ჩავთვლიდით ჩვენს თავს, ზენაარსის

[25] არვის უნახავს უფრო ლამაზი რტოები ქვეყნად,
სიოს ალერსიც მათზე ნორჩ ფოთლებს არ ჰკარებია (იტალ.).

ნება-სურვილით რომ არ არსებობდეს მსგავსი წუთების დამაგვიანებელი, გულის გამაწვრილებელი ჟამი.

XXXIX წერილი
ჟიულისაგან

ჩემო სულისდგმავ, საყვარელო მეგობარო! ჩემი გული იზიარებს ყველა შენს გრძნობას, ოღონდ არაფერი მითხრა სიხარულზე იმ დროს, როცა ადამიანები, ჩვენზე უფრო ღირსნი რომ არიან ამ სიხარულისა, იტანჯებიან და ნაღვლობენ, და მეც უნებლიეთ ვუსაყვედურებ ჩემს თავს იმ ამბავს, ბრალი მიმიძღვის მათ ტანჯვაში-მეთქი. წაიკითხე თანდართული ბარათი და დინჯად დადექ, თუ ძალგიძს! მე კი, მე კარგად ვიცნობ ამის დამწერ სანდომიან გულკეთილ გოგონას, და არ შემიძლია ბარათის წაკითხვა სინანულისა და სიბრალულის უცრემლოდ. დიად დავაშავე, ყურადღება რომ არ მივაქციე მას, და ამ ამბავმა სინანულით შემსჭვალა ჩემი სული: ბოღმა-ვარამით გულგასენილი ვხედავ, რომ დავიწყებას მივეც ჩემი მთავარი მოვალეობა და ამით დავივიწყე კიდეც ყოველივე დანარჩენი. საბრალოს დავპირდი, გიპატრონებ-მეთქი, გამოვესარჩლე კიდევაც დედამისის წინაშე, ვიფარავდი მას. და აი მე, რომელმაც ვერ შევძელი გავფრთხილებოდი ჩემს თავს, აღარაფერი ვიფიქრე გოგონასათვის და ჩავაგდე იგი უფრო საშინელ ხიფათში, რომელსაც თავად ვერ გავუმკლავდი. ამ ამბის გაფიქრებაც კი მზარავს, თუ რა მოუვიდოდა ჩემს საპატრონო გოგონას ორი დღით გვიან; სიღატაკე და ცდუნება დაღუპავდა უმწიკვლო და ჭკვიან ქალიშვილს, – მას ხომ შეეძლო ერთ მშვენიერ დღეს სანაქებო დედა გამხდარიყო. ჩემო მეგობარო, როგორ იტანს მიწა არამზადებს, რომლებიც ფულით წარსტაცებენ ბედკრულთ იმ საბოძვარს, რაც მხოლოდ და მხოლოდ მოსიყვარულე გულმა უნდა გაიღოს, და მშიერ-მწყურვალ ბაგეთაგან მოსწყვეტენ სიყვარულის უნაზეს ამბორს!

მითხარი, ნუთუ არ გხიბლავს ჩემი ფანშონისაგან დედამისის სიყვარული, მისი წესიერება, მისი მიამიტური უმანკოება? მასთან, მისი შეყვარებულის საიშვიათო სათუთი გრძნობაც, თავი რომ გაჰყიდა, რათა ცხოვრების ტვირთი შეუმსუბუქოს საცოლეს! ნუთუ შენთვის ნამდვილი ბედნიერება არ იქნება, თუ დაეხმარები ამ ნორჩი წყვილის შეუღლებას? აჰ, უკეთუ მე და შენ არ შევიბრალებთ განშორების მომლოდინე ორ არსებას, მაშინ რაღა იმედი უნდა ჰქონდეთ მათ? გადავწყვიტე, რადაც უნდა დამიჯდეს, გამოვასწორო შეცდომა და ყველაფერი ისე მოვაგვარო, რომ ჩემი ფანშონი და მისი გულის მურაზი დაქორწინდნენ. ვიმედოვნებ, მამაზეციერი აკურთხებს ჩემს განზრახვას, და ეს იქნება ჩვენთვის ბედნიერების მომასწავებელი ყველაზე კარგი ნიშანი. გაფიცებ ჩვენს სიყვარულს და აი, რასა გთხოვ: შენ შემოგევლე, ახლავე, ანდა ხვალ დილით აუცილებლად გაემგზავრე ნევშატელს. მოელაპარაკე ბ-ნ დე მერვეიეს და გაანთავისუფლებინე ის კეთილშობილი ყმაწვილი. ნუ დაიშურებ ნურც გულმხურვალე თხოვნა-ვედრებას და ნურც ფულს. წაუღე მას ფანშონის ეს ბარათი. ასეთი წერილი ესალბუნება მგრძნობიარე გულს. ერთი სიტყვით, რაოდენი ფულიც უნდა დაგვიჯდეს, რაოდენი სიხარულიც უნდა დაგვაკლდეს, არ დაბრუნდე, სანამ კლოდ ანეს თავისუფლებას არ მოუპოვებ, თორემ შენი ტრფიალი სიხარულის ერთ ნათელ დღესაც ვერ გამითენებს სამისდღეშიოდ.

ვიცი, როგორ ადრტვინდება შენი გული, მაგრამ ნუთუ იმასა ფიქრობ, რომ ჩემმა გულმა უკვე არ იწყო ჩივილი? მაგრამ მაინც ჩემსას დავიჟინებ: უკეთუ სათნოება ფუჭი სიტყვა არაა, მაშინ მას მსხვერპლიც უნდა შევწიროთ. ჩემო მოყვარეო, სანაქებო მეგობარო, ჩვენი გადადებული პაემანი კვლავ ათასჯერ შეიძლება შედგეს. რამდენიმე საამური საათი გაიელვებდა ერთ წამს და მყისვე სამუდამოდ გაქრებოდა. უკეთუ შენს ხელთაა ორი შეყვარებულის, წესიერ ადამიანთა ბედნიერება, იფიქრე მომავალზე, რასაც განუმზადებ

შენს თავს. მერწმუნე, მოყვასის გაბედნიერების შემთხვევა უფრო იშვიათად გვეძლევა, ვინემ ჩვენ ვფიქრობთ, და თუკი ხელიდან გაუშვებ ამ შემთხვევას, უკვე იმით დაისჯები, რომ მას ვეღარ დაიბრუნებ; და იმისდა მიხედვით, თუ როგორ მოვიქცევით, ჩვენი გულის სიღრმეში სამარადისოდ დაისადგურებს ან თვითკმაყოფილების გრძნობა, ანდა – სინანული. მომიტევე, რომ ასე თავგამოდებით ჩავჭიდე ხელი საქმეს და ესოდენ განვავრცე ჭკუის დარიგება: ეს არ სჭირია წესიერ ადამიანს და ასგზის ნაკლებად – ჩემს მეგობარს. მშვენივრად ვიცი, როგორ გეჯავრება სოფლის სიამეთადმი თავკერძული ლტოლვა, რაც მოყვასთან ტანჯვას ავიწყებს ადამიანებს. თავად გაიძახოდი ათასჯერ: ვაი მას, ვინც კაცთმოყვარეობის გულისთვის ერთ მშვენიერ დღეს თავის ლხენა-სიხარულს მსხვერპლად არ გაიღებსო.

XL წერილი

ფანშონ რეგარისგან ჟიულისადმი

ქალბატონო! აპატიეთ ბედკრულ და უსასოო ქალიშვილს: აღარ ვიცი, რა ვიღონო. გავკადნიერდები და მივმართავ თქვენს კეთილ გულს. თქვენ ხომ დაუცხრომლად ნუგეშსა სცემთ ყველა შეურვებულს, მე კი ისე უბედური ვარ, მხოლოდ თქვენ და უფალ ღმერთს არ განვარისხებ ჩემი თავმოსაბეზრებელი მუდარით. ძლიერ ვწუხვარ, რომ უკვე ვეღარ ვსწავლობ ხელობას სახელოსნოში, სადაც თქვენ მიმაბარეთ. ჩემდა სამწუხაროდ, ამ ზამთარს დავკარგე დედა, დავბრუნდი საცოდავ მამაჩემთან, ის კი კვალად დამბლადაცემულია და ლოგინზეა მიჯაჭვული.

მახსოვს, ურჩევდით დედაჩემს, გამოენახა ჩემთვის საქმრო, წესიერი ადამიანი, რათა ეკისრა ოჯახის პატრონობა. კლოდ ანე (მამათქვენის წყალობით იგი დაბრუნდა სამხედრო სამსახურიდან) სანაქებო პატიოსანი ყმაწვილი კაცია, კარგი ხელოსანიცა და ჩემთვის მხოლოდ სიკეთე სურს. ყველა წყალობის შემდეგ ვეღარ გავბედე თქვენი განაწყენება. კლოდ ანემ გადაგვატანია ზამთარი. ამ გაზაფხულზე ვაპირებდით დაქორწინებას, და ისიც მთელი სულითა და გულით ფიქრობდა ჩემს შეუღლებას. მაგრამ აი, სააღდგომოდ ვადა გვეწურება და ბინის ქირა უთუოდ უნდა გადავიხადოთ, ჩვენ კი სამი წელიწადია არ გადაგვიხდია, და ისე შემაჭირვეს ამის გამო, რომ საბრალომ აღარ იცოდა, სად ეშოვნა ამდენი ფული. კვლავ ჩემგან მალულად ჩაეწერა ბ-ნ მერვეიეს ასეულში და მთელი ბე მე მომიტანა. ბ-ნი მერვეიე ერთ კვირას დარჩება ნევშატელს, ხოლო კლოდ ანე სამი-ოთხი დღის შემდეგ უნდა დაადგეს გზას – რეკრუტებს უნდა გაჰყვეს. ჰოდა, ჩვენ საქორწინოდ აღარ გაგვაჩნია არც დრო, არც ფული, და ისიც მთლად უსახსროდ მტოვებს. იქნება თქვენ ან ბ-ნმა ბარონმა იზრუნოთ, თუნდაც ხუთი-ექვსი კვირით შეძლოთ სამსახურიდან მისი გათავისუფლება. ჩვენ კი ამ ხნის მანძილზე ვეცდებოდით რაიმეს მოგვარებას: ვიქორწინებდით ანდა დავუბრუნებდი ფულს საბრალო ყმაწვილკაცს. თუმცა, მე ხომ კარგად ვიცნობ მას: არაფრის დიდებით აღარ აიღებს ფულს, რაკიღა მომცა.

ამ დილით ჩემთან მოვიდა ერთი მდიდარი კაცი, და რას არ დამპირდა! მაგრამ უფალმა მიხსნა, ყველაფერზე უარი ვსტკიცე. ასე მითხრა, ხვალ დილით გინახულებო. მინდა გავიგო, როგორია შენი უკანასკნელი გადაწყვეტილებაო. ვუპასუხე, ამაოდ ნუ გაირჯებით, ჩემი გადაწყვეტილება თქვენთვის ხომ უკვე ცნობილია-მეთქი. ჯანდაბას მისი თავი! ხვალ ისე გავუმასპინძლდები, როგორც დღეს. ღარიბთა სალაროში მისვლა იმდენად დამამცირებელია, რომ მოთმენა სჯობია; მასთან კლოდ ანეც ისეთი ამაყია, სულაც ხელს აიღებს ქალიშვილზე, ვისაც სხვის სამადლოდ გახდომია საქმე.

ბოდიში კადნიერებისათვის, კეთილო ქალბატონო. მხოლოდ მარტო თქვენ გაგიბედეთ ჩემი გაჭირვების გამხელა. გული ისე მეკუმშება, სჯობს დავამთავრო ბარათი. თქვენს სამსახურად მზადმყოფი, თქვენი მორჩილი და ერთგული

ფ ა ნ შ ო ნ რ ე გ ა რ ი.

XLI წერილი
პასუხი

მე აღარ მყოფნის მეხსიერება, ხოლო შენ ჩემდამი ნდობა, ჩემო ძვირფასო! ორივენი ძალიან-ძალიან დამნაშავენი ვართ, ჩემი დანაშაული კი სავსებით შეუწყნარებელია; მაგრამ, მერწმუნე, ვეცდები მის გამოსწორებას. ვუბრძანე ბაბის, რომელიც გადმოგცემს კიდეც ამ ბარათს, გამოეშუროს შენდა დასახმარებლად; ის კვლავ მოვა ხვალ დილით და გიშველის დაუპატიჟებელი სტუმრის გაძევებას, თუ ისევ გამოჩნდება იგი, ხოლო ნასადილევს მე და ჩემი დაია გინახულებთ. ხომ ვიცი, არ ძალგიძს საბრალო მამაშენის მიტოვება, და მინდა თავად დავხედო, როგორ მიდის საქმე შენს პატარა მეურნეობაში.

კლოდ ანეს გამო ნუ იწუხებ. მართალია, მამაჩემი აქ არ იმყოფება, მაგრამ მის დაბრუნებამდე ყველაფერი მოგვარდება, რაც შესაძლებელია. ამიერიდან არ დამავიწყდებით არც შენ და არც შენი სახელოვანი საქმრო! მშვიდობით, სულიკო, და მამაზეციერმა გცეს ნუგეში! კარგია, რომ არ მიმართე სახალხო ქისას, ეს არასოდეს ჩაიდინო, სანამ არსებობს გულქველ ადამიანთა ქისა.

XLII წერილი
ჟიულისადმი

მივიღე თქვენი ბარათი და ამ წუთშივე დავადგები გზას. აჰ, შე უწყალო! როგორ უცხოა ჩემი გულისთვის ეს საძაგელი სათნოება, რომელსაც მე მომაწერ და რაც ასე მძაგს. მაგრამ თქვენ მიბრძანებთ და მეც გემორჩილებით. დაე განვიცადო ყოველგვარი ტანჯვა-წამება, ოღონდ ვიყო ჟიულის პატივისცემის ღირსი!

XLIII წერილი
ჟიულისადმი

გუშინ დილით ჩავედი ნევშატელს და გავიგე, ბ-ნი მერვეიე სოფელშიაო. იქითკენ გავეშურე; სანადიროდ წასულიყო, და საღამომდის მომიხდა ლოდინი. როცა ავუხსენი ჩასვლის მიზეზი და ვთხოვე ეთქვა, რამდენი თანხა იყო საჭირო კლოდ ანეს გასათავისუფლებლად, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. ვიფიქრე, ყველა დაბრკოლებას გადავლახავ-მეთქი, დიდძალი თანხა შევთავაზე და სულ უფრო და უფრო ვადიდებდი მას იმისდა მიხედივთ, რაც უფრო გადაჭრით უარობდა; მაგრამ, ვერაფერს გავხდი და უკუვიქეც, თანაც წინასწარ გავიგე, დამხვდებოდა თუ არა შინ დილით, რადგან მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, არ მოვშვებოდი, ვიდრე ასე თუ ისე ფულითა თუ თავმოსაბეზრებელი შეგონებებით არ დავიყოლიებდი და არ ვეწეოდი საწადელს. და აჰა, უთენია წამოვდექი და ის-ის იყო ცხენს უნდა მოვხტომოდი, როცა მოვიდა ბ-ნი მერვეიეს შიკრიკი და გადმომცა ბარათი, თან რომ ერთვოდა ჩვენი ყმაწვილკაცის სახელზე კეთილსინდისიერად შედგენილ საშვებულებო მოწმობას.

«მიიღეთ, მოწყალეო ხელმწიფეო, საშვებულებო მოწმობა, რის გამოც ჩამობრძანდით. არ მოგეცით იგი, რადგან თქვენ ფულადი სასყიდელი შემომთავაზეთ. გაძლევთ მას მხოლოდ და მხოლოდ თქვენი კეთილმოწყალე მოწადინებისათვის და გთხოვთ მერწმუნოთ, კეთილ საქმეს ფულზე არ ვახურდავებ».

როცა შეიტყობთ, საქმე კარგად დაგვირგვინდაო, ვიცი, გაგიხარდებათ და თქვენი სიხარულისდა მიხედვით განსაჯეთ, მეც როგორ მეამებოდა ეს ამბავი. ნეტავი რად არაა სიხარული ესოდენ სხივმოელვარე, როგორიც თითქოსდა, კი უნდა იყოს იგი? ჩემს მოვალეობად მიმაჩნია ვესტუმრო მერვეიეს, მადლობა გადავუხადო და ავუნაზღაურო დანახარჯი, და თუკი ეს სტუმრობა ერთი დღით დააბრკოლებს ჩემს გამომგზავრებას, რისიც ფრიად მეშინია, – მაქვს თუ არა უფლება აღვნიშნო, სულგრძელობა ჩემს ხარჯზე გამოიჩინა-მეთქი? მაგრამ დაე ასეც იყოს! მე მოგანიჭეთ სიხარული; ამისათვის მზადა ვარ ყველაფერი ავიტანო! რა ბედნიერია ის ადამიანი, ვისაც შეუძლია სამსახური გაუწიოს სატრფოს და ამგვარად სათნოებას შეუთავსოს სიყვარულით დატკბობა! გამოგიტყდებით, ჟიული, როცა მივემგზავრებოდი, გული მწყდებოდა და დარდი მკლავდა. გამუნათებდით იმის გამო, ასე ახლოს რომ მიგაქვთ გულთან სხვათა ვარამი და ჩემი კი არად მიგაჩნიათ, თითქოს ამქვეყნად მარტო მე არ მეღირსა თქვენი თანაგრძნობა. მეგონა, თქვენი მხრით მეტისმეტი გულქვაობაა-მეთქი, როცა ჯერ სანეტარო იმედით მაცდუნეთ, ხოლო შემდეგ, სრულიად უსაბამოდ, მომაკლეთ თქვენგანვე დაპირებული სიხარული. მაგრამ უკვე აღარა ვჩივი: მწუხარების წილ დამეუფლა უაღრესი გულსავსეობის მანამდე ამოუხსნელი გრძნობა. უკვე ვპოვე ნუგეში, რაიც მიწინასწარმეტყველეთ კიდეც. გულქველობა ხომ თქვენი ჩვეულებრივი საქმეა და მშვენივრად იცით, რა სასიამოვნოცაა ამის ჩადენა. უცნაური ძალაუფლებით კი ხართ აღჭურვილი: შეჭირვებებს ანიჭებთ ისეთსავე სიმშვენიერეს, როგორც სიხარულს, და ყოველივე იმას კი, რაც თქვენი გულისთვის გაკეთებულა, ისეთსავე საამურობას მომადლებთ, კაცი იფიქრებს, ჩემივ თავისთვის გავრჯილვარო. აჰ, საყვარელო ჟიული, რამდენჯერ მითქვამს, ზეციერი ანგელოზი ხარ-მეთქი! შენმა სულმა ესოდენ მოიხელთა ჩემი სული, რომ მზად ვარ დავინახო მასში რაღაც ღვთაებრივი და არა ადამიანური. ვით არ ვიყო სამარადჟამოდ შენი ერთგული, უკეთუ მოგეპოვება არაამქვეყნიური ძალაუფლება; როგორ ავიღო ხელი შენს სიყვარულზე, უკეთუ დღენიადაგ უნდა გაღმერთებდე?

P. S. ჩემი ვარაუდით, დედაშენის დაბრუნებამდე, მაინცდამაინც ხუთი-ექვსი დღეღა დაგვრჩენია! ნუთუ ამ ხნის მანძილზე ვეღარ მოვახერხებთ შალეში გამგზავრებას?

XLIV წერილი
ჟიულისაგან

ნუ ვიშვიშებ, საყვარელო მეგობარო, ჩემი დედ-მამა ასე მალე რომ დაბრუნდა. ყველაფერი უფრო დიდებულად გვარდება, ვიდრე გგონია, და სასიკეთო საქმე ისეთის წარმატებით შემოტრიალდა ჩვენთვის, რასაც ვერავითარი ოინებით ვერ მოვიპოვებდით. თავადვე განსაჯე, რა მოხდებოდა, ჩვენ-ჩვენს გულისთქმას რომ ავყოლოდით. მე სოფელში გავემგზავრებოდი სწორედ ქალაქში დედაჩემის ჩამოსვლის წინადღით. ვერც კი მოვასწრებდი ყველაფრის მომზადებას ჩვენი პაემანისათვის, და ჩემს წასაყვანად გაჩნდებოდა შიკრიკი. მყისვე მომიხდებოდა წამოსვლა. ალბათ, ვეღარც გაცნობებდი ამ ამბავს, და საშინლად აფორიაქებულს დიდხანს მოგიწევდა ლოდინი, თანაც ასეთ წუთს განშორება წარმოუდგენელ ტანჯვა-წამებად გადაგვექცეოდა. მასთან გაიგებდნენ კიდეც

ჩვენს სოფელში ყოფნას. ყოველგვარი სიფრთხილის მიუხედავად უსათუოდ იმასაც შეიტყობდნენ, იქ რომ ერთად ვიყავით, – მაინცდამაინც ეჭვს აიღებდნენ, და ესეც საკმარისია. სულსწრაფული ნდომა-სურვილით აღტყინებულნი მივეცემოდით განცხრომა-ნეტარებას და ეს დაგვავიწყებდა რიდსა და მოკრძალებას, ამით დავკარგავდით საშუალებას კვლავ გვეძებნა იგი შემდეგ და შემდეგ, ხოლო კეთილი საქმის უგულებელყოფის გამო სამიდღეშიოდ არ მოგვასვენებდა სინდისის ქენჯნა.

ახლა კი შეადარე ყოველივე ეს ამჟამინდელ ვითარებას. ჯერ ერთი, შენმა არყოფნამ საუცხოო შთაბეჭდილება მოახდინა. ჩემი არგუსი უსაცილოდ მოახსენებს დედას, იშვიათად რომ დადიოდი დაიასთან. ბაბიმ იცის შენი გამგზავრების ამბავი და მისი მიზანიც – აი, ამისთვის მეტ პატივსა გცემენ ყველანი. მასთან ვის მოუვა აზრად, რომ მოყვარული არსებანი განშორებისთვის თავიანთი ნება-სურვილით შეარჩევდნენ ისეთ დრო-ჟამს, როცა შეეძლოთ დაუბრკოლებლივ შეხვედროდნენ ერთმანეთს? განა რა ეშმაკობას მივმართეთ ამ სამართლიანი ეჭვნეულობის გასაფანტავად? ჩემი აზრით, წესიერ ადამიანთათვის განკუთვნილ ერთადერთ გზას, სახელდობრ, ისე უმწიკვლო და ნამუსიანად მოვიქეცით, რომ შეუძლებელი გახდა რაიმე ეჭვის მიტანა და სათნოებისადმი მიდრეკილება ყველამ ურთიერთგულგრილობის გამოვლენად ჩათვალა. მერწმუნე, ჩემო მოყვარევ, ამგვარად დაფარული სიყვარული რაოდენ ტკბილია მის განმცდელ გულთათვის! ამას დაუმატე სასიხარულო შეგნება იმისა, რომ შენ შეაუღლე სასოწარკვეთილი შეყვარებულები და გააბედნიერე ესოდენ კარგი ბედ-იღბლის ღირსი ახალგაზრდები. შენ ხომ ნახე ჩემი საყვარელი ფანშონი. ხომ მართალია, იგი კეკლუცია და ღირსია შენი გულმოწყალებისა? ხომ მართლაც ასე კარგია და ასე უბედური, რომ მერწმუნე, გაუთხოვრად დარჩენილი ცუდ გზას დაადგებოდა. ხოლო კლოდ ანე, სამი წლის მანძილზე სამხედრო სამსახურის ჟამს, რაღაც სასწაულით თუ შეინარჩუნებდა ზნეობრივ სიწმინდეს, ძნელად თუ გაუძლებდა კიდევ ასეთ ცდუნებას და, ალბათ სხვათა დარად, ისიც არამზადა გახდებოდა! მაგრამ ყოველივე სულ სხვაგვარად მოგვარდა: მათ უყვართ ერთმანეთი და დაქორწინდებიან; ხელმოკლენი არიან, მაგრამ შემწე ეყოლებათ; პატიოსნება არ აკლიათ და კვალად პატიოსნად დარჩებიან, რადგან მამაჩემი დაჰპირდა, დაგეხმარებიო. ო, რა მადლი მოისხი მათთვისა და ჩვენთვისაც, გულთბილად ხელი გაუმართე მათ. მასთან ისიც უნდა ითქვას, შენგან დავალებული რომ ვარ! ჩემო მეგობარო, ასეთია სათნოებისათვის გაღებული მსხვერპლის სანუკვარი ნაყოფი; და უკეთუ ხანდისხან მსხვერპლი ძვირი გვიჯდება, სამაგიეროდ მუდამჟამს სასიამოა, შენ რომ გაიღე იგი, და ჯერ არასოდეს მომხდარა, მავანსა და მავანს სინანული გამოეთქვა ქველი საქმის გამო.

ეჭვი არ მეპარება, რომ «განუყრელის» დარად შენც «მოქადაგედ» მომნათლავ, – და მართლაც ჩემი სიტყვები ქადაგებას ემსგავსება. ოღონდ, უკეთუ ისინი მაინც ნამდვილ მოქადაგეთა სიტყვებს ჩამოუვარდება, სამაგიეროდ სიამოვნებით ვხედავ, რომ მათ მსგავსად ქარს არ ვატან სიტყვებს. სრულიადაც არ ვიცავ თავს, საყვარელო მეგობარო. საერთოდ, მინდოდა მიმემატებინა შენი სათნოებისათვის იმდენივე სათნოება, რამდენიც თავად მე დავკარგე ჩემი გიჟური სიყვარულის გამო და, ჩემი თავის პატივისცემის უფლების უქონელს, ასე მსურდა პატივი მიმეგო ჩემი თავისთვის შენს გულში. შენი ერთადერთი მოვალეობაა მეტრფოდე უზადო სიყვარულით, ხოლო დანარჩენს ეს ტრფიალი დააგვირგვინებს. ალბათ, შენთვის სასიამოა შეგნება იმისა, რომ სულ უფრო და უფრო იზრდება ვალები, რომელთა ანაზღაურებასაც შენი სიყვარული კისრულობს.

ჩემმა დაიამ გაიგო, მამამისს რომ ესაუბრე ბ-ნ დ’ორბის გამო. ისეა აღფრთოვანებული, თითქოს არ ვიყოთ სამარადჟამოდ მისი მოვალე მეგობრული სამსახურისთვის, რაც მან მოგვაგო. ღმერთო, რა ბედნიერი ვარ, ჩემო მეგობარო! ყველას ასე ვუყვარვარ, ეს კი ესოდენ საამოა! და რა ძლიერადაც უნდა მიყვარდეს ყველა – მამა, დედა,

დობილი, გულისსწორი, – მათი სათუთი ამაგი მარადის უსწრებს ან აღემატება კიდეც ჩემს მზრუნველობას. თითქოს ყველა უნაზესი გრძნობანი ამქვეყნად განუწყვეტლივ ჩამდინარებენ ჩემს სულში, და როგორ ვნანობ, მარტოოდენ ერთადერთი სული რომ მაქვს, რათა ვისიამტკბილო ამ ბედნიერებით.

დამავიწყდა მეთქვა შენთვის, ხვალ დილით ველოდებით სტუმარს – მილორდ ბომსტონს. ეს-ესაა დაბრუნდა ჟენევიდან, სადაც შვიდი-რვა თვე დაჰყო. ასე თქვა, იტალიიდან მომავალი სიონში ვიყავიო, და შენ უნახიხარ. მოწყენილი მოეჩვენე, და შენ გამო მრავალი სწორი მოსაზრება გამოთქვა. გუშინ ისე გულდაჯერებით და დროულად გაქებდა შენ მამაჩემის წინაშე, რომ მზადა ვარ თავადაც ქება-დიდება შევასხა. და მართლაც, შევნიშნე, რომ მისი სიტყვები აღსავსეა კეთილგონიერებით, გამჭრიახობითა და სიფიცხით. როცა მოგვითხრობს დიად საქმეთა ამბებს, მისი ხმა უფრო მაღალია და ძლიერი, და თვალები ისე აღენთება, როგორც იმ ადამიანებს, რომელთაც შესწევთ უნარი ასეთ დიდ საქმეთა ჩასადენად. გატაცებით ლაპარაკობს ნატიფ ხელოვნებაზედაც, კერძოდ, იტალიურ მუსიკაზე, ცამდე აჰყავს ქება-დიდებით. ასე მეგონა, სულ ჩემი საბრალო ძმის ხმა მესმის-მეთქი. თუმცა, მის სიტყვებში უფრო მეტი სიფიცხეა, ვიდრე შნო და მოხდენილობა, და ისიც კი გავიფიქრე, რაღაც გესლიანია-მეთქი. მშვიდობით, მეგობარო ჩემო!

XLV წერილი

ჟიულისადმი

ვერც კი მოვასწარ შენი ბარათის მეორეჯერ წაკითხვა, რომ მეწვია მილორდი ედუარდ ბომსტონი. მისი ამბავი შენთვის არ მითქვამს, ამისათვის აღარ მცხელოდა: განა რამდენი რამ უნდა გამეზიარებინა შენთვის, ჩემო ჟიული! როცა ერთი მეორისათვის ყველაფერს წარმოადგენს ამ საწუთროში, განა რაიმეს გაივლებს გულში მესამე კაცის გამო? ახლა გიამბობ ყოველივეს, რაც მის გამო ვიცი, რაკი ვხედავ, რომ ასე გინებს.

სიმპლონზე ასვლის შემდეგ სიონამდე მიაღწია და ჩაუსწრო ჟენევიდან ბრიგში მისთვის გასაგზავნ ეტლს. მოცალეობის ჟამს ადამიანები საკმაოდ გულგაშლილები ხდებიან, და აი მანაც მოიწადინა ჩემი გაცნობა. ჩვენ დავუახლოვდით ერთმანეთს, რამდენადაც ეს შესაძლებელია ბუნებით ძალზე გულჩათხრობილ ინგლისელსა და მღელვარებით აღსავსე და განმარტოების მაძიებელ ადამიანს შორის. და მაინც ვიგრძენით, ერთმანეთის ტოლი და ფარდი რომ ვიყავით. ხომ არსებობს რაღაც სულთა თანხმოვანება, რასაც გაცნობის პირველსავე წუთებში შეამჩნევ. რა გავაგრძელო. ერთ კვირაში დავმეგობრდით და სამიდღეშიოდაც – როგორც ორი ფრანგი დამეგობრდებოდა ერთ დღეში, იმ დრომდე, სანამ ბედი არ დააშორებდათ. მან მომითხრო თავის მოგზაურობათა ამბები, და მეც, როგორც ინგლისელთა მცნობელი, მოველოდი, რომ აღმიწერდა ხუროთმოძღვრულ ნაგებობებსა და მხატვრობას. მაგრამ ცოტა ხნის უკან კმაყოფილებით აღვნიშნე, სურათებმა და მონუმენტებმა ხელი როდი შეუშალეს მას ადამიანთა და ზნე-ჩვეულებათა შესწავლაში. თუმცა, ხელოვნებაზეც ფრიად გონივრულად, ოღონდ თავშეკავებითა და მორიდებით ლაპარაკობდა. შევამჩნიე, რომ მათზე მსჯელობისას მისი აზრი უმალ გრძნობებს ემყარებოდა, ვიდრე ცოდნას; უფრო შთაბეჭდილებასა და არა – წესებს. ამან დამარწმუნა, რომ იგი მგრძნობიარე სულით იყო დაჯილდოებული. შენსავით მეც მომეჩვენა, აღფრთოვანებით რომ სცემდა პატივს იტალიურ მუსიკას. დამიყოლია კიდეც მომესმინა რაიმე. მოგზაურობისას თან ახლავს დახელოვნებული მუსიკოსი, თავისი კამერდინერი, რომელიც ჩინებულად უკრავს ვიოლინოს, თავად ბომსტონი კი საკმაოდ რიგიანად ეწყობა ვიოლონჩელოს. შეარჩია რამდენიმე პიესა – მისი აზრით, ყველაზე სასიამოვნო, ოღონდ იმის გამო, რომ იქნებ ჩემთვის ახალი ბგერები დიდი მუსიკალური

ათვისების უნარს მოითხოვენ, თუ იმიტომაც, რომ ესოდენ საამური მუსიკის მომხიბვლელობა ქრება, უკეთუ სული საშინელი სევდითაა მოცული, ამ პიესებმა მაინცდამაინც დიდად ვერ მასიამოვნეს; თუმცა მელოდია მართლაც სასიამოვნოა, მაგრამ უცნაურადა ჟღერს და მოკლებულია გამომხატველობას.

ლაპარაკი ჩემზე ჩამოაგდეს. მილორდმა თანაგრძნობით გამოიკითხა ჩემი ამბავი. ვუამბე ყველაფერი, რისი გაგებაც მისთვის საჭირო იყო. შემომთავაზა, ინგლისში წამოდიო. ადგენდა გეგმებს, რაც ბედნიერ მომავალს მიქადდა, თითქოსდა ეს ბედნიერება ჩემთვის შესაძლებელი იყოს იმ მხარეში, სადაც ჟიული არ იმყოფება. ასე მითხრა, ზამთრის გატარებას ჟენევაში ვაპირებო, ხოლო ზაფხულისას ლოზანაში, იტალიაში დაბრუნებამდე კი ვევეს შევუვლიო. დაპირება შეასრულა და აი, ისევ ვინახულეთ ერთმანეთი კვლავ უფრო დიდი სიამოვნებით.

როგორც ვატყობ, მძაფრი და ფიცხი, მაგრამ კეთილშობილური და მტკიცე ხასიათი აქვს. ის გატაცებულია იმ ფილოსოფიური იდეებითა და პრინციპებით, რომლებზედაც მე და შენ ოდესღაც ვმსჯელობდით. მაგრამ ვფიქრობ, რომ ასეთი ზნე-ხასიათი ბუნებით აქვს, და არა თავისი სისტემის გამო, როგორც მას წარმოუდგენია. ის გარეგნული სტოიციზმი, რომელსაც გამუდმებით ამჟღავნებს, მხოლოდ იმას მოასწავებს, რომ გონივრული მსჯელობით მიჩქმალოს და დაფაროს თავისი გულისთქმანი. მასთან დიდი სინანულით გავიგე მისი რაღაც-რაღაც ფათერაკების ამბავი იტალიაში და ისიც, რომ იქ ბევრჯერ გაუმართავს დუელი.

ვერ გამიგია, რატომ გეგონა იგი გესლიანი. მართალია, არც ისე თავაზიანია, მაგრამ ჩემი აზრით, უშნო და ართვალიც როდია. თუმცა, დარდიმანდობის გარდა შესაძლოა გულჩახვეული ადამიანის შთაბეჭდილებასაც კი ტოვებდეს და ზრდილობით ნაკარნახევი წვრილმანებიც ეჯავრება, მაგრამ მასთან ურთიერთობა ფრიად სასიამოვნოა. არ სწამს პირფერული და ნაძალადევი თავაზიანობა, მხოლოდ გარეგნულად რომ ვლინდება და ჩვენს ახალგაზრდა ოფიცრებს საფრანგეთიდან ჩამოაქვთ. სამაგიეროდ, მას მოეპოვება ადამიანური თავაზიანობა, რაც იმას კი არ მოითხოვს, პირველივე შეხედვით გაარჩიოს ჩინები და რანგები, არამედ იმას, რომ კაცად კაცს პატივი მიაგოს. გსურს გულახდილად გამოგიტყდე? უზრდელობა – აი, სწორედ ის ნაკლი, რასაც ქალები თვით ხორცშესხმულ ღირსებასაც კი არ აპატიებენ. ვშიშობ, ჟიული თავის სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ მსჯელობს ქალივით.

რაკი გულახდილი ლაპარაკი წამოვიწყე, გეტყვი კიდეც შენ, ჩემო ტურფა მოქადაგევ, რომ ამაოდ გინებს ჩემთა უფლებათა გვერდის ავლა და აღტყინებულ სიყვარულს ქადაგება ვერ დააცხრობს. მაშ, კარგად მოიფიქრე და არ დაგავიწყდეს შენგან შეპირებული სამართლიანი ჯილდო. შენი მორალური მსჯელობანი ფრიად კარგია, ოღონდ მერწმუნე, ბევრად უმჯობესი იქნებოდა შალე.

XLVI წერილი
ჟიულისაგან

აბა რა მოგივიდა, ჩემო მეგობარო, სულ ამ შალეს რომ ახსენებ! მთელი ეს შალეს ამბავი საშინლად ტანჯავს შენს გულს, და კარგადაც ვხედავ სიცოცხლისა თუ სიკვდილის ფასად შალე უნდა დავივიწყოთ. ნუთუ ის მიდამონი, სადაც აროდეს დაგიდგამს ფეხი, იმდენად ძვირფასია შენთვის, რომ სხვები მათ ვერ შეცვლიან, და თვით შუაგულ უდაბნოში არმიდას სრა-სასახლის აღმმართველ სიყვარულს აღარ ძალუძს ქალაქში აგვიგოს ეს შალე? გაიგონე: ჩემი საყვარელი ფანშონი თხოვდება. დღესასწაულებისა და სადღესასწაულო გარჯა-ფუსფუსის დიდი მოტრფიალე მამაჩემი აპირებს ქორწილის

გამართვას, სადაც ყველას მიგვიპატიჟებენ და, რასაკვირველია, ამ ქორწილში დიდი მხიარულება იქნება. სწორედ გაცხარებული ლხენა-ქეიფისა და სამხიარულო ზარ-ზეიმის დროს საიდუმლო ყოველთვის ახერხებს თავის საფარველქვეშ მიჩქმალოს ბევრი რამ. ხომ მიხვდი, ჩემო მეგობარო? რა საამური იქნება ამ ქორწილის მეოხებით კვლავ ვეწიოთ იმ სიხარულს, რაც მის გამო მსხვერპლად გავიღეთ.

ვფიქრობ, შენ ზედმეტი სიფიცხით შეუდექი მილორდ ედუარდის დაცვას: მერწმუნე, სრულიადაც არ მიმაჩნია იგი ცუდ ადამიანად. და განა შემიძლია რაიმე ვთქვა ისეთი კაცის გამო, რომელთანაც მხოლოდ ერთი საღამო გავატარე? და ვით ძალგიძს განსაჯო იგი, როცა სულ რამდენიმე დღეა, რაც იცნობ? მეც შენსავით მხოლოდ და მხოლოდ ჩემს ვარაუდს გამოვთქვამ. თითქოს შენი ცხოვრების მოწყობასაც აპირებს, მაგრამ ეს იქნებ მარტოოდენ ბუნდოვანი დაპირებები იყოს, ასე გულუხვად რომ ფანტავენ უცხოელები, ვინაიდან ერთი შეხედვით ესოდენ საფუძვლიან გეგმებს ძალზე ადვილად შეიძლება გვერდი ავუაროთ შემდგომში. ოღონდ ვცნობ შენს გულფიცხ ხასიათს და მიდრეკილებას – წინასწარი აკვიატებით, პირველი შეხედვისთანავე მოიწონო ანდა გაქირდო ადამიანები. თავისუფალ დროს მაინც ჩავუფიქრდეთ მის წინადადებებს. უკეთუ სიყვარული ხელს შეუწყობს იმ გეგმას, მე რომ დამებადა, მაშინ მართლაცდა სხვა საუკეთესო საშუალებებიც გამოგვიჩნდება. ო, საყვარელო მეგობარო, რა მწარეა მოთმინება, სამაგიეროდ ტკბილია ნაყოფი მისი.

ახლა დავუბრუნდეთ შენს ინგლისელს. ხომ გწერდი, ჩემი აზრით, დიადი და მტკიცე სულის პატრონია-მეთქი, უფრო განათლებულია, ვინემ სანდომიანი-მეთქი. შენც თითქმის ასევე ფიქრობდი. შემდეგ კი მამაკაცთათვის დამახასიათებელი უპირატესობის გრძნობით, რასაც არასოდეს კარგავენ ჩვენი მშვიდი და თვინიერი მიჯნურები, საყვედურებით ამავსე იმის გამო, ჩემს სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ რომ ვიმსჯელე, როგორც ჩემი სქესის წარმომადგენელმა, – თითქოს ქალი ყოველთვის როდი უნდა იყოს ქალი! გახსოვს თუ არა, როცა ამას წინათ პლატონის «რესპუბლიკას» ვკითხულობდით, როგორ ვკამათობდით მამაკაცსა და ქალს შორის სულიერი სხვაობის გამო? კვლავ იმ ჩემს წინანდელ აზრზედან ვდგავარ და ვერაფრის დიდებით ვერ წარმოვიდგენ სრულყოფილობის ნიმუშს, ერთნაირად სანიაზო რომ იყოს ესოდენ სხვადასხვანაირ ქმნილებათათვის. იერიშისა და თავდაცვის უნარი, მამაკაცთა შემართება, ქალთა კდემამოსილება – პირობითობანი როდია, როგორც ეს შენს ფილოსოფოსთ წარმოუდგენიათ, არამედ ყოველივე ეს ბუნებისგანაა დაკანონებულ-დაწესებული, რისი დედააზრის დადგენაც ძალზე ადვილია და რომელთა შედეგსაც წარმოადგენს ყველა სხვა სულიერი სხვაობანი. გარდა ამისა, ქალსა და მამაკაცს ერთი ვალი როდი აწევთ და ამას უთანხმდება ერთისა და მეორის უნარიც, შეხედულებებიცა და გრძნობებიც. მხვნელ-მთესველსა და ბავშვიან დედას ერთნაირი გემოვნება და იერი როდი უნდა ჰქონდეთ. ზედმეტ ტანკენარობას, უფრორე მაღალ და რიხიან ხმას და პირისახის გაცილებით მკვეთრ ნაკვთებს თითქოსდა აშკარა კავშირი არა აქვთ სქესთან; მაგრამ გარეგნული განსხვავება საცნაურსა ჰყოფს შემოქმედის განზრახვას, ერთმანეთისაგან განასხვავოს სქესთა სულიერი ბუნება. სრულქმნილი ქალი და სრულქმნილი მამაკაცი არ უნდა ჰგვანდნენ ერთმანეთს არც იერითა და არც სულისკვეთებით. საპირისპირო სქესისადი მიმბაძველობის ფუჭი მცდელობა უგუნურებაზე უარესია. ის სასაცილოდაც აღარ ყოფნის ბრძენ ადამიანს და სიყვარულს კი აფრთხობს. მასთან, ბოლოს და ბოლოს, თუკი შენ ხუთ-მეტრ-ნახევარი ფუტი სიმაღლე არა გაქვს, ბოხი ხმით არ ლაპარაკობ და წვერიც არ მოგიშვია, სულ ერთია, მამაკაცად არ ჩაითვლები.

ხომ ხედავ, შეყვარებულის შეურაცხყოფით რომ გაწბილდები! მისაყვედურებ შეცდომათა გამო, რაშიც ბრალი არ მიმიძღვის, – და თუ დამნაშავე ვარ, შენც დამძიმებული

გაქვს სინდისი, – და იმგვარ ნაკლოვანებას მიაწერ ამ ამბავს, რაც ჩემს დამსახურებად მიმაჩნია. იქნება გინდა კიდეც, გულახდილობა ალალმართლობით მოგიზღო და კეთილსინდისიერად გითხრა ყოველივე, რასაც ამის გამო ვფიქრობ? ასე მგონია, ეს მარტოოდენ გაფაქიზებული მლიქვნელობაა, შენ რომ ხელს გაძლევს, რათა მოჩვენებითი პირდაპირობით შენსავე თვალში უფრო მეტი დამაჯერებელი იყოს აღტაცებული ქება-დიდება, რითაც მამკობ ყოველგვარი საბაბით. ისე დაგაბრმავა ჩემმა მოსაჩვენარმა სიტურფემ, ძალა აღარ შეგწევს ისე მისაყვედურო რაიმე, რომ არ ამუნათებდე შენსავე თავს ჩემ მიმართ ესოდენი ათვალწუნებული დამოკიდებულების გამო.

აბა რა საჭიროა, ჩემ გამო გეთქვა სიმართლე ჩემთვისვე, ამაოდ გაირჯებოდი. თუმცა სიყვარულის თვალი გამჭრიახია, მაგრამ ნაკლოვანებებს ძნელად თუ შეამჩნევს! მარტოოდნ უანგარო მეგობრობას მართებს ამის გამო ზრუნვა და ამ საქმეში შენი მოწაფე კლარა ასწილად უფრო ბრძენია შენზე. დიახ, ჩემო მეგობარო, ქება შემასხი, აღფრთოვანდი, ჩამთვალე მზეთუნახავად, მომხიბვლელად, უტურფესად – შენი ქებანი აამებენ ჩემს გულს, ოღონდ ვერ მაცდუნებენ. ვიცი, მათ გიკარნახებს ცდომილება და არა ორგულობა, და თვითვე ატყუებ შენს თავს და სრულიადაც არ გსურს ჩემი მოყივნება. ო, რაოდენ საამურია ჩვენთვის სიყვარულის სიცრუით ნაკარნახევი სიტყვები! ისინი გვხიბლავენ, მაგრამ ასეთ ამბავში სიმართლეც სუფევს: გონება დუმს, სანაცვლოდ გული მეტყველებს. როცა მიჯნური ხოტბას ასხამს ხოლმე სრულქმნილ სიტურფეს, რაც ჩვენ არ გაგვაჩნია, იგი მართლაც ამჩნევს ამას ჩვენსა შიგან. მისი მსჯელობა ყალბია, მაგრამ სიცრუე როდია; იგი თავისდაუმცირებლად პირფერობს, და შეიძლება პატივიც კი მიაგო, თუმც აღარც კი გჯეროდეს მისი...

გულის ფანცქალით გავიგე, ხვალ ვახშმად ჩვენსას ორი ფილოსოფოსი რომ ყოფილა მოპატიჟებული. ერთი მათგანია მილორდი ედუარდი, მეორე – სწავლული ადამიანი, რომელიც ზოგჯერ, ცოტა არ იყოს, კარგავს ზვიადობას თავისი ნორჩი მოსწავლის ფერხთა წინაშე. განა არ იცნობთ მას? თქვენი ჭირიმე, დაარწმუნეთ იგი, ხვალ წინანდელზე უკეთ შეინარჩუნოს ჭეშმარიტი ფილოსოფოსის იერი. მე კი გავეშურები პაწაწას გასაფრთხილებლად: დაე, იყოს ქედმოდრეკილი და ეცადოს მის წინაშე უშნო გომბიოდ წარდგეს.

XLVII წერილი
ჟიულისადმი

ჰაი, შე საძაგელო! გაცუდდა შენი დაპირებული წინდახედულობა! კარგად კი იზრუნე ჩემი სულიერი სიმშვიდისათვის, საუცხოოდ მიჩქმალე შენი ჯადო-თილისმა! ხომ გატეხე ყველა შენი აღთქმა! ჯერ ერთი, არ გაიკეთე შენი სამკაულები, ხოლო თავად მშვენივრად იცი, უსამკაულებოდ შენი სილამაზე კიდევ უფრო სახიფათოა. მეორეც, ისე ეშხიანად და უბრალოდ გიჭირავს თავი, რაც სავსებით ამჟღავნებს შენს სიტურფეს, რომ თვალი საკმარისად ვერ მოიჯერებს გულს შენი ცქერით. შენ ჩვეულებრივზე ნაკლებ ლაპარაკობდი, უფრო მოფიქრებით, მახვილგონივრულად და ჩვენი ყურადღებაც ამით მიიპყარი; უდიდესი გულისხმიერებით ვუგდებდით ყურს ყოველ შენს სიტყვას. როცა ხმადაბლა იმღერე არია და გსურდა კიდევ უფრო სათუთი იერი და კილო მიგეცა სიმღერისათვის, ეს მილორდ ედუარდსაც კი მოეწონა, თუმცა მუსიკა ფრანგული გახლდათ. ო, როგორი იყო შენი მოკრძალებული მზერა, ძირს დახრილი თვალები, მათი უეცარი ელვარება, ცხრო და თრთოლა რომ მომგვარეს! და ბოლოს, ფერხით თხემამდე

აღგბეჭდოდა იგავმიუწვდომელი სიმშვენიერე და მომხიბვლელობა და ყველას თავბრუს ახვევდი, თითქოსდა გულში ფიქრადაც არ გაივლებდი ამ ამბავს. მერწმუნე, არ კი ვიცი, ყოველივე ამას როგორ ახერხებ; ოღონდ, უკეთუ ამნაირად ცდილობ უშნო გომბიოდ გახდომას, მაშინ გარწმუნებ – სავსებით საკმარისია, რათა ბრძენ კაცთა ყურადღება მიიპყრო.

ვშიშობ, ვაითუ საბრალო ინგლისელი ფილოსოფოსიც დაემონა შენს ჯადო-თილისმას. გავაცილეთ შენი დაია, მაგრამ ჩვენი ხალისიანი ჟრიამული კვლავ გრძელდებოდა, და მან ყველანი მიგვიპატიჟა – მუსიკის დაკვრით თავი შევიქციოთ და პუნშიც გადავკრათო. სანამ ფარეშთ მოუხმობდნენ, სულ შენ გახსენებდა, და მისი აღტყინება არაფრად მეჭაშნიკა, ხოლო მის ბაგეთაგან თქმულმა შენმა ქება-დიდებამ როდი მომანიჭა ისეთი სიამოვნება, როგორითაც შენ უსმენდი, როცა ხოტბას მასხამდა. გამოგიტყდები, საერთოდ არ მიყვარს, როცა შენი მამიდაშვილის გარდა სხვა ვინმე ლაპარაკობს შენზე. სულ ასე მგონია, თითქოს გარეშე ადამიანთა სიტყვა წარიტაცებს ჩემს საიდუმლოს ანდა ჩემს სიხარულს, და რაც უნდა თქვან, იმ სიტყვებში გაისმის ესოდენ საეჭვო ცნობისმოყვარეობა, ანდა ყოვლივე ეს იმდენად უცხოა ჩემს გრძნობათათვის, რომ მირჩევნია, შენზე მხოლოდ და მხოლოდ ჩემი შინაგანი ხმა მეტყველებდეს.

თუმცა შენსავით სრულიადაც არ მჩვევია ეჭვიანობა. მე უკეთ ვიცნობ შენს სულს. საიმედო თავდებობა იმის საშუალებასაც კი არ მაძლევს გავიფიქრო, თითქოს შეიძლებოდეს-მეთქი, რომ შეიცვალოს. ისე დამარწმუნე, არაფერს ვიტყვი შენი ხელის სხვა მაძიებლებზე. ოღონდ იგი, ჟიული... საკმაოდ დიდი ქონება აქვს... მამაშენის ცრურწმენანი კი... კარგად უწყი, რომ ლაპარაკი ჩემს სიცოცხლეს შეეხება. გემუდარები, მითხარი თუნდ ერთი სიტყვა, თუნდაც ერთი სიტყვა, ჟიული, და ერთხელ და სამუდამოდ დავშოშმინდები.

მთელ ღამეს განუწყვეტლივ ვუსმენდი იტალიურ მუსიკას და თავად ვიყავ შემსრულებელი, ვინაიდან დუეტებიც შეგხვდა და მეც გავბედე სიმღერა. ჯერ კიდევ ვერ გამიბედავს იმის თქმა, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა ამ მუსიკამ ჩემზე. ვშიშობ, მართლაც, ვშიშობ – გუშინდელმა ვახშამმა ჩემს სულს ისეთი კვალი დააჩნია, რომ შემდგომში ეს დაეტყო ყველაფერს. და შენი ჯადო-თილისმის ზეგავლენა მუსიკის მომაჯადოებელ ზემოქმედებად მივიჩნიე. სიონში ფრიად მოსაწყენად მომეჩვენა იგი, აქ კი სულ სხვა გუნება-განწყობილება დამეუფლა და მას სიამოვნებით ვუსმენ. ოღონდ ორივეს მიზეზი ერთი და იგივეა. შენ ხომ ჩემი სულის ყოველნაირ განცდათა სათავე ხარ. ვერ გავუძლებ შენს მომხიბლაობას! ხოლო უკეთუ მუსიკა მართლაც ტოვებს ესოდენ მომაჯადოებელ შთაბეჭდილეაბს, იგი დანარჩენ მსმენელებზედაც იმოქმედებდა. სანამ მელოდიას ვუსმენდი და აღტაცებული ვტკბებოდი, ბ-ნი დ'ორბი არხეინად თვლემდა სავარძელში. როცა ვეღარ ვფარავდი აღტაცებას, ერთი სახოტბო სიტყვაც კი არ დასცდენია; მხოლოდ ისღა იკითხა, თუ იცისო შენმა დაიამ იტალიური ენა.

ყველაფერი ეს უფრო აშკარა გახდება ხვალ, რადგან ამჟამად დავთქვით, კვლავ გავმართოთ მუსიკალური საღამო. მილორდმა გადაწყვიტა, უფრო რიგიანად მოაწყოს იგი და ლოზანიდან გამოიწერა მეორე მევიოლინე – მისი სიტყვით, ცნობილი მუსიკოსი. მე კი მოვიტან რაიმე ფრანგულ მუსიკალურ პიესებსა და კანტატებს, – და მაშინ ვნახოთ!

შინ მისვლისას საშინელი დაღილობა ვიგრძენი, – წამში დამეტყო, რომ ღამ-ღამობით სიფხიზლეს არა ვარ ჩვეული, მაგრამ როგორც კი შენთან ბარათის მოწერა დავაპირე, მყისვე მომეშვა. მაინც ვეცდები ორიოდ საათს წავიძინო. მაშ, გამომეცხადე, ჩემო სიცოცხლეო, მეზმანე მე. და უკეთუ სიზმარში შემაცბუნებს ხატება შენი, ანდა თუ დამაშოშმინებს, დამესიზმრება ფანშონის ქორწილი თუ სხვა რაიმე, შენი ხატება მაინც

მომიბოძებს გასაოცარ წამს, რომელსაც ძალუმად ჩავეჭიდები, – იმ წამს, როცა გამოღვიძებისას შევიგრძნობ ჩემს ბედნიერებას.

XLVIII წერილი

ჟიულისადმი

აჰ, ჟიული, ეგ რა ხმებია! რა ამაღელვებელი და გულში ჩამწვდომი! აბა რა მუსიკაა! გრძნობათა და სიამოვნების რა მომაჯადოებელი ჩანჩქერი! ამავე წუთს გულმოდგინედ შეკრიბე ყველა შენი ნოტი – ოპერა, კანტატები, ერთი სიტყვით, ყველა ფრანგული ნაწარმოები. გააჩაღე ძალზე დიდი და რაც შეიძლება გაგანია ცეცხლი, ჩაყარე შიგ მთელი ეს ხარახურა და კარგად აურ-დაურიე, დაე ყინულის ეს ლოდი დადნეს, ადუღდეს და ერთხელაც იქნეს ალმური მოგედოს. მსხვერპლი შესწირე განგებას მე და შენს ცოდვათა მოსანანიებლად. ვცოდავდით, როცა გამყივანი და გულის გამაწვრილებელი ხმებით შევბილწეთ შენი ნარნარა კილო და ყურთასმენის წამღები ხმაური კაი ხანს სამიჯნურო გრძნობათა ენა გვეგონა. მართალი იყო შენი ღირსეული ძმა! რა უცნაურად ვიყავი თავგზააბნეული წინათ, როცა არ მესმოდა ამ წარმტაცი ხელოვნების ქმნილებანი! მათ უგულოდ ვისმენდი და მეგონა, ეს მათი უშინაარსობის ბრალია-მეთქი. ასე ვამბობდი: მუსიკა ხომ მარტოდენ ცარიელი ბგერაა-მეთქი. ის ატკბობს და აამებს ადამიანის ყურს და მხოლოდ მოიარებითა და დუნედ ახდენს გავლენას სულზე: აკორდის ზემოქმედება – პირწმინდად მექანიკური და ფიზიკურია-მეთქი. რას ანიჭებს იგი გრძნობას? უზადო თანახმიერებამ რატომ უფრო უნდა აღგვაფრთოვანოს, ვიდრე ფერთა წუნდაუდებელმა შეხამებამ-მეთქი? სიტყვიერი ბგერებით თანშეწყობილ მელოდიაში როდი ვამჩნევდი ჰანგებთან ვნებათა ძალუმ და იდუმალ შერწყმას. არ მესმოდა, თუ რატომ იყო ასე, რომ გრძნობებით აღსავსე ადამიანის სიტყვათა მიბაძვა გულთმფლობელობას ანიჭებდა სიმღერას, ამღელვარებდა მას და სიმღერის დროს შექმნილი სულიერი განცდის სწორედ ეს წარმტაცი სურათი ჭეშმარიტად აჯადოებდა მსმენელთ.

ყველაფერი ეს მამცნო მილორდის მომღერალმა. ის კი, თუმც მუსიკოსია, მაინც საკმაოდ რიგიანად მსჯელობს თავის ხელოვნებაზე. «ჰარმონია, – ამბობდა იგი, – მიმბაძველობითი მუსიკის მხოლოდ და მხოლოდ მეორეხარისხოვანი აქსესუარიაო. არსებითად თავად ჰარმონიაში როდია ჩაქსოვილი მიმბაძველობის სათავე. კი, მართალია, იგი აძლიერებს ჰანგს, ის ადასტურებს ინტონაციის სისწორეს, ელფერს მატებს ხმის მოდულაციებს, უფრო წარმტაცსა და საამურს ხდის სიმღერას. მხოლოდ მარტოოდენ ერთი მელოდია წარმოქმნის ბგერათა ვნებით აღსავსე დაუძლეველ მორჭმულობას, მისი მეოხებით მუსიკა ეუფლება სულს. აბა ერთი შექმენით აკორდთა ყველაზე საუცხოო კასკადები, ოღონდ უმელოდიოდ, და თხუთმეტ წუთში უგუნებოდ შეიქნებით; და ძალზე უბრალო სიმღერები გაგიტაცებენ, უკეთუ ისინი გრძნობით არიან გამთბარნი. პირიქით, არაფრისმთქმელი მელოდია ცუდად ჟღერს, ხოლო მარტოოდენ ჰარმონია გულს ვერაფერს ეტყვისო.

სწორედაც აქ ცდებიან ფრანგები მუსიკის ზეგავლენის თაობაზე მსჯელობისასო, – განაგრძობდა იგი. – ისინი ვერ ფლობენ მელოდიას, და ვერც კი იპოვიან მას ჟღერადობას მოკლებულ თავიანთ ენაში, გაპრანჭულ პოეზიაში, რომლისთვისაც მარადჟამს უცხო იყო ბუნებრიობა, და ამიტომაც ისინი ფიქრობენ, თითქოს მუსიკის ძლიერება ჰარმონიასა და მჭექარე ხმაში იყოს, რაც მელოდიურს კი არ ხდის ბგერას, არამედ მეტ ხმიერებას მატებს. ისინი ესოდენ უბადრუკნი არიან თავ-თავიანთი ამოჩემებით, რომ თვით ჰარმონიაც კი, რომელსაც დაეძებენ, ხელთაგან უსხლტებათ. მათ ეკარგებათ ზომიერების გრძნობა, არავითარ საშუალებას არ ერიდებიან და უკვე აღარ ესმით, თუ რას შეუძლია ნამდვილი შთაბეჭდილების მოხდენა, თანაც თავიანთ პიესებს ვაი-უშველებელით ავსებენ. ისინი

აკეთებენ უმნიშვნელო რამ ნაყალბევს, იფუჭებენ სმენას. მათ მხოლოდ და მხოლოდ ხმაური და გნიასი აჯაოებთ და რაც უფრო მაღალია ხმიერება, მით უფრო მოსწონთ. ამრიგად, მათ არ გააჩნიათ დამოუკიდებელი ჟანრი; მუდამ იმას აკეთებდნენ, რომ ტლანქად და შორეულად ჰბაძავდნენ ჩვენს ნიმუშებს, ხოლო თავისი სახელგანთქმული, უფრო სწორად, ჩვენი სახელგანთქმული ლიულის დროიდან, რომელიც მარტოოდენ იმას სჩადიოდა, რომ ჰბაძავდა იმ დროს იტალიაში უხვად მომძლავრებულ ოპერებს, ისინი ოცდაათ-ორმოც წელიწადს იმეორებდნენ და თანაც აფუჭებდნენ ჩვენი ძველი კომპოზიტორების ქმნილებებს და ჩვენს მუსიკას თითქმის ისევე ეპყრობოდნენ, როგორადაც სხვა ხალხები ექცევიან მათ მოდებს. სიმღერებით კვეხნის დროს თვითვე გამოჰქონდათ თავიანთი თავის განაჩენი. მათ რომ შეძლებოდათ გრძნობათათვის ხოტბის შესხმა, მაშინ როდი იმღერებდნენ ასე განმსჯელად. მათი მუსიკა უფერულია – ამიტომაც უფრო სიმღერებს შეჰფერის, ვიდრე ოპერებს, ხოლო ჩვენი მუსიკა სულერთიანად ვნებითაა აღსავსე – ამის გამო უფრო ოპერებს შეეფერება, ვიდრე სიმღერებს».

ხოლო შემდეგ მან რეჩიტატივით შეასრულა იტალიურ ოპერათა რამდენიმე სცენა და მივხვდი, თუ როგორ ეხამებიან ერთმანეთს მუსიკა და სიტყვები რეჩიტატივში, მუსიკა და გრძნობები არიებში და გამომხატველობის რაოდენ ძალას ანიჭებს ყოველივეს ბგერათა ზუსტი რიტმი და სიმწყობრე. შემდეგ, როცა სიტყვების მნიშვნელობასთან ერთად, რამდენადაც ძალმიძდა, ჩავწდი მჭევრმეტყველურ და პათეტიკურ ინტონაციათა დედაარსს, ესე იგი, უსიტყვებოდ ლაპარაკის ოსტატობას, თანაბრად რომ აჯადოებს სმენასა და გულს, მე ვისმენდი ამ მომხიბვლელ მუსიკას და მალე, მღელვარებით გათანგული მივხვდი, ამ ხელოვნებას უფრო მეტად ძალუმი მორჭმულობა მოეპოვება, ვიდრე წარმომედგინა-მეთქი. ჩემდა შეუმჩნევლად დამეუფლა რაღაცნაირი საამური ნეტარება. ეს როდი იყო უბრალო ბგერათშეწყობა, როგორც ჩვენს პიესებშია. თითოეული მუსიკალური ფრაზის დროს ჩემს გონებაში წარმოიქმნებოდა ხოლმე ხატება, ხოლო გულში – გრძნობა. მუსიკა უბრალოდ კი არ უალერსებდა ჩემს სმენას, არამედ განმსჭვალავდა სულს, იღვრებოდა დამატყვევებელი სიმსუბუქით. ასე მეგონა, შემსრულებელნი ერთიანი გრძნობით არიან-მეთქი ზეშთაგონებულნი. მომღერალი ლაღად ფლობდა ხმას და ამ ხმიდან ამოჰქონდა ყველაფერი, რასაც მოითხოვდნენ სიტყვები და მელოდია, და სული ჩემი განსცხრებოდა – ვერა ვგრძნობდი ვერც მოუქნელ, ტლანქ კადანსებს, ვერც მოსაწყენ შებოჭილობას, ვერც იმ ნაძალადეობას, რაიც იგრძნობა ჩვენში სიმღერისას, ერთმანეთთან შეუხმატკბილებელი მელოდიისა და რიტმის მუდმივი ბრძოლის დროს, იმ ბრძოლისა, რაც შემსრულებელზე ნაკლებად როდი ქანცავს მსმენელს.

საუცხოო არიათა შემდეგ აჟღერდნენ ექსპრესიით აღსავსე მუსიკალური ქმნილებები, – მათ ემარჯვებათ აღძრან და გამოხატონ უმძაფრესი ვნებანი, ასე რომ აგვაფორიაქებს და დაგვბნედს, და მეც წამდაუწუმ სულ უფრო და უფრო ვკარგავდი მუსიკის, სიმღერისა და წაბაძვის შეგრძნებას. ისე მეჩვენებოდა, თითქოს ვუსმენდი მწუხარების, აღტაცებისა და სასოწარკვეთილების ხმას, მეზმანებოდნენ უნუგეშოდ შთენილი დედები, მოტყუებული მიჯნურები, გულქვა ტირანები. ჩემს სულს ისეთი მღელვარება დაეუფლა, კინაღამ გავიქეცი. და მივხვდი, თუ რატომ აღმაფრთოვანა ასე თავდავიწყებული აღტაცებით იმ მუსიკამ, წინათ ესოდენ სევდას რომ მგვრიდა: მე ჩავწვდი და გავიგე იგი, და რაც უფრო მალე დავემორჩილე მის ზემოქმედებას, ისიც დამეუფლა მთელი თავისი ძლიერებით. არა, ჟიული, ასეთ შთაბეჭდილებებს ვერ განიცდი მხოლოდ ნაწილობრივ: ისინი ან აგაფორიაქებენ, ანდა დაგტოვებენ გულცივს, მაგრამ არ იქნებიან სუსტნი ანდა უფერულნი: შენ ან გულცივი იქნები მათ მიმართ, ანდა მთლად აგიფორიაქებენ სულს; შენთვის ისინი იქნებიან ან ყოვლად გაუგებარი ენის უაზრო

მუსიკობა, ანდა გრძნობათა დაუოკებელი შემოტევა, რომლებიც ესოდენ შემოგეჯარებიან, რომ სულს აღარ შესწევს მათი გამკლავების უნარი.

მე მხოლოდ ერთი რამ მაწუხებდა, – შენი გულიდან რომ არ იფრქვეოდნენ ჩემი სულის დამბნედი ეს ხმები და სიყვარულის უნაზესი სიტყვები ვიღაც უბადრუკი castrato-ს[26] ბაგეთაგან აღმოხდებოდნენ. ო ჟიული, ჩემო სულიკო! ნუთუ მე და შენ არა გვაქვს უფლება ჩვენი იყოს გრძნობათა მთელი სამყარო? ჩვენზე უკეთ ვინ შეიგრძნობს, უფრო კარგად ვინ იტყვის ყოველივე იმას, რაც გრძნობამორევით უნდა გამოთქვას და შეიგრძნოს სულმა და გულმა? აბა, ჩვენზე უფრო კარგად ვინ წარმოთქვამს უნაზეს სიტყვებს: «cor mio, idolo amato»?[27] ო, რაოდენ ვნებათგზნებას ჩასტევდა მუსიკაში გული, მე და შენ რომ გვემღერა სანეტარო ცრემლთა მომგვრელი ერთ-ერთი მშვენიერი დუეტი! გემუდარები, ჯერ ერთი, ნუ გადასდებ და მოისმინე ან თქვენსას, ანდა «განუყრელთან» რომელიმე იტალიური პიესა. მილორდი მოიყვანს მუსიკოსებს, როცა კი მოისურვებ და მჯერა, რომ შენ, ასეთი მახვილი სმენით დაჯილდოებული და მასთან იტალიური დეკლამაციის ჩემზე უფრო მცოდნე, პირველი კონცერტის შემდეგ გამიგებ და გაიზიარებ ჩემს აღტაცებას; ხოლო მეორე – კიდევ ერთი წინადადება და კვლავ ერთი სათხოვარი: ისარგებლე დახელოვნებული მუსიკოსის ყოფნით და ისწავლე მისგან. მე უკვე ამ დილიდან დავემოწაფე. მისი მეთოდი ძალიან მარტივი და ნათელია და აგებულია თვალსაჩინოებაზე და არა ენის ჭარტალზე. ის კი არ ხსნის, თუ რა უნდა აკეთო, არამედ აკეთებს; და ამ შემთხვევაში, როგორც სხვა მრავალთა შორის, თვალსაჩინოების მაგალითი ბევრად სჯობს წესს. მე უკვე მესმის: მთავარია, დაემორჩილო რიტმს, კარგად შეიგრძნო იგი, გაჩარხო, გულდასმით წარმოაჩინო თითოეული მუსიკალური ფრაზა, დააოკო ბგერები და არ მისცე ნება ზედმეტი ძლიერებით გაგისხლტეს ხელთაგან, ერთი სიტყვით, შეანელო ხმათა მჭექარება, იხსნა იგი ფრანგული შელამაზებისაგან და მიანიჭოს მას გულითადობა, გამომხატველობა და მოქნილობა. ბუნების მიერ დაყენებული შენი ნაზი ხმა ადვილად შეითვისებს სიახლეს. შენ ისეთი ათვისების უნარი გაქვს, რომ სწრაფად დაეუფლები ბგერის ძალასა და სიმკვირცხლეს, რაც სულს ჩაუდგამს იტალიურ მუსიკას.

E'l cantar che nell'a nima si sente.[28]

სამუდამოდ თავი ანებე მოსაწყენი და მოსაბეზრებელი ფრანგული მანერით სიმღერას, _ ეს სიმღერა ჭვალის შემოტევისას კივილსა ჰგავს, და არა აღტაცების შეძახილს. ისწავლე გრძნობით შთაგონებულ, ჯადოსნურ ხმათა შექმნა, მარტოოდენ ისინი არიან შენი ხმის ღირსნი, მხოლოდ ისინი შეეფერებიან შენს გულს და გადმოსცემენ მგრძნობიარე ადამიანის სიმშვენიერესა და მგზნებარებას.

XLIX წერილი
ჟიულისაგან

ჩემო მეგობარო, კარგად უწყი, რომ მალულად გწერ და ყოველთვის ვშიშობ, ვაითუ შემომისწრონ-მეთქი. გრძელ-გრძელი ბარათების წერის საშუალება არ გამაჩნია, ამიტომაც გაძლევ პასუხს მხოლოდ და მხოლოდ შენი წერილების ყველაზე მნიშვნელოვანი ამბების

[26] საჭურისი (იტალ.).

[27] გულო ჩემო, ჩემი სიყვარულის კერპო (იტალ.).

[28] და სულში ჩამწვდომ სიმღერასაც (იტალ.).

გამო, ანდა ბოლომდე გეუბნები იმას, რაც ვერ მოვახერხე მემცნო ჩვენი საუბრების დროს, – ჩვენ ხომ აგრეთვე მალულად ველაპარაკებით ერთმანეთს. ახლა აუცილებლად მინდა ორიოდე სიტყვა გითხრა მილორდ ედუარდის თაობაზე, მისი ამბის გამო დავივიწყე კიდეც ყოველივე დანარჩენი.

ჩემო მეგობარო, შენ ჩემი დაკარგვის გეშინია, ხოლო სიმღერაზე კი მელაპარაკები! მერწმუნე, ეს საკმაოდ დიდი საბაბია შეყვარებულთა შორის განხეთქილებისათვის, რომელთაც არც ისე კარგად ესმით ერთმანეთისა. შენ ნამდვილად არა ხარ ეჭვიანი. ახლა მე მართლაცდა არ დავიწყებ ეჭვიანობას, რადგანაც ჩავწვდი შენს სულს და ვგრძნობ, რაოდენ დიდია შენი ნდობა, რასაც სხვები გულგრილობის ნიშნად მიიჩნევდნენ. ოი, სრული სულიერი თანაზიარობის გრძნობით წარმოქმნილო საამურო და სანეტარო გულდაჯერებავ! სწორედ ამის მეოხებით იძენს შენი გული ჩემი ერთგულების საუცხოო დადასტურებას, სწორედ მისი მეოხებით ჩემი გულიც გამართლებს შენ და ეჭვიანობა რომ გაღელვებდეს, მაშინ ვიფიქრებდი, უკვე არც ისე ძალუმად ხარ შეყვარებული-მეთქი.

არ ვიცი და არც მსურს ვიცოდე, იჩენს თუ არა მილორდი ედუარდი ჩემდამი უფრო მეტ ყურადღებას, ვიდრე ყოველი მამაკაცი ჩემი ხნის ქალიშვილის მიმართ. მაგრამ საქმე მის გრძნობებს როდი ეხება, არამედ მამიჩემის და ჩემს გრძნობებს, ხოლო ჩვენ ორივენი სავსებით ერთნაირად ვუყურებთ როგორც მილორდს, ასევე ჩემი ხელის ყველა ამაო მაძიებელს, რომლებზედაც, როგორც ამბობ, კრინტსაც არ ძრავ. უკეთუ შენი სიმშვიდისათვის საკმაოა გაიგო, რომ არც მილორდი და არც სხვები სათვალავში არ არიან ჩასაგდებნი, მაშინ მეტს ნუღარ იმღელვარებ. რამდენადაც მოსაწონარი უნდა იყოს ჩვენთვის ესოდენ დიდებული ბატონის განზრახვა, არც მამა და არც მისი ქალიშვილი მაინც არასოდეს დათანხმდებიან ლედი ბომსტონად ჟიული დ'ეტანჟის გახდომას. ეს კარგად იცოდე.

არ იფიქრო, ჩვენსას მილორდ ედუარდზე ლაპარაკი გაგვემართოს. დარწმუნებული ვარ, ჩვენ ოთხთაგან მხოლოდ შენ ერთს შეგეძლო გეფიქრა, თითქოს მას მოვეწონე. მაინცდამაინც უკვე ვიცი მამიჩემის ნება-სურვილი, თუმცა ჩემთან და არც სხვა ვინმესთან ერთი სიტყვაც არ დასცდენია. ახალს ვერაფერს მამცნობდა, ეს ამბავი პირდაპირ რომ განეცხადებინა. და ეს სავსებით საკმარისია ყველა შენი მღელვარების დასაცხრობად, ხოლო უფრო მეტი რაიმე ცოდნა შენთვის აღარაა საჭირო. ყოველივე დანარჩენი შენთვის უბრალო ცნობისმოყვარეობის საგანია, ხოლო ხომ იცი, გადავწყვიტე, არ შევაგულიანო იგი. ამაოდ მისაყვედურებ, თითქოსდა სიფრთხილის გამო ბევრ რამეს არ გიმხელდე და ირწმუნები, ჩვენი საერთო კეთილდღეობისათვის ეს საზიანოაო. მარადჟამს რომ მხსომებოდა სიფრთხილე, ახლა იგი ასე საჭირო აღარ იქნებოდა ჩვენთვის. მე რომ არ გამომეჩინა თავშეუკავებლობა და არ ჩამეკაკლა შენთვის ყოველივე, რაზედაც მამაჩემთან ვილაპარაკე, ასე აღარ დაკარგავდი იმედს იქ, მეიერიში ცხოვრების დროს და იქიდან არ გამომიგზავნიდი ბარათს ჩემდა დასაღუპავად. ვიცხოვრებდი არხეინად და კვლავ შემეძლებოდა ბედნიერებაზე ოცნება. თავადვე განსაჯე, რა ძვირად დამიჯდა ჩემი ერთადერთი კადნიერი საქციელი, და როგორი წინდახედული უნდა ვიყო ამიერიდან. შენ მეტისმეტად აღტაცებული ბუნების კაცი ხარ და არ შეგიძლია წინდახედული იყო. მერწმუნე, შენთვის უფრო ადვილია შენი ვნების დაძლევა, ვიდრე მათი მიჩუმათება. მწუხარების სულ უმნიშვნელო საბაბი გაშმაგებს, იმედის ოდნავი გაელვებაც კი ყოველგვარ ეჭვს გიფანტავს! ძნელი როდია შენს სულში ყველა ჩვენი საიდუმლოს ამოკითხვა, ხოლო შენს გულფიცხელობას ძალუძს მოსპოს ყოველი ჩემი მეცადინეობა. მაშ, მე მომანდე სიყვარულზე ზრუნვა, ხოლო მისი სიამენი შენ დაინარჩუნე. იქნებ გემძიმება კიდეც ასეთი განაწილება? გაიგე, უკეთუ გსურს შეეწიო ჩვენს ბედნიერებას, შენგან საჭიროა მხოლოდ ერთი რამ – არ შეუქმნა მას დაბრკოლებები!

ჰოიმე! აბა რას ვაქნევ ამიერიდან ყველა ამ ნაგვიანებ გაფრთხილებას! ურმის გადაბრუნების მერე გვიანღაა გზის გამოჩენაც და ფათერაკებიდან თავის დაღწევაც – აკი მათ უკვე გაგანადგურეს. ოი, რა საბრალო და საცოდავი ვარ! განა მე უნდა ვილაპარაკო ბედნიერებაზე? და ნუთუ შეიძლება ბედნიერება იყოს იქ, სადაც მეფობს სინდისის ქეჯნა და სირცხვილი? ღმერთო ჩემო! რა საშინელებაა, როცა დანაშაული აუტანელია, მაგრამ მისი მონანიება აღარ ძალგიძს, – უსაზომო შიშითა ხარ შეპყრობილი, აურაცხელი ამაო იმედი გაცდუნებს – შენ კი ვერ პოულობ სიმშვიდესა და მოსვენებას სასოწარკვეთის შემზარავ სიმყუდროვეში! ამიერიდან ბედს მივენდობი. დღეიდან უკვე აღარა აქვს მნიშვნელობა არც სულის სიძლიერეს, არც სათნოებას, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ბედნიერ შემთხვევასა და კეთილგონიერებას. საქმე ის კი არ არის, ჩაქრეს და განიავდეს ჩემი სიყვარული, სამიდღეშიოდ სიცოცხლე და გახარება რომ დაჰკვებებია, არამედ ისა, რომ უმწიკვლო გავხადო იგი ანდა მოვკვდე, როგორც ცოდვილი. კარგად აწონ-დაწონე ყველაფერი ეს, ჩემო მეგობარო, და გადაწყვიტე, ძალგიძს თუ არა მიენდო ჩემს გულმოდგინე ზრუნვას?

L წერილი
ჟიულისაგან

გუშინ, როცა ერთმანეთს ვშორდებოდით, სრულიადაც არ მსურდა მემცნო თქვენთვის მიზეზნი შეჭირვებისა, რის გამოც მისაყვედურებდით: თქვენ ვერაფრის დიდებით ვერ გამიგებდით მე. ჭირივითა მძაგს ახსნა-განმარტებანი, მაგრამ მაინც უნდა აგიხსნათ: რადგან დაგპირდით, შევასრულებ კიდეც დანაპირს.

არ ვიცი, გახსოვთ თუ არა, რამდენი სისულელე ჩამიკაკლეთ იმ საღამოს და თანაც როგორ გეჭირათ თავი? უმჯობესი იყო სამუდამოდ დაგევიწყებინათ ყოველივე თქვენი ღირსების გამო და საკუთარი სიმშვიდის გულისთვის. საუბედუროდ, ჩემი გულისწყრომა ესოდენ დიდია, რომ ძნელია დავიწყება. მსგავსი გამოთქმა ზოგჯერ ცუდად ხვდებოდა ჩემს სმენას, როცა შემთხვევით ნავსადგურის ახლოს ჩავივლიდი; მხოლოდ არაფრით არ ვიფიქრებდი, რომ ისინი დასცდებოდა წესიერი ადმაიანის ბაგეებს. მაინცდამაინც, ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ ასეთი გამოთქმები დაუშვებელი უნდა იყოს სამიჯნურო ლექსიკონში. აზრადაც არ გავივლებდი გულში, ასეთი სიტყვები რომ აჟღერდებოდნენ მე და შენს საუბარში. ო, ღმერთო ჩემო! ეს რაღა სიყვარული გაქვთ ისეთი, უკეთუ იგი ამგვარად შეამკობს თავის სიხარულს? კი, მართალია, სუფრიდან ხანგრძლივი ქეიფის შემდეგ წამოდექით, ხოლო მე ვხედავ, რომ ჩვენს მხარეში ამ ვითარებით ამართლებენ მრავალ უხამსობას და მხოლოდ და მხოლოდ ამის გამო ვლაპარაკობ თქვენთან. იცოდეთ: ფხიზელი რომ პირისპირ ასე მომქცეოდით, ჩვენი შეხვედრა უკანასკნელი იქნებოდა.

მაგრამ აი რა მაწუხებს: შეზარხოშებული ადამიანის საქციელში ხანდისხან მჟღავნდება ყოველივე ის, რასაც ჩვეულებრივ იმარხავს სულის სიღრმეში. ნუთუ შეურაცხადად მყოფმა, როცა ადამიანი უკვე აღარ იკატუნებს თავს, გამოავლინეთ თქვენი ჭეშმარიტი არსი? როგორღა უნდა მოვიქცე, უკეთუ ფხიზელი ფიქრობთ ისევე, როგორაც ლაპარაკობდით გუშინ საღამოს? როგორ გადავიტანო მსგავსი შეურაცხყოფა! ხომ არ აჯობებდა, ჩაგვექრო ტლანქ გულისთქმათა წარმომქმნელი სახმილი და ხელი აგვეღო მასზე, ვისაც არ ძალუძს თავის სატრფოს გაღმერთება და არცაა ღირსი მისი პატივისცემისა. მაშ, მარქვით, – თქვენ ხომ ასე აფასებთ კეთილშობილურ გრძნობებს, – ნუთუ ასე საშინლად დაგებნათ გონი და გადაწყვიტეთ, ბედსვიანი სიყვარულის ჟამს კდემამოსილება საჭირო როდიაო და სატრფოს პატივისცემაც რაღას მიქვია, რადგან მისი სიმკაცრისა უკვე აღარ მეშინიაო? აჰ, ყოველთვის ასე რომ გეფიქრათ, მაშინ ამგვარად

საშიშარი არ იქნებოდით ჩემთვის, მე კი ესოდენ უბედური აღარ დავშთებოდი. ნუ მოიტყუებთ თავს, ჩემო მეგობარო, ჭეშმარიტ მიჯნურთათვის ყველაზე დამღუპველია ადამიანური ცრურწმენანი. მრავალი ადამიანი მსჯელობს სიყვარულზე, მაგრამ მხოლოდ ცოტანი თუ ახერხებენ სიყვარულს: უმრავლესობა მის წმინდა და სათუთ კანონად მიიჩნევს იმ საძაგელს ურთიერთობათა საძულველ წესებს, რომელთა დროსაც მოყირჭებულ გრძნობებს ხელს უმართავენ წარმოსახვის გასაოცარი თამაშითა და გარყვნილებით.

იქნებ ვცდებოდე, მაგრამ ჩემი აზრით არ არსებობს ამქვეყნად იმაზე მეტად უმწიკვლო კავშირი, ვიდრე ჭეშმარიტი სიყვარულისა. მხოლოდ სიყვარულს, მარტოოდენ მის ღვთაებრივ ცეცხლს ძალუძს გაწმინდოს ჩვენი ბუნებრივი მიდრეკილებანი, ყველა გულისთქმა და ნდომა-სურვილი შეალიოს საყვარელ საგანს. სიყვარული გვიცავს და გვიფარავს ცდუნებათაგან და იმას ლამობთ, რათა მეორე სქესის არსება, ოდენ ჩვენი მიჯნურისა, სათვალავში არ იყოს ჩასაგდები... ჩვეულებრივი ქალისთვის ყოველი მამაკაცი მამაკაცია მხოლოდ; მისთვის კი, ვისმა გულმაც შეიცნო სიყვარული, თავისი მიჯნურის გარდა მამაკაცი არ არსებობს. ამას რას ვამბობ? განა შეყვარებული – ეს საერთოდ მოკვდავი არსებაა? აჰ, იგი რაღაც უფრო მაღალი ვინმეა! არ არსებობს ამქვეყნად მეტი მამაკაცი იმისთვის, ვისაც უყვარს: მისი მიჯნური – ეს ყველაფერია, დანარჩენი კი – არარაობა! მისი და შეყვარებულის გარდა არ არსებობს მამაკაცი და ქალი. ისინი როდი ავხორცობენ – მათ უყვართ; გული როდი ემორჩილება ნდომა-სურვილს – იგი მას განაგებს. იგი საარაკო საფარველით ჰბურავს მათ გიჟურ ლტოლვას. დიახ, სასირცხოა მხოლოდ გარყვნილება და მისი ტლანქი ენა. **ჭეშმარიტი სიყვარული მოკრძალებულია, ვერასოდეს გაბედავს ძალით მოიპოვოს კეთილგანწყობილება,** მორიდებით იტაცებს მას. საიდუმლო, დუმილი, გაუბედავი კდემამოსილება აძლიერებენ და ფარავენ მის სანეტარო განცხრომას. სიყვარულის ცეცხლი აკეთილშობილებს და წმენდს სატრფიალო ალერსსა და მისაყვარლებას; წესიერება და პატიოსანი მოქცევა თან ერთვიან მას თვით ავხორცული ნებივრობის წიაღშიც, და მხოლოდ მას შეუძლია ყველაფერი ეს შეუთავსოს მგზნებარე ნდომა-სურვილს ისე, რომ არ დაარღვიოს კდემამოსილება. აჰ, აბა ერთი ეს მიბრძანეთ, – თქვენ ხომ იგემეთ ჭეშმარიტი სიამენი, – ნუთუ ლირფი უტიფრობა შეუთავსდება სიყვარულს? ნუთუ ბოლოს არ მოუღებს მის აღფრთოვანებას, მთელ მის სიმშვენიერეს? ნუთუ არ შებღალავს უმწიკვლო ხატებს, რომელშიც ასე გვიყვარს ჩვენი სატრფიალო საგნის წარმოდგენა? მერწმუნეთ, ჩემო მეგობარო, სიყვარული და ავხორცობა ერთმანეთს ვერ იგუებენ და ერთი მეორეს ვერ შეენაცვლება. გული მაშინ იგემებს ნამდვილ ბედნიერებას, როცა ერთმანეთი გიყვარს და ბედნირების საბადლოდ ვერაფერს ჰპოებ, როცა სიყვარული გაფრინდება.

და, სამწუხაროდ, უკეთუ უშვერი სიტყვები ასე გაგიტკბათ, მაშინ როგორ ინებეთ და – ესოდენ შეუსაბამოდ – ამ სიტყვებით მიმართეთ მას, ვინაც ასე ძვირფასია თქვენთვის; როგორ იკადრეთ ასეთი კილო და საქციელი, რომელთა გაგონებაც კი სამარცხვინოა წესიერი ადამიანისათვის! რანაირად მოხდა, რომ ასე გსიამოვნებთ აწყენინოთ მას, ვინაც გიყვართ! აბა, ადამიანის ბუნებისათვის რა საზიზღარი სიამოვნებაა ილხენდეთ მეორე ადამიანის ტანჯვა-წამებით. მე დავკარგე ჩემს გარშემომყოფთაგან პატივისცემის უფლება და არ დამვიწყებია ეს, და თუკი უეცრად დავივიწყე კიდეც, თქვენგან როდი მმართებს ამის შეხსენება. განა ჩემმა თავლაფისდამსხმელმა კიდევ უფრო უნდა გააარჯლოს სასჯელი? მას მართებდა ნუგეში ეცა ჩემთვის. ყველასა აქვს უფლება ვძულდე, ოღონდ თქვენ კი არა. თქვენ ხომ ჩემი მოვალე ხართ და ჩემი შერცხვენის მიზეზი ბრძანდებით. ზღვათა შესართავი ცრემლი დავღვარე და გამოვიტირე ჩემი უმწეობა, და თქვენ როდი შეგფერით ასე უსულგულოდ მისი აღნიშვნა. მე არ ვეკუთვნი თავკერძა ადამიანთა რიცხვს.

ვაჰმე! სად მე და სად ისინი – კეთილგონიერებაც კი ვერ შევინარჩუნე. თქვენ ხომ კარგად იცით, უმადურო, რომ ჩემს სათუთ გულს არ ძალუძს უარი თქვას სიყვარულზე! ოღონდ უკეთუ იგი დათმობაზე წავა, მაინცდამაინც მარტოოდენ სიყვარულს დაემორჩილება. თქვენ თავადვე ისე კარგად მასწავლეთ სიყვარულის ენის გაგება, რომ სხვა ვერაფრით, მისთვის ესოდენ უცხოთი, ვეღარ შეცვლით მას. შეურაცხყოფა და ცემა-ტყეპა უფრო ნაკლებ შემაწუხებდა, ვიდრე ასეთი ალერსი და მოფერება. ან თავი ანებეთ ჟიულის, ანდა დაიმსახურეთ მისი პატივისცემა. უკვე მითქვამს თქვენთვის – ბიწიერ სიყვარულს არა ვცნობ-მეთქი. ძალიან მიმძიმს თქვენი სიყვარულის დაკარგვა, მაგრამ უფრო სამძიმოა ასე ძვირად მისი შენარჩუნება.

კიდევ რამდენი რამ შეიძლება ითქვას ამის გამო, მაგრამ დროა დავამთავრო ბარათი და ყველაფერი სხვა დროისთვის გადავდო. ხოლო ჯერჯერობით კარგად მოიფიქრეთ, რა ნაყოფი გამოიღო იმ ამბავმა, ესოდენ მცდარად რომ წარმოიდგენდით აღვირახსნილ ღრეობას. დარწმუნებული ვარ, თქვენი გული სრულიადაც არაა დამნაშავე, მაგრამ თქვენ შემუსრეთ ჩემი გული და არც კი იცოდით, რას სჩადიოდით! ისე, თითქოს თავშესაქცევრად, დაფლითეთ იგი. მისი აფორიაქება კი ძალზე ადვილია, და ყველაფრის მიმართ, რაც თქვენ გეხებათ, იგი გულგრილი ვერ იქნება.

LI წერილი

პასუხი

თქვენი წერილის თითოეული სტრიქონი ძარღვებში სისხლს მიყინავს: ბარე ოცჯერ გადავიკითხე ის და მაინც არ მჯერა, ჩემდამი რომაა მომართული. ეს როგორ მოხდა? განა მე, – დიახ, მე! – ვაწყენინე ჟიულის? შევბღალე მისი კრძალულება? შეურაცხყოფა მივაყენე მას, ვისაც განუწყვეტლივ ვეთაყვანები? არა და არა, ათასგზის განვიგმირავდი ჩემს გულს, მაგრამ ნებას არ მივცემდი ასეთი საშინელი განზრახვისათვის! ეჰა, რა ნაკლებად იცნობ ამ გულს, შენ რომ თავის კერპად გაქცია; გულს, რომელიც მზადაა ამოვარდეს ბუდიდან და განერთხოს შენს ფერხთა წინაშე; გულს, რომელიც ოცნებობს მოკრძალებით შემოგთავაზოს მარტოოდენ შენთვის ახალი, დანარჩენ მოკვდავთათვის არნახული სიყვარულის იადგარი! ოი, რა ცოტა რამ იცი ამ გულზე, ჩემო ჟიული, უკეთუ ბრალსა სდებ მას, თითქოსდა შენდამი იმ ჩვეული, საყოველდღეო პატივისცემითაც კი არ იყოს განმსჭვალული, როგორითაც ეპყრობა ყოველი უაღრესად უგვანი ადამიანი თავის ხასას! არ მჯერა, რომ ურცხვად და უხეშად ვიქცეოდი. ვერ ვიტან უხამს სიტყვებს და ჩემს დღეში არასოდეს ვყოფილვარ თავის გასართობ ადგილებში, სადაც შეიძლება ამ სიტყვების შესწავლა, და განაღა კეკლუცობით წარმოვთქვამდი მათ შენს წინაშე და გამოვიწვევდი შენს სამართლიან გულისწყრომას, მაშინაც კი, რომ ვყოფილიყავ უკანასკნელი არამზადა, ჩემი სიჭაბუკე გარყვნილებაში გამეტარებინა და სამარცხვინო სიამეთა მიდრეკილებით განმსჭვალოდა გული, სადაც შენ მეფობ? ო, მითხარ, ჟიული, ცისიერო ანგელოზო, მითხარი, ნუთუ მაშინაც შევიძლებდი შენს წინაშე თავხედურ მოქცევას, ვითარც კადრულობენ ამ თავხედობას დახარბებულ ქალთა საზოგადოებაში გაჩვეული ადამიანები? ო, არა, – ეს შეუძლებელია! მარტოოდენ ერთი შენი გამოხედვა დამიდუმებდა ენას და განმისპეტაკებდა გულს; სიყვარული დააშოშმინებდა ჩემს მგზნებარე ნდომა-სურვილს, მომხიბლავდა შენი კდემამოსილებით და დააოკებდა მას, და სულთა ჩვენთა საამური ერთიანობით მათი სიხარული და აღმაფრენა მოგვგვრიდა თავდავიწყებას. მაშ, შენ მოგიხმობ მოწმედ. მარქვი, განა მე, გაშმაგებულ ვნებათა ლტოლვისას, თუნდ ერთი წუთითაც კი ვივიწყებდი მის მშვენიერ მიზეზს? ჩემი მგზნებარე სიყვარულის სამუქფოდ

ღირსეული ჯილდო მივიღე. მაგრამ მითხარი, განა ბოროტად გამოვიყენე ჩემი ბედნიერება და შევურაცხყავი შენი სათუთი მოკრძალება? უკეთუ ჩემი ცეცხლმდებარე და მფრთხალი სიყვარული ხანდახან შემაგულიანებდა, მოკრძალებით შევხებოდი შენს მოხდენილ ტანს – მაშინ მითხარი, თუნდაც ერთხელ გამიბედავს კი ამ წმიდათაწმიდის ტლანქად და თავხედურად შებღალვა? ხოლო უკეთუ მიჯნურობის ვნება ესოდენ გაკადნიერდება, რომ წუთით ჩამოგხდის სამოსელს, მაშინ განა სათუთი მოკრძალება უმალვე თავისი სამოსით არ შეცვლის მას? და ამ ღვთითკურთხეულ ტანსამოსელს ერთი წუთითაც არ დაკარგავდი, მაშინაც კი, სულ დედიშობილა რომ დარჩენილიყავი. იგი უმწიკვლოა, ვითარცა შენი სათნო სული და მას ვერავითარ ზიანს ვერ მიაყენებდნენ ჩემი აღტყინებული გულისთქმანი. განა ესოდენ სასიამო და განსაცხრომელი კავშირი არ გვანიჭებს ჩვენ სრულ ნეტარებას? არ შეადგენს მთელი ცხოვრების ბედნიერებას? გვაქვს თუ არა სხვა სიხარული გარდა იმისა, რასაც მოგვმადლებს სიყვარული? ანკი რად გვინდა სხვა რამ სიამენი? ნუთუ იმასა ფიქრობ, რომ ვისურვე ამ მომხიბვლელობის იავარყოფა? განა შესაძლებელია, უცაბედად დავივიწყოთ წესიერება, ჩვენი სიყვარული, ჩემი ღირსება, ის ურყევი მოკრძალებული პატივისცემა, რომლითაც მოგეპყრობოდი მუდამჟამს, მაშინაც კი, რომ არ გაღმერთებდე! არა, არ დაიჯერო ეს. შენთვის შეურაცხყოფა არ მომიყენებია. მე ხომ არაფერი მახსოვს. ხოლო ერთი წუთით რომ რაიმე დამეშავებინა, ნუთუ სინდისის ქენჯნა მთელ სიცოცხლეში არ გამტანჯავდა! არა, ჟიული, ეს მაცდურ ეშმაკს შეშურდა ერთი მოკვდავთაგანის მეტისმეტად ბედნიერი ხვედრი და მიიღო ჩემი სახე, რათა იავარეყო ჩემი ბედნიერება, მაგრამ დამიტოვა გული, უფროისად უბედური რომ გავეხადე.

ზიზღით აღსავსე, ხელს ვიღებ დანაშაულებრივ საქმეთაგან, უთუოდ რომ ჩამიდენია, რადგან ეს შენ დამწამე, ოღონდ უნებლიეთ კი ჩავიდინე. რა საძაგლობაა ჩემთვის ქეიფის დროს დამღუპველი წრესგადასული ღრეობა – ასე მეგონა, იგი ხელს უწყობს გულისნადების გამჟღავნებას-მეთქი. მაგრამ არა, მან სასტიკად ლაფში ამოსვარა გული ჩემი! გეფიცები, დღეის ამას იქით სამიდღეშიოდ ხელს აღვაღებ ღვინოს, როგორც მომაკვდინებელ სამსალას. ამიერიდან ეს საშინელი სასმელი ვერასოდეს შეაძრწუნებს ჩემს გრძნობებს, ვერ შებღალავს ჩემს ბაგეთ, ღვინო ვერასოდეს წარმტაცებს გონს და ვერ ჩამადენინებს უნებლიე ცოდვას. სიყვარულო, დამსაჯე საკადრისად, თუ ფიცი გავტეხო: დაე, უმალ ჟიულის სახემ დაუტევოს გული ჩემი და ადგილი დაუთმოს უნდილ უიმედობას.

არ იფიქრო, ვითომც ვცდილობდე ჩემი ცოდვების მონანიებას ასეთი იოლი სასჯელით. ეს მხოლოდ და მხოლოდ გაფრთხილებაა და არა სასჯელი – ღირსეულ სასჯელს შენგან მოველი. გემუდარები ამას, მარტოოდენ მას შეუძლია ჩემი შეჭირვების შემსუბუქება. დაე, შეურაცხყოფილმა სიყვარულმა შური იძიოს და დაშოშმინდეს. დამსაჯე, ოღონდ ნუ მომიძულებ, და ყოველივეს უდრტვინველად ავიტან. იყავ სამართლიანი და მკაცრი, ასეა საჭირო, და ამას მეც დასტურს დავცემ. მაგრამ უკეთუ არა გსურს წარმტაცო თვით სიცოცხლე, მაშინ წამართვი ყველაფერი, ოღონდ შენი გული კი შემინარჩუნე.

LII წერილი
ჟიულისაგან

ეს რა გაივლე გულში, ჩემო მეგობარო, გსურს თავი ანებო ღვინის სმას სატრფოს გულისთვის! აი მესმის მსხვერპლი! ო, ნაძლევსა ვდებ, ყველა ოთხ კანტონში ვერ იპოვით

ესოდენ გულფიცხელ მიჯნურს! იმას როდი ვამბობ, რომ ჩვენს ყმაწვილკაცთა შორის არ არიან გაფრანგებული პეწენიკები, ღვინის მაგივრად წყალს რომ სვამენ, მაგრამ ეს მედიდურობით მოსდით. შენ კი პირველი ხარ, ვისაც სიყვარულმა ააღებინა ღვინოზე ხელი. ასეთი მაგალითი შვეიცარიის მატიანეებში მოხსენიების ღირსია. შენი საქციელი უკვე ცნობილია ჩემთვის. უდიდესი განცვიფრებით შევიტყვე, რომ გუშინ, ბატონ ვეიერანთან ვახშმობისას, როცა პურის ჭამის შემდეგ ხელჩართული სმის დროს ყველამ დასცალა ექვსი ბოთლი ღვინო, შენ ტუჩიც კი არ დაგიკარებია მისთვის და იმდენივე წყალი შეგისვამს, რამდენიც სხვებს ჟენევის ტბის პირას დაწურული ბადაგი. მაგრამ ეს მონანიების გუნება-განწყობილება უკვე სამი დღეა გრძელდება, მას შემდეგ, რაც ბარათი მოგწერე, ხოლო სამი დღე, მაინცდამაინც, სამ ტაბლობას ნიშნავს. ამრიგად, შენ სუფრასთან ექვსჯერ თავს იკავებდი ღვინის სმისაგან ჩემი სიყვარულით, ამას დაუმატე კიდევ ექვსიც – შიშის გამო, და კიდევ ექვსი – სირცხვილის გამო, და კვალად ექვსი – უკვე ჩვეულებისამებრ, და კვლავ ექვსი – სიჯიუტით. რამდენი მიზეზის გამონახვა შეიძლება იმისათვის, რომ სულ უფრო და უფრო ატარო თვითაღკვეთის მძიმე ტვირთი, თითქოსდა სიყვარულის გულისთვის, – მაგრამ საკითხავია, ინებებს თუ არა ეგ სიყვარული მიიღოს ის, რაც კაცმა რომ თქვას, მას არც კი ეკუთვნის?

მაგრამ მე კიდევ უფრო თავშეუკავებლად წარმოვთქვამ ჩემს ტლანქ ხუმრობას, ვიდრე შენ შენს უშვერ სიტყვებს. დროა, პირი დავიდუმოთ. შენ ბუნებით სერიოზული ადამიანი ხარ. მე შევამჩნიე, ხანგრძლივი ლაყბობა ისევე რომ გწყენს, როგორც ბღენძ კაცს კაი ხნით გასეირნება. სამაგიეროდ, მოვიფიქრე შენთვის შურისგება იმის მსგავსად, ანრი მეოთხემ მაიენის ჰერცოგს რომ მიაგო: შენს მბრძანებელს სურს მოწყალებაში მიბაძოს ყველაზე უკეთეს მეფეს. თანაც მეშინია, ყველა შენი დრტვინვის და ბოდიშის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, ვაითუ დამსახურებად ჩაითვალო ესოდენ არხეინად მონანიებული შენი დანაშაული; და აი ამიტომაც ვცდილობ, ახლავე დავივიწყო იგი იმის შიშით, ხელიდან თუ გავუსვი დრო და მარჯვე შემთხვევა, ასეთი სულგრძელობა უკვე უმადურებად არ მექცეს-მეთქი!

რაც შეეხება შენს გადაწყვეტილებას, სამუდამოდ თავი ანებო ღვნის სმას, ეს, ჩემი აზრით, არც ისეთი სამაგალითო საქმეა, როგორც შენა გგონია. მძაფრ ვნებებს რა ესაქმებათ ასეთ უმნიშვნელო მსხვერპლთან, და სიყვარული როდი საზრდოობს თავაზიანობით. თანაც, მაგ საქმეში გამბედაობაზე მეტი ეშმაკობა მოჩანს, რაკი მოგისურვებია დღესვე ამოიგო სარგებელი ხვალის ანგარიშში და განგიზრახავს წინასწარ მიიღო ჯილდო სამუდამო თავდაჭერილობისათვის, და მერე, ვინ იცის, იქნებ კვლავ ღვინის სმას მიჰყო ხელი. ეჰ, მოყვარეო, ნუთუ ყველაფერში, რაც აამებს ჩვენს სხეულს, სიჭარბე და სიამოვნება განუყრელნი არიან? თანაც, განა ღვინით უგონოდ უნდა დათვრე, ან ფილოსოფია ისე უვარგისია და ისე მკაცრი, რომ ვეღარ გვასწავლოს – სიამოვნებაზე მთლად ხელის აღებას სჯობს, ზომა იცოდეთო ყველაფერში!

უკეთუ შეასრულებ შენს დაპირებას, მაშინ მოგაკლდება უცოდველი სიამენი და ცხოვრების ნირის მკვეთრად შეცვლით ზიანს მიაყენებ კიდეც შენს ჯანმრთელობას. თუ გასტეხ სიტყვას, მაშინ სიყვარულს განმეორებით მიაგებ შეურაცხყოფას, მასთან შეიბღალება შენი ღირსებაც. ვსარგებლობ ჩემი უფლებებით და არათუ განთავისუფლებ ჩემთან შეუთანხმებლად მოცემული შენი უგვანი დაპირებისაგან, არამედ გიკრძალავ კიდეც მის დაცვას ჩემს მიერ დათქმული დღის შემდეგ. სამშაბათს მილორდი ედუარდი ჩვენსას კონცერტს მართავს. ვახშმობისას გამოგიგზავნი ანკარა და მარგებელი ნექტრით შუამდე სავსე სირჩას, დასცალე იგი ჩემს დასანახად და ჩემი ნება-სურვილით მოსანანიებელი მსხვერპლის რამდენიმე წვეთი გრაციებს მიუძღვენ, – მე ასე მსურს. და ამის შემდეგ ჩემი მომნანიებელი ცოდვილი დაუბრუნდება ღვინის ზომიერად სმის

ჩვეულებას და განაზავებს მას ანკარა წყაროს წყლით, – როგორც ამბობს შენი კეთილი პლუტარქე: ბახუსის სიფიცხე ფერიათა სიახლოვით დაოკდესო.

მართლა, სამშაბათს რომ კონცერტია, იმის თაობაზე: უჭკუო რეჯანინომ დაიჟინა, თითქოს მასთან ერთად იტალიური არიისა და თვით დუეტის მღერაც კი შემეძლოს. მას სურდა დუეტი შენთან ერთად მემღერა, მოეპრიანა თავისი ორივე მოწაფის გამოყვანა საჯაროდ. მაგრამ დუეტში არის რაღაც ben mio-ს[29] მსგავსი სახიფათო სიტყვები, შეუძლებელია მათი წარმოთქმა დედაჩემის გასაგონად, უკეთუ ენას გული ბანს აძლევს. გადავდოთ ეს საქმე პირველსავე კონცერტამდე «განუყრელთან». მე ალბათ იმიტომ მეადვილება ჩავწვდე იტალიურ მუსიკას, რომ ჩემმა ძმამ მაზიარა იტალიურ პოეზიას და მეც ბევრი ვისაუბრე მასზე შენთან, ადვილად ვგრძნობ ლექსთა რიტმს და, რეჯანინოს სიტყვით, გვარიანად ვხვდები ინტონაციასაც. ყოველ გაკვეთილს ვიწყებ ტასოს ოქტავებისა ანდა მეტასტაზიოს რამდენიმე სცენის წაკითხვით. შემდეგ იგი მაიძულებს რეჩიტატივის შესრულებას, მასთან, თვითონვე ვარ ჩემივე თავის აკომპანიატორი და სულ ასე მგონია, თითქოს განვაგრძობდე დეკლამირებას ანდა ხმამაღალ კითხვას, რაც, რასაკვირველია, არ მემართებოდა, როცა ფრანგულ რეჩიტატივებს ვასრულებდი.

ამის შემდეგ ვვარჯიშობ თანაბარი და ზუსტი ჟღერადობისას სათვალავის დაცვით. ამ სავარჯიშოებს ძნელად ვითვისებ: მე ხომ გამყივან ბგერებსა ვარ მიჩვეული, და ბოლოს, გადავდივართ არიებზე: აქ კი საცნაური ხდება, რომ ხმათა სისწორე და მოქნილობა, პათეტიკური გამომსახველობა, ბგერის გაძლიერება და ყველა პასაჟი სიმღერის ნარნარი მანერისა და რიტმის სიზუსტის ბუნებრივი შედეგია. ამრიგად, ის, რაც ერთობ ძნელი მისაღწევი მეგონა, სრულიადაც არ საჭიროებს შესწავლას. მელოდიის ხასიათი ისე ახლოსაა ენის ინტონაციასთან და მოდულაციის ისეთ სინატიფეს შეიცავს, რომ მხოლოდ უნდა უსმინო ბანის ბგერებს და იცოდე ენა, რათა ადვილად ჩასწვდე აზრს. მელოდიაში ყოველი ვნება მკაფიოდ და ძალუმადაა გამოხატული. გულის გამაწვრილებელი და მოსაბეზრებელი ფრანგული მანერით სიმღერის საპირისპიროდ – იტალიური მანერით მუსიკობა მუდამჟამს ნარნარია და ადვილი, იგი ახალისებს კაცის გულს, ბევრ რამეს ეუბნება მას, ხოლო დიდ ძალ-ღონეს არ მოითხოვს. ერთი სიტყვით, ვგრძნობ, რომ ეს მუსიკა სულს მიფორიაქებს, მაგრამ სულთქმას არ მიხუთავს, ეს სჭირია ჩემს გულსა და ჩემს ფილტვებს. მაშ, სამშაბათამდე, ჩემო მეგობარო და დამრიგებელო, ჩემო მომნანიებელო ცოდვილო, ჩემო მოქადაგევ. ჰოიმე, – ნეტავი მართლაც ჩემი იყო! რატომ გაკლია ეს ერთი წოდება, თუმცაღა ყველა უფლება გაქვს ამისათვის?

P. S. იცი თუ არა, მოგვეპრიანა გავერთოთ და გავისეირნოთ ტბაზე, როგორც მაშინ, ორი წლის წინათ, საბრალო შაიოსთან ერთად! რა მიამიტი იყო იმ ხანებში ჩემი მაცდური მასწავლებელი! როგორ ძრწოდა, როცა ნავიდან გადმოსვლისას ხელს მიწვდიდა დასახმარებლად! აჰ, ის თითლიბაზი, ისა!.. მას მოღმა ძალზე შეიცვალა.

LIII წერილი
ჟიულისაგან

მაშ ასე, საქმეთა ვითარება მთლად ფუშავს ყველა ჩვენს განაზრახს, გვიცრუებს ყველა მოლოდინს, აშთობს მგზნებარე ვნების ცეცხლს, ხოლო ისე ჩანდა, თავად ზენაარსს უნდა დაეგვირგვინებინა იგი. ჩვენა ვართ ბრმა ბედისწერის საცოდავი თოჯინები, მაცდური იმედის უიღბლო მსხვერპლნი. ვერასოდეს მოვიპოვებთ სიამეს, ასე რომ

[29] ჩემო საუნჯევ (იტალ.).

გაგვირბის და მარად გვხიბლავს და გვიხმობს. ქორწილი, ამაოდ რომ ვოცნებობდით, კლარანში უნდა გადაეხადათ, მაგრამ ყველაფერს ავდარმა შეუშალა ხელი და ახლა ქალაქში გამართავენ. ქორწილის დროს მე და შენ სადმე მყუდრო ადგილს განაპირებას ვფიქრობდით. ახლა კი მეტი სიფრთხილე გვმართებს: ჩვენ ხომ კვალდაკვალ დაგვდევენ აბეზარი მსტოვრები და ორივენი ერთად მათ თვალებს ვერ დავემალებით, – უკეთუ ერთ-ერთ ჩვენგანს ბედი გაუღიმებს და შეუმჩნევლად გაიპარება, მეორე ვეღარ მოახერხებს უკან გაყოლას. ხოლო, და ბოლოს, ვინიცობაა მოხდა მარჯვე შემთხვევა, როდი უნდა ვისარგებლოთ ამით – ყველაფერს წაახდენს მკაცრი და უგულო დედაჩემი, და ორი უიღბლო ადამიანის გაბედნიერების ნაცვლად ეს წუთი მათი დამღუპველი იქნება. მაგრამ სიძნელეები ვერ დამაბრკოლებს, ის კი არადა, უფრო მეტადაც შემაგულიანებს. რაღაც ახალი იდუმალი ძალა მაფრთოვანებს მე. მერწმუნე, ვგრძნობ წინათ განუცდელ გამბედაობას. და თუკი შენც განიმსჭვალები ამ გამბედაობით დღეს საღამოს, მაშინ დღესვე მეც უთუოდ შეგისრულებ ყველა დანაპირს და ერთბაშად გადაგიხდი სიყვარულის ვალს.

ყველაფერი კარგად მოიფიქრე, ჩემო მეგობარო, და გადაწყვიტე, თუ რაოდენ ძვირად გიღირს სიცოცხლე. შესაძლოა, ჩემგან შემოთავაზებულმა ხერხმა სიცოცხლე მოგვისწრაფოს. თუკი გეშინია ამისი, წაუკითხავად გადააგდე ბარათი, და თუკი დაშნის წვერს არ შეუდრკება შენი გული, – წინათ ხომ მას მეიერის უფსკრულებიც კი ვერ აშინებდა, – მაშინ ჩემი გულიც არ ათრთოლდება და იმავე საფრთხეს მისცემს თავს. მაშ, კარგად მისმინე.

ბაბი ჩვეულებრივ ჩემს საწოლ ოთახში ათევს ღამეს, მაგრამ აგერ სამი დღეა, უქეიფოდ არის, და თუმცა, დიაღაც კი მინდოდა მისი მოვლა, ჩემს ჯიბრზე მეორე ოთახში გადაიყვანეს. ახლა მომჯობინდა და, როგორც ჩანს, ხვალ კვლავ ჩემთან გაათევს ღამეს. ის ოთახი, სადაც სასადილოდ ვიკრიბებით, მე და დედაჩემის ოთახებთან გამავალი კიბის მოშორებით მდებარეობს. ვახშმობისას მთელი სახლი უკაცრიელია, მხოლოდ სამზარეულოსა და სასადილო ოთახშია ხალხმრავლობა, და ბოლოს, ახლა ადრე ბინდდება და სიბნელეში გამვლელი ადვილად დააღწევს თავს არასასურველ შეხვედრას, თანაც შენ ხომ კარგად იცნობ სახლის ყველა ბინადარს.

მაშ ასე, შენთვის ყველაფერი გასაგებია. დღეს ნაშუადღევს მოდი ფანშონთან, დანარჩენს ყველაფერს აგიხსნი და საჭირო დარიგებებსაც მოგცემ და თუ არაფერი აღარ მოხერხდება, ყოველივეს მოგწერ და ბარათს დავტოვებ ჩვენს წინანდელ ფარულ ადგილას, სადაც ჩემი მითითები იპოვი ამ წერილსაც, – ის ხომ ისეთი მნიშვნელოვანია, რომ ვერ გავბედავ ვინმეს ვანდო.

ჰოი, ვგრძნობ, როგორ გიფანცქალებს გული! როგორ ვხვდები შენს აღტაცებას და სულითა და გულით ვიზიარებ მას! არა, ჩემო სასურველო, არა, ჩვენ ისე არ გამოვეთხოვებით ამ სწრაფწარმავალ საწუთროს, თუნდაც წუთიერი ბედნიერებით არ ვიამოთ. ოღონდ გახსოვდეს, ბედნიერების წუთს დაემუქრება სიკვდილის საშინელი საფრთხე. გახსოვდეს, უამრავი ფათერაკი ჩაგვსაფრებია ბედნიერებისკენ სავალ გზაზე, სიამეთა სავანე სავსეა ხიფათითა და ვაი-ვაგლახით. თუ გაგვიგებენ, დავიღუპებით და მხოლოდ და მხოლოდ ძალზე მარჯვე და ხელსაყრელ ვითარებაში გადავურჩებით ამ დაღუპვას. თავს ნუ მოვიტყუებთ: ძალიან კარგად ვიცნობ მამაჩემს და ეჭვი არ მეპარება, მყისვე განგგმირავს, იქნება კიდეც ჯერ მე მომიღოს ბოლო, ვინაიდან ცხადია, არც მე დამინდობს. ხომ არ გგონია, ასეთ ხიფათს ჰაიჰარად გადაგკიდებ, შენთან ერთად მისი გაზიარება რომ არ მჯეროდეს?

კვალად ისიც გახსოვდეს, რომ ვაჟკაცობის გამოჩენა არ მოგიხდება. ეს ფიქრადაც არ გაივლო გულში. სასტიკად გიკრძალავ თავდაცვის იარაღის, თვით დაშნის წამოღებასაც კი. სრულიადაც არაა საჭირო, რადგან აი, რა მოვიფიქრე: თუკი ერთად შეგვისწრებენ, მყისვე

გულში ჩაგეკონები, ხელებს მაგრად მოგხვევ და სასიკვდილო ლახვარს ვიგემებ, რათა არასოდეს დაგშორდე სამუდამოდ, და სიკვდილის ჟამსაც ისე ბედნიერი ვიქნები, როგორც არასოდეს ვყოფილვარ ჩემს სიცოცხლეში.

მაგრამ იმედი მაქვს, უფრო ბედნიერი ხვედრი გვიწერია – მაინცდამაინც, ვგრძნობ, ამის ღირსნი რომ ვართ. კაცმა რომ თქვას, ბედისწერას მობეზრდება ამდენი უსამართლობა და მოწყალე თვალით გადმოგვხედავს. მაშ, მოვედ ჩემდა, სულო ჩემი სულისა, ჩემი სიცოცხლის სიცოცხლევ, მოვედ და შევაერთოთ სულნი ჩვენნი. მოვედ ჩემდა, და დაგიფაროსცა შენ სათუთმა სიყვარულმა, მიიღე ჯილდო შენი მსხვერპლისა და მორჩილებისათვის. მოვედ, და თვით სიამტკბილობის ჟამს აღიარებ, გულთა კავშირი ენითუთქმელ სიმშვენიერეს რომ ანიჭებს მას.

LIV წერილი
ჟიულისადმი

აჰა, მოვედი, აფორიაქებული და მღელვარე, – და კიდევ უფრორე აძგერდა გული, ოდეს ფეხი შემოვდგი სიყვარულის სავანეში. და აი, შენს სანთიობოში ვიმყოფები, ჟიული, აი, იმ ადამიანის წმიდათაწმიდა ადგილას მოველ, ვისაც სულითა და გულით ვეთაყვანები. სიყვარულის ლამპარი მზისაებრ მინათებდა გზას და მეც შეუმჩნევლად შემოვიპარე. ო, რა წარმტაცი კუთხეა, რა სანეტარო, მოწამე წარსული ჟამის, როცა აქ გვატკბობდა კრძალვით მაცქერალ თვალთა ჟუჟუნი და ჩაგვესმოდა ვნებააშლილი, დაოკებული ოხვრანი გულისა. აკი ნახეღა, ვითარის გზნებით შთაისახა და გაიფურჩქნა ჩემი ცხოველი ტრფიალება, ხოლო ერთხელ კიდევ დაინახავ, თუ რაგვარი ჯილდო მიენიჭა მას. ჩემი სამარადჟამო ერთგულების მოწამევ, იყავნ ჩემივე ნეტარების მოწამეც და სამუდამოდ დაუმალე სხვებს მოკვდავთა შორის უერთგულესისა და უბედნიერესი ადამიანის აღტაცება და სიხარული!

რა მშვენიერია ეს განმარტოებული სამყოფელი. აქ ყოველივე განაცხრობს და ანებივრებს ჩემი სულის ამფორიაქებელ ვნებას. ო, ჟიული, აქ ყველაფერი შენს თავს მაგონებს და სურვილთა ჩემთა სახმილი ჰბუგავს ყოველივეს, რაც შენ გეკუთვნის. ჩემი გრძნობები დამათრობელი ბანგითაა მოცული. აქ მიმოფრქვეულია რაღაც უხილავი ინანთი – იგი ვარდის სურნელზე უნაზესია და ზამბახის სუნზე უფრო ტკბილი. აქ სულ შენი ალერსიანი ხმა ჩამესმის ყურში. იქა-აქ მიმოყრილია შენი სამოსი და ფიცხ წარმოსახვას ისე ეჩვენება, თითქოს ისინი გიფარავენ ჩემს თვალთა მზერიდან. აი, ჰაეროვანი ჩაჩი, – როგორ ამკობს მას შენი სქელი ქერა თმა, რომლის დაფარვასაც ლამობს იგი. აგერ ბედსვიანი ხილაბანდი, მხოლოდ ამ ერთხელ არ დავუწყებ მას ყვედრებას. აი, პატრონის გემოვნებით შეკერილი საუცხოო, უბრალო, საშინაო დილის ხალათი, პაწაწინა მაშიები, – ასე ადვილად რომ მოერგება შენს კოხტა ფეფებს. ესეც კიდევ ზონარშეხსნილი კორსეტი – იგი ეხება, იგი იხუტებს... საარაკო წერწეტა ტანს... ორ ნებიერ კოკობ ძუძუ-მკერდს... რა მომხიბვლელი ოცნებაა... ვეშაპის ძვალი ინარჩუნებს ნაჭდევს... თავბრუდამხვევნო ნატვიფარნო, გეამბორებით! ო, ღმერთო, ღმერთო, რა დამემართება, როდესაც... აჰ, ასე მეჩვენება, თითქოს ჩემი ბედნიერი ხელი უკვე გრძნობს შენი სათუთი გულის ძგერას. ჟიული, ჩემო მშვენიერო ჟიული! მე გხედავ შენ, განგიცდი ყველგან, გყნოსავ იმ ჰაერთან ერთად, შენ რომ სუნთქავ. შენ იჭრები მთელი ჩემი არსების სიღრმეში. როგორ აღმაგზნებს და შემაჭირვებს შენი სანთიობოს მარტოოდენ ერთი თვალის შევლება. არა და არა, გული მიღონდება მოუთმენლობით, მეტისმეტად ვიტანჯები. ო, მაშ მოვედ ჩემდა, მომიფრინდი, თორემ დავიღუპები.

ჩემდა საბედნიეროდ, ვიპოვე მელანი და ქაღალდი. გაცნობებ ყოველივეს, რაც კი ხდება ჩემს გარეშემო, რათა დავიოკო აბობოქრებული გრძნობანი – ვნებათაღელვის აღტყინების აღწერით გაშმაგებული სულ სხვა გზით წავმართავ მას.

რაღაც ხმაური მომეჩვენა. ვაითუ უეცრად უსულგულო მამაშენი შემოვიდეს? მერწმუნე, მხდალი როდი ვარ. ოღონდ რა საშინელებაა ახლა სიკვდილი! ჩემი სასოწარკვეთა ისევე ძლიერი იქნებოდა, როგორც ჩემი აღტყინებული ვნებათღელვა. ოი, ზეცავ, მაჩუქე თუნდაც ერთი საათის სიცოცხლე, ჩემდა დღეთა დანაშთენს შენს ნება-სურვილს მივანდობ. ოი, მგზნებარე გულისთქმავ! ოი, მღელვარებავ! ოი, მწველო თრთოლა-კანკალო! ვიღაც კარს აღებს!.. ვიღაც შემოდის!.. ის არის, ისა... ჟიული!.. ვაცქერდები, ვხედავ მას, მესმის, როგორ დაიხურა კარი. გულო ჩემო, ჩემო საბრალო გულო, ძალ-ღონე მიგეხადა მძაფრი მღელვარებისგან. ოი, გამაგრდი, თორემ ვეღარ გავუძლებ ამ ნეტარებას!

LV წერილი
ჟიულისადმი

ოჰ, სული დავლიოთ, ჩემო სათნო მეგობარო, სჯობს მოვწყდეთ ამ წუთისოფელს, სიყვარულო ჩემი გულისა! აბა, რად გვინდა ამიერიდან ჩვენი მოძულებული სიყმაწვილე – ჩვენ ხომ განვიცადეთ მისი ყოველგვარი სიტკბო-სიამე. ამიხსენი, უკეთუ ძალგიძს, რა გადავიტანე იმ საარაკო ღამეს, დამეხმარე, გავიგო ყოველივე ის, რაც განვიცადე, ანუ ნება მიბოძე, გამოვესალმო ამ სიცოცხლეს, რამეთუ მან დაკარგა მთელი ის სიმშვენიერე, რომლითაც ვისიამტკბილე შენთან ერთად. მე ვითვრებოდი სიყვარულის ლხენა-სიამით, მეგონა კი, ბედნიერებას ვეწიე-მეთქი. ჰოი, მხოლოდ ფუჭი ოცნებით ვიყავი გატაცებული და რაღაც ამაო ბედნიერებას მიველტვოდი. ხორციელი გულისთქმანი აცდუნებდნენ ჩემს გატლანქებულ სულს. მარტოოდენ მათ გამო ვეძიებდი უაღრეს ნეტარებას, მაგრამ გულისხმავყავ, რომ როგორც კი ვიგემე ავხორცული სიამენი, უმალ გულს ეწია სულიერი ლხენა და შვება. ოი, ბუნების საკვირველებავ! ღვთისნიერო ჟიული! რა შეედრება იმ ნეტარებას – ვფლობდე შენს გულს, ამასთან შედარებით იჩრდილება ყველაზე მგზნებარე სიყვარულის სიამენი. არა, ის კი არ მაღონებს, რომ ვეღარ განვიცდი ამ სიამეთ! ო, არა! მომაკელ, თუ ეს საჭიროა, დამათრობელი ალერსი, რისთვისაც ათასგზის არ დავიშურებდი სიცოცხლეს, ოღონდ ნება დამრთე კვლავ ვისიამტკბილო იმით, რაც ათასკეცად დიადია და აღემატება მას. დასტური დამეც, კვალად ვილხენდე სულთა იმ ჯუფთობით, რასაც მიქადებდი და უფლებას მაძლევდი, მეგემნა იგი. ნება მიბოძე, კვალად და კვალად დავტკბე სულისწამღები განცხრომით, ჩვენთა გულისნადებთა გამომჟღავნებით. ნება მიბოძე, ერთხელ კიდევ ვისიამოვნო დამატკბობელი ძილით, თავი რომ მივეც შენს მკერდს ჩახუტებულმა. ნება მიბოძე, ხელახლა განვსცხრებოდე კიდევ უფრო საამური გამოღვიძებითა და ჩვენი ხამუშ-ხამუში სულთქმა-ხვნეშით, ვიშვებდე სიხარულის ცრემლთა დენითა და ხვევნა-კოცნით სანეტარო განცხრომის ჟამს და მშვიდი აღმოკვნესით, შენს ბაგეთ რომ აღმოხდებოდათ, როცა მაგრად ჩახუტებისას გული შენი ეკონებოდა მასთან შესაერთებლად შექმნილ მეორე გულს.

მითხარ, ჟიული, – შენ ხომ ისე მგრძნობიარე ხარ, რომ კარგად ძალგიძს სხვათა გრძნობების განსჯა, – აბა, როგორ ფიქრობ, ნუთუ დასტურ სიყვარული იყოს ის, რასაც წინათ ვგრძნობდი? მერწმუნე, გუშინდელი დღის მოღმა ჩემმა გრძნობებმა ფერი იცვალეს. თავად ვერ გამიგია, მაგრამ ისინი არც ისე მგზნებარენი არიან; სამაგიეროდ, უფრო სათუთნი, სასიხარულონი და ჯადოსნურნი გახდნენ. გახსოვს თუ არა ის საათი, ჩვენი

სიყვარულისა და ჩვენი ბუნდოვანი და საშინელი მომავლის გამო წყნარ საუბარში რომ გავატარეთ, მომავლისა, რომელიც გვაიძულებდა კიდევ უფრო ცხოვლად შეგვეგრძნო დღევანდელი დღე? გაგონდება თუ არა ის, ვაი ჩემდა, სწრაფმდინარი, ოდნავი სევდა-კაეშნით მოსილი ჟამი, რაღაც ესოდენ მღლვარებას რომ ანიჭებდა ჩვენს საუბარს? მე მშვიდად ვიყავი, თუმცა შენს გვერდით კი ვიდექი. გაღმერთებდი, მაგრამ მეტი აღარაფერი მსურდა. ვერც კი წარმომედგინა რაიმე სხვაგვარი, უდიადესი ნეტარება, ოღონდ შენი სახე, აი ასე, სამუდამოდ მოჰკვროდა ჩემს სახეს, ოღონდ სულ ასე მეგრძნო შენი სუნთქვა ჩემს ლოყაზე, ოღონდაც ხელი შენი შემოხვეოდა ჩემს კისერს. ყველა გრძნობათა რა დაოკება იყო ეს! ან რა ფაქიზი, ხანგრძლივი და უკიდეგანო ნეტარება! მოჯადოებული სული იშვებდა და განსცხრებოდა, – მეგონა, თითქოს ასე იქნება მარადჟამს და ასე დარჩება კიდეც სამიდღეშიოდ-მეთქი. ვერა, გაშმაგებულ ვნებათა ღელვას ვერ შევადარებ ამ სულიერ სიმშვიდესთან. ჩემს სიცოცხლეში პირველად განვიცადე იგი შენს მახლობლად ყოფნისას, ოღონდ თავად დადე მსჯავრი იმ უცნაურ ცვლილებას, რომელსაც განვიცდი: ამაზე უფრო ბედნიერი ჟამი ჯერ არ ყოფილა ჩემს სიცოცხლეში და ვისურვებდი, სამარადისოდ გაგრძელდეს ეს ჟამი![30] მაშ მარქვი, ჟიული, ნუთუ წინათ არ მიყვარდი? თუ ახლა აღარ მიყვარხარ?

როგორ თუ არ მიყვარხარ? ეს რა ეჭვები აღმეძრა? და განა უკვე აღარ ვარსებობ? თუ სიცოცხლე ჩემი ისე ვერ შეთვისებია შენს გულს, როგორადაც ჩემსას? ვგრძნობ, – დიახ, მე ვგრძნობ, – ჩემთვის ათასწილად ძვირფასი რომ გახდი. ღონემიხდილი ახალი სულიერი ძალ-ღონით აღვიჭურვე და ბევრად უფრო ნაზი სიყვარული ვიგრძენ შენდამი. მართალია, ჩემი გრძნობები უფრო დაშოშმინდა, სამაგიეროდ, კიდევ მეტად გაღრმავდა და მრავალფეროვანი გახდა. გრძნობები როდი მომიდუნდნენ, პირიქით, გადიდდნენ და გაიზარდნენ. მშვიდი მეგობრული თანაგრძნობა ანელებს ვნებათა სიფიცხეს და მართლაც, არ არსებობს ისეთი სულიერი კავშირი, რომელიც არ შეგვაერთებდა მე და შენ ამჟამად, ო, ჩემო სათნო ნანდაურო, ო, ჩემო მეუღლევ, დაო, საყვარელო ჩემო მეგობარო! ჩემთან გრძნობათა რა უმნიშვნელო წილი გამოვთქვი მე, როცა ჩამოვთვალე მამაკაცის გულისთვის ეს ყველაზე ძვირფასი სახელები!

გამოგიტყდები, ჩემდა სამარცხვინოდ და დასამცრობად, ეჭვი აღმეძრა: იქნებ შენი სიყვარული აღემატება კიდეც ჩემს სიყვარულს? დიახ, ჩემო ჟიული, შენ ჩემი სიცოცხლის მბრძანებელი ხარ და გაღმერთებ მთელი ჩემი არსებით, გეთაყვანები სულითა და გულით, ოღონდ შენი სული უფრო მოსიყვარულეა, სიყვარული უფრო ღრმად შეიჭრა შენს გულში, და ეს ჩანს, ეს იგრძნობა კიდეც. იგი მადლსა ჰფენს შენს სილამაზეს და გამოსჭვივის შენს სიტყვებში, შენს თვალებს ანიჭებს მომხიბვლელ სინაზეს, ხოლო შენი ხმის ბგერას ამაღელვებლად აღმტაცსა და გულში ჩამწვდომს ხდის; ეგ სიყვარული შენს სიახლოვეს მყოფ სხვა გულებსაც, მათდა შეუმჩნევლად, მოჰბერავს ხოლმე იმ ნაზ გრძნობათ, შენს გულში რომ დაუდევთ ბინა. რა ბევრი მიკლია სულის ამ მომხიბვლელ ყოფასთან, როცა იგი ყველაფერს ავსებს და მოიცავს. მე მინდა დავტკბე სიყვარულით, შენ კი გიყვარს; მე მათრობს და აღმიტაცებს ვნებათა სიფიცხე, შენ კი თავად ვნებითა ხარ გათანგული. ჩემი მგზნებარე ტრფიალება სად მოსწვდება შენს მომაჯადოებელ ეშხისა ცეცხლით მოქანცულობას, ხოლო ის გრძნობები, რომლითაც განსცხრება შენი გული, ოღონდაც რომ თავად ნეტარებაა. სწორედ გუშინ ვიგემე იგი, – ესოდენ სპეტაკი და ფაქიზი, – სიამე. შენ დამიტოვე სულში დავანებული მიუწვდომელი მშვენიერების ნაწილაკი და შენს სანეტარო

[30] ოი, გულუბრყვილო ქალებო, გნებავთ იცოდეთ, უყვარხართ ვინმეს თუ არა? აბა, ერთი გამოსცადეთ თქვენი მეგობარი მას შემდეგ, რაც ტრფიალების სიტკბოება იგემა. ო, სიყვარულო! უკეთუ მენანება კიდეც წასული შენი დრო, სიყმაწვილე – ეს განცხრომის ჟამის გამო კი არა, არამედ იმ ჟამისა, რაც მას მოჰყვება.

სუნთქვასთან ერთად თითქოს ახლად სული ჩამედგმის. მაშ, გაფიცებ ყველაფერს, დაეშურე შენი ქმნილების დამთავრებას. წარმიღე ყოველივე, რაც შემომრჩა ჩემი სულისგან და მარტოოდენ შენი სული შეუნაცვლე მას. დიახამც, ჩემო მშვენიერო ანგელოზო, ჩემო ცისიერო ქმნილებავ, მხოლოდ შენებრი გულის მქონე ადამიანის გრძნობათ ძალუძთ შეამკონ შენი შვენება. მარტოოდენ შენა ხარ ღირსი შთააგონო კიდეც სიყვარული კაცს და თანაც შეიგრძნო იგი. ჰოი, მაშ წილი დამიდე შენს გულში, ჩემო ჟიული, შემეძლოს მაინც ისე მიყვარდე, ვითარც გფერობს!

LVI წერილი
კლარასაგან ჟიულისადმი

ძვირფასო დაიკო, მინდა ცოტაოდენი რამ გაუწყო. გუშინ საღამოს მილორდი ედუარდი წაეჩხუბა შენს მეგობარს. აი, რა მიამბო ბატონმა დ'ორბმა – თავად დასწრებია ამ ჩხუბს, აწუხებს ეს ამბავი და ამ დილით მეწვია ყველაფრის საამბობლად.

ორივენი მილორდთან ვახშმობდნენ და ორ საათს უსმენდნენ მუსიკას, ხოლო შემდეგ შეუდგნენ საუბარს და პუნშის სმას. შენმა მეგობარმა მხოლოდ ერთი სირჩა შესვა და ისიც წყალგარეული. დანარჩენებს ასე არ შეუკავებიათ თავი, და თუმცა ბ-ნი დ'ორბი ირწმუნება, მთვრალი არ ვიყავიო, მაგრამ მე დავიტოვე უფლება, როგორმე სხვა დროს გამოვთქვა ჩემი აზრი ამის გამო. რასაკვირველია, ლაპარაკი შენზე ჩამოვარდა. ხომ იცი, მილორდი სულ შენზე რომ ლაპარაკობს. შენს მეგობარს არ მოსწონს მისი ლათაიები და მათ მოსმენისას ისე უხამსად მოიქცა, რომ მისი გულგამწყრალობით გაცეცხლებულმა და პუნშით შეზარხოშებულმა მილორდ ედუარდმა, ბოლოს და ბოლოს, მოურიდებლად შენიშნა, ჟიული არც ისე გულგრილი ყოფილა, როგორც მეგონა, და ეტყობა წყალობის თვალით უყურებს მათ, ვინც მასზე კრინტსაც არა ძრავსო. შენი მეგობრის სიფიცხე ხომ მოგეხსენება. ამ სიტყვების პასუხად სასტიკი შეურაცხყოფა მიაყენა მილორდს, ბრალი დასდო, ცილს მწამებო, და ორივემ დაშნები იშიშვლეს. წამოხტომისას შექეიფიანებულ ბომსტონს ფეხი ეღრძო და კვლავ დაჯდომა მოუხდა. ფეხი წამსვე გაუსივდა, რამაც დ'ორბის ყოველგვარ მონდომებაზე უკეთ შეანელა ჩხუბი. მაგრამ იგი ყურადღებით ადევნებდა თვალ-ყურს ყოველივეს და დაინახა, წასვლისას თუ როგორ მივიდა შენი გულის მურაზი მილორდთან და ისიც გაიგონა, ხმადაბლა როგორ უთხრა: «როგორც კი სიარულს შეიძლებთ, მაცნობეთ, ანდა თავად მე შევიტყობ». «არხეინად ბრძანდებოდეთ, – გესლიანი ჩაცინებით მიუგო ედუარდმა, – დიდხანს ლოდინი არ დაგჭირდებათ». «ვნახოთ», – ცივად მიახალა შენმა მეგობარმა და გარეთ გამოვიდა. ამ ბარათს ბ-ნი დ'ორბი გადმოგცემს და ყველაფერს დაწვრილებით გიამბობს. კეთილგონიერება მოგიხმობს, თუ როგორ უნდა მოიქცე, როგორ მოაგვარო ეს სამწუხარო გაუგებრობა და რას დამავალებ მე შენდა დასახმარებლად. ამ ბარათის მომტანი ჯერხნობით მზად იქნება შენდა სამსახურად, უბრძანე, – და ყველაფერს გაგიკეთებს, შეგიძლია ენდო – ყოველივეს საიდუმლოდ დაიმარხავს.

შენ თავს იღუპავ, ჩემო ძვირფასო, – ამას გეუბნები ჩვენი მეგობრობის გამო. თქვენი კავშირი, თავადვე ხედავ, ჩვენს პატარა ქალაქში დიდხანს არ დაიფარება. შენ ისედაც ბედმა გაგიღიმა: ორ წელიწადზე მეტი ხანია მას შემდეგ, რაც ეს ამბავი დაიწყო და შენზე ჯერ არ დაუწყიათ ენის ჭარტალი; მაგრამ მერწმუნე, მალე დაიწყებენ, თუკი ფრთხილად არ იქნები. დაგძრახავდნენ კიდეც, ასე რომ არ უყვარდე ყველას. ოღონდ ყველას ისე ეზიზღება შენს გამო მითქმა-მოთქმა, რომ მსგავსი ლაყაფის მოქმედი ჭორიკანა უმალ

ხათაბალაში ჩაიგდებდა თავს და მას უთუოდ მტრული თვალით შეხედავდნენ. მაგრამ ყველაფერსა აქვს ბოლო და დასასრული. იმის გაფიქრებაც კი ჟრუანტელსა მგვრის და მაცახცახებს, ვაითუ შენი ტრფიალების საიდუმლო გამოაშკარავდეს-მეთქი. ადვილი შესაძლებელია, მილორდ ედუარდის ეჭვები იმ მითქმა-მოთქმის შედეგიც კი იყოს, რომელთაც შესაძლოა მის ყურამდე მიაღწიეს. ჩაუფიქრდი ამ ამბავს, საყვარელო. გუშაგს წამოსცდა, ვითომც ამას წინათ დაენახოს, თუ როგორ გამოვიდა შენი მეგობარი შენი ოთახიდან დილის ხუთ საათზე. ბედად, მან ერთ-ერთმა პირველმა გაიგო გუშაგის ნაამბობი, სასწრაფოდ მივარდა მას და მოახერხა მისი ჩაჩუმება. მაგრამ ასეთი საფასურით ნაყიდი მდუმარება მხოლოდ ადასტურებს ჩუმ-ჩუმად გავრცელებულ ხმებს, თანაც დედაშენი დღითი დღე სულ უფრო და უფრო ეჭვიანი ხდება. მან ხომ არაერთხელ გაგრძნობინა ეს და მეც საკმაოდ მკვახედ მელაპარაკა ამის გამო, და მამაშენის გააფთრებისა რომ არ ეშინოდეს, მაშინ უკვე ცხადია თავის ეჭვებსაც გაუზიარებდა მას. მაგრამ ვერ ბედავს ამას კიდევ იმის შიშითაც, რომ იგი დაადანაშაულებს დედაშენს – მან ხომ პირველმა გაგაცნო შენი მასწავლებელი.

მზადა ვარ დღენიადაგ ჩაგჩიჩინებდე: მიხედე შენს თავს, სანამ დროა; მოიშორე შენი მიჯნური, ვიდრე ალიაქოთი არ ატეხილა; დასაბამშივე მოსპე ეჭვები: როგორც კი იგი აღარ იქნება შენს ახლოს, ის ეჭვებიც მყისვე განიფანტება. მართლაცდა, ყველას ძალუძს იკითხოს, ნეტავ აქ რას აკეთებსო. იქნებ თვენახევრის შემდეგ, ერთი თვის შემდეგაც კი უკვე გვიანღა იყოს. უკეთუ მამაშენი ყურს მოჰკრავს რაიმე ქარაგმულად გადაკრულ სიტყვას, – ვაი შენდა მაშინ, – უფალმა უწყის, რა მოხდება ოჯახის პატიოსნებისთვის სიგიჟემდე მისული, განრისხებული ძველი მხედრისა და იმ თავხედი, გულფიცხი ყმაწვილკაცის შეტაკებისას, შეურაცხყოფას რომ ვერ იტანს. ოღონდ ყველაზე უწინარეს რაიმე გზით უნდა მოისპოს გაუგებრობა მილორდ ედუარდთან, ვინაიდან ამ ამბის აღკვეთამდე თუკი ეტყვი შენს მეგობარს, უნდა წახვიდეო, ამით მხოლოდ განარისხებ მას, ცივ უარსა გტკიცავს – და მართალიც იქნება.

LVII წერილი
ჟიულისაგან

მეგობარო ჩემო, მე ვიცი ყოველივე, რაც მოხდა შენსა და მილორდ ედუარდს შორის. თქვენმა გულისვარდმა გულდასმით აწონ-დაწონა მთელი ვითარება და უნდა თქვენთან ერთად მოიფიქროს, როგორ მოიქცეთ შექმნილივითარებისას, თანაც იმ გრძნობებსაც უერთგულოთ, რომელთაც ქადაგებთ, – მე კი ასე მგონია, ეს ამბავი მარტოოდენ ლიტონი სიტყვები როდია.

კარგად არც კი ვიცი, გაწაფული ხართ თუ არა ფარიკაობაში, ძალგიძთ თუ არა შეერკინოთ მოფარიკავეს, რომელიც, – როგორც ამას მთელი ევროპა აღიარებს, – ზედმიწევნით კარგად ხმარობს იარაღს, თავის სიცოცხლეში ხუთჯერ თუ ექვსჯერ უჩხუბნია და ყოველთვის მოუკლავს, დაუჭრია თუ განუიარაღებია მოწინააღმდეგე. ვთქვათ, ახლა გული გერჩით და ანგარიშს უწევთ გაწაფულობას კი არა, არამედ შემართებას, როცა შეურაცხმყოფელი ადამიანის მიმართ ყველაზე საუკეთესო შურისძიება გგონია მისივე ხელთაგან სიკვდილი! მაგრამ ესოდენ უცილობელი ჭეშმარიტების აღიარებისას სხვაც ნუ დაგავიწყდება. ასე მეტყვით, შენი და ჩემი პატიოსნება ჩემთვის სიცოცხლეზე უფრო ძვირფასიაო: აი, სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა ვიმსჯელოთ.

დავიწყოთ იქიდან, რაც უფრო მეტად თქვენ გეხებათ. მითხარით, პირადად რამ შეურაცხგყოთ, – ლაპარაკი ხომ მარტო ჩემზე ჩამოაგდეს? საჭირო იყო თუ არა ამ შემთხვევაში თქვენი გამოსარჩლება, ამას ახლავე გავიგებთ. მანამდე კი ვერ უარყოფთ, რომ ჩხუბის მიზეზი არაფერ შუაში თქვენს პირად პატიოსნებასთან (რასაკვირველია, თუ შეურაცხყოფად არ ჩავთვლით გადაკრულ სიტყვას იმის თაობაზე, რომ მე მიყვარხართ). ვთქვათ, შეურაცხგყვეს კიდეც, ოღონდ მხოლოდ და მხოლოდ იმის შემდეგ, როცა თავად პირველმა მიაყენეთ სასტიკი შეურაცხყოფა. ჩემი აზრით, – ჩვენს გვარში კი მრავლად მოიპოვებიან სამხედრო პირები და მეც საკმაოდ ბევრი რამ მსმენია ყველა ამ სისხლისმღვრელ საქმეთა გამო, – შეურაცხყოფის საპასუხოდ მიყენებული შეურაცხყოფა როდი აქარწყლებს მას, და იმას, ვინც პირველად შეურაცხყვეს, უფლება აქვს მოითხოვოს დაკმაყოფილება. ასევე ხდება მოულოდნელ ბრძოლაშიც, როცა მხოლოდ და მხოლოდ ის არის ნამდვილი დამნაშავე, ვინც თავს დაესხა. ვისაც მოწინააღმდეგე თავდაცვის დროს შემოაკვდება, ბრალი არაფერში მიუძღვის.

ახლა კი ჩემზედაც ვილაპარაკოთ. ვთქვათ, მე შეურაცხმყო მილორდ ედუარდის სიტყვებმა, თუნდაც ისინი სამართლიანიც კი იყოს. მაგრამ გესმით კია, რას სჩადიხართ, როცა ასე გულფიცხად და ასე უტიფრად კისრულობთ ჩემს დაცვას? თქვენ მხოლოდ აძლიერებთ იმ შეურაცხყოფას, მე რომ მომაყენეს. ადასტურებთ, რომ იგი მართალია. თქვენს ყალბად გაგებულ პატიოსნებას ანაცვალებთ ჩემს პატიოსნებასა და ნამუსს, სახელს უტეხთ თქვენს სატრფოს, ხოლო თავად ასეთი საქციელით სახელს გაითქვამთ, როგორც გულოვანი შფოთისთავი! აბა, ერთი ეს ამიხსენით, გეთაყვანე, რა საერთო უნდა ჰქონდეთ ერთმანეთთან ჩემი გამართლების თქვენებურ ხერხსა და ნამდვილ გამართლებას. ხომ არ ფიქრობთ იმას, რომ ასე გულფიცხელად ჩემი გამოსარჩლებით დაადასტურებთ, თითქოს

ჩვენ უცხონი ვართ ერთმანეთისთვის? რომ საკმაოა გამოიჩინოთ ვაჟკაცობა და დაამტკიცებთ, თითქოს ჩემი მიჯნური არა ხართ? გარწმუნებთ, მილორდ ედუარდის ყველა ქარაგმული ნათქვამი უფრო ნაკლებ ზიანს მომიტანს, ვიდრე თქვენი საქციელი. მარტოოდენ თქვენ იქნებით დამნაშავე იმაში, რომ თქვენი ფხუკიანობის გამო ხელი შეუწყეთ მისი ნაუბარის გახმაურებასა და დადასტურებას. მერწმუნეთ, მას ძალიანაც არ გაუჭირდება ორთაბრძოლისას აიცილოს თქვენი დაშნის ძგერება, ხოლო ჩემი რეპუტაცია და იქნებ თვით ჩემი სიცოცხლეც ვერ გადაურჩება თქვენგნით მოყენებულ საშინელ კვეთებას.

აი, ესაა ფრიად მტკიცე და უდავო საბუთი, რის საწინააღმდეგოდაც ვინძლო თუ შეძლებთ შემოკამათებას; ოღონდ წინასწარ ვიცი, თქვენ სადავოდ გახდით გონივრულ მოსაზრებებს და მოჰყვებით მტკიცებას, ასეა მიღებულიო. იმასაც იტყვით, ჩვენი ნება-სურვილი ვითარებათა საბედისწერო დამთხვევას წინ ვერ აღუდგებაო; რაც უნდა მოხდეს – როცა საქმე ასე შეტრიალდება, მაშინ შეუძლებელია, არ იბრძოლო, თორემ სახელს გაიტეხო. ვნახოთ, განა აგრეა?

გახსოვთ, ერთხელ რომ ამიხსენით განსხვავება ნამდვილ და ყალბ პატიოსნებას შორის, რომელიღაც მნიშვნელოვანი ამბის გამო? რომელ და რა რიგს უნდა მივაკუთვნოთ ის პატიოსნება, რომელზეც ახლა ჩამოვარდა ლაპარაკი? საერთოდ არ მესმის, როგორ შეიძლება წარმოიქმნას ასეთი საკითხი. რა აქვთ საერთო კაცისმკვლელის სახელსა და წესიერი ადამიანის ღირსებას, და რა ფასი აქვს უცხო ადამიანთა ფუჭ აზრს ჭეშმარიტი პატიოსნების მიმართ, რომელიც ძვალ-რბილში გაგიჯდათ? ეს როგორ მოხდა? ნუთუ ჭეშმარიტი სათნოება იღუპება ცილისმწამებლის ყალთაბანდობით? განა მთვრალი კაცისაგან მოყენებული შეურაცხყოფა ყურადღების ღირსია და ჭკვიანი ადამიანის პატიოსნება და სახელი ნუთუ პირველ შემხვედრ ხეპრეზეა დამოკიდებული? ანდა ნუთუ ასე იტყვით, დუელი ვაჟკაცობის დამამტკიცებელი საბუთია და იგი საკმარისია, რათა

სახელმოყივნულობა ანდა ყოველნაირი ბიწიერების ბრალდება მოვიშოროთ და ჩამოვირეცხოთო? მე კი გეკითხებით, აბა რა პატიოსნებაა ეს, თუკი ამგვარ გადაწყვეტილებას გვიკარნახებს? და რაღა გონება ეთქმის იმ გონებას, უკეთუ ასეთ გადაწყვეტილებას ამართლებს? ასე რომ იყოს, როგორც კი ვინმე ყალთაბანდი წაეკიდება ვინმეს, იგი უკვე აღარ ჩაითვლება ყალთაბანდად. მატრაბაზის სიტყვები ჭეშმარიტად გადაიქცევა, როგორც კი ენით ნათქვამს ხმალს მიაშველებს. ხოლო უკეთუ ერთი კაცის მკვლელობა შეგწამეს, მყისვე მეორეზე აღმართე ხელი, რათა დაამტკიცო, მარტოოდენ ცილისწამება რომაა ყოველივე ეს! ამრიგად, კაცის სათნოება, ბიწიერება, პატიოსნება, არამზადობა, სიმართლე, სიცრუე, – ერთი სიტყვით, ყველაფერი ამ ორთაბრძოლის შედეგზე ჰკიდია! მაშასადამე, საფაბრიკო დარბაზი – ეს საკანონმდებლო პალატაა და არ არსებობს სხვა უფლება, ძალის უფლების გარდა, სხვა დამადასტურებელი საბუთი, მკვლელობის გარდა. შეურაცხყოფილთ როდი უხდი ბოდიშს, არამედ ჰკლავ მათ და ყოველი შეურაცხყოფა ერთნაირად განიბანება შეურაცხმყოფელისა და შეურაცხყოფილის სისხლით. მგლებს რომ მსჯელობის თავი ჰქონდეთ, სხვაგვარ წესთა მიმდევარნი არც ისინი იქნებოდნენ. აბა, ერთი თქვენივე საკუთარი მაგალითის მიხედვით განსაჯეთ, ვაზვიადებ თუ არა პატიოსნების მსგავს წესთა შეუსაბამობას? მაგრამ აბა რა კავშირი აქვს ყველაფერ ამას ჩვენთან? თქვენ დაგაბრალეს სიცრუე სწორედ მაშინ, როცა სტყუოდით. ამრიგად, როგორც ჩანს, გადაწყვიტეთ, რომ მოკლავდით სიმართლეს, თუკი ბოლოს მოუღებდით იმასაც, ვის დასჯასაც აპირებთ ამ სიმართლის გულისთვის! ოღონდ ის იფიქრეთ კი, ორთაბრძოლით თქვენი სიმართლის დამტკიცებას რომ აპირებთ, ზენაარსს მოუწოდებთ, ჭეშმარიტების საწინააღმდეგო დასტური მოგცეთ და ბედავთ კიდეც ევედროთ მას, ვინაც განაგებს ბედ-იღბალს ადამიანთა ყველა ბრძოლაში: «მოვედ უსამართლო საქმეთა შეწევნად, მოეცი ძლევა სიცრუესა და მატყუარობას!» ნუთუ ასეთი ღვთისგმობა არ გაძრწუნებთ თქვენ? ნუთუ ესოდენი უაზრობა არ იწვევს თქვენს აღშფოთებას? ოი, უფალო, რა საზიზღარია ისეთი პატიოსნება, რომელსაც ბიწიერებისა კი არ ეშინია, არამედ საყვედურებისა, და ნებას არ გაძლევთ მოითმინოთ სხვისაგან სიცრუის ბრალდება, თუნდაც ამ სიცრუეს სხვაზე უმალ თქვენივ გული გიკიჟინებდეთ!

თქვენ იღვწით იმისთვის, თითოეულმა ადამიანმა წიგნთა კითხვით თავის თავს სარფა რომ მოუნაგროს, – მაშ, თავადვე მოიხვეჭეთ ასეთი მოსაგებელი და სძებნეთ წიგნებში – ერთხელ თუ მაინც ხდებოდა ორთაბრძოლაში გაწვევა იმ დროს, როცა მთელი დედამიწის ზურგი გმირებით იყო სავსე? ნუთუ ძველი დროის სახელოვან ადამიანებს აზრად მოუვიდოდათ შურისძიება ორთაბრძოლით? იწვევდა თუ არა ორთაბრძოლაში კეისარი კატონს ანდა პომპეუსი კეისარს ყველა მიყენებული შეურაცხყოფისათვის? და საბერძნეთის უდიდესი მხედართმთავარი ნეტამც მართლა თუ თვლიდა თავს სახელგატეხილად და შერცხვენილად, როცა მას ჯოხი მოუღერეს? კარგად ვიცი – მაშინ სულ სხვა დრო იყო და სხვაგვარი ზნე-ჩვეულებანი. ოღონდ, განა ამჟამად ყველა ზნე-ჩვეულება კარგია და აკრძალული ხომ არ არის ვიკითხო, ვითომცდა ზნე-ჩვეულებანი სულ ყოველთვის შეესაბამებოდა უზადო პატიოსნების მოთხოვნილებებს? არა და არა! ღირსება უცვლელია. იგი არ ემორჩილება არც დრო და ჟამს, არც ადგილს და არც მცდარ შეხედულებებს. იგი არც გაქრება, ვერც ხელახლა წარმოიქმნება – მას ასაზრდოებს მარადიული წყარო, სამართლიანი ადამიანის გულიდან და მისი ზნეობრივი მოვალეობის უცვალებელი კანონებიდან რომ მომდინარეობს. უკეთუ ამქვეყნად ყველაზე განათლებულ, ყველაზე მამაც და ყველაზე სათნო ხალხებსაც კი წარმოდგენა არ გააჩნდათ დუელის გამო, მაშინ ვადასტურებ: იგი პატიოსნების განმტკიცება კი არაა, არამედ საზიზღარი, ბარბაროსული ჩვეულება, მხოლოდ მის წარმომქმნელ ველურ ყოფას რომ შეშვენის. კვლავ ერთიც უნდა ვიკითხო – წესიერმა ადამიანმა მარტოოდენ წეს-ჩვეულებით ხომ არ უნდა

იხელმძღვანელოს, როცა საქმე მის სიცოცხლესა და მისი ახლობლების არსებობას ეხება? განა მეტი გამბედაობა არ იქნება, უგულებელყოს ეს უხიაკი წეს-ჩვეულება? ან კი რას უწოდებთ თქვენ იმ კაცს, რომელიც აგრეთვე ადგილობრივი წეს-ჩვეულების კვალობაზე მოიქცევა სხვაგვარი ზნე-ხასიათის მქონე ქვეყანაში? მესინასა ან ნეაპოლში ხომ ჩაუსაფრდებოდა მოწინააღმდეგეს და ვერაგულად ზურგში ხანჯალს ჩასცემდა. იმ ქვეყნებში ამას ვაჟკაცობას უწოდებენ და იქ სახელ-დიდება მოითხოვს – შენ კი არ მოგკლან, არამედ შენ მოუსპო სიცოცხლე სხვას.

ფრთხილად იყავით და ნუ დაუკავშირებთ წმიდათაწმიდა სიტყვა «ღირსებას» საზარელ ცრურწმენას, რომელიც დაშნის მეოხებით განსაცდელს უმზადებს სათნოებას და წარმოქმნის თავზეხელაღებულ ავაზაკებს. თუმცა ასეთი შეხედულებები, უნდა ვაღიარო, ზოგჯერ თანა სდევს კიდეც უმწიკვლო პატიოსნებას. მაგრამ რაიღა ბედენაა ასეთი ამბავი იქ, სადაც ეს პატიოსნება სუფევს? მერედა, რა უნდა ვიფიქროთ იმ ადამიანზე, რომელიც საშინელ ხიფათში იგდებს თავს და სწორედ ამით ადასტურებს თავის უწესობას? ნუთუ ვეღარ ხედავთ, რომ სირცხვილისა და პატიოსნების გამო ჩადენილი დანაშაულობანი იფარება და მრავლდება ცრუ მორცხვობითა და იმის შიშით, ვაითუ ვინმემ გაგვკიცხოსო! ეს შიში ხდის ადამიანს პირმოთნედ და მატყუარად, აიძულებს მას დაღვაროს მეგობრის სისხლი თუნდაც ერთადერთი გადაბრუნებული სიტყვის გამო, რომლის უგულებელყოფაც კი შეიძლებოდა, ან სამართალიანი საყვედურისათვის, რის მოთმენაც აღარ გინებს! იგი ჯოჯოხეთის მაშხალად გადააქცევს სახელგატეხილ და შიშით შეპყრობილ ქალიშვილს, დედის ხელს წარმართავს – ჰოი, ყოვლად ძლიერო ღმერთო! – უსათუთესი ჩანასახის მოსაშთობად... ეს საშინელი ფიქრი შემსჭვალავს ჩემს სულს, მაგრამ მადლობელი ვარ იმისა, ვინაც წვრთნის ჩვენს გულებს. ჩემი გული მან დაიფარა პატიოსნების ამგვარი გრძნობისაგან, რომელსაც ძალუძს მხოლოდ წაგვაქეზოს ბოროტმოქმედების ჩასადენად და თვით ადამიანურ ბუნებასაც კი შიში და ძრწოლა მოჰგვაროს ხოლმე.

გონს მოეგეთ და იფიქრეთ, გაქვთ თუ არა უფლება ხელჰყოთ ადამიანის სიცოცხლე და ზედ წამოეგოთ მახვილს რაღაც უაზრო, სახიფათო ახირების გამო, რასაც გონივრული არაფერი გააჩნია? ასეთ ვითარებაში დაღვრილი სისხლი განა სამწუხარო მოგონებად არ ექნება მის დამღვრელს და მარადჟამს შურისგება არ მოუხმობს? დამისახელეთ წინასწარ განზრახული მკვლელობის შესადარი დანაშაული. და უკეთუ ადამიანურობა ყველა სათნოების საფუძველია, რაღა ვიფიქროთ მაშინ იმ სისხლისმსმელ არამზადაზე, რომელმაც გაბედა მისი ხელყოფა, და მასთან საფრთხეში ჩააგდო თავის მსგავს ადამიანთა სიცოცხლე? აბა გაიხსენეთ, რას მეუბნებოდით თქვენ, როცა უცხოქვეყნელთა სამხედრო სამსახურში მყოფთ გმობდით ხოლმე. თუ ისიც დაგავიწყდათ, ყოველი მოქალაქის ვალია, სიცოცხლე მამულს ანაცვალოსო, და მოვალეობა არ უკარნახებს თავი გასწიროს, თუ კანონი ამას არ მოითხოვს და, პირიქით, კიდევაც კრძალავსო. ოი, ჩემო გულის სწორო! უკეთუ გულწრფელად ეტრფით სათნოებას, ისწავლეთ მისი და არა ადამიანთა ჩვეულებების სამსახური. დაე, ამის გამო მცირეოდენი უსიამოვნების ატანაც მოგიხდეთ კიდეც, მაგრამ ნუთუ თქვენთვის სათნოება ცარიელი სიტყვაა, ნუთუ მხოლოდ და მხოლოდ მაშინ ხართ სათნო ადამიანი, როცა სათნოდ ყოფნას არავითარი ფასი აღარა აქვს?

მაგრამ კაცმა რომ თქვას, ნეტავ რა უსიამოვნო ამბავია ეგ? ესაა უმაქნისთა და არამზადათა მითქმა-მოთქმა, რომელთათვისაც სხვათა უბედურება და გაჭირვება გართობა და თავის შექცევაა; რომელთაც დღენიადაგ სჭირიათ ახალი მიზეზი ავყიაობისთვის. აი, ესაა ჭეშმარიტად დიადი საბაბი ერთმანეთისათვის ყელის გამოსაღადრად. თუკი ფილოსოფოსი და ბრძენი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხთა გადაწყვეტისას ფეხის ხმას აყოლიხარ, მაშინ რაღა ხელსა ხდი ცოდნის უხვ სალაროს,

უკეთუ შენის ბუნებით ვიღაც ვიგინდარებს უტოლდები! ამრიგად, თქვენ ვერ გაგიბედავთ მოვალეობის, პატივისცემისა და მეგობრობის გრძნობას ანაცვალოთ შურისძიების გრძნობა იმის შიშით, ვაითუ ბრალი დამდონ, სიკვდილისა ეშინიაო? მაშ, აწონ-დაწონეთ ყველაფერი, ჩემო სასურველო, და დაინახავთ, უფრო სულმდაბლური და სამარცხვინო რომ იქნება ასეთი განკიცხვის წინაშე ძრწოლა, ვიდრე სიკვდილით თავზარდაცემა: მკვეხარა და ლაჩარი ადამიანი თავს არ იზოგავს, რათა მამაცის სახელი გაუვარდეს.

Ma verace valor, ben che negletto,

E di se stesso a se freggio assai chiaro.[31]

ტყუის ის ადამიანი, ვინაც ისე მოგაჩვენებს თავს, თითქოს შეეძლოს სიკვდილის თვალებში უშიშრად ჩახედვა. ადამიანს სიკვდილის ეშინია, და ესაა სწორედ ამქვეყნიურ არსებათა დიდი კანონი. ეს რომ არ იყოს, მალე დადგებოდა ყველა მოკვდავის აღსასრული. ეს შიში სულის უბრალო მოძრაობაა, თავად ბუნების მიერ ნაკარნახევი, არა მარტო უვნებელი და უწყინარი, არამედ თავისი არსებით სიკეთისკენ წამმართველი და წესრიგის ხელისშემწყობი. იგი მაშინ ხდება სამარცხვინო და საძრახისი, როცა ხელს გვიშლის კეთილ საქმეთა ჩადენისა და მოვალეობის შესრულებისას. სილაჩრე რომ ხელს არ უშლიდეს სათნოებას, იგი არც ბიწიერება იქნებოდა. ცხადია, უზადოდ სათნო ადამიანად ვერ ჩაითვლება ის, ვინაც უფრო საკუთარ სიცოცხლეს ელოლიავება, ვიდრე თავის მოვალეობას. ერთი ესეც ამიხსენით, – თქვენ ხომ ყველაფერში ეძიებთ გონივრულ საფუძვლებს, – ღირს კი დანაშაულის გულისთვის კაცმა სასიკვდილოდ გადასდოს თავი?

როცა დუელის უარყოფით სიძულვილს იწვევთ და იმკით, მაშინ ვისი სიძულვილი უფრო საზარელია – სხვათა სიძულვილი, როცა კეთილ საქმეს სჩადიხარ, თუ შენივე თავის სიძულვილი – ავ საქმეთა კეთებისას? მერწმუნეთ, ის ადამიანი, ვინაც ნამდვილად პატივსა სცემს თავის თავს, გულგრილად მოეკიდება სხვათა სავსებით უსაფუძვლო სიძულვილსა და მარტოოდენ იმის შიში ექნება – ვაითუ მართლაც გავხდეო სიძულვილის ღირსი. სიკეთე და პატიოსნება ადამიანთა მსჯავრს როდი ემყარება, არამედ თავად ნამოქმედარის ბუნებას, და თქვენ რომ საქმე დაგიპირებიათ, ნაკლებ სათაკილო როდი გახდება, თუნდაც მთელმა ქვეყნიერებამ მოიწონოს იგი. თუმცაღა, სხვის სიძულვილს როდი გამოიწვევს ის, ვინაც სათნოების გამო თავს შეიკავებს ასეთი საქციელისაგან. უკეთუ ეს ადამიანი სახელმორჭმული და საჩინო ვინმეა და თავის დღეში ჩირქი არ მოსცხებია, მასთან, ოდნავი სილაჩრეც არ გამოუჩენია, მაშინ კაცთმკვლელობაზე ხელის აღებით კიდევ უფრო დიდ პატივისცემას დაიმსახურებს. იგი მზად იქნება ჩადგეს მამულის სამსახურში, გამოესარჩლოს სუსტსა და უძლურს, შეასრულოს ყველაზე სახიფათო დავალებები, სიცოცხლის ფასად სამართლიან, პატიოსნურ ბრძოლაში დაიცვას ყოველივე ის, რაც ძვირფასია მისი გულისთვის. ის ყველგან და ყოველთვის გამოამჟღავნებს ურყევ სულიერ სიმტკიცეს, რაც მხოლოდ და მხოლოდ ჭეშმარიტი ვაჟკაცობით მოიპოვება. მისი სინდისი დამშვიდებულია, ამაყად ქედაწვდილი დარონინებს და არ ერიდება მტერთან შეხვედრას, ოღონდ არც ეძებს მას. უმალვე აშკარაა, რომ ისე სიკვდილისა არ ეშინია, როგორც უფრთხის ცუდ საქმეთა ჩადენას. მას დაღუპვა კი არა ჰგვრის ძრწოლას, არამედ – დანაშაული. ასე რომ, თუკი უეცრად საზიზღარი ცრურწმენანი აუმხედრდნენ, მაშინ პატივისცემის ღირსი მთელი მისი ცხოვრება მის სასარგებლოდ იღაღადებს და აღკვეთს ცილისწამებას. რაკი ეცოდინებათ, ამ კაცს ცხოვრებაში წესად რა აქვს დადებული, იტყვიან, დღესაც ამ წესისამებრ ირჯებაო.

გითხრათ თუ არა, რაოდენ ძნელია თავის დაოკება კნინი ადამიანისთვის? ეს იმიტომ, რომ ამ დროს ძნელია ღირსების შენარჩუნება. ამიტომაც ამას იქით იგი ველარ ჩაიდენს ვერც ერთ უღირს საქციელს. მაგრამ უკეთუ ამ შემთხვევაში ცუდი საქციელის შიშმა ველარ დააოკა, მაშ, როგორღა დააღწიოს თავი ყოველგვარ სხვა საქციელს, როცა

იქნებ კიდევ უფრო ძლიერი იყოს გულის წადილი? სწორედაც მაშინ გახდება საცნაური, რომ ორთაბრძოლაზე ხელის აღება ნაკარნახევია სულმოკლეობით და არა სათნოებით. მაშინ, მართლაცდა შეიძლება მასხარად ავიგდოთ სინდისიერება, რომელიც თავს იჩენს მხოლოდ საშიშროების ჟამს. ნუთუ არ შეგინიშნავთ, რომ უმრავლეს შემთხვევაში უპატიოსნონი არიან ის ადამიანები, რომლებიც მეტისმეტ წესიერებას ჩემულობენ და ყოველგვარი საბაბის გამო მზად არიან ორთაბრძოლისათვის? ისინი შიშობენ, ვაითუ ჩვენი სიძულვილი აშკარად გამოთქვანო, და თავიანთი სახელის დასაცავად რამდენიმე ორთაბრძოლით ცდილობენ უნამუსო ცხოვრების მიფანიერებას. ნუთუ თქვენ უნდა მიბაძოთ ასეთ კაცუნებს? თავი ვანებოთ აგრეთვე სამხედრო პირთ, – თავიანთი სიცოცხლე სავაჭროდ რომ გაუხდიათ და ცდილობენ თანამდებობის შენარჩუნებას, საკუთარი სარფისთვის იყენებენ სახელ-დიდებას და ზედიწევნით ზუსტად იციან თავიანთი სიცოცხლის ფასი. ჩემო მეგობარო, დაე ეჩხუბონ ერთმანეთს ამ ადამიანებმა! არა არის რა იმაზე უღირსი და უკეთური, როგორიცაა სახელ-დიდება, რომლის გარშემო ესოდენ ხმაურსა სტეხენ ისინი. ეს ხომ მარტოოდენ სულელური ჩვეულებაა, სათნოების ცრუ მიმბაძველობა, რომელიც ყოყლოჩინობს აღმაშფოთებელი დანაშაულობებით. ხოლო თქვენებრი ადამიანის სახელი არავის არ ექვემდებარება – ეს სახელი ცოცხლობს მისსავე სულში და არა სხვათა წარმოდგენაში. მის დამცველი როდია დაშნა და ფარი, არამედ მთელი პატიოსანი და უმწიკვლო, შეუბღალავი ცხოვრება, ეს ორთაბრძოლა კი ბევრად დიდ ვაჟკაცობას მოითხოვს.

აი, ასეთ პრინციპთა შორის იპოვით თქვენ იმის ახსნა-განმარტებას, თუ ყალბი სიმამაცისადი ჩემს უცვალებელ სიძულვილს როგორა ჰფერობს ჭეშმარიტი ვაჟკაცობის მიმართ ჩემგანვე აღვლენილი ქება-დიდება. მე მიყვარან გამბედავი ადამიანები და ძალიან მეჯავრებიან ლაჩრები. ხელს ავიღებდი მიჯნურზე, უკეთუ მხდალი აღმოჩნდებოდა და აირიდებდა ხიფათს, და მეც, ისე როგორც სხვა ქალებსაც მგონია, ვაჟკაცობის ალი სიყვარულის ცეცხლსაც ააგიზგიზებს – ოღონდ გამოიჩინე გმირობა სამართლიანი საქმის დასაცავად და უჯეროდ ნუ იწარამარავებ მისით, თითქოსდა იმის შიშით, ვაითუ აუცილებლობის ჟამს ვეღარ მოვიკრიბოო ძალი. მავანი და მავანი კაცი თავს ძალას ატანს და ჩაებმის ორთაბრძოლაში, რათა სამიდღეშიოდ მოიპოვოს სულმოკლეობის უფლება. ჭეშმარიტ სიმამაცეში უფრო მეტია სიმტკიცე და ნაკლებია სიფიცხე: იგი მარადჟამს ისეთია, როგორიც უნდა იყოს. რაიღა ბედენაა ან მისი აგულიანება, ანდა დაოკება. იგი არსად მიატოვებს წესიერ ადამიანს – არც მტერთან ბრძოლისას, არც თავყრილობაში, როდესაც იცავს იქ არმყოფთა სახელსა და ქომაგად უდგება ჭეშმარიტებას, არ მიატოვებს არც სარეცელზე მწოლიარეს, როცა ის ებრძვის და ერკინება სალმობასა და სიკვდილს. მუდამჟამს თავს იჩენს მისი ძალისა და ღონის მომცემი და შთამაგონებელი სულიერი ძალა. მისთვის ყველა გარემოებაზე უფრო დიადია სათნოება: საქმე ის კი არ არის, რომ იჩხუბო, არამედ ისა, რომ არაფრის გეშინოდეს. აი, როგორ სიმამაცეს ვასხამდი ხოტბას მუდამ და ყოველთვის, საყვარელო მეგობარო, და ესევე მინდოდა მეპოვა შენში. დანარჩენი კი მხოლოდ და მხოლოდ ქარაფშუტობაა, სიგიჟეა და უწყალოება. და ყოველივე ამას რომ დაემორჩილოს კაცი, სისაძაგლეა და მეტი არაფერი. და ის, ვისაც სურს უსარგებლოდ წააგოს თავი, არანაკლებად მძულს, ვიდრე ის კაცი, ვინც თავს არიდებს საფრთხეს, რომელსაც პირისპირ უნდა შეჰყროდა.

თითქოსდა დაგიმტკიცეთ, რომ მილორდ ედუარდთან შელაპარაკებისას თქვენი ღირსება არ შებღალულა; რომ თქვენ ჩირქსა სცხებთ ჩემს სახელს, როცა იარაღს იშველიებთ; რომ იარაღის მოშველიება უსამართლობაა, არაკეთილგონივრული და დაუშვებელი ამბავია; რომ იგი არ შეჰფერის და არ ეკადრება იმ გრძნობათ, თქვენ რომ აღიარებთ; რომ იგი მართებთ მხოლოდ უპატიოსნო ადამიანებს – მათთვის ხომ სიმამაცე

სათნოების მაგიერია, რაც არასოდეს გააჩნდათ, ანდა სამხედრო პირთ – ისინი ხომ სულაც სახელ-დიდების მოსახვეჭად არ იბრძვიან, არამედ რაიმე სარფის მოსანაგრებლად. ნამდვილი ვაჟკაცობა ისაა, რომ უგულებელვყოთ ისეთი რამ, როგორიცაა დუელი და თავის დღეში არ მივმართოთ მას. ჭეშმარიტ მოვალეობათა აღსრულებისას უცილობელია უსიამო ამბები, როელთაც იწვევს კაცი მათზე ხელის აღების დროს, – და ისინი უფრო ყალბი უსიამო ამბებია, ვიდრე ნამდვილი, და ბოლოს, იმ ადამიანთა პატიოსნება, უაღრესი გულოვანებით რომ მიმართავენ დუელს, განსაკუთრებულ ეჭვებს უნდა აღგვიძრავდეს. ამის გამო ასეთი დასკვნა გამომაქვს: ახლა თავად გამოიწვევთ დუელში მოწინააღმდეგესა თუ მიიღებთ მის გამოწვევას, თქვენ მოიქცევით გონების წინააღმდეგ, ზურგს შეაქცევთ სათნოებას, სახელ-დიდებას და მეც მომაყივნებთ. როგორც გეკეთოთ, ისე გაიგეთ ჩემი მსჯელობა, სოფიზმი სოფიზმზე დაახორავეთ, – ჭეშმარიტება კი ისაა, რომ მამაცი ადამიანი ლაჩარი არ უნდა იყოს, ღირსეული ადამიანი უნამუსო არ უნდა გახდეს. ამრიგად, ვგონებ დაგიმტკიცეთ, მამაცსა და გამბედავ ადამიანს რომ სძულს დუელი და სახელმოხვეჭლ ადამიანს ზიზღსა ჰგვრის იგი.

ჩემო მეგობარო, ასე მეგონა, ესოდენ მნიშვნელოვან საქმეში დამჭირდებოდა მიმემართა მხოლოდ გონების საბუთთათვის და პირწმინდად ამეწერა თქვენთვის მთელი ვითარება. თუკი გადავწყვეტდი მის დახატვას იმგვარად, როგორადაც ის მეჩვენება, მაშინ სულ სხვანაირ ენას მოვიმარჯვებდი. კარგად უწყით, რომ მამაჩემს ახალგაზრდობაში უბედურება ეწია – დუელში შემოაკვდა კაცი, მოკლა თავისი მეგობარი. ისინი უნებურად წაეკიდნენ ერთმანეთს და იბრძოდნენ ღირსების გამო სულელური წარმოდგენის იძულებით. ულმობელმა მახვილმა ერთ მათგანს სიცოცხლე მოუსწრაფა, ხოლო მეორეს სამუდამოდ წარსტაცა სულის სიმშვიდე. მის მოღმა მამაჩემმა ვეღარ დააღწია თავი საშინელ სევდასა და სინდისის ქენჯნას. ხშირად, მარტოობის ჟამს, ცრემლებს აფრქვევს და გმინავს, თითქოსდა კვლავაც გრძნობს, თუ როგორ განუგმირა გული მეგობარს მახვილით მისმა მსახვრალმა ხელმა. ღამღამობით სულ ეჩვენება სისხლში მოსვრილი ცხედარი; შეძრწუნებული ჭვრეტს სასიკვდილო ჭრილობას. ო, როგორ უნდა, შეაჩეროს სისხლის დენა. შიშის ზარი იპყრობს და გაჰკივის; საშინელი აჩრდილი სულ თანა სდევს მოუშორებლივ. უკვე ხუთი წელიწადი გავიდა, რაც დაკარგა თავისი გვარის მემკვიდრე, მთელი ოჯახის იმედი, ის კი აქამომდე ამუნათებს თავის თავს მისი სიკვდილის გამო; ფიქრობს, ეს ზენაარსის მიერ მოვლენილი სამართლიანი სასჯელია იმის გამო, უბედურ მამას მეც ერთადერთი შვილი რომ წარვსტაცეო.

ვაღიარებ, ყოველივე ესა და ამას გარდა ულმობლობის მიმართ თანდაყოლილი შეუწყნარებლობა შთამაგონებს დუელის სიძულვილს: იგია პირუტყვული ველურობის უკანასკნელი საფეხური, სანამდისინაც კი მიაღწევს ადამიანი. ის, ვინაც გულარხეინად გადის საჩხუბრად, ჩემი აზრით, ტყიურია, – რომელიც მზად არის შუაზე გაგლიჯოს მეორე ნადირი. უკეთუ მოწინააღმდეგეთა გულში დარჩა ადამიანისათვის ბუნებისაგან მომადლებული გრძნობის თუნდაც ნატამალი, მაშინ, ჩემი აზრით, უფრო მეტი სიბრალულის ღირსია დამარცხებული კი არა, არამედ გამარჯვებული. აი ისინი, სისხლისმღვრელობას დაჩვეული ადამიანები: ისინი უგულებელყოფენ სინდისის ქენჯნას, რამეთუ გულში იხშობენ ხმას ბუნებისას. ისინი თანისთან ხდებიან სასტიკნი, უგრძნობელნი, სხვათა სიცოცხლე ჩალის ფასადაც არ უღირთ და ბოლოს, სამაგიეროც მიეზღვებათ, კაცთმოყვარეობის გრძნობას ფეხქვეშ რომ ქელავენ და სავსებით კარგავენ ხოლმე ამ ადამიანობასა და კაცურკაცობას. აბა, რანი ხდებიან ისინი? მიპასუხე, ნუთუ გინებს ემსგავსო მათ? არა, შენ ასე არ წახდები, ამისათვის როდი ხარ გაჩენილი! ოღონდ უფრთხილდი პირველ ნაბიჯს: შენი სული ჯერჯერობით სპეტაკია და უმწიკვლო. ნუ

შერყვნი მას, ნუ ჩააგდებ შენს სიცოცხლეს საფრთხეში თავსმოხვეული დანაშაულის, უსახელოვნო მამაცობის, სახელ-დიდების უაზრო მოთხოვნათ გამო.

ჯერ კიდევ არაფერი მითქვამს შენი ჟიულის გამო. იქნებ უფრო მალე დაგარწმუნოს მან, როცა შენს გულს ენუკვის. საკმაოა ჟიულის ერთი სიტყვაც, და გული შენი გამოეხმაურება მას. ზოგჯერ მაკუთვნებდი კიდეც მეუღლის უნაზეს სახელს, – ვგონებ, ახლა უკვე უნდა ვატარებდე დედის წოდებას. ნუთუ გინდა დამაქვრივო წმინდა კავშირით შეუღლებამდე?

P. S. ეს წერილი ჩემი ნება-სურვილის გამოცხადებაა, ხოლო მსგავს შემთხვევაში ჭკუათამყოფელი ადამიანი ყოველთვის ქედს იხრის. უკეთუ ფარ-ხმალს არ დაყრით, მაშინ სალაპარაკოც აღარაფერი გვექნება, ოღონდ მანამდე კარგად აწონ-დაწონეთ ყველაფერი. ერთ კვირას გაძლევთ მოფიქრებისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი საკითხის გამო. კეთილგონიერებისათვის კი არა გთხოვთ ვადის გაგრძელებას, არამედ თავად ჩემი გულისთვის. გახსოვდეთ, რომ შემიძლია მოხმობა უფლებისა, რომელიც თვითონ თქვენ მიბოძეთ, და მართლაც რა ზღვარდაუდებელია იგი.

LVIII წერილი
ჟიულისაგან მილორდ ედუარდისადმი

ხელვყავ თქვენდა წერად, მილორდ, ოღონდ არამც და არამც არ ვაპირებ გისაყვედურო: თქვენ შეურაცხყოფა მომაყენეთ – მაშასადამე, რაღაც დავაშავე თქვენს წინაშე ჩემდა უნებურად. არ მინდა ვიფიქრო, რომ წესიერ ადამიანს შეეძლოს პატივსაცემი ოჯახის უმიზეზოდ გათახსირება! რა გაეწყობა, გაიწვიეთ დუელში, შური იძიეთ, უკეთუ გაქვთ ამის საფუძველი. ჩემი წერილი საშუალებას მოგცემთ, წამში დაღუპოთ ბეჩავი გოგო. იგი ვერასოდეს აპატიებს თავის თავს, რომ თქვენ შეურაცხგყოთ, და განდობთ თავის სახელსა და პატიოსნებას, რომლის წაგვრაც თქვენ გწადიათ. დიახ, მილორდ, თქვენი ბრალდებები სამართლიანია: მე მყავს მიჯნური, და მას ვაღმერთებ და ვეთაყვანები. იგია ჩემი გულისა და მთელი ჩემი არსების მბრძანებელი. მარტოოდენ სიკვდილს ძალუძს ამ სანეტარო კავშირის გაწყვეტა. ჩემი მიჯნური ის არის, ვინაც თქვენი მეგობრობის ღირსი გახადეთ. მან დაიმსახურა ეს ამბავი, ვინაიდან უყვარხართ და იგი სათნო ადამიანია; ოღონდ თქვენი ხელით კი დაიღუპება. ვიცი, შებღალული ღირსება სამაგიეროს მოითხოვს; ისიც ვიცი, გამბედაობა დაღუპავს მას! ვიცი, ორთაბრძოლის ჟამს თქვენ იოტისოდენა საფრთხეც რომ არ გიქადით – მისი უშიშარი მკერდი უდრტვინველად შეეგებება ულმობელ ლახვარს. მინდოდა მისი დაოკება, რათა არ ჩაედინა წინდაუხედავი, ქარაფშუტული საციელი. მოვუხმე მის გონებას. ვაი, მე საწყალს! წერილიც კი მივწერე, მაგრამ ვიგრძენი, ამაოდ რომ გაცუდდა ყოველივე ჩემი ძალი და ღონე, და თუმცა პატივსა ვცემ მის ქველობას, მაინც ეჭვი მეპარება, ვაითუ ვერ შეძლოს-მეთქი თავი ანებოს ღირსების გამო ცრუ და ყალბ წარმოდგენას. განსცხრებოდეთ და იხარებდეთ წინასწარ, რადგან განგმირავთ თქვენი მეგობრის გულს; ოღონდ იცოდეთ, ულმობელო მტარვალო, ვერ გაიხარებთ ვერც ჩემი ცრემლებითა და ვერც სასოწარკვეთით. არა, ვფიცავ ჩემი გულის სიღრმეში მგმინავ სიყვარულს, ურღვევი ფიცით შეგაჯერებთ, ერთ დღესაც ნუ ვიცოცხლო იმის სიკვდილის შემდეგ, ვისთვისაც ვსულდგმულობ ამ ქვეყანაზე, და მაშინ თქვენც შეგეძლებათ დაიტრაბახოთ, ერთი დაკვრით ბოლო რომ მოუღეთ ორ ბეჩავ მიჯნურს, წინასწარი განზრახვით არაფრით რომ შეუცოდავთ თქვენთვის და გულწრფელად პატივსა გცემდნენ.

მილორდ, თქვენზე ამბობენ: ყოვლითა მშვენიერებითა სავსე სული აქვსო და გრძნობიერი გულის პატრონიაო. უკეთუ ისინი ნებას დაგრთავენ, არხეინად განსცხრებოდეთ მაგ, ჩემთვის უცნაური შურისგებით და იხარებდეთ ადამიანთა გაუბედურების გამო, მაშინ მაინცდამაინც, თქვენი სული და გული აგიძულებენ, როცა მე მოვწყდები ამ საწუთროს, იზრუნოთ ჩემი უნუგეშოდ შთენილი მშობლებისათვის – ისინი ხომ ერთადერთ შვილს დაკარგავენ და თავიანთი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს სამუდამო მწუხარებაში დააღამებენ.

LIX წერილი
ბ-ნ დ'ორბისაგან ჟიულისადმი

ქალბატონო, ვისწრაფი თქვენი ბრძანებით მოგახსენოთ, თუ რაგვარ შევასრულე თქვენი დავალება. ეს-ეს არის დავბრუნდი მილორდ ედუარდიდან. ჯერ კიდევ არ მორჩენია ნაღრძობი ფეხი და უყავარჯნოდ არ შეუძლია ოთახში სიარული. გადავეცი თქვენი ბარათი და მან სასწრაფოდ გახსნა იგი. ისე მომეჩვენა, თითქოს თქვენმა უსტარმა მღელვარება მოჰგვარა. ერთხანს რაღაცას ფიქრობდა, შემდეგ კვლავ გადაიკითხა და უფრო მეტმა მღელვარებამ მოიცვა. აი, რა მითხრა წერილის წაკითხვის შემდეგ:

«თქვენ კარგად მოგეხსენებათ, ჩემო ბატონო, რომ სახელ-ღირსების საქმეს თავისი წესები აქვს და მათი დარღვევა ყოვლად შეუძლებელია. თავადვე დაინახეთ, თუ რა მოხდა გუშინ ჩვენ შორის – ამას ბოლო უნდა მოეღოს ყოველნაირ წესთა მიხედვით. დამდეთ პატივი, მოიწვიეთ ორი თქვენი მეგობარი და მათთან ერთად მობრძანდით ჩემთან ხვალ დილით. მაშინ გაიგებთ ჩემს გადაწყვეტილებას». მე ვუპასუხე, ყოველივე მოხდა ვიწრო წრეში, უმოწმეებოდ – ხომ არ აჯობებდა ყველაფერი ამნაირადვე დამთავრდეს-მეთქი. მე ვიცი, როგორც უნდა მოვიქცეო, – მკვახედ მომახალა მან, – და რაც საჭიროა, მეც იმას ჩავიდენო. მაშ, მოიყვანეთ ორი მეგობარი, თორემ მე და თქვენი ლაპარაკი აქ ზედმეტი იქნებაო. ოთახიდან გამოველ და ამაოდ ვცდილობდი მისი უცნაური განზრახვის ამოცნობას. ასეა თუ ისე, პატივი მექნება გნახოთ დღეს საღამოს, ხოლო ხვალ აღვასრულებ, რასაც დამავალებთ. თუ საჭიროდ მიიჩნევთ, რომ თანამგზავრებიანად გავემართო მასთან შესახვედრად, ვიპოვი ისეთ ადამიანებს, კეთილსაიმედონი რომ არიან ყოველგვარი გასაჭირის ჟამს.

LX წერილი
ჟიულისადმი

დამშვიდდი, ძვირფასო, ჩემო საყვარელო ჟიული, და როცა გაიგებ ყველაფერს, ახლახან რაც მოხდა, გულისხმაჰყავ და გაიზიარე ჩემგნით განცდილი გრძნობანი.

როცა შენი წერილი მივიღე, ისე აღვშფოთდი, რომ ვეღარ შევიძელ იმ ყურადღებით წაკითხვა, რასაც იმსახურებს იგი. თავს ვეღარ მოვერიე: საშინელმა რისხვამ ჩაახშო ყველა სხვა გრძნობა. «იქნებ, შენ მართალიცა ხარ, – გავიფიქრე მე, – ოღონდ ნუ მომთხოვ ჩავყლაპო ჩემი შეურაცხყოფა. დაე, ხელიდან გამომეცალო; დაე, მოვკვდე, როგორც ბრალეული, მაგრამ ვერ ავიტან, რომ არ მოგაგონ სათანადო პატივი, და ვინემ სული მიდგას, შენ არ მოგაკლდება გარშემომყოფთა პატივისცემა ისევე, როგორც გეთაყვანება ეს ჩემი გული». ოღონდ ერთში კი უყოყმანოდ დაგეთანხმე – დავყაბულდი ერთი კვირით გამეგრძელებინა ვადა. მილორდის დაშავებაც და ჩემი აღთქმაც – ვყოფილიყავი შენი მორჩილი – ყველაფერი ხელს მიწყობდა შენს რჩევას ავყოლოდი. შენი ბრძანებისამებრ

გადავწყვიტე, ამ ხნის განმავლობაში ჩავფიქრებოდი წერილში გამოთქმულ მოსაზრებებს, შევუდექი მის გადაკითხვას და ავწონ-დავწონე ყოველივე იმისთვის კი არა, აზრთა ჩემთა წყობილება რომ შემეცვალა, არამედ მის სისწორეში დასარწმუნებლად.

ამ დილით კვლავ ავიღე, ჩემი აზრით, ეს მეტისმეტად მოკრძალებული, ნამეტნავად გონივრულად შეთხზული წერილი, და ის იყო მღელვარებით აღსავსე შევუდექი მის გადაკითხვას, როცა ანაზდად კარზე დააკაკუნეს. და იმავ წუთს ჩემს წინაშე გაჩნდა მილორდი ედუარდი. შემოვიდა უდაშნოდ, ჯოხდაბიჯგებული. თან ახლდა სამი კაცი და მათ შორის ბატონი დ'ორბიც. გამაოცა დაუპატიჟებელ სტუმართა მოსვლამ და ჩუმად ველოდი, მერე რა მოხდება-მეთქი. მაშინ ედუარდმა მთხოვა, ცოტა ხნით მიმიღეთო, და რაც ჩავიდინო და ვთქვა, ნურას დამიშლითო. «ძალიანა გთხოვთ, ამის დასტური მომცეთ. ამ ბატონების, თქვენი მეგობრების აქ ყოფნა იმას მოასწავებს, რომ ამით არაფერი მოგეწევათ». უყოყმანოდ მივეც დასტური, ოღონდ შენ მიხვდები, როგორ განვცვიფრდი ფრიად, როცა სიტყვის დამთავრებამდე დავინახე, ედუარდი ჩემს წინ რომ იჩოქებდა. ამ უცნაური საქციელით გაოცებული უმალ მივვარდი და მისი წამოყენება ვცადე. მაგრამ მან შემახსენა ჩემი პირობა და ასეთი ლაპარაკი წამოიწყო: «მე მოვედი, ბატონო, რათა საჯაროდ უარმეყო ის შეურაცხმყოფელი სიტყვები, რომლებიც სიმთვრალეში წამომცდა თქვენთან ყოფნისას. ცილისწამება შეურაცხმყოფს თავად მე, და არა თქვენ, და ჩემი ვალია დაგიდასტუროთ, რომ მე მათ უარვყოფ. მზად გახლავარ ვიტვირთო ყოველგვარი სასჯელი, როგორიც კი გნებავთ მომისართოთ, და ვფიქრობ, ჩემი ღირსების აღდგენას მხოლოდ ჩემივე დანაშაულის გამოსყიდვით შევიძლებ. რადაც უნდა დაგიჯდეთ, მაღირსეთ პატიება, გემუდარებით, და დამიბრუნეთ თქვენი მეგობრობა». «მილორდ, – მყისვე მივუგე მე, – შევიცან თქვენი დიადი და კეთილშობილური სული და საუცხოოდ განვასხვავებ თქვენი გულისგან ნაკარნახევ სიტყვებს იმ სიტყვებისგან, რომელთაც წარმოთქვამთ ზარხოშად ყოფნისას. მაშ, სამუდამოდ დავივიწყოთ ისინი». მაშინვე ზეზე წამოვაყენე და ერთმანეთს გადავეხვიეთ. ამის შემდეგ მილორდი მიუბრუნდა მოწმეებს და წარმოთქვა: «გმადლობთ, ბატონებო, თქვენი თავაზიანი სამსახურისათვის. ისეთ გულად ადამიანებს, როგორებიც თქვენ ბრძანდებით, – მღელვარებით დაუმატა მან და წელში გასწორდა, – უნდა მოეხსენებოდეთ, რომ ის, ვინც ასე გამოასწორებს თავის შეცდომებს, არავისგან არ მოითმენს და არ აიტანს შეურაცხყოფას. შეგიძლიათ მთელ ქვეყანას მოსდოთ ყველაფერი, რაც აქ დაინახეთ!» მერე ოთხივენი მიგვიწვია თავისთან ამ საღამოს ვახშამზე და მოწმეებიც წავიდნენ.

როგორც კი მარტონი დავრჩით, კვლავ გადამეხვია და კიდევ უფრო გულითადი და უფრო მეგობრული გრძნობები გამოამჟღავნა, ხოლო შემდეგ გვერდში მომიჯდა და ხელში ხელი ჩამკიდა. «მოკვდავთა შორის უბედნიერესო, – წამოიძახა მან, – დატკბით ბედნიერებით, რომლის ღირსიცა ხართ! ჟიულის გული თქვენ გეკუთვით; მაშ, იყავით ორივენი..». «გონს მოდით, მილორდ, – შევაწყვეტინე მე. – გონება ხომ არ დაგიკარგავთ?..» «არა, – ღიმილით მიპასუხა, – თუმცა მართლაცდა კინაღამ დავკარგე. იქნებ, დამმართნოდა კიდეც ეს ამბავი, რომ არ ყოფილიყო არსება, რომელმაც წარმსტაცა გონება და თავადვე არ დაებრუნებინა იგი...» და მაშინ გადმომცა რაღაც წერილი, და რა გაოცებამ შემიპყრო, რაჟამს დავინახე, რომ იგი დაწერილი იყო იმ ხელით, ჩემს გარდა არც ერთი მამაკაცისათვის რომ არ მიუწერია. ჰოი, ვით მღელვარებდა სული ჩემი, როცა მას ვკითხულობდი! იმ წერილში შევიცან სატრფო, რომელსაც ბადალი არა ჰყავს და მზად არის თავი დაიღუპოს ჩემდა სახსნელად, – შევიცან ჩემი ჟიული! ხოლო, როცა მივედი იმ ადგილამდის, სადაც წერილის დამწერი ფიცავს, ადამიანთა შორის უბედნიერესი არსების სიკვდილს ვერ გადავიტანო, თავზარი დამეცა; გავიფიქრე, თუ რა ხიფათს დავაღწიე თავი, დრტვინვას მოვყევ, ნამეტნავად რომ გიყვარვარ, ძრწოლამ ამიტანა და უეცრად მივხვდი,

შენც რომ სიკვდილის შვილი ხარ. აჰ, დამიბრუნე გულოვანება, რომელსაც მართმევ... ვფლობდი მას, როცა პირისპირ უნდა შევგებებოდი სიკვდილს, მარტოოდენ ჩემს არსებობას რომ ექადებოდა; მაგრამ ღონე მელევა, როცა გავიფიქრებ, რომ შენ ჩემთან ერთად მოკვდები.

ამასობაში, ვინემ მთელი სულითა და გულით მწარე ფიქრებში ვიყავ გართული, ედუარდი რაღაცას მეუბნებოდა, ოღონდ თავდაპირველად ყურადღება არ მიმიქცევია მისი სიტყვებისათვის, მაგრამ მაიძულა გულისყურით მომესმინა და მისი ნათქვამი მაშოშმინებდა და უკვე აღარ აღმიძრავდა ეჭვს. მივხვდი და გავიგე, თუ რაგვარი სიბრალულით აევსო გული, როცა დააფრთხო ჩვენი სიყვარული, დაარღვია შენი სიმშვიდე. შენ ყველაზე მეტ პატივსა გცემს ამქვეყნად, ოღონდ ვერ გაუბედნია შენც გამოგთხოვოს პატიება; ამიტომ მთხოვა გადმოგცე ის და დაგიყოლიო, რათა ლმობიერად მოეპყრა მას. «თქვენ ჩემთვის მისი სრულუფლებიანი წარმომადგენელი ხართ, – მეუბნებოდა იგი, – და მეც გულარხეინად მივმართავ იმ ადამიანს, ვინაც მას უყვარს, ვინაიდან არ ძალმიძს მასთან არც ლაპარაკი და არც მისი სახელის წარმოთქმა, რადგან ვშიშობ, ზიანი არ მივაყენო მის სახელს». გამომიტყდა, თუ როგორაა შენდამი გრძნობამორეული და შენით აღტაცებული, რაც ყოველი შენი მნახველისათვის ძნელი დასაძლევია, ოღონდ ეს გრძნობა და აღტაცება უმალ სინაზეა და თაყვანისცემა და არა სიყვარული. ისინი არასოდეს აღუძრავდნენ მას არავითარ უფლებასა და იმედს. მან სავსებით ქედი მოიდრიკა ჩვენი სიყვარულის წინაშე, როგორც კი იგი ცნობლი გახდა მისთვის, ხოლო ნართაული სიტყვები პუნშის გავლენით წამოსცდა, და არამც და არამც ეჭვიანობის გამო. იგი სიყვარულზე ისე მსჯელობს, ვით შეჰფერის ფილოსოფოსს, რომელიც ფიქრობს, ჩემი სული ყველა ვნებაზე უფრო დიადიაო: იქნებ, ვცდებოდე, მაგრამ ჩემი აზრით, მას ერთხელ უკვე უყვარდა, და ეს ხელს უშლის მეორე სიყვარულს, ფესვი გაიდგას მის გულში. ის, რაც გამოწვეულია გულის უილაჯობით, თავად მიაწერს გონებითს მოსაზრებებს, ოღონდ ხომ კარგად ვიცი, ჟიულის შეყვარება და მასზე ხელის აღება – ეს ვაჟკაცობაა, რაც მამაკაცის ძალ-ღონეს აღემატება.

მოიწადინა დაწვრილებით გაეგო ჩვენი სიყვარულის მთელი ამბავი და ის დაბრკოლებები, რომლებიც ხელს უშლიან შენი მეგობრის ბედნიერებას. გადავწყვიტე, შენი წერილის შემდეგ ნახევრად აღსარების თქმა საზიანო და უადგილო იქნებოდა, და მეც ჩავუკაკლე ყველაფერი. მანაც ყურადღებით მომისმინა, რაც მის გულწრფელობას ადასტურებს. ბევრჯერ შევამჩნიე, თვალებზე ცრემლი რომ ადგებოდა და გრძნობამორეული იყო; განსაკუთრებით ძალზე იყო აღელვებული სათნოების გამარჯვებით, და მე მგონია, კლოდ ანეს აღმოუჩნდა მამაშენზე არანაკლებ მოჭირნახულე ახალი მფარველი. «ყველაფერში, რაც თქვენ მამცნეთ, – წარმოთქვა მან, – არც ბედის ტრიალია და არც ფათერაკისებრი შემთხვევა, მაგრამ ვერავითარი რომანი ვერ გამიტაცებდა ამნაირად თავისი ტრაგიკული მოულოდნელობებით: გულის უკვდავება ასე იჭერს შემთხვევის ადგილს, ხოლო წესიერების გამოვლინება ბრწყინვალე გმირობათა შემცვლელია. თქვენ ორთავეს ესოდენ არაჩვეულებრივი სული გაქვთ, რომ შეუძლებელია მათი განსჯა საყოველთაო წესისდა მიხედვით. ბედნიერებისაკენ მიმავალი ჩვენი გზა სხვისას არა ჰგავს, და თავად ის ბედნიერებაც სულ სხვა ყაიდისაა; სხვებს ხომ მარტოოდენ კეთილდღეობისათვის და სხვათა აზრების გამო ერჯით გული, – თქვენთვის კი მხოლოდ და მხოლოდ ალერსი და მყუდროებაა საჭირო. თქვენს სიყვარულს ზედ მიესართა გაჯიბრება ურთიერთშორის მაღალ ზნეობაში, რაც განგადიდებთ ორივეს; თითოეულ თქვენგანს რამდენად ნაკლები ფასი და წონა ექნებოდა, ერთმანეთი რომ არ გყვარებოდათ. სიყვარული წარმავალია, – თამამად დაუმატა მან (ვაპატიოთ მას ეს მკრეხელობა – ეს ხომ გულმა უკარნახა ასე და უცოდინარობით მოუვიდა), – სიყვარული წარმავალია, –

გაიმეორა მან, – მაგრამ გულქვაობა ჰგიებს ნიადაგ». ჰოი! ნეტავი ჩვენი სიყვარულივით იყოს უკვდავი იგი სამარადჟამოდ, ჩემო ჟიული! თვით ზეცაც კი ვერ მოინატრებდა უფრო მეტს.

ერთი სიტყვით, ვამჩნევ, რომ ვერც ფილოსოფიურმა სიმკაცრემ და ვერც მრისხანებამ, მისი ქვეყნის შვილებს რჯულად რომ მოსდგამთ, ვერ ჩაუხშო ჩვენს კეთილშობილ ინგლისელს კაცთმოყვარეობის ნიშანდობლივი გრძნობა, და ისიც ჭეშმარიტი გულისხმიერებით ეპყრობა ჩვენს განსაცდელს. იმის უნარი რომ გვქონდეს, ხელი მოვიმართოთ გავლენითა და სიმდიდრით, ცხადია, შეგვეძლო მილორდის იმედით ყოფნა. მაგრამ ჰოიმე! ძალაუფლებასა და ფულს არ ძალუძს ადამიანის გაბედნიერება!

დრო და ჟამის დაუთვლელად სადილობამდე ასე ვსაუბრობდით. ვუბრძანე, წიწილა შემოეტანათ, ხოლო ნასადილევს ისევ განვაგრძეთ საუბარი. მილორდმა ახლანდელ საქციელზე ჩამოაგდო სიტყვა; თავი ვერ შევიკავე და ვაგრძნობინე, თუ როგორ ვიყავი განცვიფრებული ესოდენ უჩვეულო და გაბედული საქციელით. მან კი უკვე დასახელებულ საბუთებს დაუმატა – პატივ-ღირსების საკითხში გამბედავ ადამიანს არ შეშვენის ნახევრად მობოდიშებით დაკმაყოფილდესო: ან ყველაფერი უნდა მოინანიო, თუ არადა სულაც ნუ მოინანიებ, თორემ ამით დანაშაულს ვერ გამოისყიდი, მარტოოდენ თავს დაიმცირებ და შენს სულელურ, უგულო მობოდიშებას მხოლოდ და მხოლოდ სილაჩრეს მიაწერენო. «თუმცა, – დაუმატა მან, – ჩემი რეპუტაცია უკვე საკმაოდაა განმტკიცებული. შემიძლია სამართლიანად მოვიქცე, – ლაჩრად ვერავინ ჩამთვლის. თქვენ ჯერ ჯეელი ბრძანდებით, სწორედ ახლა შედიხართ მაღალ საზოგადოებაში; თქვენი სახელი უმწიკვლო და შეუბღალავი უნდა იყოს პირველი გამოწვევის შემდეგ, რათა ვერავინ გაბედოს თქვენი შეგულიანება მეორე ორთაბრძოლისთვის. ყოველგან შეხვდებით თაღლით ლაჩრებს, რომლებიც, როგორც იტყვიან, «მოსინჯავენ მტერს», ცდილობენ გამონახონ ვინმე, მათზე უფრო ჯაბანი, და მათი შემწეობით წონა და ფასი მოიმატონ. არა მსურს, თქვენებრ წესიერი ადამიანი, რომელიც იძულებულია დასაჯოს ერთ-ერთი ასეთი ვაჟბატონი, ჩაებას ორთაბრძოლაში, რასაც არავითარი სახელ-დიდება არ მოაქვს, და თუკი მათ დასჭირდებათ გაკვეთილი, მირჩევნია თავად შევთავაზო იგი: დაე, ერთი დუელით მეტი მქონდეს – ეს როდი ავნებს ბევრჯერ ნაჩხუბარ ადამიანს. თქვენ კი მარტოოდენ ერთ დუელსაც შეუძლია დაღი დაგასვათ, ხოლო ჟიულის მიჯნური უმწიკვლო და შეუბღალავი უნდა იყოს».

აი, მოკლედ მილორდ ედუარდისა და ჩემი ხანგრძლივი საუბრის შინაარსი. საჭიროდ ჩავთვალე ყველაფერი მომეხსენებინა შენთვის – მასწავლე, როგორ დავიჭირო თავი მასთან.

ახლა კი, როცა ყოველივე ასე მშვიდობიანად დამთავრდა, ამას გენუკვი, განაძე შავბნელი ფიქრები, აგერ რამდენი დღეა გარს რომ გეხვევიან, გაუფრთხილდი თავს – ასეა საჭირო ახლა შენს მდგომარეობაში ყოფნისას, რაც ძალზე მაძრწუნებს. ჰოი, ნეტამც მალე გაასამო არსება ჩემი! ნეტამც კი მალე იყოს ტრფობის საწინდარი... ოი, იმედო, რაოდენჯერ მოგისართავს ჩემდა სასოწარკვეთა, – ნუთუ კვლავ გაცრუვდები ჩემთვის?! ოი, ოცნებებო, შიშის ზარო, განუჭვრეტელო წყვდიადო!.. ოი, ჩემო პირმშვენიერო გულისვარდო, ვიცოცხლოთ ჩვენი სიყვარულისთვის, ხოლო დანარჩენი ღვთის ნება იყოს.

P. S. დამავიწყდა მეთქვა: მილორდმა გადმომცა შენი წერილი, და მეც ურცხვად გამოვართი – ასეთი საუნჯის სხვის ხელში დატოვება ხომ შეუძლებელია. პირველ შეხვედრისთანავე გადმოგცემ. შენი წერილი უკვე აღარ მჭირია – თითოეული პწკარი ისე ჩამებეჭდა გულის სიღრმეში, რომ, მერწმუნე, მისი ხელმეორედ გადაკითხვა ამიერიდან არასოდეს მომინდება.

LXI წერილი
ჟიულისაგან

მოიყვანე ხვალ მილორდი ედუარდი – მის ფერხთით მეც ისე დავიჩოქებ, როგორც მან დაიჩოქა შენს წინაშე. ო, რა სულგრძელობაა, რა კეთილშობილება! მასთან შედარებით ჩვენ რა არარაობანი ვართ. თვალისჩინივით გაუფრთხილდი ძვირფას მეგობარს. იქნებ, ის ბევრს დაკარგავდა, თავდაჭერილი რომ ყოფილიყო. განა ეგების დიად გულქველობათ ფლობდეს უნაკლო ადამიანი?

ის იყო, უამრავმა მღელვარებამ გამიათასა ბოღმა-ვარამი, – შენი წერილით აღადგინე ჩემი ჩაფერფლილ-მინავლებული მხნეობა. შიში და ძრწოლა გამიფანტე და დარდიც შემიმსუბუქდა. ახლა კი უცილოდ მეყოფა ძალ-ღონე ჩემთა ტანჯვათა მორევნად. ცოცხალი ხარ და გიყვარვარ მე! ამიერიდან შენი და შენი მეგობრის სისხლი აღარ დაიღვრება, ხოლო შენს ღირსებას საფრთხე არ უქადის, – მაშ, მე მთლად უბედური როდი ვყოფილვარ.

ნუ გააცდენ ხვალინდელ ჩვენს პაემანს. მოუთმენლად მინდა შენი ნახვა და არასდროს ასე არ მქონია იმედი, რომ კიდევ და კიდევ ხანგრძლივად მომიხდება შენთან შეხვედრა. მშვიდობით, ჩემო ძვირფასო, ერთადერთო მეგობარო. ჩემი აზრით, შენ არც ისე მარჯვედ გამოთქვი: ვიცოცხლოთო ჩვენი სიყვარულისთვის... ჰაი-ჰა, უნდა კი გეთქვა: ერთმანეთი ჩვენი სიცოცხლის გულისთვის გვიყვარდესო.

LXII წერილი
კლარასაგან ჟიულის

ნუთუ, საყვარელო დაიკო, ბედმა მარგუნა შევასრულო მხოლოდ ყველაზე სამწუხარო მოვალეობანი, მეგობრობა რომ მაკისრებს? ნუთუ მარდჟამს უნდა მელეოდეს გული და შენც დაგაღონო საწყენი ამბებით? ვაგლახმე! მე და შენ ერთნაირად ვგრძნობთ და გვესმის ყველაფერი; ეს კარგად იცი, და როცა გატყობინებ ახალ დასაღონარ ამბებს, ეს იმას ნიშნავს, თავად შენს მაგივრად რომ ვგრძნობ და შევიცნობ მათ. აბა, რატომ არ ძალმიძს დაგიფარო უბედურება მის გაუარჯლებლად? რატომ არ გააჩნია სათუთ მეგობრობას სიყვარულის მომხიბვლელობა? ჰოი, ასე რომ ყოფილიყო, მაშინვე აგიძულებდი დაგევიწყებინა მწუხარება, რომელსაც ჩემი ნაამბობით გთავაზობ.

გუშინ კონცერტს შემდეგ, როცა შინ დაბრუნებული დედაშენი შენს მეგობართან, ხოლო შენ – ბ-ნ დ'ორბისთან ერთად ხელიხელგაყრილნი ოთახში შედით, მამაჩვენები მილორდთან დარჩნენ პოლიტიკის გამო სასაუბროდ. ეს საგანი სევდასა მგვრის, და ჩემს საწოლ ოთახისაკენ გავემართე. ნახევარი საათის შემდეგ უეცრად მომესმა, ვიღაც გაცხარებით იმეორებდა შენი მეგობრის სახელს. უმალ მივხვდი, საუბარში სხვა თემას რომ შეეხნენ და ყური მივუგდე. საუბარი გრძელდებოდა. აშკარად ჩანდა, მილორდ ედუარდმა გადაწყვიტა, შუამავლობა გაეწია შენი მეგობრისათვის – იგი სიამაყით უწოდებდა მას თავის მეგობარს – და გულითადად თავს იდვა შეექმნა მისთვის ჯეროვანი მდგომარეობა. მამაშენმა ზიზღით უარყო მილორდის წინადადება. და სწორედ მაშინ ატყდა აურზაური. «იცოდეთ, – დაჟინებით ეუბნებოდა მილორდი, – რომ, მიუხედავად მთელი თქვენი ცრურწმენისა, მარტოოდენ ის არის ამ ქვეყანაზე თქვენი ქალის ღირსი და შესაძლოა, სწორედ მან გახადოს იგი ბედნიერი. ბუნებამ მომადლა მას ყოველგვარი ნიჭიერება, რაც კაცთ არ ექვემდებარება, ხოლო ამ ნიჭიერებასა და უნარს ზედ მიუსართა ყველაფერი, რაც

მის ნება-სურვილს ჰფერობდა. იგი ახალგაზრდაა, მოხდენილი და სანდომიანი, ძლიერია და ყოჩაღი; განათლებულია, პატიოსანი და გამბედავი. იგი ჭკუის კოლოფია და უმწიკვლო სულისა და გულის პატრონი. განა კიდევ რაღა აკლია მას, რომ თქვენი თანხმობა დაიმსახუროს? სიმდიდრე? ესეც ექნება. ჩემი ქონების მესამედი სავსებით საკმაოა, ყველაზე უმდიდრესი ადამიანი რომ გახდეს მთელ ვოს კანტონში; ხოლო თუ საჭირო იქნება, მზადა ვარ ქონების ნახევარიც კი მივცე. იქნებ, კეთილშობილური წოდება? ეს უსარგებლო და ზედმეტი უპირატესობაა იმ ქვეყანაში, სადაც მას მხოლოდ ზიანი მოაქვს და არა სარგებელი. თუმცა გარწმუნებთ, ჭეშმარიტი გვარიშვილია, და თუმც მისი გვარი არაა მოხსენიებული ძველ სიგელ-გუჯრებში, კეთილშობილება გულის სიღრმეში აღბეჭდია და მას იქიდან ვერაფერი ამოშლის. ერთი სიტყვით, უკეთუ გონებას ცრურწმენაზე მაღლა აყენებთ და ტიტულთ უმეტეს გიყვართ თქვენი ქალიშვილი, მაშინ მიათხოვეთ მას და ჟიულისათვის ქმრად სხვას ნურავის დაეძებთ».

აქ კი მამაშენი გაბრაზდა. ედუარდის წინადადება სულელური და სასაცილო უწოდა. «ეს რა ამბავია! თქვენ, მილორდ, ესოდენ დიდებულმა ადამიანმა, – წამოიძახა მან, – აბა, როგორ წარმოიდგინეთ, თითქოს კეთილშობილთა გვარის უკანასკნელი ნაშიერი დათანხმდება, რათა მისმა სახელმა დაკარგოს ბრწყინვალება ანდა სამარცხვინო ლაქით შეიბღალოს და ნება დართოს თავის ასულს, ცოლად გაჰყვეს ვიღაც მაწანწალას, მოწყალებით მცხოვრებ ღარიბ-ღატაკს?» «შესდექით! – შეაწყვეტინა მას ედუარდმა, – თქვენ ლაპარაკობთ ჩემს მეგობარზე. გახსოვდეთ, უკეთუ მას შეურაცხყოფენ ჩემი თანადასწრებით, მაშ – მეც შეურაცხყოფას მაყენებენ. ის, ვინც წესიერ ადმაიანს ლანძღავს და აგინებს, ამით თავის თავზეც აუგს ამბობს. ასეთი უპოვარი ადამიანები უფრო მეტი პატივისცემის ღირსნი არიან, ვინემ ერთად აღებული მთელი ევროპის გუდამშიერი აზნაურები, და თავს დავდებ, რომ სიმდიდრისკენ მიმავალი ყველაზე საპატიო გზა – ესაა პატივისცემის ხარკისა და მეგობრობის ნიჭთა მიღება. კაცს, რომელსაც სიძედ გთავაზობთ, თქვენსავით როდი ჰყავს მუდამჟამს საეჭვო უამრავი წინაპარი; სამაგიეროდ, იგი გახდება თავისი გვარის ფუძემდებელი და მშვენება, ისე როგორც ოდესღაც თქვენი გვარისათვის გახლდათ თქვენი პეპერა. განა საუგოდ ჩათვლით ნათესაობას თქვენი გვარის მეთაურთან, და მაშინ თქვენი სიძულვილი თავად თქვენვე ხომ არ შეგეხებათ? ხოლო რამდენი დიდგვაროვანი სახელი მიეცემოდა დავიწყებას, თუკი ასეთებად ჩავთვლიდით მხოლოდ იმათ, ვინც დასაბამს ღირსეული კაცისაგან ღებულობს! მაშ, წარსული ახლანდელი დროისდა მიხედვით შევაფასოთ და განვსაჯოთ. ორ-სამ მოქალაქეზე, რომლებიც თავიანთი დიდგვაროვნობის ღირსნი არიან, მოდის ათასობით გაიძვერა, ქვებუდანობით რომ გამოისარჯლავენ კეთილშობილურ წოდებას; ხოლო ისეთი კეთილშობილება, როგორითაც იყოყოჩებენ შთამომავალნი, მხოლოდ და მხოლოდ წინაპართა შორის გავრცელებული მძარცველობისა და გარყვნილებისაგან წარმომავლობს.[31] გეთანხმებით, რომ უაზნო წარმოშობის ადამიანთა შორისაც მცირედ როდი მოიპოვებიან უპატიოსნონი, მაგრამ დაგენაძლევებით, რომ ოცი აზნაურიდან ერთი აუცილებლად პირწავარდნილი მატრაბაზის შთამომავალია. ამრიგად, თუ ნებას დამრთავთ, თავი ვანებოთ ამ წარმომავლობის ამბავს და ავწონ-დავწონოთ პირადი ღირსებანი და დამსახურებანი. თქვენ ბრძანდებოდით უცხოქვეყნელი ხელმწიფის სამხედრო სამსახურში, მამამისი კი იბრძოდა სამშობლოსათვის და არ მიუღია არავითარი

[31] აზნაურთა სიგელების ბოძება ახლანდელ საუკუნეში იშვიათი ამბავია. მაინცდამაინც, თითქოსდა ცნობილია მხოლოდ ერთი ასეთი შემთხვევა. რაც შეეხება ფულის საფასურად მოპოვებულსა და ფრიად სამძიმო პირობებში ნაყიდ კეთილშობილურ წოდებას, ჩემი აზრით, მისი ერთადერთი შესამჩნევი პრივილეგია ისაა, რომ მის მფლობელს ჩამოხრჩობას ვერ მიუსჯიან.

გასამრჯელო. თქვენი ჩინებული სამსახური ჩინებულადაც აგინაზღაურეს; ოღონდ რა სამხედრო პატივი და დიდებაც მოიხვეჭეთ, – მერწმუნეთ, ასობით უაზნო ადამიანი უფრო მეტად იყო ამის ღირსი.

მაშ, რითღა შეუძლია დაიტრაბახოს წოდებამ, რომლის წევრობაც ასე გეამაყებათ? რას აკეთებს იგი სამშობლოს დიდებისა ანდა ადამიანთა მოდგმის ბედნიერებისათვის? კანონებისა და თავისუფლების ამ დაუძინებელმა მტერმა განა ტირანიისა და ხალხთა ჩაგვრის გარდა რა წარმოქმნა უმრავლეს ქვეყანაში, სადაც ესოდენ ბრწყინვალე მდგომარეობას ფლობს? ნუთუ რესპუბლიკაში ცხოვრებისას ეცდებით პატივი მიაგოთ წოდებას, რომელიც სპობს სათნოებასა და ადამიანობას, მონობის ინსტიტუტის მიერ ნაქებ წოდებას, იმ წოდებას, რომლის თითოეულ წარმომადგენელს რცხვენია ადამიანად ყოფნა! წაიკითხეთ თქვენი სამშობლოს მატიანეები.[32] აბა, მის წინაშე რა დამსახურებებითაა აღნუსხული თქვენი წოდება? განა ბევრი აზნაურია მის გამათავისუფლებელთა შორის? და განა ფურსტები, ტელები, შტაუფაჰერები აზნაურები იყვნენ? აბა, რა უცნაური სახელ-დიდებაა ეს, რომლის გულისთვის ესოდენ დავიდარაბასა სტეხთ? იგი ხელს აძლევს მარტოოდენ მის მფლობელს, ხოლო სახელმწიფოსთვის მძიმე ტვირთია».

იცი, საყვარელო, რა განვიცადე, როცა დავინახე, თუ რა ზიანს აყენებდა მეგობარს უადგილო სიფიცხით მისი დახმარების მოსურნე ეს კეთილშობილი ადამიანი! და მართლაც, მამაშენი, გაშმაგებული ესოდენი კიცხვითა და გესლიანი სიტყვებით, თუმცა ისინი არავის გულს არ მოხვედრია, შელაპარაკებისას პირადობას შეეხო. მან პირდაპირ უთხრა მილორდ ედუარდს – ჩემი წოდების ადამიანისათვის ჯერ არგაგონილი მეამბოხური სიტყვების წარმოთქმას ბედავთო. «ტყუილ-უბრალოდ ირჯებით და ზრუნავთ სხვათათვის, – უკმეხად დაუმატა მან. – თუმცა წარჩინებული პიროვნება ხართ, მაინც ვეჭვობ, მოიპოვოთ წარმატება, თავად თქვენთვისაც რომ გეზრუნათ. თქვენ ურიგებთ ჩემს ასულს იმ კაცს, ვისაც მეგობარს უხმობთ, ხოლო ჯერჯერობით არაა ცნობილი, თავად თუ ხართ იმ ქალის ღირსი: მშვენივრად ვიცნობ ინგლისელ აზნაურობას, და როცა მოგისმინეთ, საერთოდ ეჭვი დამებადა თქვენს აზნაურულ წარმომავლობაში».

«ჯანდაბას! – წამოიძახა მილორდმა, – რაც გნებავთ, ის იფიქრეთ; ოღონდ არა მსურს, ჩემი ღირსებები განსაჯონ მხოლოდ და მხოლოდ ხუთასი წლის წინათ გარდაცვლილი კაცის ღირსებათა მიხედვით. უკეთუ თქვენთვის ცნობილია ინგლისის აზნაურობა, მაშინ ცნობილი უნდა იყოს ისიც, რომ იგი ყველაზე განათლებულია და ყველაზე განსწავლული, ყველაზე გონიერია და ყველაზე გამბედავი ევროპაში; ამიტომაც საჭირო როდია ვარკვიოთ ყველაზე უძველესია იგი თუ არა; ვინაიდან, როცა ვლაპარაკობ იმაზე, თუ როგორია იგი დღეს, როდი ფიქრობ იმას, როგორი იყო წინათ. და მართლაც, ჩვენ სრულიადაც არა ვართ მეფის მონები, არამედ – მისი მეგობრები, ხალხის ტირანები კი არა, არამედ – მისი ხელმძღვანელები. თავისუფლების ქომაგი, მამულის შემწე და ტახტის ბურჯი ჩვენი აზნაურობა იცავს და ინარჩუნებს წონასწორობას მეფესა და ხალხს შორის. ჩვენს პირველ მოვალეობადა ვრაცხთ ერის სამსახურს და ერთგულად ვმსახურებთ მასაც, ვინაც წინ უძღვის ერს და მართავს მას. ჩვენ ხელმწიფის ნება-სურვილს კი არ ვეთვისებით, ჩვენ, კანონის უზენაესი დამცველები პერთა პალატაში, ზოგჯერ თვით კანონმდებლებიცა ვართ და ვიცავთ სამართლიანობას როგორც ხალხის, ასევე სწორედ მეფის მიმართაც, და ვერ მოვითმენთ, თუკი ვინმე იტყვის: «ღმერთი არს ჩემი მახვილი»; ჩვენ ვაღიარებთ მხოლოდ და მხოლოდ ერთ რამეს; «ღმერთი – უფლებაა ჩემი».

---

[32] აქ მრავალი შეუსაბამობაა: ვოს კანტონი არასოდეს ყოფილა შვეიცარიის ნაწილი. იგი ბერნელებმა დაიპყრეს, და მისი მცხოვრებლები არ არიან არც მოქალაქენი, არც დამოუკიდებელი ადამიანები, არამედ – ქვეშევრდომნი.

აი, ბატონო ჩემო, როგორია ჩვენი აზნაურობა, ყოველგვარი პატივისცემის ღირსი. იგი ყველაზე უძველესია ამქვეყნად, მაგრამ თავისი პირადი დამსახურებებით ამაყობს და არა წინაპრებით, – თქვენ კი ზრახავთ მას ისე, რომ არც კი იცით მისი ამბავი, და მეც უკანასკნელი ადგილი როდი მიჭირავს მაღალ საზოგადოებაში. ასე რომ, მიუხედავად მთელი თქვენი დაჩემებისა, თქვენი თანასწორი გახლავართ ყოველმხრივ. ჩემი და გასათხოვარი ქალია, კეთილშობილია, ლამაზი, მდიდარი. ჟიულის მარტოოდენ იმ სულიერი ღირსებებით ჩამოუვარდება, რომელთაც თქვენ მნიშვნელობას არ ანიჭებთ, და თუკი თქვენი ასულით მოხიბლული ყმაწვილი კაცი თვალთა მზერას მიაპყრობდა სხვა ქალს, დიდ ღირსებად მივიჩნევდი ჩემი სიძე მეწოდებინა იმისთვის, ვისაც ერთი გროშიც არ გააჩნია და ვისაც სიძედ გთავაზობთ ჩემი ქონების ნახევრიანად».

მამაშენის პასუხის მიხედვით მივხვდი, ეს საუბარი საშინლად რომ აშმაგებდა და მიუხედავად იმისა, რომ აღტაცებული ვიყავი მილორდ ედუარდის კეთილშობილებით, ვხედავდი, მისებრი პირუთვნელი კაცი მართლაც საზიანოდ რომ წარმართავდა თავის კეთილ განზრახვას. და მეც გავეშურე მათკენ, სანამ წრეს არ იყვნენ გადასულნი. ჩემი გამოჩენისთანავე საუბარი შეწყდა, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ ისინი ფრიად გულცივად გამოემშვიდობნენ ერთმანეთს. რაც შეეხება მამაჩემს, მერწმუნე, ამ შეტაკებაში თავი ძალზე ჩინებულად ეჭირა. ჯერ დიდი თანაგრძნობით დაუჭირა მხარი მილორდის წინადადებას, მაგრამ შემდეგ, როცა დაინახა, მამაშენს ამის გაგონებაც არ სურდა და დავა მწვავდებოდა, ჩაჩუმდა, მერე კი, როგორც მოსალოდნელი იყო, ცოლისძმას მიემხრო და უწყინარი შენიშვნებით აწყვეტინებდა ხან ერთსა და ხან მეორეს, აშოშმინებდა მოდავეთ, რაც არაფრის დიდებით არ მოხდებოდა, ისინი პირისპირ მარტონი რომ დარჩენილიყვნენ. როგორც კი სტუმრები წავიდნენ, მამაჩემმა გადმომცა ყველაფერი, რაც მოხდა. მივხვდი, რა შედეგიც მოჰყვებოდა ამას და მყისვე ვუთხარი, რადგან ყოველივე ასე შეტრიალდა; უხერხული და საჩოთირო იქნება – ის კაცი, ვისზედაც ლაპარაკია, წინანდებურად ხშირ-ხშირად შეხვდეს ჩვენსას ჟიულის-მეთქი. მართლაცდა, მისთვის აჯობებს, სულაც არ მოვიდეს, თუკი ეს ამბავი არ გაანაწყენებს ბ-ნ დ’ორბს, ვინაიდან ისინი მეგობრები არიან; ოღონდ ვთხოვ ბ-ნ დ’ორბს, იშვიათად მოიყვანოს ჩვენსას ისიც და მილორდ ედუარდიც-მეთქი. აი, ჩემო საყვარელო, ყველაფერი, რის გაკეთებაც შევიძელ, რათა მთლად არ ჩამეკეტა ჩვენი სახლის კარები შენი მეგობრისათვის.

მაგრამ ეს კიდევ ყველაფერი როდია. შენთვის დადგა გადამწყვეტი ჟამი, და იძულებული ვარ ჩემს აზრზე ვიდგე. როგორც მოსალოდნელი იყო, ედუარდისა და შენი მეგობრის ჩხუბმა ქალაქში გაცხოველებული მითქმა-მოთქმა გამოიწვია. თუმცა ბატონმა დ’ორბმა საიდუმლოდ დაიცვა ჩხუბის მიზეზი, მაგრამ ქალაქში ისეთი ხმები დაჰყარეს ამის თაობაზე, რომ საიდუმლო გაუმჟღავნებელი აღარ დარჩება. ადამიანები გუმანით ხვდებიან რაღაცას, ვარაუდობენ. ახსენებენ შენს სახელს. გაიხსენეს გუშაგის ნალაყბევი, ერთხანს მითქმა-მოთქმის საგნადაც რომ იქცა, ხოლო ხალხის თვალში ნავარაუდევი ჭეშმარიტება თითქმის იგივეა, რაც აშკარა სინამდვილე. დაე, ერთი ამბავი მაინც იყოს შენთვის სანუგეშო: ყველანი იწონებენ შენს არჩევანს. და ყველას გაეხარდებოდა კიდეც ასეთი მშვენიერი ქალ-ვაჟის შეუღლება. შენი მეგობარი შეეჩვია ჩვენს კუთხეს და შენზე ნაკლებად როდი უყვართ იგი. მაგრამ განა ხალხის ხმას ძალუძს ზეგავლენა მოახდინოს უგულო მამაშენზე? მის ყურამდე უკვე მიაღწია ხმებმა ანდა აწი მიაღწევს კიდეც, მე კი თავზარსა მცემს იმის გაფიქრება, რით დამთავრდება ყოველივე ეს, უკეთუ არ დააჩქარებ მამაშენის რისხვის დაოკებას. მოგიხდება სასტიკი საუბარი მასთან, ხოლო შენს მეგობარს, შესაძლოა, უფრო საშინელი დღე დაადგეს. საეჭვოა, რომ ხანდაზმული მამაშენი ხმალდახმალ შეეტოქოს ყმაწვილ კაცს, თანაც დუელის ღირსად არც კი გახდის მას, მაგრამ

ქალაქში იმოდენა უფლება აქვს, ცოტა უსიამოვნებას როდი შეამთხვევს თქვენს მეგობარს, და ვშიშობ, გაბრაზებულმა ვაითუ ანგარიშიც გაუსწოროს.

მუხლმოდრეკით გემუდარები, ძვირფასო დაიკო, კარგად იფიქრე ყოველი მხრიდან მოჯარულ ხიფათზე, – საფრთხე ხომ ყოველ წუთს მატულობს. აქამომდე უმაგალითო იღბალი იყო შენი შემწე და მხსნელი. ვიდრე გვიან არაა, ფრთხილად დაფარე შენი მიჯნურობის საიდუმლოება და ნუ ეთამაშები ბედისწერას, – გეშინოდეს, რათა მან შენებრ შეჭირვებაში არ ჩააგდოს ყოველივე ამის ბრალეულიც. მერწმუნე, ჩემო ანგელოზო, მომავალი ბუნდოვანებითაა მოცული. უამრავ მოულოდნელობას ძალუძს საკეთილოდ შეატრიალოს ყველაფერი. ოღონდ რაც შეეხება ამჟამინდელ ამბავს, უკვე გითხარი და კვლავ დაჟინებით გიმეორებ: მოიშორე შენი მეგობარი, თორემ დაიღუპები.

LXIII წერილი
ჟიულისაგან კლარასადმი

ჩემო ძვირფასო, მოხდა ის, რასაც წინასწარ ვჭვრეტდი. გუშინ, ჩვენი დაბრუნების შემდეგ, მამა შევიდა დედაჩემის ოთახში. თვალებში მრისხანება უელავდა, სახე ალეწოდა, ერთი სიტყვით, ჯერ არასოდეს მინახავს ასეთი. უმალ მივხვდი, ვიღაცას წაჩხუბებია, ანდა ჩხუბის საბაბს ეძებს-მეთქი, და ჩემმა აფორიაქებულმა სინდისმა წინასწარ დამცა თავზარი.

ჯერ საერთოდ თავს დაესხა იმ დედებს, რომლებიც ქარაფშუტობით მიიწვევენ თავიანთ სახლში უგვარტომო ლაწირაკებს, რომელთა ნაცნობობა მხოლოდ და მხოლოდ სახელს უტეხს ოჯახს და სამარცხვინოა ადამიანისათვის. შემდეგ, როცა დაინახა დამფრთხალი და მდუმარე დედაჩემი, მოუბოდიშებლად მაგალითისათვის მოიხსენია ის ამბავი, ჩვენს ოჯახში რომ ხდება მას მოღმა, რაც ჩვენსას შემოიყვანეს ეს ცრუსწავლული, ეს მოლაყბე, ვისაც არ ძალუძს რაიმე სასარგებლო შთააგონოს უმანკო ქალს და მარტოოდენ იმის უნარი შესწევს, ზიანი მიაყენოს მის ზნეკეთილობას. დედაჩემი მიხვდა, მეტი დუმილი აღარ შეიძლებაო, შეაწყვეტინა მამას, როცა მან წარმოთქვა სიტყვები «ზიანი მიაყენოსო მის ზნეკეთილობას» და ჰკითხა, ნეტავი რა არის სამარცხვინო და საძრახისი ამ ყოვლად წესიერი ადამიანის ყოფაქცევასა და ან რეპუტაციაში და ასეთ ეჭვებს რა უფლებით გამოთქვამთო. «არ მეგონა, – დაუმატა მან, – თუ ჭკუა და სულიერი ღირსებები გახდებოდა საზოგადოებიდან განრინების საბაბი. აბა, ვისღა უნდა გაუღოთ თქვენი სახლის კარი, თუ იქ არ შეესვლებათ ზნეობრივად ღირსპატივსაცემ და ნიჭიერ ადამიანებს?» «ვის და, ზრდილ და რიგიან ადამიანებს, ქალბატონო, – გააფთრებით მიახალა მამაჩემმა, – რომლებსაც შეუძლიათ მათგან პატივაყრილი ქალიშვილის ნამუსის აღდგენა!» «კარგი ერთი, – განაგრძობდა დედაჩემი, – ჩემი აზრით, ემჯობინებოდა სათნო ადამიანები, რომლებიც ფიქრადაც კი არ გაივლებენ გულში ასეთ უნამუსობას». «დაე, იცოდეთ, – უთხრა მამამ, – რომ ოჯახის ღირსების გამბახებელია ის ამბავი, თუ რომელიმე თავხედი არამზადა გამოთქვამს მასთან დამოყვრების სურვილს, თუმცა ამისთვის არავითარი უფლება არ გააჩნია». «კაცმა რომ თქვას, აქ არაფერია სამარცხვინო, – შენიშნა დედამ. – პირიქით, ამაში ვხედავ მისი პატივისცემის დადატურებას. თუმცა, არც კი ვიცოდი, ჩვენთან დამოყვრებას თუ მოელტვოდა ის, ვინაც ასე გაგანაწყენათ». «სწორედაც აგრეა, ქალბატონო, მისი გულის წადილიც ეგ არის, ანდა კიდევ უფრო ცუდ რასმეს განიზრახავს, თუკი თავად არ მოვკიდე ხელი საქმეს. არხეინად ბრძანდებოდეთ, მე მოვუვლი ყველაფერს, რასაც თქვენ ასე უხეიროდ გაართვით თავი».

აქ მათი დავა სახიფათოდ წარიმართა. მხოლოდ იმას მართლაც მივხვდი, შენგან ნაამბობ ქალაქურ ჭორებს ჯერ კიდევ რომ არ მოეღწიათ ჩემი მშობლების ყურამდე; და

მაინც შენს უღირს დაიას ერჩივნა მიწა გასკდომოდა. აბა, ერთი წარმოიდგინე, ჩემი დედიკო, დედათა შორის ყველაზე უმჯობესი, უმოწყალოდ მოტყუებული დედა, თუ როგორ ადიდებდა თავის შემცოდე ასულს და, ვაგლახმე, როგორ ასხამდა ხოტბას ყველა მის ბოლომოღებულ სათნოებას მეტისმეტად სანაქებო, უფრო სწორად, ჩემი გულის მომწყვლელი გამოთქმებით... წარმოიდგინე, როგორ ბრაზდებოდა განაწყენებული მამაჩემი; ცოფსა ყრიდა, მაგრამ რისხვით შეპყრობილს იოტის ოდნადაც არ შეჰპარვია ეჭვი მის ზნეკეთილობაში, ვის სულსაც ამ დროს ჯიჯგნიდა სინდისის ქენჯნა და გულს აწვა საშინელი სირცხვილი. ო, რაგვარ უსაზომო ვაი-ვარამს განიცდის უკეთური სინდისი, როცა ამტყუნებს თავის თავს იმ შეცოდებათა გამო, თვით განრისხებისა და აღშფოთების ჟამსაც კი არავის რომ არ მოუვა აზრად! რა მძიმე და აუტანელ ტანჯვას განიცდის კაცი, როცა დაუმსახურებლად გაქებენ, მოგაგებენ პატივსა და დიდებას, რასაც იდუმალ უარყოფს გული შენი! ისე ვიყავი შეჭირვებული, რომ საშინელი წამებისაგან თავდასაღწევად ყოვლივეს ვაღიარებდი, მამაჩემი რომ დაჩუმებულიყო. მაგრამ საშინლად განრისხებული ასგზის წართვით იმეორებდა ერთსა და იმავეს, ხოლო მისი აზრი და ფიქრი წამდაუწუმ ერთი საგნიდან მეორეზე გადადიოდა. მან შეამჩნია ჩემი შეკრთომა, დაბნეულობა და მორჩილება – სინდისი ქენჯნის ყველა ნიშანი. და სულ მთლად რომ შევერცხვინე, ისე აბუჩად აიგდო ჩემი რჩეული, ისეთი ლანძღვა-გინებით მოიხსენია იგი, რომ მთელი ჩემი თავშეკავების მიუხედავად ვეღარ შევიძელ მეტის მოსმენა და სიტყვა შევაწყვეტინე.

არ ვიცი, ჩემო ძვირფასო, საიდან მომეცა სიმამაცე და გონების უეცარი დაბნელებით როგორ დავივიწყე მოვალეობაცა და სირცხვილიც; მაგრამ უცებ გავბედე ჩემი დარბაისლური მდუმარების დარღვევა და ეს ძვირად დამიჯდა კიდეც. როგორც ახლა დაინახავ, სასტიკად დავისაჯე. «თუ ღმერთი გწამთ, – წარმოვთქვი მე, – გთხოვთ, დამშვიდდეთ. მერწმუნეთ, ის ადამიანი, რომელიც მსგავსი შეურაცხყოფის ღირსია, არასოდეს იქნება ჩემთვის საშიშარი». მაშინ მამაჩემი, რომელსაც ჩემს სიტყვებში, ალბათ, საყვედური მოეჩვენა და თანაც მიზეზს ეძიებდა მრისხანების გადმოსანთხევად, მივარდა შენს ბედკრულ დაიას და პირველად ჩემს სიცოცხლეში ვიწვნიე სილა, და მერე ერთი და ორი კი არა, ხოლო საშინლად გააფთრებული მამაჩემი სიშმაგისაგან უკვე ვეღარ იკავებდა თავსა და შეუბრალებლად მასილაქებდა; თუმცა დედაჩემი მოვარდა საშველად, ჩაგვივარდა შუაში და ზედ გადამეფოფრა, მაგრამ თავად მოხვდა ჩემთვის განკუთვნილი რამდენიმე ალიყური. თავის საშველად უკან დავიხიე, ფეხი დამიცდა და ძირს დავვარდი, მერე მაგიდის ფეხს სახე დავკარ და სისხლი წამსკდა.

ამით დასრულდა მრისხანების ზეიმი – ადამიანურმა ბუნებამ გაიმარჯვა. ჩემმა დავარდნამ, სისხლმა და ცრემლებმა, დედის ქვითინმა გული მოულბეს მამაჩემს. მღელვარებით აღსავსემ სწრაფად წამომაყენა, სკამზე დამსვა და დედასთან ერთად მუყაითად ცდილობდა გაეგო, ხომ არაფერი მოვიწიე დაცემისას. აღმოჩნდა, რომ შუბლი ოდნავ დამეკრა სკამისთვის და სისხლი ცხვირიდან მომდიოდა. მაგრამ იმის მიხედვით, თუ როგორ შეეცვალა სახე და ხმა მამაჩემს, მივხვდი, არ იყო თავისი თავით კმაყოფილი. მართალია, აღარ მომალერსებია შერიგების ნიშნად, – საკუთარი ღირსების გრძნობამ არ მისცა ერთაბაშად გარდაქმნის ნება, მაგრამ უაღრესად ნაზი სიტყვებით იხდიდა ბოდიშს დედაჩემის წინაშე, დროდადრო მალულად გადმომხედავდა ხოლმე და ამით მივხვდი, ამ ბოდიშების ნახევარი მოიარებით ჩემთვის რომ იყო განკუთვილი. დიახ, ჩემო ძვირფასო, არა არის რა ამ წუთისოფელში უფრო ამაღელვებელი შეცბუნებაზე, მოსიყვარულე მამა რომ გამოიჩენს თავისი დანაშაულის შეგნების ჟამს. მამის გული გრძნობს, რომ შეწყალებისთვისაა გაჩენილი და არა იმისთვის, რათა სხვებისგან მიიღოს ეს მიტევება.

დადგა ვახშმობის ჟამი, მაგრამ ვახშმად არ სხდებოდნენ, ელოდნენ ჩემს მომჯობინებას. მამას არ უნდოდა, მსახურებს ვენახე ამ დღეში მყოფი, – თვითონვე მოიტანა ჭიქა წყალი და დედამ მომბანა ცხვირ-პირი. ჰოი, ჩემი საბრალო დედა! ისე დაუძლურებულია და ავადმყოფი, რომ მძიმე სცენის გადატანის შემდეგ ჩემზე უფრო სჭირია მოვლა და პატრონობა.

სუფრასთან მამაჩემს ჩემთვის ხმა არ გაუცია, ოღონდ დუმდა უკმაყოფილების გამო კი არა, არამედ სირცხვილით. გაზვიადებით აქებდა თითოეულ კერძს, დედას სულ იმას ეუბნებოდა, შენს ქალიშვილს გაუმასპინძლდიო. ეძებდა შემთხვევას, ჩემთვის თავისი ასული ეწოდებინა, და არა ჟიული, როგორც ეს ჩვეულებრივ იცოდა, – და ამ ამბავმა განსაკუთრებით ამიჩვილა გული.

ნავახშმევს ოთახებში აგრილდა, დედის განკარგულებით ბუხარში ცეცხლი შეანთეს. დედა ბუხრის ერთ მხარეს დაჯდა, მამაჩემი – მეორე კიდეში. წავედი სკამის მოსატანად, რათა მათ შუა მომეკალათებინა. ანაზდად მამილომ კაბაში ხელი ჩამკიდა, წყნარად მიმიზიდა და მუხლზე დამისვა. ეს ისე უეცრად მოხდა, ისეთი უნებლიე სულიერი აღტყინებით, რომ უმალ მოვიდა გონს. მაგრამ რაღას იზამდა – უკვე მის მუხლებზე ვიჯექი, თანაც, თითქოს ჯიბრზე, დაკარგა მთელი თავისი მკაცრი მედიდურობა, – აკი დასჭირდა მომხვეოდა, უფრო მარჯვედ რომ ვმჯდარიყავ. ყველანი ვდუმდით, ოღონდ მამაჩემი ზოგჯერ მაგრად მხვევდა ხელს და ძლივსღა იოკებდა ოხვრას. რაღაც უმართებულო სირცხვილი არ აძლევდა ნებას ჩემს ძვირფას მამას ნაზად მომხვეოდა. თავისებურმა სიდარბაისლემ, რასაც ასე ადვილად ვერ შეელევი, და დაუძლეველმა შეცბუნებამ მამაცა და ქალიშვილიც ისე პირწმინდად დააბნია, როგორც მოკრძალება და სიყვარული აბნევს გამიჯნურებულთ, ხოლო სიხარულით დამდნარი, გულნაზი დედა წყნარად განსცხრებოდა მისთვის სასურველი სანახაობით. ყოველივე ამას ვხედავდი, ჩემო ანგელოზო, ყველაფერს ვგრძნობდი და უკვე აღარ შემეძლო მოზღვავებულ გრძნობათა დაოკება. თავი მოვაჩვენე, თითქოს ვეცემოდი და მამაჩემს კისერზე მოვხვიე ხელი. მივეხუტე მის კეთილშობილურ სახეს, მრავალგზის ვეამბორე და ცრემლით დავულტვე. თვალთგან ცრემლებსა ღვრიდა და მივხვდი, მძიმე ტვირთი რომ მოიშორა. დედაჩემიც იზიარებდა ჩვენს სიხარულს. ოი, სათნო და უწყინარო უბიწოებავ, ერთადერთი შენ აკლდი ჩემს გულს, – შენ რომ არ დამკარგვოდი, თავად ბუნებისაგან ნაკარნახევი ეს სცენა ყველაზე წარმტაცი და მომხიბვლელი წამი იქნებოდა ჩემს ცხოვრებაში.

ამ დილით – ალბათ, თავი იჩინა დაღლილობამ და გუშინდელმა ძირს დავარდნამ – ჩვეულებრივზე დიდხანს დავრჩი ლოგინში და ჯერ კიდევ ვიწექი, როცა ოთახში შემოვიდა მამაჩემი. ჩამოჯდა ჩემს საწოლთან და ალერსიანად გამომკითხა ჯანმრთელობის ამბავი. შემდეგ ორივე ხელით აიღო ჩემი ხელი და თავი იმდენად დაიმცირა, რომ ორივე ხელზე რამდენჯერმე მაკოცა, საყვარელ ასულს მიწოდებდა და უსაყვედურებდა თავის თავს გუშინდელი გაცხარების გამო. მე სავსებით გულწრფელად ვუთხარი, ბედნიერი ვიქნებოდი, ყოველდღე მეწვნია სილა, თუკი შემდეგ ასეთ საზღაურს მივიღებდი, ვინაიდან ერთ თქვენს ალერსიან სიტყვას ძალუძს ჩემი გულიდან წარხოცოს უსასტიკეს შეურაცხყოფათა მოგონება-მეთქი.

ცოტა ხნის შემდეგ უფრო გულცივი კილოთი ალაპარაკდა, დაუბრუნდა გუშინდელ საუბარს და თავაზიანად, ოღონდ მკაცრი შეუდრეკლობით გამომიცხადა თავისი ნება-სურვილი: «ხომ იცი, ვისაც მინდა გაგატანო; ეს გაცნობე ჩამოსვლის უმალ და არასოდეს შევცვლი ჩემს განზრახვას. რაც შეეხება იმ ვაჟბატონს, მილორდ ედუარდი რომ მელაპარაკებოდა, იცოდე, სრულიადაც არ უარვყოფ მის ღირსებებს, ყველას საქებრად რომ გაუხდია, თუმცა არა ვარ დარწმუნებული, თავად მან გამოიგონა ჩემთან დამოყვრების სასაცილო ოინი, თუ ვინმემ შთააგონა ეს აზრი; მაინც არასოდეს ვიქნები თანახმა მყავდეს

ასეთი სიძე, მთელი ქვეყნის ინგლისური გინეებიც რომ მოეპოვებოდეს, ხოლო შენ სხვისთვის არ დამიწინდიხარ. თუ გინებს, მას რაიმე ხიფათი არ შეემთხვეს და თუ რაიმედ გიღირს სახელი და პატივი, შენს სიცოცხლეში არასოდეს გაბედო მისი ნახვა და გამოლაპარაკება. იგი წინათაც არ მეხატებოდა გულზე, ახლა კი მძულს; მის გამო გავცეცხლდი გუშინ და ჩემს უხეშ საქციელს სამარადჟამოდ არ ვაპატიებ!»

ამ სიტყვებით დამტოვა, ჩემს პასუხს აღარ დაელოდა და შევატყვე, ისეთივე სიშმაგით იყო აღვსილი, ახლახან რომ აღიარა და მოინანია. ჰოი, ჩემო დაიკო, ცრურწმენა ნამდვილად ჯოჯოხეთზე უარესი ამბავია, მისგან ცუდდება საუკეთესო ადამიანთა გული, იგი წამდაუწუმ ახშობს ხმას ბუნებისას.

აი, ჩემო მეგობარო კლარა, როგორი იყო ის საუბარი, მამაჩემთან რომ მომიხდა და შენ წინასწარ განსჭვრიტე, – მე არ შემეძლო ამის მიზეზის გაგება, ვიდრე შენი წერილი არ მივიღე. რაღაც დიდი ცვლილება მოხდა ჩემს სულში. მერწმუნე, ამ წუთიდან სულ სხვა გავხდი. ვგონებ, კიდევ უფრო დიდი სინანულით მივმართავ ფიქრს იმ ბედნიერი დრო-ჟამისკენ, როცა წყნარად და მშვიდად ვცხოვრობდი ჩემი ოჯახის წიაღში, და მით უფრო მეტად ვაღიარებ ჩემს დანაშაულს, რაც უფრო მეტად განვიცდი მისთვის გაღებულ დანაკლისს. მარქვი, უწყალო, უკეთუ ძალი შეგწევს აბა მითხარი, – მართლაც გაქრა ჩემთვის მიჯნურობის ალო და კვლავ ვეღარ შევხვდები მას? ნუთუ არა გრძნობ, რა უსაშველოა, რა საშინელია ეს ავბედითი აზრი? მამის ნება-სურვილი მტკიცეა, – ჩემს მიჯნურს აშკარა საფრთხე ემუქრება! იცი, რა აღმიძრა ყველა ამ ესოდენ საპირისპირო გრძნობამ, რომლებიც თითქოსდა ანადგურებენ ერთიმეორეს? რაღაც გაოგნება, ჩემს სულში თითქმის სრული უსუსურობით რომ გახმიანდა; უკვე აღარ მემორჩილება არც ჩემი გონება, აღარც ჩემი ვნებანი. დადგა გადამწყვეტი წუთი, შენ მართალი ხარ, და თავადვე ვიცი ეს, – ოღონდ არასოდეს ასე ცუდად არ მჭერია თავი. რამდენჯერ მინდოდა მიმეწერა ბარათი ჩემი მეგობრისათვის, მაგრამ როგორც კი ერთ პწკარს დავწერ, ლამის გრძნობასა ვკარგავ, ორი სტრიქონის გავლებაც აღარ ძალმიძს. ამქვეყნად მარტო შენ დამრჩი, ჩემი სათნო დაია. მაშ, მოიფიქრე რაიმე, ილაპარაკე, იმოქმედე ჩემს მაგივრად, – ჩემს ბედს შენ გაბარებ. გადაწყვიტე – ყველაფრის თანახმა ვარ წინასწარ. შენს მეგობრობას ვაბარებ იმ საბედისწერო ძალაუფლებას, ესოდენ ძვირად რომ შევიძინე სიყვარულისგან. სამარადისოდ განმარინე თავად ჩემივ თავისაგან, მიბრძანე მოვკვდე, თუ ეს საჭიროა; ოღონდ ნუ მაიძულებ ჩემი საკუთარი ხელით განვიგმირო გული ჩემი!

ო, ჩემო ანგელოზო! ჩემო ქომაგო! ეს რა საშინელ ვალდებულებას გაკისრებ! განაღა გეყოფა სიმამაცე, შეასრულებ კი შენს მოვალეობას, შეანელებ კი მთელ მის სიმკაცრეს? ვაგლახმე, შენ ხომ მარტოოდენ ჩემი გულის განგმირვა არ მოგიხდება. ხომ იცი, ხომ გესმის, როგორ ვუყვარვარ მას! არ შემიძლია თავი ვინუგეშო იმითაც კი, უფრო მეტი სიბრალულის ღირსი ვარ-მეთქი. მაშ, შემიბრალე! დაე ჩემმა გულმა ილაპარაკოს შენი პირით. დაე შენი გული განიმსჭვალოს შეყვარებულთა მიმართ უნაზესი სიბრალულით, ანუგეშე ბედკრული და გაუბედურებული! ასგზის გაუმეორე მას... აჰ, გაუმეორე... ნუთუ არა გჯერა, ძვირფასო ჩემო მეგობარო, ცრურწმენათა, დაბრკოლებათა და სიძნელეთა მიუხედავად, ზენამ ჩვენ ერთმანეთისთვის რომ გაგვაჩინა? დიახ, დიახ, მჯერა, ბედმა შეუღლება რომ გვარგუნა. მე არ ძალმიძს განვიშორო ეს აზრი, ხელი ავიღო მასთან დაკავშირებულ იმედზე... უთხარი მას, დაე ნუ დაძაბუნდება, ნუ გახდება უსასოდქმნილი. არ იფიქრო, თუნდაც ხუმრობით, ჩემი სახელით მოსთხოვო მას სიყვარული და ერთგულება, მით უმეტეს, ნუ შეჰფიცავ ჩემს მაგივრად. განა ამის მტკიცე რწმენა ჩვენი სულის სიღრმეში არაა დამარხული? განა არა ვგრძნობთ, რომ ისინი განუყრელნი არიან და ამიერიდან ჩვენ განუყოფელი, საერთო სული გვაქვს? მხოლოდ შთააგონე მას, იმედი იქონიოს; შავბედი გვდევნის, მაგრამ დაე მას სჯეროდეს სიყვარულისა: ხომ ვიცი, დაიკო,

რომ ასე იქნება თუ ისე, სიყვარული მაინც თავად განგვკურნავს ყველა ტანჯვისაგან, რომელსაც თვითვე მოგვისართავს, და რაც უნდა მოგვისაჯოს ზენაარსმა, დიდხანს არ ვიქნებით დაშორიშორებულნი.

P. S. როგორც კი წერილი დავამთავრე, შევედი დედაჩემის საწოლ ოთახში და უცებ ცუდად გავხდი. უკანვე გამოვბრუნდი და ლოგინში ჩავწექი. და ვამჩნევ... მეშინია... აჰ, ჩემო სულიკო, ისე ვშიშობ, ვაითუ გუშინდელ დავარდნას მოჰყვეს საბედისწერო შედეგი, რის გამოც არც კი მიფიქრია. მაშ ასე, ყველაფერი დასრულდა, ყველა იმედი ერთთავად ხელს იღებს ჩემზე.

LXIV წერილი
კლარასაგან ბ-ნ დ'ორბისადმი

მამაჩემმა ამ დილით მომითხრო თქვენი გუშინდელი საუბრის ამბავი. მოხარული ვარ, რომ ყველაფერი, როგორცა ბრძანეთ, თქვენდა საბედნიეროდ დამთავრდა. იმედი მაქვს – და ეს თქვენვე უწყით – აგრეთვე მოვიპოვო ჩემი ბედნიერებაც. თქვენდამი პატივისცემითა და მეგობრობითა ვარ განმსჭვალული, და ყველა უნაზესი გრძნობა, რისი უნარიც კი შესწევს ჩემს გულს, თქვენ გეკუთვნით. ოღონდ თავს ნუ მოიტყუებთ: კაცმა რომ თქვას, მე რაღაცნაირი საფრთხობელა ვარ და არა ქალი. ბუნების უცნაურობით, სიყვარულს მეგობრობა მირჩევნია. როცა გამცნეთ, ჟიული თქვენზე უფრო ძვირფასია ჩემთვის-მეთქი, გაგეცინათ, თუმცა კი ეს ჭეშმარიტი სიმართლეა. ჟიული საუცხოოდ გრძნობს ამასა და თქვენს მაგივრად ეჭვიანობს კიდეც და თუმცა თქვენ კმაყოფილი ხართ, ის სულ გაიძახის, თითქოს საკმაოდ ძლიერ არ მიყვარდეთ. უფრო მეტიც, ისე ვეთვისები მისთვის ყოველივე ძვირფასს, რომ მის მიჯნურსა და თქვენ თითქმის თანაბარი ადგილი გიჭირავთ ჩემს გულში, თუმცა სხვადასხვაგვარად. მისი მეგობრის მიმართ მხოლოდ მეგობრული გრძნობითა ვარ განწყობილი, ოღონდ ეს ფრიად მგზნებარე გრძნობაა; თქვენ კი, რასაკვირველია, მიყვარხართ, მაგრამ ძალზე კეთილგონივრულად. ამ გრძნობათა მოსაჩვენარ თანაბარზომიერებას შეუძლია სულიერი სიმშვიდე დაურღვიოს ეჭვიან კაცს, მაგრამ ვიმედოვნებ, თქვენი სიმშვიდე არც ისე ძლიერ არის დარღვეული.

რა შორსაა ჩვენი ძვირფასი ტანჯულებისგან ის სანეტარო მყუდროება, რომლით დატკბობასაც მე და თქვენ ვლამობთ; მართლაც, არ შეგშვენის სიამეთა განცდა, როცა მეგობრები სასოწარკვეთილნი არიან. ყოველივე მორჩა და გათავდა! ისინი უნდა განშორდნენ ერთმანეთს, ეგებ დადგა კიდეც მათი სამუდამო განშორების ჟამი. და ის სევდა-ნაღველი, რის გამოც მათ ვუსაყვედურებდით კონცერტზე ყოფნისას, იქნებ იმის წინაგრძნობაც იყო, უკანასკნელად რომ ხედავდნენ ერთმანეთს. თუმცა თქვენმა მეგობარმა ჯერ კიდევ არ იცის, რა უბედურება ეწვია, – გულდაჯერებული ისევ ტკბება ბედნიერებით, რაც სამარადისოდ დაკარგა. ამ სამწუხარო ჟამს ოცნებით სიამტკბილობს მხოლოდ თავისი ბედნიერების ნატამალით და იმათ მსგავსად, ვისაც სრულიად მოულოდნელად მოიდნობს სიკვდილი, ჩვენი ტანჯულიც სიცოცხლეზე ფიქრობს და არც კი იცის, საცაა სულს რომ გააფრთხობს. ვაგლახ, ჩემგან უნდა დაეცეს მას საშინელი თავზარი! ო, ღვთაებრივო მეგობრობავ, გულისა ჩემის ერთადერთო მეუფევ, მოვედ ჩემდა და მომეც ძალი და ღონე, შემეწიე აღვასრულო წმინდა და საშინელი ვალი. შთამბერე ჯანგულოვნება, მქმენ უწყალო, დამეც დასტური – ღირსად თქვენდა გმსახურებდე და მოვიხადო ესოდენ ძნელზე ძნელი მოვალეობა.

მერედა, როგორი იმედი მაქვს ახლა თქვენი! მაშინაც კი თქვენი იმედი მექნებოდა, ასე რომ არ გიყვარდეთ. მე ხომ ვიცნობ თქვენს გულს – მას როდი ესაჭიროება ყურად იღოს სიყვარულის მგზნებარე ხმა, ოდეს შეესმის კაცთმოყვარეობის ზახილი. უწინარეს ყოვლისა, ხვალ დილით მოიწვიეთ ჩემთან ჩვენი მეგობარი. იცოდეთ, წინასწარ ნურაფერს ეტყვით. ამჟამად თავისუფალი ვარ და ნასადილევს ჟიულისთან წავალ. მონახეთ მილორდი ედუარდი, ორივენი მეწვიეთ საღამოს რვა საათისათვის; ერთად უნდა გადავწყვიტოთ, რა მოვიმოქმედოთ, უკეთუ ჩვენს უბედურ მეგობარს გამგზავრება მოუხდება, და როგორ განვარიდოთ იგი სასოწარკვეთას.

დიდ იმედებს ვამყარებ მის სულიერ მხნეობაზე, კიდევ უფრო დიდად მისი მტკიცე სიყვარულის იმედი მაქვს. ჟიულის სურვილი, საფრთხე, მის სიცოცხლესა და ღირსებას რომ ემუქრება, – აი, ის მიზეზები, რომელთაც ვერ უგულებელყოფს ჩვენი მეგობარი. მოხდეს, რაც მოსახდენია. ოღონდ ერთიც იცოდეთ: ჩვენს ქორწილზე კრინტიც არ დაძრათ, სანამ ჟიული არ დაშოშმინდება, რადგან ჩვენი შეუღლება ჩემი დობილის ცრემლებით არ უნდა იქნას მორწყული. ბატონო ჩემო, თუკი მართლაც გიყვარვართ, თქვენი სიკეთე ამ შემთხვევაში დაკავშირებულია თქვენს დიდსულოვნებასთან, და ახლა ლაპარაკი არა მარტო სხვათა საქმეს, არამედ ჩვენს საკუთარ ამბებსაც ეხება.

LXV წერილი
კლარასაგან ჟიულისადმი

ყველაფერი მოგვარდა და, მიუხედავად შენი გაუფრთხილებლობისა, ჩემს ჟიულის საფრთხე აღარ მოელის. ყველა შენი საგულისგულო საქმე საიდუმლოების წყვდიადში ჩაიძირა, შენს ოჯახურ წიაღში იმყოფები და მშობლიურ მხარეში სიყვარულითა და პატივისცემით გეპყრობიან; უზადო რეპუტაცია და საყოველთაო პატივი დაიმსახურე. მაშ, ძრწოლით მიმოხედე იმ საფრთხეს, რაც მოგისართა სირცხვილმა თუ სიყვარულმა, რაკი მეტისმეტად ბევრის ან ნამეტნავად მცირეოდენისკენ გიბიძგეს. ამიერიდან ყურადიღე და ურთიერთთან ნუ მოარიგებ შეუფერებელ გრძნობებს. და ჰოი შენ, ვინც ქალწულურ კრძალულებას შეუთავსე ბრმობილი ვნება, მადლი შესწირე ზენას იმ ბედნიერებისათვის, მარტოოდენ შენ რომ მოგანიჭა.

არ მინდოდა შენი გულის კიდევ უფრო დამძიმება მისი გამგზავრების დაწვრილებითი აღწერით, თუმც თავად უწყი, რომ აქ აღარ დაედგომებოდა. მაგრამ შენ ისურვე ყველაფრის გაგება; დაგპირდი, თხოვნას შეგისრულებ-მეთქი, და სიტყვას არ გავტეხ. ყოველივეს აგიწერ ჩვენთვის ჩვეული გულახდილობით – ჩვენ ხომ არ შეგვიძლია სიმართლის დაფარვა რაიმე სარფის გულისთვის. მაშ წაიკითხე, საყვარელო, წაიკითხე, ჩემო საბრალო, რამეთუ ასეა საჭირო; ოღონდ მხნედ იყავ და სულით ნუ დაეცემი.

რასაკვირველია, დიდი სიფრთხილე გამოვიჩინე – აკი ამეებზე ყოველივე გუშინ მოგახსენე. შინ უკვე მელოდებოდნენ ბ-ნი დ’ორბი და მილორდი ედუარდი. მაშინვე განვუცხადე მილორდს, მე და ჟიულიმ ვიცით თქვენი გაბედული და კეთილშობილური საქციელის ამბავი და ძალზე ნასიამოვნები ვართ-მეთქი. შემდეგ ვუთხარი მათ, ჟიულის მეგობარი დაუყოვნებლივ უნდა წავიდეს აქედან, და ძალიან ძნელია მისი დარწმუნება-მეთქი. მილორდმა მშვენივრად გაიგო ყველაფერი და ფრიად განაწყენებული დარჩა თავისი უადგილო თავგამოდების შედეგით. ორივენი დამეთანხმნენ – ძალიან კარგი იქნება, დაჩქარდეს მისი წასვლაო, იქნებ დაიყოლიოთო, არ მისცეთ გადაფიქრების საშუალება და დაუყოვნებლივ იხსენით ხიფათისაგან, ჩვენს კუთხეში რომ ემუქრებაო.

მინდოდა მეთხოვა დ'ორბისათვის, ჯერჯერობით ჩვენი მეგობრის დაუკითხავად მოემზადებინა ყველაფერი საჭირო მის გასამგზავრებლად, მაგრამ მილორდმა თავად ისურვა ყველაფრის მოგვარება, ეს საქმე ჩემს მოვალეობად მიმაჩნიაო. მითხრა, დილის თერთმეტი საათისათვის ეტლი მზად იქნებაო და დასძინა, თქვენს მეგობარს მე გავაცილებ და მასთან დავრჩები, სანამ ეს საჭიროაო. ისიც კი შემოგვთავაზა, სულ სხვა საბაბით წავიყვან მას და დავითანხმებო. ჩემი აზრით, ასეთი ფანდი არ შეგვფერის არც ჩვენ და არც ჩვენს მეგობარს, რაც მთავარია, არ მინდოდა სასოწარკვეთის პირველივე კვეთება ჩვენგან მოშორებულს წვდომოდა ყელში. მილორდი ალბათ ჩემსავით ყველაფერს როდი შეამჩნევს, მე წამსვე შევნიშნავდი ამას. მილორდმა ისურვა მასთან მოლაპარაკება, მაგრამ ამ წინადადებაზეც იმავე მიზეზით უარი ვტკიცე და ისიც მყისვე დამეთანხმა. ვიცოდი, მოლაპარაკება დიდ სიფრთხილეს რომ მოითხოვდა და გადავწყვიტე, თავად მომეგვარებინა ეს საქმე. მე ხომ უკეთ ვიცნობ მისი გულის ყველა მგრძნობიარე სიმს და გარდა ამისა, მამაკაცთა საუბარში მუდამ ჭარბობს რაღაცნაირი უხეშობა, ხოლო ქალს ძალუძს ყველაფრის შენელება. მაგრამ მაინც მივხვდი, რომ მილორდს შეეძლო ჩვენთვის დიდი სამსახური გაეწია და ზნეობრივად მოემზადებინა ჩვენი მეგობარი. ვიცოდი, რაგვარ ზეგავლენას ახდენს სათნოებით აღსავსე გულზე სიტყვები გრძნობიერი ადამიანისა, რომელიც მხოლოდ იმასა ფიქრობს, თითქოსდა ფილოსოფოსი ვარო, და რაოდენი სულიერი სითბო შეიძლება მიანიჭოს ყველა სჯა-ბაასს მეგობრის ხმამ.

ამრიგად, შევთავაზე მილორდ ედუარს, საღამო თქვენს მეგობართან გაატარეთ და რაც მთავარია, ნუ გაუბამთ ლაპარაკს იმის თაობაზე, რაც უშუალოდ მის ბედ-იღბალს შეეხება, მისდა შეუმჩნევლად შეამზადეთ მისი სული სტოიკური სიმტკიცისათვის-მეთქი. «თქვენ ხომ ჩინებულად გაიცანით თქვენი ეპიკტეტი, – ვუთხარი ედუარს, – და აი ახლა შემთხვევა გეძლევათ, გამოიყენოთ მისი მოძღვრება... ეცადეთ, დაანახვოთ თქვენს მეგობარს განსხვავება ჭეშმარიტ და ცრუ სიკეთეთა შორის, – იმ სიკეთისა და მადლისა, ჩვენს გულში რომ დაუდევს ბინა, და იმათ შორისაც, ჩვენს გარეთ რომ არსებობენ. რაკი გარედან მოელის განსაცდელი, დაუმტკიცეთ მას, სიავეს მარტოოდენ თვითონ რომ აყენებს თავის თავს. და როცა ბრძენს თავი თვისი თან ახლავს, თავის ბედნიერებასაც თანვე დაატარებს». მისი პასუხის მიხედვით მივხვდი, ჩემი მსუბუქი და უწყინარი დაცინვა საკმაო რომ აღმოჩნდა, თავგამოდებით მოჰკიდა საქმეს ხელი და დარწმუნებული იყო, შენი მეგობარი დილით ჩემთან რომ გამოცხადდებოდა კარგად შემზადებული. და მეც სწორედ ეს მინდოდა: შენებრ მეც დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ ფილოსოფიურ ლაქლაქს, ოღონდ მჯერა, რომ პატიოსან კაცს ოდნავ მაინც ეაუგება დილით შეცვალოს თავისი გუშინდელი შეხედულებანი და ახლა გულის სიღრმეში უარყოს ყოველივე ის, რასაც წინადღით გონება უკარნახებდა.

ბატონმა დ'ორბიმაც მოიწადინა, მონაწილეობას მივიღებ ამ საქმეში და საღამოს მეგობრებთან გავატარებო, მაგრამ გადავათქმევინე. იქ თვითონაც მოიწყენდა, და კაცმა რომ თქვას, საუბარსაც ხელს შეუშლიდა. იგი ძალიანაც მომწონს, მაგრამ მერწმუნე, ეს ხელს როდი მიშლის დავინახო, სულ სხვა ყაიდის კაცი რომ არის. ის თავისებური კილო და გამოთქმა, რასაც თავიანთ ვაჟკაცურ სჯა-ბაასში მიმართავენ ეს სულით ძლიერი ადამიანები, – მისთვის უბრალო ყატყატია. გამომშვიდობებისას გამახსენდა, პუნშის სმა რომ მოუხდებოდა და რადგან ვუფრთხოდი, მილორდს ნაადრევად არ დასცდენოდა რამე, სიცილით გადავუკარი სიტყვა ამის თაობაზე. «დამშვიდდით, – მომიგო მან, – მე ჩემთა ჩვეულებათა ამყოლი კაცი გახლავართ, როცა ისინი არავის უქადიან საფრთხეს, ოღონდ მათი მონა-მორჩილი არასოდეს ვყოფილვარ. ამჟამად საქმე ეხება ჟიულის ღირსებას, ადამიანის, თანაც – ჩემი მეგობრის ბედ-იღბალს, შესაძლოა, მის სიცოცხლესაც კი. ჩვეულებისამებრ დავლევ კიდეც რასმეს ჩვენი საუბრის დროს, თორემ რაღაც ყასიდად

შეწმახნილს დაემსგავსება ეს ამბავი; ოღონდ ლიმონათს მივეძალები და პუნშს პირსაც არ დავაკარებ, და რადგან ჩვენი მეგობარი მსმელი კაცი არაა, ვერაფერსაც ვერ შეამჩნევს». შენ გეთაყვანე, ხომ მართლაც დამამცირებელია ადამიანისათვის ემონოს ადათ-წესებს, ასეთ სიფრთხილეს რომ აიძულებენ?

ღამე საშინელი მღელვარებით, თეთრად გავათენე, და ეს მღელვარება მარტოოდენ შენ როდი გეხებოდა. ჩვენი პირველი სიყმაწვილის უმანკო თავშექცევანი, ძველთაძველი მეგობრობის მთელი სიმშვენიერე, ხშირ-ხშირი შეხვედრები, უკანასკნელ წელს განმტკიცებული ჩემი ურთიერთობა შენს მეგობართან, როცა მას ასე გაუძნელდა შენთან შეხვედრა, – ყოველივე ეს აღიმართა ჩემს მეხსიერებაში და სული განშორების სევდამ დანისლა. ასე მეგონა, შენი მეორე «მეს» დაკარგვით ჩემივ საკუთარი არსების ნაწილსაც ვკარგავ-მეთქი. შეძრწუნებული შევყურებდი საათის ისრებს. აი, ირიჟრიბანდა კიდეც, და მე შიშნეული ვხვდებოდი დღეს, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა შენი ხვედრი. მთელ დილას ვფიქრობდი, თუ რა უნდა მეთქვა მისთვის, ვცდილობდი მივმხვდარიყავ, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა ჩემი სიტყვები. და ბოლოს, დადგა აღთქმული ჟამი და გამოცხადდა შენი მეგობარი. შეძრწუნებული ჩანდა. მაშინვე კითხვა კითხვაზე დამაყარა, – შენი ამბის გაგება უნდოდა, ვინაიდან მამასთან შენი შელაპარაკების მეორე დღესვე გაეგო, ავად გახდაო, და გუშინ მილორდ ედუარდმაც შეატყობინა, ისევ მწოლიარეაო. მინდოდა ავრიდებოდი შეკითხვებს და უმალვე ვუპასუხე, გუშინ საღამოს ვნახე და უკეთ არის-მეთქი, თანაც დავუმატე, ამწუთას დაბრუნდება ჰანსი (რომელიც შენთან გამოვგზავნე) და მისგან ყველაფერს გავიგებთ-მეთქი. ჩემს ფრთხილ-ფრთხილ პასუხებს არავითარი ხეირი არ მოჰყოლია. იგი სულ შენს ამბავს მეკითხებოდა და ეს მაშორებდა ჩემს მიზანს, ამიტომ მოკლე-მოკლე პასუხებს ვაძლევდი და თავად დავუწყე გამოკითხვა.

ჯერ გადავწყვიტე გამეგო, რა გუნებაზე იყო. ვნახე, დაძაბული რომ იყო, საღად აზროვნებდა, მზად გახლდათ გონების სასწორზე შეეგდო გრძნობები. «ქება და დიდება ზენაარსს, – გავიფიქრე მე, – ჩემი ბრძენ-კაცი საუცხოოდ მომზადებულა. ახლა ერთიღა დაგვრჩენია: გამოვცადოთ იგი». თუმც არის ისეთი წესი, – სამწუხარო რამ თანდათანობით უნდა შეაპარო ადამიანს. მაგრამ მე ხომ ვიცი მისი მგზნებარე წარმოსახვის ამბავი – პირველი სიტყვის წარმოთქმისთანავე აბობოქრდებოდა. ამიტომაც გადავწყვიტე სხვა გზას დავდგომოდი – ჯერ თავზარს დავცემდი, შემდეგ ვანუგეშებდი და დავარწმუნებდი, ამაოდ ნუ გააარჯლებდა თავის ვაი-ვარამს და ერთის ნაცვლად მრავალ დარტყმას ნუ მიიყენებდა. ამრიგად, უფრო სერიოზული კილოთი ავლაპარაკდი, ჩაციებით მივაჩერდი და ვუთხარი: «ჩემო მეგობარო, იცით თუ არა თქვენ, სად უდევს ზღვარი ვაჟკაცობასა და სათნოებას სულით ძლიერი ადამიანის გულში, და გიფიქრიათ თუ არა, საყვარელ არსებაზე ხელის აღება ადამიანის ძალ-ღონეს რომ აღემატება?» მაშინვე შეშლილივით წამოვარდა, ხელი ხელს შემოჰკრა, მერე ერთმანეთს მოუჭირა და შუბლზე მიიდო. «გავიგე თქვენი ნათქვამი, ჟიული მოკვდა, ჟიული მოკვდა, – იმეორებდა ის, და მისმა ხმამ თავზარი დამცა. – ამას ვგრძნობ, ამაოა ყველა თქვენი გულმოდგინება, ფუჭია სიფრთხილე – ისინი მხოლოდღა აჭიანურებენ ჩემი სიკვდილის ჟამს და უფრო აუტანელს ხდიან ამ სატანჯველს!

მოულოდნელმა აფეთქებამ ფრიად შემაშინა, მაგრამ უმალვე გამოვიცან ამის მიზეზი და მივხვდი, რომ შენი ავადმყოფობის ამბავმა, ხოლო შემდეგ მილორდ ედუარდის დამრიგებლურმა საუბრებმა, ჩვენმა შეხვედრამ დილით, ჩემმა გაურკვეველმა პასუხებმა მის შეკითხვებზე და ჩემმა შეკითხვებმა მის მიმართაც – ყოველივე ამან ტყუილ-უბრალოდ ააფორიაქა. კარგად ვხედავდი, რაგვარ კეთილმყოფელი იქნებოდა ბოლოსა და ბოლოს ეს ცდომილება, თუ დიდხანს არ გავფანტავდით მას, მაგრამ არ შემეძლო ასეთი გულქვაობის გამოჩენა. საყვარელი არსების სიკვდილის ამბავი ესოდენ საშინელია, რომ კაცს შვებასა

ჰგვრის ყოველგვარი სხვა საზარელი აზრი, და მეც დავუჩქარე ამ შემთხვევის გამოყენება. «იქნებ, ვეღარც კი იხილოთ იგი ამიერიდან, – ვუთხარი მე, – მაგრამ ის ცოცხალია და უყვარხართ თქვენ. აჰ, ჟიული რომ მომკვდარიყო, განა კლარა შეძლებდა თქვენთან ლაპარაკს! მადლობა შესწირეთ ზენას – მან ხომ გიხსნათ მწუხარებისაგან, რომელიც კიდევ უფრო მძიმე ტვირთად დააწვებოდა თქვენს შავსვიან ხვედრს». ისე იყო დაბნეული, განცვიფრებული და გაოცებული, რომ ვისარგებლე მისი მდუმარებით – კვლავ სკამზე დავსვი, და დაწვრილებითა და დალაგებით უნდა მეამბნა ყველაფერი, რაც უნდა გაეგო, თანაც ვეცადე, უფრო ცოცხლად ამეწერა მილორდ ედუარდის საქციელი, რათა სევდა-ვარამისაგან დამეხსნა მისი კეთილი გული და მისთვის მადლიერების გრძნობა აღმეძრა.

«აი, ძვირფასო მეგობარო, – განვაგრძობდი მე, – როგორაა საქმის ვითარება. ჟიული უფსკრულის პირასაა მისული – მას ელის შერცხვენა საზოგადოებრივი აზრის წინაშე, ოჯახის გულისწყრომა, განრისხებული მამის სასტიკი სასჯელი და საკუთარი სასოწარკვეთა. საფრთხე სულ უფრო და უფრო იზრდება – თუ მამის ხანჯალს არა, საკუთარ სატევარს შეუძლია წუთისოფელს გამოასალმოს იგი, მისი ბასრი მახვილი სადაცაა განუგმირავს გულმკერდს. მხოლოდ ერთ რასმე შეუძლია უბედურებას ააცდინოს, და ეს გაძევთ ვალად. სატრფოს ბედ-იღბალი თქვენს ხელთაა. მაშ გადაწყვიტეთ, გეყოფათ თუ არა ვაჟკაცობა, დაიხსნათ იგი – სხვაგვარად რომ ვთქვათ, დაშორდეთ მას, ვინაიდან აკრძალული აქვს თქვენი ნახვა, – თუ ამჯობინებთ, გახდეთ მისი დაღუპვისა და შერცხვენის მიზეზი და მოწმე. მან იმდენი რამ გააკეთა თქვენთვის, ვნახოთ, რა სანაცვლოს მიუპყრობს თქვენი გული. გასაკვირველი როდია, რომ ვაი-ვაგლახმა შეარყია მისი ჯანმრთელობა. თქვენ მწუხარებთ ჟიულის სიცოცხლისათვის. მაშ იცოდეთ, ეს სიცოცხლე ახლა თქვენს გადაწყვეტილებაზე ჰკიდია».

ის მდუმარედ მისმენდა. მაგრამ როგორც კი მიხვდა, ვის ეხებოდა ლაპარაკი, უმალ შეიცვალა, ყველაფერი გაქრა: შფოთიერი მოძრაობაც და მიხრა-მოხრაც, ცეცხლოვანი მზერაც, პირისახის მღელვარე, მაგრამ ცოცხალი და ცინცხალი გამომეტყველებაც. სევდამ და ნაღველმა მოიცვა მისი შუბლი, დაშრეტილი მზერა, და მთელი მისი დაღვრემილი გარეგნობა მეტყველებდა, სასტიკად რომ იყო დათრგუნვილი. პასუხის გაცემისას ძლივსღა ძრავდა ბაგეს. «უნდა გადავიკარგო, – ჩაილაპარაკა მან იმგვარი ხმით, რომელსაც სხვა ყველა მშვიდად ჩათვლიდა. – რა გაეწყობა, გადავიკარგები! მეყოფა ამქვეყნად ცხოვრება». «კარგი, ერთი, – უმალვე შევეპასუხე მე, – უნდა იცოცხლოთ იმის გულისათვის, ვისაც უყვარხართ: ნუთუ დაგავიწყდათ, რომ მისი სიცოცხლე თქვენს სიცოცხლეზეა გადაჯაჭვული?» «მაშინ შეუძლებელია ამ სიცოცხლეთა დაცალკევება, – მხარი ამიბა მან, – მას ხომ შეეძლო და კვლავ შეუძლია ყველაფრის გამოსწორება». თავი ისე მოვაჩვენე, თითქოს ვერ გავიგონე-მეთქი უკანასკნელი სიტყვები, და ამაოდ ვცდილობდი მის დაიმედებას, მაგრამ მისი სული როდი სწვდებოდა ჩემს სიტყვებს. ამ დროს შემოვიდა ჰანსი და შენი კარგი ამბავი მოიტანა. მყისვე სიხარულმა მოიცვა იგი და წამოიძახა: «აჰ, ნეტავი კი ის ცოცხალი იყოს, ნეტავი ბედნიერი იქნებოდეს... თუ ეს შესაძლებელია! უკანასკნელად გამოვეთხოვები და წავალ». «მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, რომ მას აეკრძალა თქვენი ნახვა! ვაი, რომ უკვე გამოეთხოვეთ ერთმანეთს, უკვე განშორებულნი ხართ. თქვენი ხვედრი არც ისე უსაშველო გახდება მისგან მოშორებით. თქვენთვის ხომ ასე სასიხარულო იქნება, სამშვიდობოს რომ იმყოფება იგი. გაიქეცით ახლავე, ამ წუთსავე... ერიდეთ, რათა ასეთი უდიდესი მსხვერპლის გაღება ნამეტნავად არ დაგიგვიანდეთ. გეშინოდეთ ჟიულის დაღუპვის მიზეზად გახდომისა იმის შემდეგაც, როცა მსხვერპლს გაიღებთ». «აბა, რას ამბობთ, – წამოიძახა ელდანაკრავმა, – მის უნახავად წავიდე! ეს როგორ მოხდება! მას ვეღარ ვიხილავ! არა და არა: დაე, ორივენი დავიღუპოთ, თუ ასეა საჭირო. მერწმუნეთ, სიკვდილი ვერ შეაკრთობს მას, უკეთუ ერთად მოვკვდებით. აუცილებლად

უნდა ვნახო, მის ფერხთა წინაშე მივიტან ჩემს გულს და ჩემს სიცოცხლეს, ვიდრე თავს მოვიკლავდე». ადვილად დავუმტკიცე მას, რაოდენ უჭკუო და სასტიკი ამბავი იყო მისი განზრახვა, მაგრამ იგი სულ იმეორებდა: «როგორ, მას ვეღარ ვიხილავ!» და ეს გულისშემზარავი კივილი სულ უფრო და უფრო სევდიანი ხდებოდა; თითქოსდა სამერმისო იმედს გამოითხოვსო. «თქვენი უბედურება ბევრად უფრო საშინელი გგონიათ, ვინემ სინამდვილეშია, – ვუთხარი მე, – რად იღებთ ხელს იმედზე, როცა თავად ჟიულის არ გადაუწურავს იგი? ნუთუ გგონიათ, რომ შეუძლია დაგშორდეთ და ფიქრობდეს, თითქოს სამუდამოდ შორდებოდეთ ერთმანეთს? არა და არა, ჩემო მეგობარო, თქვენ ხომ იცნობთ მის გულს. იცოდეთ, სიყვარულისთვის თავს გასწირავს, და მეც, მერწმუნეთ, მეშინია (დიახ, უნდა ვაღიარო, ეს სიტყვები მე დავუმატე), რომ ახლა ამ სიყვარულისთვის მზად არის ყველაფერი გასწიროს. მერწმუნეთ, მას იმედი აქვს, თორემ თავსაც არ იცოცხლებდა. მერწმუნეთ, სიფრთხილით გადადგმული ყოველი ნაბიჯის დროს იგი უფრო მეტად ფიქრობს თქვენზე, ვიდრე ჩვენ გვგონია, ხოლო თუკი თავის თავზე მაინც ზრუნავს, ეს ყველაზე უმალ თქვენი გულისთვის ზრუნვაა და არა საკუთრად მისი!» მაშინ ამოვიღე თქვენი უკანასკნელი წერილი და დავანახვე სტრიქონები, სადაც უგუნური გოგონა, თუმცა ფიქრობს, ამიერიდან სიყვარული აღარ მიწერიაო, მაინც გამოთქვამს სანუკვარ იმედს; ასეთმა აღიარებამ თავისი სათუთი გულთბილობით ჩვენს მეგობარსაც გაუღვიძა იმედები. ეს სტრიქონები შხამით გაარჯლებულ ჭრილობაზე წასმული მაცოცხლებელი მალამო აღმოჩნდა. მზერა დაუმშვიდდა, თვალები მოენამა, სასოწარკვეთა გაუქრა, გული აუჩვილდა; ხოლო როცა წაიკითხა პირდაპირ გულის სიღრმიდან ამოხეთქილი ასეთი გრძნობიერი უკანასკნელი სტრიქონები: «დიდი ხნით როდი ვიქნებით განშორებულნიო», – ცრემლები წასკდა. «არა, ჩემო ჟიული, არა, – წარმოთქვა მან ხმამაღლა და თან წერილს კოცნიდა, – დიდხანს არ ვიქნებით განშორებულნი! ზენა შეაერთებს ჩვენს ბედ-იღბალს ამქვეყნად – ანდა ჩვენს გულებს – სასუფეველში».

აი, ასეთ გუნებაზე მყოფი მინდოდა მენახა იგი. თავდაპირველად ძალზე მაშინებდა მისი თვალების ცივი ელვარება და მისი პირქუში სევდა. არაფრის დიდებით არ გავუშვებდი, წინანდელ გუნებაზე რომ დარჩენილიყო; ხოლო როგორც კი მისი ცრემლები დავინახე, როგორც კი მის ბაგეთაგან ნაზად წარმოთქმული შენი საყვარელი სახელი გავიგონე, უკვე აღარ ვშიშობდი მისი სიცოცხლის გამო, ვინაიდან სინაზე ყველაზე ნაკლებ ეწყობა სასოწარკვეთას. მაგრამ სწორედ იმ წამს, უსაშველო მღელვარებით თავზარდაცემულმა, მოიხმო საბუთი, რომელიც მე ვერ გავითვალისწინე. იგი შეეხო შენს მდგომარეობას, შენს ეჭვებს და ფიცი დადო, უმალ ათასჯერ მივეცემი სიკვდილის საფრთხეს, მაგრამ მას არ მივატოვებ იმ დროს, როცა ესოდენი განსაცდელი ემუქრებაო. მე აღარ ვახსენე უბედურება, შენ რომ თავს გადაგხდა, ხოლო უბრალოდ ვუპასუხე – ჟიულის ამჯერად გაუცრუვდა მოლოდინი და საიმედო აღარაფერი აქვს-მეთქი. «მაშ, ასე, – თქვა მან და ამოიოხრა, – ამქვეყნად ჩემი ბედნიერების კვალიც კი წაიშლება, ბედნიერება აუხდენელი სიზმარივით გაქრა».

შენი დავალების უკანასკნელი ნაწილის შესრულებაზე მიდგა ჯერი, მაგრამ თქვენ ისე ახლოს იყავით ერთმანეთთან, აღარც კი მეგონა, რომ საჭირო იქნებოდა განსაკუთრებული სამზადისი და საიდუმლოება. გადავწყვიტე, ცოტა დამეტუქსა კიდეც ამ არც ესოდენ მნიშვნელოვანი საბაბისათვის, რათა მისი გულისყური ჩვენი მთავარი საკამათო საგნიდან ჩამომეცილებინა და სხვა მიზეზებზე მიმემართა. ვუსაყვედურე ასეთი დაუდევრობითა და ყურწაგდებულად რომ ეპყრობოდა თავის საქმიანობას. ვუთხარი, თუ როგორ გაწუხებს, ხელი რომ შეუშვა საქმეებს; ისიც ვუთხარი, შენ რომ უბრძანებ გაუფრთხილდეს ჯანმრთელობას – შენი გულისთვის იზრუნოს თავის გასაჭირზე და სანამ ფეხზე არ დადგება, მიიღოს მცირეოდენი შესაწევარი, რომელსაც შენი სახელით

გადავცემდი. ამ წინადადებამ, ეტყობა, სრულიადაც არ შეურაცხყო და არ აღაშფოთა. გულწრფელად მომიგო, ჟიულიმ მშვენივრად იცის, რა აღტაცებით ვღებულობ ხოლმე მის ყოველგვარ საბოძვარს, ოღონდ ახლა ტყუილად ირჯება, რადგან გრანსონში პატარა სახლი[33] გავყიდე და ფული ვიშოვნეო, – ეს იყო ყველაფერი, რაც შემომრჩა მთელი ჩემი ქონებიდან, მშობლების ღარიბული მემკვიდრეობიდან და ამჟამად უფრო მეტი თანხა მაქვს, ვიდრე ჩემს დღეში მომეპოვებოდაო. «ამასთან, – დაუმატა მან, – მთლად უუნარო კაციც არა ვარ და ყოველგან ვიპოვი საარსებო სახსარს. რა ბედნიერად ჩავთვლიდი ჩემს თავს, თუკი შრომა ოდნავ მაინც გამინელებდა დარდსა და ვარამს. იმ დღიდან, როცა ჩემი თვალით დავინახე, თუ რაში ხარჯავს ჟიული ზედმეტ ფულს, ამ ფულებს ქვრივ-ობოლთა ხელშეუხებელ საუნჯედ ვთვლი და მათ სულ ცოტაოდენიც რომ წარვსტაცო, ჩემი კაცთმოყვარეობა ამის უფლებას არ მომცემს». მაშინ გავახსენე ვალეში მოგზაურობა, შენი წერილი და შენი ნება-სურვილის გამომჟღავნება, მიზეზი ხომ იგივე იყო... «განა იგივე მიზეზი იყო? – აღშფოთებით შემაწყვეტინა მან.– ჩემი უარის გამო მაშინ დავისაჯე მასთან განშორებით. მაშ, დაე ამჟამად ნება მომცეს დავრჩე და მივიღებ მის საჩუქარს. უკეთუ დავთანხმდები, აბა რად უნდა დამსაჯოს? თუკი უარს ვიტყვი, ის სულ ერთია, ვეღარაფერს მიუმატებს ჩემს აუტანელ ტანჯვა-წამებას. იგივე მიზეზი... – იმეორებდა ბრაზმორეული. – არა, მაშინ სულთა ჩვენთა კავშირი ის-ის იყო უნდა წარმოქმნილიყო, ახლა კი ირღვევა და წყდება. იქნებ სამარადჟამოდ ვშორდებით ერთმანეთს და აღარაფერი დაგვშთება საერთო, უცხონი ვიქნებით ურთიერთისთვის». უკანასკნელი სიტყვა ისეთი საშინელი სევდით წარმოთქვა, რომ შემაძრწუნა აზრმა, ვაითუ ისეთივე ვაი-ვარამი დაეუფლოს, საიდანაც ასეთი დავიდარაბით გამოვხსენი-მეთქი. «მერწმუნეთ, თქვენ ჯერ სულ ბავშვი ხართ, – ვუთხარი ნაძალადევი ხუმრობით, – ჯერ ისევ გჭირიათ მეურვეობა. მე ვიქნები თქვენი მეურვე, დავიცავ თქვენს ავლა-დიდებას, ხოლო უნარიანად რომ გავწიო სარისტა ჩვენს საერთო საქმეში, მსურს მარადჟამს ვიცოდე ყველა თქვენი გასაჭირი». მეგობრული მიწერ-მოწერის თაობაზე ლაპარაკის ჩამოგდებით მინდოდა გამეფანტა მისთვის შავბნელი ფიქრები – მისი მიამიტი გული, რომელიც, ასე ვთქვათ, ებღაუჭება ყველაფერს, რაც შენთანაა დაკავშირებული, ადვილად წამოეგო ანკესს. შევთანხმდით წერილთა მისამართების გამო. მას სიამოვნებდა ამ თემაზე ლაპარაკი და მეც მუსაიფი გავუბი, დაწვრილებით განვიხილეთ ყოველივე ბ-ნ დ’ორბის მოსვლამდე, რომელმაც ხელით მანიშნა, ყველაფერი მზადააო.

შენი მეგობარი უმალ მიხვდა ყველაფერს და დაჟინებით მოითხოვდა, ჟიულისთან წერილის მიწერის ნება მომეცითო, მაგრამ სიფრთხილის გამო უარი ვუთხარით. ვიცოდი, გრძნობამორეულს გული რომ აუთრთოლდებოდა, შუამდისინაც ვერ მიიყვანდა წერილს და ძნელად თუ მოვახერხებდით მის გამგზავრებას. «ყოველგვარი დაყოვნება სახიფათოა, – შევნიშნე მე. – მალე მიატანეთ ფოსტის პირველ სადგურს, იქ კი წერეთ, რამდენიც თქვენს სულსა და გულს მოეხასიათოს». ამ სიტყვების წარმოთქმისას ვანიშნე ბ-ნ დ’ორბს და საშინელი სევდით შეპყრობილი გადავეხვიე ჩვენს მეგობარს, სახით მის სახეს მივეკარი. შემდეგ რა მოხდა, აღარ მახსოვს. თვალები ცრემლით ამევსო, მთლად დავიბენი. ძალ-ღონე დამეშრიტა და უკვე აღარ შემეძლო ჩემი როლის თამაში.

და უცბად მომესმა, როგორ ჩარბოდნენ ისინი კიბეზე. გავედი კიბის ბაქანზე, თვალი გავაყოლე მათ. ამ უკანასკნელმა წუთმა მთლად ბოლო მომიღო. მან ჩაიჩოქა შუა კიბეზე და საფეხურებს კოცნა დაუწყო. ბ-ნმა დ’ორბმა ძლივსძლივობით ააგლიჯა იგი ცივ ქვას,

[33] ძნელი გასაგებია, როგორ მოახერხა სახლის გაყიდვა ამ უთვისტომო, უწლოვანმა მიჯნურმა, რომელიც, მისივე თქმით, ჯერ ოცდაოთხი წლისაც არ იყო. საერთოდ, ეს წიგნი სავსეა მსგავსი აბდაუბდით, და ამის თაობაზე ლაპარაკს მეტად აღარ ვაპირებ. ისიც კმარა, მკითხველი რომ გავაფრთხილე.

რომელსაც ჩვენი ტანჯული მეგობარი შემოეჭდო ხანგრძლივი გმინვით, ჩაეკონა მთელი სხეულით, სახით, ხელებით. ვგრძნობდი, ამ წუთს გულმკერდიდან საშინელი ოხვრა რომ აღმომხდებოდა. ჩემს ოთახში შევვარდი, – მეშინოდა, ვაითუ ჩემმა ქვითინმა მთელი სახლი ააფორიაქოს-მეთქი.

ცოტა ხნის შემდეგ დაბრუნდა დ'ორბი; თვალებზე ცხვირსახოცი აეფარებინა. «ყველაფერი დამთავრდა, – წარმოთქვა მან, – უკვე გზას ადგანან. თავის სახლს რომ მიუახლოვდა, თქვენმა მეგობარმა ჭიშკართან ეტლი დაინახა. მილორდი ედუარდი, რომელიც მას ელოდა, მოვარდა და გადაეხვია, ჩაიხუტა და გულში ჩამწვდომი ხმით წარმოთქვა: «მოვედ ჩემდა, უბედურო და ტანჯულო, მოვედ და მოსიყვარულე მეგობრის მკერდზე გადმოაფრქვიე დარდი და მწუხარება. მოვედ და, იქნებ გაიგო, რომ ჯერ კიდევ არ დაღუპულა ყველაფერი ამ ტიალ წუთისოფელში, რაკი ჩემებრი მეგობარი შეიძინე». და მილორდმა მაშინვე ღონიერი მკლავები მოხვია მას და გაიტაცა ეტლისაკენ, ჩასვა შიგ და მაგრად ხელიხელგადახვეულნი გზას გაუდგნენ».

მეორე ნაწილი

I წერილი

ჟიულისადმი[34]

ასჯერ მაინც წამოვავლე ხელი კალამს, მაგრამ როგორც კი პირველ სიტყვას დავწერ, უკვე ეჭვები შემომესევა, აღარ ვიცი, რა კილოთი ვილაპარაკო, რით დავიწყო, მე ხომ ჟიულისა ვწერ! ო, რა საცოდავი ვარ! ეს რა მომივიდა? დიახ, წავიდა ის დრო, როცა ათასობით სანუკვარი გრძნობა დაუშრეტელ ნაკადულად იღვრებოდა ქაღალდზე. გაქრა იმედთა და გულახდილ აღიარებათა ნეტარი ხანი: ამიერიდან აღარ ვეკუთვნით ერთმანეთს, უკვე ის აღარა ვართ, რანიც ვიყავით, – მერწმუნე, აღარც კი ვიცი, ვისღა ვწერ ამ წერილს. ინებებთ თუ არა ჩემი წერილების მიღებას? ნეტავი თუ მოისურვებენ თქვენი თვალები მათ წაკითხვას? განა საკმაოდ თავშეკავებულად, საკმაოდ წინდახედულად არ მიიჩნევთ მათ? ნეტავ თუ გავბედავ წინანდელი გულითადობით მოგმართოთ თქვენ? ნუთუ ისე გავთამამდები, რომ წერილებში ვახსენებ ჩაფერფლილსა და შეგინებულ სიყვარულს, და კიდევ უფრო უცხო ხომ არა ვარ თქვენთვის, ვინემ იმ დროს, როცა პირველად გწერდით? ო, ზენაარსო! როგორ განსხვავდება იმ დღეთა სიმშვენიერე და სიხარული ახლანდელი ჩემი სასოწარკვეთისაგან! ვაგლახმე! ის-ის იყო იწყებოდა ჩემი სიცოცხლე – და ყველაფერი დაინგრა და გაცამტვერდა. წინათ ჩემს გულს აფრთოვანებდა სიხარულით აღსავსე იმედი, ახლა კი სიკვდილის აჩრდილი დამტრიალებს თავს: გავიდა მარტოოდენ სამი წელიწადი – და აი, უკვე ბოლო მოეღო ბედნიერ არსებობას. აჰ, ნეტავ რატომ მანამდე არ ავუგე წესი ჩემს თავს, ვიდრე ცოცხალ ლეშად გადავიქცეოდი! ნეტავ რად არ ვიღე ყურად ჩემი წინათგრძნობანი, როცა მომხიბვლელი წუთების განცდის ჟამს უკვე ვიცოდი, მათი გახანგრძლივება რომ აღარ შეიძლებოდა! უეჭველია, სჯობდა, ამ სამი წლით დასრულებულიყო შენი და ჩემი სიცოცხლე, აჯობებდა, სრულიადაც არ გავჩენილიყავით ამიერსოფლად! სჯობდა, სულაც არ განგვეცადა ნეტარება, ვინემ გვეგემნა

[34] ვგონებ, საჭირო არაა მკითხველის გაფრთხილება, რომ ამ მეორე და მომდევნო ნაწილებში ჩვენი მიჯნურები განშორებისას მხოლოდღა იმას სჩადიან, რომ სისულელეებს ჩმახავენ და მიედ-მოედებიან, – საცოდავებს მთლად დაებნათ დავთარი.

იგი და მყისვე ხელიდან გაგვცლოდა. მე რომ თავი დამეღწია სიცოცხლის ამ საბედისწერო ჟამისთვის, ავრიდებოდი ჩემი სულის გარდამქმნელ მზერას, გამიტაცებდა გონებრივი საქმიანობა, ადამიანისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულება და, შესაძლოა, რაიმე ღირსეული საქმით შემემკო ჩემი უღიმღამო ცხოვრება. მხოლოდ ერთადერთი შეცდომა – და ყველაფერი შეიცვალა. ჩემმა თვალებმა გაბედეს პირისპირ ეხილათ ის, რაც არ უნდა დამენახა. და ამას მოჰყვა გარდაუვალი დასასრული. თანისთან შემიპყრო სიშმაგემ, და ახლა მე გიჟი ვარ, საცოდავი მონა, უმწეო და ლაჩარი, სამარცხვინოდ რომ მიათრევს ხელბორკილისა და სასოწარკვეთის ტვირთს.

ესაა ამღვრეული გონების უნაყოფო ოცნებანი! ფუჭი და ამაო სურვილები, მათი წარმოთქმის უმალვე რომ უარყოფს გული! აბა რად უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს შესაძლებელი იყოს ნამდვილ ტანჯვათაგან განკურნება ისეთი ქიმერული საშუალებებით, რომელთაც თავადვე გავაქარწყლებდით, ჩვენთვის რომ შემოეთავაზებინათ. აჰ, ის, ვინაც სიყვარული განიცადა, ნუთუ შენი დანახვისას დაიჯერებდა, რომ ამქვეყნად არსებობს სხვა ბედნიერება, რომლის შეძენასაც ჩემი პირველი სიყვარულის ფასად მოვინდომებდი? არა და არა! დაე, ზენას თავადვე აქვნდეს თავისი კეთილმოწყალეობანი, მხოლოდ კი ნუ წარმტაცებდა ჩემს მწუხარებასა და წარსულ ბედნიერებათა მოგონებებს. ჩემი ჟიულის უმისოდ ბედნიერებას მე ვამჯობინებ ხსოვნას განცხრომათა გამო და წარსულის სევდა-წუხილს, ჩემს სულს რომ წიწკნიან და აწამებენ. მაშ, მოვედ ჩემდა, საყვარელო ხატებავ, დაევანე გულსა შინა, მარტოოდენ შენით რომ ცოცხლობს, გამომყე დევნილს, ნუგეშინი მეც შეჭირვებისას, გააცოცხლე და მეოხ ეყავ დაფერფლილ იმედებს. ჩემი გაუბედურებული გული მარადჟამს იქნება შენი უცვალებელი წმიდათაწმიდა, და ვერც ბედი და ვერც ადამიანები ვერასოდეს განგდევნიან შენ იქიდან. მე მკვდარი ვარ ბედნიერებისათვის, ოღონდ არ მომკვდარვარ სიყვარულისთვის, რაც განიჭებს მის გამო უფლებას. ეს სიყვარული დაუძლეველია, ისე როგორც მისი წარმომქმნელი მომხიბვლელობა. იგი ემყარება ღირსებებითა და სათნოებათაგან შექმნილ მტკიცე საფუძველს. უკვდავი სულით გარემოსილს მას არ მოელის დაღუპვა, ამიერიდან არღარა ხამს იყოს მსასოოვარი, წარსული დღენი ანიჭებენ ძალასა და ღონეს, რათა საუკუნოდ ცხონდეს მომავალში.

მაგრამ, ოი, ჟიული, შენც ხომ განიცადე სიყვარული, და როგორ მოხდა, რომ ასეთმა სათუთმა გულმა დაივიწყა ყოველივე, რაც მის მთელ სიცოცხლეს შეადგენდა? ეს როგორ მოხდა, ღვთიური ცეცხლი რომ ჩანავლდა შენს სპეტაკ სულში? როგორ მოხდა, რომ გადაეჩვიე სანეტარო განცხრომას, რომელთა განცდა და ბოძება მარტოოდენ შენ შეგფეროდა? ულმობლად მიშორებ თავიდან, მაძევებ შერცხვენილს, მიწასთან მასწორებ, გონებაამღვრეული და შემცდარი ვეღარც კი ხედავ, ჩემი გაუბედურებით შენც რომ კარგავ ბედნიერ სიცოცხლეს! აჰ, მერწმუნე, ჩემო ჟიული, ამაოდ დაუწყებდი ძებნას შენი გულისთვის ახლობელ სხვა გულს. მრავალი გული, რასაკვირველია, კვლავ გაღმერთებს შენ, ოღონდ ჭეშმარიტი სიყვარულით მარტოოდენ ჩემს გულს უყვარდი.

მაშ, პასუხი გამეც ახლავე, ჩემო საგონებელო, – შენ, გზასაცდენილო, თუ თავად მაცდუნებელო, – რა მოუვიდათ და რა იქმნენ შენი საიდუმლო გეგმები? სად გაიფანტა ყველა ეს ფუჭი იმედი, რომლითაც ისე ხშირ-ხშირად მინადირებდი, რომ მიამიტად ვიწამე ისინი? სადღა არის ეს სანატრელი, წმინდა კავშირი, აალებული ვაი-ვიშისა და ოხვრა-კვნესის უნაზესი საგანი, – განა რამდენგზის მოგიწერია ამაზე, რაოდენჯერ გითქვამს ეს და შთაგინერგავს მომავლის რწმენა! ვაი, მე საწყალს! შენი დაპირებებით იმედნეულმა გავბედე ოცნება მეუღლის წმინდა წოდების გამო და უკვე მეგონა, უბედნიერესი ადამიანი ვარ-მეთქი ამ ქვეყანაზე. მარქვი, უწყალო, ნუთუ იმიტომ მატყუებდი, კიდევ უფრო აუტანელი რომ გაგეხადა ტანჯვანი ჩემნი, ხოლო ჩემი დამცირება უფრო სამარცხვინო ყოფილიყო? ანდა, იქნებ, რაიმე საქციელით მოვინაგრე ეს უბედურება? ანდა, შესაძლოა,

ვერ ვიქმენ მორჩილი, უწყინარი, თავმდაბალი? მითხარი, ნუთუ ნაკლები მგზნებარებით მოვილტვოდი შენდა და ამით დავიმსახურე განდევნა? ანდა, იქნებ, არ ვისურვე ჩემი მგზნებარე სურვილები ფეხქვეშ გაგებოდა შენს უზენაეს ნება-სურვილს? ხომ ასე ვცდილობდი შენი გულის მოგებასა და სიამოვნებას, შენ კი მიმატოვე და დამაგდე! ხომ შემომპირდი, შენი ბედნიერებისთვის ვიზრუნებო, ხოლო დამღუპე კი! შე უმადურო, ნეტავ, რა იქმნენ ესე საუნჯენი, შენ რომ მოგანდე, მითხარი რამე ჩემი ხვედრის გამო, – შენ ხომ აცდუნე გული ჩემი, მომიბოძე უდიდესი ნეტარება, შემდეგ კი ისევ წარმტაცე იგი. ზეციერო ანგელოსნო, არ ვისურვებდი თქვენსაზე გამეცვალა ჩემი ბედი. მე ყველაზე უბედნიერესი კაცი ვიყავი ამიერქვეყნად... ეჰა! ამჟამად უკვე არარა ვარ, წამის უმალ დავკარგე ყოველივე. აღსავსე ვიყავ ბედნიერებით და ერთბაშად შთავვარდი სამარადჟამო ვაი-ვარამში; მეგონა, ბედნიერება ჩემთან ჰგიებს-მეთქი და ანაზდად გამიფრინდა იგი; მეგონა, აგერ, ჩემ გვერდშია-მეთქი, უცბად კი დავკარგე სამუდამოდ. აჰ, ნეტავი კი შემეძლოს მაინც დავიჯერო, რომ ბედის ჩარხი წაღმა აღარ შემობრუნდება! ნეტავი არ მშთენოდეს იმის ფუჭი იმედი, რომ... ო, მეიერის პიტალო კლდენო! ჩემი ეული მზერა რაოდენჯერ გითვალთვალებდა თქვენ; მაშ, რისთვის არ შეეწიენით ჩემს სასოწარკვეთას? ოდეს ჯერ კიდევ არ ვიცოდი სიცოცხლის ფასი, ასე როდი დავინანებდი მისგან კიდეგანობას.

II წერილი

მილორდ ედუარდისაგან კლარასადმი

ჩვენ ახლა ბეზანსონში ვიმყოფებით, და ჩემს უპირველეს მოვალეობად მიმაჩნია გიამბოთ, რაც შეგვემთხვა ჩვენი მოგზაურობის დროს. ეს მოგზაურობა თუმცა არც ისე მშვიდად ჩატარდა, მაგრამ მაინც რაიმე უსიამოვნო ფათერაკი არ წაგვკიდებია, და ჩვენი მეგობარი ჯანმრთელადაა ხორციელად, რამდენადაც შეიძლება კარგად იყოს კაცი, როცა ასე მძიმედა აქვს გული დაკოდილი. იგი ცდილობს სიმშვიდის გამოჩენას, ერცხვინება თავისი მდგომარეობა, ფრიად გულდახურულია ჩემთან, მაგრამ ყველაფერი ამჟღავნებს მის იდუმალ გრძნობებს. თავს ისე ვაჩვენებ, თითქოს ვერ ვამჩნევ მის გუნება-განწყობილებას, დაე თვითონ მოერიოს თავს. ამრიგად, სული მისი რამდენიმედ მაინც თავს არიდებს ტანჯვა-წამებას და ეცდება მათ დაფარვას.

პირველ დღეს ძალიან ცუდ გუნებაზე იყო. როცა შევნიშნე, რომ რაც უფრო შორს მივდიოდით, მით უფრო მძაფრდებოდა მისი წუხილი, მეეტლეს ცოტა ადრე შეჩერება ვუბრძანე. ერთი სიტყვაც არ გვითქვამს ერთმანეთისთვის. უადგილო ნუგეში მხოლოდ აარჯლებს დიდ მწუხარებას. გულცივობა და სიმშვიდე ადვილად პოულობენ თანაგრძნობის სიტყვებს, მაგრამ მეგობრობის ჭეშმარიტი ენა სევდა და მდუმარეაა. გუშინ შევამჩნიე სიშმაგის პირველი ნიშან-წყალი – იგი აუცილებლად შეუცვლის სულიერ ლეთარგიას. სადილობისას, ჩვენი ჩასვლიდან თხუთმეტი წუთიც არ იყო გასული, მოუთმენლობა დაეტყო. «ნეტავი რაღას ვაყოვნებთ? – წარმოთქვა სევდიანი ჩაცინებით, – დავყუდნებულვართ აქ, მის სიახლოვეს». საღამოთი თავს ძალა დაატანა და ბევრს ლაპარაკობდა, ოღონდ ჟიულიზე კრინტიც არ დაუძრავს; სულ ერთსა და იმავეს კითხულობდა, მე კი ათგზის მაინც ვუპასუხებდი. უნდოდა გაეგო, უკვე საფრანგეთის მიწა-წყალზე ხომ არ ვიმყოფებითო; შემდეგ იკითხა, ნეტავი ვევეში მალე ჩავალთ თუ არაო. ყოველ სადგურში უმალ რაღაცის წერას იწყებდა, მაგრამ მაშინვე ხევდა წერილებს და ჭმუჭნიდა. ცეცხლში დაწვას გადავარჩინე ორი-სამი ნაკუწი. მათი მიხედვით მიხვდებით, რა გუნებაზეც იმყოფება. თუმცა, ვგონებ მაინც მოახერხა მთელი წერილის დაწერა.

ყოველივე ეს მძაფრი გაშმაგების მომასწავებელია, მაგრამ არ ძალმიძს ვთქვა, როდის და როგორ მოხდება ეს ამბავი, ვინაიდან აქ ყველაფერი ექვემდებარება ადამიანის ბუნების თავისებურებათა შეხმატკბილებას, მის ვნებათა ხასიათს, ვითარებებს, რომლებიც შესაძლოა, ერთბაშად წარმოიქმნან, ყოველნაირ შემთხვევითობის დიდ სიმრავლეს, – მათი გათვალისწინება უგამჭრიახეს ადამიანსაც არ შეუძლია. იმედი მაქვს, სიშმაგე გაუვლის, რაც შეეხება მის უსასოობას, ამაზე ვერაფერს ვიტყვი, თუმცა, რაც უნდა ჩავიდინოთ, ადამიანი მაინც მარად და მარად თავად არის საკუთარი თავის ბატონ-პატრონი.

მე მგონია, მას მართლაც გადაარჩენს საკუთარი ღირსების გრძნობა და ჩემი ზრუნვა, თუმცა ამ შემთხვევაში უფრო ნაკლებ ვენდობი ჩემს მეგობრულ გულმოდგინებას, რასაც უხვად მივაგებ, ვიდრე მისი სიყვარულის ხასიათსა და ჟიულის გუნებას. უკეთუ სული ხანგრძლივად და ღრმადაა ჩაძირული თავის ვნებათა მორევში, მაშინ აუცილებლად აითვისებს ზოგიერთ მის თავისებურებებსაც. ჟიულის საიშვიათო სიმშვიდემ უნდა დააყუჩოს მის მიერვე შთაგონებული მწველი ვნება, და ეჭვი არ მეპარება, რომ ესოდენ მგზნებარე კაცის სიყვარული მასაც ოდნავ უფრო მეტ გაბედულებას მიანიჭებს.

მე მისი გულის იმედიცა მაქვს: იგი შექმნილია ბრძოლისა და გამარჯვებისათვის. მისი სიყვარულის მსგავსი სიყვარული იმდენად სისუსტე კი არ არის, რამდენადაც უხეიროდ გამოყენებული ძალი და ღონე! მწველსა და უიღბლო ვნებას იქნებ შეეძლოს კიდეც დროებით და, კაცმა რომ თქვას, სამარადჟამოდაც შთანთქას მის სულიერ ძალთა ნაწილი, ოღონდ ის თავად დაადასტურებს იმ ამბავს, თუ რაოდენ მშვენიერნი არიან ისინი და რა დიდ ხეირსა ნახავს მათგან, სიბრძნით განმტკიცებული, ვინაიდან დიად აზრს ხელს უმართავს იგივე სულიერი ძალა, რაიც წარმოქმნის მძლავრ გრძნობებსაც, და ფილოსოფიის ღირსეული სამსახური შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ისეთივე მგზნებარე გატაცებით, როგორსაც განიცდის კაცი შეყვარებულის მიმართ.

გარწმუნებთ, ძვირფასო კლარა, თქვენზე ნაკლებ როდი მაწუხებს უიღბლო მეგობართა ბედი, და სიბრალულის გრძნობის გამო კი არა, რომელიც ზოგჯერ მხოლოდ სულმოკლეობის ნიშანს წარმოადგენს, არამედ სამართლიანობისა და წესრიგის პატივისცემის გამო, რაც მოითხოვს, რათა თითოეულმა ადამიანმა ამ ცხოვრებაში ჰპოვოს ყველაზე გამოსადეგი ადგილი თავისთვისაც და საზოგადოებისთვისაც. ეს ორი მშვენიერი არსება ერთმანეთისათვის არის შექმნილი ბუნების მიერ. უსათუთესი კავშირით, ბედნიერების წიაღში, ძალ-ღონის თავისუფალი განვითარებითა და სათნოებით გაწვრთნილნი, ისინი განანათლებენ კიდეც ყველას თავიანთი მაგალითით. მაშ, რაღაც უაზრო ცრურწმენამ რაისთვის შეცვალა განგების გზები და რად დაარღვია ორი მოაზროვნე არსების ჰარმონიული კავშირი? მაშ, გულქვა მამის პატივმოყვარეობამ რატომ დაუფარა ადამიანებს ჭეშმარიტება და აიძულა ყველას სანუგეშოდ გაჩენილი ორი სათუთი და სათნო გული ვაი-ვიშისა და ცრემლთა ფრქვევისათვის? ცოლქმრული კავშირი ხომ მარტოოდენ ყველაზე წმინდა კი არა, ყველაზე თავისუფალი ვალდებულებაცაა! დიახ, უსამართლოა მისი თავისუფლების შემზღუდველი ყველა კანონი, ურჯულეები არიან ყველა მამები, რომლებიც ცდილობენ ამის თავზე მოხვევას ან დარღვევას. ბუნების მიერ შექმნილი ეს უმწიკვლო კავშირი არ ექვემდებარება ხელმწიფის ძალაუფლებას, არც მშობელთა ნება-სურვილს, არამედ განგებას ჩვენი ერთადერთი ზეციერი მამისა, ვისაც ხელეწიფების ადამიანთა გულების მართვა, – როცა ბრძანებს მათს შეუღლებას, ძალუძს კიდეც აიძულოს ისინი შეიყვარონ ერთმანეთი.[35]

---

[35] არსებობს ისეთი ქვეყნები, სადაც მდგომარეობისა და შეძლების შესაბამობას იმდენად ამჯობინებენ არსებისა და გულთა შესაბამობას, რომ თუ საცოლეს ან საქმროს ქონება არ აბადია, ეს საკმაო დაბრკოლებად ითვლება ყველაზე ბედნიერი შეუღლებისათვის ანდა გაყრისათვის, თუნდაც გაუბედურებულ გოგონებს –

და განა შესაძლებელია ბუნების განაჩენის მსხვერპლად გაღება საზოგადოებრივი აზრით შექმნილ განაჩენთათვის? ცოლქმრობა აქარწყლებს და ანელებს ქონებისა და მდგომარეობის სხვაობათ, – ისინი არაფერსაც არ ნიშნავენ ბედნიერებისათვის. ოღონდ რჩება ხასიათისა და ბუნების სხვაობანი და ჩვენი ბედიცა და უბედობაც ამაზეა დამოკიდებული. როცა შვილები მარტოოდენ სიყვარულით ხელმძღვანელობენ, ცუდ გზას ადგანან, მაგრამ უფრო ცუდს ირჩევს მამა, ვინაც მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოების აზრით ხელმძღვანელობს. უკეთუ ასულს არ გააჩნია საკმაო გონება და გამოცდილება თავისი რჩეულის ჭკუისა და ყოფაქცევის განსასჯელად, კეთილი მამა, რასაკვირველია, უნდა დაეხმაროს მას. და მისი ვალი და მოვალეობაა უთხრას ასულს: «შვილო ჩემო, ეს წესიერი კაცია, ეს კი გაიძვერა; აი, ეს ჭკვიანი კაცია, ეს კი რეგვენი». ამ საქმეში მამას არაფერი ესწავლება, ოღონდ ქალიშვილმა თავად გაითვალისწინოს ყოველივე დანარჩენი. მამა-ტირანები იმას გაჰკივიან, ამნაირად საზოგადოებრივი წესრიგი ირღვევაო, და თავად არღვევენ მას. დაე, ადამიანებმა ღირსებისამებრ მოიპოვონ მდგომარეობა, ხოლო გულთა კავშირი არჩევანით იყოს, – აი, როგორია ის, ნამდვილი საზოგადოებრივი მართლწესრიგი. ისინი კი, ვინც აწესებენ და ამყარებენ მას გვარიშვილობისა ანდა შეძლების მიხედვით, წესრიგის ნამდვილი დამრღვევნი არიან, ისინი უნდა გაიკიცხონ ანდა დაისაჯონ.

ამრიგად, საყოველთაო სამართლიანობის გამო უნდა აღმოიფხვრას ძალაუფლების ასეთი გადამეტება. ყოველი ადამიანის ვალია წინააღუდგეს ძალმომრეობას და ხელი შეუწყოს მართლწესრიგს. ჩემი საქმე რომ იყოს ჩვენი მიჯნურების შეუღლება ყეყეჩი მოხუცის ჟინაზე, რასაკვირველია, დავაბოლოებდი განგების წინასწარ განსაზღვრას და აინუნშიაც არ ჩავაგდებდი საზოგადოებრივ აზრს.

თქვენ უფრო ბედნიერი ხართ, ძვირფასო კლარა: მამათქვენი როდი ფიქრობს, თითქოს თქვენზე უკეთ იცოდეს, რა არის თქვენი ბედნიერება. იქნებ არც ისე მაღალ მოსაზრებათა გამო და არც დიდი სიყვარულისთვის გიბოძათ უფლება, იყოთ თქვენი ბედ-იღბლის ბატონ-პატრონი; მაგრამ განა სულერთი არაა, როგორია მიზეზი, თუკი შედეგი იგივეა და უკეთუ მოგენიჭათ თავისუფლება, თუნდაც განურჩევლობით და არა გონების კარნახით. თქვენ ბოროტად როდი გამოიყენეთ თქვენი თავისუფლება და ოცი წლისამ აირჩიეთ ისეთი საქმრო, რომელიც დაიმსახურებდა კეთილგონიერი მამის მოწონებას. ისეთი მეგობრობით გატაცებულმა თქვენმა გულმა, რომლის მსგავსი მეგობრობაც ჯერ არ ნახულა ქვეყნიერებაზე, ცოტა ადგილი დაიტოვა მხურვალე სიყვარულისათვის. თქვენ ანაცვალეთ იგი ყველაფერს, რასაც შეუძლია მისი შენაცვლება შეუღლებისას: თქვენ უმალ მეგობარი გახდებით, ვიდრე სატრფო; ვერ იქნებით უნაზესი ცოლი, მაგრამ უსათნოესი მეუღლე კი გახდებით და თქვენი გონივრული ცოლქმრობა წლითიწლობით განმტკიცდება და ასე გაგრძელდება სამიდღეშიოდ. გულისთქმის აყოლა თუმცა ბრმა, მაგრამ უძლეველი ძალაა, რის წინააღმდეგაც ბრძოლა დაღუპვის კარამდე მისვლასა ნიშნავს. არიან ბედნიერი ადამიანები, რომელთა სიყვარული როდი ეცილება გონებას; მათ არ ესაჭიროებათ დაბრკოლებათა დაძლევა და ცრურწმენათა მიმართ ბრძოლა! ასეთი ბედნიერები იყვნენ ჩვენი მეგობრებიც, უჯიათი მამის უგუნურ წინააღმდეგობას რომ არ

საძაგელ ცრურწმენათა ყოველდღიურ მსხვერპლთ, პატივიც ჰქონდეთ აყრილი. პარიზის უმაღლეს სასამართლოში დავესწარი გახმაურებულ პროცესს, როცა დიდგვაროვნული წარმომავლობა თავხედურად და საჯაროდ ფეხქვეშ თელავდა წესიერებას, მოვალეობას, ცოლქმრულ ერთგულებას, და როცა საზიზღარმა მამამ, საჩივრის მოგების შემდეგ, გაბედა და მემკვიდრეობა ჩამოართვა შვილს იმის გამო, რომ მან არ ისურვა უსინდისო ადამიანად გახდომა. შეუძლებელია იმის აღწერა, თუ რა უკიდურესად არიან ჩაგრულნი ქალები კანონების მიერ ამ ესოდენ ზრდილობიან ქვეყანაში. რაღა გასაკვირველია, თუ ასე მკაცრად იძიებენ შურს ამის გამო თავიანთი ყოფაქცევით!

წაწყდომოდნენ. კვლავაც ასეთი ბედნიერები იქნებოდნენ ისინი მამის ჟინაზე, ერთ-ერთ მათგანს კარგი მრჩევლები რომ ეპოვა.

და თქვენი ხვედრიც და ჟიულის ხვედრიც იმის თვალსაჩინო მაგალითია, რომ მხოლოდ და მხოლოდ ცოლ-ქმარს შეუძლია განსაჯოს, შეეფერებიან თუ არა ისინი ერთმანეთს. თუ არ სუფევს სიყვარული, არჩევანს მხოლოდ გონება ახდენს, – ასე დაგემართათ თქვენ. უკეთუ არსებობს სიყვარული, მაშინ არჩევანი უკვე თვითონ ბუნებამ გააკეთა, – ასე მოუვიდა ჟიულის. ასეთია ბუნების წმინდა კანონი და ადამიანს როდი ხელეწიფების მისი დარღვევა; და თუკი მაინც არღვევს მას, მაშინ ეს ამბავი დაუსჯელად როდი ჩაივლის, – საზოგადოებაში წოდებრივი მდგომარეობის თაობაზე გამოთქმულ მოსაზრებებს არ ძალუძთ ამ კანონის გაუქმება უბედურებათა ანდა დანაშაულთა წარმოუქმნელად.

ახლოვდება ზამთარი და მე უნდა წავიდე რომში. მაგრამ მანამ ვერ მივატოვებ ჩემს არიფს, ჩემს მეგობარს, სანამ არ დავინახავ, რომ შემიძლია დამშვიდებული ვიყო მისი სულიერი მდგომარეობით. მისი სული ხომ საუნჯეა, რაც ჩემთვის ძვირფასია თავისთავად, და მასთან იმიტომაც, რომ იგი მე მომანდვეს. თუ ვერ შევძელი მისი ბედნიერების განმტკიცება, მაინცდამაინც, შევეცდები ისე მოვაგვარო საქმე, რომ კეთილგონიერი გახდეს და ღირსეულად გადაიტანოს ადამიანთა მოდგმისთვის ზეგარდმოვლენილი შეჭირვებანი. გადავწყვიტე მასთან ერთად გავატარო აქ ორიოდე კვირა. იმედი მაქვს, ამ ხნის განმავლობაში ჟიულისა და თქვენს ამბებსაც გავიგებთ. ასე რომ, ორივენი დამეხმარებით სალბუნი დავდო განაწამები გულის იარას, რომელსაც ჯერჯერობით მხოლოდ და მხოლოდ გრძნობის მეოხებით ძალუძს ყური მიუგდოს გონების ხმას.

თანვე ვურთავ თქვენი დობილისადმი წერილს. გთხოვთ, ნუ ანდობთ მას დამტარებელს, თვითონვე გადაეცით.

ზემოხსენებულ წერილთან დართული ბარათის ნაწყვეტები

I

ნეტავი რატომ არ შემეძლო თქვენი ნახვა გამგზავრების წინ? იქნებ, გეშინოდათ კიდეც, რომ სულს დავლევდი განშორების ჟამს? ოი, მადლიანო, ამას ნუ დაიჯერებთ. თავს კარგადა ვგრძნობ.. არ ვიტანჯები... ჯერ ცოცხალი ვარ... ვფიქრობ თქვენზე... ვიგონებ იმ დრო-ჟამს, ოდეს ძვირფასი ვიყავ თქვენთვის... გული მიკვნესის... ეტლის ნჯღრევამ გამასავათა... სევდის ლაშქარი შემომიხდა... ახლა არაფრის მოწერა აღარ ძალმიძს. იქნებ, ხვალ მომემატოს ძალ-ღონე... ანდა უკვე აღარც კი იყოს იგი ჩემთვის საჭირო.

II

ნეტავ საით მიმაქროლებენ ცხენები ასეთი სისწრაფით? საით მივყევარ ასე თავგამოდებით კაცს, ჩემს მეგობრად რომ ხადის თავის თავს? ნუთუ გშორდები, ჟიული? ნუთუ შენი ბრძანებით მიმაფრენენ ასე? ნუთუ იმ არემარეს, სადაც შენ არ მყოფობ? ჰოი, უჭკუო! თვალითა ვზოავ გზას, სადაც გამალებული მივქრი. საიდან მოვდივარ? საითკენ მივემარები? რა საჭიროა ესოდენი სიჩქარე? უწყალონო, იქნებ, იშიშვით კიდეც, დროზე არ მოესწრაფაო სიცოცხლე? ო, მეგობრობავ! ო, სიყვარულო! და ასეთია განა თქვენი განზრახვა? და ესაა თქვენი წყალობა?

III

კარგად თუ მოეთათბირე შენს გულს, ასე ულმობლად რომ გამაძე შენგან? მითხარი, ჟიული, ვითარ შეიძელ სამუდამოდ ჩემი განრინება... არა, არა! ვიცი, მის სათუთ გულს რომ ვუყვარვარ მე. ბედისწერის ჟინაზე, თავის ჟინაზე მას ვეყვარები კუბოს კარამდე... ვიცი, დაგიყოლიეს... შენს თავს უმზადებ სამარადჟამო მონანიებას... ჰოიმე, ძალზე გვიან იქნება... ნუთუ შეგეძლო დავიწყება... ნუთუ ასე ნაკლებად გიცნობდი? აჰ, იფიქრე შენზე, იფიქრე ჩემზეც, იფიქრე ჩვ... გამიგონე, ჯერ კიდევ არის დრო და ჟამი... შეუბრალებლად გამაძევე მე. ქარის უმალეს მივქრი... ერთი სიტყვა დასძარი, მხოლოდ ერთი სიტყვა და ელვის უსწრაფესად დაგიბრუნდები. დასძარი სიტყვა, და ჩვენ სამუდამოდ შევუღლდებით... ჩვენ ერთად უნდა ვიყოთ... და ერთადაც ვიქნებით... ოი შენ, ქარო, გადაეც მას ჩემი კვნესა და ვაი-ვარამი... და მაინც მივემგზავრები, ვიცოცხლებ და მოვკვდები შენგან მოშორებული... ვიცოცხლებ შენგან შორსმყოფი!

III წერილი

მილორდ ედუარდისაგან ჟიულისადმი

მამიდაშვილი მოგითხრობთ თქვენი მეგობრის ამბავს. მასთან, ჩემი აზრით, თავად გიგზავნით წერილს ამ ფოსტით. დაიცხრეთ მოუთმენლობა და ჯერ მისი წერილი გახსენით, შემდეგ ნელინელ წაიკითხეთ ჩემი წერილიც, რადგან გაფრთხილებთ, მისი შინაარსი თქვენგან სრულ ყურადღებას მოითხოვს.

მე ვიცნობ ადამიანებს, ბევრი რამ განვიცადე ჩემს ხანმოკლე სიცოცხლეში, შევიძინე გამოცდილება ტანჯვათა ფასად, ხოლო ვნებათა გზამ ფილოსოფიასთან მიმიყვანა. ბევრი რამ მინახავს და განმიცდია, მაგრამ თქვენსა და თქვენს მიჯნურზე უფრო გასაოცარი არაფერი შემხვედრია. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ორივეს მოგეპოვებათ საიშვიათო ნიშატი, რომლის თავისებურებაც უმალ ხვდება კაცს თვალში, – თქვენი გულის სიღრმეში ჩაწვდომა ისე ძნელია, რომ შესაძლოა, ზერელე მეთვალყურემ ჩვეულებრივ ადამიანებადაც კი ჩაგთვალოთ. თქვენ სწორედ ის განგასხვავებთ, რომ შეუძლებელია თქვენი გამორჩევა სხვათაგან და ადამიანისთვის შესაფერი და საკადრისი ბევრი მხარე ეხამება ერთმანეთს თქვენს ბუნებაში, ხოლო ბევრი რამ ამ მხარეთაგან ადამიანებს არ გააჩნიათ. ასე მაგალითად, ესტამპის ყოველ ნატვიფრს აქვს მისთვის დამახასიათებელი ნაკლი, და თუკი გვხვდება ერთი სრულყოფილი ნატვიფრი, პირველი შეხედვისთანავე საიშვიათოდ რომ მიიჩნევენ, ამ იშვიათობის ასახსნელად მაინც ხანგრძლივი დაკვირვებაა საჭირო. როდესაც პირველად ვიხილე თქვენი მიჯნური, რაღაც სიახლის გრძნობა დამეუფლა, და ეს გრძნობა დღითი დღე იზრდებოდა ჩემს გულში; რაკი გონებაც მასვე მკარნახობდა, თქვენს მიმართ სულ სხვა რამ განვიცადე, და ეს გრძნობა ესოდენ ნათელი იყო, რომ მცდარად წარმოვიდგინე თვით მისი ბუნება. თქვენ უაღრესი შთაბეჭდილება მოახდინეთ ჩემზე – და ეს იმიტომ კი არა, ქალი რომ ხართ, არამედ იმის გამო, რომ თქვენი ბუნება დაჯილდოებულია კიდევ უფრო დიდი უზადოებით, – და გულიც ამასა გრძნობს, რომც არ შემოგტრფოდეთ. ცხადად წარმომიდგენია, რა მოგივათ თქვენი მეგობრის უმისოდ, მაგრამ ისიც ვერ მომისაზრებია, რა დაემართება მას უთქვენოდ; ბევრი მამაკაცი იქნება მისი მსგავსი, ოღონდ მთელ ქვეყნიერებაზე არავინაა ჟიულის დარი. ჩემი საქციელის შემდეგ, – ამას ვერასოდეს ვაპატიებ ჩემს თავს, – თქვენმა წერილმა ნათელი მოჰფინა ჩემს ნამდვილ გრძნობებს. მივხვდი, რომ არ ვეჭვიანობდი, მაშასადამე, არ

ვყოფილვარ შეყვარებული; მივხვდი, რომ თქვენ ნამეტნავად კარგი იყავით ჩემთვის; თქვენა გსურთ სულის პირველი სიყვარული, ჩემი სული კი არ იქნებოდა თქვენი ღირსი.

მას მოღმა გულთან ახლოს მივიტანე თქვენი საერთო ბედნიერება და არასოდეს ჩაქრება ჩემი უსათუთესი თანაგრძნობა. ვიმედოვნებდი, რომ შევძლებდი ყველა სიძნელის გადალახვას და წინდაუხედავად მივმართე მამათქვენს, ხოლო შემთხვეულ მარცხს კიდევ უფრო უნდა გაეღრმავებინა ჩემი თავგამოდება. მომისმინეთ, გეთაყვა: შემიძლია გამოვასწორო ბოროტება, თქვენ რომ მოგაგეთ.

ჩაიხედეთ თქვენს გულში, ჟიული, და მითხარით, განა შეიძლება მისი დამდაგველი ალის ჩაქრობა? ალბათ, იყო დრო-ჟამი, როცა ჯერ კიდევ შეგეძლოთ აღგეკვეთათ მისი გიზგიზი; მაგრამ თუკი უმწიკვლო და უმანკო ჟიული დაეცა დამარცხებული, ის უკვე ვეღარ გაუძლებს შემდგომშიც. ვით შეერკინება იგი მძლევარ-სიყვარულს, რომლის იარაღია წარსულ განცხრომათა სახიფათო სურათები. ო, ნორჩო შეყვარებულო! ნუ დაატანთ თავს ძალას, თავი ანებეთ წინდაუხედავ განზრახვათ: თქვენ ხომ დაიღუპებით, თუ საკუთარ თავთან ბრძოლა განაგრძეთ; იქნებით დამცირებული და დამარცხებული და სირცხვილის გრძნობა თანისთან ჩაახშობს ყველა თქვენს ქველ საქმეთ: სიყვარული მეტისმეტად ღრმად დაეუფლა მთელ თქვენს სულსა და გულს და ვერასოდეს გამოდევნით მას იქიდან. იგი შეიჭრა მის მთელ არსებაში, აზოტის სიმჟავესავით სულ ერთიანად ამოავსო ისინი, და ვერასოდეს ამოშლით მის ღრმა ნაკვალევს, მასთან ერთად თუ არ ამოშალეთ თავად ბუნებისაგან თქვენთვის ბოძებული წარმტაცი გრძნობები. ისე რომ, უკეთუ თქვენი გულის სიღრმეში თავად არ დაიცავთ თქვენს სიყვარულს, მაშინ ვერვის საკადრის პატივისცემასაც ვერ შეინარჩუნებთ. მაშ, რა უნდა ქნათ, როცა არ ძალგიძთ თქვენი გულისხმის შეცვლა? მხოლოდ ერთი რამ, ჟიული: დააკანონეთ ეგ გულისთქმანი. ამჟამად შემოგთავაზებთ გადარჩენის ერთადერთ საშუალებას, ისარგებლეთ იმით, ვიდრე გვიან არაა, მიაგეთ უმანკოებასა და სათნოებას უმაღლესი ჯილდო, რომლის დამცველიც გაგხადათ თქვენ არსთაგანმრიგემ; თუ არა და, გეშინოდეთ, რომ სამუდამოდ შელახავთ მის უძვირფასეს საბოძვარს.

იორკის საჰერცოგოში მაქვს ჩინებული ადგილ-მამული – იქ ათადან-ბაბადან ცხოვრობდნენ ჩემი წინაპრები. ძველთაძველი ციხე-დარბაზი მყუდროა და კეთილმოწყობილი: მიდამოები უდაბურია, მაგრამ სასიამოვნოა და თვალწარმტაცი. პარკი ზედ მდინარე ოუზის პირასაა, რაც საუცხოოდ ახალისებს ლანდშაფტს და იმავე დროს აიოლებს სურსათ-სანოვაგის გასაღებას. მიწა იძლევა შეძლებული ცხოვრებისათვის საკმაო მოსავალს და შეიძლება მისი გაორკეცება კარგი მეპატრონის ხელში. ამ აღთქმულ მხარეში ვერ აღწევს ბილწ ცრურწმენათა ხმები. მშვიდობიანი გლეხკაცი აქ ჯერ კიდევ ინარჩუნებს პირველყოფილ დრო-ჟამთა მარტივ ზნე-ჩვეულებებს და თვით მხარეც ცოტათი იმ ვალეს ჩამოჰგავს, რომელიც მკაფიო შტრიხებით ასე გულში ჩამწვდომად აღგიწერათ თქვენმა მეგობარმა. ეს თქვენი სამფლობელოა, ჟიული, უკეთუ ინებებთ მასთან ერთად იქ დავანებას. იქ ორნივ განახორციელებთ თქვენი გულისა და გონებისათვის ყველა სანუკვარ განზრახვას, რითაც მთავრდება ჩემ მიერ მოხსენებული წერილი.

მაშ მოვედინ, ორი ჭეშმარიტი მიჯნურის უბადლო ხატებავ, მოვედინ, თაყვანების ღირსო კეთილსაიმედო გულისტოლებო იმ მხარეში, სადაც გამზადებულია თავშესაფარი სიყვარულისა და უმანკოებისათვის. გამოცხადდით, რათა იქ ღვთისა და ადამიანთა წინაშე შეჰკრათ სანეტარო კავშირი. მოვედინ, და დაე შენთა სათნოებათა მაგალითმა პატივი მიაგოს ქვეყანას, სადაც ხალხი გააღმერთებს მათ და სადაც ისინი მაგალითის მიმცემი იქნებიან უბრალო ადამიანთათვის, და იგემეთ ამ მყუდრო და უშფოთველ მხარეში სპეტაკ სულთათვის ნაბოძები მარადისი ბედნიერება, რადგან იპოვით მას თქვენს შეკავშირებულ გრძნობათა შორის, და აკურთხოსმცა ზენამ თქვენი შეუბღალავი სიყვარული თქვენივე

მსგავსი შთამომავლობით. იცოცხლეთ იქ საპატიო სიბერემდე და საუკუნოდ განისვენეთ თქვენივ შვილებთან ერთად; და ცოლქმრული ბედნიერების ძეგლთან ჩავლისას ჩვენმა შთამომავლობამ დაე იგრძნოს მისი იგავმიუწვდომელი მომხიბვლელობა და გრძნობამორევით წარმოთქვას: «აი აქ მდებარებდა უმანკოების დასაყუდარი, აქ იყო ორი მიჯნურის სავანე».

თქვენი ბედ-იღბალი, ჟიული, თქვენსავე ხელშია. გულდასმით აწონ-დაწონეთ ყოველივე, რაც შემოგთავაზეთ და ღრმად ჩასწვდით დედაარსს. მე კი ვკისრულობ წინასწარ და საბოლოოდ დავარწმუნო თქვენი მეგობარი, დათანხმდეს ამ საქმეს, რომლისთვისაც მე ვაგებ პასუხს. ვკისრულობ აგრეთვე აგაშოროთ ყოველგვარი საფრთხე მგზავრობის ჟამს და თქვენს მეგობართან ერთად დაგიცვათ ხიფათისაგან, ვინემ ადგილზე არ აღმოჩნდებით; ხოლო იქ სავსებით დაუბრკოლებლად საჯაროდ დაქორწინდებით, ვინაიდან ჩვენი ადათ-წესების მიხედვით, სრულწლოვანი ქალიშვილი თავადაა საკუთარი თავის ბატონ-პატრონი და არ საჭიროებს ვისიმე დასტურს. ჩვენი ბრძნული კანონები სულაც არ აუქმებენ ბუნების კანონებს, და თუკი ასეთი იღბლიანი დასტური ზოგჯერ წარმოქმნის კიდეც რაიმე დაბრკოლებებს, ისინი გაცილებით უმნიშვნელონი არიან, ვინემ მათი გამაუქმებელი თანხმობა. ვევეში დავტოვე მსახური, ჩემი რწმუნებული, გამბედავი და ფრთხილი კაცი, მისი ერთგულება ეჭვს გარეშეა. თქვენ ადვილად შეუთანხმდებით მას სიტყვიერად ან წერილობით, რეჯანინოს დახმარებით – ოღონდ ამ უკანასკნელმა არ უნდა იცოდეს საქმის ვითარება. ჩვენ მოვალთ თქვენს წასაყვანად, როცა ყველაფერი მზად იქნება, და დატოვებთ მამის სახლს თქვენი მეუღლის თანხლებით.

არ მინდა ხელი შეგიშალოთ ფიქრებში გართულს. ოღონდ ვიმეორებ: გეშინოდეთ ცდომილებისა, რომელშიც ვარდებით ცრურწმენათა, თავის მოტყუების და პირფერობის გამოისობით, – ის, რასაც ისინი ღირსებად ასაღებენ, ზოგჯერ ბიწიერებისკენ გვიბიძგებს. ვითვალისწინებ, რა მოგივათ, თუ ჩემს წინადადებას ხელსა ჰკრავთ. უჯიათი მამის მტარვალობა უფსკრულში გადაგხაფრავთ და ამას მხოლოდ მაშინ მიხვდებით. თქვენს თავს მსხვერპლად შესწირავენ მაღალი წრის პირობითობის ქიმერას.[36] თქვენ მოგიხდებათ იკისროთ გულის მიერ უარყოფილი ვალდებულება. საზოგადოებრივ მოწონებას მუდამ ეურჩება სინდისის ღაღადი. თქვენ იქნებით პატივცემული, მაგრამ საძულველი. სჯობს ყველამ დაგივიწყოს, ოღონდ კი შეგრჩეს ქველი გული.

P. S. არ ვიცი, რა გზას დაადგებით, გწერთ თქვენი მეგობრის დაუკითხავად. ვშიშობ, ვაითუ თქვენმა უარმა მყისვე იავარყოს ყველა ჩემი განსაგებლის მონაპოვარი.

IV წერილი
ჟიულისაგან კლარასადმი

ჰე, ჩემო სულიკო, როგორი აფორიაქებული დამტოვე გუშინ საღამოს! და როგორი ღამე გავატარე, სულ იმ საბედისწერო წერილის ამბავი მაფიქრებდა. არა, ჯერ არასოდეს შემოჯარვია ჩემს გულს ესოდენ სახიფათო ცდუნებანი, არასოდეს განმიცდია ასეთი მღელვარება და არასოდეს ვყოფილვარ მათ წინაშე ასე უმწეო. წინათ ჩემს ნება-სურვილს წარმართავდა კეთილგონიერებითა და წინდახედულობით ნაკარნახევი რაღაც აზრი. ყოველგვარი გასაჭირის დროს უმალვე გამოვნახავდი ფრიად საპატიო გზასა და მაშინვე მას დავადგებოდი. ახლა, დამცირებული და ყოველმხრივ დამარცხებული

[36] მაღალი წრის პირობითობის ქიმერა! და ამგვარად გამოთქვამს თავის აზრს ინგლისელი პერი! აბა, რასა ბრძანებთ, ყველაფერი ეს მონაჩმახია! თქვენ რას იტყვით, მკითხველო?

წინააღმდეგობრივ ვნებათა ანაბარა დავრჩი. ჩემს უძლურ გულს ბედმა არგუნა მხოლოდ არჩევანი გააკეთოს შეცდომათა შორის და სამწუხაროდ, ისე ვარ დაბრმავებული, შემთხვევით სწორი გადაწყვეტილებაც რომ მივიღო, ეს არამც და არამც არ იქნება სათნოების მოსაზრებებით და სინდისის ქენჯნას მაინც ვერ დავაღწევ თავს. შენ იცი, ვინც უნდა მამაჩემს ჩემს ქმრად; ისიც იცი, რა ბორკილი დამადო სიყვარულმა. უკეთუ სათნოებით აღვსილი დავრჩები, მორჩილება მხოლოდ ერთს შთამაგონებს, ხოლო ერთგულება – მეორეს. თუკი გულისთქმას ავყვები, ვისღა ვამჯობინებ – მიჯნურს თუ მამაჩემს? ჰოიმე! სიყვარულს დავმორჩილდები თუ ქალიშვილის ერთგულებას ვანაცვალებ თავს, აუცილებლად სასოს წარვუკვეთ ან ერთს, ანდა მეორეს. უკეთუ მოვალეობის მსხვერპლი გავხდები, უსათუოდ ცოდვას ჩავიდენ; და რა გზასაც უნდა დავადგე, მაინც საბრალობელ შემცოდედ სიკვდილი მიწერია.

აჰ, ჩემო საყვარელო და სანატრელო მეგობარო, შენ მარადჟამს იყავი ჩემი ერთადერთი ნუგეში. აბა, რამდენჯერ დამხსენ სიკვდილსა და უსასოობას, – ერთი შემომხედე, ვითარ საშინელ მღელვარებას მოუცავს სული ჩემი: ხომ მართალია, არასოდეს ასე საჭირო და აუცილებელი არ ყოფილა ჩემთვის შენი სარისტიანობა! ხომ იცი, რა დამჯერი ვარ შენი აზრისა, ისიც იცი, როგორ ვასრულებ შენს რჩევა-დარიგებას. ხომ ნახე, რომ მსხვერპლად გავიღე მთელი ჩემი სიცოცხლის ბედნიერება და შენი მეგობრული შეგონებებისთვის კი არ მიღალატნია. შემიბრალე, შენ ხომ უსაშველო მწუხარებას შემყარე. მაშ, ბოლომდე მიიყვანე შენგნით დაწყებული საქმე. შთამბერე იავარქმნილი სიმამაცე, იმ გულისა, შენ რომ უყვარხარ და ჩემზე უკეთ იცნობ კიდეც. თქვი, რაც მინდა მე, ჩემს ნაცვლად აღირჩიე, ვინაიდან აწ აღარ გამაჩნია ძალი და ღონე სურვილისათვის, აღარ მყოფნის გონება არჩევანისთვის.

გადაიკითხე დიდსულოვანი ინგლისელის წერილი, ჩემო ანგელოზო, მრავალგზის გადაიკითხე იგი! აჰ, შენი გული მოალბოს იმ ბედნიერების წარმტაცმა სურათმა, რასაც ჯერ კიდევ იქადის ტრფობა, სულიერი სიმშვიდე და სათნოება! ესაa სულთა სასიამტკბილო მომხიბვლელი კავშირი, ენით უთქმელი ნეტარება, სინდისის ქენჯნაც რომ ვერას დააკლებს! ო, ღმერთო ჩემო, ნუთუ ასე გატანჯავდნენ ჩემს გულს ისინი პატიოსანი ცოლქმრობის წიაღში? მაშასადამე, ბედნიერება და უმანკოება ჯერ ისევ ჩემს ხელთაა. მაშასადამე, შემეძლო სიკვდილი სიყვარულსა და სიხარულში, სათაყვანო მეუღლის ზრუნვით, მისი სათუთი გულისხმიერებით გარემოსილს!.. და მეც საგონებელში ვარ ჩავარდნილი! როდი ვჩქარობ და ვისწრაფი ჩემი შეცოდებების გამოსყიდვას მასთან ჩახუტებული, ვისი გულისთვისაც გავხდი ცოდვილი! და აღარ ვხდები სათნო მეუღლე, ოჯახის უმანკო დედა... ო, ნეტავი ჩემმა მშობლებმა შეიძლონ დანახვა, თუ როგორ მოვსულიერდებოდი ყველა დამცირების შემდეგ! ნეტავი თუ მოესწრებიან ამ ამბავს, ჩემდა თავად, როგორ შევასრულებდი წმინდა მოვალეობას, ისინი რომ ასრულებენ ჩემს მიმართ. მაგრამ ვინღა შეასრულებს შენს მოვალეობას. უმადურო, ცოდვილო ასულო, – შენ თავად დაივიწყე ისინი! ხომ არა გსურს ემზადო ბავშვის გასაჩენად და ხანჯალი გულში გაუტარო საკუთარ დედას? ნუთუ შეუძლია თავისი ბავშვების პატივისცემა მოიპოვოს იმ ადამიანმა, რომელმაც გააბახა ოჯახი? საყვარელი დედ-მამის ბრმა თაყვანებით აღვსილო ასულო, აიძულე ისინი შეინანონ, შენ რომ გაგაჩინეს. გაუმწარე მათ სიბერე ურვა-წუხილითა და შერცხვენით... ბოლო თავად განცხრებოდე და იშვებდე, თუ ძალგიძს, ასეთ ფასად მოპოვებული ბედნიერებით!

ღმერთო ჩემო! როგორ მეშინია! მალულად დავაგდო სამშობლო, თავი მოვჭრა ოჯახს, მივატოვოთ ახლობლები – მამა, დედა, მეგობრები, ნათესავები და შენაც, ჩემო საყვარელო დობილო, შენ, ძვირფასო დაიკო, შენ, ჩემო სულიკო, ვისგანაც მოშორვებულს ბავშვობიდანვე ერთი დღეც კი არ ძალმიძდა მეცოცხლა. გაგწირო, გავიქცე, დაგკარგო შენ

და ამიერიდან ვეღარასოდეს ვეღარ გიხილო... აჰ, ვეღარასოდეს ვეღარ გიხილო... ვითარი სატანჯველი შემსჭვალავს შენი ბედშავი დობილის გულს! იგი განიცდის ერთდროულად თავისი არჩევანისათვის შეთავაზებულ მთელ დარდსა და მწუხარებას, და მის ხვედრად შთენილ სიკეთეთაგან ვერც ერთი ვერა სცემს ნუგეშს. ვაი, მე საწყალობელს! გონება ამემღვრა. სულიერი ბრძოლა მაცლის ძალ-ღონეს და მაგიჟებს. მეკარგება სიმამაცეცა და გონებაც. ერთადერთ იმედად შენღა მშთენიხარ... ან თავად გააკეთე არჩევანი, ანუ მომეც მე სიკვდილი.

V წერილი
პ ა ს უ ხ ი

მღელვარებისთვის ძალზე ბევრი საფუძველი მოგეპოვება, ჩემო ძვირფასო ჟიული, გავითვალისწინე კი ეს, ოღონდ რა უნდა მექნა! მესმის შენი გულის ტკივილი, მაგრამ არ ძალმიძს დაგამშვიდო და, – რაც ყველაზე უარესია შენს მდგომარეობაში, – არავის შეუძლია შენი ხსნა, გარდა შენივე თავისა. როცა ლაპარაკი კეთილგონიერებას ეხება, აფორიაქებული სულის მეოხად მეგობრობა მოგვევლინება. უკეთუ ლაპარაკი შეეხება კეთილსა და ბოროტს შორის არჩევანს, მათს უარმყოფელ ვნებას შეუძლია დადუმდეს და ყური მიუგდოს უანგარო რჩევა-დარიგებას. ოღონდ, რაც შეეხება შენს არჩევანს, რა გზასაც უნდა დაადგე, ბუნება მაინც მოიწონებს და განსჯის კიდეც მას, გონება უარყოფს და აღიარებს კიდეც, ხოლო მოვალეობის გრძნობა კრინტსაც არ დაძრავს, ანდა თავისთავად წინააღმდეგობას გაუწევს. ერთი სიტყვით, ყველა შედეგი თანაბრად სახიფათოა. არ შეიძლება სულ მუდამ გაუბედავი იყო, მაგრამ კარგი არჩევანის გაკეთებაც შეუძლებელია; ისღა გშთენია, ერთი სატანჯველი მეორეს შეუწონო, და აქ ერთადერთი მსაჯული – შენი გულია. მე მაშინებს გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობა და მწუხარებით ველოდები მის ყოველგვარ შედეგს. რა ხვედრიც უნდა ამჯობინო, სულ ერთია, არ იქნება შენი საკადრისი; და მე არ შემიძლია სწორი გზა გიჩვენო და ვერც ნამდვილ ბედნიერებას დაგაწაფებ, – ამიტომაც ვერ გავბედავ შენი ბედ-იღბლის გადაწყვეტას. პირველად არ ასრულებს შენს თხოვნას შენი დაია და, იმისდა მიხედვით, თუ როგორ მიმნელდება ეს ამბავი, ეს უკანასკნელი იქნება. მაგრამ შენი მოღალატე ვიქნებოდი, რომ გხელმძღვანელობდე ამჟამად, როცა გონება დუმილს ამჯობინებს, როცა მარტოოდენ ერთ გზას უნდა დაადგე – უსმინო მხოლოდ შენი გულის ხმას.

ნუ იქნები ჩემს მიმართ უსამართლო, საყვარელო მეგობარო, და დრომდე ნუ გამკიცხავ. არიან წინდახედული მეგობრები – ისინი შიშობენ, ვაითუ უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდეთო, და გაჭირვების ჟამს რჩევა-დარიგებას არავის მისცემენ, მათი თავდაჭერილობაც იმ საფრთხესთან ერთად დიდდება, მის მეგობრებს რომ ემუქრება. აჰ, დაინახავ, რომ შენს მოყვარულ გულს ძალზე ეუცხოება ასეთი ლაჩრული სიფრთხილე. ნება მიბოძე ორიოდე სიტყვა გითხრა შენს საქმეთა გამო კი არა, არამედ ჩემს თაობაზე.

ჩემო ანგელოზო, ნუთუ არასოდეს შეგიმჩნევია, როგორ გეთვისება ყველა, ვინაც შენი ნაცნობი გამხდარა. ცხადია, გასაკვირველი არაა ის ამბავი, რომ დედ-მამა ელოლიავება ერთადერთ ასულს; ისიც, რომ ჩაუქი ყმაწვილკაცი ვნებით ანთებული შესტრფის სულზე უტკბეს არსებას, აქ, მით უმეტეს, არაფერია უჩვეულო. მაგრამ ის ამბავი, რომ დარბაისელი ხანდაზმული ადმაიანი, ბ-ნი ვოლმარი, თავის სიცოცხლეში პირველად გამიჯნურდა, ერთი დანახვით, რომ მთელი ოჯახი ერთსულოვნად გაღმერთებს, და თვით მამაჩემისთვის, ესოდენ უგულო კაცისთვისაც, შესაძლოა, თავის საკუთარ შვილებზე

უფრო ძვირფასიც კი გახდი, რომ ყველა მეგობარი, ნაცნობები, მსახურები, მეზობლები, ერთი სიტყვით, მთელი ქალაქი სულ ერთიანად გეთაყვანება და შენდამი ძალზე გულისხმიერ თანაგრძნობას იჩენს, – აი, რა არის გაცილებით გასაოცარი, ჩემო სანატრელო, და უკეთუ ასეთი ერთსულოვნება შესაძლებელი აღმოჩნდა, ამის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ შენა ხარ. იცი თუ არა, ჩემო მეგობარო, რა მიზეზია ეს? ეს როდია ბრალი შენი სილამაზის, ჭკუა-გონებისა და სიტურფისა, არც იმის, რასაც მომხიბვლელობის ნიჭი ეწოდება, არამედ სათუთი სულის, ყველა გარშემომყოფთა მიმართ რაღაც განსაცვიფრებლად უწყინარი ალერსიანობისა, ტრფიალების მადლისა, შენდამი სიყვარულს რომ აღუძრავს ყველას. შეიძლება წინ აღუდგე ყველაფერს – გარდა კეთილმოსურნეობისა. სხვათა სიყვარულის მოსაპოვებლად ყველაზე უტყუარი საშუალებაა – მიუბოძო მათ შენი სიყვარული. ათასობით ქალი შენზე უფრო ლამაზია ამქვეყნად. ბევრია შენებრ მომხიბვლელი. ოღონდ თავად შენ, შენს სიტურფეს მოეპოვება რაღაც მომაჯადოებელი, და ეს რაღაც არამცთუ მოსწონთ, არამედ წარიტაცებს სულს და შენკენ იზიდავს ყველას გულს; იგრძნობა, რომ შენი მოყვარული გული მზადაა გატაცებისთვის, და ის სინაზე, სხვებს რომ უნდა მიაგოს, მასვე უბრუნდება.

შენ, მაგალითად, გიკვირს, ასე გასაოცრად რომ შეეთვისა მილორდი ედუარდი შენს მეგობარს; ხედავ, რა თავდადებით ზრუნავს შენი ბედნიერებისათვის, აღტაცებით უგდებ ყურს მის დიდსულოვნურ წინადადებებს, მიაწერ მათ მარტოოდენ მის სათნოებას, – აი, ყოველივე ამით ჩემი ჟიული აღფრთოვანებულია! საყვარელო დაიკო, ყველაფერი ეს შეცდომაა და თავის მოტყუება! ღმერთია მოწამე, როდი ვაკნინებ ხოლმე მილორდ ედუარდის გულქველობას, ან როდი ვამცირებ მის დიდსულოვნებას. ოღონდ მერწმუნე, რა სისპეტაკითაც უნდა გამოირჩეოდეს ეს თავდადება, იგი უფრო ნაკლებ გულმხურვალე იქნებოდა, იმავე ვითარებისას საქმე სულ სხვებთან რომ ჰქონებოდა. აქ იჩენს თავს თქვენი და თქვენი მეგობრის უძლეველი მომხიბვლელობა; მილორდ ედუარდის შეუმჩნევლად, სწორედ ეს ამბავი მოქმედებს მასზე და გულითადი სიყვარულისა და პატივისცემის გამო აქეზებს ჩაიდინოს ის, რაც მხოლოდ და მხოლოდ ღირსების საქმედ მიაჩნია.

ყოველთვის ასე მოსდით განსაკუთრებული ყალიბის ადამიანებს. მათი სულები, ასე ვთქვათ, თავის ყაიდაზე გარდაქმნიან სხვათა სულებს; მათა აქვთ სამოქმედო ასპარეზი, სადაც არაფერი უწევთ მეტოქეობას: როცა მათ გაიცნობ, ცდილობ წაჰბაძო მათ, მათი უზესრულესი კეთილშობილება თავისკენ იზიდავს ყველა გარშემომყოფს. ჰოდა, ჩემო საგონებელო, ამიტომაც ვერც შენ, ვერც შენმა მეგობარმა, ეგების, ვერასოდესაც ვერ გაიცნოთ ადამიანები – მარადის დაინახავთ მათ იმგვარებად, როგორნიც ხდებიან თქვენი ზეგავლენით, და არა ისეთებს, როგორებიც არიან თავისთავად. იქნებით მაგალითის მიმცემნი ყველასათვის, ვინც თქვენთან ერთად იცხოვრებს; ისინი არ განგერიდებიან, ანდა დაგემსგავსებიან თქვენ, და იმას, რასაც თქვენს გარშემო დაინახავთ, იქნებ, მსგავსიც არაფერი მოეძევებოდეს მთელ დუნიაზე.

ახლა კი, დაიკო, მივუბრუნდეთ ჩემს თავს, ბავშვობიდანვე შენთან მტკიცე მეგობრობით შეკავშირებულს, ვინაიდან ჩვენს ძარღვებში ერთი და იგივე სისხლი მდინარებს, ორივენი ერთმანეთის ჯუფთი და სწორნი ვართ და, რაც მთავარია, მე და შენ ყველაფერში გამოვირჩევით ერთნაირი გემოვნებითა და მიდრეკილებით, თუმცა ძალზე განვსხვავდებით ზნე-ხასიათით.

Congiunti eran gl'alberghi,
Ma più congiunti i cori:
Conforme era l'etate,

Ma'l pensier più conforme.[37]

შენი აზრით, რა ზეგავლენა მოახდინა მასზე, ვინაც მთელი სიცოცხლე შენთან ერთად გაატარა, შენი სულის მომხიბვლელობამ, რასაც განიცდის ყველა, ვისაც კი დაუახლოვდები? ნუთუ გგონია, რომ ჩვენ ჩვეულებრივი კავშირით ვართ ერთმანეთზე გადაჯაჭვულნი? ანდა, იქნებ, ჩემს მზერაში არ გამოსჭვივის ის უნაზესი სიხარული, რასაც შენთან შეხვედრისას დღენიადაგ ვამჩნევ შენს თვალებში? ნუთუ ჩემს გრძნობით აღვსილ გულში არ ჩაიხედავ და იქ არ ამოიკითხავ, რომ იგი მოხარულია გაიზიაროს ყოველი შენი მწუხარება და შენთან ერთად აფრქვიოს მდუღარე ცრემლი. განა-თუ დავივიწყებ, რომ სატრფიალო გრძნობათა ჩასახვის პირველივე აღტაცების ჟამს ჩემთან მეგობრობამ შეგაჭირვა და თუმც შენი მეტრფე-მიჯნური ხშირ-ხშირად იტყოდა კიდეც სამდურავს, მაინც როდი გამწირე, არ მომიძულე, არ დამიმალე შენი გაწბილების ამბავი. ეს იყო გადამწყვეტი ჟამი ჩვენთვის, ჩემო მეგობარო ჟიული. ხომ იცი, რა ძვირად დაუჯდა და სამარცხვინო დაღად დააჩნდა შენს სათნო გულს ხვაშიადის გამომჟღავნება, მით უმეტეს, რომ ასეთი სირცხვილი მე არ განმიცდია. არასოდეს ვიქნებოდი შენი მესაიდუმლე, ტერფით თხემამდე შენი მეგობარი რომ არ ვიყო. ჩვენ ისე საუცხოოდ გვესმის ერთიერთმანეთის გულისთქმა და საწადელი, რომ ამიერიდან ვერავითარი ძალა ვერ დაგვაშორებს.

რა ხდის ესოდენ უილაჯოსა და უხანოს ქალთა შორის მეგობრობას? მე ვგულისხმობ ტრფიალებისთვის გაჩენილ ქალებს. ეს მიზეზია სიყვარულით გატაცება, მოქიშპარობა სილამაზეში, შური გამარჯვებათა მიმართ; და თუკი რაღაც ასეთი რამ წაგვკიდებდა ერთიმეორეს, უკვე დიდი ხანია დავშორიშორდებოდით. ჩემს გულს კიდეც რომ დაეკარგა სიყვარულის უნარი და ისიც არ მცოდნოდა, რომ თქვენი ურთიერთტრფიალება მხოლოდ თქვენს სიცოცხლესთან ერთად გაქრებოდა, მაშინაც შენი მიჯნური მუდამჟამს ჩემი ძმა და მეგობარი იქნებოდა, – და, მერე, ვის მოსწრებია, ნამდვილი მეგობრობა ტრფიალებით დამთავრებულიყოს? ცხადია, ბ-ნ დ'ორბს დიდხანს უნდა ეტრაბახა, ჟიული ჩემი მოტრფიალეაო, ვიდრე ამის გამო წუხილს დავიწყებდი და თანაც, არც ვეცდებოდი ძალით მის დაკავებას, შენ კი – მის წაგვრას. ღმერთმანი, ჩემო სულისდგმავ, მზად ვიქნებოდი გამეწირა იგი, ოღონდ შენ განმეკურნე წარმწყმედელი ვნებისაგან! მე სიამოვნებით ვღებულობ მის სიყვარულს, მაგრამ ამ ტრფობასაც სიხარულით დაგითმობდი.

რაც შეეხება გარეგნობას, მართლაცდა, შემიძლია დიდი წარმოდგენა მქონდეს ჩემს თავზე, – შენ ხომ არ გამიხდები ამის მოქიშპარი, როდი ეკუთვნი ასეთი ყაიდის ქალიშვილებს, და მჯერა, მთელი სიცოცხლე ფიქრადაც არ გაივლებ გულში, უტურფესი ვინაარ ჩვენს შორის. მე არ ვყოფილვარ ესოდენ გულგრილი ამ საკითხის მიმართ და ახლა ვიცი, რასაც უნდა დავემყარო, მაგრამ ეს არ მაწუხებს. მერწმუნე, მე ვამაყობ შენით და არაფერი მშურს შენი, თანაც შენი სილამაზე სულაც არ მაყენებს ჩრდილს, პირიქით, თითქმის მამშვიდებს კიდეც; შენი მომხიბვლელობა უფრო თვალწარმტაცსა მხდის, შენი ნიჭი და უნარი ბრწყინვალებას მმატებს. მე ვიმკობ თავს შენი სხივცისკროვნებით და განაცვალებ მთელ ჩემს თავმოყვარეობას, ამ სიტყვის უკეთესი მნიშვნელობით. ოღონდ სულაც არ ვიშიშვი ჩემი მომავლის გამო, – ტანად და ფეხად არა მიშავს, საკმაოდ ლამაზიც

[37] მათი სახლები მახლობლად იდგნენ,
უფრო ახლო კი – მათი სულები!
და აერთებდა მათ ხნოვანება,
ხოლო უმეტეს – აზრთა მსგავსება (იტალ.).

გახლავარ, მეტი არც მინდა – სავსებით თავდაუმცირებლად გითმობ უპირატესობას ყველაფერში.

ალბათ, მოთმინება არ გყოფნის, რის თქმა უნდაო. მაშ, მომისმინე, არ ძალმიძს შენი თხოვნის შესრულება და რჩევა-დარიგების მოცემა, და შენც უკვე იცი, თუ რატომ. მაგრამ შენი ბედ-იღბლის გადაწყვეტისას შენი დაიას ბედ-იღბალსაც წყვეტ, ვინაიდან, მაინცდამაინც, შენს ხვედრს ვიზიარებ. თუ წახვალ – თანვე გამოგყვები, დარჩები და – მეც შენთან ვიქნები. ჩემი გადაწყვეტილება ურყევია, ჩემი ვალია მისი შესრულება, და ვერავითარი ძალა ვერ მაიძულებს მასზე ხელის აღებას. ჩემი საბედისწერო ლმობიერება შენი დაღუპვის მიზეზია. აუცილებელია, რომ შენი ბედი ჩემი ბედი გახდეს, ჩემო ჟიული, რაკი ბავშვობიდანვე განუყრელნი ვართ. მაშ, განუშორებელნი ვიყოთ კუბოს კარამდეც.

წინასწარ ვხვდები, ამ წინადადებას ნაუცბათევად რომ მიიჩნევ, მაგრამ, არსებითად, იგი ბევრად უფრო გონივრულია, ვინემ კაცს ეგონება, და არავითარი მიზეზი არ გამაჩნია საყოყმანოდ – შენსავით კი არა მაქვს საქმე. უწინარეს ყოვლისა, რაც შეეხება ჩემს ოჯახს. მე მართალია, ვტოვებ დარბაისელ, მაგრამ მეორე მხრივ, საკმაოდ გულქვა მამაჩემს, რომელიც, უმალ დაუდევრობით, ვიდრე სათუთი სიყვარულის გამო, ნებასა რთავს თავის შვილებს გააკეთონ ყველაფერი, რაც მოეპრიანებათ. ხომ იცი, ევროპის ამბები გაცილებით უფრო საინტერესოა მისთვის, ვიდრე საკუთარი საქმეები, და ქალიშვილზე უფრო ძვირად უღირს პრაგმატული სანქცია. გარდა ამისა, შენსავით ერთადერთი ქალიშვილი კი არა ვარ; მამაჩემი შვილებითაა გარშემოხვეული და ჩემს არყოფნას არც ისე მოისაკლისებს.

უნდა დავქორწინდე და უცბად ყველაფერზე ხელს ვიღებ! manco-male,[38] ჩემო სულიკო. ბ-ნ დ'ორბს თუ ვუყვარვარ, უნდა ეძიოს ნუგეში. ჩემთვის კი, თუმცა პატივსა ვცემ მის ზნეობრივ ღირსებათ, თუმც შევეთვისე მას და მენანება ესოდენ წესიერი ადამიანის დაკარგვა, ჩემთვის იგი არარაა ჩემს ჟიულისთან შედარებით. მითხარი, საყვარელო, ნუთუ სულსა აქვს სქესი? ჩემი სული, ნამდვილად, უსქესოა. არ გავურბივარ ქეიფსა და განცხრომას, ოღონდ ჩემთვის უცხოა სიყვარული. კაცმა რომ თქვას, ქმარი გამომადგება, მაგრამ ჩემთვის მარტოოდენ ქმარი იქნება, და სანამ თავისუფალი ვარ და თვალტანადაც არა მიშავს, როგორც ამჟამად, სადაც გნებავთ, ქმარს იქ ვიშოვნი.

ოღონდ, გაფრთხილდი, დაიკო, – მე არ ვყოყმანობ, – მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, შენც არ იყოყმანო. არ გაქეზებ გადაწყვეტილებისათვის, რომელსაც თავად მივიღებ მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ გაემგზავრები. დიდია ჩვენს შორის განსხვავება და შენი ვალდებულებებიც ძალზე აღემატება ჩემს მოვალეობას. ხომ იცი, ჩემს გულში, მართლაც ცოცხლობს მხოლოდ ერთადერთი გრძნობა სიყვარულისა. იგი მოიცავს ყველა დანარჩენ გრძნობას, თითქოსდა ანადგურებს მათ. დაუძლეველმა და სათუთმა ჩვეულებამ ბავშვობიდანვე დამაახლოვა შენთან, ჭეშმარიტად მიყვარხარ მხოლოდ და მხოლოდ შენ, და უკეთუ შენთან წამოსვლით ვწყვეტ ზოგიერთ კავშირს, თავს შენი მაგალითით გავიმხნევებ. ასე ვეტყვი ჩემს თავს: „მე ვბაძავ ჟიულის", და ამაში ვპოვებ გამართლებას.

ბ ა რ ა თ ი
ჟიულისაგან კლარასადმი

მესმის შენი გულისთქმა, ჩემო შეუდარებელო მეგობარო, და დიდად გმადლობ. სიცოცხლეში ერთხელ მაინც შევასრულებ ჩემს მოვალეობას და არ ვიქნები შენი უღირსი.

[38] ეს არც ისე საშინელია (იტალ.).

VI წერილი
ჟიულისაგან მილორდ ედუარდისადმი

თქვენმა წერილმა, მილორდ, გული მომილბო და აღმიტაცა. მეგობარი, რომელსაც მიაგეთ თქვენი ზრუნვა, არა ნაკლებ იქნება გრძნობამორეული, როცა გაიგებს იმ ამბავს, თუ რის გაკეთებასაც აპირებდით ჩვენთვის. მახლას! მხოლოდ ბედკრულნი გრძნობენ, თუ რაოდენ ძვირფასნი არიან კეთილისმოქმედი ადამიანები. ჩვენ ისედაც მშვენივრად ვიცით თქვენი ფასი, ხოლო თქვენი თავგანწირული გულქველობა მუდამჟამს აღაფრთოვანებს ჩვენს გულს, თუმცა ამაზე მეტს ვეღარ გაგვაკვირვებს.

რა საამური იქნებოდა ბედნიერად ცხოვრება ესოდენ დიდსულოვანი მეგობრის მფარველობით და მის წყალობათაგან შეძინება სიხარულისა, შავბედმა რომ წარმტაცა. მაგრამ, მილორდ, უსასოქმნილი ვხედავ, ვითარ განუხორციელებელია თქვენი ქველი ზრახვანი, – მკაცრი სვე-ბედი ჯაბნის თქვენს გულმოდგინე მზრუნველობასა და იმ სიამეთა სანეტარო ხატებას, რომელთაც თქვენ მთავაზობთ, კიდევ უფრო აარჯლებს მათს იავარყოფას. თქვენ სთავაზობთ გამიჯნურებულ დევნილ მეგობრებს მშვენიერსა და საიმედო თავშესაფარს, თანაც კანონიერებით ჰმოსავთ მათ სიყვარულს, აკურთხებთ მათ შეუღლებას, და მე ვიცი, თქვენი მფარველობით თავს რომ დავაღწევ აღშფოთებული ოჯახის დევნას. სიყვარულისთვის ეს ძალზე ბევრია, ოღონდ კმაეყოფა კი ბედნიერებას? არა, და თუ გნებავთ, რომ ვიყო დამშვიდებული და კმაყოფილი, აღმომიჩინეთ კიდევ უფრო საიმედო თავშესაფარი, სადაც თავს დავაღწევდი სირცხვილსა და სინანულს. თქვენ ზრუნავთ და შველით ჩვენს გასაჭირს და უმაგალითო კეთილშობილებით ჩვენი მოვლა-პატრონობისათვის არ ზოგავთ თქვენი ქონების ნაწილს, რაც თავად თქვენს საზრდოდ და შესანახადაა განკუთვნილი. თქვენი გულუხვობის მეოხებით უფრო მდიდარი და პატივსაცემი გავხდებოდი, ვიდრე მაშინ, კანონიერი მემკვიდრეობა რომ მიმეღო; თქვენთან ახლომყოფი აღვიდგენდი კიდეც დაკარგულ ღირსებას და თქვენ მამის მაგივრობასაც გამიწევდით. აჰ, მილორდ, განა სხვა მამის ღირსი გავხდებოდი, თუ მივატოვებდი იმ ადამიანს, ვინც სიცოცხლე მომანიჭა?

აი, სადაა შეძრწუნებული სინდისის ქენჯნათა სათავე, ჩემი გულის მომწყვლელ ჭმუნვათა დასაბამი. ლაპარაკი იმას კი არ ეხება, მაქვს თუ არა უფლება წინააღვუდგე მშობელთა ნება-სურვილს, არამედ იმას, ძალმიძს თუ არა ვეკუთვნოდე ჩემს თავს ისე, რომ მათ არ მივაყენო საშინელი მწუხარება, ძალმიძს თუ არა მივატოვო ისინი და სასო არ წარვუკვეთო მათ. ჰოიმე! სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უნდა ვიცოდე, მაქვს თუ არა უფლება შევიწირო ისინი. როდის აქეთია, რომ სათნოება ასე აფასებს სისხლიერი ნათესაობისა და ბუნების უფლებებს? როდის მომხდარა, მგრძნობიარე გულს ესოდენ ზედმიწევნით აღენიშნოს მადლიერების ზღვარი? და განა უკვე შენს თავზე არ იღებ ცოდვას, რაკი გადაწყვიტე უზნეობის მიჯნასთან შეჩერება? და განა ასეთი მონდომებით ჩაუკირკიტებ შენი მოვალეობის ზღვარს, თუკი არ გაგაჩნია გამოცდილება მათ დასაძლევად? განა როგორ? მე კი, მე ულმობლად მივატოვებ მათ, რომელთა მეოხებით ვსულდგმულობ, ვინც იცავს და უფრთხილდება მათგანვე ჩემთვის მონიჭებულ სიცოცხლეს, ვინც მასწავლა ამ სიცოცხლის ფასი და ყადრი; მათ, ვისთვისაცა ვარ ერთადერთი სასოება და სიხარული. მივატოვო სამოც წელს მიღწეული მამაჩემი, სალმობისაგან მარად და მარად გატანჯული დედა! მე, მათმა ერთამ, დავაგდო უმწეონი, გავწირო ხელმარტო, უსიხარულო ცხოვრებისათვის იმ დროს, როცა ყველაზე მეტად სჭირიათ მოვლა-პატრონობა, რაც ესდენ გულუხვად მომაგეს და არ დაიშურეს ჩემთვის.

ჩემს გამო სახელმოყივნულებმა ვაი-ვარამითა და გოდებით უნდა გაატარონ სიცოცხლის უკანასკნელი დღეები! ძრწოლითა და შიშით დამქენჯნის ჩემი აფორიაქებული სინდისი და გონებას განუწყვეტლივ წარმოესახება უნუგეშოდ შთენილი დედ-მამა ჩემი, სიკვდილის სარეცელიდან რომ გამოუგზავნიან წყევლა-კრულვას უმადურ ასულს, რომელმაც მიატოვა და გააბახა ისინი. არა, მილორდ, ჩემს მიერ მიტოვებული სათნოება, თავის მხრივ, ხელს იღებს ჩემზე და უკვე აღარაფერს ეუბნება ჩემს გულს. მაგრამ ახლა ეს კი არა, არამედ ეს უსაშველო აზრი არ მაძლევს მოსვენებას, დღენიადაგ დამიწყებს დევნას, გამიმწარებს მთელ სიცოცხლეს და ბედნიერების წიაღში გამაუბედურებს. ამრიგად, უკეთუ ბედად მიწერია კუბოს კარამდე შემაჭირვოს სინდისის ქენჯნამ, მაშინ ასეთი ხვედრი ესოდენ საშინელია, რომ ამას ვერ გადავიტან და ვამჯობინებ სხვა ჭირთა თმენას.

გამოგიტყდებით, არ ძალმიძს თქვენი მოსაზრებების მიმართ დავა და კამათი, – მე ხომ ასე მინდა დაგეთანხმოთ. მაგრამ, მილორდ, თქვენ ხომ უცოლშვილო ბრძანდებით, და არ კი ფიქრობთ, რომ საჭიროა მამობრივ გრძნობათა განცდა, რათა უფლება გქონდეს რჩევა-დარიგება მისცე სხვა ადამიანთა შვილებს? უკვე მივიღე გადაწყვეტილება: მშობლები გამაუბედურებენ, ეს კარგად ვიცი, ოღონდ ჩემი მწარე ხვედრი ისე საშინელი როდი იქნება ჩემთვის, როგორადაც მომიწყლავდა გულს ფიქრი იმისა, მათი შეჭირვება და სიდუხჭირე ჩემი ბრალია-მეთქი. არა, არასოდეს მივატოვებ მამიჩემს სახლს. მაშ, განვედ ჩემგან, მგრძნობიარე სულის სანეტარო ცდუნებავ, ესოდენ წარმტაცო და სასურველო ბედნიერებავ, შთაინთქ წყვდიადსა და უკუნეთში, სად რიალებენ უსიხარულო ზმანებანი, – ჩემთვის უკვე აღარ არსებობ. თქვენ კი, ჩვენო უკეთილშობილესო მეგობარო, დაივიწყეთ თქვენი მშვენიერი წინადადებები და დაე, ჩემი უაღრესად მადლიერი გულის სიღრმეში მარადსახსოვრად აღიბეჭდოს მათი კვალი. უკეთუ თქვენს უსასრულოდ კეთილ გულს მობეზრდება ჩვენი უმაგალითო ვაი-ვარამისადმი თანაგრძნობა, თუკი თქვენი დიდსულოვნება ჯერ კიდევ არ დაკნინებულა, კვლავ ღირსებით მოიხმართ მას და ის, ვისაც თქვენი მეგობრის სახელი უწოდეთ, ჭეშმარიტად დაიმსახურებს ამ სახელს თქვენი ზრუნვის წყალობით, ნუ განსჯით მას მისი ახლანდელი ყოფის მიხედვით; სულმოკლეობის გამო კი არაა თავგზააბნეული, არამედ იმიტომ, რომ მისი მგზნებარე და ზვიადი სული აუმხედრდა შავბედს. ზოგჯერ ხასიათის მოსაჩვენარ სიმტკიცეში იფარება გონებაჩლუნგობა და არა ვაჟკაცობა. სავსებით უმნიშვნელო ადამიანი არა გრძნობს ძლიერ ტანჯვა-წამებას და დიადი ვნებათღელვანი არ შემსჭვალავს უძლურ ადამიანს. ვაჰმე! თავის აღტყინებულ ვნებას მან ზედ დაურთო ის ძალა გრძნობისა, რომელიც კეთილშობილ არსებათ მოსდგამთ, და ეს მაგდებს სირცხვილში და მიჰკვეთს იმედს! გემუდარებით, მერწმუნეთ, მილორდ, ის რომ ჩვეულებრივი ადამიანი ყოფილიყო, ჟიული არ დაიღუპებოდა.

არა, არა, თქვენმა უშურველმა მეგობრობამ მის მიმართ, რომელიც წინ უძღვოდა თქვენს შეგნებულ პატივისცემას, იმედი როდი გაგიცრუათ. იგი ღირსია ყველაფრისა, რაც მას გაუკეთეთ ისე, რომ კარგად არც კი იცნობდით. უფრო მეტს გააკეთებთ, უკეთუ ეს შესაძლებელია, რაჟამს უფრო ახლოს გაიცნობთ მას. მაშ, იყავით მისი ნუგეშისმცემელი, ქომაგი, მეგობარი, მამა, – გემუდარებით ამას მის გამო და თქვენი გულისთვისაც: იგი გაამართლებს თქვენს ნდობას, იამაყებს თქვენი გულმოწყალებით, გამოიყენებს თქვენს გაკვეთილებს, მიჰბაძავს თქვენს ქველთა საქმეთ, გადაიღებს თქვენს სიბრძნეს. აჰ, მილორდ, უკეთუ თქვენს ხელში გახდება იგი ისეთ კაცად, როგორიც უნდა იყოს, მაშინ როგორ იამაყებთ ოდესმე თქვენთა ხელთაგან შექმნილი არსებით!

VII წერილი

ჟიულისაგან

და შენაც, ჩემო სათნო მოყვარეო, შენაც, ჩემო ერთადერთო იმედო, შენც სასტიკად მიტანჯავ გულს, ხოლო იგი უამისოდაც ხომ შემუსვრილია სევდა-ნაღველით. ველოდებოდი მუხთალი ბედის ნეშტრითა გმირვას, უკვე დიდი ხანია წინასწარ ვგრძნობდი ამას და მტკიცედაც გადავიტანდი. მაგრამ შენ ისა ხარ, ვის გამოც ვიტანჯები... აჰ, ვერ გავუძლებ მხოლოდ იმ ელდას, შენ რომ მომისართე, და თავზარდაცემული ვხედავ, რომ ჩემს ტანჯვა-ვაებას აარჯლებს ის კაცი, ვისაც სიხარული უნდა მოეტანა ჩემთვის. როგორი იმედი მქონდა, სანეტარო ნუგეშს რომ მომაგებდი, მაგრამ ყოველივე წარმეხოცა შენს ვაჟკაცობასთან ერთად. რამდენჯერ ვესასოებოდი იმ აზრს, რომ შენი სულის ძლიერება მწე ექმნებოდა ჩემს დამაშვრალ გულს, რომ შენი ღირსება გამოისყიდდა ჩემს საქციელს, შენი გულქველობა აღამაღლებდა ჩემს დამცირებულ სულს. რამდენჯერ ვიმეორებდი ჩემთვის, ცხარე ცრემლითა მთოველი: ვიტანჯები მის გამო, მაგრამ იგი ღირსია ამ ტანჯვისა-მეთქი. ცოდვილი ვარ, მაგრამ სამაგიეროდ იგი გულქველია-მეთქი. უთვალავი ჯავრი და ბოღმა არ მაძლევს მოსვენებას, მაგრამ მისი სიმტკიცე მამხნევებს და მისი გულის სიღრმეში ვპოულობ სამაგიეროს ყველა ჩემი შეჭირვების სანაცვლოდ-მეთქი. ფუჭი იმედია – იგი წარხოცა პირველივე განსაცდელმა! ნეტავ, სად არის ახლა ის ცისიერი სიყვარული, ყოველსა გრძნობას რომ აღამაღლებს და შეეწევა სათნოების გაშლა-გაფურჩქვნას. ნეტავ, სად გაქრა ცხოვრების ყველა ეს მკაცრი კანონი? რა მოიტანა დიად ადამიანთა მიბაძულობამ? სად არის მწუხარების მედგრად ამტანი ფილოსოფოსი? დიახ, ისიც მტვრადაა ქცეული პირველივე უბედურებით – სატრფოსთან განშორებით. ამიერიდან რაღა გაამართლებს ჩემს შერცხვენას ჩემსავ თვალში, თუკი ამჟამად ვფიქრობ, რომ ჩემი მაცდუნებელი გულდედალია და სიამეთაგან დაუძლურებული-მეთქი, ლაჩარი, პირველივე მარცხით ძლეული, ჭკვადამთხვეული, რომელიც სწორედ მაშინ არ მიაპყრობს სმენას გონების ზახილს, როცა ეს განსაკუთრებით საჭიროა-მეთქი! ო, ღმერთო ჩემო! მე ისედაც განვიცადე უმაგალითო დამცირება, ნუთუ მომიხდება სირცხვილში ჩავარდნა არა მარტო ჩემი უძლურების გამო, არამედ ჩემი რჩეულის უილაჯობის გამოისობითაც?

დახე, როგორ დაჩოლფოტდი! შენი უსუსური და საწყალობელი სული უსაშველოდ დაბეჩავდა! კიდევაც ბედავ მისაყვედურო! კვლავაც ბედავ დამემდურო! შენს ჟიულის!.. შე შეჩვენებულო! ნეტავ სინდისის ქენჯნამ რად არ შეაჩერა შენი ხელი? არნახული და სათუთი სიყვარულის სანეტარო საბუთთა უგულებელყოფისას როგორ გაბედე ჩემი შეურაცხყოფა? აჰ, მაშასადამე, რა საძაგელია შენი გული, რაკი დაგაეჭვა ჩემმა გულმა. მაგრამ არა, ეჭვი არ შეგპარვია, ვერც გაბედავ დაეჭვებას, ამით როდია გამოწვეული შენი სიშმაგე. ის კი არადა, ახლაც კი, როცა აღშფოთებით ვფიქრობ, რაოდენ უსამართლო ხარ, მშვენივრად ხედავ მიზეზს ჩემი რისხვისას, რომელიც პირველად ახლა განვიცადე ჩემს სიცოცხლეში.

აბა, როგორ შეგიძლია მისაყვედურო! მე ხომ დავიღუპე თავი, ბრმად მოგენდე, ხოლო ჩემი წადილი არ განხორციელდა. სირცხვილით დაიწვებოდი შენი საშინელი საყვედურებისთვის, რომ გაგეგო, თუ როგორი იმედით ვცხოვრობდი, რა საწადელთა ღრმად მოფიქრებას ვლამობდი, ვოცნებობდი ჩვენს საერთო ბედნიერებაზე, და მერე ყველა ისინი როგორ გაქრნენ და გაიფანტნენ ჩემს იმედებთან ერთად! და მაინც ვიმედოვნებ, რომ დადგება დღე, ყველაფერ ამას უფრო დაწვრილებით გაიგებ და ჩემს წინაშე მწარე სინანულით გამოისყიდი ყველა სამდურავს. შენ იცი, როგორ ამიკრძალა მამამ შენი ნახვა; ისიც ცნობილია შენთვის, როგორ ატყდა ათასნაირი მითქმა-მოთქმა. მაშინებდა მათი

ბოლო, შეგატყობინე კიდეც ეს ამბავი, და შენც ყველაფერი გაიგე. ერთიერთმანეთს რომ შევნარჩუნებოდით, მივენდეთ განმშორიშორებელ სვე-ბედს.

და შენც გაბედე გეთქვა, ჟიულიმ გამდევნაო? მერედა, რის გამო ჩავიდინე ეს, შე უსულგულო! რა უმადურობაა! აკი ეს ჩავიდინე იმ გულისა გამო, რომელიც კიდევ უფრო კეთილშობილია, ვიდრე თავად მას ეჩვენება, იმ გულის გამო, რომელიც ამჯობინებდა ათასგზის განეცადა საშინელი ტანჯვა-წამება, ოღონდ ჩემი დამცირება არ დაენახა. მითხარი, რა მოგივა, როცა მე შერცხვენილი და გაბახებული ვიქნები? იქნებ, იფიქრე კიდეც, ჟიულის გაწბილების ამბავს გადავიტანო? ჩამოდი, შე უწყალო, რაკი ასე ფიქრობ, ჩამოდი, და მთლად განაცვალებ ჩემს კარგ სახელს და დაგანახვებ ვაჟკაცობის მაგალითს. ჩამოდი, ნუ გეშინია, – ის, ვისთვისაც ძვირფასი იყავი, შენზე ხელს როდი აიღებს. მზადა ვარ თამამად განვაცხადო ღვთისა და ადამიანთა წინაშე, თუ რაგვარი ურთიერთგრძნობებითა ვართ განმსჭვალულნი; გიწოდო ჩემი მიჯნური, სული დავლიო შენს მკერდს ჩახუტებულმა, მიჯნურობის სახმილითა და სირცხვილით გათანგულმა. დაე, მთელმა ქვეყნიერებამ იცოდეს ჩემი სიყვარულის ამბავი, ოღონდ ერთი წუთითაც ნუ დაგაეჭვებს ეს, ვინაიდან შენი საყვედურები შერცხვენაზე უფრო მწარე და საშინელია ჩემთვის.

ნუღარასოდეს ვუსაყვედურებთ ერთიმეორეს, – მერწმუნე, ეს ამბავი აუტანელია. ო, ღმერთო ჩემო! განა შეიძლება ჩხუბი მაშინ, როცა გიყვარს, და დროს დაკარვა ერთმანეთის ტანჯვა-წამებით, როცა ადამიანს ნუგეში ენატრება! არა, ჩემო მეგობარო! აბა რად უნდა ვამუნათოთ ერთმანეთი მოსაჩვენარ შეურაცხყოფათა გამო? დავემდუროთ ჩვენს სვე-ბედს, სიყვარულის დასამდურავი კი არა გჭირს რა. მთელ ქვეყნიერებას ჯერ არასოდეს უნახავს ესოდენ უმწიკვლო კავშირი; არასოდეს განუცდია ასეთი მტკიცე ურთიერთობა. ჩვენ ხომ სულხორცეულადა ვართ შეკავშირებული და ვერავითარი ძალა ვერ გაგვთიშავს; და თუკი ერთმანეთისგან შორიშორს ვიცხოვრებთ, მაშინ ერთი მთლიანი სხეულის იძულებითად განცალკევებულ ნახევრებს დავემსგავსებით. აბა, რად განიცდი მარტოოდენ შენს გულისწუხილს? რატომ სრულიად არ გაღონებს შენი მეგობრის შეჭირვება? აბა, რატომ არ ეხმაურება შენი გული მის უნაზეს გმინვას? რამდენად უფრო მწარეა ეს გმინვა შენს გულფიცხ ვაი-ვიშზე! შენს საკუთარ უბედურებაზე რამდენად უფრო გამტანჯველი იქნებოდა ჩემი ვაი-ვარამი, ჩემთან ერთად რომ გაგეზიარებინა იგი!

შენი სვე-ბედი სავალალოდ მიგაჩნია. გულისყურით ჩაუკვირდი შენი ჟიულის ბედსა და იღბალს და მარტოოდენ ის დაიტირე. ჩაუკვირდი, ვის უფრო უმძიმს ყოფნა ჩვენი საერთო ძნელბედობის ჟამს – მე, ქალს, თუ შენ, მამაკაცს, და თავადვე განსაჯე, ვინ უფრო ღირსია შებრალებისა. გულქვად თავის მოჩვენება მაშინ, როცა ვნების ქარით ხარ აღტყინებული; თავის მომხიარულება და კმაყოფილების გამოჩენა, როცა თავად აურაცხელ ვაებათა მსხვერპლი ხარ; გარეგნული სიმშვიდის შეთავსება სულიერ მღელვარებასთან; დადუმება იმისა, რასაც ფიქრობ; თავის მოკატუნება მოვალეობის გამო და მოკრძალებით ტყუილის წარმოთქმა, – აი, ჩემი ასაკის ქალიშვილის ჩვეულებრივი მდგომარეობა. მისი ცხოვრების საუკეთესო ხანა ემორჩილება ზრდილობის ტირანიას, რასაც შემდეგ აბოლოებს ტირანია მშობლებისა, რომლებიც საძულველ მეუღლეს აურჩევენ მას. ოღონდ ამაოდა სურთ ჩვენი გრძნობების ჩახშობა. გული მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ კანონებს ემორჩილება, იგი ილტვის მონობისაგან და თავის ნებაზეა მიშვეული. განგების უნებურად დადებული მძიმე უღელი აშთობს ხორცსა და არა სულს; თვით ქალიშვილი და მისი ქველი გული ესოდენ სხვადასხვაგვარი ვალდებულებებით არიან გადაჯაჭვული ერთიმეორეზე და აიძულებენ მას ასე თუ ისე დაარღვიოს ერთგულების წმინდა მოვალეობა. მაგრამ არიან ქვეყნად უფრო კეთილგონიერი ქალიშვილებიც! აჰ, მე ვიცი ეს ამბავი. ბედნიერები არასოდეს ყოფილან გამიჯნურებულნი! ისინი წინ აღუდგებიან

ცდუნებას, მაგრამ მეც ხომ მწადდა ეს. ისინი ჩემზე უფრო პატიოსანნი არიან, ოღონდ ნეტავი თუ უყვართ მათ ჩემზე მეტად პატიოსნება? რომ არ იყო შენ, რომ არ არსებობდე მარტო შენ, მე სამიდღეშიოდ მეყვარებოდა ეს პატიოსნება. მაშასადამე, სწორია, აწ აღარ მიყვარს იგი!.. შენ დამღუპე მე, მე კი ნუგეშსა გცემ!.. ოღონდ მე რა მომივა? ო, რა უძლურია მეგობრული ნუგეში მაშინ, როცა არ ისმენ სიყვარულის ნუგეშისცემას! ვინ მცეს ნუგეში მე შეჭირვებულს! წინასწარ ვხედავ, რა საშინელი ბედი მომელის იმის გამო, რომ უკვე ცოდვილი ვარ; მაგრამ მე ხომ კვლავ შევცოდავ, რაჟამს დავქორწინდები საზიზღარი და, იქნებ, აუცილებელი შეუღლებითაც, რომლის საფრთხე უკვე მემუქრება. ნეტავი თუ მეყოფა ცრემლები ჩემი დანაშაულისა და მიჯნურის დასატირებლად, უკეთუ ვერ გავუმკლავდები ამ საფრთხეს? განათუ მეყოფა ძალი და ღონე წინააღმდეგობის გასაწევად, ჩემს სულს ხომ დახშული აქვს ნუგეშის კარი! უკვე მელანდება აღშფოთებული მამაჩემის სიშმაგე. უკვე მეჩვენება, ვითომც ჩემს არსებაში ღაღადებს თვითონ ბუნება, ძრწოლასა და შიშს რომ ჰგვრის მთელი ჩემი სულის კუნჭულებს, თითქოსდა საწყალობლად კვნესოდეს გულისმომწყვლელი სიყვარული. შენს დამკარგავს არსით მივის საშველი, ხსნა და იმედი. წარსული მამცირებს, აწმყო ბოლოს მიღებს, მომავალი თავზარსა მცემს. ასე წარმოვიდგინე, ვითომცდა ყველაფერი, ყველაფერი გავაკეთე ჩვენი ბედნიერებისათვის, ხოლო აღმოჩნდა, უფრო რომ გავაარჯლე ჩვენი უბეუდრება, ხელი შევუწყვე გაუსაძლის, მტანჯველ განშორებას. შავბედმა არ გვარგუნა მაცდუნებელი სიამენი, გვშთენია მხოლოდ სინდისის ქენჯნა და ვერავითარი ძალა ვერ გამოისყიდის სირცხვილის დამამცირებელ გრძნობას!

ესაა ჩემი ხვედრი, დიახ, ჩემი ხვედრია დავშთე ენაჩავარდნილი და უბედური. მაშ, ნუღარ მიშლი ტირილსა და მჭმუნვარებას. ჩემი ცრემლები არ დაშრება ისევე, როგორც ვერ გამოვასწორებ ჩემს შეცდომებს, და თვით დიადი მკურნალი – დრო-ჟამიც კი სულ ახალ და ახალ მიზეზს მომისართავს ცრემლთა ფრქვევისათვის. მაგრამ შენ ხომ არავინ გემუქრება იძულებით, არ გამცირებს სირცხვილი, არვინ გატანს ძალას დაფარო შენი გრძნობები, მხოლოდ ოდნავ გაგკენწლა მსახვრალმა ბედმა, და შენც იშვებ და განსცხრები შენი წინანდელი ქველკეთილობით. როგორა ბედავ ისე დაჩოლფოტებას, რომ დედაკაცივით კვნესი და ვიშვიშებ, შმაგობ და მძვინვარებ? ნუთუ არ გეყო ის სიძულვილი, შენ გამო რომ მომაგეს, – მაშ კვლავ რად აარჯლებ მას და თავად ხდები სიძულვილის ღირსი, აბა რად მიკლავ გულს და ჩემს გაბახებას ზედ მიუსართავ შენს შერცხვენასაც. კვლავინდებურად იყავ სულითა მტკიცე, მოთმინებით გაუმკლავდი მოზღვავებულ უბედურებას, იყავ ვაჟკაცი. კვლავინდებურად იყავნ ჟიულის რჩეული – თუკი მაქვს ნება ასე გიწოდო. აჰ, დაე ამჟამად არა ვღირსვარ შთაგბერო ვაჟკაცობა, მაგრამ მაინც მოიგონე, როგორი ვიყავი მე, გაიხსენე შენი გულისთვის სულ სხვანაირი რომ გავხდი, და იყავი ამის ღირსი, მეორედ ნუ ამხდი პატივს!

დიახ, ჩემო პატივცემულო მეგობარო, მე მართლაცდა ვერ გიცანი ამ ლაჩრულ წერილში, მინდა სამუდამოდ დავივიწყო იგი და მჯერა კიდეც, თავადაც უარჰყოფ მას. ოღონდ იმედი მაქვს, – დაე ვიყო დამცირებული, ასე აფორიაქებული, მაინც ვიმედოვნებ, – რომ ჩემი თხოვნა არ შთაგაგონებს ბილწსა და ქვენა გრძნობებს, რომ უაღრესად პატივისცემის ღირსი ჩემი წინანდელი ხატება კვალად სუფევს გულში, რომლის აღგზნებაც მე შევძელი, და არ მომიხდება ვუსაყვედურო თავს, ჩემს შეცოდებათა გარდა, კიდევ იმისი სულმდაბლობა, ვისაც ჩემს შერცხვენაში მიუძღვის ბრალი.

ბედნიერი ხარ, ვინაიდან შენს სიდუხჭირეში ჰპოვე ნუგეში, მგრძნობიარე გულთათვის უაღრესად ძვირფასი ნუგეში. შეჭირვების ჟამს მამაზეციერმა მოგმადლა მეგობარი, თანაც ისეთი, რომ შეგიძლია იფიქრო, უფრო მეტი ხომ არა ღირს ანაზღაურება, ვიდრე თავად დანაკლისიო. გიყვარდეს და გაუფრთხილდი ამ უკეთილშობილეს ადამიანს, რომელმაც შემოგწირა თავისი სიმშვიდე და უშფოთველობა, ცდილობს შენი

სიცოცხლის, შენი გონების შენარჩუნებას. როგორ გაიხარებდი, თუ გაგეგო ყოველივე, რაც შენთვის უნდა გაეკეთებინა მას. მაგრამ არა ღირს აღგიძრა მადლიერების გრძნობა – არაა საჭირო უფრო მეტად გავაარჯლო შენი ტანჯვა-წამება! არც კი უნდა იცოდე, რაოდენად უყვარხარ მას, რათა გაიგო, როგორია იგი. და არ ძალგიძს ღირსეულად დააფასო, რადგან არ შეგიძლია არ გიყვარდეს იგი, როგორცა გმართებს.

VIII წერილი
კ ლ ა რ ა ს ა გ ა ნ

თქვენს სულში უფრორე დიდია სიყვარული, ვიდრე გულისხმიერება, და მსხვერპლის მიტანა უმალ უფრო გეადვილებათ, ვინემ ჯეროვნად მისი დაფასება. ჟიულის რომ წერილსა სწერდით, ხომ არ იფიქრეთ, მართებულია თუ არა მისი საყვედურებით აღვსება, როცა ესოდენ შეჭირვებულიაო, და მხოლოდ იმიტომ, რომ თავად გულმწუხარე ვარ, შეიძლება თუ არა თავს დავესხა კიდევ უფრო მეტად გატანჯულსაო. ათასგზის ჩაგჩიჩინებდით, ჩემს დღეში არ მინახავს თქვენებრ უჯიათი მიჯნური-მეთქი, მარადჟამს ჩხუბობთ და კამათობთ ყოველნაირი საბაბის გამო. თქვენთვის სიყვარული რაღაც საბრძოლო ვითარებაა, – თუმცა ზოგჯერ მორჩილიც კი ხართ, მაგრამ მერე წუწუნებთ ამის გამო. ეჰა, ასეთ მიჯნურებს უნდა ვერიდოთ! ტყუილად კი არ ვფიქრობდი, უნდა შეიყვარო ის, ვისი თავიდან მოშორებაც ყოველთვის ადვილად შეგეძლება, და მასთან – ცრემლდაუღვრელადაც-მეთქი!

მერწმუნეთ, ჟიულისთან სხვაგვარი ლაპარაკია საჭირო, თუ გნებავთ, რომ ცოცხალი დარჩეს. მას როდი შესწევს ძალი და ღონე, გაუმკლავდეს ტანჯვა-წამებას და თან თქვენს საყვედურებსაც გაუძლოს. ერთხელ და სამუდამოდ ისწავლეთ სიფრთხილით მოეპყრათ ამ ძალზე მგრძნობიარე არსებას. თქვენი ვალია – სათუთი თანაგრძნობის გამოჩენა, გეშინოდეთ თქვენი და მისი დარდის გადიდებისა მათ გამო წუწუნით, ხოლო თუ მაინცდამაინც მარტოოდენ მე დამემდურეთ, მე ხომ ერთადერთს მიმიძღვის ბრალი თქვენს განშორებაში. დიახ, ჩემო მეგობარო, თქვენ გამოიცანით: ჩემი რჩევით მან გადადგა გაბედული ნაბიჯი, მაგრამ ეს იყო აუცილებელი მისი ღირსების გადასარჩენად. უფრო სწორად, მე ვაიძულებდი ჟიულის ამის ჩასადენად, რადგან ძალზე გავაზვიადე საფრთხე; მე დაგიყოლიეთ. ამრიგად, თითოეულმა ჩვენგანმა შევასრულეთ ჩვენ-ჩვენი ვალი. უფრო მეტიც, მე შთავაგონე მას მიეღო მილორდ ედუარდის წინადადებები. მე ჩავფუშე თქვენი ბედნიერება; მაგრამ ჟიულის ბედნიერება თქვენსაზე უფრორე ძვირფასია ჩემთვის, ხოლო ვიცოდი, რომ ვერ იქნებოდა სვებედნიერი, თუ სახელს გაუტეხდა და სასოს წარუკვეთდა მშობლებს. ვერც კი წარმომიდგენია, ვით შეგეძლოთ თქვენი ბედნიერებით განცხრომა, უკეთუ დათრგუნავდით მის ბედსვიანობას.

ამრიგად, ვაღიარებ ჩემს საქციელსა და ყველა შეცოდებას, ხოლო რაკი გინებთ წაეჩხუბოთ მათ, ვისაც თქვენ უყვარხართ, მაშინ მარტოოდენ მე მისაყვედურეთ. თქვენ დარჩებით უმადური, ოღონდ უსამართლო აღარ იქნებით. მაგრამ როგორადაც უნდა მოიქცეთ, არასოდეს შევიცვლი თქვენს მიმართ დამოკიდებულებას. ვიდრე ჟიულის ეყვარებით, ჩემთვისაც ისევე ძვირფასი იქნებით, და უფრორე მეტიც, უკეთუ ეს შესაძლებელია. არ ვინანიებ არც იმას, რომ ვმფარველობდი თქვენს სიყვარულს, არც იმ საქმეს, რომ ვიბრძოდი ხოლმე მის წინააღმდეგ. მე მამოძრავებდა მეგობრობის ალალმართლური მისწრაფება – იგი საკმაოდ მიმართლებს ყველაფერში, რაც ჩავიდინე თქვენთვის და თქვენს საწინააღმდეგოდ, ხოლო უკეთუ ზოგჯერ, იქნებ საჭიროზე უფრო

მეტი გულმოდგინებითაც კი ვეპყრობოდი თქვენს სიყვარულს, ჩემი გული მაინც დამიდასტურებს, რომ სინდისი სუფთა მაქვს. არასოდეს შემრცხვება იმ სამსახურის გამო, ჩემს დაიკოს რომ გავუწიე, მხოლოდ იმას კი ვუსაყვედურებ თავს, ამაო და ფუჭი რომ აღმოჩნდა ეს სამსახური.

მახსოვს თქვენი გაკვეთილები – ოდესღაც ლაპარაკობდით სულიერი სიმტკიცის გამო, რომელსაც სიდუხჭირის ჟამს ბრძენნი იჩენენო, და ამჟამადაც, ჩემი აზრით, უპრიანია მოგაგონოთ ზოგიერთი თქვენი შეგონებანი. მაგრამ ჟიულის მაგალითით ვხედავ, რომ ჩემი კბილა გოგონა თქვენი ხნის ფილოსოფოსისათვის ცუდი მოძღვარიცაა და საშიში მიმდევარიც; და მე არც კი მფერობს ჭკუა ვასწავლო ჩემს მასწავლებელს.

IX წერილი

მილორდ ედუარდისაგან ჟიულისადმი

ჩვენ მოვიპოვეთ გამარჯვება, მშვენიერო ჟიული. თქვენმა მეგობარმა დანაშაული ჩაიდინა და ამან დაუბრუნა გონება. როცა უცბად შეიგნო თავისი დანაშაული, ისე დაირცხვინა, რისხვა მყისვე დაუცხრა, და ესოდენ მორჩილია, რომ ამიერიდან მას ყველაფერს გამოვდნებით, რაც მოგვეპრიანება. სიამოვნებით ვხედავ: შეცდომა, თავის თავს რომ აყვედრის, მის გულში იწვევს სინანულს და არა წყენას; და ვიცი, რომ ვუყვარვარ, ვინაიდან ჩემთან ყოფნისას თავი მშვიდად და დარცხვენილად უჭირავს, ოღონდ დაბნეულობასა და უხალისობას როდი ამჟღავნებს: ძალზე მშვენივრად გრძნობს, უმართებულოდ რომ მოიქცა, და ახლა არა ღირს ამის გახსენება. დანაშაულის შეგნება უფრო მეტად მისი ღირსების საქმეა, ვინც დანაშაულს გამოისყიდის, ვიდრე იმისა, ვინც მას შეიწყნარებს.

ვისარგებლე უეცარი ცვლილებითა და მისი შედეგებით, რათა წინასწარ, განშორებამდე, მოვლაპარაკებოდი ყოველივე აუცილებლის გამო, ვინაიდან მეტი აღარ შემიძლია გამგზავრების გადადება. ვფიქრობ ზაფხულში დაბრუნებას; ამიტომაც ორივემ გადავწყვიტეთ, რომ პარიზს დამელოდება, ხოლო იქიდან უკვე ერთად გავემართებით ინგლისისკენ. ლონდონი გამოჩენილ და ნიჭიერ ადამიანთა ერთადერთი ღირსეული ასპარეზია, სადაც მათ წინაშე გადაშლილია ფართო სარბიელი.[39] მას კი მრავალმხრივ დიდი ნიჭი აქვს და მჯერა, მეგობართა დახმარებით ძალიან მალე მისთვის ღირსეულ გზას დაადგება. უფრო დაწვრილებით გაგიზიარებთ ყოველივეს, როცა გზად შემოგივლით. ჯერჯერობით თავადვე იცით, რომ ძალზე ადვილად გადავლახავთ სიძნელეებს, თუ ბედმა ხელი შეგვიწყო, და შესაძლებელია ესოდენ საპატიო მდგომარეობის მოპოვება საზოგადოებაში, რომელიც მაღალი შთამომავლობის ადგილს დაიჭერს, თავად მამათქვენის აზრითაც კი. ჩემი აზრით, ესაა უკანასკნელი შესაძლებლობა: უნდა ვეცადოთ

[39] აი, რას ნიშნავს მშობლიური მხარის სიყვარული. ვინაიდან მე არ გამიგონია, რომ უცხოელთათვის არსებობდეს ქვეყნად უფრო ნაკლებ სტუმართმოყვარე მხარე, ვიდრე ინგლისია, – არსად არ უქმნიან მათ ამდენ დაბრკოლებას. ნაციონალურ მიდრეკილებათა გამო იქ მათ არაფრით არ წაახალისებენ, სახელმწიფო მართვა-გამგეობის ფორმათა გამო ისინი იქ ვერაფერსაც ვერ აღწევენ. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ინგლისელები თავადაც არ მოითხოვენ სტუმართმოყვარეობას, რაზედაც თქვენ უარს გეუბნებიან თავიანთ სამშობლოში. აბა, ლონდონის გარდა რომელი მეფის კარზე დახოხავენ ესე ამაყნი კუნძულელნი? გარდა თავიანთი სამშობლოსი, აბა რომელ ქვეყანაში დაეძებენ ისინი სიმდიდრეს? მართალია, მკაცრნი არიან, მაგრამ სიმკაცრე როდი მგვრის ზიზღს, როცა იგი შეხამებულია სამართლიანობასთან. ჩემი აზრით, კარგია, რომ ისინი ინგლისელები არიან, რაკი ადამიანად ყოფნა არა სჭირიათ.

მის მოპოვებას, რათა მივაღწიოთ საერთო ბედნიერებას, რაკი სვებედმა და ცრურწმენამ ხელთაგან გამოგვტაცა ყველა სხვა საშუალება.

მე მივწერე რეჯანინოს – ვუბრძნე ფოსტის ცხენებით ჩამოსვლა. მინდა ვისარგებლო მისი ყოფნით ამ კვირა-ნახევრის განმავლობაში, სანამ შენს მეგობართან დავყოფ. მისი სევდა ძალზე ღრმაა, სიტყვაგრძელი საუბრებისთვის აღარა სცხელა. მუსიკა შეუვსებს მდუმარების სიცარიელეს, მერე ოცნებებში ჩაიძირება და მისი სევდა თანისთან მელანქოლიად გადაიქცევა. დავაცდი, სანამ ასეთ გუნებაზე მოვიდოდეს, შემდეგ თავის ანაბარა დავტოვებ, ხოლო მანამდის ხელს ვერ ავაღებ. რაც შეეხება რეჯანინოს, თქვენთან დავტოვებ, როცა გზად გამოგივლით და კვლავ თან წავიტან, იტალიიდან დაბრუნებული. ვფიქრობ, მაშინ უკვე აღარ იქნება თქვენთვის იგი საჭირო იმისდა მიხედვით, თუ როგორ წარმატებას მიაღწიეთ ორივემ. ახლა კი აუცილებლად არ დაგჭირდებათ და მეც აღარ შეგაწუხებთ, რამდენიმე დღით თუ გამოვიწერ.

X წერილი
კ ლ ა რ ა ს ა დ მ ი

რატომ მოხდა ასე, რომ ბოლოსა და ბოლოს ამეხილა თვალი ჩემი საკუთარი თავის გამო? უმჯობესი კი იყო სამუდამოდ დამხუჭვოდა იგი, ვიდრე დამენახა ამჟამინდელი ჩემი დამცირება, დამენახა, რომ მე შევიქენ უსაზიზღრესი მოკვდავთა შორის, ხოლო ვიყავი კი უბედნიერესი ადამიანი! საყვარელო და დიდსულოვანო მეგობარო, თქვენ ისე ხშირად იყავით ჩემი მხსნელი, რომ კვლავ გავკადნიერდები და ვაღიარებ თქვენი შემბრალე გულის წინაშე, თუ როგორ მრცხვენია და რარიგ ვიტანჯები; კვალად და კვალად გავკადნიერდები გამოგთხოვოთ ნუგეშის სიტყვები, თუმცა ვგრძნობ კიდეც ჩემს სულმდაბლობას; ისევ და ისევ ვბედავ მოგმართოთ თქვენ, თუმცა თავადვე უარვყავი ჩემი თავი. ჰოი, ზენაარსო! როგორ შეიძლო მან ასეთი არარაობის შეყვარება! როგორ არ განასპეტაკა ჩემი სული ღვთიურმა ცეცხლმა? იქნებ, როგორ რცხვენია ამჟამად თავისი რჩეულის გამო მას, ვისი სახელის წარმოთქმის ღირსიც არა ვარ. იქნებ, როგორ წუხს და მჭმუნვარებს იმის გამო, რომ მისი ხატება შებღალულია ესოდენ უნამუსო, სულმდაბალი ადამიანის გულში! იქნებ, როგორა სძულს და სძაგს ის, ვინაც შეიყვარა და არამზადა კი აღმოჩნდა! მაშ, იცოდეთ-ღა ყველა ჩემი საქციელი, საყვარელო დაიკო.[40] იცოდეთ ჩემი დანაშაული და მონანიება, იყავით ჩემი მსაჯული, და დაე, მოვწყდე ამ წუთისოფელს; ანდა იყავით ჩემი ქომაგი, და დაე იგი, ვინაც არის ჩემი ბედ-იღბლის გადამწყვეტი, განაგებდეს კიდეც მას.

არაფერს ვამბობ, როგორ განმაცვიფრა ანაზდეულმა განშორებამ; არაფერს ვიტყვი ჩემი უიმედო სევდის გამო, საშინელ სასოწარკვეთაზე. ყველამ კარგად უწყით და იცით, თუ რაგვარ უსაშველო შეშლილობამდე მიმიყვანა ყოველივე ამან. რაც უფრო ძლიერ ვგრძნობდი ჩემი ყოფის მთელ საშინელებას, მით უფრო ნაკლებად წარმოვიდგენდი, ძალმიძს ნებაყოფლობით ჟიულიზე ხელის აღება-მეთქი. ამ სამწუხარო გრძნობამ და მილორდ ედუარდის გასაოცარმა დიდსულოვნებამ წარმომიქმნეს ეჭვები, რომელთაც შიშითა და ძრწოლით მოვიგონებ მთელ სიცოცხლეში, და უკეთუ დავივიწყებ მათ, მაშინ უმადური ვიქნები მეგობრის მიმართ, ყველაფერი რომ მაპატია.

რაღაც სიგიჟით შეპყრობილი, ჩემი გამგზავრების ყველა ვითარების შეპირისპირებით, დამაეჭვა ბოროტმა განზრახვამ და მივაწერე ის ადამიანთა შორის

[40] ჟიულის მიბაძვით, ის «დაიკოს» უწოდებს კლარას; ჟიულის მიბაძვით, კლარა «ჩემს მეგობარს» უწოდებს მას.

უკეთილშობილეს არსებას. როგორც კი საშინელმა ეჭვმა შემიპყრო, მომეჩვენა, ყველა სამხილი ხელთა მაქვს-მეთქი. მილორდის საუბარიც ბარონ დ'ეტანჟთან, მისი ტლანქი კილოც, რისთვისაც წავეკიდე მილორდს, მათ შორის გაჩაღებული ჩხუბიც და ისიც, რომ ამიკრძალეს ჟიულისთან შეხვედრა და ჩემი გაგზავნა გადაწყვიტეს, სასწრაფო სამზადისიც, თანაც მალულად, მილორდის ბაასიც ჩემთან გამგზავრების წინ, და ამასთან – ძალზე ნაჩქარევად რომ წამიყვანეს, უმალ – მომიტაცეს, – ერთი სიტყვით, ყოველივე ეს, როგორც მეგონა, ღაღადებდა იმას, რომ მილორდმა განიზრახა ჟიულისგან ჩემი განშორება. ვიცოდი, რომ იგი დაბრუნდებოდა ჟიულისთან, და ეს ამბავი, იმჟამინდელი ჩემი შეხედულებით, საბოლოოდ ამჟღავნებდა მის საწადელს. მაგრამ გადავწყვიტე, ზუსტად გამომერკვია ყველაფერი, ხოლო შემდეგ მოვლაპარაკებოდი. ეს რომ ჩავიდე გულში, კიდევ უფრო ყურადღებით დავუწყე თვალთვალი. მაგრამ ჩემი ახირებული ეჭვები კიდევ უფრო ღრმავდებოდა: იგი ზრუნავდა ჩემზე კაცთმოყვარეობის გამო, ხოლო მე დაბრმავებული გახლდით ეჭვიანობით, და ყოველი მისი კეთილშობილური საქციელი წარმომიდგებოდა მხოლოდ და მხოლოდ მისი გამცემლობის საბუთად. ბეზანსონში გამოვიძიე, რომ მან წერილი მისწერა ჟიულის, მაგრამ წერილი არ მაჩვენა და არც კი უხსენებია იგი. მაშინ კი დავრწმუნდი, საეჭვო უკვე აღარაფერი იყო და მხოლოდ ველოდი პასუხს (ცხადია, ვიმედოვნებდი, მილორდი იმ პასუხით უკმაყოფილო იქნება-მეთქი), რათა დამეწყო განზრახული მოლაპარაკება.

გუშინ საღამოს ძალზე გვიან დავბრუნდით და გავიგე, რომ მან მიიღო ფოსტა შვეიცარიიდან, მაგრამ არაფერი უთქვამს ამის გამო. როცა ჩვენ-ჩვენს ოთახებში წავედით, დავაცადე, სანამ წერილს გახსნიდა. ჩემი საწოლი ოთახიდან მომესმა, წერილის წაკითხვისას თუ როგორ წარმოთქვა ხმამაღლა რამდენიმე სიტყვა. მივაყურადე. ნაწყვეტ-ნაწყვეტ ფრაზებს ისროდა: «აჰ, ჟიული, მე კი მინდოდა თქვენი ბედნიერება... პატივსა ვცემ თქვენს სათნოებას... ოღონდ გული მწყდება თქვენი შეცდომების გამო». ცხადად გვესმოდა ეს სიტყვები და მისთანანი მე და სხვებსაც. უკვე აღარ შემეძლო თავის შეკავება. დაშნას ხელი წამოვავლე, სულ ერთიანად მოვფელე, უფრო უმალ – შევამტვრიე კარი და გაცოფებულივით შევუვარდი. არა, არ შევბღალავ არც ამ ფურცელს, არც თქვენს მზერას და არ აღვადგენ საგინებელ სიტყვებს, რისხვამ რომ მიკარნახა, რათა მაშინვე შევრკინებოდით ერთმანეთს მე და მილორდი.

ოი, დაიკო, სწორედ მაშინ გავიგე და მივხვდი, რაოდენ დიდია ჭეშმარიტი სიბრძნის ზეგავლენა თვით უაღრესად მგრძნობიარე ადამიანებზე, როცა მათ სწადიათ ყური მიაპყრონ მის ხმას. თავდაპირველად ვერც კი გაიგო ჩემი სიტყვები, იფიქრა, ალბათ – აბოდებსო. მაგრამ რაკი ღალატში ვდებდი ბრალს, ვსაყვედურობდი იდუმალი მზაკვრობისათვის და წამდაუწუმ ვახსენებდი ჟიულის წერილს, რომელიც ჯერ ისევ ხელში ეჭირა, – ყოველივე ამან ბოლოსა და ბოლოს საცნაურჰყო მისთვის ჩემი გააფთრების მიზეზი. ჩაეცინა, ხოლო მერე მშვიდად წარმოთქვა: «თქვენ გაგიჟებულხართ, ხოლო გიჟთან ვერ ვიჩხუბებ. გეყოფათ, ბრმაო, თვალი გაახილეთ, – დაუმატა მან უფრო ლმობიერად, – ნუთუ ღალატს მაბრალებთ?» მის კილოს ვერაგული არა შესდგამდა რა. მისი ხმის გაგონებამ გული ამითრთოლა, და როგორც კი თვალი თვალში გავუყარე, ყველა ჩემი ეჭვი განიფანტა და თავზარდაცემული მივხვდი, რა ჭკუადამთხვეული ვინმე ვიყავი.

მაშინვე შეამჩნია ჩემი ცვლილება და ხელი გამომიწოდა. «შემოდით, რა, – წარმოთქვა მან, – თქვენ რომ გონს მოსულიყავით მხოლოდ მას შემდეგ, როგორც კი ჩემს უმწიკვლობას დაგიმტკიცებდით, სამუდამოდ განგშორდებოდით. აი, ახლა კი გონს მოეგეთ! მაშ, წაიკითხეთ ეს წერილი და ერთხელ და სამუდამოდ ერწმუნეთ თქვენს მეგობრებს». არ მინდოდა წერილის წაკითხვა, მაგრამ მილორდმა, რომელმაც თავისი ესოდენი სულიერი უპირატესობით დამიმორჩილა, მბრძანებლური კილოთი მომთხოვა –

წაიკითხეო, ხოლო მის ნება-სურვილს თავგამოდებით დაუჭირა მხარი ჩემმა იდუმალმა წადილმა, წამეკითხა ის წერილი, თუმცა ჩემი ეჭვები უკვე გამიქარწყლდა კიდეც.

წარმოიდგინეთ, რა დამემართა, როცა ეს წერილი წავიკითხე და გავიგე იმ კაცის ყველა უმაგალითო სიკეთე, რომელსაც, გავკადნიერდი და, ასე უღირსად დავწამე ცილი. დავემხე მის ფერხთა წინაშე, აღტაცებით, სინანულითა და სირცხვილით აღვსილი მაგრად ვეხვეოდი მის მუხლებს და სიტყვის თქმას ვეღარ ვახერხებდი. ჩემი მონანიება მიიღო ისევე, როგორადაც მიიღო ჩემი გაკიცხვა, მაპატია და ნიშნად პატიებისა მხოლოდ ერთი რამ მომთხოვა, – როცა შენს სასიკეთოდ ვირჯები, წინააღმდეგობას ნუ გამიწევო. აჰ, დაე ამიერიდან, რაც უნდა, მიყოს: მისი დიადი სული თავს დასტრიალებს ადამიანთა სულებს და შეუძლებელია, წინააღვუდგეთ მის კეთილ საქმეთ, ისე როგორც არა ხამს უგულებელვყოთ წყალობა უფლისა.

შემდეგ გადმომცა პირადად ჩემთვის განკუთვნილი ორი წერილი. სანამ მისი წერილი არ წავიკითხე და თქვენი დაიკოს გადაწყვეტილება არ შევიტყვე, არ მაძლევდა მათ. როცა ამ წერილების წაკითხვისას მივხვდი, როგორი სატრფო და რარიგი მეგობარი მომმადლა ზენამ, საცნაურ ვყავ, რა მგრძნობიარე და სათნო არსებებით დამაჯილდოვა, რათა უფრო მწარე და აუტანელი გაეხადა ჩემი სინდისის ქენჯნა, ხოლო ჩემი სულმდაბლობა უფრორე საზიზღარი. მითხარით, ნეტავ ვინ არის იგი, მთელ ქვეყნიერებაზე ეს ერთადერთი ადამიანი, რომლის ძალაუფლებაც განუზომლად უფრო დიდია, ვიდრე ძალი სილამაზისა, – მას, უკვდავ ანგელოზთა დარად, აღმერთებ მის მიერ მომადლებული სიკეთისათვის და მისგან მოვლენილი საშინელი მწუხარების გამო. ვაგლახმე! იმ უსულგულო ჟიულიმ წარმსტაცა ყოველივე, ხოლო მე კიდევ უფრო შევიყვარე იგი. მისი ნება-სურვილით რამდენადაც უბედური ვხდები, მით უფრო პატივსა ვცემ მას. მისგან მოყენებული ყველა ახალი ტანჯვა თითქოსდა სულ უფრო ახალ-ახალ ღირსებებს ანიჭებენ მას. სასოს მიკვეთს და თანაც აღტაცებასაც მგვრის ის მსხვერპლი, რომელიც გაიღო მან თავისი ქალიშვილებრივი გრძნობების მიმართ. ჩემს თვალში კიდევ უფრო გაიზარდა იმ მსხვერპლის ფასი, ჟიულიმ რომ შესწირა სიყვარულს. არა, როცა მისი გული უარსაჰყოფს რაიმეს, მაშინ უფრო ძვირი უღირს ის, რასაცა გასცემს.

თქვენ კი, სწორუპოვარო და თვალწარმტაცო დაიკო, ერთადერთი და უბადლო მაგალითი ხართ მეგობრისა, რომლის სადარი არ მოიპოვება მთელი ქვეყნიერების ქალთა შორის. ადამიანები, რომელთაც თქვენებრ ქველი გული არ გააჩნიათ, ბედავენ და ასეთ მეგობრობას მონაჩმახად თვლიან. აჰ, ამიერიდან ნუღარას მეტყვით ფილოსოფიაზე – მე მძაგს იგი, ყალბია იგი, შიგ ყველაფერი მოსაჩვენარია, ყოველივე – ფუჭი ლაყაფი. იგი მარტოდენ აჩრდილია, რომლის შეგულიანებით შორიდან ვემუქრებით ვნებებს, მაგრამ მყისვე ხელს იღებს ჩვენზე, როგორც ჯაბანი, როცა ეს ვნებები გვიახლოვდებიან. გემუდარებით, ნუ მიმატოვებთ – საკუთარ ცდომილებათა მსხვერპლს, გევედრებით, კვლავინდებურად მოაგეთ თქვენი გულკეთილობა ბედკრულ არსებას, – თუმცა იგი აღარც კია ამისი ღირსი. მაგრამ სამაგიეროდ უფრო გულმხურვალედ სწადია და სჭირია ეს – როგორც არასოდეს. ამას გენუკვით, დამაბრუნეთ ჩემს თავთან და დაე, ჩემს გატანჯულ გულს გონების ხმის ნაცვლად მოესალბუნოს თქვენი ნაზი ხმა.

მაგრამ არა, ვიმედოვნებ, სამუდამოდ როდი დავკნინდი ზნეობრივად. ვგრძნობ, როგორ გიზგიზებს ჩემს გულში წმინდა სახმილი და სპეტაკი ცეცხლი. ასეთ სიქველეთა მაგალითი ცუდად არ ჩაივლის მისთვის, ვისადმიც არის მიმართული ისინი, ვისაც უყვარს და აღაფრთოვანებს ასეთი ამბავი, ვისაც სურს მარად ჰბაძავდეს მათ. ო, ჩემო საყვარელო ნანდაურო, მაშ, ვისიღა არჩევანით უნდა ვიამაყო! ო, ჩემო მეგობრებო, მაშ ვისი პატივისცემის დაბრუნებაღა ვისურვო! სული ჩემი კვლავ იღვიძებს და თქვენი სულიდან იმსჭვალება ძალ-ღონითა და სიცოცხლით. უმწიკვლო სიყვარული და დიდი მეგობრობა

დამიბრუნებენ სიმამაცეს, კნინღა რომ წამართვა საძულველმა უსასოობამ. სიბრძნისა წილ ჩემს გულს დაეუფლება უფაქიზესი გრძნობები; თქვენი მეოხებით გავხდები ის, ვინც უნდა ვიყო და აგიძულებთ, დაივიწყოთ ჩემი დაკნინება, თუკი ოდესმე სულით აღვდგინდები. არ ვიცი და არცა მსურს ვიცოდე, ვითარი ხვედრი განმიმზადა მამაზეციერმა. რაც უნდა მოხდეს, მაინცა მსურს გავხდე ჩემი წინანდელი სვე-ბედის ღირსი. უკვდავი ხატება, საკუთარ გულში რომ მისვენია, დამიფარავს და დამიცავს მე, და ჩემი სულიც უვნებელი იქნება მარად. ნუთუ საკმაოდ არ ვიცოცხლე ჩემი ბედნიერების გულისთვის? ახლა უნდა ვიცოცხლო მისი განდიდებისთვის. ჰე, ნეტავ შემეძლოს განვაცვიფრო მთელი ქვეყანა ჩემი სათნოებით, რათა ადამიანებმა ერთ მშვენიერ დღეს აღტაცებით წამოიძახონ: «დიახ, სხვაფრივ შეუძლებელიც კი იყო! მას ხომ ჟიული ეტრფოდა!»

P. S. «საზიზღარი და, ი ქ ნ ე ბ, ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი შ ე უ ღ ლ ე ბ ა!» ნეტავი რას ნიშნავს ეს სიტყვები? ჟიულიმ დაწერა ისინი. კლარა, ყველაფრისთვის მზადა ვარ; ვემორჩილები განგებას ღვთისას და გავუძლებ მუხთალი ბედის ყველა განსაცდელს. ოღონდ ეს სიტყვები... არასოდეს, არაფრის დიდებით არ წავალ არსად, ვინემ არ გავიგებ ამ ამბავს.

XI წერილი
ჟ ი უ ლ ი ს ა გ ა ნ

მაშ, ეს მართალია – ჩემს სულს ჯერ არ დახშობია ნუგეშისკარი და იმედის სხივს კვლავ ძალუძს იქ აკიანთება! ჰოიმე! სწორედ იმ დღიდან, რაც წამიხველ, ასე ვიფიქრე, ამიერიდან მარტოოდენ ვაი-ვარამი შემსჭვალავს-მეთქი ჩემს გულსა და გონებას; წარმოვიდგინე, მისგან მოშორებულს დღენიადაგ მწუხარება გამტანჯავს-მეთქი, და არ მეგონა, განშორებაში თუ ვპოვებდი შვებას. დაიკოსადმი მიწერილმა შენმა წერილმა დამარწმუნა, ასე რომ არაა ყოველივე. წაკითხვის ჟამს ამბორს ვუყოფდი მას გრძნობამორეული და ცრემლით ვალტობდი; სანეტარო ცვარ-ნამით გაახალისა მან სევდისაგან დაფერფლილი და დარდითა და ვნებით გასენილი გული ჩემი. გულს მომეფინა სიამე და მივხვდი, არა თუ ახლო მანძილიდან, შორსმყოფსაც ხელთ რომ გიჭირავს შენი ჟიულის გრძნობები.

ჩემო მოყვარეო, რა სასიამოა, კვლავ რომ მოიპოვე სიმტკიცე, რაიცა მოსდგამს გამბედავი მამაკაცის გულს. უფრო დიდ პატივსა გცემ და ისე აღარ ვიქნები შენი მოძულე, თუკი მთლად არ იქნება შებღალული უებრო სიყვარულის ღირსება და ჩვენი გულები ერთდროულად თავს არ შეირცხვენენ. გიამბობ ბევრ სხვა რამესაც – ახლა ხომ თავისუფლად შეგვიძლია ლაპარაკი ჩვენ-ჩვენს საქმეთა გამო. ჩემი უსასოობა თანისთან იზრდებოდა, ხოლო შენი უიმედობა გვართმევდა ორივეს გადარჩენის ერთადერთ სახსარს და ხელს გიშლიდა შენივე საქმით წარმოგეჩინა შენი ნიჭი და უნარი. შენ იპოვე ღირსეული მეგობარი – იგი თავად მამაზეციერმა მოგივლინა. მთელი სიცოცხლეც კი არ გეყოფა, მუქაფა რომ მიუზღო წყალობათათვის, ხოლო ამას წინათ მიყენებულ შეურაცხყოფას ვერასოდეს გამოისყიდი. იმედი მაქვს, ამიერიდან აღარ დაგჭირდება დარიგება, უკვე ისწავლე შენი მგზნებარე წარმოსახვის დაოკება. შენ შედიხარ მაღალი წრის საზოგადოებაში ამ ღირსეული ადამიანის მფარველობით, მისი დიდი ნაცნობობის მეოხებით, ხელმძღვანელობ მისი ცხოვრებისეული გამოცდილებით. შეეცდები სამაგიერო მიუზღო მსახვრალ ბედს შენი დათრგუნვილი ღირსების გამო. მაშ, გააკეთე მისთვის ის, რასაც შენთვის არ ჩაიდენდი; თუნდაც მის ქველ-კეთილ საქციელთა პატივისცემის გამო

ეცადე, ისინი უსარგებლონი რომ არ დარჩნენ. შენს წინაშე ჯერ ისევ გადაშლილია სასიხარულო მომავალი. შენ გელის წარმატება ცხოვრების იმ სარბიელზე, სადაც ყველაფერი ხელს უმართავს შენს თავგამოდებას, განგებამ უხვად დაგაჯილდოვა; შენი გამჭრიახი ალღოს წყალობით მომადლებული საიშვიათო ბუნებრივი ნიჭიერება ესოდენი ფხითა და უნარით გაიფურჩქნა! უკვე ოცდაოთხი წლისა ხდები. შენი ასაკის მომაჯადოებელ შნოსა და ლაზათს ერწყმის გონებრივი მოწიფულობა, რაც ჩვეულებრივ მხოლოდ წლებს მოაქვთ:

Frutto Senile in su 'l giovenil fiore.[41]

განსწავლულობის დროს მეცადინეობამ როდი დააცხრო და შეანელა შენი სიმკვირცხლე, როდი დაძაბუნდი, უხამსური ტრფიალებით არ დავიწროებულა შენი გონების თვალსაწიერი, არ დაჩლუნგებულა შენი აზრი და გონება. მგზნებარე სიყვარულმა შთაგინერგა მის მიერვე წარმოქმნლი მაღალი გრძნობები, მოგმადლა დიადი ზრახვანი და მიგაჩვია სწორ მსჯელობას, რომელთაგან იგი განუყრელია.[42] მისი უნაზესი და თბილი სხივების ქვეშ შენმა სულმა გადაფურჩქნა თავისი ბრწყინვალე ნიჭი, – ასე აღვივდება ხოლმე მზის ქვეშ ყვავილი. ერთდროულად მოგეპოვება ყველაფერი, რასაც კაცი სიმდიდრისკენ მიჰყავს და ყოველივე, რაც აღგიძრავს მის სიძულვილს. ამქვეყნიურ სიკეთეთა მოსაპოვებლად მარტოოდენ ერთი რამ გაკლია – მათდამი ლტოლვამდე დასვლის სურვილი, და იმედი მაქვს, რომ შენი გულის ძვირფას ხატებაზე ფიქრისას ისეთი გულმოდგინებით შეუდგები მათ მოპოვებას, რისი ღირსიც თავისთავად ისინი არც კი არიან.

ო, ჩემო სანატრელო! მიდიხარ ჩემგან! ო, ჩემო საგონებელო, თავს ანებებ შენს ჟიულის!.. ასეა საჭირო, – საჭიროა დავშორდეთ ერთმანეთს, რათა ერთ მშვენიერ დღეს ვიხილოთ ბედნიერება. შენ უნდა მიაღწიო მიზანს – ესაა ჩვენი უკანასკნელი იმედი. ნეტავი თუ აღგაფრთოვანებს და ნუგეშსა გცემს ესოდენ სასიხარულო აზრი ხანგრძლივი და მწარე განშორების დღეებში? შთაგინერგავს თუ არა იმ მგზნებარე ძალას, რომელიც ძლევს ყველა დაბრკოლებას და ალაგმავს შავბედს? ვაიმე! მაღალი წრის საზოგადოების ცხოვრება და ჯაფა მუდამჟამს გაგართობს და გაგიქარვებს მძიმე განშორების დარდს. მე კი დავშთები მარტოდმარტო, ბედის ანაბარად მიტოვებული, ანდა იქნებ დევნილი და მიწასთან გასწორებულიც კი, მაშასადამე, დღენიადაგ შენთვის მწუხარე. მაგრამ ბედნიერი ვიქნებოდი, შენს გამო ამაო მღელვარებას რომ არ გაეარჯლებინა ჩემი უსაშველო ტანჯვა-წამება და ყველა ჩემს ვაი-ვარამს არ დამატებოდა ფიქრი უბედურებაზე, რომელიც იქნებ უკვე დაგატყდა თავს.

შეძრწუნებული ვფიქრობ უამრავ ნაირ-ნაირ ფათერაკზე, შენს სიცოცხლესა და ზნეობას რომ ემუქრება. ძნელად თუ ვისმეს ძალუძს იოცნებოს ისეთ ნდობაზე, შენდამი რომ განვიცდი, მაგრამ ბედმა ხომ დაგვაშორა ერთმანეთს. აჰ, ძვირფასო მეგობარო, ნეტავი რატომ ხარ მარტოოდენ ადამიანი? იმ უცნობ სამყაროში, სადაც ფეხი უნდა შეადგა, იცი, როგორ საჭიროა შენთვის რჩევა-დარიგება. ოღონდ მე, ახალგაზრდას და გამოუცდელს, არა შენებრ წინდახედულსა და შენებრ მცოდნეს, არ ძალმიძს შენი გაფრთხილება. ამ საქმეს ვანდობ მილორდ ედუარდს, თავად დავკმაყოფილდები ორი შეგონებით (რამეთუ ისინი ეხებიან გრძნობათა სფეროს და არა ცხოვრებისეულ გამოცდილებას. მართლაცდა, ცუდად ვიცნობ მაღალ საზოგადოებას, სამაგიეროდ კარგად ვიცნობ შენს გულს): არასოდეს განეშორო სათნოებას და ნურასოდეს დაივიწყებ შენს ჟიულის.

---

[41] ხანდაზმულობის ნაყოფი – და სიჭაბუკის აყვავილება (იტალ.).

[42] სიყვარულს განუყრელი სწორი მსჯელობაო? ძვირფასო ჟიული! თქვენი სიყვარული, მერწმუნეთ, ამით არ გამოირჩევა.

აღარ გაგახსენებ ნატიფ მსჯელობათ, მრავალზე მრავალ წიგნს რომ ავსებენ, მაგრამ არ ძალუძთ კი წესიერი ადამიანის გამოზრდა, – ხომ თავად მასწავლე მათი უგულებელყოფა. ჰოი, ეს მოსაწყენი რეზონიერები! მათ გულს არასოდეს განუცდია და არც არავისთვის უწყალობებია სანეტარო აღტაცება. დაივიწყე, ჩემო მეგობარო, ეს ჭკუათხელი მორალისტები და უფრო ღრმად ჩასწვდი შენს სულს. იქ მუდამჟამს იპოვი წყაროს უწმინდესი ცეცხლისას, მრავალგზის რომ შთაგვაგონებდა უზეშთაესი სათნოების სიყვარულს; იქ იხილავ ჭეშმარიტი მშვენიერების მარადმსგავსობას, რომლის მზერაც გვაფრთოვანებს და გვავსებს უდიდესი აღტაცებით, – ჩვენი გიჟური ლტოლვა დღენიადაგ ბღალავს მას, მაგრამ გაცამტვერება კი არ ძალუძს.[43] გახსოვს თუ არა, როგორ ვღვრიდით სიხარულის ცრემლებს, როგორ თრთოდა და კანკალებდა ჩვენი მღელვარე გული, ვითარი აღტაცება აზვირთებდა ჩვენს სულს, ოდეს ვკითხულობდით იმ გმირულ ცხოვრებათა ამბავს, რომლებიც მუდამ კიცხავენ ბიწიერებას და კაცობრიობის სახელ-დიდებას შეადგენენ?

გინდა იცოდე, რაგვარ ცხოვრებას უნდა მიველტვოდეთ ჩვენ: დოვლათიანსა თუ ქველკეთილს? იფიქრე იმის გამო, რომელს ამჯობინებს გული, როცა მისი არჩევანი პირუთვნელია. იფიქრე იმაზეც, სახელდობრ რა გაგვიტაცებს, როცა ვკითხულობთ ისტორიის კაბადონებს. გიოცნებია თუ არა ოდესმე კრეზის საგანძურებზე, კეისრის სახელ-დიდებაზე, ნერონის ძალაუფლებაზე; გინატრია თუ არა ჰელიოჰაბალის განცხრომანი? თუკი ისინი მართლაცდა ბედნიერნი იყვნენ, მაშ შენ, ოცნების ჟამს მაინც, რატომ არ ხდები მათი მსგავსი? იმიტომაც, რომ ისინი როდი იყვნენ ბედნიერნი, და ამას მშვენივრადა გრძნობდი; იმიტომაც, რომ ისინი იყვნენ სულმდაბალნი და საძულველნი, ხოლო დოვლათით სავსე ავაზაკისა არავის არაფერიც არ შეშურდება. ყველაზე უფრო როგორი ადამიანები მოგწონს? ვის სამაგალითო ცხოვრებას განადიდებდი? აბა ერთი, ვის მიჰბაძავდი? იგავმიუწვდომელია უჭკნობი მშვენიერების მომხიბვლელობა! ათენელი, ციკუტის შხამი რომ შესვა, ბრუტუსი, სიცოცხლე სამშობლოს რომ შესწირა, ტანჯულ-გვემული რეგულუსი, კატონი, რომელმაც მუცელი გამოიფატრა, – აი, ეს სახელოვანი ტანჯულ-წამებულნი იწვევდნენ ხოლმე შენს შურს, სულის სიღრმეში გრძნობდი, რომ მათ განიცადეს ნამდვილი ნეტარება, რომელმაც მიაყუჩა და ჩაახშო მათი აშკარა ტანჯვა-წამება. ის არ იფიქრო, ეს გრძნობა მარტოოდენ ჩემი თვისებაა, – იგი შეიძლება მოსდგამდეს ყველა ადამიანს, და ხშირად – მათდა უნებურადაც. გმირის ღვთაებრივი ხატება, – ხოლო ყოველი ჩვენგანი ატარებს მას გულის სიღრმეში, – უნებლიეთ გვხიბლავს ჩვენ, და ჩვენც, ვნების ქართაგან გამოფხიზლებულნი, ვოცნებობთ დავემსგავსოთ მას, და თუკი ამქვეყნად ყველაზე უწყალო ავაზაკს შეეძლო გარდაქმნა, მაშინ ეცდებოდა კიდეც ქველი და სათნო გამხდარიყო.

საყვარელო მეგობარო, შემინდე ჩემი აღტაცებული გრძნობები. ხომ იცი, შენ დაგესესხე ამ გრძნობებს, და სიყვარულიც ამას მოითხოვს, რათა უკანვე დაგიბრუნო. არ მინდა ამჟამად შთაგაგონო შენივე პრინციპები – საერთოდ წუთით თავს მოგახვიე, რათა მენახა გამოგადგებოდა თუ არა: ვინაიდან დადგა ჟამი, გამოიყენო შენივ საკუთარი გაკვეთილები და დაგვანახო, ვითარი გზით განხორციელდება ის, რის გამოც ასე მჭევრმეტყველურად ღაღადებ. იმას როდი გთხოვ, კატონი ან რეგულუსი რომ გახდე; ოღონდ თითოეული კაცის ვალია უყვარდეს სამშობლო, იყოს უანგარო და მამაცი, თვით სიცოცხლის ფასად დაიცვას მისი ერთგულება. პირადი სათნოება ხშირად კიდევ უფრო

[43] გამიჯნურებულთა ჭეშმარიტი ფილოსოფია პლატონის ფილოსოფიაა. სანამ გრძელდება ხიბლი, მათთვის უცნობია სხვა ფილოსოფია. მგრძნობიერ ადამიანს არ შეუძლია მოეშვას ამ ფილოსოფიას, გულგრილი მკითხველი კი ვერ იტანს მას.

დიადი ხდება, როცა ადამიანი არ ცდილობს მოიპოვოს გარშემომყოფთა მოწონება, არამედ ჯერდება მარტოოდენ თავის საკუთარ დასტურს, როცა სიმართლის შეგნება საქვეყნოდ გახმაურებული ქება-დიდების მაგივრობას უწევს... და გაიგებ, რომ ადამიანის სიდიადე წოდებას როდი ექვემდებარება, და ის კაცი ვერასოდეს მიაღწევს ბედნიერებას, ვინც არ განიმსჭვალება საკუთარი თავის პატივისცემით: უკეთუ ჭეშმარიტ სულიერ ნეტარებას მშვენიერების ჭვრეტა წარმოადგენს, ვით შეეძლება ავაზაკს უყვარდეს მშვენიერება სხვა ადამიანში, თუ არ განიცადა თავისი თავის უნებური სიძულვილი?

მე არ მეშინია, რომ ქვენა გრძნობები და ტლანქი განცხრომანი აგაცდენენ სწორი გზიდან, – ასეთი მახენი სახიფათო როდია მგრძნობიერი გულისთვის, – მას უფრო ნატიფი რამ სჭირია. მაგრამ მაშინებს ის წესები და მაგალითები, რომელთაც გაიცნობ და შეითვისებ მაღალი წრის საზოგადოებაში ყოფნისას; მაშინებს ის საშინელი ზეგავლენა, რაც შეუძლებელია არ მოახდინოს საყოველთაო და მუდმივი ბიწიერების მაგალითმა; მაშინებს ოსტატური სოფიზმები, რომლებითაც იგი თავის თავს ამკობს და იმშვენიერებს. და ბოლოს, მეშინია, ვაითუ თავად შენმა გულმა შთაგაგონოს ისინი და აგიძულოს, აინუნშიაც არ ჩააგდო ყველაფერი, რაჟამს შეუდგები ისეთი მდგომარეობის მოპოვებას, რაც არაფრად მოგეწონებოდა, შენი მიზანი ჩვენი შეუღლება რომ არ ყოფილიყო.

გაფრთხილებ, ჩემო მეგობარო, ამ საფრთხეთა გამო, – დანარჩენი კი შენმა კეთილგონიერებამ განსაჯოს. მათგან ხომ უკეთ დაიცავ თავს, თუკი წინასწარ განსჭვრეტ. კვლავ ერთ მოსაზრებასაც დავუმატებ, რომელიც, ჩემი აზრით, ქედს მოადრეკინებს და დაძალავს ბიწიერების ყალბ მსჯელობას, მაღალი წრის უნუგურთა პატივმოყვარულ ცდუნებათ, ვინაიდან, მართლაცდა, იგი საკმაო იქნება, რათა საკეთილოდ წარიმართოს ადამიანის ცხოვრება. საქმე ისაა, რომ ბედნიერების სათავე როდია მარტოოდენ მიჯნურსა ან გულში, რომელსაც იგი ეკუთვნის, არამედ ერთისა და მეორის დამოკიდებულებაში; და როგორც ყოველ მიჯნურს არ ძალუძს ბედნიერების მონიჭება, სწორედ ასევე გულსაც ყოველთვის როდი შესწევს უნარი იგრძნოს ეს ბედნიერება. თუკი სპეტაკ სულსაც კი არ ძალუძს მარტოოდენ თავისი თავით იყოს ბედნიერი, მაშინ კიდევ უფრო სწორია ის ამბავი, რომ მთელი ამქვეყნიური სიამენი ვერ გააბედნიერებენ გარყვნილი კაცის გულს. ორივე მხრიდან ხომ საჭიროა მომზადება – რაღაც თანაგრძნობა, რაც იქნება იმ ძვირფასი გრძნობის წინაპირობა, გულისხმიერ ადამიანს რომ ძვირად უღირს, მაგრამ მიუწვდომელია ცრუბრძენისათვის, რომელსაც არ ძალუძს ხანგრძლივი ბედნიერების განცდა და ამიტომაც მოყივნებულა წუთიერი სიამოვნებით. მაშ, რად უნდა მივიღოთ ეს ერთი უპირატესობა მეორის საზარალოდ, რატომ მოვინაგროთ გარეგნულად, ხოლო გულის სიღრმეში დავკარგოთ გაცილებით მეტი, და რად მოვიპოვოთ სახსარი ჩვენი ბედნიერებისათვის, თუკი დავკარგავთ მისი გამოყენების ხელოვნებას! თუკი მაინცდამაინც, უნდა ავირჩიოთ ორისაგან ერთი მათგანი, განა არ აჯობებდა გაგვეწირა ის, რასაც ბედისწერა იქნებ კიდევ დაგვიბრუნებდა და არა ის, რასაც, ერთხელ დაკარგულს, კვლავ ვეღარ ავინაზღაურებთ? ვინ იცის ეს ამბავი ჩემზე უკეთ, – მე ხომ მხოლოდ და მხოლოდ იმას ჩავდივარ, რომ ვცდილობ მოვიპოვო სრული ბედნიერება და სიცოცხლის სიხარულს კი ვიწამლავ. დაე, ისა თქვან, რაიცა ნებავთ ბოროტ ადამიანებს, თავიანთ სიმდიდრესა და დოვლათს საქვეყნოდ რომ გამოამზეურებენ და გულს კი სადღაც ჩაჩურთავენ და მიმალავენ; იცოდე, თუკი ამ ცისქვეშეთში არსებობს თუნდაც ბედნიერების ერთი მაგალითი, მას განასხეულებს ქველი და სათნო ადამიანი. მამაზეციერმა მოგმადლა სანეტარო მისწრაფება ყოვლივე კეთილისა და წესიერის მიმართ. მაშ, ყურადიღე მხოლოდ და მხოლოდ შენი გულისწადილი; მიჰყე მარტოოდენ შენს ბუნებრივ მოწოდებას; ხოლო რაც მთავარია – გახსოვდეს ჩვენი სიყვარულის პირველი ჟამი. ვინემ ამ უწმინდეს და საკვირველ წუთებს არ დაივიწყებ, გულს არ აიყრი იმაზედაც, რაიცა ხადის მათ ესოდენ

მიმზიდველს, შენი სულისთვის წარუხოცელი მომხიბვლელობით იქნება აღსავსე ზნეობრივი სიმშვენიერე და შენთვის შეუფერებელი ხერხებით არ ეცდები ხოლმე შენი ჟიულის დაუფლებას. ვით შეიძლება განსცხრებოდე სიკეთით, უკეთუ მას გემოს ვეღარ ჩაატან? არა, რაც გიყვარს, მისი დაუფლებისთვის საჭიროა უცვლელად შეინარჩუნო სიყვარულის შემცნობი გულიც.

ახლა კი შევეხოთ სულ სხვა თემას – როგორცა ხედავ, არ დამვიწყებია ჩემი მოწოდება! ჩემო მეგობარო, შესაძლოა უსიყვარულოდაც ფლობდე სულმაღალთათვის დამახასიათებელ დიად გრძნობებს; მაგრამ სანამ გიზგიზებს ჩვენებრი მიჯნურობის სახმილი, იგი აცხოველებს და შეეწევის სულსა კაცისას; როგორც კი ჩაქრება სიყვარულის ალი, სულსაც მოიცავს მჭმუნვარება, ხოლო ერთხელ დაკოდილი გული არაფრის მაქნისი აღარ არის. აბა, მითხარი, რა დაგვემართება, ერთმანეთზე გული რომ ავიყაროთ? ეჰე, მართლაცდა, სჯობს სიცოცხლეს გამოესალმო, ვიდრე ცოცხლობდე და არაფერსაც არ გრძნობდე! განა კი ყაბულს იქნებოდი გეცხოვრა დუხჭირი ცხოვრებით მავანთა და მავანთა დარად მას შემდეგ, რაც იგემე ყველა სიტკბოება, კაცის გულს რომ ძალუძს განიცადოს. შენ იცხოვრებ დიდ-დიდ ქალაქებში, და იქ უფრო მეტად შენი თვალტანადობისა და ასაკის გამო, ვიდრე სულიერი ღირსებისათვის, ყოველი ფეხის ნაბიჯზე მახეს დაუგებენ შენს პირიანობას. ფოლორცი ლამაზმანები თავს ისე მოგაჩვენებენ, თითქოსდა ტრფიალების ენით გელაპარაკებითო და უხიმანკლოდ მოინადირებენ კიდეც შენს გულს. შენ სიყვარულს კი არ დაუწყებ ძებნას, არამედ მისთა სიამეთ. ისიამტკბილებ უსიყვარულოდ და ვერც კი მიხვდები ამას. ნეტავ თუ იპოვი სადმე შენი ჟიულის გულს, – ეს არ ვიცი, ოღონდ ნაძლევსა ვდებ, ვეღარასოდეს იგრძნობ სხვის ახლოს ბედნიერებას, რასაც განიცდი მის ახლო ყოფნისას. შენი გატიალებული სული ჩემგან ნაწინასწარმეტყველევი ხვედრის მაუწყებელი იქნება. გაცხარებულ ფუქსავატურ თავშექცევათა ჟამს შეგიპყრობს სევდა-ნაღველი, იქნები სევდიანი და მოწყენილი. შენს უნებურად მოსვენებას არ მოგცემს ჩვენი სიყვარულის პირველ დღეთა მოგონება. ჩემი სახე, ასგზის უფრო მშვენიერი, ვიდრე სინამდვილეშია, ანაზდად წარმოდგება შენს წინაშე და უმალ შეგეზიზღება ყველა შენი სიხარული, და უამრავი მწარე სინანული მოიცავს შენს გულს. ჩემო სულო და გულო, ჩემო სანატრელო მეგობარო, აჰ, ნუთუ დამივიწყებ მე?.. ვაი ჩემდა... მაშინ მოვწყდები ამ სამზეოს, – სხვაგვარი ბედი არ მიწერია; შენ კი დარჩები საძულველი და საბრალობელი, – და ამრიგად, მე განვისვენებ შურისძიებით გულშეჯერებული.

მაშ, ნურმც დაივიწყებ შენს ჟიულის, ვინაც შენი იყო და მისი გული არასოდეს სხვისი არ გახდება. მეტს ვეღარაფერს გაგიპირდები, რადგან ჩემს თავს აღარ ვეკუთვნი, – ასე მომისართა ზენაარსმა. მაგრამ ხომ შემოგფიცე, ერთგული ვიქნები-მეთქი და სამართლიანიც იქნება, თუ მოგიბოძებ ერთგულების ერთადერთ საწინდარს, რის გაცემაც ხელმეწიფების. მოვეთათბირე ჩემს მოვალეობას კი არა, – ჩემი აფორიაქებული გონება ამიერიდან მას აღარ იცნობს, – არამედ ჩემს გულს, უკანასკნელ მსაჯულს მათთვის, ვისაც უკვე აღარ შესწევს უნარი იხელმძღვანელოს მოვალეობით, და აი რა შთამაგონა მან: შენი ცოლი ვერასოდეს გავხდები მამიჩემის უნებართვოდ, მაგრამ შენს ნებადაურთველადაც სხვას ვინმეს არ მივთხოვდები, – ამის პატიოსან სიტყვას კი გაძლევ. და ეს ჩემთვის წმინდათაწმინდა ამბავი იქნება: რაც უნდა მოხდეს, ადამიანს საამისო ძალა არ შესწევს, ეს აღთქმა დამარღვევინოს. ნუ იმწუხარებ იმის გამო, თუ რა მომივა უშენოს. მაშ თამამად, ჩემო საგონებელო, უსათუთესი სიყვარულის მფარველობით ეძიე შენ ხვედრი შენი, რომელიც მისი დამაგვირგვინებელი გახდება. ჩემი ბედ-იღბალი შენს ხელთაა მანამდე, ვინემ ეს ჩემზე ჰკიდია, და შეიცვლება მხოლოდ შენივე თანხმობით.

XII წერილი
ჟიულისადმი

O qual fiamma di gloria, d'onore,
Scorrer sento per tutte le vene,
Alma grande parlando con te![44]

დამაცა – სული დავიღო, ჟიული! გულს ცეცხლი მენთება, ვთრთი და ვკანკალებ, შენი წერილი შენივ გულივით ანთებულია სათნოების უწმინდესი სიყვარულით, და სულის სიღრმეში შთამისახე მისი ციური ცეცხლი. ოღონდ რა აუცილებელია ყველა ეს შეგონება, როცა მარტოოდენ ბრძანებაა საჭირო? მერწმუნე, თუკი იქამდე დავმცირდები, რომ კეთილ საქმეთა ჩასადენად განსაკუთრებული საბუთები დამჭირდება, მაშინ შენგან არავითარ საბუთს აღარ მოვითხოვდი – ჩემთვის შენი ნება-სურვილიც კმარა. და განა არ იცი, რომ მუდამჟამს ვეცდები შენს სიამოვნებას და უმალ ბოროტებას ჩავიდენ, მაგრამ ურჩობას არ გაგიწევ. შენი ბრძანებით კაპიტოლიუმსაც კი გადავბუგავდი, ვინაიდან მიყვარხარ ყველაზე უფრო ამქვეყნად. ოღონდ, თავად იცი თუ არა, რად მიყვარხარ ასე ძლიერ? ოი, ჩემო უძვირფასესო მეგობარო, იმიტომ რომ შენ მიელტვი მხოლოდ ერთ ამბავს, – დაიცვა ღირსება და შენი სათნოების მიმართ სიყვარული კიდევ უფრო დაუოკებელსა ხდის შენი სილამაზის ტრფიალებას.

მივდივარ შენი აღთქმით გამხნევებული. შენ გულახდილად უნდა გელაპარაკა ჩემთან: ხომ მპირდები, შენს ნებადაურთველად არავისაც არ მივთხოვდებიო – მაშასადამე, აღმითქვამ, მარტოოდენ ჩემი რომ იქნები, ხომ მართალია? უფრო თამამად ვლაპარაკობ და ახლა გაძლევ ნამუსიანი კაცის სიტყვას, ურღვევ სიტყვას, და აი, როგორ: არ ვიცი, რას განმიმზადებს ბედისწერა იმ ასპარეზზე, სადაც არ დავიშურებ ძალ-ღონეს შენდა საამებლად, მაგრამ არც სამიჯნუროდ, არც საქორწინო კავშირით არასოდეს შევუუღლდები არავის – ჟიული დ'ეტანჟის გარდა. ვცოცხლობ და ვარსებობ მხოლოდ მისი გულისთვის და მოკვდები ან მარტოსული, ანდა მისი მეუღლე. მშვიდობით. დრო აღარ ითმენს. ამწუთას მივემგზავრები.

XIII წერილი
ჟიულისადმი

გუშინ საღამოს ჩავედი პარიზს და ის კაცი, ვინაც ვერ უძლებდა რაღაც ორიოდე ქუჩით შენს განშორებას, ახლა ას ლიეზე მეტი მანძილითაა დაცილებული. ო, ჟიული, შემიბრალე, შეიცოდე შენი უბედოქმნილი მეგობარი! ჩემს სისხლს გრძელ-გრძელ ნიაღვრად რომ განეზომა ეს უსასრულო გზა, უფრო მოკლედ ჩავთვლიდი მას; უკიდეგანო სევდა-კაეშნით აღარ ვიგრძნობდი, როგორ იქანცება ჩემი სული. აჰ, ნეტავი როგორც ჩვენს დამცილებელ მანძილს ვიცნობ, ისე მაინც ვიცოდე, როდის გაუვა ყავლი ჩვენს განშორებას, მაშინ მანძილის სიშორეს ჟამთა სრბოლით დავიმოკლებდი. ყოველ დღეს, ჩემს სიცოცხლეს რომ კვეცს, შენთან მოახლოების ნაბიჯად ჩავთვლიდი. მაგრამ ჩემი სავალალო სიცოცხლე მომავლის წყვდიადითაა მოცული – მისი ფარგლები უხილავია ჩემი სუსტი თვალებისათვის. ო, ეჭვებო! ო, ტანჯვა-წამებავ! ჩემი აფორიაქებული გული გეძიებს შენ და

[44] ოი, რაოდენ სიამაყით და სიხარულით
შემომეგზნება მთელ სხეულში ცეცხლი ტრფობისა,
როს დიდსულოვან ადამიანს ვესაუბრები (იტალ.).

ვერა გპოულობს. აი, აღმოხდების მზე, მაგრამ არ მაქვს შენთან შეხვედრის იმედი. აი, ის ჩაესვენა კიდეც, ოღონდ ვერ გავხდი ღირსი შენი ხილვისა. რა ნაღვლიანად და უსიხარულოდ მიქრიან ჩემი დღეები, თითქოს უკუნ ღამეში ვიყო დანთქმული. ამაოდ ვცდილობ წარკვეთილი სასოების აღდგინებას, – ეს მაძლევს უღონო დასაყრდენს და ამაო ნუგეშს. სულისა ჩემის მაცოცხლებელო, საყვარელო მეგობარო, ვაგლახ, რაოდენი მწუხარების გზა უნდა განვლო კიდევ, უკეთუ თვისი ძალოვანებით გარდასულ ბედნიერებას უტოლდება ეს მწუხარება და სიმძიმილი?

მაგრამ, გაფიცებ: დაე, ნუ შეგაჭირვებს ჩემი დარდი და ვარამი. იგი მარტოსულობისა და მოგზაურობისას აღძრულ ფიქრთა ჟამიერი გამოძახილია მხოლოდ. ნუ გეშინია, გულნამცეცობა კვალად აღარ დამიბრუნდება: შენა ხარ ჩემი გულის მფლობელი, ჟიული! შენ მას მფარველობ და ისიც ამიერიდან აღარ დაგრჩება უღონოდქმნილი. ერთ-ერთი სანუგეშო აზრი, შენმა უკანასკნელმა წერილმა რომ აღმიძრა, ისაა, რომ ამჟამად თითქოსდა ორკეცი სულიერი ძალ-ღონით ვიყო აღვსილი, და უკეთუ სიყვარული წარმტაცებდა ჩემს ძალ-ღონეს, როდი ვეცდებოდი მის დაბრუნებას, ვინაიდან შენგნით გადმოცემული სულიერი მხნეობა გაცილებით უკეთა მშველის, ვიდრე ჩემი საკუთარი გულოვანება. მჯერა, ადამიანი მარტოკა არ უნდა იყოს. ადამიანთა გულებს დაწყვილება სწადიათ, რათა მოიპოვონ თავიანთი ფასი და ყადრი; და მეგობრების სულიერ ძალთა თანხმოვანება, როგორც დამაგნიტებულ ფირფიტათა ძალა, უაღრესად უფრო დიდია, ვიდრე ცალ-ცალკე აღებული ყველა ძალ-ღონის ჯამი. ღვთაებრივო მეგობრობავ! აი, სადაა შენი ძლევამოსილება! მაგრამ რაღაა მარტოოდენ მეგობრობა იმ სრულყოფილ კავშირთან შედარებით, რომელიც მეგობრობის ცოცხალ ძალს ათავსებს ასკეცად უწმინდეს კავშირთან? მაშ, სადღა არიან ის ბრიყვი ადამიანები, სიყვარულის სიამენი და აღტაცება ავხორცული ვნებათაღელვის აღტყინებად და სიძვა-მრუშობის დამამცირებელ გულისთქმად რომ მიაჩნდათ? დაე მოვიდნენ, დაე თვალყური ეჭიროთ, დაე მიხვდნენ და გაიგონ, თუ რა ხდება ჩემი გულის სიღრმეში; დაე დაინახონ თავისი სატრფოს მიერ უარყოფილი საბრალო მიჯნური, – მან ხომ არ იცის, შეხვდება თუ არა მას, დაიბრუნებს თუ არა დაკარგულ ბედნიერებას, მაგრამ აღფრთოვანებულია იმ უკვდავი ცეცხლით, რომელიც გადმოეცა თვალთა შენთაგან და ასაზრდოებდა შენს დიად გრძნობებს. იგი მზადაა შეერკინოს ბედისწერას, მზადაა აიტანოს ყოველი მისი უკუღმართობა, თვით შენთან გაყრაც კი, მაგრამ ესწრაფის შენგნით შთაგონებულ სათნოებას – ღირსეულად რომ ამკობს სათაყვანებელ ხატებას, რაიც სამარადჟამოდ არ აღმოიფხვრება მისი სულის კუნჭულებიდან. რა ვიქნებოდი უშენოდ, ჟიული! იქნებ, გავენათლებინე კიდეც ცივ გონებას – გავხდებოდი სიკეთის ზომიერი მოტრფიალე, მეყვარეობდა მისით შემკული ადამიანები. მაგრამ ამჟამად უფრო მეტს მივაღწევ – აღტაცებით მოვკიდებ ხელს კეთილ საქმეთ და, შენი ბრძნული შეგონებებით განმსჭვალული, ერთ მშვენიერ დღეს ავიძულებ ჩვენს მცნობ ადამიანებს თქვან: «ო, რანი ვიქნებოდით ჩვენ, მთელ ქვეყნიერებას რომ ავსებდნენ ჟიულისებრი არსებანი და მათი სიყვარულის შემძლე გულები!».

გზადაგზა ვფიქრობდი შენი უკანასკნელი წერილის გამო და ახლა, როცა არ ძალმიძს შენთან საუბარი, გადავწყვიტე შევადგინო შენი წერილების კრებული. თუმცა ყოველი მათგანი ზეპირად და გამოწვლილვით ვიცი, მაგრამ მერწმუნე, მაინც მიყვარს მათი გადაკითხვა და კვალად ვკითხულობ კიდეც დაუსრულებლივ მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რათა ერთხელ კიდევ დავინახო საყვარელი ხელით ნაწერი, – მარტოოდენ მას შეუძლია ჩემი გაბედნიერება. მაგრამ ქაღალდი შეუმჩნევლად ცვდება და სანამ მთლად ნაფლეთებად არ ქცეულა, მინდა ყველა წერილი გადავათეთრო სუფთა რვეულში, რომელიც ახლახან განგებ ამისათვის შევიძინე. რვეული საკმაოდ სქელია – მაგრამ მჯერა მომავლისა: იმედი მაქვს, არ მოვწყდები სამზეოს სულ ახალგაზრდა და მხოლოდ და

მხოლოდ ერთ ტომს როდი დავჯერდები. საღამოობით ამ სასიამოვნო საქმიანობით ვიქნები გართული, ვწერ ნელ-ნელა, რათა უფრო მეტი სიამოვნება ვიგრძნო. ეს ფასდაუდებელი კრებული განუყრელად იქნება ჩემთან; მას გავიხდი სახელმძღვანელოდ მაღალი წრის საზოგადოებაში, სადაც ვაპირებ შესვლას; იგი შხამსაწინააღმდეგო საშუალება აღმოჩნდება იმ წესთათვის, რითაც სულდგმულობენ ამ წრეში; ის მანუგეშებს შეჭირვების ჟამს; წინასწარ გამაფრთხილებს შეცდომათა გამო, ანდა მიშველის მათ გამოსწორებას. ის იქნება ჩემი მრჩეველი, სანამ ახალგაზრდა ვარ და კუბოს ფიცრამდე განმამტკიცებს ზნეობრივად, – ვგონებ, სამიჯნურო წერილებს პირველად უხდებათ ამგვარი გამოყენება.

რაც შეეხება ჩემს წინაშე მდებარე უკანასკნელ წერილს, მერწმუნე, თუმც იგი მშვენიერია, მაგრამ, ჩემი აზრით, ზოგიერთი მისი სტრიქონი უნდა ამოიშალოს. თავისთავად უცნაური მსჯელობა კვლავ უფრო შეუსაბამო ჩანს იმის გამო, რომ შენ შეგეხება. როგორ იფიქრე ასეთი რაიმეს მოწერა – ესეც კი უნდა გისაყვედურო! აბა რა საჭიროა ასეთი სიტყვები ჩემი ერთგულებისა და სიმტკიცის გამო? ოდესღაც შენ უკეთ უწყოდი ჩემი სიყვარულისა და შენი მეუფების ძალა! ეჰ, ჟიული, განა ძალგიძს ცვალებად გრძნობათა შთანერგვა? და თუნდ არაფერსაც დაგპირებოდი, ნუთუ შემეძლო შენი არ ვყოფილიყავი? არა და არა! იმ წუთიდან, რაჟამსაც პირველად განვიცადე თვალთა შენი ელვარება, პირველად შემესმა შენთა ბაგეთაგან აღმომხდარი ხმა და პირველად ვიგრძენ აღტაცება და სიხარული ჩემი გულის სიღრმეში, უმალ აღმენთო მარადი და დაუსაბამო ცეცხლი, და ქვეყნისქვეყნად ვერავითარი ძალა ვერ შეძლებს მის ჩაქრობას. და თუნდ ერთი წუთითაც მომეკრა შენთვის თვალი, სულ ერთია – ჩემი ხვედრი გადაწყდებოდა; უკვე გვიანღა იქნებოდა! მითაჟამში ვეღარ დაგივიწყებდი. ახლა კი აბა, ვით დაგივიწყო? ამ წუთს, როცა ესოდენ მთვრალი ვარ ჩემი წარსული ბედნიერებით, როცა მის გახსენებაზე კვლავ ბედნიერად ვრაცხ ჩემს თავს; ამჯერად, როცა დარდიანს ოცნების ჟამსაც არ მშორდება შენი ეშხი და სილამაზე და მხოლოდ შენით ვსულდგმულობ; ამჟამად, როცა ჩემი პირველქმნილი სული გაქრა და სიცოცხლეს მიბრუნებს იგი, რომელიც შენ შთამბერე; სწორედ ახლა, ო, ჟიული, როცა ვუბრაზდები ჩემს თავს იმის გამო, ასე უთავბოლოდ რომ განგიმარტავ ყველაფერს, რასაცა ვგრძნობ; ეჰ, დაე მთელი ქვეყნის ლამაზმანებმა სცადონ ჩემი ცდუნება, შენა ხარ ერთადერთი ჩემი თვალისჩინი. დაე ყველანი შეითქვნენ და განიზრახონ ჩემი გულიდან შენი განდევნა; რა ვუყოთ, დაე განგმირონ, ჯიჯგნონ და ნამსხვრევებად აქციონ ეს ერთგული სარკე ჟიულისა, მისი წმინდა სახე უცვლელად იციალებს უკანასკნელად შთენილ ნამსხვრევში და ვერაფერი აღმოფხვრის მის ანარეკლს. არა, უზეშთაეს ძალასაც არ ძალუძს ეს ამბავი: მას შეუძლია გაანადგუროს ჩემი სული, ოღონდ იმას ვერა იქმს, ჩემი სული ჰგიებდეს ამქვეყნად და შენ არ გაღმერთებდეს.

მილორდი ედუარდი დამპირდა, გამოვლისას ვინახულებო. ყოველივეს გიამბობს, რაც შემეხება და ჩემს გამო თავის გეგმებსაც გაგაცნობს; ოღონდ ვშიშობ, ვაითუ ცუდად შეასრულოს დაპირება და კრინტიც არ დაძრას იმაზე, ვით მოაგვარა ჩემი საქმე ამჟამად. მაშ იცოდე, მან ნება მისცა თავს ბოროტად გამოიყენოს ძალაუფლება ჩემზე, რის საწინდარიცაა მისი სიუხვე და უსაზომო წყალობითაც აღმავსო. იმ პენსიის მეოხებით, რის მიღებაც თავად მაიძულა, შემიძლია წარჩინებულ პიროვნებად მოვაჩვენო ყველას თავი, ჩემი წარმომავლობის მიუხედავად. მისი განზრახვის შესასრულებლად, ალბათ, ასედაც მომიხდება მოქცევა ლონდონში. აქ კი, სადაც არავითარი სამეცადინო არ გამაჩნია, ჩემს ნებაზე ვიცხოვრებ. არ დავიწყებ ფულის ფანტვას, არ გავფლანგავ ჩემი სარჩოსათვის გათვალისწინებული თანხის დანაზოგს. ჟიული, შენ ხომ მასწავლე უპირველესი, ანდა მაინცდამაინც, უაღრესად მნიშვნელოვანი მოთხოვნილება კეთილ საქმეთა ჩამდენი

გულის მოთხოვნილებაო. და ვიდრე ამქვეყნად არსებობს თუნდაც ერთი უპოვარი, წესიერ ადამიანებს არ შეშვენით ფუფუნებით ცხოვრება.

XIV წერილი
ჟიულისადმი

უსაშველოდ შეძრწუნებულმა შევადგი ფეხი უკიდეგანო უდაბნოში, მაღალი საზოგადოება რომ ეწოდება. ეს ამაოება წარმომიდგება მხოლოდ საშინელი მარტოობის განსახიერებად და სევდით მოცული მდუმარების სამეუფოდ. ჩემს ტანჯულ სულს სწადია თავის გრძნობათა გამოთქმა, მაგრამ აქ ყველაფერი სურვილს უკვეცს. ყველაზე ნაკლებ მარტოკა სწორედ მაშინა ვარ, როცა მარტო ვარო, ამბობდა ძველი დროის ერთი ვინმე ბრძენკაცი, და მეც მხოლოდ ხალხში ყოფნისას ვგრძნობ მარტოობას, სადაც ჩემი გული აღარ გეკუთვნის აღარც შენ, აღარც სხვებს. იგი სიამოვნებით ალაპარაკდებოდა, ოღონდ არავინ მოუსმენს; სიამოვნებით გასცემდა პასუხს, მაგრამ რასაც ეუბნებიან, მასთან ვერ აღწევს. აქაური ენის არა გამეგება რა და ჩემი ენაც აქ არავის ესმის.

ძალზე გულთბილად კი მეგებებიან, მეგობრულად და თავაზიანად მღებულობენ, ყურადღებასაც არ მაკლებენ, მაგრამ სწორედ ეს მაწუხებს. ნუთუ ერთბაშად შეიძლება გახდე იმ კაცის მეგობარი, რომელიც წინათ არასოდეს გინახავს? კაცობრიობის მიმართ კეთილშობილური თანაგრძნობა, უმწიკვლო სულის ალალმართლური და გულში ჩამწვდომი სიწრფელე აკერია ენას, ფრიად რომ გამოირჩევა მოსაჩვენარი თავაზიანობის გამოვლენისა და იმ ცრუ ზნეკეთილობისაგან, რასაც მოითხოვს მაღალი საზოგადოების მართლწესრიგი. ძალიან მეშინია, ის კაცი, ვინაც პირველი გაცნობისთანავე ისე მექცევა, თითქოს ოცი წელიწადია ჩემი მეგობარი იყოს, ვაითუ ოცი წლის შემდეგ როგორც უცნობს ისე მომეპყრას, თუკი რაიმე მნიშვნელოვანი საქმის გამო მივმართე. და აი ვხედავ, რომ ჩიტირეკია ვაჟბატონები ერთბაშად მრავალთა მიმართ იჩენენ თანაგრძნობას და მზადა ვარ ვიფიქრო, მათ არავისზე არ შესტკივათ გული-მეთქი.

ოღონდ ყოველივე ეს ხომ შესაძლოა იყოს რაღაც ჭეშმარიტული. ფრანგი ხომ ბუნებით კეთილია, ალალ-მართალი, სტუმართმოყვარე, კეთილმოსურნე; მაგრამ ამასთან ერთად ფრანგებს მოეპოვებათ ათასობით ფუჭი და ცარიელი ფრაზები, რომელთა პირდაპირ გაგება არაფრით არ შეიძლება, უამრავი თვალთმაქცური წინადადება, რომელთაც მხოლოდ იმ ვარაუდით გეუბნებიან, რომ შორს დაიჭერთ, აურაცხელი ყოველნაირი მახე და ხაფანგი, რომელსაც მაღალი საზოგადოების თავაზიანობა უგებს სოფლურ ალალმართლობას. არასოდეს მსმენია, ასე რომ იმეორებდნენ დღენიადაგ: «თუ საჭირო გახდეს, ჩემი იმედი გქონდეთ, მოიხმარეთ ჩემი გავლენა, ჩემი საფულე, ჩემი სახლი, ჩემი ეტლი». ეს სიტყვები რომ გულწრფელი იყოს და საქმით სრულდებოდეს, მაშინ ამქვეყნად აღარ იარსებებდა საკუთრების ესოდენ ნაკლებ მოყვარული ხალხი, აქ თითქმის დამყარებული იქნებოდა მქონებელთა თანასწორობა; ხოლო ვინაიდან უფრო მდიდარი ადამიანები ზოგჯერ მოინდომებდნენ კიდეც თქვენს დახმარებას, უფრო ღარიბნი კი ყოველთვის მიიღებდნენ ამ შეწევნას, მაშინ ცხადია, ყველაფერი გათანასწორდებოდა და სპარტაშიც კი არ იქნებოდა ისეთი თანასწორობა, როგორც პარიზში. ხოლო ამის სანაცვლოდ, კაცმა რომ თქვას, მთელ ქვეყნიერებაზე არ არსებობს სხვა მეორე ქალაქი, სადაც შესამჩნევი იყოს მქონებელთა ასეთი უთანასწორობა, და სადაც ერთსა და იმავე დროს სუფევდეს უმაგალითო ფუფუნება და უკიდურესად ბეჩავი სიღატაკე. განუმარტებლადაც ადვილი გასაგებია, თუ რას ნიშნავს ეს ცრუ თანაგრძნობა,

რომელიც თითქოსდა სასწრაფოდ უნდა მიაგონ მოყვასს და ეს მოსაჩვენარი გულთბილობაც, გამზადებული რომაა, ნაჩქარევად დადოს მარადიული მეგობრობის წუთიერი ხელშეკრულება.

მე არა ვარ ყველა ამ საეჭვო გრძნობათა და ცრუ ნდობის მოსურნე ადამიანი – მე ხომ განათლება და ცოდნა მწადია, რადგან სწორედ აქაა ჩემი სულისთვის სანუკვარი მათი დასაბამი. თავდაპირველად, აქ ჩამოსვლისას, აღტაცებაში მოხვალ სიბრძნისა და ჭკუა-გონების გამო, რასაც ითვისებ არა მარტო სწავლულთა და მწერალთა საუბრების დროს, არამედ ყველა წოდების ადამიანებთან და თვით ქალებთან ურთიერთობის ჟამსაც კი: საუბრის კილო ნარნარია და ბუნებრივი; იგი არაა არც მოუქნელი, არც ფუქსავატური; გამოირჩევა სწავლულობით, მაგრამ არ გააჩნია პედანტურობა; მხიარულია, ოღონდ არა მყვირალა; თავაზიანია და არა გაპრანჭული; ზრდილობიანია, მაგრამ არა უხამსი; სახუმაროა, ოღონდ ორჭოფული კი არა. ეს როდია დისერტაციები ან ეპიგრამები; აქ მსჯელობენ განსაკუთრებულ საბუთთა გარეშე; აქ ხუმრობენ, არ კი ლაზღანდარობენ; აქ მახვილგონიერებას უფარდებენ სიდარბაისლეს, ღრმაზროვან წარმონათქვამებს – ელვარე ნაკვესს, გესლიან გაკილვას და ნატიფ ქლესაობას მაღალზნეობრივ იდეებს. აქ ყველაფერზე იციან ლაპარაკი, ყველას რაღაცა აქვს სათქმელი. თავშეწყენის შიშით არასოდეს ამძაფრებენ მნიშვნელოვან საკითხებს – თითქოსდა გაკვრით შეეხებიან და სხვათა შორის განიხილავენ მათ. სიტყვას შნოს აძლევს სიზუსტე, თითოეული გამოთქვამს თავის აზრს და მოკლედ ასაბუთებს მას, თავგამოდებით არავინ ეკამათება სხვის შეხედულებას და არც თავისას იცავს ვინმე დაჟინებით. ამა თუ იმ საგანს განიხილავენ თავიანთი საკუთარი განათლებისათვის, დავა-კამათს გაურბიან, ყველა პეიტრობასა ჩემობს, ყველა ერთობა. მერე ყველანი კმაყოფილნი დაიშლებიან, და ბრძენიც კი ასეთი საუბრებიდან ნამდვილად შეითვისებს ბევრ ისეთ რასმეს, რომელთა გამო მართლაც კი ღირს ჩაფიქრება მარტოობის ჟამს.

ოღონდ როგორ ფიქრობ, არსებითად, რა უნდა შეითვისოს კაცმა ესოდენ სასიამო საუბართა მოსმენისას? საღად განსაჯოს მოვლენები? თუ საზოგადოებაში ყოფნის დროს ხეირი ნახოს, და კარგად შეიცნოს ადამიანები, რომელთა წრეშიც ცხოვრობს? არავითარი ამის მსგავსი, საყვარელო ჟიული! აქ შეისწავლი უმართებულო საქმის ოსტატურად დაცვას, ფილოსოფიის დახმარებით სათნოების ყველა წესთათვის ძირის გამოთხრას, უნატიფესი სოფიზმებით შენი ვნებებისა და ცრურწმენათა შეზავებას და შენი შეცდომებისათვის ახლანდელ მოდურ იდეათა ყაიდაზე რაღაც პეწისა და ელვარების მინიჭებას. რა ბედენაა იცნობდე ადამიანთა ხასიათს, უნდა იცოდე, რაა მათთვის სახეირო, რათა ნაწილობრივ მაინც მიხვდე, თუ რას იტყვიან ხოლმე ამა თუ იმ საკითხთა გამო. როცა მაღალი წრის ადამიანი ლაპარაკობს, მაშინ თავის გრძნობებს თავად კი არ წარმოქმნის, არამედ, ასე ვთქვათ, მისი ტანისამოსი. და ისიც სავსებით მოურიდებლად იცვლის მათ, ისე როგორც თავის წოდებასაც. აბა ჩამოაცვით მას შენაცვლებით ხან გრძელთმიანი პარიკი, ხან სამხედრო მუნდირი, ხან მკერდზე ჯვარი ჩამოჰკიდეთ, და ისიც თანაბარი გულმოდგინებით დაიწყებს ქადაგებას ხან კანონიერებისთვის, ხანაც დესპოტიზმს შეაქებს, ზოგჯერ კი ინკვიზიციასაც შეასხამს ხოტბას. ერთი თავგამოდებით იცავს მსაჯულთა დასს, მეორე – ფინანსისტებს, მესამე – სამხედრო პირთ, და თითოეული საუცხოოდ ამტკიცებს, რა ცუდნი არიანო სხვები, – აქედან ადვილია დასკვნის გამოტანა, რა შვილებიც ბრძანდებიან სამთავე.[45] ამრიგად, არავინ არასოდეს ლაპარაკობს იმას, რასაც

[45] უნდა ვაპატიოთ ასეთი მსჯელობანი შვეიცარიელს, რომელიც ფიქრობს, ჩვენს ქვეყანას ჩინებულად მართავენო, თუმცა არც ერთი ამ წოდებათაგან იქ არ არსებობს განცალკევებულად. განა ეს როგორ მოხდა? ნუთუ სახელმწიფოს შეუძლია არსებობა უდამცველებოდ? არა, სახელმწიფოს სჭირია დამცველები, ოღონდ

ფიქრობს, არამედ იმას, რაც სხვას უნდა შთააგონოს თავისდა სახეიროდ და ჭეშმარიტების მოსაჩვენარი ერთგულებაც მხოლოდ და მხოლოდ ანგარების ნიღაბია და სხვა არაფერი.

თქვენ, ალბათ, იფიქრებთ კიდეც, მარტოსული და დამოუკიდებლად მცხოვრები ადამიანები, მაინცდამაინც, დამოუკიდებლადვე აზროვნებენო: სრულიადაც არა, ისინი არიან ერთგვარი მანქანები, თავად არაფერსაც არ ფიქრობენ, მათ აიძულებენ იფიქრონ – რომელიღაც ზამბარის ამოძრავებით. აბა ერთი გაეცანით მათ თავყრილობებს, საუბრებს, ძმაკაცებს, ქალებს, რომელთაც ისინი ხვდებიან, მათ ნაცნობ მწერლებს და წინასწარ წარმოიდგინეთ, როგორი თვალით შეხედავენ გამოსაქვეყნებლად გამზადებულ წიგნებს, თუმცა ის არც კი წაუკითხავთ, დასადგმელად მომზადებულ პიესას, თუმცა ჯერ კიდევ არ უნახავთ იგი, მავან და მავან უცნობ მწერალს, ამა თუ იმ სისტემას, თუმცა ოდნავადაც არ იცნობენ მას. და მსგავსად იმისა, როგორც სადღეღამისოდ მომართავენ ხოლმე საათს, ასევე ყოველ საღამოობით მაღალი საზოგადოების თავყრილობათა დამსწრე ყველა ეს კაცუნები გაიგებენ, რა უნდა იფიქრონ ხვალ.

ამრიგად, მამაკაცთა და ქალთა უმნიშვნელო რაოდენობა ფიქრობს ყველა დანარჩენთა ნაცვლად, დანარჩენნი კი აზროვნებენ და ლაპარაკობენ მათთვის, და რამდენადაც თითოეული კაცი მხოლოდ საკუთარ გამორჩენას ეძიებს და საყოველთაო სიკეთეს კი არ დაგიდევს, ხოლო პირადი სარგებლობანი ყოველთვის საპირისპიროა, ამიტომაც თვალნათლივ აშკარაა ზაკვათა და ყალთაბანდობის დაუსრულებელი ორომტრიალი, ცრურწმენათა და საპირისპირო შეხედულებათა მოზღვავება და ვაი-ვაგლახი, ასე რომ, ვინმეს მიერ წაქეზებულმა მეტისმეტად ფიცხმა ადამიანებმა არასოდეს იციან საქმის დედაარსი. ყოველ წრესა აქვს თავისი წესები, თავისი შეხედულებები, თავისი პრინციპები, – მეორე წრეში მათ არად მიიჩნევენ. შენ წესიერ ადამიანად გთვლიან ერთ სახლში, სამაგიეროდ – არამზადად – მეორე ოჯახში. სიკეთეს, ბოროტებას, სილამაზეს, სიმახინჯეს, ჭეშმარიტებას მხოლოდ შეზღუდული და ადგილობრივი არსებობის უფლებაღა შთენიათ. უკეთუ მოგწონთ მაღალი საზოგადოების ცხოვრების წესები და დადიხართ სხვადასხვა წრეში, უნდა იყოთ უფრო მოქნილი, ვიდრე ალკიბიადე, – ხშირად გამოიცვალოთ თქვენი პრინციპები საზოგადოებიდან საზოგადოებაში გადასვლისას, თქვენი ჭკუა და გონება, ასე ვთქვათ, შეუწყოთ ყოველ თქვენს ნაბიჯს და თქვენი შეხედულებები სხვათა ტუაზების მიხედვით გაზომოთ. სადარბაზო წვეულების ჟამს, შესასვლელში, უკეთუ მოგეპოვებათ, ყოველთვის უნდა დატოვოთ თქვენი სული და მსახურის ლივრეის მსგავსად იმ სახლის შესაფერი შეიმოსოთ, ხოლო სახლიდან გამოსვლისას, თუ გნებავთ, თქვენივე საკუთარი სული ჩაიდგით ახალ დარბაზობამდე.

არის კიდევ ამის უარესი ამბავიც; საქმე ისაა, რომ ყოველი ადამიანი განუწყვეტლივ ეწინააღმდეგება თავის თავს, ოღონდ ეს არავის მიაჩნია საუგოდ. სალაპარაკოდ სხვა პრინციპები მოეპოვებათ, ცხოვრებაში კი სულ სხვას მისდევენ; მათ შორის წინააღმდეგობა არავის აღაშფოთებს, – იმათ რომ ჰკითხო, ისინი არც კი უნდა შეეწყობოდნენ ერთმანეთს; მწერლისაგანაც კი, განსაკუთრებით მორალისტისაგან, არ მოითხოვენ, იგივე წარმოთქვას, რასაც თავის წიგნში წერს და იმოქმედოს ისე, როგორც ლაპარაკობს. მისი ნაწერი, მისი სიტყვა, მისი საქციელი – ესაა სამი სავსებით სხვადასხვა მოვლენა, და ისიც სრულიადაც არ არის ვალდებული ერთიერთმანეთს შეუწყოს და შეუთანხმოს ისინი. ერთი სიტყვით, ყველაფერი ეს უაზრობაა, მაგრამ არავის ეხამუშება, რადგან უკვე მიეჩვივნენ, ესეც არ იყოს,

---

ყოველი მოქალაქე მოვალეობით უნდა იყოს ჯარისკაცი, და არა ხელობის მიხედვით. ძველ რომაელთა და ბერძენთა შორის ერთი და იგივე ადამიანები იყვნენ უფროსებიც სამხედრო ბანაკში და თანამდებობის პირებიც ქალაქში, ორივე სახის საქმიანობას უკეთ ასრულებდნენ იმ დროს, როცა არ იცნობდნენ სულელურ წოდებრივ ცრურწმენას, რაც ამჟამად სთიშავს წოდებებს და ჩირქსა სცხებს მათ.

ყველა ამ შეუსაბამობას თან ერთვის გარეგნული წესიერება, რომლითაც ბევრი კიდეც ამაყობს. და მართლაც, თუმც ყველანი უაღრესი გულმოდგინებით ქადაგებენ თავ-თავიანთი წოდების იდეებს, თითოეული მაინც ცდილობს თავისი თავი ვიღაც სხვისი სახელით გაასაღოს. სასამართლოს იშკილბაზი კავალრობას ჩემობს; ფინანსისტს დიდკაცად მოაქვს თავი; ეპისკოპოსი გალანტურად თავდაჭერას ესწრაფის, კარისკაცი ფილოსოფოსობს; სახელმწიფო მოღვაწე ენამახვილობს; თვით უბირი ხელოსანიც კი, რომელსაც არ ძალუძს თავისი ზნე-ხასიათის შეცვლა, ისიც კვირაობით შავ ტანისამოსში მორთულ-მოკაზმული დადის, ვინძლო სასახლის ფარეშს დავემსგავსოო. მარტოოდენ სამხედრო პირები, რომელთაც სძულთ ყველა სხვა წოდების ადამიანები, უტიფრად დადიან თავიანთ ქეიფზე და საერთოდ, აუტანელნი არიან. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ბ-ნი დე მიურა ცდებოდა, როცა უპირატესობას ანიჭებდა მათს საზოგადოებას, – მაგრამ ის, რაც მის დროს ჭეშმარიტებას შეესაბამებოდა, ამჟამად უკვე აღარ შეჰფერის მას. ლიტერატურის პროგრესის გავლენით საერთო ელფერი შეიცვალა და გაუმჯობესდა, – მარტოოდენ სამხედრო პირთ არ მოიწადინეს მისი შეცვლა, და მათი იერი, რომელიც წინათ საუკეთესო იყო, უსაძაგლესი გახდა.[46]

ამრიგად, ადამიანები, რომელთაც ელაპარაკები, გულისყურით როდი გისმენენ; მათი გრძნობები გულიდან არ მომდინარეობს, ცოდნას ფესვი ვეღარ გაუდგამს მათს გონებაში, სიტყვები ვერ გამოხატავენ იმათ აზრებს. ხედავ მხოლოდ გარეგნობას, და როცა საზოგადოებაში მოხვდები, ასე გგონია, თითქოს შენს წინაშე მოძრავი სურათია, თანაც მარტოოდენ მშვიდი მეთვალყურე მოძრაობს თავისთავად.

ასეთი წარმოდგენა შემექმნა მაღალ საზოგადოებაზე, რომლის ნახვაც მომიხდა პარიზში. შესაძლოა, ეს წარმოდგენა უმალ ნაკარნახევი იყოს ჩემი განსაკუთრებული მდგომარეობით, ვიდრე საქმის ნამდვილი ვითარებით და ცხადია, შეიცვლება ახალ ვითარებაში. ესეც არ იყოს, მე დავდივარ საზოგადოების მხოლოდ იმ წრეებში, სადაც შემიყვანეს მილორდ ედუარდის მეგობრებმა და დარწმუნებული ვარ, უნდა ვიარო უფრო დაბალი წოდების ადამიანთა შორისაც, რადგან მდიდართა და მქონებელთა ზნე-ხასიათი ყველგან ერთნაირია. მერმისს ვეცდები უკეთ გამოვიძიო ყოველივე. ჯერჯერობით კი თავად განსაჯე, სწორი ვიყავი თუ არა, როცა მაღალი წრის ბრბოს უდაბნო ვუწოდე და შემაძრწუნა მარტოობამ იქ, სადაც ყველაფერი მხოლოდ ყალბ გრძნობებსა და ტყუილ ჭეშმარიტებაზეა აგებული. და ისინიც წამდაუწუმ იცვლებიან და სპობენ საკუთარ თავს; სადაც ვხედავ მარტოოდენ ნიღბებსა და აჩრდილებს, წუთით რომ ანცვიფრებენ მზერას და წამსვე ქრებიან, როგორც კი მოინდომებ მათ დაოკებას. აქამდე ვხედავდი უამრავ ნიღაბს; ნეტავი როსღა ვიხილავ ადამიანთა სახეებს?

XV წერილი
ჟიულისაგან

დიახ, ჩემო მეგობარო, ჩვენ შევუღლდებით, მიუხედავად განშორებისა, ვიქნებით ბედნიერი შავბედის ჯიბრზე. მხოლოდ და მხოლოდ გულთა კავშირი შეიქმნს ჭეშმარიტ ბედნიერებას; მათი ურთიერთმიმზიდველობა, მათი ძალი და ღონე არა ცნობს მანძილის კანონს, და ჩვენი გულები მაშინაც კი შეერთდებოდნენ, ქვეყნის მოპირისპირე მხარეებშიც

[46] ეს აზრი – სამართლიანი თუ ცრუ – შეიძლება შეეხოს მხოლოდ დაბალი თანამდებობის პირთ და იმათ, ვინც პარიზში არა ცხოვრობს, ვინაიდან მთელი სამეფოს დიდკაცობა სამხედრო სამსახურში იმყოფება და კარისკაცებიც კი სამხედრო პირები არიან, მაგრამ ლაშქრობათა დროს – ომის დღეებში, ან საგარნიზონო სამსახურისას, ძალზე დიდია მათი მანერების სხვაობა.

რომ აღმოვჩნდეთ. გეთანხმები: გამიჯნურებულთ უთვალავი და უანგარიშო რამ უწყობს ხელს, გაფანტონ განშორების სევდა-წუხილი და კვლავ შეერთდნენ მეყსეულად; ზოგჯერ უფრო ხშირად ვნახულობთ კიდეც ერთმანეთს, ვიდრე იმ დროს, როცა ყოველდღე ვხვდებოდით, ვინაიდან როგორც კი ერთ-ერთი ჩვენგანი დარჩება მარტოკა, უმალ ერთად აღმოვჩნდებით. შენ სიამტკბილობ ამ სიხარულით საღამოობით, მე კი – დღეში ასგზის. მე უფრო განმარტოებით ვცხოვრობ, ვიდრე შენა, ყველაფერი შენს თავს მაგონებს, – როგორც კი მზერას მივაპყრობ ჩემს გარეშემო მდებარე ნივთებს, მაშინვე შენ გხედავ, ჩემს გვერდით მყოფს.

Qui canto dolcemente e qui s'assise:
Qui si rivolse, e qui ritenne il passo;
Qui co'begli occhi mi trafise il core;
Qui disse una parola, e qui sorrise![47]

ოღონდ შენ კმაყოფილდები კი ესოდენ არხეინი მდგომარეობით? ნეტავი თუ ძალგიძს, ხორციელ ნდომა-სურვილთა დათრგუნვით, განსცხრებოდე მშვიდი და ნაზი სიყვარულით, რაც ასე ბევრ რამეს ნიშნავს გულისათვის. გონივრულია თუ არა შენი ახლანდელი სინანული შენს წინანდელ სურვილებთან შედარებით? შენი პირველი წერილის კილომ თავზარი დამცა. მეშინია შენი მაცდუნებელი აღტაცებისა – ის მით უფრო ვერაგულია, რომ მათი წარმომქმნელი წარმოსახვა უკიდეგანოა, და კვალად ვშიშობ, ვაითუ შეურაცხყო შენი ჟიული მისი სიყვარულის გამო. აჰ, შენ არ გესმის – დიახ, შენს უგრძნობელ გულს არ ესმის, მარტოოდენ თაყვანისცემა რომ შეურაცხყოფს სიყვარულს. რად გავიწყდება, შენი სიცოცხლე მე რომ მეკუთვნის, და ხშირად, როცა ადამიანები თავს იკლავენ, თითქოსდა მხოლოდ ესა ჰგონიათ, ამით ბუნების გულს მოვიგებთო. ავხორცო ადამიანო, ნუთუ ვერასოდეს ისწავლი ტრფიალებას! მაშ მოიგონე, მოიგონე მშვიდი, ნაზი გრძნობა, ერთხელ რომ განიცადე და ესოდენ ამაღელვებლად და გულშიჩამწვდომად აღწერე. იგი საამურია ყველა განცხრომათაგან, რომლითაც ოდესმე დამტკბარა ბედსვიანი სიყვარული, და მასთან მხოლოდ და მხოლოდ იგია განშორებულ მიჯნურთა ხვედრი; და უკეთუ თუნდაც ერთხელ განიცადე იგი, მაშინ აღარ ძალგიძს სინანულით მოიხსენიო დანარჩენი. მაგონდება, ორივენი შენს პლუტარქეს რომ ვკითხულობდით, ვმსჯელობდით ბუნების შეურაცხმყოფელი საჯაყი გემოვნების გამო. თუკი შეუძლებელია მსგავს უბადრუკ სიამეთა გაზიარება, – ასე ვფიქრობდით მაშინ ჩვენ, – ესეც საკმაოა, რათა ისინი არარაობად და საძაგლად მივიჩნიოთო. მივუსართოთ იგივე აზრი უაღრესად ფიცხი წარმოსახვის ცდუნებებს, უარესად როდი გამოადგება მათ. შე ბედკრულო! აბა, რაგვარ სიამეთა განცდა ძალგიძს მარტომყოფს? მარტოსული ადამიანის აღტაცება უსულო გვამის აღტაცებაა. ოი, სიყვარულო! აღტაცებანი შენნი ცოცხლობენ მარად; აკი მათ აღაფრთოვანებს გულთა კავშირი და სიამენი, რომელთაც ვანიჭებთ საყვარელ არსებას, კიდევ უფრო მეტ ფასს აკუთვნებენ შვებასა და ლხენას, რასაც ის მოგვიბოძებს.

მითხარი, შენ გეთაყვანე, ჩემო საყვარელო მეგობარო, რომელ ენაზე, ან უფრო სწორად, რა კილოკავით ლაპარაკობდი შენს უკანასკნელ წერილში? ხომ არ გნებავდა მახვილგონიერებით თავის გამოჩენა? თუკი გწადია ხშირად გამოიყენო ეს ხერხი ჩემთან მიწერ-მოწერისას, მაშინ გამომიგზავნე სიტყვის კონა. მაშ, ამიხსენი, გეთაყვა, ეგ რა

[47] აქ მღერდა ნაზად, აქ იჯდა იგი,
აქ შემობრუნდა, აქ კი შეჩერდა.
აქ უცხო მზერით გულს მკრა ისარი,
აქ სიტყვით, აქ კი – ღიმით გამათბო (იტალ.).

გრძნობა მოეპოვება ტანისამოსს? რა სულია ეს, რომლითაც იმოსები, როგორც ლივრეით, აქაური შინაყმების სამოსის ფერთა დარად? ეს რაღა პრინციპებია ასეთი, ტუაზებით რომ ზომავ? ხომ არა გგონია, მიამიტი შვეიცარიელი ქალი გაიგებს ესოდენ მაღალფარდოვან და ხატოვან ენას? სხვები იძენენ ლივრეის ფერისებრ სულს, შენ კი, ვგონებ, უკვე შეიღებე გონება ადგილობრივ ზნე-ჩვეულებათა ფერად! ფრთხილად იყავი, საყვარელო მეგობარო, – მართლაცდა, მეშინია, ვითუ საღებავი არ მიუდგეს ასეთ ფონს! ხომ არა გგონია, შენი მეტაფორები მიაგავს კავალერ მარინოს «traslati-ს»,[48] რაიც თავად ხშირ-ხშირად სასაცილოდაც არა გყოფნიდა? და უკეთუ წერილში შესაძლოა კიდეც აიძულო ადამიანის ტანსაცმელი – გამოთქვას აზრი, მაშინ რატომ არ შეიძლება სონეტში დააძალო ცეცხლს – ოფლად იღვრებოდეს?[49]

დიდ ქალაქში გატარებული სამი კვირის მანძილზე ყველა წოდების ზნე-ჩვეულებათა დაკვირვებების შეკრება, იქ წარმოებულ საუბართა ხასიათის განსაზღვრა, ზუსტად და გულდასმით გამორჩევა იმისა, თუ რა არის მათგან ჭეშმარიტი და რა სიცრუე, რა – ნამდვილი და რა – მოჩვენებითი, თუ რას ლაპარაკობენ და გულში რა უძევთ, – აი სწორედ ამ მხრივ სდებენ ბრალს ფრანგებს და ამტკიცებენ, ისინი თითქოსდა ასე იქცევიანო უცხო მხარეში. მაგრამ უცხოქვეყნელს არ შეშვენის ასეთი მოპყრობა მათდამი – ისინი, მერწმუნე, საფუძვლიანი შესწავლის ღირსნი არიან. არ მომწონს ის ამბავიც, რომ ადამიანი ცუდად ახსენებს მხარეს, სადაც ცხოვრობს და სადაც მასპინძლობას უწევენ. უმჯობესია, კაცი მოტყუვდეს მოჩვენებითი სახით, ვიდრე ზნეობრიობის დამცველად გამოსვლისას გაჰკილოს თავისი მასპინძლები და კიდევ, ბოლოს, ეჭვს აღმიძრავს ყოველი მეთვალყურე, რომელიც მახვილგონიერებას იჩემებს. მუდამჟამს ვიშიშვი, ვაითუ, მისდა უნებლიეთ, ერთი კვიმატი სიტყვის გამო გასწიროს ჭეშმარიტება და სამართლიანობის საზიანოდ ფრაზებით იოინბაზოს-მეთქი.

აკი შენ იცი, ჩემო მეგობარო, რომ მახვილსიტყვაობა, როგორც ჩვენი მიურა ამბობს, საერთოდ ყველა ფრანგს ზნედა სჭირს, და ვგონებ, შენცა გაქვს მიდრეკილება ამ მანიისაკენ იმ განსხვავებით, რომ მათ ძალზე კარგად გამოსდით ეს ამბავი, და ქვეყნად არ არსებობს ხალხი, რომელსაც ჩვენებრ არ შეშვენოდეს ქილიკობა. ხშირად წერ ღვარჭნილი სტილით, ნაძალადევად და უგულოდ ხუმრობ. მე სიმკვირცხლითა და გრძნობით შთაგონებული სიტყვისა და გამოთქმის აგებულებას კი არ ვგულისხმობ, არამედ მაღალფარდოვან ენას, – იგი როდია ბუნებრივი და თავისთავადი, ხოლო ავტორის სულსა და გულს კი დიდად ახარებს. ეჰ, ღმერთო ჩემო! რად გინებს თავის მოწონება სატრფოსადმი მიწერილ ბარათებში! განა არა სჯობდა, შენი ნანდაურის ცქერით დაგეტკბო სული და გული? განაღა არ შთაგვაგონებენ სიამაყის გრძნობას თავად მისი ღირსებები, რომლებიც აღამაღლებენ მას ჩვენზედან? არა, დაე ფუჭი საუბარი განაცხოველონ თითქოსდა ისრებივით მოციალე ენამახვილობით, – ასეთი ლაყბობა მაინცდამაინც საძრახისი არ არის ორ მიჯნურს შორის, სალონის მოარშიყის მოქარგული ენა გაცილებით უცხოა ჭეშმარიტი გრძნობისათვის, ვიდრე უაღრესად მარტივი სტილი. აი თუნდაც შენ. აბა რა გვეხუმრებოდა, როცა მარტონი ვრჩებოდით. ჩვენი ნარნარი სიტყვების ჯადოსნურმა სიმშვენიერემ განდევნა ხუმრობა და არ მისცა საშველი გამოსაჩენად. მით უფრო შეუწყნარებელია იგი განშორების სიმწარით დღენიადაგ მომჩივან წერილებში, სადაც სული კიდევ უფრო გულში ჩამწვდომად ღაღადებს! ყოველი ძლიერი ვნება სერიოზულია, და ჭარბი სიხარული უფრო ხშირად იწვევს ცრემლებს, ვიდრე სიცილი; მაგრამ მე, ცხადია, არა მსურს, რომ სიყვარული მარადჟამს იყოს სევდიანი, – არა, ის მინდა, მისი სიხარული იყოს უბრალო,

[48] მ ე ტ ა ფ ო რ ე ბ ი (იტალ.).

[49] Sudate, o fochi, a preparar metalli – ეს კავალერ მარინოს სონეტის სტრიქონებია.

შეულამაზებელი, სადა, სპეტაკი, როგორც თავადაა, – ერთი სიტყვით, იგი უნდა ელვარებდეს ბუნებრივი სიმშვენიერით და არა მარტოოდენ მახვილგონიერების მეოხებით.

ამ წერილს ვწერ «განუყრელის» ოთახში, და ის მარწმუნებს, თითქოს ეს წერილი დავიწყე იმ ხალისიანი გუნებით, რასაც გვინერგავს, ანდა მაინცდამაინც ნებას გვრთავს სიყვარული. მაგრამ თავად აღარ ვიცი, რა დამემართა ასე უცბად. მე ვწერდი, ჩემს სულს კი თანდათან ეუფლებოდა ენით უთქმელი დარდი და ბოღმა, და ძლივსღა მოვახერხე ჩემი ავგულა დაიკოს მიერ შთაგონებული ყველა შეურაცხმყოფელი სიტყვის გამეორება, ვინაიდან უნდა გაგაფრთხილო, შენი კრიტიკის კრიტიკა – ეს მისი შემოქმედებაა და არა ჩემი. მან მიკარნახა წერილის პირველი ნაწილი, მასთან გიჟივით ხარხარებდა და ნება არ დამრთო, შემეცვალა თუნდაც ერთი სიტყვა. ასე თქვა, მას ჭკუა უნდა ვასწავლოო, რადგან მარინოს პატივს აღარ სცემსო: ჩემი დაიკო იცავს მას, შენ კი აბუჩად იგდებ და დასცინი.

მაგრამ იცი თუ არა, რამ დაგვაყენა ორივენი ასეთ საუცხოო გუნებაზე? მისმა მომავალმა ქორწინებამ. გუშინ საღამოს შეჰკრეს საქორწინო პირობა, ხოლო ქორწილი ორშაბათს რვა საათზე შედგება. თუკი სიყვარული მხიარულება ყოფილა ოდესმე, მაშინ ცხადია, მისი სიყვარულია ასეთი. ჩემს დღეში არასოდეს მინახავს, რომ ქალიშვილს თავისი სიყვარული სახუმაროდ გაეხადოს, როგორც ამას ჩემი დაია სჩადის. თავგზააბნეული გულკეთილი დ’ორბი მოხიბლულია თავისი საცოლის სიანცით. იგი ისეთი ბაიყუში როდია, როგორიც შენ იყავ ოდესღაც, სიამოვნებით ეწყობა ხუმრობას და სიყვარულის უდიდეს გამომჟღავნებად თვლის თავისი სატრფოს გამხიარულების ოსტატობას. ხოლო რაც შეეხება ქალს, ამაოდ უკითხავენ ნოტაციებს, მოუწოდებენ წესიერებისაკენ, სულ იმას ჩასჩიჩინებენ, ქორწინების წინ დინჯად და დარბაისლურად მოიქეციო, ოდნავ მაინც გამოიჩინე სიყვარული და პატივისცემა მშობლიური სახლისა, რომლის დატოვებაც მალე მოგიხდებაო. მას კი ყველაფერი ეს უაზრო ფარისევლობად მიაჩნია და ბ-ნ დ’ორბს პირში ეუბნება, ჯვარისწერის დღეს ჩინებულ გუნებაზე ვიქნები და ქორწილში ქანცის გაწყვეტამდე უნდა ვიმხიარულოთო. მაგრამ ჩემი საყვარელი თვალთმაქცი გოგო რაღაცას მალავს. ამ დილით თვალები დაწითლებული ჰქონდა, და ნამლევსა ვდებ, რომ ღამის ცრემლები დღის მხიარულების საზღაურია. იგი ახალ ვალდებულებებს კისრულობს და ეს მოვალეობანი შეასუსტებენ მეგობრობის ნაზ კავშირს. უნდა დაადგეს ახალი ცხოვრების გზას, რომელიც დიდად განსხვავდება იმ გზისაგან, აქამდე რომ ძვირფასი გახლდათ მისი გულისთვის. კმაყოფილი და უდარდელი იყო, ახლა კი უნდა გადაეყაროს შემთხვევითობათ, რაც ყველაზე ბედნიერი შეუღლების დროსაც კი გარდაუვალია, და რაც უნდა თქვას, მისი მოკრძალებული, უმანკო გული შეშფოთებულია ბედ-იღბლის მომავალი ცვლილებებით – ასე იწყებს ფრთონვას ანკარა და წყნარი მდინარე ქარიშხლის მოახლოებისას.

ო, ჩემო მეგობარო, როგორი ბედნიერები არიან ისინი! მათ უყვართ ერთმანეთი. შეუღლდებიან და განსცხრებიან სიყვარულით დაუბრკოლებლივ, უშიშრად, სინდისის უქენჯნელად. მშვიდობით! მშვიდობით! მეტი ლაპარაკის თავი აღარა მაქვს.

P. S. მე და მილორდი ედუარდი მხოლოდ ერთი წუთით შევხვდით ერთმანეთს, რადგან გზას ადგა და დრო აღარა ჰქონდა. სულითა და გულით აღსავსე ვიყავი მადლიერებით ყოველივე იმის გამო, რითაც ვარ მისგან დავალებული და მინდოდა მემცნო მისთვის მე და შენი გულის გრძნობები, მაგრამ რაღაც მერცხვინებოდა ამაზე სიტყვის დაძვრა. მართლაცდა, ასეთ ადამიანს რომ მადლობა გადაუხადო, ეს იმას ნიშნავს, შეურაცხყო იგი.

XVI წერილი
ჟიულისადმი

ძლიერი ვნებანი ადამიანს უმწეო ბალღად აქცევენ! რაოდენ იოლად საზრდოობს ქიმერებით შმაგი სიყვარული! და რა ადვილად შეიძლება სულ სხვა მიმართულებით წარმართო შენი უგუნური ოცნებანი ყოველგვარი წვრილმანის გამო. შენმა წერილმა ისე აღმაფრთოვანა, როგორც შენთან ყოფნა აღმაფრთოვანებდა. სიხარულისაგან ფეხზე ვეღარ ვდგებოდი და ქაღალდის უბრალო ფარატინმა შენი მაგივრობა გამიწია. განშორების ჟამს უდიდესი ტანჯვა, რომლის წინაშეც უმწეოა გონება, ეს არის წუხილი იმის გამო, თუ რასა გრძნობს ამწუთას შენი სატრფო. მისი ჯანმრთელობა, სიცოცხლე, სიმშვიდე, მისი სიყვარული – ყოველივე ეს საიდუმლოების წყვდიადითაა მოცული იმისთვის, ვისაც ყველაფრის დაკარგვისა ეშინია; აღარა სჯერა არც აწმყოსი, არც მომავლისა, და ყოველგვარი ფათერაკი წამდაუწუმ ეზმანება შეყვარებულს, რომელსაც ასე ეშინია მისი. და აი, დაბოლოს, მე ვსუნთქავ, მე ვცოცხლობ, შენ კი ჯანმრთელი ხარ და გიყვარვარ მე, – უფრო სწორად, ასე იყო ათი დღის წინათ. განა ვინ მითავდებებს დღევანდელი დღის გამო? ო განშორებავ, ო ტანჯვა-წამებავ! ჰოი, როგორი უცნაური და საშინელი ვითარება შემსჭვალავს კაცის სულსა და გულს, როცა ძალუძს მარტოოდენ წარსულით სიამტკბილობა, აწმყო კი უკვე ლიტონი სიტყვაა მხოლოდ!

კიდევაც რომ არაფერი გეთქვა «განუყრელის» გამო, მაინც გამოვიცნობდი მის გესლიან ენას ჩემი მოხსენების გაკრიტიკების ჟამს და მის გულღვარძლიანობას მარინოს საქებ-სადიდებელ სიტყვაში, ოღონდ კი ნება მიბოძეთ ქება შევასხა ჩემსავე თავს და მოვიგერიო თავდასხმანი.

უწინარეს ყოვლისა, ჩემო დობილო (მე ხომ სწორედ მას უნდა ვუპასუხო), ვილაპარაკოთ სტილის გამო: მე მივუსადაგე იგი წარმოსაჩენ საგანს, ვეცადე მომეცა თქვენთვის წარმოდგენა თანამედროვე ყაიდის საუბრების გამო და მასთან ერთად მათი ნიმუშიც, – ერთი სიტყვით, ძველი წესების დაცვით, თავად გწერდით თითქოს ისე, როგორც ლაპარაკობენ საზოგადოების ზოგიერთ წრეებში. გარდა ამისა, კავალერ მარინოს ხატოვან გამოთქმათა მიმართ მიკერძოებისათვის კი არა ვკიცხავ, არამედ იმიტომ, რომ ისინი განზრახ არიან წარმოთქმული. უკეთუ თქვენ გათბობთ შინაგანი ცეცხლი, მაშინ გებადებათ ხატოვანი ენითა და მეტაფორებით ლაპარაკის სურვილი, თანაც ცდილობთ, სხვებმაც გაიგონ თქვენი ნათქვამი. თვით თქვენი წერილები, თქვენდა უნებლიეთ, აღსავსეა ასეთი გამოთქმებითა და გარწმუნებთ, მარტოოდენ გეომეტრი და ჩერჩეტი ადამიანი ლაპარაკობს ხატოვანი თქმების გამოუყენებლად. და მართლაც, განა ერთსა და იმავე აზრს თავისი გამოთქმის ძალთა კვალობაზე არ შეუძლია ჰქონდეს მრავალი ღირსება? და რას ემყარება ეს ძალა, თუ არა გამოთქმის საშუალებას? გამოგიტყდებით, სასაცილოდ მიმაჩნია ზოგ-ზოგი ჩემი ფრაზა, რომლებიც უაზრონი და შეუსაბამონი არიან საერთოდ იმის გამო, რომ ისინი ტექსტიდან ამოგლიჯეთ. აბა, დატოვეთ იქვე, სადაც იყვნენ ჩაწერილნი, და თავად დაინახავთ და მიხვდებით, რაოდენ მკაფიო და გამომეტყველნი ყოფილან ისინი. თქვენმა ცოცხალმა თვალებმა, რომლებითაც ასე ბევრი რაიმეს გამოხატვა შეგიძლიათ, თქვენი სახიდან თითოეულმა თავისთავად და ცალ-ცალკე რომ იწყონ არსებობა, მაშინ მიპასუხეთ, ჩემო დაიკო, განა რას წარმოთქვამდნენ მთელი თავისი ელვარებით? გარწმუნებთ, ვერაფერსაც, თვით ბ-ნ დ'ორბსაც კი არარას ეტყოდნენ.

უპირველეს ყოვლისა, უცხო მხარეში ჩასვლისას, თვალს მიადევნებ საზოგადოების დამახასიათებელ ნიშან-თვისებათ, ხომ მართალი ბრძანებაა? ჰოდა, სწორედ ეს იყო კიდეც ჩემი პირველი დაკვირვება, როცა აქაურ მხარეში მოვხვდი. და მეც მოგითხრეთ ის ამბავი,

რასაც პარიზში ლაპარაკობენ, და არა ის, რასაც აქ აკეთებენ, და შევნიშნე კიდეც წინააღმდეგობანი წესიერ ადამიანთა სიტყვების, გრძნობათა და საქმიანობათა შორის მხოლოდ იმიტომ, რომ ეს წინააღმდეგობანი მაშინვე თვალში ეცემა კაცს. როდესაც ერთი და იგივე ვაჟბატონები იცვლიან თავ-თავიანთ შეხედულებებს იმისდა მიხედვით, თუ რაგვარ წრეში იმყოფებიან, – ერთგან მოლინისტები არიან, მეორეგან – იანსენისტები, მინისტრთან სტუმრად ყოფნისას – პირმოთნენი, უკმაყოფილო ადამიანებთან სტუმრობისას – გულფიცხი ფრონდიორები, როცა ქერის ორმოში ჩავარდნილი მდიდარი კაცი ქირდავს ფუფუნებას, ფინანსისტი – გადასახადებს, პრელატი – გარყვნილებას, როცა სეფექალი ქადაგებს მოკრძალებას, დიდებული – სათნოებას, მთხზველი – უბრალოებას, აბატი – რელიგიას, და ყველა ეს სისულელე არავის ეჩოთირება, მყისვე ვრწმუნდები, რომ აქ არავინაც არ ფიქრობს სიმართლის თქმას ანდა მის მოსმენას, არავინაც არ ცდილობს თავისი სიტყვებით დაარწმუნოს სხვები-მეთქი, თითქმის იმასაც კი აღარ ფიქრობს, ისე მოიქცეს, თითქოს ჩემი სიტყვები თავადვე მჯერაო.

მაგრამ კმარა დაიკოსთან ხუმრობა! ხელს ვიღებ ასეთ კილოზე, არ შეგვფერის იგი სამივეს, იმედი მაქვს, შენთან გამოგზავნილ წერილებში ბოლო მოეღო სატირას და მახვილსიტყვაობას. ახლა უნდა გიპასუხო, ჟიული, ვინაიდან კარგად ვარჩევ სახუმარო კრიტიკას სერიოზული საყვედურებისაგან.

არ მესმის, ორივენი ასე როგორ შეცდით და ვერ მიხვდით, თუ რასა ვწერდი. არც კი მიფიქრია, ფრანგი ხალხის ყოფა-ცხოვრებას ვუკვირდები და ვსწავლობ-მეთქი: ერის ზნე-ხასიათი შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ ერთმანეთისაგან განსხვავებული ნიშან-თვისებებით, – და მე, ვინაც ჯერჯერობით არც კი ვიცნობ არავითარ სხვა ერს, როგორ შემიძლია ამის აღწერა! გარდა ამისა, არც ისეთი ყეყეჩი ვარ, რომ დედაქალაქი შემერჩია შესასწავლ ადგილად. ცნობილია, რომ დედაქალაქები არც ისე განსხვავდებიან ერთიერთმანეთისგან – მათი ეროვნული ხასიათი იშლება და მეტწილად ითქვიფება ყველგან ერთნაირად სამეფო კართა გავლენით და იმ მრავალრიცხოვანი და შემჭიდროებული მაღალი საზოგადოების ზემოქმედებით, რომელიც თითქმის ერთნაირია მთელ ქვეყანაზე და ბოლოსა და ბოლოს აღემატება ეროვნული ზნე-ხასიათის თვითმყობად ნიშან-თვისებებს.

ხალხის შესწავლა რომ მომსურვებოდა, მაშინ წავიდოდი მიყრუებულ პროვინციებში, სადაც მცხოვრებლებს ჯერ ისევ ძალუმად აქვთ შენარჩუნებული ბუნებისაგან მომადლებული მიდრეკილებანი. აუჩქარებლად ჩამოვივლიდი და გულდასმით შევისწავლიდი ერთიერთმანეთისაგან დაშორებით მდებარე ზოგიერთ პროვინციას. მათ შორის ყველა ის განსხვავება, რომელთა აღნიშვნასაც კი მოვახერხებდი, წარმოდგენას მომცემდა თითოეული მათგანის ხასიათზე. სხვა ხალხთათვის უცხო ყველა მათი საერთო ნიშან-თვისებანი წარმოაჩენდნენ მათს საერთო ეროვნულ სულს, ხოლო იმ ნიშან-თვისებებს, რომელთა ნახვა და აღნიშვნა ყველგან შეიძლება, ზოგადკაცობრიულ ნიშან-თვისებათ მივაკუთვნებდი. მაგრამ მე არ გამაჩნია მისი განხორციელებისათვის აუცილებელი არც ასეთი ვრცელი გეგმა და არც გამოცდილება. ჩემი მიზანია ადამიანის გამოცნობა, ხოლო ჩემი მეთოდი – ესაა ამ ადამიანის შესწავლა სხვათა მიმართ მისი უაღრესად ნაირფეროვანი ურთიერთობის დროს. აქამომდე ადამიანს მხოლოდ მიმოფანტულ და დაქსაქსულ მცირე საზოგადოებებში ვხედავდი, ახლა კი ხალხმრავალ ადგილებში ვაკვირდები და ამიტომაც შევძლებ მსჯელობას საზოგადოების ნამდვილ ზეგავლენაზე: ვინაიდან უკეთუ უცილობელია ის ამბავი, რომ საზოგადოება სასიკეთოდ მოქმედებს ადამიანებზე, მაშინ რაც უფრო მრავალრიცხოვანია და შემჭიდროებულია იგი, მით უფრო უკეთესნი იქნებიან ადამიანები – და პარიზშიც უფრო სუფთა და სპეტაკი

იქნება ზნე-ხასიათი, ვიდრე ვალეში; ხოლო თუკი პირიქით ვიფიქრებთ, მაშინ საპირისპირო დასკვნის გამოტანა მოგვიხდებოდა.

ვფიქრობ, ეს მეთოდი მართლაცდა მიმიყვანდა ხალხთა შეცნობასთან, ოღონდ ესოდენ გრძელი და მიხვეულ-მოხვეული გზით, რომ მთელი ჩემი დღე და სოფელი არ მეყოფოდა თუნდაც ერთ-ერთი მათგანის დასახასიათებლად. უწინარეს ყოვლისა უნდა შევისწავლო ის მხარე, სადაც პირველად შევდგი ფეხი, მერე სხვა ქვეყანათა თანდათანობით შემოვლით გამოვარკვიო სხვაობანი და შევადარო საფრანგეთი თითოეულ მათგანს. ასე აღწერენ ხეებს: ზეთისხილის ხეს ადარებენ ტირიფს, ანდა პალმას – ნაძვს. ჯერ გადაწყვეტით ვერას ვიტყვი ხალხზე, რომელსაც პირველად გავუსინჯე კბილი, ვიდრე არ შევისწავლი სხვა დანარჩენთა ამბავსაც.

გემუდარები, თვალწარმტაცო მოქადაგევ, ჩემს ფილოსოფიურ მსჯელობათ ნუ გაიგებ მთელი ერისადმი მიმართულ სატირად, თანაც სულაც არ ვსწავლობ სახელდობრ პარიზელებს, არამედ დედაქალაქის უბრალო მკვიდრთ, და მართლაც არ ვიცი – იქნებ ყოველივე ეს, რასაც აქ ვხედავ და განვიცდი, ახასიათებდეს რომსაც, ლონდონსაც, და არა მარტო პარიზს. ზნეობის წესები როდი წარმოიქმნებიან ხალხის ადათ-ჩვეულებათაგან. ამრიგად, მე არ ვაქცევ ყურადღებას გაბატონებულ ცრურწმენათ და მშვენივრად მესმის, თუ რა არის აქ არსებითად ცუდი და უხეირო. მაგრამ იქნებ ეს ცუდი შეუძლებელია მივაწეროთ სწორედ ფრანგებს, შესაძლოა იგი დამახასიათებელია ადამიანისათვის და ზნე-ჩვეულებებით კი არაა წარმოქმნილი, არამედ თვით ბუნებისაგან. ბიწიერების სურათები ყოველგან შეურაცხყოფენ პირუთვნელი მეთვალყურის მზერას, და ის კაცი, ვინაც აძაგებს და განაქიქებს ბიწიერებას იმ მხარეში ყოფნისას, სადაც ამ ბიწიერებას გაუდგამს ფესვი, არა უმეტეს ღირსია გაკიცხვისა, ვიდრე ის, ვინაც ზრახავს და აძაგებს ადამიანურ უილაჯობას და ცხოვრობს კიდეც ადამიანთა შორის. განა თავად მე არ გავხდი პარიზელი? ეგების, თავად მე, ჩემდა უნებურად ხელი შევუწყვე იმ ნაკლოვანებათ, რომლებსაც ვამჩნევ აქ! იქნებ ძალზე ხანგრძლივად ყოფნა შერყვნიდა ჩემს ნებისყოფას. შესაძლოა, რაღაც ერთი წლის შემდეგ თავად გავმხდარიყავი ობივატელი, მაგრამ თავისუფალი ადამიანის სულისკვეთებასა და მოქალაქის ზნეობას დღენიადაგ განმიმტკიცებდა შენს ღირსად გახდომის სურვილი! მაშ ნება დამრთე, გულახდილად აგიწერო ისინი, რომელთა მიბაძვა მე არ ძალმიძდა სირცხვილში ჩაუვარდნელად, ნება მომეცი – აღვფრთოვანდე უსპეტაკესი სიყვარულით სიმართლის მიმართ და მასთან ერთად, პირისპირ ვუჭვრეტდე მლიქვნელობისა და სიცრუის მეუფებას.

მე რომ მქონდეს ჩემი საქმეებისა და ჩემი ბედ-იღბლის არჩევანის უფლება, მერწმუნე, სულ სხვა თემას გამოვნახავდი ჩემი წერილებისთვის. ხომ ვიცი, შენს უკმაყოფილებას როდი იწვევდნენ მეიერიდან და ვალედან გამოგზავნილი ჩემი წერილები, ოღონდ, ძვირფასო მეგობარო, ერთი ნუგეში მაინც მშთენია – ყველაფერი აგიწერო, თორემ აღარ მეყოფა ძალ-ღონე, გავუძლო ამქვეყნიურ ამაოებას, რისთვისაც აქ ვარ განწირული. მარტოოდენ იმის ფიქრი, რომ ყოველივე უნდა მოგითხრო, მაფრთოვანებს თემათა საძიებლად. უკეთუ არაფერსაც არ მოინდომებ ჩემთან ერთად დაინახო, მაშინ კვლავ გამტანჯავს დარდი და უნდა გამოვეთხოვო ყველაფერს. აბა ერთი ესეცა თქვი, ჩემთვის ასეთნაირ უცხო ცხოვრებას რომ ვეწიო, ისეთ ღონესა ვხმარობ, ჩემი მაცოცხლებლის ღირსი რომ იყოს, და უკეთუ ისა გსურს, განსაჯო, რაოდენ ძნელია შენკენ მომავალი გზა, აღიჭურვე მოთმინებით, როცა ზოგჯერ გავაბამ სჯა-ბაასს იმის გამო, თუ რა წესები მივიღოთ მხედველობაში და რომელი დაბრკოლების გადალახვა გვმართებს.

მიუხედავად ჩემი სიზანტისა, მიუხედავად უცილობელი განრიდებისა, უკვე დავამთავრე შრომა შენი წერილების შესაკრებად, როცა, ჩემდა სასიხარულოდ, მის დამატებად მოვიდა შენი ახალი წერილი. წავიკითხე ეს ძუნწი სტრიქონები და

აღმაფრთოვანა შენმა უნარმა, ასე სხარტად რომ გადმოსცემ დიდ ამბავს. დიახ, მე ვადასტურებ – არ არსებობს ქვეყნად უფრორე სანიაზო და მომხიბვლელი საკითხავი რამ, თითქმის მათთვისაც კი, ვინც შენ არ გიცნობს, უკეთუ, რასაკვირველია, ისინი ჩვენი მსგავსნი არიან. როგორ არ განგიცადო შენ ამ შენი წერილების კითხვისას! როგორ მივაწერო სხვა ვინმეს ესოდენ ამაღელვებელი სტილი და ასეთი სათუთი გრძნობები? თითოეულ შენს ფრაზაში ხომ გრძნობ კაცი თვალთა შენთა უნაზეს მზერას? ხოლო ყოველ სიტყვაში გესმის შენი მომხიბლავი ხმის ჟღერა! აბა, ჟიულის გარდა, ოდესმე სხვა ვინმეს ვის უყვარდა, ვინ ფიქრობდა, ლაპარაკობდა, იქცეოდა და წერდა ამგვარად? მაშ, ნუ გაიოცებ, თუ შენი წერილები, სადაც ასე კარგადაა გამოსახული შენი ხატება, ზოგჯერ იმგვარად ზემოქმედებენ შენს მიჯნურზე, თითქოს თვალწინ მისი ღვთაება ედგასო. განმეორებით ვკითხულობ თავიდან ბოლომდე და გონებას ვკარგავ, უნაპირო აღტაცებისაგან თავგზა მებნევა, ყოვლისდამდაგველი სახმილი გულ-ღვიძლს მიღრღნის, სისხლი მემღვრევა და ბობოქრობს, ვძრწი და ვკანკალებ უსაშველო ვნებათ ქარისგან. თითქოს ცხადლივ გხედავ შენ, გეხები ხელით, გულში გიხუტებ... ჩემო სათაყვანო, ჩემო ჯადოქარო, განცხრომათა და სიამეთა დასაბამო, როდესაც გიცქერ, მაგონდება სამოთხის ბინადართათვის შექმნილი ჰურიები... ჰაი-ჰა, მოვედ ჩემდა... წინ ვიშვერ ხელებს, მაგრამ იგი ხელიდან მისხლტება და მარტოოდენ აჩრდილსღა ვიკრავ გულში... მერწმუნე, ჩემო ძვირფასო მეგობარო, მეტისმეტად კარგი ხარ და ნამეტნავი ნაზი იყავი, ჩემმა სუსტმა გულმა ვეღარ გაუძლო. მას არ ძალუძს დაივიწყოს შენი შვენება, შენი ალერსი; შენი ეშხი განშორებაზე უფრო ძლიერია, მარად და ყველგან შენ მეზმანები. თავი უნდა დავაღწიო განმარტოებას, ვეღარა ვბედავ შენზე ოცნებას და ეს ბოლოს უღებს ჩემს ტანჯვას...

მაშ ასე, ისინი შეუღლდებიან ყველა დაბრკოლებათა ჯიბრზე, უფრო სწორად, უკვე შეუღლდნენ იმ წუთას, როცა ამ წერილსა ვწერ! საყვარელი და ღირსეული მეუღლენი! და მომადლოსცა ზენამ მათ ის სვესვიანობა, რაისიც ღირსია მათი გონივრული და მშვიდი სიყვარული, მათი ზნეობრივი სისპეტაკე, სულთა მათთა სიქველე და კეთილშობილება! და მოიღოსცა მათზე ფასდაუდებელი ბედნიერება, რასაც ასე ხელმოჭერილად მოუბოძებენ ადამიანთ, რომლებიც იმისათვის არიან შექმნილნი, რათა დატკბენ და გაიხარონ ამ ბედნიერებით! როგორ ინეტარებენ ისინი, უკეთუ ზენაარსი მიანიჭებს მათ ყოველივე იმას, რასაც – ვაგლახ! – წაგვართმევს მე და შენ! თუმცა ნეტავი თუ გრძნობ ამ ჩვენს უსაშველო მწუხარების ჟამს ოდნავ ნუგეშს მაინც? გრძნობ თუ არა, რომ ჩვენს გაუქარვებელ მჭმუნვარებას თან ახლავს შვება და სიხარული, – და თუკი ჩვენი მეგობრები განიცდიან განცხრომას, რასაც ჩვენ მოკლებულნი ვართ, მაშინ ჩვენა გვაქვს მათთვის იდუმალი ჩვენ-ჩვენი სიამენი. დიახ, ჩემო სულო და გულო, განშორების, ნაკლოვანების, მღელვარებისა და თვით სასოწარკვეთის მიუხედავად ორი მიჯნურის ყოვლისმძლევარი ლტოლვილება მოგვიტანს იდუმალ სიხარულს, რაც მიუწვდომელია უშფოთველ სულთათვის, სიხარული ტანჯვით მოიპოვების – აი, ესაა სიყვარულის ერთ-ერთი საკვირველება, და ჩვენ საშინელ უბედურებად მივიჩნევდით, უკეთუ გულქვაობა და დავიწყება აღგვიკვეთდა უნარს გვეგრძნო ჩვენი მწუხარება. მაშ, ვემდუროდეთ ჩვენს ხვედრს, ოი ჟიული, ოღონდ ნურავის ბედი ნუ შეგვშურდება, ხოლო კაცმა რომ სიმართლე თქვას, იქნებ არც არავის გააჩნია ჩვენზე უკეთესი ხვედრი! და როგორც ღვთაება ჰპოვებს ბედნიერებას თავის თავში, ასევე ზეციური ცეცხლით გამთბარი გულებიც თავიანთ გრძნობებში პოულობენ წმიდა და მომხიბვლელ სიტკბოებას, რაც არ ექვემდებარება არც წარმატებას და არც სხვა რაიმეს.

XVII წერილი

ჟიულისადმი

მაშ ასე, დიდ გაწამაწიაში ვიმყოფები. წერილთა კრებული დავამთავრე და სპექტაკლებსა და ვახშმად წვეულებებზე ვიწყე სიარული. დღე-ცისმარადის საზოგადოებაში ვტრიალებ, ყველაფერს ვუთვალთვალებ და ვაკვირდები, რაც მანცვიფრებს, ოღონდ, როცა აქ ისეთს ვერაფერს ვპოულობ, რაც შენი მსგავსი იქნებოდა, მთელი ამ არარაობის შორის საკუთარ თავში ვიძირები და იდუმალ ვესაუბრები ჩემს ჟიულის. ესეც კია, აქაურ აფორიაქებულ და უწესრიგო ცხოვრებას თან ახლავს გარკვეული სიმშვენიერე, ხოლო შთაბეჭდილებათა გასაოცარ ნაირფეროვნებას შეუძლია ცოცხალ ადამიანს ზოგჯერ მიანიჭოს შვება და ლხენა. ოღონდ ამისათვის უნდა იყოს უგულო და ფუქსავატი – სიყვარული და გონება თითქოსდა გაერთიანდნენ, რათა აღმიძრან მაღალი საზოგადოების ცხოვრებისადმი ზიზღი. იგი მარტოოდენ გარეგნული, მოსაჩვენარი სახეა, მასში ყველაფერი განუწყვეტლივ იცვლება, ამიტომაც ვერ ვასწრებ რაიმეს გამო ავღელდე ანდა რაიმეს ჩავწვდე.

ახლა უკვე ვხვდები, რამდენად ძნელია მაღალი საზოგადოების შესწავლა და არც კი ვიცი, რა მდგომარეობა უნდა მეჭიროს მის უკეთ გასაცნობად. ფილოსოფოსი ძალზე შორსა დგას მისგან, მაღალი წრის ადამიანი – მეტისმეტად ახლოს. ერთ-ერთი მათგანი მეტისმეტად ბევრსა ხედავს, რათა, ამასთან ერთად, კვლავ იფიქროს და იმსჯელოს, მეორე – ნამეტნავად ცოტას, რათა შეეძლოს მსჯელობა მთელ სურათზე მთლიანად. ფილოსოფოსი ცალ-ცალკე განიხილავს თითოეულ საგანს, რომელმაც მისი ყურადღება მიიქცია; და როცა არ გააჩნია თავისი მხედველობის არეში მოუქცეველ სხვა საგნებთან ამ საგნის არც კავშირისა და არც ურთიერთობის მიხვედრის საშუალება, ფილოსოფოსი ვერასოდეს ვერ დაინახავს საგანს მართებულ ადგილას და ვერ ჩასწვდება ვერც მის აზრს და ვერც ნამდვილ მნიშვნელობას. მაღალი წრის ადამიანი კი ყველაფერს ხედავს, მაგრამ ფიქრისთვის არა სცხელა. საგნები მუდამჟამს იცვლებიან და ისიც მხოლოდ ამჩნევს მათ და არ კი განიხილავს; ისინი გამალებით ეფარებიან ერთმანეთს და მათგან მხოლოდ ბუნდოვანი შთაბეჭდილება – რაღაც ქაოსი რჩება.

შეუძლებელია აგრეთვე დანახვა და მსჯელობა მონაცვლეობით, რადგანაც სანახაობა მოითხოვს მუდმივ ყურადღებას, ხოლო მას ჰკვეთს მსჯელობა. თუკი ვინმე განიზრახავდა ხან მაღალ საზოგადოებაში ყოფნას, ხან განმარტოებას, მაშინ დღენიადაგ არ მოასვენებდნენ მის თავშესაფარში, ხოლო მაღალ საზოგადოებაში თავის თავს განკერძოებულად იგრძნობდა – ვერც აქ, ვერც იქ ვერ იპოვიდა ჯეროვან ადგილს. და მაშინ – სხვა გასაქანი არ არის – მოუხდებოდა მთელი თავისი ცხოვრების ორად გაყოფა; დრო-ჟამის ერთ ნაწილს მოახმარდა თვალყურის დევნებას, მეორეს – ფიქრსა და ოცნებას, ოღონდ ეს თითქმის შეუძლებელიცაა, რადგან გონება როდია ავეჯი, რომელსაც, როგორც მოგეპრიანება, ისე შეუცვლი ადგილს, და ის, ვინც შეძლებს ათ წელიწადს უფიქრელად ცხოვრებას, კვლავ აღარ მოჰყვება ფიქრსა და მსჯელობას.

მე იმასაც კი ვფიქრობ, რა უგუნურება იქნება, კაცს საზოგადოების შესწავლა გსურდეს და უბრალო მაყურებლის როლს კი ასრულებდე-მეთქი. ის, ვინაც მხოლოდ მეთვალყურეობას იჩემებს, ვერავითარ დაკვირვებას ვერ მოახდენს, რადგან საქმისთვის იგი გამოუსადეგარია, შვება-ლხენის ჟამს ხელის შემშლელია, და მას არსად არ მიიღებენ. სხვათა მოქმედებას მხოლოდ მაშინ დაინახავ, როცა თავადვე მოქმედებ, – მაღალი საზოგადოების სკოლაში, ისე როგორც სიყვარულის სკოლაში, ჯერ ის უნდა განიცადო, რის გაგებაცა გსურს.

ოღონდ რა გადაწყვეტილება უნდა მივიღო მე, უცხოქვეყნელმა, ვისაც არა ესაქმება რა ამ მხარეში, – თვით რჯულის სხვადასხვაობაც ხომ ხელს მიშლის რაიმე მიზნის

მიღწევაში! მშთენია მარტოოდენ ერთი რამ – არაფრით გამოვიჩინო თავი, დაკვირვებაში ხელი რომ არ შემეშალოს. არ უნდა ვიმედოვნებდე აქ საქმიან კაცად გახდომას და შეძლებისამებრ, ვეცადო სახელი გავითქვა, როგორც ფრიად ამო მოუბარმა. რამდენადაც ეს შესაძლებელია, ვცდილობ ვიყო ზრდილი და ერთგული, თავაზიანი პირმოთნეობის უმისოდ და იმდენად შევითვისო საზოგადოებისაგან ყოველივე კარგი, რომ მან გამიძლოს და ამიტანოს, თუმცა სულაც არ ვღებულობ მათ ბიწიერებას. მოცლილმა ადამიანმა, რომელსაც სურს მაღალი საზოგადოების დანახვა, ცოტ-ცოტათი მაინც უნდა შეითვისოს მისი ადათ-წესები, – მას უფლება არა აქვს მოითხოვოს, რათა ღებულობდნენ ადამიანები, რომელთაც არაფერში არგია, უკეთუ არ გააჩნია ოსტატობა – თავი მოაწონოს სხვებს. მაგრამ თუ დაეუფლა ამ ოსტატობას, მაშინ მეტიც აღარ მოეთხოვება, მეტადრე, თუკი უცხოელია. ის თავს დააღწევს მზაკვრობაში, ქვებუდანობასა და ქიშპობაში მონაწილეობას; და უკეთუ ყველას მიმართ ნამუსიანად იქცევა, თუ რომელიმე ქალს უყურადღებოდ, ანდა პირიქით, განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობა, თუკი დაიცავს იმ წრის საიდუმლოს, სადაც მიღებულია თავად, ერთ ოჯახში აბუჩად არ აიგდებს მეორე ოჯახს, გაურბის საიდუმლო საუბრებს, არ ჭირვეულობს და ყველგან ღირსეულად უჭირავს თავი, – მაშინ შეუძლია დამშვიდებით შეისწავლოს მაღალი საზოგადოება, შეინარჩუნოს თავისი ზნეობრივი პატივი, ღირსება, თითქმის გულახდილობაც, თუკი ის წარმოიქმნება მხოლოდ თავისთავადობით და არა ცრურწმენისაგან. აი, სწორედ ასე ვეცადე დამეჭირა თავი იმ გამოცდილ ადამიანთა რჩევა-დარიგებით, ჩემს მოძღვრებად რომ ავირჩიე მათ შორის, რომლებიც გამაცნო მილორდ ედუარდმა. ამრიგად, იწყეს ჩემი მიღება არც იმდენად მრავალრიცხოვან, მაგრამ სამაგიეროდ რჩეულ საზოგადოებაში. დღემდის მხოლოდ სადილებს ვესწრებოდი, სადაც დიასახლისს გარდა ქალებს ვერ იხილავ, სადაც ღებულობენ ყველა უსაქმო პარიზელს, თუნდაც არც ისე ნაცნობს, სადაც თითოეული სადილისათვის იხდის იმას, რაც შეუძლია – ან ენამახვილობით, ანდა მლიქვნელობით, – სადაც ყაყანი და უთავბოლო ლაპარაკი ოდნავ თუ განსხვავდება ფუნდუკის მეინახეთა ლაყბობისაგან.

ამჟამად გამანდეს უფრო ფარული საიდუმლოებანი. ვესწრები საღამო-წვეულებებს ოჯახებში, სადაც არ იღებენ დაუპატიჟებელ სტუმრებს და ადამიანი დარწმუნებული ხარ, რომ აქ ყველაფერი შესაფერისია თუ არა ერთმანეთისთვის, იმათთვის მაინც, ვინაც მათ ღებულობს. აქ ქალები არც ისე წინდახედულად იქცევიან და შეიძლება შევუდგეთ მათ შესწავლას; აქ თამამად ავყიაობენ უფრო მახვილგონივრულად და გესლიანად; აქ როდი მსჯელობენ ჯერ კიდევ დილით მომხდარ ამბებზე, – როდი ახსენებენ თეატრალურ წარმოდგენებს, ჩინების მინიჭებას, სიკვდილს, ქორწინებებს, არამედ მიმოიხილავენ პარიზში მომხდარ შემთხვევებს, ააშკარავებენ სასკანდალო ქრონიკის საიდუმლოებებს, სასაცილოდ იგდებენ და ამასხარავებენ კეთილსა და ბოროტს; აქ თითოეული თანამოსაუბრე ოსტატურად და საქმის განსაკუთრებული ცოდნით ასურათხატებს სხვათა ზნე-ხასიათსა და მასთან ერთად უნებლიეთ თავის საკუთარ ხასიათსაც წარმოაჩენს. აქ, ლაქიებს რომ თავგზა აუბნიონ და გულიც საგულესა ჰქონდეთ, გამოიგონეს რაღაც გართულებული, ლაქიათა გასაგონი ენა, – და თითქოს დაცინვის აზრის გაბუნდოვანება სწადიათო, კიდევ უფრო გესლიანს ხდიან მას. ერთი სიტყვით, აქ გულდასმით ლესავენ ხანჯალს იმ საბაბით, თითქოს ეს ტკივილს ანელებსო, სინამდვილეში კი ამას იმიტომ სჩადიან, რომ უფრო ღრმად ჩასცენ იგი გულში ადამიანს.

და მაინც, ასეთი სიტყვების შეფასებისას, ჩვენ შევცდებოდით, უკეთუ მათ ვუწოდებდით სატირას, რადგან ეს სიტყვები მასხრად იგდებენ და არცკი ამათრახებენ, თავს ესხმიან ბიწიერებას კი არა, არამედ სასაცილოს. საერთოდ, სატირას ვერ აფასებენ დედაქალაქში, სადაც ბოროტება ესოდენ ჩვეულებრივი რამაა, რომ მასზე ლაპარაკიც აღარა

ღირს. მაშ, რაიღა დარჩა გასაქირდავი იქ, სადაც სათნოებას სულაც აღარ სცემენ პატივს? რაიღა დარჩა დასაგმობი, როცა უკვე ვეღარაფერში ვეღარ ხედავ ცუდს? მეტადრე ეს ეხება პარიზს, სადაც ყოველ მოვლენას აფასებენ მხოლოდ სასაცილო მხრიდან, ხოლო ყოველივეს, რაც გამოხატავს მრისხანებასა და გულისწყრომას, მიიჩნევენ ცუდად, თუკი არაა გარდათქმული ლექსად ან ეპიგრამად. ეშხიან მანდილოსნებს არა სიამოვნებთ გაბრაზება, ამიტომაც მათ არაფერიც არ აბრაზებთ; მათ უყვართ ვისმეს სასაცილოდ აგდება, ხოლო დანაშაულის გამასხარავება არ შეიძლება, ამიტომაც ყალთაბანდები, ყველას მსგავსად, წესიერი ადამიანები არიან. მაგრამ ვაი მას, ვინც დაცინვის საბაბს იძლევა, – წარუშლელია მისი გესლიანი დაღი. იგი ჰკიცხავს და აძაგებს არა მარტო ზნე-ხასიათსა და სათნოებას, არამედ გმობს თვით ბიწიერებასაც; იგი მზადაა არამზადებსაც კი დასწამოს ცილი. მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს საღამო-წვეულებებს.

ყველაზე მეტად კი აი, რამ გამაოცა ამ რჩეულ საზოგადოებაში: ვთქვათ, შეარჩევენ აქ ექვსიოდე კაცს განგებ იმისათვის, რათა მისცენ საშუალება, სასიამოვნო საუბარში გაატარონ ერთად დრო, მით უმეტეს, რომ ზოგიერთ მათგანს შორის არსებობს იდუმალი კავშირი, – მაგრამ მათ ერთ საათსაც არ შეუძლიათ მარტო ექვსნი დარჩნენ ერთად და აუცილებლად ჩააბამენ საუბარში ნახევარ პარიზს, თითქოსდა მათ გულებს არაფერი აქვთ ერთმანეთის გასაზიარებელი და თითქოს აქ არავინ იყოს მათი სასურველი. გახსოვს თუ არა, ჩემო ჟიული, საღამოობით, ვახშმობის ჟამს შენს დაიკოსთან ანდა შენს სახლში მიუხედავად იმისა, რომ თავი უნდა შეგვეკავებინა და საიდუმლო დაგვეცვა, როგორ ვლაპარაკობდით იმ საგნებზე, ჩვენ რომ შეგვეხებოდა და სულის აღმძვრელი ყოველი მსჯელობისას, ყოველი ქარაგმული სიტყვის წარმოთქმის დროს როგორ გულიდან გულთან მიჰქონდა სასიამო გრძნობა ელვაზე უფრო კაშკაშა მზერას ანდა უმალ გამოცნობილ, ვიდრე შესამჩნევ ოხვრას?

თუკი აქ შემთხვევით ლაპარაკი სტუმრებს შეეხო, მაშინ ჩვეულებრივ რომელიღაც მაღალი წრის ჟარგონზე გააბამენ მასლაათს, რომლის გასაგებადაც გასაღებია საჭირო. ამ პირობით ენაზე მოჰყვებიან ლაყაფსა და წარმოთქვამენ მოდაში შემოსულ უამრავ უკბილო ხუმრობას, მასთან, მახვილგონიერებით მხოლოდღა მოჩერჩეტო პირები ბრწყინავენ, ხოლო მთელი საზოგადოების მესამედი, რომელმაც არც კი უწყის, თუ რა ხდება მის გარშემო, მოწყენილია და დუმს, ანდა იცინის იმის გამო, რისიც არა გაეგება რა. აი, როგორია სათუთი და გულითადი ურთიერთდამოკიდებულება ადამიანთა შორის ამ მიდამოებში, – თუ გამოვრიცხავთ მარტოეულ საუბრებს, რომელთა ჩატარება არ მომიხდება არასოდეს.

ოღონდ თუ უეცრად რომელიმე დიდებული გამოთქვამს სერიოზულ აზრს ანდა შეეხება დიდმნიშვნელოვან საკითხს, ამ ახალ საგანს წამსვე მიეპყრობა საყოველთაო ყურადღება: მამაკაცები და ქალები, მოხუცები და ახალგაზრდები – ყველანი იხილავენ მას ყოველმხრივ, და პირდაპირ გაოცებს კაცს, რაოდენი გონივრული და საღი აზრი მოქრის სეტყვასავით ყველა ამ ტაკიმასხარათა პირიდან.[50] ზნეობის საკითხებს ისე ზედმიწევნით როდი განიხილავენ ფილოსოფოსთა წრეში, როგორც ტურფა პარიზელი ქალის სალონში, – თვით ფილოსოფოსის დასკვნები არც ესოდენ მკაცრია, რადგანაც მას სურს, რათა მისი სიტყვა და საქმე ერთი იყოს და წონის თითოეულ სიტყვას. აქ კი, სადაც ზნეობის გამო

[50] მაგრამ მანამდე, ვიდრე რომელიმე მოულოდნელი ხუმრობა არ დაარღვევს ამ სიდარბაისლეს, – აქ კი ყველა ცდილობს ერთმანეთის ჯობნას, – წამსვე იცვლება ყველაფერი და ვერავითარი ძალა ვეღარ აღადგენს სერიოზულ საუბარს. მაგონდება სასაცილო შემთხვევა – თუ როგორ ჩაიშალა ბაზრობაზე წარმოდგენა ბლითით სავსე პარკის გამო. თავიანთ როლებს მოცდენილი ეს მსახიობები ცხოველები იყვნენ. მაგრამ აბა რამდენი ასეთი «ბლითი» არსებობს ადამიანთა დიდი უმრავლესობისათვის! ცნობილია, თუ ვინ გამოიყვანა ფონტენელმა ტირინფელთა სახით.

ლაპარაკი მარტოოდენ მტკნარი ლაყაფია, ძალგიძს იყო მკაცრი, ოღონდ ამას არავითარი ცუდი შედეგი არ მოჰყვება და ფილოსოფოსებს ქედმაღლობა რომ მოაშლევინონ, ყველანი სიამოვნებით განადიდებენ სათნოებას იმ ზომამდე, რომ ვერც ერთი ბრძენი ხელს ვერ შეუწვდენს მას. თუმცაღა ყველანი – მამაკაცებიცა და ქალებიც – მაღალი საზოგადოების ცხოვრების გამოცდილებითა და საკუთარი სინდისის შეგონებით გაბრძნობილნი თავიანთ მსგავსთა გამო ერთი და იმავე შეხედულებისა არიან, რაც არცთუ ისე სასიქადულო ამბავია: ისინი დღენიადაგ ამჟღავნებენ ფილოსოფიურ სევდას, პატივმოყვარეობის გამო მარად ამცირებენ კაცთა ბუნებას, მუდამ ცდილობენ კეთილ საქმეთა შორის გამონახონ ბიწიერი ზრახვანი, თავ-თავიანთი გულის მიხედვით მარადჟამს კილავენ კაცთა გულებს.

ამ დამამცირებელი სისტემის მიუხედავად აქ გრძნობა მშვიდობიან საუბართა ერთ-ერთი ამოჩენებული საგანია, მაგრამ ლაპარაკი სიყვარულისა ანდა მეგობრობის წიაღში გულისნადების მგზნებარედ გადაშლას კი არ ეხება – აბა რასა ბრძანებთ, ეს უსაშველოდ მოსაწყენი ამბები იქნებოდა! არა, აქ ლაპარაკია დიად განზოგადოებათა გამო, მეტაფიზიკის მეოხებით დაწვრილებით შეჯერებულ გრძნობათა არსის გამო. ჩემს დღეში, მერწმუნე, არ მომისმენია ესოდენ ბევრი საუბარი გრძნობის გამო და არც ასე ცოტა რამ გამიგია მათზე. რა მიუწვდომელი სინატიფეა! ოი, ჟიული, ჩვენი ტლანქი გულები ვერასოდეს გაიგებდნენ ამ მშვენიერ იდეათა ამბებს და მეშინია, ვაითუ მაღალი წრის ადამიანთა გრძნობაც ისეთსავე ბედში იმყოფება, როგორც ჰომეროსია მოქცეული იმ პედანტთა წრეში, რომლებიც მიაწერენ მას აურაცხელ გამოგონილ მშვენიერებას, ვინაიდან ნამდვილს ვერც კი ამჩნევენ. ამრიგად, მახვილგონივრულ სჯა-ბაასში აქსოვენ მთელ თავიანთ გრძნობას; იგი ქრება საუბრების ჟამს და ხელში უკვე აღარაფერი რჩებათ. საბედნიეროდ, აქ გრძნობათა ნაკლებობას ანაზღაურებენ კეთილწესიერებით და თავაზიანობაც თითქმის იმასვე კარნახობს, რასაც უკარნახებდა კიდეც გრძნობა, – რასაკვირველია, ზრდილობიან აღთქმათა და წვრილმანი ხელშეწყობის ფარგლებში, რაც ადამიანებს ქველ-კეთილი სახელის გამო თავიანთ მოვალეობად მიაჩნიათ, – ვინაიდან, როცა საჭირო ხდება უფრო დიდი და საძნელო მსხვერპლის გაღება, როცა მსხვერპლი უფრო ძვირი ჯდება, – მაშინ მშვიდობით, გრძნობავ! კეთილწესიერება ესოდენ ბევრს როდი მოითხოვს, თანაც საერთოდ ვერ მიხვდები, ყოველივე ის, რასაც ისინი «ზრდილობას» უწოდებენ, რამდენად მოფიქრებულია, განზომილი და აწონ-დაწონილი. იმ სფეროში, რომელსაც უკვე გრძნობებით აღარ მართავენ, დადგენილია წესები და ყველანი წესების მიხედვით ცხოვრობენ კიდეც. წამბაძველობის ამ მხარეს კიდევაც რომ მოვლენოდნენ ნიჭიერი ადამიანები, ეს ამბავი არავის ეცოდინებოდა, ვინაიდან აქ ვერავინ ბედავს თავისთავად ყოფნას. «მოიქეცი ისე, როგორც ყველა იქცევა», – აი, აქაური ცხოვრების სიბრძნის პირველი წესი. «ასეა მიღებული, ასე კი არაა მიღებული», – ასეთი მსჯელობანი უცილობელია.

ზრდილობის წესთა ასეთი გარეგნული დაცვა საყოველდღეო ურთიერთდამოკიდებულებას ფრიად სასაცილო დარბაისლურობის ხასიათს ანიჭებს თვით უსერიოზულესი ვითარების ჟამსაც კი. ზედმიწევნითაა ცნობილი, როდისაა საჭირო ავადმყოფის მოკითხვა, როდის უნდა დავადასტუროთ ჩვენი პატივისცემა წერილობით, ესე იგი, მივიდეთ სადარბაზოდ დაუსწრებლად ანდა როდის ვეწვიოთ პირადად; როდისაა ნებადართული შინ დარჩენა ანდა როდისღა არ უნდა აღმოჩნდე შინ, თუმცა კი შინ იმყოფები; რა წინადადება უნდა წამოაყენოს ერთმა; რომელი წინადადება უარყოს მეორემ; რაგვარი მწუხარება უნდა განიცადოთ, როცა გარდაიცვლება ესა თუ ის პიროვნება;[51]

[51] მწუხარება იმის გამო, ვიღაც გარდაიცვალაო, ამჟღავნებს ადამიანურობას, მოწმობს თანდაყოლილ გულკეთილობას, ოღონდ სრულიადაც არაა სიქველის მოვალეობა, თუნდაც ეს ვიღაც მამაშენიც კი იყოს.

რამდენ ხანს უნდა დასტიროდე მიცვალებულს, სოფელში განმარტოებული; რამდენი დღის შემდეგ შეიძლება ქალაქს დაბრუნება გულის გადასაყოლებლად; რომელი საათიდან ან რომელი წუთიდან დაგრთავს ნებას მწუხარება, მოაწყოთ მეჯლისი ანდა წაბრძანდეთ თეატრში: აქ ყველანი ერთნაირად იქცევიან თანაბარი ვითარების ჟამს, ყველაფერი ნავარაუდევია დროის მიხედვით, როგორც პოლკთა სვლა ბრძოლის ველზე; გეგონებათ, ესენი ერთ ფიცარზე მიჭედებული ანდა ერთ ზონარზე ასხმული მოძრავი თოჯინები არიანო.

ოღონდაც წარმოუდგენელი ამბავია, რომ ყველა ეს ადამიანი, ზედმიწევნით ზუსტად რომ ასრულებს ერთსა და იმავეს, ერთნაირად გრძნობდეს ყოველივეს, – მაშასადამე, მათ გასაცნობად საჭიროა რაღაც სხვა გზით ჩასწვდე მათ სულს; მაშასადამე, მათი პირობითი ენა მარტოოდენ სიტყვების ცარიელი რახარუხია, რაც არც ისე გამოდგება, როცა ვმსჯელობთ ზნეობის, როგორც პარიზში გამეფებული ტონის გამო. ამრიგად მიხვდები, რასაც აქ ლაპარაკობენ, ოღონდ არაფერი შეგიწყობს ხელს ღირსეულად შეაფასო ეს სიტყვები. ეს ეხება ახალ თხზულებათა დიდ ნაწილსაც. ეს ეხება თვით თეატრის სცენარსაც – მოლიერის შემდეგ ის იქცა ადგილად, სადაც უმთავრესად ტარდება საუცხოო საუბრები, ხოლო საზოგადოების ცხოვრებას აქ არავინ წარმოადგენს. აქ არის სამი თეატრი, მასთან ორ მათგანში უჩვენებენ რაღაც უცნაურ არსებებს, სახელდობრ: ჯამბაზებს, ტაკიმასხარებს, სკარამუშებს – ერთგან, და ღმერთებს, ეშმაკებს, ჯადოსნებს – მეორეგან; ხოლო მესამეში წარმოადგენენ უკვდავ პიესებსაც, რომლებსაც ასეთი სიამოვნებით ვკითხულობდით ჩვენ, და უფრო თანამედროვე პიესებსაც, ჟამიდანჟამზე რომ გამოჩნდებოდნენ ჩვენს სცენაზე. ეს პიესები უმთავრესად ტრაგედიებია, მაგრამ ნაკლებად აღელვებენ კაცის გულს. იქნებ აქ ზოგჯერ გამოსჭვივის კიდეც გრძნობათა სისადავე და უბრალოება და ისინი მართლად გადმოსცემენ ადამიანის გულისთქმასა და წადილს, მაგრამ ვერ იძლევიან წარმოდგენას იმ ხალხის თვითმყოფად ადათ-წესებზე, რომელსაც ართობენ და მოალხენენ.

ტრაგედიის წარმოშობას, მის მოთავეთა აზრით, ჰქონდა რელიგიური საფუძველი, – ამის მეოხებით იგი ნებადართულ იქნა. გარდა ამისა, ბერძნებისათვის ტრაგედია გახლდათ ჭკუის სასწავლებელიც და სასიამოვნო სანახაობაც, რაც მკაფიოდ ასახავდა განსაცდელთა სურათს, მათ მტრებს – სპარსელებს რომ დაატყდათ თავს, მეფეთა ბოროტმოქმედებებისა და თვითნებობის სურათს, ხალხი რომ გადაურჩა. დაე, წარმოადგინონ ბერნში, ციურიხსა და ჰააგაში პიესები ავსტრიის სამეფო კარის ტირანიაზე: სამშობლოსა და თავისუფლების სიყვარული გულში ამ პირებისადმი ინტერესს აღგვიძრავს; ოღონდ ეს მითხარით, აბა რა მოსატანია აქ კორნელის ტრაგედიები და რა ესაქმებათ პარიზელებს პომპეუსსა ანდა სერტორიუსთან! ბერძნულ ტრაგედიებში ასახულია ნამდვილ ამბებსა ანდა მაყურებელთა მიერ ჭეშმარიტად მიჩნეულ და ისტორიულ მონაცემებზე დაფუძნებული შემთხვევები. დიდებულთა გულს ძნელად თუ შესძრავს გმირული და სპეტაკი ცეცხლი! ისინი სცენიდან მოისმენენ, რომ სიყვარულისა და სათნოების ბრძოლა არ მისცემს მათ მოსვენებას და გული დიდ როლს ასრულებს მეფეთა ქორწინებაში! შენვე განსაჯე ასეთ მოჩმახულ აბდაუბდაზე აგებულ პიესათა დამაჯერებლობა და სარგებლობა.

რაც შეეხება კომედიას, აქ ცხადია, მან სწორად უნდა წარმოადგინოს ადათ-წესები ხალხისა, ვისთვისაცაა დაწერილი, რათა ამ წარმოდგენის ნახვით განთავისუფლდეს ბიწიერებისაგან და მანკისაგან, – ასე, მაგალითად, სარკეში ჩახედვისას პირისახიდან ჩამოვიხოცავთ რაიმე ლაქას. ტერენციუსი და პლავტუსი ცდებოდნენ ასასახავი საგნის

უკეთუ სულაც არ წუხხარ სულით, მაშინ არ უნდა მოაჩვენო ხალხს თავი მწუხარედ, რადგან ყველაზე მნიშვნელოვანია თავი დააღწიო თვალთმაქცობას, ვიდრე დაემორჩილო მართებულობის წესებს.

შერჩევისას, მაგრამ უფრო ადრინდელ ხანაში არისტოფანემა და მენანდრემ ათენელთ უჩვენეს ათენური ადათ-წესები; და მას შემდეგ მხოლოდ მოლიერმა ასახა თავის კომედიებში უაღრესი სიმართლით გასული საუკუნის ფრანგთა ზნე-ჩვეულებანი ისე, რომ მათ თვალნათლივ დაინახეს თავიანთი თავი. ამჟამად სურათი შეიცვალა, მაგრამ ახალი მხატვარი არ აღმოჩნდა. ახლა თეატრებში ჰბაძავენ ასობით პარიზულ სასტუმრო დარბაზებში გამართულ საუბრებს. აი ყოველივე ის, რის გაგებაც შეიძლება ფრანგულ ზნე-ჩვეულებათა გამო. ეს დიდი ქალაქი ხუთასი-ექვსასი ათასი სულისგან შედგება, რომელთა გამო კრინტიც არ დაძრულა სცენაზე. მოლიერმა გაბედა დაეხატა მეშჩანები და ხელოსნები მარკიზებთან ერთად. სოკრატემ აალაპარაკა მეეტლები, დურგლები, მეჩექმენი, კალატოზები. ახლანდელი მთხზველები კი, სულ სხვა ყაიდის ადამიანები, თავიანთ დამამცირებლად მიიჩნევდნენ იმის ცოდნას, თუ როგორ მიმდინარეობს ცხოვრება დუქანში ანდა სახელოსნოში. მათ სჭირდებათ დიალოგები მხოლოდ წარჩინებულთა შორის, და თავიანთ პერსონაჟთა წოდებაში ისინი ფიქრობენ მოიპოვონ ის სიდიადე, რასაც ვერ მიაღწევენ თავიანთი ნიჭიერებით. და თავად მაყურებლებიც იმდენად რიგიანები გახდნენ, რომ შეეშინდებოდათ კიდეც, თეატრში წასვლით სახელი არ გაგვიტყდესო, როგორც სტუმრობისას შეუფერებელი შეხვედრის გამო, – და არც კი ისურვებდნენ სცენაზე დაენახათ თავიანთზე ნაკლები შეძლების მქონე ადამიანები. მათ მთელი ქვეყნიერების ერთადერთ მკვიდრებად მიაჩნიათ თავი, დანარჩენები კი სათვალავშიც კი არ არიან ჩასაგდები. ვისაც აქვს კარეტა, ჰყავს შვეიცარი და მეტრდოტელი, მას ყველაფერი შეშვენის; ხოლო ვისაც ყველაფერი შეშვენის, მისთვის ბევრი რამ შეუფერებელია. ის, ვინც ფეხით დაიარება, აღარ ეკუთვნის მაღალ საზოგადოებას. ის უაზნოა, სულ სხვა სამყაროს ბინადარია; ხოლო კარეტა, კაცმა რომ თქვას, არც ისე აუცილებელია სამგზავროდ, მაგრამ უმისოდ შეუძლებელია არსებობა. ამრიგად, არიან ერთი მუჭა თავხედი ადამიანები, რომელთაც წარმოუდგენიათ, თითქოს მარტოოდენ ისინი არსებობენ ამქვეყნად. არც კი ღირდა მათთვის ანგარიშის გაწევა, ამდენი უკეთურება რომ არა ჰქონდეთ ჩადენილი, და სწორედ მარტო მათთვის დგამენ სპექტაკლებს. თეატრში ისინი ერთსა და იმავე დროს წარმოდგენილნიც არიან და თვითონაც წარმოადგენენ, მათ ხედავ ორმაგ როლში: ისინი სცენის პერსონაჟებიც არიან და სავარძლებში მოკალათებული კომედიანტებიც. აი, ამიტომაცაა ვიწრო მაღალი წრის ადამიანთა და მთხზველთა წრე, აი, რატომ ახასიათებს თანამედროვე სცენას მოსაწყენი და მეტისმეტად აუტანელი სიდარბაისლე. წარმოადგენენ მხოლოდ და მხოლოდ ოქრომკედით მოქარგულსამოსიან დიდებულებს, – სხვათა ჩვენებას გადაეჩვივნენ. შესაძლოა, კაცმა ისიც იფიქროს, საფრანგეთი მარტოოდენ გრაფებითა და აზნაურებითაა დასახლებულიო. რაც უფრო ცუდად და ვაინაჩრობით ცხოვრობს ხალხი, მით უფრო ბრწყინვალებითა და ჩინებულებითაა ასახული ხალხის ცხოვრების სურათები. და აი, წოდებათა სასაცილო ნაირთვისების წარმოჩენით, რაც სამაგალითოა დანარჩენთათვის, უმალ ავრცელებ და განამრავლებ ამ ნიშან-თვისებებს იმის მაგივრად – ცდილობდე მათ გამოსწორებას, და ბრბოც, რომელიც მდიდართა მიბაძულობით დღენიადაგ მაიმუნობს, თეატრში იმის გამო კი არ დაიარება, რაიმე ისწავლოს და შეიმეცნოს, არამედ უფრო მეტად გამოყეყეჩდეს. ესაა მოლიერის დანაშაულიც: სასახლის დიდკაცობის ზნე-ჩვეულებათა გამოსწორებისას მან სენი ქალაქის მცხოვრებთაც გადასდო, და მისი პრანჭია მარკიზები საუკეთესო ნიმუშები გახდნენ მეშჩანთა წრიდან გამოსულ პეწენიკთათვის, რომელთაც ხელი მიჰყვეს მათს მიმბაძველობას.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ფრანგულ სცენაზე ბევრი სიტყვა იფრქვევა, ხოლო მოქმედება ძალზე ნაკლებია. ეს ეგებ იმიტომაც ხდება, რომ ფრანგები მართლაც ბევრს ლაპარაკობენ, ვიდრე მოქმედებენ, ანდა მაინცდამაინც გაცილებით უფრო აფასებენ სიტყვას, ვიდრე საქმეს. ტირან დიონისის გამო წარმოდგენილი პიესის შემდეგ ვიღაცამ

წარმოთქვა: «ვერაფერიც ვერ დავინახე, სამაგიეროდ სიტყვები კი მრავლად მოვისმინეო!» ასე შეიძლება, თეატრიდან გამოსვლისას ილაპარაკო ყოველ ფრანგულ პიესაზე, და თავად რასინი და კორნელიც კი მთელი თავიანთი გენიალურობით მარტოოდენ მოლაყბენი არიან, და ასეა მათი მიმდევარიც – პირველი, ვინც ინგლისელთა მიბაძულობით ზოგჯერ ბედავდა თავის პიესებში ცოცხალი სცენების შეტანას. საერთოდ მთელი დედაარსი მდგომარეობს ძალზე მაღალფარდოვან და ფრიად გატყლარჭულ ჟღერად დიალოგებში, საიდანაც უწინარეს ყოვლისა ამას იფიქრებ, რომ თითოეული მოქმედი პირისათვის უმთავრესია თავის გამოჩენა, ხოლო სხვას არაფერს დაგიდევსო. ყოველივე თითქმის საერთო ფრაზებითაა გამოხატული. რა მღელვარებამაც უნდა შეიპყროს პერსონაჟები, ისინი უფრო მეტად მაყურებელზე ფიქრობენ, ვიდრე თავიანთ შინაგან სამყაროზე. მათთვის უფრო ადვილია თავის გამოჩენა რაიმე წარმონათქვამით, ვიდრე გრძნობის გამოთქმა. რასინისა და მოლიერის პიესებს[52] რომ თავი დავანებოთ, უნდა ითქვას, რომ ფრანგული სცენიდან, ისე როგორც პორ-როიალის მონასტრის ნაჯღაბნებიდან დიდი მონდომებით განდევნეს «მე», და ადამიანური ვნებები, ქრისტიანული მორჩილების მსგავსი თავმდაბლობის შეთვისებით აქ მხოლოდღა უშნო სიტყვა-პასუხით მეტყველებენ. ყველაფერ ამასთან მსახიობის თამაში გამოირჩევა მაღალფარდოვანი მანერულობით სიტყვების წარმოთქმაშიც და მოძრაობის ჟამსაც; ეს კი ზოგჯერ საშუალებას არ აძლევს ვნებას ილაპარაკოს თავისი საკუთარი ენით, ხოლო მსახიობს – ხორცი შეასხას თავის პერსონაჟს და წარმოდგენით მასთან ერთად გადაინაცვლოს მოქმედების ადგილას. იგი მიჯაჭვულია ყველაფერს, რაც ხდება სცენაზე მაყურებელთა თვალწინ. ამიტომაც უაღრესად ცოცხალი ვითარებანი არასოდეს აძლევენ მას ნებას დაივიწყოს არც ფრაზათა მოხდენილად წარმოთქმა, არც პოზის სიკოხტავე, და თუ სასოწარკვეთილი ხანჯლით განიგმირავს გულს, ეს მისთვის ცოტაა: სიკვდილის ჟამს, პოლიქსენას დარად, უნდა დაიცვას ზრდილობის წესები – არა, სულაც არ უნდა დაეცეს ძირს, ზრდილობის გამო მაინც ფეხზე უნდა იდგეს სიკვდილის შემდეგაც, და მასთან ყველანი, ვინც ეს-ესაა საიქიოს გაემგზავრნენ, წამსვე კვლავ ზეზე უნდა წამოდგნენ.

ყოველივე ეს იმიტომ ხდება, რომ ფრანგებს არ სურთ დაინახონ სცენაზე რაიმე ბუნებრივი და დამაჯერებელი, არამედ ელიან მარტოოდენ მახვილსიტყვაობას და მსჯელობათ. მათთვის თეატრი გასართობია მხოლოდ და არა ცხოვრების წასაბაძი ადგილი; იგი კი არ ხიბლავს მათ, არამედ ართობს და შეაქცევს. არავინ დადის თეატრში სანახაობის გულისთვის, არამედ იმის გამო, რომ დაინახოს ხალხი და თავადაც დაენახოს მას, იცოდეს, თუ რაზე წაიჭორავოს წარმოდგენის შემდეგ. წარმოდგენას იმისთვის როდი ნახულობენ, რომ ჩაუფიქრდნენ მას, არამედ იმის გამო, რომ ილაპარაკონ ხოლმე მის ირგვლივ. მსახიობი მათთვის მარად მსახიობია და არა პერსონაჟი. აი ეს ადამიანი, მთელი ქვეყნიერების მფლობელივით რომ ქადაგებს, სულაც არაა ავგუსტუსი, არამედ ბარონია; პომპეუსის ქვრივი – ადრიენაა; ალზირა – მადმუაზელ გოსენი, ხოლო ეს ჩინებული ველური – გრანვალი; მსახიობები კი – თავის მხრივ, სავსებით უგულებელყოფენ წარმოსახულ სამყაროს, რადგან ხედავენ, რომ არავის არაფერი ესაქმება მასთან. ისინი აჩვენებენ ძველთაძველ გმირებს ახალგაზრდა პარიზელთა ექვს-ექვს მწკრივთშორის. მათი რომაული სამოსი ფრანგულ მოდას ჰბაძავს. ტირილით დაოსებულ კორნელიას ორი თითის სისქე ფერ-უმარილი სცხია ლოყებზე, კატონი შეპუდრულია, ხოლო ბრუტუსს –

[52] არ შეიძლება მოლიერისა და რასინის ერთმანეთთან შედარება, ვინაიდან პირველის ქმნილებები, როგორც ყველა სხვა მწერალთა ნაწარმოებები, სავსეა დარიგებებითა და ჭკუის სწავლებით, განსაკუთრებით ლექსად შეთხზული პიესები; ხოლო რასინის ნაწარმოებებში ყველაფერი ხორცშესხმული გრძნობაა, თითოეული პერსონაჟი თავისი სიცოცხლით სულდგმულობს, და სწორედ ამის წყალობით იგი ერთადერთი ნამდვილი დრამატურგია თავისი ქვეყნის მწერალთა შორის.

ნაოჭასხმული ძიქვა უმშვენებს თეძოებს. ყოველივე სულაც არ ბღალავს ვინმეს გემოვნებას და არც ახდენს გავლენას პიესის წარმატებაზე. მოქმედ პირში ხომ მარტოოდენ მსახიობს ხედავენ, ამიტომაც დრამაში – მხოლოდ ავტორს; და ადვილად აპატიებენ მოქმედ პირთა გარეგნობის აბუჩად აგდებას, ვინაიდან ცნობილია, რომ კორნელი არ ყოფილა თერძი, ხოლო კრებილიონი – დალაქი.

ამრიგად, რა მხრიდანაც უნდა შეხედო – აქ ყველაფერი ლაყბობაა, პირობითი ენა, ლიტონი სიტყვა. თეატრშიც ისეა, როგორც მაღალ საზოგადოებაში: მართალია, ყურს კი მიუგდებ, მაგრამ მაინც არა გესმის, რა ხდება. არცაა საჭირო გესმოდეს! ადამიანი ლაპარაკობს, მაშასადამე, შეიძლება დასკვნა გამოიტანო მის საქმიანობაზე. განაღა ის არ აკეთებს ყველაფერს, რაც საჭიროა? ნუთუ მსჯავრს არა სდებენ მას? ღირსეულ ადამიანად სრულიადაც არ ჩაითვლება ის, ვინც კარგად იქცევა, არამედ იგი, ვინაც ლამაზად ლაპარაკობს, – ერთ წინდაუხედავ, მოუფიქრებელ შემჩნევას შეუძლია გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს მას, ვისაც იგი წამოსცდა, – ორმოცი წლის უმწიკვლო ცხოვრებითაც კი ვერ გამოისყიდი ამას. ერთი სიტყვით, არა მარტო ადამიანთა საქმენი არ ემსგავსებიან მათ სიტყვებს, არამედ ადამიანებს მსჯავრს სდებენ მხოლოდ მათი სიტყვების გამო, საქმიანობას კი არ ითვალისწინებენ. გარდა ამისა, დიდი ქალაქის საზოგადოება უფრო ხათრიანი, თავაზიანი და ღირსეული გეჩვენება, ვიდრე უბირი ხალხი, რომელიც არც ესოდენ კარგადაა შესწავლილი, მაგრამ სინამდვილეში განა უფრო ადამიანურია, თავდაჭერილი და სამართლიანი? არ ვიცი. ყოველივე ეს მხოლოდ და მხოლოდ გარეგნული გამოვლენაა; ხოლო ამ მოსაჩვენარი გულწრფელობისა და სასიამოვნო გარეგნობის მიღმა იქნებ ადამიანი უფრორე გულჩათხრობილია და უჯიგრო, ვიდრე ჩვენა ვართ. და ნეტავი კიდევ რა უნდა ვთქვა ამის გამო მე – უცხოქვეყნელმა, მარტოსულმა და უსაქმურმა, არავის რომ არ ვეკარები, სულ მოწყენილი ვარ მხოლოდ ჩემი აზრების ანაბარად შთენილი?

თუმცა თავად მეც ტვინი მერევა, როგორც ყოველ ადამიანს, ვინც ეწევა აქაურ მძაფრ და მოუსვენარ ცხოვრებას; მაგრამ მე საერთოდ თავგზა მებნევა – თითქოსდა ჩემთა თვალთა წინაშე ნაირფეროვანი საგნების მთელი წყება რიალებდეს. მართალია, ისინი გულს მიწყლულებენ, მაგრამ არც ერთი მათგანი არ მხიბლავს, ოღონდ ყველანი ერთად მყუდროებას მირღვევენ ხოლმე და ხანდახან წუთით დამავიწყებენ კიდეც, რომ ვარსებობ და რისთვის ვსულდგმარებ. შინიდან გასვლისას კლიტეს ვადებ ჩემს გრძნობებს და თან მიმაქვს სულ სხვა გრძნობები, რომელნიც გამოსადეგია უშინაარსო, ფუჭი მაღალი საზოგადოებისთვის. ჩემდა შეუმჩნევლად გამოვთქვამ აზრს და ვმსჯელობ ისე, როგორც გამოთქვამენ აზრს და მსჯელობენ ყველანი. და თუკი ზოგჯერ ვცდილობ ცრურწმენათა გაფანტვას და საგანთა დანახვას მათი ნამდვილი სახით, წამსვე ბოლოს მიღებს საღ მსჯელობათა მინაგვარი ფრაზების კორიანტელი. სულ იმას ჩამჩიჩინებენ, მარტოოდენ ის კაცი, ვინც ჯერ კიდევ არ დაუფლებია ნამდვილ ფილოსოფიას, ჩასწვდება საგანთა დედაარსსო, ჭეშმარიტი ბრძენი მათ მხოლოდ გარეგნულად განიხილავსო, ცრურწმენა მისთვის პრინციპი უნდა იყოს, ზრდილობა – კანონი, უზეშთაესი სიბრძნე კი რეგვენთა შესაფერი ცხოვრებაო.

ამრიგად, იძულებული ვარ ახლებურად ვჭვრეტდე ვითარებას, ანგარიში გავუწიო ყოველგვარ აბდაუბდას, ჩავიხშო ბუნებისა და გონების ხმა, და ამის გამო ვგრძნობ, თუ როგორ იბღალება ღვთაებრივი ხატება, რომელსაც თან გულით დავატარებ, რაც ჩემთა ოცნებათა საგანია და ყველა ჩემი ქმედების მაგალითი. ახირებას ახირებაზე ვიცვლი, ჩემი ალღო საზოგადოების აზრს ექვემდებარება, დღეს არა ვუწყი, რა მომეწონება ხვალ.

საღამოობით შინ ვბრუნდები მთლად თავგზააბნეული, დამცირებული და განადგურებული იმის გამო, ვითარ გაბიაბრუებულია ჩემი ადამიანური ღირსება, თანაც

ვხედავ, რა შორსაა ჩემგან ის სულიერი სიმაღლე, საითკენაც ერთად აღვლინდნენ ჩვენი მგზნებარე გულები. ფარული სევდით ვარ გარემოცული და საშინელი ზიზღით შემუსვრილი, ხოლო გამოფიტული, მაგრამ ნაღველით აღსავსე გული ჩემი ჰაერით გაბერილ ბუშტსა ჰგავს. ო, სიყვარულო! ოი, სპეტაკო გრძნობებო, რითაც ჟიულიმ დამაჯილდოვა! რა აღფრთოვანებით ვინთქმები ფიქრებში! ვითარის აღტაცებით ვიხვეჭ კვლავ ადრინდელ გრძნობებსა და წინანდელ ღირსებებს! როგორ მიხარის, როცა ჩემს წინარე კვალად ვხედავ სათნოების ხატებას მთელი მისი ბრწყინვალებით, ვჭვრეტ შენს სახეს, ო, ჟიული, დიდების ტახტზე მჯდომარე – ერთი ოდნავი დაქროლებით შენ განფანტავ ყველა უკეთურ გრძნობათ და იშვებს და იხარებს ჩემი მიქანცებული სული, თითქოს კვლავ აღვდგინდები, კვალად ვცოცხლობ და სიყვარულთან ერთად ვიძენ ყველა იმ დიად გრძნობებს, რომელნიც ჩემს სიყვარულს მისი საგნის ღირსადა ხადიან.

XVIII წერილი
ჟიულისაგან

ჩემო ძვირფასო მეგობარო, ეს-ესაა ვტკბებოდი ფრიად სასიამო სანახაობით, როგორსაც მხოლოდ ძალუძს თვალთა ჩვენთა მოხიბვლა. ყველაზე კეთილგონიერი, ყველაზე სანაქებო გოგონა ამქვეყნად დაბოლოს გახდა უღირსეულესი და საუკეთესო მეუღლე მთელ დუნიაზე. ნამუსიანი კაცი ეწია საწადელს, კლარას პატივისცემითა და სიყვარულითაა აღსავსე და მისი ცხოვრების მიზანია – ანებივროს, გააღმერთოს და გააბედნიეროს ქალი. არ ძალმიძს გადმოგცე, როგორ მახარებს ჩემი დობილის ბედნიერების მოწმედ ყოფნა, – ესე იგი, მთელი სულითა და გულით ამ ბედნიერების გაზიარება. ჩვენს სიხარულს გულცივად არ მოეკიდები, ეს მჯერა, – კლარას ხომ ყოველთვის ასე ნაზად უყვარდი შენ და ასე ძვირფასი ხარ მისთვის თითქმის ბავშვობიდანვე, ხოლო ის შენთვის უფრორე ძვირფასია მისი ესოდენი კეთილმოწყალეობის შემდეგ. დიახ, მისი ყველა გრძნობა გამოძახილსა პოულობს ჩვენს გულში. უკეთუ იგი მოილხინარებს, მისი გრძნობები ჩვენც ნუგეშსა გვცემენ, – სწორედ ისაა სამივე ჩვენგანის შემაკავშირებელი მეგობრობის ღირსება, რომ ერთის ბედნიერება ამსუბუქებს დანარჩენ ორთა ტანჯვა-წამებას.

ოღონდ ნუ დავუფარავთ ჩვენს თავს, რომ ნაწილობრივ ვკარგავთ სწორუპოვარ დობილს! ამჟამად მისი ცხოვრება სულ სხვანაირად წარიმართა. გაუჩნდება ახალი ნაცნობები, ახალი მოვალეობანი, და მისი გული, აქამომდე რომ მხოლოდ ჩვენ გვეკუთვნოდა, დღეის ამას იქით ვალშია ახალ მიდრეკილებათა მიმართ, და მეგობრობაც ვალდებულია პირველი ადგილი მათ დაუთმოს. უფრო მეტიც, ჩემო მეგობარო, უდიდესი სიფრთხილითა და მოკრძალებით უნდა მივიღოთ მისი თავგამოდებული ზრუნვა ჩვენს მიმართ. არ უნდა ვისარგებლოთ იმით, რომ ვუყვარვართ, ხოლო ჩვენ გვესაჭიროება მისი დახმარება. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, შეჰფერის თუ არა ყოველივე ეს მის ახალ მდგომარეობასა და მოიწონებს თუ დაძრახავს მეუღლე კლარას საქციელს. როდიღა გვმართებს იმის გამოძიება, რას მოითხოვდა ასეთ შემთხვევაში სათნოება, – ამისათვის მეგობრობის კანონებიც კმარა. ვინაც თავისი სარფის გამო მშრალზე დატოვებდა მეგობარს. მას არა აქვს მეგობრობის უფლება! ქალიშვილობის ჟამს თავისუფალი იყო, თავისი საქციელის გამო საკუთარ თავთან იყო პასუხისმგებელი – განზრახვათა კეთილშობილება ამართლებდა საკუთარ თვალში. ჩვენ მივაჩნდით ერთიერთმანეთისთვის შექმნილ მეუღლეებად, და მის მგრძნობიარე და უმწიკვლო გულში უაღრესად უბიწო

კდემამოსილება ეხამებოდა უსათუთეს სიბრალულს ცოდვილი მეგობრის მიმართ, – იგი იფარავდა ჩემს ცოდვებს, თავად კი უცოდველი რჩებოდა. ამჟამად ყოველივე შეიცვალა. ახლა სხვას უნდა ჩააბაროს თავისი საქციელის ანგარიში. მან არამც თუ შეჰფიცა ერთგულება, თავის თავისუფლებასაც კი შეელია. ის იმავდროულად იცავს ორი ადამიანის ღირსებას და შეუძლებელია დარჩეს მარტოოდენ წესიერ ქალად. საჭიროა, ყველა პატივსა სცემდეს მას. მისთვის უკვე აღარ კმარა სიკეთის ჩადენა, არამედ ისე უნდა მოიქცეს, რომ ყველა უწონებდეს საქციელს. სათნოებით აღსავსე ქალს მართებს არა მარტო იყოს ქმრის პატივისცემის ღირსი, არამედ მასაც აღუძრას პატივისცემა, უკეთუ ქმარი კიცხავს ცოლს – მაშასადამე, ქალი იმსახურებს გაკიცხვას; და მაშინაც კი, თუ უცოდველია, მაინც დამნაშავე ხდება, რაკი ეჭვი შეიტანეს მის საქციელში, ვინაიდან წესიერების დაცვა ერთ-ერთი მისი უმრავლესი მოვალეობათაგანია.

სავსებით როდი ვარ დარწმუნებული, სწორია თუ არა ყველა ეს მოსაზრება – ეს თავად შენვე განსაჯე. მაგრამ რაღაც შინაგანმა გრძნობამ მიკარნახა, რომ დაიკო უწინდებურად აღარ შეიძლება იყოს ჩემი მესაიდუმლე და პირველმა როდი უნდა დაძრას ამაზე სიტყვა. ჩემი მსჯელობანი ხშირ-ხშირად მაცდუნებდნენ მე, ოღონდ სულის იდუმალ განცდებს კი არასოდეს გავუწბილებივარ – ამიტომაც უფრო მეტად ვენდობი ჩემს ალღოს, ვიდრე გონებას.

აი, ამიტომაც რაღაც საბაბით წამოვიღე მასთან მიბარებული შენი წერილები, რადგან მაშინებდა ყოველგვარი ფათერაკი. მან დამიბრუნა ისინი სევდანარევი გულთბილობით, რაც მყისვე შეიგრძნო ჩემმა გულმა და დავრწმუნდი, სწორად რომ მოვიქეცი. ახსნა-განმარტება აღარ დაგვიწყია, ყველაფერი თვალებით ვამცნეთ ერთმანეთს. ცრემლმორეული გადამეხვია. ორივენი ვდუმდით და ვგრძნობდით, მეგობრობის ენას სიტყვები რომ არ სჭირდება.

რაც შეეხება ახალ მისამართს წერილებისთვის, უწინარეს ყოვლისა გამახსენდა ფანშონ ანე – ეს ყველაზე საიმედო იქნებოდა. მაგრამ თუკი ახალგაზრდა ქალიშვილი თავისი მდგომარეობით დაიკოზე დაბლა დგას, განა ეს იმის საბაბს გვაძლევს, რომ ნაკლებ პატივი ვცეთ მის კეთილ სახელს! პირიქით, ხომ არ უნდა გვეშინოდეს, მისთვის უფრო სახიფათო რომაა ჩემი მაგალითი – მას ხომ უფრო ნაკლებად დიადი გრძნობები მოეპოვება და ის, რაც ერთისთვის თავდადებული მეგობრობის გამოვლენა გახლდათ, ხომ არ გახდება მეორისათვის გარყვნილების ბუდე და მისი მადლიერების ბოროტად გამოყენებით ხომ არ ვაიძულებ სათნოებას, გახდეს ბიწიერების იარაღი! აჰ, კმარა ისიც, რომ მე ცოდვილი ვარ. აბა, რად შევიძინო თანამოზიარენი და ჩემი საქციელი დავამძიმო სხვათა საქციელის ტვირთით? უკუვაგდოთ ეს აზრი, ჩემო მოყვარეო. მე სხვა გზა გამოვნახე. მართალი რომ ვთქვა, იგი არც ისე საიმედოა, მაგრამ სამაგიეროდ არც იმდენად საძრახისია, რადგან აქ არავის სახელიც არ შეიბღალება და ჩვენც იოლად წავალათ უშუამავლოდ. ვთქვათ, მაგალითად, შენ მომწერ ბ-ნ ბოსკეს გამოგონილი სახელით, წერილს ჩადებ კონვერტში რეჯანინოს მისამართით, ხოლო მისი გაფრთხილება ჩემზე იყოს. ამრიგად, თავად რეჯანინოც ვერაფერს მიხვდება. დიდი-დიდი ეჭვი აღეძრას, მაგრამ გამოკითხვას ვერ გაბედავს, ვინაიდან მილორდი ედუარდი, ვისზეც რეჯანინოს კეთილდღეობა ჰკიდია, მას თავდებად დაუდგა. ხოლო სანამ ასეთი ხერხით გვექნება მიმოწერა, გავიგებ, შეიძლება თუ არა კვლავ ის ხერხი მოვიმარჯვოთ, როგორსაც ვიყენებდით ვალეში შენი ყარიბობისას, ანდა რომელიმე სხვა, უფრო მუდმივი და საიმედო საშუალება.

რომც არ ვიცოდე შენი გუნება-განწყობილების ამბავი, გამოგზავნილ წერილთა კილოს მიხედვით მაინც მივხვდებოდი, თუ როგორ არ მოგწონს ის ცხოვრება, ახლა რომ ეწევი. არც ისე ულმობელია ბ-ნ მიურას წერილები, რომლებითაც უკმაყოფილონი არიან საფრანგეთში. მასწავლებლებზე განაწყენებული ბალღის მსგავსად შენ შენსავე პირველ

დამრიგებლებზე იყრი ჯავრს იმის გამო, მაღალი საზოგადოების ცხოვრების შესწავლა რომ გიხდება. და რაც უფრო გასაოცარია, განსაკუთრებით გაშფოთებს ის ამბავი, რაც კეთილად განაწყობს შენს მიმართ ყველა უცხოქვეყნელს, ესე იგი, ფრანგთა გულთბილობა და მათი უნარი საზოგადოებაში თავდაჭერისა; თუმცა, შენივე აღიარებით, ყველაფერ ამისათვის ხოტბა უნდა შეგესხა. ხომ ამბობდი, აუცილებელია განვასხვავოთ, სახელდობრ რა ახასიათებს პარიზს და რა ყოველ დიდ ქალაქსო; თუმცა, არც კი იცი, რა ახასიათებს ერთსაცა და მეორესაც, ყველაფერს კიცხავ და ვერ გაგიგია, სამართლიანია თუ მიკერძოებული შენი დაკვირვებები. როგორადაც უნდა იყოს, მე მიყვარს ხოლმე ფრანგი ერი და როდი მსიამოვნებს, თუკი მას ცუდად ახსენებენ. მისგან ნაჩუქარი კარგი წიგნებიდან შენთან ერთად შევიძინე ჩემი ცოდნის დიდი ნაწილი. ხოლო ვის უნდა ვუმადლოდეთ იმ ამბავს, რომ ჩვენი სამშობლო უკვე აღარ არის ბარბაროსული ქვეყანა? ახალ დროებათა ორი უდიადესი და უსათნოესი წარმომადგენელი – კატინა და ფენელონი ფრანგები გახლდნენ. ანრი IV, ჩემი საყვარელი მეფე, კეთილი მეფე, აგრეთვე ფრანგი იყო. თუმცა საფრანგეთი არაა თავისუფლების ქვეყანა, სამაგიეროდ იგი სიმართლის მოყვარული მხარეა; ხოლო ასეთი თავისუფლება, ბრძენის აზრით, სხვა ყველაფერს უდრის. ფრანგები სტუმართმოყვარენი არიან, მფარველობენ უცხოქვეყნელს, არასასიამოდ მოსასმენ სიმართლესაც კი აპატიებენ; ხოლო ლონდონში ქვებით ჩაჰქოლავდნენ ისეთ გულად კაცს, ინგლისელებს იმ შეურაცხმყოფელ სიტყვათა ნახევარს რომ ეტყოდა, თავიანთ თავზე რისი თქმის უფლებასაც ფრანგები რთავენ პარიზში. მამაჩემმა თავისი ცხოვრება პარიზში გაატარა და აღტაცებით იხსენებს ამ გულკეთილ და თავაზიან ხალხს. მან ხელმწიფის სამსახურში დაღვარა სისხლი და ხელმწიფემ არ დაივიწყა ეს ამბავი. ახლა, როცა მამა სამსახურიდან გადადგა, ხელმწიფე მაინც არ აკლებს თავის მოწყალებას. ამრიგად, ძალზე მეამება იმ ქვეყნის კარგი სახელ-დიდება, სადაც თავი გამოიჩინა მამაჩემმა. საყვარელო მეგობარო, ყველა ხალხს აქვს თავისი კარგი და ცუდი თვისება. მაშ, პატივი მიაგე, მაინცდამაინც, როგორც შემამკობელ სიმართლეს, ისე გამკიცხველ სიმართლესაც.

კიდევ აი, რა უნდა მეთქვა: განა რა ბედენაა შენთვის სტუმრად უქმ ხეტიალს მოანდომო ის დრო, პარიზში გასატარებელი რომ დაგრჩა. ნუთუ პარიზი უფრო ვიწრო ასპარეზია ნიჭის გასაფურჩქნად, ვიდრე ლონდონი? ან უცხოქვეყნელთ უფრო უძნელდებათ იქ წარჩინების გზაზე დადგომა? მერწმუნე, ყველა ინგლისელი როდია ედუარდი და ყველა ფრანგი არა ჰგავს შენს საძულველ მოლაყბეებს. გაბედე, სინჯე, ეცადე თუნდაც იმიტომ, რათა უფრო ღრმად შეიმეცნო ზნე-ჩვეულებანი და განსაჯო, მართლაცდა, რანი არიან ასე კარგად მოლაპარაკე ადამიანები. როგორც ჩემი ბიძა ირწმუნება, შენ კარგად იცნობ იმპერიის სახელმწიფო წყობას და მის ხელმწიფეთა როლს. მილორდი ედუარდიც იმას ფიქრობს, რომ შენ ცუდად როდი შეისწავლე პოლიტიკის საფუძვლები და სახელმწიფოს მართვა-გამგეობის სხვადასხვა სისტემა. თავიდან არ მშორდება იმაზე ფიქრი, რომ შენ იმ ქვეყანაში ცხოვრება შეგფერის, სადაც ყველაზე მეტად სცემენ პატივს ადამიანის ღირსებას და როგორც კი გაგიცნობენ, შენთვისაც გამოინახება სამეცადინო. რაც შეეხება რელიგიას, განა რად მოგიტანს ზიანს შენი რჯული უფრო მეტად, ვიდრე სხვა ვინმეს? გონება ხომ ყველაზე უფრო ერთგულად დაგიფარავს შეუწყნარებლობისა და ფანატიზმისაგან. ანდა იქნებ საფრანგეთში უფრო მეტად ფარისევლური სულისკვეთება სუფევს, ვიდრე გერმანიაში? და განა ვინ დაგიშლის პარიზში მოიპოვო იგივე, რასაც ბ-ნმა დე სენ-საფორენმა მიაღწია ვენაში? როდესაც რაიმეს დაისახავ მიზნად, მიწყივ უნდა მუშაკობდე მის მისაღწევად. ასე ხომ უფრო მალე მოვა წარმატება. თუ შევეხებით მიზნის მისაღწევ საშუალებებს, მაშინ რასაკვირველია უცილობლად უპრიანი იქნება შენი ნიჭის მეოხებით დაწინაურება, ვიდრე მეგობართა

დახმარებით! ხოლო თუ იმას ვიფიქრებთ... ო, ეს ზღვა... და კიდევ უფრო გრძელი მანძილი... მე ინგლისს ვამჯობინებდი, პარიზამდე რომ უფრო შორს ყოფილიყო, ვიდრე იქამდის.

მართლაც, რაღაც ყასიდად თქმული რამ შევნიშნე შენს წერილებში ამ დიდ ქალაქზე. ოდესღაც ასეთი გატაცებით მწერდი ვალეს მცხოვრებ ქალთა გამო. რად უვლი მდუმარებით გვერდს პარიზელ ქალებს? ნუთუ ეს კოხტა, სანაქებო ქალები უფრო ნაკლები აღწერის ღირსნი არიან, ვიდრე ვიღაც მთების ბინადარი დედაკაცები, უბირნი და გაუთლელნი? ხომ არ გეშინია, სულიერ მყუდროებას დამირღვევ, თუკი დამიხატავ ყველაზე მომხიბლავ ქმნილებათა სურათს ამქვეყნად? კმარა, ჩემო მეგობარო, – ჩემი სულიერი სიმშვიდისათვის ხომ ყველაზე დამღუპველია სწორედ ის, არაფერს რომ არ მომითხრობ მათ გამო. და რაც უნდა თქვა, შენი დუმილი გაცილებით მეტ ეჭვს აღმიძრავს, ვიდრე აღფრთოვანებული სიტყვები.[53]

აგრეთვე ფრიად მესიამოვნებოდა, რამდენიმე სიტყვა მოგეწერა პარიზის ოპერაზე, რომლის გამო აქ გასაოცარ ამბებს მოგვითხრობენ. რა ვუყოთ, დაე, ცუდი იყოს მუსიკა, მაგრამ თეატრალურ წარმოდგენას აქვს თავისი სიმშვენიერე. და თუკი ეს ასე არაა, შენ გექნება გაკილვის მიზეზი და შენც, მაინცდამაინც, არავის შეურაცხყოფ.

არ ვიცი, ღირს თუ არა სათქმელად, რომ რამდენიმე დღის უკან, ისარგებლეს საქორწილო ზეიმით და თითქოს პირი შეკრესო, გამომეცხადა კიდევ ორი საქმრო: ერთი – ივერდენის ბინადარია, – სახლიდან სასახლეში რომ დახეტიალობს თავშესაფრისა და მონადირულ გართობათა ძებნისას; მეორე – გერმანელთა შვეიცარიიდანაა – ბერნის საფოსტო ეტლს ჩამოჰყვა. პირველი ვითომც კოხტაობს, საკმაოდ მოურიდებლად ლაპარაკობს, – მისი შენიშვნები, ალბათ, მახვილგონივრულად მიაჩნიათ იმათ, ვისაც არაფერი გაეგებათ მათი დედაარსისა. მეორე კი წარმოუდგენელი ოტროველაა, მორცხვია, მაგრამ ეს როდია სასიამოვნო სიმორცხვე, რომელიც კაცს ეუფლება იმის შიშით, ვაითუ არ მოვეწონოო. ეს ის დაბნეულობაა, ყეყეჩს რომ დაეუფლება, ვინაც აღარ იცის, რა თქვას, და უგერგილობა გარყვნილი კაცისა, უხერხულად რომ გრძნობს თავს წესიერი ქალიშვილის შემყურე. დანამდვილებით ვიცი მამიჩემის აზრი ამ ვაჟბატონებზე და სიამოვნებით ვსარგებლობ მისი ნებართვით, როგორც მინდა, ისე მოვეპყრა მათ, ხოლო ჩემი ჟინი ასეთია, რომ მალე, ვფიქრობ, აღარაფერი დარჩება იმ ახირებიდან, რამაც ისინი ჩემთან მოიყვანა. მე მძაგს ისინი – აბა, როგორ გაბედეს იმ გულის ხელყოფა, სადაც შენ სუფევ! მათ არ გააჩნიათ ისეთი იარაღი, შენ რომ წარგტაცონ იგი, და რომც ჰქონდეთ, უფრო მეტად შემძაგდებოდა ისინი. და მართლაც, სად უნდა მოიპოვონ ეს იარაღი ან მათ, ან სხვებმა და მთელმა ქვეყანამ? არა, არა, მშვიდად იყავი, ჩემო მეგობარო, შენი ღირსი კაციც რომ შემხვდეს, ჩემს წინაშე შენი ორეულიც რომ წარმოსდგეს, სულ ერთია, პირველს მხოლოდ შენ გეთნეოდი. ნუ აგაღელვებს ეს ვიგინდარები, რომელთა გამო ლაპარაკიც არა მსურს. რარიგი სიამოვნებით გავუმჟღავნებდი მათ ჩემს სიძულვილს და თანაბარ ნაწილად ორად გავუყოფდი ისე და იმგვარად, რომ ეს ვაჟბატონები წამსვე გამქრალიყვნენ ერთად, როგორც ერთადვე გამოჩნდნენ, რათა შენთვის მაშინვე მემცნო, ანაზდად წავიდნენ-მეთქი ორივენი.

ბატონმა კრუზასმა ამას წინათ გამოსცა პოუპის «ეპისტოლეების» გაბათილება – არ მომეწონა. გულახდილად რომ თქვას კაცმა, არ ვიცი, რომელია მართალი იმ ორ მთხზველთაგან. მაგრამ კარგად ვიცი, რომ ბ-ნ კრუზასის წიგნი არასოდეს არავის

[53] მე ცუდი აზრისა ვიქნებოდი მათზე, ვინაც იცნობს ჟიულის ხასიათსა და მდგომარეობას, და წამსვე ვერ მიხვდება, რომ ეს ცნობისმოყვარეობა მისგან როდი გამომდინარეობს. მალე მკითხველი დაინახავს, რომ მისი მიჯნური ამ საქმეში არ შემცდარა. თუკი შეცდებოდა, ეს იმის ნიშანი იქნებოდა, რომ მას აღარ უყვარს ქალი.

ჩაადენინებს კეთილთა საქმეთ და არ არსებობს კეთილი საქციელი, რომლის ჩადენაც არ მოგინდება პოუპის წიგნის წაკითხვისას. წაკითხულის გამო ყოველთვის ჩემი აზრი მაქვს – ჩავუფიქრდები ხოლმე, რა გავლენა მოახდინა მან ჩემს სულისკვეთებაზე და საერთოდ, ვერ წარმომიდგენია, რა სარგებელი უნდა მოიტანოს წიგნმა, უკეთუ იგი კეთილი საქმის ჩასადენად არ მოუწოდებს მკითხველს.[54]

მშვიდობით, ჩემო საყვარელო და ძვირფასო მეგობარო, არ მინდოდა ასე მალე დამემთავრებინა წერილი, მაგრამ უკვე მელოდებიან, მაჩქარებენ. სინანულით გტოვებ შენ, ვინაიდან მხიარულ გუნებაზედა ვარ, ხოლო ძალიან მიყვარს გაგიზიარო მთელი ჩემი სიხარული. უკანასკნელ დღეებში დედაჩემი ცოტათი გამომჯობინდა და ეს ამბავი მაფრთოვანებს და მახარებს. მან ესოდენ მოიკეთა, რომ დაესწრო ქორწილს, იყო თავისი მულიშვილის – უფრო სწორად, მეორე ქალიშვილის დედობილი. საბრალო კლარა სიხარულისგან ატირდა კიდეც. თავად განსაჯე, რა დამემართებოდა, – მე ხომ მისი ღირსი არა ვარ და დღენიადაგ ვიშიშვი, ვაითუ დავკარგო-მეთქი დედაჩემი. მერწმუნე, დედა კვალად ისევე გულთბილად მასპინძლობს სტუმრებს საოჯახო ზეიმებზე, როგორც იმ დროს, როცა ძალ-ღონე ერჩოდა, და ასე მგონია, ოდნავი უქეიფობა რაღაც განსაკუთრებულ სიმშვენიერეს ანიჭებს მის ძალდაუტანებელ თავაზიანობას. არა, ჩემი სწორუპოვარი დედიკო არასოდეს ყოფილა ესოდენ კეთილი, ესოდენ მომხიბვლელი, ესოდენ ღირსი თაყვანისცემისა... იცი, რამდენჯერ იკითხა კიდეც შენი ამბავი. ჩემთან შენს გამო კრინტსაც არა ძრავს, მაგრამ ვიცი, რომ უყვარხარ, და მას რომ დაუჯერებდნენ, უპირველეს ყოვლისა ჩვენს ბედნიერებას შეუწყობდა ხელს. აჰ, უკეთუ შენს გულს ძალუძს იგრძნოს ეს, როგორც ეს შეშვენის, რაოდენი ვალი აქვს გარდასახდელი.

XIX წერილი
ჟიულისადმი

რა გაეწყობა, ჟიული, მაძაგე, გამკიცხე, მგვემე, – ყველაფერს ავიტან, ოღონდ შენთვის ჩემი აზრების განდობას ვერ მოვიშლი, მხოლოდ შენ ერთს უნდა გაგიზიარო ყველა ჩემი გრძნობა, რომელთა ახსნა და განმარტება მარტოოდენ შენ ძალგიძს. ჩემს გულს არავისთან ექნებოდა სალაპარაკო, შენ რომ არ იყო მსმენელი! გაბარებ ჩემი დაკვირვებებისა და დასკვნათა ანგარიშს, რათა დამარიგო, და არა იმიტომ, მომიწონო ისინი. რაც უფრო მეტ შეცდომას ვუშვებ, მით უფრო მალე უნდა ვაღიარო ისინი. უკეთუ ვკიცხავ ამ ქალაქში ჩემს გამაოცებელ სიცრუეს, არაფერი მაქვს საკუთარ თავთან სასაყვედურო იმის გამო, რომ მე მიმნდობლად მოგითხრობ ყოველივეს, ვინაიდან მესამე პირზე არასოდეს ვამბობ ისეთ რამეს, რასაც პირისპირ არ ვეტყოდი; და ყოველივე იმას, რასაც გწერ პარიზელებზე, თვითონ მათვე ვეუბნები ყოველდღიურად. უკმაყოფილობას არ გამოთქვამენ და ბევრ რამეში მეთანხმებიან. ისინი უჩიოდნენ ჩვენს მიურას, და ეს სავსებით გასაგებია. ყველასათვის ნათელია, ყველასათვის აშკარაა, რომ მას ეჯავრება ისინი, – ეს თვით მის ქება-დიდებაშიც კი გამოსჭვივის. როცა ვკიცხავ მათ, კარგად იციან, – თუ სასტიკად არ ვცდები, – რომ სულ სხვა გრძნობები მამოძრავებს. ისეთ პატივსა ვცემ მათ, ისეთი მადლიერი ვარ ჩემდამი გულკეთილი მოპყრობისათვის, რომ კიდევ უფრო გულახდილი ვხდები, ხოლო ეს იქნებ ვისმესთვის კიდეც იყოს სასარგებლო, და იმისდა მიხედვით, თუ როგორ ითმენენ ჩემს ალალ-მართალ სიტყვებს, უფლება მაქვს მჯეროდეს, რომ ისინი

[54] თუ მკითხველი მოიწონებს ამ წესს და გამოიყენებს მას ამ კრებულის გასარჩევად, გამომცემელს სადავო არაფერი ექნება.

ღირსნი არიან მოისმინონ ეს სიტყვები, მე კი – გამოვთქვა ჩემი აზრები. საქმე ისაა, ჩემო ჟიული, რომ გამკიცხველი სიმართლე ბევრად უფრო დიდმნიშვნელოვანია, ვიდრე ქება-დიდების შემსხმელი სიმართლე, ვინაიდან ქება-დიდება ბოლოსა და ბოლოს აფუჭებს იმათ, ვინც ამით ერთობა, – მეტადრე საძაგელი ადამიანები არიან განსაკუთრებით დახარბებული ამ საქმეს, ხოლო კრიტიკა სასარგებლოა და მას მხოლოდ ღირსეული ადამიანი აიტანს. მთელი სულითა და გულით გეუბნები: მე პატივსა ვცემ ფრანგ ხალხს, ვინაიდან მხოლოდ მას უყვარს ნამდვილად ადამიანები და თავისი ხასიათისდა მიხედვით მიდრეკილება აქვს სიკეთის ჩასადენად. მაგრამ სწორედ ამიტომაც სხვებსავით ხოტბას როდი ვასხამ, თუმცაღა ამის უფლებას ყოველთვის აცხადებს თავის ნაკლოვანებათა მიმართაც კი, რასაც თავად აღიარებს. ფრანგებს რომ სრულიადაც არ მოეპოვებოდეთ სათნოება, მე დავდუმდებოდი; სავსებითაც რომ არ გააჩნდეთ რაიმე ბიწიერება, მაშინ ადამიანებიც აღარ იქნებოდნენ. ვისაც ესოდენი უამრავი სანაქებო თვისება აქვს, შეუძლებელია სულ მისი ქება-დიდება და ხოტბის შესხმა.

რაც შეეხება იმ ცდებს, რომელთა გამო ლაპარაკობდი, მათ განხორციელება არ უწერიათ – ამის გულისთვის ხომ ჩემთვის არახელსაყრელი ხერხის გამოყენება დამჭირდებოდა, მასთან თავად ამიკრძალავდი ამ საქმეს. ამ ქვეყანაში რესპუბლიკურ სიმკაცრეს გასაქანი არა აქვს. აქ კაცს უნდა ჰქონდეს უფრო მოქნილი სათნოება და თანაც შეეგუოს იმას, რაც ხელს აძლევს მეგობრებს ანდა მფარველთ. აქ პატივსა სცემენ ღირსებას, გეთანხმები, ოღონდ სახელ-დიდებისაკენ მიმავალი ნიჭი გზას სიმდიდრისაკენ როდი გიკაფავს. სამწუხაროდ, მომხვეჭელობის შნო რომ გამაჩნდეს, ნუთუ შენ, ჟიული, დათანხმდებოდი ასეთი მეტიჩრის ცოლობას? სულ სხვაგვარადაა საქმე ინგლისში, თუმცა იქ ზნეობა მართლაცდა უფრო ნაკლებად ფასობს, ვიდრე საფრანგეთში, მაგრამ ეს ხელს როდი უშლის ადამიანებს, ბევრად უფრო პატიოსნური გზით მიაღწიონ მიზანს, ვინაიდან იქ ხალხი დიდ მონაწილეობას იღებს სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში. ამიტომაც საზოგადოებრივი პატივისცემა იქ უფრო მეტად უწყობს ხელს წარმატებების მოპოვებას. შენთვის ხომ ცნობილია, რომ მილორდ ედუარდმა განიზრახა ჩემდა დასახმარებლად ისარგებლოს ამ საშუალებით, ხოლო მე მოვიწადინე ამაოდ არ ჩაიაროს მისმა გულმოდგინებამ. შორსა ვარ შენგან ყოველგნით, სადაც აღარ ძალმიძს ისეთი რაიმეს ჩადენა, რაც შენთან დამაახლოვებდა. ოი ჟიული, რა ძნელია შენი ხელის დაუფლება, ხოლო უფრო ძნელია მისი დამსახურება; და ამ კეთილშობილურ ამოცანას მაკისრებს სიყვარული.

გული უფრო ლაღად ძგერს, როცა მამცნე კარგი ამბები დედაშენის ჯანმრთელობის გამო. წამოსვლისას ვხედავდი, როგორ იყავი შეწუხებული და თუმც ვერ გავბედე გამენდო შენთვის ჩემი მღელვარე ფიქრები, მაგრამ მეჩვენა, რომ ის გახდა, დაძაბუნდა და რაიმე საშინელი ავადმყოფობის შიში მქონდა. გაუფრთხილდი მას ჩემი გულისთვის, ვინაიდან იგი ძვირფასია ჩემთვის, რადგანაც მთელი სულითა და გულით პატივსა ვცემ მას, რადგან ჩემს ერთადერთ იმედს მის გულკეთილობაზე ვამყარებ, ხოლო რაც მთავარია – რამეთუ იგი ჩემი ჟიულის დედაა.

რაც შეეხება საქმროებს, აქ უნდა გითხრა, რომ არ მიყვარს ეს სიტყვა, თუნდაც ხუმრობით წარმოთქმული. თუმცა მათ გამო ისეთი კილოთი ლაპარაკობ, რომ აღარ მაშინებენ ეს ბედასლი აშიკ-მაშიკნი და უკვე აღარ განვიცდი მათს სიძულვილს, რაკიღა ასე გგონია, შევიძულეო ისინი. მაგრამ საერთოდ აღფრთოვანებული ვარ იმით, რომ გულუბრყვილოდა გგონია, სიძულვილი შემიძლიაო. მერედა ნუთუ არ გესმის, რომ სიძულვილად მიიჩნიე აღშფოთებული სიყვარული! ასე ჩივის ფრთათეთრი დედა მტრედი, როცა გამოედევნებიან მის გულისტოლს. კმარა, ჟიული, ჩემო შეუდარებელო, შენ ვერ შეიცნობ სიძულვილს, ისე როგორც ვერ ავიყრი გულს შენზე.

P. S. როგორ ვნანობ, გულს რომ გიწვრილებს ეს ორი აბეზარი ყეყეჩი! თუნდაც შენივე თავის სიყვარულის გამო მალე და სწრაფად კინწისკვრით გაყარე ისინი!

XX წერილი
ჟიულისაგან

ჩემო მეგობარო, მე გადავეცი ბ-ნ დ'ორბს ამანათი. დამპირდა გადაგზავნოს ბ-ნ სილვესტრის მისამართით შენთვის გადმოსაცემად. ოღონდ გაფრთხილებ, გახსენი, როცა მარტო დარჩები და თანაც შენს ოთახში. ისეთ ნივთს მიიღებ, ცხოვრებაში რომ წაგადგება.

ეს არის თავისებური ავგაროზი, რასაც ხალისით ატარებენ გამიჯნულებულნი, საკმაოდ უცნაურადაც იყენებენ მას: ყოველ დილით უნდა უჭვრეტდე თხუთმეტ წუთს, ვინემ არ იგრძნობ, რომ სავსებით განიმსჭვალე რაღაც გრძნობამორევით; შემდეგ უნდა მიიდო თვალებზე, ტუჩებზე, გულკერდზე – ამბობენ, ეს მთელი დღე იცავს ადამიანს ხრწნად სულისკვეთებათაგან სამიჯნურო ფათერაკთა მხარეშიო. ასეთ თილისმებს ამას გარდა კიდევ მიაწერენ რაღაც განსაკუთრებულ ელექტრულ, ოღონდ მხოლოდ ერთგულების დამცველ მიჯნურთათვის ვარგის ძალას: იგი შველის ასობით ლიეს იქით იგრძნოს კაცმა მათი კოცნა, ვისაც ვუყვარვართ.

არხეინად იყავი ჩემი ორი არშიყის, ანუ ხელისმაძიებელთა გამო. უწოდე მათ, რაც გენებოს, ვინაიდან დღეის ამას იქით სახელს სრულიად არავითარი მნიშვნელობა აღარა აქვს. ისინი წავიდნენ: გზა მშვიდობისა ჰქონიათ. მას შემდეგ, რაც აღარ ვხედავ, უკვე არავითარ სიძულვილს არ განვიცდი მათ მიმართ.

XXI წერილი
ჟიულისადმი

შენ ეს გინდოდა, ჟიული, – რა გაეწყობა, მომიხდება ამ სასიამოვნო პარიზელ ქალთა აღწერა, შე გულზვიადო! შენს სიტურფეს მხოლოდღა ეს ჯეროვანი აღტაცება აკლდა! მიუხედავად შენი მოსაჩვენარი ეჭვიანობისა, მიუხედავად შენი თავმდაბლობისა და სიყვარულისა, შენს ცნობისმოყვარეობაში ბევრად უფრო მეტი პატივმოყვარეობაა, ვიდრე მღელვარება. როგორც უნდა იყოს, გულმართლად გიპასუხებ, როდი მეძნელება ალალ-მართლობა. მოხარული ვიქნებოდი, რომ შემეძლოს მათი უფროისად შექება. რატომ ასგზის უფრო მომხიბვლელნი არ არიან ისინი, რად არ არიან უფრორე მიმზიდველნი, რათა შემეძლოს უმეტესწილად შევასხა ხოტბა შენს მომხიბვლელობას!

შენ წუხდი, მათ გამო რომ ვდუმდი! აბა, რა უნდა ვთქვა მათზე? ამ წერილის კითხვისას მიხვდები, რატომ მოგითხრობდი სიამოვნებით ვალეს ბინადარ ქალებზე – შენს მეზობლებზე, და სავსებით არაფერს გიამბობ აქაურ ქალთა გამო. იმიტომ, რომ ერთნი წამდაუწუმ შენს თავს მაგონებენ, სხვები კი... ჯერ წაიკითხე, მერე კი მსჯავრი დამდე კიდეც. თუმცა, ჩემებრ ბევრი როდი ფიქრობს ფრანგ ქალებზე – მერწმუნე, არავინ იზიარებს ჩემს შეხედულებას. სამართლიანობის გულისთვის გაფრთხილებ ამის გამო: მაშ იცოდე, რომ დავხატავ მათ, შესაძლოა არა ისეთებს, რანიც არიან სინამდვილეში, არამედ როგორნიც წარმომიდგენია. ამ შენიშვნის მიუხედავად ცხადია, უკვე უსაცილოდ დაიწყებ ჩემს გაკიცხვას, უკეთუ უსამართლო ვიქნები მათ მიმართ, და კვალად ჩემზე უფრო უსამართლო იქნები, რადგან აქ შენ მიგიძღვის ბრალი.

დავიწყოთ იერით: თითქმის ყველა დამკვირვებელი ამით კმაყოფილდება. მათი მაგალითისთვის რომ მიმებაძა, აქაურ მანდილოსნებს ექნებოდათ სამდურავის უფლება. როგორც მათი ხასიათის, ისე მათი პირისახისაგან მიღებული გარეგნული შთაბეჭდილება არაფერს ამბობს მათ სასარგებლოდ. ამიტომაც შეცდომა იქნებოდა მხოლოდ გარეგნობის მიხედვით გვემსჯელა მათზე. ისინი არც ისე ულამაზონი არიან, თუმცა უმრავლეს შემთხვევაში უფრო უშნონიც გვხვდებიან, – გამონაკლისებს არ ვეხები. ნაკვთად თხელი არიან, მაგრამ არა ტანკენარნი, სიკოხტავითაც ვერ დაიკვეხნიან. ამიტომ სიამოვნებით მისდევენ ისეთ მოდას, რომელიც ფარავს მათ ბუნებრივ აღნაგობას. აი, რატომ ვთვლი სისულელედ, როცა სხვა ქვეყნებში ქალები ჰბაძავენ ფრანგულ მოდას, რაც შექმნილია ნაკლთა დასაფარავად რომელიც მათ არ გააჩნიათ.

მათი სიარული ლაღია, ძალდაუტანებელი. თავდაჭერის მანერა ბუნებრივი აქვთ, რადგან არ უყვართ თავის შეზღუდვა. მაგრამ მოეპოვებათ რაღაც თანდაყოლილი «disinvoltura»,[55] რაც არაა მოკლებული სიმშვენიერეს, თუმცაღა უნდა ითქვას, წრეგადასული სითამამის გამოჩენაც სჩვევიათ. თეთრ-ყირმიზნი არიანო, ვერ იტყვი. უმეტესობა მჭლეა, და ეს მაინცდამაინც დიდად როდი ამშვენებს მათ კანს. პარიზელი ქალის გულმკერდი აშკარად უპირისპირდება ვალეს ბინადარი ქალის გულმკერდს. როცა ტანზე სამოსს შემოიტმასნიან, ცდილობენ გაგვაცურონ და მკერდსავსედ მოგვაჩვენონ თავი; სახე რომ ფეროვნად წარმოგვიდგინონ, ამისათვის სულ სხვა ხრიკებს მიმართავენ. ეს შორიდანაც თვალში საცემია და გამოუცნობელიც ცოტა რამ რჩება. აქაურ მანდილოსნებს უთუოდ ცუდად ესმით თავიანთი სარფა. უკეთუ ქალის პირისახე სანდომიანია, დანარჩენს ბევრად უკეთ გაარკვევს მნახველის წარმოსახვა, ვიდრე მისი თვალები, და გასკონელი ფილოსოფოსის სიტყვით, გრძნობის დაუმცხრალი სიხარბე გაცილებით უფრო მწვავეა, ვიდრე თუნდაც ერთ-ერთი ჩვენი შეგრძნებით დაკმაყოფილებული გაუმაძღრობა.

მათი ნაკვთები არცთუ ფრიად სწორია. თუმცა კეკლუცები არ არიან, მაგრამ სახის გამომეტყველება სილამაზის ადგილს იჭერს, ხოლო ზოგჯერ ჩრდილავს კიდეც მას. ოღონდ ცოცხალ და მოელვარე თვალებში არ გამოსჭვივის არც გულითადობა, არც სინაზე. ლოყებზე ფერ-უმარილის წასმით ისინი ცდილობენ თავიანთ თვალებს მეტი ელვარება შემატონ, ოღონდ ამის გამო მათი თვალები თითქოსდა მრისხანებით ელავენ და არა სიყვარულით, – ბუნებამ ხომ მარტოოდენ ხალისის წარმოჩენის უნარი მომადლა მათ; ხოლო თუკი ხანდახან მოგვეჩვენება კიდეც, რომ ისინი მოუხმობენ უნაზეს გრძნობებს, თავად არასოდეს გვიქადიან ამ გრძნობათ.[56]

ისინი ისე კოხტად იცვამენ, – მაინცდამაინც, საყოველთაოდ მიღებული შეხედულებით, – რომ ამ მხრივ, როგორც სხვა მხრივაც, სანიმუშონი არიან მთელი ევროპისათვის. და მართლაც, სამაგალითო გემოვნებით ატარებენ უაღრესად უჩვეულო ტანსაცმელს. არ არსებობენ ამქვეყნად ქალები, რომლებიც ასე ნაკლებად ემორჩილებოდნენ საკუთარ მოდებს. მოდა – პროვინციელ ქალთა მეუფეა, ხოლო პარიზელი ქალები – მოდის მეუფენი არიან და თითოეულმა მათგანმა იცის მისი გამოყენება. პროვინციელი ქალები – ესენი თითქოსდა უმეცარი და მონა-მორჩილი გადამწერლები გახლავან, რომლებიც გადმოიღებენ ყველაფერს, თვით ორთოგრაფიულ შეცდომებსაც კი; პარიზელი ქალები კი შემოქმედები არიან, რომლებიც ოსტატურად აღადგენენ დედანს და მარჯვედ ასწორებენ მის შეცდომებს.

---

[55] მოურიდებლობა (იტალ.).

[56] ილაპარაკეთ თქვენი თავის მაგივრად, ძვირფასო ფილოსოფოსო; ხოლო შესაძლოა, სხვებს ბედმა გაუღიმა კიდეც? მარტოოდენ მსუბუქი ყოფაქცევის ქალი ჰპირდება ყველას იმას, რაც მხოლოდ ერთ ვინმეს უნდა შემოუნახოს.

სამკაული ფაქიზია და სრულიადაც არაა მდიდრული – აქ მეფობს სინატიფე და არა ფუფუნება. სწრაფმავალი ცვალებადობა მოდებისა, რაც ყოველწლიურად ძველდება და სისუფთავისთვის ზრუნვა აიძულებს პარიზელ ქალებს ხშირ-ხშირად იცვალონ ტანისამოსი, – და ყველაფერი ეს იხსნის ხოლმე მათ სასაცილო ფუფუნებისაგან. ისინი უფრო ნაკლებს როდი ხარჯავენ, სამაგიეროდ დიდი სარისტით. აქ ნახავ ბრწყინვალე და ნახმარ-გაცვეთილ ჩაცმულობას კი არა, როგორც იტალიაში, არამედ სადა და მუდამჟამს ახალ სამოსელს. ამ მხრივ მამაკაცებიც გამოირჩევიან თანაბარზომიერებითა და სიკოხტავის გრძნობით, მათი გემოვნება ძალზე მომწონს: სასიამოვნოა, რომ არა ჩანს ზიზილ-პიპილები და ჭუჭყიანი ლაქები. არც ერთი სხვა ხალხი, გარდა ჩვენი ხალხისა, მეტადრე ეს ეხებათ ქალებს, – არ ატარებს ასე ცოტა ოქროქსოვილ ტანისამოსს. ყველა წოდებას აცვია ერთი და იმავე ქსოვილისაგან შეკერილი ტანსაცმელი, და ძნელად თუ გამოარჩევთ ჰერცოგის მეუღლეს მეშჩანი ქალისაგან, უკეთუ ერთი არ მიმართავს განსაკუთრებულ იშკილბაზობას, რის გადაღებასაც მეორე ვერ გაბედავს. ოღონდ ამ ამბავს უთუოდ თან ახლავს უხერხულობაც, ვინაიდან რა მოდაც უნდა შემოიღონ სასახლეში, ამ მოდას წამსვე აითვისებს ქალაქი, და პარიზშიც მარტოოდენ პროვინციელი და უცხოქვეყნელი ქალები მისდევენ დრომოჭმულ მოდას. და ამ მხრივ აგრეთვე ყველაფერი სხვაგვარადაა, ვიდრე სხვა ქვეყნებში, სადაც წარჩინებული დიდებულები ყველაზე მდიდარი ადამიანებიც არიან და ამიტომაც მათი ცოლები ისეთი ფუფუნებით ცხოვრობენ და იპრანჭებიან, რომ მათ ვერავინ შეედრება. სეფექალები აქაც ამ გზას რომ ადგნენ, მათ მალე დაჩრდილავდნენ ფინანსისტთა ცოლები.

განა რა ჩაიდინეს მათ? აირჩიეს ბევრად უფრო საიმედო და გაცილებით უფრო მარჯვე ხერხი, რაც ამტკიცებს დიდ გამჭრიახობას. მათთვის ცნობილია, რომ ხალხი ღრმადაა გამსჭვალული ზნეობრივი სისპეტაკისა და თავმდაბლობის მოთხოვნილებებით. სწორედ ამან შეუწყო ხელი მათ შეუდარებელი მოდების შექმნაში. შეამჩნიეს, რომ მდაბიო ხალხი ზიზღით ეპყრობა ლესვა-წაცხებას, ტლანქი სიტყვით მოიხსენიებს და დაჟინებით უწოდებს წაგოზვას და აღარც კი მისდევს მას. ახლა ისინი სახეზე იდებენ ფერ-უმარილის სქელ ფენას. სახელწოდება ხომ შეიცვალა, მაშასადამე, არსიც უკვე სულ სხვაგვარია. მათ შეამჩნიეს, რომ გულამოჭრილი კაბა ხალხში უწესობად ითვლება და იწყეს ღრმად გულამოჭრილი კორსაჟების შეკერვა. მათ შენიშნეს, რომ... ე, დიახ, შენიშნეს მრავლის უმრავლესი ისეთი რამ, რასაც ჩემი ჟიული, ჩემი უმანკო გვრიტი, რასაკვირველია, ვერასოდეს შენიშნავდა. მათ მანერებში გამეფებულია იგივე სულისკვეთება, რაც მათ მორთულ-მოკაზმულობაში. სათნო კდემამოსილება, რაც ასე განასხვავებს, ასე აღამაღლებს და ამკობს შენს სქესს, უხამსად და მდაბიურად მოეჩვენათ. მეტი სიხალისისათვის თავის მიხვრა-მოხვრასა და ლაპარაკს არისტოკრატული უტიფრობა მიუსართეს, – ყოველი წესიერი მამაკაცი ვერ უსწროებს თვალს მათ ლირფ მზერას... ამრიგად, უარყვეს ქალად ყოფნა იმის შიშით, ვაითუ, სხვა ქალებში გავითქვიფოთო, ამჯობინებენ მიეკუთვნონ მაღალ საზოგადოებას, ვინემ თავიანთ სქესს და მეძავ ქალებსა ჰბაძავენ, ოღონდ კი ჩვენ არავინ მოგვბაძოსო.

კაცმა რომ თქვას, აღარც კი ვიცი, სადამდის მივლენ თავიანთი მიმბაძველობისას, მაგრამ ცხადია, ვერა გააწყვეს რა, რომ თავად მათაც არ მიჰბაძონ. რაც შეეხება ფერ-უმარილსა და გულამოჭრილ კაბებს, ისინი გავრცელდნენ ყოველგან, სადაც კი ეს შესაძლებელია. ოღონდ მეშჩან ქალებს არ ვგავდეთო, და პარიზელმა ქალებმა ამჯობინეს ხელი აეღოთ პირისახის ბუნებრივ ფერსა და ყველა იმ სიმშვენიერეზე, რომელსაც ანიჭებს მათ თავიანთ მიჯნურთა «amoroso pensier».[57] დაბალი წოდების დედაკაცებმა არ მიჰბაძეს

[57] ტრფიალების ოცნება (იტალ.).

მათ მაგალითს მხოლოდ იმიტომ, რომ ასე ჩაცმულ-დახურული ქალის ქვეითად სიარული მართლაცდა სახიფათოა: ვაითუ მდაბიო ხალხმა ყიჟინა დაგვცესო. ეს შეურაცხყოფა – გულისწყრომით აღსავსე უმანკოების ზახილი, ფაქიზად აღზრდილ ადამიანთა წესიერებაზე ბევრად უფრო კეთილშობილური ხალხური უკმეხობა, როგორც ამ, ისე მრავალ სხვა შემთხვევაში, იქნებ აოკებს კიდეც ასობით ათას ქალს კრძალულობის ფარგლებში; სწორედ ამას ითვალისწინებენ მსგავს მოდათა გამომგონებელი ქალებიც.

რაც შეეხება მათ სალდათურ მანერებსა და გრენადერულ ტონს, ყოველივე ეს არც ისე გასაოცარია, ვინაიდან უფრო მეტადაა გავრცელებული და მხოლოდ ახლადჩასულ ადამიანთათვისაა შესამჩნევი. პარიზში – თვით სენ-ჟერმენის გარეუბნიდან მთავარ ბაზრამდის – თითქმის ყველა ქალი თავისი გამომწვევი მზერითა და ყოფაქცევით სირცხვილში აგდებს ადამიანს, რომელსაც ამის მსგავსი არაფერი უნახავს თავის სამშობლოში და იმდენად განცვიფრებული რჩება, რომ ძალაუნებურად ისეთი წესით იქცევა, რასაც უსაყვედურებენ უცხოქვეყნელთ. უარესი ისაა, როცა ქალი ალაპარაკდება. შენ ვერ მოისმენ კანტონ ვოს ბინადარი, ჩვენი თანამემამულე ქალების ნაზ, ალერსიან ხმებს – არა, ეს ხმა მკვეთრია, გამყივანი, შემკითხველი, მბრძანებლური, გამქირდავი და მამაკაცის ხმაზე უფრო მაღალი. თუკი ლაპარაკის კილოს ჯერ კიდევ შეუნარჩუნებია რაღაც სათუთი ქალური სინაზე, იგი თითქმის სავსებით ჩახშობილია მათი უტიფარი და უცნაური მანერით, იერიში მიიტანონ მამაკაცებზე. ცხადია, ექებებათ კიდეც თავგზა აუბნიონ იმ ადამიანებს, ვინც პირველად ხედავს მათ; მაგრამ კაცმა რომ თქვას, ეს თავგზის აბნევა არც იმდენად ხელსაყრელი იქნებოდა მათთვის, უკეთ რომ გაერკვიათ ამის მიზეზები.

იქნებ იმის გამო, რომ მეტადრე პატივსა ვცემ სილამაზეს, თუ იმიტომაც, რომ თავად იგი უნებურად საუკეთესო მხრით წარმოგვიდგენს თავს, მაგრამ ასე კი მომეჩვენა, ლამაზი პარიზელი ქალები უფრო მორკძალებითა და წესიერად იქცევიან. ეს თავდაჭერილობა არაფრად უღირთ – ისინი მშვენივრად გრძნობენ თავიანთ უპირატესობას, იციან, რომ არ სჭირდებათ ლაღი მანჭვა-გრეხა ჩვენდა საცდუნებლად. ხოლო შესაძლოა, უტიფრობა მეტადრე შესამჩნევია და არასასურველი სიმახინჯესთან შეთავსებით – მართლაც, უშნო და თანაც უტიფარ სახეს უმალ გაასილაქებ, ვიდრე კოცნას დააყრი, – მოკრძალება რომ გამოეხატა, მაშინ აღგვიძრავდა სათუთ თანაგრძნობას, რაც ზოგჯერ ტრფიალების მიზეზი გახდებოდა. მაგრამ თუმცა აქ, საერთოდ რომ ვთქვათ, ლამაზ-ლამაზ ქალთა ყოფაქცევა სასიამოვნოც არის, ხოლო მათს მანერებში მაინც იმდენი გაპრანჭულობაა და ისე აშკარად ელოლიავებიან თავიანთ თავს, რომ მართლაც ამ მხარეში არასოდეს იგრძნობ ცდუნებას, როგორიც ინგლისელ ქალებთან შეხვედრისას განიცადა ბ-ნმა მიურამ – ქალს ეტყვი, ლამაზი ხარო, და უბრალოდ სიამოვნების გულისთვის სიმართლეს კი უმხელ.

თავად ერისთვის ნიშანდობლივი სიმხიარულე და მაღალი საზოგადოების მანერათა მიბაძვის სურვილი ერთადერთი მიზეზი როდია თამამი ლაპარაკისა და ყოფაქცევისა, რაც აქაურ ქალებს ახასიათებთ. ალბათ, ამ გარემოებას ღრმადა აქვს ფესვები გადგმული ადგილობრივ ზნე-ჩვეულებებში, სქესთა მუდმივ უსირცხვილო აღრევაში, როცა ორივე სქესს ერთიერთმანეთისაგან გადააქვთ ყოფაქცევა, გამოთქმები და მანერები. შვეიცარიელ ქალებს უყვართ ქალთა საზოგადოება;[58] მათ აკავშირებთ უნაზესი მეგობრობა, – მოგეხსენებათ, როდი უგულებელყოფენ მამაკაცთა საზოგადოებასაც, მაგრამ ისიც უეჭველია, რომ უკანასკნელთა ყოფნას რაღაც უხერხულობა შეაქვს ქალთა პატარა

[58] ყველაფერი ეს ძალზე შეიცვალა. აღწერილ ვითარებათა მიხედვით ეს წერილები, ცხადია, ოციოდე წლის წინათაა დაწერილი; ხოლო ზნე-ჩვეულებათა და სტილის მიხედვით გეგონება, სულ სხვა საუკუნეში მოხდაო.

სამეფოში. პარიზში, პირიქით, ქალებს უყვართ დროს გატარება მხოლოდ მამაკაცებთან, მარტო მათთან გრძნობენ თავს ლაღად და თამამად. ყოველი შეკრებისას დიასახლისი თითქმის ყოველთვის ერთადერთი ქალია მამაკაცთა წრეში. წარმოუდგენელია, საიდან გაჩნდება ხოლმე ყოველი მხრიდან ამდენი მამაკაცი. პარიზში უამრავია ფათერაკთა მაძიებელი და უცოლშვილონი, რომელთა საქმიანობა მარტოოდენ სტუმრად ხეტიალია – ასე გეგონებათ, მამაკაცები ბრუნვაში ხმარებული ფულივით ხურდავდებიანო. აი, ქალიც სწავლობს მამაკაცის შესაფერის ლაპარაკს, მოქმედებას, ფიქრს; მამაკაცებიც მის შესაბამისად იქცევიან. ყველანი მარტო ამ ქალს ეარშიყებიან, იგი კი მშვიდად და სიამოვნებით ისმენს შეურაცხმყოფელ აღსარებებს, და არავინაც არ იწუხებს თავს თუნდაც მოსაჩვენარი სიწრფელე მიანიჭოს წარმოთქმულ სიტყვებს. მას ეარშიყებიან – ესაა მთავარი, ხოლო განა სულ ერთი არაა – სერიოზულად თუ ხუმრობით! მაგრამ როგორც კი გამოჩნდება მეორე ქალი, მყისვე გაქრება მთელი სითამამე; ამის ნაცვლად ვხედავთ მაღალი წრის მანერებს, პრანჭვა-გრეხას; მამაკაცთა ყურადღება გაორებულია და ყველანი იდუმლად თავს დაძაბულად გრძნობენ მანამდის, ვიდრე სახლებში წასასვლელად არ დაიშლებიან.

პარიზელ ქალებს უყვართ წარმოდგენის ნახვა თეატრში, ესე იგი, სხვანაირად რომ ვთქვათ, უყვართ თავიანთი თავის საჯაროდ გამოჩენა; ოღონდ ყოველთვის, თეატრში წასვლას რომ განიზრახავენ, დიდ სიძნელესა და დაბრკოლებას განიცდიან – უნდა გამოძებნონ თანამგზავრი ქალი, რადგან ქალს არ ძალუძს ლოჟაში მარტოდმარტო ჯდომა, თუნდაც ქმრის გვერდით ან რომელიმე მამაკაცის გვერდით – ასეთია ჩვეულება და წესი. შეუძლებელია გადმოგცე კიდეც, თუ ამ ესოდენ გულთბილ ქვეყანაში რამდენად საძნელოა მსგავსი საქმის მოგვარება, – ათიდან ცხრა შემთხვევაში ამ მხრივ არაფერი გამოდის. ქალებს ერთმანეთთან აკავშირებთ თეატრში წასვლის სურვილი, მაგრამ სთიშავთ ერთად ყოფნის უნდომლობა. ჩემი აზრით, ქალებს ადვილად შეეძლოთ ამ უცნაური ჩვეულების გაუქმება. აბა, რატომ არ შეუძლია ქალს მარტო გამოსვლა საზოგადოებაში, გაუგებარი ამბავია! მაგრამ ეგებ სწორედ ამ გაუგებრობის მეოხებითაა შენარჩუნებული კიდეც ეს ჩვეულება. კარგია წესიერების დაცვა შეძლებისდაგვარად იქ, სადაც მის დარღვევას აზრი არა აქვს. აბა, რად უნდა ქალს იმის უფლება, თანამგზავრი ქალის უმისოდ რომ წავიდეს ოპერაში? განა არ ემჯობინება დაიტოვოს მეგობართა შინ მიღების უფლება!

ქალები ცხოვრობენ განმარტოებით, ერთიერთმანეთისგან განკერძოებით უამრავ მამაკაცთა შორის და ათასობით ფარული კავშირი, ალბათ, ასეთი წესით ცხოვრების შედეგია. ამჟამად ყველა ეთანხმება ამ გარემოებას. ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ გააცამტვერა უაზრო მტკიცება, რომელიც ღაღადებდა, თითქოს ცდუნებათა გამრავლებით მოვახერხებთ მათ დაძლევასო. ამრიგად, ახლა უკვე აღარ ლაპარაკობენ, ეს ჩვეულება ბევრად უფრო პატიოსნურიაო, არამედ – უფრო სასიამოვნოაო, – ოღონდ, ჩემი აზრით, ეს არ შეეფერება ჭეშმარიტებას. ნუთუ სიყვარულს ძალუძს სუფევა იქ, სადაც აბუჩად იგდებენ კრძალულებას? და რაიღა ბედენაა სიცოცხლე უსიყვარულოდ და წესიერების უმისოდ? მთელი ამ მოლხინარე საზოგადოების საშინელი უბედურებაა სევდა, ამიტომაც ქალები იმას კი არ მიელტვიან, რათა ისინი უყვარდეთ, არამედ – რომ გაართონ. მუსუსობა და ლაქუცი ბევრად უფრო ფასობს, ვიდრე სიყვარული. თქვენ თავგამოდებით გეარშიყებიან, მაგრამ – უყვარხართ თუ არა, ეს განა სულ ერთი არაა? თვით სიტყვებიც «სიყვარული» და «შეყვარებული» განდევნილია მამაკაცისა და ქალის გულითადი საუბრიდან და სიტყვებთან – «შეუღლებასა» და «მგზნებარე ვნებასთან» ერთად გადასულია რომანებში, რომელთაც უკვე აღარავინ კითხულობს.

თითქოსდა აქაურ მიდამოებში დარღვეულია ბუნებრივ გრძნობათა მთელი წესრიგი. გული არ იცნობს არავითარი სიყვარულის კავშირს: ქალიშვილებს ეკრძალებათ

ეს კავშირი – ამის უფლება მხოლოდ გათხოვილ ქალს ენიჭება. მასთან, ამ კავშირს შეუძლია მისი შეერთება ყველასთან, ქმრის გარდა. დაე, დედას ჰყავდეს თუნდაც ორი ათეული კურო, ოღონდ ასული უბიწო იყოს. არავინ აღშფოთდება, მრუშობის ამბავი თუ შეიტყო – აქ წესიერების საწინააღმდეგოს ვერაფერს ხედავენ; მეძაობითაა სავსე მრავალი რიგიანი რომანი, რომელთაც კითხულობს ყველა იმის გამო, რათა განათლდეს; და არავინაც არ კიცხავს გარყვნილებას, როცა მასთან ერთად ირღვევა ერთგულებაც. ო, ჟიული! ქალი, რომელიც არ დაერიდა ასგზის შეებღალა ცოლქმრული სარეცელი, გაბედავს თავისი უწმინდური ბაგეებით მსჯავრი დასდოს ჩვენს უმანკო სიყვარულს და ამხილოს ორი გულწრფელი, ალალ-მართალი ადამიანის კავშირი. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქორწინება პარიზში თავისი ბუნებით სრულიადაც არ არის ისეთი, როგორიც ყოველგან. ისინი ჩემულობენ, ქორწინება საიდუმლოებაა, მაგრამ ამ საიდუმლოებას არ გააჩნია ის ძალა, რაც მოეპოვებათ ყველაზე ჩვეულებრივ სამოქალაქო ხელშეკრულებებს: როგორც ჩანს, ეს არის შეთანხმება ურთიერთშორის რაიმეთი შეუკავშირებელი ადამიანებისა, რომელთაც გადაწყვიტეს იცხოვრონ ერთად, ატარონ საერთო გვარი, იყოლიონ შვილები, მაგრამ გარდა ამისა, მათ არ გააჩნიათ არავითარი უფლება ერთიმეორის მიმართ; და თუკი აქ მეუღლე განიზრახავდა მეორე ნახევრის ცუდი საქციელის გაკიცხვას, მაშინ მას ყიჟინას დასცემდნენ და ისე მოეპყრობოდნენ, როგორაც დაიმსახურებდა ჩვენს მხარეში, უკეთუ თავად ეწეოდა გარყვნილებით სავსე ცხოვრებას. და აქ ცოლებიც როდი ადევნებენ მკაცრად თვალყურს თავიანთ ქმრებს, ჯერ კიდევ არ ყოფილა შემთხვევა, დაესაჯათ ქმრები იმის გამო, რომ ისინი ცოლების მიბაძვით ღალატობენ ერთგულებას. თუმცა, განა შეიძლება მოველოდეთ თუნდაც ერთ ან მეორე მხრიდან უფრო ღირსეულ დამოკიდებულებას უსიყვარულოდ დადებული საქორწინო კავშირის მიმართ? ის, ვინც იქორწინებს სიმდიდრისა ან მდგომარეობის გამო, არავისთან არაფრით არ არის ვალდებული.

სიყვარულმაც კი, თავად სიყვარულმაც დაკარგა თავისი უფლებები და ისევე დამახინჯდა, როგორც ქორწინება. თუ აქ ცოლ-ქმარი – უცოლო მამაკაცი და მსუბუქი ყოფაქცევის ქალიშვილია, რომლებიც მხოლოდღა იმისთვის ცხოვრობენ ერთად, რათა ხალვათად ეწეოდნენ გარყვნილ ცხოვრებას, მაშინ კურო-ხასანი გულცივად ეპყრობიან და ხვდებიან ერთმანეთს თავშესაქცევად პატივმოყვარეობის გამო, ანდა წუთიერი ჟინის დასაკმაყოფილებლად. გულს არაფერი ესაქმება ასეთ კავშირთან, აქ იქცევიან მხოლოდ ხელსაყრელ პირობათა და რაღაც გარეგნულ წესიერებათა შესაბამისად. ყველაფერი გვარდება ერთგვარი ურთიერთნაცნობობით, საზიარო ცხოვრებით ანდა როგორმე ერთად მოწყობის მცდელობით, მოკლეჟამიერი შეხვედრებით, ხოლო ზოგჯერ უფრო მცირედითაც, თუ ეს შესაძლებელია. სამიჯნურო კავშირი ვიზიტზე ოდნავ მეტხანს გრძელდება. ეს არის რამდენიმე საამური საუბარი და სასიამოვნო ბარათი, რომლებშიც იპოვი სხვადასხვა ადამიანთა აღწერასაც, წესებსაც, ფილოსოფიასაც, მახვილგონიერებასაც. რაც შეეხება ხორციელ სიამეთ, აქ მას არა ფარავენ; კეთილგონივრულად ფიქრობენ, ძალიან იოლად შეიძლება ჟინის დაკმაყოფილებაო: პირველი შემხვედრი ქალი უკავშირდება პირველსავე შემხვედრ მამაკაცს – მიჯნური იქნება ეს თუ ვინაც გნებავთ. მამაკაცი ხომ ყოველთვის მამაკაცია. კაცმა რომ თქვას, თითქმის ყველა ერთიმეორეს არ ჩამოუვარდება და ამ მხრივ, მაინცდამაინც, არსებობს რაღაც თანმიმდევრულობა, ვინაიდან აბა უფრო მეტად რად უნდა დაიცვას საყვარლის ერთგულება, ვიდრე მეუღლისა? და გარდა ამისა, გარკვეულ ასაკში თითქმის ყველა მამაკაცი ერთნაირია, ერთნაირია ყველა ქალიც. ყველა ისინი ერთი და იგივე მოდური სავაჭრო თოჯინები არიან, და ღირს კია მათი დიდხანს არჩევა, როცა ყველაზე ადვილია იმის აღება, რაც ხელთ მოგვხვდება?

თავად მე ამ საქმეში გამოცდილება არა მაქვს, – ყველაფერი ეს მიამბეს, და თანაც ისეთი მიკიბულ-მოკიბული ტონით, რომ სავსებით ვერაფერი გავიგე. მხოლოდ ერთი რამ გულისხმავყავ – მანდილოსანთა უმრავლესობას საყვარელი ფარეშის მდგომარეობაში ჰყავს ჩაყენებული: თუკი ის საქმეს ვერ ართმევს თავს, განაძევებენ და სხვას გაიჩენენ; უკეთუ უკეთესი ადგილი გამონახა ანდა თავისი ხელობა მობეზრდა, იგი მიდის და სხვა მოჰყავთ. ასეც ხდებაო, მითხრეს, ზოგიერთი ახირებული ქალი ზოგჯერ ოჯახის უფროსითაც დაინტერესდება – რაც უნდა იყოს, ისიც ხომ მამაკაციაო; ოღონდ ასეთი ჟინი წუთიერია, და როგორც დაცხრება ეს ჟინი, იმ კაცს ჩამოიშორებენ და სხვას ჩაჰკიდებენ ხელს, ხოლო თუ იგი ჭირვეული გამოდგა, შეუნარჩუნებენ თავის ადგილს, ოღონდ კიდევ სხვა ვინმეს მიუსართავენო.

«კი, მაგრამ ეს როგორ ხდება-მეთქი, – ვკითხე ჩემს თანამოსაუბრეს, რომელიც მომითხრობდა ამ მეტად გასაოცარ ჩვეულებათა ამბებს, – განა როგორ შეხვდება მერე ქალი იმათ, ვინც წავიდა ანდა თავად გადააყენა-მეთქი?» «აბა, რასა ბრძანებთ! სწორედ მეტი საქმე არა აქვს! ამიერიდან აღარც კი შეხვდებიან ერთმანეთს, – ნაცნობობა გაწყვიტეს. ხოლო თუ ანაზდად რომელიმე მათგანს მოუნდება ურთიერთობის განახლება, მაშინ ხელახლავ უნდა გააცნოს თავი, და კიდევ კარგი, თუ ქალმა იცნო». «მესმის, – მივუგე მე, – ოღონდ მთელ ამ გაზვიადებულ ამბავს რომ თავი გავანებოთ, მაინც ვერ გამიგია, ნუთუ ასეთი ტკბილი სიახლოვის შემდეგ შესაძლოა გულცივი შეხვედრა; ნუთუ გული არ აგიძგერდება იმის სახელის წარმოთქმისას, ვისაც ასე ეტრფოდი და ელოლიავებოდი – განა თრთოლვა არ მოგივა შეხვედრის ჟამს?» «თრთოლაო! ო, რა სასაცილო ხართ, – სიტყვა შემაწყვეტინა მან, – იქნებ ისა გსურთ, ჩვენმა ქალებმა გულშეღონების მეტი აღარაფერი გააკეთონ!»

გამოტოვე ნამეტნავად გაზვიადებული ზოგი რამ ამ სურათში, მასთან დააყენე ჟიული და გაიხსენე ჩემი გული, – დასამატებელი აღარაფერი მაქვს.

თუმცაღა უნდა აღვნიშნო, რომ როცა შეეჩვევი, ზოგჯერ აღარც კი შეამჩნევ არასასიამოვნო ამბავსაც. კარგზე უმალ ცუდსა ხედავ, მაგრამ კარგიც, თავის მხრივ, აგრეთვე შესამჩნევი ხდება. ჭკუისა და ზნე-ხასიათის მომხიბვლელობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მთელ პიროვნებას. საკმარისია დავძლიოთ მტრული განწყობილება და იგი მყისვე სულ სხვანაირ გრძნობად გადაიქცევა. ეს სხვანაირი თვალსაზრისია სურათის მიმართ: სამართლიანობის გულისთვის არ ძალმიძს მარტოოდენ სარგებლიანობის მხრით გამოვხატო ყველაფერი.

დიდ-დიდ ქალაქებში ყველაზე არასასიამოვნოა ის ამბავი, რომ ადამიანები იქ სულ სხვაგვარნი ხდებიან, ვიდრე სინამდვილეში არიან, და საზოგადოება ანიჭებს მათ, ასე ვთქვათ, ისეთ რაობას, რაც სულ არა ჰგავს და განსხვავდება მათი რაობისაგან. ეს ჭეშმარიტება განსაკუთრებით შეჰფერის პარიზს და მეტადრე – ქალებს, რომელთა ცხოვრების მიზანია – მიიპყრონ სხვათა ყურადღება. აი, თქვენ მეჯლისზე მიუახლოვდით მანდილოსანს და გგონიათ, ჩემს წინაშე პარიზელი ქალიაო, ხოლო აღმოჩნდება, რომ თქვენს წინ დგას მხოლოდ და მხოლოდ მოდის თვალსაჩინო გამოხატულება. სიმაღლე, დიდებული ნაკვთები, სარო ტანი, ძუძუ-მკერდი, სახის ფეროვნება, მთელი იერი, მზერა, სიტყვები, მანერები – ყველაფერი ყალბი აქვს, და თუკი მოგიხდებოდათ ბუნებრივი სისადავით მისი დანახვა, მას ვეღარ იცნობდით. ხოლო ასეთი ცვლილება იშვიათად ამშვენებს ქალს და საერთოდ, ბუნების შეცვლით ვერაფერსაც ვერ მოიგებს ვინმე. თუმცა, ბუნების სავსებით აღმოფხვრა არასოდეს ხერხდება – იგი ყოველთვის რაიმეში იჩენს თავს. მეთვალყურის ოსტატობაც ისაა, რათა შეამჩნიოს იგი. ეს ოსტატობა როდია ძნელი, როცა საქმე აქაურ ქალებთანა გაქვს. მათ ბევრად უფრო დიდი ბუნებრიობა მოეპოვებათ, ვიდრე თავად ჰგონიათ; ამიტომაც რამდენადაც უფრო ხშირად და გულმოდგინედ ეწვევით,

რამდენად სწრაფად აიძულებთ დაივიწყონ გამუდმებული თვალთმაქცობა, რაც ასე მოსწონთ, თქვენ დაინახავთ მათს ნამდვილ რაობას, და მათდამი პირვანდელი მტრული განწყობილება მყისვე პატივისცემისა და გულითადობის გრძნობად გადაგექცევათ.

აი, რა შევამჩნიე გასულ კვირას ქალაქგარეთ სახლში, სადაც ჩვენ – მე და კიდევ რამდენიმე ახლადჩამოსული – ფრიად წინდაუხედავად მიგვიწვია რამდენიმე მანდილოსანმა: წინასწარ არც კი შეუმოწმებიათ, ვიყავით თუ არა მათი საზოგადოების შესაფერისნი, ან იქნებ თავის შექცევა სურდათ და ერთი ლაზათიანად ჩვენი მასხრად აგდებაც განეზრახათ კიდეც. პირველ დღეს მართლაც ასე მოხდა. თავდაპირველად მასხრად გვიგდებდნენ. აგვიკლეს სასაცილო და გესლიანი ხუმრობით, მაგრამ ამ ხუმრობებს არავინ იგერიებდა და ენამახვილობის ნიაღვარი დაიშრიტა. მაშინ ქალებმა თავაზიანად დაგვითმეს: აღარც კი გვაიძულეს მხარი აგვება მათი ქცევისთვის. ამიტომ პირიქით, მათ მოუხდათ ჩვენი წაბაძვა. აღარც კი ვიცი, მართლაც მოეწონათ თუ არა ეს ცვლილება, მაგრამ საუცხოოდ ვგრძნობდი თავს და განცვიფრებულმა დავინახე, რომ მათთან საუბარში უფრო მეტი სასარგებლო რამ გავიგე, ვიდრე ზოგიერთ მამაკაცთან საუბრისას. მახვილგონიერება ამკობდა და ამშვენებდა მათს საღ მსჯელობათ და ძალიანაც მწყინდა, რომ ისინი ამახინჯებდნენ მას. როგორც დავინახე აქაურ ქალთა უფრო ახლო ნაცნობობისას, ეს საყვარელი არსებანი სამწუხაროდ არ გამოირჩევიან კეთილგონიერებით მხოლოდ იმიტომ, რომ ეს არა სურთ. ჩემს თვალთა წინაშე მათმა უბრალო, თანდაყოლილმა სიტურფემ შეუმჩნევლად შეცვალა დედაქალაქური მანჭვა-გრეხა, ვინაიდან მანერები, თუნდაც აღარც კი ფიქრობდე მასზე, შეესაბამებიან საუბრის თემას – არ შეიძლება გონივრული მუსაიფის შენელება კეკლუცური კოკობზიკობით. მე დავრწმუნდი აგრეთვე, რომ ისინი გალამაზდნენ კიდეც, როგორც კი თავი ანებეს კოპწიაობას და მივხვდი: თავის მოსაწონებლად მხოლოდ ერთი რამ ესაჭიროებათ – იყვნენ ბუნებრივნი. ამისდა მიხედვით გავბედე წარმომედგინა, რომ მართლაც ამქვეყნად არ მოიპოვება ადგილი, სადაც იყოს გამეფებული ისეთი უგემოვნება, როგორც პარიზში – მას კი გემოვნების კანონმდებლის სახელი აქვს განთქმული, რაკი ყველა ის მცდელობა, რასაც მიმართავენ იქ ადამიანის დასატყვევებლად, აფუჭებს ჭეშმარიტ სილამაზეს.

ამრიგად, ერთად გავატარეთ ოთხი-ხუთი დღე და კმაყოფილი ვიყავით ერთმანეთითა და ჩვენ-ჩვენი თავითვე. პარიზის დათვალიერებისა და მთელი მისი ორომტრიალის გაცნობის მაგივრად საერთოდ მიგვავიწყდა კიდეც იგი. მთელი ჩვენი გულისწადილი მხოლოდ ის იყო, დავმტკბარიყავით საყვარელ, სასიამოვნო საზოგადოებაში ყოფნით. კარგი გუნება-განწყობილებისათვის არ გვესაჭიროებოდა არც სატირული ხუმრობანი, არც გესლიანი დაცინვები – ჩვენ ვიცინოდით გამქირდავი სიცილით კი არა, არამედ მხიარული სიცილით, როგორც იცინის შენი დაიკო.

პარიზელ ქალებზე ჩემი შეხედულება საბოლოოდ კიდევ ერთმა ამბავმა შემაცვლევინა. გაცხარებული წარმტაცი საუბრის დროს ხშირად დიასახლისთან მოდიოდნენ მსახურნი და ყურში რაღაცას ჩასჩურჩულებდნენ. იგი წამსვე გავიდოდა თავის ოთახში, იქ განმარტოებული რაღაცას წერდა და დიდხანს არ ბრუნდებოდა სტუმრებთან. ძნელი როდი იყო ამ გაუჩინარებათა მიზეზის ახსნა იმით, რომ იგი წერდა სამიჯნურო ბარათებს, უფრო სწორად, ბარათებს, რომელთაც აქ მიღებულია სამიჯნურონი უწოდონ. ერთ-ერთმა ბანოვანმა სიტყვა გადაუკრა ამის გამო, მაგრამ ხუმრობა არ მოუწონეს და მივხვდი, იქნებ დიასახლისს საყვარელი კი არა ჰყავს, არამედ მეგობრები-მეთქი. ოღონდ ცნობისმოყვარეობის გამო ცოტაოდენი რამ მაინც გავიგე, და როგორი იყო ჩემი განცვიფრება, როცა აღმოჩნდა, მასთან პარიზელი მოლაყბენი კი არ დადიან, არამედ იმ მრევლის გლეხები, რომელსაც ეკუთვნის მისი ადგილ-მამული. ისინი მიმართავენ თავიანთ ქალბატონს სხვადასხვა გასაჭირის გამო და ევედრებიან მოსარჩლეობას! ერთს

ტვირთად აწევს ბეგარა, რომელიც მასზე მდიდარ კაცს არა ხვდება. მეორე რეკრუტად წაიყვანეს – არ მიჰხედეს არც მის ასაკს, არც იმას, რომ იგი ოჯახის მამა იყო;[59] ხოლო კიდევ ერთი მდიდარმა კაცმა უსამართლო საჩივრით გააღატაკა; და კვლავ ვიღაც გააკოტრა სეტყვამ, მაგრამ მისგან მაინც მოითხოვენ იჯარის ქირას. ერთი სიტყვით, ყველანი დახმარების სათხოვნელად მოდიოდნენ – დიასახლისი ყველას მოთმინებით უსმენდა; არავინ გაუგდია გარეთ და დროსაც სამიჯნურო ბარათების წერაში როდი კარგავდა, არამედ ამ უბედურთა დასაცავი თხოვნის დასაწერად. არ ძალმიძს გადმოგცე, რაგვარის გაოცებით გავიგე ის ამბავი, თუ რაოდენ სიხარულს ანიჭებდა ქეიფ-გართობათა მოყვარულ ამ ყმაწვილ ქალს საქმენი ესე კეთილნი და არც ისე ყოყოჩობდა ამით. კაცმა რომ თქვას, – გრძნობამორეული ვამბობდი გულში, – თავად ჟიულიც სწორედ ასე მოიქცეოდა-მეთქი. და იმ წუთიდანვე პატივისცემით დავუწყე ყურება და მეტად აღარ შემიმჩნევია მისი ნაკლოვანებანი.

როგორც კი ამ მხრივ შევუდექი დაკვირვებებს, მივხვდი, სწორედ იმ ქალებს, აქამდე აუტანელ ქმნილებებად რომ მიმაჩნდა, აურაცხელი საუცხოო თვისება მოეპოვებათ. ყველა უცხოქვეყნელი იმ აზრისაა, რომ როგორც კი მათ მოდებზე ლაყბობას აღუკვეთ, მთელ ქვეყნიერებაზე ვერ იპოვით ისეთ მხარეს, სადაც ქალები უფრო განათლებულნი და უფრო გონივრულნი იყვნენ, უფრო საქმიანად მსჯელობდნენ და როცა ეს საჭიროა, უკეთ შეეძლოთ რჩევა-დარიგებით შეწევნა და დახმარება. აბა, რას მისცემს გულსა და გონებას საუბარი ესპანელ, იტალიელ და გერმანელ ქალებთან, უკეთუ გვერდს ავუვლით სიყვარულის ენასა და მახვილსიტყვაობას. არაფერსაც! და შენც, ჟიული, თავადვე იცი, რომ ეს შეეხება ჩვენს თანამემამულე შვეიცარიელ ქალებსაც. სამაგიეროდ მას, ვისაც არ შეეშინდებოდა უვიცის სახელის შერქმევისა და ვინაც მოახერხებდა ფრანგი ქალების გამოხმობას მათ-მათი ციხე-სიმაგრეებიდან, მას ერთბაშად მოუხდებოდა სიტყვიერ ბრძოლაში ჩაბმა ტრიალ მინდორზე და ასე ეგონებოდა, მამაკაცს ვებრძვიო, – ისეთი ჭკუა-გონების გამოჩენა იციან, როცა ამას მოითხოვს აუცილებლობა. რაც შეეხება მათს კეთილ ზნე-ხასიათს, არაფერს ვიტყვი იმის გამო, რომ მუდამ მზად არიან მეგობრის სამსახურად, ვინაიდან აქ შესაძლოა მბრძანებლობდეს გულმოდგინე თავმოყვარეობა, რაც ყოველი ქვეყნის მკვიდრთ მოსდგამთ. თუმცა საერთოდ მხოლოდ და მხოლოდ თავიანთი თავი უყვართ, მაგრამ ხანგრძლივი ჩვეულება, – უკეთუ ეყოფათ სიმტკიცე მის შესაძენად, – მხურვალე გრძნობის ადგილს იჭერს მათ გულში, და ის ქალები, რომელთაც უნარი შესწევთ გაუძლონ თავიანთი ერთგულების ათწლიან ვადას, ჩვეულებრივ ინარჩუნებენ მას უკვე სამიდღეშიოდ და ძველი მეგობრები უფრო ნაზად და მაინცდამაინც უფრო ერთგულად უყვართ, ვიდრე თავიანთი ახალგაზრდა შეყვარებულნი.

საკმაოდ გავრცელებული აზრის მიხედვით, რაც ვგონებ, თავად ქალებისაგან წარმომავლობს, საფიქრებელია, თითქოს ისინი მართავენ ქვეყნის ყველა საქმეთ და მაშასადამე, სჩადიან უფრო მეტ ბოროტებს, ვიდრე სიკეთეს. ოღონდ მათ ამართლებს ის ამბავი, რომ ბოროტებას სჩადიან მამაკაცთა გავლენით, სიკეთეს კი – საკუთარი სურვილით. ეს სრულიადაც არ ეწინააღმდეგება ზემოთქმულს – რომ გული არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს ქალთა და მამაკაცთა სამიჯნურო ფათერაკებში, რადგან ფრანგთა თავაზიანობამ მიანიჭა ქალებს ყოვლისმომცველი ძალაუფლება, ხოლო მის ხელშესაწყობად უნაზესი გრძნობები აღარც კია საჭირო. ყველაფერი ქალებზედან ჰკიდია, ყოველივე კეთდება მარტოოდენ მათგან და მათთვის – ოლიმპიცა და პარნასიც, სახელ-დიდებაცა და სიმდიდრეც მათს ნება-სურვილს ემორჩილებიან. წიგნებს ენიჭებათ

[59] ასე იყო წარსულ, და არა ამ ომში, რამდენადაც ვიცი, ცოლშვილიანები ახლა აღარ მიჰყავთ, ამიტომაც ბევრმა იქორწინა კიდეც.

ღირებულება, მთხზველებს – აღიარება, უკეთუ საამისოდ ქალები დასცემენ თავიანთ დასტურს. მათ ხელეწიფებათ განაგებდნენ დიდმნიშვნელოვან და ფრიად სასიამო მეცნიერებათა ბედ-იღბალს. პოეზიასა და პროზაში, ისტორიასა და ფილოსოფიაში, თვით პოლიტიკაშიაც კი წიგნთა სტილის მიხედვით მყისვე ხედავ, რომ ისინი დაწერილნი არიან ტურფა ქალთა შესაქცეველად, – თვით ბიბლიაც კი ახლახან სამიჯნურო ამბავთა კრებულად გადააკეთეს. მიზნის მისაღწევად საქმიანობის ჟამს ისინი იყენებენ მთელ თავიანთ მომხიბვლელობას, თვით ქმრებზედაც კი ახდენენ გავლენას – იმიტომ კი არა, მათი ქმრები რომ არიან, არამედ იმის გამო, რომ ისინი მამაკაცებად ითვლებიან: დასაბამიდან ასეა მიღებული, მამაკაცი არაფრის გულისთვის არ ეუბნება უარს ქალს, თავის ცოლსაც კი.

თუმცა ეს ძალაუფლება ემყარება ერთგულებას კი არა ანდა პატივისცემას, არამედ მარტოოდენ ზრდილობასა და მაღალი საზოგადოების ადათ-წესებს, რადგანაც ფრანგულ ზრდილობიანობას ახასიათებს ქალთა მიმართ არა მარტო თავაზიანი, არამედ აგდებული დამოკიდებულება. მათ მიმართ ზიზღის გამომჟღავნება – ეს ერთგვარი მაღალი ღირსების ნიშანია, რაც იმას მოწმობს, რომ ქალებთან საკმაოდ დიდხანს იცხოვრეს და კარგადაც გაუსინჯეს კბილი. მას კი, ვინაც მათ პატივსა სცემს, თავად თვლიან დოყლაპიად, გულარხეინ რაინდად, რომელიც მხოლოდ რომანებით იცნობს ქალებს. თავად ქალებმა შეიქმნეს თავიანთ თავზე სამართლიანი აზრი. ისინი ყურადღების ღირსადაც არ ჩაგთვლიან, უკეთუ პატივს მიაგებ მათ, და უპირველესი თვისება მუსუსისა, რომელსაც დიდი წარმატება აქვს ქალთა შორის, ეს არის თავხედური ქედმაღლობა.

როგორადაც უნდა იყოს, ამაოდ წარმოუდგენიათ, თითქოს ბოროტი ზნე-ხასიათი გვაქვს მობოძებულიო, – ისინი გულკეთილნი არიან თავიანთი თავის საწინააღმდეგოდ, და არის ისეთი სფერო, სადაც მათი გულკეთილობა განსაკუთრებით სასარგებლოა. ყველა ქვეყანაში საქმოსნები ჩვეულებრივ უაღრესად საზიზღრები არიან და მათთვის უცხოა სიბრალული. და პარიზშიც, ევროპის ყველაზე დიდი ხალხის ამ საქმიან ცენტრში, საქმოსნები უაღრესად გულქვა ადამიანები არიან ამ ქვეყანაზე. და აი, კეთილმოწყალების მოსაპოვებლად ღარიბ-ღატაკი ადამიანი მიმართავს ქალებს – თავის ერთადერთ მოსარჩლეს. ისინი გულცივად როდი ეკიდებიან მათ თხოვნას, ყურადიღებენ მას, ანუგეშებენ და ეხმარებიან. ზოგჯერ მაღალი საზოგადოების ორომტრიალში ქალებს შეუძლიათ მოიხელთონ ორიოდე წუთი და დათმონ სიამოვნება თავიანთი თანდაყოლილი გულკეთილობის გამო: და თუკი რომელიმე მათგანი მოყვასის მიმართ სამსახურს სამარცხვინო საქმიანობად გადააქცევს, ათასობით სხვა ქალი ყოველდღიურად უანგაროდ ეხმარება უპოვარს ფულით, ხოლო დაჩაგრულს – გავლენით. სიმართლე უნდა ითქვას, რომ ხშირ-ხშირად ისინი ამასთან ერთად არავითარ საშუალებას არ ერიდებიან და ნაცნობ-ღატაკთა დახმარების ჟამს ურცხვად ზიანს აყენებენ უცნობებს. მაგრამ განა შეიძლება ყველას იცნობდე დიდ ქვეყანაში? და ძალუძს თუ არა უფრო მეტი რაიმეს გაკეთება ამ გულმოწყალეობას, რომლისთვისაც უცხოა ჭეშმარიტი სათნოება? მისი ყველაზე დიდი ღვაწლი იმდენად სიკეთის ჩადენა კი არაა, არამედ ის ამბავი, რომ ბოროტება არა ქმნას.

ყოველივე ეს შესაძლოა არც კი გამეგო, უკეთუ დავკმაყოფილდებოდი მარტოოდენ ზნე-ჩვეულებათა სურათებით იმ მთხზველთა რომანებსა და კომედიებში, რომლებიც ქალს მიაწერენ თავად მათთვისვე დამახასიათებელ მხოლოდ და მხოლოდ სასაცილო ნიშან-თვისებებს და არა კარგ თვისებებს, რაც თავად მათ არ ახასიათებთ, ანდა აღწერენ სათნოების მაგალითებს, რომელთა მიბაძვისათვის ქალი თავსაც არ იწუხებს, რადგან მტკნარ სისულელედ მიაჩნია ისინი, – ნამდვილად კი საჭირო იყო მისი წაქეზება კეთილ საქმეთათვის და იმის შექება, რასაც უკვე აკეთებს. ეგებ რომანები უკანასკნელი საშუალება იყოს, რასაც უნდა მივმართოთ ხალხის დარიგებისას, რომელიც ისეა წამხდარი, რომ სხვა

ველარაფერი არგებს. ამ შემთხვევაში აჯობებდა, თუ ასეთი სახის წიგნთა დაწერის უფლებას მისცემდნენ არა მარტო ზნეკეთილ ადამიანებს, არამედ მგრძნობიარე მწერლებსაც, რომლებიც მთელ სულსა და გულს ჩადებენ თავ-თავიანთ ნაწარმოებებში, მთხზველებს, რომლებიც ქედმაღლურად როდი დახედავდნენ ადამიანთა სუსტ მხარეებს, როდი ასახავდნენ სათნოებას უკვე ცის თაღებში მოლივლივედ, ჰაერში გადმოკიდებულად, არამედ შეაყვარებდნენ მას ადამიანებს, თავდაპირველად დაანახვებდნენ არც ესოდენ მკაცრად, შემდეგ კი მათდა შეუმჩნევლად მიიყვანდნენ მასთან ბიწიერების წუმპეთაგან ამოყვანილთ.

უკვე გაფრთხილებდი, არ ვიზიარებ-მეთქი საყოველთაო აზრს აქაურ ქალთა მიმართ. ყველანი ერთსულოვნად აღიარებენ, მათი საქციელი უაღრესად მომაჯადოებელიაო, შვენება – მეტად მაცდუნებელი, სიკეკლუცე – ნამეტნავად ნატიფი. მათი თავაზიანობა უნაკლოა, ხოლო თავმოწონების ოსტატობა – უბადლოო. მე კი მათი საქციელი მაშფოთებს, სიკეკლუცე ზიზღსა მგვრის, მანერები უტიფარი და უშვერი მგონია. ჩემი აზრით, გულმა კარი უნდა დაიხშოს, როცა ისინი დაახლოებას შეეცდებიან, და ვერავინ შემაცვლევინებს აზრს, რომ სიყვარულის გამო ენაჭარტლობის ჟამს ისინი ამჟღავნებენ თავიანთ უნიჭობას – შთააგონონ ვისმე ეს სიყვარული და შეიყვარონ თავადაც.

მეორე მხრით, ხმა დაირხა, მათ ზნე-ხასიათს უნდა ვერიდოთო. ასე ამბობენ, ისინი ქარაფშუტანი, ეშმაკნი, პირმოთნენი, თავქარიანნი, ცვალებადნი, ტკბილმოუბარნი არიანო, მაგრამ არ ძალუძთ ფიქრი და ბჭობა, ხოლო კიდევ უფრო ნაკლებად – შეგრძნება და ცარიელ ლაყაფში ხარჯავენ მთელ თავიანთ ნიჭსა და უნარს. მე კი წარმომიდგენია, რომ ყველაფერი ეს თვალთმაქცობაა, მათი კრინოლინებისა და ფერ-უმარილის შესაფერისი. ყოველივე ეს იმ მოსაჩვენარი ცხოვრების ბიწიერებაა, რომელსაც ეწევიან პარიზში, ბიწიერებანი, რომლებიც მიაჩუმათებენ ხოლმე გრძნობებსაც, საღ აზრსაც, ადამიანურობასაც და სიკეთის დასაბამსაც. აქ ქალები უფრო ნაკლებად ყბედობენ, უფრო ნაკლებად ჭორაობენ, ვიდრე ჩვენთან და, კაცმა რომ თქვას, უფრო ნაკლებადაც, ვიდრე სადმე სხვა ადგილას. ისინი ბევრად უფრო განათლებულნი არიან, ხოლო განათლება ხელს უწყობს მათ უფრო საღად იმსჯელონ. ერთი სიტყვით, თუმცა ზიზღსა მგვრის ყოველივე, რაც ახასიათებს მათივე წყალობით დამახინჯებულ მათ სქესს, მაინც პატივსა ვცემ ყველაფერს, რაც ჩვენსას ემსგავსება და სასიქადულოა ჩვენთვის. და მეც ვრწმუნდები, რომ მათ ორგზის უფრო შეჰფეროდათ ღირსეულ მამაკაცებად ყოფნა, ვიდრე – თავაზიან ქალებად.

ამრიგად, ჟიული რომ არ არსებულიყო, ჩემს გულს რომ შეეგრძნო სხვა სიყვარული და არა ის, რისთვისაცაა იგი გაჩენილი, არასოდეს ავირჩევდი მეუღლეს პარიზში, მით უმეტეს – სატრფოს, მაგრამ სიამოვნებით შევიძენდი იქ მეგობარ ქალს; და ასეთი საუნჯე უსათუოდ ნუგეშსა მცემდა, რაკი ვერ ვიპოვე იქ ვერც ერთი და ვერც მეორე.[60]

XXII წერილი
ჟ ი უ ლ ი ს ა დ მ ი

მას მოღმა, რაც შენი წერილი მივიღე, ყოველდღე დავდიოდი ბ-ნ სილვესტრთან, მინდოდა გამეგო, მიიღეს თუ არა-მეთქი ამანათი. მაგრამ იგი მაინც ვერ მიეღოთ. და

[60] მერიდება აზრი გამოვთქვა ამ წერილის გამო. მაგრამ ვფიქრობ, ძნელად თუ მოიწონებენ ქალები მსჯელობას, რაც უხვად მომადლებს მათ მათთვის საძულველ ღირსებებს და არ მიუბოძებს იმ ერთადერთ ნიშან-თვისებათ, რომელთაც ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ.

უსაშველო მოუთმენლობით გათანგული შვიდჯერ მაინც ვიყავი მასთან ამაოდ. და აი, როგორც იქნა, მერვეჯერ მისვლისას მივიღე პაკეტი. მაშინვე წამოვიღე, გადმოგზავნის ფულიც კი არ გადამიხდია, არც არაფერი მიკითხავს, არავისთვის ხმა არ გამიცია და გიჟივით გამოვვარდი კარში ერთადერთი ფიქრით, რაც შეიძლება მალე მივსულიყავ შინ. ისე თავქუდმოგლეჯით ვირბინე უცნობ ქუჩაში, რომ ნახევარი საათის შემდეგ ტურნონის ქუჩის მაგივრად, სადაც ვცხოვრობ, აღმოვჩნდი ბოსტანთუბანში – პარიზის მოპირდაპირე ბოლოში. მომიხდა ეტლის დაქირავება, რათა შინ სწრაფად მივსულიყავ. პირველად ჩავიდინე ეს დილით. საქმისთვის გამოსვლისას კი არა, ეტლში ჩაჯდომა საღამოსაც მეზარება, როცა სტუმრად მივდივარ ხოლმე. ფეხები მაგარი მაქვს და მართლაც საწყენი იქნებოდა ახლა ის ამბავი, როცა ცოტათი შეძლებულად ვცხოვრობ, თუკი მათ აღარ გავრჯი.

ფიაკრში მჯდომარემ აღარ ვიცოდი, რა მექნა შეკრულასათვის. მაგრამ მისი გახსნა არ მინდოდა შინ მისვლამდე – ხომ ასეთი იყო შენი ნდომა-სურვილიც. და თანაც უკეთუ ყოველდღიურ ცხოვრებაში ვივიწყებ ხელსაყრელ პირობებს, რაღაც სანეტარო გრძნობა მაიძულებს გულმოდგინედ ვეძიებდე მათ ჭეშმარიტ სიამოვნებათა ჟამს. აქ უკვე ვეღარ მოვითმენდი – რამეს ხელი შეეშალა. მსურდა თავისუფლად და ლაღად დავმტკბარიყავი შენი საბოძვარით. ამრიგად, შფოთიერი ცნობისმოყვარეობით შევყურებდი იმ შეკრულას, თავს ვერ ვიოკებდი, სულ იმასა ვცდილობდი გამესინჯა, თუ რა იყო სახვევშიგნით, – ვინმეს რომ დაენახა, თუ წამდაუწუმ როგორ ვატრიალებდი იმ შეკრულას, იფიქრებდა, ხელებსა წვავსო. საქმე ისაა, რომ მისმა მოცულობამაც, წონამაც და შენი წერილის კილომაც – ყოველივემ გუმანით მიმახვედრა, რა იყო ის სინამდვილეში, ოღონდ წარმოუდგენელია ერთი რამ: ვითარ შეიძელ მხატვრის გამონახვა და ყველაფრის მოგვარება? ამის გამოცნობა ჯერ კიდევ არ შემიძლია, – ესაა სიყვარულით წარმოქმნილი საკვირველება. რაც უფრო აღემატება იგი ჩემი გაგების უნარს, მით უფრო აღმიტაცებს მე. არაფერი აღარ მესმის – აი, მის მიერ მონიჭებული ერთ-ერთი სიამოვნება.

როგორც იქნა, მოვედი, კისრისტეხით მოვირბინე. ჩემს ოთახში ჩავიკეტე, აქოშინებული ჩამოვჯექ სკამზე, აკანკალებული ხელი წავატანე ბეჭედს. ოი, თილისმის თავდაპირველო ზეგავლენავ! გულათრთოლებულმა შემოვაცალე ქაღალდები. ცოტა ხნის შემდეგ, სანამ უკანასკნელ სახვევს შემოვხსნიდი, ისე შემეხუთა სული, კინაღამ ცნობა მიმეღო. ჟიული! ო, ჩემო ჟიული!.. საბურველი შემოცლილია... მე გხედავ შენ... ვხედავ შენს ღვთაებრივ ნაკვთებს! ბაგენი ჩემნი და გული ჩემი პირველ პატივს მიაგებენ მათ, მუხლს ვიდრეკ... მოსხივცისკარე შვენებას შენსას კვალადაცა ხამს თვალთა ჩემთა მონადირება! რაოდენ სწრაფ, ძალუმსა და იგავმიუწვდომელ ზეგავლენას ახდენენ ჩემზე სათაყვანო ესე ნაკვთები! არა, მეოთხედი საათი სულაც არაა საჭირო, როგორცა ჰგონებ, რომ ეს შევიგრძნო: საკმაო იყო წუთი, თვალის ერთი დახამხამება, და გლახგული ჩემი განატკბო უამარმა მგზნებარე ოხვრამ. შენმა სურათმა აღმავსო დაკარგული ბედნიერების მიმოგონებით! ნეტავი რატომ ხდება ასე: ესოდენ ძვირფასი საუნჯის მფლობელი შევიქენ და ამით მონიჭებულ სიხარულს, აბა რად უნდა მიესართოს ასეთი საშინელი სევდა და დარდი? ვითარის ულმობლობით მომაგონებს ის სამუდამოდ დაკარგულ წარსულს! და ასე მეჩვენება, თითქოს დაბრუნდა თვალწარმტაცი იგი დრო-ჟამი, რომლის მოგონებაც ახლა მთელი ჩემი სიცოცხლის უბედურებად ქცეულა, რამეთუ ზენამ ჯერ მომმადლა იგი, ხოლო შემდეგ, რისხვით აღვსილმა, მყისვე წამსტაცა. ვაგლახმე! სულ ერთი წამი, და გაქრა სანეტარო ოცნება. განშორების ვაი-ვარამი კვალად სულმდგმარებს და მძაფრი ხდება, ხოლო ამაო სიხარულს ბოლო ეღება და მე ვგავარ იმ ტანჯულ-გვემულთ, რომელთაც აღარ აწამებენ, რათა კიდევ უფრო საგრძნობი გახადონ ახალი წვალება. ღმერთო, ნეტავი ვნებათა ცეცხლის რა მდუღარებით აღავსებს ჩემს ხარბ სახედველთ ეს ანაზდეული

საჩუქარი? ჩემი გულის შინასკნელში აღძრავს იგი მგზნებარე სწრაფვას და ასე მგონია, თავად აქა ხარ-მეთქი, ჩემთან! ეჰა ჟიული, ეგების მართლაც ამ თილისმამ გადასდოს შენს გრძნობებს ხელქმნილი ადამიანის მთელი აღტაცება, გრძნობათა ჩემთა უკლები ბედითი თამაში!.. ვინ იცის, იქნებ გადასდოს კიდეც! იქნებ შეგრძნებანი, რაიცა ასე ცხოვლად დააჩნდების სულს, მასთან ერთად გადაეცეს და გადეტაროს შორეულ სავალს? აჰ, ჩემო საესავო ნანდაურო! სადაც უნდა იყო შენ, რასაც უნდა აკეთებდე ახლა, როცა ეს წერილი იწერება, როცა შენზე მლოცველი შენი მიჯნური შენი სურათის წინარე მდგომი წარმოთქვამს შენდამი მიმართულ სიტყვებს, ნუთუ არა გრძნობ, როგორ ალტობს შენს საყვარელ სახეს ტრფიალებისა და კაეშნის მდუღარე ცრემლი? ნუთუ შენი ღაწვები, ბაგენი, ძუძუ-მკერდი არ იქანცებიან, არ მჭმუნვარებენ და არ თრთიან, ჩემი მგზნებარე ამბორით გათანგულნი? განა-თუ შენც არ მოგედო ჩემთა ალმოდებულ ბაგეთა ღადარი? ოი ზენაარსო! ეს რა მესმის? ვიღაც მოდის!.. აჰ, ჩავკეტოთ, დავმალოთ საუნჯე... ეს დაუპატიჟებელი სტუმარი... წყეულიმც იყოს შეჩვენებული, თავისი მოსვლით რომ ჩამიშხამა ესოდენ საამური აღფრთოვანება! დაე, ნურასოდეს გახდეს შეყვარებული... ანდა იცხოვროს სატრფოსაგან მოშორებულმა.

XXIII წერილი
ქალბატონ დ'ორბისადმი

საყვარელო მამიდაშვილო, მოგახსენებ ოპერის ამბავს, თუმცა წერილებში ამას არც კი ახსენებთ, ჟიული კი იცავს თქვენს საიდუმლოს, მაგრამ კარგად ვიცი, რატომ აღუძრავს მას ოპერა ცნობისმოყვარეობას! ერთხელ უკვე ვიყავი იქ, აგრეთვე ცნობისმოყვარეობის გამო, ხოლო თქვენი გულისთვის კვლავ წავედი მეორეჯერ. ნუღა გამაგზავნით იქ, გეთაყვანეთ. ამ წერილის მიღების შემდეგ შემიძლია ერთხელ კიდევ წავიდე იქ და თქვენდა სამსახურად ვამთქნარო, ვიდარდო და ვიტანჯო, რადგან ყურადღებითა და ინტერესით ამის მოსმენა მე არ ძალმიძს.

ვიდრე ჩემს აზრს გაგიზიარებდეთ აქაური ყბადაღებული თეატრის გამო, მოგახსენებთ ყველაფერს, რასაც აქ ლაპარაკობენ მასზე. იქნებ მცოდნეთა აზრმა გამოასწოროს ჩემი მოსაზრება, თუკი ვცდები.

პარიზის ოპერა ცნობილია პარიზში, როგორც ყველაზე დიდმშვენიერ, ყველაზე წარმტაც და ყველაზე მომხიბვლელ სანახაობათა ადგილი, რომელიც კი შეუქმნია ხელოვნებას. ამბობენ, ეს ლუი XIV-ის მორჭმულობის გასაოცარი ძეგლიაო. ამაოდა ფიქრობთ, რომ აქ თითოეულ ადამიანს თავისუფლად შეეძლოს თავისი აზრის გამოთქმა ესოდენ მნიშვნელოვანი საკითხის გამო. იდავეთ ყველაფერზე, ოღონდ მუსიკისა და ოპერის გამო კი არა. ხიფათში ჩაიგდებთ თავს, უკეთუ არ დაფარავთ თქვენს მოსაზრებას სწორედ ამ საკითხში. ფრანგულ მუსიკას დახმარებას უწევს ფრიად სასტიკი ინკვიზიცია. ჩამოსულ უცხოქვეყნელთა დარიგებისას მათ პირველ რიგში შთააგონებენ, პარიზის ოპერაზე უმშვენიერესს ამქვეყნად ვერსად ვერაფერს იპოვივითო, და თითოეული უცხოქვეყნელი ეთანხმება ამას. ნამდვილად კი, სიმართლე რომ ვთქვათ, მათგან ყველაზე ზრდილობიანნი კრინტსაც არ ძრავენ, თავ-თავიანთ წრეში კი ჩუმ-ჩუმად ქირქილებენ.

ოღონდ უნდა აღინიშნოს, რომ ოპერაში საგრძნობი თანხის დახარჯვით წარმოადგენენ არა მარტო ბუნების ყველა საკვირველებას, არამედ უამრავ სხვა, კიდევ უფრო არაჩვეულებრივ საოცრებათ, რაც ჯერ არავის უნახავს და, რასაკვირველია, პოუპი სწორედ ამ სასაცილო თეატრზე ლაპარაკობდა, როცა აღწერა სცენა, სადაც ყველაფერი

ენაცვლება ერთმანეთს: ღმერთებიც, ფუძის ანგელოზებიც, ურჩხულებიც, მეფენიც, მწყემსებიც, სიშმაგეც, მხიარულებაც, ცეცხლიც, ჯიგაც, ბრძოლაცა და მეჯლისიც.

მთელ ამ ჩინებულ, გულმოდგინებით წარმოდგენილ აბდაუბდას ისე უცქერენ, თითქოს ყოვლივე მართლაც ასე მომხდარიყოს სინამდვილეში. აი, სცენაზე გამოჩნდა ტაძარი, და ყველას იპყრობს ღვთიური მოკრძალება, ხოლო უკეთუ ქალ-ღმერთი სანდომიანია, პარტერი წარმართთა საკრებულოს დაემსგავსება. აქ მაყურებელი ბევრად უფრო დამთმობი და ხათრიანია, ვიდრე ფრანგულ კომედიაში. სწორედ იმ მაყურებლებს, რომლებიც იქ, პერსონაჟის ყურებისას, ვერ დაივიწყებენ მსახიობებს, ოპერაში არ შეუძლიათ პერსონაჟიდან მსახიობის გამორჩევა. თითქოსდა ადამიანები უჯიათად ეწინააღმდეგებიან გონივრულ ილუზიას და ემორჩილებიან მას მხოლოდ მაშინ, როცა იგი უაზროა და ულაზათო. იქნებ ღმერთებს უფრო იოლად ჩასწვდნენ, ვიდრე გმირებს? რაკი იუპიტერის ბუნება სულ სხვაგვარია, ვიდრე ჩვენი, შეგიძლიათ იფიქროთ მასზე, რაც გენებოთ; მაგრამ კატონი ადამიანი იყო – და აბა, რამდენი კაცი დაიჯერებს, კატონი არსებობდაო.

ამრიგად, აქაური საოპერო დასი არ წარმოადგენს, როგორც ყველგან, ერთ მუჭა ადამიანებს, რომელთაც იმიტომ უხდიან გასამრჯელოს, რომ ისინი სცენაზე იღვწიან, თუმცა კი ნამდვილად ადამიანები არიან, რომელთაც ხალხი უხდის გასამრჯელოს და იღვწიან სცენაზე. არა, აქ თავად საქმის დედაარსი სულ სხვანაირია, ვინაიდან ეს არის სამეფო მუსიკალური აკადემია, ერთგვარი უმაღლესი სასამართლო, რომელსაც უაპელაციოდ გამოაქვს განაჩენი თავის საკუთარ საქმეში და არ ეძიებს არც სხვა კანონსა და არც სხვა სამართლიანობას.[61] აი სწორედ ასე, ჩემო დაიკო, ზოგიერთ ქვეყანაში მთელი საქმე სიტყვებშია: საკმაოა კეთილშობილურ სახელთა აღნიშვნა, რათა პატივი მიეგოს იმას, რაც ყველაზე ნაკლებ იმსახურებს პატივისცემას.

ამ ფრიად პატივსაცემი აკადემიის წევრთა უფლებები როდია შელახული, სამაგიეროდ ისინი მოკვეთილნი არიან ეკლესიისაგან, სხვა ქვეყნებში კი პირიქით ხდება; ოღონდ კაცმა რომ თქვას, მათ რომ არჩევანის უფლება ჰქონდეთ, ამჯობინებდნენ, აზნაურები ყოფილიყვნენ, თუნდაც მოკვეთილნი, ვიდრე უაზნონი და მადლმოსილნი. თეატრში ვნახე დაახლოებით ჩვენი დროის ასეთი რომაელი მხედარი, რომელიც ისევე ამპარტავნობდა თავისი ხელობით, როგორადაც ოდესღაც ერცხვინებოდა იგი ბედკრულ ლაბერიუსს,[62] თუმცაღა მას იძულებით ათამაშებდნენ და ისიც დეკლამირებდა თავის

---

[61] უკეთუ უფრო გულახდილად ვილაპარაკებთ, მაშინ უფრო მეტად შეიძლება ასეთი დაკვირვების დადასტურება. მაგრამ ამ საკითხში პირუთვნელი ვერ ვიქნები და ამიტომ დუმილს ვამჯობინებ. ყოველგან, სადაც უფრო ნაკლებად ემორჩილებიან კანონებს, ვიდრე ადამიანებს, მოთმინებით უნდა ავიტანოთ უსამართლობა.

[62] ტირანის ნება-სურვილით იგი იძულებული გახდა გამოსულიყო სცენაზე და დასტიროდა თავის ხვედრს ფრიად მგრძნობიარე ლექსებით, რომელნიც ყოველ წესიერ ადამიანს აღუძრავდნენ გულისწყრომას სახელოვანი კეისრის წინააღმდეგ. «პატიოსნად განვლიე სამოცი წელი, – ამბობს იგი, – დღეს დილით, კერა რომ დავუტევე, რომაელი მხედარი ვიყავ. ახლა კი დავბრუნდი და ვარ უკვე ბეჩავი ჰისტრიონომოსი. ვაგლახმე! მერჩივნა ერთი დღით ადრე მოვმკვდარიყავი. ოი, ტიალო ბედო! უკეთუ მეწერა ჩემივ თავის შერცხვენა, რად არ ამიძულე ამის ჩასადენად, როცა ვიყავი ჯეელი, ძალ-ღონით აღსავსე და კარგი თვალტანადი! ახლა კი, ბეჩავი და უბადრუკი, წარვსდგები რომაელი ხალხის ნაძირალათა წინაშე! ძლივს გასაგონი ხმა, უძლური სხეული – ეს ხომ მძორია, ცოცხალი ლეში, სადაც ჩემი აღარა დამრჩა რა, გარდა ჩემი სახელისა». პროლოგი, მან რომ წაიკითხა ამ შემთხვევის გამო, უსამართლობა კეისრისა, რომელიც გააბრაზა კეთილშობილურმა სითამამემ, რითაც ლაბერიუსი შურს იძიებდა თავისი შებღალული ღირსების გამო, სამარცხვინო მარცხი ცირკში, სულმდაბლობა, როგორითაც აბუჩად აიგდო კეისარმა მისი შერცხვენა, ლაბერიუსის მახვილგონივრული და გესლიანი პასუხი – ყოველივე ეს შემონახულია ჩვენს დრომდე ავლიუს ჰელიუსის წყალობით. ჩემი აზრით, ეს არის მისი მოსაწყენი ნაშრომის ყველაზე საინტერესო და უაღრესად თავშესაქცევი ნაწყვეტი.

საკუთარ ქმნილებებს. ძველი დროის ლაბერიუსს არ ძალუძდა მჯდარიყო ცირკში რომაელ მხედართა შორის, ხოლო თანამედროვე ლაბერიუსი ყოველდღე წამოიჭიმება ფრანგული კომედიის სავარძლებში, დიდებულთა გვერდით. რომში ასეთი პატივისცემით როდი ლაპარაკობდნენ რომაელი ხალხის სიდიადეზე, როგორც პარიზში აქებენ და ხოტბას ასხამენ ოპერის ჩინებულებას.

აი, რა ცნობების გამოწვლილვა მოვახერხე სხვათა საუბრებიდან ამ ბრწყინვალე სანახაობის გამო. ახლა კი გიამბობთ ყველაფერს, რაც თავად ვნახე.

აბა წარმოიდგინეთ, თხუთმეტი ფუტის სიგანისა და ამავე სიგრძის კოლოფი. სწორედ ეს კოლოფია თეატრიც. ორივე მხარეს, ერთიერთმანეთისაგან რამდენიმედ დაშორებით, მოთავსებულია საგდულიანი თეჯირი, რომელზედაც გამოხატულია მოქმედებათა ადგილის აღსანიშნავად საჭირო საგნები. უკანა დეკორაცია – ესაა ასეთივე მანერით მოჩითული და თითქმის ყოველთვის აქა-იქ გამოგლეჯილი და დაფხრეწილი დიდი ფარდა, – რაც, საჭიროებისდა მიხედვით, აღნიშნავს ხან პირდაფჩენილ უფსკრულს, ხან კი – ცის თაღებში გაჭრილ სარკმლებს. როგორც კი რონინის დროს წამოედები კულისების უკანა მხარეს, მაშინვე სასაცილოდ ცახცახს დაიწყებს, თითქოს მიწა იძვრისო. გასაშრობად გაკიდებული თეთრეულივით ლანდურებიდან ანდა თოკებიდან ჩამოკონწიალებული მოცისფრო კონკები ზეცას გამოხატავს. ზოგჯერ მზეც სჭირიათ და მის მაგივრობას ანთებული ფარანი სწევს. ღმერთებისა და ქალღმერთთა ეტლები ოთხი ძელისაგან შეკრული და საქანელას მსგავსად მსხვილ თოკზე ჩამოკიდებული ჩარჩოებია. ძელებს შორის გარდიგარდმო გადებულია ფიცარი, – სწორედ ზედ დაბრძანებულა ღმერთი, ხოლო წინ ჩამოშვებულა ტილოს უშნო მოჩითული ქსოვილი, ამ საუცხოო ეტლის შემბურველ ღრუბელთა როლს რომ ასრულებს. ღრუბლის ქვემოდან გამოკრთის ორი-სამი მხრჩოლავი, ჩანავლებული ქონის სანთლიდან გამოსული სინათლე, და სანამ მოქმედი პირი მძვინვარებს და ღრიალებს, თანაც კისერს იტეხს თავის საქანელაზე, ამ სანთლებს გულარხეინად ბოლში გამოჰყავთ იგი: ესაა ღირსეული გუნდრუკის კმევა ღვთაების მიმართ.

ეტლი საოპერო მანქანათა შორის უპირველესთაგანია და, მაშასადამე, ამ ეტლის მიხედვით შეგიძლიათ იმსჯელოთ სხვა დანარჩენზეც. ბობოქარი ზღვა უნდა განასახიერონ ტილოს ანდა მუყაოს კედლებიან, ცისფერ და წვეტიან კოლოფთა მწკრივებმა, რომელნიც პარალელურ ჯოხებზეა ჩამოცმული და მათ ამოძრავებენ ვიღაც-ვიღაც ცუღლუტი ბიჭები. ქუხილი ჭოჭონაქის დახმარებით ამოქმედებული ურმის გრიალია. ეს ჭოჭონაქი უკანასკნელი როდია მთელი ამ მგრძნობიარე და სასიამოვნო მუსიკის შემსრულებელ ინსტრუმენტთა შორის. ელვა ცეცხლწაკიდებულ ჩირაღდანზე დაგდებული ფისის აფეთქებაა; ამ აფეთქებას თან ახლავს პეტარდის ტკაცანი.

სცენის იატაკში ამოჭრილია მომცრო კვადრატული სარქველები. როცა საჭიროა, ისინი იხსნებიან და ეს ნიშანია იმისა, ახლა მიწის ქვეშეთიდან დემონები ამოდიანო. როცა მათ ჰაერში გაფრენა მართებთ, მარჯვედ ცვლიან ჩალით გატენილი შავი ტილოს მომცრო ფიტულებით, ხოლო ზოგჯერ ნამდვილი ბუხრის მწმენდელებიც თოკებზე ჩამოკიდებულნი დაპროწიალებენ ჰაერში მანამ, ვიდრე დიდებულად არ გაქრებიან ზემოთ აღწერილ ძონძებში. ნამდვილი ტრაგედია გათამაშდება მაშინ, როცა თოკები ან ცუდადაა მორგებული, ანდა წყდება, – ასეთ შემთხვევებში ჯოჯოხეთის ბინადარნი და უკვდავი ღმერთები ძირს ენარცხებიან, სახიჩრდებიან, ხოლო ხანდისხან სულსაც კი გააცხებენ... ყველაფერ ამას დაუმატეთ მრავალი საშინელება, რომლებიც ზოგიერთ სცენას რაღაც ფრიად პათეტიკურ ელფერს ანიჭებენ, – ასეთებია, მაგალითად, ურჩხულები, ხვლიკები, კუები, ნიანგები, ვეებერთელა გომბეშოები, რომლებიც თავზარდამცემი შესახედავნი არიან და საშინლად დახანხალებენ, და ოპერის ნაცვლად თქვენს წინაშე წარმოსდგება წმინდა

ანტონის ცდუნების სურათები. თითოეული ამ მაიმახის მოძრაობას წარმართავს რომელიმე დონდლო სავოიელი, რომელსაც იმოდენა ჭკუაც არ შესწევს, ცხოველის ნიღბით რომ გამოვიდეს.

აი, ჩემო დაიკო, როგორია პარიზის ოპერის მეფური სიდიადის თავი და ბოლო, რამდენადაც შევძელი ყველაფრის დანახვა პარტერიდან დურბინდის დახმარებით. ისე ნუ წარმოიდგენთ, გეთაყვანე, თითქოს ყველა ეს ფანდი კარგად იყოს დაფარული და დამაჯერებელ შთაბეჭდილებას ტოვებდეს, – მოგითხრობთ იმას, რაც ჩემი თვალით ვნახე და რასაც შეამჩნევს ყოველი კეთილგანწყობილი მაყურებელი. თუმცა ირწმუნებიან, თითქოს ყველაფერ ამას უამრავი მანქანა ამოძრავებსო. ბევრჯერ შემომთავაზეს, გიჩვენებთო, მაგრამ არასოდეს დავინტერესებულვარ; არც მსურდა მენახა, თუ რამდენი ჯაფის ფასად უჯდებათ ეს წვრილმანები.

ძნელია დაიჯერო, თუ რამდენი ხალხია ჩაბმული ოპერის სამსახურში. ორკესტრსა და გუნდში საბოლოო ანგარიშით დაახლოებით ასი კაცია და უთვალავი მოცეკვავე; თითოეულ როლზე ორი, ხოლო ზოგჯერ სამი მსახიობი მოდის,[63] ესე იგი, თადარიგში მუდამ ჰყავთ ერთი ან ორი დამატებითი მსახიობი, რომელნიც მზად არიან შეცვალონ ძირითადი შემსრულებელი და მათ უხდიან უსაქმურობისათვის მანამდე, ვიდრე მთავარსაც თავის მხრივ არ მოესურვება უსაქმოდ ყიალი; ეს კი ძალზე ხშირად ხდება. რამდენიმე წარმოდგენის შემდეგ პირველი როლის შემსრულებელი მსახიობები ისე არიან გაამპარტავნებული, სცენაზე თავიანთი გამოჩენის ღირსადაც კი არ ხდიან მაყურებელს. ისინი ადგილს უთმობენ დუბლიორებს, ხოლო დუბლიორები – თავიანთ დუბლიორებს. მაყურებლები იხდიან ისეთსავე შესასვლელ ფასს, ოღონდ სპექტაკლი ფრიად მდარეა. თითოეული ღებულობს ბილეთს, თითქოს ლატარია იყოს და არც კი იცის, როგორია მოგება. მაგრამ როგორიც უნდა იყოს, ვერავინ გაბედავს ჩივილს, რადგანაც, და ეს კარგად იცოდეთ, ამ აკადემიის კეთლშობილი წევრები არ არიან ვალდებულნი თუნდაც მცირე პატივი მიაგონ მაყურებელს, მაყურებელი კი ვალდებულია.

არაფერს ვიტყვი მუსიკაზე – თქვენ იცნობთ მას. მაგრამ საერთოდ ვერც კი წარმოიდგენთ, რა საშინელი გოდება და ღმუილი გაისმის ხოლმე სცენაზე წარმოდგენის მსვლელობისას. მსახიობ ქალებს თითქმის კრუნჩხვა ემართებათ, ისეთი რიხით ამოუშვებენ პირიდან გამყივან წამოძახილებს, დამუშტული ხელები გულმკერდზე აქვთ მიბჯენილი, თავი უკანა აქვთ გადაწეული, სახე ანთებული, ძარღვები დაძაგრული, მუცელი უტორტმანებთ. კაცმა რომ თქვას, არც კი ვიცი, რა უფრო საზიზღრობაა – ცქერა თუ მოსმენა; მათი ფახიფუხი იმდენსავე ტანჯვას აყენებს მაყურებლებს, რამდენსაც მათი სიმღერა – მსმენელთ; ოღონდ მხოლოდ აი, ასეთ სანახაობას უკრავენ ტაშს, და ესაა ყველაზე უფრო გაუგონარი ამბავი. ტაშს ისე გამალებით სცემენ, იფიქრებთ, ყველანი ყრუები არიანო; უხარიათ, დროდადრო გულგამგმირავი კივილის გაგონება თუ მოახერხესო და აქეზებენ მსახიობებს, კვლავ გაიმეორეთო. დარწმუნებული ვარ, ოპერაში ტაშს უკრავენ მსახიობი ქალის ღმუილს იმის მსგავსად, როგორც ბაზარში ტაშს უკრავენ ჯამბაზის ხელსწრაფ ხიმანკლობას; მარადჟამს გეუფლება დასაღონარი და დამტანჯველი განცდა, ცქერა როდია სასიამოვნო, სამაგიეროდ, რა სასიხარულო ამბავია, როცა ყველაფერი მშვიდობიანად მთავრდება, და ხალისით გამოთქვამ შენს სიხარულს. აბა იფიქრეთ, – სიმღერის ასეთი მანერა ხელს უმართავს ფილიპ კინოს მიერ შექმნილ ყველაზე უნაზესისა და უგალანტურესის გამოხატვას! წარმოიდგინეთ ასეთივე სინატიფით

[63] იტალიაში არავითარი წარმოდგენა არა აქვთ დუბლიორებზე – მაყურებლები ვერ მოითმენდნენ მათ, ამიტომ წარმოდგენები ბევრად იაფი ჯდება; ძალზე ძვირი მაშინ დაჯდებოდა, საქმე რომ ცუდად იყოს დაყენებული.

მოლაპარაკე მუზები, გრაციები, ამურები, თავად ვენერა, და ბრძანეთ, რა შთაბეჭდილება დაგრჩათ! კაცმა რომ თქვას, ეშმაკთათვის გამოდგება: ამ მუსიკაში არის რაღაც ჯოჯოხეთური, მათ რომ შეეფერებათ. ამიტომაც ყოველგვარი ჯადოსნობა, სულთა გამოწვევა და შაბაშის დღესასწაულები ყველაზე მეტად აღაფრთოვანებენ ფრანგული ოპერის პატივისმცემლებს.

როგორც მწყობრ, ისე ნაზსა და გასაოცარ ბგერებს ფრიად ღირსეულად მობანვენ ორკესტრის ხმები. წარმოიდგინეთ არეულ-დარეული, რაიმე მელოდიურობას მოკლებული დაუსრულებელი გუგუნი, ბასების გაბმული, გულის გამაწვრილებელი და განუწყვეტელი გრიალ-გრიალი – ამაზე სევდიანი და საზარელი არაფერი მსმენია ჩემს სიცოცხლეში. ნახევარი საათის შემდეგ ამიტყდება საშინელი თავის ტკივილი. ყოველივე ეს ისეთი ფსალმუნებაა, რომელსაც ჩვეულებრივ არც კილო გააჩნია და არც რიტმი. ხოლო თუ შემთხვევით გაისმის საცეკვაო მოტივი, ყველანი მოჰყვებიან ფეხის ბარტყუნს, პარტერი გამოცოცხლდება და დაძაბული ყურადღებითა და საშინელი გნიასით თვალს ადევნებს ვიღაც ბატონის ქანაობას ორკესტრში.[64] ყველანი აღტაცებულნი არიან იმით, რომ მათ წუთით დააცალეს რიტმის შეგრძნება, რასაც ისინი ასე ცუდად სწვდებიან და უსაშველოდ ბაძავენ სმენას, ხმას, ხელებს, ფეხებს, მთელ სხეულს, რათა თვალყური მიადევნონ ტაქტს,[65] რომელიც კინაღამ ხელიდან უსხლტებათ. სულ სხვაა გერმანელი ან იტალიელი. ისინი მთელი თავიანთი სულითა და გულით აღიქვამენ მუსიკას, გრძნობენ მას, ძალიან ადვილად ითვისებენ და არ საჭიროებენ ტაქტის გამოთვლას. მაინცდამაინც, რეჯანინო ხშირად ამბობდა, იტალიაში გრძნობითა და სიცოცხლით განმსჭვალულ საოპერო წარმოდგენებში არც ორკესტრში და არც მაყურებელთა შორის მუსიკის ტაქტზე ოდნავადაც არასოდეს არავინ შეირხევაო. ამ ქვეყანაში ყველაფერი ადასტურებს მუსიკალური სმენის სიტლანქეს; ხმები მოუქნელია, უხეში, ხმის ცვალებადობა მკვეთრი და მაღალი, ბგერები დაძაბულია და გულისგამაწვრილებელი. არ არის ხალხურ სიმღერათა არც რიტმი, არც მელოდიური გამომხატველობა. სამხედრო ინსტრუმენტები, ქვეით ჯარისკაცთა საყვირები, ცხენოსანთა ბუკები, ყველა მათი სტვირ-სალამური, ჰობოები, მათი ქუჩის მომღერლები, სამიკიტნოთა ვიოლინოები – ყველაფერი ეს ძალზე ყალბადა ჟღერს და გაუწაფავ ყურსაც კი ჭრის. ყველა ნიჭი ერთბაშად როდი ერგებათ ერთსა და იმავე ადამიანებს, – როგორცა ჩანს, საერთოდ ფრანგები ევროპის ყველა ხალხზე უფრო ნაკლებად ეწყობიან მუსიკას, მილორდი ედუარდი ფიქრობს, დიდ უნარს აქ ინგლისელებიც ვერ იჩენენო. განსხვავება ისაა, რომ ინგლისელებმა იციან ეს, მაგრამ სრულიადაც არ აწუხებთ ეს ამბავი, ფრანგები კი უმალ დათმობდნენ უამრავ თავიანთ ნამდვილ უფლებას და იმასაც აიტანდნენ, რომ გაეკიცხათ კიდეც ისინი ყოველგვარ სხვა საქმეთა გამო, მაგრამ არასდიდებით დათანხმდებოდნენ, უპირველესი მუსიკოსები არა ვართ მთელ ქვეყნიერებაზეო. ზოგ-ზოგი ვინმე სიამოვნებით ჩათვლიდა კიდეც მუსიკას პარიზში სახელმწიფო საქმედ ალბათ იმ საფუძველზე, რომ ოდესღაც სპარტაში წარმოიქმნა სახელმწიფო საქმე ტიმოთეუსის ჩანგზე ორი გაწყვეტილი სიმის გამო. კარგად გესმით, რომ აქ კრინტსაც ვეღარ დაძრავთ. როგორადაც უნდა იყოს, ეგ სულ ერთია, ოღონდ უკეთუ წარმოვიდგენთ, რომ ოპერა პარიზში საუცხოო პოლიტიკური დაწესებულებაა, ეს ამბავი როდი გახდის მას უფრო სასიამოდ გემოგახსნილ ადამიანთათვის. მაშ, დავუბრუნდეთ ჩემს აღწერილობას.

---

[64] «შეშის მჭრელის».

[65] ვფიქრობ, რომ მსუბუქ ფრანგულ მუსიკას ფრიად მარჯვედ ადარებენ გაჭენებული ძროხის რბენას, ანდა გაფრენის მოწადინე მსუქანი ბატის ბაჯბაჯს.

ახლა დამრჩენია მოგითხროთ ბალეტის ამბავი, – ესაა ოპერის უბრწყინვალესი ნაწილი, და უკეთუ მას ცალკე განვიხილავთ, მაშინ ეს სანახაობა ძალზე წარმტაცია, დიდმშვენიერიც და ნამდვილად სცენიური, მაგრამ იგი თითქოს პიესის შემადგენელი ნაწილია, და ამიტომაც სწორედ ასე უნდა განვიხილოთ. თქვენ იცნობთ ფილიპ კინოს ოპერებს. თქვენთვის ისიც ცნობილია, თუ რაგვარი დივერტისმენტები აქვს მას დართული, – თითქმის ასევე, კაცმა რომ თქვას, ამაზე უარესადაცაა საქმე მის მიმდევართა პიესებშიც. ჩვეულებრივ, თითოეული მოქმედება ყველაზე საინტერესო ადგილას წყდება – ეწყობა გასართობი სცენაზე წამომჯდარ მოქმედ პირთა შესაქცევად, ხოლო პარტერის მაყურებლები ყველაფერს ფეხზე მდგომარენი უცქერენ; თანაც პერსონაჟებს ზოგჯერ სავსებით ივიწყებ, ანდა მაყურებლები უმზერენ მსახიობებს, ხოლო ისინი სადღაც განზე იყურებიან. ასეთ დივერტისმენტებს ურთავენ ყველაზე უბრალო საბაბის გამო: თუკი მეფე სცენაზე მხიარულია – ყველანი იზიარებენ მის მხიარულებას და ცეკვავენ, და თუ მოწყენილია – ყველა ცდილობს მის გართობას და კვლავ ცეკვავენ. აღარ ვიცი, იქნებ სასახლის კარზე მიღებული იყოს კიდეც მეჯლისის გამართვა მეფეთა გასამხიარულებლად, როცა ისინი ვერ არიან კარგ გუნებაზე; მაგრამ აქ, თეატრში გაგიკვირდება ის ამბავი, თუ როგორი ურყევი სიმტკიცით ტკბებიან ისინი გავოტის მზერით და ისმენენ სიმღერებს მაშინ, როცა სადღაც სცენის უკან ზოგჯერ წყდება მათი გვირგვინის ანდა თავად მათი ბედ-იღბალი. ცეკვათათვის არსებობს კიდევ ბევრი სხვა საბაბიც – ცეკვა თან ახლავს ცხოვრების უაღრესად მნიშვნელოვან ამბებს. ცეკვავენ მღვდლები, ცეკვავენ ჯარისკაცები, ცეკვავენ ღმერთები, ცეკვავენ ეშმაკები, ცეკვავენ თვით დაკრძალვათა ჟამსაც კი, ერთი სიტყვით – ყველა ცეკვავს ყოველგვარი საბაბით.

ამრიგად, ცეკვა მეოთხეა იმ ნატიფ ხელოვნებათაგან, რაც საჭიროა მუსიკალურ სცენათა დასადგმელად; მაგრამ დანარჩენი სამი ხელს უწყობს მიმბაძველობას, – ხოლო რას ჰბაძავს ეს ხელოვნება? სავსებით არაფერს! ამრიგად, იგი პიესის გარეთ რჩება, როცა მას იყენებენ საერთოდ, როგორც ცეკვის ხელოვნებას, ვინაიდან აბა რის მაქნისია მენუეტი, რიგოდონი და ჩაკონა ტრაგედიაში? უფრო მეტიც, ისინი მაინც შეუსაბამონი აღმოჩნდებოდნენ, თუ არც კი მიჰბაძავდნენ რაიმეს, რადგანაც ყველა თეატრალურ ერთიანობათაგან ყველაზე მუდმივი და უცვალებელია ენის ერთიანობა, და ოპერაც, რომელიც სანახევროდ სიმღერით მიმდინარეობს, ხოლო სანახევროდ ცეკვებით, კიდევ უფრო უაზროა იმ ოპერაზე, სადაც ნახევრადფრანგულ და ნახევრადიტალიურ ენებზე იქნებოდა მთელი მოქმედება.

თუმცა, რადგან არ კმაყოფილდებიან იმ გარემოებით, რომ ცეკვას დათმობილი აქვს არსებითი ადგილი მუსიკალურ წარმოდგენაში და ზოგჯერ ცდილობენ კიდეც ძირითადი გახადონ იგი, ფრანგებსაც მოეპოვებათ ბალეტად წოდებული ოპერა, რომელიც ესოდენ ცუდად ამართლებს თავის სახელწოდებას; რომ აქ ცეკვა კიდევ უფრო შეუფერებელია, ვიდრე ყველა დანარჩენ საოპერო სპექტაკლებში. ამ ბალეტებში უმთავრესად იმდენი დაქსაქსული სიუჟეტია, რამდენი მოქმედებაც. სიუჟეტები ისე ბუნდოვნადაა ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ მაყურებელი ამ კავშირს სულაც ვერ შენიშნავდა, ავტორს პროლოგში რომ არ განემარტა ყოველი. წლის დრონი, საუკუნეები, გრძნობები, სტიქიონნი – მერედა რა ესაქმება ყოველივე ამას ცეკვასთან და რას მისცემს კაცთ წარმოსახვას ასეთი სპექტაკლი? ზოგიერთი სახეები, როგორიცაა კარნავალი ანდა სიგიჟე, მტკნარი ალეგორიაა და ყველაზე აუტანელიც კი, რადგან, თუმცა კარგად არიან მოფიქრებულნი და დახვეწილნი, მაგრამ არ გააჩნიათ არც გრძნობა, არც გამომხატველობა, არც სიმწყობრე, არც ცეცხლი, არც მომხიბვლელობა – ერთი სიტყვით, არაფერი ისეთი, რაც აღაფრთოვანებს მუსიკას, ახალისებს გულს, ასაზრდოებს წარმოსახვას. ამ ეგრეთ წოდებულ ბალეტებში მოქმედება გადადის სიმღერაში, ცეკვა ჰკვეთს მოქმედებას, – იგი

წარმოიქმნება შემთხვევით და არაფერსაც არ ჰბაძავს. ყოველივე იმით მთავრდება, რომ მუსიკალურ ტრაგედიებზე კიდევ უფრო ნაკლებად მიმზიდველ ასეთ ბალეტებში მსგავსი გადასვლები უფრო არ შეიმჩნევა. წარმოდგენები რომ ასე მშრალი და უსიცოცხლო არ ყოფილიყო, მაშინ ცეკვა კიდევ უფრო მეტად საჩოთირო იქნებოდა; მაგრამ ერთ ნაკლოვანებას ფარავს მეორე, და თუკი დახელოვნებულ მთხზველებსა სურთ, ცეკვა მაყურებელს არ მობეზრდესო, უნდა იზრუნონ იმისთვისაც, რათა პიესა მოსაწყენი იყოს.

მე მინდოდა შევდგომოდი მუსიკალური დრამის ნამდვილი აღნაგობის გამოკვლევას, მაგრამ ეს ძალზე ვრცელი საუბარია წერილისათვის და შორს წაგვიყვანს. მე დავწერე პატარა განარკვი ამის გამო და თან დავურთე წერილს – შეგიძლიათ რეჯანინოსთან ერთად განიხილოთ იგი. ისღა დამრჩენია, გითხრათ მხოლოდ ერთი რამ: ჩემი აზრით, ფრანგული ოპერის უმთავრესი ნაკლია ულაზათო სიყვარული ბრწყინვალებისა, – სწორედ მისი გულისთვის იყენებენ წარმოდგენის დროს საკვირველებებს, რომლებიც მხოლოდ წარმოსახვაში შეიძლება არსებობდნენ და ამიტომაც მართებულნი არიან ეპიკურ პოემაში, ოღონდ – სასაცილონი სცენაზე. ჩემი თვალით რომ არ მენახა, ძნელად თუ დავიჯერებდი, რომ არსებობდნენ ამქვეყნად ესოდენ ყეყეჩი მხატვრები, რომლებიც ლამობდნენ სცენაზე მზის ეტლის აღდგენას და იმდენად ბავშვური გულუბრყვილობით აღსავსე მაყურებლებიც, ამ წარმოდგენათა სანახავად რომ დადიოდნენ. ლაბრიუერს არ ესმოდა, მიუხედავად ყოვლისა, თუ როგორ შეიძლებოდა მოსწყენოდა მას ესოდენ საუცხოო სანახაობა – საოპერო წარმოდგენა! მე კი კარგად მესმის, თუმცა ლაბრიუერი როდი ვარ. მე ვამტკიცებ, ყოველი ადამიანის თვალში, რომელსაც ესმის და გაეგება კიდეც ნატიფი ხელოვნება, პარიზის ოპერა მეტისმეტად მოსაწყენი სანახაობაა ერთად დაზღვავებული ფრანგული მუსიკის, ბალეტისა და ყველა სადამდგმელო საოცრებათა გამო. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ფრანგებს არც კი ესაჭიროებათ არავითარი უფრო სრულყოფილი, მაინცდამაინც, შესრულების თვალსაზრისით. და იმიტომ კი არა, რომ სილამაზის შეგრძნების უნარი არ შესწევთ, – ამ შემთხვევაში ნაკლოვანებები ბევრად უფრო შეაქცევენ მათ, ვიდრე ღირსებები, უფრო მოსწონთ მასხარად აგდება, ვიდრე აღფრთოვანებით ტაშის ცემა: იმოდენა სიამოვნებას განიცდიან გაკრიტიკების ჟამს, რომ უხეირო სპექტაკლზე მოწყენით ჯდომა აღარაფრად უჩანთ. უფრო სიამოვნებთ, თეატრიდან გამოსვლისას მასხარად აიგდონ ისინი, ვიდრე ხალისით უცქირონ ამ სპექტაკლს.

XXIV წერილი
ჟიულისაგან

ჰო, დიახ, მე ვიცი – ბედსვიანი ჟიული წინანდელებრივ ძვირფასია შენთვის. ის ცეცხლი, ოდესღაც რომ ელვარებდა შენს თვალებში, იგრძნობა შენს უკანასკნელ წერილში. მე ვპოულობ შიგ იმ მგზნებარებას, რაც მაფრთოვანებს და მეც ცეცხლი მედება. დიახ, ჩემო მეგობარო, ამაოდ ცდილობს ბედი ჩვენს განშორებას. ჩვენთა გულთა კავშირი კიდევ უფრო მჭიდრო გახდება, ჩვენ შევინარჩუნებთ მის შინაგან მგზნებარებას, განშორებასა და სასოწარკვეთას არ დავანებებთ ჩვენი გრძნობების იავარყოფას. და დაე, ის, რამაც უნდა გაანელოს ჩვენი სიყვარული, დაუცხრომლად განამტკიცებდეს მას.

გიხაროდეს, რაოდენ გულუბრყვილო ვარ! მას მოღმა, რაც შენი წერილი მივიღე, დამიმონა მომხიბლავმა ჯადო-თილისმამ, იმ წერილში რომაა ნახსენები. თილისმის გამო ოინი, მე რომ გამოვიგონე, აჯადოებს ჩემს სულს და ახლა უკვე სიმართლე მგონია. როცა

მარტო ვარ, დღეში ასჯერ ამიტანს ძრწოლა, თითქოს ჩემს ახლოს იყო. წარმოვიდგენ კიდეც, თუ როგორ გიჭირავს ჩემი სურათი და სიგიჟემდე მისული თითქოსდა ვგრძნობ, როგორ ეალერსები, როგორ ეამბორები მას. ბაგენი ჩემნი ოცნებითა გრძნობენ და განიცდიან შენს ტუჩებს და ოცნებითვე იხიბლება იმით ჩემი მოყვარული გული. ოი, სანეტარო ცდუნებავ, ოი, აუხდენელო ოცნებანო, – ბედკრულთა უკანასკნელო დასაყუდარო! აჰ, სინამდვილის მაგივრობა გაგვიწიეთ, უკეთუ ეს შესაძლებელია. თქვენითღა სასოებს ის, ვისთვისაც უკვე გაქრა ბედნიერება.

რაც შეეხება ფანდებს, რომელსაც მივმართე სურათის ხელში ჩასაგდებად, აქ, რასაკვირველია, ჩვენთვის თავად სიყვარულმა იზრუნა. თუმცა სიყვარულს რომ მართლაც სასწაულები ჩაედინა, მერწმუნეთ, იგი სულ სხვა სასწაულს აირჩევდა. აი, როგორ მოხდა ეს ამბავი: რამდენიმე ხნის წინათ ჩვენს მხარეში დასახლდა იტალიელი მხატვარი-მინიატურისტი. მილორდ ედუარდმა გამოატანა მას წერილები. მათ რომ აძლევდა, ალბათ, გაითვალისწინა, რაც მოჰყვა შემდგომ ამ საქმეს. ბ-ნმა დ'ორბმა ისარგებლა შემთხვევით და შეუკვეთა დაიკოს სურათი. მეც მომინდა მისი მიღება. დაიკოსა და დედაჩემის სურვილით მან დახატა ჩემი ორი სურათი, მე კი ვთხოვე მხატვარს, კიდევ ერთი დაემზადებინა ჩუმად. შემდეგ აღარ დავდიე, ასლი იყო ეს თუ ორიგინალი, – სამი სურათიდან მარჯვედ ავარჩიე ის, რომელიც ყველაზე მეტად მგავს მე და გამოგიგზავნე. სინდისი არც ისე დიდად მქენჯნის იმის გამო, რომ ვითაღლითე, – მეტ-ნაკლებ მსგავსებას სწორედ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს არც დედაჩემისთვის, არც დაიკოსთვის, ხოლო თუ სახე მე არა მგავს და შენ კი აღტაცებას მოგგვრის, ეს თავისებური ღალატი იქნებოდა და მით უფრო სახიფათოდ ჩაითვლებოდა, რამდენადაც სურათი ჩემზე ლამაზია. არა მსურს, სხვისი სილამაზე რომ მოგეწონოს. მასთან, მხატვარმა გამომაწყო სურათში. ჩემი შეკამათება როდი შეისმინეს და თავად მამაჩემმა ბრძანა, ყველაფერი სწორედ ასე დატოვეთო. გეთაყვანე, მერწმუნე, რომ მთელი ტანსაცმელი, თავსაბურის გარდა, ჩემგან როდია გადაღებული, – ყოველივე ეს მხატვრის წყალობაა – მან შემამკო თავისი გამონაგონი ქმნილებებით.

XXV წერილი
ჟიულისადმი

საყვარელო ჟიული, კიდევ რაღაც უნდა ვთქვა შენი სურათის გამო, ოღონდ უკვე აღტაცების პირველი აღტყინებით კი არა, ასეთი შთაბეჭდილება რომ მოახდინა შენზე, არამედ პირიქით, ცრუ იმედით მოტყუებული ადამიანის წუხილით, რომელსაც ვერაფერი აუნაზღაურებს დაკარგულს. სურათში ასახულია სიტურფეცა და სილამაზეც, არის რაღაც შენმიერი, მსგავსება ცუდად როდია გადმოცემული და დახატულია ნაცადი ოსტატის მიერ, – ოღონდ მას მოეწონება, ვინც არ გიცნობს.

და უმთავრესად უკმაყოფილო ვარ იმით, რომ იგი არ გგავს შენ, ის არა ხარ შენ. მას აქვს შენი სახე, ოღონდ – უსიცოცხლო. მხატვარი ამაოდ ფიქრობდა, სიზუსტით გამოვხატე მისი თვალები და ნაკვთებიო. მან ვერ გადმოსცა შენი ნაზი გრძნობა, რაც შთამაგონებელსა ხდის მათ, ხოლო უმისოდ ისინი არაფერიც არ არიან, თუმცა არ აკლიათ სიმშვენიერე. შენი სახის სიტურფე, საყვარელო ჟიული, შენს გულშია, ხოლო ამის გადმოცემა შეუძლებელია. მიზეზი კი ხელოვნების ნაკლოვანებაში უნდა ვეძიოთ. გეთანხმები, მხატვარი არ იცავს სიზუსტეს იქ, სადაც ეს მას ზედან ჰკიდია, და აქ, მაინცდამაინც, მარცხი მისი ბრალია. მაგალითად, თმა ისე დაუხატავს, რომ ნამეტნავად შორსაა საფეთქლებიდან, – ეს კი შუბლის ხაზებს ნაკლებ სასიამო მოხაზულობას აძლევს, ხოლო გამოხედვა კიდევ უფრო ნაკლებ შთამბეჭდავია. მან ვერ შეამჩნია ცისფერი განშტოებანი იქ, სადაც კანქვეშ

ილანდება ორი-სამი წვნიკი ძარღვი, – თითქმის ისე, როგორც ზამბახის ყვავილებზეა, რომელთა მზერითაც ვტკბებოდით ერთხელ კლარანის ბაღში. ზედ თვალებთან ღაჟღაჟებს ღაწვის თავები და ქვემოთ როდი გადაიკრავს ნაზ ვარდისფერ იერს, როგორც ორიგინალის სახეზეა, – შეიძლება იფიქროს კაცმა, ფერ-უმარილი წაუცხიაო, რომლითაც თავს იმშვენებენ ქალები აქაურ მხარეში. და ეს უბრალო ნაკლი როდია, ვინაიდან ამის გამო შენი გამოხედვა არცთუ ისე მშვიდია, ხოლო გამომეტყველება – რაღაც თავხედური.

მერედა რა უყო მან ამურთა სავანეს – შენი ტუჩების კუთხეთ, რომელთა ამბორით დათბუნებას ხანდახან ვბედავდი კიდეც იმ ბედნიერ ჟამს? მხატვარმა ვერ შეძლო მათი სინარნარის გადმოცემა, ვერ მოახერხა მიეცა შენთა ბაგეთათვის სათუთი და მკაცრი გამოხატულება, რაიც მყისვე იცვლება, როგორც კი მოეფინებათ მათ ღიმილი, ატყვევებს კაცის გულს მომხიბვლელობით და წამსვე აღაფრთოვანებს მას, რაც ენით არ გამოითქმის. მართალია ისიც, რომ სურათზე არ შეიძლება ჩანდეს მკაცრი გამოხედვა და გაღიმებაც. აჰ, სწორედ ეს მადარდებს მე, – მთელი მშვენების დასახატავად საჭირო იყო შენი ასახვა სიცოცხლის ყოველ წუთს.

მივუტევოთ მხატვარს, რამეთუ ვერ შეიძლო მთელი შენი მშვენების გადმოცემა, მაგრამ შენს სახეს იმის გამოც მოაკლო სიმშვენიერე, რომ ვერც ნაკლი გადმოსცა. არსადა ჩანს მარჯვენა თვალის ქვემოთ თითქმის შეუმჩნეველი ხალი, არც ის, მარცხნით კისერზე რომ გაქვს. ვერ აღნიშნა... ოი, ღმერთებო, – ნუთუ საგულეში გულის ნაცვლად ქვა უდევს? დაავიწყდა პაწაწინა ნაიარევი, ნიკაპზე რომ შემოგრჩა. თმა და წარბები ერთნაირი ფერისა დაუხატავს, ეს კი მთლად ასე როდია! წარბები უფრო მუქი გაქვს, წაბლისფერი, ხოლო თმა უფრო ნათელი – მოვერცხლისფრო.

Bonda testa, occhi azurri e bruno ciglio.[66]

სახის ქვემო ნაწილს უზადო ოვალური ფორმა მიანიჭა, და არც კი შეუმჩნევია, ნიკაპიდან ლოყებისაკენ გაწვდილი ნარნარი ზოლი ნაკვთებს არც ისე სწორს რომ ხდის, მაგრამ მაინც კიდევ უფრო მეტად თვალწარმტაცია. აი, ყველაზე შესამჩნევი ნაკლი. მან ვერ გადმოსცა მრავალი სხვა რაიმეც, და უკმაყოფილო ვარ, რადგან მიყვარს არა მარტო შენი სილამაზე, მე მიყვარხარ შენ მთლიანად, როგორიცა ხარ. შენ არა გსურს მხატვრის ფუნჯმა რაიმე დაუმატოს შენს სურათს, ხოლო მე კი არ მინდა, რაიმე მოაკლოს. ჩემს გულს არას ეუბნება ლამაზი ნაკვთები, რაც შენ არ გაგაჩნია, სამაგიეროდ იგი თავგამოდებით ზრუნავს მათთვის, რაც შენ გახასიათებს.

არ შემიძლია გაპატიო ისიც, თუ როგორ გაცვია, – მორთულ-მოკაზმულიცა და საშინაო სამოსშიც ყოველთვის მეტი გემოვნებითა ხარ გამოწყობილი, ვიდრე სურათზე. რაღაც ვეებერთელა თავსაბური გხურავს; მეტყვიან, ეს მარტოოდენ ყვავილებიაო, მერე რა ვუყოთ, ყვავილებიც მეტისმეტია. გახსოვს თუ არა ის მეჯლისი, როცა ვალეს მკვიდრ ქალთა დარად იყავი ჩაცმულ-დახურული, მე კი, დაიკოს სიტყვით, ფილოსოფოსის მსგავსდ რომ ვცეკვავდი? თავსაბურის მაგივრობას გიწევდა ბერნელ გლეხ ქალთა ჩვეულებისამებრ ოქროს სარჭით დამაგრებული შენი გრძელი სხივმოელვარე ნაწნავის გვირგვინი. არა, თავად მზესაც კი არ გააჩნია ის ბრწყინვალება, როგორითაც შენ ატყვევებდი მნახველთა გულსა და თვალს, და რასაკვირველია, ყველა, ვინც იმ დღეს შემოგყურებდა, ვერ დაგივიწყებს მთელ სიცოცხლეში. დაე, სახე შენი შეამკოს შენივ თმის ოქროს საწმისმა, და არა ვარდებმა, რომლებიც ფარავენ მას და მჭკნარად გვეჩვენება, – ისე ელვარეა შენი სახის ფერი. გადაეცი დაიკოს, რადგან ყველაფერში ვხედავ მის მცდელობასა და არჩევანს, რომ ის ყვავილები, რითაც შეამკო შენი თმა, არც ისე გემოვნებითაა

[66] ქერა ქალია, ლურჯთვალა, წარბებს დაჰკრავს მუქი ფერი (იტალ.).

შერჩეული, ვიდრე ისინი, რომელთაც კრეფს იგი «Adone»-ში. ასეთი ყვავილებით შეიძლება სილამაზის შევსება, და არა მიჩქმალვა.

რაც შეეხება ტანს, შეყვარებული მაინცდამაინც მამაზე უფრო მკაცრადა სჯის, და ეს სწორედ გასაოცარია, ოღონდ, მერწმუნე, შენი სამოსი არ გამოირჩევა სისადავით, ჟიულის სურათი კი უნდა იყოს მოკრძალებული, როგორიც თავადაა. სიყვარულო! მარტოოდენ შენ გეკუთვნის ეს სანუკვარი საიდუმლო. ამბობ, ყოველივე ეს მხატვრის გამონაგონიაო. მჯერა, მჯერა! აჰ, მას რომ შეემჩნია თვალთაგან დაფარული შენი მშვენება, მისი ნაათალი მადლი, თვალსაც აღარ მოაშორებდა, ოღონდ აღარ შეეცდებოდა დახატვას. მაშ, რად ცდილობდა თამამი ფუნჯით მის გამოსახვას? და ეს არა თუ წესიერების უქონლობაა, არამედ, ცხადია, გემოვნების ნაკლებობაც. დიახ, სახე შენი ესოდენ უმანკოა, რომ აუტანელია შენი მოშიშვლებული გულმკერდის დანახვა, – ერთი არ შეესაბამება მეორეს, და ამის შეხამება შეეძლო მხოლოდ ტრფობის სიამეს, როცა მისი მთრთოლვარე ხელი ბედავს ახადოს სიმორცხვის საფარველი, ხოლო ნეტარებით მთვრალი შენი მიბნედილი თვალები ღაღადებენ, რომ სიშიშვლის გამოჩენა კი არა გსურს, დაგვიწყნია ეგ შენი სიშიშვლე.

აი, რა ნაკლოვანებები გამოვნახე მე, როცა გულმოდგინებით ვსინჯავდი შენს სურათს, და გადავწყვიტე მისი გადაკეთება ჩემი საკუთარი შეხედულებით. ეს ამბავი ერთ დახელოვნებულ მხატვარს გავაცანი. მანაც ხელი მიჰყო ხატვასა და, იმისდა მიხედვით, რაც უკვე შეასრულა, იმედი მაქვს, მალე გნახო ისეთი, უფრო მეტად რომ იქნება შენი მსგავსი. ვშიშობ, არ გაგვიფუჭდეს სურათი და ჯერ იმ ასლში შეგვაქვს ცვლილება, მას რომ შევუკვეთე. მხატვარი მერე ორიგინალში გადაიტანს მათ, როცა დავრწმუნდებით, რომ ისინი შეესატყვისებიან ჩანაფიქრს. ძალზე მდარედ ვხატავ, მაგრამ მატვარს სულ აოცებს ჩემი დაკვირვების სიმახვილე; არ ესმის, ხელმძღვანელობას რომ მიწევს მასზე უფრო დახელოვნებული ოსტატი. ზოგჯერ საკმაოდ დიდი ობროდი ვგონივარ და მიმტკიცებს, ამქვეყნად სუყველაზე უპირველესი მიჯნური ხარ, რომელმაც იფიქრე სიმშვენიერის მიჩქმალვა, სხვები თვალს რომ ვერ აშორებენო. ხოლო, როცა ვეტყვი, სადა სამოსს ვაცმევ, რათა მთლიანად უკეთ დავინახო-მეთქი, ისე შემომყურებს, თითქოს გიჟი ვიყო. აჰ, რამდენად გულში ჩამწვდომი იქნებოდა შენი სურათი, ისეთი საშუალების გამოგონება რომ შემძლებოდა, შენს სახესთან ერთად სულიც წარმომეჩინა და მასთან ერთად ამესახა შენი კდემამოსილება და მთელი შენი შვენება! გეფიცები, ჩემო ჟიული, ორთავ დიდად მოიგებდა ამ ცვლილებებით. მაყურებელი ხედავდა მხოლოდ იმ სილამაზეს, რომელსაც თავისი წარმოსახვით ჭვრეტდა მხატვარი; მაყურებელი აღფრთოვანებით დაინახავს მას თავის წარმოსახვით ისეთად, როგორიცაა სინამდვილეში. მთელ შენს ხატებას თავს დასტრიალებს ენით უთქმელი, ოდნავ შესამჩნევი მომხიბვლელობა – თითქოს ამითაა განმსჭვალული ყოველივე, რაც კი გაგეკარება. ხედავ შენი კაბის ფურჩალს, და უკვე აღმერთებ მას, ვისაც იგი აცვია. ხედავ შენს სამოსელს – და გრძნობ, თავად მომხიბვლელობის მიერ ნაქსოვი რიდე რომ ბურავს შენს სილამაზეს, და გეჩვენება, შენი სამოსლის დახვეწილი სისადავე რომ მოუთხრობს გულს ყველა იმ შვენებათა ამბავს, რომელთაც იგი ფარავს.

XXVI წერილი
ჟიულისადმი

ჟიული, ო ჟიული! ოი შენ, ვისაც კადნიერქმნილი ჩემად ვხადდი და ვისსა სახელს არა ვღირსვარ წარმოთქმად! მთრთოლვარ ხელიდან კალამი მივარდება; ცრემლები

ალტობს ქაღალდის ფარატინს. ძლივსღა დავწერე პირველი პწკარები, და მეტი წერა აღარ ძალმიძს. არც დუმილი შემიძლია, მაგრამ აღარც ლაპარაკის ძალა და ღონე შემწევს. მოვედ ჩემდა, ჩემმიერ სათაყვანო ძვირფასო ხატებავ, მოვედ, განასპეტაკე და გაასალკლდევე სირცხვილეული და სინანულით იავარქმნილი გული ჩემი. მეოხ ეყავ ჩემს ვაჟკაცობას, რამეთუ ლამობს ხელთაგან გამიქრეს იგი. განამტკიცე სინდისი ჩემი, რათა აღვიარო უნებური დანაშაული, რაშიაც ბრალი განშორებას მიუძღვის.

ვით შემიძულებ მე, ცოდვილს! და მაინც უფრორე ნაკლებ, ვიდრე მე ჩემს თავს. რაცუნდ დავმდაბლდე შენს თვალში, ასგზისად უფრო ჩამოვქვეითდი საკუთარ თვალთა წინარე, ვინაიდან კარგად ვუწყი, რაცა ვარ ახლა, და კიდევ უფრო საძულველად ვგრძნობ თავს იმის გამო, უწინდელებრ რომ გაქვს ბინა ჩემს გულში, რაიც ამიერიდან ესოდენ ნაკლებადაა შენი ღირსი, ხოლო სიყვარულის უმწიკვლო სიამეთა ზედა მიმოგონებამ ვერღა დაიფარა ჩემი უძლური სხეული მომიბვლელობას მოკლებულ მახეთაგან, უგვანი შეცოდებისგან.

ისე საშინლადა ვარ აფორიაქებული, რომ ვენუკვი შენს მოწყალე გულს, ვაღიარებ ჩემს დანაშაულს და მეშინია კიდეც, ვაითუ შევბღალო-მეთქი შენი თვალები, ამ ბწკარებს რომ გადახედავენ. მომიტევე უბიწო და უცოდველო, მომიტევე ეს აღსარება, რომელსაც ავაშორებდი შენს უმწიკვლო სულს, ეს რომ არ ყოფილიყო ჩემთა შეცოდებათა გამოსყიდვის ერთადერთი საშუალება. ვიცი, არა ვარ ღირსი შენი გულკეთილობისა. მე ვარ საძაგელი, საზიზღარი და საძულველიც – დაე, ასე იყოს. ოღონდ სანაცვლოდ არ გახლავარ მატყუარა და ცრუპენტელა. რა ვუყოთ, წარმსტაცე გული შენი და მასთან ერთად ჩემი სიცოცხლეც, მაგრამ არც ერთი წუთით არ მოგატყუებ. იმის შიშით, ვაითუ ეჭვი აიღონ-მეთქი ჩემზე, თითქოს ვეძიებდე გამართლებას, რაც მხოლოდ გაარჯლებდა ჩემს დანაშაულს, დაწვრილებით მოგითხრობ ყოველივეს, რაც თავს გადამხდა. ჩემი ნაამბობარი ისევე გულწრფელი იქნება, ვით გულწრფელია ჩემი სინანული. აი ყოველივე ის, რასაც თამამად წარმოვთქვამ ჩემდა სასარგებლოდ.

მე გავიცანი გვარდიის ოფიცრები და სხვა ყმაწვილკაცები – ჩვენი თანამემამულენი. ვფიქრობდი, ისინი დაჯილდოებულნი არიან ბუნების მიერ სულიერი ღირსებით-მეთქი, ოღონდ ძალზე ვდარდობდი, როს ვხედავდი, თუ რაგვარ ცუდდებოდა მათი ნიჭი და უნარი, რადგან თავი წარმოედგინათ მაღალი წრის პეწენიკებად, რაც სულ არ შეეფერებათ. ისინი კი, თავიანთ მხრივ, მასხრად მიგდებდნენ კიდეც, რადგან პარიზში ყოფნისას შევინარჩუნე მიამიტობა და სისადავე, რაც ძველი ჰელვეციის ზნე-ჩვეულებათა დამახასიათებელია. ასე იფიქრეს, რომ ჩემი ცხოვრებისეული წესები და ჩემი მანერები მათთვის ერთგვარი ნართაული საყვედური იყო. განაწყენდნენ და გადაწყვიტეს, რადაც უნდა დაგვიჯდეს, ყოფაქცევა უნდა შევაცვლევინოთო. რამდენიმე წარუმატებელი ცდის შემდეგ უფრო მარჯვედ შეკრეს პირი და ერთხელ კიდევ მიხიმანკლეს და კიდევაც მიაღწიეს წარმატებას. გუშინ დილით მოვიდნენ ჩემთან და მიმიპატიჟეს მათთან ერთად ვახშამზე პოლკოვნიკის ცოლთან, თანაც, როცა მისი გვარი დაასახელეს, დაუმატეს, თითქოს მას სმენოდეს ჩემი კარგი ზნეობის ამბავი, და სურდა ჩემი გაცნობა. სისულელე მომივიდა, წამოვეგე ანკესზე და ვარწმუნებდი ყველას, სჯობს ჯერ სადარბაზოდ ვეახლო-მეთქი იმ ქალს. მაგრამ მათ სასაცილოდ აიგდეს ჩემი ნამეტნავი წესიერება და ასე მითხრეს, შვეიცარიული პირდაპირობისათვის უცხო უნდა იყოს პირობითობანი, და მთელი ეს ცერემონია საბაბს მისცემთ თქვენზე ცუდი შეხედულება იქონიონო. ამრიგად, ცხრა საათზე გავემართეთ ამ მანდილოსნისაკენ. კიბეზე შეგვხვდა, რაც ჯერ არც ერთ სახლში არ მინახავს. როცა შიგ შევედი, შევნიშნე, მხოლოდ ახლა აანთეს სანთლის ნამწვავები ბუხრის თავზე მდგარ შანდლებში, და ყველაფერში იგრძნობოდა რაღაც ნაძალადეობა. ეს არცთუ დიდად მომეწონა. დიასახლისი კარგი ქალი იყო, თუმცა უკვე ხანში შესული; დანარჩენი,

თითქმის მისი კბილა სტუმარი ქალები მთელი თავიანთი იერით დიასახლისსა ჰგავდნენ. მათი ძალზე მდიდრული ტანსაცმელი უფრო ბრწყინვალე იყო, ვიდრე ლაზათიანი; ოღონდ უკვე წინათაც შევნიშნე, ამ მხარეში ტანისამოსის მიხედვით შეუძლებელია წარმოიდგინო ქალის მდგომარეობა საზოგადოებაში.

პირველი გაცნობისთანავე წარმოითქვა სიტყვები, რომელთა ლაპარაკი მიღებულია თითქმის ყოველგან მსგავს შემთხვევებში. მაღალი საზოგადოების ყოფაქცევის ცოდნა გვასწავლის, რომ საჭიროა მალე მოვუღოთ მათ ბოლო ანდა მივცეთ რაღაც სალაღობო ხასიათი, სანამ არ მოგვწყენია ისინი. მაგრამ ყველაფერი, ცოტა არ იყოს, შეიცვალა, როგორც კი საუბარი საყოველთაო გახდა და მნიშვნელოვან თემებს შეეხო. შევამჩნიე, რომ ქალებს რაღაც დაბნეული და დაძაბული შესახედაობა ჰქონდათ, თითქოს უჩვეულო იყო მათთვის საუბრის კილო, და პარიზში ჩემი ყოფნის მთელ მანძილზე აქ პირველად დავინახე, ქალები რომ შეცბუნდნენ და აღარ შეეძლოთ სერიოზულ საუბარში ჩარევა. უფრო იოლ თემაზე რომ გადასულიყვნენ, თავიანთ ოჯახურ საქმეებზე დაიწყეს ყბედობა, და ვინაიდან არც ერთ მათგანს არ ვიცნობდი, თითოეული ლაპარაკობდა ყველაფერზე, რაც მოაფიქრდებოდა. არასოდეს მსმენია, ამდენჯერ ეხსენებინოთ «ბატონი პოლკოვნიკი», რამაც ძალზე გამაოცა, რადგან ამ ქვეყანაში მიჩნეულია, ადამიანები ახსენონ სახელისა და არა წოდების მიხედვით, და იმათ, ვინაც რომელიმე ცნობილ სახელს ატარებს, ჩვეულებრივ წოდებაც მოეპოვებათ.

ამ ნაძალადევ მედიდურობას მალე ადგილი დაუთმო უფრო უშუალო მანერებმა. შეუდგნენ ხმადაბლა ლაპარაკს და თავისთავად წარმოიქმნა უხამსური მოურიდებლობა – ყველანი ჩურჩულებდნენ და ქირქილებდნენ და ჩემკენ იყურებოდნენ. დიასახლისმა ისეთი თავხედური კილოთი გამოიკითხა ჩემი სამიჯნურო ამბები, რომ ვეღარაფრით შეძლო ჩემი გულის მოგება. მოგვართვეს ვახშამი. და სუფრაზე გამომჟღავნებულმა სითამამემ, რომელიც თითქოსდა ერთმანეთში ურევს ყველა ჩინსა და წოდებას, მაგრამ იმავე დროს წარმოაჩენს შენს ნამდვილ სახესაც, თუმც ამას არც კი ფიქრობ, ბოლოს და ბოლოს, დამანახა, თუ სადაც მოვხვდი. გვიანღა იყო უკან დახევა. ამგვარად, ხიფათისაგან თავდასაღწევად ზიზღი მოვიშველიე და გადავწყვიტე საღამო გამეტარებინა, როგორც დამკვირვებელს და გამეცნო ასეთი ჯურის ქალები, თანაც მინდოდა მესარგებლა შემთხვევით, რაც პირველად და უკანასკნელად მომეცა ჩემს სიცოცხლეში. ძალიან ცოტა სარგებელი კი მივიღე ჩემი დაკვირვებებიდან. ეს ქალები ანგარიშს არ უწევენ თავიანთ ახლანდელ მდგომარეობას, მაინცდამაინც არც საკუთარი მომავალი აწუხებთ. მარტოოდენ თავიანთ ხელობაზე რატრატებენ და იმდენად ჭკუათხელნი არიან ყოველმხრივ, რომ მათდამი სიბრალულის პირვანდელი გრძნობა უმალ სიძულვილით შემეცვალა. როდესაც ისინი ლაპარაკობდნენ სიყვარულის სიამეთა გამო, მივხვდი, მათი განცდის უნარი ამ ქალებს არ შესწევთ-მეთქი. ჩემი აზრით, თავდაუოკებელი სიხარბით ექცევიან ყველაფერს, რაც ბიძგს აძლევს მათ ანგარებას; საერთოდ, მათ ბაგეს არ დასცდენია არც ერთი გულითადი სიტყვა. მაკვირვებდა, ვით შეუძლიათ-მეთქი ადამიანებს ასეთი საშინელი საზოგადოების ატანა. ჩემი აზრით, ამ ქალებისთვის არ არსებობს იმაზე უფრო საშინელი სასჯელი, ვიდრე ის ცხოვრება, რაც თავად იკისრეს.

ამასობაში ვახშამი გრძელდებოდა, ხმაური უფრო და უფრო მატულობდა. სიყვარული კი არა, ღვინო აფიცხებდა ადამიანებს. გაისმოდა ალერსიანი კი არა, უსირცხვილო და უშვერი სიტყვები, ქალები კი თავიანთი უხამსი ტანისამოსით ცდილობდნენ ავხორცობის აღძვრას. ყოველივე ეს თავდაპირველად სავსებით საპირისპირო ზემოქმედებას ახდენდა ჩემზე და, მიუხედავად მთელი მცდელობისა, ისინი ვერ ახერხებდნენ ჩემს ცდუნებას, – მხოლოდ და მხოლოდ ზიზღს აღმიძრავდნენ. «უნაზესი კდემამოსილება, – ვფიქრობდი ჩემთვის, – აი, უდიდესი ნეტარება! რაოდენ

სიმშვენიერეს კარგავენ ქალები, როცა ხელს იღებენ შენზე! მათ რომ იცოდნენ შენი ძალმორჭმულობა, რაოდენ გულმოდგინებას გამოიჩენდნენ შენს შესანარჩუნებლად, – თუნდაც სათნოების გულისათვის კი არა, არამედ თავის მოსაწონებლად! მაგრამ შეუძლებელია კდემამოსილების გაყალბება – არა არის რა მოსაჩვენარი კდემამოსილებაზე უფრო სასაცილო რამ. რა განსხვავებაა, – განვაგრძნობდი ფიქრს, – ამ პირუტყვთა ტლანქი უტიფრობის, მათი უხამსი ორჭოფულობისა და მოკრძალებული, მაგრამ თავმდაბლობით, გულითადობითა და გრძნობებით აღსავსე მგზნებარე მზერასა და სიტყვებს შორის, რომელნიც...“ დამთავრება ვერ გავბედე. ბრაზით ავენთე ესოდენ უღირს შედარებათა გამო. თითქოს რაიმე შეცოდება ჩამედინოს, ისე ვუსაყვედურებდი თავს, რომ ავყევი საოცარ მოგონებებს, რომელნიც სულ თან მდევდნენ ჩემდა უნებურად... ოღონდ რომელ ბუნაგში გავბედე ფიქრი იმაზე... ვაგლახ! აღარ ძალმედვა განმედევნა ჩემი გულიდან საყვარელი ხატება და ვცდილობდი საბურველით შემემოსა იგი.

ხმაური, სიტყვები, რომელთაც ყურს ვუგდებდი, ჩემთა თვალთა გამაოცებელი სურათები შეუმჩნევლად მიმღვრევდნენ სისხლს. ორივე ჩემი მეზობელი ქალი სულ მეარშიყებოდა, და ბოლოსა და ბოლოს ისე გათამამდნენ, რომ ვეღარ შევიძელ თავის შეკავება. აზრები ამერია. ხარბად ვეწაფებოდი საკმაოდ წყალნარევ ღვინოს, მასთან კიდევ უფრო და უფრო მეტი წყალი გავურიე და მერე გადავწყვიტე სულ წმინდა წყალი მესვა, და სწორედ აქ მივხვდი, რომ ეს წყალი კი არა, თეთრი ღვინო იყო, – მატყუებდნენ მთელი ვახშმობის მანძილზე. უკმაყოფილების გამოთქმა არ ეგებოდა, – მხოლოდ და მხოლოდ მასხრად ამიგდებდნენ. ოღონდ სმა შევწყვიტე, მაგრამ გვიანღა იყო – უკეთური საქმე უკვე მოხდა. ცოტა ხნის შემდეგ ძალზე შევზარხოშდი და უკვე აღარაფერი მახსოვდა. როცა გონს მოვეგე, გაოცებულმა დავინახე, რომ ვიმყოფებოდი განცალკევებულ ოთახში ერთ-ერთ ქალიშვილთან ჩახუტებული, და მყისვე საშინელ გუნებაზე დავდექი, ვინაიდან ვიგრძენი, რაოდენ დიდი იყო ჩემი შეცოდება.

ვამთავრებ ამ საზიზღარ ამბავს; და ნურმც შებღალავს იგი ნურც შენს თვალებს, ნურც ჩემს ხსოვნას. ოი შენ, ვისგანაც მოველი განაჩენს, გემუდარები – იყავი მკაცრი, ვარ ამის ღირსი. არავითარი სასჯელი არ იქნება ჩემთვის იმდენად სასტიკი, როგორც ჩემი დანაშაულის მოგონება.

XXVII წერილი

პ ა ს უ ხ ი

ნუ გეშინიათ – არ იფიქროთ, ვითომც გამანაწყენეთ: თქვენმა წერილმა შემაწუხა, ხოლო არ გავუბრაზებივარ. მე კი არა, თქვენ შეურაცხგყოთ თქვენმა გარყვნილებამ, რასაც ვერ ეწყობა თქვენი გული. და ეს ამბავი კიდევ უფრო შემაურვებს მე. ვამჯობინებდი ამეტანა თქვენი ყოველგვარი შეურაცხყოფა, მხოლოდ თავად არ ყოფილიყავით დამცირებული. თქვენ თავს თვით მიაყენეთ ცუდი საქმე და არ ძალმიძს ეს გაპატიოთ.

ყოველი თქვენი გულისთქმა მიპყრობილია თქვენი დანაშაულის მიმართ, სირცხვილეული, თავს უფრორე დამნაშავედა გრძნობთ, ვიდრე სინამდვილეში ბრძანდებით, მე კი მხოლოდ წინდაუხედაობას გისაყვედურებთ. ოღონდ თავად ვერ ამჩნევთ, რომ ყოველივე ამას აქვს ბევრად უფრო შორეული და ღრმა მიზეზები და საჭიროა სწორედ მათზე მიგითითოს მეგობრობამ.

ცუდი გზა აირჩიეთ, როცა მაღალ საზოგადოებაში შეხვედით, – აი, თქვენი მთავარი შეცდომა, და რაც უფრო შესტოპეთ, მით უფრო მეტ ცდომილებაში ვარდებით და მეც

გულის ფანცქალით ვხედავ, რომ დაიღუპებით, უკეთუ უკან არ დაიხევთ. თქვენ შეუმჩნევლად გიგებენ ხაფანგს, რასაც ვშიშობდი. ბიწიერების ტლანქმა ცდუნებებმა თავდაპირველად ვერ შეძლეს თქვენი მოყივნება; ოღონდ ცუდმა მეგობრებმა გადაწყვიტეს თქვენი გონების ბოროტად გამოყენება, რათა შეებილწათ თქვენი სათნო გული, და უკვე მიმართეს პირველ ცდას თქვენი ზნეობრივი საფუძვლების შესარყევად.

თუმცა არაფერიც არ მომწერეთ პარიზში თქვენი ცხოვრების გამო, მაგრამ თქვენი წერილების მიხედვით წარმოვიდგენ იმ საზოგადოებას, სადაც დადიხართ, ხოლო თქვენს მსჯელობათა მიხედვით – იმ ადამიანებს, რომელთაც უცქერით. არ დამიფარავს თქვენთვის, კმაყოფილი რომ არა ვარ თქვენი აღწერილობებით. მაგრამ თქვენ განაგრძობდით იმავე გუნებით, და ჩემი უკმაყოფილებაც მატულობდა. მართლაცდა, თქვენი წერილები მაგონებენ რომელიმე პეწენიკის გესლიან ხუმრობებს,[67] და არა ბრძენ-კაცის აღწერილობათ. მერწმუნეთ, ძნელი დასაჯერებელია, რომ თქვენს წინანდელ წერილებს იგივე ხელი წერდა. განა როგორ! გნებავთ შეისწავლოთ ადამიანები ვიღაც პრანჭიათა და უმაქნისთა ზნე-ხასიათის მიხედვით, და განა ეს ზერელე და ცვალებადი ბრწყინვალება, რომელთათვისაც არც კი უნდა მიგექციათ ყურადღება, მთელი თქვენი დაკვირვებების საფუძველს წარმოადგენს! მასთან ღირდა კი ასე გულდასმით შეგესწავლათ კეთილწესიერების ჩვეულებები და წესები, რომლებიც ათ წელიწადსაც კი ვერ იარსებებენ, მაშინ როცა კაცის გულის მარადიული ამძრავი – ვნებათა ფარული და მუდმივი თამაში – თვალსა და ხელს შუა გეპარებათ. ავიღოთ, მაგალითად, თქვენი წერილი ქალებზე, – განა რას დავინახავ შიგ? ქვეყნიერებისათვის ცნობილი მათი სამოსის აღწერას, გესლიან შენიშვნებს იმის გამო, როგორ უჭირავთ თავი და რა შთაბეჭდილებას ახდენენ, უსამართლოდ განზოგადოებულ მსჯელობას ზოგიერთი მათგანის გარყვნილების გამო. თითქოს ყოველი კეთილშობილური გრძნობა ჩაქრა პარიზში, ყველა ქალი კარეტით დასეირნობს და თავმომწონედ წამოპრანჭულა ბელეტაჟის ლოჟებში. დიახ, თქვენი წერილებიდან არ ამომიკითხავს არაფერი ისეთი, რაც ნებას მომცემდა გამეკიცხა მათი გემოვნება, შეხედულებები, მათი ნამდვილი ხასიათი! და ნუთუ არაა გასაოცარი, როცა რომელიმე ქვეყნის ბინადარ ქალებზე ვლაპარაკობთ, ბრძენ ადამიანს ავიწყდება ოჯახის კერა, ბავშვთა აღზრდა?[68] მხოლოდ ერთხელ მთელი წერილის მანძილზე თქვენ თითქოსდა თავისთავადი ხდებით და სიამოვნებით ასხამთ ხოტბას მათ ბუნებრივ სიქველეს, რაიც მოწმობს თქვენს გულკეთილობას, ოღონდ ამით ჯეროვან პატივს მიაგებთ მთელ ქალთა სქესს. ქვეყნიერების ყველა მხარეში გულჩვილობა და სიბრალული ხომ ქალთათვის მიუმადლებია განგებას.

სულ სხვანაირი სურათი გადაიშლებოდა ჩემს წინაშე, თქვენ რომ მოგეთხროთ ის ამბავი, რაც ნახეთ, და არა ის, რაც მოისმინეთ, ანდა მაინცდამაინც, მოგეთათბირნათ მხოლოდ კეთილგონიერ ადამიანებთან. ეს როგორ მოხდა, რომ ესოდენ მოწადინემ, რათა ხელუხლებლად დაგეცვათ თქვენი შეხედულებანი, თითქოსდა განზრახ აიღეთ მათზე ხელი და ძმაკაცური ურთიერთობა დაამყარეთ ქარაფშუტებთან, რომელნიც ღრმადმოაზროვნე ადამიანთა საზოგადოებაში მოქცევისას ცდილობენ მათ ცდუნებას და არა მიმბაძველობას. თქვენზე ზეგავლენა მოახდინა სიჯეელის ცრუ სიამტკბილობამ და

---

[67] საყვარელო ჟიული! თქვენ ყოველთვის დავიდარაბაში ეხვევით. რაღა თქმა უნდა! თქვენ ჩამორჩით ჩვენს დღეებს. არ იცით, რომ არიან «პეწენიკი ქალები», ოღონდ უკვე აღარ არსებობენ «პეწენიკი მამაკაცები». ღმერთო ჩემო! მაშ, რაიღა იცით?

[68] მერედა, რატომ უნდა ახსოვდეს ეს? განა ისინი ზრუნავენ ამის გამო? და რა მოუვა მაშინ ქვეყანასა და სახელმწიფოს? გამოჩენილნო მთხზველებო, ბრწყინვალე მეცნიერნო, რა მოუვა ყველა თქვენგანს, უკეთუ ქალები თავს დაანებებენ ლიტერატურისა და საქმეთა მართვა-გამგებლობას და ხელს მოჰკიდებენ დიასახლისობას?

დაივიწყეთ განათლებითა და გონებით მონიჭებული და თავად თქვენთვის სისხლხორცეული ნამდვილი სიამენი. მიუხედავად სიფიცხისა, თქვენ ყველაზე მეტად ხათრიანი ადამიანი ხართ ამქვეყნად; და მიუხედავად თქვენი გონებრივი მოწიფულობისა, ძალიან ადვილად გიმორჩილებენ გარშემომყოფნი; ტოლ-მეგობრებთან შეხვედრისას აუცილებლად კნინდებით და კვლავ იქცევით ჯეელად. ამრიგად შებღალავთ თქვენს თავს, რადგანაც გსურთ იყოთ მათი შესაფერისი და დაკარგავთ საკუთარ ღირსებას, უკეთუ არ ამოირჩევთ თქვენზე უფრო ბრძენ მეგობრებს.

სრულიადაც არ გისაყვედურებთ, თქვენს დაუკითხავად სამარცხვინო ადგილას რომ შეგიტყუეს, არამედ იმას გისაყვედურებთ, რომ იქ შეგიტყუეს ახალგაზრდა ოფიცრებმა: მათთან აბა რა საერთო უნდა გქონდეთ, ანდა თუნდაც რად უნდა მისცეთ მათ ნება, ხელმძღვანელობდნენ თქვენს გართობასა და დროს ტარებას. რაც შეეხება თქვენს განზრახვას ჭეშმარიტ გზაზე მათ დასაყენებლად, მათთვის თქვენი შეხედულებების შთაგონებას, მერწმუნეთ, თქვენ ამ საქმეში უფრო მეტი გულმოდგინება მოგეპოვებათ, ვიდრე კეთილგონიერება, – თქვენ მეტისმეტად ღრმად მოაზროვნე ბრძანდებით და მათ ამხანაგად არ გამოადგებით, მეტისმეტად ახალგაზრდა ხართ და მათ დამრიგებლად ვერ ივარგებთ. გამოასწორეთ სხვები, როცა თვითონ უკვე აღარ დაგჭირდებათ თავის გამოსწორება.

თქვენ დიდი ხალისით გაატარეთ საღამო იმ მურტალ ადგილას, რაც ესოდენ შეუფერებელია თქვენთვის, არ გამოიქეცით მაშინვე, როცა გაიგეთ, თუ რა თავშესაქცევ ადგილას აღმოჩნდით, – აი თქვენი მეორე შეცდომა, კიდევ უფრო მძიმე და უფრო ნაკლებ შესაწყნარებელი. თავის გასამართლებლად რომ საბუთებს იშველიებთ, – ეს უმწეო ლუღლუღია. გვიანღა იყო უკანდახევაო! თითქოსდა ასეთ ადგილებში იცავენ წესიერებას ანდა წესიერებას შეუძლია აჯობოს კიდეც სათნოებას და თითქოს გვიანღა იყოს წინაღვუდგეთ ბოროტებას! ლაპარაკიც არა ღირს იმაზე, ზიზღი რომ მოიშველიეთ ხიფათისაგან თავდასაღწევად, – შემდგომმა ამბებმა დაგიმტკიცათ, რაოდენ საფუძვლიანი იყო იგი. იყავით გულახდილი მასთან, ვინაც კარგადა ცნობს თქვენი გულის ნადებს, – ხომ დაგაოკათ ამაო სირცხვილმა. შეგეშინდათ, რომ მასხრად აგიგდებდნენ, თუ წახვიდოდით; შეგაშინათ იმან, რომ დაგცინებდნენ და სინდისის ქენჯნაღა ამჯობინეთ აბუჩად აგდებას. იცით თუ არა, როგორი წესებით ხელმძღვანელობდით? სწორედ ისეთით, რაც კარს უღებს ბიწიერებას კეთილშობილი ადამიანის გულში, სინდისის ხმას ახშობს მითქმა-მოთქმით და აქარწყლებს კეთილ საქმეთა მიმართ გაბედულ ლტოლვას, შიშის ზარსა სცემს განსჯის წინ. და აი ის, ვისაც ძალუძს ცდუნების დაოკება, ემორჩილება ცუდ მაგალითს, წითლდება, ერცხვინება თავისი კდემამოსილება და ხდება ზნედაცემული თავისი მოკრძალების გამო. ცრუ სირცხვილი ცუდ ზეგავლენაზე უფრო მეტად აფუჭებს სპეტაკი გულის მქონე ადამიანს. თქვენ მეტადრე უნდა დაიცვათ თქვენი გული ამისაგან. იმის შიში, ვაითუ ვისმეს სასაცილოდ მოვეჩვენოო, თუნდა კიდევაც გძაგდეთ მოლიზღარი, მაინც უნებურად გჯაბნით. თქვენ არად ჩააგდებთ ასობით საშიშროებას, მაგრამ ერთ დაცინვასაც კი ვერ აიტანთ. მართლაცდა, ჯერ არასოდეს ესოდენ კადნიერ სულს არ შეხამებია ასეთი მოკრძალება.

ჭკუას როდი გარიგებთ, – თქვენ ხომ ჩემზე უკეთ იცით ზნეობის წესები. დავკმაყოფილდები მხოლოდ იმით, რომ შემოგთავაზებთ ერთ საშუალებას, რათა აგაშოროთ თქვენი ნაკლოვანებანი, – კაცმა რომ თქვას, ეს უფრო იოლია და საიმედო, ვიდრე მთელი ფილოსოფიური მსჯელობანი: აბა სინჯეთ და გონების ძალით ჰაიჰარად უკუღმა შეატრიალეთ დრო-ჟამი და რამდენიმე წამით განსჭვრიტეთ მომავალი. ამ ავბედით ვახშამზე მტკიცედ რომ აგეტანათ თანამეინახეთა წუთიერი დაცინვები და თანაც განმსჭვალულიყავით იმ აზრით, რომ თქვენი სული კვლავ ამაღლდებოდა, როგორც კი

იქიდან წახვიდოდით, რომ წარმოგედგინათ ის შინაგანი კმაყოფილება, რომელსაც განიცდიდით ბიწიერების მიერ დაგებული ხაფანგისაგან თავდაღწევით, რომ წარმოგედგინათ, რაოდენი უპირატესობა მოეპოვება თავად გამარჯვების ჩვევას, რაიც აიოლებს ძლევას, გულისხმაგეყოთ, რა სასიამო იქნებოდა იმის შეგნება, რომ დასძლიეთ ცდუნება და ეს ამბავი რომ ჩემთვის მოგეწერათ, როგორ გავიხარებდი მაშინ, – ნუთუ ყოველივე ეს არ დაძალავდა წუთიერ უკუქმედებას, რასაც თქვენ, რასაკვირველია, აროდეს არ მოუხრით ქედს, უკეთუ გაითვალისწინებდით შედეგებს! და მერე რაღა წინააღდგომაა ეს, უკეთუ ფასსა სდებთ იმ ადამიანთა დაცინვას, რომელთა აზრი არაფრად უნდა გიღირდეთ! ცხადია, ეს აზრი მოკლეჟამიერი ცრუ სირცხვილის ფასად სამიდღეშიოდ დაგიფარავდათ ნამდვილი შერცხვენისაგან, სინანულისგან, ხიფათისაგან და – ბოლომდე ვიქნები გულახდილი – ააშორებდა თქვენს ნანდაურს ზედმეტ ცრემლთა დენას.

თქვენი სიტყვების მიხედვით, თქვენ გსურდათ იმ საღამოთი გესარგებლათ, როგორც დამკვირვებელს. რა გულმოდგინებაა! როგორი როლია! თქვენი თავის მართლება სირცხვილში მაგდებს! რაოდენ ცოდნისმოყვარული ბრძანდებით! კაცმა რომ თქვას, ბუნაგში მყოფ ქურდთა და ავაზაკთა ცხოვრების შესწავლასაც კი განიზრახავთ, თვალყურს მიადევნებთ, თუ როგორ ემზადებიან ისინი გამვლელ-გამომვლელთა გასაძარცვავად; ანდა იქნებ არ იცით, რომ ამქვეყნად არსებობენ ისეთი სისაძაგლენი, რომელთაც არც კი უნდა მიჰხედოს წესიერმა ადამიანმა, და რომ მებრძოლი სათნოება ერთი ბეწო ბიწიერების დანახვასაც კი ვერ იტანს? ბრძენკაცი უკვირდება საზოგადოების გარყვნილ ცხოვრებას და მის სევდიან სახეს სულიერი ტკივილი აღებეჭდება; რაც შეეხება გარყვნილებას კერძო ცხოვრებაში, აქ იგი ან ეწინააღმდეგება, ანდა თვალს არიდებს მას, რადგან ეშინია, ვაითუ ჩემი ყოფნით ხელი შევუწყო მის დამკვიდრებასო. მერედა, ნუთუ მაინცდამაინც უნდა დავინახოთ ასეთი თავყრილობები, რათა ვიმსჯელოთ, თუ რა ხდება და რას ლაპარაკობენ იქ? თუმცა ბოლომდე არ ამბობთ სათქმელს. მათ მიერ დასახული მიზნის მიხედვითაც ძალიან ადვილად მესმის ყოველივე დანარჩენი; ისიც ვიცი, რა სიამესა და განცხრომასაც ეწევიან იქ და უფრო უკეთ მესმის მათი, ვინაც ეძიებს ამ განცხრომას.

ეგებ თქვენმა ფრიად დამთმობმა ფილოსოფიამ უკვე იწამა ის აზრი, რომელიც, როგორც ამბობენ, გაბატონებულია დიდ ქალაქებში, – ასეთ ალაგთ ლმობიერად უნდა მოვექცეთო. ოღონდ იმედი მაქვს, თქვენ არ ეკუთვნით ადამიანთა იმ ჯილაგს, რომელთაც ასე სძულთ თავიანთი თავი, რომ დადიან იქ რაღაც მოჩმახული მოთხოვნილების მომიზეზებით, რაც მარტოოდენ გარყვნილ კაცთათვისაა გასაგები. თითქოსდა ამ მხრივ ორ სქესთა წარმომადგენლები სხვადასხვანაირი ბუნებისანი არიან და განშორებისა ანდა უცოლშვილობის ჟამს წესიერმა კაცმა უნდა მიმართოს ისეთ საშუალებებს, რაც სრულიად არ ესაჭიროება წესიერ ქალს. უკეთუ ეს ცდომილება რომ გაქეზებს როსკიპ ქალთა ჩასახუტებლად, ვშიშობ, ვაითუ თავგზა აგიბნიოს მან. აჰ, უკეთუ ასე გნებავთ იყოთ სიძულვილის ღირსი, იყავით ეგრეთი, ოღონდ ყოველგვარ მიზეზთა უმისოდ – გარყვნილებას ნუღარ მიუსართავთ სიცრუეს. ყველა ეს მოგონილი მოთხოვნილებანი ბუნების მიერ კი არაა წარმოქმნილი, არამედ ავხორცული აღვირახსნილობით. თვით სიყვარულის შეცდომებიც კი განსპეტაკდება უბიწო გულში და ისინი ხრწნიან მარტოოდენ გარყვნილი ადამიანის გულს, – პირიქით, უმანკო სისპეტაკე თვითონ იცავს თავის თავს; ავხორცული გულისთქმანი კვლავ აღარ წარმოიქმნებიან, თუ გამუდმებით მოთოკავ მათ; ოღონდ ცდუნება მატულობს, თუკი მიეჩვევი მის წინაშე ქედის მოდრეკას. თქვენი მეგობრობის გამო აღვიხოცავ ზიზღსა და იმ თემაზე გესაუბრებით მეორეჯერ და უკანასკნელად, რადგან იმედი არა მაქვს, რომელიმე სხვა საბუთით რომ მოვიპოვო იგი, რასაც მოაკლებთ წესიერებას, სიყვარულსა და გონებას.

ვუბრუნდები იმ მთავარ საკითხს, რითაც დაივიწყე წერილი. ოცდაერთი წლისა ვალედან მიგზავნიდით სერიოზულ და ალალმართალ წერილებს; ოცდახუთი წლის კაცი პარიზიდან აგზავნით რაღაც სალაღობო უსტარებს, თანაც თქვენი ზნე-ხასიათისათვის უცხო თავშესაქცევარ ხუმრობას ანაცვალებთ გრძნობასაც და აზრსაც. არ ვიცი, მართლაც რა მოხდა, ოღონდ მას მოღმა, რაც ნიჭიერ ადამიანთა შუაგულში დაევანეთ, თქვენი ნიჭი და უნარი თითქოსდა დაკნინდა: ბევრი რამ მოინაგრეთ გლეხკაცთა შორის ცხოვრებისას და ბევრი დაკარგეთ მახვილგონიერ ადამიანებთან ყოფნით. და ეს იმ ქვეყნის ბრალი როდია, სადაც ცხოვრობთ, არამედ თქვენგან შეძენილი ნაცნობობისა, ვინაიდან უნდა მიმართოთ უაღრესად საგულდაგულო არჩევანს, როცა გარს სხვაზე ავიცა და კარგიც გახვევიათ. უკეთუ გინებთ მაღალი საზოგადოების შესწავლა, ინახულეთ გონებადამჯდარი ადამიანები, რომელნიც იცნობენ მას ხანგრძლივი გამოცდილებითა და პირუთვნელი დაკვირვებებით, და არა ჯეელი-ჩიტირეკიები, ამ საზოგადოებაში რომ ხედავენ მარტოოდენ ყოველივე გარეგნულს, ყველა მის სასაცილო ნიშან-თვისებებს, რის გამოც თავადვე არიან ბრალეულნი. პარიზში მრავალი სწავლულია, ვისაც ცხოვრების ეს ვრცელი ასპარეზი აძლევს საზრდოს აზროვნებისათვის. ვერ დამაჯერებთ, თითქოს ეს სერიოზული და შრომისმოყვარე ადამიანები თქვენებრ მიმოქროდნენ სახლიდან სახლში, დარბაზობებზე, ბანოვანთა და ქარიფანტია ჯეელთა გასართობად და ფილოსოფიას ფუჭ ლაყბობად ხადიდნენ. საკუთარი ღირსების გრძნობის გამო ისინი როდი დაამცირებენ თავიანთ სახელს, არ დააკნინებენ თავიანთ ნიჭსა და უნარს, და ცუდი მაგალითის მიცემით არ დაიცავენ იმ ზნე-ჩვეულებებს, რომელთა გამოსწორებაც მართებთ. უკეთუ უმრავლესობა ამას სჩადის კიდეც, რასაკვირველია, ბევრი ასე არ იქცევა – სწორედ ასეთ ადამიანებთან ნაცნობობას უნდა ცდილობდეთ.

განა უცნაური ამბავი არაა, რომ თავად ეფლობით ცდომილებაში, რასაც უყიჟინებთ კომედიათა ახლანდელ მთხზველებს, – თქვენთვის პარიზი სავსეა მარტოოდენ დიდებული ადამიანებით, თქვენი წრის ადამიანებზე კრინტსაც არა ძრავთ. შეიძლება ვიფიქროთ, თითქოს თქვენ არ მოგძულებოდეთ ამაო აზნაურული ცრურწმენანი, რაიცა ესოდენ ძვირი დაგიჯდათ, თითქოსდა გეთაკილებოდეთ წესიერი ადამიანები – უბრალო მოქალაქენი, რომლებიც შესაძლოა შეადგენდნენ კიდეც ყველაზე პატივსაცემ წოდებას იმ ქვეყანაში, სადაც თქვენ იმყოფებით! ამაოდ იმოწმებთ მილორდ ედუარდის ნაცნობებს – მათი დახმარებით შეგეძლოთ შეგეძინათ ნაცნობობა საზოგადოების დაბალ ფენებშიც. იმდენ ადამიანსა სურს აღზევება, რომ დაქვეითება ყოველთვის ადვილი ხდება; ხოლო თქვენი საკუთარი აღიარებით, ხალხის ნამდვილი ზნე-ხასიათის შესაცნობად ერთადერთი საშუალებაა უაღრესად ნაირფეროვან წოდებათა კერძო ცხოვრების შესწავლა, რადგანაც იმ ადამიანებზე შეჩერება, რომლებიც მუდამჟამს თავს იწონებენ პრანჭვა-გრეხით, ნიშნავს მარტოოდენ კომედიანტთა დანახვას.

ძალიან მსურდა, თქვენი ცოდნისმოყვარეობა კვლავად განგეგრძოთ. აბა რატომაა, ესოდენ მდიდარ ქალაქში უბრალო ადამიანები ღარიბ-ღატაკურად რომ ცხოვრობენ, მაშინ როდესაც ჩვენს მხარეში, სადაც მილიონერთა სახსენებელიც არსადაა, იშვიათად შეხვდები უსაშველო სიდუხჭირეს? ჩემი აზრით, ეს საკითხი გამოკვლევის ღირსია, – ოღონდ ამის გადაწყვეტას ამაოდ უნდა მოველოდეთ იმ ადამიანთაგან, რომელთა შორის თქვენ იმყოფებით. მოწაფე ითვისებს საზოგადოების ზნე-ჩვეულებებს მოოქროვილ პალატებში, ხოლო ბრძენი სწავლობს მის საიდუმლოებებს ღატაკის ქოხში. სწორედ აქ ხედავ აშკარად იმ ბიწიერების მიერ ჩადენილ ბნელ საქმეთა მსხვერპლთ, რომელიც საზოგადოებაში მაღალფარდოვან სიტყვებს ეფარება. მართლაცდა აქ გაიგებ, თუ რა ფარულ უკანონობათა დახმარებით ართმევენ უკანასკნელ ლუკმა შავ პურს უუფლებო ღარიბ-ღატაკს წარჩინებული და მდიდარი ადამიანები, ხალხს კი ისე მოაჩვენებენ თავს, თითქოს იგი

გვებრალებაო. ოღონდ, უკეთუ დავუჯერებთ ჩვენს ნაცად მეომრებს, რა საოცარ ამბებს მოგვითხრობდნენ ექვსსართულიან სახლთა სხვენზე იმ მზაკვრობათა გამო, რომელსაც საიდუმლოდ იმარხავენ სენ-ჟერმენის გარეუბნების დოხორენი! და როგორ დაიბნეოდნენ ენაჭარტალა ჭკუის კოლოფები თავიანთი მოსაჩვენარი ჰუმანურობით, მათი წყალობით დაბეჩავებული ყველა ადამიანი რომ მოსულიყო და ემხილა ისინი.

ვიცი, სიღატაკე არასასიამოვნო სანახაობაა, როცა არაფრით შეგიძლია შველა, და თვით მდიდარი კაციც თვალს არიდებს ღატაკს და არ უწევს დახმარებას. მაგრამ მარტოოდენ ფული ხომ არ ესაჭიროებათ ბედკრულთ. მხოლოდ ისინი სჩადიან სიკეთეს ქისის დახმარებით, რომლებიც უგულოდ ეწევიან კეთილ საქმეს. ნუგეში, რჩევა-დარიგება, მზრუნველობა, მფარველობა – აი, ის საშუალებანი, რასაც გვანიჭებს თანაგრძნობა სიმდიდრის წილ, რათა დავეხმაროთ უპოვარს. ხშირად ადამიანები გაუბედურებულნი არიან იმის გამოც, რომ მათ არა ჰყავთ ქომაგი, რომელიც ყურადღებას მიაპყრობდა მათ საჩივარს. ზოგჯერ ისინი კრინტსაც ვერ ძრავენ, საბუთებსაც კი ვერ მოიშველიებენ, წარჩინებული ადამიანის სახლის ზღურბლსაც ვერ გადააბიჯებენ. უანგარო სათნოების უჩინარი დახმარება ძლევს უამრავ დაბრკოლებას, ხოლო წესიერი ადამიანის მჭევრმეტყველებას ძალუძს დააშინოს ტირანია, მიუხედავად მისი სიმძლავრისა.

უკეთუ ნამდვილად გინებთ ადამიანად გახდომა, ისწავლეთ ლმობიერება. კაცთმოყვარეობა ჰგავს ანკარა, სამკურნალო ნაკადულს, ველ-მინდვრებს რომ ანაყოფიერებს. იგი მარადჟამს ეძიებს საერთო დონეს: არასოდეს არა რწყავს უნაყოფო კლდეებს, რომლებიც საფრთხეს უქადიან მინდვრებსა და სათიბებს და ჰფენენ მათ ვნების მომტან ჩრდილს, ანდა მოხეთქილი ზვავებით ირგვლივ ყველაფერს ანადგურებენ.

აი, ჩემო მეგობარო, როგორ სარგებლობენ აწმყოთი, თან ჭკუას სწავლობენ მომავლისათვის, და როგორ წინასწარ ხელმძღვანელობს სიკეთე სიბრძნის გაკვეთილებით, – ხოლო უკეთუ შეძენილი ცოდნა უსარგებლოა კიდეც, სულ ერთია, ამაოდ არ დახარჯულა დრო მათ შესაძენად. იმან, ვისაც ბედმა არგუნა წარჩინებულ ადამიანთა შორის ცხოვრება, ათასგვარ ხერხს უნდა მიმართოს, რათა დაიფაროს თავი საზიანო წესთაგან: მხოლოდ გამუდმებული სიკეთე იცავს საუკეთესო კაცთა გულს პატივმოყვარე ადამიანთაგან მიყენებული სალმობისაგან. მერწმუნეთ, უნდა გამოსცადოთ ზნე-ჩვეულებათა შესწავლის ეს ახალი საშუალება, რაც უფრო ღირსეულია, ვიდრე ყველა ისინი, რომელიც უკვე განიცადეთ. გონება უფრორე შეზღუდული ხდება იმისდა მიხედვით, თუ როგორ იხრწნება სული, – თქვენ მალე იგრძნობთ, ყოველივე დიადი, პირიქით, როგორ აკეთილშობილებს და ასაზრდოებს სულს, ხოლო მოყვასისადმი სათუთი თანაგრძნობა გვეხმარება ვიპოვოთ მათ უბედურებათა პირველმიზეზი და თავი დავაღწიოთ მათ წარმომქმნელ ბიწიერებას.

თქვენ ისეთ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდით, რომ მეგობრული გულახდილობით უნდა მეთქვა ყველაფერი, თანაც ვშიშობდი, ვაითუ მეორეჯერ დადგომოდით გარყვნილების გზას, გონს მოსვლაც კი ვერ მოგესწროთ და ისე დარჩენილიყავით იქ სამუდამოდ. ახლა კი, მოყვარეო ჩემო, არ დაგიფარავთ, რომ თქვენმა გულწრფელმა და სწრაფმა აღიარებამ ძალზე მომილბო გული, ვინაიდან ვგრძნობ, თუ რა ძნელი იყო თქვენთვის სირცხვილის დაძლევა და ყველაფრის აღიარება და მაშასადამე, რაგვარ გიმძიმებდათ გულს და გარცხვენდათ თქვენი შემცოდეობის შეგნება. უნებური ცოდვის პატიება და გადავიწყება იოლი საქმეა. ამიერიდან დაიხსომეთ წესი, რომელსაც არასოდეს გადავდივარ: უკეთუ შემთხვევითი შეცდომა კვლავ განმეორდება, მაშასადამე, ეს შემთხვევითი შეცდომა როდია!

მშვიდობით, მეგობარო ჩემო! თვალისჩინივით გაუფრთხილდი შენს ჯანმრთელობას, გაფიცებ თავს და გახსოვდეს – იოტისოდენი რაიმეც კი არ უნდა დარჩეს შეცოდებისაგან, მე რომ შეგინდე.

P. S. ეს-ესაა ბ-ნმა დ'ორბმა წასაკითხავად გადმომცა მილორდ ედუარდთან მიწერილი თქვენი წერილების პირთა მთელი დასტა და მე უკანვე უნდა დავიბრუნო თქვენი დაკვირვებების ხასიათისა და სტილის გამო ჩემი კრიტიკული შენიშვნების ნაწილი. გეთანხმებით, ამ წერილებში განხილულია მნიშვნელოვანი თემები და როგორც მომეჩვენა, ისინი განმსჭვალულნი არიან ღრმააზროვანი და სამართლიანი დასკვნებით. მაგრამ სამაგიეროდ ჩემთვის აშკარაა, ნამეტნავად რომ გძულვართ ჩვენ – მე და ჩემი დაიკო – ანდა ძალიან ნაკლებად აფასებთ ჩვენს პატივისცემას და გვიგზავნით ჭეშმარიტების დამმახინჯებელ აღწერილობებს, მაშინ როცა თქვენს მეგობარს ბევრად უფრო უკეთ სწერთ. კაცმა რომ თქვას, ცუდად აფასებთ თქვენს გაკვეთილებს, თუკი გგონიათ, თითქოს თქვენი მოწაფე ქალები არ იყვნენ იმის ღირსნი, რათა აღფრთოვანდნენ თქვენი ნიჭითა და უნარით. უმჯობესი იქნებოდა, თუნდაც პატივმოყვარეობის გამო, ისე მოქცეულიყავით, ვითომც გგონებოდეთ, თქვენი გაგება რომ შეგვიძლია.

გამოგიტყდებით, პოლიტიკა მოღვაწეობის ის სფერო როდია, რაც გულთან ახლოს მიაქვთ ქალებს, ხოლო ბიძაჩემმა ისე გაგვიწყალა გული ამით, რომ მესმის, თქვენც აგრეთვე რატომ გეშინიათ თავი მოგვაბეზროთ პოლიტიკით, და გულახდილად რომ ვთქვა, ამ მეცნიერებას როდი ვანიჭებ პირველხარისხოვან მნიშვნელობას, – ვერავითარ სასარგებლოს ვერ ვხედავ შიგ, და იგი ვერ გამიტაცებს, ხოლო მისი სხივები ესოდენ მაღლა იფრქვევიან, რომ ვერ შეძლებენ ჩემს დაბრმავებას. მოვალე ვარ მიყვარდეს იმ ქვეყნის მთავრობა, რომლის ცის ქვეშაც დავიბადე, და დიდად არ მაწუხებს, არის თუ არა ამქვეყნად უკეთესი მთავრობები. აბა, რას ვაქნევ ამის ცოდნას, რაკი არ ძალმიძს სხვა განმგებლობის დამყარება? და აბა, რად აღვიშფოთო სული დიდ-დიდ უბედურებათა ჭვრეტით, თუკი უძლური ვარ დასახმარებლად, ხოლო ამ დროს ჩემს გარშემოა სულ სხვაგვარი სიდუხჭირე, რომელთა შველისა და დახმარების ძალი კი შემწევს! მაგრამ მე თქვენ მიყვარხართ. ტრაქტატები არ მაინტერესებს; სანაცვლოდ მაინტერესებს ის, ვინც მათ წერს. უსათუთესი აღტაცებით ვწვდები თქვენი ნიჭიერების ყოველ გამოვლენას და ჩემი გულისთვის სასურველი თქვენი ღირსებებით გაამაყებული, ვემუდარები სიყვარულს, რათა მომმადლოს იმდენი გონება, რამდენიც საჭიროა თქვენი გონების ჩასაწვდომად. ნუ დაიშურებთ ჩემთვის სიხარულს – ნება მიბოძეთ ვიცნობდე და ვეტრფოდე თქვენს ქველ მოთავეობას. ნუთუ გინებთ დამამციროთ მე და მაგრძნობინოთ, უკეთუ ზენაარსის ნება-სურვილით ჩვენ შევუღლდებოდით, მაშინ იმის ღირსადაც კი არ ჩათვლიდით თქვენს გულის სწორს, თქვენთან ერთად რომ ეაზროვნა!

XXVIII წერილი
ჟიულისაგან

ყველაფერი დაიღუპა! ყოველივე გამომჟღავნდა! სამალავ ადგილას აღარ ძევს შენი წერილები. ჯერ ისევ გუშინ იქ იდო. უთუოდ მხოლოდ ახლა გაიტაცეს. დედაჩემის მეტი სხვა ვერავინ ნახავდა. უკეთუ მამაჩემმა ნახა ეს წერილები, თავს წავაგებ. აჰ, დაე ასემც იყოს, განა სულ ერთი არ არის, უკეთუ უნდა უარვყო... ო, ღმერთო ჩემო! დედაჩემი მიბარებს! საით გავიქცე? როგორ გავუძლო მის მზერას? ო, ნეტავი მიწა გამისკდებოდეს! მთელი სხეული მიკანკალებს, ნაბიჯის გადადგმაც აღარ ძალმიძს... შერცხვენა, დამცირება,

საშინელი საყვედურები... ყველაფერი დავიმსახურე! ყოველივეს ავიტან, ოღონდ უნუგეშო დედის ტანჯვა-წამება, ცრემლები... გულზე ცეცხლი მეკიდება... იგი მელოდება, დაყოვნება შეუძლებელია... მოინდომებს გაგებას... ყველაფერი უნდა გავუმხილო... რეჯანინოს გააგდებენ. აღარ მომწერო, ვიდრე ყოველივეს არ გამცნობ... ვინ იცის... იქნებ, მოვახერხო კიდეც... რა? ვიცრუო?.. მოვატყუო დედაჩემი!.. აჰ, უკეთუ ჩვენდა სახსნელად საჭიროა ტყუილი, მაშინ მშვიდობით, ჩვენ დავიღუპენით!

მ ე ო რ ე ნ ა წ ი ლ ი ს დ ა ს ა ს რ უ ლ ი

მ ე ს ა მ ე ნ ა წ ი ლ ი

I წერილი
ქალბატონ დ'ორბისაგან

რაოდენ ტანჯვას აყენებთ მათ, ვისაც უყვარხართ! თქვენი წყალობით რამდენი ცხარე ცრემლი დაღვრილა უბედურ ოჯახში, რომლის მყუდროება დაარღვიეთ! გეშინოდეთ, ჩვენს შეჭირვებას მიუმატოთ მწარე დანაკლისი, გეშინოდეთ, ვაითუ უნუგეშოდქმნილი დედის სიკვდილი გახდეს უკანასკნელი წვეთი სამსალისა, რომელსაც ჩაღვრით მისი ქალიშვილის გულში, ხოლო თქვენმა დაუოკებელმა ვნებამ, ბოლოს და ბოლოს, ვერ მოგანიჭათ სინდისის სამარადჟამო ქენჯნა. თქვენი მეგობრობის გამო ვითმენდი თქვენს ცდომილებათ, ვინემ მათ ასაზრდოებდა თუნდაც იოტისოდენი იმედი. ოღონდ ამჟამად შეუძლებელია შეურიგდეს ადამიანი ახირებულ სიჯიუტეს, რომელსაც იჩენთ ღირსებისა და გონების ჯიბრზე. ის მხოლოდ და მხოლოდ ვაი-ვარამსა და უბედურებას გვიქადის და ღირსია ერქვას მხოლოდ ერთი სახელი: უჯიათობა.

ხომ იცით, ბიცოლაჩემისაგან ასე ხანგრძლივად დაფარული თქვენი სიყვარული რაგვარ გამოამჟღავნეს თქვენმა წერილებმა. რაცუნდ საშინელი იყოს თავზარი, უნაზესმა და სათნო დედამ რომ იწვნია, იგი უფრორე თავის თავს უწყრება, ვიდრე თქვენ, – რადგან ყოველივეს მიაწერს თავის სიბრმავესა და წინდაუხედაობას, დასტირის საბედისწერო შეცდომას. იმის გაფიქრებაც კი, ქალიშვილს მეტისმეტად ვენდობოდიო, მისთვის საშინელი წამებაა, ხოლო სულიერი ტანჯვანი მისნი ჟიულისათვის ასგზის უარესია ყოველგვარ საყვედურზე.

საწყალი დაიკო მეტისმეტად შეჭირვებულია, – ეს რომ გაიგო, თავად უნდა ნახო იგი. სევდისაგან თითქოს გული გაქვავებია; უსაშველო მწუხარებამ გამოათაყვანა, და ეს გულისგამგმირავ გოდებაზე უფრო საშინელია. დღისითა და ღამით დაჩოქილია დედამისის სასთუმალთან, დაღვრემილს თვალები ძირს დაუხრია: როცა საჭიროა, მდუმარედ. აქობამდე არნახული მზრუნველობითა და სიმკვირცხლით უვლის მას, ხოლო თავისუფალ წუთებში კვლავ ისეთი ურვა-წუხილი მოიცავს, გეგონება, ანაზდად შეცვალესო. აშკარად ჩანს, მხოლოდ დედამისის ავადმყოფობა რომ შველის ქალიშვილს, და ძალ-ღონეს რომ არ მატებდეს მძაფრი სურვილი, შეეწიოს ლოგინად ჩაწოლილს, მაშინ მისი ჩამქრალი მზერა, ფერმიხდილობა, უსაზომო დაძაბუნება შთაგვაგონებდა შემაშფოთებელ აზრს, რომ თავად მას სჭირია მოვლა და პატრონობა, რითაც თავს დასტრიალებს დედას. ბიცოლაჩემმაც შეამჩნია ეს და მწუხარებით კითხულობს ქალიშვილის ჯანმრთელობის ამბავს, და ვგრძნობ, ერთსაც და მეორესაც სულითა და

გულით რომ სწადიათ დასძლიონ მათ შორის წარმოქმნილი განკერძოება; თქვენ უნდა სძულდეთ იმის გამო, რომ ჩაფუშეთ სულთა ესოდენ სათუთი გრძნობა.

უხერხულობას ისიც აძლიერებს, რომ უნდა დაუფარონ იგი მამის ფიცხ ზნე-ხასიათს. დედა დაჰკანკალებს ქალიშვილის სიცოცხლეს და არ უმხელს მამას სახიფათო საიდუმლოს. ასეც არის, მასთან ყოფნისას ორივეს წინანდელებრი უბრალოებით უჭირავს თავი. დედის სათუთი გულისთვის სასიამოა ისარგებლოს ამ საბაბით, ოღონდ შეცბუნებული ქალიშვილი ვეღარა ბედავს მთელი სულითა და გულით ისიამტკბილოს დედობრივი ალერსით, რაც მოჩვენებითი ჰგონია და აუტანელია მისთვის, ხოლო რა საამური იქნებოდა, მათი გულწრფელობა რომ დაეჯერებინა. როგორც კი მოეფერება მამამისი, მყისვე დედას მიაპყრობს მზერას ისეთი გულში ჩამწვდომი, ისეთი თვინიერი გამოხედვით, თითქოს თავად მისი გული იყოს გამოსახული იმ თვალებში და ასე ამბობდეს: «აჰ, ნეტავი რად არ ვღირსვარ თქვენს ალერსიან მოპყრობას!».

ქალბატონი დ’ეტანჟი არაერთგზის მელაპარაკა პირისპირ, და იმისდა მიხედვით, თუ რა გულკეთილად მეუბნებოდა საყვედურს, კილოს მიხედვით, რომლითაც გასენებდათ თქვენ, მივხვდი, ჟიულიმ ყველაფერი იღონა მისი სამართლიანი გულისწყრომის დასაყოინებლად, თავი არ დაზოგა ჩემი და თქვენი გამართლებისას. სიყვარულით განმსჭვალულ თავად თქვენს წერილებში არის რაღაც ისეთი, თქვენთვის ბოდიშის მომხდელი, და ბიცოლაჩემს როდი გამოეპარა ეს. არც ისე გამტყუნებთ იმის გამო, რომ არ გაუმართლეთ ნდობა, უფრო თავის თავს ამუნათებს წინდაუხედაობის გამო. იგი პატივსა გცემთ და ფიქრობს, თქვენს ადგილას არც ერთი მამაკაცი არ გამოიჩენდა ესოდენ სიმტკიცეს და მზადაა თქვენი ნაკლოვანებები თვით სათნოებას გადააბრალოს. მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, მიხვდა, თუ რა არის ნაქები და უმწიკვლო პატიოსნება, რომელიც გამიჯნურებულ წესიერ ადამიანს ხელს არ უშლის, თუ დრო იშოვნა, შეაცდინოს კარგი ყოფაქცევის ქალიშვილი და ურცხვად გააბახოს ოჯახი, ოღონდაც კი დაიკმაყოფილოს წუთიერი ვნებათაღელვა. მაგრამ რად ვეხები წარსულს! ლაპარაკი აი, რაზეა: სამუდამოდ უნდა დავფაროთ საშინელი საიდუმლო, თუ შესაძლებელია, მოვსპოთ მისი ყოველი კვალი, მით უმეტეს, თავად ღვთის წყალობით, საბედისწერო რამ შედეგი არაფერს მოჰყოლია. საიდუმლოს მონაწილენი ექვსნი არიან – ყველა საიმედო ადამიანია. მათი მყუდროება, ვინაც გიყვარდათ, სასომიხდილი დედის სიცოცხლე, ყველასათვის პატივსაცემი ოჯახის ღირსება, თქვენი საკუთარი სათნოება – ყოველივე ეს ჯერ ისევ თქვენზე ჰკიდია. ყველაფერი გიკარნახებთ აღასრულოთ თქვენი მოვალეობა; ჯერ ისევ ძალგიძთ გახდეთ ჟიულის ღირსი, ხელი აღაღოთ მას და ამით გამოისყიდოთ მისი დანაშაული. და თუკი მოლოდინს არ მიცრუებს გული თქვენი, მხოლოდ და მხოლოდ ასეთი მსხვერპლის სიდიადე შეედრება სიდიადეს სიყვარულისას, რის გულისთვისაც აღსრულდება იგი.

მყოვარჟამ პატივსა ვცემდი თქვენს გრძნობათ იმ პატივისცემით, რაიც განმტკიცებულია თქვენი უნაზესი კავშირით, რომლის მსგავსი არ მოიპოვება ამ ცისქვეშეთში, – და ამიტომაც თქვენი სახელით დავპირდი მათ ყველაფრის შესრულებას, რაც საჭიროა. მაშ, გაბედეთ ჩემი მოტყუება, უკეთუ ნამეტნავად დაგენდეთ თქვენ, ანუ ამჟამად იყავით ის, რაც უნდა იყოთ. თქვენ მოგიხდებათ ან სატრფო შესწიროთ სიყვარულს, ანდა სიყვარული ამსხვერპლოთ სატრფოს და მით დაამტკიცოთ, რომ თავადა ხართ უაღრესად სულმდაბალი, ანუ ყველაზე სათნო ადამიანი.

უბედოქმნილ დედას სურდა მოეწერა თქვენთვის, დაჯდა კიდეც უსტარის წერად. ო, ღმერთო ჩემო! რა თავზარდამცემი იქნებოდა თქვენთვის მისი მწარმჩივარი ვიშვიში! რაოდენი სირცხვილით აღგავსებდათ უწყინარი მუდარა! ნაკუწ-ნაკუწად ვაქციე მისი შემზარავი წერილი – თქვენ ვერ აიტანდით მას. იმის გაფიქრებაც კი მზარავს, თუ როგორ

იმდაბლებს თავს დედა ქალიშვილის გამბახებლის წინაშე. მერწმუნეთ, თქვენ სხვა რაიმეს ღირსი ხართ, თქვენზე ზემოქმედების მოხდენა შეუძლებელია იმ საშუალებებით, რაც საჭიროა მზაკვარი ადამიანის გულის მოსალბობად, გრძნობიერ ადამიანს კი სულს გააფრთხობინებს.

უკეთუ სიყვარული თქვენს სიცოცხლეში პირველად მოგთხოვდათ საგმირო საქმეთ, ჯერ კიდევ ვერ დავიჯერებდი წარმატებას, ვიყოყმანებდი კიდეც, არ მეცოდინებოდა, ხართ თუ არა ესოდენ დიდი წარმოდგენის ღირსი; მაგრამ ის მსხვერპლი, რომელიც ჩვენი მიდამოების დატოვებით უკვე გაიღეთ ჟიულის ღირსების დასაცავად, იმის საწინდარია, რომ კვლავ გაიღებთ მსხვერპლს მისი სიმშვიდის გულისათვისაც და აღიკვეთთ მასთან უსარგებლო ურთიერთობას. სათნოების პირველი ნამოქმედარი ყველაზე ძნელი ჩასადენია, და არ ინებებთ, რომ თქვენი საქმენი საგმირონი, რაც ესოდენ ძვირად დაგიჯდათ, უსარგებლო შეიქნეს. უჯიათად ნუღარ განაგრძობთ ამაო მიწერ-მოწერას, რაც საშინელი საფრთხით ემუქრება თქვენს სატრფოს, არაფერსაც არ გიქადით ორივეს და მხოლოდ უნაყოფო ტანჯვა-წამებას გაგიარჯლებთ. მერწმუნეთ, აქობამდე თქვენთვის ესოდენ ძვირფასი ჟიული ამიერიდან აღარ უნდა არსებობდეს იმისათვის, ვისაც ასე შესტრფოდა. ამაოდ უმალავთ თავს თქვენს ბედშავობას. თქვენ დაკარგეთ ჟიული იმ წამს, როცა ერთმანეთს დაგაშორეს, უფრო სწორად, ზენამ წარგსტაცათ იგი მანამდე, ვიდრე დაგნებდებოდათ. როცა მამამისი დაბრუნდა, სხვა ვინმეს დაჰპირდა, მოგათხოვებო; ხოლო თქვენ კარგად უწყით, რომ ამ აჯამი ადამიანის სიტყვა მტკიცეა. როგორც უნდა მოიქცეთ თქვენ, სასტიკი ბედისწერა ხელ-ფეხს უბორკავს ყველა თქვენს მისწრაფებას და ჟიული ვერასოდეს გახდება თქვენი. სხვა არჩევანი არ არსებობს: ან გადახაფრეთ იგი ვაი-ვარამისა და შერცხვენის უფსკრულში, ანდა მოწიწებითა და პატივისცემით მოეპყარით ყოველივეს, რასაც ეთაყვანებოდით; დაკარგული ბედნიერების სანაცვლოდ დაუბრუნეთ მას კეთილგონიერება, სიმშვიდე და თუნდაც უსაფრთხოება, რაც წარსტაცა ბედუკუღმართმა კავშირმა.

ვითარი სევდა-ნაღველი შესძრავდა თქვენს გულს, ვით გაგტანჯავდათ სინანული, უკეთუ გენახათ, რაგვარ დადარდიანებულია თქვენი საცოდავი ნანდაური, რაოდენ შეაურვებენ მის გულს სინდისის ქენჯნა და სირცხვილი! ჩაესვენა მისი სილამაზის ბრწყინვალება, ბოლო მოეღო მომხიბვლელობას. ესოდენ მშვენიერი და სათუთი მისი გრძნობანი გათანგულია ყოვლის გამანადგურებელი სევდითა და მწუხარებით. რა ხელჰყრის იგი მეგობრობას, – არც კი იზიარებს ჩემს სიხარულს ჩვენი შეხვედრების ჟამს. მისი განაწამები გული, გარდა სიყვარულისა და კაეშნისა, უკვე ვეღარაფერს გრძნობს. ვაგლახმე! აი, რა ბედი ეწია ამ მოსიყვარულე და გრძნობიერ ქმნილებას. აბა, სადღაა მისი უმწიკვლო მისწრაფება ყოველივე კეთილშობილურის მიმართ, სათუთი თანაგრძნობა ადამიანთადმი მათს ჭმუნვასა და სიხარულში? რასაკვირველია, იგი ახლაც უწყინარია, დიდსულოვანი, გულისხმიერი. არასოდეს წარიხოცება მისი გულისგან სიკეთის ჩადენის სანუკვარი ჩვეულება, ოღონდ ამჟამად იგი მხოლოდ და მხოლოდ უაზრო ჩვეულებაა, შეუგნებელი მოწადინება. კვლავინდებურად ეხმარება მოყვასთ, ოღონდ არა წინანდელებრივი გულმოდგინებით. დიად გრძნობებს გამოეცალათ ძალ-ღონე, ჩაქრა სულში მოგიზგიზე ღვთაებრივი ცეცხლი, ანგელოზი ჩვეულებრივ ქალად იქცა. ო, როგორი არსება წარსტაცეთ სათნოებას!

II წერილი

ქალბატონ დ'ეტანჟისადმი

ქალბატონო ჩემო, მწუხარებით გულგასენილი, რაც ვიდრე ცოცხალვარ, ხანგრძლივად გასტანს, განვერთხმები ფერხთა თქვენთა წინაშე იმიტომ კი არა, რომ გამოვთქვა სინანული, რისი უფლებაც ჩემს გულს არ ხელეწიფების, არამედ იმიტომ, რათა გამოვისყიდო უნებური შეცოდება ჩემი ბედნიერების გამეტებით. აქამომდე არასოდეს მომხდარა, ადამიანური გრძნობები, თუნდაც შორეულად, რომ მსგავსებოდნენ ყოველივე იმას, რაც შთამაგონა თქვენმა სათაყვანო ასულმა, ამიტომაც ჯერ არასოდეს გაუღიათ იმის მსგავსი მსხვერპლი, როგორიც მზადა ვარ შემოგწიროთ ყველაზე პატივსაცემ დედას ამ ქვეყანაზე. ოღონდ ჟიულიმ კარგად მირჩია, თუ რაგვარ უნდა გაიღოს კაცმა მსხვერპლად ბედნიერება მოვალეობის გამო, ვაჟკაცურად დამანახა მაგალითი, და მეც თუნდ ერთხელ მაინც ჩემს სიცოცხლეში, შევძლებ მის გზაზე სიარულს. ნეტავი შემაძლებინა თქვენი სალმობის განკურნება ჩემი სისხლით. კრინტის დაუძვრელად გავიღებდი მას, ოღონდ იმას ვინაღვლებდი, ეს ჩემი მხურვალე გულმოდგინების მხოლოდ უსუსური საბუთი რომ იქნებოდა. მაგრამ ვერავითარი ძალა ვერ ამიძულებდა გამეწირა ნაზზე უნაზესი, ყველაზე სპეტაკი და წმინდა კავშირი, რომელსაც კი ოდესმე შეუერთებია ორი მოყვარული გული, – ო არა, არაფრის დიდებით არ ჩავიდენდი ამას, – და მარტოოდენ თქვენ შეძელით ეს.

დიახ, აღგითქვამთ, ვიყო მისგან მოშორებული იმდენ ხანს, რამდენსაც მიბრძანებთ. თავს დავანებებ მასთან შეხვედრასა და მიწერ-მოწერას – ვფიცავ თქვენს ძვირფას სიცოცხლეს, მისი არსებობის საწინდარს. თავზარდაცემული, მაგრამ უდრტვინველი დავემორჩილები ყოველივეს, რის ბრძანებასაც მოიწადინებთ ორივეს მიმართ. უფრო მეტსაც მოგახსენებთ: იქნებ, მისმა გაბედნიერებამ მანუგეშოს მწუხარედ მყოფი, და მოვკვდე კიდეც დამშვიდებული, უკეთუ თქვენს მიერ არჩეული მეუღლე იქნება მისი ღირსი. ო, დაე გამოძებნონ ასეთი კაცი და გამიბედოს და მითხრას: შენზე უფრო ძლიერ მეყვარებაო ჟიული. ქალბატონო, ამაოდ იქნება იგი დაჯილდოებული ყოველივე იმით, რაც მე მაკლია, – უკეთუ არა აქვს ჩემი გული, მაშინ ვერაფრით მოინადირებს ჟიულის. ჩემი სიმდიდრეა კეთილშობილური და მოყვარული გული. ვაი, მე საწყალს! მეტი არაფერი მაბადია რა. სიყვარული ყველას ათანასწორებს, ოღონდ მაღალ მდგომარეობას ვერვის ანიჭებს, – იგი მარტოოდენ მაღალ გრძნობებს იძლევა. ო, თქვენთან ლაპარაკის ჟამს, რამდენჯერ შეეძლოთ ჩემს ბაგეთ წარმოეთქვათ უნაზესი სახელი – დედა, მარტოოდენ ჩემს გრძნობას რომ დავმორჩილებოდი!..

გემუდარებით, ენდეთ ფიცით დადებულ აღთქმებს, ამაოდ რომ არ არიან წარმოთქმულნი; ერწმუნეთ ადამიანს, ვისაც ვერ უწოდებთ მატყუარას, თუმცა ერთხელ თქვენი ნდობა და მოლოდინი გაგიმტყუნეთ კიდეც, მაგრამ თავადაც მოვტყუვდი. ჩემი ალალ-მართალი გული მაშინ მიხვდა, საფრთხე რომ გვემუქრებოდა, როცა უკვე გვიანღა იყო მისგან თავის განრიდება, – თქვენს ასულს ჯერ კიდევ არ ესწავლებინა ჩემთვის სიყვარულის შეწევნით სიყვარულის დაძლევის სასტიკი ხელოვნება – ის ხელოვნება, რაიც ასე კარგად შემასწავლა შემდეგ. გაფიცებთ, განიბნიეთ გულისაგან ყოველი შიში. განაღა მოიპოვება ამ ცისქვეშეთში ისეთი ადამიანი, ვისთვისაც ჩემებრ ძვირფასი იყოს მისი სიმშვიდე, ბედნიერება და ღირსება? არა, დაე გულიცა და სიტყვაც საწინდრად ექმნენ იმ ვალდებულებას, ჩემი დიდებული მეგობრისა და პირადად ჩემი სახელით რომ ვკისრულობ. საიდუმლო არ გამჟღავნდება, დაშოშმინდით, და როცა დავტოვებ ამ საწუთროს, არავის ეცოდინება, თუ რა მწუხარებამ მომიღო ბოლო. განიქარვეთ ურვა-გოდება. თქვენ რომ გზაფრავთ და მე კი გულს მიწყლულებს; შეიშრეთ ცრემლები, ასე რომ შეაძრწუნებენ ჩემს სულს, განიკურნეთ. დაუბრუნეთ ამ სამზეოში ყველაზე უნაზეს ასულს ბედნიერება, რაიც უარყო თქვენი გულისთვის; იყავით თავად სვებედნიერი მისი კეთილდღეობით, – ერთი სიტყვით, იდღეგრძელეთ იმისათვის, რათა მან შეიყვაროს

სიცოცხლე. ო, ჟიულის დედად ყოფნა, სიყვარულის გამო ქალიშვილის მიერ ჩადენილ შეცდომათა მიუხედავად, შესანიშნავი ხვედრია, რაც გვანიჭებს ცხოვრების სიხარულს.

III წერილი
ქალბატონ დ'ორბისადმი
(გაგზავნილია წინა წერილთან ერთად)

აი, ესეც პასუხი, ულმობელო! იქვითინეთ მისი წაკითხვისას, უკეთუ იცნობთ ჩემს გულს და თუკი თქვენმა გულმაც შეინარჩუნა გრძნობიერება. ოღონდ, რაც მთავარია, ნუ შემაჭირვებთ, ნუ გამაწამებთ თქვენი პატივისცემით; თქვენი მეოხებით ასე ძვირად მიჯდება იგი და მთელი ჩემი სიცოცხლის სატანჯველად იქცევა.

ამრიგად, თქვენი ულმობელი ხელით გაბედეთ გაწყვეტა უნაზესი კავშირისა, თქვენ თვალთა წინარე რომ წარმოიქმნა თითქმის ბავშვობის წლებიდანვე, – ხოლო ისე ჩანდა, თითქოსდა თქვენი მეგობრობა ანმტკიცებდა მას ასეთი სიხარულით. თქვენ მიაღწიეთ მიზანს – უბედური ვარ და ჩემს უბედურებას არა აქვს საზღვარი. აჰ, გესმით კია, რა საშინელებას ჩადიხართ? ნეტავი თუ გრძნობთ, სიკვდილს რომ მიახლოებთ, აუნაზღაურებელ სიკეთეს წარმსტაცებთ. ხომ ასგზის უმჯობესია, განვიდე ამიერსოფლით, ვიდრე ვიცხოვროთ ცალ-ცალკე! თქვენ განა ჟიულის ბედნიერებაზე ლაპარაკობთ? ეს შეუძლებელია, თუკი გულს მოაკლდა შვება-სიამე! თქვენ ახსენეთ საფრთხე, დედამისს რომ ემუქრება? მაგრამ რაიღა ბედენაა დედის სიცოცხლე, ჩემი, თქვენი, თვით ჟიულის არსებობაც. რად ღირს მთელი სამყაროს ყოფიერება ჩვენს შემაერთებელ წარმტაც კავშირთან შედარებით? უაზრო, უსულგულო სათნოებავ! ვემორჩილები შენს უღირს ძახილს! მეჯავრები, ხოლო ყველაფერს შენი გულისთვის ჩავდივარ. ამაოა შენი ნუგეშინი; იგი ვერ გააქარვებს სულისა ჩემის საშინელ სევდას! შორს ჩემგან უსასოთა გულდახურულო კერპო! იგი მხოლოდ და მხოლოდ აარჯლებს მათ ვაი-ვარამს, წარსტაცებს ბედისგან ნაბოძებ საშველს. მაგრამ გემორჩილები. დიახ, უწყალოვ, გემორჩილები. თუ მოვახერხე, ვიქნები უგრძნობელი, ულმობელი, თქვენი შესაფერისი. დავივიწყებ ყოველივეს, რაც ძვირფასი იყო ჩემთვის. აღარ მინდა კვალად გავიგონო არც ჟიულის სახელი, არც თქვენი სახელი. არა მსურს მომაგონონ წარსული დღეები, – ეს აუტანელია! ბოღმა და ჯავრი, სასტიკი სიშმაგე მააფთრებს ბედის უკუღმართობის წინააღმდეგ. დაუოკებელ უჯიათობას ვანაცვალებ ვაჟკაცობას. ძვირი დამიჯდა გრძნობიერება, – მიჯობს გავწირო კაცთმოყვარეობაც.

IV წერილი
ქალბატონ დ'ორბისაგან

გულს კაეშანი დამასო თქვენმა წერილმა. თქვენი საქციელი ადასტურებს ისეთ სიყვარულსა და სათნოებას, რომ უმალ ანელებს საყვედურთა სიმწვავეს. ესოდენ კეთილშობილი ხართ, კაცს აღარ კმაეყოფის სითამამე თქვენს საგინებლად. ის, ვინაც სიყვარულს ასეთ მსხვერპლსა სწირავს, ქება-დიდების ღირსია, მიუხედავად მისი სიფიცხისა. თქვენი სიტყვები შეურაცხმყოფელნი არიან, ოღონდ არასოდეს ყოფილხართ ჩემთვის ასე ძვირფასი, როგორც მას მოღმა, როცა საბოლოოდ ვირწმუნებ, თუ რა ღირსეული ადამიანი ბრძანებულხართ.

მადლობა შესწირეთ სათნოებას, რომელიც ვითომდა გძულდეთ, – იგი უფრო მეტს აკეთებს თქვენთვის, ვინემ თავად სიყვარული თქვენი საქციელით ბიცოლაჩემის გულიც კი დაიმონეთ: გრძნობს, რა მძიმე მსხვერპლი გაიღეთ; გულაუჩუყებლად ვერ შეძლო თქვენი წერილის წაკითხვა, სისუსტემ დასძლია და ქალიშვილს უჩვენა იგი. საბრალო ჟიული, როცა წერილს კითხულობდა, ესოდენი გაჭირვებით იკავებდა ოხვრასა და ცრემლებს, რომ გრძნობა დაკარგა.

თქვენი წერილებით ისედაც გულაჩუყებულ, ყველაფრის მხილველ საყვარელ დედას ესმის, თქვენი გულები რომ არ ემორჩილებიან საერთო წესებს და თქვენი სიყვარულიც – დაუძლეველი ბუნებრივი ლტოლვაა და ვერც დრო-ჟამი, ვერც ვერავითარი ადამიანური ძალდატანება მას ვერ აღკვეთენ. თუმცა ბიცოლაჩემისთვის უპრიანია ნუგეშისცემა, მაგრამ დიდი სიამოვნებით ანუგეშებდა ქალიშვილს, ზრდილობის გრძნობა რომ არ აოკებდეს. კარგად ვხედავ, მზად რომ არის მესაიდუმლედ გაუხდეს ქალიშვილს, მაგრამ მე არ მაპატიებს ამ როლს. გუშინ მასთან ჟიულის ყოფნის დროს წამოსცდა, მართლაცდა, რამდენიმე გაუფრთხილებელი[69] ფრაზა: «აჰ, ნეტავი კი ჩემი საქმე იყოს ყოველივე...» აღარ დაამთავრა, მაგრამ ქალიშვილმა მხურვალე ამბორი აღბეჭდა მის ხელზე და მივხვდი, ჟიული მშვენივრად ჩასწვდა ამ სიტყვათა აზრს. ქალბატონმა დ'ეტანჟმა არაერთხელ განიზრახა თავის უჯიათ ქმართან მოლაპარაკება, მაგრამ ყოველთვის მორიდებით დუმდებოდა. არ ვიცი, ვგონებ, ეშინოდა კიდეც, ვაითუ გააფთრებული მამის რისხვა ქალიშვილს დაატყდესო, ანდა თავს უფრთხილდებოდა. მისი უძლურება და ავადმყოფობა ისე აშკარად მატულობს და იზრდება, რომ ვშიშობ, ვაითუ ვერ მოასწროს თავისი განზრახვის კარგად მოსაზრება და უკვე აღარ ექნეს მისი შესრულების საშუალება.

ერთი სიტყვით, თუმც ბევრ რამეში კი მიგიძღვით ბრალი, მაგრამ სულიერმა კეთილშობილებამ, რითაც განმსჭვალულია თქვენი ურთიერთსიყვარული, შთააგონა ისეთი დიდი წარმოდგენა ორივე თქვენგანზე, რომ დაიჯერა ფიცით მოცემული აღთქმა მიმოწერის აღკვეთისათვის, დაივიწყა ყოველგვარი სიფრთხილე და ფხიზლად აღარ ადევნებდა თვალყურს ქალიშვილს. და ასე მიმნდობი დედისათვის რომ ეღალატნა, ჟიული მართლაც უკადრისად მოიქცეოდა მისი ზრუნვის სანაცვლოდ. თქვენ ორივენი უნდა დაისაჯოთ, უკეთუ გაბედავდით ყველაზე საუკეთესო დედის მოტყუებას, თუ ბოროტად გამოიყენებდით მის დიდ წარმოდგენას თქვენზე.

როდი ვცდილობ, კვლავ გაგიცხოველოთ იმედი, სასო თავადაც წარმკვეთია, მაგრამ მსურს დაგიმტკიცოთ, რომ თქვენი სიყვარულისთვის ყველაზე სინდისიერი, აგრეთვე ყველაზე ბრძნული გადაწყვეტილება და ერთადერთი საყრდენიც არის თავგანწირულება წესიერებისა და გონების გულისთვის, უკეთუ ჯერ კიდევ შესაძლებელია იგი. დედამისი, ნათესავები, მეგობრები, ერთი სიტყვით, ყველანი თქვენს მხარეზე არიან – მამამისის გარდა. თქვენ მის გულსაც მოიგებთ ამ გზაზე დადგომით, ანდა ვერაფერსაც ვერ მოიპოვებთ. სასოწარკვეთილი წყევლა-კრულვას უგზავნით, თუმც კი სულ იმის მტკიცებაში იყავით, თვინიერ სათნოების გზისა ბედნიერებისაკენ სხვა უფრო საიმედო გზა არ არსებობსო. უკეთუ ამ გზაზე სიარულით მიაღწევ ბედნიერებას, იგი უფრო სპეტაკია, სწორია, საამურია; თუკი ვერ მიაღწევ – სათნოება აგინაზღაურებს მას. გაიმაგრეთ გული, იყავით ვაჟკაცი, კვლვ გახდით საკუთარი თავის ბატონ-პატრონი. მე ვიცნობ თქვენს გულს: თქვენთვის ყველაზე საშინელია იმის შეგნება, რომ დაკარგავთ ჟიულის იმის გამო, რომ არა ხართ მისი დაუფლების ღირსი.

---

[69] კლარა, რა გაუფრთხილებელი რამა ხართ ახლა თავად თქვენ და უთუოდ, არა უკანასკნელად! (ავტორის შენიშვნა).

V წერილი
ჟიულისაგან

დედაჩემი გარდაიცვალა. დავინახე, სამუდამოდ რომ დახუჭა თვალები. ჩემთა ბაგეთ აღბეჭდეს მისი უკანასკნელი აღმოოხვრა. ჩემი სახელი – აი, უკანასკნელი სიტყვა, მან რომ წარმოთქვა, მისი უკანასკნელი მზერა ჩემკენ იყო მოპყრობილი. არა, სიცოცხლე როდი ენანებოდა, – მე ხომ ესოდენ ცოტა რამ გავაკეთე, რათა სიცოცხლეს მეტი ფასი ჰქონებოდა მისთვის, – მხოლოდ და მხოლოდ მე მეთხოვებოდა. კარგად ხედავდა, თუ როგორ დამებნა გზა-კვალი და რაიმე იმედიც აღარ გამაჩნდა, იტანჯებოდა ჩემი ბედშაობითა და დანაშაულით, თორემ სიკვდილს აგრერიგად როდი უფრთხოდა: გულს უკლავდა ის ამბავი, ქალიშვილი ასეთი შეჭირვებული რომ ჰყავდა, ხოლო თავად ტოვებდა მას. დედაჩემი მართალი იყო. არაფერზე წყდებოდა გული ამქვეყნად. განა ამქვეყნიურ ცხოვრებაში რას იპოვიდა მოთმინებისა და სათნოების იმ სამარადჟამო მისაგებელის სანაცვლოდ, რაც ელოდა იმიერ-სოფლად? მარტოოდენ ერთი რამეღა შემორჩა ამ სამზეოში – ჩემი შერცხვენის გამოტირება! ოი, სპეტაკო, უმანკო სულო, ღირსეულო მეუღლევ და სწორუპოვარო დედავ, ამჟამად შენა ჰგიებ დიდებისა და ნეტარების სამკვიდრებელში. შენ ცოცხალი ხარ, მე კი, სინანულითა და უნუგეშო მწუხარებით დათრგუნვილი სამუდამოდ მოკლებულვარ შენს მზრუნველობას, რჩევა-დარიგებებს, უნაზეს ალერსს. ამიერიდან აღარ მივის ბედნიერება, სულის მშვიდობა, უმანკოება; მხოლოდ ერთსა ვგრძნობ – შენ რომ დაგკარგე, მარტოოდენ იმ ამბავს განვიცდი – თავი რომ გავიბახე. დღეის ამას იქით ჩემი ცხოვრება დარდი და მწუხარებაა მხოლოდ. დედილო, ჩემო საყვარელო დედილო, ვაგლახ, ეს მე ვარ მკვდარი, შენ კი არა!

ღმერთო სახიერო! რაღაც გაშმაგებამ ამიმღვრია გონება მე უბედურს, დავიწყებას მივეც ყველა ჩემი მანამდელი გადაწყვეტილება! ვინ შემიშრობს ცრემლებს, ვინღა შეისმენს ჩემს მოთქმა-კვნესას! დაე მას, ამ საქმის უსულგულო მიზეზს, დაეკისროს ყოველივე ეს! და მხოლოდ მასთან ერთად, ჩემი სიცოცხლის ყველა უბედურების მონაწილესთან, გავბედავ ამ ვაი-ვაგლახის გამოტირებას! დიახ, ასეა, გულქვა, ურჯულო, გაიზიარეთ ტანჯვა-წამება, თქვენ გამო რომ შემაჭირვებენ. თქვენი ბრალია, დედაჩემის გული რომ განვგმირე – მაშ, განამრავლეთ გმინვა-გოდება ტანჯვათაგან, თქვენ რომ მომაყენეთ, და ჩემთან ერთად განიცადეთ დედისმკვლელობის მთელი საშინელება: ეს ხომ თქვენი ნამოქმედარია. ნეტავ ვის თვალებს დავენახო ჩემი უნამუსობით? ვისღა შევჩივლო მე დამცრობილმა, თუ როგორ მქენჯნის და მტანჯავს სინდისი? მარტოოდენ ჩემი თანამოზიარე მიმიხვდება ყოველივე ამას! ბრალსა მდებს ჩემივ გული, ხოლო ყველაფერს განმარტავენ ჩემი სათუთი ერთგულებით შენაჯერი ცოდვილი ცრემლები, რომელთაც ვარფქვევ საშინელი სინანულის გამო, – და ეს ჩემთვის ყველაზე სასტიკი წამებაა. თავზარდაცემული ვხედავდი, თუ როგორ უწამლავდა სიცოცხლეს მწუხარება საბრალო დედაჩემს და აჩქარებდა მის აღსასრულს. სიბრალულის გამო ამაოდ არ მიმხელდა ამას, სალმობის გაუარესებას ამაოდ აბრალებდა მის თავდაპირველ მიზეზს, ამაოდ ჩამჩიჩინებდა ამასვე ჩემი დაიკოც, – სინდისის ქენჯნით გატანჯულ ჩემს გულს არაფერი გამოპარვია. და კუბოს კარამდე არ მომშორდება საშინელი აზრი, რომ შევუმოკლე სიცოცხლის დღენი იმ არსებას, ვინაც თავად მომანიჭა სიცოცხლე.

უკანასკნელად დამრთეთ ნება, თქვენს გულმკერდზე დამხობილმა მწარე ცრემლებით გამოვიტირო ჩემი ურვა-წუხილი, რაიც თქვენი ბრალიცაა, – ზენაარსმა ხომ მრისხანების ჟამს გამომიგზავნა თქვენი თავი, უბედური და შემცოდე რომ გავეხადე.

უწინდელებრივ როდი დავიწყებ ლაპარაკს თქვენთან ჩვენი საერთო ვაი-ვარამის გამო. ესაა უკანასკნელი გამოსალმების უნებლიე ოხვრა-კვნესანი. მორჩა, ყოველივეს მოეღო ბოლო – სიყვარულს უკვე აღარ ხელეწიფების განწირული სულის უფლობა. ჩემი სიცოცხლის დარჩენილ დღეებს მე დავაღამებ ურვა-წუხილით გულგასენილი, მდუღარ ცრემლთა ფრქვევით გამოვიტირებ დედათა შორის ყველაზე უკეთეს დედას ამ ქვეყანაზე. კი შემწევს ძალ-ღონე მსხვერპლად შევწირო ის გრძნობები, სიცოცხლის ფასად რომ დაუჯდა. რა ბედნიერი ვარ, დედის ტანჯვათა გამოსყიდვით იოლად რომ არ მომიხდა მათი დაოკება. ოი, უკეთუ მისი უკვდავი სული შეემსჭვალვის ჩემი გულის შინასკნელს, მაშინ ის ხედავს, რომ მისდამი შეწირული ჩემი მსხვერპლი არც ისე უღირსად ჩასათვლელია. გაიზიარეთ ჩემთან ერთად სულიერი ტვირთი, რომელსაც ვეზიდები თქვენი ბარობით. უკეთუ თქვენს გულს კვლავ შთენია სანეტარო და ავბედით კავშირთა ხსოვნის თუნდ ერთი ბეწო პატივისცემა მაინც, მაშინ გაფიცებთ ამ ხსოვნას: სამუდამოდ გამწირეთ მე, ნუ გამიარჯლებთ სინდისის ქენჯნას, გადამავიწყეთ, თუკი ეს შესაძლებელია, რანი ვიყავით ერთმანეთისთვის. დაე, ვეღარასოდეს დაგინახონ ჩემმა თვალებმა; დაე, ნურასოდეს გავიგონო თქვენი სახელი, და თქვენ გამო მოგონებებმა არ შეაცბუნონ ჩემი გული. კიდევ ვბედავ ლაპარაკს სიყვარულის სახელით, რასაც ბოლო უნდა მოეღოს. ნუ განამრავლებთ ჩემთა ტანჯვათ იმაზე ფიქრით, დედაჩემის უკანასკნელი ნება-სურვილი რომ არ აღსრულდა. მიიღეთ ჩემი უკანასკნელი გამოსალმება, ძვირფასო და ერთადერთო... ოი, უგუნურო თავო ჩემო... მშვიდობით სამუდამოდ.

VI წერილი
ქალბატონ დ'ორბისადმი

დაბოლოს თვალთ ამეხილა. განიფანტა ასე ხანგრძლივ გაჭიანურებული ცდუნება, გაქრა სანეტარო იმედი; ამიერიდან ჩემი სიყვარულის მარადიულ ალმურს გააღვივებს მწარე და გასაოცარი მოგონება, რაც მასულდგმარებს და აარჯლებს ტანჯვათა ჩემთა, თვალთა წინარე წარმომიჩენს ფუჭსა და იავარქმნილ ბედნიერებას.

ნუთუ მართალია, უზეშთაესი ბედნიერება რომ განვიცადე? ნუთუ ის არსება ვარ, ოდესღაც ბედნიერი რომ იყო? და განა ის კაცი, ვისაც ბედმა არგუნა ჩემებრი ვაი-ვაგლახი, არ დაიბადა სამარადჟამო ტანჯვა-წამებისათვის? და განა შესაძლებელია განსცხრებოდე კეთილდღეობით, მე რომ დავკარგე და ცოცხალი დარჩე მას უკან? ნეტავი თუ შეიძლება ესოდენ სხვადასხვაგვარი გრძნობა წარმოიქმნას ერთსა და იმავე გულში? სიხარულისა და ბენდიერების დღეებო, არა, თქვენ როდი გახლდით მოკვდავის ხვედრი, თქვენ ეგზომ მშვენიერნი იყავით, რომ აღარ ძალგიძდათ წამიერად ყოფნა. ჩვენ განვიცდიდით რაღაც წარმტაც თავდავიწყებას და ჩვენთვის შეჩერდა დრო-ჟამთა დენა: თვალის ერთი დახამხამება მთელ საუკუნედ გადაიქცა. ჩემთვის აღარ არსებობდა არც წარსული, აღარც მომავალი, განვიცდიდი ათასი საუკუნის შვება-სიამეს. ვიშმე! ყოველივე გაქრა, ვით ელვათა კრთომა. და ეს სამარადჟამო ბედნიერება იყო ჩემი სიცოცხლის მხოლოდ ერთი წამი. ჩემი უსასოობის ჟამს დრო კვლავ ნელად ამოძრავდა და სევდა-ნაღველი ხანგრძლივ წელთა მანძილზე დაითვლის ჩემი სიცოცხლის უკანასკნელ დღეთა უღიმღამო ნატამალს.

სიცოცხლე ჩემი ანაგებად აუტანელი რომ გახადონ, უფრო და უფრო მეტი დარდი და მწუხარება შემაჭირვებენ მე, და ის, რაც ჩემი გულის საიასაღო იყო, უფროსღა განილტვის ჩემგან. ქალბატონო, იქნებ ჯერ ისევ გიყვარვართ: მაგრამ თქვენ ხომ სულ სხვაგვარი საზრუნავი მოგიწოდებთ და სხვა მოვალეობა გაწევთ ტვირთად. ამჟამად უკვე

უსამართლობა იქნებოდა თქვენი შეწუხება ჩემი ჩივილ-წუწუნით, რასაც თანაგრძნობით ეპყრობით. ო ჟიული, ჩემი ჟიული, თავად იგი სასოწარკვეთილია და ხელს იღებს ჩემზე. დარდმა და ჭმუნვამ, სინდისის ქენჯნამ განაძეს სიყვარული. ყველაფერი შეიცვალა ჩემთვის, მარტოოდენ ჩემი გულია უცვალებელი და ამის გამო კიდევ უფრო უსაშველოა ჩემი ხვედრი.

მაგრამ განა სულ ერთი არაა, თუ რა დღეში ვარ და რა მომივა? ჟიული იტანჯება და განა ჩემზე ფიქრის დრო არის ახლა? აჰ, მის ტანჯვათაგან კიდევ უფრო მიკვდება გული. დიახ, ვამჯობინებდი, გულიდან ამოიღოს ჩემი სიყვარული და იყოს ბედნიერი. აღარ ვუყვარდე!.. ნუთუ ამის იმედი აქვს?.. არა, არასოდეს, არასოდეს! ამაოდ ამიკრძალა ვინახულო და წერილი მივწერო, – ასე როდი დააღწევს თავს ტანჯვა-წამებას, ხოლო ნუგეშის კარი კი დაეხშობა! ნუთუ დედის დამკარგავს სურს საყვარელი მეგობარიც ხელიდან გამოეცალოს? ნეტავი ხომ არა ფიქრობს გაიქარვოს შეჭირვება მისი გამრავლებით? ო, სიყვარულო! განა შეიძლება შური იძიოს კაცმა შენზე მახლობელთა დაკარგვის გამო?

არა და არა, ამაოდ ეცდები ჩემს დავიწყებას! ნუთუ სათუთ გულს ძალუძს არ შეიწყნაროს ჩემი გული? და ნუთუ არ ვაოკებ მას მისი ნება-სურვილის წინააღმდეგ? ჩვენგან განცდილი გრძნობები არ დაივიწყების. და განა შეიძლება მათი მოგონება ისე, კვლავ რომ არ განიცადო? მძლევარმა სიყვარულმა გააუბედურა იგი სამიდღეშიოდ; ხოლო ძლეული სიყვარული უფრო მეტი სიბრალულის ღირსად გახდის მას. იგი მწუხარებაში გაატარებს თავის დღესა და სოფელს, გასტანჯავს ამაო სინანულიცა და ფუჭი გულისთქმანიც, ვერასოდეს შეაჯერებს გულს ვერც თავისი სიყვარულით და ვერც სათნოებით.

ოღონდაც ის არ იფიქროთ, რადგან მისი ცდომილების გამო წუხს და ვალალებს, ამიტომ მათდამი პატივისცემასაც მოიშლისო. იმდენი მსხვერპლი გავიღე, რომ უკვე გვიანღაა აღარ დავემორჩილო ჩემს ჟიულის. მისი სიტყვა კანონია ჩემთვის. აწ ვეღარაფერს გაიგებს ჩემზე. თავადვე განსაჯეთ, რა საშინელია ჩემი ბედი. და ჩემი უდიდესი მწუხარება ის კი არ არის, მისი განწირვა რომ მომიხდა! აჰ, ჩემი ყველაზე აუტანელი ტანჯვა-წამების დასაბამი მის გულშია, და მეტწილად ვიტანჯები იმის გამო, ის უბედური რომაა. კლარა, საყვარელო კლარა, მას უყვარხართ ყველაზე მეტად ამ ქვეყანაზე, და მხოლოდ და მხოლოდ თქვენ – ჩემს შემდეგ – ისე გიყვართ იგი, როგორადაც ღირსია. ამჟამად თქვენა ხართ მისი ერთადერთი საუნჯე, და ესოდენ ძვირფასია იგი, რომ გადაატანინებს ყველა სხვა საუნჯეთა დაკარგვას. მიაგეთ ნუგეში იმათ სანაცვლოდ, მას რომ წარსტაცეს ანდა თავად თვითონ შეუშვა ხელი. დაე, სპეტაკმა მეგობრობამ აუნაზღაუროს დედის სინაზეც, მიჯნურის სათუთი გულიც და იმ გრძნობათა სიმშვენიერეც, რომელთაც უბედნიერესი ადამიანი უნდა გაეხადათ იგი. დაე, რადაც უნდა დაუჯდეს, იყოს ბედნიერი, უკეთუ ეს შესაძლებელია. დაე, მის გულს ნუ შორდეს უშფოთველობა და სულიერი სიმშვიდე, რომელიც მოვაკელ მას, და მეც ისე აღარ იავარმყოფს სინდისის ქენჯნა. არარაობა ვარ ჩემს საკუთარ თვალში, ჩემი ხვედრია – ვიყო მისთვის მკვდარი. ამიტომაც დაე იფიქროს, თითქოს ცოცხლებში აღარ ვწერივარ, უკეთუ მით მოიპოვებს სულის სიმშვიდეს. მაშ, კვალად ეწიოს იგი, თქვენს ახლო მყოფი, თავის წინანდელ სათნოებას, წინანდელ ბედნიერებას! მაშ, თქვენი მზრუნველობით გარემოცული, კვალად გახდეს ისეთი, როგორიც იყო წინათ, ჩემს გაცნობამდე!

ვაი, მე საწყალს! მაშინ ის იყო ასული, ხოლო ამჟამად დედა აღარა ჰყავს! აი, ის აუნაზღაურებელი დანაკლისი, – მისგან ნურასოდეს მოელით განკურნებას, და ვერავითარი ძალა ვეღარ სცემს ნუგეშს იმას, ვინაც თავს დამნაშავედა თვლის... აღშფოთებული სინდისი მოაგონებს მას უნაზეს დედას, საყვარელ დედას. მას გულს

უწყლულებს სასოწარკვეთა, სინდისის ქენჯნა უძლიერებს მწუხარებას. ოი, ჟიული! ნუთუ შავბედმა მიუსართა მას ესოდენ საშინელი განსაცდელი? თქვენ იყავით უბედური დედის ავადმყოფობისა და უკანასკნელი წუთების მოწმე, გემუდარებით, თავს გაფიცებთ, მითხარით, რა ვიფიქრო? განმიგმირეთ მკერდი, თუ ბრალი მიმიძღვის. უკეთუ იგი ესოდენ დამწუხრებული იყო ჩვენი დანაშაულით, რომ მის გამო გამოესალმა სიცოცხლეს, მაშინ ჩვენ ვყოფილვართ არამზადები, არა ვართ სიცოცხლის ღირსნი. ყოველივე ამის შემდეგ ოდნავი გაფიქრებაც კი ჩვენი ესეოდენი საბედისწერო კავშირის გამო თავისთავად დანაშაულია; დანაშაულია, შევყურებდეთ ამ სამზეოს.

არა, მე მჯერა, რომ ასეთ სპეტაკ სიყვარულს არ შეიძლება მოჰყვეს ესოდენ საშინელი შედეგები! სიყვარულმა შთაგვაგონა ბევრად ძლიერი კეთილშობილური გრძნობები, – შეუძლებელია, მათ მოჰყვეს ბოროტმოქმედება, რასაც მხოლოდ და მხოლოდ ულმობელი ადამიანები ჩაიდენენ. ოი ზეცავ, ნუთუ უსამართლო ხარ? და ნუთუ ის არსება, ვინაც ბედნიერება ანაცვალა თავის მშობლებს, გახდებოდა დედის სიკვდილის მიზეზი?

VII წერილი
პ ა ს უ ხ ი

დიახ, ნუთუ შესაძლებელია, უფრო ნაკლებ მიყვარდეთ, როცა დღითი დღე უფრო და უფრო ვინმსჭვალები თქვენდამი პატივისცემით! და შემწევს თუ არა ძალი და ღონე, თავიდან მოვიშორო წინანდელი გრძნობები, როცა ყოველდღიურად იმსახურებთ სულ ახალთახალს? არა, საყვარელო და სახიერო მეგობარო, როგორიც ვიყავით ერთმანეთისათვის ჯეელობისას, ასეთივე დავრჩეთ სიცოცხლის დასასრულამდე. ჩვენი ურთიერთერთგულება არ მატულობს მხოლოდ იმიტომ, რომ ის საერთოდ შეუძლებელია მატულობდეს. მთელი განსხვავება ისაა, რომ წინათ ძმასავით მიყვარდით, ახლა მიყვარხართ, როგორც ბავშვი; თუმცა, ორივენი თქვენზე უმცროსები ვართ, თუმცა თქვენი მოწაფეებიც კი გახლავართ, მაგრამ სულ ასე მგონია, ნაწილობრივ ჩვენი მოწაფეც ბრძანდებით. როცა მსჯელობას გვასწავლიდით, ჩვენგან სიყვარულის შეგრძნობას სწავლობდით. და რაც უნდა ექადაგა თქვენს ინგლისელ ფილოსოფოსს, ერთი გაკვეთილი მეორეს როდი ჩამოუვარდება: გონება აიძულებს ადამიანს იმოქმედოს, სამაგიეროდ გრძნობა ხელმძღვანელობს მას.

იცით თუ არა, თითქოსდა რატომ შევიცვალე თქვენდამი დამოკიდებულება? მერწმუნეთ, იმიტომ კი არა, ჩემი გული რომ შეიცვალა, არამედ იმის გამო, სულ სხვაგვარი რომ გახდა თქვენი მდგომარეობა. მე ვმფარველობდი თქვენს სიყვარულს მანამდე, ვიდრე ჯერ ისევ კიანთობდა იმედის სხივი, მაგრამ აი, თქვენ თავგამოდებით განიზრახეთ ჟიულის ქმრად გახდომა, რასაც თან მოჰყვა ყველა მისი უბედურება. ჩემი მფარველობა ზიანს მოგიტანდათ ორივეს და ვერ გიშველიდათ. და მეც მერჩივნა კი არ გწყენოდათ ამ ამბის გამო, არამედ ბრაზი მოგრეოდათ. როცა ბედნიერება მიუწვდომელია, მაშინ ბედნიერება უნდა სძებნო მის ბედნიერებაში, ვინაც გიყვარს. ესაა ერთადერთი რამ, რაც რჩება მას, ვინც უიმედოდაა შეყვარებული, ხომ მართალია?

თქვენ არამცთუ ფიქრობთ ასე, ჩემო დიდსულოვანო მეგობარო, ამას საქმით ადასტურებთ, – ესოდენ სამწუხარო თავგანწირვას ჯერ არ დასთანხმებია არც ერთი ერთგული მიჯნური. ჟიულის უარყოფით, თქვენი სიმშვიდის ფასად იძენთ მის სულიერ მყუდროებას და მისი გულისთვის მზადა ხართ გასწიოთ ყოველგვარი სიკეთე.

ვერც კი ვბედავ გაგიმხილოთ ის უცნაური აზრები, ზოგჯერ რომ ამეკვიატება ხოლმე, ოღონდ ისინი მმატებენ იმედს და ეს მაძლევს გამბედაობას. ყველაზე პირველ, ვფიქრობ, ჭეშმარიტ სიყვარულს იგივე უპირატესობა მოეპოვება, რაიც სათნოებას, – იგი სამაგიეროს მიაგებს ყოველივე იმისათვის, რაც მსხვერპლად შესწირეს მას და სიამოვნებად უჩნს თავისი სიდუხჭირე, რაკი შეგნებული აქვს, თუ რა ფასი აქვს და რამ წარმოქმნა იგი. თქვენ დაამტკიცებთ, ისე მიყვარდა ჟიული, როგორც ეს დაიმსახურაო, და კიდევ უფრო ძლიერ შეიყვარებთ და ამით უფრორე ბედნიერი გახდებით. უზეშთაესი თავმოყვარეობა, რომელსაც უნარი შესწევს დააჯილდოოს ადამიანი სათნოების ყველა უმძიმესი მსხვერპლის გამო, კიდევ უფრო დიდ მომხიბვლელობას ანიჭებს სიყვარულის სიმშვენიერეს. ასე ეტყვით თქვენს თავს: «მე ძალმიძს სიყვარული», და გულს სიამე დაგეუფლებათ, უფრორე სამარადჟამო და სანეტარო, ვინემ ამის გაფიქრებისას: «მე ვფლობ იმას, ვინც მიყვარს», – რამეთუ ასეთი გრძნობა მალე გაქრება, ხოლო ის, პირველი, უხრწნადია და თავად სიყვარულის შემდეგაც განაგრძობს სიცოცხლეს.

გარდა ამისა, უკეთუ სიყვარული მართლაცდა ადამიანების გულთათვის ხელმისაწვდომი და უაღრესად ნატიფი გრძნობაა, როგორც ამას ბევრჯერ იმეორებდით თქვენ და ჟიული, მაშინ სიკეთეა ყოველივე ის, რაც მას განაგრძობს და განამტკიცებს თვით უამრავ ტანჯვათა ფასად... თუ სიყვარული დაბრკოლებათაგან გაღვივებული ვნებაა, როგორც თავად ამტკიცებთ, მაშინ მართლაცდა უმჯობესია არ დავიცხროთ იგი, დაე გახანგრძლივდეს, დაე იყოს უიღბლო, ოღონდ არ ჩაქრეს სიამეთა შორის. თქვენმა მგზნებარე ვნებამ განვლო დაუფლების, დრო-ჟამის, განშორების, ყოველნაირი სიდუხჭირის ცდუნება, გადალახა ყველა დაბრკოლება, ყველაზე მძლავრის – ბრძოლის უქონლობის გარდა, რაც ანიჭებს სიყვარულს ძალ-ღონეს თავისი თავის შესანარჩუნებლად. ქვეყნიერებაზე ჯერ არავის უნახავს და გაუგონია, ვნებას რომ დაეძლიოს ასეთი განსაცდელი. მაშ, რა უფლება გაქვთ იმედოვნებდეთ, თითქოს თქვენი სიყვარული გაუძლებს მას? დრო-ჟამი გაივლიდა, თანდათანობით გეწვეოდათ სიბერე, სილამაზე დაჭკნებოდა და სულ უფრო და უფრო იმატებდა მოყირჭების გრძნობა, რასაც განიცდის ადამიანი დაუფლების ხანგრძლივი წლების შემდეგ, – ხოლო თქვენთვის განშორების მეოხებით თითქოსდა ყოველივე შეჩერდა. თქვენ სამუდამოდ დარჩებით ერთმანეთისათვის ახალგაზრდები და მშვენიერნი: სულ მუდამ მოიგონებთ ერთურთს ისეთებად, როგორებიც იყავით განშორებისას და სამარის კარამდე შეერთებულ თქვენს გულებში სამარადჟამოდ ისულდგმარებს ჯადოსნური ოცნება, სიყვარულისაგან განუყრელი ჯეელობის მოგონება.

თქვენ რომ არ განგეცადათ სიამენი სიყვარულისა, მაშინ გაგტანჯავდათ უსაშველო ვაი-ვარამი, გულს მოგიკლავდათ დარდი და მწუხარება, გაგაწამებდათ ოცნება იმ გულის შესაფერ აღფრთოვანებათა გამო. თქვენი მგზნებარე წარმოსახვა წამდაუწუმ დაგიხატავდათ იმ სიამეთ, რაიც არ განგიცდიათ. მაგრამ სიყვარულმა მოგმადლათ ყველა თავისი სიხარული, – ხომ თვითონვე ამბობდით, ერთი წლის მანძილზე ესოდენი სიამენი ვიგემეთ, რასაც ზოგიერთი სამიდღეშიოდაც ვერ მოესწრებოდაო. გაიხსენეთ თქვენი გაბედული პაემნის მეორე დღეს დაწერილი მგზნებარე წერილი. მას რომ ვკითხულობდი, ისეთი მღელვარება დამეუფლა, რომლის მსგავსიც მანამ არასოდეს განმეცადა. იმ წერილში არა ჩანდა ვნებათაღელვის დაოკება, არა; იგი აღვსილი იყო აღტყინებით; იგრძნობოდა, რომ თქვენი გული ჯერ ისევ მოცული იყო თავდავიწყებამდე მისული სიყვარულის აღტაცებით, დამათრობელი სასიამტკბილო განცხრომით და თავად ირწმუნებოდით მაშინ, მთელ სიცოცხლეში ასეთი აღფრთოვანების ორგზის განცდა შეუძლებელიაო, როცა ასეთ რამეს იგემებს ადამიანი, მყისვე უნდა მოკვდესო. ჩემო მეგობარო, მაშინ სრული ნეტარება განიცადეთ და რაც უნდა მოემართა ხელი თქვენთვის სვე-ბედსა და სიყვარულს, თქვენი

ვნება და ბედნიერება მაინც ჩაქრებოდა. ეს წამი იყო სწორედ თქვენი სიდუხჭირის დასაბამიც, სატრფო თქვენი წაგგვარეს იმ დროს, როცა განიცადეთ ყველა გრძნობა, – თითქოსდა ბედს ნებავდა კიდეც ეხსნა თქვენი სიყვარული უცილობელი ჩაქრობისაგან და თქვენს სულში მარად ყოფილიყო აღბეჭდილი უკვდავი ხსოვნა წინანდელ სიამეთა, რაც უფრორე ნათელია და ელვარე, ვინემ ყველა ისინი, რომელთაც კვლავ განიცდიდით.

მაშ, ნუღარ იდარდებთ იმ სიკეთის დაკარგვის გამო, რაც სულ ერთია, ადრე თუ გვიან ხელიდან მაინც გაგისხლტებოდათ, და თანაც წარიტაცებდა მეორე სიკეთესაც – იმას, რასაც ახლა ვერავინ წაგართმევთ. სიყვარული და ბედნიერებაც ხომ შეიძლება ერთად გამქრალიყვნენ; ხოლო თქვენ, ყოველ შემთხვევაში, შეინარჩუნეთ გრძნობა, – სიყვარულს ქვეყნად ხომ არაფერი შეედრება. იავარქმნილი ტრფიალების სახე უფრო საშინელია სათუთი გულისათვის, ვინემ უიღბლო სიყვარულის ხატება. ასკეცად საშინელია გრძნობა – გეზიზღებოდეს ის, რაიც ხელთა გაქვს, ვიდრე სინანული იმის გამო, რაც აღარ გაგაჩნია.

თუკი სამართლიანია საყვედურები, დედის გარდაცვალების გამო რომ მიაგო თავის თავს უნუგეშოდ შთენილმა ჩემმა დაიკომ, მაშინ უნდა ვაღიარო, საშინელი მოგონება ჩაგიმწარებდათ სიყვარულს და შავბნელი, აბეზარი აზრი სამუდამოდ ჩაახშობდა მას. მაგრამ ნუ ერწმუნებით ჟიულის, – სასოწარკვეთილება აცდუნებს მას, ანდა უმალ – უნებურად ეძიებს საბაბს, რათა კიდევ უფრო გაიარჯლოს მწუხარება უსაფუძვლო ეჭვებით; მისი სათუთი სული სულ მუდამ შიშობს, ვაითუ არც ისე ძლიერ ვწუხვარო, და რაღაც სევდანარევ სიამეს პოულობს, როცა თავის ტანჯვა-წამებას მიუსართავს ხოლმე ახალ და ახალ ვაებას. მერწმუნეთ, ყოველივე ამას თავად შთააგონებს თავის თავს. იგი მთლად გულწრფელი როდია თქვენთან. ნუთუ მისი გული გადაიტანდა სინდისის ქენჯნას, მართლაც რომ ეფიქრა, დედაჩემს დღე მოვუსწრაფეო? არა, ჩემო მეგობარო, არა. კი აღარ იგლოვებდა, თანვე გაჰყვებოდა მის გზა-კვალს. ქალბატონ დ'ეტანჟის ავადმყოფობა კარგადაა ცნობილი: მას ჰქონდა განუკურნელი სნეულება – წყალმანკი, მისი მდგომარეობა უიმედოდ მიაჩნდათ ჯერ კიდევ მანამ, ვინემ თქვენი მიწერ-მოწერა გამომჟღავნდებოდა. ბიცოლაჩემმა, მართალია, ცოტა მწუხარება როდი იწვნია, სამაგიეროდ ბევრი სიხარულიც განიცადა! ჟიულის დანაშაულით გატანჯული სათნო დედისთვის რაოდენ სანუგეშო იყო იმის დანახვა, თუ რა ქველკეთილობით ცდილობდა ქალიშვილი შეცოდების გამოსყიდვას, და როცა ცრემლებსა ღვრიდა ასულის ბრალის გამო, იმავ დროს დაჰხაროდა მის სულს. რა შვების მომცემი იყო დედისთვის იმის შეგრძნობა, რაოდენ ძვირფასი ვარ ჟიულისთვისო! რაოდენ დაუცხრომელ გულმოდგინებას იჩენდა ჟიული! რა მზრუნველობით უვლიდა დედამისს! როგორ ნანობდა, რა სასტიკი მწუხარება მივაყენეო!.. როგორ ენანებოდა წარსული! როგორ ტიროდა! არ იშურებდა საგულისგულო ალერსს! როგორ თანაუგრძნობდა სნეულ დედას! ქალიშვილის მზერა გამოხატავდა დედის ტანჯვა-წამებას; მთელი დღე თავს დასტრიალებდა დედამისს, უვლიდა ღამით; ყველაფერს საკუთარი ხელით აკეთებდა და ეხმარებოდა. ვეღარც კი იცნობდით თქვენს ჟიულის. სადღაც გაქრა მისი უილაჯობა, უფრო ძლიერი და მტკიცე გახდა, ყველაზე მძიმე ტვირთი აღარაფრად მიაჩნდა, თითქოსდა მის სულს სულ სხვა, ახალი ხორცი შეესხა. თვითონ აკეთებდა ყველაფერს, მაგრამ გეგონებოდათ, არაფერსაც არ შვრებაო. ყველგან და ყველაფერს ასწრებდა, მაგრამ ისე ჩანდა, თითქოს ავადმყოფის სასთუმალს არც კი შორდებაო, შესვლისას ყოველთვის ნახავდი ჟიულის დედის სარეცელთან დაჩოქილს; მის ხელებს დაკონებული ოხვრა-კვნესით იგონებდა თავის შეცოდებას ანდა ნაღვლობდა დედის შეჭირვების გამო. ამ გრძნობათა შერწყმით კიდევ უფრო იმრავლებდა დარდსა და მწუხარებას.

ყველა, ვინც კი იმ დღეებში ბიცოლაჩემის საწოლ ოთახში შევიდოდა, თვალებზე ცრემლმორეული შეჰყურებდა ამ გულისამაჩუყებელ სურათს. ჩანდა, საშინელი

განშორების ჟამს მათი გულები რომ ცდილობდნენ კიდევ უფრო მაგრად ჩაჰკვროდნენ ერთმანეთს. ისიც ჩანდა, დედასაც და ქალიშვილსაც აწუხებდათ მოსალოდნელი განშორება, თავად სიკვდილი მათთის არაფერსაც არ ნიშნავდა და მათ მარტოოდენ ერთი რამ სურდათ: ერთად დარჩენა ამქვეყნად ანდა ერთადვე წასვლა იმიერსოფლად.

მაშ, ნუ დაიჯერებთ ჟიულის შავბნელ აზრებს, მერწმუნეთ, ყველაფერი გააკეთა დედის სიცოცხლის გადასარჩენად და მისდა სანუგეშოდ. შეაყოვნა სნეულების მსვლელობა, – მხოლოდ და მხოლოდ მისმა თავგამოდებულმა, ალერსიანმა მზრუნველობამ გაახანგრძლივეს სულთმობრძავის სიცოცხლე. ბიცოლაჩემი დღენიადაგ სულ იმას იმეორებდა, ჩემი უკანასკნელი დღეები თავად ჩემთვის შვებისმომცემი დრო და ხანი იყო და სრულ ბედნიერებას მხოლოდ ჩემი ქალიშვილის ბედშაობა მიწამლავდაო.

უკეთუ მისი სიკვდილის მიზეზად მაინც მწუხარებას მივიჩნევთ, მაშინ უნდა ითქვას, რომ ბიცოლას მწუხარება კაი ხნის ამბავია და ამ მხრივ, მის ქმარს უნდა დაედოს ბრალი. იგი დაუდგრომელი ხასიათის კაცი იყო, ცოლს ღალატობდა, ჭაბუკური ვნების მრავალი წელი ქალებთან ურთიერთობას შეალია, რომლებიც უფრო ნაკლებად იყვნენ სიყვარულის ღირსნი, ვინემ მისი ცხოვრების ერთგული თანამგზავრი, ხოლო როცა წელთ დაღმართს დაეშვა და დაუბრუნდა ცოლს, ისეთი ურყევი სიმკაცრითა და პირქუშად დაიწყო მოქცევა, რითაც მოღალატე ქმრები ჩვეულებრივ მხოლოდ აძლიერებენ თავიანთ დანაშაულს. ჩემმა საბრალო დაიკომ თავის თავზე გამოსცადა ეს. მამამისი თავს იწონებდა კეთილშობილი გვარით; არაფრის დიდებით არ შეიძლებოდა მისი უჯიათი, მკაცრი ზნე-ხასიათის მოლბობა, – და ამის ბრალია სწორედ თქვენი და ჟიულის უბედურებაც. ჟიულის დედა, მუდამ სულითა და გულით სიყვარულით რომ გეპყრობოდათ, მიხვდა, ერთმანეთი რომ გიყვარდათ, მაგრამ გვიანღა იყო, უკვე შეუძლებელი გახლდათ თქვენი ტრფიალების ცეცხლის ჩაქრობა. ბიცოლაჩემი დიდხანს ფარავდა თავის დარდს, აღარ შეეძლო არც ქალიშვილის გატაცებისა და არც ქმრის სიჯიუტის დაძლევა და თავისი თავი გამოუსწორებელი ბოროტების დასაბამად მიაჩნდა. როდესაც თქვენი წერილებით ანაზდად გაიგო, თუ რაოდენ გააცრუეთ მისი ნდობა, შეეშინდა, ვაითუ ყოველივე დავკარგო, ოდეს ყველაფრის გადარჩენა ვიღონო და ქალიშვილის ღირსების აღდგენით მის სიცოცხლეს საფრთხე რამ მივაყენოო. ხშირად მოიარებით ელაპარაკებოდა ქმარს ქალიშვილის გამო, ოღონდ ამაოდ; არაერთგზის უნდოდა მასთან გულახდილი მოლაპარაკება, მის ვალდებულებათა შეხსენება, – მაგრამ შიშნეული და წყნარი ხასიათის მანდილოსანი ამას ვერ ახერხებდა. სანამდისაც კი მოეპოვებოდა ძალ-ღონე, ყოყმანობდა, ხოლო როდესაც ყველაფრის თქმა მოისურვა, უკვე გვიანღა იყო – ძალ-ღონემ უღალატა. მიიცვალა და თან წარიტანა საბედისწერო საიდუმლო. და მე, რომელიც კარგად ვიცნობ მისი ქმრის დაუოკებელ ხასიათს, ვფიქრობ, მრისხანების ჟამს იგი არაფერს დაერიდებოდა, და მიხარია, რომ ჟიულის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება.

ყოველივე ეს იცის ჟიულიმ. გითხრათ განა, რასა ვფიქრობ მისი სინდისის ამაო ქენჯნის გამო? სიყვარული მასზე უფრო ოსტატურად მოქმედებს. ჟიული გლოვობს დედამისს, მას სურდა თქვენი დავიწყება. ეს ასეა, ოღონდ სიყვარული სტანჯავს მის სინდისს და აიძულებს იფიქროს თქვენზე. სიყვარული ძალას ატანს ჟიულის, ცრემლი აფრქვიოს მიჯნურის გამო. ჟიული ვერ გაბედავდა აშკარად ასე მისცემოდა მწუხარებას, და სიყვარული აიძულებს ვითომდა სინანულის ცრემლები ღვაროს. სიყვარული ისე ოსტატურად მოქმედებს, რომ ჟიული ამჯობინებს კიდევ უფრო ძალუმ იტანჯოს, ოღონდაც თანამზრახველად გაგიხადოთ. თქვენი გული ეგებ ვერ ხვდება კიდეც მისი გულის ფანდებს, მაგრამ მერწმუნეთ, აქ რაიმე თვალთმაქცური არაფერია. თუმცა თქვენი სიყვარულიც თანაბრადვე ძლიერია, მაგრამ ერთმანეთს არ ჰგვანან თავიანთი გამოვლენისას: თქვენი – მგზნებარეა და ფიცხი, მისი – ნაზია და მშვიდი; თქვენი

გრძნობები ქუხს და გადმოდუღს, მისი – შიგ გულის სიღრმეში იჭრება, და როცა სულის შინასკნელში შეაღწევს, მაშინ შეუმჩნევლად ფერს იცვლის და გარდაიქმნება. თქვენი სიყვარული აღაგზნებს და შეეწევა გულს, ხოლო მისი სიყვარული აძაბუნებს და ამძიმებს მას. ჟიულის ძალ-ღონე იშრიტება, ვაჟკაცობა ძაბუნდება და მისი სათნოებისგან ნიშან-წყალიც აღარ რჩება. მაგრამ მის ნებისყოფას ბოლო როდი მოღებია, – იგი მხოლოდ მიყუჩებულია, სიცოცხლის გადამწყვეტ წუთში იგი ან დაუბრუნდება ჟიულის მთელი თავისი ძლიერებით, ანდა მთლად გაქრება სამუდამოდ. უკეთუ ჟიული კვალად გადადგამს ნაბიჯს და სულ მთლად დაეცემა სულით, ყველაფერს ბოლო მოეღება. ოღონდ თუკი მისი საიშვიათო სული თუნდ ერთხელ მაინც აღზევდება, მაშინ გახდება უფრორე დიადი, ძლიერი და ქველკეთილი, ვიდრე წინათ იყო და კვლავ აღარ გატყდება სულიერად. მერწმუნეთ, საყვარელო მეგობარო, მისი სული საფრთხეშია და პატივი უნდა მიაგოთ მას, ვინც გიყვარდათ. ყოველივეს, რაც თქვენგან გამომდინარეობს, თქვენი ნებისყოფის გარდა, ძალუძს სასიკვდილო ლახვარი ჩასცეს მას. უკეთუ დაჟინებით მოინდომებთ ჟიულის დაუფლებას, ძალიან იოლად მიაღწევთ წარმატებას; ოღონდ ამაოდ ფიქრობთ ჰპოვოთ წინანდელი ჟიული, – იგი უკვე აღარ იქნება.

VIII წერილი
მ ი ლ ო რ დ ე დ უ ა რ დ ი ს ა გ ა ნ

მე უფლებით მოვიპოვე შენი გული; ჩემთვის საჭირო იყავ, და კინაღამ არ გესტუმრე. ოღონდ, რა ბედენაა შენთვის ჩემი უფლება, ჩემი ზრუნვა, ჩემი მეგობრული კეთილგანწყობილება? შენ დამივიწყე, უკვე დამიძვირე წერილის გამოგზავნა. ვიცი, მარტოსულად რომ ცხოვრობ, ვხვდები შენს იდუმალ ზრახვებს: სიცოცხლე მოგძულებია.

მერე რა, მოკვდი, უგუნურო ჯეელო! გათავდი, უწყალო ჯაბანო! ოღონდ ეს იცოდე, როცა აღესრულები, წესიერი ადამიანის გულს, ვისთვისაც ძვირფასი იყავი, მწარე ხინჯად ჩარჩება იმის შეგნება, რომ თურმე ამაოდ ზრუნავდა კაცისათვის, ვინაც სასტიკი უმადურობით მიუზღო სამაგიერო.

IX წერილი
პ ა ს უ ხ ი

ჩამობრძანდით, მილორდ. მეგონა, უკვე აღარ მიწერია ამქვეყნად სიხარული-მეთქი. მაგრამ აი, ჩვენ ვნახავთ ერთმანეთს. არა მჯერა, უმადურად რომ ჩამთვალეთ. თქვენს გულს არ შესწევს ამის უნარი, ხოლო ჩემთვის უცხოა უმადურობა.

ბარათი
ჟ ი უ ლ ი ს ა გ ა ნ

დადგა დრო-ჟამი დავუტევო სიჯეელის ცდუნებანი და ამაო იმედები. არასოდეს ვიქნები თქვენი. დამიბრუნეთ თავისუფლება, რაიც ჩაგაბარეთ, – ამიერიდან მას მამაჩემი მოუვლის, ანდა უარი მითხარით და ტანჯვა ტანჯვაზე მომისართეთ, რამეთუ ეს ვეღარ გიშველით, ორივეს კი დაგვღუპავს.

ჟ ი უ ლ ი დ’ ე ტ ა ნ ჟ ი.

X წერილი
ბ ა რ ო ნ დ'ე ტ ა ნ ჟ ი ს ა გ ა ნ
(გაგზავნილია წინა ბარათთან ერთად)

უკეთუ მაცდუნებლის გულს ჯერ ისევ შთენია ღირსებისა და ადამიანურობის გრძნობა, მაშინ პასუხს გასცემთ უბედურის ბარათს, ვინაც დაღუპეთ. იგი უკვე აღარ იქნებოდა ამ ქვეყანაზე, რომ გამებედა ფიქრი, გატაცების ჟამს დაივიწყა სირცხვილი-მეთქი. სულაც არ მაკვირვებს, რომ იმ ფილოსოფიამ, რომელმაც შთააგონა პირველსავე შემხვედრს ჩამოჰკიდებოდა კისერზე, ასწავლა მამის სიურჩეც. კარგად ჩაუფიქრდით ამ ამბავს. რაც უნდა მოხდეს, ვცდილობ გულითადად და თავაზიანად მივმართო ადამიანებს, როდესაც ვხედავ, ეს ამბავი მათზე ზეგავლენას რომ მოახდენს; და თუკი თქვენც ასე მეპყრობით, არ იფიქროთ, ვითომც არ ვიცოდე, როგორ იძიებენ შურს მდაბიო ადამიანისაგან შეურაცხყოფილი აზნაურის ღირსებისათვის.

XI წერილი
პ ა ს უ ხ ი

ბატონო ჩემო, დაუტევეთ ამაო მუქარა, რაიც სრულიადაც არ მაშინებს, თავი ანებეთ უმართებულო საყვედურებსაც, – ისინი ვერ შეურაცხმყოფენ. უწყოდეთ, სწორფერ ყმაწვილქალსა და ჭაბუკს მარტოოდენ ერთი რამ აცდუნებს – სიყვარული, და ვერაფრით მოაყივნებთ ადამიანს, თქვენმა ასულმა პატივი რომ მიაგო.

აბა როგორ ბედავთ და მაიძულებთ გავიღო ასეთი მსხვერპლი და ვინ მოგცათ უფლება მომთხოვოთ ეს? ნუთუ თქვენი გულისთვის, რომელიც მთელი ჩემი უბედურების მიზეზი ბრძანდებით, შეველევი და დავთმობ უკანასკნელ იმედს? სიამოვნებით ვცემდი პატივს ჟიულის მამას, ოღონდ თუ საჭიროა ჩემო მორჩილება, დაე იმანაც კეთილინებოს და გახდეს ჩემი მამაც. არა და არა, ბატონო ჩემო! თქვენი გულზვიადობა ვერ ამიძულებს თქვენს გამო შორს დავიჭირო ჩემთვის ესოდენ ნანინანატრი და ესოდენ ჯეროვანი უფლებები. ჩემი მწუხარება თქვენი ბრალია. თქვენს მიმართ მარტოოდენ სიძულვილითა ვარ გამსჭვალული, და უფლება არა გაქვთ რაიმე მოთხოვნა წამომიყენოთ. ამ მსხვერპლის გაღება ჟიულიმ მთხოვა. და ამიტომაც დავთანხმდი. აჰ, დაე მარად და ყოველთვის ემორჩილებოდნენ მას! ჟიულის სხვა ვინმე დაეუფლება, მაგრამ მით უფრო ღირსეული ვიქნები მისთვის.

თქვენი ქალიშვილი რომ მომთათბირებოდა თქვენი ძალაუფლების უსაზღვრობის გამო, რასაკვირველია შთავაგონებდი, უნდა წინაღუდგე მამის უმართებულო მოწადინებას-მეთქი. რაც უნდა დიდი იყოს თქვენს მიერ ბოროტად გამოყენებული ძალაუფლება, ჩემი უფლებები უფრორე ძვირფასია, – ჩვენი შემაერთებელი კავშირი აღემატება მშობლისეულ ძალაუფლებას თვით ადამიანური სამსჯავროს წინაშეც; და თქვენ ბედავთ ევედროთ ბუნებას, როცა თავად ირჯებით მის კანონთა საწინააღმდეგოდ.

მაშ, ნუ მოუხმობთ ძალზე უცნაურ და ფრიად საეჭვო ღირსებას, რის გამოც გსურთ შურისგება. თქვენს გარდა არავინ აყენებს მას შეურაცხყოფას. პატივი ეცით ჟიულის რჩეულს, და თქვენი ღირსება დაცული იქნება, ვინაიდან ჩემი გული პატივს გაგებთ თქვენ, მიუხედავად მთელი თქვენი შეურაცხყოფისა; და მიუხედავად ადამისჟამინდელი

შეხედულებებისა, წესიერ ადამიანთან კავშირს არავის დამცირება არ ძალუძს. უკეთუ ჩემი მსჯელობა შეურაცხგყოფთ, მომისწრაფეთ სიცოცხლე, მის დასაცავად ხელსაც არ გამოვიღებ. გარდა ამისა, ჩემთვის სულ ერთია, რას წარმოადგენს აზნაურის ღირსება, ხოლო რაც შეეხება წესიერი ადამიანის ღირსებას, მის მიმართ ყოველგვარი უფლება მომეპოვება. ვიცი, თუ როგორ დავიცვა იგი და შევინარჩუნებ კიდეც მას უმწიკვლოდ და შეუბღალავად უკანასკნელ ამოსუნთქვამდე.

მაშ, კარგად ჩაუფიქრდით, უსულგულო მამავ, ესოდენ ნაკლებად რომა ხართ ამ საამური სახელის ღირსი, ჩაუფიქრდით-მეთქი თქვენს გაუგონარ შვილისმკვლელობას იმ ჟამს, როცა უნაზესი და მორჩილი ასული მსხვერპლად სწირავს თავის ბედნიერებას თქვენი ცრურწმენათა გულისთვის. ოდესმე მწარე სინანულით ზღავთ ჩემს მიმართ მოყენებულ ყველა ტანჯვა-წამებას, მაშინ გაიგებთ, რომ თქვენი მბრმობილი, არაადამიანური სიძულვილი დამღუპველია თქვენთვისაც, ოღონდ უკვე გვიანღა იქნება. მე, რასაკვირველია, უბედური ვიქნები. მაგრამ, უკეთუ თქვენი გულის სიღრმეში ოდესმე მაინც გიწიათ სისხლის ყივილმა, თქვენ ჩემზე უფრო უბედური იქნებით, რადგანაც თქვენს ფანტაზიას ამსხვერპლეთ ერთადერთი შვილი, სილამაზით, ღირსებითა და სათნოებით განთქმული შვილი, რომელსაც უხვად მოჰმადლა ზენამ ყველაფერი – გარდა კარგი მამისა.

ბ ა რ ა თ ი

წინა წერილში რომ იყო ჩადებული

ვუბრუნებ ჟიული დ’ეტანჟს უფლებას განაგოს თავისი თავი და გათხოვდეს თავის გულთან შეუთანხმებლად.

ს. გ.

XII წერილი

ჟ ი უ ლ ი ს ა გ ა ნ

მინდოდა აღმეწერა თქვენთვის სცენა, რომელიც ეს-ესაა მოხდა და ნათელსა ჰფენს თქვენგან ალბათ უკვე მიღებულ ბარათს, მაგრამ მამაჩემი ისე წინდახედულად მოქმედებს, რომ მყისვე გამოგზავნა შათირი. მამაჩემის წერილმა, რა თქმა უნდა, დროზე მოუსწრო ფოსტას, ხოლო ჩემმა წერილმა ეგებ დაიგვიანოს კიდეც. სანამ მოგივიდოდეს იგი, თქვენ მიიღებთ გადაწყვეტილებას და გამოგზავნით პასუხს. ამრიგად, დაწვრილებითი ცნობების გადმოცემა უკვე ზედმეტია. მე აღვასრულე ჩემი ვალი, – თქვენ აღასრულებთ თქვენს მოვალეობას. მაგრამ შავბედი გვდევნის, პატიოსნება და ღირსება კი გვღალატობს. სამუდამოდ ვიქნებით განშორებულნი და სავალალოდ და სამწუხაროდ მე გადავალ სხვის... ვიშმე! შემეძლო კი შენი ვყოფილიყავი! ოი, მოვალეობავ! ნეტავი რას ემსახურები! ოი, განგებავ!.. ისღა მშთენია, ვიკვნესო და ვდუმდე...

კალამი ხელიდან მისხლტება. რამდენიმე დღე ავად ვიყავი; ამ დილანდელმა საუბარმა საშინლად ამაღელვა... თავი მტკივა, გულს ცეცხლი მედება... ძალ-ღონე მელევა... ნუთუ მამაზეციერი არ შემიბრალებს? ლოგინად ჩავვარდი და ისღა მანუგეშებს, ამიერიდან რომ ვეღარ წამოვდგები. მშვიდობით, ჩემო ერთადერთო სიყვარულო! მშვიდობით სამუდამოდ, საყვარელო და საესავო მეგობარო! აჰ! უკეთუ შენთვის სიცოცხლე არ მიწერია, მაშინ ცხოვრებაც დასრულდა.

XIII წერილი
ჟიულისაგან ქალბატონ დ'ორბისადმი

ამრიგად, ჩემო ძვირფასო, ჩემო უწყალო დობილო, შენ მართლაც დამიბრუნე სიცოცხლე და ყველა ჩემი ვაი-ვარამი! ველოდი სანეტარო წუთს, როცა შევუერთდებოდი ჩემს შეუდარებელ დედიკოს. შენი უგულო მზრუნველობის გამო ბედმა მარგუნა კიდევ უფრო დიდხანს დავსტიროდე მას. ძალიან მენანება შენი განშორება და სწორედ ეს მაკავებს ამქვეყნად, როცა დედაჩემთან წაყოლის სურვილი მათმობინებს ამიერსოფელს. ვურიგდები სიცოცხლეს მხოლოდ იმის გამო, რომ სიკვდილმა მთლად როდი დამინდო და შემიბრალა. ჩემმა სახემ დაკარგა წინანდელი სიმშვენიერე, რაიც ჩემს გულს ფრიად ძვირი დაუჯდა. მისგან დამიხსნა სნეულებამ, რისგანაც სულ ახლახან განვიკურნე. დანაკლისი მახარებს – იგი შეანელებს იმ უსულგულო ადამიანის ტლანქ გზნებას, ჩემდა დაუკითხავად ჩემი ქმრობა რომ გადაუწყვეტია. აღარ მოვეწონები, დანარჩენს კი აღარაფრად მიიჩნევს. ამრიგად, არ გავტეხ მამიჩემისთვის მიცემულ სიტყვას, არ შევურაცხვყოფ მის მეგობარს, რომელსაც უნდა უმადლოდეს თავის სიცოცხლეს, მაგრამ უარსავყოფ საძულველ საქმროს. ბაგენი ჩემნი იმდუმარებენ, მრავლისმეტყველი იქნება ჩემი იერი. შთავაგონებ მას ზიზღს და ეს დამიცავს მისი ტირანიისაგან, დაინახავს, რაოდენ პირნავსი და გონჯი ვარ და აღარ ინებებს უბედური გამხადოს.

აჰ, ჩემო დაიკო, შენ იცნობდი უფრო ერთგულ და უფრორე სათუთ არსებას, იგი როდი მკრავდა ხელს. იმ ადამიანს მოსწონდა არა მარტო ჩემი ნაკვთები და მთელი აღნაგობა, მას მე ვუყვარდი და არა მარტოოდენ ჩემი გარეგნობა. დაკავშირებულნი ვიყავით ერთიერთმანეთთან სისხლხორცეულად, – სილამაზე გაქრებოდა კიდეც ოდესმე, ოღონდ ვიდრე ჟიული თავსა უფლად ჰგონებდა, სიყვარულიც უცვალებელი იქნებოდა. ნეტავი რად დათანხმდა... ის უმადური! მაგრამ უნდა დათანხმებულიყო, ეს ხომ მე ვუბრძანე! მარტოოდენ სიტყვებით ვერ დააოკებ, ვისაც უნებს თავისი გული წარგსტაცოს! ნუთუ მინდოდა მისგან ჩემი გულის წაგვრა. განა მე ეს ჩავიდინე? ო, ღმერთო! ნეტავი ყოველივე ეს წამდაუწუმ რად მაგონებს დაუბრუნებელ წარსულსა და სიყვარულს, რაიც უნდა ჩაქრეს! ამაოდა მსურს ამოვიგლიჯო გულიდან მასთან მტკიცედ შეერთებული საყვარელი ხატება; ცეცხლი ედება და ჯიუტად იმარხავს მას, – ვცდილობ აღმოვიფხვრა სათუთი მოგონება, მაგრამ კვალად უფრორე ძლიერ აღიბეჭდება გულის სიღრმეში.

ნეტავი თუ გავბედავ მოგითხრო საშინელი ბოდვის ამბავი, რაც ავადმყოფობასთან ერთად როდი გამქრალა და კიდევ უფრო მტანჯავს განკურნების შემდეგაც? მერე რა, გაიგე ყველაფერი და შეიბრალე შენი ბედნავსი, ხელქმნილი დობილი, მადლი შესწირე მამაზეციერს იმის გამო, რომ დაგიფარა სიგიჟემდე მისული, გაშმაგებული ვნებათაღელვისაგან. ერთხელ, როცა ძალზე ცუდად ვიყავი და სიცხის ალმური თანდათან შემომენთო, მომეჩვენა, ვითომც ჩემს სარეცელთან აღმოჩნდა ის უბედური, ოღონდ ისეთი კი არა, ჩემი უდღეური სიხარულის ჟამს რომ შევხვედროდი, არამედ ფერმიხდილი, ჩამომჭკნარი, ბელეშად ჩაცმული და სასომიხდილი. დაჩოქილი ხელს უჭერდა ჩემს ხელებს და აუზიზღებლად კოცნიდა და ცრემლით ალტობდა მათ, არც საშინელი სენის გადადებისა ეშინოდა. დანახვისთანავე ისეთმა მძაფრმა და სანეტარო მღელვარებამ შემიპყრო, როგორც უწინ ხდებოდა მისი უეცარი გამოჩენისას. მისკენ გავიწიე, მაგრამ შემაჩერეს და იგი შენ გაიყვანე. მეტადრე ამაფორიაქა მისმა კვნესა-ოხვრამ, ხამუშ-ხამუშ რომ აღმოხდებოდა მეორე ოთახში გასვლის ჟამს.

ძალი არ შემწევს გადმოგცე, რაოდენ გასაოცრად იმოქმედა ჩემზე ამ მოზმანებამ. დიდხანს ვიწექი საშინელი სიცხით გათანგული. რამდენიმე დღე გრძნობადაკარგული ვიყავი. ბოდვის დროს ხშირად მეზმანებოდა იგი, მაგრამ აღარაფერი აღარ ახდენდა ჩემზე ესოდენ ღრმა შთაბეჭდილებას. მე აღარ ძალმიძს წარვიხოცო მეხსიერებისაგან მისი ხსოვნა. ჩემს გულს მარად ემახსოვრება იგი. არ არის წუთი, არ არის არც ერთი წამი, არ წარმომიდგეს იგი, როგორიც იყო მაშინ. მისი სახე, ტანისამოსი, მიხრა-მოხრა, სევდით მიბნედილი თვალები – ყველაფერი ისევ ანცვიფრებს ჩემს მზერას. თითქოსდა განვიცდიდი და ვგრძნობ, თუ როგორ დააკონა ბაგენი თვისი მისივე ცრემლით დალტობილ ჩემს ხელთ. მისი მწარმჩივარი ვიშვიში შიშის ზარსა მცემს. აი, მას მაშორებენ, მიჰყავთ ჩემგან, ხოლო მე ვცდილობ არ გავუშვა იგი. ზმანება ცხადზე უაღრესი სიცხოველით წარმოუდგება ხოლმე ჩემს მეხსიერებას.

დიდხანს ვყოყმანობდი, ვერ გიბედავდი გამოტყდომას, – მერცხვინება ყველაფრის წარმოთქმა. მაგრამ ჩემი მღელვარება არათუ ყუჩდება, დღითი დღე სულ უფრო და უფრო მატულობს და უკვე აღარ შემიძლია წინააღვუდგე მას, უნდა გაუწყო ჩემი სიგიჟის ამბავი. აჰ, დაე დამეუფლოს იგი! ნეტავი სულ დავკარგავდე გონებას! მაინც ხომ ასე მტანჯავს და მაწამებს იმ სიგიჟის მცირეოდენი ნაწილი.

ვუბრუნდები ჩემს სიზმარს. ჩემო დაიკო, შენ გეთაყვანე, დასცინე ჩემს სისულელეს, ოღონდ ჩემს ზმანებაში არის რაღაც იდუმალი, რაც სულაც არა ჰგავს ჩვეულებრივ ბოდვას. ეგებ, ეს მოასწავებდეს იმ ამბავს, რომ უნდა მოკვდეს ამ ქვეყნის ყველაზე საუკეთესო ადამიანი? იქნებ, ეს იყოს იმის ნიშანი, იგი უკვე აღარც კი დადის ამ სამზეოში? და ანაზდად ჩემს სიცოცხლეში ერთხელ თავად ზენა მიმითითებს გზას, რათა გავყვე მას, ვისი სიყვარულიც მან შთამაგონა! ვაი ჩემს თავს! ეს ბრძანება ჩემთვის იქნებოდა ზენაარსის უპირველესი მოწყალება.

ამაოდ ვიგონებ უსაგნო ბოდვას, რითაც ფილოსოფოსები ართობენ შეგრძნობის უნარს მოკლებულ ადამიანებს. ეს უკვე აღარ მოქმედებს ჩემზე. მე მძაგს იგი. აჩრდილებს ვერავინ ხედავს, ეს ვიცი და მჯერა, ოღონდ უკეთუ ორი არსება ესოდენ მტკიცედაა შეკავშირებული, მაშინ ხომ არ არსებობს მათ შორის უშუალო ურთიერთობა, ხორციელი და გრძნობადი აღქმის კიდეგან? რა იქნება, თუკი მეორისკენ მიმართული უშუალო შთაგონება გადაეცემა ტვინს და ყოველივე გადაცემული მის მიერ აირეკლება შეგრძნობის სახით? საბრალო ჟიული! აბა რა სისულელეა ეს, რაგვარად გვამიამიტებს ვნებათაღელვა! რა ძნელია სიყვარულისგან დაკოდილმა გულმა თავი დააღწიოს ცდომილებას, მაშინაც კი, უკეთუ ამას შეიგნებ!

XIV წერილი

პ ა ს უ ხ ი

აჰ, ნუთუ მარტოოდენ ტანჯვათათვის გაჩნდი ამქვეყნად, საბრალო მგრძნობიარე ქმნილებავ? ამაოდ მეწადა შენი გამოხსნა შეჭირვებათაგან, – თითქოსდა თავად ეძიებ მათ წამდაუწუმ და მათ მიმართ შენი ლტოლვა გადაამეტებს ყველა ჩემს მცდელობას. შენ ესოდენ მრავალი ნამდვილი მიზეზი გივის სევდა-ვაებისათვის. მაშ, ნუღარ მიუმატებ მათ წარმოსახვით მიღებულ საბაბთ, და რადგან ჩემს სიფრთხილეს შენთვის ზიანი მოაქვს და არა რაიმე სარფა, თავი ანებე მტანჯველ ცდომილებას, რადგან სამწუხარო სინამდვილე, მართლაცდა, არც ასე საშინელი იქნება შენთვის. მაშ, იცოდე: შენ რომ სიზმარი იხილე, სულაც არაა სიზმარი. შენ შენი მეგობრის აჩრდილი როდი მოგეზმანა – თავად იგი ნახე და

ის გულისამაჩუყებელი სცენაც, რაიც წამდაუწუმ წარმოგესახება, სინამდვილეში გათამაშდა შენს საწოლ ოთახში იმის მეორე დღეს, როცა ავად გახდი.

წინადღით მოგვიანებით წავედი შენგან და ბ-ნი დ'ორბი იმ ღამით შენს სასთუმალთან ჩემს შეცვლას აპირებდა. ის იყო მოეშურებოდა შენკენ, როცა უეცრად და მოულოდნელად გამოცხადდა შენი უბედური მეგობარი და ისეთი სასოწარკვეთით დაემხო ჩვენს ფეხებთან, რომ შეუძლებელი იყო არ შეგვბრალებოდა. შენი უკანასკნელი წერილის მიღებისთანავე გამოემგზავრა ფოსტის ცხენებით. დღივ და ღამ შეუსვენებლად მოდიოდა, მთელი გზა სამ დღეში გამოვლო, უკანასკნელი ფოსტის სადგურში ჩამოხტა, დაელოდა დაღამებას და შემოვიდა ქალაქში. ჩემდა სამარცხვინოდ უნდა გამოვტყდე, ბ-ნი დ'ორბისაგან განსხვავებით, მაშინვე როდი გადავეხვიე მას, – ჯერ კიდევ კარგად არ ვიცოდი, რით იყო გამოწვეული ეს ჩამოსვლა, მაგრამ წინასწარ ვგრძნობდი მის შედეგებს. უამრავმა სამწუხარო მოგონებამ, საფრთხემ, შენ და იმას რომ გემუქრებოდათ, თავად მისმა შეშფოთებამ – ყოველივე ამან მომიშხამა მოულოდნელი სიხარული. ისე ვიყავ თავზარდაცემული, რომ განსაკუთრებით ალერსიანად და გულთბილად ვეღარ შევეგებე. მაგრამ აი, გადავეხვიე და შეჭირვებისაგან მეც მასავით საშინლად დამიმძიმდა გული. ჩვენ გავუგეთ ერთმანეთს და ჩვენი მდუმარე ჩახუტება ქვითინსა და ცრემლებზე უფრო მრავლისმეტყველი იყო. აი, მისი პირველი სიტყვები: «როგორ არის ის? აჰ, რა მოუვიდა მას? ან მომკალით, ან დამარჩინეთ». მომეჩვენა, შენი ავადმყოფობა რომ იცოდა, და თანაც წარმოვიდგინე, ისიც იცოდა, რა გჭირდა, და მეც გაუფრთხილებლად ყველაფერი ჩავუკაკლე. მხოლოდ ვცდილობდი საფრთხის შენელებას. როცა გაიგო, ყვავილი აქვსო, შეჰყვირა და გული წაუვიდა. სულიერ მღელვარებას დაღლილობა და უძილობაც დაემატა, და უცბად ისეთი უსუსური გახდა, დიდხანს მოვუნდით მის გამობრუნებას. ძლივსღა კრინავდა, და ლოგინში ჩავაწვინეთ.

ბუნებამ თავისი გაიტანა, ოც საათს წართვით ეძინა, ოღონდ ისე შფოთიერად, რომ ძილმა უთუოდ არათუ აღუდგინა ძალ-ღონე, არამედ მთლად გამოაცალა არაქათი. მეორე დღეს ახალ გასაჭირში ჩავვარდით. აუცილებლად უნდა ვნახოო. გავუძალიანდი და ვუთხარი, მღელვარება ავნებს-მეთქი. განაცხადა, დაველოდები, სანამ საშიშროება არ გაუვლისო, მაგრამ ამ სახლში მისი ყოფნაც უსაშველოდ სახიფათო იყო. ვცდილობდი რაიმე შემესმინა. მკაცრად შემაწყვეტინა: «ნუ ხარჯავთ თქვენს უგულო მჭევრმეტყველებას, ნუღარას მეტყვით ჩემდა საბედისწეროდ, – აღშფოთებით წარმოთქვა მან. – ნუ იმედოვნებთ, კვლავ რომ მოახერხოთ ჩემი განდევნა, როგორც უწინ, თქვენი წყალობით რომ გამაძევეს აქედან. ასჯერ მაინც დავბრუნდები ქვეყნის დასალიერიდან, რათა თუნდაც ერთი წუთით დავინახო იგი. – და მტკიცედ დაუმატა: – გეფიცებით მამაჩემის ხსოვნას, ფეხსაც არ მოვიცვლი, სანამ მას არ ვიხილავ. ამჯერად ვნახოთ – მე აგიძულებთ თქვენ შემიბრალოთ, თუ თქვენ გამხდით ფიცისგამტეხელს».

გადაწყვეტილება მტკიცე და ურყევი იყო. ბ-ნი დ'ორბი შეუდგა ფიქრს, როგორ შეესრულებინა მისი სურვილი და საჩქაროდ უკანვე გაეშვა, სანამ არ გამომჟღავნდებოდა მისი აქ ყოფნა. მთელ სახლში მარტოოდენ ჰანსი იცნობდა, რომელსაც ვენდობოდი, ხოლო ფარეშებთან ჩვენს სტუმარს მოგონილი სახელით ვუხმობდით.[70] დავპირდი, ჟიულის ღამით ინახულებ-მეთქი, მხოლოდ ერთი პირობით – ერთ წუთს დაჰყოფდა შენთან, სრულიად მდუმარე, და განთიადისას გაემგზავრებოდა. ამის პირობა მომცა. მაშინ დავშოშმინდი, დავუტოვე იგი ჩემს ქმარს საზრუნავად და დავბრუნდი შენთან.

დავინახე, რომ უკეთ იყავი. გამონაყარი გამქრალიყო. ექიმმა გამამხნევა და დამაიმედა. წინასწარ დავიყოლიე ბაბი. მაგრამ კვლავ შეგაცია, თუმცა უფრო ნაკლებად,

[70] მეოთხე ნაწილში მკითხველი დაინახავს, რომ მისი სახელია სენ-პრე.

ცნობა კვლავ მიხდილი გქონდა. ამ მიზეზით ყველანი დავითხოვე ოთახიდან და შევუთვალე ქმარს, ჩვენი სტუმარი მოეყვანა, რადგან გადავწყვიტე, შეტევის ბოლომდე რომ არ შეგეძლო მისი ცნობა. დიდი გაჭირვებით მოვახერხეთ მამიშენის გაყვანა, – სასოწარკვეთილს მტკიცედ სურდა ყოველ ღამეს შენთან დარჩენა. ბოლოს და ბოლოს გაჯავრებით ვუთხარი, ვერავის ვერაფრით დაეხმარებით, რადგან სულ ერთია, ამაღამ მაინც უნდა ვიფხიზლო, და კარგად უწყით, თუმცა მისი მამა ბრძანდებით, მე მაინც უკეთ მოვუვლი-მეთქი. სხვა რა გზა ჰქონდა, წავიდა და მე და შენ მარტონი დავრჩით. ბ-ნი დ'ორბი თეთრმეტ საათზე მოვიდა და მითხრა, შენი მეგობარი ქუჩაში რომ იცდიდა. გავემართე მის მოსაყვანად, ხელი ჩავკიდე – ფოთოლივით თრთოდა. როცა წინკარში შემოვიდა, ძალ-ღონე გამოელია, სულს ძლივსღა ითქვამდა და იქვე ჩამოჯდა.

და მაშინ შორიახლოს ანთებული სანთლის მკრთალ შუქზე გაარჩია ზოგ-ზოგი ნივთი და საგანი და ვაი-ვიშვიშით წარმოთქვა; «დიახ, ვხვდები და განვიცდი ნაცნობ ადგილებს. ჩემს სიცოცხლეში ერთხელ გავიარე აქ... ამავე წუთს... და ასევე იდუმალად... ისევე ვთრთოდი და ვცახცახებდი, როგორც ამჟამად... ასევე მიცემდა გული... ოი, თავხედო! მე, მოკვდავმა, გავბედე მეგემნა... ნეტავი რას ვიხილავ ახლა იმ სავანეში, სად ყოველიფერი განმსჭვალულია ნეტარებით, რითაც განსცხრებოდა სული ჩემი? ნეტავი რას დამანახვებს სახე იმისი, ვინაც მომმადლა და ჩემთან ერთად გაიზიარა სიამენი სიყვარულისა? სულ-ხორცის გაყრის საშინელ სურათს, სევდა-ვაების ზარ-ზეიმს, ბედუკუღმართ სათნოებასა და სულთმობრძავ მშვენიერებას!»

საყვარელო დაიკო, ვუფრთხილდები შენს საბრალო გულს და დაწვრილებით აღარ აგიწერ ამ გულისამაჩუყებელ სცენას. მან დაგინახა და დუმდა, შეასრულა დანაპირები, – ოღონდ როგორ დუმდა! მუხლებზე დაეცა, ტიროდა, კოცნიდა სარეცლის ფარდას, ხელაპყრობილი ევედრებოდა მამაზეციერს. ყრუდ გმინავდა და ძლივსღა იკავებდა ქვითინსა და ვაებას. შენ ვერ ხედავდი მას, ხოლო უცაბედად საბნიდან ხელი გამოიღე, რაღაც საშინელი გააფთრებით აიტაცა იგი. გარშემომყოფთა ხმიანობასა და ჟრიამულზე უმალ გამოგაღვიძა მისმა ცეცხლოვანმა ამბორმა, შენს ღონეგამოცლილ ხელს რომ დააყარა. იცანი იგი და, მიუხედავად მისი წინააღმდეგობისა და წუწუნისა, მაშინვე გავიყვანე გარეთ იმ იმედით, ყოველივე ამას ბოდვად მიიჩნევს-მეთქი. მაგრამ ამაზე კრინტიც აღარ დაგიძრავს და მეგონა, არაფერიც აღარ გახსოვდა. ავუკრძალე ბაბის შენთვის მოეთხრო ეს ამბავი და ვიცი, სიტყვა არ გაუტეხია. სიყვარულისგან გაქარვებული ამ ამაო სიფრთხილის გამო მოგონება კიდევ უფრო მკაფიოდ შთაგებეჭდა გულს და არასოდეს აღარ აღმოიფხვრება.

იგი დაპირებისამებრ გაემგზავრა. ფიცი დავადებინე, სადმე ახლომახლო არ დარჩე-მეთქი. მაგრამ ჩემო ძვირფასო, ეს ყველაფერი როდია. უნდა გაუწყო ის ამბავი, რასაც მაინც მალე გაიგებ. ორი დღის შემდეგ აქ გავლით იყო მილორდი ედუარდი. გამოუდგა მას, დიჟონში დაეწია და ავადმყოფს მიუსწრო. უბედურს ყვავილი გადაედო. დამიმალა, წინათ მოხდილი რომ არ ჰქონდა ეს სახადი და მეც წინდაუხედავად მოვიყვანე შენთან. მან გადაწყვიტა, გაეზიარებინა შენი სნეულება, რისგანაც შენი განკურნება არ შეეძლო. მყისვე გამახსენდა, როგორ გიკოცნიდა ხელს. უეჭველია, სურდა შეჰყროდა ჭირვება. ვითარება ერთობ არასახარბიელო იყო, მაგრამ ეს სენი სიყვარულმა გადასდო და ყველაფერი კარგად დამთავრდა. გამჩენმა შეუნარჩუნა სიცოცხლე ყველაზე ნანინანატრ მიჯნურს ამქვეყნად – განიკურნა და, მილორდ ედუარდის უკანასკნელი წერილის მიხედვით, ორივენი, ვგონებ, უკვე პარიზს გაემგზავრნენ.

ახლა კი, ჩემო სულიკო, დაუტევე შიში და მწუხარება, სრულიად უმიზეზოდ რომ შეგაჭირვებს. შენი გულის სწორის ტრფიალებისაგან უკვე დიდი ხანია აიღე ხელი, ხოლო მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება. ახლა მხოლოდ და მხოლოდ შენი სიცოცხლის

შენარჩუნებისთვის იფიქრე და მამიშენის სიყვარულის გამო მზად იყავ დაპირებული მსხვერპლის გასაღებად. გეყოფა ფუჭი იმედის სათამაშოდ ყოფნა, ოცნებებით თავის შექცევა. ძალიან სულსწრაფად ტრაბახობ შენი სიმახინჯით, – იყავი უფრო მოკრძალებული, – მერწმუნე, სატრაბახო არაფერი გაქვს. შენ გადაიტანე მძიმე სნეულება, ოღონდ მან ვერ გაიმეტა შენი სახე – მალე გადავა ხუწუწები, შენ რომ ყვავილის ბუგრები გეგონა. მე გაცილებით უფრო მეტი დამაჩნდა და მაინც არც ისეთი უშნო ვარ. ჩემო ანგელოზო, დიაღაც იქნები კვლავ ტურფა და მშვენიერი. და ვნებადამცხრალი ვოლმარიც, ერთ კვირაში რომ გაგიმიჯნურდა და მერე სამი წლის განშორების შემდეგაც ვერ განიკურნა ამ სიყვარულისგან, ახლა ძნიად თუ მომჯობინდეს შენი დანახვისას! ოჰ, უკეთუ მარტოოდენ იმის იმედი გაქვს, აღარ მოვეწონებიო, მაშინ მწარე იქნება შენი ხვედრი!

XV წერილი
ჟიულისაგან

არა, ეს სწორედ რომ მეტისმეტია. მოყვარეო ჩემო, შენ გაიმარჯვე. ასეთ ტრფობას ვერ გავუმკლავდები, მეტი წინააღმდეგობა აღარ ძალმიძს. ვიბრძოდი მთელი ძალ-ღონით. ამას, ჩემდა ნუგეშად, მიდასტურებს ჩემივ სინდისი. დაე, ზენაარსი ნუ მომთხოვს ანგარიშს იმის გამო, რაც არ მოუბოძებია. უნუგეშოდქმნილი ჩემი გული, რომელსაც ესოდენ ბევრჯერ ინადირებდი და ასე ძვირფასი იყო შენი გულისათვისაც, შენ გეკუთვნის მთლიანად, – იგი ხომ შენია იმ წუთიდან, როცა პირველად გიხილე, და შენივე დარჩება ჩემი სულის უკანასკნელ აღმოხდომამდე. შენ დაიმსახურე იგი ისეთ განსაცდელთა ფასად, რომ შეუძლებელია დაკარგო, მე კი მომძულდა მოსაჩვენარი სათნოების გამო სამართლიანობის საზიანოდ გაღებული მსხვერპლი.

დიახ, ჩემო ნაზზე უნაზესო და დიდსულოვანო მოყვარეო, ჟიული სამარადჟამოდ დარჩება შენი, ეყვარები სამუდამოდ, – ასეთია ბედის განაჩენი, მე ასე მსურს, ესაა ჩემი მოვალეობა. გიბრუნებ სიყვარულისგან შენთვის მონიჭებულ ძალაუფლებას და ამიერიდან მას ვერავინ წარგტაცებს. რაღაც მაცდური ხმა შემსჭვალავს ჩემი სულის შინასკნელს, – მაგრამ კვლავ ვეღარ მომაყივნებს. აბა რაიღა ბედენაა ფუჭი ვალდებულება, რომელსაც დღენიადაგ ჩამჩიჩინებს ის ხმა საპირისპიროდ ვალდებულებისა, რათა მარად და მარად ვეტრფოდე იმას, ვინაც შევიყვარე ზენაარსის ნება-სურვილით! და შენს მიმართ ნაკისრი ვალდებულება განა ყველა ვალდებულებათაგან უფრორე წმიდათაწმიდა არ არის? განა არ შემომიფიცავს, შენი ვიქნები-მეთქი? სამუდამოდ მხსომებოდი – განა-თუ ასეთი არ იყო დანაპირი ჩემი გულისა? ხოლო შენი ურყევი ერთგულება ნუთუ არ ასალკლდევებს ჩემს გულმოდგინებას? ჰოიმე, მგზნებარე სიყვარულმა დამიბრუნა ჩემი თავი და მხოლოდ ერთსა ვნანობ, ჩემი გულისთვის ესოდენ სანუკვარ, ესოდენ კანონიერ გრძნობებს რომ ვერკინებოდი. მაშ, აღადგინე და განაახლე შენი უფლებები, ბუნებავ, საყვარელო ბუნებავ! განვირიდებ მკაცრ სათნოებათ, ასე რომ გამცირებენ. ნუთუ შენგან მონიჭებული სიყვარული უფრორე მომაყივნებს, ვიდრე ესოდენ ჩემი მაცდუნებელი გონება!

საყვარელო მეგობარო, პატივი მიაგე ამ სათუთ მისწრაფებათ! ესოდენ დავალებული ხარ მათგან, რომ არ უნდა გმულდეს ისინი, ოღონდ აღიარე მათი უშფოთველი და სასიამტკბილო თანხმოვანება; აღიარე, რომ სიყვარულის უფლებები როდი სპობენ სისხლიერი ნათესაობისა და მეგობრობის უფლებებს; ნურმც იმას იფიქრებ, ოდესმე დავუტევო მამისეული სახლი და შენ გამოგყვე; ნუ გექნება იმედი, უარვყო კავშირი, წმიდათაწმიდა ძლაუფლებამ რომ დამაკისრა. საშინელმა დანაკლისმა – დედის

სიკვდილმა – მასწავლა კიდევ უფრო გავუფრთხილდე მამაჩემს და არ შევაჭირვო იგი. არა, ის არსება, რომელიც ამიერიდან მისი ერთადერთი ნუგეშია, არ დაამწუხარებს სევდა-ვარამით შეძრწუნებულ მის გულს. დედის სიკვდილში მე მიმიძღვის ბრალი, არა მსურს ვიტვირთო მამის სიკვდილიც. არა და არა. ვიცი, დამნაშავე ვარ და არ ძალმიძს მისი შეძულება. მოვალეობა, ნამუსი, სათნოება – ყოველივე ეს ჩემთვის ცარიელი სიტყვებია, – მაგრამ ჯოჯოხეთის ნაშიერი როდი ვარ. უძლური ვარ, ოღონდ ადამიანური გრძნობები არ მომკლებია. ჩემი ბედი გადაწყვეტილია. არ მინდა სასოწარვუკვეთო იმათ, ვინც მიყვარს. მამაჩემი თავისი სიტყვის მონა-მორჩილია და ფუჭი ტიტულის თაყვანისმცემელი. ჩემი გათხოვების საქმე მისი ნებაა, რაკი სხვას შეჰპირდა, ცოლად გაგატანო; ოღონდ ამ ჩემს გულს მარტოოდენ სიყვარული ეყოლება განმგებლად. ჩემი სათნო დობილის მკერდს მარად და მარად დაალტობს ჩემი ცრემლები. დაე, ვიყო მე საძულველი და უბედური, ოღონდ იყვნენ ბედნიერი და კმაყოფილი, თუ ეს შესაძლებელია, ყველა ისინი, ვინაც ჩემთვის ძვირფასნი არიან. თქვენ სამთა შორის ჰგიებს სიცოცხლე ჩემი და, თქვენი ბედნიერებით დალხინებული, დავივიწყებ ჩემს სევდა-ვარამს, ჩემს უსასოებას.

XVI წერილი
პ ა ს უ ხ ი

ჩვენ აღვდგინდებით, ჩემო ჟიული! ყველა ჩვენი ჭეშმარიტი გრძნობა კვალად მოიპოვებს თავის თავს! ბუნებამ შეგვინარჩუნა არსებობა, სიყვარული გვიბრუნებს სიცოცხლეს. იქნებ არა გჯერა ეს? და შენ გაბედე და იფიქრე, რომ წარმსტაცებდი შენს გულს? არა, შენზე უკეთ ვიცნობ ამ გულს, ზენამ რომ შექმნა ჩემი გულისთვის. ისინი ერთი სიცოცხლით სულდგმარებენ და მხოლოდ სიკვდილი თუ დაარღვევდა ამ კავშირს. ჩვენ როდი ხელგვეწიფების მათი დაშორიშორება, – და ან თუნდაც ამის განზრახვა. და განა მათ აერთებთ ის კავშირი, რასაც ქმნიან და არღვევენ ადამიანები? არა, არა, ჟიული! სასტიკ ბედსა სურს წარგვტაცოს მეუღლეთა საამური სახელი, ოღონდ ვერავითარი ძალა ვერ წაგვართმევს ერთგულ მიჯნურთა სახელს. იგი იქნება ჩვენი ნუგეში ჩვენს სევდიან მომავალში და ჩვენთან ერთად დაივანებს ცივ სამარეში.

ამრიგად, ხელახლა ვიწყებთ სიცოცხლეს, რათა კვალად ვიტანჯოთ. სიცოცხლე ჩვენთვის ნიშნავს მხოლოდ ერთს – მიწყივ დარდში გავლიოთ იგი. ეს რა დაგვემართა ჩვენ, ბედკრულთ! როგორ მოხდა, რომ აღარა ვართ ის, რანიც ვიყავით? აბა სად გაქრა ჩვენი უკიდეგანო ბედნიერების მომხიბვლელობა? რა იქნენ სათნოების მიერ ფრთაშესხმულ გრძნობათა გასაოცარი სიამენი? ჩვენგან არ შთენილა არაფერი, გარდა ჩვენი ვნებისა, – შემოგვრჩა მარტოოდენ ვნება, მხოლოდ გაქრა მისი სიამტკბილობა. ოი, მონა-მორჩილად დამჯერე ასულო, ჯაბანო სატრფოვ, შენი შეცდომები ყველა ჩვენი ბედშავობის სათავეა! ავაი მე! შენი გული ეგრე უმწიკვლო რომ ყოფილიყო, ასეთ ცდომილებას როდი მოგაგებდა. დიახ, ჩვენ გვღუპავს შენი გულის კეთილშობილება. დიადმა გრძნობებმა, რომლითაც აღსავსეა იგი, გამოდევნა კეთილგონიერება. გსურდა უძლეველ სიყვარულთან შეგერიგებინა ასულის ერთგულება. ერთბაშად დაემორჩილე ყველა შენს მისწრაფებას და ამით არივ-დარიე ისინი, არკი შეუხამე ერთმანეთს. ამიტომაც გახდი ბრალეული სათნოებათა გამო. ოი, ჟიული! შენი ძალაუფლება მიუწვდომელია! შენგან მონაბერი გასაოცარი ძალა იმორჩილებს ჩემს გონებას! როცა მაიძულებ სირცხვილით დავიწვე ჩვენთა ვნებათა გამო, იმავ დროს ძალას მატან პატივი მივაგო შენს შეცდომებს; შთამაგონებ აღტაცებას, თუმცა კი ვიზიარებ შენი სინდისის ქენჯნას... სინდისის ქენჯნას! დიახ, განა

შენ უნდა გქენჯნიდეს სინდისი? შენ, ვინაც მიყვარდი... შენ, რომლის დავიწყებაც არ შემიძლია. ნუთუ დანაშაული ოდნავ მაინც მიენანება შენს გულს?.. ულმობელო, რაკი უკანვე მიბრუნებ ჩემს კუთვნილ ამ გულს, დამიბრუნე ისეთივე, როგორიც მომიბოძე პირველად.

როგორ, ეს რა თქვი? ეს რის თქმა გაბედე ნართაულად? შენ სხვა ჩაგეკონება! სხვა ვინმე დაგეუფლება!.. აღარ იქნები ჩემი... ანდა, რაც ყველაზე საშინელია, საკუთრივ ჩემად ვეღარ გიგულებ! და უნდა განვიცადო ეს უსაშველო ტანჯვა-წამება! ვხედავდე, თუ როგორ ისპობ თავს!.. არა! უმჯობესია სამუდამოდ დაგკარგო, ვინემ გავუზიარო შენი თავი იმ... ნეტავი ზენამ რად არ შთამბერა ჩემთა მგზნებარე ვნებათა მსგავსი ვაჟკაცობა!.. და მაშინ მანამ, ვიდრე შენს ხელს არ შებღალავდა ტრფობისგან უარყოფილი და ღირსების მიერ გაკიცხული ეს საბედისწერო ბორკილი, ხანჯლით გაგიგმირავდი უმანკო გულს, რათა ღალატით არ შეგებილწა იგი. შენი გულის სპეტაკ სისხლს შევურევდი ჩაუქრობელ ცეცხლად ჩემს ძარღვებში მოგიზგიზე სისხლს. გულში ჩაგიკრავდი, შენს ბაგეთა ზედან აღვბეჭდავდი უკანასკნელ ამბორს... ვიგემებდი შენს კოცნასაც... სულთმობრძავი ჟიული... სიკვდილის ხელით განაწამები მისი ჩამქრალ-მიბნედილი სათნო თვალები... ჩემი ხელით განგმირული ტრფობის საგუბარი – შენი გულმკერდი... სიცოცხლესთან ერთად მისგან მჩქეფარე ნაკადულად გადმოღვრილი სისხლი... არა, იცოცხლე და იტანჯე, ატარე ჩემი ლაჩრობის ტვირთი! დიახ, მინდოდა სიცოცხლეს გამოსალმებოდი, მაგრამ ისე მიყვარხარ, ხანჯლით შენი განგმირვა არ შემიძლია.

ოი, ნეტავი მაინც გაგაგებინა, რა ხდება ვაი-ვარამით დამწუხრებულ გულში! არასოდეს არ აღგზნებულა იგი ასეთი ღვთაებრივი ცეცხლით. არასოდეს ასე ძვირფასი არ ყოფილა მისთვის შენი უმწიკვლოება და შენი სათნოება. მე შენი მიჯნური ვარ და ჩემს გულს ძალუძს სიყვარული, ოღონდ მე ხომ მარტოოდენ ადამიანი ვარ, ხოლო არაამქვეყნიური ნეტარების უარყოფა ადამიანის ძალ-ღონეს აღემატება. ერთმა ღამემ, მხოლოდ და მხოლოდ ერთმა ღამემ სამუდამოდ შეცვალა ჩემი სული. წარმსტაცე ეს დამღუპველი მოგონება და მე გავხდები ქველკეთილი. მაგრამ ის საბედისწერო ღამე ფლობს ჩემი გულის შინასკნელს და დაჩრდილავს და დაფარავს ჩემს უკანასკნელ დღეებს. აჰ, ჟიული, ღვთაებრივო ჟიული, ბედმა გვარგუნა სამუდამო ბედშაობა. მაშ, კვალად განვიცადოთ ნეტარების წამი, შემდეგ კი დაუსაბამო სინანულს მივეცეთ.

ყურადიღე მისი სიტყვები, ვისაც უყვარხარ. რად უნდა ვიყოთ მარტოოდენ ჩვენ ყველაზე ჭკვიანი ამქვეყნად და ბავშვური მიამიტობით ვეპოტინებოდეთ მოსაჩვენარ სათნოებათ, რომელთაც ყველა ახსენებს, მაგრამ არავინაც არ ჰბაძავს? როგორ, ნუთუ ჩვენ უფრო კეთილზნიანები ვართ, ვიდრე ეს ჭკუის კოლოფები, რომლებიც ავსებენ ლონდონსა და პარიზს, სადაც აბუჩად იგდებენ ცოლქმრულ ერთგულებას, ხოლო მეძაობა თავშესაქცევარ საქმედ მიაჩნიათ! ამას არ კიცხავენ, მის გამო არც ჭორაობენ. ყველაზე წესიერი ადამიანები დასცინოდნენ კიდეც მათ, ვინაც ქორწინების ხათრით აღარ აჰყვებოდნენ გულისთქმას. «კაცმა რომ თქვას, – ამბობენ ისინი, – დანაშაული არსებობს მხოლოდ ადამიანთა აზრით – მაშასადამე, ცოდვაც არ ეთქმის, რაკი ყველაფერი დაფარულია! რაიღა ბედენაა ცოლის ღალატი, უკეთუ ეს ამბავი ქმარმა არც კი იცის? სამაგიეროდ, როგორ ეცდება ცოლი ქმრის გულის მოგებას თავისი შეცოდების დასაფარავად.[71] ამის სანაცვლოდ, როგორი სინაზითა და თავაზით მოეპყრობა იგი ქმარს,

[71] აბა, სად ნახა ასეთი რამ მიამიტმა შვეიცარიელმა? უკვე დიდი ხანია ამ ამბებით იკვეხნიან მოდასაყოლილი ქალები. მათ სიამაყით შეჰყავთ კუროები თავ-თავიანთ სახლებში და ქმრის იქ ყოფნას ითმენენ მხოლოდ მაშინ, როცა ქმარი ამჟღავნებს მათდამი სათანადო პატივისცემას. სამარცხვინო კავშირის დაფარვით ქალი გვაფიქრებინებს, ეს საქმე მერცხვინება და თავი მომეჭრებაო. არც ერთი წესიერი ქალი არ ისურვებს მათ დანახვას.

რათა წინასწარ განსჭვრიტოს ანდა გააქარწყლოს მისი ეჭვები. ქმარი მოკლებულია წარმოსახვით უპირატესობას, უკეთაც ცხოვრობს და ის ყბადაღებული შეცოდებაც, რომლის ირგვლივ ამდენ ხმაურსა ტეხენ, სხვა არაფერია, თუ არა ზედმეტი კავშირურთიერთობა საზოგადოებაში».

ღმერთმა დამიფაროს, საყვარელო მეგობარო, ჩაგაგონო ეს სამარცხვინო წესები. მე მძაგს ისინი, თუმცა არც კი ვიცი, როგორ უნდა ვებრძოლო მათ. ჩემი სინდისი გონებაზე მეტად წინ აღუდგება ამ წეს-ჩვეულებათ. როდი ვიმხნევებ თავს ჩემთვის საძულველი გადამწყვეტი ნაბიჯისათვის, არ მივესწრაფი ძვირადღირებულ სათნოებას; ოღონდ ასე მგონია, თითქოს არც ესოდენ დამნაშავე ვხდები, როცა ვამუნათებ ჩემს თავს ჩემსავ შეცდომათა გამო და არც კი ვცდილობ მათ გამართლებას და, ჩემი აზრით, უდიდესი შეცოდებაა სინდისის ქენჯნისაგან თავის დაღწევის სურვილი.

თავად არ ვიცი, რასა ვწერ. სული ჩემი უსაშველოდაა აფორიაქებული. მას შემდეგ კი უფრო დამებნა თავგზა, რაც შენი წერილი მივიღე. ჩაფერფლილია და უღიმღამო იმედი, შენ რომ მიტოვებ. იგი აქრობს იმ სპეტაკ ნათელს, რომელიც ესოდენ ბევრჯერ გვწვრთნიდა ჩვენ. შენი საყვარელი ნაკვთები მკრთალდებიან და მით უფრო მიმზიდველნი ხდებიან. ვხედავ შენს სათნო და ნაღვლიან სახეს; შენს თვალთაგან დაღვრილი ცრემლი სიმძიმილით მივსებს გულს, და მეც სასტიკად ვუსაყვედურებ ჩემს თავს იმის გამო, რომ ამიერიდან ძალმიძს მხოლოდ შენი უბედურების ფასად ვიყო ბედსვიანი.

ოღონდ ჯერ ისევ მაფრთოვანებს სიყვარულის იდუმალი ცეცხლი, გაბედულებით რომ მავსებს, რაც კინაღამ არ იავარყო სინდისის ქენჯნამ. მერედა იცი განა, საყვარელო მეგობარო, ყოველი ვაი-ვაგლახის ჟამს რომ განუგეშებს ჩემებრი სიყვარული? ნეტავი თუ იცი, სიცოცხლის რა სიყვარულით აღგანთებს მიჯნური, რომელიც თავს გევლება? იცი თუ არა, რომ ამიერიდან ვცოცხლობ, ვმოქმედებ, ვაზროვნებ და ვგრძნობ მხოლოდ და მხოლოდ შენი სიყვარულისათვის? დიახ, არსობის ჩემის უცხო გვირგვინო, მე ხომ შენი სულის გარდა სხვა სული არ გამაჩნია, მე მხოლოდ თავად შენივე ნაწილი ვარ. ჩემი გულის სიღრმეში სიცოცხლის მოპოვებით როდი იგრძნობ, ჩემმა საკუთარმა სიცოცხლემ სიმშვენიერე დაკარგაო. რა ვუყოთ! ვიქნებით დამნაშავენი, ოღონდ ავს არავის შევამთხვევთ, ვიქნებით ბრალეულნი, მაგრამ ყოველთვის გვეყვარება სათნოება. არ გავამართლებთ ჩვენ-ჩვენს დანაშაულს, – არა, ორივენი ვიმწუხარებთ და ცრემლს დავათხევთ იმის გამო, გამოვისყიდით მას, თუკი ეს შესაძლებელია, ქველმოქმედებითა და გულკეთილობით. ჟიული, ოი, ჟიული! აბა რას სჩადიხარ! და რის ჩადენა შეგეძლო! ჩემს გულს ვერ მოშორდები, რადგან იგი შენს გულთანაა გადაჯაჭვული!

დიდი ხანია დავივიწყე სიმდიდრის შეძენის ყველა ფუჭი გეგმა – ესოდენ სასტიკად რომ გამაცურა. ახლა ჩემი ვალია სამაგიერო მივუზღო მილორდ ედუარდს მისი მზრუნველობისათვის. მას სწადია ჩემთან ერთად გაემგზავროს ინგლისს – ასე ფიქრობს, იქ გამომადგებაო. ეგრე იყოს, გავყვები მას, მაგრამ ყოველ წელს მოვიხელთებ დროს, რათა წამოვიდე იქიდან და საიდუმლოდ შეგეყარო. თუკი შენთან საუბარს ვერ მოვახერხებ, სამაგიეროდ შენ გიხილავ, დავკოცნი შენს ნატერფალებს. ერთი შენი გამოხედვა ცხრა თვის სიცოცხლეს მომიმატებს; ხოლო უკან დაბრუნებისას, როცა იძულებული ვიქნები განვეშორო მას, ვინაც მიყვარს, ჩემდა სანუგეშოდ დავითვლი ნაბიჯებს, დადგება დრო-ჟამი, და ისინი კვალად დამაახლოებენ მასთან! ხშირ-ხშირი მოგზაურობანი აცდუნებენ შენი ბედასლი მიჯნურის გულს. როცა მხოლოდ და მხოლოდ შენს სანახავად გამოემგზავრება, უკვე წარმოიდგენს, თუ როგორ განსცხრება და ისიამტკბილებს ამ შეხვედრით, სასიხარულო მოგონებანი აღტაცებას მოჰგვრიან უკან დაბრუნებულს. სასტიკი ბედის ჯიბრზე მისი ცხოვრების სევდიანი წლები ამაოდ როდი ჩაივლიან, – ყოველი წელიწადი სიხარულით იქნება გაბრწყინებული, რადგან შენს მახლობლად

გატარებული ხანმოკლე წუთები, მომეტებულად, შვება-სიამით აღავსებენ მთელ მის ცხოვრებას.

XVII წერილი
ქალბატონ დ'ორბისაგან

თქვენ უკვე აღარ გყავთ სატრფო, მე კი კვლავ შევიძინე დობილი, ხოლო თქვენ მოიპოვეთ მეგობარი, რომელიც ასკეცად მოგაგებთ უბედურების სანაცვლოდ. ჟიული გათხოვდა და გააბედნიერებს წესიერ ადამიანს, რომელმაც ისურვა თავისი ბედის დაკავშირება მის ბედთან. მადლობა შესწირეთ მამაზეციერს, რომ ყველა თქვენი სიგიჟის შემდეგ ჟიულიმ გიხსნათ ორივენი – თავი თვისი გაბახებისაგან, ხოლო თქვენ, მისი პატივისამხდელი, სინანულისაგან. გაითვალისწინეთ მისი ახალი მდგომარეობა, ამიერიდან ნუღარ მისწერთ წერილს, ამასა გთხოვთ თვითონაც. დაიცადეთ, სანამ თავად არ მოგწერთ. დიდხანს ლოდინიც არ მოგიწევთ. აი ახლა მეც შემიძლია დავრწმუნდე, ხართ თუ არა ღირსი ჩემი პატივისცემისა, ძალუძს თუ არა თქვენს გულს სპეტაკი და უანგარო მეგობრობა.

XVIII წერილი
ჟიულისაგან

ესოდენ დიდხანს იყავით ყველა ჩემი გულისთქმის მესაიდუმლე, რომ იგი ვერასოდეს დაივიწყებს საყვარელ ჩვეულებას, ყოველივე გაგანდოთ. ჩემს ცხოვრებაში ისეთი მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა, რომ მინდა ყველაფერი გაგიზიაროთ. მაშ, გადაშალეთ მათ წინაშე გული თქვენი, საყვარელო მეგობარო, დაე, ჩემი მოსაწყენი მეგობრული სიტყვები შეიჭრნენ მის შინასკნელში. დაე, მეგობრობის გრძნობა აიძულებდეს კიდეც ერთ-ერთ მეგობარს ზოგჯერ მეტისმეტად ენახვავრიელად ილაპარაკოს, სამაგიეროდ მოთმინებით აღჭურავს მეორეს, ყურისმგდებელს.

მეუღლის ბედ-იღბალთან, ხოლო უფრო სწორად – მამის ნება-სურვილთან ურღვევი კავშირით შეერთებული, ფეხსა ვდგამ ცხოვრების ახალ გზაზე, რომელიც მხოლოდ ჩემი სიკვდილით შეწყდება. მის დასაწყისთან მივუბრუნდეთ წარსულს – რა საამური მოსაგონარია ჩვენთა გულთათვის სანუკვარი დრო-ჟამი. იქნებ მან მიმანიშნოს კიდეც, როგორ გავატარო ჩემი სიცოცხლის დარჩენილი დღეები; იქნებ მზის სინათლეზე გამოიტანოს ჩემი შეცოდებანი, რაიც ჯერ ისევ მიუწვდომელია თქვენთვის. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი გულები როცა კარგად მიხვდებიან, თუ რანი ვიყავით ერთმანეთისთვის, მაშინ უკეთ იგრძნობენ, რით იქნება დავალებული ერთი მეორისაგან ჩვენი სიცოცხლის აღსასრულამდე.

თითქმის ექვსი წლის წინათ პირველად გიხილეთ თქვენ – მაშინ იყავით ახალგაზრდა, ტანადი, ზრდილი. მე ვიცნობდი თქვენზე უფრო თვალტანადსა და ტანკენარ ყმაწვილკაცთ, ოღონდ არც ერთს არ ავუფორიაქებივარ, თქვენ კი პირველი დანახვისთანავე დაგემონათ ჩემი გული.[72] ასე ვიფიქრე, თქვენს ნაკვთებში ჩემი

[72] ბატონი რიჩარდსონი სიამოვნებით დასცინის პირველი დანახვისთანავე ასეთ სწრაფვას, რაც ემყარება სულთა რაღაც განუსაზღვრელ ნათესაობას. კარგი კია ამაზე სიცილი, მაგრამ მართლაცდა ასეთი სწრაფვა

მონათესავე სული ირეკლება-მეთქი. და შემიყვარდით კიდეც, მერწმუნეთ, თვალტანადობის გამო კი არა, არამედ იმიტომ, რომ ვგრძნობდი თქვენს სულს. გავიდა ორი თვე, მე კი ისევ მჯეროდა, რომ არ მოვტყუვდი. «ბრმა სიყვარული, – ვფიქრობდი მე, – მართალი აღმოჩნდა, ჩვენ ერთმანეთისთვისა ვართ გაჩენილნი, და მეც მისი ვიქნებოდი, უკეთუ ბუნების მიერ ნაკარნახევი ურთიერთობა არ დარღვეულიყო ადამიანთა განწესრიგებით, – დედამიწაზე რომ არსებულიყო ბედნიერება, მაშინ ორივენი ერთად ვპოვებდით მას».

თქვენაც და მეც თანაბრად ვგძნობდით ყოველივეს, – ასე რომ არ ყოფილიყო, ეს იმის ნიშანი იქნებოდა, გამიცუდდა ჩემი გრძნობები-მეთქი. ჩემგან განცდილი სიყვარული შეიძლება წარმოიქმნას მხოლოდ სულთა ნათესაობისა და თანხმოვანების კვალობაზე. შეუძლებელია გიყვარდეს ვინმე, თუკი შენ არ უყვარხარ, – ყოველ შემთხვევაში, მაშინ ხანმოკლე იქნება შენი სიყვარული. გაუზიარებელი სიყვარული, რომელიც, როგორც ამბობენ, ამდენ ტანჯვას აყენებს კაცს, მხოლოდ მგრძნობელობას ემყარება: ზოგჯერ იჭრება სულის შინასკნელში სულთა წარმოსახვითი ერთობის ძალით, ოღონდ გონს უმალვე მოეგები. ავხორცობას არ ძალუძს განერიდოს ფიზიკურ დაუფლებას, ხოლო მასთან ვნება ქრება და იშრიტება. ჭეშმარიტ სიყვარულს არ ძალუძს გულის მონაწილეობის უმისოდ ყოფნა და მზეგრძელობს მანამ, ვინემ არ მოეღება ბოლო მის წარმომქმნელ ვითარებას.[73] პირველადვე სწორედ ასეთი იყო ჩვენი სიყვარულიც; იმედი მაქვს, ასეთივე დარჩება იგი ჩვენი დღეების დასასრულამდე, თუკი შევძლებთ ღირსეულად მის განკარგვას. ვხედავდი და ვგრძნობდი, რომ მყავდა მიჯნური, – უნდა ვყოფილყავი სატრფო. ბაგენი ჩემნი მდუმარებდნენ, მზერა არაფერსაც არ გამოხატავდა, მაგრამ შენ გესმოდა ხმა ჩემი გულისა. მალე ვიგრძენით, ჩვენს შორის რომ წარმოიქმნა რაღაც ენით უთქმელი, – ის, რაც დუმილს მრავლისმეტყველად ხდის, რაც აამეტყველებს მორცხვად ძირს დახრილ თვალებს, სულს შთაბერავს რაღაცნაირ თავხედურ სილაჩრეს, როცა თვით მოკრძალება ამჟღავნებს ვნებათა ღელვას, გამოხატავს მას, რის გამოთქმაც ენას არ ძალუძს.

ყური მივაპყარ გულისთქმას ჩემსას და მივხვდი, როგორც კი მოვისმენდი თქვენს პირველსავე გულისნადებს, წამსვე დავიღუპებოდი. შევნიშნე, რაოდენ გტანჯავდათ თქვენი თავდაჭერილობა, – დავაფასე თქვენი თავაზიანი გრძნობა და კიდევ უფრო მეტად შემიყვარდით. მინდოდა თქვენთვის სამაგიერო მომეგო სამძიმო და აუცილებელი დუმილისათვის, ჩემი უმანკოების დაუთმობლად, წინააღვუდეგ ჩემს თავს, მივბაძე დაიკოს, თავი მოვიქარაფშუტე და მოვისულელე, რათა ავრიდებოდი ძალზე სერიოზულ ახსნა-განმარტებას და ნაძალადევი მხიარულებით ათასობით ნაზი და ალერსიანი სიტყვებით მომემართა თქვენთვის. მინდოდა, თქვენი მდგომარეობა სასიამტკბილო ყოფილიყო თქვენთვის, რომ იმის შიშით – რაიცა მაქვს, ვაითუ ისიც დავკარგოო, კიდევ უფრო თავდაჭერილი გამხდარიყავით. ეს ძალიან ცუდად შევძელი. არაბუნებრიობა არასოდეს რჩება დაუსჯელი. რა უგუნური ვიყავი! მე ხომ დავაჩქარე და ვერ კი ავიშორე ჩემი დაღუპვა, შხამი გამოვიყენე, დროებით რომ მეწამლა სატკივარისათვის, ხოლო მან, რასაც უნდა ჩაეწყვიტა თქვენთვის ხმა, აგიძულა კიდეც სამეტყველოდ. ამაოდ ვცდილობდი მოსაჩვენარი გულქვაობით თქვენს დაფრთხობას, – როცა მარტონი ვრჩებოდით, სწორედ ეს ნაძალადეობა მღალატობდა მე. თქვენ მომწერეთ ბარათი და მე არ გადამიგდია ცეცხლში, არ მიმიტანია დედაჩემისათვის თქვენი პირველი წერილი, არამედ

ძალზე ბევრია ამქვეყნად. ამიტომ იმის ნაცვლად, რომ თავშესაქცევად უარყოთ ისინი, ხომ არ აჯობებდა, გვასწავლოთ მათი დაძლევა?

[73] როცა ეს ვითარებანი წარმოსახვის ნაყოფია, სიყვარული იქამდის გრძელდება, სანამდეც გრძელდება თავის მოტყუება, რის წყალობითაც შთავაგონეთ ისინი ჩვენ-ჩვენს თავს.

გავბედე და გავხსენი იგი. სწორედ მაშინ მოხდა ჩემი შეცოდება, ყოველივე დანარჩენი კი – ამის უცილობელი შედეგია. მე ნებას არ ვაძლევდი თავს პასუხი გამეცა საბედისწერო წერილზე, ოღონდ მისი წაუკითხაობა აღარ შემეძლო. საშინელმა ბრძოლამ ჯან-ღონე გამომაცალა – უფსკრული განიხვნა, და მზად ვიყავი შიგ ჩასავარდნად. მაძრწუნებდა ჩემივე თავი, მაგრამ ვერ ვბედავდი თქვენთან განშორებას. დამეუფლა რაღაც გაშმაგება: მერჩივნა, სულაც გამოსალმებოდით სიცოცხლეს, თუკი ჩემად ყოფნა არ შეგეძლოთ. საქმე იქამდის მივიდა, რომ ზოგჯერ ვფიქრობდი თქვენს სიკვდილზე, კინაღამ არ დაგიწყეთ ამის გამო ვედრება. ზენა ხედავდა, რაც ხდებოდა ჩემს გულში, – დაე, ამ ტანჯვა-წამებამ რამდენიმედ მაინც გამოისყიდოს ჩემი ცოდვები.

როცა დავინახე, რომ მზად იყავით დამმორჩილებოდით, გადავწყვიტე ყოველივე გამენდო თქვენთვის. შაიოს მიერ ნასწავლი გაკვეთილების წყალობით მივხვდი, თუ რაგვარი საფრთხით იყო აღსავსე ასეთი აღიარება – სიყვარულმა ჩემი სულიდან რომ აღმოტყორცნა იგი, მასწავლა კიდეც, თუ როგორ დამეღწია თავი ამ განსაცდელისაგან. მოგენდეთ თქვენ, – ჩემს ერთადერთ ქომაგს და აგამხედრეთ ჩემი უმწეობის წინააღმდეგ; მჯეროდა თქვენი წესიერებისა, ვიმედოვნებდი, დამიხსნიდით ჩემივ თავისაგან, – და არც შევმცდარვარ. როცა დავინახე, რაგვარის მოკრძალებით ეპყრობოდით თქვენდამი მონდობილ ადამიანს, მიხვდი, ვნებამ როდი დამაბრმავა, ჭეშმარიტად სათნო ადამიანი რომ იყავით. და მეც დაგენდეთ და ვიფიქრე, არავითარი საფრთხე აღარ მელის-მეთქი, რადგან ისიც წარმოვიდგინე, ჩვენს გულებს ამიერიდან აღარაფერი ესაჭიროებათ-მეთქი. მჯეროდა, ჩემი გულის სიღრმეში მარტოოდენ სპეტაკი გრძნობები რომ იყო გამეფებული. ამიტომაც თავი ვანებე სიფრთხილეს და ვხარობდი ჩვენი სათუთი სიახლოვით. ჰოიმე, ბოროტებამ შეუმჩნევლად გაიდგა ფესვი ჩემი უდარდელობის გამო და თქვენი ნახვის ჩვეულება და სურვილი სიყვარულზე მეტად სახიფათო გახდა. თქვენი თავდაჭერილობით დამტკბარი თავს თამამად ვგრძნობდი და მეგონა, სახიფათო არაფერია-მეთქი. ჩემი გულისწადილი ესოდენ უმწიკვლო იყო, რომ გადავწყვიტე თქვენი სათნოების წაქეზება მეგობრობის სათუთ და ალერსიან საწინდართა მეოხებით. კლარანის წარაფში მივხვდი, რომ მიმუხთლა ჩემმა თავმა და შეუძლებელია ავხორცულ ვნებათა წახალისება, როცა გინებს მათი დაოკება. ერთმა წამმა, – სულ ერთადერთმა წამმა, – აღმინთო ვნების ჩაუქრობელი სახმილი. ჩემი ნებისყოფა ჯერ კიდევ სწევდა წინააღმდეგობას, მაგრამ გული კი მას მოღმა უკვე ცდუნებულ იქნა.

თქვენც შეძრწუნებული იყავით. გულის ფანცქალით წავიკითხე თქვენი წერილი; საფრთხე გაორკეცდა, – თქვენგან და ჩემი თავისაგანაც დასაფარავად საჭირო იყო თქვენი მოშორება. ეს იყო დაღუპვის პირას მისული სათნოების უკანასკნელი გაბრძოლება. თქვენი წასვლით მოიპოვეთ სრული გამარჯვება. თქვენგან მოშორებულს ისეთი სევდა და დარდი შემომაწვა, ძალ-ღონე აღარ მყოფნიდა მათ მოსაგერიებლად.

მამაჩემი სამსახურიდან გადადგა და ჩამოვიდა ბ-ნ ვოლმართან ერთად, რომელმაც გადაარჩინა იგი, – ოცი წლის მანძილზე დაუახლოვდა მას და მეგობარი ისეთი ძვირფასი გახდა, რომ საერთოდ აღარ ძალუძს განშორება. ბ-ნი ვოლმარი ბერდებოდა, მაგრამ სიმდიდრისა და წარჩინებული წარმომავლობის მიუხედავად, ვერ იპოვა მოსაწონი მეუღლე. მამაჩემი უამბობდა ქალიშვილზე, ისე როგორც შეჰფერის კაცს, რომელსაც სურს მეგობარი სიძედ გაიხადოს. შთენოდათ ერთადერთი რამ – მოეწყოთ საპატარძლოს გასინჯვა, ამ მიზნით ერთად დაადგნენ გზას. ბედმა ინება, მოვწონებოდი ბ-ნ ვოლმარს, რომელსაც ჯერ არავინ ჰყვარებია. მათ საიდუმლოდ პირობა შეკრეს და ბ-ნმა ვოლმარმა, რომელსაც უნდა მოეგვარებინა თავისი საქმეები ერთ-ერთ ჩრდილო სახელმწიფოში, სადაც ნათესავები ჰყავდა და ადგილ-მამულიც ჰქონდა, ითხოვა, ქორწილი გადადევითო, და გაემგზავრა კიდეც, თან მტკიცედ სჯეროდა პირობისა. მისი გამგზავრების შემდეგ მამამ

გამოგვიცხადა მე და დედას, რომ ვოლმარი ჩემი ქმარი უნდა გამხდარიყო, თანაც ისეთი ტონით ბრძანა, ქორწინებას უნდა დაყაბულდეთო, რომ თავზარდაცემულმა სიტყვა ვეღარ შევუბრუნე. დედაჩემი, რომელმაც მშვენივრად შენიშნა ჩემი გულისთქმა და თქვენს მიმართ კეთილად იყო განწყობილი, არაერთხელ ცდილობდა მამის მოლმობიერებას; ვერც კი ბედავდა თქვენს ხსენებას შესაძლო სასიძოდ, ზოგჯერ ჩამოაგდებდა კიდეც საუბარს თქვენზე, ლამობდა თქვენკენ მიეპყრო მამიჩემის მწყალობელი თვალი, გაეცნო მისთვის თქვენი ღირსებები, მაგრამ თქვენ უაზნოთა წრიდან ხართ და ისიც უგულოდ ისმენდა ქება-დიდებას, თუმცა კი ეთანხმებოდა, გვარიშვილობა ღირსებათა ადგილს ვერ დაიჭერსო, მაგრამ იმასაც ფიქრობდა, ფასს მათ სწორედ ეს გვარიშვილობა ანიჭებსო.

ჩემი ბედნავსი ხვედრის გამო ფიქრმა და დარდმა უფრო გამიცხოველა, ვიდრე ჩააქრო ჩემი ვნება. მომაჯადოებელი ოცნება წინათ მიმსუბუქებდა სევდასა და კაეშანს. როგორც კი ხელიდან გამომეცალა იგი, უმალვე წამერთვა მათი დათმენის უნარიც. თუნდაც იოტისოდენა იმის იმედიც კი რომ შემრჩენოდა, ოდესმე მაინც ვიქნები-მეთქი თქვენი, ეგების მოვრეოდი კიდეც ჩემს თავს. უფრო იოლი იქნებოდა, ჩემი დღე და მოსწრება სულ წინ აღგდგომოდით, ვიდრე სამუდამოდ ხელი ამეღო თქვენზე. და დაუსრულებელი ბრძოლის გამო მარტოოდენ ფიქრმა და ზრუნვამ ხელიდან გამომაცალა მამაცური მისწრაფება გამარჯვებისკენ.

დარდი და სიყვარული შემსჭვალავდნენ ჩემს გულს. თავი მივეც ნაღველსა და მწუხარებას, რითაც აღსავსე იყო ჩემი წერილები. მეიერიდან გამოგზავნილმა თქვენმა წერილმა ყველაფერს ბოლო მოუღო: ჩემს მწარე ფიქრებს დაემატა ურვა იმის გამო, რომ სასოწარგეკვეთათ. ვაგლახმე! ხომ ასე ხდება ყოველთვის, ორ ადამიანთაგან უფრო უილაჯომ უნდა იტვირთოს ორივეს შემაჭირვებელი ტანჯვა-წამება! ჩემი სულიერი ბორგვა აღკვეთა გეგმამ, თქვენ რომ შემომთავაზეთ. ამიერიდან ჩემი ხვედრი მარტოოდენ მწუხარება გახდა. ცეცხლს უფრო ის მიკიდებდა, რომ უეჭველად უნდა მომეხდინა არჩევანი, რაც ან ჩემს დედ-მამას გააუბედურებდა, ან თქვენ ჩაგაგდებდათ სატანჯველში. ამ საშინელი არჩევანის გამო ფიქრი აუტანელი იყო ჩემთვის. ბუნების მიერ ჩვენთვის მონიჭებული ძალ-ღონე დაუშრეტელი როდია, – ესოდენ მღელვარებათა გამო არაქათი გამომეცალა. ვოცნებობდი გავსულიყავ ამიერსოფლით. ზენაარსმა თითქოსდა შემიბრალა, მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა ჩემდა სავალალოდ ხელი ამაღო. მე დაგინახეთ თქვენ, განვიკურნე – და დავიღუპე კიდეც.

ჩემი დაღუპვით ბედნიერება ვერ მოვინაგრე, და არც ვფიქრობდი, მოვიპოვებ-მეთქი. ჩემი გული სათნოებისთვისაა გაჩენილი და უმისოდ ბედნიერებას ვერც ეწევა. მე დავიღუპე, რადგან უილაჯობამ დამრია ხელი და არა ცდუნებამ. იმითაც კი ვერ გავიმართლებ თავს, ვნებათაღელვამ ამიბა თვალი-მეთქი. ერთცახე იმედის ნატამალიც კი აღარ შემრჩა, მარტოოდენ ტანჯვათათვის ვიყავი განწირული. უმანკოება და სიყვარული ჩემთვის თანაბრად იყო აუცილებელი და მე ვერ მოვახერხე ვერც ერთის შენარჩუნება, რადგან ვხედავდი, თუ რაოდენ იყავით გაშმაგებული. როცა არჩევანს მივმართე, მხოლოდ თქვენზე ვფიქრობდი და თავი დავიღუპე კიდეც თქვენი გადარჩენის გულისთვის.

მაგრამ როგორც ფიქრობენ, არც ისე იოლია სათნოების უარყოფა. კვლავ ისევ დიდხანს აწამებს და ტანჯავს ხოლმე იგი მათ, ვინც ხელი აიღო მასზე, და მისი ჯადო-თილისმა უმწიკვლო სულთა ლხენა-სიამეა და ტანჯვა-წამების დასაბამი ცოდვილისათვის, რომელიც სულ მიისწრაფის მისკენ, ოღონდ უკვე ვერასოდეს დატკბება ამ სიამით. მე ცოდვა ჩავიდინე და თუმცა გარყვნილი როდი ვარ, მაინც ვერ დავაღწიე თავი სინდისის ქენჯნას, რაც ბედმა მომისართა. დაკარგული უმწიკვლოება კვალად საიასაღო იყო ჩემი სულისთვის, ხოლო სირცხვილი, გინდაც გულში ჩამარხული, ამის გამო როდი გახდა ნაკლებ თავისმომჭრელი – ვერც კი ვიგრძნობდი მას უფრორე მწვავედ, მთელი

ქვეყანა მისი მოწმე რომ გამხდარიყო. ტანჯვა-წამებას ნუგეშად ვხადდი, როგორც დაჭრილი, განგრენისა რომ ეშინია და ტკივილში ჰპოვებს იმედს განკურნებისას.

მაგრამ ჩემი უნამუსობა საძულველი იყო ჩემთვის. ისე მეწადა ჩამეხშო სინდისის ქენჯნა შეცოდებისგან ხელაუღებლად, რომ ის დამემართა, რაც ემართება ყოველ წესიერ ადამიანს, რომელიც გზააბნეული, სიმშვიდესა და მყუდროებას ეძიებს. ახალმა მაცდუნებელმა ფიქრმა გაანელა მონანიების სიმწვავე. ვიმედოვნებდი, თვით ჩემს დანაშაულში ვპოვებ საშუალებას მის გამოსასყიდად-მეთქი. დამეუფლა თავხედური განზრახვა – ავიძულებ მამაჩემს დათანხმდეს ჩვენს შეუღლებას-მეთქი. ჩვენი ტრფობის პირველ ნაყოფს უნდა განემტკიცებინა ჩვენი უნაზესი კავშირი. ვემუდარებოდი ზენას მის გამო – სათნოებასთან ჩემი დაბრუნებისა და ჩვენი საერთო ბედნიერების საწინდარისთვის. სულ იმასა ვნატრობდი, რაც ყველა სხვა ვინმეს, ჩემს ადგილას მყოფს, თავზარს დასცემდა და დააფრთხობდა. უნაზესი სიყვარული ძალუმ დააცხრობდა სინდისის ქენჯნას, ნუგეშსა მცემდა შეჭირვების ჟამს, ჩემი დანაშაული ხომ მომცემდა ხსნის საშუალებას. მღელვარე მოლოდინი გახდა მთელი ჩემი ცხოვრების სიხარული და იმედი.

ასე გადავწყვიტე: იმ დღეს, როცა ჩემი ფეხმძიმობა გამოაშკარავდებოდა, ყველას გასაგონად გამეცხადებინა ეს ამბავი ბ-ნ პერესთვის[74] – მთელი ჩემი ოჯახის თანდასწრებით. მართალია, მორცხვი ვარ და კარგად ვიცოდი, რა ფასად დამიჯდებოდა ეს აღიარება, მაგრამ წესიერების გრძნობა აღმიძრავდა სიმამაცეს, ვამჯობინებდი, ერთხელ მაინც ვყოფილიყავ ღირსეულად გაბახებული და თავმოჭრილი, ვიდრე სამარადჟამოდ დამემარხა სირცხვილი და უნამუსობა გულის შინასკნელში. კარგად ვიცოდი მამაჩემის ამბავი: ან სიკვდილი მომელოდა, ანდა ბედნიერება მიჯნურთან, და ასეთი ალტერნატივა სრულიადაც არ მაშინებდა. ასე თუ ისე, ეს გადამწყვეტი ნაბიჯი ყველა ჩემი უბედურების დასასრულად მიმაჩნდა.

აი, საყვარელო მეგობარო, ის საიდუმლო, რომელსაც არ გიმხელდით, თუმცა მღელვარე ცნობისმოყვარეობით იძიებდით კიდეც მას. უამრავი მიზეზი მაიძულებდა დამემალა ეს ამბავი ისეთი თავშეუკავებელი ადამიანისაგან, როგორიც თქვენა ხართ, თან იმის შიშიც მქონდა, ახალი საბაბი მიმეცა თქვენი უტიფრობისა და სითამამის გასამჟღავნებლად. ყველაზე უფრო ვცდილობდი, სადმე რომ წასულიყავით იმ დროისათვის, როცა მომიწევდა საშინელი ახსნა-განმარტება, რამეთუ კარგად ვიცოდი, რომ არაფრის დიდებით არ მიმატოვებდით, თუკი გეცოდინებოდათ, რა საფრთხეც მომელოდა.

ვაი, რომ ეს სანუკვარი იმედიც გამიცრუვდა. ზენამ ჩაფუშა ცოდვა-ბრალით განზრახული გეგმები: ვერ შევიქენ დედად გახდომის უწმინდესი უფლების ღირსი. ამაო აღმოჩნდა ჩემი მოლოდინი და აღარ მომიხდა ჩემი შერცხვენის ფასად გამომესყიდა დანაშაული. და აი, სასომიხდილი, დავთანხმდი თქვენთან სიფრთხილემოკლებულ და თავზე ხელაღებულ პაემანს, რაც საფრთხეს უქმნიდა თქვენს სიცოცხლეს. ჩემი აბობოქრებული ვნებათაღელვა მაშოშმინებდა მე, რადგან პოულობდა ჩემთვის სასიამტკბილო გამართლებას. ვადანაშაულებდი თავს იმის გამო, ხელი რომ მომეცარა სანუკვარი განზრახვის შესრულებისას, ხოლო ნდობა-სურვილით ცდუნებულ და ვნებათაგან გათანგულ ჩემს გულს სჯეროდა, რომ ჟინის მოკვლით მხოლოდ და მხოლოდ იმას ელტვოდა, რათა ბოლოს და ბოლოს ხორცი შეესხა ჩემი გეგმებისათვის.

დადგა წუთი, როცა დავიჯერე, ყოველვიე რიგზეა-მეთქი – და ეს შეცდომა გახდა ჩემთვის აუტანელი სინანულის სათავე. სიყვარული, ბუნება რომ მიაპყრობდა ყურს, მით

[74] ადგილობრივი მოძღვარი.

უფრო დაცარა შავმა ბედმა. თქვენ კარგად უწყით,[75] ერთმა სამწუხარო ამბავმა რომ მოსპო და გაანადგურა ყველა ჩემი იმედის უკანასკნელი ფუძე და საყრდენი ტრფიალების ნაყოფთან ერთად, გულთან რომ ვატარებდი. უბედურება სწორედ ჩვენი განშორების დღეს მეწია, – თითქოსდა ზენას ნებავდა მოესართა იმ დროს ის უბედურება, რისი ღირსიც ვიყავი და ერთბაშად გაეწყვიტა ყველა კავშირი, ჩვენი შეუღლება რომ ძალედვათ.

თქვენმა წასვლამ ბოლო მოუღო ყველა ჩემს შეცოდებას და ყველა ჩემს სიხარულს. მივხვდი, თუმცა ძალზე მოგვიანებით, ფუჭი ოცნებებით რომ ვსაზრდოობდი. და ანაზადად ვიგრძენი, რა საძულველი გავხდი და რა უბედურებას განმიმზადებდა სიყვარული, დაღუპული უმანკოება და იმედგაცრუებული ოცნებები, – ყოველივე ის, რისი დათმობაც აღარ შემეძლო. უამრავი ფუჭი სინანულით გატანჯულმა გულიდან ამოვიღე აუტანელი და ამაო ფიქრები. უკვე აღარ ღირდა თავის თავზე ფიქრი და მთელი სიცოცხლე თქვენთვის ზრუნვას მოვანდომე. ამიერიდან აღარ გამაჩნდა არავითარი სხვა რამ, თვინიერ თქვენი ღირსებისა, არ მქონდა სხვა იმედი, თქვენი ბედნიერების გარდა, და ასე მეგონა, მარტოოდენ თქვენგან გამოწვეულ გრძნობებს შეეძლოთ კვალად ჩემი აფორიაქება.

სიყვარულმა როდი ამიბა თვალი. ვხედავდი თქვენს ნაკლოვანებებს, მაგრამ ისინი ძალზე სასიამონი იყვნენ ჩემთვის და იგი ეგზომ მაჯადოებდა, რომ უფრო ნაკლებ მეყვარებოდით, უფრორე სრულქმნილი რომ ყოფილიყავით. ვიცოდი თქვენი გულის ამბავი, ვიცნობდი თქვენს ფიცხ ხასიათს, ისიც ვიცოდი, ჩემზე მამაცი რომ იყავით, ოღონდ ჩემებრ მომთმენი კი არასოდეს, და ის ვაი-ვარამი, ტვირთად რომ მაწვა, თქვენ წელში გაგტეხდათ. ამიტომაც მუდამჟამს საგულისგულოდ გიმალავდით მამაჩემის დანაპირებს, – და ჩვენი განშორების დღეებში ვსარგებლობდი იმ გარემოებით, რომ მილორდი ედუარდი თავდადებით ზრუნავდა თქვენს კეთილდღეობაზე და მსურდა შთამეგონებინა თქვენთვის ასეთივე გულმოდგინება თქვენი საქმის მიმართ. ამიტომაც გაძლევდით იმედს, თუმცაღა თავად უკვე აღარაფრის იმედი აღარ გამაჩნდა. უფრო მეტიც: როცა მივხვდი, თუ რა საფრთხე გვემუქრებოდა, უკანასკნელ ხერხს მივმართე, რომელსაც ჯერ ისევ შეეძლო ჩვენი ხსნა: ჩემს სიტყვასთან ერთად ჩაგაბარეთ ჩემი თავისუფლებაც იმის მიხედვით, როგორადაც ვფლობდი მას. ამრიგად მსურდა შთამენერგა თქვენთვის რწმენა, ხოლო ჩემთვის – სიმტკიცე. დაპირების მოცემის შემდეგ ვეღარ გავბედავდი მის დარღვევას – ამას კი შეეძლო თქვენი დაშოშმინება. გეთანხმებით, ამ ვალდებულებაში იყო რაღაც ბავშვური, პირობას მაინც არ გადავიდოდი. ჩვენს გულებს ისე სწყურიათ სათნოება, რომ როგორც კი ხელს ავიღებთ ჭეშმარიტ სათნოებაზე, მაშინვე გამოვიგონებთ რაღაც სათნოების მსგავსს და ჩავებღაუჭებით კიდევ უფრო გაჯიქებით, – იქნებ იმიტომაც, რომ იგი თავად ჩვენ ამოვირჩიეთ.

არ მოგაწყენთ თავს იმის თხრობით, რა ალიაქოთი გადამხდა თქვენი გამგზავრების შემდეგ; და ყველაზე აუტანელი იყო ჩემთვის შიში იმის გამო, რომ დამივიწყებდით. მაშინებდა ის საზოგადოება, სადაც თქვენ ტრიალებდით; კიდევ უფრო მაძრწუნებდა თქვენი ცხოვრების ხასიათი – წარმომედგინა, თითქოსდა ისე დაეცით და დაჩოლფოტდით, ქალების მუსუსად გადაიქეცით-მეთქი. თქვენი ზნეწამხდრობა ყველა ჩემს სიდუხჭირეზე უფრო აუტანელი იქნებოდა ჩემთვის; მერჩივნა, ყოფილიყავით უბედური და საძულველი კი არა; შეეჩვია გული ტანჯვა-წამებას, მაგრამ თქვენს მოყივნებას ვეღარ გადავიტანდი.

და ბოლოს, დამიცხრა თავიდანვე თქვენი წერილების ტონით აღბორგებული შიში და ძრწოლა; და დაცხრნენ ისინი იმ გარემოების გამო, რომელიც საშინლად ააფორიაქებდა სხვა ვინმეს. მხედველობაში ის ამბავი მაქვს, გარყვნილებაში რომ ჩაგითრიეს და მაშინვე

[75] უნდა ვიფიქროთ, რომ იყო სხვა წერილებიც, რაც ხელთ არა გვაქვს (ავტორის შენიშვნა).

გულახდილად გამიმხილეთ ეს. ამან ძალზე მომილბო გული, როგორც თქვენი ალალმართლობის დამამტკიცებელმა საბუთმა. ძლიერ კარგად გიცნობდით თქვენ და მივხვდი, რადაც დაგიჯდებოდათ ასეთი აღიარება, თუნდ მაშინაც კი, ასე ძლიერ რომ აღარ გყვარებოდით. ეს გაიძულათ მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულმა, რომელიც სძლევს ხოლმე სირცხვილს. მივხვდი, ესოდენ ალალ-მართალ გულს რომ არ ძალუძს მალული ღალატი. რაოდენ ცოტას ნიშნავდა თქვენი დანაშაული მისი აღიარების კეთილშობილურ გადაწყვეტილებასთან შედარებით. გამახსენდა თქვენი წინანადელი აღთქმანი, და სამუდამოდ განვიკურნე ეჭვიანობისაგან.

ჩემო მეგობარო, უფრო ბედნიერი როდი გავხდი. ერთი ტანჯვა მომშორდა, სანაცვლოდ კვალად და კვალად წარმოიქმნებოდა ათასობით ახალ-ახალი; და მხოლოდ მაშინ მივხვდი, თუ რა სისულელეა ეძიებდე შენს უგუნურ გულში უდარდელობას, რასაც მხოლოდ სიბრძნით შეიძენ. უკვე დიდი ხანია მალულად ვგლოვობდი ყველაზე უკეთეს დედას ამ ქვეყანაზე, რომელსაც თანისთან ჯანს აცლიდა საშინელი სალმობა. ჩემი შეცოდების საბედისწერო შედეგთა გამო გამოვუტყდი ბაბის, მან კი მიღალატა და მოუთხრო დედაჩემს ჩვენი სიყვარულისა და ყველა ჩემი დანაშაულის ამბავი. როგორც კი დაიკოს გამოვართვი ჩვენი წერილები, ისინი მაშინვე გაქრნენ. დამამტკიცებელი საბუთი უდავო იყო: მწუხარებამ დედაჩემს გამოაცალა ავადმყოფობისაგან ჯერ კიდევ შენარჩუნებული უკანასკნელი ძალ-ღონე. კინაღამ სული ამომხდა, როცა სინანულით აღსავსე მის ფერხთით დავემხე. მაგრამ როდი გამცა და გამიმეტა სასიკვდილოდ, ნამუსი შემინახა, მაგრამ სულ გმინავდა. თქვენაც კი, რომელმაც ასე საშინლად მოატყუეთ იგი, არ გამხდარხართ მისთვის საძულველი. მე ვიყავი იმის მოწამე, თუ როგორ მოალბო მისი მგრძნობიარე და შემბრალე გული თქვენმა წერილებმა. ვაგლახმე! იგი ოცნებობდა მე და თქვენს ბედნიერებაზე. რამდენჯერ ლამობდა... მაგრამ ნეტავი რად ვიხსენებ სამარადჟამოდ დაღუპულ იმედს? ზენაარსმა სულ სხვაგვარად განსაჯა. დედაჩემმა თავისი სევდიანი დღეები მწუხარებაში დალია; დარდობდა, მკაცრი ქმრის გულის მოლბობა ვერ მოვახერხეო, ვტოვებ ქალიშვილს, რომლის ღირსი ესოდენ ნაკლებად რომ ვიყავიო.

მძიმე დანაკლისით შეჭირვებულს მხოლოდღა იმისთვის მეყო ძალ-ღონე, გლოვა-გოდებისათვის მიმეცა თავი. მგმინავი ბუნების ხმამ მიაყუჩა სიყვარულის ღუღუნი. რაღაცნაირი ზიზღით განვიმსჭვალე ყველა ჩემი უბედურების სათავის მიმართ – ძლიერ მინდოდა, ბოლოს და ბოლოს ჩამეხშო საძულველი ვნებათაღელვა, რომელმაც მომიტანა ეს უბედურება და სამუდამოდ ხელი ამეღო თქვენზე! რასაკვირველია, ეს საჭირო იყო. საკმაო მიზეზიც მომეპოვებოდა, რათა ტირილსა და გოდებაში გამეტარებინა სიცოცხლის დარჩენილი დღეები, არც კი დამჭირდებოდა განუწყვეტლივ ახალ საბაბთა ძებნა ცრემლთა ფრქვევისათვის. თითქოსდა ყველაფერი ხელს უწყობდა ჩემს გადაწყვეტილებას. სევდა აფორიაქებული სულის დამაცხრობელია, ხოლო ღრმა მწუხარება ამძვინვარებს მას. მომაკვდავი დედის ხატებამ ჩემი გულიდან განარინა შენი სახე. ჩვენ განშორებულნი ვიყავით. იმედი ხელიდან გამომეცალა. ჩემი შეუდარებელი დობილი არასოდეს ყოფილა ასეთი დიდსულოვანი, ასე ყოველმხრივ ღირსეულად არასოდეს დაუპყრია ჩემი გული. თითქოსდა მისმა სათნოებამ, კეთილგონიერებამ, მეგობრობამ, მისმა სათუთმა ალერსმა განწმინდეს იგი სიბილწისაგან. წარმოვიდგინე, დავიწყებული რომ მყავდით; მეგონა, განვიკურნე-მეთქი. მაგრამ უკვე გვიანღა იყო: ის, რაც ჩამქრალი სიყვარულის გულგრილობად ჩავთვალე, მხოლოდ და მხოლოდ უგულისყურო სასოწარკვეთა აღმოჩნდა.

მალე, – როგორც ეს ემართება ავადმყოფს, რომელიც უძლურებისას უკვე აღარ იტანჯება, მაგრამ უკეთუ სატკივარი გაუმწვავდა, სიცოცხლის სურვილი აღეძვრება, – ტანჯვა-წამება კვლავ განმიახლდა, როცა მამაჩემმა მამცნო, ბ-ნი ვოლმარი მალე ჩამოვაო.

და მაშინ უძლეველმა სიყვარულმა დამიბრუნა ძალ-ღონე, თუმცა ვფიქრობდი, უკვე აღარაფრის თავი არა მაქვს-მეთქი. პირველად გავბედე მამაჩემის წინააღმდეგობა. მტკიცედ და გარკვევით ვთქვი, ბ-ნი ვოლმარი ყოველთვის უცხო იქნება ჩემთვის-მეთქი, მინდა გაუთხოვარმა დავლიო ჩემი დღე და სოფელი, მამაჩემს ნება აქვს განაგოს ჩემი სიცოცხლე, ხოლო ჩემი გული მე მეკუთვნის და ჩემს გადაწყვეტილებას ვერავითარი ძალა ვერ შეცვლის-მეთქი. არა ღირს მოგითხროთ ყველაფერი: არც მისი გააფთრება, არც ის, თუ როგორ მომეპყრა იგი, – მე ურყევი ვიყავი. დავძლიე ლაჩრული უნიათობა და მეორე უკიდურესობაში ჩავვარდი. და თუმცაღა მამაჩემივით მბრძანებლური ტონით არ ვლაპარაკობდი, მაგრამ მისებრ მტკიცედ და გაბედულად კი ვიქცეოდი.

დაინახა, თავგამოდებით რომ ვიცავდი ჩემს ნათქვამს და ბრძანებებით აქ ფონს ვერ გავიდოდა. წუთით მომეჩვენა, მის სიჯიუტეს თავი დავაღწიე-მეთქი. მაგრამ რა დამემართა, როცა მამაჩემი – ეს უსაშველოდ მკაცრი კაცი – უცბად მოლბა და ცრემლთა ფრქვევით ჩემს ფეხებთან დაემხო! ზეზე წამოდგომა არ დამანება, მუხლებზე მომეხვია, თვალდანამული შემომაცქერდა და მითხრა გრძნობით განმსჭვალული ხმით, რაც აქამდის ჩამესმის ყურში: «შვილო ჩემო, შეიბრალე ჭაღარა უბედური მამაშენისა, ნუ მოუსპობ მას სიცოცხლეს მწუხარებით, ისე როგორც მოსწყდა წუთისოფელს იგი, ვინაც მუცლით გატარებდა. აჰ, ნუთუ მთელი შენი გვარეულობის დაღუპვა გსურს?» წარმოიდგინეთ, როგორ გავოცდი. მისმა პოზამ, ტონმა, მიხვრა-მოხვრამ, ლაპარაკმა, ამ საშინელმა აზრმა, – ერთი სიტყვით, ყოველივე ამან ისეთი თავზარი დამცა, რომ უგრძნობლად ჩავეკარ მას და მხოლოდ გულის დამთუთქველი ხანგრძლივი ქვითინის შემდეგ უილაჯო ხმით ნაწყვეტ-ნაწყვეტ ვუპასუხე: «ო, მამილო! თქვენი მუქარის საწინააღმდეგო იარაღი კი მქონდა, მაგრამ თქვენი ცრემლების წინაშე ფარ-ხმალსა ვყრი. მე როდი მივიყვან სიკვდილის პირამდე მამაჩემს, თქვენ კი – თქვენს ასულს!»

ორივენი ისე ვიყავით აღელვებულნი, რომ დიდხანს ვერ დავშოშმინდით. ოღონდ, როცა გუნებაში გავიმეორე მამაჩემის უკანასკნელი სიტყვები, მივხვდი, იმაზე მეტი რომ იცოდა, ვიდრე წარმომედგინა. გადავწყვიტე მესარგებლა ამით, რათა მომედრიკა იგი და კინაღამ არ ვაღიარე ყოველივე, რაც საფრთხეს უქადდა ჩემს სიცოცხლეს და რასაც ასე დიდხანს ვაყოვნებდი, მაგრამ ანაზდად შემაჩერა, თითქოს წინასწარ მიხვდა, ყველაფერს გამიმჟღავნებსო, და ამის შიშით ასე მომმართა:

«ჩემთვის ცნობილია თქვენი იდუმალი განზრახვა, რაც არ შეეფერება კეთილშობილური წარმოშობის ქალიშვილს. დადგა ჟამი, მოვალეობასა და ღირსებას ანაცვალოთ თქვენი თავისმომჭრელი სამარცხვინო ვნება. თქვენსას მხოლოდ ჩემი სიცოცხლის ფასად გაიტანთ. მაშ, ყურადღებით მოისმინეთ, რასაც მოითხოვს თქვენგან ჩვენი საერთო ღირსება და თავად გადაწყვიტეთ ბედი თქვენი.

ბატონი ვოლმარი დიდგვაროვანი ადამიანია. მას აქვს ყველა თვისება, რაც ნებას აძლევს, ღირსეულად ატაროს თავისი სახელი და დამსახურებული პატივისცემით სარგებლობს საზოგადოებაში. მან გადამარჩინა: თქვენთვის ცნობილია ჩვენი ურთიერთვალდებულება. კიდევ უნდა გაიგოთ ის ამბავიც, რომ იგი გაემგზავრა სამშობლოში საქმეთა მოსაწესრიგებლად, აღმოჩნდა ამასწინანდელი გადატრიალების მონაწილე, დაკარგა მთელი ქონება და მხოლოდ ბედნიერი შემთხვევით დააღწია თავი გაციმბირებას. და აი, ბრუნდება ძალზე გაღატაკებული და იმედი აქვს მეგობრის დაპირებისა, ვისაც ჯერ არასოდეს გაუტეხია სიტყვა. ახლა კი რას მიბრძანებთ, როგორ უნდა მოვიქცე, რაგვარი წესით მივიღო იგი! ხომ არ ვუთხრა: «მოწყალეო ხელმწიფევ, მე დაგპირდით, ჩემს ქალიშვილს მოგათხოვებთ-მეთქი, როცა მდიდარი იყავით; ახლა გაკოტრდით და ვტეხ პირობას, თანაც ჩემს ასულს არ სურს თქვენი ცოლობა». მასთან, სხვა სიტყვებითაც რომ ვუთხრა უარი, სულ ერთია, ასეთ უარს სხვაგვარად ვერ ახსნი, თქვენი

სიყვარულის ამბავს კი გამოგონილ მიზეზად მიიჩნევს, ხოლო რომც დაიჯეროს, მაშინ ეს ამბავი უფრო გაარჯლებს ჩემს შერცხვენას: თქვენ სახელი გაგიტყდებათ, მე კი გავხდები უნამუსო ფიცისგამტეხი, საძაგელ ანგარებას რომ ანაცვალა მოვალეობაცა და სინდისიც და უმადურობასთან ერთად ვერაგობაც მოსდგამს. შვილო ჩემო, ჩემთვის გვიანღაა მთელი უმწიკვლო სიცოცხლის ბოლოს, ამ სიბერის ჟამს, თავის გაბახება. პატიოსნად გატარებულ სამოც წელს თხუთმეტ წუთში როდი აღმოფხვრიან.

ხომ ხედავთ, – განაგრძობდა ის, – ყველაფერი, რაც ამჟამად უნდა გემცნოთ ჩემთვის, უმართებულოა. ყველა ის უპირატესობა, რომელთაც კიცხავს კდემამოსილება და ახალგაზრდობის მოკლეჟამიერი გატაცებანი, როდი გადაძალავენ იმას, რასაც მოითხოვს ქალიშვილის მოვალეობა და მამის ღირსება. ლაპარაკი მარტოოდენ იმას რომ შეეხებოდეს, თუ რომელმა ჩვენგანმა უნდა გაიღოს მსხვერპლი მეორის გულისთვის, მაშინ ჩემს სათუთ გულს ამ საამური მსხვერპლის გაღებას შენ ვერ დაასწრებდი. მაგრამ, შვილო ჩემო, აქ ღაღადებს ღირსება, ხოლო ჩვენს გვარში იგი წყვეტს ყოველივეს».

ცოტა მტკიცე და საფუძვლიანი პასუხი როდი გამოვნახე შესაკამათებლად, მაგრამ ცრურწმენანი ჩემთვის ესოდენ უცხო წესებს უკარნახებენ მამაჩემს, რომ ჩემს მიერ უდაოდ მიჩნეულმა ყველა საბუთმა ოდნავადაც კი ვერ შეარყია მისი გადაწყვეტილება. მასთან არ მესმოდა, საიდან გაიგო ჩემი საქციელი და რა იცოდა დაწვრილებით. ვშიშობდი, ვაითუ წინასწარ უკვე იცის, რაც უნდა ვთქვა, უკეთუ ასე გაბრაზებით მაწყვეტინებს ლაპარაკს-მეთქი, და რაც მთავარია, უსაშველო სირცხვილი მწვავდა. ამიტომაც ვამჯობინე რაიმე საბაბის მომიზეზება, რაც, როგორც ვფიქრობდი, გაცილებით საიმედო იყო, რადგან უფრო შეეფერებოდა მამაჩემის ზნე-ხასიათს. პირდაპირ და აშკარად გავუმხილე თქვენთვის მოცემული პირობის ამბავი, ფიცით ვუთხარ, ჩემს სიტყვას არ გავტეხ და რაც უნდა მოხდეს, მისი თანხმობის უმისოდ არ გავთხოვდები-მეთქი.

და მართლაც სიხარულით შევნიშნე, არ სწყინდა ჩემი სინდისიანობა. ბრაზმორეულმა მისაყვედურა, სიტყვა რად მიეციო, ოღონდ როდი უგულებელყო იგი. ღირსების გრძნობით გადიდგულებული აზნაური ქედმაღლურად იცავს თავის აღთქმასა და მიცემულ სიტყვას თავის დღეში არ გადაუვა. ისიც ცუდუბრალოდ აღარ მოჰყოლია მტკიცებას, ამ დაპირებას ძალა აღარა აქვსო, რასაც არასოდეს დავთანხმდებოდი, და ძალით დამაწერინა ბარათი, თან დაურთო წერილი და მიბრძანა, ახლავე ყველაფერი გაუგზავნეო. რაგვარი მღელვარებით ველოდი პასუხს, როგორა ვნატრობდი, ესოდენ წესიერი არ აღმოჩენილიყავით, თუმცა სხვაგვარად მოქცევა არ შეგეძლოთ. ოღონდ ისე კარგად გიცნობდით, ეჭვიც კი არ შემპარვია, ხათრს არ გამიტეხს-მეთქი, და ვიცოდი, რაც უფრო მძიმე იყო თქვენთვის მსხვერპლი, მით უფრო მალე გაიღებდით მას. პასუხი მივიღე. დამიმალეს იგი, სანამ ავად ვიყავი. მაგრამ როგორც კი განვიკურნე, ჩემი შიში გამართლდა და არავითარი საბაბის მოშველიება აღარ შეიძლებოდა. ყოველ შემთხვევაში, მამაჩემმა გამომიცხადა, მაგ მიზეზთა მოსმენაც კი არა მსურსო, და კიდევ უფრო ადრე იმავე საშინელი სიტყვებით მოთოკა ჩემი ნებისყოფა და ფიცი დამადებინა, არ მეთქვა ვოლმარისათვის რაიმე ისეთი, რის გამოც უარს იტყოდა ჩემს ქმრობაზე. «ყოველივე ეს, – დასძინა მამამ, – მე და შენი შეთხზული ეგონება. არა, თქვენი შეუღლება ყოველ მიზეზგარეშე უნდა მოხდეს, თორემ მწუხარება ბოლოს მომიღებს».

თქვენ კარგად უწყით, ჩემო მეგობარო, რომ ჩემს ჯანმრთელობაზე არ მოქმედებს არც დაღლილობა, არც ამინდის ცვალებადობა, მაგრამ მას არ ძალუძს გაუმკლავდეს ვნებათა ქარიშხალს, და ძალზე მგრძნობიერი ჩემი გულის სიღრმეში იმალება ყველა ხორციელ და სულიერ სალმობათა სათავე. არ ვიცი, ხანგრძლივმა დარდმა და მწუხარებამ გამხრწნელი გავლენა მოახდინა ჩემს სისხლზე, თუ ბუნებამ აღირჩია ეს დრო-ჟამი, რათა განეწმინდა ის დამღუპველი სახმილის წყალობით, ოღონდ საბოლოოდ ცუდად ვიგრძენი

თავი. მამაჩემის ოთახიდან გამოსულმა ძლივსღა დავწერე თქვენთან გამოსაგზავნი ბარათი და ისე ცუდად შევიქენი, რომ ჩავწექი და თან ვიმედოვნებდი, ამიერიდან ვერასოდეს წამოვდგები-მეთქი. დანარჩენი კარგადაა თქვენთვის ცნობილი. თქვენ გამოცხადდით ჩემთან და უჭკუოდაც მოიქეცით. მე დაგინახეთ და წარმოვიდგინე, ყოვლივე ეს თითქოს მომეზმანა-მეთქი, როგორც ეს უკვე ხშირად მემართებოდა ბოდვის ჟამს. მაგრამ როცა გავიგე, მართლაც მომინახულეთ და ცხადად დაგინახეთ, თანაც მოინდომეთ ჩემი სახადის გაზიარება, რაკი განკურნება არ ძალგედვათ, როცა განზრახ შეიყარეთ სენი, მაშინ ვეღარ გავუძელ უკანასკნელ უბედურებას. ამ გაწბილებული უნაზესი სიყვარულის წინაშე ჩემმა ტრფიალებამ, რაც ასეთი ვაი-ვაგლახით დავიოკე, თავი აიშვა და ფიცხლავ გასაოცარი მგზნებარებით იფეთქა. მივხვდი, ჩემი ნება-სურვილის წინააღმდეგ სიყვარულისთვის რომ ვიყავი განწირული; ვიგრძენი, ბედმა რომ მარგუნა შემცოდედ ყოფნა; რომ აღარ შემეძლო წინააღმდეგობის გაწევა არც მამაჩემისთვის, არც მიჯნურისთვის და მხოლოდ პატიოსნების გზით მოვარიგებდი ურთიერთთან სიყვარულისა და ნათესაობის უფლებებს. ამრიგად, ყველა ჩემი კეთილი გრძნობა თანდათან ჩაიფერფლა, ყველა ჩემი ზნეობრივი ნიშან-თვისება შეიცვალა, დანაშაული ისე შემაძრწუნებელი აღარ მეჩვენებოდა. გულის სიღრმეში სულ სხვანაირი გავხდი. ვნებათა თავაწყვეტილმა აფეთქებამ, რაც დაბრკოლებებმა სიშმაგემდე მიიყვანეს, ბოლოს და ბოლოს ისეთ უაღრეს გამოუვალ მდგომარეობაში ჩამაგდო, როგორიც კი შეიძლება შემსჭვალავდეს ადამიანის სულს, – იქამდე გავკადნიერდი, რომ გულიც კი გამიტყდა სათნოებაზე. თქვენმა წერილმა, რომელსაც უმალ სინდისის ქენჯნის აღძვრა შეეძლო, ვიდრე მისი დაშოშმინება, სავსებით თავზარი დამცა. ჩემი გული უკვე იქამდე იყო გარყვნილი, რომ გონებას მეტად აღარ ძალედვა, წინააღმდეგობა გაეწია თქვენი ფილოსოფოსების სიტყვებისათვის. საძაგელმა სახეებმა, აქობამდე რომ ვერ მიმღვრევდნენ გონს, ახლა გაბედეს ჩემი დაჯაბნა. ნებისყოფა ისევ ებრძოდა მათ, მაგრამ წარმოსახვა უკვე შეეჩვია მათ პირისპირ ჭვრეტას, და უკეთუ გულში არ ვატარებდი ცოდვით აღსავსე ზრახვებს, არც იმის კეთილშობილური გამბედაობა გამაჩნდა, წინააღმდეგობას რომ გაუწევდა მათ.

მეძნელება წერის განგრძობა. ცოტათი სული მოვითქვათ. მოიგონეთ ბედნიერებისა და უმანკოების ის დღეები, როცა ჩვენი აღმაფრთოვანებელი სიყვარულის ელვარე და სასიამო ცეცხლი ასპეტაკებდა ყველა ჩვენს გრძნობას; როცა მისი წმიდათაწმიდა მგზნებარების[76] მეოხებით კიდევ უფრო ძვირფასი ხდებოდა ჩვენთვის კდემამოსილება, ხოლო წესიერება კვლავ უფრო საიასაღო, როცა თავად ავხორცობა წარმოიქმნებოდა თითქოსდა მხოლოდ იმიტომ, რათა ღირსების შეუბღალავად დაგვეთრგუნა იგი და უფრორე სასახელონი ვყოფილიყავით ერთმანეთისთვის. გადაიკითხეთ ჩვენი პირველი წერილები, ჩაუფიქრდით იმ მოკლეჟამიერ წუთებს, რომლებითაც ასე ცოტათი ვისიამტკბილეთ, როცა ჩვენს თვალში სიყვარული შემკული იყო სათნოების ყოველნაირი სიმშვენიერით და როცა ისე გვიყვარდა ერთმანეთი, რომ ვერც კი მოვახერხეთ შეუღლება, რაც ზიზღსა ჰგვრიდა ამ სიყვარულს.

რანი ვიყავით – და რანი ვართ ახლა? ორმა სახიერმა მიჯნურმა ერთად გაატარა მთელი წელიწადი და ეს ამბავი არავის შეუტყვია; ისინი იოკებდნენ ვაი-ვიშს, მაგრამ სულიერად დანათესავდნენ; ეგონათ, ვიტანჯებითო, ბედნიერნი კი იყვნენ. ესმოდათ ურთიერთგულისთქმა, გაუმხილეს კიდეც ერთმანეთს სიყვარული, ხარობდნენ იმით, რომ შეეძლოთ ეზეიმნათ თავიანთ თავზე გამარჯვება და ერთმანეთისთვის კეთილშობილური მაგალითის ჩვენება და კვალად ერთი წელი დაჰყვეს ერთად არანაკლებ მკაცრი

[76] წმიდათაწმიდა მგზნებარება! ჟიული, ჰოი, ჟიული! განა ძალუძს ასეთ სიტყვათა წარმოთქმა ვნებათაგან განკურნებულ ქალს, როგორადაც მიგაჩნიათ თქვენი თავი?

დამთმენლობით; ანდობდნენ ერთმანეთს თავ-თავიანთ დარდსა და მწუხარებას და იყვნენ ბედნიერნი. მაგრამ ცუდად იყვნენ აბჯარასხმულნი ესოდენ ხანგრძლივი ბრძოლისათვის; სიძაბუნის ჟამმა აცდუნა ისინი; თავდავიწყებით მიეცნენ სიყვარულის სიამეთ. დაკარგეს უმანკოება, სამაგიეროდ იცავდნენ ერთგულებას; სანაცვლოდ ზენამ და ბუნებამ აკურთხა მათი კავშირი; სამაგიეროდ კვლავინდებურად ენუკვებოდნენ სათნოებას; ჯერ ისევ უყვარდათ იგი, კვლავ პატივსა სცემდნენ, – კაცმა რომ თქვას, გარყვნილნი როდი იყვნენ, არამედ მხოლოდ მოყივნებულნი. უკვე ღირსნი აღარ იყვნენ ბედნიერებისა, ოღონდ კვალად კი ჰქონდათ ამის უფლება.

მაშ, რა დაემართათ ესოდენ ნაზ შეყვარებულთ, რომელნიც ასე მგზნებარედ ეტრფოდნენ ერთმანეთს და კარგადაც ესმოდათ წესიერების ფასი? ძალზე იდარდებს ყოველი ადამიანი, როცა მათ ამბავს გაიგებს. ისინი შემცოდენი გახდნენ და საქორწინო სარეცლის შებღალვის ფიქრი მათ გულში აღარ იწვევს ზიზღსა და სიძულვილს... მათ განიზრახეს მეძაობა! ნუთუ, მართლა! იქნებ გარდაქმნეს კიდეც ისინი! ანდა, ეგებ მათი სულები სულ სხვადასხვაგვარნი გახდნენ? როგორ შეიძლება სათნო და მომხიბვლელი სახე ამოიშალოს გულიდან, სადაც იგი აქამომდე ბრწყინავდა და ელვარებდა? ნუთუ სათნოების მომხიბვლელობა სამუდამოდ არ ააცდენს ბიწიერების გზას იმათ, ვინც ერთხელ მაინც იგემა იგი? ნუთუ სამარადჟამოდ მოხდა ეს გასაოცარი ცვლილება! რამდენი ხანი დასჭირდა, რათა მას, ვინც ერთხელ მაინც განიცადა ნამდვილი ბედნიერება, განქარვოდა შესანიშნავი მოგონება, დაკარგოდა მის გამო წარმოდგენა? აჰ, თავდაპირველად ძლივძლივობით, ნელი-ნელ ადგები გარყვნილების გზას, სამაგიეროდ, როგორ მკვირცხლად და რა იოლად მიაბიჯებ მასზე? ვნებათაღელვის მომხიბვლელობავ, შენ თვალს უბამ გონებას, ჩვენ უკან მოხედვასაც კი ვერ ვასწრებთ, შენ კი უკვე აცდუნე სიბრძნე და გარდაქმენ ჩვენი ბუნება! ერთხელაც რომ წავიფორხილოთ ჩვენს სიცოცხლეში, თუნდ ერთი ნაბიჯითაც კი გადავუხვიოთ სწორი გზიდან, მაშინვე ხრამში გადავიჩეხებით და დავიღუპებით; ბოლოსა და ბოლოს ვიხაფრებით უფსკრულში, ხოლო როცა გონს მოვდივართ, თავზარი გვეცემა, რადგან ვხედავთ, რომ ცოდვაში ვართ გახვეულნი, თუმცა ჩვენი გული სათნოებისთვის იყო გაჩენილი. მაშ, დავუშვათ ფარდა, საყვარელო მეგობარო, საჭირო როდია ჩავიხედოთ საშინელ უფსკრულში, რომელსაც ფარავს ჩვენგან იგი, რათა არ მივუახლოვდეთ მას. განვაგრძობ ჩემს მოთხრობას.

ბატონი ვოლმარი ჩამოვიდა, და მას კვლავ მოვწონვარ. მამაჩემმა სულიც კი აღარ მომათქმევინა. დედაჩემის გამო გლოვა მთავრდებოდა, მაგრამ ჩემი მწუხარება დრო-ჟამმა ვერ დასძლია. ჩემი დაპირებიდან თავდასაძვრენად შეუძლებელი იყო ხან ერთი და ხან მეორე საბუთის მოშველიება, – მომიხდა მიცემული სიტყვის შესრულება. ჩემი აღსასრულის დღედ მომეჩვენა ის დღე, რომელსაც თქვენთვის სამუდამოდ უნდა წაერთმია ჩემი თავი. დაკრძალვის სამზადისი ვერ შემაძრწუნებდა იმგვარად, როგორც მაძრწუნებდა მზადება ჩემი ქორწინებისათვის. საბედისწერო ჟამი ახლოვდებოდა და მეც სულ უფრო და უფრო მიძნელდებოდა გულიდან აღმომეფხვრა პირველი სიყვარული. ვცდილობდი მის ჩაქრობას, ის კი უფრო ძალუმად მედებოდა. ბოლოსა და ბოლოს დავიქანცე უნაყოფო ბრძოლისაგან. თითქმის იმ წუთას, როცა მზად ვიყავი სამუდამო ერთგულება შემეფიცა სხვისთვის, ჩემი გული სამარადჟამო სიყვარულს აღგითქვამდათ თქვენ; და შემიყვანეს ტაძარში უწმინდური მსხვერპლივით, რომელიც ბღალავს სამსხვერპლოს.

შეველ საყდარში, და როგორც კი ზღურბლზე გადავდგი ფეხი, მყისვე დამეუფლა ჩემთვის მანამდე შეუცნობელი მღელვარება. რაღაც უზეშთაესმა საშინელებამ განმსჭვალა ჩემი სული უბრალო და დიდებულ ტაძარში, სადაც ყველაფერი იმის ძალმორჭმულობითა სუნთქავს, ვისაც უნდა მსახურებდე აქ. ჩემო მეგობარო, ისეთი შიში ვიგრძენი, რომ კანკალი დამაწყებინა. უეცარი სიძაბუნით ათრთოლებული და ბორძიკ-ბორძიკით

ძლივსღა მივუალოვდი პასტორის კათედრას. ვერ დავშოშმინდი საზეიმო წეს-ჩვეულების დროსაც, – პირიქით, სულ უფრო და უფრო იზრდებოდა ჩემი შფოთიერება და უფრო მეტი შიში მიპყრობდა, როცა ირგვლივ ვიხედებოდი. საყდარში გამეფებული ბინდ-ბუნდი ჩაფიქრებითა და მოკრძალებით მდგარ დამსწრეთა ღრმა დუმილი, ყველა ჩემი ნათესავისაგან შემდგარი მაყრიონი, დარბაისელი მამაჩემის რიხიანი იერი, – ყოველივე ეს საზეიმო ელფერს ანიჭებდა ქორწინება, საამო შთაბეჭდილებითა და მოკრძალებით ავსებდა ჩემს გულს და თანაც მაიძულებდა, შიშის ზარი დამცემოდა, უკეთუ ერთხელ მაინც გავიფიქრებდი ფიცის გატეხას. ასე მეგონა, თითქოსდა ვხედავ თავად განგების მოციქულს, ვისმენ-მეთქი ღვთის ხმას, როცა მღვდელი ზეაღმტაცად წარმოთქვამდა წმინდა წირვა-ლოცვის სიტყვებს. ქორწინების სისპეტაკემ და ღირსებამ, რაც ესოდენ მკაფიოდაა განსახიერებული და ხორცშესხმული საღმრთო წერილში, მისმა უმწიკვლო და უზეშთაესმა ვალდებულებებმა, რაც ასე მნიშვნელოვანია ბედნიერებისა და წესრიგისათვის, სიმშვიდისათვის, ადამიანთა მოდგმის გასაგრძელებლად, ასე სასიამონი რომ არიან თავისთავად – ყველაფერმა ამან ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, მეგონა, თითქოსდა უეცრად სავსებით გარდავიქმენ და შევიცვალე-მეთქი. თითქოს რაღაც წარმოუდგენელმა ძალამ ანაზდად დააშოშმინა ჩემი აღბორგებული გრძნობები, წინანდელ კალაპოტს დაუბრუნა ისინი და დაუმორჩილა მოვალეობისა და ბუნების კანონს. დაუსაბამო ზენაარსი, ვფიქრობდი მე, ყოვლისმხილველი თვალით ახლა კითხულობს ჩემს იდუმალ ზრახვებს-მეთქი. იგი ადარებს ჩემს ფარულ აზრებს იმას, რასაც ჩემი ბაგენი წარმოთქვამენ-მეთქი. ცა და ქვეყანა მოწამენი არიან კურთხეული ვალდებულებისა, რასაც ტვირთად ვიღებ, მაშ, იყვნენ ისინი ჩემი ურღვევი ერთგულების მოწამენი-მეთქი. ნეტავი რა ადამიანურ კანონებსა სცემს პატივს ის, ვინაც გაბედა მათგან ყველაზე მთავარის დარღვევა?

უცაბედად თვალი ვკიდე ცოლ-ქმარ დ'ორბებს, რომლებიც ერთად იდგნენ და გრძნობამორეულნი თვალს არ მაშორებდნენ. მათმა დანახვამ ყველაზე მეტად ამაღელვა. ჩემო გულის სანუკველო სათნო ცოლ-ქმარო, იმის გამო, რომ თქვენ არ განგიცდიათ მგზნებარე სიყვარული, განა უფრო ნაკლებ მტკიცე კავშირითა ხართ შეუღლებული? მოვალეობა და პატიოსნება გაკავშირებთ ერთმანეთთან. ნაზზე უნაზესო მეგობრებო, ერთგულო ცოლ-ქმარო, თქვენ არ გედებათ უსაშველო სახმილი, იგი არ გიღრღნით გულ-ღვიძლს, არა, თქვენ გაკავშირებთ სპეტაკი და ნაზი სიყვარული, რომელიც ასაზრდოებს თქვენს სულს, კეთილზნიანი და გონივრული სიყვარული; ამის მეოხებით თქვენი ბედნიერება უფრორე მყარია და მტკიცე. აჰ, ნეტავი შემეძლოს მსგავსი შეუღლებისას ასეთივე უმანკოების მოპოვება და ამგვარი ბედნიერებით დატკბობა! თუკი თქვენებრ არ დამიმსახურებია ეს ბედნიერება, თქვენ მოგბაძავთ და მით ვეცდები დავიმსახურო იგი. ამ გრძნობებმა აღმიდგინეს იმედი და გამბედაობა. წმიდათაწმიდა კავშირი, რაც ვიტვირთე, მეჩვენებოდა განახლებად, ჩემს სულს რომ განასპეტაკებდა და დააბრუნებდა ყველა მის ვალდებულებებთან. როდესაც მოძღვარი შემეკითხა, იძლევი თუ არა აღთქმას, რომ მიწყივ მორჩილი და ერთგული იქნები მისი, ვისაც ქმრად ირჩევო, ეს დაადასტურეს ჩემმა ბაგეებმაც და ჩემმა გულმაც. და ამ აღთქმას არ გავტეხ სიკვდილამდე.

მინდოდა ერთი საათით მაინც დამეყო შინ მარტოდმარტოს და გონს მოვსულიყავი. ძლივს მოვახერხე ეს, და თუმცა ასე მოველოდი ამ ჟამის დადგომას, თავდაპირველად მაინც ზიზღმორეული ვფიქრობდი ჩემს თავზე, ვშიშობდი, ჩემი სულიერი აღტყინება წუთიერია და გამოწვეულია ჩემი მდგომარეობის ცვლილებებით-მეთქი და ვგონებდი, ისეთივე უღირსი მეუღლე ვიქნები, როგორი უჭკუო ქალიშვილიც ვიყავი-მეთქი. გაბედულ, მაგრამ სახიფათო განსაცდელში ჩავიგდე თავი, – თქვენზე ვიწყე ფიქრი. როგორც დავრწმუნდი, ვერც ერთმა ნაზმა მოგონებამ ვერ შებღალა აღფრთოვანებული

ვალდებულება, ის-ის იყო რომ ვიტვირთე. წარმოუდგენელი იყო, ეს რა სასწაული მოხდა, რომ თქვენი სახე, აქობამდე განუშორებლად რომ თან დამდევდა, ახლა ასე ხანგრძლივად მტოვებდა მოსვენებულს, თუმცა მრავალი საბაბი მქონდა მოგონებისათვის. ამას ვერ მივაწერდი ვერც გულგრილობას, ვერც დავიწყებას იმის შიშით, ყოველივე ეს სულის მაცდუნებელი მდგომარეობაა, მე არ მჩვევია და მაშასადამე, დიდი დღეც არ უწერია-მეთქი. მაგრამ არ უნდა მშინებოდა თავის მოტყუებისა, წინანდებურად მიყვარდით და იქნებ, უფრო ძლიერადაც, ვიდრე უწინ. ამას ვგრძნობდი სირცხვილში ჩაუვარდნელად. დიახ, მე შემეძლო ახლა თქვენზე ფიქრი, და მასთან არ დამვიწყებოდა, რომ სხვისი ცოლი ვიყავი. ვგრძნობდი, რაგვარ ძვირფასი იყავით ჩემთვის. გულის სიღრმეში აფორიაქებული გახლდით, მაგრამ სინდისი დამშვიდებული მქონდა. ამ წუთიდან მივხვდი, მართლაც რომ შევიცვალე და გარდავიქმენი. წრფელი სიხარულის რა ნიაღვარი მოასკდა მაშინ ჩემს სულს! უკვე დიდი ხნის წინათ დაკარგულმა სიმშვიდემ გამიხალისა შერცხვენისაგან ჯანგაცლილი გული და შთამბერა მანამდე შეუცნობელი უშფოთველი მყუდროება. თითქოს ხელახლა აღვსდექი, თითქოს ახლად სული ჩამედგა. მშვიდო ნუგეშისმცემელო სათნოებავ! შენი წყალობით მოვიპოვე სიცოცხლე, შენ გახდი მას ჩემთვის სასურველად, შენს გამო მინდა მისი შენარჩუნება. აჰ, ძლიერ კარგად მივხვდი, რას ნიშნავს შენი დაკარგვა და ამიერიდან ვერც მიგატოვებ!

ისე ვიყავი აღტაცებული უდიდესი, მოულოდნელი და სწრაფი ცვლილებებით, რომ გადავწყვიტე ჩავწვდომოდი იმ ვითარებას, რომელშიც ვიმყოფებოდი წინადღით. თავზარი დამცა ჩემმა სამარცხვინო გულგატეხილობამ, რაც მომიტანა მოვალეობის დავიწყებამ, შემაძრწუნა ყველა განსაცდელმა, რაც ვიწვნიე იმ დღიდან, პირველად რომ დავადექ დაღუპვის გზას. ჩემს სულში მომხდარმა გამაცოცხლებელმა ცვლილებამ დამანახა ჩემი მაცდუნებელი შეცოდების მთელი სისაძაგლე და კვლავ აღმიძრა კეთილგონიერების სიყვარული. რა უმაგალითო ბედნიერება იქნებოდა, ჩვენი სიყვარულის ერთგულება რომ შემენარჩუნებინა: მე ხომ ვუმუხთლე ოდესღაც ჩემთვის ესოდენ სათაყვანებელ პატიოსნებას! საჭირო იყო ბედის განსაკუთრებული წყალობა, თქვენსა და ჩემს ორგულობას რომ არ აღვეგზნე ახალ-ახალ გატაცებათათვის. განა სხვა მიჯნურის წინაშე შევძლებდი მისი წინამორბედისაგან უკვე დაძლეული სიმტკიცის გამოჩენას, ან ის სიმორცხვე დამიფარავდა, უტეხ ვნებათა წინაშე ქედის მოდრეკას რომ იყო ჩვეული? განა ძალმედვა ჩამქრალი სიყვარულის უფლებათა პატივისცემა, უკეთუ ვერ მივაგებდი პატივს ჩემთვის ჯერ ისევ ყოვლისშემძლე სათნოების უფლებათ? ჩემს მტკიცე რწმენას იმის გამო, რომ მთელ ქვეყანაზე მარტოოდენ თქვენ ერთი მეყვარებოდით, სხვა რა საბუთი ჰქონდა, თუ არ გულისთქმა, რაც ნაცნობია ყველა მიჯნურთათვის, სამუდამო ერთგულებას რომ ჰპირდებიან ერთმანეთს და უნებლიეთ ტეხენ ფიცს ყოველ ჟამს, როცა კი ზენას მოესურვება მათი გრძნობების შეცვლა! და მაშასადამე, ყოველი სახელის გატეხა შემდგომი დამცრობის სამზადისი იქნებოდა. შეცოდებას ჩვეულს სააუგოდ აღარც კი მომეჩვენებოდა ჩემი დანაშაულობანი. შერცხვენილი და გაბახებული, უსუსური, უკვე ვეღარ შევჩერდებოდი ამ გზაზე, და მოსიყვარულე და გზასაცდენილი არსებიდან გარყვნილ ქალად გადავიქცეოდი, შევარცხვენდი ჩემს სქესს, სასოს წარვუკვეთდი ჩემს ოჯახს. მაშ, ვინღა დამიფარა ჩემი შეცოდების ამ ბუნებრივ შედეგთაგან? ვინ შემაჩერა პირველი ნაბიჯის შემდეგ? ვინ, ვინ იხსნა ჩემი კარგი სახელი და ჩემს მიმართ ყველა საგულისგულო არსებათა პატივისცემა? ვინ მომივლინა მწედ და მეშველად ღირსეული და კეთილგონიერი მეუღლე, მშვიდი და საამური ადამიანი, პატივს რომ მცემდა და შემივრდომებდა, რისი ღირსიც სრულიადაც არ ვყოფილვარ? და ბოლოს, ვინა მყო იმედნეული გავმხდარიყავ პატივსაცემი ქალი და შთამინერგა რწმენა, კი ხარო ამის ღირსი? ვიცი და ვგრძნობ: ის მხსნელი ხელი, წყვდიადში რომ გზას მიკაფავდა, ჩემს

თვალებს აშორებს ცდომილების საბურველს და ჩემდა უნებურად მაბრუნებს საკუთარ თავთან. ჩემი გულის სიღრმეში წამდაუწუმ აჟღერებული იდუმალი ხმა გაძლიერდა და უფრო მაღლა გაისმა მაშინ, როცა კინაღამ დავიღუპე. არსთაგანმრიგე ვერ მოითმენდა, ზურგი მექცია მისთვის და გავმხდარიყავ სამაგელი ფიცისგამტეხი. მან განმარიდა ცდუნებას, შთამაგონა სინანული და მიჩვენა უფსკრული, საითკენაც მივექანებოდი. დაუსაბამოვ, ნებითა შენით დაცოცავს მუმლი და მოძრაობენ მნათობნი ცისანი, შენი ზრუნვა არ აკლია ყველაზე კნინ შენს ქმნილებას! კვლავ მაბრუნებ სიკეთის გზაზე, რის სიყვარულიც შენ შთამაგონე! გეაჯები, მიიღე შენგან განსპეტაკებული ადამიანისაგან ერთგულების აღთქმა, რის მოცემის ღირსიც მხოლოდ შენი ნება-სურვილით გავხდი!

და იმწამსვე, როგორც კი აღმიტაცა საამურმა ფიქრმა, თავი დავაღწიე ხიფათს და წესიერ და მყუდრო ცხოვრებას დავუბრუნდი-მეთქი, პირქვე დავემხე ლოცვა-ვედრებით, ხელნი ცად აღვაპყარ და შევღაღადე მამაზეციერს, რომელიც თავის ტახტზედან მჯდომარე ჩვენივე ხელებით ანმტკიცებს და ანადგურებს, როცა მოინებებს მის მიერვე მონიჭებულ თავისუფლებას. «მე მინდა შენი სასურველი და შენგანვე მომადლებული სიკეთე, – ვამბობდი გულში, – მსურს მიყვარდეს შენგან ნაბოძები ქმარი. მსურს ვიყო ერთგული მეუღლე, რამეთუ ესაა ოჯახისა და მთელი საზოგადოების შემაკავშირებელი უპირველესი მოვალეობა. მინდა ვიყო უმწიკვლო, ვინაიდან ესაა უპირველესი და თავი და თავი სათნოება, ყველა დანარჩენს რომ ასაზრდოებს. მინებს ვმორჩილებდე შენს მიერ დაწესებულ ბუნებრივ წესრიგს და შენს მიერ შთაგონებულ გონების კანონთ. გული ჩემი შენ დაიფარე, გულისთქმას ჩემსას შენს ხელთა ვანდობ, ყოველივე საქმენი ჩემნი შეუხამე ჩემს ჭეშმარიტ ნდომა-სურვილს, რამეთუ იგი მხოლოდ და მხოლოდ შენი ნებით წარიმართების, და ნუ მისცემ უფლებას წუთიერ ცდომილებას დათრგუნოს ყოველივე ის, რაიც აღვირჩიე მთელი სიცოცხლის დასასრულამდე».

ამ ხანმოკლე ლოცვის შემდეგ, – მე კი პირველად ვლოცულობდი ნამდვილი გულმოდგინებით, – ვიგრძენი, ყოველი ჩემი საქმე დამშია მოსული-მეთქი, მომეჩვენა, მათი აღსრულება სახალისო და იოლი იქნება-მეთქი და ნათლად დავინახე, დღეის ამას იქით საიდან მოვიკრებდი ძალ-ღონეს ჩემივ საკუთარი გულის საწინააღმდეგოდ, რაკიღა ვერ შევიძელი მისი მოპოვება ჩემს თავში. ამ აღმოჩენის მეოხებით კვლავ აღვიჭურვე რწმენით და გამოვიგლოვე ჩემი დამღუპველი თვალისდავსება, რის გამოც ასე დიდხანს განვიცდიდი ურწმუნოებას. თუმცაღა ვერ ვიტყვი, ღვთისმოსავი არ ვყოფილვარ-მეთქი, მაგრამ კაცმა რომ თქვას, სჯობს სულაც არ იყო ღვთისმოსავი, მაგრამ კაცმა რომ თქვას, სჯობს სულაც არ იყო ღვთისმოსავი, ვიდრე გარეგნულად და ყასიდად გქონდეს შიში უფლისა, რაიც როდი აშოშმინებს გულს, არამედ მარტოოდენ ამშვიდებს სინდისს. ან რა ბედენაა, არ აკლდებოდე წირვა-ლოცვას და მონდომებით ეთაყვანებოდე მამაზეციერს მხოლოდ და მხოლოდ გარკვეულ ჟამს, რათა მერე სულაც არ გაიხსენო იგი. წირვა-ლოცვას არ დავკლებივარ, მაგრამ აქედან ცხოვრების სასარგებლო ერთი გაკვეთილიც არ მიმიღია. ვფიქრობდი, ნიჭი მეტყობა-მეთქი, და ჩემს მიდრეკილებებს როდი ვეწინააღმდეგებოდი. მიყვარდა ფიქრი და ოცნება და ვენდობოდი ჩემს გონებას. ვერ შევუთავსე ერთმანეთს სახარება და საზოგადოების სულისკვეთება, რწმენა და საქმე; ისევ საშუალო გზა ავირჩიე, რაიც ესალბუნებოდა ჩემს ვაიგანსწავლულობას. ზოგიერთი წესი მჭირდებოდა რწმენისათვის, სხვები – საქმისათვის. ერთ ადგილას მავიწყდებოდა, რასაც მეორეგან ვფიქრობდი. საყდარში ხარკს ვუხდიდი ღვთისმოსაობას, შენ კი – ფილოსოფიას. ვაგლახმე! არც ერთი და არც მეორე არ გამაჩნდა. ჩემი ლოცვა-ვედრება ლიტონი სიტყვები იყო მხოლოდ, მსჯელობანი – სოფიზმები, და სინათლის ბრწყინვალე ციაგი კი არ მიხმობდა და მიზიდავდა მე, არამედ ცდომილ ელვარებათა მზაკვრული იალ-ციალი, რაც დაღუპვას მიქადდა.

არ ძალმიძს გადმოგცეთ, აქობამდე ჩემს გულში მთვლემარე ამ ზნეობრივმა საწყისებმა თუ რამდენად შთამაგონეს ახლა იმათი სიძულვილი, ვინც ასე ცუდ ხელმძღვანელობას მიწევდა. მითხარით, აბა რამ გამოიწვია უმთავრესად ეს ამბები და რა იყო მათი საფუძველი? საბედნიეროდ, ბუნება ჩემი ეტრფის სიკეთეს; ჩემს სულში მძაფრად აგიზგიზდება ვნების სახმილი, და მისი სათავეც იმავ მისწრაფებაში მდგომარეობს. მაშ, რაღა უნდა ვქნა მის მოსასპობად? წესრიგის ცნებასთან ვაკავშირებ სათნოების სილამაზეს, საზოგადოებრივ გამორჩომასთან – მის ფასსა და მნიშვნელობას. მაგრამ აბა, რას ნიშნავს ყოველივე ეს ჩემს პირად სარფასთან შედარებით! და არსებითად, რა უფრორე მნიშვნელოვანია ჩემთვის – ჩემი ბედნიერება ყველა დანარჩენ ადამიანთა საზიანოდ თუ სხვათა ბედსვიანობა საკუთრივ ჩემს საზარალოდ? უკეთუ შერცხვენისა ანდა სასჯელის წინაშე შიში ხელს მიშლის, ჩავიდინო ბოროტება საკუთარი სარფის გამო, მაშინ შემიძლია ბოროტების ჩადენა მალულად, და სათნოება აქ არაფერ შუაშია; და თუკი დანაშაულზე წამასწრებენ, მაშინ დანაშაულის გამო კი არ დამსჯიან, არამედ – უგერგილობისათვის, როგორც ამას სპარტაში სჩადიოდნენ. უკეთუ ჩემი სულის შინასკნელს ბუნების მიერ ზე აღბეჭდოდა სიკეთის ცნება და ქველობის სიყვარული, მანამდე არ მოვეშვებოდი, ვინემ არ შეირყვნებოდა მათი სახე. მაგრამ აბა როგორ დავრწმუნდე, რომ მარადჟამს ვატარებ გულში მთელი მისი სისპეტაკით ამ იგავმიუწვდომელ ხატებას, რომლის მსგავსი არ მოიპოვება სულიერ არსებათა შორის? ხომ ცნობილია, რომ დაუოკებელი ვნებათა ღელვა რყვნის და აჩოლფოტებს გონებასაც და ნებისყოფასაც, ხოლო სინდისი შეუმჩნევლად იცვლება და მახინჯდება ყოველ საუკუნეში, ყოველ ხალხში, ყოველ პიროვნებაში ადამიანურ ცრურწმენათა ცვალებადობისა და ნაირფეროვნების გამო.

მაშ, თაყვანი ეცით დაუსაბამოს, ღირსეულო და ჭკვიანო მეგობარო, ხელის ერთი მინანებით მოსპობთ გონების ყოველ შემცოდეობას, რომელსაც მოეპოვება მოჩვენებითი რეალობა და ლანდივით გაურბის ურყევ ჭეშმარიტებას. ყველაფერი მხოლოდ ზენაარსის ნება-სურვილით არსებობს. ის ანიჭებს მიზანს მართლმსაჯულებას, საფუძველს – სათნოებას, ღირებულებას – მისდამი მიძღვნილ უხანო სიცოცხლეს. იგი წამდაუწუმ აუწყებს ცოდვილთ იმ ამბავს, რომ მათი ფარული დანაშაული საიდუმლოდ არ დარჩება; ის შთააგონებს ყველასაგან მივიწყებულ წმინდანს: «შენს სათნო საქმეთ თანა ჰყავს მოწმე». იგი თავისი უცვალებელი რაობით ყველა სრულქმნილი არსების ჭეშმარიტი პირველსახეა, რომლის ანარეკლსაც ჩვენი სულის სიღრმეში ვატარებთ. ჩვენი ვნებები ამაოდ ცდილობენ ამ ანარეკლის შერყვნა-დამახინჯებას, – მარადიული რაობისაგან განუყოფელ ყველა მის ნიშან-თვისებას დღენიადაგ წარმოიდგენს გონება და ეს ხელს უწყობს, აღადგინოს ყოველივე ის, რაიც შერყვნა და შებღალა ცრუმებრძენეობამ და ცდომილებამ. ჩემი აზრით, ყველაფერი ამის განსაზღვრა როდია ძნელი, – საკმაოა იყო კეთილგონიერი: ყოველივე ის, რაც განუყრელია ამ რაობის ცნებასთან, არის სწორედ ღმერთი, ხოლო სხვა დანარჩენი – ადამიანის ნამოქმედარი. ამ ღვთაებრივი ხატების მზერისას ჩვენი სული განსპეტაკდება და ცაში ჰკრავს ირაოს; იგი სწავლობს თავის ქვენა გულისწადილთა სიძულვილს და თავის უღირსსა და არასაკადრის ლტოლვათა დათრგუნვას. ესოდენ უზეშთაესი ჭეშმარიტებებით აღსავსე გული ხელს იღებს წვრილმან ადამიანურ ვნებებზე; უსასრულო სიდიადე განარიდებს ადამიანურ ზვიადობასა და ქედმაღლობას; მომხიბვლელი ფიქრი და ოცნება ავიწყებს ამქვეყნიურ საწადელს; და რომც არ არსებობდეს არსთაგანმრიგე, რომლის ჭვრეტითაც ასე გათანგულია გული ჩვენი, სულ ერთია, მაინც გვმართებს მიწყივ ფიქრი მის გამო, რამეთუ უკეთ გვეჭიროს თავი, გავხდეთ სულით უფრო ძლიერნი, ვიყოთ ხოლმე უაღრესად ბედნიერნი და ბრძენთა ბრძენნი.

ეგებ გსურდეთ კიდეც გამონახოთ მკაფიო მაგალითი მხოლოდ საკუთარ თავს მინდობილი გონებიდან გამომდინარე ფუჭი სოფიზმებისა? გულდამშვიდებით

ჩავუკვირდეთ შეცოდების თავგამოდებულ დამცველთა – იმ თქვენს ფილოსოფოსთა მსჯელობებს, რომელთაც ძალუძთ მხოლოდ და მხოლოდ უკვე გარყვნილ არსებათა ცდუნება. შეიძლება ვიფიქროთ, რომ უშუალოდ ყველაზე უწმინდეს და უაღრესად უზეშთაეს ვალდებულებაზე თავდასხმისას ამ უწყალო რეზონიორებმა გადაწყვიტეს ერთი დაკვრით მოსპონ კაცობრიობა, რაიც მარტოოდენ ხელშეკრულებათა დაცვას ემყარება. აბა ერთი ნახეთ, გემუდარებით, როგორ ამართლებენ ისინი ფარულ მრუშობას. ირწმუნებიან, მრუშობას ვნება არ მოაქვს თვით ქმრისათვისაც კი, – მან ხომ სრულიად არაფერი იცისო. მაგრამ ვინაა თავდები იმისა, რომ იგი ვერასოდეს ვერაფერს გაიგებს? და შეიძლება განა პირუმტკიცობისა და ღალატის გამართლება იმით, რომ ისინი არ ავნებენ მოყვასთ? თითქოსდა შემცოდეობის გასაკიცხად საკმაო არ იყოს ის ბოროტება, რაიც მას თავად შემცოდისათვის მოაქვს! ნუთუ ბოროტება არაა ის ამბავი, როცა ადამიანი გადათქვამს თავის სიტყვასა და გასტეხს ფიცს, გამოაცლის მას მთელ ქმედით ძალას, დაარღვევს უაღრესად მტკიცე ხელშეკრულებას? განა ბოროტება არაა ის საქმე, როცა ადამიანი აიძულებს საკუთარ თავს, თქვას ტყუილი და ჩაიდინოს სიცრუე? განა არაა ბოროტება – როცა ისეთი კავშირით შეიბოჭავთ თავს, რაიც აგიძულებთ უსურვოთ ავი საქმე და სიკვდილი თქვენს მოყვასს, უსურვოთ სიკვდილი მას, ვინც ყველაზე მეტად უნდა გიყვარდეთ ქვეყნად, ვისაც შეჰფიცეთ სამარის კარამდე ერთად სიცოცხლე? ნუთუ უკვე თავისთავად არაა ბოროტება ასეთი ყოფა, რომელსაც შეიძლება ათასობით სხვა შეცოდება მოჰყვეს? თვით ამდენი სიავის მომტანი სიკეთეც კი თავისთავად ბოროტებად გადაიქცეოდა.

აქვს თუ არა უფლება ერთ-ერთ მეუღლეს უდანაშაულოდ ჩათვალოს თავი იმიტომ, რომ ვითომცდა ხელეწიფების იყოს საკუთარი ბედის გამრიგე და მაშასადამე, არ არღვევს ცოლქმრულ ერთგულებას! იგი სასტიკად ცდება! არათუ მარტოოდენ მეუღლეთა სიკეთე, არამედ ყველა ადამიანის საყოველთაო სარფიანობა მოითხოვს, რათა ქორწინების სისპეტაკე უმწიკვლო და შეუბღალავი იყოს. როდესაც ცოლ-ქმარნი დიდი ამბით შეუღლდებიან, ამ დროს ყოველთვის ძალაში შედის ადამიანთა მთელი მოდგმის უსიტყვო შეთანხმება უწმინდესი კავშირისა და ცოლქმრული შეუღლების პატივსაცემად; და ჩემი აზრით, ესაა ფრიად საფუძვლიანი საბუთი ფარულ ქორწინებათა წინააღმდეგ, რომლებიც სულაც არ არიან აღნიშნულნი ცოლქმრული კავშირის არავითარი სიმბოლოებით და ცოდვით აღსავსე ავხორცობით აღაგზნებენ უმანკოთა გულს. უკეთუ ქორწინება აშკარად მოხდება, მაშინ დამსწრე ადამიანებს ნაწილობრივ შეეძლებათ ითავდებონ კიდეც იმის გამო, რომ შეთანხმება შესრულებული იქნება და უმანკო ქალის ღირსებას დაიცავს ყველა წესიერი ადამიანი. ამიტომაც ყოველი კაცი, ვინც გაბედავს ქალის შეცდენას, უწინარეს ყოვლისა, სცოდავს იმით, რომ უბიძგებს მას ცოდვის ჩასადენად, ვინაიდან დანაშაულისთვის წაქეზება – ეს მასში მონაწილეობის მიღებაცაა. ამასთანავე, იგი თავადაც სჩადის შეცოდებას და არღვევს საზოგადოებისათვის უწმინდესი საქორწინო კავშირის ხელშეუხებლობას, ურომლისოდაც შეუძლებელია ადამიანთა საზოგადოების არსებობა.

ზოგიერთები ამბობენ, დანაშაული საიდუმლოებითაა მოცულიო, ამიტომაც ზიანს არავის აყენებსო. ამ ფილოსოფოსებს რომ სჯეროდეთ ღვთის არსებობა და სულის უკვდავება, ასეთ დანაშაულს ისინი საიდუმლოს როდი უწოდებდნენ, ვინაიდან იგი არ დაიფარება მოწმისაგან, ვინაც ამასთან ერთად არის მთავარი ბრალმდებელიც და ერთადერთი სამართლიანი მსაჯულიც. განა რა უცნაური საიდუმლოებაა ეს, რომელსაც იცავენ ყველასაგან იმათ გარდა, ვისაც პირველ რიგში უნდა დაუმალონ იგი! და კიდევაც რომ არა ცნობდნენ ზენაარსს, მაინც როგორ ბედავენ იმის მტკიცებას, თითქოსდა არავის ვუშავებთ რამესო! ვით ბედავენ დაგვარწმუნონ, თითქოს მამისათვის სულ ერთი იყოს, რომ მის მემკვიდრეებს სხვისი სისხლი აქვთ; რომ უფრო მეტი შვილი აწევს კისერზე,

ვიდრე უნდა ჰყოლოდა; და რომ მთელი ქონება უნდა გაუყოს მათ, თავისი შერცხვენის ცოცხალ მოწმეებს, თუმცა მამობრივი სიყვარულით როდი უყვარს ისინი. წარმოვიდგინოთ, რომ რეზონიერები მატერიალისტები არიან. მაშინ უფრო თამამად შეიძლება მათი მოსაზრებების გაბათილება ბუნების სასიამტკბილო ხმის დამოწმებით, რომელიც ღაღადებს ყველა გულის სიღრმიდან, ილაშქრებს ქედმაღლური ფილოსოფიის წინააღმდეგ და მისი ჩახშობა არავითარი მსჯელობით არ შეიძლება. მართლაცდა, უკეთუ მარტოოდენ სხეული წარმოქმნის აზრს, ხოლო გრძნობები მხოლოდ და მხოლოდ ჩვენს ორგანიზმს ექვემდებარება, მაშინ ორი არსება, რომელთა ძარღვებში ერთნაირი სისხლი სჩქეფს, უფრო მეტად რატომ არ უნდა ჰგვანდნენ ერთმანეთს, მეტადრე რატომ არ უნდა განიცდიდნენ ძლიერ ურთიერთსიყვარულს, სულიერად და გარეგნულად რატომ არ უნდა იყვნენ შესაფერისნი, ესე იგი, საგულდაგულოდ რატომ არ უნდა უყვარდეთ ერთიმეორე?

ასე და ამრიგად, ნუთუ თქვენი აზრით, არავითარი ბოროტება არ იქნება, თუ მოსპობ ანდა დაარღვევ ამ ბუნებრივ კავშირს, შეურევ მას სხვა სისხლს და შეურყევ სწორედ იმ საფუძვლებს, რომელთაც ემყარება ურთიერთლტოლვა და მიდრეკილება? ყოველ წესიერ ადამიანს შეაშფოთებს ის ამბავი, გაძიძავებული ბავშვი რომ შეუცვალონ; განა ნაკლები დანაშაულია ბავშვის შეცვლა დედის საშოში!

რა უბედურებას გვიქადის ქალთა ის უზნეო ყოფაქცევაც, რასაც თითქოსდა არ მოაქვს ბოროტება! განა ბოროტებაა არაა თავად შემცოდნე ქალის გარყვნილება, – ნამუსის დაკარგვასთან ერთად მას ხომ უმალვე ხელიდან ეცლება ყველა სხვა სათნოებაც. მოყვარული ქმარი მრავალი სარწმუნო ნიშნისდა მიხედვით ხვდება კავშირის ამბავს, რის გამართლებასაც იმით ცდილობენ, ეს არავისათვის არაა ცნობლიო. ხომ ხელადვე შეიძლება დავინახოთ, ცოლმა გული რომ აიყარა ქმარზე. განა რას მიაღწევს იგი მზაკვრული ოინბაზობის ფასად: მხოლოდ და მხოლოდ უფრო მთლიანად გამოამჟღავნებს თავის გულგრილობას! მოტრფიალე თვალთამზერას ვერ აცდუნებ თითლიბაზური ხვევნა-ალერსით! ხოლო რა ტანჯვა-წამებას განიცდი საყვარელ არსებასთან ერთად ყოფნისას, უკეთუ მისი ხელები გელაციცებიან, გული კი უცხოა შენთვის! ვთქვათ, რომ ბედი ხელს შეგვიწყობს საიდუმლოს დაფარვაში, რაც ძლიერ იშვიათად ხდება. ერთი წუთით დავივიწყოთ, რაოდენ სახიფათოა მცდელობა შევინარჩუნოთ ჩვენი ყალბი უმანკოება და ახლობელი ადამიანის ნდობა ათასგვარი ხრიკებით, ზენაარსს ხშირად სამზეოზე რომ გამოაქვს. მაგრამ რაოდენი სიყალბე, სიცრუე და ვერაგობაა საჭირო, რათა დავფაროთ სამარცხვინო კავშირი, გავაცუროთ ქმარი, მოვისყიდოთ ფარეშები, მოვატყუოთ საზოგადოება! ო, რა სამარცხვინო ამბავია თანამზრახველთათვის! რა მაგალითია შვილებისათვის! რა ეშველება მათი აღზრდის საქმეს, როცა მარტოოდენ შენი ავხორცული ნდომა-სურვილის დაკმაყოფილება გწადია! რა მოუვა მყუდრო ოჯახურ კერას და ცოლქმრულ თანხმოვანებას? ეს როგორ ხდება? და განა ყოველივე ეს არ ავნებს მეუღლეს? ვინ დააჯილდოებს გულის დაკარგვის გამო, რაიც მას უნდა ეკუთვნოდეს? ვინ დაუბრუნებს პატივისცემის ღირს ცოლს? ვინ მისცემს სიმშვიდესა და მოსვენებას? ვინ გამოიხსნის სამართლიან ეჭვთა ბრჭყალებიდან? ვინღა აიძულებს მამას მიენდოს თავის მშობლიურ გრძნობათ, როცა გულში იხუტებს თავის შვილს?

ამბობენ, ვითომც ღალატი და მრუშობა ოჯახებს ერთმანეთს აკავშირებსო, მაგრამ კაცმა რომ თქვას, ეს მტკიცე საბუთი როდია, არამედ უხეირო და ტლანქი ლაზღანდარობა, რასაც მხოლოდ და მხოლოდ ზიზღითა და აღშფოთებით უნდა გავცეთ პასუხი. ღალატი, ჩხუბი, კინკლაობა, მკვლელობა, მოწამვლა, რითაც გარყვნილება ყოველ დროსა და ჟამს ავსებდა დედამიწის ზურგს, საკმაოდ მკაფიოდ წარმოგვიჩენს, თუ როგორ უქადის საფრთხეს ადამიანთა სიმშვიდესა და თანხმოვანებას დანაშაულით ნასაზრდოები სიყვარული. თუკი ამ საზიზღარ და საძულველ ურთიერთკავშირთა მეოხებით

წარმოიქმნება კიდეც რაღაც გაერთიანება, მაშინ იგი დაემსგავსება ავაზაკთა ბრბოს, რომელიც უნდა განადგურდეს და მოისპოს, რამეთუ უშიშარვყოთ კანონიერი საზოგადოების არსებობა.

მე ვიოკებ ასეთი წესებით შთაგონებულ გულისწყრომას, რათა თქვენთან ერთად გულდამშვიდებით განვსაჯო ისინი. რაც უფრო უსაზმნონი არიან ეს წესები, მით უფრო ნაკლები უფლება მაქვს უგულებელვყო შემთხვევა მათ გასაქარწყლებლად და სირცხვილის ოფლში უნდა ვიწურებოდე, ასე გულაუზიზღებლად რომ ვაპყრობდი მათ ყურს. როგორცა ხედავთ, ისინი ვერ უძლებენ კეთილგონიერების მიერ მათთვის მოწყობილ გამოცდას. მაგრამ სად უნდა ვეძიოთ ეს კეთილგონიერება, თუ არა იქ, რაც წარმოადგენს მის პირველწყაროს! და რაიღა უნდა ვიფიქროთ მათზე, ვინაც ადამიანთა დასაღუპავად იყენებს მის ნიჭიერებას – ღვთაებრივ ლამპარს, სწორი გზის ჩვენება რომ მართებს. მაშ, ვუფრთხილდეთ ფილოსოფიურ რატრატს, ვუფრთხილდეთ ყალბ სათნოებას, რომლის მეოხებითაც ძირს უთხრიან ყველა ქველკეთილ საქმეს და ცდილობენ გაამართლონ ყოველნაირი ბიწიერება, შემდეგ უფლებამოსილად რომ ჩაეფლონ შიგ. სიკეთის მოპოვების საუკეთესო საშუალება მისი გულწრფელი ძიებაა; და თუკი ასე მოძებნი მას, მაშინ მალე აღევლინები სულით ცისა და ქვეყნის გამჩენთან. ჩემი აზრით, სწორედ აი ეს მემართება მეც იმ დღიდან, რაც შევუდექი ჩემი გრძნობებისა და ზრახვათა განსპეტაკებას; ხოლო თქვენ ჩემზე უკეთ ჩაიდენთ ამ საქმეს, როგორც კი იმავე გზას დაადგებით. როგორ მიქარვებს დარდს იმაზე ფიქრი, რომ თქვენ ხშირ-ხშირად ასაზრდოებდით ჩემს სულს უზეშთაესი რელიგური იდეებით, – თქვენს გულს ხომ არაფერი გააჩნდა ჩემგან დაფარული და ასე არ ილაპარაკებდით ჩემთან, სხვაგვარად რომ გეფიქრათ. მეჩვენება კიდეც, ასეთი საუბრები სასიამონი იყვნენ ჩვენთვის. მამაზეციერის სიახლოვე აროდეს ყოფილა ჩვენთვის სამძიმო; ის შიშით კი არა, იმედით აღავსებდა ჩვენს გულს, – იგი ხომ მხოლოდ და მხოლოდ ავკაცის სულს სცემს თავზარს და შეაძრწუნებს. გვიხაროდა, რომ ის იყო ჩვენი საუბრების მოწმე და ორნივ ერთად სულით აღვევლინებოდით მასთან. ხანდახან სირცხვილით მოყივნებულნი, ჩვენ-ჩვენი უილაჯობის გამოგლოვებისას ვეუბნებოდით ერთმანეთს: «სანუგეშოდ ისღა გვშთენია, რომ უფალი ღმერთი ყველაფერს ხედავს ჩვენს გულში», – და ეს ამბავი ცოტათი გვაშოშმინებდა.

უკეთუ ასეთი სიმშვიდის გამო შევცოდეთ კიდეც, მაშინ თავად რწმენამ უნდა დაგვაბრუნოს ჭეშმარიტ გზაზე. სამარცხვინოა, თავის თავთან მარადჟამს გათიშულად იცხოვროს ადამიანმა, ერთი წესის მიხედვით იმოქმედოს, მეორეთი შეიგრძნოს; იმსჯელოს ისე, თითქოს უხორცო იყოს, მოიქცეს იმგვარად, თითქოს არ გააჩნდეს სული, და რასაც ჩაიდენს ცხოვრებაში, არ შეუთანხმოს თავის თავს, როგორც მთლიან არსებას. ასე მგონია, ჩვენი წინანდელი წესები ადამიანს აკაჟებენ, თუკი მარტოოდენ ფუჭ თეორიებად არ დარჩებიან. სისუსტე და უილაჯობა მოსდგამს ადამიანს, და მისი შემქმნელი მოწყალე ღმერთი უეჭველია მიუტევებს ამ სისუსტეს; ოღონდ დანაშაულს მხოლოდ ავაზაკი სჩადის და უზენაესი მსაჯულის რისხვას ვერასოდეს ვერასგზით ვერ აიცდენს. ურწმუნო, მაგრამ ზნეკეთილი ადამიანი ემსახურება მისთვის სანუკვარ სათნოებას, სჩადის სიკეთეს თავგუნებობით და არა მრწამსის მიხედვით, ძალდაუტანებლად ემორჩილება თავის სინდისიერ მიდრეკილებათ, მაგრამ დაემორჩილებოდა არასინდისიერ გულისთქმასაც, რამეთუ აბა რად შეიზღუდავს თავს? ვინც აღიარებს მამაზეციერს და ემსახურება მას, იგი ხედავს თავისთვის უფრო მაღალ მოწოდებას, მას აღაფრთოვანებს მგზნებარე სურვილი მიჰყვეს მის გზას და დაემორჩილოს კანონს, ჩვენს მიდრეკილებებზე უფრორე საიმედო ხელმძღვანელს. მას შესწევს უნარი, ყოველი ღონე იხმაროს სიკეთის ჩასადენად და მოვალეობის გამო დათმოს გულისთქმანი. ასეთია, ჩემო მეგობარო, სასახელო მსხვერპლი,

რისთვისაც მოწოდებული ვართ ორივენი. ჩვენმა შემაკავშირებელმა სიყვარულმა მთელი ცხოვრება გაგვიცისკროვნა, არ ჩაფერფლილა მაშინაც კი, როს გადაგვავიწყდა ყველა იმედი, სძლია დრო-ჟამი და განშორება, გადაიტანა ყოველი განსაცდელი. ესოდენ უმწიკვლო გრძნობა არ უნდა დაიღუპოს, – იგი სათნოების საკურთხეველზე ატანის ღირსია.

უფრო მეტსაც გეტყვით. ჩვენი ურთიერთობა სხვანაირი შეიქნა, მაშ, ჩვენი გულებიც სულ სხვაგვარნი უნდა გახდნენ – ასეა საჭირო. ჟიული დე ვოლმარი თქვენი წინანდელი ჟიული როდიღაა. თქვენი სიყვარული მის მიმართ უნდა შეიცვალოს, ეს გარდაუვალი ამბავია. თქვენს წინაშეა არჩევანი: გახდეთ ბიწიერებისა თუ სათნოების მსახური. მახსენდება ნაწყვეტი ერთი მწერლის ნაწარმოებისა, ვის სიტყვებსაც სადავოდ არ გავხდით: «როგორც კი სიყვარულს მოაკლდება ღირსება, იგი დაკარგავს კიდეც თავის ყველაზე უდიდეს სიმშვენიერეს. სიყვარულის ფასის მთელი სიდიადე რომ შევიცნოთ, გული დღენიადაგ უნდა გრძნობდეს მისდამი აღტაცებას და აღგვამაღლებდეს თავად ჩვენაც, შარავანდედით ჰმოსავდეს ჩვენს სატრფიალო საგანს. წარსტაცეთ მას სრულქმნილების იდეა და თქვენ აღუკვეთთ აღტაცების უნარსაც; მოუსპეთ პატივისცემა და სიყვარულისაგან ხელთ აღარაფერიღა შეგრჩებათ. და განაღა-თუ შეუძლია ქალს პატივი სცეს თავისი თავის გამბახებელ ადამიანს? და ნუთუ ძალუძს მამაკაცს, ეთაყვანოს ქალს, რომელიც დანებდა საზიზღარ მაცდუნებელს? მაშასადამე, ძალიან მალე ისინი შეიძულებენ ერთმანეთს; მათთვის სიყვარული სამარცხვინო კავშირად გადაიქცევა. ისინი დაკარგავენ პატიოსნებას და ვეღარც ნეტარებას ეწევიან».[77] აი, თქვენი რჩევა-დარიგებანი, ჩემო მეგობარო, თავად თქვენვე შთამაგონეთ ისინი. ჩვენს გულში არასოდეს ყოფილა ასეთი უზენაესი ურთიერთსიყვარული, არასოდეს ისე არ დაგვიფასებია პატიოსნება, როგორც იმ ბედნიერ დრო-ჟამს, როცა ის წერილი იწერებოდა. აბა ერთი იფიქრეთ, სად მიგვიყვანდა ახლა უაღრესად აღმაფრთოვანებელი აღტაცებით ნასაზრდოები ცოდვით აღსავსე ავხორცობა, რაც ესოდენ გვაჯადოებდა! ბიწიერების ზიზღი, რაც ასე ბუნებრივი იყო ორივესათვის, მალე გავრცელდებოდა დანაშაულის თანამზრახველზეც, – ჩვენ შევიძულებდით ერთიერთმანეთს იმის გამო, რომ მეტისმეტად ვიყავით გამიჯნურებულნი, ხოლო სიყვარული ჩაქრებოდა სინდისის ქენჯნისაგან. იქნებ სჯობდა კიდეც ჩვენი ძვირფასი გრძნობის განსპეტაკება, რათა უფრო მტკიცე გამხდარიყო იგი? უმჯობესი ხომ არ იქნებოდა მარტოოდენ იმის შენარჩუნება, რაც შეეხამება უმანკოებას? ხოლო ეს ნიშნავს – მთელი მისი სიმშვენიერის შენარჩუნებას. დიახ, ჩემო საყვარელო და ღირსეულო მეგობარო, ჩვენი სამარადჟამო ურთიერთსიყვარულის გულისათვის ხელი უნდა ავიღოთ ერთმანეთისაგან, დავივიწყოთ ყოველივე დანარჩენი – იყავ მიჯნური ჩემი სულისა. ეს საამური აზრი მიქარვებს მთელ ჩემს სევდასა და დარდს.

აი, ჩემი ცხოვრების ნამდვილი სურათი და გულახდილი აღსარება ყოველივე იმისა, რაც თავს გადამხდა. დამშვიდდით, მიყვარხართ წინანდებურად. თქვენი სიყვარულის გრძნობა ისე ნაზია და ჯერ კიდევ იმგვარად ცხოველმყოფელი, რომ სხვა ქალს უთუოდ შიში შეიპყრობდა; მე კი არაფერი მაქვს საშიშარი – ჩემთვის ხომ სულ სხვა გრძნობაა ცნობილი. სიყვარულმა გამოიცვალა თავისი ბუნება; სწორედ ამიტომაც წარსულის ცდომილებანი ჩემი ახლანდელი მშვიდობიანი მდგომარეობის ბურჯია. ცხადია, უზადო წესიერება და ყალბი სათნოება უფრო მეტს მოითხოვდნენ და საწყენად დაურჩებოდათ ის ამბავი, მთლად რომ არა ხართ დავიწყებული. მაგრამ ასე მგონია, უფრო სანდო წესით ვხელმძღვანელობ და მას აღარ დავთმობ-მეთქი. იდუმალად ვუსმენ ჩემი სინდისის ხმას, – იგი არაფერს მისაყვედურებს, ხოლო სინდისი ხომ არასოდეს მოატყუებს ადამიანს,

[77] იხ. პირველი ნაწილი, XXIV წერილი.

რომელიც გულწრფელად გამოელის მისგან რჩევა-დარიგებას. დაე, არ იყოს ეს საკმარისი ხალხის თვალში ჩემს გასამართლებლად, სამაგიეროდ საკმაოა, რომ სულის სიმშვიდე მომაპოვებინოს. მაშ, როგორ მოხდა ესოდენ საბედნიერო ცვლილება? არაფერიც არ გამეგება. მხოლოდ ერთი რამ კი ვიცი: სულ მის ნატვრაში ვიყავ, დანარჩენი უფალმა ღმერთმა აღასრულა. ასე ვფიქრობდი, ცოდვის ჩამდენი ადამიანი სამარადჟამოდ ცოდვილი იქნება-მეთქი და თავისი ნება-სურვილით აღარ დაუბრუნდება სიკეთეს, მხოლოდ რაიმე მოულოდნელი ამბავი, ბედისა თუ მდგომარეობის უეცარი ცვალებადობა თუ შეუცვლის მთელი ცხოვრების მსვლელობასა და მძაფრი ვაი-ვაგლახით თუ აღუდგენს სულიერ წონასწორობას-მეთქი. როდესაც ყოველივე დაჩვეულს ბოლო მოეღება და ყველა გრძნობა ფერს იცვლის, ამ თავზარდამცემ ვითარებაში კვლავ მოიპოვებ შენს ნამდვილ იერს და თითქოს ბუნების ხელთაგან ახლახან გამოსულ ახალ არსებად იქცევი. აქ კი წინათ ჩადენილ სამარცხვინო საქციელთა მოგონებებს ძალუძთ აგვარიდონ ახალ-ახალი შეცოდება. გუშინ შენ თავხედი და უძლური იყავი, ახლა კი მძლავრი და კეთილშობილი ხარ. როცა თვალნათლივ ხედავ, თუ როგორია შენი წინანდელი და ახლანდელი მდგომარეობა, მაშინ უფრო ცხადად ხვდები, რა სიმაღლესაც აფრენილხარ და კიდევ უფრო გულმოდგინედ ცდილობ, აღარ დაეშვა ძირს. სწორედ რაღაც იმის მსგავსი, რის ახსნასაც აქ ვაპირებ შენთვის, შემემთხვა ქმრის ხელში. ის კავშირი, რომელიც ასე მაშინებდა, მათავისუფლებს ბევრად უფრო საშინელი მონობისაგან – ქმარმა დამიბრუნა ჩემი თავი და უფრო ძვირფასი გახდა ჩემთვის.

ნამეტნავად მჭიდრო იყო მე და თქვენი კავშირურთიერთობა – იგი არ დაირღვევა, თუნდაც შეიცვალოს კიდეც თავად მისი არსება. თქვენ კარგავთ უნაზეს სატრფოს, სამაგიეროდ იძენთ ერთგულ მეგობარს; და როგორი თვალითაც უნდა გვეცქირა ამისათვის მაშინ, როს თავს ვიტყუებდით, მერწმუნეთ, თქვენთვის ასეთი ცვლილება უსარგებლო როდია. გაფიცებთ, მიიღეთ ჩემებრი გადაწყვეტილება, რათა გახდეთ უფრო უკეთესი და კეთილგონიერი და ქრისტიანული მორალის მეოხებით განიწმინდოთ ფილოსოფიის გაკვეთილებისაგან.

ბედნიერად ვერ ვიგრძნობ თავს, უკეთუ თქვენც არ იქნებით სვებედნიერი, ხოლო ძალიან კარგად ვიცი, რომ უსათნოებოდ არ არსებობს ბედნიერება. უკეთუ ნამდვილად გიყვარვართ, მაშინ სანეტარო ნუგეშსა ვპოვებ გულთა ჩვენთა თანხმოვანებაში, რომელნიც კვლავ ეზიარნენ სიკეთეს, – ეს თანხმოვანება კი ახლა არა ნაკლებ სრულია, ვიდრე წინათ, როცა ეს გულები სცოდავდნენ.

ვგონებ, ჩემი გრძელი წერილისათვის თავის მართლება ზედმეტია. ასე ძვირფასი რომ არ ყოფილიყავით ჩემთვის, უფრო მოკლე იქნებოდა. ვამთავრებ და ერთ რამეს გენუკვით, საშინელი ტვირთი მიმძიმებს გულს. ბატონმა ვოლმარმა არ იცის ჩემი წარსული, ხოლო უსაზღვრო გულახდილობა აუცილებელი პირობაა ერთგულებისა, რაიც შევფიცე მას. ბევრჯერ მინდოდა ყველაფერი მეთქვა მისთვის, მაგრამ როგორც კი თქვენ გამახსენდებით, მყისვე თავს ვიოკებ. თუმცა ბ-ნი ვოლმარი კეთილგონიერი და თავდაჭერილი კაცია, მაგრამ თქვენ რომ დაგასახელოთ, მაინც უხერხულ მდგომარეობაში ჩაგაყენებთ, – არ მინდა თქვენზე ვილაპარაკო თქვენთან შეუთანხმებლად. იქნებ ჩემი თხოვნა თქვენთვის არასასიამოვნო იყოს, და მეც თავდაჯერებულად მაქვს თქვენი იმედი და ჩემიც, როცა თქვენს თანხმობას ვეიმედები. მაგრამ გემუდარებით, იცოდეთ, ამ საიდუმლოს დაფარვა არ იქნება, დღითი დღე სულ უფრო და უფრო მაძრწუნებს იგი და სანამდისაც თქვენგან პასუხს არ მივიღებ, ერთი წუთითაც მოსვენება არ მექნება.

XIX წერილი
პ ა ს უ ხ ი

მაშ აგრეა განა, თქვენ უკვე აღარა ხართ ჩემი ჟიული! აჰ, ნუ მეტყვით ამას, ო ესოდენ პატივსაცემო და ღირსეულო ბანოვანი! კვალად იგივე ხართ, ჩემი ჟიული, მხოლოდ კიდევ უფრორე აღმატებულად, ვიდრე წინათ იყავით. თქვენ თაყვანს უნდა გცემდეთ მთელი სამყარო. მე გაღმერთებდით, როგორც ნამდვილი სილამაზის იდეალს, და ამ გაღმერთებას ჩემი სიკვდილის შემდეგაც არ მოვიშლი, – თუკი სული ჩემი შეინარჩუნებს ჭეშმარიტ ღვთაებრივ ნაკვთთა ხსოვნას, ასე რომ აღმიტაცებდნენ სიცოცხლეში. ძლიერებითა სულისა, რაც კვალად გიბრუნებს სათნოებას, მოიპოვებ თავსა შენსა. დიახ ასე, ჟიული ჩემო, აროდეს ყოფილხარ ეგრეთი თვალწარმტაცი, როგორადაც იმ წუთს, ოდეს ხელი ამაღეთ, თუმცა ამის შეგნება და თქმა ჩემთვის საშინელი ტანჯვა-წამებაა. ვაიმე საწყალს! თქვენი დაკარგვით კვლავ მოვიპოვე თქვენი თავი. მე კი გულის ფანცქალით ვფიქრობდი, თქვენს მაგალითს მივბაძავ-მეთქი, მაგრამ ატანილი ვარ დანაშაულებრივი ვნებით, რასაც ვერ დავძლევ და ვერ გადავიტან. ნუთუ სწორედ ის ადამიანი ვარ, რადაც მიმაჩნდა ჩემი თავი წინათ? ეს როგორ მოხდა, რომ თქვენ მოგწონდით? რა უფლებით გაბეზრებდით თავს ჩემი წუწუნით, ჩემი უსასოებით! და კვლავ ვბედავდი გაგმიჯნურებოდით! მე, უმაქნისი, თქვენ გეტრფოდით!

უგუნურო ჩემო თავო! საკმაო დამცირება მარგუნა ბედმა, – რად უნდა ვეძიო კვლავ ახალ-ახალი შერცხვენა და თავის მოჭრა! აბა, რად ჩამოვთვალო სიყვარულისგან არადმიჩნეული განსხვავებანი! ტრფიალებამ აღმამაღლა და გავხდი თქვენი ჯუფთი და სწორი. მისი გიზგიზა ცეცხლი მამხნევებდა მე. ჩვენი გულები ერწყმოდნენ ერთმანეთს. ერთსა და იმავე გრძნობებს ვმონებდით და თქვენთა გრძნობათა სიდიადე გადაედებოდა ჩემს გრძნობათ, მაგრამ აი, კვლავ ბოლო მომეღო! სამარადჟამოდ ჩაქრი შენ, სასიამტკბილო იმედო, ჩემს სულს რომ ასაზრდოებდი და ასე ხანგრძლივ მაცდუნებდი! ჟიული აღარ იქნება ჩემი, სამუდამოდ დავკარგე იგი! ახლა სხვას აბედნიერებს! ო, რა სატანჯველია! ო, ჯოჯოხეთის გეენავ! ოი, შე ურჯულო, ვით ჩაიდინე ეგ საქმე?... მომიტევეთ, მომიტევეთ, ქალბატონო! შეიბრალეთ უგუნური ადამიანი! ოი, უფალო! დიახ, თქვენ მართალი ხართ, იგი უკვე აღარ არსებობს... აღარ არის ის ტკბილი ჟიული, რომელსაც ვანდობდი ყველა ჩემს გრძნობათ! ეს როგორ მოხდა! თავი უბედურად მიმაჩნდა და შემეძლო დამეჩივლა... ის კი ყურს მიპყრობდა! თუ მაშინ უბედური მეთქმოდა, ახლა რაღა უნდა ვუწოდო ჩემს თავს! არა, აღარ ჩაგაგდებთ სირცხვილში არც თქვენთვის, არც ჩემს გამო. ყველაფერი გათავდა. მაშ, განვუდგეთ ერთმანეთს და დავშორიშორდეთ. თავად სათნოებამ გამოიტანა ეს განაჩენი. თქვენმა ხელმა აუთრთოლებლად დაწერა იგი. დავივიწყოთ ერთმანეთი... ყოველ შემთხვევაში, თქვენ უნდა დამივიწყოთ მე. გეფიცებით, ასე გადავწყვიტე – ჩემს თავზე ამის მეტს აღარაფერს ვიტყვი.

ხოლო, ძალმიძს თუ არა კვლავ ვილაპარაკო თქვენზე და ვიზრუნო თქვენს კეთილდღეობაზე – ესაა ერთადერთი ნუგეში, რაც შემომრჩა ამ წუთისოფელში. თქვენ მამცნეთ თქვენი სულიერი გუნება-განწყობილება, მაგრამ კრინტიც არ დაგიძრავთ თქვენი ხვედრის გამო. აჰ, თქვენთვის გაღებული მსხვერპლის გულისათვის, გემუდარებით, დამიფარეთ აუტანელი გამტანჯველი ეჭვნეულობისაგან. ხართ თუ არა ბედნიერი, ჟიული? თუკი ბედნიერი ხართ, მაშინ მარტოოდენ ეს მანუგეშებს უსაშველო სასოწარკვეთის ჟამს, და თუ არა, მაშინ გევედრებით, გამანდეთ ეს ამბავი და დიდხანს აღარ გავიტანჯავ თავს.

რაოდენ უფრორე ვუფიქრდები თქვენგან განზრახულ აღიარებას, მით უფრო ნაკლებ უფლებას ვანიჭებ თავს, დასტური დაგცეთ, და მტკიცე და უდრეკი გახლავართ იმ

მიზეზით, რის გამოც არასოდეს შემეძლო რაიმეზე უარი მეთქვა თქვენთვის. ეს მიზეზი ესოდენ მნიშვნელოვანია, რომ გაფიცებთ, კარგად აწონ-დაწონოთ ყველა ჩემი მოსაზრება. ჯერ ერთი, მე მგონია, რომ ცდებით თქვენივე ნამეტნავი წესიერების გამო, – მერედა უაღრესად მკაცრ სათნოებასაც რა უფლებით შეუძლია ასეთი აღსარების მოთხოვნა! ამქვეყნად არც ერთ ვალდებულებას არ გააჩნია უკუქმედების ძალა – შეუძლებელია პასუხი აგო წარსულის გამო, როგორც არ შეიძლება დაჰპირდე კაცს ის, რაც არ განხორციელდება. მაშ, რად უნდა ჩააბაროთ ქმარს იმის ანგარიში, თუ როგორ სარგებლობდით თქვენი თავისუფლებით, თქვენი ერთგულებით, რასაც ჯერ არც კი დაჰპირებიხართ მას? თავს ნუ მოიტყუებთ, ჟიული, – ქმარს როდი უღალატეთ, თქვენ მიჯნურის ღალატში მიგიძღვით ბრალი. ზენამ და ბუნებამ შეგვაკავშირა ჩვენ ულმობელი მამათქვენის ჩარევამდე დიდი ხნით ადრე. როცა სულ სხვაგვარ კავშირს დაყაბულდით, სწორედ მაშინ ჩაიდინეთ დანაშაული, რასაც ალბათ არ გაპატიებთ არც სიყვარული, არც ღირსება და პატიოსნება. ეს მე მაქვს უფლება მოვითხოვო, რათა დამიბრუნონ ბ-ნი ვოლმარისაგან მიტაცებული საუნჯე.

უკეთუ ზოგჯერ მოვალეობა გვიკარნახებს კიდეც ასეთ აღიარებას, ეს მხოლოდ და მხოლოდ მაშინ ხდება, როცა განმსჯელი ქალი იშიშვის, ვაითუ მეორეჯერ დავიღუპოო და საკუთარი თავისაგან დამფარველსა და მწეს ეძიებს. მაგრამ თქვენი ნამდვილი გრძნობების გამო თქვენმა წერილმა უფრო მეტი მომითხრო, ვიდრე ფიქრობთ: მისი წაკითხვისას კარგად მივხვდი, რომ მზად იყავით ჯერ კიდევ სიყვარულის ჟამს შეგძაგებოდათ ბოროტეული კავშირი და მხოლოდ განშორებამ გვიხსნა მთელი ამ საშინელებისაგან.

არც მოვალეობა, არც სულიერი კეთილშობილება არ მოითხოვენ თქვენგან ამ აღიარებას, ხოლო გონება და წინდახედულება კრძალავენ ამას, – თორემ ამაოდ ზიანს მოუტანთ იმას, რაც ყველაზე უძვირფასესია ქორწინებაში – ქმრის სიყვარულს, ურთიერთნდობას, ოჯახური კერის სიმყუდროეს. კარგად მოიფიქრეთ თუ არა ეს ნაბიჯი? განა ესოდენ კარგად იცნობთ თქვენს ქმარს, რომ მოსალოდნელი შედეგი არ გაღელვებთ? ასეთი აღსარების მოსმენისას ბევრ მამაკაცს ხომ გათანგავდა დაუოკებელი ეჭვიანობა, უსაშველო სიძულვილი და ალბათ ხელყოფდა კიდეც ქალის სიცოცხლეს! ესოდენ მძაფრი გამოცდისათვის ანგარიში უნდა გაეწიოს დროს, ადგილსა და ადათ-წესებს. იმ ქვეყანაში, სადაც მე ვიმყოფები, მსგავსი აღსარებანი არაა სახიფათო და ისინიც, ვინც ქარაფშუტულად ეპყრობა ცოლქმრულ ერთგულებას, დიდ მნიშვნელობას როდი ანიჭებენ ქორწინებამდე ჩადენილ შეცოდებებს. ზოგჯერ ასეთი აღიარებანი საჭიროა განსაკუთრებულ მიზეზთა გამო, რაც თქვენ არ გაგჩენიათ. ისეც ხდება რომ ნამდვილად სალახანა დედაკაცები, ასეთი ყოვლად ძალდაუტანებელი გულახდილი აღიარების მეოხებით ქმრის თვალში მაღლდებიან და ამით მოიპოვებენ ნდობას, რისი ბოროტად გამოყენება შეიძლება კიდეც საჭიროებისამებრ. მაგრამ იმ ქვეყნებში, სადაც ქორწინების სიწმინდეს უფრო მეტად პატივსა სცემენ და იმ ქვეყნებშიც, სადაც ეს წმინდა კავშირი მყარია, თავიანთ მეუღლეთა მოყვარული ქმრები უფრო მკაცრად სთხოვენ ხოლმე მათ ანგარიშსა და სურთ, რათა ცოლებს უყვარდეთ მხოლოდ ქმრები და მანამდე არასოდეს განეცადოთ სხვა გრძნობა. ისინი სავსებით უსაფუძვლოდ ჩემულობენ უფლებას მოითხოვონ, რათა ცოლები ჯერ კიდევ ქმრებთან შეხვედრამდე მარტოოდენ მათთვის იყვნენ წინასწარ განკუთვნილნი და ისევე არ აპატიებენ თავისუფლებისჟამინდელ გატაცებებს, როგორც ვერ მიუტევებდნენ ღალატს ქორწინების შემდეგ.

მერწმუნეთ, სათნო ჟიული, უფრთხილდით უნაყოფო და ამაო გულმოდგინებას. დაიმარხეთ ეგ სახიფათო საიდუმლოება, – ხომ არავინ გატანთ ძალას აღიარებისათვის, ხოლო ამას შეუძლია თქვენი დაღუპვა და არავითარ სარფას არ მოუტანს თქვენს ქმარს. ასეთი ნდობის ღირსიც რომ იყოს, ჩავარდება სადარდებელში და თქვენც ამაოდ

შეაჭირვებთ მას. თუკი არაა ამის ღირსი, მაშინ რად უნდა მისცეთ დანასისხლობის საბაბი! ნეტავი ვინ იცის, მუდმივ ოჯახურ აყალმაყალშიც ხელს შეგიწყობთ თუ არა თქვენს საკუთარ გულთან ბრძოლისას ეგ თქვენი შემწე სათნოება? ნუ გაიარჯლებთ თქვენს ვაი-ვარამს, უფრთხილდით, არ იავარჰყონ თქვენი მხნეობა და თქვენი ნამეტნავი წესიერების გამო როგორმე არ ჩავარდეთ უარეს მდგომარეობაში, ვიდრე ის ვაი-ვაგლახი იყო, ასეთი გაჭირვებით რომ დააღწიეთ თავი. კეთილგონიერება ყოველი სათნოების საფუძველია. გეფიცებით, თქვენი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან შემთხვევაში იხელმძღვანელეთ ამ სათნოებით. თუკი საბედისწერო საიდუმლოება ასე სასტიკად გიმძიმებთ სულს, მაინცდამაინც, აღიარებით მაშინ მოჰგვარეთ გულს შვება, როცა დრო-ჟამისა და წლების დახმარებით უკეთ გაიცნობთ ქმარს და მაშინ მის გულს მოინადირებს არა მარტო თქვენი სილამაზე, არამედ თქვენი სულიერი სიმშვენიერეც და თქვენთან ყოფნის სასიამტკბილო ჩვევაც. და ბოლოს, უკეთუ ყველა ეს მტკიცე საბუთი ვერ დაგარწმუნებთ, მაინც ყურად იღეთ ისინი თუნდაც მისი გულისთვის, ვინც ამას გამოთქვამს. ო, ჟიული! დაუჯერეთ ადამიანს, ვისაც შესწევს უნარი იყოს ქველკეთილი; რომელიც ღირსია, რათა მისთვის გაიღოთ თუნდაც რაიმე მსხვერპლი იმის სანაცვლოდ, რასაც ამჟამად შემოგწირავთ.

დროა დავამთავრო წერილი. ვიცი, ვერ დავიოკებ იმ კილოს, რასაც თქვენ ყურს ვეღარ დაუგდებთ. უნდა დაგტოვოთ, ჟიული! როგორი ჯეელი ვარ და ბედნიერებას კი ხელი უნდა შევუშვა! ო, სამუდამოდ გაფრენილო დროო, სამუდამოდ დაკარგულო დრო-ჟამო, – დაუსაბამო სინანულთა სათავევ! სიამტკბილობავ, ვნებათა გიჟურო ლტოლვავ, სანეტარო აღტაცებავ, აღმაფრთოვანებელო წუთებო, ღვთაებრივო ნეტარებავ! სიყვარულო ჩემო, ჩემო ერთადერთო ტრფიალებავ, სიცოცხლის ჩემის ღირსებავ და სიხარულო! სამარადჟამოდ გემშვიდობებით.

XX წერილი
ჟ ი უ ლ ი ს ა გ ა ნ

თქვენ მეკითხებით, ბედნიერი ხარ თუ არაო? ეს შეკითხვა მაღელვებს მე და ამ შეკითხვით მეხმარებით კიდეც პასუხის მოსაცემად, ვინაიდან როდი მსურს ყოვლივე მივცე დავიწყებას. და გამოგიტყდებით, ბედნიერად ვერ ჩავთვლიდი თავს, ჩემზე ხელი რომ აგეღოთ. მაშ ასე, ბედნიერი ვარ ყოველნაირად, მხოლოდ ჩემს ბედნიერებას აკლია მარტოოდენ თქვენი ბედსვიანობა. წინანდელ წერილში მეწადა, არ მეხსენებინა ბ-ნი ვოლმარი. ამით დაგინდეთ. კარგად ვიცი, რა გრძნობიერი გულის პატრონიცა ხართ და ვშიშობ, არ გავაარჯლო თქვენი ტანჯვა-წამება. მაგრამ თქვენ გაღელვებთ ჩემი ხვედრი და მეც იძულებული ვარ გიამბოთ, თუ ვისზედან ჰკიდია ეს ხვედრი, მოგითხროთ მისი შესაფერი კილოთი, როგორც შეშვენის მის ცოლსა და ნამდვილ მეგობარს.

ბატონი დე ვოლმარი თითქმის ორმოცდაათი წლის კაცია. მშვიდი, ზომიერი ცხოვრებისა და სულიერი უშფოთველობის წყალობით შეინარჩუნა ჯანი და სიჭარმაგე, – გარეგნულად ორმოცი წლისაც არ გეგონებათ. მის ხანდაზმულობას მიგახვედრებს მხოლოდ ცხოვრებისეული გამოცდილება და კეთილგონიერება. თვალ-ტანად ძალზე კეთილშობილია და სანდომიანი, უბრალო და გულითადი ქცევა-ხასიათი აქვს. მიხრა-მოხრა ამჟღავნებს, ზრდილობიანი რომაა და არა მორჩილი. ცოტას ლაპარაკობს და მისი სიტყვები ღრმა აზრითაა აღსავსე, მაგრამ არ უყვარს მახვილგონიერებით თავის გამოჩენა და ჭკუის სწავლება. ყველასთან ერთნაირად უჭირავს თავი, ნაცნობობის გაბმას არ

ცდილობს, მაგრამ არც გაურბის და ადამიანებზეც პირუთვნელად მსჯელობს და არა მიკერძოებით.

მგზნებარე ბუნების კაცი როდია, მაგრამ თითქოსდა მამაჩემის განზრახვას ხელი შეუწყოო, გულში ჩავუვარდი და გამიჯნურდა პირველად მის სიცოცხლეში. მისი თავდაჭერილი, მაგრამ მტკიცე გრძნობა ისე შეეფერება მის საუცხოო მანერებსა და იმგვარად დინჯია, რომ არ შეუცვლია თავისი ყოფაქცევის ნირი, როცა ცვლილება მოხდა მის ცხოვრებაში და არაფრით დაურღვევია ქმრის შესაფერისი სიდარბაისლე. ჩვენი ქორწინების შემდეგ ჩემთან წინანდებურად უჭირავს თავი. არაა მხიარული, არც მოწყენილი, ყოველთვის კმაყოფილია, კრინტსაც არა სძრავს თავის თავზე, იშვიათად მახსენებს მეც. ჩემთან საუბარს არ ეძებს, მაგრამ უკმაყოფილებასაც არ გამოთქვამს, უკეთუ საუბარს გავუმართავ და ჩემთან განშორებაც უჭირს. არასოდეს იცინის, დინჯია, მაგრამ როდი მაძალებს, მეც ვიყო დინჯი და დარბაისელი. პირიქით, მისი გულდამშვიდებული მოპყრობა თითქოსდა მაქეზებს სამხიარულოდ. ალბათ, მარტოოდენ ჩემი სიხარულით ხარობს, ვინაიდან ერთ-ერთი მისი მუდმივი საზრუნავი ჩემი გართობაა. ერთი სიტყვით, სურს, ვიყო ბედნიერი. ამას არ მეუბნება, მაგრამ ყველაფერს ვხვდები; ხოლო როცა ცოლის ბედნიერება სურთ, ეს იმას ნიშნავს, რომ უკვე ქმნიან ამ ბედნიერებას.

ყურადღებით ვადევნებდი თვალს, მაგრამ ჩემს მიმართ ლტოლვის გარდა ვერავითარი ნდომა-სურვილი ვერ აღმოვუჩინე. ხოლო ამ ნდომა-სურვილსაც ისე გულდინჯად და თავდაჭერილად ამჟღავნებს, შეიძლება ითქვას, მას უყვარს იმიტომ, რომ მიელტვის სიყვარულს, სიყვარულს კი იმიტომ მიელტვის, რომ ასე უკარნახებს გონება. მართლაცდა სწორედ ისეთია, როგორიც სურს იყოს მილორდ ედუარდს. და ასე მგონია, ამ მხრივ ვოლმარი აღგვემატება ყველა დანარჩენთ – მგრძნობიარე ადამიანებს, რომლებიც ასე გვაფრთოვანებენ თავად. ჩვენ ხომ ათასნაირად გვატყუებს გული და მხოლოდ და მხოლოდ ფრიად საეჭვო წესებით მოქმედებს ხოლმე. მაგრამ გონებას სიკეთის გარდა არავითარი სხვა მიზანი არ გააჩნია, მისი წესებიც მუდამჟამს საიმედოა, მკაფიოა, ადვილია მათი გამოყენება ცხოვრებაში. ის მხოლოდ მაშინა ცდება, როცა განყენებულ მსჯელობას მიჰყოფს ხელს, – რაც გონებისათვის როდია წარმოქმნილი.

დე ვოლმარის საყვარელი საქმიანობაა დაკვირვება. უყვარს ადამიანთა ზნე-ხასიათისა და მათი ყოფაქცევის გამო მსჯელობა. და მსჯელობს კიდეც უაღრესი გამჭრიახობითა და სრული მიუდგომლობით. რომელიმე მოშურნემ რაიმე რომ დაუშაოს, მის ზრახვებსა და საქციელს ისე გულდამშვიდებით და არხეინად განბჭობს, თითქოს ეს სულაც არ ეხებოდეს. არ ვიცი, რა გაიგო თქვენს გამო, მაგრამ უდიდესი პატივისცემით ლაპარაკობდა თქვენზე, თვალთმაქცობა კი კარგად ვუწყი, არ შეუძლია. ზოგჯერ მეგონა, ასეთი საუბრების დროს მე მაკვირდება-მეთქი, მაგრამ უთუოდ შევცდი, რაკი სინდისი მქონდა აფორიაქებული. როგორადაც უნდა იყოს, აქ აღვასრულე ჩემი ვალი – ვერც შიშმა, ვერც სირცხვილმა ვერ მაიძულეს უსამართლო დუმილი და თქვენ საკადრისად მოგიზღეთ, ისე როგორც ჯეროვნად მივაგებ ახლა მასაც.

დამავიწყდა მომეთხრო თქვენთვის ჩვენი შემოსავლისა და მამულის მართვა-გამგეობის ამბავი. ბ-ნი ვოლმარის ავლა-დიდების ნაშთი იმასთან ერთად, რაც მამაჩემმა დაგვითმო, რომელმაც თავისთვის მხოლოდ პენსია დაინარჩუნა, შეადგენს გვარიან, ხოლო არც ესოდენ დიდ ქონებას, რასაც ბ-ნი ვოლმარი განაგებს კეთილწესიერად და გერგილიანად. ფუფუნებას როდი მიელტვის, მაგრამ შეძლებულ და მყუდრო ცხოვრებას კი ეწევა[78] და ეხმარება ჩვენი კუთხის ღარიბ-ღატაკთ. სახლში შემოღებულია სანიმუშო

[78] ამქვეყნად არ მოიძებნება იმაზე უფრო ჩვეულებრივი თანხმოვანება, როგორიცაა ფუფუნებისა და სიძუნწის ურთიერთშეთანხმება. საზოგადოებრივი აზრის გულის მოსაგებად მსხვერპლად სწირავენ ბუნების

წესრიგი, რომელიც მოიცავს მისი გულის შინასკნელს და თითქოს ამ კნინ საგარჯილოში ასახავს მთელი სამყაროს აღნაგობის წესრიგსა და სურათს. აქ არ ხდება წეს-კანონთა ურყევად დაცვა, რაც უფრო მეტად ხელისშემშლელია, ვიდრე სარგებლის მომტანი და მოსათმენია მარტოოდენ მისთვის, ვინც ამას თავს ახვევს სხვას. ვერ ნახავთ სიუხვისაგან წარმოქმნილ უწესრიგობასაც, რის გამოც ყველაფერი უვარგისი ხდება. აქ ყველგან მოჩანს მზრუნველი პატრონის ხელი, მაგრამ ამას ვერა გრძნობ. ბატონმა დე ვოლმარმა იმთავითვე ისე წარმართა საქმე, რომ ახლა ყველაფერი თავისთავად მიმდინარეობს, და ერთსა და იმავე დროს გულს ახარებს წესრიგი და ხალვათობა.

აი, საყვარელო მეგობარო, ბ-ნ ვოლმარის მოკლედ, მაგრამ ზუსტად დახატული ზნე-ხასიათი, რამდენადაც მოვახერხე მისი შეცნობა იმ ხნის მანძილზე, რაც ერთად ვცხოვრობთ. ასეთი მომეჩვენა პირველ დღეს, ასეთივე მგონია ახლაც. ამიტომაც ვიმედოვნებ, კარგად გავიცანი იგი და ვერავითარ ახალს ვეღარ შევიტყობ, ვინაიდან ჩემი აზრით, ბევრს დაკარგავს, თუკი სხვაგვარად მოიქცევა.

ამ სახის წარმოდგენისას თქვენს შეკითხვაზე შეგიძლიათ თავადვე გასცეთ პასუხი – ნამეტნავად უნდა გძულდეთ მე, ბედნიერად რომ არ ჩამთვალოთ, როცა ამდენი საბაბი ჩანს ბედნიერებისათვის.[79] ის აზრი, რომ ბედნიერი ცოლქმრობისათვის საჭიროა სიყვარული, დიდი ხნის მანძილზე მაცდუნებდა მე; თქვენ კი, მერწმუნეთ, ამჟამადაც გაცდენთ. ჩემო მეგობარო, ეს შეცდომაა: მეუღლეთათვის საკმაოა წესიერება, სათნოება და არა იმდენად ქონებისა და ასაკის, რამდენადაც სულისკვეთებისა და ზნე-ხასიათის ერთგვარი შესაბამისობა, რაც ხელს არ უშლის მათ შორის წარმოიქმნას თუმცა სიყვარულის ნიადაგზე აღმოუცენებელი, მაგრამ მაინც საგულისგულო და უფრო ხანგრძლივი ურთიერთობა. სიყვარულს თანა სდევს ხოლმე ეჭვიანობის მარადი ტანჯვა-წამება ან ხელმოკლეობა, შეუფერებელი რომაა ცოლქმრული კავშირისათვის, რაიც გვანიჭებს განცხრომასა და სიმშვიდეს. ადამიანები იმისთვის კი არ შეუღლდებიან, მხოლოდ და მხოლოდ ერთმანეთის გამო იფიქრონ, არამედ ერთობლივად აღასრულონ საზოგადოებისა და ცხოვრების მიერ დაკისრებული მოვალეობა, უნარიანად და გონივრულად წარმართონ ოჯახური მეურნეობა, კარგად აღზარდონ შვილები. შეყვარებულნი მარტოოდენ ერთიერთმანეთზე ფიქრობენ, მხოლოდ თავიანთ თავს დასტრიალებენ დღენიადაგ და მარტო ერთი რამ ძალუძთ – სიყვარული. ცოლ-ქმარმა ესოდენი მოვალეობა უნდა შეასრულოს, რომ ეს არაა საკმარისი. ვერც ერთი ნდომა-სურვილი ვერ აცდუნებს ადამიანს, როგორც სიყვარული, – მისი შმაგი ძალა მისი ხანიერობის საწინდარი გგონია: ასრეთი სასიამტკბილო გრძნობით ღონემიხდილ გულს

მოთხოვნილებებს, ჭეშმარიტ სიამოვნებებსა და თვით აუცილებელსაც კი: ერთნი – თავიანთ სასახლეს ამკობენ სუფრის საზარალოდ, მეორენი – ლამაზ ჭურჭელს ამჯობინებენ კარგ სადილს, ზოგი აწყობს მდიდრულ წვეულებას, თავად კი მთელი წლის მანძილზე შიმშილით სულსა ღაფავს. როცა ვხედავ მოოქრულ ჭურჭლეულს, ვფიქრობ, საძაგელი ღვინით გამიმასპინძლდებიან-მეთქი. ხშირად ქალაქგარეთ სახლებში ისუნთქავ დილის საამურ ჰაერს და ტკბები მშვენიერი ბაღით! ადგები განთიადისას, სეირნობ, მადა მოგდის, გინდა ისაუზმო, ოღონდ აღმოჩნდება, რომ მოსამსახურე არაა შინ, ანდა არ ჰყოფნით სურსათ-სანოვაგე, ანდა დიასახლისმა ვერ მოასწრო განკარგულების გაცემა და გტანჯავს მოლოდინი. ზოგჯერ შემოგთავაზებენ საუცხოო სასმელ-საჭმელს იმის იმედით, უარს იტყვისო. სამ საათამდე შიმშილით სული გძვრება და საუზმის ნაცვლად ტიტას ყვავილთ ათვალიერებ. მაგონდება ასეთი ამბავი: ერთხელ ვსეირნობდი საუცხოო პარკში, რომლის დიასახლისს, როგორც გადმომცეს, ძალიან უყვარდა ყავა, მაგრამ არასოდეს მიირთმევდა, რადგან ერთი ფინჯანი ოთხი სუ უჯდებოდა. სამაგიეროდ უხვად უხდიდა მებაღეს ათას ეკიუს. მერწმუნეთ, ვამჯობინებდი, ხეივნის ხეები ისე ლამაზად არ ყოფილიყო გადაბელილი, ხოლო ყავა უფრო ხშირად დაგველია.

[79] ალბათ ჟიულიმ ჯერ კიდევ ვერ აღმოაჩინა საბედისწერო საიდუმლო, რაც ასე ტანჯავდა შემდგომში, ანდა არ სურდა ამის გამხელა თავისი მეგობრისათვის.

თითქოს მომავალშიც მისი იმედი აქვს და ვიდრე სიყვარული გრძელდება, გჯერა, დასასრული აღარ ექნებაო. მაგრამ პირიქით, სწორედ ეს ცეცხლი ანადგურებს მას, ნელდება და ჭკნება ახალგაზრდობასა და სილამაზესთან ერთად, ქრება სიბერის სუსხიანი შემოქროლებით; და მას მოღმა, რაც ქვეყნიერება არსებობს, ჯერ არავის უნახავს ერთმანეთს გამიჯნურებული ორი თმაჭაღარა შეყვარებული. ამრიგად, წინასწარვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ ადრე თუ გვიან ისინი აღარ იქნებიან ერთმანეთის მაღმერთებელნი. და აი, დაემხო კერპი, სულ ახლახან რომ ეთაყვანებოდნენ, და ჩვეულებრივ მოკვდავებად ეჩვენებათ ერთიმეორე. განცვიფრებული ეძიებ წინანდელი სიყვარულის საგანს, და როცა ვეღარ პოულობ, გულნაკლული შეჰყურებ იმას, ვინც შენთან დარჩა, და წარმოსახვა ხშირად უფრო გონჯსა და უშნოს წარმოაჩენს მას, – როგორადაც უფრორე წარმტაცს ხდიდა წინათ. «იშვიათად იქნება ისეთი ვინმე, – ამბობს ლაროშფუკო, – ვისაც არ ერცხვინებოდეს თავისი წინანდელი სიყვარული, როცა უკვე შეწყვეტს ტრფიალს».[80] სულ იმის შიში უნდა ჰქონდეთ, ვაითუ მეტისმეტად მგზნებარე გრძნობები შეცვალოს გულის აცრუებამ და მოყირჭებამ და ტრფობის დასასრულის ჟამს გულგრილობა სიძულვილად არ გადაიქცეს, საბოლოოდ არ შეძაგდეთ ერთიერთმანეთი და დაქორწინების შემდეგ ნამეტნავად მგზნებარე მიჯნურნი ურთიერთსიძულვილით არ განიმსჭვალონ. საყვარელო მეგობარო, ჩემი უმანკოებისა და ჩემი სიმშვიდის სავალალოდ თქვენ მარადჟამს იყავით ესრეთი მომხიბვლელი. მარტოოდენ ჩემს მიჯნურად გხადდით, ხოლო ვინ იცის, რა იქნებოდით, თუ ჩემზე გულს აიყრიდით? ცხადია, სიყვარული ჩაქრებოდა, მაგრამ სათნოება დარჩებოდა, – ოღონდ განა ეს კმარა ბედნიერი კავშირისათვის, რომელიც გულით უნდა განმტკიცდეს? მერედა, რა აუტანელი ქმრები არიან ზოგიერთი სათნო ადამიანები! იგივე შეგიძლიათ თქვათ ჩემს გამოც.

რაც შეეხება ბატონ დე ვოლმარს, ჩვენ როდი ვიტყუებდით თავს – ერთმანეთს გონების თვალით შევყურებდით. ჩვენი შემაკავშირებელი გრძნობა ვნებათაღელვით გახელებულ გულთა ბრმა აღტყინება როდია, არამედ ურყევი და მუდმივი სიყვარული ორი წესიერი და კეთილგონიერი ადამიანისა, რომელთაც იციან, ერთად რომ უნდა დალიონ სიცოცხლის დარჩენილი დღეები, კმაყოფილნი არიან თავიანთი ხვედრით და ცდილობენ სასიამო გახადონ იგი ორივესათვის. მერწმუნე, ჩვენ თითქოს ერთმანეთისათვის ვართ გაჩენილნი – უკეთეს წყვილს ვერც კი ინატრებ. მისი გულიც რომ ისეთივე სათუთი და ნაზი იყოს, როგორიც ჩემია, მაშინ ჩვენი საერთო მგრძნობიარობა ზოგჯერ უცილოდ გამოიწვევდა ჩხუბსა და აყალმაყალს. მასავით დინჯი რომ ვყოფილიყავი, ჩვენს შორის ჩამოდგებოდა მეტისმეტი გულცივობა და ჩვენ ერთმანეთთან ყოფნისას ასე სიამოვნებით და განცხრომით ვერ ვიქნებოდით. სულაც რომ არ ვყვარებოდი, უთანხმოება დაგვრევდა ხელს; გაგიჟებით რომ ვყვარებოდი, ჩემთვის აუტანელი გახდებოდა. სწორედ ისეთები გახლავართ, როგორებიც უნდა ვიყოთ – ერთმანეთის ტოლი და ფარდი: იგი მე განმანათლებს და ბევრ რამეს მასწავლის, მე კი ხალისსა ვფენ მის არსებობას, – ეს ასალკლდევებს ჩვენს კავშირს. ასე გეგონებათ, ერთ სულ და ერთ ხორც უნდა გადაიქცნენო, და იგი ამ სულ-ხორცის გონებაა, მე კი – მისი ნებისყოფა. და მისი ერთგვარი ხანდაზმულობაც ხელსაყრელია ჩვენი საერთო კეთილდღეობისათვის: ვინაიდან ტრფობისაგან გულგასენილს რასაკვირველია კიდევ უფრო გამიძნელდებოდა გათხოვება, ის რომ უფრო ახალგაზრდა ყოფილიყო და მის მიმართ დაუძლეველი ზიზღი უთუოდ ხელს შეუშლიდა ჩემში მომხდარ საბედნიერო ცვლილებას.

[80] ძალიან გამიკვირდებოდა ჟიულის სხვა ვითარებაში რომ წაეკითხა, ანდა მოეხმო ლაროშფუკოს ციტატა: რიგიან ადამიანებს არ ძალუძთ მისი მწარე წიგნით დატკბობა.

ჩემო მეგობარო, ზენაარსი ქველკეთილ ზრახვებს შთააგონებს მამებს და მორჩილების გამო აჯილდოებს შვილებს. ღმერთმა დამიფაროს ყბად ავიღო თქვენი დარდ-ვარამი. მხოლოდ თქვენი სულით ხორცამდე დაშოშმინების სურვილი მაიძულებს რაღაც კიდევ დავუმატო. მე რომ მომეპოვებოდეს ის გრძნობები, რომელთაც ჯერ კიდევ ახლახან განვიცდიდი თქვენს მიმართ, მაგრამ ვფლობდე კი ახლა ჩემს მიერ შეძენილ ცხოვრებისეულ ცოდნას, მასთან ვიყო თავისუფალი და მქონდეს ჩემი სურვილის მიხედვით ქმრის არჩევის უფლება, მაშინ – დაე, ჩემი გულწრფელი სიტყვების მოწმე იყოს ღმერთი უფალი, მოწყალების თვალით რომ გადმომხედა, გაანათლა სული ჩემი და ყოველივეს კითხულობს ჩემი გულის სიღრმეში – ქმრად შენ კი არ აგირჩევდი, არამედ ბ-ნ ვოლმარს.

ვგონებ, თქვენი სრული განკურნებისათვის საჭიროა ვაღიარო ყველაფერი თქვენს წინაშე. ბატონი დე ვოლმარი ჩემზე უფროსია. უკეთუ ქალიშვილობაში ჩადენილი ცოდვებისათვის ჩემს დასასჯელად მამაზეციერი წამგვრის ჩემს ძვირფას ქმარს, რომლის ღირსიც ესოდენ ნაკლებადა ვარ, წინასწარ მტკიცედ გადავწყვიტე, სხვაზე აღარ გავთხოვდე. მას არ გაუღიმა ბედმა და არ არგუნა უმანკო ასული; მაშ, უმანკო ქვრივი მაინც დატოვოს. თქვენ კარგად მიცნობთ: ამ სიტყვებს არ გადავთქვამ.

დაე, ჩემმა ნაამბობმა გაფანტოს თქვენი ეჭვები და მასთან დაგარწმუნოთ, რომ ყველაფერში უნდა გამოვუტყდე ჩემს ქმარს. ისეთი ჭკვიანია, რომ არ დამსჯის ამ დამამცირებელი ნაბიჯის შემდეგ, რასაც მაიძულებს სინანული, და მეც აგრეთვე არ შემიძლია მივმართო იმ ბანოვანთა იშკილბაზობას, რომელთა ამბავს მომითხრობდით, ისე როგორც მას არ ძალუძს, ეჭვის თვალით შემომხედოს ამ მხრივ. რაც შეეხება თქვენგან მოხმობილ საბუთს, სადაც ცდილობთ დაამტკიცოთ, აღსარება აუცილებელი არაა, ეს უეჭველად სოფიზმია, ვინაიდან თუმცა ქორწინებამდე არავითარი ვალდებულებაც კი არ გაგაჩნია მომავალი მეუღლის წინაშე, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ გათხოვების შემდეგ უფლება გქონდეს იმად არ მოაჩვენო თავი ვინმეს, რაცა ხარ ნამდვილად. ყოველივე ამას მივხვდი ჯერ კიდევ გათხოვებამდე, – მამაჩემის მიერ გამოძალულმა ფიცმა ხელი შეუშალა ჩემი მოვალეობის შესრულებას და უფრორე ცოდვილი შევიქენი, რადგან ცრუ ფიცის მიცემით სჩადიხარ პირველ დანაშაულს, ხოლო ამ ფიცის გატეხით – მეორეს. მაგრამ გულმა ჩემმა ვერ გაბედა აღიარება კიდევ ერთი მიზეზისა გამო, რამაც უფრო გააღრმავა ჩემი შემცოდეობა. დიდება ზენას, ეს მიზეზი უკვე აღარ არსებობს.

არის უფრო მეტად სამართლიანი და მტკიცე მოსაზრება – ეს შეეხება შიშს იმის გამო, ტყუილუბრალოდ არ დაირღვეს სულის მშვიდობა წესიერი ადამიანისა, ვისი მთელი ბედნიერებაც ცოლის პატივისცემაში გამოიხატება. ცხადია, უკვე მას როდი ხელეწიფების ჩვენი შემაუღლებელი კავშირის დარღვევა; და მეც აღარ ძალმიძს შევცვალო ჩემი წარსული და უფროისად გავხდე ღირსი ამ კავშირისა. ამრიგად, ჩემი უტიფარი აღიარებით შემიძლია მხოლოდ მისი განაწყენება. ასე რომ, ჩემი გულწრფელობა მარტოოდენ მე გამიწევს სამსახურს, მოაშორებს ჩემს გულს საბედისწერო საიდუმლოებას, რაც უსაზომო ტვირთად მაწევს. ვიცი, როგორც კი ქმარს გავუმხელ ამ საიდუმლოს, უფრო მეტ სიმშვიდეს მოვიპოვებ, ხოლო ქმარმა შესაძლოა დაკარგოს იგი; და რაღა შეცდომის გამოსწორება იქნებოდა, მარტო ჩემს თავზე თუ ვიფიქრებდი.

ნეტავი როგორ დავაღწიო თავი ეჭვებს? სანამ თავად ზენა არ მიმითითებს, თუ როგორ მოვიქცე, აღვასრულებ თქვენს რჩევა-დარიგებას – კრინტსაც არ დავძრავ, არ გავუმხელ ქმარს ჩემს ცოდვებს, მაგრამ ვეცდები კი გამოვისყიდო ისინი ჩემი საქციელით, და ეგებ ერთ მშვენიერ დღეს მისი პატიებაც კი დავიმსახურო.

საჭიროა ყოველივე წარიმართოს ახალ ყაიდაზე, ხოლო ამის გულისთვის მოგვიხდება ყოველგვარი ურთიერთობის შეწყვეტა და ვფიქრობ, ჩემო მეგობარო, ამა

გადაწყვეტილებას მომიწონებ კიდეც. ბ-ნ ვოლმარს რომ მოესმინა ჩემი აღსარება, თავად განსჯიდა, თუ რა ფარგლებშია დასაშვები ჩვენი შემაკავშირებელი მეგობრობის გრძნობა და მისი უვნებელი გამოვლინებანი. მაგრამ ვერ გავბედავ მივმართო მას რჩევა-დარიგებისათვის, ხოლო ჩემდა სამწუხაროდ ძალზე კარგად გავიგე, თუ სანამდე შეიძლება მოგვიყვანოს თითქოსდა უაღრესად შესაწყნარებელმა ჩვეულებებმა. დროა გონს მოვეგოთ. ჩემს გულს საფრთხე აღარ ემუქრება, მაგრამ კვალად აღარ მსურს დავენდო ჩემს საკუთარ სამსჯავროს და გათხოვების შემდეგ გავმედიდურდე, რამაც დამღუპა ქალწულობის ჟამს. უკანასკნელად გწერთ ბარათს. გაფიცებთ – მეტს ნუღარც თქვენ მომწერთ. მე კი არასოდეს შევწყვეტ თქვენს მიმართ უნაზესი თანაგრძნობით მოპყრობას და ჩემი თქვენდამი გრძნობა სპეტაკია მზის სხივივით, მე რომ მაცისკროვნებს, – ამიტომაც ჩემთვის სასიხარულო იქნება, თუ მივიღებ თქვენზე მცირე ცნობას და შემატყობინებთ, დამსახურებულ ბედნიერებას რომ მიაღწიეთ. დროგამოშვებით, როცა თქვენს ცხოვრებაში რაიმე მნიშვნელოვანი მოხდება, შეგიძლიათ მოსწეროთ ქალბატონ დ'ორბს. ვიმედოვნებ, თქვენს წერილებში მუდამჟამს აისახება თქვენი კეთილშობილი სული. თუმცაღა, სათნო და კეთილგონიერი ჩემი მამიდაშვილი რასაკვირველია არ გადმომცემს მას, რისი ცოდნაც არ შემფერის და შეწყვეტს მიწერ-მოწერას, თუკი ბოროტად გამოიყენებთ ჩვენს ნდობას.

მშვიდობით, ძვირფასო და საყვარელო მეგობარო. რომ ვფიქრობდე, სიმდიდრე მოგანიჭებთ ბედნიერებას-მეთქი, ასე ვიტყოდი: ელტვოდეთ სიმდიდრეს-მეთქი. მაგრამ კაცმა რომ თქვას, სწორად იქცევით, როცა უგულებელყოფთ ამ სიმდიდრეს, ვინაიდან ისეთი საგანძურის პატრონი ხართ, რომ უმისოდაც იოლად წახვალთ. და ვამჯობინებ გითხრათ: ესწრაფეთ მყუდრო ბედნიერებას, რამეთუ იქა ძევს ბრძენთა საუნჯე-მეთქი. ჩვენ ყოველთვის ვიცოდით, რომ ბედნიერება უსათნოებოდ შეუძლებელი იყო, მაგრამ «სათნოება» ფრიად განყენებული სიტყვაა. მაშ, უფრთხილდით – დაე, ნუ იქნება იგი ასე მჟღერი, ოღონდ საიმედო იყოს; დაე, გვემსახუროს იმიტომ კი არა, თავი მოვიწონოთ და განვაცვიფროთ სხვები, არამედ თვითკმაყოფილების განსაცდელად. ჟრუანტელი მივლის, როცა ვფიქრობ, თუ რამდენი ადამიანი ბედავს ლაპარაკს სათნოების გამო და თავად კი მრუშობა განუზრახავს. მერედა იცით თუ არა, რას ნიშნავდა ჩვენთვის ესოდენ პატივსადები და ესოდენ შებღალული სიტყვა იმ ჟამს, როცა ჩვენ შეგვაერთა შემცოდეობის კავშირმა? მე და თქვენი დამბუგველი გახელებული ვნებათაღელვა აღტყინებას ფარავდა, ღვთაებრივი აღტაცების საბურველით კიდევ უფრო ძვირფასი რომ გამხდარიყო ჩვენთვის და უფრო მეტხანს ვეცდუნებინეთ ორნივე. იმედი მაქვს, ჩვენ იმიტომ გავჩნდით ამქვეყნად, რათა დავდგომოდით ჭეშმარიტი სათნოების გზას და პატივი მიგვეგო მისთვის, მაგრამ მისი ძებნისას გზა აგვებნა და მხოლოდ აჩრდილს გამოვედევნეთ. დროა ბოლო მოეღოს თავის მოტყუებას, დროა გამოვფხიზლდეთ მეტისმეტად ხანგრძლივი ცდუნებისაგან. ჩემო მეგობარო, თქვენთვის ძნელი როდია დაუბრუნდეთ სათნოებას: თქვენი მესაჭე თქვენსავე სულშია, ეგებ არად ჩააგდეთ იგი, ხოლო არაოდეს გიკრავთ მისთვის ხელი. თქვენ მტკიცე ხასიათი გაქვთ. იგი მიელტის ყოველგვარ სიკეთეს. და უკეთუ ზოგჯერ ეს სიკეთე ხელიდან უსხლტება, ეს იმას ნიშნავს, რომ მის შესანარჩუნებლად ჯერ კიდევ არ დაუძაბავს მთელი ძალ-ღონე. ჩასწვდით თქვენი სინდისის სიღრმეს, ეგებ თქვენს თავში აღმოაჩინოთ მივიწყებული ზნეობრივი იდეა, რომელიც ამიერიდან უკეთ წარმართავს თქვენს ყოფაქცევას, უფრო საიმედოდ შეათანხმებს ურთიერთშორის ყველა თქვენს ნაბიჯს ერთობლივი მიზნის მისაღწევად. მერწმუნეთ, არ კმარა, სათნოება გახდეს თქვენი ყოფაქცევის საფუძველი, თუ ურყევ ბურჯებზე არ ააგებთ ამ საფუძველს. გაიხსენეთ, ინდური თქმულებით მთელი ქვეყნიერება დგას უზარმაზარ სპილოზე, ხოლო სპილო – კუზე. აბა ჰკითხეთ ინდოელებს, კუ რაზე დგას-თქო, და ისინი ვერ გიპასუხებენ.

გემუდარებით, ყურადიღეთ მეგობრის სიტყვები და აღირჩიეთ უფრორე საიმედო გზა ბედნიერებისაკენ, ვიდრე ის გზაა, რომელზედაც ასე დიდხანს დავეხეტებოდით. დღენიადაგ შევევედრები ზენაარსს, რათა მოგვანიჭოს მე და თქვენ ეს უწმინდესი ნეტარება, და მხოლოდ მაშინ ვიშვებ და ვიხარებ, როცა ორივენი მოვიპოვებთ მას. აჰ, უკეთუ გულნი ჩვენნი ჩვენდა უნებურად გაიხსენებენ ჩვენს ახალგაზრდულ შეცდომებს, ისე მაინც მოვიქცეთ, რათა წარსულის გამოძახილმა გაგვაბედინოს თქმა ძველ დროთა გმირის სიტყვებისა: «ვაგლახ, ჩვენ დავიღუპებოდით, დაღუპულნი რომ არ ვყოფილიყავით».

აქ თავდება მოქადაგის შეგონებანი. ამიერიდან მომიხდება საკმაოდ ბევრი რამ შთავაგონო ჩემს თავს. მშვიდობით, საყვარელო მეგობარო, მშვიდობით სამუდამოდ. ამას მიკარნახებს გარდუვალი მოვალეობა. ოღონდ უწყოდეთ, ჟიულის გული არ დაივიწყებს იმას, ვინაც მისთვის ძვირფასია... ღმერთო, რა მემართება?.. ყოველივეს მიხვდებით, როცა ამ ფურცელს დაინახავთ. აჰ, ნუთუ ნება აღარა მაქვს, გული ამიჩუყდეს, როცა ჩემს მეგობარს უკანასკნელად ვეუბნები, მშვიდობით-მეთქი?

XXI წერილი

მილორდ ედუარდისადმი

ჰო, რა თქმა უნდა, მილორდ, არაქათს მაცლის ცხოვრების ტვირთი. აგერ რამდენი ხანია, მთელი სიმძიმით მაწვება გულზე. ყოველივე დავკარგე, რაც ფასსა სდებდა სიცოცხლეს. ხვედრად მშთენია მარტოოდენ დარდი და მწუხარება. მაგრამ ასე ამბობენ, თითქოსდა არ მქონდეს ნება განვაგებდე ჩემს არსებობას, თუ არ მივიღე დასტური იმის, ვინც მომიბოძა სიცოცხლე. მისი მესამედზე მეტი თქვენ გეკუთვნით: თქვენი მზრუნველობის მეოხებით ის ორჯერ გადარჩა. თქვენი ქველკეთილობა მუდმივად მინარჩუნებს მას. მანამდე არ აღვმართავ ხელს ამ სიცოცხლეზე, სანამ არ დავრწმუნდები, აქ არავითარი შემცოდეობა არ არის-მეთქი და სანამ მექნება იმედის ნატამალი, თქვენ შემოგწიროთ იგი.

ასე ამბობდით, თქვენი თავი მჭიროდაო. აბა, რად მატყუებთ? მას შემდეგ, რაც ლონდონში ვარ, არც კი ფიქრობთ თქვენს საქმეს მოჰკიდოთ ხელი, არამედ სულ ჩემზე ზრუნავთ. რაოდენ ზედმეტ სადარდებელს გიჩენთ! მილორდ, ხომ იცით, სიცოცხლეზე უფრორე რომ მძულს ყოველგვარი შემცოდეობა. ვეთაყვანები ცისა და ქვეყნის გამჩენს. ყველაფრით თქვენგანა ვარ დავალებული, ძალიან მიყვარხართ. მხოლოდ და მხოლოდ თქვენს გამო ვრჩები ცოცხალი ამქვეყნად, – მეგობრობასა და მოვალეობას ძალუძს ზედ მიაჯაჭვოს უბედოქმნილი, ოღონდ ყოველნაირი მიზეზებითა და სოფიზმით ვერ დააოკებ. განმინათლეთ გონება, ამიმღელვარეთ გული ჩემი თქვენი სიტყვებით. მზადა ვარ გისმინოთ, ოღონდ გახსოვდეთ, სასოწარკვეთას თვალს ვერ აუბამთ.

გნებავთ განვსაჯოთ ყოველივე ეს – ბატონი ბრძანდებით, გნებავთ, რომ განსჯაც ისეთივე სერიოზული იყოს, როგორც თავად საკითხი, რასაც ეხება საუბარი? თანახმა ვარ. ვეძიოთ ჭეშმარიტება წყნარად და მშვიდად; განვიხილოთ მთელი ვითარება, თითქოსდა საქმე ვინმე გადამთიელს ეხებოდეს. რობეკი ხოტბას ასხამდა თვითმკვლელობას მანამ, სანამ თავს მოიკლავდა. მისი მიბაძვით არ ვაპირებ წიგნის დაწერას, – სიტყვამ მოიტანა და მისი წიგნი არცთუ ძალიან მომწონს; მაგრამ შევეცდები ისეთივე დამშვიდებით წარვმართო ჩვენი დავა.

ბევრი ვიფიქრე ამ ესოდენ მნიშვნელოვანი საკითხის გამო. თქვენთვის ეს ცნობილია, ვინაიდან იცით ჩემი ამბავი, და მაინც ისევ სული მიდგას პირში და რაც უფრო მეტსა ვფიქრობ, მით უფრო მეტად ვრწმუნდები, ამ საკითხის თავი და ბოლო ის არის, რომ ბუნებისაგან მონიჭებული გვაქვს უფლება, ვეძიებდეთ სიკეთეს და ყოველგვარი საშუალებით გავურბოდეთ ბოროტებას, ოღონდ არაფრით ვავნოთ მოყვასს. როდესაც სიცოცხლე ჩვენთვის მარტოოდენ ბოროტებაა და არავისათვის არ მოაქვს სიკეთე, ნება გვეძლევა ჩამოვეხსნათ მას. ჩემი აზრით, არ არსებობს ქვეყნად ამაზე უფრო მკაფიო და გარდაუვალი წესი, და უკეთუ მას სავსებით უარვყოფთ, მაშინ ყოველგვარი ადამიანური ქმედება შეიძლება დანაშაულებრივად ჩაითვალოს.

რას ამბობენ ამის გამო სოფისტები? პირველ ყოვლისა, ისინი ფიქრობენ, სიცოცხლე ჩვენ არ გვეკუთვნისო, რადგან ნაბოძები გვაქვსო. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ნაბოძები გვაქვს, გვეკუთვნის კიდეც. მამა ღმერთმა მოსცა ადამიანებს ორ-ორი ხელი, ხოლო ის, ვისაც განგრენისა ეშინია, მზადაა დაკარგოს ცალი ხელი და თუ საჭიროა – ორივეც. შედარება, უეჭველად, სამართლიანია მათთვის, ვისაც სჯერა სულის უკვდავება. მე ხომ მსხვერპლად ვწირავ ჩემს ხელს, რათა შევინარჩუნო რაღაც უფრო უძვირფასესი, ესე იგი, ჩემი სხეული; მსხვერპლად მიმაქვს სხეულიც, რათა შემრჩეს რაღაც კიდევ უფრო ძვირფასი, ესე იგი, სულიერი კეთილდღეობა. უკეთუ ზენაარსის მიერ ნაწყალობები ყველა საბოძვარი ჩვენთვის სიკეთეა, მათი ბუნება მაინც ძალზე ხშირად იცვლება. ამიტომაც ამას გარდა ცამ მოგვანიჭა გონება, რათა ვისწავლოთ მათი შეცნობა. ამ კანონს რომ არ მიეცა ერთი მათგანის ამორჩევისა და მეორის დაწუნების უფლება, მაშინ რაიღა ბედენა იქნებოდა ის ადამიანთათვის?

სოფისტები თავიანთი საფუძველსმოკლებული შეკამათებისას ათასნაირად ცდილობენ თავის დაძვრენას. დედამიწის ბინადარი მათ საგუშაგოზე მდგარ ჯარისკაცად მიაჩნიათ. «უფალმა ღმერთმა, – ამბობენ ისინი, – გიბრძანა იცხოვრო ამ ქვეყანაზე, შენ კი ვით ბედავ აქედან წასვლას მის ნებადაურთველად?» მაგრამ თავად ხომ გიბრძანა, იცხოვრო შენს მშობლიურ ქალაქში, მაშ რად მიდიხარ მის ნებადაურთველად? ნუთუ მისგან არა გაქვს ბოძებული ნებართვა, უბედურებას რომ გაექცე? მისი ნება-სურვილით ამქვეყნიური გარსითა ვარ გარემოსილი, ვიმყოფები დედამიწაზე, ოღონდ უნდა ვიმყოფებოდე იქ მანამდე, სანამდისაც კარგად ვიქნები და დავუტევო ყოველივე, როგორც კი სიცოცხლე გამიარმდება. აი, ის – ხმა ბუნებისა და ხმა ღვთისა. გეთანხმებით, უნდა დაველოდო განგების ბრძანებას. მაგრამ როცა ვეთხოვები სამზეოს ბუნებრივი სიკვდილით, ღმერთი როდი მიბრძანებს, სიცოცხლეს გამოეთხოვეო, არამედ მართმევს მას. როს ზენაარსი აუტანელსა ხდის ჩემთვის ამ სიცოცხლეს, მაშინ კი ბრძანებს, საწუთრო დასტოვეო. პირველ შემთხვევაში, რაც ძალი და ღონე მაქვს, წინააღმდეგობას გავუწევ, მეორეჯერ – მზადა ვარ დავემორჩილო.

იცით თუ არა, რა უსამართლონი არიან ზოგიერთი ადამიანები, რომელთაც ჰგონიათ, თვითმკვლელობა – ეს განგების წინააღმდეგ აჯანყებაა, მის კანონთაგან თავის არიდების სურვილიო? უკეთუ ბოლოს უღებ შენს თავს, ეს როდი ნიშნავს იმას, რომ თავს არიდებ ამ კანონებს, – შენ მათ ასრულებ. მერედა, ეს როგორ ხდება? განა ღმერთს მარტოოდენ ჩემი სხეულის მიმართ აქვს უფლება? მთელ დუნიაზე არ მოიპოვება ისეთი ადგილი, სადაც ყოველი არსება არ იყოს მისი მონა-მორჩილი! და განა იგი არ მოახდენს ჩემზე უფრორე უშუალო ზემოქმედებას, როცა სიბილწისაგან განწმენდილ-განსპეტაკებული ჩემი სული უფრო მთლიანი და განუყოფელი გახდება და გაცილებით მალე დაემსგავსება მას? არა, მისი მართლმსაჯულება ჩემი ერთადერთი იმედია; და თუკი ვიფიქრებ, სიკვდილი ამარიდებს მის მეუფებას-მეთქი, აღარც კი ვისურვებდი სიკვდილს.

აი ერთ-ერთი სოფიზმი «ფედონისა», სადაც ხვავრიელადაა წარმოდგენილი დიადი ჭეშმარიტებანი. «უკეთუ მონა შენი მოიკლავდა თავს, – ეუბნება სოკრატე კებეტს, – ნუთუ არ დასჯიდი მას, შესაძლებელი რომ იყოს, რადგანაც უმართებულოდ წარგსტაცა ქონება!» აბა რას ამბობ, სათნოებით აღსავსე სოკრატე? განაღა სიკვდილის შემდეგ ღმერთს არ ეკუთვნი? არა, სულ სხვაგვარადაა საქმის ვითარება, – უნდა გეთქვა ასე: «უკეთუ შეაჭირვებ შენს მონას ტანისამოსით, რაც ხელს უშლის თავად შენდა სასიკეთო შრომაში, განა დასჯი იმის გამო, რომ განიძარცვა ეს სამოსელი და გაცილებით უკეთ შეუდგა მუშაობას?» უდიდესი შეცდომაა უაღრესად დიდი მნიშვნელობა მივანიჭოთ სიცოცხლეს, თითქოსდა მასზე ეკიდოს ჩვენი ყოფიერება. თითქოსდა სიკვდილის შემდეგ არარა იყო. სიცოცხლე ჩვენი არაფერია ღვთის თვალში, ის არაფერია გონების თვალშიც. და როცა დავუტევებთ ჩვენს სხეულს, ამით მხოლოდ განვიძარცვავთ უხეირო სამოსელს. მერედა ღირს კი ამის გამო ესეოდენი აურზაურის ატეხა? მერწმუნეთ, მილორდ, ყველა ეს ენადგაკრეფილი მოლაყბე როდია გულწრფელი. აბდაუბდურია და ულმობელი მათი აზრები. ამ ვითომდა შეცოდებას უმძიმეს დანაშაულად ხადიან, თითქოსდა თვითმკვლელის სიკვდილით წყდებოდეს მისი არსებობაც, ხოლო იმავდროულად სასჯელს უქადიან მას, თითქოს სამუდამო ცხოვრება ელოდეს.

რაც შეეხება «ფედონს», რომლის სტრიქონებს მოიხმობენ ხოლმე ერთადერთ და ერთი შეხედვით საფუძვლიან არგუმენტად, უნდა ითქვას, რომ ამ საკითხს ავტორი განიხილავს ზერელედ და თითქოს სხვათა შორის. სოკრატეს, რომელიც სამსაჯულოს უმართებულო განაჩენით რამდენიმე საათის შემდეგ უნდა მომკვდარიყო, არ ესაჭიროებოდა დაწვრილებით განებრჭო, ჰქონდა თუ არა ნება განეგო თავისი სიცოცხლე. წარმოვიდგინოთ, მართლაცდა წარმოთქვა ის სიტყვები, პლატონი რომ მიაწერს, ოღონდ მერწმუნეთ, მილორდ, იგი უკეთ მოიფიქრებდა ამ სიტყვებს იმ შემთხვევაში, თუკი მათი განხორციელება მოუხდებოდა. ამ უკვდავ ქმნილებაში, როგორც ჯერ არს, არსად არაა უარყოფილი უფლება საკუთარ სიცოცხლეს ბატონ-პატრონად გაუხდე, და ამის საუკეთესო დადასტურებაა ის, რომ კატონმა თავიდან ბოლომდე ორჯერ წაიკითხა იგი სწორედ იმ ღამეს, როცა საწუთრო დატოვა.

იგივე სოფისტები კითხულობენ, შეიძლება თუ არა ცხოვრება ბოროტება იყოსო. როცა ვუკვირდები უამრავ შეცოდებას, ტანჯვა-წამებასა და ბიწიერებას, რითაც აღსავსეა ცხოვრება, ერთი სული მაქვს ვიკითხო, განა კი იყო იგი ოდესმე სიკეთე-მეთქი? შავბნელი ძალები განუწყვეტლივ შეაჭირვებენ თვით უსათნოეს ადამიანს. თავისი სიცოცხლის ყოველ წამს შეიძლება გახდეს იგი ბოროტების მსხვერპლი, ანდა თვითონ შეიქნეს ბოროტმოქმედი. ბრძოლა და მოთმინება – აი, როგორია მისი ხვედრი ამ ცხოვრებაში. ბოროტების ჩადენა და მოთმინება – აი, უწესო ადამიანის ხვედრი. ისინი ყველაფერში უცხონი არიან ერთმანეთისთვის და მხოლოდ ერთი რამა აქვთ საერთო – ამქვეყნიური გასაჭირი და ვაი-ვარამი. უკეთუ გინებთ დაიმოწმოთ საპატიო ადამიანთა სიტყვები და რაიმე ცხოვრებისეული შემთხვევა, მაგალითისათვის დავასახელებ ორაკულთა შეგონებებს, ბრძენკაცთა შეპასუხებას, ქველკეთილ ადამიანთა ნამოქმედარს, სიკვდილი რომ მიეზღოთ მუქაფად. რას ვაქნევ ყველაფერ ამასა, მილორდ. თქვენთან საუბრის ჟამს გეკითხებით: თქვენი აზრით, რა არის ბრძენკაცის უპირველესი ქმედება ამ ქვეყანაზე? მისი მიზანია, ასე ვთქვათ, ჩაიკეტოს საკუთარ ნაჭუჭში და გახდეს ცოცხალი ლეში. გონებამ გამონახა ერთადერთი ავალა, რათა გვიხსნას ადამიანთა ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ბედშაობისგან, – ეს ავალა გახლავთ განვუდგეთ სოფლის ამაოებას, ზურგი ვაქციოთ ყოველივე წარმავალსა და ჩვენს თავში ვპოვოთ მყუდრო სავანე, დავიხშოთ გულის კარები, ავმაღლდეთ სულით და ვეზიაროთ საზეო ჭვრეტას. და თუ ვინიცობაა ჩვენი უბედურება წარმოქმნილია ვნებათაგან და ცდუნებების გამო, მაშინ

როგორ არ უნდა გვწადდეს ერთისა და მეორისაგან გადარჩენა და თავის დაღწევა! მაშ, რას სჩადიან გარყვნილი ადამიანები, რომლებიც აათასებენ თავიანთ ტანჯვა-წამებას და ურცხვად და უშვერად იძირებიან ავხორცობის წუმპეში! ისინი, ასე ვთქვათ, აცამტვერებენ თავიანთ არსებობას და სახელს უტეხენ მას; უამრავი კავშირ-ურთიერთობით ამძიმებენ თავიანთ უღელს; განცხრომა და ნებივრობა განუმზადებს მათ უზღვავ დარდსა და ვარამს; რაზომც მწვავედ განიცდიან, მით უფრო იტანჯებიან; რაც უფრო ღრმად იჭრებიან ცხოვრებაში, მეტად უბედურნი არიან.

ჰოდა, საერთოდ კი, თუ ეს გნებავთ, დაე ადამიანს სიკეთედ მიაჩნდეს მიწაზე საცოდავად ხოხვა. როდი ვამტკიცებ, ადამიანთა მთელმა მოდგმამ და ჯილაგმა ერთობლივი შეთანხმებით მსხვერპლად გაიღოს თავი და საყოველთაო სასაფლაოდ გადააქციოს ქვეყნიერება-მეთქი. არიან, – დიახ, არიან ქვეყნად ბედნავსი ადამიანები, რომელნიც რაღაც განსაკუთრებული ნიშნით არიან აღბეჭდილნი, რაც არ აძლევს მათ ნებას დაადგნენ გატკეპნილ გზას. უიმედო მწუხარება და უსაშველო ვაი-ვაგლახი ადასტურებენ ბუნებისაგან მათთვის მონიჭებულ განსაკუთრებულ უფლებებს, და იმის დაჯერება, სიცოცხლე ჩვენთვის სიკეთეაო, მათი მხრით ისეთივე უაზრობაა, როგორი უაზრობაც იყო სოფისტ პოსიდონიისათვის უარეყო, ჩემი გამწვალებელი ნიკრისის ქარი ბოროტებაარ. ვიდრე კარგად ვცხოვრობთ, გვწადია სიცოხლე და მხოლოდ უდიდესი ტანჯვა-წამება აღმოფხვრის ჩვენი გულიდან ცხოვრების სიყვარულს: ვინაიდან ბუნებამ ყველას შთაგვინერგა სიკვდილის უდიდესი შიში და ეს შიში ჰფარავს ჩვენს თვალთაგან ადამიანური არსებობის მთელ უბადრუკობას. ხანგრძლივად მიათრევს ადამიანი მძიმე და მოსაწყენ სიცოცხლის ტვირთს, ვიდრე მის მიტოვებას გადაწყვეტდეს; ოღონდ, როგორც კი სიცოცხლის სიძულვილით დაძლევს სიკვდილის შიშს, უმალ აშკარა ბოროტებად ხდება მისთვის სიცოცხლე. ამრიგად, თუმცა არავის ძალუძს ზუსტად განსაზღვროს, სწორედ რა დღიდან აღარ იქნება იგი სიკეთე, ყოველ შემთხვევაში, ყველამ ნამდვილად იცის, რომ იგი ბოროტებად იქცევა ბევრად უფრო ადრე, ვიდრე ეს საცნაური გახდებოდეს და ყოველ კეთილგონიერ ადამიანსაც ცხოვრებაზე ხელის აღების უფლება გაცილებით უფრო ადრე ენიჭება, ვიდრე მისი განხორციელების სურვილი გაუჩნდებოდეს.

მაგრამ ეს ყველაფერი როდია. სოფისტები უარყოფენ იმას, რომ ცხოვრება შეიძლება ბოროტება გახდეს, და მით გვართმევენ მისგან თავის დაღწევის უფლებას; შემდეგ კი ასე ამბობენ, ცხოვრება ბოროტებაარ, რათა გვისაყვედურონ ის ამბავი, რომ არ შეგვიძლია მისი ატანა. მათი აზრით, სიდუხჭირისა და ვაი-ვაგლახისათივს თავის არიდება სულმოკლეობაა და თითქოს მარტოოდენ ლაჩრები ისპობენ სიცოცხლეს. ოი, რომო, ქვეყნიერების დამპყრობო, – მაშასადამე, ლაჩართა მთელმა ლაშქარმა მოგიპოვა მეუფება! მათ შორისაა არიასეც, ეპონინაც და ლუკრეციაც, – თუმცა ისინი ქალები არიან, მაგრამ ხომ იყვნენ ბრუტუსიც და კასიუსიც, და შენც, ვინაც ღმერთებთან ერთად გაიზიარე მთელი აღფრთოვანებული ქვეყნიერების ჯეროვანი პატივი და დიდება, – დიადო, ღვთაებრივო კატონო, შენ, ვისი უზეშთაესი და პატივისცემის ღირსი სახეც აფრთოვანებდა რომაელთ, უზადო ვაჟკაცობით აღავსებდა მათ გულს და თავზარსა სცემდა ტირანებს! შენმა ზვიადმა პატივისმცემლებმა ვერ გაითვალისწინეს, რომ დადგებოდა ჟამი და ერთი მიყრუებული კოლეჯის მტვრიან სენაკში საზიზღარი მოლაყბენი დაიწყებდნენ მტკიცებს, რომ მხოლოდ და მხოლოდ ლაჩარი იყავი იმის გამო, რაკი არ ინებე დაგეჯერებინა, შებორკილ სათნოებას იღბლიანი შეცოდება სჯობსო. რაზომ მშვენიერნი არიან ახლანდელი მწერლები თავიანთი ძლიერებითა და სიდიადით, რა უშიშარნი არიან კალამმომარჯვებულნი! მაშ, მარქვით, მამაცო, სახელოვანო გმირო, ვინაც ვაჟკაცურად გაურბით ბრძოლაში გასვლას, რათა უფრო ხანგრძლივად ატაროთ ცხოვრების ტვირთი, როცა ხელითა წერთ ეგზომ მჭევრმეტყველურ ფრაზებს, რატომ სასწრაფოდ უკანვე გასწევთ მას, უკეთუ ზედ ანთებული ნაკვერჩხალი

დაეცემა! ნუთუ გეშინისთ, ვერ აიტანოთ სიდამწვრით გამოწვეული ტკივილი? ასე იტყვით, ამ ტკივილის ატანას არავინ მაიძულებსო. აბა, მე ვინღა მაძალებს ავიტანო ცხოვრების ტვირთი? იქნებ ადამიანის გაჩენა უფრო ბევრი დაუჯდა განგებას, ვიდრე უბრალო ბალახის ჩასახვა? და განა ისინი თანაბრად მისი ქმნილებანი არ არიან?

რასაკვირველია, დიდი ვაჟკაცობა გვმართებს, რათა მედგრად ავიტანოთ გარდუვალი შეჭირვება და ვაი-ვაგლახი, მაგრამ მარტოოდენ რეგვენი თუ მოითმენს ნებაყოფლობით, როცა შეუძლია თავი დააღწიოს მათ და ამით არავის შეამთხვიოს ბოროტება. და ხშირად უდიდესი ბოროტება ისაა, როცა არაფერი გვაიძულებს და მაინც უნდა ავიტანოთ ეს ბოროტება. და ვისაც არ ძალუძს გათავისუფლდეს გამტანჯველი სიცოცხლისაგან და მოსწყდეს წუთისოფელს, იმასა ჰგავს, ვინც ამჯობინებს, ჭრილობა დაუჩირქდეს, ოღონდ არ დაუწვეს დასტაქრის მხსნელ დანას. მოვედ ჩემდა, ფრიად პატივცემულო პარიზო,[81] მომკვეთე ის ფეხი, რომლის გამოც ვიღუპები, – თვალსაც არ დავახამხამებ. და დაე, ლაჩარი მიწოდოს იმ ვაჟკაცმა, რომელსაც უჯობს ფეხი გაუხევდეს, მაგრამ არ შესწევს გამბედაობა მიმართოს იმავე ოპერაციას. გეთანხმებით, მოყვასის მიმართ მოვალეობა არ გაძლევს უფლებას ეკუთვნოდე საკუთარ თავს. მაგრამ სამაგიეროდ რამდენი ვალდებულება გაიძულებს ამის ჩადენას! დაე, მამულის კეთილდღეობის დამცველი მსაჯული ან ოჯახის მამა, თავისი შვილების მარჩენალი, ანდა ღარიბი მოვალე, რომელსაც არა სურს თავის მევახშეთა გაკოტრება, ცოცხლობდეს მოვალეობის გულისთვის. დაე, რაც უნდა მოხდეს, ყველა ისინი ცოცხლობდნენ მოვალეობის გულისთვის. დაე, სხვა აურაცხელი მოქალაქეობრივი და ოჯახური კავშირის გამო უბედურმა და რიგიანმა ადამიანმა აიტანოს ცხოვრების ყოველგვარი გასაჭირი, რათა თავი დააღწიოს კიდევ უფრო დიდ უბედურებას, – უმართებულო ქმედებას. მაგრამ განა დასაშვებია სხვა ვითარებაში ხელმოცარულთა ხარჯზე შევინარჩუნოთ ჩვენი სიცოცხლე, სიცოცხლე, რომელიც ესაჭიროება მხოლოდ იმას, ვინაც ვერ ბედავს სიკვდილს? «მომკალი, – ეუბნება მიხრწნილი მამა ველურ შვილს, რომელსაც ატატებული მიჰყავს იგი და სიმძიმისაგან წელში მოხრილა, – აი, იქ ჩვენი მტრები არიან, აბა გასწი, იბრძოლე შენს ძმებთან ერთად, იხსენ შენი შვილები, ოღონდ მამაშენს ცოცხალს ნუ ჩაუგდებ ხელში იმათ, რომელთა სახლიკაცები მან შესანსლა». შიმშილი, ხელმოკლეობა, სიღატაკე – ოჯახური კერის ეს ველურებზე უფრო საშინელი მტრები აიძულებენ სარეცელზე მიჯაჭვულ საცოდავ ხეიბარს, ჭამოს ოჯახის მიერ ვაინაჩრობით მოპოვებული ლუკმა-პური, – მაშ, რად არ ძალუძს კეთილი საქმის ჩადენა კაცს, ვისაც არავისთვის არავითარი სარგებელი არ მოაქვს, არც არაფერი აკავებს ამიერსოფლად, რატომ არა აქვს უფლება დატოვოს თავისი დროებითი თავშესაფარი, სადაც ყველას თავს აძულებს ოხვრა-კვნესით და ამაოდ იტანჯება?

აწონ-დაწონეთ ყველა ეს მოსაზრება, მილორდ, განაზოგადეთ ყველა ეს საბუთი და მიხვდებით, რომ ისინი ექვემდებარებიან ბუნებისაგან მონიჭებულ ყველა უფლებათაგან უმარტივესს, რაშიც კეთილგონიერი ადამიანი არასოდეს დაეჭვებულა. მართლაც, რატომ გვაქვს ნება განვიკურნოთ ნიკრისის ქარისგან და არ ძალგვიძს მოვრჩეთ სიცოცხლეს? ერთიცა და მეორეც ხომ ერთი და იმავე ხელითა გვაქვს მომადლებული. სიკვდილი ძნელია, მაგრამ არც მკურნალობაა იოლი – ვის ესიამოვნება ყოველგვარი წამლის სმა! მრავალ ადამიანს მკურნალობას სიკვდილი ურჩევნია! აი, იმის დამადასტურებელი საბუთი, რომ ბუნებას ზიზღსა ჰგვრის ერთიცა და მეორეც. დაე დამიდასტურონ, რომ

[81] ესაა ლიონელი ექიმი – ღირსეული ადამიანი, საუცხოო მოქალაქე, გულითადი და დიდსულოვანი მეგობარი, უყურადღებოდ დარჩენილი, მაგრამ მათგან დაუვიწყარი, ვისაც ხვდა პატივი ესარგებლა მისი ქველკეთილობით.

წამლის საშუალებით მოკლეჟამიერი ავადმყოფობისაგან გადარჩენა უფრო დასაშვებია, ვიდრე განუკურნავი სალმობისაგან – თვითმკვლელობით თავის დაღწევა. და რატომ ისე ცოდვილი არაა ის, ვინც ციების დროს ქინაქინასა სვამს, როგორც ის კაცი, რომელიც თირკმელთა შირიმის გამო ოპიუმს დალევს? უკეთუ ვილაპარაკებთ მიზანზე, მაშინ ერთიცა და მეორეც გვათავისუფლებს ტკივილისაგან. თუკი ვიმსჯელებთ საშუალებებზე – მაშინ ერთიცა და მეორეც თანაბრად ბუნებრივია; მათდამი სიძულვილიც თანაბარია ერთსა და მეორე შემთხვევაშიც. მამაზეციერის ნება-სურვილზე თუ ვიტყვით რასმე, მაშინ ყოველი ავადმყოფობა, რომელსაც ვებრძვით, მისი მომადლებულია. ყოველგვარი ტანჯვა, რომლისგანაც თავის დაღწევა გვინებს, მისგან წარმომავლობს. მაშ, სადღა თავდება მისი ძალაუფლება და როდის შეიძლება კანონიერად წინ აღვუდგეთ მას? მაშასადამე, ჩვენ არა გვაქვს რაიმეს შეცვლის ნება, რაკი ყოველი არსებული მისი განზრახვით წარმოიქმნა! მაშასადამე, ამქვეყნად არაფრის ჩადენა არ შეიძლება იმის შიშით, ვაითუ ღვთის კანონები დავარღვიოთო, – მაგრამ რაც უნდა ვქნათ, მაინც ვერ შევძლებთ მათ დარღვევას! არა, მილორდ, ადამიანის მოწოდება უფრო მნიშვნელოვანია და კეთილშობილური. უფალმა ღმერთმა იმისათვის კი არ შთაბერა მას სული, რომ უმოქმედო იყოს და მარადის უგულოდ მოეპყრას ყველაფერს, რაც მის გარშემოა. ღმერთმა მოჰმადლა მას თავისუფლება კეთილი საქმის ჩასადენად, სინიდისი – სიკეთის მისაწვდომად, გონება – სიკეთის შესაცნობად. ღმერთმა განაწესა თავად იგი საკუთარ ქმედებათა ერთადერთ მსაჯულად. აი, რა წააწერა გულზე: «აღასრულე ყოველივე, რაც თავად გარგებს და ზიანს არავის მოუტანს». უკეთუ ჩემთვის მე სიკვდილი მიჯობს, მაშინ მედგრად წინ აღვდგომივარ მის ბრძანებას, დღეს თუ არ ვისწრაფებ, ვინაიდან, როცა სიკვდილის სურვილს შთამაგონებს, მაიძულებს კიდეც ვეძიო იგი.

ბომსტონ, ვენუკვი თქვენს სიბრძნესა და გულწრფელობას. მერედა გონებას კიდევ რა უცილობელ წესთა გადმოღება ძალუძს რელიგიიდან, როცა ლაპარაკი თვითმკვლელობას შეეხება? ქრისტიანებმა დაადგინეს საპირისპირო წესები, ვინაიდან სარწმუნოების პრინციპებიდან, მის ბრძანებათა ერთადერთი კრებულიდან – საღვთო წერილიდან კი არ ამოიღეს ისინი, არამედ მხოლოდ და მხოლოდ წარმართ ფილოსოფოსთ დაესესხნენ. ლაქტანციუსი და ავგუსტინე, პირველი გამავრცელებელნი ამ ახალი მოძღვრებისა, რომლის გამოც არც ქრისტესა და არც მის მოციქულებს ერთი სიტყვაც არ წამოსცდენიათ, მარტოოდენ «ფედონის» მსჯელობათ ემყარებოდნენ, რაიცა უკვე გავაბათილე და ამრიგად, როცა მორწმუნეთ ჰგონიათ, სახარების ავტორიტეტს ვემორჩილებითო, სინამდვილეში მხოლოდ და მხოლოდ პლატონის ავტორიტეტს უხრიან ქედს. და მართლაც, მთელ ბიბლიაში ვერსად იპოვით თვითმკვლელობის აკრძალვას ანდა საერთოდ მის დაგმობასაც კი. და გასაოცარი არაა განა, რომ ნებაყოფლობით თვითმკვლელ ადამიანთა გამო შეთხზულ იგავებში მათი საქციელი არსად არ იგმობა. უფრო მეტიც, ღვთის დასტურს სამსონის თვითმკვლელობაზე მოწმობს სასწაული, მთლად რომ შემუსრა მისი მტრები. მაშ, ნუთუ სასწაული მხოლოდ დანაშაულის გასამართლებლად მოხდა? და ქალის მიერ ცდუნებულმა და ძალ-ღონეგამოცლილმა ამ კაცმა ნუთუ კვლავ მოიცა ძალი ნამდვილი ბოროტების ჩასადენად, – ვითომცდა მამაზეციერმა მოისურვა ადამიანების მოტყუება!

«არა კაც-ჰკლა», – ღაღადებს მცნება. რას ნიშნავს ეს? უკეთუ ამ შეგონებას სიტყვასიტყვით გავიგებთ, მაშინ არ შეიძლება არც ავაზაკებისა და არც მტრების მოკვლა. ესეოდენი ხალხის დამღუპველ მოსესაც ცუდად გაუგია თავისივე საკუთარი კანონი. თუკი არსებობს გამონაკლისი, მაშინ პირველ რიგში, ეს უნდა იყოს თვითმკვლელობის სასარგებლოდ, ვინაიდან იგი თავისუფალია ძალდატანებისა და უსამართლობისაგან – ამ

ორი პირობისაგან, რაიც დანაშაულებრივსა ხდის კაცთმკვლელობას და თავად ბუნებაც საკმაო წინააღმდეგობას უწევს მას.

მაგრამ აი, კიდევ რას ამბობენ სოფისტები: «მოთმინებითა თქვენითა იტვირთეთ ღვთისგან მომადლებული ვაი-ვარამი, და მოგეგებათ ტანჯვათა თქვენთა სანაცვლო». ქრისტიანული მოძღვრების ასე გამოყენება ნიშნავს მისი რაობის ცუდად გაგებას. ადამიანი განიცდის აურაცხელ ტანჯვა-წამებას, მისი ცხოვრება უბედურებათა ხლართია და გეგონება, მარტოოდენ ტანჯვათათვისაა გაჩენილიო. გონება მოითხოვს, რათა ადამიანი აერიდოს ტანჯვა-წამებას, რომელთა არიდებაც ძალუძს, და რელიგიაც, რომელიც არასოდეს ეწინააღმდეგება გონებას, იწონებს ამას. მაგრამ ადამიანს გაცილებით მეტი აქვს ისეთი ტანჯვა-წამება, რომელიც ნებითა თუ უნებლიეთ უნდა აიტანოს. გულმოწყალე ღმერთი ნებას რთავს ადამიანებს თავიანთ დამსახურებად მიიჩნიონ სწორედ ეს ტანჯვა-წამება, ნებაყოფლობითი მსხვერპლივით მიიღონ სანიჭარი, რასაც იძულებით მოგვიბოძებს, – და სააქაო ცხოვრების ეს უდრტვინველი მორჩილება გამოებრებათ საიქიოში. ბუნება ნამდვილად სჯის ადამიანს, როცა აიძულებს აიტანოს ყველაფერი, რის ატანაც ასე ეძნელება. ამ მხრივ იგი ასრულებს არსთა განმრიგის ყველა ნებას, მაგრამ ის, ვინც პატივმოყვარეობის გამო კისრულობს კიდევ უფრო მძიმე ტვირთს, ცხრაკლიტულში ჩასასმელი უგუნურია ანდა გაიძვერა, ვინაც სასტიკად უნდა დაისაჯოს. მაშ, გულდამშვიდებით დავეხსნათ ტანჯვა-წამებას, რომელთა არიდებაც ძალგვიძს, – ისედაც ხომ უამრავი დარჩება იგი ამქვეყნად. ყოველგვარი ზნეობრივი ჰო-არაობის გარეშე მოვეშვათ სიცოცხლესაც, როგორც კი ბოროტება გახდება იგი ჩვენთვის, რაკი ეს ჩვენზედან ჰკიდია და მერწმუნეთ, ამით არ შეურაცხყოფთ არც ღმერთს, არც ადამიანებს, და უკეთუ უზენაესს სურს მსხვერპლი, განაღა სიკვდილი ცუდი მსხვერპლია? მაშ, ვემსხვერპლოთ მამაზეციერს ჩვენი სიკვდილით, რისთვისაც ის გონების ხმით მოგვიწოდებს, მშვიდობიანად დავუბრუნოთ კალთას უფლისას სული ჩვენი, რომელსაც კვლავ მოითხოვს თავად.

აი, ზოგადად ის მითითებანი, რომელთაც უკარნახებს ყველა ადამიანს კეთილგონიერება და მხარს უჭერს რელიგია.[82] ვილაპაკოთ საკუთარ თავზე. თქვენ ინებეთ გული გადაგეშალათ ჩემთვის. ვიცი და გამიგია კიდეც ყველა თქვენი სიდუხჭირე. ჩემზე ნალებ როდი იტანჯებით. თქვენი მწუხარება განუკურნებელია ჩემს შეჭირვებათა დარად, მით უფრო განუკურნელია, რომ ღირსების კანონები უფრორე მტკიცეა და ურყევი, ვინემ საზოგადოებრივი უთანასწორობის ადათ-წესები. ვაღიარებ, მედგრად უმკლავდებით მას. თქვენ გშველით სათნოება; მაგრამ კიდევ ერთი ნაბიჯი და იგი ხელიდან გამოგეცლებათ. მომიწოდებთ, მოთმინებით იყავიო, მე კი, მილორდ, მოგიწოდებთ ბოლო მოუღოთ

[82] უცნაური წერილია იმისათვის, ვინაც მსგავსი გადაწყვეტილება მიიღო! განა შეიძლება ასე გულდამშვიდებით მსჯელობა ამგვარ საკითხზე, როცა თავის მოკვლა თავადა გაქვს განზრახული? ან წერილია ყალბი, ანდა ავტორს სურს განზრახვაზე ააღებინონ ხელი. ეჭვს იწვევს მაგალითი რობეკისა, რომელსაც ასახელებს იგი, თითქოსდა მისი აზრების დასამტკიცებლად. რობეკს ისე სჯეროდა თავისი სიმართლე, რომ ეყო მოთმინება დაეწერა წიგნი – სქელი, გრძელი, უზარმაზარი, გულგრილი წიგნი. და როცა გადაწყვიტა, თვითმკვლელობის უფლება ამით დამტკიცებულიაო, აიღო და ისევე გულგრილად მოიკლა თავი. მხედველობაში მივიღოთ ეპოქისა და ნაციისათვის დამახასიათებელი ცრურწმენანი. როცა თვითმკვლელობა არაა მოდაში შემოსული, ასე ფიქრობენ, თვითმკვლელობით მხოლოდ გიჟები ამთავრებენო თავიანთ სიცოცხლეს; სულმოკლეთაგან გამბედაობის გამოჩენა ქიმერად ითვლება, – ყველა საკუთარი თავისდა მიხედვით სჯის სხვათა საქმეს. მაგრამ აბა იმის რამდენი მაგალითი მოგვეპოვება, რომ ყოველმხრივ გაბრძნობილნი, რომელთაც არ აწუხებთ არც სინდისის ქენჯნა, არც მრისხანება და სასოწარკვეთა, ხელს იღებენ სიცოცხლეზე მხოლოდ იმის გამო, რომ იგი მათთვის მძიმე ტვირთია და უფრორე გულდამშვიდებით ეთხოვებიან საწუთროს, ვიდრე ცხოვრობდნენ.

ტანჯვა-წამებას. აბა, თავად განსაჯეთ, ჩვენ ორში რომელი უფრო ძვირფასი ვართ ერთმანეთისათვის.

საჭიროა და უნდა გავბედოთ კიდეც ის ამბავი, რაც სულ ერთია, მაინც მოხდება. აბა რაღას ვჯანჯლობთ? განა იმას ველოდოთ, ვიდრე სიბერე და ჟამთასვლა არ გაგვიმძაფრებს მთელ თავის სიმშვენიერეს მოკლებული სიცოცხლის ნაძრახ სიყვარულს და ჩვენც გაჭირვებით, სირცხვილითა და ტანჯვა-წამებით დავათრევდეთ ჩვენს უძლურსა და დაჩაჩანაკებულ სხეულს? ჩვენს ასაკში სულიერი ძალ-ღონე ძალზე იოლად გვათავისუფლებს ცხოვრების ბორკილთაგან და ადამიანს ჯერ კიდევ ძალუძს სიკვდილი. ხანში რომ შევა, ოხვრა-კვნესით ეთხოვება სიცოცხლეს. მაშ, ვისარგებლოთ იმ ჟამით, როცა ისე მოგვძულდა სიცოცხლე, რომ სიკვდილი სანატრელი გაგვიხდა. უნდა გვეშინოდეს, რომ არ გვეწვიოს და არ შეგვაძრწუნოს იმ წუთს, როცა აღარ ვისურვებთ სიკვდილს. ერთხელ ვევედრებოდი ზენას, თუნდაც ერთი საათის სიცოცხლე მოეცა ჩემთვის, და სასოწარკვეთით მოვკვდებოდი, თუკი უარს მეტყოდნენ. აჰ, რაოდენ ძნელია ქვეყნიერებასთან ჩვენი შემაერთებელი კავშირის გაწყვეტა, მაგრამ რაოდენ გონივრულია გასვლა ამიერსოფლით, როგორც კი ეს კავშირი გაწყდება. მერწმუნეთ, მილორდ, ჩვენ ორივენი უფრო საგულისგულო სავანის ღირსნი ვართ; სათნოება დაგვანახვებს მას და სვეზედი მოგვიწოდებს მის მიმართ ლტოლვას, – დაე, მეგობრობამ შეგვაკავშიროს ჩვენი აღსასრულის ჟამსაც. ო, რა ნეტარებაა ორი ჭეშმარიტი მეგობრისათვის, ნებაყოფლობით დალიონ დღენი თვისნი ერთმანეთთან ჩახუტებულებმა, როცა უკანასკნელი ამოსუნთქვისას ერთად შერწყმულ-შენივთულნი ერთდროულად დაუტევებენ თავიანთი ერთობლივი სულის ორივე ნახევარს! ვერც მწუხარება, ვერც სინანული ვერ მოწამლავს მათ უკანასკნელ წუთს! განაღა რას დატოვებენ ისინი ამქვეყნად სულის ამოხდომის ჟამს? ერთად დალიეს სული, – დასატოვარი აღარაფერი გააჩნდათ.

XXII წერილი
პ ა ს უ ხ ი

ჯეელო! ბრმობილი სიშმაგე გაცდუნებს შენ! იყავ უფრო თავდაჭერილი, როცა რჩევა-დარიგებას მოითხოვ, თავად ჭკუის სწავლებას ნუ მოჰყვები. მე სულ სხვანაირი შეჭირვება მარგუნა ბედმა. სულით მტკიცე ვარ. მე ინგლისელი გახლავარ, ძალმიძს სიკვდილი, რამეთუ ძალმიძს ვიცოცხლო და ვიტანჯებოდე, ვით შეშვენის კაცსა კაცურსა. სიკვდილს ბევრჯერ ჩავხედე თვალებში და არაფრადაც არ მიმაჩნია, ამიტომაც არ ვეძიებ მას. მაგრამ მოდი, შენზე ვილაპარაკოთ.

შენ მართლაც მესაჭიროებოდი. ჩემი სული მოელტვოდა შენსას, შენი მზრუნველობა სასარგებლო იქნებოდა ჩემთვის. შენს გონებას შეეძლო დამხმარებოდა უტყუარი რჩევა-დარიგებით ჩემი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან წუთებში. ოღონდ ეს მითხარი, ვისი ბრალია, რომ არ მივმართე მაგ გონებას? სად არის იგი? რა მოუვიდა? რის უნარიღა შეგწევს? აბა, რად ვარგხარ ასე დაჩოლფოტებული? შეიძლება დახმარების იმედი საიდანღა უნდა მქონდეს? ჭკუადამთხვეულის მწუხარებით დაკარგე გონება, ულმობელი გახდი. დიახ, აღარა ხარ ადამიანი, შენ არარა ხარ; და რომ არ ვიცოდე, როგორი შეიძლება იყო, მაშინ ახლა ასეთს რომ გხედავ, გავიფიქრებდი, ყველაზე სულმდაბალი არსება ხარ ამქვეყნად-მეთქი.

ამის საუკეთესო დადასტურებაა შენი წერილი. წინათ გამჩნევდი ჭკუასაც და ალალმართლობასაც. პირდაპირი და გულმართალი იყავი, და მარტოოდენ გულითადი

მიდრეკილებით როდი შემიყვარდი, – სხვებზე უფრო მომეწონე და გამოგარჩიე. შენთან საუბარში სიბრძნეს ვიძენდი. ახლა რასღა ვხედავ მთელ შენს მსჯელობაში, ამ წერილში, რითაც ვგონებ, ძალიან კმაყოფილი ბრძანდები? ესაა უბადრუკი და გულის გამაწვრილებელი ენის ჭარტალი, გონებადაფანტული კაცის ლაყაფი, რაც საცნაურსა ჰყოფს შენს უგულისყურობას, – ესაა ავადმყოფის ბოდვა, რასაც პასუხსაც არ ვაღირსებდი, ჩემი სიბრალული რომ არ გამოეწვია.

უმალვე რომ გავაბათილოთ ყოველივე ეს, მხოლოდ ერთსა გთხოვ. ხომ გჯერა და გწამს კიდეც ღვთის არსებობა, სულის უკვდავება, ადამიანის თავისუფლება და რა თქმა უნდა, არა ფიქრობ, რომ გონიერი არსება ამქვეყნად შემთხვევით იძენს ხორციელ გარსს და ადგილსამყოფელს მხოლოდ იმისათვის, რათა იცოცხლოს, იტანჯოს და მოკვდეს. ან იქნებ ადამიანის ცხოვრებაში ხორციელდება რაღაც აზრი, რაღაც მიზანი, რაღაც ზნეობრივი ამოცანა? გთხოვთ მომცეთ ამის გარკვეული პასუხი; ამის შემდეგ კი სიტყვასიტყვით განვიხილოთ შენი წერილი და შეგრცხვება კიდეც, რომ იგი შენ დაწერე.

მაგრამ თავი ვანებოთ ზოგად დებულებებს, რომელთა ირგვლივ დიდი ალიაქოთია ატეხილი, თუმცა მათ არავინ ემორჩილება. მათ ყოველთვის თანასდევთ რაღაც განსაკუთრებული პირობები, რომლებიც ისე უცვლიან სახეს ყოველივეს, რომ არავინ მიიჩნევს სავალდებულოდ წესს, რომლის შესრულებასაც სხვას აკისრებს. და ისიც კარგადაა ცნობილი, რომ რაღაცნაირ ზოგად დებულებათა მომჩმახავ ადამიანს წარმოუდგენია, ვითომცდა მის გარდა ყველა ვალდებულია შეასრულოს ისინი. კვალად მოვილაპარაკოთ შენს გამო.

მაშასადამე, შენი აზრით, ნება გაქვს მოსწყდე ამ წუთისოფელს? ამისათვის საკმაოდ უცნაური საბუთები მოგეპოვება: შენ საერთოდ გინებს სიკვდილი. აი, სწორედ ესაა ავაზაკთათვის ხელსაყრელი საბუთი! ისინი დიდად დაგიმადლებენ იარაღისათვის, მათ რომ სთავაზობ, – ამიერიდან ყოველ ბოროტმოქმედებას გაამართლებენ იმით, ცდუნებას ვერ გავუძელითო, და როცა დანაშაულის ჩადენის შიშს დათრგუნავს მძაფრი ვნებათაღელვა, მაშინ ბოროტების ჩადენის სურვილსაც სამართლიანად მიიჩნევენ.

მაშასადამე, ნება გაქვს გამოეთხოვო ცხოვრებას? მინდა ვიცოდე – დაიწყე კია ჯერ ეს ცხოვრება? აბა როგორ? ნუთუ იმიტომ არსებობ, რომ უსაქმოდ იყიალო? ნუთუ ზენამ სიცოცხლესთან ერთად არ მოგმადლა საქმეც, რომელიც აუცილებლად უნდა გააკეთო? უკეთუ დაამთავრე შენი დღიური შრომა საღამომდე, მაშინ წარვედ დასასვენებლად, ეს ნებადართულია, ოღონდ რა არის ეს შენი შრომა? რა პასუხს გასცემ არსთა განმრიგეს, როცა მოგთხოვს იმის ანგარიშს, თუ როგორ გამოიყენე შენი დრო? მითხარი, აბა რას უპასუხებ? «მე შევაცდინე პატიოსანი გოგონა, მივატოვე მეგობარი გაჭირვების ჟამს». საცოდავო ადამიანო! აბა, იპოვე ისეთი უმწიკვლო კაცი, რომელიც დაიტრაბახებდა, საკმაო ხანს დავყავიო ამქვეყნად, – მისგან ვისწავლიდი, თუ როგორ უნდა ცხოვრება, რათა მიმეღო მისი დატოვების უფლებაც.

შენ ჩამოთვლი ადამიანის ვაი-ვარამს. არც კი გერცხვინება ჩამოთვალო ყველასათვის ცნობილი ჭეშმარიტებანი, რითაც ყურები გამოგვიჭედეს, და ასე ამბობ: სიცოცხლე ბოროტებააო. აბა ერთი მიმოიხედე, ჩასწვდი ვითარებას და ეგებ იპოვო კიდეც ხალასი სიკეთე, რომელშიც ბოროტების ნატამალიც არ ურევია. და განა შეიძლება ლაპარაკი, მთელ დუნიაზე სიკეთე არ არსებობსო? მერედა როგორ შეგიძლია ერთმანეთში აურიო ის, რაც ბოროტებაა თავისი ბუნებით და იგი, რაც მხოლოდ შემთხვევით ხდება ბოროტეული? თავად ამბობდი, ადამიანის უმეცრული ცხოვრება არარაობააო, კავშირი აქვს მარტოოდენ მის სხეულთან, რომელსაც მალე თავს დააღწევსო; მაგრამ მჩქეფარე სულიერი ცხოვრება, რომელმაც ზეგავლენა უნდა მოახდინოს მთელ მის არსებაზე, მისი ნებისყოფის წვრთნაში მდგომარეობს. ცხოვრება ბოროტებაა განცხრომაში მყოფი ავაზაკისათვის და სიკეთეა

უბედური, მაგრამ წესიერი ადამიანისათვის, ვინაიდან ამ ცხოვრებას კარგად ან ცუდად წარმავალი მოვლენები კი არა ხდის, არამედ ძირითად მიზნებთან კავშირურთიერთობა. რა მწუხარება გაიძულებს დღე მოისწრაფო? ყველა ბოროტების ვითომდა მიუკერძოებელი ჩამოთვლით ხომ არ ფიქრობ დამიმალო, საკუთარი თავისა რომ გერცხვინება? გამიგონე, ნუ დაკარგავ ერთბაშად ყველა შენს სათნოებას – სხვა თუ არაფერი, გულწრფელობა მაინც შეინარჩუნე და ალამართლურად უთხარი შენს მეგობარს: მე დავკარგე პატიოსანი ქალის გარყვნის იმედი, იძულებული ვარ ვიყო კარგი ადამიანი, ამიტომ სჯობს მოვკვდეო.

შენ მოგწყინდა სიცოცხლე და ამბობ: ცხოვრება ბოროტებააო. ადრე თუ გვიან დარდს გაიქარვებ, მაშინ კი იტყვი: ცხოვრება სიკეთეაო. იტყვი ამას, ხოლო ამით არაფერიც არ შეიცვლება, თავად შენს გარდა. მაშ, შეიცვალე ამიერიდან, და უკეთუ ცუდი გუნება-განწყობილების გამო ყველაფერი ბოროტება გახდა შენთვის, დაიოკე გრძნობათა აღბორგება და მარტოოდენ იმის გამო ნუ მისცემ ცეცხლს შენს სახლს, რომ არ გინებს მისი დაგვა-დასუფთავება.

«ვიტანჯებიო, – ამბობ. – განა ჩემზე ჰკიდია ჩემი ტანჯვა-წამების შეწყვეტა?» უწინარეს ყოვლისა, საკითხი სულ სხვაგვარად უნდა დაისვას, ვინაიდან საქმე ის კი არაა, იტანჯები თუ არა, არამედ ის, მართლა არის თუ არა შენთვის ცხოვრება ბოროტება. მაგრამ თავი ვანებოთ ამას. იტანჯები, მაშ ეცადე – ბოლო მოუღო ამ ტანჯვას. აბა ერთი ვნახოთ, საჭიროა თუ არა ამის გამო სიკვდილი.

ცოტაოდნად მაინც ჩაუფიქრდი – სულიერ სალმობათა ბუნებრივი განვითარება პირდაპირ ეწინააღმდეგება ხორციელ სიავადეს, ვინაიდან სული და ხორცი თავ-თავიანთი ბუნებით ერთმანეთის მოპირისპირენი არიან. მათგან მეორენი სხეულში თანდათანობით რომ გაიდგამენ ფესვს, უფრო ზიანის მომტანნი არიან და ბოლოს და ბოლოს ანადგურებენ ჩვენს ხრწნად გარსს. ხოლო პირველნი, პირიქით, ჩვენი უკვდავი და განუყოფელი არსების გარეგნული და წარმავალი ცვლილებებია, შეუმჩნევლადაც ქარწყლდებიან და სული რჩება თავისი პირვანდელი სახით, რასაც ვეღარაფერი ვეღარ შეცვლის. სევდა, დარდი, სინანული, უსასოობა – ყველა ესენი არიან წარმავალი სალმობანი, რომლებიც ვერ იკიდებენ ფეხს ადამიანის სულში და გამოცდილება გვასწავებს, რაოდენ მაცდუნებელია მწვავე გრძნობა, რომლის გავლენითაც ვფიქრობთ, ჩვენს უბედურებას დასასრული არ უწერიაო. ესეც არ იყოს, არა მგონია, რომ ჩვენი გამხრწნელი ბიწიერებანი უფრორე მოგვდგამს ჩვენ, ვიდრე ჩვენი ვაი-ვარამი, – არათუ ვფიქრობ, ისინი ხორცთან ერთად იღუპებიან-მეთქი, არამედ ეჭვიც არ მეპარება, რომ ხანგრძლივ სიცოცხლეს შეეძლებოდა ადამიანის გამოსწორება, და უკეთუ ახალგაზრდობა რამდენიმე საუკუნეს გაგრძელებულიყო, დავრწმუნდებოდით, რომ სათნოებაზე უკეთესი არა არის რა.

ვინც რა უნდა თქვას, და რაკი ჩვენი ხორციელი სალმობანი თანდათან მძაფრდებიან, საშინელ განუკურნებელ ტკივილებს ძალუძთ უფლება მისცენ ადამიანს დღე მოისწრაფოს. ვინაიდან, როცა აუტანელი ტკივილებისაგან ადამიანი ძალ-ღონეს კარგავს, მაშინ ნებისყოფა და გონება უმოქმედონი არიან, სენი განუკურნელია, იგი უკვე აღარაა ადამიანი, თუმცა ჯერ არ მომკვდარა, და თავის მოკვლით მხოლოდ და მხოლოდ აბოლოებს ხრწნადი გარსის განადგურებას, რომელიც ჯერ ისევ მძიმე ტვირთად აწევს, ოღონდ სულმა უკვე დაუტევა იგი.

სულ სხვა ამბავია ვნებანი სულისა – რაც უნდა ძლიერი იყოს ისინი, მუდამჟამს მოსდევთ განკურნება. მართლაცდა, რა ხდის ყოველგვარ სატკივარს აუტანელს? მისი ხანგრძლივობა. ჩვეულებრივ სატკივარზე უფრო აუტანელია ქირურგიული ჩარევა, სნეულისათვის ხსნა რომ მოაქვს, მაგრამ ავადმყოფობის დროს სატკივარი განუწყვეტლივ გვტანჯავს, ოპერაციისას კი ცოტა ხნით. ამიტომაც ვაძლევთ მას უპირატესობას. აბა, რად მივმართოთ ოპერაციებს იმ სალმობათა ჟამს, რომელნიც მომავალში თავადვე გაქრებიან,

თუკი ოდენ ხანგრძლივობას შეეძლო აუტანელი გაეხადა ის? მერედა გონივრული იქნება მივმართოთ ესოდენ ძლიერმოქმედ საშუალებებს იმ ავადმყოფობათა დროს, რომლებიც თავისთავად ისპობიან? მაშ, ტანჯვათაგან დამხსნელ ორი საშუალებისაგან რომელ ერთს მისცემს უპირატესობას ის კაცი, ვინც მტკიცე და შეუპოვარია და კარგად იცის, თუ რაგვარ სწრაფმდინარია წლები – სიკვდილს თუ დროით განკურნებას? მოითმინე და შენაც განიკურნები. კიდევ სხვას რაღას ისურვებ?

«აჰ, იმის ერთი გაფიქრებაც კი, რომ ჩემს ვაი-ვარამს ბოლო მოეღება, ჩემს ტანჯვა-წამებას აარჯლებსო». ეს ჭმუნვით მონაბერი ქარაფშუტული სოფიზმია! ეს არის სამართლიანობასა და კაცმა რომ თქვას, გულწრფელობას მოკლებული უაზრო სიტყვა ენამახვილობის გამოსაჩენად. აბა, როგორი სულელური საბაბია უსასოებისათვის იმედი იმისა, რომ ბოლო მოეღება უბედურებას.[83] რომ წარმოვიდგინოთ კიდეც, რომ შეიძლება ასეთი უცნაური გრძნობის განცდა, ვინ არ იქნება თანახმა, ერთი წუთით გაამწვავოს სატკივარი იმის ფიქრით, რომ მას ბოლო მოეღება, – ასე დასერავენ ჭრილობას, რათა პირი შეიკრას! და უკეთუ ტანჯვა-წამებაში ყოფილიყო რაიმე სასიამტკბილო და ჩვენც შეგვყვარებოდა ჩვენი ვაი-ვარამი, მაშინ თვითმკვლელობის მეოხებით მათგან თავის დაღწევას რომ ვცდილობთ, განა თავად არ ჩავდივართ იმას, რასაც ვუფრთხით მომავალში?

კარგად მოიფიქრე ეს, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო! რა არის ათი, ოცი, ოცდაათი წელიწადი უკვდავი ქმნილებისათვის? ტანჯვა-წამება და შვება-ლხენა აჩრდილივით გაქრება. სიცოცხლე გარბის, ვით ერთი წამი. თავისთავად იგი არარაობაა, – მთელი მისი ფასი და ღირებულება ისაა, თუ რაგვარ მოვიხმართ მას. მხოლოდ ჩვენს მიერ ჩადენილი სიკეთეა გარდაუვალი და მარტოოდენ მისი მეოხებით ჩვენი ცხოვრება რაღაც მაინცა ღირს.

მაშ, ნუღარ იტყვი, ცხოვრება ჩემთვის ბოროტებააო, – მხოლოდ შენზედან ჰკიდია, სიკეთედ იქცეს იგი, და თუ შენი წარსული ცხოვრება მართლაც სიავეა, ეს სწორედ იმის ზედმეტი საბუთია, სიცოცხლე რომ განაგრძო. მაშ, აღარა თქვა ამიერიდან, სიკვდილის ნება დამრთესო: ვინაიდან ეს იმას ნიშნავს თქვა, თითქოს ნება დაგრთეს, არ იყო ადამიანი, თითქოს ნება მოგცეს, წინ აღუდგე შემოქმედს და უღალატო შენს დანიშნულებას. მართლა, ყველაფერ ამასთან ერთად ამტკიცებ, თითქოს შენი სიკვდილი არავის შეამთხვევს ბოროტებას, – ოღონდ იფიქრე კია, ამის თქმას რომ უბედავ შენს მეგობარს!

შენი სიკვდილი არავის შეამთხვევს ბოროტებას! მაშ, არაფრად გიჩნს მოკვდე ჩვენდა სავალალოდ – შენთვის ეგ ამბავი სულ ერთია. არ შეგახსენებ მეგობრობის უფლებებს, რაიცა მოგმულებია! ოღონდ, ნუთუ არ არსებობს კიდევ უფრორე საიშვიათო[84] უფლებები, რომელთა გულისათვის ვალდებული ხარ იცოცხლო? არის ქვეყნად ერთი ქმნილება, რომელსაც ისე უყვარხარ, რომ შენს უკან ვეღარ იცოცხლებს, – მისი ბედნიერებისათვის ხომ აუცილებელია, შენც იყო ბედნიერი, – კარგად განსაჯე, ნუთუ მის წინაშე არაფრითა ხარ ვალდებული? შენი შავბნელი განზრახვის აღსრულება ხომ დაურღვევს სულის სიმშვიდეს, ძლივძლივობით რომ დაუბრუნდა თავის პირვანდელ სისპეტაკეს! ანდა რად არ უფრთხი მისი სათუთი გულისათვის მიყენებული ჯერ კიდევ მოუშუშებელი ჭრილობების გამიზეზებას? ნუთუ არ გეშინია, რომ შენს დაღუპვას მოჰყვება მეორე, კიდევ უფრო საშინელი დაღუპვა და სიცოცხლესა და სათნოებას ყველაზე ღირსეული სამკაული

---

[83] არა, მილორდ, თავის ვაი-ვაგლახს ასე როდი უღებენ ბოლოს – პირიქით, ის კიდევ უფრო ძლიერი ხდება. განა არ არღვევ ბედნიერებასთან ჩვენს შემაერთებელ უკანასკნელ კავშირურთიერთობას! როცა დარდობ იმას, რაც შენთვის ძვირფასი იყო, შენ ისევ გრძნობ, რომ თავად სევდა ჯერ კიდევ გაკავშირებს მწუხარების საგანთან. და ეს არც ისე საშინელია, როგორც ცოდნა იმისა, გაწყვეტილ რომაა ყველა კავშირი.

[84] მეგობრობაზე უფრორე საიშვიათო უფლებებიო! და ამას ამბობს ბრძენი! მაგრამ ეს ცრუ ბრძენკაცი ხომ თავად იყო შეყვარებული.

მოაკლდება? და თუკი მაინც იცოცხლებს შენს შემდეგ, ნუთუ არ იშიშვი აღუძრა მას სინდისის ქენჯნა, რაიც ყველაზე უფრო დიდი ტვირთია, ვიდრე ცხოვრების ყველა სიმძიმე! უმადურო მეგობარო, უგულო მიჯნურო, ნუთუ მარადჟამს შენს თავსა და შენს ტანჯვაზე უნდა იფიქრო? ნუთუ არაფრად გიღირს იმის ბედნიერება, ვინაც ძვირფასი იყო შენთვის, და შენც აღარ იცოცხლებ მისთვის, ვისაც შენთან ერთად სიკვდილი სურდა?

შენ ახსენებ თანამდებობის პირისა და ოჯახის მამის მოვალეობას, – შენ როდი გაკისრია ეგ მოვალეობანი, და აი ამიტომაც თავისუფლად რაცხ შენს თავს. ხოლო რას ეტყვი საზოგადოებას, რომელიც გიცავს, რომელმაც მოგმადლა ნიჭიერება და განათლება? რა პასუხს გასცემ სამშობლოს, რომელსაც ეკუთვნის შენი სიცოცხლე? რაიღა ქნან ბედკრულმა ადამიანებმა, რომელთაც შენი შემწეობა სჭირიათ? განა მათგან არა ხარ დავალებული? ერთი სიტყვით, ვალს კარგად იხდი! შენგან ჩამოთვლილ ვალდებულებათა შორის დაგვიწყებია მარტოოდენ ადამიანისა და მოქალაქის ვალდებულება. რა დაემართა სათნო და სახიერ მამულიშვილს, რომელმაც არ მიჰყიდა თავისი სისხლი უცხოქვეყნელ ხელმწიფეს, რადგან უფლებამოსილად თვლიდა თავს, მხოლოდ საკუთარი სამშობლოსათვის დაეღვარა ეგ სისხლი. ახლა კი უსასოდქმნილს უნებს სიცოცხლეს გამოეთხოვოს – მიუხედავად იმისა, რომ კანონი კრძალავს ამ საქმეს. კანონები, კანონები, ყმაწვილო კაცო! განა ბრძენს სძულს ისინი? მათი პატივისცემის გამო უდანაშაულო და ალალმართალმა სოკრატემ არ ინდომა საპატიმროს დატოვება. შენ კი უყოყმანოდ მზადა ხარ ფეხქვეშ გაქელო ისინი, რათა უღირსად დაასრულო სიცოცხლე შენი, და მეკითხები კიდეც: რა ბოროტებას ჩავდივარო.

მაგალითებიც მოგყავს – ბედავ რომაელთა ხსენებას! შენ – და რომაელები! კადნიერად წარმოთქვამ მათ სასიქადულო სახელებს! მითხარი, ხომ არ მომკვდარა ბრუტუსი უიმედო სიყვარულისგან? ხარჭის გულისათვის ხომ არ გამოუფატრავს მუცელი კატონს? სულმოკლე, საბრალო ადამიანო! რა საერთო ძევს კატონსა და შენს შორის? დამანახვე, რა ანათესავებს ამ დიდსულოვან ადამიანს შენთან! გაჩუმდი, შე თავხედო! ვშიშობ, არ შეურაცხვყო იგი, როცა მის დაცვას ვკისრულობ! როცა ამ სპეტაკ, საქვეყნოდ განთქმულ სახელს გაიგონებს სათნოების ყოველი მეგობარი, მიწაზე უნდა განერთხოს და მდუმარებით თაყვანი სცეს მოკვდავთა შორის უდიადესი ადამიანის ხსოვნას.

ცუდად შეგირჩევია მაგალითები, ცუდად გიცვნია რომაელები, თუ გგონია, თითქოს ისინი ფიქრობდნენ, უფლება გვაქვს დავუტევოთ სიცოცხლე, როგორც კი ჩვენთვის მძიმე ტვირთი გახდებაო! გაიხსენე რესპუბლიკის საუცხოო ხანა, – ძნელად თუ შეიძლება მოიგონო სახელი თუნდაც ერთი ქველკეთილი მოქალაქისა, ამგვარად რომ გათავისუფლდა თავისი მოვალეობისაგან, თვით ყველაზე მძიმე განსაცდელის ჟამს. ვითომ კართაგენში დაბრუნებული რეგულუსი გაბედავდა თავის მოკვლას, რათა განრიდებოდა მისთვის მოსალოდნელ ტანჯვა-წამებას? რას არ გაიღებდა პოსტუმიუსი, რომ შეძლებოდა ამ ხერხისათვის მიემართა კავდიას ხეობაში! რა დიდსულოვნება გამოიჩინა კონსულმა ვარონმა, დამარცხების შემდეგაც ცოცხალი რომ დარჩა და ამით თვით სენატიც კი განაცვიფრა! აბა, რა მიზეზით ჩაუცვივდნენ მტერს ხელში ნებაყოფლობით იმდენი მხედართმთავრები, თუმცა სახელის მოყივნება საშინელი იყო მათთვის, ხოლო სიკვდილი ასე იოლი გახლდათ? დიახ, იმიტომ რომ მათ თავიანთ მოვალეობად მიაჩნდათ მთელი თავისი სისხლი უკანასკნელ წვეთამდე, მთელი თავისი სიცოცხლე უკანასკნელ ამოსუნთქვამდე გაეღოთ სამშობლოსათვის – ვერც სირცხვილმა, ვერც სახელის გატეხამ ვერ დაუშალა მათ ამ წმიდათაწმიდა მოვალეობის აღსრულება. როცა კანონები მოისპო და სახელმწიფო ტირანებს ჩაუვარდათ ხელში, მოქალაქეთ დაიბრუნეს დამოუკიდებლობა და თავიანთი სიცოცხლის ბატონ-პატრონად ყოფნის უფლება. როცა რომს ბოლო მოეღო, რომაელებმა მიიღეს თავის მოკვლის უფლება – მათ

შეასრულეს თავიანთი ვალი ამქვეყნად. მათ აღარ ჰქონდათ მამული, შეეძლოთ თვითონვე ყოფილიყავნენ საკუთარი ბედის განმრიგე და თავადვე ესარგებლათ თავისუფლებით, რომლის დაბრუნება თავიანთი ქვეყნისათვის უკვე აღარ ძალედვათ. მათ სიცოცხლე შესწირეს მომაკვდავი რომის სამსახურს და კანონებისათვის ბრძოლას. ისინი მოკვდნენ, როგორც ცხოვრობდნენ – სათნოებითა და სიდიადით მოსილნი, და მათი სიკვდილი იყო კიდევ ერთი ახალი ვალის მოხდა რომაელთა სახელ-დიდების წინაშე, – მათგან არავის მოუცია იმის უღირსი მაგალითი, თუ როგორ ემსახურება უზურპატორს ჭეშმარიტი მოქალაქე.

მაგრამ თავად შენ რას წარმოადგენ? განა რა ღვაწლი მიგიძღვის ასეთი? თუ იმითა გსურს თავი გაიმართლო, უჩინარი ადამიანი ვარო? მაგრამ მოკრძალებული ხვედრი გათავისუფლებს განა ვალდებულებათაგან და შეგიძლია თუ არა მხოლოდ იმიტომ არ დაემორჩილო სამშობლოს კანონებს, რომ არ გაგაჩნია არც სახელი და არც მდგომარეობა! შეგშვენის თუ არა ილაპარაკო სიკვდილზე, როცა ვალდებული ხარ სიცოცხლე მოყვასთა კეთილდღეობას ანაცვალო? მაშ იცოდე, სამარცხვინოა და ლაჩრული ის სიკვდილი, შენ რომ გწადია. შენ განძარცვავ ადამიანთა მოდგმას. სანამ მას თავს მიანებებდე, მიაგე ყველაფრისათვის, რაც შენთვის ჩაუდენია. «მე არაფერი მაოკებს... არავის ვესაჭიროებიო...» უბადრუკო ფილოსოფოსო! იცი განა, ყოველ ფეხის ნაბიჯზე რომ მოიძებნება ქვეყნად გასაკეთებელი საქმე, – თითოეული ადამიანი სასარგებლოა კაცობრიობისათვის მარტო იმითაც კი, რომ არსებობს.

უგუნურო ყმაწვილო, გამიგონე, დიდად საყვარელი ხარ ჩემთვის და ვწუხვარ, ასე რომ ცდები. უკეთუ შენი სულის სიღრმეში დარჩა კიდევ თუნდ იოტისოდენა სათნოება, მოვედ ჩემდა და მე გასწავლი ცხოვრების სიყვარულს. ყოველთვის, როცა იგრძნობ ცდუნებას, დღე მოისწრაფო, უთხარი შენს თავს, ერთ კეთილ საქმეს კიდევ ჩავიდენ, ხოლო შემდეგ მოვკვდები-თქო. მერე კი გამონახე ვინმე უიღბლო კაცი და ანუგეშე იგი, მოძებნე ვინმე ჩაგრულ-გვემული და ქომაგად დაუდექი. მომიყვანე ბედკრულნი, რომელნიც თავად ვერ ბედავენ ჩემთან მოსვლას. მოურიდებლად ისარგებლე ჩემი ქისითა და კავშირურთიერთობებით: უხვად გასცემდე ჩემს ავლა-დიდებას და ამით განმამდიდრე მე. უკეთუ ეს აზრი დაგაოკებს დღეს, იგივ დაგაოკებს ხვალაც და ზეგაც და მთელ შენს სიცოცხლეში; ხოლო თუ არ დაგაოკებს, რა გაეწყობა, მოკვდი: მაშასადამე, შენ სულმდაბალი ადამიანი ყოფილხარ.

XXIII წერილი

მილორდ ედუარდისაგან

საყვარელო მეგობარო, დღეს ვერ მოვახერხებ ჩაგიკრა გულში, რის იმედიცა მქონდა, – ორიოდე დღით ისევ დავრჩები კენსინგტონში. სასახლის კარზე ცხოვრება ისეთია, რომ ყველა უთავბოლოდ დაფუსფუსებს, ყველანი საქმეში არიან ჩაფლულნი, ოღონდ ბოლომდე არაფერი მიჰყავთ. საქმე, რომლის გულისთვისაც ვიმყოფები აქ აგერ მთელი კვირაა, შეიძლებოდა ორ საათში დამემთავრებინა. მინისტრთა ყველაზე მთავარი საქმეა მუდამჟამს შეინარჩუნონ გამრჯე კაცის სახე, სულ მუდამ გადასდონ გადაწყვეტილება, რადგან მით გაცილებით უფრო დიდ დროს ხარჯავენ, ვიდრე მაშინ, თუკი ერთბაშად მიიღებდნენ მას. ჩემი აშკარა უკმაყოფილება ვერ დამიხსნის ვადის გადადებისაგან. ხოლო თქვენ ხომ იცით, სასახლის კარზე ცხოვრება რომ მიმძიმს. სრულიადაც ვერ ვიტან მას შემდეგ, რაც მე და თქვენ ერთად ვცხოვრობთ, – ასკეცად სასიამოვნოა თქვენი მწუხარების გაზიარება, ვიდრე ამ მოჯალაბეთა წრეში მოწყენით ჯდომა, აქ ბუზებივით რომ ირევიან.

მაგრამ ერთხელ ამ მუდამ მოუცლელ უსაქმურებთან საუბრისას გამიელვა აზრმა, რაც თქვენ გეხებათ, და მხოლოდ თქვენს თანხმობას ველოდები, რათა განვაგო თქვენი ბედ-იღბალი. უბედურებასთან ბრძოლის ჟამს ერთსა და იმავე დროს მწუხარებაცა გტანჯავთ და მისთვის წინააღმდეგობის გაწევის აუცილებლობაც. თქვენ გწადიათ იცოცხლოთ და განიკურნოთ არა ესოდენ ღირსებისა და გონების გულისათვის, არამედ იმიტომ, რომ არა გსურთ მეგობართა განაწყენება. საყვარელო მეგობარო, ეს არა კმარა: საჭიროა კვლავ შევიყვაროთ ცხოვრება, რათა რიგიან-პირიანად აღვასრულოთ ჩვენ-ჩვენი ვალი. თუკი ასე გულგრილად მოექცევი გარშემომყოფთ, ვერასოდეს ვერაფერსაც ვერ მიაღწევ. როგორადაც უნდა ვეცადოთ მე და თქვენ, მარტოოდენ გონების მეოხებით ჭკუას ვერ დაიბრუნებთ. საჭიროა, რათა მრავალმა ახალმა და მკაფიო შთაბეჭდილებამ თუნდაც ნაწილობრივ გიხსნათ საძნელო ფიქრისაგან, რაც მხოლოდ და მხოლოდ ერთ საგანს უტრიალებს გარს და ასე გიმძიმებთ გულს. თქვენი თავი რომ თქვენ გეკუთვნოდეთ, ამისათვის არაა საჭირო სადარდებელს მიეცეთ, – მარტოოდენ ქმედითი და მჩქეფარე ცხოვრების მღელვარება დაგიბრუნებთ სულის სიმშვიდეს.

ახლა შეიძლება ვსინჯოთ ეს ამბავი, რადგან ხელსაყრელი შემთხვევა გვეძლევა და მისი უგულებელყოფა არა ღირს. ერთი დიდი, საუცხოო თაოსნობის გამო მოგახსენებთ, რომლის მსგავსსაც უკვე მრავალი საუკუნეა არ იცნობდა ქვეყნიერება. თქვენზედან ჰკიდია გახდეთ ამის მოწმე და გაისარჯოთ მისი გულისთვის. თქვენს წინაშე წარმოსდგება უაღრესად დიდებული სანახაობა, როგორიც კი განაცვიფრებს ადამიანის თვალთა მზერას. დაკვირვების მიმართ თქვენი მისწრაფება უხვ საზრდოს იპოვის. თქვენ აღასრულებთ საპატიო მოვალეობებს და თქვენი ნიჭის პატრონს მარტოოდენ გამბედაობა და კარგი ჯანმრთელობა მოგეთხოვებათ. ეს ძალზე სახიფათო სამსახურია, ოღონდ როდია სამარცხვინო და ამიტომაც კიდევ უფრო შეგეფერებათ. და ბოლოს, ძალზე დიდხანს როდი მოგიხდებათ სამსახური. ახლა ამაზე მეტი არაფრის თქმა არ შემიძლია თქვენთვის, ვინაიდან თუმცა ძალიან მალე დაიწყება ამ განზრახვის შესრულება, მაგრამ ჯერ კიდევ საიდუმლოდ ინახავენ და არა მაქვს მისი გამჟღავნების უფლება. მხოლოდ იმას დავუმატებ, რომ ასეთი ხელსაყრელი და საიშვიათო შემთხვევა ძნელად თუ კვლავ ოდესმე მოგვეცეს, და უკეთუ უგულებელყოფთ მას, მაშინ იქნებ მთელ სიცოცხლეში სანანურადაც კი დაგირჩეთ.

ამ წერილის წამომღებ შათირს დავაბარე, აუცილებლად მოგძებნოს და უპასუხოდ არ დაბრუნდეს. დაყოვნება აღარ შეიძლება. მე, ჩემი მხრით, გამგზავრებამდე უნდა მივცე პასუხი.

XXIV წერილი
პ ა ს უ ხ ი

მილორდ, ისე მოიქეცით, როგორც ჭკუამ გაგიჭრათ. თქვენს განკარგულებაში ვარ, სავსებით გემორჩილებით. ჯერ კიდევ არ დამიმსახურებია უფლება სამსახური გაგიწიოთ, მაგრამ რაც უნდა იყოს, თქვენი მონა-მორჩილი ვარ.

XXV წერილი
მილორდ ედუარდისაგან

თქვენ იწონებთ ჩემს განზრახვას, ამიტომაც არ ვკარგავ დროს და გატყობინებთ, საქმე დამშია. ახლავე აგიხსნით, თუ რის გამოა ლაპარაკი, რადგან თავდებად დაგიდექით და კიდევაც მივიღე ამის ნებართვა.

კარგად უწყით, რომ ახლახან პლიმუტში ხუთი სამხედრო ხომალდიდან გაამზადეს ესკადრა – იგი უკვე მზადაა გაშალოს იალქნები. მისი მეთაური, ბ-ნი ჯორჯ ანსონი ნაცადი და მამაცი ოფიცერი, ჩემი ძველი მეგობარია. ესკადრა სამხრეთის ზღვისკენ გაეშურება, სადაც შევა ლემერის სრუტიდან და დაბრუნდება აღმოსავლეთ ინდოეთის ნაპირ-ნაპირ. მაშასადამე, ქვეყნის გარშემო მოგზაურობა მოგიწევთ. ექსპედიცია უთუოდ სამ წელიწადს გასტანს. შემეძლო მოხალისედ ჩამერიცხეთ, მაგრამ უფრო მეტი პატივისცემით რომ მოგეპყრათ, მე გამოვიგონე თქვენთვის წოდება და სიაში სადესანტო რაზმის ინჟინრის ჩინითა ხართ შეტანილი. ეს თანამდებობა მით უფრო შეგფერით, რომ წინათაც გსურდათ შედგომოდით საინჟინრო საქმეს და რამდენადაც ვიცი, ახალგაზრდობაში სწავლობდით კიდეც.

ხვალ ლონდონში ვაპირებ დაბრუნებას,[85] ბ-ნ ანსონთან ერთი-ორი დღის შემდეგ წარგადგენთ. მანამდე კი იზრუნეთ თქვენი აღკაზმულობისათვის, მოიმარაგეთ წიგნები და ხელსაწყოები, ვინაიდან ყველაფერი მზადაა გასამგზავრებლად და მხოლოდ ბრძანებას ელოდებიან. საყვარელო მეგობარო, ვიმედოვნებ, მამაზეციერის მეოხებით ხანგრძლივი მოგზაურობიდან სულითაც და ხორცითაც ჯანმრთელი დაბრუნდებით და მაშინ ერთად შევუდგებით ცხოვრებას, რათა შემდეგ არასოდეს დავშორდეთ.

XXVI წერილი
ქალბატონ დ'ორბისადმი

ძვირფასო, თვალწარმტაცო დაიკო, მივდივარ ქვეყნის გარშემო სამოგზაუროდ. იქნებ მეორე ნახევარსფეროში ვიპოვო სულიერი სიმშვიდე, რაიც აქ ვერ მოვინაგრე. ჰოიმე, უგუნურს! აწ ვიხეტიალებ ქვეყნის-ქვეყნად, მაგრამ ვერსად ვპოვებ ისეთ აღთქმულ მხარეს, სადაც გული დაშოშმინდებოდა. უნდა ვეძიო ამქვეყნად თავშესაფარი, რათა შორს ვიყო თქვენგან! მაგრამ პატივი უნდა ვცეთ მეგობრის, კეთილისმყოფელის, მამის ნება-სურვილს. განკურნების იმედი არა მაქვს, მაგრამ ყოველი ხერხი უნდა ვიღონო საამისოდ, რაკი ამას მიბრძანებს ჟიულიცა და სათნოებაც. სამი საათის შემდეგ ავუშვებთ აფრას. სამი დღის შემდეგ თვალთაგან მიმეფარება ევროპა, სამი თვის მერე ვიცურებ უცნობ ზღვებში, სადაც მუდმივი ქარბუქი გამეფებულა. სამი წლის შემდგომ, ეგებ... ნუთუ აწ ვეღარ ვნახავთ ერთმანეთს... რა საშინელებაა! ვაიმე, უდიდესი საფრთხე შემსჭვალავს ჩემს გულს. რაც უნდა მომივიდეს, გეფიცებით, ჩემი ბედი გადაწყვეტილია, – ან თქვენი შეხვედრის ღირსი გავხდები, ანდა ამიერიდან მეტად ვეღარ მიხილავთ.

მილორდი ედუარდი გამოგივლით რომში გამგზავრებისას, გადმოგცემთ ამ წერილს და დაწვრილებით მოგითხრობთ ყოველივე ჩემს ამბავს. მის სულს კარგად იცნობთ და გაგიადვილდებათ ამოიცნოთ ყველაფერი, რასაც ის დაიდუმებს. თქვენ ხომ იცნობდით ჩემს სულსაც. მაშ, თავად განსაჯეთ ის ამბავი, რასაც მე არ ვამხელ. აჰ, მილორდ! თქვენ ხომ კვლავ იხილავთ მათ!

---

[85] ეს მთლიანად გასაგები როდია ჩემთვის. კენსინგტონი ხომ ლონდონიდან მეოთხე ლიეზე მდებარეობს და სასახლეში მომსვლელნი იქ არ ათევენ ღამეს, მაგრამ როგორც ხედავთ, მილორდ ედუარდმა საკმაო ხანი დაჰყო იქ.

მაშასადამე, თქვენმა დობილმა თქვენსავით იგემა დედობის ბედნიერება, ხომ! მაშ, მასაც შეეძლო ყოფილიყო დედა და... ულმობელო ზეცავ!.. ო, ჩემო დედილო, რად მოგიბოძა მან ვაჟი თავისი მრისხანების ჟამს!.

დროა დავამთავრო წერილი. მომიტევეთ, ტურფა დობილებო! მომიტევეთ, შეუდარებელო მზეთუნახავებო! მომიტევეთ, სპეტაკნო, ზეციურნო არსებანო! მომიტევეთ, სათნო და განუყრელო დაიკოებო, – ყველაზე საუკეთესო ბანოვანნო ამ სამზეოში. თითოეული თქვენგანი მეორის გულისთვის ღირსი ერთადერთი არსებაა. იზრუნეთ ერთმანეთის ბედნიერებისათვის! გემუდარებით, ზოგჯერ მოიგონეთ კიდეც უბედოქმნილი ადამიანი, რომელიც მხოლოდ იმისათვის არსებობდა, რათა თქვენ ორთათვის მოეძღვნა თავისი საგულისგულო გრძნობები და როგორც კი დაგშორდათ, მყისვე სიცოცხლეს გამოესალმა. უკეთუ ოდესმე... მაგრამ აი, ნიშანი მოსცეს, მესმის მეზღვაურთა შეძახილები, ქარი ძლიერდება, მალე ააფრიალებს იალქნებს. დროა ავიდე ხომალდზე, დროა გავემგზავრო. ზღვაო უნაპირო, ზღვაო უსასრულო, უკეთუ არ შთანმთქავ მე, უკეთუ არ ჩამითრევ ზვირთებში, შენს ტალღებზე მოლივლივე ნეტავი თუ ვპოვებ სიმშვიდეს, ასე რომ გაურბის ჩემს მშფოთვარე გულს?

მ ე ს ა მ ე ნ ა წ ი ლ ი ს დ ა ს ა ს რ უ ლ ი

მ ე ო თ ხ ე ნ ა წ ი ლ ი

I წერილი

ქალბატონ დე ვოლმარისაგან
ქალბატონ დ'ორბისადმი

რა ხანია აღარ დაბრუნებულხარ! სრულიადაც არ მომწონს ყველა ეს მისვლა-მოსვლა. რამდენ საათს ანდომებ იქ მისასვლელად, სადაც ყოველთვის უნდა იმყოფებოდე, და (რაც კიდევ უფრო უარესია!) რამდენი საათი გჭირდება ჩემგან მოშორებისათვის! ხოლო როცა ერთად ვართ, მთელ სიამოვნებას გვიშხამავს ის ფიქრი, ხანმოკლე ვადით რომ ვინახულეთ ერთმანეთი. ნუთუ არა გრძნობ, რომ ხან შენთან და ხანდახან ჩემთან შენაცვლებით შეხვედრა არსებითად იმასა ნიშნავს – სულ აღარ შევხვდეთ ერთიმეორეს? ხომ არ მოიგონე რაიმე საშუალება ისე მოვიქცეთ, რომ ვიყოთ ჩვენ-ჩვენს სახლშიც და იმავ დროს ვიმყოფებოდეთ ერთმანეთთანაც?

აბა რას ჩავდივართ ამას, ძვირფასო დაო! რამდენ ძვირფას წუთს ვკარგავთ, ხოლო მათი უთავბოლოდ განიავება ხომ ჩვენგან უკვე აღარ ეგება! წლები გვემატება, ჩვენი სიყმაწვილე მიქრის, სიცოცხლე წარმავლობს; უხანო ბედნიერება, რისი მოცემაც მას შეუძლია, ჩვენს ხელთაა, ხოლო ჩვენ უგულებელვყოფთ მას, არ გვსურს მით დავტკბეთ და გავიხაროთ. გახსოვს თუ არა ჩვენი ყმაწვილქალობის დღეები, შორეული და დაუბრუნებელი დღეები, ესოდენ საუცხოო და განსაცხრომელნი, რა ძნელია მათი დავიწყება! ბევრჯერ ხდებოდა ხოლმე, როცა რამდენიმე დღით და რამდენიმე საათითაც კი დავშორდებოდით, ერთმანეთს გულში ჩავიკრავდით და სევდიანად ვიტყოდით: „აჰ, რომ შეგვეძლოს თავად ვიყოთ საკუთარი ბედის განმრიგე, ამიერიდან არასოდეს გავიყრებოდით“. აბა ახლა ხომ გვეკუთვნის ჩვენ-ჩვენი თავი, წელიწადში კი ექვს თვეს ცალ-ცალკე ვცხოვრობთ. ეს როგორ მოხდა? ნუთუ ახლა უფრო ნაკლებად გვიყვარს ერთმანეთი? ჩემო ძვირფასო და გულითადო მეგობარო, ორივენი ვგრძნობთ, თუ რა

მტკიცე და ურღვევი გახადა დრომ, შეჩვევამ და შენმა სიკეთემ ჩვენი ერთგულება. ჩვენი განშორება დღითი დღე სულ უფრო და უფრო აუტანელია ჩემთვის და ერთი წუთითაც აღარ ძალმიძს უშენოდ სიცოცხლე. მეგობრობა უფრორე მჭიდროდ გვაკავშირებს ჩვენ, და ასე მგონია, ეს სავსებით ბუნებრივია-მეთქი: ამის საფუძველია მე და შენი მდგომარეობაც, ჩვენი ბუნება-ხასიათიც. ასაკთან ერთად ყველა გრძნობა უფრორე დაძაბული ხდება, ყოველდღე გვიხდება რაიმე ძვირფასის დაკარგვა, და ამის სამაგირო კი აღარსადა ჩანს. ამრიგად, სული ჩვენი თანდათან ითვლის დღეებს მანამდე, ვიდრე ადამიანს თავის თავის მეტი აღარავინ ეყვარება, ესე იგი, სანამ არ შეწყვეტს რაიმეს შეცნობას და სიცოცხლეს არსებობის აღსასრულამდე. ოღონდ მგრძნობიარე გული ძალ-ღონის დაუზოგავად იცავს თავს ამ ნაადრევი აღსასრულისაგან, და როცა სიკვდილის ბრჭყალები მალულად უახლოვდება მას, იგი შემოიკრებს თავის გარშემო ყველაფერს, რაც კი შვებასა ჰგვრის მის არსსა და რაობას: რაც მეტი ვინმე დაკარგა, მით უფრო ძალუმად უყვარს ისინი, ვინც შემორჩა და თითქოსდა თავისი ტრფობის უკანასკნელ საგანზე გადაუტანია ყველა უწინდელი კავშირი.

ვგონებ, აი სწორედ ამას განვიცდი ახლა, თუმცა ჯერ კიდევ ახალგაზრდა მეთქმის. აჰ, ძვირფასო, ჩემს საბრალო გულს ისე მგზნებარედ შემოენთო სიყვარულის ცეცხლი, რომ ძალზე ადრე დაიშრიტა მთელი მისი ძალ-ღონე და უდროოდ დაბერდა: ესოდენ ნაირფეროვან სათუთ გრძნობათა შემცველი გახდა, რომ ახალ-ახალი სიყვარულისათვის შიგ ადგილი აღარ დარჩა. შენ გინახავარ მე და მიცნობ როგორც ასულს, დობილს, შეყვარებულს, ცოლსა და დედას. იცი, რა ძვირფასია ჩემთვის ყველა ეს სახელი! ამ კავშირთაგან ზოგი გაწყდა, სხვები მოეშვა. დედაჩემი, ჩემი საყვარელი დედა უკვე აღარ არის ცოცხალი; მე ძალმიძს მხოლოდ დავტიროდე მის ხსოვნას და მარტოოდენ სანახევროდ ვიგემო ბუნებისაგან ჩემთვის მომადლებული უტკბესი გრძნობა. სიყვარული გაქრა, გაქრა სამუდამოდ, და მას ვეღარაფერი შეცვლის ჩემს გულში. ჩვენ დავკარგეთ შენი ქმარი, კეთილი და ღირსეული ადამიანი; მიყვარდა იგი როგორც შენთვის უძვირფასესი ადამიანი. იგი ღირსი იყო შენი სისათუთისა და ჩემი მეგობრობისა. ჩემი შვილები რომ უფრო მოზრდილნი იყვნენ, დედის სიყვარული ამოავსებდა იმ სიცარიელეს, საყვარელ არსებათა დაკარგვამ რომ წარმოქმნა, მაგრამ დედის სიყვარული, ისე როგორც ყოველი სხვა სიყვარული, სანაცვლო გრძნობას მოითხოვს, ხოლო რა თანაზიარ გრძნობებს უნდა მოელოდეს დედა სამი-ხუთი წლის ბავშვისაგან? შვილები ძვირფასნი არიან დედისათვის იმაზე დიდი ხნით ადრე, ვიდრე ისინი შეიგრძნობენ ამას და თავადაც შეიყვარებენ მას. ოღონდ როგორ გვენატრება ვუთხრათ ვინმეს, ვისაც ძალუძს გაგვიგოს, თუ რაგვარ ძალუმად გვიყვარან ისინი! ჩემს ქმარს ესმის ჩემი გულისთქმა, ოღონდ, ასე მგონია, წარმოსახვის გრძნობა აკლია, არ შეუძლია ჩემსავით გაგიჟებით უყვარდეს შვილები; იგი ნამეტნავი განმსჯელი სინაზით ეპყრობა მათ; მინდა ეს მისი გრძნობა იყოს გაცილებით გულმხურვალე და უფრო მეტად ჰგავდეს ჩემს გრძნობას შვილების მიმართ. მინდა დობილი, ისეთივე გადარეული დედა, როგორიც თავად ვარ. ერთი სიტყვით, დედობრიობამ კიდევ უფრო აუცილებელი და საჭირო გახადა ჩემთვის მეგობრობა, – განა სასიამოვნო არაა წამდაუწუმ ელაპარაკო დობილს შენს შვილებზე და იცოდე, თავს რომ არ აბეზრებ! მერწმუნე, ჩემთვის ორმაგად სასიამოვნოა ვეალერსებოდე ჩემს პატარა მარსელინს, როცა ვხედავ, შენც რომ ეფერები მას. როცა ვიხუტებ შენს გოგონას, ასე მგონია, შენ გიხუტებ-მეთქი გულში. მე და შენ ასჯერ მაინც ვუთხარით ერთმანეთს: როცა ჩვენი შვილები ერთად თამაშობენ, ჩვენ, ერთი და იმავე გრძნობით შეკავშირებულ ორ დედას, ერთიმეორეში გვერევა ეს სამი ბაია და უკვე აღარ ვიცით, ჩვენთაგანს ვის რომელი ეკუთვნის.

ეს ყველაფერი როდია, ფრიად მნიშვნელოვანი საფუძველი მაქვს ვისურვო, რომ მუდამ ერთად ვიყოთ: მრავალი მიზეზისა გამო შენი აქ არყოფნა სასტიკი ტანჯვაა ჩემთვის. გაიხსენე, რა ნაკლებ გულჩახვეული ვარ, ამავე დროს კი უკვე ექვსი წელიწადია სულ მუდამ ვცდილობ ვიყო თავდაჭერილი, ვინაიდან ვერ ვბედავ გამოვუტყდე ამქვეყნად ჩემთვის ყველაზე ძვირფას ადამიანს. ჩემი საზიზღარი საიდუმლო სულ უფრო და უფრო მაწუხებს და შემაჭირვებს, მაგრამ დღითი დღე ვრწმუნდები, რომ უნდა ვდუმდე. პატიოსნება მოითხოვს აღიარებას, ხოლო კეთილგონიერება მაიძულებს მდუმარედ ყოფნას. განა შეგიძლია წარმოიდგინო, რა საშინელებაა გულწრფელი ქალისათვის ქმართან ჩახუტებულმაც კი არ გაენდოს, იცრუოს, ვერ გაუბედოს გულის გადაშლა იმ კაცს, ვინაც ფლობს ამ გულს, მიჩქმალოს თავისი ცხოვრების ნახევარი, რათა უზრუნველჰყოს მისი მეორე ნახევრის სიმშვიდე. ღმერთო ძლიერო, ეს ვის უნდა დავუმალო ყველაზე სანუკვარი ჩემი აზრები, დავუფარო სულის მოძრაობანი, მას რომ გაახარებდნენ! ჩემი ქმარი ხომ უღირსეულესი ადამიანია, მისი სათნოების ჯილდოდ ზენას შეეძლო ცოლად მოეცა მისთვის რომელიმე უმანკო ქალიშვილი. მე მოვატყუე იგი, და იმის გამო, რომ ერთხელ მოვატყუე, იძულებული ვარ ვატყუებდე ყოველდღე, და მუდამჟამს ვგრძნობდე, არა ვარ მის წყალობათა ღირსი-მეთქი! გული ჩემი ვერ გაბედავს მისი პატივისცემის ვერავითარი დადასტურების მიღებას, მისი ყველაზე ნაზი ალერსი საშინელ სირცხვილსა მგვრის, მისი მოკრძალებული ყურადღება ჩემს სინდისს უნამუსობითა და სიძულვილით ამძიმებს. რა ძნელია წამდაუწუმ ელაპარაკებოდე საკუთარ თავს: „ეს მე კი არა, სხვა, ოცნებით წარმოსახულ ჟიულის სცემს პატივს. ხოლო რომ იცოდეს, როგორი ვარ სინამდვილეში, მაშინ სხვაგვარად მომეპყრობოდა“. არა, მეტს ვეღარ ავიტან ამ უსაშველო მდგომარეობას! როგორც კი მარტოკა ვრჩები ამ კეთილშობილ ადამიანთან, მზადა ვარ დავუჩოქო, ვაღიარო ჩემი დანაშაული და მწუხარებითა და სირცხვილით მოვწყდე ამ წუთისოფელს მის ფერხთა წინაშე გართხმული.

მაგრამ დღითი დღე სულ უფრო და უფრო საგრძნობ ძალ-ღონეს იძენენ მიზეზები, რომლებიც იმთავითვე მაოკებდნენ აღიარებისაგან, და ყველაფრის თქმის ყოველი საფუძველი მარწმუნებს, დუმილი რომ ვამჯობინო. როცა ჩემი ოჯახის წყნარ და მშვიდობიან ცხოვრებას ვუკვირდები, შეძრწუნებული ვფიქრობ, რომ ერთადერთ სიტყვას შეუძლია საშინლად ააფორიაქოს იგი. ნუთუ ექვსი წლის ბედნიერი ცოლქმრობის შემდეგ დავარღვევ ჩემი ქმრის სულიერ მყუდროებას, ესოდენ ღირსეული და ბრძენი ადამიანის სიმშვიდეს, რომელსაც თავისი ბედნიერი მეუღლის საწადელთა გარდა სხვა სურვილი არა გააჩნია რა, ვისაც იმაზე მეტი სიამოვნება არ გააჩნია, ვიდრე სიხარული მის ოჯახში დამყარებული წესრიგის, სიმშვიდისა და მყუდროების გამო? ნუთუ გავბედავ ჩემი ოჯახური ვაი-ვაგლახით გავუმწარო სიბერე მამაჩემს, რომელიც, ვხედავ, ასე კმაყოფილი და გრძნობამორეული შეჰყურებს თავისი ქალიშვილისა და სიძის, თავისი მეგობრის ბედნიერებას? ნუთუ იმასა ვიქმ, რომ ჩემი ძვირფასი შვილები, ესოდენ კარგნი, ესოდენ მრავლის იმედის მომცემნი, აღიზარდონ უყურადღებოდ და ჰაიჰარად, დღენიადაგ უყურებდნენ ცუდ მაგალითს, გახდნენ დედ-მამის განხეთქილების მსხვერპლნი, ყოველდღე ხედავდნენ სამართლიანი გულისწყრომით გააფთრებულსა და იჭვნეულობით გათანგულ მამას და საცოდავ, ცრემლად დამდნარ, შემცოდე დედას? ვიცი, როგორი კაციც არის ბატონი ვოლმარი ახლა, როცა პატივსა სცემს თავის ცოლს, ოღონდ, განა ვიცი, როგორი იქნება, როცა შეუწყვეტს ამ პატივისცემას? რა ვიცი, იქნებ, იმიტომაცაა ასე თავდაჭერილი, რომ მის ზნე-ხასიათში ასე ფეხგადგმული ვნება ჯერ კიდევ არაა განვითარებული, რადგან არ გააჩნდა ამის საფუძველი. ხომ არ იქნება იგი იმდენადვე სასტიკი და გულფიცხი, რამდენადაც ახლა მშვიდია და წყნარი, როცა არაფერი აღიზიანებს? უკეთუ ვალადა მდევს ვიზრუნო ყველა ჩემს ახლობელზე, ოდნავ მაინც ხომ

არ უნდა ვიფიქრო ჩემს თავზეც? ნუთუ ექვსი წლის მანძილზე ნამუსიანი, კეთილზნეობრივი ცხოვრება ვერაფრით წარხოცავს სიყმაწვილის შემცოდეობას? და ნუთუ კიდევ უნდა დავისაჯო თავი დანაშაულის გამო, რასაც ასე დიდი ხანია ვგლოვობ და დავტირი? გამოგიტყდები, დაო, ზიზღითა და სიძულვილით ვაპყრობ მზერას ჩემს წარსულს, იგი ესოდენ დამამცირებელია, რომ ილაჯი მიწყდება: მეტისმეტად განვიცდი შერცხვენას, როცა მას გავიხსენებ, რაღაც უსაშველო სასოწარკვეთა მეუფლება. უკვე საკმაო დრო გავიდა ჩემი ქორწინებიდან და სიმშვიდე უნდა სწვეოდა ჩემს გულს. ჩემი სულიერი გუნება-განწყობილება შთამაგონებს საკუთარი თავის რწმენას, მარტო თავშემაწყენელ მოგონებებს ძალუძთ დამიკარგონ ეს რწმენა. როგორ მიხარის ველოლიავებოდე ჩემს გულში კეთილშობილურ გრძნობებს, რომლებიც ასე მგონია, კვლავ მოვიპოვე. ცოლისა და დედის მდგომარეობა აღმამაღლებს სულით და მევლინება შემწედ და მხსნელად, როცა სინდისი მამუნათებს წარსულ ამბავთა გამო. როცა ჩემს გარშემო არიან ჩემი შვილები და მათი მამა, ასე მგონია, ჩემს სახლში ყოველივეს თავს დასტრიალებს სათნოება-მეთქი, მაშინ ფიქრადაც არ მომდის ჩემი წინანდელი შეცოდება. ჩემი ახლობლების სულის სისპეტაკე ჩემი ბედნიერების ქვაკუთხედია, ისინი კიდევ უფრო ძვირფასნი არიან ჩემთვის, რადგან მათი წყალობით უკეთესი გავხდი; თავზარსა მცემს ყოველივე, რაც შეურაცხყოფს პატიოსნებას, და რაღაც არც კი მჯერა, ოდესმე მისი დავიწყება რომ შემეძლო. ამჟამად როდი ვარ ის ჟიული, როგორიც ვიყავი, ისე მჯერა იმისი, რაგვარიც გავხდი. ცოტა კიდევ და, მზადა ვარ ვირწმუნო – ის საქციელი, რომელშიც ქმარს უნდა გამოვტყდომოდი, მე კი არ ჩამიდენია, არამედ ვიღაც სხვა ქალსა, და ვალად აღარ მაძევს, ყველაფერი ვაღიარო-მეთქი.

აი როგორი ჭოჭმანი და მღელვარება მხდის სულს და მტანჯავს შენგან მოშორებულს. იცი, რა შეიძლება მოხდეს ერთ მშვენიერ დღეს? მამაჩემი მალე წავა ბერნში და ფიქრობს იქ დარჩენას მანამ, ვიდრე არ გადაწყდება სასამართლოში უკვე ასე ხანგრძლივად გაჭიანურებული საჩივარი: მას არა სურს მემკვიდრეობად დაგვიტოვოს ის მძიმე საქმე და, ვგონებ, არც კი ენდობა ჩვენს უნარს, თავგამოდებით დავიცვათ სასამართლოში ჩვენი ინტერესები. მის დაბრუნებამდე მე და ჩემი ქმარი მარტონი დავრჩებით შინ, და ვგრძნობ, თითქმის შეუძლებელი რომ იქნება ჩემთვის ჩემი საბედისწერო საიდუმლოს დაცვა, ჩემს უნებურად აღმომხდება აღსარება. როცა ჩვენთან ვინმე სტუმარია, ბატონი ვოლმარი, როგორც უწყი, გაურბის საზოგადოებას, და უყვარს მარტოკა ხეტიალი ირგვლივ სანახებში; ესაუბრება გლეხებს, იძიებს მათს ასავალ-დასავალს, ათვალიერებს, რაგვარია მათი ყანები; გაჭირვების ჟამს ეხმარება მათ ფულითა და რჩევა-დარიგებით. მაგრამ როცა ჩვენსას ვინმე უცხო არავინაა, მაშინ მარტო ჩემთან დასეირნობს, არ იცილებს ცოლსა და შვილებს და რაღაცნაირი სანიაზო მიამიტობით იზიარებს მათ სიცელქე-გართობას. ამ დროს ჩვეულებრივზე უფრო ნაზია და სათუთი ჩემი სიყვარული მის მიმართ. ასეთი გულჩვილობა სახიფათოა: ასეთ წუთებში ხომ ძნელია ჩემთვის საიდუმლოს დაფარვა, მით უმეტეს, რომ თავად ის მაძლევს საბაბს დუმილის დასარღვევად, ვინაიდან ბევრჯერ წამოიწყო ფრიად უცნაური ლაპარაკი, თითქოს მაქეზებდა, საიდუმლო გამენდო მისთვის. ვგრძნობ, ადრე თუ გვიან ყველაფერს გავუმხელ. მაგრამ შენა გსურს, რომ ეს ამბავი შენთან შეთანხმებით ჩავიდინო და მივიღო ყოველგვარი გამაფრთხილებელი ზომები, რასაც მოითხოვს კეთილგონიერება. მაშ, მალე დაბრუნდი და დიდხანს ნუღარ მიმატოვებ, თორემ აღარაფერზე ვაგებ პასუხს.

ჩემო საყვარელო დობილო, დროა დავამთავრო წერილი, ხოლო ამავე დროს მინდა კიდევ გითხრა რაღაც მნიშვნელოვანი, და ამის თქმა სულ უფრო მიმძიმს. ჩემთვის აუცილებელი ხარ არა მარტო მაშინ, როცა შვილებთან ან ქმართან ვიმყოფები, – ყველაზე უფრო მაშინ ენატრები შენს საბრალო ჟიულის, როცა მარტო რჩება; მარტოობა სახიფათოა

ჩემთვის, რადგან იგი სასიამოა, და ხშირად შეუგნებლად თავადვე დავეძებ მას. და შენც ხომ იცი – იმიტომ კი არ ვესწრაფი მარტოობას, რომ გულში ჯერ კიდევ არ მომშუშებია ძველი ჭრილობა; არა, ჩემი გული განიკურნა, ეს კარგად ვიცი, და სავსებით მჯერა; ვბედავ, სათნო ადამიანად მივიჩნიო თავი. აწმყოს შიში სულაც არა მაქვს, ოღონდ წარსული მაძრწუნებს და მტანჯავს. ზოგიერთი მოგონება ხომ უფრო საშინელია, ვიდრე ის გრძნობები, რომლებიც ამჟამად გვეუფლებიან; გულს გიჩუყებს განვლილის მოგონება, დასტირი მას, გერცხვინება შენი ცრემლებისა და მაინც ტირი, უფრო მეტადაც კი გიჩუყდება გული... აფრქვევ თანაგრძნობის, სიბრალულისა და მონანიების ცრემლებს. სიყვარული უკვე გაქრა, – იგი უკვე აღარაფერია ჩემთვის, მაგრამ დავტირი იმ ღირსეული ადამიანის სამწუხარო ხვედრს, ვისაც გულში უცაბედად ანთებულმა სახმილმა წარსტაცა სიმშვიდე და, იქნებ, სიცოცხლეც. ვაიმე! ალბათ, დაიღუპა კიდეც ხანგრძლივი და სახიფათო მოგზაურობის ჟამს, სადაც გაემართა უსასოებით გულგასენილი. ცოცხალი რომ დარჩენილიყო, ქვეყნის დასალიერშიც რომ იყოს, მაინც მომაწვდენდა ხმას. უკვე ოთხი წელიწადი გავიდა მისი გამგზავრების შემდეგ. ასე ამბობენ, ესკადრამ, რომელზედაც ის იმყოფებოდა, მრავალი ვაი-ვაგლახი განიცადა და თავისი ეკიპაჟის სამი მეოთხედი დაკარგაო; რამდენიმე ხომალდი ჩაიძირა, ხოლო დანარჩენთ რა დაემართათ, არავინ იცისო. იგი აღარ არის ცოცხალი, აღარ არის ცოცხალი! – ასე მეუბნება ხმა იდუმალი. მერედა ბედი რად დაინდობდა მას, როცა ყველა მისი უბედური თანამგზავრი დაიღუპა? ზღვამ, ავადმყოფობამ, და კიდევ უფრო მეტად უსაშველო მწუხარებამ შეუმოკლეს სიცოცხლის დღენი. ასევე გაქრება ყოველიფერი, რაც ბრწყინვა-კაშკაშით გაიელვებს ამ სამზეოში. ჩემი სინდისის ყოველნაირ ქენჯნასა და წამებას კიდევ ერთი ვაება მიემატა: არ მასვენებს ფიქრი იმაზე, რომ მე მიმიძღვის ბრალი კეთილშობილი კაცის სიკვდილში. აჰ, ჩემო ძვირფასო, რა გულის პატრონი იყო! როგორი სიყვარული იცოდა! ღირსეულად შეეძლო ცხოვრება. და თუკი მოკვდა, უზენაესი მსაჯულის წინაშე წარსდგება უძლური, ოღონდ სპეტაკი და სათნოებით აღსავსე სული. ამაოდ ვცდილობ ამ საწუხარ ფიქრთა გაფანტვას, ჩემს უნებურად ისინი წამდაუწუმ გარს მეხვევიან. მათ გასაფანტავად, ანდა მათი გვრიობის დასაურვებლად, მინდა არ მომაკლდეს შენი მზრუნველი ხელი და რადგან არ ძალმიძს იმ საცოდავის დავიწყება, მიჯობს მის გამო შენთან ბაასი, ვიდრე ვფიქრობდე მარტოულად გულმგლოვიარე.

ხედავღა, რაოდენ მიზეზთ ძალუძთ აღმიძრან გულში შენი ნახვისა და შენთან საუბრის მუდმივი სურვილი! შენ ჩემზე უფრო ბედნიერი ხარ და კეთილგონიერიც, და შეუძლებელია გქონდეს ჩემნაირი მიზეზი, მაგრამ განა გულს იგივე სურვილი და მოწადინება რომ გიმღელვარებს? შენი განსვენებული ქმრის ნათესავთაგან დიდ სიხარულს ნუ გამოელი, და თუ მართალია, რომ არა გსურს კვლავ გათხოვება, მაშ, ვის სახლში იქნები უკეთ, თუ ჩვენთან არა? გული შემტკივა, უცხო ადამიანთა შორის რომ ცხოვრობ; თუმც ამას არ ამჟღავნებ, მე კი ვიცი, რა დღეც გადგას მანდ, ვერ მაცდუნებს შენი ანცი და მხიარული იერი, რომლითაც თვალს უხვევ კლარანის ბინადართ. მსაყვედურობდი ჩემს ნაკლთა გამო, მაგრამ მეც უნდა გისაყვედურო ძალზე დიდი ნაკლისათვის: მარადის იკეტები შენს ნაჭუჭში და არ გსურს ვინმემ გაიზიაროს შენი ვარამი. ფარავ შენს დარდს, თითქოს გერცხვინებოდეს შენს დობილთან ტირილი. კლარა, ეს ამბავი მე არ მომწონს. შენებრ უსამართლო როდი ვარ; არა გკიცხავ, წარსულ რომ მისტირი; როდი მოვითხოვ, ორი წლის შემდეგ, ათი წლის შემდეგ, თუნდაც სიცოცხლის ბოლოს რომ შეწყვიტო საყვარელი ქმრის ხსოვნის პატივისცემა; გკიცხავ მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ შენი ცხოვრების ყველაზე საუკეთესო დროს დასტიროდი ჟიულისთან ერთად მის მწუხარებას, ახლა კი ხელიდან სტაცებ სიხარულს შენთან ერთად იგლოვოს და იმ უფრორე ღირსეული ცრემლებით განბანოს იმ ცრემლთა სირცხვილი,

რომელსაც ღვრიდა ოდესღაც შენს მკერდს ჩაკონებული! უკეთუ ჩემთან ერთად ურვა-წუხილი არ გსიამოვნებს, მაშინ არ გცოდნია ნამდვილი მწუხარება და თუკი მაგ მწუხარებაში რაღაც ნუგეშსა ჰპოვებ, რატომ არ გინდა მეც გამიზიარო იგი? განა არ იცი, გულთა კავშირი მწუხარებას რაღაც სასიამოსა და სანეტაროს რომ ანიჭებს, რაც არ გააჩნია ცხოვრებით კმაყოფილებას? და განა იმისთვის არ მომადლა ზენამ უბეუდრებს მეგობრობა, რომ ამით ტანჯვა შემსუბუქებოდათ და ნუგეში ეპოვათ ჭირში, თავიანთი ვაი-ვარამის ჟამს?

აი, ჩემო ძვირფასო, მოსაზრებები, შენთვის რომ უნდა მემცნო; მათ კიდევ უნდა დავუმატო ის ამბავიც, რომ, როცა ჩვენთან გადმოსვლას გთავაზობ, მარტოოდენ ჩემი სახელით როდი ვამბობ ამას, არამედ ქმრის სახელითაც. ბევრჯერ მეგონა, მას აოცებს და თითქმის შეურაცხყოფილიც კი არის იმით, რატომ ხდებაო, რომ ასეთი გულითადი დობილები, როგორებიც თქვენა ხართ, ერთად არ ცხოვრობენო. მარწმუნებს, თავადაც რომ გითხრა ეს, ხოლო მისი ნათქვამი ლიტონი სიტყვა როდია. არ ვიცი, რა გზას დაადგები ჩემი რჩევა-დარიგების შემდეგ, ოღონდ ვიმედოვნებ, რომ ჩემი სურვილი შესრულდება. როგორადაც უნდა მოხდეს, მე ჩემს გადაწყვეტილებას აღარ დავიშლი. როდი დამვიწყებია, თუ როგორ გსურდა ოდესღაც გამყოლოდი ინგლისს. ჩემო დაუფასებელო მეგობარო, ახლა ჩემი რიგია. შენთვის ცნობილია, თუ როგორა მძულს ქალაქის ხმაური, იცი, ვითარ მომწონს სოფლური ცხოვრება, სოფლის მეურნეობა და კლარანში სამ წელიწადს ცხოვრებისას რაგვარ შემიყვარდა ჩემი სახლი. შენ, რასაკვირველია, აგრეთვე კარგად გესმის, რა ძნელია მთელი ოჯახით გადასვლა-გადმოსვლა და როგორ მეუხერხულება ბოროტად გამოვიყენო მამაჩემის გულკეთილობა, როცა ხშირ-ხშირად ვაიძულებ ჩვენთან ერთად გადავიდეს ერთი ადგილიდან მეორეზე. და მაინც ასე მოვიქცეთ: თუ არა გსურს თავი მიანებო შენს მეურნეობას, არ გინდა ჩემთან გადმოსვლა და ჩემი მეურნეობის განკარგვა, მაშინ მე ვიქირავებ სახლს ლოზანაში, და ჩვენ ყველანი გადმოვალთ იქ, რათა ერთად ვიცხოვროთ. ეს თავად გადაწყვიტე. ყველაფერი მოითხოვს ჩვენს შეერთებას – ჩემი გული, ჩემი მოვალეობა, ჩემი ბედნიერება, ჩემი გადარჩენილი ღირსება, გონება ჩემი, რომელიც დამიბრუნდა, ჩემი მდგომარეობა, ჩემი ქმარი, ჩემი შვილები, თავად მე. მე ხომ ყველაფრით ვარ შენგან დავალებული, – ყოველივე, რაც კარგი მაქვს, შენ მომმადლე, ხოლო უშენოდ არარაობა ვარ. მაშ, ჩამოდი, ჩემო თვალისჩინო, ჩემო მფარველო ანგელოზო, დააბოლოე ხელთა შენთა საქმენი, გაიხარე შენთა წყალობათა ნაყოფით. ვიცხოვროთ ერთ ოჯახად, მე და შენ ხომ ერთი გული გვაქვს, – ჩვენი ყველაზე უძვირფასესი ავლა-დიდება; შენ უთვალყურებ ჩემი შვილების აღზრდას, ხოლო მე შენი ქალიშვილისას. გავიყოთ ურთიერთშორის დედის მოვალეობა, და მაშინ ჩვენთვის ორკეცად სასიამო იქნება იგი. ერთად შევავედროთ გულნი ჩვენნი იმას, ვინაც შენი მოსარჩლეობით ჩემს სულს დაუბრუნა სისპეტაკე; და, როცა მეტად აღარ გვექნება არავითარი საწადელი ამ ქვეყანაზე, მაშინ უმანკოებითა და მეგობრობით აღსავსე ჩვენი ოჯახის წიაღში გულმშვიდად და არხეინად დაველოდოთ ზენაარ სამყოფს გადასვლას.

II წერილი

პ ა ს უ ხ ი

ღმერთო ჩემო, რა სიამოვნება მარგუნა, ძვირფასო დაო, შენმა წერილმა! ჩინებული მოქადაგე ხარ – მართლაც, ჩინებული, ოღონდ სწორედ რომ მოქადაგე. სიტყვები აღტაცების მომგვრელია, საქმე კი – ძალიან ცოტა. გახსოვს თუ არა რომელიღაც ათენელი

ხუროთმოძღვარი... ხომ იცი, ის ენალაქლაქა... მოხუცი პლუტარქე რომ წერს... რა კარგად ამბობდა, შესანიშნავ ტაძარს ავაგებო!.. ხოლო როცა ლაპარაკით გული იჯერა, შემოვიდა მეორე – უბრალო კაცი, შესახედავად თავმდაბალი, დინჯი, დარბაისელი... შენი ბიძაშვილის – კლარას მსგავსი. ყრუ ხმით, ხმადაბლა და ოდნავ დუდღუნით ის აცხადებს: რაც მან თქვა, მე გავაკეთებო. თქვა და დადუმდა, ხოლო ირგვლივ ამქუხარდა ტაშისცემა. მშვიდობით, ენაჭარტალავ! ჩემო ბავშვო, მე და შენ ის ორი ხუროთმოძღვარი ვართ, ხოლო უნდა ავაგოთ კი მეგობრობის ტაძარი.

მოკლედ გადმოვცეთ შენი მშვენიერი სიტყვები: ჯერ ერთი, თურმე ჩვენ გვიყვარს ერთმანეთი, მეორეც, მე შენთვის აუცილებელი ვარ და შენც ჩემთვის საჭირო ხარ, მესამეც, რამდენადაც ნება გვაქვს ერთად გავატაროთ ჩვენი სიცოცხლე, ასედაც უნდა მოვიქცეთ. და ამ აზრს შენ ერთმა მიაგენ, შენი ჭკუით?

მართალი რომ ვთქვათ, შენ ენამოქარგული ქალი ხარ! მაშ, აი ახლავე მოგახსენებ, რას ვაკეთებდი, სანამ მაგ შენს წერილს ამზადებდი. ამის შემდეგ კი თავად განსაჯე, რა უფრო მნიშვნელოვანია: შენი სიტყვები, თუ ჩემი საქმე. მას შემდეგ, რაც ჩემი ქმარი დავკარგე, შენ ამოავსე მის მიერ ჩემს გულში დატოვებული სიცარიელე. ქმრის სიცოცხლეში ჩემს სიყვარულს მასა და შენს შორის ვანაწილებდი. ახლა ის აღარ მივის და უკვე მთლიანად გეკუთვნი. თვით ჩემი სიყვარული ქალიშვილის მიმართ მხოლოდ და მხოლოდ ანმტკიცებს ჩვენს შემაერთებელ კავშირურთიერთობას, და ყველაფერი ეს ეთანხმება შენს მოსაზრებას დედობრივი სინაზისა და მეგობრული გრძნობის შეხამებაზე. გადავწყვიტე, არა თუ შენთან გავატარო ჩემი უკანასკნელი დღეები, – ჩემი განზრახვა უფრორე დიდია. ჩვენი ოჯახების ერთ მთლიან ოჯახად გარდასაქმნელად განვიზრახე, უკეთუ ჩვენს ურთიერთობაში ყველაფერი რიგზე იქნება, ოდესმე ქორწინებით შევაერთო ჩემი ქალიშვილისა და შენი უფროსი ვაჟის ბედი-მეთქი; მისი სახუმარო სახელი „ანრიეტას საქმრო“ ბედნიერების მომასწავებელ ნიშნად მეჩვენებოდა და აღმითქვამდა, ერთხელაც იქნება, მართლაც მისი ქმარი გახდებაო.

ამ განზრახვით შევეცადე ყველაზე უწინ აღმეკვეთა დაბრკოლება, რასაც მემკვიდრეობის გამო ჩემი აწეწილ-დაწეწილი საქმე წარმოადგენდა, და, ვინაიდან საკმაო ქონება მომეპოვება, ნება მივცე ჩემს თავს მსხვერპლად გამეღო ზოგი რამ, და გამოვიყენე სამემკვიდროდ მიღებული ადგილ-მამული; მხოლოდ იმას ვფიქრობდი, რათა ჩემი ქალიშვილის წილი საიმედო საგანძურად მექცია და უზრუნველმეყო ყოველგვარი სამოსამართლო დავა-საჩივრისაგან. ხომ იცი, ზოგჯერ დიდი ახირებული რომა ვარ, და უცბად წამძლია გიჟურმა სურვილმა სიურპრიზი მომეწყო შენთვის. წარმოვიდგინე, როგორ შემოვალ შენს საწოლ ოთახში ერთ მშვენიერ დილას, ჩემს ქალიშვილთან ხელჩაკიდებული, მეორე ხელში საფულე მეჭირება და წარმოვთქვამ სასიამო სიტყვებს. თქვენს მზრუნველობას ვანდობ დედას, ქალიშვილს და მათ ავლა-დიდებას, ესე იგი, ამ ქალიშვილის მზითევს. განაგე და მართე ყველაფერი, – მინდოდა მეთქვა შენთვის, – შენი ვაჟის ინტერესთა შესაბამისად, ამიერიდან ეს შენი და მისი საქმეა, მე კი ვერაფერში ჩავერევი-მეთქი.

გამიტაცა ამ ჩემმა ფიქრმა, ვეძიებდი, ვისთვის გამემხილა ეს ამბავი, ვინ დამეხმარებოდა მის განხორციელებაში. და აბა გამოიცან, ვინ ავირჩიე, ვის ვენდე? ვინმე ბატონ დე ვოლმარს. შენ ხომ არ იცნობ მას? „ეს როგორ, დაიკო? ჩემს ქმარს?“ დიახ, შენს ქმარს, დაიკო. სწორედ იმ ადამიანს, ვისგანაც ასე გვეძნელება შენი საიდუმლოს დაფარვა, თუმცა მისთვის უმჯობესია ამის არცოდნა, და რომელმაც შეძლო შენთვის მეორე საიდუმლოს დამალვა, მიუხედავად იმისა, რომ ძალზე ეამებოდა შენთვის მისი გამხელა. სწორედ ეს ამბავი იყო ჩვენი უცნაური, განმარტოებული საუბრის საგანი, რის გამოც ასე აგვიმხედრდი, შე სასაცილო ადამიანო. ხედავ, რა გულჩახვეული ადამიანები არიან ეს

ქმრები! განა სასეირო ამბავი არაა, როცა ისინი ქალებს გულდახშულობას უკიჟინებენ? შენს მეუღლეს საიდუმლოს დამარხვაზე მეტიც მოვთხოვე, მშვენივრად ვხედავდი, სწორედ ასეთ გეგმას რომ ამზადებდი; ოღონდ შენ იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნი, ვინაც დიდხანს გულში ატარებს და მხოლოდ გულახდილობით აღტყინებული გადმოალაგებს თავის გრძნობებს. მინდოდა შენთვის მომეწყო განსაკუთრებით სასიამოვნო სიურპრიზი და ვთხოვე ბატონ დე ვოლმარს, როცა შესთავაზებდი ჩვენი ოჯახების გაერთიანებას, საკმაოდ გულცივად შეხვედროდა ამ გეგმას და თანხმობისაგანაც თავი შეეკავებინა. ამის გამო ისეთი პასუხი გამცა, რაიც ძალზე დამახსომდა და შენაც კარგად უნდა დაიხსომო, – ვეჭვობ, თუნდაც ერთ ქმარს, მას შემდეგ რაც ისინი არსებობენ ამქვეყნად, გაეცეს ასეთი პასუხი. აი, რა მითხრა: „მამიდაშვილო, მე ვიცნობ ჟიულის, კარგადაც ვიცნობ... იქნებ, უკეთესადაც, ვიდრე ამასა ფიქრობს. მას იმდენად კეთილშობილი გული აქვს, რომ ჩვენ ვერც ერთ მის სურვილს ვერ შევეტოქებით, და იმდენად მგრძნობიარეა, რომ უარი სასტიკად გაანაწყენებს. ხუთი წელია ცოლ-ქმარნი ვართ და არ მახსოვს, ამ წელთა მანძილზე მისთვის რაიმე, თუნდაც სულ უმნიშვნელო წყენა რომ მიმეყენებინოს, და იმედი მაქვს, ჩემი სულის აღმოხდომამდე არც ერთხელ არ გავანაწყენო“. კარგად დაფიქრდი, ჩემო დაო, აი, რა ქმარი გყავს; შენ კი სულ ცდილობ შეუფერებელი აღიარებით მყუდროება დაურღვიო მას.

მე, რასაკვირველია, ნაკლებ თავაზიანი ვარ, ანდა უფრო დიდადა მჯერა შენი თვინიერებისა; ისე ოსტატურად ვარიდებ თავს საუბრის ზოგიერთ საგანს, რომლისკენაც ხშირად გიბიძგებდა შენი გული, რაკი არ გქონდა იმის საბაბი გეფიქრა, ჩემზე გული გაუცივდაო, მზად იყავი წარმოგედგინა, ვითომცდა მინდოდეს მეორეჯერ გათხოვება, ხოლო თუ ეს მოხდა, მაშინ, თუმცა ყველაზე მეტად მიყვარხარ, ქმარი მაინც უფრო ძვირფასი იქნება ჩემთვის. ხედავ, შე საბრალო, ჩემგან დაუფარავია შენი სულის თუნდაც სულ უკნინესი განცდა. შევიცნობ ყოველივეს, რაც მასშიგან ხდება: ვჭვრეტ თავიდან ბოლომდისინ, ვწვდები მის ყველაზე ღრმა შინასკნელს. მაგრამ სწორედ ამიტომაც მუდამ გაღმერთებდი შენ. ჩინებულ ხერხად ჩავთვალე მხარი მიმეცა შენი მცდარი, მაგრამ ჩემთვის ესოდენ ხელსაყრელი ეჭვისათვის. და აი, კეკლუც ქვრივ ქალად მომქონდა თავი. და ისე კარგად ვახერხებდი მას, რომ მოგატყუე კიდეც; ამ როლისათვის ნიჭი ისე არ მაკლია, როგორც სურვილი. მანჭვა-გრეხას მოვყევ, საამისოდ უნარიც მომდევს, აკი მრავლად მქონდა შემთხვევა თავის შესაქცევად გამეგმირა ყმაწვილ პეწენიკთა გული. შენ კი ძალზე იოლად მოტყუვდი და ჩემზე იფიქრე, იმ კაცის მაგიერს ეძებსო, ვისი შეცვლაც ყველაზე ძნელი საქმეა ამ ქვეყნად. მაგრამ ნამეტნავი გულახდილი ვარ, არ ძალმიძს დიდხანს თავის მოკატუნება, და ამიტომ მალე მშვიდდებოდი. ოღონდ მინდა, კიდევ უფრო დაგამშვიდო და გამცნო ჩემი ნამდვილი განცდები ამ მიმართებით.

გაუთხოვარი რომ ვიყავი, ასჯერ მაინც მითქვამს, ცოლად არ გამოვდგები-მეთქი. ეს რომ ჩემზე ყოფილიყო დაქვემდებარებული, არასოდეს გავთხოვდებოდი; მაგრამ ჩვენს სქესს შეუძლია თავისუფლების მოპოვება მხოლოდ და მხოლოდ მონობის ფასად, – ჯერ მოახლე იქნები, ხოლო ოდესმე დიასახლისიც გახდები. მამაჩემი არ მაკვეცდა ფრთებს, მაგრამ შინ იოლად როდი ვცხოვრობდი. თავისუფლად რომ გამენავარდნა, ბატონ დ’ორბს მივთხოვდი. ისეთი კეთილშობილი ადამიანი იყო და ისე სათუთად ვუყვარდი, რომ მეც გულწრფელად შემიყვარდა. ჩემი გამოცდილების მიხედვით ქორწინების გამო უფრო დიდი წარმოდგენა შემექმნა, ვიდრე ქალიშვილობაში მქონდა, განიფანტა ის შთაბეჭდილება, რომელიც შემიქნეს ჩვენი შაიოს მონაჩმახმა ამბებმა. ბატონმა დ’ორბმა გამაბედნიერა მე და ეს სანანებლად არ გამხდომია. სხვა ქმართან, რასაკვირველია, მუდამ მოვალეობის ერთგული ვიქნებოდი, ოღონდ საშინლად გავანაწყენებდი მას. კაცმა რომ თქვას, მე მინდოდა ძალიან კარგი ქმარი, მისი გულისათვის მეც კარგი ცოლი რომ

გავმხდარიყავი. შეგიძლია წარმოიდგინო, მზად ვიყავი დამნანებოდა კიდეც, რომ ასე კარგი ქმარი იყო. ჩემო ბავშვო, ჩვენ უღრმესი სიყვარულით გვიყვარდა ერთმანეთი, ოღონდ სავსებით გვაკლდა სიხარული. ჩვენი გრძნობა უფრო უდარდელი რომ ყოფილიყო, მაშინ მეტად ცელქები ვიქნებოდით და, ვგონებ, ნაკლებ ბედნიერ ცხოვრებას ვამჯობინებდი, მაგრამ უფრო ხშირად სიცილსა და მხიარულებას.

მხოლოდ ამას შემდეგ დაემატა მღელვარება, რასაც იწვევდა შენი ამბავი. რა საჭიროა მოვიგონოთ, თუ რა ხიფათს გიქადდა გიჟური ვნებათაღელვა; ვხედავდი ყოველივეს და გული მეწურებოდა. დაღუპვა მარტოოდენ შენს სიცოცხლეს რომ დამუქრებოდა, იქნებ, მხიარულებას ჯერ კიდევ მთლად არ აეღო ხელი ჩემზე; მაგრამ მწუხარება და შიშის ზარი შემომეჯარა, და სანამ არ გათხოვდი, ერთი წუთითაც კი აღარ მქონდა მოსვენება. იცოდი, დარდი რომ მიღებდა ბოლოს, გრძნობდი ამას, შენი კეთილი გული როდი დაშთა მის მიმართ გულგრილი; და არასოდეს შევწყვეტ ჩემი მხსნელი ცრემლების ლცოვა-კურთხევას; ვინაიდან ვგონებ, ისინი გახდნენ კეთილ გზაზე შენი დადგომის მიზეზნი.

აი როგორ განვლო ქმართან ერთად გატარებულმა დრო-ჟამმა. თავადვე განსაჯე, როცა უფალმა წამგვარა იგი, შემეძლო თუ არა მეპოვა სხვა საგულისგულო ქმარი და წამძლევდა თუ არა ცდუნება მის საძებნელად. არა, დაო ჩემო, ცოლქმრობა მეტისმეტად სერიოზული საქმეა. დარბაისლობა და მედიდურობა არ შეფერის ჩემს ზნე-ხასიათსა და ნიშატს, ისინი უსაშველო სევდასა მგვრიან, არც შემშვენიან მე, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ყოველგვარი შეზღუდვა აუტანელია ჩემთვის. შენ კარგად მიცნობ და აბა ერთი იფიქრე, როგორი იქნებოდა ჩემთვის ცოლქმრული კავშირი, როცა შვიდი წლის მანძილზე შვიდჯერაც არ გამიცინია თავისუფლად. მე როდი მსურს ოცდარვა წლისა ვიყო დარბაისელი მატრონა. არა, მე ახალგაზრდა და საკმაოდ სანდომიანი ქვრივი ქალი ვარ, რომელსაც ჯერ ისევ შეიძლება ქმარი გაურიგოთ: ასე მგონია, მამაკაცი რომ ვიყო, მართლაცდა, სავსებით კმაყოფილი დავრჩებოდი ასეთი ცოლით. მაგრამ ჩემი მეორედ გათხოვება აბა რა სათქმელია! მიხსენით ამ განსაცდელისაგან! გამიგონე, გულწრფელად ვგლოვობ ჩემს ქმარს. ნახევარ სიცოცხლეს გავიღებდი, ამ სიცოცხლის მეორე ნახევარი მასთან ერთად რომ გამეტარებინა; და მაინც, მკვდრეთით რომც აღსდგეს, ვფქირობ, მასვე მივთხოვდებოდი მხოლოდ იმიტომ, რომ ერთხელ უკვე იყო ჩემი რჩეული.

აი, ჩამოგითვალე ჩემი ნამდვილი გულისთქმანი. უკეთუ ჯერ კიდევ ვერ მოვახერხე მათი განხორციელება, ბატონ დე ვოლმარის ზრუნვის მიუხედავად, ეს მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზეზისა გამო, რომ რამდენადაც ვცდილობ დაბრკოლებათა გადალახვას, მით უფრო ძალუმად, თითქოსდა ჯიბრზე მრავლდებიან ისინი. მაგრამ ჩემი გულმოდგინება მაინც მათზე ძლიერი აღმოჩნდება და ვიმედოვნებ, ჯერ კიდევ ზაფხულის ბოლომდე შევერთდებით მთლიან ოჯახად და ასე ვიცხოვრებთ სულ-ხორცის გაყრამდე.

ისღა მშთენია მხოლოდ თავი გავიმართლო იმის გამო, რომ მეც, როგორც ამას მიძრახავ, გიმალავ ჩემს ვაი-ვარამს და ვამჯობინებ ვიტირო შენგან მოშორებულმა; როდი უარვყოფ, – აქ დიდ დროსა და ხანს ცრემლთა ფრქვევას ვანდომებ. როგორც კი შევალ შინ, ყველგან ვხედავ მასთან წინანდელი ცხოვრების კვალს, ვის გამოც ასე ძვირფასი იყო ჩემი სახლი. ყოველ ფეხის ნაბიჯზე, ყოველ ნივთსა და საგანში ვმზერ მისი ნაზი სიყვარულისა და გულკეთილობის ნიშნებს, მაშ, როგორ არ უნდა ვღელავდე? როცა აქ ვიმყოფები, არ ძალმიძს არ ვდარდობდე ჩემი მწუხარების გამო; ხოლო შენს გვერდით მყოფი მხოლოდ მას ვუცქერ, რაც ჯერ ისევ შემომრჩა ამ საწუთროში. ნუთუ ბრალად დამდებ, შენს ძალაუფლებას რომ მოიპოვებ ჩემს სულიერ მდგომარეობაზე? თუკი მე ვტირი შენგან მოშორებული და ვიცინი შენს ახლოს, – რა არის ამ სხვაობის მიზეზი? შე უმადურო, შენ ხომ ნუგეშსა მცემ ყველა შეჭირვების ჟამს, მე კი ამიერიდან აღარაფერსაც არ ვდარდობ, რადგანაც ვფლობ შენს გულს.

შენ ბევრი რამ კარგი მითხარი წინანდელი ჩვენი მეგობრობის გამო, მაგრამ არ ძალმიძს გაპატიო, ერთი გარემოება რომ დაგავიწყდა, რომელიც ყველაზე უფრო სასიქადულოა ჩემთვის. მე ხომ გაღმერთებ, თუმცა თავად შენთან აჩრდილიღა ვარ. ჩემო სიხარულო, შენ სადედოფლოდ ხარ გაჩენილი. შენი ძალაუფლება უაღრესად უკიდეგანოა, მეორე ასეთი არსად არ მეგულვის, – შენ განაგებ თვით შენს ქვეშევრდომთა ნებისყოფას, და ამას მე განვიცდი უფრო მეტად, ვიდრე სხვა ვინმე. ეს როგორღა ხდება, დაო ჩემო? ორივენი პატივსა ვცემთ სათნოებას, ორივესთვის ძვირფასია სულის კეთილშობილება; ორივეს ერთნაირი ნდომა-სურვილი გვაქვს; მეც თითქმის ისევე ჭკვიანი ვარ, როგორც შენ, და არანაკლებ კარგი გახლავარ თვალტადანაც. ყველაფერი ეს მშვენივრად ვიცი, და მაინც შენ, ჟიული, რაღაც პატივისცემას აღმიძრავ, მიმონებ, პირქვე მამხობ, შენი სული უსასრულოდ მაღალია ჩემს სულზე, და შენს წინაშე არარა ვარ. თვით იმ დროსაც კი, როცა შენს ცხოვრებაში იყო აკრძალული კავშირი, რის გამოც თავად ჰკიცხავდი შენს თავს, მე კი არ მივბაძე შენს მაგალითს, არ ჩავიდინე ისეთი შეცდომა და დაბოლოს უნდა განმეცადა ჩემი უპირატესობა, შენ მაინც კვლავინდებურად სულით მაღალი იყავი ჩემზე. შენი სისუსტე, რის გამოც გკიცხავდი, თითქმის სათნეობად მეჩვენებოდა... მე, ჩემდა უნებურად, აღმიტაცებდა ის შენი ნიშან-თვისებები, რისთვისაც გავკიცხავდი კიდეც სხვა ქალს. ერთი სიტყვით, თითქმის იმ დროსაც კი ყოველთვის უნებლიე პატივისცემის გრძნობით ვინმსჭვალებოდი შენ მიმართ. მხოლოდ შენი ენით უთქმელი გულკეთილობისა და ჩვენი სიახლოვის წყალობით ვიქეც შენს დობილად, ჩემი ბუნების მიხედვით კი შენი მოახლე უნდა ვყოფილიყავი. თუ ძალგიძს, ამიხსენი ეს გამოცანა, მე კი აქ აღარაფერი გამეგება.

არა, მაინც რაღაც კი მესმის და, ვგონებ, ოდესღაც კიდეც განგიმარტე ასეთი მდგომარეობა: შენი გულითადობა ხომ ცხოველმყოფელად მოქმედებს ყველა გარშემომყოფზე, – უნერგავ მათ რაღაც ახალს, კარგს, და ისინიც ძალაუნებურად განიცდიან შენს პატივისცემას, თან გრძნობენ, რომ უშენოდ მათ არ ექნებოდათ ყოველივე ეს. ვაღიარებ, დიდი სამსახური გაგიწიე, და შენც ხომ ისე ხშირად იხსენებ ამ ამბავს, რომ არაფრით აღარ ძალმიძს მისი დავიწყება. უჩემოდ დაიღუპებოდი, ამას როდი უარვყოფ, ოღონდ მე ხომ მარტოოდენ ჩემი ვალი მოვიხადე შენ წინაშე. ძალუძს თუ არა ადამიანს მუდამ გხედავდეს და არ დაემონოს შენგნით გამონაშუქ სათნოების მომხიბვლელობას, არ განიმსჭვალოს მეგობრობის სასიამოტკბილო გრძნობით? ნუთუ არ იცი, რომ ყველას, ვინც კი დაგიახლოვდება, თავად აწვდი იარაღს, შენი დამცველი რომ გახდეს, და მეც, სხვებთან შედარებით, მხოლოდ ის უპირატესობა მაქვს, რაც მოეპოვებათ სეზოსტრისეს მცველებს. შენი კბილა ვარ, შენივე სქესის არსება და შენთან ერთად აღვიზარდე. როგორადაც უნდა იყოს, მაგრამ კლარა, რომელსაც კარგად ესმის, ჟიულის ღირსი როდი ვარო, ნუგეშსა ჰპოვებს იმაში, რომ უჟიულოდ უფრო უარესი იქნებოდა; და, ესეც არ იყოს, მართალი რომ ვთქვათ, ასე მგონია, ძალზე საჭირონი ვართ ერთმანეთისთვის და ორივენი ბევრ რაიმეს დავკარგავდით, ბედს რომ გავეთიშეთ.

ამრიგად, საქმე ჯერ კიდევ მაყოვნებს აქ, და ეს ჩემთვის განსაკუთრებით საწყენია, რადგან მუდამ ვიშიშვი, ვაითუ ბაგეთაგან დაგცდეს გაუფრთხილებელი სიტყვა და გაამჟღავნო საიდუმლოება. გევედრები, გახსოვდეს, მის დაფარვას გაიძულებს კეთილგონიერება, გონების ხმა, ხოლო აღიარების სურვილი წარმოქმნილია წინდაუხედაობით. მე და შენი ეჭვებიც კი, რომ ეს საიდუმლო უკვე აღარ წარმოადგენს საიდუმლოს იმ კაცისათივს, ვისაც იგი ეხება, არ შეიძლება იყოს საფუძველი იმისა, ყოველივე რომ აღიარო, თუნდაც უდიდესი სიფრთხილით. იქნებ, შენი ქმრის თავდაჭერილობა ჩვენთვის უნდა გახდეს მაგალითი და გაკვეთილი; ასეთ საქმეში ხომ დიდია განსხვავება, შევინარჩუნებთ მოჩვენებით უცოდნელობას თუ ვიქნებით ნაიძულევი

მცოდნე. მაშ, დაიცადე, ვინემ ერთხელ კიდევ მოვილაპარაკებდეთ. გაფიცებ – ნუ აჩქარდები! უკეთუ წინათგრძნობამ არ გაცდუნა და უკვე ცოცხალი აღარ არის შენი ბედკრული მეგობარი, ყველაზე გონივრულია, მისი ამბავი და შენი ვაი-ვარამი მასთან ერთად დაიმარხოს. მაგრამ თუკი ცოცხალია, მაშინ შეიძლება ყველაფერი სხვაგვარად შეტრიალდეს. ოღონდ კარგად უნდა შემოწმდეს, ცოცხალია თუ არა იგი. ასეა თუ ისე, განა არ გმართებს მიუგდო ყური საბრალო ყმაწვილის უკანასკნელ რჩევა-დარიგებას, ვისი უბედურებაც შენი ბრალია?

რაც შეეხება მარტოობის საფრთხეს, მესმის და ვიზიარებ შენს შეშფოთებას, თუმცა ისიც ვიცი, სრულიად უსაფუძვლო რომ არის იგი. წარსულში ჩადენილ შეცდომათა გამო მშიშარა გახდი. ეს შიში კარგი საწინდარია აწმყოსათვის, უფრო ნაკლებ მშიშარა იქნებოდი, შენი სისუსტის გამო შიშისათვის მეტი მიზეზი რომ გქონებოდა. მაგრამ არ შემიძლია გაპატიო საშინელი აზრები ჩვენი საბრალო მეგობრის ხვედრის გამო. გახსოვდეს, რომ ახლა, როცა მის მიმართ შენი ტრფიალების ხასიათი შეიცვალა, ჩემთვისაც არანაკლებ ძვირფასია იგი, როგორც შენთვის. ოღონდ ჩემი წინათგრძნობა სავსებით ეწინააღმდეგება შენსას და უფრო გონების ხმას ეთანხმება. მილორდ ედუარდმა ორჯერ მიიღო ამბავი ჩვენი მეგობრისაგან და მეორე ამბის შემდეგ მომწერა, სენ-პრე სამხრეთ ზღვაშია და თავი დააღწიაო ყოველგვარ ხიფათს, რომელთა გამო ლაპარაკობ. ეს ჩემზე კარგად იცი, ხოლო ისე დარდობ, თითქოს არაფერიც არ იცოდე. დროა გამცნო ერთი ახალი ამბავიც: ხომალდმა, რომლის ბანზედაც ის იმყოფება, ორი თვის უკან ჩაიარა კანარის კუნძულების ახლოს, ევროპის მიმართულებით. ეს ამბავი მოსწერეს მამაჩემს ჰოლანდიიდან – ხოლო მან დაუყოვნებლივ შემატყობინა, რადგან ჩვეულებრივსამებრ, ყოველთვის უფრო ვრცლად მამცნობს სხვა ადამიანთა ამბებს, ვიდრე საკუთარ საქმეთა ვითარებას. გული მიგრძნობს, ახლა დიდხანს აღარ მოგვიხდება ლოდინი ჩვენი ფილოსოფოსის ამბავთა გამო; გეყოფა უკვე ცრემლთა ფრქვევა, ამდენ ხანს მის სიკვდილსა გლოვობდი და აწ აღარაფერი გაქვს სატირალი, თუ არ გინებს ტირილი იმის გამო, ცოცხალი გადარჩაო... მაგრამ, მადლობა ღმერთს, ალბათ, ამას არ ჩაიდენ.

Deh! losse or qui quel miser pur un poco,
Ch'è già de piangere e di viver lasso.[86]

აი, ყველაფერი, რაც ძალმიძს გიპასუხო. მიყვარხარ და ვიზიარებ შენს განსაცხრომელ იმედს ჩვენი ხანგრძლივი, სამარდჟამო შეერთების გამო. როგორცა ხედავ, შენ პირველს როდი მოგივიდა აზრად ეს განზრახვა, და იგი გაცილებით მალე განხორციელდება, ვიდრე ფიქრობდი. მოითმინე კიდევ ერთი ზაფხული, ჩემო საესავო მეგობარო, სჯობს, ცოტა მოგვიანებით შევერთდეთ, ვიდრე კვლავ დავშორიშორდეთ.

აბა, მიბრძანე, მშვენიერო ბანოვანო, შევასრულე თუ არა ჩემი დაპირება? მე ვზეიმობ, ქალბატონო! ო, რა ტრიუმფია! ჩქარა მოიყარეთ მუხლი, მოწიწებით წაიკითხეთ ეს წერილი და მორჩილებით აღიარეთ, სიცოცხლეში თუნდაც ერთხელ ჟიული დე ვოლმარი მისმა დობილმა დაამარცხაო.[87]

---

[86] ვაიმე, საბრალომ რა ცოტა იცოცხლა,
და უკვე მოქანცა უიღბლო ცხოვრებამ (იტალ.).

[87] რა საუცხოო ზნე-ხასიათი აქვს ამ გულკეთილ შვეიცარიელ ქალს. მხიარულების ჟამს ნატიფ მახვილგონიერებას არ იჩენს, ბავშვურად იქცევა, არ მიმართავს მზაკვრულ ხერხს. ეჭვადაც კი არ იცის, რა მატრაბაზობაა საჭირო ჩვენს საზოგადოებაში, რომ ადამიანს აპატიონ კარგი გუნება-განწყობილება. არ იცის, რომ კარგ გუნებაზე ყოფნა მარტოოდენ თავის თავისთვის როდია საჭირო, არამედ სხვებისათვისაც, და უნდა გაიცინო იმიტომ კი არა, რომ გეცინება, არამედ ხალხის სასიამოვნოდ.

III წერილი

ქალბატონ დ'ორბისადმი

დაო ჩემო, ჩემო მწყალობელო, მეგობარო ჩემო! ვიყავი ქვეყნიერების დასალიერში, ახლა ჩამოვედი და გული ჩემი აღსავსეა თქვენი პატივისცემით. ოთხჯერ გადავსერე ეკვატორი; ვიყავი ორივე ნახევარსფეროში, ვინახულე ქვეყნის ოთხი ნაწილი. დედამიწის სფეროს დიამეტრის ოდენი მანძილით ვიყავი თქვენგან დაშორებული, – და ვერც ერთი წუთით ვერ შევიძელი თქვენი დავიწყება. ამაოა ყოველი მცდელობა გაექცე მას, ვინც შენთვის ძვირფასია, – საყვარელი სახე, ზღვის ტალღებსა და ქარზე უსწრაფესად, ცხრა მთას იქით გამოგეკიდება, და სადაც უნდა გაემართო, ყველგან თან დაატარებ იმას, რაც შეადგენდა შენი სიცოცხლის აზრსა და მიზანს. მრავალი ტანჯვა-წამება გადავიტანე და უფრო მეტად სხვების საშინელი შეჭირვება ვიხილე, რამდენი ბედკრული მოკვდა ჩემს თვალწინ! ვაჰმე! რა დიდად უღირდათ სიცოცხლე! მე კი გადავრჩი... იქნებ, მე უფრო ნაკლებად შესაბრალისი ვარ, ვიდრე ჩემი თანამგზავრები: მათი ვაი-ვარამი უფრო საგრძნობი იყო ჩემთვის, ვინემ ჩემი საკუთარი; ისინი, როგორც დავინახე, მთლიანად მოეცვა თავ-თავიანთ ვაი-ვაგლახსა და ჩემზე უფრო უნდა დატანჯულიყვნენ. ზოგჯერ ვფიქრობდი: აქ ძალიან მიმძიმს, მაგრამ ხმელეთზე არის ჩემთვის კუნჭული ერთი, სადაც სუფევს მყუდროება და ბედნიერება-მეთქი და, ჟენევის ტბის ნაპირებზე ფიქრით გადატყორცნილი, ვინაღდებდი ყოველივე იმის სამაგიეროს, რასაც ოკეანეში ვიყავ მოკლებული. დაბრუნებულს მაქვნდა ბედნიერება დამენახა იმედთა ჩემთა დადასტურება: მილორდ ედუარდმა მამცნო, ორივენი კარგად რომ ხართ და არხეინად ცხოვრობთ. უკვე ვიცი, რომ თქვენ, კლარა, დაკარგეთ ქმარი, მაგრამ ხომ დაგშთათ ერთგული დობილი, დაგრჩათ ასული, და ამან უნდა განუგეშოთ უბედურების ჟამს.

ფრიად ვეშურები ამ წერილის გამოგზანავას და ამიტომაც არ ძალმიძს დაწვრილებით მოგწეროთ ჩემი მოგზაურობის ამბები; იმედი მაქვს მალე დადგება ამისათვის უფრო ხელსაყრელი შემთხვევა. ჯერჯერობით კი ვეცდები შეგიქმნათ ცოტაოდენი წარმოდგენა ჩემს მოგზაურობათა გამო, უმალ იმისათვის, რათა უფრო აღვძრა, ვიდრე დავაკმაყოფილო თქვენი ცნობისმოყვარეობა. ოთხი წელი მოვანდომე ხანგრძლივ მოგზაურობას, რომელზედაც წერილის დასაწყისში მოგითხრობდით, და იმავ ხომალდით ვბრუნდები, რომლითაც გავემგზავრე, – მარტოოდენ ეს ერთადერთი ხომალდიღა შერჩა კაპიტანს მთელი თავისი ესკადრიდან.

ყველაზე უწინ ვიხილე სამხრეთ ამერიკა, ვრცელი კონტინენტი, რომლის ბინადარნი, რკინის საჭურველის უქონლობის გამო, დამორჩილდნენ ევროპელთ, ხოლო მათ ეს მიწა-წყალი უდაბნოდ აქციეს, რათა უზრუნველეყოთ თავიანთი ბატონობა. ვნახე ბრაზილიის სანაპირონი, საიდანაც ლისაბონი და ლონდონი იხვეჭენ თავიანთ განძეულობას და სადაც ადგილობრივი ღატაკი მცხოვრებლები ფეხით თელავენ ოქროსა და ალმასს, რადგან ხელში აღებას ვერა ბედავენ. გულდამშვიდებით გადავსერე სამხრეთ-პოლარულ წრესთან მდებარე ბობოქარი ზღვები; სამაგიეროდ, წყნარი ოკეანე სასტიკი ქარბუქით შემხვდა.

E in mar dubbioso sotto ignoto polo
Proval l'onde falaci, e'l Vento infido.[88]

---

[88] მუხანათ ზღვაზე პოლარული რკალის გადაღმა
შევიცან ზვირთთა ვერაგობა და ქართ ხუშტური (იტალ.).

შორიდან დავინახე ყბადაღებულ ბუმბერაზთა[89] ქვეყანა. ისინი დიდნი არიან თავიანთი ვაჟკაცობით, და ამ ქვეყნის დამოუკიდებლობა ცხოვრების მარტივი წესებითა და მისი მცხოვრებლების მცირედი მოთხოვნილებებით უფროა უზრუნველყოფილი, ვიდრე მათი სიმაღილით. სამი თვე გავატარე საუცხოო უკაცრიელ კუნძულზე, რომელსაც შეუნარჩუნებია ბუნების უძველესი სილამაზის იგავმიუწვდომელი საიშვიათო სახე, ასე გეგონებოდათ, ქვეყნის დასასრულს კიდევ შემორჩენილა ერთი პატარა კუთხე, რომელიც დევნილი უმანკოებისა და სიყვარულის თავშესაფრადაა განკუთვნილიო; მაგრამ თავიანთი სასტიკი ზნე-ხასიათის ერთგული ხარბი ევროპელები ინდიელთ არ აძლევენ ამ კუნძულზე ცხოვრების საშუალებას და, ალბათ, თითონაც არ ცხოვრობენ იქ, თავისდა დასასჯელად.

მექსიკისა და პერუს სანაპიროებზე ვნახე იგივე სურათი, რაც ბრაზილიაში; მეჩხერი და გაუბედურებული მოსახლეობა – ორი უმძლავრესი ხალხის უბადრუკი ნარჩენები – მიათრევს გაძაღლებულ სიცოცხლეს შებორკილი, სიღატაკეში, ძვირფას ლითონთა შორის და ცრემლთა ფრქვევით საყვედურობს ზენაარსს იმის გამო, ასე უხვად რომ დააჯილდოვა განძეულობით მათი მიწა-წყალი. ვნახე საშინელი ხანძარი, როცა ცეცხლს მისცეს მთელი ქალაქი, თუმცა ის არ სწევდა წინააღმდეგობას და არ ჰყავდა დამცველები. გადასწვეს იგი „ომის უფლებით“ – აი როგორია ევროპის განათლებულ, ჰუმანურ და ცივილიზებულ ხალხთა ეს უფლება: ისინი როდი სჯერდებიან იმას, რომ მტერს ყოველგვარი ბოროტება შეამთხვიონ, უკეთუ აქედან რაიმე სარფას მიიღებენ, არამედ სარგებლობად მიიჩნევენ ყოველგვარ, თუნდაც სავსებით უმიზნო ბოროტებასაც, მოსახლეობას რომ აყენებენ. დავიარე ამერიკის თითქმის ყველა დასავლეთი სანაპირო და გაოცებული დავრჩი, როცა დავინახე ათას ხუთას ლიეზე გადაჭიმულ სანაპიროსა და ქვეყნიერების ყველაზე დიდ ოკეანეს რომ ფლობს მხოლოდ ერთი სახელმწიფო და ამგვარად, მის ხელშია დედამიწის მთელი ნახევარსფეროს გასაღები.

გადავცურე დიდი ზღვა და აღმოვჩნდი მეორე კონტინენტზე, სადაც სხვაგვარი სანახაობა წარმომიდგა თვალწინ. ვიხილე მრავალრიცხოვანი და ქვეყნის-ქვეყნად ყველაზე სახელოვანი ერი, რომელიც დამორჩილებია ერთ მუჭა ავაზაკებს; ახლოს ვნახე ეს სახელგანთქმული ხალხი და ახლა არ მიკვირს, რომ ის დამონებულია. რამდენჯერ დაესხნენ თავს და დაიპყრეს იგი, მუდამჟამს პირველი შემხვედრის ნადავლი იყო და ასეც იქნება საუკუნის დასასრულამდე. შევნიშნე, რომ იგი ღირსია თავისი ხვედრისა, ვინაიდან იმისი ვაჟკაცობაც კი არ შესწევს – ბედს უჩიოდეს. განათლებულები, ლაჩრები, თვალთმაქცები, თაღლითები და წარამარა მოლაქლაქე ყბედები; იოტის ოდენა ნიჭის უქონელი ლაზღანდარები, გონებაჩლუნგი ყეყეჩები და გამოტვინებული ტუტრუცანები; თავაზიანი, პირმოთნე, ყალთაბანდი, ვერაგი და უნამუსო არამზადები მართავენ ამ მხარეს; მოვალეობის გრძნობა მათ ეტიკეტით შეცვალეს, მორალი ოინბაზობად გადააქციეს, ხოლო ჰუმანურობის მაგივრად ქათინაურებსა და რევერანსებს მიმართეს. მოულოდნელად დავადგი ფეხი ჩვენთვის ჯერ ისევ სავსებით უცნობ, პირველზე კიდევ უფრო თვალწარმტაც მეორე უდაბურ კუნძულს; და ერთმა საშინელმა შემთხვევამ კინაღამ არ ჩაგვტოვა იქ ყველანი. კაცმა რომ თქვას, მხოლოდ მარტო მე არ მიგრძნია შიში, ვაითუ ესოდენ მშვენიერ ადგილას აღმოვჩნდე მოკვეთილი-მეთქი. და განა ყოვლგნით არა ვარ ახლა მოკვეთილი, ხომ მართალია? ამ საუცხოო და ხიფათით სავსე კუნძულზე განვიცადე, თუ რა ძალუძს ადამიანის გამჭრიახობას, როცა ცდილობენ ცივილიზებული ხალხის გადარჩენას; ამ მიზნით ერეკებიან მას მყუდრო ადგილიდან, სადაც ყველაფერი თავზე

[89] პატაგონიელთა.

საყრელად იყო, და კვლავ ჩაყჰრიან სულ უფრო და უფრო მზარდ მოთხოვნილებათა საშინელ უფსკრულში.

მე ჩემი თვალით დავინახე, როგორ ეძებდა ერთმანეთს ორი დიდი ხომალდი ოკეანის უკაცრიელ სივრცეში, სადაც ადამიანთათვის თითქოსდა ასე სასიამო უნდა იყოს სხვა ადამიანთა შეხვედრა, და როგორც კი შეხვდნენ, ესრეთის საშინელებით შეერკინნენ ერთიმეორეს, ვითომც არც ერთ მათგანს არ ყოფნიდა ადგილი ამ თვალუწვდენელ და უსასრულო არემარეში. ისინი ანთხევდნენ ცეცხლის ალმურსა და თუჯის ყუმბარებს. ამ საკმაოდ ხანმოკლე შეტაკებამ თვალწინ დამიყენა ჯოჯოხეთის საშინელება. მესმოდა გამარჯვებულთა მხიარული ყიჟინი, რომელიც ახშობდა დაჭრილთა მუდარის შესაბრალის ვიშ-ვიშსა და მომაკვდავთ ოხვრა-კვნესას. სირცხვილისაგან დამწვარ-დადაგულმა მივიღე უზარმაზარი ნადავლის ჩემეული წილი, მივიღე მარტოოდენ შესანახავად, – და უკეთუ ბედკრულთ წარსტაცეს იგი, ბედკრულთავე დაუბრუნდებათ.

ვნახე აფრიკის დასალიერთან გადატანილი ევროპა; ეს მოხდა ხარბი, მომთმენი და შრომისმოყვარე ხალხის მცდელობით, დრო-ჟამისა და შეუპოვრობის მეოხებით რომ გადალახა დაბრკოლებანი, რასაც ვერ დაძლევდა სხვა ხალხთა მთელი გმირობა და შემართება. ვნახე ვეებერთელა და გაუბედურებული ქვეყნები, თითქოსდა წინასწარ მხოლოდ იმისათვის განკუთვნილი, რათა ამქვეყნად მოაშენონ მონათა ახალ-ახალი ჯოგები; თვალს ვარიდებდი ამ საცოდავ ქმნილებათ და გული აღმევსო სიძულვილით, ძრწოლითა და სიბრალულით; ოდეს შევიცან, მეოთხედი ნაწილი კაცობრიობისა – ჩემი მოყვასნი და ახლობლები – პირუტყვებად გადაუქცევიათ და მხოლოდ თავიანთ ბატონ-პატრონთა სასარგებლოდ არსებობენო, კვნესა და გმინვა გავამრავლე, ნეტავი ადამიანი არ ვიყო-მეთქი.

დაბოლოს ვხედავდი ჩემს თანამგზავრებს, მამაც, ამაყ და თავისუფლებისმოყვარულ ადამიანებს, რომელთა მაგალითმა ჩემს თვალში აღადგინა ადამიანთა მოდგმის ღირსება: მათთვის არაფერს წარმოადგენს ტანჯვა-წამება და სიკვდილი და არაფრის შიშიც არა აქვთ ამ ქვეყანაზე – შიმშილისა და მოწყენილობის გარდა. ვნახე მათი უფროსი, – ხომალდის კაპიტანი, ჯარისკაცი და მესაჭე, ბრძენი და დიდი კაცი, უფრო უკეთ რომ დავახასიათო, ვიტყვი, იგი ედუარდ ბომსტონის მეგობარია; ოღონდ არსად, მთელ დუნიაზე არ შემხვედრია, არც მინახავს კლარა დ'ორბისა და ჟიული დ'ეტანჟის მსგავსი ვინმე, ვინაც ნუგეშსა სცემდა მათ დამკარგავ მოსიყვარულე გულს...

რა უნდა გითხრათ ჩემი განკურნების გამო? ეს ამბავი ხომ თქვენგან უნდა გავიგო. დავბრუნდი თუ არა მე უფრო თავისუფალი და უფრო გონიერი, ვიდრე ვიყავი გამგზავრებამდე? ვგონებ, ეს ასეც არის, ოღონდ მტკიცებას ვერ გავბედავ. კვლავ იგივე ხატება ფლობს ჩემს გულს; კარგად იცით, შეიძლება თუ არა მისი გაქრობა. ოღონდ ახლა ასეთი მბრძანებლობა უფრო მეტად შეჰფერის მას; და თუმცა ამაო იმედით როდი ვინუგეშებ თავს, ხატება იგი იმგვარადვე სუფევს ჩემს გაუბედურებულ გულში, როგორც თქვენსაში. დიახ, მამიდაშვილო, ასე მგონია, დამიმონა-მეთქი მისმა სათნოებამ, და ახლა მსურს ვიყო მისთვის მეგობარი, ყველაზე საუკეთესო და სათნო მეგობარი, როგორიც კი შეიძლება იყოს ამ ქვეყანაზე, და მეტი არაფერი; თქვენებრ ვაღმერთებ მას; უკეთ რომა ვთქვათ, ჩემი გრძნობა არ მოდუნებულა, მაგრამ, ვგონებ, უფრო განსპეტაკდა; და რაოდენ მოწადინებით უნდა შევიცნო თავი ჩემი, მაინც კარგად ვიცი, რომ ჩემი სიყვარული ისევე წმინდაა და სპეტაკი, როგორც მისი საგანი... მაშ, მეტი რაღა უნდა გითხრათ, სანამ არ გამოვცდი ვაი-ვაგლახს, რაც მომანიჭებს უფლებას გავსინჯო ჩემი თავი? ვლაპარაკობ გულწრფელად და ალალმართლად: მინდა ვიყო ისეთი, როგორიც საჭიროა; ოღონდ როგორ ვუთავდებო ჩემს გულს, როცა მაქვს ესოდენი საფუძველი არ დავენდო მას? განა ჩემს წარსულზე რაიმე უფლება მაქვს? განა ძალმიძს იმ ამბის შეცვლა, რომ ოდესღაც

მნთქავდა უამრავ კოცონთა ალმური? მარტოოდენ წარმოსახვით როგორ განვასხვავო არსებული იმისგან, რაც იყო და არსებობდა? და როგორ წარმოვიდგინო ჩემს მეგობრად ის, ვინაც მუდამჟამს ჩემს სატრფოდ მიმაჩნდა? რაც უნდა იფიქროთ ჩემი გულმხრუვალე ვედრების იდუმალ გულისთქმათა გამო – ისინი სპეტაკნი და გონივრულნი არიან; სავსებით იმსახურებენ თქვენს მოწონებას. ჩემს განზრახვათა გამო, ყოველ შემთხვევაში, წინასწარ ვაგებ პასუხს. ნება მიბოძეთ გნახოთ, და თავად გეჭიროთ თვალყური ჩემზე; ანდა ნება დამრთეთ ვნახო ჟიული, და მაშინ მეცოდინება, თუ რა დღეშიცა ვარ.

მე თან უნდა გავყვე ედუარდს იტალიაში. გზად თქვენს ახლომახლო ჩამოვივლი, და ნუთუ მაინც ვერ ვნახავთ ერთმანეთს? ნუთუ გგონიათ, რომ ეს შესაძლებელია? თუკი იქნებით ესოდენ გულქვა და მოითხოვთ ამას, ღირსი იქნებით არ დაგემორჩილოთ. ოღონდ რად უნდა მოითხოვოთ ეს? განა თქვენ წინანდელი კლარა არა ხართ, ესდენ კეთილი და გულმოწყალე, ესოდენ სათნო და კეთილგონიერი? ის კლარა, რომელმაც გამხადა თავისი სიყვარულის ღირსი ყველაზე სათუთი ჯეელობის ჟამს, და ამჟამადაც კიდევ უფრო მეტად უნდა ვყვარებოდი, როცა ყველაფრით მისგანა ვარ დავალებული.[90] არა, არა, ჩემო სათნო და მშვენიერო მეგობარო, თქვენ არ შეგფერით ხოლმე მიპასუხოთ ასეთი სასტიკი უარით, მე კი არ ძალმიძს მას დავემორჩილო; არა, ამით არ მოუღებთ ბოლოს ჩემს უსაშველო ვაი-ვარამს. ერთხელ კიდევ, კვალად ერთხელ ჩემს სიცოცხლეში ფეხქვეშ გაგიგებთ ჩემს გულს. გიხილავთ თქვენ, – კი იქნებით ამის თანახმა. ვინახულებ მას, და იგი მომცემს ამის უფლებას. ორივემ კარგად უწყით, თუ როგორ ვეთაყვანები მას. იცით, რომ თვალითაც ვეღარ დავენახვებოდი, უკეთუ ვიგრძნობდი, ღირსი არა ვარ მის წინაშე წარვსდგე-მეთქი. იგი ასე ხანგრძლივად გლოვობდა იმ ამბავს, რაც ჩაიდინა მისმა მომხიბვლელობამ! აჰ, ნუთუ ერთხელ მაინც არ შეავლებს თვალს იმას, რაც ჩაიდინა მისმა სათნოებამ?

P. S. გარკვეულ დრომდე მილორდი ედუარდი საქმეთა გამო აქ დაყოვნდება; უკეთუ თქვენი ნახვის ნება მექნება, რაიღასთვის არ წამოვიდე მასზე უმალ, მალე რომ მეღირსოს თქვენი ხილვა!

IV წერილი

ბ-ნ დე ვოლმარისაგან

თუმცა ჯერ არ ვიცნობთ ერთმანეთს, მაგრამ დამავალეს ბარათის მოწერა. ქალთა შორის ყველაზე გონიერმა, ყველაზე საყვარელმა ქმნილებამ ყველაფერი გაუმხილა თავის ბედნიერ მეუღლეს და ისიც ას ფიქრობს, ჟიულის სიყვარულის ღირსი რომ იყავით და გთავაზობთ თავშესაფარს თავის სახლში. აქ კი სუფევს უმანკოება და სიმშვიდე; თქვენ იპოვით აქ მეგობრობას, პატივისცემას და ნდობას. დაეკითხეთ თქვენს გულს, და უკეთუ შიგ ისეთი არაფერია, რაც შეგაძრწუნებთ, მობრძანდით თამამად. უკან დაბრუნებისას აქ კიდევ ერთ მეგობარს დატოვებთ.

ვოლმარი

P. S. ჩამოდით, ჩემო მეგობარო, მოუთმენლად გელოდებით. იმედი მაქვს, უარით გულს არ გვატკენთ.

ჟიული

---

[90] „ნეტავი რით არის დავალებული ამ ქალისაგან, რომელიც გახდა ესოდენი უბეუდრების მიზეზი მის ცხოვრებაში?“ აჰ, ბედშავო შემკითხველო! იგი ამ ქალს უნდა უმადლოდეს იმ არსების სახელ-ნამუსს, სათნოებასა და უშფოთველობას, ვინც უყვარს: მაშასადამე, ყველაფრითაა დავალებული.

V წერილი

ქალბატონ დ'ორბისაგან
(რომელშიც იდო ბ-ნ დე ვოლმარის ბარათი)

მშვიდობა თქვენს მობრძანებას! ასჯერ გეტყვით: მშვიდობა თქვენს მობრძანებას, ძვირფასო სენ-პრე![91] ვგონებ, ეს სახელი შემოგრჩათ თქვენ, ყოველ შემთხვევაში, ჩვენს წრეში მაინც. ასე მგონია, ეს საკმაოდ მკაფიოდ ღაღადებს იმას, რომ არავინაც არ აპირებს ჩვენი წრიდან შენს განდევნას, უკეთუ თავად არ მოისურვებთ ჩვენს მიტოვებას. ამასთან ვურთავ ბარათს, საიდანაც დაინახავთ, რომ მეტი გავაკეთე, ვიდრე მთხოვდით; მაშ, გქონდეთ უფრო მეტი ნდობა თქვენი მეგობრების მიმართ და ნუ უსაყვედურებთ მათ იმ მწუხარების გამო, რომელიც გონების კარნახით უნებურად მოგაყენეს და ახლა მთელი სულითა და გულით იზიარებენ თქვენთან ერთად. ბატონ დე ვოლმარს სურს თქვენი ნახვა, გთავაზობთ თავშესაფარს თავის სახლში, თავის მეგობარს, თავის რჩევა-დარიგებებს. ეს კი საკმაოზე მეტია ჩემს დასამშვიდებლად, და ახლა აღარ მაშინებს თქვენი ჩამოსვლა; საკუთარი თავისა შემრცხვებოდა, ერთი წუთითაც რომ დამკარგვოდა თქვენი ნდობა. ბატონ დე ვოლმარსა სურს კიდევ მეტი რამ გააკეთოს. უნებს თქვენი განკურნება და ასე ამბობს: სხვაფრივ არც ჟიული, არც მე, არც ისა და არც შენ სავსებით ბედნიერნი არ ვიქნებითო. თუმცა ძალიან ბევრს მოველი მის კეთილგონიერებისაგან, მაგრამ უფრო მეტად შენი სათნეობის იმედი მაქვს, – მართლაცდა, არ ვიცი, წარმატებით დაგვირგვინდება თუ არა მისი მონდომება. მაგრამ მჯერა, რომ ისეთი ცოლის ხელში, როგორიც მასა ჰყავს, მისგან ნაკისრი მზრუნველობა თქვენთვის დიდად მარგებელი იქნება.

მაშ, ჩამობრძანდით, საყვარელო მეგობარო. კეთილშობილ გულს აქ არაფერი საფრთხე არ ემუქრება; დააკმაყოფილეთ ჩვენი მხურვალე ნდომა-სურვილი მალე ჩაგიკრათ გულში, გიხილოთ დამშვიდებული და კმაყოფილი; ჩამობრძანდით მშობლიურ მხარეში, ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ დაისვენეთ მეგობართ შორის და დაივიწყეთ თქვენს მიერ გადატანილი ტანჯვა-წამება. უკანასკნელად რომ ვნახეთ ერთმანეთი, მე ერთი დარბაისელი ბანოვანი ვიყავი, ხოლო ჩემი დობილი სიკვდილის სარეცელზე იყო მდებარე; მაგრამ ახლა, როცა ის კარგადაა და მე კი კვლავ უქმრო ვარ, უწინდელებრივ ჭკუადამთხვეული გავხდი და ისეთივე სანდომიანი, ვით ქორწინების წინ. და, ყოველ შემთხვევაში, უდავოა ისიც, რომ შენს მიმართ იოტის ოდნადაც არ შემცვლია გული და, რამდენიც უნდა იმოგზაუროთ ქვეყნის გარშემო, ვერავის იპოვით, ჩემზე მეტად რომ უყვარდეთ.

VI წერილი

მილორდ ედუარდისადმი

ღამით წამოვდექ თქვენთვის წერილის მოსაწერად. სხვაფრივ ვერც ერთი წუთით ვერ მოვისვენებდი. აღბორგებული და აღტაცებით აღსავსე გული მკერდში აღარ ეტევა, გადმოღვრას ლამობს. აბა რაოდენჯერ დამხსენით სასოწარკვეთას, და მაშ ვისღა ვამცნო პირველი სიხარული, ესოდენ ხანგრძლივი დრო-ჟამის შემდეგ რომ ვიგემე!

---

[91] ქალბატონმა დ'ორბმა სენ-პრე უწოდა მას თავის მსახურთა წინ – წინანდელი ჩამოსვლის დროს. იხ. მესამე ნაწილი, XIV წერილი.

მე ვიხილე იგი, მილორდ! ჩემი თვალები შემზერდნენ მას! მესმა ხმა მისი; ხელები მისნი შეეხნენ ჩემს ხელთ; მიცნო, გაუხარდა ჩემი დანახვა, თავისი ძვირფასი მეგობარი მიწოდა კიდეც, მიმიღო სახლში; ჩემს სიცოცხლეში ჯერ არასოდეს ვყოფილვარ ასე ბედნიერი, და მასთან ერთად ვცხოვრობ ერთ ჭერქვეშ, ხოლო ახლა, როცა ამ სტრიქონებსა ვწერ, მისგან ოცდაათ ნაბიჯზე ვიმყოფები.

იმგვარად ვარ აღელვებული, რომ არ ძალმიძს ჩემი აზრების დალაგებით გადმოცემა – ძალზე უხვად შემომეჯარნენ და ერთმანეთს ხელს უშლიან. სჯობს, დროებით შევწყვიტო წერა და ვეცადო ჩემს მოთხრობაში ცოტაოდენი წესრიგი შევიტანო.

როგორც კი გნახეთ ხანგრძლივი განშორების შემდეგ და მოგეხვიეთ ჩემს მეგობარს, ჩემს მსხნელს და მამას, როგორც კი გაგიმჟღავნეთ შეხვედრის პირველი სიხარული, უკვე განიზრახეთ იტალიაში მოგზაურობა. თქვენ აღმიძარით იქ წასვლის სურვილი, რადგან იმედოვნებდით მოგეხსნათ ჩემგან მძიმე ტვირთი იმის შეგნებისა, უსარგებლო რომ ვიყავი თქვენთვის. როცა დარწმუნდით, არც ისე მალე შეიძლებდით იმ საქმეთა დამთავრებას, რაც ლონდონში გაბანდებდათ, შემომთავაზეთ, უფრო ადრე გამოვმგზავრებულიყავ და ამით გსურდათ მოგეცათ საშუალება აქ დამეცადა თქვენთვის. ჩამოსვლის ნებართვა ვითხოვე და როცა მივიღე, წამოვედი კიდეც. და თუმცა ჩემს თვალთა არეს წუთითაც კი არ შორდებოდა ჟიულის სახე, თუმც წინასწარ ვხარობდი, როს ვხედავდი მას ჩემი სულის თვალებით, და ისიც ვიცოდი, რომ ვუახლოვდებოდი, მაინც მაწუხებდა თქვენგან გამგზავრება. მილორდ, მე და თქვენ ბარიბარსა ვართ – მარტოოდენ ამ მწუხარებით ყოველივე აგინაზღაურეთ.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ მთელი გზა ვფიქრობდი ჩემი გამგზავრების მიზანზე; ოღონდ აი რა არის შესანიშნავი: ახლა სულ სხვაგვარი თვალით ვუყურებდი ჩემი სიყვარულის საგანს, ვინაც თავის დღეში არ ამომიღია გულიდან. აქამდე ჩემს მოგონებებში მარადის გასხივოსნებული იყო მომხიბვლელობით, ისე როგორც სიყმაწვილის დღეებში, თვალნათლივ ვჭვრეტდი გაზიარებული სიყვარულის ცეცხლით ანთებულ მის მშვენიერ, ხალისიან თვალებს; ჩემს მზერას წარმოუდგებოდა საყვარელი სახის ნაკვთები, ესოდენ ბედნიერებას რომ მიქადდა; ჩვენი თანაზიარი სიყვარული ისე ერწყმოდა მის ხატებას, რომ აღარ ძალმედვა მათი დაშორება. ახლა კი უნდა მეხილა ახალგაზრდა ჟიული – ქმრიანი ქალი, ჟიული – ოჯახის დედა, ჩემ მიმართ გულცივად განწყობილი ჟიული. მოსვენებას არ მაძლევდა ფიქრი, ვაითუ რვა წლის მანძილზე მისი სილამაზე დაჭკნა-მეთქი! ჟიულიმ ხომ ყვავილი გადაიტანა და უნდა შეცვლილიყო, ოღონდ რაგვარ შესამჩნევია ეს ცვლილება-მეთქი? გუნებაში ძნელად წარმოვიდგენდი ნაყვავილარს ამ მომხიბლავ სახეზე; ზოგჯერ ვახერხებდი კიდეც წარმომედგინა ყვავილით დაჩენჩილი ვისიმე პირისახე, ოღონდ ჟიულისა კი ვერასდიდებით ვერ წარმოვიდგინე. და კიდევ ძალიან ვწუხდი, როცა ვფიქრობდი ჩვენს მომავალ შეხვედრაზე. როგორ შემხვდება ჟიული-მეთქი. დღეში ათასჯერ მაინც გამიელვებდა თავში ფიქრი ამ შეხვედრის პირველ, მეტად სწრაფმდინარ წუთთა გამო.

როცა ზეცაში ალპის მთათა მწვერვალები შევნიშნე, გული ამიძგერდა, თითქოს ასე მეუბნებოდა: ჟიული იქ არისო. ასეთივე ამბავი დამემართა ზღვაში, ევროპის ნაპირთა ახლოს. იგივე განვიცადე ოდესღაც მეიერიში, როცა ბარონ დ’ეტანჟის სახლი დავინახე. ჩემთვის ეს ქვეყანა ყოველთვის ორ ნაწილად იყოფა: ის ნაწილი, სადაც მყოფობს ჟიული და ის, სადაც არ მყოფობს იგი. პირველი ნაწილი ფართოვდება იმისდა მიხედვით, თუ როგორ ვშორდები მას, და ვიწროვდება, როცა ვუახლოვდები, – თითქოსდა მოჯადოებული ადგილი იყოს, რომლის მიღწევაც მე არ ძალმიძს; ახლა მისი საზღვრებია ჟიულის ოთახის კედლები. ოღონდ ეს ერთადრთი დასახლებული ადგილია ამქვეყნად; მთელ დანარჩენ ქვეყნიერებაზე – სიცარიელეა.

რაც უფრო ახლოს იყო შვეიცარია, მით უფრო ვღელავდი. ის წუთები, როგორც კი იურის მაღლობიდან გადაიშალა ჟენევის ტბის სანახები, აღტაცებისა და ბედნიერების წუთები იყო. ეს გახლდათ ჩემი გულისთვის ესოდენ საყვარელი მშობლიური პეიზაჟი, ჩემი ძვირფასი მხარე, სადაც ზვირთნი სიხარულისა ერთვოდნენ ჩემს სულს; ალპის მთათა მარგებელი და სუფთა ჰაერი, სულის ჩამდგმელი ჰაერი მამულისა, უფრორე ამო და ტკბილი, ვინემ მთელი აღმოსავლეთის ნელსაცხებელნი, დოვლათიანი და ნოყიერი მიწა, მსოფლიოში ერთადერთი, ყველაზე თვალწარმტაცი პეიზაჟი, რომელიც კი ოდესმე ახალისებდა ადამიანის თვალთა მზერას, საუცხოო კუთხე, რომლის სადარი ვერ ვიპოვე ქვეყის გარშემო ჩემს მოგზაურობათა ჟამს, ბედნიერი და თავისუფალი ხალხის კმაყოფილი სახე, ზომიერი ამინდი, ჯანსაღი ჰავა, წინანდელ გრძნობათა აღმძვრელი აურაცხელი მომხიბვლელი მოგონება, – ყოველივე ეს ენით უთქმელ აღტაცებას მგვრიდა და, თითქოს, დამიბრუნა კიდეც ცხოვრების წინანდელი დრო-ჟამი, როცა ვხარობდი და განვსცხრებოდი.

როცა ტბის ნაპირისაკენ დავეშვით, სულ სხვაგვარმა, მანამდე განუცდელმა მღელვარებამ შემიპყრო, – უცაბედად დამეუფლა რაღაცნაირი შიში, უნებლიე ძრწოლა, და გული საშინლად დამიმძიმდა. ეს შიში, რის მიზეზიც ვერ გამოვარკვიე, თანისთან იზრდებოდა იმისდა მიხედვით, როგორც კი ქალაქ ვევეს ვუახლოვდებოდი; სულ უფრო და უფრო მინელდებოდა საჩქაროდ ჩასვლის სურვილი, და ბოლოს ეტლის სწრაფმა სრბოლამ არანაკლებ ამაღელვა, ვიდრე მაწუხებდა წინათ მისი მოდუნებული რონინი. ხოლო ქალაქში შესვლისას მეტისმეტად მძიმე გრძნობა დამეუფლა: ამიტყდა საშინელი ცხრო და ცახცახი, სუნთქვა შემეკრა, ხმა მიწყდებოდა და მითრთოდა. ძლივს გასაგონად ვიკითხე, ბატონი დე ვოლმარი შინ თუ არის-მეთქი, – მისი ცოლის ამბის გაგებას კი ვერასოდეს გავბედავდი. ასე მითხრეს, ვოლმარი კლარანში ცხოვრობსო. ეს რომ გავიგონე, გულზე მომეშვა და თითქოს უმძიმესი ტვირთი ჩამომშორდა, ორი ლიე კიდევ უნდა გამევლო, მაგრამ ეს შეფერხება, რომელიც სხვა დროს სასოს წარმიკვეთდა, ახლა სასურველ სულის მოთქმად მომეჩვენა და მახარებდა კიდეც; სამაგიეროდ, გავიგე სამწუხარო ამბავი, ქალბატონი დ’ორბი ლოზანაშიაო. დასანაყრებლად სასტუმროში შევედი, არაქათი გამოცლილი მქონდა, მაგრამ ერთი ლუკმაც ვერ ჩავყლაპე; მღელვარებისაგან ყელში თითქოს რაღაცამ წამიჭირა ხელი; ძლივძლიობით, ყლუპ-ყლუპად შევსვი ერთი ჭიქა ღვინო. უსაშველო შიში, მე რომ მაძრწუნებდა, გაორკეცდა, როცა ეტლში ცხენები შეაბეს და გზას დავადექით. ასე მგონია, ყველაფერს გავიღებდი ამქვეყნად, ოღონდ გზაზე ეტლის თვალი გაგვტეხოდა. ჩემს თვალთა წინარე უკვე აღარ ციალებდა ჟიულის სახე, აფორიაქებული გონება მიხატავდა მარტოოდენ ბუნდოვან სურათს, მძაფრი მღელვარებით ჩემს სულს ქანცი გაუწყდა. სიცოცხლეში ბევრჯერ მომიხდა განმეცადა მწუხარებაც და სასოწარკვეთაც; ახლა მათ ვამჯობინებდი ამ საშინელ სულიერ მდგომარეობას, მერწმუნეთ, ძალმიძს ვთქვა, ჯერ არასოდეს არ განმიცდია ესოდენი უსაშველო მღელვარება, როგორც ამ ხანმოკლე მოგზაურობის დროს, და დარწმუნებული ვარ, ასეთ ვაი-ვაგლახს ვერც გადავიტანდი, მთელი დღე რომ გაგრძელებულიყო.

როცა ჩავედი, ეტლი ჭიშკართან შევაჩერებინე და, რადგან ერთი ნაბიჯის გადადგმაც აღარ შემეძლო, მეეტლეს დავაბარე, გადაეცი, ვინმე უცხოქვეყნელს სურს ბატონ დე ვოლმართან მოლაპარაკება-მეთქი. ცოლიანად სასეირნოდ ყოფილიყო წასული, კაცი გაუგზავნეს და ისინიც მოვიდნენ, – ოღონდ იმ მხრიდან არა, საიდანაც მოველოდი, – საშინლად დანაღვლიანებული თვალს არ ვაშორებდი შემოსასვლელ ხეივანს, მეგონა, აი, აგერ გამოჩნდება ვინმე-მეთქი.

როგორც კი ჟიულიმ შემნიშნა, უმალვე მიცნო, დამინახა, შეჰკივლა, გამოიქცა და ყელზე შემომეჭდო. ყველაფერი ეს თვალის დახამხამებაში მოხდა. შემაკრთო მისი ხმის გაგონებამ, მოვბრუნდი, დავინახე და შევიგრძენ იგი. ო, მილორდ! ო, ჩემო მეგობარო!.. არ

შემიძლია სიტყვებით გადმოგცეთ. შორს შიში! შორს საშინელება, ელეთმელეთი, კაცთა მსჯავრის ზარი და ელდა. მისმა გამოხედვამ, მისმა შეკივლებამ, მისმა მიხრა-მოხრამ მყის დამიბრუნა იმედი, ვაჟკაცობა და ძალ-ღონე. ჟიულის ჩაკონებამ გულს ჩამიღვარა მაცხონებელი სითბო. როცა მას ვეხვეოდი, სიხარულისაგან ვთრთოდი. ღვთიური აღტაცებით შეპყრობილნი დიდხანს უხმოდ ვიდექით, მაგრად ჩაკონებულნი. და როცა გამოვფიხიზლდით გაშეშებისაგან, ჩვენი ხმები და სიხარულის ცრემლები ერთმანეთში აირ-დაირივნენ. ბატონი დე ვოლმარი იქვე იყო. ეს ვიცოდი, ამას ვხედავდი, მაგრამ რაისღა დანახვა შემეძლო განა? მთელი ქვეყნიერება რომ ჩემს წინააღმდეგ ამხედრებულიყო, სატანჯველი იარაღებით გარს რომ შემომხვეოდნენ, ჩემს გულს მაინც ვერ მოვაკლებდი ვერც ერთ მის ალერსს, იმქვეყნად თან წასატანი სპეტაკი და წმინდა მეგობრობის საწინდარს.

როდესაც დაცხრა პირველი მძაფრი მღელვარება, ქალბატონმა დე ვოლმარმა ხელში ხელი ჩამკიდა, ქმარს მიუბრუნდა და უმანკოებისა და ალალმართლობის მომხიბვლელი გამომეტყველებით, გულში ჩამწვდომად წარმოთქვა: „თუმცა ჩემი ძველი მეგობარია, მაგრამ არ გაცნობთ მას, – მინდა თქვენი ხელიდან მივიღო იგი: ამიერიდან ჩემს მეგობრად ჩავთვლი მხოლოდ იმ პირობით, თუ მიაგებთ მას თქვენს მეგობრობას“. „მოხარული ვარ, _ უპასუხა ქმარმა და ხელი მომხვია. – უთქვამთ, ნუ დააგდებ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსაო, ოღონდ ახალი მეგობრებიც შეიძლება დაძველდნენ, და მეგობრობაში სხვებს არ დაუვარდნენ“. ნება დავრთე მომხვეოდა, მაგრამ ჩემი გული გაიტანჯა. ვერ ვუპასუხე მის ალერსს.

ამ ხანმოკლე სცენის შემდეგ ცალი თვალი ვკიდე და შევნიშნე: ჩემი ჩემოდანი მოხსნეს, ცხენები გამოუშვეს, ხოლო ეტლი ფარდულში დააყენეს. ჟიულიმ ხელი გამომდო და ცოლ-ქმართან ერთად სახლში შევედი, იმ სიხარულით თითქმის სულდამძიმებული, ამ სახლში რომ დამეუფლა.

და მხოლოდ მაშინ, უკვე გულმშვიდად, ჩავაცქერდი სათაყვანებელ სახეს. ვფიქრობდი, დაუშნოვდებოდა-მეთქი, – ოღონდ ტკბილ-მწარე განცვიფრებით დავრწმუნდი, ჟიული გალამაზებულიყო და მისი სილამაზე არასოდეს ყოფილა ესოდენ თვალწარმტაცი. საუცხოო ნაკვთები საბოლოოდ დამშვენებულა, ოდნავ დასრულებულა, და ამის გამო თეთრსპეტაკი სახის ფერი თვალისმომჭრელად უელავდა. ყვავილს მხოლოდ ოდნავ შესამჩნევი ფოსოები დაუტოვებია მის ღაწვებზე. განაწამები კდემამოსილების ნაცვლად, რაც ოდესღაც აიძულებდა თავჩაქინდრული ევლო, ახლა მისი თვალთა მზერა გამოხატავდა სათნოების მშვიდ და ურყევ სიმტკიცეს, სიმშვიდესა და გრძნობიერებასთან შეხამებულ სულის სისპეტაკეს, ახლა არანაკლებ მოკრძალებით ეჭირა თავი, ვიდრე წინათ, ოღონდ უკვე არა ისე გაუბედავად. უეჭველია, ამჟამად უფრო ლაღად და თამამად გრძნობს თავს; ბუნებრივმა მოხდენილობამ და სინარნარემ შეცვალა მიბნედილ სინაზესთან შეთავსებული კრძალვა-რიდი, და თუკი თავისი დანაშაულის შეგნება მის სახეს წინათ უფრო გულის ამაჩუყებელს ხდიდა, კვლავ მოპოვებული სისპეტაკის გამო ახლა ღვთისნიერია.

როგორც კი შევედით სასტუმრო ოთახში, ჟიული სადღაც გაქრა, მაგრამ მყისვე დაბრუნდა, ოღონდ მარტო როდი მოვიდა... როგორ ფიქრობთ, თან ვინ მოიყვანა? მილორდ, მოიყვანა თავისი შვილები, მზიან დღესავით ლამაზ-ლამაზნი და დედის მსგავსი ორი ბიჭუნა, – მათს ბავშვურ სახეს უკვე თან დაჰყოლია დედის მომხიბვლელობა და მიმზიდველობა. რა მომივიდა მათი დანახვისას! სიტყვებით ამას ვერ გადმოგცემთ, გარეშე პირი ამას ვერ გაიგებს, თავად უნდა განიცადოთ ყოველივე. უამრავმა საპირისპირო გრძნობამ დამრია ხელი, ურიცხვი წარმტაცი და თავზარდამცემი მოგონება აღდგინდა ჩემს გულში. ო, რა სანახაობა იყო! ჰოი, რაოდენი სინანული! სულს მიწეწავდა ტანჯვა-გვემა და

გული სიხარულით მევსებოდა. ის, ვინაც ესოდენ ძვირფასი გახლდათ ჩემთვის, თითქოსდა გამრავლდა. ვაი ჩემი ბრალი, მაშინვე მივხვდი, ყოველივე ეს ცოცხალი და მკაფიო საბუთი იყო იმისა, რომ ამჟამად არარა ვიყავი მისთვის, და ასე მეგონა, ჩემი დანაკარგიც გამიმრავლდა-მეთქი.

ბავშვებს ხელი ჩაჰკიდა და ჩემთან მოიყვანა. „აბა, შემოხედეთ, – წარმოთქვა ისეთი კილოთი, რომ სული ამითრთოლდა, – აი, შენი მეგობრის შვილები, ოდესმე ისინი თქვენი მეგობრებიც გახდებიან. მაშ, იყავით ახლა მათი მეგობარი“. და მაშინვე ეს ორი პატარა არსება აკუნტრუშდა ჩემს გარშემო და ჩამოეკონწიალნენ ჩემს ხელებს. თავიანთი უმანკო მოსაყვარლებით ისე ამაღელვეს და გული ამიჩუყეს, რომ თვალები ცრემლით ამევსო. ორივეს ხელი მოვხვიე და მკერდზე მივიკარი, სადაც ასე ძალუმად მიძგერდა გული. „ძვირფასო და საყვარელო ბავშვებო, – ამოოხვრით წარმოვთქვი მე, – თქვენ ბევრი რამ უნდა გააკეთოთ, როგორ მინდა, რომ დაემსგავსოთ მათ, ვინც მოგანიჭათ სიცოცხლე, მიბაძოთ თქვენი სათნო მშობლების მაგალითს და ოდესმე გახდეთ მათი ბედშავი მეგობრების ნუგეში“. აღტაცებული ქალბატონი დე ვოლმარი ერთხელ კიდევ შემომეჭდო ყელზე; თითქოსდა სურდა თავისი ალერსით სამაგიერო მოეზღო ჩემთვის იმის გამო, მის შვილებს რომ მივესიყვარულე. მაგრამ, ჩემდა გასაოცრად მისი მეორე მოხვევნა სრულიადაც აღარ ჰგავდა პირველს. უმალვე ვიგრძნო ეს. ახლა ჩახუტებული მყავდა ოჯახის დედა, ირგვლივ იყვნენ მისი შვილები და ქმარი, და ეს აღმიძრავდა მის პატივსცემას. სახე მისი გამოხატავდა უღრმეს ღირსებას, – ეს თავდაპირველად როდი მომხვდა თვალში; ჩემს უნებურად ვგრძნობდი მის მიმართ რაღაც ახალ პატივისცემას; და ის ამბავი, ასე შინაურულად რომ მეპყრობოდა, თითქმის არ მესიამოვნა; რა ლამაზიც უნდა ყოფილიყო ჩემს თვალში, უფრო მეტი მოწადინებით ვეამბორებოდი მისი კაბის ნაწიბურს, ვიდრე ლოყას; ერთი სიტყვით, იმწუთას ვიგრძენი, რომ ჟიული და, ეგებ, მეც, უკვე ის აღარ გახლდით, რანიც ვიყავით წინათ და ეს კარგი ამბის მომასწავებელ ნიშნად მივიჩნიე.

ბატონმა დე ვოლმარმა ხელი გამომდო და წამიყვანა ჩემთვის განკუთვნილ სადგომში. „აი, თქვენი ბინა, – მითხრა მან, – აქ გარეშეს არავის უცხოვრია და არც იცხოვრებს. ამიერიდან ეს სათავსოები თქვენ გეკუთვნით, ანდა ცარიელი იქნება“. აბა, თავად განსაჯეთ, რა სასიამოვნო იქნებოდა ჩემთვის ასეთი მოსაწონარი სიტყვების მოსმენა, ოღონდ, ვინაიდან ჯერ კიდევ სათანადოდ არ დამემსახურებინა ისინი, სირცხვილში ჩავვარდი. ბ-მა დე ვოლმარმა გამომიყვანა მძიმე მდგომარეობიდან, არ დაელოდა ჩემს პასუხს და შემომთავაზა, ბაღში გავისეირნოთო, იქ ისე მოიქცა, რომ თავი ლაღად ვიგრძენი; მისი კილოს მიხედვით ჩანდა, მისთვის ცნობილი რომ იყო ჩემი წინანდელი ცდომილებანი, ოღონდ სჯეროდა ჩემი პირდაპირობისა; მემუსაიფებოდა როგორც მამა შვილს და ისეთი პატივისცემით მეპყრობოდა, რომ რაიმე უღირსს თავის დღეში ვერ ჩავიდენდი. დიახ, მილორდ, ის როდი შემცდარა, არასოდეს დამავიწყდება, რომ უდნა გავამართლო მისი და თქვენი ნდობა. ოღონდ რად მიმძიმებს გულს მისი კეთილისმყოფლობა? კაცი, რომელიც უნდა მიყვარდეს, ნეტავი რად აღმოჩნდა ჩემი ჟიულის ქმარი?

როგორც ჩანს, ამ დღეს განისაზღვრა ჩემთვის, თუ რაოდენ მრავალნაირი განსაცდელი უნდა გადამხდენოდა თავს. როდესაც დავბრუნდით სასტუმრო ოთახში, ჟიულისთან, ბ-ნ დე ვოლმარს უხმეს რომელიღაც მისი განკარგულების გამო, და ჟიული და მე მარტონი დავრჩით.

კვლავ უფრო მძიმე და მოულოდნელ გასაჭირში ჩავვარდი. რა უნდა მეთქვა მისთვის? როგორ დამეწყო ლაპარაკი? ნეტავი თუ გავბედავ და გავახსენებ წინანდელ ჩვენს სიახლოვეს, ესოდენ სამახსოვრო წარსულ დღეებს? ან, იქნებ, აჯობებს იფიქროს, ყოველივე დაივიწყა და წარსულზე სულაც აღარ ფიქრობსო? ო, რა საშინელებაა მიმართო ქალს,

თითქოს ვიღაც გარეშე იყოს იგი, მაშინ როცა მისი სახე სამარადჟამოდ გულში ხატად გისვენია! მაგრამ რა სისაძაგლეა ბოროტად გამოიყენო სტუმართმოყვარეობა და მასთან ისეთი სიტყვები წარმოთქვა, რაიც ამიერიდან არ უნდა მოისმინოს! ამ მღელვარე ფიქრებმა გონება დამიფანტეს, სახეზე ალმური წამეკიდა, ვეღარ შევიძელი ვეღარც სიტყვის დაძვრა, ვერც თავის აღება, ონდავი შერხევა, და, ვგონებ, ასე ვიჯდებოდი ქმრის დაბრუნებამდე, ჟიულის რომ არ დავეხსენი ამ საშინელი მდგომარეობიდან. მას, ალბათ, სრულიადაც არ აცბუნებდა, პირისპირ რომ დავრჩით ერთმანეთთან. ლაპარაკობდა თუ დუმდა, თავი ისე უბრალოდ ეჭირა, მანერები არ შეუცვლია. მხოლოდ ის შევამჩნიე, ძალიან რომ ცდილობდა ლაპარაკის დროს სიტყვებისათვის უფრო მეტი ხალისი და ბუნებრიობა მიეცა და არამც და არამც მოკრძალებით ან ნაზი მზერით არ შემომცქეროდა, მისი გამოხედვა იყო გულკეთილი და ალერსიანი, თითქოს სურდა ჩემი გამხნევება და დაშოშმინება და, მასთან, დამხმარებოდა კიდეც თავი დამეღწია გასაჭირისათვის, რასაც კარგად ამჩნევდა.

ლაპარაკობდა ჩემს ხანგრძლივ ყარიბობათა გამო; დაწვრილებით სრუდა ყველაფრის გაგება, განსაკუთრებით იმ სახიფათო ამბავთა ცოდნა, რაც გადამხდა, აინტერესებდა ჩემს მიერ გადატანილი ვაი-ვაგლახიც, – როგორც მითხრა, უნდოდა მეგობრობის გულისთვის მოეზღო ყველა განსაცდელის სამაგიერო. „აჰ, ჟიული, – სევდიანად შევნიშნე მე, – სულ ერთი წუთია თქვენს ახლოს ვიმყოფები, და უკვე მზადა ხართ უკანვე, ინდოეთს, დამაბრუნოთ“. – „არა, არა! – სიცილით მომიგო მან, – ოღონდ მეცა მსურს იქ წასვლა“.

ვუთხარი, ჩემი მოგზაურობის ანგარიში რომ დაგიწერეთ და ამ რელაციის პირი თან წამოვიღე ჟიულისთვის. მაშინ დიდი ინტერესით იკითხა თქვენზე – როგორაო. მოვუთხრე თქვენი ამბავი და, რასაკვირველია, გავიხსენე ჩემი ტანჯვა-წამებანი და ის საწყენი ამბავიც, თქვენ რომ შეგამთხვიეთ. გრძნობა მოერია და უფრო სერიოზული კილოთი ალაპარაკდა, თანაც თავს იმართლებდა და მიმტკიცებდა, ის უნდა ჩამედინა, რაც ჩავიდინეო. სწორედ ამ დროს შემოვიდა ბ-ნი დე ვოლამრი და, ჩემდა გასაოცებლად, ჟიული ქმართანაც ისე განაგრძობდა ლაპარაკს, თითქოს ის კაცი არც კი იყო ოთახში. ჩემი გაკვირვება რომ შენიშნა, დე ვოლმარმა ღიმილი ვერ შეიკავა. ხოლო როცა ჟიულიმ დაამთავრა თავისი ახსნა-განმარტებანი, მან წარმოთქვა: „აი, ინებეთ ჩვენთან გამეფებული გულახდილობის ნიმუში. უკეთუ გულწრფელადა გსურთ იყოთ სათნო ადამიანი, ეცადეთ მიჰბაძოთ ჟიულის მაგალითს: ესაა ჩემი ერთადერთი თხოვნა და ჩემი ერთადერთი დარიგება თქვენს მიმართ. უაღრესად უვნებელ დანაშაულთა საიდუმლოდ დამარხვის სურვილი ბიწიერებისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯია; ვინც ემალება ადამიანებს – ადრე თუ გვიან ექნება ამის საფუძველი. მორალის ყველა კანონი შეიძლება შეიცვალოს შემდეგი წესით: „ნურასოდეს ჩაიდენ და ნუ იტყვი ისეთ რაიმეს, რასაც საქვეყნოდ გასახმიანებლად არ მიიჩნევდი“. მე, მაგალითად, მუდამჟამს ფრიად ღირსეულ ადამიანად მიმაჩნდა ის რომაელი, რომელმაც განიზრახა ისე აეგო თავისი სახლი, რომ ყველას დაენახა, თუ რა ხდებოდა შიგნით.

მე მინდა, – დაუმატა ბ-ნმა დე ვოლმარმა, – შემოგთავაზოთ ორი გადაწყვეტილება. ნება გაქვთ აირჩიოთ ის, რომელიც ყველაზე უფრო მოგეწონოთ, მაგრამ არჩევანი აუცილებლად უნდა მოხდეს“. შემდეგ ხელი ჩაგვკიდა ცოლსა და მე, ხელი ჩამომართვა და მითხრა: „იწყება ჩვენი მეგობრობა, აი, საგულისგულო მისი კავშირი; იყოსმცა იგი განუწყვეტელი და განუყრელი. მოეხვიეთ ჟიულის, ყოველთვის მოეპყარით მას როგორც თქვენს დასა და მეგობარს. რაც უფრო გულითადი იქნება თქვენი ურთიერთობა, მით უფრო კარგი აზრისა ვიქნები თქვენზე. ოღონდ, როცა მასთან მარტო დარჩებით, ისე მოიქეცით, თითქოს მე ვიყო თქვენთან ერთად, ანდა ჩემთან ერთად ყოფნისას ისე გეჭიროთ თავი, თითქოს თქვენს ახლოს არც კი ვიყო. აი, ყველაფერი, რასაც თქვენა

გთხოვთ. უკეთუ ხელს გაძლევთ მეორე გადაწყვეტილება, დამშვიდებით შეგიძლიათ მისი არჩევა; ვიტოვებ უფლებას გაუწყოთ ის, რაც არ მომეწონება თქვენს საქციელში. დავთქვათ ასეთი პირობა: უკეთუ არაფერს გეტყვით, მაშასადამე, დარწმუნებული იყავით, არაფრით გამოგიწვევიათ ჩემი უკმაყოფილება“.

ორი საათის უკან ასეთი სიტყვები ძალზე შემაცბუნებდა; მაგრამ ბ-მა დე ვოლმარმა უკვე ისე დამიმონა, რომ თითქმის მივეჩვიე მისი დამჯერე ვყოფილიყავი. სამივენი ასე განვაგრძობდით წყნარ საუბარს, და როცა ჟიულის მივმართავდი, ყოველთვის ვუწოდებდი „ქალბატონო“-მეთქი. „გულახდილად მითხარით, – შენიშნა ბოლოს ქმარმა და სიტყვა შემაწყვეტინა, – მითხარით, ახლახან რომ მარტონი იყავით, თუ უწოდებდით მას „ქალბატონოო“? „არა, – მივუგე მე ოდნავ დაბნეულად, – ოღონდ ზრდილობის წესები...“ „ზრდილობის წესები – ეს ნიღაბია, როლითაც ბიწიერება იფარავს სახეს. ხოლო იქ, სადაც სათნოება სუფევს, ეგ ზედმეტია. მე ვგმობ მათ. ჩემთან ჩემს ცოლს უწოდეთ ჟიული, თუკი გსურთ, ხოლო პირისპირ დარჩენისას დაუძახეთ „ქალბატონი“, – ეს ჩემთვის სულ ერთია“. უკვე ვხვდებოდი, თუ რა ადამიანთან მქონდა საქმე და გადავწყვიტე ისე დამეჭირა თავი, რომ სინდისი სუფთა მქონოდა.

ძალზე დაღლილი ვიყავი, ჩემს სხეულს საზრდო ესაჭიროებოდა, ხოლო სულს – მოსვენება; ერთიცა და მეორეც ვიპოვე, როცა სუფრასთან მიმიწვიეს. განშორებისა და ვაი-ვარამის ამდენ წელთა შემდეგ, ესოდენ ხანგრძლივი ყარიბობის მერე რაღაც აღტაცებული ვფიქრობდი: ჟიულის ახლოს ვიმყოფები, ვხედავ და ველაპარაკები მას, მასთან ერთად მაგიდასთან ვზივარ, შემომყურებს სავსებით აუღელვებლად, მიმიღო სრულიად უშიშრად, არაფერი არ ჩრდილავს ჩვენი ერთად ყოფნის სიხარულს-მეთქი. განსაცხრომელო და ნანინანატრო უმანკოებავ, ჯერ კიდევ ვერ ვცნობდი შენს სიმშვენიერეს და მხოლოდ დღეს ვიწყებ ცხოვრებას გაუტანჯველად.

საღამო ხანს დასაძინებლად გავემართე და სახლის პატრონთა სანთიობოსთან გავლისას, დავინახე, როგორ შევიდნენ იქ ორივენი; გულდაძმარებული წავლასლასდი ჩემს საწოლ ოთახში და, გამოგიტყდებით, ეს წუთი არც ისე სასიამოვნო იყო ჩემთვის.

აი, მილორდ, როგორ ჩაიარა ამ პირველმა შეხვედრამ, რაიც ასე გაგიჟებით მსურდა და რაც ასე უსაშველოდ მაძრწუნებდა. მარტოდ დარჩენილი ვცდილობდი გონს მოსვლას, მინდოდა უფრო ღრმად ჩამეხედა ჩემს გულში. მაგრამ ჯერ კიდევ არ დაშოშმინებულიყო განვლილი დღის მანძილზე განცდილი მღელვარება და ვერ შევძელი ჩავწვდომოდი ჩემი სულის ნამდვილ მდგომარეობას. მტკიცედ ვიცი მხოლოდ ის, რომ, უკეთუ ჟიულის მიმართ ჩემთა გრძნობათა ხასიათი არ შეცვლილა, ძალზე შეიცვალა მათი ფორმა. ახლა ყოველთვის ვცდილობ მესამე პირი იყოს ჩვენს შორის და, რაოდენადაც წინათ მსურდა პაემანი მასთან მარტოდმყოფს, ახლა იმდენადვე მაშინებს იგი.

ვფიქრობ ორი-სამი დღით წავიდე ლოზანას. შემიძლია გითხრათ, რიგიანად არც კი მინახავს ჟიული, რაკიღა ჯერ არ მომინახულებია მისი მამიდაშვილი, მისი საყვარელი, ძვირფასი დობილი, რომლისგანაც ყველაფრითა ვარ დავალებული და რომელიც, როგორც თქვენ, მილორდ, ნიადაგ იქნება საგანი ჩემი მეგობრობის, ჩემი ზრუნვის, ერთგულებისა და ყველა სასიკეთო გრძნობისა, რითაც აღსავსეა გული ჩემი. დაბრუნებისას დაუყოვნებლივ მოგწერთ უფრო ვრცელ წერილს. ჩემთვის აუცილებელია თქვენი რჩევა-დარიგება, და მინდა უკეთ ჩავწვდე ჩემს თავს. მესმის ჩემი მოვალეობა და აღვასრულებ კიდეც მას. რა სასიამოც უნდა იყოს ჩემთვის ამ სახლში ცხოვრება, გეფიცებით, დაუყოვნებლივ დავტოვებ მას, უკეთუ შევამჩნევ, აქ მეტისმეტად მსიამოვნებს ყოფნა-მეთქი.

VII წერილი

ქალბატონ დე ვოლმარისაგან
ქალბატონ დ’ ორბისადმი

შენ რომ დარჩენილიყავ ჩვენსას იმ დღემდის, როგორც ამას გთხოვდით, მაშინ გამგზავრების წინ მიიღებდით სიამოვნებას გულში ჩაგეკრა შენი მეგობარი. სამი დღეა, რაც ჩამოვიდა და ახლა სურდა შენთან წამოსვლა; მაგრამ რაღაც წელკავის მსგავსი აქვს (ეტყობა, გზაში გაილახა) და ლოგინში მწოლიარეა; დღეს დილით სისხლი გაართვეს.[92] თუმცაღა შენდა დასასჯელად მტკიცედ გადავწყვიტე ასე მალე არ გამოვუშვა; თავად უნდა ჩამოხვიდე აქ, თორემ კიდევ დიდხანს ვერ იხილავ მას, ეს კარგად იცოდე. ეგ რა ოინი მოიგონეს: ცალ-ცალკე პაემნები განუყრელ დობილთათვის.

აჰ, ჩემო დაიკო, სავსებით ტყუილ-უბრალოდ მეშინოდა მისი ჩამოსვლისა და, მართლაც, მრცხვენია, ამ საქმეს რომ ვეწინააღმდეგებოდი. მერედა როგორ მაშინებდა მასთან შეხვედრა, ხოლო ახლა რა გუნებაზე ვიქნებოდი, ერთმანეთი რომ არ გვენახა. როგორც კი გამოჩნდა, გამიქრა ყოველგვარი შიში, რაიც ჯერ ისევ მაძრწუნებდა და გამართლებული იქნებოდა მასზე მუდმივი მღელვარების გამო. ახლა ჩემი სიყვარული არამცთუ არ მაშინებს, არამედ, ვგონებ, დავკარგავდი ჩემივე თავის პატივისცემას, ნაკლებ ძვირფასი რომ ყოფილიყო იგი ჩემთვის. არა, მე მიყვარს იგი კვლავ ისე ნაზად, როგორც უწინ, ოღონდ მიყვარს სულ სხვაგვარად. როცა ვადარებ იმას, რასაც განვიცდი მის დანახვაზე, იმ ამბავს, რაც ოდესღაც გადავიტანე, ვიმსჭვალები მტკიცე რწმენით, საფრთხემ განვლო-მეთქი; ჩემი გრძნობები გახდნენ სულ სხვანაირნი, უფრო ნაკლებ მძაფრნი, და ეს სხვაობა ძალზე თვალნათლივ შეიმჩნევა.

რაც შეეხება თავად მას, თუმცა პირველი დანახვისთანავე ვიცანი, ოღონდ, ჩემი აზრით, ძალზე შეცვლილა; და ისიც კი მოხდა, რასაც წინათ შეუძლებლად ჩავთვლიდი: ბევრ რამეში უკეთესობა ეტყობა. პირველ დღეს აშკარად გაოგნებული იყო და თავად მეც ძლივსღა ვფარავდი უხერხულობას; მაგრამ მალე ალაპარაკდა მტკიცე კილოთი და გულღია გამომეტყველებით, რაც სავსებით შეჰფერის მის ზნე-ხასიათს. წინათ ყოველთვის მორიდებულად და შიშნეულად ეჭირა ჩემთან თავი, ეშინოდა, ვაითუ არ მოვეწონოო. ეგებ, გულში რცხვენოდა კიდეც წესიერი კაცისათვის არაღირსეული როლის თამაში. დღენიადაგ რაღაც მონური მორჩილებით შემომყურებდა, და შენც ბევრჯერ სამართლიანად გაკიცხე ამის გამო. ახლა კი, მონური მორჩილების ნაცვლად, ისე იქცევა, როგორც მტკიცე რწმენით გულდაჯერებული მეგობარი, რომელსაც ძალუძს ხოლმე პატივი მიაგოს ქალს, ვინაც ამ პატივის ღირსია; წყნარად და გულმშვიდად მეტყველებს, წარმოთქვამს კეთილშობილურ სიტყვებს, არ უფრთხის იმას, რომ ზნეობის ადათ-წესები მკვეთრ წინააღმდეგობას გაუწევენ მის ინტერესებს, არ ეშინია რაიმე ავნოს თავის თავს, ანდა შეურაცხმყოს მე. როცა ხოტბას ასხამს იმას, რაც ქება-დიდებას იმსახურებს; და ყველაფერში, რასაც ამბობს, იგრძნობა პირდაპირობა და მტკიცე რწმენა ადამიანისა, რომელიც საკუთარ გულში ეძიებს თავის სიტყვათა მოწონებას, მაშინ როდესაც წინათ ჩემს თვალებში სურდა ამოეკითხა დასტური. ვფიქრობ აგრეთვე, რომ მაღალი წრის საზოგადოების ზნე-ჩვეულებათა გაცნობისა და ცხოვრებისეული გამოცდილების მეოხებით მოიშალა დამრიგებლური და უკმეხი ლაპარაკი, კაბინეტის სწავლულებს რომ სჩვევიათ ხოლმე. უკვე ისე ნაჩქარევად არა სჯის ადამიანებს, მას შემდეგ, რაც დიდხანს უკვირდებოდა მათ, როდი ჩქარობს დაადგინოს ყველასათვის სავალდებულო წეს-

[92] რად გაართვეს სისხლი? მაშასადამე, შვეიცარიაშიც ასეთი მოდაა?

კანონები მას მიღმა, რაც ნახა ესოდენი გამონაკლისი წესთაგანი; და საერთოდ ჭეშმარიტების სიყვარულმა განკურნა იგი პედანტურობისაგან, ასე რომ, ახლა უფრო ნაკლებ ბრწყინვალეა, ოღონდ უფრორე განმსჯელი, და გაცილებით მეტი შეიძლება ისწავლოს კაცმა მისგან მას შემდეგ, რაც მოუკლო სწავლულობას.

არანაკლებ გარდაიქმნა და გაუმჯობესდა მისი გარეგნული იერსახე. ახლა უფრო მტკიცედ და გაბედულად ადგამს ნაბიჯს, მანერები უფრო ბუნებრივი აქვს, ტანადობა – მეტადრე ზვიადი; მოგზაურობისას შეიძინა მხედრული იერი, რაც ძალიან შვენის, მით უმეტეს, რომ მისი ცოცხალი და სწრაფი მიხრა-მოხრა, აფრთოვანების ჟამს, უფრო დარბაისლური და დინჯი გახდა. მაშინვე ჩანს მეზღვაური – გარეგნულად ფლეგმატური და გულცივი ადამიანი, ოღონდ ზოგჯერ, ლაპარაკის ჟამს, ამჟღავნებს თავის მჩქეფარე და მძაფრ ბუნებას. ახლა, როცა უკვე ოცდაათ წელს გადააბიჯა, მისი ვაჟკაცური სილამაზე სავსებით აყვავდა და გაიფურჩქნა. მთელ მის აღნაგობაში მოწიფული ვაჟკაცის სიდიადესთან სიჭაბუკის ცეცხლია შერწყმული. პირისახის ფერით ვეღარც კი იცნობ, ჩვენი სენ-პრე ახლა მავრივით შავია და, გარდა ამისა, ყვავილის შემდეგ ჩოფურა გახდა. ძვირფასო, უნდა გაგიმხილო მთელი სიმართლე: გულსა მტკენს ამ ნაყვავილარის შეხედვა, და მაინც ხშირად წავსწრებივარ ჩემს თავს, უნებურად რომ შევყურებდი მათ.

ოღონდ თუკი ვათვალიერებ და ვსინჯავ მას, ისიც, როგორც ჩანს, არანაკლები ყურადღებით მაცქერდება. სავსებით ბუნებრივია, რომ ესოდენ ხანგრძლივი განშორების შემდეგ ადამიანები რაღაც ცნობისმოყვარეობით აცქერდებიან ერთმანეთს, მაგრამ უკეთუ ეს ცნობისმოყვარეობა თითქოსდა დაკავშირებულია კიდეც განვლილ ვნებათაღელვასთან, მაშინ რამოდენა განსხვავებაა გარეგნულ გამომეტყველებასა და მის მიზეზებშიც! ჩვენი თვალები უწინდელივით ხშირად როდი ხვდებიან ერთმანეთს, სამაგიეროდ, ერთიმეორეს უფრო თავისუფლად შევყურებთ. და ასე მგონია, თითქოსდა ფარული შეთანხმებით რიგრიგობით ვაპყრობთ მზერას ურთიერთს. თითოეული ჩვენგანი თითქოს გრძნობს, ვისი ჯერია უცქიროს, და თავის რიგის ლოდინში, თვალს არიდებს მეორეს. განა შესაძლებელია ღრმა კმაყოფილების უმისოდ, თუნდაც წინანდელ მღელვარების გარეშე, ვუმზიროთ იმას, ვისაც ოდესღაც ასე ნაზად ვეტრფოდით, ახლა კი გვიყვარს ესრეთის სპეტაკი სიყვარულით? ვინ იცის, ხომ არ ცდილობს თავმოყვარეობა წინანდელი შეცდომის გამართლებას? ვინ უწყის, ხომ არ იქნება სასიამო ყოველი მიჯნურისათვის, როცა ვნებათა ღელვა უკვე აღარ აბრმავებს მას, უთხრას თავის თავს: ჩემი არჩევანი არც ისე ცუდი ყოფილაო! ასეა თუ ისე, მზადა ვარ გაბედულად გავიმეორო, მის მიმართ უაღრესად ნაზი გრძნობებით ვარ კვალად განმსჭვალული, და ისეთივე დარჩებიან ისინი ჩემი სიცოცხლის დასასრულამდე. არამცთუ ვამუნათებ თავს ამ გრძნობათათვის, არამედ სასიხარულოდაც კი მიჩნს, ისინი რომ არ გამაჩნდნენ, სირცხვილით დავიწვებოდი, რადგან ეს იქნებოდა უზნეობის ან გულქვაობის ნიშანი. რაც შეეხება სენ-პრეს, ვბედავ ვიფიქრო, რომ სათნოების შემდეგ ამქვეყნად ყველაზე უმეტეს მე ვუყვარვარ. ვიცი, ვგრძნობ, რომ ამაყობს ჩემი პატივისცემით, ხოლო მე მეამაყება მისი პატივისცემა და ვეცდები მარადჟამს ვიყო ამ პატივის ღირსი. აჰ, ნეტავი დაგენახა, რა ნაზად ესიყვარულებოდა ჩემს ბავშვებს, გაცოდინა ერთი, თუ რაგვარის კმაყოფილებით ლაპარაკობს შენ გამო, ჩემო დაიკო, – დარწმუნდებოდი, ისევ ძვირფასი რომ ვარ მისთვის!

სწორია მე და შენი აზრი მასზე, იგი ორკეც განმტკიცდა, ვინაიდან ბატონი დე ვოლმარიც იზიარებდა ამ აზრს; როცა სენ-პრეს შეხვდა, თავად დაინახა მასში ყველა სიკეთე, რის გამოც ველაპარაკებოდი. დიდხანს მესაუბრა ამ საგანზე ორ საღამოს, ახარებდა მიღებული გადაწყვეტილება და მტუქსავდა, წინააღმდეგობას რომ ვუწევდი. „არა, – მეუბნებოდა გუშინ, – ჩვენ იმას არა ვიქმთ, რომ ესდენ კეთილშობილი ადამიანი დაეჭვდეს თავის თავში, ვასწავლით მას, უფრო მეტად თავისი სათნოების იმედი იქონიოს

და, იქნებ, ოდესმე ჩვენი ზრუნვის გამო გაცილებით უფრო უხვად ვიქნეთ დაჯილდოებული, ვიდრე ამას მოველოდებით. მაგრამ ახლა უკვე შემიძლია გითხრა, მისი ხასიათი მომწონს-მეთქი; განსაკუთრებით ვაფასებ მის ერთი ნიშან-თვისებას, რასაც თვითონ ვერ ამჩნევს, სახელდობრ – მის გულცივობას ჩემს მიმართ. რაც უფრო ნაკლებ გამოხატავს ჩემდამი გულითადობას, მით უფრო გამოიწვევს ჩემს პატივისცემას. თქმაც აღარ ძალმიძს, როგორ ვშიშობდი, ვაითუ პირფერობა დამიწყოს-მეთქი. ეს იყო პირველი გამოცდა, რომელიც დავუნიშნე; კიდევ ელის მეორე გამოცდა,[93] მაშინ დავუწყებ თვალთვალს, ხოლო ამის შემდგომ ხელს ავიღებ მეთვალყურეობაზე“. ამის გამო მე ვთქვი: „ამჟამად სენ-პრეს საქციელი ამტკიცებს მისი ზნე-ხასიათის გულახდილობას-მეთქი, მას ხომ არ შეეძლო აეძულებინა თავი, რათა ქედმოდრეკილი და მოსიყვარულე იერი მიეღო მამაჩემთან შეხვედრისას, თუმცა დაჟინებით ვემუდარებოდი ამას. მწუხარებით ვხედავდი, რომ კარგავდა ერთადერთ მხარდაჭერას, მაგრამ არ ძალმედვა გავბრაზებოდი იმის გამო, რომ არ გააჩნდა თავის მოკატუნების უნარი“. „მაგრამ აქ სულ სხვა ამბავია, – შენიშნა ჩემმა ქმარმა, – მას და მამაშენს, ბუნებრივია, სძულდათ ერთმანეთი, რაც მათ საპირისპირო შეხედულებათა ბრძოლა გახლდათ. და რაკი მე მეტი შემწყალებლობა მჩვევია და არ გამაჩნია ცრურწმენანი, დარწმუნებული ვარ, მასაც არ ექნება ჩემს მიმართ ბუნებრივი სიძულვილი. მერედა ვის ვეძულები მე? ადამიანი, ვისაც არავითარი ვნება არ მოეპოვება, არავის სიძულვილსაც არ გამოიწვევს. მაგრამ მას წარვსტაცე საუნჯე. ამას კი ასე მალე როდი მაპატიებს. სამაგიეროდ, მით უფრო შევუყვარდები, როცა დარწმუნდება, რომ ჩემგან მიყენებული წყენა ხელს არ მიშლის კეთილმოსურნედ ვექცეოდე. ახლა რომ მელაქუცებოდეს, გაიძვერად ჩავთვლიდი; და უკეთუ არასოდეს იქნება ჩემს მიმართ ალერსიანი, მაშინ საზარელი ვინმე ყოფილა“.

აი, საყვარელო კლარა, როგორაა ჩვენი ამბები. უკვე ვრწმუნდები, რომ ზენაარი აკურთხებს გულთა ჩვენთა პირდაპირობას და ჩემი ქმრის კეთილ გულისთქმათ. ოღონდ რად მოგითხრობ ასე ვრცლად ყოველივეს? სავსებით არა ხარ ღირსი, ასეთი კმაყოფილებით რომ გესაუბრებოდე. მეტს აღარაფერს გიამბობ, და თუკი გსურს კიდევ რაიმეს გაგება, ჩამოდი, თავად დაინახავ.

P. S. არა, მაინც უნდა მოგითხრო ის ამბავი, რაც ამ წერილის გამო მოხდა. ხომ იცი, რა ლმობიერად შეხვდა ბატონი დე ვოლმარი ნაგვიანებ აღიარებას, რაიც ამიძულა სენ-პრეს მოულოდნელმა დაბრუნებამ. შენ ხომ ნახე, რა ალერსიანად შეძლო ჩემი ცრემლების შეშრობა და ჩემი გაბახებისაგან გამოწვეული სირცხვილის გაფანტვა. ან მართლაც უკვე იცოდა ყველაფერი, როგორც გონივრულად ფიქრობდი, ანდა გული მოულბო ჩემმა აღსარებამ და მიხვდა, ეს ნაბიჯი სინანულმა გადაადგმევინაო; როგორადაც უნდა იყოს, კვლავინდებურად მექცეოდა და, როგორც ჩანდა, მისი ზრუნვა, მისი ნდობა და პატივისცემა ჩემს მიმართ გადიდდა კიდეც, – თითქოს სურდა სამაგიერო მოეზღო ჩემთვის იმის გამო, რომ დავძლიე მტანჯველი სირცხვილი და ყველაფერში გამოვუტყდი. ჩემო დაიკო, შენ იცნობ ჩემს გულს, თავადვე განსაჯე ხოლმე, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა ყოველივე ეს ჩემზე.

როგორც კი დამთანხმდა, რომ ჩამოსულიყო ჩვენი ყოფილი მასწავლებელი, მაშინვე მივიღე გაფრთხილების უდიდესი ზომები საკუთარი თავის წინააღმდეგ: გადავწყვიტე, ყველაფერი გამენდო ქმრისათვის, გადამეცა თითოეული საუბარი, მის დაუსწრებლად რომ მომიხდებოდა, მეჩვენებინა ყველა წერილი. ჩემს მოვალეობადაც კი მივიჩნიე, ისე დამეწერა ყოველი წერილი, თითქოს ჩემს ქმარს არ უნდა წაეკითხა იგი, შემდეგ კი მისთვის

[93] წერილში, რომელშიც ლაპარაკი იყო ამ მეორე გამოცდის გამო, მოისპო, მაგრამ, როცა შემთხვევა მომეცემა, ვეცდები მოგითხროთ ეს ამბავი.

მეჩვენებინა. შენ ამ წერილშიც ნახავ სწორედ ამნაირად დაწერილ სტრიქონებს, და უნდა ითქვას, როცა ვწერდი, არ შემეძლო დამევიწყებინა, რომ ქმარი წაიკითხავდა, და მაინც არ შემიცვლია იქ არც ერთი სიტყვა; ოღონდ, როცა წერილი მივუტანე, სასაცილოდ ამიღო და არ ინება მისი წაკითხვა.

გამოგიტყდები, ცოტათი ნაწყენი ვიყავი: მომეჩვენა, ჩემს პატიოსნებაში ეჭვი შეეპარა-მეთქი. როდი გამოეპარა ჩემი სულის ეს ცვალებადობა, და უმალ ჩემს დაშოშმინებას შეუდგა. მერწმუნე, ყველაზე პირდაპირი და ყველაზე დიდსულოვანი ადამიანია. „აღიარეთ, – მითხრა მან, – რომ ამ წერილში ჩემ გამო ჩვეულებრივზე უფრო ნაკლები ილაპარაკეთ“. ეს დავუდასტურე: განა შემფეროდა მასზე ბევრი მელაპარაკნა, ხოლო შემდეგ მეჩვენებინა მისთვის, სახელდობრ – თუ რა ვთქვი. „ჰოდა, – ღიმილით შენიშნა მან, – სჯობს, არც მაჩვენოთ, თუ რას ლაპარაკობთ ჩემზე, სამაგიეროდ ილაპარაკეთ უფრო მეტი“. შემდეგ უკვე უფრო მკაცრი კილოთი განაგრძო: „ქორწინება მნიშვნელოვანი, სერიოზული საქმეა, იქ უადგილოა წვრილმან გრძნობათა გადმოშლა, რასაც მისაღებად მიიჩნევს სათუთი მეგობრობა. ზოგჯერ იგი ძალზე დროულად ამსუბუქებს ცოლქმრულ უღელს, და ძალიან კარგია, თუ წესიერი და კეთილგონიერი ქალი ერთგულ დობილთან იპოვის ნუგეშს, რჩევასა და მხარდაჭერას, რის მოთხოვნასაც სხვა ვითარებაში ვერ გაუბედავს ქმარს. დაე ნურაფერ ისეთს ეტყვით ერთმანეთს, რის გადმოცემაც ჩემთვის არ გსურდეთ, ოღონდ ერიდეთ კანონად არ გაიხადოთ ქმრისათვის ამ ცნობათა გადაცემა, თორემ, შესაძლოა, საჩოთირო ვალდებულებად გადაიქცნენ ისინი, და თქვენი გულახდილი საუბრები ჩემთან უფრო მეტად ვრცელი იქნება, მაგრამ ნაკლებ სასიამოვნო. ხოლო გულისნადების გამჟღავნება ყოველ მოწმესთან უფრო თავშეკავებული ხდება. არსებობს მრავალი საიდუმლო, რაც სამმა მეგობარმა უნდა იცოდეს, ოღონდ ამაზე ლაპარაკს პირისპირ ყოფნისას თუ შეძლებენ. ამცნეთ ერთი და იგივე ამბავი თქვენს დობილსა და ქმარს, ოღონდ სხვადასხვანაირად ელაპარაკეთ, ხოლო თუ ყველაფრის არევ-დარევას მოიწადინებთ, მაშინ აღმოჩნდება, რომ თქვენი წერილები უფრო ჩემთვისაა განკუთვნილი, ვიდრე მისთვის, და თავს ვერ იგრძნობთ თამამად ვერც მასთან, ვერც ჩემთან. ამას ყოველივეს გეუბნებით ჩემდა სასარგებლოდ, თქვენდა სახეიროდ. განა ვერა ხედავთ, უკვე რომ გეშინიათ ჩემი შექება თქვენს წერილებში? და ეს სავსებით ბუნებრივია, მაგრამ რად გინდათ მოგაკლდეთ სიამოვნება და ვერ უთხრათ დობილს, თუ რაოდენ ძვირფასია თქვენთვის ქმარი, ხოლო მე ვერ გავიხარო იმაზე ფიქრით, რომ უაღრესად გულახდილი საუბრის ჟამსაც კი თქვენთვის სასიამოვნოა ჩემს გამო ლაპარაკი? ჟიული, ჟიული, – დაუმატა მან, თან ხელს ხელზე მიჭერდა და ალერსიანად შემომყურებდა, – თქვენ იმცირებთ თავს ამდენი სიფრთხილით, რაც სრულიადაც არაა თქვენთვის საჭირო. ნუთუ ვერასოდეს ისწავლით თქვენი თავის ღირსეულად შეფასებას?“

ჩემო ძვირფასო დობილო, არ ძალმიძს გაუწყო, თუ როგორ კარგად ახერხებს ყოველივე ამის გადმოცემას ჩემი შეუდარებელი ქმარი. ხოლო მე ახლა თავს შერცხვენილად აღარა ვგრძნობ მის წინაშე. მიუხედავად ყოვლისა, შარავანდედით მმოსავს იგი და ვხვდები, თავისი ნდობით რომ მასწავლის, თუ როგორ დავიმსახურო ეს ნდობა.

VIII წერილი

პ ა ს უ ხ ი

ეს როგორ მოხდა, დაიკო, ჩვენი მოგზაური ჩამოვიდა, მე კი ჯერ არ მინახავს იგი, ამერიკაში ნადირობისას მოპოვებული ნადავლით ჩემს ფერხთა წინაშე გართხმული!

იცოდე, ამ დაგვიანებას მას კი არა, შენ დაგდებ ბრალად, – მას ხომ ჩემზე ნაკლებად როდი ელევა გული მოუთმენლობით, მაგრამ კარგად ვხედავ, რომ არც ისე დავიწყნია, როგორც ირწმუნები, შენი მორჩილი მონის ვალდებულებები, და მეც იმდენად მისი უპატივცემულობა კი არ მაწუხებს, რამდენადაც შენი ტირანია. აგრეთვე იმასაც ვფიქრობ, დიდი კადნიერებაა შენი მხრით მოითხოვო, რომ ჩემებრ მკაცრმა და პედანტურმა პიროვნებამ გადადგას პირველი ნაბიჯი და ყოველგვარი კოკობზიკობის გარეშე გამოექანოს თქვენსკენ, რათა გადაკოცნოს შავტუხა და ჩოფურა ყარიბი, ოთხჯერ რომ ამოყო თავი ზენიტში მდგარი მზის ქვეშ და იხილა მუშკ-ამბრის მხარე. სასაცილოა, რომ შეუდექი ჩემს დატუქსვას იმის შიშით, ვაითუ პირველმა მან დამიწყოს გინებაო. მინდოდა გამეგო, აბა რად კისრულობ იმას, რაც შენი საქმე არ არის? აი, მე ამ საქმის ოსტატი გახლავარ, ჩხუბსა და აყალმაყალში სიამოვნებას ვპოვებ, და ეს ყველაზე შესაფერისი ამბავია ჩემთვის. მაგრამ შენ ამ მხრივ ფრიად უგერგილო ხარ და სულაც არ ძალგიძს ჩხუბი. ხოლო რომ იცოდე, რა საყვარელი ხარ მაშინ, როცა რაიმე ბრალი მიგიძღვის, რა სიმშვენიერეს განიჭებს შეცბუნება და მუდარის გამომხატველი მზერა, – მერწმუნე, მეგობართა დატუქსვის ნაცვლად, მთელ სიცოცხლეში პატიება უნდა სთხოვო მათ, თუ მოვალეობის გრძნობის გამო არა, კეკლუცობისათვის მაინც.

ჰოდა, ახლა კი ყოველნაირად მომთხოვე პატიება. შენმა გაზრდამ, კარგი განზრახვაა: მესაიდუმლედ აირჩიო ქმარი და ჩვენებრ წმიდათწმიდა მეგობრობისას მიიღო იშკილბაზური გამაფრთხილებელი ზომები. ჰოი, უსამართლო დობილო, სულმდაბალო დედაკაცო! აბა, მთელი ქვეყნის ადამიანთაგან ვის გადაუშლი შენს სათნო გულს, უკეთუ არ ენდობი შენსა და ჩემს გრძნობათ? ძალგიძს განა, ორივე ჩვენგანის განუქიქებლად, გეშინოდეს შენი გულისა და ჩემი ლმობიერებისაც, როცა შეუღლებული ხარ წმინდა კავშირით? მეძნელება გავიგო, როგორ არ აღგაშფოთა იმ აზრმა, რომ შეიძლებოდა ვიღაც მესამის ჩარევა ორი დობილის იდუმალ საუბარში. ძალიან მიყვარს შენთან თავისუფლად ლაყბობა, ოღონდ რომ ვიცოდე, მამაკაცის თვალი დაიწყებს ფათურს ჩემს წერილში, ჩემთვის არავითარი სიამოვნება აღარ იქნებოდა წერილის მოწერა. თავშეკავებასთან ერთად დამეუფლებოდა უგულობაც, და წინანდელებრ უკვე აღარ გვეყვარებოდა ერთმანეთი. ხომ ხედავ, რა ხიფათს გადაგვყრიდა შენი სულელური უნდობლობა, შენი ქმარი შენზე ჭკვიანი რომ არ ყოფილიყო.

ის ძალზე განმსჯელად მოიქცა, როცა გითხრა, შენს წერილს არ წავიკითხავო. ეგებ, იმ წერილს არც კი მიენიჭებინა მისთვის ისეთი სიამოვნება, როგორსაც მოელოდი, – კიდევ უფრო საწყენადაც დარჩენოდა, ვიდრე მე, ვინაიდან შენ რომ მდგომარეობაში გიხილე, ნებას მაძლევს განვსაჯო, თუ რა დღეშიცა ხარ ახლა. ყველა შორსმჭვრეტელი ბრძენკაცი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე ადამიანის გულის შესწავლას მოანდომა, უფრო ნაკლებად ერკვევა სიყვარულის შემცდარ ნიშან-თვისებებში, ვიდრე ძალზე გონებაშეზღუდული, მაგრამ მგრძნობიარე ქალი. ბ-ნი დე ვოლმარი უწინარეს ყოვლისა შეამჩნევდა, რომ შენს წერილში თავიდან ბოლომდე ლაპარაკია მხოლოდ და მხოლოდ ჩვენს მეგობრობაზე, და ყურადღებას არ მიაქცევდა დამატებას, სადაც სენ-პრეს გამო ერთი სიტყვაც კი არაა თქმული. ეს დამატება რომ ათი წლის წინათ დაგვეწერა, არ ვიცი სწორედ, ჩემო ბავშვო, როგორ ჩაიდენდი ამას, მაგრამ, უეჭველია, იქაც იქნებოდა ჩვენი მეგობარი, რაღაცნაირი ფანდებით შემომძვრალი. მით უმეტეს, რომ ქმარს არც კი ხამდა ამ უკანასტრის დანახვა.

ბატონი დე ვოლმარი იმასაც შეამჩნევდა, რომ შენ მეტისმეტად ყურადღებით შეისწავლე სტუმარი და დიდი სიამოვნებით აღწერ მას. მაგრამ შენმა ქმარმა უნდა გადაიკითხოს მთელი არისტოტელე და პლატონი, რათა გაიგოს, რომ ქალი კი არ

შეისწავლის თავის მიჯნურს, არამედ შეჰყურებს მას. ყოველგვარი შესწავლისათვის საჭიროა სიმშვიდე, რაც არასოდეს გაგვაჩნია მასთან შეხვედრისას, ვინაც გვიყვარს.

დაბოლოს, შენი ქმარი იფიქრებს, რომ შენ მიერ შემჩნეული ყველა ცვლილება ყოველთვის გამოეპარება უცხო თვალს, მე კი, პირიქით, ვშიშობ, ვაითუ შევამჩნიო ის ცვლილებები, რომელიც შენ გამოგრჩა. რაც უნდა შეიცვალოს შენი სტუმრის გარეგნობა, რაც უნდა განსხვავდებოდეს მისი წინანდელი იერსახიდან, თუ გული არ გამოგცვლია, მაშინ დაინახავდი მას ისეთს, როგორიც იყო წინათ. როგორადაც უნდა იყოს, შენ თვალს არიდებ, როცა ის გიცქერს, ეს მაინც კარგი ნიშანია, ერთობ კარგი. შენ ახლა, როგორც ჩანს, მხოლოდ თვალს არიდებ და ძირს კი არა ხრი, ხომ? ასეა, არა? შენ ხომ, ალბათ, არ წამოგცდენია ეს? როგორა ფიქრობ, ჩვენმა ბრძენკაცმაც შეამჩნია ეს ამბავი?

კიდევ ერთი რამ, რაც შესაძლოა, შეაშფოთებს ყოველ ქმარს, – სახელდობრ შენს სიტყვებში შენარჩუნებული რაღაც გრძნობამორეული სინაზე იმის გამო, ვინც ძვირფასი იყო შენთვის. როცა შენს წერილს ვკითხულობ და ვისმენ შენს სიტყვებს, შესაძლოა, მაცდუნოს კიდეც მის მიმართ შენი გრძნობის ელფერმა, და კარგად უნდა გიცნობდეს კაცი, რომ არ მოტყუვდეს, უნდა ვიცოდეთ, რომ უბრალოდ მეგობარზე ლაპარაკობ და საერთოდ ყველა შენს მეგობარზე ასე ლაპარაკი გჩვევია. ესაა შენი ხასიათისათვის ჩვეული ნიშან-თვისება; შენი ქმარი კარგად იცნობს მას და ეს ამბავი არ აღელვებს. მერდა როგორ შეიძლება, რომ შენებრი ადამიანის სათუთ გულში სპეტაკი მეგობრობის გრძნობა ოდნავ მაინც არ ჰგავდეს სიყვარულს? გამიგონე, დაო ჩემო, დაე ჩემმა სიტყვებმა ერთი კარგად გაგამხნეონ, ოღონდ ზვიადობა არ შთაგინერგონ. შენ დიდი წარმატებები მოიპოვე, და ეს ძალიან ბევრ რამესაც ნიშნავს. მე მხოლოდ შენი სათნოების იმედი მქონდა, ახლა კი შენი გონებაც მეიმედება; ამჟამად ასე მგონია, რომ უკეთუ ჯერ კიდევ სავსებით არ განკურნებულხარ, ყოველ შემთხვევაში, ადვილად შეგიძლია განკურნება, და ამისათვის უკვე იმდენი რამ გააკეთე, რომ არ გეპატიება, თუ ბოლომდე არ დააგვირგვინებ ამ განკურნებას.

შენი წერილის უკანასტრის წინ შევნიშნე პაწაწინა ნაწყვეტი, რომელიც შენი კეთილსინდისიერების გამო არ ამოგიშლია და არ შეგიცვლია, რადგან გახსოვდა, ამას ჩემი ქმარი ნახავსო. დარწმუნებული ვარ, ამ ფრაზების წაკითხვისას შენდამი პატივისცემა მოემატებოდა, თუ ეს შესაძლებელია, ოღონდ განსაკუთრებულ სიამოვნებას ეს ამბავი როდი მიანიჭებდა. საერთოდ ამ წერილს შეეძლო შენი საქციელის მიმართ ნდობით აღეჭურვა იგი, მაგრამ შეეშფოთებინა შენს მიდრეკილებათა გამო. გამოგიტყდები, მეშინია ამ ნაყვავილარისა, რასაც თვალს ვერ აშორებდი. სიყვარულს ჯერ არასოდეს მიუმართავს ასეთი სახიფათო შელამაზებისათვის. ვიცი, სხვა ქალს ეს ვერ მიიზიდავდა, მაგრამ შენ მარადჟამს გახსოვს ის ქალი, რომელიც ვერ მოინადირა ვერც მიჯნურის სიყმაწვილემ, ვერც მისმა სილამაზემ, არამედ დაღუპა იმ ტანჯვა-წამებათა გამო ფიქრმა, ჭაბუკმა მისი გულისთვის რომ გადაიტანა. უსათუოდ, განგების ძალით დააჩნდა ამ ავადმყოფობის კვალი შენი სათნოების გამოსაცდელად, შენ კი არ შემოგრჩა შენი სიმტკიცის შესამოწმებლად.

გადავდივარ შენი წერილის მთავარ საგანზე; ხომ იცი, როცა შენი მეგობრის წერილი მივიღე, მაშინვე შენკენ გამოვეშურე – ძალზე მნიშვნელოვანი საქმე იყო. ოღონდ ახლა... იმდენი საქმე მაქვს, რომ იცოდე, როგორ მეძნელება თუნდაც რამდენიმე დღით მივანებო თავი, მიხვდებოდი, ჯერჯერობით რომ სახლიდან გამოსვლა არ შემიძლია, თორემ ყველაფერი აირ-დაირევა და მაშინ მომავალი ზამთარიც აქ უნდა გავატარო, ეს კი არც ჩემი და არც შენი გეგმებით არაა გათვალისწინებული. ხომ არ აჯობებდა მოვკლებოდით სიამოვნებას, მხოლოდ ორი-სამი დღე დაგვეყო ერთიმეორესთან ნაჩქარევად სასაუბროდ, სამაგიეროდ ექვსიოდე თვის შემდეგ ერთად დაგვეწყო ცხოვრება? ამასთან ვფიქრობ, რომ

სავსებით უსარგებლო როდი იქნება, უკეთუ ცალკე და აუჩქარებლად მოველაპარაკები ჩვენს ფილოსოფოსს, – ხომ უნდა გავიგოთ, რას ფიქრობს, გავამხნევოთ და მივცეთ სასარგებლო რჩევა-დარიგება, როგორ მოიქცეს შენს ქმართან და შენთანაც; არა მგონია, თავისუფლად შეგეძლოს ამის გამო მასთან ლაპარაკი, და შენი წერილის მიხედვით ვხედავ, თუ რაოდენ აუცილებელია მისთვის კარგი რჩევა-დარიგება. მე და შენ ისე მივეჩვიეთ მის მეურვეობას, რომ ნაწილობრივ პასუხს ვაგებთ კიდეც მის გამო ჩვენი სინდისის წინაშე, და ვიდრე მისი გონება სავსებით არ გათავისუფლდება ცდუნებისაგან, აუცილებლად უნდა დავეხმაროთ მას. რაც შემეხება მე, ყოველთვის მზადა ვარ სიამოვნებით შევუწყო ხელი, – ის მუდამ პატივისცემით უგდებდა ყურს ჩემს რჩევა-დარიგებებს, თუმცა ეს ძალზე ძვირად უჯდებოდა. მე არასოდეს დავივიწყებ ამას და, განსვენებული ჩემი ქმრის შემდეგ, ყველაზე მეტად პატივსა ვცემ და მიყვარს ჩვენი მეგობარი. აქ ცოტაოდენი სამსახური მინდა გავაწევინო და ვფიქრობ, ეს საამურიც დაურჩება. მრავალი საქმიანი ქაღალდი მაქვს მოსაწესრიგებელი, ის დამეხმარება მათ დალაგებაში; რამდენიმე აწეწილ-დაწეწილი საქმეცა მაქვს და მისი ცოდნა და მისი გარჯილობა წამადგება, თუმცა დიდი ხნით არ დავაყოვნებ ჩემთან – ხუთი-ექვსი დღის მეტს არა, ანდა, იქნებ, მეორე დღესვე გამოგიგზავნო კიდეც; მეტისმეტად დიდი თავმოყვარეობა მომეპოვება იმისათვის, რომ ველოდო, სანამ სტუმარს არ შეიპყრობს მოუთმენლობა და არ მოიწადინებს შინ საჩქაროდ დაბრუნებას, მასთან მეტად ფხიზელი თვალიცა მაქვს და არაფერი გამომეპარება.

ამრიგად, როგორც კი ნამგზავრი დაისვენებს, დაუყოვნებლივ გამომიგზავნე, ესე იგი, ნება მიეცი გამოემგზავროს ჩემთან. აქ კი ხუმრობას ვეღარ ავიტან. შენ კარგად იცი, უკეთუ ზოგჯერ ცრემლნარევი სიცილით ვიცინი, მაინც ყოველთვის გულწრფელად ვჯავრობ; თუკი ვაგინებ და თანაც ჩემთვის ჩუმ-ჩუმად ვიცინი, მაინცა ვგრძნობ გულისწყრომას. თუ იმდენ ჭკუას გამოიჩენ და ისე მოიქცევი, როგორაც გთხოვ, აღგითქვამ მას გამოვატანო შენთვის კარგი საჩუქარი, რაც დიდზე დიდ სიამოვნებას მოგგვრის... ხოლო, თუ ლოდინით გულს გამიწყალებ, იცოდე, ვერაფერს ვერ მიიღებ.

P. S. მართლა, ერთი ეს მითხარი: ეწევა თუ არა თამბაქოს შენი მეზღვაური? იგინება? არაყს თუ სვამს? დიდ ხმალს თუ ატარებს? ჰგავს თუ არა მეკობრეს?.. ღმერთო ჩემო, როგორ მაინტერესებს ანტიპოდთაგან დაბრუნებული ადამიანის ნახვა.

IX წერილი

კლარასაგან ჟიულისადმი

ჰოდა, ასე, დაიკო, გიბრუნებ შენს მონას. მთელი კვირის მანძილზე ჩემი საკუთარი მონა იყო და თავის ბორკილთ ისეთი ხალისით ატარებდა, რომ, როგორცა ჩანს, პირდაპირ დაუზარებელი კაცია. მადლობა მითხარი, კიდევ ერთი კვირით რომ არ დავაყოვნე, ვინაიდან, საწყენად კი ნუ დაგრჩება და, იმ დღისათვის რომ მელოდნა, როცა ჩემთან მოწყინდებოდა, შემეძლო ასე მალე აღარ გამომეგზავნა. ერთი სიტყვით, ასე ურცხვად ვაყოვნებდი, მხოლოდ ვერ გავბედე ჩემს სახლში მისი დაბინავება. ცხოვრებაში არაერთხელ მიგრძნია სულიერი სიამაყე, რომელსაც სძაგს ადათ-წესების წინაშე მონურად ქედის მოდრეკა და ასე შვენის სათნოებას. ამჯერად რატომღაც უფრო მორიდებული აღმოვჩნდი. ოღონდ ძალმიძს დაგარწმუნო, რომ უმალ მზად ვიყავი მესაყვედურა ჩემი თავისთვის, ვიდრე შემექო იგი ასეთი თავდაჭერილობის გამო.

მაგრამ იცი თუ არა, ასე მშვიდად რად ითმენდა აქ ყოფნას? ჯერ ერთი, ის ჩემთან იყო, და თამამად ვიტყვი, რომ მარტოოდენ ამ გარემოებამ შეუწყო ხელი მოთმინებით აღჭურვილიყო. მეორეც, გადამარჩინა ზოგიერთი უსიამოვნებისაგან, დამეხმარა საქმეთა მოგვარებაში, მეგობარს კი ასეთი საქმიანობა მოსაწყენად როდი მოეჩვენება. მესამეც, შენ თუმცა არ იმჩნევ, მაგრამ, ცხადია, უმალვე გამოიცან, შენზე რომ ვლაპარაკობდით, და ამ საუბრებში დახარჯულ საათებს თუ გამოვაკლებთ მისგან აქ გატარებულ დროს, დარწმუნდები, ჩემ წილად ძალიან ცოტა ხანი რომ რჩებოდა. განა უცნაური ფანტაზია არაა – შენგან შორს დარჩეს კაცი იმის გულისთვის, რომ შენზე ლაპარაკით ისიამოვნოს? ო, არა, ეს არც ისე უცნაურია. შენთან ყოფნისას შებოჭილად გრძნობს თავს, წამდაუწუმ თვალყური უნდა ადევნოს თავის თავს, უკნინესი სითამამე დანაშაულდ გადექცეოდა, ხოლო ასეთ სახიფათო წუთებში კეთილშობილი გული მხოლოდ მოვალეობის ხმას ემორჩილება; მაგრამ იმათგან მოშორეუბლი, ვინც ჩვენთვის ძვირფასია, შეგვიძლია ვიფიქროთ მათზე. ადამიანი გულში იკლავს და იხშობს ბრალეული სიყვარულის გრძნობას, ოღონდ რად უნდა უსაყვედუროს თავის თავს წარსულის გამო, როცა მისი სიყვარული დანაშაული არ ყოფილა? ნუთუ შეიძლება დანაშაული იყოს წინანდელ კანონიერ ბედნიერებათა განსაცხრომელი მოგონებანი? აი, ვგონებ, ასეთი მსჯელობა არ მოგეწონება, მაგრამ მას ხომ ძალუძს, ბოლოს და ბოლოს ასეთი აზრები მოუვიდეს თავში. იგი, ასე ვთქვათ, აღმა შეჰყვა თავისი სიყვარულის მდინარებას. ჩვენს საუბრებში აღსდგა მისი პირველი სიყმაწვილე. კვლავ განიმეორა ის, რასაც ოდესღაც გამანდობდა; მოიგონა ბედნიერი დღეები, როცა შენი სიყვარულის უფლება ჰქონდა; აღმიწერა მგზნებარე და უმანკო სიყვარულის სიმშვენიერე... უეჭველია, შეალამაზა იგი.

შენს მიმართ ახლანდელი ურთიერთობის გამო ცოტა რამ ილაპარაკა, და აქ, რასაც ამბობდა, უფრო მეტი მოწიწება და აღტაცება იყო, ვიდრე სიყვარული; ჩემი ფიქრით, დაგიბრუნდება გაცილებით დამშვიდებული, ვიდრე აქ ჩამოსვლამდე იყო. რასაკვირველია, როგორც კი გახსენებთ, მის სიტყვებში გაისმის მისი მგრძნობიარე გულის სიღრმიდან აღმომსკდარი რაღაცნაირი სინაზე, ოღონდ, წინანდელებრივ ამაღელვებელი მეგობრობა სულ სხვა ელფერს აძლევს მას; მართალია, უკვე დიდი ხანია შევნიშნე, რომ არვის ძალუძს გულგრილად შემოგხედოს ან დაგელაპარაკოს შენ; და უკეთუ იმ აღტაცებას, ყოველ შენს მნახველს რომ აღეძვრის გულში, მივუმატებთ დაუვიწყარ მოგონებათაგან გამოწვეულ უფრო ნაზ გრძნობათ, მივხვდებით, რომ ძნელია და შეუძლებელიც კია, რათა უაღრესად მკაცრი სათნოების პირობებში უფრო სხვანაირად მოგეპყრას იგი, ვიდრე ამჟამად გეპყრობა. ყურადღებით გამოვკითხე ყველაფერი, გულდასმით ვუთვალთვალებდი და ვუსმენდი, ვცდილობდი შემესწავლა, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო; არ ძალმიძს ჯეროვნად გავერკვე, რა ხდება მის სულში, და ისიც უკეთ როდი ერკვევა ამ მხრივ; და მაინც დარწმუნებული ვარ, განიმსჭვალა შენი და თავისი მოვალეობის მტკიცე რწმენით; სახელგატეხილი და საზიზღარი ჟიულის წარმოდგენა მისთვის სიკვდილზე უარესი იქნებოდა. ჩემო დაო, მინდა მხოლოდ ერთი რამ გირჩიო, ოღონდ ძალიან გთხოვ გამიგონო – ერიდე წარსულის მოგონებებს, მომავლის პასუხისმგებელი მე ვიქნები.

რაც შეეხება პორტრეტის დაბრუნებას, რის გამოც ლაპარაკობდი, – ამაზე ფიქრიც კი არ შეიძლება. რა საბუთი არ მოვუყვანე, ვთხოვდი, ვეხვეწებოდი, ვევედრებოდი, ვაფიცებდი, ვბრაზდებოდი, ვკოცნიდი მას, ხელი ჩავჭიდე და მის წინაშე დავიჩოქებდი კიდეც, ამის ნება რომ დაერთო. არაფრის გაგონებაც კი არა სურს. უსაზღვროა მისი გულისწყრომა და უჯიათობა, დაიფიცა კიდეც, უმალ თანახმა ვიქნები აღარასოდეს ვნახო იგი ამიერიდან, ვიდრე მისი პორტრეტი დაგითმოო. მკერდზე ჩამოკიდებულ ამ მინიატურას ხელი შემახებინა და მღელვარებისგან სულშეხუთულმა, რისხვით

შეპყრობილმა წამოიძახა; „აი, ეს, აი, ეს სურათი, ერთადერთი შემორჩენილი საუნჯე, რომელიც უნდა წარმსტაცონ! დარწმუნებული იყავით, რომ მას სიცოცხლესთან ერთად წარმსტაცებენო“. დაიკო, გამიგონე, ყველაფერს აჯობებს დავუტოვოთ ეგ სურათი. კაცმა რომ თქვას, განა შენთვის ასე მნიშვნელოვანია, სენ-პრეს რომ არ დარჩეს იგი? დაე, იმ ჯიუტს ჰქონდეს მინიატურა. უარესია მისთვის.

როცა ვაი-ვიშით გული მოიჯერა, ალბათ, შვება იგრძნო, ოდნავ დამშვიდდა და მაშინ თავის საქმეთა გამო ალაპარაკდა. როგორც ჩანს, ვერც დრომ, ვერც გონებამ ვერ შეუცვალეს განზრახვა: სურს მთელი სიცოცხლე მილორდ ედუარდის გვერდით გაატაროს, მისი პატივმოყვარეობა ამაზე შორს არ მიდის. მე მხოლოდ მოვიწონე ესოდენ კეთილშობილური გეგმები, რომლებიც შეესატყვისებიან მის ხასიათსა და მადლიერების გრძნობას მილორდის მიმართ უმაგალითო კეთილმოწყალეობისათვის. გადმომცა, შენაც ასეთი აზრი რომ გამოგითქვამს და ბ-ნმა დე ვოლმარმა ამჯერად ხმა რომ არ ამოიღო. და მაშინ გამიელვა ერთმა აზრმა და ყველაფერს მივხვდი. უნდა ითქვას, რომ შენი ქმრის საკმაოდ უცნაურმა საქციელმა და ზოგიერთმა სხვა ნიშნებმა დამაეჭვა, რომ იგი რაღაცას უპირებს ჩვენს მეგობარს, მაგრამ ჯერჯერობით არ ამხელს, რა აქვს განზრახული. მივცეთ საშუალება იმოქმედოს და ვენდოთ მის განმსჯელობას. მან ისეთნაირად მოჰკიდა ხელი საქმეს, რომ ჩვენთვის საკმაოდ ნათელია, თუ ყოველივე მისი ჩანაფიქრი რამდენადაა მხოლოდ და მხოლოდ იმ ადამიანის სასარგებლო, ვისზედაც ზრუნავს.

შენ კარგად აღმიწერე ჩვენი მეგობრის გარეგნობა და მანერები, – ჩანს, ძალზე გულდასმით ადევნებდი თვალყურს, რასაც არ მოველოდი შენგან, ეს ძალიან კარგი ნიშანია. ოღონდ, ჟიული, განა ვერ ამჩნევ, რომ ხანგრძლივმა გასაჭირმა და ჭირთა ვაჟკაცურად გადატანის ჩვევამ წინანდელზე უფრო მრავლისმეტყველი გახადეს მისი სახე. მიუხედავად ნაამბობისა, ვშიშობდი, ვაითუ დამენახა მასში გაპრანჭულ-განაზებული თავაზიანობა, ის მაიმუნობა, რაც აუცილებლად შეეყრებათ ადამიანებს პარიზში, უსაქმურთა შორის ცხოვრების დროს, როცა თავიანთ ფუჭ დღესა და სოფელს მცონარეობაში ატარებენ. მაგრამ იმის გამო, რომ მაღალი წრის საზოგადოების პეწი და ელფერი არ ეკარება ზოგიერთ ადამიანს, ანდა იმიტომ, რომ ზღვის ჰაერმა სავსებით წარხოცა ეს პეწი, – მისი მცირეოდენი კვალიც კი ვერ შევნიშნე, და ის გულმხრუვალე ყურადღება, რომელსაც ჩემს მიმართ იჩენდა ჩვენი მეგობარი, აუცილებლად მისი გულის სიღრმიდან მომდინარებდა. მელაპარაკებოდა ჩემს საბრალო ქმარზე, ოღონდ ამჯობინებდა ჩემთან ერთად ტირილს, ვიდრე ნუგეშის ცემას, და ჩემი დანაკარგის გამო არ წარმოუთქვამს არც ერთი ისეთი ფრაზა, როგორსაც ეუბნებიან ხოლემ ახალგაზრდა ქვრივს. იგი ეფერებოდა ჩემს გოგონას, მაგრამ, იმის მაგივრად, რომ აღტაცება გამოეთქვა მასზე ჩემთან ერთად, შენებრ მსაყვედურობდა მის ნაკლთა გამო და ნანობდა, გოგონას ანებივრებო; გულმოდგინედ მოჰკიდა ხელი ჩემს საქმეებს და თითქმის არაფერში ეთანხმებოდა ჩემს მოსაზრებებს. ამასთან ერთად, როცა მცხუნვარე მზე თვალებში მცემს, არც კი მოიფიქრებს მივარდეს ფანჯარას და ჩამოუშვას ფარდა; ხოლო თუ ერთი ოთახიდან მეორეში გადასვლა მომინდა, რაც უნდა დაღლილი ვიყო, არ გამოეშურება ჩემდა დასახმარებლად და თავაზიანად არ გამომიწვდის ხიფთანის კალთაშემოხვეულ ხელს; გუშინ ჩემი მარაო მთელ ერთ წუთს ეგდო იატაკზე, ჩემი კავალერი კი როდი გამოეშურა ოთახის მეორე კუთხიდან და როდი აიტაცა იგი, თითქოსდა ცეცხლს უნდა გამოსტაცოსო. დილით, ჩემთან მოსვლამდე, არც ერთხელ არ გამოუგზავნია კაცი და არ მოუკითხავს ჩემი ჯანმრთელობა. სეირნობისას როდი ცდილობდა, როგორც ამას მოითხოვს ზრდილობა,

თავზე მილურსმულივით ხურებოდა ქუდი,[94] სუფრასთან ხშირ-ხშირად ვთხოვდი სათუთუნეს (რომელსაც იგი „კოლოფს“ როდი უწოდებს), და ყოველთვის უბრალოდ ხელით მომაწოდებდა, და არა თეფშით, როგორც ფარეში; ერთი-ორჯერ სადილობისას შესვა ჩემი სადღეგრძელო, და ნაძლევსა ვდებ, ამ ზამთარს აქ რომ დარჩენილიყო, მაშინ საღამოობით ჩვენთან ერთად მიუჯდებოდა ბუხარს ძველ ბურჟუასავით. შენთვის, რასაკვირველია, ეს ყველაფერი სასაცილოა, მაგრამ პარიზიდან ახლახან ჩამოსულ ჩვენს ნაცნობთაგან აბა, ერთი ადამიანი დამისახელე, რომელსაც შეენარჩუნებინოს ზნე-ხასიათის ასეთი სისადავე. თუმცა, ალბათ, მოგეჩვენა, რომ ერთი მხრით ჩვენი ფილოსოფოსი შეიცვალა და უარესი გახდა: ახლა ცოტათი უფრო დიდ ყურადღებს აქცევს მასთან მოლაპარაკე ადამიანებს, ხოლო ეს შესაძლებელია მხოლოდ შენს მიმართ მისი ყურადღების საზარალოდ; მაგრამ, ვგონებ, საქმე ქალბატონ ბელონთან მის შერიგებამდე არ მივა. მე რომ მკითხოს კაცმა, უკეთესობისაკენ შეიცვალა – წინანდელზე უფრო სერიოზული და დარბაისელი გახდა. ჩემო სულიკო, კარგად გაუფრთხილდი მას ჩემს ჩამოსვლამდე. ამჟამად სწორედ ისეთია, რომ ძალზე მსიამოვნებს დილიდან საღამომდე მისი გაბრაზება.

მაშ, გაიოცე ჩემი თავმდაბლობა. არაფერი მითქვამს, თუ რა საჩუქარს გიგზავნი და როგორი სხვა საბოძვარი მოჰყვება მას მალე; ოღონდ ჩემი წერილის გახსნამდე დაინახავ პირველ ძღვენს და, რაკი იცი, თუ როგორ მიყვარს ის, რასაც ახლა გიგზავნი და რა საფუძველიცა მაქვს ამისთვის, შენ, ვინაც ასე ნაღვლობდი ამ საჩუქრის გამო, უნდა აღიარო, უფრო მეტი რომ გავაკეთე, ვიდრე დაგპირდი. აჰ, ჟიული, იმ წუთას, როცა ამ სტრიქონებს კითხულობ, ჩემი საყვარელი გოგონა, ალბათ, უკვე მუხლებზე გიზის. გულში იხუტებ მას. იგი გაცილებით ბედნიერია დედაზე. მაგრამ ორი თვის შემდეგ მასზე უფრო ბედნიერი ვიქნები, ვინაიდან უფრო მეტად ვიგრძნობ ჩემს ბედნიერებას. აბა, ძვირფასო დაო, განა შენ არა მფლობ მე მთლიანად და სავსებით? იქ, სადაც შენ მყოფობ, სადაც იმყოფება ჩემი გოგონა, მეც იქა ვარ, – აბა, ჩემი სულის რომელი ნაწილაკი არ არის ახლა თქვენს ახლოს? მაშ, ასე, მიიღე ეს საყვარელი ბავშვი, ღვიძლი შვილივით მიიღე; გითმობ მას, გაძლევ შენ, გთავაზობ დედის უფლებას მასზე, გამოასწორე მის აღზრდაში დაშვებული შეცდომები, იკისრე მის გამო ზრუნვა, რასაც შენი აზრით, ცუდად გავართვი თავი; იყავნ უკვე ამჟამად დედა ბავშვისა, ოდესმე შენი ვაჟის ცოლი რომ უნდა გახდეს; ჩემთვის უფრორე ძვირფასი რომ შეიქნეს, თუ შესაძლებელია, გახადე იგი მეორე ჟიული. უკვე გგავს სახით, ვფიქრობ, ხასიათითაც შენებრ დარბაისელი ქალი იქნება და შენსავით ეყვარება ქადაგება; როცა ჩემს გოგონას გადააჩვევ ჭირვეულობას, რაშიც ბრალს მე მდებენ, მაშინ წყლის ორი წვეთივით დაემსგავსება ჩემს ბიძაშვილ ჟიულის; მხოლოდ მასზე უფრო ბედნიერი იქნება, ვინაიდან უფრო ნაკლები ცრემლის ღვრა მოუხდება და ნაკლებ სულიერ ჭიდილსაც გადაიტანს. ზენაარსს რომ შეენარჩუნებინა მისთვის მამათა შორის ყველაზე უკეთესი მამა, იგი არაფრით არ შეუშლიდა ხელს მის სულიერ მისწრაფებათ და ჩვენც ნუ გავუწევთ წინააღმდეგობას. რა სიხარულს განვიცდი, რომ მისი მისწრაფებანი შეესაბამება ჩვენს გეგმებს. იცი თუ არა, რომ სიცოცხლე არ შეუძლია მისი პატარა „საქმროს“ უმისოდ, და ნაწილობრივ ამიტომაც ვაგზავნი შენთან. გუშინ მე და მას სასაცილო საუბარი გვქონდა, ჩვენი მეგობარი კინაღამ არ მოკვდა სიცილით. უწინარეს ყოვლისა, გამოირკვა, რომ იგი

[94] პარიზელები ამაყობენ, მაღალი წრის საზოგადოების ცხოვრება იოლი და ხელმისაწვდომი გავხადეთო, ოღონდ ეს სიადვილე შედგება უამრავი წესისაგან, რაც იმდენადვე მნიშვნელოვანია, როგორც აქ ჩამოთვლილნი. კარგ საზოგადოებაში ყოველივე ჩვეულება და კანონი ხდება. და ეს ჩვეულებები იქ ელვისებური სისწრაფით წარმოიქმნებიან და ქრებიან. ზრდილობიანობაც ისაა, რათა ყოველთვის ფხიზლად გეჭიროს თავი და სწრაფად აითვისო მოდაში შემოსული ყოველი სიახლე, გააზვიადო ისინი და დაანახო ხალხს, რომ შენთვის ნაცნობია სულ ბოლონდელი. და ყველაფერი ეს ხდება სისადავისათვის!

სრულიადაც არ ნანობს ჩემს დატოვებას, თუმცა დილიდან საღამომდე ყველაზე მორჩილ მოახლესავით თავს დავტრიალებ მას და ყველაფერს ვუსრულებ. შენ კი დღეში ბარე ოცჯერ მაინც ეუბნები „არაო“, მაგრამ სწორედ შენა ხარ მისთვის „ძვირფასი დედიკო“, რომელსაც სიხარულით შემოგციცინებს და, მიუხედავად ყოველი შენი აკრძალვისა, უფრო მეტად უყვარხარ, ვიდრე მე, ჩემი სატკბარუნებიანად. როცა ვუთხარი შენთან გამოგზავნის ამბავი, რასაკვირველია, როგორც ელოდი, უზომო სიხარული შეუდგა, ოღონდ გაბრაზება მინდოდა და დავუმატე, მის მაგივრად შენ გამომიგზავნიდი „პატარა საქმროს“, ეს ამბავი კი სრულიად არ მოსწონს. დაბნევით იკითხა, „აბა, რად გინდა იგიო“. მივუგე, ჩემთან დავიტოვებ-მეთქი. სახე დამანჭა. „აბა რა ვქნათ, ანრიეტა, მაშ, არ გსურს დამითმო შენი პატარა საქმრო?“ არაო, საკმაოდ უკმეხად მომიგო. „როგორ თუ არა? აკი მეც არა მსურს მისი დათმობა. ვინ გადაწყვეტს ჩვენს დავას?“ დედილო, დაე, ყველაფერი დედიკომ გადაწყვიტოსო. მაშ, მე მიჯობნია, ხომ იცი: რაც მე მსურს, მასაც ის უნდა-მეთქი. აჰ, კი, მაგრამ დედიკოს ყოველთვის მარტოოდენ გონივრული რამ სურსო. ეს როგორ, ქალბატონო, განა ეს ერთი და იგივე არაა-მეთქი? გოგონამ ეშმაკურად გაიღიმა. მაგრამ მაინც, – განვაგრძობდი მე, – რატომ არ უნდა მომცეს მან „პატარა საქმრო“-მეთქი? იმიტომ, რომ თქვენ არ შეგფერითო. განა რატომ არ შემფერის-მეთქი? პასუხად კვლავ ეშმაკურად გაიღიმა. „აბა, გულახდილად მითხარი, შენი აზრით, მე ძალზე ბებერი ვარ მისთვის, ხომ?“ არა, დედილო, მაგრამ შენთვის ძალზე ახალგაზრდაარ... დაიკო, აბა, ერთი იფიქრე, გოგონა სულ შვიდი წლისაა! მერწმუნე, უკეთუ ჭკუა არ დავკარგე, ალბათ, იმიტომ, რომ უკვე ადრე მქონდა დაკარგული.

კვლავაც მომინდა მისი გაბრაზება. ძვირფასო ანრიეტა, – ვუთხარი ძალზე მრისხანედ, – გარწმუნებ, იგი არც შენი შესაფერისია-მეთქი. „ვითომდა რატომ?“ – აღშფოთებით წამოიძახა მან. შენთვის მეტისმეტად ცელქი ვინმეა-მეთქი. მართლა? ეგ არაფერია, დედა, ჩემთან მოჭკვიანდებაო. მაგრამ, ღმერმა ნუ ქნას და შენც რომ გაგაგიჟოს-მეთქი? აჰ, საყვარელო დედა, რა კარგი იქნება! მინდა თქვენა გგავდეთო! „როგორ თუ მე? აჰ, შე თავხედო გომბიო!“ „დედილო, აკი სულ იმას მეუბნებით, შენ გამაგიჟეო. ჰოდა, მანაც გამაგიჟოს, მორჩა და გათავდა“.

ვიცი, არ მოგეწონება ეს საყვარელი ბავშვური ტიკტიკი და მალე მოუღებ ბოლოს ამას. მე კი მომხიბვლელად მეჩვენება იგი, მაგრამ მისი გამართლება არა მსურს, მხოლოდ მინდა დაგანახო, რომ შენს ასულს ძალიან უყვარს თავისი „პატარა საქმრო“, და თუმცა ორი წლით უმცროსია ჩემს გოგონაზე, ანრიეტა სავსებით იმსახურებს იმ ავტორიტეტს, რასაც ანიჭებს უფროსობა. ცხონებული დედაშენის ხვედრს ჩვენსას რომ ვადარებ, კარგად ვხედავ, რომ, როცა ოჯახში ქალი მბრძანებლობს, იქ საკმაოდ გვარიანი წესრიგია დამყარებული. მშვიდობით, ჩემო საყვარელო, მშვიდობით ჩემო ძვირფასო და განუყრელო დობილო. ითვალეთ დღეები; დრო-ჟამი მიქრის და რთველზე უკვე მანდ ვიქნები.

X წერილი

მილორდ ედუარდისადმი

ძალზე მოგვიანებით მიღებული რაოდენი სიხარული განვიცადე უკანასკნელი სამი კვირის მანძილზე! რა საამოა გაატარო დღეები მშვიდობიანი მეგობრობის წიაღში, ვნებათაღელვის ქარიშხალს განრიდებულმა. მილორდ, ეს რა საამური და გულში ჩამწვდომი სანახაობაა – უბრალო, კარგად მოწყობილი სახლი, სადაც გამეფებულა წესრიგი, სიწყნარე, უმანკოება, სადაც არ არის არც ფუფუნება, არც ბრწყინვალება, მაგრამ

აქ ყველაფერია გაერთიანებული, რაც შეეფერება ადამიანის ჭეშმარიტ დანიშნულებას. ტყე და ველ-მინდვრები, განმარტოება, მყუდროება, ზაფხული, ჩემს წინ გადაჭიმული წყალუხვი მდინარე, თვალი რომ ძლივს სწვდება, – ყველაფერი ჩემს მშვენიერ ტინიანის კუნძულს მაგონებს. თითქოსდა განხორციელდნენ მგზნებარე ოცნებანი, რომელთაც რაოდენჯერ ველოლიავებოდი იქ; ძალიანაც მომწონს აქ ცხოვრება, ის ადამიანები, რომელთა შორისაც ვცხოვრობ, გულში ჩამივარდნენ. სრული ბედნიერებისათვის აქ შეკრებილთა შორის მხოლოდ ორი ადამიანი მაკლია: მაგრამ იმედია მათაც მალე ვიხილავ.

იმ დღეთა მოლოდინში, როცა თქვენა და ქალბატონი დ'ორბი ჩამოხვალთ და მწვერვალს მიაღწევს ჩემგან აქ განცდილი სასიამტკბილო და სპეტაკი სიხარული, მინდა წარმოდგენა მოგცეთ ამ სიხარულზე, ვრცლად აგიწეროთ აქაური ცხოვრების ყაიდა და ხასიათი, რაც ადასტურებს სახლის პატრონთა ოჯახურ ბენდიერებას და რასაც იზიარებენ მათ ირგვლივ მყოფნი ყველანი. იქნებ, მსჯელობანი ჩემნი ოდესმე გამოგადგეთ კიდეც თქვენს მიერ დასახული გეგმის განხორციელებისას, და ეს იმედი კიდევ უფრო მაგულიანებს მოგითხროთ ის, რასაც აქ ვხედავ.

არ შევუდგები კლარანში მდებარე სახლის აღწერას, თქვენ გინახავთ იგი. იცით, რომ ის მომხიბვლელი გახდა, და მასთანაა დაკავშირებული ჩემი სასიამტკბილო მოგონებანი. იგი ძვირფასია ჩემთვის იმით, რასაც ამჟამად ვხედავ იქ, და იმითაც, რასაც მაგონებს. ქალბატონი დე ვოლმარი სრულიად საფუძვლიანად ამჯობინებს აქ ცხოვრებას და არა ეტანჟში – ვეებერთელა საუცხოო სასახლეში, მაგრამ ისეთ ძველ, პირქუშ და უხეირო შენობაში; თანაც ირგვლივ არ გააჩნია არაფერი, რაც შეედრებოდა კლარანის ლამაზ მიდამოებს.

მას შემდეგ, რაც სახლის პატრონები აქ გადმოვიდნენ, განიზრახეს სარფიანად გამოეყენებინათ ყოველივე ის, რაც წინათ მხოლოდ დასამშვენებლად იყო განკუთვნილი, – ახლა ეს უკვე სახლია, რომელიც გათვალისწინებულია მნახველთა დასასტკბობად კი არა, არამედ მუდმივ საცხოვრებლად. გაქრნენ გრძელ-გრძელი მოუწყობელი ანფილადები, ფარღალალა სალირსები ამოუგმანავთ დ კარები სხვა ადგილას გამოუჭრიათ, უზარმაზარი პალატები გადაუტიხრავთ და ახლა ოთახებიც უკეთაა განლაგებული. ძველი მდიდრული ავეჯეული უბრალო და რიგიანი ავეჯით შეცვალეს. ახლა აქ ყველაფერი სასიამოვნო და სახალისოა, ყველგან ჩანს სიუხვე და ყველაფერს ატყვია კარგი მეოჯახის ხელი, თვალში არ მოგხვდებათ მდიდრულად და ფუფუნებით მორთულ-მოკაზმული ზიზილ-პიპილები. თითოეულ ოთახში იგრძნობა, სოფელში რომ ხარ, და მასთან ერთად აქ იპოვი ქალაქის ყველა კეთილმოწყობილობას. ასევე შეუცვლიათ დამხმარე ნაგებობებიც. საფრინველე გააფართოეს, ეტლების ფარდული დაავიწროეს, ძველი დანგრეული საბილიარდოს ადგილას ახლა დგას ბეღელი საუცხოო საწნახელით, ხოლო იქ, სადაც წინათ მკივანა ფარშევანგები ბინადრობდნენ, რომლებიც ახლა თავიდან მოიშორეს, ყველის ქარხანა გამართეს. ბოსტანი ძალზე პატარა იყო სამზარეულოს საჭიროებისათვის და ყვავილნარის ნაწილში ბოსტნეული დარგეს, მაგრამ ამ მეორე ბოსტნის კვლები ისე ხელმარჯვედაა განლაგებული, ისე სუფთადაა მოწყობილი, რომ ეგ სახეცვლილი ყვავილნარი წინანდელზე უფრო ატკბობს მზერას. პირქუში ურთხელები, სახლის კედლებს რომ ფარავდნენ, შეიცვალა ხეხილნარის სასიამო მწკრივებით. უსარგებლო ინდური წაბლის ადგილას ეზოში უკვე ჩრდილსა ჰფენენ შავი ნაყოფით დახუნძლული ნორჩი ბჟოლები; თვით შესასვლელ ხეივანში გზამდე ძველ ალვის ხეთა ნაცვლად ორ მწკრივად დაურგავთ კაკლის ხეები. სასიამოვნო ყოველგან შეცვლილია სასარგებლოთი, და თითქმის ყოველთვის სასიამომ ამით უფრო მოიგო. ყოველ შემთხვევაში, ასე ვფიქრობ, რომ საფრინველედან მოდენილი ხმაური, მამლების ყივილი, ძროხათა ბღავილი, ფორანში შებმული ცხენების ჭიხვინი, ყანებში გაშლილი სუფრა, მუშების დაბრუნება და სოფლის

მეურნეობის სხვა ნიშნები სახლს ანიჭებენ უფრო მეტად სოფლურ, უფრო ცოცხალ, უფრო მხიარულ ხასიათს, რაღაც სასიხარულოს, კეთილდღეობაზე რომ ღაღადებს, – რაც მას არ გააჩნდა, როცა იდგა ქ პირქუში და მედიდური.

ვოლმარები როდი აძლევენ მიწა-წყალს იჯარად ფერმერებს, არამედ ამუშავებენ მას თავიანთი მუყაითობით, და ამ ამბავს დიდი ადგილი უჭირავს მათ საქმიანობაში, შემოსავალსა და გართობა-სიამოვნებაში. ბარონ დ'ეტანჟების ადგილ-მამულს შეადგენს საყანეები, ველ-მინდვრები და ტყე, ოღონდ კლარანში მეურნეობის საფუძველი ზვრებია, და აქ, უმეტესად, ვიდრე პურის ყანებში, მოსავალი დამოკიდებულია დამუშავების ხერხებზე – ესაა კიდევ ერთი ეკონომიური მიზეზი, რის გამოც ცოლ-ქმარმა ვოლმარებმა ამჯობინეს კლარანში დასახლება. მაგრამ თითქმის ყოველ წელს ორივენი მიდიან ეტანჟში მკის დროს, ხოლო ვოლმარი საკმაოდ ხშირად მიდის უცოლოდაც. მათ წესად დაიდეს სოფლის მეურნეობიდან ამოქაჩონ ყველაფერი, რის მოცემაც მას შეუძლია, ოღონდ მოგებისა და გამდიდრების მიზნით კი არა, არამედ იმისათვის, რათა რაც შეიძლება მეტი ხალხი გამოკვებონ. ბ-ნი დე ვოლმარი ამტკიცებს, მიწის ნაყოფიერება მის დამმუშავებელ ხელთა რაოდენობის პროპორციულიაო, რაც უფრო კარგადაა დამუშავებული მიწა, მით უფრო მეტ მოსავალს მივიღებთო. ხოლო უხვი მოსავალი საშუალებას იძლევა კიდევ უფრო უკეთ დავამუშაოთ იგი; რამდენადაც უფრო მეტ ადამიანსა და საქონელს გამოიყენებენ ამისათვის, მით უფრო ბევრ ჭირნახულს გაიღებს მიწა მათ გამოსაკვებადო. არავინ იცისო, ამბობს იგი, სად არისო მიწის ნაყოფიერების ამ განუწყვეტელი და ურთიერთდაკავშირებული ზრდისა და მასში ჩაბმულ მიწათმოქმედთა რაოდენობის ზღვარი. პირიქით, მოუვლელი მიწები კარგავენ ნაყოფიერებას; რაც ნაკლებად არიან ქვეყანაში ადამიანები, მით უფრო ნაკლებ მოსავალს იძლევა იგი; მოსახლეობის ნაკლებობის გამო შეუძლებელია მისი გამოკვებაც და ყოველ გაუკაცრიელებულ მხარეში მისი გადარჩენილი ბინადარნი ადრე თუ გვიან შიმშილით დაიხოცებიანო.

ვინაიდან კლარანში ბლომადაა მიწა-წყალი და დიდი გულმოდგინებით მუშავდება იგი, ამიტომაც, შინამსახურთ გარდა, იქ საჭიროა კიდევ ბევრი მოჯამაგირე; მაშასადამე, ცოლ-ქმარი ვოლმარები საზრდოს აძლევენ მრავალ ადამიანს და ეს თავადაც სიამესა ჰგვრით. მოჯამაგირის დაქირავებისას ისინი ამჯობინებენ ადგილობრივი გლეხების ანდა მახლობელ სოფელთა მცხოვრებლების მიღებას და არა ჩამოსულ და უცნობ ადამიანთა აყვანას. უკეთუ ამ დროს მეპატრონენი რაიმეს კარგავენ, ვინაიდან ყოველთვის როდი ხვდებათ ღონიერი მოჯამაგირეები, სამაგიეროდ, სხვა მხრივ, ნახულობენ მოგებას; ადგილობრივი მოჯამაგირენი მადლიერნი არიან ამ უპირატესობის გამო; ისინი იქვე ცხოვრობენ მეზობლად და მათი იმედი შეიძლება მთელი წლის განმავლობაში იქონიონ, თუმცა ყველა თვეებისათვის როდი უხდიან გასამრჯელოს.

ყველა დაქირავებულ მოჯამაგირეთათვის ორი ჯამაგირია დაწესებული. ერთი ჩვეულებრივია, უფლებით მიღებული, უხდიან იმდენს, რაც ამ მხარეში ღირს მუშახელი. მეორე ჯამაგირი ოდნავ დიდია პირველზე, წამაქეზებელი; მას უხდიან მუშებს მხოლოდ მაშინ, თუკი კმაყოფილნი არიან მათი, და თითქმის ისე ხდება მუდამ, რომ ისინი ძალზე მუყაითად მუშაობენ და მათი გამომუშავებაც დამატებით გასამრჯელოზე მეტი ღირს. ბ-ნი დე ვოლმარი ხომ პირდაპირი და მკაცრი კაცია, არასოდეს მისცემს ნებას ჩვეულებად გადააქციონ და ბოროტად გამოიყენონ ის, რაც დადგენილია წაქეზებისათვსი და კეთილმოწყალეობის მიზნით. დღიურ მუშებს თვალყურს ადევნებენ ზედამხედველები. ისინი თავადვე მუშაობენ ბაკში და დაინტერესებულნი არიან სხვათა გულმოდგინე მუშაობით, რადგან თავიანთი ხელფასის ზევით კიდევ ღებულობენ რაღაც წილს ყველაფრისაგან, რაც შეგროვდება მათი მუყაითობის მეოხებით. გარდა ამისა, თითქმის ყოველდღე, ხოლო ზოგჯერ დღეში რამდენჯერმე, მათ დახედავს თვით ბ-ნი დე ვოლმარი;

ცოლი ხალისით თან დაჰყვება სეირნობის დროს. დაბოლოს, დიდი სამუშაოების დროს ჟიული ყოველ კვირას ოც ბატცს[95] საჩუქრად აძლევს საუკეთესო მომუშავეს – სულ ერთია დღიურ მუშას თუ მოჯამაგირეს, – იმას, ვინაც, პატრონის აზრით, ყველაზე გულმოდგინედ იმუშავა განვლილი კვირის მანძილზე. შეჯიბრებისათვის შემაგულიანებელ ყველა ამ ღონისძიებას იყენებენ წინდახედულად, სამართლიანად, და ეს შეუმჩნევლად ყველას შრომისმოყვარედა ხდის და აყოჩაღებს, და თუმცაღა საზარალო ჩანს, საბოლოოდ უფრო მეტ მოგებას იძლევა, ვიდრე ღირს. მაგრამ ვინაიდან მათგან მიღებული მოგება მხოლოდ მომავალში და მათი მუდმივი გამოყენების დროს ჩანს, ამიტომ მარტოოდენ ზოგიერთმა თუ იცის, რამდენად ხელსაყრელია ისინი და სურს მათი მომარჯვება.

არის კიდევ უფრო ძლიერ მოქმედი ერთი საშუალება, რაც არაა გამოწვეული სამეურნეო ვარაუდით – ეს ხერხი განსაკუთრებით ქალბატონ დე ვოლმარს ემარჯვება, თავისი ალერსიანი მოპყრობით ყველა მოჯამაგირის გული მონადირებული აქვს. ჟიული ფიქრობს, ფულით არ შეიძლება ანგარიში გაუსწორო ადამიანს ჩვენთვის გაწეული შრომის გამო და თითოეულს სამსახურისათვის სამსახურითვე უნდა მიაგოო. მუშები, მოჯამაგირენი, მსახურნი და საერთოდ ყველანი, ვინაც თუნდაც ერთ დღეს იმუშავებს, მისი შვილები ხდებიან; ჟიული იზიარებს მათ სიხარულსა და მწუხარებას, მათ ბედ-იღბალს; იძიებს, როგორაა მათი საქმე, გულთან ახლოს მიაქვს მათი ინტერესები, უწევს მზრუნველობას, აძლევს რჩევა-დარიგებას, შეარიგებს მოჩხუბართ და თავის გულითადობას მოთაფლული ლიტონი სიტყვებით კი არ ამჟღავნებს, არამედ ნამდვილი დახმარებით, მუდმივი ქველკეთილობით. თავიანთი მხრივ, ისინიც ჟიულის ერთ დაძახებაზე ყველაფერს თავს ანებებენ და მისკენ მიეშურებიან, – როგორც კი სიტყვას დაძრავს, ფრთებშესხმულივით მიქრიან დავალების შესასრულებლად. მარტოოდენ მისი ერთი შეხედვაც აასკეცებს მათ გულმოდგინებას, უხარიათ ჟიულის მათთან ყოფნა, როცა იქ არ იმყოფება, სულ მის ხსენებაში არიან და მუდამჟამს ბეჯითად ემსახურებიან. აქ ბევრ რამეს ნიშნავს მისი მომხიბვლელობა და სიტყვები, და მეტადრე კი მისი სათნოების ჯადო-თილისმა. აჰ, მილორდ, რა გასაოცარი და მორჭმული ძალაუფლება აქვს სილამაზესა და გულკეთილობას!

რაც შეეხება შინამოსამსახურეთ, კლარანში რვა კაცი ჰყავთ – სამი მოახლე და ხუთი ფარეში, თუ არ ჩავთვლით ერთ კამერდინერსა და ბაკში მომუშავე მოჯამაგირეებს. არასოდეს მომხდარა, რომ მცირერიცხოვან შინამოსამსახურეთ ცუდად ემუშავნოთ; ოღონდ კლარანში მსახურნი გამოირჩევიან განსაკუთრებული სიბეჯითით, თითქოს თითოეული, თავის ვალდებულებათა გარდა, მოვალედ თვლიდეს თავს იმუშაოს დანარჩენ შვიდთა მაგიერ, და მუშაობა ისე შეხმატკბილებით სრულდება, ვითომც ყველაფერს ერთი კაცი აკეთებდეს. ვერასოდეს ნახავთ ვინმეს გულხელდაკრეფილს, უსაქმურობის გამო წინკარში კამათელს რომ აგორებდეს ანდა ეზოში დაყიალობდეს; არა, მუდამ რაღაც სასარეგბლო საქმეს აკეთებენ, ეხმარებიან ბაკში, ღვინის სარდაფში, სამზარეულოში; მებაღეს, მათ გარდა, სხვა ხელქვეითები არა ჰყავს, და ყველაზე სასიამოვნო ისაა, რომ ყოველნაირ სამუშაოს ხალისითა და სიამოვნებით ასრულებენ.

ასეთი კარგი მსახურები რომ დადგნენ, ბავშვობიდან აჩვევენ საქმიანობას. აქ როდი მისდევენ პარიზსა და ლონდონში გაბატონებულ წესებს, სადაც ამჯობინებენ დაიქირაონ კარგად გაწვრთნილი მსახურნი, ესე იგი, მთლად ხელიდან წასული გაიძვერები, რომლებიც წამდაუწუმ იცვლიან ადგილს, დაეძებენ უფრო ხელსაყრელ პირობებს, და ყოველ სახლში, სადაც კი გაიელვებენ, ასწრებენ ფარეშთა და პატრონში ნაკლისა და ბიწის

[95] ადგილობრივი წვრილი ფული.ა

შეთვისებას, ყველას მარჯვედ ეპირფერებიან და არასოდეს უწევენ ვინმეს ერთგულებას. ასეთ გათახსირებულ შინამოსამსახურეთა შორის შეუძლებელია სუფევდეს პატიოსნება და ერთგულება; ყველა მდიდრულ სახლში ეს ვიგინდარები აპარტახებენ სახლ-კარსა და რყვნიან ბავშვებს. სამაგიეროდ კლარანში მსახურთა შერჩევა მნიშვნელოვან საქმედ მიაჩნიათ. აქ მათ როდი თვლიან მარტოოდენ დაქირავებულ მსახურებად, რომელთაგან მხოლოდ ვალდებულებათა წესიერად შესრულებას მოითხოვენ; მათ უცქერიან უმალ როგორც ოჯახის წევრებს და ძალიანაც ნაღვლობენ, უკეთუ ისინი ცუდად იქცევიან. ყველაზე პირველ, მათგან მოითხოვენ პატიოსნებას, მეორეც, სურთ, რომ მათ უყვარდეთ პატრონი, მესამეც, ხალისით იმსახურონ. მაგრამ თუ პატრონი ოდნავ განმსჯელი ადამიანია და მსახურიც ალღოიანი ვინმეა, მესამე მოთხოვნილება სრულდება თავისთავად, როგორც ორ პირველ გარემოებათა ბუნებრივი შედეგი. ამრიგად, მოსამსახურეები აქ ქალაქიდან კი არ მოჰყავთ, არამედ სოფლიდან. ამ სახლში იწყებენ ისინი თავიანთ სამსახურს და, რასაკვირველია, ყველა რამდენადმე ღირსეული ადამიანი აქვე დაამთავრებს მას. ჩვეულებრივ, მსახურთ შეარჩევენ დიდი, მრავალშვილიანი ოჯახებიდან, თანაც დედ-მამას თვითონ მოჰყავს შვილები და მოითხოვს მათ მიღებას. ამ ნორჩ მსახურთა შერჩევის დროს ყურადღებას აქცევენ მის ლამაზ აღნაგობას, კარგ ჯანმრთელობასა და სასიამოვნო სახეს. ბ-ნი დე ვოლმარი მათ გამოჰკითხავს ყველაფერს, გასინჯავს, შემდეგ კი ცოლს წარუდგენს. თუ ყმაწვილი ორივეს მოეწონა, მიჰყავთ შინ, ჯერ გამოსაცდელად, შემდეგ ჩარიცხავენ მსახურთა შორის, შეიძლება ითქვას, ღვიძლ შვილთა შორის, და რამდენიმე ხანს მოთმინებითა და გულმოდგინედ ასწავლიან ყველაფერს, რაც ევალებათ. ეს მოვალეობანი კი ესოდენ უბრალოა, სამსახური ისე თანაბრად და შეხმატკბილებით სრულდება, პატრონებიც ისე გულისხმიერნი და ლმობიერნი არიან, მსახურნიც ისე ჩქარა ეთვისებიან ბატონებს, რომ ყველაფერს მალე სწავლობენ. ცხოვრებითაც კარგად ცხოვრობენ, ყოველმხრივ გრძნობენ დოვლათს, რაც შინ არ გააჩნდათ; ოღონდ როდი ანებივრებენ უსაქმურობით, ვინაიდან მცონარეობა ბიწიერების დედაა. აქ როდი მოითმენენ, რომ მათ ბატონებად წარმოიდგინონ თავი და იამაყონ თავიანთი ლაქიობით. ისე განაგრძნობენ მუშაობს, როგორც მუშაობდნენ თავიანთ სახლებში; თითქოსდა შესცვალეს დედ-მამა, შეიძინეს უფრო მდიდარი მშობლები. და ამიტომაც არც ერთ მათგანს არა სძულს თავისი წინანდელი სოფლური ცხოვრება. თუკი ოდესმე დატოვებენ ამ სახლს, მაშინ ყოველი მათგანი ხალისით უბრუნდება გლეხურ მუშაობას და არცა სურს გაცვალოს იგი რომელიმე სხვა ყოფაზე. ერთი სიტყვით, არასოდეს მინახავს სახლი, სადაც თითოეული მსახური ასე გულმოდგინედ მუშაობდეს და ასე ნაკლებად ფიქრობდეს, მოსამსახურე ვარო.

ამრიგად, როცა მოსამსახურეებს წვრთნი და ასწავლი, როდია საჭირო ჩვეულებრივი უაზრო მოსაზრების გამოთქმა: რად მოვამზადო ისინი სხვა მეპატრონეთათვისო. ამაზე შეიძლება ასეთი პასუხი: „აღზარდეთ ისინი როგორც საჭიროა, და არასოდეს წავლენ სხვა მეპატრონეებთან. და თუკი, მათი აღზრდისას, მხოლოდ თქვენს თავზე იფიქრებთ, მაშინ იმათაც უფლება ექნებათ იფიქრონ საკუთარ თავზე და გაგვშორდნენ ყოველ წუთს. მეტი მზრუნველობით მოეპყარით მათ, და ისინიც თქვენი ერთგულები იქნებიან. ადამიანები მაშინ არიან ჩვენი მადლიერნი, თუ გრძნობენ სიკეთეს, ხოლო ის, ვინც შემთხვევით სარგებლობს სიკეთით, რითაც მარტოოდენ მე მინდოდა მეხეირნა, არაა ვალდებული იყოს ჩემი მოყვარული“.

ცოლ-ქმარ დე ვოლმარებს სურთ თავიდან აიცილონ ასეთი უხერხულობა და კვლავ სხვა საშუალებას მიმართავენ, რაც ძალზე გონივრულად მიმაჩნია. თავიანთი მეურნეობის მოგვარებისას ისინი იძიებდნენ, რამდენი მსახური ჰყავდათ დაახლოებით მათებრ მოწყობილ ოჯახებში, – აღმოჩნდა, რომ ამ მსახურთა რიცხვი თხუთმეტ-თექვსმეტ კაცს

აღწევდა; უფრო კარგად რომ ემსახურათ, ვოლმარებმა მათი რაოდენობა ორჯერ შეამცირეს; მსახურნი უფრო ნაკლები გახდნენ, ოღონდ უფრო კეთილსინდისიერად იწყეს მუშაობა. ხოლო უფრო უკეთ რომ წარმართულიყო ეს მუშაობა, პატრონები ისე მოიქცნენ, ადამიანებისთვის სასარგებლო რომ ყოფილიყო მათთან ხანგრძლივი სამსახური. მათთან მოსული მოსამსახურე ღებულობს ჩვეულებრივ ჯამაგირს, ოღონდ ეს ჯამაგირი ყოველწლიურად ერთი მეოცედით გაიზრდება; ამრიგად, ოცი წლის შემდეგ იგი გაორკეცდება და მაშინ მოსამსახურის შენახვა პატრონს საკმაო თანხა დაუჯდება. ოღონდ არაა საჭირო დიდი მათემატიკოსობა იმის გამოსარკვევად, რომ ეს უფრო მეტად ხარჯების მოსაჩვენარი გაზრდაა, ვიდრე სინამდვილეში ხდება, რომ ორმაგი ჯამაგირი უნდა გადაუხადონ ძალიან ცოტა მოსამსახურეს; მაგრამ თუნდაც ყველას გადაუხადონ, ეს დამატებითი ხარჯი ერთი-ორად ანაზღაურდება იმ უპირატესობით, ოცი წლის მანძილზე გულმოდგინე მსახურნი რომ ეყოლებათ. თქვენ, მილორდ, რასაკვირველია დამეთანხმებით, რომ ესაა საიმედო საშუალება განუწყვეტლივ გაზარდონ მსახურთა მუყაითობა და აღუძრან მათ ოჯახის სიყვარული. ასეთი ღონისძიებები ნაკარნახევია არა მარტო კეთილგონიერებით, არამედ სამართლიანობის გრძნობითაც. განა სამართლიანი იქნება, რომ სახლში ყველაფრის მიმართ გულგრილად განწყობილმა ახალგაზედამ და, იქნებ ცუდმა ადამიანმაც, მოსამსახურედ დადგომისას, ისეთივე ჯამაგირი მიიღოს, როგორც გამოცდილმა ძველმა მსაუხრმა, ხანგრძლივი წლების სამსახურით რომ თავისი ერთგულება და გულმოდგინება დაამტკიცა, მასთან წელთ დაღმართს დაეშვა დ აუკვე აღარ ძალუძს ლუკმა-პურის შოვნა? თუმცა, უკანასკნელი საბუთი კლარანის პატრონთათვის არ გამოდგება, რადგან გარწმუნებთ, ესოდენ ჰუმანურ მეპატრონეთ არ ძალუძთ უგულებელყონ მოვალეობა, რასაც მარტოოდენ პატივმოყვარეობის გამო ასრულებს ბევრი გულქვა ბატონი და, რასაკვირველია, აქ ყოველთვის ეხმარებიან და ხელს უწყობენ თავიანთ მსახურთ, როცა ავადმყოფობა ან სიბერე მოსუპობს სამსახურის საშუალებას.

მე ვხედავ ასეთი მზრუნველობის განსაცვიფრებელ მაგალითს. ბარონ დ'ეტანჟს უნდოდა ხანგრძლივი სამსახურის გამო თავისი კამერდინერი საპატიო გადადგომით დაეჯილდოებინა და სენატორებს მისთვის სარფიანი და იოლი თანამდებობა გამოსთხოვა. ამას წინათ ჟიულიმ ამ ძველი მსახურისგან მიიღო გრძნობით აღსავსე წერილი, სადაც ევედრება, დამიხსენით ამ თანამდებობის მიღებისაგან, რადგან ეს აუცილებელი არააო. „მე მოხუცი ვარ, – წერს იგი, – დავკარგე მთელი ჩემი ოჯახი; ჩემი ბატონების გარდა სხვა ნათესავი არავინ გამაჩნია; იმედი მქონდა, მშვიდობიანად დავლევდი სულს იმ სახლში, სადაც მთელი ჩემი დღე და სოფელი გავატარე. ქალბატონო, ბავშვობაში ხელით დაგატარებდით და მაშინ ღმერთს ვევედრებოდი, თქვენი ბავშვების ხელით ტარებას მოვსწრებოდი; და ღმერთმა შეისმინა ჩემი ლოცვა-ვედრება; ნუ აღმიკვეთთ სიხარულს ვიხილო, თუ როგორ იზრდებიან და ნეტარებენ ისინი... მივეჩვიე იმ სახლში ცხოვრებას, სადაც მშვიდობა სუფევს, და განა კვალად ვიპოვი კი ასეთ სახლს, სადაც სიბერეს დამიამებენ?.. მოისხით მადლი, მისწერეთ ბარონს და გამომესარჩლეთ. უკეთუ ჩემი უკმაყოფილოა, დაე განმდევნოს და ნუ მომცემს ნურავითარ თანამდებობას; მაგრამ თუკი ცნობს, რომ ერთგულად ვემსახურე მთელი ორმოცი წელიწადი, მაშინ ნება დამრთოს მისსა და თქვენს სამსახურში დავლიო ჩემი სიცოცხლის დღეები; აი, ეს იქნება ჩემი საუკეთესო ჯილდო". კითხვა აღარ უნდა, მისწერდა თუ არა ჟიული მამამისს. ვიცი, ისევე იდარდებდა მოხუცის დაკარგვას, როგორც იგი ჟიულის განშორებას. მილორდ, განა მართალი არა ვარ, როცა ვადარებ ასეთ მოსიყვარულე პატრონთ – მამებს, ხოლო მსახურთ – შვილებს? როგორცა ხედავთ, ისინი თავად ასევე უცქერიან თავის თავს.

ჯერ არ მომხდარა, რომ ამ სახლში რომელიმე მსახურს მოეთხოვოს, ანგარიში გამისწორეთო. იშვიათადაც ხდება, ვინმეს დაემუქრონ აქ, დაგითხოვთო. ეს მუქარა აშინებთ მსახურთ, რაკი აქ სამსახური ადვილია და სასიამო. მეტადრე აწუხებთ ეს ყველაზე საუკეთესოებს, ოღონდ დათხოვით მხოლოდ იმათ ითხოვენ, რომელთა დაკარგვაც არ ენანებათ. აქაც თავისებური წესები აქვთ დადგეინლი. თუ ბ-ნი დე ვოლმარი იტყვის: სახლიდან გაგაგდებო, კიდევ შეიძლება გამოსარჩლება სთხოვონ ქალბატონ დე ვოლმარს; ზოგჯერ მისი შუამდგომლობით შესაძლებელია პატიება მიიღონ და დაუბრუნდნენ სამსახურს; ხოლო თუ თავად დიასახლისი განდევნის მსახურთ, მისი გადაწყვეტილება მტკიცე და ურყევია და პატიებაზე ფიქრიც კი ზედმეტია. ცოლ-ქმარს ეს კარგადა აქვთ მოფიქრებული და მათი გადაწყვეტილების მიზანია შეანელოს თავხედური რწმენა ცოლის ლმობიერების მიმართ და სასტიკი შიში ქმრის უდრეკი სიმტკიცის წინაშე. და, მიუხედავად ამისა, ყველას ეშინია მოისმინოს ამ სამართლიანი და დინჯი პატრონის მრისხანე სიტყვები: „სახლიდან გაგაგდებთ“, რადგან პატიების მიღების იმედი ვერ ექნებათ და კიდევაც რომ მიიღონ, დანაშაულის ჩამდენი კარგავს ჯამაგირის მომატების უფლებას, და მაშინაც კი, თუ შეუნდეს, თავიდან იწყებს სამსახურს; ეს გამაფრთხილებელი ზომები იფარავს მეპატრონეთ ძველ მსახურთა თავხედობისაგან, თავად მსახურნიც მეტ წინდახედულობას იჩენენ და მით უფრო მეტს ფრთხილობენ, რაც უფრო მეტი რამა აქვთ დასაკარგი.

ქალთაგან მოსამსახურეებად არიან მოახლე, ბავშვებისათვის მიჩენილი გამდელი და მზარეული. მზარეულად ჰყავთ ძალიან სუფთა და ძალზე მარჯვე გლეხის ქალი, რომელსაც თვითონ ქალბატონმა დე ვოლმარმა ასწავლა საჭმლის მომზადება; ამ ქვეყანაში ჯერ ისევ მარტივი[96] ზნე-ჩვეულებები აქვთ და ყველა წოდების ქალიშვილებს ასწავლიან ყოველგვარ სამუშაოს, რასაც ოდესმე მათ სახლში მსახური ქალები შეასრულებენ. აღმზრდელებს სურთ, რომ თუ გაჭირდა, დიასახლისმა უხელმძღვანელოს მოსამსახურეთ და არკი მისცეს მათ თვითნებური მოთავეობის ნება. ახლა მოახლედ ბაბი კი აღარ არის – ის გაგზავნეს ეტანჟში, თავის სამშობლოში; მას დაავალეს სასახლის მოვლა-პატრონობა და შემოსავლის ზედამხედველობა, ასე რომ, იგი თვალყურს ადევნებს მოურავის საქმიანობას. ბ-ნი დე ვოლმარი უკვე დიდი ხანია ცდილობდა ცოლის დაყოლიებას ამ საქმეში, მაგრამ ჟიულის ეძნელებოდა დედამისის ძველი მოახლის მოშორება, თუმცა მრავალი საფუძველი ჰქონდა ყოფილიყო მისი უკმაყოფილო. ამას წინათ ქმარმა მოახერხა ცოლის დარწმუნება, ისიც დათანხმდა, და ბაბი წავიდა მათგან. ბაბი ჭკვიანი და ერთგული ქალია, ოღონდ ყველაფერში ერევა და ენას კბილს ვერ აჭერს. ეჭვი მაქვს, რომ ბევრჯერ გაამჟღავნა თავისი ქალბატონის საიდუმლოებანი; ბ-ნი დე ვოლმარისათვის ყოველივე ეს ცნობილია, მას სურდა აღეკვეთა გარეშე პირებთან მისი მეტისმეტი გულახდილობა, და ამ ჭკვიანმა კაცმა მოახერხა ისეთ ადგილზე დაენიშნა ეს ქალი, სადაც მისი კარგი თვისებები სასარგებლო აღმოჩნდებოდა, ხოლო ცუდი ზიანს არავის მოუტანდა. მის ადგილზე აიყვანეს სწორედ ის ფანშონ რეგარი, რომელსაც, როგორც გაიგეთ, დიდი ქებით ვიხსენიებდი. მიუხედავად ჟიულის მფარველობისა, მისი გულმოწყალებისა, ბარონ დ’ეტანჟისა და თქვენი ქველკეთილობისა, მილორდ, ასეთი პატიოსანი და განმსჯელი ყმაწვილი ქალი უბედურია ოჯახურ ცხოვრებაში. კლოდ ანემ, ასე ვაჟკაცურად რომ აიტანა სიღატაკე, ვერ გაუძლო უფრო იოლი ცხოვრებით წარმოქმნილ ცდუნებებს. როცა დოვლათით სავსე სახლში ყოფნა განიცადა, თავი მიანება ხელობას, სავსებით აერია გზა-კვალი და სადღაც გადაიკარგა მშობლიური მიდამოებიდან. მიატოვა ცოლი ბავშვებიანად, რომელიც შემდეგ მოუკვდა დედას. ჟიულიმ თავისთან წამოიყვანა იგი და შეასწავლა ყოველგვარი ხელსაქმე, რაც უნდა

[96] როგორ თუ მარტივი? მაშასადამე, მას შემდეგ ისინი ძალზე შეცვლილან.

იცოდეს მოახლემ, და კლარანში ჩემი ჩასვლის დღეს განცვიფრებული დავრჩი, როცა ფანშონი დავინახე; ბ-ნი დე ვოლმარი დიდი პატივისცემით ეპყრობა მას, და ორივე ცოლ-ქმარმა დაავალა თვალყური ადევნოს მათ ბავშვებს და გამოუცდელ გამდელს. გამდელიც სოფლიდან მოიყვანეს. იგი უბრალო და მიამიტი ქალია, მაგრამ მზრუნველი, მომთმენი და მორჩილი. ერთი სიტყვით, აქ ყველაფერი გათვალისწინებულია იმისათვის, რომ ქალაქის ბიწი და ზადი არ შეიჭრას სახლში, რომლის მეპატრონეთ ზნედ არა სჭირთ ეს ბიწიერება და არც მისი ატანა შეუძლიათ.

თუმცა ყველა მსახური საერთო სუფრასთან ჭამს და სვამს, მამაკაცებსა და ქალებს ფრიად ნაკლები ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან, – ამ საკითხს აქ ძალზე მნიშვნელოვნად თვლიან, ცოლ-ქმარი დე ვოლმარები სრულებითაც არ ეთახმებიან ზოგიერთ მეპატრონეთა შეხედულებას, რომლებიც თავიანთი სარგებლობის გარდა გულცივად ეპყრობიან ყველაფერს, და მხოლოდ და მხოლოდ იმასღა მოითხოვენ, მათ კარგად ემსახურონ და თავს არ იწუხებენ მსახურთა ყოფაქცევის გამო. აქ კი, პირიქით, ფიქრობენ, ვინც მარტოოდენ მსახურთა გულმოდგინებას ეძებს, ამ გულმოდგინებით დიდხანს როდი ისარგებლებს; ორი სქესის მეტისმეტად მჭიდრო კავშირი სიკეთეს არასოდეს მოიტანსო. მეტწილად სწორედ მოახლეთა ოთახებში გამართულ უთავბოლო სჯა-ბაასიდან წარმოდგება უწესრიგობა მეურნეობაში. უკეთუ რომელიმე მოახლე მოეწონება მოურავს, მაშინვე შეაცდენს მას, რითაც ზიანს აყენებს მეპატრონეთ. ფარეშთა შორის ანდა მოახლეთა შორის შეთანხმება ყოველთვის როდი მოიტანს სახიფათო შედეგებს. მაგრამ თუ ამ შეთანხმებაში მონაწილეობენ მსახურნიც და მოახლენიც, ამას აუცილებლად მოჰყვება მათი იდუმალი ბატონობა, რაც ბოლოსა და ბოლოს, ანადგურებს უაღრესად შეძლებულ ოჯახებს. ამრიგად, აქ ცდილობენ ჰყავდეთ დარბაისელი და თავმდაბალი მოახლეები არა მარტო ზნეკეთილობისა და წესიერების სიყვარულის გამო, არამედ სწორად გაგებული პირადი ინტერესების მოსაზრებითაც; რაღა თქმა უნდა, თავის მოვალეობას კარგად ის ასრულებს, ვისაც უყვარს თავისი საქმე. ხოლო თავიანთ მოვალეობათა სიყვარულს ყოველთვის შეძლებენ ის ადამიანები, ვისაც მოეპოვება ღირსების გრძნობა.

ფარეშთა და მოახლეთა დაახლოების აღსაკვეთად აქ სრულიადაც არ ბოჭავენ მათ მკაცრი კანონებით, რომელთა ფარულად დარღვევის წადილიც გულში უთუოდ აღეძვრებოდათ, მაგრამ, თითქოსდა წინასწარ მოუფიქრებლად, ამყარებენ მეპატრონის ძალაუფლებაზე უფრო ძლიერად მოქმედ ჩვეულებებს. მსახურთ როდი უკრძალავენ ერთმანეთთან შეხვედრას, ოღონდ ისე არიგებენ საქმეს, რომ საამისოდ მათ არ გააჩნიათ არც საშუალება და არც სურვილი. ჯეროვან შედეგს აღწევენ იმით, რომ მამაკაცებს მიუჩენენ ერთ რომელიმე საქმეს, ქალებს კი – სულ სხვას; მამაკაცებს უნერგავენ ერთ ჩვევასა და ადათ-წესს, ქალებს – სულ სხვანაირს; მამაკაცებისათვის იგონებენ ერთ რომელიმე გასართობს, ხოლო ქალებისათვის – მეორეს. როცა დაინახავენ, თუ რა შესანიშნავი წესრიგი სუფევს აქ, ისინი გრძნობენ, რომ ასეთ კეთილმოწყობილ სახლში მამაკაცები და ქალები ნაკლებად უნდა ეწყობოდნენ ერთმანეთს. ბრძანებებით ძალა რომ დაეტანებინათ, მაშინ პატრონის ახირებად მიიჩნევდნენ ამას, აქ კი ყოველგვარი ზიზღის გარეშე ემორჩილებიან დადგენილ ცხოვრების ყაიდას, რასაც ძალით არავინ ახვევს თავზე. მაგრამ თავად საუკეთესოდ და სავსებით ბუნებრივად მიიჩნევენ. ჟიული ფიქრობს, ეს ამბავი სწორედ ასედაც არისო; ის ამტკიცებს, არც სიყვარულიდან, არც ცოლქმრული კავშირიდან სრულიადაც არ მომდინარეობს მამაკაცებსა და ქალებს შორის მუდმივი ურთიერთობის აუცილებლობაო. მისი აზრით, ცოლმა და ქმარმა, რასაკვირველია, ერთად უნდა იცხოვრონ, ოღონდ ერთნაირად კი არაო; მათ უნდა იმოქმედონ შეთანხმებულად, ოღონდ ერთი და იგივე საქმე არ უნდა აკეთონო. ერთი მათგანისათვის მეტისმეტად

საამური ცხოვრების წესი და ნირი აუტანელი იქნებოდაო მეორისათვის, – ამბობს იგი; ბუნების მიერ მამაკაცისათვის მომადლებული მიდრეკილებანი ესოდენ განსხვავდება ქალების ბუნებრივ მიდრეკილებათაგან, როგორც მათი გამოყენება, რისთვისაც ბუნება აღძრავს ადამიანს. მათი შექცევა-გართობანი ისევე განსხვავდება ერთმანეთისაგან, როგორც ვალდებულებები; ერთი სიტყვით, ცოლი და ქმარი საერთო ბედნიერებისაკენ სხვადასხვა გზით მიისწრაფვიან, შრომისა და საზრუნავის ეს განაწილება მათი ყველაზე მტკიცე შემაერთებელი კავშირია.

რაც შემეხება მე, ჩემი საკუთარი დაკვირვებანიც საფუძველს მაძლევს გავიზიარო ასეთი შეხედულება. მართლაც, ქვეყნიერების ყველა ხალხს, ფრანგებისა და იმათ გარდა, ვინც მათ ბაძავს, დიდი ხანია ჩამოუყალიბდა ჩვეულება, რათა მამაკაცებს თავიანთი ცხოვრება ჰქონდეთ, ხოლო ქალებს კი თავიანთი; ისინი ერთმანეთს ხანდახან ხედავენ და თითქმის მალულადაც კი, როგორც ძველი სპარტის ცოლ-ქმარნი, ხოლო სრულიადაც არ არიან მუდმივად და ურცხვად ერთმანეთში აღრეულნი, რითაც ძალუძთ არივ-დარიონ და დაამახინჯონ სქესთა შორის ბუნებისაგან დადგენილი უაღრესად გონივრული განსხვავებანი. თვით ველურებთანაც ვერ შეამჩნევ მამაკაცებისა და ქალების ასეთ უწესრიგო ურთიერთაღრევას. საღამოს ოჯახი თავს იყრის, თითოეული ღამეს თავის ცოლთან ატარებს; განთიადისას ხვდება სქესთა განცალება, და მათ უკვე აღარა აქვთ ურთიერთშორის არავითარი საერთო, სულ დიდი-დიდი საერთო სუფრა თუ ექნათ.

ასეთია მთელ ქვეყნიერებაზე არსებული წესრიგი, და მარტოოდენ ეს ადასტურებს, რომ ამგვარი ადათი ყველაზე ბუნებრივია და მისი ნაკვალევი შეიმჩნევა თვით იმ ქვეყნებშიც კი, სადაც ეს წესრიგი დამახინჯებულია. საფრანგეთში მამაკაცებს მართებთ იცხოვრონ ქალთა მსგავსად და განუწყვეტლივ იმყოფებოდნენ მათ ახლოს დახუთულ ოთახებში, მაგრამ თვით ამ მამაკაცების მიერ ჯერ ისევ შენარჩუნებული უნებლიე მღელვარება გვიჩვენებს, რომ ამისათვის როდი არიან ისინი შობილნი. ქალები უდარდელად სხედან სავარძლებში ანდა წამოწოლილან შეზლონგებზე, რაღაცნაირად აფორიაქებული მამაკაცები კი წამდაუწუმ წამოხტებიან ზეზე, დაწრიალებენ ოთახში და კვლავ სხდებიან: შეუცნობელი ინსტინქტები ებრძვის მათში ძალდატანებას, რაც თავის თავს დააკისრეს, და აღძრავს საქმიანი და შრომისმოყვარული ცხოვრებისათვის, რისთვისაც არიან შექმნილნი ბუნების მიერ. ფრანგები ერთადერთი ხალხია ამქვეყნად, რომლის მამაკაცები ფეხზედგომილა უყურებენ თეატრში სპექტაკლს, თითქოსდა სასტუმრო ოთახებში მთელი დღეებით ჯდომის შემდეგ აქ მოდიან დასასვენებლადო. მათ ისე უწყალებს გულს დიაცური გააზიზება და სისათუთე, ოთხ კედელს შუა ცხოვრება, რომ ცდილობენ შეიტანონ შიგ რაღაც საქმიანობის მსგავსი რამ, თავიანთ სახლში სხვის ქმრებს უთმობენ ადგილს, თავად სხვის ცოლებთან მიეშურებიან და მით იმედოვნებენ უწამლონ თავიანთ მოწყენილობას.

ქალბატონ დე ვოლმარის შეხედულებები საუცხოოდ დასტურდება მის სახლში ჩვენ მიერ დანახული მაგალითით. აქ თითოეული, ასე ვთქვათ, სავსებით ეკუთვნის თავის სქესს, და ქალები გამოყოფილნი არიან მამაკაცთაგან. ქალბატონ დე ვოლმარს ძალიან ემარჯვება წინასწარ აღკვეთოს საეჭვო კავშირთა წარმოქმნა, მამაკაცები და ქალები მასთან მუდმივად მოუცლელნი არიან; და რადგანაც მათი სამუშაო სხვადასხვანაირია, ისინი მხოლოდ მოცალეობის ჟამს იყრიან თავს. დილიდანვე თითოეული თავის საქმითაა გართული, არავის აღარა აქვს დრო ხელი შეუშალოს მეორეს თავის ვალდებულებათა შესრულებაში. ნასადილევს მამაკაცები მუშაობენ ბაღში, ბაკში ანდა ასრულებენ სხვა რომელიმე დავალებას; ქალები ფუსფუსებენ საბავშვო ოთახში, სანამ გასეირნების დრო არ მოვა; სასეირნოდ მიდიან ბავშვებთან, ხოლო უფრო ხშირად თავის ქალბატონთან ერთად; სეირნობა დიდ სიამოვნებას ანიჭებს მათ, ვინაიდან ეს ერთადერთი დროა, როცა ძალუძთ

სუფთა ჰაერის ჩასუნთქვა. მთელი დღის ნაჯაფ მამაკაცებს კი აღარ სურთ სეირნობა და შინ დასვენებას ამჯობინებენ.

ყოველ კვირა დღეს, მწუხრის ლოცვის შემდეგ, ქალები კვლავ იკრიბებიან საბავშვო ოთახში რომელიმე თავიანთ ნათესავ ქალთან ან დობილთან, და რიგრიგობით იწვევენ სტუმრებს ქალბატონის თანხმობით. დიასახლისის მიერ მათთვის გამართული პატარა ნადიმის მოლოდინში ჩაღდება საუბრები, სიმღერა, თამაშობენ ვოლანს, ბირულკას ანდა რომელიმე სხვა სათამაშოს, სადაც სიმარჯვის გამოჩენა მართებთ; ბავშვები სიამოვნეიბთ შეჰყურებენ ყველაფერს, სანამ თვითონაც შეძლებენ ასეთი თამაშობით თავის გართობას. შემდეგ შემოაქვთ სასმელ-საჭმელი: რძის კერძები, ვაფლი, ფუნთუშები, ბურბუშელა ანდა ბავშვებისა და ქალთა საყვარელი სხვა საჭმელები. ღვინოს არასოდეს შეექცევიან, საერთოდ მამაკაცები იშვიათად მოდიან აქაურ პატარა გინეკეაში,[97] ხოლო ქალთა ნადიმებზე დასწრების ნება სავსებით აკრძალული აქვთ. ჟიული იშვიათად გამოტოვებს ამ ნადიმებს, დღემდე მამაკაცთა შორის მე დამდეს ეს პატივი. გასულ კვირას კადნიერად ვთხოვე ჟიულის – თან წავეყვანე. მან მაგრძნობინა, რომ დიდ წყალობას მომაგებდნენ ამით, და ყველას გასაგონად განაცხადა, მხოლოდ ერთხელ გეძლევათ ამის ნებაო, თვით ბატონი დე ვოლმარიც კი არაერთხელ გამიწბილებიაო. წარმოიდგინეთ, როგორ ესალბუნა ეს ამბავი მათ ქალურ პატივმოყვარეობას და, მართლაც, როგორ სურდა რომელიმე ფარეშს, ბატონისთვის კი არა, არამედ მისი გულისთვის ყოფილიყო ეს გამონაკლისი.

სასმელ-საჭმელი საუცხოო იყო. განა შეიძლება იყოს ამქვეყნად ამ მხარეში მომზადებულ რძის კერძებზე უფრო გემრიელი რამ! თავადვე განსაჯეთ, აბა, როგორი იქნება იმ ფერმის ნაღები, რომელსაც ჟიული მართავს, და მასთან თავად დიასახლისის სიახლოვეს მირთმეული. ფანშონმა მომაწოდა მაწონი, ღვეზელი, ვაფლი და ნამცხვრები. მყისვე გადავსანსლე ყველაფერი. ჟიული დასცინოდა ჩემს მადას. „ვხედავ, – მითხრა მან და მთელი თეფში კრემით ამივსო, – რომ ყოველგვარი კერძი გეგემრიელებათ და ქალთა წრეშიც ისე შეგიძლიათ მოლხენა, როგორც თქვენს ამფსონებთან“. „ოღონდ უფრო დაუსჯელად არა, – შევნიშნე მე, – ხომ შეიძლება ზოგჯერ დათვრეს კაცი აქაც და იქაც; ისიც ხდება, რომ უბრალო ქოხში ადამიანი უფრო მალე კარგავს გონებას, ვიდრე ღვინის სარდაფში-მეთქი“. წყნარად დახარა თავი, ლოყები შეეფაკლა და თავის შვილებს დაუწყო ალერსი. ეს საკმაო აღმოჩნდა, სინდისის ქენჯნა რომ მეგრძნო. მილორდ, ეს იყო პირველი და, იმედი მაქვს, უკანასკნელი უტიფრობა ჩემი მხრით.

ჩვენს პატარა თავყრილობაში მეფობდა ოდინდელი სისადავის სულისკვეთება, რაც ძალზე მიყუჩებდა გულს; ყველას სახეს მხიარულება დასთამაშებდა და მერწმუნეთ, მით უფრო ნაკლებ გულახდილობას შევამჩნევდი, იქ რომ მამაკაცები ყოფილიყვნენ. ურთიერთნდობასა და სიამტკიბლობას თან ახლდა მოახლეთა და ქალბატონს შორის გამეფებული სითამამე, მაგრამ ეს კიდევ უფრო ანმტკიცებდა მის მიმართ პატივისცემას და მის ძალაუფლებას, ხოლო ის მომსახურება, როგორსაც უწევდნენ ერთმანეთს თანამეინახე ქალები, თითქოსდა, მარტოოდენ ურთიერთმეგობრობას ადასტურებდა. ამ ნადიმისათვის სასმელ-საჭმელიც ისე იყო შერჩეული, რომ ყველას სიამოვნებასა ჰგვრიდა. ქალებს უყვართ რძის კერძები და შაქარი, რაც თითქოსდა ქალთა სქესის უაღრესად სანიაზო სამკაულების – უმანკოებისა და სიმშვიდის სიმბოლოა. მამაკაცთა უმრავლესობა, პირიქით, ამჯობინებს ცხარე საჭმელებსა და სპირტიან სასმელებს; მათ ისეთი კერძები სჭირიათ, უკეთ რომ ჰფერობს საქმიანსა და შრომისმოყვარულ ცხოვრებას, რისთვისაც არიან კიდეც მოწოდებული ბუნების მიერ. ხოლო როდესაც გემოვნების ეს განსხვავება წარიხოცება და ყველაფერი აირ-დაირევა, მაშინ ჩვენს წინაშეა სქესთა უთავბოლო აღრევის უტყუარი

[97] ქალთა განსასვენებელი ოთახი, საქალებო.

ნიშანი. მე ვამჩნევ, რომ საფრანგეთში ქალებმა, რაკი მუდამ მამაკაცთა წრეში ტრიალებენ, სავსებით დაკარგეს რძის კერძთა მიმართ მისწრაფება, ხოლო მამაკაცებს ღვინო მოსძულებიათ. სამაგიეროდ ინგლისში, სადაც უფრო ნაკლებ შეიმჩნევა სქესთა აღრევა, მათი თანდაყოლილი გემოთმოყვარეობა უკეთაა დაცული. საერთოდ, ასე მგონია, იმისდა მიხედვით, თუ რა კერძს ანიჭებს უპირატესობას ადამიანი, ხშირად ვლინდება მისი ხასიათი. იტალიელები შეექცევიან მცენარეულ საჭმელს, – ქალაჩუნები და დონდლოები არიან. თქვენ, ინგლისელები, ბევრ ხორცსა ჭამთ – თქვენს ურყევ სათნოებაში არის რაღაც სასტიკი, ბარბაროსული. შვეიცარიელი თავისი ბუნებით გულცივია, მშვიდობისმოყვარე და უბრალო, მაგრამ მრისხანების ჟამს უწყალო და შმაგი, უყვარს ხორცეულიცა და მცენარეული საჭმელიც, სვამს რძესა და ღვინოს. მოქნილი და დაუდგრომელი ფრანგი ყოველნაირ კერძს ეწყობა და ყოველგვარ ზნე-ხასიათს ეგუება. ამის მაგალითად ჟიული გამოდგება; ჭამის დროს პირის პატივი იცის და წუნიაა, თანაც პირწუწკი, არ უყვარს არც ხორცი, არც ნანადირევი, არც მწნილი და არასოდეს გაუსინჯავს წყალგაურეველი ღვინო. საუცხოო მწვანილი, კვერცხი, ნაღები, ხილი – აი, მისი ჩვეულებრივი საზრდელი, და თევზის დიდი მოყვარული რომ არ იყოს, ნამდვილ პითაგორელად ჩაითვლებოდა.

ოღონდ ქალთა დაოკება – ეს კიდევ ცოტაა, უკეთუ არ მოვდრეკთ მამაკაცებსაც, და შინაური წესდების ეს მეორე ნაწილი პირველზე არანკალებ მნიშვნელოვანია და უფრო ძნელიცაა; ჩვეულებრივ, შეტევა უფრო ძლიერია, ვიდრე თავდაცვა. რესპუბლიკაში მოქალაქეთ აოკებს ზნე-ჩვეულებები, პრინციპები და სათნოება; ოღონდ შეიძლება თუ არა, იძულებისა და შევიწროების გარდა, სხვა რაიმე ღონისძიებით მსახურთა და მოჯამაგირეთათვის ლაგამის ამოდება? პატრონის მთელი ხელოვნება ისაა, რომ სიამოვნების ანდა სარფიანობის საფარველით მიჩქმალოს ეს იძულება – დაე, მათ ეგონოთ, თითქოსდა ნება-სურვილით აკეთებენ იმ საქმეს, რასაც სინამდვილეში იძულებით აკეთებენ. მცონარეობა კვირა-უქმე დღეებში, მსახურის ხელშეუვალი უფლება წავიდეს, სადაც მოენებება, როცა ვალდებულებები არ აკავებენ მას პატრონის სახლში, ხშირად ამ ერთ დღეს სპობენ კეთილი მაგალითისა და რჩევა-დარიგების გავლენას, რაიც ზემოქმედებას ახდენს მასზე კვირის დანარჩენი ექვსი დღის მანძილზე. სამიკიტნოებში წანწალი, თანამეინახეთა წარმოდგენანი, გარყვნილ ქალებთან კავშირი ისე რყვნის მათ, რომ აღარც ბატონებს არგიან რამეში და თავსაც იღუპავენ; მათ უნვითარდებათ მრავალი ნაკლი, რის გამოც აღარ შესწევთ სამსახურის უნარი და აღარ არიან თავისუფლების ღირსნი.

ასეთი უბედურების თავიდან ასაცილებლად უნდა ვეცადოთ, რათა შინ დააოკოს ისინი სწორედ იმავე გულისწადილმა, რაიც ეწეოდა მათ ღრეობისაკენ. აბა, რა შექცევა-გართობებს ეძიებდნენ ისინი? ღვინის გადაკვრას სამიკიტნოში და რაიმე თამაშს. ახლა კი შინ სვამენ და თამაშობენ. მთელი განსხვავება ისაა, რომ ღვინო არაფერი უჯდებათ, არც ძალზე დასათრობად სვამენ, და იმ თამაშშიც, რითაც ერთობიან, ვინმე იგებს, ხოლო წაგებული არავინაა. აი, როგორ ხდება ეს. სახლს უკან დგას დახურული ხეივანი. იქ გამართეს სათამაშო მოედანი. კვირაობით, ნაწირვებს, თავს იყრიან ბატონი მოსამსახურენი, ბაკში მომუშავე მოჯამაგირენი და იწყება თამაში, თანაც ფულზე როდი თამაშობენ – ეს აკრძალულია, არც ღვინოზე, ღვინოს ისედაც ღებულობენ, – არამედ ფსონს გულუხვი პატრონები ჩამოდიან. ფსონად ყოველთვის არის რაიმე სანუკვარი ნივთი ან რომელიმე ტანისამოსი. კონის რაოდენობა ფსონის ღირებულებაზეა დამოკიდებული და უკეთუ ნივთი საკმაოდ ფასეულია, როგორც, მაგალითად, ვერცხლის აბზინდი ფეხსაცმელისათვის ანდა საყელოს საკინძი, აბრეშუმის წინდები, წმინდა ფეტრის ქუდი და რაიმე ამის მსგავსი, – ჩვეულებრივ რამდენიმე პარტიის გათამაშება უწევთ. ერთ თამაშს როდი ჯერდებიან, სხვადასხვა თამაშებს იგონებენ, რათა რომელიმე თამაშში

დახელოვნებულმა და გაწაფულმა მოთამაშემ არ მოიგოს ყველა ფსონი, და იმის გამოც, ნარიფეროვან ფიზიკურ ვარჯიშობათა გზით ადამიანები უფრო ყოჩაღნი და უფრო ძლიერნი რომ გახდნენ. ხან მართავენ სირბილს რომელიმე მიზნამდე მისასწრებად, რაც ხეივნის მეორე ბოლოშია აღმართული. ანდა რიგრიგობით ისვრიან ერთსა და იმავე ქვას – ვინ უფრო შორს სტყორცნის; ზოგჯერ გაეჯიბრებიან ერთმანეთს, ვინ უფრო შორს წაიღებს ერთსა და იმავე ტვირთს, ხან გაითამაშებენ პრიზს ნიშანში სროლაზე. თამაშობათა უმრავლესობისათვის იგონებენ პატარ-პატარა ხრიკებს, თამაში რომ უფრო დიდხანს გაგრძელდეს და ხალისიანიც იყოს. ხშირად ბატონებიც ესწრებიან ამ შეჯიბრებებს; მაშინ ბავშვებიც მიჰყავთ იქ. ცნობისმოყვარეობის გამო ამ შეჯიბრებებს გარეშე პირებიც ესწრებიან; ბევრი მათგანი სიამოვნებით მიიღებდა მონაწილეობას გასართობებში, ოღონდ ბატონის ნებადაურთველად და თვით მოთამაშეებთან შეუთანხმებლად არავის აძლევენ ამის უფლებას. ეს ჩვეულება თანდათან თავისებურ სპექტაკლად გადაიქცა და მაყურებელთაგან აღფრთოვანებულ მსახიობებს სარფასა და ძვირფას ჯილდოებს ხოტბის შესხმა და ტაშის დაკვრა ურჩევნიათ. როცა უფრო ძლიერნი და მარჯვენი გახდნენ, საკუთარი თავის პატივისცემაც მოემატათ და ახლა მიეჩვევიან კიდეც უმალ თავიანთი ღირსებებით იამაყონ, ვიდრე თავიანთი მონაგარით, და თუმცა ლაქიებად ყოფნა არგუნათ ბედმა, ღირსება და პატივი ფულზე მეტად უღირთ.

ძალიან შორს წაგვიყვანდა ჩამოთვლა ყველა სიკეთისა, რაც მოაქვს ყეყეჩთა აზრით გარეგნულად ესოდენ ბავშვურ და უგვან გასართობთათვის ზრუნვას, თუმცაღა ჭეშმარიტ გამჭრიახობას სჩვევია მცირე საშუალებებით მოიპოვოს დიდი შედეგები. ბატონმა დე ვოლმარმა თქვა, უმნიშვნელო წამოწყებანი, პირველად ჩემმა ცოლმა რომ მოიფიქრა, წელიწადში ორმოცდაათ ეკიუზე უფრო ძვირი მიჯდებაო. „მაგრამ, – დაუმატა მან, – რაოდენ დიდ სარფას გვაძლევს მეურნეობაშიც და სხვა მხრივაც ჩვენი მსახურების გულმოდგინება, საქმისადმი გულისხმიერი დამოკიდებულება და ერთგულება ბატონებისადმი, რომელთაც მათი სიამოვნება თავიანთი ზრუნვის საგნად გაუხდიათ, მსახურთა მუყაითობა სახლის ინტერესებისათვის, თავის მშობლიურ სახლად რომ მიაჩნიათ; ამ თამაშობათა წყალობით ჩვენს სასარგებლოდ აღდგენილი მათი ფიზიკური ძალ-ღონე, და ის უპირატესობა, რომ ჩვენთან მუდამ ჯანმრთელნი არიან და არ იცნობენ მათი ამხანაგებისათვის ჩვეულ არც სიჭარბეს, არც სიჭარბეთაგან წარმოქმნილ ავადმყოფობათ; და ისიც, რომ ჩვენ თავიდან ვიცილებთ უწესრიგო ცხოვრების დროს წარმოქმნილ აუცილებელ ყოველნაირ იმკილბაზობას, და ისიც, რომ ვიცავთ ჩვენი მსახურების პატიოსნებას. დაბოლოს, რა სიამოვნებას გვანიჭებს თავად ჩვენ ეს გასართობები, რომლებიც ესოდენ ცოტა ხარჯს მოითხოვენ! უკეთუ მსახურთა შორის აღმოჩნდება ისეთი ვინმე – სულ ერთია, მამაკაცი იქნება თუ ქალი, ვისაც არა სურს შეეგუოს ჩვენს წესებს და ამჯობინებს სხვადასხვა საბაბით თავისუფლად გაინავარდოს, სადაც კი მოესურვება, ასეთ ადამიანებს არასოდეს ვეუბნებით უარს და წასვლის ნებასა ვრთავთ; ოღონდ ეს გარე-გარე სიარული ფრიად საეჭვო ნიშნად მიგვაჩნია და ვცდილობთ ამ ხალხის თავიდან მოცილებას. ამრიგად, სწორედ იგივე შექცევა-გართობანი, რომლებიც გვეხმარებიან კარგ მსახურთა დაოკებაში, აგრეთვე ხელს გვიწყობენ მართლაცდა კარგების შერჩევაშიც“. გამოგიტყდებით, მილორდ, მხოლოდ აქ დავინახე პირველად, თუ ბატონთა მეცადინეობით ერთი და იგივე არსებანი როგორ ხდებიან კარგი ფარეშები და კარგი მიწათმოქმედნი, კარგი ჯარისკაცები – სამშობლოს დამცველები და, საერთოდ, კარგი ადამიანები, როგორებადაც დარჩებიან ისინი ყოველგვარ ვითარებაში, რასაც მიუსართავს მათ ბედი და იღბალი.

ზამთრობით იცვლება შრომაც და გასართობებიც. კვირადღეობით ვოლმარების ჯალაბობა და მეზობლებიც – მამაკაცები და ქალები, ეგ სულ ერთია, ნაწირვებს იკრიბებიან

დაბალ დარბაზში, სადაც მათ ელით ცეცხლი, ღვინო, ხილი, ნამცხვარი და ვიოლინო, რომლის ხმაზე ისინი ცეკვავენ, ქალბატონი დე ვოლმარი ყოველთვის ესწრება ამ შეკრებებს, თუნდაც ერთი წუთით, – მისმა იქ ყოფნამ ხელი რომ შეუწყოს წესრიგსა და თავდაჭერას, და ხშირად ხდება, თავადაც რომ ცეკვავს, და მსახურებთანაც კი. როცა ასეთ ჩვეულებათა ამბავი შევიტყვე, ისინი ზნე-ჩვეულებათა პროტესტანტულ სიმკაცრესთან ძალზე შეუსაბამო მეჩვენა. ეს ჟიულის ვუთხარი, და აი, დაახლოებით რა მომიგო: ზნეობრივი სისპეტაკის დასაცავად ესოდენ მკაცრი მცნებანია დაწესებული, რომ უკეთუ კიდევ დავუმატებთ მისი რაობისათვის უმნიშვნელო განაწესებს, ეს ყოველთვის საზარალო იქნება მთავარისა და ძირითადისათვისო. ამბობენ, ბერთა უმრავლესობა ასეთსავე მდგომარეობაშიაო: ისინი ემორჩილებიან მრავალ უსარგებლო წესს, მაგრამ არ იციან, თუ რა არის ღირსება და სათნოება. ჩვენ, პროტესტანტებს, უფრო ნაკლებად მოგვეპოვება ზედმეტი სიმკაცრენი, მაგრამ ჩვენც როდი ვართ მათგან თავისუფალნი. ჩვენი ეკლესიის მსახურნი იმდენად აღემატებიან სიბრძნით ყოველნაირ მღვდლებს, რამდენადაც ჩვენი სარწმუნოება თავისი სიწმინდით ყველა დანარჩენზე უფრო მაღალია, და მაინც პროტესტანტთა ზოგიერთი შეხედულება თითქოსდა უმალ ცრურწმენას ემყარება, ვინემ გონების მოსაზრებასო. ასეთია, მაგალითად, მათ მიერ ცეკვა-თამაშისა და შეკრებათა გაკიცხვა, – თითქოს ცეკვა უფრო დიდი ცოდვა იყოს, ვინემ სიმღერა, თითქოსდა ერთიცა და მეორეც თვით ბუნების მიერ არ გვქონდეს ნაკარნახევი და დანაშაულად ჩაგვეთვლება, თუ შევიკრიბებით და თავს შევიქცევთ უწყინარი და წესიერი გართობით. მე კი, პირიქით, იმასა ვფიქრობ, რომ, როცა ერთად შეიკრიბებიან მამაკაცები და ქალები, მაშინ ყოველგვარი საჯარო გასართობი უწყინარია და უვნებელი სწორედ იმიტომ, რომ იგი საჯაროა, მაშინ როდესაც ყველაზე სანაქებო საქმიანობა, უკეთუ იგი სხვის თვალთაგან მოშორებით ხდება, შეიძლება საძრახისად გადაიქცეს.[98] მამაკაცები და ქალები ერთიერთმანეთისთვის არიან განკუთვნილნი, ბუნებას უნებს, ქორწინებით რომ შეუღლდნენ ისინი. ყოველი ცრუ რელიგია ებრძვის ბუნებას, და მარტოოდენ ჩვენი რელიგია ემორჩილება ბუნების წესებს და ასწორებს მათ, როცა ქორწინებას ადამიანისათვის შესაფერის ღვთიურ დადგენილებად რაცხს. სამოქალაქო ხასიათის სიძნელეებს, რითაც გარემოსილია ქორწინება, კიდევ როდი უნდა დავუმატოთ სახარების მიერ დაუდგენელი და თვით ქრისტიანობის სულისკვეთებისათვის საპირისპირო წესები. დაე, მითხრან, აბა, სად შეუძლიათ ურთიერთი მოიწონონ და უაღრესი წესიერებით შეხვდნენ ერთმანეთს მოწიფული ყმაწვილები და გოგონები, თუ არა საღამოს წვეულებაზე, როცა ძალზე დაკვირვებული უცხო თვალი აიძულებს მათ გულდასმით ადევნონ თვალყური თავიანთ ყოფაქცევას? აბა, რით განარისხებენ ღმერთს ცეკვა-თამაშობანი, უკეთუ ისინი წარმოადგენენ ჯანმრთელობისათვის სასიამოსა და სასარგებლოს და გულმხიარული ახალგაზრდობისათვის შესაფერის გასართობს, როცა წყვილები ნარნარად მოგოგმანებენ საცეკვაოდ, ხოლო მაყურებელთა მოდარაჯე თვალი ავალდებულებს მათ არაფერი ჩაიდინონ ურიგო. განა შეიძლება წარმოვიდგინოთ უფრო კეთილშობილური ხერხი, სხვათა მოსატყუებლად (ყოველ შემთხვევაში, გარეგნული მხრით) ვუჩვენოთ იმ ადამიანებს ჩვენი მიმზიდველი ნაკვთები და ნაკლოვანებები, ვისთვისაც მნიშვნელოვანია ჩვენი კარგად გაცნობა, მანამ, ვიდრე შეგვიყვარებდნენ? განა ცოლქმრული ურთიერთსიყვარულის მოვალეობა არ შეიცავს ერთმანეთის მიზიდვის ვალდებულებასაც, ნუთუ სათნო და ქრისტიანული სარწმუნოებით აღზრდილ, ქორწინებით შეუღლების

[98] ჩემს „სანახაობათა გამო დ'ალამბერთან მიწერილ წერილში" ჩავურთე ამის შემდგომი და კიდევ ზოგიერთი ნაწყვეტი, მაგარამ ვინაიდან იმ დროს ჯერ კიდევ ვამზადებდი ამ წიგნის გამოცემას, ამიტომ თავს მოვალედ ვრაცხდი დამეცადნა, ვიდრე ის გამოვიდოდა და მხოლოდ მაშინ ამომეღო იქიდან ციტატები.

მოსურნე ყმაწვილკაცისათვის ღირსეულ საზრუნავს არ წამოადგენს შეამზადოს გული თვისი ღვთისაგან ნაჩვენები ურთიერთსიყვარულისათვის?

ხოლო რა ხდება აქაურ მხარეებში, სადაც მუდამ სუფევს შებოჭილობა, სადაც ყველაზე უმწიკვლო მხიარულებისათვის სჯიან კაცს, როგორც დანაშაულისათვის, სადაც ყმაწვილები და გოგონები ვერასოდეს ბედავენ საჯაროდ შეიკრიბონ და სადაც რომელიმე ურცხვ და გულქვა მოძღვარს ძალუძს ღვთის სახელით დანერგოს მხოლოდ და მხოლოდ მონური უმწეობა, დარდი და მოწყენილობა? ადამიანები ცდილობენ თავი დააღწიონ ბუნებისა და გონებისათვის საძულველ აუტანელ ტირანიას. როცა გულმხიარულ და გიჟმაჟ ახალგაზრდობას მოუსპობენ ნებადართულ სიამოვნებათ, ამ სიამოვნებათა ნაცვლად იგი უაღრესად სახიფათო თავშესაქცევარს ჰკიდებს ხელს. საჯარო სეირნობათა ჟამს შეხვედრის მაგივრად ჩუმ-ჩუმად ხვდებიან ერთმანეთს. ბოროტმოქმედთა დარად იმალებიან, და ამიტომაც თანა სდევთ ცდუნება, და შეიძლება მართლაც გახდნენ ბოროტმოქმედნი. სასიამოა, როცა უმწიკვლო სიხარული მზის სინათლეზე გამოდის, მაგრამ ბიწიერება წყვდიადს ეტრფის და უმანკოება და საიდუმლო ერთმანეთს ვერასოდეს შეეგუებიანო. „ძვირფასო მეგობარო, – დაუმატა ჟიულიმ, თანაც ხელზე ხელს მიჭერდა, თითქოს სურდა ჩემთვის გადმოეცა თავისი სინანულის ძლიერება და გულის სისპეტაკე, – მე და შენზე უფრო კარგად ვინ გაიგებს ამ წესის მთელ მნიშვნელობას? რაოდენი მწუხარება და ტანჯვა, რაოდენი სინდისის ქეჯნა გადავიტანეთ ჩვენ, რამდენი ცრემლი დავღვარეთ ხანგრძლივი წლების მანძილზე, ხოლო თავს დავაღწევდით ამ განსაცდელს, თუნდაც ოდნავ რომ გაგვეთვალისწინებინა, რა საფრთხეც ემუქრებოდა პირისპირ შეხვედრისას სათნოებას, რომელსაც ვეტრფოდით ორივენი.

კვლავაც ვიტყვი – უკვე უფრო მშვიდად განაგრძნობდა ქალბატონი დე ვოლმარი, – ზნე-ჩვეულებები ყველაზე უფრო ფუჭდება მრავალრიცხოვან თავყრილობებში კი არა, სადაც ყველანი გვიყურებენ და გვისმენენ, არამედ მარტოულ საუბრებში, როცა ირგვლივ იდუმალება სუფევს და სრული თავისუფლებაა. აი, რატომა ვარ ძალზე კმაყოფილი, როცა ამ წვეულებებზე ყველა ჩემი მსახური ერთად შეიყრება. ნებასაც კი ვრთავ მეზობელი სოფლებიდან მოიწვიონ ყმაწვილკაცები, თუკი ეს მეგობრობა ზიანს არ მოუტანთ. ძალიან მეამა იმის შეტყობა, რომ, როცა სურთ ხოტბა შეასხან რომელიმე ჩვენი ახალგაზრდა მეზობლის ზნეობას, ასე ამბობენ: იგი ბატონ დე ვოლმართანაა მიღებულიო! აქ ვემყარებით კიდევ ერთ მოსაზრებას. ჩვენი მსახურები ყველანი უცოლშვილონი არიან, მოახლეთაგან კი გამდელი ისევ გაუთხოვარია, და უსამართლობა იქნებოდა, რომ მათთვის ჩვეულმა თავშეკავებამ მოუსპოს პატიოსნური გზით თავიანთი ცხოვრების მოწყობის საშუალება. ვცდილობთ შევუქმნათ მათ ამის პირობები, დავეხმაროთ კარგი არჩევანისათვის, და ჩვენს თვალთა წინ მოწყობილი პატარა საღამური წვეულებანი ხელს უწყობენ იღბლიან ქორწინებას, მასთან ერთად კი ჩვენთვისაც სასიამოვნოა ეს ამბავი.

ისღა დამრჩენია, თავი გავიმართლო იმის გამო, ხანდახან რომ ვცეკვავ კიდეც ამ უზაკველ ადამიანებთან, მაგრამ მზადა ვარ ავიტანო გაკიცხვა ამ ჩემი დანაშაულისათვის; და აშკარად ვაღიარებ: ამის მთავარი მიზეზია მისგან მოგვრილი სიამოვნება. ხომ იცით, ჩემი მამიდაშვილივით ცეკვების უსაშველო მოყვარული რომ ვარ, ოღონდ დედაჩემის გარდაცვალების შემდეგ სამუდამოდ უარი ვთქვი მეჯლისებსა და თავყრილობებზე. ჩემს ქორწილზედაც კი არ გამიტეხია სიტყვა, და მომავალშიც ამ სიტყვის ერთგული ვიქნები. მაგრამ იმასა ვფიქრობ, აღთქმას არა ვტეხ, როცა ჩემს სტუმრებთან და მსახურებთან ვცეკვავ. ეს ვარჯიშობა სასარგებლოა ჯანმრთელობისათვის, განსაკუთრებით იმ მჯდომარე ცხოვრების დროს, როგორსაც ვეწევი ზამთარში. ეს უაღრესად უწყინარ სიამოვნებას მანიჭებს, და როცა ცეკვით გულს ვიჯერებ, სინდისი სულაც არ მქენჯნის. სიამოვნებას ჰგვრის იგი ბ-ნ დე ვოლმარსაც, და მეც მხოლოდ იმიტომ ვკეკლუცობ, რომ მას

მოვაწონო თავი. ჩემი გულისთვის მოდის იგი ცეკვათა საყურებლად; ჩვენი მსახურებიც ფრიად კმაყოფილნი არიან ასეთი პატივით და აგრეთვე უხარიათ მოცეკვავეთა შორის ჩემი დანახვა. დაბოლოს, ვფიქრობ, ჩვენსა და მსახურთა შორის ასეთი ზომიერი სიახლოვე უფრო გვაყვარებს ერთიმეორეს, ჩვენს ურთიერთობაში უფრო მეტი ადამიანურობა შემოაქვს, თანაც ამცირებს მსახურთა დაჩაგრულობასა და პატრონის ძალაუფლების სიმკაცრეს“.

აი, მილორდ, რა მითხრა ჟიულიმ ცეკვათა გამო; და მე მაფრთოვანებდა ის ამბავი, რომ ბატონთა ესოდენი დიდი კეთილგანწყობილების გამო მსახურნი ერთობ გამგონენი არიან. ჟიულისა და მის ქმარს ძალუძთ მოწყალების თვალით შეხედონ და თავი გაუტოლონ მათ, მაგრამ მსახურნი როდი ეძლევიან ცდუნებას, ასე ვთქვათ, სიტყვაში გამოიჭირონ ისინი და მართლაც ბატონთა ტოლებად ჩათვალონ თავი. არა მგონია, რომ აზიაში მოიპოვებოდნენ ხელმწიფენი, რომელთაც სასახლეებში უფრო მეტი პატივისცემით ემსაუხრებოდნენ, ვიდრე ამ ბატონთ უწევენ სამსახურს მათ სახლში. არსად არ აძლევენ მსახურთ განკარგულებებს ისე თავაზიანად, როგორც აქ, არსად ისე მკვირცხლად და მარდადაც არ სრულდება ხოლმე პატრონის განკარგულებები: აქ ითხოვენ და მსახურნი თავქუდმოგლეჯილი გარბის, იქ პატიებას იძლევიან – მსახური გრძნობს თავის დანაშაულს. ასე კარგად ჯერ არასოდეს მიგრძნია, ბრძანების ძალა უხეშ ტონზე რა ცოტათია დამოკიდებული.

და ვიფიქრე, პატრონები ზედმეტ სიმკაცრეს სულ ტყუილად იჩენენ-მეთქი. მოურიდებელ მოპყრობაზე უფრო მეტად ბატონთა მანკიერებანი იწვევენ მსახურთა სიძულვილს და მათი თავხედობაც უმალ ბატონთა ბიწიერებას მოწმობს, ვიდრე სისუსტეს; არაფერი არ ანიჭებს მსახურს იმდენ გამბედაობას, რამდენსაც ბატონის ნაკლი, და ყოველი ნაკლი, რასაც მსახურნი შენიშნავენ თავიანთ ბატონს, მათ თვალში იმის საფუძველია, არ გაუგონონ პატრონს, რადგანაც უკვე აღარ ძალუძთ მისი პატივისცემა.

ფარეშები ჰბაძავენ ბატონებს, ჰბაძავენ ტლანქად, და ამიტომაც მეპატრონეთა მთელი ეს ნაკლოვანებები უფრო შესამჩნევია მათთან, ვიდრე ზრდილ ბატონებთან, რომლებიც ამ თავიანთ ზადს ფარავენ მაღალი წრის ბრწყინვალებით. პარიზში ვმსჯელობდი ჩემს ნაცნობ ბანოვანთა ზნე-ხასიათის გამო მათი მოახლეების თავდაჭერილობისა და საუბრის კილოსდა მიხედვით, და არასოდეს შევმცდარვარ. გარდა იმისა, რომ მოახლე ქალბატონის საიდუმლოებათა დამცველია, უკანასკნელს აიძულებს ძვირად დაუსვას ეს დუმილი, თანაც ყველაფერში ქალბატონსა ჰბაძავს და ააშკარავებს მთელ მის ზნეობრივ წესებს. პატრონთა მაგალითი მუდამ უფრო ძლიერად მოქმედებს, ვიდრე ძალაუფლება. და არაბუნებრივი იქნებოდა, უკეთუ მსახურნი შეეცდებოდნენ ბატონებზე უფრო წესიერად გახდომას. რამდენიც გნებავთ, იყვირეთ, ილანძღეთ, დაემუქრეთ ცემა-ტყეპით, გააძევეთ, შეცვალეთ მთელი თქვენი შინაყმები, – ამის გამო უკეთ როდი მოგემსაუხრებიან. უკეთუ ადამიანს არ ერცხვინება თავისი ყოფაქცევით მსახურთ აღუძრას სიძულვილი და ზიზღი, მაგრამ თანაც წარმოუდგენია, კარგად მემსახურებიანო, – მაშინ ის კმაყოფილება მათი მოსაჩვენარი გულმოდგინებით და ვერ ამჩნევს იმ ზიანს, რასაც მისგან დაფარულად აკეთებენ ყოველ ფეხის ნაბიჯზე. იგი თავის დღეში ვერ გაიგებს ამ უბედურების მიზეზს; და განა მოიპოვება ამქვეყნად ადამიანი, რომელსაც იმდენად ჰქონდეს დაკარგული ღირსების გრძნობა, რომ ძალედვას აინუნში არ ჩააგდოს გარშემომყოფთა სიძულვილი? განა არისღა ისეთი ურცხვი ქალი, უგრძნობელი რომ იყოს შეურაცხყოფათა მიმართ? რამდენია პარიზშიც და ლონდონშიც დიდებული ბანოვანნი, როლებიც თავს ფრიად პატივსაცემებად თვლიან, ოღონდ ცრემლები წასკდებოდათ, რომ გაეგონათ, რასაც მათ გამო პარმაღებში ლაპარაკობენ. თავიანთი სულიერი სიმშვიდის საბედნიეროდ, ისინი აღსავსენი არიან სანუგეშო გულდაჯერებით,

მათი შინაური არგუსები სავსებით ყეყეჩები რომ არიან და ვერც კი ამჩნევენ იმას, რაც ბატონებს მსახურთაგან დამალვის ღირსადაც კი არ მიაჩნიათ. და აი, მსახურნი უხალისოდ ემორჩილებიან ასეთ დიასახლისებს და თავის მხრივ, სრულიადაც არ ფარავენ მათ სიძულვილს. ერთი სიტყვით, მსახურებიც და ბატონებიც აშკარად უჩვენებენ ერთმანეთს, რომ არა სურთ მოიპოვონ ურთიერთპატივისცემა.

მსახურთა აზრი ბატონთა სათნოების ყველაზე მკაცრ და ყველაზე სწორ შეფასებად მიმაჩნია, და მაშინ, როცა ჯერ კიდევ არ გიცნობდით, მე მახსოვს, მილორდ, დიდი წარმოდგენა შემექმნა თქვენს სათნოებაზე საერთოდ იმიტომ, რომ მესმოდა, რა საკმაოდ მკვახედ ელაპარაკებოდით თქვენს მსახურთ, და მასთან ერთად ვამჩნევდი, ამის გამო მათი ერთგულება არც შემცირებულა და თქვენი არყოფნის ჟამს ისეთი პატივისცემით ლაპარაკობდნენ თქვენზე, თითქოსდა შეგეძლოთ მათი ნათქვამის გაგონება.

ამბობენ, თავის ფარეშის თვალში გმირად არავინ მოჩანსო. იქნებ, ეს სწორიც იყოს, ოღონდ სამართლიანი კაცი ფარეშს მუდამჟამს შთააგონებს პატივისცემას, – ესაა საკმაოდ დამაჯერებელი დადასტურება იმისა, რომ გმირობა ფუჭი ამაოებაა, ხოლო სათნოებაზე საიმედო არაფერია ამქვეყნად. და სწორედ ვოლმართა სახლში მსახურთა მსეჯლობით გავიგე, თუ რამდენად მორჭმულია სათნოება, ეს მსჯელობანი მით უმეტეს სწორია, რომ მარტო ქება-დიდებას არ შეიცავენ და ადამიანები მიამიტად გამოთქვამენ თავიანთ გრძნობებს. ვინაიდან მათ აქ არასოდეს მოუსმენიათ საუბარი, რომლის მიხედვითაც შეეძლებოდათ დაესკვნათ, ჩვენი პატრონები სხვებს არ ჰგვანანო, როდი აქებენ ბატონებს სათნოებისათვის, რაკი ფიქრობენ, ეს მადლი ყველას სცხიაო, არამედ გულუბრყვილოდ მადლობას სწირავენ ღმერთს იმის გამო, რომ მან მდიდრები ამქვეყნად მსახურთა საბედნიეროდ და ღარიბ-ღატაკთა ხვედრის შესამსუბუქებლად მოავლინა.

მონობა იმდენად ნაკლებ ჰფერობს ადამიანის ბუნებას, რომ მის გულში მუდამ უკმაყოფილებას იწვევს, მაგრამ აქ ბატონს პატივსა სცემენ და მის ძვირს თავის დღეში არ ამბობენ. ხოლო რაც შეეხება ქალბატონს, უკეთუ მსახურნი ზოგჯერ უჩივიან კიდეც მას, ეს ჩივილი ყოველგვარ ქება-დიდებაზე უკეთესია. ვერავინ იტყვის, მე რატომ არ მწყალობსო, ოღონდ ძალიანაც სწყინთ, ასე გულკეთილი სხვების მიმართაც რატომაო; არავის სურს, რომ ქალბატონმა მისი გულმოდგინება გაუთანაბროს ამხანაგთა მუყაითობას, და სულ ყველას უნდა სხვაზე მეტი წყალობის თვალით მას უცქირონ, რაკი ჰგონია, მისი ყველაზე ერთგული მე ვარო, აი, მათი დრტვინვის ერთადერთი საგანი და, მათი აზრით, უდიდესი უსამართლობაც.

ქვემდგომთა მორჩილების გარდა, არსებობს კიდევ თანხმობა თანასწორთა შორის და შინაურ საქმეთა მართვის ეს ნაწილი არანაკლებ ძნელია. მეტოქეობა, შური და ანგარება ყოველთვის აშორიშორებს მსახურთ, თუნდაც ისეთი მცირერიცხოვანნი იყვნენ, როგორც დე ვოლმარების სახლში; გაერთიანებით კი თითქმის ყოველთვის პატრონთა საზიანოდ ერთიანდებიან. თუ პირი შეკრეს, ეს მხოლოდ იმისათვის, ერთად რომ იქურდონ; თუ პატრონის ერთგულნი არიან, თითოეული ცდილობს აღზევდეს სხვათა საზარალოდ; მუდამჟამს ან მტრობენ, ანდა თანამზრახველად უხდებიან ერთმანეთს და ძნელია მოიფიქრო, როგორ მოუღო ბოლო მათ გაიძვერობასა და აყალმაყალს. ოჯახთა მამების უმრავლესობას შთენია მხოლოდ არჩევანი ამ ორ უსიამოვნებას შორის. ერთნი პირად ინტერესს ამჯობინებენ წესიერებას და აქეზებენ ფარეშებს ფარული მაბეზღარობისაკენ, თანაც ჰგონიათ, ძალზე კეთილგონივრულად ვიქცევითო, მსახურთ ჯაშუშებად ხდიან და შეაგულიანებენ კიდეც ერთმანეთის სათვალთვალოდ. უფრო დაუდევართ კი ურჩევნიათ გაქურდულ იქნენ, ოღონდ არ შეერხეთ ცხოვრების ნირი; მათ, ასე ვთქვათ, თავიანთი ღირსების საქმედ მიაჩნიათ ყური არ ათხოვონ გაფრთხილებას, რაც ზოგჯერ გულმოდგინების გამო წამოსცდება რომელიმე ერთგულ მსახურს. ერთნიც და მეორენიც

უჭკუოდ იქცევიან. ერთნი თავადვე წარმოქმნიან თავიანთ სახლში სათნო კანონებისა და კარგი წესრიგისათვის შეუფერებელ მუდმივ შფოთსა და აყალმაყალს, და მათი მსახურნიც გაიძვერებისა და მაბეზღარათა ხროვას წარმოადგენენ, რომლებიც ღალატობენ თავიანთ ამხანაგებს და, შესაძლოა, ისე დახელოვნდნენ ამ საქმეში, რომ ოდესმე ბატონებიც კი გაყიდონ. სხვებს არც კი სურთ გაიგონ რა ხდება მათ სახლში, და სწორედ ამით ნებას რთავენ იხიმანკლონ მათ წინააღმდეგ, აქეზებენ უკეთურთ, ხელსა ჰკრავენ კეთილზნიანთ და ინახავენ ძვირადღირებულ თავხედ გაიძვერებსა და მცონარებს, რომლებიც ერთმანეთშორის პირშეკრულნი, დიდ ვნებას აყენებენ პატრონს, და მასთან ჰგონიათ, თავაზიანობის გამო ვემსახურებით და რასაც ვპარავთ, კიდევაც გვეკუთვნისო.[99]

დიდი შეცდომა კია შინაურ და აგრეთვე საზოგადოებრივ მეურნეობაში ცდილობდე ერთი ბიწიერების დაძლევას მეორეთი, ანდა მათ შორის რაღაც წონასწორობის მსგავსის შექმნას. თითქოსდა მან, რაც ძირს უთხრის წესრიგის საფუძველს, შესაძლოა, ოდესმე ხელი შეუწყოს მის განმტკიცებას! ასეთი უხეირო საშუალებით შეიძლება მხოლოდ ხიფათში ჩაიგდო თავი. ის ბიწიერებანი, შინ რომ ითმენენ, განმარტოებით როდი არსებობენ: ნება დართეთ ერთს – ფესვი გაიდგას, და ამას მოჰყვება სხვა მრავალი. მალე ისინი დაღუპავენ მათგან დაავადებულ მსახურთ, პატრონებსაც გადასწვდებიან და გახრწნიან ანდა შებღალავენ მათ შემხედვარ ბავშვთა სულს. განა მოიპოვება ამქვეყნად ესოდენ უღირსი მამა, რომელიც გაბედავდა თავისი სარგებლობისათვის არაფრად ჩააგდოს ასეთი ბოროტება? აბა რომელი წესიერი ადამიანი დათანხმდება ოჯახის უფროსად ყოფნას, უკეთუ არ ძალუძს მშვიდობისა და ერთგულების დამყარება თავის სახლში და თუკი მსახურთა სიბეჯითის შეძენა მოუხდება მათი ურთიერთმტრობის საფასურად.

ვინმეს მარტოოდენ ვოლმართა სახლი რომ ენახა, ფიქრადაც კი არ გაივლებდა გულში, მსგავსი სიძნელეები შეიძლება არსებობდესო, იმდენად აშკარად და ნათლად გამომდინარეობს აქ ჯალაბთა ერთობლიობა პატრონთა მიმართ ერთგულებიდან. აქ ვხედავთ თვალსაჩინო მაგალითს, რაიც იმას ღაღადებს, ვისაც გულწრფელად უყვარს პატრონი, უყვარს ყოველივე, რაც მას ეკუთვნისო, – ეს ჭეშმარიტება ქრისტიანული სარწმუნოების საფუძველია. ხომ ასე ბუნებრივია, ერთი მამის შვილები ძმურად რომ ეპყრობიან ერთმანეთს. ყოველდღე ამას ჩაგვჩიჩინებენ ტაძარში, ოღონდ არ ძალუძთ განგვაცდევინონ ეს. აქ კი სახლის ყველა ბინადარი დაუმოძღვრებლად გრძნობს ურთიერთ ძმურ განწყობილებას.

გულთბილ თანხმობას ყველაზე უფრო ხელს უწყობს თვით მსახურთა შერჩევაც. როცა ბ-ნი დე ვოლმარი შინ ღებულობს მათ, მარტო იმას როდი ირკვევს, შეეფერბიან თუ არა ისინი მის ცოლსა და თავად მას, არამედ იმასაც, შეეფერებიან თუ არა ერთმანეთს, და საკმაოა დაადგინოს, რომ ორი ჩინებული მსახური მტრულად უცქერის ერთმანეთს, უმალვე დაითხოვს ერთ-ერთ მათგანს. როცა სახლში ასე ცოტა მსახურია, ამბობს ჟიული, კარში არასოდეს გამოდიან და მუდამ ერთად ცხოვრობენ, განა ასეთი სახლი ძვირფასი არ უნდა იყოს ყველა მათგანისათვის? და თუ შიგ მშვიდობა არ იქნა, მაშინ ის ჯოჯოხეთად გადაექცევათო. იგი უნდა მიაჩნდეთ მშობლიურ კერად, სადაც ყველანი ერთ ოჯახად ცხოვრობენ. უკეთუ რომელიმე მათგანი არ მოსწონს სხვებს, სახლსაც მოიძულებენ, რადგან მათთვის არასასურველი ადამიანი წამდაუწუმ მათ შორის იტრიალებს, აქ ისინი ცუდად იგრძნობენ თავს, ეს კი ჩვენც დაგვეტყობაო.

---

[99] მე ძალიან ახლოს ვუკვირდებოდი მდიდართა სახლებში გამეფებულ ზნე-ჩვეულებათ და თვალნათლივ ვნახე, რომ ოცი მსახურის პატრონი ვერასოდეს მოახერხებს გაიგოს, არის თუ არა მათ შორის თუნდაც ერთი პატიოსანი კაცი, და პატიოსანი ჰგონია უსაძაგლესი ყალთაბანდი. სწორედ ამ ერთი მიზეზის გამო არ ვისურვებდი მდიდართა შორის ყოფნას. ამ უბედურთათვის დაკარგულია ცხოვრების ყველაზე განსაცხრომელი სიამენი: გარშემომყოფთა ნდობა და პატივისცემა. მათ ძვირად უჯდებათ თავიანთი ოქრო.

მსახურთ ოსტატურად არჩევენ, ასე ვთქვათ, აერთიანებენ მათივე ნება-სურვილის გაუთვალისწინებლად, შეუმჩნევლად აღუძრავენ ერთმანეთის სამსახურის გაწევის სურვილს, და აღწევენ იმას, რომ თითოეულმა იგრძნოს, თუ რაოდენ აუცილებელია მისთვის ყველა ამხანაგის სიყვარული. როცა ადამიანი მოდის და მოითხოვს წყალობას თავისთვის კი არა, არამედ სხვისთვის, მას გაცილებით უკეთ ღებულობენ; ამიტომაც ის, ვისაც სურს მიიღოს მოწყალება, ცდილობს იშოვოს შუამდგომელი, და ეს კი არ გაუჭირდება, მით უმეტეს, რომ, დააკმაყოფილებენ მის თხოვნას თუ უარს ეტყვიან, შუამავალს მაინც ყოველთვის დამსახურებად ჩაუთვლიან გამოსარჩლებას. ხოლო მათ, ვინც მარტოოდენ თავის თავისთვის ზრუნავს, ცივად ხვდებიან, რატომ მე უნდა ვიზრუნო თქვენი ინტერესების გამო, როცა თავად თქვენ არასოდეს არავისთვის გიზრუნვიათო? განა სამართლიანია, რომ თქვენს ამხანაგებზე ბედნიერი იყავით, თუცმა ისინი ადამიანებს გაცილებით თქვენზე უფრო ყურადღებით ეპყრობიანო? აქ ბევრ რამეს მიაღწიეს: ეხმარებიან ერთმანეთს ფარულად, უხმაუროდ, დაუტრაბახებლად, და ამას სჩადიან სრულიად გაურჯელად, მით უმეტეს, რომ, როცა ამხანაგს სამსახურს უწევს, მსახურმა კარგად უწყის, პატრონი რომ ამჩნევს მის თავმდაბლობას და მის მიმართ უფრო მეტ პატივისცემას გრძნობს; ამრიგად, აქ ერთმანეთს ეხამებიან პირადი ინტერესები და დაკმაყოფილებული თავმოყვარეობა. აქ მსახურნი ისე არიან დარწმუნებულნი, ყველა ამხანაგს ჩვენთვის სიკეთე უნდაო, და მათ შორის ისეთი ნდობა სუფევს, რომ თუ რომელიმეს რაიმე წყალობის მიღება სურს, ამას სუფრასთან მჯდომარე იტყვის, – ხშირად მეტი აღარაფრის თქმა აღარ დასჭირდება, თხოვნას უსრულებენ, და აღარც კი იცის, ვის გადაუხადოს მადლობა, გრძნობს, ყველა ამხანაგს რომ უნდა უმადლოდეს ამ ამბავს.

ასეთი წესითა და სხვა ამის მსგავსი ხერხებით აქ მიაღწიეს იმას, რომ მსახურთა შორის სუფევს პატრონის მიმართ საერთო ერთგულებითა და მორჩილებით წარმოქმნილი სიყვარული. ამიტომაც თავის დღეში აზრადაც არ მოსდით პატრონის საზარალოდ პირის შეკვრა, პირიქით, – გათანგავთ სურვილი, რაც შეიძლება უკეთ ემსახურონ მას. როგორი სასიამოვნოც უნდა იყოს მათთვის ურთიერთმეგობრობა, უფრორე ეამებათ მეპატრონის გულის მოგება; თავიანთ ვალდებულებათა მიმართ სიბეჯითე აღემატება ურთიერთკეთილმოსურნეობას, ყველანი იფიქრებდნენ, თავად დავზარადლებით, უკეთუ რომელიმე ჩვენგანი პატრონს ვნებას მოუტანს, მისთვის უფრო საძნელო შეიქმნება კარგი მსახურის დაჯილდოებაო, და ამიტომ არც ერთი ხელს არ აფარებს ბატონის საზიანო საქციელს. ამ მხრივ სახლში დამყარებული ცხოვრების ნირი მანცვიფრებს რაღაცნაირი დიადი თვისებებით. ძალზე მაოცებს ის ამბავი, თუ როგორ მოახერხეს ცოლ-ქმარმა დე ვოლმარებმა ბრალმდებლის უგვანო ვალდებულება გადაექციათ უდიდესი გულმოდგინების, უანგარო პატიოსნებისა და ვაჟკაცობის საქმედ, ისეთ კეთილშობილურ, ყოველ შემთხვევაში, ესოდენ სანაქებო საქმედ, როგორიც ჰქონდათ ძველ რომაელებს.

უწინარეს ყოვლისა აქ შეეცადნენ უბრალო დარიგებათა და ჯეროვან მაგალითთა მეოხებით აღეკვეთათ ანდა აეცილებინათ იმ დანაშაულებრივი და მონური მორალის, მეპატორნისთვის საზიანო ურთიერთთავდებობის მოქმედება, რასაც ცუდი მსახური დაუყოვნებლივ ცდილობს თითქოსდა ამხანაგური დახმარების სახით შეასწავლოს პატიოსან მსახურთ. ვოლმართა სახლში მსახურთ შთააგონეს, მოყვასის დანაშაულისათვის ხელის დაფარება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ ისინი არავის არა ვნებენო, ხოლო უკეთუ ხედავ და ფარავ მესამე პირისათვის საზიანოდ ჩადენილ სხვის უკანონობას, უკანონო საქციელს თავად ჩადიხარო, და რამდენადაც მხოლოდ საკუთარ ნაკლოვანებათა შეგნება გვაიძულებს ვაპატიოთ ნაკლოვანებები სხვა ადამიანებს, ყოველი კაცი, ვინაც მზადაა დაითმინოს ყალთაბანდების ოინები, თავადაც იმავე ყალთაბანდთა ჯილაგს განეკუთვნებაო. საერთოდ, ადამიანთა შორის ურთიერთობისათვის სწორ და

კიდევ უფრო ვიწრო ფარგლებში – ბატონსა და მსახურს შორის ურთიერთკავშირის შესატყვის ამ პრინციპებიდან გამოჰყავთ შემდეგი უდავო დებულება: ყოველი მსახური, რომელიც ხედავს, თუ რა ზიანს აყენებენ პატრონს და არ ამხელს დანაშაულს, უფრო მეტად ბრალეულია, ვდირე დანაშაულის ჩამდენიო, ვინაიდან ის რომ უკეთურ საქმეს ჰკიდებდა ხელს, რაღაც სარფას გამოელოდა; თითქოსდა უანგარო ხელის დამფარებლის არხეინი დუმილი კი მხოლოდ სამართლიანობისა და იმ სახლის კეთილდღეობის მიმართ უაღრესი გულგრილობის ბრალია, სადაც მსახურობს, და აგრეთვე იდუმალი სურვილია მიბაძოს მისგან დაფარული ყალთაბანდის მაგალითს. ამრიგად, თუ მიყენებული ზარალი მნიშვნელოვანია, მის ჩამდენს ზოგჯერ ისევ შეუძლია პატიების იმედი ჰქონდეს, მაგრამ დანაშაულის დამფარავი მოწმე უსაცილოდ უნდა დაითხოვონ, როგორც ცუდ მიდრეკილებათა მქონე ადამიანი.

სამაგიეროდ აქ ვერ დაითმენენ ვერავითარ ბრალდებებს, უკეთუ ეჭვი ეპარებათ, ისინი უსაფუძვლონი ანდა ცილისმწამებლურნი არიანო, და ამიტომ არც უგდებენ ყურს ამ ბრალდებებს ბრალეული ადამიანის დაუსწრებლად. თუკი ვინმე მივა პატრონთან და სურს კერძო საუბარში აუწყოს ამხანაგის დანაშაული ანდა შეჩივლოს თავისი პირადი გულისტკივილი, ეკითხებიან, საკმაოდ ჩახედული ხარ თუ არა საქმეშიო, ესე იგი, სცადე თუ არა ჯერ იმ ადამიანის ამბის გამორკვევა, ვისაც უჩივიო. თუ ბრალმდებელი ამბობს, არ გამომირკვევიაო, ახლა მეორე შეკითხვას აძლევენ: როგორ შეგიძლია განსაჯო ესა თუ ის საქციელი, თუკი სათანადოდ არ იცნობ მის მიზეზებსო? „შესაძლოა, – ეუბნებიან მას, – ეს საქციელი ექვემდებარება მეორე, თქვენთვის უცნობ საქციელს; იქნებ, არსებობენ კიდეც ამ საქციელის გამამართლებელი ანდა რაღაც სხვა საპატიო ვითარებანი, ხოლო თქვენ ამ ვითარებათ არც კი იცნობთო. მაშ, როგორღა ბედავთ განსაჯოთ ყოფაქცევა კაცისა, როცა არ უწყით, სახელდობრ, რითაა გამოწვეული იგი? ეგების, მარტო ერთი თავისი სიტყვით მან ყველაფერი აგვიხსნას და თავი გაიმართლოს თქვენს წინაშე? იქნებ, უსამართლოდაც კი სდებთ მსჯავრს? და მასთან გსურთ თქვენი უმართებულო შეხედულება მეც გავიზიარო“. უკეთუ მომჩივანი ირწმუნება, ბრალდებულთან უკვე ყველაფერი გამოვარკვიეო, მას უპასუხებენ: „რატომ მოხვედით უმისოდ, თითქოს გეშინიათ, ჩემს მტკიცებებს დამირღვევსო? რა უფლებით არ მაძლევთ ნებას მივიღო სიფრთხილის საჭირო ზომები, თუმცა თავად თქვენს მოვალეობად ჩათვალეთ მათი მიღება? რა ვაჟკაცობაა ცდილობდეთ, რომ მარტოოდენ თქვენი სიტყვების საფუძველზე გამოვიტანო მსჯავრი ამ საქციელის გამო, მაშინ, როცა თქვენ თვითონ არ ისურვეთ ნდობოდით მარტოოდენ საკუთარ თვალთა დასტურს, და განა არ იქნებით პასუხისმგებელი ჩემი მიკერძოებული მსჯავრისა, რის გამოტანაც ძალმიძს, უკეთუ მარტოოდენ თქვენი ჩვენებებით დავკმაყოფილდები?“ შემდეგ ბრალმდებელს უბრძანებენ, ბრალდებული მოიყვანეო. თუკი ის დათანხმდა, საქმის გადაწყვეტა მალე ხერხდება; თუკი ბრალმდებელი უარშიობს, მას მაგრად დატუქსავენ და გააგდებენ. ოღონდ მის სიტყვებს საიდუმლოდ იმარხავენ და თვალყურს ადევნებენ როგორც ბრალდებულს, ისე ბრალმდებელსაც, ისე რომ მალე გამოირკვევა, თუ ვინ არის მათ შორის დამნაშავე.

ეს წესი აქ ცნობილია, მან მაგრად მოიკიდა ფეხი, და ამ სახლში ვერასოდეს გაიგონებთ, მსახურმა ზურგსუკან ცუდად რომ მოიხსენიოს თავისი თანაამხანაგი, ვინაიდან ყველა მათგანმა კარგად იცის, რომ ასეთი მოქცევით მას არამზადის ანდა მატყუარის სახელი გაუვარდება. აქ თუკი ვინმე ბრალსა სდებს მეორე ადამიანს, გამოდის აშკარად, პირდაპირ, და არა მარტო ბრალდებულის თანდასწრებით, არამედ ყველა ამხანაგთა ყოფნისას, რათა მოწმეებს შეეძლოთ მისი კეთილსინდისიერების დადასტურება. უკეთუ ლაპარაკია პირად კინკლაობათა გამო, საქმეს თითქმის ყოველთვის აგვარებენ შუაკაცთა დახმარებით, ბატონთა გაუბეზრებლად, ოღონდ, როცა საქმე ეხება პატრონის

წმიდათაწმიდა ინტერესებს, მას უკვე აღარ ინახავენ საიდუმლოდ, მოითხოვენ, რომ დამნაშავემ თავად აღიაროს დანაშაული ანდა მხილებულ იქნას ბრალმდებლის მიერ. ასეთი პატარ-პატარა სამსჯავრონი ძალზე იშვიათად იმართება ხოლმე, და ისინი ეწყობა სერობისას, როცა ჟიული ჩამოუვლის თავის მსახურთ. ამ შემოვლას ბ-ნი დე ვოლმარი ხუმრობით ჟიულის „დიდ გამოსვლებს“ უწოდებს. ჟიული გულდამშვიდებით ისმენს საჩივარს ან მის გამო პასუხს, და თუკი საქმე შინამოსამსახურეთ ეხება, შეუდგება მის გარჩევას და მადლობას უხდის ბრალმდებელს გულმოდგინებისათვის.

„მე ვიცი, – ეუბნება ჟიული მას, – რომ გიყვართ თქვენი ამხანაგი, ყოველთვის კარგი აზრისა იყავით მასზე, და მეც გაქებთ იმისათვის, რომ მოვალეობისა და სამართლიანობის გრძნობას პირად გრძნობათა მაღლა აყენებთ: თქვენ მოიქეცით როგორც ერთგული მსახური და პატიოსანი ადამიანი“. თუ ბრალდებული არ იყო დამნაშავე, ჟიული მის გამართლებას რაიმე ქებასაც უმატებს. მაგრამ თუ იგი მართლაც დამნაშავეა, მაშინ ცდილობს – არ შეარცხვინოს იგი სხვათა წინაშე. ჟიული ამბობს, ბრალდებულს, იქნებ, არა სურს ყველას თანდასწრებით ამის თქმაო; ცალკე მოსასმენად უნიშნავს დროს, და მაშინ თვითონ ან მისი ქმარი ჯეროვან მოლაპარაკებას ეწევიან მასთან. გასაკვირველი ის არის, რომ ორ მსაჯულთაგან უფრო მეტ შიშს ის კი არ აღძრავს, ვინც გაცილებით მკაცრად სდებს მსჯავრს, და ბ-ნ დე ვოლმარის სასტიკი საყვედურების უფრო ნაკლებ ეშინიათ დამნაშვეთ, ვიდრე მისი ცოლის ლმობიერი გამტყუნებისა. ბ-ნ დე ვოლმარს სამართლიანობა და სიმართლე ალაპარაკებს. იგი ამცირებს და არცხვენს დამნაშავეთ, ხოლო ჟიული აღუძრავს მათ მწარე სინანულს დანაშაულის გამო და დაანახვებს, თუ როგორ სტკივა გული, იძულებული რომაა მოაკლოს მათ წყალობა. ხშირად აფრქვევინებს მწუხარებისა და დამცირების ცრემლებს, ზოგჯერ თავად აუჩვილდება გული და, როცა მათ სინანულს შეიგრძნობს, უკვე იმედოვნებს, აღარ იქნება საჭირო ქადილის შესრულებაო.

ის, ვინაც გამოიტანს თავის მსჯავრს ყველა იმ საზრუნავის გამო, იმისდა მიხედვით, თუ რა ხდება მის სახლში ან მეზობლებთან, შესაძლოა, მათ ზედმეტად ან სამძიმო საქმედ მიიჩნევს. მაგრამ თქვენ, მილორდ, უაღრესად გაქვთ შეგნებული ოჯახის უფროსის ვალდებულებები და სიხარული, თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რაოდენ ბუნებრივია ადამიანის გულისთვის გონებისა და სათნოების ძალაუფლება, და თქვენ მიხვდებით ამ წვრილმან ამბავთა მნიშვნელობას, შეიგრძნობთ, რაზედან ჰკიდია მათი სასიკეთო მოქმედება. სიმდიდრე მდიდრად როდი გვხვდისო, ნათქვამია „ვარდის რომანში“. ადამიანის კეთილდღეობა მის სავსე სკივრებში კი არა ძევს, არამედ ისაა, თუ რაგვარად მოიხმარს იგი თავის საუნჯეს; ჩვენ რომ ნივთები მოგვეპოვება, ჩვენი საკუთრება მხოლოდ მაშინ გახდება, თუ მათ გამოვიყენებთ, ხოლო ბოროტმოქმედების საშუალებები საგანძურზე დაუშრეტელია მუდამჟამს; ამიტომაც ადამიანები განსცხრებიან ცხოვრების სიკეთით თავიანთი ხარჯების კვალობაზე კი არა, არამედ გონივრულად ხარჯვის შესაბამისად. ჭკვადამთხვეულს ძალუძს ზღვაში გადაყაროს ოქროს ზოდები და თქვას, მათი მზერით დავტკბიო; ოღონდ განა შეიძლება შევადაროთ ესოდენ საშინელი განცხრომა იმ სიხარულს, რასაც განიცდიდა გონიერი ადამიანი ამ ოქროს ყველაზე უმცირესი ნაწილის დახარჯვით? სიამოვნება და განცხრომა ბედნიერებად რომ გადაიქცეს, ამისათვის აუცილებელია მხოლოდ წესრიგი, იმის უნარი, რომ უფრო მეტად და მტკიცედ ვისარგებლოთ სიკეთით. უკეთუ ნივთების ჭეშმარტი ბატონ-პატრონი მათი მოხმარების ჟამს უფრო ვართ, ვიდრე შეძენისას, მაშინ რაიღა უნდა იყოს უფრორე მნიშვნელოვანი ოჯახის უფროსისათვის, ვიდრე მისი შინამეურნეობა და კარგად დალაგებული ოჯახი, სადაც ყველაზე სრულყოფილი ურთიერთობანი უშუალოდ ექვემდებარება მას, და სადაც ოჯახის ყველა წევრთა კეთილდღეობა ზრდის და ამრავლებს მის საკუთარ კეთილდღეობას.

განა ყველაზე მდიდრები ყველაზე ბედნიერი ადამიანები არიან? სიკეთეთა სიუხვე არის თუ არა ბედნიერება? ოღონდ ყოველი კარგად მოწყობილი სახლი პატრონის სულის სახეს წარმოაჩენს. მოოქრული ლავგარდანები, ფუფუნება და სისალუქე ღაღადებენ მარტოოდენ მის პატივმოყვარეობას, ვინაც ისინი საჩვენებლად გამოაფინა. მაგრამ ყველგან, სადაც კი დაინახავთ, რომ სახლში სუფევს გულხალვათი წესრიგი, ლაღი სიმშვიდე და ზომიერი სიმდიდრე, დარწმუნებით წარმოთქვით: რა ბედნიერია ის, ვინც აქაურობას განაგებსო.

რაც შემეხება მე, ასე ვფიქრობ, შინაურთა წრეში განმარტოებული ცხოვრება სულიერი კმაყოფილების ყველაზე უტყუარი ნიშანია. და ის კაცი, ვინც წამდაუწუმ კარდაკარ დადის და ეძიებს სიხარულს, შინ ამ სიხარულს მოკლებულია. ოჯახის მამა, რომელსაც სიამოვნებს საკუთარ კერასთან ყოფნა, თავის სახლის გამო განუწყვეტელი მზრუნველობის სანაცვლოდ მარადჟამს განიცდის სანეტარო გრძნობას, რასაც გვინერგავს ბუნება. ყველა მოკვდავთაგან ერთადერთი იგია თავისი ნეტარების შემქმნელი, ვინაიდან ბედნიერია, ვითარცა თავად ღემრთი და იმის მეტი აღარაფერი უნდა რა, რაც აქვს და მოეპოვება; როგორც ეს დაუსაბამო არსება, იგი არც კი ფიქრობს თავისი ადგილ-მამულის გაფართოებას, არამედ ცდილობს, ნამდვილად თავის საკუთრებად გაიხადოს იგი და დაამყაროს იქ ყველაზე სრულყოფილი ურთიერთობა და ყველაზე გონივრული მართვა-გამგეობა. და თუ არ მდიდრდება ახალ-ახალი ნივთების შეძენით, მაინც უფრო მდიდარი ხდება და უკეთ ფლობს მას, რაც ხელთა აქვს. განაგებდა მხოლოდ თავისი ადგილ-მამულის შემოსავალს, ახლა კი სარგებლობს თვით ამ ადგილ-მამულით, ხელმძღვანელობს მის დამუშავებას და გამუდმებით თავს ევლება. მსახური მისთვის გარეშე ვინმე იყო, ახლა კი ახლობლად, თავის პირმშოდ, თავის საკუთრებად გაუხდია. მას ჰქონდა უფლება მხოლოდ მოეთხოვა მსახურისაგან ესა თუ ის მოქმედება, ახლა კი იძენს უფლებას მის გულისწადილზე ზემოქმედების მოსახდენად. იყო ბატონი მარტოოდენ ფულის ძალაუფლების გამო, ახლა კი ხდება ბატონად პატივსიცემისა და ქველკეთილობის წმიდათაწმიდა ძალაუფლებით. დაე, ბედმა წარსტაცოს სიმდიდრე და დოვლათი, არ ძალუძს წაართვას სიყვარულით აღსავსე ადამიანთა გული, ვერ წაართმევს შვილებს მათ მამას; მთელი განსხვავება ისაა, რომ გუშინ ის ასაზრდოებდა მათ, ხვალ კი ისინი გამოკვებავენ მას. აი, როგორ ვსწავლობთ ჭეშმარიტი სიხარულის პოვნას ჩვენს ქონებაში, ჩვენს ოჯახსა და საკუთარ თავში. აი, როგორ ხდება სასიამოვნო ოჯახური ცხოვრების წვრილმანები წესიერი ადამიანისათვის, ვისაც გაეგება მათი ფასი: იგი არათუ მძიმე ტვირთად მიიჩნევს თავის სახლს, ის ხედავს იქ თავის ბედნიერებას, ხოლო ოჯახის უფროსის საგულისგულო და კეთილშობილური ვალდებულებები აღავსებენ სიამაყითა და იმის სასიხარულო შეგნებით, მე კაცი ვარო.

უკეთუ ეს ძვირფასი სიამენი უგულებელყოფილია ანდა ცოტა ვინმესთვის თუა ცნობილი, და თუკი ის რამდენიმე ადამიანიც, რომელნიც ეძიებენ მათ და იშვიათად მოიხელთებენ, – ყოველივე ეს ერთი და იმავე მიზეზისაგან გამომდინარეობს. არსებობენ უბრალო და მასთან ერთად მაღალი ვალდებულებები, რაც ბევრს როდი ძალუძს შეიყვაროს და შეასრულოს. ასეთია ოჯახის უფროსის ვალდებულებანი, – მათთვის მიუღებელია ორმოტრიალი, მაღალი საზოგადოების ფუსფუსი და ადამიანი უფრორე ძნელად ართმევს თავს ამ მოვალეობათ, თუკი მათი შესრულებისთვის აღძრავს მხოლოდ სიძუნწე და ანგარება. ასეთ ვინმეს კარგი ოჯახის მამად მიაჩნია თავი, სინამდვილეში კი მარტოოდენ ფხიზელი მნეა. შესაძლოა, მისი ქონება აყვავდეს და გაიფურჩქნოს, ხოლო სახლი ძალზე ცუდად იქნება მოწყობილი. უნდა გვქონდეს უფრორე დიადი შეხედულებები იმისათვის, რათა წარვმართოთ და ვუხელმძღვანელოთ ასეთ მნიშვნელოვან საქმეს და ბედნიერად და წარმატებით დავაგვირგვინოთ იგი, ვინც

ზრუნავს წესრიგისათვის თავის სახლში, ყველაზე უწინ ამ სახლში უნდა შეუშვას მხოლოდ ღირსეული ადამიანები, რომლებიც ფარულად როდი ცდილობენ წესრიგის დარღვევას. ოღონდ განა მონობა და წესიერება იმდენად ეხამება ერთმანეთს, რომ შესაძლო იყოს მსახურთა შორის წესიერი ადამიანების გამონახვა? არა, მილორდ, ისინი რომ ჰყავდეს ადამიანს, ძებნა კი არაა საჭირო, არამედ მათი შექმნა, და მხოლოდ კარგ ადამიანს შესწევს ოსტატობა – განკარგოს სხვებიც. დაე, თვალთმაქცი ეცადოს სათნოების კილოთი ლაპარაკს, მას არ ძლუძს დანერგოს ამ სათნოების სიყვარული, და თუ ვინიცობაა რომელიმემ მოახერხა შეეყვარებიან ვინმესთვის სათნოება, – ეს იმას ნიშნავს, რომ თავად შეიყვარა იგი. აბა, რაიღა ბედენაა მუდამჟამს საკუთარი მაგალითით უარყოფილი გულცივი დარიგებანი, შთამაგონებელი იმ აზრისა, რომ ის, ვინაც კითხულობს ამ შეგონებებს, თვალთმაქცობს და სარგებლობს ადამიანთა გულუბრყვილობით? რა უდიდეს სისულელეს სჩადიან მქადაგებელნი, როცა გვაფიცებენ მივდიოთ მათ სიტყვით და არა საქმით! ვინც არ იცის ის, რის გამოც ლაპარაკობს, ვერასოდეს იტყვის ამას კარგად, ვინაიდან მის სიტყვებს აკლიათ გულწრფელობა, ხოლო მარტოოდენ ეს სწვდება გულში და არწმუნებს ადამიანს. მე არაერთხელ მომიხდა იმ ტლანქ შემაგონებელ სიტყვათა მოსმენა, რომელსაც წარმოთქვამენ მსახურთა ანდა ბავშვების თანდასწრებით, რათა არაპირდაპირი გზით, ნართაულად, მისცენ მათ გაკვეთილი. არც ერთი წუთით არა მჯეროდა, რომ მოხერხდა მათი მსმენელების მოღორება, მუდამ ვამჩნევდი, რომ ისინი ქვეშ-ქვეშ დასცინოდნენ უნიჭო დამრიგებელს, რომელსაც რეგვენებად მიაჩნდა ისინი და ტლანქად წარმოთქვამდა მათ წინაშე მორალის წესებს, თუმცაღა თავად იმ წესებს სრულიადაც არ მისდევდა, რაც გარშემომყოფთათვის კარგად იყო ცნობილი.

ყველა ეს ამაო ოინბაზობა ამ სახლში არაა ცნობილი. და აქაურ ბატონთა დიდი ოსტატობა, რათა ისეთი გახადონ თავიანთი მსახურნი, როგორებადაც სასურველია მათი ხილვა, მდგომარეობს იმაში, რომ ბატონები წარმოადგენენ თავიანთ თავს მსახურთა წინაშე ისეთებად, როგორებიც არიან სინამდვილეში. მათი ყოფაქცევა ყოველთვის პირდაპირია და გულღია, რადგან არ ეშინიათ, რომ მათი საქციელი ეწინააღმდეგება საქმეს. საკუთარი მორალი არ განსხვავდება იმ მორალისაგან, როგორის შთაგონებასაც ცდილობენ სხვებისათვის, ამიტომაც არ ესაჭიროებათ მეტისმეტი წინდახედულება სიტყვათა წარმოთქმისას; გაუფრთხილებლად დაცდენილ სიტყვას არ ძალუძს პრინციპთა დამხობა, რომელთა დადგენასაც ისინი ცდილობდნენ. როდი ლაპარაკობენ მოურიდებლად ყველა თავიანთ საქმეთა გამო, მაგრამ თავისუფლად მეტყველებენ თავიანთ წესებზე, სერობისას, გასეირნების ჟამს, პირისპირ ვინმესთან მარტო დარჩენილნი, ანდა ყველას თანდასწრებით ერთნაირი ენით მეტყველებენ; ყველაფრის გამო უზაკველად ლაპარაკობენ იმას, რასაც ფიქრობენ, და თუმცა არავის დამოძღვრას არა ცდილობენ, მაგრამ თითოეული პოულობს მათ სიტყვებში რაიმე სამოძღვრებოს. ვინაიდან მსახურნი აქ ვერასოდეს დაინახავენ, რომ ბატონს თავისი საქციელით პირდაპირობა, პატიოსნება და სამართლიანობა არ გამოეჩინოს, ამიტომ როდი მიიჩნევენ ისინი პატიოსნებას როგორც ღარიბ-ღატაკთა მძიმე მოვალეობას, როგორც ბედკრულთა ქედზე დადგმულ უღელს, როგორც მათი მდგომარეობის ერთ-ერთ უბედურებას. არიან ისეთი პატრონები, რომელთაც არა სურთ ამაოდ არბენინონ მოსამსახურენი და აიძულონ მთელი დღეები უსარგებლოდ დაკარგონ ყოველდღიური ხელფასის მიღების ცდაში; მათი ზრუნვა ასწავლის მსახურთ შეიგრძნონ დრო-ჟამის ყადრი. როცა ხედავენ, პატრონი ჩვენს დროს უფრთხილდებაო, თითოეული მათგანი ფიქრობს, დროს ჩვენც უნდა გავუფრთხილდეთო, და უდიდეს დანაშაულად მიაჩნიათ მცონარეობა. მათი პატიოსნების მიმართ რწმენა ძალას მატებს შინ დამყარებულ წესრიგს და წინასწარ აღკვეთს ბოროტმოქმედებებს. მსახურთ როდი აქვთ იმის შიში, ჯილდოთა ყოველკვირეული დარიგებებისას დიასახლისი

აუცილებლად დაასკვნის, ყველაზე ახალგაზრდა და ჯანიანი მუშაობაშიც ყველაზე გულმოდგინე იყოო. მოხუც მსახურს არ ეშინია, რაიმე საბაბით შეეცდებიან, ხელფასის კუთვნილი დანამატი წამართვანო. აქ არავინ იმედოვნებს ისარგებლოს სახლში ატეხილი აყალმაყალით და ვერც თავის დამსახურებაზე ტრაბახით მიიღებს ერთისაგან იმას, რასაც უარსა ჰყოფს მეორე; ვინც დასაქორწინებელნი არიან, არ ეშინიათ, ვაითუ ბატონებმა ხელი შეგვიშალონ ჩვენი ცხოვრების მოგვარებაშიო, და ჩვენი დაკავება უფრო დიდხანს მოისურვონო, – ამრიგად, გულმოდგინებას მათთვის ზიანი როდი მოაქვს. თუ ვინიცობაა, რომელიმე გარეშე ფარეში მოვა და ეტყვის ამ სახლის მსახურთ, ბატონსა და მის მსახურთ მუდამჟამს ომი აქვთ ერთმანეთთან გამართულიო, როცა მსახურნი ბატონს მიაგებენ ყველაზე დიდ ბოროტებას, რის უნარიც კი შესწევთ, ამას უფლებისდამიხედვით სჩადიანო, და რაკი ყველა ბატონი უზურპატორი, მატყუარა და გაიძვერაა, ცუდი არ იქნება, ისევე მოვექცეთ მათ, როგორც ისინი ეპყრობიან ხელმწიფეს ანდა ხალხს, ან კერძო პირებს, და მარჯვედ მივაგოთ მათ ყველა ბოროტების სამაგიერო, რასაც სჩადიან ისინი აშკარად, როცა სარგებლობენ თავიანთი ძლიერებითო, – ვინც ასეთ ლაპარაკს გაბედავს, მას არავინ მოუსმენს; აქ არავის ესაჭიროება მსგავსი სიტყვების წინააღმდეგ ბრძოლა ანდა მათი უარყოფა, დაე, ასეთი საქმით თავი გაირთონ იმათ, ვინაც აქეზებს მსგავს ქადაგებებს.

აქ მორჩილება არასოდეს არაა უსიხარულო ანდა მტრული, რადგანაც ბრძანებებში როდი ჩანს ქედმაღლობა ან რაიმე უხიაკობა, აქ მოითხოვენ მხოლოდ და მხოლოდ გონივრულს, მხოლოდ სასარგებლოს და პატივსა სცემენ ადამიანის ღირსებას, თუნდაც ის ხელქვეითი იყოს, აიძულებენ გააკეთოს მხოლოდ ის, რაც არაფრით ამცირებს მას. გარდა ამისა, აქ დამამცირებლად მიიჩნევენ მარტოოდენ ბიწიერებას, ხოლო ყოველივე ის, რაც სასარგებლოა და სამართლიანი, აღიარებულია როგორც წესიერი და მართებული.

რამდენადაც აქ ვერ იტანენ ვერავითარ ინტრიგას, არც არავინ ცდილობს მის წამოწყებას. აქ მსახურთ კარგად იციან, რომ მათთვის ყველაზე საიმედოა – თავიანთი ბედი პატრონის ბედს დაუკავშირონ, რადგან ისინი არასოდეს იქნებიან ხელმოკლენი, სანამ პატრონის სახლი დოვლათითაა სავსე. მაშასადამე, როცა პატრონს ემსახურებიან და ამრავლებენ მის დოვლათს, ისინი თავიანთ თავზე ზრუნავენ, რაც სასიამოვნოს ხდის მათ მუშაობას; სწორედ ეს არის ყველაზე დიდი სარფა მათთვის. ოღონდ, მართლაცდა, ეს სიტყვა აქ სრულიად უადგილოა, – ჯერ არასოდეს მინახავს გონივრულად წარმართული პირადი ინტერესების მეოხებით ასე კარგად მოწყობილი სახლი, სადაც სარფასა და გამორჩენას მაინც ესოდენ ცოტა გავლენა ჰქონდეს მსახურებზე: აქ ყველაფერი ერთგულებით კეთდება. შეიძლება ვიფქიროთ, ამ მოჯამაგირეთა სული გონების და თანხმობის მეშვეობით იწმინდება და უფრო სპეტაკი ხდებაო, თითქოსდა პატრონისა და დიასახლისის განათლებულობის რაღაც ნაწილაკი გადაეცაო მსახურთ, – იმდენად უფრო ჭკვიანი, კეთილმოსურნე, პატიოსანი და შინამსახურთათვის ჩვეულ დონეზე ყოველმხრივ უფრო მაღლა მდგომნი გეჩვენებიან ისინი. საკუთარი ღირსების შეგნება, პატივთა და კეთილგანწყობილებით სარგებლობა – აი, მათი პატივმოყვარეობის თავი და ბოლო; მათთვის არანაკლებ ძვირფასია კეთილი სიტყვა, ვიდრე საახალწლოდ მიღებული საჩუქრები.

აი, მილორდ, ჩემი უმთავრესი დაკვირვებანი აქაური ცხოვრების ხასიათის იმ მხარის გამო, რაც ეხება მსახურთ და საერთოდ მოჯამაგირეებს. რაც შეეხება ბატონთა კარგი ცხოვრების ნირსა და წესს, მასთან ბავშვთა აღზრდასაც, ყოველი ეს საგანი ცალკე წერილს იმსახურებს. თქვენ უწყით, რა განზრახვითაც გადავწყვიტე გამცნოთ ჩემი დაკვირვებანი: მერწმუნეთ, აქ ყოველივე საუცხოო სურათს წარმოადგენს, და ესოდენ სასიამოა მათი ყურება! შენს უნებურად გსიამოვნებს ეს და უანგაროდ გახარებს ყველაფერი.

XI წერილი

მილორდ ედუარდისადმი

დიახ, მილორდ, ჩემს სიტყვებს უარს როდი ვყოფ: ყველაფერში, რასაც ამ სახლში ამჩნევ, სასიამო ეხამება სასარგებლოს; ოღონდ გამოსადეგი საქმიანობა როდი იფარგლება სარფიანობის გამო ზრუნვით; აქ შედიან ყოველგვარი უწყინარი და უბრალო სიამენი, რომლებიც უნერგავენ ადამიანს განცალკევებული ცხოვრების, შრომისა და ზომიერების მიდრეკილებას, და იმას, ვინაც ასეთ ცხოვრებას ეწევა, შეუნარჩუნდება სულიერი სიჯანსაღე და მათ გულს აღარ აღაბორგებს ვნებათა გიჟური ლტოლვა. უდარდელი მცონარეობა წარმოქმნის დარდსა და სევდას, ხოლო განსაცხრომელი მოცალეობის სიმშვენიერე შრომისმოყვარული ცხოვრების ნაყოფია. ადამიანები განცხრომისათვის მუშაობენ; შრომისა და სიამტკბილობათა მონაცვლეობა ნამდვილად აუცილებელია ჩვენთვის. შრომაზე არანაკლებ საჭიროა ადამიანისათვის შემდგომი შრომისათვის ძალისა და ღონის მომცემი დასვენება.

საკმარისად ვიგემე სახლის შინაგანაწესზე ოჯახის ღირსეული დედის წინდახედული მზრუნველობის ნაყოფი და დავინახე, თუ რას აყოლებს გულს და როგორ ერთობა განმარტოებულ კუთხეში, გასეირნებათა საყვარელ ადგილას, რომელსაც თავის ელიზიუმს უწოდებს.

უკვე ორი დღეა მესმის ლაპარაკი ამ ელიზიუმის გამო, ოღონდ ჩემგან რაღაც საიდუმლო ბურუსით ფარავენ მას. დაბოლოს გუშინ, ნასადილევს, როცა ეზოსა დ ა სახლში თითქმის ერთნაირი ხვატი იდგა, ბ-ნმა დე ვოლმარმა ცოლს შესთავაზა შეესვენებინა და, ბავშვთა ოთახში წასვლის ნაცვლად, სადაც ჩვეულებისამებრ საღამომდის რჩებოდა, ჩვენთან ერთად ბაღში წამოსულიყო სუფთა ჰაერზე; ჟიულიც დათანხმდა და ყველანი ერთად გავემართეთ.

ეს ადგილი სულ ახლოსაა სახლთან, ოღონდ ისე კარგადაა დაფარული მყუდრო ხეივნით, რომლის უკანაც მიმალულა იგი, რომ არც ერთი მხრიდან არა ჩანს. გარშემომდგარ ხეთა ხშირი ფოთლები არ განებებენ მის ცქერას, ხოლო შესასვლელი კარი გასაღებითაა ჩაკეტილი. როგორც კი შევედი კუტიკარში, რომელიც შენიღბული იყო თხმელისა და თხილნარის რტოებით, ხოლო სხლტეში მარტოოდენ ორი ვიწრო გასასვლელი იყო დატოვებული, უმალ უკან მივიხედე და უკვე ვეღარ აღმოვაჩინე ის კუტიკარი, საიდანაც აქ შემოვაღწიე, თითქოს ციდან ვიყავი ჩამოფრენილი.

ის-ის იყო ამ ეგრეთ წოდებულ ელიზიუმში ამოვყავი თავი, უმალვე შევიგრძენ ხეთა ხშირი ჩეროდან მონაბერი სასიამოვნო გრილი სიო, აღმაფრთოვანა ლორთქო ბალახისა და ყველგან მიმობნეულ ყვავილთა ხასხასა ფერებმა, ნაკადულის ლუკლუკმა და უამრავ ფრინველთა გალობამ; აქ ყველაფერი მოქმედებდა ჩემს წარმოდგენასა და გრძნობებზე, და იმავ დროს ასე მეგონა, ვხედავ-მეთქი სავსებით უდაბურ ადგილს, ბუნების განმარტოებულ კუნჭულს, და მე პირველი მოკვდავი ვარ, ამ უკაცრიელ მიდამოში რომ შევიჭერი-მეთქი. მოულოდნელი სანახაობით გაოცებული, განცვიფრებული და აღფრთოვანებული, ერთი წამით გავინაბე და აღტაცებისაგან უნებურად წამოვიძახე; „ო, ტინიანო, ო, ხუან ფერნანდესო,[100] ჟიული, ქვეყნიერების ყველაზე შორეული კუთხენი ორ

[100] სამხრეთ ზღვის უდაბური კუნძულები, როლებიც საქვეყნოდ ცნობილნი გახდნენ ადმირალ ანსონის მოგზაურობის შემდეგ.

ნაბიჯზეა თქვენგან!..“ „ბევრი მეუბნება თქვენსავით მაგას, – ღიმილით წარმოთქვა ჟიულიმ, – ხოლო როგორც კი ოციოდე ნაბიჯს წარსდგამენ, კვლავ თვალწინ გადაეშლებათ კლარანი. ვნახოთ, დიდხანს თუ გასტანს ეს თილისმა. ეს ხომ იგივე ბაღია, სადაც დასეირნობდით ოდესმე და სადაც ჩემს მამიდაშვილთან ნიჩბებით კენწლაობდით. თქვენ ხომ იცით, რა მეჩხერი ბაღი იყო აქ, სულ რამდენიმე ხე, და ძალზე ცოტა ჩრდილს ჰფენდნენ, წყალი სულ არ იყო. ახლა კი აქ ყველაფერი ნორჩია და ამწვანებული, ქორფა მცენარეულობით დაყურსული, ყველაფერი მორთულ-მოკაზმულია და დაფენილი ყვავილებით, მორწყულია გრილი ნაკადულით. აბა, როგორ ფიქრობთ, რა დამიჯდებოდა ამ ადგილის ასე მორთვა-მოკაზმვა? ისიც უნდა უწყოდეთ, მე გავხდი ამ კუთხის მთავარი გამგებელი და ქმარმაც ჩემს განკარგულებაში გადმომცა იგი“. „მაგრამ, მე რომ მკითხოთ, – შევესიტყვე მე, – მასზე დიდი ჯაფა როდი გაგიწევიათ. ეს კუთხე, რასაკვირველია, ძალზე მომხიბვლელია, მაგრამ მოუვლელია და უდაბური. არსადა ჩანს ადამიანის შრომის ნიშან-კვალი. თქვენ ჩაკეტეთ ჭიშკარი: რაღაცნაირად აქ მოვიდა წყალი, ყოველივე დანარჩენი თავად ბუნებამ დაამთავრა, მის საქმიანობას ვერასოდეს დაუდებდით ტოლს“. „ეს სწორია, – წარმოთქვა ჟიულიმ. – ყველაფერი ბუნებამ გააკეთა, ოღონდ ჩემი ხელმძღვანელობით, არაფერში არ ვაძლევდი თვითნებობის უფლებას... მაშ, კვლავ იმტვრიეთ თავი და გამოიცანით“. „ჯერ ერთი, – შევნიშნე მე, – არ მესმის, როგორ შეიძლება, თუნდაც ფულისა და შრომის გაღებით, დრო-ჟამის მუშაობის დაჩქარება. აი, ეს ხეები...“ „დაიცადეთ, – შემაწყვეტინა ბ-ნმა დე ვოლმარმა, – თქვენ, რასაკვირველია, შეამჩნიეთ, რომ ელიზიუმში ძალზე მაღალი ხეები ნაკლებადაა, – ისინი წინათაც იდგნენ აქ. გარდა ამისა, ჟიული შეუდგა აქ ხეების რგვას თავის გათხოვებამდე უფრო ადრე, თითქმის დედამისის გარდაცვალების უმალ, როცა მამასთან ერთად აქ ჩამოვიდა, განმარტოების მაძიებელი“. „ძალიან კარგი, – ვთქვი მე, – თქვენ გნებავთ, დამარწმუნოთ, რომ ეს ბუჩქნარები, ეს ვრცელი დაბურული ხეივნები, ეს ძეწნები, ეს ჩრდილისმომცემი ბურვილი გაიფურჩქნა და გაიშალა რაღაც შვიდ-რვა წელიწადში და აქ ჩაერია ადამიანის ოსტატური ხელი. ასე რომ ყოფილიყო, ეს ძალიან დიდი თანხა დაჯდებოდა. თუ ორი ათასი ეკიუ დახარჯეთ, რათა გაგეკეთებინათ ყოველივე ეს ამ მიწის ესოდენ ვრცელ მონაკვეთზე, მაშინა არც ისე ძვირი დაგჯდომიათ“. „თქვენ შეცდით სულ ორი ათასი ეკიუთი, – შემეპასუხა ჟიული, – ეს არაფერიც არ დამჯდომია“. „როგორ თუ არაფერი?“ „ჰო, არაფერი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ ამბავს, რომ ჩვენი მებაღე მუშაობს აქ წელიწადში თორმეტიოდე დღეს, და ამდენივე დროს ხარჯავს ორი-სამი ჩვენი მსახური, რამდენიმე დღეს მუშაობს აქ თავად ვოლმარიც, ვინაიდან ზოგჯერ არ თაკილობს ჩემი მებაღის თანაშემწის როლში გამოსვლას“. ვერაფერი გავიგე ამ გამოცანისა, მაგრამ ჟიულიმ, აქამდე სულ რომ არ მიშორებდა, უცბად შემომთავაზა მარტო დავდგომოდი ბილიკს. „წადით, – მითხრა მან, – ნახეთ და ყველაფერს მიხვდებით. მშვიდობით, ტინიანო, მშვიდობით, ხუან ფერნანდესო, მშვიდობით, ყველა მომხიბვლელობავ! ერთი წუთის შემდეგ დაბრუნდებით ცხრა მთას იქით მოგზაურობიდან“.

აღტაცებით შევუდექი ამ გარდაქმნილი ბაღჩის დათვალიერებას და ვერსად ვიპოვე ვერც ეგზოტიკური მცენარეულობა, ვერც ინდური ხილი, ირგვლივ მხოლოდ ადგილობრივი მცენარეები ამოსულიყო, ოღონდ ისე შერჩევით იყო განლაგებული, რომ უაღრესად სასიხარულო და სასიამო შთაბეჭდილებას ტოვებდა. მტკიცედ ნაქსოვ ხალიჩასავით განფენილ მწვანე დაბალ გაზონში ერთმანეთში არეულიყო ველთქონდარა, უკადრისა, ჩალამძივა, შავბალახა და სხვა სურნელოვანი ბალახები. აქ ნაირფეროვნად ელავდა და კაშკაშებდა უამრავი მინდვრის ყვავილი და მათგან თვალი სიამოვნებით გამოარჩევდა ზოგიერთ ბაღის ყვავილს, იფიქრებდით, მინდვრის ყვავილთა შორის ბუნებრივად აღმოცენებულანო. დროდადრო თავზე გადამეფარებოდა, ვით უღან ტყეში

მზის სხივთათვის მიუწვდომელი, დაბურულ რტოთა თალარი; ეს თალარი წარმოქმნილიყო ყველაზე აშოლტილ ხეთაგან, რომელთა რტოები მიწამდე დაეზნიქათ, და მებაღის ოსტატობით ფესვები გამოეღოთ, იმის მსგავსად, როგორც ეს ბუნებრივად ემართებათ მანგლიის რტოებს ამერიკაში. ყველაზე ღია ადგილებში დავინახე უწესრიგოდ და უსიმეტრიოდ მიყრილ-მოყრილი ვარდების, ჟოლოს, მოცხარის ხშირი ბუჩქები, იასამნის, თხილნარის, ანწლის, უცვეთელას, კურდღლისცოცხასა და სამყურას მთელი შამბნარი, რომლებიც ამკობენ მიწას და ანიჭებენ მას პირველქმნილი ყამირის სახეს. ვხეტიალობდი ამ აყვავებული ჩირგვნარით მოარშიებულ კლაკნილ და ირიბულ ბილიკებზე, ფათალოს, უსურვაზის, სვიის, საპოვნელას, ბრიონის, კატაბარდისა და სხვა ხვიარა მცენართა საუცხოო ყვავილწნულების ჩეროში, რომელთა შორის ღირსად ეცნოთ და თავიანთი რტოები ჩაეწნათ უსურვაზსა და უცვეთელას. ეს ყვავილწნულები, რომელნიც თითქოსდა დაუდევრად იყვნენ გადასროლილნი ერთი ხიდან მეორეზე, როგორც არაერთხელ დამინახავს ტყეებში, ჩვენს თავს ზემოთ ქმნიდნენ ხოლმე მზისაგან დამცველ რაღაც საბურველს; ფეხქვეშ სიმშრალე იყო, და რა კარგი და სასიამო გახლდათ რბილ ხავსზე ფეხის დაბიჯება, ისე, რომ არ ეფლობოდით სილაში, ფეხთ არ გებლანდებოდათ ბალახი და არც როკებიან ლერწებს ეხლებოდით თავით. და მხოლოდ მაშინ ოდნავი გაოცებით შევამჩნიე, რომ დიდებულიმწვანე ბალდახინები, შორიდან ესოდენ შთამაგონებელ შთაბეჭდილებას რომ ახდენდნენ, წარმოქმნილი იყო ხვიარა პარაზიტულ მცენარეთაგან, რომლებიც გარს შემოკვროდნენ ხეებს, დაეყურსათ მათი წვეროკინები ხშირფოთლოვანი გვირგვინებით და მათ ქვეშ ჰფენდნენ ჩრდილსა და სიგრილეს. ისიც კი შევნიშნე, რომ საკმაოდ უბრალო მოწყობილობათა საშუალებით ზოგიერთ ამ მცენარეს ზედ ხის გულში გაედგა ფესვი და ამიტომაც უფრო მოკლე გზას გადიოდა, სამაგიეროდ, უფრო შორს აწვდენდა ყვავილწნულთ. თქვენ, რასაკვირველია, იცით, რომ მსგავსი შამბნარი არც ისე უწყობს ხელს ხეხილნარს, მაგრამ ეს კუნჭული ერთადერთია ამ მთელ მამულში, სადაც გამოსადეგი გასწირეს განსაცხრომელის გამო, ხოლო ყველა დანარჩენ ადგილზე ისე გულმოდგინედ უვლიან კენკროვანთა ბუჩქებს და ხეხილს, რომ ხილისა და კენკროვანთა ამ ბაღის გარდა აქ საკმაოდ ბევრ ხილსა კრეფენ, კიდევ უფრო მეტს, ვიდრე წინათ. აბა, მოიგონეთ, რა სასიხარულოა, როცა ტყეში იპოვი მაჟალო ვაშლის ანდა პანტა მსხლის ნაყოფს და პირს გაისველებ, და მიხვდებით, როგორი სიამოვნებით პოულობენ ამ ხელოვნურ უდაბნოში ჩინებულ მწიფე ნაყოფს, თუმცა ისინი იშვიათად გვხვდებიან და შესახედავადაც სავსებით ართვალნი არიან. მაგრამ იმის გამო, რომ გვიხდება ძებნა და არჩევა, სიამოვნება მხოლოდ ორკეცდება.

ყველა ამ ვიწრო ბილიკთა გასწვრივ მდინარებდნენ, ხოლო აქა-იქ გადაჭრიდნენ კიდეც მათ, ანკარა, სუფთა ნაკადულები; ისინი ხან თითქმის შეუმჩნევლად მიძვრებოდნენ ბალახებსა და ყვავილებს შორის, ზოგჯერ ერთდებოდნენ უფრო მოზრდილ რუებად და მიისწრაფოდნენ სპეტაკ და ფერადოვან კენჭებში, რის გამოც უფრო მიმზიდველნი ჩანდნენ. აქა-იქ მიწიდან ამოჩქეფდნენ ბობოქარი ბინულები, ხოლო ალაგ-ალაგ, უფრო ღრმა თხრილებში, მშვიდ, წყნარ ნაკადულებში მკაფიოდ ირეკლებოდა ირგვლივმდებარე საგანთა გამოხატულება... „ახლა კი მიგიხვდით, – ვუთხარი ჟიულის, – ოღონდ ყველა ეს წყალი, რომელთაც აქ ყოველგან ვხედავ...“ „ისინი აი, იქიდანაა წამოღებული, – წარმოთქვა ჟიულიმ და მიმითითა იქითკენ, სადაც გაებერკნათ მომცრო მოედანი ვოლმართა ბაღში. – ჩვენ გამოვიყენეთ სწორედ ის ნაკადული, რომელიც იძლევა ესოდენ ძვირად ღირებულ წყალს ჩვენი ყვავილნარის მშვენების – შადრევნისათვის, თუმცა არავის აინტერესებს იგი. ბატონ დე ვოლმარს არა სურს შადრევნის დანგრევა მამაჩემის პატივისცემის გამო, რომელმაც ბრძანა მისი აგება; ოღონდ რა სიამოვნებით მოვეშურებით აქ ყოველდღე და ვტკბებით, როგორ მჩქეფარებს აქ წყალი, რომელსაც ზედაც კი არ ვუყურებთ ჩვენს დიდ

ბაღში. შადრევანი იფრქვევა გარეშე პირთათვის, ნაკადული მდინარებს ჩვენთვის. მართალია, მას შევუერთე საზოგადო წყალსაცავის წყალი, რომელიც ტბაში ჩადიოდა, მაგრამ გზად შუაზე კვეთდა დიდ შარას, გადარეცხავდა მას გამვლელთა საზარალოდ და ნამდვილად ზიანს აყენებდა ყველას. წნორების ორ მწკრივს შორის ჩამდინარე ეს ნაკადული ჩემს ბაღთან ახლოს უხვევდა, მე ჩავკეტე იგი ჩემს სამფლობელოში და ახლა წყალმა შემოვლითი გზით იწყო დენა.

დავრწმუნდი, თავი და თავი ის იყო წყალი მომჭირნედ დამეხარჯა. მომცრო ნაკადული კლაკნილ ტოტებად დამეყო, ხოლო ალაგ-ალაგ შემეერთებინა ეს ტოტები, მდინარების შესაყოვნებლად შეძლებისამებრ შემემცირებინა დაქანება და აქა-იქ მომეწყო პატარა წყალვარდნილები, რომლებიც ყურთასმენას დაატკბობდნენ თავიანთი ჩქრიალით. ნაკადულის კალაპოტი დაფარულია თიხის ფენით, რაზედაც დაყრილია ერთი გოჯის სისქე ხრეში, ხოლო გარშემო მიმოფანტულია ნიჟარები. ნაკადულის ტოტები აქა-იქ ფართო კრამიტით გადახურულ მომცრო თხრილებში მიწანწკარებენ, მიწა და ბელტები აყრია და გარეთ გამოსვლისას ხელოვნურ წყარობს ქმნიან. სიფონთა საშუალებით წყალი მაღლობ ადგილებზე აჰყავთ, საიდანაც მქუხარე ნიაღვრებად ეშვება ძირს. ასეთი ხერხით გაგრილებულ და დალტობილ ადგილას სულ ახალ-ახალი ყვავილები იზრდებოდა, მიწა მუდამ საუცხოო მწვანე ბალახით იყო დაფარული“.

რაც მეტს ვხეტიალობდით ესოდენ მშვენიერ სავანეში, მით უფრო იზრდებოდა აღფრთოვანება, აქ შემოსვლისას რომ დამეუფლა. დამძლია ცნობისმოყვარეობამ და იმის დანახვა უფრო მწადდა, რაც გარშემო იყო, ვინემ შეცნობა ჩემივ შთაბეჭდილებებისა, თანაც მსიამოვნებდა ამ მომხიბვლელი სურათის ცქერა, და თავს აღარ ვიწუხებდი არავითარი ფიქრითა და დარდით. მაგრამ ქალბატონმა დე ვოლმარმა გამიფანტა ოცნებები, მკლავში მკლავი გამომდო და მითხრა: „თქვენ აქ ხედავთ მხოლოდ მცენარეულ და უსულო სამყაროს, ოღონდ რამდენიც უნდა ვეცადოთ, იგი მარად და მარად აღგვიძრავს მარტოობის სევდიან გრძნობას. წავიდეთ და ვნახოთ იქ, სადაც აღსავსეა სიცოცხლითა და აღფრთოვანებით, იქ, სადაც გვატყვევებს ცვალებადი სიმშვენიერით, რაიც სხვადასხვაგვარია დღის ყოველ გაელვებისას“. „თქვენმა ნათქვამმა საგონებელში ჩამაგდო, – ვუპასუხე მე, – ამაოდ არ ვუსმენ ყურთასმენის წამღებ და ხმაშეუწყობელ ჭიკჭიკს, ხოლო გარშემო სულ ვერა ვხედავ ჩიტებს, ალბათ, იქ ვოლიერი გაქვთ მოწყობილი“. „გამოიცანით, – მომიგო ჟიულიმ, – მაშ, მიუახლოვდით მას“. მე ჯერ კიდევ ვერ გადამეწყვიტა ჩემი აზრის გამოთქმა ვოლიერების გამო, ასე მეგონა, იგი სავსებით არ შეეფერება-მეთქი ყველა დანარჩენს ამ სავანეში.

კლაკნილი გზით დავეშვით ტაფობში, სადაც ბაღის მომრწყველი ყველა წყალი საუცხოო ნაკადულად იქცევა და ორივე მხარეს ჩამწკრივებული ბებერი წნორების შუა მოჩუხჩუხებს. ამ წნორებს, ეტყობა, გულდასმით სხლავენ. მათი გაძრცვილი ვარჯები და ტოტთა დაჩვრეტილი კენწეროები ქმნიდნენ თავისებურ ლარნაკებს, საიდანაც მებაღის ოსტატობის მეოხებით ყელყელაობდნენ ცხრატყავას ღეროები, – ზოგი მათგანი, ერთმანეთში ჩაწნულ-ჩახლართულნი, შემოხვეოდა მთელი ხის ტანს, ხოლო სხვებს ეშხიანად დაეხარათ თავი ნაკადულის ნაპირისკენ. ტაფობის სულ ბოლოს აგებულია წყლის ბალახებითა და ლელით დაბურული მომცრო წყალსატევი, სადაც წყურვილს იკლავენ ვოლიერის ბინადარნი; იგი წყალსაცავის მაგივრობასაც სწევს – ესაა უკანასკნელი ალაგი, სადაც ტბორდება ესოდენ ძვირფასი და მომჭირნეობით ნაგროვები წყალი.

წყალსატევს გადაღმა მდებარეობდა პატარა მოედანი, რომელიც მთავრდებოდა სხვადასხვა ჯიშის ხეებით დაფარული სოგორით, – ყველაზე მომცრონი მაღლა ხარობდნენ, ხოლო რაც უფრო უახლოვდებოდნენ სოგორის ძირს, მით უფრო მაღალი იყვნენ ეს ხეები, ასე რომ, ხეთა კენწეროების დონე თითქმის თანაბარი იყო, – ყოველ

შემთხვევაში, ჩანდა, ოდესმე გათანაბრდებოდა. წინიდან ხარობდა ათამდე ნორჩი ხე, სულ მალე ტანს რომ აიყრიდა, – თელა, წიფელი, იფანი, აკაცია. წარაფი, ამ სოგორს რომ ფარავდა, სწორედ იმ უამრავი ჩიტის თავშესაფარი გახლდათ, რომელთა ჭიკჭიკიც მოვისმინე შორიდან; ისინი შეფარებოდნენ ხშირ ფოთლებს, თითქოსდა დიდი ქოლგის ქვეშ იყვნენ შეყუჟულნი, ფრთხიალებდნენ, დაფრენდნენ ერთი ადგილიდან მეორეზე, გალობდნენ და ვითომც არც კი გვამჩნევდნენ. რომ მოვუახლოვდით, მხოლოდ ზოგიერთი მათგანი გაფრინდა. წინასწარ აკვიატებული წარმოდგენის თანახმად ვიფიქრე, გალიაში არიან გამოკეტილნი-მეთქი, მაგრამ როცა წყალსატევს მივუახლოვდი, დავინახე, რამდენიმე ჩიტი დაეშვა ძირს და გაირბინა მოკლე ხეივანი, მოედანს რომ შუაზე ჰყოფს და ვოლიერიდან სარწყულებისაკენ მიემართება. ბ-ნმა დე ვოლმარმა წყალსატევს შემოუარა, ჯიბიდან ამოიღო და ხეივანში მიმოფანტა ორი-სამი პეშვი სხვადასხვა მარცვლეულისაგან შემდგარი საკენკი; და როგორც კი უკანვე გამობრუნდა, ჩიტები იმწამსვე ჩამოფრინდნენ და ქათმებივით არხეინად შეუდგნენ მარცვლების კენკვას, – ჩანდა, მიჩვეულნი იყვნენ ასეთ მოპყრობას. „რა მშვენიერია! – წამოვიძახე მე, – თქვენს ბაგეთაგან ნათქვამმა სიტყვამ „ვოლიერმა“ ძალზე განმაცვიფრა, მაგრამ ახლა ჩემთვის ყველაფერი ნათელია. თქვენა გსურთ აქ გყავდეთ სტუმრები და არა ტყვეები“. „კი მაგრამ, ვის უწოდებთ სტუმრებს? – მკითხა ჟიულიმ, – ჩვენ თავადა ვართ მათი სტუმრები. ისინი არიან აქ მასპინძლები, და მათ ხარკს ვუხდით იმის გამო, რომ ხანდახან ითმენენ ჩვენს აქ ყოფნას“. „საუცხოოა, – შევნიშნე მე, – ოღონდ რანაირად დაიმკვიდრეს ეს ადგილი ფრთოსანმა მასპინძლებმა? როგორ მოახერხეთ ამდენი ჩიტის შეკრება აქ? არასოდეს მსმენია მსგავს ცდათა ამბავი და ვერც ვერასოდეს დავიჯერებდი, ეს წარმატებით რომ დაგვირგვინდებოდა, ახლა რომ არ მეხილა გასაოცარი დამამტკიცებელი საბუთი“.

„მოთმინებამ და შრომამ ჩაიდინეს ეს სასწაული, – წარმოთქვა ბ-ნმა დე ვოლმარმა, – ასეთ საშუალებებს სრულებითაც არ მიმართავენ სიამოვნებას დახარბებული მდიდრები. მათ მუდამ ეჩქარებათ განსცხრებოდნენ და მათთვის ცნობილია სასურველი მიზნის მისაღწევი მხოლოდ ორი საშუალება: ძალა და ფული; მათ ჰყავთ მგალობელი ჩიტები გალიაში, მათ უვისთ მეგობრები, თვეში უამრავი ფრანკი რომ უჯდებათ. ამ ადგილებს ფარეშები რომ მივუყენოთ, აქ ვერც ერთ ჩიტს ვეღარ იხილავდით, და უკეთუ ახლა აქ ბლომად ხედავთ მათ, ეს იმიტომ, რომ მუდამ აქ ბინადრობდნენ. ძნელია ჩიტების მიტყუება იქ, სადაც არ არიან ისინი, ოღონდ ერთი თუ შეეჩვივნენ, ძალიან ადვილია მათი გამრავლება; წინასწარ უნდა გავითვალისწინოთ ყოველი მათი მოთხოვნილება, არასოდეს დავაშინოთ და მივცეთ საშუალება უშიშრად გამოჩეკონ ბარტყები, არ დავუნგრიოთ ბუდეები, და მაშინ ბუდეს არც თავად მოიშლიან და მათთან კიდევ სხვებიც მოფრინდებიან. ეს წარაფი წინათაც იყო აქ, ოღონდ ბაღიდან ღობით იყო გამოყოფილი. ჟიულიმ მხოლოდ ღობის გარღვევა ბრძანა და წარაფს სხლტე შემოავლებინა, გააფართოვა და ახალი ხერგულებით მორთო და დაამშვენა. ხომ ხედავთ, ვოლიერისკენ გაწვდილი ხეივნის მარჯვნივ და მარცხნივ ბალახეულით, მარცვლოვანი და სხვა მცენარეებით შენაცვლებულად დათესილია ორი ყანა. ჟიულის ბრძანებით აქ ყოველწლიურად თესენ ხორბალს, ფეტვს, მზესუმზირას, კანაფსა და შვრიას, – საერთოდ ყოველნაირ მცენარეს, რომელთა მარცვლების კენკვაც უყვართ ჩიტებს, – და აქ არასოდეს თიბავენ ამ მცენარეებს. გარდა ამისა, თითქმის ყოველდღე, ზამთარ-ზაფხულ მე და ჩემს ცოლს მოგვაქვს მათთვის საზრდო, ხოლო თუ ვერ მოვალთ, მაშინ ფანშონს ვაგზავნით; როგორც ხედავთ, წყალი ორი ფეხის ნაბიჯზეა. ჟიულის მზრუნველობა იქამდე სწვდება, რომ ყოველ გაზაფხულზე გროვა-გროვად ალაგებს აქ ცხენის ძუას, ჩალას, მატყლს, ხავსს და ბუდის ასაგებად სხვა საჭირო მასალას. და აი, ასეთ მასალებთან მეზობლობა, საზრდოს სიუხვე, ადამიანთა

დიდი მზრუნველობა იმისათვის, რომ აქედან განდევნონ ჩიტთა მოდგმის ყველა მტერი,[101] მუდმივი სიმშვიდე, რითაც ტკბებიან აქ ფრთოსნები, ყოველივე ეს აღუძრავს მათ სურვილს დადონ კვერცხები ესოდენ მოხერხებულ ადგილას, სადაც არაფერი მოაკლდებათ და სადაც არავინ შეურაცხყოფთ. აი, ამის გამო მამათა სამშობლო შვილების სამშობლოც ხდება, ამიტომაც მრავლდებიან აქ ისინი“.

„აჰ! – წამოიძახა ჟიულიმ, – და მეტს ვეღარაფერს ამჩნევთ? ყოველი კაცი მხოლოდ თავის თავზე ფიქრობს! როგორ დაივიწყეთ განუყრელი ცოლ-ქმარნი, ჩიტების თავგამოდებული გულმოდგინება საოჯახო საქმიანობაში, თავიანთი ბარტყებისათვის მამობრივი და დედობრივი სათუთი მზრუნველობა? უნდა მოსულიყავით აქ ორი თვის უკან და მაშინ კი იხილავდით მომხიბვლელ სანახაობას, რაც დაატკბობდა მზერასა და ელასბუნებოდა თქვენს გულს უაღრესად სასიამო გრძნობის გამომჟღავნებით“. „ქალბატონო, – ძალზე სევდიანად წარმოვთქვი მე, – თქვენ მეუღლე და დედა ბრძანდებით, თქვენთვის, რასაკვირველია, გასაგებია ასეთი სიხარული“. ბ-ნმა დე ვოლმარმა მყისვე ჩამკიდა ხელში ხელი, მომიჭირა ზედ და მითხრა: „თქვენა გყავთ მეგობრები, და ამ მეგობრებს ჰყავთ შვილები. ვით შეიძლება თქვენთვის უცხო იყოს მამობრივი სიყვარული?“ შევხედე მას, შევხედე ჟიულის, მათ ერთმანეთს გადახედეს და ისეთი გულში ჩამწვდომი მზერით მიპასუხეს, რომ ორივეს მოვხვიე ხელი და გულაჩუყებულმა მივუგე: „თქვენი შვილები ჩემთვისაც ისევე ძვირფასია, როგორც თქვენთვის“. არ ვიცი, როგორ ხდება, რომ ერთ სიტყვას ძალუძს ძირფესვიანად შეძრას ადამიანის სული და გული, ოღონდ ამ წუთიდან ბ-ნი დე ვოლმარი სულ სხვა კაცად მეჩვენება, და ახლა უფრო ნაკლებ მიმაჩნია იმ ქალის ქმრად, ოდესღაც ესდენ რომ მიყვარდა, ვიდრე ორი ბავშვის მამად, რომელთათვის სიცოცხლესაც არ დავიშურებდი.

გადავწყვიტე გარს შემომევლო წყალსატევისათვის და ახლოს მეხილა მისი პაწაწინა ბინადრების მომხიბვლელი სავანე, მაგრამ ქალბატონმა დე ვოლმარმა დამიშალა. „ჯერ, – მითხრა მან, – არავის შეუწუხებია ჩვენი ჩიტები მათ სახლში, და ყველა სტუმართაგან თქვენ პირველი მოგიყვანეთ აქ. ღობეს დატანებულ კუტიკარს ოთხი გასაღები აქვს: ერთი მამაჩემმა შეინახა, მე და ჩემს ქმარს თითო გასაღები გვაბარია, მეოთხე კი – ფანშონს, ვინაიდან ის მეთვალყურეობს აქაურობას, და ზოგჯერ ბავშვებიც მოჰყავს, – ამ წყალობის ფასს აორკეცებს მოთხოვნა, რაც შეიძლება წინდახედულად მოიქცნენ, სანამ აქ იმყოფებიან. თავად გუსტენიც კი მხოლოდ რომელიმე ჩვენგანთან ერთად მოდის; და ისიც გაზაფხულის ორი თვის შემდეგ, რომელთა განმავლობაში მისი მუშაობა აუცილებელია ჩემს ბაღში, აქ იშვიათად თუ შემოიხედავს, ამ სავანეში თავად ვაკეთებთ ყველაფერს“. „ამრიგად, – შევნიშნე მე, – თქვენ შიშობდით, ვაითუ ჩიტები ჩვენი მონები გახდნენო, და თავად დაემონეთ მათ, არა?“ „როგორ გეტყობათ, რომ ტირანი ხართ, – მომიგო მან, – ტირანი, რომელიც ფიქრობს, სწორედ მაშინ ვტკბები თავისუფლებით, როცა სხვის თავისუფლებას ფრთებს ვაკვეცო“.

როცა უკანვე გამოვბრუნდით, ბ-ნმა დე ვოლმარმა ჩაყარა წყალსატევში ერთი მუჭა ქერი და, როცა შიგ ჩავიხედე, წყალში პაწაწინა თევზები შევნიშნე. „ჰოო! – უმალ წამოვიძახე მე, – თქვენ, როგორც ჩანს, ტყვეებიც გყოლიათ“. „დიახ, ეს სამხედრო ტყვეებია, რომელთაც სიცოცხლე შეუნარჩუნეს“, – მიპასუხა ბ-ნმა დე ვოლმარმა. „სავსებით სწორია, – დაუმატა მისმა მეუღლემ. – ამას წინათ ფანშონმა სამზარეულოდან წაიყვანა ყველა ნაფოტა თევზი და ჩემს დაუკითხავად მოიყვანა აქ. აქვე დავტოვე ისინი, რადგან ვშიშობდი, ფანშონს ვაწყენინებ, უკეთუ თევზებს ტბაში გავუშვებ-მეთქი, სჯობს მათ სივიწროვეში იცხოვრონ, ვიდრე ვაწყენინო ასეთ კარგ ქალს“. „მართალსა ბრძანებთ, – დავეთანხმე მე. –

[101] ზაზუნები, თაგვები, ჭოტები და, რაც მთავარია, ბავშვები.

და თევზებიც აღარ არიან შესაბრალისნი, რაკიღა ასეთი გაჭირვების ფასად ტაფაზე შეწვას თავი დააძვრინეს“.

„აბა, ახლა რასა ფიქრობთ? – მკითხა ჟიულიმ, როცა უკან ვბრუნდებოდით, – ისევ ქვეყნის დასალიერში იმყოფებით?“ „არა, – მივუგე მე, – საერთოდ სააქაოს კი არა, იმსოფლადა ვარ, თქვენ ჭეშმარიტად ელიზიუმში გადამიყვანეთ“. „ეს დიდებული სახელწოდება, ჟიულიმ თავის ბაღს რომ მიაკუთვნა, სავსებით იმსახურებს თქვენს დაცინვას, – შენიშნა ბ-ნმა დე ვოლმარმა. – მაგრამ მაინც შეაქეთ ეს ბავშვური თამაში და უწყოდეთ, რომ დედისა და დიასახლისის ვალი თავის დღეში არ დავიწყებია“. „ეს კარგად ვიცი, – ჩავილაპარაკე მე, – სავსებით მჯერა ეს, და ასეთი ბავშვური თამაშობანი გაცილებით უფრო მომწონს, ვიდრე მოზრდილ ადამიანთა გარჯა და ფუსფუსი. აქ მაინც ზოგიერთი რამ გაუგებარია ჩემთვის, – განვაგრძობდი მე, – იმისათვის, რომ ეს ადგილი ასე გარდაქმნილიყო, საჭირო შეიქნა მიწის გულდასმით დამუშავება; ოღონდ ასეთი შრომის უმცირეს ნიშან-კვალსაც კი ვერსად წავაწყდი. აქ ყველაფერი გადამწვანებულია, გაფურჩქვნილია, ირგვლივ შამბი და ბალახია მოდებული, არსაც ჩანს მებაღის ხელი და ყველაფერი მაფიქრებინებს იმას, უდაბურ კუნძულზე მოვხვდი-მეთქი, როგორც ეს პირველად მომეჩვენა, როცა აქ შემოვდგი ფეხი. ვერსად ვხედავ ადამიანთა ნაკვალევს“. „აჰ! – წამოიძახა ბ-ნმა დე ვოლმარმა, – აქ ძალიან ცდილობენ მაგ ნაკვალევთა წაშლას. ხშირად ვყოფილვარ ამ მცდელობათა მოწმე, ხოლო ზოგჯერ ასეთი თაღლითობის თანამონაწილეც. მთელი მამულის ხოდაბუნებზე ბალახია დათესილი, და როცა ის წამოიზრდება, სწრაფად ფარავს ნახნავის კვალს; მწირ, უნაყოფო ნიადაგიან ადგილებს ფარავენ სასუქის რამდენიმე ფენით; სასუქი ანადგურებს ხავსს, კვებავს მცენარეებსა და ბალახს; მასთან, სასუქისაგან ხეებიც საკმაო სარგებელს იღებენ და ზაფხულში ამ სასუქის კვალიც არა ჩანს. რაც შეეხება ხავსს, ბილიკებს რომ მოსდებია, მისი აღმოცენების საიდუმლო მილორდმა ედუარდმა გამოგვიგზავნა ინგლისიდან. აი, აქ ჩვენი ბაღი ორივე მხრიდან კედლით არის გადატიხრული, კედელი კი ხეხილის მწკრივებით კი არ შევნიღბეთ, არამედ დავრგეთ უამრავი სხვადასხვა ჯიშის ხე, ისე რომ ბაღის საზღვრები შეიძლება ტყის პირად მივიჩნიოთ. სხვა ორი მხრიდან მიუყვება ძალზე გაბარდნილი სხლტე, სადაც შევხვდებით თხმელასაც და კუნელსაც, ფითრსაც, ტაბლაყურასაც და სხვა ბუჩქებს, ყველას შენაცვლებთ, – სხლტე კი არა, უღრანი ტყე გეგონებათ. აქ ვერ ნახავთ ვერაფერს ლარივით გაჭიმულს, ვერავითარ მოშანდაკებულ რაიმეს; არასოდეს გაბმულა ამ კუთხეში მგეგმავის ლარი, ბუნება რომ არაფერს ზრდის ერთი საზომის მიხედვით; კლაკნილ ბილიკთა მოჩვენებითი უსწორმასწორობა მიღწეულია დიდი ოსტატობით იმისათვის, რომ გაფართოვდეს სასეირნო ადგილი, დაიფაროს „უკაცრიელი კუნძულის“ სიმცირე. კიდევ უფრო მოზრდილი გამოჩნდეს იგი და მასთან ერთად თავი დავაღწიოთ უხერხულ და მეტისმეტად ხშირ მოსახვევებს“.[102]

ყოველივე ამის დათვალიერებისას მაინც საკმაოდ უცნაურად მეჩვენა, რომ აქ ესოდენ გაისარჯნენ იმისათვის, რათა დაეფარათ გაწეული შრომა, ნეტავი ხომ არ აჯობებდა ხელი აეღოთ ასეთ გარჯაზე? „მიუხედავად იმისა, რაც გითხარით, – მომიგო ჟიულიმ, – თქვენ სჯით ამ გაწეულ შრომას მისი შედეგების მიხედვით. ოღონდ, მერწმუნეთ, ცდებით. ყოველივე, რასაც აქა ხედავთ, – ეგ გარეული ბალახი და ბუჩქნარი, ძლიერი და ჯანიერი შამბნარი, საკმაოა მარტოოდენ ჩაასოთ მიწაში და თავადვე გაიდგამენ ფესვს და საკუთრივ აღმოცენდებიან. მასთან ბუნებას თითქოსდა სურს ადამიანის თვალს დაუფაროს თავისი ნამდვილი სიმშვენიერე, მარტო იმიტომ კი არა, რომ ადამიანები ვერ

[102] მაშასადამე, ეს სრულიადაც არა ჰგავს ახლანდელ მოდურ ბოსკეტებს, სადაც მომცრო ხეივნები ისე უაზროდაა მიკლაკნილ-მოკლაკნილი, რომ ყოველ ფეხის ნაბიჯზე პირუეტების გაკეთება უხდება ადამიანს.

სწვდებიან მის სილამაზეს, არამედ იმიტომაც, რომ თავიანთი ხელყოფით ხშირად ამახინჯებენ კიდეც; ბუნება გაურბის ხალხმრავალ ადგილებს, – მხოლოდ მთათა მწვერვალებზე, უღრან ტყეებში, უკაცრიელ კუნძულებზე გვატყვევებს თავისი უაღრესად გულში ჩამწვდომი სიტურფით. ვისაც უყვარს ბუნება, მაგრამ არ ძალუძს ასე ღრმად შეიჭრას მის წიაღში, იძულებულია ძალა დაატანოს მას და თავის სიახლოვეს დაასახლოს. ეს კი შეუძლებელია, თუ ცოტა ილუზია არ მოიშველია კაცმა“.

ამ სიტყვებზე თვალწინ დამიდგა სურათი, რომელმაც ორივ ცოლ-ქმრის სიცილი გამოიწვია. „წარმოდგენილი მაქვს, – ვუთხარი მათ, – როგორ ჩამოდის აქ პარიზიდან ან ლონდონიდან ამ სახლის პატრონად გამხდარი მდიდარი კაცი, და თანვე ჩამოჰყავს ძვირად ღირებული არქიტექტორი, რომლის დანიშნულებაცაა ბუნების გაფუჭება. რა მძულვარებით შემოვიდოდა ამ უბრალო და საამურ კუთხეში! როგორი აღშფოთებით უბრძანებდა ყველა ამ საცოდავი მცენარეების ამოძირკვას! რა საუცხოოდ გაავლებს ლარს ყველგან! რა შესანიშნავი ხეივნების გაყვანას ბრძანებს! „ბატიფეხურ“ ბილიკებს გამართავს, ქოლგისა და მარაოს მსგავსად შესხლულ შესანიშნავ ხეებს ჩაყრის! ქანდაკებებით შემკულ შესანიშნავ მწვანე ფანჩატურებს გააშენებს! ხან ისარივით სწორ, ხანაც ლამაზად მიზნექილ-მოზნექილ, საუცხოო წიფლნარის ხეივნებს გაიყვანს! ფაფუკი ინგლისური გაზონით დაფარულ შესანიშნავ ტაფობს, მრგვალ-მრგვალ, ნახევრად მრგვალ, კვადრატულ და ოვალურ მდელოებს მოაწყობს! გაახარებს ურჩხულების, ჩინურ პაგოდათა, საოცარ ფიგურათა და ყოველნაირ საშინელებათა მსგავსად გასხლულ, განსაცვიფრებელ ურთხელებს. საუცხოო ბრინჯაოს ლარნაკებს დაიდგამს. ხილთა მსგავსად გამოძერწილ ქვის ქანდაკებებს აღმართავს, რითაც მორთავს და შეამკობს თავის ბაღს!“[103] „ხოლო როცა ყოველივე ეს გაკეთდება, – თქვა ბ-ნმა დე ვოლმარმა, – მივიღებთ შესანიშნავ კუთხეს, სადაც აღარავინ აღარ მოვა, და თუკი მაინც ვინმე მოხვდება იქ, მაშინვე უკანვე მოკურცხლავს და მიაშურებს ბუნების წიაღს, მინდვრებსა და ტყეებს. ეს იქნება ძალზე მოსაწყენი ადგილი, სადაც არავინ დაიწყებს სეირნობას, მხოლოდ გადაივლიან ზედ სასეირნოდ გამგზავრებისას; მე კი, მინდვრებში სეირნობისას, ხშირად ვიჩქარი დავბრუნდე და ჩემს ბაღში დავყო რამდენიმე ხანი.

ვრცელ და მდიდრულად მორთულ-მოკაზმულ ბაღებში მე ვხედავ მიწის მესაკუთრისა და არქიტექტორის მარტოოდენ პატივმოყვარეობას, რომლებიც მუდამჟამს მზად არიან სამზეოზე გამოიტანონ – პირველმა თავისი სიმდიდრე, მეორემ – თავისი ნიჭი, და ორივე მათგანი დიდი თანხის დახარჯვით უმზადებენ სევდასა და კაეშანს იმას, ვინც განიზრახავდა მათი ქმნილებით თვალის დატკბობას. ყალბი განცდა სიმდიდრისა, რაც სრულიადაც არაა განკუთვნილი უბრალო მოკვდავთათვის, უწამლავს მას მთელ სიამოვნებას. დიდებული წარმოსადეგობა მუდამჟამს სევდასა გვგვრის, აღგვიძრავს ფიქრს იმის არარაობის გამო, ვინც თავის დიდებულობით ბაქიბუქობს. საუცხოო ყვავილნართა და ვრცელ ხეივანთა შორის მისი პიროვნებაც როდი იზრდება, ხოლო ოცფუტიანი სიმაღლის ხე სამოცფუტიანი სიმაღლის გიგანტებზე უფრო ცუდად როდი ფარავს მას თავისი ჩრდილით;[104] ყოველთვის უჭირავს სამი კვადრატული ფუტის ფართობი და თავის უზარმაზარ სამფლობელოში ისე იკარგება, როგორც მუმლი ტრიალ მინდორში.

---

[103] დარწმუნებული ვარ, რომ ახლო მომავალში ბაღებში აღარ ისურვებენ ჰქონდეთ რაიმე ისეთი, რაც არსებობს ბუნებაში, აღარ მოინდომებენ დაინახონ იქ არც ბალახი, არც ბუჩქები, არც ხეები, არამედ მარტოოდენ ფაიფურის ყვავილები, ფაიფურისავე მანდარინები, ტრელაჟები, სხვადასხვა ფერის ქვიშა და მშვენიერი, ცარიელი ლარნაკები.

[104] ზედმეტი არც ის იქნებოდა, უფრო ვრცლად გველაპარაკა ჩვენში არსებული ერთი ცუდი ჩვეულების გამო – რაღაც უცნაური წესით ვსხლავთ ხეებს, რათა ისინი ჭოკებივით იყვნენ ცაში აწვდილნი, ვუკარგავთ მათ მშვენიერ კენწეროებს და ვართმევთ საშუალებას ხშირი ჩრდილით მოჰფინონ არემარე, ვფიტავთ მათ და არ

მაგრამ არსებობს მეორე მიდრეკილებაც, რაც სწორედ პირველის საპირისპიროა და კიდევ უფრო უცნაური, რადგან იგი არ იძლევა ბაღში გასეირნების საშუალებას, თუმცაღა ბაღები სწორედ რომ გასეირნებისთვისაა განკუთვნილი“. „მესმის, – ჩავილაპარაკე მე, – თქვენ მხედველობაში გყავთ ყვავილების მოყვარულნი, რომლებიც სიამოვნებისაგან დნებიან ბაიას დანახვისას, და პირქვე ემხობიან ტიტას წინაშე“. და მათ ვუამბე, მილორდ, რაც შემემთხვა ლონდონში, ყვავილებით სავსე ბაღში, სადაც ოთხ ფენად დაზვინულ ნეხვზე თავიანთი სილამაზით თვალს ახარებდა ჰოლანდიელ მებაღეთა საუნჯე. არასოდეს დამავიწყდება ქოლგისა და არგანის საზეიმო გადმოცემის ცერემონია, რომლებითაც პატივი მომაგეს მე, უღირსს, ისე როგორც სხვა მაყურებელსაც. მორიდებით ვამცნე ჩემს მსმენელთ, ასეთი პატივისათვის მოვინდომე სამაგიერო მიმეზღო-მეთქი და გავბედე აღტაცება გამომეთქვა ტიტას დანახვისას, რომლის ელვარე ფეროვნება ძალზე ლამაზი მომეჩვენა, ხოლო ფორმა კოხტა და ნარნარი. მერედა იცით, ამის გამო როგორ გამამასხრეს, სასაცილოდ ამიგდეს, მისტვინეს კიდეც ჩემმა სწავლულმა თანამგზავრებმა და პროფესორ-მებაღემ პაწაწკინა ყვავილის ნაცვლად მე ამითვალწუნა, მისი მაქებარი, და მას მერე ერთხელაც აღარ შემოუხედავს ჩემთვის. „ასე მგონია, – დავუმატე მე, – ძალიან ენანებოდა თავისი არგანი და ქოლგა, – მე ხომ ასე უპატიურად მოვეკიდე მათ!“

„ყვავილების ამ სიყვარულში, – თქვა ბ-ნმა დე ვოლმარმა, – როცა იგი მანიად გარდაიქცევა, არის რაღაც წვრილმანობა და პატივმოყვარეობა, რის გამოც იგი ბავშვური ხდება და მასთან არც ისე იაფი ჯდება. სიდიადის მიმართ მიდრეკილებაში, მაინცდამაინც, არის კეთილშობილება, დიდებულება, და რაღაც ჭეშმარიტების ნატამალი; ოღონდ, რა ღირებულება აქვს ყვავილის ფესვს ანდა ბოლქვს, რომელსაც ღრღნის მღილი და, იქნებ ანადგურებს კიდეც მას სწორად იმ წუთას, როცა ვაჭრობა მიმდინარეობს? და აბა, რა მოეპოვება ძვირფას ყვავილს, რომელიც მშვენიერია, შუადღეზე, მაგრამ ჯერ ისევ მზის ჩასვლამდე დაჭკნება? და რაიღა ბედენაა პირობითი სილამაზე, რაიც ატყვევებს მხოლოდ მცოდნეთა თვალს და სილამაზედ მარტოოდენ იმის გამო აღიარებენ, რომ უნებთ ლამაზად ჩათვალონ იგი? იქნებ, დადგეს კიდეც დრო-ჟამი, როცა ყვავილებში დაიწყებენ სავსებით იმის საპირისპირო თვისებათა ძიებას, რასაც დაეძებენ ხოლმე მათში ახლა, და მაშინ, თქვენ, თქვენი მხრით, გახდებით სწავლული, ხოლო თქვენი მცოდნენი უვიცები აღმოჩნდებიან. მთელი მათი უმნიშვნელო დაკვირვებანი, მეცნიერებად რომ გარდაიქმნებიან, სრულიადაც არ აინტერესებს გონიერ ადამიანს, რომელიც გასეირნებისას სხეულისათვის არმომქანცველ ვარჯიშს დაეძებს, ხოლო გონებისათვის – მეგობრებთან საუბარში დასვენებას. ყვავილები შექმნილია იმისათვის, რათა მათი ხილვით დავტკბეთ სხვათა შორის, და არა იმიტომ, რომ ჩვენი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად განვკვეთოთ ისინი...[105] აბა, ერთი შემოხედეთ, ამ ბაღში ყოველგან როგორ თეთრად ელვარებს სურნელოვანი გრაკლა. იგი ნელსურნელებით ავსებს ჰაერს, ხიბლავს და აჯადოებს თვალთა მზერას და თითქმის არავითარ ზრუნვასა და მოვლას არ მოითხოვს. ამიტომაც ყვავილთა მოყვარულნი მას უგულებელყოფენ. ბუნებამ ესოდენ ლამაზი და მშვენიერი შექმნა ყვავილი, რომ მათ აღარ ძალუძთ წაუმატონ მას პირობითი სილამაზე,

---

ვაძლევთ სარგებლობის მოტანის ნებას. მართალია, ეს მეთოდი მებაღეს შეშასა სძენს, მაგრამ სამაგიეროდ ქვეყანას უშეშოდ ტოვებს. ქვეყანას, სადაც ისედაც ცოტაა იგი. შეიძლება ვიფქიროთ, რომ საფრანგეთში უფრო სხვანაირადაა მოწყობილი ბუნება, ვინემ მთელ დანარჩენ ქვეყნებში, ისე ცდილობენ აქ ამ ბუნების დაუშნოებას. საფრანგეთის პარკებში აღმოცენდება ხოლმე მარტოოდენ გრძელ-გრძელი ჭოკები; ესაა ხომალდთა საანძო ან „მაისის ხეთა“ტყეები, აქ რონინებ ბრაზმორეული, ვინაიდან ვერსად პოულობ ჩეროს.

[105] განმსჯელი ვოლმარი აქ მოუფიქრებლად ლაპარაკობს. ნუთუ იგი, ვისაც ასე ძალუძდა ადამიანთა ზედან დაკვირვება, ესოდენ ცუდად უკვირდებოდა ბუნებას? ნუთუ არ იცის მან, რომ უკეთუ გამჩენი დიად საქმეთა დიდებულად იქმს, მცირეთა საქმეთ უფრორე დიდებულ მქმნელია?

ხოლო ვინაიდან სრულიად გაურჯელად შეიძლებოდა მისი გახარება, ამის გამო ამ საქმეში ისინი ვერაფერ სახარბიელოს ვერ პოულობენ. ეგრეთ წოდებული მცოდნენი და დამფასებელნი შემდეგ შეცდომას სჩადიან: სურთ ყოველგან დაინახონ ადამიანის ოსტატობა და აროდეს არიან კმაყოფილნი, უკეთუ ეს ოსტატობა თვალში არ ეცემათ; ამავე დროს ნამდვლი ფაქიზი გემოვნება, ნიჭი და უნარი ის არის, რათა დაფარო ოსტატობა, განსაკუთრებით, როცა საქმე ბუნების ქმნილებათ ეხება. აბა, რა საჭიროა ეს ხრეშით დაფარული ლარივით სწორი ხეივნები, რომელთაც მათს ბაღებში წამდაუწუმ წააწყდები, ანდა ვარსკვლავისებურად განლაგებული ხეივნები? წარმოუდგენიათ, ასეთი იშკილბაზობანი ჩვენი თვალთა მზერისათვის პარკის სივრცეს სიდიდეს მატებენო, სინამდვილეში კი ძალზე უნიათოდ წარმოაჩენენ მის ფარგლებს. განა ტყეებში დაინახავთ მდინარის ხრეშს? და თქვენ უფრორე რბილად დაადგამთ ფეხს ამ ხრეშს, ვიდრე ხავსსა ან მდელოს? განა ბუნება წამდაუწუმ ხმარობს გონიოსა და სახაზავს? იქნებ, მცოდნენი შიშობენ კიდეც, მიუხედავად მისი დამახინჯებისათვის მიმართული ყოველგვარი მცდელობისა, ვაითუ ბუნება ვერ შევიცნოთო? დაბოლოს, განა სასაცილო არაა, რომ უკვე სეირნობის დაწყებისას თითქოსდა დაქანცულად გრძნობენ თავს და სურთ მხოლოდ და მხოლოდ ყველაზე სწორი გზით რონინი, რათა უფრო მალე და ჩქარა მიაღწიონ მიზანს? და განა არაა სწორი ის ამბავი, რომ, უმოკლესი მანძილის ამორჩევისას, ისინი უმალ მოგზაურობენ, ვიდრე სეირნობენ, და, როგორც კი გამოვლენ შინიდან, უკვე უკან დაბრუნებას ეპირებიან?..

ხოლო რას ჩაიდენს მართლაც გემოვნების მქონე ადამიანი, რომელიც იმისათვის ცხოვრობს, რომ არსებობდეს და ხარობდეს სიცოცხლით, რომელიც ეძიებს ნამდვილ და მარტივ სიამეთ და სურს სახლთან ახლოს ჰქონდეს სასეირნო ადგილი? იგი იმ ადგილს მოხერხებულად და თავისდა სასიამოდ მოაწყობს, რათა ის მოსაწონი იყოს დღის ყოველ დროსა და ჟამს და მასთან ერთად ისე სადად და ბუნებრივად, თითქოსდა თავად მას აქ ხელიც არ მიუნანებია. ამ ადგილას მას ექნება წყლის, მწვანე ნარგავთა, ჩეროსა და სიგრილის საუცხოო შეხმატკბილება, რამეთუ ბუნებაშიც ჩვეულებრივ შეხმატკბილებულნი არიან ისინი. ის ეცდება ყოველგან თავი აარიდოს სიმეტრიას: სიმეტრია ხომ ბუნებისა და ნარიფეროვნების მტერია, ჩვეულებრივ მცოდნეთა ბაღებში ყველა ხეივანი ისე ჰგავს ერთმანეთს, რომ ყოველთვის გგონია, ერთსა და იმავე ხეივანში დავსეირნობო. გემოვნებიანი კაციც მიმოასწორებს მიწას, უფრო მარჯვედ რომ ისეირნოს, ოღონდ მისი ხეივნის მხარეები ყოველთვის როდი იქნებიან ზუსტად პარალელურნი, ყოველთვის როდი იქნებიან სწორი ხაზით გაყვანილნი, მათ მიმართულებაში უნდა იქნას რაღაც გაურკვეველი, როგორც მოცლილი ადამიანის ნაბიჯებში, სასეირნოდ გასვლისას აუჩქარებლად რომ რონინებს; სრულიადაც არაა საჭირო სადმე მოშორებით თვალწარმტაცი ხედების მოწყობა; ბელვედერებისა და იქიდან გაშლილ სიშორეთა მიმართ ლტოლვა მარტო მათ მოსდგამთ, რომელთაც მოხლოდ ის მხარე უყვართ, სადაც თავად არ იმყოფებიან. ყოველთვის იტაცებთ ის, რაც შორია და მიუწვდომელი, და ხელოვანი, რომელსაც არ ძალუძს ისე მოქცევა, რომ მისი დამკვეთნი კმაყოფილნი იყვნენ ყველაფრით, მათი გულის მოსაგებად მატრაბაზობს. მაგრამ იმ ადამიანს, ვიზედაც მე ვლაპარაკობ, არ გააჩნია ასეთი მოუსვენარი მისწრაფება და როცა კარგად გრძნობს თავს იქ, სადაც იმყოფება, აღარ ესწრაფის სადღაც სხვა ადგილას გადახვეწას. მაგალითად, ჩვენი ბაღიდან ვერ დაინახავთ მის ფარგლებს მიღმა გადაშლილ პეიზაჟებს, და კმაყოფილნიც კი ვართ, რომ ვერ ვხედავთ. ჩვენ გვგონია, მთელი ბუნების სიმშვენიერე აქაა თავმოყვარილიო, და მე ძალიან ვშიშობ, რომ გარესამყაროში შეჭრილი უკნინესი შუქიც კი დიდად გვიმცირებს

ჩვენი გასეირნების სიამოვნებას.[106] ცხდია, ყოველ ადამიანს, რომელსაც არ მოწონს ესოდენ უბრალო და საამურ ადგილას გაატაროს ზაფხულის მშვენიერი დღეები, არ გააჩნია არც რიგიანი გემოვნება და იგი არც ჯანსაღი ბუნების კაცია. გამოგიტყდებით, რომ აქ არა ღირს დიდი ამბით მოვიყვანოთ გარეშე პირნი; მაგრამ, სამაგიეროდ ამ ბაღში ძალზე სასიამო იქნება მარტოული გასეირნება; სულაც ნუ ვუჩვენებთ მას გადამთიელებს“.

„ბატონო ჩემო, – შევნიშნე მე, – თავიანთ სამფლობელოებში საუცხოო პარკთა მომწყობ მდიდრებს მოეპოვებათ საფუძვლიანი მიზეზები არ უყვარდეთ მარტოული გასეირნებები და მარტო დარჩენა თავის თავთან; ამიტომაც ძალიან გონივრულად იქცევიან, როცა თავიანთ ბაღებსაც მხოლოდ გარეშე პირთათვის აწყობენ. თუმცა, ჩინეთში მე ვნახე სწორედ ასეთი ბაღები, როგორებიც თქვენ მოგწონთ, მასთან ესოდენ დიდი ოსტატობით არიან აგებულნი, რომ ეს ოსტატობა სავსებით შეუჩნეველია. ოღონდ მათ გამო ისეთი დიდი ხარჯია გაწეული, ისე ძვირი ჯდება მათი მოვლა, რომ ამის გაფიქრებისას მეკარგებოდა ამ ბაღებით დატკბობის ყოველგვარი სიამოვნება. იქ იყო კლდეები, მღვიმეები, ხელოვნური შადრევნები, – და ყველაფერი ეს ხომ ქვიშიან ვაკეზეა შექმნილი, სადაც ჭის წყლის გარდა არაფერი მოიპოვება; იქ იყო ჩინეთისა და თათრეთის ყველა კლიმატური სარტყელიდან შეკრებილი და ერთსა და იმავე ნიადაგზე გახარებული ყვავილები და საიშვიათო მცენარეები. მართალია, იქ ვერ იხილავ ვერც ლამაზ ხეივნებს, ვერც სწორად გაშენებულ ყვავილნარს, მაგრამ სამაგიეროდ დაინახავ ხვავრიელად თავმოყრილ საკვირველებათ, რასაც სხვა ადგილებში მხოლოდ ცალ-ცალკე მიმოფანტულს თუ მოჰკრავ თვალს. ამ ბაღებში ბუნება უაღრესად ნაირფეროვანი მხრიდანაა წარმოდგენილი, ოღონდ იქ სრულიად აღარ ჩანს ბუნებრიობა. თქვენ ხომ არ გადმოგიტანიათ თქვენს ბაღში არც შავი მიწა, არც ქვის ლოდები, არ გაგიმართავთ არც ტუმბოები, არც რეზერვუარები წყლისთვის, თქვენ არ გესაჭიროებათ არც სათბურები, არც ღუმლები, არც მინის ხუფები, არც ჭილოფები. აქ ადგილი სავსებით სწორია და საკმაოდ სადადაცაა მორთული. ყველაზე ჩვეულებრივი ბალახბულახი, ყველაზე უბრალო ხეები, გამდინარე წყლის რამდენიმე ჭავლი – ყოველივე ესოდენ ბუნებრივია, ესოდენ მარტივია, მაგრამ ეს სავსებით კმარა, რათა ეს ადგილი უფრო მშვენიერი გახდეს. ყოველივე საუცხოო თამაშსა ჰგავს, სადაც არ იგრძნობა საძნელო დაძაბულობა, და თვით მისი სიადვილე ადიდებს და ზრდის მაყურებლის სიამოვნებას. ვიცი, თქვენი სავანე კიდევ უფრო ლამაზი შეიძლება ყოფილიყო, ოღონდ უფრო ნაკლებ მომეწონებოდა. ავიღოთ, მაგალითად, მილორდ კებხემის შესანიშნავი პარკი სტოუში. იქ თითქოსდა სხვადასხვა ქვეყნებში შეკრებილი იმდენი ლამაზი და ფრიად თვალწარმტაცი სახეობა მოიპოვება, და გარდა მათი შეხამებისა, ყოველივე ისე ბუნებრივად გეჩვენება, როგორც ჩინეთის ბაღებში, რის გამოც უკვე გეუბნებოდით. განმარტოების ამ საუცხოო ადგილის მფლობელმა და შემქმნელმა უბრძანა კიდეც აეგოთ იქ ტაძრის ნანგრევები; ძველი ნაგებობანი, შორეული დრო-ჟამი და შორეული ქვეყნები ზეკაცური დიდმშვენიერებითაა იქ წარმოდგენილი. და

[106] არ ვიცი, სინჯეთ თუ არა ოდნავ კლაკნილი ფორმა მიგეცათ ვარსკვლავის სხივებად განტოტვილ გრძელ-გრძელ ხეივანთათვის იმის გამო, რომ თვალს არ შეეძლოს თითოეული ხეივნის დანახვა მთელი მისი განფენილობის მანძილზე და მისი შორეული ბოლო არ ჩანდეს მაყურებლისათვის. მართალია, ამით დაიკარგება ლამაზი ხედი, მაგრამ სამაგიეროდ მოვიპოვებთ პარკის მფლობელთათვის მეტად სანუკვარ უპირატესობას, წარმოსახვა გააფართოებს სასეირნო ადგილს, და საკმაოდ მომცრო „ვარსკვალვის“ შუაში ადამიანს მოეჩვენება, ჩემს გარშემო უზარმაზარი პარკია, სადაც შეიძლება გზა დამებნესო. მჯერა, რომ ამის გამო გასეირნება ნაკლებ მოსაწყენი იქნება, თუმცა უფრო განმარტოებული. ვინაიდან ყოველივე, რაც ასაზრდოებს წარმოსახვას, სამოქმედოდ აღძრავს აზრს, ამდიდრებს გონებას; ოღონდ ბაღის გამშენებლები ისეთი ადამიანები როდი არიან, ასეთი ამბავი რომ იგრძნონ. აბა სოფელ ადგილას რომელ მათგანს გაუვარდება ხელთაგან ფანქარი, როგორც ლენოტრს სენტ-ჯემსის პარკში, და განა მასავით იციან, თუ რა ანიჭებს ცხოველმყოფელობას ბუნებასა და მის სურათებს რა ჰმატებს მშვენიერებას?

სწორედ ამ ნაცოდვილართა გამო ვჩივი და ვვალალებ. მინდა, რომ ადამიანთა თავშესაქცევართ მარადის ჰქონდეთ ბუნებრივი სახე, არ აღგვიძრავდნენ ფიქრს ადამიანის სისუსტესა და უძლურებაზე და თავად საკვირველებათა გამო აღტაცებას არ მიესართოს გულის გამაწყალებელი ფიქრები დახარჯული ფულისათივს, რაც დაჯდა ყოველივე ეს. განა სვე-ბედი ნაკლებ სამწუხარო ამბავს გვიმზადებს? საჭირო როდია კვლავ ჩვენთა სიამოვნებათა წამწარება.

ძალმიძს მხოლოდ ერთი რამ გისაყვედუროთ, – დავუმატე მე და თან ჟიულის შევყურებდი, – ოღონდ, კაცმა რომ თქვას, იგი სერიოზულად მოგეჩვენებათ: თქვენი ელიზიუმი, ჩემი აზრით, ზედმეტი თავშესაქცევარი საქმეა. აბა, რად გინებთ ახალი სასეირნო ადგილი, როცა თქვენი სახლის მეორე მხარეს ამწვანებულან საუცხოო, ოღონდ ესოდენ მოუვლელი წარაფები?“ – „ეგ მართალია, – მომიგო ოდნავ დარცხვენილმა ჟიულიმ, – მაგრამ აქაურობა უფრო მომწონს“. „კარგად რომ გეფიქრათ, – შემაწყვეტინა ბატონმა დე ვოლმარმა, – ასეთი საჩოთირო კითხვას არ მოგვცემდით. ქორწინების დღიდან ჩემი ცოლი არც ერთხელ არ ყოფილა იმ წარაფებში, თქვენ რომ ახსენეთ და ჩემთვის ცნობილია ამის მიზეზი, თუმცა არასოდეს კრინტიც არ დაუძრავს ამის გამო. აგრეთვე თქვენთვისაც ცნობილია ეს, მაშ, პატივი მიაგეთ ამ ადგილს, ახლა რომ ვიმყოფებით, – ქველკეთილმა ხელმა აქ ხეები დარგო“.

ის-ის იყო ეს მართებული მკაცრი პასუხი მივიღე და, ჩვენგან დატოვებულ ბაღში ფანშონის წინამძღოლობით შემოცქრიალდნენ ოჯახის პატარა წევრები. სამი პირმშვენიერი ბალღი ყელზე შემოეჭდო ცოლ-ქმარს, მეც არ დამტოვეს გულნატკენი და სიყვარულით მომიალერსეს. ჟიული და მე ელიზიუმში დავბრუნდით, ბავშვებთან ერთად ცოტათი გავისეირნეთ იქ, შემდეგ შევუერთდით მოსამსახურეებთან რაღაცის გამო მოლაპარაკე ბ-ნ დე ვოლმარს. გზადაგზა ჟიულიმ მითხრა, მას შემდეგ, რაც დედა გავხდი, ერთი ფიქრი, რომელიც ხშირად მომდის თავში, მიწყივ ამ ბაღის მოსავლელად მაქეზებსო. „ასე ვიფიქრე, – თქვა მან, – როცა ბავშვები წამოიზრდებიან, ბაღში მუშაობა მათთვის თავშესაქცევარი იქნება და დიდად არგებს მათ ჯანმრთელობას-მეთქი. ჩვენი ბაღის მოვლა დიდ ზრუნვას უფრო მოითხოვს, ვიდრე შრომას, იქ საჭიროა უმალ გარკვეულად მიმოვხაროთ მცენარეთა რტოები, ვიდრე დავბაროთ და დავხნათ მიწა; მომავალში მინდა შვილები ჩემს პატარა მებაღეებად ვაქციო; აქ საკმაოდ ექნებათ სხეულის გამაკაჟებელი და მასთან არამომქანცველი სავარჯიშოები. მათი ასაკისათვის მეტად საძნელო და მძიმე სამუშაოს მათ მაგივრად სხვები გააკეთებენ, თავად კი მხოლოდ იმას დასჯერდებიან, რაც მათთვის თავშესაქცევარი იქნება. გამოთქმაც არ ძალმიძს, – დაუმატა მან, – ვით მსიამოვნებს წარმოვიდგინო, რომ ჩემი ბავშვები მუშაობით არან გართულნი, ცოტაოდენ სამსაუხრს რომ მიწევენ ჩემი ახლანდელი ჯაფის სანაცვლოდ, თავიანთი სათუთი გულით როგორ ხარობენ, რომ მათი დედა დიდი სიამოვნებით სეირნობს მათ მიერ მოვლილ ხეთა ჩეროში. მართლაც, ჩემო მეგობარო, – მღელვარე ხმით წარმოთქვა მან, – სიხარულით გატარებულ დღეთ ეფინება იმ ნეტარების ათინათი, საიმსოფლოდ რომ უმზადებს ადამის ძეთ ღმერთი; და მეც ამ ჩემს ბაღს უსაფუძვლოდ როდი დავარქვი ელიზიუმი“. მილორდ, ეს ქალი შეუდარებელი დედაა და უბადლო მეუღლე; ასეთივე შეუდარებელი იყო მეგობრობაშიც და შვილიერ სიყვარულშიც, და, ჩემი გულის სამარადჟამო გასატანჯად, იგი უებრო სატრფოც გახლდათ.

ამ მომხიბლავი სავანით აღფრთოვანებულმა, საღამოს მასპინძლებს ვთხოვე, ფანშონს ენდო ჩემთვის გასაღები და ჩიტების კვების მოვალეობა. ჟიულიმ მაშინვე გამოგზავნა ჩემს ოთახში ერთი ტომსიკა მარცვალი და საკუთარი გასაღები გადმომცა. არ ვიცი, რატომ, ოღონდ რაღაც გამიჭირდა მისი მიღება: ვგონებ, მერჩივნა, ბ-ნ დე ვოლმარისგან მიმეღო გასაღები.

ამ დილით ძალიან ადრე წამოვდექი და ბავშვური მოუთმენლობით გავეშურე ჩემს უდაბურ კუნძულზე დასავანებლად. ო, რა საამურ აზრებს ველოდი ამ განმარტოებულ ადგილას, სადაც მარტოოდენ ბუნების სურათს უნდა განედევნა ჩემთა მოგონებათაგან ცხოვრების ხელოვნური ზნე-ხასიათი, რამაც ასე უბედური გამხადა. ყოველივე, რაც აქ ჩემს გარშემო იქნება, შექმნილია ქალის მიერ, ჩემთვის ძვირფასი რომ იყო. აქ ყველაფერში მას დავინახავ. რასაც უნდა შევხედო – ყველაფერს ეხებოდა მისი ხელი; ამბორს ვუყოფ ყვავილებს, ის რომ ფეხით თელავდა; შევისუნთქავ ცვარ-ნამით პკურებულ ჰაერს, რითაც ის სუნთქავდა; მე შევიცნობ მის გემოვნებას, რითაც აღნიშნულია აქ ყველა მისი სიამე და ჩემს წინაშე წარმოდგება მთელი მისი სიტურფე, მას ვპოვებ აქ ყველგან, ისე როგორც ვპოულობ ჩემი გულის სიღრმეში.

აი, რა გუნება-განწყობილებით აღვსილი შევედი ელიზიუმში, ოღონდ მაშინვე მომაგონდა ბ-ნ დე ვოლმარის სიტყვები, წინადღით რომ მითხრა, თითქმის იმავე ადგილას, სადაც ახლა ვიმყოფებოდი, და ამ რამდენიმე სიტყვის მოგონებამ უმალვე შემიცვალა მთელი გუნება. ასე მეგონა, ვიხილე-მეთქი ხატება სათნოებისა იქ, სადაც ვეძიებდი განსაცხრომელ სახეს. ეს ახალი ხატება ჩემს გონებაში შეუერთდა ქალბატონ დე ვოლმარის სახეს და ჩემი დაბრუნების შემდეგ პირველად, ჟიულის იქ არყოფნისას, ვიხილე იგი არა ისეთი, როგორიც იყო ოდესღაც ჩემთვის და როგორის მოგონებაც ისევ მიყვარს, არამედ ისეთი, რანაირიც წარმომიდგება ყოველდღიურად. მილორდ, ასე მეგონა, ვხედავ-მეთქი ამ მომხიბვლელ, უმანკო, სათნო ქალს სწორედ იმ ამალას შორის, გუშინ რომ გარს ეხვია. დავინახე, თუ სამი ნანინანატრი ბავშვი, ცოლქმრული კავშირისა და უნაზესი მეგობრობის წმიდათაწმიდა და უძვირფასესი საწინდარი, როგორ მგრძნობიარედ ეალერსებოდა ჟიულის და ისიც ასეთივე ალერსით უპასუხებდა მათ. გვერდით დავინახე დარბაისელი ბ-ნი დე ვოლმარი, ესოდენ საყვარელი, ესოდენ ბედნიერი და ესოდენ ღირსი ბედნიერებისა. მე თითქოს კვალად ვხედავდი, თუ როგორ მაპყრობდა გულში ჩამწვდომ გამჭრიახ მზერას, და სახე ამელეწა სირცხვილისაგან, თითქოსდა ისევ გაისმოდა მის ბაგეთაგან დაცდენილი დამსახურებული საყვედურის სიტყვები და დარიგება, რასაც ცუდად ვუგდებდი ყურს. შემდეგ კი დავინახე ფანშონ რეგარი, უაღრესად მგზნებარე ვნების მძლეველი სათნოებისა და ადამიანურობის ზეიმის განხორციელება. აჰ, განა შეიძლებოდა ჟიულიმდე მიეღწია რაიმე აკრძალულ გრძნობას ამ მტკიცე ზღუდის მიღმა? როგორი გულისწყრომით ჩავიხშობდი დანაშაულებრივი და ჯერ კიდევ მთლად ჩაუმქრალი ვნების ბილწურ აღტყინებას! როგორ შემძულდებოდა ჩემივე თავი, ვინიცობაა თუნდ ოდნავ მაინც შევბღალავდი უმანკოებისა და წესიერების ამ ზეგანცხრომილების ესოდენ გასაოცარ სურათს. გავიხსენე საუბარი, ბაღიდან გასვლისას რომ გამიბა, შემდეგ, მასთან ერთად გუნებაში განვჭვრიტე მომავალი და დავინახე, თუ როგორ წმენდს შუბლიდან ოფლს თავის ბავშვებს, კოცნის მათ აღაჟღაჟებულ ლოყებს და სიყვარულისთვის შექმნილ გულით იმსჭვალება ბუნებისაგან ჩვენთვის მომადლებული უაღრესად სასიამტკბილო გრძნობით. უკლებლივ ყოველივე, თვით ბაღისთვის ელიზიუმის დარქმევაც კი, ხელს მიწყობდა ჩამექრო წარმოსახვის სახმილი და ჩემს სულს ანიჭებდა სანუკვარ სიმშვიდეს, რომელიც ბევრადა სჯობს უაღრესად მაცდუნებელ ვნებათა მღელვარებას. სიტყვა „ელიზიუმი“ ერთგვარად გამოხატავდა იმ ქალის შინაგან სამყაროს, რომელმაც მოიგონა ეს სახელწოდება, – სულიერი აღბორგების ჟამს ხომ შეუძლებელი იქნებოდა ასეთი სახელწოდების ამორჩევა. გუნებაში გავივლე: მშვიდობა სუფევს მის გულში, ისე როგორც იმ სავანეში, რომელსაც ასეთი სახელი უწოდა-მეთქი.

ვიმეოდვნებდი, ჩემთვის სასიამო იქნებოდა ცოტაოდენი მეოცნება კიდეც აქ; ამ სიამტკბილობამ ჩემს მოლოდინს გადააჭარბა. ელიზიუმში გავატარე ორი საათი, რომელთა უფრო სასიამოვნოს ჯერ არ მოვსწრებივარ ჩემს სიცოცხლეში. როცა დავინახე, თუ რა

სიამტკბილობითა და რა სწრაფად მდინარებდა ეს ორი საათი, მივხვდი, რომ კეთილშობილური აზრებით აღსავსე ფიქრები წარმოქმნიან სანეტარო შეგრძნებას, რომლის მსგავსსაც გაფუჭებული ადამიანი თავის დღეში ვერ ეღირსება: სახელდობრ, საკუთარი თავით კმაყოფილების გრძნობას. უკეთუ ყოველივე ამას წინასწარ აუკვიატებლად ვიფიქრებთ, არ ვიცი, როგორი სხვა სიამოვნება შეიძლება შეედაროს ამ გრძნობას. ვფიქრობ, ყოველ შემთხვევაში, რომ მას, ვისაც ჩემებრ უყვარს განმარტოება, უნდა ეშინოდეს, ვაითუ ჩემს თავს სულიერი ტანჯვა განვუმზადოო. იქნებ, როცა იმავე საფუძვლით ვიხელმძღვანელებთ, მოვახერხოთ კიდეც და მოვუნახოთ გასაღები ბიწიერებათა და სათნოების უპირატესობის გამო ადამიანთა ყალბ მსჯელობას, სათნოებით მონიჭებული სიხარული ხომ პირწმინდად გულის სიღრმეშია და მხოლოდ მისთვისაა შესამჩნევი, ვინც მას განიცდის. ხოლო ბიწიერების ჩინებულება უმალ თვალში მოგხვდებათ, ოღონდ, ვისაც მოეპოვება, მხოლოდ მან იცის, რად უღირს იგი.

Se a ciascun l'interno affanno
Si leggesse in fronte scritto,
Quanti mai che invidia fanno,
Ci farebbero pietà![107]

ვერც კი შევნიშნე, თუ როგორ გავატარე ელიზიუმში მთელი დილა, მაგრამ ჩემს წასაყვანად მოვიდა ბ-ნი დე ვოლმარი და შემატყობინა, ჟიული ჩაიზე გელოდებაო. „ეს თქვენ გამო დავიგვიანე საუზმეზე, – ვუთხარი და თან თავს ვიმართლებდი, – გუშინ საღამოს ძლიერ კარგად ვგრძნობდი თავს ბაღში, ამიტომაც დავბრუნდი ამ დილით, რათა კიდევ დავმტკბარიყავი აქ ყოფნით. საბედნიეროდ თქვენც უჩემოდ არ გისაუზმიათ და მაშასადამე, არაფერიც არ დამიკარგავს". „აბა, სხვაფრივ ვით ეგებოდა, – მიპასუხებდა ქალბატონი დე ვოლმარი. – სჯობს შუადღემდე გელოდოთ, ვიდრე მოვიკლოთ ერთად საუზმობის სიამოვნება. გარეშე პირებს არასოდეს უშვებენ ჩემს ოთახში დილდილობით და თითოეული შინ საუზმობს. სასაუზმოდ მხოლოდ მეგობრებს ვპატიჟებთ; ფარეშებს არასოდეს არ ვისწრებთ; აბეზარებს აქ თვალსაც ვერ მოჰკრავთ; თანამეინახენი ლაპარაკობენ ყველაფერს, რაც მოაფიქრდებათ, ამჟღავნებენ თავიანთ საიდუმლოს, არავითარ გრძნობებს არ იხშობენ გულში, უშიშრად განსცხრებიან მინდობილობითა და ბუნებრიობით. კაცმა რომ თქვას, მთელი დღის განმავლობაში ეს ერთადერთი წუთია, როცა თითოეულს ნება ეძლევა იყოს ისეთი, როგორიცაა თავად. რა კარგი იქნებოდა, რომ ეს წუთი მთელი დღე გაგრძელებულიყო". აჰ, ჟიული, – მინდოდა მეთქვა მე, – რა საუცხოო სურვილი დაგბადებია-მეთქი! მაგრამ ხმა გავკმინდე. პირველი, რაც სიყვარულთან ერთად გულიდან ამოვირეცხე, ესაა ქება-დიდება. როცა ვინმეს პირში აქებ, ცხადია, სატრფოს

---

[107] ნეტავ ბევრს არ დაემალა
სევდა და კაეშანი,
მათ შურს კი არ მიაგებდნენ –
მარტოოდენ სიბრალულს! (იტალ.)
სენ-პრეს შეეძლო დამატებით მოეხმო ამ ლექსთა გაგრძელება. ძალზე ლამაზი და თემისათვის არანაკლები შესაფერისი:
Si vedria che i lor nemici
Anno in seno, e si riduce
Nel parere a noi felici
Ogni lor felicità.
[ულმობელი ჯალათია
ზოგი კაცი თავისთვის;
ბაქიბუქობს, ცრუ ქუდბედით
ვარო სვებედნიერი! (იტალ)]

გარდა, განა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ცოტა პატივმოყვარეცა გგონია? და თქვენაც კარგად მოგეხსენებათ, მილორდ, შეიძლება კი ქალბატონ დე ვოლმარს ვუსაყვედუროთ პატივმოყვარეობა... მას რომ ვუმზერ, მას რომ ვუსმენ, თვალყურს ვადევნებ ყოველ მის მოძრაობას – განაღა ამით ნაკლებ აღვავლენ მის მიმართ ხოტბას?

XII წერილი

ქალბატონ დე ვოლმარისაგან
ქალბატონ დ'ორბისადმი

ჩემო ძვირფასო დობილო, ჩანს, ბედად გიწერია მუდამჟამს დამიფარო ჩემივ თავისაგან. მას შემდეგ, რაც ასეთი გაჭირვებით დამიხსენ გულის მიერ დაგებულ მახეთაგან, ახლა განმარიდებ გონების ხაფანგს. ესოდენ უსაშველო განსაცდელთა შემდეგ ამჟამად ვნებათა ღელვის სახმილზე უფრორე ვუფრთხი მისგან ხშირ-ხშირად წარმოქმნილ ცდომილებათ. ნეტავ რად არ ვიყავი ყოველთვის ასე ფრთხილი! უკეთუ წინათ უფრო ნაკლებ დავნდობოდი ჩემს გამსჯელობას, მაშინ მეტადრე ნაკლებადაც დამწვავდა სირცხვილი ჩემთა გრძნობათა გამო.

დაე ეს წინასიტყვაობა ნუ შეგაშფოთებს. შენი მეგობრობის ღირსი არც კი ვიქნებოდი, უკეთუ კვალად მომიხდებოდა შენთან მოთათბირება მნიშვნელოვან საკითხთა გამო. ჩემს გულს მარად და მარად ეუცხოებოდა ბოროტეული ნდომა-სურვილი, და თამამად ვფიქრობ, მისგან ახლა უფრო შორსა ვარ, ვიდრე ოდესმე ვიყავი-მეთქი. მაშ, გულმშვიდად მომისმინე, დაიკო, და მერწმუნე, აღარასოდეს დამჭირდება მოგმართო რჩევა-დარიგებისათვის იმ შემთხვევებში, როცა ეჭვებს მარტოოდენ შინაგანი წესიერება გაფანტავს.

ექვსი წელია მე და ვოლმარი ვცხოვრობთ სიამტკბილობით, სრული თანხმობით, როგორიც კი შეიძლება ცოლ-ქმარს შორის, და შენც იცი, რომ მას არასოდეს უხსენებია ჩემთან არც თავისი ოჯახი, არც თავისი თავი; ქმარი მივიღე პირდაპირ ქალიშვილის პატიოსნებისა და ოჯახის ღირსებისათვის მზრუნველი მამაჩემის ხელთაგან და არასოდეს გამომითქვამს მხურვალე სურვილი გამეგო იმაზე მეტი, რასაც თავად თვლიდა მართებულად ემცნო ჩემთვის. კმაყოფილი ვარ იმით, რომ ქმარს უნდა ვუმადლოდე იმის სიცოცხლეს, ვინაც სიცოცხლე მომანიჭა, და ჩემს პატიოსნებასაც, სიმშვიდესაც, გონებასაც და შვილების ყოლის ბედნიერებასაც, და ყოველივეს, რაც ცოტათიც არის, ფასსა მმატებს ჩემსავ საკუთარ თვალში; სავსებით დარწმუნებული ვიყავი, ყველაფერი ის, რაც არ ვიცოდი მასზე, არ ეწინააღმდეგება-მეთქი უკვე ცნობილ ამბებს, და არც მინდოდა უფრო მეტის გაგება, რათა მთელი სულითა და გულით მყვარებოდა.

ამ დილას, საუზმობის ჟამს, შემომთავაზა, სანამ ჯერ კიდევ გრილა, გავისეირნოთო, მოიმიზეზა, ასე ხალათიანს მეუხერხულება სახლიდან შორს წასვლაო, და წაგვიძღვა წარაფისაკენ, ჩემო ძვირფასო, სწორედ იმ წარაფისაკენ, სადაც დაიწყო ჩემი სიცოცხლის ყველა უბედურება. როცა ამ საბედისწერო ადგილს მივუახლოვდით, საშინლად ამიძგერდა გული და უარსა ვყოფდი წარაფში შესვლას, ოღონდ შემრცხვა თანაც მომაგონდა ამასწინათ ელიზიუმში წარმოთქმული სიტყვები, – ვშიშობდი, ვაითუ ჩემი უარი არასწორად ახსნან-მეთქი. არ ვიცი, გულმშვიდად იყო თუ არა ჩვენი ფილოსოფოსი, მაგრამ როცა რამდენიმე ხნის შემდეგ შევხედე, დავინახე, გაფითრებულიყო, სახე შეცვლოდა, და ვერ გეტყვი, რარიგ მეტკინა გული.

წარაფში შესვლისას შევნიშნე, ჩემი ქმარი მიცქერდა და იღიმებოდა. შუაში ჩაგვიჯდა, ცოტა დუმილის შემდეგ ხელში ხელი ჩაგვკიდა და გვითხრა: „ჩემო ბავშვებო, ვრწმუნდები, ჩემი გეგმები სავსებით ფუჭნი რომ არ არიან და სამთავეს შეგვაერთებს ხანგრძლივი მტკიცე სიყვარული, რაიც გაგვაბედნიერებს და მეც მანუგეშებს უკვე მოახლოებულ სიბერეში; მაგრამ ორივეს უკეთ გიცნობთ, ვიდრე თქვენ მე, და მართებული იქნება, რომ თანაბარ მდგომარეობაში ვიყოთ ყველანი. თუმცა ჩემს გამო ბევრ საინტერესოს ვერაფერს გიამბობთ, მაგრამ მაინც არ მინდა მქონდეს თქვენთან საიდუმლო, რადგან არც თქვენ მიმალავთ რაიმეს“.

და მაშინ გაგვიმხილა თავისი დაბადების საიდუმლო, რაიც ჯერაქამომდე მარტოოდენ მამაჩემისთვის იყო ცნობილი. როცა ყოველივეს გაიგებ, განგაცვიფრებს ადამიანის თავდაჭერა და სიდინჯე, რომელმაც მოახერხა ექვს წელიწადს არ გაემხილა ცოლისთვის ასეთი საიდუმლო; ოღონდ ეს ამბავი მისთვის არაფერია, არც კი ფიქრობს ამაზე, არც სჭირია თავს ძალა დაატანოს დუმილისათვის.

„თქვენს ყურადღებას არ მივაპყრობ ჩემი ცხოვრების ამბებს, – გვითხრა მან, – თქვენთვის უფრო მნიშვნელოვანია გაიგოთ ჩემი ხასიათი, ვიდრე ჩემი თავგადასავალი, რაც ძალზე ჩვეულებრივია; როდესაც კარგად გამიცნობთ, თუ რას წარმოვადგენ, ადვილად მიხვდებით, რის გაკეთებაც შემეძლო. ბუნებით დინჯი კაცი ვარ, ხოლო გული მაქვს ცივი. იმ ადამიანთაგანი ვარ, რომელთაც უგრძნობელთ უწოდებენ, როცა მათი შეურაცხყოფა სწადიათ, მაშინ როცა მათ უბრალოდ არ გააჩნიათ ვნებათაღელვანი, რაც ხელს უშლით მისდიონ ადამიანის ნამდვილი ხელმძღვანელის – გონების ძახილს. მე არცთუ ისე ვეწყობი სიამოვნებას და ვიტან მწუხარებასაც, მხოლოდ რამდენადმე განვიცდი მოყვასის მიმართ სიბრალულს, რაც ადამიანებს აღუძრავს ჩვენს მიმართ სიყვარულს. უკეთუ მიმძიმს კარგი ადამიანების ტანჯვა-წამების ცქერა, სიბრალული აქ არაფერ შუაშია, ვინაიდან სრულიადაც არ მებრალება, როცა ცუდი ადამიანი იტანჯება. ჩემი გრძნობების თავი და თავია წესრიგის თანდაყოლილი სიყვარული; ბედისა და ადამიანის მოქმედებათა თამაშის მოხერხებული შეხამება სწორედ ისევე მომწონს, როგორც მშვენიერი სიმეტრია მხატვრის სურათში, ანდა თეატრში კარგად დადგმული პიესა. ვინიცობაა მომეპოვება კიდეც რაიმე გატაცება, ეს მხოლოდ დაკვირვებათა მიმართ მისწრაფებაა: მიყვარს ადამიანთა გულის ნადების გამოცნობა, და რამდენადაც ჩემი საკუთარი გული არ წარმომიქმნის ილუზიებს, რამდენადაც ვაკვირდები დადინჯებითა და გულგრილად, ხოლო დიდი ხნის გამოცდილებამ განმივითარა გამჭრიახობა, არასოდეს მატყუებს წინათგრძნობა; ეს ესალმუნება ჩემს თავმოყვარეობასა და ჩემი მუდმივი დაკვირვების ერთადერთ ჯილდოს წარმოადგენს; თავად არ მიყვარს როლის თამაში, მარტოოდენ ის მიყვარს, თუ როგორ თამაშობენ სხვები. მე მომწონს მხოლოდ და მხოლოდ ადამიანთა საზოგადოების მზერა და სრულიადაც არ მაძლევს ხელს ვიყო მისი შემადგენელი ნაწილი. მე რომ ძალმედვას თვით ჩემი ბუნების გარდაქმნა და ცოცხალ თვალად ქცევა, დიდი სიამოვნებით ვიქმოდი ამას. მაგრამ ადამიანთა მიმართ გულცივობა სრულიადაც არ მხდის მათგან დამოუკიდებელს; სულაც არ მივესწრაფი თვალში ვეჩხირებოდე ხალხს, ოღონდ ვგრძნობ, რომ მისი უნახაობაც არ იქნება და, მაშასადამე, თუმც არ განვიცდი მის მიმართ სათუთ სიყვარულს, მაინც საჭიროდ მიმაჩნია...

ორი ფენა, რომელთა დაკვირვება, პირველ რიგში მომიხდა, სახელდობრ – ფარეშები და კარისკაცები, გაცილებით ნაკლებ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან შინაგანი რაობით, ვინემ გარეგნული სახით, და ორივ ისინი ისე ნაკლებად არიან შესწავლის ღირსნი, და ესოდენ ადვილია მათი გაცნობა, რომ ერთზეც და მეორეზეც მაშინვე გული ავიყარე; როცა სამეფო კარს გამოვეთხოვე, სადაც უმალ თავიდან ბოლომდე ხედავ ყველაფერს, არც კი ვიცოდი, ისე დავაღწიე თავი ხიფათს, რომელსაც იქ ხელიდან ვეღარ გავუსხლტებოდი.

სახელი გამოვიცვალე, მომესურვა გავცნობოდი სამხედრო პირთა ზნე-ჩვეულებებს, გავემართე უცხო მხარეში და იქაურ ხელმწიფესთან დავიწყე სამსახური, და სწორედ იქ მაქვნდა ბედნიერება, ჟიული, სამსახური გამეწია მამათქვენისათვის, როცა ორთაბრძოლაში შემოაკვდა მეგობარი და, ამის გამო სასოწარკვეთილი, მამაცურად, მაგრამ მხედართუფროსის მოვალეობისათვის შეუფერებლად, ეძიებდა სიკვდილს ბრძოლაში. როცა გავეცან ამ მამაცი ოფიცრის გრძნობიერ და კეთილშობილ გულს, უკეთესი შეხედულება შემექმნა ადამიანებზე. ჩვენ შეგვაერთა მეგობრობის კავშირმა, რომელიც მან შემომთავაზა და, მეც არ ძალმედვა არ გამეზიარებინა: მას მოღმა ჩვენ შორის არამცთუ არ შეწყვეტილა გულითადი ურთიერთობა, არამედ დღითი დღე სულ უფრო და უფრო ღრმავდებოდა. ამ ახალ ყოფაში გავიგე, ადამიანთა ქმედების მარტოოდენ ანგარება როდი უდევს საფუძვლად, როგორც მე ვფიქრობდი, და სათნოების სამტრო აურაცხელ ცრურწმენათა შორის მოიპოვებიან ისეთებიც, რომლებიც ხელსაყრელნი არიან-მეთქი მისთვის. მე ჩავწვდი იმ ჭეშმარიტებას, რომ ადამიანის მთავარი თვისებაა საკუთარი თავის სიყვარული, რაც თავისთავად ბევრი არაფერია, ვინაიდან იგი ავი ან კარგი ხდება გარემოთა მიხედვით, ისინი კი, თავის მხრივ, ექვემდებარებიან ადათ-წესებს, საზოგადოებაში მოპოვებულ მდგომარეობას, სიმდიდრესა და მთელ ჩვენს საზოგადოებრივ წყობას. გამიტაცა დაკვირვებებისაკენ მისწრაფებამ, შევიძლე ამაო და ფუჭი შეხედულებანი საზოგადოებრივ რანგთა გამო და მოვსინჯე ძალზე სხვადასხვაგვარი საქმიანობა, რაც საშუალებას მაძლევდა ერთმანეთისათვის შემედარებინა სხვადასხვა წოდების ადამიანები და გამეცნო ერთნი მეორეთა მეოხებით. მე ვიგრძენი ის ამბავი, რასაც ლაპარაკობდით რომელიღაც თქვენს წერილში, – წარმოთქვა მან და მიმართა სენ-პრეს, – ვიგრძენი, რომ უკეთუ დავკმაყოფილდებოდი მარტოოდენ ჭვრეტით, ვერაფერსაც ვერ დავინახავდი, საჭიროა მოქმედება, და მაშინ დაინახავ, თუ როგორ მოქმედებენ ადამიანები. და აი, მე აქტიორი გავხდი, რათა მაყურებელი გავმხდარიყავი. ძირს დაშვება გაცილებით იოლია, ვიდრე ზეაღსვლა; მრავალი საზოგადოებრივი მდგომარეობა განვიცადე, რაც ჩემი წოდების ადამიანს სიზმრადაც არ მოელანდება. გლეხურ შრომასაც არ ვთაკილობდი, და როცა ჟიულიმ თავის ელიზიუმში მებაღის თანაშემწედ დამაყენა, ამ საქმეში არც ისეთი ახალბედა ვიყავი, როგორც ეგონა.

ადამიანთა ზნე-ხასიათის ნამდვილი ცოდნის გარდა, რის გამოც უნიათო ფილოსოფია მარტოოდენ ცრუ წარმოდგენას იძლევა, მე მომებოძა კიდევ სხვა, ჩემთვის მოულოდნელი უპირატესობა. ქმედითმა ცხოვრებამ გამიძლიერა წესიერების მიმართ თანდაყოლილი სიყვარული, და ჩემს თვალში სიკეთეს მიენიჭა ახალი მომხიბვლელობა, ვინაიდან მსიამოვნებდა მისთვის ხელის შეწყობა. ამ გრძნობამ გამხადა ნაკლებ განმჭვრეტი, ცოტათი შემარიგა საკუთარ თავთან, და ჩემი ხასიათის ასეთი განვითარების შედეგად ის აზრი დამებადა, სავსებით მარტო ვარ-მეთქი. წინათ მოსაწყენი მარტოობა ამჟამად აუტანელი გახდა ჩემთვის, და აღარ ვიმედოვნებდი, თუ შევეჩვეოდი მას. თავი ვერ დავაღწიე ჩემს გულცივობას, მაგრამ სიყვარული მომწყურდა; ნაადრევად მტანჯავდა ფიქრი უნუგეშო სიბერის გამო, და სიცოცხლეში პირველად ვიწვნიე დარდი და ვაი-ვაგლახი. მე ვამცნე ჩემი მწუხარება ბარონ დ'ეტანჟს. „ნუ დაბერდებით უცოლშვილოდ, – თქვა მან, – თავად მეც, მას შემდეგ, რაც თითქმის მარტოხელა კაცივით ვცხოვრობდი, მიუხედავად იმისა, რომ ცოლიანი ვარ, დამებადა სურვილი კვლავ გავხდე მეუღლე და მამა და ვფიქრობ მალე დავუბრუნდე ჩემს ოჯახს. თქვენ ძალგიძთ ამ ოჯახში მოხვიდეთ და დაკარგული შვილის მაგივრობა გამიწიოთ. მე მივის ასული, ერთადერთი ჩემი შვილი, საქმროდ შეღერებული. მას არ აკლია ღირსებანი; მგრძნობიარე გული აქვს, ხოლო მოვალეობის შეგნება აიძულებს სიყვარულით მიიღოს ყოველივე, რასაც ეს მოვალეობა აკისრებს. იგი არაა მზეთუნახავი, მაგრამ ზებუნებრივად ჭკვიანია, ოღონდ ჩამობრძანდით,

ნახეთ, და თუ მის მიმართ არაფერს იგრძნობთ, მაშინ არასოდეს არაფერსაც არ იგრძნობთ არც ერთი ქალის მიმართ ამქვეყნად“. ჩამოვედი, გიხილეთ თქვენ, ჟიული, და განვიცადე, მამათქვენმა მეტისმეტი მოკრძალებით რომ შეგაფასათ. თქვენმა აღტაცებამ, სიხარულის ცრემლებმა, რომელთაც ღვრიდით, როცა მამას ეხვეოდით, აღმიძრეს პირველი, უფრო სწორად, ჩემს სიცოცხლეში ერთადერთი, მღელვარება. ვთქვათ, შთაბეჭდილება ფუქსავატური ჩანდა, მაგრამ იგი არაჩვეულებრივი იყო, შთაბეჭდილებათათვის კი მხოლოდ მაშინაა აუცილებელი ძალა, როცა ისინი ზემოქმედებას ახდენენ მათზე, ვინაც მათ ეურჩება. სამი წლის განშორებამ ვერ შეცვალა ჩემი ყოფა, ხოლო როდესაც დავბრუნდი, თქვენი გულის თქმანი, ჟიული, ჩემთვის აშკარა იყო. და ახლა მინდა ჯავრი ვიყარო აღიარების გამო, რაც ასეთი ძვირი დაგიჯდათ“. აბა, ერთი თავად განსაჯე, ძვირფასო ჩემო, რაგვარი გაოცებით გავიგე მაშინ: ყველა ჩემი საიდუმლო მისთვის ცნობილი იყო ჯერ კიდევ ქორწინებამდე; ცოლად შემირთო და მასთან იცოდა, სხვას რომ ვეკუთვნოდი.

„ჩემი საქციელი შეუწყნარებელი იყო, – განაგრძობდა ვოლმარი, – უტაქტოდ და არაკეთილგონივრულად მოვიქეცი, საფრთხეს ვუქადდი თქვენსა და ჩემს ღირსებას, მე უნდა მშინებოდა, თქვენაც და ჩემს თავსაც უსაშველო ვაი-ვარამის უფსკრულში რომ გადავხაფრავდი. მაგრამ შემიყვარდით, და მარტოოდენ თქვენ მიყვარდით. ყოველივე დანარჩენი ჩემთვის სულ ერთი იყო. ვით ჩავიხშოთ თუნდაც ყველაზე უსუსური ვნება, როცა მას სანაცვლო არაფერი გააჩნია? აი, რა არის გულცივ და დინჯ ხასიათთა ნაკლი და ზადი. ვიდრე გულცივობა იფარავს მათ ცდუნებათაგან, ყოველივე რიგზეა. ოღონდ როგორც კი ცდუნება ოდნავ მიენანებათ, იგი მაშინვე იმარჯვებს; სანამ მარტოდმარტო ბატონობს გრძნობათგამრიგე გონება, არ ძალუძს წინააღმდეგობა გაუწიოს მათ ოდნავ შემოტევასაც კი, ჩემს სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ განვიცადე ცდუნება და მაშინვე გავნადგურდი, ხოლო კვლავ რომ განმეცადა ძრწოლა და სხვა რაიმე ვნებანი, რა უილაჯო აღმოვჩნდებოდი, რამდენჯერ წავიფორხილებდი და დავეცემოდი, მხოლოდ მგზნებარე ცეცხლით გულანთებულ ადამიანებს ძალუძთ ბრძოლა და გამარჯვების მოპოვება. ყველაზე დიდი საქმე, ყველაზე მაღალი ღირსების გმირობა ხელმისაწვდომია მათთვის. განმსჯელ გონებას არასოდეს ჩაუდენია რაიმე, სახელ-დიდების ღირსი რომ იყოს, ვნებათა დაძლევა და დაოკება შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ მათი ურთიერთდაპირისპირებით. როდესაც ვნება სათნოებისაკენ აღავლენს თავის ძალ-ღონეს, იგი მარტოდმარტო მბრძანებლობს და ყველაფერს წონასწორობას უნარჩუნებს. აი, სწორედ ასე ხდება ადამიანი ბრძენი, – ვინაიდან ბრძენიც კი არ არის თავისუფალი ვნებათაგან, ოღონდ მას ძალუძს ზოგიერთი ვნებანი სულ სხვა ვნებებით დასძლიოს მსგავსად ლოცმანისა, რომელიც სარგებლობს ურთიერთსაწინააღმდეგო ქარებით და ისე მიჰყავს ხომალდი.

როგორცა ხედავთ, როდი მინდა ჩემი ცოდვის შემცირება: ეს რომ შეცდომა ყოფილიყო, ყოვლად უდავოდ ვაღიარებდი მას; მაგრამ, ჟიული, კარგად გიცნობდით თქვენ და, როცა თქვენზე ვიქროწინე, შეცდომა არ ჩამიდენია. ვგრძნობდი, რომ თქვენზე ეკიდა მთელი ჩემი ცხოვრების ბედნიერება, და ვიცოდი კიდეც, მხოლოდ მე რომ შემეძლო თქვენი გაბედნიერება. ვიცოდი, რომ თქვენი გულისთვის აუცილებელი იყო უმანკოება და მშვიდობა, ხოლო სიყვარული, რითაც ასე აღსავსე ხართ, ბედს ვერასოდეს გწევდათ. და თქვენი გულიდან მისი გამოდევნა ძალუძს მხოლოდ დანაშაულის წინაშე ძრწოლასა და შიშს. მივხვდი, გულდარდიანი რომ იყავით და ამ შეჭირვებულ მდგომარეობიდან თავს მხოლოდ ახალი ბრძოლით რომ დააღწევდით, და ვიგრძენი, კვლავაც ძალგიძდათ ყოფილიყავით ჩემი პატივისცემის ღირსი და შეეცდებოდით კიდეც მის დამსახურებას. თქვენ გულმოკლული იყავით; ამიტომაც როდი დამაოკა ასაკის სხვაობამ, რამაც წარმტაცა თქვენი სიყვარულის დაჩემების უფლება, რითაც უკვე აღარ შეეძლო ესარგებლა მას, ვინც

იყო ამ სიყვარულის საგანი, ხოლო სხვა ვერავინ შეძლებდა ამის მოპოვებს. პირიქით, როცა დავინახე, უკვე ნახევრად განვლილ ჩემს სიცოცხლეში პირველად რომ აღმეძრა სამიჯნურო გულისთქმანი და მივხვდი, ეს ხანგრძლივი იქნებოდა, სიხარულით გადავწყვიტე მისთვის შემეწირა ჩემი სიცოცხლის დარჩენილი დღეები. დიდხანს ვეძიებდი და, როცა თქვენი შესადარი ვერავინ ვიპოვე, ვიფიქრე, უკეთუ თქვენ არ მომანიჭებთ ბედნიერებას, მთელ დუნიაზე სხვა ვინმე ვერავინ შეიძლებს ამის ჩადენას- მეთქი; გავბედე, ვიწამე სათნოება და ვიქორწინე თქვენზე. თქვენ იმარხავდით თქვენს საიდუმლოს, ოღონდ ეს ამბავი არ მიკვირდა; ვიცოდი დუმილის მიზეზი, ხოლო თქვენმა გონივრულმა საქციელმა მომცა იმედის საფუძველი, რომ ზნე თავის დღეში არ შეგეცვლებოდათ. თქვენი პატივისცემის გამო, თქვენივე მაგალითის მიხედვით, მეც აგრეთვე თავს ვიკავებდი, არა მსურდა ამეყარა თქვენთვის ღირსება და პატივი, რათა ოდესმე თავად გაგემხილათ ყოველივე, ვინაიდან ვხედავდი, რომ ეს საიდუმლო ყოველ წუთას მზად იყო დასცდენოდათ თქვენს ბაგეთ. არაფერშიც არ შევმცდარვარ, თქვენ გაამართლეთ ყველა ჩემი იმედი. როცა გადავწყვიტე ცოლის ამორჩევა, მსურდა მისი სახით მეპოვა მოყვარული, გონიერი და ბედნიერი მეგობარი. ორი პირველი გულისწადილი აღსრულდა. ჩემო ბაშვო, იმედი მაქვს, მესამეც აღსრულდება“.

რაც შემეძლო, ვცდილობდი ხელი არ შემეშალა მისი ლაპარაკისათვის, მაგრამ ამ სიტყვებზე ცრელმორეული წამოვხტი, გადავეხვიე და შევძახე: „ჩემო ძვირფასო მეუღლევ, ადამიანთა შორის ყველაზე უკეთესო და საყვარელო, იცოდეთ, თუ თქვენს ბედნიერებას არა, ჩემსას მაინც აკლია მხოლოდ ერთი რამ: უფრო მეტად რომ დავიმსახურო იგი...“ – „თქვენ ბედნიერი ხართ, რამდენადაც ძალგიძთ იყოთ ახლა ბედნიერი, – შემაწყვეტინა მან და მითხრა, – თქვენ ამის ღირსი ხართ, და დადგა ჟამი, როცა სულიერად დამშვიდებულს შეგიძლიათ განსცხრებოდეთ ბედნიერებით, რაიც დიდი მღელვარების ფასად დაგიჯდათ. უკეთუ ჩემთვის საკმაო იყო მარტოოდენ თქვენი ერთგულება, არასოდეს დამაეჭვებდა იგი, რადგან შემომპირდით, ამ ერთგულებას კუბოს კარამდე დავიმარხავო. ოღონდ უფრო მეტი მსურდა, მინდოდა, რათა ცოლქმრული ერთგულების მოვალეობა თქვენთვის იოლი და სასიამო ყოფილიყო, და ჩვენ ორნივ, სავსებით შეხმატკბილებულნი, უსიტყვოდ ველტვოდით ამას. ჟიული, ეს მოვახეხეთ ჩვენ, და, ეგებ, უფრო მეტადაც, ვიდრე გგონიათ. თქვენი დანაშაული მხოლოდ ისაა, რომ ჯერ ისევ უფრო ნაკლებად ენდობით თქვენს თავს, ვიდრე საჭიროა, და საკმაოდ როდი სცემთ პატივს მას. არამცთუ ზვიადობას, არამედ ნამეტნავ თავმდაბლობასაც მოეპოვება თავისი საფრთხე, უტიფარი შემართების გამო, რაიც გვაქეზებს შეუძლებლის ჩასადენად, ამაოა სწრაფვანი ჩვენნი, ხოლო შიშის გამო, რომელიც გვიკარგავს ჩვენივ ძალ-ღონის რწმენას, ისინი უსარგებლონი ხდებიან. ნამდვილი კეთილგონიერება ისაა, კარგად იცნობდე შენს ძალ-ღონეს და მას დაენდო. როცა შეიცვალა თქვენი მდგომარეობა, მაშინ ჰპოვეთ ახალი ძალი და ღონე. თქვენ ხომ ის უბეუდრი ქალიშვილი აღარა ხართ, რომელიც დაძალა სულმოკლეობამ და გლოვობდა ამ ამბავს; თქვენ ყველაზე სათნო ხართ ქალთა შორის, თქვენთვის უცილობელი კანონია ცოლმქრული მოვალეობისა და ღირსების მოთხოვნანი, და მარტოოდენ ერთი რამ შეიძლება გისაყვედურონ: რად ცოცხლობს ასე თქვენს გულში მოგონებანი თქვენივ წინანდელ შეცდომათა გამო? საკუთარი თავის საწინააღმდეგოდ სათაკილო სიფრთხილეს ნუკი მიმართავთ, ისწავლეთ საკუთარ ძალ-ღონეზე დანდობა და მაშინ უფრორე გაგიძლიერდებათ მტკიცე რწმენა თქვენი თავის მიმართ. უკუაგდეთ უმართებულო უნდობლობა თქვენივე თავის მიმართ, თორემ, კაცმა რომ თქვას, მართლაც გაცოცხლდებიან ის გრძნობები, რითაც იყო გამოწვეული ეს უნდობლობა. ინუგეშეთ იმით, რომ სიყმაწვილის ჟამს, როცა ადვილია შეცდომათა ჩადენა, თქვენი არჩევანი ხვდა პატიოსან კაცს და რომ წინანდელი მიჯნური ამჟამად შეიძლება გაგიხდეთ მეგობრად

თვით თქვენი ქმრის თვალშიც. როგორც კი ჩემთვის ცნობილი გახდა თქვენი კავშირი, ორივეს გამოგიტანეთ მსჯავრი. მივხდი, რომ ორივენი დაგაბრმავათ ჭაბუკურმა გიჟურმა ლტოლვამ; ოღონდ იგი წარმოიქმნება მშვენიერ სულთა შორის, და თუკი ზოგჯერ ღუპავს კიდეც მათ, მაინც ერთმანეთისკენ იზიდავს მხოლოდ დიად არსებათ. გამოვიცან, რომ თქვენც შეგაკავშირათ უზეშთაესმა მისწრაფებებმა და თქვენი კავშირი უმალ დაიშლება, როგორც კი უკეთური გახდება, ვინაიდან ბიწიერებას შეეძლო თქვენს გულში შეპარვა, ოღონდ იქ ვერასოდეს დაივანებდა.

და მაშინ მივხვდი, რომ ისეთი კავშირი გაერთებთ თქვენ, რომ არა ღირს მათი დარღვევა: თქვენს სიყვარულში ესოდენი რა იყო სანაქებო, რომ უმალ აუცილებელი იქნებოდა მისი გამოსწორება, ვიდრე გაცამტვერება, თქვენ ერთმანეთს ვერ დაივიწყებთ ისე, რომ ამით ზიანი არ მიადგეს თქვენსავე ღირსებას. ვიცოდი, რომ სასტიკი ბრძოლა მხოლოდ და მხოლოდ განაცხოველებს ბრმა ვნებათაღელვას, და უკეთუ გაშმაგებული მცდელობანი ასალკლდევებენ ადამიანის სულს, ესოდენ ტანჯვა-წამებად უჯდება ეს ამბავი, რომ ამ ხანგრძლივ ვაი-ვარამს ძალუძს სიცოხლე მოუსწრაფოს მას. ჟიულის ბუნებრივი თვინიერება იქითკენ მივმართე, რომ შემენელებინა მისი სიმკაცრე საკუთარი თავის მიმართ. მე ვაგულიანებდი თქვენდა მომართულ მის მეგობრულ გრძნობათ, – უთხრა მან სენ-პრეს. – მე მოვაშორე ყოველივე ზედმეტი მის მეგობრულ გრძნობებს, და ასე ვფიქრობ, მის გულში უფრო მეტი ადგილი შეგინარჩუნეთ, ვინემ მოგაგებდათ, თავის ნებაზე რომ მიმეშვა.

მოპოვებულმა წარმატებებმა გამამხნევეს მე და ძალიან მალე გადავწყვიტე თქვენი განკურნებაც, ისე როგორც განვკურნე ჟიული; მე ხომ პატივსა გცემდით თქვენ და ყოველთვის ვფიქრობდი, უზნეო ადამიანების ცრურწმენათა მიუხედავად, შეიძლება ნდობითა და გულახდილობით კეთილშობილ ადამიანთ აღუძრათ უაღრესად მაღალი გრძნობები-მეთქი. ჩვენ შევხვდით ერთმანეთს და დავინახე, რომ სრულიადაც არ მატყუებდით და კვლავაც არ მომატყუებთ. და თუმცა ჯერ კიდევ არ გამხდარხართ ის ადამიანი, ვინც უნდა იყოთ, მაინც უკეთ შეგიცანით, ვიდრე თქვენ ფიქრობთ, და უფრო მეტად კმაყოფილი ვარ თქვენი, ვინემ თავადა ხართ თქვენივ თავით გულშეჯერებული. ჩემი საქციელი, იქნებ, უცნაურად გეჩვენოთ, – მე ვარღვევ საყოველთაოდ მიღებულ წესებს; მაგრამ ეს წესები ხომ მით უმეტესად უშვებენ გამონაკლისს, რამდენადაც უკეთ ვწვდებით ადამიანთა სულის სიღრმეს; ჟიულის ქმარიც რომელიმე სხვა კაცივით როდი უნდა მოიქცეს, ჩემო ბავშვებო, – გვითხრა მან გულში ჩამწვდომი მღელვარებით, ვინაიდან მას ლაპარაკობდა ბუნებით ძალზე მშვიდი ადამიანი, – იყავით ისეთნი, როგორებიცა ხართ, და ყველანი ბედნიერნი ვიქნებით. საფრთხე მხოლოდ მაშინ მოგელის, როცა საკუთარ თავზე მცდარი შეხედულება გაქვს; ნუ გეშინიათ თქვენი თავისა და არაფრისაც აღარ შეგეშინდებათ; იფიქრეთ მხოლოდ აწმყოზე, მომავლისათვის მე ვიქნები პასუხისმგებელი. ახლა მეტი აღარაფრის თქმა აღარ შემიძლია; ოღონდ, უკეთუ ჩემი გულის წადილი განხორციელდება და იმედი არ გამიცრუვდება, ჩვენი ცხოვრება უფრო ხალისიანი გახდება და ორივენი უფრო მეტად ბედნიერნი იქნებით, ვიდრე მაშინ, ერთმანეთს რომ ეკუთვნოდეთ“.

შემდეგ წამოდგა, გადაგვკოცნა და მოისურვა, მე და სენ-პრესაც გადაგვეკოცნა ერთმანეთი ამ წარაფში... სწორედ იმ წარაფში, სადაც ოდესღაც... კლარა, ჰოი, ჩემო კეთილო კლარა, როგორ გიყვარდი მარად და მარად! ქმრის სურვილისათვის წინააღმდეგობა არ გამიწევია, ვაგლახ მე! აბა, რა საჭირო იქნებოდა ეს! ჩვენი კოცნა სრულიადაც არა ჰგავდა იმ ამბორს, რის გამოც ეს წარაფი ასე სახიფათო გახდა ჩემთვის. ძალზე დავღონდი და თანაც გული სიხარულით აღმევსო: მივხვდი, რომ გული უფრო მეტად გარდამქმნოდა, ვიდრე ამის გაფიქრებას გავბედავდი.

როცა უკანვე შინისაკენ გავბრუნდით, ქმარმა ხელზე ხელი წამავლო, შემაჩერა და დამანახა წარაფი, საიდანაც გამოვდიოდით. „ჟიული, – ღიმილით მითხრა მან, – ამიერიდან ნუღარ გაშინებს ეს სავანე, მას დაეკარგა თავისი ჯადო-თილისმა“. შენ კი, კლარა, არ გინდა დამიჯერო, მაგრამ თავს გეფიცები, ჩემს ქმარს მომადლებული აქვს რაღაც ზებუნებრივი ნიჭი, დაინახოს თუ რაა ჩამარხული ადამიანთა გულის სიღრმეში. მაშ, შეუნარჩუნოს გამჩენმა ასეთი გამჭრიახობა, რაოდენი საბაბიც უნდა ჰქონდეს ჩემი სიძულვილისთვის, სწორედ ამის ბრალია, რომ ეგრერიგად გულმოწყალეა ჩემს მიმართ.

ჯერ კიდევ ვერა ხედავ ვერავითარ საბაბს რჩევა-დარიგების მოსაცემად. მოითმინე, ჩემო ანგელოზო, ახლავე ჰპოვებ საბაბს, ოღონდ ამ საუბრის გადმოცემა შენთვის აუცილებელი იყო, რათა ყოველივე დანარჩენი ნათელი გამხდარიყო.

უკან დაბრუნებისას ჩემმა ქმარმა, რომელსაც უკვე დიდი ხანია მიელიან ეტანჟში, მითხრა, ხვალ ვიფიქრებ იქ წასვლას, კლარას გავუვლი, ვნახავ და ხუთი-ექვსი დღის შემდეგ დავბრუნდებიო. აღარ ვუთხარი ყველაფერი, რასაც ვფიქრობდი ამ უადგილო მგზავრობის გამო, მხოლოდ შევნიშნე, ეგ მგზავრობა ესოდენ აუცილებლად არ მიმაჩნია, რომ მისი გულისთვის მიატოვო სტუმარი, რომელიც თავად მოიპატიჟე-მეთქი. „ნუთუ ისა გსურთ, – შემესიტყვა იგი, – ზედმეტად ცერემონიული მოპყრობით დავანახო მას, რომ საკუთარ სახლში არ იმყოფება? მე ვემხრობი ვალეს მცხოვრებთა გულთბილ სტუმართმოყვარეობას. დაე მან იხილოს აქ ისეთივე გულახდილობა, ჩვენ კი, მათი მაგალითის მიხედვით, უფრო თავისუფლად მოვიქცევით“. როცა დავინახე, ჩემს ქმარს არა სურს ჩემი მოსმენა-მეთქი, სულ სხვა საშუალებას მივმართე: ვარწმუნებდი ჩვენს სტუმარს, თან წაჰყოლოდა. „იქ იხილავთ მეტად მშვენიერ სასახლეს, – ვუთხარი მე, – რომელიც აუცილებლად მოგეწონებათ. დაათვალიერებთ ჩემი წინაპრების სამფლობელოს, ახლა ის მე მეკუთვნის; თქვენი გულკეთილი ურთიერთობა ნებას მაძლევს ვიფიქრო, რომ თქვენთვის სულ ერთი როდი იქნება ეს სურათი-მეთქი“. და უკვე ისიც მინდოდა მეთქვა, ეს სასახლე ჰგავს მილორდ ედუარდის სასახლეს-მეთქი, რომელიც... მაგრამ, საბედნიეროდ, დროზე გავკმინდე ხმა, სენ-პრემ ძალზე უბრალოდ მომიგო, მართალი ხართო, ისე მოვიქცევი, როგორც თქვენ გნებავთო. მაგრამ ვოლმარს თითქოს სურდა მოთმინებიდან გამოვეყვანე და თქვა, სენ-პრე ისე უნდა მოიქცეს, როგორც თავად მოეპრიანებაო. „რა უფრო გწადიათ: წამოსვლა თუ დარჩენა?“ დარჩენაო, უყოყმანოდ მიუგო სე-პრემ. „მაშ, დარჩით კიდეც, – განაგრძობდა ჩემი ქმარი და თან ხელს ართმევდა მას. – თქვენ პატიოსანი და ალალ-მართალი ადამიანი ხართ და კმაყოფილი ვარ თქვენი პასუხით“. მოწმის თანდასწრებით შეკამათება შეუძლებელი იყო. ენა დავიდუმე, მაგრამ ქმარს არ გამოეპარა ჩემი გულის წუხილი. „მაშ, რაიღა ვუყოთ, – უკმაყოფილოდ მითხრა მან, როცა სენ-პრე ჩამოგვშორდა, – ნუთუ ამაოდ ვიცავდი თქვენგანვე თქვენს მეგობრობას? ნუთუ ჩემი ცოლის ქველკეთილობისათვის აუცილებელია რაღაც საგანგებო ვითარებანი? რაც შემეხება მე, უაღრესად მომთხოვნი ვარ, მინდა, რომ ჩემი ჟიულის ერთგულებას ვუმადლოდე მხოლოდ და მხოლოდ მის გულს, და არა შემთხვევას. ის კი არა მყოფნის, რომ დაიცვას პატიოსნება, ჩემთვის შეურაცხმყოფელია, რომ დაეჭვებულია თავის თავში“.

შემდეგ შეგვიყვანა თავის სამუშაო კაბინეტში და იქ კინაღამ გული წამივიდა, როცა მაგიდის უჯრიდან ასლებთან ერთად ამოიღო ჩვენი მეგობრის წერილები, რომლებიც თავად მივეცი მას, სწორედ იმ წერილთა დედნები, რომლებიც, როგორც მეგონა, ბაბიმ დედაჩემის საწოლ ოთახში დაწვა. „აი, – წარმოთქვა მან და თანაც ის წერილები ჩვენ გვაჩვენა, – აი, ჩემი სიმშვიდის საწინდარი. მათ თუ მომატყუეს, მაშასადამე, შეუძლებელია იწამო რაიმე, რასაც პატივსა სცემენ ადამიანები, ეს სიგიჟე იქნებოდა. ჩემო მეუღლევ, თამამად ვანდობ ჩემს ღირსებას მას, ვინაც შეცდუნებულ ქალიშვილად მყოფმა, კეთილი საქმის გამო უარი თქვა მიჯნურთან ერთადერთ და მშვიდობიან პაემანზე. ჟიულის,

ამჟამად მეუღლესა და დედას, ვანდობ მას, ვინაც ოდესღაც დათრგუნა თავისი გულისთქმა, რადგან ჟიულის სახით პატივსა სცემდა შეყვარებულ ქალიშვილს. უკეთუ თქვენ, სენ-პრე, ანდა შენ, ჟიული, ფიქრობთ, რომ ვცდები, უმალ უკანვე წავიღებ ჩემს სიტყვებს“. დაიკო, როგორა გგონია, განა ადვილი იყო პასუხის გაცემა, როცა ასეთი ენით ალაპარაკდა?

და აი, დღისით მოვიხელთე დრო, როცა ჩემი ქმარი მარტო იყო, მივედი მასთან მოსალაპარაკებლად, აღარ გავუბი დიდი მასლაათი, რადგან მეუხერხულებოდა, ვაითუ წრეს გადავიდე-მეთქი, და მხოლოდ ორი დღის ვადა ვთხოვე. მაშინვე დამთანხმდა, და ეს ორი დღე გამოვიყენე იმისათვის, რომ შიკრიკის ხელით წერილი გამოგიგზავნე, თანაც სულმოუთქმელად ველი შენგან პასუხსა და რჩევას, როგორ მოვიქცე.

ვიცი, როგორც კი ვთხოვ ქმარს, არ წახვიდე-მეთქი, ისიც, ვინაც არასოდეს არაფერში მეუბნებოდა უარს, ახლაც როდი მომაკლებს ესოდენ მცირედ წყალობას. ოღონდ, ჩემო ძვირფასო, ვხედავ, რა სიამოვნებას ანიჭებს ის ამბავი, როცა ნდობას მიცხადებს და ვშიშობ, ვაითუ ნაწილობრივ დაეკარგოს ჩემი პატივისცემა, უკეთუ ეგონება, რომ მე უფრო მეტად უნდა შევიკავო თავი, ვიდრე ფიქრობს; აგრეთვე ისიც ვიცი, საკმარისია ერთი სიტყვა დამცდეს, და სენ-პრე უყოყმანოდ თან წაჰყვება, ოღონდ, როგორ შეხედავს ჩემი ქმარი გადაწყვეტილების ასეთ შეცვლას? და ძალმიძს კია ასეთი ნაბიჯის გადადგმა? ხომ არ ეგონება მაშინ, რომ შევინარჩუნე რაღაც ძალაფულება სენ-პრეს მიმართ და ეს თითქოსდა რაღაც უფლებას აძლევდეს მას ჩემზე? თანაც ვშიშობ, ვაითუ ასეთი სიფრთხილის გამო იფიქროს, თითქოსდა ეს სიფრთხილე საჭირო იყოს ჩემთვის, ხოლო მაშინ ეს ერთი შეხედვით ყველაზე იოლი საშუალება უაღრესად სახიფათო აღმოჩნდება. რასაკვირველია, მესმის, რომ შეუძლებელია ნამდვილ საფრთხესთან რაიმე მოსაზრების გათანაბრება, მაგრამ არსებობს კი ეს საფრთხე? სწორედაც შენ უნდა გააცამტვერო ეს ეჭვები.

რაც უფრო და უფრო ღრმად ვწვდები ჩემი სულის მდგომარეობას, მით უფრო ნაკლებად ვპოულობ შეშფოთების საბაბს. ჩემი გული ყოველმხრივ სპეტაკია, სინდისი – დამშვიდებული, არ განვიცდი არც ძრწოლას, არც შიშს, და ყველაფერი, რაც ხდება ჩემს გულში, შემიძლია გულწრფელად გავუმხილო ქმარს. მართალია, ზოგიერთ უნებურ მოგონებათა გამო ვეძლევი აღტაცებას, რაც ჯობდა სულაც არ მცოდნოდა; მაგრამ მოგონებანი სრულიადაც არ განახლდებიან ჩემი უწინდელი მიჯნურის შეხედვისას, პირიქით, ასე მგონია, ისინი იშვიათად მეწვევიან ხოლმე სენ-პრეს დაბრუნების შემდეგ, და რაოდენ სასიამოვნოც უნდა იყოს მისი ხილვა, მაინც გაცილებით უფრო მსიამოვნებს მასზე ფიქრი, არც კი ვიცი, რატომ. ძალზე უცნაური კია ეს ამბავი! ერთი სიტყვით, ვხვდები, რომ სათნოების დახმარებაც კი არ მჭირდება, მასთან ყოფნისას გულმშვიდად რომ დავრჩე, და თავად ბოროტეული ვნებათა ღელვაც რომ არ მცემდეს თავზარს, სათნოების მიერ განადგურებულ გრძნობებს გაუძნელდებოდათ კვლავ განახლება.

მაგრამ, ჩემო ანგელოზო, საკმარისია თუ არა ის, გული რომ გამშვიდებს, როცა გონება განგაშსა ტეხს? დავკარგე უფლება დავენდო ჩემს თავს. ვინ მითავდებებს, რომ ჩემი თავდაჯერება არ არის ბიწიერების ცდუნება? ვით ვენდო გრძნობებს, რომელთაც ასე ხშირად დამტოვეს მშრალზე? განა უკეთური საქციელი მუდამჟამს ცდუნების ქედმაღლური სიძულვილით არ იწყება? ოდესღაც ჩემს დამღუპველ საფრთხესთან თამაშში კიდევ ერთხელ ხომ არ იმალავს თავს დაღუპვის სურვილი?

ჩაუკვირდი ამ მოსაზრებათ, დაო ჩემო, და მიხვდები, თავის თავად რაც უნდა უსაფუძვლონი იყვნენ ისინი, გამოწვეულნი არიან მნიშვნელოვან მიზეზთა გამო და ამას კარგად უნდა ჩავუფიქრდეთ. დამიფარე მათ მიერ წარმოქმნილ მღელვარებათაგან, მასწავლე, როგორ მოვიქცე ესოდენ ძნელ მდგომარეობაში მყოფი, ჩემმა წარსულმა ცდომილებამ წარმტაცა სულის სიმტკიცე. შიშის ზარი მიპყრობს და უკვე აღარ ძალმიძს,

წინანდელივით მშვიდად განვსაჯო ყოველივე. რაც უნდა იფიქრო თავის თავზე, შენს სულში სუფევს სიმშვიდე და მყუდროება, ეს მტკიცედ მჯერა: ყოველი საგანი ისე ციალებს შიგ, როგორც წყნარ ტბაში, – და ისეთებად ჩანან, როგორებიც სინამდვილეში არიან; ხოლო ჩემი სული მუდამჟამს აღბორგებულია თითქოსდა ქარისაგან აზვირთებული წყალივით, მღელვარება ყველფერს აფორიაქებს და ამახინჯებს, არ ძალმიძს დავენდო იმას, რასაც მეუბნებიან ჩემი თვალები და გრძნობები და, მიუხედავად ხანგრძლივი სინანულისა, გულის ტკივილით ვრწმუნდები, ძველ შეცდომათა ტვირთი მთელ სიცოცხლეში რომ უნდა ვატარო.

XIII წერილი

პასუხი

საბრალო დაიკო! როგორ შენვე იტანჯავ თავს, თუმცა ესოდენი უფლებები გაქვს იცოცხლო გულარხეინად! „შენი ყოველი განსაცდელი თავად შენგანვეა, ჰოი ისრაელო!“

შენ რომ საკუთარ წესთა მიმდევარი იყო და გახსოვდეს, მიჯნურობის საქმეში მხოლოდ და მხოლოდ შინაგან ხმას უნდა ვუსმინოო და გულმა ჩემმა უნდა ჩააჩუმოს გონებაო, მაშინ სინდისის ქენჯნის გარეშე ირწმუნებდი გულის კარნახსა და, დასტურის მიუხედავად, არც შეუშინდებოდი ამაო საფრთხეს, ვინაიდან მას შეუძლია მხოლოდ შენს გულში დაიდოს ბინა.

მესმის შენი გულის წადილი, მშვენივრადაც მესის, ჟიული! გაცილებით უფრო გჯერა შენი თავისა, ვიდრე ამის გამომჟღავნებას ცდილობ: ახალ, შესაძლო ცდუნებათა გამოგონებით, გინებს დაისაჯო თავი წინანდელ შეცდომათა გამო; შენი სინდისის ქენჯნანი ესოდენ გაფრთხილება როდია მომავლის წინააღმდეგ, რამდენადაც სასჯელი ოდესღაც შენი დამღუპველი გამბედაობისათვის. მუდამჟამს ერთმანეთს უდარებ შენი ცხოვრების ორ ხანას. გეყოფა! შეადარე ვითარებანიც და გაიხსენე, მაშინ თავდაჯერების გამო რომ გამტყუნებდი, ხოლო ახლა ძალმიძს სილაჩრეში დაგდო ბრალი!

ამაოდ იყრი პატივს, ძვირფასო ჩემო; არ შეიძლება ასე საშინლად მოტყუვდე შენს თავში, ხდება ისიც, როცა ადამიანმა აღარ იცის, თუ როგორია მისი გუნება-განწყობილება, ვინაიდან სულაც არ ფიქრობს ამაზე. ოღონდ, როგორც კი ჩაიხედავს თავის გულში, ყველაფერს დაინახავს, – შენს თავს ვერ დაუმალავ ვერც საკუთარ სახიერებას, ვერც ბიწიერებას. შენი სიმშვიდითა და ღვთისმოსაობით მიელტვი თავდამცირებას. გეშინოდეს ამ სახიფათო სათნოებისა, ვინაიდან იგი ასაზრდოებს ჩუმჩუმელა ადამიანთა იდუმალ პატივმოყვარეობას. მერწმუნე, ეს ხომ „ქედმაღლობაზე უარესი დამცირებაა“. გაცილებით უმჯობესია კეთილშობილური გულწრფელობა და პირდაპირობა. უკეთუ ზომიერება საჭიროა თვით კეთილგონიერებაშიც, ეს ზომიერება მაშინაც გვმართებს, როს კეთილგონიერება სიფრთხილის გამოჩენას გვკარნახობს. უნდა გვეშინოდეს, ვაითუ სათნოების შეურაცხმყოფელმა საზრუნავმა არ დააკნინოს სული და მოჩვენებითი საფრთხე ნამდვილი არ გახდეს იმის გამო, რომ ჩვენ ყველანი ვშფოთავთ, ყველანი მასზე ვფიქრობთ. განა არ იცი, რომ დაცემის შემდეგ წამოდგომისას მტკიცედ უნდა იდგე ფეხზე, და ვინიცობაა მეორე მხარეს წატორტმანდები, აუცილებლად კვლავ დაეცემი. დაიკო, სიყვარულის ჟამს ჰგავდი ელოიზას, და მასავით ღვთისმოსავი გახდი. ღმერთმა ქნას, ამ ამბავმა შენ უფრო მეტი წარმატება მოგანიჭოს, ვიდრე მას. მერწმუნე, რომ არ ვიცოდე, ბუნებით რა მხდალი ხარ, შენი შიში და ძრწოლა მეც გადმომედებოდა; ხოლო შენებრ

მეტისმეტად წესიერი რომ ვიყო, მაშინ წამდაუწუმ შიშნეული ვიქნებოდი შენს გამო, და ჩემივ თავისთვისაც სულ შიში მექნებოდა.

კარგად მოიფიქრე ყოველივე, ჩემო საყვარელო დობილო. შენ სათნო, მშვიდი და ამდენადვე კეთილშობილური და სპეტაკი ხასიათი გაქვს; ოღონდ მეტისმეტად დიდ, შენთვის შეუფერებელ სიმკაცრეს სძენ შენს შეხედულებებს სქესთა განცალკევების გამო. მამაკაცები და ქალები მუდმივად ერთად არ უნდა იყვნენ და ერთნაირადაც არ უნდა იცხოვრონ, მაგრამ აბა, ერთი სინჯე, ხომ არ საჭიროებს ეს მნიშვნელოვანი წესი მრავალ შესწორებას და უნდა მივუყენოთ თუ არა იგი ყველას განურჩევლად – ქალებსა და გოგონებს, მრავალრიცხოვან საზოგადოებასა და განმარტოებით საუბრებს, შრომასა და გართობებს; ზოგჯერ ხომ არ უნდა გააიოლონ იგი ამ წესის შთამაგონებელმა წესიერებამ და რიგიანობამ? შენა გსურს, იმ ქვეყნებში, სადაც სუფევს ზნეკეთილობა და დაქორწინება სავსებით ბუნებრივ წესთა დაცვით ხდება, აწყობდნენ შეკრებებს, სადაც ორივე სქესის ახალგაზრდები შეიძლებენ ერთმანეთის ნახვას, გაცნობას და საბედოთა ამორჩევას; და შენც სამართლიანად უკრძალავ მათ ერთმანეთთან მარტოულად შეხვედრას. მაგრამ ეს მოთხოვნა სრულიადაც არაა შესაფერისი ოჯახთა დედებისათვის, რომელთაც არავითარი კანონიერი ინტერესები არ გააჩნიათ საზოგადოებაში გამოსაჩენად, ვინაიდან საოჯახო საქმეები მიაჯაჭვავს მათ თავიანთ კერას, თუმცა ხელი არ უნდა აიღონ ბევრ რამეზე, რაც სავსებით შეეფერება ოჯახის დიასახლისს. მე კი, რასაკვირველია, არ ვისურვებდი, რომ ახლა ევაჭრებოდე ჩამოსულ სოვდაგართ და ჩაგყავდეს ისინი თქვენს სარდაფებში ღვინის გასასინჯად, ანდა მიატოვო ბავშვები, ჩაუჯდე და შეაჯამო ანგარიშები თქვენს ბანკირთან; ოღონდ, თუ ვინიცობაა რომელიმე წესიერი კაცი გესტუმრებათ საქმის გამო, ხოლო შენი ქმარი ამ დროს შინ არ იქნება, ნუთუ არ მიიღებ სტუმარს მისი არყოფნისას, არ გამოიჩენ გულთბილობას მამაკაცთან მარტოდ დარჩენის შიშით? ყოველი წესის შესრულებისას მიმართე მის საფუძველს და ყველაფერი ნათელი იქნება. რატომ გვგონია, ქალებმა, მამაკაცებისაგან განმარტოებითა და განცალკევებით უნდა იცხოვრონო? ნუთუ გვინებს შეურაცხყოფა მივაყენოთ ჩვენს სქესს და ვიფიქროთ, ეს მოთხოვნილება ქალთა უსუსრობისაგან წარმოიქმნის და მისი მიზანია ქალები არ აცდუნონო? არა, ჩემო ძვირფასო, ეს შეუფერებელი შიში და ძრწოლა სრულიადაც არ შეშვენის ზნეკეთილ ქალს, ოჯახის დედას, – ყველა გარშემომყოფი მის მიმართ ხომ ქალის ღირსების გრძნობითაა განმსჭვალული, და ისიც უაღრესად საპატიო და ბუნებრივი მოვალეობის შესრულებითაა გატაცებული. მამაკაცისაგან ჩვენ თავად ბუნება გვანცალკევებს, და სავსებით სულ სხვა საქმეთ გვიწესებს; ჩვენ გვანსხვავებს მათგან სათუთი და მოკრძალებული კდემამოსილება, რომელსაც თუმც წამდაუწუმ არ აკერია პირზე უმანკოება, მაგრამ მისი ყველაზე საიმედო საწინდარია; მამაკაცებისაგან გვაშორიშორებს ჩვენივ ეშმაკური თავდაჭერილობა, რაც მათ აღუძრავთ გულისთქმას, ოღონდ ამასთან ერთად პატივისცემასაც, და წარმოადგენს, ასე ვთქვათ, სათნოების კეკლუცობას. ამიტომაცაა, რომ თვით ცოლ-ქმარიც არაა გამონაკლისი. აი, ამიტომაც ფრიად პატიოსანი ქალები, ჩვეულებრივ, ყველაზე უფრო ინარჩუნებენ ძალაუფლებას თავიანთ ქმრებზე: გონივრული და გამჭრიახი თავდაჭერის მეოხებით ისინი ახერხებენ სათუთი ურთიერთობით იყვნენ ქმრებთან დაკავშირებულნი გარკვეულ მანძილზე და არასოდეს აძლევენ მათ თავის მოყირჭების საბაბს; საამისოდ არ მიმართავენ არც ჭირვეულობასა და არც უარს. იმედი მაქვს, დამეთანხმები, რომ შენმა მკაცრმა წეს-ჩვეულებამ უნდა დაუშვას კიდეც გამონაკლისი, და რამდენადაც მისი საფუძველი არაა მოვალეობა, რაიც განუხრელ შესრულებას მოითხოვს, ამიტომ ზოგჯერ შეიძლება კიდეც არ მივდიოთ მთელი მართებულობით, რის გულისათვის წამოყენებულია შენი მოთხოვნა.

ეგ შენი სიფრთხილე, წინათ ჩადენილი შეცდომები რომ გვკარნახობენ, ახლანდელი შენი მდგომარეობის ჟამს შეურაცხმყოფელია; არასოდეს ვაპატიებდი ამას შენს გულს და

ძნელად თუ მივუტევებ შენს გონებასაც. ნუთუ შენი ღირსების მფარველმა ბურჯმა ვერ დაგიხსნა სამარცხვინო შიშისაგან? მაშ, ჩემს ბიძაშვილს, ჩემს დას, ჩემს დობილს, ჩემს ჟიულის როგორღა ძალუძს მეტისმეტად მგრძნობიარე ქალიშვილის უსუსურობა შერთოს შემცოდე ცოლის ღალატს? მიმოიხედე გარშემო. ყოველივემ, რასაც დაინახავ, უნდა აღამაღლოს სული შენი და გაასალკლდეოს მისი ძალი და ღონე: შენმა ქმარმა, რომელიც ასე გენდობა და ვისი პატივისცემაც უნდა გაამართლო; შენმა ბავშვებმა, რომელთაც ვალდებული ხარ შთაუნერგო სიკეთის სიყვარული და რომელნიც ოდესმე იამაყებენ თავიანთი დედით; დარბაისელმა შენთვის ეგრეთ საყვარელმა მამამ, რომელსაც ახარებს შენი ბედნიერება და თავის წინაპრებზე უფრო ამაყობს თავისი ასულით; შენმა დობილმა, ვისი ხვედრიც შენს ხვედრსა ზედან ჰკიდია და ვისაც უნდა უმადლოდე მეგობრის დაბრუნებას, ვინაიდან ამ საქმეს იგი უწყობდა ხელს; შენი დობილის ასულმა, ვისთვისაც უნდა გახდე მაგალითი ყველა სათნოებისა, რაიც შენა გსურს შთაუნერგო მას; შენმა მეგობარმა, შენს სათნოებას ასჯერ უფრო მეტად რომ ეთაყვანება, ვიდრე შენს სიმშვენიერეს და შენს მიმართ პატივისცემით იმდენადაა აღვსილი, რომ ეს პატივი აღემატება მთელ შენს შიშსა და ძრწოლას; დაბოლოს, შენ თვითონ, რამეთუ ახლანდელ შენს კეთილგონიერებაში პოულობ ჯილდოს შენთვის ძვირად ღირებული ვაი-ვაგლახის გამო, და ერთი წუთითაც არ მოისურვებ შენთა შრომათა ნაყოფის იავარყოფას. აი, რამდენი საფუძველი არსებობს, რამაც უნდა გაგამხნეოს და სირცხვილში ჩაგაგდოს იმის გამო, რომ გაბედე და დაეჭვდი შენს თავში! მაგრამ ჩემი ჟიულის სათავდებოდ, ნუთუ საჭიროა ვიმსჯელო, როგორი გახდა იგი? განა საკმარისად არაა ჩემთვის ცნობილი, თუ როგორი იყო ის თავის შეცოდებათა ჟამს, რასაც ახლა გლოვობს და ვალალებს? არა, შენს გულს ღალატი რომ მოპრიანებოდა, მაშინ მიგიხვდებოდი შიშნეულობასაც და თავად გეტყოდი: უფრთხილდი-მეთქი ამ ხიფათს! მაგრამ გაიხსენე, რა თავზარი დაგვცა მარტოოდენ იმის გაფიქრებამ, რომ ღალატის ჩადენა შეგეძლო, და რამდენად უფრო ძლიერი იქნებოდა ეს თავზარი ახლა, ნამდვილად წარმოქმნილი ხიფათის წინაშე.

გაიხსენე, ოდესღაც როგორ გვიკვირდა, როცა გავიგეთ, არისო ისეთი ქვეყნები, სადაც სატრფოდქცეულ ქალიშვლთა სისუსტეს მიუტევებელ ცოდვად მიიჩნევენო, ქორწინების შემდეგ მეძაობას იქ ლმობიერად გალანტურ თავგადასავლებს უწოდებენ და გათხოვილი ქალიც აშკარად ინაზღუარებს ქალწულობისჟამინდელ ხანმოკლე შეზღუდულობასო. ვიცი, რა წესებიცა სუფევს იქ, მაღალი საზოგადოების წრეებში, სადაც არაფრად აგდებენ სათნოებას, სადაც ყველაფერი გარეგნული ამაოებაა, სადაც ცოლქმრულ ღალატს თვალს არიდებენ, ვინაიდან ძალზე ძნელია მისი დამტკიცება, და დამტკიცებაც სასაცილოდ და საუგოდ ითვლება, რაკიღა ზნე-ჩვეულება ნებასა რთავს იმ ღალატს. მაგრამ შენ, ჟიული, სპეტაკი და უმწიკვლო სიყვარულით გათანგული, შემცოდე იყავი მხოლოდ და მხოლოდ ადამიანთა თვალში და ზენაარსის წინაშე სასაყვედურო არაფერი გქონდა; შენ, მიუხედავად შეცოდებისა, პატივისცემას რომ იწვევდი, შენ, უილაჯო სინანულით შეპყრობილი, სწორედ შენ გვაიძულებდი პატივი მიგვეგო იმ სათნოებისათვის, რომელიც თავად უკვე აღარ გაგაჩნდა; შენ, რომელსაც გძულდა და გეზიზღებოდა შენი თავი, თუმცაღა ყოველივე თითქოს შენდა მოსაბოდიშებლად იყოს წარმოქმნილი, ვით ბედავ შიშობდე, ძალმიძს ახალი დანაშაულის ჩადენაო, მაშინ როდესაც ასე ძვირად დაგიჯდა შენი უილაჯობა? აბა, როგორღა ფიქრობ, უარესი გავხდიო, ვიდრე იმ დროს იყავი, როცა ამდენი ცრემლი დაღვარე? არა, ძვირფასო, წარსულ ცდომილებათ არამცთუ არ შეუძლიათ შენი შეშფოთება, არამედ უნდა განამტკიცონ კიდეც შენი სიმამაცე; ესოდენი მწვავე მონანიება არ მოგგვრის ახალ-ახალ სინდისის ქენჯნას, და ის, ვინაც ასე განიცდის შერცხვენას, ნამუსდაკარგული როდი გახდება.

უკეთუ ჩოლფოტ ადამიანს ესაჭიროება ხელშეწყობა საკუთარი სისუსტის წინააღმდეგ, ასეთი ხელშეწყობა შენ არ გაკლია; დიდსულოვანი არსება საკუთარ თავში ჰპოვებს სიმშვიდეს; განა შენთვის აუცილებელია სხვაგვარი ხელის გამართვა? აბა, იფიქრე, გაქვს თუ არა მიზეზი შენს თავს უფრთხოდე? მთელი შენი სიცოცხლე განუწყვეტელი ბრძოლა იყო; და თითქმის დამარცხების შემდეგაც ღირსება და მოვალეობა ფარ-ხმალს არ ყრიდნენ. და, ბოლოსა და ბოლოს, გაიმარჯვეს კიდეც. აჰ, ჟიული! განა დავიჯერებ, რომ ესოდენი ტანჯვა-წამების, ვაი-ვარამისა და თორმეტი წლის მანძილზე დაღვრილი ცრემლის შემდეგ და ექვსი წლის განმავლობაში მოელვარე სახელ-დიდების აქეთ, გაშინებს ერთი კვირის განსაცდელი? მოკლედ რომ მოვჭრათ, იყავი გულწრფელი შენს თავთან; უკეთუ არსებობს საფრთხე, იხსენ თავი და შენი გულისა გრცხვენოდეს; და თუკი საფრთხეს არაფერი გიქადის, მაშინ იმ საფრთხის გამო ძრწოლა და შიში, რაიც ხელს ვერ მოგაწვდენს, ნიშნავს შენივ გონების შეურაცხყოფას, შენივ სათნოების მოყივნებას. განაღა არ უწყი, თუ რა არის სამარცხვინო ცდუნება, რომლიდანაც მუდამჟამს შორს იდგომება კეთილშობილი არსება, ცდუნება, რომლის დამარცხება სირცხვილიც კია, და მის საწინააღმდეგოდ მიღებული სიფრთხილე არათუ ამშვიდებს, არამედ ამცირებს ადამიანს.

ჩემი საბუთები სრულიადაც არ მიმაჩნია ურყევად, არამედ მინდა დაგანახო, რომ ზოგი მათგანი აბათილებს შენს მსჯელობათ, და ეს საკმარისია ჩემი რჩევა-დარიგების გასამართლებლად. აქ ნუ დაენდობი საკუთარ თავს, ვინაიდან კარგად არ იცი შენი თავის სამართლიანი განსჯა. ნურც მე დამენდობი, რადგან თვით შენს ნაკლოვანებებში ვიხილე მხოლოდ და მხოლოდ შენი გული და ყოველთვის გაღმერთებდი შენ; ოღონდ გჯეროდეს შენი ქმრისა, რამეთუ ის გხედავს ისეთს, როგორიცა ხარ, და დამსახურებისამებრ გდებს მსჯავრს. როგორც ყველა მგრძნობიარე ადამიანს, მეც წამსვე მექმნება ცუდი შეხედულება მათზე, ვინც არ გამოირჩევა გრძნობიერებით, და ამიტომაც ვშიშობდი, ვაითუ ჩაერიოს-მეთქი სათუთ არსებათა საიდუმლოში; მაგრამ მას აქეთ, რაც დაგვიბრუნდა ჩვენი მოგზაური, ბ-ნი დე ვოლმარის წერილთა მიხედვით ვატყობ, რა მშვენივრად იცის მან, თუ რა ხდება თქვენს გულში, და არც ერთი თქვენი სულიერი გუნება-განწყობილება არ გამოჰპარვია მის ყურადღებს. იმასაც კი ვხედავ, რომ ფრიად ზედმიწევნითა და სწორად ამჩნევს ყოველივეს; ჩემი წინანდელი დამოკიდებულება მის მიმართ მკვეთრად შეიცვალა, მეორე უკიდურესობაში კინაღამ გადავვარდი და მზადა ვარ დავიჯერო, რომ დარბაისელი ადამიანები მეტადრე ენდობიან თავიანთ თვალებს, ვიდრე გულს, და უკეთ სდებენ მსჯავრს სხვათა ვნებებს, ვიდრე ჩემებრ მგზნებარე და დაუდგრომელი ანდა ქარაფშუტა სულდგმულნი, რომელნიც ყოველთვის იმით იწყებენ, რომ თავად სხვათა ადგილს იჭერენ, ოღონდ არასოდეს ძალუძთ გამოიცნონ, თუ რასა გრძნობენ ეს სხვები. როგორადაც უნდა იყოს, ბ-ნი დე ვოლმარი კარგად გიცნობს შენ, პატივსა გცემს და უყვარხარ, ხოლო მისი ბედი შენს სვე-ბედთანაა დაკავშირებული. მაშ, რატომ არ მიანდობ მას სავსებით უხელმძღვანელოს შენს ყოფაქცევას, რაკიღა თავად არ ძალგიძს უთავდებო შენს თავს? იქნებ, რაკი სიბერის მოახლოებასა გრძნობს, თავის დასამშვიდებლად უნებს შენი გამოცდა და სურს აირიდოს ეჭვიანობა, რითაც ჩვეულებრივ იტანჯება ახალგაზრდა ცოლის ხანდაზმული ქმარი; ეგებ, განგებ გტოვებს მარტოკას და სურს, უმისოდაც თავისუფალი ურთიერთკავშირი შეინარჩუნო შენს მეგობართან, რაკი ჰგონია, რომ ამ ურთიერთობამ არ უნდა შეაშფოთოს არც შენი ქმარი და არც თავად შენ; შესაძლოა, მას სურს ღირსეულად დაგიდასტუროს ნდობა და პატივისცემა. არასოდეს არ უნდა აარიდო თავი გრძნობათა მსგავს გამოცდას, თითქოსდა ეს მეტად საძნელო საქმედ მიგაჩნდეს; ჩემი აზრით, ყველაზე უფრო დიდ სიფრთხილესა და თავმდაბლობას მაშინ გამოიჩენ, უკეთუ სავსებით დაენდობი შენი ქმრის სათუთ გულსა და გონებას.

გამიგონე, გსურს თუ არა დაისაჯო თავი ზვიადობისათვის, რაიც წინათ არასოდეს არ გაგაჩნდა, და თავიდან აიცილო უკვე არარსებული საფრთხე? როცა სულ მარტო დარჩები ფილოსოფოსთან, მიიღე ყველა ზომა წინდახედულობისა, რაც ახლა სულ ზედმეტია, ხოლო ოდესღაც აუცილებელი იყო; ეცადე ისე თავდაჭერილად მოიქცე, თითქოსდა გაეჭვებს შენი სათნოებაც, შენი გულიც და მისი გულიც. თავი აარიდე ნამეტნავად საგულისგულო საუბრებს, წარსულის სათუთ მოგონებებს; აღიკვეთე ანდა უფრთხილდი მეტისმეტად ხანგრძლივ მასლაათს მასთან მარტო ყოფნისას; მუდამ შენს ახლოს გყავდეს შენი ბავშვები; უფრო იშვიათად იყავი მარტოკა მასთან ერთად სახლში, ელიზიუმსა ანდა წარაფში, თუმცა მას უკვე დაეკარგა თავისი ჯადო-თილისმა. ხოლო, რაც მთავარია, ამ ზომების მიღებისას ნაძალადეობა არ შეგეტყოს, დაე, ეჭვადაც ნუ გაივლებს გულში, ჩემი ეშინიაო. შენ გიყვარს ნავით გასეირნება, ოღონდ ამ სიამოვნებას იკლებ ქმრის გულისათვის, ვინაიდან მას წყლის ეშინია, და ბავშვების გულისთვისაც, არა გსურს საფრთხეში ჩააგდო ისინი. შეუდექ ამ გართობას ბ-ნ დე ვოლმარის არყოფნისას. ბავშვები მოსავლელად დაუტოვე ფანშონს. ამ გასეირნებათა დროს უშიშრად შეგეძლება გულის ნადების გამჟღავნება და მასთან ხანგრძლივი საუბრებით განცხრომა მენიჩბეთა მფარველობით, რადგანაც ისინი ყველაფერს ხედავენ, ოღონდ არ ესმით, და მათგან განცალკევება შეუძლებელია.

კიდევ ერთი აზრი მომივიდა თავში, იქნებ, სასაცილოდაც კი მოეჩვენოს კაცს, მაგრამ შენ, დარწმუნებული ვარ, მოგეწონება; სახელდობრ კი აი, რა: ქმრის არყოფნის დროს წერე მართალი დღიური და აჩვენე მას ეს ჩანაწერები, როცა დაბრუნდება, და ყოველი შენი საუბრის დროს ის იფიქრე, ეს საუბრები დღიურში უნდა შევიდესო. მართალი რომ ვთქვათ, ბევრი ქალისთვის მსგავსი ხერხი საეჭვოა სასარგებლო აღმოჩნდეს, მაგრამ ალალმართალი და უეშმაკო არსებისათვის ყოველთვის გამოიძებნება ბიწიერებისაგან თავდაცვის საშუალებანი, რომლებიც სხვათა მიმართ არ მოქმედებენ. შეუძლებელია უგულებელვყოთ რაიმე, რაც ხელს უწყობს სისპეტაკის შენარჩუნებას, და უკნინესი სიფრთხილეც ზოგჯერ იცავს კიდეც დიად ქველკეთილობათ.

თუმცა, შენს ქმარს უნებს გავლით მინახულოს მეც, იმედი მაქვს, მამცნობს მოგზაურობის ნამდვილ მიზეზთ და თუკი უსაფუძვლოდ მივიჩნიე ისინი, მაშინ ან გადავათქმევინებ მოგზაურობის განგრძნობას, ანდა, მოხდეს, რაც მოსახდენია, თავად ჩავიდენ იმას, რის გაკეთებასაც იგი არ ისურვებს: შეგიძლია გქონდეს ამის იმედი. ჯერჯერობით, ვგონებ, საკმარისი ვთქვი, რათა შთაგაგონო მთელი კვირის გამოცდისათვის სამყოფი სიმამაცე. მერწმუნე, ჟიული, ისე კარგად გიცნობ, რომ შემიძლია გითავდებო ისე, როგორც ჩემს თავსა და უფრო მეტადაც. მუდამ იქნები ისეთი, როგორიც გინდა და როგორიც უნდა იყო. უკეთუ დაენდობი მარტოოდენ შენი სულის კეთილშობილებას, მაშინ საფრთხე არ გემუქრება, – არა მწამს არავითარი მოულოდნელი მარცხი; ამაოდ შეალამაზებენ ხოლმე ნებაყოფლობით ჩადენილ ცოდვებს და კეკლუცურად უწოდებენ მათ სისუსტეს; ქალი არასოდეს გახდება უნამუსო, თუ თავად არ მოისურვებს ამას; მაგრამ მე რომ მეფიქრა, ასეთივე ამბავი შეგემთხვევა შენც-მეთქი, – ენდე ჩემს საგულისგულო მეგობრობას, ენდე ყველა გრძნობას, რაც კი შეიძლება წარმოიქმნას შენი საბრალო კლარას გულში, – ჩემთვის ესოდენ მნიშვნელოვანი იქნებოდა შენი გამოხსნა ასეთი უბედურებიდან, რომ არასოდეს მიგატოვებდი ბედის ანაბარა.

უკეთუ ბ-ნ დე ვოლმარისათვის, როგორც განგიცხადა, ყოველივე ცხადი იყო ქროწინებამდე, ეს ცოტათი თუ მაოცებს: ხომ იცი, ყოველთვის მეპარებოდა ამაში ეჭვი; და უფრო მეტსაც გეტყვი, – მარტო იმას როდი ვფიქრობდი, ბაბიმ ენას კბილი ვერ დააჭირა-მეთქი. ვერასოდეს დავიჯერებ, რომ ისეთ პირდაპირსა და ალალ-მართალ კაცს, როგორიც მამაშენია, თუნდაც მარტოოდენ ეჭვებით ყოფილიყო შეპყრობილი, ეფიქრა თავისი სიძისა

და მეგობრის მოტყუება. თუკი ასე ძლიერ შეგაგონებდა, ყოველივე საიდუმლოდ დაიმარხეო, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ შენ სულ სხვაგვარად გაამხელდი ამას, ვიდრე თვითონ იგი, მას კი სურდა ისე წარემართა საქმე, რომ ბ-ნ დე ვოლმარისათვის შენს აღიარებაზე უფრო ნაკლებ საწყენი ყოფილიყო. მაგრამ დროა დავაბრუნო შენი შიკრიკი. მე და შენ ყოველივე ამაზე მოვილაპარაკებთ მოცლილობის ჟამს ერთი თვის შემდეგ.

მშვიდობით, ჩემო საყვარელო დაიკო, მეყოფა ქადაგების კითხვა მოქადაგისათვის; ძალგიძს კვლავ შეუდგე შენს ხელობას, და სრული უფლებითაც. როგორ ვნაღვლობ, ჯერ კიდევ შენთან რომ არ ვიმყოფები. ძალიან მეჩქარება ჩემი საქმეების მომთავრება, ყველაფერი ამებურდ-დამებურდა და თვითონაც არ ვიცი, რას ვაკეთებ. აჰ, შაიო, საბრალო შაიო!.. რა იქნეობდა, ოდნავ უფრო ჭკვიანი რომ ვიყო... არა, ალბათ, სამარადჟამოდ ასე ჩერჩეტი დავრჩები.

P. S. მართლაც, დამავიწყდა მომელოცა თქვენი უგანათლებულესობისათვის! სასწრაფოდ მომწერე, რა გახადეს შენი ქმარი: ატამანი, თავადი, თუ ბოიარინი?[108] ნუთუ ახლა ბოიარინის მეუღლე უნდა გიწოდოთ? არა, არ შემიძლია, რაღაც საგინებელ სიტყვასა ჰგავს. ჰოი, საბრალო ბავშვო! როგორ წუხდი, არისტოკრატ ქალად დავიბადეო, ახლა კი ბედმა გაგიღიმა და თავადის მეუღლეც გახდი! ჩვენ შორის დარჩეს და, ესოდენ დიდებული ბანოვანისთვის შენ საკმაოდ მეშჩანური შიში და ძრწოლა არ გასვენებს. ნუთუ არ იცი, მეტისმეტი წესიერება მხოლოდ წვრილფეხობას რომ შეშვენის? მაღალი წრის საზოგადოებაში ტყუილად კი არ იცინიან, როცა რომელიმე მაღალკეთილშობილი ჯეელი ამბობს, მამაჩემის კანონიერი შვილი ვარო.

XIV წერილი

ბ-ნ დე ვოლმარისაგან
ქალბატონ დ’ ორბისადმი

მამიდაშვილო, მივდივარ ეტანჟში. ვფიქრობ, გზად გავლისას გამოგიაროთ და გნახოთ, ოღონდ პატარა შეფერხების გამო, რის მიზეზიც თქვენა ბრძანდებით, უნდა ავჩქარდე და ამიტომ ვამჯობინებ უკან დაბრუნებისას ლოზანაში გავათიო ღამე, რათა რამდენიმე საათი გავატარო თქვენთან. ბევრი რამ სათათბირო მაქვს თქვენთან, და წინასწარ მინდა გითხრათ, სახელდობრ თუ რა, იმისათვის, რომ მოფიქრების დროც გქონდეთ და თქვენი მოსაზრებაც გამიზიაროთ.

არ მინდოდა მეთქვა, თუ რა გეგმები დამებადა თქვენი ახალგაზრდა მეგობრის გამო, მანამდე, ვიდრე მასთან პირადმა ნაცნობობამ არ დამიდასტურა კარგი შეხედულება მასზე. ახლა უკვე საკმაოდ ვარ დარწმუნებული და ვენდობი კიდეც მას და შემიძლია საიდუმლოდ გითხრათ, განვიზარახე მივანდო ჩემი შვილების აღზრდა! რასაკვირველია, ვიცი, რომ ესოდენ მნიშვნელოვანი საქმე მამის მთავარი მოვალეობაა, ოღონდ როცა დადგება ჟამი ასეთი ზრუნვის საკისრებლად, მეტისმეტად მოხუცი ვიქნები მათთვის; თანაც ჩემი ბუნება ნამეტნავად მშვიდია, განმჭვრეტი, მაგრამ იმდენად მაკლია სიმკვირცხლე, რომ ვერ მოვახერხებ ფიცხი ჯეელობის წარმართვას და ჟიულიც, თქვენთვის ცნობილ მიზეზთა გამო,[109] იმღელვარებს, უკეთუ ვიკისრებ ვალდებულებებს,

---

[108] ქალბატონმა დ’ორბმა, ალბათ, არ იცის, ორი პირველი სახელწოდება მართლაც რომ მაღალი ტიტულია, ხოლო ბოიარინი – ეს, უბრალოდ, აზნაურსა ნიშნავს.

[109] მკითხველისათვის ეს მიზეზები ჯერ არაა ცნობილი, მაგრამ ვთხოვ, მოთმინება იქონიოს.

რომელთაც თავს ვერ გავართმევ იმგვარად, რომ იგი კმაყოფილი დარჩეს. მაგრამ მრავალგვარი მიზეზით თქვენს სქესს არ შეჰფერის ბიჭუნათა აღზრდა, – ამიტომაც ჟიული ხელს მოჰკიდებს თავისი საყვარელი ანრიეტას აღზრდას; თქვენ კი განდობთ მეურნეობის მართვა-გამგეობას ჩვენს მიერ დაწესებული და თქვენგან მოწონებული გეგმის მიხედვით; ჩემს წილად შთება სიხარული, რომ ვიხილო, სამ კეთილშობილ ადამიანთა მცდელობით თუ როგორ მყარდება ოჯახში ბედნიერება, და სიბერეში მყოფი დავტკბე მათგან მონიჭებული სიმშვიდით.

ყოველთვის ვიცოდი, ჩემს ცოლს უდიდეს ზიზღსა ჰგვრის ის აზრი, თავისი ბავშვები აღსაზრდელად დაქირავებულ ადამიანთ რომ უნდა მიაბაროს, მაგრამ ამის გამო არ შემეძლო მისი გაკიცხვა. მოძღვრის საპატიო მოვალეობანი მოითხოვენ იმოდენა ნიჭსა და უნარს, რომ მათი ანაზღაურება შეუძლებელია, ესოდენ ძვირფას ქველკეთილობათ, რომ მათ ვერავითარი ფულით ვერ შეიძენ, მხოლოდ ნიჭიერი ადამიანი შეიძლება იყოს განათლებული მოძღვარი, მარტოოდენ ყველაზე ნაზი მეგობრის გულს ძალუძს მამობრივად იზრუნოს სხვისი შვილების მიმართ. ხოლო ნიჭიერება და მით უმეტეს, სიყვარული როდი იყიდება.

ვფიქრობ, თქვენს მეგობარს მოეპოვება მოძღვრის ყველა აუცილებელი თვისება და, უკეთუ სწორად ჩავწვდი მისი სულის სიღრმეს, მაშინ, ასე მგონია, იგი ბედნიერი იქნებოდა ხელი შეეწყო იმ ამბისათვის, რომ ჩვენი საყვარელი ბავშვები მუდამ იყვნენ თავიანთი დედის სიხარული და ნუგეში. რამდენადაც შემიძლია ავწონ-დავწონო ყოველივე, ჩემი განზრახვის ერთადერთ დარბკოლებას წარმოდგენს მილორდ ედუარდის მიმართ სენ-პრეს ერთგულება, ძალიან გაუძნელდება დაშორება თავის საგულისგულო მეგობართან და თანაც კეთილისმყოფელთან, რომელსაც ესოდენ უნდა უმადლოდეს. მხოლოდ ედუარდი თუ მოითხოვს თავად ამ განშორებას. ჩვენ ძალიან ბევრ რაიმეს მოველით ისეთი არაჩვეულებრივი ადამიანისაგან, როგორიცაა მილორდ ბომსტონი, ხოლო რამდენადაც დიდი გავლენა გაქვთ მასზე, მაშინ მართლაც თუ ასეთია იგი, როგორც წარმომიდგინეთ, დაბეჯითებით გთხოვდით იკისროთ მასთან მოლაპარაკება.

ახლა, მამიდაშვილო, გაგიმხელთ საიდუმლოს მთელი ჩემი ყოფაქცევისა, რომელიც, იქნებ, ფრიად უცნაურად მოგჩვენებოდათ, ახლა კი, ვიმედოვნებ, მოწონებას დაიმსახურებს ჟიულისა და თქვენი მხრიდანაც. რა ბედნიერებაა ჰყავდეს კაცს ჟიულისებრი ცოლი, ეს კი უფლებას მაძლევს ისეთ ხერხს მივმართო, რაც სრულიად შეუძლებელია რომელიმე სხვა ქალთან. სავსებით ვენდობი ჟიულის და ვტოვებ ყოფილ მიჯნურთან ერთად მარტოოდენ მისი სათნოების მფარველობით. რასაკვირველია, სისულელე იქნება თავშესაფარი მისცე შენს სახლში ყმაწვილკაცს და მტკიცედ არ იყო დარწმუნებული, რომ უკვე არასოდეს აღარ გაუმიჯნურდება შენს ცოლს; ხოლო როგორღა შემეძლო ამგვარი რწმენით განმსჭვალვა, ისეთი ცოლი რომ მყოლოდა, რომელსაც ჟიულიზე ნაკლებ დავენდობოდი?

არაერთხელ მინახავს, თუ როგორ გეღიმებოდათ სიყვარულის გამო ჩემს შენიშვნებზე, ხოლო ახლა შემიძლია ძალზე შეგაცბუნოთ. მე ერთი რამ აღმოვაჩინე, რასაც ვერასოდეს მიაკვლევდით ვერც თქვენ და ვერც ერთი ქალი მთელ ქვეყანაზე, მიუხედავად მთელი გამჭრიახობისა, რასაც თქვენს სქესს მიაწერენ, თუმცაღა, კაცმა რომ თქვას, უმალვე იგრძნობთ, რომ ჩემი აღმოჩენა ყველაზე თვალსაჩინო ჭეშმარიტებაა, ანდა, ყოველ შემთხვევაში, სავსებით დადასტურებულად მიიჩნევთ მას, როცა აგიხსნით, თუ რა საფუძველიცა მაქვს. ვფიქრობ, უკეთუ გამცნობთ, ამ ორ ნორჩ არსებას უფრო მეტად უყვართ ერთმანეთი, ვიდრე ოდესმე-მეთქი, ამას ფრიად დიდ საკვირველებად როდი მიიღებთ. თუკი პირიქით დაგარწმუნებთ და ვიტყვი, ისინი სავსებით განიკურნენ-მეთქი, აქაც დიდ საოცრებას ვერაფერს დაინახავთ, რადგან კარგად მოგეხსენებათ, თუ რაოდენის

გაკეთება ძალუძთ გონებასა და სათნოებას; მაგრამ ორივე ეს საპირისპირო მტკიცება სრული ჭეშმარიტებაა. ჟიული და სენ-პრე ერთმანეთის სიყვარულით იწვიან უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, და თანაც მათ შორის, გარდა უმწიკვლო გულითადობისა, არაფერი მომხდარა; წინანდელებრივ შეყვარებულნი, ისინი უკვე მარტოოდენ მეგობრები გახდნენ; აი, რა აღმოჩნდება, ალბათ, თქვენთვის უფრო მოულოდნელი და ბევრად ნაკლებ გასაგები, ნამდვილად კი ეს სრული სიმართლეა.

აი, სად არის იმ ხშირ წინააღმდეგობათა ახსნა, რომელთაც, ალბათ, ამჩნევდით მათ სიტყვებსა და წერილებში. იმან, რაც მიწერეთ ჟიულის სურათის გამო, უფრო მეტად გამიმხილა საიდუმლო, ვიდრე ყოველივე დანარჩენმა, და ვხედავ, რომ ისინი ყოველთვის გულწრფელნი არიან, თუმცა წამდაუწუმ ეწინააღმდეგებიან თავიანთ თავს. ვამბობ, ისინი-მეთქი, მაგრამ უმთავრესად სენ-პრეს ვგულისხმობ, ხოლო თქვენი დობილის გამო ლაპარაკი მხოლოდ სავარაუდოდ შეიძლება. მისი გული ისეა შებურვილი კეთილგონიერებისა და წესიერების საფარველით, რომ შეუძლებელია ჩასწვდეს ადამიანის თვალი, თვით მისი საკუთარი მზერაც კი. მხოლოდ ერთი რამ მაფიქრებინებს, რომ კიდევ უნდა დაძლიოს ერთგვარი უნდობლობა საკუთარი თავის მიმართ, სულ ეძიებს გულში იმას, თუ რა იქნებოდა შიგ, ვინიცობაა სავსებთ განკურნებულიყო და ისე მონდომებით აკეთებს ამას, მართლაც რომ განკურნებულიყო, უფრო თავდაჭერილად ვერ მოიქცეოდა.

რაც შეეხება თქვენს მეგობარს, მართალია, სათნო ადამიანია, მაგრამ ნაკლებ აშინებს შემონარჩუნებული გრძნობები; კარგად ვხედავ, მის გულში კვალად რომ ცოცხლობს სიჭაბუკის დღეებში გაფურჩქნილი სიყვარული; მაგრამ იმასაც ვხედავ აგრეთვე, რომ უფლება არა მაქვს შეურაცხყოფილად ჩავთვალო თავი. მას ხომ ჟიული დე ვოლმარი არ უყვარს, არამედ – ჟიული დ'ეტანჟი. ისე არა მმტრობს, როგორც ადამიანს, ვინაც ამჟამად ფლობს მის საყვარელ ქალს; ოღონდ ეს კია, იმ არსების მომტაცებლადა მთვლის, რომელიც ოდესღაც უყვარდა; სხვისი ცოლი უკვე აღარაა მისი სატრფო, ორი შვილის დედა უკვე მოწაფე როდია. მართალია, ეს ქალი ჯერ ისევა ჰგავს წინანდელ ჟიულის და ხშირ-ხშირად აღუძრავს მოგონებებს. მას უყვარს ჟიული წარსულში, – აი, ამოცანის გასაღები. წარსტაცეთ განვლილ დღეთა ხსოვნა, და მასთან ერთად განუცამტვერდება სიყვარულიც.

ეგ ამბავი სულაც არაა ჭკვიანურად სჯის სურვილი, ჩემო მამიდაშვილო, ეს ფრიად არსებითი დაკვირვებაა, და სხვა ადამიანთა რომანებზე თუ გავავრცელებთ, კაცმა რომ თქვას, შეუძლია მიიღოს უფრო ზოგადი ხასიათი, ვიდრე გვგონია. ვფიქრობ კიდეც, ამ შემთხვევაში სულ არ იქნებოდა ძნელი ყველაფრის ახსნა თქვენი საკუთარი წარმოდგენებით. იმ დღეებში, როცა ერთმანეთს განაშორეთ ეს ორი გამიჯნურებული, მათმა ურთიერთმა მძაფრმა მგზნებარებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. ხანგრძლივ რომ დარჩენილიყვნენ ერთად, შესაძლოა, სიყვარული თანისთან განელებოდათ, მაგრამ განშორებაში მყოფთ მღელვარე წარმოსახვა წამდაუწუმ დაუხატავდა საყვარელ სახეს იმგვარად, როგორიც იყო დაცილების ჟამს. ჭაბუკს, ვისაც არ უნახავს, თუ როგორ უცვლის იერს მის სატრფოს სწრაფმდინარი დრო-ჟამი, უყვარდა იგი ისეთი, როგორიც იყო წინათ, და არა იმგვარი, როგორიც გახდა შემდეგ.[110] ბედნიერი რომ გამხდარიყო, არა მარტო უნდა

[110] რა უგუნურები ხართ თქვენ, ქალებო, როდესაც ეძიებთ სიმტკიცეს ესოდენ ფუქსავატურ და წარმავალ გრძნობაში, როგორც სიყვარულია! ბუნებაში ყველაფერი იცვლება, ყოველივე მიმდინარეობს, თქვენ კი გინებთ სამარადჟამო მგზნებარე ვნებათა აღძვრა! მაგრამ რა უფლებით მოითხოვთ, რომ თქვენ უყვარდეთ დღესაც, იმიტომ, რომ გუშინ უყვარდით? მაშ, შეინარჩუნეთ უცვლელად თქვენი სახეც, თქვენი ასაკიც და გუნება-განწყობილებაც, იყავით მუდამ ისეთი, როგორც წინათ, და თქვენ ეყვარებით ყოველთვის, უკეთუ ეს შესაძლებელია. ოღონდ წამდაუწუმ იცვლებოდეთ და გსურდეთ, ვუყვარდეთო, – იმას ნიშნავს, გსურდეთ ყოველ წუთს ხელი აიღონ თქვენს სიყვარულზე და, მაშასადამე, გინებთ თქვენს სატრფოს ცვალებადი და თქვენს არსებასავით დაუდგრომელი გული ჰქონდეს.

დაბრუნებოდა მას ჟიული, არამედ დაბრუნებოდა იმავე ასაკისა და იმავე ვითარებაში, როგორიც იყო ის მათი სიყვარულის დასაწყისში; ყოველივე ამის სულ ოდნავი ცვლილება იავარყოფდა მთელ ბედნიერებას, რასაც მოელოდა ქალთან ურთიერთკავშირით. ჟიული გამშვენიერდა, მაგრამ შეიცვალა და, ამრიგად, ეს გალამაზებაც მისი საზიანო გამოდგა, – სენ-პრეს ხომ წინანდელი ჟიული უყვარს და არა ახლანდელი.

შეცდომა, რაიც მის საშინელ აფორიაქებას იწვევს, ისაა, რომ ერთმანეთში ურევს წარსულსა და აწმყოს და ხშირად ამუნათებს თავს ჭეშმარიტებად აღიარებულ გრძნობას, მაშინ როცა ეს მეტისმეტად სათუთ მოგონებათა გამოძახილია მხოლოდ; მაგრამ არ ვიცი, ღირს თუ არა გავუმჟღავნოთ ყველაფერი, განა არა სჯობს მისი განკურნება? ამისათვის, ეგებ, უფრო უპრიანიც იყოს დავტოვოთ ასე გზააბნეული, ვიდრე შუქი მოვფინოთ ყველაფერს. მისი გულის ნამდვილი მდგომარეობის ახსნა იმას ნიშნავს, ვამცნოთ დასასრული ყველაფრისა, რაც ძვირფასია მისთვის და, მაშასადამე, სადარდელი გავუჩინოთ, – ეს ძალზე სახიფათო მდგომარეობა იქნება, ვინაიდან მწუხარება ყოველთვის ხელს უწყობს სიყვარულს.

შემზღუდველ სინდისის ქენჯნათაგან განთავისუფლებულმა, შესაძლოა, აღადგინოს ის მოგონებები, რომლებიც წარსულს უნდა ჩაბარდნენ, იქნებ, უფრო ნაკლებ თავდაჭერილად ილაპარაკოს მათზე, მაგრამ ჟიულის ნაკვთები ჯერ კიდევ იმდენად არ წაშლილან ქალბატონ დე ვოლმარის სახიდან, რომ გულიანად ძებნის ჟამს კვლავ არ შეეძლოს მათი დანახვა. ვფიქრობ, არაა საჭირო მისი გადარწმუნება, თითქოს დიდ წარმატებებს მიაღწია საკუთარ თავთან ბრძოლაში, რადგან ეს აღამაღლებს მას სულით და ხელსაც უწყობს გამარჯვებაში. არა, ამის მაგივრად მისი ხსოვნიდან უნდა ამოშალოთ დასავიწყებელი წარსული და განარიდოთ მისგან ესოდენ საესავი მოგონებანი, შთააგონოთ სულ სხვანაირი აზრები. თქვენ ხელს უწყობდით წარსულის გამო მის მოგონებათა განახლებას და სხვა ვინმეზე უფრო მეტად ძალგიძთ დაეხმაროთ მათ დავიწყებაშიც. ხოლო როდესაც სავსებით გადმოხვალთ ჩვენთან, ჩუმად გეტყვით ყურში, თუ რა უნდა გააკეთოთ ამისათვის; უკეთუ არ ვცდები, ეს ამოცანა თქვენთვის საძნელო არ იქნება. ჯერჯერობით ვცდილობ, შეეჩვიოს იმ აზრებს, ამჟამად რომ აფრთხობენ მას, ისე წავმართავ ამ ფიქრებს, რომ უკვე სახიფათონი აღარ იყვნენ მისთვის. ის გულფიცხი კაცია, ოღონდ სუსტი ხასიათის მქონე და ადვილად განიცდის ვინმეს გავლენას. ამ შემთხვევაში ეს უპირატესობაა, მეც ვსარგებლობ ამით და მის წარმოდგენაზე ვახდენ ზემოქმედებას. წინანდელი სატრფოს ნაცვლად ვაიძულებ თავის თვალთა წინაშე იხილოს პატიოსანი ადამიანის მეუღლე და ჩემი ბავშვების დედა; ერთიმეორეზე მისი ხსოვნიდან ვშლი წარსულის სურათებს და წარსულს აწმყოს ფარდითა ვფარავ. ოჩან ცხენს განგებ მიუყენებენ დამფრთხობ საგნებს, რათა აღარ ჰქონდეს მათი შიში. ასევე უნდა მოვექცეთ ყმაწვილკაცთაც, რომელთა წარმოსახვა ჯერ ისევ მგზნებარებს, როცა გული უკვე გაცივებულია, რის გამოც შორს ხედავენ აჩრდილებს, რომლებიც, მოახლოებისას, ქრებიან.

მგონია, კარგად ვიცნობ ჟიულისა და სენ-პრეს ძალ-ღონეს, ამიტომაც განვუმზადებ მათ იმ განსაცდელთ, რის ძალაც შესწევთ, ვინაიდან კეთილგონიერება ის კი არაა, განურჩევლად გამოვიჩინოთ ყოველგვარი სიფრთხილე, არამედ შევარჩიოთ მათგან ყველაზე სასარგებლო, ხოლო ზედმეტი თავიდან მოვიშოროთ.

ჩემი შვიდდღიანი სხვაგან ყოფნა, რომლის დროსაც ისინი მარტო დარჩებიან, შესაძლოა, საკმარისი აღმოჩნდეს იმისათვის, რათა გაერკვნენ თავიანთ გრძნობებში და მიხვდნენ, სინამდვილეში თუ რანი გახდნენ ერთმანეთისთვის. რაც უფრო მეტად ინახულებენ ერთმანეთს მარტოკამყოფნი, მით უფრო გაუადვილდებათ თავიანთი ცდომილების შეგნება, როცა ნაგრძნობს შეადარებენ იმას, რასაც იგრძნობდნენ მსგავს ვითარებაში წინათ. კვლავ დავუმატებ, მათთვის ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს

მიეჩვივნონ თამამ, ოღონდ უხიფათო სიახლოვეს; შესაძლოა, ჩემი ზრახვები განხორციელდნენ. ჟიულის ყოფაქცევის მიხედვით ვხვდები, თქვენგან რჩევა-დარიგება რომ მიიღო, და არ ძალუძდა მათი უგულებელყოფა, რათა ზიანი არ შემთხვეოდა. რაგვარის სიამოვნებით მივცემდი მას ჩემი უღრმესი პატივისცემის საბუთს, ოღონდ მისებრი ქალის ქმარს არ ძალუძს დამსახურებად მიიჩნიოს ცოლის მიმართ ნდობა! მაგრამ მაშინაც კი, უკეთუ მის გულს არ მოჰგვრის სიხარულს ეს ამბავი, მაინც ასეთივე დარჩება მისი სათნოება, რომელიც იზეიმებს გამარჯვებას, რა ფასადაც უნდა დაუჯდეს იგი. ამჟამად თუნდაც მოუხდეს სულიერი ტკივილის გადატანა, ეს მოხდება მხოლოდ და მხოლოდ გულის ამაღელვებელ საუბართა დროს, ოღონდ ყოველთვის შეუძლია წინასწარ იგრძნოს და თავი დააღწიოს მათ. ერთი სიტყვით, როგორცა ხედავთ, ჩემს ყოფაქცევას ჩვეულებრივი საზომით როდი დაედება მსჯავრი, არამედ ჩემს მიერ დასახულ მიზანთა და იმ არსების არაჩვეულებრივი ხასიათის მიხედვით, რომლის გამოც ასეთ საგონებელში ვარ ჩავარდნილი.

მშვიდობით, მამიდაშვილო, მალე დავბრუნდები. თუმცა არც მიმიცია ჟიულისათვის ყველა ეს ახსნა-განმარტება, მაინც არ მოვითხოვ თქვენგან დაუფაროთ ჩემი გულის პასუხი. წესად დავიდე არ დავაშორიშორო მეგობრები საიდუმლოთა დაფარვით. ამრიგად, თქვენს ნება-სურვილზე ვაგდებ ჩემს საიდუმლოს, – მოიქეცით ისე, როგორც გაგიჭრათ კეთილგონიერებამ და მეგობრობამ: ვიცი, რასაც გააკეთებთ, ყოველივე კარგი და კეთილშობილური იქნება.

XV წერილი

მილორდ ედუარდისადმი

ბატონი დე ვოლმარი გუშინ ეტანჟში გაემგზავრა. არ მეგონა, თუ მისი გამგზავრება ასე დამამწუხრებდა, კაცმა რომ თქვას, მის ცოლთან განშორება უფრო ნაკლებ შემაჭირვებდა. უმისოდ კიდევ უფრო შებოჭილად ვგრძნობ თავს; ჩემს გულს დაეუფლა საშინელი მდუმარება, იდუმალი ძრწოლა ახშობს მის დრტვინვას და არა იმდენად გულისთქმით აღბორგებულს, რამდენადაც შიშით თავზარდაცემულს, ელეთმელეთი მომდის, ვაითუ დანაშაული ჩავიდინო-მეთქი, თუმცა ეს დანაშაული არც ცდილობს ჩემს ცდუნებას თავისი საცდურით.

განაღა იცით თქვენ, მილორდ, სად პოულობს ჩემი სული მხნეობას და თავისუფლდება უღირსი შიშისაგან? ქალბატონ დე ვოლმარის ახლოს. როგორც კი მივეახლები, მარტო ერთი მისი შეხედვა აცხრობს ჩემს მღელვარებს, მისი თვალთა მზერა ასპეტაკებს ჩემს გულს. ასეთია უმანკოებისა და სიმშვიდის გრძნობა. ჩემდა სამწუხაროდ, ცხოვრების პირობები არ აძლევს ნებას მთელი დღე გაატაროს მეგობრებთან, ხოლო იმ წუთებში, როცა არა მაქვს ჟიულის ნახვის საშუალება, ვიტანჯები და, ასე მგონია, უფრო ნაკლებად დაივტანჯებოდი, სადმე შორს რომ ვიყო მისგან.

კვალად უფრო აარჯლებს ჩემს მტანჯველ წუხილს ის ამბავი, რაც მითხრა ჟიულიმ გუშინ, ქმრის გამგზავრების შემდეგ. ამ წუთამდე საკმაოდ მშვიდად ეჭირა თავი, მერე კი ღრმა მღელვარებით გაჰყურებდა მას, და თავდაპირველად ეს ბედნიერ მეუღლესთან განშორებით გამოწვეულ მწუხარებას მივაწერე; მაგრამ მისი სიტყვებიდან მივხვდი, რომ იყო კიდევ ამ მწუხარების სხვა, ჩემთვის უცნობი, მიზეზი. „ხედავთ, როგორ ვცხოვრობთ ჩვენ, – მითხრა მან, – და იცით, რა ძვირფასია იგი ჩემთვის? ოღონდ არ გეგონოთ, რომ მასთან ჩემს შემაკავშირებელ, სიყვარულივით სათუთ, მაგრამ უფრო ღრმა გრძნობებს

მოეპოვებოდეთ იგივე სისუსტენი, რაც ტრფიალებას. უკეთუ გვიმძიმს, როცა ირღვევა მეგობართან ერთად ცხოვრების სასიამტკბილო ჩვეულება, მაინც გვაიმედებს მალე შეერთების რწმენა. ესრეთ მტკიცედ მოწესრიგებულ ცხოვრებაში, როგორც ჩვენი ცხოვრებაა, ძალიან ცოტა მიზეზი გვაქვს ვუფრთხოდეთ ცვალებადობათ, და როცა მეგობარი რამდენიმე დღით მიემგზავრება, ხანმოკლე განშორება იმდენად არ გვაწუხებს, რამდენადაც გვახარებს ფიქრი იმისა, ამ განშორებას მალე ბოლო მოეღებაო. წუხილს, რომელიც ჩემს თვალებში ამოიკითხეთ, მოეპოვება უფრო მნიშვნელოვანი მიზეზი და თუმცა იგი ვოლმარს ეხება, განშორებას ამასთან არავითარი ურთიერთობა არ გააჩნია.

მეგობარო ჩემო, – დაუმატა მან გულში ჩამწვდომი კილოთი, – დედამიწის ზურგზე არ არსებობს ჭეშმარიტი ბედნიერება. ჩემი ქმარი ყველაზე წესიერი და ყველაზე მშვიდი ადამიანია, ჩვენ ერთმანეთთან გვაერთებს არა მარტო მოვალეობის კავშირი, არამედ გულითადი ურთიერთსიყვარულიც; მას არ მოეპოვება სხვა რაიმე სურვილი, ჩემს გულისწადილთა გარდა; ბავშვები მარტოოდენ სიხარულს მგვრიან და ისეთი პირი უჩანთ, მომავალშიც, ვგონებ, თავიანთი დედის ნუგეში და იმედი იქნებიან. ამქვეყნად ჯერ არასოდეს ყოფილა უფრო ერთგული, ყველაზე სათნო და ისე უსაზღვროდ მოყვარული დობილი, როგორიც ჩემი დობილია, ჩემი სათაყვანებელი კლარა; მალე ერთად ვიცხოვრებთ; თქვენი მეოხებით ცხოვრება კიდევ უფრო საამური გახდება ჩემთვის, ვინაიდან გაამართლეთ ჩემი პატივისცემა და ერთგულება თქვენს მიმართ; საცაა მოეღება ბოლო ხანგრძლივ და მომაბეზრებელ სასამართლო დავას, და მალე გულში ჩავიკრავ მამათა შორის უკეთეს მამას; ყველაფერი ჩვენდა სამხიარულოდაა, შინ წესრიგი და სიმშვიდე სუფევს; ჩვენი მსახურნი მუყაითნი და ერთგულნი არიან; მეზობლები ყოველნაირად მეგობრულად გვექცევიან, დიდ პატივსა გვცემს საზოგადოება. ყველა ჩემი მწყალობელია: ზენა, ბედი და ადამიანი; ვხედავ, თუ როგორ ყველაფერი უწყობს ხელს ჩემს ბედნიერებას. ოღონდ ამ ბედნიერებას მიშხამავს იდუმალი დარდი, ერთადერთი დარდი, და მე უბედური ვარ“. ჟიულიმ ოხვრით წარმოთქვა ეს სიტყვები და გულს ლახვარი მეცა. ოღონდ ძალზე კარგად ვხედავდი, რომ ჩემს გამო როდი კვნესოდა. იგი უბედურია, ვამბობდი გულში, თან მეც ვოხრავდი, ოღონდ ახლა მე არა ვარ ამის მიზეზი-მეთქი.

ამ საშინელმა აზრმა მყისვე ამიფუტკნა ფიქრები და დამირღვია სულის სიმშვიდე, რითაც უკვე ვიწყებდი განცხრომილებას. მინდოდა ამომეხსნა მისი სიტყვებით გამოწვეული გაუსაძლისი იჭვნეულობა და, ამ სურვილით ანთებული, ისე დაჟინებით ვევედრებოდი ბოლომდე გადაეშალა გული მეგობრისათვის, რომ დაბოლოს მამცნო თავისი საბედისწერო საიდუმლო და ნება მიბოძა შეგატყობინოთ კიდეც იგი. მაგრამ აი, უკვე დადგა გასეირნების ჟამი, – ქალბატონი დე ვოლმარი გამოვა ახლა თავისი სავანიდან და ბავშვებთან ერთად გაემართება სასეირნოდ, – ეს-ეს არის კაცი გამომიგზავნა. გავრბივარ, მილორდ, ამჯერად გემშვიდობებით, ხოლო მეორე წერილში განვაახლებ შეწყვეტილ საუბარს ჩემს მიერ დღეს აღძრული საგნის გამო.

XVI წერილი
ქალბატონ დე ვოლმარისაგან ქმრისადმი

გელოდებით სამშაბათს, როგორც დამპირდით; ყველაფერი თქვენი სურვილის თანახმად მოგვარდება. უკან დაბრუნებისას ინახულეთ ქალბატონი დ’ორბი; ის გიამბობთ, თუ რა მოხდა თქვენი არყოფნის დროს; ვამჯობინებდი ეს გაიგოთ მისგან და არა ჩემგან.

ვოლმარ, ეს მართალია, – ვგონებ, თქვენს პატივივსცემას ვიმსახურებ, ოღონდ თქვენი საქციელი ვერაა საქებური, და სასტიკად ეთამაშებით თქვენი ცოლის სათნოებას.

XVII წერილი
მილორდ ედუარდისადმი

მილორდ, მინდა გიამბოთ, რა ხიფათს გადავეყარეთ ამ დღეებში, თუმცა, საბედნიეროდ, მარტო შიში ვჭამეთ და ოდნავ მოვიქანცეთ. ღირს ამ ამბავს საგანგებო წერილი მივუძღვნათ და წაკითხვისას მიხვდებით, რამ აღმიძრა მომხდარი შემთხვევის აღწერის სურვილი.

თქვენ იცით, რომ ქალბატონ ვოლმარს სახლი ტბასთან ახლოს უდგას და კიდევაც უყვარს წყალზე სეირნობა. სამი დღის უკან უმოქმედობამ, რომელშიც ვცხოვრობდით ბ-ნ დე ვოლმარის არყოფნისას და მშვენიერმა წყნარმა საღამომ აღგვიძრეს მეორე დღეს ნავით გასეირნების აზრი. განთიადისას მივედით ნაპირზე; წავიღეთ ნავი და სათევზაო ბადე; თან წავიძღვანიეთ სასმელ-საჭმელი სადილისათვის; წავიტანეთ სამი მენიჩბე და ერთი მსახური, მე თოფი წავიღე ბაზოლეთეზე სანადიროდ,[111] მაგრამ ჟიულიმ დამიშალა, სირცხვილია ტყუილუბრალოდ ფრინველთა დახოცვაო, სიამოვნების გამო ბოროტების ჩადენაო. თავშესაქცევად ზოგჯერ მხოლოდ სტვენით ვუხმობდი მსხვილ ჩინჩახვებს, ბატასინებს, და სტვენიებს,[112] მხოლოდ ერთხელ ვესროლე ყურყუმელას, ოღონდ ძალზე შორს იყო და დავაცილე!

ორი საათის განმავლობაში ვთევზაობდით ნაპირიდან ხუთას ნაბიჯზე. თევზი ბლომად ამოჰყვა ბადეს, ოღონდ ერთი კალმახის გარდა, რომელიც ნიჩბით დავარეტიანეთ, ჟიულიმ მთელი ნადავლი ტბაში გადაგვაყრევინა. „ესენი ხომ ცოცხალი არსებანი არიან, – თქვა მან, – იტანჯებიან, მაშ, გავანთავისუფლოთ. როგორ უხარიათ, საფრთხეს რომ დააღწიეს თავი! ეს ჩვენც გვსიამოვნებს, ხომ მართალია?!“ მენიჩბენი ზოზინითა და ნაძალადევად ათავისუფლებდნენ ტყვეებს და კარგად ვხედავდი, დაჭერილი თევზი უფრო მეტად გაახარებდათ, ვიდრე მისი სიცოცხლის გადამრჩენი მორალი.

შემეგ ტბაზე გავცურეთ; ახალგაზრდული სიმკვირცხლით, რაც ჯერ კიდევ ვერ მომიშორებია, შევუდექი საჭის მართვას და სულ შუა ტბისაკენ მივმართე ნავი; მალე უკვე ერთ ლიეზე მეტს დავშორდით ნაპირს.[113] იქ დავანახე ჟიულის ჩვენს წინ გადაშლილი საუცხოო თვალსაწიერი. შორიდან თვალი ვკიდეთ რონას შესართავს, რომლის ბობოქარი მდინარება ფრიად შესამჩნევია მეოთხედი ლიეს მანძილზე და ანაზდად თითქოს ჩერდება, ვითომც შიშობს, ვაითუ ჩემი ტალღებით ტბის ბროლისებრ ანკარა წყალი ავამღვრიოო. ჟიულის დავანახე ციხესიმაგრეთა რედუტების მსგავსი ქონგურები; მათი ურთიერთშესაბამისი კუთხეები და პარალელური ზღუდენი, გამყოფ ხეობათა შემოფარგვლით, წარმოქმნიან კალაპოტს, რაც შესაფერისია აღბორგებული მდინარისა, მას რომ ავსებს. ჟიულის თვალთა მზერა ავაშორე ჩვენს სანაპიროს და მოვუხმობდი დამტკბარიყო ვოს კანტონის მდიდრული და საუცხოო მომხიბვლელი ნაპირებით, სადაც მრავალი ქალაქი, უამრავი მოსახლეობა, ამწვანებული და ყვავილებით მორთულ-მოკაზმული ქედები ქმნიან საუცხოო სურათს; ყოველგან დამუშავებული და ნაყოფიერი

---

[111] ჟენევის ტბის მძლევარი ფრინველია; ბაზოლეთი არ იჭმება.

[112] ჟენევის ტბის სხვადასხვაგვარი ფრინველი; ყველა გამოსადეგია საჭმელად.

[113] ეს როგორღა მოხდა? ამისათვის საჭიროა, ჟენევის ტბას კლარანის პირდაპირ ორი ლიე სიგანე მაინც ჰქონდეს.

ყანები აძლევს მხვნელ-მთესველს, მწყემსსა და მევენახეს შრომისათვის საიმედო ჯილდოს, ვინაიდან მას არ ნთქავს გაუმაძღარი მოიჯარე. შემდეგ ტბის გაღმა ნაპირას დავანახე შაბლე, არანაკლებ ბარაქიანი კუთხე, ოღონდ სიღატაკის ბუდედ გადაქცეული მხარე, და ვცდილობდი, ჟიულის თვალნათლივ დაენახა, თუ რა მკვეთრ გავლენას ახდენს მოსახლეობის დოვლათზე, რაოდენობასა და კეთილდღეობაზე ამ ორი პროვინციის მართვის წესთა სხვადასხვაობა. „აი, რა ხდება, – ვეუბნებოდი მას, – მიწა გადაიხსნის თავის ბარაქიან წიაღს და უხვად მიუბოძებს საგანძურს ბედნიერ ხალხთ, როცა ისინი ამუშავებენ მას საკუთარი თავისათვის. ის თითქოს იღიმება და ცოცხლდება, ხარობს თავისუფლების სასიამტკბილო სანახაობით, უყვარს ადამიანთა გამოკვება. სამაგიეროდ უბადრუკი ქოხმახები, თითქმის უკაცრიელი მხარე, სადაც მიწა მანანითა და კვრინჩხითაა დაფარული, შორიდან გვამცნობენ, რომ აქ ბრძანებლობს მუდამჟამს იქ არმყოფი ბატონი და მიწაც ხელმოჭერილად უთმობს მონებს იმ საცოდავ ნაყოფთ, რითაც უფლებისამებრ თავად ისინი უნდა სარგებლობდნენ“.

ვიდრე ესრეთის სიამოვნებით ვატარებდით დროს და ვათვალიერებდით ახლობელ ნაპირებს, დაუბერა გრილმა ქარმა და ჩვენი ნავი მეორე ნაპირისაკენ გააქანა; როცა უკანვე გამობრუნება დავაპირეთ, ქარმა ისეთი ძალუმი წინააღმდეგობა გაგვიწია, რომ ჩვენს დანჯღრეულ ნავს არ შეეძლო მისი დაძლევა. მალე ტალღები თავზარდამცემი გახდნენ; უნდა მიგვეღწია სავოიის ნაპირისათვის და სოფელ მეიერის მივდგომოდით, როლის საპირისპიროდაც აღმოვჩნდით; ესაა თითქმის ერთადერთი ადგილი, სადაც მოსახერხებელია ნაპირზე მიდგომა. მაგრამ ქარი შეიცვალა და თანდათან მძაფრდებოდა, ამაო იყო ჩვენი მენიჩბეების მტკიცე მონდომება, ტალღებმა მეიერის ქვემოთ გაგვიტაცა, ციცაბო კლდეებთან, სადაც თავშესაფარს ვეღარ ვიპოვიდით.

ყველანი ნიჩბებს დავაწექით, და დარდაშლილმა თითქმის იმავწუთს დავინახე, ჟიული ცუდად იყო, კინაღამ გული შეღონებოდა და ნავის ქიმს მიყრდნობოდა. საბედნიეროდ შეეჩვია ტალღებს და ასეთი მდგომარეობა დიდხანს როდი გაგრძელებულა. საფრთხე თანდათან მატულობდა, მატულობდა ჩვენი მოწადინებაც: სიცხისა და დაღლილობისაგან ოფლში ვიწურებოდით, სული გვეხუთებოდა და სავსებით მოვიქანცეთ. და მაშინ ჟიულის დაუბრუნდა მთელი სიმამაცე, გვამხნევებდა და შეუნელებელი ალერსიანი მზრუნველობით, განურჩევლად ყველას გვიმშრალებდა ოფლიან სახეს; ჭურჭელში შეაზავა ღვინო და წყალი, რომ არ დავმთვრალიყავით, და რიგრიგობით ასმევდა ყველაზე გასავათებულთ. არა, ჟიული, თქვენი თვალწარმტაცი მეგობარი, ჯერ არასოდეს ყოფილა ასეთი ტურფა და მშვენიერი, როგორც ამ წუთებში, როცა სიცხემ და მღელვარებამ აუელვარა მთელი სახე, რამაც უფრორე გაამშვენიერა; მისი გრძნობამორეული გამომეტყველება ღაღადებდა, რომ მთელი ეს ზრუნვა საკუთარი თავის მიმართ შიშისაგან კი არ მომდინარეობდა, არამედ ჩვენდამი თანაგრძნობის გამო. მხოლოდ ერთადერთ წუთს, როცა კლდეზე შეხეთქების გამო შუაზე გაიპო ორი ფიცარი და ზვირთები ყველას თავზე გადაგვევლო, ჟიულიმ იფიქრა, ნავი დაიმსხვრაო, და შეჰყვირა, ხოლო ამის შემდეგ მკაფიოდ გავიგონე მისი სიტყვები: „ოი, შვილებო, ჩემო შვილებო! ნუთუ ამიერიდან ვეღარასოდეს გიხილავთ!“ რაც შემეხება მე, ჩემი წარმოსახვა ყოველთვის აზვიადებს უბედურებას, და თუმცა კარგად ვიცოდი, ჩვენი მდგომარეობა არ იყო უიმედო, მაინც წამდაუწუმ ასე მეგონა, ნავი უფსკრულში დაინთქმება, ხოლო ესოდენ მომხიბვლელი და ტურფა ქალი ამაოდ შეეტოქება ზვირთებს და მის ღაწვებს ვარდის ფურცლების ნაცვლად სიკვდილის ფერი დაედებათ-მეთქი.

უდიდესი გაჭირვებით ამოვედით უკან მეიერიში, საათზე მეტ ხანს ვწრიალებდით ნაპირიდან ათ ნაბიჯზე, ვიდრე დაბოლოს არ მოვახერხეთ გადმოსვლა. როგორც კი ნაპირს მივადექით, მყისვე დაგვავიწყდა მთელი ტანჯა-წამება. ჟიულიმ გულმხურვალედ

გადაგვიხადა მადლობა თითოეულს მათი გარჯის გამო; ხიფათის დროს მხოლოდ ჩვენზე ფიქრობდა, ხოლო ახლა, ხმელეთზე, ასე ეგონა, ვითომცდა მარტო ის გადავარჩინეთ.

საშინლად მოშიებულებმა ვისადილეთ მადიანად, რაც მძიმე მუშაობის შემდეგ მოდის. მოიტანეს კალმახი. ჟიულის ძალიან უყვარს იგი, მაგრამ სულ ცოტა აიღო და არც შემხვეწია, თევზი გასინჯეო. მივხვდი, არ სურდა, მენიჩბეთ რომ დანანებოდათ გაღებული მსხვერპლი. მილორდ, ათასჯერ მაინც გითქვამთ ჩემთვის: ჟიულის მოყვარული გული დიდსა და მცირე საქმეშიც თავს იჩენსო.

ღელვა მაინც არ ყუჩდებოდა, და ნავიც შესაკეთებელი იყო, – წასვლა აღარ ეგებოდა და ამიტომაც ნასადილევს ჟიულის შევთავაზე, გავისეირნოთ-მეთქი. ის უარს ამბობდა, ქარს და მზეს, დაღლილობას იმიზეზებდა. მინდოდა ჩემი გამეტანა და ყოველ უარის თქმაზე მზად მქონდა პასუხი: „ბავშვობიდანვე მივეჩვიე, – ვეუბნებოდი მე, – საძნელო ვარჯიშობებს, და მათ არამც თუ ზიანი მომიტანეს, პირიქით ჩემი ჯანი გასალკლდევდა, ხოლო ჩემმა უკანასკნელმა მოგზაურობამ შესამჩნევად მომიტანა ძალი და ღონე. რაც შეეხება მზეს, მისგან დაგიფარავთ თქვენი ჩალის ქუდი. ქარს დავემალებით სადმე კლდის უკან ანდა წარაფებშორის; საჭიროა მხოლოდ ბილიკით ასვლა კლდეებზე, ოღონდ თქვენ ხომ არ გიყვართ ველ-მინდვრები და აღმართიც მომქანცველი როდი მოგეჩვენებათ“. დაბოლოს, ჟიული ნებას დამყვა და ჩვენც გავემართეთ.

თქვენ იცით, რომ ათი წლის წინათ, ვალესგან ჩემი განდევნის შემდეგ, მეიერიში ჩავედი და იქ ველოდებოდი დაბრუნების ნებართვას. ჩემი ჟიულით სულ ერთიან გატაცებულმა, იქ გავატარე ესოდენ სევდიანი, წარმტაცი დღეები და მოვწერე მას მეტად ამაღელვებელი წერილი. ყოველთვის მსურდა კვალად მეხილა ეს განმარტოებული კუთხე, სადაც ვპოვე სავანე მუდმივ თოვლიან მთეში და სადაც ჩემი გულის ერთადერთ სიამედ რჩებოდა მოგონებები იმ ამბებისა, რაიც ყველაზე ძვირფასი იყო მისთვის ამქვეყნად. გასეირნების საიდუმლო მიზეზიც სწორედ ეს სურვილი იყო – კვალად მენახა ეს საყვარელი ადგილები, და თანაც მასთან ერთად, ვისი ხატებაც ოდესღაც ასე განუშორებლად დამდევდა აქ; ჩემთვის ძალზე სასიამო იქნებოდა მეჩვენებინა მისთვის ჩემი მგზნებარე, ესოდენ უცვალებელი და უიღბლო სიყვარულის ძეგლები.

მთელ საათს მივდიოდით დაკლაკნილი ბილიკებით, ნება-ნება რომ მიიწევდა სულ ზევით და ზევით ხეებისა და კლდეთა ჩრდილებში – მხოლოდ ძალზე გრძელი გზა იყო ერთადერთი დაბრკოლება. მოგზაურობის მიზანს რომ დავუახლოვდი, ვცნობდი ძველ-ძველ ნიშნებს და კინაღამ ცნობა მიმეხადა; მაგრამ გული გავიმაგრე და მღელვარება დავიოკე. ბოლოს მივედით. ეს განმარტოებული ადგილი ისევე უდაბური და უკაცრიელი დარჩენილიყო, ოღონდ აღსავსე იყო სიმშვენიერით, რაიც ატყვევებს მგრძნობიარე არსებათ, ხოლო სხვებს საშინელებად ეჩვენებათ. ჩვენგან ოც ნაბიჯზე მოჩხრიალებს მთის ნაკადული და ხმაურით მოაგორებს ქვებს, ხრეშსა და სილას. ჩვენ უკან ამართულიყო მიუდგომელ კლდეთა მთაგრეხილი და კვეთდა მოედანს, ჩვენ რომ ვიდექით, იმ ალპურ სიმაღლეთაგან, როელთაც მყინვარებს უწოდებენ, ვინაიდან ქვეყნიერების გაჩენის დღიდან მათ ფარავთ უზარმაზარი და განუწყვეტლივ მზარდი ყინულის ფენები.[114] მარჯვნივ იდგა შავჩოხიან ნაძვთა მჭმუნვარე საფარი. მარცხნით, მჩქეფარე ნაკადულს გაღმა, მწვანედ ხასხასებდა მუხნარი, ჩვენს ფერხთა წინაშე კი გაშლილიყო ჟენევის ტბის წყლით სავსე არე, ალპის მთათა წიაღში რომ იწვა, – ის გვაშორებდა ვოს კანტონის ბარაქიან ნაპირთაგან, რომლის სურათს აგვირგვინებდნენ იურის დიდებული მწვერვალები.

---

[114] ეს მთები ესოდენ მაღალია, რომ მზის ჩასვლიდან ერთი საათის შემდეგაც მწვერვალები კვლავ განათებულია მისი სხივებით და დაისის მეწამული ფერი ააელვარებს ხოლმე მშვენიერ თეთრ თხემებს წარმტაცი ვარდისფერი ათინათით, რაც შორიდანაც მოჩანს.

მთელ ამ სიმაღლეთა და საუცხოო ლანდშაფტთა შორის ის ადგილი, სადაც ვიმყოფებოდით, ხიბლავდა და ატყვევებდა ადამიანის თვალს საამური სოფლური კუთხის მომხიბვლელობით. რამდენიმე ნაკადული ჩუხჩუხით ჩამორბოდა აქ ციცაბო კლდეებიდან და თავის კრისტალისებრ სპეტაკ ჭავლებს აპკურებდა ამწვანებულ კალთებს. რამდენიმე ტყიურ ხეხილს დაეხარა თავი ჩვენს ზემოთ. სველ ხელუხლებელ მიწაზე ბიბინებდა ბალახი და ყვავილები. მე ვადარებდი ერთმანეთს ესოდენ საყვარელ და მშვიდობიან კუთხეს ირგვლივ შემოჯარულ სურათებს და ვფიქრობდი, ეს უდაბური ადგილი მეჩვენება სავანედ, სადაც ძალუძს შეფარება ორ მიჯნურთ, მარტონი რომ გადაურჩნენ წარღვნას და მიწისძვრას-მეთქი.

როცა ამ ნაცნობ კუთხეს მივაღწიეთ და დავტკბით მისი ხილვით, მე მივაპყარ ჟიულის ცრემლით მონამული თვალები და ვუთხარი: „ნუთუ თქვენი გული არაფერს გეუბნებათ აქ? ნუთუ არ განიცდით იდუმალ მღელვარებას ამ ადგილის ხილვისას, სადაც ყოველივე თქვენი არსებითაა აღსავსე?“ აღარ დაველოდე ჟიულის პასუხს, მივიყვანე კლდესთან და ვუჩვენე მრავალ ადგილას ამოტვიფრული ვენზელი, და აგრეთვე პეტრარკასა და ტასოს ლექსები, როლებიც ასახავდნენ ისეთ გუნება-განწყობილებას, როგორიც მქონდა მაშინ, როცა ამ სტრიქონებს ვწერდი ქვაზე. ესოდენ დიდი ხნის შემდეგ მათი ნახვისას განვიცადე, თუ რა სწრაფად ძალუძთ გარემომცველ სურათებს აღადგინონ მძაფრი გრძნობები, ოდესღაც მათ სიახლოვეს რომ გვაღელვებდნენ. ოდნავი მწუხარებით წარმოვთქვი: „ჟიული, ჟიული! გულისა ჩემის სამუდამო მბრძანებელო! ამ ადგილებში ოდესღაც ვიშვიშებდა და ოხრავდა შენით დამწუხრებული, ყველაზე ერთგული მიჯნური ამქვეყნად. შენი საყვარელი სახე იყო მთელი ბედნიერება და განუმზადებდა ნეტარებას, რაიც დაბოლოს მიანიჭა კიდეც მას. მაშინ აქ არ იყო არც ხეხილი, არც უღრანი ტყე, მწვანე მოლი და ყვავილები ნაირფერადი ხალიჩით არ ამკობდნენ მთათა კალთებს; ჩუხჩუხით არ ჩამორბოდნენ მკვირცხლი ნაკადულები, არ გაისმოდა სირთა მხიარული ჭიკჭიკი; მარტოოდენ გაუმაძღარი ძერა, თვალბედითი ყორანი და ალპის მთათა მრისხანე არწივი კივილით, ყრანტალითა და ყაშყაშით იკლებდნენ ხეობებს; ყველა კლდეებიდან გადმოწოლილიყვნენ მაშინ უზარმაზარი ყინულის ლოდები; მხოლოდ თოვლს მოერთო და მოეკაზმა თეთრ-თეთრი კუწუბებით ეს ხეები; ყველაფრიდან იგრძნობოდა ზამთრის სიმკაცრე და სიცივის საშინელება; მხოლოდ გულში მოგიზგიზე ცეცხლის ალი მაძლევდა ძალას გადამეტანა აქ ყოფნა და მთელ დღეებს შენზე ფიქრში ვატარებდი. აი, ის ქვა, რომელზედაც ვჯდებოდი და გავყურებდი შორს მოციალე შენს სავანეს; ხოლო აი, ამ კლდის ნატეხზე ვიჯექი მე, როცა გწერდი ამაღელვებელ წერილს; აი, კაჟის ეს წვეტიანი ნამსხვრევები იყო ჩემი საჭრეთელი, რითაც ამოვტვიფრე კლდეზე შენი ვენზელი; აი, აქ გადავდიოდი გაყინულ ნაკადულზე, რათა დამეჭირა ერთ-ერთი შენი წერილი, ქარმა რომ გამომსტაცა; აი, აქ გადავიკითხე და უამრავი კოცნა დავაყარე შენს გამოსათხოვარ ბარათს; აი, ამ კლდის ქიმთან ხარბი და პირქუში მზერით ვზომავდი უფსკრულთა სიღრმეს; დაბოლოს, სწორედ აქ მოვედი ჩემი ბედნავსი გამგზავრების წინ – მოვედი, რათა მეტირა შენს გამო, როცა მომაკვდავი იყავი, და აქ დავდე ფიცი, შენს მერე აღარ მეცოცხლა. როგორ მიყვარდი შენ, შენ, ვისთვისაც მე დავიბადე! ნუთუ მე და შენ იმიტომ აღმოვჩნდით ახლა ამ მთებში, რომ სინანულით მოვიგონოთ შორეული დღეები, რაიც გავატარე აქ გოდებითა და ვაებით, როცა ვიტანჯებოდი შენგნით მოშორებული?“ მინდოდა განმეგრძო, მაგრამ ჟიულიმ დაინახა, უფსკრულის პირას რომ გარდავადექ, შეშინდა, ხელში ხელი ჩამჭიდა და ნელა მომიჭირა ხელი; ნაზი მზერით შემომყურებდა და ძლივსღა იოკებდა უსაშველო ოხვრა-კვნესას; შემდეგ ანაზდად განზე მიიხედა, ხელით გამიყოლია და მღელვარე ხმით მითხრა: „წავიდეთ აქედან, ჩემო მეგობარო, მწყენს აქაურ ადგილთა ჰაერი“. მწარედ

ამოვიოხრე, მაგრამ არაფერი ვუპასუხე და გავყევი, თან სამუდამოდ გამოვეთხოვე ამ სევდიან სავანეს, თითქოს თავად ჟიულის გამოვესალმე-მეთქი.

ნელინელ მივდიოდით შემოსავლელი ბილიკებით და ნავმისადგომთან დავშორიშორდით. ჟიულის მარტო ყოფნა სურდა, მე კი განვაგრძობდი სეირნობას, თავადაც არ ვიცოდი კარგად, საითკენ მივდიოდი; როცა დავბრუნდი, ნავი ისევ არ იყო მზად და ტბა კვლავ მღელვარებდა.

მერე ვივახშმეთ. ორივეს დარდი შემოგვაწვა, ვიჯექით ქედმოხრილი და ვფიქრობდით ჩვენ-ჩვენს საფიქრალს, ცოტასა ვჭამდით, ხოლო უფრო ნაკლებს ვლაპარაკობდით. ნავახშმევს გამგზავრების მოლოდინში ნაპირას ჩამოვჯექით. შეუმჩნევლად ამოგორდა მთვარე, ტბა უფრო დაშოშმინდა, და ჟიულიმ წასვლა შემოგვთავაზა. ნავში ჩასაჯდომად ხელი შევაშველე, გვერდით მივუჯექი, – მისი ხელი ხელში მეჭირა. კრინტიც არ დაგვიძრავს ერთმანეთთან. ნიჩბების თანაბარი ტყლაშუნი აღგვიძრავდა ფიქრთა გვრიობას... ჩიბუხათა[115] საამო სტვენა, სიჭაბუკის სიამეთა გამო აღდგენილი მოგონებანი როდი მგვრიდნენ ხალისს, არამედ უფრო შემომაწვა სევდა-ნაღველი. სულ უფრო და უფრო იზრდებოდა გულის დამამძიმებელი დარდი და მწუხარება. მოწმენდილმა ცამ, მთვარის მშვიდმა კაშკაშმა, ჩვენს გარშემო აელვარებული წყლის ვერცხლისებრმა ჭავლებმა, ყველაზე სანიაზო შთაბეჭდილებათა ურთიერთშეხამებამ, თვით საყვარელი არსების სიახლოვემაც კი თავი ვერ დამაღწევინეს მჭმუნვარე გრძნობებისათვის.

მომაგონდა მსგავსი გასეირნება, მე და ჟიულიმ რომ მოვაწყეთ პირველი სიყვარულის განუმეორებელ ჟამს. ყველა სასიამტკბილო გრძნობები, რომლითაც აღსავსე იყო მაშინ ჩემი გული, კვალად აღდგინდნენ, მაგრამ ახლა სატანჯველად მექცა ყოველი: სიყმაწვილის დღეთა ყველა მოვლენა, ჩვენი მეცადინეობა, ჩვენი საუბრები, ჩვენი წერილები, ჩვენი პაემანი, ჩვენი სიამენი.

Et tanta fede, e si dolci memorie

Et si lungo costume![116]

ხსოვნამ აღმიდგინა უამრავი წვრილმანი, რამაც წარმოიდგინა დაღუპული ბედნიერების სახე, ახლანდელ ჩემს ტანჯვა-წამებას რომ აარჯლებენ. „ყველაფერს ბოლო მოეღო, – ვამბობდი გულში, – გაქრა და სამარადისოდ გაცამტვერდა ბედნიერი დრო-ჟამი. ვაგლახმე! არასოდეს დამიბრუნდება იგი; ხოლო ჩვენ ორივენი ცოცხლები ვართ, ერთად ვიმყოფებით, და ჩვენი გულებიც წინანდელებრივ ხომ თანაბრად ძგერენ!“ ასე მგონია, ჩემთვის უფრო იოლი იქნება მისი სიკვდილის ანდა განშორების გადატანა, და მართლაც, უფრო ნაკლებად განვიცდიდი ტანჯვას იმ წლებში, მისგან მოშორებით რომ გავატარე. როცა შორეულ ქვეყნებში ვხეტიალობდი, მისი კვლავ ნახვის იმედი მიმსუბუქებდა ვაი-ვარამს; ვიმედოვნებდი, შევხვდები-მეთქი და მყისვე განიფანტება ყველა ჩემი შეჭირვება ანდა უფრო ნაკლებ უსაშველო გახდება-მეთქი; ყოველივე შესაძლებლად მიმაჩნდა. მაგრამ ვიყო ჟიულის ახლოს, ვუმზერდე მას, ვეხებოდე მის ხელს, ველაპარაკებოდე, მიყვარდეს და თაყვანს ვცემდე, თითქმის უწინდელებრივ ვეუფლებოდე მას, და იმავ დროს ვგრძნობდე, სამუდამოდ დაკარგული რომაა ჩემთვის – აი, ეს მააფთრებდა, მაშმაგედა, და ეს გააფთრება თანისთან ისე გადიდდა და გაიზარდა, რომ თითქმის ხელქმნილი გავხდი. და მალე თავში გამირბინა საშინელმა განზრახვამ და სასოწარკვეთილებით მოცული, რის

[115] ჟენევის ტბის ჩიბუხა სრულიადაც არაა ის ფრინველი, რომელიც ამ სახელს ატარებს საფრანგეთში. ჩვენი ჩიბუხების სწრაფი და მხიარული ხმები გაისმის ტბაზე და ზაფხულის ღამეებში სიცოცხლითა და საამური მშვენებით ავსებენ მას, მომხიბვლელობას მატებენ მის ნაპირთ.

[116] ვით დავივიწყო ნდობით სავსე სათუთი გრძნობა
და ხანიერი სიახლოვე... (იტალ.).

მოგონებაც თავზარსა მცემს, მზად ვიყავი ავყოლოდი ცდუნებას – დამევლო ხელი ჟიულისათვის, მასთან ჩაკონებული შიგ წყალში გადავმხტარიყავ და ამით ბოლო მომეღო ჩემი სიცოცხლისა და ხანგრძლივ ტანჯვათათვის. ეს საშინელი ცდუნება დაბოლოს ისე შემომენთო, რომ ანაზდად უხეშად მოვიცილე მისი ხელი, ზეზე წამოვხტი და ნავის ქიმზე გადავჯექი.

და მაშინ სავსებით შეიცვალა ჩემი აღტყინებული მგზნებარება, – გრძნობები უფრო დამიშოშმინდა, გული მომილბა და დავიოკე უკეთური დარდი და სევდა, თვალთაგან ცრემლები წამსკდა. ეს სულიერი მდგომარეობა მას შემდეგ, რაც განვიცადე, როდი იყო მოკლებული სიამეს. დიდხანს ვტიროდი და შვება ვიგრძენი. დაბოლოს სავსებით გონს მოვეგე, ჩემს ადგილს დავუბრუნდი და ჟიულის ახლოს დავჯექი; კვლავ ავიღე მისი ხელი; ხელში ცხვირსახოცი ეჭირა და ვიგრძენი, მთლიანად სველი რომ იყო. „აჰ, – ჩუმად წარმოვთქვი მე, – ჩანს, ჩვენს გულებს დღემდე შესწევთ უნარი ყური უგდონ ერთმანეთის ხმას“. „მართალს ამბობ, – ხმის კანკალით მითხრა მან, – ოღონდ დაე, უკანასკნელად ილაპარაკონ იმგვარად, როგორც წეღან“. და გავმართეთ წყნარი საუბარი, ხოლო ერთი საათის შემდეგ, ახალი ფათერაკის წაუკიდებლად, დამთავრდა ჩვენი მოგზაურობაც. როცა შინ დავბრუნდით, სინათლის შუქზე შევამჩნიე, ჟიულის თვალები ცრემლებისაგან დასწითლებოდა და დასიებოდა; ალბათ, მანაც შენიშნა, ჩემი თვალებიც უკეთესად როდი გამოიყურებოდნენ. მომქანცველი დღის შემდეგ ძალიან სურდა დასვენება და თავის ოთახში გაემართა, მეც დავწექი დასაძინებლად.

აი, ძვირფასო მეგობარო, ჩემი ცხოვრების იმა დღის დაწვრილებითი ანგარიში, როცა, უდავოდ განვიცადე უაღრესად მძაფრი მღელვარება. იმედია, რომ ეს იყო გარდატეხა, რის შემდეგაც სავსებით მოვეგები გონს. სიტყვამ მოიტანა და, უნდა გითხრათ, რომ ამ ამბის შემდეგ ყოველგვარ სხვა საბუთზე უფრო ვირწმუნე კაცთა ნების თავისუფლება და სათნოების ძალი და ღონე. აბა, სულ მცირე ცდუნებას აყოლილი რამდენი ადამიანია განწირული დასაღუპავად! მაგრამ ჟიული კი!.. ჩემმა თვალებმა დაინახეს და ჩემი გულიც გრძნობდა, რომ იმ დღეს მან გადაიხადა უსასტიკესი ბრძოლა, როგორსაც კი გაუძლებს ადამიანის სული, და ამ ბრძოლიდან გამარჯვებული გამოვიდა. ხოლო მე? რამ შემაძლებინა მისგან შორს ყოფნა? ო, ედუარდ, როცა შენ გაცდუნებდა საყვარელი და შეიძელ დაგეთრგუნა შენი საკუთარი და მისი გულისთქმაც, განა ჭეშმარიტად ადამიანი არ იყავ? შენი მაგალითი რომ არ ყოფილიყო, მე, იქნებ, დაღუპვა მელოდა კიდეც. იმ საშიელ დღეს ასჯერ მაინც გავიხსენე შენი სათნო გული, და ისიც, სათნოების გზაზე მეც რომ დამაბრუნე.

მ ე ო თ ხ ე ნ ა წ ი ლ ი ს დ ა ს ა ს რ უ ლ ი

მ ე ხ უ თ ე ნ ა წ ი ლ ი

I წერილი

მილორდ ედუარდისაგან[117]

გამოეთხოვე ბავშვობას, მეგობარო, გამოიღვიძე. მთელ შენს სიცოცხლეს ნუ მიანებებ გონების ხანგრძლივ ძილს. წლები მიქრიან, დრო ცოტაღა რჩება, სჯობს გონს მოეგო. როცა კაცი ოცდაათ წელს გადააბიჯებს, დროა ჩაუფიქრდეს თავის თავს; პირველ ყოვლისა, ძალი

[117] ეს წერილი უთუოდ დაწერილია წინანდელი ბარათის მიღებამდე.

და ღონე მოიკრიბე, ჩაიხედე შენს გულში და სიცოცხლეში თუნდაც ერთხელ იყავი მამაკაცი.

ძვირფასო ჩემო, თქვენი გული ხანგრძლივ ჯაბნიდა გონებას. თქვენ გსურდათ ბრძენთუბრძნესობა, სანამ ამისთვის შეგწევდათ უნარი, გრძნობის ძახილი გონების ხმად მიიღეთ. განსჯისას კმაყოფილდებოდით შთაბეჭდილებებით, რასაც ახდენდა თქვენზე საგანი, და არასოდეს არ იცოდით მისი ნამდვილი ფასი. ალალ-მართალი გული (ვაღიარებ ამას) ყველაზე უმნიშვნელოვანესია ჭეშმარიტების შესაცნობად; ვინაც ვერაფერსა გრძნობს, ვერაფერსაც ვერ ისწავლის, მხოლოდ ერთი ცდუნებიდან მეორე საცდურს წაუპოტინებს ხელს; იგი მარტოოდენ უსარგებლო და უნაყოფო ცნობებს შეიძენს, ხოლო ადამიანსა და გარე სამყაროს შორის ურთიერთობათა გამო ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანი ცოდნა მისთვის დაფარულია. მაგრამ ჩვენ მხოლოდ ნაწილობრივ შევიჭრებით ამ მეცნიერებაში, უკეთუ არ შევისწავლით გარე სამყაროში არსებულ ურთიერთობათ, იმისათვის, რომ უკეთ დავდოთ მსჯავრი მის ურთიერთობას ჩვენს მიმართ. ადამიანურ ვნებათა ცოდნა როდი იკმარებს, თუკი არ ძალგვიძს გარკვევა, რას წარმოადგენს ვნებათა საგანი, ხოლო ძიებათა ეს მეორე ნახევარი შეიძლება მხოლოდ დამშვიდებითა და მოფიქრებულად შევიცნოთ.

ბრძენკაცისათვის სიყმაწვილე ცხოვრებისეული გამოცდილების შეძენის დროა, ცხოვრების შეცნობის იარაღად აქ ვნებები ხდება; მაგრამ, როცა გარე სამყაროს შთაბეჭდილებათათვის ჩვენი გულის კარებს გავაღებთ, იგი შემდეგ თავის ნაჭუჭში ჩაიკეტება, რათა განსჭვრიტოს, შეადაროს, შეიცნოს. აი რა უნდა გექნათ თქვენ უფრო მეტად, ვიდრე სხვა ვინმეს ამქვეყნად. თქვენ უკვე განიცადეთ ყოველგვარი სიამე და ვაი-ვარამი, რაც კი ძალუძს განიცადოს მგრძნობიარე გულს. ყოველივე, რაც შეუძლია იხილოს ადამიანმა, უკვე იხილეთ და ნახეთ. რაღაც თორმეტიოდე წლის მაძილზე შეიცნეთ ყველა გრძნობა, რის შეცნობაც შეიძლება მარტოოდენ ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში, და ჯერ ისევ ყმაწვილკაცმა არანაკლები გამოცდილება შეიძინეთ, ვიდრე ღრმად მოხუცებულმა ადამიანებმა, თავდაპირველად მდაბიო ადამიანებს აკვირდებოდით _ ისინი თითქოსდა ის-ის იყო გამოვიდნენ ბუნების ხელთაგან, რათან თქვენ შედარების საზომად გამოგდგომოდათ. ქვეყნიერების ყველაზე სახელოვანი ხალხის დედაქალაქში განდევნილი, თქვენ, ასე ვთქვათ, ერთი ნახტომით სულ სხვა უკიდურესობაში გადავარდით. მაგრამ ნიჭიერ ადამიანს ძალუძს იოლად წავიდეს შუალედურ საფეხურთა გარეშე. როცა აღმოჩნდით იმ ერს შორის, ჯერ კიდევ ღირის რომაა ადამიანური უწოდოს სხვადასხვა ბრბოთა წრეში, რომლითაც დაფარულია მთელი დედამიწის ზურგი, უკეთუ ვერც კი დაინახეთ იქ კანონის მეუფება, მაინც დარწმუნდებოდით, კანონი ჯერ ისევ რომ არსებობს; შეუმცდარი ნიშან-თვისებების მიხედვით შეისწავლეთ ხალხის ნება-სურვილის ეს წმიდათაწმიდა ორგანო და მიხვდით: საზოგადოებრივი გონების ძალაუფლება თავისუფლების ნამდვდილი საფუძველია. თქვენ ახლა იცნობთ ყველა კლიმატს, იხილეთ ყველა მხარე, სადაც კი ანათებს მზე. ამჟამად ტკბებით უფრო საიშვიათო და ბრძენკაცთათვის უფრორე ღირსეული სანახაობით _ ხედავთ დიდებულ და სასტიკ არსებას, რომელმაც დათრგუნა ვნებები და დაუმორჩილა ისინი თავის ნება-სურვილს. ამ ამბავმა განგაცვიფრათ პირველსავე დანახვაზე და კვალად განცვიფრებთ, თუმცაღა ბევრი რამ ნახეთ ამქვეყნად. სრული საფუძველი გაქვთ აღგიტაცოთ თქვენი აღფრთოვანების საგანმა. ამაზე მეტი აღარ მოიძებნება არც გრძნობა, არც სანახაობა, რაც კვლავ გაგიტაცებდათ. და, თქვენი თავის გარდა, ახლა არავის დაკვირვება აღარ ძალგიძთ, აგრეთვე, სიბრძნის მიერ განცხრომილების გარდა, თქვენთვის არ არსებობს სხვა რაიმე სიხარული. თქვენ განიცადეთ ყოველივე, რისი მოცემაც შეუძლია ადამიანის ხანმოკლე ცხოვრებას, მაშ, ისიც იფიქრეთ, როგორ უნდა იარსებოთ სამარადჟამო ცხოვრებისათვის.

თქვენმა ვნებებმა, ვისი მონაც იყავით დიდხანს, ქველკეთილი და სათნოებით აღვსილი დაგტოვეს. პატივი და დიდება თქვენ, უდავოდ დიდი სახელ-დიდება; ოღონდ ძალიან ნუ გაამაყდებით, _ თვით თქვენი ძალი და ღონე წარმოქმნილია თქვენივ სისუსტისაგან. იცით თუ არა, რის სიყვარულს აღგიძრავდათ მარადჟამს სათნოება? თქვენს თვალში მან მიიღო სათაყვანო ქალის სახე და, როცა დაინახეთ თვალთა წინარე სათნოების განხორციელება ესოდენ ძვირფას ხატებაში, თქვენ გაგიძნელდათ კიდეც არიდებოდით მას. მაგრამ გყვარებიათ თუ არა ოდესმე სათნოება თავად და მისი გულისთვის? ერთხელაც არის _ მიესწრაფოდით თუ არა სიკეთეს, ჟიულის მსგავსად მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ ძალ-ღონეს დანდობილი? მის მაღალ ღირსებათა ცუდმადი თაყვანისმცემელი, თქვენ მარტოოდენ აღტაცებული ხართ იმით, ოღონდ არასოდეს ბაძავთ მათ. გატაცებით ლაპარაკობთ იმის გამო, თუ როგორ ასრულებს ჟიული მეუღლისა და დედის მოვალეობას; მაგრამ თავად, მისი მაგალითის მიხედვით, როდი აღასრულებთ მამაკაცისა და მეგობრის მოვალეობას? ქალი მოერია თავს, თქვენ კი, ფილოსოფოსს, გეძნელებათ საკუთარი თავის დათრგუნვა! მაშასადამე, გსურთ სხვებივით იყოთ უბრალო მოლაყბე და ამჯობინებთ სახელი გაითქვათ კარგი წიგნებით, და კარგი საქციელით კი არა.[118] ფრთხილად იყავით, ძვირფასო ჩემო: თქვენს წერილებში მეფობს მგრძნობიარე და მინაზებული კილო, არ მომწონს ეს, აქ გაცილებით უფრო მჟღავნდება ჩაუმქრალი ვნება, ვიდრე თქვენი ხასიათი. ყველაზე მეტად ამქვეყნად მძაგს უილაჯობა და ვერ ვიტან მას, როცა დაუფლებია ჩემი მეგობრის სულს. ძლიერი ნებისყოფის გარეშე არ არსებობს სათნოება და ბიწიერებისაკენ მარტოოდენ სულმოკლეობა გვიკაფავს გზას. როგორა ბედავთ დაენდოთ საკუთარ თავს, როცა თქვენს გულს არ გააჩნია სიმამაცე? უბედურო! ჟიული რომ სუსტი ნებისყოფის ქალი ყოფილიყო, ხვალვე დაიღუპებოდი კიდეც და სულმდაბალი მრუში აღმოჩნდებოდი. მაგრამ ახლა მასთან მარტოკა დარჩი: ეცადე, უფრო კარგად გაიცნო ის და გრცხვენოდეს შენივ თავისა.

იმედი მაქვს მალე გეწვიოთ. თქვენთვის ცნობილია ჩემი მოგზაურობის მიზანი. თორმეტი წელი აღსავსე მქონდა ცდუნებითა და მღელვარებით, _ ახლა თავად ვენდობი ჩემს თავს; ცდუნებათა წინააღმდეგობა მარტოკასაც შემეძლო, ოღონდ არჩევანისათვის ჩემთვის აუცილებელი მეგობრის თვალი. და რა საამური იქნებოდა, თუკი შეგვაერთებდა ურთიერთსიყვარული და მადლიერების კავშირი; მაგრამ, მაინც, ნუ შეცდებით, _ სანამ ნდობას გამოგიცხადებდეთ, კვლავ გავსინჯავ, დაიმსახურეთ თუ არა იგი და ხართ თუ არა ღირსი მომაგოთ თქვენს მიმართ ჩემი ზრუნვის სამაგიერო. მე ვიცნობ თქვენს გულსა და

---

[118] არა, ფილოსოფიის საუკუნეს არ ძალუძს არ წარმოშვას ნამდვილი ფილოსოფოსი. მე ვიცნობ ასეთ ფილოსოფოსს _ ვაღიარებ, ერთადერთს, მაგრამ ესეც ძალიან კარგი ამბავია და საბედნიეროდ, იგი ჩემს სამშობლოში ცხოვრობს. გავბედავ კიდეც დავასახელო აქ ის, ვინაც, უაღრესად სახელმოხვეჭილმა, შეძლო ნაკლებად ცნობილი დარჩენილიყო. სწავლული და თავმდაბალო აბოზიტო, დაე, თქვენმა დიდებულმა უბრალოებამ მიუტევოს ჩემს გულს ეს თავგამოდება, რამეთუ თავის საგნად მას სრულიადაც არ აღურჩევია თქვენი სახელი! არა, ის კი არა მსურს, თქვენი თავი გავაცნო ჩვენს საუკუნეს, რომელიც არაა ღირსი თქვენგან აღტაცებისა, _ მინდა სახელი გავუთქვა ჟენევას, რადგანაც თქვენ მისი ბინადარი ბრძანდებით. მინდა პატივი მივაგო თქვენს დიდად მოთაყვანე ჩემს თანამოქალაქეთ. ბედნიერია ის ქვეყანა, სადაც აფასებენ ადამიანის დამსახურებათ, და მით უფრო დიდად, რაც უფრო მეტად ჩქმალავს იგი ამ დამსახურებებს! ბედნიერია ხალხი, ვის გულშიც ზვიადი სიყმაწვილე ანელებს დოგმატურ კილოს და ერცხვინება კიდეც თავისი ფუჭი ცოდნისა ბრძენკაცის მეცნიერული უცოდნელობის წინაშე. პატივსაცემო და ქველკეთილო მოხუცო, თქვენ ხოტბას არ გასხამდნენ მაღალი წრის ჭკუის კოლოფები, მათ ხმაურიან აკადემიებში არ გაისმოდა თქვენი ქება-დიდება. იმის მაგივრად, რომ მათ მსგავსად წიგნებში ჩაგებეჭდათ სიბრძნე, თქვენ თქვენს ცხოვრებაში აღბეჭდეთ იგი და მაგალითი გახდით სამშობლოსათვის, თქვენი არჩევის ღირსი რომ შეიქმნა, რომელიც გიყვართ და სადაც პატივსა გცემენ. თქვენ სოკრატესავით ცხოვრობდით, ოღონდ სოკრატე თანამოქალაქეთა ხელით დაიღუპა, თქვენ კი ძვირფასი ხართ თქვენი მოქალაქეებისათვის.

კმაყოფილი ვარ; ოღონდ ეს არა კმარა: ჩემთვის აუცილებელია თქვენი რჩევა-დარიგება არჩევანისათვის, სადაც მხოლოდ გონებით უნდა ვიხელმძღვანელოთ, ხოლო ჩემს საკუთარ მსჯელობას ძალუძს ჩემი გაცურება. როდი მაშინებს ვნებათღელვანი, როცა ისინი აშკარად გვებრძვიან ჩვენ, გვაფრთხილებენ, თავდაცვა გმართებთო, და მთელი თავისი სიძლიერით გვიტოვებენ ჩვენი დანაშაულის შეგნებას, ვინაიდან ვნებებს მხოლოდ ის ემორჩილება, ვისაც თავად სურს დამორჩილება. მაშინებს მათი ცდუნება, როცა ძალას კი არ გატანენ, არამედ გატყუებენ, და ჩვენგან იდუმლად სწორედ იმის ჩადენას კი არ გვაიძულებენ, რის გაკეთებაცა გვსურს. თავის მისწრაფებათა ჩასახშობად ადამიანს საკუთარი თავიც ეყოფა, ოღონდ ზოგჯერ მხოლოდ მეგობრის დახმარებით შეიძლება განვასხვავოთ ის მისწრაფებანი, რომლის მიბაძვაც ნებადართულია. აი სწორედ მაშინ უნდა მივმართოთ გონიერ ადამიანს, _ დაე, მან შეხედოს მოვლენას, რის ცოდნაც მნიშვნელოვანია ჩვენთვის სულ სხვა თვალსაზრისით. ეცადეთ გაარკვიოთ თქვენი მდგომარეობა და მითხარით, განა მუდამ ასე გაიტანჯებით ამაო სულიერი ვაი-ვარამით, რაც არავითარ სარგებელს არ მოგიტანთ არც თქვენ, არც სხვა ადამიანებს, და მალე მოიპოვებთ ძალაუფლებას, საკუთარ თავზე და შეგეძლებათ დაეხმაროთ მეგობარს მისი გუნება-განწყობილების გამორკვევაში?

ჩემი საქმეები ორიოდე კვირით ლონდონში დამაყოვნებენ; ჯერ ფლანდრიაში მყოფ ჩვენს არმიაში გავემგზავრები, აგრეთვე ორი კვირა უნდა დავყო იქ, ასე რომ, ერთ თვეზე ადრე ან ოქტომბრის დამდეგამდე ნუ მელოდებით. ახლა წერილს ლონდონში ნუ გამომიგზავნით, არამედ _ არმიაში _ თანდართული მისამართით. განაგრძეთ თქვენი აღწერილობანი: თუმცა გაკიცხვის ღირსი კია თქვენი წერილების კილო, მაგრამ ისინი ძალზე გულში ჩამწვდომად და თითქმის ყურადსაღებად მიმაჩნია, ისინი აღმიძრავენ ოცნებას იმის გამო, თუ როგორ გავანებებ თავს სამახურს, და ისე მშვიდად ვიცხოვრებ, როგორც შეჰფერის ჩემს შეხედულებებსა და ასაკს. ხოლო, რაც მთავარია, სასწრაფოდ დამამშვიდეთ ქალბატონ ვოლმარის გამო. უკეთუ მისი ხვედრი უბედურია, მაშ, ვისღა ჰქონდეს ბენდიერების იმედი? იმ აღსარების შემდეგ, რაც თქვენ გაგანდოთ, სულ ვფიქრობ და ვერ კი მიმხვდარვარ, რაღა აკლია მას ბედნიერებისათვის.[119]

II წერილი

მილორდ ედუარდისადმი

დიახ, მილორდ, უდიდესი სიხარულით ვადასტურებ, რომ მეიერიში მომხდარი სცენა იყო გარდატეხა ჩემი სიგიჟისა და ჩემი უბედურების ჟამს. ბ-ნ დე ვოლმარის ახსნა-განმარტებამ ჩემი მდგომარეობის გამო სავსებით დამაშშმინა. მეტისმეტად დაძაბუნებული ჩემი სული განიკურნა, რამდენადაც შესაძლებელი იყო ეს მისთვის. და სჯობს ვიდარდო კიდეც წარმოსახული ბედნიერების გამო სინანულით, ვინამ წამდაუწუმ მეშინოდეს შესაძლებელი დანაშაულისა. ღირსეული ბ-ნი დე ვოლმარის დაბრუნების შემდეგ უკვე უყოყმანოდ ვუწოდებ მას ჩემს მეგობარს, ჩემთვის ძვირფას სახელს, რომლის მთელი მნიშვნელობის შეცნობა თქვენ მასწავლეთ, მილორდ. და განა სხვა რაღა უნდა ვუწოდო იმას, ვინაც მშველის სათნოების წიაღში დაბრუნებას? ახლა ჩემს სულში

[119] ეს უთავბოლო წერილი ძალიან მომწონს, ვინაიდან სავსებით შეეფერება გულკეთილი ედუარდის ხასიათს, _ ის ყველაზე უკეთ ფილოსოფოსობს, როცა სისულელეებს სჩადის, და არასოდეს ისე კარგად არ მსჯელობს, როგორც ამ სიტყვათა წარმოთქმისას, როცა თავად არ იცის, რას ლაპარაკობს.

მყუდროებაა, ისე როგორც იმ სავანეში, სადაც ვბინადრობ. უკვე აღარ განვიცდი წინანდებურ უგერგილობას და თავს ისე ვგრძნობ, თითქოს შინ ვიყო; მართალია, აქ სახლის პატრონივით როდი ვსარისტიანობ, მაგრამ ჩემთვის კიდევ უფრო სასიამო იქნება, ახლობელ და მშობლიურ ადამიანად რომ მივაჩნდე ყველას. აქ გამეფებული უბრალოება და თანასწორობა ახარებენ ჩემს გულს, მაღელვებენ და უღრმესი პატივისცემით ვიმსჭვალები. მთელ დღეებს ვატარებ ცხადად განსახიერებულ გონებასა და ხორცშესხმულ სათნოებას შორის. დღენიადაგ ბედნიერ ცოლ-ქმართანა ვარ, მათი გავლენა თანისთან მოქმედებს ჩემზე და ახლა ჩემი გული შეხმატკბილებით ძგერს მათ გულებთან, იმის მსგავსად, თუ როგორ ითვისებს ჩვენი ხმა იმ გარშემომყოფთა ინტონაციებს, გამუდმებით რომ ვესაუბრებით.

საუცხოო განმარტოებული კუთხე! მომხიბლავი სადგომი! რაც უფრო მეტხანს ბინადრობ იქ, მით უფრო შეიტკბობ. პირველი შეხედვით აქ თითქოსდა ძალზე ცოტაა ბრწყინვალება, მაგრამ ძნელია არ შეგიყვარდეს ეს სახლი მაშინვე, როგორც კი გაეცნობი მას. ქალბატონი დე ვოლმარი ესოდენი სიყვარულით ასრულებს თავის კეთილშობილურ მოვალეობათ, ისე სურს ბედნიერი და კეთილი გახადოს ყველანი, ვინაც მისი მზრუნველობის საგანია _ ქმარი, შვილები, თითოეული სტუმარი და თითოეული მსახური, რომ ეს კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს მასზედაც. ამ მყუდრო სავანეში ვერ გაიგონებ და ვერ ნახავ აურზაურსა და ალიაქოთს, ხმაურიან თამაშსა და ხმამაღალ ხარხარს; სამაგიეროდ, აქ ყველგან იხილავ კმაყოფილ გულებსა და მხიარულ სახეებს. თუ ვინიცობაა აქ ოდესმე ცრემლებს ღვრიან, ეს მხოლოდ და მხოლოდ გულის აჩუყებისა და სიხარულის ცრემლებია. შავბნელი ზრახვები, ვაი-ვარამი და მოწყენა აქ ვერ გაიჭაჭანებენ ისევე, როგორც ბიწიერება და მისი აუცილებელი შედეგი _ სინდისის ქენჯნა.

რაც შეეხება ჟიულის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მის იდუმალ უსაშველო დარდს, რომელთა მიზეზი მოგწერეთ კიდეც წინა წერილში,[120] იგი ბედნიერი უნდა იყოს, ყველაფერი უდავოდ ხელს უწყობს ამისთვის. ამას უამრავი საფუძველი მოეპოვება, მაგრამ ათასობით ქალს მის ადგილას სასო წარეკვეთებოდა: ერთფეროვანი და განმარტოებული ცხოვრება მათთვის აუტანელი იქნებოდა; ბავშვების დევნა მათ მოთმინებიდან გამოიყვანდა, ოჯახური მეურნეობის გამო ზრუნვა მათ მოსწყინდებოდათ; ისინი ვერ შეიყვარებდნენ სოფელს; სიბრძნე და კეთილშობილება ქმრისა, რომელსაც ერთი საალერსო სიტყვაც არ ემეტება, მათთვის არასაკმაო საზღაური იქნებოდა მისი გულცივობისა და ხანდაზმულობისათვის; მათთვის აუტანელი იქნებოდა ასეთი ქმრის ახლოს ყოფნა და თვით მისი სიყვარულიც. ისინი გამონახავდნენ მარჯვე ხერხს სახლიდან მის მოსაშორებლად, მოისურვებდნენ სრული თავისუფლებით ცხოვრებას, ანდა თავად გადაიკარგებოდნენ სადმე; შეძაგდებოდათ ოჯახური სიამენი, და სახლიდან შორს დაიწყებდნენ სახიფათო განცხრომათა ძებნას, საკუთარ სახლში თავს კარგად იგრძნობდნენ მხოლოდ მაშინ, როცა თავად უცხონი აღმოჩნდებოდნენ იქ. კაცს უნდა ჰქონდეს ჯანსაღი სული, განმარტოების სიმშვენიერე რომ იგრძნოს; მარტოოდენ კარგ ადამიანებს სიამოვნებთ თავიათ ოჯახურ წრეში ყოფნა და შინ ნებაყოფლობით იკეტებიან, და თუკი არსებობს ამქვეყნად ბედნიერი ცხოვრება, ეს, უდავოდ, ის ცხოვრებაა, რომელსაც ისინი მისდევენ. ოღონდ ბედნიერების იარაღი არაფერია მათთვის, ვისაც არ შეუძლია ისარგებლოს ამით, და მხოლოდ მან იცის, თუ რა არის ნამდვილი ბედნიერება, ვისაც შესწევს ამ ბედნიერებით დატკბობის უნარი.

რომ შემკითხოდნენ, აბა, ერთი ეს გამოარკვიე, როგორ აღწევენო ამ სახლში ბედნიერებას, ვგონებ, ყველაზე სწორი იქნებოდა ასეთი პასუხის გაცემა: «აქ იციან

[120] ეს წერილი აქამდე არაა ნაპოვნი. ჟიულის დარდის მიზეზი შემდგომში გამოირკვევა.

ცხოვრება». და ამ გამოთქმას იმ აზრით როდი ვიხმარდი, როგორსაც ანიჭებენ მას საფრანგეთში, რაც ნიშნავს ლხინსა და ქეიფში მთელი ცხოვრების გატარებას, მოდის ყველა ახირებისადმი დამორჩილებას, _ აქ სულ სხვა რამეს ვიგულისხმებდი, ნამდვილი ადამიანური ცხოვრებით არსებობას, რისთვისაც გავჩნდით ამ ქვეყანაზე, იმ ცხოვრებით, რის გამოც მელაპარაკებოდით, იმ ცხოვრებით, რის მაგალითსაც თქვენ იძლევით, იმ ცხოვრებით, რომელიც გაგრძელდება ამქვეყნიურ ფარგლებს იქითაც, ვინაიდან ჩვენი აღსასრულის ჟამს მას არ დავკარგავთ.

ჟიულის მამა ზრუნავს ოჯახის კეთილდღეობისათვის. ჟიულის ხომ ბავშვები ჰყავს, ისინი უნდა უზრუნველყონ საარსებო სახსრებით. ყოველივე ეს უნდა იყოს საზოგადოებაში მცხოვრები ადამიანის მთავარი საზრუნავი, მისი ფრიად მნიშვნელოვანი საქმე. ცოლ-ქმარი ვოლმარები სწორედ ამ საქმეს აკეთებენ. როცა ქორწინდებოდნენ, მათ გამოარკვიეს თავიანთი ავლა-დიდების ოდენობა, ოღონდ მეტადრე აინტერესებდათ, გასწვდება თუ არა იგი ჩვენს საჭიროებათ, ვიდრე ის, თუ არის საკმარისი ჩვენი წოდებისთვისო. როცა დარწმუნდნენ, ყოველი საპატიო ოჯახი ასეთი ქონებით კმაყოფილიც კი იქნებოდაო, არავითარი ცუდი აზრი აღარ წარმოქმნიან თავიანთი ბავშვების გამო და ამიტომ არც შიშობენ, მშობელთა მემკვიდრეობა არ ეყოფათო. ამის გამო უფრო მეტად ცდილობენ თავიანთი მეურნეობის გაუმჯობესებას, ვიდრე ადგილ-მამულების გაფართოებას, ფული უფრო საიმედოდ შეინახეს, ვიდრე სარგებლიანად; მიწა-წყლის შეძენის ნაცვლად გაადიდეს კუთვნილი ადგილების ღირებულება; სურთ გაადიდონ მემკვიდრეობაც, რომელსაც დაუტოვებენ შვილებს, ერთადერთ საუნჯედ _ სამგალითო ყოფაქცევის მქონეთ.

მართალია, როცა ქონება არ იზრდება, სხვადასხვა უბედურ შემთხვევათა გამო შეიძლება შემცირდეს კიდეც; ოღონდ თუკი ასეთი მოსაზრება საკმაოა იმისათვის, რომ ერთხელ გადიდდეს ადგილ-მამული, მაშინ სანამდის იქნება ეს შიში იმის საბაბი, რათა განუწყვეტლივ გაფართოვდეს იგი? ქონების გაყოფა მოხდება რამდენიმე ბავშვს შორის, მაგრამ განა მათ მცონარეობაში უნდა გაატარონ თავ-თავიანთი დღე და სოფელი? განა საკუთარი შრომის ნაყოფი არ გახდება მათ მიერ მიღებული წილის დამატება? მემკვიდრეთათვის დანიშნული წილის განსაზღვრისას განა მხედველობაში არ უნდა იქნეს მიღებული მათი საკუთარი თაოსნობა და გამჭრიახობა? კეთილგონიერების ნიღაბით გზას იკაფავს უსაშველო სიხარბე, _ გაშმაგებული მისწრაფება, რათა თავი აარიდონ უკუღმართობას, რასაც მოჰყვება კიდეც ასეთი ბიწიერება. «ამაო ცდა იქნება, _ ამბობს ბ-ნი დე ვოლმარი, _ მისცე ადამიანთა საქმეებს ბუნებისაგან შეუფერებელი სიმტკიცე: გონება გვიბრძანებს ბევრი რამ მივანებოთ შემთხვევის ნება-სურვილს; ხოლო თუკი ადამიანის სიცოცხლე და ავლა-დიდება, მთელი მისი მცდელობის მიუხედავად, შემთხვევაზე ჰკიდია, მაშინ სრული სიგიჟეა _ განუწყვეტლივ იტანჯავდე თავს იმის ფიქრით, ხვალ რომ უბედურებასა და საფრთხეში ჩავვარდები, თავი როგორ გამოვიხსნაო». ბ-ნმა დე ვოლმარმა გადაწყვიტა მიეღო სიფრთხილის მარტოოდენ ერთი ზომა, _ ხოლო სახელდობრ, აი რა: იცხოვროს ერთ წელიწადს თავისი თანხით, არ დახარჯოს შემოსავალი, და მაშინ შემდგომში შემოსავალი მუდამ ერთი წლით ადრე დაასწრებს ხარჯებს. ასე ფიქრობს: სჯობს ოდნავ შევამციროთ კაპიტალი, ვიდრე შემოსავალს თავგამოდებით გამოვედევნოთო. კაპიტალის ასეთი შემცირება ათკეცადაა ანაზღაურებული იმ უპირატესობით, რომ მისი მეოხებით, ბედის უკუღმართობის დროს არ მოგვიხდება გამანადგურებელ გარიგებათა მიმართვა. წესრიგი და გონივრული წეს-კანონები უწევენ ბ-ნ დე ვოლმარს ყაირათის მაგივრობას; და დანახარჯი ამდიდრებს კიდეც მას.

ამ სახლის მეპატრონეთ, სიმდიდრეზე მაღალი წრის ადამიანთა წარმოდგენის მიხედვით, ფრიად მცირე ქონება აქვთ; მაგრამ არსებითად მე არ მეგულება მათზე უფრო

შეძლებულად მცხოვრები ადამიანები. არ არსებობს აბსოლუტური სიმდიდრე. სიტყვა «სიმდიდრე» ნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ მდიდარი კაცის სურვილებისა და მათი კმაყოფილების საკმარისზე მეტ საშუალებათა თანაფარდობას. ერთი მდიდარია რაღაც ორიოდე არპანი მიწით, ხოლო მეორე ღატაკია, თუმცა ქერის ორმოში ცურავს. უწესრიგობასა და ახირებათ ზღვარი არ დაედება, და ისინი უფრო მეტ ღარიბ-ღატაკს წარმოქმნიან, ვიდრე ნამდვილი სიდუხჭირე. კლარანში წონასწორობა იმ საფუძველს ემყარება, რაც ურყევსა და მტკიცესა ხდის მას, _ სახელდობრ ცოლ-ქმართა სრულ თანხმოვანებას. ქმარს ეკისრება შემოსავლის მიღება, ცოლი განაგებს გასავალს, და ცოლქმრული თანხმოვანება სიმდიდრის წყაროდ გადაიქცა.

ვოლმართა სახლში დოვლათი, თავისუფლება და მხიარულება ეხამება წესრიგსა და კეთილსინდისიერებას და ეს თავდაპირველად ძალზე გამიკვირდა. კარგად გამართულ ოჯახებს ის ნაკლი სჭირთ, რომ იქ გამეფებულია დაღვრემილობა და უგუნებობა. მეპატრონეთა ნამეტნავ მუყაითობას ყოველთვის სიძუნწის იერი დაჰკრავს, ყველაფერს ირგვლივ ხელმოკლეობის სუნი უდის: მეტისმეტად მკაცრ წესრიგში არის რაღაც ისეთი, მონობაზე რომ ღაღადებს, და ეს სულისკვეთება ძნელი ასატანია. მსახურნი წესიერად ასრულებენ თავიანთ საქმეს, მაგრამ ძალზე უკმაყოფილო და დამფრთხალი შესახედაობა აქვთ. სტუმრებს კარგად ხვდებიან, მაგრამ ისინი უნდობლად სარგებლობენ შეთავაზებული ხალვათობით; თუკი იგრძნობა, რომ ყოველი ფეხის ნაბიჯზე არღვევ რაღაც წესებს, მაშინ ხომ ოდნავ შერხევასაც ვეღარ გაბედავ, რა არის _ ვინმეს უტიფარი არ მოვეჩვენოო. აგრეთვე ისიც იგრძნობა, რომ იქ მშობლები მონები არიან, რომლებიც საკუთარი თავისთვის კი არ ცხოვრობენ, არამედ თავიანთ შვილთა მემკვიდრეობისათვის, ის კი ავიწყდებათ, რომ ისინი მარტოოდენ მშობლები როდი არიან, არამედ ადამიანებიც და უნდა სცადონ მისცენ შვილებს კეთილგონიერებასთან შეხამებული ღირსეული ცხოვრებისა და ბედნიერების მაგალითი. კლარანში კი მისდევენ უფრო მართებულ წესებს: აქ ფიქრობენ, მშობლთა ერთ-ერთი უმთავრესი მოვალეობა მარტოოდენ ის კი არ არის, რომ მათ სახლში ბავშვები მხიარულად და რიგიანად ცხოვრობდნენ, არამედ ისიც, მშობელთა არსებობა სასიამტკბილო რომ იყოს, რათა ბავშვები გრძნობდნენ, ასეთი ამბავი ბედნიერების მომნიჭეაო, და არასოდეს აჰყვნენ ცდუნებას ეძიონ ბედნიერება ისეთ ცხოვრებაში, მშობელთა არსებობის საპირისპირო რომ იქნება. ბ-ნ დე ვოლმარის ერთ-ერთი საყვარელი წარმონათქვამი, ყველაზე ხშირად რომ იმეორებს ცოლისა და მისი მამიდაშვილის გართობათა გამო, ღაღადებს, მამებისა და დედების უხალისო და უბადრუკი ცხოვრება თითქმის მუდამ მათი შვილების უმსგავსი ქცევის თავი და თავი მიზეზიაო.

რაც შეეხება ჟიულის, მას სხვა ვინმე დამრიგებელი არა ჰყავს, გარდა თავის გულისა, რომელიც ყველაზე საიმედო დამრიგებელია, ჟიული უშიშრად აღიქვამს მის შეგონებებს, აკეთებს ყველაფერს, რასაც იგი უბრძანებს და ამიტომაც მუდამ რიგიანად იქცევა. მისი გული ძალიან ბევრს მოითხოვს და ჟიულიზე უკეთ არავის ძალუძს ცხოვრების სიხარულის დაფასება. მერედა როგორ არ უნდა განეცადა სიამენი ამა სოფლისა ესოდენ გრძნობიერ არსებას? პირიქით, ეტრფის ამ სიამეთ, დაეძებს მათ, აროდეს იტყვის უარს მისთვის ყველაზე მეტად მოსაწონ განცხრომათა გამო. უმალვე ჩანს, რომ შესწევს სიხარულით დატკბობის უნარი; ეს უბრალოდ სიამენი კი არ არიან, არამედ პირადად ჟიულისთვის შექმნილი შვება და ლხენაა. ის არ უგულებელყოფს არც თავისსა და არც მისთვის ძვირფას ადამიანთა, ესე იგი, გარშემომყოფთა ხელსაყრელ პირობებს. ზედმეტად არ მიაჩნია არაფერი, რაც ხელს შეუწყობს გონიერ არსებათა კეთილდღეობას; ზედმეტს უწოდებს ყველაფერს, რაც მხოლოდ და მხოლოდ მოსაჩვენარი ბრწყინვალებისთვისაა განკუთვნილი, ამიტომაც მის ოჯახში იხილავთ იმ მდიდრულობას, რაც სიამტკბილობას

ანიჭებს გრძნობას, ოღონდ არ ღაღადებს სინაზესა და სინატიფეზე, რაც შეეხება პატივმოყვარეობით გამსჭვალულ დიდმშვენიერებასა და განცხრომას, ამას დაინახავ მხოლოდ იმაში, რაც გაკეთებულა მამის გემოვნებით, რომელსაც ვერ ეურჩა ჟიული, და აქაც ყოველთვის მჟღავნდება ქალის საკუთარი სარისტიანობა, მისწრაფება _ მიანიჭოს ნივთებს არა იმდენად დიდებულება და ელვარება, რამდენადაც შნო და ლაზათი. როცა ვეუბნები, პარიზსა და ლონდონში ამჟამად ეტლის ძარას უფრო რბილად ჩამოკიდება გამოიგონეს-მეთქი, ამას იწონებს; ოღონდ, როცა ვეუბნები, თუ რა ჯდება ახლა ეტლების გალაქვა, ეს აღარ აინტერესებს და კითხულობს, ლამაზი გალაქვით ეტლები უფრო რიგიანი ჩასაჯდომი თუ ხდებაო. ფიქრობს, თითქოს ძალზე ვაზვიადებდე, როცა ვამბობ, მდიდრულ ეტლთა კარებს ამჟამად ამკობენ ფრიად ძვირადღირებული საჩოთირო მოხატულობით გერბების გამოსახულებათა ნაცვლად, რომლითაც ოდესღაც ამ ეტლებს რთავდნენ და ჰკაზმავდნენ-მეთქი; როგორცა ჩანს, ახლა მგზავრს ეპრიანება გამვლელს უფრო ცუდი ზნე-ჩვეულების ადამიანად მოაჩვენოს თავი, ვიდრე წარჩინებულ პიროვნებად-მეთქი! განსაკუთრებით აღშფოთდა, როცა გაიგო, ეს ჩვეულება შემოიღეს ქალებმა და მას მხარს უჭერენო და მამაკაცთა ეკიპაჟებიდან ქალთა ეტლები მხოლოდ იმით განსხვავდებიან, რომ მათი მოხატულობა მეტადრე ავხორცობის აღმძვრელიაო. ამის გამო მომიხდა თქვენი სახელოვანი მეგობრის, ენამახვილობის განმეორება, რაც უკმაყოფილებით მოისმინა ჟიულიმ. ერთხელ ვიყავი იმ თქვენს მეგობართან, როცა უჩვენეს ამგვარი ორადგილიანი ეტლი. შეათვალიერა ეტლის მოხატულობა, მაშინვე გაეცალა მას და პატრონს მიახალა: თქვენი ეტლი სეფე ქალებს უჩვენეთ, წესიერი კაცი მაგით ვერ ისარგებლებსო.

სიკეთისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი ის იქნება, რომ ბოროტება არ ჩავიდინოთ, ამის მსგავსად პირველი ნაბიჯი ბედნიერებისაკენ ისაა, რომ არ ვიტანჯოთ. ადამიანთა მიერ ათვისებული ეს ორი წეს-კანონი ზედმეტად მიიჩნევდა მორალის მრავალ დასტურს, და ეს წეს-კანონები ნთქავს ქალბატონ დე ვოლმარის გულს. ის ნამეტნავად განიცდის ყოველგვარ სიდუხჭირეს, _ სულ ერთია, ეხება ეს პირადად მას თუ სხვა ვინმეს, _ და როცა ირგვლივ უბედურთ ხედავს, ამ დროს ბედნიერად ყოფნა მისთვის ისევე ძნელი იქნებოდა, როგორც საძნელოა სპეტაკი ადამიანისათვის მუდამჟამს შეუბღალავად დაიმარხოს სათნოება, ბიწიერ ადამიანთა შორის თუ ცხოვრობს. მას სავსებით არ გააჩნია სიბრალული გულქვა ადამიანებისა, რომლებიც მხოლოდ თვალს არიდებენ იმ ტანჯვა-წამებას, რის შემსუბუქებაც თავადვე ძალუძთ; ჟიული თვით დაეძებს ტანჯულთ, რათა დაეხმაროს მათ; ის კი არ აწუხებს, ბედკრულ ადამიანებს ვხედავო, არამედ ის ამბავი, ქვეყნად შეჭირვებულნი რომ არსებობენ; მისი ბედნიერებისათვის საჭიროა იცოდეს, უბედური ადამიანები არ არსებობენო, ყოველ შემთხვევაში მის გარშემო; ხომ სიგიჟე იქნებოდა მისი ბედნიერების დაქვემდებარება ყველა ადამიანთა ბედნიერებისათვის. Gგამოჰკითხავს, რა უჭირთ მეზობლებს და ისე ახლოს მიაქვს გულთან, თითქოს საქმე მის საკუთარ ინტერესებს ეხებოდეს; იცნობს ყველა გარშემომცხოვრებს და, ამ ადამიანთა მიმატებით, ასე ვთქვათ, აფართოებს თავის ოჯახურ წრეს, და არავითარ ძალ-ღონეს არ იშურებს დაიფაროს ისინი ვაი-ვარამისა და ტანჯვა-წამებათაგან, რაიც ემუქრება ადამიანის სიცოცხლეს.

მილორდ, მოხარული ვარ ვისარგებლო თქვენი გაკვეთილებით; ოღონდ მჯერა, მაპატიებთ ჩემს აღტაცებას, რის გამოც უკვე აღარ ვაყვედრი ჩემს თავს, _ ცხადია, თქვენც იზიარებთ მათ. მთელ დუნიაზე არ არის და არც იქნება მეორე ჟიული. განგება იფარავდა მას, ყველაფერი, რაც შეეხება ჟიულის, არ შეიძლება ყოფილიყო შემთხვევის საქმე. ეტყობა, არსთაგანმრიგემ გამოგზავნა იგი ამქვეყნად, რათა დაუდასტუროს ადამიანებს, თუ რაოდენ მშვენიერია ადამიანის სული და რა ბედნიერად ძალუძს ისიამტკბილოს კერძო,

უჩინარი ცხოვრების ჟამს, არ გამოავლინოს მთელი ქვეყნის წინაშე ის ბრწყინვალე ზნეობანი, რაიც ატყორცნიდა ჩვეულებრივ დონეზე მაღლა, არ ცნობდეს სახელ-დიდებას, რომელიც სამაგიეროს მიუზღავდა მას. იმ შეცოდებას, _ უკეთუ ვაღიარებთ კიდეც, რომ მან ჩაიდინა ეს შეცოდება, _ მოჰყვა ის ამბავი, რომ სულიერი ძალ-ღონე და სიმამაცე შეემატა. მშობლები, მეგობრები და მსახურნი _ ყველანი, საბედნიეროდ, თითქოსდა იმისთვის არიან შექმნილნი, რომ შეიყვარონ და მისგანაც იყვნენ შეყვარებულნი. მისი სამშობლო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც მას შეშვენოდა დაბადება; სისადავე, რომელიც ესოდენ კეთილშობილებას ანიჭებს ჟიულის, უნდა მეფობდეს მის გარშემოც; ბედნიერი რომ იყოს, ბედნიერ ადამიანთა შორისაც უნდა ცხოვრობდეს. მისდა სამწუხაროდ, უბედური ხალხის მხარეში რომ დაბადებულიყო, რომელიც სულს ღაფავს ჩაგვრის უღელქვეშ და უიმედო და უნაყოფო ბრძოლას აჩაღებს სულისაღმომხდელ სიღატაკესთან, ჩაგრულთა თითოეული ჩივილი მოუშხამავდა სიცოცხლეს, საყოველთაო სასოწარკვეთა ძალზე დაამწუხრებდა და სხვისი დარდისა და ტანჯვა-წამებათა გამზიარებელი მისი გული განუწყვეტლივ აიძულებდა განეცადა ადამიანთა ვაი-ვაგლახი, რის შემსუბუქებაც არ ძალუძდა.

აქ კი, პირიქით, ყველაფერი აღაფრთოვანებს და ხელს უწყობს მის ბუნებრივ გულკეთილობას. არ უხდება საზოგადოებრივ უბედურებათა ზედან მოთქმა-ტირილი. თვალთა წინარე როდი წარმოესახება სიღატაკისა და სასოწარკვეთის საშინელი სურათები. აქაური გლეხები შემლებულად ცხოვრობენ[121] და უფრო მის რჩევა-დარიგებას საჭიროებენ, ვიდრე მოწყალებას. უკეთუ სადმე მოიპოვება კიდეც რომელიმე ობოლი, ჯერ ისევ მეტისმეტად პატარა საიმისოდ, რათა მოიპოვოს პური არსობისა, ანდა ადამიანთაგან მიტოვებული ქვრივი ქალი, ჩუმად რომ იტანჯება, ან მარტოხელა მოხუცი, რომელსაც არ გააჩნია საარსებო სახსრები, რადგანაც წელთა სიმრავლემ ძალი და ღონე გამოაცალა, _ ჟიულის არ ეშინია, ჩემს წყალობას ითაკილებენო, ანდა ამისათვის ღარიბ-ღატაკთ დააკისრებენ ყოველნაირ ვალდებულებას, ხოლო გავლენიან არამზადებს კი გაანთავისუფლებენო. სიხარულით აკეთებს კეთილ საქმეს და იცის, რომ ეს სასარგებლოა ადამიანთათვის. ჟიულის მიერ განცდილი ბედნიერება სხვასაც გადაედება ხოლმე. ყველა სახლში, სადაც კი შეაბიჯებს, უმალ მყარდება სვესვიანობა, მსგავსად იმისა, რასაც ხედავ მის საკუთარ სახლში, ვინაიდან დოვლათი უმცირეს სიკეთეთაგანია, რითაც დავალებული არიან მისგან, მასთან ერთად ოჯახიდან ოჯახში იჭრება თანხმოვანება და კეთილი ზნე-ხასიათი. როცა შინიდან გამოდის, თვალთა წინაშე წარმოუდგება მხოლოდ საამური საგნები; დაბრუნებისას კვალად უფრო სასიამო საგანთ პოულობს, ყველგან ხედავს იმას, რაიც თნავს მის გულს; და ეს არსებაც, ვინაც არ განიცდის საკუთარი თავის სიყვარულის გრძნობას, შეისწავლის კიდეც საკუთარი თავის სიყვარულს წყალობათა გაცემისას. დიახ, მილორდ, ვიმეორებ, ყველაფერი, რაც შეეხება ჟიულის, სულერთი როდია სათნოებისათვის. მისი სიმშვენიერე, მისი ნიჭიერება, მისი მისწრაფებანი, მისი ბრძოლა, მისი შეცდომები, მისი სინანული, მისი სახელი, მისი მეგობრები, მისი ოჯახი, მისი ვაი-ვარამი, მისი სიხარული და მთელი მისი ბედ-იღბალი გვამცნობენ, რომ ჟიულის ცხოვრება ერთადერთი მაგალითია, რომელსაც ბევრი ქალი როდი მიჰბაძავს, მაგრამ უნებურად კი ამით აღფრთოვანდება.

მოყვასის ბედნიერების გამო აქაური ზრუნვისა ყველაზე მეტად მომწონს ის, რომ ეს ზრუნვა მუდამ გონივრულია და მათ ცუდი შედეგები არ მოჰყოლიათ. სიკეთის ჩადენის

---

[121] კლარანის ახლოს არის ერთი სოფელი _ მუტრიუ, სადაც მთელი თემი ესოდენ მდიდარია, რომ შეეძლო ყველა თავის წევრთა რჩენა და გამოკვება, თუნდაც მათ არც კი ჰქონოდათ არც ერთი გოჯი საკუთარი მიწა. ამიტომაც ამ სოფლის მცხოვრებლები ქალაქ ბერნის ბურჟუებივით ამპარტავანნი არიან. რა სამწუხაროა, მათ რომ არ გაუგზავნეს რომელიმე წესიერი კაცი, რომელიც შეასწავლიდა მუტრიუს სინდიკებს, ყოფილიყვნენ უფრო კაცთმოყვარენი, ხოლო ბურჟუები _ ოდნავ ნაკლებ ყოყოჩნი.

ყველა მსურველს როდი ძალუძს ეს, ხშირად ესა თუ ის პირი ფიქრობს, ადამიანებს დიდმნიშვნელოვან სამსახურს ვუწევო, მხოლოდ თავის მოტანილ კნინ სიკეთესა ხედავს და ვერ კი ამჩნევს, რა საზიანოა ეს. ქალბატონ დე ვოლმარს მოეპოვება თვით საუკეთესო ქალთათვისაც კი საიშვიათო თვისება, რაც ბრწყინვალედ განუვითარდა მას: ზედმიწევნით იცის, როგორ უნდა დახმარების გაწევა, რა სახსრები უნდა შეარჩიოს ამისათვის, რაგვარ ადამიანებს უნდა მიაგოს გულკეთილობა. აქ მან შეიმუშავა გარკვეული წეს-კანონები და აროდეს ხელს არ აიღებს მათზე. იცის თხოვნის დაკმაყოფილებაც და იმგვარად უარის თქმაც, რომ მის გულკეთილობაში არ ჩანდეს სისუსტე, ხოლო უარის თქმაში _ ჭირვეულობა. მას, ვინაც თავის სიცოცხლეში ცუდი საქმე ჩაიდინა, შეუძლია მხოლოდ სამართლიანობის იმედი იქონიოს მისი მხრიდან, და პატიებისა _ უკეთუ ჟიულის შეურაცხყოფა მიაყენა. ოღონდ ნუ ელის მისგან ნურც წყალობას, ნურც მფარველობას, ვინაიდან იგი ამჯობინებს ხელი გაუმართოს უფრო ღირსეულ ადამიანებს. ერთხელ ყური მოვკარი, როგორ საკმაოდ გულცივად სტკიცა უარი ცუდ ადამიანს, წყალობა რომ გამოსთხოვა, რაც მხოლოდ და მხოლოდ ჟიულის ეხებოდა. «გისურვებთ ბედნიერებას, _ უთხრა მას, _ ოღონდ მისთვის ხელის გამართვა არა მსურს, რადგან ვშიშობ ამით ზიანი არ მივაყენო სხვებს, თუკი ჩემს დახმარებას ბოროტად გამოიყენებთ. ამქვეყნად არც ისე ცოტანი არიან კარგი ადამიანები, რომ ვიკისრო თქვენს გამო ზრუნვა». კაცმა რომ თქვას, ამგვარი სიმკაცრე ძალზე ძვირად უჯდება მას, და ჟიულის იშვიათად უხდება ასეთი უგულობის გამოჩენა. მისთვის კანონია _ კარგ ადამიანად მიიჩნიოს თითოეული, სანამ არ დადასტურებულა, იგი ცუდი ადამიანიაო, ხოლო ძალიან ცოტა მოიძებნება ცუდი ადამიანი, რომელსაც არ ძალედვას მარჯვედ აიცდინოს თავიდან მხილება. ჟიულის გამრჯელი გულკეთილობა სრულიად არა ჰგავს მდიდარკაცთა დონდლო გულმოწყალეობას: ისინი ფულით დაიძვრენენ თავს უბედურთაგან, აინუნშიაც არ აგდებენ ხოლმე მათ ვედრებას და მოწყალების ნაცვლად, რის გაღებასაც ემუდარებიან, ყოველთვის მარტოოდენ მცირე გასაკითხს იძლევიან. ჟიულის ქისას ვერაფრით დაარქმევ დაუშრეტელს, ოღონდ, ოჯახის დედად გახდომის შემდეგ უკეთ იცის მისი მოხმარება. Dდახმარების ყველა სახეობათაგან, რითაც შეიძლება გაჭირვებულთა ხვედრის შემსუბუქება, მართალი რომ ითქვას, მოწყალება ყველაზე ნაკლები შრომა ჯდება, თანაც ეს დახმარება უაღრესად მოკლეჟამიერია და ყველაზე ნაკლებ საიმედოც; ხოლო ჟიული სულაც არ ფიქრობს ბედკრული ადამიანების თავიდან მოშორებას, არამედ სურს როგორმე გამოადგეს მათ.

აგრეთვე ყველას განურჩევლად როდი აძლევს რჩევა-დარიგებას, ასე ხელაღებით როდი უწევს სამსახურს, კარგად თუ არ იცის, გონივრულად და პატიოსნად ისარგებლებენ თუ არა მისი დახმარებით. არავის დაამადლის მფარველობას, ვისთვისაც მართლა აუცილებელია ეს და ღირსია კიდეც; ოღონდ მოუსვენარი ანდა პატივმოყვარე ადამიანები, რომელთაც სწადიათ აღზევდნენ და თავი დააღწიონ საკუთარ წოდებას, სადაც არც ისე ცუდად ცხოვრობენ, იშვიათად თუ მოახერხებენ დაიყოლიონ იგი, ჩვენს საქმეებში ჩაერიეო. მიწის დამუშავება და მისი ჭირნახულით არსებობა _ ეს არის ადამიანის ყოფიერების ბუნებრივი პირობები. ბედნიერები არიან სოფელთა მშვიდობიანი ბინადარნი, მაგრამ ბედნიერება რომ განიცადონ, თვითონვე უნდა შეიგნონ იგი. მათთვის ხელმისაწვდომია ადამიანის ყველა ჭეშმარიტი სიამე და იტანჯებიან მხოლოდ იმ უბედურებათაგან, რაიც განუყრელია ადამიანური ბუნებისაგან, და იმ კაცმა, ვისაც ჰგონია, თითქოსდა ვაი-ვარამს თავი დავაღწიეო, სინამდვილეში მხოლოდ გადაცვალა ის უფრორე

სასტიკ სიდუხჭირეზე.[122] მიწათმოქმედთა წოდება ერთადერთი აუცილებელი და ყველაზე სასარგებლო წოდებაა; აქ ადამიანი უბედური ხდება მაშინ, როცა მას ტანჯავენ, აბუჩად იგდებენ, რყვნიან თავიანთი ბიწიერების მაგალითით. ხოლო სწორედ ამ წოდებაშია ქვეყნის ნამდვილი აყვავების, იმ ხალხის ძალ-ღონისა და თვითმყოფი სიდიადის საწინდარი, რომელიც არაფრით ექვემდებარება სხვა ერებს და არაა იძულებული თავს დაესხას მას, რათა თვითონ აღზევდეს, და ჰპოულობს უაღრესად საიმედო თავდაცვით საშუალებებს. როცა სურთ რომელიმე ქვეყნის ძლიერების გამორკვევა, მაღალი წრის ჭკუის კოლოფები ათვალიერებენ ხელმწიფის სასახლეს, მის ნავსადგურებს, მის ჯარებს, არსენალებსა და ქალაქებს; ხოლო ნამდვილი პოლიტიკოსები ამოწმებენ ყანებსა და ნახნავ-ნათესს, მიდიან მხვნელ-მთესველთა ქოხებში. პრიველნი ხედავენ მას, რაც გაკეთებულა, მეორენი _ რის გაკეთებაც შეიძლება.

ამ წესის მიხედვით, კლარანში, ხოლო კიდევ უფრორე _ ეტანჟში, ცდილობენ გლეხკაცთა არსებობა, რაც შეიძლება, საამური გახადონ, მაგრამ არასოდეს ეხმარებიან მათ თავი გაანებონ საკუთარ წოდებას. ამჟამად ყველაზე შემლებულებიც და ყველაზე ღარიბ-ღატაკნიც, მგონი, ჭკუიდან შეიშალნენ, ყველანი ქალაქებში აგზავნიან თავიანთი შვილებს _ ზოგიერთი სასწავლებლად ისტუმრებს, ოდესმე იქნება ბატონები გახდნენო; სხვებს მშობლები მსახურებად უყენებენ დიდკაცებს, სურთ ამით თავიდან აიცილონ მათი რჩენის ტვირთი. უფრო ხშირად ყმაწვილკაცები თავად მიეშურებიან ქვეყნის-ქვეყნად სახეტიალოდ; გოგონები ოცნებობენ ბატონკაცურ მორთულობაზე, ჭაბუკები საზღვარგარეთ სამხედრო სამსახურში შედიან; მათ ჰგონიათ, ვითომდა უფრო წარჩინებული ვაჟბატონები გავხდითო, რაკი მშობლიურ სოფელში სამშობლოსა და თავისუფლების წინანდელი სიყვარულის ნაცვლად თან ჩამოიტანეს დაქირავებულ ჯარისკაცთა ყოყოჩობა და მასთან ერთად მონური ქედმოხრილობა და აბუჩად ამგდები სიძულვილი თავიანთი წინანდელი მდგომარეობის მიმართ. კლარანში ყველა გლეხკაცს უმტკიცებენ, თუ რაოდენ საზიანოა ასეთი ცრურწმენა, ვინაიდან მათი შვილები ირყვნებიან ქალაქებში, ტოვებენ თავიანთ მშობლებს, უკეთესი ბედ-იღბლის ძებნისას ხიფათში აგდებენ საკუთარ სიცოცხლეს, ზიანს აყენებენ ზნეობას, ოღონდ ძალზე იშვიათად აღწევენ წარმატებას, ვინაიდან მას ასიდან მხოლოდ ერთი თუ მოიპოვებს. უკეთუ ამ უჯიათებს არ ესმით შეგონებები, არავის მოსწონს მათი სულელური ფანტაზიები; უხალისოდ და უნდობლად სთავაზობენ მათ შესაძლებლობას ყურთამდე ჩაეფლონ ბიწიერებასა და სიღატაკეში. სამაგიეროდ, იმათ, ვისი დარწმუნებაც მოხერხდა, კლარანში უხვად აჯილდოებენ იმ მსხვერპლის გამო, რაც გაიღეს კეთილგონიერებისათვის. ასწავლიან პატივი მიაგონ თავიანთ ბუნებრივ მდგომარეობას და ამით პატივი სცენ საკუთარ თავსაც; აქ გლეხებს უბრალოდ ექცევიან, ქალაქურ ცერემონიათა გარეშე, მათთან დარბაისლურად და თამამად უჭირავთ თავი _ ისე, რომ თავად მიმართვის მანერამ თითოეული თავის ადგილას ჩააყენოს, ოღონდ ასწავლოს თავისი ღირსების დაცვა. Aარ მოიძებნება არც ერთი კეთილწესიერი გლეხი, რომელმაც არ იგრძნოს საკუთარი თავის მიმართ პატივისცემა, როცა მას დაანახვებენ, შენ უფრორე სხვაგვარად გექცევით, ვიდრე წვრილ-წვრილ მეტიჩარებსო, რომლებიც რამდენიმე ხნით გამოჩნდებიან სოფელში, რათა თავი მოიწონონ და შეძენილი პეწით დაჯაბნონ მშობლები. ბ-ნი დე ვოლმარი და ბარონი დ’ეტანჟი (როცა აქ იმყოფება) იშვიათად თუ დააკლდებიან სოფლის დღესასწაულებს, მუდამ ესწრებიან კლარანსა და მის მიდამოებში გამართულ გიმნასტიკურ შეჯიბრებებს, ჯილდოთა დარიგებას, სამხედრო დათვალიერებებს. აქაური

[122] ადამიანი, რომელიც დაკარგავს პირველყოფილ სისადავეს, ისე გამოთაყვანდება, რომ თავად აღარ იცის, რა სწადია. სიმდიდრე ანიჭებს მარტოოდენ გულისთქმათა განხორციელებას, ბედნიერებას კი _ ვერა.

ყმაწვილკაცები თავიანთი ბუნებით მეტისმეტად მგზნებარენი და მეომრული სულისკვეთებით გამსჭვალული ადამიანები არიან; როცა ხედავენ, რომ ძველ ოფიცერებს შეკრებები მოსწონთო, იმსჭვალებიან საკუთარი თავის პატივისცემით და უფრო მეტად სჯერათ თავიანთი ძალი და ღონე. ამ ჭაბუკებს კიდევ უფრო უმაღლდებათ ღირსების შეგნება, როცა მათ უჩვენებენ, რომ უცხო ქვეყნებში ნამსახური ყოფილი ჯარისკაცები ყოველ მხრივ უფრო ნაკლებ დაოსტატებულნი არიან, ვიდრე ისინი; რაც უნდა ითქვას, არასოდეს ხუთი სუ ჯამაგირი და ოფიცრის ხელჯოხის შიში არ გამოიწვევს ისეთ გულმოდგინებას, რისი უნარიც შესწევს თავისუფალ და თოფქვეშ დარაზმულ ადამიანს თავისი მშობლების, მეზობლების, მეგობრებისა და სატრფოს თანდასწრებით, ადამიანს, რომელსაც სურს სახელი გაუთქვას საკუთარ ქვეყანას.

ამრიგად, ქალბატონ დე ვოლმარს აქვს მკაცრი წესი: არ გაუმართოს ხელი გლეხკაცთ, თუკი მოისურვებენ თავიანთი წოდების შეცვლას, მაგრამ ეცადოს გააბედნიეროს თითოეული, ვინც ამისი ერთგული დარჩება, განსაკუთრებით ცდილობს ხელი შეუშალოს იმ ამბავს, ყველაზე ბედნიერი წოდება, სახელდობრ გლეხთა წოდება, თავისუფალ სახელმწიფოში რიცხობრივად რომ შემცირდეს სხვათა სასარგებლოდ.

ამის გამო შევესიტყვე და გავახსენე ნაირფეროვანი ნიჭი, რაიც ბუნებამ გაანაწილა ადამიანთა შორის თითქოსდა იმიტომ, რათა თითოეულმა გამოიყენოს თავისი უნარი, რომელ წოდებაშიც უნდა იყოს დაბადებული-მეთქი. ჟიულიმ მიპასუხა, ნიჭის გარდა, პირველყოვლისა, მხედველობაში უნდა მივიღოთ ზნეობა და ბედნიერებაო. «ადამიანი, _ მითხრა მან, _ მეტისმეტად კეთილშობილი არსებაა, რათა გახდეს სხვა ადამიანთა იარაღი, არ უნდა გამოვიყენოთ იგი რაიმე საქმისათვის, თუ არ დავეკითხეთ, შეჰფერის თუ არა ეს საქმე მას, კაცნი არ გაჩნდნენ ადგილებისათვის, არამედ ადგილები შეიქმნა კაცთათვის, და მათი ჯეროვანი განაწილების გამო უნდა ვიზრუნოთ არა მარტო იმისათვის, რომ თითოეული კაცი მივუჩინოთ ისეთ საქმეს, რომელსაც ყველაზე მეტად შეჰფერის იგი, არამედ ისიც ვიფიქროთ, თუ რომელი საქმე უფრო გამოდგება ამ კაცისათვის, რათა იყოს პატიოსანი და ბედნიერი. არავის არა აქვს ნება დაღუპოს ადამიანი სხვა ადამიანთა სარფის გამო, გადააქციოს ადამიანი არამზადად მხოლოდ იმიტომ, რომ ის მსახურად უნდათ წარჩინებულ ბატონებს.

ოღონდ სოფლის დამტოვებელ ყოველ ათას კაცში ათი ისეთიც კი არ გამოერევა, რომელიც არ დაეღუპოს ქალაქს; თავიანთი უზნეობით უფრო მეტისმეტს სჩადიან, ვიდრე ის ადამიანები, რომელთაც შთაუნერგეს ბიწიერებანი. ვინც წარმატებას მიაღწია და დიდი ქონებაც შეიძინა, ყველაფერი ეს მოიპოვა უპატიოსნო გზით: მარტოოდენ ასეთი გზა მიემართება სიმდიდრისაკენ. ბედკრულნი, რომელთაც ბედმა არ გაუღიმათ, უკვე ვეღარ დაუბრუნდებიან წინანდელ მდგომარეობას და მათხოვრობენ ან ქურდობენ, ოღონდ კვლავ გლეხები არ გავხდეთო. უკეთუ ამ ათასიდან მოინახება ერთი კაცი მაინც, ვინც გაუმკლავდება ცუდ მაგალითს და პატიოსან კაცად დარჩება, _ როგორ ფიქრობთ, მთელი გარემოების აწონ-დაწონით, შეიძლება თუ არა ვთქვათ, რომ იგი ისევე ბედნიერად ცხოვრობს, როგორც იცხოვრებდა შმაგ ვნებათაღელვათაგან განრიდებული, ისე, ვით ცხოვრობდა თავისი თავდაპირველი მდგომარეობის ჟამს წყნარად და უჩინრად?

შენს მოწოდებას რომ მიჰყვე, კარგად უნდა იცნობდე მას. და განა ადვილია ადამიანთა გამოცნობა? და თუკი იმ ასაკში, როცა წყდება ყმაწვილკაცის ბედ-იღბალი, ასე ძნელია ჭაბუკთა მიდრეკილებების განსაზღვრა, მაშინაც კი, როცა მათ უდიდესი ყურადღებით ჩაჰკირკიტებდნენ, როგორ შეიძლებს უბრალო გლეხი საკუთარი უნარის გამოცნობას? არაფერია იმაზე უფრო მეტად უიმედო, ვიდრე ამა თუ იმ მიდრეკილებათა ნიშან-თვისებები, რაც თავს იჩენს ბავშვობის წლებიდანვე, _ ხშრიად აქ დიდ როლს ასრულებს უფრო მიბაძვა, ვიდრე ნიჭი; მიდრეკილებანი უმალ შემთხვევით შეხვედრას

უფრო ექვემდებარებიან, ვიდრე ჩამოყალიბებულ უნარს, და თავად მიდრეკილებაც ჯერ კიდევ არაფერს ღაღადებს დიდი ნიჭიერების გამო. ნამდვილ ტალანტს, ნამდვილად ნიჭიერ ადამიანს ახასიათებს გარკვეული სისადავე, ის უფრო ნაკლებ დაუდეგარია, უფრორე ნაკლებ გაქნილია, გაცილებით ნაკლებად ცდილობს თავის გამოჩენას, ვიდრე ცრუ ტალანტი, ვისაც ნამდვილად მიიჩნევენ, თუმცა იგი გათანგულია ამაო სურვილით ყველგან ბრწყინვადეს, ოღონდ ამისათვის არავითარი საფუძველი არ გააჩნია. მაგალითად, ერთ რომელიმე კაცს შეესმის დოლის ბრახაბრუხი და სურს გენერლობა; მეორე დაინახავს, თუ როგორ აშენებენ სახლს, და თავს ხუროთმოძღვრად წარმოიდგენს. ჩემმა მეგაღე გუსტენმა დაინახა, თუ როგორ ვხატავდი, და ხატვის სურვილი აღეძრა; ლოზანაში გავგზავნე სასწავლებლად; თავს უკვე მხატვრად თვლის, სინამდვილეში კი მარტოოდენ მეგაღეა... ხელობის არჩევისას ხშირად ყველაფერსა წყვეტს შემთხვევა ანდა დაწინაურების წადილი. როდი კმარა მარტოოდენ ნიჭის შეგრძნობა, ამის გარდა, საჭიროა მონდომება, მთლიანად შეეწიროს საყვარელ საქმეს. განა რომელიმე უფლისწული მეეტლე გახდება იმიტომ, რომ კარგად მართავს თავის ეტლში შებმულ ცხენებს? და განა მზარეულობას მოიწადინებს საუცხოო რაგუს გამომგონებელი ღორმუცელა ჰერცოგი? ტალანტი იმიტომა სურთ ჰქონდეთ, რათა აღზევდნენ, მაგრამ ტალანტთა მეოხებით დაქვეითებას არავინ მოისურვებს. როგორაა თქვენი აზრით, ეს ბუნების კანონია, ხომ? თითოეულმა ადამიანმა რომ იცოდეს, თუ როგორი ნიჭი აქვს მას, და მოისურვოს მიჰყვეს მოწოდების ძახილს, განა ბევრი შეიძლებდა წადილის განხორციელებას? განა ბლომადაა ისეთი ადამიანი, ვისაც შესწევს უნარი გადალახოს უმართებულო დაბრკოლებანი ანდა დაამარცხოს უღირსი კონკურენტები? ის, ვინც გრძნობს თავის უძლურებას, შემწედ და მეშველად მოუხმობს ვერაგობასა და მზაკვრობას, რასაც, სხვა, უფრო თავდაჯერებული ვინმე, უგულებელყოფს. თქვენ თვითონ ასჯერ მაინც მითხარით, ხელოვნების დარგთათვის მეტისმეტი მფარველობის გაწევა მათ მხოლოდ ზიანს მოუტანსო. როცა ხელაღებით ადიდებენ მუზების მსახურთა რიცხვს, ამით არევ-დარევას იწვევენ; ჭეშმარიტად ღირსეულნი ინთქმებიან ხალხის ამ ხროვაში, და მთელი ის პატივისცემა, რაც უნდა მიეგოთ ყველაზე უფრო გაწაფული ოსტატისათვის, ფრიად გაქნილ ინტრიგანს ერგო. რომ არსებობდეს ისეთი საზოგადოება, სადაც ყველა თანამდებობა და წოდება განაწილებულიყო ადამიანთა ნიჭიერებისა და პირად დამსახურებათა სრული შესაბამისობით, მაშინ თითოეული ადამიანი დაიჩემებდა იმ პოსტს, რომელიც ყველაზე მეტად იქნებოდა მისთვის შესაფერი. ოღონდ სინამდვილეში უნდა მიჰყვნენ უფრო სწორ წესებს და ხელი აიღონ ტალანტთა დაჯილდოებაზე, რაკიღა წარმატებას მათგან მხოლოდ ყველაზე უღირსი უდგას სათავეში.

უფრო მეტსაც გეტყვით, _ განაგრძნობდა ის, _ ძნელი დასაჯერებელია ჩემთვის, რომ საჭირო იყოს ამ უამრავ სხვადასხვა ნიჭიერების განვითარება: ამისათვის აუცილებელია, რომ ნიჭიერ ადამიანთა რაოდენობა ზუსტად შეესაბამებოდეს საზოგადოების მოთხოვნილებებს; სამიწათმოქმედო შრომისათვის რომ დაეტოვებინათ მარტოოდენ ისინი, ვისაც მოეპოვება მხვნელ-მთესველის ნამდვილი უნარი, და იქიდან წაეყვანათ ყველა სხვა სამუშაოს უფრო უნარიანად შემსრულებელი, მაშინ, მართლაცდა, აღარ დარჩებოდა მხვნელ-მთესველთა საკმაო რიცხვი, ვინღა დაამუშავებდა მიწას და ვინღა გამოგვკვებავდა! ვფიქრობ, ნიჭიერ ადამიანთა საქმე წამლებივითაა, რასაც გვაძლევს ბუნება ავადმყოფობათაგან განსაკურნავად, თუმცა ბუნების განზრახვაა, არასოდეს დაგვჭირდეს ექიმის წამალი. არიან ჩვენი მომწამვლელი შხამიანი მცენარეები, არსებობენ ადამიანთა შთანმთქმელი მხეცები, არსებობენ ადამიანთა საზიანო ნიჭიერებანი. უკეთუ ყოველ ნივთსა და საგანს მათი მთავარი თვისებისდა მიხედვით მოვიხმარდით, მაშინ ეს უფრო მეტ ბოროტებას შეამთხვევდა ადამიანებს, ვიდრე სიკეთეს. კეთილ და უბრალო ადამიანებს არ ესაჭიროებათ ნიჭიერთა დიდი რაოდენობა; ისინი უკეთ უზრუნველყოფენ

თავიანთ მოთხოვნილებებს ცხოვრების სიმარტივის მეოხებით, ვიდრე სხვები მთელი თავიანთი გერგილიანობით. ოღონდ იმისდა მიხედვით, თუ ვით ირყვნებიან ხალხები, ვითარდებიან ნიჭიერი ადამიანებიც, თითქოსდა იმიტომ, რათა შეცვალონ დაკარგული სათნოებანი და აიძულონ ავკაცები მათივ ნება-სურვილის უნებურად გახდნენ საზოგადოებისთვის სასარგებლონი».

გამოინახა სხვა საგანიც, რის გამოც ძალზე გამიჭირდა დავთანხმებოდი ჟიულის, – სახელდობრ მათხოვართა გასაკითხი. ვოლმართა სახლი დგას შარაგზასთან ახლოს, სადაც მიმოდის მრავალი მათხოვარი, და აქ სამწყალობლოს არავის უკავებენ. ვარწმუნებდი ჟიულის, მათთვის მიცემული გასაკითხი მარტო წყალში ჩაყრილი სიკეთეა, ჭეშმარიტ ღარიბ-ღატაკებს რომ აკლდებათ-მეთქი, თანაც ეს ჩვეულება ხელს უწყობს უპოვართა და მაწანწალათა გამრავლებას, რომელთაც მოსწონთ თავიანთი უღირსი ხელობა. _ ისინი საზოგადოების ტვირთნი ხდებიან და ართმევენ მას ნაყოფს სასარგებლო შრომისა, რის გაწევაც თავად შეეძლოთ-მეთქი.

«მე ვხედავ, _ მითხრა მან, _ დიდ ქალაქებში შეგიძენიათ ისეთი შეხედულებები, რომლითაც პირფერ მოლაყბეებს უყვართ გულქვა მდიდარკაცთა თავის მოქონა; იმეორებთ კიდეც მათ გამოთქმებს, ნუთუ გსურთ ბედკრული ადამიანის დამცრობა, როცა მძულვარებით უწოდებთY მათხოვარს? თქვენებრ ესოდენ შემბრალე ადამიანს ვით ძალუძს ამ სიტყვის წარმოთქმა? დაივიწყეთ იგი, ჩემო მეგობარო, თქვენ არც კი შეგშვენით მისი ხმარება; ასეთი სიტყვა უფრორე სახელს უტეხს მის წარმომთქმელ გულქვა ადამიანს, ვიდრე უბედურს, ვისაც ასე უწოდებენ. არ შევუდგები იმის გამორკვევას, მართალნი არიან თუ მტყუანნი გასაკითხის ეს მაძაგებელნი, ოღონდ ის კი ვიცი, რომ ჩემი ქმარი, _ ხოლო ის არ ჩამოუვარდება გონებით თქვენს ფილოსოფოსებს, _ ხშირად გადმომცემდა, რაც კი რამ უთქვამთ გასაკითხის გამო, როცა სურდათ ადამიანის გულში ჩაეხშოთ ბუნებრივი შემბრალებლობა და განევითარებინათ უსულგულობა; ბ-ნ დე ვოლმარს მუდამ სძაგდა მათი სიტყვები და არასოდეს კიცხავდა ჩემს საქციელს. მისი მოსაზრებანი ფრიად მარტივია. ჩვენში ითმენენ და ხელსაც კი უწყობენ (ამისათვის დიდ თანხასაც კი ხარჯავენ) მრავალ უსარგებლო საქმიანობას, რომელთაგან ზოგიერთი მხოლოდ ზნეობათა გახრწნასა და წახდენას უწყობს ხელს. უკეთუ მათხოვრობას თავისებურ ხელობადაც მივიჩნევთ (თუმცაღა არც არსებობს საფრთხე, რომ საქმე აქამდე მივიდა), აღმოჩნდება, რომ ის გვინერგავს შემბრალეობის გრძნობას, ადამიანურობას, რამაც უნდა გააერთიანოს ყველა ადამიანი. თუკი ვიფიქრებთ, მათხოვრობისთვის განსაკუთრებული უნარია საჭიროო, მაშინ რისთვის არ უნდა მივცეთ გასამრჯელო ენაწყლიან მათხოვარს, რომელსაც შესწევს უნარი გული მოგვილბოს და აგვიძულოს დახმარების გასაღებად, ისე როგორც ვუხდით მსახიობს, უქმ ცრემლებს რომ გვაფრქვევინებს? მსახიობი სხვისი კარგი საქმეებით აღგვაფრთოვანებს, ხოლო მათხოვარი თავად აღგვძრავს კარგი საქმის ჩასადენად; ყველაფერი, რასაც განიცდიან ტრაგედიის მაყურებლები, თეატრიდან გასვლის უმალ ავიწყდებათ, ოღონდ უბედურს რომ დავეხმარეთ, მისი ხსოვნა გვგვრის წარუხოცელ და სულ უფრო და უფრო აღმაფრენ სიხარულს. თუკი მათხოვართა დიდი რაოდენობა დამამძიმებელი ტვირთია სახელმწიფოსათვის, განა არ შეიძლება იგივე ითქვას სხვა საქმიანობათა გამო, რომელთაც ჩვენში ხელს უწყობენ და ითმენენ კიდეც? მხოლოდ ქვეყნის მმართველს ძალუძს ისე მოაგვაროს საქმე, რომ მათხოვრები სულაც არ არსებობდნენ, მაგრამ ნუთუ აუცილებელია ნამუსგარეცხილ ურჯუკებად მოქალაქეთა გადაქცევა მხოლოდ იმისთვის, რომ მათხოვრებმა აღიკვეთონ თავიანთი საქმიანობა?[123] რაც

[123] «როცა მათხოვრებს ვარჩენთ, _ გვეუბნებიან ჩვენ, _ ამით ქურდებს ვამრავლებთო; და პირიქით, მათხოვრობის აღკვეთით ქურდობის ბუდეს მოვსპობთო». გეთანხმებით: არ უნდა შევუწყოთ ხელი, ღარიბ-

შემეხება მე, _ განაგრძნობდა ჟიული, _ არ ვიცი, რას წარმოადგენენ მათხოვრები სახელმწიფოსათვის, ოღონდ ის კი ვიცი, რომ ყველა ისინი ჩემი ძმები არიან, და ჩემი მხრით მიუტევებელი ულმობლობა იქნებოდა უარი მეთქვა მათ მიერ მოთხოვნილი უმცირესი შემწეობისათვის. მათი უმრავლესობა, გეთანხმებით, მაწანწალები არიან, მაგრამ ძალიან კარგად ვიცნობ ცხოვრების სიძნელეთ და ისიც ვიცი, რაოდენი უბედურება შეიძლება დაატყდეს თავს პატიოსან კაცს და მოჰკიდოს ზურგზე მათხოვრის ხალთა, და ძალმიძს თუ არა მჯეროდეს, რომ კაცი, რომელიც ღვთის გულისათვის ითხოვს მოწყალებას და მცირეოდენ პურის ნატეხს, არ არის პატიოსანი ადამიანი, რომ მას არ ემუქრება შიმშილით სიკვდილი და ჩემი უარი სასოს არ წარუკვეთს? ჩემი ბრძანებით ჭიშკართან რომ მოწყალებას მისცემენ მას, ჩვენ როდი დაგვაქცევს. ნახევარ კრუტცს[124] და ლუკმა-პურს ვინ დაუკავებს ჩვენთან, ხოლო ხეიბრებს უფრო მეტს აძლევენ. უკეთუ თავიანთი მიმოსვლის დროს ამდენივეს მიიღებენ ყოველი შეძლებული ოჯახიდან, ეყოფათ კიდეც გზაში თავის სარჩენად _ ხოლო ჩვენ მხოლოდ ეს გვევალება _ დავეხმაროთ გასაკითხის მთხოვნელ უცხო გამვლელს. უკეთუ ეს მათთვის არ იქნება კიდეც ნამდვილი დახმარება, იმას მაინც დაადასტურებს, რომ ადამიანები მონაწილეობას იღებენ მათ მწუხარებაში, სურთ შეანელონ სხვა ოჯახებში გაგონილი უარის სიმკაცრე, თავისებური სალამით უპასუხონ მათ მისალმებას. ნახევარი კრუტცისა და პურის ნატეხის მიცემა არც ისე ბევრი ღირს, და ეს პასუხი გაცილებით უფრო ადამიანურია, ვინემ ჩვეულებრივი «ღმერთი მოგცემს», თითქოს საქმენი მამაზეციერისა ადამიანთა ხელთ არ იყოს და თითქოსდა, მდიდართა ბეღლების გარდა, ღმერთს კიდევ რაღაც საწყობები მოეპოვებოდეს. ერთი სიტყვით, რა აზრიც უნდა გქონდეს ამ ბედკრულთა მიმართ, და თუ იფიქრებ კიდეც, არაფრითა ვარ ვალდებული მთხოვნელი გავიკითხოო, მაშინ, საკუთარი თავის პატივისცემისათვის მაინც ბედმოცარულთა სახით პატივი მიაგე ადამიანთა ტანჯვას და ნუ იქნები ისეთი უჯიგრო, გულგრილად რომ უცქერდე სავალალო სიღატაკეს.

და აი, როგორ ვეპყრობი არაკეთილსინდისიერთ, იმათ, ვისაც, ასე ვთქვათ, არ უჭირთ და ისე თხოულობენ მოწყალებას. თუ ვინიცობაა ვინმე მოჯამაგირედ ასაღებს თავს და ჩივის, სამუშაო არა მაქვსო, მას ყოველთვის გავუჩენ ხელსაწყოებსა და სამუშაოს. მაშასადამე, ჩვენ ვეხმარებით კიდეც და მასთან გამოვცდით მათ კეთილ განზრახულობათ; მატყუარები ისე კარგად იცნობენ ჩვენს ჩვეულებას, რომ აღარ მოდიან ჩვენთან».

ამრიგად, მილორდ, ეს ღვთისნიერი ადამიანი თავისი ქველკეთილობით მუდამ პოულობს ძალ-ღონეს დასძლიოს ის ამაო მატრაბაზობა, რითაც ცდილობენ თავიანთი მყუდროების შენარჩუნებას ბიწიერი და უსულგულო ადამიანები. ბედკრულთათვის ეს მზრუნველობა და სხვა ამის მსგავსი მოამაგეობა თითქოსდა სიამოვნებას ჰგვრის მას და ავსებს მისთვის ყველაზე ძვირფას ვალდებულებათა შესრულების შემდეგ დარჩენილი დრო-ჟამის საკმაოდ დიდ ნაწილს. როცა მოათავებს ყველაფერს, რაც საკუთარ

ღატაკებმა გასაკითხი რომ ითხოვონ, ოღონდ რადგანაც გამათხოვრდნენ, უნდა ვარჩინოთ კიდეც, თორემ ქურდები გახდებიან. არაფერი ისე არ აიძულებს ადამიანს თავისი ხელობის გამოცვლას, როგორც რწმენა იმისა, მისით თავს ვეღარ დავირჩენო; ხოლო თუკი ვინმემ სინჯა კიდეც ეს უქმი ხელობა, შრომის ისეთ სიძულვილს განიცდის, რომ უმალ ქურდობასა და სახრჩობელაზე სიკვდილს ამჯობინებს, ვიდრე კვლავ მოჰკიდოს ხელი მუშაობას. მათხოვარს დიდხანს როდი უწევს ერთი ლიარის თხოვნა, დიდხანსაც არ უხდება უარის გაგონება, მაგრამ როცა ოცჯერ ეტყვიან უარს, მოთმინება ეკარგება, და მართლაც სჯობს მისცეთ ოცი ლიარი, ამ ფულით ვახშმობა რომ შეიძლოს. ვინ ეტყოდა უარს მათხოვარს ამ იოლი სამოწყალოს გამო, თუკი ემახსოვრებოდა, რომ ეს გასაკითხი გადაარჩენდა ორ ადამიანს, _ ერთს სიკვდილისაგან, მეორეს _ ბოროტმოქმედებისაგან. სადღაც წამიკითხავს, მათხოვრები პარაზიტები არიან, მდიდრებს რომ ეხვევიანო. სავსებით ბუნებრივია, რომ ბავშვები ეხვევიან მშობლებს. ოღონდ ეს მდიდარი და უსულგულო მამები ყურადღებასაც არ აქცევენ და აიძულებენ ღატაკებს, თვითონ ირჩინონ თავი.

[124] ადგილობრივი წვრილი ფული.

მოვალეობად მიაჩნია მოყვასთა მიმართ, თავს ნებას აძლევს იზრუნოს თავისთვისაც, ოღონდ, რასაც კი აკეთებს, რათა ცხოვრება უფრო საამური გახდეს მისთვის, აგრეთვე შეიძლება მივაკუთვნოთ მისი ქველკეთილობის რიგს, _ ესოდენ საქებური და სასიქადულოა ყოველი მისი გულისთქმა და იმოდენი თავდაჭერა და განმჯელობა გამოსჭვივის მის ნატვრა-სურვილებში! მას სურს მოსწონდეს ქმარს, ხოლო ქმარს უყვარს ხედავდეს მას მხიარულსა და კმაყოფილს; ჟიულის უნდა შთაუნერგოს თავის ბავშვებს უწყინარ სიამოვნებათა სიყვარული, რაც ესოდენ სანიაზოა ოჯახში, სადაც სუფევს ზომიერება, წესრიგი და სისადავე, იმ სიამოვნებათა, რომლებიც ააცდენენ ადამიანს მძაფრ ვნებათღელვას. ჟიული მხიარულობს სწორედ იმიტომაც, ბავშვები რომ გაამხიარულოს, იმის მსგავსად, თუ როგორ არბილებს დედა მტრედი თავის ჩიჩახვში ბარტყების გამოსაკვებ მარცვლებს.

ჟიულის სული და სხეული თანაბრად მგრძნობიარეა. მისი შეგრძნება ესოდენ ნატიფია, როგორც გრძნობები. შექმნილია იმისათვის, რათა განიცადოს და დატკბეს ყოველი სიამოვნებით; ხანგძლივი დროის განმავლობაში სათნოებაც კი სასიამოვნო განცხრომასავით უყვარდა. და ამჟამად, როცა სულიერ მყუდროებაში ჩაძირული ჟიული უდიდეს ნეტარებას განიცდის, და როცა უკვე იგემა იგი, ხელს არ იღებს არც ერთ იმ განცხრომათაგან, რომლებსაც ძალუძთ სათნოებასთან შეხამება; ოღონდ სიამტკბილობს თავის ყაიდაზე, და რაღაცნაირად ემსგავსება მკაცრ რიგორისტებს, _ ვინაიდან სიამოვნებათაგან დატკბობის ხელოვნებას უთავსებს მათგან თავშეკავების უნარსაც; მაგრამ ყოველივე ეს სრულიადაც როდია მძიმე და მწარე, გუნების საპირისპირო შეჭირვებანი, რაშიც გამჩენი ღმერთი მხოლოდ და მხოლოდ მისთვის სულელურ და უსარგებლო მსხვერპლსა ხედავს, _ არა, ჟიული მიმართავს ხანმოკლე და ზომიერ შეჭირვებათ, რომლებიც ინარჩუნებენ გონების მთელ ძალაუფლებას და ამკობენ სიამოვნებებს, აღკვეთენ მათ მიერ მოსაყენებელ ბოროტმოქმედებებსა და მოყირჭებას. მისი აზრით, ყველაფერი, რაც უსალბუნებს ჩვენს გრძნობებს, მაგრამ არაა აუცილებელი ჩვენი ცხოვრებისათვის, იცვლის თავის ბუნებას, როგორც კი ჩვეულებად გადაიქცევა, აღარ არის სიამე, ხდება მხოლოდ მოთხოვნილება, და სწორედ ამის გამო, ამბობს იგი, ვიბორკავთ თავს და ხელს ვიღებთო განცხრომაზე; ის ფიქრობს აგრეთვე, გულისთქმათა ყოველთვის წინასწარ აცდენა _ ეს სრულიადაც არაა მათი დაკმაყოფილების საშუალება, არამედ მათი სავსებით აღმოფხვრის ხერხი და ზომაო. თავად ჟიული, როცა მოისურვებს სათანადო წონა და ფასი მისცეს უმცირეს სიამოვნებასაც კი, ვიდრე ერთხელ განსცხრებოდეს ამით, ოცგზის მაინც უარს ეტყვის საკუთარ თავს ამის გამო. მისი მიამიტი არსება ამრიგად ინარჩუნებს თავდაპირველ სინორჩეს, გულისთქმანი როდი უჩლუნგდება, და არასოდეს დასჭირვებია მათი შეხალისება ზედმეტის მონდომებით, და მეც ხშირ-ხშირად ვხედავ, როგორა ტკბება ყველაზე მიამიტი ბავშვური სიამოვნებით, მაშინ როცა სხვებს უმნიშვნელოდ მოეჩვენებოდათ იგი.

ჟიული ისახავს კიდევ სხვა, უფრორე კეთილშობილურ მიზანს: მუდამჟამს დარჩეს საკუთარი თავის მბრძანებელი, მოთოკოს თავისი ვნებანი და ნდომა-სურვილი დაუმორჩილოს წესრიგს. მისთვის ესაა ბედნიერების კიდევ ერთი საშუალება _ ადამიანი შეუშფოთებლად მხოლოდ იმით განცხრება, რის დაკარგვაც არ გაუძნელდება, და უკეთუ ჭეშმარიტი ბედნიერება მარტოოდენ ბრძენკაცთათვისაა საცნაური, ეს იმიტომ ხდება, რომ ყველა ადამიანთა შორის ბედს ყველაზე ნაკლებ ძალუძს ბრძენკაცის გაუბედურება.

განსაკუთრებით მაოცებს, რომ ჟიული დაადგა ზომიერების გზას იმავე მიზეზით, რაც სიჭარბისაკენ უბიძგებს ავხორც ადამიანებს. «სიცოცხლე მოკლეა, ეს მართალია, _ ამბობს იგი, _ მაშასადამე, ბოლომდე უნდა დავცალოთ მისი თასი, ოსტატურად გამოვიყენოთ იგი, მოვინაგროთ მისგან ყველაზე საუკეთესო, რის მოცემაც ძალუძსო.

უკეთუ მოყირჭების ერთი დღე გვართმევს განცხრომის მთელ წელიწადს, მაშინ, მუდამ ვესწრაფოდეთ იქითკენ, საითაც გვეწევიან გულისთქმანი, _ ეს ძლიერ ცუდი ფილოსოფიაა; კარგად უნდა ჩავუფიქრდეთ, ამრიგად უფრო სწრაფად ხომ არ ამოვწურავთ ჩვენ-ჩვენს ძალ-ღონეს, ვიდრე განვვლიდეთ ცხოვრების გზას, და ხომ არ აღესრულა ჩვენი გული ჩვენზე ადრე. კარგად ვხედავ, რომ უგვანი ეპიკურელები, რომლებიც შიშობენ, ვაითუ განცხრომის თუნდაც ერთი შემთხვევა დაგვეკარგოსო, მაინც კარგავენ ყველა შემთხვევას და, განცხრომის ჟამს – მუდამ სევდით მოსილნი, ვერასოდეს ნახავენ ვერც ერთ სიხარულს. ისინი ფიქრობენ, დრო დავზოგოთო, საქმით კი ფლანგავენ მას. ისინი ემსგავსებიან იმ ძუნწს, რომელიც მიტომ გაკოტრდება, რომ საჭირო წუთებში ვერ ახერხებს მცირე ზარალის განცდას. მე საპირისპირო წესთა მომხრე გახლავართ და, კაცმა რომ თქვას, აქ უფრო მეტ სიმკაცრეს ვამჯობინებდი, ვიდრე შემწყნარებლობას. ზოგჯერ ისიც ხდება, რომ მე ვწყვეტ დიდი სიამოვნების მომგვრელ რაიმე თამაშს, და სწორედ იმიტომ ვწყვეტ, რომ ძალზე მიტაცებს; როცა მას განვაახლებ, ორკეც სიამოვნებს მანიჭებს. როგორცა ხედავთ, მე ვავარჯიშებ ჩემს ნებისყოფას, რადგან მსურს შევინარჩუნო ძალაუფლება ჩემს თავზე, და მიჯობს უხიაკად ჩამთვალონ, ვინემ ჩემს გულისწადილით ჩემზე მბრძანებლობის ნება მივცე».

Aაი, რა საფუძველზეა შექმნილი აქაური საამური ცხოვრება, სადაც განიცდიან ყველაზე სპეტაკ სიხარულს. ჟიულის უყვარს პირის პატივი და თავის მეურნეობაზე ზრუნვით გართული როდი უგულებელყოფს სამზარეულოს. სავსე ოჯახი აქვს, რასაც ადასტურებს საუცხოო სუფრა, ოღონდ ეს სრულიადაც არაა ოჯახის დამქცევი სიუხვე, აქ სუფევს ჯანსაღი შნო და ლაზათი, გაფაქიზებული პირის პატივის უმისოდ, ყველა კერძი ჩვეულებრივია, მაგრამ საუკეთესო, მათ ამზადებენ უბრალოდ, ოღონდ ფრიად გემრიელად. აქედან სამარადჟამოდ განდევნილია ყოველგვარი ფუფუნება, ყოველგვარი მისწრაფება ბაქიაობისაკენ, ყველა ნატიფი და ფაქიზი სასმელ-საჭმელი, რაც იზიდავს ადამიანს მარტოოდენ თავისი იშვიათობის წყალობით და ქება-დიდებას იწვევს მხოლოდ მაშინ, როცა წარმოთქვამენ მათ სახელწოდებებს. და იმ ნუგბარ და შერჩეულ კერძთაგან, რომელთაც ხმარობენ აქ, ზოგიერთი სანოვაგე ყოველდღე როდი მოაქვთ სუფრაზე, _ მათ ითვალისწინებენ განსაკუთრებულ შემთხვევათა გამო, როცა სურთ ტაბლას საზეიმო ელფერი მისცენ და განსაკუთრებული სასიამო გახადონ. თანაც დიდი ხარჯის გაუწევლად. როგორ ფიქრობთ, რა კერძებია ესენი, რასაც ასე მზრუნველობით ეპყრობიან? იშვიათი ნანადირევი? ზღივს თევზი? უცხოქვეყნური, შემოტანილი ტკბილეულობა? არა, რაღაც უფრო უკეთესი. საუცხოო ადგილობრივი ხილი, ჩვენს ბოსტნებში გახარებული ქორფა მწვანილი, ჟენევის ტბაში დაჭერილი და საგანგებო წესით დამზადებული ნედლი თევზი, ჩვენი მთიანი სოფლებიდან ჩამოტანილი რძის ნაწარმი, გერმანული ყაიდის ნამცხვრები. ხოლო ამას უმატებენ რომელიმე ოჯახის წევრ-მონადირის ნაალაფევს, _ აი, ყველა საგანგებო კერძი, აი ის, რითაც გაწყობილია და შემკულია სუფრა, რაც აღძრავს და აკმაყოფილებს თქვენს მადას საზეიმო დღეებში. მაგიდა გაწყობილია ძალზე უბრალო ჭურჭლეულით და სოფლურ ყაიდაზე, ოღონდ ყველაფერი სუფთად და სიხარულის მომგვრელად! აქ ყველაფერი სასიამოვნოა, ყოველივე კმაყოფილებას იწვევს; მხიარულება და მადა ყველაფერს კიდევ უფრო დიდ ლაზათსა ჰგვრის. აქაურ სუფრაზე ოხშივარიანი ლანგრების წილ ვერ იხლავთ ცარიელ მოოქრულ თეფშებს, რომელთა ირგვლივ მჯდომარე სტუმრები შიმშილით იხოცებიან, და ყოველგვარი დესერტის ნაცვლად ყვავილთა თაიგულებით სავსე საუცხოო ბროლის ლარნაკებს; აქ სავსებით არა სცნობენ მარტოოდენ ცქერის მეოხებით კუჭის ამოყორვის ხელოვნებას, ხოლო სამაგიეროდ მშვენიერად იციან საამური ელფერი შემატონ კარგ სუფრას. ლაზათიანად დანაყრდნენ, ვნება არ მიაყენონ

თავის თავს, იმხიარულონ და შესვან ღვინო გონების დაუკარგავად, ხანგრძლივად უსხდნენ სუფრას, არ მოიწყინონ; და ისე დაიშალონ, რომ ვერ გრძნობდნენ ნაყროვანებას.

ქვედა სართულზე მოწყობილ სასადილო ოთახს გარდა, სადაც ვოლმარები ჩვეულებრივ სადილობენ, მეორე სართულზე არის კიდევ მეორე მომცრო სასადილო, ეს სასადილო მდებარეობს კუთხის ოთახში და მისი ფანჯრები ორივე მხარეს გადის. ერთი ფანჯრიდან მოჩანს ბაღი, მის იქით კი ხეებში ელვარებს ტბა, მეორე ფანჯრიდან იშლება ხედი მაღალი ქედისა, ზვრებით რომაა დაფარული, და ისინი უკვე იტაცებენ თვალთა მზერას უხვი ნაყოფით, აქ ორი თვის შემდეგ რომ მოკრეფენ. ოთახი არაა დიდი, მაგრამ ისეა მორთულ-მოკაზმული ყველაფრით, რომ შიგ მყუდროება და სიხალისე სუფევს. სწორედ იქ მართავს ჟიული მცირე ნადიმებს მამამისისთვის, ქმრისთვის, თავისი მამიდაშვილისთვის, ჩემთვის, თვითონ თავისთვის, ზოგჯერ ბავშვებისთვისაც. როცა უბრძანებს, სუფრა ამ ოთახში გაშალეთო, ყველამ უკვე იცის, თუ რას ნიშნავს ეს, და ბატონი დე ვოლმარი ამ სასადილო ოთახს ხუმრობით «აპოლონის დარბაზს» უწოდებს. ოღონდ იგი განსხვავდება ლუკულუსის დარბაზისაგან არა მარტო წვეულთა, არამედ სასმელ-საჭმელის შერჩევითაც. გარეშე პირთა შესვლა აკრძალულია, აქ არასოდეს სადილობენ, ოჯახში თუ ვინმე უცხოა; ამ შეუვალ სავანეში სუფევს ნდობა, მეგობრობა და თავისუფლება. აქ, ამ სუფრასთან, შეკრებილ საზოგადოებას აერთებს გულითადი სიყვარული; აქ ხდება საგულისგულო მეგობრის წოდების მინიჭება, და ამ ოთახში თავს იყრიან მხოლოდ ისინი, რომელთაც სურთ არასოდეს დაშორდნენ ერთმანეთს. მილორდ, ასეთივე დღესასწაული გელით თქვენც: თქვენს პირველ სერობას კლარანში მეორე სართულზე გაატარებთ.

მე ასე ერთბაშად როდი მომაგეს ასეთი პატივი. მხოლოდ ქალბატონ დ'ორბისაგან დაბრუნების შემდეგ მიმიპატიჟეს «აპოლონის დარბაზში». თითქოსდა ის მიღება, ჩამოსვლისას რომ გამიმართეს, ყოველგვარ ქება-დიდებას აღემატებოდა, მაგრამ ამ ვახშამმა ჩემს მოლოდინს გადააჭარბა. განვიცდიდი სულიერი სიახლოვის, კმაყოფილების, მეგობრული ერთსულოვნების და ბუნებრიობის ესოდენ ნაირფეროვან გრძნობებს, რაც ჯერ აქამომდე არ მცნობია. თავს უფრო ლაღად და თამამად ვგრძნობდი, თუმცა ამას არავინ მაძალებდა: თითქოსდა ახლა უკეთ გვესმოდა ერთმანეთის გულისნადები, ვიდრე უწინ. მსახურთა არყოფნამ შემაგულიანა და უკუვაგდე ჯერ ისევ გულისგულში მიჩქმალული სიდინჯე, და იმავე დღეს დავუბრუნდი უკვე მრავალი წლის უკან მიტოვებულ ჩვეულებას და, ჟიულის დაჟინებით, მასპინძლებთან ერთად დესერტს დავაყოლე შუმი ღვინო.

ამ ვახშამმა აღტაცება მომგვარა, მინდოდა ასე წარმართულიყო ყველა ჩვენი სერობა. «მე კი არ ვიცნობდი თქვენს საუცხოო სასადილო ოთახს, _ ვუთხარი ქალბატონ დე ვოლმარს, _ რატომ ყოველთვის აქ არ სადილობთ?» _ «აბა, შემოხედეთ, რა ლამაზია იგი, განა ცოდვა არ არის მისი გაფუჭება?» ასეთი პასუხი თითქოსდა არ შეჰფეროდა ჟიულის ხასიათს, და რაღაც დამაეჭვა მისმა ფარულმა აზრმა. «თქვენი ჩვეულებრივი სასადილო რატომ არ არის ასე კეთილმოწყობილი, როგორც ეს ოთახია, მსახურნი რომ დაითხოვოთ და უფრო თავისუფლად ისაუბროთ, არა?» _ «ეს იმიტომ, _ მომიგო მან, _ რომ ასე ნამეტნავად სასიამოვნო იქნებოდა. მუდმივი ბუნებრიობა და მოხერხებული პირობები მალე მოგვბეზრდებოდა, რაც ყვეალზე ცუდი ამბავია». ეს სიტყვები საკმაო იყო ჩემთვის, ჟიულის სისტემას რომ ჩავწვდომოდი, და დავასკვენი, სიამეთა ძალა რომ გავაძლიეროთ, ხშირად თავი უნდა შევიზღუდოთ-მეთქი.

შევნიშნე, რომ ახლა ჟიული უფრო საგულდაგულოდ იცვამდა, ვიდრე წინათ. ოდესღაც შეიძლებოდა გვესაყვედურა მისთვის პატივმოყვარეობის მხოლოდ ერთადერთი ნიშან-თვისების გამო, სახელდობრვ, მისი ტან-ფეხის განგებ უგულებელყოფისათივს. ამის

მიზეზი კი ჰქონდა გულამაყ ქალს: ეს მიკარგავდა ყოველგვარ საბაბს ეჭვი შემპარვოდა მის მომხიბვლელობაში, რასაც მივაწერდი ლამაზ ტანსაცმელს. მაგრამ რაც უნდა რაიმე ჩაედინა, სიტურფე მისი მეტისმეტად დიდი იყო, არ შემეძლო ბუნებრივად ჩამეთვალა და თავგამოდებით ვეძიებდი საგანგებო ოსტატობას ჟიულის დაუდევარ სამოსში. ტომარაც რომ ჩაეცვა, მაშინაც კი კეკლუცობას დავაბრალებდი. ახლა მისი მომხიბვლელობა არანაკლებ ყოვლისშემძლე იქნებოდა, ოღონდ თავად არ ფიქრობს ისარგებლოს ამით და მზად ვიყავი მეფიქრა, ასე მოხდენილად იმიტომ ირთვება და იკაზმება, სურს უბრალოდ ლამაზ ქალად მოაჩვენოს ყველას თავი-მეთქი, მაგრამ უეცრად ჩავწვდი იმის მიზეზს, თუ რად იჩენდა უჩვეულო ზრუნვას თავისი გარეგნობის გამო. პირველ ხანებში ვცდებოდი: გავკადნიერდი და ვიფიქრე, მისი ფაქიზი ტანსაცმლის პატივი მე მეკუთვნის-მეთქი, ის სულაც არ მომაგონდა, რომ ასევე იყო მორთულ-მოკაზმული ჩემი ჩამოსვლის დღეს, როცა სულაც არ მომელოდა. ჩემს შეცდომას მივხვდი ბ-ნი დე ვოლმარის არყოფნის დროს. მისი გამგზავრების მეორე დღეს უკვე აღარ ჰქონდა ჟიულის სამოსს არც ის მოხდენილობა, რის ცქერითაც ვტკბებოდი წინა დღით, არც ოესღაც ჩემი მომხიბვლელი, ამაღელვებელი, სათუთი უბრალოება, ოღონდ მის ჩაცმულობას ზედ ეტყობოდა ის სისადავე, რაც უსალბუნებს თვალთა მზერას და გულში ჩასწვდება ყოველ ადამიანს, შთაუნერგავს პატივისცემას და ქალის სილამაზის მეოხებით განსაკუთრებით ღრმა შთაბეჭდილებს ტოვებს. მთელი თვალწარმტაცი იერი მეუღლისა და დედის ღირსებით იყო აღსავსე. მისი მფრთხალი და ნაზი მზერა ახლა უფრო მკაცრი გახდა; და რაღაც კეთილშობილური სიდიადე აღებეჭდა მისი მშვიდი პირისახის გამომეტყველებას. ოღონდ თავი კვლავინდებურად ეჭირა, მისი მანერები სრულიადაც არ შეცვლილა; მისი თვინიერი ხასიათი, მისი ალალმართლობა მუდამ და ყოველთვის თავს არიდებდა პრანჭვა-გრეხას. იგი მიმართავდა მარტოოდენ ქალურ ტალანტს, _ ქალებს ხომ მოეპოვებათ თანდაყოლილი ნიჭი ზოგჯერ ზემოქმედება მოახდინონ ჩვენს გრძნობებსა და აზრზე, რის გამოც შეცვლიან თავიანთ მორთულობას, სხვაგვარად იყენებენ თმას, იცვამენ სხვა ფერის ტანსაცმელს და ატყვევებენ კაცთა გულს თავიანთი ეშხითა და ლაზათით, თანაც იციან არაფრისაგან რაღაც სასიამოვნოს შექმნა. იმ დღეს, როცა ჟიული ელოდა ქმრის დაბრუნებას, კვლავ ოსტატურად შეახალისა თავისი ბუნებრივი სიმშვენიერე და უკვე აღარ მალავდა ამას.

მართლაც თვალწარმტაცი იყო, როცა თავის საპირფარეშო ოთახიდან გამოვიდა; მივხვდი, რომ თანაბრად ძალედვა ოსტატურად დაეჩრდილა უაღრესად ნატიფი თავსაბურველის ბრწყინვალება და მოერთო და მოეკაზმა ყველაზე სადა სამოსი; იმასაც კარგად მივხვდი, თუ რა იყო ამ აშკარა ცვლილების მიზეზი, და გულდაწყვეტილმა ვიფქირე: განა სიყვარულის გულისთვის ოდესმე ასე თუ გარჯილა-მეთქი?

ამ ოჯახის დიასახლისმა იცის ლამაზად ჩაცმა-დახურვა და მის გარშემო ყოველივესი და ყველაფრის მორთვა-მოკაზმვა. ქმარს, ბავშვებს, მოსამსახურეებს, ცხენებს, ნაგებობათ, ბაღებს, ავეჯს _ ყველაფერსა და ყოველივეს თავს დასტრიალებს მზრუნველობით, ისეთი წესრიგი აქვს დამყარებული, რომ თითოეულისათვის ნათელია: აქ არაფერია დიდმშვენიერი მხოლოდ იმიტომ, რომ უგულებელყოფენ მას. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, აქ არის დიდმშვენიერება, ოღონდ სწორი იქნება ის ამბავი, რომ აქ მთავარი ფუფუნების საგანთა სიმრავლე როდია, არამედ ის, თუ როგორ მშვენივრადაა მოწყობილი მთელი სახლი _ მისი ნაწილების თანხმოვანებითა და მომწყობის განზრახულებათა ერთობლიობით.[125]

[125] ეს ამბავი უდავოდ მიმაჩნია. დიდი სასახლის ნაწილთა სიმეტრია დიდმშვენიერია, რაც არ გააჩნია სახლთა უთავბოლო გროვას. არის დიდმშვენიერება საბრძოლო წესით დარაზმული პოლკის ერთფეროვნებაშიც. იგი სულ არ შეიმჩნევა ამ პოლკის მაცქერალ ბრბოში, თუმცა იქნებ იქ არ იყოს კიდეც არც ერთი კაცი, რომლის

ყოველ შემთხვევაში, ასე ვფიქრობ, რომ უფრორე დიდსა და კეთილშობილურ აზრებს იწვევს უბრალო და თავმდაბალი ოჯახი, სადაც მეგობრულად და ბედნიერად ცხოვრობენ მცირერიცხოვანი ბინადარნი, ვიდრე ბრწყინვალე სასახლე, სადაც სუფევს განხეთქილება და არეულობა და სადაც თითოეული თავისთვის ეძიებს სიმდიდრესა და ბენდიერებას სხვათა განადგურებისა და საყოველთაო არეულობის მეოხებით. კარგად მოწყობილი სახლი წარმოადგენს ერთ მთლიანსა და განუყოფელს, და მისი მორთულობა სასიამოვნო სანახავია; სასახლეში იხილავთ სხვადასხვა საგანთა გროვას, რომელთა შორის მხოლოდ მოსაჩვენარი კავშირი არსებობს. ერთი შეხედვით, თითქოსდა ყველას ერთი საერთო დანიშნულება აქვს, ხოლო დაკვირვების შემდეგ დარწმუნდებით, ვცდებოდიო.

უკეთუ მივმართავთ ყველაზე ბუნებრივ შთაბეჭდილებას, აღმოჩნდება, რომ სახლის მორთულობაში ბრწყინვალებისა და ფუფუნების უგულებელსაყოფად მარტო თავმდაბლობა კი არა და, გემოვნებაცაა საჭირო; სიმეტრია და სიმწყობრე ყველას მოსწონს. კეთილდღეებისა და ბედნიერების იერი ძალზე უჩვილებს გულს მათ მონატრულ ადამიანს; ღვლარჭნილი და ზიზილ-პიპილებიანი სახლის მორთულობა, სადაც არც სიმწყობრეა და არც ბედნიერების იერი, მიზნად ისახავს მოსაჩვენარი ბრწყინვალებით თვალი მოსჭრას ყველას, ოღონდ მასპინძელისათვის რა სანაქებო აზრი უნდა აღუძრას ამან მნახველს? კარგი გემოვნება აქვსო? განა კარგი გემოვნება ასგზის უფრო მეტად არ მჟღავნდება მარტივ და სადა ნივთებში, ვიდრე მდიდრული ზიზილ-პიპილებით დამახინჯებულ საგნებში? აზრი ხელსაყრელ და მოხერხებულ პირობათა გამო? მაგრამ არსებობს კია რაიმე, ფუფუნებაზე უფრო ნაკლებ მოხერხებული და ხელსაყრელი რომ იყოს?[126] აზრი სიდიადის გამო? სწორედ პირიქით. როცა ვხედავ, რომ აქ ფიქრობდნენ დიდი სასახლის აგებას, მაშინვე ვეკითხები ჩემს თავს: რატომ არ ააგეს უფრო დიდი-მეთქი? რატომა ჰყავთ აქ მარტოოდენ ორმოცდაათი და არა ასი მსახური-მეთქი? საუცხოო ვერცხლის ჭურჭლის ნაცვლად მოოქრული ჭურჭელი რად არ შემოიღეს-მეთქი? მოოქრული ეტლით მოსეირნე კაცმა რად არ ბრძანა თავისი სახლის კედელთა მოოქროვება-მეთქი? და უკეთუ მოოქრულია კედლები, რად არ მოაოქროეს სახურავიც-მეთქი? მან, ვისაც მოაფიქრდა ყველაზე უმაღლესი კოშკის აგება, კარგი საქმე გააკეთა, რაკი გადაწყვიტა ზეცამდე მიებჯინა ამ კოშკს თავი, სხვაფრივ რაც უნდა მაღალ იყოს წერტილი, სადაც უნდა შეჩერებულიყვნენ, მხოლოდ და მხოლოდ იმ კაცის უმწეობის დადასტურება იქნებოდა. ჰოი, ერთფიორო და პატივმოყარე ადამიანო, მაჩვენე შენი ძალოვანება, მე დაგანახებ შენს არარაობას.

ტანისამოსიც ჯარისკაცულ მუნდირს არ აჯობებდა. ერთი სიტყვით, ნამდვილი დიდმშვენიერება სხვა არაფერია, თუ არა ჯეროვანი წესრიგი, რაც განსაკუთრებით შესამჩნევია, როცა იგი დიდი მოცულობისაა. აი, ამიტომაც ყველა სანახაობათაგან, რომლის წარმოდგენაც კი შეიძლება, ყველაზე დიდმშვენიერია ბუნების სურათები.

[126] მრავალრიცხოვანი ჯალაბობის მიერ ატეხილი ორომტრიალი განუწყვეტლივ არღვევს სახლის პატრონის მყუდროებას. მას არ ძალუძს რაიმე დაუფაროს ამდენ არგუსს. გარს ახვევია თაყვანისმცემელთა ბრბო, ოღონდ მოსვენებას არ აძლევს მევალეთა გროვაც. მისი აპარტამენტები ესოდენ მდიდრულია, რომ იძულებულია იძინოს სადმე კუნჭულში, სადაც უფრო ხალვათად იგრძნობს თავს, - ზოგიერთი მდიდარკაცის მოშინაურებულ მაიმუნს პატრონზე უფრო კარგი ბინა აქვს. როგორც კი სადილი მოუნდება, მზარეული ხელის შემყურეა და ვერასოდეს ჭამს მაძღრისად. სახლიდან გასვლა თუ მოიწადინა, თავის ცხენთა მონა-მორჩილია. ათასი დაბრკოლება ელობება მის ეტლს ქუჩაში; ძალიან ეჩქარება დანიშნულ ადგილას სასწრაფოდ მისვლა, ოღონდ ავიწყდება, ფეხები რატომ მაქვსო. მას ელოდება ქლოა, ხოლო აყოვნებს ტალახიანი ქუჩა. ოქრომკედით შეკერილი ხიფთანი მძიმე ტვირთია მისთვის, საბრალო ოც ნაბიჯსაც ვერა დგამს ქვეითად, ოღონდ ხასასთან პაემანს მაინცდამაინც თუ გამოტოვებს, სამაგიეროდ კმაყოფილებას ჰგვრის გამვლელთა ცნობისმოყვარეობა: თითოეული ადამიანი ხომ ამჩნევს მის ფარეშთა ლივრეას, ტკბება მისი ეტლის მზერით და მთელი ხმით აცხადებს, ამ ეტლში მავანი და მავანი ბატონი ზისო.

პირიქით, ისეთი ვითარება, სადაც არაფერი კეთდება პატივმოყვარეობის საამებლად, სადაც ყოველივეს აქვს მართლაც სასარგებლო დანიშნულება და უპასუხებს ადამიანური ბუნების მოთხოვნილებებს, წარმოსახავს არცთუ გონების მიერ მოწონებულ, არამედ თვალთამზერის მოსალბუნე და მეტად საგულისგულო სურათს, ვინაიდან იქ წარმოჩენილია მხოლოდ ადამიანისათვის სასიამოვნო ნიშან-თვისებები, მისი გულშეჯერება, ხოლო მისი უმწეობა იქ არა ჩანს, და ეს სასიხარულო სურათი არასოდეს იწვევს სევდიან ფიქრებს.

დარწმუნებული ვარ, რომ ყოველი კეთილგონიერი ადამიანი, ვინაც ერთ საათს მაინც დაჰყოფს თავადის სასახლეში და მის გარშემო იხილავს უბრწყინვალეს ფუფუნებას, შეუძლებელია არ შეიპყროს მელანქოლიამ და მან არ დაიტიროს ადამიანთა ბედ-იღბალი. მაგრამ კლარანში ოჯახის მთელი ანაგობა, მის ბინადართა მოწესრიგებული მარტივი ცხოვრება აღსავსეა მომხიბვლელობით და მეთვალყურის გულს აღუძრავენ იდუმალ და თანისთან მზარდ აღტაცებას. ერთმანეთის საჭიროებითა და ურთიერთკეთილმოსურნეობით შეკავშირებული ერთი მუჭა სათნო და მშვიდობიანი ადამიანები სხვადასხვანაირი შრომით ხელს უწყობენ თავიანთ საერთო მიზანს; მდგომარეობისდა მიხედვით თითოეული პოულობს ყველაფერ აუცილებელს, ამიტომაც კმაყოფილია ამით, სრულიადაც არ ცდილობს მის შეცვლას, ისე ეთვისება სახლს, თითქოს მთელი სიცოცხლე აქ უნდა გაატაროსო, და მისი ერთადერთი პატივმოყვარეობა ისაა, რომ სურს ღირსეულად აღასრულოს თავისი ვალდებულებები. განკარგულების გამცემნი ესოდენ თავმდაბალნი არიან, და შემსრულებლებიც ისე გულმოდგინენი, რომ მდგომარეობით თანატოლთ შეეძლებოდათ ადგილების შეცვლა და ეს არავის გაანაწყენებდა. აქ არაფერი შურთ ერთმანეთისა; თითოეული ფიქრობს, სახლის კეთილდღეობის ზრდით შევიძლებ ჩემი ქონების გამრავლებასო. თავად ბატონები როდი განაცალკევებენ თავიანთ კეთილდღეობას გარშემომყოფთა კეთილდღეობისაგან. აქ შეუძლებელია რაიმეს მიმატება ანდა გამოკლება, _ ოჯახში მხოლოდ სასარგებლო ნივთებსა ხედავ, და ყველა მათგანი თავის ადგილზეა; არ მოგინდება ისეთი რაიმეს შეტანა რაც იქ არ არის, და იმის გამო, რასაც ხედავ, როდი იტყვი, რატომ უფრო მეტი არ მოიტანესო? ამას დაუმატეთ ბუზმენტები, სურათები, ბრწყინვალება, მოოქრული ნივთები, _ და ყველაფერს გააღარიბებთ. როცა ვინმე ამჩნევს აუცილებელ საგანთA ასეთ სიუხვეს, ოღონდ ყველგვარი სიჭარბის მიუხედავად, იტყვის, აქ, უთუოდ, არც კი სურდათ რაიმე ზედმეტი ჰქონოდათო, და უკეთუ მოისურვებდნენ, მაშინ ისე უხვად ექნებოდათ, როგორც აუციელბელი და საჭიროო. როცა მუდმივ ხედავენ, თუ როგორ უწვდიან მოწყალების ხელს ღარიბ-ღატაკთ, ბევრი ასე ფიქრობს: იმდენი დოვლათი მოეპოვებათ, სად წაიღონ, აღარ იციანო. ჩემი აზრით, ნამდვილი დიდმშვენიერებაც ესაა.

სიუხვის ამ გარეგნულმა სახემ მეც შემაშინა, როცა გავიგე, თუ რა ჯდება ამის შენარჩუნება. «თქვენ გაკოტრდებით, _ ვუთხარი ჟიულისა და დე ვოლმარს, _ შეუძლებელია, რომ თქვენი უმნიშვნელო შემოსავალი გასწვდეს ამდენ გასავალს-მეთქი». გაეცინათ და დამიმტკიცეს, ჩვენი ოჯახის წეს-წყობილებაში არაფერს დავარღვევთ, და თანაც თუ სახსრებს დავზოგავთ, უმალ გავზრდით ჩვენ-ჩვენს შემოსავალს, ვიდრე გავკოტრდებითო. «ჩვენ გაგვეგება გამდიდრების საიდუმლო, _ მითხრეს მათ, _ უნდა გვქონდეს ცოტაოდენი ფული, ვისარგებლოთ ადგილ-მამულით და, რაც შეიძლება, ავერიდოთ სურსათ-სანოვაგესა და მომხმარებელს შორის მდგარ შუამავალთა მეოხებით საქმის გარიგებას. ყოველი ასეთი გარიგება რამდენადმე საზარალოა, და უამრავ წვრილმან წაგებას შეუძლია სავსებით ბოლო მოუღოს საკმაოდ დიდ ქონებას, ისე როგორც, თუ ბევრი მეძველმანის ხელში გაიარა, უბადრუკ, უმნიშვნელო ნივთად იქცევა ლამაზი ოქროს კოლოფი. ვცდილობთ არსად გავიტანოთ ჭირნახული და ადგილზევე მოვიხმაროთ;

ვერიდებით გაცვლა-გამოცვალსაც, ვინაიდან აღებულ მოსავალს ნატურით გავასაქმისებთ; ხოლო, როცა გვინდა ჩვენი მარაგის გადაცვლა იმაზე, რაც არა გვყოფნის, აქ ფულით ყიდვა-გაყიდვის ნაცვლად, რაც გაორკეცებდა ზარალს, ვცდილობთ მივმართოთ ნამდვილ გაცვლა-გამოცვლას, ორთავ მხრისათვის ხელსაყრელი რომაა და ნამდვილ მოგებას უდრის».

«ახლა კი მივხვდი, _ ვთქვი მე, _ რა უპირატესობანი აქვს თქვენს მეთოდებს, ვგონებ, მაინცდამაინც არ უნდა იყოს ხელსაყრელი. დიდი სარჯელის გარდა, რასაც ის მოითხოვს, აქ უფრო მეტად მოსაჩვენარი შემოსავალია, ვიდრე ნამდვილი, და თქვენ იმდენს კარგავთ წვრილმანებზე თქვენი ადგილ-მამულის მართვისას, რომ, ალბათ, უფრო ხელს მოგცემდათ ფერმერებთან საქმის დაჭერა; აკი გლეხს მიწის დამუშავება თქვენზე უფრო იაფი უჯდება, და მოსავალსაც თქვენზე უფრო გულდასმით აიღებს». _ «თქვენ ცდებით, _ მიპასუხა ვოლმარმა, _ გლეხი იმდენად კი არ ზრუნავს, მიწამ უფრო მეტი მოსავალი მომცესო, რამდენადაც ნაკლების დახარჯვას ცდილობს, ვინაიდან წინასწარ ფულის დახარჯვა მისთვის სამძიმო საქმეა, ხოლო სარფას არცთუ ბლომად მიიღებს; და უკეთუ მისი მიზანია არა მარტო გაადიდოს მამულის ღირებულება, არამედ რაც შეიძლება ნაკლები ფული მოახმაროს მას, მაშინ შემოსავალს მიწის მოვლა-პატრონობით კი არ უზრუნველყოფს, არამედ მისი გამოფიტვით; მისთვის უფრო ხელსაყრელი იქნებოდა, ცუდად რომ დაემუშავებინა მიწა, ვიდრე გამოეფიტა იგი. იმის გულისათვის, რომ გაურჯელად მიიღოს ცოტაოდენი თანხა, ზარმაცი მემამულე საიჯაროდ იძლევა მიწას, და სწორედ ამით უმზადებს თავის თავს ანდა შვილებს დიდ ზარალს, მომავლისათვის დიდი სადავიდარაბო საქმეს, ხოლო ზოგჯერ ანადგურებს კიდეც თავის მამაპაპეულ ქონებას.

მასთან, _ განაგრძობდა ბ-ნი დე ვოლმარი, _ თუმცა საკამათოდ არ ვხდი თქვენს მტკიცებას, თითქოსდა მიწის დამუშავება ფერმერზე უფრო ძვირი მიჯდებოდეს, მაგრამ ფერმერი თავის მოგებასაც ხომ ჩემს ხარჯზე მიიღებდა. ხოლო მიწას გაცილებით მასზე უკეთ ვამუშავებ, სამაგიეროდ, გაცილებით მეტ მოსავალს იძლევა; მაშასადამე, ხარჯი მე უფრო მეტი მაქვს, მაგრამ მოგებასაც უფრო მეტს ვღებულობ; და გასავლის ზრდაც მხოლოდ მოსაჩვენარია, სინამდვილეში დიდ ეკონომიას იძელვა: ჩვენს ნაცვლად ფერმერებს, რომ დაემუშავებინათ ჩვენი მიწები, მაშინ ქალაქში ვიცხოვრებდით, ქალაქში ცხოვრება კი უფრო ძვირია, დაგვჭირდებოდა გასართობები. რაც აგრეთვე გაცილებით ძვირი დაგვიჯდებოდა, ვიდრე ის გასართობები, რომელთაც აქ ვპოულობთ, და უფრო ნაკლებ სასიამოვნოც იქნებოდნენ ჩვენთვის. ამბობთ, დიდი ჯაფა გადგათო, ოღონდ ეს ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია და გარდა ამისა, დიდ სიამოვნებასაც გვგვრის; წინდახედულობისა და გონივრული განაწესის მეოხებით ეს გარჯილობა არასოდეს გვაწვება მძიმე ტვირთად, ისინი გვიწევენ მრავალ დიდად საზარალო გულისთქმათა მაგივრობას, ვინაიდან სოფლური ყოფა გვშველის ავირიდოთ ყოველგვარი ფანტაზიის მიმართ მიდრეკილება, და ყოველივე, რაც ხელს უწყობს ჩვენს კეთილდღეობას, ჩვენთვის გასართობი ხდება.

Ааბა, კარგად მიმოიხედეთ ირგვლივ, _ დაუმატა ამ განმსჯელმა ოჯახის მამამ, _ აქ მხოლოდ და მხოლოდ სასარგებლო ნივთებს იხილავთ, ისინი თითქმის არაფერი გვიღირან და გვიცავენ მრავალ ამაო ხარჯთაგან. ჩვენს სუფრაზეა ადგილობრივი სურსათ-სანოვაგისაგან დამზადებული სასმელ-საჭმელი, ავეჯის გადასაკრავად და ჩვენი ტანსაცმლისათვის ვიყენებთ მხოლოდ ადგილობრივ ქსოვილებს; ჩვენ არაფერი გვძაგს მარტო იმის გამო, რომ ყველას მოეპოვება; არაფერი აღგვიტაცებს მარტოოდენ იშვიათობის გამო. შორეულ მხარეთაგან ყოველივე ჩამოტანილი ნივთი, ჩვეულებრივ გაიძვერობისა და ყალთაბანდობის წყაროა, ხოლო ჩვენი მოთხოვნილებისა და ზომიერების გამო ვირჩევთ ყველაზე საუკეთესოს მათგან, რასაც ვპოულობთ ახლომახლო და რაც ეჭვს არ იწვევს

თავის ღირსებით. ჩვენი კერძები უბრალოა, მაგრამ შერჩეული, ჩვენი სუფრა რომ მდიდრულად ჩათვალონ. ამისათვის მხოლოდ ერთი რამ აკლია _ ყველა ეს სასმელ-საჭმელი შორიდან რომ მოიტანონ: მაღალი წრის საზოგადოებაში ხომ რჩეულად ითვლება მარტოოდენ საიშვიათო, და უკეთუ რომელიმე ღორმუცელამ პარიზში მიირთვა ჩვენი ტბის კალმახი, იტყვის, ჩინებული გემო აქვსო.

ამავე წესს ვიცავთ ტანისამოსის არჩევისას: როგორც ხედავთ, ჩაცმა-დახურვას როდი უგულებელვყოფთ, ოღონდ გვინდა, რომ სამოსი იყოს კოხტა და მოხდენილი, განცხრომას ყოველთვის უარყოფთ, ხოლო მოდას _ მით უმეტეს. ხომ ძალიან დიდი განსხვავებაა მოდის მიერ ნივთებისათვის მონიჭებულ ღირსებათა და მათ ნამდვილ ღირებულებას შორის! სწორედ ამ უკანასკნელს ანიჭებს დიდ მნიშვნელობას ჟიული, და როცა რაიმე ქსოვილი უნდა შეარჩიოს, ესოდენ ძველთაძველი ყაიდის ქსოვილი, ანდა ახალთახალი რაიმე კი არ აინტერესებს, არამედ ის ამბავი, კარგი თუ არის, ანდა თუ შემშვენისო. ხშირად ისიც ხდება, რომ სწორედ ახალ ნივთსაც უარყოფს, თუკი ახალმოდურობის გამო არნახულ ფასს ადებენ, ხოლო დიდხსანს ვეღარც კი ატარებს.

მიაქციეთ აგრეთვე ყურადღება იმ ამბავსაც, რომ აქ თითოეული საგანი საამურ შთაბეჭდილებას ახდენს არა იმდენად თავისთავად, რამდენადაც ყველა დანარჩენთან შეთანხმებით; და აი, არც ისე ძვირფასოვან ნივთთაგან ჟიულიმ ოჯახი მეტად ლამაზად და მშვენივრად მორთო და მოკაზმა. გემოგახსილ ადამიანს უყვარს ნივთებს შეუქმნას და მიანიჭოს კიდეც ფასი და ღირებულება. რამდენადაც მოდის კანონები ცვალებადია და დიდად საზარალო, იმდენად კარგი შნოსა და ლაზათის კანონები ეკონომიურია და მყარი. ის, რასაც კარგი გემოვნება კარგად მიიჩნევს, ასეთივე დარჩება სამუდამოდაც; დაე, იშვიათად იყოს იგი მოდური, სამაგიეროდ არასოდეს იქნება ყბადასაღები; ნივთთა თავმდაბლური უბრალოება, ჰარმონიული თანხმოვანება, საამურობა და ხელსაყრელობა _ აი, უცვლელი და საიმედო წესები, რაიც ძალაში რჩება, როცა ამა თუ იმ ნივთის მოდა უკვე წარსულს ჩაბარდება.

ამას უნდა მივუმატოთ ისიც, რომ აუცილებელ ნივთთა სიუხვეს როდი მოჰყვება მათი ბოროტად გამოყენება; ყოველ საჭირო საქმეს ხომ თავისი ბუნებრივი ზღვარი აქვს და ნამდვილი მოთხოვნილებები სიჭარბეს არ წარმოშობენ. ერთი ხიფთანი, შესაძლოა, იმდენი დაგვიჯდეს, რამდენიცა ღირს ოცი ხიფთანი და ერთ სადილზე მთელი წლის შემოსავალი გავანიავოთ. ოღონდ ორ ხიფთანს ერთსა და იმავე დროს ვერ ჩაიცვამ, და ორ სადილს ერთად ვერ მიირთმევ. ამრიგად განუსაზღვრელია პატივმოყვარეობის მოთხოვნილებანი, მაშინ როდესაც ბუნება გვაჩერებს იქაც და აქაც, და ის ადამიანი, ვისაც მოეპოვება არცთუ ისეთი დიდი სახსრები, კმაყოფილდება უმნიშვნელო კეთილდღეობით და გაკოტრების არ ეშინია.

Aაი, ჩემო ძვირფასო _ განაგრძობდა ეს კეთილგონიერი ადამიანი, _ მომჭირნეობისა და დაუცხრომელი ზრუნვის მეოხებით როგორ შეიძლება უკეთესად ცხოვრება, ვიდრე ამის ნებას გვრთავს სახსრები. თუ მოვინდომებთ, სავსებით ძალგვიძს ჩვენი ქონების გადიდება ისე, რომ სრულიადაც არ შევცვალოთ ჩვენი ცხოვრების ხასიათი. ფულადი სახსრების ყოველი დაბანდება ჩვენთან ხომ მიზნად ისხავს რაიმე პროდუქტის წარმოებას, და ყველაფერი, რასაც ვხარჯავთ, კიდევ მეტის დახარჯვის საშუალებას გვაძლევს».

და მერე, მილორდ, პირველი შეხედვით ეს სრულიადაც არ შეიმჩნევა. აქ დოვლათიანობა და სიუხვე ფარავს იმ საფუძველს, რასაც ემყარება: ერთბაშად ვერ განსჭვრეტ, რომ აქ მოქმედებენ მკაცრი კანონები, რომლებიც ანელებენ ფუფუნებას, მათ მოაქვთ შეძლებული ცხოვრება და სიამენი ამა სოფელისა. და თავდაპირველად ძნელია გაიგო, ვით შეიძლება განსცხრებოდე იმით, რაც გადასანახავია. ხოლო როცა კარგად მოიფიქრებ, სიამოვნებით დაასკვნი, რომ აქ დაუშრეტელია კეთილდღეობის წყარო და

ცხოვრების სიხარულით სარგებლობის უნარი მის გახანგრძლივებასაც წარმოადგენს. და განაღა შეიძლება კაცს მოსწყინდეს ბუნებასთან ესოდენ შეთანხმებული ყოფა? განა შეიძლება მამამაპური ქონების განიავება მისი ყოველდღიური გაუმჯობესებით? შეიძლება თუ არა გაკოტრდე, როცა მარტოოდენ შემოსავალს ხარჯავ? უკეთუ ყოველწლიურად დარწმუნებული ხარ, გაისადაც სვესვიანი ვიქნებიო, მაშინ ვინღა დაარღვევს შენს სიმშვიდეს? აქ წარსულის შრომათა ნაყოფს ხელს უწყობს მომავლის დოვლათიანობა, ხოლო ახლადგაწეულ შრომათა ნაყოფი გვპირდება სიუხვეს მომავლისათვის. აქ ადამიანთა სასარგებლო ხდება ისიც, რასაც ისინი ხარჯავენ, და ისიც, რასაც იმკიან; აქ თითქოსდა ერთდება წარსული და მომავალი, რათა უზრუნველყონ ადამიანთათვის საიმედო აწმყო.

შევამოწმე მეურნეობის ყოველი ნაწილი და დავინახე, ყველგან იგივე სულისკვეთება რომ სუფევდა. ყველა ნაქარგი და მაქმანი ქალთა ოთახში კეთდება, ყველა ტილოს ქსოვენ საკუთარი მქსოველები ანდა გაჭირვებული გლეხის ქალები, რომელთაც უნდა მისცენ საზრდო. მატყლს აგზავნიან ფართლეულის ფაბრიკებში, ხოლო ნაცვლად იქიდან იღებენ მაუდს შინამსახურთა ტანისამოსისათვის; ღვინოს, ზეითუნის ზეთსა და პურს შინ ამზადებენ, შეშა მუდამ თავზე საყრელი აქვთ, სჭრიან საკუთარ ტყეში, ამ მიზნთ გამოყოფილ ნაკვეთებში; ხორცის საფასურად ყასაბს საკლავს აძლევენ, გამომცხვარი პურის მიწოდებისთვის ბაყალი ხორბალს ღებულობს; მოჯამაგირეებს და მსახურთ ხელფასს იმ შემოსავლიდან უხდიან, რასაც მათი დამუშავებული მიწა იძლევა. რაც ვოლმარებს ქალაქში სახლის დასაქირავებლად ფული დაეხარჯებოდათ, ეს სავსებით საკმარისი იქნებოდა მამულში ბატონთა სახლის ავეჯეულობით მოსაწყობად; ფასიან ქაღალდთა შემოსავალი ხმარდება მეპატრონეთა კმაყოფას, კარგი ჭურჭლეულის შეძენას; ნებას რთავენ თავიანთ თავს იყიდონ ეს ჭურჭლეული; ღვინოსა და ხორბლის ნარჩენთა გაყიდვით მიღებულ შემოსავალს იმარაგებენ საგანგებო ხარჯებისათვის. ჟიულის კეთილგონიერებით ეს თანხა არასოდეს იშრიტება, გულმოწყალეობა კი არ აძლევს გამდიდრების საშუალებას. ყოველგვარ სიამეთათვის გადადებულია მხოლოდ შინშესრულებულ სამუშაოთაგან ყამირ მიწათა დახვნისა და მამულში გაშენებული ბაღისაგან მიღებული შემოსავალი. ამრიგად, წარმოება და მოთხოვნილება ყოველთვის შეესაბამებიან ერთმანეთს; თავად დადგენილი ცხოვრების ხასიათის ბუნებითაც წონასწორობა არასოდეს ირღვევა, და ამის გამო სამწუხაროც არაფერია.

უფრო მეტიც, ის გაჭირვება და ხელმოკლეობა, რასაც ჟიული ტკბილეულობის მიმართ სიყვარულის შემცირებით თავის თავს უწესებს, როგორც უკვე მოგახსენეთ, მისთვის გახდა სიამეთა წყარო და მასთან ერთად მომჭირნეობის ახალი საშუალება. მაგალითად, ჟიულის ძალიან უყვარს ყავა და დედის სიცოცხლეში ყოველდღე სვამდა მას; მაგრამ ეს ჩვეულება მიატოვა იმის გამო, რათა უფრო გემრიელი ეჩვენოს ყავა, და ახლა მაშინ სვამს, როცა სტუმრები ეწვევიან, და მასთან «აპოლონის დარბაზში», რადგანაც სურს აღნიშნოს ამ სერობათა საზეიმო ხასიათი. ამრიგად, ეს მცირე სიამე ძალზე მიმზიდველი ხდება. უფრო იაფი უჯდება, აფაქიზებს და აოკებს მის მსუნაგობას. სამაგიეროდ რა სარისტიანობით ცდილობს წინასწარ გამოიცნოს და დააკმაყოფილოს მამისა და ქმრის სურვილი, და ამას ისეთი ბუნებრივი ხელგაშლილობით სჩადის, ისე სასიამოვნოდ და ისეთი კმაყოფილებით უმასპინძლდება მათ, რომ ორკეცად სიამოვნებთ ეს ლოლიაობა. მათ უყვართ დიდხანს, შვეიცარიულად უსხდნენ სუფრას, და ჟიულიც არასოდეს ივიწყებს განკარგულების გაცემას, რათა ნავახშმევს მოართვან მათ ერთი ბოთლი ღვინო, უფრო ნაზი და ძველი, ვიდრე ის, მათ სახლში ჩვეულებრივად რომ შემოაქვთ სუფრაზე. თავდაპირველად მჯეროდა ამ ღვინოთა დიდებული სახელწოდებებისა. ჩემი აზრით, მართლაც საუცხოოა ისინი; ვფიქრობდი, იმ ადგილებიდანაა მოტანილი, რომელთა

სახელებიც ჰქვიათ-მეთქი, და ერთხელ ავუმხედრდი კიდეც ჟიულის იმის გამო, მომჭირნეობის საკუთარ წესებს რომ არღვევდა. მაგრამ ჟიულიმ ჩაიცინა და მომაგონა ნაწყვეტი პლუტარქედან _ ის ადგილი, სდაც ფლამინიუსი მრავალ ბარბაროსულ სახელწოდებათა მქონე ანტიოქის აზიელ ჯარებს ადარებს სხვადასხვა შემწვარ-მოხრაკულებს, რითაც უმასპინძლდებოდა მას ძმაკაცი და თან უმალავდა, ერთი და იმავე ხორცის ნაჭრისაგან რომ იყვნენ დამზადებული. «ასეთივე ამბავი შეემთხვა ჩემს ღვინოებსაც, რის გამოც საყვედურს მეუბნებით. რანსიო, ხერესი, მალაგა, შასენი, სირაკუზული, რომელთაც ასეთი სიამოვნებით მიირთმევთ, სინამდვილეში ადგილობრივი ღვინოებია, მხოლოდ სხვადასხვანაირად დამზადებული, და აქედან, ფანჯრიდან შეგიძლიათ დაინახოთ ზვარი, რომლის ვაზები იძლევიან თითქოსდა შემოტანილ ღვინოებს. იქნებ, ისინი ხარისხობრივად ჩამოუვარდებიან კიდეც სახელგანთქმულ მარკის ღვინოებს, რომელთა სახელიც ჩვენ ვუწოდეთ, სამაგიეროდ არ გააჩნიათ ზოგიერთი მათი არასასიამოვნო თვისება, სავსებით დარწმუნებული ვართ, რომ კარგი შემადგენლობისაა და, ყოველ შემთხვევაში, შეიძლება მათი უშიშრად დალევა. ვფიქრობ, _ განაგრძობდა ის, _ რომ მამასა და ჩემს ქმარს უაღრესად საიშვიათო ღვინოებზე ნაკლებად როდი მოსწონთ ისინი», _ «მისი ღვინოები, _ წარმოთქვა მანშინ ბ-ნმა დე ვოლმარმა, _ გამოირჩევიან განსაკუთრებული გემოთი, რასაც სხვა ღვინოებს ვერ შეამჩნევ. მან ხომ ასეთი სიამოვნებით დაამზადა ისინი». _ «აჰ, _ მიუგო ჟიულიმ, _ მაშ, მუდამ საუცხოონი იქნებიან, არა?»

თავადვე განსაჯეთ, განა შეიძლება მოსწყინდეს კაცს მცონარეობისა და უსაქმურობისაგან, როცა ასე გამოულეველია საზრუნავი და საქმე? აქ უკვე აღარ დაეძებენ რაიმე კომპანიას და სრულიადაც აღარ ყოფნით დრო გარეშე პირთა საზოგადოებაში სადარბაზოდ და გასართობად. ვოლმარები ძალზე ხშირად ნახულობენ მეზობლებს სასიამო ნაცნობობის გამო, ოღონდ იმდენად კი არა, ეს ქედის მოხრად რომ ჩაითვალოს. სტუმრებს ღებულობენ გულთბილად, მაგრამ არ ენატრებათ ისინი. საერთოდ, მაღალ საზოგადოებაში ტრიალებენ სწორედ იმდენად, განმარტოებული ცხვორების შნო და ლაზათი რომ შეინარჩუნონ; ფუჭ გრძნობათა ნაცვლად ხელს ჰკიდებენ სოფლურ საქმიანობას მხოლოდ იმისათვის, რომ ოჯახურ წიაღში იპოვონ თავიანთი ყველაზე სასიამოვნო საზოგადოება, ყოველგვარი სხვა კომპანია ფრიად მოსაწყენია. კლარანის ბინადართა დროსტარება მეტისმეტად უბრალოა და მარტივი, მუდამ ერთფეროვანია, და არა მგონია, ცხოვრების ასეთმა ხასიათმა ვინმე რომ აცდუნოს.[127] მაგრამ ცოლ-ქმარმა ვოლმარებმა აირჩიეს იგი სურვილისამებრ და ამიტომაც მათთვის ძალზე საინტერესოა, ნუთუ ჯანსაღი სულის მექონ ადამიანებს მოსწყინდებათ, როცა ისინი ასრულებენ მათთვის ყველაზე საყვარელ და ყველაზე აღმაფრთოვანებელ ადამიანურ ვალდებულებებს, და მასთან ურთიერთმონდომებით ბენდიერსა ხდიან თავიანთ ერთობლივ ცხოვრებას? ყოველ საღამოს განვლილი დღით კმაყოფილ ჟიულის სურს, რომ ხვალინდელმა დღემაც ზუსტად ასევე განვლოს, დილდილობით კი ევედრება გამჩენს, მიაგოს მას ისეთი დღე, ყველაფრით რომ ჰგავდეს გუშინდელს; საქმენი მისნი მუდამჟამს ერთი და იგივეა, და არ შეიძლება მოწყინდეს, ვინაიდან იცის, კარგი საქმეები რომაა ეს, და უკეთესს ვერაფერსაც ვერ გააკეთებს. ცხადია, ასეთი ცხოვრების ჟამს ჟიული განიცდის

[127] თუკი რომელიმე ჩვენი ენამახვილკაცთაგანი შვეიცარიაში მოგზაურობისას შეივლიდა კლარანში და მას მიიღებდნენ ალერსიანად ამ სახლში, ასე მგონია, შემდგომში ის გაართობდა თავის ძმაკაცებს ძალზე სალაღობო ამბებით იმის გამო, თუ რაგვარ ცხოვრებას ეწევიან აქ ეს «ტეტიები». თუმცა ქალბატონ კეტსბის წერილების მიხედვით ვხედავ, რომ ასეთი მიდრეკილება ახასიათებთ არა მარტო ფრანგებს, _ ეტყობა, ინგლისშიც სჩვევიათ, სტუმართმოყვარეობისათვის მადლიერების წილ სასაცილოდ აიღონ გულუხვი მასპინძლები.

ისეთ ნეტარებას, როგორიც კი შესაძლებელია ადამიანისათვის. იყო საკუთარი თავით კმაყოფილი მთელი შენი სიცოცხლის განმავლობაში _ განა არ არის ეს სრული ბედნიერების ყველაზე უტყუარი ნიშანი?

აქ იშვიათად დაინახავთ უსაქმურთა ხროვას, ვისაც კარგ საზოგადოებას უწოდებენ, სამაგიერო ყველა, ვისაც ამ კუთხეში შევხვდები, თავისი ბუნებით მოგინადირებს რაიმეთი და მრავალი სათნოებით გამოისყიდის რომელიმე თავის სასაცილო ნიშან-თვისებას. ადგილობრივ მცხოვრებთ არ გააჩნიათ მაღალი წრის საზოგადოების მანერები და თავაზიანობა, მაგრამ არიან უბრალო, პატიოსანი და თავიანთი ბედით კმაყოფილი ადამიანები: გადამდგარი ოფიცრები, კომერსანტები, რომელთაც მობეზრდათ სიმდიდრის ძებნა; თავმდაბლობისა და კეთილზნეობის სკოლაში თავიანთ ქალიშვილთა გამომზრდელი დედები, _ აი, ის ამალა, რომელთა ირგვლივ შემოკრებაც უყვარს ჟიულის. მის ქმარსაც სწადს ზოგჯერ შეუერთოს მათ ფათერაკების ყოფილი მაძიებლები, რომლებიც გამოასწორეს წლებმა და ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ, რის შემდეგაც ყოველგვარი უკუღმართობით გაბრძნობილნი, ისინი დადარბაისლდნენ და სიხარულით დაბრუნდნენ შინ მამაპაპეული ყანის დასამუშავებლად, და მხოლოდღა იმას ნანობენ, ოდესღაც რომ მიატოვეს იგი. თუ რომელიმე მათგანი, სერობისას, ჰყვება კიდეც თავისი ცხოვრების ამბებს, ეს სრულიადაც არაა ჯადოსნური თავგადასავლები მდიდარი სინდბადისა, რომელიც მოგვითხრობს, თუ როგორ მოიპოვა თავისი განძეულობანი; არა, ეს ამბავი გაცილებით მარტივია, და მას მოგვითხრობენ საღად მოაზროვნე ადამიანები, რომლებსაც ბედის ტრიალმა და ადამიანთა უსამართლობამ ხელი ააღებინეს ყალბ სიკეთეთა ამაო გამოდევნებაზე, და დაუბრუნეს მათ ჭეშმარიტ სიკეთეთა პატივისცემა.

Aაბა, წარმოიდგინეთ, რომ გლეხებთან, ჩვეულებრივ საუბარსაც კი მოეპოვება თავისი სიმშვენიერე ამ დიდსულოვან ადამიანთათვის, რომელთაგან ბევრ რასმეს შეიძენდა და ისწავლიდა ზოგი ბრძენკაცი. სამართლიანი ადამიანი, ბ-ნი დე ვოლმარი, ფიქრობს, ამ ალალ-მართალ სოფლელთა შორის გვხვდება უფრო მეტი ნათელი გონების ადამიანი, უფრო მეტი თვითმყოფი ჭკუის პატრონი, ვიდრე ქალაქელთა შორის, ერთსახოვან ნიღაბს რომ ატარებენო. ვინაიდან იქ თითოეულსა სწადია სხვებივით მოაჩვენოს თავი ყველას, და არა იმნაირად, რანაირიცაა სინამდვილეშიო. სათნო ჟიულის აზრით, სოფლელნი მეტისმეტად განიცდიან უმცირეს ალერსსაც კი, და უდიდეს ბედნიერებად მიაჩნიათ, როცა იგი ზრუნავს მათი საჭიროებისათვის. მათი გრძნობები და აზრები სავსებით მოკლებულია ყოველგვარ ხელოვნურობას, ვერ ისწავლეს მიჰბაძონ ჩვენს მაგალითს, და შეიძლება არ გვეშინოდეს, რომ აქ შეხვდებით ადამიანთა მიერ და არა ბუნებისაგან გაჩენილ ადამიანებს!

ხშირად თავისი სამფლობელოს ჩამოვლისას ბ-ნი დე ვოლმარი შეხვდება რომელიმე სახელოვან მოხუცს, რომელიც ანცვიფრებს კაცს თავისი კეთილგონიერებითა და განსმჯელობით, და ბ-ნ დე ვოლმარსაც სიამოვნებს გამოიწვიოს იგი სამასლაათოდ, მიჰყავს მოხუცი ცოლთან. ჟიული გულთბილად ხვდება მას, რაც ადასტურებს არა იმდენად თავაზიანობასა და არისტოკრატულ ზრდილობიანობას, რამდენადაც თანდაყოლილ გულკეთილობასა და ადამიანურობას. მოხუცს ტოვებენ სადილად, ჟიული გვერდში ისვამს მას, უმასპინძლდება, ალერსიანად ესაუბრება, თანაგრძნობით გამოკითხავს ოჯახისა და საქმიანობის ამბებს. არ ეცინება, როცა ხედავს მის დარცხვენას, ყურადღებას როდი აქცევს მის სოფლურ ზნე-ჩვეულებებს, ისე უბრალოდ უჭირავს ხოლმე თავი, რომ მოხუცი თამამდება, ჟიული ალერსიანი და გულში ჩამწვდომი პატივისცემით ეპყრობა მას, რადგან ფიქრობს, ყველამ უნდა მიაგოს პატივი უმწეო მოხუცს, რომელმაც ხანგრძლივი და უმწიკვლო ცხოვრება გაატარაო. აღფრთოვანებულ მოხუცს გულს შვება და ხალისი ეფინება, და თითქოს წამით უბრუნდება ახალგაზრდობის დღეთა სიმკვირცხლე.

ახალგაზრდა დიასახლისის სადღეგრძელოდ შესმული ღვინო თბილად ეღვრება ხანდაზმულობით დამზრალ გულში. ხალისიანად მოუთხრობს ძველი დროების ამბებსა და თავის საგულისგულო საქმეთა გამო, საომარი ლაშქრობებისა და შეტაკებათა შემთხვევებს, სადაც მონაწილეობდა, თანამემამულეთა სიმამაცეზე, იხსენებს სამშობლოში დაბრუნებას, ცოლს, ბავშვებს, სასოფლო სამუშაოებს, მის მიერ შემჩნეულ ბოროტმოქმედებებსა და მათ აღსაკვეთად მიღებულ ზომებს. ხშირად ბებრულად ვრცელი მისი სიტყვებიდან გამოიტან რაიმე საუცხოო ზნეობრივ მოძღვრებას ანდა მიწათმოქმედების გაკვეთილს; თანაც, უკეთუ მარტოოდენ სიამოვნებისათვის ელაპარაკნა, ჟიულის მაშინაც ეყოფოდა მოთმინება მის მოსასმენად.

ნასადილევს ჟიული მიდის თავის ოთახში და იქიდან გამოაქვს მცირე საჩუქარი _ რაიმე ტანისამოსი, რაც, შესაძლოა, გამოადგეს მოხუცის ცოლსა და ქალიშვილებს. საჩუქარს აბარებენ ჟიულის ბავშვები, ხოლო მოხუცი სამაგიეროდ აძლევს რაიმე უბრალო, მაგრამ თავშესაქცევ სათამაშოს, რასაც თავად ჟიული ჩუმად შეუკვეთს ხოლმე მასვე. ამრიგად სიყრმიდანვე ეყრება საფუძველი ესოდენ სხვადასხვანაირი ორი წოდების შემაკავშირებელ მჭიდრო მეგობრულ ურთიერთობას, ბავშვები ეჩვევიან პატივი სცენ მოხუცებულობას, უბრალოებას, და გამოარჩიონ ღირსეული ადამიანები ყოველ წოდებაში. გლეხები ხედავენ, ყველასათვის პატივსაცემ ოჯახში თუ როგორ უმასპინძლდებიან მათ მოხუც მამებს, სვამენ მასპინძლებთან ერთად სუფრასთან და არა სწყინთ, რომ თავად არ ეპატიჟებიან იქ; ამის მიზეზად თავიანთ საზოგადოებრივ მდგომარეობას კი არ მიიჩნევენ, არმედ ასაკს, _ ისინი როდი ამბობენ: ჩვენ ამ საქმისათვის მეტისმეტად ღარიბები ვართო, არამედ _ სულ სხვას: ჯერ კიდევ ძალზე ახალგაზრდები ვართ, ასეთი მოპყრობა არ დაგვიმსახურებიაო. მოხუცების პატივისცემა, და იმის იმედი, ოდესმე ამას მათთან ერთად ჩვენც გავიზიარებთო, ანუგეშებთ; თუმცა ახლა ამის უფლება არა გვაქვს, მაგრამ მომავლისთვის პატივისცემის ღირსნი კი გავხდებითო.

და აი, ალერსიანი მიღებით გულაჩუყებული მოხუცი, თავის ქოხმახში დაბრუნებისას, ჩქარობს უჩვენოს ცოლსა და ბავშვებს, თუ რა საჩუქრები მოიტანა; ეს უმნიშვნელო საბოძვარი დიდ სიხარულსა ჰგვრის მოხუცის მთელ ჯალაბობას, ისინი ამაყობენ, არ დაგვივიწყესო. მოხუცი აღფრთოვანებით უამბობს ყველას, როგორ მიიღეს, რით გაუმასპინძლდნენ, რაგვარი ღვინოები იგემა, რა თავაზიანი საუბარი გაუმართეს, როგორი თანაგრძნობით გამოჰკითხეს ოჯახის ამბები, რა ალერსიანი იყვნენ მასპინძლები და ყურადღებიანი _ მსახურნი, და საერთოდ ლაპარაკობს ყველაფერზე, რაიც განსაკუთრებულ ფასსა სდებდა მისდამი მიგებულ პატივისცემასა და კეთილმოსურნეობას. მოთხრობის დროს მეორეჯერ განიცდის ყოველივეს, ჯალაბობაც თითქოსდა მასთან ერთად განიცდის ყველაფერს და ახარებს მისი მეთაურის მიმართ გაწეული პატივსიცემა. ყველანი ერთობლივად უგზავნიან ლოცვა-კურთხევას დიდებულ და დიდსულოვან ოჯახს, რომელიც მაგალითს აძლევს ამა ქვეყნის დიდკაცთ და ხელს უწვდის ჩაგრულთ, სრულიადაც არა სძაგს ღარიბ-ღატაკი და პატივსა სცემს მის ჭაღარას. ესაა ხოტბა სასიამოდ აღვლენილი კეთილისმყოფელ ადამიანთათვის! უკეთუ ზენა შეისმენს კეთილისმყოფელთა მაქებარი ადამიანების ღაღადისს, რასაკვირველია, არა იმას, რაიც წარმოითქმის სულმდაბალ მლიქვნელთა პირით იმათი თანდასწრებით, ვისაც ისინი ყველას გასაგონად ასხამენ ქებას, _ არა, ღმერთი შეისმენს უბრალო სოფლურ ქოხმახში პატარა ბუხართან ახმიერებულ ლოცვა-კურთხევას, სადაც მას წარმოთქვამს მიამიტი და მადლიერი ადამიანი.

Aაი, სასიამო და სანეტარო გრძნობას ასე ძალუძს მომხიბვლელობა მიანიჭოს გულგრილ ადამიანთათვის მოსაწყენ განმარტოებულ ცხოვრებას; ასეთი შრომა და მზრუნველობა სასიამტკბილო გახდება, უკეთუ ოსტატურად გავანაწილებთ მათ. ჯანსაღი

სულის მქონე ადამიანისათვის სასიხარულოა უაღესად ჩვეულებრივი საქმიანობა, ისე როგორც ჯანსაღი სხეულისათვის სასიამოა ყველაზე უბრალო სასმელ-საჭმელი. მუდამ დაღვრემილი ადამიანები, რომელთა გართობაც ასე ძნელია, თავიანთ დარდსა და სევდას უნდა უმადლოდნენ მათ მიერ შეთვისებულ ბიწერებათ, და სიამოვნების გრძნობას კარგავენ მოვალეობის გრძნობასთან ერთად.

ჟიულის ყველაფერი პირიქით მოუხდა, _ ოდესღაც, სევდით მოცული, საზრუნავს რომ უგულებელყოფდა, ახლა საყვარელი გამხდარა მისთვის, რადგანაც შეჰყვარებია მისი მიზეზები. უგრძნობელი უნდა იყო კაცი, რომ არასოდეს გამოიჩინო ხალისი. ჟიულის განუვითარდა ხალისი იმავე მიზეზთა გამო, ერთ დროს რომ სჯაბნიდნენ მას. გული მისი ეძიებდა განმარტოებასა და მყუდროებას, რათა გულარხეინად აჰყოლოდა ამ გულის შემსჭვალავ გრძნობებს; და ამჟამად, როცა დამყარდა ახალი საარსებო კავშირ-ურთიერთობანი, ჟიული მიეჩვია ახალ საქმიანობას. იგი როდი ეკუთვნოდა იმ უდარდელ დედათა რიცხვს, რომლებსაც ჯერ კიდევ სწადიათ სწავლა, როცა უკვე საჭიროა მოქმედება, და, იმის ცქერაში, თუ როგორ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას სხვა დედები, მხოლოდ კარგავენ ძვირფას დროს, ვინაიდან თავად არაფერს აკეთებენ. ამჟამად ჟიული იყენებს წინათ შეძენილ ცოდნას. უკვე აღარ სწავლობს, აღარც კითხულობს, _ ის მოქმედებს. ქმარზე ერთი საათით გვიან დგება, სამაგიეროდ, ერთი საათითვე გვიან წვება. ესაა ერთადერთი საათი, რასაც კითხვას ანდომებს, და დღე არასოდეს მიაჩნია ხანგრძლივად, _ იმდენი საქმე აქვს გასაკეთებელი, და მასთან სასიამო საქმეებიც.

Aაი, მილორდ, რაც მინდოდა მომეთხრო თქვენთვის ამ სახლის ყოფა-ცხოვრების გამო, და აგრეთვე ასეთი წესრიგის დამამყარებელ მის პატრონთა პირად ცხოვრებაზეც. თავიანთი ხვედრით კმაყოფილნი, გულმშვიდად განსცხრებიან ამ ცხოვრებით; თავიანთი ქონებით გულსავსენი, იმის გამო კი არ შრომობენ, რათა უფრო მეტი მოინაგრონ თავიანთი ბავშვებისათვის, მათ სურთ აუცილებლივ გადასცენ შვილებს სამემკვიდრეო ქონება, მიწა-წყალი, დაუტოვონ მათ ერთგული მსახურნი, შთაუნერგონ ბავშვებს შრომისმოყვარეობა, წესიერების შნო, ზომიერება და ყოველივე ის, რაც კეთილგონიერ ადამიანთათვის სასიამოს და აღმაფრთოვანებელსაც კი გახდის ცხოვრებას პატიოსნად შეძენილი და გონივრულად შენარჩუნებული უმნიშვნელო შეძლებით.

III წერილი

სენ-პრესაგან მილორდ ედუარდისადმი[128]

უკანასკნელ ხანს ჩვენ სტუმრები გვყავდა, გუშინ წავიდნენ, კვლავ სამნი დავრჩით და ესოდენ მცირერიცხოვან საზოგადოებაში ყოფნა დიდად გვსიამოვნებს, მით უმეტეს, რომ ახლა უკვე აღარა გვაქვს გულში რაიმე დაფარული, რის დამალვაც გვსურდეს

[128] სხვადასხვა დროს დაწერილ ორ წერილში განხილულია ორი საგანი, რამაც გამოიწვია ზედმეტი განმეორებანი. ზედმეტის ამოსაგდებად ორი წერილი გავაერთიანე. მე არ განმიზრახავს გავამართლო მეტისმეტად გაჭიანურებული მრავალი წერილი, რომელთაგან შესდგება ეს კრებული, ოღონდ უნდა აღვნიშნო, რომ მარტოხელა ადამიანები ჩვეულებრივ იშვიათად წერენ, მაგრამ – გრძელ-გრძელ წერილებს; მაღალი წრის ადამიანები კი იშვიათად წერენ. როგორც კი ამ განსხვავებას შევამჩნევთ, მაშინვე გასაგები ხდება მათი მიზეზებიც.

ერთმანეთისთვის. რა სასიხარულოა, რომ ვხდები თქვენი ნდობის ღირსი სულ სხვა ადამიანი! პატივისცემის ყოველ ნიშანზე, რითაც მაჯილდოებენ ჟიული ანდა მისი ქმარი, რაღაცნაირი სიამაყით ვეუბნები ჩემს თავს: როგორც იქნა, სამარცხვინო აღარ იქნება ჩემთვის მათ წინაშე წარდგომა-მეთქი. იმედი მაქვს, მხოლოდ თქვენი მზრუნველობის მეოხებით ჩემი ახლანდელი მდგომარეობა წაშლის ჩემს წინანდელ შეცდომებს. ჩამქრალი სიყვარული ანადგურებს ადამიანს, დამორჩილებული სიყვარული გამარჯვების შეგნებასთან ერთად აღგვიძრავს ახალ-ახალ დიად აღტყინებას და უფრო მეტად ხალისიან მისწრაფებას ყოველივე ამაღლებულისა და მშვენიერის მიმართ. განა ვინ მოისურვებს ჩვენთვის ასე ძვირად ფასეული მსხვერპლის ნაყოფთა დაკარგვას? არა, მილორდ, ვგრძნობ, რომ თქვენი მაგალითის მიხედვით, ჩემი გულიც თავის სასარგებლოდ გადააცევს მის მიერ დამარცხებულ ყველა მგზნებარე გრძნობას, ვგრძნობ, რომ უნდა ვყოფილყავი ის, რაც ვიყავი, რათა გავმხდარიყავი ის, რადაც მინდა ყოფნა.

ექვსი დღე დავაბანდეთ ჩვენთვის უმნიშვნელო ადამიანებთან ფუჭ საუბარში, ხოლო დღეს პირველი დილა ინგლისურ ყაიდაზე გავატარეთ, ესე იგი, შევიკრიბენით სამივენი, მაგრამ ვდუმდით, რადგან ძლიერ გვსიამოვნებდა ერთად ყოფნა და გვატკბობდა ჩუმი გულისხმიერების გრძნობა. აჰ, რა ცოტა ვინმესთვისაა ცნობილი ეს სანეტარო მდგომარეობა! საფრანგეთში არ მინახავს არავინ, თუნდაც ოდნავი წარმოდგენა რომ ჰქონდეს ამაზე. მეგობართა შორის საუბარი არასოდეს წყდებაო, ამბობენ ისინი. რასაკვირველია, ფუქსავატური მეგობრული განწყობილების დროს ენა უფრო ადვილად ტრიალებს და საუბარიც თავისთავად მიმდინარეობს. მაგრამ, მილორდ, მაინც სულ სხვაა მეგობრობა! ცხოველმყოფელო და ცისიერო გრძნობავ, აბა, რა ვთქვა ისეთი, შენი ღირსი რომ იყოს? რა სიტყვებით გადმოვცეთ შენი ამბავი? ნუთუ რასაც ეუბნები შენს მეგობარს, იმ სიტყვათ ძალუძთ გადმოგვცენ, თუ რასა გრძნობ მასთან ყოფნისას? რაოდენი რაიმეს თქმა შეუძლია ხელის ჩამორთმევას, ხალისიან მზერას, ჩახუტებასა და ოხვრას, რაც ამას მოჰყვება. და ამასთან შედარებით რა უკმეხი მოგეჩვენება წარმოთქმული სიტყვა. ჰოი, ბეზანსონის საღამოებო! მეგობრისათვსი მიძღვნილო და მისგან განცდილო მდუმარების სანეტარო წუთებო! Oოი, ბომსტონო, დიდსულოვანო არსებავ, კეთილშობილო მეგობარო! არა, მე როდი შევბღალე ყოველივე ის, რაც შენ ჩემთვის გააკეთე, და ამის გამო ბაგეთა ჩემთა შენთვის აროდეს არაფერი წამოსცდენიათ.

უეჭველია, მგრძნობიარე არსება ძალზე დიდ სიამოვნებას განიცდის მჭევრმეტყველების ჟამს. ყოველთვის ვიცოდი, აბეზარი მოლაყბენი ხელს რომ გვიშლიდნენ განცხრომაში და მეგობრები აუცილებლად მარტონი უნდა დარჩენილიყვნენ, რომ სხვათა დაუსწრებლად თავისუფლად და ლაღად ელაპარაკნათ ერთმანეთთან. მათ სურთ, ასე ვთქვათ, ურთიერთს მიაპყრონ გულისყური; და რა აუტანელია, თუკი ამ დროს რაიმე შეუშლის ხელს და საუბარი ნაძალადევი იქნება! ზოგჯერ ბაგეთაგან დასცდება კაცს საგულისგულო სიტყვა, _ რა საამურია მისი წარმოთქმა მოურიდებლად! ასე გგონია, შეუძლებელიაო თავისუფალი ფიქრი, რადგან არ ძალგიძს თავისუფლად ლაპარაკი; ასე გგონია, გარეშე პირის მარტოოდენ თანდასწრება მოგიშთობს გრძნობას და გულს დაგიმძიმებს, მაშინ, როცა უცხოთა არყოფნისას ასე კარგად გვესმოდა ერთმანეთის.

ორი საათი გავატარეთ წყნარად და მხიარულად, ათასგზის უფორორე სასიამოვნოდ, ვინემ ეპიკუროსის ღმერთთა ცივ სავანეში. ნასაუზმევს ოთახში შემოვიდნენ ბავშვები, მაგრამ ჟიულიმ მათთან საბავშვო ოთახში გასვლის ნაცვლად, ჩვეულების წინააღმდეგ, დაიტოვა ისინი, თითქოსდა სურდა აენაზღაურებინა ჩვენთვის დაკარგული დრო, და სადილობამდე ერთად ვიყავით. ანრიეტა, რომელიც უკვე ეჩვეოდა ნემსის ხმარებას, სამუშაოს მიჯდომოდა ფანშონის წინ, ის კი ქსოვდა მაქმანს, თანაც ანრიეტას დაბალი სავარძლის საზურგეზე ედო ბალიში. მაგიდასთან მიმჯდარი ბიჭები ფურცლავდნენ

სურათებიან ალბომს, და უფროსი გულდასმით უხსნიდა უმცროსს სურათთა შინაარსს. ანრიეტა ყურს უგდებდა და, როცა ბიჭუნას ეშლებოდა, უსწორებდა, რადგან ზეპირად იცოდა ყველა სურათის ამბავი. ხანდახან თავს იკატუნებდა, თითქოს ვერ გავარჩიე, რომელ გრავიურას ათვალიერებენო, ამ მიზეზის გამო წამოდგებოდა და მიდიოდა მათთან. ჩანს, მოსწონდა ეს გასეირნება მომცრო სავარძლიდან მაგიდისაკენ და პირიქით, და ამ დროს გოგონას ყოველთვის აჯავრებდა მისი პატარა «საქმრო»; ზოგჯერ ცელქობასთან ერთად უხერხულად უშვერდა თავის ბავშვურ ბაგეთ საკოცნელად, და უფრორე მიხვედრილი ანრიეტა ხალისით შველოდა მას თავი დაეღწია ზედმეტი ცერემონიებისთვის. სანამ ეს პატარა გაკვეთილები ტარდებოდა, უმცროსი ჩუმ-ჩუმად ათამაშებდა მის მიერ წიგნში შემალულ ბზის ჩხირებს.

ქალბატონი დე ვოლმარი ქარგავდა ფანჯარასთან, ბავშვების ახლოს; მისი ქმარი და მე ჯერ ისევ ჩაის მაგიდას ვუსხედით და ვკითხულობდით გაზეთს, რასაც არცთუ ისე დიდ ყურადღებას აქცევდა ჟიული. ოღონდ, როცა წავიკითხეთ საფრანგეთის მეფის ავადმყოფობისა და მის მიმართ ხალხის არაჩვეულებრივი სიყვარულის ამბავი, რაიც მხოლოდ ჰერმანიკესადმი რომაელთა სიყვარულს თუ შეედრებოდა, მან რამდენიმე სიტყვა წარმოთქვა ამ თავაზიანი და კეთილმოსურნე ერის საუცხოო ნიშან-თვისებათა გამო, რომელიც ყველას სძულდა, იმ დროს, როცა თავად იგი არც ერთი ერის მიმართ სიძულვილს არ ამჟღავნებდა, და კვლავ ისიც დაუმატა, მე, ჟიულის, მშურს კიდეც უავგუსტოეს პიროვნებათა ბედი მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ასე უყვართო, ეს რაოდენ დიდი სიხარულიაო! «ნუ გშურს, _ წარმოთქვა მისმა ქმარმა ისეთი კილოთი, როგორითაც მე შემფეროდა ამის თქმა, რასაკვირველია, მისი დასტურით. _ ნუ გშურთ მონარქთა ბედი, ჩვენ ხომ უკვე დიდი ხანია თქვენი ქვეშევრდომნი ვართ». ამ სიტყვების გაგონებაზე ჟიულის ხელთაგან გაუვარდა ნაქარგი, შემობრუნდა და თავის ღირსეულ მეუღლეს ისეთი გულში ჩამწვდომი და ნაზი მზერა მიაპყრო, რომ მეც კი ჟრუანტელმა დამიარა. არაფერი წარმოუთქვამს, აბა, რა სიტყვები შეედრებოდა ამ მზერას? ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ. მისმა ქმარმა ხელზე ხელი მომიჭირა და ვიგრძენი, თანაბარმა მღელვარებამ რომ შეგვიპყრო ყველანი და ამ მადლმოსილი არსების გავლენა ვრცელდებოდა ყველა გარშემომყოფის მიმართ და უგრძნობელ ადამიანსაც კი ქედს მოადრეკინებდა.

ასეთი გუნება-განწყობილების დროს წუთით დაისადგურა მდუმარებამ, რის გამოც უკვე გეუბნებოდით: თავადვე ხედავთ, რომ ამ მდუმარებას არ გამოუწვევია არც უგუნებობა და არც სევდა-ვარამი. სიჩუმეს მხოლოდ ბავშვების ტიკტიკი არღვევდა და ისინიც, როგორც კი ლაპარაკი შევწყვიტეთ, უფროსთა მიბაძვით, მიჩუმდნენ, თითქოსდა შიშობდნენ, უფროსთა მყუდრეობა არ დავარღვიოთო. მაგალითი პატარა მეთაურმა ანრიეტამ მისცა: ხმას დაუწია, ანიშნებდა ძმებს, გაჩუმდითო, თითის წვერებზე მიმორბოდა მაგიდის ახლოს; მათი თამაში კიდევ უფრო სასაცილო გახდა, ვინაიდან ოდნავი მოკრძალება განსაკუთრებულ სიმშვენიერეს ანიჭებდა მას. ამ სანახაობამ, რომელიც თითქოსდა იმისათვის მოგვევლინა, რომ უფრო მეტხანს ვყოფილიყავით გრძნობამორეულნი, ბუნებრივია, ჩვენზედაც დიდად იმოქმედა.

AAAmmutiscon le lingue, e parlan l'alme.[13]

რაოდენი რამ ითქვა მაშინ, თუმცა ბაგე არ დაგვიძრავს! რაოდენი მგზნებარე გრძნობანი გავანდეთ ერთმანეთს სიტყვათა უმოციქულოდ! შეუმჩნევლად ჟიულის დაეუფლა მოჭარბებული გრძნობები. თვალთა მზერას უკვე ვეღარ აშორებდა სამ ბავშვს,

[13] ენა მდუმარებს, მხოლოდ გულები მეტყველებენ (იტალ.).

გასაოცარი ექსტაზი ავსებდა მის გულს, დედობრივი სინაზის უაღრესად გულში ჩამწვდომი გამომეტყველბით განუცხოველებდა მშვენიერ სახეს.

ამ საუცხოო სურათით დატყვევებულნი, ორივენი _ მე და ვოლმარი _ გაგვიტაცა ოცნებამ; ანაზდად ამ ოცნების გამომწვევმა ბავშვებმა შეგვიწყვიტეს ფიქრთა გვრიობა. უფროსმა ბიჭუნამ, გრავიურებით თავს რომ ირთობდა, შენიშნა, ჩემი ძმა ჩხირებს მეტ ყურადღებას აქცევსო; როცა ბიჭუნამ ისინი მუჭში მოიგდო, უფროსმა დრო იხელთა და ისე დაარტყა ხელზე ხელი, რომ ჩხირები იატაკზე მიმოიფანტნენ. მარსელინი ატირდა; ხოლო ქალბატონი დე ვოლმარი როდი შეუდგა მის დაშოშმინებას, არამედ ხმის ამოუღებლად უთხრა ფანშონს, ჩხირები აქედან გაიტანეო. ბავშვი მყისვე დაწყნარდა, მაგრამ ჩხირები მაინც გაიტანეს, და, ჩემი მოლოდინის მიუხედავად, ტირილიც მიყუჩდა. ამ უმნიშვნელო შემთხვევამ გამახსენა მრავალი სხვა ამის მსგავსი ამბავი; წინათ არც კი ვაქცევდი ყურადღებას, ახლა კი, როცა ყველაფერს ჩავუფიქრდი, უნდა ვთქვა, ჯერ არსად მინახავს ასეთი ბავშვები, ჟიულის რომ ჰყავს, ბავშვები, რომელთაც ასე ცოტას ასწავლიან ჭკუას და მაინც ასე იშვიათად აბეზრებენ თავს ყველას. თითქმის არ შორდებიან დედის კალთას, მაგრამ ვერც კი ამჩნევ მათ იქ ყოფნას. სამივე მუდამ მხიარულნი, მკვირცხლნი, ცელქები არიან, როგორც შეფერის მათ ასაკს, ოღონდ არა აბეზარნი და მყვირალნი, და უმალ მიხვდებით, ძალზე თავაზიანნი რომ არიან, თუმცა ჯერ კიდევ არ ესმით, თუ რა არის თავაზიანობა. როცა ამ ამბებს ჩავუფიქრდი, გასაოცარ დასკვნამდე მივედი: ყველაფერი თითქოსდა თავისთავად გამოუდით, რადგან ჟიული, მიუხედავად ბავშვების მიმართ მთელი თავისი მგზნებარე სინაზისა, როდი ფუსფუსებს მათ გარშემო. მართლაცდა, თავის დღეში არ აიძულებს მათ ილაპარაკონ ან გაჩუმდნენ, არც რაიმეს უბრძანებს და არც უკრძალავს. არასოდეს ეჩხუბება და ხელს არ უშლის მათ გართობა-თამაშს. თითქოსდა, მარტოოდენ სიყვარულით შეჰყურებსო, და უკეთუ მთელ დღეს გაატარებს მათთან, სწორედ ესაა მისი დედობრივი მოვალეობაც.

თუმცა უფრო სასიამოვნოა ვუცქერდე ამ მშვიდობიან მყუდროებას, ვიდრე მზრუნველობით მოფუსფუსე სხვა დედებს, მაგრამ გამაოცა ამ მოსაჩვენარმა უდარდელობამ, რაიც როდი შეესაბამება ჩემს შეხედულებებს. ერთი რამ კი მსურდა: მიუხედავად იმისა, რომ ჟიულის აქვს ყველა საფუძველი იყოს კმაყოფილი, მაინც არ უნდა დარჩეს არხეინად: ბავშვების გამო თუნდაც მეტისმეტი მოუსვენრობა და წუხილი უფრო შეშვენის დედის სიყვარულს. ყოველივე კარგი, რაც შევამჩნიე ჟიულის ბავშვებს, მინდა მივაწერო დედის მზრუნველობას; ვისურვებდი, რომ ისინი ამ მხრივ უფრო დედის მადლიერნი იყვნენ, ვიდრე ბუნებისა; ვისურვებდი, რომ მათ ჰქონდეთ რაიმე ნაკლოვანებები და დედა ცდილობდეს მათ გამოსწორებას.

საკმაოდ დიდხანს ვიფიქრე ამის გამო და ბოლოს დუმილი დავარღვიე და ჟიულის გავუზიარე ჩემი აზრები. «ვხედავ, _ ვუთხარი მას, _ რომ ზენა აჯილდოებს დედათა სათნოებას შვილების კეთილი მიდრეკილებებით; ოღონდ უნდა განვავითაროთ ეს კეთილი მიდრეკილებანი. ბავშვის აღზრდას უნდა შევუდგეთ მისი დაბადების დღიდანვე. განა რომელი დრო და ხანია უფრო ხელსაყრელი მათი ზნე-ხასიათის გამოსაწრთობად ვიდრე ის, როცა სრულიადაც არ მოგვიხდება მისი დაძლევა. უკეთუ სიყრმიდანვე თავის ნებაზე მივუშვებთ მათ, მაშინ რომელ ასაკში უნდა ველოდოთ მათ მორჩილებას? ვთქვათ, არაფრის სწავლა არ სჭირდებათ, მაგრამ მაინც ხომ უნდა მიაჩვიოთ გამგონეობას?» _ «განა თქვენ შენიშნეთ, რომ არ მიგონებენ?» _ მკითხა ჟიულიმ. «ამის შენიშვნა ძნელია, _ მივუგე მე, _ თქვენ ხომ არაფერს უბრძანებთ მათ?» ღიმილით გადახედა ქმარს, ხელი ჩამკიდა და გამიყვანა კაბინეტში, სადაც ბავშვები ვერ მოგვისმენდნენ.

და იქ უფრო თავისუფლად ამიხსნა თავისი წესები და დამიმტკიცა, ჩემი მოსაჩვენარი დაუდევრობის მიღმა შვილების მოყვარული დედის ყველაზე ფხიზელი

ყურადღება იმალებაო. «დიდი ხანია ადრიანი აღზრდის გამო თქვენებრი აზრებით ვიყავ გამსჭვალული, და როცა პირველ ბავშვს ვატარებდი მუცლით, შიშით ვფიქრობდი, თუ რა მოვალეობანი დამეკისრეობდა მალე და ხშირად შეშფოთებით ველაპარაკებოდი მათ გამო ჩემს ქმარს. ვის შეეძლო ამ საქმეში ყოფილიყო ჩემი საუკეთესო ხელმძღვანელი, თუ არა მას, განათლებულ და დაკვირვებულ ადამიანს, ვინაც მამობრივ გრძნობას ასე საუცხოოდ უხამებს ფილოსოფოსის სიდინჯეს! მან გადაჭარბებით გამიმართლა ყოველი ჩემი იმედი და მოლოდინი: განმიფანტა ჩემი ცრურწმენანი და მასწავლა, უმცირესი შრომით თუ როგორ უნდა მოვიპოვო ამ საქმეში ყველაზე დიდი წარმატებები. დამარწმუნა, აღზრდის თავდაპირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი, მაგრამ ყველასაგან დავიწყებული დებულება[14] ის არის, რომ ბავშვს შეეძლოს იმის ათვისება, რასაც შთააგონებენო. მშობლები, რომელთაც ჰგონიათ, საქმეში ჩახედულნი და ფრიად მცოდნენი ვართო, ერთსა და იმავე შეცდომას სჩადიან: თავიანთი ბავშვები დაბადების დღიდანვე გონიერ არსებებად მიაჩნიათ და სანამ ენას ამოიდგამდნენ, ისე ელაპარაკებიან, როგორც მოზრდილ ადამიანებს. გონებას აღზრდის საშუალებად თვლიან, იმ დროს, როცა კვლავ ესოდენი საშუალებების გამოყენებაა საჭირო ბავშვის გონების გასაწრთვნელად, და ადამიანისათვის დამახასიათებელ ყველა ნიშან-თვისებათა განვითარებისას ყველაზე მოგვიანებითა და ყველაზე ძნელად სწორედ გონების განვითარება ხერხდება, უკეთუ ბავშვებს ყველაზე უადრესი ასაკიდან მათთვის სავსებით გაუგებარ ენაზე ელაპარაკებიან. ამრიგად, აჩვევენ მედიდურად ლაყბობას და უფროსთა უპატივცემულობას, ყველაფერ იმის გაკრიტიკებას, რასაც მათ ეუბნებიან, თავიანთ მასწავლებლებივით ბრძენებად წარმოიდგენენ თავს და ხდებიან თავნება მოკამათენი, და მაშინ კი ყოველივე, რის მოპოვებაც სურდათ ბავშვთა გონების მოხმობით, სინამდვილეში ხერხდება დაშინებით ანდა მათ პატივმოყვარეობაზე ზემოქმედებით.

ისეთ ბავშვებთან, რომელთა აღზრდაც ამგვარად სურთ, ვერაფერს გახდებით; და მშობლებსაც თავს აბეზრებს, აღაშფოთებს და განაწამებს დაუსრულებელი თავაშვებული უსაქციელობა, რასაც თვითონვე შეაჩვიეს თავიანთი შვილები, უკვე ვეღარ უძლებენ ესოდენ არასასიამო დავიდარაბას, იძულებულნი ხდებიან მოიშორონ შვილები და მასწავლებლებს დააკისრონ მათი აღზრდა; თითქოსდა იმედი უნდა იქონიონ, დამრიგებელს, გარეშე ადამიანს, ღვიძლ მამაზე უფრო დიდი მოთმინება და სიყვარული აღმოაჩნდებაო.

ბუნებას ნებავს, _ განაგრძობდა ჟიული, _ მოზრდილებად გახდომამდე ბავშვები ბავშვებად რომ დარჩნენ. უკეთუ განვიზრახავთ ასეთი ბუნებრივი ვითარების დამახინჯებას, მაშინ მხოლოდ და მხოლოდ ძალზე ადრეულ ნაყოფს მოვწყვეტთ, რაც უმწიფარიც იქნება, უნდილიც და მალე გაფუჭდება კიდეც; ჩვენ გვეყოლება მეტისმეტად ნორჩი სწავლულები და ღრმად მოხუცებული ბალღები. ბავშვები ყველაფერს თავისებურად აღიქვამენ, განიცდიან და ხედავენ. ყველაზე დიდი უგუნურობა ის არის, როცა ვაიძულებთ მათ ყველაფერი ჩვენსავით აღიქვან და ათი წლის ბავშვს მოვთხოვოთ იყოს უაღრესად გონებადამჯდარი; ეს იმას ემსგავსება, ვისურვოთ, იმთავითვე ხუთი ფუტის სიმაღლე რომ ჰქონდეს.

გონება მხოლოდ და მხოლოდ ბავშვის დაბადებიდან რამდენიმე წლის შემდეგ იწყებს განვითარებას, როცა მისი სხეულიც ცოტა ძალ-ღონეს მოიცემს. მაშასადამე, ასეთია კიდეც ბუნების განზრახულობა: ჯერ უნდა განმტკიცდეს სხეული, ხოლო შემდეგ განვითარდეს გონება; ბავშვები გამუდმებით მოძრაობენ, მყუდროება და ფიქრიანობა

[14] თავად ლოკმა, ბრძენმა ლოკმა დაივიწყა ეს დებულება; იგი უფრო მეტს ლაპარაკობს იმის გამო, რაც უნდა მოვთხოვოთ ბავშვებს, ვიდრე იმაზე, თუ როგორ მივაღწიოთ ამას.

ბავშვთა ასაკის მტერია; მჯდომარე ცხოვრება და სიბეჯითე ხელს უშლის ბავშვთა აღზრდას და არავითარ ხეირს არ დააყრის მათ; ვერც მათი გონება, ვერც სხეული ვერ ითმენენ ძალდატანებას. უკეთუ გამუდმებით ვამყოფებთ მათ კარჩაკეტილ ოთახში, წიგნებთან, ისინი კარგავენ მთელ თავიანთ ხალისს, უძლურდებიან, ხდებიან უსუსურნი, ჯანღონეგამოცლილი და უმალ გამოშტერებულნი, ვიდრე გონებადამჯდარნი, და მთელი სიცოცხლის მანძილზე იმასღა განიცდიან, მათი სული ჯანდაგ სხეულში რომაა მოთავსებული.

გონების ნაადრევი განვითარების ყველა ეს საზიანო ცდები მოულოდნელად სასარგებლოც რომ აღმოჩნდეს მისთვის, მაშინაც კი მათ ერთი დიდი ნაკლი ექნებოდათ, სახელდობრ _ სურვილი განურჩევლად ყველას მიმართ ერთ და იმავე ხერხთა გამოყენებისა, იმ საშუალებათა გამოუნახავად, ყველაზე უფრო რომ შეეფერებიან ამა თუ იმ ბავშვის ბუნებას. კაცთა მთელი მოდგმისთვის საყოველთაო სულიერი აგებულების გარდა, ყოველ ადამიანს ხომ დაბადებიდანვე დაეკვებება თავისი განსაკუთრებული ტემპერამენტი, რაიც განსაზღვრავს მის მიდრეკილებებსა და ზნე-ხასიათს, და ამოცანა ის კი არ არის, რომ შეეცვალოთ ანდა ჩავახშოთ ეს თვისებები, არამედ განვავითაროთ და სრულვქმნათ ისინი. ბ-ნ დე ვოლმარის აზრით, ყველა ზნე-ხასიათი თავისებურად კარგია და ჯანსაღი.

«ბუნებას, _ ამბობს ის, _ შეცდომები არ მოსდისო.[15] ყველა ბიწიერება, რასაც ბუნებრივ მიდრეკილებებს მიაწერენ, სინამდვილეში ცუდი აღზრდის გამო ვითარდება. ამქვეყნად არ არსებობს ისეთი არამზადა, დიდ ღირსებად რომ არ გადაიქცეს მისი მიდრეკილებანი, თუკი უფრო უკეთ წარვმართავთ და ვუხელმძღვანელებთ მათ. არ არსებობს ისეთი ჩიტირეკია ვინმე, რომელსაც არ შთაუნერგონ სასარეგბლო ნიჭი, უკეთუ მას ჯეროვან ყურადღებას მიაგებენ. იმის მსგავსად, როცა მოქანდაკე დიდად მშვენიერსა და პროპორციულს ხდის უფორმო და მახინჯ ფიგურებს გარკვეული რაკურსით განლაგებისას. სამყაროს სისტემაში ყველაფერი ხელს უწყობს საყოველთაო კეთილდღეობას. იდეალურ, საუკეთესო ვითარებაში ყოველ ადამიანს მიჩენილი აქვს თავისი ადგილი, _ მხოლოდ უნდა გამოვძებნოთ იგი, ეს ადგილი, და ზიანი არ მივაყენოთ საყოველთაო წესრიგს. რა მოჰყვება ისეთ აღზრდას, რომელსაც აძლევენ ბავშვს აკვნიდანვე ერთი და იმავე სქემის მიხედვით, და არაფრად აგდებენ ზნე-ხასიათის გასაოცარ ნაირფეროვნებას? ადამიანთა უმრავლესობა ბავშვებს აძლევს მავნე და შეუფერებელ აღზრდას და აღუკვეთს ისეთ აღზრდას, რაც შესაბამისი იქნებოდა მათთვის, ყოველმხრივ ზღუდავენ მათ ბუნებრივ მიდრეკილებებს, უქარწყლებენ მაღალ თვისებებს და მათ ნაცვლად უნერგავენ ნამდვილ ღირებულებას მოკლებულ ნიშან-თვისებათ, ცდილობენ ერთი და იმავე ხერხებით განავითარონ ყველაზე სხვადასხვაგვარი უნარი და ნიჭიერებანი, მასთან ერთის საშუალებით მოსპონ მეორე, ანდა გასაოცარი არევ-დარევა შეიტანონ შიგ და როცა ამდენ ძალ-ღონეს დახარჯავენ ბავშვთა ნამდვილი, ბუნებრივი ნიჭისა და უნარის საზიანოდ, აღმზრდელები მალე დაინახავენ, როგორ ნელდება ის მოკლეჟამიერი და ფუჭი ელვარება, რომელიც ამჯობინეს ბუნებრივ უნარს, ხოლო ჩახშობილი ნიჭი და უნარი კვალად აღარ აღორძინდება; დაკარგულად ჩაითვლება ისიც, რაც გაანადგურეს დამრიგებლებმა, და ისიც, რაც ჩაუნერგეს თავიანთ აღზრდილებს და, ბოლოსა და ბოლოს, მძიმე მაგრამ სულელური შრომის ჯილდოდ ყველა ეს ნორჩი გენიოსები არარაობად იქცევიან, რომელთაც აღარც ჭკუა უჭრით და აღარც სულიერი ღირებულებანი გააჩნიათ, მხოლოდ ცნობილი იქნებიან თავიანთი უძლურებითა და უმაქნისობით».

---

[15] ესოდენ სწორი შეხედულება გასაოცრად მიმაჩნია ბ-ნ დე ვოლმარისათვის. თუ რატომ, ეს მალე გახდება ნათელი.

«ეს ფრიად გასაგები წესებია, _ ვუთხარი ჟიულის, _ ოღონდ რატომღაც ძნელია მათი შეთანხმება თქვენივე საკუთარ შეხედულებებთან, _ თქვენ ხომ ამბობდით, თითოეული ადამიანის ბუნებრივი ნიჭისა და უნარის განვითარება იშვიათად თუ უწყობს ხელს როგორც ცალკეული პიროვნების ბედნიერებას, ისე მთელი საზოგადოების ნამდვილ კეთილდღეობასო. განა უკეთესი არ იქნება, და ძალზე უკეთესიც, რომ ოცნებით შევქმნათ გონიერი და პატიოსანი ადმიანის სრულყოფილი ნიმუში და ვეცადოთ აღზრდის გზით მივუახლოვოთ ბავშვი ასეთ ნიმუშს, ნორჩი აღსაზრდელისათვის ზოგიერთი თვისების აღძვრით, სხვების დაოკებით, ვნებათა დაცხრომით, გონების განვითარებით, ბუნების შესწორებით?..» _ «ბუნების შესწორებით! _ წამოიძახა ვოლმარმა და სიტყვა შემაწყვეტინა. _ კარგი სიტყვებია, თქვენმა მზემ! ოღონდ, ასეთი სიტყვის წარმოთქმამდე, პასუხი უნდა გაგეცათ იმაზე, რაც ახლა ჟიულიმ გითხრათ».

და მაშინ, მე მგონია, ძალზე მკვახედ ვუპასუხე და უარვყავი ჟიულის მიერ წამოყენებული დებულება. თქვენ გამუდმებით ფიქრობთ, გონებისა და ნიჭის ნაირფეროვნება, რაც ერთმანეთისაგან განასხვავებს ადამიანებს, თვით ბუნებისაგან არის შექმნილიო, და ეს სავსებით ცხადია. თუკი ჭკვიანი ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისგან თავთავიანთი ანაგობის მიხედვით, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ძლიერებითაც არ არიან თანასწორნი; როცა ბუნებამ არათანაწორნი შექმნა ისინი, ზოგიერთს სხვათა წინაშე უპირატესობით მიანიჭა რამდენადმე უფრო მეტად მახვილი შეგრძნება, უკეთესი მეხსიერება და ყურადღების ძალა; რაც შეეხება შეგრძნებასა და მეხსიერებას, მათი სიმახვილისა და სრულყოფილების სხვადასხვა ნიშან-თვისება სრულიადაც არ წარმოადგენს ადამიანის გონების საზომს, ხოლო, რაც შეეხება ყურადღების ძალას, იგი მთლიანად ექვემდებარება ჩვენს აღმაფრთოვანებელ ვნებათა სიძლიერეს, თანაც დადასტურებულია, რომ ყოველ ადამიანს თავისი ბუნებით შესწევს უნარი განიცადოს საკმაოდ ძლიერი ვნებანი, რომელთაც ძალუძთ იქამდე აღამაღლონ მათი ყურადღების ძალა, რასთანაც დაკავშირებულია გონების უპირატესობა. ხოლო უკეთუ გონების ეს სხვაობა ბუნებისგან კი არ გამომავლობს, არამედ აღზრდისაგან, ესე იგი, სხვადასხვა აზრთაგან, სხვადასხვა გრძნობათაგან, რასაც აღგვიძრავენ ჩვენი განმაცვიფრებელი საგნები და ვითარებანი, ჩვენ რომ ვიმყოფებით, და ჩვენს მიერ აღქმული შთაბეჭდილებანი, მაშინ ბავშვთა აღზრდისათვის საჭირო აღარაა დაველოდოთ, თუ როდის შევიტყობთ, როგორია მათი შინაგანი ანაგობა, არამედ პირიქით, მისთვის შესაფერისი აღზრდის მეოხებით უნდა განვუვითაროთ მათ ჩვენთვის სასურველი სულიერი ცხოვრება-მეთქი.

ამის გამო ბ-ნმა დე ვოლმარმა მომიგო, მე არ მჩვევია იმის უარყოფა, რაც აშკარაა, მხოლოდ იმიტომ, რომ არ მესმისო. «აბა, შეხედეთ ამ ორ ძაღლს ეზოში; ისინი ერთსა და იმავე დროს დაიბადნენ, არასოდეს დაუშორებიათ ერთმანეთისთვის, თანაბრად კვებავდნენ და თანაბრადვე უვლიდნენ; მაგრამ ერთი მათგანი მხიარულია, ხალისიანი, მოალერსე და ფრიად ჭკვიანი; მეორე ტლანქია, მოუქმენლი, ავი, და ვერაფრით მოვახერხეთ რაიმე შეგვესწავლებინა მისთვის. მხოლოდ ტემპერამენტის სხვაობით აიხსნება მათი ზნე-ხასიათის სხვაობაც, ისევე როგორც მხოლოდ და მხოლოდ ადამიანთა შინაგანი ორგანიზაციის სხვაობით აიხსნება მათი ჭკუა-გონების განსხვავება, როცა გარემო თანაბარია...» _ «თანაბარიო? _ შევაწყვეტინე მე და შევეკითხე _ მომიტევეთ, ოღონდ ყოველთვის არსებობს სხვაობა! რაოდენი წვრილმანი და უმნიშვნელო რამ ახდენდა ზეგავლეანს ერთ-ერთ მათგანზე და არ შეხებია მეორეს! რაოდენი კნინი შემთხვევა შეჭრილა მის ცხოვრებაში სხვადასხვანაირად, თქვენ კი ეს არ შეგიმჩნევიათ!» _ აი, ხედავთ, _ შენიშნა მან, _ თქვენ ძველი ასტროლოგებივით მსჯელობთ. როცა მათი მოწინააღმდეგენი ამბობდნენ, ერთ ვარსკვლავზე დაბადებული ორი ადამიანის ბედ-იღბალი სავსებით სხვადასხვაგვარი აღმოჩნდაო, ისინი ხელიერთპირად უარყოფდნენ ამ იგივეობას.

ამტკიცებდნენ, ცის სფეროთა განუწყვეტელი ბრუნვის გამო შეიძლება უდიდესი სხვაობა ყოფილიყო ვარსკვლავთ ურთიერთგანლაგებისას, როცა დაიბადა ერთი, და იმ განლაგების დროს, როცა მეორე დაიბადაო, და უკეთუ ზუსტად დადასტურდებოდა, რომელ წუთს დაიბადა ერთიც და მეორეც, მოწინააღმდეგეთა შეკამათება ასტროლოგთა სიმართლის საბუთად გადაიქცეოდა.

თავი ვანებოთ, გეთაყვა, ყველა ამ ნატიფ მოსაზრებებს და მივყვეთ უდავო დაკვირვებებს. ცდებით დასტურდება, რომ არსებობენ ხასიათები, რომლებიც თავს იჩენენ თითქმის დაბადების დღიდანვე, არიან ბავშვები, რომელთა შესწავლა შეიძლება უკვე ძიძის კალთაში. ოღონდ ეს ადამიანთა სავსებით განსაკუთრებული ჯილაგია, მათ აღზრდას ეწევიან სიცოცხლის დასაწყისშივე; რაც შეეხება დანარჩენთ, რომლებიც ნაკლებ სწრაფად ვითარდებიან, თუ ვცდილობთ მათი გონების განვითარებას, მისი ანაგობის შეუსწავლელად, შეიძლება ბოლო მოვუღოთ ყოველივე კარგს, რაც მიანიჭა ბუნებამ ადამიანს, და მათ ნაცვლად შთავუნერგოთ მას ცუდი და უვარგისი. განა თქვენი მასწავლებელი პლატონი არ ამტკიცებდა, კაცობრიობის მიერ შემენილ მთელ ცოდნას, მთელ ფილოსოფიას ძალუძთ ადამიანის სულის სიღრმიდან ამოიხმონ მარტოოდენ ის, რაც ბუნებამ შიგ შთანერგაო, მსგავსად იმისა, როგორც ქიმიას ჯერ არასოდეს არც ერთი ნარევიდან არ მიუღია იმაზე მეტი ოქრო, რასაც ის შეიცავდა? ეს სწორია ჩვენი გრძნობებისა და აზრების მიმართებით, მაგრამ არაა სწორი მიდრეკილებათა მხრივ, ვინაიდან შეიძლება მათი შეძენა. გონების ანაგობის შესაცვლელად უნდა შეიცვალოს მთელი ჩვენი შინაგანი ორგანიზაცია, ხოლო ხასიათის შესაცვლელად საჭიროა ტემპერამენტის შეცვლა, ვინაიდან მას ექვემდებარება ხასიათიც. თუ გსმენიათ ოდესმე, რომ ფიცხი კაცი ფლეგმატიკოსი გამხდარიყოს, ხოლო გულცივ პედანტს წარმოსახვის უნარი აღმოაჩნდეს? ჩემი აზრით, ამის ჩადენა ისევე ძნელია, როგორც ქერა ადამიანის გადაქცევა შავგვრემანად, ხოლო სულელისა _ ჭკუადამჯდარ არსებად. ამაოდ ჰგონიათ, ვითომც შესაძლებელი იყოს სხვადასხვა ყაიდის ადამიანის გადაკეთება ყველასათვის ერთნაირი ნიმუშით. შეიძლება ძალა დავატანოთ, ოღონდ ვერ შევცვლით; შეიძლება დავუშალოთ ადამიანებს ისე მოგვაჩვენონ თავი, როგორებიც არიან სინამდვილეში, მაგრამ შეუძლებელია მათი გადაკეთება; თუკი ყოველდღიურ ცხოვრებაში ისინი თვალთმაქცობენ კიდეც, ყოველი მნიშვნელოვანი შემთხვევის დროს თქვენ დაინახავთ მათ ნამდვილ ზნე-ხასიათს, რასაც ისინი თვალნათლივ დაგანახებენ, ვინაიდან მაშინ იხსნიან თავიანთ ნიღაბს. კვალად ვიმეორებ, საქმე ის კი არაა, რომ შეეცვალოთ ბავშვის ზნე-ხასიათი ანდა ჩავახშოთ მისი ბუნებრივი თვისებები, _ პირიქით, რაც შეიძლება კიდევ უფრო უნდა განვავითაროთ ისინი, აღვზარდოთ და არ მივცეთ გადაგვარების უფლება; სწორედ ამ საშუალებით ხომ ადამიანი მოიპოვებს ყოველივეს, რისი მოლოდინიც უნდა გვქონდეს მისგან, და ბუნების ნამოქმედარს აღზრდა აგვირგვინებს. ზნე-ხასიათის აღზრდამდე საჭიროა მისი შესწავლა; დამშვიდებით დაველოდოთ, როცა თავს იჩენს იგი და მივცეთ თავის გამოჩენის შემთხვევა. სჯობს თავი შევიკავოთ ყოველგვარი მოქმედებისაგან, ვიდრე ვიმოქმედოთ უმართებულოდ. ერთი ნიჭიერი ადამიანი უნდა აღვაფრთოვანოთ, მეორეს ფრთები შევაკვეცოთ; ერთნი უნდა წავახალისოთ, სხვები კი დავაოკოთ; ერთს მოფერება უნდა, მეორეს _ ალაგმვა; საჭირო ხდება ჭკვიან ადამიანთა გამჭრიახობის ხან გამახვილება, ხან დაჩლუნგება. ზოგიერთი ხომ იმისათვისაა გაჩენილი, რომ ადამიანთა ცოდნას უხელმძღვანელოს მის უკანასკნელ მიჯნამდე, ხოლო სხვისთვის კითხვის ცოდნაც კი სავალალო აღმოჩნდება. დავიცადოთ, ვიდრე ბავშვს არ გაუბრწყინდება გონების პირველი ნაპერწკალი, რაიც განსაზღვრავს მის ხასიათს, მართებულად წარმოაჩენს მას. მისი მეოხებით ეწევიან ხასიათის აღზრდას, აკი გონების განვითარებამდე ნამდვილი აღზრდა შეუძლებელიცაა.

რაც შეეხება ჟიულის მოსაზრებებს, რომელთა წინააღმდეგ ილაშქრებთ, არ მესმის, რა წინააღმდეგობებს ხედავთ აქ, ჩემი აზრით, მას ყველაფერი მოგვარებული აქვს: თითოეულ ადამიანს დაბადებიდანვე თან დაჰყვება მისთვის დამახასიათებელი ესა თუ ის ნიჭი და უნარი. მას, ვინც მთელი თავისი სიცოცხლე სოფლურ სიმყუდროვეში უნდა გაატაროს, ბედნიერებისათვის როდი ესაჭიროება ბუნებრივ ნიჭთა განვითარება; მისი ფარული ნიჭი და უნარი ემსგავსება ოქროვან მადნებს ვალეში, საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის რის დამუშავების ნებასაც არ იძლევიან. მაგრამ მოქალაქეთა საზოგადოებაში, სადაც არც ისე საჭიროა მტკიცე ხელი, როგორც ჭკუით გატენილი თავი და სადაც თითოეულმა კარგად იცის თავისი და სხვების ფასი, ფრიად მნიშვნელოვანია ისწავლონ ადამიანისაგან ყოველივე იმის მიღება, რითაც დააჯილდოვა იგი ბუნებამ და ყოველი კაცი წარმართონ იმ გზით, რომლითაც უკეთ შეძლებს დაწინაურებას, ხოლო რაც მთავარია, საჭიროა ვასაზრდოოთ მისი მიდრეკილებანი ყველაფრით, რაც სასარგებლოს გახდის მათ. პირველ შემთხვევაში ანგარიშს უწევენ მხოლოდ თავიანთ მოდგმას _ თითოეული იმასვე სჩადის, რასაც დანარჩენნი; მაგალითი ერთადერთი წესია, ჩვეულება _ ერთადერთი ნიჭი, და თითოეული ანვითარებს თავის სულის იმ ნიშან-თვისებებს, რაიც საერთო გახდა ყველასთვის. მეორე შემთხვევაში ჰბაძავენ ცალკე პიროვნებას, ზოგადად აღებულ ადამიანს, დაუმატებენ იმას, რითაც ამა თუ იმ ადამიანს ძალუძს სხვათა ჯობნა; მისი მიდრეკილებანი ვითარდება მისთვის ბუნებისაგან დაწესებულ ზღვრამდე, და ყველაზე დიდი კაცი გახდება, უკეთუ მოსდგამს საამისო ნიჭი და უნარი. ეს ორი წესი ესოდენ ნაკლებად ეწინააღმდეგებიან ერთიმეორეს, რომ ადრეულ ასაკში ისინი ნამდვილად თანაბარნი არიან. ნუ მისცემთ აღზრდას გლეხკაცის შვილს, რაკი არაფერში ესაჭიროება განათლებულად ყოფნა. ნუ მისცემთ აღზრდას ქალაქელი კაცის შვილს, რაკი ჯერ კიდევ არ იცით, თუ რანაირად უნდა აღზარდოთ იგი და, ყოველ შემთხვევაში, ჯერ აცალეთ ფორმირება სხეულს, ხოლო, როცა ბავშვის თავში გაიციალებს გონების შუქი, მაშინ დადგება მისი აღზრდის დრო-ჟამი».

«ეს ყველაფერი, ჩემი აზრით, საუცხოოა, _ შევნიშნე მე, _ მაგრამ ერთი ნაკლი სჭირს. და ის საგრძნობლად შებღალავს ნაყოფს, ამ მეთოდიდან რომ გამოელით. თქვენ დააყოვნებთ, ბავშვები კი ამ დროს მოასწრებენ მრავალი ცუდი ჩვეულების შეთვისებას მაშინ, როცა შესაძლებელია ყოველივე ამის აცილება მათთვის კარგი ჩვეულების შთანერგვით. Aაბა, ერთი შემოხედეთ ბედის ანაბარა მიტოვებულ ბავშვებს: ისინი ძალიან მალე ითვისებენ მშობელთა ნაკლოვანებებს, რადგან მათთვის თვალსაჩინოა მშობელთა მაგალითი, _ ცუდი მაგალითის მიბაძვა დიდი სიძნელე როდია; მაგრამ ასეთი ბავშვები არასოდეს ჰბაძავენ კარგ საქციელს, რადგან ეს საძნელო საქმეა. როცა მიეჩვევიან ყველაფრის მიღებას, რაც კი მოესურვებათ, ყველაფერში მოითხოვენ თავიანთი უგუნური ნება-სურვილის შესრულებას, ხდებიან უხიაკები, ჯიუტნი, გაუგონარნი».

«მომითმინეთ, _ შემესტიყვა ბ-ნი დე ვოლმარი, _ ვფიქრობ, შეამჩნევდით ჩვენს ბავშვებს სულ სხვა ნიშან-თვისებებს, _ ხომ ეს იყო ჩვენი საუბრის საბაბიც».

«სავსებით სწორია, _ ვუთხარი მე, _ მეც სწორედ ეს მანცვიფრებს. როგორ გახადა ჟიულიმ ისინი გამგონენი? რა ზომებს მიმართა? რით შესცვალა დისციპლინა?”

«გაცილებით ულმობელი უღლით, _ მყისვე მომიგო ბ-ნმა დე ვოლმარმა, _ აუცილებლობის უღლით. მაგრამ დაე თავად ჟიულიმ გიამბოთ დაწვრილებით ყველაფერი, და მაშინ უკეთ გაიგებთ მის შეხედულებებს». ბ-ნმა დე ვოლმარმა სთხოვა ჟიულის განემარტა ჩემთვის თავისი მეთოდი და, ცოტა ჩაფიქრების შემდეგ, მან დაახლოებით შემდეგი მითხრა:

«ჩემო საყვარელო მეგობარო, ბედნიერნი არიან დაბადებიდანვე კარგი ბავშვები! მე ჩემი ქმარივით დიდ იმედებს როდი ვამყარებ მშობლიურ ზრუნვაზე. მისი მოსაზრების

მიუხედავად, ეჭვი მეპარება, რომ შეიძლებოდეს ცუდი ზნე-ხასიათის ბავშვის მორჯულება და სასიკეთოდ წარიმართოს ბავშვის ყველა ბუნებრივი მიდრეკილება. თუმცა, მე არამცთუ მჯერა, რომ მისი მეთოდი სწორია, _ საქმითაც ვცდილობ ბავშვებს ამ მეთოდით ვუხელმძღვანელო. მართალია, ვიმედოვნებ, რომ არ შეიძლებოდა მე ცუდი ბავშვები გამჩენოდა; ხოლო, გარდა ამისა, იმედი მაქვს, იმ ბავშვებს, რომლებიც ღმერთმა გამომიგზავნა, ვზრდი მათ მამის ხელმძღვანელობით _ საკმაოდ კარგადაც, რათა ისინი მამას დაემსგავსნონ. ვეცადე ამეთვისებინა მის მიერ შთაგონებული წესები, და მხოლოდ მივეცი მათ უფრო ნაკლებ ფილოსოფიური და დედის სიყვარულისათვის უფრო შესაფერი საფუძველი, სახელდობრ _ სურვილი იმისა, ჩემი ბავშვები უფრო ბედნიერნი რომ იყვნენ. ასეთი იყო ჩემი პირველი მისწრაფება, როცა მიწოდეს დედის სასიამო სახელი, და მას მოღმა მთელი ჩემი ყოველდღიური ზრუნვა მიმართულია ამ ნატვრის განხორციელებისაკენ. როცა პირველად მივიხუტე მკერდზე ჩემი უფროსი შვილი, ვიფიქრე, ბავშვობის წლები ყველაზე ხანგრძლივი სიცოცხლის თითქმის მეოთხედია-მეთქი. ადამიანები იშვიათად თუ გაძლებენ დანარჩენი სამი მეოთხედის ბოლომდე და ჩვენი კეთილგონიერება მეტისმეტ სიმკაცრეს იჩენს, რაკი ადამიანს დავუბედებთ უბედურებას სიცოცხლის პირველ მეოთხედში დანარჩენი დროის ბედნიერებისათვის, რაიც, იქნებ, სავსებით აღარ ეღირსოს-მეთქი! ისიც ვიფიქრე, ჩვილობის ასაკში ბავშვები ჯერ ისევ ძალზე უძლურნი არიან, და ამიტომაც ყოველმხრივ ემორჩილებიან ბუნებას-მეთქი, და პირდაპირ ბარბაროსობა იქნებოდა ამისთვის კიდევ დაგვემატებინა მოთხოვნა დამორჩილებოდნენ ჩვენს ახირებასაც და წარგვეტაცა ბავშვებისათვის ძალზე შეზღუდული თავისუფლება, რისი ბოროტად გამოყენებაც მათ ჯერ კიდევ არ ძალუძთ-მეთქი. გადავწყვიტე, რამდენადაც შევიძლებდი, დამეხსნა ჩემი შვილი ყოველგვარი ძალადობისაგან, მიმეცა მისთვის სრული შესაძლებლობა ესარგებლა ბავშვური ძალ-ღონით და არაფრით არ შემეზღუდა მისი ბუნებრივი მისწრაფებანი. და ამან უკვე მომცა ორი დიდი უპირატესობა: ჯერ ერთი, მე განვარიდე მის ნორჩ სულს სიცრუე, პატივმოყვარეობა, მრისხანება, შური, _ ერთი სიტყვით, მონობისაგან წარმოქმნილი ბიწიერებანი, რასაც ნებსით თუ უნებლიეთ უნერგავენ ბავშვებს, რათა აღსაზრდელები ასრულებდნენ ჩვენს მოთხოვნებს; მეორეც, მის პაწაწინა სხეულს მივეცი განვითარების საშუალება, მივანჭე თავისუფლება ფიზიკურ ვარჯიშობათათვის, რაც ძალზე იზიდავს მას. გლეხკაცთა ბალღების დარად ის შეეჩვია თავშიშველ სირბილს სიცხესა და სიცივეში, მანამდე დარბის, სანამ ქშენა არ აუტყდება და ოფლად არ გაიღვრება, და გლეხის შვილებივითაა გამოწრთობილი, არ ეშინია გაციებისა, უფრო გაჯანსაღდა და ხალისიანი გახდა. და მუდამჟამს უნდა გვახსოვდეს, თუ რა ელის ადამიანს ხანდაზმულობისას, ვიფიქროთ სალმობათა გამო, მას რომ ელიან. როგორც გეუბნებოდით, მაშინებს მშობელთა დამღუპველი სილაჩრე, ვინაიდან თავიანთი გარჯილობითა და მზრუნველობით ისინი აძაბუნებენ, ასათუთებენ ბავშვებს, სტანჯავენ მას გამუდმებული ძალდატანებით, ბოჭავენ უამრავი უსარგებლო სიფრთხილით და ბოლოს იმას აღწევენ, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე დაუბედებენ მას გარდუვალ ხიფათს, როლისაგანაც სურდათ მისი დაცვა ხანმოკლე დროის განმავლობაში; მშობლებს სურთ ბავშვობის დროს დაიცვან შვილი უწყინარი სურდოსაგან და ამით წინასწარ მოუხმობენ მისთვის ფილტვების ანთებას, პლევრიტს, მზის დაკვრას და ნაადრევ სიკვდილს.

რაც შეეხება ბედის ანაბარა მიტოვებულ ბავშვებს, თქვენგან თქმულ ნაკლოვანებათა უმრავლესობა მათ უნვითარდებათ იმ შემთხვევაში, როცა ისინი მარტოოდენ თავად კი არ აკეთებენ იმას, რაიც მოესურვებათ, არამედ სხვებსაც აიძულებენ კიდეც თავიანთი გულის წადილის შესასრულებლად, რადგან სარგებლობენ დედათა სულელური ლოლიაობით, რომელთა გულის მოგებაც მხოლოდ მათი საყვარელი შვილების ახირებათა წაქეზებით

შეიძლება. ჩემო მეგობარო, ვიმედოვნებ, არ შეგიმჩნევიათ ჩემი ბავშვებისათვის, რომ ისინი ცდილობდნენ მბრძანებლობას მაშინაც კი, როცა ყველაზე უკანასკნელ ჭურჭლის მრეცხავ ქალს მიმართავენ და არც ის შეგინიშნავთ, იდუმლად რომ ვიწონებდე მათთვის საზიანო ლმობიერებას. ვგონებ, გამოვნახე კიდეც ახალი და სწორი გზა, რათა გავხადო ბავშვი თავისუფალი, ხათრიანი, ალერსიანი და მორჩილი არსება, ეს საშუალება ძალზე უბრალოა: უნდა დაუმტკიცო ბალღს, რომ იგი მხოლოდ ბავშვია.

აბა, რა არის ბავშვობა? განა არსებობს ამქვეყნად ბავშვზე უფრორე სუსტი და ნაზი არსება, სავსებით რომ ემორჩილება ყველაფერს, რაც მის გარშემოა, და ყველაზე უფრო რომ ესაჭიროება სიბრალული, სიყვარული და მფარველობა? ხომ არა ფიქრობთ, რომ სწორედ ამიტომაც ბუნებამ აიძულა იგი შესაბრალისი ყვირილითა და ტირილით გვამცნოს თავისი გაჩენის ამბავი; რომ სწორედ ამიტომაც მისცა ბუნებამ ესოდენ საყვარელი პირისახე და ესოდენ გულისამაჩუყებელი გარეგნობა _ ყოველივე იმისათვის, რომ თითოელ ადამიანს, ვინაც ბავშვს მიუახლოვდება, აღეძრას თანაგრძნობა მისი სისუსტის მიმართ და დაეშუროს მის დასახმარებლად. და როგორ აღმაშფოთებელია ის ამბავი და როგორ ეწინააღმდეგება ბუნებრივ წესრიგს, როცა ხედავ, განებივრებული და ჟინიანი ბავშვი თუ როგორ განმგებლობს ყველა გარშემომყოფს და მბრძანებლური, ბატონკაცური კილოთი მიმართავს ყველას, ვისაც ძალუძს ერთი კი თავი ანებოს ბავშვს, და იგი დასაღუპავად იქნება განწირული, ხოლო ბრმადშთენილი მშობლები აქეზებენ კიდეც პატარა დესპოტის თავხედურ ჩვევებს; იგი სულსა ხდის და აწამებს თავის ძიძას, ხოლო ოდესმე მათაც გატანჯავს.

ჩვენს ოჯახში ასეთი ამბავი არ ხდება, _ ისე ვცდილობდი, რომ ჩემს შვილს თვალთა წინაშე არ ჰქონოდა ბატონკაცობისა და მონობის საშინელი სახე და ბავშვს არასოდეს ფიქრადაც არ მოსვლოდა ის აზრი, უფრო ვალდებულების გამო მემსახურებიან, ვიდრე ჩემს მიმართ თანაგრძნობისათვისო. ეს, მართლაცდა, ყველაზე ძნელი და უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხია ბავშვის აღზრდაში, და მეც ვერასოდეს დავამთავრებდი, თუ დაწვრილებით მოგითხრობდით, რაგვარი სიფრთხილისა და დაკვირვების გამოჩენა დამჭირდა, რომ ბავშვს გუმანით არ განესხვავებინა დაქირავებული კაცის სამსახური დედის მზრუნველობისაგან.

როგორც უკვე გითხარით, უწინარეს ყოვლისა, შევეცადე კარგად დამერწმუნებინა იგი, რომ მისი ხნის ბავშვებს არაფრით არ შეუძლიათ უფროსთა დაუხმარებლად ცხოვრება და შემდეგ დიდ სიძნელეს როდი წარმოადგენდა მეჩვენებინა მისთვის, რომ სხვისგან მიღებული ყოველგვარი დახმარება მის მონა-მორჩილსა გვხდის; რომ მსახურთ უდავო უპირატესობა აქვთ მასზე, _ რამდენადაც არ ძალუძს უმათოდ იოლად წასვლა, ხოლო ისინი უიმისოდ არხეინად გრძნობენ თავს; ამრიგად, მათი სამსახური არამცთუ აამებს მის პატივმოყვარეობას, არამედ რამდენადმე მორჩილების გრძნობით ღებულობს მათ, როგორც თავისი საკუთარი სიძაბუნის დადასტურებას და უსაშველოდ სურს მალე გაიზარდოს და ძალ-ღონე მოიკრიბოს, რათა პატივი ჰქონდეს თვითონვე მოუაროს თავის თავს».

«მსგავსი აზრების შთაგონება, _ ვთქვი მე, _ ძნელი იყო ისეთ ოჯახში, სადაც დედ-მამა აიძულებს მსახურთ პატარა ბავშვებივით მოუარონ მათ; მაგრამ თქვენს სახლში, სადაც თითოეული ადამიანი, თქვენგან დაწყებული, ასრულებს განსაზღვრულ მოვალეობას და სადაც მსახურთა დამოკიდებულება ბატონებთან წარმოადგენს ყურადღებისა და მზრუნველობის ურთიერთგაზიარებას, კაცმა რომ თქვას, შეიძლება ბავშვთა ამგვარად აღზრდა. მხოლოდ კიდევ აი, რის გაგება მწადია: ეს როგორ ხდება, როცა ბავშვები მიჩვეულნი არიან, რომ ყველა მათი მოთხოვნა უცილობლად კმაყოფილდებოდეს, ახირებანიც შეგვისრულეთო, აღარ იჟინებენ, და ხომ არ აწუხებთ ხანდახან გადიის ცუდი

გუნება-განწყობილება, რომელიც უხიაკობად მიიჩნევს იმას, რაც ბავშვის ნამდვილი მოთხოვნილებაა».

«ჩემო მეგობარო, _ მომიგო ქალბატონმა დე ვოლმარმა, _ გაუნათლებელი დედა ყველაფრისაგან იქმნის საფრთხობელას. როგორც ბავშვებს, ისე მოზრდილებს ნამდვილი მოთხოვნილებები ძალზე ცოტა აქვთ, და უფრო მეტად უნდა ვიზრუნოთ ხანგრძლივი კეთილდღეობისათვის, ვიდრე წუთიერ სიამოვნებზე და ნუთუ იმასა ფიქრობთ, ბავშვი, რომელსაც არაფრით ზღუდავენ, შეიძლება დედის თვალთა წინაშე დაიჩაგროს თავისი გამდელის ცუდი გუნება-განწყობილების გამო? თქვენ წარმოგიდგენიათ ყოველგვარი უსიამოვნება, რაც წარმოიქმნების ბიწიერებათაგან ბავშვებს რომ განუვითარდებათ, და იმას კი არ ფიქრობთ, რომ ყოველმხრივ ვცდილობ, არ მივცე საშუალება ბიწიერებათ ფეხი მოიკიდონ მათ სულში. ცხადია, ქალებს უყვართ ბავშვები. აქ უთანხმოება წარმოიქმნება მხოლოდ იმის გამო, რომ ერთს მოესურვება თავის ახირებას დაუმორჩილოს მეორე. მაგრამ ჩვენთან ეს არ შეიძლება მოუხდეს არც ბავშვს, რადგან მისგან არაფერსაც არ მოითხოვენ, არც გამდელს, ვინაიდან ბავშვი მას არაფერს უბრძანებს. აქ სულ სხვაგვარად ვიქცევი, ვიდრე სხვა დედები, რომლებსაც თითქოსდა უნებთ, ბავშვი უგონებდეს მოსამსახურეს, ნამდვილად კი სურთ, მოსამსახურე დაემორჩილოს ბავშვს. ჩვენთან არავინ უბრძანებს ვინმეს და არც არავინ ემორჩილება; მაგრამ ბავშვმა იცის: რამდენადაც კარგად მოექცევა გარშემომყოფთ, მასაც იმდენადვე კარგად მოეპყრობიან. და აი, როცა გრძნობს, რომ გარდა კეთილმოსურნეობისა, ჩემს მიმართ სხვა ძალაუფლებას არ მიმართავენო, გამგონე და თავაზიანი ხდება; ბავშვი ცდილობს მათი გულის მონადირებას და თავად ხდება მათი ერთგული; ვინაიდან ის, ვისაც სურს შთააგონოს ადამიანს თავის მიმართ სიყვარული, თვით იწყებს მათ შეყვარებას, _ ასეთია საკუთარი თავის მიმართ ადამიანის სიყვარულის უცვალებელი შედეგი; ხოლო თანასწორობის მიერ წარმოქმნილი ურთიერთსიყვარულისაგან ძალზე ადვილად აღმოცენდება მრავალი კეთილი ნიშან-თვისება, რის შთანერგვასაც ამაოდ ცდილობენ ბავშვებისათვის, და არასოდეს აღუძრავენ არც ერთ მათგანს.

ვიფიქრე, რომ ბავშვთა აღზრდის ყველაზე მნიშვნელოვანი მხარე, რის გამო საკითხიც არასოდეს აღძრულა უაღესად გულისხმიერი აღზრდის დროსაც კი, ისაა, რომ აიძულო ბავშვი იგრძნოს თავისი უსუსურობა, უმწეობა, თავისი დაქვემდებარება და, როგორც ჩემი ქმარი გეუბნეობდათ, განიცადოს აუცილებლობის მძიმე უღელი, ბუნებამ რომ დააკისრა ადამიანს. ამის ჩადენა საჭიროა არა მხოლოდ იმიტომ, რომ ბავშვი მადლიერი იყოს ყველაფრისათვის, რასაც უფროსები იქმენ ამ უღლის შესამსუბუქებლად, არამედ უმთავრესად იმისათვის, ბავშვობიდანვე იცოდეს, თუ რა ადიგლი მიაკუთვნა განგებამ, არ სძულდეს თავისი მსგავსნი და არავითარი ადამიანური უცხო არ იყოს მისთვის.

ყმაწვილკაცნი დაბადებიდანვე, აღზრდის ჟამს, ეჩვევიან ნებიერობას, თავიანთ მიმართ საყოველთაო ყურადღებას, ყველაზე სასიამო განცხრომათა ძალზე იოლად მოპოვებას და ფიქრობენ, ყველა ვალდებულია ჩვენი ნება-სურვილი აღასრულოსო; ასეთი თავხედური აზრებით გამსჭვალულნი შეაღებენ ისინი ცხოვრების კარს და ხშირად ძვირად უჯდებათ მათგან განკურნება, გამოსცდიან მრავალ დამცირებას, შეურაცხყოფასა და უსიამოვნებას. მე კი ძალიან მინდა დავიხსნა ჩემი შვილი ამ მეორე აღზრდისაგან, სიცოცხლის პირველი ნაბიჯებიდანვე შთავუნერგო უფრორე სწორი წარმოდგენა მრავალი მოვლენის გამო. თავდაპირველად მინდოდა ნება მიმეცა ბავშვისათვის გაეკთებინა ყველაფერი, რასაც მოისურვებდა, მეგონა, ყოველთვის კარგი და ჯანსაღია ბავშვთა პირველი ბუნებრივი სულიერი განცდა-მეთქი; მაგრამ მალე დავრწმუნდი, როცა ბავშვები მიიღებენ მათდამი დამორჩილების მოთხოვნის უფლებას, ძალიან მალე, თითქმის

დაბადების დღიდანვე, თავს ანებებენ ბუნებრივ მდგომარეობას და იძენენ ბიწიერებათ _ ერთნი _ ჩვენი მაგალითისამებრ, სხვები _ ჩვენი უყურადღებობით. მივხვდი, თუ დავაკმაყოფილბდი ჩემი შვილის ნება-სურვილს, მაშინ, რაც უფრო დამყოლი ვიქნებოდი, მით უფრო მეტს იჭირვეულებდა, ხოლო რადგანაც ოდესმე მაინც მომიხდებოდა თავის შეკავება. მაშინ უჩვეულო უარი მისთვის ძალზე მტკივნეული აღმოჩნდებოდა. და აი, რადგან აღარ შემეძლო დამეხსნა უგუნური ბავშვი ყოველგვარი უსიამოვნებისაგან, მივაყენე მას სულ მცირე და ხანმოკლე საწყენი. სიამოვნების გამო უარი ესოდენ მკაცრი რომ არ ყოფილიყო მისთვის, უწინარეს ყოვლისა, მივაჩვიე დამორჩილებოდა უარს, და დიდხანს რომ არ ეხვეწნა, არ ეჭირვეულა და მით არ გავებრაზებინე, წესად დავიდე ერთხელ ნათქვამი უარი თავის დღეში არ გადამეთქვა. მართალი უნდა ითქვას, რომ ვცდილობ რაც შეიძლება იშვიათად ვთქვა უარი და სანამ ამის ჩადენას გადავწყვეტდე, ჯერ კარგად ავწონ-დავწონი ყველაფერს. ყოველივეს, რისი ნებართვის მიცემაც კი შეიძლება, მაშინვე ვანებებ ყოველგვარი შენიშვნის გარეშე, ბავშვის პირველი თხოვნისთანავე, და ამ მხრივ, ძალზე ლმობიერი ვარ; ოღონდ ჭირვეულობით ვერასოდეს ვერაფერსაც ვერ გახდება, _ არ უშველის არც ცრემლები, არც ხვეწნა-ვედრება და მანაც უკვე ისე კარგად ირწმუნა ეს, რომ მეტად აღარ მიუმართავს ამ ხერხისათვის; პირველსავე სიტყვაზე _ «არა» ის ურიგდება თავის ხვედრს და განსაკუთრებულ სულიერ ტანჯვათა გარეშე ხედავს, თუ როგორ ვინახავ კანფეტებს, რითაც პირი უნდა ჩაეტკბარუნებინა, ისევე როგორც უცქერის გაფრენილ ჩიტს, რომლის დაჭერაც მოესურვა, _ ორივე შემთხვევაში გრძნობს, ჩემი სურვილი განუხორციელებელიაო. როცა რაიმეს წაართმევენ, ის გრძნობს მხოლოდ, ამის მიღება ჩემთვის არ შეიძლებაო; როგორც არ დაუწყებს ბრახუნს მაგიდას, რომელსაც თავი მიახეთქა, ისე არ დაარტყამს კაცს, რომელიც ეწინააღმდეგება მის ნება-სურვილს. რაც გულს ატკენს, ყოველივეში გრძნობს აუცილებლობის ძალაუფლებას და საკუთარ უმწეობას, თან არასოდეს მიაწერს ამას გარშემომყოფთა ბოროტულ განზრახვას... ცოტათი მომითმინეთ, _ აჩქარებით წარმოთქვა ჟიულიმ, როცა დაინახა, რაღაც რომ უნდა მეთქვა, _ წინასწარვე ვგრძნობ, თუ რა საწინააღმდეგო მოსაზრებით შემეპასუხებით, ახლავე გეტყვით ყველაფერს.

რა აძლიერებს ბავშვის ტირილსა და ყვირილს? ყურადღება, რასაც მას აქცევენ, ხან ბავშვის დაშოშმინების სურვილით, ხანაც მისი დაშინებით. ზოგჯერ ბავშვებს შეუძლიათ მთელი დღე იტირონ მხოლოდ იმიტომ, უფროსები არიგებენ, არ იტიროთო, ევედრებიან თუ ემუქრებიან მათ, _ ყოველგვარი საშუალება, რასაც მიმართავენ დასაშოშმინებლად, მათთვის უსარგებლოა და თითქმის საზიანოც. რაც უფრო მეტად აქცევენ ყურადღებას მათ ცრემლებს, მით უფრო გულმოდგინედ ტირიან ისინი, ხოლო როგორც კი შეამჩნევენ, არავინაც არ გვიყურებსო, უმალვე მშვიდდებიან, რადგან არც დიდსა და არც პატარას არ უყვარს ტყუილუბრალოდ თავის გამოდება. სწორედ ასეთი რამ შეემთხვა კიდეც ჩემს უფროს შვილს. თავდაპირველად უსაშველო მტირალა იყო, ყველაფერს იკლებდა ღრიალით, ახლა კი თავად თქვენვე ხართ მოწმე, მისი ბაიბურიც აღარ ისმის, თითქოს სახლში ერთი ბავშვიც არ ჭაჭანებდეს. ის ტირის და გაჰყვირის, როცა რაიმე სტიკვა, _ ეს ბუნების ხმაა, ამის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, ოღონდ როგორც კი ტკივილი დაცხრება, დუმდება. ამიტომაც ძალზე ყურადღებით ვეპყრობი მის ცრემლებს, რადგან დარწმუნებული ვარ, არასოდეს ამაოდ არა ღვრის მათ. ამის გამო ყოველთვის დროზე ვგებულობ, სტკივა რაიმე თუ არა, ავადაა თუ ჯანმრთელია, _ ეს დიდი უპირატესობაა, რაც არ მოხდება, უკეთუ ბავშვები ტირიან უზნეობის გამო, ანდა იმისათვის, რომ ისინი დააშოშმინონ. თუმცა ისიც უნდა ვთქვა, რომ დედა ვერც ისე იოლად შეუთანხმდება ძიძებსა და გადიებს. არაფერია იმაზე მოსაბეზრებელი, როცა ისმენ ბავშვის სლუკუნს და გულკეთილი ქალები ყოველთვის ფიქრობენ მხოლოდ ამ წუთზე, სწრაფად აშოშმინებენ

მტირალას და სულაც არ აწუხებთ ის ამბავი, რომ თუკი ბავშვს დღეს მოთაფლავენ, ხვალ კიდევ უფრო მეტს იტირებს. უფრო უარესია, როცა ამით მიეჩვევა სიჯიუტეს, რისი ცუდი შედეგებიც ზრდასთან ერთად ძლიერდება. ერთი და იგივე მიზეზი სამი წლის ასაკში მყვირალად ხდის, თორმეტი წლისას _ თავხედ ბიჭუნად, ოცისას _ ჩხუბისთავად, ოცდაათისას _ ტირანად და მთელი სიცოცხლის მანძილზე _ აუტანელ არსებად.

ახლა შევეხები თქვენს ეჭვებს, _ ღიმილით წარმოთქვა ჟიულიმ, _ ყველაფერი, რის ნებასაც რთავენ ბავშვებს, მათ ადვილად მიაჩნიათ თავიანთი გულის მოგების სურვილად; ყველაფერში, რასაც კი მათგან მოითხოვენ, ანდა რის უარსაც ეუბნებიან, უნდა იგულისხმონ რაღაც საფუძვლიანი მიზეზები და არაფერი გამოიკითხონ მათ გამო. აი მეორე უპირატესობა, რომელსაც აღწევენ უფრო ძალაუფლების, ვიდრე დარწმუნების გზით _ რასაკვირველია, აუცილებლობის შემთხვევაში, ვინაიდან შეიძლება ვივარაუდოთ, ზოგჯერ პატარა ბავშვებს რომ ესმით კიდეც, თუ რა მიზეზით უთხრეს უარი, და მით უმეტეს ბუნებრივია ასეთი მდგომარეობა, როცა გრძნობენ, რომ არსებობს ამის მიზეზი, ოღონდ ჯერ კიდევ არ ესმით, რა არის ეს მიზეზი. და პირიქით, უკეთუ მივმართავთ მათს განმსჯელობას, მათ სურთ აწონ-დაწონონ ყველაფერი, ხდებიან თავგამოდებული სოფისტები, ცრუპენტელები, დავაქარები და მუდამ ცდილობენ ჩააჩუმონ ყველა, ვინაც გულნამცეცობით მათ ჭკუას დაეკითხება. როცა უფროსებს მოუხდებათ ანგარიში ჩააბარონ ბავშვებს იმის გამო, რის გაგების უნარიც მათ ჯერ კიდევ არ გააჩნიათ, ეს მსაჯულები ახირებას მიაწერენ ყველაზე დასაბუთებულ საქციელს, უკეთუ ეს მათი მიხვედრის უნარს აღემატება.

ერთი სიტყვით, აი, ერთადერთი საშუალება აიძულო ისინი დაემორჩილონ გონებას: კი არ უნდა იმსჯელო მათთან, არამედ შთააგონო, რომ მათ ასაკში გონება ჯერ არსადა ჩანს, და მაშინ ისინი, _ ასეც უნდა იყოს, _ იფიქრებენ, გონება უფროსებს მოეპოვებათო (რასაკვირველია, უკეთუ უფროსები არ მისცემენ ბავშვებს სხვაგვარი ფიქრის საფუძველს). ჩვენმა ბავშვებმა მშვენივრად იციან, რომ არ სურთ მათი წამება, რადგან ჯერათ, ყველას ვუყვარვართო _ და იშვიათად ცდებიან. და აი, როცა ხელაღებით არ ვუსრულებ მათ რაიმე სასიამოვნო ამბავს, როდი მოვყვები სჯა-ბაასს, როდი განვმარტავ უარის მიზეზს, ხოლო ისე ვიქცევი, რომ თავადვე ესმით ეს, _ რამდენადაც ეს მათთვის შესაძლებელია, და ზოგჯერ თუმცა მოგვიანებით, მაგრამ მაინც ესმით. ამრიგად, ისინი ეჩვევიან აზრს, რომ არასოდეს ვეუბნები უარს, თუკი ამისათვის გონივრული მიზეზი არ გამაჩნია, თუმცა ამას ყოველთვის როდი ამჩნევენ.

სწორედ ამის გამო, არ ვანებებ, რომ ჩემი ბავშვები ჩაერიონ განმსჯელ ადამიანთა სჯა-ბაასში, _ უკეთუ უფროსები ითმენენ მათ მომაბეზრებელ ტიტინს, ბავშვები სულელურად მათ ტოლებად მიიჩნევენ თავიანთ თავს. მე მინდა, ჩემმა ბავშვებმა უპასუხონ თავმდაბლად და მოკლედ, როცა მათ რაიმეს შეეკითხებიან, ოღონდ თავად არასოდეს წამოიწყონ ლაყბობა და, რაც მთავარია, არ მისცენ უადგილო შეკითხვები თავისზე უფროს ადამიანებს, რომელთაც პატივისცემით უნდა მოექცნენ».

«მერწმუნეთ, ჟიული, ყველაფერი ეს ძალზე მკაცრი წესებია თქვენებრ ნაზი დედისათვის! _ ვუთხარი მე. _ პითაგორაც კი არ ყოფილა ესოდენ მკაცრი თავის მოწაფეთათვის, როგორც თქვენა ხართ თქვენი ბავშვებისათვის. თქვენ არამცთუ მიმართავთ მათ როგორც მოზრდილებს, არამედ თითქოსდა შიშობთ კიდეც, ვაითუ ძალზე ადრე მოზრდილები გახდნენო. განაღა შესაძლებელია, იმაზე უფრორე სასიამოვნო და სწორი გზა მათთვის უცნობ საგანთა შესაცნობად, როგორც არის შესაძლებლობა გამოჰკითხონ მათი ამბავი უფრო მცოდნე ადამიანებს, ვიდრე თავად არიან? რას იფიქრებენ პარიზელი ბანოვანნი თქვენს წესებზე? აკი მიაჩნიათ, რომ მათი ბავშვები არასოდეს ყბედობენ უფროს ადამიანთა წრეში თავიანთი წლებისათვის მეტისმეტად ადრე

ანდა ძალზე დიდხანს და მათი მომავალი ჭკუა-გონების გამო მსჯელობენ იმ სისულელეთა მიხედვით, რომელთაც ტიტინებენ ისინი თავიანთ ბავშვობის წლებში. ბატონი ვოლმარი, ალბათ, იტყვის, ეს ძალიან კარგია იმ ქვეყნისათვის, სადაც ადამიანის მთავარ ღირსებად ლაქლაქსა თვლიანო, და სადაც მოლაყბეს აღარ ესაჭიროება ფიქრი, თუკი ენა აქვს გაშალაშინებული. მაგრამ თქვენ ხომ გსურთ, თქვენი შვილები ბედნიერი ბავშვები იყვნენ, მაშ, ვით ძალგიძთ შეუფარდოთ სასიამტკბილო ხვედრი ასეთ ძალდატანებას? და მთელი ამ შეზღუდულობის ჟამს, განა რად გადაიქცევა თავისუფლება, რომელსაც, თქვენი მტკიცებით, მათ შესთავაზებთ?»

«რასა ბრძანებთ? _ მყისვე მომიგო ჟიულიმ, _ განა ჩვენ ფრთას ვაკვეცთ ბავშვების თავისუფლებას, უკეთუ არ ვაძლევთ ნებას ხელჰყონ ჩვენს საკუთარ თავისუფლებას? ნუთუ მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებიან ბედნიერნი, როცა მოზრდილთა მთელი საზოგადოება სულს განაბავს და წყნარად დატკბება მათი ბალღური საქციელით? არა, სჯობს კია არ აღვუძრათ პატივმოყვარეობა, ანდა უკიდურეს შემთხვევაში, ხელი უნდა შევუშალოთ მის განვითარებას, _ ამით ნამდვილად ხელს შევუწყობთ მათ ბედნიერებას: პატივმოყვარეობა უდიდეს ვაი-ვარამთა სათავეა; თვით ყველაზე სრულქმნილი, მაგრამ პატივითა და რიდით განებივრებული ადამიანისათვის[16] პატივმოყვარეობა უფრო მეტი უსიამოვნების მომტანია, ვიდრე სიამოვნებისა.

აბა, რა წარმოდგენა ექნება თავის თავზე ბავშვს, როცა გარშემო ხედავს მოზრდილ, კეთილგონიერ ადამიანთა მთელ დასს, რომლებიც უსმენენ, აბრაზებენ, აღტაცებულნი არიან ამ ბავშვით და, თითქოს ორაკულის წარმონათქვამებს ელიანო, თავმდაბლურად პირფერობით ხვდებიან მის ბაგეთაგან აღმოფრქვეულ სალაღობო სიტყვებს, თანაც მხიარული შეძახილებით მიესალმებიან მისგან წარმოთქმულ ყოველ უტიფრობას? მოზრდილ ადამიანსაც კი თავბრუ დაესხმის ასეთი ყალბი აღტაცებისაგან, მაშ, თავადვე განსაჯეთ, რა დომხალი იქნება ბავშვის თავში! ბავშვის ლაყბობასაც ის მოუვა, რაც კალენდრის წინასწარმეტყველებს. პირდაპირ გასაოცარი ამბავი იქნებოდა, თუკი მრავალ ფუჭ სიტყვათა შორის შემთხვევით არ აღმოჩნდებოდა ბედნიერი დამთხვევა სინამდვილესთან. აბა, ერთი წარმოიდგინეთ, როგორ მოქმედებს მსმენელთა პირფერული აღტაცებანი უამისოდაც თავისი სიყვარულით დაბრმავებულ დედაზე, და ბავშვზეც, რომელმაც არც კი უწყის, რას ლაპარაკობს, მაგრამ ხედავს, როგორ აქებენ და ადიდებენ ამის გამო. ოღონდ ის არ იფიქროთ, უკეთუ ვერკვევი ამ ცდომილებაში, თავად არა ვარ ამით დაავადებული: სხვის შეცდომას კარგად ვამჩნევ, მაგრამ ზოგჯერ თავადაც ვცდები; ოღონდ თუკი აღმაფრთოვანებს ჩემი შვილის შენიშვნები, ვცდილობ არ შევიმჩნიო არაფერი. დედის მოწონების დამნახველი არასოდეს გახდება პატივმოყვარე მოლაყბე, ხოლო მშობლებისათვის ბავშვთა სიტყვების განმმეორებელი მლიქვნელები ვერ ისიამოვნებენ დასცინონ ჩემს სიძაბუნეს.

ერთხელ სტუმრები გვეწვივნენ, რაღაც განკარგულებისათვის ოთახიდან გავედი, ხოლო დაბრუნებისას დავინახე, ჩემი შვილის ირგვლივ შეკრებილიყო და მისი ყბედობით ერთობოდა ოთხი-ხუთი მოზრდილი ყეყეჩი. ამ ვაჟბატონებს უკვე სურდათ დიდი აღფრთოვანებით მოეთხროთ ჩემთვის, თუ რამდენი სალაღობო და სასიამო სიტყვები გაიგონეს ჩემი შვილისაგან, რამაც, თითქოსდა, აღტაცებაში მოიყვანა ისინი. «ბატონებო, _ საკმაოდ მკვახედ ვუთხარი მათ, _ სრულიადაც არ მეპარება ეჭვი, რომ თქვენ შეგწევთ უნარი აიძულოთ თოჯინები იტიტინონ ძალზე სასიამოვნო ამბები, მაგრამ იმედი მაქვს,

[16] უკეთუ ოდესმე პატივმოყვარეობას გაუბედნიერებია კიდეც ვინმე ამქვეყანდ, მაშინ, უეჭველია, ეს ბედნიერი ნამდვილი სულელი იქნებოდა.

ჩემი ბავშვები, ოდესმე ადამიანები რომ იქნებიან, იმოქმედებენ და ილაპარაკებენ დამოუკიდებლად, და მაშინ დედობრივი გრძნობის მთელი სიხარულით მოვისმენ, თუ რა კარგად ილაპარაკებენ და მოიქცევიან ჩემი შვილები». და აი მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ ასეთი ხერხით თავს ვერ მომიქონავენ, ჩემს შვილებს ექცევიან როგორც ბავშვებს, და თოჯინებივით გასართობად როდი მიიჩნევენ მათ; ისინი კვალად აღარ თვალთმაქცობენ და გაცილებით უკეთესნი გახდნენ იმ მიზეზით, რომ თავი ანებეს მათ გამო აღტაცებას.

რაც შეეხება შეკითხვებს, ჩვენ როდი ვუკრძალავთ შეკითხვების მოცემას, როგორიც უნდა იყვნენ ისინი. მე პირველი ვეუბნები ბავშვებს, ჩუმად, ცალკე საუბრის დროს, შეგვეკითხეთ მამას და მეც, თუ რის გაგებაც გსურთ-მეთქი. ოღონდ იმის ნებას კი არ მივცემ, რომ სიტყვა შეაწყვეტინონ სერიოზული საუბრით გართულ ადამიანებს, და შესთავაზონ რაიმე სისულელე, რაც თავში მოუვათ. შეკითხვის ოსტატობა არც ისე იოლი საქმეა, როგორც გვგონია. ეს უფრო მასწავლებელთა ოსტატობაა, ვიდრე მოსწავლეებისა, ბევრი რამ უნდა იცოდე, რომ შეგეძლოს იმის გამოკითხვა, რაც არ იცი. «სწავლულმა იცის და კითხულობსო, _ ამბობს ინდური ანდაზა, _ უმეცარმა არც კი იცის, რა იკითხოსო».[17] ნებიერი ბავშვები ხშირად იძლევიან სულელურ და უსარგებლო ანდა მეტისმეტად სერიოზულ და თვით უწმაწურ შეკითხვებსაც კი, რომელთა გადაწყვეტაც არ ძალუძთ, და ვინაიდან სავსებით არაა საჭირო, ბავშვმა ყველაფერი იცოდეს, ამიტომ არაა აუცილებელი მივცეთ ყველაფრის გამოკითხის უფლება. საერთოდ, ბავშვები გაცილებით უფრო მეტ სასარგებლო ცოდნას იძენენ, როცა მათ გამოკითხავენ, ვიდრე მაშინ, როცა თვით იძლევიან შეკითხვებს.

ეს გულის გამაწყალებელი შემკითხველობა ესოდენ სასარგებლო რომც იყოს ბავშვებისათვის, როგორც ეს ჰგონიათ, მაშინ დუმილი და თავმდაბლობის დაცვა მათთვის განა ყველაზე მნიშვნელოვანი მეცნიერება არაა? ნუთუ არსებობს ქვეყნად რაიმე ისეთი, რისი შესწავლაც ღირს ამ ნიშან-თვისებათა ხარჯზე? სანამდე მიიყვანს ბავშვებს ლაყბობის დაუოკებელი თავისუფლება, რაც შესთავაზეს ლაპარაკის შესწავლამდე უფრო ადრე, და რას მისცემს უფლება ურცხვად დააყარონ უფროსებს შეკითხვები? პატარა ყბედი შემკითხველები გამოწვლილვით იძიებენ ყველაფერს არა იმდენად ცნობისმოყვარეობსი გამო, რამდენადაც იმის სურვილით, რათა თავი მოაბეზრონ უფროსებს, მიიქციონ საყოველთაო ყურადღება, და განსაკუთრებულ სიამოვნებას განიცდიან თავიანთი ლაყბობით, როცა ხედავენ, თამამი შეკითხვებით ზოგჯერ ყველას სირცხვილში რომ აგდებენ _ და იმდენად, რომ როგორც კი პირს გააღებენ, თითოეული მოუსვენრობას გრძნობს. ერთი სიტყვთ, ეს იმდენად განათლების საშუალება როდია, რამდენადაც ბავშვთა შორის ქარაფშუტობისა და პატივმოყვარეობის დანერგვის ხერხი: ხოლო, ჩემი აზრით, ეს ნაკლოვანებანი ჩრდილავს ასეთი მეთოდის სარგებლიანობას, უმეცრება ხომ წლითიწლობით თანისთან მცირდება, ხოლო პატივმოყვარეობა სულ მუდამ იზრდება.

მეტისმეტი ხანგრძლივი შეზღუდულობის ყველაზე უარესი შედეგი შესაძლოა ის იყოს, რომ, როცა ჩემი შვილი წამოიზრდება და გონებას მოიცემს, არ გამოიჩენს თავს განსაკუთრებული ენამრავლობით, არ იქნება მსუბუქი და ცოცხალი მოლაპარაკე; ოღონდ, კარგად ვუწყი, რომ სულ ყბედობაში გატარებული ცხოვრების ჩვეულება აჩლუნგებს გონებას, ამიტომაც მზადა ვარ ყბედობის ეს სანაქებო უუნარობა უფრო სიკეთედ მივიჩნიო, ვიდრე ბოროტებად. უსაქმური ადამიანები, რომელთაც თვითონვე მობეზრდათ საკუთარი თავი, განსაკუთრებულ ღირებულებას ანიჭებენ თავიანთ გამრთობ ხელოვნებას; და,

[17] ანდაზა ამოღებულია შარდენიდან. ტომი 5, გვ. 170, ინ 12º.

მართლაც, მაღალი წრის საზოგადოებაში თავდაჭერის უნარი ისაა, რომ ილაპარაკო მხოლოდ სულ უმნიშვნელო რამერუმეები, ისევე როგორც გაიღო მხოლოდ და მხოლოდ უსარგებლო სამშვენისები, ოღოდნ საზოგადოებას უფრორე კეთილშობილური მიზნები მოეპოვება, და მის გართობა-შექცევას მეტი საფუძვლიანობა შეჰფერის. ადამიანის სიტყვა ჭეშმარიტების ხმაა, ჩვენი ყველაზე ღირსეული უნარი, ერთადერთი, რაც განგვასხვავებს პირუტყვისაგან; ადამიანს ლაპარაკის ნიჭი იმისათვის კი არ მოეპოვება, უკეთ რომ ვერ გამოიყენოს იგი, ვიდრე პირუტყვებმა თავისი ყვირილი. ჩვენ პირუტყვებზე უფრო დაბლა დავეშვებით, როცა ვლაპარაკობთ იმისათვის, რათა არაფერი ვთქვათ; ადამიანი, თვით გართობა-შექცევის ჟამსაც კი, ნამდვილი ადამიანი უნდა იყოს.

უკეთუ თავაზიანობად ითვლება ფუჭი ლაქლაქით ყველას დარეტიანება, უფრო მეტ ზრდილობად მიმაჩნია სხვებს ვაცალო ლაპარაკი, ყურადღებით ვისმინო მათი სიტყვები და არა ჩემი საკუთარი ყბედობა, და დავანახვო თანამოსაუბრეთ, რომ მათი ღრმა პატივისცემის გამო ვფიქრობ, მათი სისულელეებით შექცევა არ ეგების. კარგი აღზრდის ნიშანი _ განსაკუთრებით მიმზიდველი და სიმპათიის აღმძვრელი თვისება კი არაა, ესწრაფოდე შენი ღირსებებით თავის მოწონებას, არამედ უნდა შეგწევდეს უნარი დაეხმარო სხვებს, რომ მათაც გამოიჩინონ თავი, თვითონ კი იყავ თავმდაბალი და არ შებღალო მათი სიამაყე. ნურაფერს იშიშვი, რომ უენო, თავდაჭერილსა და თავმდაბალ კაცს, იქნებ, სულელის სახელი გაუვარდეს. ყოველ ქვეყანაში ადამიანს მსჯავრს როდი სდებენ იმის გამო, რაც არ წარმოუთქვამს, და არც ენაძვირობისათვის სძულთ იგი. პირიქით, შეიძლება შევამჩნიოთ, რომ ენაძვირი ადამიანები უფრო მეტ პატივსცემას აღგვიძრავენ მათ გვერდში ყოფნისას. თითოეული უკვირდება თავის თავს საუბარში, ხოლო როცა ენაძვირები ლაპარაკობენ, ყველანი ყურადღებით უსმენენ, მათ არ უშლიან თავად შეარჩიონ შემთხვევა თავიანთი აზრის წარმოთქმისა, და ყველას სურს არაფერი გამოეპაროს მისი ნათქვამიდან, _ ერთი სიტყვით, უპირატესობა მათ მხარეზეა. თვით ყველაზე ბრძენ კაცსაც გაუძნელდება თავდაჭერილობის შენარჩუნება, თუკი გაიტაცებს სიტყვამრავლობა და ძალზე იშვიათად ხდება, რომ არ წამოსცდეს ისეთი სიტყვები, რომლეთაც შემდეგ მოინანიებს, _ ამიტომაც კეთილგონიერი ადამიანი ამჯობინებს სულაც არ წარმოთქვას კარგი სიტყვა, ვიდრე წამოსცდეს და თქვას რაიმე ცუდი. დაბოლოს, თუკი ვინმე არ მონაწილეობს საუბარში, ეს ჭკუის ნაკლებობის გამო კი არ მოსდის, რაც უნდა თავმდაბალი იყოს, მის მდუმარებაში ბრალი გარშემომყოფ მოლაყბეთ მიუძღვით.

ოღონდ ექვსიდან ოც წლამდე ჯერ კიდევ შორსაა: ჩემი შვილი სამუდამოდ კი არ დარჩება ბავშვი და, როგორც კი გაუღვივდება გონება, მამამისი ფიქრობს ყოველმხრივ განუვითაროს იგი. ხოლო იმ დროისათვის ჩემი საქმე დამთავრებული იქნება. მე ვაჩენ შვილებს და როდი დავიჩემებ იმას, აღვზარდო-მეთქი მოზრდილი ადამიანები. ვიმედოვნებ, _ წარმოთქვა ჟიულიმ და თან ქმარს შეჰყურებდა, _ რომ ამ კეთილშობილურ შრომას აღასრულებენ უფრორე ღირსეული ხელები. მე ქალი ვარ და დედა და ვიცი ჩემი ადგილი. კვლავაც ვიტყვი, მე ვიკისრე ვალდებულება _ კი არ აღვზარდო ჩემი შვილები, არამედ მოვამზადო ისინი მომავალი აღზრდისათვის.

თვით ამ საქმეშიც ზუსტად ჩემი ქმრის მეთოდის მიმდევარი ვარ, და რაც დრო გადის, მით უფრორე ვრწმუნდები, თუ რაოდენ საუცხოო და სწორი მეთოდია ეს, და როგორ ეთანხმება იგი ჩემს შეხედულებებს. აბა ერთი დაუკვირდით ჩვენს ბიჭებს, განსაკუთრებით უფროსს, _ განა გინახავთ სადმე უფრო ბედნიერი, უფრო მხიარული და უფრო ნაკლებად აბეზარი ბავშვები? თქვენ დაინახეთ, რომ მთელი დღეობით დახტიან, დარბიან, იცინიან და არასოდეს არავის აბეზრებენ თავს. განა ისინი არ სარგებლობენ, და მეტისმეტადაც, მათი ასაკისათვის ხელმისაწვდომი ყველა სიამოვნებით, მთელი დამოუკიდებლობით? მათ არ უწყიან არავითარი ძალდატანება არც ჩემი ყოფნის დროს,

არც უჩემოდ. პირიქითაც, _ ჩემთან ყოფნის დროს უფრო მტკიცედ გრძნობენ თავს, და თუმცა მთელი სიმკაცრე და მოთხოვნილებანი ჩემი ბრალია, ისინი ფიქრობენ, დედა ყველაზე ნაკლებ მკაცრიაო. და მეც ხომ ვერ ავიტანდი იმ აზრს, ჩემს ბავშვებს ყველაზე მეტად რომ არ ვყვარებოდი ამქვეყნად.

მოზრდილ ადამიანთა მიმართ აკისრიათ მხოლოდ იმ წესთა დაცვა, რომლებიც თავად თავისუფლების კანონებს წარმოადგენენ, სახელდობ, არ შეაწუხონ სტუმრები, რაკი ისინი არ აწუხებენ მათ, არ ჩაახშონ ჩვენი საუბრები თავიანთი ჟივილ-ხივილით; და რადგან არავინ აიძულებთ ჩვენთვის ყურადღების მოქცევას, მეც აგრეთვე არა მსურს მოითხოვონ ჩვენი ყურადღება. როცა არღვევენ ესოდენ სამართლიან კანონებს, მთელი სასჯელი ის იქნება, რომ დაუყოვნებლივ გაბრძანდნენ ოთახიდან, და მთელი ჩემი ოსტატობა, _ უკეთუ ამას ოსტატობა ეწოდება, _ მიმართულია იქითკენ, რომ ისინი არსად ისე კარგად არ გრძნობდნენ თავს, როგორც აქ. ხოლო ამ კანონთა მორჩილების გარდა სხვა არაფერს ვთხვთ; მათ არ აიძულებენ რაიმეს სწავლას, თავს არ აბეზრებენ უსარგებლო საყვედურებით, არასოდეს ლანძღავენ, ისინი ღებულობენ მხოლოდ ერთი სახის გაკვეთილს, სახელდობრ: ბუნების მარტივ წესრიგთაგან შემენილ წმინდა პრაქტიკულ დარიგებებს. ამ მაგალითთა მიხედვით თითოეული სახლში ხელმძღვანელობს ჩემი მითითებით და ყველა ისე ჭკვიანად და გულდაგულ უწყობს ხელს ჩემს განზრახულობათ, რომ უკეთესი არ შეიძლება, ხოლო თუკი ზოგჯერ მოხდება კიდეც რაიმე მარცხი, ან წინასწარ აღვკვეთ მას, ანდა ძალზე იოლად გამოვასწორებ.

გუშინ, მაგალითად, ჩემმა უფროსმა შვილმა უმცროსს დოლი წაართვა, ბიჭუნა ატირდა. ფანშონმა არაფერი თქვა, ოღონდ ერთი საათის შემდეგ, როცა შეურაცხმყოფელი დიდი გატაცებით უბრახუნებდა დოლს, წაართვა სათამაშო; ბიჭი გამოეკიდა ფანშონს, ეხვეწებოდა, დამიბრუნეო, და ისიც ატირდა. ფანშონმა უთხრა: «შენს ძმას ძალით წაართვი დოლი, ახლა კი მე შენ წაგართვი... აბა, რა გეთქმის? მე ხომ შენზე ღონიერი ვარ?» და მანაც ააბრახუნა დოლი, თითქოს ეს ამბავი დიდად სიამოვნებდა. აქამდე ყველაფერი საუცხოოდ მიდიოდა. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ფანშონს სურდა უმცროსისათვის მიეცა დოლი. მაშინ შევაჩერე იგი, რადგან ეს უკვე აღარ იყო ბუნებისგან შემენილი გაკვეთილი და ძმებს შორის შურის პირველ მარცვალს ჩასთესავდა. როცა დოლი წაართვეს, უმცროსმა ძმამ განიცადა აუცილებლობის მკაცრი კანონი, ხოლო უფროსმა იგრძნო თავისი უსამართლობა, ორივემ ირწმუნა თავიანთი უმწეობა, და ერთი წუთის შემდეგ დაშოშმინდნენ».

თავდაპირველად შემაშინა საყოველთაოდ მიღებული წესების საწინააღმდეგო, ესოდენ ახალმა სისტემამ. როცა კარგად ამიხსნეს ყოველივე, მისი პატივისმცემელი გავხდი, და მივხვდი, ადამიანის სახელმძღვანელოდ ყველაზე უმჯობესია მივმართოთ ვითარებათა ბუნებრივ მსვლელობას-მეთქი. ამ მეთოდში მარტოოდენ ერთი ნაკლი აღმოვაჩინე, რაც ფრიად საგრძნობლად მომეჩვენა: აქ უგულებელყვეს ერთადერთი უნარი, რაც ბავშვობაში მთელი სიძლიერით მოეპოვება ადამიანს, ხოლო წელთა მანძილზე ყოველთვის ნელდება. ასე მეგონა, ვოლმარისა და ჟიულის საკუთარ შეხედულებათა მიხედვით, რაც უფრო სუსტად აქვს განვითარებული შეცნობა პატარა ბავშვს, მით უფრო მეტად უნდა გავუვარჯიშოთ და განვუმტკიცოთ მას მეხსიერება, რასაც ამ ასაკში დიდი მუშაობის შესრულება შეუძლია-მეთქი. «სწორედ მეხსიერებამ, _ ვამბობდი მე, _ უნდა შეუცვალოს ბავშვს გონება, ვიდრე ის არ გამოიღვიძებს, და მეხსიერებამ უნდა გაამდიდროს გონება, როცა ის განვითარდა. გონება, რომელსაც არაფრით არ ავარჯიშებენ, უმოქმედობის გამო მოუქნელი ხდება და ჩლუნგდება. ცუდად შემზადებულ ნიადაგში ჩაყრილი თესლი არ გაღვივდება, და მაშ ბავშვის გონების რა უცნაური მომზდება იქნება ეს, უკეთუ გონებისაკენ მიმართულ პირველ ნაბიჯად სიჩლუნგეს ჩავთვლით». _ «რატომ სიჩლუნგეს?» _ აღშფოთებით წამოიძახა ქალბატონმა დე ვოლმარა. _ აბა, რად ურევთ

ერთმანეთში ორ ასეთ სხვადასხვაგვარ და თითქმის საპირისპირო უანრს, როგორიც არის მეხსიერება და შეცნობა?![18] და განა ცუდად გადახარშულ და უთავბოლო ცნობათა დიდი რაოდენობა, რითაც ჯერ ისევ ავსებენ ბავშვის უსუსურ თავს, უფრო მეტ ზიანს არ მოუტანს მის გონებას, ვიდრე სარგებელს? ვაღიარებ, რომ ადამიანს ყველა სხვა უნარზე ადრე უვითარდება მეხსიერება, და იმაზე იოლი არაფერია, განუვითარდეს იგი ბავშვს: ოღონდ თქვენი აზრით, რა უნდა ვამჯობინოთ _ ის, რასაც ბავშვები უფრო ადვილად დაიზეპირებენ, თუ ის, რისი ცოდნაც ყველაზე მნიშვნელოვანია მათთვის?

აბა, ერთი შეხედეთ, რას ახმარენ ამ უნარს, რა ძალადობითა და მუდმივ შეზღუდვით ჯაბნიან ბავშვებს, მათი მეხსიერებით თავი რომ მოიწონონ, და შეადარეთ აქედან მიღებული სარგებელი იმ ზიანს, რასაც ამ დროს ბავშვებს აყენებენ. ეს როგორ იქნება! დააძალო ბავშვს იმ ენათა შესწავლა, რომელზედაც არასოდეს არ ილაპარაკებს, მაშინ როცა თავისი მშობლიური ენაც კი არ იცის კარგად; აიძულო აუცილებლად გაიზეპიროს ლექსები და გაარჩიოს მათი ზომა და წყობის ხერხები, რის გამოც არაფერიც არ გაეგება, _ ვინაიდან მისთვის ლექსის მთელ ჰარმონიას მხოლოდ თითებზე მარცვალთა ჩამოთვლა შეადგენს; გამოუტენო ტვინი და გონება წრეხაზებითა და სფეროებით, რის გამოც არავითარი წარმოდგენა არა აქვს, დაამახსოვრო ქალაქებისა და მდინარეთა ათასობით სახელწოდება, რაც მუდამ ერთმანეთში ერევა და იზეპირებს მათ ყოველდღიურად, _ და განა მეხსიერების ასეთი განვითარება რაიმე სარფას მოუტანს მსჯელობის უნარს? და განა მთელი ეს აბდაუბდა თუნდაც ბავშვის ერთ ცრემლად კი ღირს, ხოლო ამის გამო რამდენ ცრემლსა ღვრის იგი.

ეს საქმე რომ მარტოოდენ უსარგებლო ყოფილიყო, ნაკლებ ვიწუხებდი, მაგრამ განა ეს წვრილმანი და უმნიშვნელო ამბავია _ როცა ბავშვს აჩვევენ დაკმაყოფილდეს სიტყვებით და ისიც წარმოიდგინოს, ყველაფერი ვიციო, სინამდვილეში კი არაფრის გაგების უნარიც არ გააჩნია? განა შესაძლებელია, ფუჭი სიტყვების უზარმაზარმა კორიანტელმა სულაც არ მიაყენოს ვნება პირვანდელ ცნებებს, რითაც უნდა შევაიარაღოთ ადამიანის გონება? ხომ არ აჯობებდა სულაც არ გვქონოდა მეხსიერება, ვიდრე ყოველგვარი ხარახურით ამოგვეყორა იგი იმ აუცილებელ ცოდნათა საზიანოდ, რომელთა ადგილსაც ის იჭერს?

არა, უკეთუ ბუნებამ ბავშვის ტვინსა და გონებას მომადლა მოქნილობა და ყოველგვარ შთაბეჭდილებათა ამთვისებლობის უნარი, ეს ყველაფერი იმისათვის კი არ მომხდარა, ბავშვს გონებაში რომ ჩაებეჭდოს მეფეთა სახელები, თარიღები, ჰერალდიკის, ასტრონომიის, გეოგრაფიის ტერმინები და ბავშვის ასაკისათვის უაზრო და ყოველგვარი ასაკისათივს უსარგებლო სხვა სიტყვები, _ ყველაფერი ეს მძიმე ტვირთია, რის გამოც ასე უნიათოდ და უნაყოფოდ გაივლის ბავშვობა; არა, ტვინი იმისათვის მიებოძა ბავშვს, რომ ყველა შთაბეჭდილება, რაიც ეხება ადამიანს, მის ბედნიერებასა და ვალდებულებებს, ბავშვობიდანვე წარუხოცლად აღებეჭდოს შიგ და დაეხმაროს მას მოიწყოს ცხოვრება თავისი ბუნებისა და უნარის მიხედვით.

თუკი ბავშვი არ სწავლობს წიგნებით, ამის გამო მისი მეხსიერება სულაც არ არის უმოქმედოდ: ყველაფერი, რასაც ხედავს და ისმენს, აოცებს და ამახსოვრდება; თითქოსდა თავის გონებაში იწერს ადამიანთა მოქმედებებსა და სიტყვებს, და ყველაფერი, რაც მის გარშემოა _ ეს წიგნია, რის მეოხებითაც შეუცნობლად იმდიდრებს მეხსიერებას იმ დროის მოლოდინში, როცა მისი მსჯელობანი შეძლებენ ნასწავლის გამოყენებას. ბავშვის ერთ-ერთი უპირველესი უნარის _ მეხსიერების განვითარების ნამდვილი ოსტატობა სწორედ ამ საგანთა შერჩევაშია, _ ესაა მისწრაფება განუწყვეტლივ დაანახო ბავშვს ყველაფერი ის, რაც

[18] ასეთი შეხედულება სწორად არ მიმაჩნია. არაფერი ისე საჭირო არაა შეცნობისათვის, როგორც მეხსიერება, რასაკვირველია, არა სიტყვათა დამახსოვრების უნარი.

უნდა იცოდეს, დაუმალო ის, რის ცოდნაც არ ესაჭიროება, და ცდილობდე შეუდგინო ცოდნათა მარაგი, რაიც გამოადგება აღზრდისათვის სიყრმის დღეებში და თავისი ყოფაქცევისათვის მთელი ცხოვრების მანძილზე მართალი უნდა ითქვას, რომ ასეთი მეთოდი არ იძლევა პატარა გენიოსთა გამოზრდის საშუალებას და არ აძლევს ნებას გუვერნანტ ქალებსა და დამრიგებლებს თავიანთი ნიჭის გამოსაჩენად, _ სამაგიეროდ ეს ხელს უწყობს განმსჯელ, მტკიცე, სხეულითა და გონებით ჯანმრთელ ადამიანთა აღზრდის საქმეს, იმ ადამიანთა, რომლებიც ყმაწვილობაში მაინცდამაინც არ იწვევენ აღტაცებას, მაგრამ მოწიფულობის ჟამს, სხვათა პატივსცემას იმსახურებენ.

ოღონდ იმას ნუკი იფიქრებთ, _ განაგრძობდა ჟიული, _ აქ უგულებელვყოფთ იმ საზრუნავს, რასაც ესოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ. ცოტაოდნად ყურადღებიანმა დედამ იცის თავისი ბავშვების ვნებათა დაოკება. არის ისეთი საშუალებები, რის მეოხებითაც შეიძლება გავუღვივოთ და აღვუძრათ ბავშვებს სწავლისა ანდა სხვა რაიმე საქმის წყურვილი; და რამდენადაც ეს საშუალებანი შეიძლება შეეფარდოს ბავშვის სრულ თავისუფლებას და ამით მის გულს არ მიენანოს თუნდაც იოტის ოდენა ბიწიერება, ამიტომ დიდი სიამოვნებით ვიყენებ მათ, ოღონდ, გაუჯიქებლად, უკან ვიხევ, როცა მათ წარმატება არ მოაქვთ, ვინაიდან ბავშვი ჯერ ისევ მოასწრებს სწავლას, ხოლო არც ერთი წუთის დაკარგვა არ შეიძლება, როცა გინებს განუვითარო მას ბუნებრივი კეთილი საწყისი; ჩემი ქმარიც ამ აზრისაა გონების თავდაპირველი განვითარების გამო, და ამტკიცებს, უკეთუ ჩემს თორმეტი წლის შვილს არაფერი ეცოდინება, სულ ერთია _ თხუთმეტი წლისა განათლებული ყმაწივლი იქნებაო; კვალად რომ არაფერი ვთქვათ იმის გამო, რომ ადამიანისათვის მაინცდამაინც არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს სწავლულად ყოფნა, სამაგიეროდ, გონიერი და კეთილზნიანი კი უეჭველად უნდა იყოს.

თქვენ იცით, რომ ჩვენი უფროსი შვილი უკვე კარგად კითხულობს. და აი, როგორ მოესურვილა წერა-კითხვის შესწავლა. ვიფიქრე, ხანდახან, გასართობად, ლაფონტენის რომელიმე იგავ-არაკს წავუკითხავ-მეთქი. და ის იყო შევუდექი ამ საქმეს, როცა უეცრად მკითხა: განა ყვავებმა ლაპარაკი იციანო? მაშინვე მივხვდი, თუ რა ძნელი იყო მისთვის სიცრუისა და იგავს შორის განსხვავების გაგება; როგორც იქნა, თავი დავაღწიე მდგომარეობას; ოღონდ, როცა დავრწმუნდი, იგავ-არაკები მოზრდილთათვის არიან შექმნილნი, ხოლო ბავშვებს ყოველთვის სიმართლე უნდა ვუთხრათ-მეთქი, ლაფონტენი განზე გადავდე. იგი შევცვალე უმთავრესად ბიბლიიდან ამოღებული საინტერესო და სამოძღვრებო ამბავთა კრებულით; შემდეგ დავინახე, რომ ისინი ძალიან მოსწონდა ბავშვს და განვიზრახე კიდევ უფრო სასარგებლო გამეხადა ეს წიგნის კითხვა და ვსინჯე თავად შემეთხზა რაც შეიძლება ჩემთვის თავშესაქცევი და, ასე ვთქვათ, ყოველთვის სადღეისო ჭირ-ვარამის ამსახველი მოთხრობები. იმისდა მიხედვით, თუ როგორ იქმნებოდნენ ისინი, ვიწერდი მათ სურათებიან ლამაზ წიგნში, რომელიც ყოველთვის ჩაკეტილი მქონდა, და დროგამოშვებით იქიდან ვუკითხავდი შვილს პატარ-პატარა მოთხრობებს, _ ზოგ-ზოგჯერ და არც ისე დიდხანს, ხშირად ერთსა და იმავეს, ვუმატებდი მათ ყოველგვარ ახსნა-განმარტებას, და შემდეგ ხელს ვკიდებდი ახალ-ახალ ამბებს. უკეთუ ბავშვს არაფერი აქვს საქნარი, იგი ზოგჯერ მოიწყენს, _ ჩემი პატარა ზღაპრები თავშესაქცევარს წარმოადგენდნენ, მაგრამ, ხანდახან ხდებოდა ხოლმე, როცა ვხედავდი, დაძაბული ყურადღებით რომ მისმენდა, ანაზდად, თითქოს რაღაც საოჯახო საქმე მომაგონდაო, კითხვას ყველაზე საინტერესო ადგილას ვწყვეტდი, ოთახიდან გავდიოდი და წიგნს დაუდევრად ვაგდებდი მაგიდაზე. ბიჭი მაშინვე დაუწყებდა ვედრებას გადიას ან ფანშონს, ანდა კიდევ სხვა ვინმეს, ბოლომდე წამიკითხეთ მოთხრობაო. მაგრამ ვინაიდან ბრძანების უფლება არ ჰქონდა, ხოლო ყველანი გაფრთხილებულნი იყვნენ ჩემგან, არც თუ ისე უგონებდნენ. ერთი გადაჭრით ეუბნებოდა უარს, მეორეს რაღაც საქმე გასჩენოდა, მესამე

კითხულობდა მარცვალ-მარცვალ ჩათვლით, ხოლო მეოთხე შეუდგებოდა კითხვას, და ჩემსავით, შუა ადგილას შეწყვეტდა მოთხრობას. ვიღაცამ დაინახა, ბავშვი ძალზე შეწუხებული იყო ამ გარემოებით და ფრთხილად შეაპარა აზრი, თავადვე ისწავლე კითხვაო, რომ სხვაზე არ იყო დამოკიდებული და ფურცელი წიგნი, რამდენიც შენს სულსა და გულს მოესურვებაო. ეს აზრი მოეწონა ბიჭუნას. ახლა უნდა ეპოვნა ვინმე, ვინაც თავაზიანად დათანხმდებოდა და გაკვეთილებს მისცემდა, _ ეს კი ახალი სიძნელე გახლდათ, რაც იმაზე უფრო დიდხანს აღარ გავაჭიანურეთ, ვიდრე საჭირო იყო. ამ გაფრთხილებათა მიუხედავად, სამჯერ თუ ოთხჯერ მიანება წიგნს თავი, _ მისთვის არაფერი უთქვამთ. მხოლოდ იმასღა ვცდილობდი, კიდევ უფრო საინტერესო გამეხადა მოთხრობები, და მაშინ ისე გულდაგულ მოჰკიდა ხელი საქმეს, რომ ექვს თვესაც არ გაუვლია მას შემდეგ, რაც ბეჯითად შეუდგა სწავლას, და უკვე მალე შეიძლებს მთელი კრებულის დამოუკიდებლად წაკითხვას.

სწორედ ასეთივე საშუალებით ვეცდები გავუღვივო მძაფრი სურვილი ცოდნის შეძენისა, რაიც მოითხოვს მისი ასაკისათვის შესაფერ თანამიმდევრულ მეცადინეობასა და გულმოდგინებას, მაგრამ თუმცა უკვე სწავლობს კითხვას, ამ ცოდნას წიგნებიდან როდი მიიღებს, _ ამას იქ ვერ იპოვის. და ბავშვს არც კი ჰფერობს წიგნის მატლად ყოფნა. მსურს, რომ ბავშვობიდანვე მის გონებას ავსებდეს აზრები და არა სიტყვები. აი, ამიტომაა, რომ არასოდეს ვაიძულებ ზეპირად ისწავლოს რაიმე».

«არასოდეს? _ ჩავეკითხე მე, _ ეს უკვე მეტისმეტია. ხომ უნდა იცოდნენ ბავშვებმა კატეხიზისი და ლოცვები». «თქვენ ცდებით, _ მომიგო მან, _ რაც შეეხება ლოცვებს, მე მათ ყოველ დილით და ყოველ საღამოს საბავშვო ოთახში ხმამაღლა წარმოვთქვამდი ხოლმე და ეს საკმარისია, სულ ძალდაუტანებლად რომ შეისწავლონ იგი; ხოლო კატეხიზისზე წარმოდგენაც არა აქვთ, არც კი იციან, თუ რა არის ეს». «აბა, რას ამბობთ, ჟიული! განა თქვენი ბავშვები კატეხიზისს არ სწავლობენ?» «არა, ჩემო მეგობარო, არ სწავლობენ». «როგორ გეკადრებათ, ჟიული! მერედა თქვენებრ სათნო დედის შვილები? არაფერი გამეგება თქვენი, სრულიად აღარაფერი! რატომ არ სწავლობენ კატეხიზისს თქვენი ბავშვები?» «იმიტომ, რომ მინდა ოდესმე სწამდეთ ის, რაც შიგ წერია, მინდა ოდესმე ქრისტიანები გახდნენ ისინი». «აჰ, დახეთ რა ყოფილა! _ წამოვიძახე მე, _ თქვენ გნებავთ, რომ მათ სწამდეთ არა მარტოოდენ სიტყვებით, არა მარტო ის იცოდნენ, რასაც გვასწავებს რელიგია, არამედ სწამდეთ კიდეც მისი მოძღვრება. თქვენ მართებულად ფიქრობთ, ადამიანს არ ძალუძს იწამოს ის, რაც არ ესმის». «ძალზე მომთხოვნი ადამიანი ხართ, _ ღიმილით მითხრა ბ-ნმა დე ვოლმარმა. _ განა თქვენ ქრისტიანი არ ბრძანდებით?» «ვცდილობ ყოფნას, _ მტკიცედ მივუგე მე, _ რელიგიაში მწამს ყველაფერი, რის გაგებაც შემიძლია, ხოლო ყოველივე დანარჩენს პატივისცემით ვეპყრობი და არც უარვყოფ ამას». ჟიულიმ მოწონების ნიშნად გადმომხედა, და კვლავ დავუბრუნდით ჩვენი საუბრის საგანს.

ბევრი სხვა რამეც მიამბო და მივხვდი, თუ რაოდენ გამრჯელნი, დაუცხრომელნი და წინდახედულნი არიან დედები თავიანთ შვილებზე მზრუნველობისას; ჟიულიმ დასასრულ შენიშნა, ჩემი მეთოდით ორ გარკვეულ მიზანს ვისახავო: სახელდობრ _ მინდა ლაღად და თავისუფლად განვითარდეს ბავშვთა მიდრეკილებანი და შევისწავლო ისინიო. «ჩემი ბავშვები არ იცნობენ არვითარ არტახებს, _ თქვა მან, _ და არც შეეძლებოდათ თავიანთი თავისუფლების ბოროტად გამოყენება; მათი სული არ გაიხრწნება ან არ დამახინჯდება ძალადობისაგან; ჩვენ გულარხეინად ვუწყობთ ხელს მათი ხორციელი ძალ-ღონის გაკაჟებს და მათი გონების გამოღვიძებას; მათ როდი ამცირებთ მონობა, უცხო თვალი როდი უბღალავთ თავმოყვარეობას; მათ არ წარმოუდგენიათ თავი ძლევამოსილ პიროვნებად და არც იმას ფიქრობენ, დაბმული მხეცები ვართო _ აღსავსენი არიან ბედნიერი და ლაღი ბავშვობის სიხარულით.

ბავშვის სულისათვის უცხო ბიწიერებათაგან, ჩემი აზრით, მათ იხსნის უფრო მეტად ძლიერი საშუალება, ვიდრე დარიგებანი, რაიც მუდამ გაუგებარია ბავშვებისათვის და ძალიან მალე აბეზრებთ თავს: უზნეობისაგან მათ იცავთ გარშემომყოფთა ზნეკეთილობა და ის საუბრები, რასაც აქ ერთმანეთს შორის აჩაღებენ ადამიანები სრულიად ბუნებრივად, და არა ბავშვთა დასამოძღვრად; მშვიდობა და ერთსულოვნება, რის მოწმენიც თავად ბავშვები არიან; თანხმოვანება, რაიც გამეფებულა აქ როგორც ყველას შორის ურთიერთობაში, ისე ცალ-ცალკე თითოეულის ყოფაქცევასა და სიტყვებში.

რაკი ისინი პირველყოფილური სიმარტივის ვითარებაში ცხოვრობენ, მაშ, საიდან უნდა შეიძინონ ბიწიერებანი, რის მაგალითებსაც თვალსაც კი ვერ მოჰკრავენ: ვნებანი, რომელთა შთასახვისათვის არავითარი საბაბი არ არსებობს, ცრურწმენანი, რომელთაც არავინ შთაუნერგავთ? თავადვე ხედავთ, მათ ვერ აცდუნებთ სხვათა ცდომილებანი, ხოლო საკუთარი ცუდი ნიშან-თვისებანი მათ ჯერ კიდევ არ ემჩნევათ. ისინი უმეცარნი არიან, ოღონდ ჯიუტნი კი არა, არც რაიმეს ახირება სჩვევიათ. საერთოდ, როცა აღკვეთილია ცუდი საქციელისადმი მიდრეკილებანი, სავსებით გამართლებული ხდება ნდობა ბავშვის ბუნების მიმართ, _ ყველაფერი მიდასტურებს, რომ ბავშვთა ნაკლოვანებანი მათი ბრალი კი არაა, არამედ ჩვენი.

და აი, ჩვენი ბავშვები თავისუფლად მიყვებიან თავიანთ მიდრეკილებათ, რომელთაც არაფერი ფარავთ და არაფერი ამახინჯებს. ამიტომაც არ გააჩნიათ არავითარი გარეგნული პეწი, არავითარი ხელოვნური, მათი ხასიათი ყოველდღიურად ვითარდება ჩვენს თვალწინ, სრულიად დაუბრკოლებლად, და, ამრიგად, ძალგვიძს უაღრესად იდუმალ საფუძვლებამდე შევისწავლოთ მათი არსების ბუნებრივი მოძრაობანი. ისინი დარწმუნებულნი არიან, არავინ დაგვტუქსავს და არც დაგვსჯისო, არ შეუძლიათ არც ტყუილის თქმა, არც რაიმეს დაფარვა და ყველაფრით, რასაც ეუბნებიან ერთმანეთს ან ჩვენ, უშიშრად გადაგვიშლიან თავიანთ გულს. თავისუფლად ლაყბობენ ერთმანეთს შორის მთელი დღეობით, და როცა მათთანა ვარ, არც კი ფიქრობენ მორიდებას. არასოდეს დამიტუქსავს ისინი, არ ვაკმენდინებ ხმას და არც ისე მოვაჩვენებ თავს, ვითომცდა დიდი ინტერესით ვუსმენდე, და თუნდაც სავსებით აკრძალულ რაიმეს ლაპარაკობდნენ, ისე ვიქცევი, თითქოს არაფერსაც არ ვამჩნევდე; ნამდვილად კი უდიდესი ყურადღებით ვისმენ, რაც ეჭვადაც კი არ იციან; ვამჩნევ ყველაფერს, რასაც ისინი აკეთებენ, ყველაფერს, რასაც ლაპარაკობენ, _ ყოველივე ეს ხომ ბუნებრივი მოვლენაა არსებისა, რომელიც უნდა აღიზარდოს. მათ ბაგეთაგან წარმოთქმული ცუდი სიტყვა რაღაც უცხო ღვარძლია, რომლის თესლიც ქარმა მოიტანა; თუ მას საყვედურით შევაწყვეტინებ, მალე კვლავ აღმოცენდება, და ამის ნაცვლად ჩუმად ვეძიებ თავად მის ფესვს და ვცდილობ ამოგლეჯას. მე ხომ მარტოოდენ მებაღის მოახლე ვარ, _ სიცილით წარმოთქვა ჟიულიმ, _ მე ვმარგლავ ბაღს და ვაშორებ მას სარეველა ბალახბულახს, ხოლო მებაღის საქმეა _ ყოველივე კარგის გახარება.

აგრეთვე უნდა ვაღიარო: მთელი ჩემი შრომითა და მცდელობით შემეძლო წარმატების იმედი მქონოდა მხოლოდ სხვათა დახმარების მეოხებით, და ჩემი ზრუნვის კარგი ნაყოფი მივიღე ხელსაყრელ ვითარებათა დამთხვევით, რასაც, კაცმა რომ თქვას, სხვა ადგილას ვერასოდეს ვეღირსებოდი. საჭირო იყო განათლებული მამის ნათელი გონება, რათა ძვალ-რბილში გამჯდარ ცრურწმენათა ბინდბუნდში შემემჩნია აკვნიდანვე ბავშვთა აღზრდის ნამდვილი ოსტატობის საწყისები, საჭირო გახდა მთელი მისი მოთმინება, რათა ყოველდღიურად ხორცი შესხმოდა ჩანაფიქრს, და თანაც იმგვარად, რომ სიტყვა და საქმე ერთი ყოფილიყო; საჭირო იყო, ბავშვებს აღმოჩენოდათ ნიჭი და უნარი, რითაც ბუნება საკმარისად დააჯილდოებდა მათ. მარტო ამით მოინადირებდა სხვათა გულს; საჭირო იყო, ჩვენს გარშემო მყოფი მოსამსახურენი ყოფილიყვნენ ჭკვიანი და კეთილმოსურნე

ადამიანები და ყოველთვის ხელი შეეწყოთ პატრონთა განზრახვებისათვის, ხოლო თუკი მათ შორის აღმოჩნდებოდა თუნდაც ერთი უხეში და პირფერი ფარეში, ყველაფერს ბოლო მოეღებოდა. მართლაცდა, საფიქრალია რამდენ გარეშე ვითარებას ძალუძს ზიანი მიაყენოს ყველაზე საუკეთესო განზრახვებს და ჩაფუშოს ყველაზე კარგად მოფიქრებული გეგმები! უნდა ვუმადლოდეთ ბედს, როცა კარგ რამეს გავაკეთებთ ცხოვრებაში, და ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ სიბრძნე ბევრად დიდად არის დამოკიდებული ბედნიერებაზე».

«დაუმატეთ, ბედნიერება კიდევ უფრო დიდადაა დამოკიდებული სიბრძნეზე! _ წამოვიძახე მე. _ ნუთუ ვერა ხედავთ, რომ ადამიანთა ხელშეწყობა, რაც ასე გახარებთ, _ თქვენი ნამოქმედარია, ვინაიდან თქვენს ახლოს მყოფი ყოველი ადამიანი ძალაუნებურად თქვენ გემსახურებათ. ოჯახთა დედებო! როცა ჩივით, არავინაც არ გვეხმარებაო, როგორ ცუდად იცნობთ თქვენს ძალაუფლებას! იყავით ისეთნი, როგორიც უნდა იყვნეთ, და ყოველვარ დაბრკოლებას გადალახავთ; თითოეულ ადამიანს აიძულებთ თავის ვალდებულებათა შესრულებას, თუ თავადაც პირნათლად შეასრულებთ ყოველივეს, რაც თქვენზეა დაკისრებული. აკი თავად ბუნებამ მოგანიჭათ ეს ვალდებულებანი. ბიწიერებამ რაც უნდა ეცადოს, ისინი სამარადისოდ ძვირფასნი დარჩებიან კაცის გულთათვის. აჰ, ოღონდ იყავით ღირსეული მეუღლენი და დედები, და ამქვეყნად ყველა არსებულთაგან უფრორე სასიამტკბილო მბრძანებლობა ყველაზე საპატიოც გახდება».

ჩვენი საუბრის დასასრულს ჟიულიმ შენიშნა, ანრიეტას ჩამოსვლის შემდეგ ყველაფერი გაცილებით იოლი გახდაო. «ცხადია, _ დაუმატა მან, _ დამჭირდებოდა ძალზე ნაკლები ზრუნვა, სარჯელი და გულმოდგინება, ძმებს შორის შეჯიბრების გამართვა რომ მომესურვებია; მაგრამ ეს გზა ფრიად სახიფათოდ მიმაჩნია; მიჯობს უფრო მეტი შრომა გავიღო, ვიდრე ოდნავ მაინც გავუნელო ურთიერთსიყვარული. თუმცა, ანრიეტას წყალობით ეს საჭირო აღარ გახდა, _ ის ხომ ქალთა სქესის წარმომადგენელია, მათ შორის უფროსიც, და ორივე ძმას გაგიჟებით უყვარს იგი; ვისარგებლე იმით, რომ ასაკთან შედარებით ძალზე ჭკვიანი გოგონაა, და ასე ვთქვათ, მათი მთავარი გამდელი გავხადე _ ეს გეგმა მით უფრო ხელსაყრელია, რომ მისი დარიგებები ძმებს არ აღიზიანებთ.

თავად ანრიეტას აღზრდას მე განვაგებ, ოღოდნ აქ საფუძვლები სულ სხვაგვარია, და მათ გამო განსაკუთრებით უნდა ვილაპარაკო. მხოლოდ წინასწარ შემიძლია ვთქვა, _ ძნელია რაიმე დაემატოს იმ საბოძვართ, რაც მოჰმადლა მას ბუნებამ, და დადგება დრო, როცა დედამისს დაემსგავსება, უკეთუ შეიძლება შეედაროს ვინმე კლარას მთელ ქვეყანაზე».

მილორდ, აქ თქვენს ჩამოსვლას დღე-დღეზე ელიან, ალბათ, ეს ჩემი უკანასკნელი წერილია თქვენთან კლარანიდან. მაგრამ ვხვდები, თუ რისთვის აყოვნებთ არმიაში, და ვშიშობ თქვენს გამო. ჟიული ჩემზე ნაკლებად როდი წუხს. გთხოვთ, ხშირ-ხშირად გვაცნობოთ თქვენი ამბავი, და გაფიცებთ, თავს ხიფათში ნუ ჩაიგდებთ, გახსოვდეთ, თუ როგორ ღელავენ თქვენს გამო თქვენი მეგობრებიო. თავად მე კი აღარ ვიცი, რა უნდა გითხრათ. აღასრულეთ თქვენი ვალი. გამაფრთხილებელი მოწოდებანი ჩემს გულს არ დასცდება, და თქვენი გულიც როდი შეისმენს მათ. ძვირფასო ბომსტონ, ძალიან კარგად ვიცი ეს. შენი ცხოვრების ერთადერთი ღირსეული ბოლო იქნებოდა სიკვდილი ბრძოლის ველზე, სადაც თავს დადებდი შენი სამშობლოსათვის, ოღონდ ნუთუ არაფრით გაუფრთხილდები თავს იმის გულისათვის, ვინაც სიცოცხლე შენი წყალობით შეინარჩუნა?

IV წერილი
მილორდ ედუარდისაგან

თქვენი ორი უკანასკნელი წერილიდან ჩანს, რომ ჩემამდე არ მოუღწევია იმ წერილს, რომელიც მათზე ადრე იყო გამოგზავნილი, ალბათ, თქვენგან არმიაში გამოგზავნილი პირველი წერილი სწორედ ისაა, სადაც გადმოცემულია ქალბატონ დე ვოლმარის იდუმალი სევდის მიზეზი. ის წერილი არ მიმიღია: ვფიქრობ, ის იდო იმ შიკრიკის ჩანთანში, რომელიც ხელთ იგდო მტერმა; გაიმეორეთ, ჩემო მეგობარო, რა ეწერა იქ, საგონებელში ვარ ჩავარდნილი და ვერ ვისვენებ: უკეთუ ჟიულის გულს ბედნიერება და მშვიდობა არ უწერია, მაშინ სადღაა მათი სავანე ამქვეყნად?

დაამშვიდეთ ის საფრთხეთა გამო, რაიც, მისი აზრით, მე მემუქრება. ძალზე გამოცდილ მტერთანა მაქვს საქმე: შეტაკებაში არ გვითრევს, ოღონდ ერთი მუჭა მებრძოლებით ახერხებს ჩვენი ძალების შებოჭვას, და ვერაფრით შევიძელით მის წინააღმდეგ იერიშის მიტანა. თუმცა, ჩვენ ისე გულდაჯერებულნი ვართ, რომ შეგვეძლო საუკეთესო სარდალთათვის დაუძლეველი დაბრკოლებანი გადაგველახა და ბოლოსა და ბოლოს გვეიძულებინა ფრანგები გავენადგურებინეთ. ვატყობ, ჩვენი პირველი წარმატება ძალზე ძვირი რომ დაგვიჯდება, და დეტინგენში მოგებული ბრძოლისათვის ფლანდრიაში ვიგემებთ დამარცხებას. მტრის არმიის სათავეში დგას დიდი სარდალი, და კიდევ მეტიც, ჯარები ენდობიან მას; ხოლო როცა ფრანგი ჯარისკაცი ენდობა თავის გენერალს, იგი უძლეველია; და, პირიქით, ის ჩალადაც არა ღირს, როცა მას სარდლობს მისთვის საძულველი სასახლის ჩიტირეკია ვინმე, ეს კი ისე ხშირად ხდება, რომ მხოლოდ თვალყური უნდა ადევნო სასახლის ინტრიგებს, და მარჯვე შემთხვევა თუ მოგეცა, აუცილებლივ დაამარცხებ კონტინენტის ყველაზე მამაც ერს. თავადაც კარგად იციან ეს ამბავი. ერთხელ მილორდმა მალბორომ ყურადღება მიაქცია ბლანჰაიმთან[19] ტყვედ წამოყვანილი ჯარისკაცის ყოჩაღ და ვაჟკაცურ იერს, და უთხრა: ფრანგთა არმიაში რომ ორმოცდაათი ათასი შენი მსგავსი მებრძოლი ყოფილიყო, იგი არ დამარცხდებოდაო.

დასწყევლოს ღმერთმა! _ მიუგო გრენადერმა, _ ჩემისთანები საკმაოდ გვყავდა, ოღონდ ერთი შენისთანა კაცი გვაკლდაო. მაგრამ ახლა სწორედ ასეთი კაცი სარდლობს ფრანგთა არმიას, ჩვენ კი მისებრი არა გვყავს; ოღონდ ამის გამო ფიქრით თავს არ ვიწუხებთ.

როგორადაც უნდა იყოს, მინდა ვიხილო, როგორ მანევრირებენ ჯარები და რით გათავდება ლაშქრობა. და გადავწყვიტე არმიაში დარჩენა, სანამ პოლკები საზამთრო ბინებში არ გაემართებიან. ყველანი მოვიგებთ ამ შეყოვნებიდან. ზამთრობით უკვე შეუძლებელია მთებზე გადასვლა, მე და თქვენ იქ გამოვიზამთრებთ, სადაც ვიმყოფებით, ხოლო ადრიან გაზაფხულზე იტალიას მივაშურებთ. გადაეცით ჟიულისა და ბ-ნ დე ვოლმარს, ჩემი გეგმები მხოლოდ იმიტომ შევცვალე, რომ გული ვიჯერო თქვენგან ასე საუცხოოდ აღწერილი საგულისგულო სურათით და დავინახო, თუ როგორ მოეწყო ქალბატონი დ'ორბი მათთან. მომწერეთ, ჩემო მეგობარო, წინანდელებრივ ხშირ-ხშირად _ ამით ისე მაამებთ, როგორც არასოდეს; ჩემი კარეტა ხელთ იგდო მტერმა, უწიგნებოდ დავრჩი, მაგრამ სამაგიეროდ, მრავალჯერ ვკითხულობ თქვენს წერილებს.

V წერილი
მილორდ ედუარდისადმი

რა სიხარული მომანიჭეთ მოულოდნელი ამბით, ზამთარს მე და თქვენ კლარანში გავატარებთო! ოღონდ, რა ძვირად მიჯენთ ამ ამბავს, რაკიღა გინებთ არმიაში ყოფნის

[19] ასე უწოდებენ ინგლისელები ჰოხშტედტან მომხდარ ბრძოლას.

განგრძნობა! განსაკუთრებით ის მაწუხებს, რომ ჯერ კიდევ ჩვენს განშორებამდე გადაწყვიტეთ სალაშქროდ წასვლა, _ ეს აშკარად ჩანს ახლა, ხოლო ჩემთვის არაფრის თქმაც არ ისურვეთ. მილორდ, ვიცი, რა მიზეზით იმარხავდით ამას საიდუმლოდ, მაგრამ ამისთვის ვერ დაგემადლიერებით. ნუთუ ეგზომ გძულვართ, რომ ფიქრობთ, თითქოს მინდოდეს თქვენს შემდეგ ცოცხალი დავრჩე, ანდა თქვენთვის ცნობილი იყოს რაღაც ესოდენ მდარე ტრფიალებანი, რომელთა გამო თითქოსდა მზადა ვარ დავკარგო ჩემს მეგობართან ერთად სიკვდილის პატივი და ღირსება? თუკი არ ვიყავი ღირსი თანვე გხლებოდით, მაშინ აქ რად გამომგზავნეთ, რატომ ლონდონში არ დამტოვეთ, _ ეს უფრო ნაკლებ შეურაცხმყოფელი იქნებოდა.

თქვენი უკანასკნელი წერილიდან ჩანს, რომ ერთ-ერთი ჩემი წერილი სადღაც დაიკარგა, ამიტომაც ორი შემდგომი ბარათი თქვენთვის მრავალხმრივ ბუნდოვანია; მათ გასაგებად აუცილებელ ახსნა-განმარტებას ჯერჯერობით გადავდებ და მოცლილობის ჟამს გაახლებთ. ახლა კი მთავარია გაგიფანტოთ წუხილი ქალბატონ დე ვოლმარის იდუმალი ნაღველის გამო.

კვლავ აღარ გადმოგცემთ იმ საუბრის გაგრძელებას, რაიც გავმართეთ ორივემ მისი ქმრის გამგზავრების შემდეგ. მას მოღმა იმდენი რამ მოხდა, რომ ნაწილობრივ უკვე დამავიწყდა ეს საუბარი. ჩვენ იმდენჯერ განვაახლეთ ის ბ-ნ დე ვოლმარის არყოფნის დროს, რომ, განმეორების თავიდან ასაცილებლად, ყველაფერს მოკლედ გიამბობთ.

მაშ ასე, ჟიულიმ მითხრა, ჩემი ქმარი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, ბედნიერი რომ ვიყოო, და მასთან ერთად იგი ჟიულის მწუხარების ერთადერთი მიზეზიცაა, და რაც უფრო გულწრფელია მათი ურთიერთსიყვარული, მით უფრო იტანჯება ჟიული. აბა, წარმოიდგინეთ, მილორდ! თურმე, ვოლმარი, ასეთი ბრძენკაცი, ასე ნაკლებ რომ მონებს ადამიანურ ვნებათ, თავისი ქველკეთილი ცხოვრების მთელი უმწიკვლობის მიუხედავად, სკეპტიკოსის უსაშველო გულცივობით ყოფილა შეპყრობილი და, ასეთ წინააღმდეგობათა გამო ფიქრისას, ჟიული უფრო მეტად დარდობს და ჭმუნავს. ვგონებ, აპატიებდა კიდეც ქმარს, თუ იგი უარყოფდა გამჩენს, უკეთუ ექნებოდა ამ გამჩენის შიში, ანდა ამაყი და მზვაობარი არარად მიიჩნევდა მას. «დაე, ბრალეულმა დაიმშვიდოს სინდისი თავისი გონების ცდომილებით, დაე, ცრუმოძღვრების მქადაგებელმა თავის ღირსებად მიითვალოს სულ სხვაგვარი სჯა და ფიქრი, ვიდრე უბრალო მოკვდავთ ფიქრია. ოღონდ, _ ოხვრით წარმოთქვა ჟიულიმ, _ როგორ შეიძლება, ურწმუნო იყოს ესოდენ კეთილშობილი ადამიანი, ასე ნაკლებ რომ ყოყოჩობს თავისი ცოდნით!»

უნდა იცნობდე ორივე ცოლ-ქმრის ხასიათს, უნდა წარმოიდგინო, რომ მთელი მათი ცხოვრება ოჯახურ წიაღშია ჩაძირული და უერთმანეთოდ ეს ქვეყანა ჩალადაც არ უღირთ; უნდა იცოდე, თუ რა თანხმოვანება სუფევს მათ შორის სხვა მხრივაც, და მხოლოდ მაშინ გაიგებ და მიხვდები, თუ როგორ ძალუძს დაარღვიოს მათი ბედნიერება აზრთა სხვადასხვაობამ მარტო ამ ერთ საკითხში. ქმრის გონება გაცილებით უფრო მაღალი იყო სულელურ უღელზე, მისთვის რომ უნდა დაედგათ, და მალე სიძულვილით მოისროლა იგი, მასთან ერთად უკუაგდო ყველაფერი, რაც ესოდენ საეჭვო ავტორიტეტიდან მომდინარეობდა; შიშობდა, ვაითუ ცოდვილი გავხდეო, და ათესიტი კი შეიქნა.

შემდგომში სულ კათოლიციზმის ქვეყნებში ცხოვრობდა, აკვირდებოდა ამ სარწმუნოებას, მაგრამ ქრისტიანულ მოძღვრებაზე წარმოდგენა აღარ შეცვლია. რელიგია მიაჩნდა მხოლოდ და მხოლოდ ვერცხლმოყვარე მღვდლე-მსახურთა ინტერესების დამცველად. დაინახა, რომ აქ ყველაფერი უბრალო მანჭვა-გრეხა იყო, რაც ცოტად თუ ბევრად მარჯვედ გახლდათ შენიღბული მეტად უმნიშვნელო სიტყვებით; შენიშნა, ყველა წესიერი ადამიანი ამავე აზრისა რომ იყო და სრულიადაც არ ფარავდა ამას, და თავად სამღვდელოება, ოდნავ უფრო თავდაჭერილად, მაგრამ ჩუმად მაინც დასცინოდა იმას,

რასაც საჯაროდ ქადაგებდა, და ვოლმარმაც არაერთხელ განმიცხადა, მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე, ხანგრძლივი და ამაო ძებნის შემდეგ სამი ღვთისმორწმუნე მღვდლის მეტი ვერ ვიპოვეო.[20] გულწრფელად სურდა ჩასწვდომოდა ამ საგანს, დაეწაფა მეტაფიზიკის სიღრმეს, სადაც ადამიანს აღარ უვის სხვა რომელიმე ხელმძღვანელი, გარდა იმ სისტემებისა, რაც თან მიაქვს იქ, და როცა ყველგან დაეჭვება და წინააღდმეგობები განიცადა, კვლავ მოიწადინა დაბრუნებოდა ქრისტიანობას, მაგრამ გვიანღა იყო: მისი სული უკვე დახშული აღმოჩნდა ჭეშმარიტების შესაცნობად, მის გონებას უკვე აღარ ძალედვა რაიმეს დაჯერება; ყველაფერმა, რასაც მას უმტკიცებდნენ, განუცამტვერა რწმენის გრძნობა და მის ნაცვლად აღარაფერი დაუნარჩუნა. და, ბოლოს და ბოლოს, უკუაგდო ყოველგვარი დოგმები, _ ხელი აიღო ათეისტობაზე მხოლოდ იმიტომ, სკეპტიკოსი რომ გამხდარიყო.

აი, როგორი ადამიანი განუმზადა ქმრად ზენამ ჟიულის, ხოლო თქვენ ხომ კარგად უწყით, რომ მისი გული აღსავსეა მიამიტი რწმენით, თვინიერი ღვთისმოსაობით. ოღონდ მარტოოდენ მან, ვისაც მისი მამიდაშვილისა და ჩემს მსგავსად, ახლო ურთიერთობა ჰქონდა მასთან, იცის, თუ რაოდენ მიისწრაფის თავის ბუნებით ზენაარსისკენ ეს უნაზესი არსება. მერწმუნეთ, თითქოსდა ვერავითარი ამქვეყნიური ვერ დააკმაყოფილებს მის მოთხოვნილებას _ უყვარდეს მარად და მარად; უკიდურესი მგრძნობელობა თავისთავად დააწაფებს მას სიყვარულის წყაროს; ჟიულის გული მართლაცდა დაუშრეტელი ნაკადულია, და არც სატრფიალო გრძნობებს, არც მეგობრობას არ ძალუძს მისი ამოშრობა, _ მოჭარბებულ სიყვარულს შემოსძღვნის ერთადერთ არსებას, რომელიც ღირსია ზედ გადაეგოს მას.[21] ღვთის სიყვარული ჟიულის როდი თიშავს ადამიანთაგან, როდი ძენს მას სიმკაცრესა და უკმეხობას. ყველა მისი ამქვეყნიური სიყვარული წარმოქმნილია ერთი და იმავე მიზეზით, ერთიმეორეს განაცხოველებს და ამიტომაც კიდევ უფრო საყვარელი და ტკბილი ხდება მისთვის და, ვგონებ, ჟიული უფრო ნაკლებ ღვთისმოსავი იქნებოდა, ასე ნაზად რომ არ ყვარებოდა თავისი მამა, ქმარი, ბავშვები, მამიდაშვილი და მე, ცოდვილი.

მაგრამ საოცარი ამბავია, რამდენადაც უფრო მეტად აქვს ღვთის სიყვარული, მით უფრო ნაკლებ ამჩნევს ამას ჟიული და მით უფრო მეტად ჩივის, ჩემი სული გამოფიტულია და სრულიადაც არ ძალუძსო ღვთის სიყვარული. «რაც უნდა ვთქვათ, _ განაცხადა მან, _ გულში მაინც შეიძლება წარმოიქმნას სიყვარული მხოლოდ და მხოლოდ მასაზრდოებელი გრძნობებისა და წარმოსახვის მეოხებით, ხოლო შესაძლებელი კი იქნება დავინახოთ ან წარმოვიდგინოთ დიადი არსების უსასრულობა?[22] როდესაც მე მსურს სულით აღვევლინო

---

[20] იცის ღმერთმა, როდი ვიწონებ ამ უკმეხ და უგუნურ განცხადებათ, მხოლოდ აღვნიშნავ, რომ არიან ადამიანები, რომლებიც ასე ლაპარაკობენ და სამღვდელოების ყოფაქცევა ყველა ქვეყანასა და ყველა სექტაში ძალზე ხშირად ამართლებს მსგავს გამოხდომებს. ოღონდ ამ შენიშვნაში სრულიადაც არ მინდა სხვის ზურგს ამოვეფარო და ახლავე მოგახსენებთ ჩემს საკუთარ აზრს ამ საკითხის გამო. ასე მგონია, ყოველმა ჭეშმარიტმა მორწმუნემ უნდა აიტანოს სხვისი სარწმუნოება და არ უნდა სდევნოს იგი. მე რომ მოსამართლე ვიყო და ჩვენ გვქონდეს ათეიზმისათვის სიკვდილით დასჯის კანონი, იმით დავიწყებდი, რომ კოცონზე გავგზავნიდი ყველას, ვინც მოვიდოდა და დაასმენდა ათეისტებს.

[21] განა ეს როგორ ხდება! მაშასადამე, გული ღმერთს მხოლოდ იმას უძღვნის, რაც შემორჩა მის ქმნილებათა სიყვარულის შემდეგ? არა, პირიქით, მიწიერ ქმნილებათ ესოდენ ნაკლებად ძალუძთ კაცთა გულის დაპრყობა, რომ, როცა გგონია, ამ ქმნილებებითაა აღსავსეო, შიგ მაინც კვლავ სიცარიელეა. მის აღმოსავსებად უსასრულობაა საჭირო.

[22] უეჭველია, სულისათივს ადვილი როდია აღევლინოს ღვთაების მაღალ იდეამდე, ხოლო მდაბიო ხალხს კიდეც შეშვენის მეტწილად გრძნობაზე დამყარებული კულტი. ეს გაცილებით უფრო დამაშოშმინებელია. ხალხს უყვარს, რომ მას შესთავაზონ სხვადასხვა საღვთო საგნები, რომელნიც განარიდებენ ღვთის გამო

მასთან, არ ვიცი, სადა ვარ, ვერავითარ კავშირს ვერა ვხედავ ჩემსა და მის შორის; და როცა არ ვიცი, თუ როგორ მივწვდე მას, მეტს ვეღარაფერს ვეღარ ვხედავ, ვეღარაფერს ვეღარ ვგრძნობ, _ თითქოსდა აღარც კი ვარსებობდე, და თუკი გავბედავდი ჩემი თავისდა მიხედვით განმესაჯა სხვები, მაშინ მართლაც დავასკვნიდი, რომ მისტიკური ექსტაზები მარტოოდენ პირთამდე აღსავსე გულში კი არ წარმოიქმნებიან, არამედ _ გამოცარიელებულ თავშიც.

მაშ, რა უნდა ვქნა? _ განაგრძობდა ჟიული, _ როგორ დავაღწიო თავი დაბრმავებული გონების მოსაჩვენარ ზმანებებს? ტლანქი, მაგრამ ჩემთვის ხელმისაწვდომი კულტით ვცვლი უზეშთაეს ჭვრეტას, რაიც ჩემს ძალ-ღონეს აღემატება. ვაგლახ! მე ვბღალავ ღვთაებრივ სიდიადეს; ღმერთსა და ჩემს შორის ვალაგებ გრძნობათაგან აღქმულ საგნებს; როდი მეხერხება ღვთაებრივი არსის განჭვრეტა, ვეთაყვანები მას მის ქმნილებათა მიხედვით, ხოტბას ვასხამ კეთილ საქმეთა გამო; ოღონდ როგორადაც უნდა ვცემდე თაყვანს, სპეტაკი სიყვარულის ნაცვლად, რასაც ის მოითხოვს, მის მიმართ მარტოოდენ ანგარებიანი მადლიერების გრძნობას განვიცდი».

ამრიგად, მგრძნობიარე გულში ყველაფერი გრძნობად იქცევა, ჟიულისათვის ამქვეყანდ ყოველივე იწვევს ღვთის მიმართ გრძნობამორევასა და მადლიერებას; ყოველგან ხედავს ღვთის კეთილისმყოფელ მარჯვენას; ბავშვები შესანახად მიბარებულ ძვირფას საუნჯედ მიაჩნია; ღვთის ნაბოძებად თვლის იმ მოსავალს, რასაც მიწა აძლევს; სწორედ ამ ღვთის მზრუნველობითა აქვს გაშლილი სუფრა; ძილითაც მის საფარქვეშ იძინებს; დილდილობით ღმერთი წარმოუგზავნის მშვიდობიან გამოღვიძებას; თავისი შეჭირვებანი ღვთის გაკვეთილებად უჩანს, სიხარული კი _ მის მოწყალებად; ყველა სიკეთე, რითაც სიამტკბილობენ მისი ძვირფასი ქმნილებანი, ჟიულისათვის არის განგების ქება-დიდების ახალი საბაბი; უკეთუ ცისა და ქვეყნის გამჩენი ღმერთის სახეს ვერა სწვდება ჟიულის უსუსური თვალთამზერა, სამაგიეროდ, ყველგან ხედავს ყველა ადამიანის ზეციერ მამას. ღვთის წყალობის მიმართ ამგვარი პატივის მიგება ხომ არ ნიშნავს შეძლებისამებრ არსთაგანმრიგის სამსახურს?

მაშ, წარმოიდგინეთ, მილორდ, თუ როგორი იქნება განმარტოებით ცხოვრება მის გვერდით, ვინც იზიარებს ჩვენს არსებობას, მაგრამ არ ძალუძს გაიზიაროს იმედი, რის გამოც ძვირფასია ჩვენთის მთელი სიცოცხლე; რა ძნელია არ ჰქონდეს საშუალება მასთან ერთად მადლიერების გრძნობით განიცადოს საქმენი ღვთისანი, ელაპარაკოს თავის ქმარს მერმის ნეტარებათა გამო, რასაც ჰპირდება ღმერთი ადამიანებს თავისი გულმოწყალებით; დაინახოს, რომ ქმარი, კეთილ საქმეთა ჩადენისას, გულგრილად შეჰყურებს ყოველივეს, რის გამოც, სასიამოა ამ საქმეთა ჩადენა, და იცოდეს, რომ იგი გასაოცარი არათანმიმდევრულობით აზროვნებს როგორც ცოდვილი, ქრისტიანივით კი ცხოვრობს! წარმოიდგინეთ ქმართან ერთად სასეირნოდ გამოსული ჟიული. უდიდეს სიამეს განიცდის, როცა ალერსიანად აპყრობს მზერას მდიდრულად აელვარებულ და მორთულ-მოკაზმულ ჩვენს დედამიწას და აღტაცებულია ქვეყნიერების გამჩენის შემოქმედებითა და ქმნილებებით; ქმარს კი ყველაფერი ეს მხოლოდ ბრმა ძალთაგან ურთიერთდაკავშირებულ მოვლენათა შემთხვევით შეხამებად მიაჩნია. წარმოიდგინეთ გულწრფელი სიყვარულით შეკავშირებული ცოლ-ქმარი: ოღონდ იმის შიშით, ვაითუ ერთმანეთს ვაწყენინოთო, ვერ ბედავენ თავს მისცენ _ ერთმა ფიქრებს, მეორემ _ გრძნობათ, რასაც უნერგავს მათ გარშემო

ფიქრისაგან. ამ საფუძველთა მიხედვით განა ცუდად იქცეოდნენ კათოლიკეები, როცა თავიანთ ლეგენდებს, კალენდრებსა და საყდრებს ავსებდნენ პაწაწინა ანგელოზებით, მშვენიერი და ლამაზი მთავარმოწამე ჭაბუკებითა და ქალიშვილებით? ულამაზესი და კდემამოსილი დედის გულს ჩახუტებული ყრმა იესო ყველაზე გულშიჩამწვდომი საყვარელი ხატებაა, ქრისტიანული ღვთისმოსაობა რომ სთავაზობს მორწმუნეთ.

არსებული საგნები, ვინაიდან თავად მათი ურთიერთსიყვარული აკისრებს ორთავეს წამდაუწუმ შეიკავონ თავი. როცა ჟიული და მე სასეირნოდ გავემართებით, მაშინ ყოველთვის რაიმე საუცხოო წარმტაცი ხედი მოაგონებს ამ სამწუხარო უთანხმოებას. «ვაგლახმე! _ გრძნობამორევით ამბობს ჟიული, _ ჩვენთვის ესოდენ სამხიარულო და სიცოცხლით აღსავსე ბუნების სურათები უბედური ჩემი ქმრის თვალში მკვდარია მხოლოდ, და თვით ყოფიერების ამ ჰარმონიულობაში, სადაც ყველაფერი ღმერთზე მეტყველებს და ესოდენი სასიამოვნო ხმით ღუღუნებს, იგი მარტოოდენ მარადიულ მდუმარებას ხედავს».

თქვენ კარგად იცნობთ ჟიულის, იცით, რა სასიხარულოა გულღია ადამიანისათვის გრძნობათა გადმოშლა და, რასაკვირველია, მიხვდებით, თუ რარიგად იტანჯება იგი, როცა ყველაფერს ვერ ამბობს, მაშინაც კი, უკეთუ მათი ერთადერთი უსიამოვნება იქნებოდა სამწუხარო უთანხმოება მათ შორის, ვისაც ყველაფერი საერთო უნდა ჰქონდეს. მაგრამ ამ აზრთან ერთად აეშალა კიდევ სხვა, უფრო ავბედითი ფიქრები. ძალიანაც კი ლამობს უკუაგდოს უნებური შიში, მაგრამ ის კვლავ შემოენთება და წამდაუწუმ საშველს არ აძლევს. ესოდენ ნაზი მეუღლისათვის რარიგ საშინელია შიში იმის გამო, რომ უზეშთაესი არსება სასტიკ სასჯელს მიაგებს მისი ღვთაებრივი რაობის უარმყოფელ ადამიანებს, რა საშინელია იფიქროს, ვაითუ ჩემი გამაბედნიერებელი ადამიანის ბედსვიანობა მის ამქვეყნიურ ცხოვრებასთან ერთად დამთავრდეს და ჩემი ბავშვების მამა ღვთისაგან უარყოფილ ადამიანად დავინახოო. ამ საზარელი ფიქრის გამო, მთელი გულჩვილობის მიუხედავად, ჟიული მზადაა სასო წარეკვეთოს, და მხოლოდ ღვთაებრივი გულმოწყალების რწმენა ევლინება მხსნელად და აძლევს ასეთი აზრის გადატანის ძალ-ღონეს. «უკეთუ ზენა, _ ხშირად ამბობს იგი, _ მისპობს ბენდიერებას ჭეშმარიტების გზაზე დავაყენო ასეთი კეთილშობილი ადამიანი, მაშინ ვემუდარები მას მარტოოდენ ერთადერთ მოწყალებას: დაე, ქმარზე ადრე აღვესრულო ამიერსოფლით».

ასეთია, მილორდ, ჟიულის იდუმალ შეჭირვებათა სავსებით გასაგები მიზეზი; ასეთია შინაგანი ტანჯვანი მისნი, იმის გამო, მისი ქმარი უგულისხმო რომ გახდა, ეს ტანჯვა მით უმეტეს საშინელია, რომ ჟიულის უხდება მათი საგულდაგულოდ დაფარვა. ათეიზმი, რაიც პაპისტებთან სავსებით შეუნიღბავად გვევლინება, იძულებულია ფარულად არსებობდეს ყოველ ქვეყანაში, სადაც გონება იწონებს ღვთის რწმენას და სადაც მით ურწმუნოებას აღკვეთილი აქვს ერთადერთი თავისი გამართლება. ურწმუნოება, რასაკვირველია, სავალალო სისტემაა; უკეთუ მას ჰყავს მომხრენი დიდებულ და მდიდარ კაცთა შორის, რომელთაც იგი ხელს აძლევს, მაშინ ყოველგან თავზარსა სცემს ჩაგრულ და უბედურ ხალხს, ვინაიდან ის ხედავს, რომ ტირანებს აეხსნათ ის ერთადერთი ლაგამი, რომელიც ჯერ კიდევ აოკებს მათ, ხოლო ღარიბ-ღატაკთ წარეკვეთათ საიქიო ცხოვრების იმედი, და, მაშასადამე, ისინი კარგავენ ამქვეყნიური ცხოვრების ერთადრეთი ნუგეშს. ჟიულიმ იგრძნო, ვოლმარის პირონიზმი აქ ცუდ ზემოქმედებას მოახდენსო, რაც მთავარია, სურდა დაეცვა ბავშვები ესოდენ სახიფათო მაგალითისაგან, და ძალიან ადვილად დაიყოლია ქმარი ყველაფერი საიდუმლოდ დაემარხა, _ ისიც გულწრფელი და ალალ-მართალი, მაგრამ გულჩათხრობილი და უბრალო კაცია, ვისთვისაც უცხოა ყოველგვარი პატივმოყვარეობა, თანაც სრულიადაც არა სურს წარსტაცოს სხვებს ის სიკეთე, რომლის დაკარგვაც მისთვისაც სამწუხაროა. Aარასოდეს იჩენს პედანტობას, ჩვენთან ერთად დადის საყდარში და ანგარიშს უწევს დადგენილ ადათ-წესებს; მის ბაგეთაგან ვერ გაიგონებ იმ სარწმუნოების აღიარებას, რაც არ გააჩნია, ოღონდ, კანონებით აღიარებულ კულტზე სხვებსაც გული რომ არ ააყრევინოს, ასრულებს ყველაფერს, რასაც კი სახელმწიფო მოითხოვს მოქალაქისაგან.

თითქმის რვა წელიწადია, რაც ისინი შეუღლებულნი არიან. მაგრამ მხოლოდ ქალბატონმა დ'ორბმა იცის ეს საიდუმლო. და ისიც იმიტომ, რომ მას თავად გაანდვეს. სიტყვამ მოიტანა და ამ ოჯახში ზრდილობის წესებს საგულდაგულოდ ასრულებენ და იმდენად კარგადაც, რომ უკვე თვენახევარია აქ ვცხოვრობ ცოლ-ქმართან ძალზე ახლოს, და ჯერ იოტის ოდენა ეჭვიც კი არ შემპარვია, და ვერასოდესაც გავიგებდი სიმართლეს, თავად ჟიულის რომ არ გაემხილა.

მრავალმა მიზეზმა აიძულა გამნდობოდა. უწინარეს ყოვლისა, განა შეიძლება ვიყოთ გულჩათხრობილნი და იმავდროს მეგობრობა გვაკავშირებდეს? და განა ადამიანი ამაოდ გაიარჯლებს ტანჯვა-წამებას და აღიკვეთს ნუგეშს. სხვებსაც გაუზიაროს თავისი მწუხარება? ამას გარდა, ჟიულის არ უნდოდა კიდეც, მათთან ჩემს კვლავ ყოფნას ხელი შეეშალა საუბრისათივს, რასაც ისინი ხშირად ეწევიან ერთმანეთს შორის ამ საგნის გამო, ვინაიდან გულთან ახლოს მიაქვს იგი. და ბოლოს, როცა თქვენზე გაიგო, მალე უნდა ჩამოვიდესო, ქმრის ნებარვით გადაწყვიტა გაცნობოთ მისი შეხედულებები, _ ჟიულის ხომ იმედი აქვს, თქვენი სიბრძნე დაეხმარება ჩვენს ამაო მცდელობათ და თქვენეულ ღირსეულ ზეგავლენასაც მოახდენს.

ოღონდ რატომ გამანდო თავისი მწუხარება სწორედ ახლა? ვიფიქრე, ამისათვის არსებობს რაღაც სხვა მიზეზი-მეთქი, რის გამოც ჟიული ლაპარაკს ვერ ბედავდა. მისი ქმარი გამგზავრებას აპირებდა. ჩვენ მარტონი უნდა დავრჩენილიყავით, ჩვენს გულებს ოდესღაც აკავშირებდა სიყვარული და წარსულის ხსოვნა ჯერ არ გამქრალა, და უკეთუ წუთით მაინც წრეს გადავიდოდით, ყველაფერი ხელს შეუწყობდა ჩვენს თავის მოჭრასა და გაწბილებას. აშკარად ვხვდებოდი, რომ ჟიული უფრთხოდა ჩემთან მარტოკა დარჩენას, ცდილობდა თავდაცვას, ხოლო მეიერიში მომხდარმა სცენამ ძალიან კარგად დამანახა, რომ ჩვენ ორთაგან მხოლოდ მე სავსებით გულდაჯერებით არ ძალმიძს ვენდო საკუთარ თავს.

ბუნებრივმა მოკრძალებამ შთაუნერგა მას უმართებულო ურწმუნოება საკუთარი თავისადმი, რის გამოც ყველაზე საიმედო საცავად მიიჩნია მოწმის დასწრება, რომელსაც პატივი უნდა მიეგოს და მესამე პირის სახით მოუხმო უანგარო და მრისხანე მსაჯულს, იმას, ვინაც ხედავს ადამიანთა ფარულ ქმედობათ და გამოიცნობს მათ გულის ნადებს. ჟიულის ბურჯად მიაჩნდა სიდიადე უფლისა. ჩემსა და მის შორის წამდაუწუმ ვხედავდი ღმერთს. რა დანაშაულებრივი სურვილი დასძლევდა ამ დაბრკოლებას? გული ჩემი განსპეტაკდა ჟიულის რწმენის ცეცხლით, და გავიზიარე მისი ქველკეთილი გრძნობები.

სწორედ ესოდენ მნიშვნელოვანი საკითხები იყო კიდეც ჩვენი განმარტოებული საუბრების საგანი მისი ქმრის არყოფნისას, ხოლო, მისი დაბრუნების შემდეგ, ხშირ-ხშირად ვლაპარაკობთ მათ გამო მისი თანდასწრებითაც. იგი მონაწილეობას ღებულობს ამ საუბრებში, თითქოსდა ლაპარაკი ეხებოდეს ვიღაც სხვა ვინმეს, არა სძაგს ჩვენი მზრუნველობა და ხანდახან რჩევა-დარიგებასაც კი გვაძლევს, თუ როგორ უნდა ვიმსჯელოთ მასთან. სწორედ ეს ამბავი მიკარგავს წარმატების იმედს; ვოლმარი რომ ასე გულწრფელი არ ყოფილიყო, იქნებ, მეფიქრა, მისი ურწმუნოება სულიერი ზადის ბრალია-მეთქი, და ამ მხრიდან მიმეტანა იერიში; მაგრამ თუკი საჭიროა მისი დარწმუნება საბუთებით, მაშინ სადღა გამოვნახოთ ისეთი ცოდნა, რაც მას არ ექნებოდა, და ისეთი საბუთები, რომლებიც უჩვენოდ ჭკუაში არ მოუვიდეს? როცა მასთან შეკამათება განვიზრახე, მივხვდი, ყველა არგუმენტი, რის მოხმობაც შემეძლო, უკვე ამოეწურა ჟიულის და არავითარი წარმატება აღარ ჰქონდა, ჩემი გულცივობა ძალზე ჩამორჩებოდა გულის იმ ღაღადისს, იმ უნაზეს დამაჯერებლობას, მის ბაგეთაგან რომ იფრქვევიან.

მილორდ, ჩვენ ვერასოდეს მოვაქცევთ ჭეშმარიტ გზაზე ამ სკეპტიკოსს; იგი მეტისმეტად გულცივია და თუმცა ბოროტი არ ეთქმის, მაინც არავითარი იმედი არ არის,

რომ გულს მოვულბობთ; მას აკლია შინაგანი საფუძველი, გრძნობა, ხოლო მარტოოდენ ამ ამბავს ძალუძს მტკიცე და შეუმუსვრელი გახადოს ყოველი საბუთი და მტკიცება.

როგორადაც უნდა ლამობდეს ცოლი ქმრისაგან თავისი წუხილის დაფარვას, ქმარი მაინც ყველაფერს ხვდება და იზიარებს; ძნელია მისებრ ფხიზელი გონების დაბალითება, მის თვალებს არ გამოეპარება გულში ჩაკლული სევდა. ასე მეუბნებოდა, რამდენჯერმე ვცადე კიდეც თავის მოკატუნება, თითქოსდა ვუთმობდი, და ჟიულის დასამშვიდებლად მსურდა მოსაჩვენრად გამომეხატა ის გრძნობები, რაიც აღარ გამაჩნდა, მაგრამ ასეთი სულმდაბლობა ჩემს ძალ-ღონეს აღემატებოდაო. დიახ, ეს თვალთმაქცობა არამცთუ სიხარულს მოუტანდა ჟიულის, არამედ კიდევ უფრო გასტანჯავდა. გაქრებოდა მათ ურთიერთობაში თანაზიარი ნდობა, გულახდილობა, გულთა ერთობა, რაიც ესოდენ სანუგეშოა ყოველი უბედურების ჟამს. განა ძალედვა თვალთმაქცობით განეფანტა ჟიულის შიში და ძრწოლა? მაშინ ქმრის პატივისცემა დაეკარგებოდა. თვალთმაქცობის ნაცვლად პატიოსნად ეუბნება ცოლს იმას, რასაც ფიქრობს, ოღონდ ამას ისე უბრალოდ ეუბნება, ესოდენ ნაკლებ გამოთქვამს სიძულვილს საყოველთაოდ მიღებულ შეხედულებათა მიმართ, და ესოდენ ნაკლებად აქვს თავისუფლად მოაზროვნეთა გამქირდავი გოროზობა, რომ მისი სამწუხარო აღსარებანი გაცილებით უფრო ადარდიანებენ ჟიულის, ვიდრე მრისხანებას აღუძრავენ, და რაკი არ ძალუძს ქმრის გულს შთაუნერგოს თავისი გრძნობები და იმედი, კიდევ უფრო ცდილობს მის გარშემო შემოკრიბოს ის წარმავალი სიამენი, რითაც განისაზღვრება ქმრის ბედნიერება. «ჰოიმე! _ მწუხარებით წარმოთქვა ჟიულიმ, _ უკეთუ ეს საბრალო ლამობს შეიქმნას ამქვეყიური სამოთხე, მაშინ რაც შეიძლება უფრო საესავი უნდა გავხადოთ მისთვის ეს სავანე».[23]

ეს საპირისპირო შეხედულებები სევდა-კაეშნის ელფერით ჩრდილავს მათ კავშირს, ოღონდ ჟიული სევდას თან ურევს ნუგეშს და, კაცმა რომ თქვას, ერთადერთია ამ ქვეყანაზე ასეთი ნუგეშისცემა რომ შეუძლია; აი, მისი უძლეველი სულის დადასტურება. ცოლ-ქმრის ყველა შეჯახება, ყოველი დავა და კამათი ესოდენ მნიშვნელოვანი საკითხის გამო არამცთუ იწვევენ წყენინებას, სიძულვილს და კინკლაობას, არამედ მარადჟამს მთავრდებიან რომელიმე გულისამაჩუყებელი სცენით, და ამის შემდეგ ისინი უფრო ძვირფასნი ხდებიან ერთიმეორისათვის.

გუშინ ჩვენი საუბარი შეეხო იმ საგანს, რასაც ხშირ-ხშირად ვიხსენებთ, როცა მარტოკა ვრჩებით, _ სახელდობრ: ვლაპარაკობდით ბოროტების სათავის გამო და ვცდილობდი დამემტკიცებინა, სამყაროს სისტემაში არამცთუ არ არსებობს ყველასათვის რაღაც საერთო აბსოლუტური ბოროტება, არამედ ბოროტების კერძო შემთხვევებიც კი სინამდვილეში გაცილებით ნაკლებ საშინელია, ვიდრე გვგონია პირველი დანახვით, და მათ მნიშვნელოვანწილად აღემატებიან სიკეთისა და პირადი კეთილდღეობის კერძო შემთხვევები-მეთქი.

მაგალითისათვის ბ-ნ დე ვოლმარს გავახსენე მისი საკუთარი ცხოვრება და მისი სვებედნიერი ცხოვრებით აღტაცებულმა ესოდენ ზედმიწევნით დავუხასიათე და დავუხატე იგი, რომ, მგონი, თავადვე მოულბა გული. «აი, ის, ჟიულის მომხიბვლელი მანერა, _ შემაწყვეტინა მან, _ ჟიული მუდამჟამს გრძნობითა ცვლის გონების მოსაზრებათ და ისე გულში ჩამწვდომად გვარწმუნებს, რომ ყოველვარი პასუხის ნაცვლად ისღა

[23] ადამიანურობით აღსავსე ეს გრძნობა რამდენად უფრო ბუნებრივია, ვიდრე საშინელი გულმოდგინება მდევნელთა, რომლებიც მუდამჟამს ლამობენ ტანჯონ და აწამონ ურწმუნო ადამიანები, თითქოსდა სურდეთ ჯოჯოხეთური ტანჯვა-წვალება მიაყენონ მათ უკვე ამქვეყნიურ ცხოვრებაში, და ამრიგად გახდნენ ეშმაკის წინამორბედნი! მუდამ და ყოველთვის გავიმეორებ, რომ ეს მდევნელნი სულაც არ არიან მორწმუნენი: ისინი მართლაც რომ არამზადები არიან.

გვშთენია, ჩავკოცნოთ იგი. ნეტავი თავისი მასწავლებელ-ფილოსოფოსისაგან ხომ არ ისწავლა ასეთი მტკიცება?»

ორი თვის წინათ ეს ხუმრობა საშინლად შემაცბუნებდა, მაგრამ სულიერი ფორიაქის დრო-ჟამი კარგა ხანია წავიდა, პასუხად მხოლოდ გავიცინე, და თუმცა ჟიული ცოტათი წამოჭარხლდა კიდეც, მაგრამ ჩემზე უფრო მეტად არ შეცბუნებულა. ჩვენ განვაგრძეთ საუბარი. ვოლმარი არ შემოგვედავა ამქვეყანდ ბოროტებათა რაოდენობის გამო და დაკმაყოფილდა მხოლოდ შემდეგი მტკიცებით: უკეთუ არსებობს ბოროტება, _ ბევრია თუ ცოტა იგი, სწორედ მისი არსებობისაგან, ბ-ნ დე ვოლმარის აზრით, ისეთი დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ ყველა ნივთის პირველმიზეზს არ გააჩნია ან ყოვლისმშემძლეობა, ანდა კეთილსახიერება. მე კი, ჩემი მხრით, ვუმტკიცებდი, ფიზიკური ბოროტების დასაბამი მატერიის ბუნებაშია-მეთქი, ხოლო მორალური ბოროტებისა _ ადამიანის თავისუფალ ნება-სურვილში. ვამტკიცებდი, გამჩენმა ღმერთმა შეძლო ყოველივეს შექმნა, მხოლოდ ვერ შეიძლო ისეთივე სრულყოფილი სუბსტანციების შექმნა, როგორიცაა მისივე საკუთარი და ბოროტებისთვის მიუწვდომელი სუბსტანციები-მეთქი. ცხარე კამათის დროს შევნიშნე, ჟიული სადღაც გაქრა. «აბა, გამოიცანით, საით წავიდა», _ მითხრა ბ-ნმა დე ვოლმარმა, როცა დაინახა, ჟიულის რომ დავეძებდი. «ალბათ, რაიმე საოჯახო განკარგულების გასაცემად გავიდა“. – „არა, – მითხრა მან – ასეთ საუბარს ვერავითარი საქმე ვერ მოაშორებდა. საოჯახო საქმეთათვის არასოდეს მტოვებს, _ იქ ყველაფერი თავის რიგზე მიდის, და არასოდეს მინახავს, რომ ჩემი ყოფნისას, თავად აკეთებდეს რაიმეს». _ «მაშასადამე, საბავშვო ოთახშია, ხომ?» _ «არა მგონია, ჩემი სულის ხსნა მისთვის ბავშვების კეთილდღეობაზე ნაკლებ ძვირფასი როდია». _ „ჰოდა, _ შევნიშნე მე, _ აღარ ვიცი, რას აკეთებს ახლა, ოღონდ უეჭველია რაღაც სასარგებლო საქნარითაა გართული». _ «სულაც არა, _ მკვახედ მომიგო მან, _ აბა, ერთი წამობრძანდით, მობრძანდით-მეთქი, თავადვე დაინახავთ სწორედ მივხვდი თუ ვერა».

ფეხაკრეფით გავიდა ოთახიდან, თითის წვერებზე შემდგარი უკან მივყვებოდი. კაბინეტის მიხურულ კარს მივადექით; ვოლმარმა ფართოდ გამოაღო იგი. ო, რა სურათი დავინახე, მილორდ! დაჩოქილი ჟიული ცრემლად იღვრებოდა და ლოცულობდა. სწრაფად წამოდგა, თვალები შეიმშრალა, სახე დამალა და გაქცევას ლამობდა. არასოდეს მინახავს ასეთი მორცხვობა. ქმარმა არ გაუშვა და რაღაც აღტაცებით შეპყრობილმა მიირბინა მასთან. «ძვირფასო მეუღლევ, _ უთხრა მან და ხელი მოხვია, _ როგორი მგზნებარებით ეევედრებოდი ზენას, უმალ გასაგებია, თუ რისთვის. რაიღა აკლია შენს ლოცვა-ვედრებას ზეგავლენის მოსახდენად? მერწმუნე, უკეთუ იქ, ზევით, ვინმე შეისმენდა იმ ვედრებას, მაშინ, უთუოდ, აღსრულდებოდა შენი გულის წადილი». _ «აღსრულდება კიდეც, _ მტკიცე რწმენით წარმოთქვა ჟიულიმ, _ არ ვიცი არც დღე, არც საათი, არც ვითარებანი, როდის მოხდება ეს ამბავი, ოღონდ მოხდება. ო, ნეტავი შემეძლოს ამისთვის გავიღო ჩემი სიცოცხლე! დაე იყოს იგი ჩემი აღსასრულის დღე _ ეს იქნება საუკეთესო ყველა დღეთა შორის».

ჩამოდით, მოლორდ, თავი ანებეთ მაგ წყეულ ბრძოლას, ჩამოდით, აქ გელოდებათ უფრო კეთილშობილური მოვალეობა. ნუთუ ბრძენი ადამიანი მრავალი ადამიანის გაჟლეტის პატივს ამჯობინებს ერთი კაცის გადარჩენის საქმეს?[24]

[24] აქ უნდა ყოფილიყო მილორდ ედუარდის მიერ ჟიულისათვის გაგზავნილი წერილი. შემდგომში ეს წერილიც იქნება ნახსენები. საკმაოდ საფუძვლიან მიზეზთა გამო მიხდება ამ წერილის ამოღება.

VI წერილი

მილორდ ედუარდს

ეს რა ამბავია! არმიას თავი ანებეთ და ახლა კიდევ პარიზს მოგზაურობა მოინებეთ? ნუთუ სავსებით დაივიწყეთ კლარანი და ის ქალი, ვინაც იქა ცხოვრობს? ნუთუ უფრო ნაკლებად ძვირფასი ხართ ჩვენთვის, ვიდრე მილორდ გაიდისათვის? ნუთუ მას უფრორე ესაჭიროებით, ვიდრე იმათ, ვინაც კლარანში გელოდებათ? თქვენ გვაიძულებთ აღვავლინოთ ლოცვა-ვედრება, რათა თქვენი განზრახვა არ განხორციელდეს. ვისურვებდი ვყოფილიყავ გავლენიანი კაცი საფრანგეთის მეფის კარზე და ის მაინც მეღონა, არ მოეცათ თქვენთვის გამგზავრების ნებართვა, რასაც ასე ელოდებით ამჟამად. მაშ, ასემც იყოს, დაიკმაყოფილეთ სურვილი, ინახულეთ თქვენი ღირსეული თანამემამულე. სულ ერთია, გადაგიხდით თქვენცა და მასაც ამ მიკერძოებისათვის. როგორადაც სასიამო უნდა იყოს თქვენს მეგობართან ყოფნა, დარწმუნებული ვარ, როდესაც ჩვენთან იქნებით, ინანებთ, ნეტავი რატომ დავკარგე დრო და თქვენთან უფრო ადრე არ ჩამოვედიო.

როცა თქვენი წერილი მივიღე, ჯერ ასე ვიფიქრე, საიდუმლო დავალება დაუკისრებიათ-მეთქი... განა შეიძლება უფრორე ღირსეული შუამავლის გამონახვა ზავის დასადებად?.. მაგრამ განა მეფეები აღჭურვენ თავიანთი ნდობით ქველკეთილ ადამიანებს? ნეტავი თუ გაბედავენ სიმართლის მოსმენას?.. ძალუძთ თუ არა თუნდაც ჭეშმარიტ დამსახურებათა დაფასება?.. არა, არა, ძვირფასო ედუარდ, თქვენ არა ხართ გაჩენილი ელჩის როლისათვის; ესოდენ დიდი შეხედულებისა ვარ თქვენ გამო, რომ მჯერა: თქვენ რომ წარმოშობით ინგლისის პერი არ იყოთ, პერი ვერასოდეს გახდებოდით.

მაშ, ჩამოდი, ჩემო მეგობარო, კლარანში უფრო უკეთ იქნები, ვიდრე სასახლეში. ო! რა ზამთარს გავატარებთ, როცა ყველანი ერთად მოვიყრით თავს. ნეტავი არ გამიცრუვდებოდეს ჩვენი ერთად შეკრების იმედი! თითოეული დღე ამზადებს ამ ამბავს, ვინაიდან აქ მოჰყავს რომელიმე რჩეული პირი, ესოდენ ძვირფასნი რომ არიან ერთმანეთისათვის, ესოდენ ღირსეულნი ურთიერთსიყვარულისა და თითქოს მარტო თქვენ გელოდებიან, რათა ყველა დაივიწყონ ამ ქვეყნაზე. როცა გაიგეთ, რომ ბედნიერმა შემთხვევამ აქ ჩამოიყვანა ბარონ დ'ეტანჟის მოწინააღმდეგე, სასამართლოში მისი მომჩივანი, თქვენ იწინასწარმეტყველეთ, თუ რაგვარ წარიმართებოდა ეს შეხვედრა,[25] და მართლაც ასეც მოხდა. ბარონ დ'ეტანჟივით ჯიუტმა და ჭირვეულმა ამ ძველმა დავაქარმა ვერ გაუძლო იმის მომხიბვლელობას, რომელმაც ყველანი მოგვინადირა. როგორც კი იხილა და მოუსმინა ჟიულის, მოელაპარაკა მას და დაირცხვინა, მამაშენის წინააღმდეგ საჩივარი როგორ აღვძარიო. ის ბერნში წავიდა მეტად კარგ გუნებაზე მყოფი, მზად არის მორიგებისათვის, და ახლა საქმე უკვე სავსებით მალე დამთავრდება; თავის უკანასკნელ წერილში ბარონი იუწყება, ამ დღეებში შინ დავბრუნდებიო.

ყველაფერი ეს, ალბათ, უკვე იცით ბ-ნ დე ვოლმარისაგან, ოღონდ, ვფიქრობ, თქვენთვის ჯერ კიდევ არაა ცნობილი, რომ ქალბატონი დ'ორბი, რომელმაც დაბოლოს დაამთავრა თავისი საქმეები, ხუთშაბათს აქეთ აქ იმყოფება და ამიერიდან თავისი დობილის სახლში იცხოვრებს. როცა მისი ჩამოსვლის დღე გავიგე, ქალბატონ დე ვოლმარის უჩუმრად, ვისთვისაც სიურპრიზის მოწყობა გვსურდა, გავემართე ქალბატონ

[25] ჩანს, ამ წერილსა და წინა ბარათს შორის გამორჩენილია რამდენიმე წერილი; ასეთივე ხარვეზები შეიმჩნევა სხვა ადგილებშიც. მკითხველი მართლაცდა იტყვის, ასეთი ხარვეზები მარჯვე გამოსავალია სამძიმო მდგომარეობიდანო, და მეც სავსებით ვეთანხმები მას.

დ’ორბის შესახვედრად, დაველოდე ლიუტრის იქით და მასთან ერთად ჩამოვედი კლარანში.

ჩემი აზრით, კლარა კიდევ უფრო ხალისიანი და მომხიბვლელი გამხდარა, ვიდრე წინათ იყო, ოღონდ ახლა მოუსვენარია, დაბნეულია, ცუდად გვისმენს, შეუსაბამოდ გვიპასუხებს, აბნეულად და იშვიათად ლაპარაკობს, _ ერთი სიტყვით, მოუცავს მწუხარებას, რისთვისაც თავი ვეღარ დაუღწევია თავისი სანუკვარი ოცნების შესრულების ჟამს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ სულ ეშინია და ყოველ წუთს ძრწოლით ელის, ვაითუ უკანვე გამაბრუნონო. მისი გამომგზავრება დიდხანს ყოვნდებოდა, ხოლო, ბოლოსა და ბოლოს, ეს ამბავი ისეთი ფაციფუცითა და აჩქარებით მოხდა, რომ თავად დიასახლისსა და მსახურებსაც თავგზა ჰქონდათ აბნეული. კლარასაგან თან ჩამოტანილი წვრილმანი ნივთები უცნაურად იყო არეულ-დარეული. როცა მოახლე ვიშვიშებდა, ამა თუ იმ ნივთის წამოღება დამავიწყდაო, კლარა სულ ირწმუნებოდა, ყველაფერი ეტლში ჩაწყობილ ნივთების ყუთში ჩავაწყეო, და რა სასეირო იყო, როცა ყუთში ჩაიხედეს და იქ სულაც არაფერი არ აღმოჩნდა.

ვინაიდან კლარას არ უნდოდა ჟიულის გაეგო ბორბლების რახრახი, შესასვლელ ხეივანში ეტლიდან გადმოვიდა, გიჟივით გაირბინა ეზო და ისე სწრაფად ავარდა კიბეზე, რომ პირველსავე ბაქანზე შეჩერდა სულის მოსათქმელად. ბ-ნი ვოლმარი გამოვიდა შესახვედრად, კლარა ხმას ვეღარ იღებდა.

მე გავაღე საწოლის ოთახის კარი და დავინახე, ჟიული იჯდა ფანჯარასთან და მუხლებზე ესვა პატარა ანრიეტა, როგორც ამას ხშირად სჩადიოდა. კლარამ წინასწარვე მოიფიქრა საუცხოო სიტყვა, სადაც, მისი ჩვეულებისამებრ, ერთმანეთში იყო არეული გულწრფელი გრძნობა და ხუმრობა, ოღონდ როგორც კი ზღურბლს გადააბიჯა, სიტყვაც და სიმხიარულეც მყის გადაავიწყდა; გაექანა დობილისკენ და შესძახა ისეთი აღტაცებით, რის დავიწყებაც აღარ შეიძლება; «დაო ჩემო, დაო, მარად და სამუდამოდ, სიკვდილამდის შენთან ვიქნები!» ანრიეტამ დაინახა დედა, ჩამოხტა ძირს და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, შეჰყვირა: «დედა! დედა!» _ გაექანა მისკენ, დაეტაკა და გულაღმა გაიშოტა იატაკზე. ამ უცნაურმა გამოცხადებამ და ძირს დაცემამ, ამ სიხარულმა, ამ მღელვარებამ ისე შეაკრთო ჟიული, რომ ცივი ხმით შეჰკივლა, ნაბიჯი გადადგა, ხელები გაიწოდა და უეცრად გული წაუვიდა. კლარას უნდოდა გოგონას წამოყენება, მაგრამ შენიშნა, რა დღეშიც იყო დობილი, და აღარ იცოდა, ვის მივარდნოდა. როცა შეხედა, რომ ანრიეტა წამოვაყენე, მივარდა გულწასულ ჟიულის და თავად დაეცა ზედ გრძნობამიხდილი.

ანრიეტამ დაინახა, ორივე უძრავად რომ იწვნენ, ტირილი ატეხა და იწივლა, მაშინ კი მოირბინა ფანშონმა; ბავშვი მივარდა დედას, ხოლო მოახლე _ თავის ქალბატონს. მე კი, აღელვებული, აღტაცებული, თითქოს ბურანში მყოფი, განიერი ნაბიჯებით დავბორიალებდი ოთახში და გაოგნებული ხამუშ-ხამუშ ანგარიშმიუცემლად და დაბნეულად წამოვიძახებდი რაღაცას და თავს ვერ ვიკავებდი. თავად ვოლმარი, გულდინჯი ვოლმარი, ძალზე აღელვებული იყო. ო, გრძნობავ, გრძნობავ, სულისა ჩვენისა სასიამტკბილო სიცოცხლე! ნეტავ თუ მოიპოვება ამქვეყანდ ისეთი გულქვა ადამიანი, რომელიც შენ არ მოგელბოს? ნეტავი სად არის ის ბედშავი მოკვდავი, ვისაც არასოდეს გადმოაფრქვევინებდი ცრემლს? ჟიულის შეშველების ნაცვლად მისი ბედნიერი ქმარი სავარძელში ჩაეშვა და თვალს აღარ აშორებდა ამ გულისამაჩუყებელ სანახაობას. «ნუ გეშინიათ, _ გვითხრა, როცა დაინახა ჩვენი მღელვარება და აფორიაქება, _ ზედმეტი სიხარული და ბედნიერება მხოლოდ წუთით ასუსტებს ჩვენს ბუნებას, ოღონდ მყისვე ჰგვრის მას ახალ ძალ-ღონეს. ასეთი მღელვარება არასოდეს არაა საშიში. მაშ, დამაცადეთ დავტკბე ბედნიერებით, რასაც ჩემთან ერთად თქვენც იზიარებთ. აბა როგორი იქნება იგი

თქვენთვის! ასეთი რამ არასოდეს მინახავს, მაშასადამე, მე ყველაზე ნაკლებად ბედნიერი ვარ ჩვენ ექვსთა შორის».

მილორდ, ამ პირველი წუთის მიხედვით ძალგიძთ წარმოიდგინოთ ყოველივე დანარჩენი. მეგობართა შეხვედრამ სახლი მხიარული ხმაურითა და მღელვარებით აღავსო, რაიც ჯერაქამომდე არ დამცხრალა. ჟიული ფეხზე აღარ დგას სიხარულით და ასე აღელვებული ჯერ არ მინახავს; მთელი დღე აღარაფრის ფიქრი აღარ გვქონდა, სულ შევყურებდით და ვეხვეოდით ერთმანეთს, კვლავ ვეძლეოდით აღტაცებას. არავის გახსენებია «აპოლონის დარბაზი», და არც კი ღირდა იქ შესვლა, _ ყველგან კარგად ვგრძნობდით თავს. მხოლოდ მეორე დღეს, როცა ყველანი ოდნავ დავშოშმინდით, შეუდგნენ ზეიმის სამზადისს, ოღონდ აქ ბ-ნი დე ვოლმარი რომ არ ყოფილიყო, ყველაფერი აირ-დაირეოდა. ყოველგვარი სამუშაო გადაიდო, გარდა იმისა, რაიც მომავალ გართობათათვის იყო საჭირო და აუცილებელი. გავმართეთ ზეიმი, და თუმცა იგი არც ისე ბრწყინვალე და დიდებული ჩანდა, მაგრამ სამაგიეროდ სიხარული კი უნაპირო იყო, ყველაფერში გამოსჭვიოდა გულისამაჩქროლებელი ფორიაქი, ხალისიანი ორომტრიალი, რაც განსაკუთრებულ სიმშვენიერეს ანიჭებდა მას.

დილით ქალბატონი დ'ორბი აღჭურვეს გამგე-დიასახლისისა და მსახურთუფროსის წოდებით, და ისიც შეუდგა მოვალეობათა შესრულებას ისეთი მზადყოფნითა და ბავშვური გატაცებით, რომ ყველანი ვხარხარებდით. როცა ლამაზ სასადილოში შევედით სადილისათვის, ბიძაშვილ-მამიდაშვილმა კედლებზე დაინახა ყვავილწნულებისაგან შედგენილი და ერთმანეთში ჩახლართული თავიანთი ინიციალები. ჟიული უმალ მიხვდა, თუ ვისი ნახელავიც იყო ეს, და სიხარულით აღვსილმა გადამკოცნა, კლარამ, წინანდელი ჩვეულების წინააღმდეგ, მაშინვე როდის დამაჯილდოვა კოცნით. ამის გამო ვოლმარმა დატუქსა იგი და მანაც, მთლად აჭარხლებულმა, გაბედა მიებაძა თავისი ბიძაშვილის მაგალითისათვის. მე შევნიშნე, თუ როგორ აეტკრიცა ლოყები; არ ძალმიძს გადმოგცეთ, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა ამან ჩემზე, ოღონდ მის მკლავებში ცოტათი აღელვებულად ვგრძნობდი თავს.

შუაღამისას ქალთა სამყოფში შემოიტანეს სასმელ-საჭმელი მსახურთათვის, ამ დროს ნადიმზე დაგვისწრეს სახლის პატრონი და მე; მამაკაცთათვის მოაწყვეს შეჯიბრება სროლაში, _ გათამაშდა ჯილდო, რომელიც გასცა ქალბატონმა დ'ორბმა. გამარჯვებული აღმოჩნდა სახლში ახლადმოსული ახალგაზრდა, თუმცა უფრო ნაკლებ გაწაფული იყო ამ თამაშში. კლარას არ გამოეპარა მისი მოულოდნელი სიმარჯვე, თავად ჰანსმაც კი არ დაიჯერა ეს და უარი განაცხადა ჯილდოზე, მაგრამ ყველამ ერთხმად გამოთქვა პროტესტი და თავის ახალ ამხანაგს ძალით მიაღებინა მოგება; თქვენთვის, რასაკვირველია, ნათელია, რომ მსგავსი თავაზიანობა მათი მხრიდან ამაოდ არ დაკარგულა.

საღამოს მთელი ჯალაბობა, რაც ახლა სამი კაცით გაიზარდა, საცეკვაოდ შეიკრიბა. კლარა თითქოსდა გრაციათა ხელებს გამოეწყო სანადიმოდ, _ ჯერ არასოდეს ყოფილა ასეთი თვალწარმტაცი, როგორც იმ საღამოს. ცეკვავდა, ხარხარებდა, ენაგაუჩერებლად ყბედობდა, იძლეოდა კანგარგულებებს, ყველაფრის გაკეთებას ასწრებდა. სამაგიეროდ დაიფიცა, ცეკვით სულს რომ გამაფრთხობინებდა, არც ერთი წუთით არ მაძლევდა მოსვენებას და ხუთი თუ ექვსი ძალზე სწრაფი კონტრდანსის შემდეგ არ დაივიწყა და, თავის ჩვეულებისამებრ, მისაყვედურა, ფილოსოფოსივით ცეკვავო. მე კი ვუთხარი, ელფივით ცეკვავ და ამ პატარა მაცდურ არსებაზე არანაკლებ უბედურებას როდი მოახდენდი-მეთქი. ვშიშობ, არც დღისით და არც ღამით არ მომასვენებ-მეთქი. «პირიქით, _ შემეპასუხა იგი, _ ახლავე ვეცდები, მთელი ღამე წართვით გეძინოთო», და მყისვე საცეკვაოდ გამიწვია.

კლარა დაუცხრომელი იყო, სულ სხვაა ჟიული, _ საბრალო ფეხზე ძლივსღა იდგა და ცეკვისათვის აღარ ცხელოდა, ისე იყო გულაჩქროლებული, რომ მთლად დაეკარგა სიმხიარულე, სიხარულის ცრემლები ხშირ-ხშირად მოსცვივოდა თვალთაგან; აღტაცებული შეჰყურებდა მამიდაშვილს და მოსწონდა, როცა საკუთარ სახლში თავს ზეიმზე მოწვეულ სტუმრად წარმოიდგენდა, ხოლო კლარა მიაჩნდა დიასახლისად, რომელიც ყველაფერს განაგებდა ამ მხიარულების დროს. ნავახშმევს ავუშვი ჩინეთიდან ჩემს მიერ ჩამოტანილი შუშხუნები და მათ დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს. გვიანობამდე დავრჩით. მაინც დავშორიშორდით ერთმანეთს, _ ქალბატონი დ'ორბი დაიღალა, ანდა, ყოველ შემთხვევაში, უნდა დაღლილიყო, და ჟიულიმ ბოლოს გვაიძულა დასაძინებლად წავსულიყავით.

სახლში თანდათან კვლავ დაისადგურა მყუდროებამ, და მასთან ერთად წესრიგმაც. ანც კლარას ძალუძს მბრძანებლური კილოთი ლაპარაკი, და მას უგონებენ. თანაც არ ჩამოუვარდება ვოლმარს კეთილგონიერებით, ადამიანთა ცოდნითა და გამჭრიახობით, და ისევე კეთილია, როგორც ჟიული. და თუმც ძალზე გულუხვია, მაგრამ მთელ თავის ხელგაშლილობასთან ერთად ფრიად წინდახედული; მართალია, ძალიან ახალგაზრდა დაქვრივდა და თანაც დიდი მოვალეობა აკისრია ქალიშვილის მემკვიდრეობათა მეურვეობის გამო, მაგრამ ამ თვისებებით მაინც ისეთი სარისტიანობა გამოიჩინა, რომ მისი საკუთარი სამფლობელოები და ანრიეტას ქონება აყვავების გზაზე დადგა; ამრიგად, სრულიადაც არ უნდა ვიმწუხარო, რომ მის გამო ვოლმართა ოჯახის მოვლა-პატრონობას ხელი შეეშლება. ახლა ჟიულის შეუძლია სიამოვნებით მოჰკიდოს ხელი თავის სანიაზო საქმიანობას, სახელდობრ _ ბავშვების აღზრდას; ეჭვი არ მეპარება, ანრიეტასთვის სასარგებლო იქნება მზრუნველობა ერთ-ერთი მისი დედისა, რომელმაც გაათავისუფლა მეორე დედა მისგან, _ ვამბობ «ერთ-ერთი მისი დედისა»-მეთქი, რადგან კარგად ვხედავ, თუ როგორ ეპყრობიან ისინი ანრიეტას, და ძნელია გაარჩიო, რომელია მათგან ნამდვილი მშობელი დედა. ახლახან გვესტუმრნენ უცხო ადამიანები და ისინი, ვგონებ, კიდევ ეჭვობენ ამის გამო. ორივე დედა გოგონას ერთნაირად უხმობს: ხან ანრიეტას, ხან შვილიკოს. ხოლო ის ეძახის: ერთს დედილოს, მეორეს _ დედიკოს; ორივე დედასა და ქალიშვილს აკავშირებთ თანაბარი ურთიერთსინაზე, გოგონა ერთნაირად უგონებს ორივეს. უკეთუ კლარასა და ჟიულის შეეკითხებიან, ეს გოგონა ვისიაო, თითოეული მიუგებს: ჩემიაო. თუ ანრიეტას ჰკითხავენ, აღმოჩნდება, რომ მას ორი დედა ჰყავს. აქ კი ადამიანები საგონებელში ვარდებიან. ყველაზე გამჭრიახნი ბოლოსა და ბოლოს დედად ჟიულის თვლიან. ის ქერაა, ანრიეტაც ქერათმიანია, რადგან მამის თმის ფერი გამოჰყვა; გოგონა სახით ჟიულისა ჰგავს. ჟიულის მშვიდი თვალები უფრო მეტ დედობრივ სინაზეს გამოხატავენ, ვიდრე კლარას მხიარული მზერა. ანრიეტა კლარაზე უფრო მოკრძალებით ჟიულის ელაპარაკება და მასთან ყოფნისას რატომღაც უფრო დიდ ყურადღებას აქცევს თავის თავს. გოგონა უნებურად მალ-მალ მიუჯდება ჟიულის, რადგან ხშირად მოესურვილება უთხრას რაიმე. ერთი სიტყვით, ყველა გარეგნული ნიშნები «დედიკოს» სასარგებლოდ ღაღადებენ, და როგორც შევამჩნიე, ასეთი შეცდომა ესოდენ სიამოვნებთ ორივე მამიდაშვილ-ბიძაშვილს, რომ ყოველი ადამიანი, ვინაც ისურვებდა მათ მილაციცებას, განგებ ეცდებოდა შეცდომის ჩადენას.

მილორდ, ორი კვირის შემდეგ აქ მარტოოდენ თქვენ დაგვაკლდებით. ხოლო როცა ჩამობრძანდებით, ძალიან ცუდად ვიფიქრებდით იმ ადამიანზე, ვინც არ აღიარებდა, ქვეყნისქვეყნად ვერსაც იპოვით ესოდენ სათნოებას და სიხარულს, რაოდენიც ამ სახლში დაივანებსო.

VII წერილი

მილორდ ედუარდს

უკვე სამი დღეა სულ მინდა საღამოობით მოგწეროთ წერილი. ოღონდ მთელი დღით დამაშვრალს, როგორც კი საწოლ ოთახში შევალ, მყისვე ძილი მერევა, ხოლო დილით, განთიადისას, კვლავ მუშაობას უნდა შევუდგეთ. სული ჩემი მღელვარებს, იგი აღსავსეა აღტაცებითა და უფრო სასიამოდაა ზარხოშადქმნილი, ვიდრე ღვინისაგან, და ერთი წუთითაც კი აღარ ძალმიძს თავი ვანებო ჩემთვის ესოდენ ახალ-ახალ განცხრომათ.

იმ საზოგადოებაში ყოფნისას, როგორიც გარს მახვევია, ვფიქრობ, ქვეყნიერების ყოველი კუთხე მომეწონებოდა. ოღონდ, იცით თუ არა, რით მომწონს კლარანი თავისთავად? აქ მართლაც სოფელში ვგრძნობ და, ალბათ, პირველად ჩემს სიცოცხლეში შემიძლია ამისი თქმა. ქალაქის მცხოვრებთ როდი უყვართ სოფელი, მათ არც კი ეხერხებათ იქ ცხოვრება, როცა სოფლად აღმოჩნდებიან, არც კი იციან, თუ რას აკეთებენ იქ ადამიანები, სძაგთ სოფლის მცხოვრებთა შრომაც და სიამოვნებაც და საერთოდ არაფერიც არ გაეგებათ ამ მხრივ; მშობლიურ მხარეში უცხოქვეყნელებივით არიან, და ამიტომ არც გასაკვირია, არაფერიც რომ არ მოსწონთ. სოფელში სოფლურად უნდა იცხოვრო, ანდა სულაც არ უნდა წახვიდე, თორემ უცხო ადამიანს რა ესაქმება იქ? პარიზელებს ჰგონიათ, სოფელში ჩავედითო, მაგრამ სინამდვილეში ასე როდია: მათ თან ჩამოიტანეს პარიზი, მომღერლები, ენამახვილაკები, მთხზველები, მუქთახორები – აი, რა ამალა ახლავთ მათ. ბანქო, მუსიკა, კომედიები _ მხოლოდ ამით ერთობიან ისინი სოფელში.[26] სუფრას ისე აწყობენ, როგორც პარიზში, სადილ-ვახშმობენ იმავე საათებში, სუფრაზეც იგივე სასმელ-საჭმელი მიაქვთ და იმავე ეტიკეტს იცავენ; ერთი სიტყვით, იმასვე სჩადიან, რასაც დედაქალაქში. მაშ, სჯობდა იქვე დარჩენილიყვნენ, _ რაც უნდა მდიდარი იყოს კაცი და რაც უნდა ეცადოს დედაქალაქური ცხოვრების წარმოქმნა-აღდგინებას, ყოველთვის რაღაც არ იქნება საკმარისი, ვინაიდან შეუძლებელია მთლიანად მთელი პარიზის თან წამოღება. ამრიგად ისინი თვითონვე ისპობენ ნაირფეროვნებას, რასაც ასე არიან დახარბებული: მათ იციან ცხოვრება მარტოოდენ ერთ ყაიდაზე, და ამის გამო მუდამჟამს მოწყენილნი არიან.

გლეხკაცის შრომა სასიამო საყურებელია, და თავისთავად, ეს შრომა არც ისე საძნელოა, სიბრალული რომ აღუძრას ადამიანს. იგი იწვევს პატივისცემას, რადგან სარგებელი მოაქვს როგორც მთელი საზოგადოების, ისე ცალკე პიროვნებისათვის, თანაც მიწის დამუშავება ადამიანის უპირველესი მოწოდება იყო; ეს შრომა გაგვახსენებს საყვარელ ხატებათ, გვაგონებს ოქროს საუკუნის სასიხარულო დღეებს. ჩვენი წარმოსახვა გულგრილი როდი რჩება. როცა ვხედავთ, თუ როგორ ხნავენ ხოდაბუნებს ანდა მკიან პურს. მწყემსთა და მხვნელ-მთესველთა უბრალო ცხოვრება აღსავსეა რაღაც გულისამაჩუყებელი ნიშან-თვისებებით, როცა გადახედავ გლეხკაცებით სავსე სათიბს, რომლებიც აბულულებენ თივას და სიმღერა-ყიჟინით ავსებენ იქაურობას, როცა უმზერ შორს შეფენილ ფარას, უნებურად გული აგიჩქროლდება და რატომ, თავადაც არ იცი. ზოგჯერ ხმა ბუნებისა ასე მოგვილბობს არჯალ გულს და თუმცა ჩვენს სულში წარმოქმნის მხოლოდ უნაყოფო სინანულს, ბუნების ძახილი მაინც ისეთი ტკბილია, რომ შეუძლებელია სიამოვნების გარეშე მისი მოსმენა.

---

[26] ამას უნდა დავუმატოთ კიდევ ნადირობა. და ნადირობაც ესაჭიროებათ ისე, რომ ყოველმხრივ მოხერხებული იყოს ისე, რომ ამას არ მოჰყვეს არც დაღლილობა, არც სიამოვნება. მაგრამ აქ მე არ შევეხები ამ მეტად რთულ საგანს: შენიშვნაში ამაზე მსჯელობა არაა საჭირო. იქნებ მოგვეცეს შემთხვევა და სხვა ადგილას ვილაპარაკოთ ამის გამო.

ვაღიარებ, სიღატაკე, რაც გამეფებულია იმ ქვეყანათა ყანებში, სადაც მოიჯარე იტაცებს მიწიდან მოწეულ მთელ ჭირნახულს, ძუნწი აგარაკის მეპატრონის აღვირახსნილი სიხარბე და უგულო მიწისმფლობელის ულმობელი სიმკაცრე ამ სურათებს მიმზიდველობას უკარგავს. ილაჯგაწყვეტილი ცხენები, რომელთაც მათრახის ცემისაგან აგერ-აგერ ამოხდებათ სული, უნებური მარხულობით გასავათებული, დაღლილობისგან გატანჯული, ჩამოძონძილი გლეხები, მათი უბადრუკი სოფლები, მათი ქოხმახები საშინელ სანახაობას წარმოადგენენ, რაც სრულიადაც არ ახარებს ადამიანის თვალს; და როგორც კი იფიქრებ იმ უბედურთა გამო, ვის სისხლსაც სწოვ, ნაღვლობ, ნეტავ რად გავჩნდიო ადამიანად. მაგრამ რა სასიამოვნოა კეთილ და გონიერ მმართველთა დანახვა, ვისთვისაც მიწათმოქმედება კეთილდღეობის, განცხრომისა და სიამოვნების წყაროა! რაოდენ უხვად მიაგებენ ისინი თავიანთ მოყვასთ განგებისაგან მომადლებულ საბოძვარს, ბლომად აძლევენ საზრდელს ყველა გარშემომყოფს _ ადამიანებსაც და ცხოველებსაც, _ უზიარებენ ყოველ დოვლათს, რითაც სავსეა მათი ბეღლები, მათი სარდაფები, მათი ფარდულები, ირგვლივ აფრქვევენ სიუხვესა და სიხარულს, და განუწყვეტელ დღესასწაულად აქცევენ შრომას. როგორ არ უნდა მიეცე ამ სურათთა მიერ წარმოქმნილ ოცნებას? გავიწყდება შენი საუკუნეც, და შენი თანამედროვენიც; ფიქრით გადაიქროლებ პატრიარქთა შორეულ წარსულში; გინდა შენაც გული დაუდო სოფლურ შრომას, დაეწაფო მის გამო მიღებულ სიამოვნებას. გაგონდება ტრფიალებისა და უმანკოების დრო-ჟამი, ოდეს ქალები იყვნენ ნაზნი და მოკრძალებულნი, ხოლო მამაკაცები გულკეთილნი და კმაყოფილნი თავიანთი ცხოვრებით! ჰოი, რაქაელ, პირმშვენიერო და ესოდენ მტკიცე სიყვარულით სატრფიალო ქალწულო. ნეტავი იმ კაცს, ვინაც თოთხმეტი წელი უდრტვინველად მონობაში გაატარა, რათა შენი ქმრობის ღირსი გამხდარიყო! ჰოი, ნოემინის სათნო და უწყინარო აღზრდილო! რაოდენ ბედნიერი იყო ის მოხუცი, ვისაც ფეხებსა და გულს უთბობდი! არა, არსად ისე სრული უფლებით არ მეფობს სილამაზე, როგორც სოფლური შრომის დროს: მხოლოდ და მხოლოდ იქა დგას ჭეშმარიტ გრაციათა ტახტი, უბრალოებით შემკული, ლხენითა და ხალისით აღსავსე და უნებური აღტაცების მომგვრელი. მაპატიეთ, მილორდ, ვუბრუნდები ჩვენს საქმეებს.

მთელი თვე იდგა ცხელი შემოდგომა, რამაც შეამზადა ყურძნის ბარაქიანი რთველი. რთვლობას დასაწყისი მისცა პირველმა სუსხმა:[27] სიცივისაგან შემჭკნარი ფოთლები უკვე ვეღარ იფარავდნენ მტევნებს და მამა ლიეის ეს საბოძვარი იტაცებდა ჩვენს თვალთა მზერას და, თითქოს მოუწოდებდა კიდეც მოკვდავთ, დაგვეუფლეთო. მთელი ეს ზვრები, სადაც ვენახის ლერწები იზნიქებიან მადლიანი მტევნების სიმძიმისაგან, რასაც ზენა უგზავნის ბედშავ ადამიანებს მათი ვაი-ვარამის დასავიწყებლად, ჩაქუჩთა კაკუნი, რითაც აკრავენ სალტეებს კასრებს, როფებსა და ფუდერებს,[28] სიმღერები, რომლითაც ყურძნის მკრეფავი ქალები აყრუებენ არემარეს, საწნახელთან მოკრეფილი ყურძნის მიმტან ადამიანთა განუწყვეტელი მიმოსვლა, ჯამაათის საყვირებისა და სტვირთა ჭყვიტინი, საყოველთაო მხიარულების სასურველი და გულისამაჩქროლებელი სურათი, ვინაიდან იგი თითქოს ამწუთას ედება მთელი დედამიწის პირს, და ბოლოს, ალიონის ჟამს გამდგარი ბურუსი, თეატრის ფარდასავით სულ ზევით და ზევით რომ სწევს მზე, ვითომცდა ყველას თვალწინ უნდა გადაუშალოს საოცარი სანახაობა, _ თავიდან ბოლომდე ყოველივე, ვითომცდა ფარულად პირი შეჰკრაო, საზეიმო ელფერსა ჰგვრის მთელ სურათს; და ეს

[27] ვოს კანტონში ყურძენს ძალზე გვიან კრეფენ, ვინაიდან იქ უმთავრესად ამზადებენ სხვადასხვა ჯიშის თეთრ ღვინოს, რისთვისაც სასარგებლოა, თუ მტევნებს სუსხი დაჰკრავს.

[28] დიდი კასრის ადგილობრივი სახელწოდება.

ზეიმი თითქოსდა კიდევ უფრო მშვენიერია, როცა გაიფქირებ, რომ ის ერთადერთია, სადაც ადამიანებს ძალუძთ ერთმანეთს დაუკავშირონ სასარგებლო და სასიამოვნო ამბავი.

ბატონმა დე ვოლმარმა, რომლის აქაური მამულის საუკეთესო ნაკვეთზე ვაზია გაშენებული, წინასწარ მოამზადა ყველაფერი საჭირო და აუციელბელი რთველისთვის. როფები, საწნახელი, მარანი, კასრები ელოდნენ მხოლოდ ტკბილ წვენს, რისთვისაც იყვნენ ისინი გამიზნულნი. ქალბატონმა დე ვოლმარმა იკისრა ყურძნის კრეფა; მის განკარგულებაშია მომუშავენი, წესრიგი და სამუშაოთა განაწილება. ქალბატონი დ'ორბი განაგებს მკრეფავთა კვებასა და მომუშავეთა გასამრჯელოს კლარანში დადგენილ ურყევ წესთა მიხედვით. მე მევალება თვალყური ვადევნო, თუ როგორ სრულდება ჟიულის მითითებები საწნახელში ყურძნის დაწურვის გამო, ვინაიდან ამ საქმეს თვითონ არ ესწრება, რადგან ვერ იტანს როფებიდან ადენილი ღვინის ორთქლს; კლარამ მაშინვე მომილოცა ეს თანამდებობა და განმიცხადა, ღვინის მოყვარულს ეს ძალზე შეშვენისო.

ამრიგად, მთელი სახელმძღვანელო საქმე გაანაწილეს, ხოლო მკრეფავებს ერთი საერთო საგარჯილო აქვთ _ ყურძნით აავსონ ცარიელი სათავსოები. განთიადიდანვე ყველანი ზეზე არიან და მივდივართ ვენახში. ბეჯით ქალბატონ დ'ორბს სულ ჰგონია, ბევრს არაფერს ვაკეთებო, და თავისი საქმის გარდა, კიდევ იკისრა ზარმაცთა შეგულიანება და წაჯიკავება; ძალმიძს დავიტრაბახო, ჩემს მიმართ ფრიად ეშმაკურ სიფხიზლეს მიმართავს-მეთქი. რაც შეეხება მოხუც ბარონ დ'ეტანჟს, სანამ ჩვენ ვმუშაობთ, ის სეირნობს მხარზე თოფგადაკიდებული, ზოგჯერ კი მოვა ჩემთან, დამატოვებინებს მკრეფავთა მეთვალყურეობას და შაშვებზე სანადიროდ მივყავარ; ამ დროს კლარა ყოველთვის წაიხუმრებს, თითქოსდა ბარონს თავად მოვუხმე ჩუმად, ისე რომ, თანდათან ვკარგავ «ფილოსოფოსის» სახელწოდებას და ვიძენ «ზარმაცის» ახალ სახელს, თუმცა არსებითად ეს ორი სახელწოდება დიდად როდი განსხვავდება ერთიმეორისაგან.

ჩემი სიტყვებიდან, ბარონს რომ ეხება, რასაკვირველია, მიხვდებით, რომ ჩვენ გულწრფელად შევურიგდით ერთმანეთს და ვოლმარს შეუძლია კმაყოფილიც კი იყოს ჩემი მეორე გამოცდით, თავად რომ მომიწყო.[29] განა ძალმიძს შევიძულო ჩემი დობილის მამა? თავად ჩემი მშობელი მამაც რომ იყოს, მაშინაც ამაზე უფრო ღრმა პატივისცემით ვერ მოვეპყრობოდი. მერწმუნეთ, ჯერ არსად შემხვედრია ამ სახელოვან აზანურზე უფრორე პირდაპირი, უფრო გულახდილი, დიდსულოვანი და ყოველმხრივ მეტად ღირსეული და პატივსაცემი ადამიანი. ოღონდ მასა აქვს გასაოცრად უცნაური ცრურწმენანი. სწორედ ახლა, როცა დარწმუნდა, მის ოჯახში ზედსიძედ რომ აღარ შევალ, უღრმესი პატივისცემით მექცევა; მისი სიძე ნუ ვიქნები, და სიამოვნებით ჩემზე დაბლა მიიჩნევს თავის თავს. მხოლოდ ერთი რამ ვერ მიპატიებია მისთვის: როცა არავინ გვისმენს, ზოგჯერ გაქილიკებით დასცინის «ფილოსოფოსს» მისი წინანდელი გაკვეთილებისთვის. ძალზე მიმძიმს ამ ხუმრობათა მოსმენა და ამ დროს ყოველთვის ბრაზი მომდის, მაგრამ მას ეცინება ჩემი გაგულისების გამო და მეტყვის: «წავიდეთ შაშვებზე სანადიროდ, გეყოფათ

[29] ეს უფრო მკაფიოდ გამოჩნდა ჟიულის წერილის ნაწყვეტიდან, რაიც კრებულში არ შედის.
«აი, _ მითხრა ბ-ნმა დე ვოლმარმა, და განზე გამიხმო, _ აი, მეორე გამოცდა, რაც უნდა მოვუწყო მას. ის, რომ ალერსიანად არ ეპყრობოდეს მამათქვენს, ვერ გენდობოდი». «ოღონდ, _ შევეპასუხე მე, _ ნუთუ ეს ალერსიანი მოქცევა და თქვენს მიერ დანიშნული გამოცდა შეესაბამება იმ მტრულ განწყობილებას, რასაც თავადვე ამჩნევდით წინათ მათ შორის?» «მტრული განწყობილება უკვე აღარ არსებობს, _ მომიგო მან, _ მამათქვენის ცრურწმენათ სენ-პრეს ყველა ის ბოროტება მიაყენეს, რისი მიყენებაც შეეძლოთ მისთვის. ამიერიდან აღარაფრის შიში არ უნდა ჰქონდეს და მასაც არავითარი სიძულვილი არა აქვს ბარონის მიმართ. ეს სიძულვილი შეცვალა სიბრალულმა, და ბარონსაც ამიერიდან აღარ ეშინია მისი. ის გულკეთილია და გრძნობს, სენ-პრეს ბევრი სიავე რომ მიაყენა, ებრალება კიდეც. ვხედავ, ისინი კარგად რომ გრძნობენ თავს ერთად; სიამოვნებითაც შეხვდებიან ერთმანეთს. ამიტომაც შემდგომშიაც სენ-პრეს იმედი მაქვს».

საბუთების მოხმობა!» და სხვათა შორის გასძახის: კლარა! კლარა! მოუმზადე შენს მასწავლებელს კარგი ვახშამი, მე კი ვეცდები, მადა მოუვიდესო. და მართლაც, ეს ხანდაზმული, თოფით შეიარაღებული კაცი ჩემსავით დარბის ვაზნარში, თანაც ჩემზე უკეთაც ისვრის. ჩემს მიმართ ყველა მისი დაცინვის სამაგიერო ის არის, რომ თავისი ქალიშვილის წინაშე კრინტსაც ვერა ძრავს; წინანდელი მოწაფე ქალი არა ნაკლებ პატივისცემას შთააგონებს მამამისს, ვიდრე თავის დამრიგებელს. მაგრამ დავუბრუნდეთ რთველს.

აი, უკვე ერთი კვირაა, რაც ვმუშაობთ, ხოლო საქმე სანახევროდაც არ გაგვიკეთებია იმ ღვინოთა გარდა, რაც გათვალისწინებულია გასაყიდად და უნდა შევინახოთ შინაურობაში სახმარად, _ ესაა უბრალო ღვინოები, რომელთა დაყენებისათვის საჭიროა მხოლოდ ფრთხილად გადავიღოთ ისინი როფებიდან კასრებში, _ გულკეთილი ჯადოსანი ჟიული აყენებს კიდევ უფრო ნაზ ღვინოებს შემფასებელთა და მცოდნეთათვის; მეც ვეხმარები იმ ჯადოსნურ საქმიანობაში, რის გამოც უკვე ვლაპრაკობდი, როცა ვთქვი, ერთსა და იმავე ვენახში მოკრეფილი მტევნებისგან ყველა ქვეყნის ღვინოს ღებულობს- მეთქი. ზოგჯერ აიძულებს მოგრიხონ მწიფე მტევნიანი ლერწი, რათა მზემ ვაზზედვე ოდნავ შეაჭკნოს ყურძენი; მეორე
შემთხვევაში უბრძანებს დაკუმპლონ მთელი მტევანი და დაახარისხონ დაწურვის წინ; სხვა დროს, მისი ბრძანებით, ჯერ ისევ განთიადამდე კრეფენ ქარვისებრ ყურძენს და ფრთხილად მიაქვთ საწნახელში, როცა მტევნები ჯერ კიდევ ნამნაპკურია და მოლურჯო ფიფქითაა დაფარული. ამ ყურძნისაგან თეთრ ღვინოს აყენებენ. ჟიული ამზადებს სალიქიორო ღვინოებს, რისთვისაც დაწურულ წვენს კასრებში ურევს ყურძნის ბადაგს, რაიც ცეცხლზე წამოდუღებისას სიროფად იქცევა; შუმი ღვინის დასაყენებლად დიდხანს როდი დააცლის მას როფში დუღილს; კუჭის წამლად აბზინდის ნაყენის მომზადებაც ეხერხება;[30] სულ უბრალო ყურძნიდან მუსკატის ღვინოსაც აყენებს. ყველა ეს ნაირფეროვანი ღვინო მზადდება სხვადასხვანაირი წესით, ოღონდ ყოველთვის ბუნებრივი რჩება და არ იძენს მავნებელ თვისებებს; ამრიგად, ოჯახური გამომგონებლობა ცვლის ნიადაგისა და ჰავის ბუნებრივ ნაირფეროვნებას; ჟიულის მეოხებით კლარანში ერთმანეთს ეხამება ოცი ქვეყნის ჰავა.

ვერც კი წარმოიდგინეთ, რა გულდასმითა და როგორი ხალისით კეთდება ყოველივე ეს. ადამიანები მთელი დღე მღერიან, ხარხარებენ, მუშაობა კი ამის გამო უფრო კაგად მიდის. მკრეფავთა შორის უაღრესად მჭიდრო სიახლოვე და თანასწორობა სუფევს, ოღონდ იმავ დროს არავინ გადადის წრეს. მანდილოსნები არ იბღინძებიან, ხოლო გლეხის ქალებს წესიერად უჭირავთ თავი, მამაკაცები ხუმრობენ, ოღონდ ტლანქად არა, გამართულია ნამდვილი შეჯიბრება, თუ ვინ იმღერებს ყველაზე კარგ სიმღერას, ვინ იტყვის ყველაზე გასართობ ზღაპარს, ვინ იხუმრებს ყველაზე უფრო მარჯვედ. თვით სახუმარო წაკინკლავებაშიც კი ჩანს ერთსულოვნება _ ადამიანები ახელებენ ერთმანეთს მხოლოდ იმიტომ, რათა გაამჟღავნონ თავიანთი ურთიერთსიყვარული. ბატონებს არ ეჩქარებათ შინ წასვლა და ბატონკაცურადაც არ იქცევიან; მთელ დღეს ვენახში ატარებენ. ჟიულიმ განკარგულება გასცა ააგონ ქოხი და იქ მიდიან წვიმისაგან თავშესაფარად ანდა სიცივის დროს გასათბობად. ბატონები გლეხებთან ერთად ტეხენ პურს მათთვის ჩვეულ საათებში, ისე როგორც მუშაობენ მათთან ერთად. მადიანად შეექცევიან მათ უხეშ, მაგრამ გემრიელ, მაწიერ და საუცხოო მწვანილით შემგბარ შეჭამანდს. არავინ ყოყოჩობს

[30] შვეიცარიაში ბლომად სვამენ აბზინდის ნაყენს და საერთოდ, ვინაიდან ალპური ბალახები უფრო კურნავენ ავადმყოფობას, ვიდრე ველ-მინდვრებზე აღმოცენებულნი, აქ უფრო სხვადასხვა ნაყენებს ხმარობენ.

გლეხებთან, არ დასცინის მათ უგერგილო მანერებსა და სოფლურ ქათინაურებს. გლეხები ამჩნევენ ასეთ გულმოწყალებას და ძალზე სიამოვნებთ; ბატონები მათ გამო ივიწყებენ თავიანთ წოდებას, გლეხები ამჩნევენ ამ კეთილ სურვილებს და მით უფრო ხალისით იდრეკენ ქედს. სადილობისას მოჰყავთ ვოლმარების ბავშვები და ანრიეტა, და ისინი საღამომდე რჩებიან ვენახში. რა სიხარულით ხვდებიან გულკეთილი სოფლელები მათ გამოჩენას! «ო, ბედნიერო ბალღებო! _ ტკვარცალებენ ისინი და გულში მაგრად იკრავენ მათ, _ მოწყალე ღმერთსა ვთხოვთ თქვენს ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჩვენ კი თუნდაც დღე დაგვიმოკლდეს, თუ ეს საჭირო იქნება. გაიზარდენით სულ დიდები, დედ-მამის მსგავსნი, მათებრ იყავით ჩვენი კუთხის სასიქადულონი». ხშირად ვფიქრობ იმის გამო, რომ ამ გლეხკაცთა უმრავლესობა ატარებდა იარაღს, ისე კარგად ხმარობდა დაშნას და ჯაზაირს, როგორც მებაღის დანასა და თოხს, და როცა მათ შორის დავინახავ ასეთ თვალწარმტაც და ესოდენ პატივისცემით მიღებულ ჟიულის, როცა ვისმენ თავად ჟიულისა და მისი ბავშვებისადმი მიმართულ გუისამაჩქროლებელ მისალმებებს, მაგონდება სახელოვანი და უსათნოესი აგრიპინა, თავის შვილს რომ აჩვენებს ჰერმანიკეს ლაშქარს. ო, ჟიული, სწორუპოვარო ბანოვანო! კერძო ცხოვრების სიმარტივეში სარგებლობ სიბრძნისა და გულმოწყალების შეურყეველი ძალაუფლებით; მთელი კუთხისათვის შენა ხარ სათაყვანო და წმიდათაწმიდა რამ საუნჯე, ვის დასაცავად და საქომაგოდ მზადაა ყველა, თუნდაც ეს საკუთარი სიცოცხლის ფასად დაუჯდეს. ხალხი სიყვარულით გეპყრობა, ვინაიდან მათთვის ცხოვრობ, და ეს სიყვარული უფრო საიმედო საფარველია შენთვის, ვიდრე მეფეთათვის გარშემო მყოფი მთელი დამცველი რაზმი.

საღამოობით ყველანი ერთად მხიარულად ბრუნდებიან შინ. დღიური მუშები ღებულობენ ბინასა და სასმელ-საჭმელს მთელი რთველის მანძილზე; ხოლო კვირა დღეს, მწუხრის ლოცვის შემდეგ, ყველანი იკრიბებიან და ვახშმობამდე ცეკვავენ. საქმ დღეებში, შინ დაბრუნებულნი, ჩვენც აგრეთვე ერთბაშად როდი ვცილდებით ერთმანეთს; მხოლოდ ბარონი, რომელიც არასოდეს ვახშმობს, ძალიან ადრე წვება დასაძინებლად, და ამიტომაც ჟიული ბავშვებიანად ადის მამამისის საწოლში და მანამდე რჩება იქ, ვიდრე იგი ძილს არ მისცემს თავს. მხოლოდ, ამის გარდა, რთველის დაწყების პირველი დღიდან მის დამთავრებამდე, ქალაქური ცხოვრების წეს-ადათებს მეტად აღარ ურევენ სოფლურ ცხოვრებას. ჩვენი სატურნალიები ბევრად უფრო სასიამოვნოა და კეთილგონივრული, ვიდრე რომაელთა სატურნალიები. როლების შეცვლა ძველ რომში მხოლოდ მოსაჩვენარი იყო და არც ბატონისა და არც მონისათვის არ ყოფილა ჭკუის სასწავლებელი; მაგრამ აქ გამეფებული სასიამტკბილო თანასწორობა აღადგენს ბუნებრივ ვითარებას და ზოგისთვის გაკვეთილია, ზოგისთვის ნუგეში და ყველას ამჭიდროებს მეგობრობის კავშირით.[31]

თავშესაკრები ადგილია ძველებურ ყაიდაზე მორთულ-მოკაზმული დიდბუხრიანი დარბაზი, სადაც აჩაღებენ გუზგუზა ცეცხლს. ოთახს ანათებს სამი ლამპა, ბ-ნმა დე ვოლმარმა მათ მიუმატა მხოლოდ თეთრი თუნუქისაგან გაკეთებული სამი თალფაქი,

[31] ვინაიდან და რადგან ყოველივე ეს წარმოქმნის საზეიმო სულიერ განწყობილებას, რაც თანაბრად სასიამოა როგორც მათთვის, ვინაც თავს უყადრებს ქვემდგომთ, ისე მათთვისაც, ვინც უტოლდება ზემდგომ ადამიანთ, _ ამის გამო ხომ არ მჟღავნდება, რომ ყოველგვარი მდგომარეობა საზოგადოებაში თავის თავად სულ ერთია, ოღონდ კი ყოფილიყო ზოგჯერ ამ მდგომარეობიდან გამოსვლის სურვილი და საშუალება. ღარიბ-ღატაკნი უბედურნი არიან იმის გამო, მარადჟამს ღარიბ-ღატაკებად რომ რჩებიან, ხოლო მეფენი _ იმიტომ, რომ ყოველთვის მეფეებად ყოფნა უწერიათ. სხვადასხვა საფეხურები საშუალო მდგომარეობისა, რომლიდანაც ადვილია თავის დაღწევა, აფართოებს ამ მდგომარეობაში მყოფ ადამიანთა თვალსაწიერს, ვინაიდან აძლევს მათ უფრო მეტ შესაძლებლობას შეიცნონ ყოველგვარი ცრურწმენანი და უფრო მეტ საშუალებას შედარებისათვის. აი ამიტომაც ვფიქრობ, საშუალო მდგომარეობის ადამიანთა შორის უფრო მეტად გვხვდებიან ბედნიერნი და კეთილგონიერნი.

რომლებიც იცავენ ჭვარტლისაგან და ირეკლავენ შუქს. შურისა და მოწყენილობისგან თავდასაღწევად პატრონები ეცადნენ არ მოერთოთ დარბაზი ისეთი ნივთებით, რაც ამ კეთილ ადამიანებს არ გააჩნიათ თავიანთ სახლებში, ასე რომ, აქ ქონებად ითვლება მხოლოდ და მხოლოდ ფრიად ჩვეულებრივი, საუკეთესოდ შერჩეული და უფრო ბარაქიანად განლაგებული ნივთები.

აქ ვახშმობენ ორ გრძელ მაგიდასთან. აქ ვერ იხილავთ მდიდრულობასა და სასტუმრო ჭურჭლეულით გაწყობილ სუფრას, სამაგიეროდ იგრძნობთ სიუხვესა და სიხარულს. სუფრასთან სხდებიან ყველანი ერთად _ ბატონები, მოჯამაგირენი და მსახურნიც; ყველანი განურჩევლად დგებიან ფეხზე, რათა მოემსახურონ სხვებს, ყველას უკლებლივ, უპირატესობას არავის ანიჭებენ, ემსახურებიან ყოველთვის თავაზიანად და სიამოვნებით. სმა ნებადართული აქვს, ვისაც რამდენი სურს, ამ თავისუფლებას მხოლოდ სირცხვილ-ნამუსი უდებს ზღვარს. ვყელასაგან ესოდენ პატივსაცემ პატრონთა იქ ყოფნა აოკებს თანამეინახეთ, მაგრამ ხელს როდი უშლის სითამამესა და მხიარულებას. თუკი ვინმე გაბედავს ყოყლოჩინობას, ამის გამო ზეიმს როდი ჩაიშხამებენ საყვედურებით, მაგრამ მეორე დღეს ბრალეულს დაითხოვენ სახლიდან და არასოდეს აპატიებენ უგვან საქციელს.

მე, ისე როგორც ყველა, ვიშვებ და ვიხარებ რთვლობისას ამ კუთხისათვის ჩვეული სიამოვნებით. კვლავ ვცხოვრობ ლაღად, როგორც შეფერით ვალეს მცხოვრებთ, და ძალზე ხშირად ვსვამ შუმ ღვინოს; ოღონდ ვსვამ იმ თასით, რომელსაც მივსებს ერთ-ერთი ბიძაშვილ-მამიდაშვილთაგანი. მათ იკისრეს ჩემს ძალ-ღონეს გაუთანაბრონ ჩემი წყურვილი და მოუფრთხილდნენ ჩემს გონებას. განა მათზე უკეთ ვინ იცის, თუ როგორ უნდა ამ გონების მართვა, მათზე უფრო ოსტატურად ვის ძალუძს დამაკარგვინოს გონება და კვლავ დამიბრუნოს იგი? უკეთუ მთელი დღის შრომა, ხანგრძლივი და მხიარული სერობა უფრო მეტ ძალასა მატებენ ძვირფასი ხელით ჩემთვის დასხმულ ღვინოს, მე მოურიდებლად ვამჟღავნებ ჩემს აღტაცებას, _ სადაც უკვე აღარ არის არაფერი ისეთი, რის გამოც უნდა ვდუმდე, არაფერი ისეთი, რასაც ხელს შეუშლის კეთილგონიერი ვოლმარის ყოფნა. ახლა სულაც არ ვშიშობ, რომ მისი გამჭრიახი თვალი კითხულობს ჩემი გულის ნადებს, და როცა უნაზესი მოგონება უცაბედად შემირხევს გულის სიმებს, საყვარელი კლარას მზერა განმიფანტავს ამ მოგონებას, ხოლო ჟიულის შემოხედვისას სირცხვილით ვიწვები.

ნავახშმევს ორიოდე საათს კიდევ არ იშლებიან, _ ძენძავენ კანაფს; თითოეული რიგრიგობით მღერის რაიმე სიმღერას. ზოგჯერ ყველანი ერთად გუნდურად მღერიან, ანდა ერთი მუშა ქალი იწყებს, ხოლო სხვები მოძახილსა და ბანს აძლევენ. უმთავრესად მღერიან ძველებურ სიმღერებს, რომელთა მელოდია უღიმღამოა, სამაგიეროდ მათ აქვთ ძველთაძველი დროების ნიშან-თვისებები და რაღაც სასიამტკბილო, რაც ძალზე ესალბუნება სულსა და გულს. სიტყვები მეტისმეტად მარტივია, უბრალო, გულუბრყვილო და ხშირად სევდიანი, და მაინც სასიამოა მათი მოსმენა. კლარა უნებურად იღიმება, ჟიულის ლოყები უჭარხლდება, მე კი ვოხრავ, როცა ჩვენ ვპოულობთ ამ სიტყვებში სწორედ იმ კილოებსა და გამოთქმებს, რასაც თავად ვხმარობდით ოდესღაც. როდესაც ვუმზერ ორ ბიძაშვილ-მამიდაშვილს, მაგონდება შორეული დაუბრუნებელი დღეები, უსაშველო მღელვარება მიპყრობს, გული მიმძიმდება, საშინელი გრძნობა მეუფლება, რასაც დიდი ჯახირით ვაღწევ თავს. და მაინც, ამ თავყრილობებში არის რაღაც ენით გამოუთქმელი სიმშვენიერე, რასაც ფრიად განვიცდი. თავიანთი მდგომარეობით სავსე ნაირფეროვან ადამიანთა ეს თავყრილობა, უბრალო სამუშაო, რითაც არიან ისინი გართულნი, მოსვენების, მეგობრული თანხმოვანებისა და სიმშვიდის შეგრძნობა მყუდროებისა და ალერსიანობის გრძნობებით მსჭვალავს ადამიანის სულსა და გულს, რის

გამოც სიმღერები უფრო ლამაზი ხდება. თანაც ქალთა ხმების გუნდიც როდია მოკლებული საამურობას. მჯერა კიდეც, რომ შეხმატკბილებულად მღერა ყველა ჰარმონიაზე უფრო სასიამოვნოა, და უკეთუ გვესაჭიროება აკორდები, ეს მხოლოდ იმისათვის, რომ ჩვენ შერყვნილი გემოვნება გვაქვს. მართლაც, განა ყოველგვარი ბგერა არ შეიცავს მთელ ჰარმონიას? მაშ, რაიღა ძალგვიძს დავუმატოთ მას ისე, რომ არ შევბღალოთ თავად ბუნების მიერ დაწესებული თანაფარდობა ჰარმონიულად შერწყმულ დამატებით ბგერათა შორის? როცა ვაორკეცებთ მხოლოდ რამდენიმე ბგერის ძლიერებას და არ კი ვაძლიერებთ მათ სულ თანაბრად, განა სწორედ ამით არ ვარღვევთ მათ ბუნებრივ თანაფარდობას? ბუნებამ მოიწადინა, ყოველივე რაც შეიძლება უკეთ გაეკეთებინა, მაგრამ ჩვენ გვსურს მისი გადაკეთება და ყველაფერს კი ვაფუჭებთ.

საღამოს მუშაობისას ისეთივე შეჯიბრებაა გახურებული, როგორც დღისით; გუშინ მომწადდა ცოტათი მეეშმაკნა და ამის გამო როგორ შემარცხვინეს! მე კანაფის ძენძვის არცთუ ისეთი დიდი ოსტატი ვარ, თანაც ხშირად ვიბნევი ხოლმე, და ჩემდა სამწუხაროდ, ყველანი დამცინიან იმის გამო, ყველაზე ნაკლები რომ გავაკეთე, _ და აი, ჩუმ-ჩუმად ფეხით მივიჩოჩე ჩემი მეზობლებისაგან იატაკზე დაგდებული კანაფის ღეროები, _ მინდოდა ჩემი კონა უფრო მეტი ყოფილიყო; მაგრამ შეუბრალებელმა კლარამ მაშინვე შეამჩნია ყოველივე, ანიშნა ჟიულის, და მანაც, დანაშაულზე წასწრებული, მაგრად დამტუქსა. «ვაჟბატონო გაიძვერავ, _ ხმამაღლა წარმოთქვა მან, _ აბა, არავითარი მოტყუება არ იყოს, ხუმრობითაც კი! თორემ მართლაც მივეჩვევით ცუღლუტობას და, რაც უფრო ცუდია, ვიცინებთ კიდეც ამის გამო.[32]

აი, როგორ ტარდება აქ საღამო. ხოლო როცა უნდა დავიშალოთ, ქალბატონი დე ვოლმარი იტყვის: შუშხუნების ასაშვებად წავიდეთო. მაშინვე თითოეული იღებს თავის კონას _ გაწეული შრომის საპატიო საბუთს. ყველას დიდი ამბით მიაქვს ეზოში, ბრძოლის ველზე მოპოვებული ნადავლივით აქუჩებენ ერთად, და ცეცხლს უკიდებენ. ოღონდ ეს პატივი ყველას როდი ერგება, ამ პატივს თვით ჟიული ანიჭებს, გადასცემს ცეცხლმოკიდებულ ჩირაღდანს რომელიმეს, ვინც იმ საღამოს ყველაზე მეტი კანაფი დაძენძა; უკეთუ ყველაზე ბევრი თვითონ იშრომა, მაშინ ამ პატივს თავის თავს მიაგებს. ესოდენ დიდებული ცერემონია ტარდება მხიარული შეძახილებითა და ტაშის ცემით. კანაფის ღეროებს ედება ელვარე ცეცხლის ალი, რაც ღრუბლებამდე აღწევს, ხოლო ამ კოცონის გარშემო დახტიან, დაკუნტრუშებენ, ხარხარებენ. შემდეგ ყველა დამსწრეს ღვინით უმასპინძლდებიან, _ თითოეული სვამს შეჯიბრებაში გამარჯვებულის სადღეგრძელოს და მიემართება დასაძინებლად შრომითა და უმანკო განცხრომილებით აღსავსე, განვლილი დღით კმაყოფილი, რაიც ესოდენ ესალბუნება გულს და სულს, რომ თითოეული ისურვებდა, ასე იყოს ხვალაც, ზეგაც, მთელ სიცოცხლეშიც.

VIII წერილი

ბ-ნ დე ვოლმარისადმი

გაიხარეთ, ძვირფასო ვოლმარ, თქვენი გარჯის ნაყოფით. მიიღეთ მოკრძალებული აღტაცება შუქმოფენილი გულისა, რაც ესოდენი შრომით გახადეთ თქვენი მეგობრობის ღირსი. ჯერ არასოდეს არც ერთ ადამიანს არ ჩაუდენია ის, რის ჩადენაც თქვენ

[32] შენ, ვინაც ერბო მიითვისე, ურიგო არ იქნებოდა, გცოდნოდა ეს ამბავი.

განიზრახეთ; თითქმის არავის უცდია იმის გაკეთება, რაც თქვენ გააკეთეთ, ჯერ არც ერთ მადლიერ და მგრძნობიარე გულს არ განუცდია ის გრძნობები, რაც შთამაგონეთ. ჩემმა სულმა დაკარგა მთელი თავისი ძალი და ღონე, მთელი ენერგია, მთელი თავისი რაობა; ყველაფერი ეს თქვენ დამიბრუნეთ; თქვენ უნდა გიმადლოდეთ იმ ზნეობრივ ცხოვრებას, რითაც თავს აღდგინებულად ვგრძნობ. ო, ჩემო მწყალობელო! მამაო ჩემო! მზადა ვარ სულ ერთიანად შემოგწიროთ თავი, ოღონდაც ძალმიძდეს, როგორც ღმერთს, მოგაგონოთ მხოლოდ ის, რაც თქვენვე მიბოძეთ.

განა საჭიროა ჩემი უმწეობისა და ძრწოლის აღიარება? ჯერაქამომდე სულ არ ვენდობოდი ჩემს თავს. მხოლოდ ერთი კვირის წინ ვიწვნიე სირცხვილი ჩემი თავის გამო, და მთელი თქვენი გულკეთილობა ამაოდ ჩავთვალე. ეს იყო სათნოებისათვის სახიფათო სასტიკი გამოცდის წამი. ზეცისა და თქვენი წყალობით ამ საფრთხემ განვლო და კვლავ აღარ დაბრუნდება. თავს განკურნებულად ვთვლი, და არა მარტო იმის გამო, რომ ამას თქვენ მეუბნებით, არამედ იმიტომაც, თავადვე რომ ვგძნობ. ახლა უკვე აღარაა საჭირო თავდებად დამიდგეთ, _ თქვენი მეოხებით მეც შემწევს ძალ-ღონე პასუხი ვაგო ჩემს თავზე. როგორც კი თქვენ და ჟიულის დაგშორდით, უმალ მივხვდი, თუ რა ვიქნებოდი თქვენი მხარდაჭერის გარეშე. იმ ადგილებს მოშორებული, სადაც ჟიული მყოფობს, დავრწმუნდი, მის ახლოს უშიშრად ყოფნა რომ ძალმიძს.

დაწვრილებით აღვუწერე ქალბატონ დ'ორბს ჩვენი მოგზაურობსი ამბავი. აქ აღარ განვიმეორებ ჩემს ნათქვამს. ძალიან მინდა, თქვენთვის ცნობილი იყოს ყველა ჩემი სისუსტე, ოღონდ გამბედაობა არ მყოფნის მოგითხროთ მის გამო. ძვირფასო ვოლმარ, ესაა ჩემი უკანასკნელი შეცოდება; რამდენადმე სიამაყის გრძნობას განვიცდი, რომ მას უკვე სავსებით დავაღწიე თავი, მაგრამ თავად ის წამი ჯერ ისე ახლოსაა, რომ აღიარება მეძნელება. თქვენ, რომელმაც შეძელით გეპატიებინათ ჩემი შეცოდებანი, ნუთუ აღარ მომიტევებთ ყოველივე იმას, რაც ჩემს სულს სირცხვილითა და სინანულით აღავსებს?

ახლა აღარაფერი უშლის ჩემს ბედნიერებას, _ მილორდმა ყველაფერი მიამბო. მაშასადამე, ძვირფასო მეგობარო, მე ვიქნები თქვენი ოჯახის წევრი, აღვზრდი თქვენს შვილებს? მე, თქვენს შვილთა შორის უხუცესი, აღვზრდი უმრწემესთ. რა გულმხრუვალედ ვნატრობდი ამას! და იმის იმედი, რომ ესოდენ მაღალი დანიშნულების ღირსადა მცნობთ, აორკეცებდა ჩემს მცდელობას თქვენი ნდობის მოსაპოვებლად! რამდენჯერ გავბედე გამენდო ეს ჩემი მისწრაფება ჟიულისათვის! ხშირად რაგვარის სიამოვნებით განვმარტავდი თქვენსა და მის სიტყვებს ჩემს სასარგებლოდ! თუმცა ჟიული გულგრილად როდი უყურებდა ჩემს თავგამოდებას და, თითქოსდა იწონებდა მის მიზანს, ვერ ვამჩნევდი, რომ სავსებით თანახმა იყო ჩემი სურვილისა, და ამიტომაც ვერ ვბედავდი ამის გამო აშკარად ლაპარაკს. ვგრძნობდი, საჭირო რომ იყო ამ პატივის დამსახურება, და არა მისი მოთხოვნა. თქვენგან და ჟიულისგან მოველოდი ნდობასა და პატივისცემას. ეს იმედი არ გამიქარწყლდა; ჩემო მეგობრებო, მერწმუნეთ, თქვენს იმედს არც მე გაგიცრუებთ.

კარგად იცით, ბავშვთა აღზრდის გამო თქვენთან საუბრების შემდეგ, ქაღალდზე რომ გადავიტანე ამ საუბრებით აშლილი ფიქრები, _ თქვენ მოიწონეთ ისინი. ჩემი გამგზავრების შემდეგ წარმომესახა ახალი მოსაზრებები ამავე საგანზე, და ყოველივე ეს ჩამოვაყალიბე თავისებურ სისტემად, და როცა მას დამში მოვიყვან, შეგატყობინებთ, რათა თქვენაც, თქვენი მხრით, გაერკვეთ ამ საქმეში. ვიმედოვნებ, რომში ჩასვლისას მოვახერხებ ისე გავმართო ჩემი ჩანაწერები, რომ შეიძლებოდეს თქვენთვის მათი ჩვენება. ჩემი სისტემა სწორედ იქიდან იწყება, სადაც მთავრდება ჟიულის სისტემა, _ ანდა, უფრო სწორად, წარმოადგენს მის გაგრძელებასა და განვითარებას, ვინაიდან მთლიანად მიმართულია იქითკენ, რათა საზოგადოებასთან შეგუებით არ შებღალოს ადამიანის ბუნებრივი რაობა.

თქვენი მზრუნველობის მეოხებით კვლავ მოვიპოვე გონება: კვალად გავხდი თავისუფალი და სულით ჯანსაღი, ვგრძნობ, რომ ვუყვარვარ ყველას, ვინც ჩემთვის ძვირფასია, ჩემს წინ გადაშლილია საუცხოო მომავალი, _ ეს მდგომარეობა, თითქოსდა, აღმაფრთოვანებელია, ოღონდ, როგორც ჩანს, ასეთი ბედი მქონია, ვერ ვეწიო სულიერ სიმშვიდეს. როცა მილორდთან ერთად მოგზაურობის დასასრულს ვუახლოვდები, ვხედავ რომ დგება გადამწყვეტი ჟამი ჩემი სახელოვანი მეგობრის ცხოვრებაში, და სწორედ ჩემს გარდა სხვას არავის ძალუძს, ასე ვთქვათ, მისი ბედის გადაწყვეტა. შემიძლია თუ არა ჩავიდინო მისთვის თუნდაც ერთხელ ის, რაც მრავალჯერ გააკეთა ჩემთვის? ძალმიძს თუ არა ღირსეულად შევასრულო ჩემი ცხოვრებისათვის უდიადესი და უმნიშვნელოვანესი მოვალეობა? ძვირფასო ვოლმარ, გულში ვიმარხავ თქვენგან მოცემულ ყველა გაკვეთილს, ოღონდ როგორ გავხადო ისინი სხვებისთვის სასარგებლო? აჰ, რად არა მაქვს თქვენი სიბრძნე? აჰ, ნეტავი ოდესმე თუ დავინახავ ედუარდს ბედნიერს! და ნეტავ, მისი საკუთარი და თქვენი განზრახვის თანახმად, ერთად შევიყრებოდეთ და აღარასოდეს დავშორდეთ ერთმანეთს, _ სხვა რაღა უნდა ვინატრო? მხოლოდ და მხოლოდ ერთი ოცნებაღა მრჩება, მაგრამ მისი განხორციელება თქვენ როდი ხელგეწიფებათ, არც მე, არც სხვა ვინმეს ამქვეყნად, მხოლოდ მას, ვინაც უნდა დააჯილდოოს თქვენი მეუღლის სათნოება და ვინაც იდუმალ აღრიცხავს თქვენს კეთილ საქმეთ.

IX წერილი

ქალბატონ დ'ორბს

აბა სადა ხართ, უმშვენიერესო მამიდაშვილო? სადა ხართ, სასურველო მესაიდუმლევ უძლურ გულისა. რის დასაპყრობადაც ესოდენი უფლება გაქვს და რაც თქვენგან ბევრჯერ ნუგეშცემულია? მაშ, მობრძანდით, მომეცით ნება მოვინანიო უკანასკნელი ჩემი შეცოდება. თქვენ ხომ ყოველთვის ეხმარებოდით ჩემს სულს განწმენდილიყო სიბილწისაგან, ხომ მართალია? და ძალუძს თუ არა მას კვალად უსაყვედუროს თავს იმ ცოდვათათვის, რაც თქვენს წინაშე აღიარა კიდეც? არა, მე ის აღარა ვარ უკვე, რაც ვიყავ წინათ, და ამ ცვლილებას თქვენ გიმადლით. ჩემს მკერდში ახალი გული ჩადევით, და პირველსავე გრძნობათ თქვენკენ მომართავს იგი; ოღონდ სანამ თქვენ ხელთათვის არ გადმომიცია ჩემი წინანდელი გული, ვერ დავიჯერებ, მისგან რომ გავთავისუფლდი. ოი, თქვენ, რომელიც შეესწარით მის დაბადებას, მიიღეთ მისი უკანასკნელი აღმოკვნესაც.

ძალგიძთ კია ამის წარმოდგენა? ჩემს სიცოცხლეში ჯერ არ ვყოფილვარ ასე კმაყოფილი საკუთარი თავისა, როგორც თქვენთან განშორების ჟამს. როცა ჩემს ხანგრძლივ შეცოდებათ ვინანიებდი, ასე მეგონა, ამ წუთას მოხდება მოვალეობის გზაზე ჩემი ნაგვიანევი დაბრუნება-მეთქი. ძლივს არ გადავიხდი ყველაფრისათვის, რასაც ვუმადლი ჩემს მეგობარს, _ მისი გულისთვის ვტოვებ ჩემთვის ესოდენ სასიქადულო სავანეს და მივყვები ჩემს ბრძენ კეთილისმყოფელს. ის კი თავს ისე მაჩვენებდა, თითქოს ჩემი დახმარება სჭიროდეს, თუმცა სწორედ ამით საფრთხეს უქმნიდა თავისი წამოწყების წარმატებას. რაც უფრო მწარე იყო თქვენთან განშორება, მით უფრო ვამაყობდი ჩემი მსხვერპლით. ჩემი სიცოცხლის ნახევარი სულ უფრო და უფრო მზარდ უიღბლო სიყვარულს შევალიე, ამიერიდან კი სიცოცხლის მეორე ნახევარს შევწირავ მის გამართლებას და ჩემი ქველკეთილობით უაღრესად ღირსეული ქება-დიდება უნდა შევასხა იმას, ვისაც ასე ხანგრძლივად ვუძღვნიდი ჩემი სულის მთელ მგზნებარებას.

როგორ მახარებდა პირველი დღე, როცა ჩემს გამო სირცხვილით არ დაიწვებით არც თქვენ, არც ჟიული და არც არავინ, ვინც ძვირფასია ჩემთვის.

მილორდი ედუარდი შიშობდა, ვაითუ გულის ამაჩუყებელი გაცილება მოგვიწყონო, და გადავწყვიტეთ ყველასაგან უჩუმრად წამოსვლა; ხოლო თუმცა სახლში ჯერკიდევ ყველას ეძინა, მაინც ვერ მოვახერხეთ თქვენი მეგობრული სიფხიზლის მოდუნება. და აი, დავინახე, თქვენი კარი რომ ღია იყო და თქვენი მოახლეც იქვე დარაჯობდა, შემდეგ თქვენც დაგინახეთ, ჩვენს შესახვედრად რომ გამოემართეთ, ხოლო სასადილო ოთახში ვნახე ჩაისთვის გაწყობილი მაგიდა, _ ყოველივე ამან გამახსენა მსგავსი ვითარებანი, და სხვა დრო-ჟამი; როცა ჩემი ახლანდელი გამგზავრება შევადარე იმას, რაც მან გამახსენა, ვიგრძენი, რამდენად გადავსხვაფერდი, გამიხარდა, რომ ედუარდი იქნებოდა ჩემი ფერისცვალების მოწმე, და იმედი აღმეძრა, რომ მილანში ვაიძულებდი დაევიწყებინა ის არასაკადრისი სცენა, ბეზანსონში რომ მოხდა. არასოდეს მქონია ესოდენი სიმამაცე, და ძლიერ მინდოდა ამის გამომჟღავნება თქვენს წინაშე; ვნატრობდი თავი გამომეჩინა სიმტკიცით, რაც არასოდეს განგიცდიათ ჩემგან. ვამაყობდი იმით, რომ თქვენთან განშორებისას, წუთით ისეთი სახით წარმოგიდგებოდით, როგორიც ვიქნები მუდამჟამს. ამ აზრის გამო ჩემი გამბედაობა უფრორე იზრდებოდა, თქვენი პატივისცემის იმედი ძალ-ღონეს მმატებდა და, შესაძლოა, თქვენთან გამოთხოვებისას ჩემი თვალები მშრალი დარჩენილიყო, მაგრამ როცა ჩემს ლოყებზე თქვენი ცრემლები გადმოიღვარა, თავი ვეღარ შევიკავე და თქვენთან ერთად მეც ავტირდი.

მე გავემგზავრე, სავსებით შეგნებული მქონდა ჩემი ვალდებულებები, განსაკუთრებით ისინი, რასაც მაკისრებს თქვენი მეგობრობა, და აღსავსე ვიყავი გამბედაობით, რათა ჩემი სიცოცხლის დარჩენილი დღეები ისე მომეხმარა, რომ დამემსახურებინა ეს მეგობრობა. ედუარდმა აწონ-დაწონა ყველა ჩემი შეცოდება და, მათი ჩამოთვლისას, ფრიად არასახარბიელო სურათი დამიხატა; სავსებით მართებულად და მეტისმეტად მკაცრად კიცხავდა ამ მრავალრიცხოვან სისუსტეთ და, რასაკვირველია, სრულიადაც არ შიშობდა, ვაითუ შენს მაგალითს მივბაძოო. ოღონდ ისე იქცეოდა, თითქოსდა ეშინოდა ამისა, დიდად შეშფოთებული ლაპარაკობდა რომში ჩვენს გამგზავრებასა და უღირს სიყვარულზე, რაიც, მისდა უნებურად, კვლავ იქითკენ ეწეოდა. თუმცა, ძალზე ადვილად მივხვდი, რომ აზვიადებდა მოსალოდნელ საფრთხეს, _ და ეს იმიტომ, რათა უფრორე შევწუხებულიყავ მის გამო და თავი დამეღწია მომავალ შეცოდებათაგან.

როცა ვილნევს ვუახლოვდებოდით, ოჩანი ცხენით მომავალი მილორდის ფარეში ცხენიდან ჩამოვარდა და თავი იტკინა. მილორდმა ბრძანა მისთვის სისხლი გაეღოთ და ამ ქალაქში ღამის გათევა გადაწყვიტა. ადრიანად ვისადილეთ, შემდეგ ცხენები დავიქირავეთ და ბესკენ გავემართეთ, მარილის სარეწაოთა სანახავად. ვინაიდან მილორდი, განსაკუთრებულ მიზეზთა გამო, დაინტერესებულია ამ სარეწაოებით, ამიტომაც გავზომე ისინი და გავაკეთე შხეფსაცივართა ნახაზები; ვილნევში მხოლოდ ღამით დავბრუნდით. ნავახშმევს ერთ ჭიქა პუნშთან საუბარს გვიანობამდე შევრჩით. და მილორდ ედუარდმა სწორედ მაშინ მაცნობა, თუ რაგვარი ვალდებულებები მეკისრებოდა და უკვე რა იყო გაკეთებული მათ შესასრულებლად. თქვენ, რასაკვირველია, კარგად გესმით, თუ როგორ ამაღელვებდა ეს ამბავი. ასეთი საუბრის შემდეგ რაღა დამაძინებდა! მაგრამ მაინც ხომ უნდა დავწოლილიყავით დასაძინებლად.

როცა ჩემთვის განკუთვნილ საწოლ ოთახში შევედი, ვიცანი სწორედ ის ოთახი, სადაც ოდესღაც ღამე გავათიე სიონს მიმავალმა. ძნელი გადმოსაცემია, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა ამან ჩემზე. გაოცებული დავრჩი, წუთით მომეჩვენა თითქოს იგივე ვიყავი, როგორსაც მიცნობდით მაშინ; ცხოვრების ათი წელიწადი გაქრა და

წარიშალა; ყველა უბედურება მიმავიწყდა. ავაიმე! ცდომილება მსწრაფლწარმავალი იყო, და შემდგომ წუთში კიდევ უფრო მძიმე გახდა ყველა განცდილი ტანჯვა-წამების ტვირთი. რა მწარე ფიქრები დამეუფლა პირველი მომაჯადოებელი წუთის შემდეგ! რა სამწუხარო შედარება წარმოვიდგინე! პირველი ახალგაზრდობის მომხიბვლელობა, პირველი სიყვარულის აღტაცება განაღა რად უნდა გაიხსენოს უმძიმესი ვაი-ვარამით გათანგულმა და თავისი სადარდებლით გატანჯულმა გულმა. Oოი, განვლილო დრო-ჟამო, სვე-ბედნიერო დროო, შენ უკვე წარსულს ჩაბარდი! მე ხომ მიჯნური ვიყავი, მეც შემომტრფოდნენ. უმანკოებით აღსავსე მყუდროებაში თავდავიწყებით ველოდი თანაზიარი სიყვარულის აღტაცებათ; გულმოჯერებით განვიცდიდი გასაოცარ გრძნობას, რაც ჩემთვის იყო მთელი სიცოცხლე, გული ჩემი განცხრებოდა სასიამტკბილო იმედით, აღტაცება, აღფრთოვანება, ნეტარება ეუფლებდოა მთელ ჩემს სულიერ ძალ-ღონეს! აჰ! მეიერის კლდეთა ზედან, ზამთარში, მყინვარებისა და საშინელ უფსკრულთა შორის, განა ვისი ხვედრი შეედრებოდა ჩემს სვე-ბედს მთელ ქვეყანაზე?.. მე მაინც ვტიროდი, მაინც ვთვლიდი თავს შებრალების ღირსად, მაინც ვბედავდი დარდსა და წუხილს. ახლა კი!.. სავსებით დავიმსახურე ჩემი უბედურება, ვინაიდან ვერ ვხვდებოდი ჩემს წინანდელ ნეტარებას... იმ დღეებში მე ვტიროდი... შენ განა ტიროდი? უბედურო, ამიერიდან აღარ იტირებ... ტირილის უფლებაც აღარ გაგაჩნია... «ნეტავი რატომ არ მოკვდა-მეთქი იგი!» _ თამამად წამოვიძახე გაშმაგებით. დიახ, მაშინ უფრო ნაკლებად ვიქნებოდი უბედური, გავბედავდი წუხილსა და ვაებას, სინდისის უქენჯნელად ვეამბორებოდი ცივ ლოდს მის სამარეზე; ჩემი ტანჯვა და ვიშვიში მისთვის უპრიანი იქნებოდა; ასე ვიტყოდი: «მას ესმის ჩემი ჩივილი, ხედავს ჩემს ცრემლებს, ჩემი გოდება გულს უჩუყებს და ახარებს, ხელს არა ჰკრავს ჩემს სპეტაკ სიყვარულს, ჩემს თაყვანებას!..» და მაინც მექნებოდა მასთან წასვლის იმედი... მაგრამ იგი ცოცხალია, იგი ბედნიერია... ის ცოცხლობს, და მისი სიცოცხლე ეს ჩემი სიკვდილია, მისი ბედნიერება _ ტანჯვაა ჩემთვის. ხოლო როცა ზენამ წამგვარა იგი, აღმიკვეთა კიდეც წარსულის მოგონების უფლება!.. ის ცოცხლობს ჩემთვის კი არა, ცოცხლობს იმად, სასოწარკვეთილი რომ ვიყო მარად. და ასგზის უფრო შორსა ვარ მისგან, ვიდრე მაშინ ვიქნებოდი, ცოცხალთა შორის რომ აღარ იყოს.

ამ სევდიანი ფიქრებით გათანგული ჩავწექი ლოგინში; ამ ფიქრებმა ძილშიც არ მომცეს საშველი და აღმივსეს იგი შავბნელი ზმანებებით. საშინელი ვაი-ვარამი, გოდება, სიკვდილი _ აი, რას მიხატავდნენ ძილისშორის ზმანებანი, ყველა ჩემს წინანდელ ტანჯვა-წამებათ ჩემს თვალში ახლად ედგმებოდა სული და ხელმეორედ მწეწდნენ და მჯიჯგნიდნენ ისინი. და მაინც ერთი და იგივე სიზმარი, ყველაზე სასტიკი და მწვავე, საშველს არ მაძლევდა მთელი ღამე; ზედიზედ მეზმანებოდა ბუნდოვანი ჩვენებანი, მაგრამ ყველა ისინი მთავრდებოდა ამ სიზმრით.

მესიზმრა, ვითომც თქვენი დობილის ღირსსახსოვარი დედა იწვა სიკვდილის სარეცელზე, მისი ქალიშვილი კი დაჩოქილიყო და ცრემლს ღვრიდა, ამბორს უყოფდა დედის ხელებს და მიირქმევდა მის უკანასკნელ აღმოკვნესას. სურათი ესე ოდესღაც აღმიწერეთ თქვენ, მე კი მარადის მემახსოვრება იგი. «ოი, დედილო, _ ამბობდა სიზმარში ჟიული ჩემი გულის გამგმირავი ხმით, _ ოი, დედილო, თქვენ მომანიჭეთ სიცოცხლე, ხოლო ჩემს გამო კი ტოვებთ საწუთროებას. აჰ, წარმტაცეთ თქვენი მადლიანი საბოძვარი, უთქვენოდ საბედისწეროა იგი ჩემთვსი». «ჩემო ბავშვო... _ ნაზი ხმით უპასუხებდა დედა, _ დაემორჩილე შენს ხვედრს... ღმერთი სამართლიანია... შენაც იქნები ოდესმე დედა...» ველარ დაამთავრა. ზე ავიხედე, მინდოდა შემეხედა მისთვის და უკვე ველარ დავინახე. მის ადგილას ჟიული იწვა: მაშინვე ვიცან, თუმცა სახე საბურველით ჰქონდა დაფარული. შევყვირე, მივვარდი მას. მინდა ავხადო საბურველი და არ ძალმიძს მისი შეხება; უსაშველოდ დაძაბული ვიშვერ ხელებს და სიცარიელეს ვეპოტინები. «მეგობარო,

დამშვიდდი, _ ბეჩავი ხმით ამბოს იგი, _ შენგან მიფარავს საშინელი საბურველი, არავის ხელს არ ძალუძს მისი გადახდა». ამ სიტყვებზე კვლავ მივვარდი, მინდოდა საბურველის ახდა და... გამომეღვიძა. ირგვლივ არავინ იყო, ლოგინში ვიწექ, დაღლილ-დაქანცული, სულ გაოფლილი და ცრემლები ლოყას მილტობდნენ.

მალე საშინელი ზმანება გაქრა, გატანჯულს კვლავ ჩამეძინა, _ ისევ ის სიზმარი და იგივე გაწამაწია, გამოვიღვიძე და მესამეჯერ ჩავიძინე. კვლავ იგივე ავბედითი სურათი _ ისევ სასიკვდილო სარეცელი, კვლავ თვალშეუვალი, ჩემგან მოუხელთებელი საბურველი ფარავდა მას, ვინაც ღაფავდა სულს.

როცა მესამეჯერ გამომეღვიძა, ჩემი ძრწოლა და თავზარდაცემა ესოდენ დიდი იყო, რომ ცხადადაც ვერ შევიძელ მისი დაძლევა. ლოგინიდან წავმოხტი, თავად არ ვიცოდი, რასა ვშვრებოდი. ღამეულ აჩრდილთაგან შეშინებული ბავშვივით დავლასლასებდი ოთახში; ასე მეგონა, ჩემს გარშემო აჩრდილები რიალებენ-მეთქი, ხოლო ყურში ჯერ ისევ ისე საცოდავად ჩამესმოდა ნაცნობი ხმა, რის გაგონებაც აუღელვებლად არ ძალმიძდა. განთიადის წინა ბინდბუნდში უკვე გამოისახა ჩემი აფორიაქებული გრძნობების ნება-სურვილით ფერცვლილი საგანთა ნაკვთები. შეძრწუნება სულ უფრო და უფრო მატულობდა, უკვე აღარაფრის მოფიქრება აღარ შემეძლო. ძლივს მივაგენი კარს, ოთახიდან გამოვიჭერი და ედაურდის საწოლში შევვარდი. ფარდა გადავწიე, მის ლოგინზე ზღართანი მოვადინე და სულშეგუბებულმა შევყვირე: «ყველაფერს ბოლო მოეღო, აწ ვეღარ ვიხილავ იმას!» ედუარდი მყისვე წამოხტა და დაშნას ხელი წამოავლო, ეგონა, ქურდები თავს დამესხნენო. მაგრამ მაშინვე მიცნო, მეც გამოვფხიზლდი და მეორეჯერ წარვდექი მისი სამსჯავროს წინაშე, _ საშინლად შეცბუნებული, რაც, რასაკვირველია, თქვენთვის გასაგებია.

ედუარდმა სავარძელში ჩამსვა და ჩემს დამშვიდებასა და გამოკითხვას შეუდგა. როგორც კი საქმის ვითარება გაიგო, მოიწადინა ყველაფრის გატრიზავება; მაგრამ, როცა უსაშველოდ თავზარდაცემული დამინახა და მიხვდა, ამ შთაბეჭდილების გაქარწყლება არცთუ ისე იოლი იყო, კილო შეიცვალა. «თქვენ არა ხართ არც ჩემი მეგობრობისა და არც ჩემი პატივისცემის ღირსი, _ საკმაოდ მკვახედ მითხრა მან. _ ჩემი ფარეშისათვის რომ მიმეგო თუნდაც ნაოთხალი წილი იმ ზრუნვისა, რომლითაც თქვენ გეპყრობოდით, უეჭველია, ადამიანად გავხდიდი მას. მაგრამ თქვენ არარაობა ხართ!» _ «აჰ, სავსებით მართალი ბრძანდებით! _ მივუგე მე, _ ყოველივე რაც კარგი გამაჩნდა, მისგან გამომდინარეობდა, მე კი ამიერიდან ვეღარ ვიხილავ მას; და ახლა არარაობა გახლავართ!» გაეღიმა და ხელი მომხვია. «დამშვიდდით, _ მითხრა მან, _ თავი შეიკავეთ, ხვალ უფრო კეთილგონიერი იქნებით; ყველაფერს მე ვკისრულობ». ამის შემდეგ ლაპარაკის კილო შეცვალა და გზის განგრძნობა შემომთავაზა. დავეთანხმე, ვუბრძანე ცხენები შეებათ; ტანთ ჩავიცვით. ეტლში ასვლისას მილორდმა რაღაც წასჩურჩულა მეეტლეს და გზას გავუდექით.

წყნარად მივდიოდით. ისე ვიყავი ფიქრებში ჩაძირული ჩემი საშინელი სიზმრების გამო, რომ არაფერი მესმოდა, ვერაფერსაც ვერ ვხედავდი; ისიც კი ვერ შევნიშნე, წინა დღით ტბა ჩვენს მხარმარჯვნივ რომ იყო, ახლა კი მხარმარცხნივ მოგვექცა. და მხოლოდ მაშინ, როცა ბორბლები ქვაფენილზე არახრახდნენ, სავსებით გასაგები განცვიფრებით შევამჩნიე, კლარანში რომ დავბრუნდით. ჭიშკრიდან სამას ნაბიჯზე მილორდმა მეეტლეს შეაჩერებინა ცხენები, განზე გამიყვანა და მითხრა: «ხომ ხედავთ, როგორია ჩემი გეგმა, ახსნა-განმარტებას არ საჭიროებს. მიბრძანდით, ნათელმჭვრეტელო, _ დაუმატა მან და თან ხელზე ხელს მიჭერდა, _ მიბრძანდით, ინახულეთ იგი. კარგია, რომ თქვენს სიგიჟეს მარტოოდენ მათ უჩვენებთ, ვისაც უყვარხართ. დაუჩქარეთ, მე გელოდებით, ოღონდ, რაც

მთავარია, დაბრუნდით მხოლოდ მას შემდეგ, როგორც კი სავებით დაივიწყებთ და ნაკუწებად აქცევთ სიზმარში ნანახ იმ საშინელ საბურველს».

რაღა მეთქმოდა? ხმის ამოუღებლად გადავდგი ნაბიჯი. ძალიან ჩქარა მივდიოდი, ოღონდ, როგორც კი სახლს მივუახლოვდი, ფიქრმორეულმა ფეხი შევანელე. აბა, რაგვარი სახით უნდა წარვსდგე-მეთქი? როგორ უნდა დაგნახვებოდით? რა მომემიზეზა ამ მოულოდნელი დაბრუნების გამო? განაღა მეყოფოდა თავხედობა ჩემი სულელური შიშისა და ძრწოლის ამბავთა მოსათხრობად და დიდსულოვანი ვოლმარის დამცინავი მზერის გასაძლებად? რაც უფრო ვუახლოვდებოდი ჭიშკარს, მით უფრო ბავშვურად მიმაჩნდა ყველა ჩემი შიში, და მერცხვინებოდა კიდეც ჩემი საქციელი. მაგრამ საშინელი წინათგრძნობა ჯერ ისევ მიფორიაქებდა გულს და ვერაფრით დავშოშმინდი. განვაგრძობდი გზას, თუმცა ძლივს მივღოღავდი, ოღონდ როგორც კი ჭიშკარს მივადექი, მომესმა, როგორ გააღეს და გასაღებით ჩაკეტეს ელიზიუმის გალავანი. როცა დავინახე, რომ არავინ გამოვიდა, გარეთა მხრიდან შემოვუარე მესერს და დავადექი ნაკადულის ნაპირს, რაც შეიძლება ვოლიერის ახლოს. და მაშინ, კლარა, ყურებდაცქვეტილმა გავიგონე, ჟიულის რომ ესაუბრებოდით, და თუმცა ვერც ერთ სიტყვას ვერ მოვკარი ყური, მაინც თქვენს ხმაში გავარჩიე რაღაც საამო სისათუთე, რამაც ძალზე ამაღელვა, ხოლო ჟიულის ხმა, როგორც ყოველთვის, ალერსიანი და მშვიდი იყო, თანაც ისეთი უშფოთველი და უწყინარი, რომ მყისვე დავშოშმინდი, და მართლაც გამოვფხიზლდი საშინელი ძილისაგან. ერთბაშად სხვა ადამიანად წარმოვიდგინე თავი და ჩემი ამაო აფორიაქება თავადვე სასაცილოდ მეჩვენა. საკმარისი იყო ღობეზე გადახტომა და ბუჩქებს შორის გამოძრომა, და მე დავინახავდი ცოცხალს, საღ-სალამათსა და ჯანმრთელს იმას, ვისაც, ასე მეგონა, უკვე ველარასოდეს ველარ ვიხილავდი; და მაშინ სამუდამოდ უკუვაგდე ყოველგვარი შიში, საშინელი ქიმერები, და ძალზე ადვილად გადავწყვიტე ჟიულის უნახავად წამოსვლა. გეფიცებით, კლარა, არამცთუ არ მინახავს იგი, არამედ, უკან დაბრუნებისას, უდიდესი სიამაყით ვიყავი აღვსილი; მე ხომ არ მივეცი თავს ნება თუნდაც ერთი წუთით შემეხედა მისთვის, ბოლომდის არ ვიყავი უილაჯო, ცრუმორწმუნე და, ყოველ შემთხვევაში, დავძლიე სიზმარეულ ზმანებათა რწმენა და გავხდი ღირსი ედუარდის მეგობრობისა.

აი, ძვირფასო მამიდაშვილო, რა მინდოდა მეთქვა თქვენთვის, როცა გადავწყვიტე ყველაფრის აღიარება განშორების ჟამს. ჩვენი მოგზაურობის დანარჩენი ამბები აღარაა საინტერესო, არცა ღირს მათი აღწერა. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ იმ შემთხვევის შემდეგ არამცთუ მარტოოდენ მილორდია ჩემი კმაყოფილი, არამედ თვითონ მეც კიდევ უფრო კმაყოფილი გახლავართ ჩემი თავისა, ვინაიდან მშვენივრად ვგრძნობ სრულ განკურნებას, ის კი არც ისე ამჩნევს ამ ამბავს. ვშიშობდი, ვაითუ ამაო უნდობლობა აღვუძრა-მეთქი, და არ გამიმხელია, თვალიც რომ არ მომიკრავს თქვენთვის. მილორდმა მხოლოდ ის მკითხა, საბურველი ახადე თუ არაო, და მაშინვე დავუდასტურე, კი-მეთქი, და ამის გამო მეტი აღარ გვილაპარაკია. დიახ, LOLO მამიდაშვილო, სამუდამოდ უკუვაგდე საბურველი, რაც ასე ხანგრძლივად მიხშობდა გონების ნათელს. ყოველივე გამტანჯველი წუხილი და შეჭირვება განქარდა. საუცხოოდ ვხედავ ჩემს მოვალეობას და მახარებს იგი. თქვენ ორივენი წინანდელზე კიდევ უფრო ძვირფასნი გახდით ჩემთვის და ჩემი გულიც ერთიერთმანეთისაგან როდი განგასხვავებთ თქვენ: განუყრელი დობილები ჩემს გულშიაც განუყრელნი ხართ.

გუშინწინ მილანს ჩავედით. ზეგ გზას განვაგრძობთ. ვფიქრობთ ერთი კვირის შემდეგ რომში ჩასვლას; ვიმედოვნებ, იქ დაგველოდება თქვენგან გამოგზავნილი ბარათი. ერთი სული მაქვს დავინახო ორი გასაოცარი ქალი, რომლებიც უკვე დიდი ხანია არღვევენ ადამიანთა შორის უდიადესი კაცის მყუდროებას. ოო, ჟიული! ოო, კლარა! მხოლოდ და მხოლოდ თქვენი ტოლი და ჯუფთი არსება იქნებოდა ღირსი ბედნიერება მიეგო მისთვის.

X წერილი

ქალბატონ დ'ორბის პასუხი

ჩვენ ყველანი მოუთმენლად ველოდით თქვენს ამბავს; აღარ ითქმის, თუ რა სიამოვნება მოჰგვარა თქვენმა წერილებმა ჩვენს პატარა საზოგადოებას; ოღონდ თქვენ, რასაკვირველია, ვერც კი მიხვდებით, რომ იმ წერილებმა, იქნებ, ამ სახლში მყოფთა შორის ყველაზე ნაკლებ გამახარა. ყველანი კმაყოფილნი იყვნენ, როცა გაიგეს, რომ მშვიდობიანად გადახვედით ალპის მთებზე, მე კი იმის გამო ვფიქრობდი, ახლა ალპის გადაღმა იმყოფებიან-მეთქი.

ზოგიერთ ვითარებათა გამო, რასაც ჩემთან გამოგზავნილ წერილში იტყობინებით, ბარონისთვის არაფერი გითქვამს, და სავსებით ზედმეტად ჩავთვალე სხვებისათვისაც გადამეცა ზოგი რამ, რაც თქვენივ თავისთვის გითქვამთ. ბ-ნმა დე ვოლმარმა, როგორც კეთილგონიერმა ადამიანმა, მხოლოდ დაგცინათ, მაგრამ ჟიულის გაახსენდა დედამისის სიცოცხლის უკანასკნელი წუთები, კვლავ დადარდიანდა და მწარე ცრემლებიც დაღვარა. თქვენს სიზმარში შენიშნა მხოლოდ ის, რამაც განაახლა მისი მწუხარება.

რაც შემეხება მე, ამას გეტყვით, ჩემო ძვირფასო დამრიგებელო: ჩემთვის უკვე აღარაა გასაკვირველი, წამდაუწუმ რომ შეჰხარით თქვენს თავს, მუდამჟამს ხელს იღებთ რაიმე უგუნურებაზე და ცდილობთ კეთილგონიერად გახდომას; მთელი თქვენი დღე და სოფელი მხოლოდ და მხოლოდ იმას სჩადიხართ, რომ ძრახავთ საკუთარ თავს გუშინდელი დღის გამო და ქება-დიდებას ასხამთ მას იმისათვის, რაც ხვალ იქნებით.

აგრეთვე უნდა გამოგიტყდეთ, რომ ნებისყოფის დიდი დაძაბულობა, რაიც გამოიჩინეთ ჩვენს სიახლოვეს, და ვაჟკაცური სიმტკიცე, როცა პირში ჩალაგამოვლებული უკანვე დაბრუნდით, თქვენსავით საუცხოოდ როდი მეჩვენება. ჩემი აზრით, აქ უფრო მეტია პატივმოყვარეობა, ვიდრე კეთილგონიერება, და საბოლოოდ ვამჯობინებდი უფრო ნაკლებ ხასიათის სიძლიერეს, მაგრამ მეტ განმსჯელობას. რადგან ამნაირად უკანვე დაბრუნდით, ნება მომეცით გკითხოთ, ნეტავი რაღასთვის მოხვედით? გერცხვინებოდათ გამოჩენა, თუმცა სასირცხვილო მხოლოდ ის იყო, რომ ვერ ბედავდით გამოცხადებას; ნუთუ მეგობრებთან შეხვედრის სიამე ვერ გადაძალავდა მათი დაცინვისაგან მიღებულ ასკეცად უფრო კნინ დარდ-ვარამს? და ნუთუ ბედნიერება არ იქნებოდა თქვენთვის შეშინებული სახით ჩვენს წინაშე გამოცხადება და ჩვენი ხარხარის გამოწვევა? ჰოდა ასე, _ მაშინ თქვენზე არ გამიცინია, სამაგიეროდ ახლა ვიცინი, _ მაგრამ რაკი მოკლებული ვარ სიამოვნებას ერთი გვარიანად გაგაბრაზოთ, ამიტომაც გემოზე ველარ გამიცინია.

სამწუხაროდ, კიდევ რაღაც უარესი რამ ჩაიდინეთ: გადამდეთ თქვენი შიში და ძრწოლა, ოღონდ არ მარგუნეთ თქვენი დაშოშმინება. თქვენს სიზმარში არის რაღაც საშინელი, რაც ჩემს უნებურად შემაჭირვებს და მადარდიანებს. თქვენი წერილის წაკითხვისას გძრახავდით ესოდენ მღელვარებათა გამო, ხოლო როცა კითხვა დავამთავრე, გავბრაზდი, რადა ხართ დარწმუნებული, ყოველივე მოგვარდებაო. მართლაცდა, გაუგებარია, ნეტავი რად აფორიაქდით ასე და აგრე უცბად რად დაშოშმინდით. რა უცნაურობაა! რატომ დაგეუფლათ შავბნელი წინათგრძნობანი იმ წუთამდე, რომ შეგეძლოთ, მაგრამ არ ისურვეთ მათი გაქარვება? მხოლოდ ერთი ნაბიჯი, ხელის ერთი გაძვრა, ერთი სიტყვა და ყველაფერს ბოლო მოეღებოდა. ძალიან უსაფუძვლოდ აფორიაქდით და ასევე უსაფუძვლოდ დამშვიდდით; უკუაგდეთ შიში, მაგრამ მე გადმომედო იგი; და ისე მოხდა, რომ სიცოცხლეში ერთხელ გამოამჟღავნეთ ხასიათის

სიმტკიცე, ოღონდ ეს ჩაიდინეთ ჩემს საზიანოდ. თქვენი საბედისწერო წერილის შემდეგ გული მეკუმშება; თავზარდაცემული შევყურებ ჟიულის, სულ შიშითა ვძრწი: ვაითუ უცბად დავკარგოთ იგი-მეთქი; და წამდაუწუმ მეჩვენება, სასიკვდილო ფერმიხდილობა რომ უკრთის მთელ სახეზე; ამ დილით ხელი მოვხვიე და უცბად, არ ვიცი, რატომ, ცრემლები წამსკდა. აჰ, ეს საბურველი! ეს საბურველი!.. რაღაც ავბედითად მესახება. როგორც ამას გავიფიქრებ, თავზარი მეცემა. არა, ვერ გაპატიებთ, რომ შეგეძლოთ საბურველის ახდა და არ ახადეთ. ვშიშობ, ვაითუ არც ერთი წუთით აღარ ვიყო მოსვენებული, სანამ ჟიულის ახლომყოფს არ გიხილავთ. აბა, ერთი იფიქრეთ, რამდენი ილაპარაკეთ ფილოსოფიის გამო, ხოლო ბოლოს და ბოლოს, აუდგილო ადგილას გამოიჩინეთ ეგ თქვენი ფილოსოფოსობა. აჰ, დაე, გეზმანოთ გიჟური სიზმრები, ოღონდ ნუ დაემალებით თქვენს მეგობრებს, _ ეს უმჯობესია, ვიდრე ბრძენკაცად ყოფნა და მათგან გაქცევა.

ბ-ნ დე ვოლმარისათვის გამოგზავნილი მილორდის წერილიდან, ვგონებ, შეიძლება დავასკვნათ, რომ მას სერიოზულად განუზრახავს აქ ჩამოსვლა და კლარანში, ჩვენს მახლობლად დავანება. როგორც კი მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას გონებითა და გულით, დაბრუნდით ორივენი და მშვიდობიანად დაისადგურეთ აქ, _ აი, ესაა სურვილი ჩვენი პატარა საზოგადოებისა და განსაკუთრებით თქვენი მეგობრის _

კლარა დ'ორბისა.

PPP. S. ბარემ ერთსაც გეტყვით, უკეთუ არაფერი გაგიგონიათ მე და ჟიულის საუბრიდან ელიზიუმში, მაშინ, მართლაცდა, ასე ჯობს თქვენთვის, _ ხომ იცით, რა მარჯვე ვარ: უმალ შევამჩნევ ადამიანს, თუნდაც მან ვერ შემნიშნოს კიდეც, და ჩემი ვერაგობით სასაცილოდ ავიგდებ მოყურიადეს.

XI წერილი

ბ-ნ დე ვოლმარის პასუხი

მე მივწერე მილორდ ედუარდს და იმდენი რამ ვუთხარი თქვენს გამო, რომ ახლა, როცა ამის მოსაწერად კალამი ავიღე, შემიძლია მხოლოდ იმ წერილზე მიგითითოთ. თქვენი ბარათის საპასუხოდ, იქნებ, უნდა გამომეთქვა კიდეც ესოდენ კეთილშობილური გრძნობები, როგორითაც აღსავსეა იგი, ოღონდ ჩემს ოჯახში თქვენი მოწვევა, თქვენს მიმართ ძმური და მეგობრული მოპყრობა, იმ არსების თქვენს დად ქცევა, ვისაც სატრფოდ სახავდით, ჩემს ბავშვებზე მშობლის ძალაუფლების გადმოცემა, ჩემი უფლებების ნდობა თქვენთვის მას შემდეგ, რაც თქვენ წარმტაცეთ ეს უფლებები, _ აი, რა ქება-დიდების ღირსად ჩაგთვალეთ თქვენ. ხოლო უკეთუ გაამართლებთ ჩემს ნდობას და თქვენს მიმართ ზრუნვას, _ ეს იქნება სავსებით ღირსეული მადლიერება თქვენი მხრით. მე ვცდილობდი ჩემი პატივისცემა მომეგო თქვენთვის, მაშ, თქვენაც მომიზღეთ თქვენი ქველკეთილობით.

თქვენი სიზმარი სრულიადაც არ გამკვირვებია, მე, მართლაც, არ ვიცი, რად ძრახავთ თქვენს თავს იმის გამო, რაც დაგესიზმრათ. ასე მგონია, ფილოსოფიურად მოაზროვნე ადამიანისათვის სიზმრების განმეორება სავსებით ბუნებრივია.

მაგრამ მზადა ვარ დაგძრახოთ არა იმდენად შთაბეჭდილების გამო, რაც იმ სიზმარმა მოახდინა თქვენზე, რამდენადაც მისი ხასიათისათვის, და იმ მიზეზების გამო კი არა, რასაც, ალბათ, წარმოიდგენთ. ძველად ვიღაც ტირანმა ბრძანა ერთი კაცის მოკვლა, რადგან დაესიზმრა, ვითომც ხანჯლით მკლავდაო. გაიხსენეთ, რაგვარი დასაბუთება მიეცა იმ სასჯელს და მოიმარჯვეთ თქვენთვის. როგორ? მიემგზავრებით იტალიაში იმის გამო,

რომ გადაწყვიტოთ თქვენი მეგობრის ბედ-იღბალი, და ამავე დროს თქვენი გარდასული სიყვარულის ამბები გაგონდებათ! უკეთუ არ მსმენოდა ის საუბრები, რაც მოხდა იმ წინა დღის საღამოს, არასოდეს გაპატიებდით ამ სიზმარს. მაშ, იფიქრეთ დღისით იმაზე, რაც რომში უნდა ჩაიდინოთ, და მაშინ ღამღამობით უფრო ნაკლებად დაიწყებთ ფიქრს იმის გამო, რაც ხდება ვევეში.

ჩვენი ფანშონი ავად გახდა, ამიტომაც ჩემი ცოლი ძალზე მოუცლელია და დრო აღარა აქვს წერილის მოსაწერად. მაგრამ აქ არის ერთი არსება, რომელიც დიდი ხალისით ცვლის მას ამ საქმეში. ბედნიერი კაცი ხართ, თქვენ, ბატონო სენ-პრე! ყველაფერი ხელს უწყობს თქვენს ბედნიერებას: სათნოებისათვის გაღებული ყოველგვარი ჯილდო თავად დაგეძებთ თქვენ და გევედრებათ: «დაგვიმსახურე». ოღონდაც გთხოვთ, ნურავის დააკისრებთ ჩემს დაჯილდოებას თქვენს მიმართ გულკეთილი მოპყრობისათვის, _ ამას მარტოოდენ თქვენგან მოველი.

XII წერილი

ბ-ნ დე ვოლმარისადმი

მე და თქვენ გარდა არავინ უნდა იცოდეს ამ წერილის ამბავი. Dდაე, უდიდესი საიდუმლოებით იყოს დაფარული ყველაზე სათნო ადამიანის ცდომილებანი. ო, რა სახიფათო ნაბიჯის გადადგმა განვიზრახე! ო, ჩემო ბრძენო და კეთილო მეგობარო! ნეტავი შემეძლოს დავიმარხო ყველა თქვენი რჩევა-დარიგება, ისე ვით ვიმარხავ გულის სიღრმეში ყველა თქვენს კეთილ მოწყალებას! ჯერ აგრერიგად არასოდეს დამჭირვებია კეთილგონიერება, და ჯერაც ჩემს დღეში შიში, რომ იგი არც ისე საკმაოდ მომეპოვება, ასე არ მიშლიდა ხელს მესარგებლა ამ კეთილგონიერების ერთი ბეწო ნატამალით. აჰ, სადღაა თქვენი მამობრივი მზრუნველობა, სადაა თქვენი დარიგებები და ნათელი გონება თქვენი? რა უნდა ვქნა უთქვენოდ? ამ ძნელ ვითარებაში მსხვერპლად გავიღებდი ჩემი სიცოცხლის ყველა იმედს, ოღონდ ერთი კვირა მაინც დაგეყოთ აქ!

გამიმტყუნდა ჩემი ვარაუდი, დღემდე მხოლოდ შეცდომა შეცდომაზე მომდიოდა. მე მარტოოდენ მარკიზას ვუფრთხოდი. როცა ეს ქალი დავინახე, შემაშინა მისმა სილამაზემ და სიყოჩაღემ და შევეცადე სავსებით განმერიდებინა მისგან მისი ყოფილი მიჯნურის სული. გულმოდგინედ განვიზრახე იქითკენ მიმემართა მისი ყურადღება, სადაც სახიფათოს ვერაფერს ვხედავდი, ლაურას გამო ვლაპარაკობდი პატივისცემითა და აღტაცებით, რაიც მართლაც შთამაგონა მან; მინდოდა ედუარდის უძლიერესი სიყვარულის შესუსტება სხვა კავშირით და ვიმედოვნებდი, ბოლოსა და ბოლოს, ორივესთან შეწყვეტს-მეთქი ურთიერთობას.

თავდაპირველად მეთანხმებოდა, მეტისმეტადაც დამყოლი იყო, იჯერებდა ჩემს რჩევა-დარიგებას და, იქნებ, სურდა კიდეც ცოტათი დავეფრთხე ჩემი აბეზარობის გამო, ამიტომაც ლაურას, როგორც მას ეგონა, გადაჭარბებული სინაზით ეპყრობოდა. ოღონდ რა უნდა ვთქვა ახლა? სინაზე იგივე დარჩა, მაგრამ შიგ უკვე არავითარი თვალთმაქცობა აღარა ჩანს. ედუარდის გული დაიღალა ესოდენი შერკინებით და ლაურამ ისარგებლა მისი წუთიერი უძლურებით. თუმცა ძალზე ძნელია ლაურასთან ახლოს ყოფნისას მხოლოდ შეყვარებულად თავის მოჩვენება. Aაბა, გასინჯეთ, რას უნდა გრძნობდეს მისი მგზნებარე ვნებათა საგანი. მართლაცდა, შეუძლებელია დაინახო ეს საბრალო ქალი და გული არ მოგიკლას მისმა შესახედაობამ და მთელმა მისმა იერმა; მის მომხიბვლელ სახეს არ შორდება მიბნედილი და დაღვრემილი გამომეტყველება, რაც ანელებს სიხალისეს და

კიდევ უფრო მშვენიერსა ხდის მას; ღრუბელთა შორის მოჭიატე მზის სხივებივით მისი სევდით მოქანცული თვალები დროდადრო ისვრიან ცეცხლოვან მზერას. თვით მისი თავის დამდაბლებაც კი აღსავსეა მორიდებულობის მთელი ჯადო-თილისმით; როცა ლაურას უმზერ, გებრალება იგი, ხოლო როცა უსმენ, გინდა პატივი მიაგო; ერთი სიტყვით, ჩემი მეგობრის გასამართლებლად უნდა ვთქვა, რომ მხოლოდ ორ მამაკაცს ვიცნობ მთელ დუნიაზე, რომლებსაც ძალუძთ უხიფათოდ იმყოფებოდნენ ლაურას გვერდით.

ედუარდი დაბრმავებულია. ოი, ვოლმარ, ვხედავ, ვგრძნობ და გულის ტკივილით გეუბნებით ამ ამბავს. ვძრწი, ვშიშობ, ვაითუ დაბრმავებულმა დაივიწყოს კიდეც, თუ ვინ არის თავად, დაივიწყოს მოვალეობა საკუთარი თავის წინაშე. ვშიშობ, ვაითუ სათნოების გაბედულმა სიყვარულმა, რაიც შთააგონებს ხალხის მითქმა-მოთქმის სიძულვილს, მეორე უკიდურესობაში გადააგდოს იგი, და აბუჩად აიგდოს მართებულებისა და წესიერების წმიდათაწმიდა კანონები. განა ედუარდ ბომსტონმა ასე უნდა იქორწინოს!.. აბა ერთი წარმოიდგინეთ!.. თავისი მეგობრის თვალთა წინაშე, ვინაც ამის ნებასა რთავს!.. ვინაც მზადაა მოითმინოს ეს... მეგობრისა, ვინაც ყველაფრით მისი მადლიერია!.. არა, დაე ჯერ საკუთარი ხელით ამომგლიჯოს მკერდიდან გული, შემდეგ კი შეირცხვინოს და გაიბახოს თავი.

ოღონდ რა უნდა ვქნა? როგორ მოვიქცე? თქვენ იცნობთ ედუარდის ბობოქარ ბუნებას. რჩევა-დარიგებებით ვერ დაიყოლიებ. ხოლო კაი ხანია ისე მსჯელობს, რომ ათასი საფიქრი და სადარდელი ამიშალა. თავდაპირველად ვთვალთმაქცობდი, თითქოსდა ვეღარაფერი გავუგე-მეთქი. ვცდილობდი მოიარებით ჩამეგდო გონებაში, და მოვუხმობდი საერთო ჭეშმარიტებათ; აქ თავად ვეღარაფერი გამიგო. უკეთუ მოვიწადინებ მისი თავმოყვარეობის შელახვას, სენტენციებით მიპასუხებს და ფიქრობს, ყველაფერი გავუბათილეო. თუ რაიმეს დავიჟინებ, ცხარობს, ისეთი კილოთი ალაპარაკდება, რაიც უახლოეს მეგობართან არ უნდა იკადროს, ვინაიდან მეგობრული პასუხისათვის აქ იმედი გამქრალია. მერწმუნეთ, ასეთი ვითარების დროს ვერ დავიბრალებ ვერც მოშიშრობას, ვერც სიმხდალეს, რადგანაც, როცა გრძნობ, ჩემს მოვალეობას ვასრულებო, მაშინ მზადა ხარ ამით იამაყო, მაგრამ სიამაყე და ზვიადობა უნდა უკუვაგდოთ, მხოლოდ საქმის წარმატებაზე ვიფქიროთ და გვახსოვდეს, რომ ერთ მრუდედ გადადგმულ ნაბიჯს ძალუძს ზიანი მიაყენოს საუკეთესო საშუალებათ. ამჟამად ვერც კი ვბედავ მასთან შედავებას, რადგან ყოველთვის ვგრძნობ, რამდენად მართალი იყავით, როცა მაფრთხილებდით, კამათის დროს ედუარდი შენზე ძლიერიაო და წინააღმდეგობის გაწევით არა ღირს მის ვნებათა გაღვივებაო.

თანაც თითქოსდა ცოტათი გულიც აუცრუვდა ჩემზე. შეიძლება ვიფიქრო, ხელს ვუშლი-მეთქი. როგორ ამცირებს წუთიერი უძლურება უბრალო მოკვდავთ! ედუარდს, დიდსულოვანსა და გოროზ ადამიანს, ეშინია თავისი მეგობრისა, თავისი ქმნილებისა, თავისი მოწაფისა! ზოგიერთი მისი შენიშვნა, რაიც წამოსცდა იმ ადგილის შერჩევის გამო, სადაც უნდა დაევანოს, თუკი არ დაქორწინდება, ცხადყოფს, რომ მას უნებს ჩემი ერთგულების გამოცდა პირადი ინტერესების სინჯით. მასთან კარგადაც უწყის, რომ არა მაქვს უფლება, და არცა მსურს მასთან განშორება. ო, ვოლმარ, მე აღვასრულებ ჩემს ვალს და ყველგან წავყვები ჩემს კეთილისმყოფელს. და უკეთუ აღმოვჩნდებოდი გათახსირებული და სულმდაბალი ადამიანი, განა რას მოვიგებდი ჩემი ვერაგობით? ნუთუ ჟიული და მისი ღირსეული ქმარი ანდობდნენ თავიანთ ბავშვებს უმადურ ადამიანს? არაერთხელ გითქვამს ჩემთვის, წვრილმან ვნებათ არასოდეს ებნევათ გზა-კვალი და ყოველთვის პირდაპირი გზით მიისწრაფიან მიზნისაკენო, ხოლო დიდ-დიდი ვნებანი მათივე საწინააღმდეგოდ შეიძლება მივმართოთო. ვგონებ, აქ უნდა მივუსადაგოთ თქვენი სიტყვები. მართლაცდა, თანაგრძნობა, ცრურწმენათა სიძულვილი, ჩვეულება _

ყველაფერი, რაც ამჯერად განსაზღვრავს ედუარდის საქციელს, სინამდვილეში ხურდავდება წვრილმან ვნებებზე, მას თითქმის ვერაფრით მიუდგები, მაშინ როდესაც ჭეშმარიტი სიყვარული განუყრელია სულგრძელობასთან, და, როცა ამ გრძნობას მიმართავ, ყოველთვის გარკვეულ ზემოქმედებას ახდენ შეყვარებულზე. შევეცადე მოიარებით მომევლო საქმისათვის და უკვე იმედი მაქვს წარმატებისა. ეს ხერხი მკაცრად მეჩვენება, და მას არცთუ დიდი ხალისით მივმართე. ოღონდ, როცა ყოველივე ავწონ-დავწონე, ვფიქრობ, თავად ლაურას გავუწევ სამსახურს. რა მოუვა მას, თუკი ერთბაშად აღზევდება? მაშინ უმალვე იჩენს თავს მისი სამარცხვინო წარსული. მაგრამ რა სულიერი სიდიადე შეუძლია მოიპოვოს თავისი მდგომარეობის შენარჩუნებით! თუ არა ვცდები, ამ უცნაურ ქალიშვილს თავისი გუნებით ძალუძს უმალ სიხარული ჰპოვოს იმ მსხვერპლის გაღებისას, რასაც მისგან მოველი, ვიდრე იმ მაღალი წოდების გამო, რაზედაც ხელი უნდა აიღოს.

ხოლო თუ ამ ხერხმაც არ გასჭრა, ისღა მშთენია მივმართო მთავრობას, მოვიმიზეზო მათი სარწმუნოების სხვადასხვაობა, ოღონდ ასეთი ფანდის გამოყენებას გადავწყვეტ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, როცა მეტი ჩარა აღარ იქნება. როგორადაც უნდა იყოს, ყოველ ღონეს ვიხმარ ამ უღირსი და სამარცხვინო კავშირის თავიდან ასაცილებლად. აჰ, ვოლმარ, ჩემო პატივცემულო მეგობარო, ჩემი სიცოცხლის ყოველ წუთს მინდა ვიყო თქვენი პატივისცემის ღირსი. რაც უნდა მოგწეროთ ედუარდმა, რაც უნდა გაიგონოთ მისგან, გახსოვდეთ, ვიდრე მკერდში გული მიცემს, რადაც უნდა დამიჯდეს, ყოველ ღონეს ვიხმარ, რომ ლაურეტა პიზელი ლედი ბომსტონი არ გახდეს.

უკეთუ მოიწონებთ ჩემს მიერ მიღებულ ზომებს, პასუხს ნუ გამომიგზავნით. ხოლო თუკი ვცდები, მასწავლეთ, რა ვიღონო, მხოლოდ დაუჩქარეთ, არც ერთი წუთის დაკარგვა არ შეიძლება. ჩემს წერილს მისამართი სხვისი ხელით ექნება წარწერილი. თქვენც ასევე მოიქეცით პასუხის გამოგზავნისას. როცა მოიფიქრებთ, რა ღონეს უნდა მივმართო, დაწვით წერილი და დაივიწყეთ მისი შინაარსი. აი, ჩემი ცხოვრების პირველი და ერთადერთი საიდუმლო, რის დაფარვაც მსურს ორი დობილისაგან; უკეთუ გავბედავდი უფრო მეტად ვნდობოდი ჩემს გონებას, მაშინ თქვენც ვერაფერს გაიგებდით.[33]

XIII წერილი
ქალბატონ დე ვოლმარისაგან ქალბატონ დ'ორბისადმი

იტალიელი შიკრიკი თითქოსდა განგებ ელოდა შენს გამგზავრებას, შენს დასასჯელად იმის გამო, რომ ასე დიდხანს ყოვნდებოდი მის ჩამოსვლამდე. ეს საუცხოო აღმოჩენა მეკუთვნის მე: ჩემმა ქმარმა შეამჩნია, რვა საათისათვის რომ უბრძანე ცხენების შებმა, ხოლო თერთმეტზე კი გაემგზავრე, და ეს ჩვენი სიყვარულით როდი მოგსვლია, _ ოცგზის მაინც ინებე გეკითხა: ათმა საათმა თუ დარეკაო? _ ვინაიდან ჩვეულებრივად ამ საათზე მოდის ფოსტა.

და აი, მახეში გაები, საბრალო დაიკო, ახლა უკვე აღარ ძალგიძს თავის დაძვრენა. ჩვენი საყვარელი შაიო ხომ ამბობდა: ეს კლარა გარეგნულად რა გიჟმაჟია, სინამდვილეში კი ფრიად კეთილგონიერი ვინმეაო, ხოლო შენ, პირიქით, ვერ შეიძელ ბოლომდე

[33] ამ წერილისა და აგრეთვე წიგნის მეექვსე ნაწილის მესამე წერილის უკეთ გასაგებად უნდა ვიცოდეთ მილორდ ედუარდის გამიჯნურების ამბავი, და თავდაპირველად კინაღამ გადავწყვიტე ამ კრებულში მისი შეტანა. როცა ყოველივე ავწონ-დავწონე, ვეღარ გავბედე ორი შეყვარებულის უბრალო ამბის გაფუჭება მილორდის რომანტიული ფათერაკებით. ჯობს, ზოგი რამ მკითხველს დავუტოვოთ საჭოჭმანებლად.

კეთილგონიერი დარჩენილიყავ: იმავე ბადეში გაიხლართე, საიდანაც ოდესღაც დიდი გაჭირვებით დამიხსენი, შენ დამიბრუნე თავისუფლება, მაგრამ თავად შენთვის ვერ შეინარჩუნე იგი. ხომ არ დამდგარა ჩემი რიგი შენი დაცინვისათვის? არა, ძვირფასო დობილო, ადამიანს უნდა ჰქონდეს შენი მომხიბვლელობა და შენი სხივოსანი სიმშვენიერე, რათა შეიძლოს შენებრი ხუმრობა, და თავად დაცინვას მიანიჭოს სასიამტკბილო ალერსის სათუთი და გულისამღმძვრელი ელფერი. მერედა რა განსხვავებაა ჩვენს შორის! განა ძალმიძს ყბად ავიღო უბედურება, რაშიც მე მიმიძღვის ბრალი, მაშინ როდესაც შენ გადამარჩინე ამას? შენს გულში არ მოიპოვება არც ერთი გრძნობა, რის გამოც არ ვიყო გამსჭვალული შენს მიმართ მადლიერებით; და ყველაფერი, თვით შენივ გულისხმიერი უმწეობაც კი, წარმოქმნილია შენივე ქველკეთილობით. Aაი, რა მანუგეშებს და რა მახარებს. მე მიხდებოდა ჩემი შეცდომების მონანიება, მათი გამოგლოვება, ხოლო შენსაზე შეიძლება გრძნობამორევით ვიცინოთ კიდეც იმ ამაო სირცხვილის გამო, რასაც იწვევს ესოდენ სპეტაკი შენი სიყვარული.

დავუბრუნდეთ იტალიელ შიკრიკს და წუთით დავუტევოთ შეგონებანი. არ შეიძლება ჩემი ძველი უფლებების ასე ბოროტად გამოყენება _ მოქადაგეთ ნება ეძლევათ მიაძინონ თავიანთი მსმენელები, ოღონდ როდი უნდა აუვსონ მათ მოთმინების ფიალა. ჰოდა ასე! რა მოგვიტანა შიკრიკმა, რომელიც რატომღაც სულ აყოვნებდა ჩემთან? ჩემი მეგობრების ჯანმრთელობის კარგი ამბები და, გარდა ამისა, დიდი წერილი შენთვის. «მაშ, ასე ხომ? საუცხოოა!» ვხედავ, რომ იღიმები: რახან წერილი მოვიდა, ახლა უფრო მოთმინებით დაიწყებ ლოდინს, როდის გაეცნობი მის შინაარსს.

წერილის ლოდინი მოგიწევს, მაგრამ, რასაკვირველია, ეს უფრო სასურველია, ძვირფასო, ვინაიდან მათგან მოქრის ესოდენ... კმარა, ვილაპარაკოთ მხოლოდ ახალი ამბების გამო, თორემ რაც უნდა მეთქვა, მე და შენთვის სრულიადაც არაა ახალი ამბავი.

შენთან გამოგზავნილ წერილთან ერთად მოგვივიდა მილორდ ედუარდის წერილი ჩემს ქმართან და გულითადი მოკითხვა ყველა ჩვენგანისათვის. სწორედ მის წერილშია ახალი ამბები და მით უმეტეს მოულოდნელი, რომ პირველ წერილში არაფერი იყო თქმული მათ გამო. ჩვენი მეგობრები მეორე დღეს უნდა გამგზავრებულიყვნენ ნეაპოლს, მილორდს იქ რაღაც საქმეები აქვს, იქიდან კი სურდათ ვეზუვის მონახულება. არ ვიცი, რა ასეთი მიმზიდველი სანახაობაა ეს, ხომ მართალია, ძვირფასო? ხოლო რომში დაბრუნებისას, აბა, ერთი წარმოიდგინე, კლარა!.. ედუარდს განუზრახავს ცოლი შეირთოს... მადლობა ღმერთს, თავისი უღირსი მარკიზა კი არა, _ მას, პირიქით, ცუდად აქვს საქმე. მაშ, რომელი? ლაურა, საყვარელი ლაურა, რომელიც.. ოღონდ ეს როგორ ხდება?.. აი, გასაოცარი ქორწინება!.. ჩვენი მეგობარი კრინტსაც არ ძრავს ამის თაობაზე. ქორწინების უმალ სამივენი ჩამოვლენ აქ საქმეთა საბოლოო მოსაგვარებლად. ქმარს არაფერი უთქვამს ჩემთვის _ თუ რა საქმეებია ეს, მაგრამ წინანდებურად ფიქრობს, სენ-პრე ჩვენთან დარჩებაო.

გამოგიტყდები, მისი დუმილი ცოტა მაშფოთებს კიდეც. ძალზე ძნელია ყველაფერს გაართვა თავი. ფრიად გასაოცარ მდგომარეობად და ვნებათა უცნაურ თამაშად მიჩანს ყოველივე ეს ამბავი. ნეტავი ესოდენ სათნო ადამიანს ასე ხანგრძლივად როგორ უყვარდა ამ მარკიზასებრი ცუდი ქალი? მერედა თავად მარკიზა? ვით შეიძლო მან, ესოდენ ბობოქარი და სასტიკი ზნე-ხასიათის პატრონმა, ასე გულმხურვალედ შეყვარება ადამიანისა, რომელიც სავსებით არა ჰგავს მას, _ უკეთუ, რასაკვირველია, მოკრძალებით სიყვარულს ვუწოდებთ რაღაც გაშმაგებულ აღვირახსნილ ვნებათა ლტოლვას, რაც ბოროტმოქმედებასაც კი ჩაადენინებს ადამიანს? ლაურას ნორჩმა გულმა, დიდსულოვანმა, სათუთმა და უანგარო გულმა ნეტავი როგორ აიტანა წინანდელი გარყვნილი ცხოვრება? ნეტავი როგორ დააღწია თავი მას ლაურამ, როცა იგრძნო, მიჯნურობის ლტოლვა

შემომეგზნოო, რაც ესოდენ ხშირ-ხშირად აცდუნებს და აბრმავებს ქალებს! და მრავალი პატიოსანი ქალის დამღუპველმა სიყვარულმა როგორ დასძლია ბიწი და პატიოსანი გახადა ლაურა? აბა, ერთი ეს მითხარი, კლარა, განაშორო ურთიერთსიყვარულით აღსავსე, მაგრამ ერთმანეთის შეუფერებელი ორი არსება, შეაერთო ერთმანეთისთვის შექმნილი ორი ადამიანი, თუმცა თავად არც კი უწყიან ეს ამბავი, თავად სიყვარულის მეოხებით მოუპოვო გამარჯვება სიყვარულს, ბიწიერებისა და შერცხვენის უფსკრულიდან აღმოუტევო ბედნიერება და სათნოება, გაათავისუფლო შენი მეგობარი ურჩხულისაგან, აურჩიო მას ღირსეული ცხოვრების თანამგზავრი, იქნებ, უბედურიც, მაგრამ საესავი და თითქმის პატიოსანი, _ უკეთუ, როგორც ამას ვიმედოვნებ, შესაძლებელია დაკარგული პატიოსნების აღდგინება, _ მითხარი: ნუთუ ყოველივე ამის ჩადენა დანაშაული იქნებოდა და განა გაკიცხვის ღირსია იგი, ვინაც ამის წინააღმდეგ არ ამხედრდება?

ამრიგად, ლედი ბომსტონი ჩამოვა ჩვენსა! აქ, ჩემო ანგელოზო! რას ფიქრობ ამის გამო? ბოლოსა და ბოლოს, ნამდვილი საკვირველება უნდა იყოს ეს გასაოცარი ქალიშვილი, ვინაც დაღუპა აღზრდამ, ხოლო გულმა დაიხსნა, ვინაიდან სიყვარულმა სათნოებასთან აზიარა! Aაბა, ვინ უნდა აღაფრთოვანოს მან ჩემზე უფრო, მე ხომ თავად მისი სრული წინააღმდეგობა ვარ: ყველაფერი ხელს უწყობდა ჩემს ქველკეთილობას, სამიჯნურო ლტოლვამ კი დამაბრმავა. მართალია, უფრო ნაკლებ მოლიპული გზით ვიარე, ოღონდ განა შემდეგ მისებრ ავმაღლდი? განა შევძელი იმდენი ხაფანგისათვის დამეღწია თავი, განა იმდენი მსხვერპლი გავიღე, როგორც მან? მას ეყო ძალ-ღონე შერცხვენის უკანასკნელი საფეხურიდან ამაღლებულიყო პატიოსნების პირველ საფეხურამდე. ოდესღაც ცოდვილი იყო, მაგრამ ახლა მით უმეტესად, ასგზის უმეტესად, პატივისცემის ღირსია. გრძნობიერია და სათნოებით აღსავსე, _ მაშ, რაღა აკლია, ჩვენ რომ დაგვემსგავსოს? უკეთუ ლაურას აღარ მოესურვება დაუბრუნდეს სიყმაწვილის დროინდელ ცდომილებათ, მაშინ განა ჩემზე უფრო ნაკლები უფლება ექნება შეწყნარებისათვის? მაშ, ვისიღა იმედი უნდა მქონდეს პატიების მოსაპოვებლად? ძალმიძს თუა რა დავიჩემო, პატივი მომაგეთ-მეთქი, უკეთუ თავად უარსა ვყოფ მის პატივისცემას?

აი, დაიკო, რას მეუბნება გონება, გული კი ჩივის და დრტვინავს, და თავად აღარ ვიცი, რატომ, მაგრამ მინდა კიდევ დავრწმუნდე, კარგი იქნება-მეთქი, თუ ედუარდი შეუუღლდება მას, და ჩვენი მეგობარიც მონაწილეობას იღებს ამ საქმეში. ო, ხალხის მითქმა-მოთქმავ! ხალხის მითქმა-მოთქმავ! რა ძნელია შენი უღლისაგან თავის დაძვრენა! იგი მარადჟამს უსამართლობისკენ გვიბიძგებს; აწმყოში მომხდარი ცუდი ამბები ჩრდილავს ყოველივე საქებარს, რაც წარსულში მოხდა. ნუთუ არასოდეს არავითარი კარგით არ წარიხოცება ცუდი წარსული?

ქმარს გავუზიარე ჩემი შიში და მწუხარება ამ საქმეში სენ-პრეს საქციელის გამო. «ვფიქრობ, _ ვუთხარი მე, _ ერცხვინება ამაზე ლაპარაკი ჩემს მამიდაშვილთან. არ ძალუძს უღირსად მოქცევა, მაგრამ უძლურია... მეტისმეტად ლმობიერია თავის მეგობართა შეცდომების მიმართ...» _ «არა, _ მომიგო ქმარმა, _ სენ-პრე აღასრულებს თავის ვალს. აღასრულებს... ეს კარგად ვიცი: მეტი არაფრის თქმა არ შემიძლია. მაგრამ სენ-პრე წესიერი ადამიანია. მისი იმედი მაქვს. თქვენ იქნებით მისი კმაყოფილი...» კლარა, შეუძლებელია, ვოლმარი რომ მატყუებდეს, ანდა თავად ტყუვდებოდეს. მისმა დამაჯერებელმა სიტყვებმა დამაშოშმინეს და გონს მოვეგე. და მივხვდი კიდეც, ყველა ჩემი შიში და ელეთმელეთი მეტისმეტი ყალბი წესიერების ბრალი რომ იყო, ხოლო მე რომ ნაკლებ ცუდმადი და უფრო მეტად სამართლიანი ვყოფილიყავ, ვიტყოდი, ახალი ლედი ბომსტონი უფრორე ღირსია ამ წოდებისა, ვიდრე ეს გვეჩვენება-მეთქი.

მაგრამ ცოტა ხნით დავუტევოთ ლედი ბომსტონი და თავად ჩვენს გამო ვილაპარაკოთ. ამ წერილის წაკითხვისას ხომ არა გრძნობთ, ჩვენი მეგობრები უფრო ადრე

რომ დაბრუნდებიან, ვიდრე ჩვენ ველოდებით? და ნუთუ გული არაფერს გეუბნება? ნუთუ ახლა უფრორე ძლიერ არ გიძგერს, ვიდრე ჩვეულებრივ, ეს გული, ესოდენ სათუთი და ესოდენ მსგავსი ჩემი გულისა? ნუთუ არა ფიქრობ იმის გამო, რა სახიფათოა მეგობრული ცხოვრება მავანი და მავანი არსების მახლობლად, მისი დანახვა ყოველდღე, მასთან ერთ ჭერქვეშ შენი სამყოფლის მოწყობა? უკეთუ ჩემმა წინანდელმა შეცდომებმა არ დამიკარგეს შენი პატივისცემა, მაშინ მითხარი, ხომ არ აღგიძრავს რაიმე შიშს საკუთარი თავის მიმართ ის, რაც მე გადამხდა? ჩვენი სიყმაწვილის წლებში გონება, მეგობრობა, ღირსება რამდენჯერ შთაგაგონებდნენ შიშს ჩემს გამო, ხოლო ჩემი ბრმა სიყვარული მაიძულებდა მათ უგულებელყოფას! ახლა კი დადგა ჩემი ჯერი ვძრწოდე შენ გამო, საყვარელო ჩემო დობილო; ხოლო ძალა რომ დაგატანო ჩემი სიტყვებისათვის ყურის დასაგდებად, ამის ნებას მაძლევს სამწუხარო გამოცდილება. მაშ, გამიგონე, სანამ გვიან არ არის, თორემ, შესაძლოა, ისე მოხდეს, რომ შენ ნახევარი სიცოცხლის მანძილზე დასტიროდი ჩემს შეცდომებს, ხოლო მის მეორე ნახევარს გამოიტირებ შენივე საკუთარ ცდომილებათ. რაც მთავარია, მეტს ნუღარ ენდობი შენს თავს: გიჟმაჟური სიმხიარულე მხოლოდ იმ ქალებს იცავს, რომელთაც არაფრის ეშინიათ, მაგრამ ღუპავს მათ, ვისაც საფრთხე ემუქრება. კლარა! კლარა! ოდესღაც შენ დასცინოდი სიყვარულს, ოღონდ მარტოოდენ იმის გამო, რომ არ განგეცადა სიყვარული; არ შეგხებია მისი ისარი, და ასე გეგონა, მისთვის მიუწვდომელი ვარო. ახლა სიყვარული შურს იძიებს და, თავის მხრივ, დაგცინის შენ. ეცადე, არ მიენდო შენს მუხანათურ სიმხიარულეს, თორემ გეშინოდეს, ოდესმე მწარე ცრემლთა ფასად არ დაგიჯდეს იგი. ძვირფასო დობილო, დროა ყურადღებით ჩაიხედო შენს გულში. ჯერაქამომდე ცუდად და მცდარად იცნობდი შენს ზნე-ხასიათს, და თავად არ იცოდი შენი ფასი. გჯეროდა შაიოს სიტყვები; ის კი, შენი სალაღობო სიმკვირცხლის მიხედვით, ფრიად ცოტა მგრძნობელობას გამჩნევდა; მაგრამ ისეთ გულს, როგორიც შენა გაქვს, ის ვერაფერსაც მიუხვდებოდა. აბა, რა უნდა გაეგო შენი, _ და მთელ დუნიაზეც, ჩემს გარდა, შენი ამბავი არავინაც არ იცის! თავად ჩვენი მეგობარი უფრო გრძნობდა, ვიდრე იცოდა, თუ რას წარმოადგენ შენ. მე ყასიდად გტოვებდი გზააბნეულს და ცდომილებაში მყოფს, სანამ ეს ხელს გაძლევდა, ახლა კი ეს ცდომილება დამღუპველია შენთვის, და საჭიროა მისი გაქარწყლება.

ასეთი ცოცხალი და ხალისიანი არსება ხარ და ამიტომაც არასაკმაოდ მგრძნობიარედ მიგაჩნია შენ შენი თავი. საბრალო გოგონავ, როგორ ცდები! თავად შენი სიხალისე საწინააღმდეგოს ადასტურებს: განა იგი ყოველთვის არ მიმართავს გრძნობის აღმძვრელ საგნებს? ხოლო განა შენივე გულისაგან არ წარმომავლობს შენი საუცხოო ხალისიანობა? შენი დამცინველობა ხომ ყურადღების ნიშანია, მეტადრე გულში ჩამწვდომი, ვიდრე ზოგ-ზოგი თავაზიანი ადამიანის ქათინაურები; როცა ცელქობ, ამით ყველას ეალერსები, იცინი და შენი სიცილი სულსა და გულს ესალბუნება; შენ იცინი, მაგრამ ეს სიცილი ყველას ხიბლავს, ხოლო იმათთან, ვინც შენს გულს არ ეკარება, მუდამჟამს სერიოზულსა გხედავ.

მართლაც ისეთი რომ იყო, როგორიც თავად გგონია, მაშინ მითხარი, რა შეიძლებდა ასე მტკიცედ ჩვენს შეხმატკილებას? საიდან წარმოიქმნებოდა ჩვენი უებრო მეგობრობის კავშირი? ჩემი ტრფიალება რაგვარად დაუწყებდა ძებნას გამოძახილს სწორედ იმ გულში, რომელსაც არ გააჩნია ამ ტრფიალების უნარი? როგორ? განა მას აღარ ძალუძს სიყვარული, ვინც მარტოოდნე თავისი დობილისათვის ცხოვრობდა? ნუთუ მეგობრობის გულისთვის არაფრით ძალუძს მსხვერპლის გაღება მას, ვისაც სურდა მამის, მეუღლის, ახლობელთა და თავისი სამშობლოს მიტოვება, რათა გაკიდებოდა თავის დობილს? ხოლო რაღასღა ვაკეთებდი მე, ვის მკერდშიც გრძნობიარე გული ძგერს? დაო, მე მხოლოდ ნება დაგრთე გყვარებოდი, მთელი ჩემი გრძნობიერებით მხოლოდ და მხოლოდ თანაბარი მეგობრობით გადაგიხადე სამაგიერო.

ამ საპირისპირო ვითარებებმა შთაგაგონეს ყველაზე უცნაური აზრები შენი ზნე-ხასიათის გამო, როგორიც კი შეიძლება ჰქონდეს შენებრ ჭკუადამთხვეულს: გეგონა, მოყვარული მეგობარი კი ვარ, მაგრამ გულგრილი მიჯნურიც გახლავარო, შენ აღარ გეყო ძალ-ღონე ხელი აგეღო უსათუთეს სიყვარულზე, რითაც ყელამდე აღსავსე ხარ, გეგონა, აღარავითარი სიყვარულის უნარი აღარ შემწევსო. ფიქრობდი, ჩემი ჟიულის ხვედრის გარდა ამქვეყნად აღარაფერი ამაღელვებსო; ბუნებრივი გრძნობიერების მექონი გულის დარად იგი მიელტვის მხოლოდ და მხოლოდ ერთ საგანს და, თითქოს მარტოოდენ ჩემი სიყვარულით გათანგული, შეიძლებდი ამ სიყვარულით დაკმაყოფილებას! შენ ხუმრობით კითხულობდი, ადამიანის სული რა სქესის არისო? აჰ, ჩემო ბავშვო, სულს სქესი როდი აქვს, ოღონდ ჩვენს ურთიერთსიყვარულის ჟამს თავს იჩენს სქესი, და ამის შეგრძნებას უკვე იწყებ. პირველმა, ვინც შეგიყვარა შენ, არ აღგიძრა ვნებათაღელვა, და ამის გამო უმალვე დაასკვენი, მისი განცდა არ ძალმიძსო. რაკიღა არ გაგაჩნდა სიყვარული შენი პირველი მიჯნურის მიმართ, გადაწყვიტე, საერთოდ არავის შეყვარება არ შემიძლიაო. ოღონდ, როცა იგი შენი ქმარი გახდა, შეგიყვარდა კიდეც, და ისე ძალუმად, რომ ამის გამო ზიანი მოუვიდა ჩვენს მეგობრულ ურთიერთობას; შენს უგრძნობ სულში აღმოჩნდა სიყვარულის საკმაოდ სათუთი შემცვლელი, წესიერი ადამიანის გამაბედნიერებელი რამ _ სამაგიერო.

ჩემო საბრალო დაიკო, შენ თავადვე უნდა განფანტო შენივე იჭვნეულობანი. უკეთუ მართალია, Ch'un freddo, amante è mal sicuro amico,_[34] მაშინ ეს იმას ნიშნავს, რომ კიდევ ერთი საფუძველი მომეპოვება დავეყრდნო შენს მეგობრობას. ვშიშობ, ეს ასეც რომ არის, ოღონდ ბოლომდე უნდა გაგაცნო კიდეც ჩემი მოსაზრება.

ვფიქრობ, რომ შენ, შეუგნებლად, უფრო ადრე გამიჯნურდი, ვიდრე გგონია, _ ყოველ შემთხვევაში, სწორედ ის ლტოლვა, რომელმაც დამღუპა, შენც გაცდუნებდა, მე რომ არ დამესწრო. იქნებ, ფიქრობ, ესოდენ ბუნებრივი და სასიამტკბილო გრძნობა ასე დაგვიანებით არ წარმოიქმნებოდა? ეგებ, გგონია, თითქოსდა იმ ასაკში მყოფი ქალიშვილები, ჩვენ რომ ვიყავით მაშინ, არხეინად შეიძლებდნენ მუდმივ და ახლო ურთიერთობას პირმშვენიერ ყმაწვილკაცთან და ახლა უეცრად გაითიშებოდნენ ჩვენი შეხედულებები, მანამდე ერთმანეთს რომ ემთხვეოდნენ? არა, ჩემო ანგელოზო, აუცილებლად შეიყვარებდი მას, თავდაპირველდ მე რომ არ გავმიჯნურებოდი. უფრო სუსტი, ოღონდ ჩემზე არანაკლებ გრძნობიერი, შენ უფრო კეთილგონიერი აღმოჩნდებოდი, მაგრამ ჩემზე ბედნიერი კი ვერა. ხოლო როგორი სამიჯნურო მიდრეკილება დაძლევდა შენს კეთილშობილურ გულში შიშსა და ძრწოლას მეგობრობის ღალატისა და ორგულობის წინაშე? მეგობრობამ გიხსნა სიყვარულის ხაფანგთაგან; შენი დობილის მიჯნურს მხოლოდ შენს მეგობრად თვლიდი, ამრიგად იხსენ შენი გული ჩემი გულის მეოხებით.

ჩემი ვარაუდი არც ესოდენ სათუოა, როგორც შენ ფიქრობ; და უკეთუ მოვისურვებდი იმ დრო-ჟამის მოგონებას, რაც დავიწყებას უნდა მიეცეს, ჩემთვის ძნელი როდი იქნებოდა იმის მტკიცება, რომ როცა გეგონა, მარტოოდენ ჟიულის ბედითა ვარ დაინტერესებულიო, იმავდროულად არანაკლებ გაწუხებდა იმისი ხვედრიც, ვინაც ჩემთვის ძვირფასი იყო. როცა ვერა ბედავდი მის სიყვარულს, გსურდა, მე რომ მყვარებოდა იგი; ფიქრობდი, უერთმანეთოდ არ ძალუძთ ბედნიერები იყვნენო; და ამის გამოც შენს გულს, რომლის ბადალიც მთელ დუნიაზე არ მოიპოვება, კიდევ უფრო ნაზად ვუყვარდით ჩვენ ორივენი. იცოდე და გჯეროდეს, შენ რომ მისი იდუმალი სიყვარული არ გქონებოდა,

[34] უგულო მიჯნური არასაიმედო მეგობარია (იტალ.).
დედანში ეს დებულება შებრუნებულადაა გამოთქმული. დაე, ნუ გაგვიჯავრდებიან ძვირფასი ქალები – პოეტისათვის ამ გამონათქვამს უფრო სწორი და ლამაზი აზრი აქვს.

უფრორე ნაკლებ ლმობიერი იქნებოდი ჩემს მიმართ; ხოლო მართებული სიმკაცრისათვის შენსავე თავს ამუნათებდი, რადგან ეს ეჭვიანობად მიგაჩნდა. შენ როდი გრძნობდი თავსა უფლად შებრძოლებოდი ჩემს სიყვარულს, რაიც უნდა დაგვეთრგუნა, და კეთილგონიერებაზე მეტად ვერაგ დობილად გახდომის შიშმა შეგაძლებინა, ჩემს ბედნიერებას შენი ბედსვიანობა რომ უმსხვერპლე, ოღონდ ფიქრობდი, ეს სათნოების გულისთვის ჩავიდინეო.

ჩემო ძვირფასო, აი, ესაა მთელი შენი ამბავი; აი, შენი სასტიკი მეგობრობა როგორ მაიძულებს ვიყო შენი მადლიერი ჩემი შერცხვენისათვის და ვიყო შენგან დავალებული დანაშაულის გამო. მაინცდამაინც ნუ იფიქრებ, რომ ახლა მსურს მოგბაძო შენ, _ როდი მინდა მივდიო შენს მაგალითს, ისევე _ როგორც შენ ჩემსას; ხოლო რამდენადაც საშიში არაფერია, რომ ჩემს შეცდომებს გაიმეროებ, მე, ღვთის მადლით, არ გამაჩნია შენებრი მიზეზები ლმობიერებისათვის. შენ დამიბრუნე სათნოება, და მინდა ისე მოვაწყო საქმე, რომ შევინარჩუნო შენი სათნოება, _ ეს ხომ ყველაზე უფრო ღირსეული მიზანია, ხომ მართალს ვამბობ?

კიდევ მინდა გითხრა, თუ რასა ვფიქრობ შენი მდგომარეობის გამო. ჩვენს მასწავლებელთან ხანგრძლივ განშორებას არ შეუცვლია შენი კეთილი განწყობილება მის მიმართ; შენ კვლავ გახდი თავისუფალი, ხოლო ის დაბრუნდა, _ აი, ახალი და მნიშვნელოვანი ვითარებანი, რითაც ისარგებლა სიყვარულმა. განა შენს გულში შთაისახა ახალი გრძნობა? არა, საერთოდ უფრორე ლაღი გახდა ასე დიდხანს იქ შემალული სიყვარული, ესაა და ეს. ახლა შენ დიდი სიამაყით აღიარე ყოველივე და დაეშურე ჩემთვისაც მოგეთხრო ეს ამბავი. აღიარებას თითქოსდა აუცილებლად თვლიდი იმისათვის, რათა სავსებით უდანაშაულოდ გეგრძნო თავი: როცა შენი დობილისათვის ეს სიყვარული დანაშაული გახდა, შენთვის იგი უკვე აღარ შეიქნა შეცოდება; შესაძლოა, თავად შენვე დაემორჩილე სალმობას, რასაც აგერ რამდენი წელიწადია ებრძვი მხოლოდ იმიტომ, რათა სავსებით განმკურნო მისგან.

Yყველაფერს მივხვდი, ძვირფასო; სრულიადაც არ შევუშფოთებივარ საგულისგულო ლტოლვას, რასაც შენ ასაზრდოებ, ვინაიდან იგი ჩემი მხსნელია, შენ კი არავინ გისაყვედურებს. ამ ზამთრის მანძილზე, რაიც ყველამ ერთად გავატარეთ სულიერი და მეგობრული ურთიერთობით, ჩემი ნდობა შენს მიმართ კიდევ უფრო გადიდდა, ვინაიდან შენი სიმხიარულე არამც თუ შემცირდა, არამედ თითქოს უფრორე გაიზარდა კიდეც. შენ სათუთად, მზრუნველობითა და ყურადღებით ექცეოდი მას, ოღონდ როგორ გულწრფელად ეალერსებოდი, როგორ გულკეთილად ეხუმრებოდი; არაფერსაც არ ფარავდი, მუდამ მიამიტი იყავი, და უაღრესად გამკილავი. ქირდვის დროსაც კი ყველაფერს ანელებდა უბიწო სიხალისე.

მაგრამ ელიზიუმში ჩვენი საუბრის დღიდან შენი უკმაყოფილო ვარ: ახლა სევდიანი და გულჩათხრობილი ხარ, შენ თითქოსდა უფრო გსიამოვნებს მარტო ყოფნა, ვიდრე დობილთან ცხოვრება; შენი სიტყვები არ შეცვლილა, მაგრამ ხმას აღარ ეტყობა წინანდელი სიმტკიცე, ხუმრობა რაღაც მორიდებული გაგიხდა, უკვე ვეღარ ბედავ კვლავინდებურად ისე თამამად ლაპარაკს მის გამო, თითქოს გეშინია, იგი ხომ არ მისმენსო, და თუმც არ კითხულობ, მისი ამბავი თუ მოვიდაო, მაგრამ შენი შეშფოთების მიხედვით ჩანს, თუ როგორ ელოდები ამას.

საყვარელო დაიკო, ვშიშობ, ვაითუ ვერ გრძნობ შენი სალმობის მთელ ძლიერებას: ისარი უფრო ღრმად განეწონა გულს, ვინემ შენა გგონია. დამიჯერე და კარგად ჩახედე შენს დაკოდილ გულს და, გიმეორებ, გულწრფელად უთხარი საკუთარ თავს, შესაძლოა თუ არა ქალისათვის მთელი მისი კეთილგონიერებით, ყოველგვარი რისკის გაუწევლად იცხოვროს საყვარელი ადამიანის ახლოს, და მისთვის საფრთხეს არ წარმოადგენდეს

სწროედ ის, რამაც დამღუპა მე _ თავისი თავის რწმან? თქვენ ორივენი თავისუფალი ხართ, და სწორედ ეს აარჯლებს ცდუნებას. შეუძლებელია სათნოებით აღსავსე გული ისე უილაჯო იყოს, რომ შემდეგ იძულებული გახდეს სინდისის ქენჯნით აგოს პასუხი, და გეთანხმები, დანაშაულის წინააღმდეგ მუდამჟამს საკმაოდ ძლიერნი რომ ვართ. მაგრამ, ვაიმე, ვინ გვითავდებებს, რომ სენ-პრე არასოდეს გამოიჩენს სისუსტეს? Aაბა, ერთი შეხედე, თუ როგორია შედეგები, წარმოიდგინე სირცხვილი და თავის მოჭრა. პატივი რომ მოგაგონ, თავად პატივისცემით უნდა მოეპყრა შენს თავს. ვით შეიძლება მოიპოვო ადამიანთა პატივისცემა, თუ თვითონ არა სცემ პატივს საკუთარ თავს? და თუკი ქალი გულარხეინად გადადგამს პირველ ნაბიჯს ბიწიერების გზაზე, მაშინ როდისღა შეჩერდება იგი? აი, რას ვეტყოდი მე მაღალი წრის ბანოვანთ, რომელთათვის ზნეობა და რელიგია არარაა, ვინაიდან მათ მხოლოდ ერთი კანონი აქვთ _ ესაა მათი წრის აზრი და შეხედულება. მაგრამ შენ ქველკეთილი და მორწმუნე ქალი ხარ, შეგნებული გაქვს შენი მოვალეობა და გიყვარს იგი, იცნობ ყოფაქცევის სულ სხვაგვარ წესებს, ყველაზე მთავარია შენი სინდისის მსჯავრი, და უნდა შეინარჩუნო კიდეც შენი თავის მიმართ პატივისცემა.

იცი კია, რა არის შენი დანაშაული მთელ ამ საქმეში? სწორედ ის, _ კვლავაც გეტყვი, _ სწორედ ის, რომ სირცხვილში ვარდები შენი პატიოსნური გრძნობის გამო, მაშინ როდესაც გულახდილად უნდა ილაპარაკო იმაზე, და იგი უმანკო გახდება...[35] მაგრამ, მთელი შენი გიჟმაჟი სიმკვირცხლის მიუხედავად, უაღრესად მხდალი არსება ხარ. სულ ხუმრობ, მხნეობას იკრებ, მე კი ვხედავ, გული შენი ძრწის და კანკალებს; იმ სიყვარულის ჟამს, რასაც ასე თვალთმაქცურად დასცინი, ისე იქცევი, როგორც ბავშვი, სიბნელის რომ ეშინია და ძალზე ხმამაღლა იწყებს მღერას, თავი რომ გაიმამაცუროს. ო, ჩემო ძვირფასო დობილო, აბა, ერთი გაიხსენე _ ათასჯერ მაინც ხომ გითქვამს, ტყუილ სირცხვილს ნამდვილი სირცხვილი მოჰყვებაო, ხოლო სათნოებას ერცხვინება მხოლოდ ნამდვილად ცუდი საქციელისა და გრძნობების გამო. განა სიყვარული თავისთავად დანაშაულია? განა არ არის იგი ყველაზე სპეტაკი და ყველაზე სასიამტკბილო გრძნობა, რაც ბუნებამ მოგვმადლა? და განა არა აქვს მას კეთილი და სანაქებო მიზნები? განა არა სძაგს სულმდაბალნი და უნამუსონი? განა არ აღაფრთოვანებს იგი დიად და ძლიერ არსებათ? განა არ აკეთილშობილებს ყველა მათ გრძნობას? განა არ ცხოვრობენ ისინი მაშინ ორმაგი სიცოცხლით? ნუთუ არ აღემაღლებიან ისინი თავიანთ ჩვეულებრივ დონეთა ზედან? აჰ, ნეტამც ადამიანს შეეძლოს პატიოსნად და კეთილგონივრულად ყოფნა ისე, რომ გულს არ განეწონოს ტრფობის ისარი; მაშინ რაღა დაშთება ამქვეყნად სათნოებას? ნუთუ უჯიშონი და გადაგვარებულნი _ მოკვდავთა შორის ყველაზე საძულველნი?

აბა, ერთი მითხარი, ცუდი რა ჩაიდინე? რა უნდა დააყვედრო შენს თავს? იქნებ, შენს საბედოდ წესიერი ადამიანი არ აგირჩევია? ნუთუ არაა იგი თავისუფალი? ნუთუ შენ არა ხარ თავისუფალი? განა არაა იგი შენი უღრმესი პატივისცემის ღირსი? და განა ისიც ასეთივე პატივისცემით არ გეპყრობა? ნუთუ არ იქნებოდი უფრო მეტად ბედნიერი შენი მეგობრის ბედნიერებით, ესოდენ ღირსი რომ არის ამ სახელისა, და, როცა გული მას მიაკუთვნე და სულხორციანდ მისი გახდი, განა მისი და შენი ბედი თანაბარი არ გახდა, რითაც პატივი და დიდება მიაგე ავბედით შეურაცხყოფილ და დაჩაგრულ, კეთილშობილ ადამიანს, რაიც შენი დობილის ძველი ვალების ანაზღაურებას ნიშნავს?

---

[35] რად დატოვა გამომცემელმა წამდაუწუმ განმეორებანი, რითაც სავსეა ეს წერილიც და მრავალი სხვებიც? იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სრულიად არ აწუხებს, მოსწონთ თუ არა ეს წერილები იმ პირთ, ვისაც ძალუძთ ასეთი შეკითხვის მოცემა.

მშვენივრად ვიცი, თუ რა მოკრძალებული და საფრთხილო მოსაზრებები გაოკებენ შენ: აბა, ვით შეიძლება საყოველთაოდ მიღებულ და ყველასათვის განცხადებულ გადაწყვეტილების შეცვლაო და განსვენებული მეუღლისათვის მაგიერის გამონახვაო, ჩემი უძლურების საქვეყნოდ აღიარება და ფათერაკების მაძიებელზე გათხოვებაო! სულმდაბალი, შეურაცხმყოფელ სახელთა მოყვარული ადამიანები ხომ, უეჭველია, ასე დაარქმევენ მას; აი, რა მიზეზით აყვედრი თავს შენი სიყვარულის გამო, მისი გამართლების ნაცვლად, და ამჯობინებ გულშივე დაიმარხო შენივ სახმილი, ვიდრე კანონიერი გახადო იგი. ოღონდ, ერთი ეს მიბრძანე, რა უფრო სამარცხვინოა: საყვრელ ადამიანს რომ მისთხოვდე, თუ გიყვარდეს იგი შეუუღლებლად? აღირჩიე, ნება შენია. როცა განსვენებული ქმრის ხსოვნას პატივსა სცემ, მოვალე ხარ პატივი მიაგო შენს თავსაც, როგორც მის ქვრივს, სჯობს უმალ გათხოვდე, ვიდრე კურო გაიჩინო, და თუკი ყმაწვილქალობა გაიძულებს ოდესღაც ქმრისაგან დაკავებული ადგილის შევსებას, მაინც დიდ პატივს მიაგებ მის ხსოვანს, უკეთუ მისთვის ძვირფასი ადამიანი გახდება შენი რჩეული.

რაც შეეხება უთანასწორობას, მე ასე ვფიქრობ, შეურაცხყოფას მოგაყენებდი, უკეთუ უარვყოფდი ესოდენ ქარაფშუტულ საბუთს, რადგანაც მაშინ მხოლოდ და მხოლოდ კეთილგონიერებასა და წესიერებაზე გვექნებოდა ლაპარაკი. ჩვენთვის ცნობილია მარტოოდენ ერთი სამარცხვინო უთანასწორობა, სახელდობრ _ ხასიათთა უთანასწორობა, ანდა სხვადასხვაობა აღზრდის მიხედვით. რა მაღალ მდგომარეობასაც უნდა მიაღწიოს მდაბალი ზნეობრივი წესებით გამსჭვალულმა ადამიანმა, მასთან კავშირი მუდამჟამს სამარცხვინო დარჩება; მაგრამ ღირსების გრძნობით აღსავსე ადამიანი, ვისაც გნებავთ, მას გაუტოლდება, _ არ იქნება არც ერთი ისეთი მაღალი მდგომარეობა და ვითარება, სადაც იგი თავის ადგილზე არ აღმოჩნდეს. ხომ იცი, ამ აზრისა იყო მამაშენიც, როცა დადგა საკითხი იმის თაობაზე, ჩვენს მეგობარს რომ მივთხოვებოდი. იგი თუმცა უაზნო, მაგრამ წესიერი ოჯახიდანაა, საზოგადოება პატივისცემით ეპყრობა და, რასაკვირველია, ღირსეულადაც. და მაჩანჩალა ვინმეც რომ ყოფილიყო, მაშინაც კი არ შეიძლებოდა ჭოჭმანი: სჯობს ვუღალატოთ გვარიშვილობას, ვიდრე სათნოებას _ მენახშირის ცოლი უფრორე პატივისცემის ღირსია, ვიდრე უფლისწულის ხარჭა.

აქ მე კიდევ ერთ სიძნელესაც ვხედავ: მოგიხდება შენ პირველმა აუხსნა და განუმარტო ყოველივე: შენ ხომ, რასაკვირველია, იცი, რომ იგი მხოლოდ მაშინ გაბედავს შენი ხელის მაძიებლობას, უკეთუ ამის ნებას დართავ, და სავსებით მართებულია, რომ უთანაწორობის საზღაურად მაღლა მდგომს ხშირად უწევს გადადგას მისთვის დამამცრობელი პირველი ნაბიჯი. ასეთი სიძნელის წინაშე შიშს გაპატიებ და გამოგიტყდები კიდეც, ეს ფრიად დიდმნიშვნელოვნად მომეჩვენებოდა, უკეთუ არ მეზრუნა მის აღსაკვეთად. იმედია, დამენდობი და დამიჯერებ, რომ ყოველივეს მოვაგვარებ შენს დაუმცრობლად; სხვა მხრივ, სავსებით იმედი მაქვს წარმატებისა და არხეინად ვკისრულობ ამ მოვალეობას; რაც უნდა მელაპარაკოთ ორივემ, მეგობარ ქალის სატრფოდ გადაქცევა ძნელიაო, მაინც, უკეთუ კარგად ვკითხულობ იმ გულში ჩახედვისას, სადაც ჩემთვის არაფერი იყო დაფარული ოდესღაც, არა მგონია, რომ ამ შემთხვევაში მსგავსი გადაქცევა მოითხოვდეს მეტისმეტად დიდ ოსტატობას ჩემი მხრიდან. მაშ ასე, გირჩევ მე მომანდო ეს მოლაპარაკება, იმისათვის, რომ შეგეძლოს აშკარად გაიხარო მისი დაბრუნებით, ყოველგვარი საიდუმლოების უმისოდ, უშიშრად და ცრუ სირცხვილის გარეშე. აჰ, დაიკო! რა სასიხარულოა ჩემთვის სამარადჟამოდ შეერთდეს ერთმანეთისათვის შექმნილი და ჩემი სანუკვარი ოცნებით უკვე დიდი ხანია შეკავშირებული ორი გული! დაე უფრო მეტად შეუკავშირდნენ ისინი ერთმანეთს, ვიდრე ეს შესაძლებელია, დაე შეერთდნენ ერთობლივი სახით თქვენსა და ჩემს გრძნობებში. დიახ, ჩემო თვალისჩინო,

კვლავ ერთხელ გაუწევ სამსახურს შენს დობილს და დააგვირგვინებ მის სიყვარულს; კვლავაც მეტადრე ვიქნები გულდაჯერებული ჩემი გრძნობებით, როცა ორივე თქვენგანს თანაბრად შეეხებიან ისინი.

ხოლო, უკეთუ ჩემი საბუთების მიუხედავად, ეს გეგმა ხელს არ გაძლევს, მაშინ, ჩემი აზრით, საჭირო იქნება აუცილებლად მოვიშოროთ ეს საშინელი ადამიანი, ჩვენთვის ორივესათვის ნიადაგ საშიშარი კაცი: რაც უნდა მნიშვნელოვანი იყოს ჩვენთვის ბავშვების აღზრდა, უფრო მეტად მნიშვნელოვანია დედის სათნოება. კარგად მოიფიქრე ყოველივე შენი მოგზაურობის ჟამს. როცა დაბრუნდები, მოვილაპარაკოთ ამის თაობაზე.

გადავწყვიტე პირდაპირ ჟენევაში გავაგზავნო ჩემი წერილი, რადგან ლოზანაში მხოლოდ ღამეს გაათევ და ბარათი იქ უკვე ვეღარ მოგისწრებს. ველი შენგან პატარა რესპუბლიკის დაწვილებით ამბავს. ყველანი ისე აქებენ ამ საუცხოო ქალაქს, და მეც ბედნიერად ჩავთვლიდი მის მხილველს, თუკი შემშურდებოდა ის სასიამო განცდები, რაიც მეგობართა შეჭირვების ფასად იყიდება.

არასოდეს მყვარებია ფუფუნება, ახლა კი მძაგს იმის გამო, რომ მან წარგვტაცა შენი თავი თითქოსდა მთელი საუკუნით. ძვირფასო, არც შენ, არც მე არ ვყოფილვართ ჟენევაში საქორწილო მორთულობათა საყიდლად, მაგრამ ასე მგონია, რომ, როგორიც უნდა იყოს შენი ძმის ღირსებები, ფლანდრიულ მაქმანებსა და ინდურ ქიშმირებში მორთულ-მოკაზმული მისი საცოლე ჩვენზე ბედნიერი ვერ იქნება, რაც უნდა უბრალო და სადა სამოსი გვეცვას. მაგრამ თუმც ძალიანაც ვბრაზობ, მაინც გავალებ, დაიყოლიე შენი ნათესავები ქორწილი კლარანში გადაიხადონ. ამის გამო წერს აგრეთვე მამაჩემი მამაშენს, ხოლო ჩემი ქმარი _ საცოლის დედას. თან ვურთავ ორივე წერილს, გადაეცი ისინი და მხარი დაუჭირე მიპატიჟებას შენი ცხოველმოსილი გავლენით; აი, ესაა ყველაფერი, რის გაკეთებაც შემიძლია ზეიმზე დასასწრებად; არასდიდებით არ დავთანხმდები ჩემს ოჯახთან განშორებას. მშვიდობით, დაიკო, მომწერე თუნდაც სულ პაწაწკინტელა ბარათი, მაცნობე, როდის დაგელოდო. ახლა მეორე დღეა, რაც წახვედი და, მართლაც, აღარ ძალმიძს უშენოდ სიცოცხლე.

სანამ ამ შეწყვეტილ წერილს ვამთავრებდი, მადმუაზელ ანრიეტა მედიდური სახით აგრეთვე გწერდა მეორე ოთახში. ჩემი აზრით, ბავშვებმა ყოველთვის უნდა თქვან ის, რაც მოეპრიანებათ, და არა ის, რის თქმასაც აიძულებენ; და ამიტომაც შენს გოგონას ნება დავრთე დაწეროს ყველაფერი, რაც მოესურვება, და მის წერილში არც ერთი სიტყვა არ გამისწორებია. აი, კიდევ ჩემი წერილის მესამე დამატება. ცხადია, მის ნაჯღაბნს როდი ემებდი, როცა გაფაციცებით ხსნიდი პაკეტს. მაგრამ მეოთხე დამატების გამო თავს ნუ შეიწუხებ, მას ვერ იპოვი. ის წერილი გამოგზავნა კლარანში, მაშასადამე, ის სწორედ კლარანში უნდა წაიკითხო კიდეც. ეს კარგად იცოდე.

XIV წერილი

ანრიეტასაგან დედასადმი

დედიკო!

აბა სადა ხართ? ამბობენ, ჟენევაშიო, ეს კი ისე შორსაა, ისე შორს, რომ იქ ჩასვლას დილიდან საღმომდე რომ იაროთ, ორ დღეს მოუნდებით. ხოლო ან, იქნებ, ქვეყნიერებას უვლით გარშემო? ჩემი მამიკო ამ დილით ეტანჟში წავიდა, ბაბუა კი _ სანადიროდ. დედილო ოთახში ჩაიკეტა და წერილსა წერს. ყველამ თავი მანება. მარტოოდენ ძვირფასმა პერნეტმა და საყვარელმა ფანშონმა არ მიმატოვეს. ოი, შენ, ჩემო უფალო ღმერთო, უკვე

აღარ ვიცი, რატომ ხდება ასე, ოღონდ მას შემდეგ, რაც ჩვენი მეგობარი წავიდა, ყველანი სადღაც მიმოიფანტნენ. დედიკო, თქვენ პირველი წახვედით. და რა მოწყენილობა იყო, როცა აღარავინ დაგრჩათ გასახელებელი. ახლა თქვენც წაბრძანდით და მე უფრო მეტად მოწყენილი ვარ, ვინაიდან დედილოც უთქვენოდ რატომღაც დანაღვლიანებულია. დედიკო, ჩემი პატარა საქმრო კარგადაა, ოღონდ ამიერიდან აღარ ეყვარები, რადგან გუშინ წინანდებურად ვეღარ ათამაშებდი მუხლებზე, მე კი, შესაძლოა, კვლავ ცოტათი მეყვარებით, მხოლოდ მალე დაბრუნდით, თორემ ფრიად გულდარდიანნი ვართ. უკეთუ გსურთ მანუგეშოთ, ჩამოუტანეთ ჩემს პატარა საქმროს რაიმე კარგი ნივთი. ხოლო თავად მისდა სანუგეშებლად, თქვენ, ალბათ, აგრეთვე რაიმეს მოიფიქრებთ. აჰ, ღმერთო ჩემო, ჩვენი მეგობარი რომ შინ ყოფილიყო, უმალვე მიხვდებოდა ყველაფერს. ჩემი ლამაზი მარაო ხომ მთლად დაიმსხვრა, ცისფერი კაბა დაიძონძა, აბრეშუმის თავსაფარი დაიხა, მაქმანის თათმანებიც არაფრად ვარგა. ნახვამდის, დედიკო, წერილი უნდა დავამთავრო, ვინაიდან დედილომ უკვე მოათავა წერა და გამოვიდა კაბინეტიდან. ვატყობ, თვალები დასწითლებია, მაგრამ ამის თქმას ვერ გავუბედავ. ოღონდ, როცა ჩემი წერილის წაკითხვას შეუდგება, გაიგებს, ეს რომ შევნიშნე. საყვარელო დედიკო, რა ბოროტი ვინმე ხართ, უკეთუ თქვენი მიზეზით ტირის ჩემი დედილო. ვკოცნი ბაბუაჩემს, ვეამბორები ბიძაჩემებს, ვკოცნი ახალ ბიცოლას და დედამისს; ვეამბორები ყველას, თქვენ გარდა, ჩემო დედიკო. გესმით? თქვენთვის კოცნა აღარა მყოფნის.

მ ე ხ უ თ ე ნ ა წ ი ლ ი ს დ ა ს ა ს რ უ ლ ი

მეექვსე ნაწილი

I წერილი

ქალბატონ დ'ორბისგან ქალბატონ დე ვოლმარისადმი

ლოზანიდან გამგზავრების წინ მინდა მოკლედ მოგწერო და გამცნო, კარგად რომ ვიმგზავრე; ოღონდ ისე მხიარული არა ვარ, როგორც ვიმედოვნებდი. მერედა როგორ მიხაროდა ეს მოგზაურობა. მის გამო ფიქრი შენც ხომ გაცდუნებდა; მაგრამ რაკი უარი თქვი ჩვენთან წამოსვლაზე, ეს მოგზაურობა თითქმის არასასიამოვნოდ დამირჩა. აბა, რას ვაქნევ მას უშენოდ? უკეთუ მოსაწყენი აღმოჩნდება, მაშინ მარტოკას მომიხდება სევდა-წუხილი; და თუკი სამხიარულო იქნება, დამენანება უშენოდ განცხრომა და სიხარული. არაფერი მაქვს შენი საბუთების საპასუხოდ, მაგრამ ნუთუ ჩემზე ფიქრობ, კმაყოფილიაო? მერწმუნე, ჩემო მამიდაშვილო, ძალიანაც ცდები, და ისიც სამწუხაროა, განაწყენების უფლებაც რომ არა მაქვს. აბა, ერთი მითხარი, შე უკეთურო, როგორ არ გრცხვენია, ყოველთვის მართალი რომ ხარ და წამდაუწუმ ეწინააღმდეგები შენი დობილის ყოველგვარ განცხრომას და ბუზღუნის ნებასაც კი არ აძლევ? ნუთუ ქვეყანა დაიქცეოდა, ერთი კვირით რომ დაშორებოდი შენს მეუღლეს, შენს მეურნეობას, შენს ბარტყებს? მართალია, ეს ქარაფშუტობა იქნებოდა, მაგრამ სამაგიეროდ ასკეცად უფრო საყვარელი გახდებოდი; შენ კი გინებს სრულყოფილი ქმნილება იყო, თუმცაღა ეს არავისაც არ უნდა, და შენც ანგელოზთა შორის მოგიხდება მეგობრების ძებნა.

წინანდელ უსიამოვნებათა მიუხედავად, მე მაინც ამიჩუყდა გული, როცა ჩემს ოჯახში მოვხვდი; სიხარულით შემომეგებნენ, ყოველ შემთხვევაში, არ დაიშურეს უხვი ალერსი; ძმის გამო ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვი, დავიცდი, სანამ კარგად გავიცნობდე.

თვალტანადობით არ დაიწუნება, მხოლოდ მეტისმეტად ზვიადი ჩანს, – ტყუილად ხომ არ აღიზარდა ინგლისში, უსაშველოდ თავმომწონეა და უკარება; ვამჩნევ, ოდნავ ამპარტავანიც რომ უნდა იყოს; ძალიან ვშიშობ, ვაითუ მისმა ნორჩმა საცოლემ ვერ იპოვოს ისეთი კარგი ქმარი, როგორებიც ჩვენ შევიძინეთ, – კაცმა რომ თქვას, როცა მეუღლე გახდება, ოჯახში ბატონობას მოისურვებს.

მამაჩემი ძალზე გაახარა ქალიშვილის ნახვამ, მხურვალედ ჩამიკრა გულში გახარებულმა, და თავიც კი მიანება იმ დიდი ბრძოლის რელაციების კითხვას, რაც ახლახან ფრანგებმა ინგლისელთ მოუგეს, თითქოს ამით ჩვენი მეგობრის წინასწარმეტყველების გამართლება სურსო. რა კარგია, რომ ამ ბრძოლაში არ მონაწილეობდა ჩვენი მეგობარი. ძალგიძს განა წარმოიდგინო, რომ მამაც ედუარდს გულარხეინად ეცქირა, თუ როგორ გაურბოდნენ მტერს ინგლისელები, და მათთან ერთად თავადაც ყოფილიყო ოტებული? ეს არაფრის დიდებით არ მოხდებოდა!.. უმალ ასგზის შეაკლავდა თავს.

ბარემ ჩვენს მეგობრებსაც გავიხსენებ, რა ხანია აღარ მოუწერიათ ჩვენთვის. ვგონებ, გუშინ ფოსტის დღე იყო, ხომ მართალია? თუკი მათი წერილები გამოჩნდა, იმედია, არ დაგავიწყდება, რაოდენ მაინტერესებს ისინი.

მშვიდობით, დაიკო, უკვე წასვლის დროა. ველოდებით შენს ამბავს ჟენევაში, სადაც, ვფიქრობ, ჩააღწევთ ხვალ სადილობისას. ოღონდ გახსოვდეს, ასე იქნება თუ ისე, ქორწილი უშენოდ არ მოხდება, თუკი არ გსურს ლოზანაში ჩამოსვლა, მთელ კომპანიას შენთან მოვიყვან, დავარბევთ შენს კლარანს და შევსვამთ მთელ შენს სანაქებო უცხოქვეყნურ ღვინოს.

II წერილი

ქალბატონ დ'ორბისაგან ქალბატონ დე ვოლმარისადმი

ბარაქალა შენ, მოქადაგე დაიკო! ოღონდ ასე მგონია აზვიადებ-მეთქი შენი ქადაგებების ძალას; მაგრამ არ გედავები, – შესაძლოა, ისინი ოდესმე მომადუნებლად მოქმედებდნენ კიდეც შენს მეგობარზე, მაგრამ ამჟამად, მერწმუნე, ვერაფერი გააწყვეს შენს დობილთან; გუშინ რომ შენი რჩევა-დარიგებები მივიღე, მათ სულაც არ მოუგვრიათ ჩემთვის ძილი – პირიქით, მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს. უფრთხილდი ჩვენი არგუსის ახსნა-განმარტებას, უკეთუ ამ წერილს იხილავს! ოღონდ აქ სწრაფად დავამყარებ წესრიგს და გეფიცები, უმალ თითებს დაიწვავ ამ წერილის ცეცხლში ჩაწვისას, ვიდრე მას შენს ქმარს აჩვენებ.

მუხლობრივ რომ შევუდგე შენს დარიგებათა განხილვა-გარჩევას, ვშიშობ, ვაითუ როგორღაც შენი უფლებები მივითვისო-მეთქი; სჯობს ისა ვთქვა, რაც ჭკუაში მომივა; უწინარეს ყოვლისა, თავმდაბლობისა და იმის გამოც, რომ არა მსურს ხელი შეგიწყო, პირველსავე სტრიქონებში არ შევუდგები ლაპარაკს ჩვენი მოგზაურობისა და იტალიიდან მიღებული ფოსტის თაობაზე. უკეთუ ეს შემთხვევა, მომიხდება წერილის გადაწერა და დასაწყისის ბოლოში გადატანა. პირველ ყოვლისა, ვილაპარაკოთ საეგებიო ლედი ბომსტონზე.

მარტოოდენ ეს ტიტულიც კი მაშფოთებს ხოლმე. ვერ ვაპატიებდი სე-პრეს, უკეთუ ხელს შეუწყობდა, რათა ეს წოდება ასეთ პიროვნებას რგებოდა, ვერ ვაპატიებდი ედუარდს, იმ ქალისათვის ამ ტიტულის ტარების უფლება რომ მიეცა, ვერ გაპატიებდი შენც, თუკი აღიარებდი ამ ამბავს. წარმოიდგინე, ჟიული დე ვოლმარი ერთბაშად თავის სახლში მიიღებს ლაურეტა პიზელს! მოითმენს მის სიახლოვეს! აბა, რას სჩადი, ბავშვო, გონს მოეგე!

მითხარი, რაოდენ სასტიკი უნდა იყოს შენი თვინიერება! განა არ იცი, რომ შენს გარშემო არსებული ატმოსფერო აუტანელია სახელგატეხილი ქალისთვის? მერედა ეს ბედკრული არსება როგორღა გაბედავს შენთან ერთად სუნთქვას? როგორ გაბედავს შენს ახლოს სულის გაღებას? დიახ, უფრორე ცუდად იგრძნობს თავს, ვიდრე ეშმაკეული, წმინდანთა ნაწილებს რომ შეხებია; მარტოოდენ ერთი შენი შემოხედვისას ინატრებს, ნეტავი მიწა გასკდეს და შიგ ჩამიტანოსო. მარტოოდენ შენი ჩრდილიც კი სულს გააფრთხობინებდა.

სრულიადაც არ მძულს ლაურა, ღმერთმა დამიფაროს, – პირიქით, აღტაცებული ვარ და პატივსა ვცემ მას, მით უმეტეს, რომ მსგავსი აღდგინება საგმიროდ და საიშვიათოდ უნდა მივიჩნიოთ. ოღონდ განა მარტოოდენ ეს საკმარისია, რომ გავამართლოთ ის დამამცირებელი შედარებები, რითაც გაბედე შენივ თავის შებღალვა? აბა, ერთი ეს იფიქრე, თვით თავისი უძლურების ჟამსაც კი ჭეშმარიტი სიყვარული, ქალის დაცვისას, მოითხოვს, რომ იგი თავგამოდებით გაუფრთხილდეს თავის ნამუსსა და ღირსებას. მაგრამ მესმის ყოველივე და ამიტომაც გაპატიებ. შორეული და მდარე საგნები ახლა ერთმანეთშია აბურდული შენს თვალში; ისე მაღლა დალივლივებ მიწასა ზედან, რომ, როცა მას დაყურებ, უკვე ვეღარ ამჩნევ უსწორმასწორო და ოღროჩოღრო ადგილებს. ყოველივე ეწირება შენს ღვთისმოსავურ თვინიერებას – თვით შენივე ქველკეთილობაც კი.

სწორედ რომ მშვენიერია! ოღონდ რა გამოდის აქედან? განა ბუნებრივი გრძნობები მაინც არ აღგეძვრის? ხოლო თავმოყვარეობა თავის ზემოქმედებას არ მოახდენს? შენს უნებურ სიძულვილს მზვაობრობას უწოდებ და ცდილობ მის დათრგუნვას, რადგან საზოგადოებრივი აზრის მიმართ შიში გგონია. გულკეთილო არსებავ! აბა, სად გაგონილა მხოლოდ საზოგადოებრივ აზრზე იყოს დამოკიდებული ბიწიერებისგან გამოწვეული შერცხვენა? და რაიღა ურთიერთობა შეიძლება იმ ქალთან, რომელთანაც ვერ წარმოგითქვამს სიტყვები: „უმანკოება“, „სისპეტაკე“, „სათნოება“, ვინაიდან ამით აიძულებ სირცხვილის ცრემლი ღვაროს, აუშლის სამწუხარო მოგონებებს და თითქმის შეურაცხყოფას მიაყენებ მომნანიებელ შემცოდეს? მერწმუნე, ჩემო ანგელოზო, ლაურას პატივი კი უნდა ვცეთ, ოღონდ შეხვედრით კი არ უნდა შეხვდეთ. სწორედ მისი პატივისცემით პატიოსანმა ქალებმა თავი უნდა აარიდონ მას, ჩვენს სიახლოვეს იგი ნამეტნავად დაიტანჯებოდა.

ყური უგდე – შენი გული გეუბნება, ეს ქორწილი არ უნდა მოხდესო. და განა ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი არასოდეს მოხდება? ჩვენი მეგობარი, როგორც იწერები, არც კი ახსენებს მას თავის წერილში... სწორედ იმ წერილში, რომელიც, შენივე თქმით, მე მომწერა... (როგორც შენ ამბობ, ეს წერილი ძალიან გრძელი ყოფილა, ხომ სწორია?) აქეთ კიდევ შენი ქმრის ეს მსჯელობანი... შენი ქმარი საიდუმლოებით მოცული ადამიანია!.. ორივე კარგი ყალთაბანდები ხართ, პირი გაქვთ შეკრული და მაცუცურაკებთ... თუმცა მის გრძნობებს აქ ასეთი დიდი მნიშვნელობა როდი აქვთ, განსაკუთრებით შენთვის, რაკი წერილი წაიკითხე კიდეც, და ჩემთვისაც, თუმცა მე არ წამიკითხავს... სავსებით მჯერა მე და შენი მეგობრისა, უფრო მეტად მჯერა და ვარ დარწმუნებული, ვიდრე მთელ ფილოსოფიაში.

აჰ, კარგად მოიფიქრე ყველაფერი! არ ვიცი, რისთვის და რატომ, ოღონდ ეს მაბეზარი ადამიანი სულ ჩემს წერილში ტრიალებს. მაშ, რაკიღა ვახსენე, იმის შიშით, კვლავ აღარ გამოტყვრეს სადმე, ახლავე უნდა მოგახსენო ყველაფერი, რაც სათქმელი მაქვს მის გამო, რათა ამიერიდან აღარ დავუბრუნდეთ.

ნუ გაგვიტაცებს განუხორციელებელი ოცნება. შენ რომ ჩემი ჟიული არ იყო, შენი მეგობარი ოდესმე შენი მიჯნური რომ არ ყოფილიყო, არ ვიცი, რა დაგემართებოდა, არ ვიცი, მეც რა მომივიდოდა. ერთი კი კარგად ვუწყი, ამ ყმაწვილკაცის ავბედით ყისმათს თავდაპირველად შენთვის რომ არ წარმოევლინა იგი, თავს წააგებდა და, გიჟი ვარ თუ არა,

არ ვიცი, მაგრამ მას კი აუცილებლად გავაგიჟებდი. ოღონდ რა ბედენაა, თუ რა ვიქნებოდი? სჯობს იმაზე ვილაპარაკოთ, თუ რად ვიქეცი. პირველი, რაც ამქვეყნად ჩავიდინე, – ეს იყო ის ამბავი, რომ შენ შეგიყვარე. სიყრმის წლებიდანვე ჩემი გული შენ შემოგწირე. რაოდენ ნაზი და მგრძნობიერიც უნდა ვყოფილიყავი, უკვე აღარ შემეძლო თავისთავად სიყვარული და გრძნობათა გამხელა. ყველა ჩემი გრძნობა შენგანვე გამომდინარეობდა, შენ ყველაფრისა და ყველას მაგივრობა გამიწიე, და მხოლოდ იმისთვისღა ვცხოვრობდი, შენი დობილი რომ ვყოფილიყავი. საცოდავმა შაიომ მაშინვე შენიშნა ეს და აქედან გამოიტანა დასკვნა ჩემზე. მიპასუხე, დაიკო, განა ცდებოდა?

ხომ იცი – შენი მეგობარი ძმად გავიხადე: ჩემი დობილის შეყვარებული თითქოსდა დედაჩემის შვილი გახდა. ასეთ გზას გონებით კი არ დავდგომივარ, არამედ გულით. კიდევ უფრო მგძნობიარეც რომ ვყოფილყავი, მაინც ძმური სიყვარულით შევეტრფოდი მას. როცა ვეხვეოდი, ვინც ყველაზე ძვირფასი იყო შენთვის ამქვეყნად, მისი სახით გეხვეოდი შენ: ჩემთა ალერსთა უმწიკვლოების საწინდარი იყო თვით ჩემი ბუნებრიობა და სითამამე. განა ქალიშვილს ძალუძს ასე მოექცეს მას, ვინც უყვარს? განა ასე ეპყრობოდი მას? არა, ჟიული, ქალიშვილის სიყვარული გაუბედავია და მოშიშარი: მოკრძალება, კდემამოსილება – აი, მისი იარაღი, იგი გამოსჭვივის უარობისას წარმოთქმულ სიტყვებში, და როცა ნირშეცვლილი, სატრფოს უეცრად მოულოდნელი ალერსით აჯილდოებს, შეყვარებული უმალ შეიცნობს მის ფასსა და ყადრს. მეგობრობა უშურველად გასცემს ალერსს, სიყვარული ამ საქმეში ძალზე ხელმოჭერილია.

გამოგიტყდები, რომ მეტისმეტი მჭიდრო სიახლოვე მუდამჟამს სახიფათოა იმ ასაკში, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებოდით მაშინ; მაგრამ ორივეს გულს დაეუფლა ერთი და იგივე საგანი, და ისე შევეჩვიეთ ჩვენს შორის შენს ჩადგომას, რომ მხოლოდ და მხოლოდ შენი მოსპობით შევიძლებდით შეერთებას. თავად ლაღი სიახლოვე, რაიც სასიამტკბილო ჩვეულებად გადაგვექცა, სიახლოვე, რაიც სხვა ვითარებათა ჟამს ესოდენ სახიფათოა, მაშინ ჩემი ციხესიმაგრე იყო. ადამიანის გრძნობები მის აზრებზედან ჰკიდია, ხოლო უკეთუ აზრებმა მიიღეს კიდეც რაიმე მიმართულება, ისინი ძნელად თუ შეცვლიან მას. ჩვენ ძალზე დიდხანს ვლაპარაკობდით ერთ კილოზე და სხვაგვარად ლაპარაკი არ გამოგვივიდოდა; ძალიან შორს შევტოპეთ, უკან დასახევი გზა მოჭრილი აღმოჩნდა. სიყვარულს უნებს განვითარდეს საკუთარი ძალ-ღონით და არ მოსწონს, როდესაც მის მაგივრად გზის ნახევარს მეგობრობა გაივლის. და ბოლოს, მე წინათაც გეუბნებოდი და ახლა მჯერა ის ამბავი, რომ ვერ მოსწყვეტ ვნებიან ამბორს სწორედ იმ ბაგეთაგან, რომლებიც უმანკო კოცნით გაჯილდოებდნენ.

ამ გრძნობათათვის მხარდაჭერისას შემომეშველა ის, ვინც ნებითა ცისათა ხანმოკლე ბედნიერებით გააცისკროვნა ცხვორება ჩემი. შენ კარგად იცნობდი მას, დაიკო, იგი ახალგაზრდა იყო, ლამაზი, წესიერი ადამიანი, თავაზიანი, ლმობიერი; არ შეეძლო ისეთი სიყვარული, როგორადაც უყვარდი შენს მეგობარს; მაგრამ ვუყვარდი სწორედ მე, და არა შენ, ხოლო როდესაც ქალის გული თავისუფალია, მის მიმართ აღძრულ მგზნებარებაში იმარხება რაღაც გადამდები; და აი, მისი სიყვარულის საპასუხოდ მივაგე ყოველივე, რაც ჯერ კიდევ შთენოდა ჩემს გულს, ხოლო ჩემს ქმარს წილად ხვდა კვალად საკმაო სინაზე და სიყვარული, და აღარ მოუხდა წუხილი და სინანული, არჩევანი ჩემზე რომ შეაჩერა. და მაშინ რაღაისთვის უნდა შემშინებოდა? გამოგიტყდები კიდეც, ქმრიანი ქალის მოვალეობასთან შეერთებულმა სქესის უფლებამ ერთხანს აჯობა შენს უფლებებს, და, ჩემი ახალგაზრდა მდგომარეობით გატაცებული, თავდაპირველად უფროისად ვფიქრობდი ჩემს ქმარზე, ვიდრე ჩემი დობილის გამო; ოღონდ, როცა მეგობრობის წიაღს დავუბრუნდი, ერთის ნაცვლოდ მოგიტანე ორი გული, – მარტოდმარტო დარჩენილი, არასოდეს ვივიწყებდი, ვალდებული ვარ ორმაგი ვალი გადავიხადო-მეთქი.

მეტი რაღა უნდა გითხრა, ჩემო საყვარელო დობილო? როცა ჩვენი ყოფილი მასწავლებელი დარბრუნდა, ჩემთვის თითქოს ახალი ნაცნობი გახდა, სულ სხვა თვალით დავინახე იგი; როცა ვეხვეოდი, თავიდან ფეხებამდე მანამდე ჩემთვის გამოუცდელმა ჟრუანტელმა დამიარა; და რაოდენადაც ტკბილი იყო ეს მღელვარება, მით უფრორე მეშინოდა მისი: გული საშინლად ამიძგერდა, თითქოსდა ჩემი მხრით დანაშაული იყო ის გრძნობა, რაც წარმოიქმნა მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ უკვე შეცოდებად აღარ ჩაგვეთვლებოდა. ძალზე ბევრი ვიფიქრე იმის გამო, რომ სენ-პრე უკვე აღარ იყო მიჯნური და ამიერიდან ვერც გახდებოდა; მეტადრე უფრო კარგად ვიგრძენი, იგი თავისუფალია, და მეც თავისუფალი ვარ-მეთქი. ყოველივე დანარჩენი ცნობილია შენთვის, დაიკო; ჩემს შიშნეულობას, სინდისის ქენჯნას – მათი წარმოქმნის უმალვე გებულობდი. ჩემთვის ესოდენ ახალი ვითარება ისე აფრთხობდა ჩემს გამოუცდელ გულს, რომ ვკიცხავდი თავს, რად ვეშურებოდი შენთან გადმოსვლას, თითქოსდა არ შევთანხმებულიყავით ამის გამო ჯერ კიდევ ჩვენი მეგობრის დაბრუნებამდე. სრულიადაც არ მომწონდა, იგი იქ რომ იმყოფებოდა, სადაც ასე ვესწრაფოდი ცხოვრებას, და ვგონებ, ვამჯობინებდი კიდეც, ეს მისწრაფება განელებულიყო, უკეთუ არ მეფიქრა, ჩემი ჩამოსვლა ჟიულისათვის ძალზე მნიშვნელოვანია-მეთქი.

მაგრამ დაბოლოს გადმოვედი შენთან და მაშინ თითქმის დავშოშმინდი. უფრო ნაკლებ ვძრახავდი ჩემს თავს უილაჯობის გამო, მას მოღმა რაც ეს ამბავი გაგიმჟღავნე, ხოლო შენს ახლო მყოფი, კიდევ უფრო ნაკლებად ვკიცხავდი თავს: როგორც კი შემოგეფარე, ჩემი თავის მიმართ შიში გამიქრა. შენი რჩევა-დარიგებით გადავწყვიტე ისევ ძველებურად დამეჭირა თავი მასთან. უფრო მეტი თავშეკავება რომ გამომეჩინა, ეს, ცხადია, გახდებოდა კეთილმოსურნეობის თავისებური განმარტება, – და განა კი საჭირო იყო კიდევ ერთი აღიარებით იმ დადასტურებათა გაზრდა-გადიდება, რომლებიც, შესაძლოა, ჩემდა უნებურად წამომცდენოდა? მოკრძალების გამო განვაგრძნობდი პამპულობას, მორიდებულობის გამო თამამად ვიქცეოდი; ოღონდ, შესაძლოა, ყველაფერი ეს ახლა უფრო ნაკლებ ბუნებრივი გახდა, და ზოგჯერ ზომიერების გრძნობაც მღალატობდა. გიჟმაჟი ქალი ვიყავი და ჭკუადამთხვეული გავხდი; იმის შეგნება, ყველაფერი ეს შემიძლია თავისუფლად ჩავიდინო-მეთქი, აძლიერებდა ჩემს ქედმაღლობას. მაგრამ არ ვიცი, იმის გამო, თავს რომ მოერიე, რაც ძალ-ღონეს მაძლევდა მომებაძა შენი მაგალითისათვის, თუ იმიტომ, რომ ვფიქრობდი, ჟიული განასპეტაკებს ყველა ახლომყოფელს-მეთქი, თანდათანობით სავსებით დავშოშმინდი, და ჩემს თავდაპირველ მღელვარებათაგან მარტოოდენ ერთი გრძნობაღა შემომრჩა, – მართალია ტკბილზე-ტკბილი, მაგრამ მშვიდი და წყნარი; ჩემს გულს მხოლოდ და მხოლოდ ერთი რამ სურდა – ნეტავი სამარადჟამოდ გასტანდეს ასეთი სულიერი განწყობილება-მეთქი.

დიახ, ჩემო ძვირფასო დობილო, მეც შენებრ ნაზი, მგრძნობიარე ვარ, ოღონდ ჩემს ყაიდაზე. ჩემი სიყვარული უმეტეს წილად ხალისიანია, შენი უფრორე ღრმა. ეგებ, ჩემი სიმკვირცხლით უფრო ადვილად მიეცეს კაცი განცხრომას და სწორედ ის სიმხიარულე, რაც ძალიან ბევრს უმანკოების დაკარგვის ფასად დაუჯდა, მარად და მარად იფარავდა და იცავდა ჩემს უბიწობას. უნდა გამოგიტყდე, ყოველთვის როდი მემარჯვებოდა ეს უშრომლად და გაურჯელად. და განა შესაძლებელია, ჩემი ხნის ქვრივი არ გრძნობდეს, დღეები სიცოცხლის მხოლოდ ნახევარი რომ არის? მაგრამ როგორც ერთხელ გათქმევინა შენმა საკუთარმა გამოცდილებამ, სიფრთხილე საუკეთესო საშუალებაა, რათა ადამიანი კეთილგონივრულად მოიქცეს; მთელი შენი საუცხოო თავდაჭერილობის მიუხედავად, არა მგონია, შენი და ჩემი მდგომარეობა ასე ძლიერ განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან. აი, სწორედ ეს ხალისიანობა მევლინება შემწედ და მშველელად და, შესაძლოა, სათნოების გადასარჩენად უფრო მეტს აკეთებს, ვიდრე გონების მკაცრი შეგონებანი. აბა, რამდენჯერ

ყოფილა, რომ ღამის მყუდროებაში, როცა შეუძლებელია თავს გაექცე, აბეზარ ფიქრებს იმით ვიშორებდი, რომ ვიგონებდი რაიმე ოინს მეორე დღისათვის! სახიფათო საუბრის დროს ყმაწვილკაცთან პირისპირ დარჩენილს რაოდენჯერ დამიძვრენია თავი რაიმე ახირებული საქციელით! გამიგონე, ძვირფასო, როგორც კი თავს დაუდებ უილაჯობას, მაშინვე აუცილებლად მოატანს წუთი, როცა მხიარულების წილ გეწვევა სევდა და დარდი, ოღონდ ჩემთვის ეს წუთი არასოდეს არ დადგება. ასე მგონია, ეს კარგად ვიცი და გავბედავ კიდეც თავდებად დაგიდგე ამის გამო.

ესეც ასე, ხოლო ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ თამამად ძალმიძს დაგიდასტურო, რაც გითხარი ელიზიუმში ამას წინათ ჩემს გულში წარმოქმნილი სიყვარულისა და იმ დიადი ბედნიერების გამო, რითაც ვსიამტკბილობდი ამ ზამთარში. მთელი სულითა და გულით განვიცდიდი სიხარულს საყვარელი ადამიანის ახლო ყოფნით და ვგძნობდი, მეტი აღარაფერი აღარ მინდა ამ ქვეყანაზე-მეთქი. სამარდჟამოდ რომ გაგრძელებულიყო ასე, სხვა ბედნიერებას აღარც კი ვინატრებდი. ჩემი სიმხიარულე სრულიადაც არ ყოფილა ნაძალადევი, – ეს მოჰყვა სულიერ კმაყოფილებას. გიჟმაჟური ცელქობით ვლაღობდი, ვხარობდი და გამუდმებით ვცდილობდი მის გართობას. ვგრძნობდი, უკეთუ დავჯერდებოდი ხუმრობასა და სიცილს, სატირელი აღარაფერი მექნებოდა.

რაც მართალია, მართალია, დაიკო ზოგჯერ ვამჩნევდი კიდეც, თამაში რომ გაუტკბა. ის ეშმაკისერთი ნამდვილად სრულიად არ ჯავრობდა, რომ მის გაბრაზებას ცდილობდნენ, ძლივსღა დამშვიდდებოდა მხოლოდ იმისათვის, რათა უფრო ხანგრძლივ ემშვიდებინათ. ვსარგებლობდი შემთხვევით და მაშინ თითქოს დაცინვით ვეუბნებოდი საკმაოდ ალერსიან სიტყვებს, და ერთმანეთს ვეჯიბრებოდით ბალღურ ოინბაზობაში. ერთხელ, როცა შინ არ იყავი, შენს ქმარს ჭადრაკს ეთამაშებოდა, მე კი იმავე ოთახში ფანშონთან ვოლანს ვთამაშობდი; ფანშონი რაღაცას რატრატებდა, მე კი ჩვენს ფილოსოფოსს ვადევნებდი თვალყურს. მისი დამშვიდებული, გოროზი გამომეტყველებისა და სიმარდის მიხედვით, რითაც სვლებს აკეთებდა, მივხვდი, რომ იგებდა. ჭადრაკის დაფა მომცრო მაგიდის კიდეებზე იყო გადმოშვერილი. მარჯვე წუთი შევარჩიე და თითქოს უცაბედად ჩოგნით ჭადრაკი გადმოვაბრუნე. შენ, უთუოდ, არასოდეს მოგსწრებია ასეთი განრისხების ხილვა: ჩვენი ფილოსოფოსი ისე გაცოფდა, რომ როდესაც ლოყა მივუშივრე და შევთავაზე, როგორც გნებავთ, ისე დამსაჯეთ, გინდ სილა გამაწანით, გინდ მაკოცეთ-მეთქი, ზურგი შემომაქცია. პატიება ვთხოვე, მაგრამ ულმობელი იყო; მის წინ რომ დამეჩოქა, ჩემს წამოყენებას არც კი ეცდებოდა. ბოლოსა და ბოლოს, მას სხვა ოინი მოვუწყვე, პირველი კომედია მიავიწყდა და ჩვენც შევრიგდით.

სხვა ილეთის გამოყენებისას მე, რასაკვირველია, უფრო გამიჭირდებოდა მდგომარეობიდან თავის დაღწევა, და ერთხელ შევამჩნიე კიდეც, რომ თუკი მოვისურვებდი, ეს თამაში ფრიად სერიოზულ სახეს მიიღებდა. ეს მოხდა იმ საღამოს, როცა მე და შენ ვმღეროდით ლეოს რაღაც მარტივ და ამაღლევებელ დუეტს; Vado a morir, ben mio,[129] ის კი კლავესინზე უკრავდა. შენ საკმაოდ უგულოდ მღეროდი. მე კი, პირიქით, ეშხზე ვიყავი: ვიდექი კლავესინზე ხელჩამოდებული და ფრიად პათეტიკურ მომენტში, როცა მეც კი დამეუფლა მღელვარება, იმ ხელზე მან კოცნა აღბეჭდა, და ჩემი გულიც გაეხმიანა ამ კოცნას. მე მაინცდამაინც კარგად ვერ ვერკვევი სატრფიალო კოცნათა საქმეში და მხოლოდ ის ძალმიძს ვთქვა, რომ არც ერთ მეგობრობას, თვით ჩვენი მეგობრობის მსგავსსაც კი, არასოდეს გაუცია და არ მიუღია ასეთი ამბორი. ასე და ასე, ჩემო კარგო, როგორ ფიქრობ, რა მოსდის ქალს ასეთი წუთების შემდეგ, როცა იგი ცდილობს მარტოკამ

[129] „მოვდივარ სასიკვდილოდ, ჩემო ძვირფასო“ (იტალ).

მისცეს თავი ოცნებას და თანვე ამაღელვებელი მოგონებებითაა დატვირთული? მე კი შევწყვიტე ეს იდილია, მოვითხოვე საცეკვაო და ვაიძულე ფილოსოფოსი ეცეკვა; შემდეგ ვივახშმეთ თითქმის ღია ცის ქვეშ, ნაშუაღამევამდე ვუსხედით სუფრას, ლოგინში ძალზე დაღლილ-დაქანცული ჩავწექი და დილამდე მკვდარივით მეძინა.

ამრიგად, ყოველნაირი საფუძველი მაქვს იმისათვის, რათა არ მოვიშხამო გუნება და არ შევიცვალო ჩემი წეს-ჩვეულება. ის წუთი, როცა ეს ცვლილება აუცილებელი გახდება, უკვე ისეა მოახლოებული, რომ განა ღირს კი მისი წინასწარ განჭვრეტა? ძალიან მალე დამიდგება სიცოცხლის ჟამი, როცა ქალს მართებს იყოს კეთილგონიერი და თავდაჭერილი, ხოლო სანამ ჯერ ისევ ოციდან ვითვლი წელთა ანაგრიშს, უნდა ვისარგებლო ჩემი უფლებებით; ოცდაათის შესრულების შემდეგ საყვარელი ცუგრუმელა ხომ ჟამგადასულ ყეყეჩ დედაკაცად იქცევა, თავს ძალით რომ იახალგაზრდავებს, და შენმა განმსჯელმა მეუღლემ ტყუილუბრალოდ როდი ინება თქმა, რომ მე ჯერ კიდევ ექვსი თვე დამრჩენია „თითებით სალათის ჭამისათვის“. მაშ, დამაცადეთ! ამ დაცინვის სამაგიეროდ სალათს ექვს თვეს კი არა ვჭამ ხელით, არამედ ექვს წელიწადს, და შენს ქმარს ძალაუნებურად მოუწევს ამ სალათის შეჭმა. მაგრამ საქმეს მივხედოთ.

უკეთუ არ ძალგვიძს ჩვენი გრძნობების მოთოკვა, ჩვენი საქციელის ალაგმვა ხომ ჩვენს ხელთაა. რასაკვირველია, მზადა ვარ შევთხოვო ზენას უფრო მეტი სულიერი სიმშვიდე, ოღონდ როგორ მინდოდა ჩემი სიკვდილის ჟამს წარვმდგარიყავი ჩვენი უზენაესი მსაჯულის წინაშე ისეთივე უბიწო ცხოვრებით აღსავსე, როგორიც იყო იგი წლევანდელ ზამთარში. მართლაცდა, მე ხომ ვერაფერს დავაყვედრებ ჩემს თავს იმ ადამიანთან ურთიერთობის გამო, ვისაც ერთადერთს შეეძლო ჩემი შემცოდედ გადაქცევა, მაგრამ მისი წასვლის შემდეგ, ძვირფასო, ვითარება შეიცვალა; განშორებული, მივეჩვიე მის გამო ფიქრს, ვფიქრობ მასზე დღითა და ღამით, ყოველ წამს განვიცდი, რომ მისი ხატება უფრორე სახიფათოა, ვიდრე თავად იგი. როცა შორს იმყოფება, – მიყვარს იგი, როცა ახლოსაა – მხოლოდ ვცელქობ; დაე, დაბრუნდეს, მისი აღარ მეშინია.

მასთან განშორებული ვდარდიანობ, და ამ ურვა-წუხილს კიდევ ზედ ერთვის შეშფოთება იმ სიზმრის გამო, მას რომ ეზმანა. უკეთუ მთელ ჩემს მჭმუნვარებას სიყვარულს მიაწერ, მაშინ ცდები: შენ დაივიწყე მეგობრობა. ჩვენი მოგზაურობის წასვლის შემდეგ ისეთი ფერმკრთალი იყავი, ისეთნაირად შეიცვალე, რომ სულ ვფიქრობდი: ავად გახდა, საცაა ლოგინში ჩაწვება-მეთქი. ცრუმორწმუნე როდი ვარ, მაგრამ მოშიშარი კი გახლავარ. კარგად მესმის, რომ სიზმრები არ შეიძლება იყოს ჩვენი ცხოვრების მოვლენათა მიზეზი, ოღონდ ყოველთვის ვშიშობ – ვაითუ მათ შემდეგ რაღაც მოხდეს-მეთქი. ამ წყეული სიზმრის გამო ერთი ღამეც არ მძინებია დამშვიდებით, სანამ არ დავრწმუნდი, რომ უკვე მომჯობინდი და ფერი მოგივიდა. უკეთუ თავად მეც კი, ჩემდა უნებურად, რაღაც საეჭვო ინტერესით წამეკითხა სენ-პრეს ამ ჯირითის ამბავი, უსათუოდ ყველაფერს დავთმობდი ამქვეყნად, ოღონდ ერთი თვითონ დაგვნახვებოდა, როცა რეგვენივით უკანვე მოფრინდა კლარანში. მაგრამ ყველა ჩემი შიშნეულობა გაიფანტა, როცა გამოკეთება დაგეტყო, შენმა ჯანმრთელობამ, შენმა მადამ უფრო მეტად დამაშოშმინეს, ვიდრე შენმა ლაღობამ: ისე მარჯვედ ხმარობდი მაგიდასთან დანა-ჩანგალს, რომ მთელი შიში უმალ გამიქარწყლდა. და აი, ჩვენი ბედნიერების დასაგვირგვინებლად სენ-პრე ბრუნდება – ეს ამბავი ყოველმხრივ სასიამოვნოა. მისი დაბრუნება არამცთუ მაღელვებს, პირიქით, მაშოშმინებს, და როგორც კი დავინახავთ მას, უკვე აღარ მექნება შიში არც შენი სიცოცხლის გამო და არც ჩემი სიმშვიდისათვის. დაო, შემინარჩუნე დობილი, ხოლო შენი დობილის დარდი ნუ გექნება, – სანამ შენ ცოცხალი ხარ, მე არაფერი წამეკიდება. ოღონდ, ღმერთო ჩემო, ეს რა მომდის? აბა, ისევ რად მაღელვებს ყოველივე ეს? თავად აღარ ვიცი, რად მეკუმშება გული. აჰ, ჩემო ბავშვო, ნუთუ ოდესმე ერთ-ერთი ჩვენგანი მეორეზე

მეტხანს იცოცხლებს? ვაი მას, ვისაც ესოდენ სასტიკი ხვედრი რგებია! მისი სიცოცხლე ნაკლებად იქნება ღირსი ამ სახელისა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, – აქ დარჩენილი სიკვდილამდე ადრე დატოვებს წუთისოფელს.

აბა, მითხარი, გეთყვა, რა საბაბით გავამრავლე ეს სულელური ვაი-ვიში? შორს ჩემგან მტანჯველი შიშნეულობა, სადაც კეთილგონიერების ნიშან-წყალიც კი არა ჩანს. რად უნდა ვილაპარაკო სიკვდილის გამო? ვილაპარაკოთ, ვისაუბროთ ქორწილზე, ეს უფრო სამხიარულო ამბავია. ჩემი გათხოვების აზრი უკვე დიდი ხანია მოეგუნება შენს ქმარს, ხოლო იგი რომ არა, თავად ვერასოდეს მოვისაზრებდი ამას. ჩემი და მისი საუბრის შემდეგ ზოგჯერ გამიელვებდა ხოლმე გუნებაში ასეთი ამბავი, ოღონდ უმალვე ზიზღით ვიცილებდი თავიდან. ფუი! მეორეჯერ გათხოვება აბერებს ახალგაზრდა ქვრივს, და მეორედ ქორწინების დროს შვილები რომ მეყოლოს, ანრიეტას ბებიად ჩავთვლიდი თავს, შენ კი როგორ იქცევი! ოი, რა გულკეთილი ხარ! რა თავგამოდებით უფრთხილდები შენი დობილის ღირსებას და, როცა ამრიგად გსურს მისი ბედ-იღბლის მოგვარება, გინებს მადლობა გითხრას შენი მზრუნველობისა და უმაგალითო გულმოწყალეობის გამო. არა, დაიცა, დაგიმტკიცებ, რომ ყველა საბუთი, რასაც ემყარება შენი მართებული გარჯა და ფუსფუსი, ვერაფერს გააწყობს მეორედ ქორწინების საწინააღმდეგოდ მიმართულ ჩემს უმცირეს არგუმენტებთან.

მოვილაპარაკოთ სერიოზულად. მე ისე სულმდაბალი არსება როდი გახლავარ, მეორედ ქორწინების „მომხრე“ და „წინააღმდეგ“ საბუთთა რიგს რომ მივაკუთვნო მარტო ჩემს მიერ ნაკისრ გაბედულ ვალდებულებათა უარყოფის სირცხვილი, ანდა იმის შიში, ვაითუ ადამიანებმა გამკიცხონ ამ მოვალეობის შესრულებაზე უარის თქმის გამო-მეთქი, ანდა ქონებრივი უთანასწორობისათვის, როდესაც მთელი სახელი და ღირსება იმ მექორწინის მხარეზეა, რომელსაც მეუღლე თანახმა გაუხდება, მისი ავლა-დიდებით გაბედნიერდეს. აღარ გავიმეორებ იმ ამბავსაც, თუ რაოდენჯერ გამცნე შენ, დამოუკიდებელი ხასიათის პატრონი ვარ და დაბადებიდანვე მძულს ცოლმქრობის უღელი-მეთქი. შევჩერდები მხოლოდ ერთ სადავო საკითხზე: ამას მიკარნახებს უწმინდსი გრძნობა, რასაც მთელ დუნიაზე ასე არავინა სცემს პატივს, როგორც შენ. გააბათილე ეს საბუთი, ჩემო დაო, და უმალვე ფარ-ხმალს დავყრი. მთელი ჩემი სიგიჟმაჟის დროს, რაც ასე გაფრთხობდა შენ, ჩემი სინდისი დამშვიდებული იყო. გარდაცვლილი ქმრის მოგონება როდიღა მგვრიდა სირცხვილის ალმურს; მე მთნავდა ჩემი უმანკოების მოწმედ მომეხმო იგი, ანკი რატომ მშინებოდა მის გამო ფიქრისას ის ჩამედინა, რასაც ვაკეთებდი ოდესღაც მის თვალწინ? და განა მასვე განვიცდიდი, ჟიული, უკეთუ დავარღვევდი ჩვენს შემაკავშირებელ უწმინდეს აღთქმას, და გავბედავდი სხვისათვის შემეფიცა სამუდამო სიყვარული, პირველი ქმრისათვის რომ მქონდა შეფიცული? თუკი, უღირსად გავუზიარებდი ჩემს გულს ორივეს, ამით შევბღალავდი განსვენებულის ხსოვნას და მის მემკვიდრეს თუ მივაგებდი ჩემს სიყვარულს, აღარ შემეძლებოდა პირველის აბუჩად აუგდებლად მეორე მეუღლის წინაშე მოვალეობის შესრულება. და სწორედ იმ არსების გახსენება, რომელიც ასე ძვირფასია ჩემთვის, საშინელება იქნებოდა, შემაძრწუნებდა კიდეც და სამარადჟამოდ მომიშხამავდა ბედნიერებას, ხოლო ჩემი სიცოცხლის განმაცხრობელი მოგონებანი ტანჯვა-წამებად გადამექცეოდა. აბა, როგორღა მირჩევ მოვნახო ჩემი განსვენებული ქმრის მაგიერი, როცა თავად შენ ფიცი დადე, ჩემი ქმრის მონაცვლე არასოდეს მეყოლებაო? ნუთუ შენგან მოხმობილი საბუთები უფრო ნაკლებ გამოსაყენებელია შენს მიმართ? ჩემს განსვენებულ ქმარსა და სენ-პრეს უყვარდათ ერთმანეთი? რა გაეწყობა, მით უარესი. რა აღშფოთებით დაინახავდა, რომ მისთვის ძვირფასმა ადამიანმა წარსტაცა უფლებები და მოღალატე გახადა მისი ცოლი! და ბოლოს, მართლაც რომ ისე მოხდეს, მის წინაშე ყოველგვარი მოვალეობისაგან თავისუფალი ვიყო,

მაშინ ნუთუ არავითარი ვალდებულება აღარ გამაჩნია მისი სიყვარულის საწინდრის მიმართ? ძალმიძს თუ არა მჯეროდეს, მეუღლედ ამირჩევდა-მეთქი, უკეთუ ეცოდინებოდა, რომ ოდესმე შეურაცხყოფას მივაყენებდი მის ერთადერთ ქალიშვილს, როცა მეორე ქმრისაგან შეძენილ შვილებში გავრევდი?

მაშ, კიდევ ერთი სიტყვა, და დავამთავრებ. აბა, ვინ გითხრა, რომ ყველა დაბრკოლება მარტოოდენ ჩემგან წარმომავლობს? შენ თავდებობ ადამიანს, ვისაც ეხება ეს საქმე, ოღონდ ხომ არ ღაღადებს ამას უფრო მეტად შენი სურვილი, ვიდრე შენი ძალაუფლება? მისი დასტური მართლაც რომ გჯეროდეს, ნუთუ სავსებით არ იქნებოდა შენთვის სამარცხვინო შემოგეთავაზებინა სხვა ქალისადმი ვნებათღელვით განადგურებული გული? როგორ გგონია, ძალუძს თუ არა ჩემს გულს დაკმაყოფილდეს ამით და შემიძლია თუ არა ვიყო ბედნიერი იმ ადამიანთან, რომლის გაბედნიერებაც ჩემს ძალ-ღონეს აღემატება? დაო ჩემო, კარგად მოისაზრე: მე კვლავ აღარ მოვითხოვ მგზნებარე სიყვარულს, ვინაიდან თვითონვე აღარ ძალმიძს მისი განცდა, ოღონდ ერთი რამ კი მსურს, რათა გაიზიარონ ჩემი გრძნობა, რის გაბოძებაც ჯერ ისევ შემიძლია, და ჩემი დედაკაცური სიამაყე ვერ შეურიგდება იმ ამბავს, არ მოვწონვარ ჩემს ქმარს-მეთქი. მითხარი, რა საფუძველი გაქვს, იმედი რომ იქონიო? მე და მას საკმაოდ გვსიამოვნებს ერთმანეთის ხილვა, ოღონდ, ხომ შესაძლოა, ამის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ მეგობრობა რომ იყოს? ჩვენს ასაკში წუთიერი გატაცება იმის გამოც წარმოიქმნება, რომ მე და ის სხვადასხვა სქესის არსებანი ვართ. განა ეს საკმარისი საფუძველია თქვენი გეგმებისათვის? ხოლო, თუ გატაცება მტკიცე გრძნობად გადაიქცა, მაშინ რატომ არაფერი გვითხრა ამის გამო არა მარტო მე, არამედ არც შენ, არც შენს ქმარს, თუმცა თავად ვოლმარი ასეთ სიტყვებს ყველაზე კეთილმოსურნე ადამიანის თვალით შეხედავდა. დიახ, რატომ არაფერი უთხრა ვინმეს სენ-პრემ? როცა პირისპირ დარჩენილი ვსაუბრობდით, მარტოოდენ შენ გამო გვქონდა ლაპარაკი. ხოლო განა თქვენი საუბრების დროს ერთხელ მაინც თუ ახსენეთ ჩემი სახელი? და განა ძალმიძს გულში გავივლო, რომ მას მოეპოვება ძნელზე ძნელად დასაფარავი საგულისგულო საიდუმლო-მეთქი? ხომ აუცილებლად შევამჩნევდი მის შეცბუნებას, მოკრძალებას, და ნუთუ ოდესმე არ წამოსცდებოდა გაუფრთხილებელი სიტყვა? ხოლო მისი გამგზავრების შემდეგ ვის გამო უფრო მეტს ლაპარაკობს წერილებში, ვინ უშფოთებს ძილსა და მოსვენებას? მართლაცდა მაკვირვებს შენი ამბავი! შენ მგრძნობიარე და ნაზ არსებად მიგაჩნივარ, ხოლო რად არ იფიქრე, რომ ყველაფერ ამას ჩემს თავს ვეტყოდი? სამაგიეროდ, მშვენივრად ვხედავ თქვენს ცუღლუტობას, ჩემო საყვარელო. იმისათვის, რომ დასჯისა და პატიების უფლება გქონდეთ, თქვენ, ჩემო ძვირფასო, მარწმუნებთ, ოდესღაც შენი გული გადავარჩინეო, რისთვისაც ჩემი საკუთარი გული მსხვერპლად გავიღეო. ასეთი ხრიკებით თვალს ვერ ამიბამთ.

აი, მთელი ჩემი აღსარება, ჩემო დაიკო. მინდოდა მხოლოდ თვალი ამეხილა შენთვის, ხოლო, რომ გეურჩო, ეს სრულიადაც არა მსურს. ისღა მშთენია, განგიცხადო, რა გზას დავადექი. ახლა ჩემებრ კარგად, – და იქნებ ჩემზე უკეთაც, – იცი ყველაფერი, რაც ხდება ჩემს გულში; ჩემი ღირსება, ჩემი ბედნიერება შენთვის ისევე ძვირფასია, როგორც თავად ჩემთვის, და ვნებათაგან დაცლილ სიმყუდროვეში შენი გონება უკეთ დაგანახვებს, სად უნდა ვეძებო ღირსებაც და ბედნიერებაც. წარმართე ამიერიდან ყოველი ჩემი საქციელი და სავსებით შენი მოიმედე ვარ. თითოეული ჩვენგანი დაუბრუნდეს ჩვენთვის ჩვეულ გარემოებას, – მხოლოდ შევცვალოთ როლები, – მაშინ ორივენი უფრო ადვილად დავაღწევთ თავს შემაჭირვებელ მდგომარეობას. მექმენ მფარველად, მორჩილი გაგიხდები. უნდა მიმითითო, როგორ მოვიქცე, მე კი უნდა შევასრულო შენი ნება-სურვილი. შეივრდომე სული ჩემი შენს სულთან, აბა, რად უნდა ჰქონდეთ ორი ცალ-ცალკე სული განუყრელ დობილებს?

აჰ, მართლა, ახლა მივმართოთ ჩვენს მოგზაურებს; მაგრამ იმდენი ვილაპარაკე ერთ-ერთი მათგანის გამო, რომ ვერ გავბედავ მეორეზე ხმის ამოღებას, – ვშიშობ, ვაითუ მეტისმეტად შესამჩნევი იყოს სტილის სხვაობა და ჩემმა მეგობრულმა განწყობილებამ ინგლისელის მიმართ დაადასტუროს მეტისმეტად დიდი სიამტკბილობა ვინმე შვეიცარიელის მიმართ-მეთქი. მერედა რა შეიძლება ითქვას წერილთა გამო, რომელთათვის თვალიც კი არ მომიკრავს? აბა, რად არ გადმომიგზავნე თუნდაც მილორდ ედუარდის წერილები? რასაკვირველია, ვერ გაბედე ამის ჩადენა მეორე უსტარის დაურთველად, და სწორადაც მოიქეცი. ოღონდ, კიდევ უკეთესი საქმის გაკეთება შეგეძლო... აჰ, გაუმარჯოს ოცი წლის დუენიებს, – ისინი უფრო დამჯერნი არიან, ვიდრე ოცდაათი წლისანი.

და აი, რომ დაგსაჯო, უნდა გიამბო, რაც ჩაიდინე შენი უებრო თავდაჭერილობით. შენ ამიძულე მემკითხავა, თუ რა იყო წერილში... სწორედ იმ წერილში... და ასგზის მეტი წარმომედგინა, ვიდრე არის სინამდვილეში. შენზე გამწყრალი, ჩემდა სანუგეშოდ ვთხზავ ისეთ ამბებს, რის გამოც იქ კრინტიც კი არაა დაძრული. აბა, მაცალე, და უკეთუ ამ წერილში არ მაღმერთებენ, ძვირად დაგიჯდება ასეთი იმედის გაცრუება.

მართლაცდა, არც კი მესმის, როგორ ბედავ ლაპარაკს იტალიიდან გამოგზავნილ შიკრიკზე. გინდა დამიმტკიცო, რა არის ჩემი დანაშაული, – ის კი არა, შიკრიკს რომ აღარ დაველოდე, არამედ ის, არც ისე დიდხანს რომ ველოდი მას. კიდევ რაღაც თხუთმეტიოდე წუთი ლოდინი, და შეიძლებოდა შევხვედროდი მას, პირველი დავუფლებოდი პაკეტს და ყველაფერი თავისუფლად წამეკითხა. აი, მაშინ დადგებოდა ჟამი ყოყოჩობისა. აჰ, კატა ვერ შესწვდა ძეხვსაო! თქვენ ინებეთ ორი წერილის დაკავება, მაგრამ მე მაქვს ორი სხვა, და გინდ დაიჯერე და გინდ არა, მე კი იმ დაკავებულ წერილებზე მათ არასდიდებით არ გავცვლი. შენს თავსა ვფიცავ, რომ ანრიეტას წერილი არამც თუ შეედრება შენს წერილს, არამედ აღემატება კიდეც, და ვერც მე და ვერც შენ მთელ სიცოცხლეში ვერასოდეს დავწერთ ასეთ საუცხოო წერილს. ჩვენ კი ნებას ვაძლევთ თავს, ამ პაწაწინა საკვირველებას თავხედი გოგონა ვუძახოთ. ცხადია, ასე შური გვალაპარაკებს, მხოლოდ და მხოლოდ შური. წარმოგიდგენიათ ასეთი ამბავი? განა ოდესმე დგახარ მის წინაშე დაჩოქილი და გულდამშვიდებით ეამბორები ხან ერთ, ხან მეორე ხელზე? და სწორედ შენი მეოხებით გახდა იგი ყოვლადწმინდა ქალწულივით თავმდაბალი, და კატონივით მკაცრი, პატივსა სცემს უკლებლივ ყველას, თვით თავის დედილოსაც და თითქოს შეუძლებელია დასცინო მის სიტყვებს, ამას მხოლოდ მის ბატიფეხურ ნაწერს თუ მივაგებთ. ასე და ასე, რაკი მე აღმოვაჩინე ეს ახლადმოვლენილი ტალანტი, ამიტომაც სანამ არ გაგიფუჭებია მისი წერილები, როგორც მისი ზეპირი ლაპარაკი, იმედი მაქვს, გავაბა საფოსტო კავშირი ჩემსა და მის ოთახს შორის; და სწორედ აქ ვერავინ გაბედავს წერილების ხელში ჩაგდებას, ისე როგორც, იტალიური ფოსტიდან.

მშვიდობით, დაიკო. იმედია, ჩემი პასუხი გასწავლის პატივი მიაგო ჩემს განახლებადს გავლენას. მინდოდა მოგლაპარაკებოდი აქაური კუთხისა და მისი მცხოვრებლების გამო, მაგრამ დროა დავამთავრო ფოლიანტი ესე, თანაც, თავგზა ამიბნიე შენი ფანტაზიებით, – შესაძლებელი ქმრის გამო თითქმის დავივიწყე ჩემი პატრონები. მაგრამ არაფერია, აქ ხუთ-ექვს დღეს კიდევ დავყოფ და მოვასწრებ უკეთ დავათვალიერო ყოველივე, რაც წარმოსდგა ჩემთან თვალთა წინაშე, და მაშასადამე, შენ არაფერსაც არ დაკარგავ, უკეთუ ცოტას დაიცდი. შეგიძლია იმედი იქონიო, რომ მიიღებ გამომგზავრებამდე მოწერილ მეორე ფოლიანტსაც.

III წერილი

მილორდ ედუარდისაგან ბ-ნ დე ვოლმარისადმი

არა, საყვარელო ვოლმარ, თქვენ როდი შემცდარხართ: შეიძლება დაენდოთ ჩემს ახალგაზრდა თანამგზავრს, მე კი სრულიადაც არა, ამის დაჯერება მეც ძალზე ძვირად დამიჯდა. სენ-პრეს უმისოდ დავიღუპებოდი, ვერ ავიტანდი განსაცდელს, მაშინ როდესაც თვითონ ღირსეულად გაუმკლავდა იმ გაჭირვებას, რომელშიც ჩავაყენე. ჩემს მიმართ მისი მადლიერების გრძნობისა და იმის გამო, რომ ახალ-ახალი საზრუნავით განმემსჭვალა მთელი მისი არსება, ვცდილობდი ჩვენი მოგზაურობისათვის უფრო დიდი მნიშვნელობა მიმეცა, ვიდრე ჰქონდა მას ჩემთვის სინამდვილეში. ყველაფერი ეს მოვიმოქმედე მხოლოდ იმიტომ, რათა ავყოლოდი წინანდელ გულისთქმათ, ერთხელ კიდევ დავმორჩილებოდი ადრინდელ ჩვეულებას და სენ-პრესათვის ის ჩამედინა, რაც მისთვის სასარგებლოდ მიმაჩნდა. ჩემი ახალგაზრდული წლების მიდრეკილებათა გამოთხოვება, სავსებით განკურნებულ მეგობართან ერთად დაბრუნება, – აი, რა იქნებოდა ჩვენი მოგზაურობის სასურველი შედეგი.

მე გწერდით, თუ როგორ შემაშინა სიზმარმა, ვილნევში სენ-პრეს მოსვენებას რომ არ აძლევდა. ამ ზმანებათა გამო საეჭვოდ მომეჩვენა ის აღტაცებული სიხარული, მან რომ განიცადა, როცა ჩემგან გაიგო, თქვენი შვილების აღზრდისა და თქვენსას სამუდამო ცხოვრების უფლება რომ ეძლეოდა. უფრო უკეთ რომ დავკვირვებოდი გულახდილი საუბრის დროს, მინდოდა კიდეც ერთბაშად აღმეკვეთა ყველა სიძნელე და მეთქვა მისთვის, ჩვენი მეგობრობა ვერ დააბრკოლებს ბ-ნი ვოლმარის გეგმის განხორციელებას- მეთქი. მაგრამ მომიხდა სულ სხვა გადაწყვეტილების მიღება და სხვა ენით ალაპარაკება.

სამჯერაც კი ვერ მოასწრო მარკიზას დანახვა, რომ მე და მას სავსებით ერთსულოვანი აზრი შეგვექმნა იმ ქალის გამო. თავისდა საუბედუროდ, ქალი ცდილობდა სენ-პრეს მოხიბვლას, მაგრამ ვერა გააწყო რა. ტყუილუბრალოდ კი გადაუშალა თავისი ფანდები. რა ბედკრული ვინმეა! რაოდენი მაღალი თვისება აქვს – და სათნოება კი არ გააჩნია, რაოდენი სიყვარული მოეპოვება – ხოლო ღირსებას მოკლებულია. მისი გულწრფელი და მგზნებარე ვნება გულს მიჩქროლებდა მე და იწვევდა ჩემს საპასუხო გრძნობას; მაგრამ ეს ვნება იღებდა მარკიზას შავბნელი სულის ელფერს და ბოლოსა და ბოლოს, უსაშველო შიში აღმიძრა. მის სიყვარულზე ლაპარაკიც კი აღარ შეიძლებოდა.

როდესაც სენ-პრემ დაინახა ლაურა და ახლოს გაიცნო იგი, დააფასა არა მარტო მისი სილამაზე, არამედ გულიც, ჭკუაც, ჩემს მიმართ ამ ქალის უმაგალითო თავდადებული სიყვარულიც, ქალისა, ვინაც თითქოსდა იმიტომ იყო გაჩენილი, რომ ჩემთვის ბედნიერება მოენიჭებინა; და მეც ვისარგებლე შემთხვევით, რათა გამომერკვია ჩემი მეგობრის სულიერი მდგომარეობა. „უკეთუ ცოლად შევირთავ ლაურას, – ვუთხარი მას, – სრულიადაც არ ვფიქრობ მის ლონდონში წაყვანას, სადაც ვინმეს შეუძლია მისი ცნობა; განზრახული მაქვს მასთან ერთად დავესახლო ისეთ ადგილას, სადაც ადამიანებს ძალუძთ პატივი მიაგონ ყოველი ადამიანის სათნოებას, ვისაც კი ეს მოეპოვება, თქვენ კი შეუდგებით იქ თქვენი ვალდებულებების შესრულებას, და ჩვენც წინანდებურად ერთად ვიცხოვრებთ. ხოლო უკეთუ გადავიფიქრებ და ვერ გადავწყვეტ ლაურას შერთვას, მაშინ ყველას უნდა ჩამოვშორდე. თქვენ იცით ჩემი სახლი ოქსფორდში, და აი, იქ მოგიხდებათ არჩევანის გაკეთება: აღზრდით თქვენი მეგობრის ბავშვს, თუ წაჰყვებით მეორე მეგობარსა და გაიზიარებთ მის განმარტოებით ყოფნას“. სენ-პრემ ისეთი პასუხი გამცა, როგორსაც მოველოდი, ოღონდ მინდოდა დამენახა, როგორ მოიქცეოდა: ხელს შეუწყობდა ჩემს

ქორწინებას იმის გამო, კლარანში რომ ეცხოვრა, წინ აღუდგებოდა ამ საკიცხარ ქორწილს, თუ ამ საჩოთირო ვითარებისას საკუთარ ბედნიერებას თავისი მეგობრის კეთილ სახელს ანაცვალებდა. ერთსა და მეორე შემთხვევაშიც ვამოწმებდი და შემეძლო მისი გულის განსჯა.

სენ-პრემ ჯერ ისე მომაჩვენა თავი, როგორიც მინდოდა დამენახა: სასტიკად წინ აღუდგა ჩემს მიერ განზრახულ გულისწადილს, მოიშველია ყოველგვარი საბუთი, რასაც ხელი უნდა შეეშალა ლაურას ქორწინებისათვის. მე სენ-პრეზე უკეთ ვგრძნობდი, რამდენად მართებული იყო ეს საბუთები, მაგრამ მუდმივად ვიმყოფებოდი ლაურასთან, ვხედავდი მის წუხილსა და სინაზეს. ჩემმა გულმა სავსებით უკუაგდო მარკიზა, სამაგიეროდ შევეთვისე ლაურას და ხშირ-ხშირად ვხვდებოდი მას. მის გრძნობებში ამოვიკითხე ის, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა ჩემი სიყვარული, მერცხვინებოდა მსხვერპლად მიმეტანა იგი ხალხის საძულველი მითქმა-მოთქმისათვის და დამკარგოდა ლაურას ღირსებათა პატივისცემა; და განა-თუ არ მაკისრებდა ვალდებულებებს იმედი, რაც მას შთავაგონე, თუ სიტყვებით არა, ჩემი მზრუნველობით მაინც? მე არაფერსაც არ დავპირებივარ, ოღონდ განა არ მოვატყუებ, თუ ოდნავ მაინც არ გავამართლებ მის იმედს? ეს ბარბაროსული გულქვაობა იქნებოდა. ერთი სიტყვით, საგულისგულო მიდრეკილებას თან დაემატა მოვალეობის თავისებური გრძნობაც და, როცა უფრო ჩემს ბედნიერებაზე ვზრუნავდი, ვიდრე კარგ სახელ-დიდებაზე. საბოლოოდ გონებითაც შევიყვარე ლაურა; გადავწყვიტე, ფრთა არ შემეკვეცა მისი ოცნებებისათვის, ისიც კი მინდოდა, ხორცი რომ შეესხათ ამ ოცნებებს, უკეთუ უსამართლობის ჩაუდენლად შეუძლებელი იქნებოდა მდგომარეობიდან თავის დაღწევა.

მაგრამ ძალზე მაშინებდა ჩვენი ყმაწვილკაცი, – ვხედავდი, რომ სრულიადაც ვერ ასრულებდა ნაკისრ როლს. მართალია, წინააღმდეგი იყო ჩემი განზრახვისას და ჰკიცხავდა ჩემს შემბოჭველ კავშირს, მაგრამ უგერგილოდ ებრძოდა ჩემს ახლადჩასახულ მიდრეკილებას: ესოდენ აქებდა და ხოტბას ასხამდა ლაურას, რომ უფრო აძლიერებდა ჩემს ლტოლვას მის მიმართ, – მას კი ეგონა, ამით დამიყოლიებდა და უარს ვიტყოდი ქორწინებაზე. ასეთმა საპირისპირო ვითარებამ ამაფორიაქა, მივხვდი, რომ სენ-პრე მტკიცე ხასიათის ადამიანი ვერ იყო. თითქოსდა, ვერ გაებედა თავს დასხმოდა ჩემს გრძნობას, ფარ-ხმალსა ჰყრიდა, როცა ჩემგან წინააღმდეგობას წააწყდებოდა, ეშინოდა ჩემი განრისხებისა და მეგონა, თავისი მოვალეობის აღსრულებისას ვერ იჩენდა იმ სიმამაცეს, რასაც მეგობრის სიყვარული ანიჭებს ადამიანს.

მე სხვაც ბევრი რამ შევნიშნე, რამაც გააძლიერა ჩემი უნდობლობა; გავიგე, რომ ჩუმად ხვდებოდა ლაურას; შევამჩნიე, ერთმანეთს რაღაცას რომ ანიშნებდნენ, რაც ღაღადებდა ურთიერთგაგებას. იმედი მასთან შეუღლებისა, ვინც ესოდენ უყვარდა მას, თითქოსდა, არც კი ახარებდა ლაურას. მის თვალთა სიღრმეში კვლავინდებურად შეამჩნევდი სინაზეს, ოღონდ ჩემს ახლო ყოფნისას ამ სინაზეს არ ახლდა სიმხიარულე, – იგი ყოველთვის მოწყენილი იყო; ვამჩნევდი, რომ ხშირ-ხშირად, როცა ფრიადის სიამტკბილობით გადამიშლიდა გულს, მალულად გადახედავად სენ-პრეს, მასთან ერთად თვალზე ცრემლები ადგებოდა, მაგრამ ცდილობდა ჩემგან მათ დაფარვას. ერთი სიტყვით, ისე უცნაურად იქცეოდა, რომ მეტისმეტად ავფორიაქდი.

როგორ არ უნდა გამკვირვებოდა? აბა, ერთი თვითონვე განსაჯეთ. რა უნდა მეფიქრა? ნუთუ გველის წიწილი შევიკედლე-მეთქი? რა არ ვიფიქრე ამ ეჭვიანობის ჟამს! მზად ვიყავი კიდეც ისევე უმართებულოდ დამედო ბრალი მისთვის, როგორადაც ოდესღაც მანვე დამადანაშაულა. უსუსურო, საცოდავო არსებანო, თავადვე ვართ ჩვენი უბეედრების მიზეზნი! აბა, რად უნდა ვჩიოდეთ, ბოროტი და გულქვა ადამიანები გვტანჯავენო, უკეთუ კარგებიც განაწამებენ ერთმანეთს!

ყოველივე ეს მაქეზებდა გადამწყვეტი ნაბიჯის გადასადგმელად. თუმცა ვერც კი ვხვდებოდი ამ ინტრიგის მნიშვნელობას, მაგრამ კარგად ვხედავდი, ლაურას გული რომ არ შეცვლილიყო, და ამ გამოცდის შემდეგ კიდევ უფრო ძვირფასი გახდა ჩემთვის. საბოლოო დასკვნის მიღებამდე გადავწყვიტე მოვლაპარაკებოდი, ოღონდ მინდოდა რაც შეიძლება, გამეჭიანურებინა ეს საქმე და ჯერ ყველაფერი გამომერკვია. ხოლო სენ-პრეს მიმართ გადავწყვიტე თავად დავრწმუნებულიყავი და მემხილა იგი, – ერთი სიტყვით, ყველაფერი დამედგინა ბოლომდე მანამ, ვიდრე ვეტყოდი რამეს, ანდა განვიზრახავდი, ვინაიდან წინასწარ ვჭვრეტდი საბოლოო განხეთქილების შესაძლებლობას და ვშიშობდი, ვაითუ ჩემმა ეჭვებმა გადაძალოს ყველაფერს, რაც მისმა კეთილშობილურმა ბუნებამ და ხანგრძლივ წელთა უმწიკვილო მეგობრობამ მარგუნა-მეთქი.

მარკიზასათვის ცნობილი გახდა ჩვენს შორის მომხდარი ამბავი. მას თავისი მსტოვრები ჰყავდა ლაურას მონასტერში და მოახერხა კიდეც გაეგო, ქორწინების საკითხი რომ წამოვჭერით. ეს სავსებით საკმარისი იყო, რათა უსაზღვრო ღვარძლი აღძვროდა, და მუქარის გამომხატველი წერილების წერას მოუხშირა. მალე სიტყვიდან საქმეზე გადავიდა, ოღონდ, რადგან ასეთი ამბის მოწმე ბევრჯერ ვიყავით, ახლა სიფხიზლეს ვიჩენდით და ყოველი მისი ჩალიჩობა ამაო აღმოჩნდა. სამაგიეროდ, ჩემდა სასიამოვნოდ, დავინახე, რომ სენ-პრეს შეეძლო მეგობრის გატანა და არ დაზოგავდა თავს ჩემი სიცოცხლის გადასარჩენად.

სიძულვილით გააფთრებული და განადგურებული მარკიზა ავად გახდა და ლოგინიდან უკვე ვეღარ დგებოდა. ბოლო მოეღო მის ტანჯვა-წამებას[130] და ბოროტმოქმედებას. როცა მისი მდგომარეობა გავიგე, გულზე დარდი შემომაწვა. ექიმი ედვინი გავუგზავნე; ჩემი სახელით სენ-პრემაც ინახულა; მარკიზამ არ მოისურვა არც ერთისა და არც მეორის ნახვა; ჩემი სახელის გაგონებაც კი არ უნდოდა, და ყოველთვის, როცა მასთან მახსენებდნენ, საშინელი წყევლა-კრულვით მესხმოდა თავს. მე მაწუხებდა მისი ამბავი და ვგრძნობდი, ძლივძლივობით შეხორცებულ ჭრილობას კვლავ რომ გაეხსნებოდა პირი; გონებამ კვლავ გაიმარჯვა, მაგრამ უკანასკნელი არამზადა ვიქნებოდი, ქორწინება რომ განმეზრახა, როცა წინათ ჩემთვის ესოდენ ძვირფასი ქალი აღსასრულის პირას იყო მისული. სენ-პრე შიშობდა, ბოლოს და ბოლოს, ვაითუ მარკიზას ნახვა მოისურვოსო, და შემომთავაზა, მე და შენ ნეაპოლში წავიდეთო, – და მეც დავთანხმდი.

ჩვენი ჩასვლიდან ერთი დღის შემდეგ იგი გაბედული და მკაცრი სახით შემოვიდა ჩემს ოთახში; ხელში წერილი ეჭირა. მე წამოვიძახე: „მარკიზა მოკვდა, ხომ!“ „ნეტამც ღმერთს ასე ენებოს, – მკვახედ მომიგო მან, – უმჯობესია აღარ ცოცხლობდეს ამ ქვეყანაზე, ვიდრე ადამიანებს სიბოროტე შეამთხვიოს. მაგრამ ახლა მის გამო როდი გვაქვს ლაპარაკი. ერთი კარგად მომისმინე“. უსიტყვოდ შევყურებდი მას.

„მილორდ, – წარმოთქვა მან, – როცა მეგობრის უწმინდესი სახელი მომანიჭეთ, მასწავლეთ კიდეც ამ სახელის ტარება. მე შევასრულე თქვენგნით დაკისრებული მოვალეობა, ახლა კი ვხედავ, რომ თქვენ მზადა ხართ გონი დაკარგოთ, და უნდა გითხრათ: „გონს მოდით!“ თქვენ შეგეძლოთ მხოლოდ სხვა ბორკილთა დახმარებით დაგეწყვიტათ თქვენი ბორკილი. საქმე რომ მარტოოდენ უთანასწორო ქორწინებას ეხებოდეს, მაშინ გეტყოდით კიდეც: ნუ დაივიწყებთ, რომ თქვენ ინგლისის პერი ბრძანდებით, – ხელი აიღეთ სახელ-დიდებაზე, ან არადა პატივი მიაგეთ ხალხის მითქმა-მოთქმას-მეთქი. ოღონდ გაგონილა ესოდენ სამარცხვინო კავშირით თავის შებოჭვა! მერედა ვისგან!.. განა ასეთი მეუღლე შეგფერით? თქვენი რჩეული უნდა იყოს არა მარტო სათნო, არამედ

[130] ამ კრებულში შეტანილი მილორდ ედუარდის წინა წერილიდან ჩანს, რომ მისი აზრით, უკეთურ ადამიანთა სიკვდილით მათი სულიც ისპობა.

უმწიკვლოც. არც ისე ადვილია ედუარდ ბომსტონისათვის ცოლის გამონახვა. აბა, შემომხედეთ, რა ჩავიდინე“.

და წერილი მომაწოდა. წერილი ლაურას გამოგზავნილი იყო. „სიყვარულმა გაიმარჯვა, – ეწერა შიგ, – თქვენ გსურდათ ჩემი ცოლად შერთვა. მე დაკმაყოფილებული ვარ. თქვენმა მეგობარმა გამახსენა, თუ რა არის ჩემი ვალი. დაუნანებლად აღვასრულე იგი. თქვენი სახელის გატეხით მეც უბედური ვიქნებოდი; თქვენი სახელ-დიდების ხელუხლებლად დატოვებით, მე თითქოსდა მისი მონაწილე ვხდები. მთელი ჩემი ბედნიერება მოვალეობას შევწირე მსხვერპლად. საშინელი მსხვერპლია, მაგრამ მავიწყებს ჩემი ყმაწვილობის შემბღალველ შერცხვენას. მშვიდობით. ამიერიდან უკვე აღარა გაქვს ჩემზე ხელი, თავადაც ჩემს თავს აღარ ვეკუთვნი. მშვიდობით სამუდამოდ. ო, ედუარდ! ნუ წარმიკვეთ სასოებას ჩემი განდეგილობის ჟამს. აღმისრულე ჩემი უკანასკნელი სურვილი. ნუ დაუთმობ სხვა ქალს იმ ადგილს, რომლის დაპატრონების უფლებაც მე არ მეგებოდა. გახსოვდეს, იყო ამქვეყნად გული – შენთვის შექმნილი, – გული შენი ლაურასი“.

მღელვარებისაგან ხმა ვეღარ ამოვიღე. სენ-პრემ ისარგებლა ჩემი დუმილით და მითხრა, თქვენი წასვლის შემდეგ ლაურა მონაზვნად აღიკვეცა სწორედ იმ მონასტერში, სადაც თავშესაფარი მისცესო; და როცა რომის კურიამ გაიგო ლაურას განზრახვა, ლუთერანს უნდა გაჰყოლოდა ცოლად, განკარგულება გასცა აეკრძალათ თქვენთვის მისი ნახვაო; და სენ-პრე გულახდილად გამომიტყდა, ყველა ეს ღონისძიება ლაურასთან შეთანხმებით მოვიპოვეო.

„მე როდი ვეურჩებოდი თქვენს გეგმებს ისე გაბედულად, როგორადაც ეს შემეძლო, – მითხრა მან, – ვინაიდან ვშიშობდი რომ მარკიზას დაუბრუნდებოდით, და მინდოდა ახალი სიყვარულით გამექარვებინა თქვენი წინანდელი ტრფიალება. მაგრამ, როცა დავინახე, რომ მეტისმეტად შესტოპეთ, მივმართე გონების საბუთთ, მაგრამ რადგანაც ჩემი საკუთარი შეცდომები უფლებას მაძლევდნენ არ დავნდობოდი მას, მე ჩავწვდი ლაურას გულს, და როცა შიგ დავინახე ჭეშმარიტ სიყვარულთან განუყრელი დიდსულოვნება, მოვუხმე მას, რათა გაეღო ის მსხვერპლი, რომლის მოწამეცა ხართ. იმის რწმენამ, რომ უკვე აღარა გძულთ იგი, განუმტკიცა გამბედაობა და კიდევ უფრო ღირსი გახადა თქვენი პატივისცემისა. მან აღასრულა თავისი ვალი. მაშ, აღასრულეთ თქვენც თქვენი მოვალეობა“.

მომიახლოვდა, მკერდზე მიმიკრა და გრძნობამორევით შესძახა: „მეგობარო, ზენამ მე და თქვენ საერთო ხვედრი გვარგუნა, და ამ ხვედრში ვკითხულობ ჩვენთვის საერთო კანონს. ჟამი ტრფიალებისა დამთავრდა, დაე, მოიწიოს ჟამი მეგობრობისა; ჩემს გულს ახლა მარტოოდენ ამ მეგობრობის უწმინდესი მოწოდებაღა ჩაესმის ყურში და გარდა იმ კავშირისა სხვას არასა სცნობს, რაც მე და შენ გვაერთებს. აღირჩიე თავად, სად უნდა ვიცხოვროთ ორივემ – კლარანში, ოქსფორდს, ლონდონს, პარიზსა თუ რომში, – ჩემთვის სულ ერთია, სად იქნება, მხოლოდ ნუ დავშორდებით კი ერთმანეთს. გაემგზავრე, სადაც მოგესურვოს, ეძიე თავშესაფარი, რომელიც გერჩიოს, იმ მხარეში, ყველგან თან გამოგყვები. უფალი ღმერთის წინაშე საზეიმო ფიცით აღგითქვამ, რომ სიკვდილამდე არ გიღალატებ“.

გული ამიჩქროლდა. ჩემს ახალგაზრდა მეგობარს ალმოდებული გრძნობის ცეცხლით უელავდა თვალები. იმ წუთას მთლად დამავიწყდა მარკიზაცა და ლაურაც. განაღა შეიძლება ამქვეყნად იდარდო რაიმეზე, როცა მეგობარი შეინარჩუნე! სენ-პრემ უყოყმანოდ მიიღო გადაწყვეტილება, და მაშინ დავინახე, რომ ნამდვილად განიკურნა, რომ თქვენი შრომა და ღვაწლი ამაოდ წყალში არ ჩაიყარა; წმინდა გულით აღმითქვა სამუდამოდ დაეკავშირებინა ერთმანეთთან ჩემი და თავისი ბედი; როგორც იქნა, დავრწმუნდი, უფრო სათნოების მონა-მორჩილი რომ იყო, ვიდრე თავის წინანდელ მიდრეკილებათა ამყოლი. ამრიგად, სენ-პრეს მიმართ სრული ნდობით აღჭურვილს,

ძალმიძს მოვიყვანო იგი თქვენთან; დიახ, ძვირფასო ვოლმარ, ეს ყმაწვილკაცი ღირსია პატივისა იყოს ადამიანთა აღმზრდელი და უფრო მეტიც – მისთვის უპრიანია თქვენს სახლში ცხოვრების ბედნიერებაც.

რამდენიმე დღის შემდეგ გავიგე მარკიზას გარდაცვალების ამბავი, – მაგრამ ჩემთვის უკვე დიდი ხანია მკვდარი იყო, და მის დაკრძალვას გული აღარ უტკენია. აქამომდე ქორწინება რაღაც ისეთ ვალდებულებად მიმაჩნდა, რაც დაბადების დღიდანვე კისრად აძევს ყოველ ადამიანს, – მას ვუყურებდი როგორც მოვალეობას ჩემი მოდგმისა და ჩემი ქვეყნის წინაშე; ცოლის შერთვა იმდენად სატრფიალო მიდრეკილებათა გულისათვის კი არ გადამიწყვეტია, რამდენადაც ამ მოვალეობის გამო. შევიცვალე ჩემი მოსაზრება. ცოლის შერთვის ვალდებულება ყველაზე როდი ვრცელდება, ეს საზოგადოებაში იმ მდგომარეობაზედან ჰკიდია, რაიც უჭირავს ადამიანს ბედ-იღბლის ნება-სურვილით; უბირი ხალხისთვის, ხელოსანთათვის, გლეხთათვის, საზოგადოების ნამდვილად სასარგებლო ადამიანთათვის უცოლოდ გადაგება არ ეგების; სხვებზე გაბატონებული წოდებისათვის, სწორედ იმათთვის, საითაც გამუდმებით ეტანება ყველა და რომლებიც მუდამჟამს მეტისმეტად მრავალრიცხოვანი არიან, უქორწინობა დასაშვებია და კიდევაც ჰფერობთ. სხვაგვარად სახელმწიფო დაზარალდება თავის დამაუძლურებელ ქვეშევრდომთა რაოდენობის ზრდის გამო. ადამიანებს მუდამ საკმარისად ეყოლებათ ბატონები, და მალე ინგლისს უფრო არ კმაეყოფა მხვნელ-მთესველები, ვიდრე პერები.

ამრიგად, იმ პირობათა წყალობით, რაც ზენამ მომაგო დაბადებითვე, თავს თავისუფლად ვთვლი და, ასე მგონია კიდეც, უფლება მაქვს განვაგებდე ჩემს სვე-ბედს. ჩემს ასაკში საგულისგულო დანაკლისის ანაზღაურება შეუძლებელია. ამიერიდან თავს შევწირავ ჯერ კიდევ შემორჩენილ მიდრეკილებათ. ძალ-ღონის მოკრებას მხოლოდ კლარანში შევიძლებ. და აი, ვყაბულობ ყოველ თქვენს წინადადებას იმ პირობთ, რომ იქ ჩემი ქონებაც იქნება დაბანდებული, – სხვაგვარად ყოველივე ეს ჩემთვის უსარგებლო გახდება. სენ-პრეს მიერ მიღებულ ვალდებულებათა შემდეგ აღარ გამაჩნია სხვა საშუალება თქვენს ახლოს მის გასაჩერებლად, თუ არა ჩემი დასახლება კლარანში, და უკეთუ ოდესმე იგი ზედმეტი აღმოჩნდება იქ, ამისათვის საკმაო იქნება ჩემი წასვლა. ერთადერთ სიძნელედ რჩება ჩემთვის ზოგჯერ ინგლისში ყოფნის აუცილებლობა, – ვინაიდან თუმცა უკვე არავითარი გავლენით აღარ ვსარგებლობ პარლამენტში, მაინც მისი წევრი ვარ. და, მაშასადამე, ვალდებული ვარ, შევასრულო ჩემი მოვალეობა სიცოცხლის აღსასრულამდე. მაგრამ ჩემს კოლეგებს შორის მყავს საიმედო მეგობარი, ვისაც შემიძლია ვანდო ჩემი ხმა მიმდინარე საქმეებში. ხოლო იმ შემთხვევებში, როცა ჩემს მოვალეობად მივიჩნევ თავად ვესწრებოდე პალატის სხდომებს, ჩვენს მოწაფეს შეუძლია თანვე წამომყვეს ინგლისში და თავის მოწაფეებიანადაც, როცა ისინი წარმოიზრდებიან და თქვენც ინებებთ გვანდოთ მათი თავი. ეს მისვლა-მოსვლა სარგებელს მოუტანს მათ, ოღონდ, დიდი მწუხარება რომ არ მიაყენოს მათ დედას, ამიტომ დიდხანს არ გაგრძელდება.

მე არ მიჩვენებია სენ-პრესთვის ჩემი წერილები, ხოლო თქვენ შეგიძლიათ თქვენს ქალებს უჩვენოთ ისინი, მხოლოდ ყველანი არა; კარგი იქნება, თუ ამ გამოცდის განზრახულობა ყველასათვსი სამუდამოდ საიდუმლოდ დარჩება და მარტოოდენ თქვენთვის იქნება ცნობილი, და ამას გარდა, ნუ დაუმალავთ მათ ნურაფერს ისეთს, რაც სასახელოა ჩემი ღირსეული მეოგბრისათვის, თუნდაც ეს ჩემთვის საზიანოც კი იყოს. მშვიდობით, ძვირფასო ვოლმარ. გიგზავნით ჩემი ფლიგელის გეგმას. გადააკეთეთ ნახაზები, შეცვალეთ როგორც მოგეხასიათოთ, ოღონდ უბრძანეთ ახლავე შეუდგნენ მუშაობას, თუკი ეს შესაძლებელია. მინდოდა უარი მეთქვა მუსიკალურ ოთახზე, ვინაიდან მთელი ჩემი მისწრაფება ხელოვნებათა მიმართ ჩაქრა და კვლავ აღარაფერი აღარ მიტაცებს.

ეს ოთახი სენ-პრეს თხოვნით დავტოვე – მას სურს, ამ ოთახში რომ იმეცადინონ თქვენმა შვილებმა.

გიგზავნით კიდევ რაღაც-რაღაც წიგნებს თქვენი ბიბლიოთეკის შესავსებად. მაგრამ, აბა, რა ახალს იპოვით შიგ? ო, ვოლმარ! თქვენ გმართებთ მხოლოდ და მხოლოდ ბუნების წიგნში ისწავლოთ კითხვა, და მაშინ მოკვდავთაგან ყველაზე ბრძენი თქვენ იქნებით.

IV წერილი

პ ა ს უ ხ ი

როგორ ველოდი თქვენი ხანგრძლივი ფათერაკების დაბოლოებას, ძვირფასო ბომსტონ. ფრიად უცნაური ამბავი კი იქნებოდა, თუკი მედგარი წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ ქედს მოუდრეკდით თქვენს მისწრაფებას სწორედ მაშინ, როცა მხარში თქვენი მეგობარი ამოგიდგათ; თუმცა, მართალი რომ ვთქვათ, ჩვენ ხშირად უფრო უძლურნი ვართ, როცა ვინმეს დავენდობით, ვიდრე მაშინ, როდესაც მარტოოდენ ჩვენი ძალ-ღონის იმედი გვაქვს. ოღონდ გამოგიტყდებით, ძალზე ამაფორიაქა თქვენმა უკანასკნელმა წერილმა, სადაც საბოლოოდ გადაწყვეტილ საქმედ მატყობინებდით ლაურას შერთვის ამბავს. მიუხედავად თქვენი გატაცებისა, მაინც მეეჭვებოდა, და რომ არ მომხდარიყო ის, რასაც ველოდი, ჩემს აღსასრულამდე აღარ ვისურვებდი სენ-პრეს დანახვას. თქვენ ორივემ არ გამიცრუეთ იმედი და სავსებით გამიმართლეთ ყოველივე, რასაც თქვენ გამო ვფიქრობდი; მხოლოდ ისღა მშთენია, ვიმხიარულო, რადგან განგიზრახავთ დაუბრუნდეთ თქვენეულ წინანდელ გეგმებს ცხოვრების მოსაწყობად. მე აღტაცებული ვარ. თქვენ იშვიათი ადამიანები ხართ. ჩამობრძანდით, რათა ჩვენთან ერთად ამრავლოთ და გაიზიაროთ ჩვენს სახლში გამეფებული ბედნიერება. როგორადაც უნდა ვეპყრობოდე საიქიო ცხოვრებისათვის მორწმუნეთა იმედს, ჩემთვის სასიამოვნოა მათთან ერთად გავატარო ამქვეყნიური ცხოვრება, და ვგრძნობ კიდეც, რომ თქვენ ყველანი უფრორე მაამებთ ასეთნი, როგორებიცა ხართ, ვიდრე მაშინ, უკეთუ, თქვენდა საუბედუროდ, ჩემსავით იაზროვნებდით.

სიტყვას მოჰყვა და, უთუოდ გახსოვთ, რასაც გამგზავრებამდე გეუბნებოდით სენ-პრეს გამო. მასზე ჩემი მოსაზრების შესაქმნელად სულაც არ ვსაჭიროებდი მაგ თქვენს გამოცდას. მე უკვე შევამოწმე იგი და, ვგონებ, კარგადაც ვიცნობ მას, რამდენადაც ადამიანი იცნობს თავის მოყვასს. მასთან საკმაო მიზეზიც მომეპოვება დავენდო მის გულს, – იქ მასზე უკეთესი თავდებები გამოინახება. თუმცა თითქოს და აპირებს კიდეც, თქვენი მაგალითისამებრ, უარი თქვას ქორწინებაზე, მაგრამ თქვენ კლარანში, ალბათ, გამოძებნით იმის საფუძველს, რათა გადაათქმევინოთ ის ახირება, როცა დაბრუნდებით, ყველაფერს უფრო მკაფიოდ აგიხსნით.

რაც შეეხება თქვენს მსჯელობას უქორწინობის გამო, მე სავსებით ახლებურად და ფრიად საგულისხმოდ მიმაჩნია განსხვავებანი, რასაც იქ აწესებთ. მზადა ვარ კიდეც სწორად მივიჩნიო ისინი სახელმწიფოში ძალთა თანაფარდობისა და წონასწორობის შესანარჩუნებლად; ოღონდ, მართლაც, აღარ ვიცი, საკმაოდ დამაჯერებელნი არიან თუ არა ეს საბუთები ზნეობრივ პრინციპთა მიხედვით, ძალუძთ თუ არა ადამიანთა განთავისუფლება იმ მოვალეობისაგან, რაიც თავად ბუნებამ დააკისრა მათ. მე მგონია, სიცოცხლე ჯილდოა, რომელსაც ვღებულობთ ვალდებულებებით, რათა სხვებს გადავცეთ იგი, – ეს არის თავისებური სუბსტიტუცია, მემკვიდრეობა, თაობიდან თაობას რომ

გადადის, და ყოველი ადამიანი, რომელსაც ჰყავს მამა, თავის მხრივაც, მამა უნდა გახდეს. აქამდე თქვენც ხომ ამ შეხედულებისა იყავით, და ეს იყო თქვენი მოგზაურობის ერთ-ერთი მიზეზი; მაგრამ კარგად ვიცი, თუ საიდან გაქვთ ეს ახალი ფილოსოფია, ვინაიდან ლაურას წერილში დავინახე საბუთი, რის საწინააღმდეგოდაც თქვენი გული ვერაფერს პოულობს.

ჩვენი პატარა მამიდაშვილი უკვე რვა თუ ათი დღეა თავის ნათესავებთანაა ჟენევაში – იქ საყიდლებისა და სხვა საქმეებისათვის გაემგზავრა. დღე-დღეზე ველით მის დაბრუნებას. თქვენი წერილიდან ჩემს მეუღლეს გადავეცი ყველაფერი, რის ცოდნაც მისთვის ჯერ არს. ბ-ნ მიოლისაგან უკვე გავიგეთ, რომ თქვენი დანიშვნა ჩაიშალა, ოღონდ ჟიულიმ არ იცის, რა როლი ითამაშა სენ-პრემ ამ საქმეში. დარწმუნებული იყავით უდიდეს სიხარულს მიანიჭებს ყველაფერი, რასაც კი სენ-პრე ჩაიდენს, რათა სიკეთე მოგაგოს ყოველგვარი თქვენი წყალობის გამო და გაამართლოს თქვენი პატივისცემა. მე ვუჩვენე ჟიულის თქვენი ფლიგელის გეგმა, და ფიქრობს, ყველაფერი დიდი გემოვნებითაა მოფიქრებული; ოღონდ მოგიხდებათ ზოგი რა შეცვალოთ, როგორც ამას მოიხდენს ადგილმდებარეობა; ამ ცვლილებათა გამო თქვენი საცხოვრებელი მხოლოდ და მხოლოდ უფრო მოხერხებული იქნება; უეჭველია, მათ მოიწონებთ. მშენებლობას არ დავიწყებთ, სანამ კლარას არ მოველაპარაკებით, – ხომ იცით, უმისოდ ჩვენთან არაფრის გაკეთება არ ეგების. ჯერჯერობით კი ხალხი დავაყენე სამუშაოდ და, იმედი მაქვს, დაზამთრებამდე კალატოზები უკვე ბევრის გაკეთებას მოასწრებენ.

მადლობას გწირავთ წიგნებისათვის; ოღონდ მე იმ წიგნებსაც კი არ ვკითხულობ, რომლებიც მესმის, ხოლო ჩემთვის გაუგებარ წიგნთა კითხვის სწავლა უკვე ძალზე მოგვიანებულია. მაგრამ არც ისეთი უმეცარი გახლავართ, როგორც თქვენ გგონიათ. ჩემი აზრით, ადამიანის გული – აი, ბუნების ნამდვილი წიგნი, და თქვენს მიმართ ჩემი მეგორული განწყობილება ადასტურებს, ამ წიგნის წაკითხვა რომ ძალმიძს.

V წერილი

ქალბატონ დ'ორბისაგან ქალბატონ დე ვოლმარისადმი

საწყენად დამირჩა ჩვენი დროებითი თავშესაფარი და, პირველ ყოვლისა, ისიც, რომ მსურს იქ დახანება. ქალაქი საუცხოოა, მცხოვრებლები გულთბილნი, ზნე-ჩვეულებები – ფრიად წესიერი, ხოლო, რაც მთავარია, თავისუფლებამ, რასაც ყველაზე მეტად ვაფასებ, თითქოსდა თავის საბინადროდ აირჩია ჟენევა. რაც უფრო მეტად ვათვალიერებ ამ პატარა სახელმწიფოს, მით უფრო მეტად ვგრძნობ, თუ რა კარგია გქონდეს სამშობლო! და ღმერთმა უშველოს იმ უბედურებს, რომლებიც ფიქრობენ, სამშობლო გვაქვსო, ხოლო სინამდვილეში მარტოოდენ ქვეყანა გააჩნიათ, სადაც ცხოვრობენ! რაც შემეხება მე, აქ რომ დავბადებულიყავი, ჩემი სული რომაელი ქალის ღირსი იქნებოდა. ოღონდ ამჟამად მე არ ძალმიძს ვთქვა:

აწ რომი რომში აღარ იქნება _
იგი იქ არის, სადაც მე ვშთები!

ვშიშობ, ვაითუ, შენ, მზაკვარმა, სულ სხვა რამე იფიქრო. რა გახდა სულ ეს რომი და რომი! ჯობს ჟენევაში დავრჩეთ.

აქაურ მხარეს აღარ აგიწერ. ის ჩვენსას ჰგავს, ოღონდ ისე მთაგორიანი როდია; აქ უფრო მეტია მინდვრები, და გლეხთა ქოხმახებიც ქალაქს გარს არ შემოსჯარვიან[131]. არაფერს ვიტყვი აგრეთვე მართვა-გამგეობის აქაური წესის გამო. თუმცა, უკეთუ უფალი ღმერთი არ შეგიბრალებს, მამაჩემი დაწვრილებით მოგითხრობს ამ ამბავს: იგი აქ იოხებს გულს – დილიდან საღამომდე ესაუბრება ხელისუფლების აქაურ წარმომადგენლებს პოლიტიკაზე, და უკვე მესმის, თუ როგორ აღშფოთებას გამოთქვამს, „გაზეტი“ ჟენევაზე ძალზე ცოტას ლაპარაკობსო. ჩემი წერილების მიხედვით შეგიძლია იმსჯელო ამ გასაუბრებათა გამო. როცა ასეთი ლაპარაკი მომწყინდება, გამოვიპარები და, სევდის გასაქარვებლად, თავს გაბეზრებ ხოლმე.

ყველა ამ ხანგრძლივი საუბრიდან დამამახსოვრდა მხოლოდ ის, რომ უღრმესი პატივი უნდა მივაგოთ ჟენევაში გამეფებულ კეთილგონიერებას. მართლაცდა, როგორც კი გადახედავ სახელმწიფოს ყველა ნაწილის მოქმედებას, წინააღმდეგობასა და ურთიერთქმედებას, უმალვე დარწმუნდები, რომ ესოდენი პატარა რესპუბლიკის მართვა-გამგეობისათვის უფრო მეტი ოსტატობა და ნიჭიერებაა საჭირო, ვიდრე ვრცელ სახელმწიფოთა სამართავად, სადაც ყველაფერი თავის თავს ეფუძნება და სადაც მართვა-გამგეობის სადავეები შეიძლება ვინმე ყეყეჩს ჩაუვარდეს ხელთ, მაგრამ ყოველივე მაინც წინანდებურად თავის რიგზე იქნება. გარწმუნებთ, ასეთი ვითარება აქ შეუძლებელი იქნებოდა. როცა ვისმენ მამაჩემის მონათხრობს უავგუსტოეს სასახლეთა გამოჩენილ მინისტრებზე, მაგონდება ის ბედკრული მუსიკოსი, რომელიც ესრეთის სიამაყით უბრახუნებდა ვეება ორღანზე ლოზანაში და იმ მიზეზით, ვითომ დიდ ხმაურსა ვტეხო, უდიდეს ვირტუოზად მიაჩნდა თავი. ამ ადამიანებს აქვთ მარტოოდენ პატარა სპინეტი, მაგრამ ოსტატურად უკრავენ და ჰარმონიულ ბგერებს გამოაცემინებენ, თუმცა საკრავი ხშირად საკმაოდ ცუდადაა აწყობილი.

აღარაფერს ვიტყვი აგრეთვე... არა, ასე ვერასოდეს დავამთავრებ წერილს. სჯობს ვილაპარაკო კიდევ რაიმეს გამო და შემდეგ კვლავ საჩქაროდ განვაგრძო. მთელი ქვეყნიერების ყველა ხალხთაგან ჟენევის მკვიდრი ყველაზე უფრო მიამიტად ამჟღავნებს თავის ზნე-ხასიათს, და ამიტომაც მისი გაცნობა ძალზე მალე შეიძლება. მისი ზნე-ჩვეულებები და თვით ბიწიერებანიც კი სრული გულახდილობით გამოირჩევა. იგი გრძნობს, კარგი ბუნებისა ვარო, და ეს საკმაოა, რომ ისეთად მოგვაჩვენოს თავი, როგორიც არის. გამოირჩევა დიდსულოვნებით, კეთილგონიერებით, გამჭრიახობით. ოღონდ მეტისმეტად უყვარს ფული. ამ ნაკლს მე მივაწერდი მდგომარეობას. იმას, რომ ძალიან სჭირდება ფული, – სახელმწიფოს მიწა-წყალი ხომ ძალზე მცირეა მოსახლეობის გამოსაკვებად: ამიტომაც ჟენევის მცხოვრებლები გამდიდრების მიზნით მთელ ევროპას მოსდებიან და გადმოაქვთ იქიდან უცხოელთა კუდაბზიკობა; როცა იმქვეყნის ბიწიერება შეეყრებათ, სადაც ცხოვრობდნენ, დიდი ამბით ჩამოაქვთ ეს ბიწი და მანკი სამშობლოში თავიანთ შეძენილ ავლა-დიდებასთან ერთად[132] და აი, სხვა ხალხთა სიმდიდრის ცქერით დამტკბართ უღვივდებათ ძველებურ ზნე-ჩვეულებათა და უბრალოებათა მიმართ სიძულვილი; დიახ, თავისუფლებას ტლანქად მიიჩნევენ; სჭედენ ვერცხლის ბორკილებს და ეს ხუნდები კი არ ჰგონიათ, არამედ სამკაული.

დახე, კვლავ როგორ შევტოპე ამ წყეულ პოლიტიკაში. თავიდან ფეხებამდე ვეფლობი, ვიძირები და ვინთქები შიგ და აღარ ვუწყი, როგორ დავაღწიო თავი. პოლიტიკაზე საუბრებს არ ვისმენ მხოლოდ მაშინ, როცა მამაჩემი შინ არ იმყოფება, ესე იგი

---

[131] გამომცემელი ფიქრობს, ახლა ცოტათი მოახლოვდნენო.

[132] ამჟამად შვეიცარიელებს აღარ უწევთ წასვლა სადღაც ბიწიერებათა საძებნად – უცხოელებს თავად ჩამოაქვთ უზნეობა მათ ქვეყანაში.

– ფოსტის ჩამოსვლის საათებში. ეს სულ ჩვენი გავლენაა, რომ მსჯელობენ პოლიტიკაზე, თორემ აქაურ მკვიდრთა საუბრები ნაირფეროვანია და ჭკუის სასწავლებელი; ყოველივე კარგს, რაც შეიძლება წიგნებიდან გაიგოს კაცმა, აქ საუბრებიდან შეიტყობ. ვინაიდან წინათ ამ ქვეყანაშიც შემოიჭრა ინგლისური ზნე-ჩვეულებები, მამაკაცებს ჯერ კიდევ ოდნავ შორს უჭირავთ თავი ქალებისაგან, და უფრო მეტადაც, ვიდრე ჩვენს მხარეებში, ერთმანეთს შორის ძალზე სერიოზული კილოთიც კი ლაპარაკობენ, და მათ სიტყვებში მეტი საფუძვლიანობა გამოკრთის. ეს, გაგიხარია, კარგია, მაგრამ შეიმჩნევა საწყინარი ზნე-ხასიათიც, რაც ძალიან მალე იჩენს თავს. გამაღიზიანებელი წილადობილები, უსასრულო არგუმენტები, მსჯელობანი, ერთგვარი არაბუნებრიობა, ზოგჯერ მაღალფარდოვნებაც. ძალზე იშვიათია მსუბუქად და მარტივად ლაპარაკი, და აქ ვერასოდეს შეამჩნევთ იმ მიამიტურ ალალმართლობას, როცა გრძნობა წინ უსწრებს აზრს და სიტყვებს მომხიბვლელობას ანიჭებს. ფრანგები ისე წერენ, როგორც ლაპარაკობენ, ხოლო ჟენეველები ლაპარაკობენ, როგორც წერენ, და მხიარული ტიტინის ნაცვლად გთავაზობენ მეცნიერულ მსჯელობათ. ყოველთვის გეგონებათ, დისერტაციის დაცვაზე შეკრებილანო. იწყებენ დახარისხებას, გადარჩევ-გადმორჩევას, ყველაფერს მუხლებად და ქვემუხლებად ყოფენ და თავიანთ სიტყვებს იმგვარი მეთოდურობით მსჭვალავენ, როგორც თავის წიგნებს; ისინი მოურჯულებელი ავტორები არიან და მეტი არაფერი: ლაპარაკობენ ისე, თითქოსდა საკრებულოს წინაშე გამოდიანო, გულდასმით იცავენ ეტიმოლოგიის წესებს, და მკაფიოდ გამოთქვამენ ყველა ბგერას. ისინი გასაგებად გადმოგვცემენ ყოველ მარცვალს და ამბობენ: taba-k, და არა taba, pare-sol, და არა parason, და მკაფიოდ გამოთქვამენ avan-t-hier, და არა avanhier, და „სიყვარულის ტბას“ უწოდებენ მხოლოდ და მხოლოდ იმ ტბას, სადაც ადამიანები თავს იხრჩობენ და არკი ჩამოეკიდებიან თავის ჩამოსახრჩობად მის ნაპირას აღმართულ ხეებზე. უფაქიზესად წარმოთქვამენ ყველა ბოლო ბგერას თვით ზმნის განუსაზღვრელ ფორმებშიც კი; მათი სიტყვები მუდამ საზეიმო ხასიათისაა, – კი არ ლაპარაკობენ, არმედ მუდამჟამს სიტყვებს წარმოთქვამენ და სასტუმრო ოთახებშიც კი ქადაგებენ.

ძალზე უცნაურია ის ამბავი, რომ ესოდენ დოგმატურ და გულცივ კილოსთან ერთად გამოირჩევიან ფიცხი ხასიათით და ძალზე გრძნობამორეულნი არიან; გრძნობებზე ლაპარაკსაც ჩინებულად შეძლებდნენ, ასე დაწვრილებით რომ არ ემსჯელათ და არა მარტო სმენისათვის, არამედ ზოგჯერ გულისთვისაც რომ ეკითხათ. მაგრამ აუტანელი სიზუსტით განალაგებენ ხოლმე თავიანთ სიტყვებში ყველა წერტილსა და მძიმეს და ისეთი პედანტურობით აღწერენ ყველაზე მძაფრ გრძნობებს, რომ, როცა თავ-თავიანთ ნალაქლაქარს ამთავრებენ, მოგინდება გარშემომყოფთა შორის მოძებნო, სად არის ის კაცი, რომელიც იგრძნობს ყველაფერს, რაც მათ აღწერეს.

ოღონდ, უნდა გამოგიტყდე, საკუთარი გამოცდილებით კარგი წარმოდგენა შემექმნა მათ გულზე და ვფიქრობ კიდეც, გემოვნება და ალღოც ცუდი როდი აქვთ-მეთქი. გაგანდობ საიდუმლოს: ერთმა საცოლოდ შეღერებულმა, თანაც, როგორც ამბობენ, ძალზე მდიდარმა მოკოხტაპრუწო ვაჟბატონმა თვალი დამადგა და საკმაოდ ნაზ გრძნობებს ამჟღავნებს ჩემ მიმართ მაღალფარდოვანი რატრატით, რომელთა ავტორი, უსათუოდ, თვითონვე გახლავთ. აჰ! წლინახევრის წინათ რომ გამოჩენილიყო, რა სიამოვნებით დავიმონებდი ამ მბრძანებელს და თავბრუს დავახვევდი ერთ-ერთ „ჩინებულ სენიორს“. მაგრამ ახლა თავად მე მესხმის თავბრუ, და ეს თამაში არავითარ სიამოვნებას არ განმაცდევინებდა; ასე მგონია, გონებასთან ერთად ჩემი წინანდელი სიგიჟმაჟეც გამიქრა-მეთქი.

კვლავაც უნდა გითხრა წიგნის კითხვის გამო, რაც ჟენევის მცხოვრებთ აზროვნებას უღვიძებს. ყველა წოდების ხალხი წიგნის კითხვაზეა გადაგებული და ეს კარგ გავლენას ახდენს თითოეულზე. ფრანგი ძალიან ბევრს კითხულობს, ოღონდ ახალ წიგნებს, უფრო

სწორად, თვალს გადაავლებს ხოლმე მათ იმდენად წასაკითხავად კი არა, რამდენადაც იმისთვის, შემდეგ რომ თქვას, წავიკითხეო. ჟენეველი მხოლოდ კარგ წიგნებს კითხულობს; კითულობს და ითვისებს, მათ შეფასებას კი არ იძლევა, ოღონდ კარგად იცნობს, – ხოლო შეფასება და შერჩევა პარიზში ხდება, ჟენევაში კი თითქმის მარტო შერჩეულ წიგნებს ღებულობენ. ამის გამო, წიგნების კითხვისას აღარაა ასეთი დომხალი და წიგნსაც უფრო მეტი სარგებელი მოაქვს. წიგნს კითხულობენ მარტოხელა ქალებიც,[133] და ეს თავს იჩენს მათი საუბრის დროსაც, ოღონდ სულ სხვა სახით, ვიდრე ეს მამაკაცებს მოსდით. ლამაზ-ლამაზი მანდილოსნები აქ დიდი მოდისმოყვარულნი არიან და თავი მოაქვთ მახვილსიტყვაობით, სულ იმგვარად, როგორც ჩვენთანაა. თვით მდაბიო წრის ახალგაზრდა ქალებიც კი წიგნებიდან ეჩვევიან გატყლარჭულ ლაპრაკს და ერთგვარ ნატიფ და დახვეწილ გამოთქმებს, რაც გასაოცრად გამოისმის მათ ბაგეთაგან, ისე როგორც ზოგჯერ გვაოცებს მოზრდილთა სიტყვები ბავშვის ტიკტიკში. საჭიროა აქაურ მამაკაცთა მთელი კეთილგონიერება, ქალთა მთელი სიმხიარულე, ჟენეველთათვის დამახასიათებელი მთელი ჭკუა-გონება იმისათვის, რომ გარეშე პირს პირველნი ცოტათი პედანტებად, ხოლო მეორენი ოდნავ მაინც პრანჭიებად არ მოეჩვენოს.

გუშინ, როცა ფანჯარასთან ვიჯექი, დავინახე, რომ ქუჩის მეორე მხარეზე, დუქნის კარებთან, საუბრობდა ორი კეკლუცი გოგონა, ხელოსანთა ქალიშვილები. ცნობისწადილმა წამძლია. ყური მივუგდე, და რა აღმოჩნდა! ერთ-ერთმა თანამოსაუბრემ სიცილით შესთავაზა მეორეს, ყოველდღიურად მომხდარ ამბავთა დღიური ვწერეთო. „საუცხოოა, – უმალ გაეხმიანა მეორე გოგონა, – ოღონდ დილით – დღიური, საღამოთი კი –მომხდარ ამბავთა ახსნა-განმარტება“. აბა, რას იტყვი, დაიკო? არ ვიცი, ხელოსანთა ქალიშვილებისთვის ეს საუბრის ჩვეული ტონია თუ არა, მაგრამ ვფიქრობ, საშინელ დაძაბულ ვითარებაში უნდა გაატარო მთელი დრო-ჟამი, რათა ყოველდღიურად ახსნა და განმარტო მომხდარი ამბები. უეჭველია, ამ გოგონას წაკითხული აქვს „ათას ერთი ღამის“ ზღაპრები.

სტილის ამ ერთგვარი მაღალფარდოვნების მიუხედავად, ჟენევის მკვიდრი ქალები ხალისიანნი და მიმზიდველნი არიან, და აქ, ალბათ, არანაკლებ მძაფრად არიან ვნებამორეულნი, ვიდრე ქვეყნიერების რომელიმე ქალაქში. მათი სადა და უბრალო ჩაცმულობა მიგვანიშნებს სინარნარესა და გემოვნებას; კარგი გემოვნება და ალღო მოჩანს მათ საუბარშიც და მანერაშიც; ვინაიდან აქ მამაკაცები ნაკლებ გალანტურები არიან, ვიდრე ნაზნი, ამიტომაც ქალები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ სილამაზეს, ვიდრე გრძნობების გამომჟღავნებას, და ეს გრძნობიერება თვით ყველაზე წესიერ ქალსაც კი ანიჭებს სასიამოვნო და გამჭრიახ ჭკუა-გონებას – მათი აზრები გულიდან მომდინარეობენ და ეს გამჭრიახობა და სიმახვილეც სწორედ იქიდან მოსდგამთ. სანამ ჟენეველი ქალები დამოუკიდებელნი და თავისუფალნი იქნებიან, სასიამოვნო ქალებად დარჩებიან მთელ ევროპაში, მაგრამ ძალიან მალე მოისურვებენ პარიზელებად ქცევას, და მაშინ ფრანგი ქალები მათზე საყვარელნი გახდებიან.

ამრიგად, ზნე თუ გაირყვნა, ყველაფერს ბოლო ეღება. ყველაზე საუკეთესო გემოვნება სათნოებაზე ჰკიდია: თუ ეს სათნოება გაქრა, ისიც დაიღუპება და ადგილს დაუთმობს მოდისაგან წარმოქმნილ ხელოვნურ, გატყლარჭულ ფართიფურთს. თითქმის ასეთივე ბედშია ჭეშმარიტი ჭკუაც. სწორედ ჩვენი სქესისათვის დამახასიათებელი მორიდებულობა გვაიძულებს მივმართოთ ძალზე გონებამახვილურ ფანდებს, რათა ავიცილოთ მამაკაცთა ლაციცი, და უკეთუ მართებთ იყვნენ ესოდენ გაწაფულნი, რომ

[133] შეგახსენებთ, რომ ეს წერილი კაიხნის წინათაა დაწერილი, მაგრამ ვგონებ, შეუხსენებლადაც ადვილი შესამჩნევია ეს ამბავი.

გავხდეთ მათი გამგონე და მორჩილნი, ჩვენც არანაკლები ოსტატობა და ხელოვნება გვჭირდება, მათ ანკესზე რომ არ წამოვეგოთ. განა ეს სწორი არაა? განა თავად ისინი არ უნვითარებენ ქალებს ცოცხალსა და მკვირცხლ გონებას ისე, რომ ჩვენც ენას ამოვიდგამთ და კაცებს ლაპარაკში ტოლს არ ვუდებთ ხოლმე და განა თავად ისინი არ გვაიძულებენ დავცინოთ მათ? რაც გინდა თქვი და, ერთგვარი ეშმაკური კეკლუცობა უფრო მეტად უბნევს თავგზას მოტრფიალეთ, ვიდრე დუმილი და სიძულვილი. და რა სასიამოა დაინახო, თუ როგორ მღელვარებს, შეცბუნდება და იბნევა ყოველ ჩვენს გამკილავ პასუხზე საქციელწამხდარი სელადონი; მერედა რა სასიამტკბილოა მიჯნურთა მოგერიება არც ესოდენ მწვავე ისრებით, როგორიცაა ტრფობის ნესტარი, მაგრამ სამაგიეროდ უფრო პირბასრით, ანდა მათი გაოგნება გამქირდავი სიტყვით, რაც უფრო გესლიანია, რადგან ყინულივით ცივია, და სუსხავს თაყვანისმცემლებს.

ხოლო თავად შენ რაღას ფიქრობ? თითქოსდა არაფერიც არ გაგეგება, ოღონდ განა შენს მიამიტ და ალერსიან მანერებში, მოშიშარ და მშვიდ გამოხედვაში ნაკლები ეშმაკობა და ნატიფი კეკლუცობა იფარება, ვიდრე მთელ ჩვენს ოინებში? მართალი გითხრა, საყვარელო, რომ ჩამოვთვალო, მე და შენგან ვინ რამდენი თაყვანისმცემელი გაჰკილა და გააცუცურაკა, ვეჭვობ, შენი თვალთმაქცური მატრაბაზობით მე რომ ჩამომრჩე. აქამომდე ჯერ კიდევ თავი ვერ შემიკავებია სიცილისაგან, საბრალო კონფლანი რომ მომაგონდება ხოლმე – შემოირბენდა საშინლად აღშფოთებული და გააფთრებული მკიცხავდა იმის გამო, მეტისმეტად ალერსიანად რომ ეპყრობოდი მას. „რა ალერსიანია, – მეტყოდა იგი, – მერწმუნეთ, არავითარი სამდურავი არა მაქვს! ისე გონივრულად მელაპარაკება, რომ მრცხვენია კიდეც სხვაგვარი პასუხის გაცემა; და მისი სახით ისეთი საუცხოო მეგობარი ვიპოვე, გამიჯნურებას ვეღარც კი შევძლებ“.

არა მგონია, სადმე ქვეყნისქვეყნად მოიპოვებოდეს იმაზე უფრო შეხმატკბილებული, უფრორე მეგობრული ცოლ-ქმარნი, ვიდრე ამ ქალაქშია; ოჯახური ცხოვრება აქ სასიამოა და სასიამტკბილო; აქ შეიძლება შეხვდე ალერსიან ქმრებსა და თითქმის ისეთსავე ცოლებს, როგორიც ჟიულია. შენი სისტემა აქ ძალიან კარგად მართლდება. შრომისა და შექცევის დროს სქესთა განაწილებისას მამაკაცები და ქალები ყოველმხრივ სარფას ნახულობენ, ვინაიდან მაშინ ისინი ერთმანეთს თავს არ აბეზრებენ და მით უფრო სასიამოა მათთვის ერთურთის ნახვა. ბრძენი ადამიანი მუდამჟამს ამგვარი სინატიფით განიცდის სიამოვნებას; დაითმინე, რათა ისიამტკბილო, – აი, შენი ფილოსოფია; ესაა გონივრული ეპიკურეიზმი.

სამწუხაროდ, ძველებური თავდაჭერილობა თანდათან კნინდება; ახლა მამაკაცები და ქალები ხშირ-ხშირად ხვდებიან ერთმანეთს, ხოლო მათი გულები თანდათან შორდებიან. აქ, ისე როგორც ჩვენთან, ყველაფერში არევ-დარეულია კეთილი და ბოროტი, მაგრამ სულ სხვა რაოდენობით. ჟენეველი საკუთარ თავს უნდა უმადლოდეს თავის სათნოებათ, ხოლო ბიწიერებანი გარედან შემოუდის. იგი ბევრს მოგზაურობს, ძალზე იოლად იძენს სხვა ხალხთა ზნე-ჩვეულებებსა და ხასიათს; ადვილად ლაპარაკობს ყველა ენაზე; გაურჯელად ითვისებს ყოველგვარ გამოთქმას, თუმცა თავად ჟენეველთ ძალზე შესამჩნევად მძიმე წარმოთქმა აქვთ, განსაკუთრებით ქალებს, რომლებიც მამაკაცებზე ნაკლებ მოგზაურობენ. ჟენეველს იმდენად აცბუნებს თავისი სახელმწიფოს მცირე ფარგლები, რომ საამაყოდ აღარ უჩანს თავისი თავისუფლება და უცხო ქვეყანაში ერცხვინება თავისი სამშობლო; იგი, ასე ვთქვათ, ესწრაფის იმ ქვეყანაში ქვეშევრდომობას, სადაც დაესახლა, და თითქოს სურს დაივიწყოს მშობლიური მხარე; შესაძლოა, ესოდენ არასაკადრის სირცხვილს ხელს უწყობდეს კიდეც მომნაგრებელთა ცუდი სახელი, რითაც განთქმულნი არიან ჟენეველნი. რასაკვირველია, უმჯობესი იქნებოდა, თავიანთი უანგარობით წარეხოცათ „ჟენეველის“ სახელის შემბღალავი სირცხვილი, ვიდრე კიდევ

უფრო დაემცირებინათ იმით, რომ ეთაკილებათ მისი ტარება. ვაი რომ, ჟენეველს სძულს ეს სახელი მაშინაც კი, როცა პატივისცემის ღირსად ხდის; და კიდევ უფრო დიდი დანაშაული მიუძღვის: ღირსეულად არ აფასებს თავის სამშობლოს.

მაგრამ რაგინდ ხარბი და გაუმაძღარი არსება იყოს ჟენეველი, არასოდეს მოიხვეჭს ავლა-დიდებას თაღლითობით და ქედს არავის მოუხრის მის გამო; მას არ სჩვევია ელაქუცოს ძლიერთა ამა ქვეყნისათა და ქვემძრომივით იხოხოს მეფეთა კარზე. მისთვის პირადი მონობა არანაკლებ სისაძაგლეა, ვიდრე სამოქალაქო მონობა, ალკიბიადესავით მოქნილსა და თანაზიარს ვერ აუტანია დამონება, და როცა ეგუება უცხოქვეყნელთა ზნე-ჩვეულებებს, მხოლოდღა ბაძავს, მაგრამ არკი ემორჩილება მათ. გამდიდრების საშუალებათაგან ვაჭრობა ყველაზე მეტად უთავსდება თავისუფლებას, ამიტომ ჟენეველები ამჯობინებენ ამ საქმეს მოკიდონ ხელი. თითქმის ყველანი ვაჭრები ან ბანკირები არიან, და მათი მთავარი მისწრაფების – გამდიდრების გამო ხშირად ამაოდ და უქმად რჩებიან გასაოცრად ნიჭიერი, ბუნებით კურთხეული ადამიანები! აქ ვუბრუნდები იმასვე, რასაც წერილის დასაწყისში გწერდი. ისინი არიან ნიჭიერნი და მამაცნი, ენერგიულნი და გამჭრიახნი; არ არსებობს ისეთი კეთლიშობილური და მაღალი მიზანი, რაც მათ ძალას აღემატებოდეს. მაგრამ ფულებს უფრო არიან დახარბებული, ვიდრე სახელ-დიდებას, და შეძლებული ცხოვრების მოხვეჭისას კვდებიან უსახელოდ, თავიანთ შვილებს კი ერთადერთი მაგალითის სახით უტოვებენ იმ სიმდიდრის სიყვარულს, რაც მოიპოვეს მემკვიდრეთათვის.

ყველაფერი ეს თავად ჟენევის მცხოვრებთაგან მოვისმინე, – ისინი ხომ ფრიად პირუთვნელად ლაპარაკობენ თავიანთ თავზე. რაც შემეხება მე, აღარ ვიცი, როგორები არიან ჟენეველნი უცხო მხარეებში, ხოლო თავიანთ სახლში ისინი, ჩემი აზრით, ძალზე სასიამოვნო ადამიანები გახლავან, და მე ვიცნობ მხოლოდ ერთადერთ მიზეზს, რათა დაუნანებლად გამოვეთხოვო ჟენევას. აბა, რა მიზეზია ასეთი, დაიკო? ო, შენი ჩვეულებისამებრ, თავი რაც უნდა დამშვიდებულად მომაჩვენო, პატიოსან სიტყვას გაძლევ, თუკი იტყვი, ჯერ ვერ მივხვდი, რა ამბავი მოხდაო, – მე გიპასუხებ: „ტყუილია“! ზეგ ჩვენი მხიარული კომპანია ჩასხდება ლამაზ სადღესასწაულოდ მორთულ-მოკაზმულ ბრიგანტინში, – ჩვენ სამდინარო გზა ავირჩიეთ ზაფხულის ჟამის შემთხვევისა და იმის გამო, რათა ერთად ვიყოთ ყველანი. ხვალ მორჟში ვაპირებთ ღამის გათევას, მეორე დღეს ლოზანაში[134] ქორწილი იმართება, ხოლო ერთი დღის შემდეგ... გაიგე? როცა შორიდან დაინახავ მოელვარე ჩირაღდნებს, მოფრიალე ალმებს და გაიგონებ ზარბაზნის გრიალს, – შეშლილივით მიმოირბინე მთელ სახლში და იყვირე და იყვირე: „იარაღი აისხით! მტერი შემოგვესია! ჰკა მაგას!“

თუმცა ოთახთა განაწილება უდავოდ ჩემი უფლება და მოვალეობაა, მაგრამ ამჯერად თავიდან უნდა მოვიშორო ეს საზრუნავი. მხოლოდ ის მინდა, მამაჩემი მილორდ ედუარდის გვერდით ოთახში რომ მოათავსონ, რაკი იქ გეოგრაფიული რუკები ჰკიდია. და დაე, ამ სამყოფელში სულ ერთიანად რუკებით დაფარონ კედლები – თავიდან ბოლომდე.

VI წერილი

ქალბატონ დე ვოლმარისაგან

[134] ეს როგორ ხდება? ლოზანა ხომ ჟენევის ტბის ნაპირას არ მდებარეობს: ნავმისადგომიდან ქალაქამდე დაახლოებით ნახევარი ლიეა და იქ გზაც ფრიად ცუდია; თანაც კიდევ უნდა ვიფიქროთ, ქარი თუ არ დაესწროთ.

რა სიამოვნებით შევუდექი ამ წერილის წერას! ჩემს სიცოცხლეში პირველად ძალმიძს მოგწერო უშიშრად და დაურცხვენლად. ვამაყობ ჩვენი შემაკავშირებელი მეგობრობით, როგორც განცდათა უმაგალითო ფერისცვალებით. დიად ვნებათა ჩახშობა და დაოკება შეიძლება,მაგრამ ძალზე იშვიათად თუ ხდება მათი განსპეტაკება. დაივიწყო ის, რაც ძვირფასი იყო, როცა ამას მოითხოვს ღირსება, – ამისათვის საჭიროა უდიდესი ძალ-ღონე, მაგრამ კეთილშობილური არსება ეწევა საწადელს; ოღონდ იმის შემდეგ, რაც ჩვენ შორის მოხდა, მიღწევა იმისა, რაც ამჟამად გვაახლოებს, –აი, სათნოების ჭეშმარიტი ზეიმი და გამარჯვება. სიყვარულის აღმკვეთი მიზეზი, შესაძლოა, გახდეს ბიწიერება, მაგრამ შეუძლებელია არასაკადრისი იყოს მიზანი, სათუთ სიყვარულს არანაკლებ სათუთ და ნაზ მეგობრობად რომ გადააქცევს.

და განა ასეთ გამარჯვებას მარტოოდენ ჩვენ-ჩვენი ძალ-ღონით მივაღწევდით! არასოდეს, არასოდეს, ჩემო კეთილო მეგობარო! თვით ამის ცდაც კი დიდი გამბედაობა იქნებოდა ჩვენი მხრით. ავრიდებოდით ერთმანეთთან შეხვედრას – აი, რა იქნებოდა ჩვენი უპირველესი ვალდებულება და აუცილებელი მოვალეობა. რასაკვირველია, მუდამჟამს პატივსა ვცემდით ერთმანეთს, მაგრამ შევწყვეტდით კი ურთიერთშეხვედრასა და მიწერ-მოწერას; ვეცდებოდით მეტი აღარ გვეფიქრა ჩვენი გრძნობის გამო, და უდიდესი პატივი, რასაც მივაგებდით ერთმანეთს, იქნებოდა ჩვენ შორის ყოველგვარ სიახლოვეზე ხელის აღება.

აბა, ერთი შეხედეთ, როგორ გვეცხოვრება ახლა? არის თუ არა მთელ დუნიაზე უფრორე სასიამო ყოფა და განა დღეში ათასჯერ მაინც არ ვხარობთ ამ ამბით, თუმცა იგი სასტიკ ბრძოლათა ფასად დაგვიჯდა? გამუდმებით ერთად ყოფნა, ერთმანეთის სიყვარული, ჩვენი ბედნიერების განცდა, მთელი დღეების ერთად გატარება, ძმური სიახლოვით, უმანკოებით და სიმშვიდით, ერთმანეთისთვის ზრუნვა, დამშვიდებული სინდისით ამაზე ფიქრი, ამის გამო თავის შეურცხვენლად ლაპარაკის უფლება და სწორედ იმ სიყვარულისთვის ამაყად მზერა, რის გამოც ასე ხანგრძლივად გვიხდებოდა თავის გაკილვა, – აი, რა მოვიპოვეთ მე და თქვენ. ო, მეგობარო! რა სახელოვანი გზა განვლეთ უკვე. მაშ, გავბედოთ და ხოტბა შევასხათ ჩვენ-ჩვენ თავს იმის გამო, რომ გვეყოფა ძალ-ღონე, არ ავცდეთ სწორ გზას და ბოლომდე ასეთივე მტკიცე ნაბიჯებით ვიაროთ, როგორც იმთავითვე გვივლია.

ვის უნდა ვუმადლოდეთ ჩვენს გასაოცარ ბედნიერებას? ეს კარგად უწყით. ვიცი, თქვენი მგრძნობიარე გული მადლიერებით რომაა აღსავსე ადამიანთაგან ყველაზე უკეთესი არსების მიმართ მისი სიკეთისათვის, და გიყვართ კიდეც უღრმესი სიყვარულით. ანკი როგორ იქნებოდა მისი სიკეთე მძიმე ტვირთი გამხდარიყო ჩვენთვის? ეს სიკეთე ხომ არავითარ ახალ უღელს არ გვაკისრებს, მათ გამო მხოლოდ უფრორე ძვირფასი ხდება წინანდელი უღელი, რაიც უამისოდაც ჩვენთვის წმიდათაწმიდა გახლდათ. მთელი მისი ამაგისათვის ერთადერთი სამადლობელი იქნება – ვიყოთ ამაგის ღირსნი. დაე, ჯილდოდ ექნეს ის ამბავი, ამაგი რომ გაუმართლდა. მაშ, აქეთკენ წარვმართოთ მთელი ჩვენი მონდომება და გულმოდგინება. ქველკეთილობით მივუზღოთ სამაგიერო ჩვენს მწყალობელს სიკეთისათვის – აი, ეს იქნება მთელი ჩვენი მოვალეობა მის წინაშე. როცა სიკეთის გზაზე დაგვაბრუნა, საკმაოდ ბევრი რა გააკეთა ჩვენთვისაც და თავის თავისთვისაც. ერთადმყოფნი თუ განშორებულნი, ცოცხლები თუ გარდაცვლილნი, ყველგან და ყოველთვის დავრჩებით დამადასტურებელნი მისი კეთილი საქმისა, ამაო და ფუჭი რომ არ აღმოჩნდა ჩვენ სამთაგან არც ერთისათვის.

აი, რა იდუმალი ფიქრებით ვიყავი მოცული, როცა ჩემმა ქმარმა გადაწყვიტა თქვენთვის მიენდო ჩვენი შვილების აღზრდა. ხოლო როდესაც მილორდ ედუარდმაც

შეგვატყობინა, მალე დავბრუნდებიო, გულში იგივე აზრები გავივლე; მათ თან დაემატა სხვა ფიქრები, და გულით მწადია გაგიზიაროთ ყოველი, ვიდრე გვიან არ არის.

ჩემზე კი არას გეტყვით, თქვენზე ვისაუბრებ; ასე მგონია, ახლა უფრო მეტი უფლება მაქვს მოგცეთ რჩევა-დარიგება, ვინაიდან ამჟამად ამას ჩავდივარ სავსებით უანგაროდ, და რადგანაც მხედველობაში არა მაქვს ჩემი საკუთარი უსაშიშრობა, ამიტომაც მხოლოდ და მხოლოდ თქვენზე ვფიქრობ. ჩემი სათუთი მეგობრობა, რასაკვირველია, არასგზით არ დაგაეჭვებთ, ხოლო მამასისხლად შეძენილმა ჩემმა გამოცდილებამ უნდა აღგძრათ ჩემი სიტყვების მოსასმენად.

ნება მიბოძეთ, დაგიხატოთ სურათი თქვენი მომავალი მდგომარეობისა, მინდა კარგად ჩაიხედოთ შიგ და თავადვე მითხრათ, ხომ არ შეიძლება იყოს იქ რაიმე ისეთი, რაც შიშს განგაცდევინებთ? ო, ჩემო კეთილო სენ-პრე! უკეთუ თქვენთვის ძვირფასია სათნოება, გულახდილად მოაპყართ სმენა თქვენი მეგობრის რჩევა-დარიგებას. ახლა გულის ფანცქალით ვიწყებ ლაპარაკს იმაზე, რისთვისაც დუმილით უნდა ამევლო გვერდი. ოღონდ, თქვენს მიმართ ღალატის ჩაუდენლად, განაღა ძალმიძს მდუმარება ამ საგნის გამო? უკეთუ ამჟამად არ ვიტყვი იმას, რისაც უნდა გეშინოდეს, გვიანღა ხომ არ იქნება განსაცდელთა გამო ლაპარაკი, როცა ძალზე შორს შეტოპავთ? არა, ჩემო მეგობარო, მე ამქვეყნად ერთადერთი ადამიანი ვარ, და თანაც თქვენთვის იმდენად ახლობელი, რომ საჭიროა, დედასავით და დასავით გელაპარაკოთ? აჰ, თუკი სპეტაკი გულით წარმოთქმულ დარიგებებს ძალუძდა თქვენი გულის შებღალვა, დიდი ხანია აღარაფერი მექნებოდა თქვენთვის სათქმელი!

ცხოვრების სარბიელი უკვე დამთავრდაო, ამბობთ თქვენ. ოღონდ, აღიარეთ, დამთავრდა იგი დროზე ადრე. სიყვარული ჩაიფერფლა, გატაცება კი მასზე მეტ ხანს გასტანს, ხოლო ამ სიგიჟეს მით უფრო უნდა ვუფრთხილდეთ, რომ ერთადერთი გრძნობა, რაიც მას აოკებდა, უკვე აღარ გაგაჩნიათ, და იმ ადამიანისათვის, ვისთვისაც აღარაფერია ძვირფასი, ყოველივე ზნეობრივი დაკნინების საბაბი ხდება. მგზნებარე და გრძნობიერ უცოლო ყმაწვილკაცს სურს იყოს თავდაჭერილი და უმწიკვლო; მას ესმის, გძნობს, ათასჯერ მაინც იტყვის, ყველა სათნოების სათავე – სულის სიმტკიცე –ყველაფრის მასაზრდოებელ უმწიკვლოებას ემყარებაო. ყმაწვილკაცობაში სიყვარულმა იხსნა ცუდი საქციელისაგან, ახლა კი სურს, რათა მისი მთელი ცხოვრება გონებამ დაიხსნას; იცის, თუ როგორი ჯილდოა მოვალეობის მკაცრ მოთხოვნათა ნუგეში, და თუმცა იოლი როდია საკუთარი თავის დაძლევა, ნუთუ უფრო ნაკლებს გააკეთებს ღვთის გულისათვის, ვისაც თაყვანსა სცემს, ვიდრე სატრფოსათვის, ვისი მონაც ოდესღაც იყო? ვგონებ, ასეთია ზნეობის თქვენეული წესები და თქვენი ყოფაქცევის ჩვევები; თქვენ ხომ მუდამ გძულდათ ისეთი ადამიანი, ვისაც მარტოოდენ მოსაჩვენრობა აკმაყოფილებს, – ის, ვისი სიტყვაც და საქმეც ერთმანეთს არ ეთანხმება და ვინაც მოვალეობის მძიმე ტვირთს სხვებს ადებს კისრად, თვითონ კი ამით თავს არ შეიწუხებს.

ცხოვრების რა ნირი და ყაიდა აირჩია ამ გონიერმა ადამიანმა, როცა ისურვა მიჰყოლოდა კანონებს, თავის თავს რომ დაუწესა? თავი როდი წარმოუდგენია სათნოების ნიმუშად და მით უმეტეს – სტოიკოსად, მოქმედებისას არასოდეს უხელმძღვანელებია ქედმაღლობით: კარგად ესმის, უფრო იოლი რომაა ცდუნებათაგან განრიდება, ვიდრე მისი დაძლევა, და ვნებათა ალის გაღვივების ნაცვლად, აჯობებდა ჩანასახშივე მათი ჩახშობა! ოღონდ თვითონ თუ არიდებს თავს საფრთხეს? გაურბის თუ არა იმ ამბებს, მთელ გონებას რომ უფორიაქებს? საკუთარი თავის მიმართ უნდობლობას მიიჩნევს თუ არა სათნოების საყრდენად? პირიქით – მზად არის უყოყმანოდ გადაეშვას ბრძოლაში, რაც უდიდეს გამბედაობას მოითხოვს. ოცდაათი წლისა აპირებს განმარტოებით ჩაიკეტოს თავის კბილა ქალებთან ერთად, რომელთაგან ერთი ესოდენ ძვირფასი იყო მისთვის, რომ ასე იოლად

როდი აღმოიფხვრება მისი გულიდან სახიფათო მოგონებები; მეორესთან აკავშირებს მჭიდრო სიახლოვე, ხოლო მესამესთან აერთებს ის უფლებები, რომელთაც დიდი სიკეთე მიაგებს მადლიერ არსებათ; თავად ესწრაფის ვითარებებს, რომელთაც ძალუძთ აღუძრან არცთუ მთლად მინავლებული გატაცებანი; მალე გაიხლართება ბადეში, რომელსაც უნდა უფრთოხდეს. მის მდგომარეობაში მყოფს პირწმინდად ყველაფერმა უნდა აღუძრას უნდობლობა თავისი ძალ-ღონის მიმართ, ვინაიდან უილაჯობის ერთადერთი წუთი სამუდამოდ დაამცირებს. მაშ, სადღა მოეპოვება სულის ის დიადი ძალოვანება, რაიც ასე სჯერა და სწამს. ნეტავი თუ ჩაიდინა წარსულში ამ ძალამ რაიმე ისეთი, რაც მომავლის საწინდარი გახდება? გამოიხსნა თუ არა პარიზის საროსკიპოდან ყმაწვილკაცი? შარშან ზაფხულზე ხომ არ შეამთხვია მეიერიში მომხდარი ის ამბავი? ნეტავი თუ დაიხსნა ამ ზამთარს მეორე ქალის ჯადო-თილისმისაგან, ხოლო წელს გაზაფხულზე სიზმრით გამოწვეულ თავზარისაგან? თუნდაც ერთჯერ მოიპოვა თუ არა საკუთარ თავზე გამარჯვება ამ ძალის მეოხებით და ამიტომაც ნეტართუ ძალუძს იმედოვნებდეს, მუდამჟამს დავძლევ თავსაო? შესწევს კი უნარი, როცა ამას მოსთხოვს მოვალოება, შეებრძოლოს მეგობრის გატაცებათ, ანკი დაიოკებს საკუთარ ვნებათაღელვას?.. ვაჰმე! როცა თვალს გადაავლებს განვლილი ცხოვრების ნახევარს, მოკრძალბით უნდა ფიქრობდეს მის მეორე ნახევარზეც.

ხანმოკლე მღელვარებანი კიდევ შეიძლება გადაიტანოს კაცმა. ექვსი თვე, ერთი წელიწადი – ეს არცთუ ისეთი საშინელია; ხედავ, რომ მომავალში ბოლო ეღება ყოველგვარ განსაცდელს. და გამბედაობასაც იკრებ. ოღონდ ვის ძალუძს ასეთი მდგომარეობის გადატანა, უკეთუ მთელი სიცოცხლის მანძილზე გაგრძელდება იგი? ვისღა შეუძლია დასძლიოს თავისი თავი უკანასკნელ ამოსუნთქვამდე? ო, ჩემო მეგობარო! სიცოცხლე ძალზე ხანმოკლეა განცხრომათათვის, ოღონდ რა გრძელჟამიერია ქველკეთილ გმირობათა ჩასადენად! მთელი შენი დღე და მოსწრება გაფაციცებული უნდა იყო, განცხრომის წუთები გაგვიფრინდება და აღარასოდეს დაგვიბრუნდება, ხოლო ცუდი საქციელის გამო სინდისის ქეჯნა მთელ სიცოცხლეში არ მოგვცემს საშველს. როგორც კი ადამიანი ოდნავ მოიქადლებს თავს, უმალ ყველაფერი დაიღუპება. მერედა შეიძლება კი ასეთი საშინელი ვითარებისას გულარხეინად გავატაროთ ჩვენი სიცოცხლის დღენი? და როცა საფრთხეთაგან თავი დავაღწიეთ, ის დღეები ხომ არ მიგვანიშნებენ, სხვა დროსა და ჟამს ასეთ ხიფათს აღარ გადაეყაროთო.

კვალად რამდენი რამ შეგემთხვევათ ისევე სახიფათო, რაიც ავიცილეთ, და იმგვარადვე გაუთვალისწინებელი! ნუთუ გგონიათ, ჩვენი წარსულის საშინელი ძეგლები მარტოოდენ მეიერიში დარჩა? ისინი გვდევენ ყველგან, სადაც ჩვენ ვიმყოფებით. მუდამ თან ვატარებთ. ეჰ, ხომ იცით, რომ გრძნობამორეული გული მთელ ქვეყნიერებაზე ხედავს თავისი გატაცების ანარეკლს, და თითქმის იმის შემდეგაც, როცა განიკურნა ამ გატაცებისაგან, ბუნების წარმტაცი სურათები გაახსენებენ ყველაფერს, რასაც ოდესღაც განიცდიდა გული მათი დანახვის ჟამს. და მაინც მწამს და მჯერა, ვბედავ მჯეროდეს, რომ განვლილი საშიშროებანი კვლავ აღარ დაბრუნდება, – ამის თავდებია ჩემი გული, იგი შეეშველება თქვენს გულს. მაგრამ თუკი ისე არ დაკნინდებით, რომ უკეთური საქციელი ჩაიდინოთ, მაშინ ნუთუ თქვენი ესოდენ თავდავიწყებამდე მისული არსება მუდამჟამს მიუწვდომელი იქნება უძლურებისთვის და განა თუ მარტოოდენ მე უნდა მომეპყრათ პატივისცემით, ანდა იქნებ, თქვენთვის ეს ამბავი არცთუ ისე იოლი საქმეა? გახსოვდეთ, სენ-პრე, რომ ყველა ჩემი ძვირფასი არსება ისეთივე პატივისცემის ღირსი უნდა იყოს, რაიც მე უნდა მომაგოთ ვალდებულებისამებრ; გახსოვდეთ, რომ თქვენ მოგიხდებათ უმწიკვლო გრძნობით უპასუხოთ თვალწარმტაცი ქალის უმანკო თამაშს; გახსოვდეთ, რომ სამარადჟამო ზიზღსა და მძულვარებას დაიმსახურებთ, უკეთუ თქვენი გული ოდესმე

თუნდ ერთი წუთით მაინც გაბედავს წაყრუებას და შებღალავს იმას, რასაც პატივი უნდა მიაგოს, როცა ამის უამრავი საფუძველი ექნება.

მინდა, რომ მოვალეობა, ღირსება და ძველთაძველი მეგობრობა მუდამჟამს გაოკებდეთ; რომ სათნოების მიერ წარმოქმნილმა დაბრკოლებებმა წარგტაცონ ამაო იმედი და, თუნდაც გონიერების მეოხებით, ჩაიხშოთ უნაყოფო გულისწადილი. ოღონდ ძალგიძთ კია თავი დააღწიოთ მღელვარე გრძნობათა და წარმოსახვის მახეთა კირთებას? ძალაუნებურად მოგიხდებათ პატივი სცეთ ორივე დობილს და დაივიწყოთ, ქალები რომ ვართ, მაგრამ ქალებს დაინახავთ ჩვენს მოახლეთა სახით და მათი დაბალი ღირსება იქნება თქვენი გამართლება; ხოლო შეამსუბუქებს კი ეს თქვენს დანაშაულს? განა მსხვერპლის საზოგადოებრივი მდგომარეობის სხვაობა ცვლის ბოროტმოქმედების დედაარსს? პირიქით, მით უფრო დაიმცირებთ თავს, რაც უფრო მდაბალი ქცევით მოიპოვებთ წარმატებას. მერედა როგორი საშუალებებით? და მერე ვინ? თქვენა? წყეული იყოს ის უღირსი ადამიანი, ვინც ვაჭრობს ქალის გულით და მის სიყვარულს როსკიპობად ხდის! ის თესავს ბოროტმოქმედებათ, რასაც იწვევს გარყვნილება. განა ყოველთვის არ ივაჭრებს თავისი სხეულით ქალი, თუკი ერთხელ უკვე ივაჭრა? ხოლო როდესაც შერცხვენის უფსკრულში გადაიხაფრება, ვის დაედება ბრალი მის დაღუპვაში, – ხეპრე პირუტყვს, მის შეურაცხმყოფელს გარყვნილების ბუდეში, თუ მაცდუნებელს, რომელმაც იქ გამოამწყვდია ქალი, ვინაიდან პირველმა იყიდა მისი სხეული?

ვბედავ დავუმატო კვალად ერთი მოსაზრება, რაიც, ვგონებ, გულზე მოგხვდებათ. ხომ დაინახეთ, როგორ ვცდილობდი ჩემს სახლში წესრიგისა და ზნეკეთილობის დანერგვას; აქ სუფევს მოკრძალება და მშვიდობა, ყველაფერს ბედნიერებისა და უმანკოების ბეჭედი აზის... ჩემო მეგობარო, იფიქრეთ თქვენს თავზე, ჩემზეც, იმის გამოც, რანი ვიყავით, რანი გავხდით და როგორნიც უნდა ვიყოთ. ნუთუ ოდესმე მომიხდება სინანული ჩემი ფუჭი გარჯის გამო და საყვედურით წარმოთქმა სიტყვებისა: „ეს იმის ბრალია, ჩემს სახლში გარყვნილება რომ შემოიჭრა“?

ყველაფერი უნდა ითქვას, რაკი ეს აუცილებელია, თვით მორცხვობაც კი მსხვერპლად უნდა გავიღოთ სათნოების ჭეშმარიტი სიყვარულის გამო. მამაკაცი უცოლშვილობისთვის როდია შექმნილი, – იშვიათად ხდება ხოლმე, რომ ბუნების მიმართ ესოდენ საპირისპირო მდგომარეობას არ მოჰყვეს ყველასათვის აშკარა ან ფარული გარყვნილება. განა შესაძლებელია გაექცე მტერს, რომელსაც მუდამჟამს თანვე ატარებ? აბა, ერთი შეხედეთ, რა ემართებათ სხვა ქვეყნებში იმ ვაჟკაცებს, რომლებიც აღთქმას დებენ, მამაკაცები აღარ ვიქნებითო. ისინი აცდუნებენ ღმერთს, და ამის გამო ღმერთიც თავს ანებებს მათ; ისინი წმინდანებს უწოდებენ თავიანთ თავს, ხოლო საქმით უპატიოსნონი და უგლიმი ადამიანები არიან. მათი მოსაჩვენარი დამთმენლობის უკან იმალება სისაძაგლე და, როცა ცდილობენ ადამიანური ბუნების აბუჩად აგდებას, მასზე უფრო კნინდებიან სულით. რასაკვირველია, კარგად მესმის, მათ როდი გაუძნელდებათ თავი მოგვაჩვენონ მომთხოვნელებად კანონთა შესრულებისას, რასაც თავად მხოლოდ და მხოლოდ თვალის ასახვევად ასრულებენ; [135]მაგრამ ის, ვისაც გულწრფელად სწადს სათნო ადამიანად ყოფნა, გრძნობს, რომ ეს გარემოება საკმაო ვალდებულებას აკისრებს მას, და კვალად აღარ მოჰკიდებს ხელს ახალ მოვალეობას.

---

[135] ზოგიერთები ძალზე იოლად ხდებიან დამთმენები, სხვები სათნოების გულისათვის იცავენ მას და ეჭვი არ მეპარება, რომ ეს უკანასკნელი ამბავი შეეფარდება ბევრ კათოლიკე მღვდელს; ოღონდ უცოლშვილობის თავზე მოხვევა ისეთი მრავალრიცხოვანი კორპორაციისათვის, როგორიცაა რომის კათოლიკური ეკლესია, ნიშნავს არამცთუ ავუკრძალოთ ამ ადამიანებს ცოლოს შერთვა, არამედ ვაიძულოთ ისინი დაკმაყოფილდნენ სხვათა ცოლებით. ძალიან მიკვირს, ყოველ ქვეყანაში, სადაც ჯერ კიდევ პატივსა სცემენ წესიერებას, როგორ ხდება, რომ კანონები და ხელისუფლების მეთაურები ითმენენ ესოდენ აღმაშფოთებელ აღთქმას.

ძვირფასო სენ-პრე, ქრისტიანის ნამდვილი თავდადრეკილობაა: მუდამჟამს გახსოვდეს, შენი წილხდომილი ამოცანა შენს ძალ-ღონეს რომ აღემატება, და არავითარ შემთხვევაში არ უნდა ცდილობდე გაუგებრობის გამო კიდევ ორკეცად საძნელო გახადო იგი. მიმართეთ ამ წესს და მიხვდებით, რომ ათასეულ მიზეზთა გამო თავზარი უნდა დაგცეთ იმ ვითარებამ, რაიც სხვა ვინმეს მხოლოდ ააფორიაქებდა. რაც უფრო ნაკლებად გეშინიათ, მით უფრო მეტად უნდა ძრწოდეთ, და უკეთუ მოვალეობის მოთხოვნანი არ გაშინებთ, ნუ იმედოვნებთ მათ განხორციელებას.

ასეთია ის საშიშროებანი, აქ რომ გელოდებათ. კარგად მოიფიქრეთ, ვიდრე ჯერ კიდევ გვიან არ არის. ვიცი, განზრახ არასოდეს ჩაიდენთ ცუდ საქმეს, და ერთადერთი ბოროტება, რის ჩადენაც, როგორც ვშიშობ, კიდევ ძალგიძთ, ვერაფრით ვერ გაგითვალისწინებიათ. როდი მოვითხოვ, მიიღეთ გადაწყვეტილება მარტოოდენ ჩემს საბუთებზე დაყრდნობით-მეთქი, მხოლოდ იმასა გთხოვთ, კარგად აწონ-დაწონოთ ყოველივე. გამონახეთ თქვენი დასაკმაყოფილებელი გამოსავალი და მეც გულს მოვიოხებ; გაბედეთ და დაენდეთ საკუთარ თავს და მეც თქვენს იმედს ვიქონიებ; მითხარით, ანგელოსი ვარო, და სულითა და გულით მიგიღებთ.

განა რა გამოვიდა! სულ მუდამ დათმენა და ტანჯვა-წამება! ყოველჟამს სასტიკი მოვალეობა, ყოველ წამს უნდა გაურბოდე შენს ძვირფას ადამიანებს! არა, ჩემო საყვარელო მეგობარო! რა ბედნიერებაა, როცა შეგიძლია უთხრა ადამიანს: აი, შენ აქ, დედამიწაზე მიიღო ჯილდო სათნოებისათვის. და მეც ვხედავ, თუ როგორი ჯილდოს ღირსია ჩემთვის ძვირფასი ადამიანი, რომელსაც ძალუძს იბრძოლოს და იტანჯოს სათნოების გულისათვის. შესაძლოა, მეტადრე დიდი წარმოდგენა მქონდეს ჩემი მიხვედრილობის გამო, მაგრამ, ვგონებ, ამ ჯილდოთი, თქვენ რომ მსურს მოგაგოთ, აგინაზღაურებთ მთელ ვალს, და თქვენც უფრო მეტს მიიღებთ, ვიდრე მაშინ, ზენაარს რომ ეკურთხა და დაელოცა მე და თქვენი პირველი სიყვარული. ვინაიდან არ ძალმიძს ანგელოზად გაქციოთ, მინდა მოგცეთ მფარველი-ანგელოზი, რომელიც გაუფრთხილდება თქვენს სულს, გაწმენდს მას ყოველგვარი ბიწიერებისაგან, გამოაცოცხლებს, და მისი მფარველობით შეიძლებდით მშვიდად, წყნარად და მყუდროდ ჩვენთან ცხოვრებას, როგორც სამოთხის წალკოტში. ასე მგონია, ადვილად მიხვდებით, თუ რა უნდა გითხრათ: ეს საგანი, ჩემი აზრით, თითქმის უკვე განმტკიცდა იმ გულში, რომელიც ოდესმე უნდა აღმოავსოს მან, უკეთუ ჩემი გეგმა შესრულდება.

მე ვხედავ აქეთკენ მიმართული გზის ყველა სიძნელეს, მაგრამ ეს როდი მაშინებს, რაკიღა ჩემი განზრახვა ფრიად კეთილშობილურია. ვიცი, რა დიდი გავლენა მაქვს ჩემს დობილზე, და სრულიადაც არ მეშინია, რომ ბოროტად გამოვიყენებ ამას, თუკი ვისარგებლებ თქვენი ბედნიერებისათვის. მაგრამ თქვენთვის ცნობილია, თუ რაგვარი გადაწყვეტილება მიიღო მან, და სანამ გადავათქმევინებდე, უნდა მჯეროდეს თქვენი გულის პასუხი. როცა ვემუდარები, ნება დართე ცოლად გაყოლის წინადადება შემოგთავაზოს-მეთქი, ამით მინდა გითავდებოთ პირადად თქვენ და თქვენს გრძნობებს. უკეთუ ხელს გიშლით ბედისწერის განაჩენით თქვენი განმაცალებელი წოდებრივი უთანასწორობა და არ ძალგიძთ ეს წინადადება მიიღოთ, ეს უთანასწორობა კიდევ უფრო ნაკლებად ვარგა საამისოდ, რომ ჩემმა დობილმა თანხმობა მოგცეთ ისე, რომ არ იცოდეს, როგორ ისარგებლებთ ამ თანხმობით.

ჩემთვის კარგადაა ცნობილი თქვენი თავაზიანობა, და დარწმუნებული ვარ, რომ, უკეთუ რაიმე გექნებათ ჩემი გეგმის საწინააღმდეგოდ, უფრო მეტს იფიქრებთ ჩემს დობილზე, ვიდრე თქვენს თავზე. უკუაგდეთ მეტისმეტი წესიერება. ნუთუ ჩემზე მეტად ექომაგებით ჩემი დობილის ღირსებას? არა, ნურას უკაცრავად, რაგინდ ძვირფასი უნდა იყოთ ჩემთვის, თქვენს ინტერესებს მის კარგ სახელ-დიდებას ვერ ვანაცვალებ. ოღონდ,

რამდენადაც ფასსა ვდებ კეთილგონიერ ადამიანთა პატივისცემას, იმდენადვე მძაგს თავხედური მითქმა-მოთქმა ბრბოსი, რომელსაც ძალიან ადვილად აღაფრთოვანებს ყალბი ბრწყინვალება და ვერ ამჩნევს ვერავითარ ჭეშმარიტად კეთილშობილურს. მდგომარეობის სხვადასხვაობა ასგზისადაც უფრო დიდი რომ იყოს, არ არსებობს ისეთი მაღალი მდგომარეობა, რისი დაჩემების უფლებაც არ გააჩნდეს ნიჭიერ და მაღალი ზნეობის ადამიანს; და რატომ მიიჩნევდა ქალი სამარცხვინოდ გაჰყოლოდა ცოლად იმ კაცს, ვისთან მეგობრობითაც ამაყობს? თქვენთვის ცნობილია, თუ რა შეხედულებისა ვართ ორივენი ამის გამო. ყალბი სირცხვილისა და ადამიანთა მითქმა-მოთქმის შიშით უფრო საძაგელი საქციელია გამრავლებული ამქვეყნად, ვიდრე კარგი ნამოქმედარი, ხოლო სათნოება სირცხვილში გვაგდებს მხოლოდ იმის გამო, რაც მართლაცდა უგვანი რამაა.

რაც შეგეხებათ თქვენ, აქ სრულიად არ შეგფერით სიამაყე, რასაც ზოგჯერ გამჩნევდით კიდეც, და, მართლაც, თქვენი მხრით უმადურობა იქნებოდა იმის შიში, კლარა კიდევ ერთ მოწყალებას აღმომიჩენსო. და გარდა ამისა, როგორი წესიერიც უნდა იყოთ, დამეთანხმეთ, მამაკაცისთვის უფრორე სასიამოა და რიგიანიც იქნება, თანამშრომლის ავლა-დიდებასა და ქონებას უმადლოდეს ცოლს, ვიდრე მეგობარს, – თქვენ ხომ მეუღლის მფარველი იქნებით დღეიდან, ხოლო მეგობრისათვის მაინც მოსავლელი ტოლ-ამხანაგი დარჩებით; რაც გნებავთ, ისა თქვით, ხოლო წესიერი მამაკაცისათვის საუკეთესო მეგობარი მუდამ ცოლი იქნება.

უკეთუ თქვენი გულის სიღრმეში ჯერ ისევ ღონღილებს ერთგვარი ზიზღი ახალი სამიჯნურო კავშირთა მიმართ, ეცადეთ ადრე და მალე განფანტოთ იგი – თქვენი ღირსებისა და ჩემი სიმშვიდის გულისათვის; მე ხომ მანამდე არ ძალმიძს ვიყო არც თქვენი, არც ჩემი თავის კმაყოფილი, ვიდრე არ გახდებით ის, რაც უნდა იყოთ მოვალეობის გამო და სიყვარულით არ შეასრულებთ თქვენივ ვალის მოთხოვნათ.

აჰ, ჩემო მეგობარო, მე უფრო ნაკლებ უნდა მეშინოდეს ამ ზიზღისა, ვიდრე წინანდელ მდგომარეობათა მიმართ თქვენი მეტისმეტი ერთგულებისა. რას არ მოვიქმედებ თქვენთან ანგარიშის გასასწორებლად? უფრო გულუხვად გადაგიხდით სამაგიეროს, ვიდრე დაგპირდით. განა კლარასთან ერთად ჟიულისაც არ მოგიბოძებ? განა ხელთ არ გექნებათ ჩემი არსების საუკეთესო ნაწილი? და განა ამის გამო უფრო ძვირფასი არ გახდებით ჩემთვის? რა სიხარულით და გულარხეინად შევუვრდები თქვენს სიყვარულს! დიახ, განაცდევინეთ კლარას ყოველივე, რასაც მე მპირდებოდით: დაე, მასთან კავშირით თქვენმა გულმა აღასრულოს ჩემთვის მოცემული ყველა აღთქმა; დაე, მან მისცეს კლარას, თუ ეს შესაძლებელია, ყველაფერი, რაიც ჩემთვის უნდა გებოძებინათ. ო, სენ-პრე! მე ვუთმობ მას თქვენს ძველ ვალს. გახსოვდეთ, ადვილი როდია მისი ანაზღაურება.

აი, ჩემო მეგობარო, რა საშუალება მოვიგონე ჩვენი უხიფათო შეერთებისათვის, იმის გამო, რომ ჩვენს ოჯახში ისეთივე ადგილი დაიჭიროთ, როგორიც გიკავიათ ჩვენს გულში. როცა ყველას შეგვაერთებს სანატრელი, წმიდათაწმიდა კავშირი, ჩვენ ვიქნებით ერთმანეთის ძმები და დები და აღარ აღმოჩნდებით არც თავის თავისა და არც ჩვენი მტერი: კანონიერად გამხდარი ფრიად სასიამტკბილო გრძნობები კვალად აღარ იქნება სახიფათო და საშიშარი, რაკი აღარ დაგვჭირდება მათი ჩახშობა და აღარც მათი შეგვეშინდება. უკვე აღარ შევეწინააღმდეგებით ამ მომხიბლავ გრძნობებს, ისინი ჩვენთვის მოვალეობაც იქნება და სასიამო საქმეც; მხოლოდ გვეყვარება ერთმანეთი უფრო სრულქმნილი სიყვარულით, რაც მართლაცდა შეგვაკავშირებს, და ვიგემებთ საგულისგულო მეგობრობისა და უმანკოების მომხიბვლელობას. თქვენ შეასრულებთ, რაც ვალად გაძევთ, და უკეთუ ჩვენი ბავშვების გამო ამ ამაგისათვის ზენა მოგაგებთ ბედნიერებას თავადვე გახდეთ ოჯახის მამა, მაშინ მიხვდებით, თუ რაგვარ ძვირფასი იყო ჩვენთვის თქვენი შემწეობა. ჭეშმარიტი ადამიანური ბედნიერების მწვერვალზე

აღმაღლებით ისწავლით თქვენი მახლობლებისათვის სასარგებლო ცხოვრების სასიამტკბილო ტვირთის განცხრომით ტარებას; დაბოლოს, იგრძნობთ იმას, რის დაჯერებაც არასოდეს ძალედვა უზნეო ადამიანთა ფუჭ სიბრძნეს: დარწმუნდებით, რომ ამქვეყნად არსებობს ბედნიერება, რის განცდაც მხოლოდ და მხოლოდ სათნოების მეგობართ შეუძლიათ.

მოცალეობის ჟამს აწონ-დაწონეთ ჩემი წინადადება – იმიტომ კი არა, გადაწყვიტოთ, ხელს გამლევთ თუ არა იგი (აქ თქვენი პასუხი არც მესაჭიროება), არამედ იმისათვის, რათა კარგად მოიფიქროთ, შეეფერება თუ არა ის ქალბატონ დ'ორბს და ძალგიძთ თუ არა გახადოთ ბედნიერი ისე, როგორც თავად გაგაბედნიერებთ თქვენ. ხომ იცით, როგორ ასრულებდა თავის მოვალეობას; ყოველმხრივ სამაგალითო მეუღლე იყო. და იმ თვისებათა მიხედვით, რაც მას მოეპოვება, განსაჯეთ, თქვენგან რის მოთხოვნის ნებაც აქვს. შეუძლია უყვარდეს ისე, როგორც ჟიულის, და იგი ჟიულიზე ნაკლები სიყვარულის ღირსი როდია. თუკი გრძნობთ, კლარას ღირსი ვარო, გაუმჟღავნეთ ყველაფერი; დანარჩენში ჩემი იმედი იქონიეთ – ვეცდები კლარას დარწმუნებას. მაგრამ, ეგებ, მეტისმეტად დაგენდეთ? რა ვუყოთ, ასეა თუ ისე, წესიერი ადამიანი ხართ და იცნობთ მის სულიერ სიფაქიზეს, როდი ისურვებდით ბედნიერებას მისი უბედურების ფასად. დაე, გული თქვენი იყოს კლარას ღირსი, და თუ არა და, ნუღარ ლამობთ მის ქმრობას.

კვლავაც გეტყვით, კარგად ჩაუფიქრდით ყოველივეს. აწონ-დაწონეთ ყველაფერი, სანამ მიპასუხებდეთ. როცა საქმე ადამიანის ბედ-იღბალს, მთელ მის სიცოცხლეს ეხება, კეთილგონიერება როდი დაუშვებს დაუფიქრებელ გადაწყვეტილებათა მიღებას, – როცა სათნო არსების ბედი წყდება, მაშინ დანაშაულია ყოველგვარი ქარაფშუტობა. ჩემო კეთილო მეგობარო, მაშ, განიმტკიცეთ სული თქვენი გონიერების მთელი ძლიერებით. ო, ნუთუ ყალბი სირცხვილი ხელს შემიშლის შეგახსენოთ, რა არის ყველაზე საიმედო საყრდენი? თქვენთვის უცხო ხილი როდია რელიგია, ოღონდ ვიშიშვი, ვაითუ არ ეძიებთ-მეთქი მის ხელშეწყობას გადამწყვეტ წუთებში, არ ხელმძღვანელობთ მით ცხოვრების ასპარეზზე და, შესაძლოა, ფილოსოფიის მწვერვალებიდან სიძულვილით დასცქერით ქრისტიანის მიამიტობას. მე ვამჩნევდი კიდეც, რომ ამგვარად უცქეროდით ლოცვას, რაიც არ მომწონს. თქვენი აზრთ, ჩვენი უწყინარი ხვეწნა-ვედრება სავსებით უსარგებლოა ჩვენთვის, ვინაიდან უფალმა აღჭურვა ჩვენი სინდისი ყველაფრით, რაიც სიკეთისაკენ წაგვიძღვება, შემდეგ კი ბედის ანაბარა მიგვატოვა და გვიბრძანა, თავისუფლად იმოქმედეთო. ხოლო ამას როდი გვასწავებს წმინდა პავლე და არც ჩვენი ეკლესია გვიქადაგებს ამგვარ რასმე. ჩვენ თავისუფალნი ვართ, – ეს მართალია, – მაგრამ ჩვენ ხომ უვიცნი ვართ, უილაჯონი, ვესწრაფით ბოროტებას, მიველტვით ბოროტ საქმეთ, და ვინ უნდა მოგვმადლოს ნათელი და ძალ-ღონე, თუ არა მან, ვინაც მათი სათავე და წყაროა? ხოლო საიდან შევიძენთ ამ ნათელსა და ძალ-ღონეს, თუ არ გაჭირვებით და არ შევთხოვთ ღმერთს მათ გარდმოვლენას? ერიდეთ, ჩემო მეგობარო, უზენაესი არსების გამო თქვენეულ უზეშთაეს წარმოდგენას მედიდურობამ არ მიუსართოს ადამიანისაგან განცდილი ქვენა წარმოსახვანი, თითქოსდა ის საშუალებები, რაიც თქვენი უძლურების გამო გვიმსუბუქებენ მოქმედებათ, შეეფერებოდეს ყოვლისშემძლე ღმერთს, ვითომც როგორც ჩვენთვის, ისე მისთვისაც საჭირო იყო განზოგადება, რათა უფრო ადვილად გაირკვეს ყველაფერი. თქვენ რომ ყური გიგდოთ კაცმა, ყოვლისმშემძლე ღმერთს გაუძნელდება ყოველი ცალკე პიროვნების გამო ზრუნვა, შიშობთ, ვაითუ მისთვის მოსაბეზრებელი იყოს ყურადღების დაქუცმაცებაო, და მისთვის უფრო ხელსაყრელად მიიჩნევთ საერთო კანონებისდა მიხედვით მოქმედებას, ვინაიდან ეს ნაკლებ ჯაფად უღირსო. ო, დიადო ფილოსოფოსებო; უფალი ღმერთი რა მადლიერი უნდა იყოს თქვენი იმის გამო, რომ უკარნახებთ მოქმედების ხელსაყრელ ხერხებსა და უმსუბუქებთ შრომას!

თქვენ ამბობთ, განა ღმერთს რად უნდა ვთხოვოთო რამე? ნუთუ ჩვენი საჭიროებანი მისთვის ცნობილი არაა? განა ის ჩვენი მამა აღარაა? და, მამის გარდა, აბა, კიდევ ვის შეჰფერის თავის შვილებზე ზრუნვაო? განა მასზე უკეთ ვიცით, რა გვესაჭიროება, და გვსურს ვიყოთ უფრო მეტად ბედნიერი, ვიდრე მას სურს ამის მოცემაო? ძვირფასო სენ-პრე, რაოდენი ფუჭი სოფიზმია ამ სიტყვებში გაბნეული! ყველაზე უმნიშვნელოვანესი ჩვენი საჭიროება არის ერთადერთი, რის დაკმაყოფილებაც თვითონ ჩვენვე შეგვიძლია, – ესაა ვიგრძნოთ ჩვენი საჭიროების აუცილებლობა: უბედურებისაგან თავდასაღწევად, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ვიცნობდეთ ამ უბედურებას. ვიყვნეთ თავმდაბალნი და მორჩილნი და მაშინ მოვიპოვებთ სიბრძნეს, ვეცადნეთ ჩვენთა უძლურებათ დანახვას, და მაშინ ვიქნებით ძლიერნი. სწორედ ამგვარად სამართლიანობა შეერწყმის ლმობიერებას, და მადლი და სიკეთე გამეფდება თავისუფლებასთან ერთად. უძლურება მონებად გვხდის, ხოლო ლოცვა თავისუფლებას გვანიჭებს, და ჩვენზედან ჰკიდია, მოვიკრებთ თუ არა ძალ-ღონეს, რაიც თავისთავად არ გაგვაჩნია და არც შეიძლება გვქონდეს. იგი ღმერთს უნდა გამოვთხოვოთ, და ის მოგვმადლის კიდეც.

მაშ, ისწავლეთ საძნელო ვითარებათა ჟამს იყოთ არა მარტოოდენ საკუთარი თავის იმედნეული, – დაე, თქვენი გონება განგინათლოთ მან, ვისი ძლევამოსილებაც შერწყმია გონებას და ვინაც გვიკარნახებს საუკეთესო განაჩენს ყველა მათგანს, რის მიღებაც შესაძლებელია; ადამიანის სიბრძნეს, თვით ისეთსაც კი, რომელიც მიმართულია ქველკეთილ მიზანთა დასანერგად, ერთი დიდი ზადი აქვს, სახელდობრ – ჩვენი მეტისმეტი ქედმაღლობა, როცა მომავალს მუდამ აწმყოს მიხედვით ვსჯით და ერთი წუთის მიხედვით კი – მთელ ცხოვრებას. წამიერად თავს მტკიცედ ვგრძნობთ და უკვე გვგონია, ფეხი არასოდეს დაგვიცდებაო. ჩვენ აღსავსენი ვართ ზვიადობით, თუმცა ცხოვრებისეული გამოცდილება ამას ყოველდღიურად ძრახავს და ჰკილვას, და გვგონია, რაკი ერთხელ დავაღწიეთ თავი ხაფანგს, უკვე აღარაფრის აღარ უნდა გვეშინოდეს. ნამდვილად სახელოვანი ადამიანი მოკრძალებით იტყვის: ამა და ამ დღეს მამაცი ვიყავიო; ხოლო მას, ვინაც ამბობს: მამაცი ადამიანი ვარო, არ შეუძლია იცოდეს, ხვალაც მამაცი იქნება თუ არა, და რაკი თავის საკუთარ დამსახურებად მიიჩნევს თვისებას, რაც სხვისაგან აქვს ბოძებული, ღირსებისამებრ დაჰკარგავს სიმამაცეს, ოდეს მისჭირდება მისი გამომჟღავნება.

რა სასაცილო უნდა იყოს ჩვენი განზრახვა, რა უაზრობაა ჩვენი მსჯელობანი გამჩენის წინაშე, ვისთვისაც არ არსებობს არავითარი ზღუდე დრო-ჟამისა და სივრცის მიღმა! ჩვენ აინუნშიც კი არ მოგვდის არაფერი, რაც შორსაა ჩვენგან, მხოლოდ იმას ვხედავთ და განვიცდით, რაც გვეხება და ჩვენს ახლოსაა; ადგილის გამოცვლისას ხშირად იცვლება ჩვენი მსჯელობაც წინანდელთა საპირისპიროდ, მაგრამ ამის გამო იგი უფრო საფუძვლიანი როდი ხდება. ვადგენთ მომავლის გეგმებს იმასთან შესაბამისად, რაც ხელს გვაძლევს დღეს, ხოლო არ ვიცით, ხელსაყრელი იქნება ეს ჩვენთვის ხვალ თუ არა; საკუთარ თავზე ისე ვფიქრობთ, თითქოსდა მუდამჟამს წინანდლები ვრჩებოდეთ, სინამდვილეში კი ყოველდღიურად ვიცვლებით. აბა, ვინ იცის, გვეყვარება თუ არა ის, რაც ახლა გვიყვარს, და მოვისურვებთ თუ არა მას, რაც ამჟამად გვსურს: ნეტავი თუ დავრჩებით ისეთნი, რანიცა ვართ ამჯერად, ჩვენს სხეულში წარმოქმნილი გარეშე საგნები და ცვალებადობანი ხომ არ გამოიწვევენ ღრმა ცვლილებათ ჩვენს სულშიც, და უბედურებად ხომ არ გადაგვექცევა ის, რაიც ჩვენი ბედნიერებისათვის განვიგულეთ? დამანახვეთ ადამიანური სიბრძნის წესები, და მეც იმით ვიხელმძღვანელებ. მაგრამ რადგანაც მისი საუკეთესო დარიგება გვასწავებს არ მივენდოთ მას, მაშინ ამ სიბრძნეს უნდა შევურიგდეთ, რომელიც არასოდეს მოგვატყუებს, და ვეცადოთ იმის გაკეთებას, რასაც იგი შთაგვაგონებს. მე ვემუდარები მას განმანათლოს, როცა რჩევა-დარიგებას გაძლევთ, ილოცეთ თქვენაც,

რომ გაგანათლოთ და დაგეხმაროთ მართებული გადაწყვეტილების მიღებისას. ძალიან კარგადაც ვიცი, როგორი გადაწყვეტილებაც უნდა მიიღოთ, მუდამჟამს ქველკეთილ და პატიოსნურ მიზანს დაისახავთ. ოღონდ ეს კიდევ არაა საკმარისი: მუდამ იმას უნდა მიელტვოდეთ, რაიც სამარადჟამოდ დაშთება, ხოლო ამის განსჯა მე და თქვენს ძალ-ღონეს აღემატება.

VII წერილი

პ ა ს უ ხ ი

ჟიული! ნუთუ ეს თქვენი წერილია! შვიდი წლის დუმილის შემდეგ... აი, ეს, ეს წერილი, ვხედავ მას, ხელით ვეხები კიდეც; და განა ჩემი თვალები ვერღა იცნობდნენ ამ ნაწერს, რომლის დავიწყება გულს აღარ ძალუძს? ეს რა ამბავია! თქვენ კვლავ გახსოვთ ჩემი სახელი? კიდევ არ გადაგავიწყდათ მისი დაწერა?.. და თქვენი ხელი არც კი ათრთოლდა, როცა დაწერეთ ეს სახელი ქაღალდზე[136]... თითქოს მაბოდებს, და ეს თქვენი ბრალია. ფორმა, კონვერტი, ბეჭედი, მისამართი – ყველაფერი ამ წერილში მომაგონებს სხვა, თქვენს სულ სხვა წერილებს. თქვენი გული და ხელი თითქოსდა ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან. აჰ, ნეტავი იმავე ხელს სხვანაირი გრძნობები გამოეთქვა!

იქნება, გეგონოთ, რომ ძალზე ბევრს ვფიქრობდე თქვენს წინანდელ წერილთა გამო და ამით ვადასტურებდე უკანასკნელ წერილში თქვენგნით გამოთქმულ სიფრთხილეთ. ცდებით. ძალიან კარგად ვიცნობ ჩემს თავს, მე უკვე ის აღარ ვარ, რაც წინათ გახლდით, ანდა თქვენ უკვე ის აღარ ბრძანდებით, როგორიც იყავით; და აი, მიიღეთ ამის საბუთი: მომხიბვლელობისა და გულკეთილობის გარდა ყველაფერი, რასაც ვპოვებ თქვენში წინანდელ ნიშან-თვისებათაგან, ჩემთვის ახალი და ასე გასაოცარი გახდა. ამ დაკვირვებით უნდა დაგაშოშმინოთ შიშნეულობისაგან. არაფრისდიდებით არ ვენდობი ჩემს ძალ-ღონეს, სამაგიეროდ, დავენდობი გრძნობას, რაიც დამიხსნის აუცილებლობისაგან აღვიჭურვო ამ ძალ-ღონით. როცა უღრმეს პატივსა ვცემ იმ ადამიანს, რომლის თაყვანებასაც უკვე ვეღარ გავბედავ, კარგად ვიცი, როგორი უდიდესი პატივი უნდა მივაგო მას – წინანდელი თაყვანისცემის დავიწყებისას. მე აღსავსე ვარ თქვენს მიმართ უაღრესად სათუთი მადლიერებით, და თუმც წინანდელებრივ მიყვარხართ, მაგრამ ყველაზე უფრო მაყვარებს თქვენს თავს გონება, რომელიც დამიბრუნდა. იგი იმგვარად მაჩვენებს თქვენს არსებას, როგორიცა ხართ, და უკეთ გემსახურებათ, ვიდრე თავად სიყვარული. არა, მე რომ შემენარჩუნებინა წინანდელი, სადღეისო ბოროტეული ლტოლვა, ასე ძვირფასი როდიღა იქნებოდით ჩემთვის.

მას შემდეგ, რაც თავს აღარ ვიტყუებ და შორსმჭვრეტელი ვოლმარის შემწეობით შევიცან თავი ჩემი, ჩავწვდი ჩემს ნამდვილ გრძნობებსა და უფრო ნაკლებ მეშინია ჩემი უძლურებისა... დაე, გაიტაცოს მან ჩემი წარმოსახვა, დაე, წინანდელი ცდომილება ისევ სასიამტკბილო იყოს, – ჩემი სიმშვიდისათვის საკმაოა ვიცოდე, რომ იგი ვეღარ შეიძლებს თქვენს შეურაცხყოფას; და ის ქიმერა, რასაც ოცნებით მიველტვი, დამიხსნის ნამდვილი ხიფათისაგან.

[136] უკვე აღნიშნული იყო, სენ-პრე მოგონილი სახელიაო. შესაძლოა, წერილი ნამდვილ სახელზე იყო გაგზავნილი.

ო, ჟიული! არსებობენ მუდმივი ცოცხალი შთაბეჭდილებანი, რასაც ვერც ხანი, ვერც ჩვენი ძალ-ღონე ვერ წარხოცავს. ჭრილობა შეხორცდება, მაგრამ ნაჭრილობევი რჩება, და ეს ნაჭრილობევი იქცევა წმიდათაწმიდა ბეჭდად, რაც იცავს გულს ახალი ხელყოფისაგან. ცვალებადობა შეუთავსებელია სიყვარულთან: მიჯნური, რომელიც შეიცვალა, საერთოდ კი არ შეცვლილა: ის იწყებს ანდა წყვეტს სიყვარულს. რაც შემეხება მე, შევწყვიტე სიყვარული, ოღონდ თუმცაღა ამიერიდან თქვენ აღარ გეკუთვნით, მაინც კვლავინდებურად თქვენი მფარველობის ქვეშ ვიმყოფები. მე აღარ მეშინია თქვენი, მაგრამ თქვენი მეოხებით აღარც სხვა ქალისა მეშინია. არა, ჟიული, არა, კეთილშობილო არსებავ, თქვენთვის მუდამ ვიქნები მარტოოდენ მეგობარი, სათნოებათა თქვენთა პატივისმცემელი, ოღონდ ჩვენი პირველი და ერთადერთი სიყვარული სამარადჟამოდ ჩამრჩება გულში. დაუვიწყარი იქნება ჩემთვის ჩემი ყმაწვილკაცობის წელთა ხსოვნა. მთელი საუკუნეები რომ გავძლო, არ ჩამიქრება სამუდამოდ განვლილი ტკბილი ახალგაზრდობის მოგონებები. დაე, ის აღარ ვიყვნეთ, რანიც წინათ ვიყავით, მაგრამ რა დამავიწყებს, რანიც ვყოფილვართ. ხოლო ახლა თქვენი მამიდაშვილის გამო ვილაპარაკოთ.

ძვირფასო მეგობარო, უნდა გამოგიტყდეთ, რომ, მას შემდეგ, რაც ვეღარ ვბედავ კვლავ დავტკბე თქვენი მშვენიერების ხილვით, უფრორე მგრძნობიარე გავხდი მისი ჯადო-თილისმის მიმართ. განა ვის თვალებს ძალუძდათ ხან ერთი და ხან მეორე სილამაზის ჭვრეტა და აროდეს შეჩერებულიყვნენ არც ერთ მათგანზე? მეც არაერთხელ შევყურებდი თქვენს მამიდაშვილს, მართლაცდა, მეტისმეტი სიამოვნებით, ხოლო განშორებისას ჩემს გულში აღბეჭდილი მისი ნაკვთები უფრორე ღრმად იჭრებიან შინ. სამლოცველოს კარი დახშულია, მაგრამ ტაძარში ჰგიებს მისი ხატებაც. შეუმჩნევლად ვხდები მისთვის ის ადამინი, რაც ვიქნებოდი იმ შემთხვევაში, არასოდეს რომ არ მენახეთ. და მარტოოდენ თქვენ ერთს შეგეძლოთ ჩემი შეგულიანება, რათა გამეგო განსხვავება სიყვარულისა და იმის შორის, რასაც კლარა აღმიძრავდა; ამ ბობოქარი ვნებათაღელვისაგან თავისუფალი სისხლის აღბორგება შეუერთდა მეგობრობის სასიამო გრძნობას. მაგრამ ამის გამო განა მეგობრობა ტრფიალებად გადაიქცევა? აჰ, ჟიული! რა დიდია განსხვავება! სადღაა აღტაცებანი? სად გაქრა თაყვანისცემა? რა იქნა საკვირველი სიგიჟე, უფრორე ბრწყინვალე, უფრო დიადი და მეტადრე მძლავრი და მორჭმული, ვიდრე გონება, და მასზე ასგზის თვალწარმტაცი? ყოველივე გაცუდდა. მე მხოლოდ წამიერად აღვენთები, წუთიერი მღელვარება მყის ჩამიქრება. მე და კლარა კვლავ ვხდებით მეგობრები, რომელთაც უყვართ ერთმანეთი და მშვიდად ამბობენ ამას. და განა ასე უყვართ გამიჯნურებულთ? სიტყვები „თქვენ“ და „მე“ განდევნილია მათი ენიდან, ვინაიდან შეყვარებულნი არიან სულითა და გულით განუყრელნი და ერთარსებად ქცეულნი.

მაგრამ განა მე მართლაც დამშვიდებული ვარ? ან კი შესაძლებელია ეს? ის მშვენიერია, იგი თქვენი და ჩემი დობილია, მასთან მაკავშირებს მადლიერების გრძნობა: მასთანაა დაკავშირებული უაღრესად სასიამტკბილო ჩემი მოგონებანი. აი, რამდენი უფლება აქვს მას ჩემი მგრძნობიარე არსების მიმართ. და ვითარ გამოვყოთ ყველა ამ კანონიერ გრძნობათაგან უფრო სათუთი გრძნობა? ვაგლახმე! ეტყობა, ბედისწერამ ასე მომისართა, არც ერთი წუთით არ მეღირსოს მოსვენება და სიმშვიდე მასსა და თქვენს შორის.

ო, დედაკაცნო! დედაკაცნო! საყვარელო და საბედისწერო ქმნილებანო, ვისაც ბუნებამ მოგმადლათ სიმშვენიერე ჩვენდა სატანჯველად, თქვენ სასჯელს მიაგებთ მათ, ვინაც აბუჩად გიგდებთ, და საშველს არ აძლევთ იმ ადამიანებს, თქვენ გამო შიშით რომ კანკალებენ. თქვენი სიძულვილი და სიყვარული ჩვენთვის თანაბრად სახიფათოა, და დაუსჯელად არა გვხამს არც თქვენგნით ყურადღების ძიება და არც თქვენგან გარდახვეწა! დედაკაცი! ეს სილამაზეა, მომხიბვლელობა, მიმზიდველობა, მშვენება, რეალური არსება

თუ იგავმიუწვდომელი ქიმერა, ურვა-წუხილისა და სიამეთა უფსკრული! სილამაზე მოკვდავთათვის უფრორე საშინელი რამეა, ვინემ სტიქიონი, რამაც შენ წარმოგქმნა. ვაი მას, ვინაც მიენდოს შენს მაცდუნებელ სულის მშვიდობას! ეს ხომ შენა ხარ, ადამიანთა მოდგმის განმტანჯველ ქარიშხალს რომ იწვევ. ო, ჟიული! ო, კლარა! ძვირად დამიჯდა საშინელი მეგობრობა, რითაც კვეხნას ბედავთ ჩემს წინაშე!.. აბა, რაოდენი ქარიშხალი განვიცადე, და მხოლოდ და მხოლოდ მუდამ თქვენ იწვევდით მას. ოღონდ რაოდენ სხვადასხვაგვარია მღელვარებანი, რაც თითოეულმა თქვენგანმა განაცდევინა ჩემს გულს. ჟენევის ტბის ტალღები როდი ჰგვანან თვალშეუდგამი ოკეანის ზვირთებს. ტბაზე მსწრაფლ ბორგავენ და მღელვარებენ ტალღები, სხარტ-სხარტად, ქედფიცხლად აქოჩრილნი, გამუდმებით მოგორვენ ნაპირისაკენ, ბობოქრობენ, ჟამითი-ჟამად თავს გადაევლებიან მას, ოღონდ ვერასოდეს ამთაგორდებიან მრისხანედ. ხოლო თითქოსდა მშვიდ ზღვაზე ყოფნისას კი გრძნობ, როგორ აგიყვანს ხელში, მიგაქროლებს ისე ფაფუკად და ისე შორს ნელი და თითქმის უჩინარი ღადო; ასე გგონია, ერთ ადგილას ვდგავარო და, ცხრა მთას გადაღმა კი ხარ გადატყორცნილი.

ესოდენ სხვადასხვაგვარად მოქმედებენ ჩემზე მისი და თქვენი ჯადო-თილისმა. პირველი და ერთადერთი ჩემი სიყვარული, რომელმაც შეატრიალა ჩემი ბედი, მთელი ჩემი ცხოვრება, სიყვარული, თავად მის გარდა, ვერაფერმა რომ ვერ დასძლია, სავსებით ჩემდა შეუმჩნევლად შემომეგზნო; უკვე თხემით ტერფამდე შემბოჭა, მე კი ჯერ კიდევ არ ვიცოდი ეს ამბავი; თავგზა ამებნა და ვერ ვამჩნევდი, მხარი რომ მეცვალა. ვიდრე ქარი ბობოქრობდა, ხან ზეცაში ვიყავი ატყორცნილი და ხან ქვესკენლს დანთქმული; დაცხრა გრიგალი და უკვე აღარ ვუწყი, სად ვიმყოფები ამჟამად. კლარას სიახლოვეს ვამჩნევ და ვგრძნობ ჩემს შიშსა და ძრწოლას და იგი უფრორე ძლიერი წარმომიდგენია, ვიდრე სინამდვილეშია; ჩემს მოკლეჟამიერ აღტაცებათ მაინცდამაინც არავითარი შედეგი არ მოჰყვება; წუთით გაიტაცებს რაღაც და უმალვე ვმშვიდდები; ტალღა ამაოდ ელამუნება ხომალდს, ქარს არ ძალუძს იალქნების გაბერვა; მისი ჯადო-თილისმით ტყვექმნილი გახლავარ, ოღონდ გული ჩემი არავითრი ილუზიებით არ განადიდებს და არ ამკობს მათ. შევყურებ მას და ვხედავ, რომ იმაზე უფრო ლამაზიცაა, ვიდრე წარმოვიდგენდი, და უფრორე ვძრწი და ვშფოთავ მის სიახლოვეს, ვიდრე შორს ყოფნისას; ეს არის თითქმის იმ მოქმედების სრულიად საპირისპირო ამბავი, თქვენით რომ განვიცდიდი: ამას გამუდმებით ვგრძნობდი კლარანში.

თუმცაღა, ჩემი წასვლის შემდეგ მისი სახება უფროისი ძალაუფლებით შემსჭვალავს ჩემს სულსა და გულს. სამწუხაროდ, მეძნელება გონების თვალით მარტოულად დავინახო იგი. მაგრამ მაინც ვხედავ მას და ეს უკვე პატარა ამბავი როდია. ოღონდ სიყვარულს კი აღარ აღმიძრავს, არამედ მღელვარებას.

აი, თქვენსა და მის მიმართ გრძნობათა ჩემთა ნამდვილი სურათი. სხვა დანარჩენი ქალები არაფრად მიჩანს, ჩემმა ხანგრძლივმა ტანჯვა-წამებამ მაიძულა მათზე გული ამეყარა:

E fornito il mio tempo a mezzo gli anni.[137]

ჩემს ნებისყოფის ძალას ვაი-ვარამი შეენაცვლა, რამეთუ ხელი შემიწყო ბუნების დამორჩილებისას და ცდუნებათა ზედან გამარჯვების დროს. როცა იტანჯები, რა ცოტა გულის წადილი გაქვს მაშინ; თანაც, თქვენ ხომ მასწავლეთ ვნებათა ღელვის დაოკება და მოგერიება. დიდი და უიღბლო სიყვარული საუკეთესო საშველია ადამიანის გასაბრძნობელად. ახლა ჩემი გული, ასე ვთქვათ, განაგებს ჩემს ნატვრა-სურვილს: როცა

[137] გზა ჩემი დამთავრდა ცხოვრების შუაგულ (იტალ).

იგი დამშვიდებულია, აღარაფერი არა მინდა რა. მიანებეთ მას სიმშვიდე თქვენცა და კლარამაც, და მაშინ ამ სიმშვიდეზე ხელს აღარ აიღებს.

აბა, რად უნდა მეშინოდეს ჩემი თავისა ასეთი სულიერი მდგომარეობის დროს? თქვენ კი რად გწადიათ რაღაც სასტიკი სიფრთხილის გამო წარმტაცოთ ჩემი ბედნიერება, რათა თავიდან ამაცილოთ მისი დაკარგვის საფრთხე? რატომ გსურთ ეს ამბავი? რა ახირებაა! მაიძულეთ ბრძოლა და გამარჯვება, რათა წარგეტაცათ ამ გამარჯვების ნაყოფი! განა თვითონვე არ კიცხავთ იმათ, ვინაც სრულიად უსარგებლოდ და უსარფოდ დაეძებს ხიფათს? აბა, რად მომიწოდეთ, რად მიბოძეთ თქვენს ახლო ცხოვრების ნება, უკეთუ ეს აგრერიგად სახიფათოა? და განა რად მოგეპრიანათ ახლა ჩემი გაძევება, როცა დარჩენის ღირსი ვარ? რად ინებეთ, თქვენს მეუღლეს ესოდენი შრომა რომ გაეწია? რად არ ურჩიეთ აღარ გარჯილიყო, უკეთუ ფუჭად მიიჩნევდით ამ გარჯას? რატომ არ უთხარით: გადაკარგეთ ეს კაცი ცხრა მთას იქით, რადგან სულ ერთია, პირს იქითკენ ვუზამო. ვაგლახ-მე! რაც უფრო იშიშვით ჩემს გამო, მით უფრო მალე უნდა მომიწოდოთ თქვენკენ. არა, საფრთხე თქვენს სიახლოვეს კი არ მელის, არამედ თქვენგან განშორებისას, და თქვენი მხოლოდ იქ მეშინია, სადაც თქვენ არ იმყოფებით. როცა მრისხანე ჟიული მდევნის, თავშესაფარს ქალბატონ დე ვოლმარის ახლოს ვპოულობ, და მაშინ არხეინად ვგრძნობ თავს. მერე კი საით გავიქცე, თუ ამ დასაყუდარს წარმტაცებენ? ქალბატონ დე ვოლმარს მოშორებული მიწყივ და ყოველგნით საფრთხე მემუქრება – დღენიადაგ მიდარაჯებს კლარა, ანდა ჟიული. ერთიცა და მეორეც რიგრიგობით მტანჯავდა უწინ, მტანჯავს და მაწვალებს ახლაც; მხოლოდ და მხოლოდ თქვენი დანახვისას ვგრძნობ, თუ როგორ შოშმინდება ჩემი შიშნეული წარმოსახვა, მხოლოდ და მხოლოდ თქვენი სიახლოვე დამიცავს საიმედოდ ჩემივე თავისაგან. როგორ აგიხსნათ და განგიმარტოთ ცვლილება, რასაც განვიცდი თქვენთან მოახლოებისას? თქვენ ხელთა ვარ ისევე, როგორც წინარე დროსა და ჟამს, ოღონდ ამ ამბის მოქმედება წინადღის საპირისპიროა: თრგუნავს და აშთობს თქვენგნით წარმოქმნილ აღტაცებათ; იგი უფრორე აღზევდა და განსპეტაკდა; ბობოქარ ვნებათა ღელვას შეენაცვლა სულის სიმშვიდე და უშფოთველი მყუდროება; ჩემი გული მუდამ თქვენი გულის დარი იყო, თანატოლფასად ვეტრფოდით ერთმანეთს და თქვენმა მაგალითმა დამაშოშმინა. მაგრამ ეს მარტოოდენ მოკლეჟამიერი სულის მოთქმაა და დროებითი შესვენება. უკეთუ თქვენთან ყოფნისას მაინც მოვახერებ გაგიტოლდეთ, განშორებისას ამ სიმაღლიდან ძირს ვეშვები და საკუთარი თავის ამარა ვრჩები. თუმცა, ჟიული, თითქოს ორი სული მაქვს, და ერთ-ერთი მათგანი, რომელიც საუკეთესოა, თქვენ გებარებათ შესანახად. აჰ, ნუთუ გწადიათ განმაშოროთ მასთან?

მაგრამ თქვენ გაძრწუნებთ გრძნობათა ჩემთა შესაძლისი მღელვარებანი. გაშინებთ ვაი-ვარამის ტვირთქვეშ დაშრეტილი ახალგაზრდობის ნამუსრევი. თქვენ იშიშვით ახალგაზრდა ქალთა გამო, რომელეთაც მეურვეობთ; ერთი სიტყვით, თქვენ გეშინიათ ჩემი მხრიდან ისეთი საქციელის ჩადენისა, რასაც ჩემგან ფრთხილი ვოლმარიც არ მოელოდა. ო, ღმერთო, როგორ მამცირებენ ეს საშინელი ეჭვები! ნუთუ ასე ნაკლებ პატივსა სცემთ თქვენ მეგობარს? უფრორე ნაკლებს, ვიდრე თქვენს უკანასკნელ მსახურს, ხომ? მზად ვარ მოგიტევოთ, ცუდს რომ ფიქრობთ ჩემ გამო, ოღონდ არასოდეს გაპატიებთ, თქვენსავე თავს უპატიურად რომ ეპყრობით. არა და არა, სული ჩემი განასპეტაკა ჩემმა დამწველმა ცეცხლმა. ახლა უკვე აღარ გამაჩნია ჩვეულებრივი მამაკაცური უილაჯობა. უკეთუ, ყოველივე იმის შემდეგ, რაც მოხდა, თუნდაც წამიერად არამზადა აღმოვჩნდებოდი, ცხრა მთას იქით გადავიკარგებოდი, და მაშინაც სულ ვიფიქრებდი, თქვენგან არც ისე შორს ვიმყოფები-მეთქი.

ეს როგორ მოხდა! განა რაიმეთი შევბღალავ ჩემი გულისთვის ესოდენ სასიამტკბილო თქვენი სახლის წესრიგს, რაიც ასე აღმიტაცებდა და მაფრთოვანებდა?

ვითომდა მე უნდა შევბღალო უმანკოებისა და მყუდროების სავანე, სადაც განვცხრებოდი და განვისვენებდი – მის მიმართ პატივისცემით გამსჭვალული? და განა ძალმიძს ვიყო ასეთი სალახანა!.. გამიგონეთ, ყველაზე გათახსირებულ ადამიანსაც კი შეძრავდა ასეთი საუცხოო სურათი! ნუთუ სინანული არ შეიპყრობდა მას სიყვარულისა და პატიოსნების ამ სავანეში? არამც თუ არ შეიტანდა იქ თავის ზნედაცემულობას, არამედ თავადვე განირიდებდა მას... აბა, ეს რა იფიქრეთ! განა ასეთი ვარ, ჟიული? ასე გვიან? მერედა კიდევ თქვენი შემყურე?.. ძვირფასო მეგობარო, თამამად გამიღეთ თქვენი სახლის კარები; ჩემთვის იგი სათნოების ტაძარია: ყოველი მხრიდან შემოვყურებ მის დიდებულ სახებას და თქვენს სიახლოვეს მყოფს ძალმიძს მხოლოდ მას ვმსახურებდე. თუმცა ანგელოზი როდი გახლავართ, მაგრამ მე ხომ ანგელოზთა სავანეში ვიცხოვრებ და მათ მაგალითს მივბაძავ. მხოლოდ იგი უნდა ილტვოდეს თქვენგან, ვისაც არ უნებს მათ დარად ყოფნა.

იცით, რა გაჭირვებით მივადექი თქვენი წერილის მთავარ საგანს, პირველს, რის გამოც უნდა მეფიქრა, ერთადერთ საგანს, რითაც ძალზე დაინტერესებული ვარ, უკეთუ გავბედავ იმ ბედნიერების დაჩემებას, თქვენ რომ მამცნობთ. ო, ჟიული! გულკეთილო, სწორუპოვარო ქმნილებავ! როცა მთავაზობთ თქვენი არსების საუკეთესო ნახევარს, თქვენ შემდეგ უძვირფასეს საუნჯეს, რაიც კი მოიპოვება ქვეყნიერებაზე, ჩემთვის აკეთებთ, უკეთუ ეს შესაძლებელია, უფრო მეტს, ვიდრე უკვე გაგიკეთებიათ. სიყვარულმა, ბრმა სიყვარულმა, გაიძულათ დამნებებოდით; მაგრამ თქვენ გინებთ მომათხოვოთ თქვენი დობილი – აი, პატივისცემის უდავო საბუთი. ამ წუთიდან ვფიქრობ, მართლაც რომ მომეპოვება რაღაც ღირსება, უკეთუ ასეთ პატივს მომაგებთ. ოღონდ რაოდენ სასტიკი გახდება ჩემთვის თქვენი ნდობის ეს პატივსადები დადასტურება! თუკი მას მივიღებ, არ გავამართლებ თქვენს იმედს, და ეს პატივი რომ დავიმსახურო, უარი უნდა ვთქვა მასზე. თქვენ კარგად მიცნობთ და თქვენვე განსაჯეთ. მარტოდენ ის ხომ არა კმარა, თქვენი მშვენიერი მამიდაშვილი მიყვარდეს, – მთავარია, თქვენზე ნაკლებად არ უნდა მიყვარდეს. და ესეც კარგად გამეგება. მაგრამ მეყვარება კი ამგვარად? მერედა შესაძლებელია ეს? და განა ეს ამბავი ჩემზედან ჰკიდია? გავიზიარებ კია მის გრძნობას ჯეროვნად? აჰ, უკეთუ ისურვეთ ჩვენი შეერთება, მაშინ რად არ დამიტოვეთ ჩემი გული, მთელი გული, რათა მას შთაებერა შიგ ახალი გრძნობები და საჩუქრად მიეღო მისი პირველი საუკეთესო ნაყოფი? და განა მოიძებნება კლარასათვის იმაზე უფრო ნაკლებად გამოსადეგი გული, ვიდრე ის, თქვენ რომ ასე გეტრფოდათ? მე უნდა მქონდეს ლაღი და უწყინარი სული გულკეთილ და კეთილგონიერ დ'ორბის მსგავსად, რათა ძალმედვას მასავით ვიფიქრო მხოლოდ კლარაზე; უნდა ვიყო დ'ორბის ღირსი, მისი მოადგილე რომ გავხდე, სხვაფრივ წარსულთან შედარებით აწმყო კლარასათვის აუტანელი იქნება; მეორე მეუღლის უნიათო და ნაკლული სიყვარული არამც თუ ანუგეშებს მას, არამედ გაუარჯლებს განსვენებულის გამო სინანულს. სათნო და მადლიერი მეგობრის სანაცვალოდ ხელთ შერჩება ფრიად უგერგილო ქმარი. განა მოიგებს რასმეს ესრეთი ცვლილებით? პირიქით, ორკეც წააგებს. მისი სათუთი და მოსიყვარულე გულისთვის, ძალზე საგრძნობელი იქნება ეს დანაკლისი, მე კი რაიღა დამემართება, როცა დღენიადაგ დავინახავ მას დადარდიანებულსა და სევდით მოცულს, მეცოდინება, რომ ეს ჩემი ბრალია და ძალა აღარ შემწევს ამ დარდისაგან მის განსაკურნავად. ო! მასზე ადრე მე მოვკვდები მწუხარებისაგან, არა, ჟიული, არა მსურს მისი ბედშაობით გავბედნიერდე. მეტისმეტად მიყვარს და ამიტომაც უარსა ვყოფ მის ქმრად გახდომას.

გავბედნიერდეო? თქვი, მერედა განა შემიძლია ბედნიერი ვიყო, თუკი ვერ მივანიჭებ მას ამ ბედნიერებას? განა დაქორწინებულ ერთ-ერთ მეუღლეს ძალუძს იარსებოს ცალკერძ ცხოვრებით? ნუთუ საზიარო არ უნდა ჰქონდეთ სიხარულიცა და ჭირ-ვარამიც? და ნუთუ საწუხარი, რასაც მიაგებენ ერთმანეთს ცოლ-ქმარნი, არ უმძიმებს გულს თავად

უთანხმოების მიზეზს? მის ტანჯვათა გამო მეც ბეჩავი ვინმე ვიქნებოდი, ხოლო მისი კეთილდღეობა სიხარულს ვერ მომგვრიდა. თავაზიანობა, სილამაზე, მაღალი ღირსებები, ერთგულება, სიმდიდრე – ყოველივე ეს ხელს უწყობდა ჩემს ნეტარებას, მაგრამ გული, ოდენ გული მომიწამლავდა ყოველს და მეც ასეთი საწყალობელი ვიქნებოდი ჩემი „ბედნიერებით“.

ახლა ჩემი სულიერი მდგომარეობა მის სიახლოვეს მშვენიერებითაა აღსავსე, ოღონდ სიამენი ჩემნი არათუ გაძლიერდება უფრორე მჭიდრო კავშირით, არამედ მოვაკლდები კიდეც ახლანდელ ჩემს ყველაზე დიდ დალხინებათ. უნაზესი მეგობრობის გრძნობით გამსჭვალული თავისი გიჟმაჟი ხასიათის გამო სასიამო ალერსით ამჟღავნებს ყველაფერს, ოღონდ თუ ვინმე გვახლავს. მის სიახლოვეს ზოგჯერ უსაშველო მღელვარებას შევუპყრივარ, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა თქვენს გვერდით ყოფნა განმარიდებს თქვენზე ფიქრს. ყოველთვის დგახართ ჩემსა და მის შორის, როცა ჩვენ მარტონი ვართ მასთან, და მხოლოდ თქვენი მეოხებით არის წუთები ასე წარმტაცი და მომხიბვლელი, რაც უფრო ძლიერია ჩვენი სიამტკბილობა, მით უფრო მეტად ვფიქრობთ იმის გამო, თუ რაგვარის რგოლებით შეიქმნა ეს ჯაჭვი. ჩვენი მეგობრობის ნანინანატრი კავშირი უფრორე მტკიცე ხდება, და გვიყვარს ერთად ყოფნა იმიტომ, თქვენს გამო რომ ვიმასლაათოთ. ამრიგად, თქვენს დობილსა და თქვენს მეგობარს აკავშირებს მხოლოდ მოგონება, რაც ძვირფასია ერთისათვის და უფრორე სასურველი მეორისათვის; თუ დავქორწინდებით, უნდა უკუვაგდოთ ფიქრები წარსულის გამო. ეს წარმტაცი მოგონებები ხომ ღალატი იქნება თქვენი მამიდაშვილის მიმართ? ჩემი მხრით, განა თავხედობა არ იქნება საყვარელი ადამიანი და ჩემი ღირსეული მეუღლე მესაიდუმლედ გავიხადო და მოვუთხრო მას იმ შეურაცხყოფათა ამბები, რასაც ჩემი გული უნებლიეთ მიაყენებდა? ვეღარ გავბედავდი გულის გადაშლას კლარას წინაშე, რადგან ეს გული მარად დახშული იქნებოდა მისთვის. მე მეტად ვეღარ გავბედავდი თქვენზე ლაპარაკსაც და ამის გამო ჩემს თავზეც აღარ ამოვიღებდი ხმას. ჩემი მოვალეობა და ჩემი ღირსება მოითხოვდნენ კიდევ მეტ თავდაჭერას, და ჩემი მეუღლე თანდათან უცხო გახდება ჩემთვის. დავკარგავდი ხელმძღვანელს და დამრიგებელს, ვინღა გამისხივოსნებდა სულს, ვინ დამეხმარებოდა შეცდომათა დაძლევისას? განაღა ასეთი პატივის ღირსია იგი? ნუთუ ეგ არის სინაზისა და მადლიერების საბოძვარი, რაიც უნდა მივაგო? განა ძალმიძს, ამგვარად, მივანიჭო ბედნიერება მას და ჩემს თავსაც?

ნუთუ, ჟიული, დავიწყებას მიეცით აღთქმანი ჩვენნი? ჩემს ამბავს თუ იკითხავთ, სულაც არ დამვიწყებია ისინი. ყოველივე დავკარგე. დამშთა მხოლოდ ერთგულება, და კუბოს კარამდე შევინარჩუნებ კიდეც მას. მე ვერ შევიძელი სიცოცხლე თქვენთვის; მაშ, დაე მოვკვდე თავისუფალი. უკეთუ საჭიროა ამისათვის ფიცი, თუნდაც ამ წუთში ძალმიძს ეს ჩავიდინო. თუკი ქორწინება თითოეულისათვის მოვალეობაა, მაშინ უფრორე დიდი მოვალეობაა – არავინ გააუბედურო, ხოლო, სხვასთან ცოლქმრობით შეკავშირებული, მარტოოდენ ერთ რაიმეს ვიგრძნობ: სამარადჟამო სინანულს იმ კავშირთა გამო, რომელთაც ასე თავხედურად მიველტვოდი წარსულში. წმინდათაწმინდა ქორწინებისას სულ იმის მოლოდინში ვიქნებოდი, რისი პოვნის იმედიცა მქონდა მისგან ოდესღაც. და ეს აზრი და ფიქრი სატანჯველი გადაგვექცეოდა მეცა და ჩემს ცოლსაც. ყოველნაირად ვეცდებოდი მიმეღო მისგან ის ბედნიერება, თქვენგან რომ ველოდი ოდესღაც. რაოდენი შედარება მომივიდოდა აზრად! აბა, რომელი ქალი გაუძლებდა ამას? აჰ, განაღა ჭირ-ვარამს გამიქარვებდა ის ამბავი, რომ თქვენ აღარ გეკუთვნოდეთ, და ისიც, სხვა ქალის ქმარი რომ გავხდი.

ძვირფასო მეგობარო, აბა, რად გინებს შეარყიო ის გადაწყვეტილება, რაზედაც ჰკიდია ცხოვრების ჩემი უშფოთველობა? ნუ განიზრახავ აღმომატევო არყოფნის

უფსკრულიდან, სადაც გადავიხაფრე, – არსებობის გრძნობასთან ერთად ხომ დამიბრუნდება ჩემი ბედშავობის შეგნებაც, კვალად პირს გაიხსნიან ჩემი ძველი იარები და უსაშველო ტკივილს მომაყენებენ. დაბრუნების შემდეგ უფრო ძალუმად დამაინტერესა თქვენმა დობილმა, და ამას არ შევუშფოთებივარ: კარგად ვუწყოდი, ჩემი გული რომ ვერ გააღვივებდა ამ მიდრეკილებას და, როცა დავინახე, კლარას მიმართ ჩემი მუდმივი უნაზესი სიამტკბილობა რომ მანიჭებდა ახალ სიმშვენიერეს, მიხაროდა კიდეც ეს მღელვარება, რამეთუ მან ხელი მომიმართა აღარ მეფიქრა თქვენს გამო და გამიადვილა მოგონებათა დავიწყება. ამ მღელვარებას თან სდევს მიჯნურობის სიამეთა მსგავსი რაღაც, ხოლო მისგან ნაგემი ტანჯა-წამება იქ არა ჩანს. კლარას ნახვის სიამტკბილობას როდი შხამავს მისი დაუფლების სურვილი. მინდოდა ჩემი დღე და მოსწრება ისე გამეტარებინა, როგორც ვიცხოვრე ამ ზამთარს, – თქვენ ორთა შორის, სანეტარო სულიერი მყუდროებით,[138] რაც ანელებს სათნოების სიმკაცრეს და სასიამოდა ხდის მის შეგონებათ. უკეთუ რაიმე ტყუილ-უბრალო აღტყინება წუთით მაინც აღმაბორგებს, ყველაფერი ხელს მიმართავს მის დასაოკებლად, და აფორიაქება ყუჩდება; უკვე იმდენი უფრო სახიფათო მღელვარება გადავიტანე, იმჟამად აღარაფრის შიში არა მაქვს. მე ისევე პატივსა ვცემ თქვენს დობილს, როგორც მიყვარს იგი, – ამით ყველაფერია თქმული. თუნდაც მარტოოდენ ჩემს თავზე რომ ვფიქრობდე, უნაზესი მეგობრობის უფლებანი იმდენად ძვირფასია ჩემთვის, რომ ვერც კი გავბედავდი საფრთხეში ჩამეგდო თავი ამ უფლებათა დაკარგვით, თუკი შევეცდებოდი მათ გავრცობას; და სულაც არ მჭირდება, შთავაგონებდე ჩემს თავს, კლარასთან თავაზიანობა გმართებს-მეთქი. ისედაც, თუნდ პირისპირ საუბრისას, აროდეს არ ვეტყვი არც ერთ სიტყვას, რაც ამოსაცნობი გაუხდებოდა ან თითქოსდა ვერ გაიგონებდა. შესაძლოა, ზოგჯერ ამჩნევდა კიდეც ჩემს მოპყრობაში უაღრესად მხურვალე სიმპათიას, მაგრამ, რასაკვირველია, ჩემს გულში ვერ ამოიკითხავდა ამ გრძნობის გამოხატველ სურვილს. როგორიც გახლდით მასთან უკანასკნელ ექვს თვეს, ისეთივე დავრჩები მთელ სიცოცხლეში. ვფიქრობ და ასე მგონია, თქვენს შემდეგ იგი ყველაზე სრულყოფილი ქალია ამქვეყნად, ოღონდ, თქვენზე უკეთესიც რომ იყოს, ვგრძნობ, მისი მიჯნურობა მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში შემეძლებოდა, უკეთუ არასოდეს მქონოდა თქვენი შეყვარების ბედნიერება.

სანამ ჩემს უსტარს დავამთავრებდე, კვლავ მინდა გითხრათ, თუ რას ვფიქრობ თქვენი წერილის გამო. ამ წერილში ჩანს სათნოების უღრმესი სიფრთხილე, ძრწოლა მოშიშარი არსებისა, ვინაც სავალდებულოდ რაცხს ყველგან დაინახოს საშინელებანი და ჰგონებს, ყველაფრის უნდა მეშინოდესო, რათა დაზღვეული იყოს ამ ყველაფერისაგან. ნამეტნავი შიშნეულობა უკიდურეს ქედმაღლობაზე უფრორე სახიფათოა. დღენიადაგ მოგვაჩვენებს ურჩხულთ იქ, სადაც მათი სახსენებელიც არ მოიპოვება, არაქათს გვაცლის, აღგვძრავს ქიმერებთან საბრძოლველად, და საქმე იქამდის მიდის, რომ უმიზეზო შიშნეულობის გამო უფრო ნაკლებ სიფხიზლეს ვიჩენთ ნამდვილ საფრთხეთა საწინააღმდეგოდ და უკვე აღარ შეგვწევს მათი გარჩევის უნარი. გადაიკითხეთ ხანდახან შარშან მილორდ ედუარდის მიერ თქვენი ქმრის გამო დაწერილი წერილი; იქ იპოვით კარგ, თქვენთვისაც ყოველმხრივ სასარგებლო რჩევა-დარიგებებს. არ ვკიცხავ თქვენს სათნოებას, იგი ისეთივე ამაღლებულია სანიაზო თვინიერებით, როგორიც თქვენ ბრძანდებით. მაგრამ უფრთხილდით, თქვენი მეტისმეტი მოკრძალებისა და თავაზიანობის გამო კვიეტიზმთან არ მიგიყვანოთ, მხოლოდ საწინააღმდეგო გზით: იგი ყოველგნით

[138] რამდენიმე გვერდს ზევით იგი სავსებით საწინააღმდეგოს ლაპარაკობდა. ორ ტურფა ქალს შორის მოქცეული საცოდავი ფილოსოფოსი, ჩემი აზრით, სასაცილო და გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდა. უნდა ვიფიქროთ, მას სურს არ უყვარდეს არც ერთი და არც მეორე, რათა შეეძლოს ორივეს სიყვარული.

დაგანახვებთ ხიფათსა და საფრთხეს და საბოლოოდ შეგაძულებთ ყოველივეს ამ ცხოვრებაში. ძვირფასო მეგობარო, ნუთუ არ უწყით, რომ სათნოება ფიცხელი ომია? სათნოებით რომ ვიცხოვროთ, ამისათვის ხომ დღენიადაგ უნდა ვებრძოლოთ ჩვენს თავს. მაშ, უფრო ნაკლებად ვიფიქროთ ხიფათთა გამო, ვიდრე ჩვენ-ჩვენს თავზე, რათა სული ჩვენი მზად იყოს ღირსეულად გაუმკლავდეს ყოველგვარ განსაცდელს. ვინაც ესწრაფის ცდუნებათა აყოლას, ის, რასაკვირველია, ხელიდან წასულია კიდეც და ასეთი ხვედრის ღირსიცაა, მაგრამ ვინც მეტისმეტად ფხიზელია და თავს არიდებს ცდუნებათ, იგი ხშირად გაურბის მოვალეობის შესრულებას; ამიტომაც არა ღირს მუდამჟამს ვიფიქროთ ცდუნებათა გამო იმისათვისაც კი, რათა გადავურჩეთ მათ. არასოდეს დავუწყებ ძებნას სახიფათო წუთებს, ქალებთან განმარტოებულ პაემანთა მოწყობას, ოღონდ დღეის ამას იქით რა მდგომარეობაშიც უნდა ჩამაყენოს განგებამ, ჩემი თავდები იქნება კლარანში გატარებული რვა თვე, და ახლა აღარ მეშინია, ვინმე წარმსტაცებს იმ ჯილდოს უფლებას, რაიც თქვენის მეოხებით დავიმსახურე. როდი ვიქნები წინანდებურად უილაჯო, აღარც დიად ბრძოლათა გადატანა მომიხდება; მე განვიცადე სინდისის ყვედრებათა სიმწარეც და ვიგემე გამარჯვების ეს სიამეც, და, მათი შედარებისას, უკვე აღარ ვიყოყმანებ არჩევანის დროს; ყველაფერი თავიდან ბოლომდე, თვით ჩემს წინანდელ შეცდომებამდეც კი, მომავლის საწინდარი იქნება ჩემთვის.

მე კვალად და კვალად როდი დაგიწყებთ დავას სამყაროს აგებულებისა და შიგ მობინადრე არსებათა ხელმძღვანელობის გამო; ერთს კი ვიტყვი: იმ საკითხების განხილვისას, ესოდენ რომ აღემატება ადამიანთა ძალ-ღონეს, იმაზე მსჯელობა, რაიც დაფარულია თვალთათვის, ჩვენ ძალგვიძს მხოლოდ და მხოლოდ იმისდა მიხედვით, რასაც თვალითა ვხედავთ, და ყველა ანალოგია მეტყველებს საყოველთაო კანონთა სასარგებლოდ, რომელთაც, ვგონებ, თქვენ უარყოფთ. თავად გონება და უზენაესი არსების გამო კეთილგონივრული წარმოდგენა ხელს უმართავენ ასეთ მოსაზრებას; თუმცა თვით ყოვლადშემძლე ღმერთიც არ საჭიროებს თავის შრომათა შემამსუბუქებელ რაღაც ფანდებს, სიბრძნეს მაინც შეჰფერის იმოქმედოს უაღრესად მარტივი გზით, და არ დაუშვას არავითარი უსარგებლო რამ არც მოქმედებათა ჟამს, არც მისი შედეგების დროს. შემოქმედმა რომ ადამიანი შექმნა, მიუბოძა ყოველი ნიჭი, საჭირო და აუცილებელი რომაა იმისათვის, რასაც თავად მოითხოვს ჩვენგან, და როდესაც ვევედრებით მას მოგვმადლოს ძალი და ღონე სიკეთის გზაზე სავლელად, მხოლოდ იმასა ვთხოვთ, რაიც უკვე მოგვანიჭა. მან მოგვცა გონება, რათა შევიმეცნოთ, რა არს სიკეთე, მოგვანიჭა სინდისი, რათა გვიყვარდეს ეს სიკეთე,[139] და ნებისყოფის თავისუფლება, რამეთუ ძალგვედვას სიკეთის აღრჩევა. ამ უზეშთაეს საბოძვართ შეადგენს სწორედ მადლი და სიამე, და რამდენადაც ისინი უკვე მივიღეთ, ყველანი პასუხს ვაგებთ მათ გამო.

მე მოვისმინე ადამიანის თავისუფლების უარმყოფელი მრავალი მსჯელობა, მაგრამ მძულს ეს სოფიზმები; რაოდენიც უნდა მიმტკიცოს რომელიმე რეზონიორმა, შენი ნებისყოფა თავისუფალი არაა, ჩემი შინაგანი ხმა ყველა მის საბუთზე უფრორე ძლიერია და მუდამჟამს უარყოფს მის ნაუბარს; მშვენივრად ვიცი, რომ რა საქმესაც უნდა დავადგე, მარტოოდენ ჩემზე ჰკიდია საპირისპირო გადაწყვეტილების მიღება. ყველა ეს მეცნიერული ლათაიები სავსებით ზედმეტია სწორედ იმიტომაც, რომ ისინი ძალზე ბევრ რამეს ამტკიცებენ, – ერთნაირად ილაშქრებენ ჭეშმარიტების წინააღმდეგაც და სიცრუის წინააღმდეგაც და, როცა ამტკიცებენ, მაგალითად, ნებისყოფის თავისუფლება არსებობსო, იქვე თანაბარი წარმატებითვე შეიძლება დამტკიცდეს: ასეთი თავისუფლება არ არსებობს.

[139] სენ-პრესათვის ზნეობრივი შეგნება გრძნობაა და არა მსჯელობის ნიჭიერება, რაიც ეწინააღმდეგება ფილოსოფოსთა განსაზღვრებას. ოღონდ, მგონია, რომ აქ მათი ცრუ თანამოძმე მართალი აღმოჩნდა.

ამ ვაჟბატონებს რომ უსმინოს კაცმა, მაშინ ღმერთიც არაა თავისუფალი, და თავად სიტყვა „თავისუფლებას“არავითარი აზრი არა აქვს. მათ ერთი ყოფა აქვთ, მაგრამ იმიტომ კი არა, საკითხი გადავჭერითო, არამედ იმის გამო, მის ადგილას თავიანთი მოსაზრებები რომ წამოაყენეს. ჯერ იმას ვარაუდობენ, ყოველგვარი მოაზროვნე არსება სავსებით პასიურიაო. მერე კი ამ ვარაუდიდან დაასკვნიან, მოქმედი არ არისო. ხელსაყრელი მეთოდია! მხოლოდ ამაოდ წარმოუდგენიათ, თითქოს მათი მოწინააღმდეგენიც ასეთივე წესით მსჯელობდნენ. ჩვენ სულაც არა ვფიქრობთ, არამედ ვგრძნობთ, რომ მოქმედი და თავისუფალი არსებანი ვართ. დაე, დაგვიმტკიცონ, რომ ამ გრძნობას შეუძლია ჩვენთვის თვალების აბმა და იგი მართლაცდა გვაცდუნებს[140]. კლიუნის ეპისკოპოსმა დაამტკიცა, ჩვენთა შეგრძნებათათვის ყოველგვარი ცვლილებების უმისოდ მატერიასა და სხეულს შეეძლოთ არც კი ეარსებნათო! განა ეს საკმაოა იმის დასამტკიცებლად, რომ ისინი არ არსებობენ? ასეა თუ ისე, აქ ჩვენი შეგრძნებანი უფრორე მნიშვნელოვანია, ვიდრე რეალობა, და მეც იმის მიმდევარი გახლავართ, რაც უფროისად მარტივია.

ერთი სიტყვით, არა მჯერა, რომ ადამიანის საკეთილდღეოდ მოქმედი ღმერთი ერთ მათგანს განსაკუთრებულ დახმარებას უწევს მეორესთან უპირატესობით: ის, ვინაც ცუდად სარგებლობს განგების მიერ ყველასათვის ნავარაუდევი საერთო წყალობით, ამ წყალობის ღირსი როდია. ხოლო მას, ვინაც სასიკეთოდ მოიხმარს ამ წყალობას, ასეთი დახმარება არ ესაჭიროება. ადამიანთა მიმართ მიკერძოებული დამოკიდებულება შეურაცხმყოფელია ღვთაებრივი მართლმსაჯულებისათვის. ესოდენ მკაცრი და საეჭვო დოქტრინა თავად საღვთო წერილიდანაც კი რომ მომდინარეობდეს, განა ჩემი პირველი მოვალეობა არ იქნებოდა მამა ღმერთის პატივისცემა? და რამდენადაც პატივს უნდა ვცემდე საღვთო წერილს, კიდევ უფრო მეტად ვალდებული ვარ პატივი მივაგო სამყაროს შემოქმედს; უმალ დავიჯერებ, ბიბლიის ტექსტი ნაყალბევია, ანდა გაუგებარი-მეთქი, ვიდრე გავიფიქრებ, უფალი უსამართლოა და ადამიანებს ბოროტებას ანიჭებს-მეთქი. წმინდა პავლე ფიქრობს, რომ თიხის ჭურჭელმა არ უნდა უთხრას მეთუნეს: ასეთი რად გამაჩინეო. ეს მართალია იმ პირობით, თუ მეთუნე მოითხოვს ჭურჭლისაგან მარტოოდენ იმ სამსახურის გაწევას, რისთვისაც გააკეთა იგი; ხოლო უკეთუ მეთუნე უბრაზდება ჭურჭელს იმის გამო, რომ იგი არაა გამოსადეგი ისეთი საჭიროებისათვის, რისთვისაც არ იყო შექმნილი, მაშინ განა ჭურჭელს არა აქვს უფლება უთხრას მას: ასეთი რად გამაჩინეო.

ამის გამო განა უნდა ვიფქიროთ, ლოცვა უსარგებლოა? ღმერთმა დამიფაროს მოვიკლო ასეთი შემწეობა ჩემი სიძაბუნის დასათრგუნავად. როცა ფიქრით ღმერთს მიველტვით, ეს განგვადიდებს ჩვენსავე თავსა ზედან. როცა ღმერთს შველას შევთხოვთ, ამით ვსწავლობთ მის მოპოვებას. იგი კი არ გვცვლის, თავადვე ვიცვლებით სულიერად მასთან მიახლოებით[141]. ყოველივეს, რასაც კი ასე მხურვალედ მოითხოვს ადამიანი, თვითვე აძლევს თავის თავს, რამეთუ, როგორც სამართლიანად ბრძანეთ, თავისი უძლურების აღიარებით უფრორე ძლიერი ხდება. ოღონდ უკეთუ ბოროტად იყენებს ლოცვა-ღაღადისს და მისტიკაში გადავარდება, მაშინ თავს იღუპავს ზეცისაკენ აღმაფრენით, – იგი ეძიებს ნეტარებას და უარსა ჰყოფს გონებას; ერთი ზეციური საბოძვრის

[140] ლაპარაკი ამ ამბავს სულაც არ შეეხება. ლაპარაკია იმის გამო, რომ დადასტურდეს, მოქმედებს თუ არა ჩვენი ნებისყოფა უმიზეზოდ, ანდა თუ არსებობს კიდევ ნებისყოფის წარმმართველი რაღაც მიზეზი.

[141] ჩვენმა გამიჯნურებულმა ფილოსოფოსმა, ვინაც მიჰბაძა აბელარის მოქმედებას, ვგონებ, მისი მოძღვრების გადმოღებაც მოიწადინა. მისი შეხედულებანი ლოცვაზე ბევრად ჰგვანან ერთმანეთს. ამ ერესის მრავალი მიმდევარი მიხვდება, რომ უმჯობესია ცდომილებისას იყო უდრეკი, ვიდრე ახალ შეცდომებს მისცე თავი. მე კი სხვაგვარად ვფიქრობ. არც იმდენი დიდი უბედურებაა შეცდეს ადამიანი, უარესია ცუდად მოქცევა. ჩემი აზრით, ეს სიტყვები სრულიად არ ეწინააღმდეგებიან იმას, რასაც ვლაპარაკობდი ზემოთ ზნეობის ცრუ წესთა საშიშროების გამო. მაგრამ ხომ უნდა დავუტევოთ მკითხველს რაღაც საფიქრალი და განსასჯელი.

გამოთხოვით ფეხით თელავს განგების მეორე საბოძვარს; როცა გულმხრუვალედ ევედრება ზენაარს, განმანათლეო, აქრობს მიმადლებულ ჩირაღდანს. მერედა ვინ ვართ ჩვენ, რომ მოვითხოვოთ ღმრთისაგან: „ჰქმენ სასწაული!“

კარგად მოგეხსენებათ: შეიძლება უკიდურესობამდე დაიყვანო ყოველი ქველკეთილი თვისება, რაიც გაკიცხვის ღირსია, თვით ღვთისმოსაობაც კი, რომელიც მაშინ უგუნურებად გადაიქცევა. თქვენი ღვთისმოსაობა ნამეტნავი სპეტაკია და ამიტომაც არასოდეს დაეშვება ასეთ საფეხურამდე, მაგრამ უფრო ადრე იწყება ადამიანის გონების დამაბრმავებელი უკიდურესობანი, და თქვენ მათი ჩანასახისაც კი უნდა გეშინოდეთ. ხშირად მსმენია, თუ როგორ ჰკიცხავდით ასკეტთა ექსტაზს, ცნობილი კია თქვენთვის, თუ როგორ წარმოიქმნებიან ეს ექსტაზები? ასკეტთა ლოცვა-ვედრებანი ესოდენ დიდხანს გრძელდება, რომ ადამიანური ძალ-ღონე ამას ვერ იტანს, გონება იქანცება, სამაგიეროდ ღვივდება ფანტაზია და ჩნდება ხილვანი; სულთამხილველნი ღვთივშთაგონებული წინასწარმეტყველნი ხდებიან; მაშინ კი მშვიდობით, საღო აზროვნებავ, მშვიდობით, ნიჭიერებავ, ვერაფერი ვერ გიხსნით ფანატიზმისაგან. აი, თქვენ ხშირად იკეტებით თქვენს კაბინეტში, ჩაიბუდებთ საკუთარ თავში და გამუდმებით ლოცულობთ. თქვენ ჯერ კიდევ არ ხვდებით პიეტისტებს[142], მაგრამ კითხულობთ მათ წიგნებს. არასოდეს გამიკიცხიხართ, ფენელონს რად კითხულობთ-მეთქი, მაგრამ მისი მოწაფე ქალის ნაჯღაბნებთან რა გესაქმებათ? თქვენ კითხულობთ მიურას; მეც ვკითხულობ, ოღონდ მე ვამჯობინებ მის „წერილებს“. თქვენ კი ამოირჩიეთ მისი „ღვთაებრივი ინსტინქტი“. გაიხსენეთ, თუ რა ბედი ეწია მიურას, შეიბრალეთ ამ ბრძენი კაცის ცდომილებანი და იფიქრეთ საკუთარ თავზე. ღვთისმოსავო ქალბატონო, ქრისტიანო ქალო, ნუთუ გნებავთ იყოთ ფარისეველი?

ჩემო ძვირფასო და პატივცემულო მეგობარო, ბავშვური მორჩილებით ვღებულობ თქვენს მსჯელობათ და ჩემს აზრს მამობრივი გულშემატკივრობით მოგახსენებთ. მას მოღმა, რაც სათნოებამ არამც თუ გათიშა ჩვენი ახლობლობა, არამედ უფრო ურღვევი და მკვიდრი გახადა იგი, მისი უფლებები უთანაბრდებიან მეგობრობის უფლებებს. მე და თქვენ თანაბრად გვესაჭიროება შეგონებანი, ჩვენ ერთნაირი მიზნებისაკენ მივილტვით. როცა უნდა დალაპარაკებოდნენ ერთმანეთს ჩვენი გულები, როცა უნდა წაწყდომოდნენ ურთიერთს ჩვენი თვალები, ორივენი ვხედავდით შიგ მარტოოდენ ურთიერთზრუნვას ჩვენი ღირსებისა და კარგი სახელის გამო, რაიც აგვამაღლებს ორივეს და მუდამჟამს თითოეული ჩვენგანისათვის სანიაზო იქნება მეორის ზნეობრივი ღირსება. ოღონდ თუკი ამ საგნებს ერთობლივად განვიხილავთ, აქ არ შეიძლება გადაწყვეტილება საზიარო იყოს, – მისი მიღება მხოლოდ და მხოლოდ თქვენგან ხამს. თქვენ კი, ვის ხელთაც იყო ჩემი ბედი, ნუთუ აღარა გინებთ იყოთ მისი მსაჯული? აწონ-დაწონეთ ჩემი მოსაზრებანი და თქვით თქვენი სიტყვა; მიბრძანეთ, – მზად გახლავართ ყველაფერს დავემორჩილო. ასეა თუ ისე, მაშინ ღირსი ვიქნები, შემდგომშიაც რომ მიხელმძღვანელოთ. სამუდამოდ თქვენი უნახველობის დღეც რომ დამიდგეს, მარად და მარად იქნებით ჩემთან და წარმიმართავთ სავალ გზას; მაშინაც კი, თუ თქვენ თქვენი შვილების აღზრდის უფლებასა და პატივს აღმიკვეთდით, ვერ წარმტაცებდით იმ სათნოებას, რაიც თქვენვე შთამინერგეთ, – ესენი არიან შვილები თქვენი სულისა. ჩემმა სულმა მიიღო ისინი, და ვერავითარი ძალა უკვე ველარ წაართმევს მათ ამ სულს.

---

[142] თვითრჯული ხალხი, რომელთაც მოეგუნებათ ჭეშმარიტ ქრისტიანებად გამოეცხადებინათ თავი და ზუსტად სახარების სიტყვას გაჰყოლოდნენ იმის მსგავსად, როგორადაც ამას სჩადიან ჩვენს დროში ინგლისელი მეთოდისტები, მორავიელი ძმები გერმანიაში და ფრანგი იანსენისტები. მაგრამ, როგორც კი იანსენისტები მდგომარეობის ბატონ-პატრონი გახდებიან, ისინიც უფრო მკაცრნი და შეუწყნარებელნი შეიქნებიან, ვიდრე მათი მტრები.

გულახდილად მითხარით ყოველი, ჟიული. ძალზე მკაფიოდ დაგისურათეთ ჩემი გრძნობები და ფიქრები. ახლა მითხარით, როგორ მოვიქცე. კარგად უწყით, თუ რა მჭიდროდაა დაკავშირებული ჩემი ბედი ჩემი სახელოვანი მეგობრის ბედთან. მისთვის რჩევა-დარიგება არ მითხოვია, არ მიჩვენებია არც თქვენი და არც ჩემი წერილები. უკეთუ გაიგებს, რომ არ მოგწონთ მისი გეგმა ან, უფრო სწორად, თქვენი მეუღლის გეგმა, თავადვე უარსა ყოფს მას; და მეც სრულიად არ ვაპირებ გამოვტყუო მას თქვენი შიშნეულობის საწინააღმდეგო მოსაზრებანი; ოღონდ თქვენს საბოლოო გადაწყვეტილებამდის არაფერი არ უნდა იცოდეს მათ გამო. მანამდის კი ვეცდები გადავდო ჩვენი გამგზავრება, მოვიგონებ ამისათვის რაიმე მიზეზს, რაიც, იქნებ, უცნაურადაც კი მოეჩვენოს, მაგრამ აუცილებლად მიიღებს. რაც შემეხება მე, აჯობებდა კიდეც არასოდეს მენახეთ, ვიდრე გნახოთ მარტოოდენ იმის გამო, კვლავ რომ გამოგემშვიდობოთ. ხოლო თქვენს ახლო რომ ვიცხოვრო, როგორც უცხომ – ჩემთვის დაუმსახურებელი დამცირებაა.

VIII წერილი

ქალბატონ დე ვოლმარისაგან

აჰა, კვლავ ამეტყველდა თქვენი დამფრთხალი წარმოსახვა! მერედა, ნება მიბოძეთ ვიკითხო, რა უფლებით? რაკი პატივისცემა დაგიდასტურეთ, რაც მართლაც რომ უტყუარია ყველაფერზე, ჩემგან ოდესმე რომ მიგიღიათ; თავდაჭერილ მსჯელობათა უფლებით, თქვენი ბედნიერების გამო გულწრფელმა ზრუნვამ რომ შთამაგონა; ყველაზე თავაზიანი, თქვენთვის ყველაზე ხელსაყრელი, ყველაზე საპატიო წინადადების უფლებით, რაც აღემატება ყოველივეს, თქვენთვის ოდესმე რომ შემოუთავაზებიათ; გულმხურვალე, ოღონდ, შესაძლოა, არათავაზიანი მისწრაფების გამო, – ურღვევი კავშირით ჩემს ოჯახთან თქვენი შეერთება რომ სწადია; სურვილის უფლებით ნათესავად გავიხადოთ უმადური ადამიანი, ვინაც ფიქრობს, ანდა თავს ისე მოგვაჩვენებს, თითქოს ფიქრობდეს, რომ მეტად აღარა მსურს მეგობრად ვხადიდე; თავი რომ დავაღწიო მღელვარებას, რაიც უთუოდ მოგიცავთ თქვენ, უნდა მიგეღოთ ყოველივე ის, რაიც დავწერე ყველაზე პირდაპირი, ბუნებრივი მოსაზრებით. მაგრამ თქვენ უკვე დიდი ხანია შეეჩვიეთ უსამართლო ეჭვებით თავის გატანჯვას. იმ წერილში, ისე როგორც ცხოვრებაში, ხან ამაღლდებით ზეცაში, ხან კი მიწაზე დახოხავთ, ხან მოლოდინითა ხართ აღსავსე და ზოგჯერ ბალღურად იქცევით. ჩემო ძვირფასო ფილოსოფოსო, ნუთუ ვერასოდეს დააღწევთ თავს ბავშვობას?

ვინ მოგახსენათ, რომ განვიზრახე თავს მოგახვიოთ რაღაც კანონები, ვითომც გადავწყვიტე თქვენთან განშორება და (ვისარგებლებ თქვენივე სიტყვებით) ცხრა მთას გადაღმა თქვენი გადაკარგვა? გულწრფელად მითხარით, ნუთუ მართლაც გგონიათ, რომ ჩემი წერილის სულისკვეთება სწორედ ასეთია? ეს ხომ სავსებით პირიქითაა, – წინასწარ მოველტვოდი თქვენთან ერთად ცხოვრებას, მხოლოდ მეშინოდა აურზაურისა, რაც ამ სიხარულს ჩამიმწარებდა, და ვცდილობდი გამომენახა მათი აღკვეთის სახსარი, და იმგვარად, რომ ეს სახსარი სასიამო და სანეტარო ყოფილიყო თქვენთვის და მისი მეოხებით თქვენი ბედ-იღბალი ღირსი გამხდარიყო თქვენი დამსახურებისაც და თქვენს მიმართ ჩემი სიყვარულისაც. აი, მთელი ჩემი დანაშაული. მე მგონია, ამ ამბავმა არც ისე ძლიერ უნდა შეგვაშფოთოს.

არა ხართ მართალი, ჩემო მეგობარო, თქვენ ხომ კარგად უწყით, თუ რა ძვირფასი ხართ ჩემთვის; ოღონდ თქვენ გთნავს ეს რომ გავიმეორო, ხოლო ვინაიდან მეც თქვენზე ნაკლებ არ მსიამოვნებს ეს ამბავი, როდი გაგიძნელდებათ დაუჩივლელად და გაუბრაზებლად მიაღწიოთ ამას.

ერთი სიტყვით, გჯეროდეთ, რომ, თუკი თქვენთვის სასურველია აქ ყოფნა, თქვენზე არანაკლებ სასურველი იქნება ეს ჩემთვისაც, და, რაც გააკეთა ვოლმარმა ჩემი გულისათვის, არაფერი ისე არ მახარებს, როგორც მისი გადაწყვეტილება ჩვენს სახლში თქვენი მოწვევის გამო და ზრუნვა, სამუდამოდ აქ დაგტოვოთ. კმაყოფილებით ვაღიარებ, რომ ჩვენ დიდი სარგებლობის მოტანა შეგვიძლია ერთმანეთისათვის. თქვენც და მეც ხომ უფრო მოგვდგამს ყური მივუგდოთ კეთილ რჩევა-დარიგებებს, ვიდრე მივყვეთ მარტოოდენ ჩვენს ალღოს; ორივეს გვჭირდება ხელმძღვანელები და, სახელდობრ, რაც ხელს აძლევს ერთ-ერთ ჩვენგანს, მეორე ყველაზე უკეთ იგრძნობს, რადგან მშვენივრად იცნობს მას. ხომ მართალია? აბა, ერთი მითხარით, ჩვენზე უკეთ ვინ საცნაურყოფს თავგზის აბნევის საფრთხეს ჩვენთვის საძნელო შეხვედრების დროს? ვის შეუძლია უკეთ მოგვაგონოს ეს საფრთხე? ვის წინაშე უფრორე შევირცხვენდით თავს, უკეთუ დავამცირებდით ჩვენ-ჩვენს დიდ მსხვერპლს? მას შემდეგ, რაც გავწყვიტეთ ასეთი კავშირი, ნუთუ მის სახსოვრად უნდა ჩავიდინოთ რაიმე ისეთი, რაც არასაკადრისი იქნებოდა კეთილშობილურ გულისთქმათათვის, რამაც ეს კავშირი გაგვაწყვეტინა? და აი, რა ერთგულების სამუდამოდ დაცვას გპირდებით; მთელი სიცოცხლის მანძილზე ყოველი ჩემი საქციელის მოწმედ გაგიხდით; მინდა, რომ ჩემი აღმაფრთოვანებელი ყოველი გრძნობის გამო შემეძლოს გითხრათ: „აი, ყველაფერი, რაც ვამჯობინე თქვენს თავს“. აჰ, ჩემო მეგობარო, შემიძლია ღირსეულად აღვასრულო აღთქმა, რაც გუნებაში მაქვს დადებული. შემიძლია უძლური აღმოვჩნდე, ვისთანაც გნებავთ ამ ქვეყანაზე, ოღონდ, თქვენი მხრივ, ჩემი თავის იმედი მაქვს.

სწორედ ამ კეთილშობილურ ერთგულებაში, რაც მარადჟამს ჭეშმარიტ სიყვარულზე მეტხანს ძლებს, და არა ვოლმარის თავაზიან ზრუნვაში უნდა ვეძიოთ იმ მაღალი სულდიდობისა და იმ შინაგანი ძლიერების მიზეზი, რასაც გვანიჭებს ჩვენ ერთმანეთის სიახლოვე. და ვფიქრობ, ამას ისევე ვგრძნობ მეც, როგორც თქვენ. ასეთი ახსნა-განმარტება, ყოველ შემთხვევაში, უფრორე ბუნებრივია, უფრო სასიქადულოა ჩვენთა გულთათვის, ვიდრე ვოლმარის ახსნა-განმარტებანი, და უფრო მეტად აღგვძრავს კეთილი გზით სასიარულოდ. ეს საკმაოა, რომ სხვას დავამჯობინოთ. ამრიგად, მერწმუნეთ, მე არც ისე უცნაურ გუნებაზედა ვარ, როგორც თქვენ გგონიათ, პირიქით, სავსებით ამის საპირისპიროა განცდანი ჩემნი. და თუკი მოგვიხდება ხელი ავიღოთ ერთად ცხოვრების განზრახვაზე, ამ ცვლილებას ისე შევხედავ, როგორც დიდ უბედურებას თქვენთვის, ჩემთვის, ჩემი ბავშვებისათვის და თვით ჩემი მეუღლისათვისაც, ვინაიდან, როგორც მოგეხსენებათ, სწორედაც მის გამო მწადია გვერდში მყავდეთ. მაგრამ, თუ ვილაპარაკებთ თქვენს მიმართ მარტოოდენ ჩემი პირადი კეთილგანწყობილების გამო, მოიგონეთ შეხვედრის პირველი წუთები, როცა აქ ჩამოხვედით: განა მე უფრო ნაკლები სიხარული განვიცადე თქვენს დანახვაზე, ვიდრე თქვენ? ნუთუ გეგონათ, რომ თქვენი ყოფნა კლარანში ჩემთვის მოსაწყენი ან გამტანჯველი იყო? ნუთუ იმასა ფიქრობთ, თქვენი გამგზავრება სიამოვნებას მომანიჭებდა? მართლაც, ბოლომდე უნდა ითქვას ყოველივე ჩემთვის ჩვეული გულახდილობით. ვაღიარებ, რომ თქვენთან ერთად გატარებული უკანასკნელი ნახევარწლეული ჩემი სიცოცხლის უბედნიერესი დრო-ჟამი იყო, და ხანმოკლე დროის მანძილზე განვიცადე ყოველივე სიკეთე, ჩემს სულს რომ სწყურდა...

ვერასოდეს დავივიწყებ იმ ზამთრის საღამოს, როდესაც ყველანი ერთად შევიკრიბენით, ხმამაღლა ვკითხულობდით თქვენი მოგზაურობის ამბებსა და თქვენი

მეგობრის თავგადასავალს, ხოლო შემდეგ გადავედით სავახშმოდ „აპოლონის დარბაზში“, და იქ ბედნიერებაზე ფიქრით, რაც მომმადლა ღმერთმა ამქვეყნად, ვხედავდი გარშემო მამაჩემს, ქმარს, ჩემს ბავშვებს, კლარას, მილორდს, თქვენ ყველას – ფანშონის ჩათვლით, რომელიც სულაც არ აფუჭებდა სურათს; მერედა ყველანი ხომ აქ ბედსვიანი ჟიულის გულისთვის შეიკრიბნენ. და ვფიქრობდი: „აი, ამ პატარა ოთახშია ყველაფერი, რაიც ძვირფასია ჩემთვის, და, შესაძლოა, ამაზე უკეთესი რამ ქვეყანაზე არც კი არსებობდეს-მეთქი. ჩემს ირგვლივაა ყველა, ვინც მიყვარს, ჩემთვის აქ მთელი სამყაროა; აქ ყველაფერი სიხარულს მანიჭებს: ჩემი სიყვარული მეგობართა მიმართ და მათი საპასუხო ერთგულებაც, მათი სიყვარულიც ერთმანეთისადმი; მათი ურთიერთგანწყობილება ან ჩემგან გამომდინარეობს, ანდა მე დამტრიალებს თავს. აქ ვხედავ მხოლოდ იმას, რის გამოც სული ჩემი მაღლდება. არაფერს ძალუძს მისი მოყივნება: იგი შეერწყმის ყველაფერს, რაიც ჩემს გარეშემოა, – იმისათვის, რაც ჩემგან შორსაა, ჩემი არსების მცირეოდენი ნაწილაკიც კი არ დარჩება; ჩემი წარმოსახვა ვერაფერსაც ვეღარ დახატავს, და სანატრელიც აღარაფერი დამრჩენია; შეგრძნობა და განცხრომა ახლა ჩემთვის ერთი და იგივეა; ვცოცხლობ ყველაფერში, რაიც მიყვარს; კმაყოფილი ვარ ბედნიერებითა და ცხოვრებით. ოი, სიკვდილო, მოვედ, როცა გენებოს, აწ აღარ მეშინია შენი, მე ვცოცხლობდი, დაგასწარ და ამიერიდან ვეღარ განვიცდი ვერავითარ ახალ გრძნობათ, ვეღარაფერსაც ვეღარ წამართმევ“.

ვითარ სასიხარულო იყო ჩემთვის თქვენთან ერთად ცხოვრება, მით უფრორე საამური გახლდათ დამეგულებინა მომავლისათვის, და ამიტომაც ყველაფერი, რასაც შეეძლო ამ სიხარულის დარღვევა, მწუხარებას მიქადდა. ერთი წუთით თავი გავანებოთ ჩემს „მფრთხალ“ მორალსა და ჩემს ყბადაღებულ ღვთისმოსაობას, რის გამოც მკიცხავთ. აღიარეთ მაინც, რომ თქვენი პატარა სამყაროს მთელი სიმშვენიერე ალალმართლობა იყო, ჩვენ საერთო გვქონდა ყველა გრძნობა, ყველა ფიქრი, და ამის გამო თითოეული ისეთად გრძნობდა თავს, როგორიც უნდა ყოფილიყო, და ისეთად უნდა დანახვებოდა ყველას, რაგვარიც თავად გახლდათ. წუთით წარმოიდგინეთ განასკვულიყო რაიმე ინტრიგა, რაც უნდა მიგვეჩქმალა, გაჩენილიყო გულჩახვეულობის ანდა იდუმალების რაიმე საფუძველი: უმალვე გაქრებოდა შეხვედრის სიხარული; მაშინ განვიცდიდით რაღაც უხერხულობას ერთმანეთის წინაშე, ვეცდებოდით მიმალვას, გულჩათხრობილნი ვიქნებოდით შეხვედრის ჟამს; წინდახედულობასა და ზნეკეთილობას თან ახლავს ურთიერთუნდობლობა და ზიზღი; როგორ იქნება დიდხანს გიყვარდეს ის, ვისიც გეშინია? ადამიანები ერთმანეთს ამრეზით უცქერიან... განა ჟიული არასასიამოვნო გახდება? მერედა ვისთვის, თავისი მეგობრისათვის? არა, არა, ეს არასოდეს მოხდება. მხოლოდ და მხოლოდ იმ უბედურებისა უნდა გვეშინოდეს, რომლის გადატანაც ძალუძს ადამიანს.

როცა ასე გულწრფელად გაგიმხილეთ ჩემი შიში და ძრწოლა, ამით როდი მინდოდა იძულებული გამეხადეთ შეგეცვალათ თქვენი განზრახვა, მხოლოდ ის მწადდა, ნათელი მოგეფინათ ყველაფრისათვის. ვშიშობდი, ნაბიჯის გადადგმისას, ვაითუ მისი შედეგები ვერ გაითვალისწინოთ-მეთქი, შემდეგ კი ინანებდით, ოღონდ, უკან დახევას ვეღარ გაბედავდით. ხოლო თუ იმას მეტყვით, ვოლმარს ასეთი შიში არ გააჩნდაო, მაშინ მოგახსენებთ, მას კი არა, თქვენ უნდა გქონოდათ იგი: თქვენზე უკეთ ვის შეუძლია განსაჯოს, თუ რა ხიფათს უნდა ელოდეს თქვენგან?

კარგად აწონ-დაწონეთ ყველაფერი და თუკი ამის შემდეგაც მეტყვით, საფრთხე არ არსებობსო, მეტს აღარ ვიფიქრებ მის გამო; მე კარგად ვუწყი თქვენი პირდაპირობა და ვერასოდეს დავიჯერებ, ცუდ განზრახვებს მალავს-მეთქი. უკეთუ თქვენდა უნებურად რაიმეს ჩაიდენთ წინდაუხედავს, მეცოდინება მაინც, რომ წინასწარ განზრახული

ბოროტება თითსაც ვერ მიანანებს მას. და სწორედაც ეს განასხვავებს უძლურ და ცუდ ადამიანებს ერთმანეთისაგან.

თუკი ჩემი მოსაზრებები უფრო მეტად იყო დასაბუთებული, ვიდრე ვისურვებდი, მაშინ ასე შავ ფერებში რად უნდა ვხედავდეთ ყოველივეს, როგორც ეს თქვენ მოგდით? სრულიადაც არ შემომითავაზებია სიფხიზლის ესოდენი სასტიკი ზომები, რომელნიც თქვენ იგულისხმეთ. ნუთუ გინებთ მაშინვე ჩაფუშოთ ყველა თქვენი გეგმა და სამუდამოდ გადაიკარგოთ ჩვენგან? არა, ჩემო საყვარელო მეგობარო, ესოდენ სავალალო გზა სულაც არ გჭირიათ. მერწმუნეთ, გონებით ჯერ ისევ ბალღი ხართ, გულით კი – უკვე მოხუცებული. უფროისად განცდილი ვნებათაღელვა შეგაზიზღებს სხვა გატაცებას, და სულიერი სიმშვიდე, მას რომ მოჰყვება, ერთადერთი გრძნობაა, რასაც სულ უფრო დააფასებთ. მგრძნობიარე გული გაურბის მყუდროებას, სანამ არ იცნობს, მერე კი აღარ ნდომობს მის დაკარგვას. მოპირისპირე გუნებათა შედარებისას როგორ არ უნდა დავამჯობინოთ მათგან უკეთესი? მაგრამ შედარებისათვსი აუცილებელია ორივეს შეცნობა. და აი, ვხედავ, რომ თქვენი უშიშროების წუთი, შესაძლოა, უფრო ახლოსაა, ვიდრე გგონიათ. თქვენი გრძნობა მეტისმეტად ცხოველი და მგზნებარე გახლდათ, ამიტომაც არ შეიძლება ხანგრძლივი იყოს, თქვენ ნამეტნავად გულმხრუვალედ გიყვარდათ და ახლა სრულ გულცივობას უნდა მისცეთ თავი: როდი აღენთება ჩამქრალ ქურაში ჩარჩენილი ნაპერწკალი, ოღონდ უნდა დაველოდოთ, სანამ იქ ყველაფერი არ დაიწვება. კვლავ რამდენიმე წელი ჩაუკვირდით თქვენს თავს, შემდეგ კი აღარაფერი გექნებათ საშიშარი.

ის ცხოვრება, რომლის შექმნაც მინდოდა თქვენთვის, გააცამტვერებდა ყოველგვარ საფრთხეს; ისიც იფიქრეთ, თავისთავად ეს იქნებოდა სასიამოც და საშურველი ხვედრიც; უკეთუ თქვენი წესიერების გამო ვერ გაგიბედავთ მისი დაჩემება, უთქვენოდაც კარგად ვიცი, რად გიღირთ ეს თავდაჭერა; ოღონდ, ვშიშობ, თქვენი გადაწყვეტილების მიზეზს თან დაერთო უფრო გამოგონილი, ვიდრე საპატიო საფუძველი; ვშიშობ, რომ, როცა გულგოროზად გამოთქვამთ ურყევ განზრახვას ვალდებულების შესრულებისა, რისგანაც ყველაფერი სავსებით გათავისუფლებთ თქვენ და რის გამოც უკვე აღარავინ აღარ ფიქრობს, მცდარ გზას ადგახართ, სათნოებას უწოდებთ რაღაც უსარგებლო ერთგულებას, რაც უფრო გაკიცხვას იმსახურებს, ვიდრე ქება-დიდებას, და ამჟამად უკვე სავსებით უადგილოა და შეუსაბამო. ოდესღაც გეუბნებოდით: ცოდვანარევი ფიცის მიმართ ერთგულების დაცვა ხელმეორე დანაშაულია-მეთქი. ხოლო თქვენი ფიცი თუმც ცოდვანარევი არ ყოფილა, მაგრამ ამჟამად იქცა დანაშაულებრივად; ეს მიზეზი საკმარისია, რომ მოიძულოთ იგი. მარადის ერთგული უნდა იყოთ თქვენი სიტყვისა, იყოთ წესიერი და მტკიცე ადამიანი მოვალეობის შესრულებისას; ოღონდ თქვენი გადაწყვეტილების შეცვლა მაშინ, როცა იცვლება თავად მოვალეობა, სულაც არ არის ქარაფშუტობა, ეს სიმტკიცეა. ოდესღაც, შესაძლოა, კარგადაც მოიქეცით, როცა პირობა დადევით, ახლა კი ცუდი იქნებოდა მისი შესრულება; ყოველთვის ისე მოიქეცით, როგორაც ამას მოითხოვს სათნოება, და არასოდეს აღმოჩნდებით საკუთარი თავის მოწინააღმდეგე.

უკეთუ თქვენს დაეჭვებათა შორის არის კიდევ რაიმე საფუძვლიანი, მე და თქვენ მოვახერხებთ ამის გარკვევას მოცალეობის ჟამს, მანამდე კი არც ისე მწყინს ის ამბავი, რომ თქვენ არ ჩაეჭიდეთ ჩემს მოსაზრებას ისევე გულმხრუვალედ, როგორც თავად მე, მაშასადამე, ჩემი წინდაუხედაობა, – თუკი კიდეც მართლა ჩავიდინე ეს შეცდომა, – არ აღმოჩნდება თქვენთვის ესოდენ სასტიკი. მე მოვიფიქრე ეს გეგმა ჩემი მამიდაშვილის არყოფნისას. იგი დაბრუნდა, როცა უკვე გამოგიგზავნე წერილი, და ამის შემდეგ საუბრის დროს რამდენიმეგზის სიტყვა გადავუკარ მეორედ გათხოვებაზე: ასე მგონია, სრულიადაც არა აქვს ასეთი განზრახვა და, თუმც ჩემთვის ნათელია მისი გრძნობა თქვენს მიმართ, მაინც ვფიქრობ, მხოლოდ ჩემი უდიდესი დაჟინებითა და მონდომებით მოხერხდებოდა

დაგვეძლია მისი ზიზღი მეორედ გათხოვებისადმი; ეს კი წარმოუდგენლად მიმაჩნია: ხომ არსებობს ზღვარი, რომლის მიღმაც არ უნდა გადასცდეს მეგობრობის უფლება – პატივი უნდა ვცეთ ყოველი კაცის მიდრეკილებასა და წეს-ადათებს და მის წარმოდგენას თავისი მოვალეობის გამო, რაიც, იქნებ, თავისთავად თვითნებურია, მაგრამ გამართლებულია ადამიანის გუნება-განწყობილებით, ვალდებულებებს რომ გვაკისრებს.

ოღონდ ვაღიარებ, ჯერ კიდევ არ ამიღია ხელი ჩემს განზრახვაზე: იგი ძალზე შეგვფერის ჩვენ ყველას და საშუალებას გვაძლევს ასეთი წესიერი ხერხით გამოგიყვანოთ უიმედო მდგომარეობიდან, როგორაც ცხოვრობთ ამ ქვეყანაზე. ო, როგორ გადაეჯაჭვებოდნენ მაშინ ერთმანეთს ჩვენი ინტერესები, როგორ ბუნებრივ მოვალეობად გახდებოდა ჩვენთვის ჩვენი მეგობრობა, რაიც ესოდენ სასიამოა ორივესათვის. არა, არ ძალმიძს თავი ვანებო ჩემს გეგმას! ჩემო მეგობარო, არასოდეს ვიფიქრებ, მეტისმეტად მჭიდროდ შევუკავშირდით-მეთქი ერთიმეორეს; მე ისიც კი მეცოტავება, ჩემი ნათესავი რომ გახდეთ, ვისურვებდი, ჩემი ღვიძლი ძმა ყოფილიყოთ.

როგორაც უნდა შეხედოთ ჩემს განზრახვებს, ჯეროვნად მოეპყარით ჩემს გრძნობებს. გულწრფელად ენდეთ ჩემს მეგობრობას, ჩემს პატივისცემას. გახსოვდეთ, უკვე მეტი აღარაფერი მაქვს თქვენდა საბრძანებლად, – ამის საჭიროებას ვერა ვხედავ. ნუ წამართმევთ უფლებას მოგცეთ რჩევა-დარიგება. ოღონდ ნუ ჩათვლით მათ ბრძანებად. უკეთუ გრძნობთ, რომ არხეინად შეიძლება კლარანში ცხოვრება, ჩამობრძანდით, იცხოვრეთ აქ, – აღფრთოვანებული ვიქნები. უკეთუ აუცილებლად მიგაჩნიათ კიდევ რამდენიმე წლით ჩვენგან შორს ყოფნა, და გემახსოვრებათ ბობოქარი ჯეილობის უკანაკსნელი და ვერაგული გულის ფეთქვანი, – მომწერეთ, მომწერეთ ხშირ-ხშირად, ჩამობრძანდით ჩვენს სანახავად, როცა მოგესურვებათ, ნუ შეწყვეტთ ჩვენთან გულითად სიახლოვეს. აბა, რომელი მწუხარება არ შემსუბუქდება ასეთი ნუგეშისცემის დროს? რა განშორებას არ გაუძლებენ ადამიანები, უკეთუ იმედი აქვთ, ჩვენს სიცოცხლეს ერთად ყოფნაში დავაღამებთო? მე კიდევ უფრო მეტს გავაკეთებ: მზადა ვარ მოგანდოთ ერთ-ერთი ჩემი შვილი, და მტკიცედ მჯერა, რომ თქვენს ხელში უკეთ იგრძნობს თავს, ვიდრე ჩემსაში. როდესაც უკანვე მომიყვანთ, არ ვიცი, ვისი დაბრუნება უფრო მეტად გამეხარდება, თქვენი თუ მისი. ხოლო თუ გონს მოხვალთ, თავს ანებებთ თქვენს ბოდვებს და ისურვებთ ჩემი მამიდაშვილის ხელის დამსახურებას, ჩამობრძანდით; გიყვარდეთ იგი, ემსახურეთ მას, ეცადეთ საბოლოოდ მოინადიროთ მისი გული – სიმართლე რომ თქვას კაცმა, ასე მგონია, ეს ამბავი უკვე დაწყებული გაქვთ. დაატყვევეთ მისი გული, გადალახეთ თქვენს წინაშე მისგან აღმართული დაბრკოლებანი, დაგეხმარებით, რაც ძალი შემწევს. მიანიჭეთ ერთმანეთს ბედნიერება, და მაშინ ჩემი ბედნიერებაც სრული იქნება. მაგრამ რა გადაწყვეტილებასაც არ უნდა დაადგეთ, სერიოზულად აწონ-დაწონეთ იგი. მიიღეთ ისე გაბედულად და კვალად ნუღარ შეურაცხყოფთ თქვენს მეგობარს – ჟიულის, ნუ დააბრალებთ თქვენს მიმართ უნდობლობას.

აი, მე სულ თქვენზე ვმსჯელობ, ჩემი თავი კი დამავიწყდა. ჩემზეც უნდა მოვილაპარაკოთ, თორემ ჩხუბისა და კამათის დროს მეგობრებს ისე ეპყრობით, როგორც მოწინააღმდეგეთ ჭადრაკის თამაშში, დაცვისას თავს ესხმით. თქვენ ამართლებთ თქვენს თავისუფალ აზროვნებას და მაბრალებთ ფარისევლობას, – ეს იმასა ჰგავს, თავი ვანებო ღვინის სმას, რაკი თქვენ შეზარხოშდით? ამრიგად, თქვენი აზრით, მე ფარისეველი ვარ, ანდა მზად გახლავართ გავხდე ასეთი, ხომ? დაე, ასე იყოს. განა დამამცრობელი სახელწოდებანი ცვლიან საქმის არსს? უკეთუ ღვთისმოშიშობა კარგი თვისებაა, რატომ არ უნდა ვიყოთ ღვთისმოშიშნი, მაგრამ, იქნებ, თავად ეს სიტყვა ნამეტნავად დამამცირებელია თქვენთვის? ფილოსოფოსის ღირსებას შეფერის სძულდეს ჩვეულებრივი ღვთისმოსაობა; ფილოსოფოსებს სწადიათ ემსახურონ ღმერთს უფრორე

კეთილშობილური საშუალებით, ისინი ზეცამდე აღავლენენ თავიანთ უფლებებსა და თავიანთ გულზვიადობას. აჰ, ჩემო საბრალო ფილოსოფოსებო!.. მაგრამ დავუბრუნდეთ ჩემს თავს.

ბავშვობიდანვე მიყვარდა სათნოება. ხოლო გარდა ამისა, ყოველთვის ვეტრფოდი ჩემი გონების განვითარებას. გრძნობისა და განათლების მეოხებით მინდოდა საკუთარი თავის მართვა-გამგეობა, ამავე დროს, ძალზე ცუდად მოვიქეცი. სანამ წამართმევდეთ ამჟამად ჩემგან არჩეულ ხელმძღვანელს, მომეცით მის სანაცვალოდ სხვა რაიმე, რასაც შეიძლება დავენდო. ჩემო ძვირფასო მეგობარო, ადამიანებმა რაც უნდა ჩაიდინონ, მუდამ მზვაობარნი არიან; სიამაყე აღგამაღლებთ თქვენ, მე კი დამცირება მარგუნა. ასე მგონია, სხვებზე ცუდი როდი ვარ-მეთქი, ხოლო მაინც ათასობით ქალი ცხოვრებაში ჩემზე უფრო კეთილგონიერი იყო. მაშასადამე, მათ ჰქონდათ შემწეობა, რაც მე არ გამაჩნდა. რატომ იყო, რომ ყოველთვის ვგძნობდი, რაც მე არ გამაჩნდა. რატომ იყო, რომ ყოველთვის ვგრძნობდი, ნიჭიერი დავიბადე-მეთქი, და იძულებული ვარ მაინც დავფარო ჩემი ცხოვრება? რატომაა, რომ მძაგს ყოველივე უგვანი და ჩემი ნება-სურვილის საპირისპიროდ ცუდად კი მოვიქეცი? მე მხოლოდ ჩემი ძალ-ღონის იმედით ვიყავი, ეს კი ყოველთვის როდია საკმარისი. ვგრძნობ, გავწიე ყველაზე შეუპოვარი წინააღმდეგობა, როგორსაც კი მოელის საკუთარი თავისაგან ქალი, და მაინც დავმარცხდი. მაშ, სხვებმა როგორ დაიოკეს თავი? მათ ხომ ჩემზე უკეთესი საყუდარი მოეპოვებოდათ.

და როცა, მათი მაგალითისამებრ, მივმართე ამ დასაყუდარს, იქ მეორე უპირატესობაც შევამჩნიე, რის გამოც არ მიფიქრია. გრძნობათა სამყაროში ყოველთვის ისე ხდება, რომ ჩვენი ვნებები შეეწევიან სულს დასძლიოს თავადვე მისგან გამოწვეული ვაი-ვარამი. გულისთქმათა გვერდით გიზგიზებს იმედის შუქი. ვიდრე ადამიანს აქვს და მოეპოვება გულისთქმა და ნდომა-სურვილი, მას ძალუძს გაძლოს ბედნიერების გარეშე; იგი სულ იმის მოლოდინში იქნება, ბედნიერება აგერ-აგერ გამოჩნდებაო, და უკეთუ ბედნიერება არსადა ჩანს, იმედი მაინც არ ჩაქრება, და თავის მოტყუების ჯადო-თილისმა მანამდე გრძელდება, ვიდრე ცოცხლობს მათი წარმომქმნელი ვნებები. ერთი სიტყვთ, ეს თვითკმარი მდგომარეობა და მისგან წარმოქმნილი მღელვარებანი რაღაც განსაკუთრებულ სიამეს განგვაცდევინებენ და სინამდვილის მაგივრობას გვიწევენ.

და, შესაძლოა, ისინი სინამდვილეზე უმჯობესნიც კი იყვნენ. ვაი მისი ბრალი, ვისაც სანატრელი არაფერი შთენია. იგი, ასე ვთქვათ, ყველაფერს კარგავს, რაც მოეპოვება. ადამიანები უფრო ნაკლებ სიამტკბილობენ იმით, რაც უკვე მოიპოვეს, ვიდრე სასურველის მიღწევის იმედით, და სვებედნიერი მხოლოდ ბედნიერების კარიბჭესთან მიახლოებისას არიან. მართლაცდა ადამიანს, ხარბსა და გოენბაშეზღუდულ არსებას, რომელიც შექმნილია იმისათვის, რათა ყველაფერი ინატროს, ხოლო ცოტა მიიღოს, განგებამ მომადლა მისთვის ყოველივე სანატრელის მიმკერძავი მანუგეშებელი იმედი, წარმოსახვის ძალას რომ უმორჩილებს ყოველგვარ სასურველს, რაც საჩინოსა და ხილულს ხდის და თითქოს მის სრულ განკარგულებაში ტოვებს ამ საწადელს; ხოლო ეს წარმოსახვითი დაუფლება კიდევ უფრო სასიამტკბილო რომ გახდეს, მისი სურათები იცვლება ჩვენთა ვნებათა ნება-სურვილით. მაგრამ მთელი მომხიბვლელობა ქრება და გაცამტვერდება სინამდვილის წინარე, უკვე აღარაფერი აღარ ამკობს საგანს ნატვრისას, აღარც კი უნდა ვცდილობდეთ მის წარმოდგენას, – იგი ჩვენს თვალთა წინაშეა, ხოლო წარმოსახვას როდი შესწევს უნარი შეამკოს იგი, რასაც უკვე ფლობთ; ჯადო-თილისმა მყის განქარდება, როგორც კი დაუფლება სათავეს დაიდებს. ამა სოფლად მარტოოდენ ოცნებათა სამყაროა სულისა ჩვენის ღირსეული საყუდარი, რამეთუ კაცთა ნაქნარი ყოველივე არარაობაა და, გარდა ერთარსისა და უქმნადისა, მშვენიერი მხოლოდ და მხოლოდ ისაა, რაიც არ არსებობს ამ ქვეყანაზე.

თუნდაც ეს ამბავი ყოველთვის არც კი დაემჩნეს ჩვენი ვნებების ცალკეულ საგანთ, ოღონდ გრძნობათა საერთო წყობისთვის, რაიც მოიცავს იმ ჩვენს ვნებათ, ეს უდავოა და უცილობელი. ადამიანის გულს ვერ ეთვისების უბრძოლველად სიცოცხლე. ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი უჯობს. ის, ვინც ღმერთი არ არის, და ყოვლის შემძლე კი იქნებოდა, ყველაზე უბედური ქმნილება აღმოჩნდებოდა, – მოაკლდებოდა ნდომა-სურვილის სიამტკბილობას, ხოლო ამაზე უარესი სხვა არა არის რა[143].

აი, მეც ჩემი ქორწინების უმალ და თქვენი დაბრუნების დღიდან ნაწილობრივ ამასვე განვიცდი. ირგვლივ ყველაფერი უნდა მახარებდეს, მე კი სიხარული არ ძალმიძს. იდუმალი სევდა დაეუფლა სულს, და შიგ ისეთი სიცარიელეა, თანაც გულზე დარდი მაწვება, – ერთი სიტყვით, ყოველივე ისეა, როგორაც ლაპარაკობდით თქვენს თავზე. ჩემგან ყველა ძვირფას არსებათა სიყვარული არ კმარა, მთლიანად რომ ჩამითრიოს და გამიტაცოს, – კვლავ შემომრჩა უსარგებლო ძალ-ღონე, და აღარ ვიცი, რას მოვახმარო იგი. უცნაური მწუხარებაა ეს, ვაღიარებ, მაგრამ მართლაც ვიტანჯები, ჩემო მეგობარო, მეტისმეტად ბენდიერი ვარ და ბედნიერება მომბეზრდა ალბათ[144].

იცით თუ არა, კეთილდღეობის მიმართ ზიზღს რაგვარ ეწამლება? ამ ესოდენ განუსჯელმა და სავსებით უგუნურმა გრძნობამ სიცოცხლეს ფასი წაართვა, თუმცა კი უწინ სიცოცხლეზე ძვირფასი არა მეგონა რა. არ შემიძლია წარმოვიდგინო, ნუთუ მოიძებნება ამქვეყნად ისეთი სიამენი, რაიც მე არ გამაჩნია და კმაყოფილებას რომ მაგრძნობინებდა. იქნებ, ჩემს ადგილას სხვა ქალი ჩემზე უფრო გრძნობიერი იქნებოდა? განა ჩემზე უფრო ძლიერ ეყვარებოდა მამამისი, ქმარი, შვილები, მეგობრები და ახლობლები? ნუთუ მათაც უფრო ძლიერ ეყვარებოდათ იგი? ნუთუ შესაძლებელია, რომ ეცხოვრა თავის მიდრეკილებათა უფრორე შესაფერისად? ანდა შეეძლო უფრო თავისუფლად აერჩია სულ სხვა ნირი და წესი ცხოვრებისა? შესაძლოა, უფრო ჯანმრთელი გახლდათ? იქნებ, უკეთ იყო დაცული მოწყენისაგან და უფრო ძალუმად ეთვისა ამ ქვეყანას? და მაინც ვძრწი და ვკანკალებ: გულმა როდი იცის, რა აკლია, და მღელვარე ნდომა-სურვილი შემსჭვალავს მას.

სულმან ჩემმან ვერსით ჰპოვა სიხარული ამასოფლად და მონდომებით ეძიებს მას სხვა სამყაროში. ყველა გრძნობათა და თვით ყოფიერების ზეთავამდე აღვლენილი, იგი თავისუფლდება ტანჯვა-წამებისაგან, დარდისაგან, კვლავ აღდგინდება, ცოცხლდება, იკრებს ახალ ძალ-ღონეს და იქ შეიცნობს ახალ ცხოვრებას; ეზიარება ახალ არსებობას; მისთვის უცხოა ხორციელი ვნებანი, ანდა – იგი უკვე ჩემს გარეშეა, და მთლიანად შეერთვის იმ უსასრულო არსებას, რომელსაც ჭვრეტდა ხუნდთაგან წუთიერად განთავისუფლებული, ხოლო როდესაც კვალად იგრძნობს მათ ხელ-ფეხზე, თავს ინუგეშებს იმ ფიქრით, სანეტარო რამ სიამენი განვიცადეო და გამიმართლდა კიდეც იმედი, ახლო მომავალში ეს სიამენი სამარადჟამოდ გავიზიაროო.

გეღიმებათ, განა? მესმის თქვენი გულისხმა, ჩემო კეთილო მეგობარო; ოდესღაც, როცა ჩემს მოსაზრებას გამოვთქვამდი ლოცვით მომადლებულ აღტაცებაზე, ვგმობდი მას, ახლა კი ვაღიარებ, საგულისგულოა ის ჩემთვის. ამის გამო მხოლოდ ის შემიძლია გიპასუხოთ, რომ წინათ ეს მდგომარეობა არ განმეცადა. არასდიდებით არ ძალმიძს მისი გამართლება. იმას როდი ვიტყვი, მისდამი მიდრეკილება გონივრულია-მეთქი. მხოლოდ

---

[143] აქედან უნდა დავასკვნათ, რომ ყოველი ხელმწიფე, ვინაც დესპოტიზმს მიელტვის, დარდისაგან სიკვდილს ჩქარობს. ყველაზე უფრო მოწყენილი ვინ არის ყველა მონარქიაში ამქვეყნად? პირდაპირ ეახელით მონარქს, განსაკუთრებით, თუკი განუსაზღვრელი ძალაუფლების პატრონია. და განა რა სარფა ჰქონდა მას, როცა გააუბედურა უამრავი ადამიანი? ნუთუ არ ძალუძს იყოს მოწყენილი ან დარდიანი უდავიდარაბოდ?

[144] აბა, რას ამბობთ, ჟიული! თქვენაც შემოგეჯარნენ წინააღმდეგობანი? აჰ, ძალიან ვშიშობ, მშვენიერო და ღვთისნიერო, ვაითუ თქვენს თავთანაც ყველაფერი რიგზე არა გაქვთ! თუმცა, უნდა გამოგიტყდეთ, ეს წერილი გედის სიმღერად მეჩვენება.

ვამბობ, ეს მდგომარეობა ზეაღმტაცია, იგი ენაცვლება ბედნიერების დაშრეტილ გრძნობას, ავსებს სულის სიცარიელეს და ახალ შუქსა ჰფენს განვლილ ცხოვრებას-მეთქი. უკეთუ ამას მოჰყვება რაღაც ცუდი, ცხადია, ხელი უნდა ავიღოთ მასზე; უკეთუ სასიამო ცდომილებით მოაჯადოებს გულს, მაშინაც უნდა უარვყოთ იგი. ოღონდ, ბოლოსა და ბოლოს, ვინ უფრორე ახლოსაა სათნოებასთან, ფილოსოფოსი თავისი დიადი პრინციპებით თუ ალალ-მართალი ქრისტიანი? ვინ უფრო ბედნიერია ამქვეყნად – თავისი გონებით გაამაყებული ბრძენი, თუ ღვთისმოსავი გიჟი? აბა, რად უნდა ვიზროვნო, რად უნდა წარმოვიდგინო ეს იმ წუთას, როცა ყოველი ნიჭი აღკვეთილი მაქვს? თავდავიწყებას თავისი სიამტკბილობა მოეპოვებაო, ამბობდით თქვენ. აგრეც იყოს, ჩემი აღტაცებაც თავდავიწყებაა. ან დამიტევეთ მე ამ სასიამო მდგომარეობაში მყოფი, ანდა დამანახეთ, რა იქნება ჩემთვის უმჯობესი.

ვკიცხავდი მისტიკოსთა ექსტაზებს. ახლაც ვკიცხავ მათ, უკეთუ ხელს გვიშლიან ჩვენი მოვალეობის აღსრულებაში და ჭვრეტის ჯადო-თილისმით განგვარიდებენ მოქმედი ცხოვრებისაგან; ამ ექსტაზებს მივყავართ კვიეტიზმთან, რასთანაც ახლომყოფად მთვლით, თუმცა თქვენებრ შორსა ვდგავარ მისგან.

ღვთის სამსახური სრულიადაც არ ნიშნავს სამლოცველოში მთელი სიცოცხლის გატარებას და იქ მუხლის მოყრით ლოცვა-ვედრებას, ეს ძალიან კარგად ვიცი; ღვთის სამსახური ნიშნავს შევასრულოთ ამქვეყნად მისგან დაკისრებული ვალდებულებანი; ღმერთს ნებავს, გავაკეთოთ ყველაფერი, რაიც შეესაბამება მდგომარეობას, მისი ნება-სურვილით რომ გვაქვს ბოძებული.

...il cor gradisce;
E serve a lui chi'I suo dover compisce[145].

უწინარეს ყოვლისა, გავაკეთოთ ის, რის გაკეთებაც ვიკისრეთ, ხოლო შემდეგ ვილოცოთ, როდესაც დროს მოვიხელთებთ, აი, ის წესი, რასაც ვცდილობ მივყვე და მივდიო; ხოლო თქვენ რომ მისაყვედურებთ, გულისყურის მოკრებასა და ყურადღების დაძაბვას მიესწრაფისო, ეს სრულიადაც არ გახლავთ რაიმე საქმიანობა; ეს არის დასვენება, ყველაზე დიდი და ყველაზე უვნებელი სიამოვნება მათგან, რაც ხელმისაწვდომია ჩემთვის, და აღარ ვიცი, რატომ უნდა ავიღო ხელი მასზე.

თქვენი წერილის შემდეგ შევეცადე უფრო ღრმად ჩავკვირვებოდი ჩემს თავს. ბევრი ვიფიქრე იმის გამო, თუ რა ზეგავლენას ახდენს ჩემს სულზე ჩემი მისწრაფება გულისყურის მოკრებისა და ყურადღების დაძაბვის მიმართ, რაც, ალბათ, ძალიან არ მოგწონთ, და ჯერჯერობით ამ მხრივ არავითარ საფრთხეს არა ვხედავ, – ძნელად თუ შეიძლება ეს ჩემი მისწრაფება (უახლოეს ხანში მაინც) ბოროტად იქნეს გამოყენებული ცუდად გაგებული ღვთისმოსაობით.

ჯერ ერთი, მე სრულიადაც არ გამაჩნია მეტისმეტად დიდი მისწრაფება ლოცვათადმი; არ ვიტანჯები, როცა არა მაქვს ლოცვის საშუალება, და არც ვჯავრობ, როდესაც ლოცვას შემაწყვეტინებენ. ლოცვის სურვილი როდი მხდის უგულისყუროს, არ შემაჭირვებს მთელი დღეობით, გულს არ მაყრევინებს საქმეებზე და არც აღმიძრავს მოუთმენელ წადილს – რაც შეიძლება მალე მოვუღო მათ ბოლო. უკეთუ ზოგჯერ აუცილებლად მიჩნს მარტოკა დარჩენა ჩემს კაბინეტში, ეს ხდება მაშინ, როცა მეტისმეტად ამაღელვებს რაიმე, და იქ უფრო იოლად ვშოშმინდები, ვიდრე რომელიმე სხვა ადგილას. იქ საკუთარ ქერქში გამოვეხვევი, და გონება ჩემი ჰპოვებს სიმშვიდეს. უკეთუ მაწუხებს დარდი და ფიქრი, უკეთუ შემაჭირვებს მწუხარება. მაშინ მივდივარ იქ, რათა გული

[145] ...პატივს მიაგებ სულით და გულით; მაშ, შეასრულე შენ შენი ვალი – მისი მსახური გახდი ერთგული (იტალ).

ვიჯერო მათ გამო ჩივილით, და ყოველი მღელვარება ქრება და იფანტება უფრო მნიშვნელოვან ამბავთა წინაშე. როგორც კი გულში გავივლებ ფიქრს განგების წყალობათა გამო, სირცხვილი მწვავს, ასე მგრძნობიარე რომ ვარ მცირე შეჭირვებათა მიმართ და რომ ვივიწყებ ზენაარსის დიად მადლსა და სიკეთეს. მე არ მჭირია არც ხშირ-ხშირად, არც ხანგრძლივად განმარტოება ჩემს თავშესაფარში. როცა ჩემდა უნებურად იქაც არ მშორდება ვაი-ვარამი, ისიც ხდება, რომ წამოვიტირებ კიდეც, ოღონდ ნუგეშისმცემლის წინაშე დაღვრილი ცრემლი უმალვე შვებასა მგვრის. ჩემი გულისთქმანი აროდეს ყოფილან არც მწარე, არც ნაღვლიანი; თვით ჩემს მონანიებასაც კი არასოდეს შემსჭვალავს შიში და ძრწოლა, ჩემი შეცოდებანი უფრო ნაკლებ თავზარსა მცემს, ვინემ... მათგან გამოწვეული სირცხვილი. მაშინ განვიცდი სინანულს, და არა სინდისის ქენჯნას. ღმერთი, რომელსაც ვემსახურები, არის ღმერთი მოწყალე, მამა ჩვენი. მე სწორედ მისი ყოვლისმოწყალეობა მხვდება გულს, იგი ჩრდილავს ჩემს თვალში ყველა დანარჩენ მის თვისებას; იგია ჩემთვის ერთაერთი გასაგები თვისება. მე მაოცებს მისი ყოვლადშემძლეობა, მისი უსასრულობა; შიშსა და ძრწოლას მგვრის მისი მართლმსაჯულება... მან შექმნა ადამიანი უსუსური, მაგრამ იგი სამართლიანია და ამიტომ გულმოწყალეც. ღმერთი შურისმგებელი – ესაა გულბოროტთა ღმერთი, მე არ ძალმიძს მეშინოდეს მისი თავისთავად, არც მის რისხვას მოვუხმობ სხვათა დასათრგუნავად. ო, მშვიდობისმოყვარე ღმერთო, გულკეთილო და სახიერო ღმერთო, თაყვანსა გცემ შენ. ვგრძნობ, რომ შექმნილი ვარ შენთა ხელთაგან, და ვიმედოვნებ, განკითხვის დღეს ისეთივე იქნები ჩემს თვალთა წინარე, ვითარ ესახებოდი ჩემს გულს მთელ სიცოცხლეში.

არ ძალმიძს გადმოგცეთ, ვითარი სანეტარო შოშმინით ივსება დღენი ჩემი ცხოვრებისა ამ ფიქრთაგან, თუ რაოდენ სიხარულს ვატარებ გულის სიღრმეში. როცა ჩემი ოთახიდან გამოვდივარ ასეთი გუნება-განწყობილებით, მთელი ჩემი არსებით ვგძნობ რაღაც სიმსუბუქეს, გული ხალვათად ძგერს და მიხარია. მთელი დარდი მყისვე განქარდება, ყველა უსიამოვნება დავიწყებას ეძლევა, ბოლო ეღება ყოველგვარ სიტლანქესა და უკმეხობას, ყველაფერი მარტივი და იოლი ხდება, ყოველივე ლამაზი და სასიამოვნო გგონია. ახლა აღარაფერი მიშლის ხელს ვიყო ლმობიერი და ამის გამო უფრო მეტად მიყვარს ჩემი ახლობლები და თავადაც უფრო ძვირფასი ვხდები მათთვისაც. ჩემი ქმარი ასე ფიქრობს, უფრო მხიარული გახდაო, და ამით კმაყოფილია. ღვთისმოსაობა, მისი აზრით, სულის ოპიუმია; მცირე დოზობით ამხნევებს, ახალისებს და შველის ადამიანს, მეტისმეტად ძლიერი დოზობით ძილსა ჰგვრის, ანდა აშმაგებს, ზოგჯერ კლავს კიდეც. ვიმედოვნებ, ამ ზომამდე არ მივალ.

როგორც ხედავთ, ფარისევლის სახელი არც იმდენად შეურაცხმყოფელად მიმაჩნია, როგორც, თითქოსდა, თქვენ გსურდათ გჩვენებოდათ, მაგრამ მეტისმეტი ღვთისმოსაობა არც ისე სანაქებო მგონია, თქვენ რომ ფიქრობთ. მე, მაგალითად, არ მიყვარს, როცა საქვეყნოდ გამოიტანენ და თითქოს რაღაც საქმიანობად გადააქცევენ მას, რაც გადაავიწყებს ადამიანს ყველა სხვა საქმეს. ვფიქრობ, უმჯობესი ხომ არ იქნებოდა, უკეთუ სწორედ ქალბატონ გუიონს, ვისაც თქვენ ახსენებთ, აღესრულებია ოჯახის დედის ვალდებულებანი, ქრისტიანული სარწმუნოების სულისკვთებით აღეზარდა თავისი შვილები, გონივრულად წარემართა თავისი სახლ-კარი, ვიდრე შეეთხზა წიგნები ღვთისმოსაობაზე, ეკამათა ეპისკოპოსებთან და, ბოლოსა და ბოლოს, ბასტილიაში ამოეყო თავი რაღაც გაუგებარი ბოდვების გამო. არ მიყვარს აგრეთვე ეს მისტიკური, ხატოვანი ენა, რამეთუ იგი აძრწუნებს სულსა და გულს წარმოსახვის ქიმერებით, ღვთის ნამდვილ სიყვარულს უნაცვლებს მიწიერი სიყვარულის მიმბაძველ გრძნობებს, ძალუძს ამ სიყვარულის გაღვივება. რაც უფრო ნაზი გული აქვს ადამიანს, რაც უფრო მკვირცხლია მისი გონება, მით უფრო ხელი უნდა აიღოს ყველაფერზე, რაიც შეძლებს მათ

ამღელვარებას; და განა ასეთ პიროვნებას შეუძლია მისტიკურ სათაყვანო არსებასთან განამტკიცოს ურთიერთობა უფრო სხვაგვარად, ვიდრე ადამიანური სიყვარულია? და წესიერი მანდილოსანი როგორ ბედავს წარმოიდგინოს ის, რის შეხედვასაც ვერასოდეს გაბედავდა?[146]

მაგრამ ყველაზე მეტად მძაგს გულმოდგინე მუზმუზელათა გულქვაობა, ადამიანთა მიმართ მათი განურჩევლობა, მათი მეტისმეტი ზვიადობა, რის გამოც ისინი აბუჩად ამგდები სიბრალულით შეჰყურებენ ყველა დანარჩენ მოკვდავს. მათ მშვენივრად იციან თავიანთი სახელის განდიდება, ხოლო უკეთუ იკადრებენ რაიმე კეთილი საქმისათვის ხელის მოკიდებას, მაშინ ისე ამცირებენ ადამიანს, ისეთი უხეში კილოთი გამოხატავენ თავიანთ თანაგრძნობას, ისეთი სიმკაცრით ასრულებენ მართლმსაჯულებას, და მათი გულმოწყალეობა ესოდენ აუტანელია, მათი გულმოდგინება იმდენად აღსავსეა სიმწარითა და ბოღმით, აბუჩად აგდება ისე ჰგავს სიძულვილს, რომ მაღალი წრის ადამიანთა უგრძნობელობა ნაკლებ ბარბაროსულად შეიძლება ჩაითვალოს, ვიდრე ამ მუზმუზელათა გულშემატკივრობა. ღმრთის სიყვარული მათთვის ამართლებს იმ ამბავს, რომ მათ არამცთუ არავინ, ერთმანეთიც კი არ უყვართ ამქვეყნად: განა ვინმეს მოსწრებია ნამდვილი მეგობრობა მუზმუზელათა შორის? მაგრამ რამდენადაც შორდებიან ისინი ადამიანებს, მით უფრო დიდ მოთხოვნილებებს უყენებენ მათ, და უნდა ვიფიქროთ, იმისთვის ესწრაფვიან ზეცად ამაღლებას, რათა იმეუფეონ დედამიწაზე.

მე მძაგს ყველა ეს სიავკაცე და ბუნებრივი ზიზღი მიცავს მათგან. უკეთუ მეც ამეკიდება ასეთი ცოდვა, მაშინ, ცხადია, ეს მოხდება ჩემს უნებურად და ვიმედოვნებ, გარშემომყოფელნი მეგობრულად მიმუნათებენ ამაზე. გამოგიტყდებით, დიდხანს მტანჯავდა ფიქრი ჩემი ქმრის ხვედრის გამო, და იქნებ, ამიტომაც, ბოლოსა და ბოლოს, პირქუშიც კი გავმხდარიყავ. საბედნიეროდ, მილორდ ედუარდის გულისხმიერი წერილის წყალობით, რასაც საფუძვლიანად იხსენებდით, ჩემთან მის გონივრულ და სანუგეშო საუბართა მეოხებით, თქვენი შეგონების გამოც, ჩემი შიში სავსებით გაცამტვერდა და შეხედულებებიც შემეცვალა.

კარგად ვხედავ, შეუწყნარებლობას ყოველთვის გულქვაობა რომ მოჰყვება. განა შეიძლება სათუთად გიყვარდეს ის ადამიანები, რომელთაც მსჯავრსა სდებ? ვით შეიძლება იყო გულმოწყალე, როცა ცხოვრობ ცოდვილთა შორის, რომელთაც საუკუნო ტანჯვა-წამება აქვთ მისჯილი? უკეთუ ისინი გვეყვარება, მაშინ ხომ უნდა გვძულდეს ღმერთი, მათ რომ სასჯელი განუმზადა. მაშ ასე, გინებს იყო ადამიანური? მაშინ განსაჯე საქმენი მათი და არა ადამიანები! ნუ იკისრებ ეშმაკთა საშინელ ვალდებულებებს. ასე იოლად ნუ გავუღებთ ჩვენს ძმებს ჯოჯოხეთის კარიბჭეს. ნუ იტყვი მაგას, უკეთუ ჯოჯოხეთი ელის ყველას, ვინაც ცდება, მაშინ მოკვდავთა შორის ვის ძალუძს მისგან თავის დაღწევა?

ო, ჩემო მეგობრებო, როგორი მძიმე ტვირთისაგან იხსენით გული ჩემი! როცა შთამაგონეთ, ცდომილება ჯერ კიდევ დანაშაული არ არისო, რაოდენ საშინელი ვაი-ვაგლახი ამაცილეთ. მე თავს ვარიდებ სარწმუნოების დოგმატთა განმარტებისას ჩემთვის გაუგებარ წვრილმანებს. მიყვარს დღესავით ნათელი ჭეშმარიტებანი, ცხადი და მკაფიო, ჩემი გონების დამარწმუნებელი ჭეშმარიტებანი, ჩემი მოვალეობის მაჩვენებელი, პრაქტიკული ჭეშმარიტებანი. რაც შეეხება ყველა დანარჩენს, წესად გავიხადე ყოველივე ის, რაიც ერთხელ უპასუხეთ ვოლმარს. განა ადამიანს თავისი ნებით სწამს ანდა არ სწამს? ნუთუ დანაშაულია, მას რომ არ ძალუძს სწორი აზროვნება? არა, სინდისი სრულიადაც არ

[146] ეს მოსაზრება იმდენად საფუძვლიანი და უდავო მეჩვენება, რომ სულ მცირეოდენი საეკლესიო ძალაუფლებაც რომ მქონდეს, იმას მოვახმარდი, რათა ჩვენი საღვთო წერილიდან ამოეგდოთ „ქებათა ქება“ და ძალიანაც ვინანებდი, ასე გვიან რომ მოგვარდა ეს საქმე.

გვეუბნება, ჭეშმარიტება რა არისო, მაგრამ ჩაგვაგონებს ჩვენ-ჩვენს ვალდებულებათა შეგნებას. სავსებით არ გვიკარნახებს, რა უნდა ვიფიქროთ, არამედ – რა უნდა ვაკეთოთ; სულაც არ გვასწავლის კარგად მსჯელობას, არამედ გვასწავლის კარგად მოქცევას. რა დანაშაული შეიძლება მიუძღოდეს ჩემს ქმარს ღმერთის წინაშე? ნუთუ მან პირი იბრუნა ღმერთისაგან? აკი თავად ღმერთმა იბრუნა პირი. ჩემი ქმარი როდი გაურბის ჭეშმარიტებას, თავად ჭეშმარიტება გაურბის მას. მისთვის სრულიად უცხოა გულზვიადობა, – ცდება, მაგრამ არა სურს ვინმე დაადგეს მის გზა-კვალს, თავადვე უხარია, სხვაგვარად და არა მისებრ რომ ვფიქრობთ. მისთვის ძვირფასია ჩვენი გრძნობები. ჩვენი იმედი, ჩვენი ნუგეში – ყოველივე მიუწვდომელია მისთვის. სჩადის კეთილ საქმეს და სანაცვლოდ არ მოელის რაიმე საბოძვარს; ჩემზე უფრო სათნოა და უანგარო. ვაგლახმე! რა ღირსია სიბრალულისა! რატომ უნდა დაისაჯოს? არა და არა! ქველკეთილობა, პირდაპირობა, მაღალი ზნეობა, კეთილშობილება, სათნოება – აი, რას მოითხოვს ღმერთი ჩვენგან, აი, რატომ გვაჯილდოებს იგი; ეს არის ნამდვილი თაყვანისცემა, რასაც ელის ჩვენგან ღმერთი, და, მაშასადამე, ჩემი ქმარი თავისი დღე და მოსწრება თაყვანსა სცემს ზენაარს. უკეთუ ადამიანის რწმენას მისი საქმეების მიხედვით განსჯის ღმერთი, მაშინ ყველას, ვინც ქმნის კეთილ საქმეს, სწამს ღმერთი. ჭეშმარიტი ქრისტიანი – ეს ალალ-მართალი უმწიკვლო ადამიანია; ხოლო ვინც ბოროტებას სჩადის – ჭეშმარიტად ურწმუნო კაცია.

ნუ გაიოცებთ, ჩემო საყვარელო მეგობარო, რომ არ გეკამათებით თქვენი წერილის მრავალი ადგილის გამო, სადაც ჩვენი შეხედულებანი მთლად არ ემთხვევიან ერთმანეთს. ძალიან კარგადაც ვიცნობ თქვენს გულს, და ამიტომაც არ ძალმიძს მწყინდეს თქვენი შეხედულებები. აბა, რა მესაქმება ნებისყოფის თავისუფლების გამო ყელა ამ ფუჭ და ამაო მსჯელობასთან. სიკეთის ჩადენა იმისათვის მინდა, რომ თავისთავად ჩემი ნებისყოფა მომემადლა ჩემი ლოცვა-ვედრებით, განა სულ ერთი არაა, თუკი შემწევს ძალ-ღონე ქველი საქმისათვის. ლოცვა-ვედრებით მოვიპოვებ ყოველივე იმას, რაც აკლია სულსა და გულს, თუ ღმერთი მომმადლებს ჩემი ვედრებით, – რადგან მარადჟამს უნდა ევედრო მას, რომ საწადელს ეწიო, – განა მჭირია სხვაგვარი ახსნა-განმარტება? რა კარგია, რომ ჩვენი შეხედულებები ემთხვევიან ერთმანეთს ქრისტიანული სარწმუნოების ძირითად საკითხებში. რად უნდა წავიდეთ ამაზე შორს? ნუთუ გვწადს გადავეშვათ მეტაფიზიკის უძირო და ღურღუნც მორევში და ღვთაებრიობის რაობის გამო კამათსა და დავაში დავკარგოთ ჩვენი სიცოცხლის ხანმოკლე დღეები, რაიც მოგვენიჭა ღმრთის სადიდებლად? ჩვენ არა ვუწყით, რაგვარია ღმრთის არსი, ოღონდ ის კი ვიცით, ღმერთი რომ არსებობს, და ეს ჩვენთვის საკმარისია; მისი დედაარსი და რაობა წარმოჩინდების მის საქმეთაგან, ამასა ვგრძნობთ ჩვენ-ჩვენსავე თავში. ძალგვიძს ვიდავოთ და ვიკამათოთ მის გამო, მაგრამ არ შეგვიძლია გულწრფელად არ ვაღიაროთ ღმერთი. ღმერთმა მოგვმადლა გრძნობიარობის ის ნიშან-თვისება, რის მეოხებითაც აღვიქვამთ და შევიგრძნობთ მას. მაშ, გვებრალებოდეს ყველა, ვისაც ეს არ გააჩნია, ოღონდ ნუ ვიქნებით იმედნეული, განვანათლოთ ისინი ღმრთის დაუხმარებლად. რომელ ჩვენგანს ძალუძს გააკეთოს ის, რაც ღმერთს არ უნებს ჩასადენად? მაშ, უდრტვინველად პატივი მივაგოთ მის ნება-სურვილს და აღვასრულოთ ჩვენ-ჩვენი ვალი, განა ამაზე უკეთესი მაგალითის მიცემა შეიძლება სხვებისთვის?

იცნობთ თუ არა თქვენ ვოლმარზე უფრო წინდახედულ და კეთილგონიერ კაცს? უფრო გულწრფელ, პირდაპირ, სამართლიან, ალა-მართალ ადამიანს, ვინაც ყველაზე ნაკლებად ემონება ვნებათა ღელვას, კაცს, რომელიც უფრო მეტს მოიგებდა ღვთაებრივი სამართლიანობისა და სულის უკვდავების არსებობისაგან? ან კი იცნობთ მილორდ ედუარდზე უფრო ძლიერ, უფრო დიად და კეთილშობილ ადამიანს, დავასა და კამათში უფრო მრისხანე მოწინააღმდეგეს? ადამიანს, ვინაც თავისი სათნოებით ყველაზე უფრო

ღირსია დაიცვას საქმენი ღვთისანი, უფრორე რომ სწამს ღვთის არსებობა, ვინაც მეტისმეტადაა განმსჭვალული ზენაარის სიდიადის წინაშე მოწიწებით, ყველაზე უფრო რომ იღვწის მის განსადიდებლად და ყველაზე სახელოვანია მისდა სამსახურად? თქვენ ნახეთ, თუ როგორ იცხოვრეს ერთად სამ თვეს კლარანში; ნახეთ, თუ ამ ორმა ადამიანმა, თავიანთი მდგომარეობითა და მიდრეკილებებით გამსჭვალული რომ იყო ურთიერთპატივისცემით და მათთვის უცხო იყო არასერიოზული პედანტურობა, მთელი ზამთარი გაატარა ბრძნულ და დარბაისლურ, მაგრამ ძალზე მწვავე და ღრმააზროვან კამათში. ცდილობდნენ ერთმანეთის განათლებას, თავს ესხმოდნენ, იგერიებდნენ და კვლავ შეეტაკებოდნენ ერთმანეთს ყველა მნიშვნელოვან საკითხთა გამო, რასაც კი მისწვდება და მოიცავს კაცთა გონება, ღრმად უკირკიტებდნენ ისეთ მატერიას, რისი ინტერესიც თანაბრად ჰქონდა ორივეს, და ნატრობდნენ – ნეტავი თანხმობას მივაღწევდეთო.

მაინც რა მოხდა? მათი ურთიერთპატივისცემა გაიზარდა, მაგრამ თითოეული მათგანი თავ-თავიანთ შეხედულებათა დამცველი დარჩა. უკეთუ ეს მაგალითი სამუდამოდ არ განკურნავს გონიერ ადამიანს დავა-კამათისადმი ლტოლვისაგან, მაშინ ეს იმას ნიშნავს, რომ სავსებით არა აქვს ჭეშმარიტების სიყვარული, მხოლოდ თავის გამოჩენა სურს.

ხოლო მე სამუდამოდ თავი მივანებე ესოდენ უსარგებლო იარაღს და გადავწყვიტე ამიერიდან კრინტიც არ დავძრა ქმართან რელიგიის გამო, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სიტყვა ჩემს რწმენაზე ჩამოვარდება. ის არ იფიქროთ, რომ, ჩემთვის, მრავლისმომთმენი ღმერთის იმედნეული ადამიანისათვის, სულ ერთი იყოს ის ამბავი, ვოლმარს რწმენა რომ არ გააჩნია, რაიც ესოდენ საჭიროა მისთვის. თუმცა ახლა დამშვიდებულიც კი ვარ მისი ხვედრის გამო იმქვეყნად, მაგრამ ჩემი მხურვალე სურვილი მისი მოქცევისათვის სრულიადაც არ შენელებულა. სიცოცხლეს მტლედ დავუდებდი, ოღონდ კი მენახა იგი გარდაქმნილი და მოქცეული, – უკეთუ არა მის სანეტაროდ საიქიოს, მისი ბედნიერებისათვის მაინც აქ, ამქვეყნად. რაოდენ სიხარულსაა მოკლებული! აბა რაგვარ გრძნობას ძალუძს ნუგეში სცეს მას მწუხარების ჟამს? ვინა ხედავს იდუმლად ჩადენილ მის კეთილ საქმეთ? რაგვარი ხმა იღაღადებს მისი სულის სიღრმეში? რა საბოძვარსა და ჯილდოს უნდა მოელოდეს თავისი ქველკეთილობის გამო? როგორ უნდა შეხედოს სიკვდილს სახეში? არა, ვიმედოვნებ, არ შეხვდება ამ სიკვდილს ასეთ საშინელ მდგომარეობაში მყოფი. მშთენია მხოლოდ ერთადერთი საშუალება ამ ცდუნებიდან ვოლმარის დასახსნელად და ამ საქმეს შევწირავ ჩემი სიცოცხლის დარჩენილ დღეებს: ის კი არ უნდა დაარწმუნო, არამედ გულში ჩასწვდე, უჩვენო მაგალითი, რაიც გაიტაცებს, აღაფრთოვანებს და მაშინ რწმენა ესოდენ სანიაზო იქნება მისთვის, რომ წინააღმდეგობის გაწევის უნარი დაეკარგება. აჰ, ჩემო მეგობარო, რა საბუთად შეიძლება იქცეს ჭეშმარიტი ქრისტიანის ცხოვრება ურწმუნოების წინააღმდეგ! ხოლო არის კია ამქვეყნად უფრო გამოცდილი და მრავალჭირგამოვლილი არსება, როგორიც ჩემი ქმარია? აი, რა ამოცანას ვკისრულობ ამიერიდან, დამეხმარეთ მისი შესრულებისთვის. ვოლმარი გულცივია, მაგრამ არ შეიძლება უგრძნობელი ვუწოდოთ. ვით შევძლებთ მისი გულის შეძვრას, როდესაც მეგობრები, ბავშვებიც და მეუღლეც ხელს შეუწყობენ მის მოქცევას! რაგვარი ჭკუისსასწავლი სურათი წარმოუდგება თვალთა წინაშე, როცა მისიანები, უქადაგებლად, თავიანთ სიტყვებში ღმერთის მოუხსენებლად, ვოლმარს დაანახვებენ ღმერთის არსებობას ზენაარსის მიერ შთაგონებულ საქმეთა შორის, მის მიერ წარმოქმნილ ქველკეთილ და სათნო ამბებში, ზეცისთვის სასურველ სიხარულში; ის დაინახავს თავის სახლში მოელვარე ზეციური ნეტარების პირველსახეს, და ყოველდღე ასჯერ მაინც, ნებსით თუ

უნებლიეთ, ეტყვის თავის თავს: „არა, ადამიანს არ ძალუძს იყოს ასეთი თავისთავად, – რაღაც სხვაგვარი, ადამიანურზე უფრო მეტი უფლობს აქ“.

უკეთუ ჩემი გულის წადილი მოგეწონებათ, თუკი ღირსად თვლით თავს შემწეობა აღმოუჩინოთ მას, ჩამობრძანდით, მაშინ ერთად გავლევთ ჩვენი სიცოცხლის დღეებს და სიკვდილამდე არ დავშორდებით ერთმანეთს. თუკი ჩემი განზრახვა თქვენს სულსა და გულს არ ესალბუნება, ანდა გაშინებთ, ყური მიუგდეთ სინდისის ხმას, – იგი გიკარნახებთ, რაც არის თქვენი მოვალეობა. მეტი არაფერი მაქვს სათქმელი.

იმისდა მიხედვით, რასაც მილორდი ედუარდი წერს, თქვენ ორივეს უნდა გელოდოთ იმ თვის მიწურულში. ვეღარც კი იცნობთ თქვენს ოთახებს: ოღონდ იქ ყველაფერი ისეა გადაკეთებულ-გადმოკეთებული, რომ უეჭველად იგრძნობთ გულთბილ მზრუნველობას ერთი კეთილი არსებისა, ვისაც სურდა თქვენს გასახარად შეემკო თქვენი სავანე. იქ იპოვით აგრეთვე მის მიერ ჟენევიდან ჩამოტანილ საუკეთესო წიგნებს, ყველა ისინი უმჯობესია და უფრორე ფაქიზი გემოვნებითაა შერჩეული, ვინემ „ადონისი“, თუმცაღა ისიც ზედ დაურთო ხუმრობით. ოღონდ იცოდეთ, არაფერი გაუმხილოთ, მას როდი უნებს უწყოდეთ, ყოველივე ეს მისი ნახელავი რომ არის; ვისწრაფი მოგწეროთ ყველაფერი, ვიდრე ეს არ აუკრძალავს ჩემთვის.

მშვიდობით, ჩემო მეგობარო, შილიონის ციხე-დარბაზში[147] გამგზავრება, რაიც თქვენთან ერთად უნდა მოგვეწყო, ხვალ შედგება – უთქვენოდ. ამის გამო იგი, რასაკვირველია, უფრო სასიამო როდი იქნება, თუმცა დიდი სიამოვნებით მივემგზავრებით. ბატონმა ბალიმ მიგვიპატიჟა ბავშვებიანად, ასე რომ, უარისათვის საბაბი აღარ გამაჩნდა; ოღონდ არ ვიცი რატომ და, მე კი მინდა მალე დამთავრდეს ყოველივე ეს და შინ დავბრუნდე.

IX წერილი
ფანშონ ანესაგან

აჰ, ჩემო ბატონო! აჰ, ჩემო მწყალობელო! აბა, ერთი წარმოიდგინეთ, რა დამავალეს, რომ შეგატყობინოთ! ქალბატონი... ჩემი საბრალო ქალბატონი... ო, ღმერთო ჩემო! უკვე

[147] შილიონის ციხე დარბაზი – ქალაქ ვევეს ბატონ ბალიების წინანდელი რეზიდენცია, აგებულია ჟენევის ტბაში სამკუთხედად შეჭრილ კლდეზე; მის ახლოს ჩემს თვალწინ ზომავდნენ მის სიღრმეს – ლოტი ჩაუშვეს ას ორმოცდაათ ბრასზე უფრო ღრმად, ესე იგი, თითქმის რვაას ფუტზე, ფსკერს კი ვერ მიაღწიეს. ამ კლდეში გამოკვეთილია სარდაფები და სამზარეულოები ტბის დონის დაბლა, და როცა წყალი სჭირდებათ, მხოლოდ ონკანის გახსნაა საკმაო. ამ ციხე-დარბაზში დაპატიმრებული იყო ფრანსუა ბონივარი, წმ. ვიქტორის ტაძრის წინამძღვარი, პირდაპირი, ურყევი და მტკიცე, თავისუფლების მეგობარი. იგი სავოიელი იყო და გამოირჩეოდა შემწყნარებლობით, თუმცა მღვდელი გახლდათ. ბარემ ისიც უნდა ითქვას, იმ დროისათვის, როცა, ალბათ, დაწერილი იყო ეს ბარათები, ქალაქ ვევეს ბალიები უკვე დიდი ხანია აღარ ცხოვრობდნენ შილიონის ციხე-დარბაზში. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ვოლმართა მიმპატიჟებელი ბალი უბრალოდ გაემგზავრა იქ რამდენიმე დღით.

ვხედავ, როგორ შეშინდით. ოღონდ არ ძალგიძთ წარმოიდგინოთ ჩვენი მწუხარება... ერთი წუთის დაკარგვაც კი არ შემიძლია, სასწრაფოდ უნდა გამცნოთ ყოველივე... უნდა გავიქცე... როგორ მინდოდა, ყველაფერი უკვე ეთქვათ თქვენთვის... აჰ, რა მოგივათ, როცა ჩვენს საშინელ უბეედრებას შეიტყობთ!

გუშინ ბატონები მთელი ოჯახით შილიონში გაემგზავრნენ სადილად. ბატონი ბარონი სავოიაში უნდა წასულიყო, ბლონის ციხე-დარბაზში სურდა რამდენიმე დღის გატარება; ნასადილევს გაემგზავრა. ცოტაზე გააცილეს კიდეც, შემდეგ გაემართნენ კაშხალზე სასეირნოდ. ქალბატონი დ'ორბი და ბატონ ბალის მეუღლე წინ მიდიოდნენ ჩვენს ბატონთან ერთად. მათ მიჰყვებოდა ქალბატონი და ხელით მიჰყავდა ანრიეტა და მარსელინი. ყველაზე უკან მე მივდიოდი უფროსი ბავშვით. ბატონი ბალი შეჩერდა ვიღაცასთან სალაპარაკოდ, შემდეგ კი წამოეწია სტუმრებს და ჩვენს ქალბატონს ხელი შესთავაზა, მან ხელკავი გაუკეთა ბალის, ხოლო მარსელინი ჩემკენ გამოგზავნა, ის გამოექანა, მე მისკენ გავიქეცი, უეცრად წაიბორძიკა, ფეხი დაუცდა და წყალში გადავარდა. მე შევყვირე, ქალბატონმა მოიხედა, დაინახა, შვილი რომ ტბაში ჩავარდა, შურდულივით გაექანა და წყალში გადაეშვა.

ვაი, მე უბედურს!.. რატომ მე არ გადავხტი, რატომ მე არ ჩავიძირე! ვაგლახმე! ვაკავებდი უფროს ძმას, სურდა დედასთან გადამხტარიყო... ის კი ტალღებს ებრძოდა, გულში ჩაეკრა მარსელინი. ახლომახლო ადამიანის ჭაჭანება არ იყო, არც ნავი ჩანდა სადმე, უცბად როდი ამოიყვანეს წყალწაღებულნი... ბავშვმა მოიხედა, მაგრამ დედამისი... ეს ელდა, მაღალი კაშხალიდან გადახტომა და თანაც ასეთი ვაი-ვაგლახი... ჩემზე უკეთ ვინ უწყის, რა საშინელებაა ამგვარად წყალში ჩახტომა!.. დიდხანს იყო უგრძნობლად. როგორც კი გონს მოვიდა, მაშინვე მოითხოვა, შვილი მაჩვენეთო... რა სიხარულით ჩაიკრა გულში! ვიფიქრე, ყოველივე კარგად დამთავრდა-მეთქი, მაგრამ ერთი წუთის შემდეგ მთელი ხალისი დაეკარგა; შინ წასვლა მოისურვა, გზაზე რამდენჯერმე ცუდად გახდა; მერედა, რა განკარგულებებს მაძლევდა: ალბათ, ფიქრობს, ვეღარ წამოვდგებიო. რარიგად მადარდებს ეს ამბავი! აღარ გამომჯობინდება! ქალბატონ დ'ორბს ჩემს ქალბატონზე უფრო შეეცვალა სახე, ყველანი საშინლად შეწუხებულნი და აღელვებულნი არიან... მთელ სახლში მხოლოდ მე ვარ ყველაზე გულმშვიდი... მღელვარების თავიც აღარა მაქვს!.. ჩემო კეთილო ქალბატონო! უკეთუ თქვენ აღარ მეყოლებით, ვისთვისღა უნდა ვიცოცხლო? თქვენ კი, ძვირფასო ბატონო, უფალმა მოგმადლოთ ძალი და ღონე ესრეთ განსაცდელის ჟამს... მშვიდობით... საწოლი ოთახიდან ექიმი გამოვიდა. მივირბენ მასთან... უკეთუ იოტისოდენ იმედს მაინც მოგვცემს, მაშინვე მოგწერთ. ხოლო თუ არფერს გეტყვით, მაშასადამე...

X წერილი

დაწყებული ქალბატონ დ'ორბისა და დამთავრებული ბ-ნ დე ვოლმარისაგან

ყოველივე დამთავრდა. ოი, უგუნურო, უბედურო, საბრალო სიზმართმჭვრეტელო! ამიერიდან ვეღარასოდეს იხილავთ მას. საბურველი... ჟიული უკვე აღარ არის ცოცხალთა შორის.

მან ბარათი მოგწერათ. ელოდეთ მის წერილს. გახსოვდეთ მისი უკანასკნელი ნება-სურვილი. თქვენ ჯერ კიდევ გშთენიათ აღასრულოთ უზენაესი მოვალეობა ამქვეყნად.

XI წერილი

ბატონ დე ვოლმარისაგან

როდი მსრუდა რაიმეს მოწერა თქვენთვის მგლოვიარობის პირველ დღეებში, ჩემი ბარათი მხოლოდ გააარჯლებდა თქვენს იარას. არ გეყოფოდათ ძალ-ღონე ზოგიერთ წვრილმან ამბავთა ასატანად, მეც არ შემეძლო მათ გამო ლაპარაკი. დღეს კი ეს წვრილმანები იქნებ უფრო სასურველი და ძვირფასიც კი იყოს ორივე ჩვენგანისათვის. მხოლოდ მოგონებებიღა შემომრჩა მასზე, და ჩემი გულიც მიელტვის მათ!

ახლა მარტოოდენ ტირილი ძალგიძთ მის გამო, და ეს ცრემლები დარდს გაგიქარვებთ. ურვა-წუხილით გათანგულს მომესპო გულიდან ჯავრის გადაყრა, მე თქვენზე უბედური ვარ.

თავად მის გამო მინდა გითხრათ რამდენიმე სიტყვა, – მის ავადმყოფობას არ ვეხები. სხვა დედებსაც შეუძლიათ წყალში ჩახტომა თავისი ბავშვის გადასარჩენად. უბედური შემთხვევა, ავადმყოფობა, სიკვდილი – ყოველივე ეს ბუნებრივია: ეს არის ადამიანთა ჩვეულებრივი ხვედრი; მაგრამ მისი უკანასკნელი წუთები, მისი სიტყვები, მისი გრძნობები, მისი სული – ყველაფერი არაჩვეულებრივი გახლდათ და მარტოოდენ ჟიულის მოეპოვებოდა ეს. იგი სრულიადაც არ ცხოვრობდა სხვების მსგავსად; და არ მეგულება ვინმე, ვინც მისებრ მომკვდარიყოს. აი, რა შევნიშნე მე და ამას მარტო ჩემგან გაიგებთ.

თქვენთვის უკვე ცნობილია, რომ თავზარდაცემისა და მღელვარების გამო, მას შემდეგ, რაც გადაარჩინეს და წყლიდან ამოიყვანეს, დიდხანს გძნობამიხდილი იყო. საბოლოოდ გონს მხოლოდ შინ მისვლისას მოვიდა. როცა კლარანში ჩაიყვანეს, კვლავ მოისურვა შვილის ნახვა, ის მიჰგვარეს; როცა დარწმუნდა, ფეხზე კარგად დგასო, დადის და ჩემს ალერსს ეხმაურებაო, სავსებით დაშოშმინდა და დათანხმდა, ცოტათი დავისვენებო. ოდნავ ჩასთვლიმა, შემდეგ კი, მკურნალის მოსვლამდე, მიგვიხმო – ფანშონი, თავისი მამიდაშვილი და მე, გვთხოვა, ჩემი ლოგინის ახლოს ჩამოჯექითო. დაგვიწყო საუბარი ბავშვებზე იმის გამო, თუ როგორ თავისებურად ზრდის მათ და რა გამუდმებულ ზრუნვას მოითხოვს ეს აღზრდა, თუ რა სახიფათოა ამ საქმეში აღმზრდელის თუნდაც მცირეოდენი დაუდევრობა. ავადმყოფობაც არად უჩანდა, ოღონდ გრძნობდა, რამდენიმე ხანს უნდა გადაედო ნაკისრი ვალდებულებანი, ბედმა რომ არგუნა ბავშვების აღზრდისას, და გვავალებდა, თქვენ-თქვენს ვალს ზედ ეს საზრუნავიც დაურთეთო.

გაგვაცნო თავისი გეგმებიც და თქვენი განზრახულობანიც, ის ამბავი, თუ რაგვარი საშუალება სჯობს მათი წარმატებითი განხორციელებისათვის; გაგვიზიარა თავისი დაკვირვებები, რაიც გვიდასტურებდა, თუ რა უფრო ხელსაყრელი იქნებოდა ამ განზრახვათათვის, და რა ავნებდა მათ, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც დაგვეხმარებოდა შეგვეცვალა დედის შრომა და გარჯა მთელი იმ ხნის განმავლობაში, სანამ იავადმყოფებდა... „ეს რამდენ განკარგულებას იძლევა, – ვფიქრობდი მე. – განა ასე ილაპარაკებდა, თუ ისა აქვს გულში, ჩემს საყვარელ საქმიანობას სულ რამდენიმე დღით გამოვაკლდებიო“. და სავსებით თავგზა ამიბნიეს მისმა სიტყვებმა, როცა კვლავ უფრო დაწვრილებით იწყო რჩევა-დარიგების გაცემა ანრიეტასთვის. შვილების გამო განკარგულებები მხოლოდ მათს ადრეულ ბავშვობას შეეხებოდა, თითქოს სიყმაწვილეში მათი აღზრდის საქმე ვიღაც სხვას დაავალაო, ოღონდ გოგონასათვის ითვალისწინებდა სიყმაწვილის მთელ ხანასაც, რადგანაც გრძნობდა, ვერავინ გაივლებს გულში იმ აზრს, რასაც ჩემი საკუთარი გამოცდილება მიკარნახებსო, მოკლედ, მაგრამ ძალზე მტკიცედ და მკაფიოდ გაგვიზიარა ანრიეტას აღზრდისათვის მოფიქრებული გეგმა, და წაუყენა

დედამისს ფრიად დამაჯერებელი, უაღრესად გულში ჩამწვდომი საბუთები, თან აფიცებდა კიდეც კლარას, ჩემს ადრითვე განზრახულ საქმეს არ უღალატოო.

ნორჩი თაობის აღზრდისა და დედათა მოვალეობის გამო ყველა ამ მოსაზრებას, რაც ენაცვლებოდა მისი საკუთარი ცხოვრების მოგონებათ, არ შეეძლო გულმხურვალე არ გაეხადა მისი სიტყვები. ვხედავდი მეტისმეტად მხნე და ხალისიანი რომ იყო. კლარას ეჭირა მისი ხელი, წამდაუწუმ კოცნიდა ხელზე და პასუხის ნაცვლად მხოლოდ ტიროდა; არანაკლებ შფოთავდა ფანშონიც; შევნიშნავ, ჟიულისაც თვალი ცრემლით ევსებოდა, ოღონდ ტირილის ნებას არ აძლევდა თავს, შიშობდა, ვაითუ ესენი უფრო მეტად შევაწუხოო. და უმალ გავიფიქრე: დარწმუნებულია, მოკვდება-მეთქი. ერთადერთი იმედიღა მშთენოდა; იქნებ, განცდილი ელდა აცდუნებს, საფრთხეს აზვიადებს, სინამდვილეში კი მისი მდგომარეობა, შესაძლოა, არც ისე ცუდი იყოს-მეთქი. მაგრამ ძალზე კარგად ვიცნობდი მას და, სამწუხაროდ, არ შემეძლო მეფიქრა, ცდება-მეთქი. რამდენჯერმე დავაპირე დამშვიდება; სულ ვევედრებოდი, ასეთი საუბრებით თავს ამაოდ ნუ იშფოთებ, ვინაიდან ყველაფერ ამის გამო საუბარი მოცალეობის ჟამს შეიძლება-მეთქი. „აჰ! – წამოიძახა მან, – ქალისთვის ყველაზე ცუდია დუმილი, და ვინაიდან ცოტათი მაჟრჟოლებს კიდეც, ხოლო სიცხე, როგორც ვიცით, ლაყბობის გუნებაზე აყენებს ადამიანს, ამიტომ სჯობს ვიბაასოთ სასარგებლო საქმეთა გამო, ვიდრე მოვედვათ ქვა და ყორეს, ხომ მართალია?“

როგორც კი ექიმი მოვიდა, ყველანი მღელვარებამ მოიცვა. შინაყმები საწოლ ოთახთან შეგროვდნენ, სალოცავად დაიჭდვეს ხელები, მღელვარებით აღსავსე მზერით მისჩერებოდნენ ექიმს და საკუთარი ბედის გადამწყვეტი განაჩენივით ელოდნენ მის სიტყვებს ავადმყოფი ქალბატონის მდგომარეობის გამო. ამ სანახაობამ ისე ააფორიაქა საბრალო კლარა, რომ შემეშინდა, არ გაგიჟდეს-მეთქი. სხვადასხვა საბაბით მოვაშორე იქაურობას შინაყმანი, რათა კლარას თვალწინ არ ჰქონოდა ეს საშინელი სურათი. ექიმმა რაღაც იმედი მოგვცა, ოღონდ ფრიად ბუნდოვნად და გაურკვევლად, რასაც სავსებით შეეძლო ყოველგვარი იმედი წარეხოცა ჩემთვის. ჟიულიმაც კრინტი აღარ დაძრა, თუ რას ფიქრობდა, კლარასთან არ უნდოდა ამის გამჟღავნება. როცა ექიმმა მოათავა თავისი საქმე, მე გავაცილე. კლარას სურდა გამოგვყოლოდა, მაგრამ ჟიულიმ ისეთი თვალით გადმომხედა, რომ მშვენივრად მივხვდი, მამიდაშვილის გაშვება არ უნდოდა. დაუყოვნებლივ გავაფრთხილე ექიმი, უკეთუ მდგომარეობა სახიფათოა, ეს ამბავი გულმოდგინედ უნდა დავუმალოთ ქალბატონ დ’ორბს, როგორც თვით ავადმყოფს-მეთქი, და, ვინძლო კიდევ უფრო მეტი მონდომებით, თორემ კლარას მთლად წარეკვეთება იმედი და დობილის მოსავლელად ძალ-ღონე აღარ გასწვდება-მეთქი. ექიმმა მითხრა, საფრთხე ნამდვილად არისო, ოღონდ რადგანაც უბედურება მხოლოდ ერთი დღე-ღამის წინათ მოხდა, ცოტათი შევიცადოთო, თორემ სხვაფრივ დარწმუნებით შეუძლებელია თქმა იმისა, როგორ წარიმართება ავადმყოფობა: ყოველივეს გადაწყვეტს შემდგომი ღამე, და მეც სიტყვას მხოლოდ ზეგ ვიტყვიო. ამ საუბრის ერთადერთი მოწმე ფანშონი იყო; ძლივძლივობით დავიყოლიე იგი დაეოკებინა თავი და შევთანხმდით, თუ რა უნდა გვეთქვა ქალბატონ დ’ორბისა და სხვებისთვის სახლში.

საღამოს ჟიულიმ დაითანხმა მამიდაშვილი, რომელმაც მთელი წინა ღამე მის ლოგინთან გაატარა, რამდენიმე საათს დასასვენებლად წასულიყო. და დროის ამ შუალედში ავადმყოფმა გაიგო, მკლავის გახსნას რომ უპირებდნენ და უკვე ემზადებოდნენ ამისათვის, ბრძანა, ექიმს დაუძახეთო, და ასეთი სიტყვებით მიმართა მას: „ბატონო დიუ ბოსონ, როცა ადამიანებს თავიანთ მოვალეობად მიაჩნიათ მოატყუონ მშიშარა ავადმყოფი და დაუმალონ ნამდვილი მდგომარეობა, ასეთ წადილს ჰუმანურად ვთვლი და ვიწონებ კიდეც; მაგრამ ეს ხომ ულმობელი გულქვაობაა – ყველაზე თანაბრად გავრცელდეს

ავადმყოფთათვის უსიამოვნო ზრუნვა, რაც მუდამ როდია საჭირო. დამინიშნეთ, რაც გნებავთ, ოღონდ მარტოოდენ ნამდვილად სასარგებლო, და მეც ყოველივეს უცილობლად დავემორჩილები. მაგრამ რაც შეეხება მხოლოდ წარმოსახვათა ზედან მოქმედ საშუალებებს – აქ კი ნუ გამიმეტებთ და დამინდეთ; სალმობამ დააძაბუნა ჩემი სხეული, სული კი ვერა, სიკვდილისა არ მეშინია, არამედ ის მაშინებს, ვაითუ ცუდად ვისარგებლო ჩემი სიცოცხლის დარჩენილი დღეებით-მეთქი. უკანასკნელი წუთები მეტისმეტად ძვირფასია, და შეუძლებელია მათი ამაოდ და ფუჭად დაკარგვა. უკეთუ არ ძალგიძთ ჩემი სიცოცხლის გახანგრძლივება, ნუ შემიმოკლებთ მაინც მას, ნუ წარმტაცებთ იმ წუთებს, რაიც ჯერ კიდევ მომიბოძა ბუნებამ. რაც უფრო ნაკლები დრო მშთენია, მით უმეტეს, უფრო პატივი უნდა მიაგოთ მას, გადამარჩინეთ ანდა ჩამომეხსენით; მარტოკაც მშვენივრად მოვკვდები“. აი, როგორ ალაპარაკდა ჟიული, ადამიანებთან ჩვეულებრივი ურთიერთობისას ესოდენ მორიდებული და წყნარი ქალი, ალაპარაკდა მტკიცე და გაბედული კილოთი განსაკუთრებულ ვითარებათა ჟამს.

საშინელი იყო გადამწყვეტი ღამე: სულის ხუთვა, გულის წუხილი, გონების მიხდა, გავარვარებული და ქერქეში კანი. ციებცხელებიანი ჟიული ბოდვის დროს ხშირად წამოიყვირებდა და ხმამაღლა ეძახდა მარსელინს, თითქოს უნდოდა მისი შეკავება, ხანდახან კი წარმოთქვამდა სხვა სახელსაც, ოდესღაც ესოდენ მღელვარედ რომ იმეორებდა მსგავსი მდგომარეობის დროს. მეორე დილით ექიმმა გულახდილად განმიცხადა, ჩემი აზრით, ავადმყოფი სამ დღესაც ვერ გააწევსო. ეს საშინელი საიდუმლო მარტო მე გამანდო, და რა თავზარდამცემი წუთები განვიცადე, როცა გულის სიღრმეში ვიმარხავდი მის განაჩენს და აღარ ვიცოდი, რა მექნა. მარტოდმარტო დავეხეტებოდი ჭალაკში, ვფიქრობდი, რა წყალში ჩავვარდინილიყავი და უნებურად შემომეჯარა მწუხარე ფიქრები ბედის უკუღმართობის გამო, ვინაიდან ამ სიბერის წლებში მან კვლავ მომისართა მარტოობა, რაიც მტანჯავდა და მაწვალებდა იმ დღეებამდე, სანამ ვიგემე უფრო სასიამტკბილო ცხოვრება.

წინა დღით შევპირდი ჟიულის, ზუსტად გადმოგცემ ექიმის ნათქვამს-მეთქი, და როგორ გულაჩუყებით მაფიცებდა, სიტყვა არ გასტეხოო. ვგრძნობდი, დანაპირი უნდა აღმესრულებინა. ოღონდ რა გზით? ყალბი და უსარგებლო ვალდებულების გულისთვის მომიხდებოდა მისი დანაღვლიანება, ჩემს გამო წინასწარ იგემებს სიკდვილის მთელ საშინელებას-მეთქი. აბა, ასე სასტიკად რად უნდა დავასწროთ ვითარებას და წინასწარ რად უნდა ვუთხრათ ყველაფერი? როცა მომაკვდავს ვამცნობთ, შენი უკანასკნელი საათი ახლოვდებაო, – განა ეს არ ნიშნავს, რომ ვაჩქარებთ ამ აღსასრულს? რა მოუვა მაშინ მის სურვილებს, იმედებს, მისი ცხოვრების მთელ საფუძველს. განა შესაძლებელია გიხაროდეს სიცოცხლე, როცა ხედავ, ასე ახლოს რომ არის მასთან გამოთხოვების ჟამი? ნუთუ თავად მე, ჩემი ხელით მოვუსწრაფო დღე ჟიულის?

გამალებული მივეშურებოდი, თან ისეთი მღელვარებით ვიყავ გათანგული, რაიც აროდეს განმეცადა. სასტიკი ბოღმა და ვარამი შემსჭვალავდა მთელ ჩემს არსებას; აუტანელი ტვირთი მძიმედ მაწვა გულზე. დაბოლოს, იმ დასკვნამდე მივედი, რომ უნდა გამებედა. ნუ ეცდებით გამოცნობას, ახლავე თავად გიამბობთ ყველაფერს.

მერედა, ვისი გულისთვის ვიბრძვი? მისი თუ ჩემი გულისთვის? რას ვემყარებოდი ჩემი მსჯელობისას? მის თუ ჩემს შეხედულებებს? რა არის ჩემთვის დადასტურებული ერთსა თუ მეორე შემთხვევაში? ის, როცა მწამს, წარმოადგენს სწორედ ჩემს რწმენას, ესე იგი, ჩემს მოსაზრებას, და ცოტათი სარწმუნოც არის. მართალია, არ არსებობს არავითარი დამამტკიცებელი საბუთი, ჩემი მოსაზრება რომ გააბათილოს, მაგრამ აბა, რომელი დამამტკიცებელი საბუთები ადასტურებენ ამას? ის, რაც მას სწამს, მხოლოდ და მხოლოდ მის რწმენას წარმოადგენს, ესე იგი, მისი მოსაზრებაცაა. ოღონდ ჟიული მას სიცხადედ მიიჩნევს; ეს მოსაზრება მის თვალში დამამტკიცებელი საბუთია. და რადგან საქმე მას

შეეხება, რა უფლება მაქვს უპირატესობას ვაკუთვნებდე ჩემს მოსაზრებას, რაიც თვით ჩემთვისაც კი სადავოა, და არ ვამჯობინებდე მის თვალსაზრისს, თავად უცილობლად რომ მიაჩნია? მაშ, შევადაროთ როგორც ჩემი, ისე მისი შეხედულებების შედეგები. ჟიულის აზრით, სიცოცხლის უკანასკნელ ჟამს მის გუნება-განწყობილებაზედან ჰკიდია სამარადისო მისი ხვედრი იმქვეყნად. ჩემი აზრით, ჟიულის მყუდროების დაცვა და მოფრთხილება, რაიც მე უნდა აღმოვუჩინო, სამი დღის შემდეგ სულ ერთი იქნება მისთვის, სამი დღის მერე, ჩემი რწმენით, უკვე ვეღარაფერს ვეღარ იგრძნობს. მაგრამ, შესაძლოა, ის მართალიც იყოს? რა დიდია მაშინ განსხვავება. სამარადჟამო ნეტარება – ანდა სამუდამო ტანჯვა-წამება!.. ვინ იცის... რა საშინელი სიტყვაა! ო, უბედურო! გასწირე შენი და არა მისი სული.

აი, პირველი ფიქრი და აზრი, მე რომ დამაეჭვა იმ შეხედულებათა სისწორეში, რომელთაც ასე ხშირად ესხმოდით თავს. პირველი, ოღონდ არა უკანასკნელი, – მას შემდეგ იგი ხშირად დამბადებია. როგორაც უნდა იყოს, ამ დაეჭვებამ მიხსნა მტაჯველი ყოყმანისაგან, მყისვე მივიღე გადაწყვეტილება, თან ვშიშობდი, არ ვისულმცირო, არ შევცვალო-მეთქი, და მაშინვე გავეშურე ჟიულისაკენ. ვუბრძანე ყველანი გარეთ გასულიყვნენ და ჩამოვჯექი მის სასთუმალთან. თავად განსაჯეთ, თუ რა მდგომარეობაში ვიქნებოდი. როდი ვიწყე გამაფრთხილებელ ზომათა მიღება, რაიც აუცილებელია სულმოკლე ადამიანთა მიმართ. არაფერი მითქვამს, ოღონდ, შემომხედა თუ არა, ყველაფერს მიხვდა. „თქვენა გგონიათ, მე არ ვიცი? – წარმოთქვა მან და ხელი გამომიწოდა, – არა, ჩემო მეგობარო, კარგად ვგრძნობ ამას. სიკვდილი მაჩქარებს, ჩვენ უნდა განვშორდეთ ერთმანეთს“.

დიდხანს მესაუბრა. ოდესმე გადმოგცემთ მის სიტყვებს, რომლებითაც ჩემს გულის ფიცარზე მოაწერა თავისი ანდერძი. თუნდაც არ მცნობოდა ჟიულის გულის ამბავი, საკმაო იქნებოდა გამეგონა მისი უკანასკნელი განკარგულებები, რომ მყისვე ჩავწვდომოდი მას.

მკითხა, ჩემი მდგომარეობა სახლში მყოფთ იციან თუ არაო. ვუპასუხე, ყველანი უაღრესად შეწუხებულნი არიან, ოღონდ კარგად არავინ არაფერი უწყის, ბოსონმა ყველაფერი მარტოოდენ მე გამიმხილა-მეთქი. შემევედრა, დღის ბოლომდე ყოველივე საიდუმლოდ დარჩესო, და დასძინა: „კლარა ხომ ასეთ თავზარდაცემას მარტო ჩემი ხელიდან აიტანს. უკეთუ სხვა ვინმე ჩასცემს ლახვარს, იგი მოკვდება. ამ სამწუხარო მოვალეობისათვის ამაღამდელი ღამე გადამიდვია. უმთავრესად, სწორედ ამიტომაც მინდოდა ექიმის აზრის გაგება. ვშიშობდი, ვაითუ მარტოოდნე ჩემი გრძნობის საფუძველზე საბრალო ჩემი დაიკო ესოდენ მძიმე განსაცდელში ჩავაგდო-მეთქი. ეცადეთ, დროზე ადრე არაფერი გაიგოს, თორემ დაკარგავთ ერთგულ მეგობარსა და უდედოდ დატოვებთ თქვენს შვილებს“.

მერე თავისი მამა მოიკითხა, გამოვუტყდი, ბლონში მის მოსაყვანად შიკრიკი გავუგზავნე-მეთქი. ოღონდ ის კი ვეღარ გავუმხილე, იმ შიკრიკმა წერილის გადაცემის ნაცვლად, როგორც ვუბრძანე, თავი ვერ შეიკავა და უმალ უამბო ყველაფერი, და ისე უგერგილოდ, რომ ჩემმა ძველმა მეგობარმა იფიქრა, თითქოს მისი ქალიშვილი დაიხრჩო; ელდისაგან კიბეზე დაეცა, ძალზე დაშავდა და რამდენიმე დღეს ლოგინს იქნება მიჯაჭვული. ჟიული ფრიად გაახარა იმედმა, სიკვდილის წინ მამაჩემს ვნახავო, მაგრამ მე ხომ ვიცოდი, მისი იმედი ამაო იყო, და ეს გახლდათ მრავალთაგან ერთ-ერთი შეჭირვება და მწუხარება, რაიც მაშინ განვიცადე.

წინა ღამით გადატანილ ტანჯვათაგან ჟიული მეტისმეტად დაუძლურდა. ხანგრძლივი ლაპარაკი როდი უწყობდა ხელს მისი ძალ-ღონის განმტკიცებას. მთლად დაძაბუნებული ცდილობდა დღისით დაეძინა; მხოლოდ ერთი დღის შემდეგ გავიგე, ძალზე ცოტა ეძინაო.

ამასობაში სახლში მკვდრული სიჩუმე იყო გამეფებული, თითოეული პირქუშად დუმდა და ელოდა, შეგვემსუბუქებინა მისი მწარე ხვედრი, მაგრამ ვერავინ ბედავდა გამოკითხვას, რადგან შიშობდა, ვაითუ იმაზე მეტი მოვისმინო, ვიდრე მსურს გავიგოო. ყველანი ასე ფიქრობდნენ: თუ კარგი ამბავი იქნებოდა, მაშინვე გაგვახარებენ და გვამცნობენ, და თუკი უბედურება გვეწვეოდა, ისედაც ძალზე ადრიანად გავიგებთო. შიშით აღვსილნი იმითაც კმაყოფილნი იყვნენ, ახალი რომ არაფერი მოხდა. იდგნენ კუშტად და უმოქმედოდ, მარტოოდენ ქალბატონი დ'ორბი იყო საქმიანი და არღვევდა გამეფებულ მდუმარებას. როგორც კი გამოვიდოდა ჟიულის ოთახიდან, დასვენების მაგივრად მთელ სახლს შემოირბენდა, თითოეულს შეაჩერებდა, ჰკითხავდა, ექიმმა რა თქვაო და ამის გამო რას ლაპარაკობენო. წინა ღამის ამბავთა მოწმე იყო და შეუძლებელი იყო არ სცოდნოდა, თუ რა ხდებოდა ირგვლივ, მაგრამ სულ თავის თავის მოტყუებას ცდილობდა და არ სურდა საკუთარ თვალებს დანდობოდა. მისგან გამოკითხული ადამიანები მხოლოდ სანუგეშო პასუხს აძლევდნენ, ეს კი აიძულებდა სხვებიც გამოეკითხა და ამას ისეთი მგზნებარე მღელვარებით და ისეთი შეშინებული სახით სჩადიოდა, მის თანამოსაუბრეთ მთელი სიმართლეც რომ სცოდნოდათ, ვერაფრისდიდებით ვერ გაუბედავდნენ გამჟღავნებას.

ჟიულისთან იოკებდა გრძნობებს და ავადმყოფის სათნო გამოხედვა წყნარ სევდას უფრო ჰგვრიდა, ვიდრე ბობოქარ მწუხარებას. ყველაზე მეტად უფრთხოდა ჟიულისთვის დაენახვებინა თავისი შიში და ძრწოლა, მაგრამ ვერ ახერხებდა ამის დაფარვას: მისი შიშნეულობა მაშინაც კი აშკარა და საცნაური იყო, როცა მშვიდად ყოფნას ცდილობდა. თავის მხრივ, ჟიულიც არ ზოგავდა ძალ-ღონეს მის მოსატყუებლად. ტკივილი არ უყუჩდებოდა, მაგრამ ირწმუნებოდა, სავსებით გამიარაო და თითქოს მხოლოდ იმას ჩიოდა, ასე მალე არ განვიკურნებიო. ჩემთვის კი ტანჯვა-წამება იყო ცქერა იმისა, თუ როგორ ამხენევებდნენ ერთმანეთს. ვიცოდი, არც ერთს აღარ უღვიოდა ის იმედი, თითოეული მათგანი რომ ცდილობდა დობილისთვის შთაენერგა.

ქალბატონ დ'ორბს წართვით ორი ღამე არ უძინია, სამი დღე ტანთ არ გაუხდია. ჟიულიმ შესთავაზა, წადი და დაიძინეო, კლარა უარზე შედგა. „მაშ, კარგი, – წარმოთქვა ჟიულიმ, – დადგან ჩემს ოთახში გასაშლელი ტახტი, – მერე ცოტათი დაფიქრდა და დაუმატა, – იქნებ, ჩემთან დაწოლა მოიწადინოს? რას იტყვი, ამაზე დაიკო? ჩემი ავადმყოფობა გადამდები როდია, ვიცი – არ გეზიზღები, მაშ, დაწექ ჩემ გვერდით". ასეც მოიქცნენ. მე კი ჩემს საწოლ ოთახში გამგზავნეს, – მართლაც მესაჭიროებოდა მოსვენება.

დილით ძალზე ადრიანად წამოვდექი. თავგზააბნეული ვფიქრობდი, ღამემ როგორ ჩაიარა-მეთქი, და პირველი ხმის გაგონებისთანავე შევედი ჟიულის ოთახში. მახსოვდა, რა მდგომარეობაში იყო წინა დღით ქალბატონი დ'ორბი და ვფიქრობდი, მთლად სასომიხდილი იქნება და საშინელი მწუხარების მოწმე გავხდები-მეთქი. შევედი და დავინახე, სავარძელში იჯდა, საშინლად მოწყენილი, გაფითრებული, მთლად გაცრეცილი, მზერა მთლად ჩაქრობოდა და დაშრეტოდა, მაგრამ წყნარად იყო, დამშვიდებული, ცოტას ლაპარაკობდა, მორჩილად აკეთებდა ყველაფერს, რასაც მოთხოვდნენ. ხოლო ჟიული არც ისე დასუსტებული ჩანდა, როგორც წინა დღით, ხმაში ძალა მომატებოდა, უფრო მკვირცხლად მოძრაობდა, თითქოს მამიდაშვილის მხნეობა გადადებოდა. ძალზე იოლად მივხვდი, რომ ეს მოსაჩვენარი მომჯობინება სინამდვილეში მხოლოდ და მხოლოდ აღგზნებული მღელვარება გახლდათ, ოღონდ იმასაც ვხედავდი, რომ მისი თვალები ელვარებდნენ რაღაც იდუმალი და სასიხარულო ბორგვნისაგან, და არ მესმოდა ამის მიზეზი. თუმცა ექიმი კვლავ მტკიცედ ადგა გუშინდელ აზრს, ავადმყოფიც იმასვე ფიქრობდა, და მეც ყოველივე იმედი გადამიწყდა.

რამდენიმე ხნით ოთახიდან გავედი. ხოლო როცა შემოვბრუნდი, შევნიშნე, ოთახი გულდასმით იყო დალაგებული. შიგ მეფობდა წესრიგი, შნო და ლაზათი; ჟიულიმ ბრძანა, ბუხრის თავზე შემოედგათ ყვავილებიანი ქილები. ფანჯრის ფარდები გადაეწიათ და აეკეცათ; ოთახი გაანიავეს, ირგვლივ სასიამო სურნელი იფრქვეოდა. ვერავინ იტყოდა, ეს ავადმყოფის საწოლი ოთახიაო. ესოდენ ზუსტად იზრუნა ჟიულიმ თავის ტანისამოსზეც. მის თითქოსდა დაუდევარ ჩაცმულობაში რაოდენი გემოვნება და სიკოხტავე იყო ჩართული. უნდა გეფიქრათ, ეს სტუმართა მომლოდინე მაღალი წრის ბანოვანია, და არა სულის ამოხდომისათვის მზადმყოფი სოფლელი ქალიო. ჩემი გაოცება შენიშნა და გამიღიმა; მიმიხვდა, რასაც ვფიქრობდი და პასუხის გაცემა დააპირა, მაგრამ მაშინ მოუყვანეს ბავშვები. ახლა ლაპარაკი მხოლოდ მათ შეეხო; და, რასაკვირველია, კარგად გესმით, რაკი ჟიული გრძნობდა, მათთან ეს უკანასკნელი გამოთხოვება იყო, არ შეეძლო დამშვიდებულ ალერსს დასჯერებოდა. შევნიშნე კიდეც, სხვებზე უფრო ხშირად და უფრო მგზნებარედ რომ ეფერებოდა იმას, ვისი გადარჩენაც სიცოცხლის ფასად დაუჯდა, თითქოსდა ამ მსხვერპლის გამო კიდევ უფრო ძვირფასი გამხდარიყო.

მთელი ეს ხვევნა-კოცნა, ოხვრა-კვნესა, აღტაცებული შეძახილები საბრალო ბავშვებისათვის ყოვლად გაუგებარი საიდუმლო იყო. მათ უყვარდათ დედა ძალზე სათუთად და ნაზად, ოღონდ იმ სინაზით, რაიც შესაძლოა მხოლოდ მათ ასაკში; მათ არ ესმოდათ არც დედის მდგომარეობა, არც მისი მგზნებარე ალერსი. არც მწარე ჩივილი იმის გამო, ამიერიდან ვეღარ გიხილავთო; მათ შეამჩნიეს, თუ რა დანაღვლიანებული ვიყავით ჩვენ, ამიტომაც სამივენი ატირდნენ, მიხვედრით კი ვერაფერს მიხვდნენ. რამდენიც უნდა უჩიჩინოთ ბავშვებს სიტყვა „სიკვდილი“, მათ არავითარი წარმოდგენა არა აქვთ მის გამო, არ მიაჩნიათ იგი საშიშრად, არც თავისთვის, არც სხვებისთვის; მათ ეშინიათ ფიზიკური ტკივილისა, სიკვდილისა კი არა. როცა გამოუთქმელი ტანჯვისა და ტკივილის გამო მათი დედა აკვნესდებოდა, ბავშვები იქაურობას იკლებდნენ შესაბრალისი ქვითინით, ხოლო, როცა ეტყოდნენ, დედას დაკარგავთო, გამოყეყეჩებულნი იდგნენ. მარტოოდენ ანრიეტა შეწუხდა და შეშფოთდა, დედილო ჯერ ისევ ლოგინში მწოლიარე რომ დაინახა, რაკი იცოდა, რომ იგი მუდამ ბავშვებზე ადრე დგებოდა. ეს იმის გამო მოხდა, რომ ანრიეტა ძმებზე უფროსია და გოგონებს ადრე უვითარდებათ გრძნობა და გონება. მახსოვს, ამის გამო ჟიულიმ გამოთქვა მისთვის ფრიად საგულისხმო აზრი: სასაცილოდ აიგდო პატივმოყვარეობა ვესპასიანესი, რომელიც თავის ლოგინზე იყო წამოწოლილი, როცა შეეძლო ემოქმედა, და წამოდგა, როცა აღარაფრის გაკეთება აღარ შეეძლო.[148] „ვერ ვიტყვი, – დაუმატა ჟიულიმ, – მდგომარე უნდა მოკვდნენ თუ არა იმპერატორები, ოღონდ კარგად გამეგება, ოჯახის დედას მხოლოდ სიკვდილის ჟამსა აქვს ლოგინში ჩაწოლის უფლება“.

ჟიულიმ გული იჯერა ბავშვების ალერსითა და სიყვარულით, შემდეგ კი ცალ-ცალკე მოიხმო თითოეული; განსაკუთრებით დიდხანს ჰყავდა თავის სიახლოვეს ანრიეტა, განუწყვეტლივ კოცნიდა მას და ეფერებოდა. გოგონა ოხვრა-კვნესითა და ტირილით აძლევდა პასუხს, მერე ჟიულიმ მოითხოვა, სამივენი ჩემთან მოიყვანეთო, დალოცა, დაანახვა ქალბატონი დ’ორბი და წარმოთქვა: „აი, ბავშვებო, თქვენი მეორე დედა, თავად ღმერთი გიგზავნით მას, არ დაგტოვათ ობლად; მიდით, დაემხეთ მის ფერხთა წინაშე“. ბავშვები მყისვე მივარდებიან კლარას, იჩოქებენ მის წინ, ებღაუჭებიან მის ხელებს,

[148] ეს არაა სავსებით სწორი. სვეტონიუსი ამბობს, ვესპასიანე სიკვდილის სარეცელზე მწოლიარეც კი ჩვეულებრივ მუშაობდა და აუდიენციებსაც მართავდაო. ოღონდ, კაცმა რომ თქვას, მართლაც უმჯობესი იქნებოდა წამომდგარიყო ამ აუდიენციათათვის და შემდეგ სიკვდილის მოლოდინში ლოგინზე წამოწოლილიყო. ვიცი, ვესპასიანე როდი იყო დიდი ადამიანი, მაგრამ მაინც დიდი ხელმწიფე გახლდათ. თუმცაღა, რა როლიც უნდა გარგუნოს ბედმა ცხოვრებაში, კომედია არ უნდა გაითამაშო იმქვეყნად წასვლისას.

უწოდებენ საყვარელ დედიკოს, თავიანთ მეორე დედას. კლარა დაიხარა მათკენ, ჩაიხუტა ისინი, მაგრამ ამაოდ ცდილობდა ხმის ამოღებას. ბაგეთაგან მხოლოდ კვნესა აღმოხდა, ცრემლები ახრჩობდა და კრინტის დაძვრა აღარ შეეძლო. მეტისმეტად მძიმე ასატანი შეიქნა ყოველი. ვეცადე შემეწყვიტა.

როცა განვლო გრძნობის ამშლელმა წუთებმა, ყველანი ავადმყოფის ლოგინთან შექუჩდნენ, გაიმართა საუბარი და თუმცა ჟიული კვლავ დასუსტდა და წინანდელი მხნეობისა აღარაფერი ეტყობოდა, მისი ნაკვთები, ადრინდელებრ, კმაყოფილებას გამოხატავდნენ; ყველაფერზე ინტერესით ლაპარაკობდა, ყურადღებით ისმენდა, რაც ადასტურებდა, რომ მის სულს მწუხარება არ შემსჭვალავდა. არაფერი გამოეპარებოდა, მთლიანად გაეტაცნა საუბარს, თითქოსდა მეტი აღარაფერი შთენოდა გასაკეთებელი; ერთი წუთითაც რომ არ განგვშორებოდა, შემოგვთავაზა, ჩემს ოთახში ისადილეთო; რასაკვირველია, კარგად გესმით, უარის თქმა საერთოდ რომ არ ეგებოდა. სუფრა მდუმარედ და წყნარად გაშალეს, ყველაფერი ისეთი საუცხოო წესრიგით ტარდებოდა, თითქოს ჟიული „აპოლონის დარბაზში“ გვიმასპინძლდებოდა. ბავშვები და ფანშონი ჩვენთან ერთად უსხდნენ სუფრას. როცა დაინახა, მადა არავისა აქვსო, ჟიულიმ მოახერხა და გვაიძულა ცოტ-ცოტათი ყველაფერი გაგვესინჯა, – ხან, თითქოს შემოწმება სურდა, მზარეულს კერძი თუ გამოუვიდაო, ხანაც ვითომ გაგება უნდოდა, ღირს თუ არა იგი თავად გავსინჯოო, ანდა გვარწმუნებდა, გვეჭამა, ეცადეთ, ჭამით ჯანი შეინარჩუნოთ, ჩემს მოსავლელად დაგჭირდებათო. გამუდმებით გვაგრძნობინებდა, თუ რა დიდ სიამოვნებას ვანიჭებდით, როცა სმა-ჭამას შევუდექით. აბა, აქ უარის თქმა როგორ შეიძლებოდა? თანაც კიდევ თავის სიტყვებს ესოდენი სიხალისით ამკობდა, რომ გვავიწყებდა ჩვენი ფიქრისა და აზრის გამთანგველ სამწუხარო საგანს. ერთი სიტყვით, უაღრესად გონიერ, ჯან-ღონით აღსავსე და სტუმართა დიდად პატივისმცემელ დიასახლისს არ შეეძლო უფრო მეტი გულთბილობის, თავაზიანობის, მზრუნველობის გამოჩენა, მომაკვდავი ჟიული რომ იჩენდა თავისი ოჯახის გამასპინძლებისას. არ მართლდებოდა ჩემი ვარაუდი, ხოლო ყოველივე ის, რასაც ახლა ვხედავდი, წარმოუდგენელი იყო ჩემთვის. აღარ ვიცოდი, რა მექნა, უკვე აღარაფრის გაგება აღარ შემეძლო.

ნასადილევს მოგვახსენეს, მღვდელი მოვიდაო. ისე უბრალოდ შემოიარა, როგორც ოჯახის მეგობარმა, – ხშირად დადიოდა ჩვენსა. თუმცა არ მიხმია, რადგან ჟიულის არც უთხოვია ეს, ოღონდ უნდა გამოგიტყდეთ, ფრიად გამახარა მისმა მოსვლამ: ვფიქრობ, ღრმად მორწმუნე ადამიანსაც არ გაუხარდებოდა მღვდლის დანახვა ასეთ დროს. მაგრამ მას ხომ ძალედვა განემარტა ჩემთვის მრავალი საჭოჭმანო საკითხი და თანაც აეშორებინა საკმაოდ უცნაური დაბნეულობა.

გაიხსენეთ, თუ რა მიზეზმა მაიძულა გამემხილა ჟიულისათვის, მალე მოკვდები-მეთქი. ჩემი აზრით, ეს ცნობა რაღაც ზეგავლენას მოახდენდა, და ვერაფრით ვერ გამეგო ის შთაბეჭდილება, რაც მან იქონია სინამდვილეში. აბა, ეს როგორ ეგებოდა! ღვთისმოსავი ქალი, ვინც ერთ დღესაც ვერ გაძლებდა განმარტოებული ლოცვის გარეშე და ვისთვისაც ლოცვა გახლდათ არსებობის ერთ-ერთი პირველი სიხარული, კვდება, მას ორიოდე დღის სიცოცხლეღა დარჩენია; ის ფიქრობს, სიკვდილის შემდეგ მრისხანე მსაჯულის თვალთა წინაშე წარვსდგებიო; მაგრამ, ესრეთი საშინელი წუთისათვის მომზადების ნაცვლად, იმის მაგივრად, რომ მოაწესრიგოს თავისი სინდისის საქმე, თავს სულ სხვა საზრუნავით ირთობს; რთავს და ამკობს თავის ოთახს, იცვამს კოხტა ტანსაცმელს, საუბრობს ახლობლებთან, ცდილობს მათ გართობას სუფრასთან; და მთელ მის ლაპარაკში არც ერთი სიტყვა არ ისმის ღმრთისა და სულის ცხონების გამო. მაშ, რაიღა უნდა მეფიქრა ჟიულისა და მისი ჭეშმარიტი გრძნობებისათვის? ნუთუ შეესაბამებოდა მსგავსი საქციელი ჩემს წარმოდგენას მის ღვთისმოსაობაზე? როგორ უნდა შევუხამოთ მისი საქციელი სიცოცხლის

უკანასკნელ წუთებში მის სიტყვებს, როცა ეუბნებოდა ექიმს, ეს წუთები ჩემთვის ძალზე ძვირფასიაო? ჩემი შეხედულებით, ყველაფერი ეს გამოუცნობი გამოცანა გახლდათ. რასაკვირველია, როდი მოველოდი მისგან ღვთისმლოცველ ქალთა ფარისევლურ მანჭვა-გრეხას, მაგრამ მაინც მეგონა, დროა იმაზე იფიქროს, რაიც ძალზე ბევრს ნიშნავს მისთვის და დაყოვნებას უკვე აღარ ითმენს-მეთქი. უკეთუ ადამიანმა თავისი ღვთისმოსაობა მთელ საამქვეყნიო არარაობაში გამოატარა, ნუთუ შეასძლოა შეიცვალოს სიცოცხლესთან გამოსალმების ჟამს, როცა მხოლოდ საიქიოს გამო შთენია ფიქრი-მეთქი?

ესრეთმა მსჯელობამ გასაოცარ სულიერ მდგომარეობაში შთამაგდო, რასაც არაფრის დიდებით არ მოველოდი. მწუხარებამ დამრია ხელი, რადგან, ბოლოს და ბოლოს, ჟიულიზე გავლენა მოახდინეს ჩემმა შეხედულებებმა, რომელთა დაცვაც მის წინაშე აღარ მეკრძალებოდა. როდი ვეთანხმებოდი მის მოსაზრებათ და მაინც აღარ მინდოდა, ხელი აეღო მათზე. ავად რომ გავმხდარიყავ, ცხადია, მოვკვდებოდი იმავე რწმენით, რითაც ვცხოვრობდი, მაგრამ მსურდა ჟიული თავის რწმენის ერთგული მომკვდარიყო. და ვფიქრობდი, რომ იგი, ასე ვთქვათ, ჩემზე უფრო მეტად იგდებდა თავს ხიფათში. ეს წინააღმდეგობანი, უეჭველია, ფრიად უცნაურად მოგეჩვენებათ. თავადაც არ მიმაჩნია ისინი გონივრულად, და მაინც ამგვარად წარიმართა ყოველი. არც ვცდილობ ჩავწვდე ამის არსს. მინდა მხოლოდ მოგითხროთ მათ გამო. და აი, დადგა წუთი, როცა ჩემს ჭოჭმანს ბოლო უნდა მოღებოდა: ცხადია, რომ მალე მღვდელი დაიწყებდა საუბარს იმაზე თუ რა შეადგენდა მისი, როგორც მღვდელთმსახურის, მოვალეობას; პასუხის გაცემისას ჟიულის წაეშმაკების თავი რომ ჰქონოდა, მისთვის მაინც ძნელი იქნებოდა იმ ზომამდე თვალთმაქცობა, რომ მე, დაკვირვებულსა და საქმეში ჩახედულ მსმენელს, არ შემძლებოდა მის ნამდვილ გრძნობათა გამოცნობა.

ყოველივე ისე მოხდა, როგორაც მოველოდი. თავს ვარიდებ ქება-დიდებით შეზავებულ იმ გაცვეთილ ფრაზებს, მღვდელმა საუბრის მთავარ საგანზე გადასასვლელ ხიდად რომ გამოიყენა, არაფერს ვამბობ გულში ჩამწვდომ მსჯელობათა გამო, თუ რა ბედნიერებაა ადამიანისათვის თავისი სათნო სიცოცხლე ქრისტიანული სიკვდილით დააგვირგვინოს. ამას ისიც დაუმატა, გულახდილად რომ ვთქვა, ხანდახან ვამჩნევდი კიდეც, რომ ზოგიერთ საკითხში ჟიულის შეხედულებები საეკლესიო მოძღვრებას სავსებით როდი შეესაბამებოდნენო. ესე იგი, იმ მოძღვრებას, რასაც საღმრთო წერილიდან კეთილგონიერება შეიძენსო; მაგრამ ვინაიდან ჟიული არასოდეს გაკადნიერებულა და დაჟინებით არასდროს დაუცავს თავისი მოსაზრებანი, ვიმედოვნებ, ისურვებს ისე მოკვდეს, როგორც ცხოვრობდა, – ესე იგი, ჭეშმარიტ მორწმუნეთა მიმართ ერთსულოვნებით, და ყველა ქრისტიანისათვის საყოველთაო სარწმუნოებას სავსებით და მთლიანად აღიარებსო.

ჟიულის პასუხს, რამაც ეჭვი გამიქარწყლა და არც შეიცავდა საყოველთაო დოგმატთა საწინააღმდეგო არავითარ ერეტიკულს, გადმოგცემთ თითქმის სიტყვასიტყვით, რადგან ძალზე ყურადღებით ვისმენდი მის სიტყვებს და მაშინვე ჩავიწერე კიდეც.

„უწინარეს ყოვლისა, ბატონო ჩემო, – წარმოთქვა მან, – მინდა მადლობა მოგახსენოთ ყველა თქვენი ზრუნვისათვის, რაც მე მომაგეთ. ყოველთვის ცდილობდით კეთილ გზაზე ჩემს დაყენებას – ესაა ზნეობისა და ქრისტიანული სარწმუნოების გზა. და კვალად ნება მიბოძეთ მადლობა მოგახსენოთ იმის გამო, რომ ესრეთის ლმობიერებით მისწორებდით ანდა იტანდით ჩემს შეცდომებს, როცა ზოგჯერ გზა მებნეოდა. უაღრესად ვაფასებ ამ გულმოდგინებას და აღსავსე ვარ თქვენს მიმართ უდიდესი მადლიერების გრძნობით თქვენი გულკეთილობისა გამო და სიხარულით გიცხადებთ, თქვენ უნდა გიმადლოდეთ ყველა ჩემს კეთილ საქმეს, ყოველთვის შთამაგონებდით ჩინებულ ქცევასა და ჭეშმარიტების რწმენას.

ვცხოვრობდი და ვკვდები პროტესტანტულ რჯულზე მდგარი. ეს სარწმუნოება თავის წესებს იღებს საღმრთო წერილიდან და ადამიანის გონებიდან. გული ჩემი მარადჟამს ეთანხმება იმას, რასაც წარმოთქვამდნენ ჩემი ბაგენი, და უკეთუ თქვენს შეგონებათ, შესაძლოა, ყოველთვის ვერ აღვიქვამდი ჯეროვანი მორჩილებით, ამის მიზეზი გახლდათ ჩემი ზიზღი ყოველგვარი თვალთმაქცობის მიმართ: უკეთუ ჩემთვის შეუძლებელი იყო მერწმუნა ესა თუ ის, მაშინ არ შემეძლო მეთქვა, მწამს-მეთქი; მარადჟამს გულწრფელად ვეძიებდი იმას, რაიც შეესაბამება ჭეშმარიტებას და ღვთიურ დიდებას. ჩემს ძიებებში შემეძლო შევმცდარიყავი. ზვიადური თავდაჯერებით როდი ვიჩემებ, ყოველთვის მართალი ვიყავი-მეთქი, შესაძლოა, მარადჟამს ვცდებოდი კიდეც; ოღონდ ზრახვანი ჩემნი მყოვარჟამ სუფთა და სპეტაკი გახლდათ, და თუ ვიტყოდი: მწამს-მეთქი, მართლაც მწამდა. აი, ყველაფერი, რაც მე შემეხებოდა სარწმუნოების საკითხში. უკეთუ უფალმა არ განანათლა სული ჩემი ამის უმაღლე, რა ვქნათ... იგი ხომ მოწყალეა და სამართლიანი, განა პასუხს მომთხოვს იმის გამო, რომ არ გამაჩნია ნიჭი, რაიც მან არ მომმადლა?

აი, ჩემო ბატონო, ყველაზე მთავარი, რაც უნდა მეთქვა თქვენთვის იმ შეხედულებათა გამო, მე რომ ვაღიარებ. რაც შეეხება ყველა დანარჩენს, ნუ დაივიწყებთ ჩემს ახლანდელ მდგომარეობას. საშინელი სალმობა არ მაძლევს საშველს, ციებ-ცხელების ალმურითა ვარ გათანგული, აბა, სადა მაქვს ახლა უკეთ მსჯელობის თავი, როგორც წინათ, როცა ჩემი გონება სრულ ძალ-ღონეს ფლობდა. უკეთუ უწინ ვცდებოდი, ნუთუ ამჟამად ძალმიძს უფრო სწორად ვიმსჯელო? და ახლა, როცა მთელი ჩემი ძალ-ღონე დათრგუნვილია, შემიძლია კია მწამდეს უფრო სხვაგვარად, ვიდრე მწამდა სრულიად საღ-სალამთს? აკი სწორედ ჩვენი გონება აწესრიგებს, თუ რომელ შეხედულებებს უნდა მივანიჭოთ უპირატესობა, ჩემმა გონებამ კი დაკარგა თავისი საუკეთესო თვისებები, და განა მის კნინ ნარჩენებს ძალუძთ დამარწმუნონ იმ მოსაზრებათა სიმართლეში, რომელთაც ახლა ვამჯობინებ? მაშ, რაიღა მშთენია მე? მხოლოდ და მხოლოდ იმის იმედი უნდა ვიქონიო, რაიც მწამდა წინათ; ჩემი ზრახვები წინანდებურად სპეტაკია და სუფთა, დაკნინდა მარტოოდენ მსჯელობის უნარი. უკეთუ ვცდები, ჩემდა უნებლიეთ, და ესეც საკმაოა, რომ არ ვიმღელვარო ჩემი რწმენის გამო.

მე უნდა ვემზადო სიკვდილისათვის, და უკვე მოვემზადე კიდეც, ბატონო ჩემო, მართალია, ცუდად მოვემზადე, მაგრამ ვცდილობდი, როგორც შემეძლო, ყოველ შემთხვევაში, უფრო უკეთ მოვემზადე, ვიდრე შევძლებდი ამჟამად. ამ მნიშვნელოვანი მოვალეობის აღსასრულებლად აღარ დაველოდე იმ დროს, როცა ამის გაკეთება უკვე შეუძლებელი იქნებოდა. ჯანმრთელი რომ ვიყავი, ვლოცულობდი, ახლა კი გულდამშვიდებით ვითმენ. მოთმინება – ეს ავადმყოფის ლოცვაა. პატიოსნად გატარებული სიცოცხლე – აი, სიკვდილის სამზადისი, სხვაგვარი სამზადისი კი ვერ წარმომიდგენია. როცა თქვენ გესაუბრებოდით, როცა ვგიებდი აზრითა და ფიქრით ცალარსი, როდესაც ვცდილობდი ღმერთის მიერ დაკისრებულ ვალდებულებათა შესრულებას, – უკვე მაშინ ვემზადებოდი მის წინარე წარსადგომად, და ვეთაყვანებოდი მას ზენაარსისაგან მომადლებული მთელი ჩემი ძალითა და ღონით. აბა, რა შემიძლია ახლა ჩავიდინო მათ დამკარგავს? ძალუძს თუ არა მიქანცებულ სულს აღვიდეს ღმერთისათანა? ღირსეულია თუ არა ეს იადგარი ღვთის მიმართ – ვაი-ვარამით შთანთქმული, ნახევრად ჩამქრალი სიცოცხლის ნაშთი? არა, ბატონო, ამას მანიჭებს ღმერთი, რათა მათ მივუბოძო, ვისი სიყვარულიც მიბრძანა და ვისაც მისი ნება-სურვილით უნდა დავშორდე: ვეთხოვები მათ, რათა მასთან წარვსდგე. მათთან დავყოფ ხანს, მალე ხომ მარტოოდენ ღმერთთან უნდა ვიყო. ჩემი უკანასკნელი სიხარული ამქვეყნად – მასთან ერთად ჩემი უკანასკნელი მოვალეობაცაა: ნუთუ ეს არ ნიშნავს ღმრთის სამსახურს და მისი ნება-სურვილის

აღსრულებას, როცა გაგვიტაცებს ადამიანურ გრძნობათაგან დაკისრებული საზრუნავი, ვიდრე ჯერ კიდევ არ განუძარცავს ჩვენს სულს თავისი მიწიერი საბურველი? ნუთუ უნდა დავიშოშმინო ჩემი სულიერი ძრწოლა? მაგრამ რომ არა ვძრწი? სინდისი დამშვიდებული მაქვს: თუკი მას ზოგჯერ თავზარსა სცემდა შიში, მე განვიცდიდი მას უფრო მეტად, როცა კარგად გახლდით. ჩემი ნება-სურვილი ფანტავს ეჭვებს, და ვეუბნები ჩემს თავს, რომ უფალს უფრო მეტი გულმოწყალება მოეპოვება, ვიდრე მე – ცოდვები, და ჩემი იმედი პატიებისა იზრდება, რაკიღა ვგრძნობ, რომ სულ უფრო და უფრო ვუახლოვდები უფალს: მე როდი მივუტან მას უსრულ, ნაგვიანებ, ნაძალადევ, შიშით ნაკარნახევ და ამიტომაც არაგულწრფელ მონანიებას, რაც წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ ფანდს, ღმრთის მოტყუების სურვილს. არა მსურს მივუტანო მას ძღვნად ტკივილითა და ვაი-ვარამით, სალმობით, ტანჯვა-წამებითა და სიკვდილის შიშით აღსავსე ჩემი უკანასკნელი დღეები, სიცოცხლის უბადრუკი აღსასრული, რასაც ვწირავ ღმერთს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ჩემთვის არაფრის მაქნისია. ვთავაზობ მას მთელ ჩემს ცხოვრებას, რაც აღსავსეა ცოდვითა და შეცდომებით, მაგრამ არ გააჩნია ბიწიერ ადამიანთა მტანჯველი სინდისის ქენჯნა და გულბოროტთა დანაშაული. რა ტანჯვა-წამებას მიუსჯიდა უფალი ჩემს სულს? ამბობენ, იგი უპოვართ სძულთო. მაგრამ განა ის მიშლიდა მყვარეობდა? არა, არ ვშიშობ, რომ ჩემი სახით გავამრავლებ ღმრთის მოძულეთა ლაშქარს. ოი, დაუსაბამო! დიადო ღმერთო, უზეშთაესო გონებავ, სიცოცხლისა და სიხარულის მჩქეფარე წყაროვ, შემოქმედო და ყოვლისმპყრობელო, ადამიანის მამავ და ბუნების მეუფევ, ყოვლადძლიერო და სახიერო უფალო, არც ერთი წამით არ შემპარვია ეჭვი შენ გამო და მარადის მსურდა შენს ყოვლისმხედველ თვალთა წინაშე არსებობა. მალე წარვსდგები შენს ტახტთან და, ეს რომ ვიცი, სული ხარობს და ზეიმობს. გაივლის რამდენიმე დღე, და ჩემი სული დაუტევებს მიწიერ საბურველს თვისას და უფრო ღირსეულად შეგასხამს უკვდავ ხოტბა-დიდებას, რაიც უკუნითი უკუნისამდე იქნება ჩემი ნეტარება. ხოლო ყოველივეს, რაც ამ წუთამდე მოხდება, უკვე არავითარი მნიშვნელობა აღარა აქვს. ჩემი სხეული ჯერ ისევ ცოცხლობს, მაგრამ სულიერი ცხოვრება დამთავრებულია. უკვე დავამთავრე სიცოცხლის გზა და უნდა განვისაჯო ჩემი წარსული ცხოვრების კვალობაზე. ვიტანჯო და აღვესრულო – აი, ყველაფერი, რაიც ჯერ ისევ მშთენია, – ეს ბუნების საქმეა; ოღონდ მარადჟამს ვცდილობდი ისე მეცხოვრა, რომ სიკვდილისა არ მშინებოდა, და ახლა, როცა თავს წამომდგომია, უშიშრად ვუმზერ სახეში; ვინაც თავის მამის წიაღში მიიძინებს, ის გაღვიძებას როდი შეუშინდება“.

ეს სიტყვები თავდაპირველად წარმოთქვა მშვიდად და თავშეკავებით, შემდეგ კი უფრო მეტყველი და წკრიალა ხმით, და ყველა დამსწრეზე, ჩემიანად, უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა, მით უმეტეს, რომ მოლაპარაკის თვალები ზებუნებრივი ცეცხლით ენთებოდნენ; სახე გაუცისკროვნდა, თითქოს შუქს ჰფენს ირგვლივო. თუკი არსებობს რაიმე ამქვეყნად, რაიც ღირსია ზეციური ეწოდოს, რაღა თქმა უნდა, იმ წუთას სწორედ რომ ზეციური გახლდათ ჟიულის სახე.

მოძღვარიც კი გაოცებული იყო, აღტაცებას ვერ ფარავდა. როცა ასეთი სიტყვები მოისმინა, ზეცისკენ აღაპყრო ხელები, მზერა და წამოიძახა: „ღმერთო დიდებულო, აი, შენი საკადრისი თაყვანისცემა. მოაგე შენი მოწყალება მის სულს, უფალო, ბევრი მომაკვდავი როდი აქებს და ადიდებს შენს სახელს მის მსგავსად!“

„ქალბატონო, – უთხრა მან და მიუახლოვდა ავადმყოფის ლოგინს, – ვფიქრობ, დარიგებას მივცემ-მეთქი, ოღონდ მე კი არა, ეს თქვენ დამარიგეთ მე. მეტს ვერაფერს გეტყვით. თქვენ შეიმეცნეთ ჭეშმარიტი სარწმუნოება, ღმრთის სიყვარულით აღსავსე სარწმუნოება. წარიტანეთ თან განსპეტაკებული სულის ეს უძვირფასესი სიმშვიდე, – იგი არ გაცდუნებთ; თქვენებრ მდგომარეობაში მყოფი ბევრი ქრისტიანი მიხილავს, მაგრამ

მარტოოდენ თქვენში ვიპოვე ესრეთი უშფოთველობა. ესოდენ მშვიდობიანი აღსასრული როგორ არა ჰგავს შიშისაგან მძრწოლვარე ცოდვილთა უკანასკნელ აუტანელ წუთებს; ისინი უამრავ უფერულ და ამაო ლოცვა-ვედრებას აღავლენენ ღმერთის მიმართ, სწორედ რომ ამაო ლოცვა-ვედრებას, რადგან არ იყვნენ მისგან შესმენისა და ყურადღების ღირსნი. ქალბატონო, თქვენი განსვენება ამიერსოფლით ისე მარტივი და უბრალო არს, ვითარცა ცხოვრება თქვენი: ცხოვრობდით კეთილ საქმეთა გამო, და ტოვებთ სიცოცხლეს დედობრივი სიყვარულისთვის წამებული. მოგმადლებთ უფალი სიცოცხლეს, რათა იყოთ ჩვენდა მაგალითად, თუ მოგიწოდებთ თავისთან, სათნოებათა თქვენთა გამო იმქვეყნიური ჯილდოსათვის – ნეტამც კი ყველას ძალგვიძდეს თქვენებრ ცხოვრება და სიკვდილი. მაშინ დავრწმუნდებოდით, საიქიოს სამუდამო ნეტარება რომ გველის!“

მოძღვარს წასვლა უნდოდა. ჟიულიმ შეაჩერა. „თქვენ ხომ ჩემი მეგობრების რიცხვს ეკუთვნით, – უთხრა მღვდელს, – მერე ისეთი მეგობრებისა, რომელთა ხილვა განსაკუთრებით მსიამოვნებს: სწორედ მათ გამო ძვირფასია ჩემთვის სიცოცხლის უკანასკნელი წუთები. ჩვენ მოგვიხდება ხანგრძლივ გავცილდეთ ერთმანეთს, მაშასადამე, ასე მალე არ უნდა დავშორიშორდეთ“. მღვდელი დიდი სიხარულით დარჩა. მაშინ მე გამოვედი ოთახიდან.

როცა დავბრუნდი, დავინახე, რომ ისინი განაგრძნობდნენ საუბარს. საუბარი კვლავ იმავ საგანს შეეხებოდა, ოღონდ სულ სხვა კილოთი მეტყველებდნენ. თითქოსდა რაღაც უხალისო ამბებზე ლაპარაკობენო. მოძღვარი შეეხო ქრისტიანობის არსთა მცდარ გაგებას, რაიც მომაკვდავთა რელიგიად ხდის მას, ხოლო მღვდლებს – უბედურებათა მაცნედ.

„ჩვენ, – ამბობდა იგი, – ისე შემოგვყურებენ, როგორც სიკვდილის მოციქულებს; ფრიად ხელსაყრელი შეხედულების თანახმად, საკმაოა კაცმა თხუთმეტ წუთს მოინანიო, და შეგინდობენ დანაშაულებრივი ცხოვრების ორმოცდაათ წელს; ამიტომაც მხოლოდ და მხოლოდ სიკვდილის ჟამს გვიხმობენ დიდი სიამოვნებით. ჩვენთვის ჯერ არს თალხი ტანისამოსის ჩაცმა, იერიც მკაცრი უნდა გვქონდეს და ყოველმხრივ იმას ვცდილობდეთ, რათა ჩვენმა შესახედაობამ ადამიანებს შიში და ძრწოლა განაცდევინოს. სხვა რელიგიებში უარესადაა საქმე, მომაკვდავ კათოლიკეს განგებ გარემოსავენ თავზარდამცემი საგნებით, და ისეთ წეს-ჩვეულებებს აღასრულებენ, თითქოს ცოცხლად მარხავენო. და კიდევ ესოდენ გულმოდგინედ დევნიან მისგან ეშმაკებს, ასე ჰგონია, მთელი ოთახი ამ ეშმაკებითაა სავსეო. ეს საბრალო ასჯერ მაინც კვდება შიშის ზაფრით, სანამ მთლად მოუღებდნენ ბოლოს; და მორწმუნეთა ამ შავ დღეში ჩაყენება უყვარს ეკლესიას იმიტომ, უფრო მეტად რომ გამოუფხიკოს საფულე ქისა“. „მადლი მივაგოთ უფალს, – წარმოთქვა ჟიულიმ, – დაბადებიდანვე რომ არ ვეკუთვნით ერთ-ერთ იმ ხარბ და გაუძღომელ რელიგიას, რომელიც იმიტომაც ჟლეტს ადამიანებს, რათა ისარგებლოს მათი მემკვიდრეობით, და სამოთხეში თბილ-თბილ ადგილებს მიჰყიდის მდიდართ, და ამგვარად იმქვეყნად გადააქვს სააქაოს გამეფებული უსამართლო უთანასწორობა. სრულიადაც არ მეპარება ეჭვი, რომ ეს შავბნელი ჭორები წარმოქმნიან ურჯულოებას და იწვევენ რელიგიის მიმართ სავსებით ბუნებრივ ზიზღს. იმედი მაქვს, – დაუმატა მან და მზერა მომაპყრო, – იმედი მაქვს, იგი, ვინაც უნდა აღზარდოს ჩვენი შვილები, საპირისპირო შეხედულებებს დაიცავს და მათთვის რელიგიას არ გადააქცევს შავბნელ და სევდიან მოძღვრებად, და გამუდმებით არ მიუსართავს მას სიკვდილის გამო აღძრულ აზრებს. უკეთუ იგი ასწავებს მათ ღირსეულ ცხოვრებას, ისინი ღირსეულ სიკვდილსაც შეძლებენ“.

მთელი ამ საუბრის მიხედვით, რაიც უფრო ნაკლებ თანამიმდევრული და უფრო მეტად ნაწყვეტ-ნაწყვეტი იყო, ვიდრე მე გადმოგცემთ, ჩემთვის საბოლოოდ აშკარა გახდა ჟიულის შეხედულებები და გასაგები შეიქნა მისი საქციელი, რამაც თავდაპირველად შემაშინა კიდეც. ასე თურმე იმიტომ ირჯებოდა, რომ იცოდა, მისი მდგომარეობა უიმედო

იყო და მხოლოდ იმასღა ფიქრობდა, რათა აღეკვეთა ეს უმიზნო, ავბედითი ვითრება, როგორსაც სიკვდილის შიშით გათანგული მომაკვდავნი ქმნიან თავიანთ გარშემო, ვგონებ, მას სურდა ჩვენი მწუხარების შემსუბუქება, ანდა უნდოდა თავი დაეღწია გულისმომწყვლელი და სრულიად ზედმეტი სანახაობისათვის. „სიკვდილი ისედაც მძიმეა, – ამბობდა ჟიული, – მაშ, რად გადავაქციოთ იგი კიდევ უფრო საზიზღრად? სხვები ამაო ძალდატანებით ცდილობენ თავიანთი სიცოცხლის გახანგრძლივებას, მე კი ვლამობ ვიგემო სიცოცხლის სიხარული მის უკანასკნელ წუთამდე: უნდა ვიყოთ მორჩილნი და ყოველივე თავისთავად მოგვარდება. ნუთუ ჩემს საწოლ ოთახს გადავაქცევ საავადმყოფოდ, იმ ადგილად, ზიზღსა და სევდას რომ მოჰგვრის კაცს, როცა ჩემი უკანასკნელი სურვილია თავი მოგიყაროთ აქ ყველას, ვინაც ჩემთვის ძვირფასია? უკეთუ ოთახში იქნება შეხუთული, მძიმე ჰაერი, მაშინ აქედან უნდა გავიყვანოთ ბავშვები ანდა საფრთხეში ჩავაგდოთ მათი ჯანმრთელობა. თუკი ჩემი ჩაცმულობით შევაშინებ ადამიანებს და ვერავინ ვეღარ მიცნობს, უკვე აღარ ვიქნები წინანდელი ჟიული; თქვენ ისღა დაგრჩებათ, მოიგონოთ, როგორ გიყვარდით, მაგრამ ჩემი შეხედვა აუტანელი იქნება თქვენთვის, და ჯერ ისევ სიცოცხლეში ჩემს თვალთა წინ გადამეშლება საშინელი სურათი: მე ვიხილავ, თუ რა თავზარდამცემი იქნება, თვით ჩემი მეგობრებისათვისაც, ჩემი სახე, თითქოს უკვე გარდაცვლილი ვიწვე ჩემს სარეცელში. ხოლო მე გამოვნახე საშუალება ჩემი უკანასკნელი წუთები მჩქეფარ სიცოცხლით გავატარო. მე ვარსებობ, მე მიყვარს, მე ვუყვარვარ, მე ნამდვილად ვიცოცხლებ, სანამ არ დავუტევებ ამ წუთისოფელს. ჟამი სიკვდილისა დიდი არაფერია; ტანჯვა-წამებას ბუნება გვიწესს და ამიტომაც არც იმდენად შემაძრწუნებელი ამბავია, – ხოლო სულიერი ტანჯვა-ვაება კარგა ხანია განვდევნე“.

ყველა ესა და სხვა მათი მსგავსი საუბარი გააბა ჟიულიმ მოძღვართან (ექიმთანაც), ფანშონთან და ჩემთან. ამ საუბრებს ესწრებოდა ქალბატონი დ’ორბი, ოღონდ შიგ არ ჩარეულა. უაღრესად ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ყველაფერს, თუ რა სჭიროდა დობილს, და წამსვე ასრულებდა ყველა მის სურვილს. დანარჩენ დროს, გაოგნებული, თითქმის უსიცოცხლო, შეჰყურებდა ჟიულის, კრინტს აღარ ძრავდა და აღარ ესმოდა გარშემომყოფთა არც ერთი სიტყვა.

ხოლო მე ძალზე ვშიშობდი, ამ ხანგრძლივმა საუბრებმა ჟიული მთლად არ მოქანცოს-მეთქი, ვისარგებლე წუთით, როცა ექიმი და მოძღვარი რაღაცას ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს, და ჟიულის ყურში ჩავჩურჩულე: „ავადმყოფებს ამდენი ლაპარაკი აწყენთ, და ძალზე კარგად მუშაობს თქვენი გონება, თუმცა ფიქრობთ, მსჯელობის თავი აღარ მაქვსო“.

„ჰო, – ძლივს გასაგონად მომიგო მან, – ავადმყოფებს არ აძლევენ ბევრი ლაპარაკის ნებას, მაგრამ მომაკვდავთ კი აქვთ ამის უფლება, მე ხომ მალე დავდუმდები სამუდამოდ. ახლა მსჯელობათათვის არა მცხელა, ყველაფერი ადრე გადავწყვიტე, როცა ჯანმრთელი ვიყავი. ხომ ვიცოდი, ოდესმე მოვკვდებოდი, და ხშირად ვფიქრობდი ჩემი სიკვდილისწინა ავადმყოფობის გამო; და აი, ახლა ვიმკი ჩემი წინდახედულობის ნაყოფს. უკვე აღარ შემწევს ფიქრისა და მისნობის ძალი და ღონე, მხოლოდ გამოვთქვამ იმას, რაიც წინათ მოვისაზრე და მოვიფიქრე, და ვანხორციელებ ყველაფერს, რაც ოდესმე გადაწყვიტა გულმან ჩემმან“.

სულის ხუთვის რამდენიმეჯერ შემოტევის გარდა, მთელმა დღემ – ვიდრე საღამომდე – მშვიდობიანად განვლო, თითქმის ისე, როგორც წინათ, როცა სახლში ყოველმხრივ კეთილდღეობა სუფევდა. ჟიული გახლდათ ისეთივე წყნარი და ალერსიანი, ლაპარაკობდა ისევე გონივრულად, როგორც წინათ, ისევე ლაღად მუშაობდა მისი აზრი, სულ ისე აღსავსე იყო უშფოთველი თვინიერებით და ზოგჯერ მხიარულებითაც; მის

თვალთაგან გამოკრთოდა ხალისი და სიცოცხლე, რაიც იმ დილით შევნიშნე და რაც სულ უფრო და უფრო მაძრწუნებდა მე; გადავწყვიტე მოვლაპარაკებოდი.

ერთი სული მქონდა, როდის დაღამდებოდა, – ამ ამბის გადადება აღარ მსურდა. როცა შენიშნა, ისე მოვაწყე საქმე, რომ პირისპირ დავრჩენილიყავით, მითხრა: „თქვენ დამასწარით, – თვითონ მინდოდა თქვენთან საუბარი“. „კარგი დაგემართოთ, – მივუგე მე, – ოღონდ რადგან უკვე დაგასწარით, ნება მიბოძეთ პირველმა დავიწყო-მეთქი“.

მის სასთუმალთან ჩამოვჯექი, ჩაციებით ჩავაცქერდი თვალებში და ვუთხარი: „ჟიული, ჩემო ძვირფასო ჟიული, ო, რა საშინელი ტკივილი მიაყენეთ ჩემს გულს! ვაგლახმე, ძალიან დიდხანს არ იმჩნევდით არაფერს. დიახ, დიახ, – განვაგრძობდი მე, როცა ვხედავდი, თუ რა განცვიფრებით შემომყურებდა. – მე ყველაფერს მივხვდი. თქვენ გიხარიათ სიკვდილი, თქვენ კმაყოფილი ხართ, რომ ბოლოსა და ბოლოს, ძალგიძთ დამშორდეთ. ოღონდ გაიხსენეთ, როგორი იყო თქვენი მეუღლე მთელ იმ დროს, რაც ერთად ვცხოვრობთ. ნუთუ დაიმსახურა მან ასეთი სისასტიკე თქვენი მხრით?“ მაშინვე აიღო ჩემი ხელი და სულის წამღები სიტყვებით ალაპარაკდა: „როგორ? მე? მე მსურს თქვენი განშორება? განა ეს ამოიკითხეთ ჩემს გულში? მაშ, დაგავიწყდათ ჩვენი გუშინდელი საუბარი?“ „და მაინც, – გავუმეორე მე, – თქვენ კმაყოფილი ხართ, რომ კვდებით, ეს დავინახე და ვხედავ...“ „შეჩერდით! – წარმოთქვა მან. – დიახ, მე კმაყოფილი ვარ, რომ ვკვდები. ოღონდ კმაყოფილი ვარ იმით, რომ ვკვდები ისევე, როგორადაც ვცხოვრობდი... რომ ღირსი ვარ მეწოდებოდეს თქვენი მეუღლე, მეტს ნუღარას მკითხავთ, არაფერსაც აღარ ვიტყვი. მაგრამ აი, აქ, – დაუმატა მან და ბალიშის ქვეშიდან გამოიღო რაღაც ქაღალდი, – იპოვით საიდუმლოების საბოლოო ამოხსნას“. გამომიწოდა ის ქაღალდი: დავინახე, ეს იყო თქვენს სახელზე დაწერილი ბარათი. „გაბარებთ მას დაუბეჭდავად, – მითხრა მან, – წაიკითხეთ და თავად გადაწყვიტეთ: გააგზავნით თუ მოსპობთ, ისე მოიქეცით, როგორც ამას მოითხოვს თქვენი გონება და ჩემი ღირსება. ძალიან გთხოვთ, წერილი მაშინ წაიკითხოთ, როცა მე აღარ ვიქნები ამ ქვეყანაზე, დარწმუნებული ვარ, შემისრულებთ სახვეწარს და არავითარ დაპირებას არა გთხოვთ“. მის წერილს, ძვირფასო სენ-პრე, აქვე ვურთავ. და თუმცაღა ვიცი, ამ წერილის დამწერი უკვე აღარაა ცოცხალი, ძნელია დავიჯერო, ეს სიტყვები სამარიდან რომ არის.

წერილი გადმომცა და შეშფოთებით დაიწყო ლაპარაკი მამის გამო. „ეს რა ამბავია? – წარმოთქვა მან, – მამაჩემმა იცის, რომ მისი ქალიშვილი ამ დღეშია, და თვითონ ხმას არ იღებს! იქნებ რაიმე უბეუდრება შეემთხვა? ანდა, იქნებ, აღარ ვუყვარვარ! ეს როგორ მოხდა! მამა... ასეთმა გულჩვილმა მამამ უნდა მიმატოვოს! ნუთუ ისა სურს, ისე მოვკვდე, არ გამოვეთხოვო, არ მივიღო მისი ლოცვა-კურთხევა და უკანასკნელი ამბორი. ო, ღმერთო, როგორ იწუხებს! როგორ დაამუნათებს თავის თავს, როცა ცოცხალს ვეღარ მიხილავს!“ ეს აზრი მოსვენებას არ აძლევდა, ასე ვიფიქრე, უფრო ადვილად გადაიტანს მამის ავადმყოფობის ამბავს, ვიდრე მის გულგრილობაში დაეჭვებას-მეთქი. გადავწყვიტე სიმართლე მეთქვა. მართლაცდა, ასეთი ამბით გამოწვეული ზაფრა მისთვის ნაკლებ საშინელი იყო, ვიდრე თავდაპირველი აზრი. და მაინც იმის შეგნებამ, ამიერიდან მამაჩემს ვეღარ ვიხილავო, ფრიად დაამწუხრა იგი. „ვაი, მე უბედურს! – წამოიძახა მან, – რა მოუვა უჩემოდ? რაგვარად იქნება ახლა სიცოცხლის ერთგული! მთელი ოჯახის სიკვდილს მოესწრო!.. რა მოელის მომავალში! ო, რა მარტოკა დარჩება! ეს რაღა სიცოცხლეა“. ეს გახლდათ ერთადერთი იმ საბედისწერო წუთთაგანი, როცა ადამიანს თავს დასტრიალებს სიკვდილის საშინელება და საგრძნობი ხდება ბუნების ძალაუფლება. ჟიულიმ ამოიოხრა, ხელები გულზე დაიკრიფა და თვალები ზეცას მიაპყრო. მივხვდი, გუნებაში წარმოთქვამდა იმ საძნელო ლოცვას, სულთმობრძავთა ლოცვას რომ უწოდებენ.

შემდეგ მომმართა. „ვგრძნობ, არაქათი რომ მეცლება, – მითხრა მან, – უთუოდ ეს ჩვენი უკანასკნელი საუბარია. ჩვენი ცოლქმრობის გულისთვის, ჩვენი შვილების გულისთვის, რომლებიც ჩვენი კავშირის საწინდარნი იყვნენ, გთხოვთ: იყავით სამართლიანი თქვენი მეუღლის მიმართ! ეს რა თქვით? მიხარია თქვენთან განშორება? თქვენთან, იმ ადამიანთან, ვისაც მთელ სიცოცხლეში მხოლოდ ერთადერთი სურვილი ჰქონდა: მოეცა ჩემთვის ბედნიერება და სიმყუდროვე! თქვენ შემეფერებოდით მე უაღრეს ყველა ადამიანთა ამქვეყნად, თქვენ იყავით ერთადერთი, ვისთანც ძალმიძდა ცხოვრება უდიდესი თანხმობით და ვისაც გავუხდებოდი სათნო მეუღლედ. აჰ, მერწმუნეთ, უკეთუ ვუფრთხილდებოდი სიცოცხლეს, მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ თქვენთან ერთად მინდოდა გალევა მისი“. ამ სიტყვებმა ისე ამაღელვეს, რომ ავტირდი, დავეკონე მის ხელებს, ჩემს ხელში რომ მეჭირა, და ცრემლით დავალტვე ისინი. არასოდეს მიფიქრია, ჩემი თვალები ცრემლს თუ დაღვრიდნენ – ეს იყო პირველი და უკანასკნელი ჩემს სიცოცხლეში. ამ ცრემლებს დამაფრქვევინებდა მხოლოდ ჟიულის გარდაცვალება, სხვას მე ვერავის დავიტირებდი.

ეს დღე-ღამე ძალზე მომქანცველი იყო მისთვის: ღამით – საუბარი ქალბატონ დ’ორბისთან, მისი შემზადება მომავალი განშორებისთვის, დილით – გამოთხოვება ბავშვებთან. დღისით სულ ერთიანად მოიქანცა. თუმცა ღამემ მშვიდად ჩაიარა, იქნებ, ავადმყოფის მეტისმეტი დაძაბუნებით, თუ იმის გამოც, რომ ციებ-ცხელება და სულის ხუთვა შეუმცირდა.

მეორე დღეს დილით მომახსენეს, ძალზე ცუდად ჩაცმული ვიღაც კაცი დაჟინებით მოითხოვს სხვების დაუსწრებლად ჟიულისთან ლაპარაკსო. მას აუხსნეს, თუ რა მდგომარეობაში იმყოფეობდა ჟიული, მაგრამ მაინც არ იშლიდა თავისას, ამბობდა, კეთილი საქმისათივს მოვსულვარო, ქალბატონ დე ვოლმარს კარგად ვიცნობ და დარწმუნებული ვარ, სიხარულით დამეხმარებაო. ვინაიდან ჟიულიმ ურყევ წესად დარგო, არასოდეს ეთქვა უარი მთხოვნელთათვის, განსაკუთრებით ღარიბ-ღატაკთათვის, ამიტომ ველარ გაბედეს იმ კაცის გაგდება და მე მაცნობეს მისი მოსვლა. ვუბრძანე, შემოიყვანეთ-მეთქი. თითქმის ძონძები ეცვა. მათხოვრული გამოხედვა ჰქონდა და ისეთივე კილოთი ლაპარაკობდა. თუმცაღა, არც სახის გამომეტყველებისა და არც მისი სიტყვების მიხედვით არ შემიმჩნევია რაიმე უკეთური განზრახვანი. განაცხადა, ჟიულისთან მოლაპარაკება მინდაო. ვუთხარი, უკეთუ დახმარების თხოვნა გსურს, ამის გამო არცაა საჭირო მომაკვდავი ქალის შეწუხება, მზადა ვარ გაგიკეთო ყველაფერი, რასაც ის მოგაგებდა-მეთქი. „არა, – მომიგო მან, – სრულიადაც არ ვითხოვ ფულს, თუმცა ის ძალიან მესაჭიროება. გთხოვთ, მოიღოთ სიკეთე: იმედი მაქვს, ქალბატონი დე ვოლმარი დამიბრუნებს იმას, რაიც ჩემთვის ყველა საუნჯეზე უძვირფასესია ამქვეყანდ; ეს უდიდესი სიკეთე დავკარგე ჩემი მიზეზით, და მისი დაბრუნება შეუძლია მარტო თქვენს მეუღლეს, რომლის ხელებმაც ჩამაბარეს იგი“.

ამ სიტყვებიდან ვერაფერიც ვერ გავიგე, მაგრამ მაინც გადავწყვიტე მისი სურვილის შესრულება. ბოროტ განმზრახველ ადამიანს შეეძლო იგივე ეთქვა, ოღონდ არა ამ კილოთი. მან მოითხოვა საიდუმლოს დაცვა, საუბრის დროს ნურც მსახურები და ნურც მოახლეები ნუ დაგვესწრებიანო. ასეთი გაფრთხილება უცნაურად მეჩვენა, მაგრამ ამაზეც დავთანხდი. დაბოლოს, გავუძეხი ოთახებისკენ. მითხრა, ქალბატონი დ’ორბი მიცნობსო; როცა ჩავუარეთ, არც კი შეუნიშნავს ის კაცი, და ეს ამბავი არ გამკვირვებია. სამაგიეროდ, ჟიულიმ უმალვე შეიცნო, და როცა ამ ღატაკურ სამოსში დაინახა, მისაყვედურა, ასე რად დატოვეო. ეს იყო გულის შემძვრელი შეხვედრა. ხმაურზე კლარა გამოერკვა, მოგვეახლა და როცა დაბოლოს იცნო მოსული, სიხარული აღებეჭდა სახეზე. ოღონდ მის ალერსიან

გულკეთილობას ამძიმებდა საშინელი მწუხარება. ამ ერთადერთი გრძნობით გახლდათ გათანგული უბედური კლარა, მის გულს სხვა აღარაფერი ეკარებოდა.

ვგრძნობ, არაა საჭირო ვთქვათ, თუ ვინ იყო ეს კაცი. მისმა გამოჩენამ მრავალი მოგონება ამიშალა. მაგრამ როცა ჟიულიმ დაუწყო ნუგეშისცემა და გამხნევება, უეცრად შემოუტია სულის ხუთვამ, ისე ცუდად გახდა, გვეგონა, ეს არის ახლა გათავდებაო. ასეთი სცენებით მისი აღელვება აღარ გვინდოდა, ხელს შეგვიშლიდა მის მოვლაში, აკი მხოლოდ ისღა გვქონდა ფიქრად, დავხმარებოდით, ამიტომ ვუბრძანე იმ კაცს შესულიყო კაბინეტში და კარები შიგნიდან ჩაეკეტა. შემდეგ მოვიხმე ფანშონი და, რამდენიმე ხნის მერე, მიღებულ ზომათა მეოხებით ავადმყოფი დაბოლოს მოსულიერდა. როცა დაინახა, მის გარშემო ვიდექით შიშისაგან თავზარდაცემულნი, გვითხრა: „ჩემო ძვირფასებო, ეს იყო მხოლოდ პირველი ნაბიჯი. და მართლაც, ეს არც ისე საშიშია, როგორც ფიქრობენ“.

ყველანი ცოტათი დაშოშმინდნენ. ოღონდ მღელვარება იმდენად აუტანელი და გამტანჯველი იყო, სულ დამავიწყდა კაბინეტში მყოფი კაცი, ხოლო როცა ჟიულიმ იკითხა, სად წავიდაო, უკვე გააწყვეს სუფრა და ყველამ მოიყარა თავი. მინდოდა კაბინეტში შესვლა, იმ კაცთან მოლაპარაკება, მაგრამ მან კარი შეიკეტა, როგორც ვუბრძანე. ნასადილევამდის უხერხული გახლდათ მისი გამოშვება იქიდან.

ჩვენთან სუფრაზე წვეულმა დიუ ბოსონმა ახსენა ერთი ახალგაზრდა ქვრივი, როგორც ამბობდნენ, კვლავ გათხოვებას რომ აპირებდა, და დაუმატა რამდენიმე სიტყვა ქვრივ ქალთა მწარე ხვედრის გამო. მაგრამ ყველაზე უფრო უნდა შევიბრალოთ, – წარმოვთქვი მე, – ის ქალები, რომლებიც ცოცხალი ქმრების ხელში დაქვრივდნენ-მეთქი. „მართალსა ბრძანებთ, – დამეთანხმა ფანშონი, რაკი მიხვდა, ლაპარაკი მე შემეხებაო, – და ეს განსაკუთრებით ძნელია, ოდეს ქმარი ძვირფასი იყო შენთვის“. და მაშინ საუბარი მისი ქმრის გამო გაიმართა; ფანშონი მარადჟამს სიყვარულით ლაპარაკობდა მასზე და სავსებით ბუნებრივია, რომ ასევე ილაპარაკებდა ისეთ წუთში, როცა მისი კეთილისმყოფელი ქალის დაკარგვით კიდევ უფრო სამძიმო გახდებოდა მისთვის ქმართან განშორება. ფანშონი ახსენებდა უაღრესად გულში ჩამწვდომი სიტყვებით, ხოტბას ასხამდა მის კაიკაცობას, ლაპარაკობდა, ცუდმა მაგალითებმა აცდუნესო, გულწრფელად წუხდა მის გამო და, უამისოდაც დადარდიანებული, ისე აღელდა, თვალები ცრემლებით აევსო. ანაზდად კაბინეტის კარი მოიფელა, ვიღაც ჩამოძონძილი კაცი გამოვარდა იქიდან, დაემხო ფანშონის ფერხთა წინაშე, მოეხვია მის მუხლებს და აქვითინდა. ფანშონს ხელიდან ჭიქა გაუვარდა.

„აჰ, შე უბედურო! საიდან გაჩნდი აქ?“ – შესძახა მან და მიეკრა ქმარს, მაგრამ უცბად ისე მოეშვა, უგრძნობლად ძირს დაეცემოდა, რომ არ მიშველებოდნენ.

დანარჩენი ადვილი წარმოსადგენია. წამსვე მთელ სახლში დაირხა ხმა, კეთილი ფანშონის ქმარი – კლოდ ანე ჩამოვიდაო. რა სიხარული იყო! როგორც კი კაბინეტიდან გამოვიდა, მაშინვე თავიდან ფეხებამდე შემოსეს. თითოეულს მხოლოდ ორი პერანგი რომ მქონოდა, სულ ერთია, ყველა მისცემდა, და მარტო მას იმდენი პერანგი ექნებოდა, რამდენიც ყველა დანარჩენს ერთად. როცა გავედი და მინდოდა განკარგულება გამეცა, რომ მისთვის ჩაეცმიათ, დავინახე, დაესწროთ და ძალზე გულმოდგინედაც ეზრუნათ მისთვის; მომიხდა ჩემი უფლების გამოყენება და ყველა ვაიძულე უკანვე წაეღოთ თავთავიანთი საჩუქრები.

ოღონდ ფანშონი სულაც არ შორდებოდა თავის ქალბატონს. გამოვნახეთ საბაბი, რათა ქმრისთვის რამდენიმე საათი დაეთმო. ბავშვებს სუფთა ჰაერზე გავლა სჭირდებათო, მიზეზად ეს მოვიდეთ და ქმართან ერთად დავავალეთ მათი გასეირნება.

წინანდელის საპირისპიროდ ამ სცენას ოდნავადაც არ მოჰყოლია ცუდი შედეგები ავადმყოფისთვის, ყველაფერი ძალზე გულითადად მოხდა და ფრიად გაახარა ჟიული. ნასადილევს მარტო მე და კლარა დავრჩით მის ახლოს, ორ საათს გაგრძელდა მშვიდი

საუბარი, და ჟიულიმ ესოდენ საინტერესოდ, წარმტაცად და მიმზიდველად წარმართა იგი, რომ, ვგონებ, ასეთი საუბარი ჩვენს დღეში არ გვქონია.

ჯერ რამდენიმე სიტყვა წარმოთქვა ერთი საგულისგულო სურათის გამო, რამაც ძალზე აგვაღელვა ყველანი და ჟიულის მოაგონა თავისი პირველი ყმაწვილქალობის დღეები; შემდეგ გაიხსენა მრავალი ამბავი, გადაქექა მოკლედ მთელი თავისი ცხოვრება, სურდა ემცნო ჩვენთვის, საერთოდ, ჩემი ბედ-იღბალი კარგად და ბედნიერად წარიმართაო, და თანდათან მიმაღწევინა კეთილდღეობის იმ მწვერვალს, როგორიც კი ამქვეყნად შესაძლებელიაო, და ის უბედურება, რამაც შეწყვიტა ჩემი ცხოვრების ავალა მისი ბუნებრივი ვადის შუა გზაზე, მოხდა გარდატეხის მომენტში, რაიც წარსულ სიხარულს მომავალი ვაი-ვარამისაგან გამოთიშავსო.

მადლობას უძღვნიდა მეუფეს იმის გამო, რომ არგუნა მგრძნობიარე და სიკეთის მოსურნე გული, საღი გონება და ლამაზი, სასიამოვნო გარეგნობა; მადლობდა იმის გამო, რომ დაიბადა მონათა შორის კი არა, არამედ თავისუფლების ქვეყანაში, პატიოსან ოჯახში და არა რომელიღაც უკეთურ კომლეულში, რომ მიიღო რიგიანი აღზრდა, მაგრამ მისთვის უცხო დარჩა ადამიანთა ქედმაღლური სულის გამხრწნელი მაღალი წრის დიდმშვენიერება და კაცთა დამამცირებელი სიდუხჭირე, უხაროდა, დედ-მამა სათნო და გულისხმიერი ადამიანები რომ იყვნენ, პატივსა სცემდნენ სიმართლეს და ღირსებას და თანაზომიერი გულმოდგინებით ანელებდნენ თანდაყოლილ მანკიერებათ, თავის მსგავსადვე უნვითარებდნენ ქალიშვილს გონებას, თანაც, თავს არ ახვევდნენ თავიანთ სუსტ მხარესა და ცრუ შეხედულებებს. მას ციურ წყალობასავით ახარებდა, რომ აღიზარდა იმ გონივრული და წმინდა რელიგიის წეს-ადათებით, რაიც არათუ აჩლუნგებს ადამიანის ჭუა-გონებას, არამედ აკეთილშობილებს და აღამაღლებს მას. რელიგია, რომელიც არ უწყობს ხელს არც ბიწიერებასა და არც ფანატიზმის განვითარებას, გვანიჭებს იმის უნარს, ვიყოთ ბრძენი და მასთან ერთად გვწამდეს ღმერთი, ვიყოთ ადამიანური და თანაც ღვთისმოსავი.

შემდეგ ჩაბღუჯა კლარას ხელი, თავის ხელებში რომ ეჭირა, მშვიდი მზერა მიაპყრო დას, ის მზერა, რაიც, ალბათ, კარგადაა ცნობილი თქვენთვის, ოღონდ ახლა, მისი უძლურებისას, განსაკუთრებით ალერსიანი რომ გამხდარიყო, და უთხრა: „ყოველივე ამას ზენა მომადლებს მრავალ სხვასაც, ოღონდ აი, რა მარგუნა მარტო მე ზენაარსმა. ქალად დავიბადე და მყავდა დობილი; ზეციერის ნება-სურვილით ორივენი ერთ დროს დავიბადეთ და მე და შენს მიდრეკილებებში, კლარა, ზენამ დაამყარა ერთსულოვნება ურღვევი. ჩვენი გულები ერთიერთმანეთისათვის იყვნენ გაჩენილნი; უფალმა აკვნიდანვე შეგვაერთა, მთელი ჩვენი დღე და მოსწრება შევინარჩუნეთ ეს სიახლოვე, და ახლა, კლარა, შენი ხელები დამიხუჭავენ თვალებს. აბა, იპოვეთ სადმე ქვეყნისქვეყნად ასეთი სიყვარულის მაგალითი, და მაშინ დასაკვეხნიც არაფერი მექნება. აბა, რამდენი გონივრული რჩევა-დარიგება არ მოუცია ჩემთვის დობილს! როგორ საფრთხეთაგან არ გადავურჩენივარ! აბა, რომელი ვაი-ვაგლახის ჟამს არ უცია ნუგეში! რა მომივიდოდა უმისოდ? ხოლო უფრო მეტი რომ გამეგონებინა მისთვის, რას არ მივაღწევდი და მოვიპოვებდი? იქნებ, ახლა მისი სადარიც კი ვყოფილიყავ“. პასუხის ნაცვლად კლარამ დობილის მკერდში ჩამალა სახე, როგორ სურდა ცრემლებით შეემსუბუქებინა მისი სულიერი დარდი და მჭმუნვარება, ოღონდ ტირილი აღარ ძალუძდა. ჟიულიმ გულმკერდში ჩაიკრა იგი. ჩამოვარდა ხანგრძლივი მდუმარება. არც სიტყვები, არც ქვითინი არ არღვევდნენ სიჩუმეს.

დობილებმა დაიოკეს მღელვარება და ჟიულიმ განაგრძო სიტყვა: „სიხარული და ვაი-ვარამი ერთმანეთს გადაენასკვა, – ასეთია კიდეც ადამიანის სვე-ბედი. გული ჩემი შექმნილია სიყვარულისათვის, უაღრესი მომთხოვნელობით ვეპყრობოდი ყმაწვილკაცთა

პირად ღირსებებს და სავსებით გულგრილი გახლდით იმ სიკეთეთა მიმართ, რასაც ასე ედება ფასი ადამიანთა თვალში. თითქმის შეუძლებელი იყო, რომ მამაჩემის ცრურწმენანი არ გადაღობებოდნენ ჩემს საგულისგულო მიდრეკილებათ. მე მინდოდა ისეთი მიჯნური, ვისაც თავად ვყოფდი რჩეულად. ის წარმოდგა ჩემს წინარე; იგი ჩემს რჩეულად მიმაჩნდა, ოღონდ, უეჭველია, თავად ზენამ აღირჩია ჩემთვის, რათა მე, ვნებათა ღელვის ცდომილებაში ჩავარდნილი, არ გავხლართულიყავ საშინელ დანაშაულთა რკალში და ჩემი დაცემის შემდეგაც კი შემენარჩუნებინა სათნოება. მისი სიტყვები კეთილშობილური და მომხიბვლელი იყო, ისე, როგორც სიტყვები მრავალ ვერაგ მატყუარისა, ვინაც ყოველდღიურად აცდუნებს მაღალი წარმომავლობის ყმაწვილქალთ, მაგრამ თავად გახლდათ პატიოსანი ადამიანი, ერთადერთი, ვინაც მართლაც იმას ფიქრობდა, რასაც ამბობდა. რამ შეუწყო ხელი ჩემგან ამის გაგებას? განა ჩემმა კეთილგონიერებამ? არა, თავდაპირველად გამიტაცა მისმა სიტყვებმა, მის სულს კი არ ვიცნობდი. თავდაუოკლობის ჟამს ჩავიდინე ის, რასაც სხვები აკეთებენ თავ-თავიანთი უტიფრობის გამო; მე, როგორც მამაჩემმა მითხრა, თავად ჩამოვეკიდე ყელზე. მაინც პატივისცემით მომექცა. და მხოლოდ მაშინ მივხვდი, თუ რა ადამიანი იყო. ამ საქმის ჩამდენ მამაკაცს მშვენიერი სულიც უნდა ჰქონდეს. ასეთ ადამიანს შეიძლება ენდოთ. ოღონდ მხოლოდ თავდაპირველად ვენდობოდი მას, შემდეგ კი გავბედე და ჩემს თავს დავენდე. აი, ასე იღუპებიან ყმაწვილი ქალები“.

იგი დიდი პატივისცემით ლაპარკაობდა თავისი მიჯნურის ღირსებათა გამო. რასაკვირველია, ჟიული ჯეროვნად აფასებდა მას, ოღონდ ჩანდა, მთელი სულითა და გულით რომ აქებდა და ხოტბას ასხამდა. ქება-დიდებით ცამდე აჰყავდა იგი და თავსაც იმტყუნებდა. როცა ცდილობდა სამართლიანი ყოფილიყო მის მიმართ, უსამართლოდ ექცეოდა თავის თავს და დანაშაულს მარტოოდენ თვითონ იღებდა კისრად, მას კი პატივს მიაგებდა. ჟიული ამტკიცებდა კიდეც, თითქოს სიმრუშე სენ-პრეს უფრო მეტად სცემდა თავზარს, ვიდრე მეო, და არც კი ახსოვდა, თავად მისი მიჯნური რომ უარყოფდა ასეთ მტკიცებას. ასევე დაწვრილებით იგონებდა ჟიული მთელ თავის ცხოვრებას. მილორდი ედუარდი, ბავშვები, თქვენი დაბრუნება, ჩვენი მეგობრობა – ყოველივე ეს მის სიტყვებში სანაქებოდ იყო წარმოდგენილი. იმასაც კი ამბობდა, განცდილმა უბედურებამ უფრო სამძიმო ვაი-ვარამისაგან დამიხსნაო. ისეთ წუთში დაკარგა დედა, როცა ეს დანაკლისი განსაკუთრებით მძიმე იყო მისთვის; მაგრამ ზენაარსს რომ შეენარჩუნებინა მისთვის დედა, მალე ოჯახში დაიწყებოდა საშინელი უთახმოება. რაოდენადაც სუსტი უნდა ყოფილიყო დედის მხარდაჭერა, ქალიშვილი მაინც იგრძნობდა ამას და მოიკრებდა ძალ-ღონეს მამის საწინააღმდეგოდ, მაშინ კი ატყდებოდა ჩხუბი, აყალმაყალი, იქნებ, კატასტროფაც მომხდარიყო, თავს სამარცხვინო, ზარდამცემი საქმენი დაატყდებოდა, მისი ძმა ცოცხალი რომ ყოფილიყო. თავისი ნება-სურვილის წინააღმდეგ გაჰყვა ცოლად ისეთ კაცს, რომელიც არ უყვარდა, მაგრამ დაიფიცა, სხვა არავისთან, თვით ჩემს მიჯნურთანაც კი, ისეთი ბედნიერი არ ვიქნებოდიო. ბატონ დ’ორბის სიკვდილმა წარსტაცა მას მეგობარი, სამაგიეროდ დობილი დაუბრუნა. თვით თავისი შეჭირვებები და ტანჯვა-წამებაც სასარგებლოდ მიიჩნია, ვინაიდან მათ არ გაიმეტეს მისი გული ყოფილიყო უწყალო და მოყვასთა უბედურების მიმართ განურჩეველი. „რომ იცოდეთ, – გვითხრა მან, – თუ რაგვარი სასიამტკბილო სიბრალული განმსჭვალავს გულს, როცა ჩავუფიქრდები საკუთარ უბედურებასა და სხვა ადამიანთა მწუხარებას. მგრძნობიარება მუდამჟამს ანიჭებს ადამიანს ბედ-იღბლისა და მისთვის სასიამო ვითარებათაგან დამოუკიდებელ რაღაც კმაყოფილებას. ოი, რამდენი ვიკვნესე, რამდენი ცრემლი ვღვარე! კვლავ დაბადება და იმავე ვითარებაში ცხოვრება რომ მომიხდეს, ვისურვებდი მხოლოდ იმ ცუდი ამბების ამოშლას, რაიც ჩამიდენია, ხოლო, რაც სიმწრით გადავიტანე, მზადა ვარ კვალად

განვიცადო“. სენ-პრე, მე გადმოგეცით მისივე სიტყვები; როცა მის წერილს წაიკითხავთ, იქნებ, უკეთ მიხვდეთ ყველაფერს.

„თავადვე ხედავთ, რაგვარ ნეტარებას მივაღწიე, – განაგრძნობდა იგი, – ბევრი სიხარული ვიგემე, კიდევ უფრო მეტს ველოდი. ჩემი ოჯახი ბედნიერად ცხოვრობს, ბავშვებს კარგი აღზრდა აქვთ, ჩემ გარშემო თავი მოიყარეს, ანდა მალე შეგროვდება ყველა, ვინც ჩემთვის ძვირფასია. წარსულიცა და მომავალიც თანაბრად მხიბლავდა. რაც მებადა და რითაც განვცხრებოდი, ყოველივე შეერწყმოდა მომავლის იმედს და ბედნიერი გახლდით; ჩემი ბედნიერება თანისთან იზრდებოდა, მან უდიდეს მწვერვალს მიაღწია და შემდგომში, შესაძლოა, შემცირებულიყო კიდეც. იგი მოულოდნელად მეწვია, ხოლო როცა მყარი მეგონა, ანაზდად ყველაფერი გაცამტვერდა. ან კი როგორ შეეძლო ბედს ჩემი გულისთვის წინანდელ სიმაღლეზე მისი დაკავება? განა ადამიანის ხვედრია უცვლელი ბედნიერება? ოდეს ყველაფერს მოვიპოვებთ, ზოგიერთი რამის დაკარგვაც მოგვიხდება, თუნდაც დაუფლების სიხარულისა, იგი ხომ თანისთანობით ჩლუნგდება და ტლანქი ხდება. მამაჩემი უკვე მოხუცია, ბავშვები ჯერ ისევ ნორჩები არიან, გამუდმებით ზედ დავკანკალებთ მათ სიცოცხლეს. ო, რა საშინელ დანაკლისს უნდა მოვსწრებოდი, აუნაზღაურებელ დანაკლისს. დედობრივი სიყვარული განუწყვეტლივ იზრდება, ვაჟიშვილისა კი თანისთან ნელდება, როცა ბავშვები ცხოვრებას დედისაგან მოშორებით იწყებენ. ჩემი შვილები მოჩიტდებოდნენ თუ არა, სულ უფრო და უფრო ჩამომშორდებოდნენ. ისინი გაერეოდნენ მაღალ საზოგადოებაში და, ალბათ, ამითვალწუნებდნენ კიდეც. ხომ გნებავდათ მათი გაგზავნა რუსეთს; აბა, რამდენ ცრემლს დამაღვრევინებდა მათთან განშორება! თანდათანობით ყველანი ჩამომცილდებოდნენ და არაფერი ამინაზღაურებდა ჩემს დანაკლისს. იქნებ, რაოდენჯერ უნდა გადამეტანა განმტანჯველი სულიერი მდგომარეობა, როგორშიაც ახლა გტოვებთ. ხოლო სულ ერთია, ოდესმე ხომ უნდა მოვკვდეთ. აბა, ისა თქვით, ყველა ჩემი ახლობელის შემდეგ ცოცხალი რომ დავრჩენილიყავ და მარტოხელა და მივიწყებული მოვმკვდარიყავი! რაც უფრო დიდხანს ცხოვრობს ადამიანი, მით უფრო აფასებს სიცოცხლეს, თუმცა ნამდვილად უკვე ვერაფერ სიამტკბილობას პოულობს ასეთ სიცოცხლეში. სიბერეში გამოვცდიდი ცხოვრების ყველა სიდუხჭირესა და სიკვდილის საშინელებას – ესაა სიბერის ჩვეულებრივი შედეგი. ხოლო ყოველივე ამის ნაცვლად ჩემი უკანასკნელი წუთები ჯერ ისევ სასიამოა, და მე მეყოფა ძალი და ღონე ვაჟკაცური სიკვდილისათვის! განა ჩვენ ვკვდებით, უკეთუ ცოცხალი რჩებიან ყველანი, ვინაც გვიყვარს? არა, მეგობრებო, არა, ჩემო ძვირფასებო, ჩვენ როდი განვშორდებით ერთმანეთს, მე თქვენთან დავრჩები. დაგტოვებთ შედუღაბებულთ, ჩემი სული, ჩემი გული იყოსმცა თქვენთან. გამუდმებით მიხილავთ თქვენ შორის და მარადჟამს იგრძნობთ, სადღაც ახლოს რომ ვიქნები, შემდეგ კი შევხვდებით ერთმანეთს და ყველანი ერთად ვიქნებით, ეს მჯერა. და თვით ჩემი კეთილი ვოლმარიც არ გაიქცევა ჩემგან. მანამდე კი მარტოკა მე ვუბრუნდები ღმერთს; სული ჩემი დამშვიდებულია, უფალი შემეწევა სიკვდილის მწარე წუთებში; იგი თქვენც ჩემებრ ხვედრს გარგუნებთ. ჩემი ხვედრი ჩემთან ერთად ეზიარება საიმქვეყნიო ცხოვრებას და იქ დამკვიდრდება. მე ვიყავი, ვარ და ვიქნები ბედნიერი, ჩემი ბედნიერება განმტკიცდა, მე წარვსტაცე იგი ბედს, მისი ზღვარი მხოლოდ მარადისობა იქნება“.

ამ სიტყვებზე შემოვიდა მოძღვარი. ის ჭეშმარიტად პატივსა სცემდა და მოკრძალებით ექცეოდა ჟიულის. ყველაზე უკეთ იცოდა, თუ რა მგზნებარე და გულწრფელი იყო მისი რწმენა. გააოცა ჟიულის გუშინდელმა საუბარმა და მისმა თავდაჭერამ. ადამიანები ხშირად კვდებოდნენ მის თვალთა წინაშე, კვდებოდნენ ვაჟკაცურად, მაგრამ არასოდეს უნახავს ასეთი ნათელი სულიერი სიმშვიდე. იქნებ,

ჟიულისადმი გამოწვეულ თანაგრძნობას ახლა თან ერთვოდა იდუმალი სურვილი – გაეგო, ნეტავი ეს სიმშვიდე აღსასრულამდე თუ გაჰყვებაო.

ჟიულის როდი სჭიროდა სასაუბრო თემის მკვეთრად შეცვლა და მისი გადატანა იმ საგნებზე, რაიც შეეფერებოდა ახალი თანამოსაუბრის – მოძღვრის წოდებას. როცა კარგად იყო, მაშინაც არასოდეს გაუმართავს უსარგებლო საუბარი, ხოლო ახლა, სიკვდილის სარეცელზე მყოფი, ენაწყლიანად განაგრძობდა ლაპარაკს იმის გამო, რაიც საინტერესო იყო მისთვის და მისი მეგობრებისთვისაც. თამამად ეხებოდა იგი უაღრესად ღრმა საკითხებს.

როცა წამოიწყო ლაპარაკი იმის გამო, თუ ჩემი არსებისაგან თქვენ შორის ამქვეყანდ რა შეიძლება დარჩესო, გაგვიზიარა თავისი წინანდელი მოსაზრებები ხორცთან გაყრილი სულის მდგომარეობაზე; აოცებდა გულუბრყვილობა ადამიანთა, რომელნიც პირდებოდნენ თავიანთ ახლობლებს, სიკვდილის შემდეგ გინახულებთ და საიქიოს ამბებს გამცნობთო. „ეს ესოდენ გონივრულია, – ამბობდა იგი, – როგორც აჩრდილთა ზღაპრები, დიდად რომ აბნელებენ ადამიანთა გონებას და აფრთხობენ სოფლის დედაკაცებს. თითქოსდა სულებს მოეპოვებოდეთ ხმა და მათ შეეძლოთ ლაპარაკი, ჰქონდეთ ხელები, და ძალედვათ ცოცხალთა მაგრად დაბეგვა[149]. მერედა ვით შეიძლება ეს, რომ უსხეულო სულმა ზეგავლენა მოახდინოს ცოცხალ სხეულში მობინადრე სულზე, რომელსაც ძალუძს შეიმეცნოს რაიმე მხოლოდ გრძნობათა ორგანოების მეშვეობით? ეს უაზრობაა. ოღონდ, გამოგიტყდებით, ვერავითარ უცნაურობას ვერ ვხედავ იმაში, რომ სხეულს განშორებული სული, რომელიც ოდესღაც ბინადრობდა შიგ ამქვეყნად ყოფნის ჟამს, შეიძლებს დაუბრუნდეს სააქაოს, იხეტიალოს აქ, და შესაძლოა, გამუდმებით იმყოფებოდეს იმათ სიახლოვეს, ვინაც მისთვის ძვირფასი იყო. არა იმისთვის, რომ გვამცნოს თავისი აქ ყოფნა, – მას არ გააჩნია ამის არავითარი შესაძლებლობა; არა იმიტომ, რომ ზეგავლენა მოახდინოს ჩვენზე და გაგვიზიაროს თავისი აზრები, – მას არ ძალუძს შებოჭოს ტვინის უჯრედები; არა იმის გამო, თვალყური რომ მიადევნოს ჩვენს საქციელსა და მოქმედებას, – ამისთვის მას დასჭირდებოდა გრძნობათა ორგანოები, არამედ იმიტომ, რომ თავად იცოდეს, რასაც ვფიქრობთ და რასაც ვგრძნობთ; იგი გაიგებს ამას უშუალოდ, მსგავსად იმისა, თუ როგორ კითხულობს ადამიანის აზრებს ღმერთი-უფალი ჯერ კიდევ მის სააქაო ცხოვრებაში და კითხულობს საიმქვეყნიო ცხოვრებაშიც, სადაც პირისპირ შევხვდებით ღმერთს[150]. მაშინ საჭირო აღარ იქნება ჩვენთვის გრძნობათა ორგანოები, ისინი აღარაფერში გამოგვადგება. დაუსაბამო ღმრთის არც ხილვა შეიძლება და არც მოსმენა, მარტოოდენ შევიგრძნობთ მას; ის ელაპარაკება ჩვენს თვალსა და სმენას კი არა, არამედ – გულს“.

მოძღვრის პასუხის, გამოხედვისა და მინიშნების მიხედვით, რაიც მეტყველებდა ურთიერთგაგებას, მივხვდი, რომ წინათ მათ შორის ერთ-ერთი სადავო საკითხი გახლდათ ხორციელი აღდგინების მოძღვრება. შევამჩნიე აგრეთვე, რომ ახლა ჩემს ყურადღებას იპყრობდნენ დოგმატები რელიგიისა, რომელსაც აღიარებდა ჟიული, რელიგიისა, სადაც სარწმუნოება ეხამება გონებას.

---

[149] პლატონმა თქვა, მარტოოდენ წმინდათა სულები, რომელთაც არაფრით არ შეუბღალავთ თავი ამქვეყნად, მთელი თავიანთი უმწიკვლობით მატერიისაგან თავისუფლდებიანო. რაც შეეხება იმათ, ამქვეყნად თავიანთ ვნებათა მონანი რომ იყვნენ, განაგრძობს იგი, მათი სულები ერთბაშად როდი იძენენ პირვანდელ სისპეტაკეს, არამედ თანვე ეზიდებიან და ვერ განუძარცვავთ მიწიერ გრძნობათა ნაწილაკები და თითქოს ამით მიჯაჭვულნი არიან თავიანთ სხეულის ხრწნად ნეშტზე. „აი, – ამბობდა იგი, – რა წარმოქმნის მგრძნობიარე აჩრდილთ, რომლებიც ხანდახან დახეტიალობენ სასაფლაოებზე და ელოდებიან სულთა ახალ გადასახლებას“. აქ ჩვენს წინარეა ყველა დროის ფილოსოფოსთა ახირება: ისინი ხომ მარადჟამს მზად არიან უარყონ არსებული და განმარტონ არარსებული.

[150] ჩემი აზრით, ეს კარგადაა თქმული: ღმერთთან პირისპირ შეხვედრა ნუთუ არ ნიშნავს უზენაესი გონების აზრთა ამოკითხვას?

ჟიულისთვის ესოდენ ძვირფასი იყო მისი რწმენა, რომ, ვინაიდან თავად არ ეპარებოდა ეჭვი მათ სისწორეში, გულქვაობა იქნებოდა დაგერღვიათ თუნდაც ერთ-ერთი დამკვიდრებული შეხედულება, რაიც სასიამტკბილო გახლდათ მისთვის საშინელი სალმობის დღეებში. „მართლაც, – ამბობდა იგი, – განსაკუთრებით მსიამოვნებდა ქველკეთილ საქმეთა ჩადენა, როცა მეგონა, რომ განსვენებული დედაჩემი სადღაც ახლოს იყო, ჩემს გვერდით, რომ მის ყურს სწვდებოდა ქალიშვილის გულისხმა, და იწონებდა მას. სანამ ცოცხლობ, რაოდენ სანუგეშოა აზრი, რომ დაგვყურებენ ისინი, ვინც ასე ძვირფასი იყო შენთვის. ამიტომაც ისინი მხოლოდ სანახევროდ არიან გარდაცვლილნი ჩვენთვის“. და თქვენც, რასაკვირველია, წარმოიდგენთ, რომ ამ საუბრის დროს ხშირ-ხშირად უჭერდა ხელზე ხელს კლარას.

მოძღვარი ლმობიერად და თავდაჭერილად აძლევდა პასუხს და ცდილობდა ეჩვენებინა, სულაც არ გეწინააღმდეგებიო, ოღონდ, ალბათ, ფრთხილობდა, ვაითუ ჩემი დუმილი თანხმობად მიიჩნიონო, მაინც ვეღარ მოითმინა, ერთი წამით იძალა მასში ეკლესიის მსახურმა, გადმოგვიშალა სავსებით საპირისპირო მოძღვრება იმქვეყნიური ცხოვრების გამო. თქვა, საუკუნო ნეტარების ღირსი სულები მარტოოდენ უსასრულობით, სულის დიდებით და ზენაარსის ყველა სხვა ატრიბუტით იქნებიან გატაცებულიო, ღმრთის წვდომის ბედნიერება წარხოცავს ყველა მოგონებას, გარდაცვლილთა სულები ვერ შეხვდებიან და ვეღარც იცნობენ ერთმანეთს ზეცაში და, როს აღტაცებით იხილვენ მას, რაც მათ წინაშე გადაიშლება, ყოველივე ამქვეყნიურს დაივიწყებენო.

„ეს შესაძლებელია, – წარმოთქვა ჟიულიმ, – ჩვენი ქვენა გულის წადილი და ღვთაებრივი რაობა ისე შორიშორს არიან ერთმანეთისაგან, რომ არ ძალგვიძს განვსაჯოთ ახლა, თუ რაგვარ ზეგავლენას მოახდენს იგი ჩვენზე, როცა მისი წვდომის ნებას დაგვრთავენ. ხოლო მაინც ძნელია ვიფქიროთ, რომ ჩემი გულისთვის ესოდენ ძვირფასი რომელიღაც მისწრაფება სხვა ცხოვრებაში აღარ მექნება; აქ ერთგვარი დამამტკიცებელი საბუთიც კი შევადგინე, რაც ძალზე მაიმედებს. ვეუბნები ჩემს თავს, იმ ქვეყანაში ბედნიერების რაღაც წილი იმის შეგნებაზედან ჰკიდია, რომ ჩემი სინდისი სუფთა არის-მეთქი. მაშასადამე, უნდა მახსოვდეს, რას ვაკეთებდი ამქვეყნად და ვიგონებდე ჩემთვის ძვირფას ადამიანებს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ისინი კვლავ მეყვარება; მათი უნახაობა[151] ტანჯვა-წამებად გადამექცეოდა, ხოლო უმწიკვლო ადამიანებით დასახლებულ სოფელში არავითარი ტანჯვა-წამება არ უნდა იყოს. თუმცაღა, – დაუმატა მან და საკმაოდ ეშმაკურად შეხედა მოძღვარს, – თუ ვცდები, ერთი ან ორი დღის შემდეგ ჩემი ცდომილება განიფანტება, ამას თქვენზე უფრო მალე გავიგებ. ხოლო ახლა სავსებით მჯერა აი, რა: იმქვეყნად მუდამჟამს მემახსოვრება, ოდესღაც დედამიწაზე რომ ვცხოვრობდი, მეყვარება ისინი, ვინაც იქ მიყვარდა, და ჩემი სულიერი მწყემსი მათ შორის უკანასკნელ ადგილს როდი დაიჭერს“.

ასე წარემართა ჩვენი საუბრები იმ დღეს, როცა სარწმუნოება, იმედი და სიმშვიდე უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, ასხივოსნებდა ჟიულის სულს და, მღვდლის აზრით, ამრიგად მან წინასწარ იგემა და შეიტკბო სანეტარო უშფოთველობა წმინდანებისა, რომელთა სავანეში მალე მოუხდებოდა დაბინადრება. ჯერ არასოდეს ყოფილა ასე ნაზი და სათნო, ასეთი გულწრფელი, ალერსიანი და საყვარელი, ერთი სიტყვით, თავლაღი. და როგორც მარადჟამს, საღად აზროვნებდა, უაღრესად გრძნობიერი იყო და მას ამკობდა

[151] ადვილი გასაგებია, რომ ამ სიტყვით – „ნახვა“ – ჟიული გულისხმობს უსხეულო ჩაწვდომის აქტს, მსგავსად იმისა, თუ როგორ გვხედავს ღმერთი და როგორ ვხედავთ მას. გრძნობებით არ ძალგვიძს წარმოვიდგინოთ სულთა უშუალო ურთიერთკავშირი, მაგრამ გონებას მშვენივრად შეუძლია ჩასწვდეს მას, და, ვფიქრობ, ამ ურთიერთკავშირის გაგება უფრო იოლია, ვიდრე ერთი სხეულის მიერ მეორისათვის მოძრაობის გადაცემა.

ბრძენკაცთა მორჭმულობა და ქრისტიანთა თვინიერება, ოდნავი ყოყოჩობაც კი არ გააჩნდა. მცირედი სიყალბის უნარიც კი არ შესწევდა, ყოველმხრივ მიამიტად ამჟღავნებდა გრძნობათ, ყველაფერში გულითად უბრალოებას იჩენდა. თუ ზოგჯერ იოკებდა კიდეც ტანჯვა-წამების გამო აღმოხდენილ კვნესა-ვაებას, ამით სრულიადაც არ სურდა ჩვენ წინაშე სტოიკური გულადობის გამოჩენა, არამედ შიშობდა, ვაითუ ვინმე შევაწუხოო, და იმ წუთებში, როცა მთელი მისი ადამიანური ბუნება თრთოდა და ცახცახებდა მოახლოებული სიკვდილისგან თავზარდაცემული, როდი ფარავდა შიშს და ღებულობდა ჩვენს ნუგეშისცემას, ხოლო როგორც კი მომჯობინდებოდა, თავად ანუგეშებდა სხვებს: ვხედავდით და ვგრძნობდით, როგორ უბრუნდებოდა სიცოცხლეს, – მისი ალერსიანი მზერა მეტყველებდა ამას. მისი სიმხიარულე სრულიადაც არ იყო მოსაჩვენარი, ხუმრობა და ოხუნჯობა ესოდენ გულში ჩამწვდომი გახლდათ, რომ ღიმმორეული ვუსმენდით მას, ხოლო თვალები ცრემლით გვევსებოდა. ყველანი თავზარდაცემული ვიყავით და ამის გამო ვიღასა სცხელოდა დამტკბარიყო იმ ადამიანის ცქერით, ვისაც ახლა ვკარგავდით, თორემ ჟიული უფრო მშვენიერი და წარმტაცი მომეჩვენებოდა, ვიდრე კარგად ყოფნისას, და მისი უკანასკნელი დღეც ჩვენთვის მომხიბვლელობით იქნებოდა აღსავსე.

საღამოთი კვლავ შემოუტია სულის ხუთვამ; მართალია, არც ისე ძალუმად, როგორც დილით, მაგრამ მაინც არ მისცა ბავშვებთან ხანგრძლივი ლაპარაკის საშუალება. ოღონდ ერთბაშად შენიშნა, ანრიეტა რამ გამოცვალაო. გადიამ უთხრა, გოგონა სულ ტირის და არაფერსაც არ ჭამსო. „რას იზამ, გრძნობათმორევისაგან მას ვერ განკურნავ, – წარმოთქვა ჟიულიმ და კლარას მიაპყრო მზერა, – ეს სენი ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი“.

თავი უკეთ იგრძნო და მოისურვა, ამ საღამოს ვახშამი ჩემს საწოლ ოთახში შემოიტანეთო. როგორც დილით, ახლაც ჩვენთან იყო ექიმი. ფანშონს ჩვეულებრივ ყოველთვის ვიწვედით, როცა ჩვენთან ერთად სუფრას უნდა მიჯდომოდა, მაგრამ ახლა თავად, დაუძახებლად, შემოვიდა. ჟიულიმ შენიშნა ეს და გაიღიმა. „დიახ, ჩემო ძვირფასო, – უთხრა მან, – ერთხელ კიდევ ივახშმე ჩემთან; ქმარი უფრო დიდხანს დაყოფს შენთან, ვიდრე შენი ქალბატონი“. შემდეგ მე შემომხედა, – „ვფიქრობ, არ დამჭირდება თხოვნა კლოდ ანეს გამო“. – „არა, რასაკვირველია, არა! – მივუგე მე, – ყველას, ვისაც თქვენი მოწყალე თვალი მიაპყარით, ხელმოკლეობა ასცდება“.

ვახშამმა უფრო სასიამოვნოდ ჩაიარა, ვიდრე მოველოდი. ჟიული დარწმუნდა, ელვარე შუქის ატანა შემიძლიაო, და მოითხოვა, მაგიდა ლოგინთან მოაჩოჩეთო; მადაც კი მოუვიდა – მის მდგომარეობაში მყოფისთვის ეს ყოვლად გაუგებარი ამბავი იყო. ექიმი უკვე საჭიროდ აღარ თვლიდა მისთვის კერძების საგანგებოდ შერჩევას და ნება დართო, ეჭამა ქათმის თეთრი ხორცის ერთი ნაჭერი. „არა, ქათამი არ მინდა, – მიუგო მან, – ამის ნაცვლად ფერას[152] გეახლებით“. მისცეს თევზის ნაჭერი, პური მიატანა და შეჭამა, ძალიან გემრიელიაო, თქვა. და ვიდრე ჭამდა, ქალბატონი დ’ორბი თვალს არ აშორებდა მას. აჰ, ნეტავ გენახათ, როგორ შეჰყურებდა ჟიულის! სიტყვებით ამას ვერ გადმოგცემთ. ჭამის შემდეგ ავადმყოფი სრულებითაც არ გამხდარა ცუდად, პირიქით, – თავს მშვენივრად გრძნობდა. ხალისიან გუნებაზე დადგა და ხუმრობანარევი საყვედურით შენიშნა, კარგა ხანია სუფრაზე უცხოური ღვინო აღარ მოაქვთო. „მოუტანეთ მამაკაცებს ერთი ბოთლი ესპანური“. ჟიული ექიმის სახის გამომეტყველებით მიხვდა, ნამდვილი ესპანური ღვინის დასაჭაშნიკებლად რომ მოემზადა და ღიმილით გადახედა დობილს. შევამჩნიე, კლარამ ყურადღება არ მიაქცია ამას და ერთგვარი უცნაური მღელვარებით შეყურებდა ხან ჟიულის, ხანაც ფანშონს, თითქოს რაღაცის წარმოთქმა ანდა კითხვა სურსო.

[152] ფერა – უგემრიელესი თევზი, რომელსაც გარკვეულ დროს იჭერენ ჟენევის ტბაში.

ღვინო დიდხანს არ შემოჰქონდათ: აღმოჩნდა, სარდაფის გასაღები ვერ ეპოვნათ; როგორც იქნა, მოისაზრეს, ბარონის კამერდინერს, ვისაც ღვინო ებარა, გასაღები შემთხვევით წაუღიაო. მსახურებს გამოვკითხეთ და გამოვარკვიეთ, ერთი დღისათვის გადადებული ღვინო უკვე ხუთი დღეა ტყუილად დევსო, – უფრო სწორად, იგი საერთოდ არ შემოჰქონდათ სუფრაზე და ამას ვერავინ ამჩნევდა, თუმცა რამდენიმე ღამე ხალხმა თეთრად გაათენა[153]. ექიმისათვის ყოველივე ნათელი გახდა. მე კი, თუმცაღა არც კი ვიცოდი, თუ რაისთვის მიემეწერა ღვინისადმი მსხურთა ეს გულგრილობა, – მწუხარებისა თუ თავდაჭერილობისთვის, – მაგრამ სამარცხვინოდ მივიჩნიე გამაფრთხილებელი ზომები მიმეღო ასეთ ადამიანთა მიმართ და ვბრძანე გაეტეხათ სარდაფის კარი; განკარგულება გავეცი, ყველასათვის უხვად მიეცათ ღვინო.

როგორც იქნა, მოგვიტანეს ერთი ბოთლი „ესპანური“ და შევსვით იგი. ღვინო ჩინებულად გვეჩვენა ყველას; ავადმყოფსაც კი მოუნდა მისი განსინჯვა და მოითხოვა, ერთი კოვზი წყალგარეული ღვინო მომაწოდეთო. ექიმმა დაუსხა სირჩაში და უთხრა, წყალგაურევლად დალიეთო. ამ დროს კლარამ გადახედა ფანშონს, ოღონდ მალულად, თითქოს ეშინოდა, თვალებით მეტისმეტი რამ არ გავამჟღავნოო.

მთელი ამ დღეების მანძილზე ერთი ლუკმაც არ გაუსინჯავს ჟიულის – ისე სუსტად იყო, თანაც არ იყო შეჩვეული ღვინოს, და ამან ფრიად იმოქმედა. „აჰ, როგორ გამომათვრეთ! – წარმოთქვა მან, – რამდენი ხანია ღვინისთვის პირი არ დამიკარებია, ახლა გვიანღაა სმის დაწყება, მთვრალი ქალი კი საზიზღარი სანახავია“. ძალზე ხალისიანი გახდა და ენად გაიკრიფა. თუმცა მისი სიტყვები უწინდებურად კეთილგონივრული იყო. ჩემდა გასაოცრად, სრულიადაც არ შეჭარხლებულა. აგიზგიზებულ თვალთა ელვარებას ახშობდა ავადმყოფური მიბნედილობა, და მაინც, ფერმიხდილობა რომ არა, ჯანმრთელი გეგონებოდათ. ახლა შეუძლებელი იყო არ შეგემჩნიათ კლარას მღელვარება. ხან ჟიულის ტყორცნიდა მზერას, ხანაც მე, ანდა ფანშონს, მაგრამ ყველაზე მეტად ექიმს შეჰყურებდა და ყოველთვის მისი მზერა გამოხატავდა მდუმარე კითხვას, რომლის მიცემაც ვეღარ გაებედა: თითქოსდა აგერ-აგერ ალაპარაკდებაო, მაგრამ საბედისწერო პასუხის გაგონება აშინებდა და კრინტს ვეღარ ძრავდა! კლარას წუხილი იმოდენად მძლავრი იყო, რომ სული შეეხუთა.

მისი ნიშნებით წათამამებულმა ფანშონმა გაბედა ლაპარაკი და, მღელვარებისაგან სუნთქვაშეკრულმა, წარმოთქვა: „ქალბატონი თითქოს უკვეთ გახდა, სულის ხუთვაც ახლა არც ისე ძლიერი აქვს, როგორც გუშინ“. და ფანშონი გაოგნებული დადუმდა. კლარა ქარისაგან მოცახცახე ფოთოლივით თრთოდა, ჩაციებით შეჰყურებდა ექიმს, თანაც სულს ძლივსღა იბრუნებდა, შიშობდა, ვაითუ მისი პასუხი ვერ გავიგონოო.

მარტოოდენ ყეყეჩი ადამიანი ვერ მიხვდებოდა მის გრძნობათა გვრიობას. დიუ ბოსონი წამოდგა, ავადმყოფს მიეახლა. მაჯა გაუსინჯა და თქვა: „ეს არამც და არამც არ არის ღვინისა ანდა ციებ-ცხელებისაგან გამოწვეული აღგზნება – მაჯისცემა ძალიან კარგი აქვს“. კლარამ შეჰკივლა და ხელები მისკენ გაიწვდინა: „მაშ, ეს მართალია, ბატონო? მართალია? განა მაჯისცემაც? და ციებაც აღარა აქვს?“ ხმა ჩაუწყდა და დადუმდა, მაგრამ მაინც იწვდიდა ხელებს ექიმისაკენ და აცქერდებოდა ელვარე მზერით; გეგონებოდათ, პირისახის ყოველი კუნთი აუმოძრავდაო. ექიმმა არაფერი უპასუხა, კვლავ მოავლო თითები ავადმყოფის მაჯას, შემდეგ თვალის გუგებში ჩახედა, ენა გაუსინჯა. რამდენიმე ხანს ჩაფიქრდა და წარმოთქვა: „ქალბატონო, მე კარგად მესმის თქვენი წუხილის მიზეზი.

[153] მკითხველნო, ვისაც კარგი მსახურები გყავთ, გამქირდავი ჩაცინებით ნუ იკითხავთ, ვოლმარებმა ასეთი მსახურები საიდან იშოვესო. აკი ვაბობდით: ისინი არსაიდანაც არ მოჰყავდათ, მათ ზრდიდნენ. მთელი ამოცანა მხოლოდ ისაა, რომ იპოვეთ ჟიულისებრი ქალბატონი, დანარჩენი თავისით მოვა; საერთოდ, ადამიანები თავისთავად როდი ხდებიან ასეთნი თუ ისეთნი, – ისინი არიან იმგვარნი, როგორებადაც მათ ქმნიან.

ამჯერად არ ძალმიძს რაიმე გარკვეული მოსაზრების თქმა, ოღონდ, უკეთუ ხვალ ამ დროსაც ავადმყოფი ასეთსავე მდგომარეობაში იქნება, პირობას ვდებ, რომ იცოცხლებს“. კლარა შურდულივით გაექანა მისკენ, გზადაგზა ძირს დასცა ორი სკამი და კინაღამ მაგიდაც გადააბრუნა, კისერზე ჩამოეკიდა და აქვითინდა; ცრემლთა ფრქვევით, აღტაცებისაგან აღგზნებულმა მხურვალედ ჩაკოცნა იგი. თითიდან ძვირფასი ბეჭედი წაიძრო და ექიმი თუმცა უარობდა, თითზე წამოაგო მას. „ეეჰ, ექიმო, –მღელვარებისგან სუნთქვაშეკრულმა წამოიძახა მან, – უკეთუ სიცოცხლეს დაუბრუნებთ, თქვენ მარტო მას როდი გადაარჩენთ!“

ჟიული შეჰყურებდა ამ გულგამგმირავ სცენას. ჩააშტერდა დობილს და ნაზი სევდით აღსავსე საყვედურით უთხრა:

„შე უწყალო, აბა, როგორ მაიძულებ სიცოცხლის დანანებას! ნუთუ ის გინებს, სასომიხდილი მოვკვდე! ნუთუ მომიხდება მეორეჯერ შეგამზადო ამისთვის?“ ამ რამდენიმე სიტყვამ მეხის დაცემასავით იმოქმედა, – აღფრთოვანებული შეფრფინვა ჩაიფერფლა, მაგრამ მაინც აღდგენილი იმედი მთლად არ გამქრალა.

ექიმის პასუხი მყისვე გაიგო მთელმა ჩვენმა ჯალაბობამ. ამ სახელოვანმა ადამიანებმა წარმოიდგინეს, ჩვენი ქალბატონი უკვე მომჯობინდაო, და ერთხმად გადაყვიტეს ექიმისთვის საერთო საჩუქარი მიერთმიათ, უკეთუ ჟიული მომჯობინდებოდა; თითოეულმა ამისთვის სამი თვის ხელფასი გადადო, და ფული მაშინვე შესანახად გადასცეს ფანშონს; ვისაც არ ჰქონდა, ამხანაგებისაგან სესხულობდა. გადაწყვეტილება ისეთი ერთსულოვნებითა და აღტაცებით მიიღეს, რომ ჟიულიმ თავისი საწოლი ოთახიდან გაიგონა ხმამაღალი, მხიარული შეძახილები. აბა, თავად განსაჯეთ, თუ რა შთაბეჭდილებას მოახდენდა ეს ამბავი. საბრალომ ხომ იცოდა, რომ კვდებოდა. მიმიხმო და ჩურჩულით მითხრა: „ბოლომდე მიწევს დავცალო გრძნობათმორევის მწარე და სასიამტკბილო თასი“.

როცა დადგა ოთახიდან გასვლის ჟამი, ქალბატონმა დ’ორბმა გადაწყვიტა როგორც ორი წინანდელი, ისე ეს ღამეც თავის დობილთან ერთად გაეტარებინა და ბრძანა დაეძახათ მოახლისათვის, რათა ღამით შეეცვალა ფანშონი, მაგრამ ფანშონმა აღშფოთებით იუარა ეს წინადადება და, იქნებ, უფრო ნაკლები გულმოდგინება გამოეჩინა, ქმარი რომ არ დაბრუნებოდა. მაგრამ ქალბატონი დ’ორბიც გაჟინიანდა. და ბოლოს ისე მოხდა, რომ ორივე მოახლე ფხიზლობდა მთელ ღამეს კაბინეტში, მე კი მეორე ოთახში გავათიე ღამე; იმედმა ისე აამღელვარა მსახურები, რომ ვერც ბრძანებით, ვერც მუქარით ვერ გავიყვანე ისინი; ამრიგად, იმ ღამეს მთელი სახლი ფეხზე იდგა; და, ვფიქრობ, ბევრი მათგანი თავისი სიცოცხლის საკმაო ნაწილს გაიღებდა, რათა მალე დამდგარიყო დილის ცხრა საათი.

ღამით მესმოდა რაღაც მიმოსვლის ხმები, ოღონდ ეს არ ჰგავდა რაიმე შემაშფოთებელ ამბავს, მაგრამ განთიადისას, როცა სახლში სრული მყუდროება ჩამოვარდა, ავად ჩამესმა ყურში ყრუ კაკუნი. მომესმა ქვითინი. გავვარდი საწოლ ოთახში, შევირბინე, გადავწიე ფარდა... სენ-პრე, ძვირფასო სენ-პრე, ო, რა ვიხილე! ორივ დობილი ერთმანეთს ჩაკვროდა და უძრავად იყვნენ გაშოტილნი: ერთი გულწასული, მეორე – ეთხოვებოდა ამ წუთისოფელს. დავიყვირე, მინდოდა მათი დაშორიშორება ანდა თუნდაც ჟიულის უკანასკნელი ამოოხვრის მოსმენა, მივვარდი მას, იგი უკვე აღარ იყო ცოცხალი.

გესმით, თქვენ, ღვთის მორწმუნევ, ის აღესრულა! აღარ მოგითხრობთ, რა ხდებოდა სახლში რამდენიმე საათს. აღარ ვიცი, რა დამემართა. პირველმა ზაფრამ რომ გამიარა, ქალბატონი დ’ორბი მოვიკითხე, მითხრეს, ხელით მოგვიხდა საწოლ ოთახში მისი წაყვანაო, და იქ ჩავკეტეთ კიდეც, რადგან წამდაუწუმ შეიჭრებოდა ჟიულის ოთახში, დაემხობოდა გაყინულ ცხედარს, თითქოს თავისი სხეულით მისი გათბობა სურსო, ცდილობდა გარდაცვლილის გაცოცხლებას, რაღაც გაშმაგებით ეკვროდა მას, იხუტებდა

გულში, მხურვალე სინაზით მოუხმობდა და უწოდებდა მრავალ საალერსო სახელს, და ასეთი ვაი-ვაგლახით მხოლოდ და მხოლოდ სასოწარკვეთას აარჯლებდა.

როცა მის ოთახში შევედი, დავინახე, მთლად გაგიჟებულიყო, ვეღარავის ამჩნევდა, აღარაფერი ესმოდა, ხელებს იმტვრევდა, იატაკზე გორავდა, სკამის ფეხებს კბენდა, რაღაც უცნაურ სიტყვებს ბუტბუტებდა. ხან კი ისეთ ველურ ხმებს გამოსცემდა, რომ ყველას ტანში ჟრუანტელი უვლიდა. საწოლის საზურგეს უკან იდგა გაშეთებული და დამფრთხალი მისი მოახლე, თავზარდაცემული, სულს ძლივსღა ითქვამდა, მთელი სხეული უკანკალებდა და ცდილობდა დამალვოდა ქალბატონს, – მართლაც, კლარას ეს კრუნჩხვა-გრეხა რაღაც საშინელება იყო. მოახლეს ვანიშნე გარეთ გასულიყო, რადგან ვშიშობდი, ნუგეშინის თუნდაც ერთ უადგილო სიტყვას შეუძლია კლარას გაცოფება-მეთქი.

არ მიცდია მასთან გამოლაპარაკება, არც კი მოისმენდა ჩემს სიტყვებს. ცოტა ხანს დავაცალე. და როცა დავინახე, მთლად მოქანცული იყო დაღლილობით, ავიტაცე და სავარძელში ჩავსვი. გვერდში მივუჯექ და ხელში ხელი ჩავკიდე. შემდეგ მსახურებს ვუბრძანე, ბავშვები მოეყვანათ და ვუთხარი, მის გარშემო დამდგარიყვნენ. სამწუხაროდ, პირველი სწორედ ის შენიშნა, ვინაც დობილის სიკვდილის უნებური დამნაშავე გახლდათ. მის დანახვაზე კლარა აცახცახდა, სახე დაემანჭა და რაღაც საზარლად მოარიდა მზერა; მას ხელები თრთოლვით დაეძაბა: უთუოდ, სურდა ხელი ეკრა და მოეცილებინა იგი. ბავშვი ჩემთან მოვიზიდე. „უბედურო ბავშვო, – ვუთხარი მე, – იმის გამო, რომ ძვირფასი იყავი დედაშენისთვის, საძულველი გახდი მისი დობილისა, ერთნაირი გული როდი ჰქონიათ მათ“. ამ სიტყვებმა გააფთრეს კლარა, საპასუხოდ ყოველგვარი უტიფარი სიტყვა მაკადრა. მაინც ჩემმა ჩარევამ გასჭრა. ჩაიხუტა ბალღი და ცდილობდა მიალერსებას. ამაო იყო ყოველივე: მაშინვე უკანვე დამიბრუნა იგი; ამჟამადაც უფრო უამურია მისთვის ბავშვის დანახვა, ვიდრე უფროსი ძმისა, და ფრიად კმაყოფილი ვარ, რომ მარსელინი არაა მისი ქალიშვილის საქმრო.

მგრძნობიარე ადამიანებო, როგორ მოიქცეოდით ჩემს ადგილას? რასაკვირველია, იმგვარად, როგორც ქალბატონი დ’ორბი. მე კი განკარგულება გავეცი ბავშვებისა და ქალბატონ დ’ორბის გამო, ჟიულის დაკრძალვისათვის, ერთადერთი ქალისა, რომელიც მიყვარდა ჩემს სიცოცხლეში, გულმოკლული და ცოცხალ-მკვდარი შევჯექ ცხენზე და მოვემზადე მთების გადასასვლელად, რათა უბედური მამისათვის მიმეტანა ჟიულის გარდაცვალების ამბავი. ლოგინში მწოლიარე ვნახე, ავად იყო იმ დავარდნის შემდეგ და საშინლად ღელავდა და იტანჯებოდა თავისი ქალიშვილის სვე-ბედის გამო. უკან დაბრუნებულმა დავტოვე იგი განადგურებული დარდითა და მწუხარებით, იმ ვაი-ვარამით გულგასენილი, რასაც თითქოსდა არ იმჩნევენ ბერიკაცები, არ ამჟღავნებენ არც დრამატული მიხრა-მოხრით, არც კვნესა-გოდებით, მაგრამ რაიც მათ ბოლოს უღებს. მამა მალე მიჰყვება ქალიშვილის გზა-კვალს, ამაში დარწმუნებული ვარ. და უკვე ვხედავ, თუ რაგვარი ახალი მეხთა ტეხა დაამთავრებს მისი მეგობრის შავსვიანობასაც. მეორე დღეს უკანვე მივქროდი, მეჩქარებოდა ადრე მოსვლა. უნდა მომეხადა უღირსეულესი ქალის წინაშე უკანასკელი ვალი. მაგრამ ჩემი განსაცდელი და შეჭირვება როდი დასრულდა. ისე მოხდა, რომ იგი მკვდრეთით აღდგენილიყო, მე კი უნდა განმეცადა მისი ხელახლად დაკარგვის მთელი საშინელება.

სახლს რომ მივუახლოვდი, დავინახე, ერთ-ერთი მსახური თავქუდმოგლეჯით გამორბოდა ჩემს შესახვედრად. ჯერ ისევ შორიდანვე ხმამაღლა მეძახოდა: „ბატონო, ბატონო, იჩქარეთ! ქალბატონი არ მომკვდარა!“ ვერაფერი გავიგე ესოდენ უაზრო სიტყვებიდან, მაგრამ მაინც გადავკარ მათრახი ცხენს. ვხედავ, ეზო სავსეა ხალხით. ყველანი სიხარულისგან ტირიან და ხმამაღალი შეძახილებით ლოცავენ ქალბატონს.

ვკითხულობ, რა მოხდა-მეთქი, ყველანი აღტაცებულნი არიან, დალაგებულად ვერავინ გამცა პასუხი, ჯალაბობას თავბრუ დახვევია. შევრბივარ ჟიულის განსასვენებელში. მის ლოგინთან დაჩოქილა ოციოდე კაცი და თვალს არ აშორებენ განსვენებულს. მივუახლოვდი, იგი წევს სიკვდილის სარეცელზე უკვე კოხტად მორთულ-მოკაზმული. გული ამიძგერდა. ვაცქერდები მის სახეს! ვაგლახმე! იგი მკვდარია. ამაო სიხარულისა და ესოდენ საშინლად გაცრუებული იმედის წუთი ყველაზე მწარე იყო ჩემს სიცოცხლეში! მრისხანე ადამიანი როდი ვარ, მაგრამ აქ საშინელი გულისწყრომა დამეუფლა. მინდოდა გამეგო ამ უცნაური სცენის მიზეზი. მონათხრობ ამბებში ყველაფერი არეულ-დარეული, შეცვლილი და დამახინჯებული გახლდათ; ძლივძლივობით მოხერხდა ჭეშმარიტების დადგენა. როგორც იქნა, ყველაფერი გაირკვა, და აი, როგორია ამ სასწაულის ამბავი.

ქალიშვილის ავადმყოფობის გამო შეშფოთებულ ჩემს სიმამრს გადაუწყვეტია, ჯერჯერობით უკამერდინეროდ ვიქნებიო, და ჩემს ჩასვლამდე გამოუგზავნია იგი ჟიულის ამბის გასაგებად. მოხუცი კამერდინერისათვის ცხენით სიარული მომქანცველი იყო, ნავით გამოემართა, ღამით გადმოსერა ჟენევის ტბა და ჩამოვიდა კლარანში ჩემი ჩამოსვლის წინ. რა დაინახა, სახლში ყველანი თავზარდაცემულნი რომ იყვნენ, მიხვდა, რაც მოხდა; მოთქმა-გოდებით ავიდა კიბეზე და ჟიულის საწოლ ოთახში ლოგინის ფეხებთან ჩაჩოქილი ცრემლად იღვრებოდა და მიცვალებულს ნაღვლიანად მისჩერებოდა. „აჰ, ჩემო ძვირფასო ქალბატონო, – მოთქვამდა იგი, – რატომ უფალმა მე არ მომიწოდა შენს ნაცვლად. მე, მოხუცს, სიცოცხლე რომ მომძულებია, არაფრის მაქნისი აღარა ვარ, რატომ ამაოდ უნდა ვამძიმებდე ამ დედამიწას? შენ კი, ჩვენო მტრედო, ასეთო ნორჩო, ჩვენო ტურფავ და მშვენიერო, მთელი გვარ-ტომის სიამაყევ, შენი სახლის ნათელო სიხარულო, ყველა ბედმოცარულთა იმედო და სასოებავ... ვაგლახ, მე უბედურს! ჩემს თვალთა წინარე დაიბადე ნუთუ იმისთვის, რომ მკვდარი მეხილა შენი თავი!“

ასე მოთქვამდა და გოდებდა ერთგულებითა და გულკეთილობით აღსავსე მოხუცი, თან თვალს არ აშორებდა განსვენებულის სახეს, ანაზდად მოეჩვენა, ჟიულის სახე შეერხაო, და თავზარი დაეცა. მოხუცს მოელანდა, ჟიულიმ თვალი გაახილა, მიმზერს და თავს მიქნევსო. აღტაცებული ზეწამოიჭრა, მთელი სახლი შემოირბინა და აუწყა ხალხს, ქალბატონი არ მომკვდარა, მიცნო, დამიჯერეთ, ცოცხალია და ნამდვილად მომჯობინდებაო. ეს სიტყვები სავსებით კმარიყო, ყველანი მისცვივდნენ – ჯალაბობა, მეზობლები, ღარიბ-ღატაკნი, მოთქმა-კვნესით რომ აყრუებდნენ ყველაფერს ირგვლივ. ახლა ყველანი გაჰყვიროდნენ, ის არ მომკვდარაო! ხმა წამსვე დაირხა და თანდათან ვრცელდებოდა; ხალხს სასწაულები უყვარს, და ყველანი ხარბად უგდებდნენ ყურს არაჩვეულებრივ ცნობას, ყველამ დაიჯერა, ვინაიდან ყველას ასე უნდოდა ჟიულის სიცოცხლე, თითოეული მაგანი ხარობდა სულითა და გულით. ეძიებდა ნუგეშისცემას და ხელს უწყობდა საყოველთაო მალერწმენას. ცოტაც და უკვე ამბობდნენ, განსვენებულმა არამცთუ თავი გააქნია, არამედ წამოდგა კიდეც და ალაპარაკდაო; აღმოჩნდა კიდეც ოცამდე კაცი, მოწმე და ცხადად დამნახველი ყოველნაირ ვითარებათა, რაიც სინამდვილეში არ მომხდარა.

როგორც კი ადამიანებმა დაიჯერეს, ჟიული ცოცხალიაო, ყოველ ღონეს მიმართეს, მის გრძნობაზე მოსაყვანად, ყველანი შეჯგუფდნენ მის ახლოს, ელაპარაკებოდნენ, ასხურებდნენ სპირტზე დაყენებულ შინაურ წამლებს, უსინჯავდნენ მაჯისცემას. მოახლეები აღშფოთდნენ, ჩვენი ქალბატონი დაუდევრად ჩაცმული წევს, ხოლო ირგვლივ მამაკაცები დაბორიალებენო, და უბრძანეს, ყველანი გარეთ გადითო, და მალე დარწმუნდნენ, თუ რა დიდი იყო საყოველთაო შეცდომა. ოღონდ, მოერიდნენ ყველასთვის სანიაზო სიცრუის გაქარწყლებას, ანდა, იქნებ, ჯერ ისევ იმედი ჰქონდათ რაღაც სასწაულისა, და გულმოდგინედ მორთეს და მოკაზმეს ცხედარი; და თუმცა ჟიულიმ

მთელი ტანსაცმელი მათ უანდერძა, არ დაიშურეს ძვირფასი სამოსელი; შემდეგ სარეცელში ჩააწვინეს განსვენებული; ფარდის კალთები ჩამოუფარებელი დატოვეს და კვლავ ტირილი მორთეს, რითაც ირგვლივ მყოფთ ჩააშხამეს საყოველთაო სიხარული.

იმ დროს ჩამოვედი, როცა მღელვარება უმაღლეს წერტილს აღწევდა. მალე დავრწმუნდი, ამ აბორგებული ჯამაათის დაშოშმინება შეუძლებელია-მეთქი და თუ ვბრძანებდი სახლის კარების ჩაკეტვას და შემდეგ მიცვალებულის წასვენებას სასაფლაოზე, იქნებ, ჯანყიც კი მოეწყოთ; მაშინ მკვლელად ჩამთვლიდნენ, ცოლის ცოცხლად დამარხვის ნება დართოო, და მთელ ჩვენს კუთხეში სასტიკ ადამიანად მიმიჩნევდნენ. გადავწყვიტე მოცდა. ოღონდ ორიოდე დღის შემდეგ, მაშინდელ პაპანაქებაში, ცხედარმა გაფუჭება დაიწყო. თუმცა ჟიულის ნაკვთები არ შეცვლია და კვლავ ინარჩუნებდა მშვიდ გამომეტყველებას, სახეზე მაინც დაეტყო ხრწნის ნიშნები. ეს ვუთხარი ქალბატონ დ'ორბს, ცოცხალ-მკვდარი რომ იჯდა განსვენებულის სასთუმალთან. მას ჰქონდა ბენდიერება არ აჰყოლოდა ესოდენ ტლანქ თვითცდუნებას, მაგრამ თავს იკატუნებდა, ამ ამბავს ვიზიარებო, – სურდა გამოენახა გარდაცვლილის ახლოს მუდამ ყოფნისა და მისი ყურების საბაბი და დატანჯულიყო ამგვარი შემაჭირვებელი სანახაობით.

კლარამ გაიგონა ჩემი სიტყვები, უმალ მიიღო გადაწყვეტილება და ჩუმად გავიდა ოთახიდან. ერთი წუთის შემდეგ დაბრუნდა, ხელში ეჭირა ოქრომკედითა და მარგალიტით დაქარგული საბურველი, თქვენ რომ ინდოეთიდან ჩამოუტანეთ ჟიულის.[154] მერე მივიდა ლოგინთან, ემთხვია საბურველს, გარდაცვლილ დობილს სახეზე გადააფარა და შემდეგ გამყინავი ხმით წამოიძახა: „იყოსმცა წყეულ ის უღირსი, ვისი ხელიც ამ საბურველის ახდას გაბედავს! იყოსმცა წყეულ ის უკეთური, ვისი თვალებიც მისი დაუშნოებული სახის დანახვას მოიწადინებს!" ჩამოფარებულმა საბურველმა და სიტყვებმა ესოდენ გააოცეს მაყურებლები, რომ მაშინვე, თითქოსდა უეცარი შთაგონებით, მრავალხმიანი შეძახილებით გაიმეორეს ეს წყევლა-კრულვა, რამაც ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ყველა ჩვენ მსახურსა და მთელ შეგროვილ ხალხზე, და როგორც კი განსვენებული ჩადეს კუბოში – მორთულ-მოკაზმული, დიდი ზარ-ზეიმით წაასვენეს და დაკრძალეს ამ საბურველით სახედაფარული, – არ აღმოჩნდა არც ერთი კადნიერი ადამიანი, ვინაც ამ სიკვდილის საბურველს შეხებოდა.[155]

ასკეც სიბრალულის ღირსია ის სვენავსი, ვინაც თავად ტანჯულმა, კიდევ სხვა უნდა ანუგეშოს. ხოლო მე კი უნდა მენუგეშებინა ჩემი სიმამრი, ქალბატონი დ'ორბი, მეგობრები და ნათესავები, მეზობლები და მთელი ჯალაბი. მთავარია, რა მოვუხერხო ჩემს ძველ მეგობარს, როგორ მოვეპყრა ქალბატონ დ'ორბს? ნეტავი განახათ, მაშინვე მიხვდებოდით, რაოდენ ტანჯვას მაყენებს, – თითქოსდა ჩემი მწუხარება არ მეყოფოდა! სულაც არაა მადლიერი ყველა ჩემი ზრუნვისათვის. პირიქით, მისაყვედურებს კიდეც მათ გამო, ჩემი ყურადღება სწყინს. ჩემი „გულცივი" მწუხარება შეურაცხყოფს, კლარას უნებს, რათა მის მსგავსად ვეძლეოდეთ მწარე მოთქმა-ტირილს, საშინელი მწუხარებით ყოველივეს განიცდის და ასეთსავე სასოწარკვეთას მოითხოვს ჩვენგანაც. მისას ვერაფერს გაიგებს კაცი, და რაც ყველაზე უფრო ძნელია: ის, რაიც თითქოსდა უმსუბუქებს მწუხარებას, ერთი წუთის შემდეგ ძალზე აბრაზებს და აღიზიანებს. მისი სიტყვები, მისი საქციელი სიგიჟეს უთანაბრდება და თავდაჭერილ და გულდინჯ ადამიანებს სასაცილოდაც კი მოეჩვენებათ.

---

[154] ცხადია, სენ-პრეს სიზმარი ახსოვდა ქალბატონ დ'ორბს, და ამან შთააგონა ამ საბურველის მოტანა. ვფიქრობ, უკეთუ კარგად ჩავუკვირდებით, ასეთივე ურთიერთკავშირი არსებობს მრავალი შემთხვევისას, როცა აცხადდება ესა თუ ის წინასწარმეტყველება. სავალდებულო როდია ნაწინასწარმეტყველევი ამბის ახდენა, ოღონდ, სწორედ იმისთვის ახდება იგი, ნაწინასწარმეტყველევი რომ არის.

[155] თუმცა ვოს პროვინციაში ყველანი პროტესტანტული სარწმუნოებისა არიან, ხალხი მაინც უაღრესად ცრუმორწმუნეა.

დიდი ჯაფა დამადგება, ოღონდ არ დავუთმობ. ვინაც ჟიულის უყვარდა, ვფიქრობ, მათ მიმართ სამსახურით უფრო პატივსა ვცემ მის ხსოვნას, ვიდრე ცრემლთა ღვრითა და მოთქმა-ტირილით.

დაგისახელებთ ერთ მაგალითს, რაც განგიმარტავთ მრავალ და მრავალ ასეთ შემთხვევას. ვგონებ, ყველაფერი გავაკეთე იმისათვის, რათა კლარას მოევლო და გაფრთხილებოდა თავს, უამისოდ ხომ ვერ აღასრულებს გარდაცვლილი დობილისგან დაკისრებულ მოვალეობას. მღელვარებით, უძილო ღამეებითა და უსმელ-უჭმელობით ქანცგაწყვეტილი, თითქოსდა გონს მოეგო და როგორც იქნა, გადაწყვიტა, დაბრუნებოდა ცხოვრების ჩვეულებრივ წესსა და ნირს, მონაწილეობა მიეღო ჩვენს ტაბლობაში. როცა პირველად გამოვიდა სასადილო ოთახში, ვბრძანე, ბავშვებისთვის სადილი მათ ოთახში მიეტანათ, არ მინდოდა მათთან ამ ცდის ჩატარება, ვინაიდან არ მიყვარს, როცა ბავშვების თვალთა წინაშე გათამაშდება მძაფრი სცენები, ეს სახიფათო მაგალითია მათთვის. უკიდურესობამდე დასულ აღტყინებაში მუდამჟამს არის რაღაც ბავშვური, რაიც ართობს და იზიდავს მათ, – მოსწონთ ყოველივე ის, რასაც უნდა უფრთხოდნენ.[156] ხოლო ჩვენმა ბავშვებმა ისედაც ბევრი რამ განიცადეს.

კლარა შემოვიდა სასადილოდ. მზერა მიაპყრო გაშლილ სუფრას და დაინახა, ორად-ორი სულისთვის რომ იყო გაწყობილი ყველაფერი; მაშინვე დაეშვა პირველსავე სკამზე და თქვა, სუფრას არ მივუჯდებიო, ხოლო კრინტი არ დაძრა, თუ რით იყო გამოწვეული ასეთი ახირება. მეგონა, მივხვდი-მეთქი ამის მიზეზს და ვბრძანე, მესამე თეფშიც დაედგათ იმ ადგილას, სადაც, ჩვეულებრივ, მაგიდას უჯდა ჟიული. მაშინ კლარამ შეუსიტყვებლად დამრთო ნება – ხელი მომეკიდა და მაგიდასთან მიმეყვანა. დაჯდომისას გულმოდგინედ აიკრიფა კაბის კალთები, თითქოს შიშობს, ჟიულის ცარიელ სკამს არ წამოვედოო. მაგრამ როგორც კი პირთან მიიტანა წვნით სავსე პირველი კოვზი, მაშინვე მოიცილა და უკმეხად იკითხა, რად დადგით მესამე თეფში, როცა ამ ადგილას არავინაც არა ზისო. ვუპასუხე, სავსებით მართალი ბრძანდებით-მეთქი და ვბრძანე თეფში აეღოთ. შეეცადა ჭამას, მაგრამ თავს ძალა ვეღარ დაატანა. მწუხარებისგან გული ეწურებოდა, საშინელი დარდით გათანგულს ხამუშ-ხამუშ აღმოხდებოდა ხმამაღალი ოხვრა-კვნესა. ანაზდად ზეწამოიჭრა და სიტყვის უთქმელად გავიდა თავის ოთახში. არაფერი დამიჯერა, და მთელი დღე ლუკმა არ ჩაუდევს პირში, მარტოოდენ ჩაისა სვამდა.

მეორე დღეს ყველაფერი თავიდან დაიწყო. მოვიგონე კლარას გონს მოსაყვანი ფანდი. ვიფიქრე, ვისარგებლებ თვით მისი ახირებით, სასოწარკვეთას შევუმსუბუქებ და უფრორე მშვიდ და სათნო გრძნობებს ვაზიარებ-მეთქი. როგორც მოგეხსენებათ, მისი ქალიშვილი ძალიან ჰგავს ჟიულის. კლარას უყვარდა ამ მსგავსების გაზვიადება მათთვის ერთნაირი ქსოვილისაგან მინაგვანად შეკერილი ტანსაცმლით; ჟენევიდან ჩამოიტანა ბევრი ასეთი მორთულობა, და ხშირად ჟიული და ანრიეტა გამოდიოდნენ სასადილოდ ერთნაირ სამოსში მორთულ-მოკაზმულნი. ვბრძანე, ისე მოერთოთ და მოეკაზმათ ბავშვი, რომ რაც შეიძლება უფრო დამსგავსებოდა ჟიულის, ვუთხარი, თუ რაგვარ დაეჭირა თავი და ვუბრძანე როგორც წინადღით – სამი სულისთვის გაწყობილ სუფრასთან დამჯდარიყო. კლარა უმალ მიხვდა ჩემს განზრახვას. ძალზე ესიამოვნა ეს და ნაზი სიყვარულით შემომხედა. პირველად ამ ხნის მანძილზე იგრძნო ჩემი ზრუნვა თავის მიმართ, და მეც მეგონა, ასეთი საშუალებით შესაძლებელია კლარას ვარამის შემსუბუქება-მეთქი.

ანრიეტა ამაყად ჰბაძავდა თავის „დედიკოს“, საუცხოოდ და ისე კარგად თამაშობდა ამ როლს, რომ, როგორც შევნიშნე, ჩვენი მსახურნი ტიროდნენ. ოღონდ კლარას კვლავინდებურად დედილოს უწოდებდა და, მასთან ლაპარაკისას, სათანადო პატივს

[156] აი, ამიტომ გვიყვარს ყველას თეატრი, ხოლო ბევრი ჩვენგანი რომანებს ეტრფის.

მიაგებდა. შემდეგ, წარმატებისა და ჩემი მოწონებისაგან გათამამებულმა, რაიც კარგად შეამჩნია, ანაზდად შემდეგი ოინი იხმარა: ხელში კოვზი აიღო, ლანგარს მიათითა და იკითხა: „კლარა, ეს გადმოგიღო?“ ისე კარგად გადმოსცა ჟიულის მოძრაობა და ხმა, რომ კლარა შეკრთა, მაგრამ უმალვე გაეცინა, თეფში მიაწოდა და უთხრა: „ჰო, ძვირფასო გოგონავ, გადმომიღე, რა მშვენიერი ხარ“. და მაშინ ისეთი სიხარბით შეუდგა ჭამას, რომ ძალზე გამიკვირდა. როცა ყურადღებით დავუწყე თვალთვალი, შევამჩნიე, რომ რაღაც უცნაურად გამოიყურებოდა. მკვეთრი და ფიცხი მიხრა-მოხრა ჰქონდა. თეფში წავართვი და კარგადაც მოვიქეცი, – ერთი საათის შემდეგ საშინელი გულისრევა აუტყდა, და აუცილებლად გაიგუდებოდა, მეტი რომ ეჭამა. მაშინ გადავწყვიტე, ბოლო მომეღო ამ თამაშისთვის, – ამას შეეძლო ესოდენ აღეგზნო კლარას წარმოსახვა, რომ მას თავს ვეღარ გავართმევდი. ვინაიდან მწუხარებისაგან განკურნება უფრო ადვილია, ვიდრე სიგიჟისაგან, მინდოდა დავთანხმებულიყავ, რათა კიდევ უფრო დატანჯულიყო, ვიდრე სიგიჟის კარამდე მისულიყო.

აი, ძვირფასო სენ-პრე, როგორია ჩვენი ვითარება. რაც ბარონი დაბრუნდა, კლარა ყოველ დილით შედის მასთან, – ხან, როცა მასთან ვზივარ, ხანაც, როდესაც გამოვალ; ისინი ორიოდე საათს ატარებენ ერთად და მზრუნველობა მოხუცის მიმართ გვიადვილებს ზრუნვას კლარასადმი. ოღონდ უფრო მეტ ყურადღებას უთმობს ბავშვებს. ავად გახდა ერთ-ერთი ბავშვი, სწორედ მარსელინი, ნაკლებად რომ უყვარს. ასეთ ცუდ ვითარებაში კლარამ იგრძნო, ვაითუ კიდევ ვინმე დავკარგოო, და დაუბრუნდა წინანდელი გულმოდგინეობა მოვალეობის მიმართ. და მაინც მისი დარდი ჯერ კიდევ არ განელებულა, ჯერ ისევ არ გააჩნია ცრემლი, რომ დაღვაროს და ამით გული მოიოხოს. ეს ცრემლი თქვენ გელოდებათ, და მოგიხდებათ მისი შეშრობა. თქვენ უნდა გამიგოთ ყოველივე. გაიხსენეთ ჟიულის რჩევა-დარიგება სიკვდილის წინ. პირველი გაძლევთ მას და ამჟამად, ვიდრე ოდესმე, სასარგებლოდ და გონივრულად მიმაჩნია იგი. ჩამობრძანდით, შეუერთდით მათ, ვინაც ჟიულიმ დატოვა ამ ქვეყანაზე: მამამისი, მისი მეგობრები, ქმარი, ბავშვები – ყველანი თქვენ გელოდებიან, ყველასა სურს, მათთან რომ იყოთ, ყველასათვის საჭირო ხართ.

დაბოლოს, სიტყვა რომ არ გავაგრძელო, ერთსაც გეტყვით: ჩამობრძანდით და გაიზიარეთ ჩემი მწუხარება და განკურნეთ ჩემი წყლული; იქნებ ყველაზე მეტად მე გავხდე თქვენი მადლიერი.

XII წერილი
ჟიულისაგან სენ-პრესადმი
(რომელიც წინა წერილში იდო)

ხელი უნდა ავიღოთ ჩვენს გეგმებზე. ყოველივე შეიცვალა, ჩემო კეთილო მეგობარო. უდრტვინველად მიიღეთ ეს ცვლილება, ეს ჩაიდინა უფრო ბრძნულმა ხელმა, ვიდრე ჩვენია. განვიზრახეთ შეერთება, ოღონდ ეს სიკეთეს როდი მოგვიტანდა! ამ საქმეში ხელის შეშლით ზენამ დიდი წყალობა მოგვმადლა: სწორედ ამით გვიხსნა საშინელ უბედურებათაგან.

დიდხანს ვიტყუებდი თავს, და ეს თვითმოტყუება იყო ჩემი გადამრჩენი; გაიფანტა და გაცამტვერდა იგი მხოლოდ ახლა, როცა სრულიადაც აღარ მესაჭიროება. გეგონათ, განიკურნაო, და მეც ასე ვფიქრობდი. მადლი შევწიროთ მას, ვინაც გაახანგრძლივა ჩვენი ცთომილება, სანამ ჩვენთვის სასარგებლო იყო: ვინ იცის, არ დამეხვეოდა თავბრუ, თუ დავინახავდი, უფსკრულის პირას ვდგავარ-მეთქი. დიახ, რაოდენიც არ ვეცადე ჩამეხშო ჩემი სიცოცხლის აზრი და მიზნად გამხდარი პირველი გრძნობა, იგი ღრმად ჩაიმარხა ჩემს გულში. და აი, გაიღვიძა სწორედ იმ წუთს, როცა უკვე აღარ მაშინებს; იგი ამხნევებს ჩემს სულს იმ დროს, როცა ძალ-ღონე მელევა, მმატებს ხალისსა და სიცოცხლეს, როცა ვკვდები. ჩემო მეგობარო, მე როდი მრცხვენია ჩემი აღსარებისა: რა არ ვიღონე, მაგრამ მაინც ჩამრჩა სულში სიყვარული, უმწიკვლო სიყვარული; მოვალეობის გულისთვის ყველაფერი ჩავიდინე, რაც ჩემს ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული, ოღონდ გული ჩემი მე არ მემორჩილება, და უკეთუ იგი თქვენ გეკუთვნით, მაშინ ეს ჩემი ტანჯვა-წამებაა და არა ჩემი შეცოდება. ყველაფერი გავაკეთე, რაც უნდა გამეკეთებინა, – ჩემი სათნოება არ შებღალულა, და ჩემი სიყვარულიც თავისუფალია სინდისის ქენჯნისაგან.

ვბედავ ვიამაყო ჩემი სიმტკიცით წარსულში, ოღონდ ვინ ითავდებებს მომავლისათვის? იქნებ კიდევ ერთი დღე, და მე დამნაშვე გავმხდარიყავი! რა მოგველოდა, უკეთუ მთელ მომავალ ცხოვრებას ერთდ გავატარებდით? რა ხიფათში ჩავიგდებდი თავს ისე, რომ არც კი მეცოდინებოდა! კიდევ უფრო რა საშინელ საშიშროებას უნდა გადავყროდი!.. მეგონა, თქვენ გამო ვშიშობ-მეთქი, მაგრამ თურმე, ჩემი თავისთვის მეშინოდა. ჩვენ განვიცადეთ ყველა ვაი-ვარამი და შეჭირვება, მაგრამ ხომ შეიძლებოდა მათი განახლება! მრავალი წელი ვიცხოვრე ბედნიერად და ქველკეთილად. ეს საკმაოც არის. ახლა კი რა სასიხარულოა ჩემი ცხოვრება? დაე, ზენამ წარმტაცოს სიცოცხლე, დასანანი არაფერიც არა მაქვს, და თანაც ჩემი პატივი და ღირსება შეუბღალავია. ჩემო მეგობარო, დროზე მივდივარ ამ ქვეყნიდან, თქვენი და ჩემი თავით კმაყოფილი, მივდივარ სიხარულით, და სიცოცხლესთან გამოსალმება სულ არ მეშინის. აბა, რამდენი მსხვერპლია გაღებული, და მათ შემდეგ არაფრად მიღირს ეს ჩემი უკანასკნელი მსხვერპლი: მარტოოდენ უნდა გამოვეთხოვო სიცოცხლეს, მხოლოდ და მხოლოდ მოვკვდე, სხვა არაფერი.

წინასწარ ვხედავ, ვგრძნობ და განვიცდი, რა შესაბრალისი იქნება თქვენი ხვედრი. არ ძალმიძს არ თანავუგრძნობდე თქვენს მწუხარებას, და ამ უსაშველო გრძნობას თან ჩავიტან სამარეში. ოღონდ ნახეთ, რას გიტოვებთ სანუგეშოდ! აბა, რაოდენი საზრუნავი დაგაკისრა მან, ვინც თქვენთვის ძვირფასი იყო. მისი გულისთვის უნდა გაუფრთხილდეთ თქვენს სიცოცხლეს. ჯერ კიდევ ბევრი რამა გაქვთ გასაკეთებელი: გამიწიეთ სამსახური, როგორც იმ არსებას ჰფერობს, ჩემი სულის საუკეთესო ნაწილს რომ განასახიერებს. ჟიულის სიკვდილით კარგავთ მხოლოდ იმას, რაც უკვე დიდი ხანია დაკარგეთ. ხოლო ყოველივე უკეთესი, რაც მას მოეპოვებოდა, თქვენვე გშთენიათ. ჩამოდით, შეუერთდით ჩვენს ოჯახს. და იყოსმცა გული ჩემი თქვენს შორის. დაე, თავი მოიყაროს ყველამ, ვინც უყვარდა ჟიულის, მათში განახლდება მისი ახალი ყოფიერება. თქვენს შრომას, თქვენს სიხარულს, თქვენს მეგობრობას – ყოველივეს გაიზიარებს იგი. თქვენი შემაერთებელი კავშირი სიცოცხლეს დაუბრუნებს, იგი მხოლოდ და მხოლოდ მაშინ მოკვდება, როცა ამ სოფელს დატოვებს უკანასკნელი თქვენგანი.

იფიქრეთ, რომ გიტოვებთ მეორე ჟიულის, ნუ დაივიწყებთ მის წინაშე თქვენს მოვალეობას. თქვენაც და მანაც დაკარგეთ თქვენ-თქვენი ცხოვრების ნახევარი, შეუუღლდით ერთმანეთს, რათა შეინარჩუნოთ თქვენი დარჩენილი დღეები; ეს კავშირი და ზრუნვა ჩემი ოჯახისათვის, ჩემი ბავშვების გამოც თქვენთვის ერთადერთი გზაა, ჩემს შემდეგ ცოცხალი რომ დარჩეთ. აჰ, რატომ არ ძალმიძს უფრო მჭიდრო კავშირის

მოფიქრება, რათა შეაერთოს ყველა, ვინც ძვირფასია ჩემთვის! როგორ ესაჭიროებით ერთმანეთს კლარა და თქვენ! მერედა როგორ გააძლიერებს ეს აზრი თქვენს ურთიერთსიყვარულს! წინათ თქვენ წინააღმდეგი იყავით ასეთი ქორწინებისა, ახლა კი ახალი საფუძველი გეძლევათ ამ ქორწინების დასაგვირგვინებლად. ორივენი ჩემზე ილაპარაკებთ გულში ჩამწვდომი სიტყვებით. და განა ეს სხვაგვარად კი შეიძლება მოხდეს? არა, კლარა და ჟიული თქვენთვის ერთსულ და ერთხორც გახდებიან, და თქვენი გული ვერ შეიძლებს მათს დაშორიშორებას. კლარას გული დაგაჯილდოებთ ყველაფრისათვის, რასაც გრძნობდით მისი დობილის მიმართ, – იგი იქნება თქვენი მესაიდუმლე და სიყვარულის საგანი; იქნებით ბედნიერი იმის წყალობით, ვინაც დაკარგეთ; ჟამი სიყვარულისა და სიცოცხლის სიხარულისა თქვენთვის ჯერ არ წასულა. ესოდენი სინანულისა და ტანჯვა-წამების შემდეგ გულს აღგენთებათ კანონიერი სიყვარულის ალი და ისიამტკბილებთ უმწიკვლო ბედნიერებით.

ეს უბიწო კავშირი უფლებას მოგცემთ სავსებითა და უშიშრად შეუდგეთ ჩემგან ნაანდერძევ საზრუნავს; როცა ამ შრომას მოამთავრებთ, ადვილი იქნება თქვათ, ამქვეყნად კეთილი საქმე გავაკეთეთო. ხომ იცით, რომ არის ერთი კაცი, ვინაც ღირსია სამარდჟამო ნეტარებისა, თუმცა იგი არ მიელტვის მას. ეს კაცი – თქვენი მხსნელია. ქმარი თქვენი მეგობრისა, ვინაც დაგიბრუნათ იგი. მარტოხელამ დაკარგა ცხოვრების მიზანი, მას არ სწამს საიმქვეყნიო სიცოცხლე, აღარ განიცდის არც სიხარულს, არც ნუგეშსა, და მალე გახდება მოკვდავთაგან ყველაზე უბედური ადამიანი. უნდა იზრუნოთ მასზე ისევე, როგორაც თავად ზრუნავდა თქვენთვის. და თქვენ იცით, თუ რით შეგიძლიათ იყოთ მისი შემწე. გაიხსენეთ ჩემი წინა წერილი. მინდა, მასთან გაატაროთ თქვენი სიცოცხლე. დაე, ვისაც ვუყვარდი, ნუ მიატოვებს მას. მან დაგიბრუნათ სათნოებისკენ ლტოლვა, – უჩვენეთ მას, თუ რაი არს მისი დანიშნულება და რა იქნება მისი ჯილდო. იყავით ქრისტიანი, რათა ისიც გახდეს ასეთი. ის უფრო ახლოა ამ საქმესთან, ვიდრე გგონიათ: აღასრულა თავისი ვალი, მეც ჩემსას აღვასრულებ, მაშ, აღასრულეთ ის, რაც თქვენი მოვალეობა გახდა. ღმერთი სამართლიანია, ჩემი რწმენა იმედს როდი გამიცრუებს.

კიდევ მინდა გითხრათ ბავშვების გამო. ვიცი, რაოდენ საზრუნავს გაგიჩენთ მათი აღზრდა. მაგრამ აგრეთვე კარგად ვუწყი, რომ ეს საზრუნავი სამძიმო არ იქნება თქვენთვის. გაღიზიანებისა და დაღლილობის ჟამს, რაც განუყრელია ასეთი საგარჯილოსაგან, უთხარით თავის თავს: „ესენი ხომ ჟიულის შვილები არიან“, და თქვენაც გულზე მოგეფონებათ. ვოლმარი გადმოგცემთ ჩემს შენიშვნებს აღზრდის თაობაზე თქვენი ბარათისა და ჩემი შვილების ხასიათის გამო. ყველაფერი შავად მაქვს შესრულებული, ეს მხოლოდ მონახაზებია – ჩემს დაკვირვებებს კანონად კი არ ვთვლი და თქვენი განათლებული გონების იმედი მაქვს. ნუ გამოიყვანთ მათგან სწავლულებს, დაე, იყვნენ კეთილი, სამართლიანი ადამიანები. ხანდახან მოუთხრეთ დედის ამბავი... ხომ, იცით, როგორ უყვარდა მას ისინი... უთხარით მარსელინს, არ მენანებოდა მისთვის სიკვდილი. მის ძმას უთხარით, რომ მის გამო შემიყვარდა სიცოცხლე... აი, დავიღალე კიდეც. დროა დავამთავრო წერილი. გიანდერძებთ ჩემს ბავშვებს – ასე უფრო გამიიოლდება სიკვდლი: თითქოსდა მათთან ვრჩები.

მშვიდობით, მშვიდობით, ჩემო საყვარელო მეგობარო... ვაი, მე საწყალს! ვამთავრებ სიცოცხლეს ისე, როგორც დავიწყე. იქნებ, ძალზე გულახდილად ვლაპარაკობ, მაგრამ ასეთ წუთებში გული ვეღარაფერს დაფარავს. თანაც რად უნდა მეშინოდეს იმის თქმა, რასაც ვგრძნობ, ეს ხომ მე არ გელაპარაკები – უკვე სიკვდილის ბრჭყალებში ვარ მოქცეული. როდესაც ამ სტრიქონებს იხილავ, უკვე მატლებისაგან იქნება დაღრღნილი შენი სატრფოს პირისახე და გული მისი, სადაც შენ აღარ იქნები. მაგრამ განა უშენოდ ძალუძს არსებობა ჩემს სულს? აბა, რა სიარული უნდა მექნეს უშენოდ საუკუნო ნეტარების ჟამს? არა, კი არ

გტოვებ, არამედ მოგელოდები, ამქვეყნად ჩვენი დამშორიშორებელი სათნოება საუკუნო ცხოვრებისათვის გვაერთებს. და ამ სასიამტკბილო მოლოდინით აღვესრულები კიდეც. ო, რა ბედნიერებაა, სიცოცხლის ფასად რომ ვიძენ უფლებას მიყვარდეს სამარადჟამო სიყვარულით, სადაც აღარავითარი შეცოდება აღარ არის, და იმ უფლებასაც, უკანასკნელად რომ გითხრა: მიყვარხარ, ჩემო თვალისჩინო-მეთქი.

XIII წერილი
ქალბატონ დ'ორბისაგან

თქვენზე ასე ამბობენ, მომჯობინდაო, და უნდა ვიმედოვნოთ, რომ მალე გიხილავთ კლარანში. ჩემო მეგობარო, ეცადეთ დაძლიოთ სისუსტე, დაეშურეთ მთების გადმოვლას, ვიდრე ზამთარს მთლად არ ჩაუკეტავს უღელტეხილები. ჩვენი მხარის ჰაერი დიდად გარგებთ. სახლში კი დაინახავთ მარტოოდენ მწუხარებასა და შეჭირვებას და, იქნებ, საყოველთაო წუხილის დროს თქვენს გულს მოეფონოს. ძალიან აუცილებელი ხართ ჩემთვის, – ჩემი ვაი-ვარამი უნდა გადმოგიშალოთ; მე ხომ მარტოკა ვარ, ვერავისთან ვერ ვიტირებ, ვერც ჟიულიზე ვეტყვი ვერაფერს, არავის ესმის ჩემი გულის დარდი. ვოლმარი მისმენს და არაფერსაც არ მეუბნება. საწყალი მამამისი გულჩათხრობილი გახდა, ჰგონებს, ჩემი მწუხარება ყველაზე საშინელიაო. სხვის დარდს ის ვერა ხედავს და ვერც გრძნობს, – გულის ნადების გამჟღავნება უჭირთ ბერიკაცებს. ჩემი ბავშვები გრძნობებს მიშლიან, მაგრამ გულჩვილობას როდი იჩენენ. აქ სულ მარტოკა ვარ; ირგვლივ საშინელი დუმილი სუფევს. გულს რაღაცნაირი ყრუ დარდი მიმძიმებს, არავის ველაპარაკები; ძალ-ღონე მხოლოდ იმადა მყოფნის, რომ ვიცოდე, თუ რა საშინელებაა სიკვდილი. მალე ჩამოდით, ჩამოდით და გაიზიარეთ ჩემი დარდი და ვარამი. ჩვენ ხომ ორივემ უძვირფასესი არსება დავკარგეთ. ჩამოდით, რათა კვლავ აღაგზნოთ ჩემი მწუხარება თქვენი მოთქმა-ტირილით, გამიარჯლოთ გულის წყლული ცრემლთა თქვენთა ფრქვევით, – ესაა ერთადერთი ნუგეში, რასაც უნდა ველოდე და ერთადერთი სიხარული, რაც მშთენია.

ოღონდ ჩვენს შეხვედრამდე, მანამ, ვიდრე გავიგებდე თქვენს აზრს იმ გეგმის თაობაზე, რის გამოც, როგორც ვიცი, თქვენ გელაპარაკნენ, მინდა წინასწარ იცოდეთ ჩემი გადაწყვეტილება. მე ალალ-მართალი და გულახდილი ადამიანი გახლავართ, თქვენ არაფერსაც არ დაგიმალავთ. გამოგიტყდებით, მე მიყვარდით; იქნებ, ახლაც მიყვარხართ, და იქნებ, ყოველთვის მიყვარდით კიდეც, – ეს არ ვიცი და არც მინდა ვიცოდე. ზოგ-ზოგი ვინმე ჩემს გრძნობებს ხვდება, – ეს არა მწყინს, ჩემთვის სულ ერთია. მაგრამ აი, რა მინდა გითხრათ და გთხოვოთ აუცილებლად დაიმახსოვროთ: უკეთუ ის ადამიანი, ვისაც ჟიული დ'ეტანჟი უყვარდა, გადაწყვეტს ცოლად შეირთოს სხვა ქალი, – იგი ჩემს თვალში სულმდაბალ და გათახსირებულ არსებად იქცევა, და უნამუსოდ ჩავთვლიდი ჩემს თავს, მისი მეგობარი რომ გავმხდარიყავ; მხოლოდ თავად მე, სინდისს გეფიცებით, თუ რომელიმე მამაკაცი კვლავ გამიბედავს სიყვარულის გამო ბაასს, – მეორედ მთელ სიცოცხლეში კრინტსაც ვეღარ დაძრავს ამ საგანზე.

იფიქრეთ საზრუნავის გამო, თქვენზე დაკისრებული მოვალეობანი რომ გთხოვონ, და იმ ადამიანზეც, ვისაც მისი აღსრულება აღუთქვით. მისი შვილები იზრდებიან და ვითარდებიან, მამამისი თანისთან უძლურდება, მის ქმარს არ ეძლევა მღელვარება და წუხილი. ამაოდ ცდილობს დაირწმუნოს თავი, ჟიული ცოცხალი აღარ არისო. გული მისი მხედრდება და დრტვინავს გონების ფუჭ საბუთთა წინააღმდეგ. ვოლმარი ლაპარაკობს მის

გამო, ემუსაიფება მას, ოხრავს და გოდებს. ასე მგონია, ხორცს ისხამს ის, რასაც მრავალჯერ ევედრებოდა ღმერთს ჟიული, თქვენ მოგიხდებათ ამ დიადი მოქცევის დამთავრება.

ხედავთ, რამდენი ვალდებულება მოგიწოდებთ აქ თქვენ და თქვენს მეგობარს. სავსებით შეეფერება დიდსულოვან ედუარდს ის ამბავი, რომ ჩვენმა უბედურებამ არ აიძულა შეეცვალა წინანდელი გადაწყვეტილება.

ამრიგად, ჩამობრძანდით, ჩვენო ძვირფასო და პატივცემულო მეგობრებო, შეუერთდით მათ, ვინაც დაობლდნენ ჟიულის სიკვდილის შემდეგ, თავი მოვუყაროთ აქ ყველას, ვინც მისთვის ძვირფასი იყო. აღვიჭურვოთ სულითა მისით, დაე, ჟიულის გულმა შეაერთოს ჩვენი გულები, დაე, მარად და ყოველთვის გვიმზერდეს იგი ერთად თავშეყრილთ ჩვენ-ჩვენს სიცოცხლეში.

მინდა მჯეროდეს, რომ სამუდამო განსასვენებელი სავანიდან, სადაც ჰგიებს იგი, მის წინანდებურად მოყვარულ და მგრძნობიარე გულს სასიამოდ დაურჩება ჩვენთან დაბრუნება. ყოფნა მეგობართა შორის, რომელთაც დაუმარხავთ მისი ხსოვნა, ხილვა იმისა, თუ როგორ ბაძავენ მის ქველკეთილ საქმეთ, მოსმენა, თუ როგორ ასხამენ ხოტბა-დიდებას, გრძნობა იმისა, თუ როგორ ამბორს უყოფენ მის აკლდამას და მოთქმა-გოდებით წარმოთქვამენ მის სახელს. არა, მან როდი დატოვა ეს ადგილები, მისი მეოხებით ჩვენთვის ესოდენ საყვარლნი რომ გახდნენ, – აქ ყველაფერი ჟიულითაა აღვსილი. ყოველი საგანი მას გვაგონებს, ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობ მას, ყოველ წუთს ჩამესმის ყურში მისი ხმა. აქ ცხოვრობდა იგი, აქ განისვენებს მისი ნეშტი... ჯერჯერობით მხოლოდ ნახევარი მისი ნეშტისა. კვირაში ორჯერ, როცა ტაძარში მივდივარ, ვხედავ, მის განსასვენებელ ადგილს... მშვენიერებავ, აი, სად ყოფილა შენი უკანასკნელი სამკვიდრებელი!.. სარწმუნოებას, მეგობრობას, სათნოებას, სიხარულს, უდარდელ მხიარულებას – ყოველივეს მიწამ უყო პირი... რაღაც იდუმალი ძალა მეზიდება იქითკენ. ვუახლოვდები... ვძრწი და ვკანკალებ... ო, როგორ მეშინია ამ კურთხელ მიწაზე ფეხის დადგმისა... ასე მგონია, ტორტმანებს-მეთქი. თრთის და ძაგძაგებს ჩემს ფერხთა ქვეშე... მესმის, თუ როგორ მეძახის წყნარად შესაბრალისი ხმა: „კლარა! ჩემო ძვირფასო! სადა ხარ? რას აკეთებ შენი დობილისაგან მოშორებული?..“ აკლდამაში კიდევ არის ადგილი... იგი ელოდება თავის ახალ ნადავლს.[157]

[157] როცა აქ შეკრებილი წერილები კვლავ გადავიკითხე, ვგონებ, გავიგე, თუმცა ეს ამბავი ნაკლებ თავშემაქცევარია, თუ რატომ მანიჭებდნენ ისინი სიამოვნებას და, ვფიქრობ, სანიაზო იქნებიან თითოეული კეთილმოსურნე მკითხველისათვის; მათი მცირედი თავშემაქცევრობა ხომ წმინდაა და სპეტაკი. მას არ ურევია არავითარი საძნელო რამ, იგი არაა გამოწვეული რაიმე შავბნელი ბოროტმოქმედებითა და სიძულვილის ტანჯვა-წამებით. არ ძალმიძს გავიგო, თუ რა სიამოვნებასა ჰგვრის ვისმეს წარმოიდგინოს და დახატოს მოქმედი პირის სახით რომელიმე ავაზაკი, მის ადგილას დააყენოს თავისი თავი, და ყოველნაირად შეეცადოს მიანიჭოს მას განსაკუთრებული მნიშვნელობა და ელვარება. სულითა და გულით მებრალებიან ის მჯღაბნელები, რომელთაც დაწერეს ყოველგვარი საშინელებებით აღსავსე უამრავი ტრაგედია, და მთელ ცხოვრებას უძღვნიან იმ ამბავს, რათა თავიანთ ქმნილებებში გამოიყვანონ ისეთი პერსონაჟები, რომელთა ხილვა და მოსმენა ნამდვილი ტანჯვა-წამებაა. წარმომიდგენია, როგორ უნდა უჩიოდეს თავის ბედს ესოდენ სასტიკი შრომისათვის განწირული ადამიანი. ალბათ, იმ მწერლებს, რომელნიც ამით სიამოვნებას პოულობენ, ამოძრავებთ საზოგადოებისათვის მზრუნველობის მწველი სურვილი. რაც შემეხება მე, ძალზე მაოცებს მათი საუცხოო ნიჭიერება, მაგრამ მადლობა ღმერთს, ასეთი ნიჭიერება რომ არ მომმადლა.

მილორდ ედუარდ ბომსტონის სამიჯნურო ამბავი

მილორდ ედუარდის უცნაური ფათერაკები რომში ესოდენ საარაკონი არიან, რომ შეუძლებელი იქნებოდა დაგვერთო ისინი ჟიულის სატრფიალო საქმეთა მოთხრობისათვის. ამიტომაც დავკმაყოფილდები აღნიშნულ თავგადასავალთა მხოლოდ და მხოლოდ მოკლედ და სხარტად გადმოცემით, რათა გასაგები გახდეს ორი-სამი ბარათი, სადაც მათ ეხება ლაპარაკი.

იტალიაში მოგზაურობისას მილორდ ედუარდმა რომში გაიცნო ვიღაც წარჩინებული ნეაპოლელი ქალი და მაშინვე შეუყვარდა იგი. ქალსაც თავის მხრივ მოედო მისი სიყვარულის ალი, რაიც სიკვდილამდე არ გაუნელდა და ბოლო მოუღო მას. მილორდ ედუარდი მკაცრი კაცი იყო, არასოდეს უძებნია სატრფიალო თავგადასავლები, ოღონდ ბუნებით თანაზიარსა და კეთილშობილს, ყოველგნით უკიდურესობამდე დასვლა უხდებოდა და არ შეეძლო ჩვეულებრივი სიყვარულის არც შთაგონება და არც განცდა.

ამ ქველკეთილი ინგლისელის სტოიკური შეხედულებები ძალზე აწუხებდა მარკიზას. გადაწყვიტა, ქმრის არყოფნის დროს ქვრივად გაესაღებინა თავი. ეს საქმე იოლად მოგვარდა, ვინაიდან თვითონ და მისი ქმარიც რომში უცხოქვეყნელები იყვნენ, ხოლო მარკიზი იმპერატორის ჯარებში მსახურობდა. გამიჯნურებულმა ედუარდმა მალე ქორწინებაზე ჩამოაგდო სიტყვა. მარკიზამ მიზეზად მოიდო რჯულის სხვადასხვაობა, იშველიებდა სხვა საბაბსაც. ბოლოს და ბოლოს, მათ შორის გაჩაღდა თავისუფალი სატრფიალო კავშირი და ეს ამბავი გრძელდებოდა მანამდე, ვიდრე ედუარდმა არ გაიგო, მარკიზას ქმარი ცოცხალიაო და მაშინ სასტიკი საყვედურებით აავსო ქალი და არჩია კავშირი გაეწყვიტა მასთან, ვინაიდან აუტანელი იყო ფიქრი იმის გამო, ჩემდა უნებლიეთ საშინელი დანაშაულის მონაწილე გავხდიო.

ზნედაცემული, მაგრამ მოხერხებული და ნამეტნავად მომხიბვლელი მარკიზა ყოველნაირად ცდილობდა, კაბის კალთაზე გამოება ედუარდი და თავისიც გაიტანა.

მრუშობას ბოლო მოეღო, მაგრამ შეხვედრები კვლავ გრძელდებოდა. მარკიზა აღარ იყო სიყვარულის ღირსი, ოღონდ თავად მას უყვარდა მილორდი. დათანხდა უნაყოფო ტყუილუბრალო პაემნებს, – ის ხომ აღმერთებდა მილორდს და უამისოდ ვეღარ შეინარჩუნებდა მას. ნებაყოფლობით აღმართული დაბრკოლებანი ორივეს უღვივებდა სიყვარულს და აკრძალვის გამო უფრორე შემოეგზნოთ მისი ალი. მარკიზა მაცდუნებლად მომხიბვლელი და ლამაზი გახლდათ, არაფერსაც არ დაგიდევდათ, ოღონდაც მიჯნურს ხელი აეღო თავის გადაწყვეტილებაზე. ამაო იყო ყოველივე, – ინგლისელი კლდესავით მტკიცედ იდგა, მისი მაღალი სული უძლებდა განსაცდელს. მისი უდიდესი გატაცება სათნოება იყო: სატრფოს გულისთვის თავს დადებდა, მაგრამ მოვალეობას კი თავად სატრფოს ანაცვალებდა. ხოლო როცა ცდუნებამ მეტისმეტად იმძლავრა, მოიწადინა გამოენახა ისეთი გზა, რომელიც დააოკებდა მარკიზას და გააქარწყლებდა ყველა მის ფანდსა და ხრიკს. ჩვენ ვეღარ ვლაგმავთ ავხორცულ გრძნობათ ჩვენივ სისუსტით კი არა, არამედ სულმოკლეობის გამო. ვისთვისაც სიკვდილზე უფრო საშინელია დანაშაული, მას ვერასოდეს გახდი ბოროტმოქმედად.

ბევრი როდია ქვეყნისქვეყნად ძლიერი სულის მქონე ადამიანი, რომელთ ძალუძდეთ წარუძღვნენ სხვებს თავიანთ დიად მიზანთა სფეროსკენ. მაინც გვხვდებიან ასეთები. ედუარდი მათ რიცხვს ეკუთვნოდა. მარკიზა იმედოვნებდა, ჩემი ნება-სურვილის მონად გავხდიო, მაგრამ მისდა შეუმჩნევლად თავად დაემონა. როდესაც სათნოების გაკვეთილთა გადმოცემისას განისმოდა სიყვარულის ხმა, გრძნობამორეული მარკიზა

ცრემლებსა ღვრიდა. ამ სულმდაბალ არსებას ედუარდმა შთაბერა ღვთაებრივი ცეცხლის ნაპერწკალი, რამაც თავადვე აღაფრთოვანა და აღიტაცა იგი. ქალს ატყვევებდა მისთვის შეუცნობელი და იდუმალი სამართლიანობისა და ღირსების ჯადო-თილისმა, ახლა უფრო და უფრო იზიდავდა და მოსწონდა ყოველივე ჭეშმარიტად მშვენიერი: უკეთუ ბიწიერ ბუნებას ძალედვა გარდაქმნა, მაშინ მარკიზას გულიც შეიცვლებოდა.

მაგრამ ამ მსუბუქ მღელვარებათაგან მარტოოდენ მისი სიყვარული შეიცვალა, – უფრო მეტი სინატიფე შეიძინა და მარკიზას გრძნობანი დიდსულოვნების იერით შეიმოსა. მგზნებარე ზნე-ხასიათის ქალს, იმ ჰაერით რომ სუნთქავდა, სადაც ასე დიდია ვნებათა უფლობა, გადაავიწყდა საკუთარი სიტკბო-სიამენი და მხოლოდ და მხოლოდ თავისი მიჯნურის შვება-ლხენა ახსოვდა. როცა თავად დაკარგა ედუარდთან სიამტკბილობის იმედი, ისურვა, დაე ამ მხრივ იგი ჩემი მადლიერი იყოსო. მაინც ასეთნაირად განმარტა თავისი საქციელი, თუმცაღა საკუთარი ხასიათისა და მისთვის კარგად ცნობილი ედუარდის ბუნების მიხედვით ეს ნაბიჯი შესაძლოა, საგულდაგულოდ გაფაქიზებული ცდუნებაც ყოფილიყო.

მარკიზამ ბრძანა, არ დაიშუროთ ფული და გარჯა და მთელ რომში მოძებნეთ ნორჩი ლამაზი ასული, კალთამადლიანი და კეთილსაიმედო რომ იყოსო. თუმცა გაჭირვებით, მაგრამ ასეთი არსება იპოვეს. ერთ საღამოს ალერსიანი საუბრის შემდეგ მარკიზამ წარუდგინა ქალი ედუარდს. «იმსახურეთ იგი, – ღიმილით უთხრა მარკიზამ, – დაე ისარგებლოს ჩემი სიყვარულის უფლებებით, ოღონდ ისა მსურს, ერთადერთი რომ იყოს. მე ისიც მეყოფა, მის სიახლოვეს მყოფი ხანდახან რომ მოიგონებთ იმას, ვის ხელთაგანაც მიიღეთ ეს ქალი». ეს წარმოთქვა და ოთახიდან გასვლა დააპირა. «შესდექით! – შესძახა ედუარდმა, – უკეთუ არამზადა გგონივართ, ვისაც ძალუძს მიიღოს მსგავსი წინადადება და მასთან თქვენს საკუთარ სახლში. მსხვერპლი არაა დიდი. ასეთი სალახანა შეცოდების ღირსი როდია». «მაგრამ რაკი თქვენ ფიქრობთ, რომ უფლება არა გაქვთ მე მეკუთვნოდეთ, – მიუგო მარკიზამ, – მსურს, რომ არავის ეკუთვნოდეთ. უკეთუ სიყვარულმა უნდა დაკარგოს თავისი უფლებები, მიანებეთ როგორადაც სურს, ისე მაინც მოიხმაროს ეს უფლებები. რად გემძიმებათ ჩემი მზრუნველობა თქვენს მიმართ? ხომ არა შიშობთ, ვაითუ უმადური გავხდეო?» მაშინ დაარწმუნა ედუარდი – ჩაეწერა, თუ სად ცხოვრობდა ლაურა (ასე ერქვა იმ ტურფა ქალიშვილს), დააფიცა და აღთქმა დაადებინა, სხვა სამიჯნურო კავშირთაგან თავს შევიკავებო. ამ ამბავს ედუარდის გული უნდა მოელბო და კიდეც აეშალა გრძნობები. სიყვარულის გრძნობაზე უფრო მადლიერების გრძნობის დაოკება ეძნელებოდა; ჯერ არასოდეს დაუგია მარკიზას მისთვის ესოდენ სახიფათო ხაფანგი.

თავისი მიჯნურის მსგავსად მარკიზაც ყველაფერში უკიდურესობას ეძლეოდა. მოიწვია ლაურა მათთან სავახშმოდ და მიუალერსა, თითქოსდა განსაკუთრებული ზეიმურობით სურდა გაღება უდიდესი მსხვერპლისა, რისი უნარიც კი შესწევს სიყვარულს. ედუარდი გაოცებული და აღტაცებული გახლდათ. მის მზერასა და მიხრა-მოხრაში გამოკრთოდა მგრძნობიარე გულის მღელვარება, ყოველი მისი სიტყვა გამოხატავდა მეტისმეტად მგზნებარე ვნებას. ლაურა მშვენიერი იყო, ოღონდ ედუარდმა შეხედვის ღირსიც კი არ გახადა. ქალმა კაცის გულცივობა არად ჩააგდო და გულდასმით შესცქეროდა ედუარდს, ვინაიდან მის თვალთა წინაშე წარმომდგარი ჭეშმარიტი სიყვარულის სურათი რაღაც ახალი, სავსებით განუცდელი რამ იყო მისთვის.

ნავახშმევს მარკიზამ დაითხოვა ლაურა და მარტოდმარტო დარჩა მიჯნურთან. იმედოვნებდა, ახლა ჩემთან პირისპირ პაემანი კაცისთვის სახიფათო იქნებაო, და არც შემცდარა. ოღონდ მისი იმედი, ედუარდი ცდუნებას ვერ გაუძლებსო, არ გამართლდა. ქალის მთელმა სიყოჩაღემ სათნოების გამარჯვება მხოლოდ უფრო ბრწყინვალე და

ორივესათვის უფრორე საძნელო გახადა. სწორედ ამ საღამოს ეხება «ჟიულის» მეოთხე ნაწილში აღტაცება, რაიც განიცადა სენ-პრემ თავისი მეგობრის მძლავრი ნებისყოფის გამო.

ედუარდი ძალზე სათნო ადამიანი იყო, ოღონდ მამაკაცი გახლდათ. იგი გამოირჩეოდა ღირსების მქონე ადამიანის პირდაპირობით და სძაგდა ყალბი წესიერება, რითაც მას ცვლიან მაღალ წრეებში, სადაც ძალზე ძვირად უღირთ იგი. ედუარდმა კვლავ რამდენიმე საღამო გაატარა მარკიზას ახლოს, სულ იმავ აღტაცებით გათანგულმა და იგრძნო, ხიფათი თანდათან იზრდებაო, ეს-ეს არის დავმარცხდებიო და ამჯობინა დელიკატობის წესთა დარღვევა, ვიდრე სათნოების წინააღმდეგ შეცოდების ჩადენა. მან მოინახულა ლაურა.

დაინახა თუ არა ედუარდი, ქალი თრთოლამ და კანკალმა აიტანა. კაცმა შენიშნა, რა მწუხარე და სევდიანიაო და მოიწადინა მისი გამხიარულება. ეგონა, ჩემი ცდა წარმატებით დაგვირგვინდება და არავითარი ძალდატანება არ დამჭირდებაო. მაგრამ ეს არც ისე იოლი აღმოჩნდა. მის ალერსს ფრიად გულცივად შეხვდნენ, ყველა მისი წინადადება უარყვეს, და ეს არ იყო მოსაჩვენარი უარი, რომლის ქვეშაც თანხმობა იფარება!

ესოდენ გასაოცარმა ფანდმა როდი შეაშინა ედუარდი. ნუთუ მან პირტიტველა ბიჭივით მოწიწებით უნდა მიმართოს ასეთი ჯურის გოგოს? და გადაწყვიტა მოურიდებლად ესარგებლა თავისი უფლებებით. ცრემლების, ვაი-ვიშისა და წინააღმდეგობის მიუხედავად ლაურა მის ხელთ აღმოჩნდა, ოღონდ – როგორც კი დამარცხებულად იგრძნო თავი, გამწარებულმა ძალ-ღონე მოიკრიბა, ხელიდან გაუსხლტა ედუარდს, ოთახის სხვა კუთხეში გავარდა და მთრთოლვარე ხმით შესძახა:

– მომკალით, თუ გნებავთ, მაგრამ ცოცხალი თავით არ დაგნებდებით. არასოდეს!

მისი მოძრაობაც, გამოხედვაც და კილოც არავითარ ეჭვს არ იწვევდა, რომ ასეც მოიქცეოდა. ედუარდი მეტისმეტად იყო განცვიფრებული. ამ ამბავმა გამოაფხიზლა იგი, ლაურას ხელი მოჰკიდა, გვერდში მოისვა და მდუმარედ შეჰყურებდა მას, დინჯად ელოდა ამ კომედიის დასასრულს. ლაურას კრინტი აღარ დაუძრავს, იჯდა თავჩაქინდრული, ხამუშ-ხამუშ სუნთქავდა, გული საშინლად უცემდა და ყოველმხრივ ჩანდა, უჩვეულო მღელვარება რომ დაუფლებოდა. ბოლოს ედუარდმა დაარღვია დუმილი და ჰკითხა, ეს უცნაური სცენა რას ნიშნავსო.

– განა თქვენ ლაურეტა პიზელი არა ხართ? – დაუმატა მან, – იქნებ შევცდი?

– ვაგლახ, რომ არა! – წამოიძახა ქალმა მთრთოლვარე ხმით.

– ოჰო! – დამცინავი ღიმილით წარმოთქვა კაცმა, – იქნებ თქვენი ხელობა გამოიცვალეთ კიდეც?

– არა, – მიუგო ლაურამ, – მე იგივე ვარ. ჩემი მდგომარეობისაგან თავის დაღწევა შეუძლებელია.

ეს სიტყვები და გამომეტყველება, როგორითაც წარმოთქვა ისინი ლაურამ, იმდენად უჩვეულო იყო, რომ ედუარდმა გაიფიქრა, ჭკუიდან ხომ არ შეიშალაო. მაგრამ განაგრძო:

– მაშინ, მშვენიერო ლაურა, რადა მთვლით გამონაკლისად? მითხარით, რით დავიმსახურე თქვენი სიძულვილი?

– სიძულვილი? – მკვირცხლი მღელვარებით წამოიძახა ქალმა, – სრულიადაც არა მყვარებია ისინი, ვისაც ვღებულობდი. შემიძლია ავიტანო ყველა, ვინც უნდა იყოს იგი, ოღონდ თქვენ კი არა!

– მაინც რატომ და რისთვის? ლაურა, მითხარით უფრო გარკვევით, კარგად არ მესმის თქვენი ნათქვამი.

– აჰ, განა მე კი მესმის? მხოლოდ ის ვიცი, რომ ვერასოდეს ხელს ვერ დამაკარებთ. არა, – გაცხარებით გაიმეორა მან, – ვერასოდეს ვერ შემეხებით! თქვენთან ჩახუტებულს

გამტანჯავდა იმის ფიქრი, როსკიპ გოგოდ მთვლის-მეთქი და ბრაზმორეული სულს გავაცხებდი.

ამას რომ ამბობდა, თანდათან გამხნევდა. ედუარდმა მის თვალებში უნუგეშო მწუხარება და სასოების წარკვეთა ამოიკითხა და ამან გული მოულბო. მისი მიმართვა უფრო ნაკლებ მძულვარე გახდა, კილო უფრორე თავაზიანი, გულთბილი. ქალმა პირი მიიბრუნა მისგან, თვალი მოარიდა კაცის მზერას. ედუარდმა ალერსიანად აიღო მისი ხელი. ეს შეხება რომ იგრძნო, ლაურამ ტუჩებთან მიიტანა კაცის ხელი, დაეკონა მას და ცრემლები წასკდა.

ეს საკმაოდ მკაფიო ენა მაინც როდი იყო ზუსტი და უტყუარი. ედუარდს ძალზე გაუჭირდა გრძნობაში გამოეტეხა ქალი. სიყვარულთან ერთად პირი მოიბრუნა უმანკოებამაც და ლაურას ჯერ არასოდეს, მაშინაც კი, როცა ვინმეს ალერსით თავს ევლებოდა, არ განუცდია ასეთი სირცხვილი, როგორშიც ჩავარდა ახლა, სიყვარულის აღიარებისას.

ეს სიყვარული ის იყო შთაისახა და კვლავ იფეთქა უდიდესი ძლიერებით. ლაურა ცოცხალი და მგრძნობიარე ბუნების ქალი იყო, მასთან საკმაოდ ლამაზი – ვნების აღმძვრელად და საკმაოდ ნაზი – მის გასაზიარებლად. მაგრამ ჯერ ისევ სავსებით ნორჩი გოგონა გახლდათ, როცა გაჰყიდეს უღირსმა მშობლებმა და გარყვნილებით შებღალულმა მისმა სიტურფემ დაკარგა მომხიბვლელობა. სამარცხვინო შექცევათა შიგან სიყვარული ილტვოდა მისგან: განა სიძვისმოქმედთ შეეძლოთ სიყვარულის შეგრძნება ან მისი აღძვრა? აალებად ნივთიერებათ თავისთავად ცეცხლი არ წაეკიდებათ, მაგრამ საკმაოა ერთი ნაპერწკალი და ალიც იფეთქებს. ლაურას გულს ცეცხლი შემოეგზნო ედუარდისა და მარკიზას ტრფობის დანახვისას, მისთვის წინათ უცნობმა სიყვარულის ენამ გასაოცარი ძრწოლა და კანკალი მოჰგვარა. დაკვირვებითა და გულდასმით უგდებდა ყურს, უცქერდა ხარბი მზერით, და მას არაფერი გამოეპარებოდა. ბედნიერი მიჯნურის ელვარე და ანთებულმა მზერამ მთელი სიგრძე-სიგანით შემსჭვალა მისი გული, უფრორე ფიცხად და მხურვალედ აუჩქეფდა სისხლი ძარღვებში: ედუარდის ხმის ჟღერადობა ძალზე აღელვებდა მას, მთელი მისი მიხრა-მოხრა თითქოსდა უნაზეს გრძნობას გამოხატავდა. კაცის იერის გამაცოცხლებელმა ვნებათაღელვამ გაიტაცა ქალი. მის წინაშე პირველად წარმოდგა სიყვარულის ხატება და შეუყვარდა ის, ვინაც ესოდენ ღრმა გრძნობით იყო გამსჭვალული. კაცს რომ მარკიზას მიმართ არავითარი გრძნობა არ ჰქონოდა, ეგებ ლაურაც გულგრილი დარჩენილიყო მისდამი.

გრძნობათა ფორიაქი როდი ყუჩდებოდა. ახლადშობილი სიყვარულის მღელვარებანი მარადჟამს ტკბილია და სასიამო ჩვენთვის. ლაურას პირველი მისწრაფება გახლდათ მინდობოდა მისთვის ესოდენ ახალ მომხიბვლელ ძალას, მეორე კი ის იყო, რომ შეეცნო საკუთარი თავი. მაშინ მიხვდა თავის მდგომარეობას და თავზარი დაეცა. ყველაფერი, რაიც ასაზრდოებს შეყვარებულთა იმედსა და ნება-სურვილს, ბობოქრობდა სასოწარკვეთით გათანგულ გულში. მიჯნურს რომ დანებებოდა, ეს შეუძლებლად მიაჩნდა, რადგან მისი აზრით, ეს იყო დადასტურება იმ სიძვის დიაცის საზიზღარი და საძაგელი ხელობისა, რომლის ალერსითაც თავს იქცევენ და ერთობიან, მაგრამ სძაგთ და აბუჩად იგდებენ მას; ბედნიერი სიყვარულის ნეტარებანი შებღალული იქნებოდა გარყვნილებით. ამრიგად, ლაურა გახდა თავისი გატაცებისთვის წამებული და ტანჯული. რაოდენ იოლი იყო წადილის ასრულება, მით უფრო საშინელი სახით წარმოუდგებოდა თავისი ბედი თვალთა წინაშე. უნამუსო, უსასოო, უქომაგო ქალმა შეიგრძნო სიყვარული მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რათა აშლოდა დარდები ტრფობისაგან აღძრულ აღტაცებათა გამო. ასე დაიწყო მისი ხანგრძლივი ტანჯვა-წამება და წუთიერ ბედნიერებასაც ბოლო მოეღო.

შთასახული გატაცება ამცირებდა ლაურას საკუთარ თვალში, მაგრამ აღამაღლებდა ედუარდის აზრით. როცა დაინახა, სიყვარული შეძლებიაო, უკვე აღარ სძაგდა ქალი. ოღონდ მისგან რა ნუგეშის იმედი უნდა ჰქონოდა ლაურას? აბა რა გრძნობას აღუძრავდა ქალი, თუ არ ზერელე სიბრალულსა და შეცოდებას, რომელსაც მიაგებს სხვა ტრფობით გამსჭვალული კეთილშობილი გული ბედასლ არსებას, ვინაც შეინარჩუნა ერთი ბეწო ნამუსი, რაიც საკმარისია იმისათვის, რათა იტანჯოს საკუთარი შერცხვენის გამო?

ედუარდი, რაც შეეძლო, ანუგეშებდა ლაურას და დაჰპირდა, კვლავ გინახულებო. კრინტი არ დაუძრავს ქალის ხელობაზე, არც კი დაურიგებია, ამ საქმეს თავი გაანებეო. აბა რად უნდა გაეღრმავებინა ლაურას ზიზღი თავის თავისადმი, უკეთუ ამის გამო უამისოდაც პირთამდე იყო აღსავსე უსაშველო სასოწარკვეთით? არ ღირდა შეხებოდა ამ საგანს: ყოველი წინდაუხედავი სიტყვა თითქოსდა ანმტკიცებდა მათ შორის სიახლოვეს, ხოლო ეს სიახლოვე შეუძლებელი იყო. სამარცხვინო ხელობის უდიდესი უბედურება ისაა, რომ როცა მას განერიდები, ვერაფერსაც ვერ მოიგებ.

მეორედ ნახვის შემდეგ ედუარდმა არ დაივიწყა ჩვეულებრივი ინგლისური ხელგაშლილობა და გაუგზავნა ინგლისიდან ჩამოტანილი ჩინური ლაქი და რამდენიმე ძვირფასი ნივთი. ლაურამ ყველაფერი უკანვე დაუბრუნა შემდეგი ბარათით:

«მე დავკარგე საჩუქრებზე უარის თქმის უფლება. მაინც ვბედავ დაგიბრუნოთ თქვენი საბოძვარი, – ეგებ, არც კი განგიზრახავთ ჩემი დამცირება. თუკი კვლავ გამომიგზავნით, მაშინ მომიხდება მათი მიღება... ოღონდ რაოდენ საშინელია თქვენი ხელგაშლილობა!»

ედუარდი განაცვიფრა ამ ბარათმა, რაშიაც დაინახა მორჩილებაცა და სიამაყეც. თავისი საძაგელი მდგომარეობისდა მიუხედავად ლაურას ჯერ მთლად არ დაეკარგა ადამიანური ღირსება. თავის დამცირებით თითქმის აღიხოცა შერცხვენა თვისი. ედუარდი უკვე აღარ განიცდიდა მის სიძულვილს, პირიქით, იმსჭვალებოდა პატივისცემით, განაგრძობდა ლაურას მონახულებას. მასთან სიტყვაც არ დაუძრავს საჩუქრების გამო, და თუმცა არ შეეძლო ეამაყა ქალის სიყვარულით, უნებურად ახარებდა მასთან ყოფნა.

მარკიზას როდი უმალავდა ამ ამბავს, – არავითარი მიზეზი არ გააჩნდა ამისათვის, მასთან მარკიზა ამას უმადურობად ჩათვლიდა. მას სურდა დაწვრილებით გაეგო ყველაფერი. ედუარდმა შეჰფიცა, ლაურასთვის ხელი არ მიხლიაო.

ამ თავდაჭერილობამ მისთვის სავსებით მოულოდნელი შთაბეჭდილება მოახდინა. «განა ეს როგორ მოხდა! – გააფთრებით შესძახა მარკიზამ. – მასთან დადიხართ და ჯერ არავითარი ურთიერთობა არ გაგიბამთ? მაშ, რად გინდათ მასთან ყოფნა?»

და მაშინ მარკიზას შემოენთო საშინელი ეჭვიანობა, რამაც არაერთხელ შეაგულიანა იგი, მოეკლა ედუარდიცა და ლაურაც, და რაიც კუბოს კარამდე შემზარავი ღვარძლით გულს უღრღნიდა და ტანჯავდა მას.

იყო სხვა გარემოებაც, რამაც პირდაპირ ცეცხლი წაუკიდა მის დაუოკებელ აღტყინებას და სააშკარაოზე გამოიტანა ამ ქალის ნამდვილი ზნე-ხასიათი. უკვე აღვნიშნავდი, ედუარდი, მთელი თავისი უანგარო პატიოსნების მიუხედავად დიდი თავაზიანობით ვერ დაიკვეხნიდა-მეთქი. მარკიზას იგივე საჩუქრები მიართვა, რაიც ლაურამ დაუბრუნა. მარკიზამ მიიღო საჩუქარი – სიხარბის გამო კი არა, არამედ იმიტომ, რომ ახლო ურთიერთობის ჟამს ისინი ხშირად ასაჩუქრებდნენ ერთმანეთს, – თუმცა მარკიზა არასოდეს დარჩენილა წაგებული. საუბედუროდ, გაიგო ამ საჩუქართა თავდაპირველი დანიშნულება და ისიც, თუ რა გზით მოხვდა მის ხელში. აღარ ითქმის, თუ რა დაემართა: მყისვე ყველაფერი დაამსხვრია, დალეწა და ფანჯარაში გადაუძახა. თქვენვე განსაჯეთ, აბა რა უნდა ეფიქრა ასეთ შემთხვევაში ეჭვიან საყვარელს და მასთან – დიდებულ ქალბატონს.

ხოლო ლაურამ რაც უფრო მეტად შეიგნო, თუ რა სამარცხვინო იყო მისი მდგომარეობა, მით უფრორე ნაკლებ ცდილობდა მისგან თავის დაღწევას. სასოწარკვეთით ჩაიქნია ხელი ყველაფერზე და საკუთარი თავის სიძულვილი და ზიზღი მაცდუნებელთ მიანება. მას არ გააჩნდა სიამაყე, ანდა რა უფლებით უნდა ეამაყა? უსაშველო სევდა, აუტანელი უიმედობა, მუდმივი ფიქრი იმაზე, სახელი ისე გავიტეხე, აღარ ძალმიძს ჩემს შერცხვენას რომ გავექცეო, აფორიაქებული გული, რომელსაც ჯერ კიდევ შენარჩუნებოდა ერთი ბეწო პატიოსნება და სინდისი, თავს სამარადჟამოდ მოყივნებულად რომ აგრძნობინებდა, – ყველაფერი ეს სულს უმწარებდა და უღვივებდა ნაყიდი სიყვარულით შებღალულ სიამეთა ზიზღსა და მძულვარებას. თვით სულმდაბალ და გარყვნილ ადამიანთაც კი აღეძრათ პატივისცემის უნებური გრძნობა მსხვერპლის მიმართ, რაც აიძულებდათ დაევიწყებინათ ჩვეული კილო, და უცნაური ძრწოლა და ფორიაქი უწამლავდათ მათ მთელი სიამტკბილობას: ლაურას ხვედრით დადარდიანებულნი, როცა მარტო დატოვებდნენ, დასტიროდნენ მის სვე-ბედს და სირცხვილით იწვებოდნენ საკუთარი საქციელის გამო.

სევდა-ნაღველი შემოსწოლოდა ლაურას გულს. ედუარდი თანდათან განიმსჭვალა მის მიმართ მეგობრული განწყობილებით, თანაც ხედავდა, ქალი სულიერად ძალზე რომ გატყდა და საჭირო იყო უფრორე მისი გამხნევება, ვიდრე საბოლოოდ განადგურება და ბოლოს მოღება. ხშირად ნახულობდა ქალს და ეს საკმაო გახლდათ მისი დარდის გასაქარვებლად. მასთან გამართული საუბრები წამალივით მარგებელი იყო ქალისთვის და ამხნევებდა კიდეც მას. ედუარდის ყოველთვის დარბაისლური და ღრმააზროვანი სიტყვები მის მოწყლულ სულს დაკარგულ ძალ-ღონეს აღუდგენდნენ. რას არ მოიქმედებენ საყვარლის ბაგეთაგან აღმომხდარი სიტყვები, როცა ისინი გამსჭვალავენ ბედისაგან სამარცხვინო ხვედრისათვის განწირულ, მაგრამ ბუნებით სპეტაკი ცხოვრებისთვის შექმნილი კეთილშობილი არსების გულს! ლაურას გულში სასიკეთო ნიადაგზე დაეცნენ ედუარდის სიტყვები და სათნოების გაკვეთილებმა ნაყოფიც გამოიღეს.

თავისი კეთილისმყოფელი მზრუნველობით ბოლოს და ბოლოს ედუარდმა შთააგონა ლაურას უფრორე მაღალი აზრი საკუთარი თავის გამო. «დაე, ადამიანებმა სამარადჟამოდ უნამუსობის დაღი დაასვან ზნეწამხდარ არსებას, მაგრამ მე ვგრძნობ ძალ-ღონეს, წარვიხოცო ჩემი შერცხვენა, – ეუბნებოდა ქალი თავის თავს, – დაე, უწინდებურად ვძულდე ხალხს, – ამიერიდან ეს სიძულვილი დაუმსახურებელი იქნება და თავადაც აწ აღარ შემძაგდება ჩემი თავი. და როცა თავს დავაღწევ საზარელ ბიწიერებას, უფრორე ნაკლებ მწარე გახდება ჩემთვის ადამიანთა სიძულვილი. რა მესაქმება მთელი ქვეყნის განაჩენთან, უკეთუ ედუარდი ჩემი პატივისმცემელი იქნება? დაე, შემოხედოს თავის ნამოქმედარს და მოიწონოს თავისი ქმნილება – აი, რა იქნება ჩემთვის ყველაფრის ჯილდო. თუკი ამით ღირსება არ მომემატება, სამაგიეროდ ძალ-ღონეს მომაკრებინებს სიყვარულში. დიახ, დიახ, – სიყვარულით ანთებულ გულს უფრორე სპეტაკ სამკვიდრებელს მივანიჭებ. სიყვარულის ჯადოსნურო გრძნობავ! არასოდეს შევბღალავ შენს აღფრთოვანებათ. ვერ ვიგემე ბედნიერება. ვაგლახმე! არა ვარ ჩემი მიჯნურის ალერსის ღირსი, მაგრამ არაოდეს მოვითმენ სხვა ვინმეთა ალერსსა და მოფერებას».

ძალზე მძიმე იყო ლაურას მდგომარეობა, მეტის მოთმენა აღარ შეიძლებოდა. ოღონდ როცა განიზრახა თავი დაეღწია ამ მდგომარეობისთვის, მის წინაშე აღიმართა მოულოდნელი დაბრკოლებანი. იგი დარწმუნდა: როცა ქალი აღიკვეთს უფლებას, იყოს დამოუკიდებელი, თავის ნებისამებრ კვლავ ვეღარ მოიპოვებს ამ უფლებას, და უნამუსო ქალი უმწეოა სამოქალაქო კანონთა წინაშე. დევნისაგან თავდასაღწევად ლაურამ მარტოოდენ ერთი გზა გამონახა: ანაზდად მონასტერში გაქცეულიყო, დაეტოვებინა თავისი სახლი ღვთის ანაბარად, გასაძარცვავად, – ის ხომ მდიდრულად და ფუფუნებით

ცხოვრობდა, როგორც ცხოვრობენ იტალიაში მისი მსგავსი ქმნილებანი, როცა ყმაწვილქალობა და სილამაზე უფრო დიდ ფასს ანიჭებს მათ. არაფერი უთქვამს ბომსტონისათვის თავის განზრახვათა გამო, რადგან სულმდაბლობად მიაჩნდა მათი ხსენება განხორციელებამდე. ლაურა შეიკეტა თავის სამყოფელში, ბარათით ამცნო ეს ამბავი მილორდს და სთხოვა, დამიცავით ძლევამოსილ პირთაგან, სასიამოდ რომ თვლიან ჩემს გარყვნილება და ჩემი გაქცევით უკმაყოფილონი იქნებიანო. ედუარდი დროზე მიიჭრა მის სახლში და გადაარჩინა მისი ქონება. მართალია, ედუარდი რომში უცხოქვეყნელი გახლდათ, მაინც წარჩინებულ, პატივსაცემ და მდიდარ კაცად ითვლებოდა. შეუპოვრად დაიცვა ღირსების საქმე, მალე გაიტანა თავისი და ლაურა დატოვეს მონასტერში, ის კი არადა, ნება დართეს კიდეც ესარგებლა პენსიით, რომელიც დაუნიშნა იმ კარდინალმა, ვისაც მიჰყიდეს იგი მშობლებმა ბავშვობაში.

ედუარდი ეწვია ლაურას. ის ლამაზი იყო და უყვარდა მილორდი, ინანიებდა წარსულ ამბებს და ედუარდის მადლიერი იყო ყველაფრით, რასაც მიაღწევდა მომავალში. რაოდენი საბუთი გახლდათ აქ ედუარდისთანა ადამიანის გულის მოსაგებად!

ედუარდი მივიდა მასთან. იგი აღსავსე იყო ყველა იმ გრძნობით, რასაც ძალუძს სასიკეთო ზეგავლენა მოახდინოს მღელვარე ბუნების არსებაზე და ქველკეთილობის გზაზე დააყენოს იგი; აკლდა მხოლოდ ერთი გრძნობა – სწორედ ის, რასაც ძალუძდა ლაურას გაბედნიერება, – ეს მისი ნება როდი იყო. მაგრამ ასეთი ურთიერთობაც აღემატებოდა ქალის ყველა ოცნებას. იგი აღფრთოვანებული იყო და უკვე შემოგზნებოდა ის ციებ-ცხელება, რისგანაც იშვიათად იკურნებიან. ქალი ეუბნებოდა თავის თავს: «მე პატიოსანი დედაკაცი ვარ. სათნო ადამიანი თანაგრძნობით მომეკიდა. ო, სიყვარულო, ამიერიდან აღარ ვნანობ აღარც ცრემლებს, არც ოხვრა-კვნესას, რადაც მიღირხარ. შენ უკვე დამაჯილდოვე ყველაფრისათვის! შენა ხარ ჩემი ძალ-ღონე, შენა ხარ ჩემი ჯილდო. შენ დამასწავლე, პატივი მივაგო მოვალეობის მოთხოვნილებას და შენვე ხარ ჩემი პირველი მოვალეობა. აბა, რამდენი ბედნიერებაა ჩემთვის გამზადებული! სიყვარული აღმამაღლებს, სიყვარული მიბრუნებს ღირსებასა და პატივს, სიყვარულმა აღმომიტევა დანაშაულისა და შერცხვენის უფსკრულიდან. სიყვარული გაქრება ჩემს გულში მხოლოდ და მხოლოდ სათნოებასთან ერთად. აჰ, ედუარდ! მაშინ ავიყრი გულს შენზე, როცა კვლავ გავხდები ზიზღისა და სიძულვილის ღირსი».

ლაურას გაქცევამ მონასტერში დიდი აურზაური გამოიწვია. სულმდაბალმა ადამიანებმა, რომლებიც საკუთარი ადლით ზომავენ ყველას, ვერ დაიჯერეს, რომ ედუარდი იცავდა ქალს თანაგრძნობისა და კეთილშობილების გამო. ლაურა მეტისმეტად სანდომიანი იყო და ამიტომაც მამაკაცის მიერ მისთვის გაწეული მზრუნველობა საეჭვო საქმედ ეჩვენებოდათ. მარკიზას თავისი ჯაშუშები ჰყავდა და პირველმა შეიტყო ყველაფერი. ვერ დაიოკა სიფიცხე, რის გამოც საბოლოოდ გამოამჟღავნა თავისი კავშირი ედუარდთან. და ბოლოს, ამ ამბებმა მიაღწია ვენაში მყოფი მარკიზას ქმრის ყურამდე და ისიც შემდგომ ზამთარში ჩავიდა რომს. სურდა, დაშნით აღედგინა თავისი ღირსება, რომელსაც ამ განზრახვიდან მაინცდამაინც დიდი სარფა არ შეუძენია.

ასე დაიწყო ეს ორმაგი რომანი. იტალიის მსგავს ქვეყანაში ასეთი რომანი, ბუნებრივია, მრავალნაირ ხიფათს უმზადებდა ედუარდს – ხან ქმრის, სამხედრო პირის მხრიდან, ხანაც – ეჭვიანი და შურისმაძიებელი ქალისაგან, ზოგჯერ ლაურას თაყვანისმცემელთაგანაც, რომელთაც აცოფებდათ ქალის დაკარგვა. ეს უცნაური რომანია, რასაც, კაცმა რომ თქვას, ამიერიდან ვეღარც კი შეხვდებით, და მაინც, ამ რომანის გამო ედუარდი უმიზნოდ და ამაოდ მიემართებოდა ხიფათისაკენ, ბორგავდა გაგიჟებით შეყვარებულ ორ ქალს შორის, თუმცაღა არც ერთ მათგანს არა ფლობდა: იგი უარყო როსკიპმა დიაცმა, რომელიც არ უყვარდა; ხელს იღებდა დიდებულ ქალბატონზე, თუმცა

კი აღმერთებდა მას. რასაკვირველია, ედუარდი სათნოებით აღსავსე დარჩა, ოღონდ ფიქრობდა, კეთილგონიერების გზას ვადგავარო და მხოლოდ და მხოლოდ თავის გატაცებათ ემორჩილებოდა.

ძნელი სათქმელია, რა იზიდავდა ერთმანეთისაკენ ესოდენ საპირისპირო არსებათ, როგორნიც იყვნენ ედუარდი და მარკიზა, მაგრამ მიუხედავად ზნეობის წეს-კანონთა სხვაობისა, მათ არ შეეძლოთ სავსებით განშორება. და შეიძლება წარმოვიდგინოთ ამ აშაღლარი დიაცის გააფთრება, როცა გადაწყვიტა, თავად ჩემი უგუნური დიდსულოვნების გამო ვიპოვე მოქიშპე და მერე, როგორი მოქიშპეო! საყვედურებს, სიძულვილს, შეურაცხყოფას, მუქარას, უნაზეს ალერსს – რიგრიგობით ყოველ ღონეს მიმართავდა, ოღონდ ედუარდი უღირს მეგობრობას ჩამოშორებოდა და არაფრით არა სჯეროდა, ედუარდის გული იმ ქალის ხელში რომ არ იყო. ედუარდი მტკიცე და შეუდრეკელი რჩებოდა: ამის პირობა მისცა თავის თავს. ლაურას ყველა იმედი, მთელი მისი ბედნიერება ახლა მხოლოდ და მხოლოდ ერთი რამ იყო: ხანდახან ენახა ედუარდი. ახლადწარმოქმნილ სათნოებას საყრდენი ქვაკუთხედი სჭიროდა. ლაურას გული მიელტვოდა იმ ადამიანს, ვინაც აღუძრა კეთილი გრძნობანი, ხოლო ედუარდი მოვალეობად თვლიდა მიშველებოდა მას, – აი რას ეუბნებოდა მარკიზას და თავის თავსაც, ოღონდ შესაძლოა ყველაფერს როდი ამბობდა. აბა, სად იპოვით ისეთ გულქვა ადამიანს, რომელიც მზადაა ზურგი აქციოს ტურფა ქალის მზერას, ვისაც მარტოოდენ იმ კაცის სიყვარულის ნებართვა სწყურია. სად ვპოვოთ კეთილშობილი ადამიანი, ვისაც თუნდ ოდნავადაც არ აუჩვილებს გულს მშვენიერ თვალთა ცრემლები? სად მოიძებნება ისეთი კაცი, ვის თავმოყვარეობასაც არ აამებს აზრი ჩადენილ ქველკეთილ საქმეთა გამო და ვინაც არ ინდომებდა მისი ნაყოფით დატკბობას? ედუარდს, ვისი წყალობითაც ლაურა გაკეთილშობილდა, უკვე აღარ შეეძლო მარტოოდენ პატივი მიეგო მისთვის.

როცა მარკიზამ ვეღარ მოახერხა, რომ მილორდს აღარ ენახა ის ბედნავსი ქალი, საშინლად გააფთრდა. მას აღარ ჰყოფნიდა სიმამაცე, ჩამოშორებოდა ედუარდს. მაგრამ ახლა კაცი რაღაც საშინელებას შთააგონებდა. ქალი თრთოდა მისი კარეტის გამოჩენისას, შიშისაგან კანკალებდა, როცა კიბეზე ამომავალი მილორდის ნაბიჯების ხმა ესმოდა. თითქმის გრძნობას კარგავდა ედუარდის დანახვისას. ძლივსღა სუნთქავდა, ვიდრე კაცი სიახლოვეს იყო. გამოთხოვებისას საყვედურებით ავსებდა მას, განშორების დროს ტიროდა ღვარძლმორეული, გუნებაში სულ შურისძიება უტრიალებდა. ამ ქალის სასტიკი სიძულვილი უკარნახებდა შესაფერის განზრახვათ. მარკიზამ რამდენიმეჯერ მიუგზავნა მკვლელები ედუარდს. და მას თავს ესხმოდნენ, როცა გამოდიოდა იმ მონასტრიდან, სადაც იმალებოდა ლაურა. მარკიზა ხაფანგს უგებდა თავად ლაურასაც, ცდილობდა მონასტრის კედლებიდან მის გატყუებას და მოტაცებას. ყველაფერმა ამან მაინც ვერ განკურნა ედუარდი. მეორე დღეს კვლავ უბრუნდებოდა ქალს, ვინაც წინა დღით მოკვლას უპირებდა; ვერ შეუშვა ხელი განუხორციელებელ განზრახვას, გონს მოეყვანა ქალი, მაგრამ კინაღამ თავად ჭკუაზე შეცდა, ეგონა – სათნოების მსახური ვარო, და მხოლოდღა თავის სიძაბუნეს ემონებოდა.

რამდენიმე თვის შემდეგ გერმანიაში მოკვდა მარკიზას ქმარი, ვისაც ცუდად მოუშუშეს ჭრილობა – ეგებ წუთისოფელს გამოასალმა მწუხარებამ ანდა ცოლის საქციელმა. ამ ამბავს თითქოსდა უნდა დაეახლოებინა ედუარდი და მარკიზა, მაგრამ უფრო მეტად დააშორიშორა ისინი ერთმანეთს. ედუარდმა დაასკვნა, ქვრივი ამ თავისუფლებით სარგებლობას მეტისმეტად უჩქარისო, და საშინელი ზიზღით ათრთოლებული იგერიებდა მის ხვევნა-ალერსს. თავზარსა სცემდა და ყოველგვარ ნდობა-სურვილს უკარგავდა იმის გაფიქრებაც კი, მარკიზის ჭრილობამ სიკვდილს იქნებ ხელიც კი შეუწყოო. ასე ფიქრობდა: «მეუღლის უფლებები მასთან ერთად სამარდება, მაგრამ მისი

მკვლელისათვის ისინი ურღვევნი უნდა დარჩნენ. უკეთუ ადამიანობა, სათნოება და კანონები აქ არაფერსაც არ ადგენენ და არ აწესებენ, მაშინ განა გონება არ გვიკარნახებს, ადამიანის მოდგმის გაგრძელებასთან დაკავშირებული განცხრომანი და სიამტკბილობა სისხლის ფასად არ უნდა იქნას შესყიდულიო? სხვაგვარად სიცოცხლის აღმოცენებისათვის ბუნების მიერ განკუთვნილი და დანიშნული საშუალებები ნამდვილად სიკვდილის სათავე იქნებოდა და ადამიანთა ჯილაგის დაღუპვისა და არა მისი შენარჩუნებისა და გადარჩენის მომასწავებელი».

ასე გავიდა რამდენიმე წელიწადი. ედუარდი არაფერსაც აღარ აპირებდა და ერთი შეყვარებულიდან მეორესთან დაბორიალებდა, ხოლო ხშირად მოიწადინებდა ორივესთან კავსირის გაწყვეტას და მაინც არ ძალედვა არც ლაურას და არც მარკიზას განშორება. გონება ასობით საბუთს წარუდგენდა და ერეკებოდა მათგან, ხოლო გრძნობები ათასეული ხმით უკანვე მოუხმობდა და ეძახდა. ამაო იყო მისი ყოველი ძალი და ღონე ბადის გასაგლეჯად – დღითი დღე უფრორე ძლიერ იხლართებოდა ამ ბადეში, ხან თმობდა ყველაფერს სიყვარულის გამო და ხანაც ემორჩილებოდა მოვალეობას. ლონდონშიც კი გაიქცა, იქიდან გაქანდა რომს, რომიდან კვლავ ლონდონს გაეშურა და ფეხი ვერსად მოიკიდა. ფიცხი, ცოცხალი და გიჟმაჟი ბუნების კაცი არასოდეს ყოფილა ძაბუნი ანდა გარყვნილი არსება. მთელ თავის ძალ-ღონეს იხვეჭდა მაღალი და მშვენიერი სულის მეოხებით, თუმცა ფიქრობდა, ყოველივეს ჩემს გონებას უნდა ვუმადლოდეო. ყოველდღიურად სულ გიჟმაჟური აზრები მოსდიოდა თავში, მაგრამ ყოველთვის, როცა გონს მოეგებოდა, იგერიებდა იმ აზრებს და ესწრაფოდა უღირს ვნებათა ხუნდების დამსხვრევას. როცა ერთხელ მარკიზას მიმართ უსაშველო ზიზღით განიმსჭვალა, კინაღამ ფეხქვეშ არ გაუგო ჟიული დ’ეტანჟს თავისი ტრფიალება და ადვილი შესაძლებელია, ასეც მოხდებოდა, ქალის გული თავისუფალი რომ ყოფილიყო.

მაგრამ მარკიზა სულ უფრო და უფრო კარგავდა ფასს მილორდის თვალში თავის ბიწიერებათა გამო, ლაურა კი სულ უფრო და უფრო იზიდავდა თავისი ქველკეთილობით. ეს ორი ქალი ერთგულებით ერთმანეთს ტოლს არ უდებდა, ოღონდ მათი დამსახურება ამ საქმეში ერთნაირი როდი გახლდათ. მასთან მარკიზა მეტისმეტად უკმეხი გახდა, ზნეობრივად დაეცა და მიმართა ნუგეშისცემას, რასაც ლაურა არ კადრულობდა. რომში ყოველი წასვლისას ბომსტონი სულ ახალ და ახალ ღირსებებს ამჩნევდა ლაურას: შეისწავლა ინგლისურად ლაპარაკი, ზეპირად იცოდა ყველაფერი, რის წაკითხვასაც ურჩევდა ედუარდი. ქალს აინტერესებდა ყველაფერი, რითაც მილორდ ედუარდი იყო გატაცებული. ლამობდა სულითა და გულით ბომსოტნის ხატად და მსგავსად გარდაქმნას და ის, რაც შემორჩა წინანდელი ლაურასაგან, ზიზღს აღარ ჰგვრიდა კაცს. და უნდა ითქვას, ჯერ კიდევ იმ ხნისა იყო, როდესაც სიტურფე და სილამაზე ყოველწლიურად მატულობს, ხოლო მარკიზა იმ ხანში შევიდა, როცა ქალის სილამაზე თანისთან კნინდება. და თუმცაღა იმნაირ ჰანგსა და ყაიდაზე მომართავდა და განაწყობდა თავის გრძნობებს, რაიც მოინადირებს და ატყვევებს კაცის გულს და ისე სასიამოდ მსჯელობდა ადამიანობაზე, ერთგულებასა და სათნოებაზე, რომ ასეთი სიტყვები მისი საქციელის შემყურე ადამიანს სასაცილოდ ეჩვენებოდა. სახელიც უკვე ისე ჰქონდა გატეხილი, რომ მისი ნათქვამისა არაფერი დაიჯერებოდა. ედუარდი საუცხოოდ იცნობდა მას და უკვე არავითარი იმედი აღარ ჰქონდა, გამოსწორდებაო. სულ უფრო და უფრო შორდებოდა მარკიზას, ოღონდ ვერ მოახერხა მთლად კავშირის გაწყვეტა, – არც ისე მალე გაგრილებოდა გული ქალის მიმართ, ვინაც ისევ და ისევ იზიდავდა, ფეხებს თავისით მიჰყავდა მასთან. რაც უნდა ჩაიდინოს მგრძნობიარე ადამიანმა, არასოდეს ივიწყებს წინანდელ სიახლოვეს. მარკიზას მზაკვრობამ, ვერაგობამ, საშინელმა ბოროტმოქმედებებმა ბოლოს ჩაუნერგეს მას

სიძულვილი, ოღონდ სიძულვილთან ერთად მაინც ებრალებოდა იგი და ვერასოდეს ივიწყებდა ქალისგან გაღებულ ვერც მსხვერპლს და ვერც თავის წინანდელ სიყვარულს.

ამრიგად, ედუარდი აღმოჩნდა თავის საგულისგულო მიდრეკილებათა და კიდევ უფრო – ჩვეულების ტყვეობაში და აღარ ძალუძდა რომთან შემაერთებელი კავშირის გაწყვეტა. ბედნიერი ცოლქმრობის სიამეთათვის ოცნება აღუძრავდა სურვილს სიბერის მოსვლამდე ეგემა ეს სიამენი. ზოგჯერ სწამებდა საკუთარ თავს უსამართლობას, უმადურობას და მარკიზას ყველა ცუდი ზნე-ხასიათის მიზეზად თვლიდა ქალის გაგიჯებულ სიყვარულს. ხანდახან ავიწყდებოდა, თუ რა იყო წინათ ლაურა და მისი გულიც სავსებით განუსჯელად სძლევდა მათ შორის აღმართულ დაბრკოლებას. თანაც ცდილობდა გონივრულად გაემართლებინა კიდევაც ლტოლვა ლაურასადმი. განზრახული მოგზაურობა გახდა მისი მეგობრის გამოცდის საბაბი, მასთან არც კი უფიქრია, თავის თავსაც რომ აგდებდა განსაცდელში, რასაც უმეგობროდ ვერც კი გაუძლებდა.

მისი განზრახვის წარმატება და მასთან დაკავშირებულ ამბავთა დასასრული დაწვრილებით არის აღწერილი მეხუთე ნაწილის XII და მეექვსე ნაწილის III ბარათებში – ისე რომ, ყველაფერი ნათელი ხდება წინანდელ ბარათებში მიმოფანტულ უმნიშვნელო ცნობათა მიუხედავად. ედუარდი, რომელიც უყვარდა ორ სატრფოს, ხოლო არც ერთს არ ფლობდა, თითქოსდა სასაცილო მდგომარეობაში აღმოჩნდა, მაგრამ სათნოებამ უფრორე სასიამტკბილო სიხარული არგუნა, ვიდრე იმ ტურფათა დაუფლება და მასთან ულევი და დაუშრეტელი სიხარულიც. სამიჯნურო სიამეთა ზედან ხელისაღებით იგი უფრო მეტად ბედნიერი იყო, ვიდრე რომელიღაც ავხორცი ვინმე, ვინაც ხარბად ეწაფება ამ სიამეთ. მას უყვარდა უფრო ხანგრძლივად და გახლდათ თავისუფალი, თან უკეთ სიამტკბილობდა ამ წუთისოფლით, ვინემ ის, ვინაც ლხინსა და ქეიფს გადააგებს მთელ თავის დღესა და სოფელს. აჰ, ჩვენ მართლაცდა რომ ბრმანი ვართ! სულ და მუდამჟამს ოცნებებითა ვართ გატაცებულნი. ნუთუ მაინც ვერასოდეს გავიგებთ, ყველა ადამიანურ სიგიჟეთაგან ბედნიერება მხოლოდ და მხოლოდ კეთილშობილი არსების სიშმაგით რომ მოიპოვების?

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

«ახალი ელოიზა» გამოქვეყნდა 1761 წლის დამდეგს ამსტერდამში (რეს გამომცემლობა) და იმავე წლის თებერვალში უკვე იყიდებოდა პარიზში – პრაღის პარალელურ გამოცემასთან ერთდროულად. იმავე წელს ცალკე ნაკვეთებად პარიზში გამოვიდა «მეორე წინასიტყვაობა» და «ახალი ელოიზასთვის» გრაველოს მიერ შესრულებული გრავიურების კრებული ავტორის ახსნა-განმარტებით.

რუსო «აღსარებაში» მოგვითხრობს რომანის შექმნის ვითარებას და იუწყება, 1758 წლის თებერვალში «ახალი ელოიზა» დაწერილი იყო «სანახევროდ» და 1758-59 წლის ზამთარში დამთავრდაო. ოღონდ, როგორც უახლესი გამოკვლევები გვიდასტურებენ (აქ ავტორს ღალატობს მეხსიერება), ძირითადად მისი რომანი უფრო ადრე იყო დამთავრებული.

1756 წლის 9 აპრილს რუსო დაბინავდა ერმიტაჟში, მონმორანსის ტყის ვილაში, რაც პატივისცემით შესთავაზა მას ქალბატონმა დ'ეპინემ – ფრანგ ენციკლოპედისტთა ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა, გრიმის მეგობარმა ქალმა. ზაფხულზე რუსომ მოიფიქრა მასწავლებლისა და მისი მოწაფე ქალის გამიჯნურების წერილებიანი რომანი. 1756 წლის ბოლოს პირველი ორი ნაწილი უკვე მზად ჰქონდა. შემდეგი წლის გაზაფხულზე რუსო ინახულა ქალბატონ დ'ეპინეს ნათესავმა სოფი დ'უდეტომ და მისგან შთაგონებულმა ტრფიალმა რომანს ახალი მიმართულება მისცა. ქალბატონმა დ'უდეტომ, რომელსაც უყვარდა პოეტი სენ-ლამბერი და დადარდიანებული იგონებდა მაშინ გერმანიაში მყოფ თავის მიჯნურს, სთხოვა რუსოს მხოლოდ მეგობრის როლს დასჯერებოდა. 1757 წელს სენ-ლამბერის დაბრუნების შემდეგ რუსო სენ-პრეს მსგავსად ისევ ოცნებობდა ეცხოვრა შეყვარებულ ადამიანთა ახლოს. თითქმის ერთ წელიწადს ეწეოდა მიმოწერას სოფი დ'უდეტოსთან და ერთგული მეუღლისა და სათნო დედის – ჟიულის პირველსახედ გამოიყენა იგი. 1757 წლის დეკემბერში მარმონტელის მოწმობით რუსო უკვე უკითხავდა თავის მეგობარ დიდროს მთელ რომანს, ხოლო 1758 წლის სექტემბერში მოლაპარაკება გამართა გამომცემელ რესთან და ამცნო მას, რომანის ექვსივე ნაწილი მზად არისო. ამრიგად, «ახალი ელოიზა» დაიწერა დაახლოებით ერმიტაჟში ყოფნისას თვრამეტ თვეს, თუმცა ავტორი კვლავ ასწორებდა რომანს თითქმის ერთ წელიწადს. იმის შემდეგ, როცა წაეჩხუბა თავის მეგობარ ფილოსოფოსებს, დატოვა ერმიტაჟი (1757 წლის დეკემბერში) და გადავიდა მონმორანსში.

სხვადასხვა მიზეზების გამო რომანის ბეჭდვა ყოვნდებოდა, მაგრამ გამოქვეყნებამდე მისი შინაარსი ცნობილი გახდა ლიტერატურულ წრეებში. რუსო სიამოვნებით უკითხავდა «ჟიულის» თავის მეგობრებს და საჩუქრად ურიგებდა მათ საკუთარი ხელით გადაწერილ ასლებს. ისტორიკოს დიუკლოსა და ლუქსემბურგის მარშალთან მისი მიმოწერიდან ჩანს, რომ 1760 წელს რომანს «მოუთმენლად» ელოდნენ, მაგრამ «ახალი ელოიზას» წარმატებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ლიონში, რუანში, ბორდოში, ავინიონში, ლეჟეში და აგრეთვე საზღვარგარეთ ამსტერდამული გამოცემის უამრავი გადანაბეჭდისა და ნაყალბევის გამოქვეყნების მიუხედავად შეუძლებელი გახდა მკითხველთა მოთხოვნილების დაკმაყოფილება. წიგნით მოვაჭრენი რომანს მარტოოდენ წასაკითხად საათში თორმეტ სუდ აქირავებდნენ. პირველ ორმოც წელს (1800 წლამდე) «ახალი ელოიზას» გამოცემამ სამოცს გადააჭარბა. ასეთი წარმატება მეთვრამეტე საუკუნის ფრანგული ლიტერატურის არც ერთ ნაწარმოებს არ ჰქონია (შედარებისთვის აღვნიშნავთ, რომ ვოლტერის «კანდიდიც» კი ამ ხნის მანძილზე მხოლოდ ორმოცდაათჯერ გამოიცა).

ქვემოდართული შენიშვნები ამოღებულია 1925 წელს პარიზში დანიელ მორნეს მიერ გამოცემული «ახალი ელოიზადან», რომელსაც თან ახლავს მდიდარი კომენტარები და ახსნა-განმარტებანი.

გვ. 31. ეპიგრაფი:

Non la conobbe il mondo, mentre l'ebbe:
Conobill'io ch'a pianger qui rimasi.

სანამ ცოცხალი იყო იგი, არვინ იცნობდა,
მე კი ვიცნობდი, დავრჩი მისი დამტირებელი.

სტრიქონები პეტრარკას სონეტიდან (CCCXXXVIII) ლაურას გარდაცვალების გამო.

პირველი ნაწილი

E poi ch'amor... – სტრიქონები პეტრარკას ბალადიდან (XI), რომელიც ლაურას ცხოვრებას ეხება.

E v'è il piacer... – სტრიქონი იტალიელი პოეტის, მეტასტაზიოს «მარადისობის ტაძრიდან». ჯოჯოხეთს შთასული ენეასი ირგვლივ ხედავს აჩრდილებს და ხელს ხმალზე იტაცებს. მისი თანამგზავრი დეიფობი უხსნის, ეს აჩრდილები უვნებელნი არიანო და წარმოადგენენ «იდეებს», რომელთა შორისაც დეიფობი ასახელებს «განცხრომასა» და «უმანკოებას». პიეტრო ანტონიო მეტასტაზიო (1698-1782) იტალიის როკოკოს პოეზიის ყველაზე მკაფიო წარმომადგენელია, ავტორი ტრაგედიებისა და ლირიკული დრამებისა, რითაც სახელი გაითქვა მთელ ევროპაში. თანამედროვენი, კერძოდ – ვოლტერი და რუსო მას კორნელისა და რასინის გვერდით აყენებდნენ.

როგორც მონტენი ამბობს – იხ. მ. მონტენი, «ცდები» (წ. 3, თავი XII, რუსულ ენაზე. მ-ლ. 1960, გვ. 324).

მონტენი, მიშელ დე (1533-1592) – აღორძინების ხანის ფრანგი ფილოსოფოსი.

ერთი და იგივე წყარო – მოძღვრება კეთილისა და მშვენიერის, მორალურისა და ესთეტიკურის ერთიან წყაროზე წარმოადგენს ზოგად ადგილს XVIII საუკუნის ესთეტიკურ თეორიებში და მიმართულია XVII საუკუნის ესთეტიკის გონივრულ, გარეგნულ წესთა წინააღმდეგ. ვოლტერის აზრით, «გემოვნება» – ეს არის «სწრაფი მსჯელობა, რაც წინ უსწრებს აზრთაგვარობას» (წერილი «გემოვნება» «ენციკლოპედიაში); ეს არის «უნარი», მოინახოს ხელოვნების ნაწარმოებში ის, რაც მოსწონთ მგრძნობიარე არსებათ (მონტესკიე). ამ მოძღვრებაში რუსოს შეაქვს ახალი, პოლემიკური ელფერი და დაბეჯითებით ამბობს, რომ მსჯელობას კეთილის გამო, ისევე როგორც მშვენიერების გამო, წყაროდ აქვს უშუალო გრძნობა, რასაც ესაჭიროება აღზრდა და განვითარება.

მონსტესკიე, ლუი (ბარონი დე რეკონდა, 1689-1755) – გრაფი, გამოჩენილი ფრანგი მოაზროვნე და ფილოსოფოსი, განმანათლებელი.

სოლომონ მეფის დარად მომეგზავა, რაც არ მითხოვნია... – ბიბლიური მეფე სოლომონი სთხოვს ღმერთს, მიანიჭოს მას გონივრული გული. ამის გამო ღმერთი მიუგებს, ასეთი თხოვნისათვის მოგიბოძებ ყველაფერს, რაც შენ ითხოვე და «იმასაც, რაც არ გითხოვნიაო» (მეფეთა მესამე წიგნი, თ. III, მუხლი 5-19).

მებაღის შვილი გუსტენი – მონმორანსში ცხოვრების დროს (1758-1759 წწ.) რუსო იცნობდა ვინმე მებაღე გუსტენს, რომელიც 1791 წელს ისევ მონაწილეობდა რუსოს პატივსაცემად გამართულ ზეიმებში. «ახალი ელოიზას» ეპიზოდური პირები ხშირად ატარებენ რუსოს ნაცნობ ადამიანთა სახელებს.

კლარანი – სოფელი შვეიცარიაში (ვოს კანტონი), რომელიც ეკუთვნის მონტრეს კომუნას. «ახალი ელოიზას» გამოქვეყნების შემდეგ კლარანი გახდა რუსოს აღფრთოვანებულ პატივისმცემელთა მლოცვარეობის ადგილი.

ვალე – შვეიცარიის კანტონი, რომელიც სამხრეთითა და დასავლეთით ესაზღვრება იტალიასა და საფრანგეთს.

სიონი – ვალეს კანტონის მთავარი ქალაქი.

ვოს კანტონი – საფრანგეთის შვეიცარიის კანტონი, ესაზღვრება ჟენევის კანტონს.

ვევე – ვოს კანტონის ქალაქი ჟენევის ტბის ნაპირას.

Sol che son figlia... – ლექსი მეტასტაზიოს დრამა «ატილუს რეგულუსიდან» (II, 9). როცა რომაელმა კონსულმა რეგულუსმა გაიგო მამის გმირული გადაწყვეტილება დაბრუნებულიყო კართაგენში, სადაც სიკვდილი ელოდა, მოისურვა თან გაჰყოლოდა მას და ასეთი სიტყვებით მიმართა ძმას, რომელიც უშლიდა იქ წასვლას.

...nodo piu forte... – სტრიქონები მეტასტაზიოს ტრაგედია «დემოფონიდან» (III, უკანასკნელი სცენა). გმირმა გაიგო, ტიმანტე ჩემი შვილი არ არისო, მაგრამ ირწმუნება, წინანდებურად შვილივით მეყვარებაო.

Qui non palazzi... – სტრიქონები პეტრარკას სონეტიდან (X) ლაურას ცხოვრებაზე. პოეტი ამ სონეტს უგზავნის თავის მეგობარსა და მფარველს სტეფანო კოლონას, ეპატიჟება თავისთან, რათა დატკბეს ბუნების სიმშვენიერით. მთების აღწერილობამ «ახალი ელოიზას» ამ და სხვა წერილებში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თანამედროვეებზე და სრული უფლებით შეიძლება ითქვას, რომ რუსომ ევროპულ ლიტერატურაში აღმოაჩინა მთის ლანდშაფტისა და განსაკუთრებით შვეიცარიული ბუნების პოეზია.

ვით დონ კიხოტი ჰერცოგის ცოლის სასახლეში... – აქ სენ-პრე იგონებს ეპიზოდს გამოჩენილი ესპანელი მწერლის სერვანტესის (1547-1616 წწ.) რომანის «დონ კიხოტის» მეორე ნაწილიდან (თავი 32-ე), სადაც მოთხრობილია ის ამბავი, თუ ჰერცოგის მეუღლის კარზე ოთხმა გოგომ როგორ მოიწადინა ლამანჩელი გმირის გაპამპულება და შეუდგა მისი წვერის გასაპვნასა და დაბანას.

იმეორებს იმ შესანიშნავი თასის ნაკვთებს, რომლის მოდელსაც წარმოადგენს ყველაზე უმშვენიერესი გულმკერდი ამქვეყნად – რომაელი სწავლულის პლინიუს უფროსის (გარდ. 79 წ.) «საბუნებისმეტყველო ამბებში» (წიგნი XXXIII, თ. 23) მოთხრობილია, მშვენიერმა ელენემ კუნძულ როდოსზე აღმართულ მინერვას ტაძარს თავისი მკერდის მსგავსად ნახელავი ქარვის თასი აჩუქაო.

Parte appar delle mamme... – სტრიქონები ტ. ტასოს პოემა «განთავისუფლებული იერუსალიმიდან» (IV, 31), სადაც აღწერილია ჯადოსან არმიდას სილამაზე, რომელიც მივიდა მხედარ-ჯვაროსანთა ბანაკში, რათა გადაებირებინა ისინი და ხელი აეღოთ საუფლო ქალაქის დაპყრობაზე.

იგავ-არაკის რეგვენი გმირივით... – სენ-პრეს მხედველობაში აქვს ლაფონტენის იგავ-არაკი «სიბრძნის გამყიდველი სულელი» (წიგნი IX, 8). ერთი სულელი დადიოდა ქუჩებში და გაჰყვიროდა, სიბრძნესა ვყიდიო, და ყოველ მყიდველს სილას გააწნავდა და აძლევდა გრძელ ზონარს. ამ საბოძვართა დედაარსს ასე განმარტავდა ბრძენი: ასეთი სულელისგან ამ ზონრის მანძილზე უნდა გეჭიროს თავი, თორემ სილას მიიღებო.

...Sentirsi, oh Dei, morir... – სტრიქონები მეტასტაზიოს ტრაგედია «ანტიგონედან» (I, 2). ალექსანდრე მაკედონელის ტყვე-ქალი ბერენიკე შეიტყობს, ჩემს მიჯნურს სიკვდილით დასჯა ემუქრებაო, მაგრამ ვერ ბედავს სასოწარკვეთის გამომჟღავნებას ალექსანდრეს წინაშე, რომელიც გაუმიჯნურდა ქალს.

მეიერი – სოფელია ჟენევის ტბის ნაპირას. რუსო ეწვია მეიერს 1754 წლის სექტემბერში მეგობრებთან ერთად ტბის გარშემო მოგზაურობის დროს.

ლევკადეს კლდე – გადმოცემის მიხედვით, კუნძულ ლევკადეს (ახლა იონიის არქიპელაგის სანტა-მარიას კუნძული) მაღალი კლდიდან ზღვაში ვარდებოდნენ უბედური შეყვარებულები. დაღუპვას გადარჩენილნი სიყვარულისაგან იკურნებოდნენ.

Nò, non vedrete mai... – სტრიქონები მეტასტაზიოს დრამა «შეცნობილი კიროსიდან» (III, 12). სპარსეთის მეფედ არჩეული კიროსი არწმუნებს სატრფოს, ჯერ კიდევ უბრალო მწყემსად ყოფნისას რომ შეიყვარა, შენზე გულს არასოდეს არ ავიყრიო.

მისი წიგნების დარად... – ეს ერთადერთი ადგილია «ახალ ელოიზაში», სადაც რუსო გვამცნობს, ჩემი გმირი, რომლის პროტოტიპი მე ვარ, აგრეთვე მწერალი იყოო.

ბატონმა როგენმა შემომთავაზა ასეულის მეთუარობა იმ პოლკში, სარდინიის მეფისთვის რომ ადგენს... – რუსო თავად იცნობდა ვინმე პოლკოვნიკ როგენს, რომლის ბიძაც მისი ძველი მეგობარი იყო.

გენერალ საკონეს თვალწინ ხელთ იგდო მტრის ალამი – 1712 წ. შვეიცარიაში პროტესტანტული ციურიხისა და ბერნის კანტონები ებრძოდნენ კათოლიკურ კანტონებს. ვილმერგენთან ბრძოლის დროს (1712 წ. 25 ივლისი) ბერნელებმა გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვეს, რის შემდეგ კათოლიკეებმა გამარჯვებულთ დაუთმეს ბაზელი, რაპერსვილი და სხვა ქალაქები. ბერნის კანტონის არმიის მთავარსარდალი, გენერალი საკონე (1646-1729) ორჯერ დაიჭრა ვილმერგენთან.

ლამბერტი, გიიომ დე (1660-1742) – შვეიცარიელი დიპლომატი და ისტორიკოსი, ავტორი მრავალი მემუარისა თანამედროვე პოლიტიკურ ამბავთა გამო.

გააბამს ბაასს ნეაპოლის მეფისადმი ერთგულების მომავალი ფიცის გამო – XVIII საუკუნის ოცდაათიანი წლების ევროპული პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი საკითხი იყო ნეაპოლის მეფედ ესპანეთის ინფანტის დონ კარლოსის აღიარება პაპის მიერ. 1734 წ. (როცა ჟიული ამ წერილსა წერს) დონ კარლოსს, რომელმაც დაიპყრო ავსტრიის კუთვნილი ნეაპოლის სამეფო, ჩვეულების თანახმად უნდა გაეგზავნა რომში საჩუქრები ნეაპოლის მეფედ აღიარების სანაცვლოდ. მაგრამ ავსტრიის იმპერატორს არ უნდოდა ხელი აეღო თავის სამფლობელოებზე და მან აგრეთვე გაუგზავნა პაპს სათანადო საჩუქრები, რის გამოც პაპის კარი რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მხოლოდ 1737 წელს, ხანგრძლივ მოლაპარაკებათა შემდეგ, პაპმა სცნო კარლოსი.

ინფანტი – ესპანეთსა და პორტუგალიაში (მონარქიული მმართველობის დროს) ინფანტი უფლისწულის ტიტულია.

Al bel seggio riposto... – სტრიქონები პეტრარკას ალეგორიული კანცონიდან (CCCXXIII), სადაც შექებულია გარდაცვლილი ლაურას სათნოება.

კანცონა (იტალ. canzone) – შუა საუკუნეების ტრუბადურთა პოეზიაში: განსაკუთრებული ფორმის ლირიკული ლექსი რაინდულ სიყვარულზე.

კნიდის ტაძარი – ძველი საბერძნეთის შესანიშნავი ტაძარი, ეძღვნებოდა ვენერას და შექებულია მონტესკიეს დიდაქტიკურ პოემა «კნიდის ტაძარში» (1725).

Non vide il mondo... – სტრიქონები პეტრარკას ალეგორიული სექსტინიდან (CXII), ეძღვნება ლაურას.

ნევშატელი – ნევშატელის კანტონის მთავარი ქალაქი ნევშატელის ტბის ნაპირას.

კლოდ ანე – კლოდ ანე ერქვა ახალგაზრდა რუსოს მფარველ ქალბატონ დე ვარანსის მოურავსა და საყვარელს.

არმიდას სრა-სასახლე – ჯადოსან არმიდას თილისმით უდაბნოში აგებული დიდებული სასახლე და ბაღები, რაც აღწერილია ტ. ტასოს პოემა «განთავისუფლებული იერუსალიმის» XVI ქებაში. მაცდუნებელი «არმიდას ბაღები» საზოგადო გამოთქმად გადაიქცა.

მამაკაცსა და ქალს შორის სულიერი სხვაობის გამო... – ამ საკითხს განიხილავს პლატონი თავის «სახელმწიფოს» V წიგნში. პლატონი ფიქრობს, ქალები დაჯილდოებულნი არიან ისეთივე უნარით, როგორც მამაკაცები, ოღონდ სრულყოფილების მიხედვით მათზე დაბალ დონეზე დგანანო.

პლატონი (427-347 ძვ. წ.) – ძველი ბერძენი ფილოსოფოსი, იდეალისტი, მიწათმფლობელური არისტოკრატიის იდეოლოგი, სოკრატეს მოწაფე. ობიექტური იდეალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

ლიული – ცნობილი ფრანგი კომპოზიტორი ჟან ბატისტ ლიული (1633-1687) წარმოშობით იტალიელი იყო.

E'l cantar che nell'anima... – სტრიქონი პეტრარკას სონეტიდან (CCXIII), სადაც შექებულია ლაურას მომაჯადოებელი სიმღერა.

...ჟენევის ტბის პირას დაწურული ბადაგი – ლუცერნის ტბის გარშემო მდებარე ლუცერნის, ურის, შვიცისა და უნტერვალდის ოთხი «სატყეო» კანტონის მცხოვრებნი განთქმულნი იყვნენ ღვინის სიყვარულით, რასაც ისინი ყიდულობდნენ ვოს კანტონში, ესე იგი – ჟენევის ტბის სანახებში, სადაც მრავლად იყო გაშენებული ვაზი.

მაიენის ჰერცოგი – კარლოს ლოთარინგელი, მაიენის ჰერცოგი (1554-1611), კათოლიკური ლიგის ბელადი, ჰუგენოტთა წინააღმდეგ მებრძოლი მეფის არმიის მთავარსარდალი. ანრი III-ის მკვლელობის შემდეგ (1589) იყო საფრანგეთის ტახტის ერთ-ერთი პრეტენდენტი და რამდენიმე წელს ებრძოდა ანრი IV-ს. შერიგდნენ 1596 წელს. ანრი IV-მ მიიწვია ძალზე სქელ-სქელი ჰერცოგი, ხელკავი გაუკეთა და დაიწყო მასთან სწრაფად სეირნობა. ჰერცოგს ქოშინი აუტყდა. მაშინ მეფემ ყოფილ მტერს სიცილით უთხრა, სხვა რამ შურისძიება არ მინდაო, და მრავალი მამული და დიდძალი თანხა უბოძა მას.

...საბერძნეთის უდიდესი მხედართმთავარი... როცა მას ჯოხი მოუღერეს... – იგულისხმება ეპიზოდი ათენის ცნობილი მხედართმთავრის თემისტოკლეს (525-460 ძვ. წ.) ცხოვრებიდან, როცა იგი სარდლობდა საბერძნეთში შემოჭრილი სპარსელების წინააღმდეგ საბერძნეთის სხვა სახელმწიფოებთან ერთად ამხედრებულ ათენის ფლოტს. სამხედრო თათბირზე სალამინის ბრძოლის წინ (486 ძვ. წ.), სადაც ბერძნებმა დაამარცხეს სპარსელები, თემისტოკლემ დაიჟინა, ბრძოლა დავიწყოთო. მაშინ საბერძნეთის გაერთიანებული ძალების სარდალმა ევრიპიადემ, რომელიც საპირისპირო აზრისა იყო, გაბრაზებულმა ჯოხი მოუღერა თემისტოკლეს, რის გამოც მან უპასუხა: «მცემე, მაგრამ მომისმინე».

მხოლოდ მის წარმომქმნელ ველურ ყოფას რომ შეშვენის – დუელი ძველ გერმანელთა და ფრანკთა, ესე იგი «ბარბაროსთა» ჩვეულებების გადმონაშთია. დუელის ზნეობრივი მხარის საკითხი ძალზე აინტერესებდა რუსოს, ისევე როგორც XVIII საუკუნის მრავალ სხვა ფრანგ და ინგლისელ მოაზროვნეს (სტილს, ადისონს, მონტესკიეს, ვოლტერს, პრევოს და სხვ.).

Ma verace valor... – სტრიქონები ტ. ტასოს «განთავისუფლებული იერუსალიმიდან» (II, 60), სადაც შექებულია ჯვაროსანთა ბელადის გოტფრიდ ბულონელის სახელ-დიდება და თავმდაბლობა.

თავიანთი სიცოცხლე სავაჭროდ რომ გაუხდიათ – შვეიცარიის მკვიდრის ჟიულის ეს აზრი სამხედროთა გამო შემთხვევითი როდია და ემყარება იმ ამბავს, რომ შვეიცარიელები მასობრივად მიისწრაფოდნენ საზღვარგარეთულ არმიებში დაქირავებულ მებრძოლებად.

სახელ-დიდების უაზრო მოთხოვნათა გამო – ამ წერილმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თანამედროვეებზე და მისგან ვრცლად მოჰყავდათ ციტატები დუელის მოწინააღმდეგეთ. «პარიზის სურათების» ავტორისა და რუსოს მიმდევრის მერსიეს მოწმობით, 1789 წლის რევოლუციის წინა დროს საფრანგეთში დუელი იშვიათი მოვლენა გახდა «ფილოსოფოსთა წყალობით», რომელთაც მოახერხეს ის, რაც ვერ შეძლო მეფემ.

ფურსტები, ტელები, შტაუფაჰერები – ლაპარაკია შვეიცარიის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლებზე, რომლებიც აჯანყდნენ ავსტრიის ბატონობის წინააღმდეგ XIV საუკუნეში, რაც აღბეჭდილია ხალხურ თქმულებებში.

გრანსონი – დაბაა ნევშატელის ტბის ნაპირას, ვოს კანტონში.

უწლოვანი მიჯნური – ვოს კანტონში, ისე როგორც საფრანგეთში, სრულწლოვანებად ითვლებოდნენ ოცდახუთი წლის ასაკს მიღწეული მოქალაქენი.

მეორე ნაწილი

არ ისურვა უსინდისო ადამიანად გახდომა – იგულისხმება XVIII საუკუნის ორმოციან წლებში გახმაურებული პროცესი აზნაურ ლა ბედუაიერისა, რომელმაც ცოლად შეირთო აქტიორი ქალი და მამამისის მიერ აღძრული სასამართლო საქმის შემდეგ იძულებული გახდა გაყროდა ცოლს.

Conguinti eran gl'alberghi... – სტრიქონები ტ. ტასოს პასტორალ «ამინტადან» (I, 2): გმირი უამბობს მეგობარ ტირსიდს, თუ როგორ შეიყვარა მწყემსი ქალი სილვია.

პასტორალი (ფრანგ. pastorale) – ევროპულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში (XIV–XVIII სს.) ჟანრი, რომლისთვისაც დამახასიათებელია ბუნების წიაღში მწყემსების ცხოვრების იდილიური ასახვა; ამ ჟანრის ნაწარმოები.

პრაგმატული სანქცია – ლაპარაკია ეგრეთწოდებულ «პრაგმატულ სანქციაზე», რომლითაც გერმანიის იმპერატორმა კარლოს VI-მ 1713 წელს ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადა თავისი უფროსი ასული მარია-ტერეზია. წელთა მანძილზე იმპერატორი ცდილობდა ამ «სანქციის» აღიარებას ევროპის სახელმწიფოების მიერ. მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ 1740 წელს კარლოს VII-ის სახელით იმპერატორად აირჩიეს ბავარიის მარკგრაფი, რის გამოც ატყდა ომი ავსტრიის მემკვიდრეობისათვის (1741–1748 წწ.). ამ ომში საფრანგეთი და პრუსია იცავდნენ კარლოს VII-ს, ხოლო მარია-ტერეზიას მხარი დაუჭირა ინგლისმა. ომი დამთავრდა მარია-ტერეზიას მოქიშპის დამარცხებით.

მარკგრაფი (გერმ. Markgraf) – ზოგი გერმანელი მთავრის (თავადის) ტიტული; ამ ტიტულის მქონე პირი.

Frutto senile in su'l giovenil fiore... – სტრიქონი პეტრარკას სონეტიდან (CCXV) ლაურას ცხოვრებაზე, სადაც პოეტი ადიდებს ლაურას და ამბობს, ყმაწვილქალობისას ხანდაზმულივით ბრძენთა ბრძენი იყოო.

პლატონის ფილოსოფია – რუსო გულისხმობს სიყვარულის მოძღვრებას, რასაც ავითარებს პლატონი «ნადიმის» დიალოგში. ამ დიალოგის მონაწილე სოკრატე სიყვარულს

განსაზღვრავს, როგორც გზას, რომელსაც მშვენიერების – «ჭეშმარიტების» ანარეკლის ჭვრეტით მივყავართ უზეშთაესი სათნოებისაკენ.

სოკრატე – ძველ ბერძენთა გამოჩენილი ფილოსოფოსი (468 – დაახლ. 400 ძვ. წ.).

ჰელიოჰაბალის განცხრომანი – ჰელიოჰაბალი (204–222) თავისი სისასტიკითა და აღვირახსნილი გარყვნილებით ცნობილი რომის იმპერატორი.

ათენელი, ციკუტის შხამი რომ შესვა – ლაპარაკია სოკრატეზე, რომელსაც ბრალად დასდეს უღმერთობა და მიუსაჯეს ციკუტის საწამლავის შესმა.

რეგულუსი (III ს. ძვ. წ.) – პატრიოტიზმით განთქმული რომაელი კონსული. ის ტყვედ ჩაიგდეს კართაგენელებმა და გაუშვეს რომში იმ პირობით, რათა დაერწმუნებინა სენატი, მიეღო კართაგენის წინადადება ტყვეთა გაცვლის გამო. მაგრამ რეგულუსი ზრუნავდა რომის ინტერესთათვის და დაარწმუნა სენატი, არ მიეღო ეს წინადადება. შემდეგ დაბრუნდა კართაგენს, სადაც მას ელოდა ტანჯვა-წამებით სიკვდილი.

სენატი (ლათ. Senatus) – ძველ რომში უმაღლესი ხელისუფლების სახელმწიფო ორგანო.

კატონი – კატონ უმცროსი ანუ უტიკელი (95–46 ძვ. წ.) – რომის თავისუფლებათა დამცველი, იულიუს კეისრის მოწინააღმდეგე. რესპუბლიკელთა დამარცხების შემდეგ თავი მოიკლა, წამოეგო თავის ხმალს.

კეისარი, გაიუს იულიუსი (100–44 ძვ. წ.) – ძველი რომის ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე, მხედართმთავარი, მწერალი და ორატორი.

O qual fiamma di gloria... – სტრიქონები მეტასტაზიოს დრამა «ატილუს რეგულუსიდან» (II, 2). რომაელმა მანლიუსმა გაიგო რეგულუსის განზრახვა – ეთხოვა სენატისთვის, რათა მას უარეყო კართაგენის წინადადება, და ამ სტრიქონებში აღტაცებას გამოთქვამს რეგულუსის გმირული საქციელის გამო.

ძველი დროის ერთი ვინმე ბრძენკაცი – სენ-პრე იგონებს რომაელი მხედართმთავრის სციპიონ აფრიკელის (234–183 ძვ. წ.) სიტყვებს, რომელსაც ახსენებს ციცერონი ტრაქტატში «ვალდებულებათა შესახებ» (III, 1).

ყოველი მოქალაქე მოვალეობით უნდა იყოს ჯარისკაცი, და არა ხელობის მიხედვით – ჟენევაში არსებობდა რვაასკაციანი მუდმივი გარნიზონი, მაგრამ მთავარი სამხედრო ძალა იყო მოხალისეთაგან შემდგარი «მოქალაქეთა ასეულები». მათთვის სავალდებულო იყო სამხედრო სწავლება, ოღონდ არ ითვლებოდნენ რეგულარულ არმიად.

ალკიბიადე (450–404 ძვ. წ.) – ცნობილი ათენელი პოლიტიკური მოღვაწე და მხედართმთავარი – განთქმული იყო უაღრესი პატივმოყვარეობით და რამდენჯერმე გამოიცვალა კიდეც პოლიტიკური თვალსაზრისი.

მიურა – ბეატ-ლუი დე მიურა – ბერნის მკვიდრი, მწერალი მორალისტი. დიდი წარმატება ჰქონდა მის «წერილებს ინგლისელებსა და ფრანგებზე». რუსო დიდად აფასებდა მიურას. «ახალ ელოიზაში» გამოიყენა მისი შედარებითი აღწერა ინგლისელთა და ფრანგთა ზნე-ჩვეულებებისა და აგრეთვე კრიტიკული შენიშვნები მაღალი წრის საზოგადოებაზე.

Qui canto dolcemente – სტრიქონები პეტრარკას სონეტიდან (CXIII) ლაურას ცხოვრებაზე. პოეტი მოუთხრობს მეგობარს ლაურასთან გამიჯნურების ამბებს.

კავალერი მარინო – ჯამბატისტა მარინო (1569–1625), ცნობილი იტალიელი პოეტი, შემქმნელი მაღალფარდოვანი სტილისა, რომელსაც მისი სახელის მიხედვით «მარინიზმი» შეარქვეს. მარინოს მთავარი ნაწარმოებია პოემა «ადონისი», რომელშიც აღწერილია ადონისისა და ვენერას სიყვარული. მარინო წერდა აგრეთვე სონეტებსაც,

ოღონდ ზემოთ მოხსენებული სტრიქონი ამ სონეტებში არ მოიძებნება და ალბათ რუსო შეცდომით მარინოს მიაწერა იგი. ავტორის ვინაობის დადგენა არ მოხერხდა.

ადონისი (ბერძ. Adönis) – ფინიკიელთა ბუნების ღვთაების ბერძნული სახელწოდება; მოკვდავი და კვლავ გაცოცხლებული ბუნების განსახიერება.

ვენერა – ძველი რომაული ღვთაება გაზაფხულისა, ბაღ-ბოსტნების მფარველი; თაყვანს სცემდნენ ძველ დროში. შემდეგ, ბერძენთა გავლენით გააიგივეს აფროდიტესთან, რომელიც სიყვარულისა და სილამაზის ქალღმერთად ითვლებოდა.

ერთგან მოლინისტები არიან, მეორეგან – იანსენისტები... – მოლინისტები იყვნენ მიმდევრები ესპანელი იეზუიტის ლუის მოლინისა (1535–1600), ვისი მოძღვრებაც «მადლის შესახებ» დაგმო ეკლესიამ. იანსენისტები – ჰოლანდიელი თეოლოგის კორნელიუს იანსენის (1585–1638) შექმნილი და აგრეთვე ეკლესიისაგან დაგმობილი მოძღვრების მიმდევარნი. ეკლესიისა და მაღალი წრეებისაგან დევნის მიუხედავად იეზუიტთა მიმართ მტრულად განწყობილი იანსენისტები დიდი გავლენით სარგებლობდნენ XVII–XVIII საუკუნეთა ფრანგულ საზოგადოებაში.

იეზუიტი (ლათ. Iesus – იესო ქრისტე) – კათოლიკური ეკლესიის ყველაზე უფრო რეაქციული ორდენის, ე. წ. «იესოს საზოგადოების» წევრი (იეზუიტთა ორდენი შექმნა XVI საუკუნეში ეგნატე ლოიოლამ).

თეოლოგი – თეოლოგიის (ღვთისა და რელიგიური დოგმატების შესახებ მოძღვრების) სპეციალისტი, ღვთისმეტყველი.

ხელს მიშლის რაიმე მიზნის მიღწევაში – რუსოსდროინდელ საფრანგეთში პროტესტანტებს ეკრძალებოდათ სახელმწიფო თანამდებობათა მოპოვება.

ტირინფელთა სახით – ტირინფელთა ამბავი მოთხრობილია ფონტენელის (1657–1757) «მიცვალებულთა დიალოგებში» («პარმენისკე და თეოკრიტე ხიოსელი»). გადმოცემის მიხედვით, ძველი საბერძნეთის ქალაქ ტირინფის მცხოვრებნი განთქმულნი იყვნენ თავიანთი დამცინაობით. მათ ისურვეს მოეშალათ ეს ნაკლი და რჩევისათვის მიმართეს დელფოსის ორაკულს, რომელმაც უბრძანა მსხვერპლად შეეწირათ ხარი და არც ერთხელ არ გაეცინათ. მსხვერპლის შეწირვა დააკისრეს ყველაზე პირქუშ ადამიანებს: მოხუცებს, ავადმყოფებს, ანჩხლი ცოლების ქმრებს დ ა. შ. მაგრამ უკანასკნელ წუთს სამსხვერპლოსთან გაძვრა ერთი ბავშვი, და როცა მისი გაგდება მოინდომეს, წარმოთქვა: ხომ არ გეშინიათ, ხარს შეგიჭამთო? – ამ ხუმრობამ ყველანი გააცინა.

როგორც ჰომეროსია მოქცეული იმ პედანტთა წრეში... – ეს ნართაულადაა ნათქვამი «ძველ და ახალ მწერლებზე ცნობილი დავის» გამო, საფრანგეთში რომ ატყდა ჯერ კიდევ XVII საუკუნეში და განახლდა 1714 წელს ფრანგულ ენაზე ჰომეროსის «ილიადის» თარგმნის ირგვლივ. დავა ატყდა იმის გამო, ვინ უფრო დიდი იყო – ანტიკური მწერლები თუ უახლესი ფრანგი კლასიკოსები, რაც ძალზე აინტერესებდა რუსოს, ვინაიდან აქ პირველად დაისვა პროგრესის საკითხი ლიტერატურასა და ხელოვნებაში.

სამი თეატრი... – იმ დროს, რომელსაც ეხება სენ-პრეს წრილი, პარიზში იყო სამი დიდი თეატრი, რომლებიც სარგებლობდნენ მთავრობის სუბსიდიით. სენ-პრე ამ თეატრებს ახასიათებს შემდეგი რიგით: იტალიური კომედიის თეატრი, სამეფო მუსიკალური აკადემია (ანუ ოპერა) და ფრანგული კომედიის თეატრი.

პომპეუსი და სერტორიუსი – გნეი პომპეუსი (106–48 ძვ. წ.) – რომაელი სახელმწიფო მოღვაწე და მხედართმთავარი, მეთაურობდა ბრძოლას იულიუს კეისრის წინააღმდეგ, რომელშიც დამარცხდა; გაიქცა ეგვიპტეში და იქ მოკლეს. კვინტუს სერტორიუსი (გარდაიც. 72 ძვ. წ.) – რომის პირველი სამოქალაქო ომის მხედართმთავარი, სულას მტერი; გაიქცა ესპანეთში, სადაც ააჯანყა ხალხი რომის

წინააღმდეგ და შექმნა დამოუკიდებელი მთავრობა. ფრანგი მწერლის კორნელის კალამს ეკუთვნის ტრაგედიები: «პომპეუსის სიკვდილი» (1643) და «სერტორიუსი» (1662).

სავარძლებში მოკალათებული კომედიანტები – რუსო გულისხმობს მაღალი წრის საზოგადოების პრივილეგიას, რომელიც პირდაპირ სცენაზე იკავებდა ადგილებს. ეს ჩვეულება გაუქმდა მხოლოდ 1759 წელს, «ახალი ელოიზას» დამთავრებიდან ერთი წლის შემდეგ.

მათი მიმდევარი... – ლაპარაკია ვოლტერზე, რომელმაც კლასიცისტური ტრაგედიის რეფორმებისას გააძლიერა მასში სანახაობრივი ელემენტები, რაც ინგლისის თეატრისა და კერძოდ, შექსპირის ტრაგედიათა გავლენით მოხდა...

პორ-როიალი – დედათა მონასტერი, იანსენისტური აზრის მთავარი კერა; დაიხურა 1705 წელს ლუი XIV-ის ბრძანებით.

ბარონი მიშელი (1653–1729) – გამოჩენილი აქტიორი და ავტორი კომედიებისა; თამაშობდა მოლიერის დასში.

ადრიენა ლუკევრერი (1692–1730) და მადმუაზელ გოსენი (1711–1767) – ცნობილი ტრაგიკოსი მსახიობები.

ალზირა – ვოლტერის იმავე სახელწოდების პიესის გმირი ქალი.

ჩინებული ველური, ზამორი – იმავე პიესის პერსონაჟი.

გრანვალი – მსახიობი; სცენაზე თამაშობდა 1761 წლამდე.

კრებილიონი, კლოდ-პროსპერ ჟოლიო დე, ანუ კრებილიონი უფროსი (1674–1762) – XVIII საუკუნის ცნობილი დრამატურგი, რომელმაც კლასიციზმის ტრაგედიაში შეიტანა «საშინელებათა» თემატიკა.

კატინა და ფენელონი – ნიკოლა კატინა (1637–1712) – გამოჩენილი ფრანგი მხედართმთავარი და პოლიტიკური მოღვაწე, რამდენჯერმე დაამარცხა სავოიის ჰერცოგი. ფენელონი, ფრანსუა დე სალინიაკ დე ლა მოტი (1651–1715) – ქ. კამბრეს ეპისკოპოსი და ცნობილი მწერალი, ავტორი კრიტიკული ტენდენციებით გამსჭვალული ფილოსოფიურ-პოლიტიკური რომანისა – «ტელემაქეს თავგადასავალი». რუსო აღტაცებით იხსენიებდა კატინასა და ფენელონს, განსაკუთრებით უკანასკნელს და ლამობდა მათი ცხოვრების ამბავთა აღწერას.

რასაც ბატონმა დე სენ-საფორენმა მიაღწია ვენაში – გენერალი ფრანსუა დე საფორენი (გარდაიც. 1737 წ.) – ვოს კანტონის მკვიდრი, ემსახურებოდა ჯერ ჰოლანდიის, შემდეგ ავსტრიის მთავრობას, ხოლო 1716 წელს სამსახური დაიწყო ინგლისში და იყო ინგლისის ელჩი ვენაში.

ივერდენი – პატარა ქალაქი ვოს კანტონში.

ბატონმა კრუზასმა ამას წინათ გამოსცა პოუპის «ეპისტოლეების» გაბათილება – ჟან-პიერ დე კრუზასი (1663–1748) – შვეიცარიელი მათემატიკოსი და ფილოსოფოსი. 1736 წ. თარგმნა პოუპის «ცდები ადამიანზე», ხოლო 1737 წ. გამოქვეყნდა ამ ნაწარმოების გარჩევა. ალექსანდრ პოუპი (1688–1744) – ცნობილი პოეტი და მორალისტი, ინგლისის კლასიციზმის მეთაური. მისი «ცდები ადამიანზე» განთქმული იყო საფრანგეთსა და მთელ ევროპაში და «ახალი ელოიზას» შექმნის დროს შვიდჯერ გამოვიდა თარგმნილი და მოკლე შინაარსით გადმოცემული.

გასკონელი ფილოსოფოსის სიტყვით... – იხ. მონტენი, «ცდები», წიგნი 3, თ. V მ.-ლ., 1960, გვ. 101. «სავსებით მოუკვლელი შიმშილი უფრორე მწვავედ საგრძნობია, ვიდრე სანახევროდ დამცხრალი, თუნდაც თვალთა ცქერით».

ასე იყო წარსულ ომში – აქ იგულისხმება ომი პოლონეთის მემკვიდრეობისათვის (1733–1738), იმ დროს რომ მიმდინარეობდა, რომელსაც რუსო აკუთვნებს «ახალი ელოიზას» პირველ ნაწილთა მოქმედებას (სენ-პრეს ბარათი

დაწერილია დაახლოებით 1734 წ.). თავად რუსო მომსწრე იყო ავსტრიის მემკვიდრეობისათვის ომისა (1741–1748).

თვით ბიბლიაც კი სამიჯნურო ამბავთა კრებულად გადააკეთეს – ნაგულისხმევია 1727 წელს გამოქვეყნებული პ. ბერუიეს «ღვთის ხალხის ამბავი». 1762 წელს ეს წიგნი დაგმეს სორბონში და რომის პაპმა აკრძალულ წიგნთა სიაში შეიტანა იგი.

სორბონი – უძველესი უმაღლესი სასწავლებელი პარიზში. დააარსა 1253 წელს ლუი IX-ის მოძღვარმა რობერ დე სორბონმა.

სასაცილო თეატრი – თანამედროვე ინგლისური თეატრი აღწერილია ა. პოუპის სატირული პოემის «დუნსიადას» III კარში.

ჩვენი დროის რომაელი მხედარი – ლაპარაკია აზნაურ დე შასეზე, რომელიც 1720 წლიდან 1757 წლამდე მღეროდა ოპერაში. სინამდვილეში დე შასემ აირჩია მსახიობის პროფესია გაჭირვების გამო, ვინაიდან მისი ოჯახი გაკოტრდა.

ბედკრული ლაბერიუსი... – რომაელი პატრიცის ლაბერიუსის ამბავი მოთხრობილია V საუკუნის ლათინელი მწერლის მაკრობიუსის ნაწარმოებ «სატურნალიებში». რუსო შენიშვნაში ახსენებს ავლიუს ჰელიუსს (II საუკუნის ლათინელი მწერალი და გრამატიკოსი), რაც მცდარია და გასწორდა მის მიერვე 1763 წლის გამოცემაში.

კინო, ფილიპი (1635–1688) – ფრანგი დრამატურგი, რასინის თანამედროვე, უფრო მეტად ცნობილია თავისი გალანტური «ლირიკული ტრაგედიებით» – მითოლოგიურ და პასტორალურ სიუჟეტებზე აგებული ლიბრეტოებით ლიულის ოპერებისათვის.

«შეშის მჭრელი» – ასე შეარქვეს დაცინვით ოპერის ორკესტრის დირიჟორს, რომელიც ტაქტის გამოთვლისას ძალზე აკაკუნებდა თავის ჯოხს.

ტიმოთეუსი (446–357 ძვ. წ.) – ბერძენი პოეტი და მუსიკოსი, რომელიც ცდილობდა ძველების მუსიკის სრულყოფას, და ჩანგის შვიდ სიმს კიდევ დაუმატა ორი (სხვა ვერსიით – ოთხი) სიმი. ამან აღაშფოთა ძველი მუსიკის ქომაგნი, და როცა ტიმოთეუსი ეწვია სპარტას შეჯიბრებაში მონაწილეობისათვის, უხუცესობამ აიძულა, საჯაროდ დაეწყვიტა ზედმეტი სიმები.

რიგოდონი და ჩაკონა – რიგოდონი ძველი პროვანსული ცეკვაა, ჩაკონა – XVII-XVIII საუკუნეებში ძალზე გავრცელებული ცეკვა, რომელიც წარმომავლობდა ესპანეთიდან.

როგორ შეიძლებოდა მოსწყენოდა მას ესოდენ საუცხოო სანახაობა – საოპერო წარმოდგენა! – იხ. ჟან დე ლაბრუიერი, «ხასიათები»: «არ მესმის, ვით შეიძლება მომწყინდეს ოპერა თავისი ესოდენ სრულყოფილი მუსიკითა და ჭეშმარიტად მეფურად გაღებული ხარჯებით».

ლაბრუიერი, ჟან დე (1645–1696) – ფრანგი მწერალი, კლასიკური პროზის გამოჩენილი წარმომადგენელი XVII საუკუნის საფრანგეთში.

Bonda testa, occhi azurri... – სტრიქონი მარინოს «ადონისიდან» (III, 23).

ძველი ჰელვეცია – შვეიცარიის ლათინური სახელწოდება, რასაც ხშირად იყენებენ ლიტერატურაში.

მესამე ნაწილი

ს. გ. – გმირის ნამდვილი სახელის ინიციალები: სენ-პრე გამოგონილი სახელია, რის გამოც იხ. რუსოს შენიშვნა XIV წერილისათვის (III ნაწილი).

მათ შორის უშუალო ურთიერთობა, ხორციელი და გრძნობადი აღქმის კიდეგან... – სულებისა და მაგიის რწმენა XVIII საუკუნეში ჯერ კიდევ ძლიერ იყო გავრცელებული განათლებულ ადამიანებშიც კი. მაგრამ ჟიული აცხადებს, სულები კი არა, არამედ რაღაც «ტელეპატია» მწამსო. რუსომ ალბათ მწერალთა შორის პირველმა გამოთქვა ვარაუდი «სულთა ასეთი ერთობის» შესაძლებლობის გამო.

ამართლებენ ფარულ მრუშობას – სინამდვილეში იმ დროის არც ერთ ფილოსოფიურ თხზულებაში არსად არ გვხვდება მეძაობის დაცვა. შესაძლოა, რუსო აქ გულისხმობდეს კრებილიონ უმცროსის რომანებში აღწერილი საუკუნის ზნე-ჩვეულებებს, ოღონდ ყველაზე უფრო ამ პოლემიკას «ფილოსოფოსებთან» საფუძვლად დაედო საუბრები და კამათი იმ სალონებში, სადაც დადიოდა რუსო.

...ფარულ ქორწინებათა წინააღმდეგ... – XVIII საუკუნის საფრანგეთში ძალზე გავრცელებული მოვლენა იყო საიდუმლო ქორწინებები, თუმცა ზოგიერთ ფორმალობათა (ორი მღვდლის დასწრება, ქორწინების გამჟღავნება და სხვ.) დაუცველობის გამო არ იძლეოდნენ არავითარ მოქალაქეობრივ უფლებებს.

დაიცავს ყველა წესიერი ადამიანი – მოქალაქეთა ზნეობაზე საზოგადოების მეურვეობის ამ ქება-დიდებაში მჟღავნდება რუსოს შვეიცარიული წარმომავლობა. კალვინისტურ ჟენევაში თითოეული მცხოვრების საქციელსა და მოქმედებას ფხიზლად უდარაჯებდა ყველა ირგვლივმყოფი და აგრეთვე ჟენევის კონსისტორია, რომელიც სჯიდა მიღებულ ნორმათაგან ყოველგვარი გადახვევისათვის. ასე მაგალითად, 1701 წელს რუსოს დეიდები გაკიცხეს იმის გამო, რომ კვირა დღეს ბანქოს თამაშობდნენ თავიანთი სახლის კარებთან (იხ. აგრეთვე IV ნაწილის შენიშვნებში).

მისი მწარე წიგნით – იხ. ლაროშფუკო, «მაქსიმები», მ.-ლ., 1959, გვ. 16. «აღსარებაში» რუსო ლაროშფუკოს წიგნს უწოდებს «სევდიანსა და სასოწარკვეთილების მომგვრელს», ხოლო «ემილში» ლაროშფუკოს სახელის მოუხსენებლად კიცხავს «საშინელ ფილოსოფიას», რომელიც ყოველ სათნო საქციელში ეძიებს ქვენა გულისთქმათ.

ლაროშფუკო, ფრანსუა დე (1613–1680) – ჰერცოგი, ფრანგი მწერალი-მორალისტი.

ამ სიტყვებს არ გადავთქვამ – 1763 წლის გამოცემაში ამ ფრაზას რუსომ დაუმატა შემდეგი შენიშვნა, რომელიც მას ფრიად მნიშვნელოვნად მიაჩნდა და საკუთარი ხელით ჩაწერა «ახალი ელოიზას» შემდგომი გამოცემების რამდენიმე ეგზემპლარში:

«სხვადასხვა გარემოება განსაზღვრავს და ცვლის ჩვენი ნება-სურვილის უნებურად ყველა საგულისგულო მისწრაფებას: ჩვენ მანამდე ვართ ბიწიერნი და ბოროტნი, სანამ ეს ხელსაყრელია ჩვენთვის და საუბედუროდ ჩვენი მძიმე ბორკილები ამრავლებენ ჩვენს ანგარებას. თითქმის ყოველთვის ამაოა და იშვიათად იქნება გულწრფელი ყველა მცდელობა, ჭეშმარიტ გზაზე დავაყენოთ ჩვენი ნდომა-სურვილი. ჩვენი ნდომა-სურვილი კი არ უნდა შეიცვალოს, არამედ მათი გამომწვევი გარემოებანი. უკეთუ გვსურს გავხდეთ კარგები, მოვსპოთ გარემოებანი, ხელს რომ გვიშლიან, ვიყოთ კარგნი – სხვაგვარი საშველი არ არსებობს. ამქვეყნად არაფრის დიდებით არ ვისურვებდი მქონოდა მემკვიდრეობის უფლება, განსაკუთრებით თუკი ის ადამიანი, რომელიც მემკვიდრეობას მიტოვებს, ძვირფასია ჩემთვის, რამეთუ ვინ უწყის, რა საშინელ განზრახვას შთამაგონებდა გაჭირვება! ამის გამო ყურადღებით ჩავწვდი ჟიულის გადაწყვეტილებას – აღიარებას, თავის მეგობარს რომ მიმართა. კარგად აწონ-დაწონეთ მისი გადაწყვეტილება და ყველა გარემოება და დაინახავთ, თუ როგორ ძალუძს წრფელ გულს თავის თავთან უთანხმოებისასაც დარჩეს მოვალეობის ერთგული. ამიერიდან ჟიული, მიუხედავად გულში ჯერ ისევ დამარხული სიყვარულისა, მთელი არსებით ეძლევა სათნოებას, – ასე ვთქვათ, აიძულებს თავის თავს შეიყვაროს ვოლმარი, როგორც თავისი ერთადერთი რჩეული, როგორც ადამიანი,

რომელთანაც გაატარებს მთელ სიცოცხლეს; შორს განაგდებს მისი სიკვდილის გამო იდუმალ ფიქრსა და ოცნებობს მის შენარჩუნებას. მე ან არაფერი გამეგება ადამიანის გულისა, ანდა მხოლოდ ამ გადაწყვეტილებაში, რაზედაც ესოდენ მსჯელობენ, მდგომარეობს სათნოების ზეიმი ჟიულის შემდგომ ცხოვრებაში და კიდევ სიყვარულის იმ გულწრფელ და მუდმივ გრძნობაში, რასაც აღსასრულამდე განიცდიდა ქმრის მიმართ».

ძველ დროთა გმირის სიტყვები – პლუტარქე, «თემისტოკლეს ცხოვრების აღწერა». ათენის მხედართმთავარმა თემისტოკლემ (იხ. ზემოთ, I ნაწილის შენიშვნებში), რომელსაც სახელმწიფო თანხების გაფლანგვა დასდეს ბრალად და განდევნეს ათენიდან, თავშესაფარი ჰპოვა სპარსეთში, სადაც, გადმოცემის მიხედვით, ერთხელ წარმოთქვა ეს სიტყვები.

პლუტარქე (დაახლ. 46–126 წ.) – ძველი ბერძენი მწერალი-მორალისტი.

რობეკი იოჰანი – ავტორი 1736 წელს გამოცემული წიგნისა, რომელიც ხოტბას ასხამს თვითმკვლელობას. წიგნის დამთავრებისთანავე რობეკმა თავი დაიხრჩო. რუსო ალბათ ახსენებს მას ფორმეს წიგნის «ფილოსოფიური ნარევის» (1754) მიხედვით. რობეკი ნახსენებია აგრეთვე ვოლტერის «კანდიდში», ოღონდ 1759 წელს, როცა «კანდიდი» გამოვიდა, «ახალი ელოიზა» უკვე დამთავრებული იყო. თვითმკვლელობის ნებადართულობის პრობლემას დიდი ინტერესით განიხილავდნენ XVIII საუკუნის ლიტერატურაში (იხ. მონტესკიე, «სპარსული წერილები»; აბატი პრევო, «კლეველანდი», VI წიგნი და სხვ.).

«ფედონი» – პლატონის შესანიშნავი დიალოგი; სახელწოდება მიიღო ბერძენი ფილოსოფოსის, სოკრატეს მეგობრისა და მოწაფის ფედონისაგან (V ს. ძვ. წ.). ამ დიალოგში სოკრატე სიკვდილის წინ ამხნევებს მწუხარე მეგობრებს და არწმუნებს მათ, სული უკვდავიაო.

კებეტი (V ს. ძვ. წ.) – ბერძენი ფილოსოფოსი, სოკრატეს მოწაფე; გამოყვანილია პლატონის რამდენიმე დიალოგში.

ჰქონდა თუ არა ნება, განეგო თავისი სიცოცხლე – სინამდვილეში «ფედონის» დიალოგში სოკრატე ფრიად საფუძვლიანად განმარტავს ამ საკითხს და ამტკიცებს, ადამიანები ეკუთვნიან ღმერთებს და უფლება არა აქვთ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრონო.

ჩემი გამწვალებელი ნიკრისის ქარი ბოროტებაა – პოსიდონიის ანეკდოტს მოგვითხრობს ციცერონი «ტუსკულურ საუბრებში» (II, 25).

...და არიასე, ეპონინა, ლუკრეცია... – არიასე – რომაელი მატრონა (ოჯახის დედა), იმპერატორ კლავდიუსის (10 ძვ. წ. – 54 წ.) წინააღმდეგ შეთქმულების მონაწილე პეტუსის მეუღლე. როცა შეთქმულება აღმოაჩინეს და პეტუსს მიუსაჯეს თავის მოკვლა, არიასემ მოისურვა სიმამაცე შთაენერგა ქმრისათვის – გულში ხანჯალი დაიცა, შემდეგ ამოიძრო და გადასცა ქმარს სიტყვებით: «პეტუს, არაა მტკივნეული». ეპონინა (გარდ. 78 წ.) – რომაელთა წინააღმდეგ აჯანყებულ გალელთა ბელადის საბინის მეუღლე. როცა დამარცხებული საბინი დასასჯელად წაიყვანეს, მისი ცოლი ნებაყოფლობით გაჰყვა მას. ლუკრეცია – დიდგვაროვანი რომაელი ქალი: თავი მოიკლა მას შემდეგ, როცა იგი გააუპატიურა მეფე ტარკვინიუს ზვიადის შვილმა. აღშფოთებულმა ხალხმა ჩამოაგდო მეფე და რომში დამყარდა რესპუბლიკა (510 ძვ. წ.). რუსოს დარჩა ამ სიუჟეტზე აგებული დაუმთავრებელი ტრაგედია.

ლაქტანციუსი და ავგუსტინე – ლაქტანციუსი (გარდ. 325 წ.) – ქრისტიანობის დამცველი წარმართობასთან ბრძოლაში. მას უწოდეს «ქრისტიანთა ციცერონი». ნეტარი ავგუსტინე (354–430) – ყველაზე გამოჩენილი «ეკლესიის მამა».

სამსონის თვითმკვლელობა – ბიბლიური თქმულებით, როცა ფილისტიმლელებმა ლხინში ბრმა სამსონი მიიყვანეს, აბუჩად იგდებდნენ და აგინებდნენ ძალღონეგამოლეულ გმირს. სამსონი შეევედრა ღმერთს, ერთი წუთით მაინც მომეცი წინანდელი ძალა, რათა მტრებზე შური ვიძიოო. ხელები შემოხვია იმ შენობის სვეტებს, სადაც ფილისტიმლელები ილხენდნენ, დაანგრია იგი და დაღუპა მტრებიც და თავისი თავიც («მსაჯულთა წიგნი», თ. 17).

საზოგადოებრივი უთანასწორობის ადათ-წესები – იგულისხმება მილორდ ედუარდის სამიჯნურო თავგადასავალი, რომლის ზნეობრივი პრობლემები განხილულია მეექვსი ნაწილის მესამე წერილში.

ჩემი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან წუთებში... – ამის გამო იხ. მეხუთე ნაწილი, XII წერილი და მეექვსე ნაწილი, III წერილი.

არ მიჰყიდა თავისი სისხლი უცხოქვეყნელ ხელმწიფეს – სენ-პრემ უარი განაცხადა სარდინიის მეფის არმიაში დაქირავებულ ჯარისკაცად წასვლაზე. იხ. პირველი ნაწილის XXXIV წერილის P. S.

...კავდინის ხეობაში – ჩვენს წელთაღრიცხვამდე 321 წელს რომაელთა არმიას, რომელსაც მეთაურობდნენ კონსულები, – ვეტურიუს კალვინიუსი და პოსტუმიუს ალბინუსი, – კავდინის ხეობაში გარშემოერტყნენ სამნიტთა ჯარები. ამაყ რომაელთა დასამცირებლად და იმავ დროს მასობრივი ჟლეტის თავიდან ასაცილებლად სამნიტებმა აიძულეს რომაელები, იარაღი დაეყარათ და «ალაიაში» გაევლოთ.

ვარონი – რომაელი კონსული (III ს. ძვ. წ.), წააგო ბრძოლა კანთან (216 ძვ. წ.), სადაც რომაელთა ლაშქარი გაანადგურა ჰანიბალემ და დაკარგა ორმოცდაათი ათასი კაცი. ვარონმა შეკრიბა ჯარის ნარჩენები და დაბრუნდა რომს, სადაც სენატი და ხალხი ზეიმითა და პატივისცემით შეხვდა მას იმის გამო, რომ სასო არ წარკვეთია და ხელი არ აუღია სახელმწიფოს მართვა-გამგეობაზე.

ჰანიბალე (ანიბალე) (247–183 ძვ. წ.) – გამოჩენილი კართაგენელი მხედართმთავარი.

კენსინგტონი – ლონდონის ყოფილი გარეუბანი, ამჟამად დედაქალაქის დასავლეთი ნაწილი. რუსოს დროს იქ მდებარეობდა ინგლისის სამეფო კარის ერთ-ერთი რეზიდენცია.

ჯორჯ ანსონი (1697–1762) – ცნობილი ინგლისელი მეზღვაური, რომელმაც იმოგზაურა ქვეყნიერების გარშემო (1740–1743 წწ.), დაიპყრო ქ. პაიტა პერუში (მაშინ ესპანეთის კოლონიაში) და ხელთ იგდო ესპანელთა მდიდრული გალიონი (სამხედრო ხომალდი). 1761 წელს ფრანგთა წინააღმდეგ ლაშქრობაში გამოჩენილი სიმარჯვისათვის მიენიჭა ადმირალის წოდება.

ლემერის სრუტე – ჰორნის კონცხის სამხრეთით მდებარე სრუტე.

მეოთხე ნაწილი

რაც მან თქვა, მე გავაკეთებ – ორი ხუროთმოძღვრის ანეკდოტი მოხსენებული აქვს პლუტარქეს («სახელმწიფო საქმეთათვის მზრუნველთა დარიგება»), რათა გვიჩვენოს, რომ ვისაც სურს გავლენა მოახდინოს ხალხზე, იგი კარგი ორატორი უნდა იყოს. ამ ამბავს რუსო საპირისპირო მნიშვნელობას ანიჭებს – კი არ უნდა ილაპარაკო, არამედ იმოქმედოო.

სეზოსტრისეს მცველები – სეზოსტრისე – ეგვიპტის ლეგენდარული ფარაონი, ხშირად იხსენებენ ანტიკურ ლიტერატურაში. მას მიაწერდნენ მრავალი ქვეყნის დაპყრობას, სხვადასხვა კანონისა და ადათ-წესების შემოღებას.

Dehl fosse or qui quel miser… – სტრიქონები პეტრარკას სონეტიდან (CCXLIII) ლაურას ცხოვრებაზე.

E in mar dubbioso sotto ignoto polo… – სტრიქონები ტასოს «განთავისუფლებული იერუსალიმიდან (III, 4).

პატაგონიელები – პატაგონიაში (არგენტინისა და ჩილის სამხრეთი ნაწილი) მოსახლე ინდიელები. ამ მხარის ადგილობრივი სახელწოდებაა «პატაგონი», რაც ნიშნავს «ტერასებს», საფეხურებს. ესპანელებმა მიიღეს, როგორც ესპანური სიტყვა «patagon»-ი – «აყლაყუდა». ამის გამო იფიქრეს, თითქოს პატაგონიელები არაჩვეულებრივად მაღალნი არიანო.

იხილა მუშკ-ამბრის მხარე – «მუშკ-ამბრის ქვეყანა», ანუ «მუშკ-ამბრის კუნძული» ეწოდებოდა მოლუკის კუნძულებს, საიდანაც უპირატესად ევროპაში შემოჰქონდათ სანელებლები.

ანტიპოდთაგან დაბრუნებული – «ანტიპოდები» XVII–XVIII საუკუნეებში ფრანგულ ენაზე ნიშნავდა ფრიად შორეულ მხარეებს, «ცხრა მთას გადაღმა» ქვეყნებს.

თავზე ხურებოდა ქუდი – XVIII საუკუნის შუა წლებამდე ზრდილობის წესთა გამო ქუდს ყოველგვარ ამინდში იღლიის ქვეშ ატარებდნენ, მაგრამ იმ საუკუნის მეორე ნახევარში შემოიღეს მეორე უკიდურესობა – ქუდს არსად, თეატრშიც კი არ იხდიდნენ.

...შესვა ჩემი სადღეგრძელო... – რუსოს დროს სადღეგრძელოს შესმის ჩვეულება მაღალი წრის საზოგადოებაში გაუქმდა და მხოლოდ მდაბიოთ შემორჩათ.

მშვენიერი ტინიანის კუნძული – კუნძული ტინიანი, ანუ ბუენავისტა მდებარეობს ოკეანეთის სამხრეთ ნაწილში. მისი აღწერილობისას, ისევე როგორც სენ-პრეს მგზავრობათა სხვა შთაბეჭდილების მიმოხილვის დროს, რუსო ეყრდნობა რ. ვალტერის წიგნს ქვეყნის გარშემო ადმირალ ანსონის მოგზაურობის შესახებ, რაც გამოიცა 1745 წელს ლონდონში და ითარგმნა ფრანგულ ენაზე 1750 წელს.

ნამდვილ პითაგორელად ჩაითვლებოდა – პითაგორას, ძველი ბერძენი ფილოსოფოსისა და მათემატიკოსის (580–501 ძვ. წ.) მთავარი დებულება იყო – რიცხვი ყველა ნივთის პირველპრინციპი არისო. მისი მოწაფეები და მიმდევრები ვალდებულნი იყვნენ ზოგიერთი საჭმელი აღეკვეთათ.

მათ მიერ ცეკვა-თამაშისა და შეკრებათა გაკიცხვა... – ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში ჟენევაში აკრძალული იყო ცეკვები. ჟან-ჟაკის ბაბუამ, დავით რუსომ, 1706 წელს ჟენევის კონსისტორიიდან (კარდინალთა სათათბირო რომის პაპის მეთაურობით კათოლიკურ ეკლესიაში) მიიღო საყვედური იმის გამო, რომ შინ აწყობდა ცეკვის საღამოებს. საუკუნის შუა წლებში ეს სიმკაცრე შენელდა, ოღონდ იმ დროისათვისაც ბერნის კანტონში, სადაც მდებარეობს კლარანი, კვირაობით აკრძალული იყო ცეკვა-თამაში.

«ვარდის რომანი» – გიიომ დე ლორისისა და ჟეან დე მენის (XVIII ს.) შესანიშნავი ალეგორიულ-დიდაქტიკური პოემა. ხელახლა გამოიცა 1735 წელს ამსტერდამში. რუსო ასახელებს ამ გამოცემის 5191-ე ლექსს.

ელიზიუმი ანუ ელისეს მინდვრები – ბერძნულ ლეგენდათა მიხედვით უახლოესი ქვეყნები, სადაც არ არის ქარიშხლები და ავი ტაროსი, სადაც სიკვდილის შემდეგ გადასახლდებიან გმირებისა და ქველკეთილ ადამიანთა აჩრდილები.

ხუან ფერნანდესი – კუნძულთა ჯგუფი წყნარ ოკეანეში, მდებარეობს 565 კილომეტრზე ჩილეს ნაპირებიდან. კუნძული ხუან ფერნანდესი, ისევე როგორც ტინიანი,

მოხსენებულია ადმირალ ანსონის მოგზაურობათა წიგნში. ხუან ფერნანდესის ერთ-ერთ უკაცრიელ კუნძულზე 1704 წლიდან 1709 წლამდე ცხოვრობდა მეზღვაური ალექსანდრ სელკირკი, რობინზონ კრუზოს პროტოტიპი. «ემილში» რუსომ არაჩვეულებრივი დიდი შეფასება მისცა დეფოს რომანს. ეს ნაწარმოები მოსწავლეს ყველა წიგნის მაგივრობას გაუწევსო.

მაისის ხე – საფრანგეთში იყო ასეთი ჩვეულება: მაისის პირველ დღეს პატივსაცემი კაცის სახლის წინ აღმართავდნენ ძალზე მაღალ მოჭრილ ხეს.

ოთხ ფენად დაზვინულ ნეხვზე... – სიტყვა ნეხვის (le fumier) ხმარება დიდი გამბედაობა იყო რუსოს მხრიდან, რაც აღნიშნა მისმა მიმდევარმა, ცნობილმა ფრანგმა მწერალმა ბერნარდენ დე სენ პიერმა.

როგორც ლენოტრს სენტ-ჯემსის პარკში... – ანდრე ლენოტრი (1613–1700) ცნობილი ფრანგი მებაღე-დეკორატორი იყო, ვერსალის პარკის შემქმნელი. სენტ-ჯემსის პარკი მდებარეობს ლონდონში იმავე სახელწოდების სასახლესთან, სადაც ხანგრძლივი დროის მანძილზე მოთავსებული იყო მეფის რეზიდენცია. როდესაც ინგლისის მეფე კარლოს II-მ ინგლისში მიიწვია ლენოტრი სენტ-ჯემსის პარკის მოსაწესრიგებლად, ლენოტრი იმდენად განაცვიფრა ამ პარკის სილამაზემ, რომ დაარწმუნა მეფე, აქ ნურაფერსაც ნუ შეცვლითო.

თათრეთი – იმ დროს ასე უწოდებდნენ აზიის დიდ ნაწილს, რომელიც შეიცავდა მონღოლეთს, მანჯურიას, თურქმენეთს, ავღანეთსა და ბელუჯისტანს.

მილორდ კეზხემის შესანიშნავი პარკი – XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილი პარკი ინგლისში.

Se a ciascun l’interno affanno... – სტრიქონები მეტასტაზიოს ტრაგედია «შეცნობილი იოსებიდან». იოსებმა თავისი ძმა ბენიამინი ჩააბარა ორ სხვა ძმას – იუდასა და სიმეონს და წუხს, ამდენ ხანს რად არ დაბრუნდნენო. ეს სტროფი გადმოგვცემს მესაიდუმლის ფიქრებს, დაღვრემილი იოსების სახე რომ დაინახა.

შაბლე – საფრანგეთის უძველესი ოლქი ჟენევის ტბის ნაპირას, ზემო სავოიაში.

Et tanta fede, e si dolci memorie... – სტრიქონები მეტასტაზიოს ტრაგედია «დემოფონიდან» (III, 9). ერთ-ერთი გმირი, ტიმანტა წუხს, ცოლს უნდა გავცილდეო, რადგან ფიქრობს, ვაითუ ჩემი ქალიშვილიაო.

მეხუთე ნაწილი

საზოგადოებრივი გონების ძალაუფლება თავისუფლების ნამდვილი საფუძველია – მილორდი ედუარდი აქ გულისხმობს ინგლისს, სადაც სენ-პრე იყო ანსონთან სამოგზაუროდ წასვლამდე. ინგლისურ წეს-წყობილებათა რუსოს ამ მაღალ შეფასებაში ჩანს მონტესკიეს გავლენა.

სწავლული და თავმდაბალი აბოზიტი – ფირმენ აბოზიტი (1679–1767), პროტესტანტი ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი, წარმოშობით ფრანგი, ცხოვრობდა ჟენევაში, სადაც საყოველთაო პატივისცემით სარგებლობდა. თავისი რელიგიური შეხედულებებით ახლოს იყო რუსოსთან. განმანათლებლები დიდად აფასებდნენ აბოზიტს. ვოლტერი მას თვლიდა «ყველაზე სწავლულ ადამიანად ევროპაში». ოღონდ აბოზიტმა, რომელიც გამოხატავდა კალვინისტური ჟენევის ოფიციალური წრეების აზრს, რუსოსადმი მიწერილ წერილში უკმაყოფილება გამოთქვა «ახალი ელოიზას» გამო,

რომელშიც ავტორმა ჯეროვნად ვერ შეაფასა «ქალთა კდემამოსილება, კრძალულობა და სათნოება».

მუტრიუ – ჟენევის ტბის ნაპირას მდებარე ქალაქ მონტრეს ხალხური შვეიცარიული სახელწოდება.

ადამიანის ყოფიერების ბუნებრივი პირობები – «ახალი ელოიზას» შექმნისას რუსოს ერთ-ერთი მიზანი იყო სოფლელ მცხოვრებთა ქალაქად გადმოსვლის აღკვეთა.

თავისი ღირსების დაცვა – «კორსიკის კონსტიტუციის პროექტში» რუსო წერს: «აუცილებელია, რათა არც ერთი მშრომელი არ ჩაითვალოს რომელიმე მოქალაქეზე დაბალი წარმოშობის ადამიანად».

მიმოდის მრავალი მათხოვარი – ვოს კანტონში, თანამედროვეთა მოწმობით, იმ დროს მათხოვრობა ნამდვილი საზოგადო უბედურება იყო, რის მოსპობაც არაფრით არ ხერხდებოდა, მიუხედავად მრავალგზისი ამკრძალავი ბრძანებულებისა.

იმეორებთ კიდეც მათ გამოთქმებს – აქ რუსო ეკამათება ვოლტერს, რომელიც წერდა, მათხოვრები «არიან პარაზიტები, მდიდარკაცთ რომ ელაქუცებიანო».

ლიარი –¼ სუს ღირებულების სპილენძის ძველებური ხურდა ფული.

ის ადგილი, სადაც ფლამინიუსი ადარებს... – სინამდვილეში ნაგულისხმევია ტიტუს კვინქციუს ფლამინიუსი (III საუკუნის დასასრული – II საუკუნის დასაწყისი ძვ. წ.), რომაელი კონსული და მხედართმთავარი (იხ. პლუტარქე, «შედარებითი ბიოგრაფიები»).

...ქალბატონ კეტსბის წერილები... – რუსო გულისხმობს ფრანგი მწერალი ქალის რიკობონის რომანს «ქალბატონ ჟულიეტა კეტსბის წერილები მის დობილ ქალბატონ ანრიეტა კემპლისადმი», რომელიც გამოქვეყნდა 1759 წელს. რომანის გმირი, ქალბატონი კეტსბი, მოგზაურობს სოფლის აზნაურთა კარ-მიდამოებში და ამასხარავებს იმ ციხე-დარბაზთა პატრონებს, სადაც თავად იყო სტუმრად.

ჰერმანიკე (14 ძვ. წ. – 19) – ცნობილი რომაელი მხედართმთავარი, არმინიუს ხერუსკის დამმარცხებელი, დიდად უყვარდა ხალხს.

Ammutiscon le lingue, e parlan l'alme – ამ სტრიქონებს რუსო მიაწერს პოეტ ჯამბატისტა მარინოს (იხ. II ნაწილის XV წერილში მე-16 შენიშვნა), მაგრამ მარინოს თხზულებებში იგი არა ჩანს.

ჯონ ლოკი (1632–1704) – გამოჩენილი ინგლისელი ფილოსოფოსი და პედაგოგი. ლოკის მიხედვით, ბავშვის აღზრდისას უნდა ვიმოქმედოთ დარწმუნებით, მივმართოთ მის გონებას. რუსო მთელი თავისი «გრძნობათა ფილოსოფიით» ამ უმნიშვნელოვანეს საკითხში ემიჯნება არა მარტო ლოკს, არამედ საფრანგეთის პედაგოგიური აზროვნების ყველა წინანდელ ავტორიტეტებს. მონტენი, ლაბრუიერი, ფენელონი და აბატი სენ-პიერი გვირჩევენ მივმართოთ აღსაზრდელის გონებას, ვინაიდან «ბავშვის შთაგონება შეიძლება უკვე იმ ხნიდან, როცა მას ძუძუს მოსწყვეტავ» (მონტენი).

პითაგორაც კი არ ყოფილა ესოდენ მკაცრი – პლუტარქეს მიხედვით, («ცნობისმოყვარეობისათვის», XIV) პითაგორას მოწაფეები ვალდებულნი იყვნენ ხუთ წელიწადს დაეცვათ დუმილი.

ჟან შარდენი (1643–1713) – ფრანგი მოგზაური, ავტორი წიგნისა «კავალერ შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთ ინდოეთში», გამოიცა პარიზში 1723 წელს. ეს თხზულება უძვირფასესი წყარო იყო XVIII საუკუნის მწერალთათვის აღმოსავლეთის გასაცნობად (ჟ. შარდენის ეს თხზულება გამოცემულია ქართულად მ. მგალობლიშვილის რედაქციით 1975 წელს).

...დეტინგენში მოგებული ბრძოლა... – 1743 წელს ინგლისელებისა და ავსტრიელთა ჯარებმა დაამარცხეს ფრანგები ავსტრიის მემკვიდრეობისათვის ბრძოლის დროს. დეტინგენი სოფელია მაინის ნაპირას ბავარიაში.

მტრის არმიის სათავეში დგას დიდი სარდალი – ეს იყო გრაფი მორის საქსონელი, საფრანგეთის მარშალი (1696–1750), რომელიც სარდლობდა ფრანგთა ჯარებს ფლანდრიაში და მოიპოვა მრავალი გამარჯვება ავსტრიის მემკვიდრეობისათვის ომში.

მილორდ მალბორო – ჰერცოგი ჯონ ჩერჩილ მალბორო (1650–1722) – ინგლისელი მთავარსარდალი და პოლიტიკური მოღვაწე, ესპანეთის მემკვიდრეობისათვის ომის მონაწილე (1701–1713 წწ.).

ბრძოლა ჰოხშტედტთან – ჰოხშტედტი – პატარა ქალაქი ბავარიაში დუნაის ნაპირას, სადაც მოხდა ორი ბრძოლა (1703 და 1704 წწ.) ესპანეთის მემკვიდრეობისათვის ომში. მეორე ბრძოლაში ფრანგები დაამარცხა მოკავშირეთა არმიამ, რომელსაც მეთაურობდნენ პრინცი ევგენი სავოიელი და ჰერცოგი მალბორო.

პირონიზმი – პირონიზმს (ბერძენი ფილოსოფოსის პირონის სახელის მიხედვით – IV ს. ძვ. წ.) XVIII საუკუნის შუა წლებამდე უწოდებდნენ ფილოსოფიურ სკეპტიციზმს (იდეალისტური ფილოსოფიური მიმართულება, რომელიც უარყოფს ობიექტური სინამდვილის შემეცნების შესაძლებლობას; კრიტიკული უნდობლური დამოკიდებულება, დაეჭვება რისამე სისწორეში ან შესაძლებლობაში). ტერმინი «სკეპტიციზმი» შემოიღო გამოჩენილმა ფრანგმა მწერალმა და მოაზროვნემ დენი დიდრომ (1713–1784).

მილორდი გაიდი, ვიკონტი კორნბერი (გარდ. 1753 წ.) – ინგლისელი პოლიტიკური მოღვაწე, პოუპისა და ბოლინგბროკის მეგობარი; ხშირად იყო პარიზში, სადაც რუსო გაეცნო მას.

ბოლინგბროკი, ჰანრი სენტ ჯონი (1678–1751) – ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე და მწერალი.

ლიუტრი – სოფელი ჟენევის ტბის ნაპირას, ლოზანიდან ნახევარ კილომეტრზე.

ამას უნდა დავუმატოთ კიდევ ნადირობა – რუსოს აზრები ნადირობაზე გამოთქმულია «ემილში» (II და IV წიგნები).

თოთხმეტი წელი უდრტვინველად მონობაში გაატარა – ბიბლიური თქმულების მიხედვით, იაკობმა შეიყვარა ლამაზი რაქაელი და თოთხმეტი წელი ემსახურა მამამისს, სანამ მან ცოლად არ გაატანა ქალიშვილი.

ფეხებსა და გულს უთბობდი – «რუთის» წიგნში («ბიბლია») მოთხრობილია, რომ ნოემინმა ასწავლა დაქვრივებულ თავის რძალს რუთს, ჩვენს ნათესავ ბოოზს შეახსენე მისი მოვალეობა, რათა ქვრივის გამო იზრუნოსო. ღამით რუთი მივიდა ველზე მძინარე ბოოზთან და ფეხთით მიუწვა, რის შემდეგ ბოოზმა ცოლად შეირთო იგი.

მამა ლიეის საბოძვარი – ლიეი – სევდის გამქარვებელი ღვინის ღმერთ ბახუსის ერთ-ერთი სახელი.

აგრიპინა, თავის შვილს რომ აჩვენებს ჰერმანიკეს ლაშქარს... – ტაციტი, ცნობილი რომაელი მწერალი და ისტორიკოსი მოგვითხრობს: როცა ჰერმანიკეს (იხ. V ნაწილის VII წერილი) ჯარისკაცებმა განიზრახეს მის წინააღმდეგ ამბოხება, ჰერმანიკეს ცოლი აგრიპინა მივიდა მათთან და თან მიიყვანა ატატებული შვილი. ამ სანახაობამ გული მოულბო და სირცხვილში ჩააგდო მკაცრი მეომრები. ალბათ რუსო გულისხმობდა მეორე აგრიპინას, ნერონის დედას, რომელმაც ნებაყოფლობით მიიყვანა თავისი შვილი ჯარებთან, რათა იმპერატორ კლავდიუსის გარდაცვალების უმალ ნერონი იმპერატორად გამოეცხადებინათ.

რომაელთა სატურნალიები – ძველ რომში სატურნალიებს უწოდებდნენ დღესასწაულებს, როცა ღმერთ სატურნის სახელთან დაკავშირებული წარსული ოქროს

საუკუნის აღსანიშნავად და მაშინდელი თანასწორობის გამო ბატონები ტოგებით გამოაწყობდნენ თავიანთ მონებს და ემსახურებოდნენ მათ.

განა ყოველგვარი ბგერა არ შეიცავს მთელ ჰარმონიას? – რუსო გულისხმობს ობერტონებს [გერმ. oberton (მუს.) – ტემბრი, დამატებითი ტონი, რომელიც ძირითად ტონს ანიჭებს განსაკუთრებულ ელფერს (ტემბრს)], რომლებიც ერთვიან ძირითადი ბგერის ჟღერადობას და შეიცავენ მისი ჰარმონიის მთავარ ელემენტებს (კვინტა, ტერცია, ოქტავა). რუსოს აზრით, როცა მელოდიას დაერთვიან აკორდები და ამით ძლიერდებიან ეს დამატებითი ბგერები, ამის გამო ირღვევა მათი ბუნებრივი ჟღერადობა და ძირითად ბგერასთან თანაფარდობა.

შენ, ვინაც ერბო მიითვისე, ურიგო არ იქნებოდა გცოდნოდა ეს ამბავი – რუსო აქ იგონებს თავისი ცოლის – ტერეზას დედის, მოხუცი ლევასერის შემთხვევას. ნათესავმა ქალმა მას გამოუგზავნა ოცი გირვანქა ერბოთი სავსე კალათი, მაგრამ ამანათი შეცდომით ვიღაც გრაფ დე ლასტიკს მიუვიდა. გრაფმა მიითვისა ერბო და როცა ლევასერმა თავისი ასული გაუგზავნა და სთხოვა, კალათი დამიბრუნეო, გრაფმა და მისმა მეუღლემ აბუჩად აიგდეს იგი და გარეთ გამოაგდეს (ეს ამბავი მოთხრობილია რუსოს მიერ გრაფ დე ლასტიკთან 1754 წლის 20 დეკემბერს გაგზავნილ წერილში).

ძველად ვიღაც ტირანმა... – ამ მოთხრობას ტირან დიონისე სირაკუზელის (IV ს. ძვ. წ.) ცხოვრებიდან რუსო იპოვიდა პლუტარქეს («დიონისეს ცხოვრება») ანდა მონტესკიეს («კანონთა სული», წ. XII, თ. XI) ნაწერებში.

Ch'un freddo emante... – სტრიქონი მეტასტაზიოს დრამა «ჩინელი გმირიდან» (III, 5), რომელშიც სატრფოს დარიგებაზე – თავი არ გასწირო მეგობრის გადასარჩენადო, გმირი მიუგებს: გულცივი მეგობარი არასაიმედო მიჯნურიაო.

ვიდრე უფლისწულის ხარჯა – თუ როგორ განარისხა ამ გაბედულმა განცხადებამ ქალბატონი პომპადური და სხვა ტიტულოვანი პირები, რუსო მოგვითხრობს «აღსარებაში».

პომპადური, მარკიზა დე ჟანა ანტუანეტა პუასონი (1721–1764) – საფრანგეთის მეფე ლუი XV-ის ფავორიტი ქალი.

მეექვსე ნაწილი

თავიც კი მიანება იმ დიდი ბრძოლის რელაციების კითხვას, რაიც ახლახან ფრანგებმა ინგლისელთ მოუგეს – ნახსენებია ფრანგთა მიერ 1745 წლის 11 მაისს ფონტენუასთან მოპოვებული გამარჯვება.

ლეო ლეონარდო (1694–1746) – იტალიელი კომპოზიტორი, მრავალრიცხოვანი ოპერისა და საეკლესიო მუსიკის ავტორი.

აწ რომი რომში აღარ იქნება... – სტრიქონი კორნელის ტრაგედია «სერტორიუსიდან» (III, 1).

«გაზეტი» – რიშელიეს განკარგულებით 1672 წლამდე ასე ეწოდებოდა 1631 წ. დაარსებულ ფრანგულ გაზეთს, რომელსაც შემდეგ «გაზეტ დე ფრანსი» გადაარქვეს.

რიშელიე, არმან ჟან დიუ პლესი (1585–1642) – ჰერცოგი, საფრანგეთის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, აბსოლუტიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი.

სპინეტი (იტალ. spinetta) – ძველებური კლავიშებიანი მუსიკალური საკრავი, კლავიკორდის ნაირსახეობა.

კ ლ ა ვ ი კ ო რ დ ი (ფრანგ. clavicorde) – ძველებური კლავიშებიანი მუსიკალური საკრავი კლავესინის (ფორტეპიანოს წინამორბედი) მსგავსი აგებულებისა.

უ ცხ ო ე ლ ებ ს თ ა ვ ა დ ჩ ა მ ო ა ქ ვ თ უ ზ ნ ე ო ბ ა მ ა თ ქ ვ ე ყ ა ნ ა შ ი – რუსო აქ გულისხმობს ვოლტერს, რომელიც ცხოვრობდა ჟენევის ახლოს, სადაც არ იყო თეატრი და ამიტომ ცდილობდა ჩაება ახალგაზრდობა თავის ციხე-დარბაზში გამართულ სპექტაკლებში. 1755 წელს ჟენევის საბჭო იხილავდა თავად ჟენევაში თეატრის დაარსების გამო ვოლტერის მიერ წარმოდგენილ პროექტს. პროექტი უარყოფილ იქნა და ჟენეველებს აეკრძალათ თეატრალურ წარმოდგენებში მონაწილეობა. თეატრის კალვინისტურ მოწინააღმდეგეთ მხარი დაუჭირა რუსომ, რომელმაც 1758 წელს გამოაქვეყნა «წერილი დ'ალამბერს სანახაობათ გამო», რაც აგრეთვე ვოლტერის წინააღმდეგ იყო მიმართული. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ვოლტერმა თავისი გაიტანა – 1766 წელს ჟენევაში დაარსდა თეატრი.

დ'ა ლ ა მ ბ ე რ ი, ჟ ა ნ ლ ე რ ო ნ ი (1717–1783) – ფრანგი მათემატიკოსი, განმანათლებელი, საფრანგეთში ბურჟუაზიული რევოლუციის მოსამზადებელი პერიოდის გამოჩენილი მოღვაწე.

ჩ ი ნ ებ უ ლ ი ს ე ნ ი ო რ ი – ასეთი იყო მცირე საბჭოს წევრთადმი მიმართვის ოფიციალური ფორმა. მცირე საბჭო წარმოადგენდა ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს ჟენევაში; აქ ირჩევდნენ ადგილობრივ წარჩინებულთა წარმომადგენლებს.

პ ი რ ვ ე ლ მ ა ი ყ ი დ ა მ ი ს ი ს ხ ე უ ლ ი – რუსო იყო XVIII საუკუნის ერთ-ერთი პირველი მწერალი, ვინც ხმა აღიმაღლა მეძავეების, როგორც საზოგადოებრივი უთანასწორობის მსხვერპლთა გამო. მის შემდეგ ჰოლბახი «საზოგადოებრივ სისტემაში» (1773) მოითხოვდა, რათა კანონს დაესაჯა მეძავთა მაცდუნებელნი.

ჰ ო ლ ბ ა ხ ი, პ ო ლ ა ნ რ ი (1723–1789) – გამოჩენილი ფრანგი ფილოსოფოს-მატერიალისტი, ათეისტი, XVIII საუკუნის ბურჟუაზიული რევოლუციის ერთ-ერთი იდეოლოგი.

ს ტ ი ქ ი ო ნ ი, რ ა მ ა ც შ ე ნ წ ა რ მ ო გ ქ მ ნ ა – აქ ნართაულად იგულისხმება ზღვის ქაფისგან წარმოშობილი აფროდიტე, ზევსისა და ოკეანიდ დიონეს ქალიშვილი. სხვადასხვა მითებიდან ჩანს, რომ თავდაპირველად ნაყოფიერების ღმერთქალი, ოლიმპიური რელიგიის ჩამოყალიბების შემდეგ ხდება სიყვარულისა და სილამაზის ქალღმერთი.

კ ვ ი ე ტ ი ზ მ თ ა ნ ა რ მ ი გ ი ყ ვ ა ნ ო თ.. – კვიეტიზმი (ლათ. quetus – მშვიდი) – მისტიკურ-რეაქციული მოძღვრება, კათოლიციზმის მიმდინარეობა, რომელიც შეიქმნა XVIII საუკუნეში. კვიეტიზმი უარყოფდა ქმედით ცხოვრებას და ქადაგებდა პასიურ ერთიანობას ღმერთთან, რომელსაც უნდა მოემადლებინა მორწმუნის სულისათვის ხსნა და მშვიდობა. XVIII საუკუნის დამდეგს საფრანგეთში კვიეტიზმს ემხრობოდა ცნობილი მწერალი ფენელონი (იხ. II ნაწილის შენიშვნებში), რომელსაც ძალზე დიდად აფასებდა რუსო, თუმცა ამ საკითხში არ ეთანხმებოდა მას.

კ ლ ი უ ნ ის ე პ ი ს კ ო პ ო ს ი – ჯ ო რ ჯ ბ ერ კ ლ ი (1684–1753), ინგლისური ეკლესიის ეპისკოპოსი ირლანდიაში, ცნობილი ინგლისელი ფილოსოფოს-იდეალისტი. მისი მთავარი თხზულებაა – «ადამიანის შემეცნების დასაბამთა ტრაქტატი».

მ ი ს ი მ ო ძ ღ ვ რ ე ბ ი ს გ ა დ მ ო ღ ებ ა ც მ ო ი წ ა დ ი ნ ა – არ ჩანს, რას გულისხმობს აქ რუსო, როცა აბელარის მოძღვრებას ეხება. აბელარი პირიქით მომხრე იყო «ლოცვა-ვედრებისა» წყალობათა ზეგარდმოვლენისათვის, მაშინ როცა სენ-პრე იცავს მარტოოდენ «ლოცვა-დიდებას».

ინგლისელი მეთოდისტები, მორავიელი ძმები გერმანიაში და ფრანგი იანსენისტები – რუსო აქ ჩამოთვლის ოფიციალური ეკლესიიდან განდგომილ სექტებსა და მიმდინარეობათ.

მისი მოწაფე ქალის... – ლაპარაკია ქალბატონ გუიონზე (1648–1717), რომელიც იყო კვიეტიზმის თავდადებული მიმდევარი. თავის შეხედულებათა დაჟინებითი გავრცელებისათვის ერთხანს ბასტილიაშიც კი იყო დაპატიმრებული.

მიურა (იხ. II ნაწილის შენიშვნებში) – იყო მტკიცე და ურყევი პიეტისტი, რისთვისაც გააძევეს ჯერ ბერნიდან, შემდეგ კი ჟენევიდან. შესაძლოა რუსო გულისხმობს ოფიციალურ ეკლესიასთან ამ უთანხმოებას, რამაც ერესის გზაზე დააყენა მიურა. მაგრამ შესაძლებელია ამ ადგილის სხვა განმარტებაც – სახელდობრ, აქ ნართაულად უნდა იყოს თქმული, რომ სიცოცხლის ბოლო წლებში მიურა გაგიჟდა. თხზულება «ადამიანთათვის რეკომენდებული ღვთაებრივი ინსტინქტი» მიურამ 1727 წელს დაწერა.

გარდა ერთარსისა – ამ ადგილას რუსო აკეთებს შენიშვნას, რაც ამოიღო 1763 წლის გამოცემიდან გრამატიკული შეცდომების გამო, ჟიულიმ რომ დაუშვა, როცა «que hors»-ის ნაცვლად «qu'hors»-ი დაწერა. «რასაკვირველია, ქალბატონმა დე ვოლმარმა კარგად იცოდა, რომ «que hors» უნდა დაეწერა. ოღონდ იმის გარდა, რომ ზოგჯერ უშვებს შეცდომებს უცოდინარობით თუ უგულისყურობით, მას უთუოდ ფაქიზი სმენა ჰქონდა და ამიტომაც ყოველთვის მონურად როდი ემორჩილებოდა წესებს. ძნელი არაა შეგხვდეთ უფრო მეტად წუნდაუდებელი, მაგრამ ესოდენ ნაზი, ესოდენ კეთილხმოვანი ენა, როგორიც მის წერილებშია».

...il cor gradisce... – სტრიქონები მეტასტაზიოს დრამა «აბელის სიკვდილიდან». ევა არიგებს აბელსა და კაენს – თითოეული თქვენგანი მოიგებს ღმერთის გულს საკუთარი საქმის კეთებითო.

«ქებათა ქება» – ბიბლიური «ქებათა ქების» ვნებიან სახეებს შუა საუკუნეებიდან მოყოლებული ქრისტიანი მისტიკოსები განმარტავდნენ, როგორც სულის შერწყმას ღმერთთან. კვიეტისტმა ქალმა გუიონმა აგრეთვე დაწერა თხზულება «ქებათა ქების» ასეთი ახსნა-განმარტებით, და სწორედ მას გულისხმობს რუსო «წესიერი ქალის» გამო ჟიულის სიტყვების მისეულ შენიშვნაში.

იგი სავოიელი იყო – ფ. ბონივარი (1493–1570), სავოიის მკვიდრი, იყო ჟენევის თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწე და სავოიის ჰერცოგ კარლოს III-ის წინააღმდეგ ჟენეველ მოქალაქეთა ბრძოლის მხარდაჭერისთვის 1540 წ. მიუსაჯეს შილიონის ციხეში პატიმრობა, სადაც ექვს წელიწადს იჯდა. გამოჩენილმა ინგლისელმა პოეტმა ჯორჯ გორდონ ბაირონმა (1788–1824) სწორედ მას მიუძღვნა საქვეყნოდ განთქმული პოემა «შილიონის პატიმარი». რუსულად თარგმნა ვ. ჟუკოვსკიმ. ამ პოემის ქართული თარგმანი ეკუთვნის პოეტსა და მთარგმნელს თამარ ერისთავს.

ბატონი დიუ ბოსონი – ვევეში მართლაც იყო ექიმი დიუ ბოსონი.

სვეტონიუსი ამბობს... – გაიუს სვეტონიუს ტრანკვილიუსი (75–150) – რომაელი მწერალი. რუსო ახსენებს მის «კეისართა ცხოვრების აღწერას» (§ 24), სადაც სვეტონიუსს უწერია იმპერატორ ვესპასიანეს (7–79) სიკვდილის წინ წარმოთქმული სიტყვები: «იმპერატორს მართებს ზეზეულად სიკვდილი».

პლატონმა თქვა... – ამ შენიშვნაში რუსო გადმოგვცემს პლატონის აზრებს სულის უკვდავების გამო, რაც მოთხრობილია შესანიშნავ დიალოგ «ფედონში» და გამოთქმულია სოკრატეს მიერ სიკვდილის წინ, ოღონდ რუსო, რომელსაც მხოლოდ ქალბატონ დასიეს ფრანგულად თარგმნილი პლატონის წაკითხვა შეეძლო და თანაც მხოლოდ მეხსიერებას ენდობოდა, სავსებით ზუსტად ვერ იხსენებს პლატონის აზრებს. პლატონი, რომელიც სულთა გადასახლების გამო ინდოელ სწავლულთა გავლენას განიცდიდა, როდი

ამტკიცებს, მართალთა სულები სიკვდილის შემდეგ თავდაპირველ სისპეტაკეს ინარჩუნებენო, არამედ სულები წინანდელ ცხოვრებაში თავიანთი საქციელის შესაბამისად სხვადასხვა ცხოველისა და მწერის სხეულებში შესახლდებიანო.

მილორდ ედუარდ ბომსტონის სამიჯნურო ამბავი

«აღსარებაში» რუსო აღნიშნავს, გადავწყვიტე ეს ნოველა რომანის ძირითად ტექსტში არ შევიტანოო, რადგან თავისი ტონით «ახალი ელოიზას» საერთო სტილს და მისი სიუჟეტის «ამაღელვებელ სისადავეს» ეწინააღმდეგებაო. «სამიჯნურო ამბავი» დაიწერა ჰერცოგ ლუქსემბურგელის ცოლის – რუსოს თაყვანისმცემლისათვის, და ავტორმა აჩუქა მას საკუთარი ხელით გადაწერილი «ახალი ელოიზას» ასლთან ერთად. «სამიჯნურო ამბის» დედანი რუსომ მოსპო, რადგან ეშინოდა, ვაითუ მარკიზას სახე ლუქსემბურგელი ჰერცოგის ცოლს რაიმეთი მიამსგავსონო. ნოველა პირველად დაიბეჭდა მხოლოდ რუსოს გარდაცვალების შემდეგ «ახალი ელოიზას» ჟენევურ გამოცემაში 1780 წელს, ჰერცოგის მეუღლისათვის ნაჩუქარი ეგზემპლარიდან გადმოღებული ასლის მიხედვით. ბალზაკმა მოთხრობა «ოქროსთვალიან გოგონაში» დიდად შეაფასა «სამიჯნურო ამბავი», როგორც რუსოს რომანის «ერთ-ერთი ევროპულად ყველაზე მეტად ნატიფი იდეის» განსახიერება.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ჟ ა ნ-ჟ ა კ რ უ ს ო (წინასიტყვაობა ნიკა აგიაშვილისა);

ჟიული, ანუ ახალი ელოიზა

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა;
პირველი ნაწილი;
მეორე ნაწილი;
მესამე ნაწილი;
მეოთხე ნაწილი;
მეხუთე ნაწილი;
მეექვსე ნაწილი;
მილორდ ედუარდ ბომსტონის სამიჯნურო ამბავი;
შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი.